წლიწადი მეორე

ფასი 15 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

ხუთშაბათი, 1 იანვარი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმისა, დილის 9–1 საათამდე

№ 3

## საახალწლო.

ჟამთა ტრიალის ბორბალმა ერთი წელი კიდევ გადისროლა მარადისობის წიაღში და ამოატივტივა ნორჩი ახალი წელი.

წინეთ ის იყო მუდამ ცელქი, ცქრიალა, მხიარული, თმახუჭუჭა ბავში, რომელსაც ხელში ყვავილთა კონა ეჭირა, ტუჩებზე კი ღიმილი ეკერა.

ახლანდელი კი წარბშეკრულია, პირ-მოკუმული, თავზე მეზარადი ახურავს, წელზე ხმალი არტყია, ხელში კი წითელი დროშა უჭირავს.

ყველას უნდა, იმის თვალებში, სახის გამომეტყველებაზე თავისი ბედი ამოიკითხოს: აბა ვისთვის რა უნდა, ვის რას უქადის, ვის რას მოუტანს, ვის დაღუპავს, ვის ააშენებს.

ახალ წელს დაბადებისთანავე ნატვრა მოაქვს, ოცნებას აღვიძებს, სურვილებს აცხოველებს, იმედებსა ჰპურჩქნის.

ახალ წლის ღამეს გლეხს უსათუოდ დიდი ჯირკი უნდა უგიზგიზებდეს კერაზე. რომ ჯოხს როდესაც ჩაჰკრავს და ინატრებს: ამდენი საქონელი, ამდენი პური, ამდენი ღვინოვო, ნაპერწკალთა მთელი ჯარი ტკაცატკუცით ამოვარდეს.

დღეს ყველას წარმოდგენილი აქვს ოცნებაში აგიზგიზებული ჯირკი და ყველა ჯოხს უჩხიკუნებს; ზოგი მამულის დაბრუნებაზე ოცნებობს, ზოგი — ფულებზე, ზოგი ძველ დროზე, ზოგი — მეფეზე.

მუშა ხალხი კი ოცნებობს მსოფლიო რევოლიუციაზე, რათა სამუდამოდ დაიქცეს ძალმომრეობის ტახტი და მდიდარ მუქთახორათა ბატონობა, განმტკიცდეს და დამყარდეს ყველგან მშრომელი ხალხის ძალა-უფლება.

ერთი რამ ახლავე ცხადია: ახალი წლის მოკაზმულობა აშკარად მეტყველებს, რომ მას მოაქვს ბრძოლა წითელი დროშის გარშემო.

ჩვენ უნდა შევეგებოთ ახალ წელს მარტო ნატვრითა და ოცნებით კი არა, არამედ მოქმედებით.

მოქმედება, მოქმედება და კიდევ მოქმედება,—აი რას ითხოვს ჩვენგან ახალი წელი.

მაგრამ მოქმედობას თან სდევს სწორი და მრუდე ნაბიჯი. რომ ახალ წელს სისწორით გავყვეთ უკან და შეცდომა ნაკლებად გავიმეოროთ, უნდა გადავავლოთ თვალი გასულ წელს და მასთან ჩვენს წარსულსაც.

მეტად მძიმე იყო თვითმპყრობელობასთან ბრძოლა, ბევრი მსხვერპლი შეიწირა მან და ამ სასტიკ ბრძოლაში ღირსეული მედროშე იყო ქართველი პროლეტარიატი. რუსეთის მთელ პროლეტარიატთან ერთად ის თავგანწირვით ებრძოდა ძლიერსა და ულმობელ მტერს და ამ ბრძოლაში შეჰქონდა მას უშიშრობა, თავდავიწყება, თავგანწირვა, ცეცხლი, დაუშრეტელი სიხალისე და გმირული გატაცება.

დაეცა, ჩაიღეშა, განადგურდა თვითმპყრობელობის მთელი სიმაგრე და ამ დიად ისტორიულ საქმეში შეგნებულათა და ამაყად შეიტანა თავისი წვლილი ჩვენმა პროლეტარიატმა.

მან ღირსეულად შეასრულა თავისი დანიშნულება და ვერავინ ვერას წამოეკადნიერება.

რევოლიუციის გამარჯვებისათვის საჭირო იყო მთელი რუსეთის პროლეტარიატის გაერთიანებული, მთლიანი ფრონტი.

მენშევიკური პარტია თავგამოდებული და სასტიკი, მტკიცე დამცველი იყო ამ მთლიანი ფრონტისა და გაფრთხილებული ებრძოდა ყოველგვარ გამოყოფასა და ეროვნულ მიმდინარეობას.

არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ რევოლიუცია მოხდა მეტად გართულებულ საგარეო პირობებში და უზარმაზარ სახელმწიფოში, რომელსაც უკავია მთელი დედამიწის მეექვსედი.

რუსეთის რევოლიუცია ვითარდებოდა დიალექტიურად, ამ პროცესში დიდი რუსეთი დაიშალა, დანაწილდა, რომ შემდეგ აღმდგარიყო, მაგრამ სხვა სახითა და სხვა შინაარსით.

საქართვ. მენშევიკური პარტია მიადგა ამიერკავკასიის სეიმს ეს იყო ერთი დიდი შეცდომა მენშევიკური პარტიისა. რევოლიუციამდე მას კიდევ შეეძლო ეფიქრა,

რომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დროს მას ჰქონდა გრძელ გზაზე მოკლე მანძილი მუსავატელებთან და დაშნაკელებთან საერთო.

მას შემდეგ, რაც რევოლიუცია უკვე ფაქტად იქცა, მეფის რუსეთი დაინგრა და ახალი შესაძლებლობა გადიშალა, ახალი პერსპექტივები გაშუქდენ, მენშევიკურ პარტიას უნდა შეეგნო, რომ ერთად სავალი მანძილი უკვე განვლილი იყო და ამის შემდეგ მას არარაფერი საერთო არა ჰქონდა რა მუსავატელებთან და დაშნაკელებთან.

როდესაც ეს გამოაშკარავდა, მენშევიკური პარტია იძულებული იყო დადგომოდა იმ გზას, რომელსაც წინეთ თვითონვე უარჰყოფდა, რომელსაც სასტიკად ებრძოდა, და გამოეცხადებია საქართველოს დამოუკიდებლობა.

მაგრამ მენშევიკურმა პარტიამ ვერ შესძლო საკუთარი რესპუბლიკის მოწყობა და ხელმძღვანელობა, თანდათან და შეუჩერებლად მიუახლოვდა კატასტროფას.

1920 წლის ზაფხულზე ნ. ჟორდანია ეუბნებოდა პარტიას: ასეთი გზით ჩვენ კატასტროფას ვუახლოვდებით. ნოემბერში კი ის უკვე საჯაროდ აღიარებდა: ჩვენ კატასტროფაში ვიმყოფებით.

გასაკვირალია ის სიბრმავე, რომელსაც ზოგჯერ იჩენს ყოველი მთავრობა დაღუპვის წინ. ასეთი სიბრმავე გამოიჩინა მენშევიკურმა პარტიამაც. მაშინ, როდესაც მთელი მისი ყურადღება ქვეყნის შინაურსა და საგარეო მდგომარეობისაკენ უნდა ყოფილიყო მიპყრობილი, ის კირილე ნინიძეზე მეტს ვერასა ჰხედავდა, მართავდა კრებებსა და მოხსენებებს დაბა-სოფლებში, მოიწვია საჩქაროდ პარტიული ყრილობა კირილე ნინიძის წინაალმდეგ, ნაშუაღამევის ორ-სამ საათამდე გრძელდებოდა ფრაქციის სხდომები ნინიძის საწინააღმდეგოდ და ამ სხდომებს ხშირად მთელი მთავრობა ესწრებოდა.

ნ. ჟორდანიას დიაგნოზი სწორი იყო: პარტია იმყოფებოდა კატასტროფიულ მდგომარეობაში, რაც მეტად მალე დაამტკიცა სინამდვილემ.

ნ. ჟორდანიამ დიაგნოზი სისწორით დასვა, მაგრამ ვერც მან, ვერც მთელმა პარტიამ სისწორით ვერ დააფასა შექმნილი მდგომარეობა და ამან გამოიწვია დიდი შეცდომები და დიდი გაუგებრობა.

სანამ მენშევიკური პარტია მმართველ პარტიას წარმოადგენდა, ის ამაყად გაიძახოდა: ჩვენ სამანდატო ერი არა ვართო. დაჯდა ორ სკამზე და ერთ თვალს ბურჟუაზიულ ევროპას უქნევდა, მეორეს მოსკოვს, ფაქტიურად კი რამიშვილისა და ჯუღელის პოლიტიკა და ფარული დიპლომატია მოსკოვის წინააღმდეგ იყო მიმართული.

როდესაც მენშევიკურმა პარტიამ ძალა უფლება დაჰკარგა, საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა, პარტიის გონების კარი თითქოს ერთხელ შეაღო სინამდვილის შუქმა, როცა ის 1921 წელს გაზაფხულზე საოპერო თეატრში შეიკრიბა, ითათბირა, დაჰგმო პოლიტიკა ინტერვენციისა და აღიარა საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობა და თანამშრომლობა.

ზოგიერთი გავლენიანი მენშევიკი (მაგ. ისიდორე რამიშვილი) კერძო ლაპარაკში ყრილობის შემდეგ ამბობდა: აქამდინ ჩვენ ვმართავდით ქვეყანას, ახლა რაც მოხდა, მოხდა; შექმნილ გარემოებას უნდა შევურიგდეთ; ავია თუ კარგია, საბჭოთა მთავრობა ჩვენი მთავრობაა, მივიღოთ ის და ვიმუშაოთ მასთან კულტურულ ნიადაგზეო.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს დარჩა მარტო სიტყვად, საქმე კი სრულებით სხვანაირი მოჰყვა. პარტიამ მთელი თავისი იმედები დაამყარა ევროპაზე, რომელიც მსხვილი ბურჟუაზიის ხელშია, და დაადგა აჯანყების გზას.

ძალა-უფლების დაკარგვის შემდეგ პარტია დაადგა ისეთს გზას, რაც ერს განადგურებას უქადოდა.

ყოველივე ეს შეცდომა იყო და მოჰყვა მას მეტად სამწუხარო და ერისთვის ერთობ საზიანო შედეგები.

როდესაც ახალ წელში შევდგით ფეხი, ყველა ეს შეცდომა უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ არაფერი იმის მზგავსი აღარ გამეორდეს.

ჩვენ უნდა დავეყრდნოთ საკუთარ თავსა და ქართველ მშრომელ ხალხს და ხელი შევუწყოთ იმის განახლებასა და კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას.

ახალმა წელმა უნდა მოუღოს ბოლო ძველ შეცდომებსა და გაუგებრობას.

ჩვენ ვდგებით ამიერიდან საბჭოთა პლატფორმაზე; ვცნობთ საბჭოთა მთავრობას საქართველოს ერთად ერთ მთავრობად და ვიმუშავებთ ამ ნიადაგზე საბჭოთა დროშის ქვეშ საქართველოს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

# რუსეთის მენშევიზმი საქართველოს შესახებ.

რუსეთის მენშევიზმის ორგანოში (Социалистический Вестник, 1 დეკემბერი 1924 წ.) მოთავსებულია აბრამოვიჩის წერილი საქართველოს შესახებ. წერილის სათაურია „К вопросу о Грузии.“—მსოფლიო მუშათა კლასი ერთსულოვანი აღშფოთებით გამოეხმაურა იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკურმა დიქტატორებმა სისხლში ჩაახრჩვეს საქართველოს აჯანყებაო,—სწერს ავტორი. შემდეგ ის ეკამათება გერმანიის კომუნისტების ყოფილ ხელმძღვანელს ლევის, რომელიც საქართველოს საკითხს აყენებს სხვა პატარა, ან კოლონიალური ქვეყნების საკითხებთან ერთად. ეკამათება ბოლშევიკებსაც ამაში და ამბობს—სოციალისტური საქართველო, რომელიც სოციალიზმის სახელით დაიპყრო რუსეთის სოციალისტურმა მთავრობამ, არ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ-ერთი აუარებელ ჩაგრულ ერებთაგანი, საქართველოს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ის არის საშინაო საკითხი მსოფლიო მუშათა კლასისათვისო.

აბრამოვიჩი გადადის მერე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე. აქ ის სავსებით გამოხატავს რუსეთის მენშევიზმის აზრს და ამიტომ მოვიყვან მისი წერილიდან ვრცელ ამონაწერს.

— „თვითგამორკვევის უფლება ქართველი ხალხისათვის—ასეთია ინტერნაციონალის ლოზუნგი. ასეთია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგიც. რუსეთის

სოციალ დემოკრატიას შეუძლია სიამოვნებით აღნიშნოს ის ფაქტი, რომ თითონაც შეურყევლათ დაიკავა სწორი პროლეტარული პოზიცია ამ საკითხში. და შეძლებისამებრ ხელიც შეუწყო ამ ლოზუნგის მიღებას ინტერნაციონალში...—მაგრამო,—განაგრძობს ავტორი,—რუსეთის დემოკრატია იცავს „თვითგამორკვევის თავისუფლებას“ ძალმომრეობითი ჩარევისაგან და იმავე დროს ნებას აძლევს თავის თავს იქონიოს განსაკუთრებული აზრი ამ თვითგამორკვევის შესახებ არსებითად და იმ ტაქტიკაზე, რომლითაც ესა თუ ის ერი ანხორციელებს თვითგამორკვევას. იქონიოს კი არა გამოთქვას ხოლმე კიდეც ეს თავისი აზრი და ეცადოს მის გატარებას იდეიური ბრძოლის საშუალებით. ამაში სულაც არ არის უარყოფა დემოკრატიული პრინციპების და ეროვნული თავისუფლების. ეს აზრი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მთელი სახელმწიფოს ყველა ნაწილები შეკავშირებული არიან საერთო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეჟიმით, ცალკე ერს არ შეუძლია აწარმოოს თავისი პოლიტიკა და ამავე დროს არ შეეხოს სხვა ერების არსებით ინტერესებს, განსაკუთრებით პროლეტარიატის საერთო კლასობრივ ინტერესებს. ასე თუ მიუდგებით საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას და საბჭოთა კავშირის სხვა სოციალისტური პარტიების ტაქტიკასაც, ჩვენ სახეში გვექნება ორი სხვადასხვა ხაზი. ერთი ხაზია ძველი – მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის, რომელიც ყოველთვის იცავს დამოუკიდებელ კლასობრივ პოლიტიკას მთელ თავის ბრძოლაში და ეროვნულ ბრძოლაშიაც. მეორე ხაზია—ის, რომელზედაც, სამწუხაროდ, ჩვენ გვგონია, დგებიან ჩვენი ქართველი ამხანაგები. ეს არის ხაზი ეროვნული შეკავშირების (блок) ეროვნულ-რევოლიუციონური კოალიციის. უკანასკნელი წლების ისტორია გვიჩვენებს ბევრ მაგალითს, როცა გატარებულა ეს მეორე ხაზი და გამოცდილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რა შედეგი მოაქვს ამ ხაზზე სვლას. აქ მაღლა დგას ეროვნული შეკავშირების აზრი და იმას ექვემდებარება კლასობრივი მთლიანობის აზრი. ეს არის უარყოფა მარქსისტული პოლიტიკის, აშითი. პროლეტარული პარტია ფაქტიურათ ითქვიფება შუათანა და წვრილფეხა ბურჟუაზიაში, ემორჩილება სხვის მიზნებს. სადაც სუსტათ არის განვითარებული კაპიტალიზმი, მრეწველობა, სადაც ამიტომ უმრავლესობას შეადგენენ გლეხერი, წვრილბურჟუაზიული და ინტელიგენტური ელემენტები, იქ თუ ხანგრძლივათ ტარდება კოალიცია ბურჟუაზიულ პარტიებთან, პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადავა ვიწრო ნაციონალიზმით და ეროვნული რომანტიზმით გაჟღენთილ წრეებში, რომლებსაც არ შეუძლიათ ფართო შორსმხედველი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა აწარმოონ. ამ ნიადაგზე „ეროვნული კავშირის“ პოლიტიკა თან და თან ეცემა. გადადის ავანტიურაზე, ველარ ერკვევა მოკავშირეებში, ბრძოლის საშუალებებში, ეკარგება ფართო თვალთახედვა, ბოლოს ეწყება გახრწნა, რღვევა,—ამის მაგალითებს ჩვენ ბლომად დავინახავთ უკრაინის მოძრაობაში... როგორი გამოვა პრაქტიკული პლატფორმა ამნაირი კავშირის—ბლოკის? ომის შემდეგ გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ როცა მსოფლიო ირყევა, პოლიტიკური წონასწორობა ირღვევა, ეკონომიური ურთიერთობა იშლება, მაშინ პატარა ერებსაც ეძლევათ თავისი ფართო ეროვნული იდეალების განხორციელების იმედი. ამიტომ ძარღვებ დაჭიმულ ნაციონალიზმის ატმოსფერაში თითქმის სარწმუნოებრივი გრძნობით ელოდებიან „საათს“, როცა ახალი მსოფლიო ომის ან რევოლიუციონური კატასტროფა შექმნის ახალ ეროვნულ შესაძლებლობას. იწყება ორიენტაცია ახალი ომის (როგორც ერთ დროს პოლონეთის სოციალისტური პარტიის (П. П. С.), ახალ რევოლიუციის, რომლისთვისაც უნდა ემზადო ეროვნულ ფარგლებში, მოემზადო ტეხნიკურად და პოლიტიკურად, ეძებო მომხრეები და მფარველები საერთაშორისო ასპარეზზე. ყოველივე ეს, სადაც წვრილ-ბურჟუაზიული რომანტიზმი და ავანტიურიზმი ჰარბობს, სადაც ცდილობ შეინახო სრულ-უფლებიანი ეროვნული მთავრობის გარეგნული სახე, აუცილებლათ დაგაყენებს მოლიპულ გზაზე არა მარტო მთელ ეროვნულ ბლოკს, არამედ იმის მონაწილე სოციალ-დემოკრატიასაც... და უკანასკნელმა აჯანყებამ დაგვანახვა სრული უიმედობა, დამღუპველობა ამისთანა ტაქტიკის, მისი შედეგია სისხლისაგან დაცლა მთელი ერის, და აქტიური, მომქმედი მისი ნაწილის მოსპობა.

ამნაირად, მარტო კლასობრივი პოლიტიკის მიხედვით კი არა, ეროვნული ინტერესების მიხედვითაც საქართველოს სოციალ-დემოკრატია თავის თავს აყენებს უდიდესი საშიშროების წინაშე, როცა ატარებს ეროვნული ბლოკის ტაქტიკას და ადგება იმასთან აუცილებლად დაკავშირებულ გზას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველი და სხვა პროლეტარებისთვის, თუ მათ არ უნდათ იმედის დაკარგვა, ზედმეტი მსხვერპლი, ერთად ერთი გზაა ის, რომელზედაც დგას სოციალ-დემოკრატიული მუშათა კლასი რუსეთში და ამ კლასთან უნდა იყონ ისინი მჭიდროდ დაკავშირებული“.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მენშევიზმის წარმომადგენელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მართალია, თავდაჭერილად, მაგრამ სასტიკად გმობს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას ეროვნულ ბრძოლაში. ჩვენც აქ ჯერ კიდევ იატაკ-ქვეშ იმაზე ვუთითებდით, რომ თუ ეროვნული ბრძოლა არ დგას კლასობრივ პროლეტარულ ნიადაგზე, ის უთუოდ გადავარდება ავანტიურიზმის უფსკრულში. ასე მოხდა და ამას ამოწმებს ზემოდ მოყვანილი ამონაწერის ავტორი. აბრამოვიჩს ხათ.რი აქვს ქართველი ამხანაგების და ზრდილობიანად ეუბნება იმას, რასაც სხვები, მეტადრე ბოლშევიკები, ეუბნებიან მკვახედ. გახრწნის, რღვევის, ბრძოლის საშუალებების გაურჩევლობის გზას დაადგები, როცა კლასობრივ ბრძოლას ივიწყებ და პირველ ალაგზე აყენებ ეროვნულ ბრძოლას, როცა ცდილობ შეინახო გარეგნული სახე სრულუფლებიანი ეროვნული მთავრობისა.

აბრამოვიჩი გმობს თავიდან ბოლომდის ქართველი სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას, იმიტომ კი არა, რომ ეს სოციალ-დემოკრატია იცავს ეროვნულ თვითგამორკვევის თავისუფლებას, იმიტომ, რომ ამ ტაქტიკით ის აღწევს სრულიად საწინააღმდეგო მიზნებს.

მაგრამ როგორ დგას თითონ რუსეთის მენშევიზმის ხელმძღვანელი საქართველოს თვითგამორკვევის საღარაჯოზე? არის თუ არა ის მომხრე სრული გამოყოფის და ცალკე სახელმწიფოებრივი არსებობის, თუ პატარა ერს უნდა ამისთანა რამე?

იდეური ბრძოლის საშუალებით ჩვენ გვეატარებთ ხოლმე იმ აზრს, რომ პატარა ერი ვერ აწარმოებს საკუთარ პოლიტიკას, უთუოდ ფეხშემოსაკრავით შეექნება სხვა ერების ინტერესები და მთელი სახელმწიფოს მუშათა კლასის ბედიღბალიცო.

უბრალოდ რომ ვთქვათ, რუსეთის მენშევიზმიც „იდეური ბრძოლის“ საშუალებით მომხრე იქნება საქართველოს რუსეთთან ყოფნის. ის სასტიკი წინააღმდეგია დღეს ძალმომრეობით გარედან ჩარევის, მაგრამ ის ხვალ ჩაერევა „იდეურად“, თუ მართვა-გამგეობის სათავეში მოექცა. რუსეთის მმართველი პარტია—სოციალ-დემოკრატია,—რომ შეიძლებოდეს წარმოდგენაში მაინც ასეთი ისტორიული ხანა—უთუოდ ეტყვის საქართველოს,—ცალკე ყოფნა არ გარგიათ, და თუ ეს საქართველომ ვერ გაიგო „იდეური ბრძოლის“ საშუალებით, სოციალ დემოკრატიაც უთუოდ მიმართავს ბრძოლის სხვა საშუალებებს.

აბრამოვიჩს მხედველობაში აქვს, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით კავშირი რუსეთის და პატარა ერების. ნებაყოფლობითი კავშირზე ლაპარაკობდა თავის წერილებში ყოველთვის ლენინიც, მაგრამ, როცა სახელმწიფოს იცავ ათასნაირი საფრთხისაგან, რის იზამ, ნებაყოფლობა არ გამოგადგება ხან და ხან...

ვითომ „იდეური“ ბრძოლის გზაზე იქნება პატარა ერების მიმართ სოციალისტური რუსეთი სოციალ-დემოკრატიის ხელქვეშ, მაგრამ როცა არ მოიქცევა ის, თუ რომელიმე პატარა ერის საზღვრებზე იქნა გარედან შემოსევის შიში... ის მაშინ ვერ აცდება ძალმომრეობით ჩარევას ამ პატარა ერის შინაურ საქმეებში, რომ დაიცვას თავისი სახელმწიფო და საერთო ინტერესი მთელი სახელმწიფოს მუშათა კლასის.

ეს არის ტრაგედია მათი, ვინც საქართველოს საკითხში დგას ერთეული განკერძოების ხაზზე.

ამ ტრაგედიის განცდა არ ექნება საქართველოს მშრომელ ხალხს, როცა შეიგნებს, რომ მისი მომავალი მჭიდროდ დაკავშირებულია რუსეთის რევოლიუციონურ მუშათა კლასთან.

ხ. დევდარიანი.

# რუსეთის რევოლიუცია და საქართველო.

საქართველოს ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის რევოლიუციისთან. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველო იარსებებს, როგორც ჩვენ გვინდა, თუ საბოლოოდ გაიმარჯვა რუსეთის რევოლიუციამ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაქრება-განადგურდება. როცა საქართველოზე ვლაპარაკობთ, უნდა ვილაპარაკოთ რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაზე, რომელთანაც მუდამ გვერდში იდგა საქართველო ყოველ მის დიდ მოძრაობაში.

წინდაწინ კი მინდა გაკვრით მაინც შევეხო საქართველოს ისტორიის და მოვიგონო ზოგიერთი მომენტები, რომლებიც ახასიათებენ მის დუხჭირ ცხოვრებას და ხანგრძლივ განაწამებას. მე ისტორიკოსი არა ვარ, რომ სავსებით ვიცოდე საქართველოს ისტორია, მაგრამ ცოტა რომ გამეგება მისი და სწორედ ამით მინდა ვისარგებლო ამ წერილისთვის. ქართველ ერს რამდენიმე ათასეული წლის ისტორია აქვს. ქართველ ტომებს ჯერ კიდევ ტიგრისა და ევფრატს შუა ჰქონებიათ ბინადრობა და თუ მოსე წინასწარმეტყველის სიტყვას დავუჯერებთ (ბიბლია), მჭედლობისა და ფოლადის დამზადებაში ისეთი დახელოვნებული ყოფილან, რომ თვით საბერძნეთს მათგან გაჰქონდა ფოლადი. ბოლოს, უფრო ძლიერი მტრების შემოსევით ძლეულნი იძულებულნი გამხდარან უკან დაეხიათ და ამ მუდმივი უკან-უკან დახევით მოუხწევიათ ამიერ-კავკასიის მიდამოებამდე და დასახლებულან შავისა და კასპიის ზღვებ შუა. ამას ნათლად მოწმობენ ეხლა ხან აზერბეიჯანიდან გადმოსახლებული კახეთში უდინელები და შავი ზღვის ნაპირებზე ოსმალეთისაკენ მობინადრე ქართველი ტომი ლაზები. ამ ერის უბედურებას აქაც არ ჰქონია დასასრული. მას მუდამ მუსრს ავლებდა და ანადგურებდა აზიის მაშინდელ ბარბაროს ხალხის შემოსევა თემურლენგის, ჩინგიზ-ხანის და სხვა სისხლისმსმელი მეთაურების სახით. საქართველოს მოსვენება არ ჰქონია სპარსეთიდან, ოსმალეთიდან და თვით ერთმორწმუნე საბერძნეთ-მაკედონიიდან. ალექსანდრე მაკედონელსაც, ამ მრავალ სახელმწიფოების შემმუსვრელსაც, უსრუსია საქართველო. ეს ხალხი მუდმივი ომების და [illegible] გამო დაცემულა არამც თუ კულტურულად, არამედ ფიზიკურადაც. მისი მრავალი მილიონიანი მოსახლეობა, შავ და კასპიის ზღვებ შუა, $1^1/_2$ მილიონამდე დასულა და მისი ტერიტორია ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიით შეზღუდულა. მისი ორიენტაცია ევროპის ორიენტაცია ყოფილა. ეს იქიდან სჩანს, რომ ის ხშირად ევროპის სახელმწიფოებთან აგზავნიდა თავის ელჩებს, აგრეთვე ღებულობდა ევროპის ელჩებს (პატრების სახით), მოლაპარაკების საწარმოებლად და კავშირის გასაბმელად. ეს აბრაზებდა ოსმალეთს და სპარსეთს, რომლებიც მუდამ ომებში იყვნენ ევროპასთან და ამიტომ ყოველნაირ საშუალებას ხმარობდნენ, რომ დაესუსტებინათ საქართველო და მით ხელი შეეშალათ ცოტათი მაინც ევროპის ზრახვებისათვის, მიმართულს მათ წინააღმდეგ. ეს კი იწვევდა მუდმივ ომებს ამ ორ დიდ სახელმწიფოსა და პატარა საქართველოს შორის, რაც ანადგურებდა მას. ბოლოს მეფე ირაკლის დროს საქართველომ შეაფარა თავი დიდ რუსეთს, რომ გადაერჩინებინა თავი სრულ განადგურებისაგან და შემოენახა ფიზიკური არსებობა.

მართალია, მაშინდელი თვითმპყრობელი რუსეთი უპირო გამოდგა, საქართველოს არ შეუსრულა და მოუსპო დამოუკიდებელი არსებობა, უბრალო პროვინციად გადააქცია. მიუხედავად ამისა ქართველი ერი მაინც მადლიერი იყო და უნდა იყოს რუსეთისა, რადგან ის გარშემორტყმული მუდამ მტრულ განწყობილებაში მყოფ ერებით, შეძორკალული, უკანასკნელად სულს ლაფავდა და გადაგვარება მოელოდა. საქართველომ ასი წლის განმავლობაში რუსეთის ხელში მოსვენებას მიეცა, მან ჩამოიხსნა თოფ ხმალი, ურომლისოდაც მიწის მუშები ყანის მუშაობისასაც კი ვერ გადიოდნენ მტრის უეცრივ დაცემის შიშით.

რუსეთის შემოსვლის დროს საქართველოში ცოტანი იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე პირები, თუ არ მივიღებთ

მხედველობაში მონასტრების მსახურთ, სამღვდელოებას და თავადაზნაურობის. სოფლები და ქალაქები კარჩაკეტილ ცხოვრებას აწარმოებდნენ და სრულ სიბნელით იყო მოცული მხარე. რუსეთის შემოსვლის შემდეგ კი თანდათან გაჩაღდა მიმოსვლა სოფლიდან ქალაქში, სახელმწიფოებიდან სახელმწიფოებთან. გაკეთდა შარა-გზები, რკინის გზები, აღორძინდა ვაჭრობა და წარმოება, გაიხსნა შკოლები, სადაც ჩვენს ხალხს თანდათანობით მიეცა საშუალება ევროპის კულტურის დაწაფებოდა რუსული კულტურის საშუალებით და თუ მაშინ თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი (სამღვდელოება და თავადაზნაურები არ მყავს მხედველობაში), ახლა ათასობით გვყავს უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებული და საზღვარგარეთ განათლება მიღებულები ყველა წოდებისა. ასე რომ ჩვენ შეგვიძლია დღეს ჩვენი კულტურული ძალებით მოუაროთ სახელმწიფოს. ამნაირად გაჩაღდა კულტურა საქართველოში, მასში გაიღვიძა ძველი კულტურის ნაშთებმაც და, ჩემის აზრით, სწორედ ეს არის მიზეზი ასე სწრაფი ნაბიჯით წინსვლისა ქართველის ერის კულტურის.

დიადი კულტურა ბადებს დიად იდეალებს. ევროპის დიადმა კულტურამ დაბადა რევოლიუციის წმინდა იდეალი, ის გადმოინერგა რუსეთში, სადაც გაჩაღდა განმათავისუფლებელი რევოლიუციონური მოძრაობა. შუა რუსეთიდან მის განაპირა მხარეებსაც მოედო ეს იდეალი და მათ შორის პირველი ადგილი დაიკავა საქართველომ. ის მუდამ მხარში უდგა დიად რუსეთს, მის რევოლიუციონურ მოძრაობა-დუღილში იყო განუშორებლად ჩაბმული; მისი მამოძრავებელი ღერძი იყო 1917 წლის მიწურულამდე.

1917 წლის მიწურული საბედისწეროდ უნდა ჩაითვალოს ქართველი ერისათვის

ამ ხანებში მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში, მისი დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა შესცვალა უალრესად სოციალისტურმა მთავრობამ, ამას არ შეურიგდა განაპირა ქვეყნების ნაციონალისტური მოსახლეობა. რუსეთს ჩამოშორდა ცალკე ნაციონალური სახელმწიფოების გამოცხადების სახით. გაჩაღდა სამოქალაქო ომები ამიერ-კავკასიასა და რუსეთს შუა აიმართა კედლები სხვადასხვა ახლად გამოჩეკილ სახელმწიფოების სახით.

ჩვენ არ ვფიქრობდით ჩამოშორებას, ჩვენს მუშებს ვერავინ გაუბედავდა ამგვარ რამეების ხსენებსაც კი. ჩვენ უცდიდით რუსეთის დუღილის დამთავრებას, ამიტომ საქართველოს მეთაურობით შესდგა ამიერ კავკასიის დროებითი კომისარიატი. ამ დროს ოსმალეთის საზღვრები გატიტვლდა, ჯარმა მიაშურა რუსეთს და ამიერ კავკასია დარჩა თავის-თავის ამარა. ამით ისარგებლა ოსმალეთმა და გადმოლახა საზღვრები. ჩვენ შევეცადეთ ოსმალეთის შეჩერების მოლაპარაკების სახით, ომსაც ვაწარმოებდით. ოსმალეთმა არცკი ისურვა ლაპარაკი, როგორც არა იურიდიულ პიროვნებასთან და განაცხადა: „თქვენ ხართ რუსეთის ნაწილი, რომელსაც მე ვეომები და ვივლი წინ, სანამ არ შევხვდები რუსეთის ჯარს"-ო. ამან იძულებული გაგვხადა გამოგვეჩინა იურიდიული სახე და გამოვაცხადეთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებელი სახელმწიფო; მაგრამ ამანაც არ გაიშველა ოსმალეთთან და გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკა.

გამოცხადდა, მაგრამ დახე ჩვენს ბედს! ამანაც ვერ დაადო მაღამო ჩვენს ტკივილებს. ოსმალეთი მაინც მოიწევდა წინ, ჩვენ კი იმდენად უძლური ვიყავით ყოველ მხრივ, რომ შეუძლებელი იყო გამკლავება. აქ ჩავარდით ისეთ ტრაგიკულ მდგომარეობაში, რომ იძულებული გავხდით შეგვეკრა ყოვლად მიუღებელი ხელშეკრულება გერმანიის მთავრობასთან. ჩვენ და იღბლად გერმანიაში მოხდა რევოლიუცია და ჩვენ გვეგონა გვეშველებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს გერმანია დამარცხა მოკავშირეებმა და სწორედ ამ სახელმწიფოების ჯარები რომლებიც რუსეთის და მასთან ჩვენიც მოკავშირე იყო ამ მსოფლიო ომში, დიდის მტრულის განზრახვებით შემოშლიგინდა საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში ბათუმიდან. რომელ ქართველს არ ახსოვს ამ უცხო ჯარების აქ ჯირითი და ალვირ-აშვებულობა. არა ერთი რკინისგზელი იყო მათგან ნაცემ ნატყეპი. ჩვენ ვითომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქონდა! ჩვენც ვითომ ნეიტრალური სახელმწიფო ვიყავით! განა შეიძლებოდა ასეთ რამეებზე ლაპარაკი იქ, სადაც უცხო სახელმწიფოების ჯარები თავისუფლად ნავარდობდენ? როგორც უნდოდათ შემოვიდოდენ და როგორც უნდოდათ გავიდოდენ შენს დამოუკიდებელ სახელმწიფოდან!? რასაკვირველია, არა. არაფერი არ არის იმაზე ცუდი, როცა ადამიანი თავის-თავის მოტყუებას შეეჩვევა. მაგრამ ეს კიდევ არ არის დიდი უბედურობა. როცა ასეთი სენი ერთ ან ორ პიროვნებას დასჩემდება, და როცა კი ამ ნაირი გამაშტერებელი სენით შეიპყრობა მთელი ერი, ეს კი დიდი უბედურებაა, ჩემის აზრით. ჩვენ არ გვქონდა დამოუკიდებლობა ერთ წუთსაც კი და ყველას გვწამდა, რომ გვქონდა ეს. ჩვენ ნეიტრალობის ნასახიც არ გვქონდა და ამავე დროს ვერავის დავაჯერებდით და ახლაც სჭირს დაჯერება, რომ არ გვქონია. აგერ ოთხი წელი სრულდება, რაც აქ გასაბჭოება მოხდა და ჩვენ სულ გვჯეროდა ყოველ წამს, რომ შავი ზღვის იქიდან მოვლენ ვილიცები და დაგვიხსნიან საბჭოთა ძალაუფლებისაგან და აღგვიდგენენ ჩვენს დამოკრატიულ რესპუბლიკას. ეს იმედები იყო დღიდან გასაბჭოებისა ყოველ წუთს და ჩვენც ამ მოლოდინში გაურბოდით საბჭოთა ძალა-უფლებასთან თანამშრომლობას; თანაც ვაწარმოებდით მის წინააღმდეგ არალეგალურ მუშაობას შიგნით და გარეთ, ის ც გალიზიანებულ ხელისუფლებასთან იმპერიალისტების მიერ მოწყობილ ინტერვენციით. და ამ რიგად ამ უმიზნო ბრძოლაში ვაწყდებოდით ერთმანეთს, ვნადგურდებოდით და ვნადგურდებით ეხლაც. მერე ვისთვის არის ეს მსხვერპლი საჭირო? ვის ახარებს ეს? არავის, გარდა რევოლიუციის მტრებისა, მსოფლიო იმპერიალისტებისა და ყველა იმათ, ვინც დაინტერესებულია ქართველი ერის განადგურებაში ფიზიკურად, ზნეობრივად და ეკონომიურად.

ამაზე უნდა დაფიქრდეს ყოველი ქართველი და არა ქართველი, ვისაც ოდნავად მაინც უყვარს და პატივს სცემს ადამიანს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გიჟური ოცნებ-ყვარეობა-სიჯიუტეზე მაზარალებელი და საზიზღარი არა არის რა ადამიანის არსებაში. მით უმეტეს ვერ დაიტრაბახებს ამით ხალხის მოსარჩლე, მოამაგე და მეთაური რევოლიუციონერი (ჩვენში ეხლა ყველა მეთაურობს). ჩვენ უნდა უკუ ვაგდოთ ეს სიმახინჯე და სხვა მრავალი ნაკლულევანება, როგორიც არის ნაწყენობის

მიერ გაბოროტებული შურის ძიება და სიძულვილი. უნდა გადავლახოთ აღელვებული გრძნობები და ის დაუმორჩილოთ გონებას. ეს იქნება საუკეთესო არჩევანი ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის, ეს იქნება შარავანდედით მოსილობა ჩვენი სიწმინდისა ჩვენი ერის სამსახურში და ეს იქნება რევოლიუციის სამსახურიც. ვთქვათ, საქართველო „განათავისუფლა“ ევროპის იმპერიალისტების ჯარებმა და რაღაც სასწაულით ომის თანამგზავრ განადგურებას გადურჩა. მერე რა მოყვება ამას? საქართველოს კოლონიად გადაქცევა; საქართველოს ყოველნაირი სიმდიდრე ევროპაში წავა ნედლი მასალის სახით, იქ გადასამუშავებლად. ამას მოითხოვს ბურჟუაზიული ზრახვები და მისი სასიცოცხლო ინტერესები. ტყვილად კი, უბრალო ქველმოქმედების სახით ის არას გააკეთებს, არც შეიძლება, რომ სხვაგვარად მოიქცეს, ასე დიდი ქველმოქმედება ბურჟუაზიისა არ ახსოვს ისტორიას. დიახ, ჩვენ ჩავარდებით კოლონიალურ მდგომარეობაში, როგორშიაც ევროპის სახელმწიფოებს ჰყავთ ინდოეთი, მაროკო, ეგვიპტე და სხვები.

1905 წლის რევოლიუცია დამარცხებით დამთავრდა, რადგან ბურჟუაზიამ რეაქციისკენ იბრუნა პირი და ბრძოლის ველს შერჩა მარტო მუშათა კლასი. სხვა და სხვა დაბა-ქალაქების და მით უმეტეს მოსკოვის ქუჩები შეიღებნენ თავგანწირული მუშების სისხლით. ეს კარგი გამოცდილება იყო მუშებისა და მისი იდეოლოგებისათვის. მსოფლიო ომმა გამოუთხარა ძირი რუსეთის სიძლიერეს; ის დასცა და გაანადგურა მან ეკონომიურად. რევოლიუცია პეტროგრადში (ეს უნდა აღინიშნოს) მშიერი ქალების და პატარა ბავშების აშკარა უკმაყოფილებით დაიწყო (პირველი მსხვერპლი 13-14 წლის ქალი იყო).

ეს გაიგეს მუშებმა, რომ მათ სურსათის მაძებარ მაძებარ ცოლშვილს ხოცავენ პოლიციელები და აი დაიწყო მათი გამოსვლა მთავრობის აგენტების წინააღმდეგ.

მთავრობის მიერ გამოწვეულმა ჯარის ნაწილებმა, მათ შორის კაზაკებმაც, ბოლოს მხარი დაუჭირეს მუშებს და თითქმის მთელი პეტროგრადის გარნიზონი დაიძრა სახლისაკენ, სადაც სახელმწიფო სათათბიროს წევრები იყვნენ. ყველა შიშის ზარს მოეცვა. ჯერ არ იცოდნენ, თუ რათ მიეშურებოდა ჯარი სახლისაკენ. ზოგი დეპუტატი დასამალავათ ემზადებოდა. ამ დროს მუშები და ჯარისკაცები ამუშავდენ. როდზიანკო პირდაპირი მავთულით წინადადებას აძლევდა მეფე ნიკოლოზს ფრონტზე, დასთანხმებოდა პასუხისმგებელი სამინისტროს შემოღებაზე. ამის იქით არ მიდიოდა რუსეთის ბურჟუაზია, მაგრამ ყეყეჩი ნიკოლოზი იმდენად ურჩი გამოდგა, რომ მან ესეც კი ვერ გაიმეტა ხალხისათვის.

შესდგა დროებითი მთავრობა, პეტროგრადის ბრძანებებს დაემორჩილა ყველა დანარჩენი კუთხე-ქალაქები და ყველგან თითქმის უსისხლოდ ჩატარდა გადატრიალება. მოსკოვში იყო მხოლოდ სამი კაცის მსხვერპლი. ყველა კუთხეებში მოეწყო დროებითი აღმასრულებელი ორგანოები და მუშათა საბჭოები, რომლების საშუალებითაც განაგებდნენ ქვეყანას. ყველა ხარობდა პირველ დღეებში, ყველას სიხარულის ცრემლები ჩამოდიოდათ, რეაქციონერები კი მიმალულები იყვნენ სოროებში. ბურჟუაზია თვალებ მინაბული გამოიყურებოდა მორცხვი პატარძალივით და პირველ ხანებში არ უწევდა მუშათა საბჭოებს დიდ წინააღმდეგობას. შემდეგ კი მან თანდათან გამოაჩინა თავისი ბასრი კბილები და დაიწყო აშკარა თავდასხმა მუშათა საბჭოებზე. გაჩნდა სასტიკი ბრძოლა მუშებისა და ბურჟუაზიის პრესაში. რაც დრო მიდიოდა თანდათან ძლიერდებოდა თავდასხმა და ბრძოლა პრესის საშუალებით. ყველაზე სასტიკ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ აწარმოებდა ბოლშევიკური პრესა. ბურჟუაზიული პრესის ბრძოლა თანდათან ათამამებდა როგორც ბურჟუაზიის მომხრეებს, აგრეთვე მონარხისტებსაც, რის შედეგიც იყო პირველი მონარხისტული გამოსვლა გენერალ კორნილოვის სახით პეტროგრადის წინააღმდეგ რჩეული ჯარით.

ეს გამოსვლა ჩაქრობილ იქნა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ თვალსაჩინოდ ხდებოდა რეაქციონერების სამზადისი და ბურჟუაზიის ღალატი რევოლიუციისადმი, რომ შემდეგი გამოსვლები უფრო ძლიერი იქნებოდა და ის კი გახდებოდა საბედისწეროთ რევოლიუციისათვის. ბურჟუაზიის ღალატს 1905 წელს და მით მაშინ რევოლიუციის დამარცხებას; ბურჟუაზიის თავდასხმას მუშათა საბჭოებზე და ყოველნაირ რევოლიუციონურ ორგანოებზე და მით რეაქციონერების წაქეზება შეკავშირებისაკენ, რასაც ხელს უწყობდა ევროპის სახელმწიფოები ფულით, სურსათით, იარაღით და ჯარებითაც კი (მოიგონეთ ალექსეევი, დენიკინი, ვრანგელი, იუდენიჩი, ბიჩერახოვი, კოლჩაკი, მახნო და სხვები). ყურადღება მიაქცია ლენინმა, ამ რუსეთის სინამდვილის კარგად მცოდნემ და სთქვა: რუსეთში არ არსებობს სხვა ძალა, გარდა უკიდურეს მემარჯვენისა და უკიდურეს მემარცხენისა; ან ერთმა უნდა იბატონოს და აღდგეს მეფურ-თვითმპყრობელური რეაქცია, ან უკიდურესი რევოლიუციონური მართვა-გამგეობა რუსეთისა.

მან გამოაცხადა მუშათა კლასის დიქტატურა მუშათა და მშრომელი გლეხკაცობის მთავრობის სახით.

ამ დროს თხრილებში ჩამლპალ-განაწამები სამი წლის ომების წარმოებით რვა მილიონი ჯარისკაცები, ეს ნამდვილი მუშები და გლეხები, ჯერ კიდევ გაბრუებული თანდათან ერკვეოდენ რუსეთის სინამდვილეში და უცდიდენ სათანადო ლოზუნგს და მასაც არ დაყოვნებია.

ლენინმა გადისროლა ეს ლოზუნგი: „მოისპოს ომი რათაც არ უნდა დაგვიჯდესო (долой войну вочтобы то ни стало) ამ ომის უმიზნობა მუშებისა და გლეხებისათვის ზედ დაერთო ამან ერთბაშათ მიუმხრო ლენინს ჯარისკაცების აბსოლიუტური უმრავლესობა; ჯარმა ყველა პარტიებიდან იბრუნეს ერთბაშათ პირი და მიემხრენ ლენინს. ამ რიგათ ლენინის ბანაკში გადავიდენ არამც თუ ნაწილი მუშებისა, არამედ მთელი ჯარი, მოხდა ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება და მით რუსეთში დამარცხდა რეაქცია.

ლენინის მოსაზრებანი სავსებით გამართლდა. განაპირა კუთხეებში შეკავშირ-დაგროვდნენ რეაქციონური ძალები, რომლებიც გაცილებით ძლიერნი იყვნენ ლენინის ჯარებზე, როგორც სურსათ-სანოვაგე-იარაღ-საომარ მასალებით, აგრეთვე ევროპის ჯარების დახმარებით. მაგრამ ყველა ესენი ძლეული იყვნენ ბოლშევიკების თავგამწირული ბრძოლებით. ამ რიგად, ბოლშევიზმი რუსეთის სინამდვილეში გამართლდა, რაც ნოე ჟორდანიამაც გაამართლა ის თავის მოხსენებაში ერთ-ერთ კრებაზე თბილისში მენშევიკურ მთავრობის დროს.

ბოლშევიკურ გადატრიალებამ რუსეთში და განაპირა კუთხეებშიც, რომლებიც დღეს მის კავშირში შედიან,

დიდი თავზარი დასცა ყველა არა ბოლშევიკურ პარტიებს. ყველა განაწყენდა, ყველამ გრძნობა დაუმორჩილა გონებას იმდენად, რომ აქამდის ურთ-ერთ შორის მოქიშპე—მებრძოლი პარტიები შეკავშირდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია არამც თუ ნამდვილი ძმათა შორის სიძულვილი და სასტიკი დაუნდობელი მტრობა, არამც თუ შვილი მამას და მამა შვილს არინდობდა, შვილი დედის ძუძუს მკრელი შეიქნა და დედა კიდევ შვილის ფეხით გამთელავი. სამოქალაქო ომმა მოიცვა ქვეყანა.

ბოლშევიკები მცირე რიცხოვანი იყვნენ და ამიტომ უძლური იყვნენ აეშენებინათ დანგრეული სახელმწიფოს აპარატები და ამოევსოთ მისი სიცალიერე საჭირო სპეცმოხელეებით, სხვა პარტიებმა კი აშკარა საბოტაჟი გამოუცხადეს მათთან თანამშრომლობას ყოველ-ნაირ მუშაობაში და ასეთი მდგომარეობა კარგა ხანს გაგრძელდა. ესეც არ იკმარეს. აშკარად დამტკიცდა რომ თითქმის ყველა პარტიებს ჰქონდათ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან დამოკიდებულება-კავშირი ინტერვენციის მოსაწყობად და რაღა გასაკვირია, რომ ყველა ამაების შემდეგ უზომოდ გაბრაზებულიყვნენ ბოლშევიკები და აი სწორედ ამან გამოიწვია მათი სისასტიკე თავის მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ.

ყველა ამას უნდა მიექცეს ყურადღება არა მარტო მმართველი პარტიებისაგან, ყველა მოქალაქეებისაგან, ვისაც კი აქვს საღი მოსაზრება და ვისთვისაც საჭიროა და სასურველი ხალხის სიცოცხლე და კეთილ-დღეობა. უბრალო ლათაიებით, შურით, მტრობით, სულელური თავმოყვარეობით და სხვისი იმედების შემყურეობით კი მხოლოთ დაღუპვა მოელის ხალხს, რევოლიუციასაც. ამიტომ, ვიმეორებ; ვისაც უყვარს ხალხი, ყველა აქეთ უნდა მიემართებოდეს და ყველამ როგორც ერთმა ისე მეორემ გრძნობები გონიერებას დაუმორჩილონ და თანხმობითი მუშაობა აწარმოონ, იარონ წინ რევოლიუციის სრული გამარჯვებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მუშებს მეტი აღარა დაგვრჩენია, შევძახოთ: გაგვანთავისუფლეთ თქვენი ოპეკუნობისაგან, ჩვენ თვითონ მოუვლით ჩვენს თავს და გამოვძებნით საერთო ენას რევოლიუციის მებაირახტრეებთან.

**ლავრენტი კუპრაშვილი.**

# პასუხი შეკითხვებზე.

ჩვენ მიერ გამართულ კრებებზე აუარებელი შეკითხვები შემოდის ხოლმე.

ყოვლად შეუძლებელი ხდება ყველაზე პასუხის გაცემა უდროობის გამო. ვეცდებით, რამდენადაც ჩვენ ჟურნალის ვიწრო ალაგი ნებას მოგვცემს, პასუხი გავცეთ ზოგ შეკითხვებზე.

ხშირია შეკითხვა ამ შინაარსის:

„რათ უღალატეთ ძველ პრინციპს, რათ უარყოფთ დემოკრატიულ გზას“? ასეთ შემკითხველების ავტორებს უნდა უთხრათ შემდეგი: კომუნისტების პლატფორმის მიღება სოციალისტისთვის არაა ძველი პრინციპის ღალატი.

მართალია, ჩვენ გვინდოდა დემოკრატიული გზით სოციალიზმის დამყარება... ამისათვის ხელში ჩაგდება მართვა-გამგეობის—ანუ მუშათა დიქტატურა. მუშათა დიქტატურა უკვე არის. **დემოკრატიული თუ სხვა გზით ეს სანატრელი დიქტატურა უკვე სინამდვილეა.** შეიძლება ის უდროო არის?.. შეიძლება ის არაა ნამდვილი მუშათა დიქტატურა?..

რომელი მშობელი კრავს ხელს ადრე დაბადებულ შვილს... პირიქით უდროოთ დაბადებულს უვლიან, პატრონობენ და ხშირად ასეთი ბავში გენიოსი გამოდის. ჩვენც ვეცადოთ, ეს „უდღეური“ დიქტატურა გახდეს მაგარი და მშრომელთა ინტერესების დამცველი. გავხადოთ ის ნამდვილი მუშათა დიქტატურა. ცხადია პრინციპის ღალატს არ აქვს ალაგი... კეთდება იგივე საქმე, რაც ჩვენ გვინდოდა, რაც დაიწყეს პარიზის კომუნარებმა.

ერთი „დაზგის მუშა“ გვეკითხება: თქვენ მოგვიწოდებთ თანამშრომლობისაკენ. მოვითხოვთ, რომ თქვენ ჩამოგვიყალიბოთ სახე ამ თანამშრომლობისა, რათა გავხადოთ იგი ჩვენ სახელმძღვანელოდ... რა როლს ვითამაშებთ ჩვენ ამ თანამშრომლობაში?..

ამ საყურადღებო შეკითხვებზე მოკლედ პასუხის გაცემა ძნელია. აი ჩვენი ახალი გაზეთი და ჩვენი მუშაობა მომავალში იქნება თქვენთვის გზა და „სახელმძღვანელო“. მანამ კი სიტყვა მოკლედ მოვჭრად: როცა ჩვენ ყველა დავდგებით საბჭოთა პლატფორმაზე და აღარ ექნება ალაგი ავანტიურისტულ გამოსვლებს, ეს იქნება საქართველოს ხსნა.

წარმოიდგინეთ კიდევ ერთი-ორი ასეთი გამოსვლა და რა დღე დაადგება მაშინ საქართველოს?..

„სახე თანამშრომლობისა“ იგივე, როგორც ნდობით და ენერგიით თანამშრომლობდით თქვენ მენშევიკების დროს... თქვენ შეასრულებთ პირნათლად იმ როლს, რომელსაც თქვენ ეწევით ამ ჟამად, ან რომელსაც ამის შემდეგ მოგანდობს თქვენ საბჭოთა ხელისუფლება.

შემდეგი შეკითხვა: რა არის მიზეზი, რომ სომხების ინტელიგენციის 99 პროც. ბოლშევიკების მოსვლამდის დაშნაკელებს ეკუთვნოდენ და ეხლა-კი ყველა ბოლშევიკებია?.. ყველა საქართველოშია მოკალათებული, როდესაც სომხეთის რესპუბლიკა სასტიკ კრიზისს განიცდის ინტელიგენციის ძალების მხრივ; მიუხედავათ ამისა იქ ყველგან გატარებულია ნაციონალიზაცია და საქართველოში კი არა?..

ამხანაგო! ჩვენ არ ვიცით, თუ ვის სტატისტიკურ ცნობებს ემყარებით თქვენ, როცა 99 პროც. სომხის ინტელიგენციისას სთვლით ყოფილ დაშნაკელებათ და ახლა კომუნისტებათ. და თუ ეს ასეა, ქება დიდება მათ, რომ ყველას ასე ადრე შეუგნია კომუნიზმის აუცილებლობა და მიჰკედლებია მას. ჩვენც ასე მოვიქცეთ და მაშინ ამხანაგი სომხებიც სიამოვნებით წავლენ სომხეთის რესპუბლიკაში, თუ მართლა იქ კრიზისია ინტელიგენტური ძალების მხრით, საქართველოში ნაციონალიზაცია ჯერ ვერ გატარდა სავსებით იმიტომ, რომ თვით ჩვენა ვართ დამნაშავე. ვერ ვექცეოდით ნდობით არსებულ ხელის უფლებას, ვაწყობდით გამოსვლებს და სხვა. ამ პირობებში არც ხელისუფლება გვეპყრობოდა ნდობით.

მეტი ნდობა, მეტი ერთგულება არსებულ ხელისუფლებისადმი და თქვენ მიერ აღნიშნული ნაკლი გამოსწორდება...

**X.**

# კოოპერაცია და საბჭოთა ხელისუფლება.

დღეს და განსაკუთრებით მსოფლიო ომის შემდეგ უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს ყველასთვის, რომ კოოპერაციას დიდი როლი შეუძლია ითამაშოს ხალხის ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებაში. მართალია, ის გადაჭარბებული იმედები კოოპერაციაზე, სახელდობრ, რომ კოოპერაცია მოსპობდა მატერიალურ უთანასწორობას ადამიანთა შორის, რომ ის, კოოპერაცია, მოსპობდა ყოველგვარ უარყოფითი სოციალურ მოვლენას, გამოწვეულს ნივთიერ უთანასწორობისაგან, დიდი ხანია გაკოტრდა. მას კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მ ორე ნახევარში აუგო წესი მარქსიზმმა. მაგრამ ერთი უდაო დარჩა, ის, რომ კოოპერაციას დიდი ღვაწლი მიუძღვის მუშათა კლასის თვითგამორკვევაში. დღეს უდავო ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ისტორიის მამოძრავებელია არა კოოპერაცია, არამედ კლასთა ბრძოლა და აი ამ კლასთა ბრძოლის პროცესში კოოპერაცია დიდ როლს თამაშობს. არის შემთხვევები, როდესაც კოოპერატიული ორგანიზაციები გვერდში უდგია მუშათა კლასს და ძას ხელს უწყობს ნივთიერად და მორალურად განმათავისუფლებელ ბრძოლის წარმოების პროცესში. მაგრამ, არსებობს ისეთი კოოპერაციები, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვს მუშათა კლასთან და მის მიზნებთან და ზოგიერთ შემთხვევებში ძვერხებს კიდეც მუშათა კლასის მოძრაობას, ხელს უშლის მას კლასიურ ინტერესების დაცვის პროცესში. დასავლეთ ევროპია ქვეყნებში შეხვდებით ისეთ კოოპერატივებს, რომლის მიზანი თქვენ გეუცხოვებათ. არსებობს კოოპერატივები, რომლის ერთად ერთი, უდიდესი და უმთავრესი მიზანია ებრაელების სახელმწიფოს აღდგენა პალესტინაში. არსებობს კოოპერატივები ლიერი ორგანიზაციით, რომლებ ს მიზანია კათოლიკეთა სარწმუნოების გავრცელება ერთა შორის. ჩვენში კოოპერატივები უფრო ხშირად ატარებდენ დემოკრატიულ სახეს და მათი მიზანი ხშირად მუშათა კლასის მიერ იყო ნაკარნახევი/ დღესაც ის მუშათა კლასის ხელშია და მაშასადამე ემსახურება მის ინტერესებს. ძალაუფლების ხელში აღებიდანვე ხელისუფლებამ კოოპერაციას გაუწოდა მარჯვენა ხელი და ის ჩააბა კერძო ვაჭრების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოოპერაციამ ჩვენში მართლაც რომ დიდი როლი ითამაშა. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ის დაუპირდაპირა კერძო ვაჭრობას თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე. ჩვენ გავხდით მოწამე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის: დღითი-დღე კერძო ვაჭრები იძულებული ხდებიან დაუთმონ პოზიციები კოოპერაციას, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ამ პროცესმა კერძო ვაჭრებისათვის პროვინციებში. სოფლებიდან კერძო ვაჭრები თითქმის მთლიანად გამოიდევნა. ეს მომენტი ჩვენში კოოპერატიული მოძრაობის ისტორიაში ჩაითვლება მეტად მნიშვნელოვან მომენტად და ექნება მეტად მნიშვნელოვანი ადგილი მთელი კოოპერატიული მოძრაობის ისტორიაში. მიზეზი იმისა, რომ ჩვენში კოოპერატიული ორგანიზაციები აღწევს განსაცვიფრებელ შედეგებს კერძო ვაჭრებთან ბრძოლაში, აიხსნება უმთავრესად იმით, რომ არც ერთ ქვეყანაში კოოპერაცია არ სარგებლობს ხელისუფლების ისეთი ყურადღებით, როგორათაც ეს ჩვენშია. მატერიალური დახმარება: კრედიტები ფულით, საქონლით, მორალური დახმარება — პროპაგანდით მასაში კოოპერატიული იდეის გასავრცელებლად. ეს ისეთი დახმარება არის, რაც არ ახსოვს არც ერთი ქვეყნის კოოპერატიულ ორგანიზაციებს არც ერთ ხელისუფლებისაგან. ხელისუფლების მეტისმეტმა სიუხვემ მიაღწია იმ დონეს, საიდანაც უკვე იწყება საშიროება კოოპერაციისათვის. დავალიანება ჩვენში კოოპერატიულ ორგანიზაციებისა მთავრობისა და სახელმწიფო ორგანოების წინაშე იმდენად დიდია, რომ ის საფრთხეს უქადის მის დამოუკიდებლობას. ის ვერ დგას საკუთარ ფეხზე ეკონომიურად

სად არის ის გადაცემა კოოპერაციისადმი მასსის მიერ, რასაც ჩვენ ვხედავთ მსოფლიო ომის წინ და განსაკუთრებით ომის პროცესში?!

სად არის ის კოოპერატორები, რომლებიც საათობით კი არ მუშაობდენ, მუშაობდენ დღე და ღამით?

ამას უნდა მიექცეს ყურადღება, სანამ კიდევ გვიან არ არის. ყველა იმის მიერ, ვისაც უყვარს კოოპერაცია, ვინც აფასებს მას და სთვლის მას სასარგებლო საქმედ, დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება.

Z.

# წარსულიდან.

## ძველი რომი. ძმები გრაკხები. ქრისტე.

ძველ დროს უდიდეს სახელმწიფოს წარმოადგენდა რომი, რომელიც საბერძნეთის დაცემის შემდეგ საშინლად გაძლიერდა.

როგორი იყო ამ ვეებერთელა სახელმწიფოს წყობილება?

უ ღლესი მთავრობას შეადგენდა სენატი, რომელიც მართავდა მთელ ქვეყანას. რომის სახელმწიფო შესდგებოდა სხვადასხვა პროვინციიდან, ისე როგორც დღეს მაგალითად გერმანია არის, ოლქი. თვითეულ პროვინციას განაგებდა პროკონსული ანუ ჩვენებურად გენერალ-გუბერნატორი. იმის ხელში იყო ჯარი, ადმინისტრაცია და სასამართლო. პროკონსულის უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი ქონება შეეძინა და შემდეგ ისევ რომში დაბრუნებულიყო. ამიტომ ის ხალხს პირდაპირ ჰყვლეფავდა. საზოგადოთ პროკონსულის თანამდებობას ყველა ისე ეტანებოდა, როგორც მეტის მეტად შემოსავლიან ადგილს.

როდესაც რომში რომელიმე ბიუროკრატი ან წარჩინებული გაკოტრდებოდა და დავალიანდებოდა, ის იმდენსა ცდილობდა, რომ რომელიმე პროვინციაში მიეღო პროკონსულის თანამდებობა. საკმარისი იყო რამდენიმე წელი, რომ ვალიც გაესტუმრებია და დიდძალი ქონებით დაბრუნებულიყო უკან.

ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა, ეჩივლა სენატში პროკონსულისათვის მექრთამეობისა ან სხვა რაიმე ბოროტმოქმედებისა გამო, მაგრამ სენატი პროკონსულს ყოველთვის ამართლებდა.

ასეთი წესის წყალობით წარჩინებულებისა და ბიუროკრატების ხელში თავი მოიყარა აუარებელმა სიმდიდრემ, ადგილმამულმა, რომლის დასამუშავებლადაც ურიცხვი მონა იყო საჭირო. თვითეულ წარჩინებულს ხშირათა ჰყავდა ათი, ოცი, ოცდაათი ათასი მონა და მეტიც.

მონები იყვნენ ნახევრად შიშველ-ტიტველი, მუშაობდნენ ოცი საათს დღეღამეში.

საჭმელს აჭმევდნენ დღეში მხოლოდ ერთხელ და ისიც იმდენს, რომ მიმშილისაგან მალე არ დახოცილიყვნენ.

ერთის სიტყვით, წარჩინებულები ცდილობდნენ, მონებზე რაც შეიძლება ცოტა დაეხარჯათ და მოგება კი დიდი მიეღოთ მათის შრომისაგან.

საწარმოების რიცხვი ომების წყალობით ასე საარაკოდ გაიზრდებოდა, გლეხები მემამულეების მიწაზე სცხოვრობდნენ, იჯარით იღებდნენ ადგილებს და თავს ირჩენდნენ.

როდესაც მონების რიცხვი გამრავლდა და მონა საშინლად გაიაფდა, მემამულეებმა გლეხებს მიწები ჩამოართვეს და თვითონ დაიწყეს დამუშავება მონების საშუალებით. გლეხები ულუკმაპუროდ დარჩნენ; მთელი სოფლები აიყარნენ და მოაწყდნენ ქალაქებს ლუკმაპურის საძებნელად. მცირე ნაწილი ხელობასა ჰკიდებდა ხელს, ზოგიც ახერხებდა სამუშაოს შოვნას; უმრავლესობა კი ზოგანო პროლეტარიატის რიცხვს ამრავლებდა.

ამგვარი ხალხით გატენილი იყო განსაკუთრებით დედაქალაქი რომი.

უმუშევართა რიცხვი ყოველ დღე იზრდებოდა, სოფლები ვ რანდებოდნენ, გლეხობა უმოწყალოდ რჩებოდა და შიმშილით იხოცებოდა. მემამულეები კი მონებს პირუტყვივით აწამებდნენ და თითონ საშინელ ფუფუნებაში სცხოვრობდნენ.

რომელიმე მემამულე გამართავდა წვეულებას, დაპატიჟებდა რამოდენიმე ას კაცს და ერთ-ერთი თავი საჭმელი უნდა ყოფილიყო მარტო ბულბულის ენა!

რამდენი კაცი უნდა გამკდარიყო და რა ფული უნდა დახარჯულიყო ამდენი ბულბულის დახოცვაზე!

მშრომელი ხალხის მდგომარეობა საშინელი გახდა.

მემამულეებისა და წარჩინებულების თვითმპყრობლობას მოქალაქენი შეებრძოლნენ და დიდხნის ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს ეგრედ წოდებული ტრიბუნა.

რა იყო ტრიბუნა?

ტრიბუნა იყო ხალხის წარმომადგენელთა დაწესებულება; მას უფლება ჰქონდა, თავისი კანონი წარედგინა და სენატის დადგენილება გაეუქმებინა.

მალე მემამულეებმა და წარჩინებულებმა ტრიბუნას ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგეს და აი რა ნაირად.

კანონით ტრიბუნაში არჩევნების უფლება ჰქონდა ყველა თავისუფალ მოქალაქეს.

ყოველი არჩევნების დროს მემამულეები მოისყიდდნენ უმუშევარს და შეუგნებელ მუშებს: უმასპინძლდებოდნენ, წარმოდგენებსა და გასართობებს უმართავდნენ. ამიტომ ეს ბრბო შეუგნებელი ხალხისა იმას აძლევდა თავის ხმას, ვინც მეტს აჭმევდა და უკეთ გაუმასპინძლდებოდა.

აი ამ ბრბოს შემწეობით მემამულეებსა და წარჩინებულებს მუდამ თავისი გაჰქონდათ და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდნენ.

მშიერი, წამხდარი, გარყვნილი და ადვილად მოსასყიდელი ბრბო, ურიცხვი უმუშევარი, აუარებელი მონები, რომლებიც ძაღლის ბედს შენატროდნენ, უდიდესი მემამულეები და საშინლად მდიდარი წარჩინებულები,— აი რას წარმოადგენდა რომის იმპერია.

ხშირად სამი-ოთხი დღის სავალს ისე გაივლიდა მაშინ ადამიანი, რომ ერთ სოფელს ვერსად შეხვდებოდა,— მთელი ამოდენა ადგილი შეადგენდა ერთი კაცის საკუთრებას, რომელსაც მონები ამუშავებდნენ.

ორმა ძმამ გრაკხებმა — წარჩინებული წოდების წევრებმა — გადასწყვიტეს მშრომელი ხალხის მდგომარეობის შეცვლა და მემამულეებისა და წარჩინებულების ბატონობის მოსპობა.

რომში ძალიან ბევრი იყო სახელმწიფო მიწა, რომელიც წინეთ გლეხებს ეძლეოდათ იჯარით. შემდეგ და შემდეგ, როდესაც მონა ძალიან გაიაფდა, ამ სახელმწიფო მიწებს მემამულეები და წარჩინებულები დაეპატრონენ ძალმომრეობით და მთელი სოფლები აჰყარეს იქიდან.

უფროსმა ძმამ ტიბერიოს გრაკხმა მოინდომა ძველი კანონის აღდგენა და გლეხებისათვის სახელმწიფო მიწების უკან დაბრუნება. ძველად არსებობდა ეგრედ წოდებული ლიცინიუსის კანონი, რომლის ძალითაც არავის არ შეეძლო იჯარით აეღო სახელმწიფო მიწა 500 დესეტინაზე მეტი. მდიდრებმა და მემამულეებმა ეს კანონი გააუქმეს და მთელი სახელმწიფო მიწა თვითონ ჩაიგდეს ხელში ჯერ ვითომ იჯარით, შემდეგ კი ნელნელა დაისაკუთრეს.

ტიბერიოს გრაკხმა განიზრახა დარღვეული კანონი აღედგინა. ამისათვის გამართა აგიტაცია უმუშევარ მუშებსა და უმოწყალოდ დარჩენილ გლეხებში.

ხალხი მიემხრო მას და აირჩია ის ტრიბუნაში.

მაშინ ტიბერიოს გრაკხმა მოითხოვა ლიცინიოსის კანონის აღდგენა; მემამულეებსა და მდიდრებს უნდა ჩამოერთმიათ სახელმწიფო მიწები, რაც მათ სრულიად უკანონოდ მიისაკუთრეს, და გადაეცემოდათ პატარა იჯარით გლეხებს.

გრაკხს უნდოდა ულუკმაპუროდ დარჩენილი გლეხობის უზრუნველყოფა და გაპარტახებული სოფლების აღდგენა და აყვავება. ამავე დროს სახელმწიფოს ხსნა, რადგანაც სახელმწიფოს სიძლიერეს შეადგენდა კარგად მოწყობილი და უზრუნველყოფილი მშრომელი ხალხი და არა მდიდარი მეპატრონეების ხროვა.

მდიდრების სენატმა მოისყიდა ტრიბუნის წევრები და გრაკხის წინადადება ტრიბუნაში არ გავიდა.

ხალხმა დაითხოვა მდიდრების მიერ მოსყიდული ტრიბუნა და ახალის არჩევამდე მოითხოვა კომისია გრაკხის წინადადების განსახილველად, დასაკანონებლად და განსახორციელებლად.

ახალი ტრიბუნის არჩევნების დროს სენატმა მიმართა სხვადასხვა ხრიკს, დაპირებას, მოსყიდვას, მაგრამ ხალხი უკვე მიმხვდარი იყო, თუ ვინ იყო მისი მტერი მოყვარე. გამოაშკარავდა, რომ ხალხი ტრიბუნაში გრაკხს

და იმის თანამოაზრეებს გაიყვანდა. მაშინ მდიდრები უნდა გამოთხოვებოდენ უკანონოდ მითვისებულ სახელმწიფო მიწებს.

მაშინ მდიდრებმა მიმართეს „პოგრომს“: შეაიარაღეს „ჭეშმარიტი რომაელები“, დაათვრეს, არჩევნების დროს მიუსიეს ტიბერიოს გრაკხის პარტიას და სამასი კაცი ამოჰხოცეს. მათ შორის მოჰყვა გრაკხიც, რომლის ცხედარი აზვირთებულ მდინარეში გადააგდეს და ზღვას გაუგზავნეს, რომ მისი საფლავიც კი არ დარჩენოდა ხალხს.

ძმის საქმე განაგრძო კაიოს გრაკხმა.

ძმის მოკვლამ მას შეჰმატა ძალღონე და ხალისი ბრძოლისა. ან ჩე ი ძმის მიერ დაწყებული საქმე უნდა დავაგვირგვინო, ან მეც იმასავით უნდა დავიღუპოვო, გადასწყვიტა მან და შეუდგა ბრძოლას.

კაიოს გრაკხმა მალე შეიგნო. რომ სანამ პოლიტიკური ძალაუფლება მდიდრების ხელში იყო, მანამდე მათ ადგილ-მამულს ვერავინ ჩამოართმევდა. მაშასადამე საჭირო იყო მდიდრების ბატონობის დამხობა და პოლიტიკური ძალა-უფლების გადაცემა მშრომელი ხალხისათვის.

მთელი თავისი აუარებელი სიმდიდრე კრაკხმა გადასდო ამ საქმისათვის; გამართა ფართო აგიტაცია.

ის აირჩიეს ტრიბუნაში, სადაც მან მალე გაიყვანა თავისი ძმის წინადადება და ამით ულუკმაპუროდ დარჩენილ გლეხობას მიწა მოუპოვა: მდიდრებსა და მემამულეებს ჩამოერთვათ სახელმწიფო მიწები 500 დესეტინაზე მეტი და გადაეცა გლეხობას.

გამარჯვებულმა და მადლიერმა მშრომელმა ხალხმა შეიყვარა გრაკხი, დაირაზმა თავისი ბელადის გარეშემო და მოემზადა უფრო დიდი ბრძოლისათვის: მან გადასწყვიტა პოლიტიკური უფლებების ხელში ჩაგდება და მდიდართა ბატონობის სამუდამოდ მოსპობა.

მდიდრებსა და წარჩინებულებს არ ეძინათ. მათ შეაიარაღეს თავისი მომხრეები და გარყვნილი, შეუგნებელი ბრბო, აირჩიეს დრო და სწორედ იმდროს დაესხენ გრაკხსა და იმის მომხრეებს თავს, როდესაც ისინი სრულებით არაფერს არ მოელოდენ. ასტყდა საშინელი სისხლის ღვრა.

გრაკხის მომხრეები სულ ამოწყვიტეს. გრაკხი ცოცხალი არ ჩაუვარდა მტრებს ხელში და საკუთარ მონას მოაკვლევინა თავი. მონამ აღარ ისურვა გრაკხის შემდეგ სიცოცხლე და იმის გვერდით მოიკლა მანაც თავი.

ასე დამთავრდა გრაკხების ბრძოლა.

მდიდრებმა და წარჩინებულებმა მაშინათვე გააუქმეს გრაკხების კანონი და მთელი სახელმწიფო მიწა თვითონ დაიმტკიცეს სრულ საკუთრებად.

გლეხობა ბევრგან აჯანყდა, მაგრამ მდიდრებმა დაამარცხეს. მშრომელი ხალხის მდგომარეობა მეტად აუტანელი გახდა, მაგრამ ხსნა და გამოსავალი არსად ჩრა სჩანდა.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც რომის იმპერიის ერთ პროვინციაში—გალილეიაში დაიბადა იესო ქრისტე.

ქრისტეს შესახებ მრავალნაირი აზრია გამოთქმული და გავრცელებული და სიმართლე და სიცრუე ისე არის ერთმანეთში არეული, რომ ნამდვილი სახე ქრისტესი სრულებით დამახინჯებულია.

ერთი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: მართლა იყო ქრისტე, თუ ის არ არსებობდა, ისე როგორც არ არსებობდა „ქართველთა განმანათლებელი“ ნინო, და მხოლოდ გამოგონილია, შეთხზული განზრახ? ბევრი სრულებით უარჰყოფს ქრისტეს არსებობას, მაგრამ ასეთ უარყოფას არა აქვს საფუძველი.

რომაელთა მწერლები—ქრისტიანების მოწინაალმდეგენი—ადასტურებენ, რომ ქრისტე მართლა არსებობდა და როგორც ავაზაკი, ჯვარზე გაკვრით იქნა სიკვდილით დასჯილიო.

ზოგიერთი რომაელი მწერალი სწორედ ამიტომ ილაშქრებს ქრისტიანობის წინააღმდეგ: ევედრეთ თქვენს ღმერთს, როგორც გინდათ, მაგრამ ვილაც ჯვარზე გაკრულ ავაზაკს ღმერთად ნუ სთვლითო.

ქრისტე იყო ისტორიული პიროვნება, რომელმაც გამოიწვია მეტად დიდი მოძრაობა, ხოლო ზღაპარი არის და შეთხზული განზრახ ყოველივე ის, რაც სალდება სამღვდელოების მიერ ქრისტეს დაბადებისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ.

ქრისტე იყო ღარიბი დედმამის—მარიამისა და იოსების უფროსი შვილი; ჰყავდა მას დებიც, ძმებიც. არავითარ სულიწმინდას არ ჩაუსახავს ის მარიამისათვის, არამედ ჩაისახა ისე, როგორც ისახება ყოველი ადამიანი და ცხოველი.

ზღაპარი მარიამის ქალწულობის შესახებ მტკნარი უაზრობაა: მას ჰყავდა ქმარი, ჰყავდა შვილები, მაშასადამე ქალწულიც აღარა ყოფილა.

ქრისტე მამის ხელობას დაადგა, მაგრამ ის იყო მეტად ნიჭიერი, მეოცნებე ადამიანი და გაიტაცა ფილოსოფიურმა, სარწმუნოებრივმა და საზოგადოებრივმა საკითხებმა.

ერთის მხრით საშინელი სილატაკე, მონობა ადამიანის ღირსების ყოველგვარი დამცირება; მეორეს მხრით სიმდიდრე, ფუფუნება, თავაშვებული გარყვნილება.

ქრისტე გვერდში ამოუდგა ღატაკ მშრომელ ხალხს და თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა მისი ხსნა, განთავისუფლება და ამაღლება.

როგორ, რა გზით?

იარაღით?

არა, ქრისტემ აირჩია სხვა გზა.

მაშინ ხალხის ცხოვრებაში მეტად დიდი გავლენა ჰქონდა სარწმუნოებას და ქრისტემაც მოინდომა, სარწმუნოების გზით შეეტანა ხალხის შეგნებაში ახალი ცხოვრებისა და მშრომელი ხალხის განთავისუფლების აუცილებლობა.

ცხოვრების გარდაქმნა მან დაუკავშირა სარწმუნოებას და ჰქადაგებდა: თუ ასე არ მოიქცევით, სასუფეველში ვერ შეხვალთო.

ის იყო სრული ერთობის მომხრე; ყველა შვილები ვართ ერთი ღმერთისა, რომელსაც ყველა ერთნაირად უყვარსო, ჰქადაგებდა.

იყო ინტერნაციონალისტი: არ არის არც იუდეველი, არც ელლინი, არც ბარბაროსი, არამედ ყველა თანასწორი არისო. იყო საშინელი მტერი მდიდრების: აქლემისათვის უფრო ადვილია ნემსის ყუნწში გაძრობა, ვიდრე მდიდარისათვის სასუფეველში შესვლაო. მდიდარ

ჭაბუკს ურჩევს: თუ გინდა, რომ სრული იყო, შენი საცხოვრებელი ღარიბებს დაურიგეო.

ყოველივე ეს და მრავალი ადგილი სახარებიდან (ქონების განაწილების შესახებ, მდიდარსა და ლაზარეზე და სხვ.) ამტკიცებენ, რომ მაშინდელი დროისა და პირობების კვალობაზე ქრისტე იყო კომუნისტი.

სწორედ ასე გაიგო ის პავლემ და დაარსა ქრისტიანობის კომუნა, სადაც მტკიცედ იცავდა მაშინდელი კომუნის პრინციპებს და სასტიკად ილაშქრებდა ყოველგვარი მერყეობისა და გადახვევის წინააღმდეგ.

კომუნიზმის დასამყარებლად ქრისტე უპირველეს მნიშვნელობას აძლევდა შეგნებას სარწმუნოების საშუალებით.

**ხოლო შეგნება** რომ იარაღს მიმართავდა გადამწყვეტ დროს, ამის დამტკიცებას საკმაოდ იძლევა სახარება.

დევნილი, ტანჯული და გვემული იქნებით ჩემი სახელის გულისათვის, ძმა ძმის წინააღმდეგ გაილაშქრებს, შვილი მამის წინააღმდეგ, ხოლო თუ არ გადრკებით, გაიმარჯვებთო, უქადაგებს ის თავის მოწაფეებს.

ქრისტეს სწორედ აჰაური ცხოვრების გარდაქმნა უნდოდა მშრომელთა საკეთილდღეოდ და ამიტომ მოკლეს ის მდიდრებმა და მათმა მღვდელმთავრებმა.

მთელი ამბავი მისი მკვდრეთით აღდგომის შესახებ სრული ზღაპარია. ხოლო მისი ცხედარი რომ დაიკარგა, ეს კი ახლოს არის სიმართლესთან. მისი საფლავი გადიქცეოდა ღატაკი ხალხისათვის წმინდა და შესაკრებელ ადგილად, ამიტომ მოაპარვინეს მდიდრებმა მისი ნეშტი და ფარულად დამარხეს სადღაც. როდესაც ქრისტეს მოძღვრება ძალიან გავრცელდა და მიუხედავად საშინ ლი და გააფთრებული დევნა-წამებისა ქრისტიანების კომუნებით მთელი რომის იმპერია დაიფარა, აშკარა გახდა, რომ მდიდრებისა და მემამულეების ბატონობას ბოლო მოეღებოდა. მაშინ მათ მიმართეს მეტად გონიერ საშუალებას: თვითონ მიემხრენ ქრისტეს, ააშენეს ეკლესიები, მოიქრთამეს სამღვდელოება, მშრომელი ხალხი შეცდომაში შეიყვანეს, გამართეს ქადაგება მღვდელმთავრების პირით: ქრისტე ღმერთია, ის საიქიოზე გითითებსთ და არა სააქაოზე, რასაც მეტს აიტანთ და დაიტანჯებით აქ, მით უფრო ცხონდებითო. და ამგვარის საშუალებით ქრისტიანული კომუნები მოსპეს და მშრომელ ხალხს უფრო მაგრად დააჯდენ კისერზე.

ივ. გომართელი.

# საერთაშორისო სოციალიზმის ისტორიიდან.

### პირველ ინტერნაციონალის პლატფორმა

(დაწერილი კარლ მარქსის მიერ).

ვღებულობთ-რა მხედველობაში, რომ მუშათა განთავისუფლება **თვით მუშათა კლასმა უნდა მოიპოვოს;** რომ მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლა **არ არის ბრძოლა კლასთა პრივილეგიებისა და მონოპოლიისათვის,** არამედ არის ბრძოლა ყველასათვის თანასწორ უფლებისა და მოვალეობისათვის, მოსასპობად ყოველგვარ კლასობრივ ბატონობისა;

რომ მუშის **ეკონომიური დამონება** სამუშაო იარაღების მესაკუთრეს მიერ. ე. ი. არსებობის წყაროებისა, შეადგენს ყოველგვარ საფუძველს დამონებისას—მატერიალური სიღატაკის, სულიერი დახშობის და პოლიტიკური დამოკიდებულებისას;

რომ ამისათვის **ეკონომიური განთავისუფლება მუშათა კლასისათვის** არის ის დიადი საბოლოო მიზანი, რომელსაც უნდა დაემორჩილოს, **როგორც საშვალება, ყოველი პოლიტიკური მოძრაობა;**

რომ ყველა ცდები ამ მიზნის მისაღწევად აქამდის მარცხდებოდა იმის გამო, რომ არ იყო საკმაო **ერთობა** შრომის სხვა და სხვა გვარ დარგთა შორის თვითეულ მხარეში და არც **ძმური კავშირი სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა კლასს შორის;**

რომ მუშათა კლასის განთავისუფლება არ არის ადგილობრივი და ნაციონალური, არამედ არის **სოციალური ამოცანა,** რომელიც შეიცავს ყველა ქვეყნების, სადაც არსებობს თანამედროვე საზოგადოება. და რომლის გადაწყვეტა თხოულობს უფრო მოწინავე ქვეყნები მიერ თეორიულ და პრაქტიკულ ერთად მოქმედებას;

რომ ევროპის სამრეწველო ქვეყნებში ახლად გამოცოცხლებული მუშათა კლასის მოძრაობა, ახლად გამღვიძებელი იმედისა, არის იმავე დროს საზეიმო გაფრთხილება ძველი შეცდომებისკენ დაბრუნების წინააღმდეგ და ეძახის დაუყონებლივ შეერთებისაკენ ჯერ კიდევ დაქსაქსულ მოძრაობებს;

გამოდიოდა-რა ყველა ამაებისაგან, დაარსებული იქნა **საერთაშორისო მუშათა საზოგადოება.**

ის აცხადებს: რომ ყველა საზოგადოებები და ცალკე პირები, რომლებიც მიემხრობიან მას, აღიარებენ სიმართლეს, სამართლიანობას და ზნეობას წესად თავის ქცევისა ურთიერთ მოპყრობაში და ყველა ხალხებთან განურჩევლად მათი კანის ფერისა, სარწმუნოებისა ან ნაციისა. ის თვლის ვალად მოითხოვოს უფლებები ადამიანისა და მოქალაქისა არა მარტო თავისთვის, არამედ ყველასათვის, ვინც ასრულებს თავის ვალდებულებებს. არავითარი ვალდებულებანი უფლების გარეშე, არავითარი უფლებები ვალდებულებათა გარეშე.

---

### გ. პლეხანოვის სიტყვა საერთაშორისო მუშათა სოციალისტურ კონგრესზე პარიზში (14—21 ივლისს 1889 წ.)

— თქვენ შეიძლება უცხოთ გეჩვენოთ ამ მუშათა კონგრესზე რუსეთის წარმომადგენლების დანახვა,—იმ რუსეთის, სადაც მუშათა მოძრაობა აქამდის, **სამწუხაროდ,** სუსტია. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რევოლიუციონური რუსეთი არამც თუ არ უნდა იდგეს ევროპაში ახალი სოციალისტური მოძრაობის გარეშე, პირიქით, რუსეთის ახლანდელი დაახლოვება ამ მოძრაობასთან მოუტანს დიდ სარგებლობას მსოფლიო პროლეტარიატს. თქვენთვის ცნობილია რუსეთის აბსოლიუტიზმის როლი დასავლეთ ევროპის ისტორიაში. რუსეთის მეფეები სთვლიდენ თავის წმინდა მოვალეობად დაეცვათ და მხარი დაეჭირათ ევროპის რეაქციისათვის დაწყებული პრუსიიდან იტალია და ესპანეთამდის. უზრალო დროს დაკარგვა იქნებოდა

აქ ლაპარაკი იმ როლზე, რომელიც, მაგალითად, ნიკოლოზმა ითამაშა 1848 და 1849 წლებში; დღესავით ნათელია, რომ რუსეთის აბსოლიუტიზმის დაცემა უდრის საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის ზეიმს მთელ ევროპაში. კითხვა ისმება მხოლოდ, რა პირობებში შეუძლია რუსეთში რევოლიუციონურ მოძრაობას დაამარცხოს აბსოლიუტიზმი?

ზოგიერთი მწერლები, რომელთა ფანტაზია გაცილებით აჭარბებს მათ სოციალ-ეკონომიურ ცოდნას, ასურათებენ რუსეთს ჩინეთის მსგავს მხარედ, რომელსაც თავისი ეკონომიური სტრუქტურით არაფერი საერთო არა აქვს დასავლეთთან. ეს სრული სიყალბეა. რუსეთის ძველი სამეურნეო საფუძვლები იმყოფებიან სრულ გახრწნის პროცესში. ოდესღაც ზოგიერთ სოციალისტებისათვის ასე საყვარელი ჩვენი სასოფლო თემი, საქმით-კი მთავარი დასაყრდნობი წერტილი ჩვენი აბსოლიუტიზმისა, სოფლის ბურჟუაზიის ხელში უფრო და უფრო ხდება საექსპლოატაციო იარაღათ მიწათმფლობელ მოსახლეობის უბრალესობისათვის. გლეხების ულარიბესი ნაწილი იძულებულია გადაესახლოს ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში; ამავე დროს მსხვილი საფაბრიკო მრეწველობა იზრდება და ჰნთქავს ოდესღაც აყვავებულ კუსტარულ მრეწველობას. ფულის საჭიროებამ აიძულა ჩვენი თვითმპყრობელი მთავრობა მთელი თავისი ძალებით ხელი შეუწყოს კაპიტალიზმის განვითარების პროცესს რუსეთში. თვითმპყრობელი მთავრობის მოქმედების ამ მხარემ ჩვენ, სოციალისტებს, შეუძლია მოგვცეს მხოლოდ კმაყოფილება, იმიტომ რომ, ამ გზით ის თავის თავს უთხრის ორმოს. პროლეტარიატი, რომელიც გაჩნდა სასოფლო თემურ წესწყობილების დაშლის შემდეგ, ჩასცემს სასიკვდილო ლახვარს თვითმპყრობელობას. თუ ის მიუხედავად რუს რევოლიუციონერების გმირულ მოქმედებისა, აქამდის არ დამარცხებულა რუსეთში, ეს აიხსნება იმით, რომ რევოლიუციონერები დაშორებული იყვნენ ხალხის მასისაგან. ჩვენი რევოლიუციონური იდეოლოგების ძალა და თავგანწირვა საკმაო იყო მეფეების წინაალმდეგ საბრძოლველათ, როგორც პიროვნებებთან, მაგრამ ამ რევოლიუციონერების ძალა და თავგანწირვა ძლიერ ცოტა იყო ცარიზმზე გასამარჯვებლად, როგორც პოლიტიკურ სისტემაზე. რუს სოციალდემოკრატების აზრით, ჩვენი რევოლიუციონურ ინტელიგენციის ამოცანას შეადგენს შემდეგი: მან უნდა შეითვისოს თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება, გაავრცელოს ის მუშათა შორის და მათივე დახმარებით იერიში მიიტანოს თვითმპყრობლობის სიმაგრეზე. რევოლიუციონურ მოძრაობამ რუსეთში უნდა გაიმარჯვოს, როგორც მუშათა რევოლიუციონურმა მოძრაობამ. სხვა გამოსავალი არ არის და არც შეიძლება იყოს.

# კომანდო გოგელიას გარდაცვალების გამო.

ხუთშაბათს, 25 დეკემბერს, დიდუბის პანთეონში დაასაფლავეს ცნობილი ქართველი ანარქისტი კომანდო გოგელია. მიუხედავად იმისა, რომ დღე მეტად სუსხიანი იყო, ხალხი მაინც საკმაოდ დაესწრო.

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს წინ განსვენებულს სიტყვები უთხრეს მისმა მეგობრებმა ს. ჯაფარიძემ და როგდაევმა. სიტყვა სთქვა არჩილ რუხაძემაც. მუშათა ცენტრალურ კლუბის წინ სიტყვები სთქვეს სტეფანოვმა (პოლიტკატორღელთა საზ. სახელით), ვ. სიხარულიძემ (ქალაქის აღმასკომის) და ლუკაშევიჩმა (მუშების სახელით). საფლავზე კი გამოსამშვიდობებელი სიტყვა სთქვა მ. ლობჟანიძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ განსვენებულს ქართველი ხალხი ნაკლებად იცნობდა, რადგან უმთავრესად მისი მოღვაწეობა საზღვარგარედ ხდებოდა.

თუ საქართველოს ჰყოლია ნიჭიერი და საკაცობრიო იდეით აღგზნებული ახალგაზრდა, ერთი ასეთთაგანი უსათუოდ იყო კომანდო გოგელია.

თუ მას ნაკლებად იცნობდენ ჩვენში, სამაგიეროდ კარგად იცნობდენ ევროპაში, განსაკუთრებით მემარცხენე სოციალისტებისა და ანარქისტულად მოაზროვნეთა წრეებში.

კომანდო ანარქისტების ერთი საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი იყო. მისი რედაქტორობით შვეიცარიაში გამოდიოდა ანარქისტების ორგანო, რომლის ახლო თანამშრომლებად ითვლებოდენ ცნობილი ანარქისტები პ. კრაპოტკინი და ვ. ჩერქეზიშვილი. მონაწილეობას იღებდენ ევროპიელი ცნობილი ანარქისტებიც.

კომანდოს ბევრი ნაწერები აქვს, ცალკე წიგნებად და სხვადასხვა ჟურნალებში მოთავსებული. მისი ხმა სწვდებოდა ფრანგ, იტალიელ და შვეიცარიელ მუშებს და მათში იწვევდა გამოხმაურებას.

მსოფლიო ომის დროს ის ურყევად იდგა თავის ძველ პოზიციაზე, რომელსაც უღალატა ბევრმა ანარქისტმა, მათ შორის კრაპოტკინმაც, და გაბედულად მოუწოდებდა ყველას, განსაკუთრებით რუსეთის მუშებს, მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ამ დროს პარიზში დაუწყეს დევნა ეგრედ წოდებულ „პოლაჟენცებს“ და პირველი კომანდო დააპატიმრეს. ციხეს თავს აღწევს უკვე დასნეულებული და ბრუნდება შვეიცარიაში, სადაც კვლავ განაგრძობს რევოლიუციონურ მუშაობას.

1917 წლის თებერვალში იგი ბრუნდება რუსეთში დიდი იმედებით, უკვე საკმაოდ დაავადებული.

1921 წელს კომანდო მოდის საქართველოში, მაგრამ მუშაობის თავი უკვე აღარა აქვს. მას ათავსებენ ფსიხიატრიულ საავადმყოფოში, სადაც 21 დეკემბერს ეთხოვება წუთისოფელს მედგარი და აღგზნებული სულის პატრონი კომანდო გოგელია.

კომანდო დაიბადა 1878 წელს გურიაში. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელის დამთავრების შემდეგ გადადის ქუთაისის სემინარიაში, აქედან კი მიემგზავრება საფრანგეთში და შემდეგ შვეიცარიაში (ლოზანაში), სადაც დაამთავრა აგრონომიული ფაკულტეტი. შემდეგ იგი ისევ განაგრძობს სწავლას ჟენევაში ქიმიურ ფაკულტეტზე.

1905 წლის რევოლიუციის პირველ ხანებში იგი აღფრთოვანებდა ევროპაში მყოფ რუსეთის ახალგაზრდობას და მოუწოდებდა საბრძოლველად.

ამავე წელს ეწვია კომანდო საქართველოს და აქ შეუდგა ანარქისტების ორგანოს გამოცემას და გამოსცა

კიდეც „მუშა“ და „მნათობი.“ ეს იყო 1906 წელს.

განსვენებული ქართულ პრესაშიც ათავსებდა წერილებს ორგეიანის ფსევდონიმით.

რაც არ უნდა მოგვწონდეს მისი მსოფლმხედველობა, არ შეიძლება მას არ მივაკუთვნოთ ჩვენი ულრმესი პატივისცემა, როგორც ერთ უდიდეს, შეუპოვარ და მედგარ რევოლიუციონერს, მილიტარიზმის და კაპიტალიზმის საშინელ მტერს, ხოლო უკეთესი მომავლისათვის—კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლს.

საუკუნო ხსენება ანარქისტ-კომუნისტის კომანდოს სახელს!

# მუშათა წერილები.

## ნურაფერს დავმალავთ.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში მომხდარი უბედურება ქართველ ხალხს და ყოფილ მმართველ პარტიას ბევრ რამეს ეუბნება: ეს იყო გამოცდა მენშევიკური პარტიისა, მან ცხადჰყო სოციალურ-პოლიტიკური ფიზიონომია იმ ჯგუფისა, რომელმაც მოაწყო ეს ავანტიურა და უნდა ითქვას აშკარად და გაბედულად—ყოფილი მმართველი პარტია აქ სავსებით დამარცხდა; დამარცხდა, როგორც ფიზიკურად, ისე იდეურათ და მორალურათ.

ჩვენ ვიცით, რომ 1905 წ. რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ მას სრულიადაც არ გამოუწვევია სოციალ-დემოკრატიული პარტიის დარღვევა, პარტიიდან მუშების გაქცევა და რომელიმე რეაქციონურ პარტიაში ჩაწერა; ფიზიკურად დამარცხებული პროლეტარიატი მაგრდებოდა იდეურად და ორგანიზაციულად და ემზადებოდა ახალ-ახალი იერიშებისათვის თვითმპყრობელობაზე თავდასასხმელად. მან გმირულადაც გაარღვია თვითმპყრობელობის რკალი, დაამსხვრია მონობის ჯაჭვები და გადაისროლა ის ისტორიულ არქივში.

ბევრი დავა ჰქონდათ სოციალ-დემოკრატიულ ორივე ფრთას ტაქტიკურ კითხვებში, მაგრამ ამ წერილში არ შეუდგები მე ამის გამორკვევას. ვიტყვი მხოლოდ, რომ მენშევიკურმა პარტიამ სავსებით დაივიწყა თავისი წარსული, ის კაიხანია გადაგვარდა, გადასხვაფერდა ისე, რომ თავის თავსაც ველარ სცნობს...

თუ თვითმპყრობელობის დროს ის უბრალო გაფიცვასაც კი უარჰყოფდა იმ მოტივებით, რომ ეს გამოიწვევდა რ პრესიებს და მუშებს დაითხოვენო ფაბრიკა-ქარხნებიდან, დღეს ის აშკარა შეიარაღებულ აჯანყებას აღიარებს და ამ აჯანყებას ჩარჯვეთ უდგება იმ ბლანკისტური ტაქტიკით, რომელიც დროსა და წუთების დანიშვნაში გამოიხატება და რომლითაც ებრძოდა ის ბოლშევიკებს რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში; თუ წინეთ ის უარჰყოფდა შავრაზმულ დუმაში ბოიკოტისტურ ტაქტიკას, დღეს ის საბჭოთა სახელმწიფოში ბოიკოტს უცხადებს ყოველნაირ არჩევნებს და უარყოფითად უყურებს თანამშრომლობას საბჭოთა დაწესებულებებში; თუ ის 1924 წ., საერთაშორისო ომის დროს ებრძოდა დაშნაკელების ავანტიურას, რომელმაც ჩაითრია სომხის მშრომელი ხალხი და ათასობით შეეწირა ძველი რუსეთისა და მოკავშირეთა იმპერიალისტურ ზრახვებს, დღეს ამ ავანტიურას თვით მენშევიკური პარტია იმეორებს და ის ძველი დაშნაკური საფარით ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას.

და ყოველივე ეს ხდება იმისათვის, რომ მის ხელთ არ არის ძალა-უფლება, ის არ არის სახელმ. იფოს საქმეს მმართველი და მბრძანებელი. მაგრამ მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხკაცობას არ არგია ასეთი ტაქტიკა, მისთვის სულ ერთია, თუ ვინ იქნება სათავეში, ოღონდ-კი ის აუცილებლად უნდა იცავდეს მის ეკონომიურ და ეროვნულ ინტერესებს, ოღონდ-კი ის იდგეს წინმსვლელობისა და განვითარების გზაზე.

აი აქეთკენ უნდა იყოს დღეს მიპყრობილი მისი ყურადღება და გულისყური. რომელიმე პარტიისა თუ ჯგუფის ძალა-უფლებისათვის ბრძოლას ის არ შეალევს თავის ენერგიას, ის არც ერთ მსხვერპლს არ გაიღებს ამ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. მისი მიზანია მშრომელთა დიქტატურა, და მის განხორციელებაში ყველა მშრომელნი გვერდში უნდა უდგეს დღევანდელ მმართველ პარტიას. მისი დახმარებით უნდა მოხდეს იმ იდეალის განხორციელება, რომელიც მარქსმა და ენგელსმა გვიანდერძა. ნუ შეგვაშინებს წითელი დროშა; ის ხომ მუშათა კლასის ემბლემაა; ნუ შეგვაკრთობს ინტერნაციონალი, ის ხომ ჩვენი პროლეტარული სიმღერაა, სიმღერა იმედის მომცემი, გამამხნევებელი, საერთაშორისო პროლეტარული სულით გ.ჟღენთილი, ძველი ქვეყნის დამთრგუნველი და უარმყოფელი...

არა, რაც მოხდა, ის აღარ უნდა მოხდეს, ქართულად გადმონკრგილი დაშნაკიზმი უნდა დაიმსხვრეს. დღეიდან არ უნდა დარჩეს არც ერთი პროლეტარული თუ ინტელიგენტური ძალა, რომელიც არ ჩაებმება საქართველოს აღმშენებლობითი მუშაობაში.

ეს იქნება საუკეთესო საწინდარი ქართველი ერის კულტურულად აღორძინებისა და აყვავებისათვის...

კ. კილაძე.

## ჩემი ნაბიჯი ახალი გზისკენ.

ამ ჩემი წერილის წამკითხავი კრიტიკის ქარცეცხლში გამატარებს, წყევლა და კრულვას შემომითვლის იმასაც კი იტყვიან, რომ თბილი ალაგი იმანაც მოინდომაო. მაგრამ იმედს არ ვკარგავ, მეტი წილი ვინც კი მიცნობს და ჩემს წარსულს მოიგონებს, ასე არ იტყვის. მე არც მყვარებია განმარტოვებული უხალხოდ ცხოვრება და მით უმეტესათ დიდ დ ნაშაულათ მიმაჩნია, გამორჩენის მიზნით აზრის გამოცვლა. საქმე შემდეგშია: რკინა როდესაც სადმე კუთხეში, ნესტიან ალაგას უმოძრაოთ დიდხანს გდია, მას ისე სჭამს ჟ ნგი, რომ საბსრებიდან სრულიად შლის რომ გინდოდეთ მისგან რამეს გაკეთება, სრულიათ ვერას გააკეთებთ, თუ არ გაახურეთ იგი ღ უმილ.მდესულ სხვა არის, როდესაც ფოლადი რკინა ხმარებაშია—პრიალი გააქვს, ცვდება, მაგრამ საზოგადოებას ემსახურება და თავის მოვალეობას ასრულებს და საზოგადოებისათვის სარგებლობა მოაქვს.

ჩვენ კი, სულდგმულნი, ბრძოლაში ნაწრთობნი, ვიდექით განზე გაბუტულნი და ნაღველით და დარდით ჩვე-

ნი ძალღონე და გული სევდიანდებოდა, ჩვენ გულს და ნერვებს ისე ღრღნიდა უმოქმედობა, დარდი და ვარამი, როგორც ღრღნის ჟანგი რკინას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ალ. ლომთათიძე აქ ჩვენთან ყოფილიყო, რომ იმას ჩვეულებრივ ჩვენში ეტრიალა და თავის პირდაპირი მოვალეობა, როგორც სოციალისტს, შეესრულებინა, ისეთი ენერგიით სავსე ადამიანი კიდევ ბევრს სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას. ყოველ კეთილ-სინიდისიერ სოციალისტს უფლება არ აქვს იყოს განზე განდეგილი-გაბუტული, რადგან ის არ ეკუთვნის მარტო თავის თავს, ის ეკუთვნის უპირველესათ საზოგადოებას. მან უნდა აკეთოს ის, რაც საზოგადოებას ესაჭიროება. ჩვენს საქართველოს ამ ჟამათ ესაჭიროება ცოცხალი ძალა, რომელიც ნათლათ წარმოიდგენს, თუ რის გაკეთებაა საჭირო. და მას მაშინ უფრო გულ-ამაყათ შეუძლიან სთქვას, რომ ჩემი ქვეყანა და კულტურა მიყვარსო. ის მაშინ დაამტკიცებს ერთგულებას თავის საზოგადებისათვის, როდესაც მოჰკიდებს ხელს თავის საყვარელ საქართველოს საქმეს და გააკეთებს ისე, როგორც შეეფერება ნამდვილ მოქალაქეს და სოციალისტს.

ამხანაგებო! ის ადამიანი ბრმა ან უსინდისო უნდა იყოს, რომ სთქვას—კომუნისტურ პარტიას სასარგებლო ნაბიჯები არ აქვსო. თამამათ უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი რამ გაკეთებულია, აქ, თებენ და ნავარაუდევიც გასაკეთებლათ ბევრი რამ აქვთ. მაშ თუ ეს ასეა, რაღა საჭიროა განზე დგომა, გულ-ხელ დაკრეფილი. მაშ მივეხმაროთ, გაუწოდოთ ჩვენი ძმური, გამოცდილი ხელი და აზრი, წავათამამოთ იგი, გავაკეთებინოთ უფრო მეტი, უფრო კარგათ, ისე, როგორც მოუხდებოდეს საქართველოს და საერთაშორისო მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ყოველნაირი გამოსვლები, გადატრიალება და ბრძოლა არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ არის დამღუპველი.

მოვკიდოთ ხელი ჩვენი ქვეყნის საქმეს და გაკეთოთ გულწრფელათ. ნუ შევდრკებით იმის გამო, რომ ბევრნაირათ მოგვნათლავენ. ჩვენ დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ არ ვართ მოღალატე, პროლეტარიატის საქმეს კეთილ სინდისიერათ გავაკეთებთ.

ჩვენ უნდა გამოვიხსნათ იმ ბურუსიდან ის დანარჩენი ამხანაგები, რომლებიც უსარგებლოთ სხედან საკანში, რომლებიც შორეულ ქვეყნებში არიან დაფანტულნი. უმრავლესობა, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ გადავდგამთ ნაბიჯს ახალი გზისკენ, ისინიც მოგვყვებიან თან, საერთო საქმეში ჩაებმიან.

დროა პროლეტარიატის შეერთებულ ძალით წინსვლა სოციალიზმისკენ.

დეე, მე ძველ მუშას ბევრი შემომიკურთხონ ცხლა, რადგან მე ვუღალატე ჩემს ყოფილ ოჯახს და ნეტავ ეს ჩემი ღალატი წინათ სცოდნოდათ, რომ ჩემი და სხვა ჩემისთანა მოღალატეების იმედი არა ჰქონოდათ ჩვენ საზღვარგარეთა ამხანაგების და არ მოეწყოთ სისხლისმღვრელი გამოსვლები.

მაშ ნურავის იმედით ნუ ვიქნებით ჩვენ. მოვკიდოთ ჩვენსავე საქმეს ხელი და ვაკეთოთ.

მაშ გაუმარჯოს ცოცხალ ძალებს, მიმავალს ახალი გზით.

ძველი მუშა გიორგი ხაჭაპაშვილი.

# წინ ახალი გზით!

„ახალი გზის“ მიზნები ჩემთვის იმიტომ არის უფრო გასაგები და მისაღები, რომ „ახალი გზა“ არ უდგება საქმეს თავის წარსულის ზიზღით მოხსენიებით.

ჩვენ, მუშების წინაშე ამ 21 წლის წინად იდგა კითხვა პირველად: აიღოს თუ არა მუშათა კლასმა შემთხვევისთანავე ძალა-უფლება, შეიძლებს თუ არა ძალა-უფლების შენარჩუნებას და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენებას.

მაშინ ამ დებულებების ირგვლივ იდეური ბრძოლა სადაო აღარ შეიძლება იყოს, განსაკუთრებით მშრომელი ხალხისთვის.

ხელი შევუწყოთ და გავამტკიცოთ არსებული ხელისუფლება, თუ ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ? რომ ვიბრძოლოთ, ვინ უნდა დავიხმაროთ ამ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? აი კითხვა, რომლის პრაქტიკულად გადაწყვეტის დროს მსხვერპლად შეეწირა სხვა და სხვა სოციალისტური პარტიები.

„ახალი გზა“ გარკვეულად და სისწორით აღნიშნავს ვისთან და ვის წინააღმდეგ უნდა იყოს, და არის საკმაო ნიშნები იმისა, რომ ამ გზაზე მასთან ივლის ჩვენი მშრომელი ხალხის ის ნაწილიც, რომელიც დღემდე სხვადასხვა მიზეზების გამო სულ სხვა გზით მიდიოდა.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო ძალთა განწყობილება არ შეიცვლება იმით, რომ რამოდენიმე ათასი მშრომელი ხალხი კიდევ მეტი ყავდეს თანამებრძოლი საბჭოთა ხელისუფლებას. მარა ამას აქვს უდიდესი მორალური მნიშვნელობა იმ დროს, როცა საერთაშორისო რეაქცია შეტევის სამზადისშია და ამ შავ-ბნელ საქმეს ხშირად ჩვენ სახელსაც უკავშირებენ.

„ახალი გზის“ ხელმძღვანელები უნდა შეეცადნენ მოწინააღმდეგეთა ბანაკში არ დარჩეს არც ერთი პატიოსანი მშრომელი გაუგებრობის ნიადაგზე.

აქვე მინდა ორიოდე სიტყვით აღვნიშნო ჩემი აზრი ს. დოლიძის წერილის „საჭირო განმარტება“ და „კომუნისტის“ პასუხის შესახებ.

ამხ. ს. დოლიძის სურვილია ჩვენ პლატფორმაზე დადგეს ყველა ისინი, ვინც წარსულში ჩვენ რიგებში იყო, მარა სხვადასხვა მიზეზების გამო დღეს მოწინააღმდეგე ბანაკში იმყოფებიან. ს. დოლიძის ეს სურვილი გასაგებია და კეთილშობილური. მაგრამ შეიძლება, როგორც „კომუნისტი“ აღნიშნავს, ყველა ეს მავნე ილიუზია აღმოჩნდეს. სიმიში, მგონია, აქაც არაფერია. მავნე ილიუზიების დამსხვრევამ ჩვენ მიგვიყვანა საბჭოთა ხელისუფლების და მისი პრინციპების სავსებით მიღებამდე. დეე დარჩენილი ილიუზიებიც ბარემ დაიმსხვრეს, თუ მათ განხორციელება არ მოელის. ჩვენ ჩვენი მოვალეობა მოხდილი გვექნება.

ამიტომ მე საჭიროდ და სასურველად მიმაჩნია ევროპაში მყოფ ემიგრანტ და აგრეთვე რუსეთში გადასახლებულ მენშევიკებთან წავიდეთ და პირადათ უთხრათ ყოფილ მენშევიკების სახელით: „რუსეთის დიდი რევოლუციის მიმდინარეობაში კიდევ გასაგები იყო სხვადასხვა აზრი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მარა ამ დიქტატურის მეოთხე წელში, როცა საერთაშორისო რეაქციასთან ბრძოლაში ჩაბმული პროლეტარიატი მაინც ასეთებს დადებით აღმშენებლობით მუშაობას,—სადაო

აღარ უნდა იყოს, ვისთან და ვის წინააღმდეგ უნდა ვიყოთ ჩვენ. ყველა ის დეფექტები, რომლებზეც შეგიძლიათ მიგვითითოთ თქვენ საბჭოთა კავშირში—წვრილმანი და უმნიშვნელოა მაშინ, როცა კითხვა ეხება რევოლიუციის თუ რეაქციის გამარჯვებას.

საერთო მასშტაბით რეაქციის გამარჯვება იქნება ყველასათვის გამანადგურებელი. მსგავსი მიმართვით და მდგომარეობის დაწვრილებით გაცნობით ბევრი ჩვენგანი ფიქრობს,—შეგვემატება მრავალი განზე გამდგარი და მოწინააღმდეგე ძალები, რომლებიც კარგა ხანია დაშორებული არიან ჩვენი მშრომელი მასსის სულიერ განწყობილებასთან და განსაკუთრებით უკანასკნელად მომხდარ გარდატეხის შედეგებთან, რომლის ნაყოფიც არის ჟურნალი „ახალი გზა“ და მისი ხელმძღვანელ-თანამგრძნობები.

ი. ც—ძე.

# კრებები პროვინციაში

## ხაშური.

29 ოქტომბერს სად. ხაშურის მუშათა კლუბში შესდგა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების ყოფილ მენშევიკებისა და უპარტიოთა საერთო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ს. ნოზაძე, მდივნათ ამხ. დევაძე.

მოხსენება საქართველოში უკანასკნელად მომხდარ ამბების შესახებ გააკეთა მუშათა კომისიის წევრმა ამხ. ძამანაშვილმა, რომელმაც მკაფიოდ და ნათლად დაახასიათა ამ სამ წლინახევრის განმავლობაში მენშევიკური პარტიის ბრძოლა არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ, რამაც საქართველოს მშრომელ ხალხს მიაყენა დიდი ზიანი. მომხსენებლის სიტყვით, არალეგალური მენშევიკური ცეკა კვებავდა ხალხს ცუდი ინფორმაციით, თითქოს მეორე ინტერნაციონალის ზეგავლენით ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობები გამოგზავნიდენ საქართველოში შეიარაღებულ ძალებს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველათ და გაანთავისუფლებდენ საქართველოს, მაგრამ ეს იყო ყველაფერი ტყუილი. ევროპის კაპიტალისტურ მთავრობებს თუ აინტერესებდათ საქართველოს ბედ-იღბალი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ამით მოახერხებდენ ბაქოს ნავთიან ადგილების ხელში ჩაგდებას და მთელი ამიერ კავკასიის თავიანთ კოლონიად გადაქცევას. ამიტომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაანებოს თავი ამ ყალბი გზით სიარულს, მტკიცედ და ურყევად დადგეს საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, რომელიც არა სიტყვით, არამედ საქმით იცავს ყველა მშრომელი ხალხის ინტერესებს და რეალურად ახორციელებს ნამდვილ ხალხთა დამოუკიდებლობის პრინციპს დიდ საბჭოთა კავშირის საზღვრებში.

მომხსენებელმა აგრეთვე მიუთითა ხელისუფლების ზოგიერ ნაკლზე, როგორიცაა მაგალითად გაეროვნების საკითხი და სხვ. და განაცხადა რომ ყველა ამ ნაკლის გამოუსწორებლობის პასუხისმგებელნი ხელისუფლებასთან ერთად არიან მენშევიკებიც, რადგანაც ჩვენ დღემდის განზედ ვიყავით გამდგარი აღმშენებლობითი მუშაობის დროს და ხელის შეწყობის მაგივრათ ხელს უშლიდით მათ ამ ნაკლის გამოსწორებაში...

შემდეგ სიტყვას იღებს ამხ. მახარაძე. ის ადარებს ყოფილი მთავრობისა და არსებული ხელისუფლების მუშაობას სახელმწიფო აღმშენებლობის საქმეში და ამბობს, რომ არსებული ხელისუფლება ენერგიულად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებისათვის მუშებისა და გლეხების საკეთილდღეოდ ბოლო მოუღეს ნაციონალურ შუღლს, ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის და აღარ აქვს ადგილი ეკონომიურ სივიწროვეს, რომელსაც განვიცდიდით ყოფილი მთავრობის დროს.

ამხ. დეკანოზიშვილს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია დელეგაციის გაგზავნა, როგორც რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებთან, ისე საზღვარგარეთაც, რომ მათ გაიგონ საქმის ნამდვილი ვითარება და დაუბრუნდენ თავიანთ ქვეყანას და ჩაებან კულტურულ და აღმშენებლობითი მუშაობაში, რაიც ასე საჭიროა საქართველოს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. ყველა სხვა ორატორები ადასტურებენ ამხ. დეკანოზიშვილის აზრს დელეგაციების გაგზავნის შესახებ.

შესაფერი რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ კრებამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი რწმუნებულები, რომელიც იმუშავებს მუშათა კომისიის ხელმძღვანელობის ქვეშ მასებთან კავშირის განსამტკიცებლათ. არჩეულ იქნენ: ს. ნოზაძე, ბერაძე და ბაქიშვილი.

კრების თავმჯდომარე: ს. ნოზაძე.

მდივანი: დევაძე.

## შორაპანი.

30 ოქტომბერს შორაპნის სადგურის მუშათა კლუბში შესდგა შორაპნის და ზესტაფონის ყოფილ მენშევიკების და უპარტიო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ცნობილაძე, მდივნათ ამხ. მაქავარიანი.

მოხსენება საქართველოში უკანასკნელად მომხდარ ამბებისა და ჩვენი ამოცანების შესახებ გააკეთა მუშათა კომისიის წევრმა ამხ. ძამანაშვილმა.

თავის ვრცელ სიტყვაში ამხანაგი ძამანაშვილი შეეხო მენშევიკური პარტიის მუშაობას საქართველოს გასაბჭოების დღიდან და განაცხადა, რომ საქართველოს მენშევიკური პარტია არსებულ ხელისუფლებასთან ბრძოლაში დაუკავშირდა საქართველოში არსებულ ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ პარტიებს, რითაც პარტიამ დაჰკარგა ძველი სოციალისტური სახე და ჩაეფლო ნაციონალიზმის ჭაობში; ამ პარტიის ბრძოლის ქვაკუთხედი გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და ამ მიზნის განხორციელება მან მიზნად დაისახა ევროპის იმპერიალისტური მთავრობების დახმარების იმედით. ამ უაზრო პოლიტიკამ მენშევიკური პარტიისამ საქართველოს მშრომელ ხალხს თავს დაატეხა საშინელი უბედურება; ჩვენ გადაჭრით უნდა უარვყოთ ეს ყალბი და მავნე გზა და დავდგეთ არსებულ ხელისუფლების მხარეზე, მას უნდა დავეხმაროთ აღმშენებლობითი და კულტურულ მუშაობაში.

ჩვენი მიზანია—ამბობს ამხ. მომხსენებელი, ქართველი მშრომელი ხალხი დავუახლოვოთ მმართველ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, ვებრძოლოთ ყოველგვარ არალეგალურ მუშაობას, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ მოუწოდებს დამსწრეთ უარყონ ყოველგვარი ჭორებითა და ყალბი ინფორმაციით თავის მოტყუილება ევროპის მთავრობების მიერ საქართველოს განთავისუფლების შესახებ, მტკიცედ დადგენ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ, რაც უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტას თავისუფალ ხალხთა კავშირში.

ამხ. კუპრაშვილმა დაახასიათა რუსეთის რევოლუციის ისტორია 1905 წლიდან დღემდე და დასკვნა, რომ რუსეთში ერთმანეთს დაუპირდაპირდა ორი უკიდურესობა: მონარქიზმი და ბოლშევიზმი. ან უნდა გაემარჯვა ერთ მხარეს ან მეორეს. საშუალო ძალა რუსეთის სინამდვილეში არ არსებობდა ისე ძლიერი, რომელიც შესძლებდა ძალა-უფლების შენარჩუნებას. ამის მაგალითი იყო კორნილოვის გამოსვლა დროებითი მთავრობის დროს. ბოლშევიკებმა აუღეს ალღო მდგომარეობას, მათ მოახერხეს მრავალმილიონიანი ჯარისკაცების მიმხრობა და ჩაიგდეს ხელში ძალა უფლება. ეს რომ არ მომხდარიყო, უსათუოდ გაიმარჯვებდა მონარქიზმი, რომელიც მიწასთან გაასწორებდა მუშათა კლასის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას. დღეს საბჭოთა კავშირში არსებობს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. თუ ეს ხელისუფლება დამარცხდა, მისი მემკვიდრე იქნება რეაქცია, რომელსაც საქართველოს მუშები ათეული წლების განმავლობაში ვებრძოდით. ეს რეაქცია წალეკავს როგორც რუსეთს, ისე ჩვენს ქვეყანასაც. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ ის ხელისუფლება, რომელიც დღეს არსებობს. რაც შეეხება საქართველოს გასაბჭოების საკითხს, რა თქმა უნდა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ის მომხდარიყო შინაური ძალებით, მაშინ ადგილი არ ექნებოდა იმ უნდობლობას ხელისუფლებისადმი, რომელსაც დღემდეც აქვს ადგილი.

ამის შემდეგ გამოვიდნენ კრებაზე დამსწრე მუშები: ბეგლარ კეტენაძე, ირაკლი შათირიშვილი, მაჭავარიანი, ჩიტორელიძე. ყველა ესენი სწორად სცნობენ კომისიის მიერ არჩეულ გზას და მიუთითებენ ზოგიერთ ადგილობრივ მომუშავე კომუნისტების უარყოფითი მოქმედებებზე, რომელნიც ხელს უშლიან მუშების და გლეხების დაახლოვებას ხელისუფლებასთან. ამასთანავე აუცილებლად მიაჩნიათ დელეგაციის გაგზავნა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.

დაბოლოს კრება იღებს შესაფერ რეზოლიუციას.

კრებამ აირჩია ოთხი კაცისაგან შემდგარი რწმუნებულები, რომელსაც ექნება კავშირი მუშათა კომისიასთან და იმუშავებენ მასასა და ხელისუფლების შორის დაახლოვების მიზნით. არჩეული იქნა შემდეგი ამხანაგები: გიგა ჯულელი, ბეგლარ კეტენაძე, მაკარი ფოცხვერაშვილი და ირაკლი შათირიშვილი.

კრების წევრი.

# სამტრედია.

31 ოქტომბერს შესდგა სამტრედიის რაიონის ყოფილ მენშევიკების და უპარტიო მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. კრებამ ერთხმათ აირჩია პრეზიდიუმი ხუთი კაცისაგან შემდგარი: ლ. კუპრაშვილი, ალ. კორძაია, ვას. ჯიბლაძე, შ. ჯოლიძე და შ. მასკანძალაძე. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: მენშევიკური პარტიის პოლიტიკის შეფასება და მომავალი მუშაობის ხაზი. მოხსენება გააკეთა ამხ. ძმანაშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას მენშევიკური პარტიის სამწუხარო წარსული და სოციალისტური პარტიისათვის შეუფერებელი მოღვაწეობა.

კამათში მონაწილეობას იღებდენ კრებაზე დამსწრე ამხანაგები. ამხ ერმილე კალაძე უმიზნოდ და დამღუპველად სცნობს მენშევიკურ პოლიტიკას, მაგრამ ბოლშევიკურ პოლიტიკაშიც ხედავს ნაკლს და ამბობს, რომ მმართველი პარტიის პოლიტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მშრომელი ხალხი დაუახლოვოს არსებულ ხელისუფლებას, დღეს კი ბევრ საკითხებში ხვდება წინააღმდეგი. სამ თვეზე მეტია, რაც გლეხობამ ჩააბარა მთავრობას პური და მათ დღემ ისაც არ გაულია ხვედრი ფული, ეს კი უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში. ასეთივე ნაკლი არსებობს მიწის საკითხშიაც. ზოგიერთ გლეხს ჩამოართვეს მიწები და ის გადასცეს ისეთ პირებს, რომელთაც თავის დღეში არ დაუმუშავებიათ მიწა. ამ გარემოებამ გამოიწვია მიწების ერთი ნაწილის დაუმუშავებლად დატოვება, რასაც სახელმწიფოსთვის მოაქვს დიდი ზარალი. ყველა ამას უნდა მიექცეს ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოების ნაკლსაც და გაეროვნების საკითხის მიგვარებას. ყველა ამის შემდეგ ჩვენს შეერთება-შეკავშირებასაც ალარაფერი შეუშლის ხელს.

აი ამ წვრილმანი საკითხების გამოსწორებას ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება.

ამხანაგები: მ ხა თოდუმაძე, სილიბისტრო ხუნდაძე და სიმონ ხოშტარიაც იწონებენ ტფილისის მუშების მიერ არჩეულ გზას.

სიტყვა ეძლევა ამხ. ვალერიან ვაშაკიძეს. ამბობს, რომ არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს ისეთი მართვა-გამგეობა, როგორიც საბჭოთა კავშირშია, ასეთი ისტორიასაც არ ახსოვს, და რა გასაკვირველია, რომ აქ შეცდომები იყოს. მაგრამ ამ შეცდომებზე მითითება ყველა პატიოსანი მოქალაქის მოვალეობას შეადგენს. ის ამით დიდ დახმარებას გაუწევს ხელისუფლებას. და ხელისუფლება ყოველთვის ეცდება ამ ნაკლის გამოსწორებას.

სათანადო რეზოლიუციის მიღების შემდეგ კრებამ აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი რწმუნებულები: ალექსანდრე კორძაია, ლევან რუაძე, ივანე მანჯგალაძე, ტერენტი ნაკაიძე და ნესტორ კალაძე.

კრების პრეზიდიუმი.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძმანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
მ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

მთავლიტი № 2246 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, №, 8. ტირაჟი—500

წლიწადი მეორე

ფასი 15 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 11 იანვარი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმისა, დილის 9—1 საათამდე

№ 4

## ძველი და ახალი.

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა—მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“, რევოლიუციაც. სწორედ ასეთი მოედანი არის პოლიტიკური პარტიებისათვის და მთელი ერისთვისაც.

რუსეთის სამოქმედო მოედანზე რევოლიუციის დროს გამოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტია, რომელთა შორისაც ყველაზე უფრო ძლიერი იყო მენშევიკების პარტია და ესერებისა.

როგორც თვით ლენინი, ისე ბევრი ბელადი კომუნისტური პარტიისა მაშინ საზღვარგარედ იყვენ. ბურთი და მოედანი დარჩათ ესერებსა და მენშევიკებს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ამათ ხელში იყო; ლენინგრადში საბჭოს თავმჯდომარეობდა მენშევიკი კარლო ჩხეიძე.

ერთი სიტყვით, მებრძოლმა ხალხმა—მუშებმა, გლეხებმა—თავი მოიყარა მენშევიკებისა და ესერების გარეშემო და ისინი აირჩია რევოლიუციის ბელადებად, იმათ ჩააბარა რევოლიუციის დროშა და ბედი.

მაგრამ სულ მალე გამოჰგლიჯა მათ ხელიდან ეს დროშა იმავე მშრომელმა ხალხმა და გადასცა კომუნისტებს.

რა თქმა უნდა, აქ მუშაობდა არა ბედი ან შემთხვევა, არამედ ისტორიული აუცილებლობა. რევოლიუციის პროცესში მენშევიკები და ესერები თანდათან დაილიენ, დადნენ და დაიფუკენ; კომუნისტები კი სწრაფად გაიზარდენ, გაძლიერდენ და მთელი ძალაუფლება ხელთ აიღეს. აშკარაა მენშევიკებმა და ესერებმა მშრომელი ხალხის ნდობა დაჰკარგეს სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში; კომუნისტებმა კი ეს ნდობა დაიმსახურეს და ამიტომ აირჩია ის მებრძოლმა პროლეტარიატმა თავის წინამძღოლად.

რევოლიუციის დროს აუცილებელია დიდი საქმიანობა. ეს საქმიანობა კი ვერც მენშევიკებმა გამოიჩინეს, ვერც ესერებმა.

ორივე აქცევდა უმთავრეს ყურადღებას რეზოლიუციას. ხშირად გათენებამდე ჰქონია ადგილი გაცხარებულ კამათს კარგი რეზოლიუციის გარეშემო.

როდესაც ასეთი რეზოლიუცია გამოინახებოდა, ყველა დამშვიდდებოდა და დაბრუნდებოდა სახლში. კარგი რეზოლიუცია—ეს არის თავი და თავი,—აი მენშევიკ-ესერები.

როდესაც ისინი რეზოლიუციის გულისათვის იტეხდენ თავპირს, აუარებელ დროსა ჰხარჯავდენ და ოფლში იწურებოდენ, კომუნისტები მაშინ საქმეს აკეთებდენ და რეზოლიუციები იმათ თვით ამ საქმის პროცესში გამოქონდათ.

ესერებმა და მენშევიკებმა ვერ აუღეს ალღო რევოლიუციას.

კომუნისტებმა კი აუღეს. ესერებმა და მენშევიკებმა ვერ ამოიცნეს მშრომელი ხალხის სულიერი განწყობილება.

კომუნისტებმა კი ამოიცნის.

რა უნდოდათ რუსეთის მუშებსა და გლეხებს, აი ეს ვერ გაითვალისწინეს ესერებმა და მენშევიკებმა.

კომუნისტებმა კი საუცხოვოდ გაითვალისწინეს. ესერები და მენშევიკები რევოლიუციის ქარიშხალში დაიბნენ, კლასთა ბრძოლის გზას ასცდენ და უგზოუკვლოდ დაიწყეს ხეტიალი.

ასეთ პირობებში ძალაუფლება უნდა ჩავარდნოდა ხელში ან უკიდურეს მემარჯვენეებს, ან კომუნისტებს.

პროლეტარიატი და გლეხობა გაჰყვა კომუნისტებს და მათის მეთაურობით გასწმინდა რევოლიუციის გზა იმ შავრაზმელებისაგან, რომელთა დამარცხებაც ესერებმა და მენშევიკებმა ვერ შესძლეს.

არსებობს ასეთი აზრი: რუსითი გლეხების ქვეყანაა, გლეხობა კი შეუგნებელია; კომუნისტებმა მოჰხიბლეს ის კარგი ლოზუნგებით და ამით გაიმარჯვესო.

ვინც დიდი რევოლიუციის ქარიშხალში უდიდეს გამარჯვებას ასეთი კურდღლებითა ხსნის, მას რევოლიუციისა არაფერი არ გაეგება.

ესერებისა და მენშევიკების დამარცხება რუსეთში აუცილებელი იყო და დამარცხდენ კიდეც. კომუნისტებს რომ არ აეღოთ ან ვერ აეღოთ ძალაუფლება ხელში, ძალაუფლებას უსათუოდ დაეპატრონებოდენ მემარჯვენეები

და დღეს მთელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გაბატონებული იქნებოდა შავრაზმელების უსაშინელესი რეაქცია.

ან შავრაზმელები, ან კომუნისტები;

ან მეფის თვითმპყრობელობა, ან საბჭოთა წყობილება.

სხვა რამ მესამე, საშუალო არ არსებობს.

თუ მენშევიკებსა და ესერებსა ჰგონიათ, რომ შეიქნება სხვანაირი პირობები და ძალაუფლება შესაძლებელია ისევ იმათ დაუბრუნდეს, ასეთი უნიადაგო ოცნებით არავინ არ უნდა მოიტყუოს თავი:

ისტორია ერის ბედიღბალს აღარ ანდობს იმ სარდალს, რომელმაც მისი ნდობა ვერ გაამართლა და სასტიკად დამარცხდა.

ყოველმა მოქალაქემ, ყოველმა მუშამ კარგად უნდა გაითვალისწინოს ეს პირობები და ისე გადადგას თავისი ნაბიჯი.

ვინც ებრძვის საბჭოთა წყობილებას, ის ამით ნიადაგს უმზადებს შავრაზმელების დიქტატურას.

თუ რუსეთში მენშევიკური პარტია დამარცხდა სახელმწიფოებრივ ნიადაგზე, ჩვენში ის დამარცხდა ეროვნულ ნიადაგზეც.

რევოლიუციის დროს ჩვენში ჰმოქმედებდენ ნაციონალური პარტიები და ინტერნაციონალური.

ინტერნაციონალურ-კომუნისტური ეწეოდა არალეგალურ მუშაობას; ნაციონალურ ნიადაგზე კი იდგენ მენშევიკები, ფედერალისტები, ესერები, ნაციონალ-დემოკრატები, ნაციონალისტები, რადიკალ-დემოკრატები.

ჩვენ გავშალეთ უაზრო და უშინაარსო ნეიტრალიტეტის დროშა და ამოვეფარეთ მას, მაგრამ ამაოდ: ჯერ კაიზერის სარდლები დათარეშობდენ ჩვენში, შემდეგ ინგლისის იმპერიალისტებისა და როგორც ტიკინს ისე გვათამაშებდენ. ხან ჩვენ და სომხებს წაგვკიდებდენ ერთმანეთს, ხან ახალციხის ბეგებს მოგვისევდენ.

ბოლოს საფრანგეთიც აპირებდა ჩვენსა მობრძანებას, იტალიაც. ერთის სიტყვით, ვისაც ხალისი, სურვილი და მადა ჰქონდა, ყველა თავისუფლად შემოდიოდა ჯარითა და ზარბაზნებით.

ასეთი დამოუკიდებლობა, რა თქმა უნდა, არ არის დამოუკიდებლობა და მხოლოდ იმას მოწმობს, რომ საქართველო მეტად სუსტი გამოდგა, რომ საკუთარის ძალღონით სრული დამოუკიდებლობა შეენარჩუნებია.

ეს ვერ გაითვალისწინა მენშევიკურმა მთავრობამ; მას იმედენადა სწამდა სახალხო გვარდიის ძალა, რომ ამაყად გაიძახოდა: ჩვენ სამანდატო ერი არა—ვართო.

მენშევიკური პარტია დამარცხდა და დღეს საქართველო წარმოადგენს საბჭოთა ფედერაციის სრულუფლებიან წევრს. უნიადაგო ოცნებებს უნდა დავანებოთ თავი და საგანს შევხედოთ ისე, როგორც ის არსებობს.

საქართველო დღეს ერთი წევრია საბჭოთა სოციალისტური ფედერაციისა; საქართველო წარმოადგენს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას.

ყოველივე ეს ფაქტია. როგორ უნდა შევხედოთ ჩვენ ამას?

როგორც ეროვნულის, აგრეთვე წმინდა პროლეტარულის თვალსაზრისით, ეს საუკეთესო წყობილებაა ყველა იმ შესაძლებლობაში, რომელიც მოგვცა რევოლიუციამ: ან უნდა მივემხროთ შავრაზმელების დიქტატურას, ან ევროპის იმპერიალისტების გაბატონებას ჩვენში, ანდა მივიღოთ ის, რაც არსებობს.

ჩვენ ვღებულობთ საბჭოთა წესწყობილებას, ვდგებით საბჭოთა პლატფორმაზე. ჩვენი ორიენტაცია არის მოსკოვისაკენ და აქეთკენ მოვუწოდებთ ყოველ ქართველ მუშას.

ჩვენი ეს ახალი გზა ნაყოფია დიდი მოფიქრებისა, ბევრი შინაგანი ტანჯვისა, ხანგრძლივი აწონდაწონისა და ჩვენი სურვილია, რომ ყოველი ქართველი მუშა შეგნებულად დადგეს ამ გზაზე და თავისი ძალღონით დაეხმაროს ხელისუფლებას იმ ძნელ, მეტად პასუხსაგებ და დიად საქმეში, რომელსაც ის აკეთებს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩვენ ბევრი შეცდომები ჩავიდინეთ და ამით დიდი ზიანი მოვუტანეთ მუშათა ოჯახის საერთო საქმეს.

ვთამაშობდით ბუტიაობას, სასოებით შევყურებდით ევროპის იმპერიალისტებს.

რაც მოიტანა ამ გზით სიარულმა, ყველა ჰხედავს და აწი მაინც დრო არის გავახილოთ თვალი, გადავხედოთ ჩვენს წარსულს და უკუვაგდოთ ძველი გზა.

როდესაც ლენინი საჭიროდ დაინახავდა ამა თუ იმ ცვლილებას თავის პოლიტიკაში, სხვათა შორის ამბობდა: ეს საჭიროა, რომ ჩვენ ცოტა შევისვენოთ, სული მოვითქვათ, ღონე მოვიკრიბოთ და შემდეგ უფრო მეტის სიცხოველით განვაგრძოთ შეტევაო.

ახალ გზაზე დადგომას თუ ვინმე ისე უყურებს, რომ შეისვენოს, თავი შეაფაროს დროებით და შემდეგ პირველი შემთხვევისათანავე საბჭოთა წესწყობილების მტრებს ამოუდგეს გვერდში, დიდათა სცდება.

ჩვენა ვგმობთ ავანტიურის გზას ახალი ავანტიურისათვის კი არა, არამედ იმისათვის, რომ მთელის ჩვენის ძალღონით ხელი შევუწყოთ საბჭოთა აღმშენებლობას და წესწყობილების განმტკიცებას.

ეს აუცილებელია ჩვენი ერისა და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩვენ უნდა გვქონდეს უფლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაში ბევრი რამ არის შესასწორებელი და შესაცვლელი, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ერთის დაკვრით ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია.

საბჭოთა წესწყობილება სრულიად ახალია, მას აქვს მხოლოდ რამდენიმე წლის ისტორია. ეს დრო რომ მშვიდობიან მუშაობაში გაეტარებია საბჭოთა ხელისუფლებას, სურათიც სხვანაირი იქნებოდა ახლა, მაგრამ ის ბრძოლით იმკვიდრებდა თავის—თავს; მთელი ქვეყანა მას დაესია და მედგრად იგერიებდა. დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ რევოლიუცია, როგორც საკითხი ძალაუფლების განმტკიცების, უკვე დამთავრებულია საბჭოთა კავშირის ფარგლებში. აწი იწყება, ასე ვთქვათ, ევოლიუცია, ე. ი. თანდათანი განვითარება, შესწორება და გაუმჯობესება ყოველივე იმისი, რაც მშრომელმა ხალხმა და მისმა მთავრობამ მოიპოვეს.

ასეთს დროსა და ამგვარ პირობებში აუცილებელია, რომ ყოველი შეგნებული ქართველი დადგეს საბჭოთა პლატფორმაზე და ხელი შეუწყოს ჩვენი ერის აღორძინებას და წინ გაქანებას.

ჩვენ მოვუწოდებთ მთელ ქართველ მშრომელ ხალხს ახალი გზისაკენ არა ჩვენი კერძო ინტერესების გულისათვის—ასეთს ცილს ვერავინ დაგვწამებს,—არამედ იმისათვის, რომ მსგავსი შეცდომები აღარ გამეორდეს და ერთ ფრონტზე გაერთიანებულმა მთელმა ქართველმა მშრომელმა ხალხმა მხოლოდ სპეტაკი ფურცლები ჩასწეროს დღეიდან თავის ახალს ისტორიაში.

# ახალი სკოლა.

## II.

წინა წერილში შევეცადეთ შეძლების დაგვარად გამოგვერკვია ახალი სკოლის უმთავრესი თეორიული საფუძვლები. აღვნიშნეთ, რომ არ არსებობს სკოლის უცვლელი, გაყინული სახე, ის იცვლება ცხოვრებასთან ერთად, ან უკეთ, იცვლება მიტომ, რომ იცვლება თვით ცხოვრება.

აქედან ცხადია, ახალი სკოლა უნდა იყოს აუცილებლად შრომის სკოლა, რადგან შრომაა ახალი ცხოვრების საფუძველი.

სკოლის ორგანიზაცია ამ ახალ საფუძველზე ადვილი საქმე არ არის, ის მრავალ სხვა პირობებს გარდა დროსაც მოითხოვს.

ჩვენი დღევანდელი მასიური სკოლა ჯერ კიდევ შორს არის იდეალურ სკოლიდან, ბევრ შემთხვევაში კი ის იმ ჩანასახსაც მოკლებულია, საიდანაც უნდა გაიზარდოს ახალი სკოლა.

დავიწყოთ თუ გინდ მასწავლებლიდან.

ახალ სკოლას ძველებურად არ ესმის მასწავლებლის დანიშნულება.

ახალი სკოლა მოწაფეებს და მასწავლებელს აზროვნობს, როგორც ერთ კორპორაციას, რომელიც შრომობს, ეძიებს და ამ შრომა-ძიებაში იძენს ცოდნასაც. ამ მუშაობის უჩინარი ორგანიზატორი არის მასწავლებელი.

ეს როლი, რასაკვირველია, ბევრად უფრო ძნელია: კარგ ორგანიზატორს უეჭველად ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რა ორგანიზაციას აწყობს ის და საამისო ხალისი და უნარიც უნდა გააჩნდეს.

მერე, ნათლად აქვს წარმოდგენილი ჩვენს მასიურ მასწავლებელს ახალი სკოლის ამოცანები, მიზნები, რომ მათ შეუფარდოს სკოლის ორგანიზაცია?

უმეტეს შემთხვევაში არა.

სკოლის გარდაქმნის ხანაში განათლების მუშაკთ ამსუყებული უნდა ჰქონდეთ გული შესაფერ ლიტერატურით, ნამდვილად კი ისინი დამშეულნი არიან ამ მხრივ.

ამ ფუფუნებას ეძლევა მხოლოდ ქალაქის მასწავლებელი, ისიც დიდი ქალაქების, პროვინციის მასწავლებლამდე კი ლიტერატურა ვერ აღწევს. ეს მაშინ, როდესაც წიგნის ბაზარი წალეკილია ახალი ლიტერატურით.

რომ მიაღწიოს კიდეც სოფლის მასწავლებლამდე ახალმა წიგნმა,—ბევრ შემთხვევაში ის ჯეროვანად ვერ იყენებს, რადგან რუსული ენა არ იცის საამისოდ კარგად, ხოლო ქართულ ენაზე კი ასეთი წიგნები იშვიათობას წარმოადგენენ.

უეჭველია, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლების საზაფხულო გადასამზადებელ კურსებს, რომლებიც განათლების კომისარიატმა ორ უკანასკნელ ზაფხულში მოაწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ეს კურსები, უეჭველია, ნაწილობრივად ავსებენ იმ ნაკლს, რომელიც ლიტერატურის უქონლობით არის გამოწვეული.

ამ კურსებზე, განსაკუთრებით კი უკანასკნელი ზაფხულის კურსებზე, მუშაობის სიმძიმის ცენტრი უმთავრესად პრაქტიკულ მხარეზე იყო გადატანილი.

მეტად მნიშვნელოვანია პროგრამის საკითხი.

ამ მხრივაც ახალი სკოლა სხვა აზრისაა.

ძველი რუსეთის განათლების ერთ-ერთი მინისტრი, დიდ მიღწევად სთვლიდა იმ გარემოებას, რომ მან თავის კაბინეთში იცოდა, თუ ამა და ამ დღეს მთელი იმპერიის გიმნაზიებში, ვთქვათ, ისტორიის მასწავლებელი რას ასწავლიდა მოსწავლეთ.

აზრის სიკოტრე ამაზე შორს ველარ წავა. ახალი სკოლა ამ გაგებიდან ძლიერ შორს არის. იმას არა სწამს მკვდარი ტრაფარეტი, მაგრამ ეს არც თავდაუჭერელ სტიქიურობას ნიშნავს.

ახალი სკოლის პროგრამაში მოცემული უნდა იყოს ის ძირითადი რამ, რაც ამა თუ იმ კონკრეტ სკოლას უჩვენებს, საითაც უნდა მიიმართებოდეს მისი განვითარება თავისებური ნიუანსებით.

ასეთ თავისებურ სახეს ახალი სკოლა არამც თუ არ უარყოფს, არამედ მოითხოვს კიდეც, მხოლოდ, ვიმეორებთ, ის აღმოცენებული უნდა იყოს საყოველთაოდ მიღებულ საფუძველზე.

მუშაობის ასეთი პროგრამის მაწოდების საქმეც ჩვენში ორივე ფეხით კოჭლობს.

რამდენადაც ვიცით, ამ საკითხის გარშემო ახლა სწარმოებს ენერგიული მუშაობა, მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ეს ენერგია ისეთი ვარაუდით დახარჯულიყო, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელს ეს მთავარი დასაყრდენი ყავარჯენი ხელში სჭეროდა.

ყველა ეს საბოლოო ანგარიშში უთუოდ უარყოფითად მოქმედობს სკოლის მოგვარების საქმეზე.

აქავე, ამავე თვალსაზრისით არ შეიძლება არ შევეხოთ მასწავლებლის ხელფასის საკითხსაც. მართალია, საერთო ეკონომიურ გაჭირვების დროს ფართეთ ვერ გასწიმავ ფეხს, მაგრამ ისეთი მინიმუმი მაინც უნდა ჰქონდეს განათლების მუშაკს, რომ ძალღონის აღდგენასთან ერთად **შემოქმედებითი, ხალისიანი** მუშაობის უნარიც ჰქონდეს, თორემ უამისოდ შრომის სკოლა არ არის ნამდვილი შრომის სკოლა. ყველაზე საშიში ის იქნება, თუ რაიმე მიზეზით განათლების მუშაკში მუდამ ცოცხალი და შემოქმედებითი მუშაობის ნაცვლად დაიბუდებს ყოველგვარ ხალისსა და ინტერესს მოკლებული აღმსრულებლობის გრძნობა ახალ პრინციპებთან გარეგნულად შეგუებით. ეს იქნება ამ პრინციპების ჩაკვლა.

გარეგნული შეგუება კი არა, შეთვისება, შესისხლხორცება უნდა ამ ახალ პრინციპებს, რომლების გარეშე ჩვენი დროის შესაფერი სკოლა რეალობად ვერ იქცევა.

ასეთი გარეგნული შეგუების აშკარა ნიშნები მრავალია დღესაც.

არავინ უნდა გაიტაცოს მხოლოდ გარეგნობამ, მკვირალობამ; სასკოლო ხელისუფლებამ არავინ არ უნდა წააქეზოს ამ მხრივ. კარგი გარეგნობა შედეგი უნდა იყოს სკოლის შინაგანი, ორგანიული ზრდისა. ფერ-უმარილის ხმარება უნდა აეკრძალოს სკოლას, თორემ ეს იმდენად იაფ ფასიანი ეფექტია, რომ ვშიშობთ, მან არ ჩაკლას, და აპახინჯოს სწავლების ახალი ორგანიზაციის საქმე.

ეს ერთნაირად მასწავლებლის მომზადების და მისი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხიც არის. ახალი

სკოლისთვის მომზადებულ მასწავლებელს ვერ დააკმაყოფილებს მუშაობის მოჩვენებითი მხარე, ის უფრო ღრმად შეხედავს საქმეს. მატერიალურად უზრუნველყოფილი მასწავლებელი არ დაზოგავს შრომას, ყალბ ეფექტებს მოერიდება და ამრიგად სკოლა გამოჰფენს არსებითად მკვიდრს, შინაარსიან ნაწარმოებთ. ეს იქნება იმავე დროს მეტად ეფექტიური გამოფენა. ჩვენის აზრით, ეს ერთი საყურადღებო მხარეა ახალი სკოლის ორგანიზაციისა.

აქ ძალაუნებურად ისმება საკითხი საცდელ-საჩვენებელ სკოლების შესახებ.

საცდელ-საჩვენებელი სკოლები, როგორც ყოველგვარი საცდელ-საჩვენებელი ინსტიტუტი, დიდად მნიშვნელოვანი რამ არის. ასეთი სკოლების კარი ფართედ უნდა იყოს ღია მასწავლებელთათვის, ისინი ხშირად უნდა უდგენდენ ფართე მასწავლებლობას თავის დაკვირვების, გამოცდილების ანგარიშს.

ეს მარტო ტფილისს არ უნდა შეეხებოდეს.

როგორც ყოველ დარგში, ისე სასკოლო საქმეშიც ყურადღების ფოკუსში ტფილისია მოთავსებული (ეს ბუნებრივია), დანარჩენ ადგილებს კი ნაკლებად ექცევა ყურადღება (ეს კი არ არის ბუნებრივი). ძალიან კარგი იქნებოდა, რომ რესპუბლიკის რაიონებს უხვად მოჰფენოდა საცდელ-საჩვენებელ სკოლების ქსელი. ეს სკოლები უეჭველად ჩვეულებრივ მატერიალურ ბაზაზე უნდა იყოს აღმოცენებული. სწორედ ასეთი სკოლები იქნება ჩვენი მასწავლებლისათვის ნამდვილი საცდელ-საჩვენებელი: ის ნახავს, რისი გაკეთება შეიძლება ახალი სკოლის პრინციპების განხორციელების მიმართულებით იმ მძიმე ეკონომაურ პირობებში, რომელშიც იმყოფება სახელმწიფო. შეიძლება ასეთი სკოლების მიღწევანი უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე მდიდრად მოწყობილი საცდელ-საჩვენებელი სკოლებისა, სამაგიეროდ ისინი უფრო გამოსაყენებელი და მისაბაძი იქნება მასიურ სკოლისათვის. ამას კი მეტი არაფერი დასჭირდება, გარდა იმისა, რომ თეორიულად გაწვრთნილმა და პრაქტიკულად გამოცდილმა მასწავლებლებმა, რომლებიც ტფილისში ახლა საკმაოდ მოიპოებიან, თუ გინდ დროებით გადინაცვლონ ადგილი და პროვინციას ეწვიენენ.

აქვე არ შეიძლება არ აღიძრას საკითხი განათლების მუშაკთა სახლის შესახებ. ტფილისის მასწავლებელთა ერთი დიდი მიღწევათაგანი არის განათლების მუშაკთა სახლი. ეს მეტად კარგი სკოლაა ტფილისის მასწავლებელთათვის. რამდენადაც ვიცით, ტფილისის გარდა არსად არ არსებობს ჩვენში ასეთი სახლები, ან თუ არსებობენ, სრულ უმოქმედობას იჩენენ. ეს თვით მასწავლებლების საქმეა, მათი დაუდევრობაა.

მწვავედ სდგას საკითხი სახელმძღვანელოების შესახებ. ძველი სკოლისათვის სახელმძღვანელო იყო ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებდა სწავლების საქმე. ახალი სკოლა კი სახელმძღვანელოს ასეთ საპატიო ადგილს, რასაკვირველია, ვერ მიაკუთნებს, ის ერთი დამხმარე საშუალებათაგანია. აი, ეს დამხმარე საშუალება უნდა ჰქონდეს სკოლას. სახელმძღვანელოს ხელაღებით დევნა, ვფიქრობთ, არ იქნებოდა კარგი სამსახური ახალი სკოლის საქმისათვის. დღესდღეობით ამ მხრივ დიდი შიმშილობაა

რაკი შიგ სკოლაში შევიხედეთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი სხვა საჭიროებანიც: შენობა, ავეჯი, სასკოლო ნივთები.

შენობების მხრივ მეტად უნუგეშო მდგომარეობაა. ყველასათვის ცხადია, რომ ამის მოგვარება ადვილი საქმე არ არის. მას კიდევ კარგა ხანს ვერ მოაგვარებს სახელმწიფო, თუ თვით ადგილებიც არ გაიხდიან ამას განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად.

ადგილობრივი აღმასკომის ხალისს, თაოსნობას ბევრი რამის გაკეთება შეუძლიან ახალი შენობების აგების მხრივ თუ არა, ძველების შეკეთების მხრივ მაინც.

ჩვენ შეგვიპყრობს ხოლმე სხვადასხვა პსიქოზი: ერთ ხანს სახალხო სახლების პსიქოზით ვიყავით შეპყრობილნი, მერე ელექტრონული სადგურების პსიქოზით. ძალიან კარგი კი იქნებოდა სასკოლო შენობების აგების პსიქოზმაც რომ შეიპყრას პერიფერიის მომუშავენი. შეიძლება ეს საერთო საგეგმო მუშაობაში ვერა თავსდებოდეს, მაგრამ რაც ადვილად ვერა თავსდება, ზოგჯერ ჩაიჭედება ხოლმე, ამა თუ იმ მხრივ იმდენად მაინც უნდა მოეწყოს საქმე, რომ პერიფერიის სკოლების ბავშვებს თავზე არ აწვიმდეს და სიცივით არ იყინებოდენ.

ავეჯის მხრივაც ცუდად არის საქმე. ალბად მალე არ დადგება ის დრო, როცა, მ. მონტესორის თქმისა არ იყოს, პარტა მუზეუმში იქნება ვადატანილი და ალბად ბორკილებთან ერთად იდგმება. მაყურებელნი გაოცებით შეხედავენ მას,— ამაში ყოფილან ოდესღაც ჩაჭედილნი მოსწავლენი სწავლის დროსო. პარტა ასეთ სამუზეუმო ნივთად ჯერ არსად გადაქცეულა, ის ჩვენ სკოლაშიც ჯერჯერობით მკვიდრად სდგას. თუ შეუძლებელია ჯერჯერობით მისი გატანა სკოლიდან, ის ნაკლებ ბოროტებად მაინც უნდა იქცეს. პერიფერიის სკოლები ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობაში არიან.

რამდენადაც ვიცით, სამი წელიწადია, რაც ტფილისში არსებობს სასკოლო სათვალსაჩინო ნივთების ინსტიტუტი. ეს, უეჭველია, მოძველებული ინსტიტუტია, აღარ შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მკვებავ დაწესებულებად. დღევანდელი სკოლის კედლები მოფენილია თვით მოწაფეების ნამუშევარით. ფაბრიკაში დამზადებულ სათვალსაჩინო ნივთებს არა აქვს ადგილი და არც შეიძლება ჰქონდეს ახალი სკოლის განსაკუთრებით დაბალ ჯგუფებში. მაღალ ჯგუფებისთვის კი სხვადასხვა იარაღების და მოდელების დამზადების მხრივ აღნიშნულ ინსტიტუტს აქვს თავისი მნიშვნელობა. სკოლაში ეს ინსტიტუტი არა სჩანს.

საერთოდ ჩვენმა სკოლამ განიცადა და ღრმადაც განიცადა რევოლიუციის დინამიური ძალა. აქედან ის საბოლოოდ გამარჯვებული გამოვა. თუ დღეს ის შორს არის იმ მიზნებიდან, რომელიც დაუსახა რევოლიუციამ, მომავალში, როდესაც სახელმწიფოს განვითარებული ეკონომიკა შექმნის საამისო პირობებს, ჩვენი სკოლა იქცევა ნამდვილ შრომის სკოლად.

პ. მეტრეველი.

# საქართველოს კულტურული განვითარება.

როდესაც ერთ-ერთ ამხანაგს დადებითად ვუხასიათებდი საქართველოში ეროვნულ კულტურის განვითარებას და მის მომავალ მუშაობას,—მან მიპასუხა: შენ, ძმაო, ძალიან ჩაუთრევიხარ კულტურულ დარგში გარეგნულ, ფორმალურ ხასიათის მუშაობას, თორემ ახლო რომ იდგე, ამას არ იტყოდიო.

მე მინდა როგორც იმ ამხანაგს, ისე მრავალს, როგორც ჩემი აზრის მოწინააღმდეგეს, ისე ჩვენი გზის მიმდევარს, სრულიად მიუდგომლად, მარტივად დავუხასიათო საქართველოში ამ ჟამად ეროვნულ კულტურის განვითარება და ის მუშაობა, რომელიც დღეს ტარდება განათლების ხელმძღვანელი ორგანოების მიერ.

ერის განვითარება დამოკიდებულია მისი ეკონომიურ განვითარებისაგან. ეს ძველი მარქსისტული მცნებაა მაგრამ ამ მცნებას აქ ცოტა დამატებები სჭირდება.

ჩვენ როცა სოციალისტურ რევოლიუციის და სოციალიზმის საქმიანობას ვეწევით ინდუსტრიალურათ ჩამორჩენილ სახელმწიფოებში, რომლებიც სოფლის მეურნეობის ქვეყნებად არიან მიჩნეულნი განუვითარებელ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკით, აქ ეკონომიურ განვითარებასთან ერთად საკითხი ისმის მეორე უფრო მნიშვნელოვან—კულტურულ დარგზე.

ჩვენ ვიცით საქართველოს მდგომარეობა. ის სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. აქ გლეხობას არა თუ საკმაო მიწა აქვს დასამუშავებელი, არამედ ის ამ მხრივ ძალიან შევიწროებულია.

ქართველ გლეხს არ ძალუძს დღეს ეკონომიურად აღორძინება, თუ მას გვერდში არ ეყოლა მეზობელი, რომელიც მას დახმარებას გაუწევს როგორც ტეხნიკით, ისე ქონებრივად. ქართველი გლეხი უმიწობის გამო ხშირად გაურბის თავის სოფელს და გადადის ქალაქში სამუშაოდ, რითაც აიხსნება ისეთი ინდუსტრიალურად ჩამორჩენილ ქვეყანაში ასეთ მებრძოლ და შეგნებულ მუშათა კლასის არსებობა, როგორიც საქართველოშია.

ეკონომიურად გლეხის მოღონიერება დამოკიდებულია პირველად ყოვლისა მის კულტურულ განვითარებაზე. ბევრი გვეტყვის: ეს საერთო ფრაზაა, ასეთია ეკონომიურ პრობლემის გადაჭრა ყველა ქვეყნებშიო. მაგრამ არა, ჩვენ სულ სხვა პირობებში ვართ; ჩვენ სულ სხვა გვარ გზით გვიხდება სიარული.

საქართველოს არა აქვს ქარხნები-სამრეწველოები, ის დიდხანს მოკლებული იქნება საერთოდ მის ბუნებრივ პირობებში ინდუსტრიის განვითარებას და გაყვება სოფლის მეურნეობის განვითარების გზას.

მართალია, დღესდღეობით ეს გზა ძალიან მოისუსტებს, სასოფლო-სამეურნეო მუშაობა ჩვენში წარმოებს პირველ-ყოფილ წესით, მაგრამ საჭიროა ამის შეცვლა ახალი ტეხნიკით, ახალი სასოფლო სამეურნეო იარაღების შეძენით.

საქართველო თავის სამეურნეო ხასიათით ისეთ ერთეულს წარმოადგენს, საცა სოფლის მეურნეობის გარეშე ცოტა რამ გაკეთდება. საქართველოს თუ არ ეყოლა მაგარი ხელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის და ცოდნის დამკვიდრება გავრცელებაში, მისი ეკონომიურად განვითარება შეუძლებელია.

აი აქ არის საქართველოს განვითარების უაღრესი ბედი და ეს ბედი უნდა გადაჭრას ჩვენში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებამ, მისმა ყოველდღიურ ამოცანებმა.

მე აქ ვერავინ შემედავება, მე აქ ვერავინ მეტყვის, რომ ის პარტია, ან ის პოლიტიკა, რომელიც ასეთ ხაზს ატარებს საქართველოს ეკონომიურად აღორძინებისათვის, სცდებოდეს.

მიტომ ვამბობ მე, რომ საქართველოში ეკონომიური განვითარება შეუძლებელია, თუ მას არ ეყოლა კულტურულად სათანადოთ მომზადებული მეურნეები.

ასე სვამს საკითხს დღეს მმართველი პარტია. ასე სჭრის დღეს საქართველოს ეკონომიურად განვითარების საკითხს მმართველი პარტიის პოლიტიკა და ამას უნდა გაჰყვეს ყველა ის, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გული შესტკივა.

საერთოდ, დღეს აღიარებულია უარყოფილად გზა ჰუმანიტარულ განათლების, გზა კანცელიარისტების და მოხელეების შექმნისა ძველი ჰუმანიურ სკოლების მიხედვით და მიჩნეულია ახალი გზა—გზა სპეციალურ ცოდნის შემოღების, მისი განმტკიცების.

ამ გზას ვერ ასცილდება ვერც საქართველო.

ეს სრულიად ახალი გზაა. სპეციალური ცოდნა შექმნის იმ საჭირო სპეციალისტებს, რომლებიც ესაჭიროება ჩვენს ჩამორჩენილ ყველა დარგებს.

სპეციალურ ცოდნის შეტანა ჩვენს სწავლა-განათლების დარგში იქნება მომავალისათვის დიდი საქმე.

სპეციალურ ცოდნის დამკვიდრების მხრივ დღეს დიდი მუშაობა სწარმოებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განსავითარებლად. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ს. ნ—ვი.

# შეხვედრა.

მიყვარს ელვა, რომელიც ჰფხრეწს ტურფა კახეთის ღრუბლების ნაღვლიან ძაძებს...

უფრო მეტად მიყვარს მისი განთიადი, რომელიც სიხარულის მარგალიტებით მომიკენჭავს ხოლმე გულს...

საამოა კახეთის მთების ნახვა, როცა იგინი იღვიძებენ დილის მზის სხივთა ამბორისაგან.

უთენია გავემგზავრე ენისლიდან...

მინდოდა გზაში ამოთინათინებულიყო აისი და დატკბარიყავ ბუნების მეჯლისით...

დიდი ხნის დაუნჯებული სალამი მიმეძღვნა ყვარლის მთებისთვის.

უცხოეთში გადახვეწილი ახლად დაბრუნებული ვიყავი...

გული უჩვეულო ძაგძაგით მოელოდა მშობელი მიდამოების შეალერსებას...

ბუნება იგეთივე უბადლო მშვენებით სავსე მხვდებოდა, როგორიც იყო ათასი, ათიათასი წლის წინეთ და როგორიც იქნები კიდევ მრავალი ათასეული წლების განმავლობაში...

მოგონების სერები აფერადდნენ ფარშავანგებივით...

აი ორას წლოვანი—ხეების პატრიარქი მუხა...

მის ჩეროში მიყვარდა ოცნებობა...

აი კიელნის ტაძარივით ლაჟვარდ სივრცეში კისკასად ასხლეტილი წიფელი...

ამ ხუთი წლის წინეთ მის სვეტზე ამოვჭერი ოთხი, ოთხი ასო, რომელნიც მისტიურ ლოგოსზე უფრო გრძნეულნი იყვნენ.

—

მთები აანთო მზის უამრავ თვალთა ელვარებამა...

შორს შარაზე გამოჩნდა ვიღაცა ზეითით მომავალი...

ჯერ ვერ გავარკვიე...

დამიპირისპირდა...

ქალია.

— დათა!..

— ქეთო!..

სიხარული, კასკასი..

ფანცქალებს გული... ფანცქალებს ისე, თითქოს ტყვეობიდან გამოფრენილი ჩიტუნია იყოს, რომელიც შიშნეულობს, ხელახლა არ გაებას მახეში...

ეს ის ქალია, რომლის სახელი ახლაც ამჩნევია წიფელსა...

ძველებურის სინაზით შეეალერსე...

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ბედმა შორეულ ჩრდილოეთის ყინულიან უდაბნოში გადამისროლა რევოლიუციონურ რომანტიზმისგან გახურებულ შუბლის გასაგრილებლად.

როდის, როდის ველირსე დაბრუნებას...

მართალია, ოცნების ფრთები ცოტა არ იყოს შემელანძა ყარიბობაში ყოფნის დროს, მაგრამ სრულიად უვნებლივ შემრჩა გული..

იგი ბუდედ იყო გადაქცეული...

შიგა ბუდობდნენ მაღალ იდეალების არწივები...

მშობელ ქვეყნისადმი სიყვარულის შევარდნები...

მოჰკრეს თუ არა თვალი ქეთინოს ამ ჩიორებმა—ყივილ-ხივილით შემოეკუნწლნენ მას...

სასოებით შეჰფრფინვიან...

შესჭიკჭიკებენ...

ეჭვი არაფრისა აქვთ...

სწამთ, კვლავ ვეყვარებით ქეთინოს...

გვჯერა, ქეთინო ჩვენსავით გრძნობა უცვლელი დაგვხვდება...

ასე მგონია, მისი გული ძვირფას სკივრში შემინახნია...

მასალები თან წამიღია...

დღეს შევხედი და გავაღებ ამ სკივრს...

ამოფრინდება გული:

სიყვარული მოფართქალე,

მოალერსე...

დუმილი ჩამოვარდა ჩვენს შორის...

დაიწყო ჩვენი სულის ლიტანია...

მეტერლინკი ტყუილს კი არ ამბობს: როცა სულები ლაპარაკობენ, მაშინ ბაგენი სდუმანო...

ვიშ, რა ნაირნაირ ზღაპრებს უამბობენ ეხლა ერთმანეთს ჩვენი სულები...

— სხვა, როგორა ხართ, დათა?—დაარღვია სიჩუმე ქეთომ... ნეტავ იგივე ფანტაზიორი დარჩით, თუ ცხოვრებამ ჩამოგიყვანათ ცოდვილს მიწაზე?

— ბიჭოს, ქეთინოს ხუმრობაც უსწავლია... განა მართლა დამცინის... თვითაც ხომ მეოცნებე იყო... ყასიდათ ენა მაკვილაკობს... კარგია, რატომაც არა. სიცილი საუკეთესო საშუალებაა სულის გასამხიურებლად... ვისაცა ჰსურს ბედნიერება—მან უნდა იხუმროს... იცინოს...

— სწორეთ, სწორეთ, ქეთინო, იგივე დარჩი, როგორიც დაგშორდი.., მიყვარან ვარსკვლავები... იდეალების კეკლუცი მწვერვალები... ახალგაზდობა, რომელიც მებუკენი არიან ქარიშხლებისა და... მიყვარს აგრეთვე ქეთინო... მშვენიერი, ნადირობის ქალღმერთის დალის ორეული ქეთინო...

ქეთო ირიბად მიყურებს...

— თქვენა, თქვენა ქეთინო... თქვენც ხომ ჩემსავით გიყვართ ოცნებათ ქროლა?.. გახსოვეთ, თქვენ მეთანხმებოდით ხოლმე... ქვეყნად ყვავილებსა, ვარსკვლავებსა, მწვერვალებსა და ახალგაზდების გარდა სხვა რომ არა იყოს რა—ქვეყანა სრულიად არაფერს დაჰკარგავდაო...

— უნდა გამიცრუოთ, მეგობარო, იმედი...

მე დიდი ხანია, რაც სიყრმის კიჰებივით დავიცვალე ვარდისფერი სათვალეები... მე სადა ცხოვრება მირჩევნია თქვენს პოეზიას.

მე გავცბი..

ელდა ნაკამ თვალებს შეთიანივით ვაცეცებდი...

როგორც იყო დავარღვიე სიჩუმე, თუმცა არ ვიცი, რაღაც სწორეთ უბრალო კითხვა მივეცი.

— საით მიემგზავრებით, ქეთინო?..

— თელავისკენ... ინდაურები მიმყავს გასასყიდად...

— ინდაურები?..

— დიახ!.. თელავიდან მოხვალთ... ხომ არ იცით ინდაურების და ღორების მაზანდა... ისეთი ქოსმენები მყავს, ისეთი, რომ მწუ!..—იკოცა თითებზე აღტაცების ნიშნად...—ამას წინეთ ბურვაკები ჩავასხი თბილისს... კარგა ფულიც ჩავიჩხრიალე.. ღორებიდან უფრო მეტს მოველი...

დაიწყო ვაჭრობაზე მუსაიფი...

კარგა შეესწავლა მეცნიერება სპეკულიაციისა და მიხსნიდა მის საიდუმლოებას, როგორც ძველს მეგობარს...

მე უგუნურს მეგონა გამომკითხავდა ცივი ციმბირის რევოლიუციონერთა ამბებს...

მომილოცავდა, რომ ხასიათ დაუმსხვრეველი გადურჩი იქაურ ინკვიზიციას...

მეტყოდა, რომ თავანკარად შემინახა სიყვარული...

ნამდვილად კი...

გაჰქრა სიყვარული...

ჩემს წინ ნადირობის ქალღმერთის დალის ორეული კი არ იდგა, არამედ ჯმუგი, ავყია როკაპი...

მიძნელდებოდა დამეჯერებინა, რომ იგი ოდესღაც მიყვარდა...

მეუფლა ისეთი განწირულება, თითქოს მუხანათი მტერი შემომპარვიყოს გულში და მთლად გავექურდე...

წაეღო ყველაფერი ის, რაც შარავანდედით მმოსავდა და მახალისებდა...

ქეთინო კი მიძუგძუგებდა და სანოვაგ-ინდაურებით გამოჯეკილ ხურჯინს მიარბეინებდა ყანთრისაკენ...

**დ. თურდოსპირელი.**

# მარიხელი

(ფანტასტიური პოემა)

## ნაწილი პირველი

### I

მუშათ უბანში სიონა
ყველასგან არის ცნობილი,
ყრმობითვე მათში გაზრდილა
შრომის ალმურში წრთობილი.
ბევრი ჰყავს კეთილ-მოსურნე,
ბევრი ჰყავს კარგი ძმობილი,
ამხანაგებში აროდეს
არვის უნახავს გმობილი;
ჭირში და ლხინში მათთანა
მათებრ ტანჯვაში შობილი;
მტკიცეა, შეუპოვარი
და გულმამაცად ხმობილი.

თუმცა ჯერ ახალგაზდაა,
ულვაშებ აკოკრებული,
თვალები, როგორც ვარსკვლავნი;
უბრწყინვენ სხივ-ანთებული:
მზით გადარუჯულ სახეზე
ღარები არ დამჩნევია,
და არც მის ხუჭუჭ, შავ თმასა
ჭაღარა არ შერევია,—
მაგრამ ტანჯვა და ვარამი
ბევრი უნახავს, სჩვევია,
შხამით აღსავსე ფიალით
გულს სევდა ბევრჯერ სწვევია;
ჩაგრულთა მწარე გოდება
და მოთქმა სულს ჩასწვდენია,
და ბევრჯერ მღელვარ ფიქრებით
ღამე ვერ მოუსვენია...
დიდს და პატარას მით უყვარს,
რომ წრფელი გულით მათია.
არა სწამს სიტყვის გატეხა,
მოძმეთ ვამტანი კაცია.
უყვარს შრომა და მშრომელი.
სიმართლეს ემსახურება;
სულით და გულით სწადია
მჩაგვრელთა განადგურება.

მას არც დედა ჰყავს, არც მამა,
სცხოვრობს თავის დის ამარა,
მუშათ უბანში უწოდეს
მას „მშვენიერი თამარა“,
რადგან მის მზიურ სიტურფეს,
მის მოციმციმე სახესა,
და თვალებს, ტკბილი ოცნების
იდუმლად მოკარნახესა—
მთლად მოუხიბლავს უბანი.
ყველა მას ეტრფიალება,
ბევრი ჭაბუკი მშვენების
ისრებით გაიმსჭვალება.
მაგრამ ჯერ ტრფობას მის გულში
არ გაუშლია ვარდები,
ჯერ არ სწვევია ქალწულსა
სასიყვარულო დარდები.
როცა გაივლის უბანში,
ტოლ-მეგობრებში ტრიალებს,
როგორც ყვავილი რჩეული
ისე კეკლუცად ცქრიალებს.
თავს არ იწონებს და სხვებსაც
არ შეშურთ მისი მშვენება;
ჯერ არვის გაუგონია
ცუდათ თამარის ხსენება.—

### II

ბურუსიანი დილაა,
სხივი არსაით ციალებს,
ცის მუქ სივრცეში თოვლისა
ფანტლები მიმოფრიალებს.
თოვდა და თოვდა მთელ ღამეს,
თოვლი სდგას ერთობ მაღალი,—
დაფარულია ბილიკი,
ქალაქით ტყისკენ მავალი.
სიო კი მაინც არ იშლის,
ტყისაკენ მიეჩქარება,
ცხალისება ჭაბუკსა
თოვლის ფიფქებში გარება.
და ეუბნება:—ნუ შიხვალ,
გაგყინავს, გაცივდებიო;
დაიგვიანებ,—ხომ იცი,—
ლოდინით შევწუხდებიო,
მაგრამ სიონა ღიმილით
დას უპასუხებს ტკბილადა:
მე ხომ შვების-ძე არა ვარ,
ხომ არ მთვლი იმათ შვილადა.
გავივლი, გავისეირნებ
დაბურულ ტყეში თოფითა,
გულს აღარ ვიტკენ კაეშნით,
მაშვრალთა ბედის გმობითა.
დიად ბუნების წიაღში
სული ფრთებს გაშლის შვებული
და იამაყებს სამყაროს
შუქთა ზღვით გაშუქებული...

გავიდა. მიდის, მიხტუნავს,
შარას დააჩნდა კვალები.
თან გააყოლა თამარმა
ტრფობით აღსავსე თვალები.—

### III

სძინავს ტყეს, თოვლით დაბურულს,
ტოტ-დახრით დგანან ხეები;
რაღაც ღრმა ფიქრში წასულან
თეთრად მოსილი კლდეები;
დუმილი მეფობს ყოველგან,
წყაროც კი ოდნავ ჩხრიალებს,
მხოლოდ ხანდაზმით ბუჩქებში
შაშვი თუ შეიფრთქიალებს...
მიდის სიონა ღრმა ტყეში
ოცნებით მონაკრძალებით,
თითქო ტყე ზღაპარს უამბობს
აღსავსეს იდუმალებით...
აგერ კურდღლის კვალს წააწყდა,
თან გაჰყვა აჩქარებული,
თუ მოჰკლავს, დააჯილდოებს
დის სახე გაბრწყინვებული.
მიდის და ფრთხილობს. ხელებში
თოფი აქვს მომარჯვებული,
ბავშივით ნატრობს, რომ სახლში
დაბრუნდეს გამარჯვებული.

მიდის, ისწრაფის სიონა,
კვალს მისდევს გაოფლებული...
უცებ ვით ელდა-ნაცემი
შეჩერდა გაოცებული:
ხედავს ხის ძირში საოცარ
ჭაბუკს, უგონოდ მდებარეს,
არც ცოცხალსა ჰგავს, არც მკვდარსა,
არც მძინარს, არცა მთვლემარეს;
ისეთი ტურფა სახე აქვს,
რომ თოვლზე უფრო თეთრია;
მის მსგავსი სახის ნაკვთები
კაცთ შორის არ შეხვედრია.
მშვენიერია ისე, ვით
კალმით ნახატი ღვთაება,
ისე სჩანს, თითქო იმის გულს
აროდეს ეგრძნოს ვაება.
მით უფრო უკვირს სიონას,
აქ რომ სჭვრეტს დასვენებულსა:
აქ ვის რა უნდა, თუ არა
დევნილს და გაჭირვებულსა?!
ახედ-დახედა. სამოსიც
მოსავს უცხო რამ შალისა,
არც ვაჟის მორთულობაა,
არც თუ კაბაა ქალისა...
ახლოს მივიდა. აღვიძებს.
სპეტაკ შუბლს ხელი შეახო...
შეკრთაა ყრმა. ამოიკვნესა,
თითქო იძახის ტყე „ახო“.
გაალო ფართე თვალები,
სიოს უცქერის ტრფობითა,
ტუჩებს უმშვენებს ღიმილი
რაღაც ტკბილ სიამ-გრძნობითა,
თითქო ნატრობდა მის ნახვას,
როგორც ძმა დაშორებული...
სიო კი სიტყვას ვერ ამბობს
ისე სდგას გაოცებული...
ბოლოს, როდესაც უცნობი
ზე წამოდგომას ლამობდა,
გაცივებული ხელებით
ველარ სდგებოდა, წვალობდა,—
სიომ ხელები მოხვია,
უშველა - წამომჯდარიყო,
ისე უზელდა თითებსა,
თითქო უცნობი არ იყო.

ჰკითხავს: ვინა ხარ, ძმობილო,
ან აქ რამ მოგიყვანაო?
უსამართლობას ებრძოდი,
მიტომ გდევნიან განაო?

არ უპასუხა უცნობმა,
მხოლოდ-ღა ილიმებოდა,
იქნებ იმიტომ, რომ ზელით
თან და თან უფრო თბებოდა.
ფრჩხილთა წვა ჰქონდა და მიტომ
ხელი დაჰბანა თოვლითა,
გაათბო, გამოაცოცხლა
მეგობრულ ზრუნვა-მოვლითა.
და ისევ ჰკითხავს: ვინა ხარ,
მოსულხარ ქვეყნით რომელით?
მომენდე, ისე მიგაჩნდე,
როგორც ძმა თანამშრომელი.
ყრმა პასუხს აძლევს, მაგრამ რა—
საუბრობს უცხო ენითა,
სიომ ვერა-რა გაიგო,
ყურს უგდებს გულის ტკენითა.
სწადია—სიოს აუხსნას,
გააგებინოს რაღაცა...
ბოლოს კი უცხო ღიმილით
თითით უჩვენა მაღლა ცა...
სიომ სთქვა: თავს თუ მაბრალებს,
ცისკენ რომ იშვერს ხელსაო;
სახლში წავიყვან, მოუვლი,
როგორც ძმას საყვარელსაო.
— წავიდეთ სახლში, წავიდეთ,—
მუნჯურათ ეუბნებოდა,—
უცნობიც წამოიწია,
სავლელად ემზადებოდა,—
ცდილობს აილოს, თავქვეშ რომ
უცხო რამ ყუთი დებოდა,
სიომ აილო, უშველა,
ადგა უცნობი შვებული...
მიდიან ნელის ნაბიჯით
ხელი-ხელ ჩაკიდებული...

IV

თამარ ძმას ელის, მღელვარებს,
ტყისაკენ გაიცქირება;
დის ნაზი გული კაეშნის
ღრუბლებით დაიბურება.
სივრცეში ნისლის ზღვა ღელავს,
აცურებს ტალღათ გროვასა,
ეტყობა მალე დაიწყებს
გაძლიერებულ თოვასა.
შარას გასცქერის თოვლიანს,
გასცქერის გულის წრიალით...
აგერ სივრცეში ფანტლები
დაეშვენ ტრიალ-ტრიალით.
მთლად ჩამობნელდა მიდამო,
ტყე აღარა სჩანს წყეული...
თამარსაც გაურკვევდა
სევდა, ლოდინით წვეული.

უცებ სიო და უცნობი
ლანდივით გამოჩნდებიან;
ხან თეთრად კრთიან და ხანაც
ნამქერში იმალებიან.
თამრომ ძმა იცნო... ლაწვებზე
გადაეფურჩქნა ვარდები.
(ნეტავ შენს ბედსა, ჭაბუკო,
ვინც მის გულს შეუყვარდები!)
ძირს ჩაირბინა. სიონას
სურს მიეგებოს შვებული,
უცებ შენიშნა უცნობი
შეჩერდა გაოცებული.
სდგას და უცქერის... ვერ არჩევს
სიზმარია თუ ცხადია;
მის მსგავსი სახის მშვენება
ჯერ არვის დაუხატია.
სიოზე ოდნავ მაღალი,
რაღაც საოცრად მოსილი,
თვალები, ვით ცა ლაჟვარდი,
და სახე სხივებ-მოსილი—
სულში ჩაეჭრა ქალწულსა,
სდგას, კრძალვით მისჩერებია...
ჯერ ასე უცხოდ თამარსა
გული არ ასძგერებია.
სიოს ტუჩები უღიმის,
თამარს აჯავრებს ხუმრობით:
— მწამს კმაყოფილი იქნები
ამ უცხოელის სტუმრობით.
ბევრ მოტრფიალეს ამაოდ
უძლვნია ყვავილთ კონები,
ახლა კი ამ ყრმის მშვენებას
ვნახავ ვით დაემონები.

თამრო კვლავ უფრო გაოცდა
ძმის სიტყვით გამორკვეული,
ლაწვებს უმშვენებს ფერები
დარცხვენით გამოწვეული.
ძმა ეუბნება: დამშვიდდი,
არ ესმის მას ჩვენებური,
უცხოა, ალბად არ იცის
სით ილტვის გზით უნებური.
ვინ იცის, სადაურია
და რა ჭირშია მყოფელი,
ვინ იცის, რისთვის დასტოვა
თვისი ქვეყანა-სოფელი.
ვეცადოთ ჩვენ—ეს ამბავი
ქალაქს ნუ მოეფინება,
სჯობს ფრთხილად ვიყოთ მანამდე,
სანამ არ გვეცოდინება—
სადაურია, ვინაა,
რად არის აგრე ეული,
იქნებ ფეხდაფეხ მოჰყვება
მტერი გულშავი, წყეული.
ამიტომ გვმართებს სიფრთხილე,
უნდა დავიცვათ სტუმარი...
შეხედე დაღლილს, დაქანცულს
როგორ შეგყურებს მდუმარი.
და მართლაც იგი თამარსა
იმფერად მისჩერებოდა,
თითქო მის ლაჟვარდ თვალებში
იდუმლად სხივი კრთებოდა.
შეკრთა თამარი. საჩქაროდ
სახლისკენ პირი იბრუნა...
მან იმ დღეს უცხო სტუმრისთვის
ბევრი იშრომა, იზრუნა.

V

დღე გავიდა. და უცნობმა
შვება იგრძნო, მოისვენა.
აწუხებდა მხოლოდ ისა—
არ იცოდა მათი ენა.
ვერ-რა ეთქვა სიოსათვის,
როგორც მუნჯი მდუმარებდა;
ხან კი რაღაც უცხო ხმებით,
საუბრობდა, მღელვარებდა.
ეტყობოდა—გულში ედო
საიდუმლო დაფარული,
მისთვის იყო უცხო ქვეყნით
თავგანწირვით მოარული.
და-ძმაც გრძნობდენ, რომ უცნობი
უბრალო კაცს არა ჰგავდა,
უცხო სახეს, ვით ღვთაებას
გრძნობის სხივი უმოსავდა.
და როგორც ძმას გატაცებით,
წრფელის გულით მსახურებდენ.
მისი ზრახვა რომ გაეგოთ—
მარად თვალში შეჰყურებდენ.
ხოლო თამარს ყრმის მშვენება
ისე ხიბლავს, ვით გრძნეული...
სულს იტაცებს უცხო მხარე,
საოცნებო, შორეული...
მან არ იცის—ასე უცებ
რამ გარდაქმნა მისი გული,
და საიდან შემოიჭრა
სულში სხივთა თაიგული...

IV

მეორე დღეს ყრმამ ანიშნა
სიოს, რომ თან გაჰყოლოდა.
გამოვიდნენ. დარი იყო.
ვით წინა დღეს, აღარ სთოვდა.
მან ტყისაკენ გაიხედა,
გაიშვირა იქით ხელი.
სიოც მიხვდა—რის თქმაც სურდა:
იქეთ ჰქონდათ გზა სავლელი.
თუმცა უკვირს, მაგრამ მაინც
გულუშიშრად თან მიჰყვება...
მხოლოდ თამარს ნორჩი გული
მწარე სევდით აევსება:—
„ეჰ, თუ ისევ არ დაბრუნდეს,
მიეფაროს, ვით ოცნება,
მაშინ, სულო, შენი ვარდი
სევდის სუსხით გადასჭკნება“...
სდგას. უცქერის. ვერ გრძნობს, როგორ
დაჰქრის ზამთრის სუნთქვა ცივი,
და ოცნებას ჩაექსოვა
მოციმციმე ცრემლის მძივი...

მიეფარენ. ველარ ხედავს.
თეთრად ღელავს irgვლივ არე.
სპეტაკ თოვლზე სხივებს ათოვს
მზე ღრუბლებში მოელვარე...

მიდის სიო ტყის სიღრმეში
და უცნობიც თან მიჰყვება,
ჰფიქრობს: თუ რამ დაეკარგა
ახლა როგორ ინახება,—
ვინ გაიგებს სად იქნება
თოვლის ფიფქში გახვეული....
აგერ უკვე იქ მივიდენ,
სადაც ნახა ყრმა ეული.
მაგრამ იგი არ ჩერდება
და ისევ წინ მიიჩქარის,
თან მიჰყვება სიო, რადგან
სურვილია მეგოპარის.
გზა განაგრძეს. ხშირად უცებ
თოვლის ზვავში იფლებოდენ,
გაუკვალავ გზით ვიდოდენ
და მით ძლიერ იღლებოდენ...
ულრან ტყეში, კლდის ნაპირას,
იყო ერთი ვიწრო ველი,
იქ მივიდენ და სიომაც
დაინახა საკვირველი
საჰაერო გემის მსგავსი
დახურული რამ მანქანა.
და უცნობიც იმ გემისკენ
სიხარულით გაექანა;
გადახვეტა თოვლის ფიფქი,
აპრიალდა ფოლად-რკინა...
სიო უცქერს გაოცებით...
უცნობმა კი გაიცინა,
და ანიშნა—ჩემიაო,
ისევ ცისკენ იშვერს ხელსა,
სიო ჰფიქრობს, ალბად, ისევ
შველა თუ სურს უცხოელსა.

ამ მანქანით მოფრენილა,
რომ მტერს თავი დააღწიოს,—
ან კი ასეთ გემის პატრონს
მტერი როგორ დაეწიოს!
მიეახლა. და მუნჯურად
ითათბირეს მეგობრებმა,
გადასწყვიტეს—დაემალათ,
რომ ვერ ჰპოვოს გემი სხვებმა,
იქვე იყო მაღალი კლდე
ნაპრალებით დაღარული.
ბევრიც სძებნონ, ვერვინ ჰპოვოს
მასში გემი დაფარული.
ნახეს. უცნობს მოეწონა.
შეაცურეს კლდეში გემი.
გამობრუნდენ. სიო ჰფიქრობს:
„ხომ აღსრულდა ფიქრი ჩემი:
დევნილია, მაგრამ მასში
საოცარი არის ძალა,
ალბად რაღაც დიად მიზანს
თავი თვისი ანაცვალა“...

(შემდეგი იქნება)

**ობოლი მუში.**

# ქართული ლიტერატურა.

## 1. ლ ი რ ი კ ა.

ბევრი რამ გასაცვიფრებელი სანახაობა წარმოუდგენია ისტორიას, მარა ისეთი, როგორც რუსეთის დიდი რევოლიუცია, რომელსაც მოყვა ბოლშევიზმი და პატარა ერების პოლიტიკურად განთავისუფლება—ჯერ არც ნახულა, არც გაგონილა ისტორიაში.

საქართველოც ისე, როგორც უკრაინა, გათავისუფლდა ცოცხლათ გაყინულ რუსეთის უშველებელ აბსოლიუტიზმის ცხრაკლიტულიდან, მოინათლა წმინდა სოციალისტური რესპუბლიკის ემბაზში და თავზეც დაიდგა გაჩირაღდნებული დიდებისა და ძლიერების გვირგვინი.

ამასთან ერთად, საქართველო, ფეოდალიზმის მრავალ სამეფოდ და საერისთაოდ დაყოფილ-დანაწილებული, სრულიად გაერთიანდა ერთი დიადი, მიმზიდველი და ძლიერი დროშის ქვეშ. და ამ დღიდან სწორედ ქართველმა მოქალაქემაც ძლიერი, დიადი სიცოცხლის ფასი ღრმათ იგრძნო და თავისუფლათ, ძლიერათაც ამოისუნთქა...

სწორეთ ამ დროს, ქართული ლირიკაც, მემკვიდრე აკაკის მახვილგონიერი ლირიკისა, სასწაულს მოახდენდა გვეგონა, და გასაოცარი, ძლიერი ხმებით ამღერდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ამიერიდან ქართველი მგოსანი, იმისი მკვდრეთით ამდგარი მამულივით, შეიქნა სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი და გასპეტაკებულიც. და თავისუფლება ამ დიადი მამულისა ღრმათ გადაეჭდო ქართველი მგოსნის სულს და ბრწყინვალე, შუქურვარსკვლავისა და ბედნიერების ნაკადული შეიჭრა მის არსებაშიაც. ახლა საქართველო, თუმცა ღარიბია, მარა სხვაფრივ ყოველიფრით სრული და უნაკლულოა.

გვეგონა, ქართველი მგოსანიც სულით და გულით გამხიარულდებოდა იმ დიადი, ძლიერი, უშვენიერესი იდეით. მან იხილა აღფრთოვანებული, მოგუგუნე ქართველი პროლეტარიატი და ღარიბი დემოკრატია, რომლის მქუხარე და მჭექარე ოქროს სიტყვები ქარს მიჰქონდა მაღლა-მაღლა ღრუბლებში და არე-მარეს ფენდა დიადი პოეზიის ცეცხლს და ალს...

ჩემთვისაც, რა თქმა უნდა, მკითხველისათვისაც აშკარაა, რომ საქართველოს დღეს სჭირდება და ენატრება კიდეც დიდათ გაბედული სიტყვა, ცოცხალი, შემოქმედებით სავსე აზრი, მდუღარესავით ამოხეთქილი გრძნობა და ამაზე უფრო ძლიერი და წარმტაცი განცდანი

დღეს ჰირდება საქართველოს ყველა ეს, მარა სად არის! ქართული პოეზიის ვერც ერთ მიმართულებას: ვერც რეალისტურს, ვერც ნეო-რომანისტულს, ვერც „სიმბოლისტურს“ და ვერც პროლეტარულს თქვენ ვერ მოუძებნით ძლიერსა და ენერგიულს გამომსახველს ამ მოთხოვნილებისას.

მართალია, ქართველ მგოსანს კალამი ლამაზათ უჭირავს, ლამაზი ქართული სიტყვებითაც, თუ გნებავთ, ახალით, რომლითაც წერს ლექსებს და მეტის მეტათ პატიოსან გრძნობებსაც გულში გიღვიძებს. მარა, რა გამოვიდა! ჩვენი პოეტების ეს გრძნობანი თვალის დახამხამების უმალვე ქრებიან და არავითარ კვალს აღარ სტოვებენ. დღეინდელი მოქალაქის მრავალ სურვილებით გაუმაძღარს გულს ეს გრძნობა ღრმათ ვერა ხვდება, ვერა სწვავს მწვავის, აგზნებულის ცეცხლით, ვერ აღელვებს, ვერ აშფოთებს ქართველის გულს. წვრილ-წვრილათ, პაწია წვიმის, ან ნამის წვეთებათ წინწკლავს და მალეც, ძალიან მალე ქრება. ქართული ლირიკის ოთხივე მიმართულების ლექსები, მიუცილებლათ, პოეზიის ნაპერწკლებს ყრის, მარა ეს პოეზია ხანგრძლივათ ვერ ანათებს და ვერ ათბობს დღეინდელ მოქალაქის გულსა და სულს...

ჩვენი პოეტების ლექსების წაკითხვით, გამოცდილი და ცხოვრებაში ჩახედული ადამიანი ადვილათ რწმუნდება, რომ ამ ლექსების ავტორებს ვიწროთ შემოფარგლულ წრეში უცხოვრიათ და გასაქანი არ მიუციათ თავიანთი ბუნებრივი აღმაფრენისა და ტალანტისთვის,

მაგალითად, ქართველი მგოსანი წრფელის გულითა და სიყვარულითაც უცქერის მუშა ადამიანს, შეხარის მის შრომას და ყოველდღიურს ოფლისღვრას, შედის მის მდგომარეობაში, გულით ებრალება ეს პატიოსანი მშრომელი, მისი ჭირი და უბედურება პოეტსაც გულსა სწვავს. მარა აშკარად ატყობ და ნათლადაც ხედავ, ქართველი მგოსნის გრძნობა-გონება, აზრი, მთელი მისი მსოფლმხედველობა ძალიან ვიწროთ არის შემოზღუდული, ღარიბია, და ამჩნევ, რომ მას მუშათა საქმე, პროლეტარიატის დიადი როლი და დანიშნულება სრულიადაც არ ესმის, არ აქვს შეგრძნობილი და კარგათვე წარმოდგენილი სხვა და სხვა სოციალური კლასების ურთი-ერთ შორის ატეხილი ბრძოლა, ანტაგონიზმი და დამოკიდებულება.

მე ამ სიტყვებით სრულებით არ მინდა ვთქვა, რომ რაც დასწერა პოეტმა, არ ვარგიყოს. არა. მგოსანს დიაღაც გული ნაზი აქვს, გრძნობებითაც ალსავსე და ჩინებული ლექსიც დაუწერია ფორმითაც და შინაარსითაც. ამნაირათ, სწორეთ ძალიან კარგი პოეტური ნაწარმოები შეუქნია.

მარა, ჩემი ღრმა რწმენით, ეს არა კმარა, რადგან დღევანდელ ლირიკაში ეს მხოლოთ და მარტო პირველი ფეხის გადადგმას უდრის და ამაზე გაჩერება ჩვენს მეტად გართულებულს ცხოვრებაში ყოვლად შეუძლებელია.

დღეს ჩვენი ცხოვრება ძველს არა გავს, დღევანდელი გუშინდელისგან ძალიან განსხვავდება, სულ სხვა ფერისა და ხასიათის სანახაობას იძლევა, ჩვენ ყოველდღიური ყოფაც წუთობით რთულდება და მიქრის, თავბრუ დამხვევი სისწრაფით იცვლება და სხვაფერდება. და ყოველი ჩვენგანი თითოეულ ნაბიჯზე ხვდება ცხოვრების ათასნაირ დაწყევლილ საკითხებს, რომელიც დაჟინებით პასუხს თხოულობს. მაშასადამე, ქართველი მგოსანიც, როგორც თავისუფალი მოქალაქე, ამ სხვა და სხვაობის, ნაირ-ნაირი ცხოვრების წყეული საკითხების წინ არ უნდა შეკრთეს და შედრკეს. მგოსანიც ყოველის მხრით და ყოველნაირად მომზადებული და შეიარაღებული უნდა იყვეს, რომ ამ საკითხებს გვერდი არ აუქციოს, სრული უგუნებობა-ინდიფერენტიზმი არ გაალმერთოს, თავი საქვეყნოთ არ შეირცხვინოს და მის წინაშე მძლავრათ წამოჭრილი ამოცანები სწორეთ მის შესაფერისათ, თვისი საკუთარი, ორიგინალური შეხედულებითა და ტალანტით გადასჭრას.

აი, სწორეთ ამაშია უკვდავება. და ძვირფასი, სამარადისო სახსენებელიც მგოსანის სახელი, იმის დიდი პატივი და დიადობა, რომ იგი თავის სრულსა და მშვენიერს არსებაში სრულიად შეიცავდეს დღევანდელი დღის მრავალფეროვანი მებრძოლი ცხოვრების სრულსა და მდიდარ გამოხატულობას, განსახიერებას, მისი ნაირ ნაირის ხელოვნურათ აღწერას, თვისი საკუთარი ვრცელი და მდიდარი დიადი უნივერსალური წარმოდგენისა და ფანტაზიის მეოხებით დღევანდელი აჭრელებული, აზვირთებული მრავალგვარი სინამდვილის აღბეჭდვას...

დღევანდელი დღე, დღე დიადი და ბრწყინვალე, საქართველოში თხოულობს და დაჟინებით, ხმა მაღლათაც თხოულობს დიადს ტალანტს, ისეთს ტალანტს, რომელსაც შეეძლება ცხოვრების სინამდვილის ათასნაირი საკითხები, როგორც დიდი ფოკუსი, ერთს ადგილში თავმოყრით გვიძღვნას და გაგვიშუქოს, ძლიერი და ღრმა ნიჭითაც, ენერგიით და წარმოდგენით ერთ სინტეზში შეაერთოს მებრძოლი ცხოვრების სხვადასხვაფეროვბა და ვაჟკაცურათ, დაურიდებლათაც დალეწოს პატარ-პატარა პოეტების მიკიბულ-მოკიბული გონებრივი ნაწარმოებნი, გამოიყენოს იმათგანის, რაც საჭირო იქნება იმისი დიადი ტალანტისა და ჩვენი ცხოვრებისათვის.

და მაშინ, რა თქმა უნდა, დიდათ გამხიარულებული გულითაც აღტაცებული საქვეყნოთ წამოვიძახებთ: აი, მგოსანი, დიადი და მდიდარი ქართველი მგოსანი, ჩვენი დიადი რუსთველი და აკაკივით დასწერა უკვდავი მარგალიტი, „ხელის ხელ საგოგმანები“.

ხ.

# ამხ. ილ. გიორგაძის ხსოვნას.

გასული წლის 23 დეკემბერს პოლიტიკურ ნიადაგზე მოკლულ იქნა ამხ. ილ. გიორგაძე. ის იყო მუშა, ძველი რევოლიუციონერი. რევოლიუციონურ სარბიელზე მას კარგად იცნობდა არა მარტო თბილისის, არამედ ამიერკავკასიის რევოლიუციონური პროლეტარიატიც.

ილარიონი აქტიური წევრი იყო სოც.-დემ. მუშათა პარტიისა. ჩვენ მასში ვხედავდით პარტიულ დისციპლინისა და ტრადიციის მუშურ განსახიერებას. ჯერ კიდევ ლეგალური მენშევიზმის დროს ილარიონი პროფკავშირთა ცენტრის თვალსაჩინო წევრი იყო. მენშევიზმის პოლიტიკურად დამარცხების შემდეგ ის სათავეში უდგება იმავე ცენტრს, მხოლოდ უკვე არალეგალურს და სხვებთან ერთად გააფთრებით ებრძვის საბჭოთა ძალა-უფლებას ყველა ჯვარედინგზაზე.

ილარიონი იჭრება ჯერ ქალაქისა, ხოლო შემდეგ პარტიის აგვისტოს სალიკვიდაციო კონფერენციის დელეგატებში, ქმნის ოპოზიციას, შეაქვს მათში მენშ. პარტიის დეკლარაციები. მაგრამ სინამდვილე მასზე ძლიერი აღმოჩნდა.

და ეს ასეც უნდა მომხდარიყო: კონფერენცია როდი იყო შემთხვევითი. მან ჯამი გაუკეთა მენშ. პარტიის წარსულ საქმიანობას, გაერკვა საბჭოთა ხელისუფლების ბუნებაში, გულწრფელად აღიარა მისი პრინციპები და მოუწოდა მშრომელთ განეხორციელებიათ ერის საკეთილდღეო საქმე, მისი ამოცანა-მისწრაფებანი.

ახალმა საქმემ ახალი გზით მიიღო განვითარების ბუნებრივი სახე ქვეყნის ყველა მიმართულებით. ძველ რევოლიუციონერს, მასსის ერთ-ერთ ხელმძღვანელთაგანს, ილ. გიორგაძეს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია პარტიაში შემოჭრილ ახალ პოლიტიკურ მოვლენისათვის. საქართველოს ცხოვრების რეალური სინამდვილე, ხოლო პარალელურად სოც.-დემ პარტიის კონტრრევოლიუციონური საქმიანობა როგორც შიგნით, ისე გარედ, უკარნახებდა მას წასულიყო იმ გზით, რომლითაც ვიდოდა მის მიერ აღზრდილი და მასთან დაკავშირებული მუშები და გლეხები.

და ჩვენც ამხ. ილარიონს ს. დობორჯგინიძესთან ერთად უკვე ვხედავთ უკანასკნელთა რიგებში. ამხ. ილა-

რიონის მხრივ ასეთი როლის გათამაშება პოლიტიკ. მოწინააღმდეგეთა რიგებში ეს იყო დიდი მიღწევა დაწყებულ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის, ხოლო გამანადგურებელი დანაკლისი არა-ლეკალურ ცეკას ავანტიურისტულ საქმიანობისათვის. და უკანასკნელმაც ვერ მოინელა ილარიონის ახალი სიტყვა, ურყევი და გაბედული ნაბიჯი.

მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს...

ჩვენ ვერ წარმოგვედგინა პარტიის ხელი ამ საქმეში, ვერ წარმოგვედგინა, თუ მოღალატის როლს იკისრებდა პირში და ლხინში განუყრელი, სიყრმის იდეიური ამხანაგი მოტყუებით, ანგარებით, სასაკლაოზე გაიყვანდა მას.

გინდა არ დაიჯერო, გინდა გაექცე ამ სამარცხვინო სინამდვილეს, მაგრამ ფაქტები, შიშველი ფაქტები ყურში ჩაგვძახის იდუმალ საშინელებას...

ჩვენ გვახსოვს არა-ლეგალური ბრძოლა მეფის რეჟიმის წიაალმდეგ, ყველგან გვხვდებოდა ხალხის ფართე თანაგრძნობა, რევოლიუციონური ენტუზიაზმი, მუშაობის ასპარეზზე მათი კარები ჩვენთვის ღია იყო.

ჩვენ ვიბრძვით საბჭოთა ხელისუფლების წინაარდეგ, ხაზი ბრძოლისა გამოდგა უნიადაგო,—ხალხმა კარები გამოიხურა, ის მართალია. მან უკვე განვლო ომისა და შფოთის ხანა, ჩაება ქვეყნის მშვიდობიან აღმშენებლობაში, კვლავ ნულარ ურთულებ მდგომარეობას მას, თორემ ის ულმობელია, აღარ დაგინდობს...

მაშასადამე გამცემია არა ერთეულები, არა ამხ. ილარიონი, რისთვისაც თითქოს მას მიუზღეს ღირსეული სასჯელი, არამედ ის სოციალურ-ობიექტიური პირობები, რომელშიაც მოექცა, ცხოვრობს და საქმიანობს დღეს საქართველოს მშრომელი კლასი.

და როდესაც რჩევით მიდიხარ ჯერ კიდევ იქით დარჩენილ „თავდადებულ“ მებრძოლებთან და ეუბნები მათ, რომ ისინი უკვე ტყვეთ არიან ჩავარდნილი—ურჩევ თავი გაანებონ ერის ფიზიკურად დამღუპველ საქმიანობას ისინი რაინდულის თავმოყვარეობით შემოგიტევენ, შეგარცხვენენ, დეზერტირებათ გნათლავენ. ხოლო როდესაც იგივე დირიჟორები ჩეკაში ვარდებიან, ჰკუაზე მოდიან, თეზისებისა და დეკლარაციების წერაში ერთმანეთს ეცილებიან,—რა უნდა უწოდოთ ამას? ასეთი საქციელი კი მართლაც ღალატია, განწირვა და გამცემლობა.

ამნაირად, აქტი მუშა გიორგაძის მკვლელობისა, რომლის გამოც პოლიტიკური პასუხისმგებელი მენშევიკური პარტიაა, ნიმუშია პარტიის დაავადებული სხეულის ზნეობრივი და მორალური დაკნინების. ამიტომაც ჩამოეცალა მას უკანასკნელი რეზერვი წევრებისა.

ტერორით არ ჩაიქოლება აზროვნება ბრძოლაში გამობრძმედილ მუშებისა—ეს უნდა იცოდეს ყველამ. პირიქით, აქტი მკვლელობისა ჩვენ უფრო გვაფხიზლებს, გვაერთებს იმ გზაზე, რომელიც ავირჩიეთ და საიდანაც ჩვენ არც ერთ საბედისწერო მომენტებში არ გადაუხვევთ და საბოლოოდ გავიმარჯვებთ კიდეც.

ალისტრო ვადაჭკორია.

# ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობა.

(წერილი 2-რე.)

ჩვენს შავი-ქვის მრეწველობაში აღინიშნება ოთხი ხანა: პირველი ხანა—ესაა ჭიათურის მრეწველობის დასაწყისი რკინის გზის გაყვანამდე, ე. ი. 1879 წლიდან 1895 წლამდე. მეორე ხანა იწყება ჭიათურა-შორაპნის რკინის-გზის ტოტის გაყვანიდან და გრძელდება მსოფლიო ომამდე, ე. ი. 1895 წლიდან 1914 წლის დამლევამდე. მესამე ხანაა მსოფლიო ომისა და რევოლიუციების ხანა, ე. ი. 1915 წლიდან 1920 წლამდე; ეს ის ხანაა, როცა ომების მიზეზით დაიკეტა ჩვენთვის ზღვის სრუტეები ბოსფორი და დარდანელი. ამ რიგათ წაგვერთვა მსოფლიო ბაზრები, მით კი ჩვენმა შავი-ქვის მრეწველობამ განიცადა ხანგრძლივი და უუსაშინელესი კრიზისი. და ბოლოს მეოთხე ხანა დაიწყო 1920 წლიდან, როცა გაიხსნა სრუტეები, შენელდა გემების ფრიად აწეული ტარიფი, მასთან მსოფლიო მძიმე ინდუსტრიას, მეტად განვითარების გამო, აღარ ეყო ინდოეთ-ბრაზილიის მარგანეცი და კვლავ მოითხოვა ჩვენი შავი-ქვა. ამ რიგათ ჭიათურის მარგანეცის წინაშე ისევ გაიხსნა მსოფლიო ბაზრები, რომლებიც დიდი ხალისით ეტანებიან მას, ვინაიდან საზ. „ჩემოს“ მეოხებით მოწესრიგდა ქვის დამზადება-გატანის საქმე, სარეცხი ქარხნებით კი მოხდა ამ ქვის ღირსების სამჩნევი განკარგება და ლითონურ შემადგენლობის გამდიდრება, რასაც, როგორც აღვნიშნეთ პირველ წერილში, აქვს ფრიად დიდი მნიშვნელობა მძიმე ინდუსტრიაში.

რკ. გზის ტოტის გაყვანამდე პირველ ხანაში ჩვენი შავი-ქვის მრეწველობა იყო მეტად დუნე და ჩამორჩენილი. არ გვყავდენ არც გაწაფული მუშები, არც გამოცდილი მრეწველები, არ იყო არც ტეხნიკა და არც კაპიტალი. ეს ხანა იყო უმთავრესად ცდისა და პრიმიტიულ მუშაობის ხანა.

15—16 წლის განმავლობაში ზამოღებულ შავ ქვას ეზიდებოდენ შორაპნამდე, 35—38 ვერსის მანძილზე, ცხენებით და ურმებით, რის გამო მარგანეცის თვითღირება იყო მეტად აწეული და ამიტომ ვერ უწევდა მეტოქობას მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების შავ-ქვას. ეჭვი არაა, ამ სახით ჩვენი მრეწველობა ვერ განვითარდებოდა და ნაყოფიც უმნიშვნელო იქნებოდა. ასეც მოხდა, მაგ., 1879 წლიდან 1889 წლის დამლევამდი, ე. ი. ათი წლის მანძილზე ჭიათურის მიდამოში გამოუღიათ და გაუზიდავთ უცხოეთში მხოლოდ $151^1/_2$ მილიონი ფუთი, ე. ი. წელიწადში საშვალოდ $1^1/_2$ მილიონი ფუთი.

რკ. გზის ტოტის გაყვანისა და უცხოეთის კაპიტალის შემოსვლის შემდეგ კი სამჩნევათ უმჯობესდება ჩვენი ქვის გამოღება—გაზიდვის ტეხნიკა და მით სამნიშვნელოთ მცირდება მისი თვით-ღირებაც, რაც იწვევს ჩვენი მადნის ინტენსიურ დამუშავებას და გაზიდვას უცხოეთში. აი აქედან იწყება ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობაში მეორე ხანა. ამ ხანის დასაწყისში, ე. ი. 1895 წელს უკვე დამუშავდა 7.200 ფუთი ქვა. 1900

წელს კი, ე. ი. ხუთი წლის შემდეგ მადნის წლიურმა გამოღებამ მიაღწია 40 ათას ფუთამდე, 1906 წელს იგი ავიდა 50 მილ. ფუთამდე, 1913 წელს კი მან მიაღწია 60 მილ. ფუთამდე. ამავე წელს გაიზიდა უცხოეთში 65 მილიონ 827 ათასი ფუთი ქვა, ე. ი, მთელი მსოფლიო ექსპორტის 40%-ზე მეტი.

საუკეთესო ღირსებისა და სიაფის გამო საქართველოს შავმა-ქვამ მალე იჩინა თავი უცხოეთის მძიმე ინდუსტრიაში, გაუწია სხვა ქვეყნის მადნებს დიდი მეტოქობა, მიიზიდა მუშტარი და გაბატონდა მსოფლიო ბაზარზე. მისი წლიური გაზიდვა ავიდა მთელი მსოფლიო ექსპორტის 30 - 40%-დე.

## II

ზემო-აღნიშნულ დროის განმავლობაში ჩვენი შავი-ქვა მზადდებოდა 11 სოფელში. ამათში მადნის სიმდიდრით და ღირსებით ყველაზე უფრო სამნიშვნელონი არიან მდ. ყვირილას მარჯვენივ: სოფ. მღვიმევი, **ზედარგანი, რგანი და დარკვეთი,** მდ. ყვირილას მარცხნივ კი: შუქრუთი და **პერევიხა.** 1904 წლიდან 1913 წლამდე, ე. ი. 10 წლის მანძილზე ამ 11 სოფელში გამოუღიათ სულ 3332 მილიონი 550 ათასი ფუთი, ანუ წლიურად საშვალოდ 33 მილ. ფუთი; ხოლო აქედან ექვს ზემო-აღნიშნულ სოფელში გამოუღიათ 316 მილიონ ფუთამდე, ე. ი. მთელი დამუშავების 95%, დანარჩენ ხუთ სოფელში კი, **თაბაგრებში, ხალიფაურში, სარქველოთ უბანში, ითხვისსა** და **პასითში** ამავე დროში გამოუღიათ მხოლოდ 16 მილ. 500 ათასი ფუთი, ე. ი. 5%. აღნიშნულ სოფლებში კი იმავე დროს ყველაზე მეტი გამოუღიათ სოფ. მღვიმევში, დაახლოვებით $118^1/_2$ მილ. ფუთი, ანუ მთელი გამოღების $35^1/_2$%.

ეჭვი არაა, რამდენათ უფრო ფართოვდებოდა ჩვენი შავი-ქვის გამოღება-დამუშავება, იმდენათ უფრო იზრდებოდა თვით რიცხვი მაღაროების, სამადნო მუშების და მრეწველების. მაგ. 1906 წელს მაღაროების რიცხვი ყველა სოფლებში ავიდა 1131-მდე და ყველა ამ მაღაროებში ამავე წელს დამზადდა 50 მილ. ფუთი ქვა. შავი-ქვის მრეწველთა რიცხვი 1900 წელს იყო 377 კაცი, აქედან წვრილი მრეწველები, რომლებიც წლიურად ამზადებდენ 1000-დან 100-ათას ფუთამდე, იყო 240 კაცი საშუალო მრეწველები, რომლებიც ამზადებდენ წლიურად 100 ათასიდან 500 ათას ფუთამდე, იყო 118 კაცი, სხვილი მრეწველები კი, რომლებიც ამზადებდენ წლიურად ნახევარ მილიონ ფუთზე მეტ მარგანეცს, იყო 10 კაცი. მადნის მუშების რიცხვი იცვლებოდა ქვის დამუშავების რაოდენობასთან შედარებით, ე. ი. რამდენათ მეტ შავ-ქვას ამზადებენ, იმდენად მატულობდა მუშა ხელის რიცხვიც. მაგ. 1895 წელს სამადნო მუშების რიცხვი იყო 2687 კაცი; 1899 წელს მათი რაოდენობა ავიდა 2350 კაცამდე, 1906 წელს კი მიაღწია 5.085 კაცამდე. მადნის მუშების შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა მათ დახელოვნებასთან ერთად და ამ სახით თითოეული მუშის წლიურმა გამოღებამ მიაღწია 1895 წელს 13.500 ფუთამდე საშუალოდ კი ეს გამოღება ქანაოდა 10—11 ათას ფუთამდე წელიწადში.

წინათ ეს მუშები მუშაობდენ ნარდათ და 12—14 საათის დღიურ მუშაობაში თითო მათგანი იღებდა მხოლოდ 1 მანეთიდან $1^1/_2$ მანეთამდე. მაგრამ 1914 წლიდან, ე. ი. საერთო გაფიცვის შემდეგ, მათი მდგომარეობა სამჩნევლად გაუმჯობესდა და 8 საათის მუშაობით თითო მათგანი დღეში იღებდა 1 მანეთიდან 1 მან. და 60 კაპიკს.

ამ რიგათ ომამდე ერთი ფუთი ქვის გამოღება მადნებიდან, გაწმენდა და ჩამოტანა სადგ. ჭიათურის ან ჰიქაურის ბაქნებზე ჯდებოდა 6—7 კაპიკი. თვით სადგურის ბაქნებზე იმ დროს ფუთი ჩვეულებრივი ქვა ღირდა 7—8 კაპიკი. ქვის ფოთამდე ჩატანის ყველა ხარჯები და გადასახადები იმ ხანებში ადიოდა ფუთზე 8—10 კაპიკამდე, ფოთის ფასები კი ჩვენს მარგანეცზე იმ დროს იყო 19—22 კაპ. ფუთი. თვით უცხოეთის ბაზრებზე კი ფუთი ჩვენი ქვა ფასობდა იმ დროს დაახლოვებით 33—35 კაპეიკად. აქედან რომ გამოვქვითოთ გემის ფრიხტი ფუაზე 9 კაპიკი, იზამს. დაახლოვებით 32 კაპიკს.

## III

1915 წლის დამდეგიდან იწყება საშინელი კრიზისი ჭიათ. შავი-ქვის მრეწველობაში. გაძლიერდა მსოფლიო ომის სიმძაფრე, დაიკეტა ზღვის სრუტეები. ამ რიგათ შეჩერდა ჩვენი შავი-ქვის დამზადება-გაზიდვაც. ეს საშინელი კრიზისი გაგრძელდა 1920 წლამდე, ე. ი. ხუთ **წელიწადს** და მისცა ჭიათურის მრეწველობას უდიდესი ზიანი: დაკოტრდენ მრეწველები, მოესპო შემოსავალი საქართველოს ხაზინას, 5000 მუშა დარჩა უმუშევრად.

შავი-ქვის დამზადება 1915 წელს 50 მილ. ფუთიდგან დაეცა $15^1/_2$ მილ ფუთამდე, 1917 წ დავიდა $12^1/_2$ მილ. ფუთამდე, 1918 წელს კი $1^1/_2$ მილ. ფუთამდე. ამ რიგათ შემცირდა მრეწველთა მადნის მუშათა რაოდენობაც. მრეწველთა რიცხვი 1919 წელს დავიდა 7—მდე, მუშათა რიცხვი—კი 220 კაცამდე.

ხოლო ამ მრეწველობის ოდნავი გამოცოცხლება დაიწყო 1920 წლიდან და ამ წელს გამოღებულ იქნა $7^1/_2$ მილიონ ფუთამდე ქვა. მაგრამ 1921 წელს, პოლიტიკურ მიზეზების გამო, ჩვენი შავი-ქვის წარმოება სრულიად შეჩერდა. 1922 წლიდან კი იწყება ამ მრეწველობის სამჩნევი გამოცოცხლება და ჩვენი ქვის გაზიდვა უცხოეთის ბაზარზე. სწორედ ამ წლიდგან უნდა აღინიშნოს ჭიათურის შავი-ქვის წარმობაში ახალი ხანა.

1922 წელს დაამზადეს ჩვენში 3 მილ. 250.000 ფუთი ქვა, 1923 წელს ქვის გამოღებამ მიაღწია თითქმის 12 მილ. ფუთამდე, ამ მიმდინარე წელს კი 1-ლ იანვრიდან, ე. ი. ექვს თვეში გამოუღიათ $10^1/_2$ მილ. ფუთი ქვა, რაც ამა წლის ბოლომდე უსათუოდ ავა 20 მილ. ფუთამდე. ასეთსავე წინსვლას ვხედავთ შავი-ქვის გაზიდვაშიაც. მაგ. 1920 წელს ჩვენი მარგანეცის ექსპორტი, ე. ი. უცხოეთში გაზიდვა, უდრიდა 10 მილ. 700 ათას ფუთს, 1921 წელს, ზემო-აღნიშნულ მიზეზის გამო, გაზიდეს მხოლოდ $1^1/_2$ მილ. ფუთი. მაგრამ 1922 წელს ჩვენი მადნის ექსპორტი აცილდა 10 მილ. ფუთს. 1923 წელს უკვე გაუზიდიავთ 22 მილ. 300 ათასი ფუთი. გასულ 1924 წელს კი 1-ლ იანვრიდან 1-ლ ოქტომბრამდე, ე. ი. 9 თვეში გაუტანიათ 25 მილ. 400 ათასი ფუთი, რაც წლის დამლევამდე უსათუოდ აცილდება 35 მილ. ფუთს. და თუ ამ გვარად განვითარდა

ჩვენი შავი-ქვის ექსპორტი, იგი მალე გაბატონდება მსოფლიო ბაზარე და დაიკავებს თავის წინანდელ ადგილს.

როგორც აღვნიშნეთ პირველ წერილში, მსოფლიო ომებმა და მათგან შექმნილმა პირობებმა მეტად გააცხოველეს ფერო-მანგანის წარმოება, ამ რიგათ წარმოშვეს შავი-ქვის დიდი მოთხოვნილება და მით სამჩნევად გაზარდეს მისი ფასები. ამ ჟამად მძიმე ინდუსტრიით და მარგანეცის მოთხოვნილებით პირველი ალაგი დაიკავა ჩრდილო ამერიკის შტატებმა, ამას მიყვებიან: ინგლისი, გერმანია, ბოლოს კი საფრანგეთი, ბელგია და სხვა განათლებული ქვეყნებიც. ყველა ესენი ამ ჟამად დიდათ ეტანებიან ჩვენს მადანს, მით უმეტეს, რომ გარეცხვით მისი ღირსება სამჩნევად გაკარგდა და 48—50% წმ. ლითონიდგან ავიდა 53—57%-მდე. ასეთი ღირსების ქვას კი ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ფერო-მანგანის ინდუსტრიაში.

ი.

# მუშათა წერილები.

## რატომ დაარსდა მუშათა კომისია?

გასული წლის ოქტომბერში ნაძალადევის თეატრის დარბაზში მუშათა კრებაზე არჩეულ იქნა მუშათა კომისია. მან უკვე გამოსცა საკუთარი ორგანო—„ახალი გზა“. რამ გამოიწვია ამ კომისიის დაარსება? ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ შემცდარ ტაქტიკაში და პოლიტიკაში, რომელსაც მენშევიკური პარტია აწარმოებდა უკანასკნელ წლების განმავლობაში. ამ ტაქტიკას შეეწირა უამრავი რევოლიუციონერები, რომლებსაც არა ერთხელ უნახავთ ციხე-კატორღა მეფის თვითმპყრობელობის დროს. აგვისტო-სექტემბრის დღეებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მენშ. პარტიის სამოქმედო გეზის მიუღებლობას. და ამან აიძულა შეგნებული მუშები საბოლოოდ გაეწყვიტათ კავშირი ხსენებულ პარტიასთან და გადაჭრით დამდგარიყვენ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე. და აი, მათაც აირჩიეს თავიანთი წრიდან კომისია, რომელიც განაგრძობს მუშაობას მათი დავალებით როგორც სიტყვით, ისე წესით. ყველა იმ ამხანაგებმა, რომლებმაც გასწყვიტეს კავშირი მენშევიკურ პარტიასთან და იმათაც, რომლებიც დღესაც ითვლებიან ამ პარტიის რიგებში,—უნდა მიატოვონ მუშაობა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამოუდგენ გვერდში მუშათა კომისიას, რომ მან შესძლოს დასახული მიზნების პირნათლად შესრულება. თავის მხრივ კომისიამ უნდა შესძლოს სთქვას მთელი სიმართლე ჩვენს სინამდვილეში, სთქვას ყველაფერი ის, რაც ესაჭიროება მუშებს და გლეხებს.

ახალმა გზამ უნდა ამოავსოს საქართველოში ის უფსკრული, რომელიც გათხრილია მენშევიკებსა და კომუნისტებს შორის. ამის ამოვსება კი შეიძლება მხოლოდ ძველი გზის სამუდამოდ უარყოფით, საქმიანი კრიტიკით და იმ ტკივილების გაშუქებით, რომელიც აწუხებს დღეს საქართველოს მუშებსა და გლეხებს. რა თქმა უნდა, ქმართველმა პარტიამ ჯეროვანი ანგარიში უნდა გაუწიოს ასეთ კრიტიკას და მიიღოს ზომები იმ ნაკლის გამოსასწორებლად, რომელიც თან ახლავს ხოლმე ხშირად ჩვენს დღევანდელს სინამდვილეს. მუშათა კომისიამ დაუფარავად უნდა სთქვას მთელი სიმართლე. კრიტიკას უნდა ჰქონდეს საქმიანი ხასიათი, ისე, როგორც ამბობს ხოლმე ქართული ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს კი პირსუკანაო“.

* * *

## ქართული ენის დაცვის გარშემო.

სამშობლო ენას უპირველეს ყოვლისა მუშები და გლეხები საჭიროებენ. ამიტომ მუშათა კომისიამ ენის დაცვის საქმეს უუდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს საქმე კი ჩვენში ძალზე მოიკოჭლებს, მიუხედავად ათასი დადგენილებისა და განკარგულებისა. ავიღოთ მაგალითისთვის რკინის გზა. განა არ შეიძლება გატარება გაეროვნების? შეიძლება, ჩვენ არა გვყავდეს საქართველოში სხვა დარგის მოსამსახურეები, მაგრამ რკინის გზელებით კი მდიდრები ვართ. უნდა ითქვას, რომ გაეროვნების გაუტარებლობაში ზოგჯერ თვითონ მოსამსახურენიც არიან დამნაშავენი: ისინი რაღაცას გაურბიან, ვიღაცის ეშინიათ.

ზევით ნათქვამის დასამტკიცებლად მინდა მოვიყვანო ორიოდე ცნობა. რკინის გზის მთავარ სამმართველოში 1672 მოსამსახურე ითვლება. აქედან ქართული ენის მცოდნე არის 674, არამცოდნე—1025.

ენის მცოდნენი უფრო დაბალ მოსამსახურეებს შეადგენენ. ავიღოთ საბუხჰალტერო დარგი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამსახურის უფროსი | ენის მცოდ. | 1, | არამცოდნე | 0 |
| უფროსის თანაშემწე. | „ „ | 0, | „ | 2 |
| განყოფ. უფროსები . | „ „ | 2, | „ | 9 |
| თანაშემწენი . . . | „ „ | 1, | „ | 8 |
| უფრ. მოანგარიშენი. | „ „ | 4, | „ | 18 |
| მოანგარიშეები . . | „ „ | 6, | „ | 39 |
| კანტორის მოხელენი. | „ „ | 6, | „ | 20 |
| დარაჯები . . . . | „ „ | 5, | „ | 4 |

სულ: ენის მცოდნე—25, არამცოდნე—95.

წევის დარგში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამსახურის უფროსი | ენის მცოდ. | 0 | არა მცოდ. | 1. |
| თანაშემწენი . . . | „ „ | 0, | „ „ | 3. |
| ინჟენრები . . . . | „ „ | 0, | „ „ | 11. |
| ტეხნიკი მხაზავები . | „ „ | 3, | „ „ | 13. |
| საქმის-მწარმოებელი | „ „ | 0, | „ „ | 6. |
| ნაწილის უფროსი . | „ „ | 1, | „ „ | 6. |
| თანაშემწენი . . . | „ „ | 1, | „ „ | 8. |
| განყოფილ. უფროსი | „ „ | 1, | „ „ | 2. |
| თანაშემწე . . . . | „ „ | 1, | „ „ | 2. |
| მოანგარიშენი. . . | „ „ | 17, | „ „ | 45. |
| კანტორის მოხელენი | „ „ | 5, | „ „ | 9. |
| თარჯიმანები . . . | „ „ | 5, | | |
| მანქანაზე მომუშავენი | „ „ | 2, | „ „ | 5. |
| ბუხჰალტერი . . . | „ „ | 0, | „ „ | 2. |
| მხილარები . . . | „ „ | 0, | „ „ | 2. |
| დარაჯები . . . . | „ „ | 0, | „ „ | 6. |

სულ: ენის მცოდნე—36, არამცოდნე—121.

ზოგ სხვა დარგებშიაც შეხვდებით ასეთ ცხრილს. ზემოაღნიშნულიდან ნათლად სჩანს, თუ როგორი მდგომარეობაა გაეროვნების ირგვლივ და როგორ ტარდება

ის. რასაკვირველია, არავინ მოითხოვს ვინმეს განდევნას დაწესებულებიდან. პირიქით, მცოდნე და გამოცდილი მუშები ჩვენთვის საჭიროა. მაგრამ ამავე დროს საჭიროა მუშაკების ისეთი შერჩევა და გეგმა-შეწონილი გამოყენება, რომ სათანადოთ იქნეს დაცული სახელმწიფო ენა. ამ მხრივ კი ბევრის გაკეთება შეიძლება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მუშათა კომისია მმართველ პარტიასთან ერთად სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს ამ კითხვას.

მოყვარე.

---

## ახალი გზისკენ.

საერთაშორისო ძალთა ჭიდილი თანდათან მწვავდება. ამ ძალთა ჭიდილში საბოლაოთ აშკარავდება საერთაშორისო მენშევიზმის მიუღებლობა სალი მარქსისტული თვალსაზრისით. მენშევიზმმ დაკარგა სალი კლასიური ნიადაგი და ნაცვლად იმისა, რომ გააღვივოს კლასიური ბრძოლა, ის, პირიქით, აღუნებს მას.

აქ ჩვენში, საქართველოში, ძალაუფლების დაკარგვით მენშევიზმი გადაეშვა ავანტიურის გზაზე და მიიყვანა ქვეყანა დაღუპვამდე.

ვარწმუნებ ჯერ კიდევ გონს არ მოსულ ამხანაგებს, რომ საქართველოს მუშათა კლასი, მიუხედავად იმ პირობისა და მდგომარეობისა, რომელიც შეიქნა უკანასკნელ მენშევიკურ ავანტიურის შემდეგ, შესძლებს თავის ძალაზე დაყრდნობით გააუმჯობესოს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და მით დაახლოვოს უკეთესი მომავალი დღეს მას მეტი წარმოდგენა აქვს, თუ ვინ არის მისი მტერ-მოყვარე და რა გზით უნდა იაროს მან, ჩვენი გზაა მუშათა დიქტატურის გზით სოციალიზმისაკენ. დასავლეთ ევროპაში ხომ მენშევიზმი ბურჟუაზიის მაჩანჩალა გახდა, რაც დაამტკიცა მაკდონალდის მთავრობამ. იმპერიალისტურ საქმის კეთება, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა, მუშებისათვის არც ერთი უბრალო რეფორმის გატარება, მუშათა კლასში კლასიური ბრძოლის ჩოდუნება და მრავალი სხვა, რომლებიც ხელს უშლიან პროლეტარიატს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა აწარმოვოს კაპიტალ-იმპერიალიზმთან. ვისაც გულწრფელად სურს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი მონაპოვარის შენარჩუნება, ერის დამოუკიდებლობის განმტკიცება, ის უნდა შეეთვისოს იმ ხალხს, რომელსაც უკისრია ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მონაპოვარის შენარჩუნება და მისგან გამოწვეულ სოციალურ ცვლილებათა განმტკიცება. ვისაც სალი აზროვნება არ დაკარგვია და მასში კიდევ ღვივის პროლეტარული და კლასიური ბრძოლის ცეცხლი, რაც უნდა დიდი ნაწყენი იყოს ის ვინმეზე, მაინც უნდა შეეთვისოს იმათ, რომლებიც ქმნიან ახალ ცხოვრებას სოციალიძტურ საფუძველზე, ასე მოიტანა ისტორიულმა აუცილებლობამ და ჩვენც უნდა დავემორჩილოთ მას. საქართველოს მუშათა კლასის ბედი მჭიდროთ უნდა დაუკავშიროთ საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასის ბედს, მის მონაპოვარს უნდა ვთვლიდეთ ჩვენათაც და უნდა დავიცვათ და გაუფრთხილდეთ ისევე, როგორც მას იცავენ და უფრთხილდებიან კომუნისტები.

როდესაც ჩვენ გულრწფელ ათ დავადგებით ამ გზას, და შევითვისებთ იმ აზრს, რომ არა თუ ბუტიაობა და განზე დგომა, ან და კიდევ ხელის შეშლა, არამედ საჭიროა სრული მუშური შეგნებით ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში, რათა ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მიღწევანი იქნეს განმტკიცებული.

კვლავ მაინც ავაშოროთ საქართველოს მუშათა კლასს ის უბედურებანი, რომელიც გადახდა მას ევროპისაკენ ყურყებით, და იმ შემცდარ პოლიტიკით, რომელსაც ატარებდა ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მენშევიკური პარტია ევროპის ემიგრაციასან შეთანხმებით.

ვისაც მართლა უყვარს თავისი სამშობლო და მისი მშრომელი ხალხი, ყველა ისინი უნდა ჩაუკვირდეს შექმნილ მდგომარეობას და უხდა გაიმიჯნონ იმ ხალხისაგან, რომლებიც ვერ შორდებიან კიდევ დაშნაკურ პოლიტიკას.

აი აქეთკენ, ამ ახალი გზისკენ მოვუწოდებ ყველას.

ძველი მუშა ლადო სანაძე.

---

# მუშათა კომისიის მუშაობა

### კომისიის მოგზაურობა გურიაში.

(შთაბეჭდილებანი).

პირველად ჩვენ ჩავედით ოზურგეთში. აქ დაგვხვდა ხუთიოდე მოწინავე ამხანაგი, რომლებმაც გაგვაცნეს ხალხის სულიერი მდგომარეობა და დაგვარწმუნეს, რომ ხალხში საერთოდ დიდი გარდატეხა არის და თუ ამდენ ხანს ხელისუფლებას და მმართველ პარტიას უნდობლათ უყურებდნენ,—ამას ახლა ადგილი თითქმის აღარ აქვსო.

ჩვენ გვინდოდა პირველად აქედან დაგვეწყო და კრების დროც დავნიშნეთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თანხმობით, მაგრამ კრება არ შედგა, მცირე რიცხოვანი იყო, რადგან კრების მოწვევა ასე ნაჩქარევად ტეხნიკურად მოუხერხებელი შეიქნა. ადგილობრივი ამხანაგების რჩევით კრება შემდეგისთვის გადავდევით და გავეშურეთ ნაგომარში. სადაც წინდაწინ იყო შეთვლილი ჩვენი მისვლის დრო. ნაგომარში კრებას დაესწრო ამ თემის თითქმის ყველა მოწინავე ელემენტები, (ჩვენ ამაში გვარწმუნებდნენ ნაცნობი ამხანაგები). მოხსენებას გულდასმით უსმენდნენ, რაც დიდათ აინტერესებდათ. კამათში ბევრმა მიიღო მონაწილეობა. ყველა აღიარებდა პარტიის შემცდარ გზას და ერთად-ერთ მისაღებ გზათ სთვლიდენ ტფილისის პროლეტარიატის მიერ აღებულ გეზს, ნდობის თვალით უყურებდენ ხელისუფლებას, მაგრამ თითქმის ყველა საჩდურავს გამოსთქვამდა მთავრობის მიმართ იმის გამო, რომ მისი დადგენილებები ზოგიერთი არ ტარდება სწორად ადგილობრივი აღმასრულებელი მოხელეების მიერ. ამბობდენ, ეს წვრილი მოხელეები ბევრგან ისეთები არიან, რომ ისინი არასოდეს არ სარგებლობდენ ხალხის ნდობითო და ზოგი მათგანი თავისი უმსგავსო ყოფა-ქცევის გამო გაძევებულიც კი იყვნენ საზოგადოების დადგენილებით სოფლიდანაო. ეხლა როგორღაც მათ მოახერხეს, მოხელეებათ დადგენ, სარგებლობენ შემთხვევით, აუტანელ შევიწროებას გვაყენებენ და მით უფრო აღრმავებენ უნდობლობას ჩვენსა და მთავრობას შორისო.

ასეთს პირებს არ უნდა ქონდეს ადგილი მთავრობის ორგანოშიო. ყოფილა ისეთი შემთხვევაც: მოხელემ ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა: ზოგმა ამხანაგმა ბოროტ-მოქმედება ამხილა; მას დაუმტკიცეს დანაშაული და გადააყენეს სამსახურიდან, მაგრამ რაღაც მანქანებით იგი კვლავ უკან დაბრუნდა მთავრობის ორგანოს მოხელეთ და შემდეგ გაბრაზებულმა იმ პირზე, ვინც მის წინააღმდეგ გაბედა ხმის ამოღება, ისეთი დღე დააყენა მხილებელს, რომ ეს საუკეთესო მოსახლე დღეს განადგურების გზაზე არის დაყენებული. ჩვენ ვუთხარით—რატომ არ იღებთ ამის გამო ხმას-თქო და რატომ არ მიუთითებთ მთავრობას კონკრეტიულათ—ვინ რა ბოროტება ჩაიდინათ-ქო. გლეხები გვიპასუხებდნენ: ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ მთავრობა მართლაც და მიიღებს ნამდვილ ზომებს მათ წინააღმდეგ და მით არ მიეცემა მათ საშუალება მეტი ზიანი მოგვაყენონ შემდეგშიო. მოიყვანეს, სხვათა შორის, ერთი მაგალითი: ჩოხატაურის რაიონში ყოფილა მოხელეთ ვინმე **ანდრია ელიშუხის ძე გოგოლაძე,** რომელსაც ტყეები გაუნადგურებია და თავის სასარგებლოდ გაუყიდია. ერთ გლეხს **კოწია იაკობის ძე სიხარულიძეს** გაუბედია მისთვის ეჩივლა და კიდეც დაუმტკიცებია მისთვის ბოროტ-მოქმედება, რისთვისაც ის ადგილიდან დაუთხოვიათ და სადღაც გადაუყვანიათ მაგრამ რამდენიმე თვის ზემდეგ ისევ მობრუნებულა და ეს სიხარულიძე ძალზე გაუწამებია. ჩოხატაურში სიხარულიძემ შემოგვჩივლა (მას გაეგო ნაგომარში გლეხობის ნაამბობი): ვინ დაიდვა ჩემი ცოდვა და ვინ განაცხადა ჩემ შესახებ რამეო; ახლა ის კაცი სულ გამაჩანაგებსო. გოგოლაძის შესახებ მან ყოველივე დაადასტურა კრებაზე. ემდურიან ახალგაზრდობა, რომლებიც იარაღით გვემუქრებიან და გვამცირებენო. მოითხოვენ—სოფლად იქოს მთავრობის მოხელეებათ სოფლისაგანაც და მთავრობისაგანაც ნდობით აღჭურვილი იდეური კომუნისტები. ისე კი, მოხსენებისა და ახსნა განმარტების შემდეგ სიხარულით შეეგებნენ თფილისის პროლეტარიატის აზრს და დგებიან მუშათა კომისიის პლატფორმაზე. შემდეგ უბრალო ბაასში გამოირკვა, რომ გლეხები ძალზე შევიწროვებული არიან იმით, რომ თავიანთი ნაწარმოებისათვის ვერ მოუპოვიათ ბაზარი. ღვინო, კართოფილი, ხილეულობა, კვერცხი, სიმინდი და სხვა ბევრი ფუჭდება მეტ წილად ადგილობრივ უბაზრობისა გამო და ითხოვენ მთავრობის წინაშე მიღებული იქნეს ამ მხრივ რაიმე ზომები. სხვა შემოსავალი კი გლეხებს არ მოეპოვებათ.

გლეხობი ემდურიან მოსწავლე ახალგაზრდობასაც, რომლებიც სკოლაშიაც კი მაუზერებით დაიარებიან და ხალხს აშინებენო. ეს ერთმა კომუნისტმა მასწავლებელმაც კი დაადასტურა რამოდენიმეთ. მან სთქვა—ბავშვები ჩვენ არ გვერიდებიან, პაპიროსს ეწევიან ჩვენთან და როდესაც ამას შევნიშნავთ, გვიპასუხებენ: თქვენ რატომ-ღა სწევთო?

კრების დასასრულს გლეხებს ეტყობოდათ სრული გამოცოცხლება, სახე მხიარულობა და გაბედულობა. გვითხრეს ზოგიერთებმა: პირველად არ ვიცოდით—რამდენად სანდო იყავით და რომ გვცოდნოდა, უფრო გაბედული ვიქნებოდითო. ახლა დავრწმუნდით, რომ იწყება ხანა ურთი-ერთ ნდობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისაო; ამის შემდეგ გვწამს, რომ მთავრობა მოგვაქცევს ყურადღებას და აღარ დავრჩებით როგორც ავანტიურისტების, ისე უმსგავსო მოხელეების საჯიჯგნელადო. ძალზე გულნაკლული არიან გადასახადების უწესოთ გაწერით. გადასახადს გადავიხდითო, ამბობენ, მაგრამ მოგვეცეს ნება—ეს გადასახადი გავაწერინოთ ჩვენს მიერ ნდობით აღჭურვილს კომისიასო, თორემ ახლა ზოგ შემთხვევაში ღარიბს მეტი აქვს შეწერილი, ვიდრე უფრო შეძლებულსო.

ახლა უკვე ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობა ჩვენი მთავრობა ყოფილა, მაგრამ იგი უნდა დაგვეხმაროს, აღადგინოს წესიერება და მოგვაშოროს ყველა ის, ვინც გვაძულებდა და გვაშორებდა ხელისუფლებას, რაც ერთია, რომელი მხრიდანაც არ უნდა ყოფილიყო ასეთიო.

აქ ავირჩიეთ რწმუნებულები, რომლის არჩევაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ყველამ იმ მიზნით, რომ შიგ მოჰყოლოდენ მოწინავე და ნდობით აღჭურვილი პირები. და ეს მაშინ როდესაც პირველად კრების თავმჯდომარეობაზეც კი უარს ამბობდენ.

მეორე დღეს ჩავედით ჩოხატაურში. კრება თუმცა არ იყო ისე მრავალრიცხოვანი, როგორც ნაგომარში, მაგრამ მას მაინც დაესწრენ თითქმის ყველა მოწინავე ელემენტები ამ რაიონის ყველა თემიდან. აქაც ასეთივე განცხადებით და საჩივრებით გამოდიოდენ წვრილ ადგილობრივ მოხელეების შესახებ. აქაც ისევე აცხადებდენ მწუხარებას თავიანთი ნაწარმოებისათვის ბაზრის უქონლობის გამო. ძალზე აწუხებთ აგრეთვე უგზოობა. წყლებს ხიდეები დაუტოვებია, კალაპოტი გამოუცვლია და წყლის მცირეოდენი მომატების დროს სრულიად მოწყვეტილი რჩება მთელი თემები არა თუ სხვა ცენტრებს,—ოზურგეთსაც კი. მოხსენების შემდეგ გლეხები აქაც კმაყოფილი დარჩენ და აირჩიეს რწმუნებულები მოწინავე ამხანაგებიდან.

მესამე დღეს დავბრუნდით ოზურგეთში, სადაც შესდგა იმდენად მრავალრიცხოვანი კრება, რომ ნახევარიც ვერ დაიტია ადგილობრივმა კლუბმა

აქ ბევრმა მიიღო მონაწილეობა კამათში და ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ დღემდე მიდიოდენ შემცდარის გზით, რომ ასეთი გზით სიარული დამღუპველია როგორც ხალხისთვის, აგრეთვე რევოლიუციისათვის; ამიერიდან უნდა შესწყდეს ასეთის გზით სიარული და ბოლო უნდა მოეღოს ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველ ნაირ ბრძოლას,—ლეგალური იქნება იგი, თუ არა-ლეგალური. აგრეთვე, როგორც ყველგან, აქაც უკმაყოფილონი არიან ადგილობრივ წვრილ მოხელეებით, რომლებიც თავიანთ მოვალეობის პირნათლად შესრულების მაგიერ უფსკრულს თხრიან ხალხსა და მთავრობას შორის. ამათგანი ზოგიერთები არც წინად იყვნენ და არც ახლა არიან ხალხის ნდობით აღჭურვილნი; მაგრამ ამაში გლეხები თავიანთ თავსაც თვლიან დამნაშავეებათ, ვინაიდან ამდენ ხანს ისინი გაურბოდენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას. მაგრამ დღეიდან ისინი დგებიან საბჭოთა პლატფორმაზე და გულწრფელად შეეცდებიან თვითონვე ამოავსონ ის სიცალიერე, რაც მათ შექმნეს თავიანთი ბუტიობით. უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობაც უვარგისი მოხელეების შეცვლით გამოასწორებს შექმნილ მდგომარეობას. როგორც ყველგან, კრებამ აქაც მუშათა კომისიის 7/8 ოქტომბრის რეზოლიუცია მიიღო და ფრიად ნასიამოვნები დაიშალა.

# სხვადასხვა ამბები.

— საფრანგეთის ელჩი ჟან ერბეტი ჩამოვა მოსკოვში ერთი კვირის შემდეგ.

— მოსკოვიდან რეველში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესტონეთში პეტროვსკი.

— ჰავასის სააგენტოს ცნობით, პორტუგალიის მინისტრთა საბჭოს პრინციპიალურად გადაუწყვეტია იცნოს საბჭოთა მთავრობა იურიდიულად.

— ამერიკის პრეზიდენტმა კულიჯმა მიიწვია სენატორი ბორა თათბირზე, რომელზედაც განხილული იქნება ეკონომიურ საკითხების და განიარაღების მოსაგვარებლად ახალი კონფერენციის მოწვევის საკითხი.

— მთავრობის კრიზისი გერმანიაში ისევ გრძელდება. რაიხსკანცლერი მარქსი განაგრძობს მოლაპარაკებას პარტიების ბელადებთან კაბინეტის შედგენის შესახებ.

— ოფიციალური ცნობით, რაიხსტაგში ძალთა განწყობილება ასეთია: სოციალისტები 131, სახალხო პარტიის წევრები 111, კომუნისტები 45, დემოკრატები 32, სამრეწველო პარტიის წევრები 21, ბავარიის სახალხო პარტიის 19, ტევტონელები 15.

— მოკავშირე სახელმწიფოებმა კოლექტიური ნოტა გადასცეს გერმანიის მთავრობას, სადაც აცნობებენ მას, რომ რადგან გერმანიას არ შეუძლია 10 იანვრამდე შეასრულოს ვერსალის ხელშეკრულობით დადებული ვალდებულება, ამიტომ კელნის ზონის დაცლა გადადებულ იქნება ხუთმეტი წლითო.

— მთელს გერმანიაში გაისმის პროტესტები კელნის ზონის ევაკუაციის გაგრძელების წინააღმდეგ. მოკავშირეთა დადგენილებას სთვლიან ვერსალის ხელშეკრულების დარღვევად.

— ლონდონში დაბრუნდა ესტონეთიდან მუშათა პარტიის წევრი სიუზანნა ლაურენი, რომელმაც გამოაქვეყნა გაზეთებში შემდეგი: ესტონეთში რეპრესიებმა საშინლად დააშინა ყველანი. სიკვდილით დასჯილთა რიცხვის გამორკვევა შეუძლებელია. მთავრობის წრეებში გადმოსცეს, რომ დახვრეტილია 3 ათას კაცამდე, ქალაქში კი ლაპარაკობენ უფრო დიდ რიცხვზე. საქმეებს არჩევს სამხედრო-საველე სასამართლო დახურულ კარებში. ციხეები სავსეა დაჭერილებით.

— ბერლინში რამდენიმე დღის განმავლობაში მოლაპარაკება სწარმოებდა ახალი ინტერნაციონალის დაარსების შესახებ. მონაწილეობას იღებდენ: ბული, ბალაბანოვისა, შტაინბერგი, სპირო, დელაგრანჟი, პიეტრო ნონი, თედორე ლიბკნეხტი, ლედებური, პოლონელ ბუნდოველების და ლატვიელ დამოუკიდებელთა წარმომადგენლები. კონფერენცია დასრულდა სრულიად უშედეგოდ.

— მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების ბიუროების გაერთიანებულ სხდომის შესახებ შემდეგი ცნობებია გაზეთებში გამოქვეყნებული:

3 იანვარს ბრიუსელში (ბელგია) გაიხსნა გაერთიანებული სხდომა. თავმჯდომარეობდა ვანდერველდე. სხდომები ხდება საიდუმლოდ. არც ჟურნალისტები დაუშვეს. ეშინიათ მუშების, რომლებიც ცდილობენ შეიჭრან სხდომებზე, რომ გამოაქვეყნონ ის დისკუსია, რომელსაც იქ ჰქვს ადგილი. სხდომის გახსნისას სიტყვით გამოვიდა რუსი მენშევიკი დანი, რომელიც შეეხო საქართველოს საკითხს და ინგლისის მუშათა დელეგაციის როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მოგზაურობას. დანის გამოსვლა გახდა საბჭოთა მთავრობაზე თავდასხმის საბაბად. ინგლისის დელეგატებმა გარკვევით აგრძნობინეს სხდომის მონაწილეთ, რომ არ დაუჭერენ მხარს არავითარ ანტისაბჭოთა დეკლარაციას. მოელიან, რომ მოახდენენ ცდას კვლავ აღძრან საკითხი საქართველოს შესახებ. ამას ადასტურებს გამოსვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრიუსელში. საჯარო მიტინგზე ვანდერველდემ გააცნო დამსწრეთ წერეთელი, როგორც ქართველი სოციალისტების და ქართველი ხალხის წარმომადგენელი.

ვანდერველდეს აზრით, ორივე ინტერნაციონალები შეთანხმდებიან იმაში, რომ საჭიროა კომუნისტების გავლენისათვის წინააღმდეგობის გაწევის გაძლიერებაო.

———

— ციკლონმა სამხრეთ და დასავლეთ გერმანიაზედაც გადაიარა, რამაც გამოიწვია საშინელი წყალდიდობა. ჰამბურგში წყალმა უზომოდ აიწია. ბერლინში 12 გრადუსი სითბოა.

## ქარბუქი ამ.-კავკასიის რკინის გზებზე.

4 იანვარს საღამოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბაქოს ხაზზე კვლავ ამოვარდა ქარბუქი ძლიერი ყინვით. ღამის 12 საათზე ბალაჯარ-ქიურდამირის გადასარბენი დაჰფარა თოვლმა და მიმოსვლა შესწყდა. გაგზავნილი თოვლის მწმენდელი ჩაეფლო თოვლში, მატარებელი № 4 გაჩერებულია სუმხიატში, მატარებელი № 21 გაჩერებულია ბალაჯარაში. ქარბუქმა მთელი ღამე გასტანა. 5 იანვარს დილით 9 საათზე შესაძლებელი გახდა ბალაჯარა-სუმხიატის ხაზის გაწმენდა თოვლიდან და მიმოსვლის აღდგენა.

დასავლეთის ხაზზედაც ღამით მძვინვარებდა ქარბუქი. ხაშური და გომის გადასარბენი დაფარულია თოვლით. დილისათვის შესაძლებელი გახდა გზის გაწმენდა, მაგრამ ის კვლავ დაფარულ იქნა თოვლით.

სურამის შტოზე მიმოსვლა შეჩერებულია. ბორჯომ-ხაშურის უბანში შეჩერებულია მოძრაობა ნაბუქარის გამო.

კახეთის ხაზზე სად. ვაზიანის მახლობლად თოვლში ჩაეფლო მატარებელი № 4. მისაშველებლად გაგზავნილმა თოვლის მწმენდელმა დასძრა მატარებელი. ყოველგან სწარმოებს სასწრაფო მუშაობა გზების გასაწმენდათ.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჰარაძე
ა. გვიმრაძე

წლიწადი მეორე

ფასი 15 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ჩაქუჩი

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 18 იანვარი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმისა, დილის 9—1 საათამდე

№ 5

# ლენინი.

ლენინი,—აი პიროვნება, რომლისკენაც მიპყრობილია მთელი ქვეყნიერების ყურადღება.

ლენინი,—აი აზრისა და მოქმედების გოლიათი, რომელმაც შეარყია მთელი ქვეყნიერება.

ლენინი, -აი სახელი, რომელიც ენაზე აკერია ყველას.

ლენინი,—აი საარაკო გმირი, რომელმაც თავისი გენიალობის ცეცხლში დასწვა მთლად ძველი ქვეყანა, რომ შექმნას ახალი.

ლენინი,—აი ახალი მესია, რომელმაც თავს იდვა მუშა ხალხის განთავისუფლება და აღთქმულ ქვეყანაში მიყვანა.

ლენინი,—პროლეტარიატის სწორუპოვარი ბელადი და რევოლიუციის სული.

მეტად დიდი, არაჩვეულებრივია ის საქმე, რომელიც ლენინმა შეასრულა.

მეტად ღრმა არის მისი ნიჭი, დიადი მისი ბუნება.

მეტად ვრცელია ასპარეზი მისი მოქმედებისა.

მეტად დიდია ის გარდატეხა, რომელიც მან მოახდინა მთელი მსოფლიოს ცხოვრების მიმდინარეობაში.

მეტად ახლოსა ვართ მასთან.

ლენინი გვაბრმავებს, თავბრუს გვასხამს თავისი ბუმბერაზობით და ამიტომ შეუძლებელია მისი დაფასება ღირსეულად.

ასეთი პიროვნება თვალს სჭრის ადამიანს, როგორათაც მზე მაყურებელს. ამიტომ ბევრ რამეს ჩვენ ვერ ვამჩნევთ, ბევრში ვერ ვერკვევით. ლენინზე ბევრი დომი და ჭრილა, მაგრამ ყოველივე ეს წვეთია იმასთან შედარებით, რაც აწი დაიწერება.

ლენინის სრული დაფასება და დახასიათება მხოლოდ ისტორიას შეუძლია. გენიალური ნიჭი, რკინის ხასიათი, ფოლადის ნება, ქარიშხალის ნაირი გამბედაობა და საოცნებოდ არაჩვეულებრივი შორსმჭვრეტელობა, წარმოუდგენელი განჭვრეტა მომავლისა,—

აი ლენინი.

ნამდვილი რევოლიუციის დროშა მან აღმართა, რევოლიუციის ხანძარი მან დაატრიალა და გადასწვა ძველი რუსეთი, რომ ავგო სრულებით ახალი, განსხვავებული, არაჩვეულებრივი და გასაოცარი. თუ გასაოცარია მისი თეორია, არა ნაკლებ არის გასაოცარი მისი პრაქტიკა.

ლენინი თეორეტიკოსი, ლენინი პრაქტიკული მოღვაწე,—მისჩერებიხართ გაშტერებული და არ იცით, რომლით უფრო გაჰკვირდეთ.

ძველი წყობილების სრული განადგურება, ქვეყნის გამოყვანა სამოქალაქო ომის აბობოქრებული ტალღებიდან, ანარქიის ქარიშხალის მოსპობა, მთელი ვეება რუსეთის დაწყნარება, ხელში აყვანა და სარევოლიუციო წესრიგის დამყარება,—

ყოველივე ეს ლენინს შეეძლო მხოლოდ.

ლენინი მარტო რევოლიუცია კი არ არის, ის არის რევოლიუციის გამარჯვება:

სამოქალაქო ომის ცეცხლში ლენინმა თავისი მკვებით გამოიტანა რევოლიუცია და ვადასცა ის გამარჯვებულ პროლეტარიატს.

— პროლეტარიატის დიქტატურა!—დაიძახა მან და ეს ლოზუნგი გრგვინვასავით მოედო მთელს რუსეთს.

ლენინს ჰქონდა ერთი იშვიათი ღირსება: მოუდგომელი კრიტიკა საკუთარი მოქმედებისა, საკუთარი შეცდომების დანახვა და საჯაროდ თქმა. ეს არის მეტად დიდი ღირსება, რომელიც ლენინის არაჩვეულებრივ ნიჭს ახასიათებს.

რკინის დისციპლინა—აი ლენინი.

ამ დისციპლინით შეჰკრა მან მთელი კომუნისტური პარტია და მოუპოვა მას გამარჯვება.

ისტორიაში მეორე არა ყოფილა სარევოლიუციო პარტია ასეთის დისციპლინით ჩაკირული ლენინმა გამარჯვება მოუპოვა მარტო რუსეთის პროლეტარიატს კი არა,—მან გზა გაუნათა მთელი ევროპის პროლეტარიატს, რომელიც თანდათან ერკვევა და ემზადება მსოფლიო რევოლიუციისათვის.

რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის ლენინი სასწაულთმოქმედია, მისი საკუთარი წინასწარმეტყველობა მისი ილიჩი და სასწაულთმოქმედად გადაიქცა ის ისტორიას სამარადისო დიდებისა და ხსენებისათვის.

საუკუნენი მოსჩერებიან მასა და გუნდრუკს უკმევენ იმის უკვდავ სახელს.

ლენინით იწყება მარტო რუსეთისა კი არა, მთელი კაცობრიობის სრულებით ახალი, არაჩვეულებრივი ისტორია და ამ ახალი ისტორიის კარებში ლენინი იქნება მუდამ აღმართული, როგორც გასაოცარი და გამოუცნობი სფინქსი.

ლენინი არის უდიდესი პსიხოლოგი. რუსის მშრომელი ხალხის სულს და გულს არავინ არ ჩასწვდომია ისე ღრმად და სისწორით, როგორც ლენინი.

ამიტომ მიანდო მას თავისი ბედი რუსეთის მშრომელმა ხალხმა და გაჰყვა მას.

მის კვალს გაჰყვება მთელი ქვეყნიერობის მუშა ხალხიც.

ლენინი აღარ არის, მაგრამ ის მუდამ იქნება უკვდავი და გამარჯვებული წინამძღოლი მუშებისა და გლეხებისა.

# საქართველოს სახალხო მასწავლებელთა ყრილობის გამო.

უხმაუროდ შეიკრიბა სრულიად საქართველოს მასწავლებლობა. არავის ისე არ ეჯავრება განგაში, თავის თავზე ლაპარაკი, როგორც მასწავლებლობას.

შეიძლება ასევე უხმაურომოდ დაშლილიყვნენ, რომ მათთვის ჯეროვანი ყურადღება არ მიექცია განათლების კომისარიატსა და მმ რთველ წრეებს.. მათ კარგად იციან, რომ მასწავლებლობა ის დუღაბია, რომელიც გაასალკლდევებს საქართველოს სიმტკიცის ზღუდეებს და ამიტომ შეჰხვდნენ მათ ღირსეულად.. ახალგაზრდა პოეზიამაც შემოესივნენ ყრილობას. როგორც ყაყაჩოები მოღაღანე ფუტკრები და შეჰიუცეს თავის მასწავლებლებს, რომ მზად არიან შეიყვარონ ყველა ის ნუგბარი ჭეშმარიტებანი, რომელსაც მასწავლებლობა უძღვნის თავისს პაწაწა მეგობრებს.

მთავრობამაც მასწავლებლობას ამ დღეს გაუმართა ოპერა აბესალომ და ეთერი.. მასწავლებლები ესხდნენ ზედაშეს იმ მოსაგრსას, რომელიც ბრკე მოუკიდებლად ინანებდა შემოქმედების ვარძოე ქვევრებში. დაეწაფნენ იმ ჰანგებს, რომელნიც მკვდარ საუკუნეების კლდეებიდან გამომჩქეფდნენ უშრიტ წყაროდ...

ფიქროშივილის ანკარა პოეზიასთვით ფშავ-ხევსურეთის მთებიდან მარმარილოს ზოდებად მოსხლეტილმა ახალგაზრდა ნიჭიერ მომღერალმა ნიკო ქომსიაშვილმა თვისი თათაილური ხმით მომგვარა ეს თეატრში თრობა...

უსმენდა ოპერას მასწავლებლობა და ამბობდა: ყოველ დღე ხომ ში ვტრიალებთ.. გვეგონა ვიცნობდით მისი სულის უმშვენიერესის და უფაქიზესის ფიალებს.. შეგცდარი ვყოფილვართ... კვლავ გვჭირდება სწავლა... მხოლოდ დღეს მივხვდით, რა ყოფილა ჩვენი ხალხი მარად მღერალი..

ჭეშმარიტად. ვისაც სწადიან გაიცნოს ჩვენი ხალხის რაობა და ისტორია... ვისაც სწადიან მოისმინოს მისი პირველი ბავშობის დროინდელი პოეტური ტიტინი და დავაჟკაცებისას წარმოთქმული მშვენიერების ლოცვაჰიმნები — მოვიდეს „აბესალომ და ეთერზე“ და შეისწავლოს ყველაფერს.

* *
*

არ უყვარს მეთქი მასწავლებლობას თავისი თავის გამოჩენა... ეხოთირება ყრილო ებზე ნამჭევრობა., მაგრამ აბა შედით კლასში, როდესაც იგი ასრულებს თავისს წმინდა მოვალეობას - მაშინ იგი პოეტია.. შემოქმედია.. აქ მას ვერავითარი პოლიტიკოსი, ფიდიები და მიქელ-ანჯელოები ვერ შეედრებიან... მქანდაკებლობაზე ძნელიც კი არის პედაგოგობა...

ნიჭიერ ხელოვანს ადვილად შეუძლიან გამოჰკვეთოს როგორიც უნდა ის თი ქანდაკება... არ მოეწონა ერთი? .. დაჰკრავს კვერს და დაამსხვრევს...

მეორეს შეუდგება ახალის გამოკვერასა...

მე შენ გეტყვი, მარმარილო შემოაკლდება...

მაგრამ ეს არ ითქმის მასწავლებლობაზე... ასეთი თავისუფალი „გადავარდნა“ მას არ შეუძლიან... იგიც მოქანდაკეა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისეთის სიადვილით ვერ შესძლებს თვისი იდეის სახიერებას.

ვაი იმ მასწავლებელს, რომელსაც გამოუზომელ-გამოუანგარიშებელი გამოუვა თვისი კვერის მოქნევა. . ერთი ყალბი ხაზ-მოსმა და დამახინჯებულია ბავშის ხასიათი, ბუნება...

ძნელია, ხელოვნებაზე გაცილებით საშიშოა პედაგოგობა...

უეჭველია, ეს ჩინებულად ჰქონდა შეგნებული ქანქაკრუსსოს, რომელმაც სთქვა: ბოლოს და ბოლოს მასწავლებელს ერთ მოწაფეზე მეტის აღზრდა არ შეუძლიანო...

ეს ნაკვესი, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია, მაგრამ აქიდან მაინც ღრმა ჭეშმარიტება გამოსჭვივის... მეტად საპატიო და პასუხსაგები საქმეა აღზრდა.. შემოქმედი უნდა იყო, რომ განახორციელო პრინციპები პედაგოგიკისა, რომელსაც საუკუნეები შეუსრულდა და ჯერ ისევ ნორჩია... ჯერ ისევ ახალგაზრდულ ძალებშია...

როგორ არ აივსები სიამოვნებით, როცა ჰხედავ, რომ ეს მძიმე, მაგრამ მასთან ერთად გულმახარა მოვალეობა წარმართული ენთუზიაზმით. უკიდურა იმ ხალხს, რომ ლსაც, რა თქმა უნდა, ნაზუქების სუნი არ ახრჩობს, ჰშიან, სცივა, მაგრამ მაინც მასწავლებლობს. რადგან დარწმუნებულია, რომ იგია კულტურის შემნახავიც და ამყვავებელიც.

* *
*

დიდი და რთული ამოცანები წამოუყენა მასწავლებლობას ახალმა პედაგოგიკამ..

რევოლიუციები იცის არა მარტო პოლიტიკაში, იგივე ხდება აღზრდის საქმეშიაც.

იმ თვალ-გამომჭყვრალ ცარიზმთან ერთად დასამარებული იქმნა ძველი სკოლის მეთოდ ბიც...

ძველს სკოლაში ყველაფერი ახსოვდათ, გარდა ბავშვის ბუნებისა.

ბავშვის გაბუღბულ თავში სჩუროავდენ ყველა სისულელეს, მაგრამ არ ასწავლიდნენ იმას, რაც საჭირო იყო ცხოვრებისთვის...

ამიტომ იყო, რომ ახალგაზდობა გამოდიოდა იმ უსახო ქმნილებებად, რომელთაც ერქვათ უხერხემლო, უსულგულო მოხელეები... იგინი ისე იყვნენ მოკალებული მოწური გრძნობებისგან, რომ უკვირდათ: რატომ დაწესებულებათა სვეტებიც ჩვენსავით არ იზნიქებიან ჩვენი „მზეეჭის“ — ბობოლების შიშითაო...

შავ-უკუღმა ის უხამსი დრო...

ძლივს გამოანათა ბავშვისთვის მზემ...

ტყუილად კი არა სთქვა ჰელლენკეიმ: ჩვენს საუკუნეს უწერია ბავშვის საუკუნედ გადაიქცესო...

მართლაც, მოხდა რუსეთის რევოლიუცია და უპირველესი ყურადღება ბავშვსა და მისს აღზრდას მიექცა...

დღეს მთელი ყურადღება მიპყრობილია მისკენ, რომ მივიღოთ ხასიათიანი, მთლიანი, მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანები .. იგინი უნდა გახდნენ ახალი ეპოქის დედები... ახალი ბედნიერების ჯეჯილების ამაღალანებელნი .

როგორ მივაღწიოთ ამ მიზანს?..

რომელი აღზრდაა იდეალური?..

აი კითხვები, რომელიც მასწავლებლობას წამოეჭრა...

თუ სისწორით გადაწყდა ეს კითხვები—მაშინ და მხოლოდ მაშინ დამშვიდდება მასწავლებელი... დადონდება მისი აღშფოთებული გრძნობა და იტყვის:

მე არ მინდოდა, რომ სოციალიზმის სამეუფეოში პროლეტარიატი და გლეხკაცობა შესულიყო შიშველი... მე უკვე ვაზიარე იგი კულტურას .. მისი შვილები გავწვრთე ახალი იდეებით... შევუკერე ახალი კულტურის სალუქი სამოსი... უკვე მოხდენით შევა იგი სოციალიზმის ხეივანებში, მას აღარ შერცხვება კულტუროსნის ფარა-ფარად ქცეული ბრანძებისა და დაჯღანული ქალებისა...

* * *

აი რაზე ოცნებობს მასწავლებლობა.

ამ ნატვრას ეკითხულობდი თვითეულ მათგანის სახეზე, როცა ისინი ხარბად უსმენდნენ მოხსენებებს, როცა მუშტრის თვალით ათვალიერებდნენ ახალ-ახალ პედაგოგიურ და საბავშო წიგნებს...

ძიება. ჭეშმარიტების ძიება არის პედაგოგიკაშიაც საუკეთესო თავდები იდეალების მიღწევებისა... ასე მეტყველებდა მასწავლებლების თვალები.

შორს ვერავინ წავა, ვინც მოკლებულია საკუთარ ნიადაგს.

აღზრდის საქმესაცა აქვს თვისი ნიადაგი.

მისი ნიადაგია სამშობლო და სოციალიზმი.

ჩვენს მასწავლებლობას ხელთ უნდა ეპყრას რევოლიუციის წითელი დროშა, რომელზედაც ამოქარგული იქნება ზემოდ ნათქვამი ცეცხლოვანი სიტყვები.

იგი ამით უნდა იმარჯვებდეს.

და გაიმარჯვებს კიდეც.

თუ ვისმეს ჰშვენის—მათ შორის ქართველობაც ის ერია, რომელსაც ამკობს რევოლიუციონერის და მაძიებელის ძოწეულები.

ქართველ მშრომელობას მარად უყვარდა გაგიჟება ახალი კეთილშობილი იდეალებით.

მაშ მომავლისკენ! აღზრდაშიაც ახალი მწვერვალების ძიებისკენ!

გწამდეს მასწავლებლობავ, რომ მშრომელ ხალხთან ერთად შენ აკეთებ იმ ლეგენდარულ საქმეს, რომელთანაც სრულიად გაიცრიცებიან თვით ილია და ოდისეის პოემებიც.

დ. ჩხეიძე.

# ჩვენი მეხუთე პუნქტისთვის.

რწმუნებულთათვის სახელმძღვანელოდ მუშათა კომისიის მიერ შემუშავებულ ინსტრუქციაში (პუნქტი მეხუთე) ნათქვამია:

„გაბედულად და დაურიდებლად უნდა მივუთითოთ მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს, თუ რომელი მისი აგენტი არღვევს კანონს და აწუხებს თავის უკანონო მოქმედებით გლეხებს და მუშებს. ეს მხარე თქვენი მოქმედებისა არა-ნაკლებ შეუწყობს ხელს მთავრობასთან დაახლოებას“.

ჩვენ გულწრფელად გვინდა საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოება, ჩვენ გვინდა მასთან თანამშრომლობა, გვინდა მისი მოქმედება და გადაწყვეტილებანი მტკიცედ ტარდებოდეს ცხოვრებაში. ჩვენ გვინდა გულწრფელობაზედ და თანამშრომლობაზედ იქნეს დამყარებული ძალაუფლების და ქართველი ხალხის ურთიერთობა.

აქედან გამოსული ჩვენს მოვალეობას შეადგენს, რომ მმართველ ხელისუფლებას მხარი დაუჭიროთ და თვალყური ვადევნოთ, რომ, როცა მისი სახელით რომელიმე მოხელე ან პარტიის წევრი ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას და ხელს უშლის მშრომელი ხალხის დაახლოებას,—ან არღვევს კანონს და თავის უხეში და უკანონო მოქმედებით აწუხებს, აღიზიანებს და აბოროტებს გლეხებს და მუშებს,—მაშინ ჩვენს მოვალეობას შეადგენს დაუნდობლად მიუთითოთ მთავრობას მოხელის ასეთ მოქმედებაზე.

ცნობილია, რომ კანონს თავისი შინაარსი ეკარგება, ქარწყლდება და უმნიშვნელო ხდება, თუ იგი სათანადოდ არ იქნა ცხოვრებაში გატარებული.

ისიც ცნობილია, რომ კანონის გატარების დარღვევა უმეტეს შემთხვევაში დაბალ მოსამსახურეთაგან ხდება და განსაკუთრებით ამას ალაგი აქვს პროვინციაში.

ჩვენი სიტყვაც უმთავრესად პროვინციელ ამხანაგებისადმი არის მიმართული და მათ ევალებათ, რათა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ საკითს.

საჭიროა ხელისუფლებამაც ხელი შეუწყოს სამართლიანი მითითების დროს და თავის მხრივ ზომები მიიღოს დაუდევარი მოხელის წინააღმდეგ.

ვინაიდან, თუ მოხელესა, მუშასა და გლეხს შორის ნდობა არ იქნება განმტკიცებული, მაშინ „კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“.

საჭიროა ცხოვრებაში კანონი ისე გატარდეს, როგორც მთავრობის მიერ არის განზრახული: არავითარ თვითნებობას ქვედა მოხელეებისას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ყველა ჩვენი თანამოაზრე, ყველა ის, ვინც გრძნობს, რომ ჩვენ უნდა დავემყაროთ ჩვენ საკუთარ ძალას და ამ ძალაზე დამყარებულნი უნდა ვიწვევდეთ საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას მის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის,—ყველა უნდა ჩაება საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის მუშაობაში.

ჩვენ უნდა ვამხილოთ ყოველი მოხელე, რომელიც არ-ასრულებს მთავრობის დადგენილებას გაეროვნების შესახებ. მოხელეც უნდა გრძნობდეს, რომ თუ ის არ შეასრულებს დადგენილებას, იგი დასჯილ იქნება ამისათვის იმნაირათვე, როგორც ის დაისჯება სხვა რაიმე ბოროტმოქმედებისათვის.

ჩვენი რედაქციის კარი მუდამ ღია იქნება მიიღოს ხოლმე განცხადებანი, წერილები, შეკითხვები და ამიტომ მოვუწოდებთ თანამოაზრეებს მოგვაწოდონ კონკრეტიული სწორი ცნობები ამის შესახებ,—თუ თვით არ მიმართავენ უშუალოდ მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს, რითაც ჩვენ შეუწყობთ ხელს მთავრობასთან დაახლოებას.

და ყოველი ჩვენი გადაწყვეტილება ამ მხრივ უნდა იყოს გამსჭვალული იმ აზრით, რომ ჩვენ ამ მოქმედებისთვის არც გვრცხვენია, არც გვეშინია...

# ინგლისის მუშათა დელეგაცია.

გასული თვის პირველ რიცხვებში საქართველოს ეწვია ინგლისის მუშათა დელეგაცია. მათ მიზანს შეადგენდა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასთან გაცნობა, ნამდვილი ცნობების შეკრება, —რათა ინგლისის მუშებს გადასცენ ის, რაც მათ ნახეს საქართველოში. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ ისინი საქართველოში უკანასკნელად მომხდარ ამბებს.

„ჩვენს მიზანს შეადგენს, განაცხადეს მათ, რათა გავეცნოთ თქვენი ქვეყნის ვითარებას და შემდეგ გავაცნოთ ის ჩვენს მუშათა კლასს, რომ იგი აღარ იმყოფებოდეს ათასგვარი ჭორების გავლენის ქვეშ“.

დელეგაცია შედგებოდა ხუთი წევრებისაგან: პერსელი, გულის კონგრესის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც ხელს უწყობდა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცებას. მას უმთავრესი ადგილი უჭირავს ინგლისის პროფ-მოძრაობის მემარცხენე მიმდინარეობაში. პერსელი სხვა ლიდერებზე უფრო თავგამოდებით იბრძვის ტრედ-უნიონების მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობიდან გამოყვანის შესახებ. 1914 წლიდან პერსელი ითვლება გენერალურ საბჭოს წევრად.

ტონ ბრომლეი ორთქლმავალების მემანქანეთა გაერთიანების მდივანია, ეკუთვნის ტრედ-უნიონების მემარცხენე ფრთას. გასული წლის იანვარში მომხდარ გაერთიანებულ მემანქანეთა გაფიცვას მეთაურობდა.

ტრედ-უნიონების კონგრესზე დიდ როლს თამაშობდა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების გარშემო გამართულ კამათში.

ტერნერი უნიონების წარმომადგენელია.

ბენ-ტილეტი დელეგაციის უხუცესი წევრია. პროფ-მოძრაობაში იგი მუშაობს ოთხმოციან წლებიდან. ორმოცი წლის განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ინგლისის მუშათა კლასის ბრძოლას. დიდი აღფრთოვანებით იცავდა გულის კონგრესზე საერთაშორისო გაერთიანებას. მოხუცებულობის. მიუხედავად დაუღალავად და ენერგიულად მუშაობს პროფ-მოძრაობაში.

ჰერბერტ სმიტი ცნობილია სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის ხელმძღვანელად. იგი იყო წევრი ტრედ-უნიონების კონგრესის საპარლამენტო კომიტეტისა და ითვლება პარლამენტარიზმის დამცველად.

ასეთი იყო შემადგენლობა დელეგაციისა. მან დაჰყო ხუთი დღე საქართველოში და გამგზავრების წინ მათ დასტოვეს თავისი შეხედულება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის შესახებ, რაც მათ ჩამოაყალიბეს რვა პუნქტში.

მათ მიერ აღიარებული ცნება, რომ დამოუკიდებლად არსებობა მენშევიკური საქართველოსი შეუძლებელია, რადგან აქ ერთმანეთს ეჯახებიან ევროპის იმპერიალისტების ინტერესები, სიმართლეს შეესაბამება, რადგან მენშევიკურ საქართველოს არსებობის დროს, მენშევიკებს სწადდათ შეექმნათ საქართველო, რომელიც არც ევროპას ეკედლებოდა და არც რუსეთს, არც იქით იყო, არც აქეთ. მათ უნდოდათ შეექმნათ ნეიტრალური სახელმწიფო და მხედველობაში არ იღებდენ, რომ საქართველო იმყოფებოდა ბუმბერაზ სახელმწიფოთა შორის და მაშინ ის გახდებოდა „სათამაშო ნივთად დიდ სახელმწიფოების ხელში“, როგორც მუშათა დელეგაცია ამბობს. რასაკვირველია საქართველოს არ შეეძლო ისეთი დამოუკიდებლობა, როგორც დიდ სახელმწიფოებს აქვს. ისიც ვიცით, რომ არსებობენ პატარა სახელმწიფოები როგორც: ესტონეთი, ლატვია, თუ გინდ „დიდი პოლონეთი“, ჩეხო-სლოვაკია, სერბეთი და სხვა მრავილი, ხოლო თუ მათ შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მიეკედლენ დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. მიუხედავად ამისა, ფაქტიურად მაინც არ არიან მთლად დამოუკიდებელნი.

მენშევიკებს კი უნდოდათ იქითაც და აქეთაც. ასეთ პირობებში მათ უნდა განეცადათ დამარცხება და დამარცხდენ კიდეც.

## ინგლისის მუშათა დელეგაცია საქართველოს შესახებ.

1. დამოუკიდებელი[1]) მენშევიკური საქართველო, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, სადაც ერთმანეთს ეჯახებიან ევროპის იმპერიალისტების ინტერესები და რომლის იქით იმყოფება ბაქოს ნავთის წყაროები, შეიძლება იყოს მხოლოდ სათამაშო ნივთი დიდი სახელმწიფოების ხელში.

2. „დემოკრატიული“ საქართველო მალე გახდებოდა პლაცდარმად კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიისათვის, ან შეიძლება მონარქიული რეაქციისათვისაც კი. ასეთი „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების ორი თვის შემდეგ კი გავრცელდებოდა ხმები ვრანგელის დესანტზე ან კიდევ სხვა რამეზე. შემდეგ კი ნამდვილად მოეწყობოდა საქართველოს ტერიტორიაზე კონტრ-რევოლიუციონური არმია და დაიწყებოდა ომი საბჭოთა რუსეთთან. საჭირო გახდებოდა საქართველოს გასაბჭოებისათვის ბრძოლის ხელმეორედ წარმოება.

3. ომის შემდგომი ევროპის ისტორია ამტკიცებს, რომ ევროპაში ნამდვილად არ არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, გარდა ეგრეთ წოდებული დიდი სახელმწიფოებისა.

4. მენშევიკები, შესაძლებელია, პატიოსანი ხალხია, მაგრამ ისინი უეჭველად პოლიტიკურად ბეცნი არიან. ასეთი ადამიანები არა ნაკლები საშიში არიან, ვიდრე უსინდისო ავანტიურისტები.

5. საბჭოთა რეჟიმი ყველაზე უფრო უზრუნველყოფს ქვეყნის დაცვას და მშვიდობიან აღორძინებას, მისი კულტურის განვითარებას. სავსებით გასაგებია ქართველი ბურჟუაზიის გაბოროტება, რომელმაც დაჰკარგა თავისი საკუთრება. ერი მთლიანად უზრუნველყოფილია და მას სურს მშვიდობიანობა, თავისი ცხოვრების გარდაქმნა ახალ ეკონომიურ საფუძველზე.

6. რაკი ქართულ ენას უკავია გაბატონებული მდგომარეობა სკოლებსა და ადმინისტრაციაში, რაკი საქართველოში სამშობლო ენაზე თავისუფლად გამოდიან წიგნები და გაზეთები; რაკი ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა წინ იქნას წაწეული ამ ხალხის ეროვნული კულტურა, ყოველგვარი ლაპარაკი იმაზე, რომ ქართველი ერი სულს ლაფავს მოსკოვის უღელქვეშ, წარმოადგენს სისულელეს და გამოგონილია საბჭოთა სახელმწიფოს კაპიტალისტური მტრების მიერ.

---

[1]) თავის შეხედულებას ამის შესახებ შემდეგ გამოვთქვამთ. რედ.

7. არსად დელეგაციას არ უნახავს „დანგრეული საქართველო“, რაზედაც აგრეთვე გაიძახიან საბჭოთა კავშირის მტრები. ყველგან საქართველოში სწარმოებს დიდი მუშაობა მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის და კულტურული დონის ასამაღლებლად. ამის დამამტკიცებელია ჩვენი კვლევა-ძიების შედეგები.

8. საუცხოვო და თავისი გრანდიოზობით განსაცვიფრებელი დემონსტრაცია, რომლის მოწმეები ჩვენ ვიყავით გუშინ, ამტკიცებს, რომ ქართველების უდიდესი უმრავლესობა შეეზარდა საბჭოთა რეჟიმს და აქტიურად უჭერს მხარს მას.

**პერსელი (თავმჯდომარე), ფრედ ბრამლი, ბენ ტილეტი, ჰერბერტ სმიტი, ელენ ვანდლეი, ჯონ ბრომლეი.**

დ—კო.

# წარსულიდან.

**სასულიერო მთავრობა.—გლეხების აჯანყება ევროპაში საშუალო საუკუნეებში.—აჯანყებულთა ხელმძღვანელნი.**

დევნილი ქრისტიანობა გადაიქცა სახელმწიფო სარწმუნოებად. ამ დღიდან იწყება ოფიციალური ქრისტიანობის გახრწნა; ეკლესიაში იჩინა თავი უპირატესობამ, ბატონობამ, ცარცვა-ყვლეფამ, სიმდიდრემ და ფუფუნებამ.

გაჩნდა სასულიერო მთავრობა, რომელიც თანდათან გაძლიერდა და გვერდში ამოუდგა საერო მთავრობას. მისი ერთად ერთი მიზანი იყო ბატონობის შენარჩუნება და მშრომელი ხალხის დამონავება.

ამ რიგად, განთავისუფლების მაგიერ მშრომელმა ხალხმა შეიძინა ორი ბატონი.

საჭირო იყო ქრისტეს მოძღვრების ნამდვილი დედააზრის გადამახინჯება, რომ მშრომელი ხალხის მთელი ყურადღება ამქვეყნიური ზრუნვიდან საიქიოს გადაეტანათ და ამ საქმეს შეუდგა სასულიერო მთავრობა. ქრისტეს მოძღვრებას ჰქონდა პოლიტიკური მიზანი: ხალხის აღზრდა, გათვითცნობიერება, შეკავშირება და განთავისუფლება.

საჭირო იყო ყოველივე ამის სრული გაქარწყლება და ამოშლა მშრომელი ხალხის გონებიდან.

სასულიერო მთავრობა შეუდგა სახარების ნამდვილი აზრის გადამახინჯებას და ყალბ ქადაგებას: ქრისტეს სიტყვები სიმდიდრისა და საკუთრების შესახებ პირდაპირ კი არ უნდა გესმოდეთ, ქრისტე მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ქონების შეძენამ არ გაგიტაცოსო, არ დაგავიწყებიოსთ ღმერთი, რომელიც მუდამ უნდა გახსოვდეთ; ქრისტე იმასა ჰქადაგებს, რომ ყველა კმაყოფილი იყოთ თქვენი მდგომარეობით, დასჯერდეთ თქვენსას და მდიდრების საკუთრებას ხელი არ შეახოთ; მეფეს, მთავრობას, თავადებს უნდა ემორჩილებოდეთ, რადგანაც მეფე ღვთისაგან არის დანიშნული; უნდა იყოთ წყნარი, მშვიდი და რასაც აქ მეტს აიტანთ და მოითმენთ, მით უფრო მეტს მიიღებთ საიქიოსო. ქრისტე საიქიო ცხოვრებაზე გიქადაგებთ, თორემ სააქაო ცხოვრება ფუჭია და წარმავალი, არ ღირს ამაზე ზრუნვაო.

ჰაჩნდა მალე თეორია მოთმინებისა და ყოველგვარი შევიწროების ატანა ცხონების გულისათვის, ქრისტეს მეორედ მოსვლა, მრავალი ყალბი ადგილი სახარებაში და ამგვარად მშრომელი ხალხი ცრუმორწმუნეობისა და სარწმუნოებრივი სიბრმავის ქსელში გაება. საუკუნოების განმავლობაში ის დარწმუნებული იყო: რასაც მეტს აიტან სააქაოს, მით უკეთესია, მამაღმერთი მომიწონებს და საიქიოს მომცემს ყოველისფერსო.

მონა საიქიოს მოელოდა განთავისუფლებასა და ბედნიერებას. ყმა დარწმუნებული იყო: საიქიოს მოვეწყობი დიდებულითო. მშიერი საიქიოს ელოდა გაძღომას, ღატაკი—გამდიდრებას; უბედური—გაბედნიერებასა და კეთილ ცხოვრებას.

სასულიერო და საერო მთავრობას, ბატონებსა და მდიდრებსაც სწორედ ეს უნდოდა: გულდამშვიდებული აჯდენ მშრომელ ხალხს კისერზე, ფუფუნებასა და განცხრომაში ატარებდენ დროს და მშრომელი ხალხის აჯანყებისა სრულებით აღარ ეშინოდათ.

სასულიერო მთავრობა ხალხს უქადაგებდა: იუნჯეთ საუნჯენი მხოლოდ ცათაშინაო; თვითონ კი გაუსვა ხელი და ისე გულმოდგინედ იუნჯებდა „საუნჯეთა ქვეყანასა ზედა“, რომ აუარებელმა სიმდიდრემ მოიყარა თავი იმის ხელში.

საეკლესიო მიწებზე სახლდებოდენ გლეხები და ამ რიგად სასულიერო მთავრობამ შეიძინა აუარებელი ყმა.

როდესაც სამოქალაქო ცხოვრება თანდათან განვითარდა, ვაჭრობა და მრეწველობა გაჩაღდა, ფუფუნებამაც საშინლად იმატა; ფულს დიდი ფასი დაედო, ის მეტად საჭირო შეიქნა, მემამულეებმა წაუჭირეს ყმებს ხელი და შეუბრალებლად აძრობდენ ტყავს.

სასულიერო მთავრობა არა ნაკლებ დაეხარბა ფულს და დაუწყო დაუზოგავად თლა თავის ყმებს.

ევროპაში ბატონყმობის დროს გავრცელებული იყო კანონი პირველი ღამისა.

რაში მდგომარეობდა ეს კანონი?

ყმა რომ ცოლს შეირთავდა, პატარძალი პირველ ღამეს ბატონის კუთვნილება იყო.

ამ კანონს განსაკუთრებულის სიმტკიცით იცავდენ კათოლიკეთა ეპისკოპოსები და მღვდლები.

როდესაც სასულიერო წოდების გარყვნილება ამ ზომამდე მივიდა, სარწმუნოებისაგან დაბრმავებულ მშრომელ ხალხს თვალები აეხილა, მოთმინების ფიალა აევსო და იფეთქა გლეხების აჯანყებამ, რომელიც სხვადასხვა დროს მთელ ევროპას მოედვა.

განსაკუთრებით ძლიერი იყო გლეხების აჯანყება საფრანგეთში მეთოთხმეტე საუკუნეში.

იქ თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება მაშინ არავითარ გადასახადს არ იხდიდა; მთელი გადასახადი გლეხებს აწვა კისერზე, ისინი ინახავდენ სახელმწიფოს, თავად-აზნაურობას, სასულიერო წოდებას. ამავე დროს კი მოკლებული იყვენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას.

აჯანყებამ იფეთქა პარიზის მიდამოებში და სწრაფით გადავიდა სოფლებში. აჯანყებულმა გლეხებმა ბევრი ციხე გაიმარჯვეს, რამოდენიმე ქალაქი აიღეს, დაპყრობილ ადგილებში თავად-აზნაურობა და სამღვდელოება ჟლიტეს. გაჟლიტეს.

თავადებსა და მღვდლებს თავზარი დაეცათ. ისინი სრულებით ვერ წარმოიდგენდენ, რომ მათი მონა-მორჩი-

ლი ყმა აჯანყებას გაჰბედავდა, ქალაქებსაც კი აიღებდა და თავადებსა და მღვდლებს გასწყვეტავდა.

აჯანყების ცეცხლი მთელ საფრანგეთს მოედვა და აღფრთოვანებული გლეხობა ის-ის იყო, სრულ გამარჯვებას დღესასწაულობდა, რომ საფრანგეთის თავადებსა და მღვდლებს ინგლისის ლორდები და ეპისკოპოსები არ მიმხრობოდენ.

როდესაც საფრანგეთში გლეხების აჯანყება გაძლიერდა და ქალაქები ერთი მეორეზე გადადიოდა აჯანყებულთა ხელში, ინგლისის თავადები და მღვდლები შეშინდენ: თუ საფრანგეთში საბოლოო გამარჯვება გლეხებს დარჩათ, მათი მაგალითი ინგლისის გლეხებს წააქეზებს და ჩვენც აგვიჯანყდებიანო.

სწორედ ამ დროს მოვიდა ინგლისში საფრანგეთის თავადებისა და მღვდლების ვედრება: ვიღუპებით და მოგვეშველეთ, თორემ თქვენც ჩვენი დღე მოგელითო.

ინგლისის ლორდებმა და ეპისკოპოსებმა გაგზავნეს დიდძალი ჯარი საფრანგეთის გლეხების წინააღმდეგ. გაჩაღდა სასტიკი ომი, მაგრამ საფრანგეთისა და ინგლისის თავადებმა შეერთებულის ძალით გაიმარჯვეს და აჯანყებულ გლეხებს სასტიკად გაუსწორდენ: ათასობით ამოჰხოცეს, ადგილ-მამული დაიბრუნეს, გამაგრდენ და ამის შემდეგ საფრანგეთის გლეხობის მდგომარეობა საშინელი შეიქნა.

გერმანიაში გლეხების მოძრაობა თავდაპირველად მიმართული იყო რომის ანუ კათოლიკეთა ეკლესიის წინააღმდეგ. კათოლიკეთა ეკლესიის უფროსი იყო და არის დღესაც პაპა, რომლის სატახტო ქალაქია რომი. რომის პაპა ითვლება ქრისტეს მოადგილედ და მისი ფეხის კოცნა უდიდეს ბედნიერებად ითვლება მორწმუნეთა შორის.

კათოლიკეთა სასულიერო წოდება საშუალო საუკუნოებში მეტად დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა ევროპაში და რომის პაპა ხელმწიფეთა ხელმწიფე იყო, მისი რისხვისა მეფეებსაც კი ეშინოდათ.

რომის პაპას განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა გერმანიაში.

გერმანია დაყოფილი იყო პატარ-პატარა სამეფოებად, რომლებსაც ერთმანეთში ხშირადა ჰქონდათ დავა, ჩხუბი და სისხლის ღვრა. ასეთის მოქმედებით ისინი ერთმანეთს ასუსტებდენ და რომის პაპსაც სწორედ ეს უნდოდა: იმათ ხარჯზე თვითონ ძლიერდებოდა და თვითმპყრობელი ბატონი იყო მთელი გერმანიისა. მისი რეჟიმი აუტანელი გახდა მარტო გლეხებისათვის კი არა, არამედ ხელოსნებისა, ვაჭრებისა და თავადებისთვისაც კი. უკმაყოფილება თანდათან გაიზარდა ყველა წრეებში და პაპის უღლის თავიდან მოცილების სურვილმა მთელი გერმანია გააერთიანა.

მეთხუთმეტე საუკუნეში გაჩაღდა გერმანიაში ძლიერი მოძრაობა რომის ეკლესიის წინააღმდეგ. ამ მოძრაობას ისტორიაში ეწოდება რეფორმაცია. მისი მეთაური იყო ლიუტერი, კაცი მეტად მხნე, მაგარი, მტკიცე და ნიჭიერი. მან მოსპო გერმანიაში კათოლიკეთა ეკლესია, გააძევა კათოლიკეთა მღვდლები, საღმრთო წერილი გადმოთარგმნა გერმანულ ენაზე, რომ ხალხს შეძლებოდა მისი წაკითხვა და გაგება და დაარსა გერმანიაში საკუთარი ანუ ლიუტერის მიმდევართა, ლიუტერანთა ეკლესია.

კათოლიკეთა ეკლესიას ჰქონდა გერმანიაში ძალიან ბევრი ადგილ-მამული. კათოლიკეთა ეკლესიის გაუქმების შემდეგ მისი ადგილ-მამულის, ნაწილი ახალ ეკლესიას დარჩა, დანარჩენს თავად-აზნაურობა დაეპატრონა, გლეხობა კი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

რადგანაც ლიუტერს დიდი გავლენა ჰქონდა, გლეხობა მას შეჰყურებდა და იმედს არა ჰკარგავდა: ლიუტერი კათოლიკეთა ეკლესიის მიწებს ჩვენ გადმოგვცემსო; მაგრამ გლეხობას ეს უკანასკნელი იმედიც არ გაუმართლდა: ლიუტერმა თავადების მხარე დაიჭირა და გლეხების გაჭირვებულ მდგომარეობას ყურიც არ ათხოვა.

ამ რიგად, ეკლესია და თავადები შეერთდენ გლეხების წინააღმდეგ და უმიწაწყლო გლეხობა მშრალზე დასტოვეს.

ლიუტერმა დაჰკარგა ნდობა მშრომელ ხალხში, სამაგიეროდ ის დაეყრდნო თავადებსა და მემამულეებს.

მხოლოდ მაშინ დარწმუნდენ გლეხები, რომ ყველა მათი მტერი იყო —ეკლესიაც, თავადებიც. უკმაყოფილება თანდათან გაიზარდა და მალე იფეთქა აჯანყებამ, რომელიც მიმართული იყო როგორც ეკლესიის, ისე თავადების წინააღმდეგ.

აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ტომას მიუნცერი.

მიუნცერი იყო მღვდელი და ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მთელ გერმანიაში რომის პაპა ბატონობდა. წირვა-ლოცვა სწარმოებდა ლათინურ ენაზე და დღესაც ასეა კათოლიკეთა ეკლესიაში. მიუნცერმა გაილაშქრა პაპის ბატონობის წინააღმდეგ და თვითონ შემოიღო წირვა-ლოცვა ხალხისავე ენაზე. ის იყო მეტად მჭერმეტყველი მქადაგებელი და როდესაც გლეხობამ საკუთარ ენაზე გაიგონა წირვა-ლოცვა და ქადაგება, მიაწყდა მიუნცერს და დიდის გატაცებითა და ყურადღებით ისმენდა ყოველ იმის სიტყვას.

თუ კათოლიკეთა ეკლესია გერმანიაში დამარცხდა და პაპის ბატონობა იქ დაემხო, ამ საქმეში მიუნცერს დიდი ღვაწლი მიუძღვის; მან მძლავრად შეუწყო ხელი გერმანიის განთავისუფლებას რომის პაპის კლანჭებიდან.

თუ გლეხობა იბრძოდა პაპის ბატონობის დასამხობლად, მას მარტო წირვა-ლოცვა კი არ აინტერესებდა გერმანულ ენაზე, არამედ იმედი ჰქონდა, რომ ამ ბრძოლით ის მოიპოვებდა კათოლიკეთა ეკლესიის მიწებს.

პაპა დამარცხდა, მაგრამ ამ მიწებს თავადები და ლიუტერის ახალი ეკლესია დაეპატრონენ.

ამან ააღელვა მარტო გლეხობა კი არა, არამედ მიუნცერიც და ის გამოვიდა თავადებისა და ეკლესიის სასტიკ მოწინააღმდეგედ, დაიცავა გლეხკაცობის მხარე და მოითხოვდა, რომ საეკლესიო მიწების დიდი ნაწილი გლეხობას გადასცემოდა.

მიუნცერმა გააჩაღა ფართო აგიტაცია, გადადიოდა ერთი კუთხიდან მეორეში, უქადაგებდა გლეხებს, მოუწოდებდა აჯანყებისაკენ; სასტიკად ილაშქრებდა მთავრობისა და მდიდრების წინააღმდეგ. ამავე დროს ადგენდა საგიტაციო წიგნაკებს და ურიგებდა გლეხობას.

ერთ ასეთ წიგნაკში ის სხვათა შორის სწერდა: „მთავრობა და თავადები მეთაურები არიან ცარცვა-გლეჯის, ქურდობის, ავაზაკობისა და გლეხკაცობის გაყვლეფისა: ძალმომრეობის წყალობით ყოველისფერი იმათ დაისაკუთრეს: წყალში — თევზი, ჰაერში — ფრინველი, მიწაზე — ტყე და ნადირი, მთელი ადგილ-მამული, რომელიც გლეხების ოფლით ირწყვება. ერთი სიტყვით, ყოველისფერი მუქთახორებს ეკუთვნის, მშრომელ გლეხკაცობას კი — არაფერი. მთელი მათი ცხოვრება ცარცვა-გლეჯაზე, ყაჩაღობა-ქურდობის დამყარებული, ღარიბებს კი უქადაგებენ:

ღმერთი გავალებსთ, არა იპაროთო. ისინი ჰკვლეფენ და სძარცვავენ გლეხებს, მუშებს, ღარიბ ხელოსნებს; ღატაკმა თუ გაჰბედა და სულ უბრალო რამე მოიპარა შიმშილის მოსაკლავად, მაშინათვე გაასამართლებენ და ჩამოახრჩობენ რევოლიუცია შეადგენს ხალხის უფლებას და როდესაც მას თავადები, მდიდრები და მათი მთავრობა ტყავს აძრობენ, ღმერთიც კი ნებას აძლევს, ხმალი აღმართოს ხალხის მძარცველების წინააღმდეგ“.

მიუნცერის გარშემო თავი მოიყარა რვაათასმა შეიარაღებულმა გლეხმა და მუშამ. მთავრობა დაფრთხა, აღუთქვა მუშებსა და გლეხებს სხვადასხვა შეღავათი. მიუნცერი აფრთხილებდა ყველას: ნურავითარ დაპირებას მთავრობისას ნუ ენდობით, მოგატყუებენ და, თუ თქვენ არ დაამარცხეთ იარაღით, ეგენი დაგამარცხებენო, მაგრამ ხალხი გამოუცდელი იყო და პოლიტიკურად გაუწვრთნელი; ზოგმა იარაღი დაჰყარა, მუშების ნაწილმა მუშაობას მოჰკიდა ხელი იმ იმედით, რომ აწი მთავრობა შეასრულებს თავის დანაპირებსო.

მიუნცერის საომარი ძალა ამ რიგად შესუსტდა. მთავრობამ ისარგებლა ყოველივე ამით, შეაგროვა დიდძალი ჯარი, მოემზადა, დაესხა თავს მიუნცერს და ასტყდა საშინელი ბრძოლა.

მიუნცერი დამარცხდა, ის ტყვედ შეიპყრეს, აწამეს და 1525 წელს თავი მოჰკვეთეს.

მიუნცერის მიზანი იყო მთელი არსებული [illegible]ბილების შეცვლა და კომუნიზმის დამკარება.

გლეხების აჯანყება საფრანგეთიდან ინგლისში გადავიდა, აჯანყებულებს ინგლისში მეთაურობდა მღვდელი ჯონ ბოოლი, რომელმაც მთელი კომუნისტური კავშირი დაარსა. მისი ქადაგება იზიდავდა აუარებელ ხალხს და ბრძოლის ცეცხლს აჩაღებდა სოფლებში.

„კეთილდღეობა მანამდე არ დამყარდება, სანამ ყველაფერი საერთო არ გახდება, სანამ არ გაუქმდება კერძო საკუთრება, სანამ არ მოისპობა ბატონი და ყმა და სრული თანასწორობა არ დამყარდება, უქადაგებდა ის ხალხს;— რითი დაგვიმტკიცებენ ჩვენი ბატონები, რომ ისინი ჩვენზე უკეთესები არიან? იქნება იმითი, რომ ჩვენ ვშრომობთ, ოფლსა ვღვრით, ისინი კი ჩვენს ნაოფლარს შეექცევიან? ან იქნება იმითი, რომ ისინი სასახლეებში უქმად და გარყვნილ ცხოვრებას ატარებენ, ჩვენ კი წვიმასა და ქარში ყანაში ვმუშაობთ? ან იქნება იმითი, რომ ისინი ფარჩააბრეშუმში არიან გამოწყობილი და ჩვენ კი—სალთხელში? ეს მათი ფუფუნება, მათი მშვენიერი სასახლეები, მათი ფარჩა და აბრეშუმი განა ჩვენის მარჯვენით არ არის შექმნილი?“ გატაცებული მქადაგებლის ძიერ დანთებული ცეცხლი სოფლიდან სოფლად გადადიოდა. მთავრობა შეშინდა და დაადგა დათმობის გზას. აჯანყებული გლეხებიც დაკმაყოფილდენ პატარ-პატარა შეღავათითა და დაწყნარდენ.

იგ. გომართელი.

# ორი ქვეყანა.

(გაზაფხულის მთვარიანი ღამე. ბაღი. ბაღთან მოჩუქურთმებული სასახლე. ელექტრონით ამწყაზარებული. მეორე სართულიდან მოისმის სიცილ-თქართქური. ვიღაც ნებიერი პიანინოს დაჰმღერის. ბაღში სამი გრძელი სკამია: შუაში, მარჯვნივ და მარცხნივ მარცხენა სკამზე სხედან: უმწეო დედაკაცი ორი პატარა შვილით და ინტელიგენტი. შუა სკამზე: დასახიჩრებული მუშა და მთხოვარა. მარჯვენა სკამზე: ლოთი მაწანწალა).

**ლოთი.** უჰ, როგორ მომენატრა პაპიროსის მოწევა.., ჩემს ჯიბეში კი სიცარიელე, იზმორება.. პაპიროსის ნამწვევს მაინც მოვძებნი იპოვნის ერთსა, ისევ გადააგდებს) რა უხსრა შენს მწეველს! . რა დრო დადგა.. ახლა ნამწვეიც ველარ გიპოვნია... პაპიროსის ტარსაც კი აწევიან, ისე არ ან გახარბებულნი ეჰ, რა გაუწყობა... მოდი ისევ პოეზიის ტალღებში შევცურდები. (წამოწვება გულაღმა სკამზე და მთვარეს მიჰპართავს) შენ ეი, ბებრუხანა მთვარევ, რატომ ეგრე პირქვე ჰისცურავ? შეყვარებულთა პოეტებმა რომ შეგაქეს, დაიჯერე?.. ოლოლო შენს თავს! თუ მართლა შეყვარებულთა მესაიდუმლე ხარ, აბა გაიგე ვისზედა ვარ შეყვარებული?.. რას გაილურსე? გამოიცანი რაღა ვინც მიყვარს... იქნება გგონია შენ მიყვარდე? (ქოქოლას აყრის) აი ჩაგტიტე შენა აჰაა და ანგრე!.. მანამ ნუღასა სჭამ, სანამ შენ არ შეგიყვარო... მაინც გამოიცანი ვინც მიყვარს... ვერ მიხ დი? მე გეტყვი— ჩემი სატრფო ტიკია... კახური ღვინით სავსე ტიკი... ვენაცვალე იმის ფაშფაშა მუცელსა...

(მეორე სკამზე მსხდომნი)

**უმცროსი ბავში.** (დედას) დედილო, პური მშიან.

**დედა.** მოიცა, შვილო, გათენდება და ეგება ვინმე გამვლელმა გამოიმეტოს ჩვენთვის ლუკმა პური.

**უმცროსი ბავში.** დედა, მახსოვს ერთხელ გვითხარი, ხან და ხან ცამ გახსნა იცისო.., რასაც მაშინ ინატრებს კაცი ასრულდებაო.., რატომ არ იხსნება?

**უფროსი ბავში.** რას ინატრებდი, გოგი, მართლა რომ გახსნილიყო ცა? .

**უმცროსი.** რასა?.. (ჩაუქრდება და თვალებ გაბრწყინებული ეტყვის) მე ვინატრებდი: წითლ დ დაბრ წულ ნაზუქს... ძალზე ვარიეს..

**უფროსი.** აი შე ღორმუცელავ, შენა!.. მუდამ საჭმელზე გეწყობა სული. ასეთი ძვირფასი შემთხვევა განა საჭმლის ნატვრაში უნდა დაჰკარგო?

**უმცროსი.** აბაიმე!.. მაშ რა უყო? . თუ კი მშიან!.. დღეს ხომ არა გვ ჭამია რა...

**მუშ. ინტელიგ.** შენ რაღას ინატრებდი, პატარავ?..

**უფროსი.** (ამოოხვრით) მამას!.. მამის დაბრუნებას ვინატრებდი...

**ინტელიგ.** სად არის განა?

**უფროსი.** გერმანელებთან ბრძოლის დროს დაიღუპა. ვინ იცის, იგი უკვე მკვდარია...

**უმცროსი.** (სტირის) საწყალი მამაჩვენი, საწყალი!..

**დედა.** (გულაჩუყებული ეხვევა ორივე შვილსა) ნუ, გენაცვალეთ, ნუ ჰფიქრობთ საშიშარს ამბებზე... არ მოაბრუნოთ მამისკენ სიკვდილი... მამა უეჭველად დაგვიბრუნდება და გაგაბედნიერებთ...

(შემოდის მგოსანი).

**ლოთი.** ოჰ, პარნასელს გაუმარჯოს!. (აცნობს ყველას).

**ინტელიგენტი.** ვიცნობთ, კარგა ვიცნობთ!.. ეს არის მგოსანი, რომელიც ყველაფერზე ოცნებობს.. სწერს ვარსკვლავებზე... ფერიებზე... ოცნებათა წალკოტებზე...

**ლოთი.** თვით კი ცხოვრებაში ბედნიერების ერთი გროშიც არ ჰღირსებია...

**მგოსანი**. რა ვქნა, მოყვასნო, ასეთია ჩემი ბუნება... ჩემი ბედნიერება მართლაც და ვარსკვლავებშია... ოქროს სიზმრები... იმითი ვარ მდიდარი... გაკრეზებული...

**ინტელიგ**. ეჰ, მგოსანო, მგოსანო!.. ქვეყნად რომ მართლა მხოლოდ პოეზია არსებობდეს—სიცოცხლე შენა გაქვს—ლამაზი იქნებოდა არსებობა... მაგრამ... შენ დაგავიწყდა, ძვირფასო, რომ ოცნების გარდა ქვეყნად არსებობს აგრეთვე ცხოვრება... მკაცრი, მუხთალი ცხოვრება...

**სახიჩარი**. (ფეხი დაუწყებს ტეხვას და მწარედ ჰკვნესის) ვაიმე, ფეხი, ფეხი!.. ვის რა გველი შევუწყი, რომ ასე ვისჯები.

**მგოსანი**. ვინა ხარ ძმობილო, სადაური ხარ?

**სახიჩარი**. ვინა ვარ?.. არავინ!

**მგოსანი**. არავინ?!

**სახიჩარი**. ვიყავი ერთხელ ადამიანი და დღეს არარა ვარ!.. მართალია, არც წინეთ მატკბობდა ბედი ყინვარი შაქრით, მაგრამ მაშინ მუშაობა მაინც შემეძლო... შრომის შვილებში ვტრიალებდი...

**მგოსანი**. მერე?.. რად ჩამოჰშორდი ამხანაგებს?

**სახიჩარი**. უბედურება შემემთხვა... მანქანის ბორბალმა ფეხი მომკვეთა... დამასახიჩრა... უსარგებლო გავხდი და გადმომიძახეს გარეთ... ვადამღვრძალ ძაღლივით დაველასლასებ... არავინა მყავს მომხედავი... შენ მგოსანი ხარ და გეცოდინება ქუჩიშვილისგან აღწერილი ვარიყულები... სწორეთ იმ უბედურთა ტანჯვით ვიღვლეფები...

**მთხოვარა**. მშვენიერი ლექსები აქვს. გვითხარი რომელიმე მათგანი.

**სახიჩარი**. კეთილი, გეტყვით, თუ არ დამავიწყდა (ამბობს).

„ჩვენ უსახლ-კარო        დავდივართ
ქუჩის შვილები        სიცოცხლეს ვატარებთ...
ვწანწალებთ,        გვშიან, თუ გვწყურიან,
ძმობილნო,        გლოვისა ზარად
ვწანწალებთ...        ხან ვსტირით
ყინვა-ავდარში,        ხან მწარეთ ვხარხარებთ...
თოვლ-ჭყაპში        ვიდრე ლოდებით
ლაფში        საფლავში ჩავალთ,
ვკანკალებთ        ვიელით. იელიან ისინი...
დობილნო,        სადმე ქუჩაში
ვკანკალებთ...        მოჰკვდებით,
ეზოდან-ეზოში.        წავალთ...
ყველგან ამ გვარად        ზარს გვეტყვის
        ქარის სისინი!..“

(ხანგრძლივი დუმილი. მწუხარებაა ყველას სახეზე აღბეჭდილი).

**ინტელიგ**. ოხ, ეს სიმშილი... გაჭირვება... მან ცოლშვილიც კი მიმატოვებინა... ვეღარ გაუძელ მათს საცოდაობას და გამოვეპარე...

(სასახლის სრა-კარი გაიღება. გამოიგრიალებს აღტაცებული ხარხარ-კისკისი. მუსიკის ხმები. გამოჩნდება ქალი, რომელსაც ლაქია კინწის კვრით გამოაპანჩურებს. მას დალალები გაწეწია. ისტერიკაშია ჩავარდნილი).

**გაუპატ**. ვაი ჩემს თავსა!.. ვაი ჩემს ყოფას! რაღა ვქნა, სად წავიდე ნამუსახდილი... სანამ მოვწონდი თავს მევლებოდნენ... ახლა მოვყირჭდი და ქუჩაში გადმომისროლეს (ქვითინებს).

**სახიჩარი**. აგერ კიდევ მოგვემატა გარიყულებს... ეტყობა ნამუსი აუხდიათ...

**ინტელიგ**. ეგ იქ იყო მხოლოდ მორთულობა სასახლისა... მშვენიერი დეკორაცია. გაცვდა, გახუნდა და გადმოაგდეს... მოიშორეს... სადღაა ხასხასა იაგუნდები, რომლითაც იგი იყო მოოჭვილი?.. გაძარცვნილია, სულით და ხორცით გაპარტახებულია...

**მგოსანი**. (ხარბად აკვირდება გაუპატიურებულს და ფითრის ფერი ედება მწუხარებისგან). ამას ვის ვხედავ?.. ნუ თუ იგი ეთერია?.. ვაგლახ, იგია... იგი...

**ყველა**. როგორ?.. ნაცნობია?..

**მგოსანი**. (არ ესმის მათი კითხვა) როგორ მიყვარდა... რა მომხიბლავი იყო, ლალანა!.. როცა ის გამოჩნდებოდა—მეგონა განთიადი ლაღლაღებს-მეთქი... მარად ყვავილების ფრენით ვისწრაფოდი მისკენ...

**სახიჩარი**. ნუ თუ არ თანაგიგრძნობდა?..

**მგოსანი**. მას არ ესმოდა... იგი გაეტაცნა სიმდიდრეს... ფუფუნებას... მოჩვენებითი ბედნიერებას .. მისდევდა მოხიბლული მათ, ვინც მოკაღულ სიტყვებით იტყუილებდა გარყვნილების ჭაობისკენ...

**გაუპატ**. (შეამჩნევს მგოსანს. სცდილობს ასცდეს... რცხვენიან მისი შეხვედრის... ვერ უხერხდება დამალვა, სახეზე სიმწრის ეკალ ასხმულია) მგოსანო, მრცხვენიან შენი შემოხედვისა... ვიტანჯები... დამნაშავე ვარ შენს წინაშე... უმსგავსად უარვყავი... გათახსირებულში გაგცვალე... აჰხ, რა უგუნური ბავში ვიყავი... სრულიად არა მესმოდა რა ცხოვრებისა... ალერსის ბანგით დამთვრალი პეპელასავით დავფარფატებდი სასახლეებში და არა ვფიქრობდი საშინელს მოძავალზე... აკი დავისაჯე კიდეც... სადღა წავიდე?.. ვით გაუძლო ჯოჯოხეთურ ცეცხლსა?

**მგოსანი**. ეთერო!.. ძვირფასო!.. ნუ მიეცემი განწირულებას... კიდევ შეიძლება ახალი, ლამაზი ცხოვრების დაწყება...

**გაუპატიურ**. წაბილწული ვარ... გათახსირებული... მე ისე დავეცი, რომ ძნელია პოვნა ჩემზე უარესად გაუბედურებულისა.

**მგოსანი**. ნუ იტყვი მაგას, მეგობარო... კიდევ ბევრია შენზე უბედური... საშინელება ყოველთვის დაუტევნელია, ულევია... ვერ დაასახელებ უბედურებას, რომ სთქვა: ამაზე აუტანელი არა იქნება რაო... ყოველთვის აღმოჩნდება მდგომარეობა იმაზე უუფსკრულესი .. ინუგეშე თავი მით, რომ შენ პირველი არა ხარ ასე გაუპატიურებული... ჰკითხე იმ კარებს, რამდენი გადმოუსროლიათ ნამუს ახდილი... ის კარი მუნჯია, თორემ ლაპარაკი რომ შეეძლოს—გადმოგცემდა ყველა იმ გახრწნილებას, რომლის მნახავიცაა იგი... შენ ერთით მაინც უცილობლად ხარ ბედნიერი...

**გაუპატიურ**. (ნაღვლიანად, უიმედოდ) რითი?..

**მგოსანი**. შენ შეგრჩენია ლამაზი სული... ეგაა თავდები შენი განახლებისა... შენი აღდგომისა.

**გაუპატ**. მე? ლამაზი სული? ეჰ, მგოსანო, მგოსანო! მე შენ უნაზესი გრძნობების მეგონე... ვფიქრობდი დაყვავება შეგეძლო... ჩემს სულს სცივა... აკანკალებს... შენ კი... დაცინვის ხორხოშელას მიშენ... მიპირებ დაზრობას. . გაყინვას... (ყრუდ ჰქვითინებს).

**მგოსანი**. აი შენა ჰქვითინებ და ეს იმისი ნიშანია, რომ შენ მანკიერება არ მოგკარებია.

**გაუპატ**. მაშ კვალინდებურად გიყვარვარ?..

**მგოსანი** უფრო მეტად...

**გაუპატ**. წინეთ?..

**მგოსანი.** ყოველთვის!.. მე არასოდეს დამვიწყებიხარ.. ვიცოდი ადრე თუ გვიან უნდა დამბრუნებოდი... მე ვიცოდი, რომ ბავშობამ აგიბა თვალები, თორემ მათში აბა როგორ ჰპოვებდი წმინდა სიყვარულს... იმ გაქსუებულთა შენდამი ტრფობა იყო უხეში ვნებით აკრძალებული... შენში მათ უყვარდათ მხოლოდ თავიანთი ცოდვილი სიამოვნება... მათ სრულიად არ აინტერესებდათ, რომ შენ გქონდა ლამაზი, მშვენიერი სული... აკი უპირფრადაც მოგექცნენ... მოჰკრიფის შენ გულმკერდზე ყველა ყვავილები და ახლა შენი განწირულება ბაიბუადაც არ მიაჩნიათ..,

**გაუპატ.** რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?..

**მგოსანი.** მომეცი ხელი, ძვირფასო!.. უშენოდ შინაარსი არა ჰქონდა ჩემს სიცოცხლეს .. სევდით იყო ჩამობურული ჩემი გული... გამოჩნდი შენა და გასჩახჩახდა იგი.,. (ეხვევიან ერთმანეთს).

**სახიჩარი.** (ამთქნარებს) ძილის დროა... დავიძინოთ მაშვრალნო!..

**მთხოვარა.** რა არის ძილი, სიზმარი? იმდენ ორუვაში ვარ, რომ არც კი ვიცი, როდის ვიძინებ...

**მგოსანი.** ძილი ტურფა ასულია... კალათები სავსე აქვს სიზმრებით,.. დანავარდობს ქვეყნად და ჰუანტავს უხვად ძილის მტევნებს...ნაირ-ნაირი მტევნები იცის... ტკბილიც... მწარეც... ბუდეშურსავით დაშაქრულიც და ძაღლყურძენასავით მწკლარტეც .. მოეწონება ვინმე... უხვად უთავაზებს ბუდეშურის აკიდოებს... არ მოეწონება? პირუკუღმა გადაუყრის ლენცოფასავით მწარე ზმანებებს.

**სახიჩარი.** დავიძინოთ, კმარა!.. ეგება ახლა გვესიზმროს ყვავილოვანი სიზმრები...

**ყველანი.** ნეტავი, ნეტავი!.. (წვებიან: ზოგი სკამზე... ზოგი მიწაზე).

(შემდეგი იქნება).

**დ. თურდოსპირელი.**

# მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების წარმომადგენელთა თათბირი ბრიუსელში.

იანვრის პირველ რიცხვებში ქ. ბრიუსელში (ბელგია) გაიმართა მე-II (სოც.) და ამსტერდამის ინტერნაციონალების წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი. დაესწრენ ევროპის მთავარი სახელმწიფოების სოც. პარტიებისა და პროფკავშირების წარმომადგენელნი, გარდა ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციისა პერსელის მეთაურობით.

თათბირს წინ უსწრობდა სოციალ. ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომები, რომელსაც უნდა განეხილა საკუთარი საკითხები და გამოემუშავებია გაერთიანებული თათბირის დღის წესრიგი. როგორც სხდომების, ისე თათბირის მუშაობის თითქმის მთავარ ცენტრად გადაიქცა საკითხი საბჭოთა კავშირის შესახებ და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. სხდომის გახსნისთანავე სიტყვას იღებს რუსი მენშევიკი **დანი** და ლაპარაკობს საქართველოს საკითხის შესახებ. მას ხელთ უჭირავს ქართული გაზეთი ბრომლეის ფოტოგრ. გადაღებულ ხელწერით, ილაშქრებს ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციის წინაალმდეგ და კითხულობს—ინგლისის მუშათა კლასის დასტურით აკეთებდა ინგლისის პროფკავშირების გენერალური საბჭოს მდივანი—ბრომლეი ასეთს საპასუხისმგებლო განცხადებებს, თუ არა. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც, რომლებიც თავს ესხმოდენ იმავე ტრ.-უნ-ის დელეგაციასა და საბჭოთა ხელისუფლებას. ინგლისის მუშათა პარტიის დელეგატებმა (ალენი, უოლხედი, ვედჯვუდი, ტომას შოუ და სხვა), მიუხედავად შექმნილ ანტისაბჭოურ ატმოსფერისა, ლოიალური პოზიცია დაიჭირეს ამ საკითხში და განაცხადეს, რომ გადამჭრელი ხმა ტრედ-იუნიონების დელეგაციის ნაბიჯების დაფასებაში ინგლისის პროფკავშირების დელეგაციასა (რომელიც ბრიუსელში არ ჩამოსულა) და ტრედ-იუნიონთა კონგრესს ეკუთვნისო.

ინგ. დელეგაციის განსაკუთრებულმა პოზიციამ თავი იჩინა შემდეგ სხდომებზედაც. ჟენევის ოქმისათვის კენჭის ყრის დროს დელეგაციამ თავი შეიკავა და განაცხადა, რომ მას არ შეუძლია თავი შეიბოჭოს ისეთი დაპირებით, რომელიც ჰკულისხმობს მხარის დაჭერას შესაძლებელ სამხედრო მოქმედებისათვის იმ სახელმწიფოების წინაალმდეგ, რომლებიც ჟენევის შეთანხმების გარეშე რჩებიან, სანამ გერმანია და რუსეთი არ შესულან ერთა ლიგაში. ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ ისეთ პროექტს, რომელიც დაგვაკისრებდა მიგველო შესაძლებელი ომი რუსეთის წინაალმდეგ, ვინაიდან ინგლისელი მუშები არ იბრძოლებენ რუსეთის წინაალმდეგო,—განაცხადა ინგლისის დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელთაგანმა. იყო გრძელი კამათი, რომლის დროსაც ინგლისის დელეგაციას მოაგონეს, რომ საბჭოთა კავშირს უკვე მიეცა შესაძლებლობა შესულიყო ერთა ლიგაშიო.

მოსმენილ იქნა სოციალ. ინტ-ის აღმასკომის მდივანის მოხსენება. მოხსენებასთან დაკავშირებით კვლავ დიდი ალაგი დაიჭირა საკითხმა საქართველოს შესახებ. საღამოთი სახალხო სახლში გამართულ საჯარო მიტინგზე ვანდერველდემ წარუდგინა დამსწრეთ წერეთელი და განაცხადა, რომ საქართველო დღეს წარმოადგენს, ისევე, როგორც ოდესღაც პოლონეთი წარმოადგენდა, დაჩაგრული ქვეყნების სიმბოლოს, და საერთაშორისო პროლეტარიატის მზრუნველობის საგანსო. ასეთივე კილოზე ილაპარაკა წერეთელმა, რომელიც თავს საქართველოს სოციალისტებისა და ქართველი ხალხის წარმომადგენელს უწოდებდა. იგი შეეხო საქართველოში მომხდარ უკანასკნელ ამბებსაც და განაცხადა, რომ ეს იყო „სასოწარკვეთილებამდე მისული ქართველი ხალხის აჯანყებაო“. გერმანელ დელეგატმა კრისპინმა განაცხადა—სოციალიზმის წინაალმდეგ დღეს დარაზმულია სამი ძალაო: კაპიტალიზმ , ფაშიზმი და ბოლშევიზმიო. ილაპარაკა ტომას შოუმ, რომლის სიტყვაც იმით განსხვავდებოდა, რომ იგი სულ არ შეხებია პოლიტიკურ საკითხებს. ვანდერველდემ და წერეთელმა თითქმის ერთი და იგივე სიტყვებით დაახასიათეს ესტონეთის დღევანდელი მდგომარეობა და განაცხადეს, რომ მან ძლივს დააღწია თავი საქართველოს ბედსო.

3 იანვარს დილით გაიმართა ინტერნაციონალების ბიუროების გაერთიანებული სხდომა ვანდერველდეს თავმჯდომარეობით. მან, სხვათა შორის, განაცხადა: ჩვენ ძალზე აგვაღელვა იმ პოზიციამ, რომელიც ინგ. მუშათა დელეგაციამ დაიკავა საბჭოთა მთავრობისა და მე-III ინტ-ის მიმართ. ჩვენ ახლა არ გავარჩევთ დელეგაციის

წევრთა ეკონომიური ხასიათის დასკვნებს: თუ ისინი დარწმუნდენ, რომ რუსეთის მდგომარეობა უმჯობესდება,— სთქვან ეს; ჩვენ მათ შევეკამათებით. მაგრამ გამოდა ამისა მათ გააკეთეს პოლიტიკური ხასიათის განცხადებები, რასაც შესაძლებელია მეტად ცუდი შედეგები მოჰყვეს. სხვათა შორის, მას მოჰყავს დელეგაციის განცხადება საქართველოს შესახებ და ამბობს, რომ დელეგაცია ვერ ერკვევა იმაში, თუ როგორი მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში მოყოლილ ქვეყნებში. ვანდერველდე ეხება სხვა საკითხებსაც და ათავებს განცხადებით—ბოლშევიკებს ჰსურთ განხეთქილება დასთესონ საერთაშ. მუშათა მოძრაობის როგორც პოლიტიკურ, ისე პროფესიონალურ ორგანიზაციებშიო.

საფრანგეთის შრომის გენერალური კონფედერაციის (რეფორმისტულის) თავმჯდომარე ჟუო აცხადებს, რომ აღძრული საკითხის შესახებ გადამჭრელი სიტყვა ტრედ-იუნიონების კონგრესმა და მუშათა პარტიამ უნდა სთქვანო. ეხება რა დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობასთან, ჟუო ამბობს: ჩვენ თანახმანი ვართ მოლაპარაკება ვაწარმოოთ რუსეთის პროფკავშირებთან, მაგრამ კატეგორიულად უარს ვამბობთ პროფინტერნთან მოლაპარაკებაზეო და სხ. ტომას შოუ ჟუოს განცხადებას იწონებს. უდეგესტი (ამსტერდამის ინტერნაციონალის პირველი მდივანი) მოითხოვს, რომ ინტერნაციონალმა უფრო ენერგიულად გაილაშქროს დიქტატურის წინააღმდეგ.

მიღებული იქნა, სხვათა შორის, შემდეგი დადგენილებები: **ჟენევის ოქმის შესახებ**: მიღებულია რეზოლიუცია (ერთხმად, ერთმა თავი შეიკავა), რომელიც იწონებს ოქმს, როგორც პროგრესიულ ფაქტორს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში და მოითხოვს მის რატიფიკაციას; **საქართველოსა და ესტონეთის შესახებ**: მიუხედავად წერეთლის, დანის, სტალინსკისა და ესტონეთ-პოლონეთის სოციალ-დემოკრატების ცდისა, მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა საბოლოოთ არავითარი რეზოლიუცია არ მიიღო საქართველოსა და ესტონეთის შესახებ, რაც სავსებით შეეფერებოდა ინგლისის დელეგაციის სურვილებს. ეს პირველი შემთხვევაა რამოდენიმე წლის განმავლობაში, როდესაც არ ყოფილა მიღებული რეზოლიუცია საბჭოების წინააღმდეგ; **კიოლნის ზონის შესახებ**: რეზოლიუცია ჰკიცხავს მოკავშირეებს ევაკუაციის გადადების გამო, მაგრამ ამასთანავე მკაცრად აკრიტიკებს გერმანიის მთავრობას იმის გამო, რომ თითქოს მან დაარღვია ვერსალის ხელშეკრულების პირობები განიარაღების შესახებ; **ფაშისტების ტერორის შესახებ**: აღმასკომი ერთსულოვნად ჰგმობს ფაშისტურ ტერორს და გამოსთქვამს იმედს დემოკრატიის გამარჯვების შესახებ იტალიაში; **მეორე ინტერნაციონალის სეკრეტარიატის ადგილი**: გერმანელი და ფრანგი სოციალისტები მოითხოვდენ სეკრეტარიატის გადატანას სხვა ქალაქში. აღმასკომის დადგენილებით სეკრეტარიატი ისევ ლონდონში რჩება; **კონფლიქტი უნგრეთის ს.-დ. პარტიაში**: კონფლიქტის მოსაგვარებლად არჩეულია კომისია, რომელშიაც შედიან: ტომას შოუ (ინგლისი) და დე ბრუკერი (ბელგია); **ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტის შესახებ**: მიღებულია რეზოლიუცია, სადაც მეორე ინტერნაციონალის აღმასკომი მიესალმება ინგლისის მუშათა პარტიის პროტესტს ინგლისის მთავრობის ულტიმატუმის წინააღმდეგ; რეზოლიუცია აგრეთვე მხარს უჭერს პროტესტს იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობამ არ გადასცა კონფლიქტი განსახილველად ერთა ლიგას და საჭიროდ სცნობს, რომ ეგვიპტე, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, დაშვებულ იქნას ერთა ლიგაში. დასასრულ აღმასკომმა დაადგინა მოწვეულ იქნეს ინტერნაციონალის კონგრესი მიმდინარე წლის აგვისტოში ან სექტემბერში საფრანგეთში.

## ბრიუსელის თათბირის გამოძახილი.

გაზ. „პრავდა“ ეხება თათბირის მუშაობას და ამბობს, რომ მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები ხელს უწყობენ საერთაშორისო რეაქციას, რომელსაც გააფთრებული იერიშები მიაქვს მუშათა კლასზე, განსაკუთრებით დღევანდელ მომენტში. მეორე ინტერნაციონალი გვევლინება, როგორც ერთგული დამცველი ბურჟუაზიული წყობილებისა. მაგრამ ამასთანავე გაზეთი აღნიშნავს ფრიად მნიშვნელოვანსა და დადებითს მოვლენას: „...ამ კონფერენციაზე მთლიანობა მაინც არ არის. თავს იჩენს ორი მიმდინარეობა: მემარჯვენე ფრთა გერმანელ და ფრანგ სოციალისტების მეთაურობით და მემარცხენე— ინგლისის დელეგაციის მეთაურობით“. ამის მიზეზს გაზეთი იმაში ჰხედავს, რომ ინგლისის მუშათა პარტია და ტრედიუნიონები მეტ გავლენას განიცდიან მუშათა მასების მხრივ, რომელსაც არ სურს იბრძოლოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და თანდათან ითვისებს კომუნიზმის პრინციპებს.

---

გაზ. „იზვესტია“, სხვათა შორის, სწერს: „ჩვენ ერთხელ ვწერდით, რომ მეორე ინტერნაციონალი ბურჟუაზიული დემოკრატიის აგენტურასაც კი არ წარმოადგენს; იგი წარმოადგენს ბურჟუაზიული რეაქციის აგენტურას... ბურჟუაზიული დემოკრატია უფრო მემარცხენე და პატიოსანია, ვიდრე ყვითელი სოციალისტები. დღევანდელი ბრიუსელის კონფერენცია, ადასტურებს ჩვენი დებულების ჭეშმარიტებას... ეს ვანდერველდეები, ჟუოები, წერეთლები და სხვები გამოდიან დამქაშებათ კაპიტალისტური ქვეყნის ყველაზე უფრო რეაქციონური ჯგუფებისა და მიმდინარეობების“... თუმცა, საბედნიეროდ, კონფერენცია ამჟღავნებს უთანხმოების დაწყებას მეორე ინტერნაციონალის რიგებში. და თუ კი ასეა ზედაფენაში, შეიძლება ითქვას, რომ ...„მუშათა კლასის ფართო წრეებში უთუოდ მწიფდება უფრო ღრმა და სერიოზული პროცესები“, რაც საბოლოოდ გამოგლეჯს ამ მასებს დღევანდელი მეთაურების ხელიდან...

---

ფრანგ სოციალისტებმა თათბირთან დაკავშირებით დაიწყეს გააფთრებული კამპანია ტრედ-იუნიონების წინააღმდეგ. გაზ. „პეპლი“ ამ საკითხის გარშემო აქვეყნებს მთელ რიგ წერილებს. გაზეთი ამბობს, რომ ინგლისელებმა თავი მოატყუებინეს ბოლშევიკებს. გაზეთის აზრით, დელეგაციას საბჭოთა კავშირში „პოტიომკინის სოფლები“ აჩვენეს. ფროსარის ჯგუფის ორგანოს „ევრ“-ს არ სჯერა, რომ მე-II ინტ-ი მიიღებს კაუცკის მემორანდუმს და რომ საფრანგეთის სოც. პარტია დასთანხმდება შეიარაღებულ ბრძოლაზე ბოლშევიკების წინააღმდეგ. გაზ. „კოტიდიანი“ კი, პირიქით, ვანდერველდეს პირით აცხადებს, რომ კაუცკის მემორანდუმი საფუძველი იქნება დისკუსიისათვის იმ პოზიციის გარშემო, რომელიც ახლა მან უნდა დაიკავოს კომუნისტების მიმართ. კაუცკი სთვლის, რომ სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია რაიმე საერთო

ჰქონდეს კომუნისტებთან. მისი აზრით, სოციალისტებმა უნდა იბრძოლონ იმ დესპოტიზმის წინააღმდეგ რომლის ქვეშაც გმინავს რუსეთის ხალხი, და დახმარება აღმოუჩინონ უკანასკნელს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, თუმცა შეიარაღებული აჯანყების გზას დღევანდელ პირობებში მიუღებლად სცნობს.

ასე მსჯელობენ იქ „სოციალისტები“...

X.

# ახალგაზრდა მომღერალი ნ. ქუმსიაშვილი

(ოპერა „დაისის“ დადგმის გამო).

წარსულ კვირას სახელმწიფო ოპერის თეატრში დადგმულ იქნა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

როგორც მის პირველ ოპერას „აბესალომ და ეთერის“, დაისსაც“ აუარებელი ხალხი ესწრება.

ამ სალამოსაც მეტად ბევრი ხალხი დაესწრო როგორც პირველი, ისე მეორე ოპერა საზოგადოებას ისე შეჰყვარებია და მოსწონებია, ხშირადაც რომ იქნას დადგმული, მაინც არავის მოსწყინდება მათი მოსმენა.

ამ სალამოს ყველას ყურადღებას იპყრობდა ახალგაზრდა მომღერალი ნ. ქუმსიაშვილი კიაზოს როლში. განსაკუთრებით გულისფანცქალით ველოდით მის გამოსვლას ისინი, რომელთაც ჯერ არ გვენახა მისი თამაში.

მშვენიერი, სასიამოვნო და ძლიერი ხმა, სცენაზე თავის დაჭერა, მიმოხვრა და მოქმედება დამაკმაყოფილებელი—აი ახალგაზრდა მომღერალის ღირსებანი, რომლებიც შემდეგში უფრო განვითარდებიან და ქუმსიაშვილს გახდის საყვარელ არტისტად.

ვ. სარაჯიშვილის დაკარგვის შემდეგ ქართულმა ოპერამ ქუმსიაშვილის შეძენით შეივსო საშინელი დანაკლისი. ასე ადვილად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ახალგაზდებში ვიპოვიდით ისეთ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებულ მომღერალს, როგორიც აღმოჩნდა ნ. ქუმსიაშვილი.

ამიტომაც, ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მის გამოსვლას და ტაშისცემით აჯილდოვებდა, განუწყვეტლივ იწვევდა ყოველ ანტრაქტის დროს, რაც არც ისე ხშირად ხდება ჩვენი თეატრის ცხოვრებაში.

უნდა ითქვას, რომ სხვებიც ყველანი თავის ადგილას იყვნენ და საერთოდ ხელს უწყობდენ ოპერის კარგად ჩატარებას.

გვინდა აქ ერთი გარემოებაც აღვნიშნოთ: ზოგიერთი ცხობილი ოპერები ქართულად რომ იქნებოდეს დადგმული, კარგი იქნებოდა. ამ ბოლო დროს ქართველობა ძლიერ ეტანება ოპერებს და თუ მას საშუალება ექნება კლასიკური ოპერები მაინც თავის ენაზე მოისმინოს, იგი კიდევ უფრო მეტი ხალისით გაეშურება ოპერის თეატრისკენ.

რა თქმა უნდა, ქართულ ოპერების გამრავლებასაც ამითი ხელი შეეწყობა და ქართველ მომღერალთაც ნიჭის გამოჩენის სარბიელი მიეცემათ.

**მუსიკის მოყვარული.**

# მუშათა წერილები.

## რა გვინდა ჩვენ?

ჩვენ გვინდა ჩამოვარდეს საქართველოში სრული მშვიდობიანობა. ამისათვის საჭიროა შესწყდეს ბრძოლა კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ,—ლეგალური იქნება ეს ბრძოლა, თუ არალეგალური. ამ გზით მუშაობა დაგვავალა ჩვენ ნაძალადევის მუშათა კრებამ 7—8 ოქტომბერს არჩეულ კომისიას, რაც გაიზიარა მუშათ უბნებმა და გლეხკაცობამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ საქმის გაკეთებას ჩვენ შევსძლებთ, თუ ნათლად გვექნება გარკვეული ოქტომბრის რევოლიუცია და მისი შედეგები; თუ ნათლად გავითვალისწინებთ, რომ ოქტომბრის რევოლიუცია სწორედ რუსეთის სინამდვილის მიერ არის წარმოშობილი და რომ მის მიერ შექმნილი ხელისუფლება არის ერთად-ერთი, რომელსაც შეუძლია უზრუნველჰყოს რევოლიუციის მიღწევანი შინაურ და უცხოელ კონტრ-რევოლიუციის შემოტევებისაგან.

მუშათა მოძრაობა სხვადასხვა გვარ პირობებში ვითარდებოდა რუსეთში და დასავლეთ ევროპაში. ამ განსაკუთრებულმა პირობებმა თავისებური დაღი დაასვა რუსეთის მუშათა კლასისა და ევროპის მუშათა კლასის განვითარების დონეს. შედეგად ის მივიღეთ, რომ უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში რუსეთის მუშათა კლასს მეტი რევოლიუციონური სულისკვეთება ახასიათებდა და ახასიათებს დღესაც, ვიდრე ევროპის მუშათა კლასს. მოძრაობის ასეთი თავისებური განვითარება, წინაპირობა იყო იმისთვის, რომ გადამწყვეტ მომენტში მუშათა კლასს არ დაეხია ხელისუფლების აღების წინაშე, გამოეცხადებია თავისი დიქტატურა და სათანადო გზების გამონახვით—გლეხობასთან კავშირითა და სხვა—შეენარჩუნებია რევოლიუციის მონაპოვარნი დედამიწის ერთმეექვსედზე. მართალია, რუსეთის ჩამორჩენილობის გამო, რუსეთის რევოლიუციას უხდება დიდი დაბრკოლებების გადალახვა; ახალი ცხოვრების მოწყობას ახლავს ბევრი ტკივილები, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ჩვენს სინამდვილეში რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია.

მართლაც, დავუშვათ, რომ ჩამოვარდა ბოლშევიკური ხელისუფლება. როგორი ფორმის ძალა-უფლება შეიძლება რუსეთში ამის შემდეგ?—რა თქმა უნდა, მხოლოდ მონარქისტული. ეს ასულდგმულებს ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებსა და მონარქისტებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ არა ბოლშევიკური გამოსვლა ოქტომბერში,—დღეს აღდგენილი იქნებოდა მეფის თვითმპყრობელობა (მოვიგონოთ კორნილოვი, დენიკინი, ვრანგელი, იუდენიჩი, კოლჩაკი და სხვები, რომელთაც ევროპა დახმარებას უწევდა). ხოლო თუ კი ეს ასეა, ჩვენ ვერ მოვითმენთ ვერავითარ სხვა ფორმის მართვა-გამგეობისას რუსეთში და აგრეთვე ჩვენშიაც.

ჩვენ გვინდა რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება, რომლისთვისაც აურაცხელი მსხვერპლი გავიღეთ. ეს შესძლეს ბოლშევიკებმა და ჩვენც ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მათ, რომ განმტკიცდეს მათ მიერ შექმნილი ძალა-უფლება საბჭოთა სისტემის სახით. ვინც ამ გზას

შეგნებით და გულწრფელად დაადგება, ის ემსახურება რევოლიუციას, სოციალიზმს, ხოლო ვინც არა, იგი მტერია რევოლიუციის.

რატომ უნდა ვებრძოლოთ ბოლშევიკებს? იმიტომაო, ამბობს ზოგიერთი. რომ მოგვისპეს დამოუკიდებლობა, არა გვაქვს სიტყვის, პრესის და კრების თავისუფლებაო. მართლა ასეა ეს?

მეთორმეტე ყრილობის დადგენილებებში ნათლად არის ნათქვამი ჩვენი დამოუკიდებლობისა და ჩვენი ეკონომიური და კულტურული აღორძინების შესახებ. საბჭოთა კავშირში (სხვა ნაციონალურ ერთეულებთან ერთად) სიტყვის, ბეჭვდის და კრების თავისუფლებას ბოლშევიკები არ უსპობენ მუშებს, მშრომელ გლეხ-კაცობასა და მშრომელ ინტელიგენციას, რომლებიც სცნობენ და იბრძვიან პროლეტარიატის დიქტატურის გასამტკიცებლად და რევოლიუციის გასაღრმავებლად; არ აძლევენ ასეთ უფლებებს ბურჟუაზიას, კულაკებს, ექსპლოატატორებს და საერთოდ ყველას, ვინც მტერია პროლეტარიატისა და მისი დიქტატურის. და ეს სავსებით გასაგებია: არც ერთი მმართველი პარტია არ მოგცემს მის წინაალმდეგ მოქმედების საშუალებას.

მერე რა აქვს საერთო საქართველოს მუშათა კლასს ბურჟუაზია-მყვლეფელებთან? იმისთვის უნდა იბრძოლოს საქართველოს პროლეტარიატმა და გლეხ-კაცობამ, რომ ბურჟუა-ექსპლოატატორებს მიეცეთ საშუალება იბრძოლონ რევოლიუციონური რუსეთის წინაალმდეგ?

ჩვენ მივდიოდით შემცდარის გზით. ამის მიზეზი იყო ოქტომბრის რევოლიუციის შეუსწავლელობა. დღეიდან უნდა ვეცადოთ შევისწავლოთ ეს რევოლიუცია და ხელი შევუწყოთ მისი შედეგების ცხოვრებაში გატარებას შევსწყვიტოთ ბრძოლა ხელისუფლების წინაალმდეგ, დავდგეთ წითელი დროშის ქვეშ და მაშინ ჩვენი დამოუკიდებლობაც განმტკიცდება, სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლებაც გვექნება.

ლ. კუპრაშვილი.

## გაცრუებული იმედები

1921 წ., საქართველოს გასაბჭოებისას, როდესაც დავბრუნდით ბათომიდან, მენშევიკურ ცეკამ მოიწვია კრება 10 აპრილს სახაზინო თეატრში. მიღებული იყო რეზოლიუცია სადაც პარტიამ აღუთქვა საბჭოთა მთავრობას მხარის დაჭერა და კულტურულ-ეკონომიურ დარგში მუშაობა. მაგრამ საქმით კი სულ სხვა მოხდა—რამდენიმე ხნის შემდეგ მენშევიკურ ცეკამ მოუწოდა ყველა პარტიის წევრებს არალეგალურ მუშაობისაკენ და ყველა მისი ძალა იყო მიმართული საბჭოთა ხელისუფლების საწინაალმდეგო ბრძოლისაკენ.

მაშინდელი ჩვენი ბრძოლა იყო არალეგალური ფურცლები, ცდა გაფიცვების მოხდენის მთავარ სახელოსნოში, დემონსტრაციები სხვადასხვა დროს. ყველა ამას ქონდა მნიშვნელობა ევროპის მართველ წრეებისა და მეორე ინტერნაციონალისათვის, სადაც ასე დიდათ იდგა საქართველოს საკითხი, როგორც ჩვენი ხელმძღვანელები მაშინ გვიხსნიდენ, თანახმათ ევროპიდან მიღებულ ინფორმაციებისა. ამ ოთხი წლის განმავლობაში ასეთმა დაუსრულებელმა ბრძოლამ საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ ვერავითარი ნაყოფი ვერ მოგვცა. პირიქით, აუარებელი მსხვერპლი შევწირეთ; რამდენი უმუშევრობა იგემეს ჩვენმა ამხანაგებმა სამსახურიდან დათხოვნით, რამდენი შიმშილის მსხვერპლი გახდა და სხვა.

მაგრამ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელები მაინც იმედებს იძლეოდენ ევროპიდან—შველა იქნებაო. მოვიგონებ მხოლოდ, როგორ ველოდებოდით გენუის კონფერენციის შედეგებს, სადაც საბჭოთა რუსეთიც იყო მიწვეული. მაშინ მეტეხის ციხეში მყოფი ამხანაგები მსჯელობდენ ამ კითხვის ირგვლივ და გვეგონა, რომ ევროპა უსათუოდ მოსთხოვდა რუსეთს გაეყვანა წითელი ჯარი საქართველოდან. მაგრამ საქართველოს წარმომადგენლები არ დაუშვეს იქ და დაპირდენ, რომ საქართველოს საკითხი უსათუოთ გადაწყდება მაშინ, როდესაც აზიის, ოსმალეთის საკითხი გადაწყდებაო, ესეც ვნახეთ ...ლოზანაში საქართველოს საკითხი სულაც არ ყოფილა... ყველა ასეთ მოვლენებს ჩვენ მუშები ძალიანი უნდობლობით ვუყურებდით და ხშირად ვიყავით ხოლმე იმ ხაზის წინაალმდეგი, რომელსაც ცეკა ადგა და ამ მხრივ უნდობლობა დაიბადა ზოგ ამხანაგებში. 1922 წელს, როდესაც მოხდა პოლიტიკურ პატიმრების გადასახლება გერმანიაში და მერე რუსეთში, ბევრმა ამხანაგებმა აღიარეს ის, რაც გულში ქონდათ და დაგმეს პარტიის ხაზი და აი აქედან დაიწყო მენშევიკურ პარტიის რიგებიდან გამოსვლა ზოგიერთ ძველ ამხანაგებისა და მუშებისა. 1923 წ. დასაწყისში პარტიაში სრული ნგრევა დაიწყო, თითქმის ყველა ძველი მუშები ჩამოშორდენ პარტიას.

ჩვენ დავინახეთ რომ ევროპის ორიენტაციის შემყურე ცეკას ხელმძღვანელებმა მიზნის მიღწევის მაგიერ დაგვაშორა მას და პოლიტიკური სიკვდილი მივიღეთ, რითაც საშინელი უბედურება დაატყდა ქართველ მშრომელ ხალხს ამ ოთხი წლის განმავლობაში. დიდი ზიანი მოგვაყენა ჩვენ შავი ზღვისკენ ცქერამ და ევროპის მართველ წრეების და მეორე ინტერნაციონალის დაპირებებმა, ყველაფერი ფუჭი გამოდგა...

ჩვენ არავის სავაჭროდ არ გავხდებით, დაგვანებონ თავი და ჩვენ, ქართველი მუშები და გლეხები შევძლებთ ავირჩიოთ ის გზა, რომელიც ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებისათვის ხელსაყრელი იქნება, ასეთი გზა დღეს არის საბჭოთა კავშირთან ყოფნა, ძმური კავშირი ძველებურად რუსეთის პროლეტარიატთან.

ამიტომ ყველა მენშევიკ მუშამ, რომლებიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან იმ ავანტიურიზმისაგან, ურჩევთ მოიხედონ უკან, ჩაუფიქრდენ და თავი დაანებონ ამ ოცნებას და სურვილებს, რომლის წყალობით მივედით ავანტიურამდის.

ამოვუდგეთ გვერდში იმ ძველ მუშებს, რომლებიც იყვნენ და არიან რევოლიუციონური წარსულით, მუშათა კომისიის სახით—დავეხმაროთ მათ ამ ახალ გზაზე. ეს არის გზა პროლეტარიატის დიქტატურის—საბჭოთა კავშირის ნიადაგზე. არ კმარა მარტო სიტყვა, არამედ მოვკიდოთ ხელი საქმით და მე ვფიქრობ, რომ ასეთი საქმიანი მუშაობა გამოიღებს მეტ ნაყოფს, თუ კი ყველა ძველი მუშები დავადგებით ამ ახალ გზას.

მემანქანე ალექსანდრე კომახიძე.

# მუშათა კომისიის მუშაობა.

## კომისიის მოგზაურობა გურიაში*)

(შთაბეჭდილებანი)

ოზურგეთიდან გავემგზავრეთ სუფსაში, სადაც ორი დღით ადრე იყო შეტყობინებული კრების დრო. სუფსაში კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. მოხსენების შემდეგ ბევრმა მიიღო მონაწილეობა კამათში. მეტი წილი ორატორებისა გვისაყვედურებდა: სად იყავით ამდენხანს, რატომ ადრე არ დაიწყეთ ლაპარაკი, რომ ეს სისხლისღვრა აგვცდენოდა თავიდანო, რატომ გვატყუილებდითო.

ჩვენ ყოველთვის თფილისის მუშებს შევყურებდით და რატომ დროზე არ აუღეთ ალღო შექმნილ მდგომარეობას და არ აირჩიეთ გარკვეული გზაო. აქაც ჩვეულებრივი ჩივილი ისმოდა ზოგიერთ მოხელეებზე: ისინი თავის ნამდვილ დანიშნულების მაგიერ უფსკრულსა სთხრიან ხალხსა და ხელისუფლებას შორისო. ჩივიან გადასახადების უწესრიგო გაწერაზე და სწუხან, რომ მათი ნაწარმოებისათვის ვერ მოუნახავთ ბაზარი. აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და ახსნა-განმარტების შემდეგ კრება სავსებით იზიარებს 7—8 ოქტომბრის რეზოლიუციას და ავალებს მუშათა კომისიას იშუამდგომლოს ხელისუფლების წინაშე მიიღოს ზომები გამოინახოს რაიმე საშუალება იმისთვის, რომ მოხერხდეს გლეხების ნაწარმოების გასაღება და აგრეთვე აღდგენილი იქნეს სრული წესიერება, რომ გლეხებს ექნეს საშუალება მშვიდობიანი ცხოვრების, რომ მათ არ აწუხებდენ უმსგავსო-უპასუხისმგებლო მოხელეები. აქაც კრებამ აირჩია რწმუნებული მოწინავე და ნდობით აღჭურვილი ამხანაგებისაგან, რის შემდეგ კრება ნაშ იამოვნები დაიშალა.

მეორე დღეს დილით მივედით ლანჩხუთში. იქაც კრების დრო წინდაწინ იყო შეტყობინებული.

ერთ მოწინავე ამხანაგს კრება მოეწვია არჩევით ნამდვილი მომზადებული და მოწინავე ამხანაგებისაგან სხვადასხვა თემებიდან. აქ ყველაზე უფრო მაგრად შეგვხვდენ. აშკარად ეტყობოდა, რომ დიდი უმრავლესობა უნდობლად გვიყურებდა. მოხსენებას აგვისტოს გამოსვლების შესახებ კრების უმრავლესობა სიჩუმით შეხვდა და პირველად თითქმის არავინ აპირებდა ლაპარაკს. თავმჯდომარემ მოითხოვა კრების 5 წუთით შეწყვეტა.

კრების განახლების შემდეგ შეკითხვები გადმოგვცეს, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს. ამის შემდეგ გამოჩნდენ ლაპარაკის მსურველნიც. არავინ უარს არ ყოფდა, რომ შემცდარი გზით მივდიოდით და რომ აგვისტოს გამოსვლა იყო ავანტიურა და საბედისწერო ქართველი ხალხისათვის. ზოგიერთებს აინტერესებდათ, თუ რას ფიქრობენ საზღვარგარეთ წასული ამხანაგები უქაური ბიუროს სახით.—უკმაყოფილო არიან ზოგიერთი მოხელის უხეში მოპყრობით; ემდურიან ახალგაზრდობასაც, რომელიც რევოლვერით აშინებს ხალხს. მოითხოვენ უფლებებს შინაურ საქმეებში. მაგალითად: გადასახადის გაწერაში, გზების გაყვანის ან შეკეთების საქმეში. მათ სურთ ეს საქმე დაეკისროს მათ მიერ არჩეულ, ნდობით აღჭურვილ პირებს. მომხსენებელის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო 7—8 ოქტომბრის რეზოლიუცია და აირჩია მუშათა კომისიის რწმუნებულები, რომლებსაც სხვა რაიონებში არჩეულ რწმუნებულებთან ერთად კავშირი ექნებათ ოზურგეთის დროებით სამაზრო ბიუროსთან.

## ბათომში და ქუთაისში.

ოზურგეთშივე მივიღეთ ცნობა, რომ გვიწვევდენ ბათომში, ამიტომ ლანჩხუთიდან ბათომში გავემგზავრეთ, სადაც საღამოს ქალაქის თეატრში გაიმართა გრანდიოზული კრება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ხუთმეტამდე ორატორმა. ყველა ორატორები, ორიოდეს გამოკლებით, ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკობდენ. (აგვისტოს ამბებზე). ყველა ხაზს უსვამდა იმას, რომ ქართველი მუშათა კლასი, მშრომელი გლეხკაცობა და ინტელიგენცია შემცდარი გზით მიდიოდა მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. უკანასკნელი მისდა უნებურად მოექცა იმპერიალისტურ ბანაკში; აწარმოებდა ქართველი ხალხისათვის საზიანო ბრძოლას საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, რითაც დიდი ზიანი მიაყენა როგორც მშრომელებს, ისე ქართველ ერს. ორატორები ამასთანავე აღნიშნავდენ ხელისუფლების ზოგიერთ ორგანოების ნაკლსაც, რაშიც ნაწილობრივ თავიანთ თავსაც სთვლიდენ დამნაშავედ, ვინაიდან თანამშრომლობა-დახმარების მაგიერ ხელს უშლიდენ და ებრძოდენ ლეგალურად და არალეგალურად მმართველ პარტიას. მოწინააღმდეგეებს არა უთქვამთ რა საყურადღებო. მხოლოდ გვისაყვედურებდენ ჩვენ კომისიის წევრებს,—სად იყავით ამდენხანს, რაღა ახლა გამოდით და ამოიღეთ ხმაო. ესენი ყოფილი მენშევიკები არიან, ახლად მიღებული პარტიაში და, ცოტა არ იყოს, ჩვენზე უფრო ქაი ბიჭებად თვლიან თავს და ძალზე გვიწყრებიან რატომ ამდენხანს არ მოდით გონსო. ისინი, შეიძლება, მართალნიც იყვენ, თუმც მათ წინააღმდეგ ყველგან გამოდიოდენ მართველი პარტიის წარმომადგენელნი, რომლებიც არ უწონებდენ ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

აქაც მიიღეს 7—8 ოქტომბრის რეზოლიუცია და აირჩიეს რწმუნებულთა საქალაქო ბიურო მოწინავე ამხანაგებიდან.

მეორე დღეს ჩავედით ქუთაისში. აქ რკინის გზის კლუბში გაიმართა რკინისგზელთა მრავალ რიცხოვანი კრება. მოხსენების თემა იგივე იყო. კამათში აქაც ბევრმა მიიღო მონაწილეობა: ყველა თითქმის ერთსა და იმავეს ამბობდა, იწუნებდა ძველს შემცდარს გზას და მოითხოვდა ახალ გზას, წითელ დროშის ქვეშ დადგომას ბოლშევიკებთან ერთად მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მიუთითებდენ იმავე ნაკლზე, რაზედაც გურიაში.

აქაც მიიღეს 7—8 ოქტომბრის რეზოლიუცია და აირჩიეს რწმუნებულები.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. თითქმის ყველგან საჭიროება კრებისათვის პრეზიდიუმის არჩევა და მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდიუმში ყველგან კრება ცდილობდა გაეყვანა გამოცდილი ამხანაგები, თითქმის ვერავინ ვერ ახერხებდა კრების გაძღოლას— ასე გადაჩვეულან ამ საქმეს. როცა ვეკითხებოდით—რა გემართებათ-თქო, გვიპასუხებდენ: რა ვიცი, წინად, მგონი, პარლამენტის პრეზიდიუმშიაც შემეძლო კრებას გავძღოლოდი და ახლა,

*) დასასრული, იხ. „ახ. გზა“ № 4.

ამ ოთხი წლის სიჩუმით, ისე გამოვყეყეჩებულვარ, რომ თლად გადამვიწყებია როგორც ლაპარაკი, ისე ყველაფერიო. და ეს გასაკვირიც არ არის. რაც უნდა კარგად იცოდეთ ლაპარაკი, ნახევრად მაინც გადაგავიწყდებათ, თუ არ ლაპარაკობთ და, რა გასაკვირია, ოთხი წლის დუმილის შემდეგ ლაპარაკის დავიწყება კი არა, გამოყეყეჩდეთ კიდეც. მერე რა მოვიგეთ ამით? არაფერი, გარდა იმისა, რომ გამოვიფიტეთ გონებრივად, გავნადგურდით ფიზიკურად, ეკონომიურად და ზნეობრივად. უაღრესად გავნაციონალისტდით, ყოველ ეროვნებას ქართველი ხალხის მტრად და მოღალატედ ვთვლიდით და ამ ნიადაგზე გულ-ამრეზილი სასტიკ ბრძოლას ვაწარმოებდით. მერე ვის ვებრძოდით, რისთვის ან რა მოყვებოდა ამას? ამას ანგარიშს არ უწევდით. და ჩვენის ღრმა რწმენით, ამ გზით სიარული არ შეიძლება. ამას ბოლო უნდა მოეღოს, ეს ბოროტებაა ხალხის, ისტორიის და რევოლიუციის წინაშე. და ვისაც უყვარს ქართველი ხალხი, სიმართლე, რევოლიუცია,—მან უნდა მოიკრიბოს გონიერება, გრძნობები გონებას დაუმორჩილოს და დაადგეს იმ გზაზე, რომელზედაც დადგენ საქართველოს მოწინავე მუშები 7—8 ოქტომბრის რეზოლიუციის მიხედვით და რომლისაკენაც მოუწოდებს მუშათა კომისია საქართველოს მოსახლეობას.

ჩვენ გვინდოდა წავსულიყავით ტყვიბულში, შემდეგ ჭიათურაში. მაგრამ მოგვისწრო სასტიკმა სიცივემ და გამოვეშურეთ თფილისისაკენ. სხვა რაიონების ჩამოვლა გადაიდო შემდეგისათვის.

ლ. ქ.

---

## ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრებები.

**ფოთი.** 14 დეკემბერს ფოთში კერძო ბინაზე გაიმართა მოწინავე მუშების კრება. დაესწრენ ნავთსადგურის, რკინის გზის დეპოსა და ნახუტურის რაიონის მუშები. ამხ. მაჭარაძის მოხსენებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საერთო კრება დაინიშნა 15 დეკემბრისათვის ლენინის სახელობის კლუბში.

მეორე დღეს, 15 დეკემბერს, ლენინის სახ. კლუბს აუარება ყოფ. მენშევიკი და უპარტიო მოაწყდა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. მეგრელიშვილი, მდივნათ —ფაჩულია და თავმჯდომარის ამხანაგათ—ჯ. ლოლუა. მოხსენებას აკეთებს მუშათა კომისიის წევრი ამხ. ს. გვიმრაძე. იგი დაწვრილებით აცნობს კრებას, თუ როგორ მოეწყო მუშათა კომისია ნაძალადევის მუშათა უბანში რკინის გზელ მუშებისაგან და რა მიზნებს ისახავს ეს კომისია თავისი მუშაობის დროს. მუშათა კომისიამ პირველად გადადგა გაბედული ნაბიჯი მენშ. პარტიის ავანტიურისტული პოლიტიკის დასაგმობათ და სისხლის ღვრის შესაწყვეტად ორ ძმას შორის.

მომხსენებელი მოუწოდებს მუშებს და გლეხებს უარყონ ძველი გზა, რომელმაც დალუპვის კარებამდე მიიყვანა ქართველი ერი და მიიყვანს მომავალშიც, თუ არ შესწყდა შავი ზღვისკენ ცქერა.

ჩვენ უნდა დაედგეთ საბჭოთა პლატფორმაზე, ამოვუდგეთ მთავრობას გვერდში და გავსწიოთ ერთად იმპერიალიზმის წინააღმდეგო.

მოხსენების შემდეგ ლაპარაკობს ჯ. ლოლუა. იგი იწონებს კომისიის აზრს, აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან და დაუშვებლად სთვლის ყოველგვარ არალეგალურ მუშაობას მის წინააღმდეგ.

შემდეგ ლაპარაკობენ: მამალაძე, უნგიაძე, ჯაში, ბოკუჩავა, წულაძე, პაიჭაძე, ჩხეტია და სხვა. ისინი იწონებენ ახალ გზას და მოუწოდებენ ამხანაგებს გულწრფელად დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე. ამასთანავე ისინი ითხოვენ მუშ. კომისიისაგან რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებთან წასვლას იმ მიზნით, რომ ისინიც დაუბრუნდენ სამშობლოს. უკანასკნელ აზრს არ ეთანხმებიან მხოლოდ პაიჭაძე და წულაძე იმ მოსაზრებით, რომ აქედან არაფერი გამოვაო. უკანასკნელად სიტყვას იღებს ადგილობრივი პარტკომის მდივანი ამხ. მშვენიერიძე, რომელიც უსურვებს კრებას ნაყოფიერ მუშაობას. თავის მხრივ იგი აღუთქვამს კრებას ყოველგვარ დახმარებას. მისმა სიტყვამ მუშებში კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

დასასრულ კრებამ აირჩია რწმუნებულთა კომისია, რომელშიაც ხუთი პირი შევიდა: ჯოტო ლოლუა, სამსონ მამალაძე, თეოფილე უნგიაძე, ათ. ფაჩულია და სერგო სიხარულიძე. მიღებულ იქნა რეზოლიუცია თანახნად 8 ოქტომბრის რეზოლიუციისა.

**სენაკის რაიონი.** 1924 წ. 17 დეკემბერს სენაკის სამაზრო პარტკომის დარბაზში შესდგა ყოფილ მენშევიკების მიერ არჩეული საორგანიზაციო კომისიის კრება, რომელსაც დაესწრო ტფილისის მუშათა კომისია და აგრეთვე კომუნისტური პარტიის პასუხის-მგებელი ამხანაგები: ერ. შალამბერიძე, ირ. ხუხუა, ვ. ნადარეიშვილი და ათ. კოკაია. მუშათა კომისიის სახელით მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. გვიმრაძემ და მაჭარაძემ. აგრეთვე ილაპარაკა კომისიის სახელით ჩხეტიამ.

ამხანაგებმა თავიანთ მოხსენებაში აღნიშნეს ჩვენი პარტიის პოლიტიკური ხაზის და ტაქტიკის მავნებლობა და მიუღებლობა თანამედროვე მომენტში, ვინაიდან მიიყვანა პარტია გაკოტრებამდე და ქართველი ერი ჩააგდო ფიზიკურად გადაშენება-განადგურების საფრთხეში, რაც კონკრეტიულად უკანასკნელ ავანტიურაში გამოიხატა. მომხსენებლებმა დაასკვნეს, რომ საჭიროა საბოლოოდ უარყოფა ძველი გზის და გულწრფელი თანამშრომლობა არსებულ ხელისუფლებასთან. შემდეგ კომისიამ გააცნო კრებას ტფილისის მუშების მიერ შედგენილი და მმართველი პარტიის ცეკას მიერ დადასტურებული თეზისები, რითაც მაზრის რწმუნებულებმა უნდა იხელმძღვანელონ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში.

კრებამ აირჩია შვიდი რწმუნებული: ბ. ძველაია, ქ. ანჯაფარიძე, ი. პერტაია, კ. გუნია, დ. კოკაია, ვ. ქოიავა და ი. პირტახია, რომლებმაც უნდა იმუშაონ როგორც სენაკის, ისე ზუგდიდის მაზრაშიაც. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მათ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

თავმჯდომარე — ძველაია, მდივანი — ქოიავა.

# სხვადასხვა ამბები

ნიუიორკიდან (ამერიკა) იუწყებიან: იუზი გადადგა. მის მოადგილედ დაინიშნა ამერიკის ელჩი ლონდონში ფრანკ კელლოგი. მოსალოდნელია გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

— „როსტას“ კორესპონდენტთან საუბრის დროს სენატორმა ბორამ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები უეჭველად იცნობენ საბჭოთა კავშირს.

— მთავრობის კრიზისი გერმანიაში კვლავ გრძელდება. მარქსმა უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე. ებერტს თათბირი ჰქონდა ლიუტერთან მთავრობის შედგენის შესახებ. გაზეთები ფიქრობენ, რომ კაბინეტის შედგენას დაავალებენ სოციალ-დემოკრატების ბელადს მიულერს.

— გერმანიის ახალი მთავრობის შესაძლებელი შემადგენლობა ასეთია: კანცლერი — ლიუტერი, შინაგან საქმეთა მინისტრი — ვალრაფი, გარეშე საქმეთა — შტრეზემანი, შრომის — ბრაუნი, რაიხსვერის — ჰესლერი, იუსტიციის — ემპინგერი, დანარჩენი პორტფელები განაწილებული იქნება მინისტრების ამხანაგებს შორის.

— ფრიდრიხ ადლერი, რომელმაც ამას წინად უარი განაცხადა მეორე ინტერნაციონალის მდივნის თანამდებობაზე, ინტერნაციონალის აღმასკომის წევრების დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ დათანხმდა დროებით დარჩეს თავის თანამდებობაზე.

— შობის დღესასწაულების წინ ლიტვიის „ოხრანკამ“ დააპატიმრა 50 უმუშევარი, რომელთაც შეიტანეს თხოვნა პურისა და დახმარების შესახებ. ისინი აწამეს ელექტრონის ნაკადის საშუალებით. ერთი პატიმართაგანი ჭკუაზე შეირყა.

— რადგან მეპატრონეებმა უარი განაცხადეს მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, უნგრეთის ყველა მაღაროებში იწყება საგაფიცვო მოძრაობა. ერთ-ერთ რაიონში, სადაც მომუშავეებს მაგიერ დაუკლეს ხელფასი, 4 000-მა მუშამ გაფიცვა გამოაცხადა.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

## განცხადებები:

გაუბედურებული შვილები ლევან, გიორგი (ქუჩიშვილი), დავით (თურდოსპირელი), რძლები მარიამი, ვასასი და ელენე აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად დაღუპულ ძვირფასი დედიკოს

სალომე ჩხეიძის

ორმოცი დღის პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 18 იანვარს, შუადღის 12 საათზე ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი
„ცეკავშირი“
აწოდებს სოფლისა და ქალაქის კოოპერატივებს ყოველგვარ აუცილებელ საერთო სახმარებელ საგნებს
ამზადებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ნედლეულს

აქვს განყოფილებები: ქუთაისში, სამტრედიაში, გორში, დუშეთში, თელავში, სიღნაღში და წარმომადგენლობა მოსკოვში.

საკუთარი წარმოება: თბილისში—სტამბა, პირველი მექანიკური აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა და თიხის ჭურჭლეულობის ქარხანა; სამტრედიაში—აბრეშუმის, ამოსაშვები და პარკების საშრობი; სონში—აბრეშუმის სახვევი; გორში—კონსერვების ფაბრიკა; სიღნაღში—თამბაქოს ფაბრიკა; ყარაიაზში—ბამბის საწმენდი ქარხანა და ჰიდრო-ელექტრონის სადგური საშუალო სოფელ მუხრანში.

სასოფლო-სამეურნეო განყოფილება უწევს სააგრონომიო დახმარებას, აქვს საცდელი მინდვრები და სხ.

საქართველოში „ცეკავშირს“ აქვს მონოპოლია ფაბრიკა „სვეტოჩ“-ის (ყოფ. ოტტო კირხნერის) მიერ დამზადებულ საკანტორო წიგნებისა და სხვადასხვა საკანცელარიო და საწერ ქაღალდების გაყიდვისა.

„ცეკავშირი“ უშვებს თავის საწყობიდან და იღებს შეკვეთებს „სვეტოჩ“-ის პრეისკურანტით.

გამგეობა და საწყობი მოთავსებულია: შტაბის ქუჩაზე № 4. (0—1)

## ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ეკონომიური სამსახური

# ა ც ხ ა დ ე ბ ს

**რომ ქალაქ თბილისის, ბაქოს, მოსკოვის, ერევნის, ბათომის, განჯის, თელავის, ევლახის, ზუგდიდის და ქუთაისის**

საკომერციო სააგენტოებში და ქალაქის სადგურებში
სწარმოებს შემდეგი ოპერაციები:

1. სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ყველა მიმართულებებით (შინ მიტანით).
2. სასაწყობო ოპერაციები.
3. ყველა საკომერციო ოპერაციები.
4. სესხის გაცემა საქონლის გირავნობით, როგორც სამიმოსვლო სადგურებზე, ისე საწყობებში.
5. ტვირთის მიღება, გაგზავნა და გაცემა.
6. ტვირთის გადაგზავნა შარაგზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვა რკინის გზით მუშტრების დავალებით.
8. საბაჟო, სააქციზო და სხვა დავალებათა შესრულება.

**ყველა ზემოხსენებული სატრანსპორტო ოპერაციები სწარმოებს უმცირესი საკომისიო ფასგადახდით.**

საკომერციო სააგენტოები და ქალაქის სადგურები დიდ დახმარებას უწევენ მუშტრებს სარკინისგზო-სატრანსპორტო საქმეებში.

(0—1)

# მოქალაქენო!

## თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

# მ. ლ ა ღ ი ძ ი ს

**საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წულები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატზე**

---

**მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.**

---

მ. ლაღიძის ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის ჰეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.

(0—1)


მთავლიტი № 61 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2000

წელიწადი მეორე

ფასი 15 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 25 იანვარი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმისა, დილის 9—1 საათამდე

№ 6

## ოცდაორი იანვარი (9 იანვარი).

რუსეთის პროლეტარიატის ცხოვრებაში ოცდაორი იანვარი არის დღე უდიდესი გლოვისა და ამავე დროს უდიდესი დღესასწაულისა.

გლოვისა იმისთვის, რომ ამ დღეს შესწყდა ლენინის მაჯისცემა.

უდიდესი დღესასწაულია იმისთვის, რომ ლენინის დაკარგვამ უფრო განამტკიცა მისი საქმე.

გლოვისა იმისთვის, რომ მეფის მთავრობამ ამ დღეს მორწყო ოცი წლის წინად ლენინგრადის ქუჩები პროლეტარიატის, მისი ცოლისა და შვილების სისხლით.

უდიდესი დღესასწაულისა იმისთვის, რომ ამ დღემ შეაკავშირა მთელი რუსეთის პროლეტარიატი და დააყენა ის ნამდვილი კლასობრივი ბრძოლისა და რევოლიუციის გზაზე.

1905 წლის 22 იანვრამდე რუსეთის პროლეტარიატი არ წარმოადგენდა ერთ მთლიან ფრონტს და წითელი დროშის ქვეშ ის არ იყო გაერთიანებული.

რუსეთის პროლეტარიატი შვილია მრავალმილიონიანი გლეხობისა, რომელიც მაშინ სრულებით მოკლებული იყო ყოველგვარ პოლიტიკურ შეგნებას და ღრმათა სწამდა ორი რამ: მეფე-ბატიუშკა და სარწმუნოება.

პროლეტარიატის პატარა ნაწილი კლასობრივად შეგნებული იყო, გათვითცნობიერებული, გაწვრთნილი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ჩაბმული იყო სარევოლიუციო ბრძოლაში.

მაგრამ ამ მცირე ნაწილის ზურგს უკან იდგა დიდი უმრავლესობა, რომელიც პოლიტიკურად გაუწვრთნელი იყო და გლეხურ შეხედულებას იზიარებდა: სწამდა, რომ მეფე-ბატიუშკას უნდოდა სულითა და გულით და შეეძლო კიდეც ღარიბი მუშა ხალხის გაბედნიერება. მხოლოდ მის გაჭირვებას არ იცნობდა, ცუდი მოხელეები და მინისტრები კიდევ არაფერს ატყობინებდნენ და ყოველისფერს უმალავდნენ.

პროლეტარიატისა და გლეხობის ასეთი შეუგნებლობით აიხსნება ის გარემოება, რომ მუშების კარგა დიდი ნაწილი ჯერ მიჰყვებოდა ლენინგრადის პოლიციის უფროსს ზუბატოვს, შემდეგ მღვდელ გაპონს.



ვლ. ი. ულიანოვ-ლენინი

(1870—1924).

როდესაც მეფის მთავრობამ დაინახა, რომ მუშათა შეგნება და მოძრაობა დღითი-დღე იზრდებოდა, მან მოინდომა პროლეტარიატის ჩამოშორება პოლიტიკური ბრძოლის ფრონტიდან და ამ რიგად რევოლიუციის თავიდან აცილება.

ამ მიზნით მან წამოაყენა ლენინგრადის პოლიციის უფროსი ზუბატოვი.

ზუბატოვი დარწმუნებული იყო, რომ პროლეტარიატის ბრძოლის სრულებით ჩაქრობა შეუძლებელი იყო. ამიტომ მან განიზრახა, როგორმე ხელი აეღებინებია პროლეტარიატისათვის პოლიტიკურ ბრძოლაზე, სამაგიეროდ მთელი მისი ყურადღება გადაეტანა ეკონომიური ბრძოლისაკენ.

მან დაარსა სხვადასხვა წრე, ხარჯავდა დიდძალ ფულს და ეწეოდა დიდ აგიტაციას მუშებში.

რას უქადაგებდნენ ზუბატოვი და მისი აგენტები მუშებს?

პოლიტიკური ბრძოლა რა საჭიროა, ან რა ხელსაყრელია თქვენთვის?

მთავრობაში ვინც იქნება, სულ ერთი არ არის თქვენთვის, თუ ის მხარს დაგიჭერსთ კაპიტალისტებთან ბრძოლაში ეკონომიურ ნიადაგზე?

მეფემ და იმისმა მთავრობამ იციან თქვენი საჭიროებანი, თქვენი გაჭირვება; ჰხედავენ, რომ თქვენა ხართ მსხვერპლი ძარცვა-ყვლეფისა და ყოველი ეკონომიური გაფიცვის დროს მთავრობა მხარს დაგიჭერსთო.

მართლაც, ზუბატოვის აგენტები თვითონ მოუწოდებდენ მუშებს გაფიცვისაკენ, ბევრგან მოაწყვეს გაფიცვა, თვითონ მეთაურობდენ მას და აქა-იქ მართლაც მოახერხეს მუშებმა თვისი მდგომარეობის ცოტაოდენი გაუმჯობესება.

ზუბატოვი გათამამდა და ფართოდ გაშალა თავისი მოღვაწეობა. ის დარწმუნებული იყო, პროლეტარიატი სრულებით ჩამოვაშორე პოლიტიკური ბრძოლის ფრონტსო და დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას. მაგრამ სასტიკად მოსტყუვდა: ყოველი შემდეგი გაფიცვა იწყებოდა ეკონომიური საფუძველით და გადადიოდა პოლიტიკურზე. გაფიცვების ტალღა მოედო მთელ რუსეთს. და პროლეტარიატის ბრძოლამ მიიღო აშკარა პოლიტიკური ხასიათი; გახშირდა მუშების შეტაკება ჯართან, პოლიციასთან!

ამ რიგად, ზუბატოვი დამარცხდა, მთავრობა მოსტყუვდა.

ზუბატოვის ადგილი დაიკავა მღვდელმა გაპონმა.

ვინ იყო გაპონი?

პროვოკატორი?

ლენინი არა სთვლის მას პროვოკატორად.

გაპონი იყო გამომხატველი იმ მუშებისა და გლეხების შეხედულებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ მძლავრი რწმენა მეფისადმი.

ოცდაორ იანვრამდე გაპონსა სწამდა, რომ არავითარი პოლიტიკური ბრძოლა არ იყო საჭირო.

— მივიდეთ მეფე-ბატიუშკასთან, შევ ტყობინოთ ჩვენი გაჭირვება, მივართვათ თხოვნა, ჩამოვწეროთ, რაც გვინდა; მეფე მოგვისმენ და აგვისრულებს! აი გაპონის რწმენა. ამავე დროს ეს იყო რწმენა პროლეტარიატისა და გლეხობის დიდი ნაწილისა.

მხოლოდ ამითი აიხსნება გაპონის გავლენა და სახელი. პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა რომ გათვითცნობიერებული ყოფილიყო პოლიტიკურად, მაშინ გაპონს გასავალი აღარ ექნებოდა.

გაპონმა გამართა ფართო აგიტაცია მუშებში. შეგნებული მუშა მას სიახლოვეს არ გაეკარა, ხოლო ბევრი იყო შეუგნებელი, მეფისადმი რწმენით აღჭურვილი და იმათ შეადგინეს გაპონის ურიცხვი ლაშქარი.

მთავრობამ არ იცოდა განა გაპონის აგიტაცია?

იცოდა და ხელსაც უწყობდა.

რა მიზნით?

მას უნდოდა, უიარალო პროლეტარიატი ქუჩაში გამოეყვანა და დაეხვრიტა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაუვიწყარი გაკვეთილი მიეცა.

ამგვარი გეგმა ოცდაორ იანვარს მუშების ამოჟლეტისა სასახლეში იყო შემუშავებული და ეკუთვნოდა მეფის ბიძას ვლადიმერს.

— მეფე-ბატიუშკასთან, მეფე-ბატიუშკასთან!

თხოვნით, თხოვნით!

გავაგებიოთ ჩვენი გაჭირვება! — ეს ძახილი მოედვა მუშათა უბნებს, ქარხნებს, ფაბრიკებს და გადადიოდა ერთი კუთხიდან მეორეში.

მთავრობა კი სამზადისში იყო, რომ უიარალო მუშებს ღირსეულად გამასპინძლებოდა ტყვიითა და ზარბაზნებით.

ოცდაორ იანვარს 1905 წელს დილიდანვე დაიძრენ მუშები სასახლისაკენ გაპონის მეთაურობით და სრული დარწმუნებული იყვენ, რომ მეფე მათ მიიღებდა და მოუსმენდა.

მთავრობა სრულებითაც არა ცდილა ხელი შეეშალა; პირიქით, დააიმედა, მიიტყუა მრავალათასიანი კრებული მუშებისა და შემდეგ დაუშინა ტყვია ყოველის მხრიდან.

მრავალი დაიღუპა, უიარალო ხალხის წმინდა სისხლმა მორწყო ლენინგრადის ქუჩები.

მაგრამ ამ სისხლმა ერთბაშად აუხილა თვალები მთელ პროლეტარიატს. ნიკოლოზსა და იმის წყობილებას იმ დღეს აეგო ანდერძი. — ძირს სისხლის მსმელი მეფე! — იგრიალა იმ დღიდან იმ ხალხმა, რომელიც წინადღეს გაიძახოდა: გაუმარჯოს მეფე ბატიუშკასო.

ოცდაორ იანვარს 1905 წელს მთავრობამ ვითომ გაიმარჯვა; ნამდვილად კი ეს იყო მისი უდიდესი დამარცხება: პროლეტარიატისა და გლეხობის იმ დიდმა ნაწილმა, რომელსაც შეურყევლად სწამდა მეფე, ერთბაშად დაინახა, რომ გარეშე პოლიტიკურ ბრძოლისა, მეფის და მისი მთავრობის დამხობისა ხსნა არ იყო.

ამ დღიდან მთელი მუშათა კლასი გამოერკვა, სწრაფად გათვითცნობიერდა, შეკავშირდა, დაირაზმა და მედგრად გასწია წინ პოლიტიკური ბრძოლის გზით.

ამ გზამ მიიყვანა პროლეტარიატი ოქტომბრის რევოლიუციამდე. ოცდაორი იანვარი ოქტომბრის შესავალია. წითელი სისხლი მუშებისა ხარბად დაიღვარა მაშინ, რომ თორმეტი წლის შემდეგ აფრიალებულიყო წითელი დროშა ძლევამოსილი კომუნიზმისა

აი რასა სწერდა ლენინი მაშინ:

„მუშათა კლასის ნაწილი, რომელსაც კიდევ შერჩენოდა ძველი რწმენა მეფისადმი, ვერ მოახდენდა აჯანყებას.

ცხრა იანვარს ჩვენ უფლება გვაქვს, ვთქვათ: ისინი ახლა უსათუოდ გამოდგებიან აჯანყებისათვის. „ბატიუშკა მეფემ" უიარალო მუშებისადმი გაცემული სისხლიანი პასუხით ყველას აუხილა თვალები და ნათლად დაანახვა, რომ ბრძოლა ბარიკადებზე არის საჭირო, და ეს მეფის მიერ მოცემული გაკვეთილი უშედეგოდ არ ჩაივლის".

არც ჩაიარა უშედეგოდ: მან წარმოშვა რუსეთის დიდი რევოლიუცია, რომლის მზგავსი ქვეყანამ არ იცის.

მეფეს და იმის მთავრობას ეგონათ, რომ სისხლში ჩაახრჩობდენ პროლეტარულ რევოლიუციას, მაგრამ მოსტყუვდენ: მათ ცეცხლი შეუნთეს ამ რევოლიუციას.

მეფეს და იმის მთავრობას ეგონათ, რომ მათ ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ამ დღეს.

ნამდვილად კი მათ გაანადგურეს ერთად ერთი სიმტკიცე ძველი წყობილებისა: მშრომელი ხალხის რწმენა მეფისადმი.

მშრომელ ხალხს ერთბაშად აეხილა თვალები და დაინახა, რომ მეფეც მისი მტერია.

— ძირს მეფე! — ეს გრგვინვა მუშებისა შეუერთდა დაჩრილთა გმინვას.

პროლეტარიატი მეორე დღიდანვე შეუდგა სამზადისს თავისი მუქარის ასასრულებლად და წითელი დროშა რევოლიუციისა აფრიალა იმავე წელს, მაგრამ დრ

მარცხდა, რადგანაც გლეხობა თავის დროზე ვერ ამოუდგა მას გვერდში.

როდესაც მუშებისა და გლეხების კავშირი განმტკიცდა, საერთო ძალღონითა და მძლავრი შეტევით არა თუ გაანადგურეს მეფე და მისი წყობილება, არამედ ააშენეს თავისი საკუთარი მუშურ-გლეხური რესპუბლიკა და მთელი ევროპის მუშებს უჩვენეს მაგალითი, თუ როგორ უნდა ბრძოლა სოციალიზმისათვის.

დღევანდელი დიქტატურა პროლეტარიატისა შედეგია ოცდაორი იანვრისა; გზა პროლეტარიატის დიქტატურისკენ ოცდაორმა იანვარმა გაუხსნა მუშათ ლხს.

თუ ოცდაორ იანვრამდე პროლეტარიატის კარგა დიდი ნაწილი ხან ზუბატოვს მისდევდა, ხან გაპონს და მათის წინამძღოლობით მეფისაგან მოელოდა ხსნას, ამ დღიდან მთელი პროლეტარიატი ერთიანად გაიმსჭვალება რევოლიუციონური გზნებით და თავს იყრის წითელი დროშის ქვეშ.

— წინ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ! — მოესმის უკვდავი ბელადის ხმა და პროლეტარიატი შეარყევს მთელ ქვეყანას.

ოცდაორი იანვარი პროლეტარიატის ისტორიაში დაუვიწყარი იქნება.

ოცდაორი იანვარი და ლენინი განუყოფელი იქნება, რადგანაც ოცდაორი იანვრიდან იმარჯვებს პროლეტარიატის შეგნებაში ლენინის გზა.

# ნ. ლ Ე Ნ Ი Ნ Ი

(ბიოგრაფიული ცნობები)

ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი — ნ. ლენინი დაიბადა 1870 წელს ქ. სიმბირსკში. მამა მისი იყო სიმბირსკის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი.

ილია ნიკოლოზის ძე ულიანოვი, ლენინის მამა, იყო შვილი ღარიბი დედ-მამისა ქ. ასტრახანიდან; მან თავისი ენერგიული შრომით და მუყაითობით მიიღო დირექტორის ადგილი და სიმბირსკის გუბერნიაში გახსნა 434 სკოლა, სადაც 20 ათასამდე მოზარდი ახალგაზრდობა სწავლობდა.

ლენინი გიმნაზიაში სწავლობდა კარგად, როგორც სხვა მისი ძმებიც. როდესაც ის გიმნაზიას ათავებდა, მის ოჯახს უბედურება ეწვია: მისი უფროსი ძმა — ალექსანდრე მეფე ალექსანდრე მესამემ სიკვდილით დასაჯა.

ამხანაგებთან ერთად მას განზრახული ჰქონდა ალექსანდრე მესამის მოკვლა, ხოლო განზრახვა ჯაშუშების წყალობით სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. ის ჩამოახრჩეს 1887 წელს.

გიმნაზიის გათავების შემდეგ ლენინი შევიდა უნივერსიტეტში პირველსავე წელს სტუდენტების „ბუნტის“ გამო იგი დაითხოვეს უნივერსიტეტიდან და გადაასახლეს სოფ. კოკუშკინოში, ყაზანის გუბერნიაში.

გადასახლებაში ლენინი დროს მარქსისა და ენგელსის მოძღვრების შესწავლას ანდომებდა. 1888—89 წ. ზამთარი მან ყაზანში გაატარა.

1889 წ. ლენინი გადადის ქ. სამარაში. 1890 წელს ის აბარებს ჩაბარების უნივერსიტეტში უკანასკნელი გამოცდები და ამ ნაირად ის იღებს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის დიპლომს.

1893 წლამდის კვლავ ცხოვრობს სამარაში, ხოლო 1893 წელს შემოდგომაზე მიდის პეტერბურგში. ამ ხანებში იწყება მუშათა მოძრაობა და პეტერბურგში არსდება: „მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლის კავშირი“ - აი, ამ კავშირში ის იღებს მთავარ მონაწილეობას, აწყობს წრეებსა და სხვა. ჯერ კიდევ სამარაში დასწერა მან პირველი თავისი წიგნაკი: „რას ნიშნავს „ხალხის მეგობრები“ და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს“. ეს წიგნაკი გამოშვებული იყო არალეგალურად.

1895 წელს ლენინი წავიდა საზღვარ-გარეთ, სადაც გაიცნო გიორგი ვალენტინის-ძე პლეხანოვი.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ის ახალი ენერგიით ეწევა მუშაობას, ხოლო მალე დაიჭირეს და 1897 წლის იანვრის პირველ რიცხვებში იგი გადაასახლეს ციმბირში, ენისეის გუბერნიაში — სამი წლით.

ციმბირში ყოფნის დროს მან დასწერა და ლეგალურად გამოუშვა ცნობილი წიგნაკი: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და „რუსეთის სოციალ-დემოკრატების ამოცანები“. ეს უკანასკნელი გამოვიდა არალეგალურად საზღვარგარედ.

სამი წლის ციმბირში გადასახლების ვადის შესრულების შემდეგ ლენინი აწყობს პსკოვში არალეგალურ პარტიულ კონფერენციას, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა სულ ათიოდე პარტიული მომუშავე. ამ კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ის, მარტოვი და პოტრესოვი წავლენ საზღვარ-გარედ, რომ იქ მოაწყონ გაზეთ „ისკრა“-ს გამოცემა.

ამნაირად, 1900 წელს ლენინი, პლეხანოვთან, ზასულიჩთან, დეიჩთან, პოტრესოვთან და აქსელროდთან ერთად სცემს ცნობილ გაზეთს „ისკრას“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში.

1903 წელს მოხდა მეორე პარტიული ყრილობა ლონდონში, სადაც სოციალ დემ. პარტია გაიყო ორ მიმდინარეობად: ბოლშევიკებად და მენშევიკებად.

ბოლშევიკურ მიმდინარეობას ჩაუდგა სათავეში ლენინი.

ამ ხანებში ლენინმა გამოუშვა ორი წიგნაკი: „ნაბიჯი წინ, ორი უკან“ და „რა ვაკეთოთ?“

1904 წელს მისივე მეთაურობით გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთი „წინ“, შემდეგში — 1905 წელს „პროლეტარი“.

1905 წელს, როცა საზღვარ-გარედ შეიტყო რუსეთის რევოლიუციის ამბები, ლენინმა მიატოვა ყველაფერი და წამოვიდა რუსეთში; ცხოვრობდა და მუშაობდა არალეგალურად. ამ ხანებში გამოვიდა მისი ბროშურა: „ორი ტაქტიკა რუსეთის რევოლიუციაში.“

მალე 1905 წლის მოძრაობა შენელდა; 1906 წელს ლენინი პარტიის დავალებით გადადის ფინეთში, ხოლო იქიდან მალე მიდის ისევ საზღვარ-გარედ და სცემს გაზ. „პროლეტარს“.

1908-09-10 წლები იყო წლები საშინელი რეაქციისა. ხოლო 1911 და 12 წელს კვლავ თავს წამოყოფს მუშათა მოძრაობა. რუსეთში ამ დროს გამოდის ბოლშევიკური გაზეთი „სიმართლე“ (Правда). ლენინი რომ უფრო ახლო ყოფილიყო ამ გაზეთთან და ეხელმძღვანელა მისთვის, სახლდება რუსეთის საზღვრის ახლო—გალიციაში. ეს გაზეთი რამდენჯერმე იცვლის სახელს: „მუშის სიმართლე“, „სიმართლე მუშისა“, „ჩრდილოეთის სიმართლე“.

1914 წელს იწყება ძლიერი მუშათა მოძრაობა, ხოლო მსოფლო ომი მას ანელებს და კვლავ იწყება რეაქცია.

ლენინი საზღვარ-გარედ აგრძელებს ცენტრალურ ორგანოს გამოცემას. ამ ხანებში ლენინმა მიიღო თავის თავზე—ეწარმოებინა ბრძოლა ომის წინააღმდეგ: მაშინ დასწერა მან წერილები: „მიმდინარეობის წინააღმდეგ“.

1917 წელს მოხდა რუსეთის „თებერვლის რევოლიუცია“ და ლენინიც გამოესწრაფა რუსეთისკენ გერმანიის ტერიტორიით ცნობილ „პლომბიან ვაგონით“.

ჩამოსვლისთანავე ლენინმა იწყო რევოლიუციის გაღრმავება. დროებით მთავრობის დროს მას კვლავ უხდება არალეგალური მუშაობა. ერთხანად ფინეთშიც აფარებს თავს. მხოლოდ ოქტომბერში ბრუნდება რუსეთში და ამავე თვეში ხდება „ოქტომბრის რევოლიუცია“.

1918 წელს 30 აგვისტოს სოც.-რევ. ქალმა კაპლანმა ესროლა მას და მძიმედ დასჭრა; მხოლოდ ჯანსაღმა აგებულებამ გადაარჩინა იგი სიკვდილს.

1922 წელს ლენინმა იწყო ავადმყოფობა, ხოლო 1924 წელს იანვრის 21-ს იგი გარდაიცვალა.

დ. ს.

# ლენინი ჩემს ხსოვნაში.

პირველად ლენინის შესახებ შემომესმა 1904 წელს. ლეიპციგში ვსწავლობდი. რამდენიმე ქართველს და სამიოდე რუს ამხანაგს დაარსებული გვქონდა მარქსისტული წრე. ჩვენს წრეს ხელმძღვანელობდა ერთი რუსი, ძველი სტუდენტის ტიპი „მუდმივი სტუდენტი“, გამხდარი, წვერ-ულვაშ გაშვებული, მოღუშული სახით. ხოლო როცა გაიღიმებდა, თვალები ციმციმებდენ, როგორც ანთებული სანთლები. როცა ჩვენს ჯგუფში საკითხი დაისვა პარტიაში მომხდარ განხეთქილების შესაებ, მან მითხრა ლენინის შესახებ: ეს სულ ახალი ძალაა ჩვენს პარტიაში! გამოჩენილი ნიჭი, ორატორი და ორგანიზატორი! თვით პლეხანოვი აღფრთოვანებულია მისი პიროვნებით! სახელმძღვანელო წერილები, რომელიც ისკრაში იბეჭდება, ყველა მის მიერაა დაწერილი!..—ჩვენი ჯგუფი თავიდანვე ბოლშევიკურ მიმდინარეობას მიეკედლა და ამ ხნიდან ჩვენ გვქონდა პირდაპირი დამოკიდებულება ცენტრალურ ორგანოსთან, რომელიც ჟენევაში გამოდიოდა და შემდეგ „პრავდასთან“, რომელსაც ბოლშევიკები სცემდენ.

ჩვენი ჯგუფი გატაცებული იყო ბოლშევიზმით და ლენინის დებულებებით. ლენინის შესახებ ჩვენ ვიღებდით ახალ ცნობებს, ვგებულობდით, თუ როგორი გაafთრებით იცავდა იგი თავის პოზიციას, ვგრძნობდით მის ხელს მუშაობაში, ვიღებდით ინსტრუქციებს და ჩვენც მივდევდით ახალ ტალღას, ახალ გადავარდნას.

პირველ ხანად ისკრას და შემდეგ პრავდას ჩვენ ვგზავნიდით რუსეთში ერთნაირ კარდონისგან გაკეთებულ რგოლში, რასაც ჟანდარმერია ვერ ამჩნევდა. მისამართებს ვღებულობდით ორგანოსგან.

ჩვენი დიდი სურვილი იყო ლენინის ლეიპციგში გამოწვევა რეფერატის წასაკითხად. ამის შესახებ მას ვწერდით წერილებს, ისიც გვპირდებოდა, ხოლო დაპირება არ გამართლდა და ვერ ვნახეთ ლენინი იმ ხანად.

პეტერბურგში 1905 წელს 9 იანვარს მუშათა გამოსვლამ ლეიპციგის მთელ სტუდენტობაზე მძლავრი შთაბეჭდილება იქონია. ტელეგრამებიც მთელი კვირის განმავლობაში ისეთი ატეხილი მოდიოდა, რომელიც რევოლიუციის ხასიათს სტოვებდა.

ჩვენი ჯგუფის დიდი ნაწილი წამოვიდა რუსეთში რევოლიუციაში მონაწილეობის მისაღებად. ბოლშევიკურ ცენტრ. ორგანოსგან მივიღეთ ახალი ორგანიზაციის მისამართი. ამის შემდეგ უხილავი ძაფით ვიყავით გადაბმული ლენინთან და მის ლოზუნგებს და დებულებებს ვატარებდით ცხოვრებაში.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, კვლავ მოვხვდი საზღვარგარედ, როგორც უკვე ემიგრანტი. ეხლა ვიცოდი, რომ ლენინს ვნახავდი. ხოლო როცა ჟენევაში ჩავედი, ლენინი იქ აღარ ცხოვრობდა და ამიტომ მისი ნახვაც დამიგვიანდა.

მხოლოდ 1911 თუ 1912 წელს ვნახე ლენინი, როცა ის ჟენევაში მოვიდა რეფერატის წასაკითხად. წინ დღით, ჩვენი ბოლშევიკური ჯგუფი შეიკრიბა მასთან საუბრის გასამართად.

ერთი ამხანაგის ბინაზე თავი შევიკრიბეთ და ვუცდიდით მას.

აგერ ისიც შემოვიდა. გაგვეცნო ყველას სათითაოდ და ჩემი მოლოდინი, ჩემი წარმოდგენა მის შესახებ გაცრუვდა. მოველოდი, რომ ლენინი იქნებოდა უსათუოდ მაღალი, გამხდარი, წვერებიანი, გრძელ თმიანი, ლამაზი სახით - და დავინახე საშუალო ტანის, ქერა ულვაშებით და მოტვლეპილი თავით...

დავიწყეთ ბაასი პარტიულ კითხვების გარშემო. ბაასის დროს ვაკვირდებოდი ლენინს და ის—პირველ შეხედვით—ულაზათო სახე, ახლა სულ სხვა მოხაზულობას იღებდა. პატარა თვალები ციმციმებდენ და თუ გაიღიმებოდა კიდეც, მიმზიდველი ხდებოდა. და ამავე დროს რაღაც უხილავი ძალით გბოჭავდა.

რაც უნდა წინააღმდეგი ყოფილიყავი იმ დებულების, რასაც ლენინი აღიარებდა, საკმარისი იყო ორიოდე წუთი დაგეგდო ყური მისთვის, რომ მალე მისი აზრისა გახდებოდი და შეუდრეკლად და მტკიცედ დაიცავდი კიდეც მის მიერ მოცემულ დებულებას. მისი სიტყვები იძლევიან სიმტკიცეს, ენერგიას, გაბედულებას...

მეორე დღეს უამრავი ხალხი დაესწრო maison du peuple-ში მის რეფერატს. ტრიბუნაზე იდგა, როგორც ძარღვიანი მუხა შორს გატყორცნილი შტოებით და მისი სიტყვებიც, როგორც ლურსმანი, ისე ეჭდებოდა მსმენელთა ყურში.

ამის შემდეგ უფრო ახლო შევხვდი და გავიცანი ლენინი, როცა ერთად მოგვიხდა მოგზაურობა შვეიცარიიდან პეტროგრადამდე ეწგრედ წოდებულ „დაპლომბილ ვაგონში“.

ასე იყო: ათეული წლის ემიგრაციაში ყოფნის შემდეგ, როცა რუსეთში მოხდა 1917 წლის თებერვლის

რევოლიუცია, ჩვენთვის შესაძლებელი შეიქნა სამშობლოში დაბრუნება. წამოსასვლელი გზა კი აკრძალული იყო.

საქმე იმაშია, რომ შვეიცარია გარშემორტყმული იყო საომარი ფრონტით, წამოსვლა შეიძლებოდა მხოლოდ საფრანგეთ-ინგლისის გამოვლით, მერე სკანდინავიაზე და ფინლიანდიის გზით პეტროგრადში. ხოლო მოკავშირეები რევოლიუციონერებს რუსეთში არ გვიშვებდენ, ვინაიდან მათ ეშინოდათ რევოლიუციის გაღრმავების და ამნაირად საომარ ფრონტის შესუსტების.

უმწეონი, დაბნეულები, მდგომარეობასთან შერიგებულნი, დაღვრემილები დავიარებოდით ნაცნობ ქუჩებზე.

ამ დროს ბერნიდან მოვიდა დეპეშა, გავრცელდა ხმა: (მაშინ ლენინი ბერნში სცხოვრობდა) ლენინს განუზრახავს გერმანეთით რუსეთში წასვლა, მოუწოდებს მსურველებს მასთან ერთად გაემგზავრონ...

ემიგრაციაში ამ მოწოდებამ დიდი აურზაური გამოიწვია. განცვიფრებულნი და თითქმის გაბოროტებულნი ყველა მიმართულების სოციალისტები მიუღებლად სთვლიდენ ასეთ თავხედობას.

„როგორ, განა დასაშვებია, რომ ჩვენს მოწინაალმდეგე მეომარ სახელმწფოს გერმანიის ტერიტორიით რუსეთში წავიდეთ? განა ეს გამყიდველობა არ იქნება? ან შეგვიშვებს განა დროებითი მთავრობა რუსეთში, ამ გზით რომ წავალთ? ამ გზით წასვლა გიჟობაა?“

მაგრამ, მაშინ ვინლა ილენინებდა, თუ ერთხელ გადაწყვეტილ აზრს, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, ლენინი ცხოვრებაში არ გაატარებდა!..

ლენინის თვისებას ესეც შეადგენდა: მიიღებდა თუ არა ერთ გარკვეულ აზრს, მის შესასრულებლად დაყოვნება არ იცოდა, სისწრაფით და ენერგიით შეუდგებოდა კიდეც მის შესრულებას.

ესეცაა: რევოლიუციისათვის დაბადებულს, თვით განხორციელებულ რევოლიუციას, განა შეეძლო უმოქმედობა, დუმილი, მაშინ, როცა მშობლიურ ქვეყანაში კოცონი უკვე ანთებული იყო?..

მაშ, როგორ არ უნდა გადაელახა მას ყოველი დაბრკოლება, რომ ამ კოცონისთვის თავისი ცეცხლიც მიემატებინა...

განა წარმოსადგენია ლენინი რევოლიუციის გარედ?

რასაკვირველია, გზა სახიფათო იყო! ხოლო ეს იყო ერთად ერთი გზა!

გერმანელებს ეგონათ, რომ რევოლიუციონერების რუსეთში ჩამოვლა მათ გამოადგებოდათ, ხოლო აღმოჩნდა წინააღმდეგი.

წასვლა ამ გზით ჟენევიდან გადავწყვიტეთ მხოლოდ ხუთიოდე ამხანაგმა.

ჩაველით ბერნში, საიდანაც ლენინთან ერთად უნდა გავმგზავრებულიყავით.

როცა ლენინს შევხვდი, გავკვირდი; მას მოღუშული, მოუსვენარი სახე ჰქონდა და ნერვიულობა ემჩნეოდა.

გამგზავრების წინ ლენინს დეპეშა მიელო ჟენევიდან, სადაც ერთ ჯგუფს ამხანაგებისას წამოსვლა გადაე ყვიტა და ითხოვდენ ორი დღით დაცდას. ლენინი კი ამბობდა: მე ვიცი, ყველა მოვა ჩვენს გადაწყვეტილებამდე, ხოლო მათ რომ ვუცადო, დრო არ არისო.

შემდეგში ეს მართლაც ასე მოხდა და მთელი ემიგრანტობა იმავე გზით ჩამოვიდა რუსეთში.

ციურიხში რომ გავიარეთ, იქ მყოფი ამხანაგი ემიგრანტები ძალიან მკვახედ შეგვხვდენ.

სადგურზე მოვიდა ასეული ამხანაგი და ლანძღვაგინებით აგვიკლეს. ჩვენ პასუხი არ გაგვიცია. ლენინიც ამას გვირჩევდა.

მისი სახე კვლავ მოუსვენარი, დაღვრემილი იყო. პაწია თვალები სულ მთლად მიიმალენ ქუთუთოებში. ხმას არ იღებდა.

გადავედით გერმანიის საზღვრებზე.

მთელი გერმანია დაკეტილ ვაგონით გავიარეთ. ძალიან მოგვბეზრდა დაკეტილ ვაგონში ყოფნა და როცა გერმანიის საზღვრებიდან გემში ჩავსხედით შვეციისკენ გასამგზავრებლად — თავისუფლად ვიწყეთ გემის ბანზე სეირნობა, ყველას სახეზე ღიმი კრთოდა.

თუმცა გემი ძალიან დიდი და საკმარისად დატვირთული იყო, მაგრამ ღელვისა გამო ძლიერ ქანაობდა. ყველა თავს ვიკავებდით, რომ ზღვის ავადმყოფობა არ დაგვმართოდა.

მგონი ამის ბრალი იყო, რომ ლენინი გამწარებული, გაფათრებული ბანზე ჩქარი ნაბიჯით მიდი-მოდიოდა და ეტყობოდა რაღაცას ებრძოდა.

ღელვა იმდენად გათავხედდა, რომ ბანზე ტალღის შხეფები ისროლა, რამაც ლენინი დაასველა.

ესეც შენ, ამხანაგო ილიჩ! ეს პირველი რევოლიუციური ტალღაა რუსეთიდან მონაგორი, რომელმაც კოცნა გიძღვნა! — იხუმრა ერთმა, ლენინი კი იცინოდა და ცხვირსახოცით წვეთებს იცლიდა.

როცა ის იცინოდა, მისი ისედაც პატარა თვალები მთლად ილულებოდენ და მოკლე ხაზად ციმციმობდენ წინ წამოწეულ ტიტველა შუბლის ქვეშ. იყო რაღაც თავისებური მის ღიმილში.

ჩავედით სტოკჰოლმში, სადაც ძალიან დიდის ამბით დაგვიხვდენ ადგილობრივი სოც.-დემოკრატები.

სრულიად გამოიცვალა, ლენინის სახე უფრო მხიარული იყო, თვალები ბრწყინავდენ. განკარგულებას იძლეოდა, ჩქარობდა, ადგილობრივ ამხანაგებს ავალებდა, რომ იმ დღესვე მოეხერხებიათ ჩვენი მატარებლით გამგზავრება.

სწერდა ტელეგრამებს პეტროგრადში. ერთი ტელეგრამა კ. ჩხეიძესაც გავუგზავნეთ, რათა მას თავის მხრივ მიეღო ზომები, რომ ჩასვლისას კადეტურ მთავრობას არ დავეტუსაღებინეთ.

სტოკჰოლმიდან იმ დღესვე გავედით. ლენინის კუპეში მოვხვდი და პეტროგრადამდე მასთან ვიყავი.

სადგურს რომ გავცდით, ლენინმა საიდგანღაც ამოიღო გროვა რუსული გაზეთებისა, რომელიც სტოკჰოლმში ამხანაგებმა მოუტანეს, გაიძრო პიჯაკი, ავიდა ზევით საწოლზე, აანთო ელექტრონი, წამოწვა და იწყო გაზეთის კითხვა.

საინტერესო იყო მაშინ ლენინი!

მატარებელი მიგოგმანებდა წყვდიადით მოცულ სივრცეში.

ჩვენს კუპეში მყუდროება და სიჩუმე იყო. მხოლოდ ისმოდა გაზეთის ფურცლის სწრაფი შრიალი და ხმამაღლა წამოსროლილი ლენინის სიტყვები: **ах каналья!.. ах изменник!** ჩვენ ვიცოდით, რომ ეს სიტყვები ჩხეიძეს ან წერეთელს შეეხებოდა, რომელიმე მათ მიერ წამოთქმული სიტყვების გამო და ჩვენთვის ვიღიმებოდით. დიდ ხანს იგორავა საწოლზე ფიჯაკ გახდილმა, წაკითხულ გაზეთს

იქვე ფეხებთან ისროდა და ახლა სხვა გაზეთს შლიდა.

მეორე დღეს ჩაის დალევის შემდეგ ლენინმა მითხრა: „აი, მივალთ რუსეთში, თუ ციხეში არ გვიკრეს თავი, გერმანიის ამხანაგების მსგავსად დავაარსებთ ისეთ გაზეთს, როგორიც სპარტაკია, ოპოზიციაში ჩავუდგებით სოციალ-დემოკრატებს და ვაიძულებთ რაც შეიძლება მარცხნივ იარონ. ვამხელთ მათ უპრინციპობას, ოპორტუნისტობას, ჩვენ კი მათთან თანამშრომლობას არ გავწევთ“.

სანამ შვეიცარიის საზღვარს მივადგებოდით ლენინის თაოსნობით, ჩვენ გავმართეთ კრება იმის შესახებ, როგორ უნდა დაგვეჭირა თავი, თუ დროებითი მთავრობა ჩვენ დაგვაპატიმრებდა. ლენინის წინადადებით ჩვენ თვით ისინი უნდა დაგვესვა ბრალდებულის სკამზე, რომ იმათ სრულიად არ იზრუნეს ჩვენზე და რუსეთში წამოსასვლელი გზა არ აღმოგვიჩინეს, არ დაუჯერეს მოკავშირეები, რომ ემიგრანტები გამოეშვათ რუსეთში.

როცა უკვე ფინეთის საზღვარს გადმოვედით და მატარებელში ჩავსხედით, ლენინის აენაზედი შეკავებული ღიმილი ახლა აშკარა სიცილად გადაიქცა, ველარ მალავდა სიხარულს, აღტაცებას. თვალები ციმციმებდნენ, ულვაშები გახზე იწევდნენ.

ჩვენს კუპესთან თავს იყრიდენ ამხანაგები და ყურს უგდებდნენ ლენინის ლაპარაკს რევოლიუციის მსვლელობის და მის პერსპექტივების გარევ ლისტიებების შესახებ.

ერთი ასეთი ბ ასის დროს შემეკითხა ლენინი:

— როგორ გგონიათ, საქართველო გამოეყოფა რუსეთს თუ არა?

— არა მგონია გამოეყოს, ხოლო ავტონომიას კი მოითხოვს უსათუოდ, — ვუპასუხე.

— თუ გინდ გამოეყოს კიდეც, ხოლო ვგონებ შემდეგში ისევ შემოგვიერთდება!

— და თუ ახლა ავტონომიას მოითხოვს, უნდა დავუჭიროთ მხარი, თუ არა?

— რასაკვირველია, უსათუოდ! მიპასუხა.

პეტროგრადს ვუახლოვდებოდით. ღამე იყო, პეტროგრადში რომ შევედით ფინეთის სადგურით.

სადგურზე უამრავი ხალხი დაგვხვდა. იყვენ მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჯარისკაცები, მატროსები.

მატარებელი რომ გაჩერდა, შემოგვესმა: Ленина давайте нам сюда, Ленина!

ასეთ დახვედრას არ მოველოდით.

ლენინი უკრად გაიზარდა, ავიდა ზევით და ახლა მიუდგომელი გახდა ჩვენთვის...

მახსოვს, პროჟექტორები, ავტომობილები, ფაიტონები, რომლითაც ჩვენ წაგვიყვანეს.

მოველოდით დატუსაღებას, ასეთი აღფრთოვანებით კი დახვდა ლენინს პეტროგრადის პროლეტარიატი, რასაც არც თვით მოელოდა!

მეორე დღეს პეტროგრადი გაიყო ორ ბანაკად: ლენინის ჩამოსვლის მომხრეები და მისი მოწინააღმდეგენი.

ჩამოსვლის შესახებ გავრცელდა მრავალნაირი ცრუ და ყალბი ხმები.

ბევრი გაიკვირვეს ლენინის სიტყვით—ბევრი ტკბილად ეჩვენა მას, ბევრი მწარედ...

მაშინ იყო პეტროგრადი და იყო ლენინი! ლენინის მომავალი წინ იყო, პეტროგრადი მას მისდევდა. დაბრკოლება უამრავი იყო, ლენინი ერთი იყო...

პეტროგრადის ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ხანა...

**დ. სულიაშვილი.**

# წინა თქმა.

დიდი ხანია აღარ მითქვამს მზიური ჰანგი,
მევე შევბორკე აღტაცება და ტკბილი ვნება,
მესიზმრებოდა ღამ-ღამობით წყეული ზანგი,
და სიცხადით კი ხელთ მრჩებოდა მჭკნარი ოცნება.

—

ახლა მგოსნური სიგიჟმაჟე კვალად აუშვი,
მოვნახე ისევ სინამდვილე და ჩემი კუთხე;
აღარ ვბანაობ უმიზეზოდ ცრემლის აუზში,
და ახალი გზა წითელი დროშით უკვე ვაკურთხე..

—

ცოტა ხანს კიდევ მიმიყოლეთ, მაცალეთ ერთი!..
ვიდრე მარადის სულ წყლულები არ მოიშუშებს,
მერე რა მეთქმის... სასიკვდილოდ გქონდეთ ეს მკერდი,
თუ არ შევწირო უკვდავების სიცოცხლე მუშებს.

—

თმა აბურძგნული, უშიშარი, გავყვები შარას
და არაფერი არ მექნება გულის ნადევი;
ჩემ უტეხ გრძნობას მე ამოვდებ რკინის ავშარას,
და სამშობლოდაც მეყოლება ნაძალადევი.

**ი. დარომვილი.**

# გაზეთებიდან.

გაზეთ „კომუნისტის“ მე-14 №-ში მოყვანილია საქართველოს კომუნისტურ პარტიის მიწერილობა სამაზრო და საოლქო კომიტეტებისადმი შემდეგი შინაარსისა:

„ჩვენამდე მოღწეულ ცნობებიდან სჩანს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანოები მუშკორებისა და გლეხკომების წერილებს იხილავენ თვითონ და რედაქციებში გზავნიან მხოლოდ განხილვის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ წერილი მათის შეხედულებით მისაღებია.

მიგვაჩნია რა ასეთი „ცენზურა“ ყოვლად დაუშვებლად, საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას გაძლევთ, რომ მომავალში ასეთი რამ არ იქნას განმეორებული.

მუშკორებს და გლეხკორებს უფლება აქვთ წერილები გზავნონ უშუალოდ რედაქციებში; მოთავსებული წერილების შინაარსისთვის პასუხისმგებელია თვით რედაქცია და წერილების ავტორები“.

---

ეხება რა ამ მეტად საყურადღებო საკითხს გაზეთი „კომუნისტი“ თავის მეთაურ წერილში, ამბობს:

„ერთ მაზრის კორესპონდენტს გაეცა „განკარგულება“ მაზრის დანარჩენ კორესპონდენტებისათვის, რომ გაზეთში გასაგზავნი მასალა წინასწარ წარედგინათ მისთვის განსახილველად და შესასწორებლად.

რედაქციას ხშირად მოსდიოდა და ხანდახან ეხლაც მოსდის კორესპონდენციები, რომლებსაც აქვთ წარწერა ამა თუ იმ პარტიულ, პროფესიულ თუ სხვა ორგანიზაცია-დაწესებულების ხელმძღვანელის, რომ კორესპონდენცია შემოწმებულია და მისი გაშვება შესაძლებელია.

კორესპოდენტებს ბოლო დრომდე მეტ წილად ირჩევდნენ ორგანიზაციები და დაწესებულებანი; მცირე იყო ნებაყოფლობითი მოხალისე კორესპონდენტების რიცხვი.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს მთელ რიგ უარყოფითს არასასურველ მოვლენებთან.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ აქ ჩვენ ვხედავთ ცდას კორესპონდენცია და მისი ავტორიც დაუქვემდებარონ წინასწარ კანტროლს; აწესებენ ერთგვარ „ცენზურას“ და „რედაქციას“, რათა კორესპონდენტმა წეროს მარტო „კანონიერ“ ფარგლებში. თავის თავად გასაგებია, თუ რას ნიშნავს ეს „კანონიერება“. თუ კორესპონდენცია, რომელიც შეიცავს მამხილებელ მასალას ადგილობრივი მართვა-გამგეობის და აღმშენებლობის ნაკლულევანებათა, ან თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედების შესახებ,—„საცენზუროდ“ ხელში ჩაუვარდათ დაინტერესებულ პირთ, ე. ი. იმათ, ვისაც იგი შეეხება ან თუ გინდ შორეულ ჩრდილს აყენებს,—თავისთავად ცხადია, ასეთი მასალა რედაქციამდე ვერ მოახწევს, ყოველ შემთხვევაში ამას შეეცდებიან დაინტერესებული ელემენტები.

მაგრამ ჩვენი პრესის, კერძოდ კორესპონდენციების ერთი უმთავრესი დანიშნულებათაგანია სინამდვილის მიუდგომლად გაშუქება, განსაკუთრებით ჩვენი მართვა-გამგეობის პრაქტიკაში და აღმშენებლობითი მუშაობაში შემჩნეულ ნაკლულევანებების და ბოროტმოქმედებათა გამოაშკარავება და ამრიგად ხელის შეწყობა მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ ცხოვრების გაჯანსაღებისათვის.

ამ საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია კერძოდ პროვინციელ კორესპოდენტს, მიტომ რომ სოფლად უფრო ფართე გასაქანი აქვს უკანონობას, იქ უფრო მეტია გამოსასწორებელი და გასაკეთებელი, ვინემ ქალაქში. ამიტომაცაა, რომ პარტიამ, ხელისუფლებამ პირი იბრუნა სოფლისაკენ. იქ გადაიტანა მუშაობის სიმძიმის ცენტრი.

მაგრამ კორესპონდენტებს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეასრულოს თავისი მეტად საპასუხისმგებლო და უაღრესი მნიშვნელობის როლი, თუ ის იქნება სრულებით თავისუფალი და დამოუკიდებელი ადგილობრივი ორგანოებისაგან და თანამდებობის პირებისაგან, თუ მისი სიტყვა შეუზღუდველი იქნება.

არავითარი წინასწარი „ცენზურა“ და კანტროლი კორესპონდენციისა—ეს ერთი ძირითადი პირობათაგანია, რომ მას სათანადო ღირებულება ჰქონდეს, რათა მან მიზანს მიაღწიოს. კორესპონდენტებმა უშუალოდ უნდა გზავნონ რედაქციაში წერილები; მათი შინაარსისათვის თვითონ არიან პასუხისმგებელნი, როგორც მათი გამომქვეყნებელი რედაქციაც, რასაკვირველია.

ამით დიდდება, რა თქმა უნდა, თვით კორესპონდენტების პასუხისმგებლობა, აგრეთვე რედაქციისაც. სამაგიეროდ გაცილებით უფრო უზრუნველყოფილი იქნება პროვინციის ნამდვილი, შეულებავი მდგომარეობის დასახვა გაზეთის ფურცლებზე.

გარდა ამისა, კორესპონდენციების ადგილობრივ წინასწარ განხილვას ის უარყოფითი მხარეც ახლავს თან, რომ ამით მის მიღწევას გაზეთამდე ძალიან დააგვიანდება, რის გამო მას სიცხოველე ეკარგება.

მოვყავს-რა ეს მეტად საყურადღებო სიტყვები, მივაქცევთ ჩვენი მკითხველებისა და განსაკუთრებით რწმუნეულთა ყურადღებას ამ გარემოებას და დაბეჯითებით ვუმეორებთ ჩვენს თხოვნას: მოგვაწოდეთ კორესპონდენციები და ცნობები ჩვენი ცხოვრების კარგისა და ცუდი მხარეების შესახებ. ცნობები უნდა იყოს სწორი, მიუდგომელი და დაუზოგველი. ამას მოითხოვს მშრომელთა ინტერესები, ამას მოითხოვს ხელისუფლება, რომელსაც სურს იცოდეს, თუ რა აწუხებს და სტკივა მშრომელ ხალხს.

---

# ლოტბარ მიზანდარის ავადმყოფობა.

ვის არ ახსოვს მიზანდარის თავგანწირული მუშაობა მუსიკალურ ასპარეზზე. ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს ახალგაზრდა, ნიჭიერ ლოტბარ მიზანდარს. საზოგადოება ბევრჯერ დაუტკბია მას მოხდენილი ლოტბარობით. სამწუხაროდ, ასეთი მოღვაწეების ბედი ისეა მოწყობილი, რომ ისინი ახსოვთ მაშინ, როცა მათ ხედავენ სცენაზე, მხოლოდ მაშინ აფასებს მათ საზოგადოება. მოშორდებიან თუ არა სცენას, ისინი დავიწყებას მიეცემიან, მათ ამბავს არავინ კითხულობს.

სულხანიშვილი ნივთიერ გაჭირვებაში დაიღუპა. სამწუხაროდ, ქართველმა საზოგადოებამ მას ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია. ყველა ქართველი სინანულით იგონებს დღეს მისდამი ასე უყურადღებობას, ამ ადამიანის ასეთ მდგომარეობაში დაკარგვას. ეხლა სხვებს მაინც ვუშველოთ, გავუწიოთ საჭირო დახმარება, ვაგრძნობინოთ ჩვენი ნამდვილი თანაგრძნობა.

სწორედ ასეთ მდგომარეობაშია დღეს ახალგაზრდა ნიჭიერი ლოტბარი მიზანდარი.

ის დაავადმყოფებული, დაავადებული, ლოგინად არის ჩავარდნილი. ავადმყოფობამ ჩამოაშორა ის ლოტბარობას, საყვარელ სცენას. საზოგადოების მოვალეობაა გაუწიოს მას თანაგრძნობა, ძმურად დაეხმაროს ნივთიერად და გადაარჩინოს ნიჭიერი ახალგაზრდა უდროოდ დაღუპვას.

№.

# ორი ქვეყანა.

(დასასრული, იხ. „ახალი გზა" № 5).

(სასახლის აივანზე გამოდის რამდენიმე შეზარხო-შებული მოქეიფე).

**პირველი ბურჟუა.** ვიშ, რა პოეტური ღამეა!..

**მასპინძელი.** აქ განაგრძეთ ნადიმი, ახალგაზრდებო, ეპიკურული ლხინი გააჩაღეთ... ჩვენ ხანში შესულები კი დარბაზში მოვილხენთ.. (შედის დარბაზში ღიღინით).

**მეორე ბურჟუა.** (აიღებს ღვინით სავსე ჭიქას) ბატონებო!.. ეს სადღეგრძელოა მშვენიერი ქალებისა...

**მესამე ბურჟუა.** უჰ, რა მოსაწყენი პროზაა!..

**მეორე ბურჟუა.** პროზა კი არა, პოეზიაა!..

**მესამე ბურჟუა.** ქალი მანჭიაა... მართალია, იმან მაიმუნობის პერიოდი დიდი ხანია განვლო, მაგრამ ადამიანამდის მაინც ვერ მიაღწია... როგორ დავლევ მათ სადღეგრძელოს...

**პირველი ბურჟუა.** თქვენ გინდათ სთქვათ, რომ ქალი გადასასვლელი საფეხურია მაიმუნიდან ადამიანამდის, არა?..

**მესამე ბურჟუა.** სწორედ...

**პირველი ბანოვანი.** ფიჰ, რა ციჩიკია ეს ვაჟბატონი!..

**მეორე ბურჟუა.** ბატონებო, მაცალეთ!.. ნუ შეურაცყოფთ ქალებს... ისინი არიან ქვეყნის მშვენებანი... თუ ხანდახან დამწყდარი სიმეპივით უსიამოვნოდ ჟღრიალებენ —თქვენი ბრალია... თქვენ არ ვარგიხართ, მ მაკაცებო... ჯადოსნურად გაჰკარით წკირა ამ ცოცხალ ქნარებს და ისინი მომხიბლავად აჟღერდებიან...

**ბანოვნები.** ვაშა, ვაშა!.. (ჰაეროვან კოცნას უგზავნიან მოლაპარაკეს და ტაშს უკრავენ).

**ყველანი.** გაუმარჯოს, გაუმარჯოს ქალებს! (სცლიან ჭიქებს).

**მეორე ბანოვანი.** ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.. რა სულელები ხართ მამაკაცები... ვინ ჩვენ და ვინ ქნარები?.. თქვენ არ გიცხოვრიათ გეტყობათ ქალებთან, თორემ სულ სხვანაირ მუსიკას მოისმენდით მაგან...

**მეხუთე ბურჟუა.** ვინც რა უნდა სთქვას და მე მაინც მოტრფიალე ვარ ქალების... ისინი მომნიჭებელი არიან უკვდავებისა.

**მეოთხე ბურჟუა.** რას ამბობ, კაცო, ენამ არ გიყივლოს... მართლა არ განხორციელდეს უკვდავება...

**მეორე ბურჟუა.** შენც ვითომ ტუჩს აჰკრავდი რაღა უკვდავებას.

**მეოთხე ბურჟუა.** უკვდავება რომ ყოფილიყო—მაშინ ხომ ამ ცუგრუმელა ქვრივის ქმარიც არ მოკვდებოდა?..

**მეორე ბურჟუა.** მით უკეთესი, რად უნდა მომკვდარიყო?

**მეოთხე ბურჟუა.** თუ კი ასეთი ფუნთუშა, ფაფუკი ქალების ქმრები არ დაიხოცებოდნენ—მაშინ ვიღა გვაღირსებდა ამ ქვრივების ალერსს. ეგრე არ არის, იადონო?!. (ჩქმეტავს ქვრივს ლოყაზე).

**ქვრივი ბანოვანი.** ნუ ჰსულელობთ!..

**მეოთხე ბურჟუა.** რა ვქნა!.. ვერ მოვიშლი ნირსა!.. ჩემი სპეციალობაა სისულელე და ქალების გასულელება...

**ქვრივი მანდილოსანი.** ჩინებული საქციელობა გქონიათ... ჭეშმარიტად მოსაწონი გაქვთ თავი, რომ ფუქსავატების ფალავანი ჰყოფილხართ...

**მეოთხე ბურჟუა.** ახა, ღმერთო, რა მოსაწყენი არიან ეს ვითომდა სერიოზული ქალები!.. შევალ დარბაზში, ეგება იქ უფრო შემხვდნენ ჩემი ჭკუისანი. (გასწევს კარისაკენ)

**ბანოვნები.** (წამოცვივიან და გამოუდგებიან) დუშენკა!.. დუშენკა!.. მოიცადე!..

**ბანოვანი ქვრივი.** პარდონ! პარდონ!.. ფუქსავატი ხარ, მაგრამ კარგი ხარ!.. საყვარელი ხარ!.. (ორივე მხრიდან ხელს გაუყრიან და გადაეშვებიან ვალსის ზვირთებში...)

(გამოდის ახალი გუნდი ქალ-ვაჟებისა... ბანოვნები თითქმის მთლად შიშველნი არიან... ფაშფალანი... მამაკაცებიც ჩასუქებულ-ჩაქონებულნი).

**პირველი კურტიზანკა.** (მრუში გრძნობით ღელვილი ეტმასნება ბანკირს) მაშ რა გწამთ თქვენ, თუ სიყვარულს ეგრე უარსყოფთ?..

**ბანკირი.** ოქრო!.. ოქრო!,. ოქრო!.. ჩემი საყვარელი ოქროა... ჩემი ფილტვები ოქროა... მე ოქროთი ვსულდგმულობ... ოქროა ყოვლის შემძლე...

**მეორე ბანოვანი.** ყველაფერი შეიძლება იყიდოთ ოქროთი, მაგრამ სიყვარულს ვერ ეღირსებით...

**ბანკირი.** ფულის შემწეობით მთელ მსოფლიოს ჰარამხანად გადავაქცევ!.. მაგრამ მე ამაში არა ვხედავ პოეზიას .. პოეზია ხავთის შადრევანებია.. პოეზია მსოფლიოს დაპყრობაა... ყველა ოკეანეში დოლარს ჩემმა ხომალდებმა... ყველა ქვეყნები დაპყრობილი აქვს ჩემს ოქროებს... (შემოირბენს ჟურნალისტი).

**ჟურნალისტი.** ბატონებო, თქვენ ისევ ჰლხინობთ?.. თქვენ ცეცხლისმფრქვეველ ვულკანზე ხართ და ისევა ჰლრეობთ?..

**ყველა.** რა იყო, რამ დაგაფეთიანა?

**ჟურნალისტი** „მენე, თაკელ, ფარეს"!..

**მოქეიფე.** თავი დაანებე ძითიის ბოდვას... სთქვი გარკვევით...

**ჟურნალისტი.** რაღა გარკვევით... კამეჩის რქებში ხომ არა სხედხართ... საცაა აგაფეთქებენ...

**ბანოვნები.** (შეშინებული) ჩქარა გვითხარი... რა უბედურებაა ჩვენ თავს.

**ჟურნალისტი.** წეღან მოულოდნელად ჩვენს რედაქციას დაესხა ერთი გუნდი შეიარაღებული მუშებისა... ყველა დაგვატყვევა.

**ყველანი.** რაო?.. დაგატყვევეთ?..

**გენერალი.** მერე, პოლიცია სად იყო, მთავრობას არ აცნობეთ?..

**ჟურნალისტი.** მოგვისპეს ყოველგვარი საშუალება... ტელეფონები გადაგვიჭრეს.

**ბანოვნები.** მერე, მერე?..

**ჟურნალისტი.** მერე ისა, რომ საჭარიჭაროდ აწყეს რაღაცა ფურცლები და უმალ მიიმალნენ...

**ყველანი.** რა ეწერა იმ ფურცლებში...

**ჟურნალისტი.** მოწოდებასა ჰგავდა!.. ისე ვიყავი შეშინებული, რომ შინაარსი არც კი დამხსომებია... ვგონებ ეს აზრი იყო... მოთმინების ფიალა აივსო... დაე მუშებისა და კაპიტალისტების მთავრობის საკითხი იარაღმა გადასწყვიტოსო...

(ქუჩიდან ვიღაცა აჩრდილი უახლოვდებათ და აივანზე ამოჰყრის ფურცლებს... ფურცლები შრიალით გაიფანტება...)

(გაისმის ქუჩიდან იმ აჩრდილის მრისხანე ხმა).

**უცნობი ლანდის ხმა.** გათახსირებულნო, ბურჟუებო, კაპიტალისტებო!.. მალე ჩაგმწარდებათ ვალტასარის ნადიმი.. მალე წესი აეგება ალვირ-აწყვეტილ თქვენს გათახსირებას... ძრწოდეთ!.. უკვე გაისმის შურისგების ხმლების სიმღერა..

(უცნობი მიიმალება.. პანიკა... რამდენიმე ბანოვანს გული წაუვა... გენერალი მაგიდის ქვეშ შეძვრება... კარგა ხნის შემდეგ ბანკირი მოვა ცნობაში და ის არღვევს მტანჯავ დუმილს)...

**ბანკირი.** რა დაგემართათ, ბატონებო, რამ შეგაშინათ?.. ვიღაცა წუწკალი გაკადნიერდა და ფურცლები შემოჰყარა... მორჩა, გათავდა... სხვა ხომ არაფერი ყოფილა?..

**პირველი ბურჟუა.** ჰოო და ჰოო!.. არც ეგრე დავთრების დაბნევა ვარგა...

**გენერალი.** (სცდილობს შეუმჩნევლად გამოძვრეს მაგიდიდან... ყველანი ამჩნევენ).

**მეორე ბურჟუა.** გენერალო, ეს რა დაგმართნია!.. სადაა შენი მხედრული ზვიადობა?!.

**გენერალი.** მე... მე... არაფერი!.. ისე.. მე კი არ დავიმალე... ორდენი ჩამივარდა და იმას დავეძებდი...

**ყველანი.** ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.. რა თქმა უნდა!.. ჩვენს მამაცს გენერალს რა შეაშინებს...

**ბანკირი.** ბატონებო, ბატონებო!.. უსმინეთ თქვენ, როგორ გაკადნიერებულან ის მელები ისა!.. (ჰკითხულობს) რევოლიუციის შურისძიების ქარიშხალი უკვე ამოვარდა!.. იწყება სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შორისო.

**მრეწველი.** როგორ?!.. იმუქრებიან კიდეც!.. ახია ჩვენზე... ცოტას ვამუშავებდით და იმიტომ გაკადნიერებულან.. უსაქმურობაა მშობელი ყოველგვარ სულელურ ოცნებების და ილიუზიებისა...

**პირველი ბანოვანი.** განა რამდენ საათს მუშაობენ თქვენს მაღაროებში?..

**მრეწველი.** მხოლოდ თოთხმეტ საათს დღე-ღამეში... მე ხვალვე განკარგულებას გავცემ ორი საათიც მოუმატონ... მაშინ იოცნებონ რევოლიუციებზე.

**ბანოვნები.** ძალიან კარგს იზამთ... ეგრე უნდა იმ ქოფაკებს იმათა!..

**პირველი ბურჟუა.** უგუნურნი!.. რომელ რევოლიუციას გაუმარჯვნია, რომ მაგათმა გაიმარჯვოს. პარიზის კომუნარებიც ასე იქადოდნენ, მაგრამ ჩვენებმა გასრისეს... სადაა დღეს იქ რევოლიუციის თუნდაც ნატამალი?.. წინეთ პარიზი რევოლიუციის წმინდა სამშობლოდ მიაჩნდათ, დღეს კი იგი ქალაქია კაპიტალისა და იმპერიალიზმისა...

**მეორე ბურჟუა.** დღეს იქ კაპიტალის ჰიმნებს უმღერიან ყველა ჯურის ქარხნები ..

**მემაღაროე.** მე ნაღმებით მთებს ვაფეთქებ და ვბურღავ... ნუ თუ ვერ შევძლებ აღმოვფხვრა ეს რაღაცა რევოლიუციური მოძრაობაა?!.

**მესამე ბურჟუა.** ყველაფერს შევძლებთ... ყველაფერს...

**მრეწველი.** არ არის ადამიანი, თუ ორგანიზაცია, რომ მისი მოსყიდვა არ შეიძლებოდეს..

**ბანკირი.** ფულით თვით რევოლიუციასაც მოვისყიდით...

**მრეწველი.** თითქმის ყველა გაზეთები და მეცნიერები ჩვენ გვემსახურებიან... მე ჟურნალისტები მყავს მოსყიდული...

**მემამული.** მეც კარგა სუბსიდიებს ვაძლევ გაზეთებს, რომ სწერონ ჩვენი წოდების სასარგებლოდ...

**ბურჟუები.** ჩვენცა... ჩვენცა...

(შემოდის მეცნიერი)

**მეცნიერი.** რა ამბავია, მეგობრებო, რას დაუნაღვლიანებიხართ?..

**ბანკირი.** (ბურჟუებს) უნდა გამოვიყენოთ მეცნიერი ჩვენი საქმეებისთვის... მეტად გონება გამჭრიახია... ეგება გამოიგონოს ისეთი რამ, რომ სწრაფად არა მრავლდებოდნენ ეს მუშები.

**პირველი ბურჟუა.** ჩინებული აზრია!..

**მეორე ბურჟუა.** კი, მაგრამ, ხომ იცით, რა აჯამი კაცია... ოქროს მუსუსია... თუ კარგა ძალი თანხა არ ჩაუჩხრიალე ჯიბეში—არ იზამს...

**ბანკირი.** ეგ ადვილია... ეხლავე მოვიგებ მის გულს (მიჰმართავს მეცნიერს) სახელოვანო მეცნიერო!.. ჩვენა ვხედავთ, რომ თქვენს ბრწყინვალე ნიჭის გაშლას წინ ელობებიან ნივთიერი პირობები... ჩვენ გადავწყვიტეთ უზრუნველვყოთ, რომ მეცნიერებას შეალიოთ მთელი თქვენი შემოქმედება... ჩვენა ვფიქრობთ ნიცცაში შეგიძინოთ ვილლა...

**მეცნიერი.** (გულაჩუყებული) გმადლობთ, გმადლობთ დიდად... მაგრამ რითი შემიძლიან სამაგიეროს გადახდა... მე მეცნიერი ვარ!..

**ბანკირი.** არაფრით!.. განაგრძეთ მხოლოდ თქვენი კვლევა...

**მანდილოსანი.** მეცნიერო, მათ ერთი დავალება აქვთ თქვენთან და ვერ გიბედავენ...

**მეცნიერი.** მიბრძანეთ და შევეცდები გემსახუროთ, რითიც შევძლებ...

**მრეწველი.** ჩვენა გვაქვს თქვენთან სათხოვარი.. ეგება ისეთი რამ გამოიგონოთ, რომ მოვსპოთ ეს უამრავი ბაღლინჯოები..

**მეცნიერი.** (გაკვირვებით) ბაღლინჯოები?..

**ბანოვანი.** დიახ, ბაღლინჯოები... მუშები.. მუშებიც ხომ ბაღლინჯოებივით მყრალი არიან და საზიზღარნი...

**მეცნიერი.** და თქვენა გნებავთ მათი მოსპობა?..

**ბანკირი.** უნდა მოგახსენოთ, ძვირფასო მეცნიერო, რომ მუშების დიდი უმრავლესობა სრულიად საჭირო არაა... დღეს ტეხნიკა ისე განვითარდა, რომ მანქანა ასრულებს მუშის მაგიერობას... ეგ ბაღლინჯოები მცირეოდენის გარდა სულ რომ გასწყდნენ—ჩვენი მრეწველობაცა და კაცობრიობაც არაფერს დაჰკარგავს.

**მეცნიერი.** ადვილი სამსახურია!.. მე დავწერ გამოკვლევას იმაზე, თუ რა დიდი უბედურებაა მუშებისათვის შვილიერება... ვეცდები სტატისტიკური ცნობებით დავამტკიცო, რომ შვილიანობა ჰღუპავს კაცობრიობას... აუბედურებს... მათაც მეტი რაღა ილაჯი ექნებათ... დაიშლიან ცოლის შერთვას და ამნაირად თანდათან გადაშენდებიან!..

**მრეწველი.** ჩინებული აზრია!..

**ყველანი.** ვაშა!.. ვაშა ჩვენს სასიქადულო მეცნიერს...

**თავადი.** გეთაყვა, მეცნიერო, ვინძლო ისეთი რამ

გამოიგონო, რომ მუშებთან ერთად ბარემ გლეხებიც გაიჟუჟოს—სისხლი გამიშრეს ი ღორის ტილებმა წარამარა უკმაყოფილებითა...

**მეცნიერი.** დიდის სიამოვნებით!.. დიდის სიამოვნებით!..

**ბანკირი.** მაშ აბა ისევ განვაგრძოთ ნადიმი...

**მრეწველი.** აბა კანიაკი... შამპანიური...

**ხანოვნები.** ტკბილეულობა... შარბათები... შოკოლადები...

**ბურჟუები.** მუსიკა!.. მუსიკა...

**თავადი.** ტუში!.. ტუში!.. (ცეკვავს) იმართება ორგია... ზოგი ბანოვანი ბურჟუებს კალთაში უსხდებიან... ზოგიც ვნების ამშლელ ტანგოს თამაშობს... ალვირაწყვეტილი გახრწნილების ღრიანცელი...)

ფ ა რ დ ა.

**დ. თურდოსპირელი.**

# ქართული ლიტერატურა.*)

### II. კაზმული პროზა.

ამ ჩვენს დროს, ღრმა და საშინელი დუღილის დროს, ახასიათებს ერთი მეტად სიმპატიური სურვილი: გაუკეთოს ჯამი იმას, რაც გაკეთებულა ერის ეკონომიურსა და კულტურულ ცხოვრებაში, რა ნაბიჯები გადაუდგამს მეცნიერებას, ფილოსოფიას და ლიტერატურას.

საქართველოში მეცნიერება და ფილოსოფია, სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. ქართულ ლიტერატურას კი ჯამი გაუკეთდება და, მაშასადამე, ისტორიულადაც შესაძლებელია იმისი შეფასება.

ამ რიგად შეფასებულს ქართულ ლიტერატურას ქართველი მუშა ხალხის ფართე წრეებიც გაეცნობიან და დაინტერესდებიან უფრო გულწრფელად და ენერგიულადაც, ვიდრე ეს ხდებოდა აქამდე ქართველი საზოგადოების ფართე წრეებში.

ეჭვს გარეშეა, რომ ქართულ კაზმულ პროზას ახლოს ვერ გაეცნობით სკოლებში, ვერც ამხ. ივ. გომელაურის ქრისტომატიებში. ამისთვის საჭიროა თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ თვით ქართული კაზმული პროზა, სერიოზულად გაეცნოთ ისტორიულ კრიტიკას, რომელიც იძლევა ქართული ლიტერატურული შემოქმედების სულის ერთად-ერთ ნამდვილ და ჭეშმარიტ გასაღებს.

მე მხოლოდ გაკვრით, ერთი თვალის გადავლებით მინდა აქ შევეხო ქართული კაზმული პროზის ჯამს, რომ მუშა ხალხის მოთხოვნილებასა და კეთილ სურვილებს გამოვესაუბრო და მოკლედვე დავახასიათო აღებული საგნის საერთო ფორმა და შინაარსი.

ქართული პროზის ასპარეზზე მუშაკებს, რა თქმა უნდა, ცხოვრების სინამდვილის ცოცხლად დახატვის ნიჭი და წარმოდგენა არ აკლიათ. ისინი იქ ქმნიან მოქმედ პირებს, გმირებს და იმათ დახასიათებასაც იძლევიან. ქართველი პროზაიკები დეტალების წარმოდგენის და დამუშავების უნარსაც იჩენენ. და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ საგანზე ხანგრძლივადაც უფიქრიათ.

მარა ყველა ეს არა კმარა. ეს ძალიან ცოტაა ნამდვილი და ჭეშმარიტი მხატვრობისა, კაზმული პროზისათვის. უდიადესი საქმე, რომელსაც თხოულობს მხატვრული, კაზმული ლიტერატურა, არის ის, რომ ქართულმა კაზმულმა რომანმა და დრამამ შექნას ტიპები, მომქმედ პირთა ხასიათები...

ქართველ პროზაიკებს,—რომანისტებს და დრამატურღებს არ ეტყობათ თავისუფალი, დამოუკიდებელი, ორგინალური ტალანტით მუშაობა, ისე სისტემატიურად, როგორც მუშაობენ ხოლმე ყოველ დღე ბუნებისმეტყველების ნიჭიერი პროფესორები ლაბარატორიებში. ჩვენი მხატვრული მწერლობის ასპარეზზე მუშაკნი ვერ ქმნიან ფსიქოლოღიურად რთულ, დიდად საინტერესო ხასიათებს, ათასნაირ გულისთქმათა და მოქმედებას, ვერ ხატავენ ბრძოლას, ნაწარმოების ფაბულას, შინაარსს, მის ნასკვსა და გახსნას—ეს სულ უდიდესი სულიერი მუშაობაა და, ამასთანავე, უნაზესი პროცესიც მწერალ-მხატვარის შემოქმედებისა. ამიტომაც, კაზმული ნაწარმოებნი და, მათ რიცხვში ნამეტურ, რომანებიც და დრამებიც თხოულობს უფრო დიად, უფრო რთულ მხატვრობითი და შემოქმედებითი მუშაობას. და იქ. სადაც ეს გაძლიერებული, ცოცხალი, ღრმა შემოქმედება და მხატვრობა არ მუშაობს, სულიერად ამაღლებულ, ნაზი გემოვნების ადამიანსა და ფილოსოფოსი-კრიტიკოსის გულში იწვევს გამწარებას, ძალიან უსიამოვნო გრძნობას ..

როგორც ვიცით, ადამიანის სულიერი საუნჯის—რიტმის გადასაცემად, სულყველა იარაღსა და საშვალებათა შორის უპირველესი—სიტყვაა. სიტყვას უჭირავს უპირველესი ადგილი ხელოვნების ყოველგვარ უაღრეს შემოქმედებაში. სიტყვის, სტილის მეოხებით, უძლიერეს გამოხატულობას და უდიდეს განვითარებას მიაღწია ფრანგულმა ლიტერატურამ, ფლობერის და ემილ ზოლას შესანიშნავმა ლიტერატურამ.

ამ დიადი დუღილის დროს როცა ვცხოვრობთ, ვიბრძვით და გულგაუტეხელიც დღე და ღამ ვმუშაობთ, მიუცილებლად, ქართველი მხატვარი-მწერალიც, რომანისტია იგი, თუ დრამატურღი, ვალდებულია ამუშაოს თვისი მჭერმეტყველობის მწერლობის ტალანტი, დაეწაფოს მას გატაცებით, გაბედულობით და მამაცურადაც...

ახალი კაზმული მწერლობა საქართველოში იწყება დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხით" და ლავრენტი არდაზიანის რომანით—„ისაკ მეჯღანუაშვილი", რომელსაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. ეს რომანი დიდხანს იყო ერთად-ერთი ჩვენში, ვიდრე გიორგი წერეთელმა 1888 წელს ქუთათურ კრებულ „ცდა"-ში არ დასტამბა რომანი—„პირველი ნაბიჯი". ამას იმავე ავტორმა მიაყოლა მეორე რომანი—„პირიმზე". მას აქეთ დადგა რომანების ხანა ქართულ ლიტერატურაში. რომანებით აქ თავი ისახელეს: ვასილ ბარნოვმა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიისამ, შალვა დადიანმა და სოფრომ გლახაშვილმა. დრამატიული ლიტერატურაც გაამდიდრეს: ნიკო შიუკაშვილმა, შალვა დადიანმა, ირეთელმა, ი. გედევანიშვილმა, ალ. შანშიაშვილმა და სხვ.

ამ მხატვრებმა-მწერლებმა თავიანთ ნაწარმოებში დახატეს ქართველი ადამიანები თვისი ყოველდღიური შრომით, ბრძოლით, ზრუნვით, ჭირით და ლხინით. ქარ-

*) იხ. ჟურ. „ახალი გზა", № 4.

თული რომანი მარტო დღევანდელი ყოველდღიური შრომითა და ბრძოლით, ტენდენციებით არ კმაყოფილდება. იგი წარსულისაკენაც დაკვირვებით და საგნის ცოდნით იხედება. და დიდი სიფხიზლე და ენერგია აქ ეტყობა ნამეტურ ქართველ რომანისტს—ვასილ ბარნოვს...

ეს მოკლედ ანუსხული ცნობებიც მკითხველს ატყობინებს, რომ ქართული კაზმული პროზა რომანებით ღარიბია და ტიპებითაც თითქმის ცალიერია. აღნიშნული მწერლების დრამები და რომანებიც დიდ მასალას იძლევიან კრიტიკისათვის და ცხოველის ფერადებითაც გადმოაქვთ ჩვენი ცხოვრების მრავალგვარობა.

მარა, დაგვეთანხმებით, რომ ეს არა კმარა დიდი, მდიდარი და სერიოზული ლიტერატურისათვის. ასეთს ლიტერატურას, ახალს მჩქეფარე მწერლობას მიუცილებლად ამიერიდან, ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, **ქართული მეცნიერება** გაუკაფავს გზას და უჩვენებს ახალი ევოლიუციის პერსპექტივებს. ქართული მეცნიერება ააჩუხჩუხებს ცხოველმყოფელს, დაუშრეტელს წყაროს, რომელიც მიანიჭებს ქართულ კაზმულ პროზას გამხიარულებულს, ძლიერს, მდუღარე სიცოცხლეს და სრულიად ამოივსება ის ნაკლულევანებაც, რომელზეც მე ვუთითებ აქ. ქართული მეცნიერება ამოაჩენს და მისცემს ჩვენს კაზმულ პროზას, ასე წოდებულ, სინტეზს იმისას, რაც ქართველი კაცის გრძნობა-გონებას, გაუკეთებია წარსულში და დაიბადება ძლიერი და ენერგიული იმპულსისცემისთვის, რომ ქართველის შემოქმედება იმუშავებს ქართლოსიანთა ერის ეროვნულ აღორძინებისათვის...

ამ დიადი იმედებით გამსჭვალული, გასპეტაკებული ქართველი რომანისტი და დრამატურლი მამაცი, გაბედული უნდა იქნეს. იმას უნდა გულით იტაცებდეს დღეს თავდაუჭერელი, უსაზღვრო შემოქმედება, დაუღალავი საქვეყნო შრომა, შრომა... შრომა. მისი კეთილშობილური თავმოყვარეობა შვენიერებისა და დიდი, მდიდარი შემოქმედების ცოცხალ, მომხიბვლელ ახალ-ახალი პოეტური ჩვენი ქვეყნის სახე-სურათების, ხასიათების და ტიპების აღმოჩენა-შექმნას უნდა უწყვეტლმანდებოდეს და შრომაში გულაცრუებას და მოდუნებას გაურბოდეს. და, ნეტავი იცოდეს, რა ტკბილი და სასიამოვნო ჟრუანტელი დაუვლის ტანში მხატვარ-მწერალს მაშინ, როცა ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული შრომის შემდეგ იგი შექმნის დიდად შვენიერს და მაღალს ხელოვნურს ნაწარმოებს ლიტერატურაში!..

აი, ასეთი დიდი, გაფართოებული თვალებითა და ღრმა აზრით საჭიროა განიზომოს და შეფარდდეს ქართული ლიტერატურა, ქართული კაზმული პროზა და მაშინ თქვენთვის ნათელიც შეიქნება, თუ რა ჯამი დარჩება მას..

მიუცილებლად, ქართულ ლიტერატურაშიაც არიან მწერლები, რომელთაც ამის ცოცხალი, ნათელი წარმოდგენა და შეგნება აქვთ. ამ მწერლებსაც კარგად ესმით, რომ შექმნან მწერლობაში სალიტერატურო ტიპები, შვენიერი სამხატვრო სახე-სურათები და ფსიქოლოღიურათ რთული ხასიათები. ერთი სიტყვით, არიან დღეს ჩვენში მწერლები, რომელთაც უჩვეულოდაც ესმით ნამდვილი, ჭეშმარიტი აზრი ღრმა, ძლიერი და დიდი მხატვრობისა. მარა არ არის იმპულსი, ძლიერი, ჩხრიალა წყარო ცოცხალი ლიტერატურისა—ძლიერი, ღრმად გამკვეთი, თავდაჭერილი, სწორად შემფასებელი, დიდად-დიდი სერიოზული სალიტერატურო კრიტიკა, რომელმაც მიუდგომლად, ობიექტიურად, წრფელის გულითა და სინდისით აღნიშნოს და შეაფასოს ქართული ცოცხალი ლიტერატურის ავი და კარგი, ნაკლი და ღირსება.

**ხომლელი.**

# ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობა.

**(წერილი მესამე).**

**1920** წელს ივნისში დაარსდა ქიათ. შავი-ქვის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო“, რომელშიაც შევიდენ წევრებად შავი-ქვის მრეწველთა და ექსპორტიორთა დიდი უმეტესობა. ამ საზოგადოების მთავარი მიზანი იყო ჩვენი შავი-ქვის უცხოეთში გაზიდვისა და გაყიდვის მოწესრიგება, ძით მარგანეცის ღირსების განკარგება და ფასების აწევა ევროპა-ამერიკის ბაზრებზე. „ჩემო“-ს დაარსებამდე ადგილობრივ მრეწველთა მეტი ნაწილი, სიიაფის გამო, ამზადებდა დაბალი ღირსების ქვას, ექსპორტიორები კი, ერთმანეთთან მეტოქეობის მეოხებით, სწევდენ მსოფლიო ბაზარზე ჩვენი შავი-ქვის ფასებს და ამ რიგად დიდი ზიანი ეძლეოდა საქართ. შავი-ქვის მრეწველობას. საზ „ჩემო“-ს დაარსებიდან ეს დეფექტები იქმნა დაძლეული, მით ჩვენმა მარგანეცმა კვლავ გაიკაფა გზა, ხუთი წლის დიდი კრიზისის შემდეგ, და დაიკავა საპატიო ადგილი მსოფლიოს მძიმე ინდუსტრიაში.

ამიერიდან ჩვენი მარგანეცი იგზავნება და იყიდება უცხოეთში საზ. „ჩემო“-ს სახელით, ხოლო თითოეული წევრის ქვა იგზავნება ცალკე, შეურეველი სხვების მარგანეცთან და ამ რიგად გაგზავნილ ქვის რაოდენობა-ღირსებაში აგებს პასუხს თვით მარგანეცის პატრონი, ამის შემდეგ, ეჭვი არაა, ყველა მათგანი დაინტერესებულია გაგზავნოს რაც შეიძლება კარგი ღირსების ქვა და არ ჩაიდინოს არავითარი სიყალბე, რადგან რამდენად მეტი ლითონის ერთეული აღმოჩნდება ანალიზის შემდეგ გაგზავნილ ქვაში, იმდენად მეტ საფასურს იღებს თვით გაგზავნილი ქვის პატრონი.

საზ. „ჩემო“-ს წესდების მე-13-ტე მუხლის ძალით, შავი-ქვის ოპერაციებით გამოწვეულ წმინდა მოგების 35% მიდის საქართველოს სოც. რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ, 65%-ი ურიგდებათ მრეწველთ მათ გატანილ ქვის რაოდენობისა და ღირსების მიხედვით.

ამ რიგად, როგორც სჩანს, შავი-ქვის მრეწველთა სინდიკატმა, ანუ საზ. „ჩემო“-მ დიდად შეუწყო ხელი ჭიათ. მრეწველობის აღორძინებას, ქვის ღირსების განკარგებას გაწმენდით და გარეცხით, მასთან შავი-ქვის ფასების აწევას მსოფლიო ბაზარზე. აგრეთვე გაუჩინა ჩვენს ხაზინას ყოველ-წლიური სამჩნევი შემოსავალი.

## II.

**1923** წელს ივნისში დაარსდა მთავრობის სამრეწველო ორგანო სახელწოდებით: „**შავი-ქვის მრეწველო-**

**ზის სამმართველო"**, რომელიც მხნედ შეუდგა საქმეს, ხელი მიჰყო ქვის დამზადებას და გაზიდვას უცხოეთში. სამმართველოს განკარგულებაშია ათას ქცევაზე მეტი მადნიანი ადგილი სოფ. მღვიმევში, თაბაგრებში, რგანსა და ზედა-რგანში. ჯერხანად მუშაობა სწარმოებს ოთხ დიდ მაღაროში და 1924 წელს 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე უკვე გამოუღიათ **2 მილ. 800 ათასი ფუთი ქვა**, ამ ჟამად სამმართველო სცდილობს გააუმჯობესოს ქვის გამოღების ტეხნიკა და აიყვანოს ამოღება წლიურად **20 მილ. ფუთამდე**. სამმართველომ უკვე გაზიდა უცხოეთში საზ. „სემო"-ს შემწეობით 1924 წელს 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე დაახლოვებით **5 მილიონი ფუთი ქვა**, (აქედან მეტი ნაწილი თვით ჭიათურაში შეიძინა კერძო ფირმებიდან).

სამმართველოს აქვს უკვე ორი სარეცხი ქარხანა სოფ. რგანსა და თაბაგრებში, რომლებშიაც შეიძლება გაირეცხოს წლიურათ **6 მილ. ფუთი ქვა**. მაგრამ ამ მიმდინარე 1925 წელს სამმართველო აპირებს ააგოს სოფ. თაბაგრებში გაუმჯობესებული ტიპის დიდი სარეცხი ქარხანა; აგრეთვე შეუდგა სამადნო რკინის ლიანდაგის გაყვანასწირქვალისა და ჭალის ხეობებში, რომელიც დამთავრდება რვა თვეში; ეს ლიანდაგი დიდად გააადვილებს და გააიაფებს ქვის გადმოზიდვას მადნებიდან ჭიათ. სადგურამდე. სამმართველოს აგრეთვე გამოწერილი აქვს უცხოეთიდან **პნევმატიური პრიბორები** ქვის გამოსაღებათ. ამ პრიბორების საშვალებით მუშაობა ფრიად ადვილდება და მუშის ნაყოფიერებაც იზრდება 10—15-ჯერ, ამ რიგათ ქვის თვითღირება ეცემა საგრძნობლად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შავი-ქვის წარმოებაში.

სამმართველოს მაღაროებსა და ქარხნებში ამ ჟამათ მუშაობენ ათასამდე მუშა,—რომელთა მდგომარეობა ნივთიერად და ზნეობრივად ბევრად უკეთესია, ვიდრე კერძო მრეწველთა მუშების. მათი დღიური ხელ-ფასი ადის 1 მ. 20 კაპიკიდან—2 მ. 55 კაპიკამდე.

სამმართველომ მოაწყო აგრეთვე ელექტრონის განათება როგორც თავის მაღაროებსა და ქარხნებში, ისე ახლო მდებარე სოფლებში და ამ ჟამად უშენებს თავის მუშებს ევროპიული ტიპის სახლებს.

## III.

1900 წლიდან 1912 წლამდე ფუთი შავი-ქვის გამოღება მაღაროებიდან და ჩამოტანა ჭიათურისა და ჭიქაურის სადგურთა ბაქნებზე ჯდებოდა **5—6 კაპ.** 1912—1914 წლებში—$6\frac{1}{2}$—7 კაპ., 1922—23 წლებში კი ფუთი ქვის გამოღება-ჩამოტანა ჯდებოდა **10—11 კაპ.** ფუთი ქვის გარეცხვა სარეცხ ქარხნებში ომამდე ჯდებოდა **$2\frac{1}{2}$—3 კაპ.**, 1922—1923 წლებში-კი **$5\frac{1}{2}$—6 კაპ.** აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარეცხვის დროს იკარგება დაახლოვებით ქვის 40%. ამ რიგათ ბაქნებზე ჩამოტანილ და გარეცხილ ერთი ფუთი ქვის თვით-ღირება ომამდე უდრიდა 9—10 კაპ., ომის შემდეგ-კი $15\frac{1}{2}$—16 კაპიკს, ე. ი. მოიმატა 60%-ით. ასევე გაიზარდა ფოთამდე გაზიდვის ფასებიც, რაც ომამდე უდრიდა 9—10 კაპიკს, ომის შემდეგ კი 11—12 კაპიკს.

ზღვის ფრახტი ომამდე უდრიდა ფუთ ქვაზე 8—10 კაპიკს, ომის შემდეგ კი 1918—20 წლებში ავიდა 40 კაპიკამდე, 1923 წლიდან-კი დაეცა 13 კაპიკამდე, რამაც **დიდათ შეუწყო ხელი ჩვენი ქვის გაზიდვას უცხოეთში.**

ჩვენი 50%-ნი მარგანეცის ნორმალური ფასები უცხოეთის ბაზრებზე ომამდე იყო 33—35 კაპ., 1924 წელს-კი ამავე ღირსების ერთი ფუთი ქვის ფასი ავიდა 70 კაპიკამდე. გარეცხილ ქვაზე კი ფასი აიწია 80 კაპიკამდე. ამ რიგათ ჩვენი შავი-ქვის წარმოების წმინდა მოგება აღწევს ერთ ფუთზე 30 კაპიკამდე, რაც 30 მილიონ ფუთ წლიურად გატანილ ქვაზე იზამს 9 მილ. მანეთს. ეს კი დიდათ სამნიშვნელო ციფრია ჭიათ. შავი-ქვის მრეწველობაში.

ქვის სარეცხი ქარხნების რაოდენობა 1923 წელს ჭიათურის რაიონში უდრიდა 31-ს, რომელთაც 8 საათის მუშაობით დღეში შეუძლიათ მოგვცენ 180 ათასი ფუთი გარეცხილი ქვა, ანუ 4 მილიონ ფუთზე მეტი ყოველ თვიურად. მუშების გამოცვლითა და 16 საათის მუშაობით-კი თვიური დამზადება ადვილად შეგვიძლია ავიყვანოთ 8 მილიონ ფუთამდე, რაც წლიურად აცილდება 90 მილ. ფუთს.

ბოლო წლებში, როგორც ვსთქვით, მრეწველთა რიცხვი ფრიად შემცირდა და დავიდა 30 ფირმამდე. აქედან-კი 1924 წლის ივლისის მთავრობის დეკრეტის ძალით 25 ფირმას ჩამოერთვა შავი-ქვის მადნების კონცესიები; მათი მადნები და მაღაროები მთლიანად გადავიდა სახელმწიფოს ფონდში. მადნების კონცესიები შერჩათ მხოლოდ რამოდენიმე უცხოელ ფირმას და მხოლოდ ერთს ადგილობრივ მრეწველს. სწორეთ ამ მოვლენამ გამოიწვია 1924 წლის მეორე ნახევარში შავი-ქვის გამოღების საგრძნობი შემცირება.

## IV

ჭიათურის მრეწველობის უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს როგორც მადნის გამოღება-გადმოზიდვის ისე ვაგონებისა და გემების დატვირთვის პრიმიტიული ტეხნიკა, რაც მეტად ზრდის ჩვენი შავი-ქვის თვითღირებას და მით საგრძნობლად აფერხებს მის მეტოქობას სხვა ქვეყნების მარგანეცთან უცხოეთის ბაზრებზე. ამიტომ ჭიათურის მრეწველობის აღორძინება და ჩვენი ქვის გაბატონება მძიმე ინდუსტრიაში მედგრად მოითხოვს როგორც სამადნო მუშაობის მექანიზაციას, ანუ გაადვილებას პნევმატიურ პირობებით, ისე მადნის ჩამოსაზიდ რკ. გზის ლიანდაგების გაყვანას მაღაროებთან და გემების სატვირთავ ელევატორის აგებას.

დაბოლოს საჭიროა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ორს ფრიად სამნიშვნელო მოვლენას, რომლებიც უდიდეს როლს ითამაშებენ საქართ. შავი ქვის მრეწველობაში. პირველია—**რეინ მაინ-დუნაის დიდი არხი**, რომელიც ორ წელზე მეტია რაც კეთდება და დამთავრდება ამ წელს.

ეს დიდი არხი გადის რუმინეთ-ავსტრო-გერმანია-ჰოლანდიაზე და აერთებს შავ ზღვას გერმანიის ზღვასთან და ატლანტიის ოკეანესთან. ამ სახით თითქმის სამჯერ ამოკლებს გზას ცენტრალ ევროპასთან, რაც ფრიად გააიაფებს საზღვაო ფრახტს და მით დიდ უპირატესობას მისცემს ჩვენს შავ-ქვას თავის მეტოქეებთან შედარებით.

მეორე ფაქტორი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია; ეს არის ელექტრო-ღუმელების აგება ჭიათურის მიდამოში და მათი მეოხებით ფერომანგანის დამზადება, რასაც მეტად დიდი მოთხოვნილება აქვს ევროპა-ამერიკაში.

ჩვენ ყველაფერი ხელს გვიწყობს, რომ წარმოვშვათ **და განვავითაროთ ეს დიდათ სახეირო მძიმე ინდუსტრია;**

ესენია: **საუკეთესო ღირსების შავი-ქვის სიმრავლე, ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვა-ნახშირის სიუხვე, რკინის მადნები და ძლიერი მდინარეები, რომელთა ენერგიას შეუძლია მოგვცენ ელექტროფიკაციის სახით რამდენიმე ასი ათასი და მილიონი ცხენის ძალა.**

ასეთი მოვლენა კი საერთოდ გამოიწვევს ჩვენი მარგანეცის და ქვა-ნახშირის მრეწველობის საარაკო ზრდას, მოითხოვს რამოდენიმე ათიათას მუშა ხელს, წარმოშობს ყოველწლობით დიდ საწარმოვო მოგებას და დაატრიალებს ჩვენს რესპუბლიკაში დიდ ეროვნულ დოვლათს და სიმდიდრეს.

აი ამ მოვლენას, ჩვენის აზრით, უნდა მიექცეს რესპუბლიკის მესვეურთა მიერ განსაკუთრებითი ყურადღება და კარგათ უნდა დამუშავდეს ეს დიდ მნიშვნელოვანი საკითხი სპეცების მიერ.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ზემო-იმერეთის, ანუ ჭიათურის რაიონის შავი-ქვის მადნები თავის სიუხვით, მდებარეობით და კარგი ღირსებით შეადგენს საქართველოს ნორჩ რესპუბლიკისათვის ერთ უუდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეს. ამ მადნების საზრიანი ექსპლუატაცია და დამუშავება მოითხოვს სამჩნევ კაპიტალს და განვითარებულ ტეხნიკას. სწორედ მაშინ დადგება ჩვენი შავი-ქვის მრეწველობა სწორ გზაზე და შეიქნება საქართველოს ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკის ერთ უუდიდეს ფინანსიურ წყაროდ.

ი.

# პოლიტიკურ კატორღელთა საზოგადოების გარშემო.

მკითხველთაგან ბევრმა ალბად არც იცის, რომ თბილისში არსებობს ძველ მებრძოლ-რევოლიუციონერთა ეგრედწოდებული „პოლიტიკურ კატორღელთა და სამუდამო გადასახლებას მისჯილთა საზოგადოება“, რომელიც განყოფილებაა მოსკოვში არსებულ ასეთივე საზოგადოებისა.

მოსკოვში იგი კარგა ხანია არსებობს და საკმაოდ მომძლავრებულიც არის. აქ საქართველოში ამ ორი წლის წინად შეუდგენ ზოგიერთი ამხანაგები მის შექმნას, მოახერხეს ბევრ დაბრკოლებათა გადალახვა და საქმის მოგვარება. პირველი შეხვედრა იმ ამხანაგებისა, რომლებიც შემდეგში წევრებად უნდა გამხდარიყვნენ, დიდის ზეიმით იქნა გადახდილი. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მიზნები მეტად სიმპატიური და საყურადღებო იყო, პირველად კატორღელ-გადასახლებულების ერთი ნაწილი მეტად გულგრილად შეხვდა საზოგადოების დაარსებას და თუ არ ინიციატორების ენერგიული საქმიანობა, საქმე უეჭველად ჩაიფუშებოდა.

საზოგადოების მიზანი იყო: ძველ რევოლიუციონერთა შეკავშირება, რევოლიუციის ისტორიის მასალების დაგროვება, წევრთა ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება და სხ.

მართლაც, შეიძლებოდა ბევრი რამ გაკეთებულიყო და თუ ცოტა გაკეთდა, ამაში ბრალი უდევთ ხელმძღვანელებს: თუ პირველად სულით და გულით ეკიდებოდენ საქმეს, შემდეგში მათვე შეეპარათ ეჭვი საზოგადოების არსებობის საჭიროებაში და აქედან დაიწყო გაუგებრობა, უკან სვლა... მაგრამ ამის შესახებ მე ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან საკითხი საფრთხის შესახებ უკვე გადაჭრილია და დღეის შემდეგ განახლებული საზოგადოება, ალბად, მეტის ენერგიით შეუდგება საქმიანობას.

ორ წელზე მეტია, რაც ხსენებული საზოგადოება არსებობს. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოების საბჭომ გამოსცა ორი ჟურნალი: ერთი რუსულად და მეორე, მოზრდილი ტანისა, ქართულად — „კატორღა და ციმბირი“. შემდეგისთვის მასალა ბლომად არის დამზადებული და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება გამოსცემს.

საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოებამ გარს შემოიკრიბა 130-მდე წევრი და რომ მუშაობა არ შეფერხებულიყო, მეტსაც მოუყრიდა თავს. ქვე-განყოფილება ანუ ბიურო დაარსდა ორ ალაგას — ბათომში და შორაპანში (ქუთაის-ჭიათურა). გურიაშიც მუშაობდა სამეული, მხოლოდ ბიუროს ჩამოყალიბება ჯერჯერობით არ მოხერხდა. ნივთიერი დახმარებაც ექნა აღმოჩენილი გაჭირვებულ-დავრდომილ ამხანაგებს და კატორღა-ციმბირში დახოცილთა ოჯახებს. თუმცა მცირე იყო, მაგრამ მაინც დიდად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან საზოგადოება მატერიალურად მეტად სუსტი იყო.

პოლიტიკურ კატორღელთა საზოგადოებამ უნდა უსათუოდ იარსებოს და აი რატომ: რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ, დიდი ბრძოლა გადავიტანეთ, ბევრი ამხანაგი შევსწირეთ და ვინც გადარჩა, ისინი არ უნდა იყვნენ მივიწყებულნი. რევოლიუციის ისტორიისთვის ეს ხალხი დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს და თუ არა ეს საზოგადოება, სხვა ვერავინ შეასრულებს ამ დიდ საქმეს -- მასალის შეგროვებას, თუ მას ეყოლება სათავეში შესაფერი ხელმძღვანელები.

საზოგადოების წევრები დიდის იმედებით შესცქერიან მომავალს და მზად არიან გააკეთონ ყველაფერი, რისთვისაც ისინი არიან მოწოდებულნი.

**ძველი კატორღელი.**

# ამხ. იოსებ გოძიაშვილის ხსოვნას.

აგერ მეათე წელიწადია, რაც ჩვენს ერს მოაკლდა ხალხური სიმღერების ერთ-ერთი მასწავლებელთაგანი, ხალხის შვილი იოსებ ალექსანდრეს ძე გოძიაშვილი.

ამხ. გოძიაშვილი დაიბადა ქ. ტფილისში 13 მარტს 1887 წელს. სწავლა მიიღო ჯერ სამრევლო სკოლაში და შემდეგ სემინარიაში. მოძრაობის დროს, 1905 წელს, თვითგანვითარებას ეტანებოდა და თავისი წყნარი მუშაობით მე-3 რაიონის მუშათა შორის ხელს უწყობდა მუშათა კლასის შეკავშირებას. სწერდა ლექსებსაც, რაშიაც მუშების ტანჯვა-ვაება იხატებოდა.

ამხ. გოძიაშვილმა 1913 წელს გიორგობისთვეში დაარსა ქალთა გუნდი, შემდგარი ოთხმოცი სულისაგან. ქალთა გუნდით იგი მთელი წელიწადი ემსახურა სახალხო უნივერსიტეტს. მართავდა კონცერტებს. მუშებისათვის ძალზე დაკლებულ ფასებში — 5 კ. — 10 კ. ამით საშუალება ეძლეოდათ მუშებს და გლეხებს დასწრებოდენ მის მო-

ურ გამართულ კონცერტებს და მოესმინათ მუშურ-გლეხური სიმღერები. სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია ამ ქალთა გუნდს ყოველ მხრივ ხელს უწყობდა: მართავდა ქართულ ლექციებს, ხოლო ლექციების შემდეგ გამოჰყავდა ქალთა გუნდი საკონცერტო განყოფილებაში. ქალთა გუნდი ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევდა საერთო მიზნების განხორციელება და თავის სიმღერებით ათასობით ქალსა და კაცს იზიდავდა ლექციებზე.

ამხ. იოსებ გოძიაშვილი მუშის შვილი იყო და მუშურ-გლეხურ ოჯახში აღზრდილი. ამიტომაც მისი სიმღერები სულ მუშურ-გლეხურ ჭირ-ვარამის სიმღერებს შეიცავდა. მაგალითისათვის მოვიყვანთ: „მუშებო, თქვენი მარჯვენა იკურთხოს ოფლით ნაბანი“. ეს სიმღერა პირველად იქნა შესრულებული; შემდეგ—„სტირიან თუშის ქალები“, „მაყრული“, „ჟუჟუნავ ქალაქს, ნუ წახვალ“, „მოკვდი მეტეხო საძაგელო“ და კიდევ ბევრი სხვა. აგრეთვე შეასწავლა ქალებს „ურმული“ „გადმიშვი მთაო“ და „სოფლელი გლეხის შვილი ვარ“.

ამხ. იოსებ გოძიაშვილის მუშაობა სრულიად უსასყიდლო იყო. შავი რეაქციის დროს, როდესაც შეუძლებელი იყო სამი-ოთხი კაცის ერთად შეკრება, ამხ. გოძიაშვილმა შესძლო შეეკავშირებია ოთხმოცი ქალი ყველა რაიონებიდან: ნაძალადევიდან, ვერიდან, ჩუღურეთიდან, ხარფუხიდან და ავლაბარიდან. ეს ოთხმოცი ქალი ცდილობდა შეძლების დაგვარად თავ-თავიანთ რაიონებში გადაეტანა სიმღერები და გაევრცელებია იგი. იყო ხოლმე შემთხვევა, როდესაც იგი უკითხავდა ქალებს პოლიტიკურ ლექციებს, რის შემდეგ იმართებოდა ბაასი და ბოლოვდებოდა სიმღერებით. ამ საშვალებით იგი თვალებს უხვევდა არსებულ თვითმპყრობელურ მთავრობას.

პარალელურად ამხ. გოძიაშვილმა ვაჟთა გუნდიც დაარსა, სადაც თავი მოიყარეს ნამდვილმა მუშებმა, რომლებიც ახლა თვით-განვითარებას ეტანებიან და ზოგ მათგანს საპასუხისმგებლო ადგილებიც უჭირავთ. უმრავლესობა ქალთა გუნდისა ამ ჟამად ქალთა წრეებში მუშაობს და თავისი მუშაობით ხელს უწყობს ორგანიზაციის განმტკიცებას ქალთა შორის.

ამხ. იოსებ გოძიაშვილი არ ერიდებოდა არავითარ დაბრკოლებას და ენერგიულად ამზადებდა ხალხის შვილებს. იგი ღირსია მოგონების და ჩვენც უნდა მოვიგონოთ. ვინ იცის, რამდენს შესძლებდა იგი ქალთა შეკავშირებისა და სიმღერების გავრცელების საქმეში, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ დაინდო ეს წყნარი და პატიოსანი მუშაკი და იგი გამოასალმა უდროოდ, სულ ახალგაზრდა ტკბილსა და რევოლიუციის მოლოდინით გაბრწყინებულ სიცოცხლეს. განისვენე ტკბილად, ჩვენი ხალხის შვილო იოსებ! შენი ხსოვნა წარუშლელად იქნება აღბეჭდილი ჩვენს გულში.

—:—

# მუშათა კომისიის მუშაობა.

## ქ. ჭიათურა.

1924 წ. ნოემბრის 3-ს შესდგა ქ. ჭიათურაში ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საზოგადო კრება, თავმჯდომარეობდა ამხ. სიხარულიძე, მდივნობდა ამხ. პ. ტყემალაძე. კრებას სიტყვით მიმართა ამხ. ს. სიხარულიძემ, რომელიც შეეხო 28—29 აგვისტოს მომხდარ გამოსვლებს და აღნიშნა, რომ ეს უპასუხისმგებლო ნაბიჯი გამოიწვია არ ლეგალური მენშევიკური ცეკის შემცდარმა ტაქტიკამ ოქტომბრის რევოლიუციის სათანადოდ შეუფასებლობამ. ორატორი ამბობს, რომ დღეიდან ყველამ, ვისაც კი უყვარს ქართველი ერი, სურს მისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, ზურგი უნდა შეაქციოს ევროპას და პირი იბრუნოს საბჭოთა კავშირისაკენ. მხოლოდ ამ გზით შეუძლია ქართველ ერს ჰპოვოს სრული დამოუკიდებლობა.

ამხ. ს. სიხარულიძის შემდეგ მოხსენებით გამოდის ამხ. დ. აბაშიძე. იგი ეხება იმავე გამოსვლებს და ამბობს: ის, რაც მოხდა, გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ არალეგალურმა მენშევიკურმა ცეკამ სწორედ ვერ შეაფასა მომენტი, რამაც ქართველი ერი ლამის მიიყვანა სრულს განადგურებამდი, ისტორიულმა პირობებმა მჭიდროდ დაგვაკავშირა რუსეთთან. ჩვენ გვერდში უნდა ამოუდგეთ რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციას და ქართველი ერის დამოუკიდებლობა გამოიჭედება. მომხსენებლის აზრით, ჩვენი დღევანდელი ამოცანაა: ძველი მუშაობის გადასინჯვა და ახალის დაწყება, რომელიც შემდეგში გამოიხატება: სრულიად გაზიარება საბჭოთა სისტემის, დადგომა საბჭოთა პლატფორმაზე, თანამშრომლობა კულტურულ და ეკონომიურ აღმშენებლობაში და დადგომა მე-3-მე ინტერნაციონალის წითელ დროშის ქვეშ. დასასრულ, კრებამ აირჩია ჭიათურის რაიონის რწმუნებულები: ს. სიხარულიძე, დ. აბაშიძე, კ. ბრეგვაძე, კ. ქვარიანი და ნატალია სიხარულიძე. რწმუნებულები მუშაობენ ჭიათურის რაიონში; მან დანიშნა რწმუნებულები, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას რაიონულ რწმუნებულის დირექტივების თანახმად. რწმუნებულებმა მოიწვიეს შორაპნელი ამხანაგები: ვ. მაჭავარიანი, რ. კეკელიძე, ი. შათირიშვილი და ბ. კვეტენაძე, რომლებიც არჩეული იყვნენ ამხ. მ. ძამანაშვილის დროს, რკინის გზის ამხანაგების მიერ მოწვეულ კრებაზე.

ამ შეერთებულმა კრებამ პირველად აირჩია მაზრის დროებითი ბიურო, 3 კაცისაგან: დ. არაბიძე — თავმჯდომარედ, ვ. კვეტენაძე — მოადგილედ და კ. ბრეგვაძე მდივნად, არჩევნების შემდეგ განახლებულმა კრებამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა მაზრის მასშტაბით. დაწყებული მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ბიურომ გამოუშვა მოწოდება ამხ ნაგებისადმი, რის შემდეგ ჯგუფის წევრობაზე ბევრი აცხადებს სურვილს და დიდი ხალისით ეწერებიან აღნიშნულ ჯგუფში.

ამ ჟამად ბიურო აწარმოებს მუშაობას სამაზრო კონფერენციის მოსაწვევად, რაც ამ მოკლე ხანში მოხდება. ამ კონფერენციაზე მოწვეული იქნებიან ტფილისიდან მუშათა კომისიის წევრები.

3 ნოემბრის კრებას დაესწრო ამხ. ალ. ვაშაძე, რომელმაც მხურვალე სალამი უძღვნა კრებას და უსურვა მას წარმატებით მუშაობა ახალ გზაზე.

ლ. მეტეორი.

# სხვადასხვა ამბები.

პეკინიდან იტყობინებიან: საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერეს. იაპონიის მთავრობის წრეებში დიდი სიხარულია და ფიქრობენ, რომ ამით იწყება ახალი ერა არა მარტო შორეულ აღმოსავლეთის, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაში.

— სენატორმა ბორამ განაცხადა: „საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამერიკა იცნობს საბჭოთა კავშირს“.

— ებერტმა ლიუტერის მთავრობა დაამტკიცა იმ წამსვე, როგორც კი იგი დანიშნულ იქნა რაიხსკანცლერად.

— იტალიის კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს პარლამენტში ახალი საარჩევნო კანონის წინააღმდეგ.

— უნგრეთის ეროვნულ ყრილობის ფინანსიურ კომისიაში პრემიერი ბეტლენი გამოვიდა განმარტებით საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების განახლების შესახებ. იგი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობაში უნგრეთმა უნდა წაბაძოს დიდ სახელმწიფოებსო.

— სამოქალაქო ომი ჩინეთში ისევ დაიწყო. ხდება ბრძოლები მოწინააღმდეგეთა შორის. უ-პეი-ფუს მომხრეები აძლიერებენ თავიანთ რიგებს. შანხაის ჩინური უბნები უ-პეი-ფუს მომხრე გენერლების ჩი-სიუ-იანის და სუნ-ჩეუან ფანის ხელშია. ჩრდილოეთის ჯარები დამარცხებული არიან; 11,000 კაცი გაიქცა უცხოელების კონცესიების ტერიტორიაზე, სადაც მათ იარაღი აჰყარეს. შანხაის ჩინური ნაწილი დანგრეულია ჯარისკაცების მიერ და მცხოვრებლები გარბიან უცხოეთის ჯარების დახმარებით.

---

ძმათა სასაფლაოზე პეტერბურგში, სადაც დასაფლავებულნი არიან 9 იანვარს დაღუპულები, ახლო ხანში დაიწყება გრანდიოზული ძეგლის აგება. ძეგლის სიდიდე— 10 საჟენი ფასადით, 3 საჟ. სიფართე და 3 საჟ. სიმაღლე. ძეგლის მეორე მხარეზე წარწერილი იქნება 9 იანვარს დაღუპულების სახელები.

— ვიატკის ერთ-ერთ გაზეთში პირველ სახ. სათათბიროს ყოფილმა დეპუტატმა ონიპკომ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც უარს აცხადებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ონიპკო ერთ დროს დროებით მთავრობის მთავარი კომისარი იყო ბალტიის ფლოტში. იყო აგრეთვე სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს და დამფ. კრების წევრი.

— საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო რ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი, სახალხო მასწავლებლების პენსიებით უზრუნველყოფის შესახებ და დაავალა სპეციალურ კომისიას, სასწრაფოდ გაუკეთოს რედაქცია დადგენილებას და წარუდგინოს იგი ხელმოსაწერად სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რიკოვს.

— ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკმა ინჟენერმა რინსბურგმა გამოიგონა ელექტრონის ახალი ლამფა, რომლის სინათლის გადიდება და შემცირება შეიძლება სურვილისამებრ.

---

საქ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, მიმდინარე წელს გამოცხადებულია უქმედ 14 დღე (2 და 3 იანვრის ჩათვლით). აქედან 6 რევოლიუციონური, 3 საზაფხულო დასასვენებელი დღე, 2 სარწმუნოებრივი და 1 ახალი წელი.

— ა.-კ. მეპამბეობის კომიტეტმა დაადგინა, საქ. მიწადმოქ. სახ. კომისარიატს გადასცეს სათანადო თანხა საქართველოში მებამბეობისათვის აგრო-დახმარების გასაძლიერებლად და ბამბის მავნეებთან საბრძოლველად.

— ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინსახკომს გადასდოს საქ. სახ. კომ. საბჭოს განკარგულებაში 50 ათასი მანეთი საქართველოში უპატრონო ბავშთა მოსავლელად და დასახმარებლად.

## ქარბუქი რკინის გზებზე.

18 იანვარს, დღის 5 საათზე მეტეხ-კასპის ხაზზე საშინელი ქარბუქი ამოვარდა. გზა ჩქარა დაიფარა თოვლით და მოძრაობა შეწყდა. გამოსული მატარებლები შეჩერდენ გზაში. გაიგზავნა თოვლის მწმენდელი და ღამით გზა გაწმენდილ იქნა დიდი გაჭირვებით. მოძრაობა აღდგენილია.

უღელტეხილის ხაზზე, განსაკუთრებით ხაშურ-ლიხის უბანში მძვინვარებს განუწყვეტლივ ქარბუქი. მოძრაობა სწარმოებს თოვლის მწმენდელის შემწეობით. სურამის შტო თოვლითაა დაფარული და მოძრაობა მასზე გუშინდლამდე სრულებით არ ყოფილა.

წინადღით თოვლით დაფარული ბორჯომის შტო გაწმენდილია და მოძრაობა მასზე აღდგენილია.

18 იანვარს, დღის 3 საათზე, დაიწყო ქარბუქი კახეთის ხაზზედაც. თოვლში ჩაეფლო სამგზავრო-საბარგო მატარებელი. კახეთის ხაზი გაწმენდილ იქნა მხოლოდ გუშინ დილით.

19 იანვარს გორში განუწყვეტლივ სთოვდა. შუადღისას თოვლის სისქემ მიაღწია ერთ არშინს ნახევარი საათით შეჩერების შემდეგ ისევ დაიწყო თოვა.

საღამომდე მოთოვა ორ არშინამდე. ქალაქში სიარული დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. მცხოვრებლები შეუდგენ ქუჩების დაჩქარებით გაწმენდას.

— გორის სხვადასხვა ადგილებში გაჩნდენ მგლების ხროვა. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მოეწყო მილიციელთა რაზმები. მოკლულია 5 მგელი.

— დიდი ქარბუქის გამო რკინის-გზის მოძრაობა ბორჯომისკენ შეჩერდა. ხაშურიდან გასული საგარაკო მატარებელი უკანვე დაბრუნდა.

იათურაში ამ დღეებში ისევ მოვიდა დიდი თოვლი. ქალაქში რამოდენიმეჯერ შემჩნეულ იქნენ მგლები. მონადირეთა კავშირმა მოაწყო ნადირობა.

---

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

# ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ეკონომიური სამსახური

# ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ ქალაქ თბილისის, ბაქოს, მოსკოვის, ერევნის, ბათომის, განჯის, თელავის, ევლახის, ზუგდიდის და ქუთაისის

საკომერციო სააგენტოებში და ქალაქის სადგურებში სწარმოებს შემდეგი ოპერაციები:

1. სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ყველა მიმართულებებით (შინ მიტანით).
2. სასაწყობო ოპერაციები.
3. ყველა საკომერციო ოპერაციები.
4. სესხის გაცემა საქონლის გირავნობით, როგორც სამიმოსვლო სადგურებზე, ისე საწყობებში.
5. ტვირთის მიღება, გაგზავნა და გაცემა.
6. ტვირთის გადაგზავნა შარაგზით
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვა რკინის გზით მუშტრების დავალებით.
8. საბაჟო, სააქციზო და სხვა დავალებათა შესრულება.

**ყველა ზემოხსენებული სატრანსპორტო ოპერაციები სწარმოებს უმცირესი საკომისიო ფასდადებით.**

საკომერციო სააგენტოები და ქალაქის სადგურები დიდ დახმარებას უწევენ მუშტრებს სარკინისგზო-სატრანსპორტო საქმეებში.

(0—2)

# მოქალაქენო!

## თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

# მ. ლ ა ღ ი ძ ი ს

**საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატზე**

მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.

მ. ლაღიძის ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.

(0—2)


მთავლიტი № 95 პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2000

წელიწადი მეორე

ფასი 15 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 1 თებერვალი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმისა, დილის 9–1 საათამდე

№ 7

## ახალი პლატფორმა.

როდესაც საქართველოს გასაბჭოება მოხდა, ამ გარემოებას ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ჩვენში ვერ გაუწია ჯეროვანი ანგარიში.

მენშევიკები წარმოადგენდენ ჩვენში ძლიერ პარტიას; მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი იყო იმათ ხელში, მთავრობა იყო იმათი.

დამარცხების შემდეგ მენშევიკური მთავრობა უცხოეთში გადიხვეწა; მას თან გაჰყვენ სხვა პოლიტიკური პარტიების ზოგიერთი ხელმძღვანელებიც.

მთელი ჩვენი ყურადღება ევროპისაკენ იყო მიპყრობილი და იქიდან ველოდით ხსნას, ე. ი. კომუნისტების დამარცხებას და მოშორებას.

ჟორდანიამ ეს მოიწერა, წერეთელს ეს უთქვამს, ჩხენკელი საფრანგეთის პრეზიდენტს მიუღია,—აი რას გაიგონებდით ყველგან. სხვადასხვა მოლოდინი ქმნიდა ერთგვარ ნერვიულობას, მოუთმენლობას და ასეთ ნიადაგზე ვრცელდებოდა სხვადასხვა ჭორი.

ჩვენ გვეგონა, რომ ბურჟუაზიული ევროპა მეტისმეტად იყო დაინტერესებული საქართველოს საკითხით და მთელ ჩვენს იმედებს ვამყარებდით ევროპის დემოკრატიაზე: ის არ დაგვტოვებს, ის გვიშველის, ის თავს გამოიდებს. ხალხში ვრცელდებოდა ასეთი ხმები: თუ კი ბეგეჭკორმა მოახერხა რუსის ჯარის შემოყვანა საქართველოში, ჟორდანია როგორ ვერ მოახერხებს ინგლის-საფრანგეთის ჯარის შემოყვანასო.

მოდიოდა საზღვარგარეთიდან დირექტივები: პატარა ახმაურდით ევროპის დასარახავად და გასაგონად, მაშინ ჩვენ უფრო გაგვიადვილდება საქმის გაჩარხვაო.

ამგვარი დირექტივებიდან და ახმაურებიდან წარმოიშვა აჯანყების პოლიტიკა. იყვნენ ისეთი გულუბრყვილონი მარტო ხალხში კი არა, პარტიების ხელმძღვანელებშიაც, რომლებსაც სწამდათ: ავიღებთ თუ არა ტფილისს, საფრანგეთ-ინგლისის გემები, ჯარი და სამხედრო აეროპლანები ჩვენს მოსაშველებლად გამოსწევენო.

დიდი მსხვერპლი და მწარე გაკვეთილი იყო საჭირო, რომ ჩვენ ჭკუა გვესწავლა.

თავიდანვე რომ გაგვეთვალისწინებია ჩვენი ძალღონე, ევროპისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა და მდგომარეობა, ბევრ საშინელ შეცდომას ავიცდენდით და უქმად, უაზროდ დაღუპულთა სალოდაობაში არ ჩავდგებოდით.

განვლილ გზაზე გადმოხედვა და, რაც უკვე მოხდა, მისი დანახვა ადვილიაო,—ირონიით ბევრი იტყვის გულში

ვიცით, რომ წინდაწინ გათვალისწინება ძნელი საქმეა, მაგრამ იმისი დანახვა და შეგნება მაინც შეიძლო, რომ ის მთავრობა, რომლის ხელშიაც მთელი ძალა-უფლება იყო, მთელი სახელმწიფო აპარატი და ვერ შეინარჩუნა, აჯანყებით ამ ძალა-უფლებას ველარ დაიბრუნებდა.

ან იქნება აჯანყებით გამარჯვების მოპოება არა სწამდათ, მაგრამ ამ გზით ცდილობდენ ევროპის ჩარევას საბჭოთა რუსეთის შინაურსა და კერძოდ საქართველოს საქმეში?

კითხვის ასე დაყენება პოლიტიკური უსუსურობაა.

ნათქვამია—აქლემები წაიკიდენ და კოზაკი შუაში გამოჭყლიტესო.

ორი ბუმბერაზი—საბჭოთა რუსეთი და ბურჟუაზიული ევროპა—ერთი მეორის წინაამდეგ არის ამართული, ჩვენ შუაში ვართ გამოჩხირული და წარმოვადგენთ პატარა კოზაკს.

ჩვენ უნდა შევიგნოთ ერთხელ და სამუდამოდ შემდეგი: კომუნიზმის დასაცავად და გასამარჯვებლად ჩვენი გასრესა რომ აუცილებელი შეიქნეს ჩვენი ყალბი ანუ კონტრრევოლიუციონური ნაბიჯების წყალობით, საბჭოთა რუსეთი უკან არ დაიხევს,—ასეთია ლოლიკა რევოლიუციისა.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს რევოლიუციონურმა მთავრობამ მთელი ვანდეია მოსპო კონტრრევოლიუციონერობისათვის. მენშევიკური მთავრობა 1920 წელს საქართველოს ოსოვას ანადგურებდა.

ბურჟუაზიული ევროპა კიდევ ჩვენი განადგურების წინააღმდეგ თავს არ გამოიდებს,—დრო არის, ასეთს ყალბ იმედებს გამოვეთხოვოთ—და სისწორით შევხედოთ ყოველივე იმას, რაც ჩვენი თვალის წინ ხდება.

რა ხდება?

უდიდესი სახელმწიფონი იძულებული არიან საბჭოთა რუსეთის ფედერაცია იცნონ. ისინი დღემდე ცდი-

ლობდენ ყოველგვარი საშუალებით ამ ფედერაციის დარღვევას; მაგრამ დარწმუნდენ, რომ ეს მათს ძალღონეს აღემატება. ახლა დაადგენ ცნობის გზას.

დღეს ბურჟუაზიულ ევროპაში ერთგვარი ამოძრავებაა, ფაცა-ფუცი მთავრობასა და მმართველ წრეებში. აქედან ზოგიერთს, ვინც ჯერ კიდევ ევროპისაკენ იცქირება, შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: ბურჟუაზიული ევროპა საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ საომრად ემზადება.

სრულებით ბეცი უნდა იყოს ადამიანი, რომ ევროპის დღევანდელი მდგომარეობა ვერ შეაფასოს. ბურჟუაზიული ევროპა აწარმოებს დღეს საბჭოთა ფედერაციის მიმართ არა შეტევის პოლიტიკას, არამედ თავდაცვისას. ის მხოლოდ იმის ცდაშია, რომ რუსული იდეია ევროპაში არ გაახაროს, თორემ საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ ომის დაწყება ევროპის არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ შეუძლია, რადგანაც ეს აუცილებლად გამოიწვევს რევოლიუციას.

სწორედ ეს თავდაცვის პოლიტიკა აიძულებს ევროპის დიდ სახელმწიფოებს, იცნონ საბჭოთა ფედერაცია. ამავე გზას დაადგა იაპონია, აქეთკენ იხრება ამერიკის შტატების საზოგადოებრივი აზრიც.

ამგვარად, ბუმბერაზებმა შესცვალეს თავისი პოლიტიკა საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ, ჩვენში კი ბევრი განაგრძობს ჰინჰრაქას როლს და ეს მიაჩნია დიდ პოლიტიკად და საგმირო საქმედ.

დრო არის შევიგნოთ, რომ ჩვენ უნდა დავეყრდნოთ საკუთარ თავს, საკუთარ ძალღონეს და საკუთარ პოლიტიკას.

საკუთარი პოლიტიკა კი გვიკარნახებს შემდეგს: დღეს არსებობს მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური საქართველო; ეს საქართველო არის ჩვენი სამშობლო; ამ საქართველოსა ჰყავს საკუთარი მთავრობა. ბევრს მოსწონს, ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ეს არის ჩვენი ერთად ერთი მთავრობა. სხვა მთავრობას ჩვენ არავინ მოგვცემს, ბევრიც რომ გვინდოდეს; სხვა გვარ მთავრობას ჩვენ ვერ შევქმნით. იმ წყობილებას, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, ჩვენ ვერ შევცვლით.

მაშ რა უნდა ვქნათ? ვიცქიროთ მაინცა და მაინც შავი ზღვისაკენ და დემოკრატიული ევროპის ჯარით დატვირთული გემების მოლოდინში ვიყოთ?

საკუთარი პოლიტიკა გვიკარნახებს, რომ უნდა ვიცნოთ საბჭოთა სოციალისტური საქართველო და მისი მთავრობა, მტკიცედ დავდგეთ საბჭოთა პლატფორმაზე და ვიმუშაოთ კომუნისტური დროშის ქვეშ.

ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ინტერესი.

ამას წინად „კომუნისტი“ ეხებოდა სოფლად ქვედა აპარატების მუშაობას და სამართლიანად აღნიშნავდა: აპარატები ძალიან მოიკოჭლებენ, მომზადებული ხალხი ცოტა გვყავსო.

თუ ჩვენ ყველა დავანებებთ თავს უნიადაგო და დამღუპველ ოცნებებს, გავითვალისწინებთ სინამდვილეს და ერთგულად, სრულის შეგნებით დავდგებით საბჭოთა პლატფორმაზე, მომზადებული ხალხი სოფლად მეტი აღმოჩნდება და ქვედა აპარატების მუშაობაც გაუმჯობესდება.

ვინ მოიგებს ამით? რა თქმა უნდა, ჩვენი მშრომელი ხალხი, ჩვენი გლეხობა. სწორედ ამ მშრომელი ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ ყოველი შეგნებული ქართველი მუშა, შესმენილი ქართველი გლეხი, ყოველი ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც თავისი ერისათვის გული შესტკივა, გადაჭრით დადგეს საბჭოთა პლატფორმაზე და მთელი თავისი ძალღონით დაეხმაროს მთავრობას საქვეყნო და საერო საქმეში.

# საბჭოთა კავშირის მასწავლებლობის ყრილობა.

17 იანვარს ხუთი დღის მუშაობის შემდეგ დაიხურა სახალხო მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობას წინ უსწრობდა საბჭოთა კავშირის ცალკე ავტონომიური რესპუბლიკების მასწავლებელთა ნაციონალური ყრილობები.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ყრილობების საერთო მუშაობასა და ყრილობებზე განსახილველად დასმულ საკითხებს, თვალში მოგვხვდება ერთი გარემოება, რომელიც აუცილებლად მასწავლებლობის ყრილობის, როგორც ასეთის, ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ეს ისაა, რომ ყრილობის მუშაობაში მთავარი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საერთო ხასიათის პოლიტიკურ საკითხებს, ხოლო წმინდა პედაგოგიური საკითხები ან სულ არ იყო დაყენებული, ან არა და მას ექცეოდა ძალზე მცირე ყურადღება. სწავლა-განათლებისა და ახალთაობის აღზრდის საკითხი — ეს მთავარი საკითხია ახალი ცხოვრების შექმნის საქმეში. ამას გვეუბნებოდა მარქსი, ლენინი და ყველა, ვინც კი დაფიქრებულა საზოგადოების წინსვლაზე, კაცობრიობის მომავალზე. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. განსაკუთრებით ეს ითქმის კულტურულად ძალზე ჩამორჩენილ საბჭოთა კავშირზე, სადაც, ლენინის თქმით, „მინიმალური განათლება“ გვაქვს. აქ უფრო, ვიდრე სხვაგან, ამ საკითხს ეძლევა განსაკუთრებით სამეურნეო, ეკონომიური მნიშვნელობა, ვინაიდან წერა-კითხვის უცოდინარობა, უკულტურობა, რაციონალური მეურნეობის ანბანის არ ცოდნა ხშირად მთავარი მიზეზია იმ სიმახინჯისა და არევ-დარევის, რასაც ალაგი აქვს ხოლმე ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში, საერთო აღმშენებლობის სინამდვილეში. ახალი ცხოვრება ახალ-ახალ საკითხებსა და ახალს შესაძლებლობას ჰბადებს სწავლა-განათლების საქმეში. საჭიროა მთელი კულტურული ძალებისა და მთელი ღონისძიებათა კონცენტრაცია, რომ ეს საკითხები სათანადოდ გადაიჭრას და განათლება-აღზრდის საქმე რაციონალურ ნიადაგზე იქნეს დაყენებული. საჭიროა დასკვნების გაკეთება იმ მუშაობისათვის და ახალი გზების ძიებისათვის, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში სწარმოებს ამ მუშაობის სრული სურათი კი უნდა გადაიშალოს სწორედ მასწავლებლობის ყრილობებზე. და ჩვენ გვგონია, რომ ამ მხრივ ყრილობების მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

რასაკვირველია, ამ მოვლენას აქვს თავისი გასამართლებელი საბუთიც. მასწავლებლობას რევოლიუციის შემდეგ ერთხელაც არ გამოუთქვამს თავისი კოლექტიური შეხედულება იმ მოვლენების შესახებ, რაც ახალმა ცხოვრებამ წარმოშვა; მას არ გამოუხატავს კოლექტიურად თავისი აზრი ახალი ხელისუფლების შესახებ. მისი სახელით ლაპარაკობდენ სხვები, მისთვის აზროვნობდენ სხვები. ამიტომ ხელისუფლებას ჰქონდა საბუთი ზოგ-

ჯერ ეჭვის თვალით შეხედა მასწავლებლობისათვის, ზოგჯერ პირდაპირ კონტრრევოლიუციონურ ძალად დაესახა იგი. და ხელისუფლებასაც მასწავლებელთა ეს პირველი ყრილობა დღეს აინტერესებდა უმთავრესად არა იმ თვალთსაზრისით, რომელზედაც ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი, არამედ პოლიტიკურის თვალთსაზრისით. ამ გარემოებას არა ერთხელ გაუსვეს ხაზი ყრილობაზე ხელისუფლების პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა. ხოლო რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლება ასეთ მიზანს უსახავდა ყრილობას, იმდენად ყრილობამ სათანადოდ გაამართლა თავისი მოწოდება. ყრილობამ სთქვა, რომ იგი არ ებრძვის ხელისუფლებას, იზიარებს მის მიზნებს სწავლა-განათლების საქმეში; მასწავლებლობამ სთქვა, რომ ის არის უპარტიო (ყრილობაზე 73%-ს უპარტიოები შეადგენდენ), რომ მას უპირველეს ყოვლისა აინტერესებს განათლებისა და მოზარდი თაობის აღზრდის საქმე და ამ მხრივ მოითხოვს იგი ხელის შეწყობასა და დახმარებას. და ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ მიზანშეუწონლობა ისეთი ატმოსფერისა, რომელსაც ზოგიერთები ქმნიდენ ყრილობაზე და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს აუცილებელ საჭიროებას შეადგენდეს სახალხო მასწავლებელის კომპარტიაში შესვლა. მასწავლებლობა თავის უმრავლესობაში წვრილბურჟუაზიული მასსაა. მის აზროვნობას, მის შეხედულებებს მუდამ ახასიათებდა და ახასიათებს თავისებური ნიუანსები, რაც მას ანსხვავებს კრისტალისებურად გამოკვეთილ კლასობრივ შეხედულების მატარებელ ჯგუფიდან. მაგრამ ეს გარემოება მას არ უშლის ხელს გადაჭრით მიიღოს მუშათა კლასის პოლიტიკური ჰეგემონია და ნაყოფიერადაც იმუშაოს იმ დარგში, რომელიც მის უშუალო მოწოდებას შეადგენს. გამოკვეთილი პოლიტიკური რწმენის გამომუშავება თვით მასწავლებლობას უნდა მიენდოს; ეჭვი არაა, ეს პოლიტიკურ რკვევის პროცესი წავა იმ გზით, რომელიც მუშათა კლასისაკენ მიიმართება; ხოლო ხელოვნურად ისეთი ატმოსფერის შექმნა, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, ჩვენის აზრით, მხოლოდ ხელს შეუშლის მასწავლებლობას ნაყოფიერ მუშაობაში, შექმნის რა მასში ერთგვარ შიშს მისი ძალდატანებით გაკომუნისტების წინაშე.

ბევრი დაბრკოლება ელობება წინ მასწავლებლობას თავის მუშაობაში. აღვნიშნავთ აქ მხოლოდ ორს. პირველი — ეს არის მასწავლებლობის პირდაპირ აუტანელი მატერიალური მდგომარეობა. ყრილობაზე ეს გარემოება ხაზგასმით იქნა აღნიშნული. ეს კუჭის საკითხი დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მასწავლებლობის თავზე მუდამ — წინად, დღესაც. წინად მასწავლებელი შედარებით უფრო უზრუნველყოფილიც კი იყო. მართალია, ნომინალურად იგი დღესაც იმდენს იღებს, რამდენსაც წინად (28—30 მან.), მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მანეთიანის მყიდველობითს უნარს, უნდა ვთქვათ, რომ მასწავლებელის დღევანდელი ჯილდო წინანდელი ჯილდოს ნახევარსაც კი არ შეადგენს. და ეს მაშინ, როდესაც ზოგიერთი დარგის მუშაკები ორჯერ და სამჯერ მეტ ჯამაგირებს იღებენ. ამ გარემოებას საბჭოთა ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. მართალია, როგორც საკავშირო მთავრობის თავმჯდომარის — ა. რიკოვის სიტყვიდან ირკვევა, ხელისუფლება უკვე იღებს სათანადო ზომებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად; უკვე მიღებულია გადაწყვეტილება დამსახურებული მასწავლებლების უზრუნველსაყოფადაც დახმარების სახით 20—25

# ცოტა რამ ჩვენი გამომცემლობის შესახებ.

ქვეყნის მეურნეობის რაციონალურად მოწყობა, წარმოების განვითარება საფუძველია ხალხის კეთილდღეობის, წინაპირობაა სოციალიზმის განხორციელების ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ხალხის საერთო კულტურული დონის ამაღლებით.

ამიტომ მშრომელთა ხელისუფლებას არ შეუძლია ხალხის კულტურულად ამაღლების საკითხი უპირველეს საკითხად არ დაისახოს.

თუ რა დონეზე დასტოვა მეფის მთავრობამ ხალხის კულტურული განვითარების საქმე, — ეს ყველამ იცის, განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეს საკითხი განაპირა ქვეყნებში. აქ თითქოს სკოლებიც იყო, თეატრებიც, აქა-იქ სამკითხველოებიც მოინახებოდა, მაგრამ ყველა ეს ხალხის ქვედა ფენებს ვერა სწვდებოდა.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ხალხში წიგნების გავრცელების საქმე. თუ რა მდგომარეობაში იყო ის ჩვენში, ყველას ახსოვს. ამ დიდ მოთხოვნილებას, რასაკვირველია, სავსებით ვერ დააკმაყოფილებდა ვერც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც ამ მხრივ უთუოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის და ვერც ცალ-ცალკე გამომცემლების, ზაქარია ჭიჭინაძის ტიპის თავგამოდებული გმირების მუშაობა.

გასაბჭოებამდე ჩვენში გამომცემლობის საქმე არ იყო სახელმწიფოს ხელში. საგამომცემლო საზოგადოება ბევრი იყო, წიგნებიც ბლომად იცემოდა, მაგრამ გეგმიანობა არ იყო დაცული. ეს საზოგადოებანი თითქმის მარტო სახელმძღვანელოების გამოცემას ანდომებდენ თავიანთ რესურსებს. ეს, რასაკვირველია, კარგი საქმეა, მაგრამ მარტო ამით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. ხალხში უნდა შევიდეს წიგნი, წიგნმა ხალხში უნდა შეიქმნას ტრადიცია. ამ მხრივ ჩვენში გასაბჭოებამდე უმწეო მდგომარეობა იყო.

შეიძლება, ახლა სავსებით კარგად იყოს საქმე?

ვფიქრობთ, ვერავინ იტყვის, რომ ამ ფრონტზე ყველაფერი რიგზე იყოს.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა ერთ დამკვრელ ამოცანად არის მიჩნეული. როგორც ქალაქად, ისე სოფლად გახსნილია საამისო სკოლები. განათლების კომისარიატის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობების მიხედვით 1923-24 სასწავლო წლის განმავლობაში ყოფილა სულ 801 ჯგუფი 12,014 მსმენელით. ორმოცი ათას კაცს წერა-კითხვა შეუსწავლია. ვინ არ იცის, რა განცდას იწვევს მოზრდილში კითხვის მექანიზმის საიდუმლოების გაგება. ეს ნამდვილი ამერიკის აღმოჩენაა მოზრდილის ცხოვრებაში. მაგრამ ეს არაა საკმაო. ჩვენს წინ შემდეგი მდგომარეობაა: გლეხი ათავებს ანბანის სკოლას და ამით თითქოს თავდება ყველაფერი, თითქოს ანბანის შესწავლა თვითმიზანი იყოს. ანბანის დამძლევ გლეხს საზრდო ესაჭიროება; მას უნდა საკითხავი წიგნი.

მიზანშეწონილია გაზეთ „მიწის მუშის“ „ახალი სოფლით“ შეცვლა: კარგი ქაღალდი, მსხვილი შრიფტი

მან. რაოდენობით. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს არ კმარა. მასწავლებლობა სავსებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მატერიალურად, რომ მას არ უხდებოდეს ლუკმა-პურზე ფიქრი და მთელი ძალ-ღონე მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს მოახმაროს.

მეორე, ესაა—კომკავშირის არანორმალური შეჭრა სასკოლო საქმეში და ამით გამოწვეული სასკოლო ფუნქციების არევ-დარევა, ან კიდევ ხელის შეშლა სასკოლო მეცადინეობისათვის. ყრილობაზე ამ საკითხს დაწვრილებით შეეხო მომხსენებელი ბუხარინი. ყრილობის რეზოლიუცია მკაცრად ჰკიცხავს კომკავშირს, რომელიც ძალზე აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს მასწავლებლობის მიმართ. ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ხშირად მეტად სამწუხარო შედეგებამდე მივყევართ, რის დამადასტურებელი მაგალითიც ბევრია სასკოლო პრაქტიკაში. ყრილობამ განსაზღვრული კალაპოტი მიუჩინა კომკავშირს და, უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში გამოსწორებული იქნება ეს ნაკლი. ფუნქციები ნათლად უნდა იქნეს გარკვეული და ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ გაუგებრობას კომკავშირსა და მასწავლებლობის შორის. **ის.**

# გლეხთა საზოგადოებრივობის ორგანიზაცია.

(საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის, ამხ. ა. ი. რიკოვის სიტყვიდან*).

...მე მინდოდა აქ ხაზგასმით აღმენიშნა გაბედული გადახრის აუცილებლობა იმ მხრივ, რომ გაგვეძლიერებია არჩევნები კოოპერაციაშიც და საბჭოებშიც, ე. ი. იმ მხრივ, რომ გლეხთა მეტი რაოდენობა ჩაგვეთრია არჩევნებში და გაგვევითარებია მეტი აქტივობა გლეხური მასსებისა არჩევნების დროს.

მთელ რიგ შემთხვევებში ამ გარემოებას შეუძლია მოგვიტანოს მტკივნეული შედეგები („კულაკების“ ძალადობა). მაგრამ რომ კულაკების ბატონობა ავიცილოთ სოფელში, საჭიროა გლეხთა დაბალ და საშუალო ფენების შეკავშირება, გლეხ-ქალთა აქტივობის ამაღლება; საჭიროა ისე მოეწყოს საბჭოები, კოოპერაცია, მიწათმოქმედების კომისარიატის ორგანოები და სხვა, რომ სწორედ ამ დაწესებულებებში, და არა კულაკში ხედავდეს მასსიური გლეხობა თავის ხელმძღვანელებს. ამისთვის საჭიროა ჩათრეული იქნეს ყველა ამ ორგანოებში უპარტიო მშრომელი გლეხობა.

მე შესაძლებლობა მქონდა თვალ-ყური მედევნებია ერთ ერთი საბჭოს მუშაობისათვის ნოვოუზენსკის მაზრაში. საბჭოს სათავეში სდგას უპარტიო, საშუალო შეძლების გლეხი, ურთიერთ დამხმარე კომიტეტის სათავეში—კომუნისტი. სოფლის ყრილობაზე, სადაც მოხსენებას აკეთებდა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, კომუნისტს შესწორებები და დამატებები შეჰქონდა ამ უპარტიო თავმჯდომარის მოხსენებაში და მას მხარს უჭერდენ სოფლის ღარიბ-ღატაკნი და ქალები. მე ვფიქრობ, რომ პარტიისთვისაც და საბჭოებისთვისაც ზოგჯერ უმჯობესია, როდესაც კომუნისტი შეაკავშირებს თავის გარშემო გლეხო-

*) სიტყვა, წარმოთქმული თათბირზე საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების შესახებ, „პრავდა“ № 9 (2940), 11 იანვ 25 წ.

მოკლე წერილები, წამახალისებელი ილიუსტრაცია,—ყველაფერი ეს უთუოდ უახლოეს გაზეთს სოფლის მასას; მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ის კვირეული; ნუ თუ უფრო მეტ საკითხავ მასალას ვერ მოინელებს ჩვენი სოფელი?

მაგრამ გაზეთი, როგორც არ უნდა შეეფერებოდეს მდაბიო მკითხველს, მადა გაღვიძებულ მკითხველს მაინც ვერ დააკმაყოფილებს.

საჭიროა წერა-კითხვის უცოდინარობის ბრძოლის გვერდით მუშავდებოდეს და ტარდებოდეს კიდეც ცხოვრებაში მდაბიო შინაარსის წიგნების გამოცემის გეგმა. უამისოდ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა უბრალო ფორმალურს, სქემატიურ ხასიათს იღებს.

მოკავშირე რესპუბლიკები, განსაკუთრებით რუსეთი, ამ მხრივ გაცილებით უკეთეს პირობებშია. რევოლიუციის პირველ დღიდანვე და განსაკუთრებით ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამდე აუარებელი წიგნი იბეჭდებოდა და სოფელში უფასოდ ვრცელდებოდა. გარდა საპროპაგანდო-სააგიტაციო შინაარსის წიგნებისა, რუსეთის სოფელს მოეფინა მეცნიერულ-პოპულიარული შინაარსის ურიცხვი წიგნი.

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის ხუთი წლის თავზე გამოცემულ საიუბილეო წიგნიდან,—„книга о книгах“—ჩვენ ვტყობილობთ, რომ 5 წლის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობას დაუბეჭდია ათი მილიარდი გვერდი. იმავე წიგნში შემდეგს ვკითხულობთ:

„სახელმწიფო გამომცემლობა, როგორც განათლების კომისარიატის ნაწილი, იმით განსხვავდება დანარჩენ გამომცემლობებისაგან, რომ ის, ხშირად წმინდა კომერციულ ინტერესების წინააღმდეგ, მოვალეა გამოსცეს ის, რაც საჭიროა განათლებისათვის“.

ჩვენს სოფელს ეს ამბავი არ უნახავს, უფასო წიგნი მან არ იცის. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გაზეთიც მალე მოხსნა კედლიდან. ამ ნაკლის გამოსწორება ესაჭიროება ჩვენს სოფელს.

ჩვენი სოფელი საერთოდ ჩამორჩენილია. როგორი თავმომწონეობითაც არ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს თავზე, სინამდვილე ამით არ იცვლება. ცრუმორწმუნეობას ჩვენში ჯერ კიდევ არ მოუჭამია თავისი თავი, განსაკუთრებით ზოგიერთ კუთხეში. ის ვერც მოისპობა დეკრეტებით. ცოცხალ სიტყვასთან ერთად სალი ბეჭდვითი სიტყვაა მისი მომსპობი იარაღი. უამისოდ ყოველი ცდა სოფლის ასაღებად უკან დახევით დამთავრდება.

განსაკუთრებით სკოლამ და ქოხ-სამკითხველომ უნდა იკისროს ეს საქმე სოფლად. ამისათვის ერთსაცა და მეორესაც უხვად უნდა ჰქონდეს ხალისიანი ენით დაწერილი და კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი მარტივი შინაარსის წიგნები, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების დარგიდან. რუსულ ენაზე მრავალია ასეთი წიგნი. მათი გადმოთარგმნა-გადმოქართულება ძნელი საქმე არ არის.

ჩვენმა გლეხმა არ იცის თავის მოვლა. მისი ყოფა-ცხოვრება ოდნავაც ვერ უახლოვდება ჰიგიენა-სანიტარიის მოთხოვნილებებს. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მარტო სანიტარულ-ჰიგიენური შინაარსის

ბის ულარიბეს ნაწილს და... არ შედის რა ოფიციალურად ხელისუფლებაში, ფაქტიურად უძლევება მის მუშაობას და აქ ეყრდნობა გლეხთა საზოგადოებრივობას, ურთიერთ დამხმარე კომიტეტსა და სოფლის ულარიბესსა და საშუალო შეძლების გლეხობას.

...რასაკვირველია, ჩვენ არ ვურჩევთ, რომ ეს იყოს საერთო წესი; მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ აქ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, როდესაც მოხერხებულად იჭრება კომპარტიის ამოცანები სოფელში.

ახლა სოფელში შესაძლებელია იქ მიმდინარე დანაწილებასთან ერთად მოხდეს ბევრი ღარიბ-ღატაკის დაგროვება. ჩვენმა პარტიამ და საბჭოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ პროცესის განვითარებას და დაეყრდნონ სწორედ ამ ღარიბ-ღატაკთ და არა იმათ, ვინც მათ ქირაობს. ამ ღარიბ-ღატაკთა და საშუალო შეძლების გლეხთა შეკავშირება შეადგენს მთელ რიგ შემთხვევებში უფრო მნიშვნელოვან ამოცანას, ვიდრე მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩაწერა,—ჩაწერა დაბადების, სიკვდილის, ქორწილების შემთხვევებისა და სხვა... უპარტიოები, როგორც საბჭოების თავმჯდომარეები, საფრთხეს არ წარმოადგენენ. მეტი საფრთხეა მაშინ, როდესაც შეუკავშირებელია სოფლის ღარიბ-ღატაკნი და საშუალო შეძლების გლეხობა, ხოლო კულაკები კი კავშირდებიან. არჩევნები აუცილებლად უნდა გაფართოვდეს როგორც კოოპერაციაში, ისე სოფლის საბჭოებშიაც.

რათა სოფელში არ გაბატონდენ კულაკები, საჭიროა დიდი ყურადღება მივაქციოთ სოფლის ცხოვრების საზოგადოებრივ მხარეს და ღარიბ-ღატაკთა და სხვათა შეკავშირების საქმეს. თუ ჩვენ ამას მივაღწევთ, მაშინ ყოველგვარი შემთხვევითი გადახრა საბჭოს საქმიანობაში ჩვენთვის არაფერია; იგი ჩვენთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, რაკი სოფელში გვექნება მტკიცე, შეკავშირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუძე... პარტიაც და საბჭოებიც მხოლოდ მაშინ განახორციელებენ თავიანთ ამოცანას, სოციალიზმზე გადასვლის, ახალი საზოგადოების მოწყობის ამოცანას, თუ კი მათ მკვიდრი ფუძე ექნებათ მოსახლეობის ულარიბეს და საშუალო შეძლების ფენებში.

• • •

## საბჭოების არჩევნების გარშემო.

(საკავშირო ცაკის თავმჯდომარის, ამხ. მ. ი. კალინინის საბოლოო სიტყვიდან*).

... ეს მომენტი ყველაზე უმჯობესი, ყველაზე მოხერხებული მომენტია, რომ ჩვენი პლატფორმისაკენ მოვაქციოთ მასსების ყურადღება. და ამიტომ ის ამხანაგები, რომლებიც აქ აცხადებდენ, კულაკები არ იყვენ კრებაზე და ისინი ჩვენ არც გვინდაო,—ეს ამხანაგები იჩენენ დიდ უცოდინარობას. ნუ თუ არის რაიმე საფრთხე იმაში, რომ რომელიმე საშუალო შეძლების გლეხი კულაკური აზროვნობით, კულაკური ფსიქოლოგიით, ან კიდევ ულარიბესი გლეხი... ზოგჯერ გაჟღენთილი კულაკურ მსოფლმხედველობით, საარჩევნო კამპანიის პროცესში გამოიჩენს ანტისაბჭოურ მისწრაფებას? ნუ თუ ეს ჩვენთვის საზიანოა? ნუ თუ ოდესმე კომუნისტურ პარტიას ეშინოდა დაეპირისპირებია თავისი თვალთსაზრისი მოწინააღმდეგის თვალთსაზრისისათვის? და მას, ვინც ლაპარაკობს—„ჩვენ ისინი არ გვესაჭიროებიანო“,—მას არ გაეგება ღრმა პოლიტი-

*) იმავე თათბირზე. იქვე.

---

წიგნებით ეშველება ამ საქმეს. მაგრამ რომ წიგნი ამ მხრივაც გაუმჯობესებას შეიტანს ჩვენს ცხოვრებაში, ეს უდაოა. ტფილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას აქვს გამოცემათა მთელი რიგი, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მდაბიო მკითხველთან არ არის შეფარდებული. აქ საჭიროა წერის განსაკუთრებული სტილი, თავისებური მეთოდიური მიდგომა საკითხისადმი. ყველაზე მისაღებია ბელეტრისტული ფორმა, ცოცხალი სურათები, კითხვა-პასუხი—ერთი სიტყვით, ეს წიგნები ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ უახლოვდებოდეს ცოცხალ ბაასს.

ამავე ფორმით შეიძლება მიეწოდოს გლეხს სასოფლო მეურნეობაში გამოსადეგი ცნობები.

დიდი დაბრკოლებაა იმ მხრივ, რომ ნაკლებად გვყავს პოპულიარიზატორები, მაგრამ ეს ალბად იმიტომ, რომ ასეთი მოთხოვნილება აქამდის ნაკლებად იყო.

რუსეთში, როგორც ზემოდ დასახელებულ წიგნებიდან ვტყობილობთ, სანამ შეიქნებოდა პოპულიარიზატორ-მწერლების კადრი, სახელმწიფო გამომცემლობასთან არსებული სარედაქციო კოლეგია საგანგებო დავალებით აძლევდა ამა თუ იმ, ხშირად სახელმწიფოებრივ მუშაობაში ყელამდე ჩაფლულ პირს.

ჩვენში არის ისეთი შემთხვევები, როცა ტფილისის მუშებს თავიანთ საშეფო ქართულ სოფლებში მიაქვთ რუსული წიგნები. რა გასაკვირალია, თუ ეს წიგნები გაუჭრელი იდება სამკითხველოს თაროზე.

არც ქალაქის მუშების მდგომარეობაა ამ მხრივ სახარბიელო. სხვას რომ თავი დავანებოთ, რკინის გზის მუშებს თავისი ბეჭდვითი ორგანოც კი არა აქვთ.

ჩვენში წიგნები უფრო მცირე ტირაჟით გამოდის, ვიდრე რუსეთში. ეს ჩვენი წიგნის შედარებითი სიძვირის ერთი მიზეზთაგანია. მით უმეტეს აუცილებელია სახელმწიფოს მფარველობა საგამომცემლო საქმეში.

მართალია, ბიუჯეტის გამტკიცების ხანაში უფასო წიგნი საოცნებო რამ არის; მაგრამ წიგნის გაიაფებამ კი შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტის სიმტკიცეს ბევრი ვერაფერი დააკლოს.

მეტად მწვავედ სდგას საკითხი მეცნიერული წიგნების შესახებ. ჩვენი პროფესორები ხშირად იძულებულნი ხდებიან კერძო გამომცემლები ეძიონ თავიანთ ნაშრომის გამოსაცემად. ნათარგმნი მეცნიერული შრომებიც ნაკლებათ მოგვეპოვება. მეტი მფარველობაა საჭირო სახელმწიფოს მხრივ ამ საქმეში.

კომერციულად ეს აშკარად საზარალო საქმეა სახელმწიფოსათვის, სამაგიეროდ ქართული კულტურისათვის ეს უდიდესი ამაგი იქნებოდა.

არც დაბალი ტიპის სკოლის მოსწავლენი არიან ამ მხრივ კარგს პირობებში.

განსაკუთრებით 13—14 წლიდან ახალგაზრდაში ილვიძებს კითხვის წყურვილი. შეუძლია თუ არა ჩვენს ახალგაზრდას მოიკლას ეს წყურვილი?

არა. ჩვენი წიგნის ბაზრის მდგომარეობა არ აძლევს მას ამის საშუალებას. სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან კიდევ მონახავს წიგნს, ისიც უმეტესად ძველად გამოცემულს, დანარჩენ დარგებიდან კი, გარდა პოლიტიკურ შინაარსის წიგნებისა, ძლიერ ნაკლებად. ბუნების (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) დარგიდან მეტად ცოტაა ქართულ ენაზე გამოცემული წიგნი.

კური მნიშვნელობა საარჩევნო პროცესის, ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობა დისკუსიის, პლატფორმის გამოაშკარავების...

ჩვენ არ გვეშინია გადავშალოთ მთელი ჩვენი პროგრამა. ეს პროგრამა იმდენად გამოხატავს მასსების ინტერესებს, რომ იგი შეუბღალავია ყველაზე უფრო ჭკვიანი, ყველაზე უფრო გაბოროტებული კრიტიკოსის თვალსაზრისითაც კი. კოჭლობს მხოლოდ ჩვენი პრაქტიკული საქმეები. მაგრამ თუ კი თქვენ გინდათ, ამხანაგებო, მათი გამოსწორება, ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ მოხვდება საფუძვლიანი კრიტიკა.

ის, ვისაც ეშინია პრაქტიკული მუშაობის კრიტიკის; ის, ვინც ფიქრობს: „კარგია ბეჭვდის თავისუფლება, მაგრამ იგი არ უნდა მეხებოდეს მეო“, „კარგია კრიტიკა, მაგრამ იგი არ უნდა მეხებოდეს მეო“,—ის ბეცი ხელმძღვანელია საქმის...

ამხანაგებო, თუ თქვენ ასწონ-დასწონით, ანალიზს გაუკეთებთ არჩევნების კამპანიის მნიშვნელობას ჩვენთვის, მაშინ თვითეული თქვენთაგანი იტყვის, რომ საარჩევნო კამპანია —ეს ერთ-ერთი უუდიდესი ყოველწლიური პოლიტიკური კამპანიათაგანია და ამ კამპანიიდან ჩვენ მუდამ პლიუსით უნდა გამოვიდეთ და არა მინუსით. კიდეც რომ სადმე აღმასკომში გავიდენ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი..., ამას არ ექნება დიდი მნიშვნელობა. მაგრამ მოგება სწორ საერთო-სახალხო (ე. ი. როდესაც არჩევნებში მონაწილეობას იღებს ხალხის უმრავლესობა) არჩევნებიდან, იმ არჩევნებიდან, სადაც ყოველ მხრივ სინჯავენ და აკრიტიკებენ საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობას,—ეს მოგება გაცილებით მეტი წონის მატარებელი იქნება, ვიდრე ის ბოროტება, რასაც საბჭოში ბოროტი ადამიანის გასვლა წარმოადგენს.

# წერილი ს. გვიმრაძისადმი.

ძმაო სანდრო! დიდი ხანია გიცნობ როგორც მუშას. ვიცი შენი წარსული — მოწინავე მუშათ ითვლებოდი საქ. რკ. გზაზე. ეს ოთხი წელიწადია ჩვენდა უნებურათ ერთმანეთს ჩამოვშორდით; მაგრამ იდეურათ ერთად ვიყავით, ერთად ვაწარმოებდით ბრძოლას მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ. მხოლოდ ეს გვწამდა ორთავეს, ამის გარშემო ვტრიალებდით, სულ ამაზე ვფიქრობდით. გვწამდა, რომ ისტორიის კანონებს გვერდს ვერავინ აუხვევდა, გვწამდა ჩვენი პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი. გვწამდა, გვჯეროდა ის შესაძლებლობა, რომ პროგრამა-მინიმუმის განხორციელების დროს ჩვენს საბოლოო მტერთან, ე. ი. ბურჟუაზიასთან ერთად უნდა გვევლო, ვინაიდან ორთავესი საქმე კეთდებოდა, თითქმის ორთავენი ერთნაირად ვიყავით დაინტერესებულნი მოძრაობის საქმით, თუმცა ვიცოდით, რომ საბოლოოთ ერთი მეორის მოსისხლე მტერი ვიყავით. ეს იქნებოდა ჩვენი მოძრაობის პირველი ხანა. ამ ხანის განმავლობაში ჩვენ ბევრს ვისწავლიდით—მე და შენ და საერთოდ მუშათა კლასი. ვისწავლიდით და მოვემზადებოდით იმ დროისთვის, როდესაც საკუთარის ძალებით მოგვიხდებოდა ჩვენი საკუთარი საქმის გაკეთება, ე. ი. პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელება და სოციალიზმის დამყარება. ამას

---

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის კატალოგებს რომ გადაშლით, პირდაპირ თვალები აგიჭრელდებათ. რა რიგი სულიერი მოთხოვნილებაც არ უნდა დაებადოს ახალგაზრდ ს, რუსეთის წიგნის ბაზარი უთუოდ შესძლებს მის დაკმაყოფილებას. იქ მრავალია ევროპიულ ენებიდან ნათარგმნი წიგნებიც.

ჩვენშიც ეს დიდი ნაკლი ნათარგმნმა ლიტერატურამ უნდა შეავსოს. ეს მეტად დიდი საქმეა, უამისოდ ახალგაზრდობის მომზადების საქმეს პერსპექტივა არ ექნება.

სოფლისა და ქალაქის მდაბიო მკითხველთან შეფარდებული შინაარსის და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შესაფერი წიგნების იაფ-ფასად გამოცემა ერთ-ერთ ლოზუნგად უნდა გადაიქცეს.

თუ ეს დღის წესრიგში იქნება დასმული, მაშინ წიგნის გაიაფების საშუალებებიც გამოინახება. ნუ თუ ერთ ასეთ საშუალებად არ შეიძლება ჩაითვალოს საზღვარგარეთიდან საგანგებოდ ამისათვის უბაჟოდ ქაღალდის შემოტანა?

გამომცემლობა თავისი აპარატის რაციონალურად მოწყობით, პროდუქციის გადიდებით უნდა გადაიქცეს იდეოლოგიურ „სასურსათო კომისარიატად“. ეს ახლა ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენი ხალხისათვის.

ამისათვის საჭიროა აგრეთვე ბეჭდვის ტეხნიკურ საშუალებათა გაფართოება და გაუმჯობესება.

ამასთან დაკავშირებით ისმება ჩვენი შრიფტის საკითხიც. ძველი საქართველო ძალზე შორს იყო სასტამბო ტეხნიკის განვითარებიდან, რომ მას ანბანის სტანდარტიზაცია-ნორმალიზაცია სცოდნოდა. თუ „ყველა შანდალი ყველა სანთელს არ მიუდგებოდა“,—მაშინ ეს დიდი უბედურება არ იყო. დღეს კი სასტამბო ტეხნიკის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით უთუოდ გადათვალიერებული უნდა იქნეს ჩვენი შრიფტი.

ჩვენი ზოგიერთი ასო ნიმუშია ძველი საქართველოს გულუხვობისა, „დროისა და სივრცის“ დაუზოგველობისა.

ავიღოთ, თუ გნებავთ, შემდეგი ორი ასო: სამკბილიანი „ლას“ (ლ) და ტანწერწეტა „წილ“ (წ). პირველი ტახტზე გადაკორებულ ნეტარხსენებულ ლუარსაბ თათქარიძესავით სტომაქ-ბარაქიანია, მეორე კი — ტანზედა და ტანქვედა ნაწილებით მეტად ხალვათად არის მოთავსებული სტრიქონებს შუა. ერთსაც და მეორესაც „შემკიდროება“ ესაჭიროებათ; „ლ“-ასს რომ ორი კბილი ჩამოეცალოს, ერთითაც იოლად წავა, „წ“-ილს კი ტანქვედა ნაწილი შეიძლება შეუმცირდეს.

ასეთი ასოები ბევრია ჩვენს ანბანში. ეს ახალი საკითხი არაა. იგი უკვე დაძველდა ისე, რომ განხორციელებას ვერ ეღირსა. ამას შესახებ სათანადო პროექტებიც არსებობს.

ჩვენ აქ შევეხეთ ამ საკითხსაც იმიტომ, რომ არ შეიძლება ბეჭდვითი საქმის გაუმჯობესებაზე ილაპარაკოთ, თუ კი ჩვენი შრიფტის საკითხსაც არ შევეხეთ. ეს განსაკუთრებით ცხადია იმათთვის, ვინც სასტამბო საქმეს ახლოს იცნობს.

**გადმელი.**

გვასწავლიდენ ჩვენ, მუშებს, ჩვენი მამათმთავრები, ჩვენი ლიდერები— მარქსისტები, სოციალისტები. მთელი ჩვენი სიჭაბუკე ამ ფრონტზე გავატარეთ. ამ ფრონტზე ვფიქრობდით ჩვენი უკანასკნელი დღეების დათვლას. ეს გვწამდა, ეს გვჯეროდა. მაგრამ დახე საკვირველებას!

ამ ოთხი წლის განმავლობაში ვერსად შეგხვდიმეთქი, ზევით გწერ. მხოლოდ ამ ბოლო ხანებში ვიხილე შენი და სხვების რედაქტორობით გამოცემული ჟურნალი „ახალი გზა“. პირველ ნომერში მეხუთე გვერდზე წავიკითხე შენი დიდი სათაურიანი წერილი: „ვინც ქართველი ხალხის მტერი არ არის—უნდა გაიზიაროს ჩვენი პლატფორმა“ ო. აქ ვკითხულობ: „საქართველოს პროლეტარიატმა გვერდი აუხვია მახინჯი გზით სიარულს და დაადგა ნამდვილ რევოლიუციონურ გზას. ამას უკარნახებდა მას დღევანდელი სინამდვილე -ო. მე შენი ყოველთვის მესმოდა, აქ კი ვერ გავიგე, რისი თქმა გინდოდა. ვკითხულობ შენს დაწერილს: „მახინჯი გზა, ნამდვილი გზა“... ვფიქრობ და ვერაფერი გამიგია. იმედია, დაწვრილებით მიპასუხებ. „7—8 ოქტომბერს ძველ რევოლიუციონურ უბანში, ნაძალადევში, მან თავისი მძლავრი ხმით რევოლიუციონური სიტყვა სთქვა“-ო და სხვა. კეთანხმები, რომ უბანი ძველია, რევოლიუციონურია; მარა მიპასუხე—რამდენი იყო იმ შენს კრებაზე ძველი რევოლიუციონერი? ან თუ იყვნენ—გულრწფელად, თავისუფლად გამოსთქვა ყველამ თავისი აზრი, თავისი სატკივარი, თუ უშლიდა რამე ხელს? ქვევით: „დღეიდან ის ივლის პროლეტარიატის დიქტატურის გზით სოციალიზმისაკენ და საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისაკენ“-ო. აქ სულ ვერაფერი გავიგე და ეჭვიც შემდის შენს გულწრფელობაში. ვფიქრობ და მეშინიან, აქ მარტო სიტყვების რახა-რუხი ხომ არ არის?! შენ რომ გეთქვა: საქართველოში ქართველობა მცირე ერათ არის გამოცხადებული და ამას უნდა შველა და პატრონობაო,— ეს სინამდვილესთან უფრო ახლო იქნებოდა. იმედია, ამაზედაც მეტყვი შენს აზრს. ქვევით ლაპარაკობ მეორე ინტერნაციონალზედ და ითხოვ დახმარებას მისგან. შენ რას ითხოვ მეორე ინტერნაციონალისაგან? ფიზიკურ დახმარებას, დესანტის გადმოსხმას ხომ არა, ჩემო სანდრო? სხვას რომ თავი დავანებოთ, განა დაგავიწყდა კ. კაუცკის ბროშურა: „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“ (გამოც. საქ. ს.-დ. მ. პ. ც. კომიტეტისა, 1920 წელი, ქ. ტფილისი), ქართველი მუშებისადმი მიძღვნილი, ჩვენში სტუმრათ ყოფნის დროს დაწერილი? ის ხომ მე და შენ ერთად წავიკითხეთ, ძალიან მოგვეწონა და იმავე დროს ძალიან დაგვაფიქრა იმიტომ, რომ საქ. მუშებს, საქ. დემოკრატიას ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდა ბრძოლა და ირგვლივ მტრებით იყო შემორკალული. საერთოთ, მთელი შენი წერილი სულ კითხვებით არის სავსე. აგერ მეოთხე ნომერი გამოვიდა შენი ჟურნალისა, ველოდები ამ შენ მიერ დასმულ კითხვების ახსნა-განმარტებას, მაგრამ ჯერ დასაწყისიც არ უჩანს. წინად ასე არ იცოდი, სხვას უმტკუნებდი ასეთ რამეებს და დღეს რა მოხდა,—ვერ გამიგია. მე ამჟამად მეტს არ ვწერ. გთხოვ ყველა შენ მიერ დასმულ კითხვებზე უპასუხო ისე, როგორც შეჰფერის ძველ რევოლიუციონერ მუშას. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნები გულწრფელი და ყოველთვის ცალმხრივი დარჩები. იმედია, მიპასუხებ შენივე ჟურნალის ფურცლებზე.

**შენი მიხო.**

## ჩემი პასუხი.

უნდა გამოგიტყდე, რომ მე ვერ გამოვიჩენ ლმობიერებას იმათთადმიც კი, რომელთანაც მრავალი წელი ერთად მიბრძოლია... სჯობია აღინიშნოს ტკივილები, ულმობელი დოსტაქრობით დაიბალთოს და თუ საჭიროა, სრულიადაც მოიჭრას მტკივანი ადგილი ორგანიზმზე, ვიდრე სრულიად დალპეს სხეული.

ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი ერის სხეულს დაუავადდა ერთი მისი თვალსაჩინო ნაწილთაგანი და მყის მივიღეთ შესაფერისი ზომები...

მენშევიზმი ცდილობდა დაემსახურებინა მართლაც და ბრძნული პარტიის სახელი... ისტორიის სიგელ-გუჯრებში მართლაც ჩაიწერება მშვენიერი ფურცლები მისი რევოლიუციონერობისა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ასცდა გზას... განსაკუთრებით ეს ითქმის მის მესვეურებზე .. მათ ვერ გაარკვიეს ისტორიის ამოცანა...

ამიტომაა, რომ ჩვენი ერი ჩავარდა სავაგლახო მდგომარეობაში...

თქვენ ჯერაც ისე ხართ გაბრუებული ძველი იდეოლოგიით, რომ ალბად გგონიათ: გზა მენშევიზმისა ჭეშმარიტი იყო... მისი აგვისტო-სექტემბრის „დებიუტი“ საღი გონების ნაკარნახევი იყო და თუ ის დამარცხდა, ეს შემთხვევის ბრალიაო..., თქვენ, ეტყობა, მოგერიათ ასეთი ბანგი, თქვენ გაბრუვდით, თორემ ისტორიას არ ერევა თრობა... ის ცივი და სასტიკი მსაჯულია... გაივლის ეს დღეები და ის უეჭველად იტყვის (თუ ჯერ არა აქვს ნათქვამი), რომ თქვენ სცდებოდით.

შეიძლებოდა აქ დამესვა წერტილი და დამეთავებინა თქვენდამი პასუხი მაგრამ მაინც გაგცემთ ორიოდე კითხვაზე პასუხს, რომელიც თქვენ სადავოდ მიგაჩნიათ.

1) თქვენ ამბობთ: ნაძალადევში გამართულ მუშათა კრებაზე არ ყოფილან ძველი რევოლიუციონერებიო. თუ მაჭარაძე, ხურცილავა, კუპრაშვილი, ძამანაშვილი და კიდევ ბევრი სხვა მუშები ძველი რევოლიუციონერები არ არიან, მე არ ვიცი, ვინღა გეგულებათ მუშათა უბნებში. თუ თქვენ მხოლოდ თქვენი თავი მიგაჩნიათ ძველ რევოლიუციონერად და სხვას არაფრად აგდებთ (ვაი რომ ბევრი თქვენთაგანი ასე ფიქრობდა... ვაი, რომ ამნაირმა მონოპოლიამ გააბითურა მთელი პარტია), მაშინ, რაღა თქმა უნდა, თქვენ მართალი იქნებით,—იმ კრებაზე თქვენ მართლაც არა ყოფილხართ...

2) რას უპირებთ საქართველოს დამოუკიდებლობასო—კითხულობთ თქვენა. რასა და გავუფრთხილდებით ორთავ თვალის ჩინზე უკეთესად... ხოლო თუ მის გამდელად აღარ გვსურს ევროპის ბურჟუაზია, ნურას უკაცრავად... ერთხელ და საბოლოოდ ამოიფხიკეთ თავიდან ის აზრი, ვითომც ევროპა მართლა მოწადინე იყოს მცირე ერთა მფარველობისა...

მეტად უცნაური მოწაფენი აღმოჩნდით ისტორიის გაკვეთილის შეთვისებაში... მსოფლიოს ისტორია ცისმარე დღე გვეუბნება შემდეგს: იმპერიალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკა მუდამ იქითაა მიმართული, რომ ფეხქვეშ გასთელოს ეროვნული უფლებები, გამოჰფიტოს ეკონომიურად—თქვენ კი არ გესმით ესა და ჩანჩურა დიაკვანსავით ასხაპასხუპებთ: „მერმე და მერმე ევროპის ორიენტაციისთვის ვილოცოთო“.

მაშ სად იქნება ჩვენი ერის დამოუკიდებლობის დაცვა შესაძლებელი?.. რუსეთის ორიენტაციის ფარგალში, —გადაჭრით ვამბობთ ჩვენ.

ჩვენი სინამდვილე ხომ კატას არ შეუჭამია, რომ გასჭირდეს ამისი დამტკიცება. გადაავლეთ თვალი საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობას, როგორც კულტურული, ისე ეკონომიურ დარგში და სთქვით: რა არის ესა?.. ლეთაიებია, თუ საქმეა... საქმე, რომელიც უფრო გაიზრდება და გაფართოვდება.

3) ქართველების დევნა დაწესებულებებში... დევნაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ზოგან ქართველი ელემენტი მოისუსტებს. მაგრამ ვისი ბრალია... თქვე დალოცვილებო, თქვენ განზე გადექით, ბოიკოტი გამოუცხადეთ. ბზობის ყვავებივით გადაიკარგენით და რა გგონიათ, დიოგენის ფარნით ხომ არ მოგძებნიდნენ... კალთებს ხომ არ დაგაბღლნიდნენ...

მიაფურთხეთ ეშმაკს... მოდით კულტურულ საგუშაგოებზე და თუ თქვენ შესაფერი ადგილი არ დაიკავოთ, მაშინ მე თქვენთან ერთად ვიბრძოლებ ამისათვის.

4) მეორე ინტერნაციონალის დახმარება... განა არ ესაზრდოობდით ამ იმედით?!

მართლაც, ამ უშველებელ ორგანოს უწერია შვას ხოლმე მთის მაგივრად თაგვი .. სხვას ნურას ელით მისგან... რომელ თაგვზე ლაპარაკობს ეს კაცი — შეიძლება იკითხო. თაგვი არ არის, მა რა ჯანდაბაა ის რაღაც სასაცილო და პლატონიური სიყვარულით სავსე რეზოლიუციები, რომელიც მათ გამოაქვთ?! თითქოს იმით საქართველოს დასთბება კიდეც და მოევლება.

ჯანი გავარდნოდა, ეშვა რამდენიც უნდა თაგვები, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მან უკანასკნელად შვა არა თაგვი, არამედ ის საშინელება, რომელსაც ჰქვიან საქართველოს ტრაგედია ენკენისთვის დასაწყისში.

მე პირადად, ჩემო მიხო, არასოდეს მითხოვნია დახმარება მეორე ინტერნაციონალისთვის, მაგრამ ხელმძღვანელნი, არალეგალური მომუშავენი ხომ ეუბნებოდით მუშებს: მეორე ინტერნაციონალი გვეხმარებაო! ის დახმარება ჩვენმა მტერმა და დუშმანმა მიიღოს, რაც მათ ჩვენ აღმოგვიჩინეს. თქვენც მათსავით თუ გქონიათ მისი იმედი, თორემ მე ადრევე მივანებე თავი დაპირებებით თავის მოტყუებას.

კიდევ მინდოდა რამდენიმე მოსაზრება გამომეთქვა, მაგრამ კმარა.

დასკვნა. კმარა, კმარა!.. მიხო და იმის მრევლო... კმარა იმ ტრაგედიის გაგრძელება, რომლის მთავარი გმირი — მენშევიკური პარტია — სრულიადაც არ არის დადაფნული... კმარა, თორემ ისეთ საშინელ განაჩენს გამოგიტანთ ისტორია (თუ არ გამოუტანია), რომელსაც ვერავითარი ცულით ვერ ამოფხეკთ, ვერავითარ ქიმიურ საშუალებებით ვერ ამოშლით.

**ს. გვიმრაძე.**

# რატომ ებრძვიან ბოლშევიზმს.

რა არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ვერც ერთ სახელმწიფოში ვერ შერიგებიან საბჭოთა სისტემას? რა მიზეზია, რომ ყოველგან სდევნიან ბოლშევიკურ იდეოლოგიას?

აი კითხვები, რომელსაც ვსვამ მე ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე და რომლის გაშუქებასაც ვსთხოვ ყველა პატიოსან მუშაკს. შეიძლება ეს კითხვები არ საჭიროებენ გაშუქებას ბოლშევიკებისათვის და სასაცილოდაც არ ეყოთ ამ კითხვების დასმა, მაგრამ ჩვენთვის, ქართველი ხალხის უმრავლესობისათვის, რომელიც ნებსით თუ უნებლიედ ამ შვიდი წლის განმავლობაში ჩაბმული ვიყავით, სხვებთან ერთად, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და არ გვიფიქრია ამ კითხვების ირგვლივ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენს აზროვნებაში ხდება დიდი გარდატეხა და ეძებს გზებს გამოვიდეს შექმნილ მდგომარეობიდან, რომ მივიდეს იმ რევოლიუციონურ ხალხთან, რომელთანაც მას რამოდენიმე ათეული წელი უელია, მისი განუყრელი თანამგზავრი ყოფილა ჭირსა და ლხინშიც.

ჩვენ დიდად განაწყენებული ვიყავით ბოლშევიკების აქ ძალით შემოსვლით. ამის დაფარვა არ შეიძლება: ეს ფარისევლობა იქნებოდა. ბოლშევიკები გასაბჭოების აუცილებლობას ასაბუთებენ, სხვა მოსაზრებებთან ერთად, მით, რომ თუ არ შემოსულიყვენ, საქართველო გახდებოდა ევროპის იმპერიალისტურ ჯარების საომარ ბაზად და მით საფრთხეში ვარდებოდა რევოლიუციონური რუსეთიო. და ეს გასაგებიც არის.

და ეს განაწყენება შეგვრჩა დღემდის. ამ ნიადაგზე გულმოსულებმა სრულიად დავიბენით, გრძნობამ გაგვიტაცა და ერთხელაც გონების სალაროში არ ჩაგვიხედია. მუდამ მარქსისტულად მოაზროვნეებმა მარქსიზმი დავივიწყეთ, ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ ნაციონალისტურ პარტიებს დავუმეგობრდით და მათი გავლენის ქვეშ მოვექცით, რითაც კატასტროფამდის მივიყვანეთ ქართველი ხალხი.

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“-ო, ამბობს უკვდავი შოთა. ზოგიერთი ამ თქმის მიხედვით სიჩუმეს ამჯობინებს, გაურბის რა პასუხისმგებლობას ერისა და ისტორიის წინაშე. მაგრამ ეს სირაქლემასავით სილაში თავის მიმალვა იქნებოდა. სიმართლე მაინც თავს იჩენს. ეს იქნება დიდი ხნის შემდეგ, ხალხისათვის კი დღესაა საჭირო იცოდეს სიმართლე, იცოდეს, როგორ გზაზე შედგა ის, საით მიდის, რომ ასცდეს უბედურ და სამარცხვინო შემთხვევებს მოძრაობის პროცესში

ჩემი კალამი მეტად სუსტია, რომ გამოვსთქვა ყველა ის, რასაც ვგრძნობ ამ კითხვების ირგვლივ. მაგრამ მაინც მინდა ოდნავ შევეხო მათ, გადმოვშალო მათი საშინელი იარები, რომ მით გამოვიწვიო მცოდნე მოაზროვნენი ამ კითხვების გაშუქებისათვის ასამუშავებლად.

ბურჟუაზიული სახელმწიფოები და საერთოდ ყველა ექსპლოატატორები ერთი აზრისანი არიან ბოლშევიზმის შესახებ: მათთვის მიუღებელი იყო თებერვლის რევოლიუცია და მისი მსუბუქი და რბილი მიმდინარეობა ოქტომბრის გადატრიალებამდეც კი. ის ამ ბურჟუაზიულ რევოლიუციასაც კი თავს ესხმოდა სხვა და სხვა სახით შიგნიდან და გარედან, ცდილობდა მის მოსპობას და მეფური მთავრობის აღდგენას. ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ კი, როცა რუსეთის მართვა-გამგეობის სადავე პროლეტარიატმა გლეხობასთან კავშირით ჩაიგდო ხელში, რომელმაც ერთი დაკვრით მოსპო კერძო საკუთრება, რითაც ძირი გამოუთხარა ბურჟუაზიის ზრახვებს როგორც შიგნით ისე გარედ, სრულებით დაუკარგა დავთარი რევოლიუციის მტრებს და ისე გააბრაზგააბოროტა, რომ არ ერიდება არავითარ საშვალებას, ოღონდ კი მოსპოს, ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას ბოლ-

შევიზმის ნასახიც კი, როგორც რუსეთში, ისე სხვა სახელმწიფოებში.

ბოლშევიკური რუსეთის წინაალმდეგ ბრძოლას არ თანუგრძნობს სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა კლასი. ეს იგრძნო ბურჟუაზიამ და რომ როგორმე მიაღწიოს თავის მიზნებს, ცდილობს დემაგოგიის საშვალებით შექმნას ერთგვარი ატმოსფერა და მით ბოლშევიზმის სიძულვილი მუშებშიაც შეიტანოს, რითაც გაუადვილდება ბრძოლა ბოლშევიზის წინაალმდეგ და მით აიცდინოს თავიდან ბოლშევიკური საფრთხე, რომელშიც ის თავის მესაფლავეეს ხედავს.

როგორი საშვალებით ცდილობს ასეთი ატმოსფერის შექმნას?

ის ეწევა პროპაგანდას რუსეთის დემოკრატიის ტერორ ქვეშ დაყენების შესახებ ბოლშევიკების მიერ; სწუხს რუსეთის ბურჟუაზიის განადგურებაზე და ნიანგის ცრემლებსა ღვრის საქართველოს შევიწროების შესახებ. კითხვა ისმის—როდის აქეთ გახდა ასეთი გულშემატკივარი ევროპის ბურჟუაზია რუსეთის დემოკრატიისა, ან და კერძოდ საქართველოსი?

1905 წლის რევოლიუციის დამარცხებაში მეფის მთავრობას ყოველნაირ დახმარებას უწევდა ევროპის ბურჟუაზია. მისთვის გაუგებარი იყო, რუსეთის ქალაქებისა და სოფლების ქუჩები რომ რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის სისხლით ირწყვებოდა; საქართველო, რომელიც პირველ რიგში იდგა ამ რევოლიუციაში და რომელმაც აუნაზღაურებელი მსხვერპლი გაიღო, არც ერთ სახელმწიფოს არ გახსენებია. რევოლიუციის საწინაალმდეგო ბრძოლისათვის გაწეულ ხარჯების დაფარვა ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებმა იკისრეს მეფისადმი სესხის მიცემის სახით, რომელიც განაღდებულ იქმნა სასწრაფოდ, მიუხედავად რუსეთის მუშათა კლასის სასტიკი პროტესტისა. და ამას ჩადიოდა ევროპა მიტომ კი არა, რომ მას უყვარდა რუსეთის ხალხი, არამედ მიტომ, რომ მას სურდა რუსეთი მონური, რომლიდანაც მეტ მოგებას გამოსწუწნიდა თავის გაუმაძღარ კუჰის გასასუქებლად; რუსეთი, როგორც ტეხნიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა, დიდი და თავისუფალი საექსპლოატაციო-სათარეშო მოედანი იყო ევროპისათვის. თავის ინდუსტრიალურ ნაწარმოების ორმაგ ფასებში გასაღების გარდა ის დიდ ფაბრიკა-ზავოდების საზრდოს ღებულობდა აქედან ნედლი მასალის სახით.

და ყველაფერი ეს აიძულებს ევროპის ბურჟუაზიას სასტიკი ბრძოლა აწარმოოს რუსეთის წინაალმდეგ. რუსეთის ბურჟუაზია, დემოკრატია, მუშათა კლასი და თვით საქართველო, რომლის გულისთვის ევროპის ბურჟუაზია ნიანგის ცრემლებსა ღვრის, მას არ ებრალება. ეს მხოლოდ ბრძოლის სადემაგოგიო ერთ-ერთი საშუალებაა და სხვა არაფერი.

რას აკეთებს, და ან რას უნდა აკეთებდეს ამ დროს ევროპის ან ჩვენი მუშათა კლასი? ის უნდა ერკვევოდეს ბურჟუაზიის გაიძვერობაში, რომლის მიზანი რევოლიუციის დასამარებაა. მუშათა კლასი როგორც ევროპის ისე ჩვენიც უნდა ცდილობდეს გაერკვეს რუსეთის რევოლიუციაში, დაეხმაროს მას არამც თუ მარტო ბურჟუაზიის იერიშების მოგერებაში, არამედ ყოველნაირად ხელი უნდა შეუწყოს მის გამაგრება-განმტკიცებაში და გაწმენდა-გასუფთავებაში, თუ იმაში არის რაიმე ნაკლი. ევროპის მუშათა კლასი უაღრესად დაინტერესებული უნდა იყოს რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებით, რადგან რეაქციონური რუსეთი მუდამ საფრთხეს წარმოადგენდა ევროპის მუშათა კლასისათვის.

საჭიროა ეს იცოდეს ევროპის მუშათა კლასმა და საჭიროა ვიცოდეთ ჩვენც, ქართველმა მუშებმა, რომელთაც ყველაზე მეტი სუსხი ვიგემეთ რეაქციისაგან.

**ლ. კუპრაშვილი.**

# გაზეთებიდან.

გაზეთ „კომუნისტში“ (№ 12) მოთავსებული იყო გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზდობის დეკლარაცია ორგანიზაციის საბოლოოდ დაშლის შესახებ. ჩვენ იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია ეს დეკლარაცია, რომ მოგვყავს მთლიანად.

„1923 წელს ოქტომბერში გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატ. და უპარტიოთა კავშირი) კონფერენციამ დაადგინა პარტიის ლიკვიდაცია, მაგრამ აღნიშნული კონფერენციის დადგენილებები ცხოვრებაში სავსებით არ გატარებულა. მიუხედავად კონფერენციის მიერ დადგენილ პარტიის ლიკვიდაციისა, არალეგალურ ცეკას წევრების ნაწილი განაგრძობდა მუშაობას ძველი გზით, რაც მიზნად ისახავდა ეროვნულ და პარტიულ ძალების დარაზმვას საბჭ. ხელისუფლების წინაალმდეგ. ჩვენი პარტიის ახალგაზრდობა არ გაჰყვა ლიკვიდატორებს, ის მთლიანად იზიარებდა დარჩენილ ჯგუფის არალეგალურ პოზიციას და მთელი თავის ძალღონით მუშაობდა დასახულ მიზნით:—„საქართველოს განთავისუფლების მისაღწევად“.

საქართველოს გასაბჭოება ჩვენი პარტიის ახალგაზრდობამაც მიიღო, როგორც საქართველოს ოკუპაცია რუსის ჯარის მიერ და ის მტრულად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენი პარტიის ახალგაზრდობაც იზიარებდა იმედებს ევროპის ჩარევისას საქართველოს საქმეებში, ემყარებოდა რა იმ ცნობებს, რომელსაც გვაწვდიდა საზღვარგარეთის ბიურო და რომელნიც თითქო შესაძლებლად ხდიდნენ ამას.

აგვისტოში მომხდარი აჯანყების შემდეგ ნათელი გახდა ყველასათვის, რომ ეს იმედები ყოველგვარ რეალურ საფუძველს იყო მოკლებული და რომ ძველი გზა ქართველ ერს ფიზიკურ განადგურების მეტს არას უქადდა. ამგვარად ცხადი გახდა, რომ ჩვენი პარტიის ახალგაზრდობა შეიქნა „პარიტეტულ კომიტეტის“ ყალბი ინფორმაციისა და უნიადაგო ილიუზიების მსხვერპლი. სწორედ ამ ქართველი ერის ინტერესების ცუდად გაგებამ და საერთაშორისო ძალთა განწყობილების ყალბმა შეფასებამ ჩვენი პარტია მი ყვანა აჯანყებამდე, რამაც დიდი უბედურება დაატეხა ქართველ ერს და შეიწირა მთელი წყება ჩვენი საუკეთესო ამხანაგებისა.

აგვისტოს აჯანყება წარმოადგენს იმ მიჯნას, რომელიც ჩვენ სამუდამოდ გვაშორებს ძველ გზას და პოლიტიკას. მოძაველისათვის ჩვენ არავის მივცემთ ნებას ქართველ ერზე ექსპერიმენტების მოხდენისას.

ჩვენთვის უკვე გამოაშკარავდა საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა. ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავად დიდი გაჭირვებისა და შინაურ და საგა-

რეო ხელის შემშლელ პირობებისა, საქართველო მიდის ეროვნულ აღორძინებისაკენ და ყოველი გასული წელიწადი მაჩვენებელია საქართველოს როგორც კულტურულ ისე ეკონომიურ ფრონტზე ახალი პოზიციების დაპყრობისა, რაც ბოლოს და ბოლოს ყველაზე უფრო კარგ პირობებს ქმნის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა საქართველოს სინამდვილე უტყუარი მაჩვენებელია იმის, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობს საქართველოს ნამდვილ კულტურულ-ეკონომიურ აყვავებას.

დღეს ჩვენ საყოველთაოდ ვაღიარებთ, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობა არის ერთად ერთი კანონიერი მთავრობა და არა მარტო ვცნობთ მას, არამედ მთელი ჩვენი ახალგაზრდული ენერგიით დავდგებით ამ რეალ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს სადარაჯოზე, და მომავალში არ მივცემთ ნებას არავითარ „პარიტეტულ კომიტეტებს“ იმოქმედონ ქართველ ერის სახელით.

ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ თანამშრომლობით საბჭოთა ხელისუფლებასთან მივაღწევთ სასურველ პირობებს საქართველოს აღორძინებისა და განმტკიცებისათვის; ხაზს უსვამთ იმასაც, რომ ყოველი ქართველის ძალა ძვირფასია ამ ეროვნულ შემოქმედების სფეროში. ამიტომ მოუწოდებთ ჩვენ პარტიის ახალგაზრდობას დადგეს საბჭოთა პლატფორმაზე და საქართველოს აღორძინებისათვის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას მოანდომოს მთელი თავისი ენერგია.

ამასთან გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული რადიკალ-დემოკრატიული და უპარტიოთა კავშირი) ახალგაზრდობის ცეკა, თავისუფლებაში დარჩენილ წევრთა სახით, ახალგაზრდათა პარტიის აქტიურ ძალებთან და მაზრების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისა და მათთან შეთანხმების შემდეგ საბოლოოდ დაშლილად აცხადებს ჩვენი პარტიის ახალგაზრდათა ყოველგვარ არალეგალურ ორგანიზაციებს და მოითხოვს მათ ლიკვიდაციას“.

# რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი.

17—20 იანვრამდე გაიმართა რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხები ადგილობრივ ორგანიზაციების რეზოლიუციების, ტროცკის გამოსვლების, ბიუჯეტის გაფართოების, ლითონის მრეწველობის მდგომარეობის და პერსპექტივების, მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების შესახებ.

ამხ. ტროცკის გამოსვლის გამო პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია გაზეთებში.

ბიუჯეტის გაფართოების საკითხის შესახებ პლენუმმა საჭიროდ სცნო, რათა ბიუჯეტის წინასწარ შედგენაში და მის საბოლოო დამტკიცებაში უახლოესი მონაწილეობა მიიღონ მოკავშირე რესპუბლიკების და ოლქების წარმომადგენლებმა.

ლითონის მრეწველობის მდგომარეობის და პერსპექტივების საკითხის შესახებ რუსეთის კომპარტიის ცეკამ საჭიროდ სცნო გაფართოებულ იქნას ლითონის მრეწველობა ბაზრის მოთხოვნილებასთან შეფარდებით. ამასთანავე პლენუმმა საჭიროდ ჩასთვალა, რათა სათანადოდ იქნას გადიდებული საბიუჯეტო თანხები ლითონის მრეწველობისათვის კრედიტის გასაფართოებლად.

ცეკას პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლისათვის ლითონის მიწოდების საკითხს და დაავალა პოლიტბიუროს განიხილოს ის ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფს სოფლისათვის ლითონის მაქსიმალურ მიწოდების საქმეს. მიიღო რა მხედველობაში სოფლის მჭედლების გადასახადებით დაბეგვრის სიმძიმე, პლენუმმა საჭიროდ ჩასთვალა გადასინჯულ იქნას გადასახადების განაკვეთი და შემცირებულ იქნას დაბეგვრა.

მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების საკითხის შესახებ ცეკას პლენუმმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მტკიცედ გაატარონ ცხოვრებაში ყველა გათვალისწინებული პრაქტიკული ღონისძიებანი. ამასთანავე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად პლენუმი სთვლის გაფართოვებულ იქნას საბჭოთა, პროფკავშირთა და კოოპერატიულ მშენებლობაში მუშა და გლეხ-ქალთა ჩაბმის საქმე. ცეკას პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რათა დახმარება გაუწიონ იმ დაწესებულებებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მუშა-ქალებს მონაწილეობა მიიღონ მთელ საზოგადოებრივ მუშაობაში მუშებთან და გლეხებთან ერთად; გაძლიერებულ იქნას მუშაობა მუშა და გლეხ-ქალისათვის საბჭოთა და კომუნისტურ განათლების მისაცემად და საქმეში ჩაბმულ იქნას მასწავლებლობა—განსაკუთრებით მასწავლებელი ქალები; ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მუშა ქალის შრომის კვალიფიკაციის აწევას მისი წარმოებაში გამაგრების მიზნით.

ცეკას პლენუმმა განიხილა საკითხი მორიგ პარტიულ კონფერენციის მოწვევის შესახებ და დაავალა პოლიტბიუროს დაამტკიცოს მოწვევის საბოლოო ვადა, რათა იგი მოწვეულ იქნას საბჭოთა სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევამდე. პლენუმმა დაამტკიცა კონფერენციის შემდეგი დღის წესრიგი: პარტიულ-ორგანიზაციული საკითხები, კოოპერაცია, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ლითონის მრეწველობა, კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის საკითხი.

# გაეროვნების საკითხი უკრაინაში.

უკრაინის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა უკრაინის ცაკის დადგენილების პროექტი საბჭოთა აპარატის სრული გაეროვნების სასწრაფოდ გატარების შესახებ. დადგენილების თანახმად, საქმის წარმოება ყველა სამოქალაქო და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში უნდა მოეწყოს უკრაინულ ენაზე არა უგვიანეს 1925 წ. აგვისტოს 1-სა სახ. განათ. კომისარიატს ევალება გაამრავლოს სახელმძღვანელოები უკრაინულ ენაზე და გაავრცელოს უკრაინული ლიტერატურა. გაეროვნების გასატარებლად არსდება კომისიები: ცენტრალური — სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და საგუბერნიო კო-

მისიები. ინსპექციას და მის ადგილობრივ ორგანოებს დავალებული აქვთ თვალ-ყური ადევნონ გაეროვნების სწორად გატარებას და განსაკუთრებით უკრაინული ენის არა მცოდნე პირთა მიღებას სამსახურში. გარდა ამისა ინსპექცია ამოწმებს თვითეულ თანამშრომელს გაეროვნების თვალთსაზრისით; მას შეუძლია მოხსნას სამსახურიდან ისეთი პირები, ვინც უკრაინული ენა ცუდად იციან. ამ პირების ხელ-ახლა მიღება შესაძლებელია მხოლოდ მათ მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარების შემდეგ. ამასთანავე ძალაში რჩება დადგენილება უკრაინული ენის არა მცოდნე პირთა სამსახურში არ მიღების შესახებ.

# უნდა მივიდეთ.

ნათელი აზრით ვწერ ამ წერილს. განვლილი ხანა მძიმე ლოდივით აწევს ჩემს სულს, მაგრამ ჩემი აზროვნება მინდა სწორი იყოს და ჩემი სიტყვა გაბედული.

1904 წლიდან ვირიცხებოდი სოც.-დემოკ. პარტიის წევრად. პარტიაში ვიყავი სრულის რწმენით, დიადი ბრძოლით ვიყავი გატაცებული და მაურდა დამონებულთა განთავისუფლების საქმეში გვერდში ვდგომოდი მუშათა კლასს.

ჩემი პარტიული წარსულის შესახებ მე სულაც არ მინდა ვილაპარაკო: ვისთვის არის ეს საჭირო! მაგრამ ათეული წლების განმავლობაში თუ კი მთელი ჩემი არსებით მუშათა საქმეს და მის სიყვარულს ვატარებდი გულში, ჩუმად, უანგაროდ, სრულის შეგნებით, – ნუ თუ ახლა, როდესაც ნაწილი ამ მუშათა კლასისა და საერთოდ ქართველი ხალხი ასცდა სწორ გზას,— ნუ თუ ახლა უნდა გავჩუმდე და უსიტყვოდ, გულზე ხელდაკრეფილი ვუმზირო ყველაფერ იმას, რაც ხდება ჩვენს პოლიტიკურ ასპარეზზე და ან რაც მოხდა წარსულში?! არა, ვგრძნობ, რომ გაჩუმება ერთგვარი დანაშაულია, ზნეობრივი ტანჯვაა, რომელიც სულს აწამებს, მთელ სიცოცხლეს გიშხამავს და მკვდრად გაქცევს, პოლიტიკურ მკვდრად. შეიძლება, ჩემი ხმა ბევრს არ ჩასწვდეს, ბევრმა ჩვეულებრივი სიტყვაც იხმაროს: „მოღალატეო“! მაგრამ ამ სიტყვის შიშიდან მე და ბევრი სხვაც უნდა გამოვიდეს, უნდა გაარღვიოს კედელი, საშინელი კედელი, რომელიც აღიმართა ჩვენს აზროვნობაში. მე რომ ჩვენი პოლიტიკური სინამდვილე არ მალაპარაკებდეს, ჩემთვის რომ ყველაფერი სულერთი იყოს,—რისთვის დავწერდი ამ წერილს, რა მაიძულებდა! მაიძულებს მხოლოდ ის, რომ ვისაც მთელი სიცოცხლე არ დაუზოგავს საერთო საქმის სიყვარულისათვის, ის ახლა ვერ გაჩუმდება, და არცა აქვს უფლება გაჩუმების. მეოთხე წელიწადია პოლიტიკური ბურუსი ფლობს ქართველ ხალხს. ეს ბურუსი და ეს სიბნელე უნდა გაიფანტოს. ეს არის ჩემი მიზანი და ამაზე ვფიქრობ სულ.

სოც.-დემოკრატიული პარტია აღმზრდელი იყო ჩემი, რამოდენიმე წლის მანძილზე არ დავშორებივარ მას. და როცა ეს აღმზრდელი ავად არის, მისი ავადმყოფობით ავადდებიან სხვებიც,—მე ეს არ მასვენებს.

მარქსისტული მოძღვრება მით სჯობია სხვა მოძღვრებას, რომ იგი დროისა და გარემოების მიხედვით გეგმავს თავის მუშაობას და თავის ტაქტიკას. საქართველოს სოც. დემოკრატიულ პარტიამ კი ამ საბედისწერო დროს დაივიწყა მარქსისტული მიდგომა საკითხისადმი. ამას მოწმობს ის, რაც მოხდა ამ უკანასკნელ წლებში, ე. ი. მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1921 წელს აპრილში მოხდა ჩვენი პარტიის პირველი ყრილობა. აქ გამოტანილი იყო ისეთი დადგენილება, რომელიც დაგვაახლოვებდა მმართველ პარტიასთან. ერთი წუთითაც არ უნდა გაჭრილიყო ეს დადგენილება; წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით მას, რაც მოხდა და რამაც მიიყვანა ქართველი ხალხი დაღუპვის კარამდე, ე. ი. სისხლიან აგვისტომდე.

დღეს მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი შესდგა გამოფხიზლების გზაზე, საქართველოს სინამდვილემ ბევრს აუხილა თვალი, მრავალი მუშა შესდგა რეალურ ნიადაგზე და სწორად შეხედა თვალში არსებულ მდგომარეობას. ამას მოწმობს თუნდაც ეხლახან დაარსებული „მუშათა კომისია“. ამ კომისიის დაარსებას ჩვენ უნდა მივეგებოთ სიხარულით და გვერდში ამოვუდგეთ მას, რათა მან შესძლოს დასახული მიზნების განხორციელება; ეს მიზანია მუშათა კლასის სამსახური, საბჭოთა ხელისუფლების გამაგრება და მმართველ პარტიასთან დაახლოვება.

სოც.-დემოკ. პარტიას ერთ დროს მიყვებოდა ხალხი. ეს პარტია მესვეურობდა მას და თუ ეს პარტია ხედავს დღეს, რომ ხალხი ნადგურდება ფიზიკურად,—სადაც კი არსებობს ეს პარტია—თავისუფლად თუ ჯურღმულებში,—ის მოვალეა სთქვას სიტყვა სწორი, არა გრძნობებზე დამყარებული, არამედ შეფარდებული იმ მდგომარეობასთან, რომელიც არსებობს დღეს საქართველოში. ეს სიტყვა მან უნდა სთქვას ქვეყნის გასაგონად. ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ინტერესები და საღი აზროვნობა.

სხვა გზა, სხვა ნიადაგზე შედგომა ისევ იმაზე მეტ უბედურებას უმზადებს ქართველ ხალხს, რაც მან ნახა აგვისტოს დღეებში. უნდა გათავდეს სამუდამოდ ევროპაზე ფიქრი, იმ „ევროპაზე“, რომელიც ვითომდა „გაანთავისუფლებს“ ქართველ ხალხს.

წარმოვიდგინოთ, რომ ევროპამ გარეკა საქართველოდან კომუნისტები და წითელი არმია. ამ გარეკის დროს რა დაემართება საქართველოს? განა ამდენ „ოპერაციებს“ გაუძლებს პატარა ერი, რომელიც მსოფლიო ომიდან დაწყებული, რევოლიუციებით და სამოქალაქო ომებით სულ თუ არა, ნახევრად განადგურებულია?! მაშინ ხომ მთელი ის აღმშენებლობა და მთელი ის მუშაობა, რასაც აწარმოებს დღეს ხელისუფლება საქართველოში, სულ ერთიანად განიავდა და ქარ-ცეცხლს მიეცა! ამიტომ ერის სასიცოცხლო ინტერესები გვიკარნახებენ საბჭოთა ხელისუფლებასთან მისვლას და თავდადებულ მუშაობას ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა უწინ, ან კიდევ დღესაც ფიქრობს აწარმოოს საქ. სოც.-დემოკრატიული პარტია კომუნისტების წინააღმდეგ,—ეს ბრძოლა უმთავრესად ეხება ეროვნულ საკითხს. ამ საკითხიდან გამომდინარეობს სხვა წვრილმანი საკითხებიც.

კომუნისტური პარტიის მეცამეტე ყრილობის დადგენილებანი, ვფიქრობ, გატარებული იქნება ცხოვრებაში, და ეს დადგენილებანი უზრუნველჰყოფენ წვრილ ეროვნებებს. ეს ერთი. მეორეც ის, რომ ადგილობრივად ქუ

უნდობლობა უნდა მოისპოს, ქართველი ხალხი გულწრფელად უნდა მივიდეს კომუნისტურ პარტიასთან და ჩაებას საბჭოთა აღმშენებლობაში. მმართველი პარტიაც თავის მხრივ ნდობით უნდა აღიჭურვოს ამ უკანასკნელისადმი.

ეს უნდა მოხდეს.

ბოლო უნდა მოეღოს ჩვენს დაქსაქსულობას, მით უმეტეს დღეს, როდესაც ევროპის რეაქცია ირაზმება და ფიქრობს გაანადგუროს მუშათა კლასის მონაპოვარი.

ოლიმპიადა ბაქრაძე.

# მუშათა წერილები.

## „არა მჯერა"-ს პოლიტიკა უნდა მოისპოს.

სულ რაღაც ორიოდე თვის განმავლობაში მრავლად მოიყარა თავი მუშათა კომისიის გარშემო ძველმა მოწინავე მუშებმა. არა შიშმა, ძალდატანებამ ან პირადმა ინტერესებმა მოიყვანა ისინი აქ, არამედ სამ-ნახევარი წლის პრაქტიკამ. ვინც გუშინ თოფს ესროდა საბჭოთა ხელისუფლების მეთაურებს, ის დღეს მიდის მათთან აგურითა და ბარით ხელში. სრულის შეგნებით სდგებიან ისინი საბჭოთა პლატფორმის ნიადაგზე, გულწრფელად სურთ მათ მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობაში, სტოვებენ ძველ გზას.

როგორ ხვდება ამ მუშათა მასების გამოძახილს ხელისუფლება? თუ მხედველობაში მივიღებთ ს. ორჯონიკიძის მოხსენებებს, მ. კახიანის უკანასკნელ წერილებს, ამხანაგების სამსახურში დაშვების ფაქტსა და სხვას,—უნდა ვსთქვათ, რომ ხელისუფლება მას დადებითად უყურებს. აქ აშკარად სჩანს დაახლოვების სურვილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ითქმის ყველა პასუხისმგებელ პირებზე და დაწესებულებებზე. ბევრი კიდევ ეჭვის თვალით უყურებს ამ ახალ გზაზე დამდგარს ამხანაგებს, ზოგი მათგანი აშკარად ამბობს: „არა მჯერა"-ო. ვისაც არ სჯერა, ის არც გენდობა და სწორედ ეს უნდობლობა უშლის ხელს ჩვენს დაახლოვებას, უნდობლობა იწვევს გადაჭარბებულ სიფრთხილეს. სიფრთხილე კარგია, მაგრამ მისი გადაჭარბება მავნებელია. სიფრთხილე შეიძლება განვითარდეს ხელის კვრამდე; უკანასკნელი არ მოგვცემს კარგ შედეგს. მას მოყვება დაახლოვების ნაცვლად ისევ გათიშვა. ამით კი ისარგებლებს ჩვენი საერთო მტერი, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული „გათიშე და იბატონე"-ს პოლიტიკა. ჩვენ უკვე გამოვცადეთ და ვიგემეთ გათიშვის შედეგები. ამიტომ მოვუწოდებთ ყველა ამხანაგებს ერთხელ და სამუდამოდ დაჰგმონ გამთიშველი პოლიტიკა, პოლიტიკა, რომელმაც მიგვიყვანა 29 აგვისტომდე. ამოვუდგეთ გვერდში ერთმანეთს და შეერთებულის ძალით გავწიოთ წინ სოციალიზმისაკენ. ამ მოწოდებას ათასობით იზიარებენ; მაგრამ როგორის გულწრფელობითაც სდგებიან ამხანაგები ერთის მხრიდან ამ ახალ გზაზე, ასეთივე ნდობითა და ხელ-გაშლით არ ეგებებიან მათ მეორეს მხრიდან. ზოგი თუ აშკარად ეუბნება ახალ გზაზე დამდგარ ამხანაგებს „არა მჯერა"-ს, ბევრი სხვა ალბად ამას გულში ატარებს. ეს კი ორივე შემთხვევაში შეაფერხებს ჩვენს დაახლოვებას. ამიტომ დაახლოვების აუცილებელ პირობად მიგვაჩნია: მეტი ნდობა, „არა მჯერას" პოლიტიკის მოსპობა, გადაჭარბებული სიფრთხილის შენელება და სხვა.

სინამდვილე გვიკარნახებს ამის გადალახვის აუცილებლობას. და ყველა ქართველი შეგნებული მოქალაქე ხელს უნდა უწყობდეს მჭიდრო დაახლოვებას ერისა და რევოლუციის საკეთილდღეოდ.

ჩვენი მიზანი და მოთხოვნა დღესაც იგივე არის, რაც მუდამ იყო ყველა ჭეშმარიტ რევოლიუციონერისათვის! ესაა —ერთად ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ მშრომელთა განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის დამყარებისა და მუშურ-გლეხურ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამისათვის კი, ვიმეორებთ, საჭიროა ნდობა, გულწრფელობა, თანასწორუფლებიანობა და ამხანაგური დამოკიდებულობა ყოველდღიურ საქმიანობაში.

ნ. პატარიძე.

## სალამი ახალ გზას.

ოთხი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა დამარცხდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში, და წავიდა ევროპაში იმ იმედით, რომ მოკლე ხანში ისევ დაბრუნდებოდა. მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდა და ამის შემდეგ იგი დაადგა წინასწარვე განწირულს ავანტიურისტულ პოლიტიკას.

უნდა სიმართლე ითქვას, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში, ყველას თუ არა, ბევრს მაინც სწამდა მათი დაბრუნება. ამ ილიუზიას ერთგვარად ხელი შეუწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ პირობებში დამყარებამ, და მენშევიკების არალეგალურ ორგანიზაციების ათასგვარმა ჭორებმა. ქართული ანდაზის არ იყოს—როცა ურემი გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდებაო,—აგვისტოს საშინელმა კატასტროფამ საბოლოოდ დაგვანახვა ყველას ის უფსკრული, საითაც მივყავდით ავანტიურიზმის პოლიტიკას...

გულწრფელი სალამი „ახალ გზის" რედაქციას, რომელმაც შესძლო გადაელახა ათასგვარი დაბრკოლება და დაემორჩილებია გრძნობა საღ გონებისათვის. მის მიერ აღებული გზა აარიდებს ქართველ ერს იმ საბედისწერო შეცდომებს, რომლისკენაც მიჰყავდა იგი მენშევიკურ პოლიტიკას. დროა ოთხი წლის გამოცდილებამ თვალი აგვიხილოს, დროა ხმა ამოვიღოთ ძველმა მოწინავე მუშებმა და ვთქვათ: კმარა ამდენი მსხვერპლი! ჩვენ არ გადავყვებით უფსკრულში მენშევიკურ პარტიას. ისიც საკმაოა, რაც მისმა ავანტიურამ შეიწირა.

ეს მენშევიკური ავანტიურა არაფრით განსხვავდება დაშნაკელების მუშაობიდან, რომელსაც ისინი აწარმოებდენ სომხეთში იმ განსხვავებით კი, რომ დაშნაკელები იბრძოდენ ოსმალეთის დესპოტიზმის წინააღმდეგ, მენშევიკები კი—სოციალისტური მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიკური პარტია ასცდა მარქსისტულ გზას და გახდა ვიწრო შოვინისტური სულიკვეთების მატარებელი. იგი თანდათან შორდება საქართველოს დღევანდელ სინამდვილეს.

ახლა აშკარაა, რომ გადაჭრით უარყოფილ უნდა იქნეს იატაკ-ქვეშ მუშაობა. დღეს ქართველ მშრომელ ხალხს ასეთი მუშაობა არ სჭირია. დღეს მისთვის საჭიროა დიდი შრომის და ენერგიის გამოჩენა, მიუყენებულ

ჭრილობების მოსაშუშებლად. მენშევიკური პარტიის მუშაობა დღეს სრულ ფიზიკურ განადგურებას უქადის ქართველ ხალხს. ეს უნდა შეიგნოს ყველამ, ვისაც უყვარს თავისი ერი და სამშობლო. ჩვენი ბედ-იღბალი დაკავშირებულია რუსეთთან და ამიტომ. საერთო ძალ-ღონით უნდა გავუმკლავდეთ ყოველგვარ დაბრკოლებებს ჩვენი საერთო კეთილდღეობისკენ სწრაფვაში. უნდა ყველამ მოვნახოთ საერთო ენა კომუნისტურ პარტიასთან, ხელი შევუწყოთ მას მის მიერ დაწყებულ დიად აღმშენებლობითი და კულტურულ მუშაობაში და ამ გზით გავსწიოთ ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ვანო ავსაჯანაშვილი.

## საჭიროა მეტი ყურადღება.

ა.-კ. რ. გზაზე გაცხოველებული მუშაობაა გაეროვნების გარშემო. საქართველოს ხაზზე მიწერ-მოწერა მშობლიურ ენაზე სწარმოებს. გაეროვნებისათვის სათანადო ორგანოს მიერ გადადებულია თანხა. სამმართველოში მრავალი თარჯიმანებია და სხვა.

ასეთია გაეროვნების გარეგანი სურათი რკინის გზაზე. მაგრამ თუ საქმეს ახლო გავეცნობით, დავინახავთ, რომ ეს საკმარისი არ არის, ვინაიდან უბრალო მიწერ-მოწერა ვერ ამოწურავს გაეროვნების დიდ მნიშვნელოვან საკითხს. ამჟამად მიმოწერაშიაც დიდი ნაკლია. ხშირად შეხვდებით, რომ ერთი და იგივე სიტყვა სულ სხვადასხვანაირად ითარგმნება. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა „накладная“. ზოგი ამ სიტყვას ხმარობს პირდაპირ—„ნაკლადნაია“, ზოგი—„ზედდანართი“, „ზედნადები“, „სატვირთო ბარათი“ და სხვა. ან და ავიღოთ სიტყვა „пломба“. სწერენ: „პლომბა“, „დაბლა“, „ტყვიი“, „დაღი“ და სხვა, რითაც მახინჯდება ენა. ამის მიზეზი ისაა, რომ დღევანდლამდე ჩვენ არა გვაქვს სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი სიტყვარი; და ეს მაშინ, როდესაც გაეროვნების გარშემო დღევანდლამდე იხარჯება საგრძნობი თანხა.

რას აკეთებენ თარჯიმანები სამმართველოში? მათი მოვალეობაა ქართული ენის არა-მცოდნის მიერ შედგენილი ქაღალდი სთარგმნონ რუსულიდან ქართულად, ან და მასვე გადაუთარგმნონ ქართული რუსულად. რაშია საქმე? ნუ თუ რკინის გზას არ მოეპოება ქართული ენის მცოდნე თანამშრომელნი, რომ ერთი კაცის ადგილზე ორმა არ იმუშაოს? რა საჭიროა ასეთ მოხელეთა კადრი სამმართველოში იმ დროს, როდესაც ქართული ენის მცოდნე, თუ ნახევარი არა, მესამედი მაინც არის?!.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ საკითხს. რ. გ. გამგეობამ უნდა მოიწვიოს კომისია ქართული ენის ზ დმიწევნით მცოდნეთაგან და რკინის გზის გამოცდილ მოსამსახურეებიდან, რომელიც გამოიმუშავებს რკინის გზისათვის საჭირო ტერმინებს, რაც საბოლოოდ დარჩება ხმარებაში. უნდა მოისპოს ცალკე პირების თარგმნა, ვინაიდან ასეთი სერიოზული საქმე კოლექტიურ მუშაობას მოითხოვს.

გ. დ—ძე.

## ყველამ უნდა ვიმუშაოთ.

არიან ხოლმე ისეთი ამხანაგები, რომლებიც განზე გამდგარან, თითქოს გაყინულან ერთ წერტილზე და არ სურთ რაიმე გააკეთონ. მუშათა კომისიის ახალი გზა მათ მოსწონთ, მაგრამ მუშაობაში კი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. ეს კი დაუშვებელია და დანაშაულიც ქართველი ერის წინაშე. ვისაც სურს, რომ ქართველი ერი აღორძინდეს,—მან უნდა ითანამშრომლოს მუშათა კომისიასთან ახალის გზით, ვინაიდან ეს არის ერთად ერთი სწორი გზა დღევანდელ პირობებში.

დღეს მთელი მსოფლიო ორ ბანაკად არის გაყოფილი: ერთ მხარეზე სდგას მუშათა კლასი, მეორეზე—რეაქციონური ბურჟუაზია. საშუალო გზა აღარ არსებობს, ან თუ არსებობს, ის რეალურს ვერაფერს აკეთებს. ყოველივე ეს ჩვენ ხათლად დაგვანახვა მაკდონალდის მთავრობამ, რომელმაც თავისი რვა თვის არსებობის დროს ვერც ერთი საკითხი ვერ გადაჭრა მუშათა კლასის სასარგებლოდ. ისეთივე მთავრობა არსებობს ამ ჟამად საფრანგეთში ერიოს მეთაურობით, რომელიც აგრეთვე არაფერს არ აკეთებს მუშათა კლასისათვის, და თუ განიზრახა ასეთი, მასაც მაკდონალდის მთავრობის ბედი ეწვევა. საქართველოს მუშათა კლასი დღემდე ამ საშუალო გზაზე იდგა. ამ სამი წლის განმავლობაში იგი ევროპისაკენ გაიყურებოდა, მისგან მოელოდა ხსნას; ევროპაც დიდ იმედებს აძლევდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ცალიერი სიტყვა დარჩა. ასეთმა დაპირებებმა კი ქართველი ერი დაღუპვის კარამდე მიიყვანა. ყოველივე ეს ნათლად დაინახეს თბილისის მუშებმა; მათ დაგმეს საშუალო გზა, აშკარად განაცხადეს, რომ მათ არ უნდათ დღეის შემდეგ ევროპის „აპეკუნობა“ და თავის ხელით გააკეთებენ თავიანთ საქმეს. მათ აირჩიეს ხელმძღვანელად მუშათა კომისია, რომელმაც დაარსა თავისი ორგანო—„ახალი გზა“. მუშათა კომისიას დიდი მოვალეობა აწევს, მან უნდა შესძლოს იმ ჩატეხილი ხიდის აღდგენა, რომელიც არსებობს ორ მოძმეთა შორის. მუშათა კომისია უძლური აღმოჩნდება ამ საქმეში, თუ ჩვენ ყველანი არ დავეხმარებით მას. ამისათვის საჭიროა, რომ ყველა ცოცხალმა ძალებმა, მუშაა ის თუ ინტელიგენტი, სულ ყველამ უნდა ვიმუშაოთ, სამუდამოთ დავგმოთ ძველი გზით სიარული, მივიდეთ მმართველ პარტიასთან მუშათა კომისიის საშუალებით, ამოვუდგეთ გვერდში და მთელის ენერგიით ვიმუშაოთ მუშათა კლასისა და ქართველ ერის საკეთილდღეოდ.

ივანე ბახილაშვილი.

## საქართველოს რკინის გზების ნაწილის ელექტრონის ძალით ამუშავება.

დღეს დიდი ლაპარაკი და მუშაობაა იმის შესახებ, რომ ხაშურ-ზესტაფონს შუა ჩვენი რკინის გზა ორთქლმავლების მაგიერ ამუშავდეს ელექტრონით. აქ მომუშავე ორთქლმავლები დაძველდენ. ასეც რომ არ იყოს, ელექტრონით მუშაობას დიდი უპირატესობა აქვს—აღარაა საჭირო ნავთი, შეშა და ნახშირი.

ელექტრონის ძალის დაგროვება შეიძლება წყალვარდნილების საშუალებით.

აი „ზაგესი“, აქაც უნდათ დააგუბონ მტკვრის წყალი, შემდეგ ამ წყალს მიუშვებენ მილების საშუალებით ელსიმხნის მომცემ მანქანებს (მოტორებს), ისე როგორც წისქვილს აამუშავებენ ხოლმე.

აქ დაგროვებულ ელექტრონის ძალას წაიყვან სჟცაგინჲა და აამუშავებ. ხაშურ-ზესტაფონის შუა ბევრი დაბრკოლება ხვდება მატარებლების მოძრაობას ორთქლმავლების საშუალებით.

აქ ელსიმხნით მუშაობის შემოღებას დიდი უპირატესობა ექნება.

ელექტრონის ძალა შესაძლებლად ხდის ორხელ გადიდდეს მატარებლების რიცხვი, სიჩქარე და წონა. დღეს თუ ძლივძლივობით 16 წყვილი მატარებელი დადის, ელექტრონის ძალით შეიძლება 32 მატარებელი ვატაროთ.

მუხრუჭების უქონლობა ხომ მეტად აფერხებს საქმეს.

ხაშურ-ზესტაფონს შუა ას რონოდაზე მეტი დადის ეგრედ წოდებული რონოდა „მუხრუჭი“.

40% მეტი მთელ შემადგენლობაში აქეთ იქით დადიან ეს ქვითან მიწით დატვირთული „მუხრუჭი“ რონოდები.

რამდენი ენერგია, შრომა და დრო იკარგება აქ და ცდება ასზე მეტი რონოდა მხოლოდ იმიტომ, რომ დაღმართში შევიძლოთ მატარებლის მშვიდობიანათ ჩაყვანა.

ელსიმხნით მუშაობის დროს მუხრუჭიან რონოდების სიმცირეს აღარ ექნება მნიშვნელობა.

რკინის გზის ელსიმხნით ასამუშავებელ ძალის დასაგროვებლათ განზრახულია ააგონ ცენტრალური ელსიმხნის სადგური ტყიბულის მიდამოებში.

ამ სადგურის და საზოგადოთ ელექტრონის ძალის რკინის გზებზე გამოყენების შესახებ მეტად საყურადღებო ლექცია წაიკითხა ამას წინად პლეხანოვის სახელობის კლუბში ინჟინერმა კირკესელაშვილმა.

ტყიბულის მიდამოებში უნდა დაგუბდეს ტყიბულამდინარე. ამ დაგუბებული წყლის სივრცე აღწევს შვიდ-რვა ვერსს. სიმაღლე ექნება წყალს ათეული საჟენობით. წყალი დაეშვება ძირს თითქმის სამას საჟენზე მაგარი ფოლადის მილების საშუალებით და აამუშავებს ელსიმხნის მომცემ მოტორებს.

ამ სადგურზე შეიძლება იმდენი ელექტრონის ძალის დაგროვება, რომ ის სავსებით საკმარისი იქნება ხაშურ-ზესტაფონს შუა 32 წყვილი მატარებლების სატარებლათ.

თუ მოხდა ისე, რომ დაგუბებული წყალი მატარებლების რიცხვის გადიდების დროს არ გვეყო, შემდეგისათვის შესაძლებელია მდინარე შაორის ტყიბულისკენ გადმოგდება.

ამისათვის საჭირო გახდება ნაქერალას გაჭრა, რაც არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს.

ნაქერალას გაჭრით ეს მდინარე შაორას წყალი დაეშვება ძირს მდინარე ტყიბულისკენ თითქმის 400 საჟენის სიმაღლეზე. ეს გარემოება კი იძლევა საშუალებას არა თუ წყლით უზრუნველჰყოს პირველი ელსადგური, არამედ ჩამოვარდნის ალაგას შესაძლებელი ხდება მეორე, უფრო მძლავრი სადგურის აგება.

ეს ორი ელსადგური - ერთად შეერთებული, მოგვცემს დიდ ძალას და შესაძლებელი გახდება დიდი საქმეების გაკეთება.

ამ საქმის სარგებლობა, მისი აუცილებლობა დღეს აშკარაა.

ამ საქმეს, ინჟინერ კირკესელაშვილის აზრით, მოუნდება 12 მილიონი მანეთი, მაგრამ დღევანდელ ხარჯებთან შედარებით, ელსიმხნით მუშაობა იქნება თითქმის ერთი მილიონი მანეთით ნაკლები, ასე რომ 12 წლის განმავლობაში ხარჯი სავსებით დაიფარება.

ვუსურვოთ ამ დიად საქმესაც დაწყება და კეთილად დამთავრება.

„ზაგეს“-„ოზურგეთის გზა“ და სხვა ამ გვარ საქმეებთან ეს იქნება კიდევ ერთი დიდი, უტყუარი ნიშანი საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერი საქმიანობისა.

**ხ. დოლიძე.**

# სხვადასხვა ამბები.

გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ხელშეკრულობის ტექსტი. ხელშეკრულობის თანახმად, საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის მყარდება ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა. ურთიერთ ვალდებულებათა საკითხები უნდა გადაიჭრეს შემდეგში.

იაპონიის მთავრობა ვალდებულია გაიყვანოს თავისი ჯარები ჩრდილოეთ სახალინიდან, სადაც მყარდება საბჭოთა ხელისუფლება.

განსაკუთრებულ ოქმში მოწესრიგებულია საკითხი სახალინზე იაპონიის კონცესიების შესახებ. ამ ოქმის ძალით საბჭოთა კავშირი თანახმაა მისცეს იაპონიას კონცესია სახალინის აღმოსავლეთ ნაპირის ნავთიან ადგილების სივრცის 50 პროცენტზე და ამის გარდა ნახშირის მადანის ექსპლოატაციის უფლება. იაპონია ვალდებულია აძლიოს საბჭოთა კავშირს ამოღებულ ნახშირის 5-დან 8 პროცენტამდე და ამოღებულ ნავთის 5-დან 15 პროცენტამდე. სავაჭრო ურთიერთობა დამყარებული იქნება უდიდესი უპირატესობის პრინციპზე.

— ვაშინგტონის პოლიტიკური წრეები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის დაუყონებლივ ცნობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულების დადებასთან ერთად შეერთებულ შტატების აღებ-მიცემობას შორეულ აღმოსავლეთთან დიდი საფრთხე მოელისო.

— ბრიუსელის გაზეთი „პეპლ“-ი იტყობინება, რომ ბრიუსელის სადგურზე დაპატიმრებულ იქნა რუსი ემიგრანტი ქალი ევგენიევა-დიკსონი იმ დროს, როდესაც პარიზიდან მოსულ მატარებლიდან ჩამოსვლისას ის სცდილობდა თავდასხმა მოეხდინა საფრანგეთიდან იმავე მატარებლით ჩამოსულ კრასინზე. გაზეთის ცნობით, დიკსონი გაძევებულ იქნება ბელგიის საზღვრების გარეთ. დიკსონი ასეთივე ცდისთვის პარიზში დაპატიმრებულ იქნა, მიესაჯა სამი კვირის ციხე და საფრანგეთიდან გაძევება „იარაღის ურებართვოდ ტარებისათვის“.

— ჰამბურგში დაიწყო საქმე კომუნისტური აჯანყების შესახებ 1923 წლის ოქტომბერში. ბრალდებულთა სკამზე სხედან რეიხსტაგის 8 დეპუტატი ურბანსის მეთაურობით. საბრალმდებლო ოქმი ხაზს უსვამს იმას, რომ აჯანყება იყო სახელმწიფო ღალატის აქტი და ის მიზნად ისახავდა რესპუბლიკანური მართვა-გამგეობის დამხობას საბჭოების დიქტატურით შეცვლის მიზნით. ურბანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც გაგრძელდა 2 საათი.

— 24 წლის მიწურულში ითვლებოდა უმუშევარი: ინგლისში—1.247.000 კაცი, გერმანიაში—173.000 (დაი-

კლო: სექტემბერში იყო—588.485, ოქტომბერში—513.000 და სხვა), ავსტრიაში—130.000 (მატულობს), ჰოლლანდიაში—26.300, შვეციაში—15.350, შვეიცარიაში—3.718, ამერიკაში—2.540.000 რეგისტრაციაში გატარებულ მუშაზე მოდის 53.200 უმუშევარი (საერთო რიცხვის 5,5%). საფრანგეთში უმუშევართა რიცხვი ცოტაა, სულ—10.000-ზე ცოტა მეტი. საბჭოთა კავშირში—23 წლის 1 ოქტომ. იყო—1.060.000 უმუშ., 24 წ. 1 აგვ.—1.260.00. როგორც ვხედავთ, უმუშევრობა გაიზარდა. მაგრამ ამავე დროს 11%-ით გაიზარდა ამომღებელ და დამმუშავებელ წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვიც. აქედან ცხადია, რომ ჩვენში უმუშევრობა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე იზრდება.

---

— საქ. ცაკმა დაადგინა შეადგინოს დავით-გარეჯის მონასტრის სიძველეთა დამცველი ორგანიზაცია და აგრეთვე შუამდგომლობა აღძრას ა.-კ. ცაკის წინაშე, რათა ის ტერიტორია, რომელიც ამ ჟამად მოქცეულია აზერბეიჯანის საზღვრებში, და რომელზედაც გაშენებულია მონასტრის ნაწილი და ძველი ქართული ეკლესიები, შემოერთებულ იქნას საქართველოს რესპუბლიკაზე, რომ ამით უფრო გაადვილდეს აღნიშნულ სიძველეთა დაცვა, რადგან ეს სიძველეები თავის ხუროთმოძღვრებით და ფრესკებით წარმოადგენენ საკაცობრიო კულტურის განძს.

— კომზაჰესის და შრომის და თავდაცვის კომისიის შეერთებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა გეოლოგიური სექციის დასკვნა, რომელიც გააკეთა საბჭოთა კავშირის გეოლოგიური კომიტეტის წევრმა პროფესორმა რიაბინინმა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრმა პროფესორმა ალექსანდროვმა. ადგილობრივი გეოლოგების მუშაობის გაცნობის და ნიადაგის გამოკვლევის შემდეგ კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გეოლოგიური პირობები ზაჰესის საალმშენებლო მუშაობისთვის შესაფერისია. კომისიამ მიაქცია ყურადღება ზოგიერთი ზომების მიღების საჭიროებაზე მუშაობის დროს. საერთოდ კომისიამ საჭიროდ სცნო, რათა სადგურის აშენება დაჩქარებით სწარმოებდეს.

— მუშათა სახლების კოოპერატიულ ამშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად პირველ იანვრიდან ქუთაისში შემოღებულ იქნება საგანგებო საბინაო გადასახადი, რომელიც გაწერილი იქნება ქონებრივ შემოსავლის გადასახადთა გამღებებზე. ეს გადასახადი დანაწილებულ იქნება 9 კატეგორიად. გადამხდელებმა უნდა გაიღონ ყოველ კვად. არშინზე 3–15 კაპეიკამდე.

ქუთაისში დაარსებულია ადგილობრივი კომიტეტი, რომელიც უნდა დაეხმაროს მუშათა სახლების კოოპერატიულ მშენებლობას.

# ამინდი ამიერ-კავკასიაში.

## საქართველო.

25 იანვარს ღამით უღელტეხილიდან ბათომამდე მთელი ღამე თოვდა. გზებზე კვლავ დასდო დიდი ნამქერი.

ტყვიბულის შტოზე 2? იანვარს აღდგენილ იქნა მიმოსვლა ქუთაისიდან ტყვიბულამდე. ქვა-ნახშირის მაღაროები დაფარულია ერთსაჟენიანი სიმაღლის თოვლით, გზის გასაწმენდათ გამოსული არიან მაღაროს მუშები, მაგრამ მუშაობა ძნელი ხდება.

საუღელტეხილო უბანში 25 იანვრის საღამოს ქ მს თოვლი აღარ მოდიოდა და ქარბუქიც შეწყდა. ამ უბანში თოვლის სიმაღლე აღწევს 18 ვერშოკს. ღრმა თოვლის გამო მატარებლები მეტად ნელა მოძრაობენ. ბათომ-ფოთისაკენ სამუშაოთ გაგზავნილია თოვლსაწმენდი.

ბორჯომის რაიონი მთლიანად ჩაფლულია ღრმა თოვლში, რომლის სიმაღლე ალაგ-ალაგ ერთ საჟენს აღწევს. დაიწყო საშინელი ყინვები, რომლის სიძლიერე ხშირათ სცილდება 10 გრადუსს ნულს ქვევით.

ბათომში 26 იანვრის დილამდე მოდიოდა თოვლი. ზღვაზე მძვინვარებდა გრიგალი.

ჭიათურაში მძვინვარებს საშინელი ქარბუქი. მოძრაობა ჭიათურის რკინის გზის შტოზე შეჩერებულია. მუშაობა შეწყდა ზოგიერთ მაღაროებში. უკვე სამი დღე შეჩერებულია შავი-ქვის დატვირთვა. მტვირთველები გადაყვანილი არიან გზების გასაწმენდათ. ქარხნებში მუშაობენ. დარღვეულია კავშირი ახლო-მახლო სოფლებთან.

ახალსენაკში 23 იანვარს ამოვარდა ძლიერი ქარბუქი. 24 25 იანვარს განუწყვეტლივ სთოვდა. თოვლის სიმაღლე აღწევს ზოგიერთ ადგილებში 1 არშინამდე. ყინვა 6 გრადუსამდე აღწევს.

ს. დიდი-ვანი (ქუთაისის მაზრა). 23 იანვრიდან განუწყვეტლივ თოვს. თოვლის სიმაღლე ნახევარ საჟენს გასცილდა. შარა-გზები გაკავდა. თოვლის ზვავმა სოფელში იმსხვერპლა ერთი ოჯახი.

ს. ოზურგეთი. 21 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე სოფელ ოზურგეთში (ქ. ოზურგეთიდან 3 ვერსის დაშორებით) ამოვარდა საშინელი გრიგალი, რომელმაც სოფელს დიდი ზარალი მიაყენა. გრიგალმა დაანგრია სახლები, ნალიები, სამზარეულოები, ბეღლები, და სხვა პატარა შენობები.

გრიგალმა სრულიად გაანადგურა ორი მოსახლე: 10 საჟენის სიმაღლეზე ჰაერში აიტაცა მათი სადგომი შენობები და სხვა შენობები, ხოლო მესამე მცხოვრების სახლს მოგლიჯა ყველა ოთახები და უვნებლად დასტოვა მხოლოდ ის ოთახი, სადაც ისხდენ ოჯახის წევრები. არც ერთ ოჯახში ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. გრიგალმა ალაგ-ალაგ ძირიან-ფესვიანად ამოაგდო მრავალი ხე და ჰაერში აიტაცა შინაური ფრინველები. გურიაში იშვიათად თუ ვისმე ახსოვს ასეთი საშინელი გრიგალი.

## აზერბეიჯანი.

25 იანვარს ღამით დაიწყო ქარბუქი, რომელსაც მოყვა დიდი თოვლი. ტრამვაის მოძრაობა ბაქოში შეჩერებულია. რკინის გზის ხაზზე ბაქო-ხაჩმასი თოვლში გაჩერდა რამოდენიმე საბარგო და სამგზავრო მატარებლები. კასპიის ზღვაზე დიდი ქარია, ნაპირებთან მიმოსვლა შეწყვეტილია.

მეტეოროლოგიური სადგურის ცნობით, ეხლანდელი ქარბუქი აიხსნება ატმოსფერული ძლიერი ზედდაწოლით, რომელიც მოდის ცენტრალურ და სამხრეთ-რუსეთიდან, წინანდელ ქარიშხალთან მას კავშირი არ აქვს.

ბაქოს და მის რაიონში 25 იანვარს დროგამოშვებით სთოვდა. დიდი თოვლის გამო ბაქო-დერბენდს შუა დაწყდა ტელეგრაფის მავთულები, რის გამოც სატელეგრაფო კავშირი შეწყდა.

მდ. მტკვარის შესართავი კვლავ გაიყინა. ყინულის სამტვრევად გაიგზავნა კრატერი.

24 იანვარს ბალაჯარის კვანძზე მძვინვარებდა საშინელი ქარბუქი. გზები დაიფარა ნამქერით. სად. იაშმასთან ძლიერი ქარბუქის და დიდი ნამქერის გამო დაიხურა მოძრაობა მანამდე, ვიდრე გზა არ გაიწმინდება.

---

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

## ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ეკონომიური სამსახური

# ა ც ხ ა დ ე ბ ს

**რომ ქალაქ თბილისის, ბაქოს, მოსკოვის, ერევნის, ბათომის, განჯის, თელავის, ევლახის, ზუგდიდის და ქუთაისის**

საკომერციო სააგენტოებში და ქალაქის სადგურებში
სწარმოებს შემდეგი ოპერაციები:

1. სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ყველა მიმართულებებით (შინ მიტანით).
2. სასაწყობო ოპერაციები.
3. ყველა საკომერციო ოპერაციები.
4. სესხის გაცემა საქონლის გირავნობით, როგორც სამიმოსვლო სადგურებზე, ისე საწყობებში.
5. ტვირთის მიღება, გაგზავნა და გაცემა.
6. ტვირთის გადაგზავნა შარაგზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვა რკინის გზით მუშტრების დავალებით.
8. საბაჟო, სააქციზო და სხვა დავალებათა შესრულება.

**ყველა ზემოხსენებული სატრანსპორტო ოპერაციები სწარმოებს უმცირესი საკომისიო ფასგადახდით.**

საკომერციო სააგენტოები და ქალაქის სადგურები დიდ დახმარებას უწევენ მუშტრებს სარკინისგზო-სატრანსპორტო საქმეებში.

(0—3)

# მოქალაქენო!

## თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

# მ. ლაღიძის

**საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატზე**

მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.

მ. ლაღიძის ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.

(0—3)


მთავლიტი № 142. პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2000

წელიწადი მეორე | ფასი 15 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 8 თებერვალი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11-68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე | № 8

## საბჭოთა არჩევნებისათვის.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში ამ ჟამად სწარმოებს საბჭოების არჩევნები.

ჩვენი ვალია ამ არჩევნებში მივიღოთ აქტიური მონაწილეობა. უაღრესად საჭიროა მშრომელმა გლეხკაცობამ თავი ანებოს არჩევნების დროს განზე დგომას, უნდილ მოქცევას და თავისი აქტიური მონაწილეობით საბჭოებში გაიყვანოს პატიოსანი, მუყაითი, მშრომელი გლეხი.

არჩეული პირი უნდა იყოს გავლენიანი და ნდობით აღჭურვილი, რომელსაც, თუ აირჩევენ—დაუჯერებენ კიდეც.

არჩევნებში მონაწილეობის მიღების დროს ჩვენი ვალია რაც შეიძლება წინ წავწიოთ მოქალაქობრივი შეგნება გლეხისა, რომ ის გახდეს შეგნებული წევრი საბჭოთა რესპუბლიკისა.

რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება გლეხობის მეტმა ნაწილმა,—ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მმართველმა ხელისუფლებამ და თავის დადგენილებებში გამოსთქვა ის აზრი, რომ არჩევნებში უნდა ჩაბმულ იქნას მთელი მშრომელი მოსახლეობა, რომ გატარებულ უნდა იქნას არჩევნების პრინციპის სრული უზრუნველყოფა რომ რაც შეიძლება მეტი რიცხვი იქნას გაყვანილი საბჭოებში.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აქამდის გლეხობასა და ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შორის არ იყო ნდობა; რომ ხშირად ადმინისტრატიული ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა გლეხის თვითმოქმედების უნარი და ნებისყოფა.

მუშათა კომისიის მოხსენებიდან ვგებულობთ, რომ გლეხკაცობა მოითხოვს ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებად „წვერულვაშებიანები“ იყვენ დანიშნულები, თორემ ამ ახალგაზდობამ ვერ დაიმსახურა ჩვენი ნდობაო.

და ამიტომ არის საჭირო საბჭოების არჩევნებში გლეხობის სურვილებმა და გულში ნადებმა სრული გამოხატულება მიიღოს.

ჩვენ ვიცით. რომ ხელისუფლების ლტოლვაც აქეთკენაა მიქცეული. ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია ამას ხელი შევუწყოთ. და თუ აქამდის არჩევნებში მონაწილეობა რაღაც იძულებითი მოვალეობას შეადგენდა, ამიერიდან გლეხი უნდა გრძნობდეს, რომ ეს არის მისი მოქალაქობრივი მოვალეობა.

მაშინ გლეხი დაინტერესდება საბჭოთა მუშაობის ნაყოფიერებით და მოქმედებით, მაშინ ის იგრძნობს საბჭოთა სისტემის ღირსებას და ნაკლულევანებას და ამ მუშაობის დროს ის გამოძებნის და აღნუსხავს იმ მიზეზებსაც, თუ რა პირობები უშლის ხელს, რომ მუშაობა ნაყოფიერად სწარმოებდეს.

გაზეთების ცნობით. უკვე მომხდარ არჩევნებში მონაწილეობა მიუღია მშრომელი მოსახლეობის თითქმის 80 პროცენტს. ეს უკვე ძალიან დიდი პროცენტია.

აღსანიშნავია ისიც, რომ არჩევნებში გაყვანილია უპარტიო გლეხების მნიშვნელოვანი რიცხვი, თითქმის 60-65 პროცენტი.

უზრუნველყოფილია საარჩევნო უფლება.

და გამოძახილი: „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“ მაშინ იქნება შესრულებული, როცა გაიღვიძებს გლეხის აქტივობა სასოფლო მეურნეობის აღორძინებაში, გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობაში და კულტურულ დაწინაურებაში.

მაშინ შეიქნება პირობები გლეხობის უმრავლესობის მუშაობაში ჩაბმისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საბჭოებიც გადაიქცევიან მშრომელი მასის ნებისყოფის გამომხატველ აპარატად.

# ბურჟუაზია და პატარა ერები.

ძველის ძველი ამბავია, მაგრამ ძალიან ახასიათებს ევროპის ბურჟუაზიის დამოკიდებულებას პატარა ერებისადმი.

ეს გახლავთ სომხეთის საკითხი.

დაშნაკცაკანები მოწადინებული იყვენ, რომ ოსმალეთის სომხებისათვის თავისუფლება მოეპოვებიათ და შეექმნათ დამოუკიდებელი სომხეთი. მთელი თავისი იმედები ამ მიზნის განხორციელებაში მათ დაამყარეს ევროპის ბურჟუაზიაზე და ძალიან დიდი ენერგია დახარჯეს, რომ სომხეთის საკითხი ევროპიულ საკითხად გაეხადათ.

ოსმალეთის სომხეთის საკითხით განსაკუთრებით დაინტერესდა ინგლისის ბურჟუაზია და მისი მთავრობა, გამოიდვა კიდეც თავი. საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტში დაშნაკცაკანების წარმომადგენლებმა მოისმინეს შემდეგი: მოგვეცით საკმაო საბუთი, რომ ჩვენ ხმა ავამაღლოთ; ჩვენ მაშინ გამოგესარჩლებით და ენერგიულად, მოვითხოვთ სომხეთის დაცვას და ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევას; ასეთ საბუთად კი გამოდგება მხოლოდ აჯანყებაო.

დაშნაკცაკანების პარტიაც შეუდგა მხნედ მუშაობასა და აჯანყების მოწყობას. მართლაც, იფეთქა აჯანყებამ ერთგან, ორგან, სამგან—სხვა და სხვა ალაგას და სხვა და სხვა დროს.

ამას ბუნებრივად მოჰყვა ოსმალეთის მთავრობის რეპრესიები. რეპრესიებს დაშნაკცაკანების პარტიამ უპასუხა ტერორით და დატრიალდა შემდეგი სურათი: ოსმალეთის მთავრობა იკლებდა სომხების აჯანყებულ სოფლებსა და ჟლეტდა სომხობას, დაშნაკცაკანები აოხრებდენ ოსმალების სოფლებს სომხეთის საზღვრებში და ჟლეტდენ ოსმალებს.

ინგლისის ბურჟუაზიამ და მისმა მთავრობამ თავისი დაპირება პირნათლად შეასრულა. გლადსტონი გამოდიოდა პალატაში და მქუხარე სიტყვებს წარმოსთქვამდა განწირული სომხების სასარგებლოდ და ბარბაროსული ოსმალეთის წინააღმდეგ,—ინგლისის ერი ვერ მოითმენს, რომ ახლო აღმოსავლეთში პატარა საქრისტიანო ერი იჟლიტებოდესო.

მართლა ასე შესტკიოდა გული ინგლისის ბურჟუაზიასა და იმის მთავრობას სომხებისადმი?

რა პასუხია!

ინგლისის ბურჟუაზიას თავისი საკუთარი ინტერესები ჰქონდა ოსმალეთში და სომხეთის საკითხი მან გამოიყენა როგორც საბაბი, რომ ოსმალეთისათვის ძალა დაეტანებია, ვაჭრობა გაემართა მასთან რაც შეიძლება უფრო ხელსაყრელ გარემოებაში და მიეღებინებია მისთვის თავისი პირობები.

სომხების სისხლი საჭირო იყო იმისათვის, რომ ინგლისის ბურჟუაზიას თავისი საკუთარი საქმე გაეჩარხა, თორემ თავისთავად სომხეთი და სომხები მას ფეხებზე ეკიდა.

შედეგი როგორილა იყო?

ოსმალეთის მთავრობა დაშნაკცაკანების ხიშტებზე მძლავრი აღმოჩნდა და ამის გამო ოსმალეთის სომხები უთანასწორო ბრძოლაში გაწყდენ.

სამაგიეროდ ინგლისის ბურჟუაზიამ გაანაღდა ოსმალეთში თავისი ვექსილები და, რაც უნდოდა, მიიღო.

აი როგორ ესარჩლება ევროპის ბურჟუაზია პატარა ერებს.

დაშნაკელებს რომ დაეჭირათ მჭიდრო კავშირი ოსმალეთის მშრომელ ხალხთან და სარევოლიუციო პარტიებთან, მაშინ არც თავის ერს ამოაწყვეტინებდენ და სარგებლობასაც დიდს მოუტანდენ მთელი ოსმალეთის მშრომელ ხალხს.

ისტორია დიდი მასწავლებელია, მაგრამ ყველა ვერა სწავლობს მისგან ჭკუას. ვერაფერი ისწავლეს მისგან იმ პარტიებმაც, რომელთა ხელმძღვანელობითაც ჩვენში პარიტეტული კომიტეტი აჯანყებას აწყობდა.

ის ხალხი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში, დარწმუნებული იყო, რადგანაც ასე დააჯერეს: როგორც კი ჭიათურაში, სენაკში ან ოზურგეთში თოფი გავარდება, ინგლის-საფრანგეთის ჯარი ბათომს მოადგებაო.

ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ აჯანყებულები ლანჩხუთიდან ბათომს ეკითხებოდენ მავთულით—მოვიდა თუ არა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარიო.

დასავლეთ ევროპაში მთელი ძალა-უფლება მსხვილი ბურჟუაზიის ხელშია. მას თვითონა ჰყავს პატარა ერები მონობაში, ყოველგვარ მათს ბრძოლას თავისუფლებისათვის სისხლში ახრჩობს და ჩვენი გულისათვის გამოიდებს ის თავს?

მაშ რათ ლაპარაკობს საქართველოზე?

იმიტომ, რომ საკუთარი ვექსილები უკეთ გაანაღდოს საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან, ან თუ ბედმა გაუღიმა, ხელში ჩაგვიგდოს და თავის კალონიად გადაგვაქციოს.

თუ ჩვენ უჭკუონი გამოვდექით, ევროპის ბურჟუაზია იმგვარადვე გამოგვიყენებს თავისი პირადი მიზნებისათვის, როგორც მან თავის დროზედ გამოიყენა ოსმალეთის სომხები.

შედეგად რას მივიღებთ?

იმას, რაც მიიღეს ოსმალეთის სომხებმა.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მთელი ევროპის ბურჟუაზია მხოლოდ იმასა ცდილობს, რომ როგორმე რუსეთი თავის კალონიად გადააქციოს. ასეთი კალონიები დღეს ძალიან ესაჭიროება როგორც ევროპის, ისე ამერიკის ბურჟუაზიას. მათ უნდოდათ რუსეთი სისხლიდან დაეცალათ, დაესუსტებიათ სამოქალაქო ომით, შემდეგ კი სათითაოდ ჩამოეცალა მისთვის გემრიელი ლუკმა.

ევროპის ბურჟუაზიას მოლოდინი არ გაუმართლდა, დიდმა ხარჯმა უქმად ჩაუარა და ბოლშევიკებმა მისი ზრახვანი გაანიავეს.

რაც ვერ მოახერხა ევროპის ბურჟუაზიამ იარაღით, ძლოკადით და ინტერვენციით, იმას ცდილობს ახლა ის დიპლომატიურის საშუალებით. ამ გზაზე მხარს უჭერს მას ამერიკის ბურჟუაზიაც.

ევროპის ბურჟუაზია ცდილობს, ისეთს ხელშეკრულებაში ჩაითრიოს საბჭოთა ფედერაცია, რომ ფაქტიურად ამხელა ფედერაცია თავის კალონიად გადააქციოს.

ამერიკის ბურჟუაზია კიდევ ოცნებობს, როგორმე საბჭოთა ფედერაციას მოახვიოს დოუესის გეგმა.

დოუესის გეგმა კი იგივე კალონიად გადაქცევაა იმ ერისათვის, რომელიც მის სალტეებში მოექცევა.

ასეა თუ ისე, ევროპისა და ამერიკის შეერთებული ბურჟუაზია მთელი რუსეთის ფედერაციის გადაყლაპვაზე ოცნებობს, გოლიათ ერს არ ინდობს და ჩვენ კი იმდენად შევუყვარდით თურმე, რომ დღე და ღამე ოცნებობს: ჩემს თავს გავსწირავ და პატარა საქართველოს უსათუოდ გავაბედნიერებო!

განა ჩვენ თვითონ არა ვართ მოწამენი, როგორა სძიძგნის ევროპის ბურჟუაზია პატარა ერებს? ინგლისის ბურჟუაზიამ თავისი ტორები დაადო ეგვიპტეს, საფრანგეთის ბურჟუაზია კიდევ ესპანეთის მაროკოს უთვალთვალებს და მარჯვე დროს ელის, რომ ხელში ჩაიგდოს, თუ ინგლისის ბურჟუაზიამ დაანება.

შეიძლება თქვას ვინმემ: ევროპაში არის მეორე ინტერნაციონალი და მას უნდა დავეყრდნოთო. დღეს ევროპაში მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია და არა მეორე ინტერნაციონალის ხელში. მეორე ინტერნაციონალს შეუძლია მხოლოდ ამა თუ იმ სურვილების გამოთქმა, ამა თუ იმ რეზოლიუციის გამოტანა.

კარგი სურვილები იგივე სადღეგრძელოა და სადღეგრძელოებით რომ ვისიმე გაკეთება შეიძლებოდეს, ჩვენისთანა გაკეთებული არავინ არ იქნებოდა.

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.

ჩვენც უნდა დავეყრდნოთ საკუთარ თავს, საკუთარ ძალღონეს და საკუთარ გონიერებას. თუ აი ამ თვალსაზრისით შევხედავთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სინამდვილეს, დავინახავთ, რომ ჩვენ უნდა დავეყრდნოთ საბჭოთა ფედერაციას და განვამტკიცოთ ჩვენი დამოუკიდებლობა ამ ფედერაციაში.

არის თუ არა ეს შესაძლებელი? რასაკვირველია არის, ხოლო ამისათვის საჭიროა არა გაბუტვა, განზე დგომა და ევროპისაკენ ცქერა, არა პარიტეტული კომიტეტები და აჯანყება, არამედ პირის მობრუნება საბჭოთა ფედერაციისაკენ, მტკიცედ დადგომა საბჭოთა პლატფორმაზე და ენერგიული მუშაობა. სამუშაო ბლომათაა, ნაკლულევანებებიც აუარებელი.

ყოველივე ეს ფაქტია, მაგრამ ყოველივე ეს გამოსწორდება ნელნელა და თანდათან, თუ ჩვენ მტკიცედ დავდგებით ახალ გზაზე და მთელის ჩვენის ძალ-ღონით დავეხმარებით საბჭოთა ხელისუფლებას ახალი საქართველოს აღმშენებლობაში.

**ივ. გომართელი.**

# ბარიკადეზზე.

გადმოკეთებული ფრანგულიდან.

**(9 იანვრის 20 წლის თავის აღსანიშნავად).**

ბარიკადებზე, სად ქვაფენილებს
მშრომელთ უმანკო სისხლი სდიოდა,
სადაც დაჭრილთ და დახოცილთ შორის
დამსჯელი რაზმი მიმოდიოდა,
სადაც დახვრეტილ მუშათა ლეში
განუკითხავად ბლომად ეყარა—
სისხლში მოსვრილმა ჯალათთა რაზმმა
დააპატიმრა ბავში პატარა.
— შენც იმათი ხარ?—ჰკითხეს პაწიას.
— დიაღ, გახლავარ!—მანაც მიუგო.
— მაშ, ჩადეგ რიგში, უნდა დაგხვრიტოთ,
მაგ პასუხისთვის სიკვდილი გერგო!..

—

სდგას ბავში რიგში, თანაც უცქერის
გვერდით მდგომ მუშებს როგორ ხოცავენ;
ახლოა რიგი და ერთ წუთს შემდეგ
მასაც დახვრეტენ, მასაც მოკლავენ...

—

უცებ უფროსთან მიიჭრა იგი;
— სახლში მივიდე, მომეცი ნება.
თან საათი მაქვს წამოღებული,
დედას ეკუთვნის და მენანება.
— სტყუი, შე ლეკვო! გინდა გაიქცე!
აბა გვითხარი, სადა გაქვს ბინა?!.
— ვფიცავ შემომქმედს, არ გატყუილებთ,
სახლიც აქვეა შადრევნის წინა.
— მაშ წადი, წადი, შე არამზადავ,
არ დამენახო, გამეცა ჩქარა!
გაიქცა ბავში, და მთელმა რაზმმა
უშნოდ, ბოროტად გადიხარხარა...

—

თვალს მოეფარა, აღარ სჩანს ბავში,
უშნო ხარხარი მაინც არ სწყდება...
მაგრამ უეცრად—გაშეშდა რაზმი,
ამას რას ხედავს, მას წინ რა ხდება?!.
სისხლით შეღებილ ქვაფენილებზე
გამორბის ბავში თავ-გამოდებით,
მიდის კედელთან, სდგება ამაყად
და რაზმს მიმართავს ამ მოწოდებით:
— ჰა, მეც აქა ვარ! ველი ბრძანებას,
რაღას უდგეხართ, მესროლეთ ჩქარა!..
მაგრამ ქვად ქცეულ ჯალათთა რაზმმა
თოფები ზანტად დაბლა დახარა...
... და იდგა ბავში, ელოდა სიკვდილს,
იდგა ამაყი და მოლხენილი,
და იქვე ახლო თრთოდა ჯალათი,
დამარცხებული და შერცხვენილი.

**ხ. ურუშაძე.**

# ქართული პრესა.

გაზეთ „კომუნისტი“-ს 20 იანვრის ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია გორის მაზრის სოფელ სასირეთიდან მიწების გამნაწილებელ კომისიის წევრთა უსამართლო მოქმედებაზე—ისინი თურმე ღარიბ გლეხებს ისევ ართმევენ მიწას და აძლევენ შეძლებულ გლეხებს. ამავე ნომერში მეთაური წერილი ეხება ამ საკითხს და ამბობს:

...„სოფლის ბურჟუაზია არ კმაყოფილდება „კანონიერი“ გზით თავისი კონომიური გაძლიერებით. სოფლის კულაკები ეპოტინებიან ძალა-უფლებისაკენ. ამის მიღწევას ისინი ცდილობენ ორნაირი საშუალებით—ან საბჭოებში, ხელისუფლების და საზოგადოებრივ ორგანოებში თავისი კაცების შეპარებით, ან ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელთა მოსყიდვით, მათთან

„ძმა-ბიჭური“ დამოკიდებულების დამყარებით, ამ გზით მათი თავის გავლენის ქვეშ მოქცევით.

ხსენებულ კორესპონდენციაში ჩვენ გვაქვს საქმე მეორე შემთხვევასთან. სოფლის არჩეული ხუთი კაცი, საბჭოს თუ მიწის კომისიის წევრნი, იმის ნაცვლად, რომ ემსახურონ მშრომელ გლეხობის ინტერესებს, არსებული კანონების მიხედვით მოაწესრიგონ საადგილ-მამულო ურთიერთობანი სოფლად—აკეთებენ კულაკების საქმეს. ეს უკანასკნელნი მათ ათრობენ, შემდეგ კი „ათამაშებენ თავიანთ დუდუკზე“.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენენ გლეხობაზე ასეთი არამზადები თავისი უმზგავსო, აშკარად კონტრრევოლიუციონური მოქმედებით.

ამ პირებს დაშინებული ჰყოლიათ მთელი სოფელი. თუ იქ ჩამოვა მთავრობის წარმომადგენელი, წინასწარ იღებენ ზომებს, რათა არავინ გაბედოს თავისი ჭირ-ვარამი შესჩივლოს მას.

ამნაირად ახშობენ ხალხის სურვილებს, მეშურ-გლეხურ მთავრობას სახელს უტეხენ, გლეხობას აშორებენ მას, იწვევენ მშრომელ მასაში უკმაყოფილებას.

დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენად სწორია კორესპონდენტის მიერ მოყვანილი ფაქტები (რასაც სპეციალური კომისია გამოარკვევს), ჩვენ ასეთი მოვლენა დღეს-დღეობით შესაძლებლად მიგვაჩნია აქა-იქ.

ამიტომ გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებაზე, რომ დღეს, როცა სოფლად მუშაობის საკითხი პრაქტიკულად დგას ჩვენს წინაშე, როცა საბჭოთა აპარატი უნდა დაუახლოვდეს ხალხს,—უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება სოფლად საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას, ყოველგვარი თვითნებობის, მექრთამეობის, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას. აქვე დგას საკითხი სოფლის აპარატის გაჯანსაღების, სოფლის ორგანოებში მტკიცე, გლეხობის ინტერესების ნამდვილ დამცველების გაყვანის. მომავალ საბჭოთა არჩევნებმა ამ მხრივ უნდა შეასრულონ უდიდესი როლი“.

* * *

მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ ბოლო ხანებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას მოსდის პროვინციიდან მეტად გაბედული და დაურიდებელი, ადგილობრივი მოხელეების უკანონო მოქმედების მამხილებელი კორესპონდენციები. ერთი ასეთი კორესპონდენცია ეხება მცხეთის რაიონულ აღმასკომის „მოღვაწეობას“ მოჰყავს რა გაზეთ „კომუნისტს“ ეს კორესპონდენცია, მას უძღვნის მეთაურ წერილს, სადაც შემდეგს ამბობს:

...„ეს „მოღვაწეობა“ შეიცავს ბოროტმოქმედების, უმოქმედობის, ამომრჩეველთა უფლება-ინტერესების აბუჩად აგდების „თაიგულს“. იგი გვიჩვენებს, თუ როგორი არ უნდა იყოს საბჭოთა ორგანო, თუ როგორ არ უნდა მოქმედებდეს ის.

ხსენებული აღმასკომი სავსებით ჩამოშორებია როგორც მოსახლეობას, ისე მის წარმომადგენლებს—საბჭოს. შვიდი თვის განმავლობაში ერთხელაც არ მოუწვევია საბჭოს სხდომა. მას სულ ტყუილად რქმევია „აღმასკომის“ სახელი, ე. ი. მშრომელი ხალხის და მისი დეპუტატების—საბჭოს ნებისყოფის, სურვილების აღმასრულებელ-გამტარებელ ორგანოს სახელი. მცხეთის რაიონულ აღმასკომს არ მიაჩნდა თავისი თავი საბჭოსადმი ქვემდებარე და ანგარიშ-ვალდებულ ორგანოდ. იგი მას სრულებით არ უწევდა ანგარიშს და იქცეოდა ისე, როგორც მოეპრიანებოდა.

წარმოიდგინეთ, როცა, მიუხედავად „აღმასკომის“ სისტემატიური საბოტაჟისა საბჭოს სხდომის მოწვევის საკითხში, ადგილობრივმა ამხანაგებმა მოიწვიეს ეს საბჭო, რის შესახებ აცნობეს აღმასკომს და სთხოვეს საანგარიშო მოხსენების გაკეთება თავისი მოქმედების შესახებ,—მან „მობრძანებაც“ „აღარ ინება“.

წარმოუდგენელია ამაზე უფრო დამახინჯება საბჭოთა წყობილების ბუნების.—ყველაფერი მე ვარ, საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თვით ხალხი რას მიქვია,—აი, მცხეთის არამზადების „პოლიტიკა“. ზედმეტია ლაპარაკი მშრომელ მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობაზე მართვა-გამგეობაში, აღმშენებლობაში, რაზედაც ჩვენ მუდამ-დღე გავიძახით,—როცა ასეთი „მეთაურები“ მოქცევიან მთელ რაიონს და ისიც მეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

მაგრამ შეიძლება თვით „აღმასკომი“ „მოწყალებას იღებდა“ და აკეთებდა რამეს მოსახლეობის სასარგებლოდ, თუნდაც მის დაუკითხავად? დადებითი რომ ნამცეცის ოდენა არ გაუკეთებია, ხელიც არ გაუნძრევია, თუმცა ნივთიერი პირობები ამის საშუალებას იძლეოდა,—მას საგრძნობი შემოსავალი ჰქონდა. ერთი ფაქტი: მცხეთისათვის ისეთი მნიშვნელოვანი საქმე გაუკეთებიათ ჩვენს ამხანაგებს და გლეხობას, როგორიცაა წყალსადენის გაყვანა, აღმასკომს კი ამაზე არაფერი ცოდნია. ის ერთხელაც არ მისულა გლეხებთან, რომელნიც ამაზე მუშაობდნენ.

სამაგიეროდ, თუ აღმშენებლობითი მუშაობაზე, გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, თავს არ იტკივებდა აწ „საისტორიოდ“ გამხდარი „აღმასკომი“, მისი ზოგიერთი წევრები იშვიათ „უნარს“ და „სიმარჯვეს“ იჩენდენ თავის ჯიბის გასქელების საქმეში.

მცხეთის „მოღვაწეები“ არავითარ გარჩევას არ ხედავდენ პირადი ჯამაგირებსა და აღმასკომის შემოსავალს შორის. ეს უკანასკნელიც თითქმის სავსებით მათ განკარგულებაში იყო პირადი საჭიროებისათვის. ხალხის ქონების სისტემატიური მითვისება და გაფლანგვა მათ „პროფესიად“ ჰქონიათ გადაქცეული.

სათანადო ორგანო უკვე შეუდგა საქმის გამოძიებას. დამნაშავე პირები მიიღებენ დამსახურებულ „ჯილდოს“.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი ადვილადაც არ ამოიწურება მცხეთის „გმირების“ „მუშაობის“ გამორკვევით და მათი დასჯით.

ჩვენს წინაშე დგას გაცილებით უფრო ფართე ამოცანა: საერთოდ სოფლის საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება, უღირსი ელემენტების გაძევება იქიდან, საბჭოების გამოცოცხლება.

ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, საბჭოთა მიმდინარე არჩევნებთან დაკავშირებით.

ჩვენ უნდა გავხადოთ საბჭოები ნამდვილ მომქმედ, სახალხო ორგანოებად. სიმძიმის ცენტრი უნდა იქნას გადატანილი აღმასკომებიდან საბჭოებში. ჩვენ ძირ-ფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ ისეთი მდგომარეობა, როცა აღმასკომი ბრძანებლობს საბჭოზე, როცა იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს მას. ყოველი სასოფლო საკითხის გადაჭრა და საჭირო ღონისძიებების გატარება უნდა ხდებოდეს გლეხობის, პირველ ყოვლისა საბჭოს წევრების აქტიური მონაწილეობით.

ამას კი მივაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საბჭოებში და სახელმძღვანელო თანამდებობებზე გავიყვანთ შეგნებულ, პატიოსან და ენერგიულ გლეხებს, როცა მთელი მოწინავე გლეხობა შემოკრბება თავის საბჭოს გარშემო.

ამითვე ბოლო მოეღება სოფლად ყოველგვარ თვითნებობას და ბოროტმოქმედებას.

ამასთან უნდა გაძლიერდეს ზევით მდგომ ორგანოების, კერძოდ ცენტრის კონტროლი სოფლის ორგანოებზე. თორემ არაფერს გავს ისეთი მდგომარეობა, როცა დედა-ქალაქის ყურთან ადგილი აქვს ისეთ უმსგავსოებას, რომლის სურათს იძლევა ხსენებული კორესპონდენცია“.

# სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პასუხი ამსტერდამის ინტერნაციონალს *).

29 იანვარს შესდგა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა პროფკავშირთა ყველა ცენტრალურ კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით. პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს შემდეგი პასუხი პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო გაერთიანების მიმართ:

„პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციას.

ასლი ინგლისის ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს მდივანს ბრამლის და პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარეს პერსელს“.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა კავშირების ყველა ცენტრალურ კომიტეტების წარმომადგენლების თანადასწრებით ამა წლის 29 იანვრის სხდომაზე განიხილა თქვენი წერილი, შედგენილი 5 დეკემბრის თარიღით; პრეზიდიუმი განცვიფრებულია ამ წერილით, რომელიც, ჩვენის აზრით, შესაძლებელია იყოს შედეგი ან გაუგებრობის, ან ჩვენი სავსებით ხათელი წერილების ტენდენციურად გაგების.

თქვენი წერილის „ბ“ პარაგრაფში ნათქვამია, რომ თითქოს ჩვენ მოვითხოვდეთ თქვენგან, როგორც პირველ ნაბიჯს მთლიანობის განხორციელებისათვის, ყველა პროფორგანიზაციების საერთაშორისო კონგრესის მოწვევას, როცა ჩვენ ჩვენი მხრით ვსთვლით რა ყოველთვის ამ ღონისძიებას ყველაზე უფრო სამართლიან, ყველაზე უფრო მიზანშეწონილ ნაბიჯად მუშათა საერთაშორისო მოძრაობის მთლიანობის განხორციელებისათვის. გაძლევთ წინადადებას შესდგეს პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი, რასაც ვსთვლით პირველ ნაბიჯად პროფკავშირთა საერთაშორისო ძთლიანობისათვის.

მხოლოდ ეს არის ჩვენი პრაქტიკული წინადადება თქვენდამი ამჟამად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროფკავშირთა საერთაშორისრ ფედერაციის და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელთა ამ თათბირმა—რომელსაც დაესწრებიან წარმომადგენლები იმ რაოდენობით, რომლის შესახებ ორივე მხარე შეთანხმდება,—თავის ამოცანად უნდა დაისახოს იმ მეთოდების და წესების შემუშავება, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა სრული ერთსულოვნების მიღწევა, ერთსულოვნების, რომელიც უზრუნველყოფს პროფკავშირთა გაერთიანებულ ინტერნაციონალურ ორგანიზაციის შექმნას, რომელშიაც შევლენ როგორც პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის, ისე პროფინტერნის მომხრე ყველა პროფკავშირები.

როგორც ერთს, ისე მეორე მხარეს ამ პირველ ნაბიჯთან უნდა აკავშირებდეს მხოლოდ მუშათა მოძრაობის მთლიანობის დამყარების გულწრფელი სურვილი, რომელიც თვალსაჩინო უნდა იყოს პირველყოვლისა. რაღაც წინასწარი პირობები მხოლოდ შეაფერხებდენ საერთაშორისო გაერთიანების საქმეს.

თუ საერთო ნიადაგი გამონახული იქნება ამ გაერთიანებულ თათბირზე, ჩვენის აზრით, დანარჩენი მხარეები არ იქნება ძნელი. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველი ნაბიჯი გადადგმული უნდა იქნეს სწორედ იმ კონფერენციის მოწვევით, რომლის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ და რომლის განხილვის წინადადება მოგეცით თქვენ.

პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების იდეა თანდათან მეტ გამარჯვებებს აღწევს მთელ რიგ ქვეყნებში მუშებს შორის პოლიტიკურ ბანაკთა მიუხედავად. ეს ჩვენ იმედს გვაძლევს, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ შევსძლებთ წინ წავსწიოთ პრაქტიკულად საერთაშორისო გაერთიანების საქმე.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარე ტომსკი.
მდივანი დოგადოვი.

*) ამსტერდამის ინტერნაციონალის წერილი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სახელზე მოთავსებული იყო მოსკოვის „პრავდა“-ს 16 დეკემბრის ნომერში.

# გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.

**ინგლისის მუშათა პარტიის ფრთხილი პოლიტიკა.**

მუშათა პარტიის აღმასკომმა წინადადება მისცა ქვეკომისიას, რომელმაც უნდა განახორციელოს მუშათა პარტიის კონფერენციის დადგენილება კომუნისტების გამორიცხვის შესახებ, შეაგროვოს დამატებითი ცნობები და წარუდგინოს ისინი აღმასკომს იმ ანგარიშით, რომ აღმასკომმა შესძლოს მოხსენების გაკეთება უახლოეს წლიურ კონფერენციაზე.

აღმასკომის ეს დადგენილება ნიშნავს იმას, რომ რეზოლიუცია მუშათა პარტიიდან კომუნისტების გამორიცხვის შესახებ ჯერჯერობით მოყვანილი არ იქნება სისრულეში.

**კონფლიქტი უნგრეთის სოციალ-დემოკრატიაში.**

უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უახლოესი ყრილობა განიხილავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც გამომდინარეობენ მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის კომისიის გადაწყვეტილებებიდან იმ კონფლიქტის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს ცეკასა და უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპოზიციის შორის.

მიღებულ ვალდებულების გამო იმის შესახებ, რომ ოპოზიციას უნდა მიენიჭოს კრიტიკის და პარტიის ყრილობისათვის მზადების თავისუფლება, ცეკა სცდილობს გააძლიეროს დევნა არა ოპოზიციონურ პარტიულ ორგანიზაციების, არამედ ოპოზიციონურ პროფკავშირების მიმართ: ეს კი გამოიწვევს იმას, რომ ოპოზიციას საშუალება არ ექნება პარტიული მუშაობა აწარმოოს, რადგან პარტია და პროფკავშირები მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

საამშენებლო დარგის მუშების პროფკავშირის პრეზიდიუმი იმუქრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია გააგრძელებს ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ, მა-

შინ ის ოპოზიციონერებს აღარ შეუშვებს პროფკავშირის სახლში. უბრალო წევრების სულიერი განწყობილება ხასიათდება კავშირიდან გამორიცხულ სამი მუშის არჩევით იმავე პროფკავშირის დურგალთა სექციის პრეზიდიუმში.

**კომუნისტების დევნა გერმანიაში.**

ბერლინის პრესა აზვიადებს ცნობებს ბავარიაში კომუნისტების დაპატიმრების და იმ ასაფეთქებელ მასალების საწყობის კონფისკაციის შესახებ, რომელიც თითქოს ეკუთვნოდა კომუნისტებს. გაზეთები ამ ცნობებს სათაურებად უკეთებენ: „კომუნისტების სკოლა სამოქალაქო ომის მოსამზადებლად“ და სხვა.

მთელი ამ კამპანიის მიზანია სათანადო ატმოსფერის შექმნა „გერმანიის ჩეკას“ მომავალ პროცესისათვის და ამას გარდა გერმანიის პოზიციის განმტკიცება ანტანტასთან მოლაპარაკების დროს საიდუმლო პოლიციის დატოვების შესახებ.

მიუნხენის პოლიციამ დააპატიმრა 33 კომუნისტი, რომელთაც ბრალდებათ მებრძოლი რაზმების შედგენა სამხრეთ ბავარიაში. დაპატიმრების დროს თითქოს აღმოაჩინეს მრავალი დოკუმენტები. დაპატიმრებულებს სახელმწიფო ღალატისათვის გაასამართლებს ლეიპციგის ტრიბუნალი.

**ბულგარეთ-რუმინეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულება.**

სტამბოლიდან „ტეფხიდ ეფკიარი“ ათავსებს მიღებულ ცნობას ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიასა და რუმინეთს შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ.

ამ ცნობების თანახმად, ბულგარეთი უარს აცხადებს მაკედონიაზე სამხრეთ-სლავიის სასარგებლოდ, აქრობს მაკედონელების მოძრაობას. ბულგარეთის ტერიტორიაზე და მხარს უჭერს სამხრეთ-სლავიის პრეტენზიებს სალონიკზე. სამხრეთ-სლავია სდევნის ბულგარეთის ემიგრანტებს თავის ტერიტორიაზე და მხარს უჭერს ბულგარეთის პრეტენზიებს დასავლეთ ფრაკიაზე, ნავთსადგურ დედეაგაჩზე და ენოს-ჩარლუ-მილიას ოსმალეთის ხაზზე შემდეგ ბულგარეთი უარს ამბობს დობრუჯზე და ნებას რთავს დობრუჯელ ლტოლვილებს დაბრუნდენ თავის ტერიტორიაზე.

ბულგარეთი და სამხრეთ-სლავია მხარს უჭერენ რუმინეთის პრეტენზიებს ბესარაბიაზე და რუმინეთის მოთხოვნილებას-ვრანგელის მიერ დაბრუნებული ფლოტი არ იქნას გაშვებული სრუტეებში.

გაზეთი ფიქრობს, რომ ეს კავშირი მოაწყო ინგლისმა და აღნიშნავს, რომ ინგლისს განზრახული აქვს შექმნას ორი საზღვაო ბაზა:— ერთი—რუმინეთში, მეორე—ბულგარეთის დედეაგაჩში.

**ბუკოვინის კომიტეტის პროტესტი**

ვენაში დაარსებულმა ბუკოვინის კომიტეტმა ერთა ლიგას მიმართა პეტიციით, რომელშიაც პროტესტს აცხადებს რუმინეთის მიერ უკრაინული მოსახლეობის დევნის წინააღმდეგ. პეტიცია ეყრდნობა ერების უფლებას თვითგამორკვევაზე და მოითხოვს პლებისციტის დანიშვნას. ერთა ლიგის განყოფილებამ, რომელიც განაგებს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებს, უარი სთქვა პეტიციის ერთა ლიგის საბჭოსათვის გადაცემაზე; განყოფილება ეყრდნობა იმას, რომ პეტიცია არ აკმაყოფილებს დებულებას ეროვნულ უმცირესობათა პეტიციების შესახებ.

**დოკუმენტების დაკარგვა.**

პარიზში სარეპარაციო კომისიის შენობაში აღმოაჩინეს, რომ გატაცებულია მთელი რიგი დოკუმენტებისა. იტყობინებიან, რომ კომისიის მდივანმა გაყიდა ამერიკაში მნიშვნელოვანი საიდუმლო დედნები, რომლებიც შეეხება ვერსალის მოლაპარაკებას და კანნის კონფერენციას. დაპატიმრების დროს მდივანს აღმოაჩნდა დაკარგული დოკუმენტების ნაწილი.

სარეპარაციო კომისიის მდივანმა, რომელმაც გაიტაცა აღნიშნული კომისიის მთელი რიგი დოკუმენტები, განაცხადა, რომ მათი ნაწილი მან მიჰყიდა ერთ ამერიკელს, რომელსაც, მისი სიტყვით, ძალიან ესაჭიროებოდა სწორი ცნობები თავისი წიგნისათვის, რომელიც შეეხება ევროპის პოლიტიკას ომის შემდეგ.

**ამერიკა ერევა ჩინეთის საქმეებში.**

ოფიციალურად იტყობინებიან, რომ შეერთებული შტატების ჯარები, რომლებიც ფილიპიის კუნძულებზე იმყოფებიან, მზად არიან შანხაიზე გასალაშქრებლად, თუ ეს საჭირო იქნება ამერიკის მოქალაქეთა სიცოცხლის და ქონების დასაცავად.

ამერიკის ყველა სამხედრო გემებმა, რომლებიც ჩინეთის წყლებში იმყოფებიან, უკვე მიიღეს ბრძანება წავიდენ შანხაიაში.

**ესტონეთს უნდა მშვიდობიანი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.**

სახელმწიფო საბჭო კრებაზე ყოფ. მთავარსარდალმა ლაიდონერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შეეხო ესტონეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და განაცხადა: „ჩვენთვის აქსიომას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ჩვენი აღმოსავლეთის მეზობელის მიმართ უნდა ვაწარმოოთ მშვიდობიანობის პოლიტიკა. ჩვენ ვცხოვრობთ საბჭოთა კავშირის გვერდით და უნდა ვიღებდეთ ყოველგვარ ზომებს, რომ ჩვენი ურთიერთობა იყოს ბუნებრივი და წესიერი. ამავე დროს საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, თუ საიდან სწარმოებს პროპაგანდა: აწარმოებს მას საბჭოთა მთავრობა, თუ საერთაშორისო ორგანიზაცია. ეს ჩვენთვის წარმოადგენს საფრთხეს. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამ საშიშროების წინააღმდეგ, მაგრამ ძალა არ შეგვწევს მოვსპოთ იგი. ჩვენ ყოველი გზით უნდა ვცდილობდეთ ვიცხოვროთ ჩვენგან აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ სახელმწიფოსთან მშვიდობიან და მეგობრულ განწყობილებაში.

**მეგობრული დამოკიდებულება ოსმალეთთან-უზრუნველყოფილია.**

როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ოსმალეთის რწმუნებულმა მოსკოვში ზენის-ბეიმ განაცხადა: მე სრულებით სამართლიანად მიმაჩნია თუ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირისათვის დაბრუნებული შავი ზღვის ფლოტი გაივლის დარდანელში და ბოსფორში. ჩემი მხრივ მე სრულებით სამართლიანად მიმაჩნია, საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილება იმ გემების დაბრუნების შესახებ, რომელიც რუსეთის ხალხის საკუთრებას წარმოადგენენ. დასასრულ ზენის-ბეიმ გამოსთქვა რწმენა, რომ იმ მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის, მომავალშიც ვერაფერი ვერ დაარღვევს.

### ისევ ყალბი დოკუმენტები.

სამხრეთ-სლავიის მთავრობა განაგრძობს რადიჩის პარტიის დევნას; მთავრობამ გამოაქვეყნა სამი დოკუმენტი, მათ შორის ვენიდან გაგზავნილი გლეხთა ინტერნაციონალის ყალბი წერილი, რომელსაც, თითქოს, ხელს აწერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პარიზში, კრასინი, როგორც გლეხთა ინტერნაციონალის საორგანიზაციო ბიუროს მდივანი.

### ბურჟუაზიასთან ერთიანი ფრონტი მიუღებელია.

დამთავრდა ბულგარეთის გლეხური პარტიის უმაღლესი პარტიული საბჭოს სხდომა, რომელსაც უნდა გადაეჭრა საკითხი პარტიის მომავალი ტაქტიკის შესახებ. ბულგარეთის ოფიციალური სააგენტოს ცნობით, ამ სხდომაზე დამარცხდა პარტიის მემარჯვენე ფრთა, რომელიც მოითხოვდა ბურჟუაზიულ ოპოზიციონურ პარტიებთან ერთიანი ფრონტის შექმნას.

### ბაქო-ფოთი თუ ბაქო-ბათომი.

ფოთში ჩამოვიდა „აზნეფთის“ საგანგებო კომისია ფოთის პორტის ეკონომიურ და ტეხნიკურ შესაძლებლობათა გამოსარკვევად, ბაქო-ფოთის განზრახულ ნავთსადენის გაყვანასთან დაკავშირებით. შესდგა კომისიის თათბირი ნავთსადგურის სამმართველოს და აღმასკომის წარმომადგენლებთან ერთად. გამოკვლეულ იქნა ტერიტორიის ნაწილი რომლის ნავთსაცავი შენობების და ნავთსაწყობების ასაგებად გამოყენება შეიძლება. ცნობები, რომელსაც კომისია ჰკრებს, აუცილებელია იმის გადასაწყვეტად, თუ რომელ ვარიანტს უნდა მიეცეს უპირატესობა: ბაქო-ფოთსა თუ ბაქო-ბათომს. კომისია მიემგზავრება ბათომში ანალოგიური გამოკვლევის მოსახდენად.

## სკოლა და პიონერთა მოძრაობა.

განახლებული ცხოვრება დღეს მეტად დიდ მოთხოვნილებებს აყენებს სასკოლო ასაკის ბავშვის წინაშე: ერთის მხრივ სკოლა, სასკოლო მეცადინეობა, მეორეს მხრივ—პიონერული მოძრაობა. ბავშვი ერთნაირის ხალისით ეკიდება ორივე მხარეს. მაგრამ მისი ჯანმრთელობა ვერ იტანს ამდენ შრომას; იგი ავადდება, ფიზიკურად სნეულდება. ხშირი მოვლენაა ბავშვებში სისხლნაკლულობა, ფარული ჭლექი, ნერვიული მოვლენები, გულის მუშაობის ფუნქციონალური მოშლა და სხვ. გაზ. „პრავდა“-ში ამ საკითხს ეხება ს. კანცსონი. მას მოჰყავს ბავშვების დაავადმყოფების საინტერესო ცნობები უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში, რომელიც შეკრიბა მოსკოვის პროფილაქტიურმა საბავშვო ამბულატორიამ 20.000 მოწაფეზე დაკვირვების გზით. ამ ცნობების მიხედვით სისხლნაკლულობით იყო დაავადმყოფებული: 1914 წ.—9,0%, 1920 წ.—11.2%, 1921 წ.—15.9%, 1922 წ.—21,9%, 1923 წ. 39.3%, 1924 წ. პირვ. ნახ.—42.8%; გულის მოძრაობის ფუნქც. მოშლით: რიგზე იმავე წლებში—4.2%, 8.%, 13.5%, 23.5%, 27.9%, 36.0%. ავტორის აზრით, დაავადმყოფებას იწვევს უმთავრესად არა სასკოლო მეცადინეობა, არამედ საზოგადოებრივი პიონერული მოძრაობა. ამიტომ უბედურების თავიდან ასაცილებლად, მისი აზრით, საჭიროა პიონერებმა განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩააყენონ თავიანთი მუშაობა და შემოზღუდონ იგი სკოლის კედლებით.

## ეკონომიური ცხოვრება.

### კოოპერატივების ქსელი.

გას. წ. 1 დეკემბრისათვის საბჭ. კავშირის მომხმარებელი კოოპერაციის სისტემაში ითვლებოდა 252 კავშირი წინააღმდეგ 146 კავშირისა 24 წლის 1 იანვრ. ამ რიცხვში შედის 8 ისეთი კავშირი, რომლებიც მეურნეობის მხრივ მთლიან რაიონებს აკავშირებენ; მაგ., ციმბირის კავშირი, ურალისა, ჩრდილო-კავკასიის, ამიერ-კავკასიისა და სხვა. მისაღებია მხედველობაში ის გარემოება, რომ გასული წლის განმავლობაში ალაგი ჰქონდა კოოპერატივების რეორგანიზაციას იმ მხრივ, რომ საგუბერნიო და სხვა კავშირები იყოფოდა წვრილ-წვრილ სარაიონო კავშირებად. მაგრამ ალაგი აქვს საწინააღმდეგო მოვლენასაც: არის შემთხვევები, რომ რაიონული კავშირები ერთიანდებიან უფრო ფართო და მძლავრ კავშირებში. გაერთიანების მთავარი მიზანია ფინანსიური გაღონიერება, ბრუნვის გადიდება და ამით ხარჯების პროცენტების შემცირება. თითქმის მთელი მომხმარებელი კოოპერაცია უკვე გადასულია თავისუფალი წევრობის პრინციპზე. კოოპერაციის ძირითად პრობლემას 1925 წლისათვის შეადგენს საკუთარი სახსრების გაჩონახვა და გაძლიერება, ვინაიდან დახმარება სახელმწიფოს მხრივ, რითაც წინად სარგებლობდა კოოპერაცია, ახლა საგრძნობლად შემცირებულია.

### შაქრის წარმოება.

გასული წლის შაქრის წარმოების კომპანია ახლა უკვე დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. 108 ქარხნიდან 106-მა უკვე დაასრულა წარმოება. უკვე დამზადებულია 24.72 მილ. ფუთი თეთრი შაქარი, რომლის რაოდენობაც დასახელებული 2 ქარხნის მიერ წარმოების დასრულების შემდეგ დაახლოვებით 24.8 მილ. ფუთამდე გაიზრდება. საერთოდ, წარმოება 1924 წელს უფრო დამაკმაყოფილებელი იყო, ვიდრე 1923 წელს. საშუალო ნაყოფიერება 1914-15 წ. წ. ნაყოფიერების 87.7%-ს შეადგენს წინააღმდეგ 80.1%-სა 1923 წელში.

### ნავთის მრეწველობა.

ნავთის მრეწველობის ტეხნიკის გასაცნობად ამერიკაში გაგზავნილმა ბაქოს ნავთის მრეწველობის ხელმძღვანელმა სერებროვსკიმ, სხვათა შორის შემდეგი განაცხადა იმის შესახებ, თუ როგორ არის დაყენებული აღნიშნული მრეწველობა ამერიკაში და საბჭოთა კავშირში: ამერიკაში შედარებით იაფი ჯდება როგორც ჭების გასაჭრელი, ისე ნავთის საექსპლოატაციო მუშაობაც. მუშები შედარებით დიდ ხელფასს იღებენ. მაგრამ ნავთის თვითღირებულება მაინც უფრო მცირეა, ვიდრე ჩვენში. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ ამერიკაში უფრო მარ-

ტივი, იაფი და მიზანშეწონილი სამუშაო იარაღები აქვთ, ვიდრე ჩვენში. განსაკუთრებით ეს ჰების გაჭრაზე ითქმის. იქ უფრო ვიწრო ჰებს სჭრიან და გაუმჯობესებულ იარაღებით, რაც საგრძნობად ამცირებს ნავთის თვითღირებულებას. ექსპლოატაციაში ამერიკელები ხმარობენ გრძელ ყელიან ტუმბოებს, რაც ჩვენ არა გვაქვს გამოყენებული და რაც დიდად აიაფებს საექსპლოატაციო მუშაობას. ჩვენი ნავთის მრეწველობისათვის ახლა მთავარ პრობლემას წარმოადგენს ნავთის თვითღირებულების შემცირება. ამ მიზნისათვის ჩვენ უნდა შემოვიღოთ მრეწველობის ხელახალი მოწყობა—ახალი იარაღები, ხელსაწყოები. ამერიკიდან გამოწერილია ახალი მოწყობილობის ნიმუშები, რის მიხედვითაც ჩვენ უნდა შევძლოთ დავამზადოთ ჩვენს ქარხნებში ყველაფერი, რაც საჭიროა მუშაობის გადასახალისებლად. მუშაობისათვის საჭიროა დიდი თანხა, განსაკუთრებით ტუმბოების დასამზადებლად, რაც მრეწველობას სჭირდება 2.500 ცალამდე და რაც საჩქაროდ უნდა იქნეს შეძენილი. დასასრულ, თვითღირებულების საკითხისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხელფასის ღირებულების რაოდენობას, რაც პროდუქტის საერთო ღირებულების 27-40%-ს შეადგენს. ამერიკაში ხელფასის რაოდენობის პროცენტიც მცირეა, რაც სერებრიაკოვის აზრით, იმით აიხსნება, რომ ამერიკელი მუშები გაცილებით უფრო ინტენსიურად მუშაობენ, ვიდრე ჩვენი მუშები. ამის მისაღწევად საჭიროა მუშის სრული მატერიალური უზრუნველყოფა.

ბაქოს ნავთის მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა მიმდინარე საოპერაციო წლის*) მეორე განაკვეთისათვის შემდეგია. დამტკიცებული საფინანსო გეგმის თანახმად, მრეწველობის შემოსავლის ნაწილში უნდა მიეღო პირველი განაკვეთის განმავლობაში ნავთის სინდიკატისაგან საშინაო ვაჭრობიდან და ექსპორტიდან შემოსული 21. 178 მან., ფაქტიურად კი მიიღო—17,619 მან. თუ კი ამასთანავე სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მრეწველობამ პირველ განაკვეთში გეგმაში გათვალისწინებულთან შედარებით მცირე კრედიტები მიიღო, მაშინ აშკარა იქნება ის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა, რასაც ნავთის მრეწველობა განიცდის. ასეთმა მდგომარეობამ, ცხადია, სათანადო გავლენა მოახდინა მრეწველობის საგასავალო ნაწილზედაც: შემცირებული იქნა სამრეწ. მასალების დამზადება და კაპიტალური ხარჯები. ამავე დროს სრულიად დარიგებულია სამუშაო ქირა, გადახდილია ფინ. კომ-ტის ორგანოების ვალები და განლდებულია თამასუქები (რომელიც გასულ საოპ. წელში იყო გაცემული). შემდეგი ციფრები გვიჩვენებს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც შეიქნა საწარმ. მასალების დამზადების საქმეში. გეგმის თანახმად, ბაქოს მრეწველობას უნდა დაემზადებია პირველ განაკვეთში 6 მილ. მანეთის საწარმოო მასალა; დამზადებული იქნა კი მხოლოდ 1.500.000 მანეთის. ამრიგად, საწარ. მასალების დასამზადებლად საჭირო თანხის 75%-ი, აგრეთვე კაპიტალური ხარჯების შეუსრულებელი ნაწილი პირველ განაკვეთიდან გადადის მეორე განაკვეთში; მდგომარეობა რთულდება კიდევ იმით, რომ გადახდილი უნდა იქნეს კომუნალური ხარჯები ბაქოს საბჭოს სასარგებლოდ. უკანასკნელმა სტიქიურმა უბედურებამ კიდევ უფრო გაართულა ბაქოს მრეწ-ის ფინანსიური მდგომარეობა.

---

*) იწყება სექტემბრიდან.

## ძირითადი კაპიტალის აღდგენის საკითხი.

საბჭოთა მრეწველობის ძირითად პრობლემას ამჟამად წარმოადგენს პრობლემა ძირითადი კაპიტალის აღდგენის შესახებ. 13 იანვარს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს.-ს ხელმძღვანელთა თათბირი, რომელმაც გადასწყვიტა მუშაობის მუდმივ სახელმძღვანელოდ დაარსოს ს. მ. უმ. ს.-თან მუდმივი თათბირი ამხ. ძერჟინსკის თავმჯდომარეობით. ამ თათბირმა უნდა შეიმუშაოს საერთო ხასიათის მეთოდები ძირითადი კაპიტალის აღსადგენად, გააბას კავშირი ადგილებთან და აწარმოოს მუშაობა უფრო მიზანშეწონილად, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა. ამასთანავე თათბირს ევალება ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმების შედგენა მრეწველობის ცალკე დარგების ძირითადი კაპიტალის აღსადგენად და შემდეგ საერთო გეგმის შემუშავება მთელი საბჭ. კავშირისათვის.

განსაკუთრებულმა თათბირმა განიხილა საკითხი ძირითად კაპიტალი აღდგენის შესახებ საქსოვს მრეწველობის ცალკე დარგებში. თათბირზე გამოირკვა, რომ არ არის მოწესრიგებული საქსოვი მანქანების აგების საქმე: აღნიშნულია დიდი ნაკლებობა მანქანების წვრილმან ნაწილებისა და ლითონის. დაკვეთა რომელიც რუსეთის ქარხნებს გადაეცა, სრულდება ძალიან დაგვიანებით. შემდეგ თათბირზე აღნიშნეს, რომ 12 ტრესტის საამორტიზაციო კაპიტალი 70 მილ. მანეთს უდრის; მაგრამ აქედან ძირითადი მოწყობილობის (მანქანებისა და სხვა) აღსადგენად მრეწველობას შეუძლია გადასდოს არა უმეტეს ნახევარისა. ფაბრიკების მიმდინარე კაპიტალური რემონტი ითხოვს არა ნაკლებ 24 მილ. მანეთისა. ასე რომ, წარმოების გაფართოებას ამ დარგში წინ ელობება თითქმის გარდაუვალი დაბრკოლებები.

## მეურნეობის მთავარი დარგების მდგომარეობა

ომის წინანდელი დროის წარმოებასთან შედარებით 1923-24 წ.წ სახალხო მეურნეობის მთავარი დარგების განვითარება შემდეგ სურათს წარმოადგენდა: ტრანსპორტის განვითარებამ მიაღწია ე. წ. წარმოების 26%-ს, საქსოვი წარმოება—60%-ს, ქიმიური მრეწველობა—49%-ს, სასოფლო მეურნეობა: სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა—88%, მოსავალი—60%-ს, სათბობი მასალა—54%-ს, ლითონის მრეწველობამ კი—მხოლოდ 16-17%-ს. უკანასკნელ თვეებში წარმოება წინ წავიდა. მაგრამ ლითონის მრეწველობა მაინც ყველაზე უფრო სუსტ ადგილს წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობაში. ეს გარემოება არის, სხვათა შორის, მთავარი, რაც ძალზე აფერხებს ძირითადი კაპიტალის აღდგენის პროცესს. ამიტომ საბჭოთა მთავრობის მთავარი ყურადღებაც სწორედ ამ დარგის წარმოების გაძლიერებისაკენაა მიქცეული.

## სახელმწიფო ვაჭრობა.

10 იანვარს მოსკოვში დასრულდა საბირჟო ვაჭრობის ყრილობათა პლენუმი. მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუციები. მოგვყავს ზოგიერთი რეზოლიუციის შინაარსი.

**სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარი.**

რეზოლიუცია საჭიროდ სთვლის, რათა მთავრობის სათანადო ორგანოებმა თავიანთი ფასების პოლიტიკაში სას.-სამ. პროდუქტებზე ფასების დაწესების დროს ანგარიში გაუწიონ მრეწველობის ინტერესებს და იმ ფასებს

რომელიც მსგავს საქონელზე არსებობს უცხოეთის ბაზრეზზე პლენუმი აღიარებს, რომ ლიმატების (მტკიცე განსაზღვრული ფასების) დაწესება სას.-სამ. ნაწარმოებზე მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამის აუცილებლობას აყენებს სახელმწიფო მრეწველობისა და ექსპორტის ინტერესები.

### ფულის ტრიალი და საქონლის ბრუნვის ტრიალი.

რეზოლიუცია აღნიშნავს ფულის სიმცირეს, რაც დიდათ აფერხებს საქონელის ნორმალურ ბრუნვას. საჭიროდ სთვლის რა დიდ სიფრთხილეს ემისიის გაფართოების საქმეში, პლენუმი ამასთანავე აღიარებს, რომ საქონლის ბრუნვისა და ბაზრის მომარაგების ინტერესების მახვერპლად შეწირვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მართლაც ნამდვილი საფრთხე მოელის ვალიუტის სიმტკიცეს.

### სამრეწველო პროდუქტების ბაზარი.

საქონელის დამმზადებელი აპპარატისა და კრედიტების საქმის მდგომარეობა ისეთია, რომ არ უნდა გვქონდეს იმედი ბაზრის მოთხოვნილების სისტემატიური დაკმაყოფილების. ფაბრიკატების მარაგი არაა საკმაო, ხოლო წარმოების ცდა უნაყოფო იქნება. აქედან გამოდის ის მიზანშეწონილობა, რომ დაშვებული იქნეს ზოგიერთი გასავლიანი საქონელის ეპიზოდიური იმპორტი, რომლის გასაღებაც შინაურ ბაზარზე ჩვენი მრეწველობის ანგარიშგაწევით უნდა ხდებოდეს. კოოპერაციის შესახებ რეზოლიუცია ამბობს, რომ მას უნდა გაუწიოს, რაც შეიძლება, მეტი დახმარება იმდენად, რამდენადაც ის არის მრეწველობის პროდუქტების მთავარი გამტარებელი ორგანო მომხმარებელთან. რეზოლიუცია მოითხოვს დაცული იქნეს ისეთი კოოპერატივები, რომლებსაც საქმიანობის უნარი შესწევთ და გადაჭრით ილაშქრებს ისეთი კოოპერატივების ლიკვიდაციის წინააღმდეგ, რომლებსაც შეუძლიათ ფეხზე დადგენ, თუ მათ აღმოუჩენენ სათანადო დახმარებას. რაც შეეხება კერძო კაპიტალის როლს, რეზოლიუცია ხაზს უსვამს აუცილებლობას—შექმნილი იქნეს ამ კაპიტალის მუშაობისათვის ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველჰყოფს მისთვის ნორმალურს და რაც მთავარია, ასე თუ ისე ხანგრძლივს პერსპექტივებს. უამისოდ ცდა იმის შესახებ, რომ გამოყენებული იქნეს კერძო კაპიტალი, ვერ გაამართლებს თავის თავს, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქონელის ბრუნვაში ჩაებმება კერძო კაპიტალის ყველაზე უფრო უარყოფითი ნაწილი, სახელდობრ—სპეკულიანტური კაპიტალი, რომელიც რეალურ თანხას არ დახარჯავს საქონელის ბრუნვაში.

# ჩვენი როლი საბჭოების არჩევნებში.

ამ დღეებში საქართველოში ხდება საბჭოების არჩევნები. როგორც მმართველი ხელისუფლების, აგრეთვე საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესები მოითხოვენ, რათა საბჭოებში არჩეული იქნენ მეტი პროცენტი უპარტიოებისა, რომელნიც გლეხობაში სარგებლობენ ავტორიტეტით და ნდობით. ჩვენ დღიდგან საქართველოს გასაბჭოებისა განზე ვიდექით ხელისუფლებასთან და ყოველ გვარი საშუალებით ვცდილობდით, რათა ხელი შეგვეშალა მისი მუშაობისათვის და ამ მხრივ ვიბრძოდით, როგორც სიტყვით აგრეთვე იარაღითაც ვცდილობდით საბჭოების არჩევნები გასულ წლებში ჩაგვეშალა.

ჩვენი ასეთი მოქმედება შემცდარად უნდა ჩაითვალოს. იყო შემთხვევები, როცა ჩვენი ასეთი მოქმედებით სარგებლობდენ საზოგადოებისათვის მავნე პირები და კომუნისტურ დროშის ქვეშ ამოფარებულნი, გადიოდენ საბჭოებში და თავისი უმგვანო საქციელით გლეხებს აშორებდენ ხელისუფლებას.

დღეს კი, როდესაც საქართველოს ხალხის დიდი ნაწილი (გარდა უმნიშვნელო ნაწილისა) გამოერკვა მდგომარეობიდან და სავსებით დარწმუნდა მართველი ხელისუფლების სწორ ტაქტიკაში და ის მიიჩნია ერთად-ერთ მუშურ პარტიად მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია ჩვენი მიყვანა სოციალიზმამდე,—ჩვენს მოვალეობას შეადგენს, რათა მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ საბჭოების არჩევნებში, გამოვდევნოთ იქიდგან გაუგებრობით და ცბიერობით შესული მავნე პირები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ მშრომელ ხალხთან.

დღეს ჩვენში უმრავლესობა უპარტიოები არიან. ყოფილ მენშევიკებს, რომელთაც ათეული წლები უბრძოლიათ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და მრავალი ტანჯვა და დამცირება მიუღიათ მეფის ჯალათებისაგან, მართალია, ჩვენი უკანასკნელი მოქმედება იყო სრულიად წინააღმდეგი მშრომელი მასისა, მაგრამ როდესაც ჩვენ ეს სავსებით შევიგენით და დავგმეთ ის და ვუბრუნდებით საერთო პროლეტარულ ოჯახს, გაასკეცებული ენერგიით მართებს მუშაობა, რათა წასული დანაშაული გამოვასწოროთ და პირნათლად შევხვდეთ ბრწყინვალე მომავალს.

მაშ დავირაზმოთ მტკიცედ საბჭოების გარშემო და არც ერთ კულაკს და საზოგადოების ნაძირალს იქ ადგილი არ მივცეთ.

ეს დღეს ჩვენს პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს. არც ერთი ჩვენთაგანი ამ საქმეს არ უნდა ჩამორჩეს.

ყოფილი მენშევიკი **გერ. ლომთათიძე.**

# 1905—1925 წელი(*).

დიდი რევოლიუციის ოცი წლის თავი დადგა. 1905 წელი რუსეთის მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობაში დაუვიწყარია. 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში დაღვრილი მშრომელთა სისხლი შეიქნა ნიშანი საერთო მოძრაობისა. უზარმაზარ რუსეთის ყველა ქალაქებში, ყველა კუთხეში გაისმა გაფიცვების ხმა, გახშირდა პოლიტიკური დემონსტრაციები. საერთო ხმას ამიერკავკასია არა თუ არ ჩამორჩა, წინ გაუსწრო კიდეც.

აპრილში მოხდა ტფილისის საყუდის (დეპოს) მემანქანეთა გაფიცვა. ეს პირველი გაფიცვა იყო მემანქანეების. გაიდო ხიდი ერთობისა მემანქანეთა და მთავარ სახელოსნოს

*) „ახალი გზის“ რედაქცია სიამოვნებით უთმობს ადგილს ამხ. ს. დოლიძის წერილს რევოლიუციის საქმისთვის დაღუპულ ამხანაგების ხსოვნის აღსანიშნავად. რედაქცია სთხოვს აგრეთვე სხვა ამხანაგებსაც მოაწოდონ მას მსგავსი ცნობები 1905 წელს დაღუპულ რევოლიუციონერების შესახებ. რედ.

მუშებს შორის. ჰაერი გაიჟღინთა რევოლიუციის სუნით. ერთი უბრალო საყვირის ხმა სახელოსნოდან საკმარისი გახდა საერთო გაფიცვის გამოსაცხადებლად... გაფიცვებიც გახშირდა. მთავრობა, ადმინისტრაცია დაიბნა... ამას მოჰყვა ოქტომბრის მანიფესტი... საერთო აღფრთოვანებას ჩქარა ბოლო მოეღო... რეაქცია ისევ წამოდგა... და დაიწყო გველივით სისინი... ბევრი ამხანაგი შეიწირა მან. ას თავიან მდევს სჭრიდენ თავებს, მაგრამ მას არა აკლდებოდა-რა... ხოლო ამ უდროოდ მოჭრილ თავებს გვინდა უძღვნათ ორიოდე სიტყვა.

## რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას.

### ამხ. იასონ ღლონტი.

მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობას ბევრი მსხვერპლი შეეწირა. ბევრი ამხანაგები გვაკლია დღეს სათვალავში. ბევრი ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე მებრძოლი უდროოდ გამოასალმეს მეფის ჯალათებმა წუთისოფელს.

დღეს დადგა დრო მათი მოგონების.

ესენი არიან უბრალო ჯარისკაცები რევოლიუციის, არა მყვირალა მებრძოლნი, მაგრამ რევოლიუციისთვის თავდადებულნი.

ასეთ მებრძოლთა რიცხვს ეკუთვნოდა ამხ. იასონ ღლონტიც.

იასონი იყო რკნის გზაზე მემუხრუჭედ, წარმოსადეგი ვაჟკაცი, ჯან-ღონით სავსე. ის არ იყო მოლაპარაკე-პროპაგანდისტი. მისი პროპაგანდა იყო თოფი. თუ არ ვცდები, მან 1904 წელს მოჰკლა მატარებელში, ავჭალას ახლო, მატარებლების რევიზორი თუმანოვი.

ეს თუმანოვი იყო ერთი უკიდურესი რეაქციონერი. მისგან შევიწროებული იყვენ როგორც რკინის გზის მოსამსახურენი, ისე მგზავრები. საზოგადოებას ისე გაუხარდა ამ ხულიგანის მოკვლა, რომ მკვლელ ღლონტს ყველა გამოესარჩლა და თვით მკვლელობა ისეთ პირობებში მოხდა, რომ ღლონტი სასამართლომ გაამართლა.

1905 წელს აპრილში მოხდა თბილისის საყუდის და სადგურის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა... შესწყდა მატარებლების მიმოსვლა... პირველ ღამესვე ვიღაცამ დაარღვია გაფიცვა და შუაღამისას გაისმა სადგურზე ორთქლმავლის ხმა. მოირბინეს ჩემთან ამხ. ღლონტმა, მემანქანის თანაშემწემ რობაქიძემ და თვარაძემ... წავედით... გადავხტით რკინის ღობეზე და ვხედავთ მემანქანე გოლოვაჩევსკი, მისიონერთა ეკლესიის ერთი გმირი, ცდილობს აამუშაოს ორთქლმავალი. დაუმიზნა იასონმა თავისი თოფი, მაგრამ შევაჩერეთ... ახლა აზუზუნდა, ქვები ორთქლმავლისაკენ და მოღალატემ იკადრა გაქცევა. იმ ღამეს გაფიცვა აღარ დარღვეულა. მეორე თუ მესამე დღეს ჩამოვიდა ხაშურიდან ორი სახალხო მატარებელი, რომელიც ჩამოიყვანეს მემანქანე ვოლმერმა და სტარიცინმა. ამ უკანასკნელმა, გაიგო რა გაფიცვა არისო, შემოგვიერთდა გაფიცულებს, ხოლო ვოლმერმა არ მიაქცია ჩვენს მოთხოვნას ყურადღება და წაიყვანა სახალხო მატარებელი ხაშურისაკენ, რა თქმა უნდა, ჟანდარმებისა და ჯარისკაცების თანხლებით. ამ მატარებელს გაყვნენ იასონ ღლონტი და ხაფთასი, რომლის სახელი არ მახსოვს.

ამ ორმა ამხანაგმა, წარმოუდგენელ ძნელ და მათთვის სახიფათო პირობებში, კასპის სადგურზე მოჰკლეს მემანქანე ვოლმერი და მატარებელი იქ გაჩერდა რამდენიმე დღე და ღამე. ამ გარემოებამ დიდი სამსახური გაუწია მაშინდელს გაფიცვას.

ასეთი გმირული საქმე ბევრი გაუკეთებია იასონს. 1906 თუ 1907 წ. მე წავიკითხე საზღვარგარედ ჩემთან მოღწეულ ქართულ გაზეთში, რომ ის მოკლეს ვითომცდა სატუსაღოდან გადაყვანის დროს. ნამდვილად კი საქმე ასე ყოფილა: იასონისათვის მიუცია ჯალათებს წინადადება: გაიქეცი, თორემ ციხეში, იცოდე, მოგკლავენო. იასონი მიმხვდარა მკვლელების წადილს და უარი უთქვამს გაქცევაზე... მაშინ ის მიუყვანიათ ციხეში და იქ დაუხვრეტიათ*).

შენი ხსოვნა, გმირო იასონ, დაუვიწყარი იქნება მშრომელთათვის.

—

### მემანქანეს თანაშემწე ამხ. თვარაძე.

ამხ. თვარაძე ერთი იმ ცხრა ძმათაგანია, რომლებიც გმირულად დაეცნენ 1905 წელს, დეკემბერში, ნაძალადევის გორებზე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, იასონ ღლონტთან თვარაძეც მუდამ რევოლიუციის დარაჯად იდგა. ამ ამხანაგის უდროოდ დაღუპვაში მეც მიმიძღვის რევოლიუციონური ბრალი. თვარაძე ძალიან ღონიერი ვაჟკაცი იყო. ის ხშირად დადიოდა ცირკში და ჭიდაობდა კიდეც.

მე ის ჩამოვაშორე ცირკს და შევაყვარე ქართული თეატრი.. მერე წიგნები, პროკლამაციები და მალე იგი გახდა ნამდვილი რევოლიუციონერი. ჩვენ ვცხოვრობდით ერთ ეზოში. 1905 წელს მთავრობამ მუშებს თოფები დაგვირიგა. ერთი თოფი მეც მერგო, რომელიც უსაქმოდ იდო ჩემს ოთახში. აი, ეს თოფი აიღო და აამუშავა ამხანაგმა თვარაძემ. ამ თოფით დარაჯობდა თვარაძე რევოლიუციის საქმეს.

დღე თუ მოისვენებდა ცოტას, თორემ ღამე მუდამ სადარაჯოზე იდგა.

იმავე წლის 18 დეკემბერს თვარაძეს დარაჯობა უკანასკნელი გამოდგა. ამ ღამეს ის მამაცად იცავდა, დარაჯობდა მუშათა უბანს. მას გვერდში უდგნენ იმ ღამესვე ვერაგულად დახოცილი კიდევ რვა ამხანაგი და სასწაულით გადარჩენილნი და დღესაც ცოცხალი ამხანაგები: სუხიშვილი, ტიტვინიძე, რობაქიძე, გაგნიძე და სხვანი**).

ჩვენ გვქონდა ცნობა, რომ ნაძალადევზე თავდასხმას აპირებდენ მისიონერთა ეკლესიის ხულიგანები. აი ამათ წინააღმდეგ ზემოხსენებული ამხანაგები იცავდენ მუშათა უბანს.

გვქონდა აგრეთვე ცნობა, რომ მთავრობაც აპირებს ხულიგნების ზურგის გამაგრებას და ჯარს ამზადებს ნაძალადევის დასარბევათო.

ამ შემთხვევისათვის, თუ მართლა ჯარი შემოვიდოდა, ჩვენს ამხანაგებს უბრძოლველად უნდა დაეხიათ უკან, გასცლოდენ.

---

*. მაშინ ამხანაგებს ციხეში მისი სურათიც გადაუღიათ. თუ ვისმეს მოეპოვება ეს ან სხვა სურათი ამხანაგ იასონის და დამატებითი ცნობები მისი ცხოვრების შესახებ, ვთხოვთ მოაწოდოს „ახალ გზას“.
ს. დ.

**) მეგობრულად ვთხოვ დასახელებულ ამხანაგებს მოაწოდონ ცნობები თუ სურათები დაღუპულ ცხრა ძმათა შესახებ „ახალი გზის“ რედაქციაში.
ს. დ.

ასეც მოიქცენ და თოფის გაუსროლელად უკან დაიხიეს, მაგრამ მტერიც ვერაგი გამოდგა.

თურმე ასეული ყაზახები მუშათა უბანს უკანიდან უვლიდენ. აქ უცაბედად ჩვენი ამხანაგები შეეჩეხენ ამ ჯხეცებს და ცხრა მათგანი იქნა ვერაგულად წამებული. ამხანაგი თვარაძეც აქ გამოესალმა ახალგაზრდა, ღონიერი, ენერგიით სავსე ჯანსა და სულს.

საუკუნო იქნება შენი სახელი, მეგობარო, მათ გულში, ვის განთავისუფლებასაც შენ შესწირე შენი სიცოცხლე.

ხ. დოლიძე.

# ნაციონალური საკითხი.

**(რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობის რეზოლიუცია*).**

## I.

1) კაპიტალიზმის განვითარებამ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოამჟღავნა წარმოების საშუალებათა და ალებ-მიცემობის ინტერნაციონალიზაციის, ნაციონალური კარჩაკეტილობის მოსპობის, ხალხთა სამეურნეო დაახლოვებისა და უზარმაზარი ტერიტორიების ერთ მთლიან ერთეულში თანდათანობითი გაერთიანების ტენდენცია. კაპიტალიზმის შემდეგმა განვითარებამ, მსოფლიო ბაზრის გაფართოებამ, დიდ საზღვაო და რკინის გზების მოწყობამ, კაპიტალის გატანამ და სხვამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს ტენდენცია და დაუკავშირა ერთმანეთს სხვა და სხვა ხალხები შრომის საერთაშორისო განაწილებისა და ამ ხალხების ერთმანეთისაგან ყოველმხრივი დამოკიდებულების ჯაჭვებით. რამდენადაც ეს პროცესი გამოხატავდა საწარმოო ძალთა კოლოსალურ განვითარებას, რამდენადაც იგი აადვილებდა ნაციონალური განკერძოებისა და სხვადასხვა ხალხების ინტერესთა წინააღმდეგობის მოსპობას, იმდენად იგი იყო და არის პროცესი პროგრესიული, ვინაიდან იგი ამზადებს მატერიალურ წინამძღვარს მომავალი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობისათვის.

2) მაგრამ ეს ტენდენცია ვითარდებოდა თავისებურ ფორმებში, რომელიც სრულიადაც არ შეეფერება მის შინაგან ისტორიულ ხაზს. ხალხების ერთმანეთისაგან დამოკიდებულება და ტერიტორიების სამეურნეო გაერთიანების დროს ხალხების, როგორც თანასწორუფლებიან ერთეულების, თანამშრომლობის გზით კი არ ხდებოდა, არამედ ერთი ხალხების მიერ მეორეთა დამორჩილების წესით, უფრო განვითარებული ხალხის მიერ ნაკლებად განვითარებული ხალხის დაჩაგვრისა და ექსპლოატაციის წესით. კოლონიალური ძარცვა-გლეჯა და მტაცებლობა, ნაციონალური ჩაგვრა და უთანასწორობა, იმპერიალისტური თვითნებობა და ძალდატანება, კოლონიალური მონობა და ნაციონალური უუფლებობა, დასასრულ, ბრძოლა „განათლებულ“ ხალხთა შორის „გაუნათლებელ“ ხალხზე გასაბატონებლად,— ასეთია ის ფორმები, რომლის ჩარჩოებშიაც მიმდინარეობდა ხალხის სამეურნეო დაახლოვების პროცესი. ამიტომ გაერთიანების ტენდენციის გვერდით იზრდებოდა ამ გაერთიანების იძულებითი ფორმების მოსპობის ტენდენცია, იზრდებოდა ბრძოლა დამონებულ კოლონიებისა და დამოუკიდებელ ეროვნებათა განთავისუფლებისათვის იმპერიალისტური ჩაგვრისაგან. რამდენადაც ეს მეორე ტენდენცია ნიშნავდა დაჩაგრული მასების ალშფოთებას გაერთიანების იმპერიალისტური ფორმების წინააღმდეგ, რამდენადაც იგი მოითხოვდა ხალხების გაერთიანებას თანამშრომლობისა და ნებაყოფლობითი კავშირის ნიადაგზე, იმდენად ის იყო და არის ტენდენცია პროგრესიული, ვინაიდან იგი ამზადებს სულიერ წინამძღვარს მომავალ მსოფლიო სოციალისტური მეურნეობისათვის.

3) ბრძოლა ამ ორ ძირითად ტენდენციას შორის, კაპიტალიზმისათვის ჩვეულებრივ ფორმებში გამოხატულ ტენდენციას შორის, ავსებს მრავალ-ერიანი ბურჟუაზიული სახელმწიფოების ისტორიას უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამ ორ ტენდენციას შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობა კაპიტალისტური განვითარების ჩარჩოებში საფუძვლად დაედო ბურჟუაზიულ კოლონიალურ სახელმწიფოების შინაგან უწეობასა და ორგანიულ მერყეობას. აუცილებელი კონფლიქტები ასეთ სახელმწიფოების შიგნით და აუცილებელი ომები ასეთ სახელმწიფოებს შორის; ძველი კოლონიალური სახელმწიფოების დაშლა და ახლების დაარსება; ხელ-ახალი დაშლა, რასაც მივყევართ მსოფლიო პოლიტიკური რუქის ხელ-ახალი გადმოჭრისაკენ,— ასეთია ამ ძირითადი წინააღმდეგობის შედეგები. ძველი რუსეთის, ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალეთის დაშლა, ერთის მხრივ; ისტორია ისეთი კოლონიალური სახელმწიფოებისა, როგორიც არიან დიდი ბრიტანეთი და ძველი გერმანია — მეორეს მხრივ, დასასრულ, უუდიდესი იმპერიალისტური ომი და კოლონიალურ და არა-სრულუფლებიან ხალხების რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა,— ყველა ასეთი და მსგავსი ფაქტები ნათლად მოწმობენ მრავალერიანი ბურჟუაზიული სახელმწიფოების მერყეობასა და სისუსტეს.

ამრიგად, შეურიგებელმა წინააღმდეგობამ ხალხების სამეურნეო გაერთიანების პროცესსა და ამ გაერთიანების იმპერიალისტურ საშუალებებს შორის გამოააშკარავა ბურჟუაზიის უუნარობა, უმწეობა და უძლურობა მოეძებნა სწორი მიდგომა ნაციონალური საკითხის გადაჭრისათვის.

4) ჩვენი პარტია ანგარიშს უწევდა ამ გარემოებას, როდესაც თავის პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში საფუძვლად დაედო ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლება, ხალხების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება. ჯერ კიდევ თავისი არსებობის პირველ დღეებში, თავის პირველ ყრილობაზე (1898 წ.) ალიარა პარტიამ ეროვნებათა ეს განუყოფელი უფლება, ალიარა მაშინ, როდესაც ჯერ არ გამოაშკარავებულიყო სავსებით კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი ნაციონალური საკითხის სფეროში, და შემდეგ მუდამ ვიდრე ოქტომბრის გადატრიალებამდე იგი ყოველთვის ადასტურებდა თავის ნაციონალურ პროგრამას ყრილობებზე და კონფერენციებზე სპეციალური დადგენილებებსა და რეზოლიუციებში. იმპერიალისტური ომი და მასთან დაკავშირებული ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა პოლონეთში იძლეოდა მხოლოდ ახალ-ახალ დადასტურებას პარტიის დადგენილებებისა ნაციონალურ საკითხში. ეს დადგენილებები მოითხოვს: ა) ეროვნებისა მიმართ იძულების ყველა და ყოველგვარ ფორმების გადაჭრით უარყოფას; ბ) ხალხების თანასწორობისა და სუვერენობის ალიარებას თავიანთი ბედის გამოჭედვის საქმეში; გ) იმ დებულების ალიარებას, რომ ხალხების მტკიცე გაერთიანება შესაძლებელია მიღწეული იქნეს მხოლოდ თანამშრომლობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე; დ) იმ ჭეშმარიტების ალიარებას, რომ ასეთი გაერთიანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის ბატონობის დამხობის შემდეგ.

ამ განმათავისუფლებელ ნაციონალურ პროგრამას ჩვენი პარტია მუდამ უპირისპირებდა თავისი მუშაობის დროს როგორც „ცარიზმის“ აშკარად მჩაგვრელურს პოლიტიკას, ისე მენშევიკებისა და ესერების გაუბედავსა (ПОЛОВИНЧАТОЙ) და ნახევრად იმპერიალისტურს პოლიტიკას. თუ კი „ცარიზმის“ რუსიფიკატორულმა პოლი-

*) ქართველი მუშები და გლეხები განსაკუთრებით ხედმიწევნით უნდა იცნობდენ კომუნისტური პარტიის იმ თეორეტიულ შეხედულებას, რომელიც საფუძვლად ცდება ნაციონალური საკითხის პრაქტიკულად გადაჭრას ჩვენში და საერთოდ საბჭოთა კავშირში. ამიტომ ვბეჭდავთ ჩვენ ამ რეზოლიუციას. მომავალში „ახალი გზა“ ალაგს დაუთმობს სპეციალურ წერილებს ნაციონალური საკითხის სხვადასხვა მხარეების შესახებ.

რ ე დ.

ტიკამ უფსკრული გათხარა „ცარიზმსა“ და ძველი რუსეთის ეროვნებებს შორის, ხოლო მენშევიკებისა და ესერების ნახევრად იმპერიალისტურმა პოლიტიკამ გამოიწვია ამ ეროვნებათა საუკეთესო ელემენტების ჩამოშორება „კერენშჩინა“-დან, ჩვენი პარტიის განმათავისუფლებელმა პოლიტიკამ მოუპოვა მას ამ ეროვნებათა ფართო მასსების თანაგრძნობა და დახმარება ბრძოლაში „ცარიზმისა“ და რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. შეუძლებელია დაეჭვება იმაში, რომ ეს თანაგრძნობა და ეს დახმარება იყო ერთ-ერთი გადამჭრელი მომენტთაგანი, რომელმაც უზრუნველჰყო ჩვენი პარტიის გამარჯვება ოქტომბრის დღეებში.

5) ოქტომბრის რევოლიუციამ პრაქტიკული ჯამი გაუკეთა ჩვენი პარტიის დადგენილებებს ნაციონალურ საკითხში. დაამხო რა მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება, ნაციონალური ჩაგვრის ეს მთავარი დედა-ბოძი, და გადასცა რა ხელისუფლება პროლეტარიატს, ოქტომბრის რევოლიუციამ ერთის დაკვრით დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ხუნდები, ყირამალა გადაატრიალა ხალხებს შორის არსებული ძველი ურთიერთობა, ნიადაგი გამოაცალა ძველ ნაციონალურ მტრობას, გასწმინდა ნიადაგი ხალხთა თანამშრომლობისათვის და მოუპოვა რუსეთის პროლეტარიატს მოძმე ეროვნებების ნდობა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაში და აზიაშიაც. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი ნდობის გარეშე რუსეთის პროლეტარიატი ვერ შესძლებდა კოლჩაკისა და და დენიკინის, იუდენიჩისა და ვრანგელის დამარცხებას. მეორეს მხრივ, უეჭველია ისიც, რომ დაჩაგრული ერები ვერ შესძლებდენ თავისუფლების მოპოებას, რუსეთის ცენტრში პროლეტარიატის დიქტატურა რომ არ დამყარებულიყო. ნაციონალური მტრობა და ნაციონალური შეხლა-შემოხლა აუცილებელია მანამდე, სანამ ბატონობს კაპიტალი, სანამ წვრილი ბურჟუაზია და, უწინარეს ყოვლისა, ყოფილი „მპყრობელი“ ერის ნაციონალისტური ცრუმორწმუნეობით გაჟღენთილი გლეხობა მიჰყვება კაპიტალისტებს; და პირიქით, ნაციონალური მშვიდობიანობა და ნაციონალური ზავი შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ მაშინ, თუ კი გლეხობა და სხვა წვრილ-ბურჟუაზიული ფენები პროლეტარიატს მიჰყვებიან, ე. ი. თუ კი უზრუნველყოფილია პროლეტარიატის დიქტატურა. ამიტომ საბჭოების გამარჯვება და დიქტატურის განმტკიცება წარმოადგენს იმ ბაზას, იმ საძირკველს, რომელზედაც შესაძლებელია აშენებული იქნეს ხალხების ძმური თანამშრომლობა მთლიან სახელმწიფოებრივ კავშირში.

6) მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციის შედეგები არ ამოიწურება ნაციონალური ჩაგვრის მოსპობით, ნიადაგის შექმნით ხალხთა გაერთიანებისათვის თავისი განვითარების მსვლელობაში ოქტომბრის რევოლიუციამ შეიმუშავა აგრეთვე ამ გაერთიანების ფორმები, გაავლო მთავარი ხაზი, რომლის მიხედვითაც უნდა აშენდეს ხალხების გაერთიანება ერთ საკავშირო სახელმწიფოში. რევოლიუციის პირველ პერიოდში, როდესაც ეროვნებათა მშრომელ მასსებმა პირველად იგრძნეს თავი დამოუკიდებელ ნაციონალურ ეროვნებად, ხოლო უცხოეთის ინტერვენციის საფრთხე ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა რეალურ საშიშროებას,—ამ პერიოდში ხალხთა თანამშრომლობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სავსებით გარკვეული, მკაცრად ჩამოყალიბებული ფორმა. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში, როდესაც ნაციონალური რესპუბლიკების სამხედრო თავდაცვის ინტერესები პირველ რიგში იდგა, ხოლო სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები ჯერ კიდევ არ იდგა დღის წესრიგში,—ამ პერიოდში თანამშრომლობამ სამხედრო კავშირის ფორმა მიიღო. დასასრულ, ომის მომდევნო პერიოდში, როდესაც ომით განადგურებულ საწარმოო ძალთა აღდგენის საკითხები პირველ რიგში დადგა,—სამხედრო კავშირს დაემატა სამეურნეო კავშირიც. ნაციონალური რესპუბლიკების გაერთიანება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში წარმოადგენს თანამშრომლობის ფორმათა განვითარების საბოლოო ეტაპს, რომელმაც ახლა მიიღო ხასიათი ხალხების სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკური გაერთიანებისა მთლიან მრავალ-ერიან საბჭოთა სახელმწიფოში.

ამრიგად, საბჭოთა წყობილებაში პროლეტარიატმა ნახა გასაღები ნაციონალური საკითხის სისწორით გადასაჭრელად; მასში მან ნახა გზა მტკიცე მრავალერიანი სახელმწიფოს მოწყობისა ნაციონალური თანამშრომლობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე.

7) მაგრამ ნაციონალური საკითხის სწორი გადაჭრის გასაღების მონახვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკითხის სრულად და საბოლოოდ გადაჭრას, ამ გადაჭრის ამოწურვას მისი კონკრეტულ-პრაქტიკული განხორციელების სახით. ოქტომბრის რევოლიუციის მიერ წამოყენებული ნაციონალური პროგრამის ცხოვრებაში სწორად გასატარებლად საჭიროა კიდევ იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რომელიც ნაციონალური ჩაგვრის განვლილმა პერიოდმა დაგვიტოვა ჩვენ მემკვიდრეობად და რომლის გადალახვაც შეუძლებელია მოკლე დროში ერთის დაკვრით.

ეს მემკვიდრეობა, პირველყოვლისა, დიდმპყრობელური შოვინიზმის ნაშთებია, შოვინიზმის, რომელიც გამოხატულებაა ველიკოროსების ყოფილი პრივილეგიური მდგომარეობისა. ეს ნაშთები ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენი საბჭოთა მუშაკების თავებში, ცენტრალურ და ადგილობრივ მუშაკების თავებში; ეს ნაშთები ბუდობს ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში, ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებში: ამ ნაშთებს ამაგრებენ „ახალი „სმენავეხოველური“ ველიკორუსულ-შოვინისტური იდეები, რომლებიც თანდათან ძლიერდებიან ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. პრაქტიკულად ეს გამოიხატება რუს საბჭოთა მოხელეების მედიდურ-დამცინავ და უსულგულო ბიუროკრატიულ დამოკიდებულებაში ნაციონალური რესპუბლიკების საჭიროება-მოთხოვნილებისადმი. მრავალერიანი საბჭოთა სახელმწიფო შესაძლებელია გახდეს ჭეშმარიტად მტკიცე და მასში ხალხების თანამშრომლობა ჭეშმარიტად ძმური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ეს ნაშთები გადაჭრით და საბოლოოდ იქნება აღმოფხვრილი ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებათა პრაქტიკაში.

მთელ რიგ ნაციონალურ რესპუბლიკებში (უკრაინა, ბელორუსია, აზერბეიჯანი, თურქესტანი) მდგომარეობა რთულდება იმით, რომ მუშათა კლასის საგრძნობი ნაწილი ველიკოროსთა ეროვნებას ეკუთვნის,—მუშათა კლასის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგენს. ამ რაიონებში კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ხვდება უძლიერეს დაბრკოლებას ველიკორუსული შოვინიზმის ნაშთების სახით როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანოებში. ასეთ პირობებში ლაპარაკი რუსული კულტურის უპირატესობაზე და წამოყენება დებულებისა უფრო მაღალი რუსული კულტურის ჩამორჩენილი ხალხების კულტურაზე გამარჯვების აუცილებლობის შესახებ (უკრაინელთა, ადერბეიჯანელთა, ყირგიზთა, უზბეკთა და სხვათა კულტურაზე გამარჯვების შესახებ) ნიშნავს მხოლოდ ცდას—განმტკიცებული იქნეს ველიკოროსთა ეროვნების ბატონობა. ამიტომ გადამჭრელი ბრძოლა ველიკორუსული შოვინიზმის ნაშთების წინააღმდეგ წარმოადგენს ჩვენი პარტიის პირველ მორიგ ამოცანას,

ეს მემკვიდრეობა, მეორეს მხრივ, არის რესპუბლიკების კავშირის ეროვნებათა ფაქტიური, ე. ი. სამეურნეო და კულტურული უთანასწორობა. ოქტომბრის რევოლიუციით მოპოებული უფლებრივი ნაციონალური თანასწორობა ხალხების უდიდეს მონაპოვარს შეადგენს, მაგრამ იგი თავისთავად არ სჭრის მთელ ნაციონალურ საკითხს. მთელ რიგ რესპუბლიკებს და ხალხებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ან თითქმის არ გაუვლიათ კაპიტალიზმი, რომლებსაც არა ჰყავთ ან თითქმის არა ჰყავთ პროლეტარიატი და რომლებიც ამის გამო ჩამორჩენილები არიან მეურნეობისა და კულტურის მხრივ,—მთელ რიგ ასეთ რესპუბლიკებსა და ხალხებს არ შეუძლიათ სავსებით გა-

მოიყვნონ ის უფლებები და შესაძლებლობანი, რასაც მათ ანიჭებს ნაციონალური თანასწორობა; არ შეუძლიათ ავიდენ განვითარების უმაღლეს საფეხურზე და ამრიგად დაეწიონ წინ წასულ ეროვნებებს, თუ კი მათ არ ექნათ ჭეშმარიტი და ხანგრძლივი დახმარება გარედან. ასეთი ფაქტიური უთანასწორობის მიზეზები არა მარტო ამ ხალხების ისტორიაში მარხია, არამედ „ცარიზმისა" და რუსეთის ბურჟუაზიის იმ პოლიტიკაში, რომელიც მისწრაფოდა გადაექცია განაპირა ქვეყნები მხოლოდ-ღა ნედლი მასალის რაიონებად, რომლის ექსპლოატაციასაც მრეწველობის მხრივ განვითარებული ცენტრალური რაიონები ეწეოდენ. ამ უთანასწორობის მოკლე ხანში დაძლევა, ამ მემკვიდრეობის ერთ-ორ წელში ლიკვიდაცია შეუძლებელია. ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის მე X ყრილობამ აღნიშნა, რომ „მოსპობა ფაქტიური ნაციონალური უთანასწორობისა არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს მტკიცე და შეურიგებელ ბრძოლას ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიალური მონობის ნაშთების წინააღმდეგ". მაგრამ მისი დაძლევა აუცილებლად საჭიროა და ამის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი რუსეთის პროლეტარიატი ნამდვილსა და ხანგრძლივს დახმარებას აღმოუჩენს კავშირის ჩამორჩენილ ხალხებს მათი სამეურნეო და კულტურული დახმარების საქმეში.

ეს დახმარება, პირველ რიგში, უნდა გამოიხატოს მთელ რიგ პარტიულ ღონისძიებათა მიღებაში უწინ დაჩაგრულ ეროვნებების რესპუბლიკებში მრეწველობის აღორძინებასა და ადგილობრივი მოსახლეობის ამ საქმეში მაქსიმალურად ჩათრევის სახით. დასასრულ, ეს დახმარება უნდა სწარმოებდეს, თანახმად მე-X ყრილობის რეზოლიუციისა, პარალელურად იმ ბრძოლისა, რომელსაც მშრომელი მასსები აწარმოებენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ადგილობრივ და მოსულ ექსპლოატატორთა მაღალი ფენების წინააღმდეგ თავიანთი სოციალური პოზიციების განსამტკიცებლად. რამდენადაც ეს რესპუბლიკები მეტ წილად სასოფლო-სამეურნეო რაიონებს წარმოადგენენ, შინაგანი სოციალური ღონისძიებანი, უწინარეს ყოვლისა, მიმართული უნდა იქნეს იქეთ, რომ მშრომელ მასსებს მიეცეს მიწა სახელმწიფოს თავისუფალი ფონდიდან.

უამისოდ არ გვექნება საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოეწყობა ხალხების სწორი და მტკიცე თანამშრომლობა მთლიანი საკავშირო სახელმწიფოს ფარგლებში. ამიტომ ბრძოლა ეროვნებებში ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციისთვის, ბრძოლა ჩამორჩენილი ხალხების სამეურნეო და კულტურული დონის ასამაღლებლად წარმოადგენს ჩვენი პარტიის მეორე მორიგ ამოცანას.

ეს მემკვიდრეობა, დასასრულ, წარმოადგენს ნაციონალიზმის ნაშთებს მთელ რიგ ხალხებში, რომლებმაც გადაიტანეს ნაციონალური ჩაგვრის მძიმე უღელი და ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს, რომ თავი დაეღწიათ ძველი ნაციონალური შეურაცხყოფის გრძნობისთვის. ამ ნაშთების პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს ერთგვარი ნაციონალური განკერძოება და სრული ნდობის უქონლობა წინად დაჩაგრულ ხალხებში იმ ღონისძიებებისადმი, რასაც რუსები იღებენ. მაგრამ ზოგიერთ რესპუბლიკებში, სადაც რამოდენიმე ეროვნება ბინადრობს, ეს თავდაცვითი ნაციონალიზმი ხშირად იქცევა ხოლმე შეტევით ნაციონალიზმად, უფრო ძლიერი ერის მოშხამულ ნაციონალიზმად ამ რესპუბლიკებში მობინადრე სუსტი ეროვნებების წინააღმდეგ. ქართული შოვინიზმი (საქართველოში), მიმართული სომხების, ოსების, აჭარლების და აფხაზების წინააღმდეგ; ადერბეიჯანელების შოვინიზმი (ადერბეიჯანში), მიმართული სომხების წინააღმდეგ; უზბეკთა შოვინიზმი (ბუხარაში და ხორეზმში), მიმართული თურქმენელებისა და ყირგიზების წინააღმდეგ. სომხების შოვინიზმი და სხვა, — შოვინიზმის ყველა ეს სახეები, რომელიც ამასთანავე წახალისებულია ახალი ეკონომ. პოლიტიკის პირობებითა და კონკურენციით, წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას, რომელიც იმუქრება გადააქციოს ზოგიერთი ნაციონალური რესპუბლიკა ერთმანეთის მჭამელობისა და შეხლა-შემოხლის ასპარეზად. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი მოვლენები ძალზე უშლიან ხელს ხალხების ფაქტიურ გაერთიანებას მთლიან სახელმწიფოებრივ კავშირში. რამდენადაც ნაციონალიზმის ეს ნაშთები წარმოადგენენ ველიკორუსული შოვინიზმისაგან თავდაცვის თავისებურ ფორმებს, რამდენადაც უსასტიკესი ბრძოლა ველიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ნაციონალისტურ ნაშთების დასაძლევად. რამდენადაც ეს ნაშთები ადგილობრივ შოვინიზმად იქცევა, რომელიც მიმართულია უფრო სუსტი ეროვნული ჯგუფების წინააღმდეგ ცალკე რესპუბლიკებში, იმდენად ბრძოლა მის წინააღმდეგ შეადგენს პარტიის წევრთა პირდაპირ მოვალეობას. ამიტომ, ბრძოლა ნაციონალისტური ნაშთების წინააღმდეგ და, პირველ რიგში, ამ ნაშთების შოვინისტური ფორმების წინააღმდეგ შეადგენს ჩვენი პარტიის მესამე მორიგ ამოცანას.

8) ძველი მემკვიდრეობის ერთ-ერთ აშკარა გამოხატულებათაგანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკების კავშირს საბჭოთა მოხელეების საგრძნობი ნაწილი, ცენტრში და ადგილობრივ, აფასებს არა როგორც თანასწორ სახელმწიფოებრივ ერთეულების კავშირს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველჰყოს ნაციონალური რესპუბლიკების თავისუფალი განვითარება, არამედ როგორც „მთლიან და განუყოფელ" სახელმწიფოს შექმნის დასაწყისს. ძველი მემკვიდრეობის ასეთივე შედეგათ უნდა ჩაითვალოს რ. ს. ფ. ს. რ. ზოგიერთი უწყებების ლტოლვა ავტონომიური რესპუბლიკების დამოუკიდებელი კომისარიატების დამორჩილებისაკენ და მათ სალიკვიდაციოდ გზის გაკაფვისაკენ. ჰკიცხავს რა ასეთს მოქმედებას, როგორც ანტიპროლეტარულსა და რეაქციონურს, და აღიარებს რა ეროვნული რესპუბლიკების და შემდეგი განვითარების აბსოლუტურ საჭიროებას, — ყრილობა მოუწოდებს პარტიულ წევრებს ფხიზლად ადევნონ თვალ-ყური იმას, რომ რესპუბლიკების გაერთიანება და კომისარიატების შეერთება არ გამოიყენონ შოვინისტურად განწყობილმა საბჭოთა მოხელეებმა, როგორც საბაბი იმისთვის, რომ ანგარიში არ გაუწიონ ნაციონალური რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურულ მოთხოვნილებებს. კომისარიატების შეერთება საბჭოთა აპარატის გამოცდაა: უკეთუ ეს გამოცდა პრაქტიკაში მიიღებდა დიდმპყრობელურ მიმართულებას, მაშინ პარტია იძულებული იქნებოდა ამ გადამახინჯების წინააღმდეგ მიეღო სასტიკი ზომები და გადაესინჯა საკითხი ზოგიერთი კომისარიატების შეერთების შესახებ, რომ საბჭოთა აპარატი გადაექცია მცირე და ჩამორჩენილი ეროვნებების საჭიროებათა და მოთხოვნილებათა ნამდვილ პროლეტარული, ნამდვილი ძმური ყურადღების გამომხატველად.

9) რესპუბლიკების კავშირი, დაარსებული ცალკე რესპუბლიკების მუშებისა და გლეხების თანასწორობისა და ნებაყოფლობის ნიადაგზე, წარმოადგენს პროლეტარიატის პირველ გაკვეთილს დამოუკიდებელი ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში და პირველ ნაბიჯს მომავალი მსოფლიო საბჭოთა შრომის რესპუბლიკების შესაქმნელად.

რამდენადაც რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს ხალხთა თანაცხოვრებისა და მათი თანამშრომლობის ახალ ფორმას მთლიან საკავშირო სახელმწიფოში, რომლის ფარგლებში მუშაობის დროსაც აღმოფხვრილი უნდა იქნეს ზემოდ დასახელებული ნაშთები, — კავშირის უმაღლესი ორგანოები ისე უნდა მოეწყოს, რომ სავსებით გამოხატავდეს კავშირის ყველა ეროვნებათა არა მარტო საერთო საჭიროებებს და მოთხოვნილებებს, არამედ ცალკე ეროვნებების სპეციალურ საჭიროებებს და მოთხოვნილებებსაც. ამიტომ კავშირის არსებულ ცენტრალურ ორგანოების გვერდით, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ყველა მშრომელი მასსების ინტერესებს განურჩევლად ეროვნებისა, უნდა შეიქმნეს თანასწორობის საფუძველზე ერების წარმომადგენლობის სპეციალური ორგანო. კავშირის ცენტრალური ორგანოების ისე მოწყობა მოგვცემდა სრულ შესაძლებლობას

ფხიზლად გვედევნებინა თვალ-ყური ეროვნებათა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი, დროზე გაგვეწია მათთვის საქირო დახმარება, შეგვექმნა სრული ნდობის პირობები და, ამრიგად, ყველაზე უფრო უმტკივნეულოდ მოგვესპო ზემოდ დასახელებული მემკვიდრეობა.

10) გამოდის რა აქედან, ყრილობა ურჩევს პარტიის წევრებს შემდეგი პრაქტიკული ზომების განხორციელებას:

ა) კავშირის ცენტრ. ორგანოების მოწყობის დროს დაცული იქნეს ცალკე რესპუბლიკების უფლებებისა და მოვალეობათა თანასწორობა, როგორც მათ შორის ურთიერთ დამოკიდებულების დროს, ისე კავშირის ცენტრალურ ორგანოებთან დამოკიდებულების დროსაც.

ბ) კავშირის უმაღლესი ორგანოების სისტემაში მოეწყოს ყველა ეროვნული რესპუბლიკებისა და ეროვნული ოლქების წარმომადგენელთა სპეციალური ორგანო თანასწორობის საფუძველზე ამ რესპუბლიკათა შემადგენელი ერების წარმომადგენლობის შეძლებისა დაგვარად აღრიცხვის გზით.

გ) კავშირის აღმასრულებელი ორგანოები ისე უნდა მოეწყოს, რომ ისინი რეალურად უზრუნველჰყოფდენ მათში რესპუბლიკათა წარმომადგენლობის მონაწილეობას და აკმაყოფილებდენ კავშირში მყოფ ხალხების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს.

დ) რესპუბლიკებს უნდა მიენიჭოს ფართო ფინანსიური და, კერძოდ, საბიუჯეტო უფლებები, რომელიც უზრუნველჰყოფს მათი ინიციატივის გამოჩენას საკუთარ სახელმწიფოებრივ-ადმინისტრატიული, სამეურნეო და კულტურულ საქმეში.

ე) ეროვნული რესპუბლიკების და ოლქების ორგანოები უნდა მოეწყოს უმთავრესად ადგილობრივი პირებისაგან, რომლებმაც იციან სათანადო ერების ენა და ზნე-ჩვეულებანი.

ვ) გამოცემული იქნეს სპეციალური კანონები, რომელნიც უზრუნველჰყოფენ დედა-ენის ხმარებას სახელმწიფოს ყველა ორგანოებში და დაწესებულებებში, რომლებიც აკმაყოფილებენ ადგილობრივ სხვა ნაციონალურ მოსახლეობასა და ნაციონალურ უმცირესობათა მოთხოვნილებებს,—კანონები, რომელნიც განდევნიან და დასჯიან მთელი რევოლიუციონური სიმკაცრით, ყველა მათ, ვინც შელახავს ეროვნებათა უფლებას, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს.

ზ) გაძლიერებული იქნეს აღმზრდელობითი მუშაობა წითელ ჯარში მოკავშირე ერების სოლიდარობისა და ძმური განწყობილების იდეის ჩანერგვით და მიღებული იქნეს პრაქტიკული ღონისძიებანი ეროვნული ჯარის ნაწილების მოსაწყობად ყველა იმ ზომების დაცვით, რომელიც საჭიროა რესპუბლიკის თავდაცვის უნარიანობის სავსებით უზრუნველსაყოფად.

1) ჩვენი პარტიის ორგანიზაციების განვითარება რესპუბლიკების მეტ წილში მიმდინარეობს ისეთ პირობებში, რომელიც ნაკლებად უწყობს ხელს მათ ზრდასა და განმტკიცებას. ამ რესპუბლიკების ეკონომიური ჩამორჩენილობა, ნაციონალური პროლეტარიატის სიმცირე, ადგილობრივ ელემენტებს შორის გამოცდილი ძველი პარტიული მუშაკებისა ან მათი სრულიად არ ყოლა, სამშობლო ენაზე სერიოზული მარქსისტული ლიტერატურის უქონლობა, პარტიული აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტე, დასასრულ, რადიკალურ-ნაციონალურ ტრადიციების ნაშთების არსებობა, რაც ჯერ კიდევ არ მოსპობილა,—ყოველივე ეს ადგილობრივ კომუნისტებში იწვევს პირდაპირ გადახრას თავისებურ გადამეტებისაკენ, ნაციონალიზმისაკენ, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების სათანადოდ დაუფასებლობისაკენ. ეს მოვლენა საშიშ სახეს იღებს განსაკუთრებით იმ რესპუბლიკებში, რომლებიც რამდენიმე ერებისაგან შესდგებიან; აქ იგიი უფრო ძლიერი ერის კომუნისტებში იღებს შოვინიზმისაკენ გადახრის ფორმას, რომელიც მიმართულია სუსტი ერების კომუნისტების წინააღმდეგ (საქართველო, აზერბეიჯანი, ბუხარა, ხორეზმი). ნაციონალიზმისაკენ გადახრა საშიშია იმ მხრივაც, რომ იგი, აფერხებს რა ეროვნული პროლეტარიატის ეროვნული ბურჟუაზიის გავლენისაგან განთავისუფლების პროცესს, აძნელებს ცალკე ერების პროლეტარიატის ერთიან ინტერნაციონალურ ოჯახში შეკავშირების საქმეს.

2) მეორეს მხრივ, პარტიის ცენტრალურ ორგანოებში და აგრეთვე ეროვნული რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ორგანიზაციებში რუს ეროვნების ძველი პარტიული მუშაკების მრავალრიცხოვანი კადრის არსებობამ, მუშაკების, რომლებიც ვერ იცნობენ ამ რესპუბლიკის მშრომელი მასების ზნე-ჩვეულებებსა და ენას და ამიტომ ხშირად სათანადო სიფრთხილით ვერ ეპყრობიან მათ საჭიროებებს,—ასეთი კადრის არსებობამ გამოიწვია ჩვენს პარტიაში გადახრა ენისა და თავისებურობის სათანადოდ ვერ დაფასებისაკენ პარტიული მუშაობის დროს, ამაყი და ამპარტავნული მოპყრობა ამ თავისებურობისადმი, გადახრა ველიკორუსულ შოვინიზმისაკენ. ეს გადახრა საშიშია არა მარტო იმიტომ, რომ იგი აფერხებს ადგილობრივი ნაციონალური ენის მცოდნე პირებიდან კომუნისტური კადრების შექმნის საქმეს და ქმნის პარტიის ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელი მასსებისაგან ჩამოშორების საშიშროებას, არამედ იმიტომაც, რომ იგი ასაზრდოებს ზევით დასახელებულ გადახრას ნაციონალიზმისაკენ და აძნელებს მასთან ბრძოლას.

3) ჰკიცხავს რა ორივე ამ გადახრას, რაც მავნეა და საშიში კომუნიზმის საქმისათვის და მიაქცევს რა პარტიის წევრთა ყურადღებას ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის განსაკუთრებულ საშიშროებასა და განსაკუთრებულ მავნებლობას,—ყრილობა მოუწოდებს პარტიას იმ ძველი ნაშთების ლიკვიდაციისაკენ, რასაც ალაგი აქვს ჩვენს პარტიულ აღმშენებლობაში.

ყრილობა აძლევს ცენტრალურ კომიტეტს შემდეგ პრაქტიკულ დავალებებს;

ა) მოაწყოს უმაღლესი ტიპის მარქსისტული წრეები ნაციონალური რესპუბლიკების ადგილობრივი პარტიული მუშაკებისაგან:

ბ) გაავრცელოს პრინციპიალური მარქსისტული ლიტერატურა სამშობლო ენაზე;

გ) გააძლიეროს აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტი და მისი განყოფილებები ადგილებზე;

დ) შექმნას ნაციონალური კომპარტიების ცენტრ. კომიტეტებთან ინსტრუქტორთა ჯგუფები ადგ. მუშაკებისაგან;

ე) გაავრცელოს მასსიური პარტიული ლიტერატურა სამშობლო ენაზე;

ვ) გააძლიეროს პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა რესპუბლიკებში;

ზ) გააძლიეროს მუშაობა ცალკე რესპუბლიკების ახალგაზრდობაში.

4) იმ უდიდესი მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს პასუხისმგებელი მუშაკების საქმიანობას ავტონომიურ და დამოუკიდებელ რესპუბლიკებში და საზოგადოდ განაპირა ქვეყნებში (განხორციელება კავშირისა ამა თუ იმ ცალკე რესპუბლიკის მშრომელებსა და დანარჩენი კავშირის მშრომელებს შორის),—ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განსაკუთრებულის გულმოდგინეობით იზრუნოს ამ მუშაკების შერჩევაზე იმ მიზნით, რომ მათი შემადგენლობა სავსებით უზრუნველჰყოფდეს ნაციონალური საკითხის შესახებ პარტიის დადგენილებების ცხოვრებაში სისწორით გატარებას.

# სხვადასხვა ამბები.

— საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაკმაყოფილებულ იქნეს ტროცკის თხოვნა საბჭოთა კავშირის საზღვაო სამხედრო კომისრის და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ.

საბჭოთა კავშირის საზღვაო-სამხედრო კომისრად და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე.

— სრულიად საკავშირო თათბირზე მებამბეობის შესახებ გამოირკვა, რომ 1925 წელს უნდა დაითესოს 561,000 დესეტინა ბამბა და მიღებული იქნეს 81 მილ. ფუთი ნედლი ბამბა. მიმდინარე წელს ბამბის საწმენდი ქარხნების რიცხვი აყვანილი იქნება 98-დე.

— დამტკიცებულია შემადგენლობა სახალინის რევოლიუციონურ კომიტეტისა, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება შორეულ-აღმოსავლეთის რევკომს. ახლო მომავალში სახალინის რევკომი იმ კომისიასთან ერთად, რომელმაც უნდა ჩაიბაროს სახალინი, გაემგზავრება კუნძულზე.

— ამერიკიდან რუსეთის სატყეო-საექსპორტო ორგანიზაციებს მოუვიდათ შეკითხვა — შეუძლიათ თუ არა მათ იკისრონ 3 მილიონი მუხის შპალების დამზადება ამერიკის რკინის გზებისთვის.

# მუშათა კომისიის რწმუნებულთა საყურადღებოდ.

მუშათა კომისია სთხოვს თავის რწმუნებულთ მიიღონ ზომები ჟურნალის გასავრცელებლად. გვაცნობეთ დაუყოვნებლივ, რამდენი ცალი ჟურნალი ვრცელდება ეხლა თქვენს რაიონში და რამდენის გავრცელება შეიძლება შემდეგში.

ყველა თემებში გაიჩინეთ საიმედო და მიუდგომელი კორესპონდენტები, რომელნიც მოაწოდებენ უშუალოდ ჟურნალს ცნობებს სოფლის ცხოვრებიდან.

ჟურნალში სოფლის ცხოვრებიდან მიუდგომელი ცნობების მოთავსება ძლიერ შეუწყობს ხელს ბევრი სიმახინჯის მოსპობას, რომელიც არსებობს სოფლად.

მიაქციეთ ამ საქმეს თქვენი უდიდესი ყურადღება.

# ჩვენი ფოსტა.

**სამტრედია.** რწმუნებულს ა. კორძაიას. თქვენ გვწერთ: არის შემთხვევები, ჩვენთან საჩივრითაც მოდიან ზოგიერთ თემებიდან ადმინისტრაციის არასასურველ მოქმედების შესახებ. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია თუ არა რაიმე ნაბიჯი გადავდგათ?

**პასუხი.** ასეთი შემთხვევები აცნობეთ მაშინვე ადგილობრივ სამაზრო ადმინისტრაციას, კორესპონდენციის სახით მოგვაწოდეთ ჩვენ. თუ ადგილობრივი ადმინისტრაცია ყურადღებას არ მიაქცევს, მთავრობა მიიღებს შესაფერ ზომებს. ყოველგან თემებში გაიჩინეთ კორესპონდენტები, ამათ მოგვაწოდონ ცნობები სოფლის ცხოვრებიდან და ადმინისტრაციის არაკანონიერ მოქმედების შესახებ. ამას მოითხოვს დღეს მთავრობაც ყველა პატიოსან მოქალაქისაგან.

**ფოთი.** რწმუნებულს ა. ჩიჩუას. მოგვაწოდეთ წერილები თქვენ მიერ აღძრულ საკითხის შესახებ. რედაქციაც მაშინ მოგცემსთ განმარტებას.

**შორაპანი.** რწმუნებულს ი. შათირიშვილს. იწერებით: „მაშ რას უნდა მიეწეროს ის უნდობლობა, რომელიც გამოიხატება გაზ. „კომუნისტ“-ში მოთავსებულ წერილებში?“

**პასუხი:** გვაცნობეთ საჩქაროდ, რომელ წერილებზე იწერებით, ნომერი გაზეთისა და სათაური წერილების, მაშინ მიიღებთ პასუხსაც.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

# განცხადებები

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლაღიძის

საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატზე.

მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.

მ. ლაღიძის ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.

(0—4)

## ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ეკონომიური სამსახური

# ა ც ხ ა დ ე ბ ს

**რომ ქალაქ თბილისის, ბაქოს, მოსკოვის, ერევნის, ბათომის, განჯის, თელავის, ევლახის, ზუგდიდის და ქუთაისის**

საკომერციო სააგენტოებში და ქალაქის სადგურებში სწარმოებს შემდეგი ოპერაციები:

1. სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ყველა მიმართულებებით (შინ მიტანით).
2. სასაწყობო ოპერაციები.
3. ყველა საკომერციო ოპერაციები.
4. სესხის გაცემა საქონლის გირავნობით, როგორც სამიმოსვლო სადგურებზე, ისე საწყობებში.
5. ტვირთის მიღება, გაგზავნა და გაცემა.
6. ტვირთის გადაგზავნა შარაგზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვა რკინის გზით მუშტრების დავალებით.
8. საბაჟო, სააქციზო და სხვა დავალებათა შესრულება.

**ყველა ზემოხსენებული სატრანსპორტო ოპერაციები სწარმოებს უმცირესი საკომისიო ფასგადახდით.**

საკომერციო სააგენტოები და ქალაქის სადგურები დიდ დახმარებას უწევენ მუშტრებს სარკინისგზო-სატრანსპორტო საქმეებში.

(0—4)

# განცხადება.

ზოგიერთ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებსაც, გარდა სახლის წყალსადენის საერთო წყალსაზომის, მოწყობილი აქვთ თავისთვის დამატებითი ცალკე წყალსაზომები და ასეთების ჩვენების მიხედვით ხდება მათ და სახლის მცხოვრებთა შუა წყლის ხარჯის განაწილება. ასეთი წყალსაზომების სწორი მოქმედების ერთგვარი კონტროლის დასაწესებლად სათანადო პირებმა ეს დამატებითი წყალსაზომები აუცილებლად 6 თვეში ერთხელ უნდა წარმოადგინონ წყალსადენში შესამოწმებლად და სათანადო მოწმობების მისაღებად, რის მოწმობაც მუდამ უნდა იქონიონ კონტროლიორის მოთხოვნილებისამებრ წარსადგენათ. აღნიშნულის შეუსრულებლად შეუმოწმებული საზომების ჩვენება მხედველობაში არ მიიღება.

წყალსადენის დირექტორი **ხოჯაევი**.

კანცელარიის გამგე **ქურთიშვილი**.

0—1

მთავლიტი № 175 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2000

წელიწადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა. 15 თებერვალი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11 68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე

№ 9

## ახალი ხანა ჩვენს ცხოვრებაში.

რუსეთი თავისებური ქვეყანა არისო, ისმოდა ხშირად და ეს სრული ჭეშმარიტებაა. ერთი დიდი თავისებურობა რუსეთისა მდგომარეობდა იმაში, რომ ის უალრესად გლეხური ქვეყანა იყო და არის დღესაც.

სწორედ ამ თავისებურებაზე ამყარებდენ მემარჯვენეები და ყველა მონარქისტები თავის იმედებს. გლეხი იყო ბურჯი მეფის ტახტისა და სარწმუნოებისა. იმის ბეჭებზე დაფუძნებული, დამაგრებული იყო თვითმპყრობელობა და ძველი რეჟიმის მომხრენი დარწმუნებული იყვნენ, რომ გლეხი როგორც თავისი მდგომარეობით, ისე თავისი შეგნებით თვითმპყრობელობის ფარგლებს ვერ გასცილდებოდა.

ჩვენს გლეხს მტკიცედ და შეურყევლად სწამს მეფე და მართლმადიდებლობაო, იმეორებდენ ისინი და დარწმუნებული იყვნენ, რომ გლეხობა რევოლიუციას არც მოახდენდა, არც მიემხრობოდა.

სინამდვილემ სულ სხვა გამოააშკარავა: გლეხობამ ზურგი შეაქცია მეფესა და იმის წყობილებას და ამან მოუპოვა გამარჯვება როგორც თებერვლის, ისე ოქტომბრის რევოლიუციას. თებერვლის რევოლიუციას რომ გლეხობა დაემხრობოდა — ოქტომბრის რევოლიუცია ალარ მოხდებოდა; კომუნისტებს რომ გლეხობა არ მიმხრობოდა, ოქტომბრის რევოლიუცია ვერ გადალახავდა ამდენ დაბრკოლებას, ვერ დაამარცხებდა ამდენ მტერსა და ვერ გაიმარჯვებდა.

დღეს ურწმუნო თომასთვისაც ცხადი გახდა, რომ გლეხობამ ითამაშა უდიდესი როლი რუსეთის რევოლიუციაში.

აქედან აშკარაა შემდეგი: მუშა ხალხის საბოლოო გამარჯვებისათვის აუცილებელია, რომ მან ხელიდან არ გაუშვას ისეთი საიმედო მოკავშირე, როგორიც გლეხობაა და რომ განმტკიცება ამ კავშირისა უალრესად საჭიროა.

თვითმპყრობელობის რეჟიმი განსაკუთრებით აუტანელი, საშინელი იყო განაპირა ქვეყნებში. ამიტომაც პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლა განაპირა ქვეყნებში უფრო ადვილად იწვევდა გლეხობის თანაგრძნობას.

ჩვენში კავშირი ქალაქის მუშებსა და გლეხებს შორის თავიდანვე მტკიცე იყო და გლეხები ქალაქის მუშებს მუდამ უჭერდენ მხარს. საბჭოთა კავშირმა ჩვენი გლეხი გამოაფხიზლა, გააცნობიერა, შეაგნებინა და შეაყვარა თავისი მოქალაქეობრივი უფლებანი. განსაკუთრებით ითქმის ეს დასავლეთ საქართველოზე.

შეგნებას თან მოსდევს თაოსნობის გაღვიძება და გაძლიერება. გლეხს უნდა — ცხოვრების ტრიალს უკან არ ჩამორჩეს, თავის სასოფლო საქმეში ჩაებას, აზრი გამოსთქვას, თავისუფლად ილაპარაკოს, საერთო საქმეში მონაწილეობა მიიღოს.

უნდა ითქვას მართალი: რევოლიუციამ ამ აზაზე გლეხობას ჯერ ვერ მისცა გასაქანი. ამას აშკარად აღიარებს დღეს მმართველი ხელისუფლება.

დღემდე იყო ბრძანება ერთის მხრით, გლეხების მხრიდან კი სრული მორჩილება და უსიტყვოდ ასრულება.

ხშირად მთელი სოფლის ბედ-იღბალი რომ ლიმე უხეირო, უვარგისი ადმინისტრატიული პირის ხელში იყო და გლეხობას შიშით ხმა ვერ ამოეღო ამგვარ მაგალითებს ხშირადა ნახავთ დღეს „კომუნისტ“-ში.

ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ დღემდე საბჭოთა წყობილებას ყოველის მხრიდან ესხმოდენ თავს და კომუნიზმი უნდა ყოფილიყო შეიარაღებული, სამხედრო მდგომარეობის პირობებში ჩაყენებული.

ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ იმდენად გაიმარჯვა თავის მტრებზე, იმდენად განმტკიცდა ის, რომ შეუძლია სამხედრო კომუნიზმიდან ნელ ნელა გადავიდეს მშვიდობიან მოქალაქეობრივი ცხოვრების წესებზე.

პირველ რიგში დადგა სოფელი, გლეხი და მისი უფლებები, მისი მხნე მონაწილეობა კომუნისტურ აღმშენებლობაში.

მმართველი ხელისუფლების დიდ ღირსებას შეადგენს ის, რომ დროზედ გაუსვა ხაზი ამ საკითხს და გადასდგა აქეთკენ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

„ან ჩვენ, მთელი პარტია საშუალებას მივცემთ უპარტიო გლეხებს და მუშებს გაგვაკრიტიკონ, ანდა ჩვენ გაგვაკრიტიკებენ აჯანყებების მოწყობის გზით“, ამბობს სტალინი თავის სიტყვაში მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციაზე („კომუნისტი“ № 32).

მმართველი ხელისუფლებისა და პარტიის ახალი პოლიტიკით იწყება სრულებით ახალი ხანა ჩვენი სოფლის ცხოვრებაში.

დღემდე ხელისუფლებას უხდებოდა თავისი მიზნების განხორციელება სამხედრო მდგომარეობის პირობებში; მიუხედავად ამისა სოფლად ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჩვენი სოფელი მაინც ისევ ძველს წააგავდა: უსამართლობა, უკანონობა, ძალმომრეობა, ბოროტმოქმედება, მექრთამეობა,—ყოველივე ამას ჰქონდა ადგილი; ამავე დროს გლეხს ხშირად ხმის ამოღება არ შეეძლო.

დღეიდან კი იწყება ჩვენი სოფლის სრული განახლება.

მაზრების დაყოფა თემებად, საბჭოების შემოღება და ადგილობრივი აღმასკომების მაღდამი დაქვემდებარება უდიდესი მნიშვნელობის საქმეა.

დღემდე ჩვენი გლეხი კიდევ არ იყო სრულუფლებიანი და თავისუფალი გამგე თავისი ქვეყნისა და ცხოვრებისა. ამიტომაც ის ვერ იღებდა ქვეყნის აღმშენებლობაში სათანადო მონაწილეობას, განზე იდგა და ეშინოდა კიდეც თავისი აზრისა და შეხედულების გამოთქმისა.

თუ ზოგჯერ საჭირო გამხდარა მისი აზრის გაგება, თავისი შეხედულობის გამოთქმა ბევრჯერ უხდებოდა მას ძალდატანების ქვეშ.

რა თქმა უნდა, ასეთს პირობებში გლეხი იძულებული ხდებოდა, ბევრჯერ დაემალა თავისი გულის ნადები და მმართველ ხელისუფლებას მოსდიოდა ამრიგად არა ჭეშმარიტი, არამედ ყალბი ცნობები ჩვენი სოფლის მდგომარეობაზე.

აი ამას უწოდებს სტალინი თავის სიტყვაში „ჩინოვნიკურად“ მდგომარეობის შეფასებას.

დღეიდან მმართველი ხელისუფლების და პარტიის გადაწყვეტილებით ყოველივე ეს ისპობა.

ჩვენი სოფლის ცხოვრება მტკიცედა და გაბედულად დგება ნორმალურ პირობებში, გლეხი ხდება სრულუფლებიანი გამგე სოფლის ვითარებისა და მას შეუძლია ფართოდ განავითაროს თავისი საქმიანობა და უნარიანობა.

ის უპასუხისმგებლობა თითო-ოროლა ადმინისტრატიული პირისა, რასაც ბევრგანა ჰქონდა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და რასაც მეტად დიდი ზიანი მოჰქონდა საბჭოთა წყობილების განმტკიცების საქმეში, დღეიდან ისპობა და საბჭოების საშუალებით გლეხს უფლება და საშუალება ეძლევა განდევნოს ყოველივე, რაც წინ ეღობება მას ახალ ცხოვრების გზაზე.

დღემდე კავშირის განმტკიცებას ქალაქის მუშებსა და გლეხებს შორის ბევრი რამ უშლიდა ხელს, ბევრი რამ არ მოსწონდა გლეხს და მას ეშინოდა თქმისა.

დღეს კი საბჭოების საშუალებით ეს კავშირი თანდათან განმტკიცდება, გლეხი დაინახავს საბჭოთა წყობილების ნამდვილ სახესა და შინაარსს და უსათუოდ გადიქცევა იმის ბურჯადა და შეგნებულ გუშაგად.

კულაკები და ბურჟუები ჩვენს გლეხობაში მეტის მეტად უმნიშვნელო ნაწილია. უმეტესობა ეკუთვნის ღარიბ გლეხობას, მცირე ნაწილი—საშუალოს. ამათზე უფრო ერთგული დამცველი ვინ ეყოლება ჩვენში საბჭოთა წყობილებას, ოღონდ დაანახვეთ მას ამ წყობილების ნამდვილი სახე და მიეცით საშუალება თავისუფლადა სთქვას და გააკეთოს ის, რაც მისი რწმენით საჭიროა ამ წყობილების განმტკიცებისათვის, მიეცით მას შეძლება, მოიშოროს ის პირები, რომლებიც საბჭოთა წყობილებას ჩირქსა სცხებენ.

დღეიდან საბჭოების საშუალებით გლეხს ეძლევა ყოველივე ეს.

ჩვენი სოფლის საბჭო არის ნამდვილი საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს სიმტკიცე საბჭოთა წყობილებისა.

ჩვენი გლეხი ბევრსა ჰფიქრობს, ცოტას ლაპარაკობს. ლაპარაკი მაინცა და მაინც იმდენად არ უყვარს, რადგანაც უმთავრეს მნიშვნელობას საქმეს აძლევს და არა სიტყვას. ლაპარაკის დროს ის მეტად ფრთხილია და ბევრჯელ იმას არ ამბობს, რისი თქმაც უნდა: ადვილად არავის ენდობა და არ ჩაახედებს თავის გულში.

აქ უნდა დაეხმაროს ჩვენს გლეხს სოფლის კორესპონდენტი.

სოფლის კორესპონდენტს, გლეხკორს ყოველთვისა ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, მაგრამ განსაკუთრებით დიდია მისი როლი დღეს, როდესაც სოფლის ცხოვრებაში იწყება ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ხანა, მმართველი ხელისუფლებისა და პარტიის ნება და გარდაწყვეტილება ბევრჯერ არ ტარდებოდა სოფლად. დღეიდან გლეხკორი უნდა გახდეს ჩვენი მთავრობის ნების მტკიცე დარაჯად და თუ ვინმე გაჰბედავს ამ ნების გადალახვას, მყისვე აცნობოს ეს მთავრობას პრესის საშუალებით.

მთელი სოფლის ინტელიგენცია და შეგნებული გლეხობა უნდა ამოუდგეს მთავრობას გვერდში, დაეხმაროს ამ დიდ საქმეში, რაც განახლებას უმზადებს მთელ ჩვენს ცხოვრებას და საბჭოების საშუალებით ხელი შეუწყოს ჩვენი სოფლის აყვავებასა და საბჭოთა წყობილების განმტკიცებას.

# ახალი გზით.

ხშირად გვესმის მოწინავე ყოფილ მენშევიკი მუშების შეკითხვა: რა გზაა ეგ ახალი გზა, საით მიდიხართ, რას აკეთებთ, ან ჩვენ რა უნდა ვაკეთოთო. ზოგი კიდევ ამბობს: კარგა ხანია პოლიტიკური საქმიანობისათვის თავი დამინებებია, ჩემთვისა ვარ და ჩამომეხსენითო.

როგორც პირველს, ისე მეორეს მოკლედ მინდა პასუხი გავცე, თუმცა ეგ შეიძლება არც ისე ადვილი საქმე იყოს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მენშევიკურმა პარტიამ თავს იდვა განეგრძო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, თუმცა ომი წაგებული იყო და იარაღი დაყრილი.

საქართველოს ყოფილი მმართველი პარტია შეეცადა აღედგინა თავისი ბატონობა უმთავრესად ევროპის დახმარებით. ამისთვის საჭირო გახდა ორგვარი ხასიათის მუშაობის წარმოება—პოლიტიკური და სამხედრო.

ევროპაში მათ ეუბნებოდენ: თუ კი ქართველი ხალხი შეეგუებ-შეეწყობა საბჭოთა ხელისუფლებას, ბრძოლას არ აწარმოებს და იარაღს არ მოჰკიდებს ხელს, ისე ჩვენ რა უნდა გიშველოთო. ამიტომ იყო, რომ ევროპიდან იქ.

მყოფი გახიზნულები იწერებოდენ, საიდანაც ვგებულობდით—ქართველი ხალხი მზად უნდა ყოფილიყო იარაღით ხელში და როცა საჭირო იქნებოდა, მოეხდინა გამოსვლა.

მთელი ენერგია აქეთკენ იყო მიმართული, მუშაობა საქმიანობის მთელი სიმძიმე ამ მხარეზე იყო გადატანილი. იქმნებოდა შტაბები, სამხედრო სამეულები და დგებოდა მებრძოლთა ჯგუფები. ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის გამოსვლებსაც სხვადასხვა დროს და გასული წლის აგვისტო-სექტემბრის ამბებს თუ რა მოჰყვა შედეგად, ეგ ხომ ყველამ კარგად ვიცით.

მენშევიკურ ცეკასა და საზღვარგარეთის ბიუროს მთელი ოთხი წლის მუშაობა დასრულდა საშინელი მარცხით... ბევრი ოცნება-ილიუზიები გაჰქრა და ჩვენ დავდექით მწარე სინამდვილის წინაშე...

აი ეს გზაა ძველი გზა, რომელმაც მიიყვანა ჩვენი ხალხი თითქმის ფიზიკურ განადგურებამდე, ბევრს კი ალბად ეგონა, რომ მოგვიტანდა სიკეთეს...

უნდა ვთქვათ, რომ ეს გზა მუშებისაგან არ იყო თავიდანვე მოწონებული, შემდეგში უარყოფილიც იქნა, რის დამამტკიცებელია მუშებისაგან მენშევიკური რიგების თანდათანობით დატოვება, მათგან განზე გადგომა.

ამგვარად, ძველ გზას უპირდაპირდება ახალი გზა, რომელიც მიდის სხვა ხაზით, სხვა მიმართულებით. ეს გზაა —დგომა საბჭოთა პლატფორმაზე, მისვლა არსებულ ხელისუფლებასა და მმართველ პარტიასთან და მათთან ერთად ჩაბმა აღმშენებლობითი მუშაობაში და ყოველ გვარ საქმიანობაში. ბრძოლა მათს წინააღმდეგ უსათუოდ უნდა იქნას დაგმობილ-უარყოფილი და თუ არის ვინმე მუშათაგანი, რომელიც კიდევ სდგას ძველ გზაზე, იგი ნებსით თუ უნებლიედ დათვურ სამსახურს უწევს მშრომელთ, უფრო მწარედ რომ არა ვთქვათ...

თუ რა უნდა ვაკეთოთ, მგონი, ძნელი გასათვალისწინებელი არც კია: ყოველდღიურ საქმიანობაში ყველანი ვართ ჩაბმულნი, აქ უნდა გამოვიჩინოთ მხოლოდ მეტი ენერგია, მეტი გულწრფელობა უნდა იყოს ჩვენში და ბოტიაობის, საბოტაჟის და განზე გადგომის ნასახსაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, თუ გვინდა, რომ ვემსახუროთ ქვეყნის საქმეს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ პოლიტიკურად ჩვენს მუშებს საკმაოდ დიდი უფლებები აქვთ და მისი თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება თვით მუშებზედვეა დამოკიდებული. და ამ დროს განზე დგომა, არაფრის კეთება და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობა დიდად საზარალოა როგორც თითოეული მუშისათვის, ისე მთელი მუშათა კლასისათვის, ყველა მშრომელთათვის. თითოეულ შეგნებულ მუშას თავისი წვლილი უნდა შეჰქონდეს ყოველგვარ საქმიანობაში, ეს იქნება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, თუ პროფესიონალურ და სხვა მუშათა ორგანიზაციებში მონაწილეობა, თუ სურს, რომ რაიმე გაკეთდეს პირადად მისი კეთილდღეობისათვისაც.

კარგია თეორიულად თუ პრაქტიკულად სხვადასხვა სადაო საკითხებზე მსჯელობა, რომლებიც ცხოვრებისაგან არიან წამოყენებულნი, მაგრამ ამაზე სხვა დროს და

# პროლეტარიატის დიქტატურა და დემოკრატიზმი.

... „კაპიტალისტურ საზოგადოებასა და კომუნისტურ საზოგადოებას შუა დევს პირველის რევოლიუციონურად გადაქმნის პერიოდი მეორედ. ამ პერიოდს შეეფერება გარდამავალი პოლიტიკური მომენტიც, და ამ პერიოდის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რამე, გარდა პროლეტარიატის რევოლიუციონურ დიქტატურისა. კ. მარქსი.

... „Диктатура пролетариата, период перехода к коммунизму, впервые дасть демократию для народа, для большинства, на ряду с необходимым подавлением меньшинства, эксплуататоров".— ვ. ლენინი.

## I.

პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკი და მისი სახელით ამა თუ იმ პრაქტიკულ ნაბიჯების მონათვლა, ჩვენს პრესაში და რეალურ ცხოვრების ყოველდღიურ საქმიანობაშიაც აგერ ერთი ხანია, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ხშირად ასეთ შემთხვევებში „პროლეტარიატის დიქტატურას“ „დემოკრატიზმს“ უპირდაპირებენ ხოლმე და ზოგიერთებს ეს ორი ცნება ერთი მეორის უარისმყოფელი და მოწინააღმდეგე ცნებები ჰგონია კიდეც. უფრო კონკრეტიულად რომ ვსთქვათ, ზოგიერთების მიერ „დემოკრატია“ და „დემოკრატიზმი“ ბურჟუაზიულ-რეაქციონურ ცნების შესატყვის ტერმინებადაა მიჩნეული, ხოლო „პროლეტარიატი“ და „პროლეტარიატის დიქტატურა“ სოციალისტურ-რევოლიუციონური ცნების ექვივალენტებადაა აღიარებული. ამ ორ ცნების დაპირდაპირებაში იქამდე მივიდა საქმე, რომ დემოკრატობა და საერთოდ დემოკრატიულ პრინციპებზე ლაპარაკი ჭეშმარიტ სოციალისტისა და რევოლიუციონერისათვის ზოგიერთების მიერ შეუფერებელ საქმედ იქნა ცნობილი.

როდესაც პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ ფორმას, და პარლამენტალურ დემოკრატიზმს, როგორც აგრეთვე თავისებურ სახელმწიფოებრივ ფორმას, ერთი-მეორეს უპირდაპირებენ და მათ სხვაობაზე ლაპარაკობენ,—ეს საჭიროც არის და გასაგებიც. მაგრამ საკითხის იმ გვარად დაყენება, როგორც ეს ზევით იყო ნათქვამი, ჩვენის აზრით, სრული გაუგებრობის შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ამ შედეგების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ვიცოდეთ ერთის მხრივ, თუ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა მარქსისტული მოძღვრების მიხედვით, ხოლო მეორეს მხრივ საჭიროა გამორკვეული იქნეს აგრეთვე, თუ როგორი ურთიერთობაა დიქტატურასა და დემოკრატიზმს შორის.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთმა მკითხველმა, შესაძლებელია, გვისაყვედუროს ასეთი საკითხების წამოყენება და გაშუქება ჩვენს დროში, როდესაც ცხოვრება უფრო „პრაქტიკულ-უტილიტარულ“ და ყოველ-დღიურ მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხების გადაჭრას მოითხოვს. ასეთს მკითხველს ეს საკითხები, შესაძლებელია, წმინდა თეორიულ და ვინ იცის, განყენებულ საკითხებათაც მოეჩვენოს, ისეთ საკითხებად,

სხვებმა იმსჯელონ. დღეს მე მინდა მუშების ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებაზე — საქართველოს მუშათა და მშრომელთა შორის აღარ არის ის მთლიანობა, ერთსულოვნება, როგორიც წინად იყო. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზებიც აქვს, ჩვენ დღეს მაინც უნდა მოვუნახოთ ამ მიზეზებს ძირ-ფესვი და თან შევეცადოთ მის აღმოფხვრას.

საქართველოს მუშები წინადაც ერთად ვიყავით, ერთი გზით ვიდოდით, დღესაც ასე უნდა იყოს. ჩვენი ქვეყნის წარმატება-წინსვლა ისევ ჩვენზე, მუშებზე და მშრომელ გლეხობაზეა დამყარებული და ჩვენივე სწორ გზაზე დადგომით და ძველი, ყალბი გზის დაგმობით უნდა შევძლოთ უკეთესი მომავლისაკენ წინსვლა.

აქეთკენ მოვუწოდებ ყველას, ვისაც შერჩენია ენერგია ბრძოლისა და საქმიანობისა.

ს. ვადაჭკორია.

# ხელისუფლებასთან დაახლოვება.

რა შეუწყობს ხელს ქართველი ხალხის კიდევ უფრო მეტად დაახლოვებას საბჭოთა ხელისუფლებასთან?

აი კითხვა, რომელსაც უნდა გაეცეს სათანადო პასუხი ყველასაგან, ვინც დაინტერესებულია ქართველი ხალხის ტრაღიკულ მდგომარეობიდან გამოსვლაში, რომელშიაც ის იმყოფება ამ ოთხი წლის განმავლობაში და რომელშიაც ჩავარდა შემცდარ გზაზე შედგომით, მისდაუნებლიედ.

ეს კითხვა დიდად სერიოზულია. მას ყოველმხრივ გაშუქებული პასუხი უნდა გაეცეს, რაც სასარგებლო იქნება და აუცილებელი საჭიროც როგორც ხალხისათვის, ისე ხელისუფლებისათვის.

ჩემი აზრი კვლავ მინდა გამოვსთქვა ამ საკითხზედაც, რამდენადაც მე ამას შევძლებ ჩემი პატარა ცოდნით და გამოცდილებით.

უპირველეს ყოვლისა დემაგოგიას თავი უნდა გავანებოთ და ვიყოთ გულახდილნი. ჩვენ მენშევიკურ პარტიის მეთაურობით ბრძოლას ვაწარმოებდით ბოლშევიზმის წინააღმდეგ არამც თუ გასაბჭოების შემდეგ, არამედ წინადაც.

თუ ამას მაშინ ნახევრად იდეიური ხასიათი ჰქონდა, გასაბჭოების შემდეგ ის თანდათან გამწვავდა და მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო. მენშევიკური პარტია ყოველთვის გმობდა ტერორს, მიუხედავად ამისა, როგორც თანდათან ირკვევა, მას არა ერთხელ ჰქონია ადგილი და რა გასაკვირველია, თუ ეს სასტიკ რეპრესიებს იწვევდა ხელისუფლების მხრით.

აგვისტოში ხალხის ერთი ნაწილი შეიყვანეს შეცდომაში, დაუპირდაპირეს რა რევოლიუციონურ რუსეთს, რომლის წინააღმდეგ ის არ იბრძოლებდა, რადგან გაწაფული იყო ბრძოლაში მხოლოდ რეაქციონურ რუსეთის

---

რომლებიც სხვა დროსა და პირობებს საჭიროებენ, ან კიდევ, შესაძლებელია, ეს საკითხები მან უმნიშვნელო საკითხებად ჩასთვალოს და როგორც ასეთს, გვერდი აუხვიოს. ასეთი მკითხველის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ მარქსისტული თეორია და პრაქტიკა ისეა ერთმანეთზე გადაბმული და დაკავშირებული, რომ ლაპარაკი რომელიმე მარქსისტულ დებულებაზე, როგორც პრაქტიკასთან დაშორებულზე, სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. მარქსიზმი თვით რეალური ცხოვრების ანალიზია და, როგორც ასეთი, სავსებით სინამდვილესთან დაკავშირებული მოძღვრებაა. ამავე დროს იგი გარემოს შესაცნობი იარაღია და ახალი ცხოვრების მოსაწყობი საშუალებაა, რომელიც თავის ასპარეზად ყოველთვის რეალურ სამყაროს და ცხოვრების ცოცხალ ფაქტებს გულისხმობს. თვით ცნება „მარქსიზმი“ სინთეზია თეორიისა და პრაქტიკის, აბსტრაქციისა და რეალობის. ამიტომ მარქსიზმის არც ერთი დებულება არაა მოკლებული პრაქტიკულ მნიშვნელობას, ხოლო განსაკუთრებული მაიშვნელობის მატარებელია ამ მხრივ ის დებულება, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის შინაბუნებასა და დემოკრატიზმთან მის დამოკიდებულებას არკვევს.

მარქს-ენგელსის ნაწერებში და საერთოდ მარქსისტულ თეორიასა და ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტრაქტატს პროლეტარიატის დიქტატურის შინაბუნებისა და მისი, როგორც მშრომელთა ერთად ერთი სწორი გზის, აუცილებლობის შესახებ. მეცნიერულ სოციალიზმის ორივე მამამთავარი და მათი მიმდევართა შემდეგი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებიც თავის დროზე სრულიად გარკვევით და ეჭვმიუტანელ შეურყევლობით ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალისტურ სამყაროს ლიკვიდაციისა და კომუნისტურ საზოგადოების დამკვიდრებისათვის, მშრომელთა კავშირის და მის ჰეგემონიის ერთად ერთი მიზანშეწონილი და აუცილებელი ფორმა გარდამავალ ხანაში პროლეტარიატის დიქტატურაა. ამისდა მიუხედავად პროლეტარიატის დიქტატურას მარქსისტულ მოძღვრების მიმდევართა შორის ფაქტიურად ყველანი არ იზიარებენ და მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მის აუცილებლობას არსებითად არ აღიარებენ. მარქსისტული მოძღვრების ოპორტიუნისტული და პაციფისტური ფრთა, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მეორე ინტერნაციონალის სახით, თუ თეორიაში არა, პრაქტიკაში მაინც, შეიძლება ითქვას, უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურას და მის ნაცვლად პარლამენტიზმს, ან როგორც ეძახიან, პარლამენტარულ დემოკრატიზმს აღიარებს. ყოველ შემთხვევაში ხსენებულ ფრთას პროლეტარიატის დიქტატურის ხანა შორეულ მომავლისათვის გადააქვს და მთელს იმედებს პარლამენტზე ამყარებს. ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს, თუ რა განსხვაეებაა ამ ორ მიმართულებათა შორის და, მაშასადამე, რა განსხვაეებაა პროლეტარიატის დიქტატურასა და პარლამენტარულ დემოკრატიზმს შორის, ვინაიდან ეს ამ ჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მით უფრო, რომ ეს განსაკუთრებული თემაა და, როგორც ასეთი, ცალკე გაშუქებას მოითხოვს; ვიტყვით მხოლოდ, რომ რუსეთის რევოლიუციამ და აგრეთვე ინგლისის მუშათა პარტიის მაგალითმა, სრულიად უარჰყო პარლამენტარისტული სისტემა, როგორც მუშათა კლასის ბრძოლის საშუალება და სავსებით გაამართლა პროლეტარიატის დიქტატურის დიადი მნიშვნელობა. რა არის პროლეტარიატის დიქტატურა?

პროლეტარიატის დიქტატურა, მარქსის განმარტებით, სახელმწიფოს ფორმაა გარდამავალ ხანაში, იმ ხანაში, როდესაც ხდება კაპიტალისტურ წესწყობილების კომუნისტურ წესწყობილებად შეცვლა, როდესაც სწარმოებს ბურჟუაზიულ უთანასწორობის ნაცვლად სოცია-

წინააღმდეგ რევოლიუციონურ რუსეთის ხალხთან ერთად.

ხალხი, როგორც შეცდომაში შეყვანილი, აღდგენილ უნდა იქნეს თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებში; ეს ძნელია მმართველი პარტიისათვის, რომელსაც გუშინ თოფს ვესროდით, მაგრამ მან უნდა შესძლოს ეს, თუნდ ამისათვის მოუხდეს მძიმე დაბრკოლებების გადალახვა.

ჩვენი ხალხი როგორც პოლიტიკით, ისე ეკონომიური საკითხებით მეტად დაინტერესებულია. ის ვერ ისვენებს, თუ ეს საკითხები ორივე არ იქნა მისთვის ნათელი და გარკვეული. გაურკვიეთ მას, დაარწმუნეთ ის, რომ პოლიტიკურ-ეკონომიური საკითხები პროლეტარიატის და მშრომელი გლეხკაცობის სასარგებლოდ მიმდინარეობენ და მას მეტი არა უნდა-რა, ის შენი ერთგული და კვლავინდებურად თავგანწირული თანამებრძოლი იქნება.

გურიაში ჩამოვლის დროს გლეხები გვეუბნებოდნენ: რა ვქნათ, შავი ზღვის პორტები დაკეტილია ჩვენთვის (იქ მუშაობა აღარ არის), ეხლა ყველა სოფელში ვართ, შინ სოფლის ნაწარმოებს ბაზარი არა აქვს, ჩვენ ქალაქებში—თფილისში და ქუთაისში სამუშავო ვერ გვიშოვია იმდენი მაინც, რომ აუცილებელი მოთხოვნილების მეოთხედი დავიკმაყოფილოთ და გადასახადი გადავიხადოთო. ამას შემოგვჩივიან ყველგან—როგორც სოფლებში, ისე ქალაქში საგრძნობი რაოდენობა გლეხებისა და მუშებისა. ისინი გაიძახიან—ჩვენ ჩაგვაგონეს, რომ ამაში კომუნისტები არიან დამნაშავენიო. როცა ვუხსნიდით, რომ აქ არავინ არ არის დამნაშავე, გარდა მსოფლიო ომისა და ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ სახელმწიფოებისა, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ომი და მით მოშალეს ეკონომიური ურთიერთობა-თქო, ისინი გვიპასუხებდენ—ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მანამდის ასეთი უმუშევრობა არა გვქონია და ჩვენი სოფლის ნაწარმოების გასაღებაც შეიძლებოდაო.

აქ უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება. ჩვენ, ქალაქის მოწინავე მუშებმაც არ ვიცოდით, რა ხდებოდა პარტიაში (მაგ. ტერორისტული აქტები), არ გვაწვდიდნენ მართალ ინფორმაციას, გვპირდებოდნენ მეორე ინტერნაციონალის დახმარებით ბოლშევიკების გარეკას და სხვა და თუ კი ჩვენ ვიყავით საშინელი გაუგებრობის ქსელში გახვეულნი, რა გასაკვირია, თუ გლეხები უარესშიაც ყოფილიყვნენ და ამიტომ გლეხების და მუშების ზევით ნაჩვენები განცხადება დამაფიქრებელია ყველასათვის, რასაც უნდა გაეწიოს სათანადო ანგარიში.

მშრომელ ხალხს, როგორც სოფლად ისე ქალაქად უნდა მიეცეს უმუშევრობის ნიადაგზე შექმნილ კრიზისიდან გამოსავალი, ეს კი იქნება ყოველნაირ აგიტაციაზე უკეთესი საშუალება ჩვენი ხალხის ხელისუფლებასთან დაახლოვებისა და საერთო პროლეტარულ საქმიანობაში ჩაბმისა.

ჩემის აზრით, უნდა შეიქმნას საზოგადო სამუშევრები: ქალაქებში სახლების აშენების, ხეტყის დამზადების, შავი ქვის და ქვანახშირის, გზების გაკეთების სოფ-

---

ლისტურ საფუძვლების შემოღება. ეს ის ხანაა, როდესაც სოციალური რევოლიუცია უკვე მოხდა, პროლეტარიატმა გაბატონებულ წოდებას ძალა-უფლება ხელიდან გამოგლიჯა და საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ საფუძველზე მოწყობას შეუდგა; მაგრამ ამავე დროს ეს ის ხანაა, როდესაც ბურჟუაზიულ უთანასწორობის ნაშთი ჯერ სავსებით მოსპობილი არაა, როდესაც ახლად დამყარებულ მუშურ ძალა-უფლებას კაპიტალისტებისაგან ჯერ კიდევ საშიშროება მოელის და საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე მის შენარჩუნებისათვის. აქ, ცხადია, კაპიტალისტურ სამყაროდ შეცვლა შეუძლებელია. და საჭიროა დრო, ერთგვარი გარდამავალი ხანა, რომლის მანძილზე შესაძლებელი გახდება ამ გვარ ცვლილების მოხდენა; საკმარისი არაა პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება იმისათვის, რომ კერძო საკუთრების პრინციპებზე აშენებული საზოგადოება კომუნისტურ საზოგადოებად შეიცვალოს და საერთოდ ყველაფერი ერთბაშად მშრომელთა საკეთილდღეოდ მოგვარებულად ჩაითვალოს; პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგაც საჭიროა საკმაოდ ხანგრძლივი დრო, მთელი პერიოდი, რომლის სიგრძეზე სწარმოებს ერთის მხრივ დატუქსვა ქვეყნის გუშინდელი მესაჭისა, გაბატონებული წოდების, რომელიც ვერ ურიგდება შექმნილ მდგომარეობას და მთელი ძალღონით ცდილობს უწინდელი მდგომარეობა აღადგინოს, ხოლო მეორეს მხრივ ამ პერიოდში შესაძლებელი ხდება უფრო ჩქარის ტემპით კერძო საკუთრების ნორმების გაუქმება და მათი სოციალისტური ნორმებით შეცვლა. ამ გარდამავალ პერიოდის სახელმწიფოს, როგორც ზევით ნათქვამი იყო, კ. მარქსი პროლეტარიატის დიქტატურას უწოდებს. „კაპიტალისტურ საზოგადოებასა და კომუნისტურ საზოგადოებას შუა,—ამბობს მარქსი—დევს პირველის რევოლიუციონური გარდაქმნის პერიოდი მეორედ. ამ პერიოდს შეეფერება პოლიტიკური გარდამავალი მომენტიც, და ამ პერიოდის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რამე, გარდა **პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურისა**“.

ცხადია, რომ პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების უმალ ბურჟუაზიული საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად ერთბაშად გადაკეთება რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ ლაპარაკი პროლეტარიატის დიქტატურაზე სრულიად ზედმეტი იქნებოდა, ვინაიდან კომუნისტურ საზოგადოებაში არავითარი სახელმწიფო არ არსებობს, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურა სწორედ სახელმწიფოს ჰგულისხმობს. სახელმწიფო წარმოადგენს, მარქსის სიტყვით, „მანქანას“, რომლის მეოხებით ხდება ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დატუქსვა და დამორჩილება. კომუნისტურ საზოგადოებაში კი არავითარი კლასები არ არსებობენ, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არსებობს მხოლოდ ერთი კლასი, რომელსაც დემოკრატია ეწოდება. ცხადია, აქ ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დამორჩილებაზე და მაშასადამე, სახელმწიფოს აუცილებლობაზე, ლაპარაკი სრულიად აბსურდი იქნებოდა, ვინაიდან სადაც კლასობრივი ჩაგვრა არ არის, იქ, როგორც ნათქვამი იყო, სახელმწიფოც არ არის. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ბურჟუაზიულ უთანასწორობის, ე. ი. ისეთ საზოგადოების, სადაც მდიდარი და ღატაკი, მჩაგვრელი და გაჩაგრული, ბატონი და მონა ერთად არსებობენ, ისეთ საზოგადოებად გადაკეთება, რომელიც მონოლიტურ და ერთიან დემოკრატიისაგან შესდგებოდეს, ერთბაშად შეუძლებელია. ამიტომ არის სწორედ საჭირო პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგაც „დასატუქსი მანქანა“, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება და რომელიც ამ ჟამად მშრომელთა წინააღმდეგ კი არაა მიმართული, როგორც ეს კაპიტალისტური წესწყობილების დროს იყო, არამედ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. მაშასადამე, ეს მანქანა ამ ჟამად მშრომელთა ხელშია და უკანასკნელთა ინტერესს ემსახურება.

(დასასრული იქნება).

**შ. ყარამანიძე.**

ლებსა და ქალაქებში, ელექტროფიკაციის (ავჭალის მაგავ'ად), სახელოსნოების, არტელების და სხვა ისეთი დაწესებულებების შექმნა, რომელიც სასარგებლო იქნება უმუშევართათვის და სახელმწიფოსათვისაც. ამით საშუალება მიეცემა ხალხს არსებობისა და ეს კი იქნება ნამდვილი საქმიანობა, დამაახლოვებელი საბჭოთა ხელისუფლებასთან. მმართველმა პარტიამ უნდა შესძლოს ეს, თუნდაც ამისათვის საჭირო ფონდის შექმნა ხალხზე შეწერითაც მოხდეს.

**ლ. კუპრაშვილი.**

# საქართველოს მეურნეობა

(ეკონომიური ქრონიკა)

**ნედლი მასალის დამზადება.**

საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნედლი მასალის დამზადებას. ეს მთავარი ძარღვია, რომლითაც სოფელში მიდის ფული. მისგან ერთთავად არის დამოკიდებული სოფლის ყ დვის უნარიანობა, სახელ. გადასახადის გადახდა და სხ. ჩვენი ქვეყანა საკმაოდ მდიდარია მრეწველობისათვის საჭირო ნედლი მასალით. საბჭოთა მეურნეობის სისტემა იმითაც განირჩევა ბურჟუაზიულისაგან, რომ ნედლი მასალის დამზადებაც სწარმოებს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით და მიზანშეწონილობით. მთელი რიგი სახელმწიფო ორგანიზაციები იმის ცდაში არიან, რომ ამ მხრით მრეწველობასაც მისცენ საჭირო საკვები და სოფელსაც—საზრუნავი თანხა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ დარგში ყველაფერი სათანადოდ იყოს მოგვარებული, რადგან ამ დიდი საქმის მოგვარება არც ისე ადვილია. მრავალი შემავალი მომენტი თამაშობს აქ როლს, როგორც შინაური და საგარეო ბაზარი, მრეწველობის საერთო მდგომარეობა, ფული, კრედიტი და სხ.

საქართველოში უმთავრესად მზადდება: მატყლი, თამბაქო, აბრეშ. პარკი, ტყავი და სხ. ამათ აქვთ უალრესი სამრეწველო მნიშვნელობა.

**მატყლი.** ჩვენი მატყლის კრიზისს დიდი ისტორია აქვს. იგი მსოფლიო ომიდან იწყება. ომამდე მატყლი საზღვარგარედ გაჰქონდათ. ომმა კი შესწყვიტა გატანა და ჩვენი მატყლის ბაზარი ბუნებრივად სხვა ქვეყნებმა ჩაიგდეს ხელთ. თავისთავად ცხადია, ეს დიდი უბედურება იყო სახალხო მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვან დარგისათვის, როგორიც არის ჩვენი მესაქონლეობა. გასულ წელს ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ რუსეთის მრეწველობამ უარი სთქვა თუშური მატყლის შესყიდვაზე. ეს გამოწვეული იყო ჩვენი მატყლის ღირსებით, რომელიც არ შეეფერებოდა რუსეთის მრეწველობის მოთხოვნილებას. კრიზისი გამწვავდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ნება მიიღეს ადგილობრივი მატყლის საზღვარგარედ გატანისა და, ჩვენც ვხედავთ, რომ დეკემბერში უკვე დაიწყო მატყლის ბაზრის გამოცოცხლება. ფასმაც აიწია შედარებით წინა თვეებთან. მთელ ამიერკავკასიის მასშტაბით დამზადებული მატყლის რაოდენობა პირველ იანვრისათვის უდრის დაახლოვებით 60 ათას ფუთზე მეტს. უდიდესი ნაწილი ამისა დამზადებულია საქართველოში. მთავარი დამმზადებელი ორგანიზაციებია: „წარმოკავშირი“, „მწყემსი“, „ბირლიკ“ და სხ.

**აბრეშუმის პარკი.** პარკის მოსავალმა გასულ წელს გადააჭარბა ომის წინა დროის მოსავალს. ეს იმითაც აიხსნება, რომ ეს საქმე ჩინებულად იყო მოწყობილი, როგორც თესლის მიწოდების მხრით, აგრეთვე პარკის შესყიდვის მხრითაც. სამწუხაროდ, ნოემბერ-დეკემბერში ხმელი პარკის ექსპორტი შეფერხდა ევროპის ბაზრის მიზეზით და ამიტომ არის, რომ ათი ათას ფუთზე მეტი გამხმარი პარკი გაუტანელი დევს საწყობებში.—ჯერჯერობით მისი ფასი ევროპის ბაზარზე ხელსაყრელი არ არის.—დამზადების სეზონი გასულია ოქტომბერ-ნოემბერში. უნდა ითქვას, რომ დამზადება კარგად იყო ჩატარებული და ამ მხრით აბრეშუმის პარკის მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვინემ სხვა სასოფლო მეურნეობის პროდუქციისა.

**თამბაქო.** დეკემბრის ავდარმა თამბაქოს დამზადების საქმესაც შეუშალა ხელი. ამიტომ მოსალოდნელი რაოდენობა არ დამზადდა. თუმცა თამბაქოს საერთო კონიუნქტურა სრულიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს საქართველოში. თამბაქოს საერთო მოუსავლობა (მსოფლიო მასშტაბით) ფართო ჰორიზონტს შლის ჩვენი მეთამბაქოების წინაშე ამ წლის განმავლობაში—იგი უზრუნველჰყოფს მას ბაზრის მხრივ. დეკემბერში გაიზიდა წინა თვეებში დამზადებული რამდენიმე ათეული ათასი ფუთი განსაკუთრებით სოხუმის თამბაქოსი.

**ტყავი.** საქართველოს ტყავტრესტის წარმოების ნორმისათვის საკმაო ნედლ მასალას ვერ იძლევა ჩვენი ბაზარი. ნოემბერ-დეკემბერში ტრესტის მიერ დამზადებულია მთელი ის რაოდენობა, რომლის მოცემა შეუძლია ჩვენს ბაზარს. მასალის მთავარი მიმწოდებულია ტფილისის აღმასკომის სასაკლაო.

საერთოდ სამრეწველო ნედლი მასილის დამზადების და გაზიდვის მხრით დეკემბერი იძლევა შემდეგ სურათს: მატყლისა და აბრეშუმის პარკის დამზადების სეზონი წინა თვეებში დასრულდა. მატყლის ექსპორტი დეკემბერში შედარებით გამოცოცხლდა, რაც შეეხება აბრ. პარკს, მისი ექსპორტი შეფერხებულია. თამბაქოს დამზადების სიმცირე ავდრობით აიხსნება.

## მრეწველობა.

**ჭიათურის შავი ქვა.** დეკემბრის პროდუქციის ზედმიწევნით სწორი ცნობები ჯერ კიდევ არა გვაქვს. სავარაუდებელია, რომ ქარბუქმა და ყინვამ აქაც მოახდინა გავლენა და პროდუქცია შეამცირა. სამაგიეროდ არის ცნობები ექსპორტისა. შავი ზღვის ღელვამ დიდად დააბრკოლა შავი ქვის გაზიდვის საქმე. გაზიდვა უდრის დაახლოვებით 765 ათ. ფუთს, რაც გაცილებით ნაკლებია თვის ნორმაზე.

**ქვა-ნახშირი.** დეკემბრის პროდუქციამ მოგვცა მატება 16.3%-ით შედარებით ნოემბერთან, მაგრამ სამაგიეროდ დეკემბერში იკლო ერთი მუშის დღის შრომის პროდუქციამ 1%-ზე ყინვების გამო.

**თამბაქო.** თამბაქოს ტრესტის ტფილისის ოთხი ქარხნის დეკემბრის თვის პროდუქციამ (პაპიროსები) გადაამეტა ნოემბრის 29,6%. აქციზის მიმატებით დეკემბრის

პროდუქციის რაოდენობა ხსენებულ ქარხნებში უდრის 743 ათ, მან., მატება 34% ნოემბერთან შედარებით, რაც შეეხება რეალიზაციას, დეკემბერში ჩვენი ქარხნების ნაწარმოები გაიზიდა უკრაინასა და სომხეთში, რამაც დიდად ასწია შემოსავალი. ახალი ბაზრების დაპყრობას დიდი მნიშვნელობა აქვს თამბაქოს ნაწარმოების განვითარებისათვის ჩვენში. საჭიროა ამ ბაზრების შენარჩუნება.

## ვაჭრობა.

ამიერ-კავკასიის მთავარი ბირჟების ბრუნვა დეკემბერში უდრის 15,9 მილ. მან. ნოემბერთან შედარებით იძლევა მატებას 2,8 მილ. მან. ან 21,6%.

გაყიდვის ბრუნვა ასე ნაწილდება კონტრაგენტებში:

სახელმწ. ორგ. 79,2% საზ. ორგ. 1,9%
კოოპერაცია 10,3 „ კერძო პირები 8,6 „

ყიდვის ბრუნვაში კი მონაწილეობდენ:

სახელ. ორგან. 49,2 პრ. საზ. ორგან. 2,4 პრ
კოოპერაცია 38,0 პრ. კერძო. პირები 10,4 პრ.

აღსანიშნავია კოოპერატიული ორგანიზაციების როლის შემცირება ყიდვის ბრუნვაში და თანაბარი მატება სახელ. ორგანოების როლისა. გაყიდვის ბრუნვაში კი მცირეოდენად იმატა კერძო პირების მონაწილეობამ.

## პური, მანუფაქტურა და შაქარი.

ამიერ-კავკასიაში პური, მანუფაქტურა და შაქარი შემოაქვთ რუსეთის ცენტრალურ ტრესტებს: „ხლებოპროდუქტს", „ტექსტილსინდიკატს" და „სახაროტრესტს". ამ ორგანიზაციების ბრუნვის მთელი ჯამი ჩვენში უდრის დეკემბერში 5,1 მილ. მან., რაც მეტია ნოემბრის თვის ჯამთან შედარებით 9,1 პრ.

მანუფაქტურა შემოტანილია დეკემბრის განმავლობაში საქართველოში 1,1 მილ. მანეთისა, აზერბეიჯანში 1,2 მილ. მან. და სომხეთში კი 430 ათ. მან. ნოემბერთან შედარებით შემცირებულია: საქართველოში 20,5 პრ.-ით, აზერბეიჯანში 11,3 პრ., ხოლო სომხეთში მომატებულია ას პროცენტზე მეტი, ვინემ ნოემბრის ჯამი.

შაქარი დეკემბერში შემოტანილ იქნა: საქართველოში 380 ათ. მანეთისა (420 პროც. მეტი ვინემ ნოემბერში), აზერბეიჯანში 723 ათ. მან. (61,1 პრ. მეტი ვინემ ნოემბერში) და სომხეთში 98 ათ. მან.

პურის შემოტანამ საგრძნობლად იკლო დეკემბერში (განსაკუთრებით საქართველოში და სომხეთში). შემცირება უდრის 15 პრ. დაახლოვებით.

## სას.-სამ. გადასახადი.

დეკემბერში შემოვიდა სას. სამ. გადასახადი 212,1 ათასი მან., ან 75 პროც. ვარაუდისა. მთელი გასული წლის განმავლობაში შემოსულია 2,2 მილ. მან., რაც შეადგენს ნახევარზე მეტს ამ წელზე განაწილებულისა. გადასახადის აკრეფის საგრძნობლად შეუშალა ხელი ავდარმა, რომელმაც ზოგან მოსპო მისვლა-მოსვლის საშუალება.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო „იზვესტია"-ში მოყვანილია საკანტროლო კომისიის წევრის ჩუცკაევის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და პურის მომარაგების შესახებ. მოგვყავს ზოგიერთი ალაგები:

„სახელმწიფოს განზრახული ჰქონდა მოემარაგებინა დაახლოვებით 400 მილიონი ფუთი პური, იმ ფასში, რომელიც საზარალო არ იქნებოდა გლეხისათვის და ხელმისაწდომი გახდებოდა მუშისათვის. მხედველობაში იყო მიღებული ის გარემოება, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წყალობით, გლეხი იძულებული იქნებოდა გამოეტანა ბაზარზე გასაყიდად პური, რომელსაც შეიძენდა სახელმწიფო მომარაგების აპარატი, ხოლო მოუსავლობამ გლეხს ჩაუნერგა ისეთი ფსიხოლოგია, რომ მან არ გაუშვა ბაზარზე პური და შეინახა იგი, რათა უზრუნველეყო თავის თავი მოუსავლობისაგან და ამიტომ მან ბაზარზე გამოიტანა გასაყიდად შინაური საქონელი და არა პური, რომლის იმედი გვქონდა ჩვენ.

ჩვენ შეგვიძლია წინდაწინვე განვსაზღვროთ, რომ ჩვენ გვაკლდება 30 მილიონი პური, რომელიც უნდა შემოვიტანოთ საზღვარგარეთიდან. ეს ციფრი უკვე შეტანილია იანვარ მარტის კვარტალში. ამას ემატება ის რიცხვი, რაც საჭირო გახდება, რომ დაიფაროს ის რაოდენობა, რაც ყინვებისაგან იქნება გაფუჭებული ზამთარში დათესილი პურისა და საჭირო ხდება ხელახლა დაითესოს გაზაფხულზე,—რომლის რაოდენობა უდრის 3 მილიონ ფუთს. ამის შესახებ მთავრობისაგან უკვე არის მიღებული ზომები. ყოველ შემთხვევაში, როგორც ცენტრში ისე ადგილობრივად უნდა იქნეს მიღებული ზომები, რათა მაქსიმალური ძლიერებით დაცულ იქნას ეკონომია პურისა და მომარაგებულ პურის რაც შეიძლება მეყაითი დახარჯვა".

* * *

საბჭოების გამოცოცხლება, უპარტიოების ჩაბმა საბჭოთა არჩევნებში, გლეხების აქტივობის გამოღვიძება, პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ,—ეს არის დღეს ხელისუფლების ამოცანა.

და ეს გამოცოცხლება უნდა დაეტყოს არა მარტო საბჭოთა არჩევნებში, არამედ ყოველ ეკონომიურ დარგში, როგორც მაგ. კოოპერაციაში სოფლად. ამ საკითხს ეხება მოსკოვის „პრავდა" და ამბობს:

„რომ სოფლის კოოპერაციაში გაასკეცებული ენერგიით უნდა იქნას გატარებული არჩევნების ხამდვილი სახე, ეს უკვე აღიარებული იყო სოფლის სამეურნეო კოოპერაციის დარგისთვის, რომელსაც გლეხმა უნდა ანდოს არა მარტო თავისი პაი—არამედ მთელი ბედი თავის მეურნეობისა, რომ იგი გარდიქმნეს და მიეცეს საზოგადოებრივი მმართველობის დასაწყისი.

ხშირად, ძალიან ხშირად გლეხობა არ სთვლის კოოპერაციას თავის საქმედ, თავის მეურნეობის ორგანიზაციად.

ადგილობრივად ძალიან ცოტა კეთდება იმისთვის, რომ ეს არა ნორმალური შეხედულება გამოიცვალოს.

ხშირია ასეთი შემთხვევა: კოოპერაციის გამგეობაში მჭყობრად და საქმისთვის სასარგებლოდ მუშაობის დროს, იაჩეიკის თავმჯდომარე მოისურვებს „პარტიული დისციპლინის ძალით" მოხსნას გამგეობის თავმჯდომარე პარტიული ამხანაგი და მის ადგილზე ნიშნავს მეორე პარტიულ ამხანაგს, რომელიც არც გამგეობის წევრია და არც არის არჩეული საზოგადო კრების მიერ. ასეთი მოქმედებანი, რასაკვირველია, დიდ უკმაყოფილებას იწვევს კოოპერატივის წევრთა შორის და სამართლიანადაც.

ამას უნდა მოეღოს ბოლო.", —დასძენს გაზეთი.

* * *

საქართველოში არა ჩვეულებრივ მკაცრი ზამთრის მიერ შექმნილ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საბჭოთა ხელისუფლებამ, რისთვისაც იგი იღებს საგანგებო ზომებს.

გაზეთები ამის შესახებ გვაწვდიან შემდეგ ცნობებს:

„საქართველოს საგეგმო კომისიის ცნობებით, განადგურებულია რესპუბლიკის მთელი შემოდგომის ნათესების 23 პროცენტამდე. ბევრ მაზრებში გაფუჭებულია სასურსათო პროდუქტების მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობა. ასევე დაზარალებულია ვენახები და ხეხილები. დაიღუპა დიდძალი პირუტყვი: მსხვილი საქონელი—10 პროც., წვრილფეხა—25 პროც. მოისპო საფუტკრე სკების 20 პროც.

საერთო ზარალი მეურნეობის თვითეულ დარგში, ფულზე გამოანგარიშებით, გამოიხატება შემდეგი ციფრებით: მევენახეობაში—1.3 8.000 მან., მესაქონლეობაში—7 969 000 მან., მეფუტკრეობაში—63.000 მან. სულ 9.430. 00 მან.

ზარალის აღნუსხვა სრული არ არის, რადგან ყველა კუთხეებიდან ჯერ კიდევ არ მოსულა საჭირო ცნობები.

ზარალი აწიც დიდია მოსალოდნელი. ბევრ ადგილას საქონელს მოელის სრული ამოწყვეტა საკვები მასალის უქონლობისა და საქონლის ჭირის გავრცელების გამო.

დიდ თოვლს მოყვება ასეთივე უჩვეულო წყალდიდობა, რომელთან შედარებით 1922 წელში მომხდარი წყალდიდობა მოსაგონარიც არ იქნება. მდინარეთა ახლო მდებარე სოფლებს, ქალაქებს, ხიდებს, რკინის გზას წალეკა ემუქრება.“

# ამსტერდამის ინტერნაციონალი და პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხი.

7 თებერვალს ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომში გაჩაღდა კამათი პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხის გარშემო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, მიღებულ იქნა მემარჯვენე ფრთის რეზოლიუცია:

„პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების მთავარი საბჭო წინადადებას აძლევს აღმასკომს, აცნობოს სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს, რომ პროფკავშირთა გაერთიანება თანახმაა მიიღოს სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭო, როდესაც უკანასკნელი გამოთქვამს განსაზღვრულ სურვილს ამ მიმართულებით.

საერთაშორისო გაერთიანება აგრეთვე აცხადებს, რომ იგი მზადაა აზრთა გაცვლა გამოცვლის მიზნით მოიწვიოს ამსტერდამში კონფერენცია სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად, რაც შეიძლება მალე, მას შემდეგ, როცა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭო განაცხადებს სურვილს საერთაშორისო გაერთიანებაში მიღების შესახებ“.

პერსელის ჯგუფის რეზოლიუცია უარყვეს.

კენჭის ყრის წინ სტენგისმა სთხოვა ინგლისელებს მიეცათ განმარტება ინგლის-საბჭოთა მოქმედების კომიტეტის შესახებ.—ბრომლეიმ განმარტა, რომ ამ საკითხში ერთად-ერთ კონკრეტიულ ფაქტს წარმოადგენს დელეგაციის მიერ 18 ნოემბერს გამოგზავნილი წერილი პროფკავშირთა საბჭოს სახელზე.

კენჭის ყრით ინგლისის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა 13 ხმით 6 წინააღმდეგ. უკანასკნელთა შორის იყო პერსელი და ბრომლეი, როგორც ტრედ-უნიონთა მთავარი საბჭოს წარმომადგენლები, ბრაუნი—ამდიენის წარმომადგენელი, კუკი—მემაღაროეთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენელი, ფიმენი—ტრანსპორტზე მომუშავეთა საერთაშორისო გაერთიანებისაგან და მაცენი (ჩეხია).

სტენგის საწინადადება გავიდა 14 ხმით 5 წინააღმდეგ (მაცენი მიემხრო უმრავლესობას). ინგლისელების უარყოფილი რეზოლიუცია წინადადებას აძლევს ამსტერდამის ინტერნაციონალს, მოიწვიოს მოსკოვში მოსამზადებელი კონფერენცია სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად და ამასთანავე მოახდინოს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის გამორკვევა.

# ახალი სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ფრუნზე.

ახალი სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ფრუნზე დაიბადა 1885 წელს გიშპეკში, თურქესტანის მხარის სემირეჩიეს ოლქში. მამა მისი, შთამომავლობით გლეხი, მსახურობდა სემირეჩიეში ფერშლად, დედა აგრეთვე გლეხის ქალი იყო. ფრუნზემ 1904 წელს დაამთავრა გიმნაზია ვერნიში და შევიდა პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში.

რევოლიუციონურ დღეებს ის პირველად გაეცნო ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს. პოლიტეხნიკუმში სწავლის დროს ის შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციაში და მაშინვე მიემხრო ბოლშევიკურ მიმდინარეობას. 1905 წელს მუშაობდა ივანოვო-ვოზნესენსკის სამრეწველო რაიონში და იყო 1905 წელში მომხდარ ფეიქართა ცნობილ გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი ეს გაფიცვა გავრცელდა ივანოვო ვოზნესენსკის მთელ სამრეწველო რაიონში. 1907 წლის დასაწყისში დაპატიმრებულ იქნა შუეში და გასამართლებული რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ბოლშევიკურ მიმდინარეობის წევრობისათვის. პოლიციისათვის შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევის გამო მისჯილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ შეუცვალეს იგი კატორღაზე. შეღავათის გავრცელების გამო 1914 წლის ბოლოში განთავისუფლებულ იქნა ციხიდან ირკუტსკის გუბერნიაში დასახლებით.

1915 წლის ზაფხულზე ხელახლა იქნა დაპატიმრებული გადასახლებულთა ორგანიზაციის მოწყობისათვის. 1915 წლის აგვისტოში გაიქცა ციხიდან, მუშაობდა არალეგალურად ზაბაიკალის ოლქში ვასილენკოს გვარით, ხოლო შემდეგ, როდესაც საიდუმლო პოლიციამ მიაგნო, ის გაიქცა ევროპის რუსეთში, სადაც მუშაობდა არალეგალურ რევოლიუციონურ ორგანიზაციის დასაარსებლად.

თებერვლის რევოლიუციის მომენტში ფრუნზე სათავეში ედგა უკვე არალეგალურ რევოლიუციონურ ორგანიზაციას, რომლის ცენტრი მინსკში იმყოფებოდა, ხოლო განყოფილებანი მესამე და მეათე არმიებში.

კორნილოვის დღეებში ფრონტის კომიტეტის და მინსკის საბჭოს აღმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე დანიშნულ იქნა მინსკის უბნის რევოლიუციონურ ჯარების უფროსად. ოქტომბრის რევოლიუციის მომენტში ფრუნზე მეთაურობს შუეს-ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონის შეიარაღებულ ძალებს, ჩამოდის მოსკოვში ორიათასი შეიარაღებულ მუშებით და ჯარისკაცებით და იღებს უშუალო მონაწილეობას ოქტომბრის ბრძოლებში. ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის დაარსების შემდეგ, ფრუნზე

ინიშნება საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარედ. 1919 წ. აპრილში, კოლჩაკის არმიის შემოტევის დროს, ფრუნზე დანიშნულ იქნა აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთის ჯგუფის 4 არმიის სარდლად. მან მოაწყო შეტევა კოლჩაკის არმიების წინააღმდეგ ბუზულუკას რაიონში. ამ შეტევამ ჩაშალა კოლჩაკის შეტევითი ოპერაციები და უკან დაახევინა მის არმიას მთელ აღმოსავლეთის ფრონტზე.

დარჩა რა სამხრეთის ჯგუფის სარდლად, ფრუნზე ხელმძღვანელობდა თურქესტანის არმიას, რომელიც მოქმედებდა უფას მიმართულებით და წარმატებით ჩაატარა უფას ოპერაცია, რომლის დროსაც მიიღო კონტუზია მოწინააღმდეგის ჰაეროპლანიდან გადმოსროლილ ყუმბარისაგან. ამ ოპერაციისათვის ის იქნა დასაჩუქრებული წითელი დროშის ორდენით.

შემდეგში ფრუნზე დანიშნული იქნა აღმოსავლეთის ფრონტის ყველა არმიების სარდლად და ხელმძღვანელობდა ოპერაციებს მთელ ფრონტზე წითელი ნაწილების მიერ ჩელიაბინსკის დაკავების და ურალის ქედზე გადასვლის მომენტიდან.

1920 წლის თებერვალიდან აგვისტომდე ის მუშაობს თურქესტანში და ხელმძღვანელობას უწევს სემირეჩიეს თეთრგვარდიელთა ფრონტის სალიკვიდაციო ოპერაციებს. 1920 წ. სექტ. ფრუნზე დაინიშნა სამხრეთის ფრონტის არმიების სარდლად ვრანგელის წინააღმდეგ. ნოემბრის ბოლო რიცხვებში ის ათავებს სამხრეთ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონურ ფრონტის ლიკვიდაციას ყირიმის ნახევარ კუნძულის დაკავებით და ამისათვის სრულიად რუსეთის ცაკისაგან ის ღებულობს რევოლიუციონურ საპატიო იარაღს.

სამხედრო ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ ფრუნზე ინიშნება რესპუბლიკის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს რწმუნებულად უკრაინაში და ყველა მის შეიარაღებულ ძალების სარდლად.

მის უშუალო ხელმძღვანელობით ბოლო ელება პეტლიუროვშჩინას და მახნოვშჩინას. ამასთანავე 1921 წელს პოლტავის გუბერნიაში ის ორ ადგილას იქნა დაჭრილი და სრულიად შემთხვევით გადარჩა. ფრუნზეს ასაჩუქრებენ განმეორებით წითელი დროშის ორდენით.

ფრუნზე არის სრულიად რუსეთის ცაკის წევრი საბჭოთა 3-ე ყრილობიდან. რუსეთის კომპარტიის 10-ე ყრილობაზე არჩეული იქნა ცეკას წევრად და ასეთად დარჩა დღემდე.

# მუშათა კომისიას

**(ღია და გულახდილი წერილი).**

ძვირფასო ამხანაგებო! მრავალთა შორის მეც უაღრესი ინტერესით და ყურადღებით ვადევნებ თვალს თქვენი კომისიის მუშაობას დღიდან მისი დაარსებისა.

თქვენ უდიდესი ამოცანა დაისახეთ. გსურთ გასდოთ ხიდი საქართველოს მცხოვრებთა და საბჭოთა ხელისუფლების შორის, შეარიგოთ ეს ორი მხარე, გამოძებნოთ მათთვის საერთო ენა, თავიდან მოიშოროთ ურთიერთშორის კაუგებრობა და მშრომელთა მასები ახალი გზით გამოიყვანოთ იმ ჩიხიდან, საცა ის მოემწყვდა.

ვჩქარობ დასაწყისიდანვე სრული გარკვეულობით, გადაჭრით და ურყევლათ განვაცხადო, რომ ყოველივე ეს უნდა მოხდეს. ამ მხრივ ჩვენს შორის მცირეოდენი განსხვავებაც არ არის. ამას ყველა გრძნობს. ბევრი მიხვდა, რომ ის გზა, რომლითაც ცდილობდნენ წაეყვანათ ქვეყანა დღემდე, არა თუ მიზანშეუწონილი, არამედ პირდაპირ დამღუპველია; უნდა გამოიძებნოს ახალი გზა. ამ მხრივ მუშათა კომისია წარმოიშვა ფრიად შესაფერისსა და მისი მიზნებისათვის ხელსაყრელ მომენტში.

მაგრამ ის, ვინც თითონ ფიქრობს, ანუ ვისაც სურს სხვებიც დაარწმუნოს, თითქოს ძველი გზების სიყალბესა და დამღუპველობის შეგნება უშუალოთ მიგვაღწევინებს ხელისუფლებასთან შერიგებას, ან სცდება, ანდა ცბიერობს და შეგნებულათ უნდა სხვების გაბრიყვება.

ზოგნი ამბობენ: „ჩვენ ეჭვი არ გვეპარება მუშათა კომისიის წევრთა პირად გულწრფელობაში, მაგრამ ისინი თვითონაც ვერ ამჩნევენ, რომ ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის სათამაშოდ არიან გამხდარი. მათი ბეჭდვითი ორგანო, ვითომდა მუშათა კომისიის თავისუფალი აზრის გამოსახატავად მოწოდებული, ამთავითვანვე სასტიკ ცენზურაში ტარდება. ეს ორგანო თავისი შინაარსით თითქმის არ განსხვავდება ნამდვილ კომუნისტურ ჟურნალ-გაზეთებისაგან; გაივლის ცოტა ხანი, მოწვეულ იქნება ყრილობა რწმუნებულთა, რომელნიც არჩეული არიან ადგილობრივ მუშათა კომისიის წინადადებით. ყრილობას თავზე მოახვევენ ზევიდან ხელისუფლების რეზოლიუციებს და მუშათა კომისიის როლი შესრულებული აღმოჩნდება“.

„მავრმა შეასრულა თავისი საქმე. მავრს შეუძლია წაბრძანდეს“. როგორც ხედავთ, დასაბამიდანვე ღრენის თქვენს ნამუშევარს იჭვის და უნდობლობის ჭია (მართალია ჯერ კიდევ სრულიად პატარა). თქვენ არ უნდა შეგიყვანოს შეცდომაში იმან, რომ შეიძლება დასაწყისიდანვე ძრავალრიცხოვანი ჯგუფები გამოგყვენ თქვენ. კარგათ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ცხოვრების პირობები სრულიად განსაკუთრებულია. თქვენ არ უნდა გაგიტაცოთ გარეგნულმა გამარჯვებამ, თუნდაც ასეთი გამარჯვება უხვად გხვდესთ წილათ. თქვენი საქმე სათუთია; თქვენი საქმე ერთ უმაღლესს და იმავე დროს უაღრესათ პასუხსაგებსა და რთულ ამოცანას წარმოადგენს. ნუ დაივიწყებთ წარსულში ხელის ფათურს, ნუ შეეხებით ესოდენ მტკივან ადგილებს. ნუ მოვძებნით მართალთა და მტყუანთ, ვინაიდან ჩვენ ვეძებთ შერიგებას და არა ომს. მაგრამ უნდა სრულის სიცხადით დავინახოთ, სად არის მთავარი ფესვი ურთიერთშორის გაუგებრობისა და უნდობლობისა.

მაშ რა არის საჭირო? როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ „ძველი გზების“ უვარგისობის, დამღუპველობის და სიმრუდის შეგნებამ მიგვიყვანოს გულწრფელ შერიგებამდის და არ გვაძებნიოს ბრძოლის ლეგალურისა თუ არალეგალურის ახალი ფორმები და მეთოდები?

თქვენ იცით, რა თქმა უნდა, რომ არსებობს ფრიად გავრცელებული აზრი, თითქოს ძველ რუსეთის ფარგლებში ნამყოფ რესპუბლიკათა გასაბჭოება წარმოადგენდეს რუსეთის უწინდელ საზღვრებში რესტავრაციის ფორმას. თქვენ უპირველეს ყოვლისა უნდა გადალახოთ და გააბათილოთ ეს შეხედულება.

ქართველი ხალხის რომელ ჯგუფებსა და კლასებსაც არ უნდა მიმართოთ, მუშათა წრე იქნება ეს, გლეხობა თუ ინტელიგენცია, ყოველგან აღმოაჩენ თ (და განა თქვენ ამის მითითება გჭირდებათ?) შიშს, წუხილს საქართველოს მომავლისათვის, მისი ეროვნული ბედილბალისათვის.

კომუნისტურ პრესაში არა ერთხელ ამოგვიკითხავს, რომ ქართველ ხალხში ეროვნული გრძნობის გაცხოველებამ ყოველ მოლოდინს გადააჭარბაო.

მე სრულიად არ მეხალისება მენშევიკების დაცვა ან გამართლება. მაგრამ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში ქართველი ხალხის ყველა წრეებში ძლიერი ეროვნული გრძნობების განვითარების მენშევიკური, შოვინისტური პროპაგანდით ახსნა მოვლენის ზედაპირზე ცურვაა. დამშვიდებით და ობიექტიურად ჩაუკვირდით ცხოვრებას, იქნებ დამეთანხმოთ, რომ გასაბჭოების შემდეგ საქართველოში ეროვნული გრძნობები გამწვავდა, უფრო მტკივანი სახე მიიღო. რაშია საქმე?

განა უფრო სამართლიანი და სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ამ მოვლენას აქვს ღრმა მიზეზები, რომ ეროვნული მოძრაობის ფარგლები საქართველოს საზღვრებს შორდება და, თუ გნებავთ, ნსოფლიო მასშტაბით განიზომება იგი?

უმართლესი იქნებოდა გვეთქვა, რომ მენშევიზმს კი არ შეუქმნია ღრმა ეროვნული მოძრაობა საქართველოში (ასეთი სასწაულები მის ძალღონეს აღემატება), არამედ პირიქით—რაღაც უძლეველმა ისტორიულმა ტალღამ აიძულა მენშევიზმი გაჰყოლოდა ნაციონალიზმის გზას.

ამნაირათ, ეროვნული გრძნობები არსებობენ ჩვენი ნება-სურვილის დაუკითხავად. არსებობს შიში და წუხილი მშობლიური ქვეყნის მომავლისა. და არა იმიტომ, თითქოს ვინმე ჰფიქრობდეს, რომ ხელისუფლების მეთაურნი მტრულად უცქერიან საქართველოს სახელმწიფოებრივობას, ეწინააღმდეგებიან მის ეროვნულ თავისუფლებას და თვითგამორკვევას. არა, საქმე ისაა, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ცხადი და ძლიერი ფაქტები, რომლებიც გაამტკიცებდენ იმის რწმენას, რომ ხელისუფლება ქართველი ხალხის ძირითად მისწრაფებათა განხორციელების გზით მიდის. სამაგიეროთ არის მთელი რიგი გარემოებათა, ეჭვების წარმომშობი, უნდობლობის გამამტკიცებელი.

ავიღოთ თუნდაც ამიერ-კავკასიის ფედერატიული დაწესებულებანი. საჭიროთ მიმაჩნია გაგაფრთხილოთ, რომ მე სრულებით არ მსურს შევედავო თვით პრინციპს ამიერკავკასიის ფედერაციისას. თუმცა, ვგონებ, ასეთი სურვილი ანტიკონსტიტუციურს არ უნდა შეიცავდეს. აკი თვით ხელისუფლებამ მოახდინა საშუალო აზიაში ეროვნული გამიჯვნა, გამოჰყო თურქესტანიდან ორი რესპუბლიკა და სამი ავტონომიური ოლქი, ვინაიდან „ამ გამიჯვნით უნდა გამტკიცდეს საბჭოთა წყობილება საშუალ აზიაში და შეიქმნეს იქ უფრო მარტივი ეროვნებათა შორის ურთიერთობა“ და იმ მოსაზრებით, რომ „სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა გაადვილდება თურქესტანის ეროვნული გამიჯვნის შემდეგ“.

ამ ჟამად ეს კი არ არის ჩვენი ფიქრის საგანი, არამედ აი რა: სამი საბჭოთა რესპუბლიკა—საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი—ფედერატიულ კავშირს ჰკრავენ. მაგრამ რა შუაშია აქ რუსული ენა, როგორც სამი არარუსულ რესპუბლიკების ენა? სად გაგონილა, რომ სამი რესპუბლიკა შეერთებულიყოს ურთიერთ შორის კავშირის გასამტკიცებლად და მიემართოს მეოთხე ენისათვის. დარწმუნებული ვარ, ჩემს კითხვას განმარტავენ როგორც ჩემი შოვინისტური აზროვნების შედეგს და ამიხსნიან, რომ მეოთხე ენის შემოღება გამოწვეულია ტეხნიკური მოსაზრებით. ეს მოსაზრებები მუდამ მესმის ტფილისის სხვადასხვა კრებებზე, საცა მცირედი ჯგუფი (ხშირად მხოლოდ რამოდენიმე კაცი) მოითხოვს რუსულად ლაპარაკს, მხოლოდ იმ მოტივების ძალით, რომ ეს ტეხნიკურად უფრო მოსახერხებელია. მაგრამ ეს კიდევ დიდი უბედურება არ არის. ვშიშობ, რომ ცხოვრებაში მრავლათ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთათვისაც საქართველოს სახელმწიფოებრივობის არსებობაც კი (რა თქმა უნდა სრულიად სხვადასხვა მიზეზებისა გამო) ფრიად უხერხულია „ტეხნიკურად“.

თუ სიტყვა ჩამოვაგდე ამიერკავკასიის დაწესებულებებზე, მხოლოდ იმისთვის, რომ მივუთითო, რა სულის შემხუთავი რუსიფიკატორული ტალღა მოექანება აქედან ჩვენი რესპუბლიკის ორგანოებისაკენ.

თქვენ იტყვით: მოიტათ ფაქტები, ულმობელათ ამხილეთ ზუბრები, გაბედულათ გამოიყვანეთ მშრალზე ნიანგებიო და სხვა.

ნება გვიბოძეთ შეგეკითხოთ: თქვენ მიერ ადგილობრივ რწმუნებულთათვის დადგენილ ყოველდღიური საქმიანობის ათ მცნებათა შორის არის ერთი მუხლი, რომელიც მოუწოდებს იმათ გაბედულათ და მოურიდებლივ ამხილონ ცხოვრების მახინჯი მოვლენები. მერე რა გამოვიდა? თქვენი ორგანოს ბარე 6 ნომერი გამოქვეყნდა და ეს მხილება კი არსადა სჩანს. ჩვენ ვერ ვხედავთ ამ მხილებას, თუ სათვალავში არ მივიღებთ ორიოდე შედარებით უმნიშვნელო ფაქტს. თვითონვე დაუფიქრდით ამ მოვლენის მიზეზებს.

მე დიდის სიამოვნებით წავიკითხე საგაზეთო ქრონიკაში საქართველოს ცაკის შუამდგომლობა ამიერკავკასიის ცაკის წინაშე დავითგარეჯის უდაბნოს დაბრუნებისათვის, ეს უდაბნო რაღაც უცნაური შეუსაბამობის ძალით გადაეცა ოდესღაც აზერბეიჯანს, მაგრამ აბა ერთი სცადეთ აღძრათ ახალქალაქის მაზრის ბედილბალის საკითხი, სადაც უძლიერესი ტელესკოპის წყალობითაც ვერ აღმოაჩენთ ამ ჟამად ქართულ სახელმწიფოებრივობის ნიშანწყალს.

უდავოა, რომ კარგი მუშკორებისა და სოფლ-კორების ლაშქარი გამოდგება რამდენიმეთ ცხოვრების გაჯანსაღებისათვის. მაგრამ ჩვენს თავისებურ პირობებში საჭიროა საგანგებო კამპანია, რომელსაც უშუალოთ წარმართავს თვით სახელმწიფოს ხელისუფლების ძლიერი მარჯვენა. მხოლოდ მაშინ გაიწმინდება ჩვენი აპარატები ყოველგვარი „ველიკოდერჟავნიკული“ ელემენტებისაგან.

თქვენ გემახსოვრებათ მხედრული იერიში რკინის გზის „ზუბრები“-ს გასანადგურებლათ. დაიწერა ორიოდე ფიცხელი სტატია, ვიღაცა გააძევეს, ვიღაც კვლავ აღადგინეს, ახმაურდენ და წამსვე დამშვიდდენ. ნუთუ ვინმე დაიჯერებს, რომ ამ კეთილმა მისწრაფებამ ერთხელ და სამუდამოთ გადასჭრა „ზუბრების“ საკითხი? პოლიტიკური ზუბრები ხომ გაცილებით უფრო ხშირათ გვხვდებიან სინამდვილეში, ვინემ ნამდვილი გადაგვარების გზაზე დამდგარი ზუბრები. მაგრამ იმ ერთი გალაშქრების შემდეგ ზუბრებისა არა გვსმენია. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს საჭირო იყო ვიღაცასი გაკვირვება. ეს ვერავის დააკმაყოფილებს, ვინაიდან ამ საქმისათვის საჭიროა მტკიცე, ხანგრძლივი და დაწყობილი მუშაობა, საბჭოთა

ხელისუფლებასა და კომუნისტურ პარტიას ეხერხება ეგრეთ წოდებული „წმენდა“ და მისი სისტემატიური გატარება, როცა ამას საჭიროება მოითხოვს.

ალარ გავაგრძელებ წერილს.

ჩემი აზრი მეტად მარტივია. მოგვეცით ჩვენ შეურყეველი რწმენა, დამყარებული ფაქტებზე, რომ ჩვენი ეროვნული აღორძინების საქმე საიმედო ხელშია და მე თქვენ გარწმუნებთ, რომ გაიწმინდება მძიმე ატმოსფერა, რომელიც უხუთავს სულს ჩვენს ცხოვრებას. თქვენი მოწოდება ჰპოებს ცხოველ გამოძახილს, მრავალი წყება იმ ადამიანებისა, რომლებიც დღეს განზე დგანან, დაეწაფებიან საბჭოთა აღმშენებლობას მთელი თავისი ენერგიით და საბჭოთა ხელისუფლება მოიპოვებს ახალ, გულწრფელსა და საიმედო მეგობრებს.

ძმური სალამით ერთი მრავალთაგანი.

## ჩვენი პასუხი.

რუსები „იტყვიან: სადღეგრძელოთი დაიწყო და შესანდობრით გაათავაო“,—ისე მოგდით თქვენ, ამხანაგო!

თავიდან ეთანხმებით ჩვენ დაწყებულ საქმეს, თავიდანვე აცხადებთ, რომ უნდა გამოინახოს ახალი გზა, საერთო ენა, მოშორებულ უნდა იქნას გაუგებრობა და სხ. იქვე კომპლიმენტსაც კი გვიძღვნით და მერე კი, უნდა მოგახსენოთ, რაღაც არევ-დარევა, ულოღიკობა იწყება თქვენს წერილში.

მერე ვინ გითხრათ, რომ მარტო ძველი გზების სიყალბე და დამღუპველობის შეგნება უშუალოთ შეგვაერთებს ხელისუფლებასთან?

ჩვენ გვინდა გულწრფელი თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, ჩვენ გვინდა ყოველი მშრომელი ქართველი გაიმსჭვალოს იმ აზრით, რომ ბრძოლა არსებულ ხელისუფლებასთან დამღუპველია, მიზანშეუწონელია და მხოლოდ მასთან თანამშრომლობა განამტკიცებს ჩვენს დამოუკიდებლობასაც და ძალას მისცემს ეროვნული კულტურის და ეკონომიკის აყვავებას.

აქედან გამოსული, ჩვენ ვდგევართ რა ამ გზაზე,— ვიხმართ ყოველივე შესაძლებლობას მივახწიოთ მიზანს და ის ეჭვი, რომლითაც თქვენ ხართ შეპყრობილი, ტყუილათ გადმოგაქვთ ჩვენზე და სხვებზე.

თქვენ თვითონ სვამთ კითხვას: მაშ რა არის საჭირო? და პასუხს კი არაფერს იძლევით. იძლევით ძველ ცნობებს, რაც ყველამ იცის—რაც მოხდა, როგორ მოხდა. ამას დაბრმლოს ხომ თავი უნდა დავანებოთ? ამას თვითვე ამბობთ წერილის დასაწყისში.

მაშ, რაღა საჭიროა შემდეგი თქვენი ლაპარაკი? დიაღ, ვიცით, რომ ეროვნული გრძნობები არსებობენ, ამას ჩვენ ჯეროვან ყურადღებას მივაქცევთ და სწორეთ იმ გზით, რომლითაც ჩვენ მივდივართ და არა ჩხირკედელაობით.

თქვენ გვამხელთ, რომ ჩვენ მოუწოდებთ მოგვაწოდონ ცნობები მოურიდებლათ ცხოვრების მახინჯი მოვლენებისა, კორრესპონდენციები და სხ. (სხვათა შორის თანდათან დარწმუნდებით, რომ სცდებით აქაც) და ჩვენ კი ასეთები არ მოგვდის.

და მერე, განა სწორეთ ეს არ არის თქვენი და თქვენისთანების უბედურება, რომ განზე გამდგარხართ, ჭინჭრაქასავით ფეხები მაღლა აგიშვერიათ და უცდით, ვნახოთ ერთი რა გამოვაო.

მოდით, მოგვეხმარეთ. მოიხმეთ ნაცნობ-მეგობრები, მოუწოდეთ, რომ შეიგნონ ის, რასაც თქვენ თვით ამბობთ: მოშორებულ იქნას გაუგებრობა და მასები გამოვიყვანოთ იმ ჩიხიდან, სადაც ის მოემწყვდა...

# მუშათა კომისიის მუშაობა.

## ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა თათბირი.

8 თებერვალს მუშათა კომისიის ბინაზე შესდგა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა თათბირი.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. მ. ჩაჩუა, მდივნად ამხ. არ. ჩაჩუა.

მოხსენება საქ. სოც.-დემოკრატიული პარტიის ტაქტიკის და მუშათა კომისიის მიზნების შესახებ გააკეთა მუშათა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ძამანაშვილმა.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო საქართველოში სოც.-დემოკრატიულ პარტიის მუშაობას უკანასკნელ $3^1/_2$ წლის განმავლობაში, აღნიშნა ის ზიანი, რომელიც მოუტანა ამ მუშაობამ ქართველ მშრომელ ხალხს, დაწვრილებით შეჩერდა აგვისტოს ავანტიურის მიზეზებსა და მის დამღუპველ შედეგებზე. დასასრულ მომხსენებელი მოუწოდებს ახალგაზრდობას შემოიკრიბონ მუშათა კომისიის გარშემო და სასტიკი ბრძოლა აწარმოეონ როგორც არალეგალურ ისე ლეგალურ მენშევიზმთან და ახალგაზრდობის იმ ნაწილთან, რომელსაც ჯერ კიდევ არ აუღია ხელი არალეგალურ მუშაობაზე და კიდევ განაგრძობს ძველ დამღუპველ გზით სიარულს.

მოხსენების გარშემო ლაპარაკობენ ამხ. ამხ. მ. კვატაშიძე, მ. ჩაჩუა, ვლ. ფირცხალავა, არ. ჩაჩუა და სხვები. ყველანი შემცდარად აღიარებენ სოც.-დემოკ. პარტიისა და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წარსულ მუშაობას, რომელმაც დაღუპვის კარამდე მიიყვანა საქართველოს მუშები, გლეხები და ახალგაზრდობა. ორატორები მოუწოდებდენ ახალგაზრდობას დასტოვონ ძველი ავანტიურისტული გზა, დადგნენ საბჭოთა პლატფორმაზე და გულწრფელად შეუწყონ ხელი საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს საკეთილდღეოდ წარმოებულ მუშაობაში.

მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა თათბირმა, მოისმინა რა მუშათა კომისიის თავმჯდომარის ამხ. ძამანაშვილის მოხსენება, საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიის მუშაობისა და მუშათა კომისიის ამოცანების შესახებ, სავსებით უერთდება ნაძალადევის მუშების 7—8 ოქტომბრის რეზოლიუციას. თათბირი აღნიშნავს, რომ საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიისა და მის პლატფორმაზე მდგომ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების სამ ნახევარი წლის მუშაობამ მოამზადა აგვისტოს ავანტიურა. ევროპის იმპერიალისტურ ძალებზე და მეორე ინტერნაციონალზე იმედების დამყარება ქართველ ხალხში ბადებს მავნე ილიუზიას, რაც დაღუპვას უქადის ქართველ ხალხს.

აგვისტოს სისხლიანი დღეების შემდეგ ქართველ ხალხისთვის ნათელი უნდა გახდეს, რომ ერთად-ერთი რეალური დამხმარე საქართველოს მუშა-გლეხების არის საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ყოველივე ღონისძიე-

ბას ღებულობს საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებისათვის. თაოპირი მოუწოდებს ახალგაზრდობას დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე, შეურიგდენ ხელისუფლებ ს და გულწრფელად ითანამშრომლონ ხელისუფლებასთან საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ აღმშენებლობითი საქმეში. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ პირებსა და ჯგუფებს, რომლებიც არალეგალურ თუ ლეგალურ გზით ცდილობენ ხელისუფლების დამხობას.

დასასრულ კრება ირჩევს მუშათა კომისიაში ახალგაზრდების წარმომადგენლად ამხ. მ. კვატაშიძეს; კანდიდატებად: ამხ. ძ. ჩაჩუასა და ზ. ოქროპირიძეს, რომელთაც ევალებათ მუშათა კომისიასთან ერთად ახალგაზრდობაში მუშაობა.

X.

## პოლიგრაფიულ ტრესტის ლიტოგრაფია და მთავარი სამმართველო.

2 თებერვალს შესდგა საზოგადო კრება ყოფილ მენშევიკებისა და უპარტიო მუშა-მოსამსახურეებისა, რომელნიც სდგანან მუშათა კომისიის პლატფორმაზე. კრება გახსნა მუშათა კომისიის მეოთხე რაიონის რწმუნებულმა გ. აბრამიძემ, რომელმაც დამსწრეთ მოუწოდა კრების ხელმძღვანელის არჩევა. ერთხმად იქნა არჩეული ასოთამწყობი ს. ვადაჭკორია. მან კრებას მოკლედ გააცნო მიზანი კრებისა და მოუწოდა ამხანაგებს გულდასმით მოესმინათ მომხსენებლისათვის. მუშათა კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. კუპრაშვილმა. იგი შეეხო რუსეთის დიდ რევოლიუციას, მოიხსენია ოქტომბრის რევოლიუციის მიზეზები და აღნიშნა ის როლი, რომელიც ითამაშა დიდმა რევოლიუციონერმა ლენინმა და გადავიდა რა საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზედ, აღნიშნა ის უტაქტო პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს მენშევიკური პარტია და რამაც განადგურებამდე მიიყვანა ქართველი ერი და მოუწოდა კრებას არსებულ ხელისუფლებასთან და კომუნისტურ პარტიასთან მჭიდრო კავშირისაკენ და მთლიანი ფრონტით წინსვლისკენ საერთაშორისო რევოლიუციისათვის.

ამხ. კუპრაშვილის მოხსენებამ, უბრალო მუშური ენით, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

არსებითად მოხსენების შესახებ ილაპარაკა ლიტოგრაფიის მუშამ ზ. გიორგიშვილმა, რომელმაც აღიარა, რომ ოქტომბრის რევოლიუცია ჯეროვანად ვერ იქნა შეფასებული და იმის ნაყოფია აგვისტოს დამლევის ავანტიურაო.

კრების დასასრულ ერთხმად იქნა მიღებული 7—8 ოქტომბრის რკინის გზელების მიერ გამოტანილი რეზოლიუცია, რის შემდეგ კრება დაიშალა.

**გ. აბრამიძე.**

## კახეთში მოგზაურობა და ჩვენი შთაბეჭდილებანი.

19 იანვარს გავემგზავრეთ მელაანიდგან სიღნაღისაკენ. დღის პირველ საათზედ ვინახულეთ პარტკომის მდივანი ამხ. ვარამაშვილი. თუმცა მას ბევრი საქმეები ჰქონდა ლენინის წლის თავის აღნიშვნის გამო, მარა მაინც აღგვითქვა ყოველგვარი დახმარება შეძლებისდაგვარათ. ვინახულეთ ადგილობრივი ყოფილი მენშევიკები და შევიმუშავეთ სხემა ჩვენი მოქმედებისა.

21 იანვარს დანიშნული იყო დიდებული ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო. კრება გახსნა პარტკომის მდივანმა. შემდეგ ილაპარაკა აღმასკომის სახელით ს. თავდიშვილმა, განათლ. წრიდან ქ ნიშვილმა, პროფკავშ. თავმჯდომარემ და სხვამ. აგრეთვე მუშათა კომისიის სახელით ამხ. გვიმრაძემ. მეორე დღეს, ესე იგი 22 იანვარს, იმავე კლუბში დანიშნული იყო 9 იანვრის საღამო. აქაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა პარტკომის მდივანი ამხ. ვარამაშვილი. გამოვიდა სხვა და სხვა წარმომადგენლებიც 9 იანვრის აღსანიშნავათ. აგრეთვე მუშათა კომისიის სახელით მაჭარაძე. მოხსენებების შემდეგ გაიმართა 9 იანვრის აღსანიშნავათ ცოცხალი სცენა, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზედ.

მხოლოდ 23 იანვარს იქნა მოწვეული ყოფილ მენშევიკების კრება სასწავლებლის დარბაზში. ამ კრებაზედ გამოცხადნენ ყველა აქტიური ძველი მომუშავენი. კრება თავმჯდომარედ ირჩევს ნატროშვილს, მდივნად ვარვამაძეს. მოხსენებას აკეთებს მუშათა კომისიის წევრი მაჭარაძე, აღნიშნავს წარსულ მენშევიკურ ორგანიზაციების შეცდომებს და მის დამღუპველ შედეგებს ქართველ ერის წინაშე. ის ვრცლათ აცნობს დამსწრეებს მუშათა კომისიის წარმოშობის მიზეზებს და მის დასახულ მიზნებს. მოუწოდებს დადგნენ საბჭოთა პლატფორმაზედ და იმუშაონ ხელისუფლებასთან აღმშენებლობითი და კულტურულ ფრონტზედ ქართველ ხალხის საკეთილდღეოთ და სხვა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ერთხმათ იზიარებს ყველა დებულებებს მუშათა კომისიის მიერ წამოყენებულს და სრულიათ უერთდება 7 ოქტომბრის რეზოლიუციას. ყველა ორატორები მოუწოდებდენ მუშათა კომისიას, რათა წავიდნენ გადასახლებულ ამხანაგებთან და აუხსნან ნამდვილი საქმის ვითარება, რათა ისინი დაუბრუნდენ სამშობლოს და ჩაებნენ აღმშენებლობითი და კულტურულ მუშაობაში საქართველოს და მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. დასასრულ კრება ირჩევს ხუთი კაცისაგან შემდგარ რწმუნებულებს, რომელსაც ევალება განაგრძონ მუშაობა მიღებულ პროგრამის თანახმათ. არჩეულები არიან შემდეგი პირები: ილო მოსაშვილი, სიმონ ნატროშვილი, დათო ნონაბაშვილი, მათე ახმეტელაშვილი და ნიკო ციციშვილი. ზემოაღნიშნული პირები დავუკავშირეთ პარტკომის მდივანს, რომელმაც აღუთქვა მათ ყოველგვარი დახმარება დაწყებულ საქმეში.

—

24 იანვარს გავემგზავრეთ წნორისაკენ, მარა აქ ვერ ვნახეთ ნიადაგი, რომ კრება მოგვეწვია და აქედგან პირდაპირ წავედით თელავში. ვინახულეთ პარტკომის მდივანი ელისაბედაშვილი. მას განუმარტეთ ჩვენი მიზანი, რომელმაც ყოველგვარი დახმარება აღგვითქვა და მოგვცა სრული უფლება მოგვეწვია კრება სრულიად თავისუფლათ და მისცა გაფრთხილება ყველას, რომ ხელი არავის შეეშალა ჩვენთვის. ვინახულეთ ამხანაგები, რომლის საშუალებითაც მოვიწვიეთ საერთო კრება 26 იანვარს. აქვე ვათავსებთ ოქმს:

„26 იანვარს საღამოს მუშათა კლუბში შედგა ყოფილ მენშევიკების და უპარტიოების კრება. კრება გახსნა ამხ. ჩიტაიშვილმა. თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. ხი-

თაროვი და მდივნათ დავიდიანი. დღის წესრიგში იდგა: უკანასკნელი ამბები საქართველოში და ჩვენი გზა. მოხსენებას აკეთებს მუშათა კომისიის წევრი ამხ. გვიმრაძე, რომელიც ნათლათ და მკაფიოთ განმარტავს საქართველოში მომხდარ უკანასკნელ ავანტიურას და მის დამღუპველ შედეგებს ქართველ ხალხის წინაშე. ის აღნიშნავს, რომ მენშევიკურმა ცეკამ ვერ შეაფასა მომენტი, რის მსხვერპლი შეიქნა უდანაშაულო ხალხი. ჩვენს ხალხს სჯეროდა ევროპის ბურჟუაზიისა და მისგან მოელოდა შველას, ამბობს მომხსენებელი. მაგრამ ავიწყდებოდათ ერთი რამ, თუ როგორ ულმობლათ მოატყუილა ევროპამ სომხის ხალხი, რომელსაც პირდებოდა განთავისუფლებას ოსმალეთის მძიმე უღლისაგან და მართლაც გაანთავისუფლა... ოსმალეთის ვილაეთში ამ ჟამათ ერთ სომეხს ვერ იპოვი, ყველა ამოჟლიტა ევროპის დახავსებული დიპლომატიის წყალობით. აი ევროპის ნაბიჯები ხალხის განთავისუფლების საქმეში.

საქართველოს მშრომელი ხალხის, მისი ეკონომიურ-კულტურული აღორძინების დიადი ბედ-იღბალი მჭიდროთ და ისტორიულათ დაკავშირებულია რუსეთთან მის გლეხურ პროლეტარულ მასებთან და ჩვენც იმისკენ უნდა ვიბრუნოთ პირი.

ჩვენ გვერდში უნდა ამოუდგეთ რუსეთის პროლეტარიატს და ქართველი ერის დამოუკიდებლობაც იმის წყალობით უნდა გამოიჭედოს“ და სხვა.

შემდეგ ამხ. მაჭარაძე უმარტავს კრებას მუშათა კომის ის ისტორიას, როგორ წარმოიშვა ის და რა მიზნები აქვს დასახული. ის აცნობს მუშაობრივ პროგრამას, თუ რა უნდა აკეთონ კრების მიერ არჩეულმა რწმუნებულებმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რაშიაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: გ. ლაზარიაშვილმა, ლ. გოგიევმა, ივ. დავიდიანმა, ს. კარჭაულმა და იმნაძემ. სათანადო პასუხი გასცა მომხსენებელმა, რის შემდეგაც მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია თანახმათ 7 ოკტომბრისა. არჩეული იქნა შემდეგი პირები: 1) თებრო ჯავახიშვილი, 2) ტატო დიასამიძე, 3) ლუკა კომოთიძე. 4) კოტე გეგელიძე. 5) ალ. ხითაროვი და ორიც კანდიდატი: შ. კარაულაშვილი და ალ. ჩიტაშვილი.

კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ „ახალი გზა“ გამოგზავნილი იქნეს უფრო მეტი რიცხვი, ვიდრე ეხლა იგზავნება.

მუშათა კომისიის წევრნი: **კ. მაჭარაძე, ხ. გვიმრაძე.**

(გაგრძელება იქნება).

---

## ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ (სენ. მაზრა).

4 იანვარს დ. აბაშის შვიდწლედის დარბაზში შესდგა კრება ახალ-აბაშის თემის სოც.-დემოკრატიულ პარტიის და ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის ყოფილ წევრების. კრებას დაესწრო აგრეთვე უპარტიო მუშებიც.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაზე და სოც.-დემ. პარტიის ტაქტიკაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბარნაბა ძველაიამ. მან დაახასიათა ყველა მთავარი მომენტები პარტიის რევოლიუციონური ბრძოლისა და განვითარების ისტორიიდან, შეეხო ფრაქციების წარმოშობის მიზეზებს, განმარტა რევოლიუციონურ დამსახურებასთან ერთად ის შეცდომებიც, რომელიც თან დაყვა სოც.-დემ. პარტიას და აგრეთვე მე-II ინტერნაციონალს; განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდა უკანასკნელი წლების ტაქტიკაზე, რამაც პარტია გადაჩეხა ბანდიტიზმში და ავანტიურაში. უკანასკნელის შედეგიბად ჩვენ ვხედავთ ერთის მხრით ჩვენი პარტიის პოლიტიკურად გაკოტრებას, ხოლო ერის წინაშე ფიზიკურად განადგურების პერსპექტივების დასახვას. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე დასავლეთ ევროპაში რეაქციის გაძლიერების საშიშროებას და გამოიტანა დასკვნა, რომ სოციალისტური თვალსაზრისით მიუღებელია და უნაყოფო ის ბრძოლა, რომელსაც აქამდი ვაწარმოებდით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საჭიროა კომინტერნის დროშის ქვეშ დარაზმვა ყველა იმათი, ვისაც გულწრფელად აინტერესებს მშრომელთა კეთილდღეობა, რათა შეიქმნას მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი საერთაშორისო იმპერიალისტურ-რეაქციონურ ევროპის ინტერვენციის წინააღმდეგ. მოხსენების შემდეგ შემოვიდა მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი იქნა გაცემული.

ახალგაზრდა მარქს. სამაზრო სალიკვიდაციო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ვარლამ ქოიავამ, მან აღნიშნა, რომ უმთავრესად თეორეტიულ-აკადემიურ მიზნებს ისახავდა ახ. მარქს. ორგანიზაციები, მაგრამ დროთა განმავლობაში, ახალგაზრდობა ებმება პრაქტიკულ საქმიანობაში სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად. დაახასიათა არალეგალურად მუშაობის წლები აგვისტოს გამოსვლებთან დაკავშირებით და გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ წარსული შეცდომების გამოსწორება შეიძლება ყოველგვარი ოპორტუნიზმისაგან გამიჯვნით, ახ. მარქსისტების ახკომკავშირთან ერთად დარაზმვით მე-III ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის საბრძოლველად.

მოხსენებების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენებები სამაზრო სალიკვიდაციო კომისიის რწმუნებულების, ამიერიდან ყოველგვარ კავშირს ვსწყვეტთ სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან და მიზნად დავისახავთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარ ფარულ და აშკარა ბრძოლის აღკვეთას ჩვენს რიგებში, ვიზიარებთ რა საბჭოთა პლატფორმას, გვერდში ამოუდგებით ხელისუფლებას და ვაწარმოებთ მასთან გულწრფელ და საქმიან თანამშრომლობას ყოველგვარ აღმშენებლობითი მუშაობაში და ამასთანავე საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ერთად ვიბრძოლებთ მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ პროლეტარული რევოლიუციის იდეალებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მე-III ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

ასეთივე მოხსენებები გაკეთდა აბაშის რაიონის შემდეგ თემებში: სუჯუნაში, ძვ. აბაშაში, ონტოფოში და სეფეთში. ყოველგან იძლეოდენ მრავალ შეკითხვებს, დავასახელებთ მათ შორის ზოგიერთს: არის თუ არა ინტერვენცია რუსის ჯარის საქართველოში ყოფნა და თუ არის, იქნება თუ არა აქედან გაყვანილი ხსენებული ჯარი? რატომ გამოსვლების წინეთ არ ამბობდით იმას, რასაც ეხლა ამბობთ? რატომ არის, რომ სოფლის გლეხობის ნაწარმოების ფასი ძალზე დაცემულია შედარებით ქალაქის ფაბრიკატებთან? რათ არ გვაძლევენ პარკის ფულს? როგორი აზრის არიან ჩვენი ახალი გზის შესახებ ემიგრაციაში მყოფი ამხანაგები და აგრეთვე გადასახლებულნი? ყველა შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი იქნა გაცემული, ყოველგან გამოქონდათ ასეთი შეკითხვების შემდეგ რეზოლიუციები, რომლებშიაც ატარებდენ მოხსენების დედააზრს.

**ჟინი.**

# მუშათა წერილები.

## ცოტა რამ საქართველოს პასუხისმგებელ არტელის შესახებ.

მკითხველი ხშირად შეხვდებოდა წერილებს გაზეთებში საქართველოს პასუხისმგებელ არტელის შესახებ. ზოგი მას კონტრ-რევოლიუციის ბუდეს უწოდებს, ზოგი მასში არასასურველ ელემენტებს ხედავდა და სხვა. მარა ამ უკანასკნელ ხანებში სრულიად შესწყდა მასზე წერა.

სრული სიმართლე უნდა ითქვას—მართლაც ბევრი ვერია არასასურველი ელემენტი, რის მეოხებითაც საქართველოს პასუხისმგებელთა არტელს, რომელიც ერთად ერთია მთელს ამიერ-კავკასიაში,—ჩირქი ეცხებოდა. და არც არის გასაკვირველი, რომ ამ დიდ ოჯახში, რომლის წევრები 450 კაცს აღემატება, ათიოდე მახინჯი გამორეულიყო, როდესაც ხშირად პატარა ოჯახსაც თითო მახინჯი ერევა. ასედაც რომ არ ყოფილიყო, საქართველოს პასუხისმგებელ არტელს ბევრი ჰყავს მტერი და მოყვარე. განსაკუთრებით იაროსლავცევის არტელი, რომლის აგენტები ცდილობდენ და ცდილობენ დღესაც, რომ სახელი გაუტეხონ მას, რათა თავისი მოქმედება გაავრცელოს ამიერ-კავკასიაზედაც. მარა ამას ისინი ვერ ეღირსებიან, სანამ სათავეში ეყოლება არტელს ის ამხანაგები, რომლებიც ამ ჟამად უდგანან მას. მართალია, არტელს აქვს რკინის გზის ცოტაოდენი დანაკლისი, მარა ის ამას პირნათლად გადაიხდის. თუ ამ დიდ ოჯახს თითო-ოროლა მახინჯი გამოერია, არტელის წევრები შესძლებენ მის გამოსწორებას და გაჯანსაღებას. ამისათვის არ დაერიდებიან არავითარ მსხვერპლს, თუ ეს საჭირო იქნება.

მისი გავლენა თანდათან ვრცელდება არა მარტო რკინის გზაზე, არამედ იპყრობს ქალაქების სხვადასხვა დაწესებულებებს. არტელი ამ ახლო ხანში თავის მოქმედებას გაავრცელებს მთელ აჭარისტანის რესპუბლიკაში, სადაც უკვე სწარმოებს მოლაპარაკება პირობებზე და მალე დადებითად გადასწყდება კიდეც. ასე რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მისი წევრები ალბად ათასებზე ავა.

არტელის სიძლიერე გამოწვეულია წევრების ენერგიული და დაუღალავი მუშაობით. არტელი უნდა სცდილობდეს მახინჯი და უვარგისი წევრების მხილებას და მის გასწორებას. მაშინ არტელის საქმე მკვიდრ ნიადაგზე იქნება დაყენებული და მეტოქეც მუდამ დამარცხებული.

ამავე დროს არ შემიძლია არ აღვნიშნო დღეს მთელ რესპუბლიკაში მუშათა კომისიას ჰყავს თავისი რწმუნებულები „ახალი გზის" ხაზის გასატარებლად, მარა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დარგი მრავალრიცხოვანი წევრებისაგან შესდგება, ჯერჯერობით ამ მხრით არაფერი გაკეთებულა.

ჩვენ არ უნდა შევადგენდეთ გამონაკლისს. საჭიროა ამ მხრითაც მუშაობა.

**კ მაჭარაძე.**

---

## სალამი „ახალ გზას".

ბედნიერება ბურჟუაზიისა არ აკმაყოფილებს მუშათა კლასს, მოქმედება რეაქციონერებისა მიუღებელია ჩვენთვის და წინააღმდეგ, რაც ჩვენთვის სათაყვანებელია, რაც ჩვენ ისე გვჭირია, როგორც სასუნთქავი ჰაერი, ის საწამლავია ჩვენი მოწინამღდეგე ბურჟუა-კაპიტალისტ-რეაქციონერებისათვის. აქ სიჩუმე არ შეიძლება, უბრძოლველობა არ ვარგა.

ჩვენი ბედნიერება სხვა და სხვა ნაირად გვესმოდა ან გვიხატავდენ და გვარწმუნებდენ, და ყველა ამან მოგვიტანა არ გაგონილი შედეგი 1924 წლის აგვისტოსი.

გვიან, მაგრამ ახალი გზის საშვალებ-ით გამოინახა საერთო ენა, რომელსაც სათავეში ჩაუდგენ ძველი გამოცდილი მუშები. ეს წინამორბედია იმის, რომ პროლეტარიატში დამსახურებული ამხანაგების გადადგმული ნაბიჯები მოიპოვებენ ფართო გამოძახილს და მიმდევრობას. ახალი გზა არ დარჩება მარტო უსულო ჟურნალის სათაურად, არამედ აღადგენს ძმათა შორის ჩამტვრეულ ხიდს ერის ბედნიერებისათვის, ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებისათვის და არა მარტო თავის „ტყავის" გადარჩენისათვის. ჩვენ ვდგ ბით საბჭოთა აღმშენებლობის პლატფორმაზე, აქეთ მოუწოდებთ ამხანაგებს და ვესალმებით მუშათა კლასის სრულს გამარჯვებას, ერთი მეორეში ძმურ კავშირს, მშრომელთა ერთსულოვნობას და სოლიდარობას.

ჩვენი სალამი ჟურნალ „ახალ გზას".!

**გრ. ჟღენტი.**

---

## გაუგებრობა თუ უნდობლობა.

სინამდვილის ფაქტია ის ნაყოფიერი მუშაობა იმ არჩეული ბიუროებისა, რომელნიც ატარებენ ცენტრში არსებულ მუშათა კომისიის დებულებებს ცხოვრებაში და ეს იმითი აიხსნება, რომ ეს არის მუშათა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი, მასში მხოლოდ მუშები და ღარიბი გლეხ-კაცობა იღებს მონაწილეობას. ამაში ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს არავის არც შინ და არც გარეთ. და რომ ეს სინამდვილეა, იქიდან სჩანს, რომ მუშაობას ეწევიან ის ძველი ამხანაგები, რომელთაც ნდობა აქვთ მუშებში და გლეხებში დამსახურებული. ცხადია, ამხანაგები ყოველივე სიძნელეს გადალახავენ და დაწყებულ საქმეს მიიყვანენ ბოლომდე.

და რადგან ხელისუფლება ხელსაც ძლიერ გვიწყობს მუშაობის ჩატარების დროს და ამავე დროს მთელი მუშა-მოსამსახურეები და გლეხკაცობა ძლიერ მსურველია გაერთიანებული მუშაობის,—მაშ ხელის შემშლელი აღარ გვეყოლება და გამარჯვებას მივაღწევთ და თავისუფლების სადარაჯოზედ გაერთიანებული ფრონტი გვექნება. მაგრამ ერთი რამ მაკვირვებს: ხელისუფლების წარმომადგენლები მუშაობის დროს ჩვენთან არიან. ისინი დარწმუნებული არიან სინამდვილეში. მაშ რას უნდა მიეწეროს ის უნდობლობა, რომელიც გამოიხატება გაზეთ „კომუნისტის" წერილებში? რისთვის ვართ უნდობლები? რისთვის არის საჭირო რეპრესიები? იქნებ ზოგიერთმა ამხანაგმა იფიქროს, რომ აქ ჯვარი უნდა დაესვას მუშაობას, მაგრამ ეს მართალი არ არის. აქ ჩვენ შუა და კომპარტიის შუა გველური სისინია ნაწარმოები და გვწამს, რომ ასეთები საკმაოდ მოიპოვებიან. რომელთაც ეშინიათ სინათლის და ასეთები ორივე მხარეს არიან. მაგრამ მათ სინამდვილე ამოსდებს ლაგამს. ხელისუფლება და კერძოდ კომპარტია დარწმუნდება გულწრფელობაში და ბოლო მოეღება ორჭოფულ მდგომარეობას. ფარდა აეხდება იმ მოღალატეებს, რომელთაც სინათლის ეშინიათ.

მაშ გაუმარჯოს ნდობას, შორს ჩვენგან უნდობლობა. გაუმარჯოს გაერთიანებულ ფრონტს.

**ირაკლი შათირიშვილი.**

# საბჭოთა არჩევნები და მისი მნიშვნელობა.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში ამ ჟამად სწარმოებს საბჭოების გაფართოებული არჩევნები, რომლის სახით ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიას ემატება კიდ-ვ ერთი დიდი ფაქტი, რომელ-ც განამტკიცებს მის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობას, და ჩააფიქრებს ყოველ ანტი-ბოლშევიკურად განწყობილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსა და პარტიებს.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი ფართო არჩევნების უფლებები, რომელიც მიეცა საბჭოთა მთავრობისაგან მშრომელ მუშა-გლეხობას, სიხარულს გამოიწვევს მოწინაალმდეგეთა ბანაკში, დაინ-ხავენ რა მასში ერთ-ერთ საშუალებ-ს, რომელიც შიგნიდან გამოაცლის ნიადაგს საბჭოთა ხელისუფლებას.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ეს არის უგუნურთათვის თავის ნუგეში და მეტი არაფერი. მათ საბჭოთა ხელისუფლებამ საკმაოდ თვალსაჩინო გაკვეთილები მისცა ახლო წარსულიდან სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების უმტკივნეულოდ გადაჭრით, როდესაც ის შედარებით უფრო ცუდ პირობებში იმყოფებოდა, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად, როცა დღე-დღეზე მოელოდნენ მის დაცემას და თავისი ბნელი ზრახვების განხორციელებას. ყველანი უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლების სიძლიერე გამოიხატება ს. ს. ს. რ. შემადგენელ რესპუბლიკების ერთა თანასწორუფლებიანობაში სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირში. დროა ისიც შეიგნონ მათ, რომ მთავრობა, რომელიც დამყარებულია ასეთ კავშირზე, მტკიცეა და ურყევი.

საბჭოების არჩევნები, რომელიც ეხლა სწარმოებს ჩვენში, არამც თუ შეარყევს საბჭოთა ხელისუფლებას და მის მდგომარეობას, არამედ ის კი ჟევ უფრო განამტკიცებს მუშათა და გლეხთა კავშირს და უზრუნველჰყოფს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს.

როგორ უნდა მივიგებოთ ამ არჩევნებს ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, რომლებიც უკვე დავდექით საბჭოთა პლატფორმაზე და იმ გლეხობამ, რომელიც მენშევიკების გავლენას განიცდიდა?

ცხადია, პირველმა მთელი თავისი გავლენა უნდა მოახმაროს ამ არჩევნების ჩატარებას, რათა რაც შეიძლება მეტ ნაწილს მშრომელ მასსისას მიაღებინოს მონაწილეობა არჩევნებში, და მეორემ კი უნდა გამოიჩინოს სრული მოქალაქეობრიობა, თავი უნდა დაანებოს ბუტი ობა-ჟინიანობას და მიიღოს მხურვალე მონაწილეობა საბჭოს იმ არჩევნებში, რომელიც ფართო გასაქანს მისცემს მშრომელ გლეხობას, პოლიტიკურ თვითმართველობისა და ეკონომიურ-კულტურულ დონის ამაღლებისათვის.

ვინ უნდა იქმნას არჩეული საბჭოებში? უეჭველად ის, ვინც სარგებლობს მშრომელ გლეხობის დიდი ნდობითა და პატივისცემით და რომლის ინტერესები მჭიდროთ არის დაკავშირებული გლეხობასთან.

სწორედ ასეთი პატ-ოსანი, მშრომელი მუშაკების არჩევით გაჯანსაღდება საბჭოები და ბოლო მოეღება იმ თვითმოქმედებასა და ბოროტებას, რომლის მთელი სიმძიმე აწევს ზურგზე მშრომელ მასსას.

კლემენტი ცინცაძე.

# საბჭოთა არჩევნები საქართველოში.

**არჩევნების გადადება აჭარაში.**

აჭარის საარჩევნო კომისია ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ აჭარაში არჩევნები, დიდი თოვლის გამო, დაიწყება მარტის პირველ რიცხვებიდან.

**ს უ რ ა მ ი.**

მთელს თემში გაყვანილია 50 დეპუტატი. ამათგან: პარტიული—19, უპარტიო—21, კომკავშირელი—10: არჩეულთა შორის ოთხი ქალია.

**დუშეთის მაზრაში.**

დუშეთის საქალაქო საბჭოში აირჩიეს 20 დეპუტატი, მათ შორის კომუნისტი ერთია.

საგურამოს სათემო საბჭოში აირჩიეს 24 წევრი, მათ შორის 3 კომუნისტია.

კობის სათემო საბჭოში არჩეულია 22 წევრი, აქედან 3 კომუნისტია.

**თელავის მაზრა.**

სოფ. შროშის სასოფლო საბჭოში არჩეულია 39 წევრი, აქედან 10 კომუნისტი და 10 ქალი.

სოფ. იყალთოს სასოფლო საბჭოში აირჩიეს 33 წევრი, აქედან 10 კომუნისტი და 5 ქალი.

ყარაჯალის სასოფლო საბჭოში არჩეულია 16 წევრი, მათ შორის 2 კომუნისტი და 3 ქ-ლი.

**დუშეთის მაზრის** 5 სათემო საბჭოში არჩეულია 113 წევრი, აქ-დან 11 კომ. და ახ. კომ. წევრი (9,7 პროც.), 102 უპარტიო (90,3 პროცენტი) და 4 ქალი (3,5 პროც.).

**ბორჩალოს მაზრაში** არჩეულია 17 წევრი, მათ შორის 8 კომ. და ახ. კომკავშირის წევრი (47,1), 9 უპარტიო (52,9 პროც.) და ქალი 4 (23,5 პროც.).

**ლეჩხუმის მაზრაში** 3 სათემო საბჭოში აირჩიეს 60 წევრი, მათ შორის 24 კომ. და ახ. კომ. წევრი (40,0 პროც.), 36 უპარტიო (60,0 პროც.) და 1 ქალი (1,7 პროც.)

9 თებერვლის 1 საათამდე მიღებულ ცნობებით, მთელ საქართველოში არჩეულია 10 სასოფლო და 83 სათემო საბჭო. არჩეულია 2807 დეპუტატი, მათ შორის კომუნისტი და ახ. კომკავშირელი 849, უპარტიო 1958, ქალი 261.

# რედაქციისაგან.

ჩვენი ჟურნალის მეშვიდე ნომერში წერილში „საბჭოთა კავშირის მასწავლებლობის ყრილობა“—შემდეგი შეცდომაა შეპარული: სწერია—„ყრილობის რეზოლიუცია“ მკაცრათ ჰკიცხავს კომკავშირს, რომელიც და სხ.. რედაქცია საჭიროთ სთვლის აღნიშნოს, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, რამდენათაც ყრილობას არ გამოუტანია გაკიცხვის რეზოლიუცია.

# ჩვენი ფოსტა.

**შორაპანი. შათირიშვილს.** თქვენ თვითონ აღიარებთ, წერილი დაგვიანებულიაო,—მართალია, ამიტომ არ დაიბეჭდება.

**პრ. ვადაჭკორიას.** წერილი არ შეესაბამება ჩვენი ჟურნალის დანიშნულებას. მოგვაწოდეთ სხვა წერილები.

**ობილისი. ვ. წ—რს.** გვეკითხებით: შვეიცარიის ფედერატიულ სახელმწიფოში, რომელიც სამი ეროვნებისაგან შედგება, რომელი ენა ითვლება სახელმწიფო ენათ?

**პასუხი.** სამივე ენა: გერმანული, ფრანგულიც და იტალიურიც სახელმწიფო ენათ ითვლებიან. პარლამენტშიც სამივე ენაზე ლაპარაკობენ. სამივე ენა თანაბარია.

**თბილისი. კ. ვ—შვილს.** გვეკითხებით: რატომ არ არის აქ მდის ჯატარებული გაერთვნება მთლიან მუშათა კოოპერატივში? დაწვრილებით ამის შესახებ შემდეგ ნომერში მოვათავსებთ წერილს.

**პასუხი.** იმედია, თვით მუშკოოპი მოგცემთ პასუხს ამის შესახებ.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიშრაძე

ამ №-დან ჟურნალ „ახალი გზის“ ცალკე № ღირს 10 კ.

პოლიტკატორღელთა საზოგადოების
სამკერვალო სახელოსნო
პლეხანოვის პროსპექტი, № 111.
იღებს ყოველგვარ თეთრეულ საკერავებს, აგრეთვე მამაკაცების, ქალების და ბავშვების
ტანისამოსის შეკვეთებს.
სამუშაო სრულდება ხელსაყრელ ფასებში, კარგად და თავის დროზე. ჰყავს სპეციალისტები.
მთელი შემოსავალი ხმარდება ყოფილ კატორღელთა ოჯახობას და მათ ქვრივ-ობლებს.

მოქალაქენო!
თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ
მ. ლაღიძის
საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები,
რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის
წვენისაგან, ნადული წყლით უალრესად გაუმჯობესებულ აპარატზე.
მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი
სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.
მ. ლაღიძის ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც
შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.
(0—5)

მთავლიტი № 217 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2000

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 22 თებერვალი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11-68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9--1 საათამდე | № 10

## საზოგადოება წესწყობილება და ჩვენი ინტელიგენცია.

რომ ავიღოთ მეცხრამეტე საუკუნე, ჩვენი ინტელიგენციის ნამდვილი ისტორია უნდა დავიწყოთ მესამოცე წლებიდან. რა თქმა უნდა, ინტელიგენცია იყო ოცდაათ წლებში და მან მიიღო დიდი მონაწილეობა მაშინდელ აჯანყებაში თვითმპყრობელობის წინაალმდეგ.

ინტელიგენცია იყო ორმოცდაათიან წლებში გლუხარიჩის (გიორგი ერისთავის) დროს, ხოლო მაშინ ის მეტად მცირე რიცხოვანი იყო და ამის გამო მისი სახე, მისი მრწამსი საკმაოდ გამორკვეული არ იყო.

სულ სხვა სურათსა ვხედავთ მესამოცე წლებიდან. ინტელიგენციის რიცხვი თანდათან მრავლდება და მისი მისწრაფებაც საკმაოდ ყალიბდება. ის გამოდის ცხოვრების ასპარეზზე შემუშავებული პროგრამითა და გარკვეული მიზნით.

თუმცა მაშინდელი ინტელიგენცია უმთავრესად თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდებიდან გამოდიოდა, მაგრამ თავად-აზნაურული მიმართულება ვერ იკრებდა თავის გარშემო ინტელიგენციას იმდენად, რამდენადაც ლიბერალური და დემოკრატიული. ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობას ხალხი იზიდავდა. მასა სწამდა, რომ ქართველი ერის ბედი გადაჯაჭვული იყო მისი მშრომელი ნაწილის ბედზე. შემდეგ ინტელიგენციის ახალი ძალა გამოვიდა თვით მშრომელი ხალხიდან და ოთხმოცდაათიანი წლებიდან ჩვენში თანდათან ყალიბდება და დიდ გავლენას ჰპოულობს სოციალისტური ინტელიგენცია. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართველი მშრომელი ხალხი უაღრესად სარევოლიუციო მისწრაფების მატარებელია.

ეს აიხსნება ერთის მხრივ იმ გარემოებით, რომ ჩვენი მშრომელი ხალხი—მუშები და გლეხობა—მცირეხლია, ადვილად ცნობიერდება, ადვილად ერკვევა, ადვილად ითვისებს ყოველივე ახალს. ტფილისში, ბაქოში, ბათუმში, ნოვოროსიაში და სხვაგან საკმაოდ დაგროვდენ ქართველი მუშები. ახალმა შეგნებამ ახალი მისწრაფება აღძრა მათში. ეს შეგნება და ეს მისწრაფება მათ გამოიწვიეს გლეხებშიაც, როდესაც უკან ბრუნდებოდენ თავთავიანთ სოფლებში.

ამას ზედ დაერთო ის გარემოება, რომ თვითმპყრობელობის რეჟიმი განსაკუთრებით მკაცრი იყო განაპირა ქვეყნებში და ეს სიმ აცრე ხელს უწყობდა სარევოლიუციო განწყობილების გაძლიერებას.

მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების ზრდამ გამოიწვია სოციალისტურად მოაზროვნე ინტელიგენციის ზრდაც.

საერთოდ აღებული ჩვენი ინტელიგენცია სარევოლიუციო მისწრაფებით იყო გაჟღენთილი და მცირე გამონაკლისს გარდა რევოლიუციას ის დიდის ზეიმითა და აღტაცებით შეეგება—არა თუ პარტიული, უპარტიო ინტელიგენციაც ჩაება საქმეში და ყველა ცდილობდა, ახალი ცხოვრების აშენებაში ძველ ნანგრევებზე თავისი წვლილი შეეტანა. რა იყო ბოიკოტი, საბოტაჟი, არავინ არ იცოდა. ეს სიტყვები მაშინ არავის არა სჭირდებოდა, არავის არ ახსოვდა და განზე დგომა, მარტო მაყურებლის მდგომარეობაში ყოფნა ყველას სირცხვილად მიაჩნდა

როდესაც რევოლიუციის მესაჭეობა ისტორიამ კომუნისტებს გადასცა, ჩვენმა ინტელიგენციამ ზურგი შეაქცია რევოლიუციას და გადასკუპდა კომუნისტების მტერთა ბანაკში.

გაჩაღდა მუშაობა კომუნისტების წინაალმდეგ, გაჩნდენ პარიტეტული კომიტეტები, შეიქნა არა ლეგალური ციებ-ცხელება, გაიმართა მიწერ-მოწერა ტფილისსა და პარიზს შუა და ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა გასული წლის აგვისტოს ამბები.

ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობა განზე დადგა, მმართველ ხელისუფლებას გაებუტა, ბოიკოტის, საბოტაჟისა და აჯანყების გზას დაადგა. ნათქვამია: მტერი კაცს იმდენს ვერას ავნებს, რამდენადაც თვითონ კაცი თავის თავს ავნებსო.

ჩვენმა ინტელიგენციამ არა თუ თავის თავს ავნო, უზომო ზარალი მოუტანა ქართველ ერს. ჩვენი ინტელიგენცია პილატესავით ვერ დაიბანს ხელს, აგვისტოს ამბებში მას წილი უძევს.

რუსული ანდაზაა: სანამ მეხი არ გავარდება, გლეხი პირჯვარს არ დაიწერსო. აგვისტოს ამბები ერთგვა-

რი მეხი იყო, რამაც გამოაფხიზლა ჩვენი ინტელიგენცია და მასში დღეს უსათუოდ ხდება ერთგვარი გადატეხა, მდგომარეობის გადაფასება. ეს გადატეხა უსათუოდ მიიყვანს მას საბჭოთა ხელისუფლებასთან და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უმჯობესია ქართველი ერისათვის.

მთელი ჩვენი ინტელიგენცია უნდა გამოეთხოვოს სამუდამოდ ძველ გზას, სავსე შეცდომებით, დადგეს საბჭოთა პლატფორმაზე, პირი იბრუნოს მმართველი ხელისუფლებისაკენ და თავისი საქმიანი მუშაობით, სიტყვით, წერით ხელი შეუწყოს საბჭოთა წყობილების განმტკიცებას, რადგანაც ქართველი ერის კეთილდღეობისათვის, წარმატებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სხვა გზა და სხვა წყობილება არ არსებობს.

განვლილმა წლებმა სავსებით გამოააშკარავეს, რომ ქართველ ერს სრულიად დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. ის უნდა მიეკედლოს, შეუკავშირდეს ვისმეს. საბჭოთა რუსეთის ფედერაცია საუკეთესო კავშირს წარმოადგენს ამ მხრივ ჩვენი ერისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება მთელი დედამიწის ზურგზე ერთად ერთი ხელისუფლებაა, რომელიც იბრძვის მშრომელი ხალხისა და დაჩაგრული ერების გასანთავისუფლებლად.

ყველგან გაბატონებულია ბურჟუაზიული ხელისუფლება, რომელსაც მშრომელი ხალხი და პატარა ერები ბორკილებში ჰყავს.

ჩვენი ერის წინსვლელობა ამიტომ შესაძლებელი და უზრუნველყოფილია მხოლოდ საბჭოთა წესწყობილებაში საბჭოთა ხელისუფლების მეთაურობით.

მართალია, ჯერ ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ ყოველივე ამას მოვიპოვებთ არა ბრძოლით მმართველ ხელისუფლებასთან, არამედ მასთან თანამშრომლობით და საბჭოთა წესწყობილების მტკიცე დაცვით.

მართალია, ჩვენს ცხოვრებას ჯერ ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ყოველივე ეს გამოსწორდება მმართველ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ძველი გზის უარყოფითა და საბჭოთა წყობილების ერთგულოვანი დაცვით.

ჩვენი ინტელიგენცია მუდამ გვერდში უდგა ჩვენს ერს; დღესაც გვერდში უნდა ამოუდგეს და ემსახუროს მას; ამისათვის არსებობს მხოლოდ ერთად ერთი გზა: საბჭოთა პლატფორმის მიღება და საბჭოთა წესწყობილების დაცვა არა შიშით, არამედ იმ ღრმა რწმენით, რომ ეს არის უდიდესი ეროვნული საქმე.

# შვეიცარიის ფედერატიული სახელმწიფო*)

შვეიცარია რთული, ფედერატიული სახელმწიფოა, თუმცა ხშირად მას ძველებურად ისევ კონფედერაციად იხსენიებენ ხოლმე იგი შესდგება 22 ავტონომიური კანტონისაგან. კანტონები თავის მხრით შესდგებიან ავტონომიური ერთეულებისაგან — კომუნებისაგან ყოველი კანტონი, შეიძლება ითქვას, კომუნათა ფედერაციაა, ხოლო შვეიცარია კანტონთა ფედერაციაა.

ამ რთულსა და მრავალკანტონიან სახელმწიფოში ერთად ცხოვრობენ, ერთს ზოგად სახელმწიფურ კონფედერალურ ქაპანს ეწევიან სხვადასხვა სარწმუნოების, რასის, ენის და კულტურის ხალხი. აქ არიან: გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, რომაელები, —ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე: გერმანულად, ფრანგულად, იტალიანურად, რომანულად; არის აგრეთვე ძველთაგანვე დარჩენილი კილოკავები, ადგილობრივი ენები — patois, რომელზედაც ლაპარაკობენ ზოგიერთი კანტონის მკვიდრნი და რომელსაც მშობლიურ ენად სთვლიან ისინი.

ამისდა მიხედვით შვეიცარია სხვადასხვა ლინგვისტურ თუ ნაციონალურ ჯგუფებად იყოფა. ეს ჯგუფები თავის მხრით იყოფიან გეოგრაფიულ-ტერიტორიალურად და პოლიტიკურ-კანტონალურად, რაც ხელს არ უშლის ერთიან ფედერატიულ სახელმწიფოებრივობას.

შვეიცარიაში ნაციონალური საკითხი არ არსებობს იმ სახით, როგორც ის აღმოსავლეთ ევროპასა და ქვეყნის სხვა ნაწილებშია. ის უჩვეულოდ უმტკივნეულოდ არის მოგვარებული. უგვანო შუღლი-შემოხლას ნაციონალურ ნიადაგზე, ეროვნულ შუღლსა და ბრძოლას ჩვეულებრივი აზრით იქ ადგილი არა აქვს. მიუხედავად სარწმუნოების, რასის და ენის სხვადასხვაობისა და მრავალგვარობისა, შვეიცარიაში ნაციონალური მშვიდობა არ ირღვევა მაგრამ ის შესცდება, ვინც აქედან იმ დასკვნას გამოიტანს, რომ შვეიცარიაში ამ მხრით „კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება“ სუფევს. ამას ბევრი უკლია, თუმცა არსად არ არის ისეთი პოლიტიკური და კულტურული კეთილგანწყობილება ერთა შორის, როგორც შვეიცარიაში.

შვეიცარიაში 3,800.000-დე მცხოვრებია. მათ შორის დაახლოვებით 2,350,000-დე შვეიცარიელი გერმანელი, 800,000 ფრანგი, 230 000 იტალიელი, 40,000 რომაელი. ამათ გარდა შვეიცარიაში სცხოვრობს მრავალი უცხოელი — 300,000-ზე მეტი. 1900 წლის ანგარიშით, შვეიცარიის 1,000 მცხოვრებზე 698 ლაპარაკობს გერმანულად, 220 ფრანგულად, 67 იტალიურად, 12 რომანულად და 3 სხვა ენებზე.

ზოგიერთი კანტონების მივარდნილ, მთიან კუთხეებში, როგორც ვთქვით, შენახულია ეგრედწოდებული პატუა-კილოკავები, როგორც ფრანგული, ისე გერმანული ენის, რომელზედაც ხალხი განაგრძობს ლაპარაკს.

ლინგვისტური არევ-დარევა არც ისე დიდია ერთსა და იმავე ადგილას, როგორც ბევრს გონია. 1900 წ. თავის ლინგვისტური ტერიტორიის გარედ ცხოვრობდა 90,000 გერმანულად მოლაპარაკე, 70,000 იტალიურად, 25 000 ფრანგულად და 2,000 რომანულად მოლაპარაკე პირი.

14 კანტონში სავსებით გაბატონებულია გერმანული ელემენტი. ეს არის უდიდესი ნაწილი კონფედერაციის, გერმანული შვეიცარია. 3 კანტონი (ჟენევა, ვო და ნევშატელი) წმინდა ფრანგულია. ერთი — ტესინი — წმინდა იტალიური. რომანელები ცხოვრობენ უმთავრესად კანტონ გრიზონში, სადაც მათთან ერთად ცხოვრობენ აგრეთვე გერმანელები და იტალიელები. სხვა კანტონები

*) პასუხად ამხ. გ. წ-რს შეკითხვაზე: შვეიცარიაში რომელი ენა ითვლება სახელმწიფო ენათ?

შერეულ (mixte) კანტონებად ითვლებიან. მაგალითად, ვალეში და ფრიბურგში უმრავლესობა ფრანგებია, ხოლო უმცირესობა გერმანელები. ბერნში უმრავლესობა გერმანელებია, უმცირესობა ფრანგები და სხვა. არის აგრეთვე რამდენიმე სამენოვანი შერეული კანტონიც.

თვით კონფედერაციაში, კონსტიტუციის ძალით, სამი ძირითადი, ოფიციალური სახელმწიფო ენაა. ესენია: გერმანული, ფრანგული და იტალიანური.

რომანული ენა არის ფედერალურ ენად გამოცხადებული, თუმკა რომანელები დიდი ხანია ცდილობენ მათი ენაც ს ხელმწიფო ენად იქნეს ცნობილი ფედერალურ ურთიერთობაში (რომანული სახელმწიფო კანტონალური ენაა გრიზონში). მიუხედავად ამისა რეფერენდუმის თუ კონსტიტუციის გადასინჯვის დროს პროექტები რომანულ ენაზედაც ცხადდება. ხანდახან,—თუმც იშვიათად,—პრაქტიკული მოსაზრებით ამა თუ იმ შემთხვევაში მარტო გერმანულს ხმარობენ; უფრო ხშირად კი გერმანულსა და ფრანგულს.

პარლამენტში (ფედერალური კრება) სავალდებულოა სამივე ოფიციალური ენა: დეპუტატს შეუძლია ილაპარაკოს რომელზედაც სურს. მაგრამ ნამდვილად იტალიელები უფრო ხშირად ფრანგულად ლაპარაკობენ. ამნაირად, პარლამენტი უფლებრივად ტრილინგური, სამენოვანი, ფაქტიურად (ბილინგურ) ორენოვანად ხდება.

თავმჯდომარე ლაპარაკობს გერმანულად ან ფრანგულად. თავმჯდომარის სიტყვა ფრანგულად ითარგმნება, თუ გერმანულად არის წარმოთქმული, და პირიქით: გერმანულად, თუ ფრანგულად არის წარმოთქმული. აგრეთვე ყოველი წინადადება ფრანგულად შეტანილი, ითარგმნება გერმანულად და პირიქით. იტალიელები თავის პრეტენზიას არასოდეს არ აცხადებენ, თუმცა მათ ამის უფლება აქვთ.

დეპუტატთა სიტყვები ითარგმნება, როცა ამას მოითხოვენ. საპარლამენტო ოქმები ორენოვანია ფაქტიურად. კომისიებში ყველა თავის ენაზე ლაპარაკობს. თარგმნა აქ სავალდებულო არაა.

კანონები ქვეყნდება სამივე ენაზე (გერმანულად, ფრანგულად და იტალიანურად). უპირატესობა არც ერთს ტექსტს არა აქვს.

(შემდეგი იქნება).

# მექრთამეობა გერმანიის სოციალ-დემოკრატებში

სოციალ-დემოკრატები რომ თავისი მოღვაწეობით ბურჟუაზიულ სახელმწიფოს საქმეს აკეთებენ და თავი კი ისე მოაქვთ, თითქო მუშათა კლასის დამხმარე და ქომაგი იყვნენ,—ეს ცნობილია.

ისიც ცნობილია რომ ისინი ისე არიან გაჟღენთილი მეშჩანურ-ბურჟუაზიული შეხედულებით და ფსიხოლოგიით, რომ შეგვიძლია ვთქვათ, იდეოლოგიასაც ისეთს ატარებენ და ამნაირად იმყოფებიან მათი გავლენის ქვეშ.

და როცა ასეთ სულიერ ტყვეობაში იმყოფები ბურჟუაზიის მიერ, არც იმისგან იქნები უზრუნველყოფილი, რომ არ ჩავარდე იმ წუმპეში, რომელშიც ბურჟუაზია გორავს.

# პროლეტარიატის დიქტატურა და დემოკრატიზმი.

(დასასრული. იხ. „ახალი გზა“ № 9).

ვინ არიან ეს მშრომელები? ქალაქის მუშა ანუ პროლეტარიატი, სოფლის მუშა ანუ გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია, ის ინტელიგენცია, რომელიც დაბალ წოდებიდან არის წარმოშდგარი და არ არის კერძო საკუთრების მექონი. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილი, რა თქმა უნდა, პროლეტარიატს უკავია, რადგან ყველაზე უფრო აქტიურ და რევოლიუციონურ ელემენტს თანამედროვე ვითარებაში სწორედ ქალაქის მუშა წარმოადგენს. ამიტომ პროლეტარიატი მოწინავე რაზმია, ავანგარდია მშრომელთა საერთო ბანაკისა, რომლის მეთაურობა და ხელმძღვანელობა ბუნებრივად მას ეკუთვნის. ამასთანავე პროლეტარიატი, თავისი კლასობრივი ბუნებით, ბურჟუაზიის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე სოციალური კატეგორიაა და, როგორც ასეთი, თანამედროვე კაცობრიობის წინსვლისა და პროგრესის მთავარი ფაქტორია. აქედან გასაგებია, რომ პროლეტარიატი ერთის მხრივ ყველაზე უფრო შეურიგებელი და მოსისხლე მტერია ბურჟუაზიისა და საერთოდ კაპიტალისტური წესწყობილების, ხოლო მეორეს მხრივ იგი ყველაზე უფრო აქტიური და რევოლიუციონურია მშრომელთა სხვა ფენებს შორის. ამიტომ, როდესაც ბურჟუაზიის აღსასრულის ჟამი ახლოვდება და გარდამწყვეტი მომენტი დგება, პროლეტარიატი ყველაზე უფრო ენერგიულად და თავგამოდებით იბრძვის ბარიკადებზე მშრომელთა მტრის შესამუსრავად. ამის გამოვე ის სოციალური ცვლილებებისა და გადატრიალებების დროს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

მაგრამ პროლეტარიატი, მიუხედავად თავის თავგანწირულებისა, ვერაფერს გახდებოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელსაც ამასთანავე სახელმწიფოებრივი აპარატი ხელთ უპყრია და მით ბრძოლაში უპირატესობის მქონეა, რომ დანარჩენი საზოგადოებრივი ფენები ბურჟუაზიის მხარეზე და პროლეტარიატის წინააღმდეგ გამოდიოდეს საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. პროლეტარიატს გვერდში უდგას, როგორც ვსთქვით, სოფლის მუშა (გლეხობა) და მშრომელი ინტელიგენცია, განსაკუთრებით ის ინტელიგენცია, რომელიც საკუთარის შრომით იკვებება და თავის მდგომარეობით არსებითად პროლეტარიატის პირობებში იმყოფება.

გლეხი თავისი ეკონომიური მდგომარეობით და სოციალურ ინტერესების მიხედვით სწორედ პროლეტარიატთან უნდა იდგეს და არა ბურჟუაზიასთან, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, ან წინად ეგონა. თუ გლეხობის პოლიტიკური კეთილსაიმედობა და პროლეტარიატთან მისი კავშირის აუცილებლობა, რევოლიუციონურის თვალსაზრისით, ერთ დროს სოციალისტებისათვის საეჭვო იყო, ამ ჟამად, ჩვენის აზრით, ეს გარემოება არავისათვის სადაო არ უნდა იყოს. მარქს-ენგელსმა თავიანთი შეხედულება გლეხობის შესახებ, როგორც ცნობილია, ბოლო დროს არსებითად შესცვალეს და გლეხობის მშრომელთა

ასეთ წუმპეში ჩავარდნა ხვდათ წილათ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გერმანიის სოციალ დემოკრატიულ პარტიის ზოგიერთ ლიდერებს.

საქმე იმაშია, რომ მათ ჰქონიათ დამოკიდებულება სპეკულიანტ ბარმატებთან. როგორც გაზეთების ცნობებიდან ირკვევა, გერმანიის მენშევიკები იღებდენ სუბსიდიებს, ქრთამებს და საზაფხულო აგარაკების ხარჯებს ბარმატების ბანკებიდან.

„ლოკალ ანცაიგერში“ გამოქვეყნებულია წერილი, საიდანაც სჩანს, რომ ბაუერს მიუღია საკომისიო ჯილდო და პროცენტები ბარმატების შ მოსავლიდან 8.5 '0 დოლლარი და 2 მილიონამდე ოქროს მარკა.

უნდა გავიხსენოთ, რომ ბაუერს ეკავა შემდეგი ალაგები: 1919 წელს ბაუერი იყო შრომის მინისტრი შეიდემანის კაბინეტში, იმავე წელს იგი გახდა რეიხსკანცლერი, 1921 წლის მაისიდან 1922 წლის ნოემბრამდე იგი იყო ვიცე-კანცლერი და ფინანსთა მინისტრი ვირტის კაბინეტში.

ბაუერის გარდა ამავე მოღვაწეობას ეწეოდენ: ებერტი რესპუბლიკის პრეზიდენტი, ველსი—გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის თავჯდომარე და მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის წევრი, გაილმანი პრუსიის ლანდტაგის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის თავმჯდომარე და სხვები...

აღსანიშნავია, რომ ბარმატები დახმარებას აძლევდენ მეორე ინტერნაციონალს.—მისი ბიურო იყო მოთავსებული ბარმატების სახლში - და კერძოთ გერმანიის სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელ ორგანოებს.

რეიხსტაგის და პრუსიის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის საგანგებო კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ბაუერს დაუყონებლივ ჩამოერთვას დეპუტატის მანდატი და მოცილებულ იქნას პოლიტიკურ მოღვაწეობიდან.

საქმე კიდევ იმ შია, რომ ამ მართლაც უცნაურ და ჯერ არ სმენილ ამბავში, მონაწილეობას იღებდა არა მარტო გერმანიის მენშევიკები. არამედ აგრეთვე მეორე ინტერნაციონალის მდივანი ჰიუისმანსი, რომელმაც „შუამავლის“ როლი ითამაშა საზიზღარ სპეკულიანტის ბარმატის და დემოკრატიის მეჯაურის ებერტის შორის.

ჰოლლანდიის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი დაარსებული იყო ბარმატის შემწეობით.

ამნაირად, ერთხელ დაქანებული სოციალ-დემოკრატები მივიდენ იმ საზღვრამდის, რომლის იქით უკვე იწყება მათი მოსყიდვა, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ბურჟუაზიის მიერ.

# ცოტა რამ აღმშენებლობითი და კულტურულ მუშაობის შესახებ

როდესაც ჩვენ ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში ვიყავით და ვებრძოდით მას,—მაშინ ჩვენ ყველაფერს უარყოფითად ვხვდებოდით, თუ გინდ იგი კარგიც ყოფილიყო. ეს იყო პოლიტიკური ფანდი ჩვენი მოქმედებისა, რათა მუშების და გლეხების თვალში პრესტიჟი დაგვეცა ხელისუფლების. ასევე იქცეოდენ კომუნისტები მენშევიკების ხელისუფლების დროსაც: კარგი ცუდად გამოყავდათ და ცუდი ხომ ცუდი იყო. ასეთია სა-

კავშირში დაშვება მიზან-შეწონილად აღიარეს. ლენინმა, როგორც ქვევით დავრწმუნდებით, სავსებით უდაო გახადა გლეხობის კავშირის აუცილებლობა პროლეტარიატთან და საერთოდ მშრომელთა ბანაკთან, ხოლო რუსეთის რევოლიუციამ ამ კავშირის აუცილებლობა პრაქტიკაში დაადასტურა.

რაც შეეხება ამ მხრივ ინტელიგენციის კეთილსაიმედობას და მის როლს რევოლიუციასა და პროლეტარიატის დიქტატურაში, უნდა ითქვას, რომ აქ არ შეიძლება საერთოდ ინტელიგენციის, როგორც ასეთის, საიმედობაზე ლაპარაკი, ვინაიდან ინტელიგენცია არ წარმოადგენს, სოციალურ და პოლიტიკურ თვალსაზრისით, ერთგვარ ელემენტებისაგან შემდგარ კატეგორიას, რომელიც შესაძლებელია მიეკუთვნოს მშრომელთა კლასს ან მის მოწინააღმდეგე ბანაკს. არის ინტელიგენცია, რომელიც თავის სოციალური მდგომარეობით, წარმოშობით და აგრეთვე პოლიტიკური რწმენის მიხედვით უდავოდ მშრომელთა ბანაკს ეკუთვნის, და როგორც ასეთი, სავსებით კეთილსაიმედოდ ჩაითვლება; მაგრამ არის აგრეთვე ინტელიგენტი, რომელიც ამგვარივე ნიშნების მიხედვით აშკარა რეაქციონერია, და როგორც ასეთი, მშრომელთა მოწინააღმდეგე ბანაკს მიეკუთვნება. არ შეიძლება ვინმე სანდოდ ან არა-სანდოდ იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმისათვის, რომ ის ინტელიგენტია. ინტელიგენტობა თავისთავად საიმედობისა ან არა-საიმედობის საკითხს ვერ სჭრის. ინტელიგენტობა ცოდნისა და სწავლა-განათლების მატარებელ პიროვნებას გულისხმობს, და არ შეიძლება ვინმესი მშრომელთა კავშირიდან გამორიცხვა მხოლოდ იმისათვის, რომ ის ნასწავლია. ამ გვარად საკითხის დაყენება, იმის გარდა, რომ ეს მარქსის მოძღვრების პროფანაცია იქნებოდა და მუშათა მოძრაობას შეაფერხებდა, თავის თავადაც უაზრობა და აბსურდი იქნებოდა. არც მარქს-ენგელსსა და საერთოდ არც ერთ ორთოდოქსალურ მარქსისტს არასოდეს არ უთქვამს, რომ ინტელიგენცია, როგორც ასეთი, გამოუკლებლივ მუშების მტერია და მასთან კავშირი მშრომელთათვის დაუშვებელიაო. არც პლეხანოვი უყურებდა ინტელიგენციას, როგორც მშრომელთა მოღალატესა და მოწინააღმდეგეს, როდესაც ის, ჯერ კიდევ 1889 წელს საერთაშორისო მუშათა სოციალისტურ კონგრესზე პარიზში, ინტელიგენციას შრომის გამანთავისუფლებელ მოძრაობაში პასუხსაგებ როლს აკისრებდა. „მან (ე. ი. ინტელიგენციამ) უნდა შეითვისოს თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება,—განაცხადა პლეხანოვმა ხსენებულ კონგრესზე —გაავრცელოს იგი მუშათა შორის და მათივე დახმარებით იგი რიში მიიტანოს თვითმპყრობელობის სიმაგრეზე“-ო ინტელიგენციისა და სხვა მშრომელთა კავშირის აუცილებლობის შესახებ პლეხანოვმა შემდეგშიაც გამოსთქვა უფრო გარკვეული შეხედულება, და თავისი წინანდელი აზრი ინტელიგენციაზე მას ბოლომდის არ შეუცვლია. ლენინმაც, როგორც ქვემოდ დავინახავთ, თავის წინამორბედთა და თანამებრძოლთა აზრი ამ საკითხში სავსებით გაიზიარა ხოლო რუსეთის დიდი რევოლიუციის დროსაც მას პროლეტარიატისა და მშრომელი ინტელიგენციის კავშირის წინააღმდეგ არ გაულაშქრებია.

აქედან ცხადია, რომ პროლეტარიატის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის სოციალურ-პოლიტიკურ

ზოგადოთ პარტიული და პოლიტიკური ბრძოლის საშუალება. ასე ყოფილა ყველგან, ასეა ჩვენშიც.

დღეს უკვე არ ვეკუთვნით მოწინააღმდეგეთა ბანაკს, დღეს ვდგევართ გულწრფელად საბჭოთა პლატფორმაზედ და ხელისუფლებასთან ერთად გვინდა ავაყვავოთ ჩვენი სამშობლო, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. რამდენადაც ძლიერი იქნება ეკონომიური და კულტურული განვითარება, იმდენად დაუახლოვდებით ჩვენს უკანასკნელ მიზანს—სოციალიზმს.

ამისათვის ყოველი ჩვენი სიტყვა, ყოველი ჩვენი ნაბიჯი უნდა იყოს გულწრფელი და გულახდილი.

რაც უკვე გააკეთა და აკეთებს დღეს ხელისუფლება, უნდა ვაღიაროთ დადებითად ყველას გასაგონად. სადაც ნაკლს დავინახავთ, ისიც უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებამ მიაქციოს სათანადო ყურადღება.

მე არ შემიძლია შევაფასო, თუ რა ხდება დღეს სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, მაგრამ რაც შეეხება იმას, თუ რა ხდება აქ, საბჭოთა საქართველოში, თამამად და გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ ასეთი სწრაფი ტემპით, როგორც დღეს მიდის ჩვენში აღმშენებლობითი მუშაობა, არასოდეს არ ყოფილა.

მენშევიკური ხელისუფლების დროს აღმშენებლობითი მუშაობა ნელი ნაბიჯით მიდიოდა. შესაძლებელია ამას თავისი გასამართლებელი საბუთები ქონდა: გამუდმებული ფრონტები, ხან შიგნით, ხან გარედ, იმავე დროს მუდმივი ბლოკადა, მაგრამ გარეშე ყოველივე ამისა უნდა ითქვას სიმართლე, აღმშენებლობით მუშაობას მაინც ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცეული,— თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამოდენიმე ადგილას ტელეფონების გაყვანას და ნაძალადევის თეატრის აშენებას. დღეს კი შეგვიძლია ვსთქვათ, რომ უმთავრესი ყურადღება მიქცეული არის აღმშენებლობით და კულტურულ მუშაობისაკენ. თუმცა მე ხელთ არა მაქვს არავითარი სტატისტიკური ცნობები, ხოლო ჩემი მოგზაურობის დროს, სხვადასხვა პროვინციებში, პირადათ დავრწმუნდი ამაში. ვერ ნახავთ ვერც ერთ სოფელს, რომ რაიმე აღმშენებლობითი და კულტურული დაღი არ ემჩნეოდეს. ზოგან შენდება კლუბისათვის შენობა, ზოგან სკოლები, ზოგან კოოპერატივები, გაყავთ წყლის არხები, უსწორმასწორო ქუჩებს ასწორებენ, შენდება ელექტრონული სადგურები, წყალსადენი და სხვა. ასე რომ ყველგან სჩქეფს ენერგიული მუშაობა.

მართალია დაბრკოლებები მრავალია: უფულობა, მასალის ნაკლებობა და სხვა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეტყობა სურვილი გაკეთებისა, მთელი ენერგიაც იქითკენაა მიმართული.

სოფლებში მრავალ ადგილას დაარსებულია წერა-კითხვის უცოდინართა კურსები. ყველა უცოდინარებს ემუდარებიან, ეხვეწებიან, ქაღალდს და საწერ-კალამსაც თვითონ აძლევენ, ოღონდ ისწავლონ წერა-კითხვა, და შეიძინონ რამე. მართალია მიზანს ნაკლებად აღწევენ, მაგრამ ემჩნევა, რომ კედლები უგუნურების, უმეცრების ნელ-ნელა ინგრევა, გლეხები გონს მოდიან, უფიქრდებიან თავიანთ საქმეს, უახლოვდებიან ადგილობრივ ხელისუფლებას, რათა შეკრებულად გვერდში ამოუდგნენ აღმშენებლობით და კულტურულ მუშაობაში.

ჩემის აზრით, იმისთვის, რომ გლეხები მალე ჩაებნენ კულტურულ და აღმშენებლობით მუშაობაში სოფ-

---

ინტერესთა იგივეობა შესაძლებელს და აუცილებელს ხდის მათ შორის კონტაქტს, განსაკუთრებით ბრძოლის ასპარეზზე, საერთო მტრის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამიტომ ყველა ესენი, პროლეტარიატის მეთაურობით, საერთო ძალითა და ერთიანი ფრონტით გამოდიან ბარიკადებზე მჩაგვრელთა დასამხობად, ხოლო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგაც, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდი დგება, მათ შორის ბლოკი და სოლიდარობა არ ირღვევა, ვინაიდან, როგორც დავრწმუნდით, სოციალური ინტერესები და მდგომარეობა მათ სრულიად არ მიჯნავს. ასე რომ პროლეტარიატის დიქტატურა გულისხმობს ყველა მშრომელთა და ტვირთმზიდეთა ბლოკს, ყველა მშრომელთა კავშირს,—კავშირს, რომელიც შესდგება ქალაქის მუშებისა, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციისაგან. „პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატის, მშრომელთა ავანგარდის—მცირე ნაწილის—და მშრომელთა მრავალრიცხოვან არა პროლეტარული ფენების (გლეხობის, ინტელიგენციის) კლასობრივი კავშირის განსაკუთრებული ფორმა, რომლის მიზანია კაპიტალის სრული დამხობა, ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა და მისი რესტავრაციის ცდის გადალახვა“.

ნათქვამიდან სავსებით ნათელია, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ ნიშნავს მხოლოდ ქალაქის მუშის, პროლეტარიატის, გაბატონებას და სხვა მშრომელი ელემენტების ხელისუფლებიდან განდევნას; იგი ნიშნავს, არსებულ პირობებში ძალების დაგვარად, ყველა მშრომელთა დარაზმვას ერთი დროშის ქვეშ ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების ასალაგმავად. პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს ქალაქის მუშის, გლეხობის და მშრომელი ინტელიგენციის კავშირს მჩაგვრელთა და მექრთამეთა წინააღმდეგ, და ამ მხრივ მას უფრო შეეფერება სახელწოდება მშრომელთა დიქტატურის, ხოლო თუ მას პროლეტარიატის დიქტატურა ეწოდება მხოლოდ იმისათვის, რომ ამ დიქტატურის დამკვიდრებაში, როგორც ბურჟუაზიის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე კლასს, განსაკუთრებული როლი პროლეტარიატს მიუძღვის. სხვანაირად რომ ვსთქვათ, პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს მშრომელთა კლასის გამარჯვებას ბურჟუაზიაზე და უკანასკნელზე მისი ჰეგემონიის დამკვიდრებას. მეორე მხრივ, პროლეტარიატის დიქტატურა გულისხმობს თავისუფლებას მშრომელთათვის, ხოლო თავისუფლების აღკვეთასა და შევიწროვებას კაპიტალისტ-მჩაგვრელთათვის.

მამასადამე, პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც სახელმწიფოებრივი აპარატის, დანიშნულებაა ერთის მხრივ აღკვეთოს დედამიწის პირიდან რეაქციონური და ბურჟუაზიული ვითარების ყოველგვარი ნაშთები, ხოლო მეორეს მხრივ გარდაქმნას არსებული საზოგადოება და მიაწყოს იგი კომუნისტურ საფუძველზე. პროლეტარიატის დიქტატურა გარდამავალი ხანაა, როდესაც სახელმწიფოებრივი აპარატი მშრომელთა კლასს ხელთ უპყრია, და როდესაც ეს კლასი, რომელიც აბსოლიუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, ამ აპარატის მეობებით ახდენს ძველი სამყაროს სრულ ლიკვიდაციას და ახალი საზოგადოების მოწყობას. ასეთია მთავარი დანიშნულება პროლეტარიატის დიქტატურისა და მისი არსებითი დამახასიათებელი თვისებანი.

**შალვა ყარამანიძე.**

ლად, და ჩქარა დაუახლოვდენ ხელისუფლებას, საჭიროა რომ მათ ნდობის თვალით უყურებდენ. როდესაც ის გარიყულია, მას არაფრად აგდებენ და უნდობლობის თვალით უყურებენ, ის უფრო და უფრო შორდება მათ და მათ შორის იმართება კედლები.

ყველგან გლეხების ჩივილი ერთი და იგივეა: ჩვენ არსად გვღებულობენ, ყველანი ხელს გვკრავენ, ჩვენ გვინდა ჩავებათ აღმშენებლობით მუშაობაში, მაგრამ ახლოს არავინ გვიკარებსო, ჩვენ არ გვაქვს ნება ხმა ამოვიღოთ, სიმართლესაც არავინ გველაპარაკებსო და სხვა.

თუ დღევანდლამდის არსებობდა უნდობლობა, დღეის შემდეგ მას ჯვარი უნდა დაესვას, ჩატეხილი ხიდი უნდა გამთელდეს. ვისაც სურს აღმშენებლობითი მუშაობაში მიიღოს გულწრფელი მონაწილეობა, მას უნდა ქონდეს საშუალება ამის შესახებ თავისი აზრიც გამოსთქვას, ის უნდა ჩაებას ყოველგვარ მუშაობაში, საბჭოთა ხელისუფლების და მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

დასავლეთ საქართველოში გლეხები იმდენათ არიან მომზადებულნი, რომ სახელმწიფო გადასახადზე გარკვეულ პასუხს იძლევიან. ისინი ამბობენ: არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლიან არსებობა, თუ გადასახადი არ იქნა აკრეფილი გლეხებიდან და მცხოვრებლებიდანაო. მაგრამ ამ გადასახადის გაწერაში ჩვენც მოგვეცით უფლება მივიღოთ მონაწილეობა, ნუ ხდება ზევიდან დაბეგვრა. სოფელს შეგვაწერეთ განსაზღვრული თანხა და მერე ჩვენვე გავანაწილებთ, ვის რამდენი ეკუთვნის გადახდა შეძლებისდაგვარადო.

ჩემის შეხედულობით, სრული სიმართლეა მათი განცხადება. ამ შემთხვევაში ხელისუფლება არას დაკარგავს, პირიქით ბევრს მოიგებს. გაწერა მოხდება მათ მიერ და ყველანი დაუბრკოლებლივ გადაიხდიან.

აი ის უპრალო დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვს სოფლად, იწვევს გაუგებრობას, რაზედაც საჭიროა სათანადო ყურადღების მიქცევა

დასასრულ უნდა ითქვას, რომ საჭიროა სოფლის გლეხობა ფართოდ იქნას ჩაბმული აღმშენებლობით მუშაობაში. გზების გაკეთება, სკოლების აგება, არხების გაყვანა და სხვა მათივე დასტურით კეთდებოდეს და არა ზევიდან ბრძანებით. ეს უფრო ნაყოფიერი იქნება.

**კ. მაჭარაძე.**

# ცოტა რამ მიწის საკითხის შესახებ.

მიწის საკითხი სრულიად გამოფიტულ (მხედველობაში მაქვს დასავლეთ საქართველო) ხრიოკიან მხარეებში, რომლის ერთ ქცევა წითელ მიწაზე საშუალოდ 6-7 ფუთზე მეტი სიმინდი არ მოვა კარგ მოსავლიან წელიწადში, მენშევიკების დროსაც არ იყო სათანადოდ გადაჭრილი.

მიწები იყოფებოდა სამ კატეგორიათ. პირველი კატეგორიის მიწის ნორმა 7 დესეტინას შეადგენდა; მეორე კატეგორიის მეტს და მესამე კიდევ მეორეზე მეტს. ამის მიხედვით წესრიგდებოდა მიწა, მაგრამ არ იყო ვარგისი აპარატი, რომელიც სინიდისიერად და ხალხისათვის სამართლიანად გაატარებდა მიწის მოწესრიგების კანონს. ის მჭირე მიწიანსაც იმდენს უზომავდა მიწას, რამდენსაც ნოყიერი რაიონების გლეხებს. ზოგან ერთი ქცევა მიწა იძლევა თითქმის 100 ფუთს. აქ გლეხი კარგ პირობებშია, მაგრამ აიღეთ ახლა მცირე მიწების მქონე გლეხის მდგომარეობა: მას ქცევამიწა აძლევს 7 ფუთს.

ასეთ მიწას ყოველ ხუთ წელს შემდეგ დასვენება უნდა, რომ ზედ რამე მოვიდეს და ამიტომ გლეხს უნდა მის მაგიერი კიდევ სხვა 6 დესეტინა. გლეხს ესაჭიროებოდა საძოვარი, ტყე და ამიტომ ის ითხოვდა კიდევ 7 დესეტინას. ამ რიგად მას უნდოდა მიზომოდა 21 დესეტინა, რომ ეარსებებია, გაჭირვებით რა თქმა უნდა.

მიწის კანონი ამას მოითხოვდა და სწორედ ეს პრინციპი იყო შიგ გატარებული. მაგრამ მიწის რეფორმის ადგილობრივ გამტარებელმა, რომელიც არ თანაუგრძნობდა ხელისუფლებას, რომ დაეღიზიანებია გლეხობა ხელისუფლებისადმი, აქაც ერთი საზომით იხელმძღვანელა და გლეხობას, რომლებსაც წვითა და დაგვით ჰქონდათ შეძენილი ეს ყოვლად უვარგისი მიწები—7 დესეტინის მეტი მიწები ვისაც აღმოაჩნდა, ჩამორთმევით დაემუქრენ. გლეხის მიწების რაოდენობაში შედიოდა პატარ-პატარა ტყეები ზოგან ხელოვნურად გაშენებული, და იმის შიშით, რომ ტყე მაინც არ დაკარგოდათ შეესიენ და სულ უბრალოდ გაანადგურეს.

როგორც ვრწმუნდებით, ყოველ მთავრობას ჰყოლია მტერი, რომელნიც მეოხებით საგრძნობი ზიანი ადგება ხალხს და ხელის უფლებასაც.

მენშევიკების ბატონობის დროს ბევრჯერ გვქონია ამ საკითხის ირგვლივ მოხსენებები და წერილები ჟურნალ-გაზეთებში მაგრამ ამ ფრიად სერიოზულ საკითხს არ ექცეოდა ყურადღება.

ეს საკითხი დღესაც მოითხოვს საჩქარო გადაწყვეტას და სამართლიან-სარგებლიანობის თვალსაზრისით მიდგომას; ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ და ამაში დაგვეთანხმება ყველა ვისთვისაც კი სასურველია ახლანდელი ხელისუფლების გამაგრება-განმტკიცება. საქმე შემდეგშია: მთავრობას აქვს გამოცემული მიწის დეკრეტი, რომელიც სამართლიანიც არის და მისაღებიც, მხოლოდ საჭიროა მისი ცხოვრებაში სისწორით გატარება ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, რაც აგრეთვე გათვალისწინებულია თვით დეკრეტში. მიწები კატეგორიებათ იყოფა მის რაოდენობის გამორკვევის დროს. აქ უნდა იყოს უეჭველში სისწორით გამორკვეული, რომელ კატეგორიას ეკუთვნის მიწა, სიმინდის ან ხორბლის მოსავლიანობის მიხედვით. არ შეიძლება ერთ გლეხს მიეზომოს, ვთქვათ, ერთი დესეტინა მიწა, რომელიც იძლევა 100 ფუთ მოსავალს და მეორესაც ამოდენი სივრცე მიწისა, რომ ლიც იძლევა მხოლოდ 20 ფუთს.

პირველ შემთხვევაში ძლივს გაიტანს თავს გლეხი 3-4 სარჩენით, მეორეში ერთს სულსაც გაუჭირდება მარტო ხმელა მჭადით ან პურით ისაზრდოვოს თავი. ზოგიერთ სოფელში გლეხებს ეუბნევიან: ეს მჭირე მიწაა, მაგრამ ის პირველ ხარისხში უნდა ჩაითვალოს, რადგან მაზედ ხილი ან ვენახი იხეირებსო. ამ მოსაზრებით მიწის საკითხთან მიდგომა ყოვლად შეუწყნარებელია. თუ ასე ვიანგარიშებთ, მაშინ საქართველოს არც ერთი ტყაველი

მიწა, გარდა იმ მთაგორებისა, რომლებიც ქვიან კლდეებით ან ყინვარებით არიან დაფარული, არ ჩაითვლება დაბალ ხარისხებში.

რომელ გლეხს ნახავთ, რომ ხილით ან ვენახის მოსავლით შეეძლოს დაიკმაყოფილოს თავისი ყოველნაირი მოთხოვნილება. მიწის ხარისხი მისი ხორბლის ან სიმინდის მოსავლიანობის დაკვალად უნდა იზომებოდეს. ეს ასეც არის უკვეელში დეკრეტში, მაგრამ ამას არ დაგიდევენ ადგილობრივ მისი ცხოვრებაში გატარების დროს.

და არის შემთხვევა, რომ გლეხების მიერ მცონარეთ მონათლული გლეხი, სწორედ ამ გაკეთებულ ბაღნარს უცქერის და სცდილობს, რომ ის მას ძიუზომონ. და სამწუხაროდ, ამას ალაგ-ალაგ ქონებია ადგილი და ეს გამშვენებული მამული ამ მცონარეს ვერ მოუხმარია, ხეხილები გადაუჭრია. ეს კი პირდაპირ დანაშაულია სახელმწიფოს წინაშე. ასეთი მოქმედება, ვისიც არ უნდა იყოს ის, ძირს უთხრის მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და ამას სასტიკად უნდა შეებრძოლოს ყველა, ვისაც ოდნავ გული შესტკივა ხალხისათვის.

ლ. კუპრაშვილი.

# გ. ქუჩიშვილის ლექსები.

## 1. საფეიქრო

ყურთა სმენა აღარ არის,
მანქანების გრიალია;
ფერხულია შრომის ჯარის,
საქმიანი ტრიალია.

ვისაც გული მძიმედა აქვს,
ვისაც ჯავრი ჰსურს გაიქროს,—
მოაშუროს მუშურ ფერხულს,
ყური უგდოს საფეიქროს.

## 2. სადურგლო.

შარიშურობს შალაშინი,
ხან შრიალა, ხან კი ჩუმი;
ბურბუშელის დგება ზვინი,
ვით ყვითელი აბრეშუმი.

რანდის გასმა-გამოსმაზე
უნებლიეთ მღერის გული;
ვინც დროს ჰკარგავს ღვინის სმაზე,
წრიდანა გვყავს გარიცხული.

ვმუშაობთ და თავისთავად
ვავარჯიშებთ კუნთებს, სხეულს,
მუშურ ქვეყნის მოსართავად
ვქმნით მრავალგვარ ავეჯეულს.

დასრიალებს შალაშინი,
გულიც მღერის მის ტკბილ ხმაზე;
შრომაშია ჩვეენი ლხინი,
მუსიკა და სილამაზე.

## 3. ქარხანაში.

შეხეთ მუშებს, გულ-მხნე მუშებს,
როგორ შვენით ქარხნის მური;
აქ ზარმაცებს არვინ უშვებს,
გამრჯელობა სუფევს ძმური.

ვენაცვალე მათ მარჯვენას,
მათ კავშირს და მათ ძმურ კერას;
ოპერაშიც არ გაგიცვლით
კოლექტიურ მათ სიმღერას.

# გაეროვნება პროფკავშირებში

თუ ადვილი საქმე არ არის გაეროვნების გატარება სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, კიდევ უფრო ფრთხილად და საგულდაგულოდ გასატარებელია იგი მუშათა ორგანიზაციებში—პროფკავშირებში.

1918—20 წლებშიაც, მენშევიკების დროს, იყო ლაპარაკი, რომ საქმეთა წარმოება კავშირებში ქართულ ენაზე წარმოებულიყო, მაგრამ მაშინდელი მთავრობისაგან არ იყო გადაჭრილი ზომები მიღებული და ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა, ამ მხრით მაშინ არაფერი გაკეთებულა.

დღეს პროფკავშირებში გაეროვნების გატარების საკითხი არსებულ ხელისუფლებისაგან გადაჭრით არის წამოყენებული და ეჭვი არაა, სასურველადაც იქნება იგი გატარებული.

გაზეთ „მუშის“ № 38-ში მოყვანილია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ანგარიში, სადაც ვკითხულობთ შემდეგს:

„პრეზიდიუმი ავალებს კავშირებს უცვლელად გაატარონ ცხოვრებაში გასული წლის ოქტომბერში გამოტანილი დადგენილება პროფკავშირებში გაეროვნების გატარების შესახებ. პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს პროფკავშირთა საბჭოს ყველა განყოფილებებს მიწერ მოწერა აწარმოონ ქართულ ენაზე“.

მეტად საყურადღებოა ეს დადგენილება მიტომ, რომ იგი ხაზგასმით მოითხოვს გაეროვნების დაჩქარებას, მოითხოვს განმეორებით, რომ მიწერ-მოწერა უეჭველად ახლავე ქართულად სწარმოებდეს.

როგორც საბჭოს პრეზიდიუმის ცნობებიდან სჩანს, ზოგიერთ კავშირში გაეროვნება უკვე გატარებულა, ზოგან ტარდება და ზოგან კი დაბრკოლებულა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ გაეროვნების საქმეს პროფკავშირებში ხელის შემშლელიც ეყოლება, რომელთაც ალბად სურთ, რომ ყველაფერი ისევ ძველებურად, უცვლელად დარჩეს.

თავისთავად ცხადია, რომ ეს მოსალოდნელია იმათგან, რომლებიც პროფკავშირებში ხელმძღვანელის როლს ასრულებენ და ქართული ენა კი არ იციან.

ყველა შეგნებული მუშის მოვალეობაა ხსენებული დადგენილების ცხოვრებაში დროულად გატარებას ხელი შეუწყოს, ხელის შემშლელთ თავისი ადგილი უჩვენოს.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას (პროფკავშირებში გაეროვნების გატარებას) განსაკუთრებით ქართველი მუშების განვითარებისა და კულტურულად წინსვლისათვის, ბევრი მტკიცება, ჩემის ფიქრით, ზედმეტია. საჭიროა მხოლოდ, რომ სწორედ ქართველმა მუშებმა უნდა ღირსეულად შეაფასონ არსებული ხელისუფლების და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ასეთი ნაბიჯები და შეეკადონ მთელის ენერგიით, რომ მართლაც იქნას გატარებული გაეროვნება პროფკავშირებში.

ს. ვ.

# წარსულის სურათები

## I

### მოხელის ელდა.

— ნეტა რის მომასწავებელია ასეთი სიიაფე?— ჰფიქრობდა განცვიფრებული მოხელე გახუნებულ „მუნდირში“ გამოწყობილი.

სამი წელიწადია მაღაზიის ყაფაზაზე გადმოდგმულია მეფე ნიკოლოზის სურათი, ლამაზად მოსევადებულ ჩარჩოში ჩასმული.

რამდენჯერ უოცნებია მისით მოხიბლულს. მწარედ ამოუოხრია, რომ შეძლება არა ჰქონდა მისი შეძენისა. ძველ მაზანდაზე 15 მანეთი ღირდა. მოხელე კი სულ 18 მანეთს ღებულობდა ჯამაგირს. პურის ფულად ძლივს ჰყოფნიდა.

ყულაბაში შეგროვებაც კი იწყო გროშებისა, მაგრამ როდის მოესწრებოდა ამოდენა თანხის დაზოგვას.

რაც უნდა ეყაირათნა—თვეში მანეთზე მეტს ვერ გადაარჩენდა.

ისიც ბეჯაათი იყო.

ახლა კი... ამ მამასისხლობაში —სურათის ფასს საარაკოდ დაუწევია... მარტო 5 მანეთი ღა ჰღირს.

დავ ჯერო შეუძლიან იყიდოს მირონცხებული მეფის სურათი?

თამამად შეეძლება სტუმრად მოიწვიოს თვისი უფროსი, რომელზედაც დამოკიდებულია მისი დაწინაურების საქმე.

ადრევ ეთავაზებოდა დაპატიჟება.

ნესტიან სოროში როგორ ვაკადრებ მოწვევასო.

ამიერიდან კი ნიკოლოზის სურათი გააგანიერებს მისს ოთახს .. ბედნიერების ფარშევანგებით გაავსებს...

* * *

ფეხ-აკრეფით შევიდა მაღაზიაში.

გაუბედავად იკითხა ფასი.

არა სჯერა, რომ მართლა ხუთი მანეთი ღირდეს.

ჰშიშობს, ეშმაკობა არ ედვას მაღაზიის პატრონს გულში...

სიცილით არ გაატრიზაოს ..

ოცდა სამი წელიწადია, რაც მსახურობს და მხოლოდ ორი ბედნიერი წამი ახსოვს...

პირველი ნეტარება მაშინ განიცადა, როდესაც იგი მხოლოდ მიიღეს და მან თვისი შუბლი დაიმშვენა ბჭყვრიალა სამშაურიანი კოკარდით...

მთელი კვირის განმავლობაში, როგორც კი სამსახურიდან სახლში დაბრუნდებოდა, სარკის წინ იდგა და სტკბებოდა თავისი თავის მშვენებით... სარკიდან გამოიყურებოდა ახალგაზდა ყელმოღერებული კოკარდიანი მოხელე და ამაყად, თუმცა უსიტყვოდ მეტყველობდა:

— მე ვარ მოხელე მისი უდიდებულესობის მეფის მოადგილის კანცელარიისა...

მე მორჩილებით და ერთგულობით მოვინადირებ გულს... გავიზდები... გავიზდები... კარიერას კარიერაზე გავაკეთებ და... აქ თვითაკ აღარ იცოდა, რა თანამდებობა იქნებოდა ის მწვერვალი, საიდანაც იგი ნაპოლეონური ამპარტავნობით გადმოიხედებოდა ძირსა ..

როცა ვინმე ნათესავი მიუვიდოდა სახლში სანახავად, თუნდა თავშიშველი ყოფილიყო—უმალ წამოიხურავდა ქუდს კინკრიხოზე: უნდოდა დაენახვებინა მისთვის, თუ რა დიდი... დიდი ბობოლაა იგი... რა კრიალა კოკარდა ამშვენებს ხავერდის არშია შემოვლებულ მისს ქუდს...

ეს იყო მისი პირველი ბედნიერება...

მეორე ნეტარება კიდევ განიცადა დღეს, როცა პასუხად მიიღო: ნიკოლოზის სურათი 5 მანეთი ღირსო...

საჩქაროდ დაუთვალა ფული...

გულს მიიხუტა სურათი და მოჰკურცხლა სახლისაკენ...

ფრთხილობდა: გონს არ მოვიდნენ. არ დაინანონ, ასე იაფად რომ მომყიდეს. მდევარი არ გამომიყენონო.

გზაში არავის ამჩნევდა.

ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად...

* * *

ამას რასა ჰხედავს.

აუარებელი ხალხი შეგროვილა მოედანზე.

წითელი დროშების ხეივნები შემოურტყავს ირგვლივ და ზიმზიმებს... ბობოქრობს... თქართქარებს.

გლეხკაცი შეუსვამთ მხრებზე და გაისმის ზავთიანი ლაპარაკი...

მარად პირდამუწული, უტყვი, მონობაში დაბეჩავებული გლეხკაცი ლაპარაკობს თავისუფლებაზე, ძველი წყობილების უვარგისობაზე, შრომის მეუფებაზე..

მახვილად ესობა ეს მოხელის გულს.

ყაყიან-ყარტლიანი ჰბედავს საუკუნეთა განმავლობაში გამტკიცებულ წესების გმობას...

უყურეთ: ვიღაც ლაწირაკმა საჯაროდ დახია ნიკოლოზის სურათი და ჰაერში გააბნია...

ნუ თუ სიმართლეა ესა?

ხალხი გადარეულა.

ჰკუაზე შეშლილა.

ფეხქვეშ სთელავს ნიკოლოზის სურათს.

ვიღაზე ილოცოს?

ვის ემსახუროს?

რაღა აკეთოს სამღივნოში?

როგორ შეურიგდეს მეფობის მოსპობას?

ეს იმას დაემსგავსება, რომ მოვიდეს ვიგინდარა, ამოგვაძროს გაზით სული და ცეცხლში დაჰპუგოს.

რაღა ფასი ექნება უსულო სიცოცხლეს?

ასე დაემართება კაცობრიობას უმეფოდ.

მეფის შარავანდედი ალამაზებდა ქვეყნიერებას.

მისი ჩაქრობა დააცარიელებს...

მიზანი დაეკარგება სიცოცხლეს.

მოხელის ოცდასამი წლის განმავლობაში გამოჩერჩეტებული თავი ვერ შერიგებოდა ამას...

ყველაფერი მტანჯავი სიზმარი ეგონა...

გაათავა გლეხკაცმა ლაპარაკი და იგრიალა ტაშმა...

დაიგუგუნა რევოლიუციონურმა სიმღერამ.

მეხივით მოჰხვდა ეს სიმღერა მისს გამოფიტულს გულს...

პირქვე დაეცა გულშეწუხებული.

ქალაქის საავადმყოფოსკენ გააქანეს.

ვერა უშველეს რა.

ელდისგან გული გასკდომოდა და გარდაიცვალა...

II

ცრემლი სიამაყისა.

შემოდგომის ღამე:

ცივი...

ტუქსი...

ჭანჭახი...

გრძელი...

ქალაქის განაპირა უბანი:

ყრუ...

ლაფიან-წუმპიანი...

ქარი მსუნაგი მგელივით მობამბარუზე.

— რა გვინდა აქა, დედილო? წავიდეთ განათებულ ქუჩებისკენ. იგება ვინმემ გაგვიკითხოს.

— არ დაგვაყენებენ, შვილო, პოლიციელები. კინწის კვრით გამოგვრეკენ.

გაკნავებულან...

მოკრუნჩხულან...

კავკავებენ...

დედამ მოუპუპქა ტყაპუჭი...

ამაოდ...

ფარა-ფარადაა ქცეული...

ქარი ქშუტუნით შრიალებს.

— დედილო, სად არის ღმერთი... რატომ არ გვშველის.

აკი ობოლთა შემბრალეაო... ეს არის გულკეთილობა? რად მოგვიკლა დაიკო... რატომ არ შეგვიბრალა?.. ცოდო არ არის?.. აღარავინ მიჰხედავს... არავინ მიაწოდებს ძუძუს, როცა მოჰშივა...

— არა, შვილო, არ იქნება უპატრონოდ... იმას ღმერთი მიწაში არ დასტოვებს...

— მაშ სად წაიყვანს?

— სამოთხეში!

— როგორია სამოთხე?

— იქ მშვენიერი ბაღებია... მუდამ გალობა გაისმის ანგელოზებისა... არავინაა იქ უბედური... ჩვენი მაყვალაც განუწყვეტილს მხიარულებაში იქნება...

— ვინ აწოვებს ძუძუს?..

— ბავშვებისთვის ღმერთს უფრო ლამაზი კუთხე აქვს...

იქ ერთი დიდი, დიდი რძის ტბა ჩქაფუნებს...

— რძის ტბა?..

— ხო, რძის ტბა... მისს ნაპირებზე ამოსულია მშვენიერი, მწვანე ფოთლოვანი ხეები...

— მერე, მერე?

— იმ ხეებზე ჩიორებივით შეხუნზლული არიან ლაბუა ბავშვები...

ჭიკჭიკობენ...

კასკასობენ...

როცა მოჰშივათ, ნიავი დაზნექს ხის ტოტებს ტბამდის... ბავშვები დაეწაფებიან და დალევენ მსუყე რძესა...

როცა საკმაოდ შენაყრდებიან — შეარხევს ნიავი ხის ტოტებს და კვლავ ჰაერში იწყებენ რხევას... ნეტარებას..

— რა კარგი ყოფილა!..

ნეტავი მეც იქ ვიყო...

— უი, დამიდგეს თვალები!.. რად ამბობ მაგას?.. ემანდ გამგონე ანგელოზმა არ ჩამოიაროს...

დედას შიშისგან ღრიანკალის ფერი დაედო სიკვდილის გახსენებაზე...

∴

მთვარე ჩავიდა.

უფრო მოიღუშა.

სუსხმაც უმატა.

— რა იქნა, დედიკო, მთვარე?..

— მთვარე სავახშმოდ წაბძანდა.

— ნეტავი იმასა, ვახშამი ჰქონია.

უჰ, რა არ ექნება ვახშმად?..

ჩვენსავით ოპიან პურით კი არ დაიწყებენ ყბორვასა...

შემწვარი ვარიები...

წითლად დაბრაწული გოჭი...

ერბოში გაჟიებული ქადები...

ბუდეშური ყურძენი...

კან დამსქდარი ბროწეული...

აღარც ვარსკვლავები სჩანან...

ისინიც წვეულებაზე იქნებიან...

გამუქებულ ცაზე მხოლოდ ერთად-ერთი ვარსკვლავი დარჩენილიყო...

მათშიაც ყოფილან რჩეულნი...

მაგისთვის არ ღირსებიათ ნადიმზე მიწვევა...

გაცრეცილი გამოიყურება...

ეტყობა ჰშიან...

— დედილო! — ეხვევა ბავშვი დედას თვისნ ჩხიმალა, სიცივისაგან შეშეპებული მკლავებით...

— ის ვარსკვლავი ჩვენზე უბედური ყოფილა...

მე შენ მაინც მყევხარ... მაგას დედაც არა ჰყოლია...

ვინ დაუყვავებს?..

მოდი, იშვილო, დედილო, ობოლი ვარსკვლავი?..

მადლია... სხვა არავინ შეიტკიებს მისთვის გულს...

დედას სევდისგან ამობლეტილი თვალები გაუბრწყინდა...

კილოზე ცრემლი გადმოეკიდა...

ეს ცრემლი იყო სიხარულისა... სიამაყისა...

თუმცა ცხოვრებამ ისინი მეტად დაჯალდა, მაინც ვერ ჩაჰკლა მათში მოსიყვარულე გულები... ენანებათ თავიანთსავით უსავანონი...

ქარი კვლავ იყეფებოდა...

მოჰირხლული ღამეც იძაბებოდა... გრძელდებოდა...

გათენებას პირი არ უჩანდა...

 დ. თურდოსპირელი.

# საქართველოს მეურნეობა

(გასული სამეურნეო წლის ზოგი ჯამი)

1924 წელი თვალსაჩინო წელიწადია როგორც საქართველოს, აგრეთვე მთელი საბჭოთა კავშირის სამეურნეო ცხოვრებაში. არა ერთი უაღრესათ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ამ წლის გამავლობაში სახალხო მეურნეობამ. კერძოდ საქართველოში ორი უმთავრესი ფაქტორი მოქმედობდა მეურნეობის განვითარებაზე: საკავშირო მასშტაბით მომქმედი ახალი ეკონომიური პირობები და ადგილობრივი ხასიათის ფაქტორები.

საერთო, საკავშირო პირობებში უმთავრესად აღსანიშნავია—საბოლოო ჩამოყალიბება და განმტკიცება სახელმწიფო კაპიტალიზმის საფუძვლებისა, რამაც განსაკუთრებული როლი მიანიჭა სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციას, მტკიცე ვალიუტის შემოღება და საორგანიზაციო ხასიათის ეკონომიურ-პოლიტიკური ზომები: მეურნეობის დაგეგმვის სისტემის შემოღება, საგეგმო მმართველობათა დაარსება და სხვ.

ადგილობრივ ფაქტორთა შორის საქართველოში აღსანიშნავია სასოფლო მეურნეობის ყველა დარგის თვალსაჩინო აღორძინება, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას და საფუძველი ჩაუყარა მის მომავალ განვითარებას.

სასოფლო მეურნეობა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების საძირკველია. დამახასიათებელია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ძალას ხორბლეულობა კი არ წარმოადგენს, არამედ ინტენსიური კულტურა, როგორც ვენახი, თამბაქო, ხილი, ჩაი და სხ., რომელნიც ჩვენში ჰქმნიან უმთავრესად, როგორც სამრეწველო, ისე საგარეო და საშინაო ვაჭრობის ფონდს. ამ კულტურათ უნდა მიემატოს აგრეთვე მესაქონლეობა (მატყლი, ყველი) და მეაბრეშუმეობა.

1924 წ. პურის მოსავალი ჩვენში ნაკლები იყო. მაგრამ საქართველოს ეკონომიურ კონიუნქტურაზე ამ გარემოებას დიდი გავლენა არ მოუხდენია. საქმე ისაა, რომ ჩვენ ყოველთვის შემოტანილი პურით ვიკვებებოდით (რუსეთიდან), ხოლო ხერხემალს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველთვის ზემოდ ჩამოთვლილი სასოფლო მეურნეობის კულტურა გვიმაგრებდა. გასულ წელსაც ასე იყო—ღვინის, თამბაქოს, ხილის და სხ. მოსავალმა შეუქმნა ხალხს ეკონომიური ძალა.

ამ მხრით საყურადღებოა ზოგიერთი ცნობა.

ჩვენ ვიცით, რომ ომისა და რევოლიუციის მიზეზით დიდად დაქვეითდა სოფლის მეურნეობის განსაკუთრებით ზოგიერთი დარგი. საჭირო იყო ისეთი პირობების შექმნა, რომ ისინი კვლავად აღორძინებულიყვნენ. ამ მხრით 1924 წელმა ბევრი გამარჯვება მოგვაპოვებინა ეკონომიურ ფრონტზე. მაგ. მეთამბაქოობა ისე იყო დაცემული, რომ მისი კრიზისი საშიში შეიქმნა.

ომამდე თამბაქოს ქვეშ 16 ათასი დეს. ითესებოდა საქართველოში. 1920 და 1921 წ. კი 1 ათას დეს. ძლივს აღწევდა. 1922 წ. დაითესა 2 ათ. დეს., ხოლო 1923 წ. კი 5 ათასი დეს.—ეს უდიდესი ტემპია აღორძინებისა.

უფრო ეფექტიანია ბამბის კულტურის აღორძინება საქართველოში. 1922 და 1923 წ. ბამბა დაითესა სულ 1—$1^1/_2$ ათ. დეს., ხოლო 1924 წ.—5,5 ათ. დეს. იმატა სამჯერ.

მეაბრეშუმეობამ კი მოლოდინსაც გადააჭარბა. მან მოგვცა მეტი მოსავალი 1924 წ., ვინემ ომამდე იძლეოდა. —1914 წ. მოსავალი უდრიდა 128 ათ. ფუთს, 1923 წ.—100 ათ. ფ., ხოლო 1924 წ.—140 ათ. ფუთამდე ავიდა.

ტრანსპორტის და კრედიტის გაუმჯობესებამ გასავალი მისცა ბაზარზე აგრეთვე ხილს,—მანდარინს, ფორთოხალს, კაკალს და სხ.; ამან თავის მხრით ხელი შეუწყო ამ კულტურათა აღორძინებას.

1924 წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობამაც თვალსაჩინოდ წადგა წინ ნაბიჯი.

საინტერესოა ამ შემთხვევაში ჩვენი მრეწველობის ზოგი დარგის ზრდისა და განვითარების ცნობების გაცნობა.

შავი ქვის წარმოების ზრდა 1924 წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებით იყო თვალსაჩინო. 1923 წლის პროდუქციასთან შედარებით გასულმა წელმა უდიდესი მატება მოგვცა. მაშინ როდესაც მთელი 1923 წ. პროდუქცია უდრიდა 4 მილ. ფუთს, 1924 წლ. ცხრა თვის პროდუქციამ გადააჭარბა 10 მილ. ფუთს. ექსპორტმაც იმატა. მაგრამ 1924 წლის ივლისიდან სურათი იცვლება იმ მხრით, რომ წარმოებისა და ექსპორტის ტემპი თანდათან იკლებს. მაგრამ ამის მიზეზი უმთავრესად მსოფლიო ბაზარია, საკუთრივ ამერიკის ბაზარი—ჩვენი მადანის მთავარი მომხმარებელი.

წარმოების ის დარგებიც, რომლებიც საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ხელშია, მტკიცე ზრდას გვიჩვენებენ. სულ სამეურნეო საბჭოს ხელში ითვლებოდა 90 სხვადასხვა წარმოება 1924 წელში. ამათში იჯარად გაცემული იყო 12 საწარმოო დაწესებულება, 24 წარმოება ისვენებდა, 54-კი ამუშავებდა თვითონ საბჭო. ამათში უმთავრესია ქვა ნახშირის წარმოება (ტყიბულის), ლითონის, სპილენძის მჯადრაკი (სატკეცი) ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკები, ტყავის ქარხანა, საპნის, ხე-ტყის და სხვ. წარმოება.

იმის დასახასიათებლად, თუ რამდენი მატება მოგვცემს ამ წარმოებებმა, საკმარისია შევადაროთ მუშა ხელის რაოდენობა 1924 წ. და წინაწელში. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ყველა ნაწარმოებში 1923 წ. მუშაობდა 3,498 მუშა, ხოლო 1924 წ. კი 4,063 მუშა (მატება უდრის 32 პროც.). საერთო ჯამი ღირებულებისა, რომელიც

მოგვცა უმთავრესმა წარმოებებმა 1924 წ., 33 პროც.-ით მეტია 1923 წლისაზე. ამ ჯამში შედიან მხოლოდ ის წარმოებანი, რომელთაც არ აკლდათ ნედლი მასალა და წლის განმავლობაში რეგულიარულად მუშაობდენ.

1924 წ. აღსანიშნავია აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებათა ზრდა ჩვენში. სახელმწიფო ბანკის განყოფილების გარდა ამ წლის განმავლობაში ტფილისში აწარმოებდენ ოპერაციებს შემდეგი ბანკები: ამიერკავკასიის სას. სამ. ბანკი, საქართველოს სას. სამ. ბანკი, „ვნეშეკობანკი“, „როსკომბანკი“, კავშირის სამრეწველო ბანკი, კომუნალური ბანკი.

აღორძინების გზაზე დამდგარი მეურნეობა დიდად საჭიროებდა კრედიტს. თავისუფალი და საბრუნავი თანხების უქონლობის გამო დიდს დაბრკოლებას განიცდიდა განსაკუთრებით ჩვენი სუსტი მრეწველობა. საკრედიტო დაწესებულებათა სისტემას ამ მხრით უნდა გაეადვილებინა მისთვის მძიმე დაბრკოლებათა გადალახვა რა თქმა უნდა, ბანკებმა მართლაც დაუფასებელი სამსახური გაუწიეს სახალხო მეურნეობას 1924 წ. სამწუხაროდ თვითონ ბანკებს არ გააჩნდათ საკმაო კაპიტალები, რომ კრედიტის მოთხოვნილება სავსებით დაეკმაყოფილებიათ. ჩვენში მომქმედი ყველა ბანკის კაპიტალმა სულ მცირე მატება მოგვცა ამ წლის განმავლობაში.

სახელდახელო ანგარიშების ზრდაც შეჩერდა წლის მეორე ნახევრიდან, და ამ შემცირებამ საკრედიტო ოპერაციების ზრდასთან ერთად შექმნა ერთგვარი დაუკმაყოფილებელი ფინანსიური მდგომარეობა საერთოდ კრედიტის საქმეში.

საერთოდ კი 1923 წლ. სამეურნეო ჯამების ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ ისინი აღინიშნონ ჩვენს ცხოვრებაში, როგორც თვალსაჩინო ეკონომიური აღორძინებისა და განმტკიცების უტყუარი ფაქტები.

თუ როგორ გააგრძელა 1924 წლის მიმდინარე საოპერაციო წ ლიწადმა და რა პირობებში მოუხდათ მოპოვებულ მიღწევათ განვითარება 1925 წ. პირველ მეოთხედში, ამაზე შემდეგ.

ა.

# რამდენიმე დღით წითელ სომხეთში

სამსახურის გამო მომიხდა სომხეთისაკენ გამგზავრება. წარმოდგენილი მქონდა ის უბედურებანი, რაც გადახდა სომხეთის ერს თათრების შემოსევით, თუ სამოქალაქო ომის გამო და არ მეგონა, თუ ასეთ კარგ შთაბეჭდილებას მივიღებდი იქ.

რკინის გზაზე საუცხოვო წესრიგია ყველგან. ყველა თავის ადგილზე დგას, ყველა ფხიზლად და შეგნებით ასრულებს თავის მოვალეობას. მემუხრუჭე, მეისრე, სადგურის უფროსი თუ რონოდების დამგველი მუყაითობენ, სინდისიერად ეკიდებიან თავის მოვალეობას. უხალისობას, საქმეზე გულაცრუებას, სიმულიაციას არა აქვს ალაგი. დღე-ღამე აჭათთვის ერთია. სამსახურის დროს ყველა ფეხზე სდგას, დარაჯობს, მუშაობს, თავის საქმეს ბეჯითად უყურებს.

გასცდები თუ არა სადახლოს, უკვე გრძნობ, რომ სომხეთში ხარ. უკვე სომხური ენა ბატონობს.

გრცხვენია, რომ სომხური ენა არ იცი. არ გინდა დაარღვიო საერთო საულიერი სიმშვიდე, სხვა ენაზე დალაპარაკებით.

ვადარებ მთავარ ლიანდაგს და საქართველოს რკინის გზების წესრიგს სომხეთისას და გაკვირვებაში მოვდიეარ.

ჩვენში, მთავარ ლიანდაგზე ხან სანთელი გვაკლია, ხან ნავთი, ხან ფანარი და სხვა. სომხეთში კი ყველაფერია: სადგურები საკმაოდ განათებული, არსად არა აკლია-რა და ყველაფერში წესრიგია დაცული.

ერთმა სომეხმა ამხანაგმა ასე ამიხსნა ეს გარემოება, ჩვენ ძვირად დაგვიჯდა დანგრეული რკინის გზის აღდგენა, ამ დონეზე მიყვანა. ამიტომ თავსავით ვუფრთხილდებით და ვუვლით სხვის ქონებას კი არა, ჩვენს საკუთარ რკინის გზასო.

ოთხი წელი სრულდება მეზობელი ერები ძმურად, მეგობრულად სცხოვრობენ. საზღვრებზე აღარც ფიქრობენ.

ლენინაკანში (ალექსანდროპოლში) სამი დღე დავრჩი, ოთხი ხუთი წლის წინეთ თითქმის სავსებით დანგრეული ქალაქი—წამომდგარა, შენდება. კეთდება სახლები, ქუჩები, ბაღები. სახელების მაგიერ ქუჩები ნომრებითაა აღნიშნული. ქალაქი ჯერ კიდევ პატარაა. წარმოება, წარწერა ყველგან, რა-თქმაუნდა, სომხურადაა. ქალაქი ჩქარა გაიზრდება. გამოყავთ შორიდან დიდი არხი, ახლომახლო მინდვრების მოსარწყავად.

აქვე აპირებენ შაქრის ქარხნის გამართვას და სხ.

სადგური ქალაქზე ორი-სამი ვერსით არის დაშორებული სადგური უფრო ლამაზია. აქ ომის ნიშნები, დანგრევა ნაკლებ ატყვია. სახლები რიგზეა ჩამწკრივებული. ერთ სართულიანია, მაგრამ კოხტა და ბაღებითაა შემკული.

სადგურს აქვს საკუთარი თეატრი, კლუბი და საუცხოვოდ გამართული სამკითხველო. ქართული გაზეთები და ჟურნალებიც მრავლად არის სამკითხველოში, თუმცა ქართველობა აქ ნაკლებია. ხუთი-ათი კაცი თუ იქნება, მეტი არა. აქაც სადგურზე სრული ნაციონალიზაციაა გატარებული. სომხურის არა მცოდნე რამდენიმე მემანქანე თუა ერთად-ერთი უფროსი მემანქანე, როგორც სომხურის არა მცოდნე ნაციონალიზაციის გამო უბრალო მემანქანედ გადარიცხედ. ასე რომ ყველას ესმით, ერთიმეორის ენა ყველასთვის გასაგებია და ამიტომ მუშაობაც სწორია, შეთანხმებულია. ნაკლებია უბედური შემთხვევა და შრომის ნაყოფიერებაც თვალსაჩინოა.

ჩვენ, ყოფილ მენშევიკებს ხშირად გვეკითხებიან კრებებზე: „რატომ არის, რომ სომხეთში სავსებით გატარდა ნაციონალიზაცია და ჩვენში კი არაო“.

აი რატომ არის: სომხებმა ადრე შეიგნეს სინამდვილე. ადრე ამოუდგნენ კომპარტიას გვერდში და შეუდგენ აღმშენებლობითი მუშაობას—ჩვენ კი აი ამდენი ხანია სადღაც „საეშმაკოში“ ვიცქირებოდით, შავი ზღვისაკენ გვეჭირა თვალი, სხვისგან ველოდით ხსნას. არსებულ ხელისუფლებას დახმარების მაგიერ ვებრძოდით, ხელს ვუშლიდით და თან გავიძახოდით - რატომ ნაციონალიზაცია სავსებით არ გატარდა ჩვენშიო.

ამხანაგმა შემკითხველმა თითონ გვიპასუხოს ახლა, თუ ვისი ბრალია, რომ საქართველოში გაეროვნების საკითხი მართლაც კუს ნაბიჯით მიდის წინ.... მაგრამ ის წინ მაინც მიდის და ეს წინსვლა ხელისუფლებასთან ერთად თვით ქართველ ერზეა დამოკიდებული...

ლენინაკანიდან მოვდივარ კარაკლისისაკენ. კარაკლისი პატარა ქალაქია, მაგრამ კოხტაა. აქაც სილამაზით სადგური სჯობია ქალაქს. ირგვლივ კარაკლისს ტყით დაბურული მთები აკრავს, რაც ასე იშვიათია სომხეთში.

კარაკლისი საავგარაკო ალაგია.

მშვენიერი, უზარმაზარი ქვის ეკლესია, სამხედრო სობორო—გადაუკეთებიათ კლუბად, თეატრად... შიგ ახალგაზრდობა ფუსფუსებს, წარმოდგენას ამზადებს, იცინის, მხიარულობს... უყურებ და გიხარია, რომ ეს მონობა, თვალთმაქცობა, მოტყუების ტაძარი—გადაქცეულა სწავლა-განათლების სალაროდ...

სანაინზე ორიოდე სიტყვა. ისტორიულ სანაინზე.

აქ მენშევიკების დროს ბევრჯერ ვყოფილვარ. აქ საზღვარი იყო. მაშინ აქაურობას სამხედრო სუნი ქონდა. ორივე მხრიდან თოფ-ზარბაზნები იყვნენ ამართულნი. ჯარისკაცები ბუზებივით ირეოდენ. ახლა!.. ახლა სიმშვიდეა და მყუდროება. ერთი ჯარისკაციც კი აღარა სჩანს.

დღეს ამ პატარა სადგურზე სიცოცხლე თავისებურად სდუღს. მუშაობაა გაჩაღებული. ორასზე მეტი მუშა-მოსამსახურეა. არის ორთქლმავალის საყუდი. არის კოოპერაციის სავაჭროები.

შაბათი საღამოა. ლენინაკანიდან ორი რონოდა მოვიდა.

წინად შაბათობით ასეთ სადგურებს რონოდოეკლესია მოადგებოდა ხოლმე, დღეს-კი მუზეუმ-წიგნთსაცავი მოადგა.

საღამოს შვიდი საათია. ერთ პატარა შენობიდან ბავშების ჟრიამული და სიცილ-ხარხარი შემომესმა. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა და იქით გავწიე. შევედი ერთ პატარა სახლში. და თვალებს არ ვუჯერებ—სახლის ერთი კარგა მოზრდილი ოთახი თეატრადაა მორთული. აქვს პატარა, ღარიბულად მორთული სცენა. სცენის წინ სდგას პიანინო. შემდეგ უბრალო საჯდომები ბალკონით. სულ სამასამდე სული დაეტევა. თეატრი სავსეა ბავშებითა და ქალებით. ამხანაგი მუშები ნაკლებ ჩანან. ესენი ან სამსახურში არიან, ანა და სამსახურის წინ ისვენებენ. თეატრი ცოლშვილებისთვის დაუთმიათ.

საღამოს მოთავე ამხანაგები სცენაზე ფუსფუსებენ, წარმოდგენისათვის ემზადებიან.

საღამო-წარმოდგენაზე ვერ დავრჩი. დრო არ მქონდა. ეს აცრ საჭირო იყო. წარმოდგენის დაწყების წინ ამ სასიამოვნო სურათს ნახევარი საათი ვუყურე და ვსთქვი,-მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი ასეთ პატარა სადგურებზე მივიწყებულ, ღარიბეს ოჯახთა წევრების ერთად თავის მოყრა, სიცილი, მხიარულება, ურთი-ერთის გაცნობა, დაკავშირება.

დამსწრეებს ჩაცმა-დახურვაზე შეატყობ, რომ აქ თავი მოუყრიათ დაბალი საფეხურის ამხანაგების ოჯახობას. ოჯახობას, რომლის წევრებს აკლიათ არა თუ ჩაცმა, დახურვა—ხშირად სასმელ-საჭმელიც. მაგრამ ამაღამ აქ ამ პატარა, ღარიბ თეატრში ყველა მხიარულია, ყველა სიამოვნობს. რაღაცას ელოდება სცენიდან. ტკბილ ნანასავით ესმის დანჯღრეული პიონინოს ხმები. დავიწყებია დღიური ჭირ-ვარამი და ამ, საღამოს მაინც ბედნიერადა გრძნობს თავს.

მომავალი იმ ხელისუფლებისაა, იმ პარტიისა, რომელიც ასეთ ყურადღებას აქცევს მოზარდ თაობას, ახალგაზრდობას. და ეს არა მხოლოდ სანაინის ამხანაგების მოქმედება-უნარია. ასეთია ხელისუფლების ნება და სურვილი. ვისიცაა ახალგაზრდობა, მისია გამარჯვებაც.

**ს. დოლიძე.**

# მუშათა კომისიის მუშაობა.

**კახეთში მოგზაურობა და ჩვენი შთაბეჭდილებანი.**

(გაგრძელება. იხ. „ახ. გზა“ № 9).

ძველმა მუშამ, რომელსაც კატორღაში გაუტარებია თავისი ახალგაზრდობა და ამ ჟამათ მხედველობაც კი დაუკარგავს, გულნაკლულათ აღნიშნა თავის სიტყვაში: მე ჩემი ახალგაზრდობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას შევსწირე, დღეს კი კონტრ-რევოლიუციონერს მეძახიანო. მინდა დაუახლოვდე საბჭოთა ხელისუფლებას, მინდა მასთან თანამშრომლობა, ჩემი წითელი დროშა,—რომლის გულისათვის არა ერთხელ და ორხელ მიგემია თვითმპყრობელობის სუსხი,—კვლავ ხელში ავიღო და წავიდე წინ, სოციალიზმის დასამყარებლათ, მაგრამ ამის საშვალებას არ მაძლევენო. ყოველ ფეხის გადადგმაზედ მნათლავენ კონტრ-რევოლიუციონერის სახელით. ჩვენ ვდგავართ მათკენ სამ ნაბიჯს, იმათაც გადმოდგან ჩვენსკენ ერთი ნაბიჯი და ჩვენ თუ გვინდა დაახლოვება და უახლოვდებით კიდეც საბჭოთა ხელისუფლებას, იმათაც დაგვიახლოვონ და ერთათ წავიდეთ საერთო მიზნის,—სოციალიზმის განსახორციელებლათო.

კრებაზე გამოვიდა ადგილობრივი კომუნისტი ს. კარჭაული, რომელმაც საშინელი ატმოსფერა შექმნა; მისი გამოსვლის მთელი შინაარსი მუქარით იყო გაჟღენთილი, მან გაფანტა ყოველგვარი შინაარსი ჩვენი მოხსენებისა. უარყოფდა, რომ ჩვენ გვინდა გლეხების დაახლოვება საბჭოთა ხელისუფლებასთან, ჩვენ გვინდა დავივიწყოთ ყოველივე წარსული და ვიფიქროთ მხოლოდ მომავალზე და სხვა. ის უარს ყოფდა ყოველგვარ შეთანხმებას, ყოველგვარ თანამშრომლობას. „ჩვენ გამარჯვებულები ვართ“, გაიძახოდა ის, და დამარცხებულებთან არავითარი შეთანხმება არ გვინდაო და სხვა...

მისმა სიტყვამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. მის შემდეგ დავიდიანის მეტს არავის ულაპარაკნია. ემჩნეოდა, რომ ეშინოდათ ლაპარაკის.

ჩვენც ცუდ მდგომარეობაში ჩავცვ ვდით, კრების გახსნისას ჩვენ მოუწოდებდით ყველას, რომ თავისუფლათ გამოეთქვათ თავიანთი აზრი, რომ ამისთვის ისინი არ

დაისჯებიან. მარა კარჭაულის გამოსვლის შემდეგ სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა. ჩვენ დავინტერესდით გავვეგო კარჭაული ვისმეს დავალებით გამოვიდა კრებაზე, თუ თავის პასუხისმგებლობის ქვეშ. გამოირკვა, რომ იმას არავითარი დავალება არავისგან არ ქონია და პასუხისმგებელმა პირმა გამოსოქვა მწუხარება და აღნიშნა, რომ მისმა გამოსვლამ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა.

27 იანვარს თელავიდგან ჩავედით წინანდალში, ვინახულეთ ამხანაგები, გვინდოდა უდელის მუშებთან მოხსენების გაკეთება, მაგრამ როგორც გამოირკვა, უკანასკნელ შემცირების გამო მუშები ძრიელ ცოტანი დარჩენილან და ისიც ახლებიო.

მეორე დღეს აქედან გავემგზავრეთ ვაჩნაძიანში და კალაურ ურიათობანში.

ვაჩნაძიანში ვინახულეთ აღმასკომის თავჯდომარე ს. მეგრელიშვილი, რომელმაც აღმოგვიჩინა ყოველგვარი დახმარება კრების მოსაწვევათ. მოვიწვიეთ რამდენიმე გავლენიანი გლეხები ვაჩნაძიანში ჭალაუბნიდგან და ურიათუბნიდგან. ამათთან გავმართეთ თათბირი და საერთო კრება დავნიშნეთ 30 იანვრისათვის.

ამ დღეს, დანიშნულ ადგილას, კალაურის კლუბში, შეგროვდა სამი სოფლის გლეხობა, რომელთაც, სამწუხაროთ, ადგილი არ ეყო და ნაწილი იძულებული გახდა გარეთ დარჩენილიყო.

კრებამ აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი შემდეგი პირებისაგან: მ. გაბრიელოვი, ი. დალაქიშვილი, ვ. ლადუაშვილი, ა. ნებუნიშვილი და ა. ჩუბინაძე.

მუშათა კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს გვიმრაძე და მაჭარაძე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ილაპარაკა სარალიძემ, ბარდენიძემ, პაიჭაძემ, ჩევუხაშვილმა და სხვამ.

ყველა ორატორები თავის სიტყვაში გულწრფელათ აღიარებდენ, რომ დღეის შემდეგ დგანან საბჭოთა პლატფორმაზედ კომუნისტურ დროშის ქვეშ, იბრძოლებენ მათთან ერთად ყოველგვარ რეაქციის წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის და სხვა. სიტყვაში აღნიშნავდენ მრავალ ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლების დეფექტებს. მაგალითად ამბობდენ ისინი: არჩევნების დროს არ მოგვცეს საშუალება აგვერჩია, ის, ვინც გლეხებისათვის და ხელისუფლებისათვის სასარგებლო იქნებოდაო. რამდენიმე კაცი შავ ფიცარზე იყო დაწერილი და არჩევნების უფლება არ ქონდა, მარა ყველამ ვიცით, რომ ისინი ყოვლად პატიოსანი და მომზადებული პირებია და ხალხის სასარგებლო. აირჩიეს რამდენიმე არა სასურველი პირებიო და სხვა.

ერთმა გლეხმა დაასურათა სანდრო დავითაშვილის (ჯანდიერი) წარსული მოღვაწეობა და წინადადება შემოიტანა აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ ის დაბრუნოს სამშობლოში, როგორც უდანაშაულო მსხვერპლი. მართლაც, როგორც გამოირკვა, თვით კრებაზე და კერძო ლაპარაკშიც, სანდრო დავითაშვილი ყოფილა ძველი რევოლიუციონერი 1904 წლიდან. მას არა ერთი და ორი გლეხი გამოუყვანია რევოლიუციონურ ასპარეზზე. ამ სოფელში პროპაგანდა-აგიტაცია პირველად მას დაუწყვია, როგორც თავად-აზნაურობის ისე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ამის გამო აზნაურობას გაუძევებია იგი და შემდეგ ციმბირშიც ყოფილა გადასახლებული. მამული, რომელიც მას ჰქონია, თავის საკუთარ შრომით ქონია შეძენილი და სხვა. ასეთი ადამიანის გაძევება შეცდომაა და შეცდომას კი გამოსწორება უნდა. იმედია ასეთი შეცდომები გამოსწორდება.

როდესაც სტიქიური მოძრაობა იყო, თავად-აზნაურების წინააღმდეგ მიმართული, ძნელი იყო მართლის და მრუდის გარჩევა, ყველას ერთი ცოცხი ხვდებოდა, მარა როდესაც უკვე ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩავარდა, ასეთი შეცდომები უნდა იქნას გამოსწორებული. მით უმეტეს, თუ მათ გლეხები აღიარებენ სასურველ და პატიოსან მუშაკათ ის უნდა იქნეს დაბრუნებული თავის მამულში.

ერთმა გლეხმა რ. სულაძემ კერძო ლაპარაკში განაცხადა: „ამ რამდენიმე თვის წინათ ღამით მოვიდნენ ჩემთან კომსომოლები, გამომიძახეს გარეთ და მითხრეს აღმასკომში გეძახიანო. მეც გამოვყევი. მეგონა მართლა მეძახოდნენ, გზაში იმდენი მცემეს, რომ კინაღამ მომკლეს. ასე ცხვირპირ დასისხლიანებული დავბრუნდი სახლში. თან მცემდენ კონდახებს და თან მეუბნებოდნენ: შენ კონტრრევოლიუციონერი ხარ, უნდა მოგკლათო, რადგან დახვრეტას გადარჩიო". ასეთი მაგალითები კიდევ ყოფილა. საჭიროა სათანადო ყურადღების მიქცევა. სხვათა შორის ამ კრებაზე შემოვიდა წერილობითი განცხადება ვანო ნატრიშვილის. ის აღიარებს, რომ ვინმე მიწის მზომავი ეწევა მეტის მეტ ექსპლოატაციას გლეხებში, მიწის ზომის დროს ღებულობს დღეში 4-6 და 8 კოდს, ესეც წინდაწინვე უნდა მიუტანო სახლში, თუ არა და არ გაზომავს მიწასო და სხვა. საჭიროა ამასაც მიექცეს ყურადღება.

დასასრულ ილაპარაკა ბას. მეგრელიშვილმა რომელმაც უსურვა კრებას ნაყოფიერი და გულწრფელი მუშაობა. ერთხმათ აირჩიეს რწმუნებულებათ მთელი პრეზიდიუმის შემადგენლობა.

30 იანვარს გავემგზავრეთ გურჯაანში.

პირველ თებერვალს, კვირას, იქნა მოწვეული საერთო კრება.

### ო ქ მ ი.

კრებას დაესწრო დაახლოვებით 250 ამხ. მათ შორის თბილისის რკ. გზის საუბნო კავშირის წარმომადგენელი ამხ. კ-კნიძე, უსტიაევი და სულავა, გურჯაანის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გ. მეტრეველი. კრება გაიხსნა საღამოს 6 საათზე. კრების მიერ ხმის უმრავლესობით თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. ზ. ნამურაძე, მდივნად შ. ჩანტლაძე.

მოხსენებას აკეთებს თბილისიდგან ჩამოსული მუშათა კომისიის წევრები ამხ გვიმრაძე და მაჭარაძე. დღის წესრიგში იყო: უკანასკნელი გამოსვლები და ჩვენი გზა. მოხსენებაში აღნიშნა მენშევიკური პარტიის წარსული შეცდომები, რამაც გამოიწვია უკანასკნელი ავანტიურა. მოუწოდეს ყველა ანტისაბჭოთა ელემენტებს, ვისაც ქართველი ხალხი და განსაკუთრებით მისი მშრომელი ნაწილი უყვარს უარჰყონ ძველი გზა, რომელმაც მიიყვანა ქართველი ერი განადგურების კარზედ.

ქართველი ხალხის კულტურული და ეკონომიური აღორძინება შეიძლება მხოლოდ რუსეთის ხალხთან ერთად და ყოველივე სხვა გზა ჩვენს ერს, განსაკუთ-

რებით მშრომელ ნაწილს, მიიყვანს ევროპის კაპიტალისტების უღელ ქვეშ.

მოხსენების შემდეგ იძლევიან წერილობითი შეკითხვებს.

შემდეგ იქნა არჩიული რწმუნებულები, რომელთაც დაევალათ მოაწყონ ამ საკითხზე კრ. ბები, გააცნონ ფართო საზოგადოებას ახალი გზის მნიშვნელობა. კომისიაში არჩეულ იქნენ: ნ. ბერეჟიანი, ჩანტლაძე, გვინიტაძე, ლორდლიშვილი, კახაბერი. კანდიდატებად: შაქარაშვილი და ციზპარაშვილი. დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, მიღებული თბილ. მთავარ სახელ. და დეპოს მუშების მიერ 7 ოქტომბერს 1924 წ.

მუშათა კომ. წევრები: კ. მაჭარაძე, ს. გვიმრაძე.

## შორაპნის რწმუნებულების მუშაობის მოკლე მიმოხილვა.

წ/წ. 31 ოქტომბერს მუშათა კომისიის წარმომადგენლების ამხ. ძამანაშვილის და ლ. კუპრ. შვილის მოხსენების შემდეგ, რომელ მოხსენებასაც ადგილობრივი საერთო კრება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა, არჩეულ იქნა შორაპან-ზესტაფონის რაიონის ფარგლებში ქვე კომისია 5 რკინის გზელი ამხანაგებისაგან. ხსენებული კომისია მეორე დღიდგან შეუდგა მუშაობას. პირველი ნაბიჯი იქნა გადადგმული—ჭიათურის ამხანაგებთან გაერთიანება, სადაც არჩეულ იქნა სამაზრო ქვეკომისია 3 კაცისაგან, გამომუშავებულ იქნა სამუშაო გეგმა მაზრის ფარგლებში. მაზრა გაიყო ორ სამოქმედო რაიონათ. მაზრის აღმოსავლეთის ნაწილი მიენდო ჭიათურის ამხანაგებს და დასავლეთის კი შორაპნისას. ნაწარმოები მუშაობა იყო ფრიად ენერგიული. ყოველ თემში იყო მასიური კრებები მოწვეული მუშებისა და გლეხებისა, რომელნიც დაკვირვებით ისმენდენ მოხსენებებს და ხშირად ადგილი ჰქონდა საყვედურებს ასეთი სასურველი ნაბიჯის გადადგმის დაგვიანებისათვის ყველა თემებში იქნა მოხსენებები გაკეთებული და არჩევნები. არჩეულთ მიენდოთ აღრიცხვის გატარება, როგორც ყოფილი ამხანაგებისა, ისე უპარტიო მასის, რამაც საკმაო დიდ რიცხვს მიაღწია. ამ ჟამად ხელთა გვაქვს დიდი უმრავლესობის აღრიცხვა როგორც ყოფილი ამხანაგების ისე უპარტიო მასის. მუშათა კომისიის ამხანაგების გამგზავრებას რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებთან მოსალაპარაკებლათ ამხანაგები სიხარულით ეგებებიან და მოელიან აქედგან სასურველ ნაყოფის გამოღებას ყოველივე ამ მუშაობის შემდეგ შორაპნის ქვეკომისია სრულიად დარწმუნებულია, რომ დაწყებული მუშაობა მიაღწევს სასურველ შედეგს და ბოლო მოეღება იმ გაუგებრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ წლებში.

შორაპნის ქვეკომისიის წევრნი: მაჭავარიანი და შაჟირიშვილი.

## შემოქმედის თემი.

ამა წლის 8 თებერვალს შესდგა ყოფილ მენშევიკთა კრება შემოქმედის თემში (ოზურგეთის მაზრა) დ. მაკაიშვილის თავმჯდომარეობით და კოლია ჭანუყვაძის მდივნობით.

მოხსენება გააკეთა სამაზრო ბიუროს რწმუნებულმა ამხ. ყარ. ქარცივაძემ, რომელიც აცნობს საზოგადოებას თავის სიტყვაში საბჭოთა ხელისუფლების იმ მიხწევებს, რომელნიც გაცილებით უფრო მაღლა დგანან ვიდრე მენშევიკების დროს იყო. მუშები და გლეხები მეტათ უკეთეს პირობებში არიან ვიდრე ეს იყო მენშევიკების დროს; ერთად ერთი ხელისუფლება არის საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მტკიცეთ იცავს გლეხების და მუშების ინტერესებს და განზე დგომა არსებულ ხელისუფლებასთან არის უბრალო ჟინიანობა და სხვა არაფერი. ამხანაგი ეხება მენშევიკების უკანასკნელ საქმიანობას, არა ლეგალურ მუშაობის დროს, და მის შედეგს, 28 აგვისტოს ავანტიურისტულ გამოსვლებს.

ბოლოს კრებას აცნობს მუშათა კომისიის პლატფორმას და 7—8 ოქტომბრის მიღებულ რეზოლიუციას და მოუწოდებს ყველას ვისაც კი გული შესტკივა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის უნდა დაადგენ ამ გზას და ხელი შეუწყონ არსებულ ხელისუფლების განმტკიცებას.

შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ეპიფანე ცეცხლაძემ და დავით ერქომაიშვილმა, რომლებიც სავსებით მიემხრენ მომხსენებელს. დაჰგმეს და აღიარეს რა საშინელ ავანტიურად მენშევიკების უკანასკნელი მოქმედება, — ერთად ერთ სწორ გზათ და მიზანშეწონილად მიიჩნიეს 7—8 ოქტომბერს მიღებული რეზოლიუცია.

აგრეთვე აღნიშნეს რამოდენიმე დეფექტები მმართველი პარტიის წევრების, რომელნიც თავის უგვანო საქციელით ხელს უშლიან ჩვენს დაახლოვებას ხელისუფლებასთან.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება სამაზრო ბიუროს რწმუნებულის ამხ. ყარ. ქარცივაძისა, ჩვენ შემოქმედის თემის ყოფ. მენშევიკები და უპარტიოები ვცნობთ, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი, ვგმობთ წარსულ მუშაობას, ვდგებით მესამე კომინტერნის პლატფორმაზედ, ვლებულობთ მუშათა კომისიის 7—8 ოქტომბრის რეზოლიუციას, ვიღებთ აქტიურ მონაწილეობას: კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ აღმშენებლობაში.

აღიძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რუსეთში გადასახლებულების დაბრუნების შესახებ, თუ ისინი ჩვენთან იმუშავებენ. მიეცეს წინადადება საზღვარგარეთ ს ბიუროს, რომ იქ დაშალონ თავის ბიურო, რადგან მათი მუშაობა ეწ ნაალმდეგება გლეხებისა და მუშების ინტერესებს; ვთხოვთ მთავრობას პრესის საშუალებით გამოაცხადოს გადაკარდნილების შერიგების შესახებ, თუ ისინი გამოცხადდებიან სრული მონანიებით.

სამაზრო ბიუროს რწმუნებულებათ დამტკიცებულ იქნენ ძველი რწმუნებულები ამხ. ე. ცინცაძე და დ. ერქომაიშვილი.

მურვანი.

# მუშათა წერილები.

## შრომის შეფასება და ნაყოფიერების აღორძინება რკინ. გზის საანგარ.-საფ. განყოფილებაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ საჭიროდ გახადა შრომის რაციონალიზაცია, შრომის მიზანშეწონილი მოხმარება, ე. ი. ვისაც რა საქმის ძალა და უნარი შესწევს, იმას უნდა ასრულებდეს.

უფრო მეტის მცოდნე და მეტის გამკეთებელი პატარა და მისთვის შეუფერებელ საქმეში არ უნდა დახავსდეს. საერთოდ ყველა უნდა იყოს თავის დანიშნულების სიმაღლეზე, რომ შრომის ნაყოფიერება ამაღლდეს. ეს დებულება საფუძვლად დაუდო სახელმწიფოს აღორძინებას საბჭოთა წყობილების უდიდესმა ხელმძღვანელმა და პროლეტარიატის დაუშრეტელმა გზის გამშუქებელმა ჩირაღდანმა ლენინმა.

მაგრამ ყოველი ახალი საქმე თხოულობს მრავალ სიძნელეთა გადალახვას. ერთ მათგანს ისიც წარმოადგენს, რომ ბევრ საბჭოთა დაწესებულებებში, მიუხედავად მათი ენერგიული დეზინფექციისა, კიდევ დარჩნენ ძველი, ძველი სახელმწიფო წყობილების მოტრფიალენი, რომელნიც თავის ძველ ჩინოვნიკურ, დაჟანგულ სულში ბნელ ზრახვებს ატარებენ და თვით მპყრობლურ რეჟიმის ტლანქ ფსიხოლოგიით არიან გაჟღენთილი. ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა ხელისუფლებას თავის მუშაობაში, თვითონ ისარგებლონ მთავრობის მიერ საერთოდ მინიჭებულ უფლებებით და უბრალო მუშა-მოსამსახურე კი მარტო მათი ჩუმი შემყურე გახადონ და მის თვალში დასცენ პარტიის და ხელისუფლების პრესტიჟი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება იბრძვის დაწესებულებებში მოკალათებულ ზოგიერთ მავნე ელემენტების წინააღმდეგ, რაც არა ერთხელ იყო გამოცხადებული გაზეთის ფურცლებზე, ისინი რაღაც მანქანებით კვლავ განაგრძობენ თავისებურ მუშაობას.

ერთ ასეთ დაწესებულებათაგანს ეკუთვნის ა/კ. რკ. გზათა სამაართველოს საანგარიშო-საფ. სამსახურიც, სადაც ხშირია გვერდის ავლა მუშათა ორგანოების, უდიერი მოპყრობა დაბალ მოსამსახურეებისადმი. ხშირია შემთხვევა, როდესაც განყოფილების უფროსი ბრალსა სდებს თავის მოსამსახურეს, ვითომ ის გლახა მომუშავე და საბოტაჟნიკია. აგრეთვე ხდება ისეთი მოვლენაც, როცა იგივე განყოფილების უფროსი რამდენიმე საათით ანთავისუფლებს დაბალ მოსამსახურეს გადაუდებელ საჭიროების მიხედვით და მერე თითონ მიდის სამსახურის უფროსთან და უჩივის მოსამსახურეს, რომ ის დროს აცდენს და არაფერს აკეთებსო. ასეთი უსამართლო მოქმედებით სამსახურიდან დათხოვნილი იქნა მოქ. კუტალაძე. ამისთანა უსამართლობასვე უნდა მიეწეროს ის დამაღონებელი გარემოება, რომ ადმინისტრატორებს დაყოფილი ჰყავთ მოსამსახურეები ორ ჯგუფად და ერთ მათგანს უჩენენ ზედმეტ სამუშაოს, ამაღლებენ ხარისხებში, როდესაც მეორე მოკლებულია ყოველივე ყურადღებას.

ამ რამდენიმე დღის წინად შემდეგს დამაფიქრებელ მოვლენას ჰქონდა ადგილი: უპირატესობა მინიჭებულ ჯგუფის მოსამსახურეები ღებულობენ რაღაც ჯამაგირის განსხვავებას; ჩვენ ვიცოდით, რომ 1-დან მე-8-ე ხარისხამდე საერთოდ უნდა გატარებულიყო მომატება. აგრეთვე ლაპარაკი იყო სხვების ხარისხებში ამაღლებაზე და იმედი გვქონდა, ჩვენი მძიმე მდგომარეობა ცოტათი მაინც შეგვიმსუბუქდებოდა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე ერთნაირად ზრუნავს. მაგრამ ასე არ ფიქრობს თურმე ჩვენი ადმინისტრაცია და ჩვენც იმედი გაგვიცრუვდა. ადმინისტრაციის განსაკუთრებულ ყურადღებაში მყოფ ჯგუფის 25 კაცს, მათ შორის მხოლოდ სამ ქართველს, საგრძნობლად გაუდიდდათ ხარისხები. ჩვენ შევეკითხეთ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დამცველ ადგილკომის დელეგატებს, ღებულობდენ თუ არა ისინი მონაწილეობას ამის შესახებ სხდომაში, თუ მას ჰქონდა ადგილი. მათ გვითხრეს, რომ არაფერი არ ვიცოდითო. სამართლიანობა მოითხოვდა ცოტ-ცოტა ყველასთვის გაენაწილებინათ, თუ რამე ჰქონდათ, მაგრამ თურმე მოსამსახურეთა ერთ კატეგორიისთვის კრედიტი არ არსებობს. ამნაირად დარჩა ამხანაგების უმრავლესობა გულგატეხილი და ნაწყენი. საჭიროა ასეთი მოვლენები მოისპოს და შეფასებული იქნეს ყოველი მოსამსახურის ცოდნა და კვალიფიკაცია და ისე მიეცეს ხელფასი, რომ არავინ დარჩეს ნაწყენი და არ დაეკარგოს მუშაობის ხალისი.

სამიქაველი.

---

## შრომის ნაყოფიერება უნდა ავწიოთ.

ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება შრომის ნაყოფიერების გაზრდას უნდა მიექცეს. ამისათვის საჭიროა ისეთი წესების შემოღება, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს დააინტერესებს შრომის ნაყოფიერების აწევაში. მივუდგეთ ამ მხრივ ზოგიერთ დარგს რკინის გზაზე. აქ ისეთი წესები არსებობს, რომ იგი ვერ შეუწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას. პირიქით, რაც უფრო დაცემული იქნება ნაყოფიერება, მით უფრო სასარგებლოა ეს პირადად კერძო მოსამსახურისათვის. ავიღოთ, მაგალითად, ორთქლმავალის და მატარებლების ბუნდი: მემანქანეები და კონდუქტორები არსებული წესების გამო დაინტერესებული არიან რაც შეიძლება მეტი დაიგვიანოს მატარებელმა და მეტი დრო დაიხარჯოს მიმოსვლაში. მოვიყვან პატარა მაგალითს: არსებობს ბრძანება № 200, რომლის თანახმადაც მემანქანეებს და კონდუქტორებს ეძლევათ გავლილი ვერსების ჯილდო პირველი დამუშავებული ვერსიდანვე.

კონდუქტორს ეძლევა ჯილდო საშუალოდ თვითეულ ვერსში 0,7 კაპ., საათში საშუალოდ აკეთებს 9 ვერსს; ერთ საათში ამრიგად იგი იღებს: 0,7×9=6,3 კაპეიკს. ამის გარდა, თუ კონდუქტორი იმუშავებს 192 საათზე მეტს, საათში ეძლევა 28,9 კაპეიკი. იბადება კითხვა: რაში უფროა დაინტერესებული კონდუქტორი,— მატარებლების დაუგვიანებლივ მისვლაში, თუ იმაში, რომ რაც შეიძლება მეტი დაიგვიანოს მატარებელმა და მეტი დრო დაიხარჯოს მიმოსვლაში? ცხადია, კონდუქტორს ურჩევნია რაც შეიძლება მეტი დაიგვიანოს მატარებლებმა. ცხადია, სანამ ასეთი წესები და ბრძანება იარსებებს, არა თუ არ აიწევს შრომის ნაყოფიერება პირიქით, დაეცემა კიდეც.

ჩვენის აზრით, უმჯობესია შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები: ზედმეტი ნამუშევარის ჯილდო საათების სახით მოისპოს და ის შევიდეს საევრსო ჯილდოში; გამომუშავებულ იქნეს ყველა უბნისათვის ვერსების გარ-

ბენის ნორმა, რომლის დამუშავება შესაძლოა 192 საათის განმავლობაში და ამისათვის მიეცეთ მათ პირველი ვერსიდანვე სათანადო საშერსო ჯილდო; ნორმაზე მეტი საათებისათვის შესაძლებელია მოსამსახურეს მიეცეს ორმაგი ჯილდო. ასეთი წესით ყველა დაინტერესდება, რომ მატარებელს რაც შეიძლება ჩქარი მიმოსვლა ჰქონდეს.

ამით მშრომელის მუშაობაც დაფასებული იქნება და შრომის ნაყოფიერებაც აიწევს, რითაც რკინის გზა დიდ სარგებლობას ნახავს.

ივანე ბასილაშვილი.

---

## როგორ მივიდეთ.

7-8 ოქტომბერს ნაძალადევის მრავალი ტინჯული მუშებისგან წარმოთქმული იქნა სიტყვები; ამ დღეს საქართველოს მოძრაობის მთავარმა აკვანმა და მისმა დამრწევმა მშრომელმა პროლეტარიატმა თავისი გადამჭრელი სიტყვა სთქვა ხელისუფლების მიმართ: „ჩვენ თქვენთან ვართ, ერთად გადავარჩინოთ რევოლიუციის წმინდათა წმინდა, ერთად დაუხვდეთ სალაროს კარებთან მისი წართმევის განზრახველებ.ო“.

გარდატეხის მიზეზი „სინამდვილის ჭია“, თვალით დანახული, დამტკიცებული და ურყევი, და ამან ათქმევინა ჯერ ნაძალადევს და შემდეგ ქალაქებს და საქართველოს მრავალ კუთხეს თავისი გადამჭრელი სიტყვა. ამან გამოაცემინა თავისი ორგანო „ახალი გზა“ და მე,— ძველი გამოცდილი და განაწამები ამხანაგებისა და ჩემი მასწავლებლების თანამოაზრე,—ვერ გავრკვეულვარ ერთ რამეში, და ვფიქრობ, მე მარტო არა ვარ. სახელდობრ: ყველა ჩვენი ჟურნალის ნომერში წაიკითხავთ, ყოველ კრებაზე გაიგონებთ „უნდა მივიდეთ, ვიმუშაოთ“ და სხ. მეც ასე მწამს უნდა მივიდეთ ჩვენგან განაყოფ ძმებთან რომლებსაც ისტორიამ გაუმართლა და რევოლიუციის მესაჯენი გახდნენ, უნდა შეუერთდეთ და მათთან ვითანამშრომლოთ; მაგრამ საქმე იმაშია როგორ მივიდეთ? სად იწყება ის გზა, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს საერთო საქმის საკეთებლად, ჩვენი წილი აგურით, ნიჩაბით და წყობილებით, თუ კი არავინ ხელს არ გვიქნევს, აქეთ წამოდიო არ გვეძახის, თუ არ გვისახელებს ვინ რა გავაკეთოთ. იქნებ თქვენ მითხრათ, უკაცრავად ჯერ ვერ გენდობიანო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამ გათიშვამდი ხომ ერთად ვიბრძოდით, ერთად ვიტანჯებოდით, მიუხედავად პარტიული თვალსაზრისისა, ხომ ერთად ჩაუყარეთ ნიადაგი ამ დიდ შენობას, რომელსაც დამთავრება სჭირია და თუ კი ნიადაგი გამოდგა ერთად ნაშენი, რაღა თავი უტკივა კედლებს?

რა დავარქვათ მაშასადამე ასეთ უნდობლობას,— ნაპირები რომლისა უნდა გამოჩენილიყო, ჩვენი გულწრფელი განცხადების შემდეგ!

ეს მისვლის საკითხი უნდა გამოირკვეს, გზა უნდა გამოინახოს. ჩვენი არჩეული კომისია დაჩქარებით უნდა შეუთანხმდეს ხელისუფლებას, გეგმა გამოიმუშაონ და თანამოაზრეთ ემცნოთ, თუ როგორ და რა პირობებში მოხდება ეს მისვლა.

საჭიროა ყველანი საქმეს შევუდგეთ, ყველამ ვიზრუნოთ სოციალიზმის დაახლოვებისათვის.

გ. დეპოელი.

---

## ჩვენი ფოსტა.

რწმუნებულებს: მოიწერეთ წერილები რწმუნებულთათვის შემუშავებულ 5 პუნქტის თანახმად („ახალი გზა“ № 2).

ბათომის რწმუნებულს: რატომ არაფერს იწერებით?

---

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

---

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლალიძის

საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უალრესად გაუმჯობესებულ აპარატზე.

მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლალიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.

მ. ლალიძის ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.

(0—6)

მთავლიტი № 250 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3. ტირაჟი—2000

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 1 მარტი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11–68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9–1 საათამდე | № 11

# 25 თებერვალი

ყოველი პოლიტიკური პარტიის მიზანი არის ძალაუფლების მოპოვება. პოლიტიკური პარტია მიისწრაფის ამ მიზნისაკენ და ებრძვის ყველას, ვინც მას ამ გზაზე წინ გადაეღობება და ხელს შეუშლის.

როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ორ მიმდინარეობად გაიყო და ცხოვრების ასპარეზზე ცალ-ცალკე გამოვიდენ მენშევიკები და ბოლშევიკები, ბრძოლა მათ შორის აუცილებელი იყო, რადგანაც ორივე მიისწრაფოდა ძალაუფლების ხელში ასაღებად.

მაგრამ მაშინ ორივეს წინაშე ამართული იყო საერთო მტერი — თვითმპყრობელობა, — ორივე პარტია უთხრიდა მას ძირს და ამიტომ ერთი-მეორესთან ბრძოლა წმინდა იდეიურ ფარგლებში ტრიალებდა, ბევრჯერ ღებულობდა მწვავე ხასიათს, მაგრამ ბევრჯერაც საერთო ენის გამონახვა ხერხდებოდა.

დიდმა რევოლიუციამ გაანადგურა თვითმპყრობელობა და მენშევიზმი და ბოლშევიზმი პირისპირ შეხვდენ ერთმანეთს.

როდესაც ლენინი რევოლიუციის შემდეგ პირველად გამოვიდა საჯარო კრებაზედ და თავისი მრწამსი გადაშალა, აშკარა შეიქნა ყველასათვის, რომ იწყებოდა მეორე რევოლიუცია; იდეური ფარგლებიდან ბრძოლა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გადადიოდა ქუჩებში, ბარიკადებზე და თუ წინეთ ლაპარაკობდა კალამი, ახლა დგებოდა ჟამი, როდესაც უნდა ალაპარაკებულიყო ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველი.

რევოლიუციამ წითელი დროშა მენშევიკებსა და ესერებს ჩააბარა. ცეცხლის რაზმებზე შემჯდარი პროლეტარიატი გაჰყვა მათ უკან, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ესერებისა და მენშევიკების მეთაურობა რევოლიუციას დააჩოქებდა შავი რეაქციის წინაშე. ამიტომაც პროლეტარიატმა გამოჰგლიჯა რევოლიუციის დროშა მენშევიკებსა და ესერებს და გადასცა ბოლშევიკებს. ბრძოლა იყო სასტიკი, მედგარი, თავგანწირული; დასრულდა მენშევიკებისა და ესერების სრული დამარცხებით და ბოლშევიკების ბრწყინვალე გამარჯვებით.

მთელი ევროპის შავრაზმელები შეუერთდენ რუსეთის შავრაზმელებს და შემოარტყეს ალყა ბოლშევიკებს. დაიწყო იერიშები სხვადასხვა მხრიდან, გაიმართა სასტიკი სამოქალაქო ომი; მაგრამ ბოლშევიკებმა გამოიჩინეს გასაოცარი სიმტკიცე, თავგანწირულება და საქმიანობა. მტერი გაანადგურეს და გამარჯვებული გამოვიდენ. ისტორია უსათუოდ იტყვის, რომ ასეთი გამარჯვებით ალექსანდრე მაკედონელი, ჰანიბალი და ნაპოლეონი იამაყებდენ.

მენშევიზმი განადგურდა რუსეთში, მაგრამ ის დარჩა საქართველოში.

ქართველი მენშევიკები არ წარმოადგენდენ არც ქართულს, არც საქართველოს მენშევიკურ პარტიას, არამედ იყვენ წევრები რუსეთის მენშევიკური პარტიისა და მთლიანი, განუყოფელი რუსეთის დიდი პატრიოტები.

მათთან არა თუ ფედერაციაზე ან დამოუკიდებლობაზე, საქართველოს ავტონომიაზედაც არ შეიძლებოდა ლაპარაკი.

როდესაც რევოლიუციის ქარიშხალში წარმოიშვა ამიერკავკასიის სეიმის საჭიროება, მენშევიკების პროექტი იყო: ტფილისი ჩამოშორებოდა საქართველოს და გამოცხადებულიყო ნეიტრალურ ერთეულად, საქართველოს დედაქალაქად გამოცხადებულიყო ქუთაისი.

თუ ქართველი მენშევიკები იძულებული გახდენ დაეარსებიათ საქართველოს მენშევიკური პარტია და გამოეცხადებიათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს იყო მხოლოდ შემდეგი ეტაპი მენშევიზმისა და ბოლშევიზმის ბრძოლისა.

რუსეთში რუსეთის მასშტაბით მენშევიზმი დამარცხდა. მან თავი შეაფარა საქართველოს და დაიწყო ბრძოლა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის საქართველოში საქართველოს მასშტაბით.

ეს ბრძოლა დამთავრდა ოცდაერთი წლის 25 თებერვალს მენშევიკების სრული დამარცხებით. თუმცა ქართველი მენშევიკები იძულებული იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებიათ, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და მდგომარეობს შემდეგში: ქართულ მენშევიზმთან შეერთებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობა, ე. ი. მისი კულტურული და ეკონომიური აღორძინება.

ამიტომ მენშევიზმის დამარცხებაში ანუ ოცდახუთ თებერვალში ქართველმა ხალხმა დაინახა ეროვნული საფრთხე. მას დაებადა შიში: ოცდახუთი თებერვალი ქართველ ერს კულტურულად გაანადგურებსო.

ინტელიგენცია და ნაწილი მუშებისა საქართველოს გასაბჭოებას და მმართველ ხელისუფლებას მტრულად შეხვდა და მთელი თავისი იმედები გადაიტანა ევროპისაკენ: იქიდან მოელოდა საქართველოს ხსნასა და აყვავებას.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან გაიარა ოთხმა წელმა.

რა მოხდა ამ ოთხი წლის განმავლობაში? მუშებისა და გლეხების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე იყო 1920 წელს.

საბჭოების შემოღებით უპარტიო მუშები და გლეხები პირდაპირ იღებენ მონაწილეობას სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლება დიდ შრომასა და ფულსა ხარჯავს ჩვენი სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ბლომად არის გაყვანილი არხები ადგილების მოსარწყავად როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთში. ახლო მომავალში ტირიფონის ველი, 300.000 დესეტინამდე, არხების საშუალებით მოირწყება და ეს უვარგისი მინდვრები საუცხოვო ყანებად გადაიქცევიან.

დაწყებულია დაშრობა ფოთის გარშემო მდებარე ჭაობებისა და ამ საქმის მნიშვნელობაც მეტად დიდია: მოისპობა მალარია, რაც მუსრს ავლებს იქაურ მცხოვრებლებს და მშრომელ გლეხობას შეემატება რამოდენიმე ათიათასი დესეტინა საუკეთესო სახნავსათესი მიწა.

მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს მეაბრეშუმეობას, მეთამბაქოობას, მეღვინეობასა და ჩაის მცენარის გავრცელებას.

ზემოავჭალაში დაწყებულია უდიდესი საქმე, რომელსაც ვერც ერთი მთავრობა ვერ ითავებდა. მომავალ წელში ამუშავდება ჰიდრო-ელექტრონული სადგური 38 ათასი ცხენის ძალისა, რაც ძირიან-ფესვიანათ შესცვლის ჩვენს წარმოებას, მიმოსვლას და მთელს ჩვენს ცხოვრებას.

უკვე აშენდა ელექტრონის სადგური აბასთუმანში და შენდება ახალციხეში, აბაშაში, აჭარისტანში.

ქუთაისში უკვე მუშაობს მაუდის ქარხანა. ოზურგეთამდე გაყვანილია რკინის გზა და მალე მთავრობა შეუდგება შავი ზღვის ნაპირის რკინის გზის გაყვანას. თითქმის მთელი მუშა-მოსამსახურენი, მცირე პროცენტს გარდა, დაზღვეულნი არიან.

დაარსებულია აგარაკებზე დასასვენებელი სახლები მუშა-მოსამსახურეთათვის და თუ წინეთ აგარაკებზე მუშებს იშვიათად ნახავდით, დღეს მათ საშუალება ეძლევათ, დაისვენონ აგარაკებზე და ძალ-ღონე დაიგროვონ.

აბასთუმანში დამთავრდა სანატორიუმი არაზინდო და ამგვარად მუშა მოსამსახურეთათვის ხელმისაწდომი გახდა ისეთი წამლობა, რაზედაც წინეთ ოცნებაც კი არ შეეძლოთ.

დიდ ყურადღებას აქცევს ხელისუფლება წერაკითხვის უცოდინარობის სრულ გაუქმებას და ამ მხრივ დიდი მუშაობა სწარმოებს, დიდი თანხა იხარჯება.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ბავშთა აღზრდის საქმეს. საბავშო ბაღის რიცხვი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს ხელოვნებას: ინახავს ოპერას, დრამატიულ თეატრს და ნიჭიერ ახალგაზდებს საზღვარგარეთ გზავნის.

დიდ ყურადღებას აქცევს მთავრობა ქართულ მეცნიერებას და ახალგაზრდა მეცნიერებს გზავნის საზღვარგარეთ.

საქართველოში არასოდეს არ ყოფილა წიგნების გამოცემა ისეთს დონეზე დაყენებული, როგორც დღეს. და ხელისუფლება დიდ ფულსა ხარჯავს საჭირო და ფრიად სასარგებლო წიგნების გამოცემაზე. მუშებისა და გლეხებისათვის გამოდის სპეციალური გაზეთი და იქმნება სპეციალური ბიბლიოთეკა. სანიტარული ცოდნის გავრცელებისათვის დაარსებულია სპეციალური სანიტარული თეატრი.

მარტო ზერელე ჩამოთვლა ყოველივე იმისი, რასაც საბჭოთა ხელისუფლება აკეთებს ჩვენში, აშკარად დაანახვებს ყველას, ვისაც კი დანახვა შეუძლია, რომ საქართველო კი არ დანგრეულა, არამედ მტკიცედა და დიდი იშვიათის თავგამოდებით შენდება.

როდესაც მთელი ქართველი მშრომელი ხალხი და ინტელიგენცია ამოუდგება გვერდში მმართველ ხელისუფლებას და მისი დროშის ქვეშ, მისი ხელმძღვანელობით იმუშავებს გულწრფელადა და პატიოსნად, ეს აღმშენებლობაც უფრო ჩქარი ნაბიჯით გასწევს წინ, უფრო თვალსაჩინო გახდება.

# ოთხი წლის თავზე.

ოცდახუთ თებერვალს შესრულდა სრული ოთხი წელი მას შემდეგ, რაც მოხდა საქართველოს გასაბჭოება. ფარისევლობა იქნება თუ არ ვიტყვი, რომ ეს მომენტი გამაბრაზებელ-გამაღიზიანებელი იყო ქართველი ხალხის უმრავლესობისათვის. თავგანწირულადაც ვიბრძოდით წითელი ჯარის წინააღმდეგ.

დიახ, ეს მომენტი მეტად საწყენი იყო ქართველი ხალხისათვის. და აი, სწორედ ეს უნდოდა ევროპის იმპერიალისტებს და მიაღწიეს კიდეც საწადელს. მათ აქ ყოფნის დროს (თავის ჯარებით) სხვადასხვა დაპირებათაიებით მოხიბლეს და დიპლომატიურად გარყვნეს აზროვნება ჩვენი მეთაურების და სურდათ ხალხისაც. მათ ესაჭიროებოდათ რუსეთის დასუსტება, ამისათვის კი ბრძოლა იყო საჭირო და ეს ბრძოლა უნდოდათ ეწარმოებინათ ქართველი ხალხის სისხლით. ისინი გასულის დროს მოსიყვარულე, გულშემბრალე და სათნოიანი გან-

დნენ, შემოსვლის დროს კი თავს გვაბეზრებდენ და წამ და უწუმ მათ აქედან გასვლას მოითხოვდა დიდი და პატარა,—ეხლა აქ დარჩენას ვთხოვდით. იმდენად გავბიაბრუვდით, რომ შემპარავი, მოსისხლე მტერი კაცობრიობისა, და ჩვენიც, გულუბრყვილოდ მოყვარედ მივიჩნიეთ; როცა მიდიოდნენ გული გვწყდებოდა, გულაჩუყებული ვიყავით.

შემოვიდნენ ბოლშევიკები, მოხდა გასაბჭოება, ჩვენი მთავრობა ევროპაში გაიხიზნა და აი, ევროპის ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ სახელმწიფოებმა მორთეს განგაში: „ბოლშევიკებმა ძალით დაიპყრეს პატარა ერი, საქართველო, როგორ შეიძლება ესაო, ეს არა საკადრისიაო, ეს უფლებრივი დარღვევააო“ და სხვა.

თვითონ კი, სრულიად ვიგინდარა საქართველოსათვის, წარბშეუხრელად, სინიდის დამშვიდებულად, შემოვიდა აქ თავის უამრავი ათასფეროვან ჯარებით, რითაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიურად და ზნეობრივად. მან აგვიმხედრა დენიკინი და სომხეთი, რომელთაც თვითონ ეხმარებოდა. ცოტა ზარალი ვნახეთ ამ დროს? ცოტა არის მაშინდელ ბრძოლაში დახოცილთა ქვრივ-ობლები ჩვენში? და მაშინ ის სრულიად სამართლიანად სთვლიდა თავის თავგასულ მოქმედებას, არ ეძახდა მას იმპერიალისტურს, პატარა ერის ინტერესების ფეხქვეშ გათელვას. რას იზამ, ბუშმენური პოლიტიკაა: შენ თუ წაგართვი ცოლი, ეს კარგია, მე თუ წამართვი—ეს არვარგა.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი. მე ვთქვი, რომ ევროპამ მიაღწია თავის სწადელს მით, რომ ჩვენ დაგვაბრმავა, მოყვრობის მაგიერ მტრული განწყობილება დავიკავეთ ბოლშევიზმისადმი და მოგვესპო მათთან კავშირი, არამც თუ კავშირი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩავიხლართეთ ბოლშევიკებთან და ამ ბრძოლას ვაწარმოებდით დღემდე, რამაც აგვისტოს საშინელებამდე მიგვიყვანა.

ჩვენი მტერი იყო, არის და იქნება ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები, მოყვარე კი რუსეთის რევოლიუციონური მუშათა კლასი, მშრომელ გლეხკაცობასთან ერთად, ბოლშევიზმის სახით, რომელიც იძლევა საქართველოს დამოუკიდებლობას ერთა თვითგამორკვევის პრინციპებზე, რაც ჩვენ გვესმის საქართველოს აღორძინება-აყვავებაში კულტურულად და ეკონომიურად. ამის უტყუარ გარანტიას იძლევა მეცამეტე ყრილობის დადგენილება, რაც, ჩვენ უკვე ვხედავთ—თანდათან ტარდება ცხოვრებაში და სწრაფი ტემპითაც, მიუხედავად მრავალ ჩვენ მიერ შექმნილ დაბრკოლებებისა, მუდამ რომ ბრძოლას ვაწარმოებდით დახმარების მაგიერ.

1921 წლის 25 თებერვლიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი ხალხის ცხოვრებისა მუშათა კლასის დიქტატურით სოციალიზმისაკენ საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებით და ამ რიცხვიდან დამარხულ-დასამარებულ უნდა იქნეს ევროპის იმპერიალისტების ველური ზრახვები. დღეიდან მათ ესპობათ ყოველნაირი საშუალება ჩვენი გაპიაბრუება-მოტყუებისა.

ლ. კუპრაშვილი.

# შვეიცარიის ფედერატიული სახელმწიფო

(გაგრძელება. იხ. „ახ. გზა“ № 10).

რაც შეეხება მთავრობას—ფედერალურ საბჭოს, იქ სხვადასხვა ერებს თავისი წარმომადგენლები ჰყავთ, თუმცა ამაზე კონსტიტუცია სრულიათ არაფერს ლაპარაკობს. საზოგადოთ მისი წევრების უმეტესობა (შვიდიდან ხუთი) გერმანელებია. ორიდან ერთი ყოველთვის ვოდელია, მეორე ხან ჟენეველი ან ნევშატელელი, და ხან ტესინელი.

ფედერალურ ენებზე თანასწორათ შესაძლებელია მიმართვა მთავრობისადმი, რომელიც ვალდებულია უპასუხოს მიმართვას ენითვე.

ჯარში უმთავრესათ სახმარებელი ლეგალური ენა ფაქტიურათ ორია: გერმანული და ფრანგული, თუმცა სამხედრო სწავლება და სხ. კანტონებში ყველა ენაზე სწარმოებს. რვა დივიზიონიდან ორი ფრანგულია, ხუთი გერმანული. იტალიელები და რომანელები შედიან ერთს გერმანულ დივიზიონში საზოგადოთ არავითარი განსაზღვრული წესი არ არის ოფიცრების და ჯარისკაცების ურთიერთულ დამოკიდებულებაში ენის ხმარების მხრით. სამხედრო განკარგულება ყოველ ბატალიონს ეგზავნება იმ ენაზე, რომელსაც ხმარობს მისი უმრავლესობა.

ერთად ერთს ფედერალურ სამსჯავროში მოსამართლეებად სამივე ენის წარმომადგენლებს ირჩევენ. საქმის წარმოება და დაცვა სასამართლოში შესაძლებელია ყველა ფედერალურ ენაზე. ფედერალური სამსჯავრო იწესებს თავისთვის კანცელარიას და ნიშნავს სათანამდებო პირებს,—სახელდობრ ის ნიშნავს სამს მდივანს, ორს გერმანული შვეიცარიისთვის, ერთს რომანული შვეიცარიისთვის. სამივე ვალდებულია იცოდეს თანასწორათ გერმანული, ფრანგული და იტალიური ენები. მათ თან ახლავს ერთი რეგისტრატორი არქივარიუსი და ექვსი თანაშემწე, სამი გერმანული შვეიცარიისთვის, ორი ფრანგული შვეიცარიისათვის და ერთიც იტალიური შვეიცარიისთვის. ყოველი მოსამართლე თავის აზრს გამოთქვამს და ხმას აძლევს თავის მშობლიურ ენაზე; მდივანი აწარმოებს ოქმს და ადგენს განაჩენს იმ კანტონის ოფიციალურ ენაზე, სადაც წარმოიშვა სადაო, გასარჩევი საქმე. ხშირათ ფედერალური სამსჯავროს განაჩენი იმ ენაზე ცხადდება და იცემა, რომლითაც აპელაცია იყო მიმართული. თუ აპელაცია არაა, მაშინ გ ნიჩენს მომჩივანის ენაზე სცემენ.

ფედერალური სამსჯავრო იმყოფება ქალაქ ლოზანაში (ვოს კანტონი, ფრანგული შვეიცარია); პარლამენტი (ფედერალური კრება, რომელიც შესდგება ორი პალატისაგან: ნაციონალური კრება და სახელმწიფოთა საბჭო) და ფედერალური საბჭო (მთავრობა) იმყოფება ბერნში (გერმანული შვეიცარია).

ფოსტაში და რკინის გზაში სავალდებულოა სამივე სახელმწიფო ენა. წერილები და დეპეშები სამივე ენაზე

შეიძლება გაიგზავნ-გამოიგზავნოს. თუ კონფედერაცია მართავს ამა თუ იმ უწყებას, იქ სამივე ნაციონალური ენა სავალდებულოა უფლებრივათ. ხოლო ფაქტიურათ კონფედერაციის სივრცეზე ამ ენებს თანასწორი მნიშვნელობა არა აქვს, რაც ადვილათ აიხსნება სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობის დიდი უთანასწორობით სახელმწიფოს საზღვრებში.

სარკინისგზო წარწერანი სამივე ენაზეა, გარდა მრავალი ადგილისა ჩრდილოეთით და დასავლეთით, სადაც გერმანული და ფრანგულია გაბატონებული. ლინგვისტური პატრიოტიზმი ერთობ ძლიერია შვეიცარიაში. განსაკუთრებით ფრანგულის და გერმანულის კულტურული შეჯიბრება იპყრობს ყურადღებას.

სადგურების სახელების პირველი წარწერა ყოველთვის უმრავლესობის ენაზეა, მეორე უმცირესობისაზე. ასევეა ოფიციალურ გზის მაჩვენებელ წიგნებში, ბილეთებზე და სხ. სამგზავრო ბილეთებს იხოულობენ პირველათ იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს კანტონი, სადაც მატარებელი მიდის. ბილეთის შემამოწმებელი მეორე ენაზედაც იმეორებს თავის კითხვას (ეს სავალდებულოცაა მისთვის), თუ დასჭირდება, თანახმათ მოგზაურთა ეროვნებისა. მხოლოთ პირველი სიტყვა უთუოთ იმ კანტონის ენაზე უნდა წარმოითქვას, რომელშიაც მატარებელი იმყოფება. რკინის გზის და ფოსტის მოსამსახურეთათვის ორი და სამი ენის ცოდნა სავალდებულოა ყველგან. ვაგონებზე ფედერალური რკინის გზის დასაწყისი ასოებია გერმანულათ და ფრანგულათ. ფრანგული წარწერა ყოველთვის გერმანულის ქვეშ არის. ამგვარათ „პირველობა“ მაინც გერმანულს დარჩენია, მიუხედავათ თანასწორობის აღიარებისა. ამის პატარ-პატარა მაგალითები სხვაც არის. ბერნის ფედერალურ სასახლეში, მაგალითათ, სადაც ყველა კანტონის ღერბები და დროშებია წარმოდგენილი, კანტონთა სახელები მხოლოთ გერმანულათ არის მოყვანილი. ეს კითხვები შესაძლებელია „წვრიმალი“ ხასიათის იყოს, მაგრამ მეტათ დამახასიათებელია გერმანულ-ფრანგულ ელემენტთა კულტურული ურთიერთობისთვის. ფაქტიურათ ენათა სრული თანასწორობის დაცვა არ ხერხდება თვით გერმანულ და ფრანგულ ენებს შორისაც—იტალიურზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაგრამ ამ გარემოებას თითქმის არავითარი გავლენა არა აქვს ქვეყნის საერთო ფედერალურ მართვა-გამგეობაში და ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რაც შეეხება კანტონალური ცხოვრების სფეროს, აქ დიდი მრავალგვარობაა. წმინდა, ეროვნულათ შეურეველ კანტონებში ენათა საკითხი არავითარ სიძნელეს არ იწვევს. ასეთ კანტონებში ერთი სახელმწიფო კანტონალური ენა ბატონობს იმის და მიხედვით, გერმანულია კანტონი, ფრანგული თუ იტალიური.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს შერეულ კანტონთა პოლიტიკური ცხოვრება. აქ ორი თუ სამი ენის თანასწორათ ხმარება უფლებრივათ უზრუნველყოფილია, როგორც ვთქვით. შერეულ კანტონთა პარლამენტებში დეპუტატები თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ. იმის დაფარვაც არ შეიძლება, რომ მიუხედავათ ამისა ადმინისტრატიული ცხოვრების ბევრ დარგში ხშირათ უმრავლესობის ენა ღებულობს ფაქტიურათ ოფიციალურ ხასიათს. ამით უმცირესობის ენას მნიშვნელობა როდი ეკარგება. ის აუცილებელი და სავალდებულოა ამ კანტონის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. უმცირესობათა უფლება ყველაფრით უზრუნველყოფილია. კანტონალურ უწყებებში სახელმწიფო მოხელეთათვის სავალდებულოა კონსტიტუციონალური ენების ცოდნა.

ბერნი შერეული კანტონია. უმრავლესობა გერმანელებია, უმცირესობა ფრანგები. იქაურ მთავრობაში ორი წევრი ყოველთვის ფრანგი უნდა იყოს. ყველამ საერთოთ უნდა იცოდეს ორივე ენა. გერმანული ტექსტი აქ ითვლება დედნად, ფრანგული კი თარგმანად.

ფრიბურგში, სადაც უპირატესობა ფრანგებს აქვთ; პირიქით—ფრანგული ტექსტი ითვლება დედნად, გერმანული—თარგმანად.

სულ სხვაა კანტონი ვალე: აქ სრული თანასწორობაა განხორციელებული ტექსტებს შორის.

გრიზონში მიუხედავათ იურიდიული თანასწორობისა გერმანულს, როგორც ძლიერი კულტურის ენას, მოუპოებია რეალური უპირატესობა, განსაკუთრებით რომანულზე. ბევრგან გრიზონის კომუნებში თვითონ რომანელები ანიჭებენ გერმანულს უპირატესობას და თვლიან მას ნაციონალურ ენად. ცნობილია, რომ შვეიცარიის ხალხის ამ ნაწილში გერმანიზაციის პროცესი უფრო შესამჩნევი.

ახლა კომუნებს გადავხედოთ. საერთოთ კომუნის უმრავლესობის ენა არის მისი ოფიციალური ენა. ამ ენას ხმარობენ მუნიციპალურ საბჭოში, კრებებზე, ქუჩათა სახელებისთვის. ეს ენა ბატონობს სკოლაში, სასამართლოში და სხ. მარა უმრავლესობის პრინციპი არ ზღუდავს უმცირესობის უფლებას, რაც უნდა პატარა იყოს ეს უმცირესობა. მხოლოთ ოფიციალურ ხასიათს ანიჭებს ერის ენას, უმრავლესობისას. გერმანულ კომუნალურ სკოლებში ასწავლიან ფრანგულს, და პირიქით,—ფრანგულისაში—გერმანულს. ეს თითქმის საყოველთაო წესია. ესევე ითქმის სხვა ენებზედაც.

რაც შეეხება ეგრეთწოდებულ შერეულ კომუნებს, იქ ორი ენაა საზოგადოთ ხმარებაში ყველგან, როგორც კომუნალურ კრებებზე—ისე სხვა პოლიტიკურ-ადმინისტრატიული საჭიროებისთვის.—თუ ამა თუ იმ კომუნაში ან კანტონში საკმაოდ მოიზარდა უმცირესობა, მას შეუძლია თავისი სკოლა მოითხოვოს სახელმწიფო ხარჯზე. კერძო სკოლების დაარსება მოთხოვნილებისამებრ ხომ მეტის მეტათ გაადვილებულია.

ვალეს დედა-ქალაქში (სიონი) 26 კომუნალური სკოლაა,—აქედან ოთხი გერმანულია, დანარჩენი ფრანგული. არის ისეთი კომუნა, სადაც ოთხასი ფრანგულათ ლაპარაკობს, ორასი—გერმანულათ და სადაც სამი ფრანგული სკოლაა და ერთი გერმანული. მეორეში—ორი გერმანული კლასია (50 მოწაფე), ექვსი ფრანგული (250 მოწაფე) და სხ.

ვალეში რვა დისტრიქტი ფრანგულათ მოლაპარაკეა, ხუთი—გერმანულათ. ენათა გავრცელების საზღვრები ნაჩვენებია და ცდილობენ ფრანგული შკოლა გერმანულ ტერიტორიაზე არ იქნეს და გერმანული—ფრანგულ ტერიტორიაზე. აქ სულ 554 პირველ დაწყებითი სკოლაა: 386-ში სწავლება ფრანგულათაა, 168-ში გერმანულათ. როგორც აქ, ისე სხვაგან სწავლება სწარმოებს ერის რომელიმე ენაზე, მეორე და მესამე ენის სწავლა, განსაკუთრებით შერეულ ადგილებში, სავალდებულოა.

აღსანიშნავია, რომ ზოგან,—იშვიათათ კი,—ამა თუ იმ პატუასაც (კილოკავს) ხმარობენ, რომ პირველდაწყებითი ელემენტარული ცოდნა მისცენ პატუებს, რომელთაც სხვა ენა ჯერ არ ესმით.

არის აგრეთვე კანტონალური და ფედერალური სასწავლებლები. კანტონებში სხვადასხვა საშუალო სასწავლებლები და უნივერსიტეტებია. ბერნში ხუთი სახელმწიფო ნორმალური სკოლაა: სამი გერმანული, ორი ფრანგული. შვეიცარიის კანტონალური უნივერსიტეტები, სადაც კი არის, ზოგი გერმანულია (ბაზელი, ციურიხი, ბერნი, ფრიბურგი),—ზოგი ფრანგული (ჟენევა, ლოზანა, ნევშატელი). ბევრგან ლექციები ორივე ენაზე იკითხება. მაგ. ფრიბურგის უნივერსიტეტში ეროვნულს უკვე ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც გერმანულს. შვეიცარიაში იტალიური უნივერსიტეტი არ არის. მისი დაარსება ტესინს ჯერ ვერ მოუხერხებია. იტალიურ ენას ფაკულტატიური მნიშვნელობა აქვს კანტონალურ უნივერსიტეტებში. ეგზამენების ჩაბარება შეიძლება იტალიურათ.

არის მხოლოთ ერთი უმაღლესი ფედერალური პოლიტეხნიკუმი (ციურიხში), სადაც სავალდებულოა სამივე ნაციონალური ენა.

(შემდეგი იქნება).

# ეკონომიური ქრონიკა

შინა ვაჭრობის სამმართველოს ცნობების მიხედვით, საქართველოსთვის **პურის** დეფიციტი მიმდინარე წლის (1924—25) განმავლობაში უდრის დაახლოვებით 4,500,000 ფუთს. მაგრამ წინასწარ შემუშავებული შემოზიდვის პლანით, საქართველოში შემოსაზიდავათ განსაზღვრულ იქნა 3,000,000 ფუთი. აქედან სექტემბრიდან პური პირველ იანვრამდე საქართველოში უნდა შემოზიდულიყო 1,295 000 ფუთი, ნამდვილად შემოიზიდა 1,018,000 ფ. გეგმა შესრულდა 78,6%-ით.

შაქარი წლის განმავლობაში უნდა შემოიზიდოს 600,000 ფ. აქედან პირველ იანვრამდე უნდა შემოეტანათ 146 ვაგონი (ე. ი. 146,000 ფ.), ხოლო შემოიხიდა ნამდვილად 142,000 ფ. (142 ვაგონი). გეგმა შესრულებულია 95%-ით.

**მანუფაქტურა** საქართველოში მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა შემოიზიდოს 2‥5 ვაგონი. აქედან გასული წლის უკანასკნელ ოთხ თვეში უნდა შემოზიდულიყო 126 ვაგონი,—ხოლო ნამდვილად შემოიზიდა 109 ვაგონი ბამბეული მანუფაქტურა. გეგმა შესრულებულია 86,8%-ით.

**ასანთი** საქართველოში სექტემბრიდან 1925 წლის პირველ იანვრამდე უნდა შემოტანილიყო 9,000 ყუთი. ხოლო შემოტანილია იმავე ხნის განმავლობაში 6,000 ყუთი. გეგმა შესრულებულია 66,7%-ით.

საქართველოში 1923 წ. შემოვიდა 352,966 ფუთი **ნავთი**, 1924 წ. კი 600,000 ფუთი, ე. ი. ომის წინადროინდელი მოთხოვნილების 54,5%. შედარებით 1923 წელთან ნავთის მოხმარება გაიზარდა თითქმის 100%-ით. 1913 წელთან შედარებით (1,100,000) ის 46,7%-ით ნაკლებია.

**მარილის** მოთხოვნილება საქართველოში უდრის 1,280,000 ფ. რკინის გზით 1923—24 წ. წ. (ოქტომბრიდან ოქტომბრამდე) საქართველოში შემოტანილია 524,619 ფუთი.

შინა ვაჭრობის სამმართველოს ცნობებით, სამრეწველო საგნების ვაჭრობაში სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო კაპიტალის მონაწილეობა ამნაირათ იხატება. საბითუმო ვაჭრობას თითქმის სავსებით სახელმწიფო ორგანოები და კოოპერაცია ბატონობენ. კერძო კაპიტალის როლი აქ უმნიშვნელოა. შაქრის, ნავთის, მარილის, ასანთის საბითუმო ვაჭრობა თითქმის 100%-დე სახელმწიფო ორგანოების და კოოპერაციის ხელშია. აგრეთვე მათ ეკუთვნის პურის ფქვილის და მანუფაქტურის ვაჭრობის 70%-დე.

საცალო ვაჭრობაში (პურის გარდა) კოოპერაციას და სახელმ. ორგანოებს ეკუთვნით დაახლოვებით 35%. პურის ბაზარზე კი მათ ეკუთვნის უპირატესობა.

სოფლად საცალო ვაჭრობაში კოოპერაციის მონაწილეობა უდრის დაახლოვებით 55%, ხოლო ნავთის და მარილის ვაჭრობაში მისი მონაწილეობა 9‥% აღემატება.

გასული წლის განმავლობაში დამტკიცებული გეგმის მიხედვით საქართველოში უნდა დამზადებულიყო 59.000 ფუთი მატყლი,—გაზაფხულის 23.000 ფ. და შემოდგომის 35.000 ფუთი. აქედან დამზადდა 43 000 ფ.

პარკი დამზადებულია 85.000 ფ. თამბაქო 250.000 ფუთი. ბამბა 85.500 ფუთი. ტყავეულობა ნახევარი წლის 45.265 ცალი. ჩაი დამზადებული იყო 5.000 ფუთი.

გარდა ამისა დამტკიცებული გეგმის მიხედვით უნდა დამზადებულიყო 100.000 ფუთი **ხორბალი**. დამზადების თანხა უდრიდა 150.000 მან.—გახსნილი კრედიტის რაოდენობა 104.000 მან. „წარმოკავშირმა“ დაამზადა ხორბალი 29 0‥0 ფ., ქერი 17.000 ფ. (სულ 90.000 მან.) „ცეკავშირმა“ 60.000 ფ. ხორბალი,—სულ 89.000 ფ. ხორბალი.

უნდა დამზადდეს 1.500.000 ფუთი სიმინდი (600.000 ფუთი განზრახულია საზღვარ გარეთ გასატანათ). აქედან „ცეკავშირმა“ დაამზადა 104 000 ფუთი, „წარმოკავშირმა“ 40.000 ფუთი. გარდა ამისა „ცეკავშირმა“ დაამზადა 1923 წ. მოსავლიდან 987.000 ფ. სიმინდი.

მოუსავლობით დაზარალებულ მაზრის მოსახლეობას უნდა გადასცემოდა სესხად 120 000 ფუთი სათესლე ხორბალი. ამის ნაცვლად დაურიგდათ ფულად სათესლეს საყიდლად.

ხილეულობის დამზადებას ეწევიან კოოპერატივები „ქართლი“, „წითელი ქართლი“ და კერძო პირები. მიმდინარე წელს მოსავალი საშუალოზე დაბალია, უდრის დაახლოვებით 720.000 ფ. აქედან ექსპორტისთვის გამოსადეგი მხოლოდ 30 პროც. დამზადებულია 500.000 ფუთამდე,—აქედან საექსპორტოდ 170.000 ფუთი.

ამ ჟამად დამზადებულია 600.000 ვედრო ღვინო. გატანა შეიძლება საქართველოდან 2.000.000 ვედრო ღვინისა (6.000.000 ვედროს მოსავლიდან).

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

ცხადია, სოფელთან დაახლოვება, სოფლისკენ პირის მიბრუნება მაშინ მოხდება, როცა წარმოება დადგება სათანადო სიმაღლეზე, როდესაც წარმოების ნაყოფი იაფი და ხელმისაწვდენი გახდება სოფლისათვის. ამ საკითხს ეხება მოსკოვის „იზვესტია“ და სხვათა შორის ამბობს:

„მოსახლეობის საბჭოთა მუშაობაში ჩაბმისათვის ძალიან დიდ როლს თამაშობს ს. ს. ს. რ. ც. ა. კ-ის დადგენილება ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ იმ ადგილებში, სადაც მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. არჩევნები უნდა იყოს, რასაკვირველია, წინდაწინვე მომზადებული. საჭიროა მოხდეს რიგი კრებებისა და სხდომებისა, სადაც უნდა გაირჩეს საკითხები, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას. ის შეცდომები, რომელიც დაშვებულ იქნა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან წინა არჩევნებზე,—უნდა გამოსწორდენ. ის უკმაყოფილება გლეხკაცობისა, რომელიც გამოისატებოდა სწრაფი არჩევნების წარმოებით, განსაკუთრებით უკმაყოფილება იმ სიების წინააღმდეგ, რომელსაც წარმოადგენენ ხოლმე და რომლის წინააღმდეგ ხშირად უკმაყოფილებას გამოსთქვამენ გლეხები, თათბირზე მიღებული დებულებების ძალით, რასაკვირველია ჩამოშორებულ იქნებიან.

დირექტივები, რომელიც მიღებულია თათბირზე, რომ დაცულ იქნას რევოლიუციონური კანონიერება, აგრეთვე გავლენას მოახდენს და გააჯანსაღებს ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლობას. საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილი აქვს აწარმოოს ბრძოლა რევოლიუციონურ კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ, ადმინისტრატიულ თვითნებობის, ბიუროკრატიზმის უხეში და მოქალაქეთა მიმართ უყურადღებობით მოქცევის წინააღმდეგ, აგრეთვე მათ წინააღმდეგ, ვინც ბოროტათ გამოიყენებს მინიჭებულ უფლებას და მექრთამეობის წინააღმდეგ.“

ც. ა. კ-ის დადგენილების ძალით, ასეთი მოვლენები ალკვეთილ იქნებიან.

* * *

სოფლის საკითხს ეხება აგრეთვე გაზეთი „პრავდა“ და აღნიშნავს რა, რომ ახლა ევროპაში დადგა მყუდროება, რომ მწვავე სოციალური კრიზისი და მდუღარე რევოლიუციონური მსვლელობა შენელდა,—ამბობს:

„არც ჩვენი მრეწველობა, არც ჩვენი ფინანსები და არც სახელმწიფო საზოგადოთ არ განვითარდება, თუ ჩვენ მთელი ჩვენი ძალით არ მივადგებით სოფლის საკითხების გადაჭრას, რომელიც ჩვენი პარტიის მიერ უკვე არის აღნიშნული... ჩვენ უნდა დავიპყროთ იდეურათ, შეგნებით, საქმით ჩვენი სოფელი, ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ღირებულება პარტიული ორგანიზაციის მუშაობისა ამიერიდან განიზომება სოფელში მუშაობით“...

# პროფკავშირთა მოძრაობა

ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ედდო ფიმმენმა „დეილი ჰერალდის“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის რეზოლიუცია სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან გაერთიანების შესახებ, წარმოადგენს ნაბიჯს უკან პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობის საკითხში, ვინაიდან ამ რეზოლიუციაში განმეორებულია ძველი წინადადება იმის შესახებ, რათა პროფკავშირებმა მიიღონ ამსტერდამის ინტერნაციონალის პრინციპები.

„ამსტერდამის რეზოლიუცია,—სთქვა ფიმმენმა—წარმოადგენს რუსეთისადმი მოწოდებას უყურადღებოთ დასტოვონ პროფინტერნში შემავალი ორგანიზაციები. ეს წინადადება არა მარტო დამამცირებელია რუსეთისათვის, არამედ მოითხოვს მათგან ულირსს საქციელს. თუ ჩვენ მართლაც გვსურს ყველა მუშების ინტერესებისათვის განვახორციელოთ პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობა, ამსტერდამის და მოსკოვის ურთიერთობაში არ უნდა იყოს არც გამარჯვებული და არც დამარცხებული. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ინგლისელების წინადადების მიღებით, რომელიც მოითხოვს კონფერენციის მოწვევას ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე“.

— შრომის უნიტარული კონფედერაციის მიერ დაწყებული კამპანია პროფმოძრაობის მთლიანობისათვის რეფორმისტულ წრეებსაც მოედო. რეფორმისტული პროფკავშირების მთელმა რიგმა (აჟანის მბეჭდავებმა, ფეშელის მელითონეებმა, ტონერის რკინის გზელებმა, ფონტენის ფეიქრებმა) წინადადება მისცა რეფორმისტულ ბელადებს მონაწილეობა მიიღონ კონგრესზე, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიონალურ მოძრაობის გაერთიანებას.

— პარიზის რაიონის პროფკავშირთა გაერთიანების ყრილობამ გაუგზავნა დორტმუნდის სამთომადნო მუშებს დეპეშა, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს მათ და ადგენს ხელისმოწერის გზით შეაგროვოს შემოწირულებები კატასტროფის მსხვერპლთა სასარგებლოდ.

— გამოქვეყნდა ტექსტი კანონპროექტისა, რომელიც შედგენილია კონსერვატიული პარტიის ერთერთ წევრის—მაკ კვისტენის მიერ. ეს კანონპროექტი, რომელიც პროფკავშირებს შეეხება, გაცხოველებულ პოლიტიკურ კამათს გამოიწვევს ეხლანდელ პარლამენტში, კანონპროექტის ერთერთი მიზანია—ხელი შეუშალოს პროფკავშირების თანხების ხარჯვას პოლიტიკურ მიზნებისათვის.

კანონპროექტის ძალით, პროფკავშირებს წინანდებურათ შეუძლიათ იქონიონ სპეციალური ფონდები პოლიტიკური მიზნებისათვის, მაგრამ პროფკავშირის არც ერთ წევრს არ შეუძლია თანხების შეტანა ამ სპეციალურ ფონდში, თუ ის წერილობით არ დაადასტურებს თავის თანხმობას.

მუშათა პარტიის წევრები აცხადებენ, რომ კანონპროექტის ნამდვილი მიზანია პროფკავშირების პოლიტიკური სიძლიერის შესუსტება იმ გზით, რომ პროფკავშირების პოლიტიკური სიძლიერის შესუსტება იმ გზით, რომ პროფკავშირების წევრებს, რომელიც მხარს უჭერენ მუშათა პარტიას, ეკრძალებათ ანარიცხების შეტანა პოლიტიკურ მიზნებისათვის დაწესებულ სპეციალურ ფონდში.

კონსერვატორები, რომლებიც იწონებენ კანონპროექტის პრინციპიალურ მხარეს, შიშლობენ, რომ განზრახული ღონისძიება გამოიწვევს მუშათა პარტიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის გაერთიანებას.

---

**ინგლისის პროფკავშირთა უმცირესობის მანიფესტი.**

ინგლისის პროფკავშირთა უმცირესობამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც მოითხოვს ინგლისის პროფკავშირების ყრილობის მოწვევას იმ მიზნით, რათა წინააღმდეგობა გაეწიოს კაპიტალისტების შემოტევას და აგრეთვე ხელფასის დაკლების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლათ. გარდა ამისა უმცირესობა აყენებს მუშათა მოთხოვნილების საერთო პროგრამას.

მანიფესტში ნათქვამია: „მიუხედავათ მუშების რევოლიუციონურ განწყობილებისა, რომელნიც მხად არიან ყოველდღე გამოაცხადონ გაფიცვა მწარმოებელთა მხრივ ძალდატანების და უსამართლო მოქმედებისაგან თავიანთ ამხანაგების დასაცავად, პროფკავშირების ლიდერებს არ შეუძლიათ გამოიყენონ ეს განწყობილება მუშათა კლასის გაერთიანების ინტერესებისათვის კაპიტალისტების წინააღმდეგ და ხელფასის მომატებისათვის საბრძოლველად. პროფკავშირების უმცირესობა მოუწოდებს ყველა მუშებს მოითხოვონ პროფკავშირების სპეციალურ ყრილობის მოწვევა, რომელზედაც გადადგმული იქნება ნაბიჯები საერთო ბრძოლისათვის მუშათა გასაერთიანებლად. ამასთანავე უნდა იქნას შემუშავებული მოქმედების მთლიანი გეგმა, რომელიც უნდა გაატაროს მთელმა მუშათა კლასმა ერთდროულად. სანამ ეს არ მოხდება, მუშათა მოძრაობა გამარჯვებას ვერ მოიპოვებს.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ამჟამად მემანქანეებს, რკინისგზელებს, მაღაროში მომუშავეებს, გემების ამშენებელ და გაზის წარმოებათა მუშებს. ამ კავშირებმა უნდა იკისრონ ამ ყრილობის მოწვევის ინიციატივა.

არავითარი სეპარატიული გამოსვლა! ყველანი ერთად ბრძოლაში მუშათა მოთხოვნილებისათვის! სოლიდარობა—გამარჯვების საწინდარია“!

---

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ქ. გორი.

ქ. გორში 15 თებერვალს შესდგა ყოფილი მენშევიკების კრება. კრებას ხსნის პორფილე ეფრემიძე ყოფილი მენშევიკების სახელით და მასვე ირჩევენ თავმჯდომარეთ, მდივნათ კი ალექსანდრე ჩუტარაშვილს. მოხსენებას აკეთებს მუშათა კომისიის წევრი სანდრო გუიმრაძე უკანასკნელათ მომხდარ გამოსვლების შესახებ. მომხსენებელი უაზრობათ და მიზანშეუწონლათ სთვლის მენშევიკურ პარტიის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას და დამლუპველათ აცხადებს იმ პოლიტიკას, რომელმაც ქართველი მშრომელი ხალხი მიიყვანა დაღუპვის კარებთან მენშევიკური პარტიის წყალობით. აგრეთვე მომხსენებელი ეხება მე-II ინტერნაციონალის მოქმედებას ქართველი მშრომელი ხალხისადმი, რომელმაც თავის ბურჟუაზიული მოქმედებით ქართველ მშრომელ ხალხს ზიანი მიაყენა, რისთვისაც მშრომელი კლასი საქართველოსი სამუდამოთ ზურგს შეაქცევს მას. მომხსენებელი ეხება აგრეთვე მართველ პარტიასთან დახლოვებას და ამბობს—როდესაც ყველა ჩვენიანი გულწრფელათ დადგება მე-III კომინტერნის დროშის ქვეშ და თავს გაანებებს ჩხირკედელობას, რამაც აუარებელი ზიანი მიაყენა მშრომელ ხალხს და საბჭოთა ხელისუფლებას და იმავე დროს დაგმობს როგორც არალეგარლურ ისე ლეგალურ მუშაობას ხელისუფლების წინააღმდეგ,—მაშინ მოხდება მართველ პარტიასთან დაახლოვება და ეს იქნება მიზანშეწონილი. მომხსენებელი ეხება აგრეთვე მშრომელ ინტელიგენციას, რომელსაც ჯერ კიდევ გაურკვეულათ უჭირავს თავი და მოუწოდებს მათ მჭიდრო თაკისი ცოდნა მოახმარონ მშრომელ კლასს და ხელისუფლებას. მოხსენების შემდეგ გაიმართა სჯა-ბაასი. გამოსთქვამდენ სურვილს პარტიაში შესვლისას. ბევრს კიდეც მიუცია განცხადება, მაგრამ რამოდენიმე თვე გადის და პასუხი ვერ მიუღიათ. ხალხს სურს დაახლოვება და სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას. ნამდვილ რევოლიუციონერებს მართველმა პარტიამ ანგარიში უნდა გაუწიოს. კამათში ღებულობდენ მონაწილეობას მუშები და მშრომელი ინტელიგენცია და ქალები. ყველანი გამოსთქვამდენ სურვილს—დაახლოებას ხელისუფლებასთან. აგრეთვე ორატორები აღნიშნავდენ დადებითი მუშაობას პარტკომის მდივნის ამხ. სიმაშვილისას, რომელსაც დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია მუშებში და გლეხებში. იმედი არის ასეთი ამხანაგები მოახდენენ დაახლოვებას მშრომელი კლასისა და გლეხობისას.

კრება ირჩევს სამი კაცისაგან შემდგარ რწმუნებულებს: პორფილე ეფრემიძეს, ალექსანდრე ჩუტრაშვილს და მიშა როსებაშვილს.

კრება ავალებს არჩეულ ამხანაგებს და მუშათა კომისიას ენერგიული ბრძოლა აწარმოონ ავანტიურიზმისა და აგრეთვე ლეგალური და არალეგალური მუშაობის წინააღმდეგ.

ს. გუიმრაძე.

---

## ავჭალის წყალსადენი.

თოთხმეტ თებერვალს შესდგა კრება ავჭალის წყალსადენის უპარტიო მუშა-მოსამსახურეებისა. დღის წესრიგში იყო დასმული მოხსენება ამხ. ნ. ერგემლიძისა უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის შესახებ და ინფორმაცია თბილისის მუშებისა მუშათა კომისიის მიერ

შემუშავებულ ინსტრუქციის შესახებ. კრებას თავჯდომარეობდა ნ. ერგემლიძე, მდივნობდა შ. ერაძე.

კრებაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია: ჩვენ როგორც მუშები არ უნდა ჩამოვშორდეთ თბილისელ ამხანაგებს და შეერთებული ძალებით განვამტკიცოთ საბჭოთა ხელისუფლება. კრებას დაესწრო 43 კაცი და რეზოლიუციაც ერთხმად იქნა მიღებული.

---

## დ. საჩხერე.

შორაპნის მაზრის რწმუნებულის მიერ 3 თებერვალს იქნა მოწვეული საჩხერის რაიონის ყოფილ მენშევიკების ყრილობა დ. საჩხერის ადგილობრივ თეატრის დარბაზში. კრებაზე გამოცხადდენ ყველა თემებიდან.

კრება გახსნა შორაპნის მაზრის ყოფილ მენშევიკების სახელით ამხ. შალ. გოდაბრელიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ მათი მიზანი იყო ყველა თემებში მოეწვიათ კრებები და იქ გაეკეთებინათ მოხსენებები, რის შემდეგ მათ მოიწვევდენ დ. საჩხერში, მაგრამ ეს არ მოხდა. კრებამ აირჩია პრეზიდიუმი, თავმჯდომარეთ ამხ. ანტონ აბაშიძე (ყოფილი მენშევიკი და მდივნათ ნატ. პაპიძე (მასწავლებელი).

კრების წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება და საინიციატივო ბიუროს არჩევნები და მიმდინარე კითხვები.

მოხსენებას აკეთებს ჭიათურის რწმუნებული ამხ. კოსტა ბრეგვაძე, რომელიც აღნიშნავს კომუნისტების და მენშევიკების ცარიზმის წინაალმდეგ ერთად ბრძოლას (აღნიშნავს რუსეთის რევოლიუციის მსვლელობას, რამაც გამოიწვია საამრთველოს დამოუკიდებლობა, მენშევიკების არა ლეგალურ ცეკას მოქმედებას, რომელმაც გამაუბედურებელ გზაზე დააყენა საქართველო, მან მოუწოდა ყოფილ მენშევიკებს, თავი დაანებონ დასავლეთ ევროპისკენ ცქერას, რომელიც ცრუ იმედებით ასაზდოებს ხალხს და უნდა შევუკავშირდეთ რუსეთის მშრომელ ხალხს, ამოუდგეთ გვერდში კომუნისტებს და ხელი-ხელ ჩაკიდებული ვაწარმოვოთ მათთან მუშაობაო.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ვრცლათ არის აღნიშნული, რომ ჩვენ ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიმუშავებთ საბჭოთა ხელისუფლებასთან. შემდეგ ამისა მოხდა არჩევნები რწმუნებულებისა, არჩეული არიან: შალიკო გედაბრელიძე, ნატაშა პაპიძე და გიორგი გაფრინდაშვილი. კრებას ვრცელი სიტყვით მიმართა ამხ. იაშა კოტრიძემ, რომელმაც უსურვა ენერგიული მუშაობა.

თემებში არჩეულია შემდეგი რწმუნებულები: ქორეთში—დომენტი ზარვაძე, არგვეთში—გიორგი შეყლაშვილი, ჰალაში—ანტ. აბაშიძე და კორბოულში—მოსე ტაბატაძე. ამნაირათ მიმდინარეობს მუშაობა საჩხერის რაიონში. ხალხი დიდად დაინტერესებულია მით, რომ ასეთი შეთანხმება მოხდა და ამის შემდეგ მაინც არ განმეორდება ის საშინელი ამბები, რაც მოხდა აგვისტოში.

**შალიკო ხვადაბუნელი.**

---

## ლიხაურის თემი (გურია).

ა. წ. 15 თებერვალს შესდგა ლიხაურის თემის უპარტიოთა, ყოფილ მენშევიკების და ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტების გაერთიანებული კრება ს. ურუშაძის თავმჯდომარეობით და აპ. კონტრიძის მდივნობით. ადგილობრივი შვიდწლედის დარბაზი ძლივძლივობით იტევდა ზღვა ხალხს.

პირველად მოხსენებას აკეთებს გურიის ყოფილ მენ. შევიკთა ქვეკომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. ლომთათიძე.

ლომთათიძე თავის ვრცელ და პოპულიარულ მოხსენებაში ასურათებს მენშევიკური პარტიის პოლიტ. გაკოტრებას, რომელიც ასცდა ჭეშმარიტ მარქსისტულ გზას და თავისი არა სოციალისტური მოქმედებით სრულიად ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს.

დასასრულ კი მოუწოდებს კრებას ერთად ერთ მუშურ-გლეხური მთავრობის გარშემო შემოკრებასაკენ, ყოველ გვარ კულტურულ-ეკონომიურ საქმეების მშენებლობის მიზნით.

პირველი მოხსენების დასასრულს კრების წევრები ერთმანეთს ეცილებოდენ თავიანთ გულის ნადების გამოთქმაში და ბოლოს ყველა ერთ და იმავეს იმეორებდა: „მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასთან მისვლა, ეგ ჩვენივე ძლიერებააო“ და გულნატკენობდენ ამ მისვლის და თანამშრომლობის დაგვიანებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრებაზე მყოფ ყოფ. მენშევიკის, 60 წლის გლეხის ი. სურგულაძის გულწრფელი განცხადება, რომელიც ამბობს: „ლოიალური პოლიტიკა, რასაც მმართველი პარტია ამ ჟამად აწარმოებს, მისაღებია და ამის შემდეგ მომაკვდინებელ ცოდვად მიმაჩნია საბჭოთა ხელისუფლებიდან განდგომა-ბუტიაობას“. როგორც ზევით აღვნიშნე, ყველა ორატორები საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აუცილებლობას გამოსთქვამდენ, მაგრამ შიგა და შიგ ირკვეოდა მიზეზები ხელისუფლებიდან დღემდე განზე მდგომის: მაგ. ერთი კრების წევრი ს. ურუშაძე ამბობს:

„ცენტრის მიერ გამოშვებული დადგენილებები სასწორით არ სრულდებოდა ჩვენში“-ო. ამის მიზეზად ასახელებს თემის კომიაჩეიკებში შეპარულ ულირს ელემენტების არსებობას; დასასრულ კი იმედს გამოსთქვამს, რომ კომუნისტური ხელისუფლების მიუდგომელი მართლმსაჯულება გულგრილად გვერდს არ ჩაუვლის დასახელებულ ანომალიას და მოურიდებლად გაცხრილავს თავის რიგებიდან მზგავს ელემენტებს, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, დათვურ სამსახურს უწევდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

ადგილი ჰქონდა აგრეთვე ერთი სახალხო მასწავლებლის გ. უ—ძის გამოსვლას, რომელიც ამჟღავნებს მიზეზს თავის წინანდელ უკმაყოფილებისას ხელისუფლებისადმი; ის ამბობს: „თემში მყოფი ზოგიერთი „მაუზერისტების“ მეოხებით მოკლებული ვიყავით მოქალაქის სრულუფლებებსო, რომელთაც ჩვენი ნათქვამი და ნამუშევარი უკუღმა ეჩვენებოდათ“-ო.

დასასრულ დასძენს ორატორი: ის პოლიტიკა, რომელსაც ეხლა აწარმოებს კომპარტია, გვაშორებს შიშს და რისხვას თავგასულ „მაუზერისტებისას“, რისთვისაც მზად ვარ ვიბრძოლო კომპარტიასთან ერთად, ყოველგვარ სოციალგამყიდველების წინააღმდეგო.

მრავალი მოხსენებებისა, სიტყვების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ,—ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: ლიხაურის თემის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრებამ, მოისმინა რა გურიის ყოფილ მენშევიკთა ქვეკომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ლომთათიძის მოხსენება მენშევიკების უკანასკნელი საქმიანობის გამო, ადგენს:

მენშევიკური პარტია, როგორც მუშათა პარტია, სრულიად გაკოტრდა თავისი არა სოციალისტური მოქმედებით;—ასცდა მარქსისტულ გზას და მისი მოქმედება სრულიად ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს და ჩვენ ვგრძნობთ რა ამას,—სავსებით ვშორდებით მის რიგებს და ვირაზმებით ერთად ერთ მუშურ-გლეხური კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

მიეცეს წინადადება არალეგალურად მომუშავეებს, რათა შესწყვიტონ მუშაობა, რადგან მათი მუშაობა სავსებით ეწინააღმდეგება საქართველოს სინამდვილეს.

ჩვენ ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ არსებულ ხელისუფლების გარდა, არც ერთი მთავრობა არ არის ჩვენი ინტერესების დამცველი და ამაზე მეტის მოცემა მშრომელი ხალხისთვის არც ერთ მთავრობას არ შეუძლია. უერთდებით 7—8 ოქტომბრის რეზოლიუციას.

დასასრულ ყოფილ მენშევიკთა რწმუნებულებათ (თემის მასშტაბით) არჩეულ იქნენ:

1. სიმონ ურუშაძე, 2. ვარლამ ვასაძე, 3. გრ. ქამჯარაძე (ახალგაზ. მარქსისტებიდან).

ლიხაურელი.

## სურების თემი.

1925 წელს 5 თებერვალს შესდგა შუა სურებას თემის ყოფილ მენშევიკთა, მარქსისტთა და უპარტიო გლეხობის კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ანთიმოს გიორგის ძე ტრაპაიძე, მდივნად აკაკი ტრაპაიძე. მოხსენება გააკეთა ოზურგეთის სამაზრო საინიციატივო ბიუროს რწმუნებულმა ამხ. დათიკო ქლენტმა.

მოხსენების დამთავრების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელსაც მომხსენებელმა გასცა შესაფერი პასუხი.

კრებამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

1) ერთხელ და სამუდამოდ უარს ვყოფთ შეიარაღებულ აჯანყების იდეას.

2) აქტიურად უნდა ჩავებათ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მუშაობაში.

3) გაუგზავნოთ დელეგაცია გადასახლებულთ, რათა დაუბრუნდენ თავიანთ კერას.

4) მიეცეს წინადადება არალეგალურად მყოფთ, რათა მოახდინონ თავიანთი პიროვნების ლეგალიზაცია.

5) აგრეთვე მიეცეს წინადადება არალეგარულად მომუშავეთ, რათა შესწყვიტონ თავიანთი მუშაობა.

6) ჩვენ მოვალე ვართ, რომ ხელი შეუწყოთ არსებულ ხელისუფლებას. კრებას დაესწრო 60 კაცზე მეტი.

სათემო რწმუნებულად არჩეულ იქმნა ანთიმოს გიორგის ძე ტრაპაიძე.

## ზემო თავ-სურების თემი.

1925 წლის თებერვლის 7-სა რიცხვს ზემო თავ-სურების 7 წლედის დარბაზში შესდგა ზემო თავ-სურების თემში მცხოვრებ ყოფილ მენშევიკთა და უპარტოთა კრება. კრებას დაესწრო 50 კაცზე მეტი. თავმჯდომარედ არჩეული იქნა ვლადიმერ სანიკიძე, მდივნად კი გრიგოლ სანიკიძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გურიის ყოფილ-მენშევიკთა წარმომადგენელის ამხ. დ. ქლენტისა და 2) სათემო რწმუნებულის არჩევა.

მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ქლენტმა, რომელიც შეეხო სხვადასხვა პრინციპიალურ განსხვავებებს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, შეეხო პრაქტიკულ საქმიანობას და ტაქტიკურ კითხვებს. აგრეთვე ფართოდ გააცნო კრებას თბ. მუშათა კომისიის მუშაობა, მის მიერ გამოშვებული ინსტრუქცია და 7—8 ოქტომბრის რეზოლიუცია, რის შემდეგ კრებამ მრავალ შეკითხვების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიიღო რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა გურიის სამაზრო რწმუნებულის ამხ. დ. ქლენტის მოხსენება, ჩვენ—ყოფილი მენშევიკები, ვგმობთ შეიარაღებულ აჯანყებას და არა ლეგალურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ვდგებით საბჭოთა პლატფორმაზედ და ყოველივე კულტურულ, სააღმშენებლო და პოლიტიკურ სარბიელზე დამხმარე და თანამგრძნობი დავშთებით არსებულ საბჭოთა ხელისუფლებასთან. სათემო რწმუნებულათ არჩეული იქმნა ამხ. ეფ ჭაფხოძე.

## დიდი ვანის თემი

1925 წელს 8 თებერვალს შესდგა დიდი ვანის თემის ყოფილ მენშევიკთა კრება, რომელსაც დაესწრო 200 კაცზე მეტი. კრებას თავმჯდომარეობდა გ. რამიშვილი, მდივნობდა ან. რამიშვილი.

დღის წესრიგში იდგა მოხსენება ყოფილ მენშევიკთა რწმუნებულისა; მოხსენებამდე მოკლე წინასიტყვაობით მიმართა კრებას სურების რაიონის პ/მ. მდივანმა, რის შემდეგ მოხსენება გააკეთა მუშათა კომისიის რწმუნებულმა ამხ. დავით ქლენტმა. თავის მოხსენებაში ის შეეხო სოც.-დემ. პარ. ისტორიას და მენშევიკ-ბოლშევიკ პარტიათა მოღვაწეობას და დაახასიათა თანამედროვე მდგომარეობა. შეეხო აგრეთვე არალეგალურ მენშევიკურ მუშაობას, და კრებას გააცნო თავისი აზრი და შეხედულება მომავალი მოქმედების შესახებ, გააცნო აგრეთვე თბილისის მუშათა კომისიის შეხედულება, ინსტრუქცია.

ამის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: დიდი ვანის თემის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ყოფილ მენშევიკის ამხ. ქლენტისა მენშევიკების საქმიანობის შესახებ, ლეგარულ და არა ლეგალურ პირობებში, კრება ყველას გასაგონათ აცხადებს, რომ მენშევიკების გზაზე სიარული არის ფიზიკურად გამანადგურებელი. ამიტომ აქტიურად უნდა შევებრძოლოთ ინტერვენციას და შეიარაღებულ აჯანყების იდეიას. ერთად ერთ მარქსისტულ პარტიას საქართველოში წარმოადგენს კომუნისტური პარტია და ჩვენს მოვალეობას შეადგენს, რათა განვამტკიცოთ არსებული ხელისუფლება.

აქტიურად უნდა ჩავებათ კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ მუშაობაში.

გაიგზავნოს დელეგაცია გადასახლებულებთან, რათა დაუბრუნდნენ თავიანთ კერას.

აგრეთვე მიეცეს წინადადება არა ლეგარულად მომუშავეებს, რომ შესწყვიტონ თავიანთი მუშაობა.

მიეცეს წინადადება საზღვარგარეთ მყოფ მენშევიკებს, რომ იქ დაშალონ თავიანთი ბიურო, ვინაიდან მათი მუშაობა ეწინააღმდეგება საქართველოს მუშებს და გლეხებს. ამის შემდეგ სამაზრო სათემო რწმუნებულად არჩეულ იქმნა ამხ. ისაკი რამიშვილი.

# მუშათა წერილები.

## ცოტა რამ მუშათა კომისიის და მისი ამოცანების შესახებ.

მუშათა კომისიის წარმოშობა არ არის შემთხვევითი მოვლენა. ის ნაკარნახევია თვით ცხოვრების სინამდვილით.

აუარებელმა მოწინავე მუშებმა იწყეს მენშევიკური იდეოლოგიის მიტოვება, ბევრმა თავი მიანება ყოველგვარ მუშაობას და გადგნენ განზე. ამ მოვლენამ საკმაო დალი დაასვა მენშევიკურ პარტიულ არალეგალურ მუშაობას. მენშევიკურმა იდეოლოგიამ, ოდესღაც სოციალისტურმა და რევოლიუციონურმა, სავსებით დაჰკარგა თავისი პროლეტარული, კლასობრივი სახე. 28 აგვისტოს აჯანყება საქართველოში იდეიური გაკოტრება იყო საერთაშორისო მენშევიზმის, ის აქ აჯანყების დასტურით აშკარა ხელს უწყობდა ევროპის ბურჟუაზიის თამასუქების განაღდებას.

ვისთვის იყო საჭირო ქართველი მუშის სისხლის დაღვრა? უეჭველია ევროპის ბურჟუაზიისათვის, რომელიც ლამობდა და ლამობს დღესაც, რაც შეიძლება მეტ დათმობაზე წაიყვანოს საბჭოთა ხელისუფლება თავის ჯიბის გასასქელებლად. რა შედეგი მოგვცა აჯანყებამ? მშვიდობიან ცხოვრებიდან სამხედრო მდგომარეობაზე გადასვლა, რამდენიმე საუკეთესო ძველი მუშების დაკარგვა და უამრავი მსხვერპლის გაღება. პროლეტარიატის დიქტატურა ულმობელია მოწინააღმდეგის მიმართ. ამას ნათლად გველაპარაკება ჩვენ საფრანგეთის კომუნარების მოკლე არსებობის ისტორია. ასეთ დროს უეჭველია შეცდომები იქნება, მაგრამ ამის გამო მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაკარგვა ეს უაზრობა და უტვინობა იქნებოდა. ამას ვერ მოვთხოვთ ჩვენ ვერავის.

როგორ შეხვდნენ მოწინავე მუშები ამ აჯანყებას? დიდი უმრავლესობა აღშფოთებას გამოსთქვამდა ამ ავანტიურის შესახებ—მას ყოველმხრივ დამღუპველად სთვლიდა ქართველი ერის ინტერესებისათვის. ეს ნათლად გამოსჭვიოდა მუშათა მასების ყველა იმ კრებებზე, სადაც ხდებოდა ამ მდგომარეობის შეფასება.

მახსოვს, 7 ოქტომბერს მეტეხის საპატიმროში მუშების ერთმა ნაწილმა, რიცხვით ორმოცამდე კაცმა, საკანში მოვახდინეთ კრება. მსჯელობის საგნად იყო დასმული 28 აგვისტოს აჯანყება, რომელიც ერთხმად იქნა დაგმობილი როგორც ავანტიურა და ქართველი ხალხის ინტერესების გამანადგურებელი. არჩეულ იქნა კომისია დეკლარაციის შესადგენათ. 40 მუშამ რკინის გზელებმა მოაწერა ხელი ამ დეკლარაციას. ამავე კრებამ დაავალა ამხანაგებს განთავისუფლებისთანავე შესდგომოდნენ დეკლარაციის ნიადაგზე მუშაობას. ქართველი არა კომუნისტი მუშების საგრძნობი ნაწილი ციხეში ყოფნის დროსაც კი იმის ცდაში იყო, რომ შექმნილიყო ორგანო, რომელიც საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ მუშებს შეაკავშირებდა და დანარჩენ მუშათა მასებსაც აქეთ გადახრიდა.

7 ოქტომბერს არჩეული მუშათა კომისია არის დიდი ხნის სურვილების განხორციელება. მუშათა კომისია უეჭველია უნდა ეყრდნობოდეს მუშათა მასებზე, რომელნიც შეგნებულათ უნდა მიემართებოდენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. კავშირი მათ შორის უნდა ხდებოდეს რწმუნებულთა საშვალებით. უნდა ხდებოდეს რწმუნებულთა ხშირი თათბირები. ეს ძალა უნდა იქნეს გამოყენებული მუშათა კომისიის მიერ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ებრძვის დღეს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ყველაზე უსაშინელეს საფრთხეს, საბჭოთა ხელისუფლებისათვის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობისათვის დღეს წარმოადგენს საერთაშორისო მენშევიზმი, რომელიც აშკარად უარყოფს კლასთა ბრძოლას. საქართველოს მენშევიზმი კი განსახიერებაა მენშევიკური იდეოლოგიის, რომლის გავლენის ქვეშაც ვიყავით ჩვენ—მუშები ამოდენი წლების განმავლობაში. მუშათა კომისიას ფრიად სერიოზული მოვალეობა აწევს კისერზე—მენშევიკური იდეოლოგიის გავლენის მოსპობა მუშათა მასებზე. აგიტაცია-პროპაგანდით არ ამოიწურება, მის წინააღმდეგ ხანგრძლივი, სერიოზული იდეიური ბრძოლაა საჭირო. ამისათვის მუშათა კომისიამ ყველა ბრძოლის საშვალებები უნდა გამოიყენოს: პრესა, („ახალი გზა“ უეჭველია ამ მხრივ თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგება) სერიოზული მოხსენებები პრინციპიალურ საკითხებზე, დისკუსიები, არჩევნების კამპანიები როგორც საბჭოებში ისე პროფ. კავშირებში, მუშათა კლუბები, კულტურული განმანათლებელი წრეები და სხვა. მუშათა კომისიამ ყველგან უნდა თავისი წვლილი შეიტანოს. როგორც კომისიის წევრები და რწმუნებულები, აგრეთვე აქტიური მუშაკები უნდა ერიდონ თავიანთ პირადი მდგომარეობის ინდივიდუალურ გაუმჯობესებას. მუშათა კომისიამ აგრეთვე სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოოს ყოველგვარ შოვინიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ,—მან ამავე დროს მთელი თავისი ენერგიის მაქსიმუმი უნდა შესწიროს იმ საქიანობას, რომელიც მოსპობს ყოველგვარ უნდობლობას ყოფილ მენშევიკ მუშებსა და ბოლშევიკ მუშებ-შორის. ასეთ საქმიანობაში კი, ეჭვი არ არის, მუშათა კომისია მიიღებს თანაგრძნობას ხელისუფლებისაგანაც.

**მ. ი მარიამიძე.**

---

## წინეთ და ეხლა.

მეორე პარტიულ ყრილობის გათავების შემდეგ როცა დელეგატები დაბრუნდენ და მოხსენებები გააკეთეს პარტიის ორ ფრაქციათ, ე. ი. ბოლშევიკ-მენშევიკათ გაყოფის შესახებ, ჩვენ—მოწინავე მუშებს მაშინვე დიდი თავზარი დაგვეცა; თვალწინ წარმოგვიდგა მუშათა კლასის ძალთა დამქსაქსველი კაპიტალისტთა ლოზუნგი „разделяй и властвуй“. ვგრძნობდით კარგათ, რომ ძალთა სიმძლავრე სუსტდებოდა და ეს გარემოება მტრის გასახარელი იყო. იმას კი ვინ წარმოიდგენდა, რომ ორთა ძმის შუა სისხლი დაიღვრებოდა. მუშებში განუწყვეტლივ ღვიოდა მისწრაფება ორთა ფრაქციის შეერთებისაკენ კომპრომისების საშუალებით.

რეაქციონურმა აღვირწახსნილობამ კავკასიაში ძალაუნებურათ შეგვაერთა ორივე ფრაქცია ტეხნიკურად და საკითხიც იდგა იდეურადაც და ტაქტიკურადაც შეერთებისა, ამ მიზნით იყო მოწვეული ყრილობაც, ხოლო შემდეგში ეს უთანხმოება უფრო გაღრმავდა და გამწვავდა.

1917 წელს, გაზიუხულში, ნაძალადევის ძველ თეატრის შენობაში, ერთერთ შეერთებულ კრებაზე, რომელსაც დაესწრენ ორთავ ფრაქციის მოწინავე მუშები. აღიძრა კიდევ შეერთების საკითხი და ერთხმათ იყო გამოტანილი დადგენილება, რომ გეგმა შეერთებისა გამომუშავებულიყო ინტელიგენციის დაუსწრებლად. მუშაობა ამ ნიადაგზე კარგახანი წარმოებდა, მაგრამ ხელი შეუშალა ამ მუშაობას რაღაც ახალმა მოვლენამ და დაიშალა ამ საინიციატივო კომისიის მუშაობა.

ახლაც მუშებში გაერთიანებისა დიდი სურვილია, რათა მუშებმა და გლეხებმა შეერთებულის ძალით შეინარჩუნონ უხვათ დაღვრილი სისხლით მოპოებული თავისუფლება და მონაწილე გახდენ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. მუშას და გლეხს სჭირდება ამ სურვილის გამტკიცებისათვის დახმარება—ხელის შეწყობა ინტელიგენტურ იდეოლოგთა მხრიდან, რომლებიც მოვალენი არიან ანგარიში გაუწიონ იმათ, ვინც ქვეყანაზე ქმნის ყველაფერს სხვისთვის და თვით კი გაყვლეფილია.

რას ფიქრობს ჩვენი ყოფილი მენშევიკი ინტელიგენცია? ნუ თუ ის არ უკვირდება იმას, რომ რამდენიც დიდხანს იდგება განზე მუშებისგან იმდენი მეტათ იზრდება ჩუჩუნი შავრაზმელთ, პრავაკატორთა და მუშათა და გლეხთა სისხლის მწოველების? ჩემის აზრით, ეს არის მოღალატეობა მშრომელთა საქმის, რომლის გულისათვისაც მთელი 25 წლის განმავლობაში მსხვერპლათ ეწირებოდენ მრავალი მებრძოლი. და თუ „ახალი გზის“ მუშათა კომისია შესდგება მხოლოდ მუშებისაგან და მათთან თანამშრომლობა საჭიროთ მიაჩნია ჩვენს ინტელიგენციას, მაშინ შეიტანოს მან თავის შესწორებები იმ გამომუშავებულ პლატფორმაში, რომელიც არის უკვე გამოქვეყნებული, ან და უკეთესი გამოაქვეყნონ, რომლითაც შესაძლო იყოს ორთა ბანაკის მუშების და გლეხების შეერთება. იმედია ინტელიგენტური ძალები გაიზიარებენ ზეწოთ ჩამოთვლილ გარემოებას და მეტყვიან: „სტყუი! ვიყავით მუშათა კლასის ერთგულნი, ვიბრძოდით ერთად და დღესაც მოვდივართ თქვენთან, ე. ი. მუშასთან და გლეხთან ბრძოლის უღელის გასაწევათ“...

გაუმარჯოს იმ ინტელიგენტს, რომელიც გადმოსდგამს ნაბიჯს ახალი გზისკენ, ორთა ბანაკის მუშათა და გლეხთა დაახლოვების მიზნით.

ძველი მუშა გ. სადალაშვილი.

---

## ქართული ენის დაცვის გარშემო

**(ტფილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივი)**

გას: წლის დეკემბერში ტფ. მთლიანი მუშათა კოოპერატივების გამგეობამ დაადგინა აპრილამდე შეასწავლოს ქართული ენა არა მცოდნე თანამშრომელთ და პირველ მაისიდან გაატაროს საქმის წარმოება ქართულ ენაზე. ეს, რასაკვირველია, ფრიად სასურველი მოვლენაა. მაგრამ თუ გაითვალისწინებთ თანამშრომელთა შემადგენლობას, რომელიც ახლა არის, არ შეიძლება არ დაგებადოთ შიში, რომ ეს დადგენილება დადგენილებათვე დარჩება. ცენტრში და პერიფერიებში მოსამსახურეთა შემადგენლობა ძალზე ჭრელია. ავიღოთ მაგალითისთვის ცენტრალური დაწესებულების სავაჭრო ნაწილი. ბუხჰალტერიაში: 2 გამგე ქართული ენის არა-მცოდნე, 1 ბუხჰალტერი—არა-მცოდნე, 1 ბუხჰალტ.—მცოდნე, 16 მოანგარიშე—არა-მცოდნე, ლაპარაკობს, მაგრამ ვერ სწერს. 6 მოანგარიშემ იცის ქართული ენა. სასოფლო განყოფილებაში: 1 ბუხჰალტ. და 3 მოანგარიშე, რომელთაც სულ არ იციან ქართული ენა. საერთო კვების განყოფილებაში: 1 ბუხჰალტ. გამგე—არა მცოდნე, მისი თანაშემწე ბუჰხ.—მცოდნე, 1 მოანგ.—არა-მცოდნე, 1 მცოდნე. ასეთივე სურათია საფ. განყოფ., საწარმ. განყოფ. და პერიფერიებში: 27 ბუჰხალტერ-მოანგარიშეს შორის ქართული ენის არამცოდნეა 20 კაცი. ასეთ პირობებში ძნელია იმის თქმა, რომ აპრილში ენის საკსებით არა მცოდნენი სათანადოთ ჩააბარებენ გამოცდებსა და პირველ მაისიდან დაიწყებენ ქართულად საქმის წარმოებას. ეს, ჩვენის აზრით, გადაჭარბებული იმედებია. ის პირი, რომელსაც დღეს ქართულის არაფერი ესმის, ვერ შესძლებს ქართულ ენაზე ბუხჰალტერიის წარმოებას და საზოგადოთ საქმის წარმოებას. ამას გარდა, გამგეობის დადგენილებაში არ არის გათვალისწინებული ის შესაძლებლობა, რომ პირველ მაისამდე ქართულის არა მცოდნეების ალაგზე მიიღოს ენის მცოდნენი. დღეს ვინც მიდის ქართულის მცოდნე ალაგის სათხოვნელად—ეუბნებიან: ჯერ არ არის საჭირო, შემდეგ შეიძლება დაგვჭირდეს, ე. ი. მაისიდან.

ასეთი წესით არც ერთ საბჭოთა დაწესებულებაში არ მომხდარა გაეროვნება და მუშკოოპის გამგეობამაც, ჩვენის აზრით, უნდა სცნოს შესაძლებლად ამთავითვე მიიღოს სამსახურში საქმის შესაფერისი და სახელმწიფო ენის მცოდნე პირები, თუ ასეთები გამოჩნდებიან. რასაკვირველია, ზოგიერთი თანამშრომელი შესძლებს ენის შესწავლას იმდენად, რომ მოახერხოს საქმის წარმოება ქართულად; ასეთები იქნებიან ისინი, ვინც ენა უკვე იცის სანახევროდ. მაგრამ ვინც ენა სულ არ იცის, ისინის ამას ვერ შესძლებენ. და იმის იმედი, რომ მათ სათანადოდ შეასწავლიან ენას 3—4 თვის განმავლობაში, ამის იმედი თავის მოტყუილება და გაეროვნების საქმის შეფერხება იქნება.

---

**ნიგვზიანის თემი** (გურია). სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ნიგვზიანის თემი თითქმის ყველა მახლობელ თემებს ჩამორჩება აღმშენებლობითი საქმეში. დიდი ხანია აქ არსებობს 7 წლიანი შრომის სკოლა, მაგრამ სკოლის შენობა მოწაფეთა რაოდენობას ვერ იტევს, რის გამო მეცადინეობის საქმე ფერხდება. შენობა დაზიანებულია და საჭიროებს სერიოზულ შეკეთებას. სკოლას აქვს მოზრდილი ეზო, შემოღობვას კი ვერ ველირსეთ. დიდი

ხანია მას შემდეგ, რაც სახალხო სახლის აშენებისათვის არჩეულ იქნა საალმშენებლო კომისია, რაღაც თანხებიც კი იქნა შეგროვილი; აგრეთვე გაუქმებული ეკლესია დაშალეს იმ მიზნით, რომ შენობის აგების დროს მასალათ მოეხმარათ. მას შემდეგ თითქმის ერთი წელია ეს მასალა ყრია მინდვრად და წვიმასა და თოვლში ლპება.

სამკითხველოს აქვს საკუთარი შენობა, მაგრამში ვერ ნახავთ ვერც ერთ ლიტერატურულ ჟურნალს და ახალი გაზეთიც იშვიათია. საჭიროა ახალმა გამგეობამ მეტი სიფხიზლე გამოიჩინოს.

ჯერ კიდევ 1918 წლიდან გვქონდა საექიმო პუნქტი, გვყავდა ექიმი, რომელიც ნამდვილი ხალხის გულის მესაიდუმლე იყო, მაგრამ ზოგიერთ თემის „ხეპრე“ მოღვაწეების წყალობით განდევნილ იქნა. ნიგვზიანის ღარიბი მოსახლეობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა უექიმობით, ხოლო როგორც იქნა, ეხლა ვეღირსეთ ახალ ექიმს, რასაც ნიგვზიანის საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა.

ცოტა არ იყოს გლეხკომიც მოიკოჭლებს, განსაკუთრებით სასადილოს განყოფილება. აი მოკლედ ნიგვზიანის თემის ტკივილები.

აქვე უნდა აღვნიშნო შემდეგი: ნიგვზიანის თემის ჩრდილოეთ ნაწილს სჭრის რკინის გზის ლიანდაგი. აქვე არსებობს სადგური ჯუმათი, სადაც ყოველ ხუთშაბათობით იმართება ბაზრობა. ახლო-მახლო ადგილებიდან გლეხებს ჩამოაქვთ თავიანთი ნაწარმოებნი და აქ ასაღებენ. უკანასკნელ ხნიდან ბაზრობის შემოსავალი რჩება ადგილობრივად, თემის ხარჯების დასაფარავად.

სასურველია თემის უპარტიო მასამ პარტიულ ამხანაგებთან ერთად მხურვალე მონაწილეობა მიიღოს თემის აღმშენებლობითი საქმეში. აგრეთვე თვით პარტიულ ამხანაგებმაც ხელი შეუწყონ ხალხის დაახლოებას,—წინააღმდეგ შემთხვევაში განხეთქილებით არაფერი არ გაკეთდება. და ასე ხელი-ხელ ჩაკიდებულ მუშაობით შევძლებთ თემის აღორძინებას როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად.

**შორეთელი.**

# მუშათა კომისიის მოღვაწეობა

## (ოქტომბერი 1924 წელი—თებერვალი 1925 წელი).

კომისიის მუშაობა-დაიწყო ფრიად მძიმე პირობებში.

ჯერ კიდევ აგვისტოს გამოსვლამდე მუშების ერთ ნაწილში არსებობდა აზრი, რომ სოც.-დემოკრ. პარტიის არალეგალური მუშაობა უაზრობა და უნიადაგო იყო და ამიტომ ეს წრე განზე იდგა ამ მუშაობიდან და ამავე დროს ლამობდა და დარწმუნებულიც იყო, რომ ადრე თუ გვიან იგი, ე. ი. ც. კ. შეცვლიდა ასეთ მუშაობის ტაქტიკას და მთელი ცენტრ. კომიტეტი და მაშასადამე პარტია მონახავდა სხვა გამოსავალ გზას და დააგებოდა არსებულ ხელისუფლებასთან შეგუებულ კულტურულ და ეკონომიურ მუშაობას. ხოლო როცა ხსენებულ წრის ყურამდე მიაღწია იმ ხმებმა, რომ ც. კ-ს გადაუწყვეტია შეიარაღებული გამოსვლები,—ამ წრეში შეიქნა მითქმა-მოთქმა, თუ როგორ შეეშალათ ხელი ამ უაზრო გადაწყვეტილებისათვის. ამ აზრით ერთი ჯგუფი ამხანაგების მივიდა ც. კ. წარმომადგენელთან ამ საკითხის გამოსარკვევათ. ამ ჯგუფმა გადაჭრით განუცხადა მას, რომ ეს იქნებოდა დამღუპველი და ყოველი ასეთი ხმები თავიდანვე მოსპობილ იქნას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ხმები ტყუილია და ამ ხმებს თვით ბოლშევიკები ავრცელებენო.

ჩვენი ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ ის პარტია, რომელიც ამაყობდა საუკეთესო წარსულით, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სწორედ დაშნაკების ასეთ ტაქტიკას გააფთრებით ებრძოდა,—ახლა თვით არ ჩაიდენდა ასეთ მიუტევებელ შეცდომას.

უნდა აღვნიშნო, რომ 10 აპრილს მიღებული რეზოლიუციის ძალით ბევრი მუშა ამხანაგები, მიუხედავათ არალეგალური მუშაობის წარმოების, ამ მუშაობაში მონაწილეობას თავიდანვე არ იღებდა, არ იზიარებდა მათ ხაზს, მაგრამ ამავე დროს აქტიურათ მათ წინააღმდეგ არ გამოდიოდა და არც ხელისუფლებას უშლიდა მუშაობას.

უცაბედათ არაფერი იბადება, ყველა მოვლენას აქვს თავისი ღრმა მიზეზები. არც მუშათა კომისია და მისი ჟურნალი „ახალი გზა“ გამოცხვებოდა ვილაცას თონეში. ამ კომისიის შედგენას და ჩამოყალიბებას წინ უსწრობდა დიდი რყევა, დუღილი.

ბევრი ღამეები უძილოდ თავს დასთენებია თვითეულ წევრს საბედისწერო კითხვის გადაჭრაში: კვლავ ძველი გზით გაგვეგრძელებინა სიარული, თუ გვეცვალა... ბრძნული იყო ძველი ხაზი, თუ ბეცური.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ, ჩვენ იმ დაღუპულ კოშკთან ვიდექით, რომელსაც აწერია: შემოხვალ ინანებ, არ შემოხვალ მაინც ინანებ... ე. ი. გაგვეგრძო ძველი გზა, თუ ახალის ძიებას დავდგომოდით.

ძველი გზით სიარული იყო სავაგლახოც და საბედისწეროც. ან როგორ არ უნდა ყოფილიყო სავაგლახო, როცა რწმუნდები—ის შემცდარია, დამღუპველია, მაგრამ მაინც ჯიქურად მას მისდევ... იმიტომ, რომ ესაა გმირობად მიჩნეული, ესაა მენშევიზმის მარტვილობა...

მენშევიზმის ათ მცნებაშიაც ეწერა: „ეჭვი არ შეგეპაროს ძველს გზაში“... და ყველას განდევგილურად სწამს იგი... ყველა მოთილისმულია იმ რწმენით, რომ იგია უმოკლესი, იგია ერთად ერთი ჭეშმარიტი გზა ხსნისა და არა არის რა სხვა მის გარეშე...

თუ წინეთ ვერ ვერკვევოდით—თანდათან, რაც გახურებული შუბლი გვიგრილდებოდა, ვრწმუნდებოდით, რომ იმ გზით მიეილტვოდით, რაც არ ამართლებდა არავითარ საღ მოსაზრებას. ასეთივე გადატეხა ხდებოდა ფართო მასებშიაც.

ყველაფერი გვიკარნახებდა იმას, რომ აღარ შეიძლებოდა ძველით სიარული.. დავრწმუნდით, რომ ბრძოლის ძველი საშუალებანი ისევე უნდა უარგვეყო და გადაგვეყარა, როგორც ძველი დაბრანძული საცვლები. მაგრამ...

„არ შემოხვალ მაინც ინანებ“. ე. ი. აირჩევ ახალ გზას და შენ გამოგიცხადებენ ჯვაროსნულ ომს .. ყბად აგიღებენ, და ბოლოს მოღალატის დამღას დაგაჭდევენ შუბლზე..

მაგრამ ჩვენი აზრი უფრო მომწიფდა 1924 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში მომხდარ დემონსტრაციაზე. იქ უცაბედად შევხვდით ერთმანეთს ძველი ამხანაგი მუშები... გვქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჩვენს მდგომარეობაზე. თუ წინეთ განუსაზღვრელის ნდობით და თითქმის ფანატიკური მოწიწებით ვიხსენიებდით ხოლმე ჩვენი მენშევიკური პარტიის არალეგალურ ცეკას და მის მუშაობას, ახლა აღარა ყოფილა.. ჯერ ფრთხილად დავიწყეთ ცეკას ზოგიერთ მიზან-შეუწონელი ნაბიჯების განხილვა და თანდათან უფრო გაიზარდა უკმაყოფილება. ხანგრძლივი მუსაიფის შემდეგ გამოირკვა, რომ თვითოეულ ჩვენთაგანს კარგა ხანია დაეკარგვია რწმენა ძველი გზის. და ასეთ პირობებში წარმოიშვა მუშათა კომისია.

ვინც სისხლის ფურცლებს გვიწერს ისტორიაში, მას უნდა უბრუნოთ პირი, ის უნდა ამოვფხრათ გულის სიღრმიდან.

სხვათა შორის მინდა აქ გავიხსენო ეს ისტორიული ფაქტი, იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ, ერთი ჯგუფი მუშებისა, თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავით გამოვყოფოდით რუსეთის მუშებს ბრძოლაში და ცალკე გვეწარმოებინა ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ. ეს მაშინ იყო, როცა ცხოვრების ისტორიულმა პირობებმა დააყენა საქართველოს წინაშე გამოყოფის საკითხი. მაშინ ხსენებული ჯგუფი კაკი წერეთელთან ერთად წინააღმდეგი იყო გამოყოფის, ხოლო როცა კრებაზე ამის შესახებ ა. ზურაბოვი გამოვიდა და მის სიტყვებში დავინახეთ ჩვენდამი მტრული განწყობილება, ჩვენ იძულებული ვიყავით ხმა მიგვეცა გამოყოფის სასარგებლოდ და ჩვენ ჩვენს გზაზე დავდექით.

გადავდივარ მოხსენების არსებით მხარეზე.

უკვე პირველი გამოსვლის დროს ქიათურაში, როცა მთავარ სახელოსნოებში მოხდა მიტინგი, ჩვენ მოგვეცა საშუალება გამოგვეთქვა უკვე ხმამაღლა ჩვენი აზრი ამ გამოსვლების შესახებ და დაგვეგმო იგი; ამ კრებაზე ჩვენ აღვნიშნავდით გამოსვლების დამღუპველობას და მოუწოდებდით მუშებს არ მიეღოთ მონაწილეობა ამ გამოსვლებში, არამედ მხარი დაეჭირათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, დახმარებოდენ მას და გაემაგრებინათ იგი.

არალეგალურ წრეებიდან ამის გამო ჩვენ მოგვიეიდა მუქარა, სადაც ისინი ჩვენ გვტუქსავდნენ და აღნიშნავდნენ, რომ თუ არა ჩვენი გამოსვლა მათ წინააღმდეგ, დიდი ნაწილი მუშებისა მხარს დაუჭერდა მათ გამოსვლას.

გამოსვლების რამდენიმე კვირის შემდეგ, პლეხანოვის სახელობის კლუბში დანიშნული იყო ს. ორჯონიკიძის მოხსენება; ამ მოხსენებაზე ვიყავით ჩვენც და გვქონდა სჯა-ბაასი შექმნილ პირობების გარშემო. გამოვთქვამდით იმ აზრს, რომ ჩვენ უკვე თავი გვაქვს დანებებული მენშევიკურ ნიმართულებას და არც ბოლშევიკებთან ვმუშაობთ. მაშ რამე სხვა გზა უნდა გამოვნახოთ ნერვიული მდგომარეობა უმაღლეს წერტილამდე იყო ასული. დადიოდა მრავალნაირი ცრუ და პროვოკაციული ხმები. საჭირო იყო რაიმე გზის გამონახვა.

ჩვენი ბაასის დროს ჩვენს გვერდით გაიარა გოლდბაუმმა. ჩვენ მივმართეთ მას, რომ ენახვებია ჩვენთვის ს. ორჯონიკიძე. ამანაც გადასცა სერგოს ჩვენი სურვილი. პირველივე შეხვედრის დროს სერგომ ჩვენზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჩვენ ვიგრძენით შესაძლებლობა მასთან მუშაობისა. ის დაგვპირდა ჩვენ და გაგვიცხადა: თუ მუშებს სურთ გამოსთქვან თავიანთი აზრი, ჩვენ მაგის წინააღმდეგი არ ვიქნებითო და გადავწყვიტეთ მოგვეხდინა კრება მთავარ სახელოსნოში.

მეორე დღეს მთავარ სახელოსნოს მუშებმა ალანიას, პაპიძის, რაზმაძის, ჩემის და სხვების თანდასწრებით ვიქონიეთ თათბირი, თუ როგორ უნდა მოგვეწვია კრება.

ვინახულეთ სეით დევდარიანი. ვთხოვეთ მას გაეკეთებინა მოხსენება, რაზედაც შეგვპირდა.

კრება მოწვეულ იქნა 7 და 8 ოქტომბერს. კრებაზე იქნა არჩეული მუშათა კომისია, მივიღეთ რეზოლიუცია (იხ. „ახალი გზის“ № 2). ამ კრებას დაესწრო მთავარ სახელოსნოს ყველა მუშები და თბილისის მთელი კვანძი. კომისიას დაევალა ჩამოევლო რკინის გზის ხაზზე მუშათა უბნები.

ხოლო შემდეგში, როცა ჩვენ ამ საქმეს შევუდექით და მუშებში ბაასს ვმართავდით, ჩვენმა მუშაობამ მიიღო ფართე ხასიათი. მუშაობის მსვლელობამ დაგვანახვა, რომ საჭიროა აგრეთვე კრებების მოხდენა თბილისის მასშტაბით, ხოლო შემდეგში დავინახეთ, რომ იგივე მუშაობა უნდა გავრცელდეს პროვინციაში და ამნაირად მთელი საქართველოს მასშტაბით ჩვენც შევუდექით ამ მუშაობას.

იმავე ნაძალადევის კრებაზე გადასწყდა აგრეთვე რუსეთში გადასახლებულებთან მოსალაპარაკებლად გამგზავრება, აგრეთვე საზღვარგარეთ. ამ გადაწყვეტილებას თითქმის ყველა კრებაზე გვიდასტურებდენ მუშები, როგორც აქ თბილისში, ისე პროვინციაში და გვთხოვდნენ, მალე წავსულიყავით რუსეთში.

როცა ჩვენ რკინის გზის ხაზზე მუშათა უბნებში კრებებს ვახდენდით და ვეცნობოდით ადგილობრივ მდგომარეობას, ვამჩნევდით, რომ ხელისუფლების ადმინისტრაცია და მუშაკები არ იდგნენ თავის სათანადო სიმაღლეზე. ეჩვენოდა, რომ ისინი თავისი მოქმედებით კი არ იახლოვებდენ და უახლოვდებოდენ მშრომელ ხალხს, არამედ იშორებდენ და ხალხსა და მათ შორის მტრული განწყობილობა სუფევდა. მხოლოდ ხაშურში შევამჩნიეთ, რომ ყოფილა ცდა დაახლოვებისა ხელისუფლების წარმომადგენელთა ლმობიერი მოპყრობით.

ბევრ ალაგას ჩვენ გვისაყვედურებდენ, რატომ უფრო ადრე არ მივედით მათთან ჩვენი განზრახვებით და რათ დავიგვიანეთ.

როცა ჩვენ პირველ რაიონში მოქმედება დავიწყეთ, შევამჩნიეთ შემდეგი გარემოება: ის პირნი, რომელნიც ჩვენ პირადათ გვიცნობდენ და ნდობითაც გვეპყრობოდენ,—მუშაობაშიც ხელს გვიწყობდენ.

გურიაში ჩვენმა მუშაობამ დაგვანახვა შემდეგი: აქ მშრომელი ხალხი გაკილებით და მეტად შეგნებულია, პოლიტიკურათ მომზადებულია, ვიდრე სხვა საქართველოს ადგილებში. გურულმა გლეხმა ძალიან კარგათ იცის, რომ გადასახადი უნდა არსებობდეს, რომ ეს საჭიროა სახელმწიფოსთვის, ხოლო ისიც იცის, რომ გადასახადის განაწილებაში თვითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ქართველ გლეხს კი რომ ეტყვი გადასახადის შესახებ, ის გეტყვის—გადასახადი სულ არაა საჭირო. ამიტომ საჭი-

როა გურიაში ხელისუფლების წარმომადგენლები სათანადოდ მომზადებული და თავის სიმაღლეზე იდგეს. გურულ გლეხს უნდა გამოსთქვას თავის აზრი და შეხედულება გზის გაყვანის შესახებ, სკოლის და ხიდების აშენების შესახებ. ამი ჩომ მათ უნდათ საქმე იქონიონ უფრო დარბაისელ პიროვნებასთან, როგორც ისინი ამბობენ: „წვერულვაშებიანებთან“. როცა კრებაზე გამოდის გლეხი თავის მოსაზრებებით და მის წინაალმდეგ სდგას ახალგაზრდა მუშაკი, რომელიც ვერ უძლებს გლეხის მიერ წამოყენებულ დებულებებს, მაშინ უკანასკნელი თავის წინადადების გასაყვანად მიმართავს არა დაწესებითი მეთოდს, არამედ მუქარით და დაშინებით გაყავს თავისი, ამიტომ გლეხი თავის აზრს არ ამბობს, სდუმს, გაჩუმებულია და გულში ბოღმით სავსე ბრუნდება სახლში.

გურიაში გლეხები ყველგან კარგათ შემხვდენ. მათთან კრების გარდა სჯა-ბაასს ვმართავდით ცალკე პატარა ჯგუფებადაც, გვინდოდა გაგვეგო ნამდვილი მათი სულისკვეთება და ვამჩნევდით, რომ მათში მომხდარია სულიერი გადატეხა; ისინი მზათ არიან ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლებას მუშაობაში.

მხოლოთ ლანჩხუთში მოგვიხდა შემდეგი ამბავი. კრებაზე განაცხადეს, რომ ისინი ვერაფერ რეზოლიუციას ვერ მიიღებენ, რადგან ლანჩხუთში ითვლებოდა 400 პარტიის წევრი და ახლა კი აქ მხოლოთ 150 კაციაო.

მასწავლებელმა, რომელიც ამ კრებას თავმჯდომარეობდა, განაცხადა: საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე ვდგევართ და სხვა რა გინდათო, სხვა კითხვებს ჩვენ არ შევეხებითო და სხვა.

ჩვენ დავტოვეთ კრება, ხოლო გლეხები მაინც არ დაიშალენ. თვით გამოიტანეს რეზოლიუცია და ჩვენც მიგვიწვიეს კრებაზე, სადაც ეს რეზოლიუცია გადმოგვცეს.

კრებაზე გლეხებს ეძლეოდათ საშუალება ხმა მაღლა გამოეთქვათ თავიანთი აზრი და კრების დაშლისას იცხადებდენ: ოთხი წელია არ მილაპარაკნია, უჰ! ეხლა კი გულმა მოისვენაო და ამაღამ კიდეც დავიძინებთ დამშვიდებულიო.

დამშვიდებული გლეხკაცობა, როცა მას უნდას თქვას რაიმე—ვერ ბედავს, მით უმეტეს, რომ პოლიტიკურად მოუმზადებელ ახალგაზრდობას მუდამ თან დააქვს რევოლვერები და ეს კიდევ იმ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ როცა გლეხს ჩივილი უნდა, საჩივარს ვერ ბედავს. სამაგიეროთ მოსწონთ ისეთი პიროვნება, როგორც გიორგი რამიშვილია და უჯმაჯურიძე, რომელთაც არ დააქვთ თან რევოლვერები და როცა მოსალაპარაკებლათ მიხვალ,—მოგისმენენ და შესაფერ პასუხს მოგცემენ. ასეთი პირები რასაკვირველია ბევრ რამეს გააკეთებენ და გასდებენ კიდეც ხიდს ხალხსა და მმართველი წრის შუა.

ნაგომარში მოვიდენ გლეხები საჩივრით. სხვათა შორის ასეთ შემთხვევას ჰქონია ალაგი: ვინმე ლესნიჩს ორი წიგნაკი ჰქონია ტყის ნებართვის გასაცემად. ერთი რომელიც ოფიციალური მთავრობისაგან იყო მოცემული და მეორე კიდევ თავისი საკუთარი. პირველ წიგნაკით მას მიუცია ოთხი ნომერი, ხოლო მეორეთი 104 ნომერი. გლეხმა, რომელმაც გამოამჟღავნა ეს ამბავი და მერე შეიტყო, რომ კრებაზე მისი სახელი ახსენეს,—ჩამოგვისწრო ჩოხატაურში და გაგვიცხადა: ნუ დამღუპავთ, ნუ გამომაცხადებთ, თორემ იმ ლესნიჩმა, რომელიც დაჭერის შემდეგ ისევ დაუბრუნდა თავის ალაგს, მომდგა და საშველს აღარ მაძლევსო.

ბათომში ჩვენი პირველი მუშაობა სწარმოებდა მხოლოდ რკინის გზის მუშებში, სადაც გვყავდა რწმუნებულები, ხოლო შემდეგ მუშაობის გაგრძელებამ დაგვიმტკიცა, რომ საჭირო იყო აგრეთვე, რათა ეს მუშაობა გავრცელებულიყო ქალაქშიც და ამნაირათ შევაერთეთ რკინის გზელები ქალაქთან, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო.

მათ შორის რწმუნებულები არიან ძველი პარტიული მუშები—გოგოლაძე და კოპლატაძე.

გოგოლაძემ ჯერ კიდევ 1923 წელს გაზაფხულზე მოათავსა წერილი გაზ. „კომუნისტში“ და აგრეთვე გაუგზავნა წერილი არალეგალურ ცეკას, სადაც ის აღნიშნავდა წარმოებულ გზის დამღუპველობას და ეუბნებოდა, რომ საჭიროა საერთო ენის გამონახვა. ხოლო ეს წერილი ჩეკას ჩაუვარდა. ამის შემდეგ, რადგან მას მაშინ არ ეყო გაბედულება გადასულიყო მმართველი ხელისუფლების მხარეზე,—მას მოუხდა არალეგალურად ცხოვრება, ხოლო პარტიაში კი არ მუშაობდა.

ბათუმს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ როგორც ქალაქს და მერე კიდევ გურიისათვის, რადგან მთელი გურია იქით იცქირება. ამიტომ ჩვენი მუშაობის გულისყური უნდა იქნეს მიქცეული ბათომისკენ, რომელიც ერთნაირ ჭიშკარს წარმოადგენს სხვადასხვა ილიუზიებისათვის და თუ ბათუმში იქნება წარმოებული შესაფერი მუშაობა, ამით გურიასაც მოესპობა ის საშუალება ილიუზიებით კვებისა, რომელიც ხდება ბათომის მეოხებით.

ბათომის შემდეგ ვიყავით ქუთაისში, სადაც ავარჩიეთ რწმუნებულები: მუშაობის სამი კვირის განმავლობაში გამოირკვა, რომ მთელი მუშები დაადგენ ჩვენს გზას, გარდა ერთი პიროვნებისა, რომლის შესახებ ჩვენ ვერ გავიგეთ მისი ასავალ-დასავალი.

სტამბის მომუშავეებში მუშაობა ცოტა ძნელია. ჯერ ერთი მძიმე ხალხია, მეორე—დრო არ აქვთ და არც ისე ადვილათ ეტანებიან პოლიტიკურ მუშაობას და არც პირობები უწყობს ხელს, რომ მუშაობაში ჩაებნენ. ხოლო მუშაობა საჭიროა და ვაწარმოებთ კიდეც; მათში ჩვენ უკვე გვყავს რწმუნებულები, დიდ ყურადღებას ვაქცევთ მათ და ვცდილობთ მუშაობაში ჩაბმას.

საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ არის სურვილი პარტიაში შესვლის, ხოლო ამ გარემოებას ხელს უშლის ის პირობები, რომელიც საჭიროა ფორმალურად შესრულებულ იქნას. ასე მაგალითად: რომელიმე ძველ მუშას გადაწყვეტილი აქვს პარტიაში შესვლა, ამისათვის საჭიროა ხელი მოუწეროს ხუთმა პარტიულმა. ბევრს არ უნდა მიმართოს ხელის მოსაწერად ისეთ პარტიულ პიროვნებას, რომელიც, სანამ ის პარტიაში შევიდოდა, მიუღებელი იყო მისთვის როგორც პიროვნება და ამიტომ არც მიმართავს მას. ჩემის აზრით, ამისათვის საჭიროა კოლლექტიური ხელმოწერები, რომელსაც შემდეგ რაიონული კოლლექტივი განიხილავს და ყოველ ფორმალურ მხარესაც შეასრულებს. სასაკლაოში პარტიაში შესვლა განაცხადა 62 კაცმა.

საზოგადოთ, ჩემის აზრით, საჭიროა პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაბმულ იქნას რაც შეიძლება ფართო მასსა, რომელსაც ამოძრავება უნდა და ამით ხელისუფლებაც ძალიან ბევრს მოიგებს, მაშინ ის დაეყრდნობა ამ მასსას.

მენშევიკების დროს ეს მასსა ჩარეული იყო საზოგადო მუშაობაში და ეს აძლევდა მათ საშუალებას და-

ყრდნობოდა ფართე მასსას, რომელიც მუდამ ირკვევოდა პოლიტიკურ კითხვებში, მას ყოველთვის ესმოდა ეს თუ ის შექმნილი პირობები. ამიტომ ხელისუფლებამ რომ ამას მეტი ყურადღება მიაქციოს, კარგი იქნება.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ხოლმე წარსულზე, კარგათ ვიხსენიებთ სოციალ-დემოკრატიის პარტიას 1917 წლამდე, რაც ხალხში გამოძახილს ჰპოებს, ხოლო შემდეგში კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებთ მას, ამის შემდეგ ისმება საკითხი გადაფასებისა და მისვლა ლოღიკურ დასკვნამდე ადვილია.

ეს არის მიდგომის საკითხი. აღსანიშნავია, რომ როცა გურიის ყოფილ-მენშევიკების კოლლექტივმა ფურცელი გამოუშვა, სადაც წარსულს ლანძღვა გინებით იხსენიებდენ, ამან ვერ ჰპოვა გამოძახილი ფართო მასსაში; მხოლოთ ჩვენმა გამოსვლამ ხალხი მოალბო და უკეთესი შთაბეჭდილება დასტოვა.

დასავლეთ საქართველოში გლეხი სჩივის შემდეგ გარემოების შესახებ. როცა მას რაიმე გასაყიდი აქვს, ამისთვის არ მოიპოება ბაზარი; თუ თითონ წაიღო სადმე შორს, მაშინ ეს გზა მას უჯდება მეტი, ვიდრე გასაყიდი საგანი. ამიტომ საჭიროა გურიაში და სამეგრელოშიც წარმოკავშირმა გახსნას თავის განყოფილებები, რომ გლეხს მიეცეს საშუალება იქვე გაყიდოს თავის ნაწარმოები ხელსაყრელ ფასში.

თუ რამდენათ უხეშია ადმინისტრატიული ძალა პროვინციაში, უნდა აღვნიშნო შემდეგი ფაქტი: სოფ. ნაგომარში უნდა გამოეყვანათ გლეხები ბეგარაზე სამუშაოთ. ღამე ჩამოუარეს მილიციონერებმა. ერთი მათგანი მიადგა აღმასკომის თავმჯდომარის ბინას, რომელიც ამ დროს სახლში არ იმყოფებოდა. მილიციონერი ჩააცივდა მის 17 წლის ქალიშვილს, რომ ახლავე ადგეს და წამოვიდეს სამუშაოთ ურმით ბეგარაზე (რასაკვირველია მილიციონერმა არ იცოდა, თუ ეს სახლი აღმასკომის თავმჯდომარისა იყო). ასეთ შემთხვევას, რასაკვირველია, მრავალგან ექნება ადგილი.

ოქტომბრის 7 და 8 რიცხვს მიღებული რეზოლიუციის თანახმად, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს რუსეთში პოლიტიკურ გადასახლებულებთან მოსალაპარაკებლათ წასვლა. მიზანი წასვლისა ის არის, რომ გავიგოთ მათი აზრი ჩვენი პლატფორმის შესახებ. იმედიც გვაქვს ასეთ განწყობილებას შევხვდებით იქ. ეს ჩვენ მოგვცემს საშუალებას უფრო მეტი ინტენსივობით განვაგრძოთ მუშაობა ფართო მასსებში. ამავე დროს იმედი გვაქვს გადასახლებული მუშები და გლეხები დაუბრუნოთ სამშობლოში.

გრ. ლორთქიფანიძის შესახებ ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ მასში მოხდა ერთნაირი გადატეხა და თუ ის თვით არ დაგვეთანხმება წამოსვლაზე, ვფიქრობთ, მისი შემწეობით ჩვენ გამოგვყვებიან სხვები.

ჩვენ გვქონდა თათბირი აგრეთვე ადგილობრივ ინტელიგენციასთან. უნდა აღვნიშნო, რომ მათში არის დიდი გადატეხა. მას უნდა გამოსთქვას თავისი აზრი და როდესაც საუბრის დროს მასთან მსჯელობა გვქონდა, ემჩნეოდა, რომ პირველი წარმოთქმული სიტყვა უფრო კვახე იყო ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლისა ყველა მიდიოდა იმ დასკვნამდის, რასაც ჩვენ ვალიარებთ.

იგივე მეორდება გაზეთისთვის წერილის დროსაც. პირველათ ისინი უნდობლათ გვიყურებდენ, შემდეგ კი თანდათან დაგვიახლოვდენ და უფრო ახლო მოვიდენ ჩვენთან.

მასწავლებელთა ყრილობაზე მთავრობის წარმომადგენელ ს მ. ორახელაშვილის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ბევრი კარგი შთაბეჭდილება იქონია. ისინი მივიდენ იმ დასკვნამდის, რომ შესაძლებლათ აღიარებენ თანამშრომლობას. ასე მოხდა მთელ რიგ ინტელიგენციაში.

ჩვენ აგრეთვე ვიყავით ჩეკაში და ვინახულეთ ანდრონიკაშვილი და სხვები. მათ გაუზიარეთ ჩვენი აზრი. მათ გამოსთქვეს ის აზრი, რომ ისინი სოც.-დემოკრ. არალეგალურ მუშაობას სთვლიან დამღუპველათ და მზათ არიან არალეგალურ ცეკასთან ბრძოლაში დაგვეხმარონ; აგრეთვე ლეგალურ მუშაობასაც არ სთვლიან საჭიროთ და ამ მხრივ დახმარების გაწევას შეგვპირდენ. ხოლო შევჰედავენ, ჩვენი რწმუნებულთათვის შემუშავებულ პუნქტების მეათე პუნქტის შესახებ და სთქვეს, ეს საკითხი არისო. მაგრამ ამაზეც ვიფიქრებთ და შემდეგ მოგცემთ ჩვენს პასუხსო. ხოლო გიზო ანჯაფარიძე ამაშიც დაგვეთანხმა და ყველა ჩვენი დებულება მიიღო.

ჩვენ ხელთ გვქონდა გადასახლებულების თეზისები და რადგან ეჭვი გვეპარებოდა და არ ვიცოდით, სუზდალელების იყო ის თუ ტაშკენტელების, ამის გამოსარკვევათ ჩვენ ვინახულეთ კ. ქარცივაძე, რომლისგანაც გავიგეთ, რომ თეზისები შემუშავებული ყოფილა სუზდალში. მან განაცხადა, რომ ის სავსებით იზიარებს ჩვენს მუშაობას. და დასძინა: მე რომ გარეთ ვყოფილიყავ, სასტიკად შევებრძოლებოდი აგვისტოს გამოსვლებსო.

ვინახულეთ აგრეთვე გრ. გიორგაძე, რომელიც სავსებით იზიარებს ჩვენს აზრს და ამის შესახებ სთქვა მან: ჩვენ უკვე 23 წელს გამოვუშვით შესაფერი რეზოლიუცია და ამის შემდეგ ფაქტიურათ ჩამოვშორდით ყოველგვარ არალეგალურ მუშაობას და აგრეთვე პარტიულ კომიტეტსაც და არ ვიცი, რატომ ვიმყოფები ციხეში; ბევრი ჩვენგანი, გარეთ რომ იყოს, უსათუოდ მოვიდოდა თქვენთან სამუშაოდო.

ჩვენი გაზეთი აქამდის ატარებდა შემთხვევითი ხასიათს, ახლა ჩვენ მოვიწვიეთ ერთი ამხანაგი, რომელიც შეუდგება მუშაობას და გაზეთს მისცემს გარკვეულ ხასიათს.

საჭიროდ მიგვაჩნია გაზეთში გაშუქებულ იქნას საბჭოთა კონსტიტუციის დებულებანი ქართველი მასისთვის და აგრეთვე XII ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციის გაშუქება.

ინტელიგენციის ჩარევა საქმეში შესაძლებელია და ადვილი საქმეა, ხოლო ამისათვის საჭიროა პატარ-პატარა კრებები რომელსაც სჯა-ბაასის ხასიათი ექნება და ამნაირათ ისინიც დაიწყებენ ჩვენთან მუშაობას. ამას ჩვენ სისტემატიურად ვაწარმოებთ და ნაყოფიც დიდი აქვს.

ჩვენი აზრით, ძლიან კარგი იქნება, თუ ხელისუფლება შესაძლებლად ჩასთვლის კ. ქარცივაძის და გიორგაძის განთავისუფლებას, რომელნიც ჩადგებიან ჩვენს რიგებში.

ონიაშვილს უკვირს, რომ ხელისუფლება მის გულწრფელობას არ უჯერის და ამდენხანს არ ანთავისუფლებენ.

ტრამვაის მუშები თხოულობდენ, აქაც მოხდეს კრებაო. ისინი მომზადებული ხალხია. ამბობდენ: მოისმინონ ჩვენი გულწრფელი ლაპარაკიო. კრებას დაესწრნენ: სერგო ორჯონიკიძე, შამია ორახელაშვილი, მ. კახიანი. აქ უკვე არსებობს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მოაწყობს ფართო კრებას.

ციხეში ორმა ოფიცერმა გაგვიცხადა; რომ ისინი სდგებიან საბჭოთა პლატფორმაზე და მზათ არიან იმუშაონ ამ ნიადაგზე. გვთხოვეს ვიშუამდგომლოთ მათ შესახებ. აგრეთვე არიან ციხეში ისეთი მუშები და გლეხები, რომელზედაც ჯერ არ გავრცელებულა ამინისტია და გვთხოვეს, რომ მათზე გავრცელებულ იქნას ამნისტია და განთავისუფლებულ იქნან ციხიდან.

უნდა აღვნიშნო საერთოდ, რომ დიდი უმუშევრობაა პროვინციაში და კერძოთ გურიაში.

მარტო რკინის გზაზე 938 უმუშევარია.

შორაპნის მაზრაში ჩვენი მუშაობა მიმდინარეობს ძალიან ფართოდ.

რაც შეეხება სამეგრელოს, იქ მოისუსტებს და ჩვენ ვრაცხთ საჭიროთ იქ შეიქნას ცენტრი, რომელსაც ჩვენთან ექნება უშუალო კავშირი. სამეგრელოს განსავითარებელი მდგომარეობა აქვს როგორც მდებარეობით, ისე ენის მხრივ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩვენს მუშაობას აქ ხელს არ უწყობენ. საჭიროა იქაც გამოიცვალოს მუშაკები და შეიცვალოს უფრო მომზადებულებით და ჩვენც მეტის ნდობით მოგვეპყრობიან.

კახეთშიც იგივე მდგომარეობა, რაც სამეგრელოში. პარტიულ ამხანაგებს უნდა დასტური ცენტრიდან, რომ მათ ჩვენს მუშაობას ხელი შეუწყონ.

საზოგადოთ მუშაობა თუ ასეთი ინტენსივობით გაგრძელდა, მაშინ შეიძლება მუშაობა დამთავრდეს ექვს თვეში.

ჩვენი მუშაობით გვინდა მივახწიოთ იმ შედეგებს, რომ ქართველი ხალხის მოსახლეობის 100 პროც. თუ არა, 95 პროც. მაინც დაეხმაროს ხელისუფლებას აღმშენებლობითი მუშაობაში და შეიქნეს ისეთი განწყობილება, რომ ის სავსებით დადგეს საბჭოთა სოციალისტურ გზაზე.

მუშათა კომ. თავმჯდომარე მ. ძამანაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

პოლიტკატორღელთა საზოგადოების
სამკერვალო სახელოსნო
პლეხანოვის პროსპექტი, № 111.
იღებს ყოველგვარ თეთრეულ საკერავების, აგრეთვე მამაკაცების, ქალების და ბავშვების
ტანისამოსის შეკვეთებს.
სამუშაო სრულდება ხელსაყრელ ფასებში, კარგად და თავის დროზე. ჰყავს სპეციალისტები.
მთელი შემოსავალი ხმარდება ყოფილ კატორღელთა ოჯახობას და მათ ქვრივ-ობლებს.

მოქალაქენო!
თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ
მ. ლაღიძის
საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადული წყლით უახლესად გაუმჯობესებულ აპარატზე.
მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.
მ. ლაღიძის ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.
(0—7)

მთავლიტი № 285 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 2. ტირაჟი—2000

წლიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 8 მარტი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11–68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა - უქმისა, დილის 9—1 საათამდე | № 12

## საკავშირო ცაკის მესამე სესიის საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა*)

მუშათა კომისიის სახელით, რომელიც არჩეულ იქნა 1924 წელს 7-8 ოქტომბერს მომხდარ კრებებზე, საქართველოს დედა-ქალაქ თბილისის მუშათა ცენტრში,—მოგმართავთ თქვენ, სოციალსიტ. საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს შემდეგით: მოგესალმებით თქვენ,—მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წარმომადგენლებო და მოხარული ვართ, რომ ძველს რევოლიუციონურ ჰახრაკში გამობრძმედილ თბილისს წილად ხვდა მიიღოს თავის წიაღში თქვენისთანა. ძვირფასი სტუმრები.

ხსენებულ კომისიის წარმომშობი მიზეზი,—საქართველოს მშრომელი მოსახლეობის განსაკუთრებული პირობებია. მოგეხსენებათ გასული წლის აგვისტო-სექტემბერში მომხდარი გამოსვლები, რომლის უაზრო და დამღუპველ მოქმედებამ ჩვენი ხალხი მიიყვანა გამანადგურებელ შედეგებამდე. შექმნილ მდგომარეობას უპირველესად ისევ მუშათა ნაწილმა აუღო ალღო და 7-8 ოქტომბერს მომხდარ კრებებზე საჯაროდ დაგმო ეს გამოსვლები. მან განაცხადა: ჩვენ ვდგევართ მუშურ და გლეხურ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, რომელიც ერთად ერთი გამომხატველი და დამცველია მშრომელი მოსახლეობის ინტერესებისა, რომლის მიერ დამუშავებული კანონები სავსებით ამოსწურავენ იმავე მშრომელი მოსახლეობის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების მიღწევებს. ჩვენ ვხედავთ როგორი ძლიერი ენერგიით და მისწრაფებით მიდის წინ ჩვენი ხალხის როგორც ეკონომიური, ისე კულტურული აღორძინება და ჩვენ მზათა ვართ მთელის ენერგიით და გატაცებით დავიცვათ იგი, როგორც შინაურს ისე გარეშე მტრებისაგან.

ამიტომ მუშათა კომისიის მიზანია, რომ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა შეიგნონ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული მიზნები და მასთან გულწრფელი თანამშრომლობით განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ამოცანები.

ჩვენ გვინდა, მუშა და გლეხი, აგრეთვე მშრომელი ინტელიგენცია ჩაებას საბჭოთა აღმშენებლობითი აღორძინების საქმეში და დაეყრდნოს საკუთარ ძალას, ამისთვის ჩვენ გვინდა მოისპოს ზრახვები ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთაგან დახმარებისა, რომელთაგან ჩვენ არ მოველით შველას და არც გვინდა მათი ჩვენ საქმეში ჩარევა. ამიტომ სამუდამოთ უნდა შეწყდეს დამღუპველ იმედების და ილიუზიების არსებობა ჩვენში.

ჩვენ გვინდა,—ამას გადაჭრით ვაცხადებთ, რათა შეწყდეს არა ლეგალური მენშევიკების მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოს ხალხი მიჰყავს დასაგმობ ავანტიურიზმამდე და გამანადგურებელ შედეგებამდე.

ჩვენ გვინდა მშვიდობიანი,—საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის ნიადაგზე დაყრდნობილი მუშაობა და გვწამს, რომ ეს ხელს შეუწყობს ქართველი მშრომელი მოსახლეობის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, მის წინ სვლას და აღორძინებას.

ჩვენ დამღუპველად მიგვაჩნია შოვინისტური და ვიწრო ნაციონალისტური ზრახვები, მაგრამ ჩვენ მედგრად დავიცავთ საქართველოს მშრომელი მოსახლეობის უფლებებს და მის ეროვნულ თავმოყვარეობას.

ჩვენ გვინდა სოციალისტურ საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკებში განმტკიცდეს დამოუკიდებელ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, მშრომელი მოსახლეობის საბედნიეროდ.

ჩვენ გვინდა ყველამ გაიგოს, რომ მეორე ინტერნაციონალის დამღუპველი მიმართულება მიუღებელია ჩვენთვის და მას მხოლოდ ზიანის მეტი ჩვენთვის, არაფერი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

ჩვენ გვინდა ყველამ გაიგოს, რომ მეორე ინტერნაციონალი აღარ წარმოადგენს ჩვენი მუშათა კლასისათვის არც მორალურს და არც პოლიტიკურ ძალას. რომ იგი საქართველოს საკითხში და მის მიერ გამოტანილ რეზოლიუციებში კბილებ ჩაცვინულ მოხუცის სურათს წარმოად-

---

*) სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ძამანაშვილმა მუშათა კომისიის დავალებით.

გენს და გაბაიბრუების მეტი არაფერი შეაქვს მშრომელი მოსახლეობის თავში.

ვწყვეტთ რა კავშირს მეორე ინტერნაციონალთან, ჩვენ ხელში ვიღებთ მესამე ინტერნაციონალის დროშას, მივდივართ ამ დროშის ქვეშ და მოუწოდებთ ყველას შეწყვეტილ იქნას, როგორც არალეგალური, ისე ლეგალური მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

თანახმად მიღებული გადაწყვეტილებისა მუშათა კომისიამ ჩამოიარა საქართველოს ყველა კუთხის მუშათა უბნები და გლეხობის მოსახლეობა. ყველგან კრებებზე გამოსჭვიოდა ის აზრი, რომ ისინი მზათ არიან გულწრფელად მხარი დაუჭირონ და გვერდში ამოუდგნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ხოლო იმასაც გამოსთქვამდენ, რომ საჭიროა ხელისუფლება ნდობით მოეპყრას შის ასეთ განზრახვას და ხელი შეუწყოს დაახლოვებას, რათა გამთელდეს ჩატეხილი ხიდი და აღორძინდეს ერთმანეთისადმი სრული ნდობა.

კრებებზე ჩვენ იმასაც გვავალებდნენ, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული ლმობიერება იმ პირთა მიმართ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა გამოსვლებში, სავსებით ამოწურულ იქნას და გამოცხადებული ამინისტია სავსებით შესრულებულ იქნას, როგორც დედა ქალაქში, ისე პროვინციაში.

აგრეთვე მიღებული იქნას ზომები, რათა პოლიტიკურად საქართველოდან რუსეთში გადასახლებული პირები დაუბრუნდნენ თავიანთ კერას და მის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას შესწირონ თავისი ენერგია.

როგორც ქალაქად ისე სოფლად უმუშევრობის საკითხი, რომელიც ასე მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე, ხელისუფლების მიერ მიღებული ზომებით უნდა შენელებულ იქნას.

აგრეთვე საჭიროა დაწყებული გაეროვნების დასრულება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს მშრომელი მოსახლეობის ხელისუფლებასთან თანამშრომლობას.

პროვინციაში ხშირია მოვლენა, როცა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი თავის უხეში და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებული ყოფა-ქცევით აწუხებს მოსახლეობას, რაც ცუდს შთაბეჭდილებას სტოვებს მუშებსა და გლეხებზე, საჭიროა მოხელე თავის სიმაღლეზე იდგეს და უპარტიო მშრომელ მოსახლეობას, სათანადო და საპატიო ანგარიში გაეწიოს.

ჩვენ გვინდა საზღვარ-გარეთ არსებული გადახვეწილი მთავრობა დაიშალოს, რადგან მათ არსებობას მხოლოდ ზიანი მოაქვს საქართველოს მშრომელი მოსახლეობისათვის და ის უამრავი ახალგაზრდობა, რომელიც საყურადღებო კულტურულ ძალას წარმოადგენს საქართველოსათვის, დაბრუნდეს საქართველოში და ჩაებას კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების საქმეში.

ჩვენ გვინდა გულწრფელი თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკას.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

# რა უნდა ახსოვდეს ყოველ მუშასა და გლეხს.

დედა-მიწის ზურგზე არ ყოფილა ჯერ და არც იქნება არასოდეს ისეთი წყობილება, რომელიც ყველას აკმაყოფილებდეს, არ ყოფილა და არც იქნება ისეთი მთავრობა, რომელიც ყველას მოსწონდეს.

რა თქმა უნდა, საბჭოთა წყობილება არ მოეწონება ყოფილ თავადს, მემამულეს, ბურჟუას, მევახშეს, ბოქაულს, ჟანდარმს და საერთოდ მეფის ყველა ჯალათს, რადგანაც საბჭოთა წყობილებაში მათ ყველაფერი დაჰკარგეს. მათი მიზანი და ოცნება ძველი მდგომარეობისა და დაკარგული ქონების დაბრუნებაა. ამიტომაც ენატრებათ საბჭოთა წყობილების დანგრევა.

სულ სხვა არის მუშისა დი გლეხის მდგომარეობა.

დასამალავი არ არის: ჩვენში არიან ისეთი მუშები და გლეხები, რომლებსაც არ აკმაყოფილებს საბჭოთა წყობილება.

ასეთი მუშა და გლეხი უნდა დაეკითხოს თავის თავს: ვინ, რომელი მთავრობა, რომელი წყობილება მისცემს მას იმას, რასაც აძლევს საბჭოთა წყობილება მეტად მძიმე პირობებში?

თუ ჩაუკვირდება დღევანდელი მდგომარეობის პირობებს, თვითონვე დაინახავს და დარწმუნდება, რომ ვერცერთი წყობილება ვერ მისცემს ჩვენს მუშებსა და გლეხებს იმას, რასაც აძლევს და რისი მიცემაც უნდა საბჭოთა წყობილებას.

დღეს ყოველი სახელმწიფო დაყოფილია სხვადასხვა კლასებად: ზოგი ბურჟუა არის, ზოგი—მუშა, ზოგი—მემამულე ან თავადი, ზოგიც—გლეხი. სახელმწიფო არის ერთი რომელიმე კლასის ხელში და ეს კლასი აწყობს მას თავისთვის, თავისი სარგებლობისათვის.

ქართული ანდაზაა: ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოვო.

ყოველ სახელმწიფოში გაბატონებული კლასი სწორეთ ასე მსჯელობს: ჯერ მე და ჩემს ცოლ-შვილს, მერე კიდევ მე, შემდეგ ისევ ჩემს ცოლ-შვილსა და მე: ამის შემდეგ თუ რამე დარჩება, სხვას შეერგოს—არა მშურსო.

რა უნდა შურდეს, როდესაც აღარაფერი რჩება!

დღეს ყველგან ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია და სახელმწიფოს საქმეებს ყველგან ისე აწყობენ, აწესრიგებენ, და განაგებენ, როგორც ამას მოითხოვს ბურჟუაზიის სარგებლობა, მისი ჯიბე.

ერთად-ერთი ქვეყანა არის საბჭოთა ფედერაცია, სადაც ძალაუფლება არის მუშებისა და გლეხების ხელში.

კომუნისტური პარტიის ხელშიაო,—გაგვისწორებს ალბად ზოგი.

დიახ, კომუნისტური პარტიის ხელშია და სწორეთ ეს ნიშნავს მუშებისა და გლეხების მმართველობას.

ყოველი პოლიტიკური პარტია, რომელიმე კლასის მიზნებს ანხორციელებს; ზეკლასიური პოლიტიკური პარ-

ტია არ არსებობს. კომუნისტური პარტია ანხორციელებს მუშებისა და გლეხების მიზნებს და ამ რიგად მუშები და გლეხები განაგებენ ფედერაციას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და მეთაურობით. თუ, აშა თუ იმ კლასს თავისი პარტია არა ჰყავს, ისე ვერაფერს ვერ განახორციელებს.

ასე არის მუშებისა და გლეხების საქმეც. თუ მათ არ ეყოლათ თავისი პარტია, ისე ვერაფერს ვერ განახორციელებენ, რადგანაც ყოველ მუშასა და ყოველ გლეხს ხომ არ შეუძლიათ, რომ სათითაოდ ჩაებან სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში?

ამგვარად მუშებისა და გლეხების საქმეს აკეთებს კომუნისტური პარტია, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც ყოველ კერძო მუშასა და ყოველ კერძო გლეხს მოეპრიანება. არსებობს საერთო ანუ კოლექტიური ნება და სურვილი ყველა გლეხებისა და მუშებისა და ამ საერთო ნებას გამოჰხატავს კომუნისტური პარტია, რომელიც ანხორციელებს მუშებისა და გლეხების სურვილსა და საქმეს საბჭოთა ხელის უფლებისა და საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საშუალებით. აქედან აშკარაა ყველასათვის შემდეგი: თუ საბჭოთა წყობილებაში არ გაკეთდა გლეხებისა და მუშების საქმე, რომელ წყობილებაში გაკეთდება?

არც ერთში.

ყოველგვარ სხვა წყობილებაში ძალაუფლება იქნება არა მუშებისა და გლეხების პარტიის ხელში, არამედ ბურჟუაზიის ხელში; ის კი გაიკეთებს თავის საკუთარ საქმეს და არა მუშებისა და გლეხების საქმეს.

განა ასე არ არის დღეს ყველგან?

რომელი წყობილება მისცემს გლეხებსა და მუშებს იმდენს, რამდენსაც აძლევს საბჭოთა წყობილება?

არც ერთი.

ყოველგვარ სხვა წყობილებაში გაბატონებული არიან ბურჟუები და მემამულეები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ და აწყობენ ბურჟუებისა და მემამულეებისათვის, მუშებსა და გლეხებს კი ნასუფრალს გადუყრიან ხოლმე.

მართალია, ჩვენს მუშასა და გლეხს დღეს ბევრი რამ აკლია, მაგრამ საბჭოთა წყობილება სრულიად ახალი, ნორჩი წყობილებაა და ერთბაშად ვინ აშენებულა, რომ საბჭოთა წყობილებამ ააშენოს რამოდენიმე წელიწადში მუშები და გლეხები?

ყოველ ახალსა და დიდ საქმეში აუცილებელია შეცდომები. საბჭოთა წყობილების საქმიანობასაც თან ახლავს შეცდომები, მაგრამ შეცდომები თანდათან გამოსწორდება და სწორდება კიდეც.

უნდა კარგად გვახსოვდეს ერთი რამ: საბჭოთა წყობილებას—მუშებისა და გლეხების კეთილდღეობას—აუარებელი მტერი ჰყავს, როგორც შინ, ისე გარეთ. ეს მტრები ხელს უშლიან მას და მეტისმეტად აფერხებენ იმის მუშაობას, რომ როგორმე სახელი გაუტეხონ მუშებისა და გლეხების თვალში. მთელი ევროპის ბურჟუაზია კბილებ დალესილი და დარაზმულია საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა, ვერ დაანგრია და ველარც დაანგრევს, მაგრამ ჯერჯერობით ხომ მაინც დიდ ზიანს აყენებს.

მოდით და ასეთს მძიმე პირობებში ერთბაშად მოაწყვეთ მუშებისა და გლეხების საქმე!

შეუძლებელია, და შეუძლებელს ნურცერთი მუშა და ნურცერთი გლეხი ნუ მოსთხოვს საბჭოთა წყობილებას, რომლის გარეშეც მუშებსა და გლეხებს არავითარი მომავალი არა აქვთ.

სოფელში ხშირად აქვს გასავალი ბოროტმოქმედებას, ძალმომრეობას, რომელიმე მოხელის მიერ თავისი უფლების გადაჭარბებას. ყოველივე ეს გლეხს აწუხებს, მაგრამ ყოველივე ეს თან და თან ნელა-ნელა გამოსწორდება.

თვითონ მთავრობა არის ყველაზე უფრო მოწადინებული, რომ უსამართლობა და ძალმომრეობა სოფლად მოსპოს, სოფელს მოაშოროს ისეთი პირები, რომლებიც თავისი უფლებებით ბოროტად სარგებლობენ და გლეხებს აწუხებენ.

ყველაზედ უფრო თვითონ მთავრობას უნდა, რომ მუშა და გლეხი კმაყოფილი იყონ საბჭოთა წყობილებით და არ გაივლის დიდი ხანი, რომ ჩვენი სოფელი გაწმენდილი იქნება ბოროტი პირებისაგან და სოფლის ყოველი მოხელე ყოველ თავის მოქმედებაში სასტიკათ პასუხის მგებელი იქნება მთავრობის წინაშე.

ჩვენს სოფლებში ყოფილა ამგვარი შემთხვევებიც: გლეხს მიუტანია სახალხო კომისარის დადგენილება ან განკარგულება თავისი სოფლის მოხელისათვის; მას კი თავზე გადაუხევია და უთქვამს: სახალხო კომისარს ჩვენთან რა საქმე აქვს, აქ მე ვარ ყველაფერიო.

მაგრამ ყოველივე ეს შედარებით წვრილმანია, თავი და თავი კი არის შემდეგი: საბჭოთა წყობილება არის ერთადერთი წყობილება, რომელიც მუშისა და გლეხის კეთილდღეობას აშენებს.

თუ ყოველი მუშა და გლეხი ეცდება, რომ ეს წყობილება განმტკიცდეს, ყოველგვარი წვრილმანი ნაკლი ადგილობრივი მართვა-გამგეობისა გასწორდება და ჩვენი მუშებისა და გლეხების ცხოვრება მოეწყობა ისე, როგორც არსად დედამიწის ზურგზე არ არის ჯერ მოწყობილი.

**იგ. გომართელი.**

# საქართველოს მრეწველობა ძველად და ახლა

## (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

### I

საქართველო უძველეს დროიდან ცნობილი იყო უმთავრესად მიწათ-მოქმედების ქვეყანად, (გეორგია). მკვიდრთა 95% ბინადრობდა სოფლად და მისდევდა მეურნეობას, ე. ი. ჭირნახულის მოყვანას, მეჯოგეობას, ბაღოსნობას, მევენახეობა-მეღვინეობას, მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობას. ასეთს სურათს წარმოადგენდა კოლხეთი და ივერია კიდევ სტრაბონის დროს, პირველ საუკუნეში ქრ. წინ და ასეთი იყო იგი რუსეთთან დაკავშირების დროს მე-19 საუკუნის დამდეგს.

ალებ-მიცემობა ანუ ვაჭრობა იყო უმთავრესად

უცხოელების ხელში, ძველათ ბერძენ-რომაელების, შემდეგში კი სომეხ-ებრაელების ხელში.

რაც შეეხება ნედლი მასალის დამუშავებას ანუ მრეწველობას, ეს დარგი იყო ჩვენში საკმაოდ პრიმიტიული და არსებობდა შინა-მრეწველობის სახით: ძაფების დამზადება ბამბიდან, სელიდან, კანაფიდან, მატყლიდან და აბრეშუმის პარკიდან, ამ ძაფების შეღებვა და ქსოვილთა დამზადება: ტილო, ხამი, დარაია და საჩოხე შალეული,—აი ის ქსოვილები რომლებიც მზადდებოდა დაბა-სოფლებში, მეტადრე დიდ ფეოდალების ოჯახებში. აგრეთვე ამზადებდენ ტყავეულობასაც. იყო მარტოოდენ ხელის იარაღები: საჩეჩელი, საპენტი, თითის ტარი, ჯარა, სამუხელი, წინდის ჩხირი, საფეიქრო და სხ. თანამედროვე ევროპიულ სამრეწველო იარაღ-მანქანებზე, ქართველ მწარმოებელს თითქმის დღემდე არ ქონია არავითარი წარმოდგენა.

თუმცა ძველათ 2—3 ათასი წლის წინ ქრ. დაბადებამდე, ქართველთა წინაპრები: ხეთები, ხალიბები და ტუბალ-მოსოხები განთქმულნი იყვნენ მთელს მსოფლიოში თავის მეტალურგიით, ე. ი. სამადნო მრეწველობით, ბრინჯაოს და რკინა-ფოლადის დამუშავებით, მათგან იარაღ-სამკაულების გაკეთებით, აგრეთვე საარე ტილოების და ისე ქსოვილების დამზადებით, რასაც მოწმობენ როგორც იმ დროის ისტორიკოსნი, მაგ., ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, პლინი და სხ, ისე თანამედროვე მეცნიერნი, მაგ., მომსენი, ლეონორმანი, დემორგანი და სხ., მაგრამ ძველი ბინის დატოვების (მესოპოტამია) მცირე აზიაში და ამიერ-კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ, ქართველმა ერმა დაკარგა ის წინანდელი უნარი და პირველ ხანებში მაინც შესამჩნევათ ჩამოქვეითდა კულტურულად.

თუმცა საშუალო საუკუნოებში (მე-10 მე-12 საუკუნოებში) გაერთიანდნენ ქართველი ტომები, გაძლიერდნენ პოლიტიკურად და კულტურულად, გადიგდეს შემოსეულ მტარვალთა 300 წლის ბატონობის უღელი და შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, განათლდნენ, გამრავლდნენ, აღორძინდნენ ნივთიერად და აყვავდნენ სულიერად, მაგრამ ვერ აღადგინეს მაინც თავის წინანდელი როლი მსოფლიოში.

დასავლეთით ბიზანტიის იმპერიის დამხობამ ოსმალთა მიერ მე-15 საუკუნეში, სამხრეთით თურქთა ძლიერების დამყარებამ და აღმოსავლეთით განახლებულმა სპარსეთმა კიდევ უფრო დასეტყვეს და დაგლიჯეს რვა ნაწილად ისედაც დაქვეითებულ-დასუსტებული საქართველო.

ქართველ ერს აღარ ეცალა არც ნივთიერ და არც სულიერ კულტურის აღსადგენად, აღარ ეცალა მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის ასაყვავებლად, სამოქალაქო ცხოვრების და ცივილიზაციის გასაჩაღებლად. ასეთი იყო ქართლოსიანთა მოდგმის ისტორიული ბედი... კულტურულად და ნივთიერად იგი დიდათ ჩამორჩა არამც თუ ევროპის სახელმწიფოებს, რომელთაც გაასწრო მან მე-10 მე-12 საუკუნოებში, არამედ ახლად ფეხ-ადგმულ რუსეთსაც კი.

სისხლით დაწრეტილმა ქართველმა ერმა მიაპყრო თვალი ჩრდილოეთს, გაუწოდა საშველად მარჯვენა ხელი „ერთ-მორწმუნე“ ორთავიან არწივს! მან ფართოდ გაუღო დარიალის კარები რუსთა მეფის მხედრობას, დიდათ შეუწყო ხელი კავკასიონის ხალხთა დაპყრობას და რუსის დროშის გამარჯვებას სპარსეთ ოსმალეთზე. ნაცვლად ამისა ქართველი ერი მოელოდა „თეთრი“ ხელმწიფის მფარველობას, ნამდვილად კი გულუბრყვილო ივერია და კოლხეთი გახდნენ ჩრდილო ბუმბერაზის სასტიკ იმპერიალიზმის მსხვერპლნი. იმათ მალე დაკარგეს პოლიტიკური თავისუფლება და იგრძნეს კისერზე მტარვალთა ბატონობის მძიმე უღელი, მალე გაეყარათ ხელ-ფეხში მონობის მწვავე კირთები... სკოლა-სასამართლოდან და ეკლესიიდან განიდევნა ქართული ენა, ყველგან იჩაგრებოდა და ფეხ-ქვეშ ითელებოდა ქართველის ეროვნული სახე, ქართული კულტურა და შემოქმედება, უხეშად იცარცვებოდა ერის საუნჯენი ეკლესია-მონასტრებში დაგროვილი და მიწა-წყალი, რომელზედაც ასახლებდნენ უცხო ტომებს. ქართველი ხალხის ცხოვრება თვით საქართველოში შეიქნა აუტანელი.

საქართველო და მასთან მთელი ამიერ-კავკასია გარდაიქცა ცენტრალურ რუსეთისათვის საექსპლოატაციო კოლონიათ. აქეთ იგზავნებოდა და საღდებოდა რუსეთის ფაბრიკატები, ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოებნი, ფართლეული, საგალანტერეიო საქონელი, შაქარი, პურის ფქვილი, რკინეულობა და სხ. ასეთი უბრალო პოლიტიკით და დიდი გადასახადებით ტყავდებოდა ისედაც გაძვალტყავებული საქართველოს გლეხობა.

ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ლაპარაკი საქართველოს მრეწველობის შექმნაზე და აღორძინებაზე. მცირეოდენი ამგვარი ცდები, მაგ., კუხის და სამტრედიის ამხანაგობათა საფილიატიური და საქსოვი ქარხნები იქნენ ყვავილშივე ჩაკლული ცარიზმის უხეში პოლიტიკის წყალობით. თვით ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა, რომელიც უქადდა საქართველოს ნივთიერ აღორძინებას, ემსხვერპლა მარიუპოლის და ნიკოპულის (რუსეთის ქალაქებია) უვარგის მარგანეცის მადნებს. მთავრობამ დაადო ჭიათურის 32 ვერსიან რკ. გზას ისეთი დიდი ტარიფი, (ფუთ ქვაზე ჯერ 10 კაპ. და შემდეგ 7 კაპ.), რომ მარტო ერთ წელიწადს აანაზღაურა მთელი რკინის გზის ხარჯები.

ასე ხდებოდა წარმოების სხვა დარგებშიაც. იმ დროს მარტოოდენ ოცნება და სიზმარი იყო ჩვენში რაიმე ფაბრიკის ან ქარხნის დაარსება. თეთრ ნახშირზე ანუ მდინარეთა ელექტროფიკაციაზე ფიქრიც ხომ მომაკვდინებელ ცოდვათ იყო მიჩნეული, ან და სოფლების მელიორაცია, ჭაობების დაშრობა, სარწყავ არხების გაყვანა, მდინარეთა კიდეების გამაგრება და სხ. ამგვარ პროექტების წარმდგენი ძველი ადმინისტრაციის წინაშე ინათლებოდა პოლიტიკურად არა საიმედოთ და მავნე ელემენტათ.

დაიწყო 1914—17 წლების მსოფლიო ომი. დაიმსხვრა რუსეთის დამპალი ცარიზმი და ბოლო მოეღო საშინელ უსამართლობას. ამოისუნთქეს თავისუფლათ დამონებულმა ერებმა და მათ შორის ტანჯულმა საქართველომ, რომლის სათავეში მოექცნენ მენშევიკები. მალე დასრულდა ამათი ზეიმიც, სამი წლის უფლებით თრობა და კარნავალი. რევოლიუციის რომანტიკოსებმა, მალე დაუთმეს ადგილი ჩრდილოეთიდან მოდენილ რევოლიუციის რეალურ მჭედელთ, თვითონ კი დიდის ამალით გაიქცნენ ევროპაში და შეეფარნენ მეორე ინტერნაციონალს. რუსეთის მზგავსად საქართველოშიაც განმტკიცდა პროლეტართა დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მაშინვე გამოიჩინა რევოლიუციონურ-ორგანი-

ზატორული ნიჭი, უნარი, საქმიანობა და მშენებლობითი შემოქმედება.

ამ დღიდან იწყება ჩვენში კოოპერატივების და სხვა სამნეო ორგანოების ჩქარი ტემპით ზრდა, სარწყავი არხების, გზა-ტკეცილების და რკ. გზების გაყვანა, ჭაობების დაშრობა, მდინარეთა კიდეების გამაგრება, ჰიდრო-ელექტროფიკაცია, ელსადგურების აგება და სხვა და სხვა დარგის მრეწველობის წარმოშობა. ყოველივე ეს ხდება უმთავრესად კოლექტივიზმის ნიადაგზე, რასაც აგრეთვე დიდათ შეუწყო ხელი ფულის სტაბილიზაციამ.

გვწამს, რომ საქართველოს ფხიზელი საბჭოთა ხელისუფლება, უფრო მხნეთ და გაბედულად შეუდგება ქართველ ხალხის საკეთილდღეო მეურნეობის და მრეწველობის აღნაგებას სახ. სამნეო ორგანიზაციების, ცეკავშირის, წარმოკავშირის, ბანკების, სარაიონო კოოპერატიულ ორგანოების და საზოგადოებათა მეოხებით.

ის, რაც გაკეთდა ამ მოკლე ხანში და მძიმე პირობებში, მაგ. ნატანებ-ოზურგეთის რკ. გზ., ავჭალის ელსადგური („ზაჰესი“), მრავალი სარწყავი არხები, შალეულის კარხანა ქუთაისში, აბრეშუმის ქარხანა სამტრედიაში და სხ. აშკარა საწინდარია იმის, რომ ამიერიდან ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება უფრო ძლიერი ტემპით განაგრძობს საქართველოს მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას და აყვავებას საუკეთესო ტეხნიკის საშუალებით, მუშების საწარმოვო ძალის და ნაყოფიერების განვითარებით და ამ სახით მოახდენს ფაბრიკატების საშჩნევ გაიაფებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მშრომელი ხალხის ნივთიერ ცხოვრებაში.

დღეს მთელს საქართველოში შენდება და ახლო მომავალში კიდევ აპირობენ აშენებას უზარმაზარ ჰიდრო-ელექტრონულ სადგურებს, რომელთაც შეუძლიანთ მოგვცენ დაახლოვებით ერთი მილიონი ცხენის ძალა. ამოდენა ძალის ნახევარიც კი არ დასჭირდება სამთო-მადნო მრეწველობას, ფერო-მარგანის ქარხნებს, სოფელ-ქალაქთა განათებას, ტრამვაის, ხავთ-სადენ წყალთ-სადენებს და სხ. მეორე ნახევარ ელოქტროს ძალის გამოყენება კი შეიძლება მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების მოფენით მთელ საქართველოში და ჩვენი ქვეყნის სამრეწველო რაიონად შექმნით. ასეთი მოვლენა კი არამცთუ მოსპობს ჩვენში უმუშევართა რაზმებს და ქონებრივ გაჭირვებას, არამცთუ ხელს შეუწყობს ტეხნიკის განვითარებას და მეურნეობის აყვავებას, არამედ სულერთიანად გარდაქმნის ჩვენს სამშობლოს კულტურულად, ეკონომიურად და ნივთიერად, დაატრიალებს ხალხში დიდ დოვლათს და სიმდიდრეს, იმავე დროს კი მისცემს ჩვენს ხაზინას უამრავ შემოსავალს.

ასეთია ის პერსპექტივები, რასაც გვიქადის დღეს საბჭოთა ხელისუფლების გონივრული გეგმა, მედგარი ენერგია, შრომის უნარი და ამშენებლობა...

ხ. ქ.

# საქართველოს მეურნეობა

(იანვრის მოკლე მიმოხილვა)

მიმდინარე წლის იანვარში ჩვენი ქვეყნის მეურნეობაზე უმთავრესად ორ ფაქტორს ჰქონდა გადამჭრელი გავლენა:—ყინვებს და ბანკებისა და მრეწველობის მიერ სესხის გაცემის პოლიტიკას.

ყინვებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობას, უფრო კი მის მაღალ კულტურას (ვენახს, მანდარინს, ხეხილს და სხ.) ამ ზარალის ეკონომიური მნიშვნელობა თანდათან უფრო გამოირკვევა, თუმცა იგი იანვარშიც თვალსაჩინო იყო. ხელისუფლებამ უკვე მიიღო სათანადო ზომები კრიზისის სიმწვავის ასაცილებლად და ჩვენ უკვე ვიცით, რომ ცენტრი სათანადოდ გამოეხმაურა ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის, მ. ორახელაშვილის, შუამდგომლობას ზოგი შეღავათის დაწესების სახით. ამ შეღავათთა შორის მნიშვნელოვანია სესხის დისციპლინის შენელება კოოპერაციების მიმართ.

ამ უკანასკნელ დროს მრეწველობა იძულებული შეიქნა კოოპერაციისათვის შეემოკლებინა სესხი და მოეთხოვა მისთვის თამასუქების განაღდება. ამავე დროს განიზრახა ნაღდ ანგარიშებზე გადასვლა. ბანკებიც ასე მოიქცენ. კოოპერაციის დავალიანება კი დიდი იყო, ხოლო მისი ფინანსიური საშუალება მცირე, საქმე ისაა, რომ კოოპერაცია სესხის საშუალებით აფართოვებდა ოპერაციებს და საკმაო თანხა კი მას არ გააჩნდა, თავისთავად ცხადია, ახალმა სისტემამ მძიმე პირობებში ჩააყენა ჩვენი კოოპერაცია. უნდა ითქვას, რომ მოკლევადიანი თამასუქის დისციპლინა არ იყო შეფარდებული საქონლის ბრუნვისთვის საჭირო დროსთან, და ეს გარემოებაც არა ნორმალურ პირობებს ჰქმნიდა.

ამნაირად იანვარში ისედაც არ იყო მოსალოდნელი ხელსაყრელი ფინანსიური პირობები, რომ მათ საშინელი ატმოსფერული მოვლენები დაერთო არაჩვეულებრივი ყინვების სახით. ყოველმა ამან ჩვენს მეურნეობას იანვარში საერთო ზარალი მიაყენა, როგორც აღებმიცემობას, ისე მრეწველობასაც.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკის სათანადო დაწესებულებანი აქვეყნებენ, საქართველოს მეურნეობის სხვადასხვა დარგების სურათი იანვრის განმავლობაში ასეთი იყო:

**სოფლის მეურნეობა.** ყინვისაგან მიყენებული ზარალი ზოგ ადგილას ძალიან დიდია, ზოგში კი ნაკლები; ზარალი უმთავრესად თვალსაჩინოა იმ კუთხეებში, სადაც უფრო მაღალ კულტურას მისდევენ. თუმცა საბოლოოდ არ არის გამორკვეული ფაქტიური დანაკლისი,—ამის გამორკვევა გაზაფხულისათვის იქნება მხოლოდ შესაძლებელი, - მაგრამ წინასწარი ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საგრძნობლად არის დაზარალებული: ვენახი, ხეხილი, საქონელი, ფუტკარი და სხ.

თოვლმა და ყინვებმა იმოქმედა ნედლეულის დამზადებაზედაც, შეიკრა გზები და შესწყდა მისვლა-მოსვლა. ამან მთელი რაიონები მოსწყვიტა თავიანთ ცენტრებს და ამნაირად ფულის ტრიალი შეჩერდა. თავის მხრით

ასეთმა მდგომარეობამ შეამცირა სოფლის ფინანსიური შეძლება და გლეხის ყიდვის უნარიანობა—ისედაც მცირე—მინიმუმამდის დაიყვანა.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მთავარი ყავარჯენია ღვინო და ხილი. სამწუხაროდ ღვინოსაც და ხილსაც ცუდი დრო ჰქონდათ იანვარში. ჩვენს მეურნეს სად აქვს იმის მოწყობილობა, რომ ამინდის ცვალებადობას მზად დამუხვდეს. აღმოსავლეთ საქართველოში დიდძალი დამზადებული ხილი გააფუჭა ყინვამ, დასავლეთში კი—ღვინო. მაგრამ ამას ისიც ზედ დაერთო, რუსეთის ბაზრის პირობებიც შეიცვალა და ჩვენი ღვინისა და ხილის რეალიზაციამ იქ თვალსაჩინოდ იკლო. 30 გრადუსიანი არყის ხდამ რუსეთში 70-%-ით შეამცირა ჩვენს ღვინოზე მოთხოვნილება. არსებული აქციზის წყალობით ღვინო ვერ უწევს კონკურენციას იაფ არაყს. ხილის „ფრახტიც“ ძვირი ჯდება და, ესეც არ იყოს, ყირიმის ხილი ბლომად დასძრეს რუსეთისაკენ.

ზემოდ თქმული საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ჩვენი სასოფლო მეურნეობა. ეჭვი არ არის, ის ზომები, რომლებიც მიღებულია და რომლების მიღებას კვლავადაც აპირებენ (საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია), უთუოდ შეანელებენ კრიზისს და ბევრს დაბრკოლებას მოაცილებენ ჩვენს მეურნეობას, როგორც აქციზის პირობებია, „ფრახტი“ და სხ.

**მრეწველობა.** მრეწველობამაც განიცადა არაჩვეულებრივი ზამთრის გავლენა. რასაკვირველია, მრეწველობის ყველა დარგზე თანაბრად არ მოქმედებდა ზამთარი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მრეწველობის ტეხნიკურ პირობებს, ადვილად დასაშვებია ზოგან პირდაპირი, ზოგან კი არაპირდაპირი გავლენა. ატმოსფერულ პირობებს ისიც უნდა დაუმატოთ, რომ სამუშაო დღე იანვარში სულ 23 იყო, როცა დეკემბერში გვქონდა 27. რა თქმა უნდა, საერთო პროდუქციაზე ამასაც ჰქონდა გავლენა.

განსაკუთრებით დიდი შემცირება მოგვცა შავი ქვის ამოღებამ. იანვარში მან იკლო სამჯერ შედარებით დეკემბრის პროდუქციასთან. ასეთ დაკლებას მხოლოდ ზამთრის პირობებს ვერ მივაწერთ. სამაგიეროდ ექსპორტმა იმატა იანვარში, თუმცა შედარებით უმნიშვნელოდ.

ტყიბულის ქვანახშირის ამოღებამ იკლო მხოლოდ 0,8%-ით.

აგრეთვე დაიკლო თამბაქო, სპირტის, ტყავის წარმოების პროდუქციამაც. ამათში დაკლების საგრძნობ %-ს გვაძლევს თამბაქოს პროდუქცია, რასაც იმითაც ხსნიან, რომ ფაბრიკებს დააკლდათ შესაფერი ზომის ბობინები პაპიროსის დასამზადებლად.

**ვაჭრობა.** საქართველოს მთავარი ბირჟების ბრუნვის საერთო ჯამი გვაძლევს აგრეთვე დაკლებას. ტფილის ბრუნვას იანვარში შედარებით დეკემბრის თვის ბრუნვასთან დაუკლია 3,5%-ით. ეს შემცირება ნაწილდება სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერაციას შორის. აღსანიშნავია მატება კერძო პირების მონაწილეობისა საერთო ბრუნვაში. ბათომის ბირჟის ბრუნვას კი თვალსაჩინოთ უმატნია იანვრის განმავლობაში, ხოლო ეს მატება უმნიშვნელოა იმ მხრით, რომ მას შემთხვევითი ხასიათი აქვს და ვაჭრობის საერთო კონიუნკტურის ხასიათს არ სცვლის.

აღსანიშნავია, რომ იანვარში დაკლებულია რუსეთიდან შემოზიდული ხორბლის, ფართლეულობის და შაქრის რაოდენობა. „ხლებოპროდუქტი“-ს, „ტექსტილსინდიკატის“ და „სახაროტრესტის“ საერთო ბრუნვა საქართველოში შემცირებულია იანვარში დეკემბერთან შედარებით.

როგორც ამის ზემოდ აღვნიშნე, საქონლის საერთო ბრუნვის შემცირებაზე გარდა ზამთრისა, სხვა მიზეზებსაც ჰქონდათ გავლენა. მათ შორის უმთავრესია: სესხის ახალი პირობები, სასოფლო მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შემცირება (განსაკუთრებით ღვინისა და ხილისა) და სოფლის ყიდვის უნარიანობის დაკლება, როგორც შედეგი ზამთრის პირობებისა და რეალიზაციის დაკლების.

ასეთი იყო ზოგადად საქართველოს მეურნეობის მთავარი დარგების მდგომარეობა იანვრის თვეში.

ა.

# ქუჩებში

ოჰ, რა მწარეა და მასთან ტკბილი
ქუჩის ცხოვრება ბნელ ღამეებში;
ცივ ფილაქნებზე ძაღლური ძილი
და ყრუ ძახილი ყრუ ქარის ხმებში.

აქ აღვიზარდე, აქ გავატარე
ჩემი ბავშობა ჩემი ობლობა;
ცრემლიც და სისხლიც ბევრჯერ დავღვარე,
ბევრჯერ ვიგემე დაცინვა, გმობა.

დღესაც აქა ვარ, აქ, ამ ქუჩებში
დავდივარ როგორც ელეაზარი;
აქ დავეცემი და ოხერ მკვდრებში
მოვა, მიტირებს მოზარე ქარი.

მიტირებს, რადგან ქვეყნად მის გარდა
სულის თვისტომი არვინ მყოლია;
ისე უყვარდი, ისე მიყვარდა,
რომ მასთან ერთად მეც მიქროლია.

და მჯერა: მკვდარსაც არ დამივიწყებს,
მომინახულებს მკვდარსა ოხერსა;
დედის გულივით ქვითინს დამიწყებს
და ცრემლის ნაცვლად მომაყრის მტვერსა.

გ. ქუჩიშვილი.

# უყისმათო მწერალი

## (ჭოლა ლომთათიძე)

(მისი ნაწარმოების გამოცემის გამო)

Habeat sua fata!.. დიახ, ყველაფერსა აქვს თავისი ბედი! მრავალ მწერალთა ბედიც ისა ყოფილა, რომ ისინი უნდა მოვიდნენ გაზაფხულის ცისკრის ნათელი სიზმარივით ჩვენს ტიალს ცხოვრებაში, გადაგვიშალონ სასოების ყვავილები, მოგვევლინონ ამომშრალ ოაზისსავით, სიცოცხლე ჩამქრალ თვალებში, ხალისის და შვების ცრემლები—თვით კი მიიღონ გაუტანლობის კელამწუტა ეკლები, ლენცოფები... გაბიაბრუებულებმა გაატარონ დრო და შემდეგ გაჰქრენ სიკვდილის განუჭვრეტელ ჩრდილში...

ასეთია ჭოლა ლომთათიძე და სხვა პოეტები, რომელთა ცეცხლოვანი სიტყვები გვაყვარებენ ბრძოლას, ქარიშხლებს. გვანახვებენ უცხო სიცოცხლეს—ახალი მზეების ხომლები რომ დაჰნათიან ყოველ კუთხიდან.

მათივე ხვედრია მარად ჩრდილში ყოფნა. საზოგადოებისგან უგულებლობა.

თავისიანები არა სცემდნენ ჭოლას სათანადო პატივს, როგორც მწერალს და სხვებს რა მოეთხოვებათ!

ეს იქნება იმითაც აიხსნას, რომ ჭოლას არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი, თავის გამოჩენა. ის მუდამ ახალ-ახალ ფსევდონიმებს ხმარობდა: გერი, სპ. მცირიშვილი, ჭ. ოლია. ჭოლა და ბევრი სხვა ამ გვარი. ასე რომ, ხშირად რედაქციასთან ახლო მდგომებმაც კი არ იცოდნენ, თუ ამა და ამ ფსევდონიმით მოწერილი მოთხრობა ჭოლას ეკუთვნოდა.

არა ჰგავს განა ეს ზოგიერთა მყვირალა მწერალს!..

თუ ვინმეა თანამედროვე—ეს პირველ ყოვლისა ჭოლა ლომთათიძეა!

მახსოვს, მხოლოდ ნ. ჟორდანიამ შეაფასა ღირსეულად ჭოლას ნაწერები!

მან ჭოლას რევოლიუციის და სოციალიზმის რომანტიკოსი უწოდა.

მართალიც არის!

სწორედ დღეს, მაგიდის განუყრელ და დამამშვენებელ წიგნად უნდა გადაქცეულიყო მისი ნაწერები, მაგრამ ისინი ჯერ ისევ სადღაც უჯრებში ალაგიან და ელიან გამომცემელს.

მერე რამდენს სიყვარულს, ცეცხლს, გატაცებას შემატებდა ჩვენს ახალგაზდობას ჭოლას ნაწერები!

პირველად ივანე გომელაურმა შეიტანა თავის სახელმძღვანელოში მისი მშვენიერი მოთხრობა „პირველი მაისი“. ის იყო და ისა...

სახელმძღვანელოების რამდენს მოთხრობას ასდის სიძველის სუნი, რამდენია ობ მოკიდებული, მაგრამ ჩვენ ბავშვებს ჯერ ისევ თვალებს აწყალებილებენ მათის კითხვით. ჭოლას მოთხრობები კი ისევ და ისევ დაქვრივებულები არიან.

მხოლოდ ეხლა გავიგე,რომ ჩვენი მგოსანი ობოლი მუშა შესდგომია მის ნაწერებზე ზრუნვას. ამზადებს პოეტის ვრცელ ბიოგრაფიას და ვგონებ იმედოვნებს კიდეც, რომ უშოვის გამომცემელს. ნეტამც აცხადდეს! ნეტამც ეღირსოს მის ნაწერებს ქორწინება და ლიტანია. მაშინ, მაშინ მაინც შეგვეძლება ვთქვათ: განვედით ხელოვნების ტაძრიდან ცრუ პოეტებო .. თქვენი სახელი მხოლოდ მაშინ იხსენიება, თუ არლანს სამუსიკო საკრავად ჩასთვლიან, ან არა და ქუჩაში მანეთიან ფოტოგრაფიებს ხელოვნების დარგად.

ჩვენ დროს სცხოვრობდა ჭოლა, მაგრამ პირადად მას არსად შევხვედრივარ. ცარიზმის დერჟიმორდები სულ ციხე-ციმბირებში ამყოფებდნენ საცოდავს და აბა სად მომიხდებოდა მასთან ყოფნა.

მე არცა ვწუხვარ იმაზე, რომ მე მას ისე ახლო არ ვიცნობდი. მწერალი ყოველთვის უნდა იყოს იზიდის საბურველივით ნისლ აფარაბული, დაახლოვება ჰკლავს პოეზიას, სიყვარულს, მეგობრობას.

რამდენი მწერალია—ვიდრე გავცნობივარ უჩვეული სათნოებით აუმღელვარებია ჩემი გული მისს ნაწერებს—დავახლოვებივარ და... გამკვირვებია ისეთი სპეტაკი იდეალები და მშვენიერი ემოციები როგორ თავსდებოდნენ ესდენ პატარა, ფილესტერის არსებაში.

პირადად არსად შევხვედრივარ, თუმცა ერთმანეთის ნაცნობობა მაინც გვქონდა პირადი წერილების გაცვლა-გამოცვლით.

მაშინ ჩვენ, მცირე ჯგუფი სოციალიზმის მესვეტეებისა, კიევის უნივერსიტეტში ვსწავლობდით.

სწორედ ამ დროს გავიგეთ, რომ ვგონებ ასტრახანში, დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება ჭოლა ლომთათიძეო. ჩვენ მყის გადავწყვიტეთ გველის ტყავში გავმძვრალიყავით და გროშები მიგვეწვდინა. სახელდახელოდ შევაგროვეთ ჩვენს შორის ოცდახუთი მანეთი და გაუგზავნეთ ჭოლას. ამხანაგების დავალებით წერილიც მივწერე. ვამხნევებდი და მადლობას უცხადებდი იმის გამო, რომ თვისი ნაწერებით მაღალ იდეალებს აღვიძებდა ახალგაზდების გულში.

ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ მივიღეთ პასუხი.

მე ვერ შევძლებ ოდნავაც არის იმ წერილის ძლიერ შთაბეჭდილების გადმოცემას, მარტო ერთს საყურადღებო, საბიოგრაფიო ამბავს გავიხსენებ... მიელო მას ის ფული თუ არა, ძალიან შეწუხებულიყო... მეტადრე იმან შემაწუხაო,—გვწერდა—რომ გამოგზავნილია იმათგან, ვისაც ჩემსავით შიან და სცივა კიდეცაო... მაგრამ იმავე დროს უკან დაბრუნებაც ვერ გავბედე. . ეს იქნებოდა ახალგაზრდობის დიდი შეურაცყოფაო. დიდი მადლობა, ახალგაზრდა მეგობრებო, მაგრამ იცოდეთ მე ფულით დახმარებას არავისგან, არავისგან ვღებულობ და არც არავისგან მივიღებ. მივიღე თქვენგან იმიტომ, რომ თქვენ სულ სხვანი ხართ, თქენა ხართ ახალგაზდებიო. ამას მოსდევდა ელეგია... ტკბილი, დამყვავებელი ელეგია...

ჩვენ ერთმანეთისაგან შორს, ძალიან შორსა ვართ, მეგობრებო, სიყვარულმა მანძილი და სივრცე არ იცისო.

არა, არ-შემიძლიან გაგრძელება. ეს იქნება ჭოლას ბრწყინვალე აზრის და სტილის დასახიჩრება.

სჯობია წერტილი დაისვას.

ორი ვრცელი წერილი მოგვივიდა ჰოლასაგან, მაგრამ სამწუხაროდ ორივე დაგვეღუპა.

მის ნაწერებს სწვავდნენ ციხეში.

სწვავდნენ ჟანდარმები, როდესაც რომელიმე რედაქციას დაეცემოდნენ ხოლმე და სხვა მასალებთან ერთად ჰოლას წერილებიც მიჰქონდათ. მისსავე ნაწერებს სწვავდნენ მისი სულიერი მეგობრებიც, როდესაც რეაქციის ცერბერები მათ ისეთს მდგომარეობაში აყენებდნენ, რომ სხვა გზა არა ჰქონდათ.

ეხლა მაინც გადავარჩინოთ დრო ჟამის ულმობელ მბალთავ ეშვებს ის ნაწერები მაინც, რომელთაც დღევანდლამდე მოაღწიეს.

ლამის დავიწყების მდინარემ წარიოტოს ჰოლას პირადი ცხოვრება. ეგება ობოლმა მუშამ მოგვხადოს ცოდვა და პირნათლად გამოიყვანოს თანამედროობა შომავალთან.

**დ. ჩხეიძე.**

---

# ახალი გზით!..

„ძაღლი ჰიბოშანს ლოკავდა,  
ენაზე სისხლი სდიოდა,  
ძაღლს კი ეგონა, რომ სისხლი  
ჰიბოშანს გამოსდიოდა“.

(ხალხური თქმულება)

დღეს მუშათა კლუბში ლექციას კითხულობენ „გაახალგაზრდავების“ შესახებ!.. წავიდეთ მამაჩემო!..

ასე იწვევდა სამსახურიდან დაბრუნებული შვილი თავის მამას ერმილეს, რომელმაც მოსმენილ სიტყვების საპასუხოდ ჯერ რამდენჯერმე ჩამოისვა ხელი თავის თეთრ წვერზე, ოთახში გაიარ-გამოიარა და შემდეგ ღიმილით წარმოსთქვა:

— შენ შვილო, მაინც ახალგაზრდა ხარ, არ გქირია მე კი დიდი რწმენით არა ვარ განწყობილი მაგვარი „ოპერაციისადმი“. სამოცი წელი დღევანდელი ადამიანისათვის მეტად დიდი დრო არის, თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე აზვირთებული ცხოვრების განცდათა და შთაბეჭდილებათა რაოდენობას. ლეგენდალური მათუსალა ათასი წლის განმავლობაში ვერ ნახავდა იმას, რასაც დღეს ერთ საათში იხილავს და განიცდის ადამიანი!..

— უკაცრავად, მე უნდა წავიდე, მინდა გავეცნო ახალ აზრს, მეცნიერების ახალ მიღწევას, იქნებ სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებას რამდენადმე ფარდა ეხდება!—შენ კი საკუთარი აზრით შეგიძლია დარჩე! შვილმა ქუდი დაიხურა და ოთახიდან გავიდა. როცა ერმილე მარტო დარჩა, შვილის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა, ფიქრთა კორიანტელიააყენა მოხუცი კაცის გონებაში და ააფორიაქა იქ მწყობრათ დალაგებული ძველი აზროვნების ფენები და მიზეზი გახდა უჩვევ აზრთა დენისა.

— მართლაც კარგია ახალი აზრი, ახალი მიღწევა, ფიქრობდა ერმილე, სიცოცხლე ძველია, ვით ჩვენი დედამიწა, მაგრამ მისი გამოხატულება—აზრი, მუდამ ახალია. ვინც ახალ აზრს არ ითვისებს, ცხოვრების მიმდინარეობას ფეხ და ფეხ არ მიჰყვება, ისეთივე შმორის სუნი გაუვა, როგორც დამპალი ჭაობის ნალექს ზაფხულში. ჯიუტური სიმტკიცით ძველის დამცველს,—იმასაც შმორის სუნი აუვა!..

ყოველი ცოცხალი ქმნილების არსში ორი ელემენტია ჩასკვნილი,—განაგრძობდა ფიქრს ერმილე,— სიცოცხლე და სიკვდილი. ამ ორი მოვლენის გარეშე არც ადამიანი არსებობს.

ყველაფერი ის, რაც ოდნავ მაინც აშუქებს სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებას, ადამიანს მეტად აინტერესებს. საიდუმლოება კი ბევრი ახლავს ერთსაც და მეორესაც. რაც ჩვენ გვიყვარს, მოგვწონს, მისი გახანგრძლივება გვსურს! რაც გვძულს, რისაც გვეშინია, მის აცილებას ვცდილობთ. აქედან წარმოიშვა გაახალგაზრდავების სურვილიც. სულის, გონების, აზრის გაახალგაზრდავება ეს კი, ეს იქნებ შესაძლებელია!..

გონების თვალი გადაავლო თავის წარსულ, განვლილ ცხოვრებას და იქ, სადღაც შორს, სულის ფსკერში, ტვინის ყოველ უჯრედებში საშინელი სიცარიელე დაინახა. შეკრთა, მას შერცხვა, თითქოს კიდეც შეეშინდა აღმოჩენილი სიცარიელის.

სამოცი წელი ვიხანკალე... ვითომ ვცხოვრობდი და ბოლოს... საშინელი სიცარიელე!.. გაიფიქრა ერმილემ. ოთახში სიარული დაიწყო: დადიოდა ფრთხილად, ფეხ აკრებით, თითქოს ყურს უგდებდა შორეულ ხმას, რომელიც რაიმე საიმედოს გააგონებდა, აღმოჩენილ სიცარიელის ამოსავსებ ძალას მისცემდა...

გადიოდა დრო... ერმილეს აფორიაქებულ, აზღვავებულ გონებაში წარუშლელი კვალი დასტოვა სულის გაახალგაზრდავების, ძველი აზროვნების და შეხედულობის განახლების შესახებ მოულოდნელათ წამოჭრილმა კითხვამ. ის უკვე ჩაფიქრებული დადიოდა, ჩვეულებრივი ღიმილი წაიშალა მის სახეზე, სდუმდა, არ ლაპარაკობდა... ყველას უკვირდა ერმილეში მომხდარი ცვლილება—ავათაა უსათუოდ! რატომ ექიმთან არ წავა ეს კაცი? კითხულობდენ ნათესავები.

წინაგრძნობა გამართლდა. ერმილეს მართლა მოუხდა საავადმყოფოში წოლა, როგორც ანთებით ავადმყოფს. მარიამობისთვის მეორე ნახევარი მიწურულში იყო. მოაგარაკეები ნელ-ნელა ქალაქში ბრუნდებოდნენ. თუმცა სიცხე ისევ სწვავდა მტვრიან ქუჩებს. ერმილე კი საავადმყოფოში განაგრძობდა წოლას და ექიმების დახმარებით ჯანმრთელობას თანდათან იუმჯობესებდა.

— ექიმო, ეხლა მე კარგათ ვარ, გამწერეთ საავად-

მყოფოდან! თითქოს ხვეწნით მიმართა ერთ დილას მორიგ ექიმს.

— ხვალ, ხვალ! მოკლეთ უპასუხა ექიმმა.

ერმილეს ეჩქარებოდა საავადმყოფოდან გასვლა. მას მობეზრდა სხვადასხვა წამლების სუნით შეზავებული ჰაერის სუნთქვა და მოუთმენლად ელოდა წასასვლელად დანიშნულ „ხვალეს“.

დაღამდა. საავადმყოფომ დაისვენა მნახველებისა და მოსამსახურეთა წარა-მარა სიარულისაგან. ოთახებში ჩამოვარდნილ მყუდროებას მხოლოდ ეგერ-აგერ ფუჩუნით მოლაპარაკე ავადმყოფები არღვევდნენ. ელექტრონის სინათლეც სუსტათ ანათებდა. ბევრი ავადმყოფი ძილს მისცემოდა. ერმილეს კი არ სძინავდა. ხვალ გავა ის საავადმყოფოდან, მაგრამ გადაუჭრელი კითხვა „სულის გაახალგაზრდავების“ შესახებ, რომელიც მატლივით ღრღნიდა მის გონებას, მაინც ისევ გადაუჭრელი რჩებოდა.

— რატომ ასეთი მიმზიდველია სიცოცხლე? ისევ მოულოდნელად წამოიჭრა ერმილეს გონებაში კითხვა. მან თვალი მიავლ-მოავლო მძინარე ავადმყოფებს და განაგრძო:—ყველა ესენი სიცოცხლის გასაგრძელებლად მოსულან აქ. ყველას სიკვდილის ეშინია. ვიღაცას, რაღაცათ სჭირია ალბად ეს სიცოცხლე, როცა ასეთი სასოებით ვევლებით მას და დაბადების დღიდანვე თან დაგვყვება უძლიერესი გრძნობა სიცოცხლის სიყვარულისა, განა მარტო ადამიანს? ერმილემ გაიხსენა ბევრი საოცარი შემთხვევები თუ როგორი მოხერხებით აჯილდოებს ბუნება ყოველ ქმნილებას არსებობისთვის ბრძოლაში თავის დაცვისათვის, სიცოცხლის გაგრძელებისათვის, შთამომავლობის გამრავლებისათვის. ბევრი იფიქრა ერმილემ სიცოცხლის შესახებ, მაგრამ მისმა დაღლილმა გონებამ ერთხელ გამოტანილ დასკვნას ვერ გასცილდა: „თვით ჩვენს გარეშე, ვიღაცას კიდევ ესაჭიროება ჩვენი სიცოცხლე და ცდილობს მის დაცვაზე!“ მეტი ფიქრი მან ვეღარ შესძლო, თვალები ძილმა მოჰპარა. დაღლილ ერმილეს სწორედ ძილი ესაჭიროებოდა ახალი ძალის მოსაკრეფად, მაგრამ ვერც ძილში ჰპოვა მან მოსვენება.

ხედავს ის: საშინელი ცეცხლი მოედო ქვეყანას. დაფეთებული, შეშინებული ხალხი უგზო-უკვლოთ გარბის კივილით, წივილით, ტირილით. ჰაერი დაინისლა, დამძიმდა. მზე დაბნელდა. საშინელმა წყვდიადმა მოიცო არე-მარე. მხოლოდ ცეცხლის გრძელი ენები ხან იქ, ხან აქ გააშუქებენ ბნელით მოცულ ადგილებს. უცბათ გადაიღო. ყველაფერი დაწყნარდა, დადუმდა. გამოქცეული ხალხი ისევ იმ გზით ბრუნდებიან თავიანთ სახლებში, თავისიანების სანახავათ, ამბის გასაგებათ. ერთ ადგილს ხალხი შეჯგუფდა, წინ ველარ მიდის. რა ამბავია? ერმილეც იქ არის. მან გარკვევით დაინახა ცეცხლის ალისაგან დარუჯულ-დახრუკული მკვდრები, რომლებიც კედლათ ამართულიყვნენ გზაზე, სწორედ იმ ადგილას სადაც ხალხი შეჯგუფდა. გასავლელი ადგილი აღარ იყო. ხალხი კი ერთ ადგილას ბრუნავს, არ იცის საით წავიდეს. ამ დროს გაისმა ხმა:—რატომ დგეხართ ამხანაგებო, აი ახალი გზა, ბევრათ უკეთესი, იარეთ ამ გზით! და მართლაც ყველამ შენიშნა იქვე ახალი გზა და გაეშურენ იმ გზით. ერმილემ უკანასკნელად შეხედა მკვდრებს, გარკვევით დაინახა ბოძებზე გაკრული ტილო დიდრონი ასოებით წარწერილი: „ძაღლი ჰიბოშანს ლოკავდა, ენაზე სისხლი სდიოდა, მას კი ეგონა ეს სისხლი ჰიბოშანს გამოსდიოდა.“ „ძველი გზა მკვდრებმა დაიკავა,—იარეთ ახალი გზით!“ საშინელმა სანახაობამ ერმილე გამოაღვიძა. თენდებოდა. „დღეს გავალ საავათმყოფოდან“ გაიფიქრა მან და ასადგომათ მოემზადა. „ახალი გზით, ახალი გზით!“ იმეორებდა თავის გულში ტილოზე წაკითხულ წარწერას და კარებისკენაც ხშირად იცქირებდა. ექიმს უცდიდა.

მელიტ. შარაშიძე.

# ერთი შეკითხვის გამო

ერთი ამხანაგი შეეკითხა „ახალ გზას“—რომელი ენა ითვლება შეიცარიაში სახელმწიფო ენათო.

„ახალმა გზამ“ უკვე გასცა ამ შეკითხვაზე პასუხი, რომ შვეიცარიაში სამივე ენა (გერმანული, ფრანგული და იტალიანური) ითვლება სახელმწიფო ენათ. რომ შვეიცარიაში არ აქვს ალაგი ენის შესახებ მწვავე კამათს და უსიამოვნებას... მიუხედავათ იმისა, რომ შვეიცარიაში ბევრი სხვადასხვა ერები სცხოვრობენ, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკენი.

სხვანაირათაა ეს საკითხი დაყენებული ჩვენში.

ჩვენი მხარე, ამიერ კავკასიის მასშტაბით რომ ავიღოთ, ბევრათ წააგავს შვეიცარიას.

საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი და სხვა რესპუბლიკები სრულიად დამოუკიდებელნი არიან შინაურ საქმეებში... თვით განაგებენ თავიანთ საქმეს, თავის ეროვნულ ენაზე. აქ სადაო, სალაპარაკო არაფერია... ეს ასეც უნდა იყოს.

თუ რომელიმე რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არაა გატარებული სრული გაეროვნება, თუ ყველა საქმეები ვერ სრულდება რესპუბლიკის ენაზე—ეს დროს ბრალია.

არ უნდა დავივიწყოთ ყოფილი მეფის მთავრობის სურვილი და მისწრაფებანი. ეს სურვილი კი მდგომარეობდა იმაში, რომ ყველა კავკასიის ერები გარუსებულიყვნენ. სხვა ენები გამქრალიყვნენ და რუსული ენა გაბატონებულიყო.

დროზე მოუსწრო რევოლიუციამ.

რევოლიუციამ ულმობელი მახვილი ჩაჰკრა თავში, პატარა ერების გამანადგურებელ მეფის პოლიტიკას.

რევოლიუციამ გამოაღვიძა, გამოაცოცხლა და ფეხზე წამოაყენა მეფის პოლიტიკით მიწაზე განარცხული პატარა ერები.

დღეს ყველას უფლება აქვს მოაწყოს თავის საქმეები თავის ერის სურვილისამებრ.

პატარა ერების დიდი ხნის ნატვრა, მისწრაფება—დღეს სინამდვილეთ იქცა, ფრთები შეესხა.

შეფერხება-დაგვიანებას ბოლო მოეღება და პატარა რესპუბლიკებში სახელმწიფო ენა დღეს თუ არა ხვალ, უსათუოდ დაიჭერს თავის დანიშნულ ალაგს.

ეს არის სურვილი და მისწრაფება, როგორც პატარა

ერების, ისე საბჭოთა რესპუბლიკების მამამთავარ კომუნისტურ პარტიისა.

კომუნისტურ პარტიის პროგრამაში ეს საჭირბოროტო საკითხი პატარა ერებისათვის სასურველათ არის გადაჭრილი.

აქ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყველა მეფის დროს, ჩაგრული ერები სავსებით უთანასწორდებიან წინათ გაბატონებულ ერს.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროგრამა იმ გარემოებას, რომ გაბატონებულ ერის პროლეტარიატმა არ დაჩაგროს მცირე ეროვნებათა მშრომელების ეროვნული გრძნობა-ჩვეულებანი. მხოლოდ ასეთი მეგობრული პოლიტიკით შესაძლებელი გახდება სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელების მტკიცე კავშირი და ერთობაო. (იხილ. программа и устав Р. К. П. стр. 118) იქვე გვ. 94 ამხანაგი ლენინი ასე ეკამათება ბუხარინს, პიატაკოვს და სხვათ: ველიკოროსელები ჩაგრავდენ ბაშკირებს, ამიტომ ბაშკირისათვის სახელი ველიკოროსი უდრის „მჩაგვრელს“ „ყაჩაღს“... ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოთ... სიფრთხილით უნდა მოვიქცეთ... განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს ისეთ ნაციას, როგორიცაა ველიკოროსელები, რომელმაც ყველა ნაციების სიძულვილი დაიმსახურა და რომლის გამოსწორებას დღეს ვსცდილობთ, მაგრამ ცუდათ. ჩვენ გვყავს კომუნისტები, რომლებიც ამბობენ: ერთია სკოლა.— არ ასწავლოთ სხვა ენაზე, გარდა რუსულისაო.

ასეთი კომუნისტი—ამბობს ამხ. ლენინი—არის ველიკოროსელი „შოვინისტიო“, ასე ბევრი ჩვენგანი აზროვნებს და ამას უნდა ვებრძოლოთო“ დასძენს—ამხ. ლენინი.

დღეს ჩვენში ბევრ ალაგს აქვს ალაგი მწვავე კამათს ენის შესახებ.

როცა პატარა ერების მშრომელები მოითხოვენ თავის ენაზე საქმის წარმოებას -ამ ენის არა მცოდნე ამხანაგები ჯავრობენ, იბუტებიან, უკმაყოფილონი რჩებიან...

განსაკუთრებით ეს ითქმის რუს ამხანაგებზე.

ბევრია ჩვენში რუსი ამხანაგი—მოხელე—მუშა, რომელმაც ქართული არ იცის, თუმცა ბევრი მათგანი ათი და ოცი წლობით უკვე იმყოფებიან საქართველოში.

ამათთვის იმართება სამეცადინო კურსები ადგილობრივი ენის შესასწავლათ, მაგრამ მაინდამაინც თავს არავინ იტკივებს.

ადგილობრივი ენის უცოდინარი ამხანაგები, უფრო მუყაითად სწავლობენ მაგალითად „ესპერანტოს“—ვინემ ქართულს. ბევრი ჩაეწერა პარტიაში და ასე გონია ადგილობრივი ენა აღარაა საჭირო.

ასეთ ამხანაგებს უნდა ურჩიოთ, განსაკუთრებული ყურადღებით წაიკითხონ პარტიის პროგრამა და იხელმძღვანელონ ყველასათვის სავალდებულო დადგენილებით.

დღეს,—საბჭოთა რუსეთში, ათასობით და ათიათასობით არიან სამუშაოთ გაფანტული ქართველები, სომხები და თათრები, განა სისულელე არ იქნებოდა მოეთხოვათ რუსეთში მყოფ ამხანაგ ქართველებს, სომხებს, აღერბეიჯანელებს და სხვებს საქმის წარმოება თავიანთ ენაზე?

სწორეთ ასეა ყველგან. ამიტომ რომელი ამხანაგიც რომელ საბჭოთა რესპუბლიკაში ცხოვრობს და მუშაობს იქაური ენა უნდა შეისწავლოს და ადგილობრივი ენის გასახელმწიფოებრიობას ხელი არ უნდა შეუშალოს, თორემ მასზე ზეგამოჭრილი იქნება ამხ. ლენინის მიერ მოყვანილი სიტყვა „შოვინისტი“.

ხოლო ამიერ-კავკასიაში მდებარე საბჭოთა რესპუბლიკები ისეა გადაბმულ-დაკავშირებული ერთი მეორესთან, რომ ძნელია ერთი ენით ფონს გასვლა, საქმის გაკეთება. სამხედრო უწყება, რკინის-გზა, ფინანსები, ფოსტა-ტელეგრაფი—საყოველთაოთ-ერთია. ამიტომ ხშირად, ძალიან ხშირად საჭირო ხდება სამი და ოთხი ენის ცოდნა. საგულისხმოა ავღნიშნოთ, რომ შვეიცარიაში ბევრმა იცის სამივე ენა და ეს გარემოება აადვილებს სხვადასხვა ეროვნებათა ერთად კულტურულად და პოლიტიკურად მუშაობა-მეგობრობას.

რისგან არის რომ შვეიცარიაში ბევრმა იცის სამივე ენა?

იმისგან რომ იქ პატარაობიდანვე სასწავლებლეშში ყველგან ასწავლიან სამივე ენას. რაკი შკოლაშივე პატარაობაში შეისწავლა შვეიცარიელმა სამივე ენა, თუმცა სუსტათ, შემდეგში თუ მას დასჭირდა რომელიმე მეორე ან მესამე ენა, ის ამას ადვილად ითვისებს, ადვილად სწავლობს.

ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში. საქართველოს, სომხეთის და აღერბეიჯანის ყველა დაწყებითი სასწავლებლებში, რომ სამივე ენა სავალდებულო შესასწავლათ გავხადოთ, ამით დიდი საქმე გაკეთდება.

წინეთ ლათინური და ბერძნულის სწავლებით ბავშვებს საქმეს უჭირვებდენ.

დღეს თუ ჩვენ დავადგენთ პატარაობიდანვე შევისწავლოთ მეზობელ ერების ენა, ეს სარგებლობასაც მოგვიტანს და მეზობელ ერთა დამოკიდებულებასაც გაამაგრებს, გაამტკიცებს.

კავკასიის ერთა შორის წინანდელი მტრული დამოკიდებულება დღეს არსებულმა ხელისუფლებამ, შესცვალა ძმობა, მეგობრობაზე. ბევრი გვაქვს დღეს მეზობელ რესპუბლიკებს საერთო საზიარო. ერთი-ერთ ენის შესწავლით მეტად გაადვილდება საერთო მუშაობა და უფრო დაუახლოვდება მეზობელი რესპუბლიკები ერთი მეორეს.

რაც შეეხება რუსულ ენას—დღეს ის ამიერ კავკასიაში თამაშობს სამაშუალო ენის მოვალეობას. ის ასე თუ ისე აკავშირებს კავკასიის მრავალ ენიან ერებს. რუსული ენის ეს მოვალეობა დროულია. როცა ადგილობრივი ენები გამაგრდებიან და შესაძლებელი გახდება ყველა რესპუბლიკებში საქმეების წარმოება თვით რესპუბლიკის ენაზე, მაშინ აღარ დარჩება საჭირო რუსული ენის დახმარება. ხოლო რუსული ენის შესწავლა ისეთივე მოვალეობა უნდა იყოს საბჭოთა რესპუბლიკების სკოლებში, როგორც სხვა მეზობელ რესპუბლიკის ენისა.

დღეს ბევრს მუშათა ორგანიზაციებში სწავლობენ ეგრეთ წოდებულ „ესპერანტოს“.

ამ ახალი ენის მქადაგებელნი ასაღებენ „ესპერანტოს“ ერთად ერთ საერთაშორისო ენათ.

ეს სიმართლეს მოკლებულია. მესამე ინტერნაციონალს არ მიუღია ჯერ არც ერთი ენა—საერთაშორისო ენათ. და მანამ ეს მოხდებოდეს არავის არ უნდა ქონდეს უფლება რომელიმე ენა გამოუცხადოს საერთაშორისო ენათ.

ამხანაგი მუშები კარგავენ დროსა და ფულს ამ ახალი ენის შესწავლაში, მაშინ როდესაც ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილობრივი ენის შესწავლას.

„ესპერანტისტები“ ავრცელებენ ხმებს, რომ რაკი „ესპერანტოს“ შევისწავლით აღარ იქნება საჭირო რუსული, ქართული, სომხური და სხვა ენებიო.

ამით ბევრი სტყუვდება. დღეს საჭირო ენის შესწავლას თავს ანებებს და სწავლობს „ესპერანტოს“.

ამიტომ საჭიროა ამხანაგებმა იცოდენ, რომ „ესპერანტო“ არაა ჯერ მიღებული მესამე ინტერნაციონალის მიერ, საერთაშორისო ენათ. და როცა იქმნას ასეთად აღიარებული, ადგილობრივი ენები მაინც ვერ მოისპობიან და მაინც საჭიროა ვიცოდეთ ის ენა რომელ რესპუბლიკაშიაც ვეწევით აღმშენებლობითი მუშაობას.

ს. დოლიძე.

P. S. ეს წერილი დაწერილი იყო, რომ გამოცხადდა უმაღლესი ადმინისტრატორებისაგან; რკინის გზებზე ეროვნული ენების უეჭველი შემოღების ვადათ ინიშნება საქართველოსათვის პირველიი ვნისი, ხოლო აზერბეიჯანისათვის პირველი ენკენისთვე ამა წლის. ვისაც ამ ვადაზე არ ეცოდინება რესპუბლიკის ენა ისინი იქნებიან სამსახურიდან დათხოვნილიო.

აქედან აშკარაა—გაეროენება ყველგან ხდება და დღეს თუ არა ხვალ ის სინამდვილეთ უნდა იქცეს.

ს. დ.

# მიმართვა ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტებისადმი

ამხანაგებო! აგვისტო-სექტემბრის ავანტიურამ გამოაფხიზლა ის ნაწილი ქართველი საზოგადოებისა, რომელიც საქართველოს განთავისუფლების იმედს ევროპის იმპერიალისტურ ძალებზე ამყარებდა და აქტიურად თუ პასიურად ხელს უწყობდენ ანტი-საბჭოთა პარტიებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ მუშაობაში.

აგვისტოს ამბებმა საქართველოს მშრომელ ხალხისათვის აშკარა გახადა, რომ ხელისუფლებასთან შერიგება და მასთან გულწრფელად თანამშრომლობა არის ერთად-ერთი გზა საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ აყვავებისათვის.

ქართველ საზოგადოებაში დიდი პოლიტიკური გარდატეხა ხდება: ძველი მუშები, გლეხები და მშრომელი ინტილიგენტები, რომლებიც ათეულ წლების განმავლობაში სოც.-დემოკრატიულ პარტიაში მუშაობდენ, დღეს სტოვებენ მას, 7—8 ოქტომბერს ტფილისის ყოფ. მენშევიკებისა და უპარტიო მუშების მიერ არჩეულ მუშათა კომისიის გარშემო იკრიფებიან და ახალ გზაზე დგებიან.

პოლიტ. გარდატეხა ხდება ქართველ ახალგაზრდობაშიაც. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს ახალგაზრდობის საგრძნობ ნაწილს აკავშირებდა, დღეს ფაქტიურად არ არსებობს; მისი დაშლა 1923 წლიდან დაიწყო (ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა სალიკვიდაციო ყრილობა 1923 წლის ოქტომბერში), ხოლო 1924 წლის დასაწყისში ორგანიზაციის ცეკამ უარყო ძველი გზა და საბჭოთა პლატფორმა მიიღო.

აგვისტო-სექტემბრის შემდეგ ახალგაზრდა მარქსისტები მასიურად სტოვებენ ორგანიზაციას. ერთათერთ სწორ გზათ მუშათა კომისიის მიერ არჩეული გზა აღიარებენ, მის გარშემო იკრიბებიან და მზათ არიან მთელი თავის ახალგაზრდულ ენერგიით ხელი შეუწყონ არსებულ ხელისუფლებას საქართველოს აღორძინების საქმეში.

9 თებერვალს თფლისში შესდგა ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა თათბირი. თათბირი სავსებით იწონებს რა მუშათა კომისიის პლატფორმას, მოუწოდებს საქართველოს სხვა კუთხეების ახალგაზრდობას გასწყვიტონ კავშირი არალეგალურ წრეებთან, შემოიკრიბონ მუშათა კომისიის გარშემო და სასტიკი ბრძოლა აწარმოონ საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან.

თათბირმა აირჩია მუშათა კომისიაში თავისი წარმომადგენელი, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს მუშათა კომისიის საშუალებით ახალგაზრდობის ხელისუფლებასთან დაახლოვების საქმეს.

საქართველოს ყველა ქალაქებში და სამაზრო ცენტრებში მუშათა კომისიის პლატფორმაზე მყოფი ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები ირჩევენ თითო წარმომადგენელს მუშათა კომისიის ადგილობრივ რწმუნებულებთან.

წარმომადგენლის მოვალეობაა ახალგაზრდობაში მუშაობის ხელმძღვანელობა, მათში ფართო აგიტაცია პროპაგანდა და ახალგაზრდობის კულტურულ-ეკონომიურ საქმიანობაში ჩაბმა.

მუშაობის ხასიათი იგივეა, რაც მუშათა კომისიის რწმუნებულებისა.

ახალგაზრდობის წარმომადგენელს ევალება რეგისტრაციაში გატარება იმ ახალგაზრდების, ვინც მუშათა კომისიის პლატფორმას აღიარებს (იხ. „ახალი გზა“ № 2).

ყოველგვარი კონკრეტიული ხასიათის საკითხების შესახებ, ახალგაზრდების წარმომადგენლებმა კავშირი უნდა დაიჭირონ მუშათა კომისიის რწმუნებულების საშუალებით თფილისის მუშათა კომისიაში მყოფ ახალგაზრდების წარმომადგენელთან. მასვე უნდა აცნობოს ადგილობრივ ახალგაზრდობაში მუშაობის მსვლელობის შესახებ.

თათბირის დავალებით თათბირის
თავმჯდომარე: მიხ. ჩაჩუა.

მდივანი არ. ჩაჩუა

ახალგაზრდების წარმომადგენელი
მუშათა. კომისიაში: მიხ კვატაშიძე.

# საკავშირო ცაკის მესამე სესიის საზეიმო სხდომაზე ამხ. რიკოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

ეხლა, როდესაც ამიერ-კავკასიის ერები გაერთიანებული არიან საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის სახით, როდესაც არჩევანი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირის შორის მოხდენილია, წყდება საკითხი სახელმწიფოს ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც მოგვცემს მაქსიმალურ შესაძლებლობას ცალკე ეროვნებათა თავისუფალ განვითარებისათვის. მოწყობა სახელმწიფოსი, რომელშიაც არის 130 მილიონი მცხოვრები და მრავალი სხვადასხვა ეროვნება, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე პატარა, ყველაზე პაწაწკინა ერი მიიღებს სრულ თავისუფლებას თავის ეროვნულ განვითარებისათვის ამასთანავე ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ თავისუფალი განვითარება რომელიმე ეროვნების, რომელსაც თავის ტერიტორიის ფარგლებში ამისთვის მეტად ვიწრო ბაზა აქვს, შესაძლებელია სხვა ერებთან ერთად მჭიდრო ეკონომიური კავშირის პირობებში. ეკონომიური თანამშრომლობა სხვადასხვა ერებს შორის დამყარებული მეგობრობაზე, ურთიერთ ნდობაზე, საერთო ინტერესებზე, უარყოფა ეროვნული განვითარების თავისუფლების შეზღუდვისა, აი რა შეუწყობს ხელს ცალკე ერთა სამეურნეო პოლიტიკურ და კულტურულ აღორძინებას და ამით დახმარებას გაუწევს ეროვნული განთავისუფლების საერთო მიზნის საჩქაროდ განხორციელებას.

და ამ მხრივ პრაქტიკული გადასინჯვა ჩვენი პროგრამის, ჩვენი მუშაობის უნარის, უნდა მოხდეს, კერძოთ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის გამოცდილების მიხედვით. საკავშირო მთავრობა, რომელთა წარმომადგენლებს თქვენ შეხვდით დღეს, მოწოდებულია განაგოს ქვეყანა 130 მილიონი მცხოვრებით და მიიყვანოს ეს მილიონები ყოველგვარ ჩაგვრისა და ძალადობისაგან განთავისუფლებამდე. ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მთელი მუშათა კლასის მჭიდრო კავშირის საშუალებით, მისი დაკავშირებით გლეხობასთან და ვიმეორებ, სრული თანასწორობით ყველა ეროვნებათა, რომელნიც შედიან ჩვენი კავშირის შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის ცაკის სესიაზე დღის წესრიგში სდგას ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს მოხსენება და ჩვენ მოვითხოვთ ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოსაგან სწორ პასუხს იმაზე, რა მიღწევებია ა.-კავკასიაში ეროვნული საკითხის გადაჭრის სფეროში, ეროვნულ კულტურის განვითარებისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა თავისუფალ თანამშრომლობის საკითხში.

ეროვნული საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტს მთელ ჩვენ პოლიტიკაში. მხოლოდ ხალხთა თავისუფალ განვითარების ნიადაგზე არის შესაძლებელი ჩვენ კავშირში შემავალ ეროვნებათა შეკავშირება. როგორც თქვენ გახსოვთ, ვლადიმერ ილიჩი თავისი მუშაობის უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნულ საკითხს და კერძოთ საქართველოს საკითხს; ილიჩი ამ საკითხს უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაში.

აქ, ამ ტრიბუნაზე, გამოვიდენ წარმომადგენლები გლეხებისა, მუშებისა და მთელი რიგი საზოგადო ორგანიზაციებისა ს. ს. ს. რ. ცაკის მიმართ მისალმებებით. მუშებისა და ყოფილ მენშევიკების სახელით გამოსული ამხანაგები თავის სიტყვებში აღნიშნავდენ იმ შეცდომებს რომლებიც ჩაიდინეს ნაწილობრივ მუშებმა და ნაწილობრივ მოსახლეობამ საქართველოში ამას წინეთ აჯანყების მოწყობის ცდის დროს. ჩვენ არასდროს ზედმეტად არ დაგვიფასებია ეს ფაქტი. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ იმ მიღწევებმა, რომელიც ცხოვრებაში გატარდა საბჭოთა საქართველოს არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში, ეროვნულ საკითხის მოწესრიგების და გლეხთა საკითხის გადაჭრით საქართველოს ფართო მასებს ბევრად უფრო მეტი სარგებლობა მოუტანა, ვიდრე მენშევიკებისა და ბურჟუაზიის ბატონობის მრავალმა წელმა. მაგრამ მე სავსებით არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს გლეხობასა და მშრომელთა მასებში ყველაფერი გაკეთებულია, რომ ყოველი ქართველი გლეხი უყურებდეს ჩვენს სახელმწიფოსა და მთავრობას ისე, როგორც თავის მთავრობას. მე მგონია, რომ აქ ცოტათი დავაგვიანეთ თავის დროზე თავადებისათვის მიწების ჩამორთმევა და გლეხებისათვის გადაცემა და ოდნავად შენელებულ იყო გლეხთა ყოფა-ცხოვრების საკითხის გადაჭრის ტემპი. ყოველ შემთხვევაში პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აქ საქართველოში არის გლეხთა ისეთი ჯგუფები, რომლებიც მოსკოვის მთავრობას კიდევ არ უცქერიან, როგორც საკუთარ მთავრობას, ქართველი გლეხის მთავრობას. ჩვენ რაც არ უნდა დაგვიჯდეს, აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა გლეხმა,—სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის: საქართველოში, ბელორუსიაში, აფხაზეთში, შორეულ აღმოსავლეთში თუ კაციჭამიებს შორის,—იცოდეს, რომ კავშირში არის დიდმპყრობელური ერი, რომ ჩვენი მთავრობა არ წარმოადგენს რომელიმე ერთი ერის მთავრობას. მშრომელებმა უნდა იცოდენ, რომ ისტორიაში პირველია ასეთი მთავრობა, რომელიც თავის უშუალო და გადაუდებელ ამოცანად ისახავს დახმარების გაწევას ყველაზე ჩამორჩენილ ხალხებისათვის ყოველივე სხვა სახის და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების საქმეში. ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი კავშირის ყოველმა მცხოვრებმა არა თუ იცოდეს, არამედ ის გრძნობდეს და სჯეროდეს, რომ ჩვენს კავშირში არ არის არავითარი უპირატესობა რომელიმე ერისათვის სხვა ერების საზიანოდ.

ამიტომ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ყოველი წელი უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო იმ მიღწევებით, რომლებიც გვაქვს სამეურნეო მშენებლობის დარგში, არამედ იმ წარმატებებითაც, რომლებიც გვაქვს ცალკე ერების კულტურული განვითარების დარგში.

იმ სიტყვებიდან, რომლებითაც მიესალმენ ამიერ-კავკასიის მშრომელთა წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, შეგვიძლია გამოვიტანოთ სრული იმედი იმისა, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის გლეხთა მასებში საკავშირო მთავრობა ჰპოებს ერთგულ, მტკიცე და დიდ დახმარებას საბჭოთა სახელმწიფოს ყველა საკითხების გადაჭრის დროს. (მქუხარე ტაში, ოვაციები; ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს„).

# ინგლისის პროფკავშირების საგარეო საქმეთა კომიტეტი.

ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ აირჩია საგარეო საქმეების შესახებ მუდმივი კომიტეტი 10 კაცის შემადგენლობით. კომიტეტის მთავარი მიზანია რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად დაუყოვნებლივ კონფერენციის მოწვევა.

კომიტეტში არჩეულნი არიან: თავმჯდომარედ—პერსელი, წევრები მშენებელთა კავშირიდან—ხიგსი, ტრანსპორტიდან—ბენ-ტილეტი, სამთამადნო მუშებიდან—სმილი, ქალებიდან და შავი მუშებიდან—ვარლი, გაზის წარმოებიდან—ხეიდეი, მელითონეებიდან—პეგი, მეტყავეებიდან—ცულტონი, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებიდან—ბოუენი, შავი მუშებიდან—ტორნი.

პერსელი და ხიგსი წარმომადგენლებია მემარცხენე მიმდინარეობის, შემდეგი ოთხი—ცენტრის და, უკანასკნელი ოთხი კი—მემარჯვენე ფრთის.

პერსელი, ხიგსი და ბრამლი შედიან ქვეკომისიაში, რომელიც გამოიმუშავებს კომიტეტის მოქმედების გეგმას.

ამნაირათ ინგლისის პროფკავშირები იწყებენ დამოუკიდებელ საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებას.

# მუშათა კომისიის მუშაობა

### ჭიათურა

თებერვლის პირველ რიცხვებში ჩავედი ჭიათურაში, სადაც ვინახულე სამაზრო ქვეკომისია, რომელიც შემდგარია ჭიათურის მოწინავე მუშებისაგან. ამხანაგების აზრი იყო 15 თებერვლისთვის მოეწვიათ სამაზრო რწმუნებულთა კონფერენცია, მაგრამ ეს კონფერენცია გადაიდო შემდეგისათვის, რომლის მოწვევის დრო დაინიშნება რუსეთიდან მუშათა კომისიის დაბრუნების შემდეგ.

ამ მაზრაში გაცხოველებული მუშაობა უწარმოებიათ ამხანაგებს; თითქმის ყველა თემებში გაუკეთებიათ მოხსენებები მუშათა კომისიის ამოცანების შესახებ და ყველა თემებში აურჩევიათ რწმუნებულები სადაც კი შესაძლებელი ყოფილა მისვლა. მუშაობისათვის ხელი შეუშლია დიდ თოვლსა და ქარ-ბუქს.

ამხანაგები მხნეთ მუშაობენ და აღგვითქვეს, რომ სულ ცოტა ხანში დავამთავრებთ მუშაობას დარჩენილ თემებშიაცო. სწარმოებს აღრიცხვაზე აყვანა ყოფილ მენშევიკებისა და უპარტიოების, ვინც კი იზიარებს მუშათა კომისიის მიზნებს და დგება საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე.

მქონდა საუბარი სხვა მოწინავე მუშებთან და ნაცნობ გლეხკაცობასთან, რომლებიც საყვედურით მომმართავდნენ, რატომ ამდენხანს არ გადადგა ასეთი ნაბიჯი თფილისის მუშებმა, რომლის შემყურეც ჩვენ მუდამ ვიყავით, რომელსაც ვთვლიდით პოლიტიკურ გეზის მქონეთ და ალღოს ამღებათო.

მუშებიც და გლეხებიც სწუხან ზოგიერთ მოხელეთა და მათი ამყოლთა თვითნებობაზე. ყოფილა ასეთი შემთხვევა: გამოსვლების შემდეგ, როცა ყოველივე დაწყნარებულა ხალხისათვის უპატიებია მთავრობას და მით შეწყვეტილა დევნა-დატუსაღება, ადგილობრივი პარტიულები, უმეტესად ახალგაზრდობანი გაბრაზებულან; როგორ თუ ესენი დასჯას გადარჩნენო და თვითნებობით დაუწყიათ გასამართლება: ღამე სახლიდან გამოწვევით და ცემით, რასაც რამოდენიმე მსხვერპლიც მოჰყოლია. რწმუნებულებს უჩივლიათ ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელებთან, რომლის განკარგულებითაც ეს მოთვითნებენი დაუპატიმრებიათ. ამ გარემოებას ხალხი დაუშინებია და ამას გვარიანათ შეუშლია ხელი მუშაობისათვის ჭიათურის რაიონში, მაგრამ ბოლოს ეს დაბრკოლება გადალახავს ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელს და ეხლა მუშაობა წესიერათ სწარმოებს. მუშებიც და გლეხებიც ძლიერ შეწუხებულნი არიან უმუშევრობით და ცის მანანასავით მოელიან შავი ქვის მუშაობის გაჩაღებას.

ჭიათურიდან წაველი ტყიბულში მე და ამხანაგი მეფარიშვილი. უნდა აღვნიშნო რომ ქუთაისის რკინის გზის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. სამსონ გოგოლაშვილმა დიდის თანაგრძნობით შეხვდა მუშათა კომისიის მიზნებს და მან წინდაწინ წავიდა ტყიბულში ადგილობრივ ამხანაგებთან მოსალაპარაკებლად და ფართო კრების მოსაწვევად. ტყიბულში მუშაობენ სამ წყებათ და თუ ერთი დღით ადრე არ იქნებოდა ზომები მიღებული მაშინ ორი მესამედი მუშებისა, რომლებიც თავის მორიგეობის შემდეგ სოფლებში მიდიან, კრებას ვერ დაესწრებოდნენ, და ამ რიგად ერთ და იმავე ალაგას სამი კრება უნდა გამართულიყო, რაც მოუხერხებელი იქნებოდა ტეხნიკურად, რადგანაც სხვადასხვა კითხვებზეც ქონდათ ადგილობრივ ამხანაგებს კრებების საჭიროებანი.

ჩვენ ჩაველით ტყიბულში შუადღეზე. კრება გაიხსნა საღამოს ექვს საათზე რომელსაც დაესწრო დიდი ძალი მუშები, რომლებიც მოწიწებით და გულ დასმით უსმენდენ მოხსენებას: „აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მომხდარ გამოსვლების შესახებ და ჩვენი ამოცანა“. კამათში მონაწილეობა მიიღო კომუნისტებს გარდა ყოფილ მენშევიკებმა და უპარტიო მუშებმა. იყო მრავალი საგულისხმო შეკითხვები რაზედაც სათანადო პასუხი იყო გაცემული. უნდა აღინიშნოს რომ მოხსენებით კრებას კმაყოფილება ეტყობოდა.

აღსანიშნავია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება.

ქართული ანდაზაა „კარგ ფხიზელ და გულ კეთილ მწყემსის ფარას, მგელი ვერ გააფუჭებსო“, და ეს სავსებით მართალია ტყიბულის ხელმძღვანელ პარტიულ ამხანაგების მიმართ. ასეთი ამხანაგები რომ იყვნენ ყველგან და ყოველ დარგში, ჩვენი ქვეყნის ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფს, არავითარ ავანტიურას საბაბი არ ექნება და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება სულ ადვილად, რაც სასურველი და სასარგებლო იქნება ხალხისათვის, ხელისუფლებისათვის და რევოლიუციისათვის.

ეს ამხანაგები ჩაძრომიან ხალხს სულში, მათი ფსიხოლოგიური სინამდვილე შეუგნიათ და ისე მიდგომილან

რევოლიუციონურ საქმიანობას; რითაც კი არ აფრთხობენ ხალხს, არამედ აინტერესებენ მათ თავის მოქმედება-საქმიანობაში და ამ ნიადაგზე შეუქმნიათ ურთი-ერთი ნდობა და რევოლიუციისადმი სიყვარული.

მათ გამოსვლა-სიტყვებს ხალხი ალტაცებით და სიყვარულით ხვდებოდა და ეს არის უტყუარი საბუთი მათი საქმიანობა-გამარჯვებისა.

რაც შეიძლება მეტი ასეთი ამხანაგები ყოველ დარგში, როგორც მუშათა რაიონებში, ისე გლეხებშიც, და მაშინ ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით რომ ყოველნაირ გაუგებრობას ნიადაგი გამოეცლება და ჩვენი ხალხი როგორც პოლიტიკურად აღზრდილი შეიგნებს თავის შეცდომებს, რაც მას მისდაუნებლიეთ მოეხვია თავს და ის კვლავ დაბრუნებული რევოლიუციონურ ოჯახში მაღლა ასწევს წითელ დროშას და შეუპოვარ-აღფრთოვანებული გასწევს წინ სოციალიზმისაკენ.

ლ. კუპრაშვილი.

---

## ზუგდიდის მაზრაში მოგზაურობა და ჩემი შთაბეჭდილებანი.

არასოდეს არ მქონია ბედნიერება, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეები დამეთვალიერებინოს. ეს ბედნიერება მომეცა ამ უკანასკნელ დროს, რითაც დიდათ კმაყოფილი ვარ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ შემოვიარე კახეთის მხარე, ეხლა კი ზუგდიდ-სენაკის კუთხეებსაც გავეცანი. გულახდილათ უნდა ვსთქვა, კახეთსა და სამეგრელოს შორის დიდი განსხვავებაა. კახეთი მდიდარია ბუნებით, მოსავლით, მარა დაბლა დგას კულტურით, სწავლა-განათლებით. სულ სხვაა სამეგრელოში. ერთ ბავშვსაც ვერ ნახავთ, რომ სასწავლებელში არ იყოს. რაც უნდა ღარიბი დედ-მამა ყავდეს, შვილს მაინც შკოლაში გზავნის, პირველი მისი ზრუნვა—სწავლაა, მეორე კი—სმა-ჭამა და სხვა. კაცი და ქალი მეტად ზრდილი, თავაზიანი, ამავე დროს თავმოყვარე და შეუპოვარი. ყოველივე მათი სიტყვა ზრდილობით სავსეა, ხშირათ გაიგონებთ: „სკანი ჭირიმე, ჩქიმი პატენი".

ერთ დილას მე და ჩემი ამხანაგი ძველაია ქუჩაში მივდიოდით, გაქანებული ცხენით მოდის ერთი ქალი, თავზე ყაბალახი აქვს წაკრული, ტანზე პალტო აცვია. უეცრათ ჩვენს ახლოს შეანელა ცხენის სვლა და ბოდიში მოიხადა. მე ვერ გავიგე რაში იყო საქმე. ამხანაგმა ამიხსნა, ბოდიში მოიხადა იმიტომ, რომ ცხენზე იჯდა კაცურათ ანჩახზედ და ჩვენ ჩაგვთვალა უცხო პირებათო. ეს იმას ამტკიცებს, თუ რამდენათ ზრდილობიანათ ეპყრობიან ერთი მეორეს და განსაკუთრებით კი უცხო პირს. ასეთებს თქვენ ნაკლებათ შეხვდებით კახეთში.

სამეგრელოს მდებარეობა მეტათ მომხიბლავია, ეზოები ლამაზათ აქვთ შეკრული მესრებით, შიგ ეზოში სასტიკათ არის დაცული სისუფთავე, ყველაფერი თავის ადგილზეა, მიწმენდილი, მისუფთავებულ-მილაგებული. სახლის წინ ბალჩებია სხვა და სხვა ტროპიკულ მცენარეებით. ისე რომ ეს მიდამოები ზაფხულობით საუცხოვო სანახავი იქნება.

ყველას სიცოცხლე ეტყობა, მათ გამომეტყველებას, მიხვრა-მოხვრას ცეცხლის ალი ამჩნევია. გლეხი უბრალო ლაყბობაში არ კარგავს დროს, ის როცა თავისუფალია თავის ეზოს უვლის გარშემო, მას ალამაზებს, აკოხტავებს და ასუფთავებს.

სკოლები ყველა სოფელში საუკეთესო ადგილას არის აშენებული და შენობაც კარგია. მათ ადრე შეუგნიათ თუ რამდენათ საჭიროა ბავშვებისათვის კარგ ადგილას სკოლა და კარგი შენობა.

უკანასკნელ ამბების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აგვისტოს რიცხვებში, გლეხები ძლიერ არიან დაღონებულნი და უნაყოფო მსხვერპლს ძლიერ ნანობენ.

ჩვენს ჩასვლისთანავე ხმები გავრცელდა „შემარიგებელი კომისია მოვიდაო" ერთი გლეხი მეუბნება: თქვენი მოსვლა და მიზანი ძიელ კარგია. მართალია მე გავნადგურდი, შვილიც დამიხვრიტეს, მარა მიუხედავათ ამისა მე სულით და გულით ვეგებები თქვენს გადადგმულ ნაბიჯს, მსხვერპლს მსხვერპლი არ უნდა დაუმატოთ, უნდა დავივიწყოთ ყველაფერი ის, რაც მოხდა, და დღეის იქით მაინც შევსწყვიტოთ ძმათა-შორის სისხლის დენა. იყო დრო, როდესაც ბათუმის მუშებთან ერთათ მეც ვიბრძოდი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მრავალჯერ მიგემია მათი სუსხი, მეც მქონდა წილი თვითმპყრობელობის ტახტის დანგრევაში. მეგონა საქმეს ვაკეთებდი, ვფიქრობდი ჩემს შვილს უმზადებ ბედნიერებას, მარა დახე ჩემს უბედურებას...—აქ მას ცრემლები წასქდა თვალებში და მეტი ლაპარაკი ვერ შესძლო. რადგან მე სამეგრელოს კარგათ ვერ ვიცნობდი ამიტომ წავიყვანე კარგათ მცოდნე ამხ. ბარნაბა ძველაია.

— გავიარეთ თეკლათში, ქვალონში, ნოჯიხევში, ხეთაში, ცაისში და ბოლოს მთავარ ადგილათ გავიხადეთ ზუგდიდი. აქ გამოვიწვიეთ ამხანაგები: აბასთუმანიდან, კოვიდან, დიდნეძიდან, ახალხიბულიდან, კახათიდან, წალენჯიხიდან, ჩხოროსწყურიდან და სხვა. ზუგდიდელებთან ერთად კრება მოხდა ქალთა საზოგადოების დარბაზში. ჩემი დაკვირვებით ხალხი ძრიერ შეშინებულია. ჭორი ხმებს კიდევ აქვს გასავალი, რაც ისედაც დამძიმებულ ატმოსფერას უფრო ამძიმებს. ამ რამდენიმე კვირის წინათ გავრცელებულა ხმები, თითქოს კვლავ იწყება გამოსვლები, წილენჯიხიდან აპირებენ შემოტევასო და სხ. ამ ხმების გამო ადგილობრივ ხელისუფლებასაც მიუღია ზომები, დაუყენებია პატრულები და სხვა. ასე რომ საჭირო იყო უბრალო პროვოკაციული გასროლა, რომ კვლავ დაღვრილიყო ძმათა სისხლი.

ქალაქ ზუგდიდის სათავეში მყოფი ხელისუფლების წარმომადგენლები სასურველი პირებია, ისინი ღმობიერათ ეპყრობიან ყველას, (ადგილობრივ მცხოვრებლების გადმოცემით) სცდილობენ ხალხთან დაახლოებას, მათი ტკივილების განკურნებას და სხვა. მარა პერიფერიებიდან არა სასურველ ამბვებს გადმოგვცემენ. ზოგ ადგილებში მკაცრ რეპრესიებს აქვს ადგილი, რაც უფრო და უფრო აშორებს ხალხს ხელისუფლებასთან დაახლოვებას. მაგალითად ნოქალაქევიდან (სენ. მაზრა) გადმოგვცემენ: იქ ყოფილა ვინმე მილ. უფროსი ბარქაია, მისი თანაშემწე ჯლამაია და მილიციონერი ხუბუნაია. წყლის პირათ ყოფილა სამიკიტნო დუქანი, სადაც ზემო ჩამოთვლილი პირები ხშირათ თვრებიან და მერე უსიამოვნებას აყენებენ გამვლელებს. ზოგს აჯარიმებენ და ზოგს კიდევ მათრახითაც ეხებიანო. საჭიროა ყურადღების მიქცევა და გაგება რამდენათ შეესაბამება სიმართლეს ასეთი გადმოცემები, აგრეთვე აბაშის რაიონში ყოფილა მშას კაპა-

რავა, რომლის შესახებაც ცუდ ამბავს გადმოგვცემენ. საჭიროა აქაც გამორკვევა.

რაც შეეხება ზუგდიდის მაზრას, მის შესახებ კონკრეტიულ ფაქტებს არ გადმოგვცემენ, და დასძენენ, ვიტყოდით, მარა გვეშინია. მუშათა კომისია ვერაფერს გვიშველის, ის თბილისშია, ჩვენ-კი სოფელს ვერ მოვშორდებითო.

პარტკომის მდივანმა ამხ. ჩხეიძემ შეძლების დაგვარათ აღმოგვიჩინა ყოველგვარი დახმარება.

17 ფებერვალს მოხდა შეერთებული კრება. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული მუჯირი, მდივნათ ჯალაღანია. ჩემი და ძველაიას მოხსენების შემდეგ იყო რამდენიმე შეკითხვა. შემდეგ სიტყვას ამბობს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ყოფილი წევრი ჯალაღანია. ის მიმოხილვას აკეთებს ჩვენი წარსული მუშაობისას, ახასიათებს დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზეზებს თუ რა პირობებში მოხდა ის, მწუხარებით აღნიშნა უკანასკნელი უდანაშაულო მსხვერპლი. გულიდან ამოშალა ყველაფერი, რაც მას აწუხებდა ამ ოთხი წლის განმავლობაში, როგორც მან განაცხადა, და ბოლოს გამოიყვანა დასკვნა, რომ მეტი გზა არ არსებობს გარდა საბჭოთა პლატფორმისა, მოუწოდა ყველას დადგენ მუშათა კომისიის პლათფორმაზედ და იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად აღმშენებლობითი საქმეში, მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

გლეხები ნაკლებათ ღებულობდენ მონაწილეობას კამათში. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1924 წელს, 17 თებერვალს, შესდგა ზუგდიდის მაზრის წარმომადგენელთა და ადგილობრივ ყოფილ მენშევიკების და ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება მუშათა კომისიის წევრის მაჭარაძის და მეგრულ ენაზედ ძველაიასი. ფართეთ იქნა გაშუქებული „უკანასკნელი ამბები და ჩვენი ამოცანა“.

კრება აღნიშნავს რა გადადგმულ ნაბიჯების შეცდომას,— ერთხელ და სამუდამოთ უარყოფს ძველი გზით სიარულს, უარყოფს ხელისუფლებასთან ბრძოლას, რადგანაც ეს ხელს უწყობს საერთაშორისო რეაქციის გამარჯვებას.

კრებამ გაითვალისწინა რა, საერთაშორისო მდგომარეობა და საშიშროება, რეაქციის მხრივ, აღიარა:— ჩვენ მზათა ვართ ამოუდგეთ გვერდში საბჭოთა ხელისუფლებას საერთაშორისო აზვირთებულ რეაქციის წინააღმდეგ.

ვითვალისწინებთ რა საერთაშორისო საშიშროებას და გამწვავებულ მდგომარეობას, მსოფლიო პროლეტარიატის უმწეო მდგომარეობას და ამასთან ერთათ აზვირთებულ რეაქციის თანდათან გაძლიერებას, ჩვენ ვივიწყებთ ყოველგვარ შუღლს, ვდგებით მესამე ენტერნაციონალის დროშის ქვეშ, რადგანაც ის ერთად ერთი საიმედო ყავარჯენია მსოფლიო პროლეტარიატისა საერთაშორისო რეაქციასთან ბრძოლაში.

ვეცნობით რა მუშათა კომისიის მუშაობას ჩვენ მას ვიზიარებთ, რადგანაც ისინი თავიანთ მოქმედებით ხელს უწყობენ მთლიანი ფრონტის შექმნას კონტრევოლიუციის წინააღმდეგ.

ამასთანავე ეთხოვოს მუშათა კომისიას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა განთავისუფლებულ იქნას პოლიტიკური პატიმრები; კერძოთ კი ზუგდიდის მაზრიდან ეთხოვოს შემდეგი პირების განთავისუფლება: 1) კანდია ხუბულავა, 2) მამია ჯაჯარიძე, 3) ესტატე ლატარია, 4) ილარიონი ხუბუტია, 5) ალექსანდრე ჯეჯია. დასასრულ კრებამ აირჩია რწმუნებულები შემდგარი 7 კაცისაგან: იოსებ კვარაცხელია, კ. ზარანდია, ვ. შუბლაძე, ნ. ალანია, გ. წულაია, და დარასელია.

კ. მაჭარაძე.

# მუშათა წერილები.

## რევოლიუციის ინტერესები ამას მოითხოვს.

ისტორიას უთუოდ ასე სურდა, რომ ბოლშევიკებმენშევიკებსა და ესერებს შუა უწინდელი მშვიდობიანი ბრძოლა (ერთმანეთთან) რევოლიუციის პროცესში გადაქცეულიყო ბრძოლად იარაღით, ბრძოლად ყოველგვარი კომპრომისისა და დათმობის გარეშე. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში გაიმარჯვა იმან, რომელმაც აღლო აუღო რუსეთის სინამდვილეს, რუსეთის მუშების და გლეხების მოთხოვნილებებს და საერთაშორისო სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ბუნების კანონიც და სამართლიანობაც მოითხოვდა იმას გამარჯვება, ვისაც რევოლიუციონური ტაქტიკა, ინსტიკტი, ინტუიციის მეტი გრძნობა და ყველა საჭირო გაბედულება და ნიჭი აღმოაჩნდებოდა.

ყველაფერი ეს სასიამოვნოდ და საბედნიეროდ უნდა ჩაითვილოს ჩვენი მუშათა კლასის-პროლეტარიატისა და გლეხობისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, რევოლიუციის ამ სასიხარულო გამარჯვებას თან უნდა დაჰყოლოდა თურმე და დაჰყვა კიდეც ერთი ფრიად არა სასურველი და ყოველის გზით და საშვალებით გამოსასწორებელი რამ. ეს ის, რომ ერთ და იმავე სოციალურ მდგომარეობის მუშებსა და გლეხებს შორის დაიბადა ერთგვარი ანტაგონიზმი, რასაკვირველია, ეს იმდენად, რამდენადაც ესა თუ ის მუშა ან გლეხი უწინ ეკუთვნოდა მენშევიკების ან ესერების პარტიას, მოქცეული იყო პარტიის დისციპლინის ქვეშ, და ოქტომბრის რევოლიუციას თავიდანვე ვერ მიემხრო, ვერ მიიღო და ვერ შეითვისა ბოლშევიზმი და კომუნიზმი და ვერ დადგა მე-3 მე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

რომ ეს ასეა სამწუხაროდ, ამას ვერავინ ვერ უარყოფს და რომ ამის წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა, რომელიც ჩატეხილ ხიდს კვლავ გაამრთელებს და გასდებს, ბრძოლა, რომელიც გუშინდელ ძმებს, ერთი და იმავე სოციალური მდგომარეობის გლეხებს და მუშებს კვლავ შეათანხმებს და შეარიგებს,— ამაშიც ყველა თანხმანი უნდა ვიყვეთ.

არის თუ არა ამ მხრით საჭირო მუშაობა და დამაკმაყოფილებელია თუ არა ის? ვიტყვი, მუშაობა არის, მარა ეს არ კმარა, ცოტაა.

ცხადია, დიდ მუშაობას ეწევიან ამ მხრით და ენერგიას ხარჯავენ არსებული მუშათა კომისიები.

რა თქმა უნდა ეს კომისიები დიდი გავლენით და ავტორიტეტით სარგებლობენ და ამიტომაც მათ მუშაობას დიდი ნაყოფიც მოაქვს, მარა რუსული თქმულებაა: один в поле, не войн—ერთი მინდორში მეომარი ვერ იქნება. მართალია, კომუნისტური პარტიის ბევრ ლიდერების მიერ სხვადასხვა ალაგას წარმოთქმულ სიტყვებიდან ვტყობელობთ, რომ ჩვენ ე. ი. ყოფ. მენშევიკებს კომუნისტებთან თანასწორად, გვთვლიან, გვიყურებენ ისინი რგორც სწორნი-სწორს, მაგრამ სამწუხაროდ ბევრ ალაგას ჯერ, და განსაკუთრებით კი პროვინციაში მომუშავე პასუხისმგებელ კომუნისტ ამხანაგებს, ეს ჭეშმარიტება ვერ შეუგნიათ, ასე ვიტყვი იმას, რომ არ სურთ შეიგნონ მეთქი.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ მაგალითს.

21 თებერვალს უნდა დაეკრძალათ უეცრად გადაცვლილი ჩაქვის თემის ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ახმედ ხალვაში. დაკრძალვას ძალზე ბევრი ხალხი დაესწრო. სიტყვები უთხრეს სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სხვათა შორის სიტყვა უთხრა ჩაქვიდან ერთ-ერთმა გვარიან დიდმა, ხანში შესულმა პასუხის მგებელმა კომუნისტმაც, რომელმაც ასე მიმართა: შენ, ამხ. ახმედ; მიტომ იყავ ჩვენთვის საყვარელი და დაუფასებელი, რომ არას დროს მენშევიკი არ ყოფილხარო.

აქედან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება მხოლოდ: ე. ი. ის, ვინც ოდესმე მენშევიკი იყო, არ შეიძლება თურმე საყვარელი და დაუფასებელი ამხანაგი გახდეს და სხ. მე ვფიქრობ, ასეთს სიტყვებს სხვა თემშიც და ქალაქებშიც აქვს ადგილი და ეს მითუფრო სამწუხაროა, რადგან ასეთ სიტყვებს ხელისუფლების და რევოლიუციის განმტკიცების და გამაგრების საქმეში სარგებლობა არ მოაქვს, პირიქით, ზიანი კი ძალიან ბევრი; იმდენად, რამდენადაც ქმნის ერთგვარ ანტაგონიზმს და სთესს კვლავ უნდობლობასა და შურს. სულ სხვაა სამოქალაქო ომის დროს. მაშინ შეიძლება ასეთი სიტყვები საჭიროც იყოს იმდენად, რამდენადაც მუშების და გლეხების ერთი ნაწილი თავის ინტერესების შეუგნებლობის თუ სხვა სოფლმხედველობის წყალობით მოწინაალმდეგეთა ბანაკში იმყოფებიან. მაგრამ დღეს ამის გამართლება ყოვლად შეუძლებელია, რადგან სამოქალაქო ომი რუსეთის მთელ ტერიტორიაზედ დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება გარედან არის საშიშროება და ამიტომ არის საჭირო ასეთი სიტყვები? მარა მაშინ ხომ მთლიანობა, სოლიდარობა და ყოველგვარი უთანხმოების და შურისძიების აღმოფხვრაა საჭირო და არა გათიშვა?! ეს ჭეშმარიტება უნდა ადრე შეგნებულ იქნეს, მით უმეტეს ეს დღევანდელ მომენტში, როდესაც საერთაშორისო რეაქცია—რევოლიუციას და კაპიტალიზმი—სოციალიზმის პირისპირ უნდა შეხვდენ ახლო მომავალში, როდესაც საშინელი მრისხანებით უნდა დაიგრგვინოს ძველი ქვეყნის წარმოების ძველი წესის და ზედ ნაშენ დახავსებულ პოლიტიკურ წესწყობილების და ფორმების დასანგრევად.

ძველ-ტყავი.

## გაეროვნების გარშემო

როდესაც მუშათა კომისია დაარსდა, მას დაავალეს ამომრჩევლებმა გამოეჩინათ უდიდესი ენერგია და აღედგინათ ის ჩატეხილი ხიდი, რომელიც არსებობს ორ მოძმეთა შორის. მუშათა კომისიაც დავალებებს ასრულებს შეძლებისდაგვარად, მაგრამ თუ ჩვენ ყველა არ დავეხმარეთ მას მუშაობაში, არ მიუთითეთ მტკივან-ადგილებზე, რომელიც უფრო აწუხებს ქართველ ერს,—ცხადია მარტო კომისია ვერ შეძლებს ამ დიდი საქმის გაკეთებას; ჩვენი ვალია გულწრფელად მიუთითოთ და მივაქციოთ მათი ყურადღება გაეროვნების საკითხს. ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი საკითხი ამ ჟამად არის გაეროვნების საკითხი, მაგრამ ეს ძალიან მოიკოჭლებს ჩვენში, უმთავრესად ეს კი ეტყობა რკინის გზაზე. გასულ წელს გამოვიდა ბრძანება გაეროვნების შესახებ № 516, მოეწყო რკინის გზის სამმართველოში საღამოს კურსები, იმ პირებისათვის რომლებმაც არ იცოდენ სახელმწიფო ენა და ხელწერილი ჩამოერთვა მათ, რათა შეესწავლათ სახელმწიფო ენა პირველ ოქტომბრამდე 1924 წ. მათაც „გაანაღდეს“ ხელწერილი და ისწავლეს მხოლოდ ხელის მოწერა თავიანთი გვარის და ამით დამთავრდა საქმე. აქვე მინდა შევეხო; თუ რანაირად ტარდება გაეროვნება სამმართველოში და როგორი შედეგი არის ამისი. დიდი უმრავლესობა მოსამსახურეებისა არის არა მცოდნე სახელმწიფო ენის, უმცირესობა კი მცოდნე. მაგრამ ვაი მისი ბრალი ვინც მცოდნეა ენის, ის ბედისწერას იწყევლის, რადგან მთელი სიმძიმე მუშაობისა მას აწვება თავზე, მას უხდება თავის მაგიერადაც მუშაობა და აგრეთვე არა ქართული ენის მცოდნესიც, რადგან მან უნდა უთარგმნოს მას და ამის გამო დიდათ ფერხდება საქმე და შრომის ნაყოფიერებაც ეცემა. ხშირად გაიგონებთ სამმართველოში ასეთ სიტყვებს: „დაიწეროს გასაგებ ენაზე და მეც მაშინ შევასრულებ საქმესო.“ ზოგიერთ პიროვნებას გულწრფელად სურს გაატაროს გაეროვნება თანახმად მე-12 ყრილობის დადგენილებისა, მაგრამ ის უძლურია, რადგან ხელის შემშლელი ძალიან ბევრი ჰყავს. იქნებ მკითხველმა თქვას, რატომ წერილის ავტორი პერსონალურად არ გვისახელებს ვინ უშლის ხელს გაეროვნებასო, მაგრამ ამის პასუხი ერთია; უმრავლესობა, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, წინააღმდეგი არ არის გაეროვნების სიტყვით, საქმით კი—ხელის შემშლელია,—ეს დაამტკიცა რამდენიმე ფაქტებმა სინამდვილეში. გაეროვნების საკითხი ძალიან დიდი და მასთანავე მნიშვნელოვანი საკითხია და მას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. მარტო გვარის მოწერა რომ იცოდეს ვინმემ ეს არ არის გაეროვნება. ამით საქმე ფერხდება და სახელმწიფოსთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს.

ვერიტას.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
ბ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

მთავლიტი № 332 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2500.

წლიწადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 15 მარტი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11-68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა,
დილის 9—1 საათამდე

№ 13

# პარიზის კომუნა

მარტის 18-ს შესრულდება ორმოცდათოთხმეტი წელი, რაც პარიზის პროლეტარიატმა გამოაცხადა კომუნა. ეს იყო პირველი სოციალისტური რევოლიუცია, ეს იყო პირველი კომუნა.

საფრანგეთის იმპერიალისტურმა მთავრობამ ომი გამოუცხადა მეზობელ სახელმწიფოს გერმანიას. ხოლო მისი იმპერიალისტური ზრახვები დამარცხდა.

ბურჟუაზიული მთავრობა საფრანგეთისა ამის გამო დაეცა და 1870 წელს სექტემბერში მოხდა რევოლიუცია. გამოცხადდა „ეროვნული თავდაცვის მთავრობა“. გამარჯვებული გერმანია თავშეუკავებლად მოესწრაფოდა საფრანგეთის დედა-ქალაქ—პარიზისკენ. საჭირო იყო პარიზის დაცვა. შესდგა „ეროვნული გვარდია“ მუშებისა და გლეხებისგან. ხოლო ტეხნიკურათ გაწვრთნილ და ორგანიზაციულად შეკავშირებულ ჯარს პარიზმა ვერ გაუძლო და იანვრის 28-ს დაეცა. ქალაქში მტერი მაინც არ შესულა.

ჩამოვარდა ზავი.

„ეროვნულ თავდაცვის მთავრობის“ მიმართ უკმაყოფილებით ავსებულმა პარიზის შეიარაღებულმა მუშათა კლასმა, იარაღი ახლა მისკენ აბრუნა.

მთავრობამაც მას განიარაღება მოუნდომა, ხოლო პარიზის პროლეტარიატმა მკაცრი შეტევით, „თავდაცვის მთავრობა“ პარიზიდან განდევნა, რომელმაც თავი ვერსალში მოიყარა პარიზის მახლობლათ.

პარიზის გამარჯვებულმა პროლეტარიატმა 18 მარტს გამოსცა პირველი მანიფესტი, სადაც განცხადებული იყო: „საკუთარ ბედ-იღბლის ბატონ-პატრონობის უფლება ეკუთვნის მუშებს, მათ უნდა აიღონ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება“.

„კომუნა“ იყო მუშათა კლასის მთავრობა, გაყვლეფილების და გამყვლეფელთა ბრძოლის შედეგი. ის იყო პოლიტიკური ფორმა, რომელშიაც შესაძლებელი იყო შრომის ეკონომიური განთავისუფლება“... ასე ამბობს მარქსი ამ კომუნის შესახებ.

მარტის 28-ს ოფიციალურად გამოცხადდა არჩეული კომუნა. ხოლო ორი თვის შემდეგ მაისის 28-ს კომუნის სახელოვანმა გმირებმა, ვერსალის ჯალათებთან ბრძოლაში, დასთმო უკანასკნელი ბარიკადა. კომუნა დამარცხდა. დამარცხებამ იმსხვერპლა 30 ათასი ბარიკადებზე მებრძოლი მუშა. ბურჟუაზიამ შური იძია და ეს შურისძიება იყო უმაგალითო. გენერალ გალიფეს სალდათების ხიშტები არ ინდობდა არც მოხუცს, არც ბავშს, არც დედა-კაცს. ისინი უმოწყალოთ ხვრეტავდენ მუშებს. ბურჟუაზიამ სისხლში ჩაახრჩო პირველი კომუნა.

პარიზის კომუნას არ ჰქონდა გარკვეული პროგრამა. ის არ შეადგენდა ერთ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციულად შეკავშირებულ პარტიას. მასში მრავალი შემავალი ელემენტები იყვენ.

მან დაუშვა ბევრი შეცდომები. კომუნა უნდა გადასულიყო თავდასხმაზე და გაელაშქრა კონტრრევოლიუციის ბუდის—ვერსალის წინააღმდეგ. ხოლო ეს მან არ ჩაიდინა.

კომუნის მოქმედება უპროგრამობის ხასიათს ატარებდა. მან ვერ გააბა ქსელი გლეხებთან და ვერ ჩაითრია ისინი ბრძოლაში. ამიტომ და სხვა მიზეზების გამო იგი დაიღუპა...

დაიღუპა სახელოვანი პარიზის კომუნა, ხოლო კომუნის გამარჯვებას და პირველი კომუნის შეცდომების აცილებას,—ჩვენ ვხედავთ ს. ს. ს. რესპუბლიკის არსებობაში...

# ინტელიგენცია და გაერთიანების საკითხი

საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიის მუშაობა დამთავრდა.

რათი განსხვავდება ეს მუშაობა ბურჟუაზიულ პარლამენტისა და თუნდაც დამფუძნებელი კრების მუშაობისაგან?

განსხვავება არის ყოველისფერში, ხოლო უმთავრესი მდგომარეობს შემდეგში: პარლამენტებში სწარმოებს წყალის ნაყვა, დაუსრულებელი ლაპარაკი, ვარჯიშობა მჭევრმეტყველობაში, საქმე კი ცოტა.

ცაკის სესიის მუშაობაში სჭარბობს საქმე და ლაპარაკი კი არის იმდენად, რამდენადაც ამას თვით საქმე მოითხოვს.

მეტად შინაარსიანი და საქმიანი იყო მამია ორახელაშვილის მოხსენება, რომელიც იძლევა დამთავრებულ სურათს იმისას, თუ რა კეთდება ამიერ-კავკასიის ფედერაციაში და როგორი მდგომარეობაა ფედერაციის რესპუბლიკებში.

მომხსენებელმა სრულებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ქართველი ინტელიგენცია საქართველოს გასაბჭოებას მტრულად შეხვდა.

რა იყო ამის მიზეზი?

„იყო ეჭვები, იყო შიში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნიშნავს ხალხის ყოველგვარი ნაციონალური სახის წაშლას, კულტურის დაღუპვას და სხვა უფრო მაღალი კულტურის, უფრო მოწინავე კულტურის ე. ი. რუსული კულტურის გაბატონებას.

ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილში ადგილი ჰქონდა ასეთ შიშს,—ის გულწრფელად სცდებოდა,“ ასეთი ახსნა არის ინტელიგენციის განდგომის მიზეზისა მომხსენებელის სიტყვაში.

ამგვარი ახსნა სრულ სიმართლეს წარმოადგენს. მცირე ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული იყო; უმრავლესობა კი სოციალისტური.

თუ ეს ინტელიგენცია მტრულად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, არა იმიტომ რომ ის თავადებისა და ბურჟუების ინტერესებს იცავდა, არამედ იმიტომ რომ იცავდა ეროვნულ სახესა და ეროვნულ კულტურას, რომელსაც მისის შეგნებით საფრთხეს უმზადებდა საქართველოს გასაბჭოება.

საჭიროა რომ ქართველმა ინტელიგენციამ პირი იბრუნოს საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, მოხდეს შერიგება, ერთმანეთის ცნობა და დამყარდეს საქმიანი ნდობის კავშირი.

ეს მართლაც ასე ხდება, მაგრამ ამ საქმის ღირსეულადა და სწრაფად დაგვირგვინებას ხელს უშლის უმუშევრობის საკითხი: ძალიან დიდი პროცენტი ქართველი ინტელიგენციისა უმუშევარია.

საპასუხო სიტყვაში კალინინი აღნიშნავს შემდეგს: ქართველი ინტელიგენცია შედარებით დიდია და პატარა საქართველოს დღევანდელს პირობებში მისი შენახვა არ შეუძლიაო.

რა თქმა უნდა, ძველი რეჟიმის დროს ქართველი ინტელიგენცია გაბნეული იყო მთელ რუსეთის იმპერიაში და დღეს უმთავრესმა ნაწილმა თავი მოიყარა საქართველოში, მაგრამ მარტო ამ გარემოებით უმუშევრობის ახსნა შეცდომა იქნება.

კალინინი ასეთს წინადადებას იძლევა ქართველ ინტელიგენციაში უმუშევრობის შესამსუბუქებლად: საჭიროა ქართველი ინტელიგენცია გამოვიყენოთ, როგორც კვალიფიციური ძალა, ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში და საერთოდ ჩვენს კავშირში.

აზრი ჩინებულია, მაგრამ მისი განხორციელება იმდენად, რომ ჩვენი ინტელიგენციის უმუშევრობის სიმწვავე შეანელოს, ყოვლად შეუძლებელია.

რას ჰმოწმობს ის გარემოება, რომ ყოფილი იმპერიის უსაზღვრო სივრცეზე გაბნეულმა ქართველმა ინტელიგენციამ სამშობლოში მოიყარა თავი?

იმას რომ გარეთ, ძველ ალაგას მან სამუშაო ვეღარ იშოვა და სამშობლოს მოაშურა, ეგებ იქ ვიშოვო ადგილიო.

რაზედ ამყარებდა ჩვენი ინტელიგენციის ეს ნაწილი თავის იმედებს, როდესაც სამშობლოში ბრუნდებოდა?

გაერთიანებაზე.

რა თქმა უნდა, კარგია და სასურველი, რომ ჩვენი ინტელიგენციის ზედმეტი ნაწილი ადერბეიჯანში, სომხეთში, რუსეთში იშოვიდეს ადგილს, მაგრამ სინამდვილეში ეს არის შესაძლებელი მხოლოდ თითო-ოროლა პირისათვის და არა საგრძნობი უმრავლესობისათვის.

სომხეთში გაეროვნება გატარებულია: ადერბეიჯანშიაც ტარდება.

იქ საკუთარი ინტელიგენციაც რომ არა კმაროდეს, ჩვენი მაინც ვერ ჩადგება საქმეში, რადგანაც სამწუხაროდ ადგილობრივი ენების მცოდნე ჩვენს ინტელიგენციაში ძალიან ცოტაა.

თვითონ რუსეთს კი ინტელიგენტური ძალები საკმაოდა ჰყავს და ჩვენი ინტელიგენცია ჯერ-ჯერობით მაინც მას არ ესაჭიროება. ასე რომ არ იყოს, ჩვენში არ დაბრუნდებოდენ ისეთი პირები, რომლებსაც ოცი წელიწადი და მეტი რუსეთში უმსახურიათ.

არის სხვა და სხვა საშუალება უმუშევრობის საკითხის რადიკალურად გადასაჭრელად, მაგრამ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, ჩვენი წარმოება, ჩვენი ფინანსები მათ განხორციელებას ვერ იკისრებენ. ვერც შეძლებენ და ყოველგვარი დაპირება ამ დარგში იქნება ცალიერი სიტყვები.

რამდენიც უნდა ვატრიალოთ ეს საკითხი ჩვენს სინამდვილეში, მივადგებით ისევ გაეროვნებას, რომლის მტკიცედ გატარება აუცილებელია მარტო უმუშევრობის შესუსტების თვალსაზრისით კი არა, ყოველგვარის თვალსაზრისით.

გაეროვნების გარშემო ათასგვარ ჭორს, სიყალბეს, ცილის წამებას, მტრობას, შურსა და ეროვნულ სიძულვილსა აქვს ადგილი.

გაეროვნებასთან ერთად ყოველივე ამას მოეღება ბოლო და მაგარი ლაგამი ამოედება ვიწრო ნაციონალიზმსა და შოვინიზმს.

ივ. გომართელი.

# ჩვენი რევოლიუციონური წარსული და ქართველი ხ'ლხის სულისკვეთება

ვინ არ იცის, თუ რა თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდა საქართველოს მუშათა კლასი და მისი მოწინავე ინტელიგენცია რუსეთის მუშათა კლასთან ერთათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. როდესაც 1906 წელს რევოლიუცია დამარცხდა და საჭირო შეიქნა დროებით რევოლიუციონურ მოძრაობის შენელება,—მაშინ ქართველი რევოლიუციონერების ნაწილი გადაიხვეწა სპარსეთში სათარხანის დახმარებლათ და შახის რეჟიმის დასანგრევათ. ქართველი რევოლიუციონერები გმირულათ იხოცებოდნენ სპარსეთის ტირანიასთან ბრძოლაში. ეს ხანა რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში აღნიშნულ იქნება და ამაზედ ლაპარაკი აქ საჭირო არაა.

იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოდან პეტროგრადში იგზავნებოდენ აქაური ამხანაგები საბეჭდავი მანქანის მოსაწყობათ. აგრეთვე იყო შემთხვევები, როდესაც ბაქოდგან გაგზავნეს შრიფტები მოსკოვში და სხვა. ყველა ეს ნებას გვაძლევს თამამათ ვსთქვათ, რომ რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში საქართველოს მუშებს, გლეხებს და მოწინავე ინტელიგენციას პირველი ადგილი ეჭირათ, ამას ტრაბახობაში ვერავინ ჩამოგვართმევს და ვერავინ ვერ წაგვართმევს იმას რაც გავაკეთეთ.

საქართველოში მუდამ შეგნებულათ და ორგანიზაციულად ხდებოდა გამოსვლები. არც ერთი დემონსტრაცია, არც ერთი შეტაკება არ ყოფილა შემთხვევითი; ყველა ორგანიზაციულათ იყო მოწყობილი, წინდაწინ აწონილ-დაწონილი და დამუშავებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ შემთხვევას 1905 წელს, ქალაქის თვითმართველობაში მომხდარ უბედურებას, (ვერმიშევის წყალობით) რამაც 85 ამხანაგი და მოქალაქე იმსხვერპლა, მაგრამ ამ მსხვერპლსაც უნაყოფოთ არ ჩაუვლია. მან უფრო გამოაფხიზლა და მეტი ენერგია მისცა ამხანაგებს, ბრძოლის სურვილი ერთი ათად გაიზარდა მათ გულში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამ შემთხვევამ ისე ალაშფოთა მუშათა კლასი, რომ საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში, მოხდა საპროტესტო დემონსტრაციები.

დიახ! საქართველოს მუშათა კლასი, გლეხობა და მოწინავე ინტელიგენცია იბრძოდა თავისუფლებისათვის! ამ მხრივ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რევოლიუციონურ მოძრაობაში, ეს უდავოა ყველასათვის! საქართველოს მშრომელი მოსახლეობა დიდათ განირჩევა სხვა ეროვნებათაგან! თუ თვალს გადავავლებთ ისტორიას, იგი მუდამ ბრძოლაში ატარებდა თავის ცხოვრებას, ის ვერასოდეს ვერ ურიგდებოდა მონობას და იბრძოდა თათავისუფლებისათვის!

ამიტომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაშიაც პირველი ადგილი დაიჭირა, და როგორც ასეთმა, რასაკვირველია, მეტი მსხვერპლი გაიღო ვინემ სხვამ. მოიგონეთ ალიხანოვ-ავარსკის ცეცხლი და მახვილი გურია-სამეგრელო-ზესტაფონში და სხვა.

თვითმპყრობელობა მოისპო, მუშათა კლასმა დაანგრია მისი ტახტი, მის ნანგრევებზე 1917 წელს აღმოცენდა დემოკრატიული რესპუბლიკა, მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელობით. 1921 წ. იგი საბჭოთა ხელისუფლებამ შესცვალა. პირველათ ხალხი ვერ შეეგუა მას და განზე გაუდგა. რადიო-ჭორებმა ის გადაჩეხა 29 აგვისტოს ავანტიურაში, რის შედეგიც ყველამ ვიცით.

დღეს ყველა დარწმუნდა ამ ბრძოლის უაზრობაში, ყველა ხმა მაღლა, ყველას გასაგონათ ღაღადებს: **გაგრძელება ძველი გზის იქნება ქართველი ხალხის დაღუპვა და მისი განადგურება ფიზიკურათ და აი, სწორეთ** ამ მიზეზებმა წარმოშვა „მუშათა კომისია“, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული მოუწოდოს მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას და ახალგაზრდობას „ახალი გზისაკენ“.

დღეს ყველგან ხდება მენშევიკური ორგანიზაციის შედეგების ლიკვიდაცია, სწორეთ იმ ორგანიზაციის, რომელსაც ქართველი ხალხის უმრავლესობა მისდევდა ათეული წლების განმავლობაში და წარმოადგენდა საგრძნობ ძალას.

დღევანდელ დღეს საბჭოთა ხელისუფლებას არ ჰყავს ძლიერი მტერი, რის წინააღმდეგაც ის იძულებული იყო ხშირათ მიელო ხოლმე რეპრესიული ზომები, რომელიც ზოგჯერ ძალზედ გადაჭარბებულიც იყო. დღეის შემდეგ ეს ძლიერი ძალა გვერდში უდგება საბჭოთა ხელისუფლებას, იგი ეხმარება აღმშენებლობითი და კულტურულ მუშაობაში, იზიარებს მის ლხინს და ჭირს და მოსალოდნელ რეაქციის დროს გვერდში ამოუდგება საბრძოლველად. მაგრამ საჭიროა კიდევ ერთი რამ, რომ მკვიდრი საფუძველი ჰქონდეს ურთიერთ ნდობას. რამდენათაც ნელდება ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მის პლათფორმაზე დგება მუშების და გლეხების უმრავლესობა,—იმდენადვე არსებულმა ხელისუფლებამ სათანადოთ უნდა შეამსუბუქოს პოლიტიკური რეჟიმის სისასტიკე, სისასტიკე, რომელიც საჭიროა და აუცილებელიც, სანამ ყველა მტრებს ხელი არ აულიათ ბრძოლაზე.

ქართველ ხალხს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ის ყველაფერს მოითმენს: სიცივეს, სიტიტვლეს, სიმშილს,—მარა, თუ მას არ მიეცი საშვალება თავისუფალი აზრის გამოთქმისა, იგი მას ვერ ინელებს. ამაში დავრწმუნდი პირადი ჩამოვლით ჩემი მოგზაურობის დროს გურია-სამეგრელოში.

გურიის გლეხი და მუშა ბუნებრივათ ორატორია, მასში ამ ნიჭის ჩაკვლა შეუძლებელია.

ჩვენ მიერ გამართულ მრავალ კრებებზე მუშები და გლეხები აღნიშნავდნენ თავის სიტყვაში; რომ ისინი ძრიელ მოხარულნი არიან, რომ შეძლება ეძლევათ თავისუფლათ ილაპარაკონ, რადგან ეხლა მიეცათ საშვალება გამოსთქვან თავიანთი აზრი დღევანდელ საჭირბოროტო კითხვებზე, ეს არაჩვეულებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოსო და სხვა...

რას ნიშნავს ეს? ეს მაჩვენებელია იმისი, რომ ისინი დღევანდლამდის განზე დგომის გამო, ლაპარაკის უფლებას ფაქტიურად მოკლებულნი იყვნენ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო! ჩვენ ვებრძოდით, როგორც კრებებზე ისე კრების გარეშეც და სრული უფლებაც ჰქონდათ მოგვპყრობოდნენ ისე, როგორც გვეპყრობდნენ.

მაგრამ, დღეს მდგომარეობა შეიცვალა! თუ დღევანდლამდის ასეთი მდგომარეობა იყო, დღეის შემდეგ უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება მათსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის. დღევანდლამდის თუ ებრძოდენ საბჭოთა ხელისუფლებას, დღეიდან ისინი გულწრფელათ დგებიან საბჭოთა პლათფორმაზე. ამისთვის საჭიროა ახ-

ლო კავშირი აღმშენებლობითი და კულტურული მუშაობის გასაძლიერებლათ. უპარტიო მუშებს და გლეხებს უნდა ქონდეთ საშვალება მიიღონ მონაწილეობა ყოველგვარ პირ-ვარამში. მას უნდა ჰქონდეს საშვალება გამოსთქვას თავისი შეხედულება ამა თუ იმ კითხვაზე, მას უნდა ჰქონდეს თავისუფლება განსაზღვრულ ფარგლებში და სხ.

მაშინ ის იგრძნობს თავის თავს თავისუფალ მოქალაქეთ და უფრო გულწრფელი დამცველი იქნება ხელისუფლების.

მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ რამდენადაც მეტი იქნება დათმობა ხელისუფლების მხრივ პოლიტიკურ საკითხებში, იმდენათვე ნაკლები და სუსტი იქნება ბრძოლა მის წინააღმდეგ! რამდენათ დაუახლოვდებიან მუშები და გლეხები ხელისუფლებას და ჩაებმიან ყოველდღიურ მუშაობაში, იმდენათ მეტი სიმპატია აღეძრებათ მათ გულში და ნამდვილი დამცველი იქნებიან მისი. აიღეთ უბრალო მაგალითი—როდესაც შვილი შორდება დედ-მამას, და რამდენათაც ხანგრძლივია მისი დაშორება, იმდენათ დედ-მამის სიყვარული ავიწყდება, და რამდენათ ხშირათ ხედავს, იმდენათ მათი სიყვარული ძლიერდება.

ასევე ხდებოდა ჩვენს წარსულ ცხოვრებაშიაც. რამდენადაც შორს ვიდექით საბჭოთა ხელისუფლებასთან და ვებრძოდით მას, იმდენათ უფრო და უფრო ვშორდებოდით და ჩვენს შორის უფსკრული ითხრებოდა. რამდენათაც ვუახლოვდებით, რამდენადაც მეტ მონაწილეობას ვიღებთ მის მუშაობაში, იმდენათ ჩვენ საქმეთ ვიხდით მის დაცვას. ვცდილობთ მისი ეკონმიურ და კულტურულ აღორძინებას და სხვა.

დასასრულ კიდევ ვიმეორებ და ღრმათაც ვარ დარწმუნებული,—რაც მეტია დათმობა, მით ნაკლებია წინააღმდეგობა. უპარტიოსაც, რომლებიც გულწრფელათ დგება საბჭოთა პლათფორმაზე უნდა მიეცეს მეტი ასპარეზი მოქმედებისა; უპარტიომაც უნდა იგრძნოს თავის თავი თავისუფალ მოქალაქეთ ისევე, როგორც პარტიულმა; მას უნდა შეეძლოს სალი მსჯელობით აღმშენებლობითი და კულტურულ მუშაობაში მონაწილეობის მიღება. მას არ უნდა ეშინოდეს ამა თუ იმ მოხელის, თუ კი მისი მოქმედება მიმართული იქნება საბჭოთა სისტემის აღორძინებისაკენ და დაცვისაკენ.

ყველაფერი ეს კი არ ავნებს ხელისუფლებას, არამედ, პირიქით ბევრს შემატებს მას და გაამაგრებს, როგორც საშინაო, ისე საგარეო ფრონტზე.

კ. მაჭარაძე.

# 12 მარტი

რვა წლის წინათ დაეცა თვითმპყრობელობა.

რვა წლის წინათ მოისპო სამუდამოთ რუსეთის თვითმპყრობელური ხროვა-გამგეობა. ხოლო თითქმის საუკუნე დასჭირდა მის დამხობას.

პირველი შეტევა, პირველი ხმალი, რომელიც მის წინააღმდეგ იყო მიმართული, ეს იყო 1825 წელს, „დეკემბრისტების“ მიერ.

ამის შემდეგ იწყება მრავალ ჯგუფთა და პარტიათა მოქმედება მის წინააღმდეგ.

1881 წ. „ნაროდოვოლცებმა“ კიდეც მოჰკლეს მეფე ალექსანდრე მეორე, ხოლო ამან ვერ მისცა ხალხს განთავისუფლება.

ჯერ კიდევ მუშათა კლასი არ იყო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული. მხოლოდ შემდეგ წლებში იწყება მუშათა მოძრაობის ჩანასახი და როცა პლეხანოვმა ინტერნაციონალურ კონგრესზე განაცხადა, რომ რუსეთში პოლიტიკური მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა,—ეს დებულება გაოცებას იწვევდა მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეებში.

წლები გადიოდა, მუშათა მოძრაობა იზრდებოდა, მაგრდებოდა.

პირველ ხანად მისი ეკონომიურ ნიადაგზე დაწყებული ბრძოლა, თანდათან გადადიოდა პოლიტიკურ ბრძოლაში და ცხრაასიან წლებიდან მუშათა მოძრაობა იღებს გარკვეულ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხასიათს. პირველი ლოზუნგი მის მიერ წამოყენებული იყო თვითმპყრობელობის დამხობა.

ჯერ კიდევ 1905 წელს მუშათა კლასმა საფუძვლიანად შეურყია ძირი თვითმპყრობელობის არსებობას, მაგრამ იგი მაშინ ძლეულ იქმნა.

კვლავ გამეფდა ჟანდარმული რეაქცია. რამდენიმე წლით კიდევ გადაიდო მისი დამხობა.

დაიწყო მსოფლიო ომი, რომელმაც დღის სინათლეზე გამოიყვანა თვითმპყრობელური რეჟიმის სიდუხჭირე და აი, 1917 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში კიდეც ისპობა მისი არსებობა.

ბოლო ელება ბარბაროსულ თვითნებობას, ძალმომრეობას და ეროვნებათა ჩაგვრას.

თებერვლის 26-27 რიცხვებში პეტროგრადში იწყება დემონსტრაციები, ქუჩებში სროლაა, მრავალია მოკლული. მეფე ფრონტზე იმყოფება ამ დროს. მას მისდის ტელეგრამა: „მთავრობა აბნეულია, ტრანსპორტი, სურსათი და გასათბობი მასალა დანგრეულია. იზრდება საზოგადო უკმაყოფილება, ქუჩებზე სროლაა, ჯარის ნაწილები ერთმანეთს ესვრიან“... ხოლო მეფემ აინუნშიაც არ ჩაიგდო ეს ცნობა,—გადაჭარბებული ეგონა.

ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მეფე იძულებული შეიქნა ტახტიდან გადამდგარიყო.

შესდგა დროებითი მთავრობა.

ხოლო ეს არ იყო ყველაფერი.

მუშათა კლასმა ვერ მიაღწია საბოლოო გამარჯვებას, მუშათა კლასმა მაინც ვერ მოიპოვა, რაც მას უნდოდა.

ხოლო ოქტომბრის რევოლიუციამ შესძლო საბოლოოთ აღმოეფხვრა ყოველი ნაშთი თვითმპყრობელურფეოდალურ სახელმწიფოსი და ხელისუფლება გადასულიყო მუშურ-გლეხურ სოციალისტურ საბჭოთა ხელში.

დ.

# დროა გაიგოთ!

ამა წლის იანვარს ს. ს.-დ. პ. საორგანიზაციო კომიტეტს გამოუშვია „თეზისები პარტიულ ორგანიზაციებისათვის", რომელიც უდავოა, რომელიმე გულუბრყვილო ბავშვის კალამს ეკუთვნის. ვერც ერთ დასაბუთებულ მუხლს ამ 25 თეზისში ვერ შეხვდებით, ოდნავ რომ უახლოვდებოდეს სიმართლეს და სერიოზულათ იყვეს გაშუქებული; მიმართავენ ჩვეულებრივ ლანძღვა-გინებას „ოკუპანტები" „ყოფილი-ადამიანები" „ნაძირალები" და სხვ. მთელი ეს ნაშრომი ასეთი მარგალიტებით არის სავსე.

შევეცდები, რამდენადაც ძალმიძს ამ წერილში მკითხველს გავაცნო რამოდენიმე მუხლი თეზისებისა, რომელნიც დამახასიათებელი არიან ამ თეზისების ავტორებისათვის. პირველ და მეორე მუხლში მენშევიკების საორგანიზაციო კომიტეტი ეხება აგვისტოს აჯანყებას და ამბობს: „მართალია აგვისტოს უთანასწორო ბრძოლა საქართველოს მშრომელი ხალხისა და დამპყრობელებს შორის პირველის ფიზიკური დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მორალური გამარჯვება პირველს ხვდა და იდეური ზნეობრივი გაკოტრება რუსეთის ხიშტებზე გაბატონებულ კომპარტიას და სხვ. გასაკვირია,—როგორ ვერ გაიგეს სტრიქონების ავტორებმა რომ ამ უაზრო გამოსვლების შემდეგ ისინი ვინც იარაღით ებრძოდა ხელისუფლებას, დღეს მთელი არსებით ეხლა მასთან არიან და მის განმტკიცებას უწყობენ ხელს! ნუთუ ვერა ხედავენ ეს ვაებატონები, რომ მშრომელი მასსა სავსებით გაიმიჯნა მათგან, რადგან დაინახეს, რომ ასეთი გზით საქართველოს მშრომელი ხალხი დაღუპვისკენ მიდის... ავიღოთ გურია, სადაც თქვენ ყველაზე მეტ ძალას წარმოადგენდით და სადაც რევოლიუციების პირველმა ნაპერწკალმა იფეთქა.. უნდა ითქვას რომ გურიაში თუ გასულ წლებში ს ბჭოების არჩევნებს გლეხები გაურბოდენ, ახლა ისინი მჭიდროთ ირაზმებიან საბჭოების ირგვლივ და 85% ღებულობს მონაწილეობას არჩევნებში (რის საბუთი ყოველგან შეგიძლიათ ნახოთ) განა ეს არის იდეიური გაკოტრება მმართველი ხელისუფლებისა და მენშევიკების მორალური გამარჯვება?

მომავალშიც გისურვებთ ასეთ მორალურ გამარჯვებას!

მე 3-მე მუხლში აღნიშნავენ „რომ კომუნისტური პარტია და მისი შტაბი, ეგრედ წოდებული კომინტერნი, თანდათან კარგავს იმ ცოტაოდენ პოზიციებსაც ევროპაში, რომელიც მათ იქ არა ნორმალურ პირობებში დაიპყრეს. ამას აშკარად მოწმობს კომპარტიის სასაცილო დამარცხება ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში, ასეთივე დამარცხება გერმანიის რეიხსტაგში" და სხვ.

განა ინგლისის პარლამენტში კონსერვატორები რომ გავიდნენ ეს თქვენთვის სასიხარულოა? ნუ თუ თქვენთვის სასიხარულოა მაკდონალდის, თქვენი ლიდერის, დამარცხება პარლამენტის არჩევნებში?

ძლიერ ახარებს თეზისების ავტორებს ამხ. ტროცკის უკანასკნელი გამოსვლები და მასში თითქმის ხსნას მოელიან. ნუთუ ეხლა ეს ღა დაგრჩენიათ იმედათ? მაგრამ იცოდეთ; აქ არაფერი საიმედოა და ამხ. ტროცკი თქვენდა სასარგებლოთ არას ლაპარაკობს თავის წიგნში; განა რომელიმე კითხვაზე გამართული დისკუსია პარტიის დამარცხებას ნიშნავს? ამხ. ტროცკი კვლავ კომპარტიის რიგებშია და მის ერთ-ერთ თავდადებულ ხელმძღვანელათ ითვლება. ამ მხრივ ტყუილათ იმედობთ,—ეს იმედიც ისე გამოგეცლებათ ხელიდგან, როგორც გამოგეცალათ ინგლისის „დრედნოუტების" მოსვლის იმედი!

ამა თეზისების ავტორნი მე 18-ტე მუხლში ამბობენ. „საქ. მუშათა კლასი დღესაც საქ. სოც. დემ. დროშის ქვეშ სდგას; თითო-ოროლა დამფრთხალი ნაძირალები თუ შეუერთდებიან, „ჟევდარიანები" და „ძამანაშვილები", თორემ სოც დემ-ას ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებენ და საქ. მუშათა კლასსაც გულს ვერ გაუგმირავს მენშევიკურ ი პარტიის ეგრედ წოდებული „ლიკვიდაცია"-ს და სხვ. თეზისების ავტორნი, როგორც სჩანს ძრიელ დაუფრთხია ამხ. ძამანაშვილის ჯგუფს და საერთოდ მათ მიმდევრ ებს, მაგრამ ხომ ვერ ეტყვიან ისინი თავის მრევლს, თუ როგორ დამარცხდენ და უჯარო გენერლების მდგომარეობაში ჩაცვივდენ! ამისთვის ლანძღვა-გინებით ცდილობენ ჩვენს დამცირებას და არავითარ დასაბუთებულ ბრალდებას არ აყენებენ ჩვენს წინააღმდეგ. როდის აქეთ შეიქნა ამხ. ძამანაშვილი, კუპრაშვილი, ხურცილავა, გვიმრაძე და სხვ. ნაძირალები? განა ესენი ძველი რევოლიუციონერები არ არიან, რომელთაც მრავალი ტანჯვა-წამება მიუღიათ რუსეთის თვითმპყრობელობის დროს?!

მათ კარგათ იცნობს საქ. მუშები. თუ იმიტომა ხართ ბრაზმორეულნი, რომ თქვენ სამუდამოთ გეცლებათ ნიადაგი ხალხში. ჩვენ ამ პირებს კარგათ ვიცნობთ და მათი ბრძოლაც ვიცით. მე არას ვიტყვი საქ. სხვა მაზრებზე (ამაზე სხვა ამხანაგები გამოსთქვამენ თავის აზრს) მხოლოთ ვიტყვი გურიაზე; გადაჭარბებული არ იქნება, რომ ვთქვა,—გარდა რამოდენიმე ქინიანისა—დღეს ყველანი ირაზმებიან კომინტერნის დროშის ქვეშ და 7—8 ოქტომბრის თბილისის მუშების მიერ გამოტანილი რეზოლიუცია ფართო გამოხმაურებას პოულობს გურიაში. ჩამობრძანდით გურიაში მოისმინეთ და გაიგეთ თუ როგორ გაფასებთ თქვენ გურიის რევოლიუციონური გლეხობა! მეცხრამეტე მუხლის მეორე ნახევარში ისინი სწერენ: „ზოგს განცხრომით ცხოვრება მოენატრათ, ამიტომაა რომ ისინი არხეინათ დასეირნობენ ორახელაშვილის და ორჯონიკიძის კაბინეტებში, სასაცილოა მათი ჟურნალი „ახალი გზა" და სხვ.

განცხრომით ცხოვრებას და ლამაზი ქალების ტრფიალს ვინ არიან ჩვეულნი, ეს თქვენ კარგათ იცით! ნუ თუ არ წაიკითხეთ თქვენი თანამებრძოლი ვანო ალიხანაშვილის წერილი სადაც ამბობს „რა თავის ხელთ დაინახეს (მენშევიკებმა გ. ლ.) სახელმწიფოებრივი უფლებები, მთელი ხალხი, ქონება და სიმდიდრე, მატარებლები, ავტომობილები, ძვირფასი მორთული სასახლეები მინისტრების და მთავრობის თავმჯდომარის სავარძლები, რა ნახეს ბევრი ფული, ლამაზი ქალებისა და ბატონობის ტკბილი გემო, იგინი დასძლია ბოროტმა სულმა და ააცდინა სწორე გზას. რაც წინეთ გააკეთეს ისევ გააფუჭეს თავისივე ხელით, თავისივე მოქმედებით დაღუპეს მათ ხალხი და რევოლიუციის ყველა მონაპოვარი" (იხ. გაზ. „კომუნისტი" № 45).

რაც შეეხება ხელფასს, დღეს შესაძლებლობის ფარგლებში შედარებით მენშევიკების დროისა, მასწავლებლები და საერთოდ მუშა-მოსამსახურენი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. გადაათვალიერეთ მასწავლებლების ყრილობის ანგარიშები, სადაც ერთხელ და და სამუდამოთ სწყვეტენ კავშირს საბჭოთა მთავრობის მტრებთან და მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ კულტურულ-ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმშენებლობაში. განა მათი დადგენილებები ერთხელ და სამუდამოთ არ მოწმობენ მათ კმაყოფილებას არსებულ ხელისუფლებისადმი?

და ბოლოს, ეს გულუბრყვილო ავტორები 25 მუხლიან თეზისებისა, მოუწოდებენ ქართველ ხალხს ბრძოლისაკენ და ამბობენ „ჩვენ მოგველის გამარჯვება, განთავისუფლება და გამარჯვება დემოკ. ინტერნაციონალს.

იცოდეთ ვაჟბატონებო, რომ თქვენი ხმა დარჩება „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“; ამიერიდან არავინ არ წამოეგება თქვენს ანკესს და იცოდეთ, რომ თუ კვლავ განაგრძობთ თქვენი დაშნაკური პოლიტიკით ქართველი მუშების და გლეხების განადგურებას, თვით ეს მუშები გაგცემენ საკადრის პასუხს. ჩვენ არ მოგცემთ უფლებას ჩვენი სისხლით თამაშისას, ჩვენ გვირჩევნია სოციალისტური მთავრობის ხელში ვიყვეთ ნახევრათ მშიერნი, ვიდრე განცხრომით ვიცხოვროთ თქვენ თანამოძმე ევროპის სისხლის მწოვ კაპიტალისტების ხელში!

**გერ. ლომთათიძე.**

# ჟურნალ-გაზეთებიდან

ამიერ-კავკასიის ფედერაციის გამოცხადების სამი წლის შესრულების გამო გაზეთი „კომუნისტი“ სწერს:

„სამი წლის წინედ, 1922 წლის 12 მარტს, საფუძველი ჩაეყარა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების—საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ფედერატიულ გაერთიანებას, რომელიც იმავე წლის 13 დეკემბერს ჩამოყალიბდა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკად.

დღეს ამ ისტორიული ფაქტის უაღრესი მნიშვნელობა და დადებითი შედეგები უდავოა ყველასათვის, ვინც განზრახ თვალებს არ იბრმავებს და მშრომელთა შეურიგებელი მტერი არ არის. მაგრამ მაშინ ფედერაციის იდეის წამოყენება და განხორციელება არც ისე ადვილი საქმე იყო. ყოფილი ნაციონალისტურ მთავრობათა პოლიტიკის წყალობით ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ატმოსფერა ჯერ კიდევ მოწამლული იყო კაცი-ჭამია შოვინიზმის შხამით. საბჭოთა ხელისუფლების მტრები ჩვენი რესპუბლიკების შეკავშირებისაკენ გადადგმულ ყოველგვარ ნაბიჯს ასაღებდნენ ხალთა დამოუკიდებლობის მოსპობად. ეს თავისთავად გასაგებია, მხოლოდ აქ აღსანიშნავი ის არის, რომ მათ ანკესზე ეგებოდენ მშრომელთა ზოგიერთი წრეები და მუშურ-გლეხური წყობილების გულწრფელი დამცველნიც.

საჭირო იყო ფართე კამპანიის ჩატარება ფედერაციის მნიშვნელობის განსამარტებლად. პარტიამ და მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ სავსებით გადალახა ყველა დაბრკოლებანი ამ საკითხში და იშვიათი ერთსულოვნებით დაუჭირა მხარი ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ფედერატიულ გაერთიანებას. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ყველამ შეიგნო ჩვენი რესპუბლიკების შეკავშირების აუცილებლობა.“

* * *

ამავე საკითხის შესახებ ამხ. მ. ორახელაშვილი გაზ. „კომუნისტი“-ს თანამშრომელთან გამოთქმულ საუბარში ამბობს შემდეგს:

„ამიერ-კავკასია მეურნეობის მხრივ წარმოადგენდა და წარმოადგენს ერთს მთლიანს და განუყოფელ ორგანიზმს. ამიტომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანების ამოცანა დაისვა დღის წესრიგში, როგორც კი ამიერ-კავკასიაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამიერ-კავკასიის ეკონომიურმა თათბირმა, რომელიც შესდგა 1921 წელს, უდაო მეცნიერული საბუთებით დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, გადადგმულიყო სერიოზული ნაბიჯები გაერთიანებისაკენ და მიუხედავათ დიდძალი დაბრკოლებების და სიძნელისა, მიზანი მიხწეულ იქნა—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები გაერთიანდენ ამიერ-კავკასიის ძლიერ ფედერაციაში. გაერთიანების აუცილებლობას გვიკარნახებდა ამიერ-კავკასიის ხალხთა საერთო ინტერესები, რადგან არც მელიორაციის, არც ელექტროფიკაციის, არც სამეურნეოდა პოლიტიკური ცხოვრების სხვა დანარჩენ დარგებში, არ შეიძლებოდა სერიოზულ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა წინ, ამიერ-კავკასიის ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ღონისძიებათა გაერთიანების გარეშე.

გაერთიანებამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ამიერ-კავკასიის სამეურნეო, კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას, მეურნეობის გეგმიანად მოწყობას და ეროვნული მშვიდობიანობის საფუძველის გამგრება ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის.

მხოლოდ გაერთიანების შემწეობით ჩვენ შევსძელით მრავალ მტკივნეულ საკითხების გადაჭრა და გამოსვლა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ფართო ასპარეზზე.

ამიერ-კავკასიის მთავრობის ანგარიშმა საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიაზე ნათელჰყო ის მიღწევები და წარმატებები, რომლებიც აქვთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს გაერთიანების გზით.

ამიერ-კავკასიის ხალხთა ოჯახი ამჟამად მთლიანია. ამ მთლიანობაში არის მათი შემდეგი წარმატებების, შემდეგი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინების საწინდარი.

* * *

თუმც მონობაში დავიბადე და ალვიზარდე,
მაგრამ მე მაინც არასოდეს ცრემლებს არ ვღვრიდი,
მუშებთან ერთად მეც ვიტანჯე და მეც ვიდარდე,
მაგრამ მომავლის გამარჯვების იმედებს ვზრდიდი.

და დღეს, როდესაც ალისფერი დროშა ფრიალებს,
როცა დაემხო სამუდამოდ ვერაგი მტერი,
თავისუფალი ჩანგი ჩემი ლაღად წკრიალებს
და გამარჯვების სიმღერასაც ამაყად ვმღერი.

გ. ქუჩიშვილი.

# სიცილით ბარიკადებზე იხოცებოდნენ

## (რუსეთის რევოლიუციის 8 წლის თავი)

წარმოიდგინეთ: საშინელი ქარიშხლიანი ღამე... პირგამურული წარღვნის მუქარით ჩამოწოლილი მძიმე ღრუბლები... მთელი ამქარი კუდიანებისა, რომელნიც გადამსხდარან დიდი ხნის წინეთ დახოცილ და ხორც გამოხრულ ცხენების ჩონჩხებზე... დაჯირითობენ ხითხით-კნავილ-წკნავილით სოფლად და ჰფანტავენ შიშის და შეშლილობის მოჩვენებებს... კაციჰამიებს საფლავებიდან ამოუთხრიათ თბილ-თბილი, ჯერ ისევ ფარსაგად გაუციებელი მკვდრები და ვარიებივით მადიანად ახრამუნებენ...

მიკიოტების და ბაიყუშების მოძახილი შეერთებია გველ-ბაყაყთა სისინს და გაისმის დუეტები ჯოჯოხეთური... განწირულება ყოველი მხრიდან აქლემების ქარავანივით მორროყინობს... სასოწარკვეთა დამშეულ მგლეპის ხროვას კბილებით ფლეთავს გულს...

გგონია კუდიანების სეირნობას ვერავინ დაარღვევს... მაგრამ... ჩუ!.. გაისმა საგანთიადო ეჟვნების ჟღარუნი... ძელთა გუგუნით... პირსხიოსან ჰაბუკს-მზეს ოქროს უამრავი მაკრატლები უჭირავს უამრავ ხელებით და ჰკუწავს... ფარა-ფარა ჰფხრეწს წყვდიადის თალხ-სუდარებს... მტანჯავი სიზმრებივით უკვალოდ ჰქრებიან კუდიანები... მიიმალებიან ღამის მრისხანე მოჩვენებები ფერიებივით ყელს გეხვევიან, ოქრო ფრთოვან დილის მხურვალე სხივთა ხელები.

ფრთოსნები... ყვავილები... ნაკადები—ყველანი ხმაშეწყობით ამბობენ ჰიმნს მშვენიერებისას და გარწმუნებენ, რომ ცხოვრება მომხიბლავია... ტკბილია... ცხოვრება სანატრელია, როგორც ახალგაზრდობა... როგორც ყრმობისას ნანახი ოქროს სიზმრები... შემცდარი იყო, უეჭველად შემცდარი, დიდი შექსპირი, რომელმაც სთქვა:

ცხოვრება ის შავი ზღაპარია, რომელსაც გვიამბობს სულით ავადმყოფი, შეშლილიო...

ახ, შენ რომ არ დაგეწერა დიდო შექსპირო, უკვდავი პიესები—არასოდეს, არასოდეს გეპატიებოდა ასეთი ცილის წამება ცხოვრებაზე.. ცხოვრება ხანდახან თუ მოკუპრულია, უმეტეს შემთხვევაში იგი ლეგენდაა უჩრდილო... უკვდავებისათვის სანატრელია...

ასეთი გრძნობები აღძრა იმ გათენებამ, რომელმაც ჯალათებსავით პირშერცხვენილი გაისტუმრა კუდიანობის ღამე თავისი ბალყუში ამალითა.

სწორეთ ასეთივე განცდა მივიღეთ ყველამ ამ 8 წლის წინეთ... 1917 წ.

რა იყო სიცოცხლე 1917 წლამდის?.. ის იყო ისეთი კუდიანობის ღამე—ზევით როა აწერილი... უფრო მეტიც... მთელი რუსეთი ორ გავარვარებულ კეცს წარმოადგენდა... შიგ მოთავსებული იყო მშრომელი ხალხი და იხრაკებოდა... შიშხინებდა... კეცს კი არავინ აცლიდა... კეცი კეცს ჰქონდა დამხობილი და ზედ ედვა ლოდი ცარიზმისა... მარტო ადამიანი კი არ იყო ამ საცოდაობაში... ჰაერში ფრინველები და წყალში თევზებიც—კი არხეინად ვერა ჰქროდნენ.

ეშინოდათ, რომ ნიკოლოზის დერჟიმორდებს მათთვისაც „პასპორტი“ არ მოეთხოვათ... ისინი სახრჩობელებზედ არ ჩამოეკიდნათ, სისხლით შეზარხოშებულ თვითმპყრობელობის მხეცურ გრძნობების უფრო გასაფუებლად... „წმინდა“ „სასწაულ-მომქმედი“ რასპუტინი ის მოციქული იყო, რომელიც მიაქანებდა რუსეთს სირცხვილის სასუფევლისკენ... ყველას რწმენა ეკარგებოდა... შიშის ელეთმელეთს აეკანკალებინა... არავის სიზმრადაც არ მოუვიდოდა, თუ ისე მალე განიავდებოდა და ყავარ-ყავარ დაიმსხვრეოდა ცოდვებით შეჩვენებული თვითმპყრობელობა... მაგრამ... თურმე ამ სიჩუმეში იზრდებოდნენ შურის ძიების ორბ-შევარდნები, რომელთაც გაათენეს სანუკვარი, რევოლიუციის ხანძრით აშარავდებული დილა... გოლიათივით წამოდგა პროლეტარიატი, დახია ძველი რუქები და გამოსჭრა, დასწერა სრულიად ახალი რუქა... დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი შეღება სისხლის ფრად და ზედ წააწერა: „ახალი რევოლიუციონური რუსეთი“...

პროლეტარიატი ჰეშმარიტად ის კოლუმბი ყოფილა, რომელსაც შესძლებია სრულიად ახალი ქვეყნების აღმოჩენა... ახალი ბედნიერების პირამიდების აღმართვა...

ვაშა ამ ახალ კოლუმბს—პროლეტარიატს!.. მშვენიერების და უკვდავების ღმერთი ზის მისს გულში და ის ადენინებს ისეთს საქმეს, რომელიც ვერც ერთ გენიოსებს ვერ მოესიზმრებოდა...

ვაშა...

მაგრამ...

ქუდებიც მოიხადეთ ხალხნო .. მოწიწებით მოიხადეთ ქუდები!.. მართალია დედის კოცნასავით ტკბილია ეს დღე, მაგრამ მზა-მზარეულად არ მიგვიღია... ბოსტანში არავის უპოვნია... მან შეიწირა აუარებელი მსხვერპლი... ძვირად დაჯდა... წამებულთა კუნძულებით აივსო ციმბირი... ყველა კუთხე ..

სასოებით მოვიგონოთ მათი სახელი... ნუ კი ვიტირებთ... ისინი გამგელებულმა ტყვიებმა დასცხრილა, მაგრამ მაინც ბედნიერები არიან...

ახ, რა კარგია სიკვდილი თავისუფლებისათვის...

იცით, მეგობრებო, რისთვის შრიალებენ ხოლმე წითელი დროშები ისე მომხიბლავად, ჟრუანტელის მომგვრელად?.. ეს იმიტომ, რომ მათ ჩაქსოვილი აქვთ თავისუფლებისთვის და სოციალიზმისთვის მებრძოლთა უკანასკნელი ყიჟინა... თვალეპის კვესება... მტრის მომთიბავი სიცილი .. უკანასკნელი სიცილი იმ წუთისა, როცა ბარიკადებზე იხოცებოდნენ...

დ. ჩხეიძე.

# ქართული ლიტერატურა

III

მწერლობაში ჩემზე ადრეც უთქვამთ და მართლაც უთქვამთ, რომ ქართველი მუშა-კაცისათვის უფრო დიდი საყვარელი სატრფიალო საგანია ქართული ლიტერატურა, სადაც თავს იყრიდა და გროვდებოდა მთელი ერის სულიერი სიმდიდრე და დოვლათი—ეროვნული ლირიკა, კაზმული პროზა (ბელეტრისტიკა და დრამატურლია) და კრიტიკა.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, პოლიტიკურად დამონავებული ერი, რომელსაც მტარვალი რუსის მთავრობა არაფერს არა კითხავდა და ისე განაგებდა მის ბედსა და ცხოვრებას, იყო პატივაყრილი და შეგინებული. მშრომელი ხალხის ღირსება ბინძურის ფეხებით იყო გასრესილი და დამარხული. ამასთან ერთად, 1864 წლამდი მშრომელ ხალხს ბატონ-ყმობის მძიმე და მწარე უღელი აწვა კისერზე და ირგვლივ მთელი ქვეყნის არე-მარეზე უშველებელი წყვდიადი იყო გამეფებული.

ასეთ შავ-ბნელ დროსაც-კი საქართველოში გაჩაღდა ლიტერატურის განვითარების უსაჭიროესი ელემენტი—**მკითხველი**, რომელმაც საშუალება მისცა სოლომონ დოდაშვილს 1820-იან წლებში გამოეცა ქართული გაზეთი და ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაეწერა, აი, ასეთი ღრმააზროვანი და რევოლიუციონური ლექსი:

ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,
არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრ მრავლობენ განდიდებისა სურვით,
ატარებენ ჟამთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით;
და სხვა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ხმა იყო მაშინდელი ცხოვრების მწარე **კრიტიკა**, რომელიც წარმოადგენდა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ანარეკლს. ალექსანდრე ჭავჭავაძე პირდაპირ, უშუალოთ იცნობდა ფრანგულ ლიტერატურის. ამ ლიტერატურისა და ფილოსოფიის ზედ-მიწევნითა და ღრმა მცოდნე იყო იგი, და თავისი ნათლიათ, ეკატერინე II დიდის არ იყვეს, ისიც მეგობრობდა დიდს ვოლტერს.

ახლა აიღეთ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი და სხვებიც, რომელთაც აამუშავებიათ თავისი ტალანტი ქართველი კაცის გამოფხიზლებისათვის...

მართალია, გრიგოლ ორბელიანი პირადათ არ იცნობდა ევროპის დასავლეთს, მაგრამ იგი იყო ერთი დიდი უნიჭიერესი წარმომადგენელი ევროპიული ლიტერატურული მიმართულების—რომანტიზმისა საქართველოში. ეს მგოსანი, დიადი პოეტური ტალანტით დასაჩუქრებული, ჩვენი ცხოვრების წყვდიადობამ ჩალუპა თითქმის უგანაჩენოთ. ცხოვრების სხვა, უფრო ხელსაყრელ პირობებში, ამ პოეტს შეეძლო გაემდიდრებია ქართული ლიტერატურა ძვირფასი ნაწერებით. მარა ეს მოხდა ასე!.. და გრიგოლ ორბელიანის დიდი ტალანტი დალუპა ჩვენი ცხოვრების უმსგავსოებამ.

ახლა აიღეთ 40-იანი წლების ქართული ლიტერატურის დიდი მებაირახტრე, გრიგოლ ორბელიანის დისწული—ნიკო ბარათაშვილი. განა იგი პირწავარდნილი ქართველი ბაირონი არ იყო? ბევრი რამ მიბაძვითაც ევროპიდან, რუსული ლიტერატურის მეოხებით, განსაკუთრებით, ალ. პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, გოგოლის და ბელინსკის მეოხებით, შეიძინა ქართველმა და უფრო ქართულმა ნორჩმა ლიტერატურამ. დიახ! ლიტერატურამ, სწორეთ ქართულმა ლიტერატურამ მოახდინა პირველი სასწაული საქართველოში ევროპიული მოწინავე იდეებითა და ფიქრებით, აზრებითა და გრძნობებით. ნ. ბარათაშვილი გულით გახარებული აღნიშნავს ახალი, ევროპიული ცხოვრების ჩვენში შემოჭრას:

**„სადაც აქამდის ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,**
**მუნ სამშვიდობო მოქალაქის ჰმართავს აწ ხელი...**

რომ ევროპა იყო ჩვენი აზროვნებისა და იდეალების ავანგარდი, ესა ჩანს არა თუ ზემოთ დასახელებულ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერალთა ნაწერებიდან, არამედ უფრო გაცილებით ადრეც, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს ქართული ლიტერატურის გოლიათის—საბა-სულხან ორბელიანის ნაწერებიდანაც.

1716 წ. ივლისის თვეში, საბა იტალეთიდან და საფრანგეთიდან დაბრუნებული, ბათომში გაჩერდა რამდენიმე დღე. ერთ დღეს, ზღვის პირათ სეირნობის დროს, საბა ორბელიანსა და მსწავლულ მისიონერებს, რომელნიც საქართველოში მოყვებოდენ მას, გემიდან შემოესმათ ტირილი, ყვირილი და გულის შემზარავი დიდი გოდების ხმა. თურმე გემზე ისხდნენ ქართველი ყმაწვილები, ქალი და ვაჟი, რომელნიც ქართველ მებატონეებს ოსმალებზე გაეყიდათ და ეს დაჟღდულები საშინლად ტიროდენ და გოდებდენ. აი, ამ მწარე სინამდვილეს ასწერს საბა ორბელიანი თავის „მოგზაურობაში“.

„ეს ამბავი შევიტყვე გემში მყოფ ხალხის შესახებ. ამ ამბავმა დიდათ დამაღონა და დამადარდიანა, სირცხვილისაგან სიცოცხლე შემძაგდა. ეს რა რისხვა არის ჩვენს თავს, ეს რა უბედურება და შეუგნებლობაა, რომ ქართველი ქართველს ჰყიდის. ღმერთმა დასწყევლოს ასეთი ქართველი!.. ამის დარდსა და ფიქრებს მივეცი თავი და სულ იმის ფიქრში ვიყავი, თუ ევროპიელი მისიონერებისათვის რა მეთქვა და თავი როგორ მეხსნა სირცხვილისაგან“*).

დიახ! ჩვენა ვსწავლობდით და გულწრფელათაც ვსწავლობდით და ეს სწავლა-მოძღვრება, ეს იდეები და იდეალები უკეთესი, უმაღლესი ცხოვრების შესაქმნელათ, ნელ ნელა, ქურდულათა და საიდუმლოთ შემოდიოდა ევროპიდან საქართველოში, სხვადასხვა სახითა და სახელწოდებით. ეს ცრუ კლასიციზმი (პლატონ იოსელიანის—„ატიკა ბლავის, სპარტა ინგრევა“), სანტიმენტალიზმი, რომანტიზმი, ბაირონიზმი, 60-იანი წლების ლიბერალიზმი, ნიჰილიზმი (ანტონ ფურცელაძისა), ტეტიათა მოტრფიალეობა და ბოლოს, მარქსიზმიც. განა სულ ყველა ეს ევროპის დიდი და ძლიერი მოძრაობის ბრწყინვალე შუქი არ იყო და არ არის?

მარა, საქმე ხომ ამ სხვადასხვა სწავლა მოძღვრებათა სახელწოდების გადმონერგვაში არ იყო. საქმე ის იყო, რომ ბატონ-ყმობის საშინელ წყვდიადის დროსაც-კი ჩვენს ლიტერატურაში ისმოდა ჰუმანიზმის ხმები, და, ყირიმის

*) იხ. ზ. ჭიჭინაძის წიგნი—„საქართ. ბატონ-ყმური ფაქტიური მასალები“.

ომის გათავების შემდეგ, ისეთი ძლიერი ხმა გაისმა დამონებული ყმების გასანთავისუფლებლათ ქართულ ლიტერატურაში, ხუთი წლის წინათ განთავისუფლებამდის, როგორც დანიელ ჰონქაძის—„სურამის ციხე“ და ილია ქავჭავაძის—„გლახის ნაამბობი“ და „კაცია ადამიანი“!?.

ეს იყო ძველი, დამყაყებული, ბატონ-ყმური ცხოვრების საშინელი და ულმობელი კრიტიკა. ეს კრიტიკა თანდათან, ნელ-ნელა მოყვა ისტორიულ-მატერიალისტურ რევოლიუციას, რომელმაც მისცა ძლიერი იმპულსი ქართულ ლიტერატურასა და შემოქმედებას, გამოენახა ახალი, მაღალი და მიმზიდველი ცხოვრების აზრი, რომელიც დაამშვიდებდა გამწარებულს გულსა და აღელვებული სინიდისის ხმას.

**ხომლელი.**

---

# ც ი რ ა

ქალთა სასწავლო კლასი—გულისტანია, კაბახია მშვენიერებისა...

აღმოსავლეთელ ხელოვანთა ჯადოსნური ოცნებაც კი ვერ წარმოიდგენს უკეთესს ჩანჩქერს ლალანა ყვავილებისას.

კლასში ცისმარე დღე ჰხდება სასწაული.

წლების განმავლობაში მოწაფე უსახო გოგოცანაა; მაგრამ გათენდება მისი სიცოცხლის გაზაფხულის დილა და იგი გარდიქმნება მომხიბლავ ცირად...

ასეთი დილა ყოველ დღე თენდება...

ხან ერთი სწყვეტს ბავშვობის არტახებს და იქცევა მშვენიერების ნინველად, ხან მეორე..

ხან ერთი აქათქათდება სიყვარულის მზის სირმით მოქარგული, ხან მეორე...

მასწავლებლის თვალი მიჩვეულია ამ სასწაულებს...

არაფერია ისე მოსაწყენი, როგორც მასწავლებელი მშრალ დარბაისლობის ნავლში გამოხვეული.

არ აღძრავს მასში საამო განცდებს ასეთი აფეთქება ნორჩი სიცოცხლისა...

მისი სული ისეა დამძიმებული ცუდი ნიშნების წერის ცოდვებით, რომ არ უეშხებს ოცნებას ეს ზღაპრული მოვლენები...

სერგოც ასეთი მასწავლებელთა ჯურისა იყო.

მდორედ მიტბორავდა მისი ცხოვრება, რომ ერთხელ ანაზდად არ აეფართქალებინა მისი გამტვერიანებული გული ერთ ცირას.

ცირა იყო: ზარმაცი. ონავარი. გიჟმაჟი. ქარაქუცა.

გაკვეთილებს არ ამზადებდა.

სერგოც ორიანებით უმასპინძლდებოდა.

ახლაც გამოუძახა...

რა თქმა უნდა კლასიკური სიზარმაცის დედოფალს არც ახლა ეცოდინებოდა...

მასწავლებელი აიმრუშხა...

ის ის იყო გულის წყრომის ხორხოშელა უნდა წამოეხრიალებინა...

მაგრამ...

ცირას წითელი მარჯნის ბაგენი ხასხასებდნენ... ხასხასებდნენ ჟრუოლის მომგვრელად...

იცით როგორი იქნებოდნენ ქვეყნის დასაბამის პირველ განთიადისას ტუჩ-გაპობილი პირველი ვარდები?..

უეჭველად ცირას მარჯნის ბაგეებისთანა იქნებოდნენ...

მისი თვალები...

სიცოცხლის გაზაფხულის ჟუჟუნა ცვრებით მონამული მისი თვალები...

ეშხით იყვნენ გაისრულნი... მწველი ეშხით... სერგოს შემოალხვა გულ-ცივობის ყინული... აპრიალდა..., აფანცქალდა... შეწრფა... წამოწითლდა... იგრძნო ჯერ აროდეს განცდილი ტრფობა... მოიხიბლა... მოიხიბლა და... სული წაიწყმინდა... ფრიადი დაუწერა...

ფრიადი გამოიმეტა იმისთვის, ვისზედაც ორიანიცკი არამი იყო...

აპირთავდა სერგოს გული სიყვარულის განუცდელ ტანჯვის სამსალით...

უხაროდა ეს ლამაზი ტანჯვა...

სრულიად გარდაიქმნა...

წინედ ჩაჩულია, აბურძგნული დადიოდა კლასში...

ახლა კოხტაობა იწყო...

მისს დაობლებულ სარკეს ძლივს ეღირსა მტვერის გადაწმენდა...

მითიურ ნარგიზსავით მოწონდა და ეალერსებოდა თავის თავს...

---

ყოველთვის, როცა კლასში შევიდოდა, ცირა ედგა თვალწინ და სწვავდა, ჰფერფლავდა ტრფობის ხანძარში...

გრძნეულად უცინოდა ცირა...

სერგოს ეგონა თითქოს წყლის ქალ-ღმერთი ლივლია გამოსულა კლასში და იგი ეტრფიალება...

ცირას სიცილით ანარგიზებული თვალების კვესება ჟრჟოლასა ჰგვრიდა... აბნევდა...

სცდილობდა არ შეემჩნივნა...

ვერ ახერხებდა...

უნდოდა სრულიად არ გაეხედნა მისკენ...

უფრო იბნეოდა...

ეგონა ცირა ჰგრძნობდა, რომ სერგო განგებ არ იხედებოდა მისკენ...

ამიტომ უფრო გრძნეულად მისჩერებოდა ცირა მას...

თვალებით სჭამდა...

ახლაც შევიდა კლასში...

მეორე კუთხეს მიაპყრო თვალი...

ძლივს დაიდონდგილა მღელვარებით გაკაპასებული გული...

ვერცხლის წყალსავით მოკაწკალე ხმით მოჰყვა გაკვეთილს...

უამბობდა ძველი ღმერთების ისტორიას, თუმცა ოცნებით ისევ და ისევ ცირას შეჰფრფინვიდა...

მექანიკურად ჰფქვავდა ათასჯერ ჩამოფქულ გაკვეთილს...

სიტყვებით უხალისოდ მოგზაურობდა ქართველთა ძველს სამშობლოებში: ქალდეაში... ნაირში... პლარონდიაში...

გულში კი ჰფიქრობდა:

ცირას სახე ისევე ლეგენდარულია, როგორც წარმართული კერპი ზედაზენი...

ცირას ყოველს მიმოხვრაში გამოჰკრთის ღმერთების ჯავარი...

... ბევრი ღმერთები ჰყავდა წარმართულ საქართველოს,—მოუთხრობდა სერგო მოწაფეებს...

ბევრი შეუმჩნევლად ახლაც აღმართულია ქართველთა სულში...

არმაზი... გაცი... აინინა... გაიმი... ცირ...

წამოსცდა ცირას სახელი...

პირსვე შეეყინა... გაცბა...

კუდრაჭა, ყაჩაღანა ახალგაზდობას არა გამოეპარება რა...

ჯერ ადრევე ჰქონდათ გუმანი აღებული...

ახლა ყველაფერი გამოაშკარავდა...

მიუხვდნენ ხეაშიადს... თქართქარი ასტეხეს... ალაზღანდარდნენ:

— ცირა, ცირა!...

— ცირას კერპიცა სწამდათ, მასწავლებელო; ძველს ქართველებს?..

— რისი ღმერთი იყო ცირა?..

— სიყვარულისა თუ სიძულვილისა?..

— მშვენიერებისა თუ სიმახინჯისა...

დრო კი... დრო აქლემისავით ნელა მიიფხორებოდა...

გაკვეთილის გასათავებლად ზარს არა რეკდნენ...

თითქოს ვიღაც მეხანათს ენა ამოეძროს ზარისთვის...

გაწყალდა გული... მიილია... ძლივს!... ძლივს!... გაისმა სანატრელი წკრიალი...

სერგოს აღარ ახსოვს როგორ დაავლო დღიურს ხელი და როგორ მოსძუძგა...

ამის შემდეგ აღარ შესულა კლასში...

ფეხი ამოიკვეთა...

**დ. თურდოსპირელი.**

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ქ. ახალ-სენაკი

21 თებერვალს რკ. გზის თეატრის დარბაზში შესდგა კრება ქ. ახალ-სენაკის და მისი რაიონის მოწინავე გლეხების სოციალ-დემოკრატებისა და ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის წევრებისა. კრებას დაესწრო აგრეთვე უპარტიო მუშებიც.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ი. ბობოხიძე, მდივნად ვ. ქოიავა.

თანამედროვე მომენტზე და სოც-დემოკრატიულ პარტიის უკანასკნელი წლების ტაქტიკაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. ძველაიამ. ის შეეხო სოც დ. მ. პარტიაში ფრაქციების ბალშევიკ-მენშევიკების წარმოშობის ისტორიას, დაახასიათა მენშევიკურ ფრაქციის რევოლიუციონური ბრძოლა ათეული წლების განმავლობაში და აგრეთვე ხსენებული ფრაქციის და მისი ხელმძღვანელ ორგანოს—მეორე ინტერნაციონალის როლი მსოფლიო იმპერიალისტურ ომის ხანაში, როდესაც „სოციალისტები“ დაირაზმენ ნაციონალური ბურჟუაზიის ბარიკადებზე.

შეეხო აგრეთვე თებერვლის რევოლიუციას და შემდეგ ოქტომბრის გადატრიალებას, რომლის მსოფლიო მნიშვნელობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის თავის დროზე ვერ იქნა შესაფერისად დაფასებული მენშევიკური პარტიის მიერ და აქედან გამომდინარე ანტისაბჭოებრივ პოზიციას, რაც გამოიხატა სისტემატიურ არალეგალურ მუშაობაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საზგადოთ, და კერძოთ საქართველოში, აგვისტოს შეიარაღებულ აჯანყებაში, რამაც პარტია პოლიტიკურად გააკოტრა.

დასასრულ მომხსენებელი დაასკვნის, რომ ერთხელ და სამუდამოთ უნდა უარყოფილ იქნეს ძველი გზა და საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად უნდა შევამჭიდროთ და გავამაგროთ ჩვენი მუშური რიგები მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ახ. მარქს. სამ. სალიკვ. კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ქოიავა. ის აღნიშნავს, რომ ხსენებული ორგანიზაციების მთავარ მიზანს შეადგენდა მეცნიერული სოციალიზმის შესწავლა მარქსისტულ მოძღვრების ნიადაგზე, და ამრიგად მარქსიზმის ბასრი იარაღით აღჭურვილი ახალგაზრდათა კადრების მომზადება და გადაცემა სოციალიზმისათვის მებრძოლ რიგებისათვის. მაგრამ საქართველოს გასაბჭოებიდან ჩვენი ახალგაზრდობა აქტიურად ებმება სოც-დემოკრატიულ პარტიის პრაქტიკულ საქმიანობაში, რომლის მძლავრ იდეოლოგიურ გავლენის ქვეშ ის იმყოფებოდა.

აწარმოებდა რა იატაკ-ქვეშ მუშაობას, ახ. მარქსისტთა ორგანიზაციებიც ისტორიის წინაშე პასუხისმგებელი ხდება. სამ ნახევარი წლის განმავლობაში წარმოებული უკუღმართი და დამღუპველი ტაქტიკის შედეგის— აგვისტოს საშინელი ტრაღედიის.

მომხსენებლის აზრით რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისზე მდგომი ახალგაზრდობა საბოლოოდ უნდა ჩამოშორდეს კაპიტალისტური ევროპის ინტერვენციით საქართველოს გაბედნიერების ილიუზიებს და გავიმიჯნოთ რა ყოველგვარ ოპოზიციონერებისაგან ხელისუფლებასთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის.

მოხსენების ირგვლივ შემოვიდა მრავალი შეკითხვები. დავასახელებ მათში უფრო ტიპიური ხასიათის შეკითხვებს:

მართალია გამოსვლებმა შეიწირა დიდი მსხვერპლი, მაგრამ ვისი ბრალია?

რამდენად ნდობით უყურებს ხელისუფლება ჩვენს ახალ გზას?

არის თუ არა განსხვავება ფარნიევის და მუშათა კომისიის შორის და უკანასკნელსა და ს. დევდარიანს შორის?

ზრუნავს თუ არა მუშათა კომისია გადასახლებულებზე?

მეორე ინტერნაციონალი როგორ უყურებს საქართველოში მომხდარ გამოსვლებს და იცოდა თუ არა აჯანყების მზადების შესახებ წინასწარ?

იყო თუ არა **ნოე ჟორდანია** მომხრე ინტერვენციის და როგორ დახმარებას ელოდა ის ევროპიდან?

ჩვენი საზღვარ-გარეთელი ემიგრაცია როგორ უყურებს ჩვენს ახალ გზას?

ყველა შეკითხვებზე პასუხი იქნა გაცემული.

ბოლოს კრება ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლიუციას.

„მოვისმინეთ რა მოხსენებები სამაზრო სალიკვიდაციო კომისიის რწმუნებულების და ვითვალისწინებთ რა საერთაშორისო მდგომარეობას ერთის მხრით და წარსულ უნაყოფო და დამღუპველ ბრძოლას ჩვენი პარტიისას არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ მეორეს მხრით, ჩვენ უკანასკნელად სამუდამოთ ვწყვეტთ კავშირს სოც. დემოკრატიულ პარტიასთან და მიზნათ ვისახავთ საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელ და საქმიან თანამშრომლობასთან ერთად ენერგიული ბრძოლის წარმოებას ყოველგვარი იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ.

—

რედაქცია საჭიროთ სთვლის, თავის მკითხველებისათვის, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას ჩვენს გაზეთში. ამიტომ აქვე ვათავსებთ ჩვენს პასუხს.

გამოსვლებმა რომ დიდი მსხვერპლი შეიწირა, დაბოლოს ისევ იმავე არალეგალურ მოქმედების ბრალია; მათ თავიდანვე უნდა სცოდნოდათ, რომ ასეთ უაზრო გამოსვლას მოყვებოდა ეს. ვინაიდან, არც ერთი ხელისუფლება არ მოითმენს იარაღით მის წინააღმდეგ ამხედრებას. ეს კარგათ უნდა სცოდნოდათ გამოსვლების ინიციატორებს და თუ ამდენი არ იცი, არც უნდა გაუძღვე ხალხს წინ!

მუშათა კომისიას და მის გაზეთ „ახალ გზას“ მთარობა ,ძალიან ნდობით უყურებს. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მას აქვს უფლება იქონიოს თავისი ორგანო და მართოს კრებები.

მუშათა კომისიის და ფარნიევის ყოფილ ჯგუფს შორის დიდი განსხვავებაა. მუშათა კომისიის ჯგუფს მიზნათ აქვს უპარტიოების დაახლოვება საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებასთან. ფარნიევის ჯგუფმა შეასრულა თავისი დანიშნულება და ახლა აღარ მოქმედობს. რაც შეეხება ს. დევდარიანს, ის ჩვენთან არის.

მუშათა კომისია ზრუნავს გადასახლებულებზე და კიდეც მიემგზავრება მათთან მოსალაპარაკებლათ ამ დღეებში.

თუ როგორ უყურებს მეორე ინტერნაციონალი საქართველოში გამოსვლებს, ეს იქიდან ვიცით, რომ მას გამოაქვს მხოლოდ რეზოლიუციები, ისიც უკბილო რეზოლიუციები და სხვა არაფერი. და თუ იმან გამოსვლების შესახებ იცოდა რამე წინასწარ, ამის თქმა ძნელია.

ნოე ჟორდანია რომ მომხრე იყო და არის ინტერვენციის, ეს მისი წერილებიდან სჩანს, ხოლო დახმარებას რომ ელოდა და აქედან არაფერი გამოვიდა ეს ხომ ჩვენ უკვე ვიცით.

როგორ უყურებს საზღვარ-გარეთელი ემიგრაცია ჩვენს „ახალ გზას“ არ ვიცით.

---

**თბილისის ტრამვაი.** თებერვლის შუა რიცხვებში მოხდა თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეების ყოფილ-მენშევიკთა, სოც-ფედერალისტთა და უპარტიოთა კრება. კრებამ მოისმინა რა მოხსენება, ცენტრალურ მუშათა კომისიის წარმომადგენლის ამხ. ძამანაშვილისა, იქონია მოხსენების გარშემო მსჯელობა და დაადგინა: შეუერთდეს რეზოლიუციას, რომელიც მიღებულ იქნა რკინის გზის მთავარ სახელოსნოს, დეპოს და თბილისის რკინის გზის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა უპარტიო და ყოფილ მენშევიკების კრებაზე 7 ოქტომბერს. ვინაიდან ქართველი ერის და რევოლიუციის ხსნა, მისი კულტურული და ეკონომიური განვითარება, არ არსებობს იმის გარდა, რომ ის იყოს თავისუფალ საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოში სრულუფლებიან წევრად, ამისთანა პირობებს -კი ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები ჩვენთვის არ შექმნიან, ვინაიდგან ჩვენ ვიცით მათი პრაქტიკული მოღვაწეობა დაჩაგრულ ერთა მიმართ, ჩვენ ენერგიულათ ვავალებთ მუშათა კომისიას, რომ განაგრძონ მუშაობა არჩეული ახალი გზით. აწარმოონ მოლაპარაკება გადასახლებულ ამხანაგებთა შორის დაბრუნების შესახებ, რომლებიც უნდა დაუბრუნდენ სამშობლოს და განაგრძონ მუშაობა ჩვენს რიგებში სამშობლოს და რევოლიუციის სასარგებლოთ.

გაუმარჯოს ჩვენს არჩეულს ახალ გზას!
გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

კრების თავმჯდომარე: ა. შარიქაძე.

---

ქუთაისი. 1925 წელს თებერვლის 10-ს შესდგა ქუთაისის რკინის გზის საერთო კრება, კლუბში „ხელოვნება“. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. მეფარიშვილი, მდივნათ ამხ. პატარაია. დღის წესრიგში იყო მოხსენება მუშათა კომისიის რწმუნებულების მუშაობის შესახებ; მოხსენება გააკეთა ამხ. ევგენი შავგულიძემ, რომელ მაც დაახასიათა კომისიის მუშაობა და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას განსაკუთრებით ყოფილ სოციალ დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის წევრებს, რათა თავი დაანებონ არალეგალურ მუშაობას და გაიზიარონ ცენტრალური მუშათა კომისიის მიერ არჩეული „ახალი გზა“ და საბჭოთა ხელის უფლებასთან ერთათ აკეთონ საერთო მუშათა კლასის და მშრომელი ხალხის საქმე. გარდა ამხ. შავგულიძისა გამოვიდნენ მუშათა კომისიის რწმუნებულები თავიანთი მოკლე სიტყვებით ამხ. ამხ. მეფარიშვილი და პატარაია. აგრეთვე ილაპარაკეს ყოფილმა სოც დემ. პარტიის წევრებმა: ამხ. ამხ. გ. თვალაძემ, ა. ნაჭყეპიამ და სხვებმა, რომლებიც მოუწოდებენ საერთოთ ყველა ამხანაგებს, რათა დაგმონ ძველი გზა და შეუერთდენ ცენტრალურ მუშათა კომისიის მიერ არჩეულ „ახალ გზას“-ს მშრომელი ხალხის და პროლეტარიატის საერთო საქმის ინტერესების დასაცავად არსებულ ხელის უფლებასთან ერთათ. მოხსენებისა და სიტყვების შემდეგ იყო სხვადასხვა შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა სიტყვები, როგორც მომხსენებლის აგრეთვე სხვა ამხანაგებისა, შესახებ ცენტრალური მუშათა კომისიის და მათი რწმუნებულების მუშაობისა და საქმიანობის შესახებ პროლეტარიატისა და მთელი მუშათა კლასის საკეთილდღეოთ, ვიზიარებთ ზემოხსენებული კომისიის მიერ დასახულ „ახალ გზას“ და მათ მუშაობას, აღუთქვამთ ყოველ გვარ დახმარებას მათ საქმიანობაში რითაც კი შესაძლებელი იქნება. კრება მოუწოდებს იმ დარჩენილ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ გატარებულან მუშათა კომისიის რეგისტრაციაში, გატარდენ და ამოუდგენ მშრომელ ამხანაგებს გვერდში, საერთო მტრის დამარცხებაში. აგრეთვე კრება მოუწოდებს გადახვეწილ ამხანაგებს, რათა დაუბრუნდენ მშვიდობიან ცხოვრებას და

თავიანთ ოჯახს და ამოუდგენ გვერდში არსებულ ხელისუფლებას და იმუშაონ მათთან ერთათ მთელი მშრომელი მასის საკეთილდღეოთ.

თავმჯდომარე: გ. მეფარიშვილი.

მდივანი: ე. პატარაია.

---

## ტყიბულა.

1925 წ. 12 თებერვალს მოხდა საერთო კრება ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა.

პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ: 1) დარხაძე ვარლამი, 2) ჩაფიძე გრიგოლი და 3) ბოჭორიშვილი ილიანე.

მოხსენება გააკეთა მუშათა კომისიის წევრმა (რომელიც არჩეულ იყო 7-8 ოქტომბერს ნაძალადევის თეატრში) ამხ. ლავრენტი კუპრაშვილმა შემდეგ თემაზე: „აგვისტოს გამოსვლები საქართველოში და ჩვენი ამოცანები“.

ამხ. მომხსენებელმა მკაფიოთ და გასაგებ ენაზე განუმარტა მაღაროების მუშა-მოსამსახურეთ, თუ როგორი გზით მუშაობდა საქართველოში მენშევიკური პარტია და მოიყვანა მრავალი ფაქტები იმისა, რომ მათმა მუშაობამ დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს მუშებს და გლეხებს, უკანასკნელი გამოსვლით კი დაღუპვის კარამდე მიიყვანა ქართველი ერი. შემდეგ გადავიდა რუსეთის კომუნისტური პარტიის მუშაობის დახასიათებაზე, აღნიშნა თუ რამ გამოიწვია რუსეთში კომუნისტური პარტიის გამარჯვება და სთქვა, რომ თუ რუსეთში ძალა-უფლება არ ჩაეგდო ხელში ბოლშევიკებს, მოსალოდნელი იყო რამოდენიმე თვის განმავლობაში ჩამოვარდნილიყო დროებითი მთავრობა და მის ადგილზე გაბატონებულიყო რეაქცია, რადგან დროებითი მთავრობა ვერ იდგა მტკიცეთ რევოლიუციის სადარაჯოზე და ვერ იცავდა მის მონაპოვარს. ბოლოს გადადის საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე და ამბობს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა მენშევიკების დროს იყო ფიქცია, რადგან იმპერიალისტური სახელმწიფოების ჯარებს თავისუფლათ შეეძლო ენავარდათ ჩვენს ქვეყანაში.

მენშევიკურ პარტიის არალეგალურ მუშაობას ის სთვლის დამღუპველად ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან მან ამდენი მსხვერპლი გამოაღებინა საქართველოს, ის აცნობს კრებას ახალ გზას. რომელსაც დაადგა ყოფილ მენშევიკთა თითქმის მთელი მასსა და მოუწოდებს კრებას იმუშაოს ახალი გზით და მტკიცეთ დადგეს საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, საერთო მუშაობაში, მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

თანამომხსენებლად გამოდის მუშათა კომისიის რწმუნებული (სად. ქუთაისის) გ. მეფარიშვილი, რომელიც აცნობს მუშა-მოსამსახურეებს თუ რამ გამოიწვია 7-8 ოქტომბერს ნაძალადევის თეატრში მუშათა კომისიის არჩევა. შემდეგ ამბობს; რომ მუშათა კომისიამ გამონახა რა საერთო ენა ამხ. კომუნისტებთან, იკრებს თავის ირგვლივ ძველ რევოლიუციონერებს და მოუწოდებს როგორც ყოფილ მენშევიკებს, ისე უპარტიო თანამოაზრეებს დაუჭირონ მხარი მუშათა კომისიას მის მიერ დასახულ მუშაობაში, შეუერთდენ ახალ გზას და მით აღადგინონ ძველი რევოლიუციონური საერთო ოჯახი. დაბოლოს ამბობს, რომ მუშათა კომისიას დასახული აქვს მიზნათ გაგზავნოს დელეგაცია, როგორც რუსეთში გადასახლებულებთან აგრეთვე ევროპაში გადახიზნულებთან მოსალაპარაკებლად, რომ ისინიც დაბრუნდენ საქართველოში და შეუდგენ მუშაობას მუშათა კომისიის მიერ არჩეულ ახალ გზით.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ლავრენტი ჯავახაძე, რომელიც ესალმება რა ახალ გზას და მის მიმდევრებს, გამოსთქვამს იმედს მათ მიერ გულწრფელ მუშაობაში ხელისუფლებასთან ერთად.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. სტურუა, რომელიც აღნიშნავს ახალი გზის გამონახვით ყოფ. მენშევიკების მიერ საბჭოთა კავშირის დიდ გამარჯვებას მით, რომ ძველი ჭაღარა რევოლიუციონერები დაუბრუნდენ მათ ამხანაგებს—კომუნისტებს და დღემდე მტრული დამოკიდებულება შეიცვალა მეგობრული კავშირით და ულოცავს მუშათა კომისიას გამარჯვებას დასახულ მიზნებში.

ამხ. ს. გოგოლაშვილი გამოსთქვამს სიხარულს გათიშულ ძველ რევოლიუციონერების შემოერთების გამო და მათ მიერ მომავალში გულწრფელ მუშაობის იმედს კომუნისტებთან ერთად.

დაბოლოს ლაპარაკობს ამხ. ი. ახობაძე, რომელიც ამბობს, რომ დღეს არ ხდება გასამართლება რომელიმე მიმდინარეობის მენშევიკების თუ ბოლშევიკების, ჩვენ არც გვაქვს უფლება ამოვშალოთ რევოლიუციონური მუშაობის ისტორიიდან ყოფილი მენშევიკების მუშაობა, ხოლო რაც შეეხება 1921 წლიდან ჩვენს წინააღმდეგ მათ ბრძოლას, ეს შეცდომა მათ თვით აღიარეს და გამოასწორეს.

საბოლოო სიტყვას ამბობს ლ. კუპრაშვილი, რომელიც მოუწოდებს ყველას შეუერთდენ მუშათა კომისიის მიერ არჩეულ ახალ გზას და მით დადგენ მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

მოხსენების დათავებისა და ყველა შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ცენტრალურ მუშათა კომისიის წევრის ამხ. ლ. კუპრაშვილისა და თანამოხსენება ზემოაღნიშნულ კომისიის რწმუნებულის (სად. ქუთაისის) გ. მეფარიშვილისა „აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანები“ ჩვენ ტყიბულის მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება მივესალმებით რა 7-8 ოქტომბერს ნაძალადევში მუშათა კრებაზე გამოტანილ რეზოლიუციას, ვსდგებით მტკიცეთ მათ მიერ არჩეულ ახალ გზაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მუშაობაში, ვიწონებთ რა მუშათა კომისიის მუშაობას, მოუწოდებთ კომისიას გაორკეცებული მუშაობით აკეთოს საერთო საქმე მთელი მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. აგრეთვე გაგზავნილ იქნას კომისია გადასახლებულ ამხანაგების მოსაწვევად, რათა დაუბრუნდენ თავიანთ რევოლიუციონურ მუშაობას და დაანებონ თავი ჯიუტობას და ჟინიანობას. ამასთანავე ვავალებთ კომისიას გაგზავნილ იქნას საზღვარ გარეთ გახიზნულ ემიგრაციასთან მოსალაპარაკებლათ დელეგაცია, რათა დააჯერონ და დაარწმუნონ ისინი მათი მუშაობის უნაყოფობაში და დამღუპველობაში. მოუწოდონ მათაც დაბრუნდენ სამშობლოში.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ არჩეულ იქნა მუშათა კომისიის დავალებით ადგილობრივ მუშაობის საწარმოებლად ხუთი კაცისაგან შემდგარი რწმუნებულები: 1) კუპრაშვილი კალისტრატე 2) ჩაფიძე გრიგოლი 3) სოფრომაძე დავითი 4) ჭლიკაძე გალაქტიონი და 5) დარსაძე ვარლამი, რის შემდეგ კრება დაიხურა.

---

## საჩხერე.

1925 წ. 6 თებერვალს შესდგა საჩხერის რაიონის ყოფილ მენშევიკთა კრება. კრებას დაესწრო საკმაო რიცხვი. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. გ. აბაშიძე, მდივნათ ნატაშა პაპიძე. დღის წესრიგი: 1) მოხსენება ცენტრ. მუშათა კომისიის შესახებ, 2) სარაიონო-საინიციატივო ბიუროს არჩევნები, 3) მიმდინარე კითხვები.

ცენტრ. მუშათა კომისიის შესახებ, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. კ. ბრეგვაძე, შორაპნის მაზრის ყოფ. მენშევიკთა ქვე-კომისიის რწმუნებული, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მუშათა კომისიის მიზანი გააცნო. მომხსენებელმა აღნიშნა—თუ რა როლი ითამაშა საერთოდ სოც.-დემ. პარტიამ ცარიზმთან ბრძოლაში და კერძოდ საქართველოში მენშევიკებმა წარსულში, და მასთანვე მისი ახლო წარსული, ის წარსული, რომელმაც თავისი ტაქტიკით და არალეგალური მუშაობით გამანადგურებელი გამოდგა ქართველი ერისათვის, ამიტომ მან მოუწოდა ყველა ყოფ. მენშევიკებს და იმათაც, რომელთაც დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა დაუტოვებიათ ყოველგვარი პარტიული მუშაობა—დასდგენ საბჭოთა პლატფორმაზე, როგორც ერთად-ერთ მხსნელ გზაზე და შესწყვიტონ უნაყოფო ცქერა შავი ზღვისაკენ, ევროპისაკენ, რომელიც დღეს შემორტყმულია რეაქციის რკალებით. ამიტომ, ამბობს მომხსენებელი, მთელი ჩვენი მოქმედების გეზი უნდა მივმართოთ საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ, ჩავებათ მათთან მუშაობაში, ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ ფრონტის გასამაგრებლად რაც უზრუნველყოფს ქართველი ერის ფიზიკურ და სულიერ დაცვას. მოხსენების გარშემო იყო შეკითხვები, რაზედაც პასუხი გასცა მომხსენებელმა, რის შემდეგ გამოტანილ იქნა მოხსენების გარშემო შემდეგი რეზოლიუცია: „ვიზიარებთ რა ამხ. ძამანაშვილის გარშემო შეკრებილ ჯგუფის აზრს და შეხედულებას, რაც გამოიხატება გ/წლის 7 ოქტომბრის რეზოლიუციაში—მოგიწოდებთ ყველა ამხ. ყოფ. მენშევიკებს და აგრეთვე მას, რომელთაც დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა დასტოვეს ყოველგვარი პარტიული მუშაობა, დასდგეთ ჩვენთან ერთად მესამე ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ, დასდგეთ საბჭოთა პლატფორმაზე და ხელი-ხელ ჩაკიდებულმა ერთად ვსწიოთ საბჭოთა აღმშენებლობის ეკონომიურ-კულტურული მძიმე ჰაპანი, რაც უდიდესი საწინდარია ქართველი ერის აღორძინებისათვის. ვისაც უყვარს ქართველი ერი და ქართველი მშრომელი ხალხის ტკივილი მიაჩნია თავის საკუთარ ტკივილათ, მოდით ჩვენთან, შემოკრბით ჩვენ გარშემო და გავსწიოთ წინ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირში სოციალიზმისკენ“.

ამის შემდეგ მოხდა არჩევნები სარაიონო-საინიციატივო ბიუროსი, სადაც არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) გიორგი გაფრინდაშვილი, 2) შალვა გოდაბრელიძე და 3) ნატაშა პაპიძე, კანდიდატებათ—სოლო სიმონგულოვი და გრიშა გაფრინდაშვილი. დასასრულ კრებას სიტყვით მიმართავს ადგ. პარტკომის პ.მ. მდივანი. ამხ. ი. კონტრიძე.

კრების თავმჯდომარე: დ. აბაშიძე.

მდივანი: პაპიძე.

## წირქვალის თემი

### (შორაპნის რაიონი)

1924 წ. დეკემბრის 6-ს შორაპნის სამ. ხელისუფლების ნებართვით და ქვე-კომისიის მონდობილობით შესდგა ყოფ. მენშევიკთა წევრების კრება, რომელზედაც თავმჯდომარეთ არჩეული იყო ამხ. კოლია გაფრინდაშვილი და მდივნათ სიმონ ბარათაშვილი. კრებაზე მომხსენებლად გამოვიდნენ ქვე-კომისიის მანდატით ამხ. ნიკო ბრეგვაძე და შემდეგ კოლია გაფრინდაშვილი, რომელთაც დამლუპველად აღიარეს უკანასკნელი აგვისტოს გამოსვლები, რასაც კრება ერთხმათ და ერთსულოვნად გმობს და ამიერიდან დგება საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. აღთქმას სდებენ სამუდამოთ,—თანაგრძნობით უცქირონ საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარ განკარგულებებს და შეძლებისდაგვარად იმონაწილონ მის კეთილდღეობისათვის, არასოდეს არ დაემორჩილონ საბჭოთა მთავრობისადმი მტრულ განწყობილებას. კრებას მოხსენების დროს გათვალისწინებული ქონდა მუშათა კომისიის მოწოდება, რომელსაც დამსწრე ამხანაგები სავსებით ღებულობენ. შემდეგ თავმჯდომარე მოუწოდებს კრებას მოხდეს არჩევნები სამაზრო-საინიციატივო ბიუროს ქვე-განყოფილების რწმუნებულებისა. კრებამ ერთხმად აირჩია წირქვალის თემის ქ/განყოფილების წევრებად:—1) კოლია გაფრინდაშვილი, რომელსაც ევალება თავმჯდომარეობაც, 2) ნიკო ბრეგვაძე და 3) გრიშა კუპატაძე. დასასრულ კრება, ისურვებს რა საბჭოთა ხელისუფლების სრულ კეთილდღეობას, საკულტურო და საალმშენებლო ფარგლებში, დაშლილად ცხადდება.

კრების თავმჯდომარე: კ. გაფრინდაშვილი.

მდივანი: ბარათაშვილი.

## ჩხიროულის თემი

### (შორაპნის მაზრა)

1925 წ. 4 თებერვალს შესდგა ჩხიროულის თემში ყოფ. მენშევიკთა კრება, შორაპნის მაზრის ყოფ. მენშევიკთა ქვე-კომისიის რწმუნებულ ამხ. ერემია ბიჭიასძე ჩინჩალაძის მოწოდებით. კრებაზე დაესწრო რამოდენიმე ყოფ. მენშევიკი. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ამხ დავით მიხეილისძე ავალიანი, მდივნად ანეპოდისტე კაპანაძე.

დღის წესრიგი: ყოფ. მენშევიკთა ქვე-ბიუროს დაარსება. აღნიშნული კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ერემია ჩინჩალაძემ, რომელმაც კრებას ფართოდ გააცნო, როგორც წარსული, ისე ეხლანდელი ჩვენი მდგომარეობა. მოხსენების აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებაზე დამსწრე მოქალაქეებმა ერთხმად გამოსთქვეს სურვილი მუშათა კომისიის პლატფორმაზე დადგომისა და აირჩიეს რწმუნებულებათ 1) ერემია ჩინჩალაძე, 2) ანეპოდისტე კაპანაძე და 3) ლეონტი ოქროპირისძე მოდებაძე.

შემდეგ ამისა კრება გამოსთქვამს სურვილს გააგრძელოს ქვე-კომისიამ ჩაწერა სიაში ყოფილი მენშევიკებისა.

კრების თავმჯდომარე: ავალიანი.

მდივანი: კაპანაძე.

## ჯურუყვეთის თემი

1925 წ. 6 მარტს შესდგა ჯურუყვეთის თემის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრება. კრებას დაესწრო 82 კაცი. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კრებამ მოისმინა თბილისის მუშათა კომისიის მოწოდება-დადგენილებების შესახებ დაწვრილებითი მოხსენება, ამავე კომისიის რწმუნებულის ლანჩხუთის რაიონში, მასწავლებელ ივანე კალანდაძისაგან და საჭირო შეკითხვა - განმარტების შემდეგ, კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „მოვისმინეთ რა თბილისის მუშათა კომისიის მოწოდება-დადგენილებების შესახებ მოხსენება, სავსებით ვღებულობთ მას და ვდგებით რა საბჭოთა ხელისუფლების პლათფორმაზე, ვსთხოვთ ოზურგეთის სამაზრო საინიციატივო ბიუროს გაგვატაროს სათანადო რეგისტრაციაში. ამავე კრებაზე—კრებამ იმსჯელა ლანჩხუთის რაიონში ამ ერთი თვის წინეთ დატუსაღებულ თუთხმეტ სხვადასხვა პირებზე, რომელთაგან ოზურგეთის ციხიდან განთავისუფლებულია 13, ორი კი 2 მარტს გადაიგზავნა ოზურ. ციხიდან ქ. თბილისში. ამათ შესახებ კრება ადგენს: კრების სახელით ეთხოვოს თბილისის მუშათა კომისიის თავმჯდომარეს ამხ. მ. ძამანაშვილს ამ პირთა შესახებ იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ-არს, რათა ისინი განთავისუფლებულ იქმნან, რითაც გამოიწვევენ ჩვენში კმაყოფილებას, მით უმეტეს რომ ისინი საზოგადოებრივი შეხედულებით (რასაც ადგილობრივი კომუნისტებიც იზიარებენ) არ ითვლებიან მავნე პირებათ, როგორც ხელის უფლებისათვის აგრეთვე კერძო საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. კრებას სწამს, რომ აქ რაღაც გაუგებრობას, ან კერძო ინტერეს აქვს ადგილი, რასაც თბილისის მუშათა კომისიის საშუალებით და ცდით მთავრობის წინაშე, როგორც ამ შემთხვევაში, ისე შემდეგშიაც არ დაურჩება ადგილი.*)

კრების თავმჯდომარე—თედორე გოგინეიშვილი.

მდივანი:—კოდრათი ბზეკალავა.

---

## ქ. ჭიათურა

ამა წლის გასულ თებერვლის რიცხვებში შესდგა ჭიათურის რაიონის, ქვაციხის, კაცხის და წირქვალის თემთა ყოფილ მენშევიკური პარტიის წევრთა კრება.

კრებას დაესწრო მრავალი რიცხვი წევრებისა. წევრების რიცხვს შეადგენდა ძველი ვაგონის მუშები და ძველი აქტიური მომუშავენი. კრება იყო მოწვეული შორაპნის მაზრის ყოფილ მენშევიკთა—მუშათა ქვე-კომისიის მდივნის კოსტა ბრეგვაძის და ჭიათურის რაიონის ქვე-კომისიის რწმუნებულის გრიშა კუპატაძის ინიციატივით. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) გასული წლის აგვისტოში მომხდარი ამბები, 2) კომუნისტურ პარტიასთან დაახლოება, ხელის შეწყობა და მიმდინარე კითხვები.

კრების მომხსენებლათ გამოვიდა ქვე-კომისიის მდივანი კოსტა ბრეგვაძე.

ის ნათლად აშუქებს რუსეთის რევოლიუციის მონაპოვარს და კომუნისტური პარტიის დადებითად მუშაობას. მომხსენებელი აგრეთვე აცნობს კრებას საქართველოს წარსულ ისტორიებს, როგორც უძველეს დროისას აგრეთვე ცარიზმის და მენშევიკების არსებობის დრომდე, საიდანაც გამოაქვს ნათელი დასკვნები და ამბობს:

თქვენთვის ყველასათვის ნათელი ხდება ამ წარსული დროის მოქმედებები. ეს იყო ქართველი ერის გამანადგურებელი პოლიტიკა, როგორც კულტურულად ისე ეკონომიურად და ფიზიკურადაც. და კიდეც მიიყვანა ქართველი ერი იმ უტაქტიკო და უაზრო მოქმედებამ, უკანასკნელ კატასტროფამდე, რაც იგემა გასული წლის აგვისტოს რიცხვებში. მე ვიმეორებ ამხანაგებო, რომ ისეთი პოლიტიკა როგორიც იყო წინათ ეს მომავალშიდაც გამანადგურებელი იქნება ქართველი ერის და, რომ ამას ასცდეს სამუდამოთ ქართველი ერი, ამისათვის საჭიროა ჩვენ დავიწყოთ ახალი გზით სიარული. ეს ახალი გზა იქნება ჩვენ მიერ კომუნისტებთან დაახლოება და ხელი-ხელ ჩაკიდებული საერთო მუშაობა, რითაც ჩვენ უფრო გავასპეტაკებთ და ნათელს ვყოფთ ქართველი ერის წინსვლას. ჩვენ საბოლოოთ უნდა დავანებოთ თავი განზე სიარულს და ბუტიაობას, აგრეთვე უნდა დავანებოთ თავი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის ბელადებს და იქიდან მოსულ ცრუ იმფორმაციებს. ჩვენ საბოლოოდ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი არიან არა მარტო ქართველი ხალხის მტრები და გამცემლები, არამედ მთელი პროლეტარიატის. ჩვენ მტკიცეთ და გულწრფელად უნდა დავდგეთ საბჭოთა პლათფორმაზე და ეს იქნება საბოლოო ხსნა ქართველი ერისა,

ამ რიგად მომხსენებელი ათავებს მოხსენებას, რაც დიდ აღფრთოვანებას და გულწრფელ შეგებებას იწვევს მთელი კრების მიერ. აგრეთვე იყო მრავალი შეკითხვები, რაც კრებას სიცოცხლეს გვრიდა და მომხსენებელი გარკვეულად აკმაყოფილებდა შემკითხველებს. შემდეგ კრება ირჩევს თანახმად მომხსენებლის დირექტივებისა სათემო მუშათა ქვე-კომისიას შემდეგის შემადგენლობით:

ქვაციხის თემში არჩეულ იქნენ კომისიის წევრებად სამი პიროვნება: პლატონ ბედინაშვილი, მეთოდე მიქაძე და ვანო ყიფშიძე.

კაცხის თემში არჩეულია: ფილიპე ცერცვაძე, მელქო მოდებაძე და გრიშა მოდებაძე.

ხოლო წირქვილის თემში: ნიკო ბრეგვაძე, კოლია გაფრინდაშვილი და გრიშა კუპრაძე.

ამ პირებს დაევალათ ენერგიული მუშაობა თემის ფარგლებში, როგორც კრებაზე დაუსწრებელ ამხანაგებთან ისე მთელს მასაში,

**გრიშა ხორხელი.**

*) მუშათა კომისიის მიერ უკვე მიღებულია ზომები ორი ამხანაგის განთავისუფლების შესახებ და საქმე სასურველათ დამთავრდა.

რ ე დ.

# მუშათა წერილები

მინდა შევეკითხო რედაქციას: აკრძალული აქვს თუ არა სოციალ-დემოკრატებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ან მათი არჩევა საბჭოებში? და თუ ასეა, აქვს თუ არა უფლება მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა იმ ამხანაგებმა, რომლებთაც გაიზიარეს „ახალი გზის“ აზრი და გატარდენ აღრიცხვაში?

იყო შემთხვევა როდესაც თვით მუშათა ქვე-კომისიის რწმუნებული მოაქციეს ხმის მიცემის უფლებას მოკლებულთა სიაში, იმიტომ რომ ის ძველი მენშევიკია 1905 წლიდან. მხოლოდ მაშინ იქნა ამოშლილი, როცა ეს ქვე-კომისიამ მოითხოვა.

მუნჯი.

**პასუხი.** არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას მოკლებულია ყოველი ჯგუფი და კერძო პიროვნება, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის,—როცა ის მტრულ განწყობილებაშია ხელისუფლებასთან და გულწრფელად არ სდგას სოციალისტურ მუშურ-გლეხურ საბჭოთა პლატფორმაზე და ის შემთხვევა, ხმის მიცემის უფლებას მოკლებულთა სიაში მოქცეული ამხანაგი რომ ამოშალეს,—ჩვენი ქვე-კომისიის მოთხოვნის თანახმად,—ამტკიცებს იმას, რომ ჩვენს „ახალი გზის“ მოაზროვნე და აღრიცხვაში გატარებულ ამხანაგებს,—არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ და ამნაირად ხელისუფლების წარმომადგენლებიც კანონიერათ მოქცეულან, როცა მისი უფლება აღუდგენიათ ქვე-კომისიის მოთხოვნის თანახმად.

---

## 9 მარტი

(მოგონება ბათომში მუშების დახოცვის გამო).

ეს მოხდა ამ ოცდა ორი წლის წინეთ; იმ დროს, როდესაც მთელს რუსეთს და, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიას და საქართველოს როტშილდები, ნობელები და მანთაშევები ბრძანებლობდნენ; იმ დროს, როდესაც კაპიტალიზმი ფეხს იმაგრებდა და მთელის თავისის მრისხანებით ევლინებოდა ყოფილ რუსეთის იმპერიის მუშათა კლასს— პროლეტარიატს. ბათომი—ეს ის ბაზა იყო, სადაც თავს იყრიდა უცხო კაპიტალი, მოძრაობდენ და ქშინავდენ უზარმაზარი ქარხნები, სადაც იჭმნებოდა სიმდიდრე ბურჟუაზიისა. ამავე კაპიტალმა მოუყარა თავი მუშებს ბათომში.

9 მარტი ბათომში—ეს აჯანყების პირველი სიგნალია, ეს დასაწყისია რევოლიუციისა, უარყოფაა ძველის, დამყაყებულ წყობილების,—ცდაა ადამიანის სულის ამაღლების, პიროვნების განთავისუფლებისა და მონობის ბორკილების დამსხვრევის. შეიძლება ითქვას, რომ 9 მარტმა დაგვაწყებინა ჩვენ პოლიტიკური ბრძოლა. 9 მარტმა შთაბერა ჩვენში რევოლიუციონური სული, და ეს ბრძოლის ცეცხლი არასოდეს არ ჩაქრება ჩვენში.

9 მარტის არ მოგენება—ეს რევოლიუციის დავიწყებაა, ეს ბრძოლის უნარის დაკარგვაა, მისი არ გაიხსნება ეს უდიდესი და უმძიმესი დანაშაულობა იქნებოდა.

მუშები მაშინ მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ თავისუფლებას; სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლება მაშინ უცხო ხილი იყო; კავშირების თავისუფლებაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. პოლიტიკურათ და ეკონომიურათ დამონებულნი—მუშები წარმოადგენდენ უბრალო ყვლეფის საგანს.

12—14 საათის სამუშაო დღე, ლანძღვა-გინება, პიროვნების ფეხქვეშ გათელვა,—აი, ამ პირობებში უხდებოდათ მუშებს ბრძოლა.

„მდგომარეობა ქმნის შეგნებას“—ამბობს მარქსი; ეს დებულება სავსებით გაამართლა 9 მარტმა. ეკონომიურათ შევიწროვებული მუშათა კლასი ამხედრდა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინაალმდეგ; ბათომის მუშებმა გამოაცხადეს ერთსულოვანი გაფიცვა და წაუყენეს თავიანთ დამქირავებლებს მთელი რიგი მოთხოვნილებებისა, რამაც გამოიწვია, პოლიციისა და ჯარის ჩარევა ჯალათ ანთაძის წინამძღოლობით... შედეგი ყველამ კარგათ ვიცით: ბათომის ქუჩები მოირწყო მუშების სისხლით, ჯალათების ტყვიებმა რამდენიმე ათეულ მუშებს გაუხვრიტეს გულ-მკერდი...

ეს ამბავი ელექტრონის სისწრაფით მოედო მთელს რუსეთს, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია მუშებში.

ამ მოვლენამ ბათომის მუშებში უფრო გააძლიერა რევოლიუციონური ენტუზიაზმი, მან უფრო შეაკავშირა მუშათა კლასი, დარაზმა ის მუშათა დროშის ქვეშ კაპიტალიზმზე თავდასასხმელათ და მისი ციხე-სიმაგრეების ასაღებათ.

და თუ ეს საშიშარი მტერი დღეს განადგურებულია,—ეს გამარჯვება შედეგია იმ გმირულ და თავდადებულ ბრძოლისა, რომელსაც საძირკველი ბათომის პროლეტარიატმა ჩაუყარა.

9 მარტი—ეს ულამაზესი წარმოდგენაა, უდიდესი განცდაა ბათომის მუშების რევოლიუციონური ბრძოლისა,—ეს მუშათა კლასის როტშილდებთან და მანთაშევებთან შეტაკებაა და ამისათვის ყოველთვის 9 მარტი ჩვენთან იქნება და ჩვენ-კი—9 მარტთან.

კ. კილაძე.

---

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

# 1-ლ აპრილიდან დაიწყება ბეჭდვა და ივნისში გამოვა ორ ტომად

# ჭოლა ლომთათიძის მოთხრობები

სოლომონ თაყაძის (ობოლი მუშის) რედაქციით

## I ტომი

ჭოლას ბიოგრაფია შედ. ს. თაყაძის მიერ.

1. თეთრი ღამე
2. უსათაურო
3. სახრჩობელას წინაშე
4. საპყრობილეში
5. უბის წიგნიდან
6. პირველი მაისი

## II ტომი

1. აღრევა სულისა
2. სიკვდილი
3. შიში
4. დუმილი
5. მოღალატე
6. გრამაფონი
7. უბედური
8. მამასახლისი თუაძე
9. მღვდლისას
10. მარინე მონაზონი
11. აღსარება
12. კვლავ ფიქრი, ფიქრი
13. წერილი
14. ჩემი დღიური
15. ჰონორარი
16. ივანე გარგანელი
17. გზაში
18. ძე-კაცისა

(2-რე ტომში მოთავსდება ჭოლას ჯერ გამოუქვეყნებელი დღიური დაწერილი „პრედვარილკაში“.)

**თვითეული ტომი იქნება დაახლოვებით 320 გვ., მოზრდილი ფორმატისა.**

**ფასი 4 მ. ხელისმომწერთ.**

ქაღალდის სიძვირის გამო წიგნები გასაყიდათ ძალიან ცოტა გამოვა და არა ხელისმომწერთათვის გაცილებით მეტიც ეღირება. ამიტომ ვსთხოვთ ყველას, ვისაც კი ჭოლას თხზულებათა შეძენის სურვილი აქვს ორივე ტომის ფასი **ოთხი მანეთი** გამოგზავნონ მაისის 15-დე ერთად ან ნაწილ-ნაწილად.

**ფასი 4 მ. ხელისმომწერთ.**

**ცნობა— თუ ვის რამდენი წიგნი დასჭირდება უნდა მოგვაწოდონ მარტის დამლევამდე კოლექტიურად ან ნაწილ-ნაწილად, რომ ამ ცნობების მიხედვით დავბეჭდოთ წიგნები.**

ამთავითვე ხელისმოწერა მიიღება:—**თფილისში**—გამომცემელთან, წიგნის მაღაზია „განათლება“-ში, ლენინის ქ. № 6; **ოზურგეთში**—მოსე თალაკვაძესთან და განათლების განყოფილების წიგნის მაღაზიაში; **ფოთში**—მასწავლებელ ბართლომე მეგრელაძესთან, ისაკი სიხარულიძესთან (ნავთსადგურის სახალხო სახლი) და ვასო ქადიეშვილთან; **ჩოხატაურში**—ლადო ღამბაშიძესთან; **სიღნაღში**—ილიკო მზეიძესთან და ალექსანდრე ნაცვლიშვილთან; **თელავში**—ქრისტეფორე რამიშვილთან, კოტე გეგელიძესთან და იაკობ ცინცაძესთან; **სამტრედიაში**—ვალიკო ხარებავასთან; **ბათომში**—ირაკლი ღლონტთან, სერგო ყუფარაძესთან და ონიფანტე რამიშვილთან; **ქუთაისში**—თომა მთავრიშვილთან, ალექსანდრე შარაშიძესთან, ემელიან წულაძესთან და ინავე კილაძესთან; **ჭიათურაში**—საველე თოდრიასთან; **ნაგომარში** გრიგოლ გუჯუნავასთან. **ლანჩხუთში**—მასწავლებელ მიხაკო იმნაძესთან და ლუკა ურუშაძესთან; **სუფსაში**—კვიროსი ჩხაიძესთან; **ხიდისთავში**—ლეონტი კვაჰანტირაძესთან; **გორში**—ვარლამ მგალობლიშვილთან; **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძესთან წიგნის მაღაზიაში.

ვინც 4 მ. გადაიხდის მაისის 15-დე, იმათ წიგნებთან ერთად **უფასოდ დაურიგდებათ ჭოლას გადიდებული სურათი**

გამომცემელი **სილიბისტრო თავართქილაძე.**

წლიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 22 მარტი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11-68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა,
დილის 9—1 საათამდე

№ 14

# სოფლისათვის

მთავარი ყურადღება ჩვენი ხელისუფლებისა ამ ჟამათ სოფლისკენაა მიქცეული.

საბჭოთა მთავრობის მორიგი და უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ სოფლად ყველაფერი ისე სრულდებოდეს, როგორც ქალაქად, რასაც თვით გლეხები აღნიშნავენ და მოითხოვენ კიდეც.

ხელისუფლება უაღრესად მოწადინებულია, რომ ზოგიერთ მოხელის თვითნებობა და ძალმომრეობა სოფლად, მოსპოს.

ჩვენი, მუშათა კომისიის, სოფლად მუშაობის დროს,- კრებებზე სოფლის მოწინავე გლეხები, აღიარებენ და სჩივიან იმ მდგომარეობას, რომ ხშირად ადმინისტრაციის წარმომადგენლები აჭარბებენ თავის უფლებას და უხეში ქცევით აწუხებენ მოსახლეობას, რომ სოფლის სათავეში მდგომი ხელისუფლების მოხელე ხშირად თავის დებულების გასაყვანად, დაჯერებას და შეგნებას კი არ მიმართავს, არამედ ძალას, რითაც რასაკვირველია, ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს გლეხებზე.

ხოლო, რა არის საჭირო ჩვენის მხრით, რომ საბჭოთა კანონიერება სოფლად დაცულ იქნას და განმტკიცდეს საბჭოთა მუშურ-გლეხური უფლებრივი შემეცნება?

ჩვენ ვგულისხმობთ გარეშე იმ ზომებისა, რომელიც თვით ხელისუფლების მიერ არის მიღებული და რაც გამოიხატება იმაში, რომ მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში ჩაბმულია მშრომელი გლეხობის აქტიური უმრავლესობა, რომ საჭიროთ ცნობილია მათი მონაწილეობის მიღება მართვა-გამგეობას ორგანოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში,—უპარტიო გლეხების თვითმოქმედების გაღვიძება და არჩევა სხვადასხვა თანამდებობაზე,—პროვინციაში უფრო მომზადებულ და გამოცდილ ამხანაგების გაგზავნა და სხ.

ახლა გავითვალისწინოთ თუ რა უნდა აკეთონ ჩვენმა რწმუნებულებმა სოფლად.

რაკი ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ მიერ აღებული ხაზი არის ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობა,—ჩვენი ვალია სიტყვები და დაპირება საქმეთ ვაქციოთ.

ჩვენი ვალია გვერდში ამოუდგეთ სოფლის მუშაკებს და მათთან ერთად ვწიოთ ჭაპანი.

არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ზოგი ახალგაზრდა პარტიული მომუშავე უნდობლათ დაგვიწყებს ცქერას. ამაში ბრალი ჩვენცა მიგვიძღვის! დაბოლოს „საქმემან შენმა გამცნოს შენ!.. ეს უნდობლობის ყინულიც გალღვება მოკლე ხანში!

უნდა ვიკოდეთ, რომ ერთბაშად არაფერი გაკეთებულა! რომ შეუმცდარი მხოლოდ ის არის, ვინც არაფერს აკეთებს!.. და თუ სოფელში მრავალი შეცდომებია დაშვებული, განა ამაში ჩვენც არ გვიდევს ბრალი?

მართალია ბევრს-ხანში შესულ და დიდი ხნის მომუშავე ამხანაგს—ეჩოთირება ახალგაზდა მომუშავესთან მისვლა, მართალია ერთნაირი ტრაღიკული მდგომარეობა იქმნება ძველი მომუშავესათვის, რომელსაც კეთილდღეობის სამსახურისათვის ციხე და ბორკილები უგემნია და ეხლა კი მას უნდობლობით უცქერიან,—ბევრ შემთხვევაში ისეთები, რომელნიც მათზე ნაკლებ განვითარებული და მცოდნეა ცხოვრების,—მაგრამ საქმის სიყვარული და ჩვენი ერის მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობა მაღლა უნდა დავაყენოთ და საქმეც იქით მივაბრუნოთ, საიდანაც ეს საქმე გამრთელდება.

აქტიური ჩარევა საბჭოთა აღმშენებლობითი და კულტურულ მუშაობაში! მიდით ხელისუფლების წარმომადგენლებთან,—უთხარით, უჩვენეთ, დაანახვეთ, აუხსენით, დაუმტკიცეთ და თუ რჩევა კანონიერი და სასარგებლო იქნება, ისინიც მიიღებენ ამას მხედველობაში.

თუ აღმოჩნდება ისეთი მოხელე, რომ თვითნებობას განაგრძობს, მაშინ გვამცნეთ ჩვენ მათი უკანონო მოქმედება.

მართალი უნდა ითქვას: ჩვენში ბევრია ისეთი გლეხი, რომელსაც არ აკმაყოფილებს საბჭოთა წყობილება.

ასეთმა გლეხმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა მთავრობა არის მუშურ-გლეხური და სრულიად ნორჩი, ახალი,—რომელსაც მოქმედების პრაქტიკა ჯერ სრულიად მცირე აქვს და ყოველ ახალ საქმეში შეცდომებიც აუცილებელია.

გაივლის დრო და ის შეცდომები, რომელიც ეხლა მას თან ახლავს თანდათან გასწორდება.

ჩვენი ვალია საქართველოს მშრომელი მოსახლეობის, მუშების და გლეხების დაახლოება საბჭოთა ხელისუფლებასთან და გულწრფელი თანამშრომლობა მასთან, რათა განმტკიცდეს ჩვენი მიღწევანი.

# ეროვნული საკითხი

ეროვნული საკითხის გადაჭრა და ცხოვრებაში გატარება ისეთ ქვეყანაში, რომელიც სხვადასხვა ერით არის დასახლებული, მეტის მეტად ძნელია.

სწორედ ასეთს ქვეყანას წარმოადგენს ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო. აქ შედარებით პატარა სივრცეზე მრავალი ერი ბინადრობს განსაკუთრებული კულტურით, ზნე-ჩვეულებით, სარწმუნოებით და სხ..

თვითმპყრობელობის მესვეურნი არა თუ არა სცდილობდენ მათ შორის ძმობა-ერთობის, თანხმობისა და თანამშრომლობის, მეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას,—პირიქით მათი პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ კავკასიის ერთა შორის სიძულვილი, შუღლი და მტრობა ეთესათ და გაეღვივებიათ.

ასეთი სიძულვილი და მტრობა საუკეთესო საფუძველი იყო ტახტის სიმტკიცისა კავკასიაში.

როდესაც რევოლიუციამ ეს ტახტი გაანადგურა, ამიერ-კავკასიაში დარჩა საშინელი მემკვიდრეობა: მეტად მტრული განწყობილება იმის სხვადასხვა ერთა შორის.

როდესაც საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა, მენშევიკური მთავრობის წინაშე აღიმართა ეროვნული საკითხი, რომელიც მას წინ ეღობებოდა ყოველ ფეხის გადადგმაზე.

რა თქმა უნდა მას გულწრფელად ამ საკითხის მოგვარება და ამით შიგნით მშვიდობიანობის დამყარება, შინაური მდგომარეობის განმტკიცება, მაგრამ სინამდვილეში მან ეს მტრობა უფრო გაამწვავა და გააძლიერა.

მენშევიკურ მთავრობას სიტყვით უნდოდა ძმობისა და ერთობის დამყარება საქართველოს სხვადასხვა ხალხთა შორის, სინამდვილეში კი მისი პოლიტიკა გადაიქცა —საქართველო მარტო ქართველებისათვის—ხაზის გამტარებელ პოლიტიკად.

შედეგი ასეთი პოლიტიკისა იყო ის, რომ ჩვენ ყოველ ფეხის გადადგმაზე გაგვიჩნდა შინაური ფრონტი: ახალციხისაკენ—ფრონტი, აჭარისაკენ—ფრონტი, აფხაზეთისაკენ—ფრონტი, ოსეთისაკენ—ფრონტი.

ისეთი ერთგული პროვინცია, როგორც აჭარისტანი, საქართველოს მეორე არა ჰყავს.

აფხაზეთში მდგომარეობა იმდენად გავამწვავეთ, რომ დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო შეტაკება და სისხლის ღვრა აფხაზებსა და ქართველებს შორის. წარმოუდგენელია იმაზე მეტი სიძულვილი, როგორითაც აფხაზებს ჩვენ შევძულდით.

ასეთი პოლიტიკა ძმობა-ერთობის განმტკიცებისა დასრულდა იმით, რომ მენშევიკურმა მთავრობამ წამოუსვა ხელი და მთელი სამხრეთ ოსეთი აჰყარა. რამიშვილი და მისი ამყოლ-დამყოლნი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ეს იყო უდიდესი და მეტად ბრძნული პოლიტიკა ქართველი ერის გაბედნიერებისა.

როდესაც საქართველოში საბჭოთა წესწყობილება დამყარდა, მმართველ ხელისუფლებას დახვდა ძველი მემკვიდრეობა: საშინელი მტრობა და სიძულვილი სხვადასხვა ხალხთა შორის.

სომხებისათვის, ქართველებისათვის, ოსებისათვის, თათრებისათვის საერთო სიხარული და საერთო მწუხარება არ არსებობდა: რაც ერთისათვის მხიარულება იყო მეორესათვის ის იყო მწუხარება.

საბჭოთა ხელისუფლება უნდა შესდგომოდა ეროვნული საკითხის მოგვარებას, უამისოდ რაიმე აღმშენებლობითი მუშაობა საქართველოში ყოვლად შეუძლებელი იყო.

დაარსება საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში აჭარისტანის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა მეტად დიდი ნაბიჯი იყო საქართველოს ხალხთა შორის ძმური თანამშრომლობის საქმეში.

საუკეთესო მაგალითს ამ მხრივ წარმოადგენს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

რამიშვილის პოლიტიკამ შექმნა ოსებსა და ქართველებს შორის ისეთი სიძულვილი და სისხლიანი მტრობა, რომლის შენელებაც კი მოკლე ხნის განმავლობაში წარმოუდგენელი იყო.

საქართველო პატარა სურათია მთელი დიდი რუსეთის ფედერაციისა.

ფედერაცია მტკიცე და შეურყეველი იქნება იმდენად, რამდენადაც იმის საზღვრებში ეროვნული საკითხი იქნება მოწესრიგებული და გადაჭრილი.

თეორეტიულ გადაჭრას ამ საკითხისას იძლევა რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობის რეზოლიუცია.

ეს რეზოლიუცია წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან აქტს, სადაც საკითხი მეტად ღრმად და სისწორით არის გაშუქებული, ყოველი მხრიდან აწონ-დაწონილი, მიუდგომლად და საფუძვლიანადაც გამორკვეული და ამავე დროს სინდისიერად, პირდაპირ, აშკარად და დაუფარავად არის ჩამოთვლილი მთელი ის სიძნელე და მრავალი დაბრკოლება, რაც წინ ეღობება იმის განხორციელებას და ცხოვრებაში გატარებას.

თვითონ რეზოლიუციის მე-7 მუხლში ნათქვამია: „მაგრამ ნაციონალური საკითხის სწორი გადაჭრის გასაღების მონახვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკითხის სრულიად და საბოლოოდ გადაჭრას, ამ გადაჭრას, ამ გადაჭრის ამოწურვას მისი კონკრეტულ-პრაქტიკული განხორციელების სახით“.

რეზოლიუციის მე 12 მუხლში ვკითხულობთ, რომ კომუნისტურ ორგანიზაციებში ალაგ-ალაგ თავს იჩენს „გადახრა ველიკოროსულ შოვინიზმისაკენ“.

თუ ასეთი გადახრა სწარმოებს პარტიულ ორგანიზაციებში, რაღა უნდა ითქვას იმ რუს მოხელეებზე, რომლებიც კომუნისტური პარტიის წევრები არ არიან.

რათქმა უნდა მათში ეს ველიკორუსული შოვინიზმი გაცილებით უფრო ძლიერია.

რეზოლიუციის მე-7 მუხლში ვკითხულობთ: დიდმპყრობელური შოვინიზმის ნაშთები ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენი საბჭოთა მუშაკების თავებში, ცენტრალურ და ადგილობრივ მუშაკების თავებში; ეს ნაშთები ბუდობენ ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში, ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებში და სხვა და სხვა.

იქვე ბოლოში ნათქვამია: „ამიტომ გადამჭრელი ბრძოლა ველიკორუსული შოვინიზმის წინაალმდეგ, წარმოადგენს ჩვენი პარტიის პირველ მორიგ ამოცანას“.

როგორ საშუალებას აყენებს პირველ რიგში რეზოლიუცია ამ მიზნის განსახორციელებლად?

სრულ გაეროვნებას იქ მაინც, სადაც ადგილობრივი ეროვნული პროლეტარიატი ძლიერია და მომზადებული.

მუხლი 10-ე. „ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების ორგანოები უნდა მოეწყოს უმთავრესად ადგილობრივი პირობისაგან, რომლებმაც იციან სათანადო ერების ენა და ზნე-ჩვეულებანი.

3. გამოცემული იქნეს სპეციალური კანონები, რომელნიც უზრუნველჰყოფენ დედა-ენის ხმარებას სახელმწიფოს ყველა ორგანოებში და დაწესებულებებში, რომლებიც აკმაყოფილებენ ადგილობრივ სხვა ნაციონალურ მოსახლეობასა და ნაციონალურ უმცირესობათა მოთხოვნილებებს,—კანონები, რომელნიც განდევნიან და დასჯიან მთელი რევოლიუციონური სისასტიკით ყველა მათ, ვინც შელახავს ეროვნებათა უფლებას, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს“.

მკითხველი ამონაწერიდან აშკარად დაინახავს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევს რეზოლიუცია გაეროვნებას საბჭოთა აღმშენებლობის საქმესა და ფედერაციის განმტკიცებაში.

საქართველო არის ისეთი ქვეყანა, სადაც პროლეტარიატი რიცხვითა და შეგნებით ძლიერია.

კერძოთ ქართველ ერს მძლავრი, დარაზმული, მომზადებული, რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გამომწვარი და გამობრძმედილი პროლეტარიატი ჰყავს.

ამიტომაც, თანახმად პარტიის მე-12 ყრილობის რეზოლიუციისა, სწორეთ საქართველოში უნდა იყოს მტკიცედ გატარებული გაეროვნება და ამიერიდან არავითარ გაუგებრობას აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი ამ საკითხის გარშემო.

ივ. გომართელი.

# ახალგაზრდა მარქსისტების წარსული შეცდომები და მათი უახლოესი ამოცანა

საქართველოს ახალგაზრდათა პოლიტიკურ ორგანიზაციებში ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაცია ერთი უძლიერესი ორგანიზაცია იყო.

ჯერ კიდევ ნიკოლოზის რეჟიმის დროს ის საქართველოს მშრომელ წრეებიდან გამოსულ ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს აკავშირებდა. პოლიტიკურად ის სოც.-დემოკრ. პარტიის პლატფორმას იზიარებდა. პარტიის იდეოლოგია და ტაქტიკა, მისი იდეოლოგია და ტაქტიკა იყო. ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პარტიის ტაქტიკის გამომუშავებაში და პოლიტიკურ ბრძოლას ამ ტაქტიკის ნიადაგზე აწარმოებდა.

ორგანიზაცია როგორც ნიკოლოზის დროს, ისე მენშევიკურ მთავრობის არსებობის დროს უმთავრესად კულტურულ მუშაობას ეწეოდა. მისი მიზანი იყო ახალგაზრდობაში მარქსისტულ მოძღვრების გავრცელება, თავის წევრების მარქსისტულად მომზადება და თეორეტიულ ცოდნით აღჭურვის შემდეგ მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა.

1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაცია თავის უმთავრეს დანიშნულებას—ახალგაზრდობის მარქსისტულად აღზრდა-მომზადება – ასცდა. მან უკუაგდო კულტურული მუშაობა და სრულიად უპერსპექტივო და დამღუპველ ბრძოლაში ჩაება საქართ. სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ. ის უკრიტიკოთ დაემორჩილა პარტიის ბრძანებებს, მან ხალას ჭეშმარიტებად მიიღო ყოველივე ის, რასაც პარტიის ხელმძღვანელი ორგანო ეუბნებოდა, ის მენშევიკურ პარტიის საიმედო მარჯვენა ხელი შეიქმნა.

ქართულ პრესაში მენშევიკურ ხელისუფლების დროს იმდენი ჭორები ვრცელდებოდა რუსეთში ბოლშევიკურ ხელისუფლების გამანადგურებელ მოქმედება-მოღვაწეობის შესახებ, რომ ორგანიზაციას ვერ წარმოედგინა თუ საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება ყველაფერს არ დაანგრევდა, ნაცარ-მტვრად არ აქცევდა და საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ განვითარებას სამუდამოთ ჯვარს არ დაუსვამდა.

ორგანიზაციას გულუბრყვილოდ სჯეროდა პარტიის მტკიცება, რომ საქართველო იურიდიულად ცნობილი სახელმწიფოა და ევროპა არ დაუშვებს, რომ მის მიერ ცნობილ საქართველოში რუსეთის ჯარები იდგესო, პარტიის აზრით თავისუფალი საქართველო ევროპისათვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა და ამიტომ ევროპა ყოველივე ღონისძიებას იხმარდა და აიძულებდა რუსეთს საქართველოდან ჯარი გაეყვანა.

ორგანიზაციას განუსაზღვრელი ნდობა ჰქონდა პარტიის ლიდერების, მათი შეცდომა ვერ წარმოედგინა და ყოველივე მათი ნალაპარაკები და ნაწერი ორგანიზაციის წევრებში გამოძახილს ადვილად ჰპოებდა.

დარწმუნებული, რომ საქართველოს განთავისუფლება თვეების საქმე იყო, (როგორც ამას პარტია არწმუნებდა) ორგანიზაცია მთელი თავის ძალებით პარტიის მოწინავე რიგებში ჩადგა, კულტურული მუშაობა განზე გადადო, და ხელისუფლებას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა.

გადიოდა თვეები, წლები და იმედები, რომ ბურჟუაზიული ევროპის მთავრობები საქართველოს განთავი-

ხუფლებდენ არ მართლდებოდა, საქართველოდან რუსეთის ჯარების განდევნაზე ევროპა თავს არ იტკივებდა, პირიქით ის რუსეთს ურიგდებოდა, იურიდიულად სცნობდა და ხელშეკრულებების დასადებად მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლის—საფრანგეთ—გერმანია-იტალიის დამოკიდებულება რუსეთთან და მეორე მხრივ ერთა ლიგის პლატონიური უკბილო რეზოლიუციები საქართველოს საკითხის შესახებ, ყველასათვის აშკარად ხდიდა, რომ იმპერიალისტური ევროპისათვის საქართველოდან რუსეთის ჯარის განდევნა და მენშევიკურ მთავრობის რესტავრაცია მაინც და მაინც დიდ სასიცოცხო ინტერესებს არ წარმოადგენდა.

ევროპა დარწმუნდა, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარების განდევნა არც ისეთი იოლი საქმე იყო. ევროპის ბუჟუაზია დროზე მიხვდა, რომ ევროპის მუშათა კლასის სიმპატიები რუსეთისადმი იმდენათ გაიზარდა, რომ ის საშუალებას არ მისცემდა ევროპის იმპერიალისტებს საქართველოს საკითხის გამო რუსეთთან საომარი მდგომარეობა შეექნათ. არც ევროპის ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვდა ამას. ნ. ჟორდანიას წერილი მგონი 1922 წლის დასაწყისში გამოგზავნილი, სადაც იწერებოდა, რომ ლოიდ-ჯორჯის თანხმობით მოხდა საქაროველოში რუსეთის ჯარების შემოსვლაო,—საუცხოვო დამამტკიცებელია ამის.

ქართველი ხალხის საუბედუროთ და სავალალოდ ვერც ს. დ. პარტიამ, ვერც თვით ნ. ჟორდანიამ ვერ დააფასეს და ვერ გამოიყვანეს სათანადო დასკვნა საქართველოს საკითხში ლოიდ-ჯორჯის მიერ დაჭერილ პოზიციიდან.

ხალხში პარტია კიდევ ავრცელებდა ცრუ იმედებს ლოიდ-ჯორჯ. ბალდვინ, პუანკარე—მილერანზე და ბოლოს მათ მემკვიდრე მაკდონალდ-ერიოზე.

პარტიის წევრები უფრო შორს მჭვრეტელი გამოდგენ, ვინემ მათი ბელადები.

1923 წლის დასაწყისიდან ათასობით სტოვებენ პარტიას ძველი, ათეულ წლების განმავლობაში სოც-დემოკრატიულ პარტიაში მომუშავე მუშები და გლეხები. ახალგაზრდა მარქსისტებიც ათასობით სტოვებენ ორგანიზაციას, გმობენ ძველ გზას და საბჭოთა პლათფორმაზე სდგებიან.

რა იყო იმის მიზეზი, რომ 1923 წლიდან პარტიისა და ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციების რღვევა ასე ერთბაშად დაიწყო და სწრაფი ნაბიჯით ვითარდებოდა?

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობამ, აშკარა გახადა მენშევიკურ პარტიაში და ახალგ. ორგანიზაციაში შემავალ მუშებსა, გლეხებსა და ახალგაზრდობის საგრძნობ ნაწილისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არამც თუ არ ანადგურებდა საქართველოს, როგორც ამას პარტია ირწმუნებოდა, არამედ ყოველივე ღონეს ხმარობდა საქართველოს კულტურულად და ეკონომიურად აყვავება-აღორძინებისათვის.—რაც ყოველგვარ ნიადაგს უკარგავდა ანტი-საბჭოთა პარტიების მტკიცებას, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს კულტურულად და ეკონომიურად დასცემს,—გაანადგურებსო.

ახალგაზრდობა ნათლად ხედავდა თუ რამდენად წინ წავიდა გამომცემლობის საქმე საბჭოთა ხელისუფლების დროს. მენშევიკების დროს თითქმის სრულიად არაფერი არ გამოცემულა მარქსისტულ ლიტერატურიდან; მოსწავლე ახალგაზრდობა საშინელ გაჭირვებას განიცდიდა მარქსისტულ ნაწერების უქონლობის გამო, კომუნისტებმა აუარებელი წიგნები გამოსცეს მარქსისტულ ლიტერატურიდან. დღეს ბაზარზე თითქმის ყველაფერს იშოვნი, როგორც მარქს-ენგელსის ნაწერებიდან, ისე სხვა მარქსისტების ნაწერებიდან. ფასებიც ხელმისაწდომია. არასოდეს ისე მდიდარი არ ყოფილა ბაზარი მარქსისტულ ნაწარმოებით, როგორც დღეს არის. არასოდეს არ ქონია ახალგაზრდობას ისეთი კარგი პირობები მარქსიზმის შესასწავლად, როგორც დღეს აქვს.

ყოველივე ამან დიდი გარდატეხა გამოიწვია ახალგაზრდობაში, და როგორც ზევით გავიხსენეთ, ახალგაზრდობის საგრძნობმა ნაწილმა 1923 წლიდან ზურგი შეაქცია ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციას და ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ნიადაგზე დადგა.

სამწუხაროდ ახალგ. მარქსისტებში მაინც დარჩნენ ისეთები, რომლებიც არალეგალურ ორგანიზაციასთან კავშირს არ სწყვეტდენ და კიდევ ევროპისკენ გაიყურებოდენ. პარტიის მტკიცება, რომ მაკდონალდი-ერიო გვიხსნის თუ ჩვენ აქ აჯანყება მოვაწყვეთო, მათაც დაიჯერეს და ნებით თუ უნებლიეთ მონაწილე გახდენ იმ ავანტიურის, რომელმაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა.

აგვისტო სექტემბრის ამბების შემდეგ ბევრი ჩამოცილდა არალეგალურ ორგანიზაციას, 7—8 ოქტომბრის რეზოლიუცია გაიზიარა და მუშათა კომისიის პლათფორმა მიიღო. მაგრამ საუბედუროდ კიდევ დარჩენ თითოოროლა გზა-აბნეულნი, რომლებიც ჯერაც არ განთავისუფლებულან მავნე ილიუზიისაგან და არალეგალურ მუშაობას განაგრძობენ.

საჭიროა მათ წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა, დროა ყველა დარწმუნდეს, რომ საქართველოს კულტურულად და ეკონომიურად აყვავება, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგებით და მასთან გულწრფელ თანამშრომლობით შეიძლება. სხვა გზა საქართველოს ასაღორძინებლად არ არსებობს.

საქართველოს ვერ „იხსნის“ ვერც ბურჟუაზიული ევროპა და ვერც დღევანდელი სოციალისტური ევროპა.

თუ როგორ ესმის საქართველოს საკითხი დღევანდელ სოციალისტურ ევროპას, ეს ნათლად სჩანს პერსელ-ბრომლეის, ფიმენის განცხადებებიდან და იმ პოზიციიდან, რომელიც დაიჭირა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა ინგლისის დელეგაციის ზეგავლენით იანვრის კონფერენციაზე.

დროა მივხვდეთ, რომ ბურჟუაზიული ევროპა იმდენათ „იცავს“ საქართველოს, რამდენათაც ეს მას ეჭირვება იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი მეტ დათმობაზე წამოიყვანოს მოლაპარაკების დროს, ხოლო ევროპის სოციალისტებისათვის საქართველოს საკითხი ერთგვარი კოზირი შეიქნა კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რენოდელები, ვანდერველდები, მაკდონალდები და კრისპინ-აბრამოვიჩები საქართველოს საკითხს თავის პარტიულ კაპიტალის გასადიდებლად იყენებენ.

დროა ამას ბოლო მოეღოს საქართველოს მუშებმა არავის მისცემენ ნებას, რომ საქართველოს საკითხით ივაჭრონ, რომ ის თავის დაკარგულ გავლენის დასაბრუნებლად და საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგოთ გამოიყენონ.

ახალგაზრდობამ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლით ბევრი დაჰკარგა. ბრძოლამ ის სწავლას მოაცდინა-

თეორეტიულად ჩამოაქვეითა და ბევრი მათგანი, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში შესულნი ორგანიზაციებში, სიტყვით მარქსისტობს, ნამდვილად კი მარქსიზმის არაფერი გაეგება, არალეგალური მუშაობა და იმავე დროს მარქსიზმის შესწავლა მისთვის შეუძლებელი ხდებოდა.

საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორებას ახლავე მიექცეს ყურადღება, არალეგალურ მუშაობით მიღებული ჭრილობები უნდა განიკურნოს, ახალგაზრდობა ისევ უნდა დაუბრუნდეს მარქსიზმის შესწავლას და თეორეტიული ცოდნით აღჭურვილი ჩაებას საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების საქმეში.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ხელისუფლებაც მეტი ნდობით მოეპყრობა ახალ გზაზე გულწრფელად დამდგარ ახალგაზრდობას, ხელს შეუწყობს მათ სწავლა-განათლების მიღებაში და საშუალებას მისცემს ახალგაზრდობას, თავის ახალგაზრდული წვლილიც შეიტანოს ქართველი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ წარმოებულ მუშაობაში.

ახალგაზრდობის უახლოეს ამოცანას დღეს უნდა შეადგენდეს საქართველოს ხელისუფლების მტრებთან ბრძოლა, თეორეტიულ ცოდნის შეძენა, ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობა და საქართველოს აღმშენებლობითი საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღება.

მ. კვატაშიძე.

# ცოტა რამ გაეროვნების საკითხის შესახებ

ამას წინათ მოხდა ერთი ჯგუფი ინტელიგენტების თათბირი ჟურნალ „ახალი გზის“ რედაქციის ბინაზე საცა დაესწრნენ ამხანაგები ს. ორჯონიკიძე და მამია ორახელაშვილი. თათბირის დროს სხვადასხვა საკითხებს გარდა შეეხენ გაეროვნების საკითხსაც, რამაც ცოტა არ იყოს მწვავე ხასიათი მიიღო. გამწვავება გამოიწვია უფრო იმან, რომ ვერც ერთმა დამსწრეთაგანმა, ვინც უფრო ეხებოდა ამ საკითხს, ვერ დაასახელა ისეთი კონკრეტიული დარგი დაწესებულებისა რესპუბლიკაში, საცა არ იყოს გატარებული გაეროვნება, რამაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა თათბირზე დამსწრენი. მთავრობის წარმომადგენლები ამბობდნენ და ყოველთვის მასვე იმეორებენ, რომ არსებობენ განკარგულებანი—დეკრეტები, რათა ყველგან მოხდეს გაეროვნება და თუ ეს არ ტარდება ან გვიანდება,— ამაში თქვენა ხართ დამნაშავენიო. არ გვეხმარებოდით, გაგვირბოდით და გვებრძოდითო. ეს გასაგებიც არის და სრული ჭეშმარიტებაც. რა გაეროვნებაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როცა ხელისუფლებას მუდამ უხდება შრომა ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის რომ მოიცილოს თავიდან თავდასხმანი, როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე ეკონომიურ ფრონტებზე, რასაც ჩვენ ვაწარმოებდით აგერ ოთხი წელია? ყოველთვის უნდა იყო გულწრფელი და სინიდისიერი თვით ბრძოლის პროცესშიდაც კი და ეხლა,—როცა შეთანხმების ხანა დაგვიდგა, ბრძოლის იარაღი დავყარეთ და კვლავ წითელი დროშის ქვეშ ბოლშევიკებთან ერთათ ვდგებით,—მით უმეტეს უნდა ვიყოთ გულწრფელი და სინიდისიერი. ეს კი თხოულობს გულახდილათ სიმართლე ვილაპარაკოთ და ჩემის აზრით ეს მიგვიყვანს საერთო მიზნამდის და ყოველნაირ გაუგებრობას აგვაცილებს თავიდან. ასეთი მიდგომა, ამ მართლა და მწვავე საკითხისადმი, უფრო მიგვაღწევინებს მის შესაფერ გაშუქებას და სიმწვავის განელებას. ვიმეორებ, ჩვენ ოთხი წელი ვაწარმოვეთ ხელისუფლებისადმი ყოველ მხრივ გამწვავებული ბრძოლა, რაც გუშინ შევწყვიტეთ (ხუთი თვეა სულ!) მაშასადამე გაეროვნების დაგვიანების და სიჩქარის შესახებ შეგვიძლია ვილაპარაკოთ დადებითად მხოლოდ ამ ხნიდან, რაც იმდენათ მცირე ხანად უნდა ჩაითვალოს ასეთ გამწვავების დროს. გადავავლოთ თვალი ოთხი წლის ხანას (ბრძოლის პროცესი) კეთდებოდა თუ არა გაეროვნების საკითხის სასარგებლოთ ამ დროს სხვა საქმეებთან ერთათ? მართლა და უსინიდისო უნდა იყო და სრულიად გამობეყერეთებული, რომ სთქვა არაო. როგორ დაიჯერებს ვინმე ამას? არავინ, რა თქმა უნდა! როგორ შეგიძლია დააჯერო, ხელისუფლების მტრებიც კი, რომ ჩვენ შკოლებში გაეროვნება არ მოხდა! ქალ. აღმასკომში სრული ნაციონალიზაცია არის გატარებული გარდა მისი ზოგიერთი ნაწილებისა: „უესი“ აქ სრულებით არ არის გატარებული გაეროვნება; ტრამვაიში ამ დღეებში შეუდგენ გაეროვნებას და უნდა ვიმედოვნოთ, რომ იქ მალე დამთავრდება ეს. მუშკოპში ჯერ არ არის დაწყებულიც კი გაეროვნების შესახებ მუშაობა. რკინის გზის ხაზზე გატარებულია გაეროვნება და თუ ხანდახან ეს ირღვევა მთავარ სამართველოს ზოგიერთ თანამშრომლის მეოხებით, ამაზე საჭიროა კონკრეტიული შემთხვევის აღნიშვნით მითითება სათანადო ორგანოების და მთავრობასთან.

თვით მთავარ სამმართველოში კი ვერ არის ყველგან კარგათ საქმე, იქ მხოლოთ ხელის მოწერის შესწავლით ფიქრობენ, როგორც სჩანს გაეროვნების დამთავრებას და ჩემის აზრით საჭიროა ვინც არ იცის სახელმწიფო ენა, წინადადება მიეცეს ერთხელ კიდევ შეისწავლოს ის და არ დაკმაყოფილდეს მარტო ხელის მოწერით, რაც არ კმარა კარგათ საქმის წაყვანისათვის იმ დარგში რომელშიც ის მოღვაწეობს. ამნაირად არ არის ისე საქმე, თითქოს არ ხდებოდეს გაეროვნება! ეს ხდებოდა, როგორც ზევით დავინახეთ და ხდება დღესაც თანდათანობით, რასაც ყველა უნდა ვეცადოთ ხელი შეუწყოთ ყოველნაირათ. მარტო ხელისუფლება ვერას გააკეთებს, მან გამოსცა დეკრეტ-ბრძანებანი და შენ შეუწყვე ხელი მის ცხოვრებაში გატარებას; მიუთითე ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში, ვინ უშლის ხელს გაეროვნებას, რომ მან სათანადო სასჯელი მიიღოს მთავრობის განკარგულების შეუსრულებლობისათვის, რაც ხულიგანობაზე უარესია მით უმეტეს ამ საკითხში, მაგრამ ამ დროს ნუ გავიწყდება, რომ ეს არ გამოიყენო სადემაგოგიო-სააგიტაციო მასალად ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ეს ქენი გულწრფელათ და აშკარად მთავრობისათვის ნათლად გაშუქებული; ამას მოითხოვს მთავრობა, როგორც ადგილობრივი აგრეთვე საკავშირო; ეს აშკარად ყველას გასაგონათ იყო აღიარებული საკავშირო რესპუბლიკის ცაკის სესიაზე ამხ. ამხ. რიკოვისა, კალინინისა, ორახელაშვილისა და სერგო ორჯონიკიძისგან და ჩვენი მოვალეობაა, რომ ხელი შეუწყოთ ამას ყოველნაირათ.

ლ. კუპრაშვილი.

# სალომე

## ტირილი მტკვარში დამხრჩვალ დედაზე

„Творцом дано от века
Тебе святое имя—„мать.“
Твой долг- потомство человека
В скорбях и муках умножать.“

ჩემი დღიური იშლება გვიან—
ისიც ვაგლახით;
მის პირველ ფურცელს სალომე ჰქვიან—
დედიკოს სახით.

### ლოცვა დედისა.

საბედისწერო შუაღამისას,
როდესაც ყველას მშვიდათ გვეძინა,—
თურმე დედიკო, მხურვალე ლოცვით,
იღველფებოდა ღვთისმშობლის წინა.
იღველფებოდა, როგორც სანთელი,
ვისთვის და რისთვის, ვინ უწყის, ვინა;
ცხადია მხოლოდ, რომ ღვთისმშობელმა
ჩვენი მშობლის ხმა არ შეისმინა.

### გაპარვა.

არ ვიცით, არა, იმ დროს დედიკოს
ვინ შეეპარა, ვინ მიევლინა,
ან სიცოცხლეზე ზრუნვა და ფიქრი
ვინ შეუწყვიტა, ვინ გაუყინა,
რომ უყოყმანოთ გაჰყვა მის ძახილს,
რომ შვილებიც კი დაათმობინა.

### დაკარგვა.

წყეულმა ღამემ დახუჭა თვალი,
დილის სინათლემ შემოირბინა;
შევაღეთ დედის ოთახის კარი
და ცარიელი დაგვიხვდა ბინა.

### ძებნა.

ტკივილით, ჩივილით, ცრემლით და ყვედრებით,
სიმწრით და ბღავილით ვიწიწკნით თმას;
დაკარგულ დედიკოს დავეძებთ ვედრებით,
ვერ ვჰპოვებთ, ვერ ვისმენთ ნუგეშის ხმას.

### ძახილი.

დედილო, თმა-შევერცხლილო;
ტკბილო, სადა ხარ, სადა,
დედილო, ნაზო,
თბილო, გულ-ჩვილო,
დედილო, სადა ხარ, სადა,
დედავ, შრომით მოღლილო.

### ხმა იდუმალი.

რა დაგემართა, შენ დაგენაცვლა
რა გტკივა შვილო, შენი დედილო...

### ძახილი.

დედილო, წელში მოხრილო;
ტკბილო, სად გაგვეპარე,
დედილო, სად მიგვეფარე,
თბილო, სადა ხარ, სადა,
დედილო, მშვიდო,
დედავ, კეთილო...

### ხმა იდუმალი.

ნუ სტირი, შვილო, ველარ მოგხედავს
ნუ მეძებ, შვილო, შენი დედილო....

### ქვითინი.

დედილო, თბილო,
ტკბილო, გულის საკირე
დედილო, ვინ გამიგრილოს...

### ხმა იდუმალი.

ნუ მკითხავ, შვილო, მტკვარს შეურთდა
სიმწრით აღზრდილო შენი დედილო...

### მოთქმა.

ვაჰმე, დედილო, უკანასკნელად
თმებ-გაწეწილო, მაინც გიხილო...

### ხმა იდუმალი.

რად გინდა რადა, იზრუნე. შვილო,
დამხრჩვალი დედა; ისევ შენზედა...

### პოვნა.

გიპოვნეთ, გნახეთ, გიპოვნეთ, გნახეთ
დედავ, ტანჯულო, და ვივაგლახეთ,
დედავ, მტკვრის პირას უკვდავო ხსოვნავ
გამორიყულო; და სიყვარულო...

### გაზეთის ქრონიკა

— **ქალის გვამის პოვნა.** 9 დეკემბერს, დილით, კარლ მარქსის ხიდთან მტკვრის ნაპირას იპოვნეს დამხრჩვალი ქალის გვამი, რომელიც აღმოჩნდა **სალომე ალექსანდრეს ასული ჩხეიძისა**, დაახლოვებით 70 წლისა. დახრჩობის მიზეზი გამოურკვეველია.

### ვერის სასაფლაო (სამარე № 49.)

ეპიტაფია პირველი

აქ განისვენებს უბედურ ძმათა: ლევან ჩხეიძის, დ. თურდოსპირელის და გ. ქუჩიშვილის უსაყვარლესი გმირი—დედიკო:

**სალომე ალექსანდრეს ასული ჩხეიძისა**

**1843—1924**

ეპიტაფია მეორე

გული გავიპეთ და მის წიაღში,
ჩვენო დედიკო შენ დაგასვენეთ,
იგი ვაქციეთ შენდა სამარედ,
ცრემლებით მოვრთეთ და დავამშვენეთ...

**გ. ქუჩიშვილი.**

# ალვის ხეები

არ შემიძლიან გულ-გრილად გაუარო ალვის ხეებს... ამათ კენწეროებიდან მარად მესმის უცხო სიმღერა-შრიალი; ალვის ხეები ყოველთვის მიმაჩნდა ძვირფას მეგობრებად... იგინი მგონიან ცოცხალი დიადი სულის მქონე არსებანი, რომელნიც ვერ დატეულან ქვებუდანთა შორის...

ისინი სცდილობენ თავი დაახწიონ ალქატ-ხრიოკ დედა-მიწას... მოიგლიჯონ და გაფრინდნენ ლაჟვარდ ცის დაუსრულებელ მდელოებისკენ...

გარკვევით მესმის ის ბრძოლა, რომელიც ატეხილი აქვთ მათ თავის ფესვებთან...

ფესვები ჩაჰბლაუჭებიან დედა-მიწას თვისი უანგარიშო თათებით და არ უშვებენ ხეებს...

ალვის ხეებს კი ალუპყრ:ათ მთრთოლავი ტოტები ცისკენ, და მზეს ემუდარებიან:

— მზეო, ცხოველო მზეო... შენ გენაცვალეთ, წაგვიყვა, მოგვაშორე ამ ტიალ მიწას... ნუ დაგვერიდები... თუნდა ჩაგვფერფლე შენს ხანძარში, ოღონდ ნუ დაგვტოვებ ძირსა...

ვაიმე!.. ვაი!.. უკვე გვესმის ცულის ლესვა!..

ერთ-ერთ ჩვენთაგანს დაუწყებენ კაფვას...

იცი რა საშინელია, როცა ცულის აფთარი ჩაგესობა ხორცში?...

მაგრამ ამას ვინ სჩივის...

მარტო სიკვდილს როდი გვაკმარებენ...

დაგვმორავენ, დაგვხერხენ და დაგვყიდიან საშენებელ მასალად...

ვაი ჩვენი ბრალი!...

რამდენი ყადალა დაგვიფლეთს და დაგვიცხავებს გულ-მკერდსა...

ესა და ბევრი უფრო უარესი საწამებელი იციან ალვის ხეებმა...

ამიტომაა, რომ უფრო გაათკეცებული მხნეობით ისწრაფიან ცისკენ...

* * *

ალვის ხეები უფრო მომხიბლავები არიან მაშინ, როდესაც ამოვარდება ქარიშხალი.

ამ დროს იწყობა ულმობელი ბრძოლა გრიგალსა და ალვის ხეებს შორის.

ზარმხდომელია ქარიშხალი.

ყველა ხეები ფილენჯიანებივით თრთიან...

ბაბანსა და ჰრიალს იწყებენ—ისეთი საშინელია მეხის გავარდნის მოლოდინი...

ამაყი წიფლები და მუხებიც კი სასოწარკვეთილებაში ცვივიან...

მხოლოდ ჯაბან, კუზიან ხეებს არა აქვთ გადარჩენის იმედი წაწყმენდილი.

იგინი ნუგეშობენ:

— არა გვიშავს რა!.. დაბლები ვართ „მეხი მარად მაღალ ხეს ეტანება... იჩივლოს ალვის ხემ“, იმას არ ასცდება უბედურებაო...

ალვის ხისთვის კი არ არსებობდა შიში...

იგი ამაყად ჰხვდებოდა ქარიშხლის მიერ მოქნეულ ელვის მახვილებს...

აი ეკვეთა არნაუტა გრიგალი...

ელვაც იგლარძება ასპიტი გველივით...

ჰაერი დამძიმდა...

ჰაერში სიკვდილის სუნი ტრიალებს...

გაიკლაკნა ელვა... დაირუხრუხა... დაივახვახა... გავარდა მეხი... დაეცა ალვის ხეს...

ნატისუსალი ავარდა...

დაუწვა ხასხასა ქათიბი...

შეურუელა სპეტაკი ყლორტები... ლალანა ფოთლები...

კვნესა აღმოჰხდა... სიამაყე მაინც არ დაუკარგავს...

არ მოზნექილა...

შეუპოვრობა ისე ჰშვენოდა, ვით ბარიკადებზე მებრძოლს ცეცხლის მკვესელი თვალები...

. . . . . . . . . . . . . . . . .

გადილო.... გადაიწმინდა...

მგლოვიარედ იყო დახოკილ ყლორტებზე, მაგრამ არ დაიმჩნია... ჩაიკლა ჯავრი...

ცრემლები არ დაუნახვებია პირ-მურიან სასეტყვო ღრუბლებისთვის, რომელთაც ჩაიდინეს ბორეტება... მარეგვ-მორეგვეს ქვეყანა და ახლა მაიპარებიან, ვით საუკუნო წყევლით შერცხვენილი ჯალათები...

სხვებზე საშინელი ბრძოლა ალვის ხემ გადაიტანა, მაგრამ ყოვლის უწინარეს მაინც მან შესცინა ლაჟვარდ ცასა...

. . . . . . . . . . . . . . . . .

ბედნიერია, ბედნიერი ალვის ხეები...
შორს არიან დახაშმულ ტბათაგან...
არ ახწევს მათთან ბაყაყთა ყიყინი...
ახლოს არიან მზესთან... ვარსკვლავებთან...

**დ. თურდოსპირელი.**

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ნაძალადევის თეატრი

11 მარტს 1925 წ. პლეხანოვის თეატრში შესდგა საერთო კრება მთავარი სახელოსნოსი, რკინის გზის კვანძის და დეპოს ყოფილი მენშევიკების და უპარტიო მუშებისა. დღის წესრიგში იდგა კითხვები: მუშათა კომისიის მუშაობა და მიმდინარე საკითხი. მოხსენებას აკეთებს მუშათა კომისიის თავმჯდომარე ამხ. მ. ძამანაშვილი, რომელმაც კრებას გააცნო კომისიის მუშაობა. მომხსენებელი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას. დაახასიათა ევროპის ბურჟუაზიის მტაცებლობითი პოლიტიკა, რომელიც უქადის მცირე ერებს დაპყრობას დაჩაგვრას. მომხსენებელი მოუწოდებს კრებას მჭიდრო კავშირი დაიჭიროს მუშურ-გლეხურ მთავრობასთან, რომელიც მტკიცეთ იცავს მუშათა კლასის ინტერესებს. მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მოუვიდა და ყველას

დასაკმაყოფილებელი პასუხი გასცა: კრება მოითხოვდა მუშათა კომისიის მუშაობის გაორკეცებას, იმ პოლიტიკის წინაალმდეგ, რომელიც ემუქრებოდა დალუპვით ქართველ მშრომელ კლასს და გლეხობას, სასტიკი ბრძოლა აწარმოონ მუშათა კომისიაში ავანტიურიზმის წინაალმდეგ.

კრება ავალებს მუშათა კომისიას მისცეს ამხანაგური წინადადება გადასახლებულებს, რომ ისინი დაუბრუნდენ თავიანთ სამშობლო კერას და იბრძოლონ საერთაშორისო მტრისა და დამღუპველ პოლიტიკის წინაალმდეგ, რომელსაც აწარმოებდა მენშევიკური პარტია.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

### რეზოლიუცია

მიღებული 11 მარტს 1925 წელს ყოფილ მენშევიკებისა და უპარტიოების მიერ ჭაძალადევის თეატრში, მთავარ სახელოსნოს, თბილისის კვანძის და დეპოს მუშებისაგან. კრებას დაესწრო 800 კაცი.

კრებამ მოისმინა მუშათა კომისიის მოხსენება შესახებ მის მიერ წარმოებულ მუშაობისა და დაადგინა:

მუშათა კომისიის მოხსენება სავსებით მისაღები და დამაკმაყოფილებელია. კრება სცნობს აუცილებელ საჭიროთ წარმოებული მუშაობა გაორკეცებული ენერგიით გაგრძელდეს.

კრება ავალებს მუშათა კომისიის დელეგაციას, რომელიც მიემგზავრება რუსეთში და სხვა და სხვა ქალაქს გადასახლებულ და ციხეში მყოფ ამხანაგების სანახავად შემდეგს:

პირველად მიიღონ ჩვენი ძმური, ძველი ამხანაგური სალამი. შემდეგ გაეცნონ აგვისტო სექტემბერში მომხდარ გამოსვლების დამღუპველ შედეგებს, მიიღონ მხედველობაში უნიადაგო ილიუზიები კვება-ვითარება ჩვენი ხალხისა, განსაჯონ მიმდინარე პირობების რეალობა, გაითვალისწინონ თუ რამდენათ გამოსადეგი, ნაყოფიერი და საჭიროა მათი საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ და ეკონომიურ მოქმედებაში ჩარევა-მუშაობა და მიიღონ ჩვენი, ძველი ამხანაგების მეგობრული გრძნობით გამთბარი, ამხანაგური სიფაქიზით განსჯილი, მრავალ გზის აწონილ-დაწონილი და საქართველოს მშრომელი მოსახლეობის საკეთილდღეოთ ცხოვრების პირობების მიერ ნაკარნახევი რჩევა,—რათა ისინიც დაადგენ ჩვენ მიერ მიღებულ დადგენილებას, ჩაუკვირდენ მდგომარეობას და დაუბრუნდენ მიტოვებულ კერას,—საქართველოს მშრომელ მოსახლეობას, რომელიც მათ საკმარისად იცნობს, იცნობს მათ გულწრფელობასა და საქმისადმი სიყვარულს და კიდეც გრძნობს, რომ ასეთ მძიმე და საპასუხისმგებლო დროს მათი აქ ყოფნა აუცილებელი და უალრესად საჭიროა. საჭიროა გონიერებას მეტი ალაგი დაეთმოს ვიდრე გრძნობას, საჭიროა განზე დგომას თავი მიენებოს და ესოდენი ნაყოფიერი რევოლიუციონური წარსული უსაქმობით არ ჩაიკლას. კიდევ ერთხელ ჩვენი მეგობრული ამხანაგური სალამი.

---

## თბილისის მუშკოპი

14 თებერვალს შესდგა თბილისის კოოპერატიულ ორგანიზაციებში მომუშავე ყოფილ მენშევიკების და უპარტიო ამხანაგების საერთო კრება.

კრებას ხსნის ამხ. ღიბრაძე და ამბობს: „საქართველოს გასაბჭოებიდგან პირველი ორი წელიწადი ჩვენში დახასიათდება სიჩუმის პოლიტიკით. ჩვენ ყველა ჩუმათ ვიყავით და არაფერზე თავს არ ვიცხელებდით, ვინაიდან გვჯეროდა, რომ ჩვენ საქმეს ევროპა გააკეთებდა და მზათ გამოგვიგზავნიდა თბილისში. მაგრამ 1923 წლის დასაწყისში კომუნისტურმა პარტიამ სავსებით ალაგმა კონტრევოლიუცია—ხელი მიჰყო აღმშენებლობას და მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას; მე ვამბობ, რომ ამ სიჩუმემ და შავი ზღვისკენ ყურებამ მოუმზადა ნიადაგი გასული წლის აგვისტოს ავანტიურას.

ამიტომ მოგმართავთ და მოგიწოდებთ თქვენ რათა შეგეგნოსთ დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა, უკუგეგდოსთ ყოველგვარი სიჩუმე და წასულიყოთ იმ გზით, რომლისკენაც მოგიწოდებსთ მშრომელი კლასის ინტერესები.

პრეზიდიუმში დასახელებული არიან შემდეგი ამხანაგები: შალვა დუგლაძე, თოთებაძე და ღიბრაძე, რომლებიც ერთხმად იქნენ არჩეულნი. თავმჯდომარეობს ამხ. დუგლაძე, რომელიც პირველ სიტყვას აძლევს მუშათა კომისიის თავმჯდომარე ამხ. მიშა ძამანაშვილს. ძამანაშვილის მოხსენების თემა შეეხებოდა, მხოლოთ გასული წლის აგვისტოს საქართველოში მომხდარ ავანტიურას და ჩვენ მომავალ ამოცანებს. ის მუშური და ყველასათვის გასაგები ენით აღნიშნავს საქ. სოც. დემ. (მენშევიკურ პარტიის შეცდომებს, მისი სოციალისტურ და მარქსისტულ გზიდგან გადაცდენას 1917 წლიდან და ამბობს: „ჩვენი პარტია—ანუ მენშევიკური პარტია დამარცხდა არა 1921 წელს, არამედ 1917 წ. ოქტომბრის რევოლიუციის დროს, როდესაც მან ვერ შეაფასა ოქტომბრის რევოლიუცია და ვერ შეიგნო მისი ნამდვილი შინაარსი.—მეორე დამარცხება სოც. დემ. პარტიამ იგემა 1921 წ. როდესაც მან დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების და მაშასადამე პროლეტარიატის და მისი ორგანოების წინაალმდეგ ბრძოლა. მესამე დამარცხება და მასთან სრული განადგურება მან მიიღო წასული წლის აგვისტოს ავანტიურაში, როდესაც მან ვერ გაუწია ანგარიში თავის ძალებს და ევროპის სიტყვიერ დაპირებით მოაწყო ცნობილი ავანტიურა. ამან კი სრულიად დაამარცხა და დაასამარა, როგორც მენშევიკური პარტია, ისე მისი არალეგალური ცეკა.—დაუშვათ, რომ ამ ავანტიურას ანუ ამ საქართველოს აჯანყებას (როგორც იგინი ეძახიან) გაემარჯვა. რა მოხდებოდა მაშინ? მოხდებოდა ის, რომ საქართველოს ყველა კუთხეებში და განსაკუთრებით აქ, თბილისში მოხდებოდა წმინდა სამოქალაქო ომი, ომი ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის, ომი მინისტრობისთვის.

ვისთვის არის საჭირო ის უკმაყოფილება, რომელიც იქნება ამის შემდეგ ან იყო დღემდე საქართველოში? უმთავრესათ ბურჟუაზიისათვის, ისინი იტყვიან: თუ ჩვენ ექსპლოატაციას უშვებით შავებს, შეხედეთ სოციალისტურ საბჭოთა რუსეთს, როგორ სტანჯავს პატარა ერებს და განსაკუთრებით საქართველოსო. ასეთივე ინტერესი ასაზრდოებს II ინტერნაციონალსაც, რომელიც ხელზე იხვევს ხელისუფლების წინაალმდეგ უკმაყოფილებებს განსაკუთრებით ჩვენში და ამით იმაგრებს თავის ძალზე შერყეულ პოზიციებს.

ჩვენ ამ გამოცდილების შემდეგ უნდა უეჭველათ გადავსინჯოთ ჩვენი წასული შეცდომები, ზურგი შევაქციოთ ყველა გარეშე ძალებს და ხელი-ხელ ჩაკიდებული ვაშენოთ საერთო საქმე პროლეტარიატის და ღარიბ

გლეხობისათვის, რომლითაც განვამტკიცებთ და გავამაგრებთ საბჭოებს და კომუნისტურ პარტიას.

დაბოლოს ის აცნობს კრებას მომავალი მუშაობის გეგმას და ამოცანებს (თეზისებში).

ამხ. ჩაჩუა აღნიშნავს, რომ უმაღლეს სასწავლებლებშიდაც გული ქონდათ აცრუებული სწავლაზე მოლოდინში, რამაც დააჩლუნგა და გადაგვარების გზაზე დააყენა მთელი ახალგაზრდობა და სხვა.

ამის შემდეგ ლაპარაკობს მუშათა კომისიის წევრი, ძველი მუშა ამხ. ლ. კუპრაშვილი. მის მდაბიო და მასთან დალაგებულათ გადაშლილ ფაქტებს ალტაცებაში მოჰყავს დამსწრე საზოგადოება. ის თითქმის დასაწყისიდან ახასიათებს, როგორც ბოლშევიკურ ისე მენშევიკურ პარტიებს. აღნიშნავს იმ რევოლიუციონურ მუშაობებს, რომელსაც ეწეოდენ კომუნისტები, როგორც მუშათა კლასში ისე ჯარში და ამბობს: „ამ მუშაობით და რკინისებური დისციპლინით მათ შექმნეს მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელსაც ჩვენ კი არ შევებრძოლებით, არამედ ამოუდგებით გვერდში მტრების წინაალმდეგ და უფრო მაღლა ავსწევთ იმ დროშას, რომელიც ჩვენ დროებით ხელიდგან გაუშვით და დღეს ხელში უჭირავს კომუნისტურ პარტიას.“

დაბოლოს ლაპარაკობს ამხ. დუგლაძე, მას დაწვრილებით მოჰყავს თავის გამოცდილებიდან და ნახსოვრობიდან ფაქტები მენშევიკურ პარტიის ხაზის დამარცხებაში. განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთი ავტორიტეტიანი კაცის კუდში დევნამ და ყველა საკითხებში უკამათოდ დამორჩილებამ მთელ განადგურებამდე მიიყვანა ჩვენი პარტიაო. ის სწუხს რომ ამდენ ხანს ვერ ვსთქვით ასეთი სიტყვები და ვერ გადავდგით სათანადო ნაბიჯი, თორემ ის მსხვერპლი არ იქნებოდა, რომელიც აგვისტოში მოხდაო. სიტყვის დასასრულს ამხ. დუგლაძე მოუწოდებს კრებას შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ ინტელიგენტები, ჩვენი ინტელიგენტური ძალით შეიძლება არ ვარგივათ კომუნისტური პარტიის წევრობისათვის, მხოლოდ მუშაობისათვის კი მოწადინებული ვართ და ჩვენი ცოდნა და გამოცდილება უნდა უსათუოდ მოვახმაროთ იმ საქმეს, რომელსაც აკეთებს კომუნისტური პარტია კულტურულ და აღმშენებლობითი საქმეში.“

დასასრულ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

თბილისის კოოპერატიულ ორგანიზაციებში მომუშავე ყოფილ მენშევიკთა და უპარტიო ამხანაგების კრებამ, მოისმინა რა ამხ. ძამანაშვილის მოხსენება „აგვისტოში მომხდარი ავანტიურა და ჩვენი მიხნები“, სავსებით უერთდება ნაძალადევის მუშების მიერ გასული წლის 7—8 ოქტომბერს მიღებულ რეზოლიუციას და აღნიშნავს, რომ საქ. სოც.-დემ. და სხვა ანტი-ბოლშევიკურ პარტიების 4 წლის საწინაამდეგო მუშაობამ ნაყოფი მოგვცა გასული წლის აგვისტოს ავანტიურა. გარეშე ძალეზე იმედების დამყარება მავნე ილიუზიებს ბადებდა და ბადებს ქართველ ხალხში და საბოლო დაღუპვას უქადის მას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 4 წლის არსებობა ნათელს ჰყოფს, რომ ამ წყობილებას მკვიდრი ნიადაგი აქვს მშრომელთა ფართო წრეებში და მისი მთელი ენერგია მიმართულია საქართველოს კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებისაკან.

კრება მოუწოდებს როგორც კოოპერაციაში მომუშავეთ, ისე კოოპერაციაში გაერთიანებულ მშრომელ მასას, გაწყვიტონ ყოველგვარი კავშირი საბჭოთა ხელისუფლებასთან მტრულად განწყობილ ძალებთან, გულწრფელად და ენერგიულად დაეხმარონ ხელისუფლებას საქართველოს კულტურულათ და ეკონომიურათ აღორძინების საქმეში და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ იმ პარტიებსა და ჯგუფებს, რომლებიც არალეგალური თუ ლეგალური საშუალებით სცდილობენ არსებულ წეს-წყობილების დამხობას.

გაუმარჯოს კომინტერნს!
გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!
გაუმარჯოს მთელ საბჭოთა კავშირს!

დამსწრე.

---

## სენაკის მაზრა

ქვე-კომისიის რწმუნებულ ბარნაბა ძველია და ისიდორე პერტიას ინიციატორობით, მოხდა კრებები ძველ სენაკში—1 მარტს, ნოქალაქევეში 5 მარტს და ბანძაში—6 მარტს. ხსენებულ ადგილებში კრებები მოწვეულ იქნენ რაიონული მასშტაბით. მას ესწრებიან ყოფილი მენშევიკები, ახალგაზრ. მარქსისტულ ორგანიზაციის წევრები, უპარტიო ხალხი და სხვადასხვა პარტიის წევრები. კრება ყველგან მრავალრიცხოვანია. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაზე და მენშევიკურ პარტიის ტაქტიკაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბარ. ძველაიამ. მან დაახასიათა მთავარი მომენტები პარტიის ბრძოლისა და განვითარების ისტორიიდან, გაიხსენა ფრაქციების და განხეთქილების წარმოშობის მიზეზები. აგრეთვე შეეხო პარტიის დამსახურებას რევოლიუციონურ მოძრაობის წინაშე და იმ შეცდომებსაც, რომელიც თან დაჰყვა მას და მე-2 ინტერნაციონალს; ვრცლათ განუმარტა მსმენელთ უკანასკნელ წლიბის ტაქტიკა და მოქმედება, რამაც პარტია გადაჩეხა ბანდიტიზმში და ავანტიურაში, რის შედეგათ ვხედავთ პარტიის პოლიტიკურად გაკოტრებას და ერის ფიზიკურად განადგურებას.

მოიხსენია აგრეთვე დასავლეთ ევროპის რეაქციონურათ დარაზმვის საშიშროება: ასეთ მომენტში, სთქვა მან, როდესაც ევროპის ბურჟუაზია აძლიერებს ფაშისტურ ორგანიზაციის დარაზმვას მუშათა კლასის საწინაალმდეგოთ, სოციალისტური თვალსაზრისით მიუღებელია ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა დღემდის პარტია, საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის წინაალმდეგ. საჭიროა კომინტერნის დროშის ქვეშ დარაზმვა ყველა იმათი ვისაც მიზნათ აქვს დასახული მშრომელთა ინტერესების დაცვა; რათა შევქმნათ ერთი მთლიანი ფრონტი კაპიტალიზმის და ევროპის ინტერვენციის წინაალმდეგ.

შემოვიდა წინადადება, რომ ასეთი კრება ყველა თემებში გაიმართოს, რაზედაც რწმუნებულები დასთანხმდენ. ბოლოს იქნა გამოტანილი დაახლოებით შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება სამაზრო რწმუნებულის ბ. ძველაიასი, ამიერიდან ვსწყვეტთ ყოველგვარ კავშირს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და მიზნათ ვისახავთ ხელისუფლების წინაალმდეგ ყოველგვარ ფარულ და აშკარა ბრძოლის ალკვეთას. ვიზიარებთ რა, საბჭოთა პლატფორმას, გვერდში ამოუდგებით ხელისუფლებას და ვაწარმოებთ მასთან გულწრფელ და საქმიან თანამშრომლობას ყოველგვარ აღმშენებლობით მუშაობაში და ამასთანავე საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ერთად ვიბრძოლებთ მუშათა კლასის საკეთილდღეოთ და მისი მომავალ იდეალების განსახორციელებლათ. დავევალოს მუშათა კომისიას იშუამდგომლოს მთავრობის წინა-

შე რათა იქმნეს განთავისუფლებული ციხიდან ის პირები, რომლებიც სხედან საპატიმროში და იზიარებენ მუშათა კომისიის ახალ გზას. შუამდგომლობა გავრცელდეს აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც იმყოფებიან სხვა ქვეყნებში ციხეში ან გადასახლებულნი. შემდეგისთვის კრებები დანიშნულია ნაოღელევის და სალხინოს რაიონებში.

ი. პ—ია.

---

## წალენჯიხის რაიონი

(ზუგდიდის მაზრა)

წალენჯიხის რაიონში კრების მოსახდენათ გაემგზავრა თფილისის მუშათა კომისიის ზუგდიდის სამაზრო რწმუნებულთა თავმჯდომარე ძველი მუშა ამხ. იოსებ კვარაცხელია. ხსენებულ რაიონის ყველა თემებში ის უთითებს ადგილობრივ მუშებს და გლეხებს მენშევიკურ პარტიის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომლისგან საშინელი რისხვა და უბედურობა დაატყდა აგვისტოს გასულს მშრომელ ხალხს.

აცნობს რა საერთაშორისო მდგომარეობას და იმ მომავალს, რომელიც იქმნება დასავლეთ ევროპაში ფაშისტური სახელმწიფოების მმართველი წრეების წყალობით, რუსეთის რევოლიუციაზე საიერიშოთ.

ამისათვის ი. კვარაცხელია, მოუწოდებს მუშებს და გლეხებს კომუნისტებთან მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ, სოციალისტური ოჯახში დაბრუნებისაკენ, რათა კომუნისტებთან ერთად მიიტანონ გააფთრებული იერიშები გამძვინვარებულ შინაურ და გარეულ კაცი-ჭამია ფაშისტებზედ.

ამას ხალხი ხვდება დიდის ენტუზიაზმით, როგორც ყოფილი მენშევიკები, ისე უპარტიოთა ფართე მასსა მუშებისა და გლეხებისა, რომელნიც გამოსთქვამენ სურვილს სრულის გაგებით და შეგნებით გაწყვიტონ კავშირი მენშევიკურ იდეოლოგიასთან და გაბედულათ დადგნენ ახალ გზაზე, ახალის ენერგიით, ბრძოლის წადილით.

უამრავი შეკითხვების და სიტყვების შემდეგ ყველგან, ყველა თემებში ერთხმათ იზიარებენ ნაძალადევის ყრილობაზედ 1924 წ. 7—8 ოქტომბრის გამოტანილ რეზოლიუციას.

დასასრულ სთხოვენ თფილისის მუშათა კომისიას, რათა იშუამდგომლონ უმაღლეს მთავრობასთან, რუსეთში გადასახლებულთა დასაბრუნებლად, ხოლო ამ ჟამად ციხეებში დაპატიმრებულთა გასანთავისუფლებლათ.

წულაია.

---

# მუშათა წერილები

## ა. კ. რკინის გზათა სამმართველოს ექსპლოატაციის სამსახური.

რუსეთის მონარქიის დროს, ამიერ-კავკასიაში საერთოდ და კერძოთ საქართველოში, არც ერთი სახაზინო დაწესებულება არ ყოფილა თავის შემადგენლობით ისე მთლიანათ რუსული, როგორც რკინის გზათა სამმართველო, რომლის ორი ათასზე მეტს მოსამსახურეთა რიცხვთა შორის ქართველს და საზოგადოთ ადგილობრივ მკვიდრთა ელემენტს იშვიათად შეხვდებოდით.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო იყო ბუნაგი კაცი ჭამია ნაციონალისტებისა—რუსთა ბიუროკრატ რუსიფიკატორ-ჩინოვნიკებისა—და, მუდმივი წყარო გოროდცევის მეთაურობით ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ინტელიგენტ ძალებისა,--საბჭოთა წყობილების სისტემამ თავისი შეუდრეკელი ნებისყოფით და ჩვეულებრივი, ისტორიაში შეუდარებელი ენერგიის წყალობით შეატრიალა და ამ ჟამათ წინაალმდეგ სურათს წარმოადგენს.

შედარებით გაწმენდილია პოლიტიკურათ მავნე ელემენტებისაგან;—ადგილობრივ მკვიდრთა და კერძოთ ქართველ მოსამსახურეთა რიცხვი თუ წინეთ თითებზე იყო ჩამოსათვლელი ამ ჟამად რამოდენიმე ასეულს აღწევს—საერთოთ სამმართველოში.

რასაკვირველია ობსოლიუტიურათ ა. კ. რკ. გზათა სამმართველოს პოლიტიკურათ მავნე ელემენტებისაგან განკურნებაზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით ნაადრევია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არსებულ საერთოთ ობიექტიურ და განსაკუთრებით სამმართველოს სპეციფიურ პირობებში, მე ვამბობ, გაკეთებულია იმდენი, რომლის მცირე ნაწილის გაკეთებაც ვერ შესძლეს მენშევიკურმა ხელისუფლებამ.

ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ეროვნული საკითხი, საბჭოთა მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესში, პრაქტიკულათ გატარების დროს, წამოიჭრა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით და იქცა ერთ-ერთ ქვა-კუთხედ საკითხათ, მაგრამ ხელისუფლება ჩვეულებრივი გამბედაობით შეუდგა მის ცხოვრებაში გატარებას, რომლის დაგვირგვინებას ჯერ კიდევ აკლია, მაგრამ წარმოებულ შრომის დადებითი მხარეთ უმთავრესათ აღინიშნება ის, რომ ფართე მასაში შეიქმნა ფსიხოლოგიური გარდატეხა იმ ხრივ, რომ მთავრობა ჭეშმარიტათ არის დაინტერესებული, როგორც სიტყვით, აგრეთვე საქმით, რათა შესაძლებლობის ფარგლებში მისცეს საშუალება ყოველივე ერს აწარმოვოს თავისი რესპუბლიკის საქმე მშობლიურ ენაზე.

ყველაზე მეტი დაბრკოლებები, გაეროვნების საკითხში, შეხვდა რკინის გზას, მიუხედავათ ამისა მაინც არის დადებითი მიხწევანი სამივე რესპუბლიკებისათვის, ვინაიდან ხაზზე უკვე არის დაგროვილი მუშა მოსამსახურეთა რიცხვი, როგორც ეროვნების, აგრეთვე ენის ცოდნისდა მიხედვით, განსაკუთრებით საქართველოში და სომხეთში რომლის დასამტკიცებლათ მკითხველს შეუძლია მიიჩნიოს ქვემოყვანილი ცხრილი.

| ეროვნება | რესპუბლიკები და ეროვნებათა % შეფარდებანი ხაზზე: საქ. | % | აზერბ. | % | სომხეთი | % | სულ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველები . . . . | 3193 | 89.86 | 111 | 4.52 | 20 | 2.77 | 3325 | ცნობები აღებულია ა. წ. პირველ აპრილისთვის |
| რუსები . . . . . | 204 | 5.76 | 1381 | 56.3 | 33 | 4.57 | 1618 | |
| თურქები . . . . . | 3 | 0.08 | 752 | 30.64 | 7 | 0.96 | 762 | |
| სომხები . . . . . | 84 | 2.36 | 119 | 4.84 | 654 | 90.58 | 857 | |
| სხვა ეროვნებანი . . | 68 | 1.94 | 91 | 3.70 | 8 | 1.12 | 167 | |
| სულ . . | 3553 | 100 | 2454 | 100 | 722 | 100 | 6729 | |

ამ რიგათ საქართველოს და სომხეთის ხაზები თავისი პირადი შემადგენლობით ეროვნებისდა მიხედვით სრულიათ მზათ არიან.

საქართველოს ხაზი უკვე თითქმის ქართულად აწარმოებს როგორც შინაგან აგრეთვე სამმართველოსთანაც მიწერ-მოწერას. სომხეთმა ნაწილობრივ დაიწყო და ახლო მომავალში ვფიქრობ გაუთანასწორდება საქართველოს.

ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაშია ადერბეიჯანის ხაზი, რომელსაც აქვს თავისი დამაბრკოლებელი მიზეზები, მაგრამ არის სათანადო ზომები მიღებული მის, ე. ი., მიზეზების გადასალახავათ.

რაც შეეხება **სამმართველოს**, აქაც არის საგრძნობი დადებითი შედეგები დაუღალავი და ენერგიული შრომის გაეროვნების საქმეში; მოსამსახურეთა ეროვნებისდა მიხედვით საკმაოთ დაგროვების სახით, რასაც მოწმობს ცხრილი № 2.

ასე რომ გაეროვნების საქმე საერთოთ რკ. გზაზე და კერძოთ სამმართველოში მიუხედავათ მრავალგვარ დაბრკოლებებისა, თუმცა ნელა, მაგრამ სამაგიეროთ სწორი და ბეჯითი ნაბიჯით პროგრესიულათ მიმდინარეობს და მომავალში სისტემატიური შესწორებების და სათანადო მოსამსახურეთა გადაჯგუფებით დასახული მიზანი მიღწეული იქნება.

ცხრილი № 2

| ეროვნება | მოსამს. რიცხვი | % | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| ქართველები. . . . | 77 | 40.8 | აღებულია ხარჯ-აღრიცხვით მტკიცე შტატი |
| რუსები . . . . . | 66 | 35 | |
| თურქები . . . . . | — | — | |
| სომხები . . . . . | 30 | 15.9 | |
| სხვა ეროვნებები . . | 16 | 8.3 | |
| სულ . . | 189 | 100 | |

საჭირო არის აქვე აღინიშნოს რომ, სამმართველოში მოსამსახურეთა რიცხვი დამოკიდებულია საერთოთ მთელი ხაზის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვზე, ანუ სამმართველოში ეროვნებისდა მიხედვით მოსამსახურეთა რიცხვი უნდა იყოს პროპორციონალურ პარიტეტული, მაგალითათ (იხილეთ ცხრილი № 3) რაც, როგორც ცხ-

| რესპუბლიკები | მოსამს. რიცხვი | % | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| საქართველო . . . | 3553 | 52.8 | ცნობებია უკანასკნელ თვის რიცხვისა |
| სომხეთი . . . . . | 722 | 10.7 | |
| აზერბეიჯანი . . . | 2454 | 36.5 | |
| სულ . . | 6729 | 100 | |

რილების 2 და 3 შედარება გვიჩვენებს არ არის ჯერჯერობით დაცული, მაგრამ სხვა დაბრკოლებებთან ერთათ ეს ნაკლიც შევსებული იქნება.

მე ვმსახურებ სამმართველოს ექსპლოატაციის სამსახურში და, რასაკვირველია, ჩემი ცნობები და მოსაზრებანი შეეხებიან ამ სამსახურს. მხოლოდ ვფიქრობ, რომ თუ ამ მრავალ-რიცხოვან და შედარებით სერიოზულმა სამსახურმა შესძლო მნიშვნელოვანი და წარმატებითი მიხწევანი, სხვა სამსახურებს უფრო ადვილათ შეუძლიათ მისი გატარება, რასაკვირველია თუ გამოჩნდება სათანადო ინიციატივა და მტკიცე ნებისყოფა.

„ახალი გზის“ მე-12 ნომერში ამხ. ვერიტასი სამართლიანათ აღნიშნავს სამმართველოში გაეროვნების ირგვლივ ბევრ და მოფიქრებულ დაბრკოლებებს, მაგრამ ჩემის აზრით ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულზე ხელებ დაკრეფილი ზღვის პირას ამინდს ველოდოთ. მე ისიც ვიცი რომ, ზოგიერთი ამიერ-კავკასიის ეროვნებები სულ უმნიშვნელნი არიან და, რასაკვირველია, იქ დღის-ზვლი-

ობით ზედმეტია ფიქრი სრულ გაეროვნებაზე, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ხელისუფლებას აქვს მიღებული ყველაფერი ეს მხედველობაში და მიისწრაფვის მის გამოსასწორებლად.

მეტი სიმხნევე, გაბედულება, კომუნისტურ ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირი, გულწრფელი თანამშრომლობა და გაეროვნების ფრონტზე, საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, გამარჯვება ჩვენი იქნება.

ს. ტომარაძე.

---

## „მგელს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც მგელი არისო“

ერთს საბჭოთა დაწესებულებაში შევედი. საქმე მქონდა. შევხვდი ერთ ამხანაგ ქალს, ყოფილ მენშევიკს... ჩამოვარდა ლაპარაკი არსებულ მდგომარეობაზე, მუშათა კომისიაზე, მის ორგანო „ახალ გზაზე“ და სხვა... ამ ამხანაგმა გაიზიარა მუშათა კომისიის ხაზი და გამოსთქვა მწუხარება, რომ ასეთი მუშათა კომისია უფრო ადრე არ შესდგა...

იქვე, ამ ამხანაგთან თანამშრომელი, მეორე ამხანაგი ქალი პარტიული გამოდგა... მან ჩვენი ლაპარაკი გაიგონა და შემდეგი სიტყვებით მოგვმართა: „არა ამხანაგებო! მაინც ვერ გენდობით... მგელს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც მგელი არისო... გუშინ იარაღით ხელში გვებრძოდით და დღეს როგორ უნდა გენდოთო“ და სხვა...

მართალია ყველა ამხანაგი კომუნისტი აგრე არ მსჯელობს, მაგრამ სამწუხაროთ ეს ზემოთ აღნიშნული კომუნისტი არც უკანასკნელია.

ბევრი პარტიული ასე უყურებს საქმეს—უნდობლობით გვხდება. მუშათა კომისიის წევრებმა ასეთი, არა მეგობრული, შეხვედრა იგემეს სამეგრელოში, კახეთში და არც თვით თბილისში არის საქმე სავსებით სასურველათ... ეს გარემოება აფერხებს, აღუნებს კომისიის მუშაობას... ბევრი ყოფილი მენშევიკები და უპარტიონი ხშირად მიგვითითებენ ხოლმე ამ არა ნორმალურ მდგომარეობაზე...

აქ საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი: ნდობის მოპოება, აღდგენა უსათუოთ საჭიროა... უამისოთ ჩვენი მუშაობა დიდ ნაყოფს ვერ მოიტანს... არ შეიძლება სავსებით იმ პარტიული ამხანაგების გამტყუნება, რომლებიც ჯერ კიდევ უნდობლათ გვეპყრობიან... ამათ აქვთ ამისი საბაბი... ესენი თავისი საქმის, თავისი პარტიის პატრიოტები არიან... მათ ალაგას ჩვენც უსათუოთ ასე მოვიქცეოდით...

ამიტომ ჩივილი, გაწყრომა, გაბუტვა და განზე გადგომა კი არ გვმართებს ჩვენ ყოფილ მენშევიკებს აქა-იქ შეხვედრილ უნდობლობაზე, არამედ მეტი ენერგიით მათთან მუშაობა, მეტი გულწრფელობა, მეტი ერთგულობა არსებულ ხელისუფლებისადმი, და ნდობაც მოპოებულ იქნება.

მეორეს მხრით ამხანაგმა კომუნისტებმაც უნდა მეტი ყურადღება მოგვაპყრონ... ნათქვამია: „ოჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო“, შეიძლება ჩვენს მუშაობას კიდევ ვერ ეტყობა ის სიმტკიცე, ის სიცხოველე, ის სიკაფე, რაც საჭიროა კომუნისტებისათვის, მაგრამ ამას აქვს თავისი გასამართლებელი მიზეზები.

ვინც დაესწრო 7 ოქტომბრის ყოფილ მენშევიკთა კრებას ნაძალადევში, ვინც მოისმინა გულწრფელი აღსარება სოციალისტ-მებრძოლ მუშებისა—იმათ არას დროს უნდობლობა არ დაებადებათ; ხოლო ზემოდ აღნიშნულ შედარებას, რომ მგელს შვიდი ტყავი, გააძრო მაინც მგელიაო-აქ ალაგი არ უნდა ჰქონდეს... ჯერ ერთი თვით ეს თქმულებაც, ვერაა მახვილი და აზრიანი. მგელს შვიდი—კი არა ერთი ტყავიც რომ გააძრონ ის უკვე მგელი აღარაა... ის ლეშია და ჩქარა გაქრება...

ბოლშევიკ-მენშევიკები ერთნი ვიყავით, ერთნი მიზნისაკენ და პირველად ერთი გზით მივდიოდით... კამათი, მსჯელობა ხომ ყველა ორგანიზაციაშია... ასე იყო ჩვენშორისაც. ხან ერთი მხარე იდგა სწორ ხაზზე, ხან მეორე. ამხანაგმა ზინოვიევმა პარტიის ისტორია დასწერა, ისიცკი აღიარებს თუ სად და როდის იყვნენ მენშევიკები სწორ გზაზე. უმნიშვნელო, პატარა კამათი-უთანხმოება გაიზარდა, გაღრმავდა... ამხანაგი, მეგობრები ერთმანეთს დაშორდენ, გაითიშენ... 1914 წლიდან მართლაც მენშევიზმის ერთი ნაწილი აშკარათ გადავიდა ბურჟუაზიის მხარეს... ასცდა მუშათა ხაზს. მუშები გაიმეტა „ზარბაზნების საკვებ მასალათ“, კაპიტალისტების გულის გასახარათ და სასარგებლოთ...

მენშევიკების დროს საქართველოში ჩვენ მუშებს გვწამდა, რომ ვაშენებდით სახელმწიფოს. და რაკი ჩვენ გვწამდა, რომ ვაშენებდით ნამდვილ სოციალისტურ რესპუბლიკას, რაღა გასაკვირალია, რომ გული გვტკიოდეს იმის გამო, რომ ჩვენმა ამხანაგებმა იარაღით შემოგვიტიეს და, რომ ამ „გულის-ტკივილის“ მოშუშებას დრო უნდა.

ამ „წყლულების“ მოშუშებისათვის ზოგს ოთხი წელი დასჭირდა, ზოგს ნაკლები და ზოგი კიდევ აქნამდე განზე სდგას. ჩვენ მენშევიკურ საქართველოს უფრო მეტი კავშირი და გულწრფელობა აღმოაჩნდა ბურჟუაზიულ ევროპასთან. ამას ჩვენ თუ თავის დროზე ვერ ვხედამდით, დღეს უნდა დავინახოთ...

იმ დროს რუსეთის კომუნიზმი ჩვენ რაღაცა უსაშინელეს ხალხის ტანჯვათ გვეჩვენებოდა...

ჩვენ დაშორებული ვიყავით რუსეთის ამხანაგებისაგან... ჩვენ არ გადაგვხედია თავზე ის უბედურება, რაც წილად ხვდა რუსეთის ამხანაგებს... ჩვენ შედარებით კარგ პირობებში ვიყავით. ჩვენ წარმოდგენაც არ შეგვიძლია იმისი, რა გაჭირვება და ბრძოლა გადაიტანეს რუსეთის კომუნისტებმა...

მეორე ინტერნაციონალი და მისი მიმდევარი მუშები დარჩნენ სადღაც „უჰაერო სივრცეში“... არც აქეთ არიან და არც იქით.

უფრო—კი მეორე ინტერნაციონალის ლიდერები ბურჟუაზიის ბანაკისაკენ მიიწევენ, ხოლო მუშები, საბედნიეროთ კომუნისტებისაკენ შვრებიან პირს...

როგორც ვილსონის ცნობილი 14 პუნკტი გახუნდა, ისე გახუნდა ჩვენი ცნობილი, ისტორიული ფრაზა—„არც აქეთ, არც იქით.“ დღეს—„შუა ხაზი“ აღარ არსებობს.

აქედან წარმოსდგება ის უნდობლობა, რომლითაც ამხანაგი კომუნისტების ერთი ნაწილი ჩვენ გვიმასპინძლდებიან დღესაც, ვინაიდან ჩვენ კარგა დიდ ხანს ვიყავით კომუნიზმის მტრების ბანაკში.

ამ გარემოებას ვიმეორებ გაბუტვა-გაჯავრებით—კი არ უნდა შევხვდეთ-არამედ ჩაუკვირდეთ, სიფრთხილით.

მოვეპყრათ და დრო და ჩვენი მუშაობა მას გამოასწორებს.

ხოლო კომუნისტური-პარტიის ზოგმა, ჩვენ მიმართ, უნდობლობით აღჭურვილმა ამხანაგებმა, უნდა იცვალონ პოზიცია და ცხოვრებაში გაატარონ ამხანაგ კალინინის მიერ თბილისში თქმული სიტყვები, რომ ჩვენ არას დროს არ ვყოფილვართ წინააღმდეგი და არც მომავალში ვკრამთ ხელს ჩვენთან გულწრფელათ სამუშაოთ მოსულ ამხანაგებსაო.

სხვადასხვა დროის ამნისტიები ამას ამტკიცებენ... მაშ მეტი ენერგია მუშაობისა ჩვენის მხრივ—მეტი ნდობა პარტიულების მხრივ და ასე „ტყავის გაუძრობლათ“ გავსწიოთ წინ, მშრომელთა საერთო კეთილ-დღეობისაკენ.

ს. დოლიძე.

---

## გამოთქმული ფიქრები

აგვისტოს დღეებმა ჩვენ თვალწინ ჩაიარა... ყველანი მოწამენი ვართ იმ დამარცხებისა, რომელიც ხვდა წილად აჯანყებულთ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით.

დღეს ბევრი ფლიდობს; ბევრიც თავს იმართლებს; -პილატესავით ხელებს იბანს.

ჩემი შეხედულებით—თავის გამართლება პოლიტიკურათ არავის ძალუძს—პასუხისმგებელი ყველანი ვართ.

და მართლაც, როგორ შეიძლება აჯანყების მოწყობა, რომ არავის სცოდნოდა; და თუ იცოდა და გრძნობდა მიზანშეუწონლობას, რატომ არ ჩაერია და არ დაგმო დასამარცხებლათ განწირული ნაბიჯი.

რა საჭიროა დაფარვა—ბევრი სირაქლემას მზგავსათ მალავდა თავს, რათა თუ გამარჯვება დარჩებოდა, მაშინ გამარჯვებულს ამოუდგებოდა გვერდზე, და როცა დამარცხდა—ეხლა ქვას და გუნდას ესვრის დამარცხებულს და შეაჩვენებს მას, ეს არ არის გულწრფელი; ასეთი გზა მე არ მიმაჩნია სწორათ.

ჩვენ საკითხი უნდა დავსვათ ასე: ჩვენ პოლიტიკურათ პასუხისმგებელი ვართ გამოსვლების მოწყობაში, რომელსაც ადგილი ქონდა აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში... ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ შორსმჭვრეტელობა და მიზანშეუწონლათ, სრულიათ უსარგებლოთ დავღუპეთ ამოდენა სისხლი და ენერგია.

ჩვენ პარტიას დიდი და საამაყო წასული აქვს... მე ამით მუდამ თავი მომქონდა...

ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ის განვლილ შეცდომებს ყოველთვის გამოიყენებდა და განვლილი მძიმე გაკვეთილებით ისარგებლებდა მომავლის სასარგებლოთ.

პარტია ჩვენი ძრიელი იყო მით, რომ ის ეყრდნობოდა მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხკაცობას, როცა ეს მთავარი ბურჯი პარტიის ყოველდღიურ მუშაობაში მონაწილეობას ველარ იღებდა შექმნილ პირობეების გამო და პარტიას განაგებდა, მხოლოდ მასსას ჩამოცილებული „ვერხუშკები„—შეცდომებიც დიდი და მრავალი შეიქმნენ...

სწორეთ ეს ყველაფერი კარგათ გაითვალისწინეს მუშების მოწინავე ნაწილმა და თავის საქმეს თვით მოჰკიდეს ხელი, რათა ერთხელ და სამუდამოთ მოუღონ ბოლო, ყოველივე ავანტიურის შესაძლებლობას. ჩვენ ხალხის ინტერესებს მაღლა ვაყენებთ, ვიდრე პარტიის განყენებულ ავტორიტეტს.

პარტია არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული კლასის ინტერესების დასაცავათ და საკეთილდღეოთ, და თუ ეს მან ვერ შესძლო ე. ი. ვერ გაუწია სათანადო ხელმძღვანელობა—სასაცილოა რომ ეს კლასი პარტიას გადავაყელოთ, პირიქით პარტია უნდა ეწირებოდეს თავის წარმომშობ კლასს.

დღეს ჩვენ პლათფორმას თითქმის ყველა იცნობს...

ჩვენ ვდგევართ საბჭოების პლათფორმაზე, გულწრფელათ თანავმშრომლობთ არსებულ ხელისუფლებასთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ პირში წყალს ჩავიგუბებთ თუ უსამართლობას შევხედეთ—ამას არც ხელისუფლება მოითხოვს.

ჩვენ არ ვაწარმოებთ კრიტიკას კრიტიკისათვის, ოპოზიციას ღვარძლიანს და სააგიტაციოს—რასაც არაფერი სარგებლობა არ მოაქვს, გარდა გაბოროტებისა, არამედ ჩვენ ვამცნევთ მთავრობას სრულიად გულწრფელად, რაც შეიძლება ყოველ დღიურ დატვირთულ საქმიან შრომის პროცესში, მას გამოეპაროს მხედველობიდგან.

ერი წარმოადგენს ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ ერთეულს, და რომ საქმეს ჩაუკვირდეთ ნათლათ დავინახავთ, რომ საქართველოს არსებული ხელისუფლება ამ მხრით, ცხოვრებაში ატარებს მთელ რიგ ღონისძიებათა—ეკონომიურ და კულტურულ დარგებში მის სათანადოთ გასავითარებელ-ასაყვავებლათ.

თუ თავს ცოტა ძალას დავატანთ და პირად ცრუ თავმოყვარეობას და ქინიანობას იქით გადავდებთ, ჩვენ ნათლათ დავინახამთ, რომ ამ მხრით თვით მშრომელი ხალხი არაფერს არ კარგავს და მისთვის სულერთია თუ მისი ეკონომიკის და კულტურის ამყვავებელი ვინ იქნება—ნ. რამიშვილი თუ მამია ორახელაშვილი.

ეს ჩვენ კარგათ უნდა შევიგნოთ—შევითვისოთ. თუ ამ დედა-აზრის გაითვალისწინებს და შეგნება შევსძელით—მაშვინ საკითხი თავის თავათ ამოიწურება;—ის ვისაც გულწრფელათ თავის ერის—საერთოთ კი მშრომელი ხალხის სამსახური სურს, ის მავა საქართველოს სახალხო მთავრობასთან, ითანამშრომლებს და დაანებებს თავს ევროპისაკენ ცქერას, რამიშვილების მოლოდინს...

ეს ყველაფერი კარგი, თქვენ შეურიგდით მოწინააღმდეგეთ, გაუწოდეთ მათ ხელი, გამონახეთ მათთან საერთო ენა, რას ეუბნებით მათ ეინც ბრძოლაში დაიღუპენ, მათი აჩრდილი თქვენ არ მოგასვენებთ და სხვადასხვა ამისთანა და ამათ გვარი სიტყვებით გაგვიმასპინძლდებიან ბევრნი მტერ-მოყვარენი. როგორც ზევით ალვნიშნე—მორალურ პასუხის მგებლობას ვერავითარი თავის მართლება ჩვენ თავიდგან ვერ მოგვხსნის, ხოლო ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ შეცდომას შეცდომა დაუმატოთ; უმიზნოთ და უსარგებლოთ ვახარჯვიოთ ერს ენერგია, როცა შესაძლებელია-ეს ენერგია მიზან შეწონილათ, უმსხვერპლოთ მოხმარდეს მისივე კეთილდღეობას. და სწორეთ ამიტომ ვამბობ—წუწუნი და გულღვარძლიანი მწარე სიტყვების რახა-რუხი—საქმეს არაფერს უშველის.

ბრძოლაში დაღუპული ამხანაგების პატივის ცემა და სიყვარული სხვაზე ნაკლები არ მაქვს და კიდევაც ეს მავალებს, რომ მოუწოდო ყველას მათ პატივის მცემლებს, რომ ისინი შემოგვიერთდენ ჩვენ საერთო მუშაობაში — მშრომელი ხალხის და ერის საკეთილდღეოთ.

თუ ჩვენ შევძსელით ბურუსის გაფანტვა, განდგომილ და მტრულათ განწყობილ საზოგადოების ნაწილის მობრუნება, ერის სასარგებლო შრომაში — მხარი-მხარ მთავრობასთან ერთად ჩაბმა — მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გაღებულ მსხვერპლს უქმათ არ ჩაუვლია.

**ვასო გოგიშვილი**

# ინგლისელი ფაშისტების „გმირობა“

**გარრი პოლიტტის გატაცება**

პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის ორგანიზაციის მდივანი გარრი პოლიტტი მიემგზავრებოდა ლივერპულში კონფერენციაზე დასასწრებლად და დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. სადგურ ეჯმალთან ვაგონს, რომელშიაც ის იმყოფებოდა, მიუხლოვდა ოთხი უცნობი, რომლებიც გარეგნულად სამხედრო პირებს ჰგვანდენ. ისინი თავაზიანად მიესალმენ პოლიტტს და სთხოვეს გამოსულიყო მი*ინგზე ეჯვილში. პოლიტტმა უარი სთქვა ვაგონიდან გამოსვლაზე. მაშინ უცნობნი შევიდნენ ვაგონის განყოფილებაში და მიუხედავად პოლიტტის წინააღმდეგობისა, გამოაგდეს ის ბაქანზე, სადაც მას დახვდა კიდევ ოთხი სხვა უცნობი. პოლიტტი შველას სთხოვდა მგზავრებს და რკინისგზელებს, მაგრამ მისი ხვეწნა უყურადღებოდ რჩებოდა, რადგან თავდამსხმელებმა განაცხადეს, რომ ისინი საიდუმლო პოლიციის აგენტები არიან.

5 თავდამსხმელთაგანმა ჩასვეს პოლიტტი ავტომობილში, რომელიც დაიძრა ჩრდილოეთ უელსის გზით. რამოდენიმე მანძილის გავლის შემდეგ, ავტომობილი გაჩერდა რომელიღაც სასტუმროსთან, რომელშიაც შეიყვანეს პოლიტტი. უკანასკნელს უდიერად ეპყრობოდენ. რამოდენიმე საათის შემდეგ პოლიტტი ჩასვევს ლონდონში მიმავალ მატარებლის ვაგონში, რომელიც დაკეტეს გარედან.

საერთო აზრი ასეთია, რომ პოლიტტის გატაცება ინგლისელი ფაშისტების მოწყობილია.

პოლიტტი აცხადებს, რომ მემარცხენე უმცირესობა ამ ვერაგობას უპასუხებს მასსიური დემონსტრაციით 22 მარტს ლივერპულში, სადაც გამოვა თვითონ პოლიტტიც.

# გაზ. „სპარტაკის“ საყურადღებოთ

„სპარტაკის“ მე-16 №-ში მოთავსებული იყო დეკლარაცია სენაკის მაზრის ახ. მარქსისტთა ერთი ჯგუფის, რომელსაც ამავე გაზეთის მოწინავეში შენიშვნებს უძღვნის ამხ. „ი“.

მას მოყავს ამონაწერი ჩვენი დეკლარაციიდან: „ჩვენ ვიბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ, რადგანაც საკმაო ძალა არ გვქონდა, დავმარცხდით. ევროპის ინტერვენციის იმედებით ვიკვებებოდით. ირკვევა, რომ ევროპა არ არის საქველმოქმედო საზოგადოება...“ და სხვა.

ჩვენ ამით ფაქტი აღვნიშნეთ, თუ რისთვის ვიბრძოდით და რას ვაკეთებდით გასული წლის აგვისტომდე. ყალთაბანდობა, პოლიტიკური უსინიდისობა იქნებოდა გვეთქვა: იმისთვის დავმარცხდით, რომ ჩვენი იდეა არ იყო სწორი თქო. დამარცხების თუ გამარჯვების საკითხს სწყვეტს არა იდეა (რომლის მნიშვნელობას ჩვენ არ ვუარყოფთ) არამედ რეალური ძალთა განწყობილება. იდეოლოგიის მიზან-შეწონილობაზე სოციალისტური თვალსაზრისით შეეჭვება საგრძნობი გახდა ჩვენთვის აგვისტოს ტრაღედიის შემდეგ. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა საერთაშორის პოლიტიკურ კონიუნკტურაში და ჩვენი დაფასებაც, სოციალიზმის პრობლემების და პერსპექტივების არსებითად შეიცვალა. ასეთი გადაფასების შედეგი იყო ჩვენი განცხადება.

ამხ. „ი“-ს კი გამოუტანია დასკვნა რომ „დეკლარაციის ავტორები ზურგს აქცევენ არა მენშევიკებს, არამედ მათ ტაქტიკას, (რომელიც დროებითია) უარყოფენ ამ ტაქტიკას იმიტომ, რომ მან მიიყვანა ისინი დამარცხებამდე“. ასეთი დასკვნების თუ შთაბეჭდილებების ავტორს უთუოდ სიჩქარით მოსვლია ის, რომ ცოტა ზემოთ ჩვენს განცხადებას უწოდებს „გულწრფელს“, „სწორს“ და მას მხურვალედ ესალმება.

ამხ. „ი“-ს საყვედურები შემდეგია:

1. დეკლარაცია სტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მისი ავტორები ზურგს აქცევენ მენშევიკურ ტაქტიკას და არა იდეოლოგიას.

2. დეკლარანტებს ახასიათებს შუა გზაზე დგომის ზომიერი პოზიციის დაკავების ცდა.

3. დეკლარაცია არას ამბობს იმის შესახებ, იზიარებს, თუ არა საქ. ახ. მარქს. ორგ. სალიკვიდაციო ყრილობის დადგენილებებს. ვუპასუხებთ ცალ-ცალკე.

ჩვენ რომ მხოლოდ სოც.-დემოკრატიულ ტაქტიკას უარვყოფდეთ, „რომელიც დროებითია“, როგორც ამას გვწამებს სკეპტიკურად განწყობილი ამხ „ი“, მაშინ ალბათ შევეცდებოდით უფრო „მოქნილი“ ტაქტიკის გამონახვას, დავრჩებოდით ისევ ოპოზიციაში და განვაგრძობდით ბრძოლას. ჩვან კი ძველი პოლიტიკური ხაზის უარყოფასთან ერთად დავდექით საბჭოთა პლატფორმის ნია-

დაგზე სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, ხოლო ინტერნაციონალის საკითხში კომინტერნის პლათფორმა გაეიზიარეთ. Èუ თუ ეს არის მხოლოდ ტაქტიკის უარყოფა? სად არის აქ შუა გზაზე დგომის ტენდენცია?

თუ საბჭოთა და კომინტერნის პლათფორმის მიღება მხოლოდ შუა გზაზე დგომაა, მაშინ კეთილ ინებოს ამხანაგმა „ი“-მ და მიგვითითოს იმ საოცნებო საზღვარზე, სადაც თავდება „შუა გზის“ მეორე ნახევარი. ან და რა პრინციპიალური საკითხები გადასწყვიტა საქართველოს ახ. მარქს. ორგ. სალიკვიდაციო ყრილობამ, გარდა იმისა, რაც ჩვენს დეკლარაციაში არის აღნიშნული“. პრინციპიალურ განსხვავებას ჩვენს და მათ შორის ადგილი არა აქვს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ისინი ადრე, ხოლო ჩვენ უფრო გვიან, მივედით ერთ და იგივე დასკვნამდე—შემოკრბეს მარქსისტულ-რევოლიუციონური ახალგაზრდობა კომინტერნის დროშის ქვეშ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის საბრძოლველად.

ვარლამ ქოიავა.

# კორესპონდენცია

## ლიხაურის თემი

(გურია)

1925 წლის საგლეხო საბჭოს არჩევნები (ჩვენი თემის მასშტაბით) პირველად ლიხაურის თემიდან დაიწყო, ოზურგეთის რაიონში. 2 თებერვალს დილა ადრიან იკრიბებოდა ხალხი სათემო ცენტრში. საარჩევნო ბარათები 1800 ამომრჩეველზე იყო დარიგებული. მიტინგს დაესწრო დახლ. 1300 ხმის მიმცემი. მიტინგი საბაზრო ხელისუფლების თანდასწრებით გახსნა ყოფილ საბჭოს თავმჯ. ამხანაგ გორგოშიძემ.

საბჭოში დასახელებული იყო 60 კანდიდატი. მათ შორის 13 პარტიული. არჩევნების შედეგი კი ასეთი მივიღეთ: 13 პარტიულში 10 გავიდა წევრად, ხოლო დანარჩენები 30 კი უპარტიოთა რიგებიდან. საბჭოს პრეზიდიუმში (აღმასკომში) საბჭოს გაჰყავს 2 პარტიული, ხოლო ერთი უპარტიო. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ არჩევნების დროს არავითარ ტენდენციას ადგილი არ ჰქონია..

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ა/წ. 26 თებერვალს ჩატარებული სათემო საბჭოს არჩევნები ლიხაურის თემისა, ბარომეტრია გურიის მშრომელი გლეხკაცობის სულიერ გარდატეხისა, რაც ააშკარავებს სოლიდარულ ურთიერთობის დამყარებას არსებულ ხელისუფლებასა და უპარტიო მასსას შორის. ნათელმხილებაა მუშათა კომისიების და ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა ბიუროების მოღვაწეობისა.

ჩვენი ხელისუფლების მიერ ამ ჟამად წარმოებული პოლიტიკა უუსწორესი დიაგნოზის გამოხატულებაა. 22-23 წლების განმავლობაში, საზოგადო კრებებს და მიტინგებს გლეხობა გაურბოდა; ის გულგრილობას, თუ გნებავთ, სიძულვილსაც იჩენდა მთავრობისადმი. დღეს კი სრულიად წინააღმდეგი დაგვიმტკიცა სათემო საბჭოს ასარჩევად მოზღვავებულმა გლეხობამ, რომელთა საარჩევნო ბარათებით გადაწითლებული ხელები, ხმის მიცემის დროს, მთლიანად ჯეჯილს მოგაგონებდათ. ჩატარებული არჩევნები, ჰეშმარიტი მხილებაა იმ უფსკრულის ამოვსების, რასაც ადგილი ჰქონდა მასსასა და ხელისუფლების შორის გასაბჭოების პირველ დღეებში.

აქ არ შემიძლია არ დავსძინო, რომ მშრომელი გლეხკაცობა, ოზურგეთის მაზრის აღმასკ. თავმჯდომარე გ. რამიშვილის პიროვნებაში თავის ნამდვილ მეგობარს ხედავს, რისთვისაც გლეხობა ღირსეულად აჯილდოებს მას სათემო საბჭოში საპატიო წევრად არჩევით. გ. რამიშვილის მიდგომა გურიის გლეხობისადმი სწორია. თავისი მიდგომა ამხ. რამიშვილმა გამოამჟღავნა შემდეგი სიტყვებით. „არ არის საჭირო, რომ თემის აღმასკომის თავმჯდომარე შიშხათიანი იყოს, გურულ გლეხს აუხსენი და ის გაიგებს“ო ამხ. რამიშვილის მიერ აღებული ალღო სხვებისთვისაც მისაბაძია, რომ თავმოყვარე და შეგნებული გურული გლეხი ჩაყოლილი იქნას ჩვენს აღმშენებლობით საქმიანობაში,—ვინაიდან აღმშენებლობაა მთავარი ამოცანა საგლეხო საბჭოსი

„ლელი“

# ჭოლა ლომთათიძე

(მისი ნაწერების გამოცემის გამო)

ვის ძალუძს იმის აღწერა თუ ძველმა რეჟიმმა ამ დაუდეგარ, ფიზიკურად სუსტს, მაგრამ სულიერად რკინის ადამიანს, ადამიანური უფლების მოპოებისა და უსამართლობისათვის უაღრესად მებრძოლს, რამდენი ტანჯვა-წამება მიაყენეს, როგორ ძალად ამოგლიჯეს მეტად ლამაზი და ხალხისათვის საყვარელი სული.

ჭოლას ხომ ბავშვობიდანვე არ სწყალობდა ბედი, მისთვის ცხოვრება თავიდანვე გერია. დედის ტკბილი ალერსიც არ ღირსებია. უკიდურეს სილატაკეში ამოიზარდა, მაგრამ მე ხომ ამ პაწია წერილში მისი ბიოგრაფიის წერას არ შეუდგები. მე მინდა მხოლოდ ოდნავ გავუზიარო მკითხველს ის ტანჯვა, რომელსაც იტანდა ჭოლა ნესტიან ციხის კედლებში დატყვევებული ჩიტივით ეხეთქებოდა რკინის ფანჯრებს. მისი სიყვარულით აღსავსე ზღვა-გული ვერ ეტეოდა ამ ვიწრო და ბნელ კედლებში და რადგანაც განთავისუფლების იმედი აღარ იყო ნატრობდა მეტეხის ციხეს, აქაურ მზეს და აქაურ ჰაერს.

მისმა სუსტმა აგებულებამ რუსეთის სუსხი ვერ აიტანა და პირიდან სისხლის დენა აუვარდა. აკ. ჩხენკელის

დახმარებით, (რომელიც სათათბიროში დეპუტატათ იყო) როგორც იყო ავათმყოფი ჭოლა ბათომის ციხეში გადმოიყვანეს, აქედან კი მეტეხში.

არასოდეს არ დამავიწყდება მისი მეტეხში ჩუმდამი შეხვედრა. სანახავად მივედი. გამოუძახეს პირად ნახვაზე (შედარებით პატივისცემით ეპყრობოდენ როგორც ყოფილ დეპუტატს) დამინახა თუ არა, შორიდანვე გაშალა ორივე ხელები და სიხარულით აღტაცებულმა ისე ჩამიკრა გულში, როგორც უზომოდ მოსიყვარულე დიდი ხნის უნახავი მამა ჩაიკრავს საყვარელ შვილს. დიახ, ჭოლას გული უზომო სიყვარულით იყო სავსე. მას უყვარდა თავისი ამხანაგები, თავის მზიანი ქვეყანა, ერი და სამშობლო, მაგრამ ჯალათებმა იმისი ნებაც კი არ მისცეს რომ აქ, თავის სამშობლოში, დაელია განაწამები სული და კვლავ რუსეთის ციხეში გაისტუმრეს მეტად ავათმყოფი ჭოლა.

მიუხედავათ ასეთი სისუსტისა და რეჟიმისა, ის მაინც არ ისვენებდა და სწერდა თავის უკვდავ მხატვრულ მოთხრობებს. სწერდა და თან სამშვიდობოს ისტუმრებდა. ჩქარობდა სიკვდილამდე ამოეწურა თავისი ნიჭი, რადგანაც აშკარად ხედავდა სიკვდილი უახლოვდებოდა თავისი ულმობელი ცელით.

მიუხედავათ სიფრთხილისა მისი ნაწარმოების ნაწილი მაინც უვარდებოდა ჯალათებს ხელში და ცეცხლში იფერფლებოდა. ასე დაუწვეს მაგალითად ჰეინეს საუკეთესო ლექსები, რაც ხელმეორედ გადათარგმნა და გამოგზავნა. რომელიც გამოსცა ბათლომე კილაძემ და იმავე წელში გაიყიდა ყველა.

ჭოლა ციხიდანვე ხელმძღვანელობს მისი მოთხრობების ერთად შეგროვებას და ნატრობს მის ერთად გამოცემას, მაგრამ ამაოდ.

„მე აღარ მეღირსება აქედან ცოცხალი გამოვიდე. დღეს ბევრი სისხლი დავაქციე. ხელები მიკანკალებს, ძლივს ვსწერ, ცხადია სიკვდილი შორს აღარ არის, მაგრამ მე მისი აღარ მეშინია. გადაწერილი მოთხრობა მივიღე. რა მადლობელი ვარ ჩემი სილია, რომ თხოვნა შემისრულე. ეხლა დამშვიდებული ვარ. თითქმის ყველა მოთხრობებს მოუყარე თავი. ვინ იცის იქნება როდისმე ეღირსოს გამოცემა და კარგია ერთად რომ იქნება“ მწერდა ის თავის უკანასკნელ წერილში ასტრახანიდან..

მერე ვისთვის სწერდა და ვისთვის აგროვებდა მომაკვდავი ჭოლა თავის უკვდავ მოთხრობებს თუ არა ჩვენთვის?

მისი სიკვდილის შემდეგ, რამდენი წელი გავიდა და ჩვენ, არ იქნა და არა, ვერ შევსძელით დღემდე მისი იშვიათი, მხატვრული ნაწარმოების გამოცემა.

მის ნაწერებს ბევრი არ იცნობს. ეს ნიჭიერი მწერალი ლამის სრულიად დავიწყებას მიეცეს, რაც არ გვეპატივება ქართველ ხალხს, რაც დიდი დანაშაულობაა. სხვა, შეგნებული ერი იამაყებდა ასეთი ნიჭიერი მწერლით.

ჭოლა სანთელივით დადნა ჩვენთვის, დაიფერფლა. ჩვენ კი, დაგვიანებით მაინც, სამაგიერო იმით გადაუხადოთ, რომ მისი ნაწერები გამოვცეთ და წავიკითხოთ!..

მართალია მისი დასაფლავებისთანავე შეუდგა მაშინდელი მუშათა პრესა მისი ნაწერების გამოცემისათვის ფულის შეგროვებას. როგორც ვიცი კიდეც შეგროვდა ოთხას მანეთამდე, მაგრამ რამდენათაც მახსოვს ის ფული გაზეთისათვის სტამბის შეძენას მოხმარდა. ყველას კარგად გვახსოვს თუ რა ძნელი იყო ძველ რეჟიმის დროს მუშათა გაზეთების გამოცემა, როგორ აჭრელებული გამოდიოდა გაზეთები... მაგრამ დრომ და ვითარებამ ეს „დროებით“ სამუდამოთ გადააქცია და სიცოცხლეში უიღბლო ჭოლას აქაც უმუხთლა ბედმა.

თუ გინდა დარწმუნდე მისი ნაწერების სიძლიერეში, თითონ უნდა წაიკითხო. ის ხელით საგოგმანებელი მარგალიტებია, განსაკუთრებულ სტილით და მანერებით დაწერილი.

და ამ ნაწერების გამოცემა გადავსწყვიტე მისმა ბავშვობიდან მეგობარმა რათაც უნდა დამიჯდეს, მაგრამ მე მარტო ამ სიძვირის დროს ვერაფერს ვერ გავხდები თუ თქვენი თანაგრძნობა და დახმარება არ იქნება ჩემო ძვირფასო მკითხველო.

დიახ, მე თქვენი იმედით მოვკიდე ამ დიდ საქმეს ხელი. სრული იმედი მაქვს ყველა ოდნავ შეგნებული ქართველი გამიწევს დახმარებას ამ ფრიად კულტურულ და სასარგებლო საქმეზე. მომაწვდის თითო მანეთს თვეში კოლექტიურად შეგროვილს, ან საქართველოს ყველა კუთხეში ადგილობრივად გადასცემენ განცხადებაში აღნიშნულ აგენტებს.

საჭიროა რაც შეიძლება საჩქაროდ შეგროვდეს ცნობები თუ რამდენი ცალია საჭირო დაახლოვებით მაინც, რომ ამის თანახმად შევუდგეთ ბეჭდვას. ორივე ტომი ჭოლას სურათით და ფაქსიმილეთი უნდა გამოვიდეს აუცილებლად ივნისის შუა რიცხვებში.

„ჩვენ, ჭოლას ნაწერებიდან ჰონორარს არ ავიღებთ. ჩემი და ჭოლიკოს სურვილი არის რაც კი ერგება, მოხმარდეს კულტურულ საქმეს ჭოლას სოფელში ხიდისთავში. იქ გაიხსნას კარგი სამკითხველო ჭოლას სახელზე —მწერენ მოსკოვიდან მისი ყოფილი ცოლი და შვილი ჭოლიკო.

ვიმეორებ ვისაც კი უყვარდა ჭოლა, პატივს სცემს მის ხსოვნას და აფასებს მის იშვიათ მხატვრულ ნაწერებს, მიუხედავათ ფულის კრიზისისა და სიღარიბისა დაუზარებლად გადასდებს თვეში ერთ მანეთს და საჩქაროდ მომაწოდებს კოლექტიურად შეკრებილს, რომ მეც დროიანად შევუდგე ამ დიდ საქმეს და პირნათლად შევასრულო ის.

**სილ. თავართქილაძე.**

---

# ჩვენი ფოსტა.

**წალენჯიხა (ზუგდიდის მაზრა) რწმუნებულს.** მოიწერეთ რამდენი ცალი გამოგიგზავნოთ ჩვენი გაზეთისა.

**გ. ცისშვილს.** თქვენი მისალმება „ახალ გზას“ გამოგზავნეთ პროზათ, ლექსი არ წავა.

**ჩაქვი. სოკრატ წ—ს** მოიწერეთ ხოლმე მსგავსი წერილები. შემთხვევით ეს წერილი დაიკარგა.

---

სარედაქციო კოლეგია: **მ. ძამანაშვილი**
**ლ. კუპრაშვილი**
**პ. ხურცილავა**
**კ. მაჭარაძე**
**ა. გვიმრაძე**

მთავლით №: 425 **პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8.** ტირაჟი—2500.

წლიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 29 მარტი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11–68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9–1 საათამდე | № 15

## გულმტკივნეულობა.

ჩვენ გვინდა მუშათა კომისიის მიერ 7—8 ოქტომბერს ნაძალადევის თეატრში კრებაზე მიღებული დადგენილება,--გატარებულ იქნას ცხოვრებაში.

ამ კრებას დაესწრო ათას ამხანაგამდე ძველი სოც.-დემ. პარტიული მუშებისა. ამის შემდეგ მოხდა მთელი რიგი კრებებისა თბილისის სხვადასხვა მუშათა უბნებში და ყველგან გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, შეთანხმებული 7—8 ოქტომბერს გამოტანილ რეზოლიუციასთან.

მიღებულ რეზოლიუციის თანახმად, კრებებზე დამსწრე ამხანაგები ფიცსა სდებენ, გულწრფელად ითანამშრომლონ საბჭოთა ხელისუფლებასთან და ხელი შეუწყონ მის მიერ წარმოებულ კულტურულ და ეკონომიურ აღმშენებლობითი მუშაობას.

მიმდინარე თვის 11 რიცხვს, ნაძალადევში კვლავ მოხდა მთავარ სახელოსნოს, თბილისის კვანძის და დეპოს მუშების კრება, რომელიც განმეორებით ავალებს მუშათა კომისიას გაორკეცებული ენერგიით აწარმოოს დაწყებული მუშაობა.

მუშათა კომისიამ უკვე ჩამოიარა თითქმის ყოველი კუთხე საქართველოს მშრომელი მოსახლეობისა და ყველგან კრებებზე, გამოიტანეს დადგენილება, სადაც აღიარებენ საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელ თანამშრომლობის აუცილებლობას, მის დაწყებათა დამთავრებაში მხურვალე მონაწილეობის მიღებას და მის ყოველგვარ მუშაობაში ენერგიულ ხელის შეწყობით.

ხოლო ყოველი ამის ცხოვრებაში გატარებისთვის საჭიროა ერთი რამ, რაც ასე აშკარათ გამოსთქვამს ხოლმე ყოველ კრებაზე ან და რედაქციისადმი მოწერილ მუშათა წერილებში.

მუშები გამოსთქვამენ იმ გულმტკივნეულობას, რომელსაც აქვს ხოლმე ადგილი, როცა ისინი მიდიან სამუშაოთ კომუნისტ ამხანაგებთან და ბევრი მათგანი ჯერ კიდევ უნდობლობით უცქერის მათ მოქმედებას,—არ იღებენ ზომებს მათს მუშაობაში ჩაბმისას.

ასეთი მოქცევა ზოგი პარტიული ამხანაგისა, რასაკვირველია, არ არის მართებული.

მით უმეტეს ეხლა, როდესაც უპარტიოთა მუშაობაში ჩაბმა დღის წესრიგშია დასმული მმართველი ხელისუფლების მიერ.

მართალია, ამაში წილი მიგვიძღვის ჩვენც, რადგან წლების განმავლობაში არ ვეკარებოდით საქმეს, მტრულად ვიყავით განწყობილი, შორიდან ვიცქირებოდით და გვიხაროდა ყოველი მათი მარცხი.

მაგრამ, ეხლა ამას ბოლო ეღება! ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჩატეხილი ხიდი და ამისთვის საჭიროა ნაკლები ყურადღება მივაქციოთ პირად პატივ-მოყვარეობას, საქმით და ჭეშმარიტი გულწრფელობით დავამტკიცოთ ჩვენი გადაწყვეტილება! უნდა აღვადგინოთ ნდობა!

და თუ ეს შესრულებული არ იქნება,—მაშინ „კედლების აშენებისთვის, ყოველი შრომა დაკარგულია!..“

არის კიდევ მეორე ნაირი შემთხვევა გულმტკივნეულობისა, რასაც ხშირად თბილისის დეპოს და ტრამვაის მუშები სჩივიან ხოლმე.

მრავალ საპატიო და არა საპატიო მიზეზების გამო, ბევრი ამხანაგი, რომელსაც ათეულ წლების განმავლობაში თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში გაუტარებია დრო, ციხე-ბორკილი—გადასახლება საკმარისათ უგემნია,—ახლა უპარტიოთა რიცხვში ითვლება.

სამაგიეროთ პარტიაში იმყოფებიან ბევრი ისეთი პიროვნებანი, რომელთაც იმ გააფთრებული ბრძოლის დროს, არა თუ მიუღიათ მონაწილეობა, არამედ განზე დგომით, ხელიც შეუშლიათ მათთვის!..

და აი, როდესაც ძველს, რევოლიუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილ უპარტიო ამხანაგს, ყოფილ მენშევიკს, გადაწყვეტილი აქვს გულწრფელად დადგეს საბჭოთა პლატფორმაზე და იწყოს მუშაობა,—მას ხშირად უხდება, მიმართოს ისეთ ამხანაგს, რომელიც მასზე ნაკლებათ მომზადებულია,—ის კი, მას უყურადღებოთ ექცევა, ან სრულიადაც არ იკარებს საქმისთვის.

გულნატკენი ამხანაგი, თავს ანებებს, ვიდრე გამოდისო ამბობს, ისევ განზე დგება და ამნაირათ არ ხდება ამხანაგური კავშირი და გრძელდება ისევ გათიშვა.

უნდა აღინიშნოს რომ უკანასკნელ ხანებში ასეთ მოვლენებს უფრო ნაკლები შემთხვევა აქვს და იმედი უნდა ვიქონიოთ, მალე სავსებით მოისპობა კიდეც.

# ჩვენი სოფელი

ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს უმთავრესად გლეხურ ქვეყანას: მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას ყოფილი გლეხები წარმოადგენენ.

მაშასადამე უმთავრესი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიპყრობილი გლეხის ცხოვრებისა და მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გლეხის ცხოვრებას აქვს სამი მხარე: ქონებრივი, გონებრივი და უფლებრივი.

გაუმჯობესება უნდა შეეხოს ყველა ამ მხარეს, უამისოდ იქნება ცალიერი ლაპარაკი ჩვენი გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე; გლეხს კი მარტო ლაპარაკი წინეთაც არა სწამდა, ახლა ხომ სრულებით აღარა სწამს.

მუნჯი იყავი და საქმე კი აჩვენე,—აი ჩვენი გლეხის შეხედულება.

რევოლიუციას უნდა მოჰყოლოდა ქონების გადაჯგუფება, მიწა უნდა ჩამორთმეოდა მას, ვინც მას არ ამუშავებდა და გადასცემოდა მიწის მუშას.

ეს ასეც მოხდა ჩვენში.

შეცდომები აუცილებელია.

დაკვრითი წესით მიწის რეფორმის გატარებას ზოგ ალაგს ის შედეგი მოჰყვა, რომ შედარებით ღონიერ გლეხს ჩაუვარდა მიწა ხელში, ღატაკი-კი ისევ ღატაკად დარჩა.

რა თქმა უნდა შემდეგ და შემდეგ ეს შეცდომა ნელნელა გამოსწორდება.

მაგრამ აშკარაა შემდეგი:

მარტო მიწის რეფორმით ჩვენი გლეხის ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდა და ვერც გაუმჯობესდებოდა იმდენათ, რომ გლეხი სავსებით უზრუნველყოფილი იყოს.

მაშ რა არის საჭირო გლეხის ქონებრივი მდგომარეობის წინ წასაწევად? ბევრი რამ.

უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის დაყენებას მეცნიერულ ნიადაგზე.

მეურნეობის ძველის-ძველი წესის გამო ჩვენს გლეხს სრულებით ვერ აკმაყოფილებს ის მიწა, რომელიც მის ხელთ არის.

ჩვენმა გლეხმა რომ იცოდეს მიწის ისეთი დამუშავება, როგორც განათლებულ ქვეყნებშია, მაშინ მისი ქონებრივი მდგომარეობაც სრულებით სხვა იქნებოდა.

მეურნეობის უვარგისი წესიდან ევროპიულზე გადასვლა მეტად ძნელი საქმეა: ამას უნდა დიდი დრო, დიდი შრომა, დიდი ხარჯი. მიუხედავად ყოველივე ამისა, ხელისუფლება უნდა მტკიცედ დაადგეს ამ გზას, უამისოდ ჩვენი სოფლის დაწინაურება და განახლება ყოვლად შეუძლებელია, აქ პრაქტიკული მუშაობა და თეორეტიული ერთად უნდა სწარმოებდეს.

საჭიროა საცდელი მინდვრები, ინსტრუქტორები, აგრონომები, პრაქტიკულად მომზადებული მასწავლებლებლები, სამეურნეო სკოლები, კურსები, საუბარი, ლექციები, წიგნაკები და სხვ.

ჩვენა გვგონია, რომ პირველ ხანებში საკუთარი ძალლონით ამ საქმეს ვერ მოვაწესრიგებთ: საჭიროა, ევრობიდან მოეიყვანოდ პრაქტიკულად მომზადებული ინსტრუქტორები, რომ მათის დახმარებით შევუწყოთ ხელი ჩვენი სოფლის მეურნეობის დაყენებას ახალს ნიადაგზე.

მეურნეობის აყვავება შეუძლებელია იქ, სადაც მიმოსვლა არ არის გაადვილებული. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. სოფლებში სულ ცოტაოდნად რიგიან გზას ვერსად ვერა ნახავთ და თითქმის ყველა კუთხე მოწყვეტილია ცენტრს რკინის გზის უქონლობის გამო.

რკინის გზა აუცილებელია მთელს კახეთში ალაზანს გაღმა, ახალციხესა და ახალქალაქში, სამხრეთ ოსეთში, ზემო იმერეთში, რაჭა ლეჩხუმში, ოდიშში, სვანეთში.

ჩვენი ქვეყნის მდებარეობა, ბუნება და გეოგრაფიული პირობები იძლევიან დიდ შესაძლებლობას მეურნეობის ყოველგვარი დარგის გასავითარებლად და ასაყვავებლად, მაგრამ ამისათვის თვითონ ჩვენ დღემდე არასფერი არ შეგვიქმნია: არა გვაქვს ცოდნა, არა გვაქვს გზა. უამისოდ კი მეურნეობის აყვავება კი არა, ბატის მოშენებაც კი არ შეიძლება.

მეურნეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ სარწყავი არხები. ჩვენში ბევრგან გლეხს მთელი წლის მოსავალი ელუპება, მხოლოდ იმის გამო, რომ სარწყავი არხი არ გააჩნია.

ხელისუფლებამ მიაქცია უკვე ყურადღება ამ გარემოებას და ამ დარგში უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული, ბევრიც კეთდება.

მეურნეობის აყვავება შეუძლებელია ისე, თუ თვითონ სოფელი არ არის გონებრივად მომზადებული ამისათვის.

ჩვენი სოფლის მდგომარეობა ამ მხრივ უნუგეშო იყო და დღესაც უნუგეშოა; წერა-კითხვის უცოდინარი ძალიან ბევრია, ბევრგან სკოლა ჯერაც არ არსებობს.

სოფლად უნდა გამრავლდეს სამკითხველოები და მოეწყოს მოძრავი ლექციები ზაფხულობით, ბუნდოვანი სურათებით მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან.

მეურნეობაში ძალიან დიდი მნიშვნელრბა აქვს ჯიშიან საქონელს: ძროხას, ღორს, ხარს, ცხენს. ჩვენში ჯერჯერობით ძალიან ცოტა ყურადღება აქვს მიქცეული მეურნეობის ამ დარგს.

მეურნეობის გასაუმჯობესებლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის განოყივრებას სხვადასხვა გვარი სასუქით.

ასეთი სასუქის დასამზადებლად ევროპაში ბევრგან არსებობს სპეციალი ქარხანა.

ასეთი ქარხნები აუცილებელია ჩვენშიაც.

თუ გადავავლებთ თვალს გლეხის უფლებრივ მდგომარეობას, დამაკმაყოფილებელ სურათს ვერ მიიღებთ.

ჩვენი გლეხი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, საკმაოდ შეგნებულია და მომზადებული.

მან იცის, თუ რა არის მოქალაქის უფლებები და ამ უფლებებს ის აფასებს.

სოფლის მოხელემაც რომ დაინახა, რომ სოფელი იმის ხელშია, რა თქმა უნდა, გადააჭარბა თავის უფლებებს. ბევრს ეს ბოროტი განზრახვით კი არ მოსდიოდა, არამედ მოუმზადებლობით, უცოდინარობით.

დიდი შეგნება და მომზადება უნდა ჰქონდეს მოხელეს, რომ მან დამოუკიდებლად აწარმოვოს სწორი მუშაობა და პოლიტიკა, როდესაც უფროსის მაგარ ხელს არა გრძნობს და ანგარიშს ჯრავის უწევს თავის მოქმედებაში.

ადგილობრივი მოხელე დარწმუნებული იყო, რომ ადგილობრივ ის იყო სრული გამგე და უპასუხისმგებლო მმართველი.

სოფლის მოხელე დარწმუნებული იყო, რომ ადგილობრივად, მხოლოდ მის გამგებლობაში იყო ყოველისფერი.

აქედან წარმოიშვა კანონის დარღვევა, უფლებათა გადაჭარბება, უსამართლობა და ძალმომრეობა.

გლეხობის ჩაბმით საალმშენებლო მუშაობაში ყოველივე ამას ბოლო ელება, მაგრამ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად ადმინისტრატიულ აპარატს და უნდა იყოს გარკვეული და მკაფიოდ შემოფარგლული ყოველი თანამდებობის პირის კომპეტენცია, რომ გლეხს ველარავინ მიმართოს ასეთი სიტყვებით: ადგილობრივ ყველაფერი ჩემი საქმეა, მთავრობას აქ ხელი არა აქვსო.

მაშინ ყოველ მოხელეს ეცოდინება თავისი საზღვარი, მთავრობის პრესტიჟი სოფლად გაიზრდება, გაიზრდება გლეხობის ნდობა და სიყვარული და აღარ ექნება არავითარი გასავალი პროვოკაციას.

**ივ. გომართელი.**

---

# წითელი „სპეცი“

ეს სახელწოდება „წითელი სპეცი“ რევოლიუციის პატრიოტიზმით არის წარმოშობილი და მას უნდა მოვეპყრათ ფაქიზათ და დიდის სიმპატიით, და მან არ უნდა მიიღოს ყალბი სახე, რომ წითელი „სპეცის“ სახით არ უნდა მოგვევლინოს მახინჯი, არ უნდა მოგვატყუოს მისმა დროებითმა წითელმა ტანისამოსმა შავ და ჩირქიან სხეულზე რომ ექნება წამოსხმული. ამას ავალებს ყველა სინდისიერს და პატიოსან რევოლიუციონერს რევოლიუციის პატრიოტიზმი. რევოლიუციას ყოველთვის ყოლია მტრები და ეს უფრო თვალსაჩინოა დღეს, რუსეთის რევოლიუციის განვითარების ხანაში, როცა ის, საფრთხეს წარმოადგენს ბურჟუაზიულ იდეოლოგიისათვის. „ჩვენი უმთავრესი მტერი უცოდინრობააო“, ამბობს მხცოვანი ლენინი და ის, რა თქმა უნდა მართალი არის; მაგრამ ჩვენ უდგებით ამ დიდი კაცის დიად სიტყვას ისე, როგორც ეს საჭიროა და, როგორც ეს ესმოდა ლენინს? წითელი სპეცი, ეს ლენინის ლოზუნგია, მაგრამ ლენინს ის კი არ უთქვამს, რომ წითელ სპეცათ ჩაოვალეთ ყველა, ვინც თავის თავს ასეთად უწოდებსო მას ყავდა სახეში ისე პიროვნება, რომელსაც ყოველივე სპეცისათვის საჭირო ღირსება თან უნდა ხლებოდა. როგორი უნდა იყოს წითელი სპეცი? ის უნდა იყოს რწმენით რევოლიუციონერი, ის უნდა იყოს სრული მომზადებული იმ პროფესიის დარგში, რომლისთვისაც ის იქნება მოწოდებული და არა ზერელეთ გაცნობილი.

ავიღოთ პირველ შემთხვევაში ბუხჰალტერი. ის უნდა იყოს საშუალო ან სამოქალაქო სკოლის კურს და ბუხჰალტერიის სპეციალურ კურს დამთავრებული. ავიღოთ რკინის გზის დარგის პატარა სპეცი—სადგურის უფროსის თანაშემწე, ის უეჭველად უნდა იყოს საშუალო სასწავლებელ დამთავებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ გამოდგება ამ დარგში; რატომ? იმიტომ რომ, მას დიდი პასუხსაგები პოსტი უკავია, მან უნდა იცოდეს ზედმიწევნით ყველა ტეხნიკური და კომერციული წესები და ბრძანება დადგენილებანი, რომლის მიხედვითაც ის უნდა ეწეოდეს რკინის გზის და საზოგადო მოღვაწეობას. და რომ ეს მან შეითვისოს ამისათვის უეჭველად საჭიროა საშუალო სასწავლებლის დამთავრება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სუსტი მცოდნე იქნება და ის ვრამც თუ ზარალს მოუტანს სახელმწიფოს, არამედ კატასტროფის წინ დაგვაყენებს. თუ ასეა საქმე ამ პატარა სპეცის შესახებ, რა უნდა ვსთქვათ უფრო დიდ პოსტებზე, როგორიც არის: მოძრაობის რევიზორი, განყოფილების უფროსი მოძრაობის უფროსი, გზის უფროსი და მასზე ზევით? რა თქმა უნდა ამათ უეჭველში მოეთხოვებათ საშუალო სასწავლებლიდან დაწყებული უმაღლესი სწავლის დამთავრება სპეციალურ საგნების ცოდნასთან ერთად. სამწუხაროთ დღეს ეს ასე არ არის, არ არის გაგებული ისე როგორც ამას დიადი ლენინი მოითხოვდა, არამედ შებრუნებული სხვანაირად, რაც ჩემის აზრით საზიანოა სახელმწიფოებრივის და თვით რევოლიუციონურ თვალსაზრისითაც.

სპეციალურ პოსტზე რომ წითელი სპეცის სახელით დაჯდე, არ კმარა მარტო თუნდ დამსახურებული რევოლიუციონერობა, არამედ უნდა გქონდეს ცოდნა, იმდენი რომ ადვილად შეითვისო 60 წლის განმავლობაში თეორეტიულად და პრაკტიკულად განმტკიცებული ტეხნიკური სახელმძღვანელო, ურომლისოთაც ერთ წუთსაც არ შეიძლება მოძრაობაში მოიყვანო რკინის გზაზედ სულ პატარა გზის ოსტატის ურიკალაც კი (ვაგონეტკა), რომლითაც ხელსაწყო გადააქვთ მუშებს ლიანდაგის პატარა მანძილზე.

და სწორეთ ამას რომ არ ექცევა სათანადო ყურადღება და სპეცები ინიშნება ასეთ საპასუხისმგებლო ადგილებზე მიხედვით (რკინის გზა), იმიტომ ჰქონდა ერთის შეხედვით თითქო პატარა უმნიშვნელო, მაგრამ თუ კარგათ ჩაუკვირდებით, გვარიან მოზრდილ კურიოზს ადგილი რკინის გზაზე, რომელსაც მე აქ არ დავასახელებ, რადგან ის პიროვნება ისედაც მიხვდება და ალბათ გამოასწორებს კიდეც თავის შეცდომას. ერთი გვარიან დიდ პოსტზე მყოფი უფროსი ესაყვედურება მეორეს, ცოტა მასზე დაბლა მდგომ უფროსსავე: რატომ ესა და ეს არ შესრულებულაო. იმიტომო, მიუგო მან, რომ ტეხნიკური წესების მიხედვით ეს ყოვლად დაუშვებელიაო. უფროსი გაწყრა, როგორ შეიძლება ყოველთვის წესებს და კანონებს უყუროდ საქმის გაკეთების დროსო.

და თუ ასეთ დიდ პოსტებზე მიჩვეულან დაინიშნონ ასეთი წითელი სპეცები, რაღა ითქმის პატარა სპეცებზე.

ეხლა აღებენ რკინის გზაზედ ტეხნიკურ სპეც აგენტების სკოლას და როგორც ვიცით იქ, სასკოლო მომზადებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ჩემის აზრით ეს პირდაპირ დაუშვებელია და დანაშაულიც. ამ დარგში, თუ ცოდნა არა აქვს 6 კლასის მაინც, ის ვერ შეითვისებს ყველა მას, რაც მისთვის საჭიროა და ის არამც თუ ტრანსპორტისათვის საჭირო სპეცი არ იქნება, არამედ საშინელ კატასტროფის წინაშე დააყენებს გზას და უბედურება იქნება ხალხისათვის.

აზას მე მალაპარაკებს ჩემი რევოლიუციონური სინიდისი და სიყვარული რევოლიუციონური სახელმწიფოს და ხალხის. გაიგებს ვინ-ე კარგი, არა და მე მაინც ჩემ მოვალეობას ვიხდი რამდენადაც შემიძლია.

ლ. კუპრაშვილი.

# ახალგაზრდა მარქსისტები ახალ გზაზე

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება, მისი ზრდა და განვითარება დაიწყო 1917 წლიდან. ამ ხნიდან ის თავის არსებობის უმთავრეს მოტივად მუდამ აყენებდა თეორეტიულ მომზადებას—მარქსიზმის შესწავლას.

იგი ცდილობდა პოლიტიკურ პრაქტიკულ მუშაობაში ნაკლები მონაწილეობა მიეღო, რათა კულტურულ ორგანიზაციის მიზნებს არ გასცილებოდა.

როცა მისი განვითარების მსვლელობის დროს წამოიჭრა საკითხი, თუ რომელ ინტერნაციონალის მხარეზე ყოფილიყო, რომელ კავშირში შესულიყო, აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა II-რე ინტერნაციონალის მხარეზე იყო და მას გაჰყვა კიდეც.

აქედან ცხადია საქართველოში ახალგაზ. მარქ. ორგანიზაცია მენშევიკების გავლენის ქვეშ მოექცეოდა. ეს ასეც მოხდა.

გასაბჭოების შემდეგ, იყო ცდა ლეგალურ მუშაობის, და მისი მიზანი იყო წმინდა კულტურული მუშაობა, როგორც უპარტიო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ მარქსიზმის შესწავლას, მაგრამ მას ამის საშვალება არ მიეცა და ამიტომაც იყო, რომ კულტურული მუშაობის ასპარეზი არალეგალურ პირობებში მოექცა. და აი სწორედ ამ გზაზე შემდგარი ახალგ. მარქ. ორგანიზაცია მალე მოექცა მენშევიკურ პარტიის გავლენის ქვეშ. რა იყო ამის მიზეზი? თავისთავად ცხადია არალეგალურ პირობებში ყოვლად შეუძლებელი იყო მარტო კულტურული საქმიანობა. ცხოვრებამ მას პირველად კითხვები დაუყენა წინ და აქედან ცხადია დაუკავშირდა მონათესავე ორგანიზაციას, შეუთანხმდა მას და ამის შემდეგ მენშევიკების შეცდომები მისივე შეცდომებიცაა...

მაგრამ რა ობიექტიური პირობები იყო, რამაც შესაძლებლად გახადა ახალგ. მარქსისტებს ასეთი პოზიცია დაეკავებიათ? ეს იყო გასაბჭოების პირობები და ეროვნული საკითხი, რომელიც ასე მწვავეთ იდგა ჩვენს წინაშე. იმ თავითვე ჩვენ ვიცით ძველი რუსეთი აწარმოებდა ჩვენს მიმართ დაპყრობით პოლიტიკას, ის ატარებდა საქართველოში რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ის ავიწროებდა ქართველ ხალხს და მის ეროვნულ-კულტურულ ინტერესებს და ამიტომაც იყო ნაციონალური საკითხი მეტად მტკივნეულ საკითხად გადაქცეული.

მთელი სამი წლის განმავლობაში თანდათან შორდებოდა რუსეთის სინამდვილეს საქართველოს მუშა-გლეხობა და ახალგაზრდობა: რაც მეტად წინ უახლოვდებოდა ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები, მით უფრო სიძულვილი იზრდებოდა ქართველ ახალგაზრდობაში, და ადგილობრივი პრესა, რომელიც სულ იმას გაიძახოდა, რომ მოდიან იმპერიალისტები, უნდათ მოსპონ ქართული ენა, გაანადგურონ ეროვნული კულტურა, აღადგინონ ძველი რუსეთი, დაიპყრონ, კოლონიათ გაიხადონ და სხვა, ყველა ეს კიდევ უფრო აშორებდა ქართველ ახალგაზრდობას რუსეთის პროლეტარიატისაგან. სწორეთ აქ აყო ჩვენი უმთავრესი შეცდომები. და აი, მოხდა კიდეც ფაქტი საქართველოს გასაბჭოებისა და ახალგ. მარქ ორგ-ცია ასცდა თავის დანიშნულებას, ის გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე, გადავიდა საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში, გამოუცხადა რა სასტიკი ბრძოლა, გადმოისროლა ლოზუნგი „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“.

ცხოვრებამ მალე დაგვანახვა სინამდვილე, უაზრო ბრძოლაზე მალე ავიღეთ ხელი და თანდათანობით დავრწმუნდით, რომ ოქტომბრის რევოლიუცია იყო წმინდა პროლეტარული რევოლიუცია, რომ ნაციონალურ საკითხას გადაჭრის შესაძლებლობას ის უფრო იძლეოდა. ნათელი შეიქნა, რომ ევროპის კონფერენციები, დაპირებანი, მოლოდინი, იმედი, გამოულეველი და დაუსრულებელი იქნებოდა, რომ იურიდიული ცნობა საქართველოსი, ეს მხოლოდ ფიქცია იყო; დაბოლოს დავინახეთ, რომ კომუნისტებს არა თუ ეჯავრებათ კულტურა, სძულთ ეკონომიკა, არამედ მისი აღდგენის და განვითარებისაკენ აქვთ მთელი თავისი ყურადღება მიქცეული.

სცდებოდა მთელი თაობა, მთელი ხაზი შემცდარ გზაზე იდგა, მთელი მიმართულება, და ამას მხოლოდ დღეს მიხვდა ქართველი მშრომელი მასა და ახალგაზრდობა, ეს იმიტომ, რომ ახლო მივედით საბჭოთა ხელისუფლებასთან, გავიცანით აღმშენებლობა, დაუახლოვდით მას და დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა მოასწავებს საშინელ რეაქციის გამარჯვებას, რომ ჩვენ მის წინააღმდეგ ბრძოლით ხელს უწყობთ საერთაშორისო ბურჟუაზიის გამარჯვებას. კომუნისტური პარტია ერთა თვითგამორკვევის პრინციპს იცავს, ის დღეს სცდილობს, რათა სულ ჩამორჩენილი პატარა ერი გაუთანასწოროს და უფლება მოუპოოს მას. ის მოუწოდებს და ყოველგვარი ზომებია მიღებული, რათა ყოველმა ჩამორჩენილმა ერებმა საბჭოთა კავშირში, თავის ენაზე შექმნან, აღორძინონ და ააყვავონ ეროვნული კულტურა.

„თვითეულმა ერმა უნდა მიიღოს თვითგამორკვევის უფლება“—ამბობდა ლენინი—და ეს ხელს უწყობს მშრომელთა თვითგამორკვევას, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ არა ვცნობთ არავითარ ფინლანდიის ერს, არამედ მხოლოდ მშრომელ მასას ეს იქნებოდა ცარიელი და უშინაარსო წამოძახილი! არ ცნობა ყველა იმისა რაც არის—არ შეიძლება; იგი თვით გაიძულებთ იცნოთ იგი“.

დღეს არა აქვს ადგილი ეროვნულ შუღლს, ჩაგვრას, ბრძოლას, არამედ ჩვენ ვხედავთ მტკიცეა ეს კავშირი. პროლეტარიატის ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ ბოლო ელება ეროვნულ უნდობლობას. მე-12 ყრილობამ ბევრი რამ გააკეთა ეროვნულ საკითხში. (იხ. მე-8 ყრ. სტენოგრ. ანგ. გვ. 48).

დღეს არის შესაძლებლობა ყრილობების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების, ქართული ენა ტარდება ყველა დაწესებულებებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ მეურნეობამ დაიწყო და განაგრძობს აყვავებას და აღორძინებას. აი, ყველა ეს ნათელი შეიქმნა მშრომელი ხალხისათვის, რომ დღევანდელი პირობები დიდ შესაძლებლობას იძლევა ერას ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებისას და რომ არც ერთ სხვა ხელისუფლებას არ შეუძლია მეტის მიცემა. უკეთებს რა ჯამს ყოველივე ამას დღეს ქართველი ახალგაზრდობა უბრუნდება თავის მშობლიურ კერას. დღეს ახალგაზრდობა ებმება საბჭოთა აღმშენებლობაში, მას სითამამე მიეცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისათვის. ეს ასეა, ამ 3 წლის წინეთ ეროვნულ უნდობლობის ნიადაგზე აღმოცენებულმა შიშმა, გარიყა ისინი და კონტრევოლიუციონერების ბანაკში მოაქცია. და დღეს ისევ ამ ნაციონალური საკითხის იმ გვარად გადაწყვეტამ, როგორც მოითხოვდა ამას ერის ეკონომიურ-კულტურული ინტერესები, მანვე ხელი აალებინა მათ უაზრო და ავანტიურისტულ ბრძოლაზე. საკითხის ასე გადაჭრა აღმოფხვრის საბოლოოდ იმ არალეგალურ ჯგუფებს, რომლებიც კიდევ დარჩენილან თითო-ოროლა და განაგრძობენ უაზრო ბრძოლას ახალგაზრდა მარქსისტებმა უნდა სთქვათ თავის საბოლოო სიტყვა, ვინაიდან ამას მოითხოვს დღევანდელი სინამდვილე. ჩვენი მოვალეობაა მოუწოდოთ მათ, რომ თავი ანებონ ყოველგვარ ლეგალურ თუ არალეგალურ მუშაობას. ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ და ეკონომიურ მუშაობას ახალგაზრდული ენერგიით, რევოლიუციონური ენტუზიაზმით და ღრმა რწმენით, რომ გამარჯვება ჩვენია.

შ. სანაძე.

# რევოლიუცია

ბებერ ისტორიას გაუსკდა საშო
და გადმოჰყარა წითელი თესლი...
იქ, სადღაც მთებში ჰკივის ზარნაში
და ცრემლებს აფრქვევს შხამით და გესლით.

არის მოვლენა უძლიერესი,
ახალ იერის მძლე ეკლესია.
შეიპრა ყველას გულში ერესი
და მტვერ წაყრილი აიკლო სია.

მიწამ მოძებნა ახალი რკალი.
მოლლილი სული ფართო ველს ეძებს.
მოვიდა რისხვით მეხი, გრაგანი:
ცეცხლი გაუჩნდა აქ მზის ნამცეცებს.

მოდის ფიქრები უჩვევ ცახცახით...
რა გადაიტანს სიტყვათ ურდოებს.
უცნობი ქალი, ელვარე სახით,
მოგვაწვდის დაუნის დაკვალთულ რტოებს...

გაიპო უცებ სივრცე და განი...
სალამი კრძალვით ცეცხლის ტაროსებს.
ამოვარდნილი აწ ურაგანი
მიწისკენ დაგრის ამ კვიპაროსებს.

დაიყო მიწა ურიცხვ ლარებად.
მზე ჩვენთან არი სხივთ ნაკადებით:
არის ძვირფასი, უცხო ხარება...
ხორც ისხამს ფიქრი დანაქადები.
ეს მოვლენაა უზენაესი...

აპოლონ კონტრიძე.

# თფილისს

სალამი ქალაქს,
სალ-კლდეზე ნაგებს,
სალამი მაღალ
მთათა გალავნებს;
სალამი ქარხნებს
და აცხანაგებს,
რევოლიუციის
წითელ ფალავნებს.

ქალაქო! შენი
ფერადი გული
და ელექტრონის
ელვათა კვესა,
ისე მაქვს გულზე
ამოქარგული,
როგორც მტკვრის სარკეს
მთვარე-პრინცესა.

ჰოი, ქალაქო!
შენ გიყვარ ხმაურს,
მილიონ ხალხთა
მდინარის დენას,—
მივდევ და მივდევ,
როგორც უცნაურ
ზღვის თოლიების
ტალღებზე ფრენას.

ქალაქო მომსწრევ
უხსოვარ დროთა,
გადიდებულო
დღეს უფრო მეტად,—
ვგონებ, რომ არ გყავს
ახალი შოთა,
ახალ ეპოქის
ახალ პოეტად.

გ. ქუჩიშვილი.

# სურათები წარსულიდან.

(მოგონება—მასალა მოთხრობისთვის)

I.

ძღვნად ძველ ამხანაგებს.

ასე იყო...

ეს იყო შორეულ წარსულში. ათეულ წლების წინათ. ხან კი მგონია ეს გუშინ იყო...

მგონია მას შემდეგ რამდენჯერმე გადავიცვალე და კვლავ დავიბადე!

კარგი იყო ის დრო!

გინახავთ თქვენა, მთის გორაკზე გადმოხეთქილი ანკარა წყარო! წმინდა, როგორც პირველი ფიფქი თოვლი და სპეტაკი, როგორც ყინული!

გულგაშლილია და ისე ლაღად მოჩხრიალებს, თითქო ზღაპარს უამბობს გვერდზე გაშლილ ველ-მინდორსა...

მისი გული ფაქიზია, როგორც სარკე,—მცირე კენჭსაც კი გაარჩევთ იმის ფსკერში!..

არ გეგონოთ იქ რაიმე უსუფთაობა შეჩერდეს!

სადაც გული სპეტაკია, სადაც პირველი ჩქეფია, პირველი აზრი,—იქ ყველაფერი წმიდაა, ამაღლებული, ჯაცისკროვნებული!

ასე იყო იმ დროსაც, როცა პირველათ იწყო მუშათა უბანში დენა სოციალისტურმა აზრებმა...

მიყვარს წარსულის მოგონება, იმიტომ რომ იგი ჩემია, ჩემ-მიერ განცდილი, შეადგენს ჩემს ნაწილს, ჩემს არსებაშია დარჩენილი...

წარსული,—რაც უნდა მწარე იყოს მისი სახე, მაინც ტკბილია, ალერსიანია. არას დროს ყოფილა იგი ლმობიერი ჩემთვის, მაგრამ მაინც მიყვარს იგი!

**„ამხანაგო!"**

როგორ იყო? ჰო!.. მახსოვს პირველად, რომ ვხმარობდით ამ სიტყვას: „ამხანაგო!.."

ამხანაგო... და ეს იყო ნამდვილი, გულწრფელი გამოხატულება ამ სიტყვის მნიშვნელობის! როგორი დაახლოება, კაცობრიული—ნათესაური გრძნობა ღვიოდა ამ სიტყვის ხმარებასთან!

ამხანაგო!.. და თვალები ბრწყინდებოდენ, როგორც ახლად შეძენილ კეთილის დროს!

ამხანაგო!.. და იბმებოდა ერთი-ერთ შორის უხილავი ძაფი, ნაზი და ალერსით სავსე!

ამხანაგო!.. და გრძნობდი ახალ ძალას, ენერგიას, გატაცებას, აღფრთოვანებას... გონებით გადადიოდით შორს, უცხო ზღაპრულ ქვეყანაში, სადაც იქნებოდენ მხოლოდ ამხანაგები...

ამხანაგო!.. უნდა მოისპოს ბოროტება და დამყარდეს შრომის სამეფო! უნდა მოიპოოს მუშამ უფლება!

რა გზით წავიდეთ ამხანაგო, როგორ გავაკეთოთ? როგორ ვიმოქმედოთ?

და ვმოქმედებდით, ვაკეთებდით.

**ასე.**

ჩვენ სამნი ვიყავით, სამივე ახალგაზრდა. ულვაშების ალაგს ბუსუსი გვქონდა,—ჩანასახი ულვაშების. თვალები წკრიალა, სახე გატაცებული, რწმენა უდრეკი, ღიმილის გაპობილი ტუჩები, სიყვარული საქმის და გადავარდნა დაუფიქრებელი.

ვსწავლობდით, მაგრამ გულისყური მუშათა უბნისკენ გვქონდა მიპყრობილი. გვქონდა კავშირი თბილისის სოც.-დემოკრატულ კომიტეტთან. ჯერ კიდევ „საქმეში" არ ვიყათ ჩაბმული.

ეს იყო, 1901 წელს. საღამოს ჩვენს ოთახში მოვიდა ამხანაგი, გვითხრა: ხვალ პირველ მაისობის დემონსტრაცია დანიშნული შუა ბაზარში. ამოიღო პროკლამაციები უბიდან, ჯიბიდან და გადმოგვცა. გვითხრა: ეს უნდა გაავრცელოთ ამაღამ ქუჩებში...

ვეცით პროკლამაციებს. ვკითხულობდით ლამაზ სიტყვებს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! პირველ მაისობა... მუშათა დღესასწაული... დემონსტრაცია ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ..

გულში ღიზინი იშლებოდა, თვალებში ნაპერწკალი...

დავიტაკეთ ფურცლები, ჩავილაგეთ უბეებში, გავინაწილეთ ქუჩები და გაუდექით გზას.

ყოველ ალაყაფის კარებში ვისროდით თითო ცალს. შესავალ კარებში, თუ ღია იყო, შევდიოდით და კიბის ძირას ვტოვებდით ორ-სამ ცალს.

და გული სძგერდა, თვალები გაფართოებული გვქონდა, როგორც ქურდს ქურდობის დროს.

ქუჩაში გამვლელი ყველა ჯაშუში გვეგონა.

ჩვენი გულ-ზვიადობა კი უაღრესი იყო. ვამაყობდით, რომ ხვალინდელ დიდ საქმეში, ჩვენც ჩვენი წვლილი გვექნებოდა შეტანილი.

თითქმის ერთ და იმავე დროს დავბრუნდით ოთახში სამივე. ვუამბეთ ერთმანეთს, თუ როგორ ვავრცელებდით ფურცლებს. დიდ ხანს არ დაგვეძინია, ხვალინდელ დღეზე ვფიქრობდით...

**„ბუნტი იარმუკაში."**

გათენდა. კვირა დღე იყო. 22 აპრილი.

„22აპრილს, 22 აპრილს, არ დაივიწყებს ჩამომავლობა!.."

მაშინ პირველ მაისობის დემონსტრაცია, ძველი სტილით 18 აპრილს ხდებოდა, ხოლო სადემონსტრაციოთ მახლობელი კვირა დღე ინიშნებოდა.

მზიანი დღე იყო! ან როგორ შეიძლება ეს დღე უმზეო ყოფილიყო!

შუა ბაზარი ემზადება ჩვეულებრივ კვირა დღის ვაჭრობისთვის. გამოაქვთ ქუჩაზე სხვა და სხვა საქონელი, სდგამენ მაგიდებს, ზედ აწყობენ ჭურჭლეულობას, ქვაბებს, სარკეებს... ავეჯეულობის კუთხე აფერადებულია სხვადასხვა ზომის და ფერადების სკამებით, მაგიდებით, შკაფებით..

იქვე გაშლილ ფარდაგზე ყრია მრავალნაირი რკინეულობა: კლიტე, გასაღები, გაზი, ნაჯაგი და სხვა.

ბუკინისტსაც გამოუტანია თავისი ძველი თუ ახალი წიგნები და გადაშლილი გაემწკრივებია გძელ მაგიდაზე.

ვაჭრები ხელებს იფშვნეტენ და ცდილობენ კოხტად და ლამაზად გააწყონ თავისი ნივთები. მუშტრები მუშტრული თვალით ათვალიერებენ საგნებს, აივლ-ჩაივლიან საგნებს დააკვირდებიან, ხელით სინჯავენ, მერე ისევ თავს მიანებებენ და გაყვებიან რიგს. ზოგი იქით მიდის, ზოგი აქეთ. ერთმანეთს ეჯახებიან, მხრების რხევით, ტალღის მსგავსად ერთმანეთში იბნევიან.

არის ჟრიამული, ყვირილი. გაძახილი. ვაჭრები თავთავის საქონელს აქებენ, აჭკივიან: აქეთ, აქეთ!.. იაფად! მუშტარს არწმუნებენ ფიცით, საგნის შექებით,—რომ ასე იაფად ეს საქონელი არსად იშოვება.

მუშტარი უმეტეს შემთხვევაში მდაბიო ხალხია; დაბალი მოხელის ცოლი, მუშა, ქალბატონის მსახური, მზარეული, სალდათი, შეგირდი, ხელოსანი და სხვა.

ეს ალაგი იყო დანიშნული სადემონსტრაციოთ.

ნინოშვილის ბაღში ვისხედით და ვუცდიდით დანიშნულ დროს.

შორიდან ვხედავდით ჯგუფებათ მიმავალ შავ ბლუზიან მუშებს. ვიცოდით, რომ სადემონსტრაციოთ მიდიოდენ.

ერთს რკინის ალაყაფიან ეზოში თავ მოყრილ შეიარაღებულ ცხენოსან ყაზახებს, მოვკარით თვალი.

ჩვენ ხან ვუახლოვდებოდით სადემონსტრაციოთ დანიშნულ ალაგს, ხან დავშორდებოდით. ვღელავდით, ერთ ადგილს ვერ ვისვენებდით!

დღეს უნდა ითქვას პირველი მქმედი სიტყვა თბილისის პროლეტარიატის. დღეს უნდა სიცხადეზე გამოაშკარავებულიყო მუშის გულში ნადები და გაეგო ბურჟუაზიულ ქვეყანას, რომ იგი მასთან საბრძოლველად ირაზმება, რომ შორს არაა ის დრო, როცა მუშა დაკოჟრებული ხელებით დაამსხვრევს ბორკილს..

დღეს უნდა აფრიალებულიყო წითელი დროშა თბილისის შუა გულში!

მოულოდნელათ მოგვესმა რევოლვერის სროლა.

ამ დროს ნინოშვილის ბაღის ზევითა ნაწილში ვიყავით.

შემოვტრიალდით და დავეშვით ქვეით. მორბივართ. —ჩვენსკენაც მორბიან. გვეძახიან: იქით ნუ მიხვალთ, ბუნტია, ბუნტი...

ჩვენ კი გასწრაფებით მივეშურებოდით, გულში ვნაღვლობთ რომ გაუშვით მომენტი. ვინ იცის თვალი ველარ მოვკარათ აფრიალებულ წითელ დროშას!..

გავცილდით ბაღს და შივაშურეთ იქით..

მორბიან ჩვენსკენ, ზოგი იქით, ზოგი გაშტერებული დგას, იქ კი, ჩოჩქოლია. არეულობა.

თვალი მოვკარით მაღალს, გამხდარს,—წვერიან მუშას, რამდენიმე „გოროდოვოი“ რომ მისეოდა და ხელიდან ჰგლეჯდენ წითელ დროშას. მისივე გვერდით მეორე მუშას გძელი ჯოხი კიდევ ხელში ეჭირა და გაშმაგებით იგერიებდა მისეულ ყაზახებს...

ერთ კუთხეში ჯგუფი მუშებისა, არეულ-დარეული, ეტანებოდა „გოროდოვოის“—დაჭერილ ამხანაგის გასანთავისუფლებლათ.

იყო ჯგუფური შეხლა-შემოხლა! იბრძოდენ არეულათ...

იყო სირბილი გაურკვეველი, ავეჯეულობის მტვრევა... მათრახების ტყლაშუნი...

აჯანყებულ ჯგუფების ხან იქით, ხან აქეთ მიხეთქება...

სადღაც სროლა კანტი-კუნტი...

ჩვენც დაბნეული, აბნეული, ხან ერთს სურათს შევაჩერდებოდით, ხან მეორეს. გავიქცეოდით და კვლავ შევჩერდებოდით, რა უნდა გვემოქმედნა არ ვიცოდით.. მხოლოდ მაშინ გავედით მეორე ქუჩაზე, ორიოდე მათრახი რომ მოგვხვდა ყაზახისა.

შუა გული ქუჩისა დაცალიერდა. ხალხი გაიფანტა.

და თარეშობდენ მხოლოდ ყაზახები.

ორს-სამს „გოროდოვოის“ ჩაუჭერიათ ქუდ მოგლეჯილი მუშა და მოათრევენ ცემა-ტყეპით.

შევამჩნევდით მუშის ბრაზიან სახეს, მაგრამ იმავე დროს გაბრწყინვებულ თვალებს...

აგერ სდგას განცვიფრებული ვაჭარი, რომელსაც თავი ვერ მიუნებებია თავის საქონლისთვის და გამოურკვეველი სახით დასცქერის დაბნეულ ნივთებს, არ იცის რა მოხდა, რისთვის მოხდა!..

დაჭერილი ამხანაგები მიდიოდენ, როგორც გმირები, რომელთაც თავის მოვალეობა შეასრულეს; გულზვიადები, გამარჯვებულები...

ქუჩა სავსებით დაიცალა. მიწყნარდა.

— ვა, ბუნტი იყო, აი!.. სულ დეპოს ბიჭები იყვნენ!..

ერთმანეთს ეუბნევიან ვაჭრები.

— ვა, მერე ამ ზარალს ვინ ამინაზღაურებს!..

უიმედოთ ეკითხებოდენ ისინი ერთმანეთს.

— მერე, რა გვინდაო, რისთვის ბუნტობენ?..

ეკითხებოდა მოსახლეობა განცვიფრებული.

იმ დღეს, თბილისის მიდუნებული ცხოვრება ძალუმად შეინძრა.

ყველა ბუნტზე ლაპარაკობდა...

**ბუნტის შემდეგ—დღიურიდან.**

**დ. ლიხელი.**

# დიდი დანაკლისი

22 მარტს—დღით 11 საათსა და 50 წუთზედ თბილისის აეროდრომიდან სოხუმისაკენ გაფრინდენ იუნკერსით აფხაზეთის საბჭოების ყრილობაზედ დასასწრებათ ა. თ. მიასნიკოვი, გ. ა. ათარბეკოვი და ს. გ. მოგილევსკი.

გამოურკვეველ მიზეზების გამო თვითმფრინავმა თბილისის მიდამოებშივე 5 ვერსის მოშორებით განიცადა საშინელი ავარია.

იუნკერსი ცეცხლის ალში გახვეული დაეშვა ძირს. შავი ბედისწერითა და ულმობელობით დაიღუპენ ჯერ

კიდევ ჯანღონით სავსე—რევოლიუციონური ცეცხლით აგზნებული კომუნარები. მათთან ერთათ ავიაციას მოაკლდა ორი საუკეთესო მფრინავი, იოსებ შპილი და ამბაკო სალარაძე.

ჩვენში თითქმის არავინ მოიძებნება, რომ არ გაეგონოს სახელები ამ მოულოდნელათ მებრძოლ რიგებიდან გამოკლებულ ამხანაგების. ყველა იცნობდა ალექსანდრე თედორეს ძე მიასნიკოვს: ის იყო ა/კ ს. ს. ფ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის და ა/კ წითელ დროშოვან არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი, ა/კ საოლქო კომიტეტის მდივანი „ზარია ვასტოკას“ რედაქტორი, რუსეთის კომპარტიის (ბ) ცეკას წევრობის კანდიტატი და საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი. ამითაც არ ამოიწურებოდა მისი მუშაობა და გავლენა კომუნისტურ პარტიაში და მთავრობის საქმიანობაში.

გ. ა. ათარბეკოვსაც რამოდენიმე მეტად საპასუხმგებლო თანამდებობანი ეჭირა ა/კ ფარგლებში: ასრულებდა მოვალეობას ა/კ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრისას, იყო ა/კ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე,—ა/კ რ. კ. პარტიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის ცაკის წევრობის კანდიდატი.

ს. გ. მოგილევსკი თავისი მუშაობით უფრო ცნობილია რ. ს. ს. რესპუბლიკაში. ჩვენში ის ჩამოვიდა 1922 წელს—ამ ხნიდან იწყება მისი სხვა და სხვა მოვალეობის შესრულება ა/კ ფ. რესპუბლიკაში. უკანასკნელ ხანებში ის თავმჯდომარეობდა ა/კ საგანგებო კომისიას, არჩეული იყო ა/კ ცაკის წევრათ და ა. კ საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიტატათ.

ასეთი ტრაღიკულათ დაღუპვა სამი თვალსაჩინო პარტიის წევრის, ისიც ერთად, მოულოდნელათ, დიდი და ძნელათ ასანაზღაურებელია კომუნისტურ პარტიისათვის. ყველას დაუთუთქა გული ამ ულმობელმა მარცხმა.

საბედისწერო შემთხვევაა; ჯერ კიდევ სამარეში არ იყო ჩაშვებული, პარტია არ გამოსალმებოდა თავის დაუღალავ თანამებრძოლს აღმოსავლეთის ერების მოამაგეს ნარიმანოვს, რომ თავს ასეთი მწუხარება დაატყდა.

ჭეშმარიტად მძიმეა დანაკლისი, მაგრამ მშრომელი მასები მას შეავსებენ ახალი ძალებით, ახალი თავგანწირვით საუკეთესო მომავლისათვის.

# ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

### ამხ. ალექსანდრე თედორეს ძე მიასნიკოვი

დაიბადა დონის ნახიჩევანში 1886 წ. საშუალო განათლება მიიღო ნახიჩევანის სომხურ სასულიერო სემინარიაში, რომლის დასრულების შემდეგ, ის შევიდა მოსკოვის აღმოსავლეთ ენების ლაზარევის ინსტიტუტში, მეშვიდე კლასში.

1906 წელს, ლაზარევის ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ის შედის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1905 წლიდან ამხ. მიასნიკოვი მუშობდა კომუნისტურ პარტიის რიგებში, ჯერ ბაქოში, შემდეგ სტუდენტობის დროს ხელმძღვანელობდა სხვადასხვა წრეებს მოსკოვში.

იმპერიალისტურ ომის დასაწყისთანავე იგი გაიწვიეს ჯარში და რევოლიუციამდე ის იყო დასავლეთის ფრონტზე.

ამხ. კრილენკოს შემდეგ, ამხ. მიასნიკოვი აირჩიეს მთავარ-სარდლათ. 1918 წელს იგი მუშაობდა სმოლენსკში.

ენერგიული პარტიული, სამხედრო და საბჭოთა მუშაკი, ამხ. მიასნიკოვი ამავე დროს დიდ ინტერესს იჩენდა კულტურისა და განათლების საკითხებისადმი. უშუალოდ მის სახელთან არის დაკავშირებული სმოლენსკის უნივერსიტეტის, გაზეთ „ზვეზდა“-ს, უდიდეს ბიბლიოთეკის დაარსება და სხვა.

სმოლენსკიდან ამხ. მიასნიკოვი მალე გაიწვიეს მოსკოვში. (მან დაიწყო მუშაობა მოსკოვის კომიტეტში, პირველად, როგორც სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ) ის იქ აირჩიეს მოსკოვის კომიტეტის მდივნათ. მოსკოვის კომიტეტში ამხ. მიასნიკოვი მუშაობდა. სომხეთის გასაბჭოებამდე. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ მიასნიკოვი დაასახელეს სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ.

1921 წლის ზაფხულის დასაწყისში ის ჩამოვიდა ერევანში და 1922 წლის მარტის 12-მდე დაჰყო იქ.

ამხ. მიასნიკოვი იყო საკავშირო საბჭოს ერთ-ერთ თავმჯდომარეთ და აგრეთვე ეკონომსაბჭოს თავმჯდომარეობდა.

ამხ. მიასნიკოვი პოლიტიკურ, პარტიულ, საბჭოთა და სამხედრო მუშაობასთან ერთად ეწეოდა. სალიტერატურო მუშაობასა.

### ამხ. ათარბეკოვი.

დაიბადა 1891 წ. ერევნის გუბერნიაში, სოფ. ეჩმიაძიანში.

სწავლობდა ბაქოს პროგიმნაზიაში, იქიდან გადავიდა ერევნის გიმნაზიაში, სადაც მოუსწრო 1905 წ. რევოლიუციამ.

1909 წ. ერევნის საგუბერნიო ჟანდარმების სამმართველოს განკარგულებით გაჩხრიკეს ამხ. ათარბეკოვის ბინა, მაგრამ ვერაფერი უნახეს.

1910 წ. გიმნაზიის გათავების შემდეგ წავიდა მოსკოვში და შევიდა იქ უნივერსიტეტში იურიდიულ ნაწილზე.

მალე დააპატიმრეს და განთავისუფლების შემდეგ იმავე წელს, იძულებული იყო დაეტოვებია მოსკოვი.

1911 წ. დაბრუნდა მოსკოვში ხელახლა შევიდა უნივერსიტეტში და მუშაობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) სტუდენტების წრეში.

ამხ. ათარბეკოვი მხნეთ მუშაობდა პოლიტიკურ კომიტეტში, კალედინის და დენიკინის საწინააღმდეგო რაზმებში და ჩრდილოეთ-კავკასიის საგანგებო კომისიაში, სადაც თავმჯდომარის თანამდებობას ასრულებდა.

1918 წლის დასასრულს ჩრდილოეთ-კავკასიიდან ბოლშევიკებმა დაიხიეს ასტრახანისკენ.

1919 წ. აგვისტოში წავიდა მოსკოვში. იქიდან გაგზავნეს მამონტოვის ფრონტზე განსაკუთრებულ ნაწილის უფროსად და ტრიბუნალის თავმჯდომარეთ.

შემდეგ გაიწვიეს მოსკოვში და დანიშნეს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის განსაკუთრებულ ნაწილის საიდუმლო საოპერაციო განყოფილების უფროსად.

დენიკინის განადგურების და როზოვის აღების შემდეგ ამხ. ათარბეკოვი დანიშნეს როზოვის რევკომის თავმჯდომარედ.

ბაქოს აღების შემდეგ გაემგზავრა ბაქოში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის რწმუნებულად.

შემდეგ, 1921 წელს, სომხეთში, სადაც იღებდა მონაწილეობას აჯანყების ჩაქრობაში, როგორც კავკასიის ფრონტის რევოლიუციონური საბჭოს რწმუნებული.

სომხეთში ასრულებდა აგრეთვე რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას.

საქართველოს გასაბჭოებისას ამხ. ათარბეკოვი ჩამოვიდა ტფილისში, სადაც დღემდის მუშაობდა, როგორც ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი.

**სოლომონ გრიგორის ძე მოგილევსკი.**

დაიბადა 1885 წელს. მისი მამა ებრაელი ვაჭარი იყო.

თავდაპირველად სახლში სწავლობდა, შემდეგ კი ქ. პავლოგრადში.

1902 წლიდან, გიმნაზიაში ყოფნის დროს, მონაწილეობდა რევოლიუციონურ მოძრაობაში და მუშაობდა გიმნაზიელების და მუშების წრეებში.

1903 წლიდან ის დაუღალავად მუშაობდა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში.

1904 წელს, ზაფხულში, ამხ. მოგილევსკი დააპატიმრეს.

1904 წელს საზღვარ-გარედ წავიდა.

ჟენევაში ის გაეცნო ამხ. ლენინს და შევიდა ბოლშევიკების ჯგუფში.

1905 წელს სოლომონი ისევ რუსეთში დაბრუნდა და განაგრძობდა რევოლიუციონურ მუშაობას.

1906 წელს გადავიდა ქ. ლენინგრადში და აქ მუშებში დიდ მუშაობას ეწეოდა.

1916 წელს მეფის მთავრობამ ამხ. მოგილევსკი ჯარში გაიწვია და გააწესეს უმწყობრო ნაწილში, ქ. მინსკის ახლო.

რევოლიუციის შემდეგ ქ. მინსკის საბჭოში აირჩიეს. მონაწილეობას ღებულობდა პარტიის მიერ გამართულ აპრილის კონფერენციაში.

1917 წლის განმავლობაში მოსკოვის კომიტეტის დავალებით გაემგზავრა ჩრდილოეთის ფრონტზე ბოლშევიკურ ორგანიზაციებში სამუშაოდ. შემდეგ წავიდა ქ. ივანოვო-ვოზნესენსკში და მუშაობდა ფეიქართა კავშირში, საგაფიცვო კომიტეტში და სხვა.

ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ ისევ დაბრუნდა ქ. ივანოვო-ვოზნესენსკში, სადაც მუშაობდა ფეიქართა კავშირში, აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად, წარმოების კომისრად, იუსტიციის კომისრად და რევტრიბუნალის თავმჯდომარედ.

1918 წლის გაზაფხულზე გადავიდა მოსკოვში და მუშაობდა იუსტიციის სახალხო კომისარიატში.

1919 წელს პარტიის დავალებით ამხ. მოგილევსკი გაემგზავრა კიევში იუსტიციის სახალხო კომისარიატში სამუშაოდ.

1919 წ. ჯარის პოლიტიკურმა სამმართველომ ამხ. მოგილევსკი გაგზავნა სამუშაოთ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში.

1922 წლიდან ამხ. მოგილევსკი მუშაობს კავკასიაში.

ამერ-კავკასიის საბჭოების ყრილობაზე ამხ. მოგილევსკი აირჩიეს ამ. ერ-კავ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარეთ.

**მფრინავი შპილი.**

დაიბადა 1892 წ. ვესერბურგში (ბავარიაში). 1912 წ. ის შევიდა სამხედრო სამსახურში გერმანიაში. 1920 წ. მფრინავად შევიდა „იუნკერს"-ის საზოგადოებაში გერმანიაში. 1923 წ. ჩამოვიდა რუსეთში. 1924 წ. გადმოვიდა ამიერ-კავკასიის საავიაციო საზოგადოებაში. ჩამომავლობით მუშაა, გლეხის შვილი. მისი ოჯახი, ცხოვრობს ვესერბურგში. ყავს დედა, ორი და, ერთი ძმა. ყველა მის ხარჯზე ცხოვრობს.

**მფრინავი ამბაკო ერმოლოზის-ძე სალარაძე.**

დაიბადა რაჭაში, ქ. ონში. ის იყო გლეხის შვილი, უპარტიო.

გიმნაზიის გათავების შემდეგ 1915 წ. შევიდა საავიაციო კურსებზე. საქართველოს გასაბჭოების დღიდან მსახურობდა მფრინავად ტფილისის ჰაეროდრომზე.

# საქართველოს მეურნეობა

**(ეკონომიური ქრონიკა)**

**შემოდგომის ნათესების** მდგომარეობა ერთნაირი არ არის ყველა მაზრაში. საერთოდ ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო თებერვალში. ყინვებისაგან ზარალი განსაკუთრებით დაეტყო სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრებს.

ნათესების სივრცე მიმდინარე წელს შემცირებულია შედარებით გასულ წელთან. საქ. სტატ. მმართველობა ამ შემცირებას ანგარიშობს 9%. მთავარი მიზეზია ადრინდელი ყინვა და თესლეულის ნაკლებობა შარშანდელი მოუსავლობის გამო.

**ღვინოს ბაზარი** თებერვლის განმავლობაში დეპრესიას განიცდიდა. რეალიზაცია ძალიან სუსტად მიმდინარეობდა. რუსეთის ბაზარი 30 გრადუსიანი არაყის გამოხდისა და გაყიდვის ნებადართვის შემდეგ, ჩვენს ღვინოს აღარ ეტანება წინანდებურად. აქციზისა და ფრახტის წყალობით ღვინო ძვირი ჯდება და იგი კონკურენციას ვერ უწევს იაფფასიან არაყს. არის მიღებული ზომები აქციზის შესამცირებლად, რომ ჩვენმა ღვინომ არ დაჰკარგოს რუსეთის ბაზარი.

**თამბაქოს შესყიდვა** და დამზადება თებერვლის თვეში კარგად მიმდინარეობდა. სასოფლო მეურნეობის პროდუქტებში ყველაზე უფრო თამბაქოს ბაზარია მტკიცე. როგორც საზღვარგარედ გაზიდვა, ისე შინაურ ბაზარზე ყიდვა-შესყიდვა სრულიად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ის კი არის, რომ ჩვენს ფაბრიკებს ნაკლებად აქვთ პირველ ხარისხის თამბაქოს მარაგი. ლაგოდეხის რაიონმა მაინცა და მაინც ვერ გაამართლა იმედი პირველ ხარისხების შესახებ. რაც შეეხება სოხუმისას, ამ რაიონის პირველ ხარისხის თამბაქო ფასობს ძვირად, და ბლომადაც არის გატანილი რუსეთსა და საზღვარგარედ.

---

**მატყლის** დამზადებისა და ბაზრის საქმე გაუმჯობესებულად უნდა ჩაითვალოს. შემოდგომისა და გაზაფხულის მატყლზე ჩვენმა დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უკვე შეჰკრეს ხელშეკრულება დიდ შემსყიდველ ფირმებთან?? ამ მხრით ჩვენი მატყლის ბაზარი უზრუნველყოფილია მომავალში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის ეკონომიური წარმატებისათვის.

---

**სახელმწიფო მრეწველობამ** თებერვლის თვეში საგრძნობი მატება მოგვცა, როგორც პროდუქციის მხრით, ისე რეალიზაციის რაოდენობითაც. ეს იმითაც აიხსნება, რომ თებერვალში მეტი მუშა ხელი ჰყავდა მრეწველობას, ვიდრე იანვარში, და მუშაობის ნაყოფიერებაც უფრო დიდი იყო. ასე მაგალითად: იმატა თამბაქოს, ტყავის, საპნის წარმოებამ.

აღსანიშნავია სხვათა შორის ის გარემოება, რომ თებერვალში ჩვენს საპონს შინაურ ბაზარზე დიდ კონკურენციას უწევდა ჩრდილო-კავკასიიდან შემოტანილი საპონი.

**ვაჭრობა** ტფილისის და ბათუმის ბირჟების ბრუნვა საერთოდ მატებას გვიჩვენებს იანვართან შედარებით (4,2%). ცალცალკედ კი: ტფილისის საბირჟო ბრუნვას უმატნია 12,2%-ით, ხოლო ბათუმისას დაუკლია 43%-ით. ტფილისის ბირჟის ბრუნვის საერთო ჯამი უდრის 6,1 მილ. მან. ბათომისა კი—500 ათას მან.

---

**გეგმიანი შემოტან›** პირველი მოთხოვნილების საგნებისა ასეთი იყო თებერვალში: ხორბალი (ფქვილი) შემოტანილი იქმნა 246 ათ. ფ. ფართლეულობა—3,25 ათ. ფ. შაქარი—63 ათ. ფუთი. გეგმა არ იყო შესრულებული პურისა და ფართლეულობის მიმართ. ხოლო შაქარი კი გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის მეტი შემოზიდეს.

---

**სას. სამ. გადასახადი** აიკრიფა საქართველოში თებერვლის თვეში, 195 ათ. მან. ან 46,5% ამ თვეზე გაწერილისა. სულ აკრეფილია 2,8 მილ. მანეთი, ან 68,8% წლეული გათვალისწინებისა.

---

# გასული საბიუჯეტო წლის სავაჭრო კონიუნქტურა საქართველოში

**(შინა-ვაჭრობის სამმართველოს ცნობების მიხედვით).**

სავაჭრო კონიუნქტურის მაჩვენებელია უმთავრესათ ბირჟის, ორგანიზაციათა და კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვის ვითარება.

ტფილისის სავაჭრო-საფონდო ბირჟის ბრუნვა თუმცა არ შეიცავს მთელ საქართველოს სავაჭრო ბრუნვას, მაგრამ საერთოთ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ის შეადგენს მთელი საბითუმო ბრუნვის მნიშვნელოვან ნაწილს. ამიტომ ის შეგვიძლია ჩავთვალოთ საქართველოს სავაჭრო ბრუნვის ერთგვარ მაჩვენებლად. ტფილისის ბირჟის სავაჭრო ბრუნვა გასულ საბიუჯეტო წლის ანგარიშის მიხედვით, შეადგენს 32,5 მილ მან. 1923-24 წ. წ. განმავლობაში სავაჭრო ბრუნვა ტფილისის ბირჟის ცნობების მიხედვით თანდათან ძლიერდება.

საქონლის ბრუნვა იზრდება უმთავრესად საბირჟო ოპერაციების სასარგებლოდ გარეშე საბირჟო ოპერაციების ხარჯზე. მაგალითად პირველ (1) კვარტალში საბირჟო ოპერაციები შეადგენს 40,5 პროც., ხოლო ბირჟის გარეშე ოპერაციები—59,5 პროც., მეოთხე (4) კვარტალში კი საბირჟო ოპერაციები შეადგენს—63,3 პროც., ხოლო ბირჟის გარეშე ოპერაციები 36,7 პროც.; ეს გარემოება იმას ამტკიცებს, რომ საქონლის ბრუნვა თანდათან შედის სავაჭრო საფონდო ბირჟის გავლენის სფეროში.

ბირჟის სავაჭრო ბრუნვა მყიდველთა მიხედვით ნაწილდება სახელმწიფო ორგანოთა, კოოპერატივთა, საზოგადო ორგანიზაციათა და კერძო პირთა შორის. საერთო წლიურ ბრუნვაში, სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნის 39,0 პროც. კოოპერატივებს—40,4 პროც., საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—2,7 პროც., ხოლო კერძო პირებს—17,9 პროც. საქონლის ბრუნვაში (ყიდვის მიხედვით) სახელმწიფო ორგანოები და კერძო ფირმები ადგილს უთმობენ კოოპერაციას: პირველ კვარტალში (1) კოოპერაციას ეკუთვნოდა მთელი ბრუნვის 20,4 პროც., საზოგადო ორგანიზაციებს—3.3 პროც., კერძო პირებს 37,3 პროც., მეოთხე (4) კვარტალში კი კოოპერაციას 53,2 პროც., კერძო ფირმებს—8,2 პროც., საზოგადო ორგანიზაციებს 3,0 პროც.; სახელმწ. ორგანოებს მეოთხე კვარტალში ეკუთვნოდათ—35,6 პროც.

გამყიდველებად გამოდიოდენ უმთავრესად სახელმწ. ორგანოები, რომელნიც წლის განმავლობაში დაეპატრონენ მთელი საბირჟო ბრუნვის—86,9 პროც.; აღსანიშნავია, რომ მთელი წლის განმავლობაში სახელმწ. ორგანოების მონაწილეობა საქონლის გაყიდვის საქმეში თითქმის უცვლელია: ცოტაოდენი შემცირება უკანასკნელ კვარტალებში, აიხსნება მთავარი სავაჭრო საგნების ნაკლებობით. კოოპერაციის და კერძო ვაჭრობის განაწილება საბითუმო ბრუნვაში (გაყიდვის მიხედვით) შედარებით უმნიშვნელოა, (კოოპერაცია 7,3 პროც., კერძო 8.2 პრ.); რადგანაც ისინი გაბატონებული არიან საცალო ვაჭრობაში.

ტფილისის ბირჟის საქონლის ბრუნვაში უმთავრეს როლს თამაშობს სამი მთავარი საგანი: პური, შაქარი და მანუფაქტურა. კვარტალებათ:

| | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| პური . . . . . | 8,9 | 9,3 | 7,4 | 14,5 |
| მანუფაქტურა. . | 24,7 | 30,5 | 22,2 | 12,3 |
| შაქარი . . . . | 20,1 | 24,6 | 19,3 | 33,6 |
| სულ . | 53,7 | 64,4 | 48,9 | 60,4 % |

სავაჭრო კონიუნქტურის საერთო სურათის დასახასიათებლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სამი მთავარი შემომზიდავი ორგანიზაციის სავაჭრო ბალანსს. ეს ორგანიზაცია: „ხლებოპროდუქტი“ „სახაროტრესტი“ და „ტექსტილ-სინდიკატი“.

„სახაროტრესტის“ ბრუნვა გვიჩვენებს შემცირებას: მეოთხე კვარტალში ნაჩვენებია—31,3 პროც., მესამე კვარტალში კი იყო 36,6; ამავე დროს კოოპერაციის მონაწილეობა მე-4 კვარტალში გაიზარდა,—ის უდრის 85,7 პროც., მეორეში კი უდრიდა—77,7 პროც.

„ტექსტილ-სინდიკატის“ ბრუნვა საქართველოში გვიჩვენებს თანდათანურ ზრდას. კოოპერაციის მონაწილეობა უკანასკნელ კვარტალში უდრის 62,7 პროც., პირველში უდრიდა მხოლოდ—17,5 პროც.

„ხლებოპროდუქტის“ ბრუნვა აგრეთვე ამტკიცებს თანდათანურ ზრდას. პირველი კვარტალი 5,5 პროც., მეორე 13,8 პროც.; მესამე—31,1 პროც., მეოთხე—49,6 პროც. კოოპერაციის მონაწილეობა პირველ კვარტალში 5,8 პროც., მეორე—16,5 პროც., მესამეში 24,3 პროც., მეოთხეში 53,4 პროც.

ზემოხსენებულ ორგანიზაციათა შემდეგ სავაჭრო კონიუნქტურაში უმთავრეს როლს თამაშობენ: სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებანი, რომელნიც რესპუბლიკის საზღვრებში მოქმედებენ აღებული გვაქვს „გრუზგოსტორგის“, „არმენტორგის“ და „ზაკგოსტორგის“ ტფილისის კონტორები. მათი საერთო ბრუნვა წლის განმავლობაში უდრის—6.771.763-84, აქედან პირველ კვარტალზე მოდის 1.397.895-03 მან. ე. ი.—2?,6 პროც. წლიური ბრუნვისა, უკანასკნელ კვარტალში კი—2.339.037 მან. ე. ი. 34,5 პროც. ამ ბრუნვის პროცესში მატულობს კოოპერაციის მონაწილეობა. მეორე კვარტალში კოოპერაციას ქონდა—29,7 პროც., სახელმწიფო ორგანიზაციებს 41,3 კერძოთ—11,0 პროც.; საცალო ვაჭრობას ეკუთნოდა 18,0 პროც. უკანასკნელ (4) კვარტალში კოოპერაციას ეკუთვნის 37,0 პროც., სახელმწიფო ორგანიზაციებს—21,3 პრ., კერძოთ 8,5 პროც., საცალო ვაჭრობას 33,2 პროც. სახელმწიფო ორგანიზაციათა და კერძო ფირმათა მონაწილეობა კლებულობს,—კოოპერაციის სავაჭრო მოქმედება ფართოვდება.

თუ ამ ორგანიზაცებს მივუმატებთ იმ ორგანიზაციებს (უ. ს. ს. ნავთის პროდუქტებით ვაჭრობა და „ზაგოსპრომკომბინატი“), რომელთაც არა აქვთ ცნობები—კონტრაგენტების შესახებ, ხოლო წარმოდგენილი აქვთ საერთო ბრუნვა, პირველს—1.933,803-92, მეორეს—461.062-26, მაშინ ყველა ზემო დასახელებულ სახელმწიფო დაწესებულებათა ბრუნვა უდრის—9.166.630-02.

სავაჭრო კონიუნქტურის უფრო სრული სურათის მისაღებათ საჭიროა ზემოხსენებულ ორგანიზაციებს მიემატოს რუსეთის მსხვილ ტრესტის წარმომადგენლობათა საქონლის ბრუნვა (მაგ. „პროდსინდიკატი“, „ნოვტრესტორგი“, „რეზინტრესტი“, „გოსშვეიმაშინა“ და ლენინგრადის მაშინების სახელმწ. ტრესტი და ადგილობრივი თამბაქოს, ღვინის, ტყავის ტრესტების და საქ. სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოს სათბობი განყოფილების ბრუნვა,—მაშინ ყველა მთავარი სავაჭრო-საწარმოვოო ორგანიზაციების ბრუნვა უდრის—29,764.956 მან. აქედან რუსეთის წარმომადგენელობა—14.959.563 მან., ხოლო ადგილობრივი სავაჭრო და საწარმოო დაწესებ.—14.805.393 მან.

საქართველოს უმთავრესი კოოპერატიულ ცენტრების მდგომარეობის განხილვა იძლევა შემდეგ სურათს:

„ცეკავშირის საერთო ბურნვა მთელი წლის განმავლობაში უდრის—5.953.799 მან. აქედან პირველ კვარტალზე მოდის—1.717.620 მან. ე. ი. მთელი ბრუნვის 28,8 პროც., მეორე კვარტალზე—828.373 მან. ე. ი. 13,9 პროც.; მესამე—1.234.084 მან. ე. ი. 20,7 პროც. მეოთხეზე—2.173·721 მან. ე. ი.—36,6 პროც.

უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარ თანხის ზრდასთან ერთად მატულობს აგრეთვე დავალიანებაც; პირველი კვარტალი—საკუთარი კაპიტალი—863.511 მან. ე. ი. 35,6 პორც. დავალიანება—1.563.407 მან., უკანასკნელი კვარტალი საკუთარი კაპიტალი—1.179.504 მან. ე. ი. 28,8% დავალიანება—2.911.452 მან. ე. ი. 71,2 პროც. ე. ი. დავალიანება—146,8 პროც. მეტი, ვიდრე საკუთარი თანხა.

„წარმოკავშირის წლიური საბითუმო ბრუნვა უდრის 1.648.946. მან. პირველი კვარტალი—235.543 მან. ე. ი. მთელი წლიური ბრუნვის—14,3 პროც.; უკანასკნელი კვარტალი—619.621 მან. ე. ი. 37,6 პროც. ზრდა აშკარაა.

საკუთარი საბრუნავი თანხა პირველი კვარტალში—5.430 მან. ე. ი. 0.7 პროც. მეოთხეში—98.270 მან. ე. ი. 5,2 პროც. დავალიანება—პირველ კვარტალში—726.494 მან ე. ი. 99.2 პროც. უკანასკნელში—1.799.971 ე. ი. 94,8 პროც. პროცენტულათ საკუთარ საბრუნავ თანხასთან შედარებით „წარმოკავშირის“ დავალიანება 94,8 პროც.

„წარმოკავშირის“ შემადგენელ კავშირთა რაოდენობა პირველ კვარტალში უდრის 25, ხოლო უკანასკნელში 110. საერთოთ აღსანიშნავია როგორც საერთო ბრუნვა—ისე შემადგენელ ორგანიზაციათა რაოდენობის ზრდა.

„მუშკოპი“-ს წლიური ბრუნვა (საბითუმო და საცალო) უდრის 5.360.681 მან. აქედან საბითუმოზე მოდის 1.409.365 მან. ე. ი. 26,3 პროც. მთელი ბრუნვისა, საცალოზე კი—3.951.316, ე. ი. 73,7 პროც. პირველ კვარტალში—728.101 მან. ე. ი. 13,6 წლიური ბრუნვისა; მეოთხე კვარტალში—2.102.464 მან. ე. ი. 39,2 პროც. ბრუნვა მომატებულია.

საკუთარი საბრუნავი თანხა 1 კვარტალში—394.534 მან. ე. ი. 36,4 პროც., ხოლო დავალიანება—690.790 მან. ე. ი. 63,6 პროც. მე-4 კვარტალში საკუთარი თანხა—434.892 მან. ე ი. 26,6 პროც., ხოლო დავალიანება 1.201.615 მან. ე. ი. 73,4 პროც. ე. ი. მოემატა 74 პრ. მაღაზიების, დუქნების და სხ. რაოდენობა 1 კვარტალში 33, ხოლო უკანასკნელში—120. მუშკოპის ბრუნვა იზრდება დავალიანების ანგარიშით.

„ზაკტპო“-ს წლიური ბრუნვა საქართველოში უდრის 2.392.067 მან. აქედან პირველ კვარტალში—257.875 მან. (10,8 პროც.), 2 კვარტალში—553.200 მან. (23,1 პრ.), მე-3 კვარტალში 577.230 მან. (24,1 პროც.)—4 კვარტალში კი 1.003.762 მან. (42,0 პრ.). ამ ნაირათ ბრუნვა უკანასკნელ კვარტალში შედარებით პირველთან გაზრდილია 745.887 მან. ანუ 289,2 პროც.

ზემოხსენებული ცნობის მიხედვით სჩანს, რომ კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვა საეროოთ გაზრდილია.

ამას უფრო ნათლათ ამტკიცებს კი ოპერაციის („წარმოკავშირი“, „ცეკავშირი“, „მუშკოოპი“, „ზაკტპოს“-ს) საერთო ბრუნვა:

1 კვარტალი 2.939.240-60 (19,1 პროც.); 2 კვარტალი 2.868. 275-59 (18,6 პროც.; 3 კვარტ. 3.648.407-82 (27,7 პროც.; 4 კვარტ. 5.934.037-63 (38,6 პროც.). ამასთან ალსანიშნავია, რომ მსხვილ კოოპერატიულ ორგანიზაციათა ბრუნვის ზრდა წარმოებდა უმთავრესად სესხის აღების სახით. ეს უფრო აშკარავდება, საერთოთ კოოპერაციის (წარმოკარშირი, ცეკავშირი და ტფ. მუშკოოპის) საკუთარი თანხის და დავალიანების ურთიერთობის გათვალისწინებით.

პირველ კვარტალში კოოპერაციის საკუთარი კაპიტალი უდრის: 1.263.475-82 (29,8 პროც.)
დავალიანება — 2.980.691-69 (70,2 „ )
4.244.167-51 (100)

მეოთხე კვარტალში:
საკუთარი კაპიტალი 1.712.666-59 (22,5 პროც.)
დავალიანება — 5.904.138-49 (77,5 „ )
7,616.805-44 (100)

კოოპერატიული დავალიანება გაზრდილია—88,1 პროცენტით.

საქართველოს სახელმწ. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების დავალიანება უდრის 1.126.154 მან., საკრედიტო დაწესებულების—341.000 მან., ხოლო კერძო ფირმების, მათ შორის შავი ქვის კერძო მრეწველობის—189.711 მან. ამ ნაირათ საერთო დავალიანება ჩამოთვლილ ორგანიზაციათა და ფირმათა ბანკების მიმართ—უდრის—4.246.503 მან. პროცენტულათ კოოპერაციას—61,0 პროც., სახელმწ. დაწესებულებას—26,5 პროც., საკრედიტო დაწესებულ.—8,0 პროც., კერძო ფირმებს და პირთ—4,5 პროც.

რაც შეეხება კოოპერაციის შემაკავშირებელ ძალას მოსახლეობაში, სახელდობრ კოოპერაციის წევრთა რაოდენობის, რომ ამ მხრითაც სჩანს კოოპერატიური მოძრაობის გაძლიერება. თუ ვიხელმძღვანელებთ საბიუჯეტო (1923-24) წლის ცხრილით, დავინახავთ, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციების წევრთა რიცხვი—თანდათანობით იზრდება:

| კვარტ. | ცეკავშირი | მათ შორის ტფ. მ. კოპ. წევრნი | წარ. კავ. | ზაკტპო | სულ | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 62.200 | 12.391 | 10.444 | 7.858 | 80.502 | 100 |
| 2 | 81.000 | 12.733 | 15.004 | 8.300 | 104.304 | 129,5 |
| 3 | 103.000 | 13.985 | 16.558 | 8.120 | 127.687 | 158,6 |
| 4 | 110.000 | 17.968 | 20.590 | 12.236 | 142.826 | 177,4 |

ზემოთმოყვანილი ცხრილის მიხედვით აშკარავდება, რომ საქართველოს უმთავრესი კოოპერატიულ ორგანიზაციების წევრთა რიცხვი გაზრდილია თითქმის ერთი ორად, ტფილისის მუშკოოპის წევრთა რიცხვი მომატებულია—45 პროც.-ით, „ზაკტპო“-ს 58,3 პროც. „ცეკავშირი“-ს 76.8 პროც.-ით „წარმოკავშირი“-ს 96,2 პროც.-ით, საერთო ყველას რი-ცხვი კი 77,4 პროც.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო საცალო ვაჭრობის ურთიერთული დამოკიდებულება საქართველოში.

შინა-ვაჭრობის სამმართველომ მოახდინა ამ ვაჭრობის გამოკვლევა ამოკრეფითი სისტემით. გამოკვლეულ იქნა ტფილისი და სამი მაზრა: თელავის, შორაპნის და გუდაუთის. საჭირო თანხის სიმცირის გამო ტფილისში, გამოკვლეულ იქნა ვაჭრობის 25 პროც., ხოლო მაზრების ვაჭრობა მთლიანათ. ტფილისში გამოკვლევის პროცესში მოხვდა—924 სავაჭრო დაწესებულება, მათ შორის სახელმწიფო და კოოპერატიული - 47 და კერძო—877. თელავის მაზრაში, გამოკვლეული იქნა 460 სავაჭრო დაწესებულება მათ შორის თელავში—236 და მაზრაში—224. მთელს მაზრაში სახელმწიფო და კოოპერატიულ-სავაჭრო დაწესებულება აღმოჩნდა—34. კერძო—426. შორაპნის მაზრაში გამოკვლეულია—478, მათ შორის სახ.-კოოპერ. —38, კერძო—440. გუდაუთის მაზრაში გამოკვლეულია—144 სავაჭრო, მათ შორის სახელ.-კოოპერ. 12, კერძო—132. ამ ჟამად სტატ-ეკონომიური მმართველობის განკარგულებაშია—3.626 შევსებული ბლანკი. მთელი მასალის საბოლოო დამუშავება სწარმოებს.

ამ გამოკვლევის წინასწარ ცნობების მიხედვით ტფილისის კოოპერაციის საერთო თვიური ბრუნვა შეადგენს: —2.020.972 მან. საერთო ბრუნვის—39,6 პროც., ხოლო კერძო პირების—3.076.500, 60,4 პროც. კოოპერატივის საერთო ბრუნვიდან ერთ სულზე მოდის—8,6 მან., ხოლო კერძო ვაჭრობის—13,1 მან. თვიურათ. თელავის მაზრაში კოოპერაციის თვიური ბრუნვა უდრის—90.070 მან., ხოლო კერძო პირების—72.580 მან. კოოპერატიული ბრუნვიდან სულზედ მოდის—0,97 კაპ., ხოლო კერძოდან—0,78 კაპ. გუდაუთის მაზრის კოოპერატივების ბრუნვა უდრის—34.672 მან.—51.1 პროც. თვიური, ხოლო კერძო პირებს—33,162 მან..—48,9 პროც. თვიურათ სულზე კოოპერატიულ ბრუნვიდან მოდის—1 მან. 20 კაპ., ხოლო კერძო პირების ბრუნვიდან 1 მან. 16 კაპ. ამნაირად წინასწარი ცნობები კერძო და კოოპერატიულ ვაჭრობის გამოკვლევისა სოფლათ იძლევა შემდეგ სურათს: პროვინციაში კოოპერაციის ხელში მეტი საქონელი ბრუნავს, ვიდრე კერძო პირების ხელში. აქ გამოკვლეული არ არის, რა როლს თამაშობდენ ფეხზე მოვაჭრენი და რა ადგილი უჭირავს ადგილობრივ ბაზრებს.

ლი.

# ინგლისის იმპერიალიზმის რკინის სალტეებში

ინგლისი განაგებს ინდოეთს 1757 წლიდან. ტერორი დაიწყო ამ ქვეყნის აყვავებულ მრეწველობის მოსპობით და მივიდა ფეიქრების განადგურებამდე, რომელნიც კონკურენციას უწევდნენ მანჩესტერის მრეწველობას. მხეცურმა რეპრესიებმა ისე დაანგრია ამ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება, რომ თანახმად ოფიციალური ცნობებისა, ბრიტანეთის 12 წლის მართვა-გამგეობამ ბენგალის პროვინციის მცხოვრებლების ერთი მესამედი ნაწილი მიიყვანა სრულ გაღატაკებამდე. ტერორის მეორე ტალღამ გაიარა 1857 წელში, დიდი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. ინგლისის ზარბაზნებს და ვინტოვკებს მსხვერპლად შეეწირა ინდოეთის ათასამდე რევოლიუციონერი.

1899 წ. დასჯილ იქნენ ძმები შაპკარები, რომლებმაც ააფრიალეს საპროტესტო დროშა ინგლისელ ჩინოვნიკების ველურობის წინააღმდეგ, რომლებმაც ძარცვაგლეჯა და ინდოელ ქალების გაუპატიურება ლეგალურ ნიადაგზე გადაიტანეს.

1901 წელს ინდოეთის ვიცე-კოროლად დანიშნულ იქნა აწ ნეტარხსენებული ლორდი კერზონი. მთელ ქვეყანას მოედვა რევოლიუციონური მოძრაობა, რომელსაც კერზონმა ისეთი მუსრი გაავლო, რომ მით ცნობილ პლევეს უსასტიკესი ტერორი დაიჩრდილებოდა.

პოგრომები, მასიური პოლიტიკური პროცესები, პოლიციის ბრაზმორეული თვითნებობა ნაციონალური და რევოლიუციონური მოძრაობის გასამართლების ჩვეულებრივი მეთოდებია უკანასკნელ დღეებამდე, ცნობილი ხულიგნები აწყობდნენ საპოგრომო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ სარწმუნოებრივ ანტაგონიზმის გაღრმავებას ინდუსელების და მუსლიმანების მასებს შორის. რამოდენიმე ხნის წინად, კოტარში, მუსლიმან ხულიგნებმა გადასწვეს ინდუსების სახლები და მთელი ქონება 3 მილიონ მანეთად ღირებული.

1907 წლიდან აგორდა პოლიტიკური პროცესის დიდი ტალღა. 90 ახალგაზრდას, რომელთაც ბრალდებოდათ მონაწილეობა სამხედრო შეთქმულებაში მეფის წინააღმდეგ, ორი წლის კვლევა-ძიების შემდეგ, მიუსაჯეს კატორღა 3—20 წლამდე; კატორღით დასჯის საერთო ჯამი ყველასათვის უდრიდა 500 წელს. 1907 წლიდან ზედი-ზედ ჰქონდა ადგილი 20 ასეთ პროცესს. შედეგი იყო 600 კაცის საპყრობილეების ჯურღმულებში ჩაყრა, 35 კაცის ჩამოხრჩობა. ამ პროცესით გამოწვეულ დაჭერილების ტყვეობაში გატარებული დრო უდრის 3,000 წელიწადს, მაგრამ ეს ყველაფერი არარაობას წარმოადგენს 1915 წელში მომხდარ-ამბავთან შედარებით. როდესაც აჯანყების ცდა დამარცხებით გათავდა, შემოღებულ იქნა სამხედრო წესები, რომელიც 3 წელიწადს გაგრძელდა.

კანონმა მიანიჭა ალვირახსნილ პოლიციას განუსაზღვრელი უფლება მოქალაქეთა გასამართლებისა. „ნორმალური“ კანონები სამსაჯულოების მოქმედებისა გაუქმებულ იქნა და 40 ათასი კაცი ჩაჰყარეს ციხეებში. კატორღა მისჯილთა საერთო რიცხვი ავიდა 2 ათას კაცამდე და საერთო ვადა სასჯელისა 8 ათას წ. პოლიციის სასტიკი რეჟიმი შენელდა 1920 წლის რეფორმების გამო და ხელმეორედ უფრო მძაფრად, განმეორდა წასულ წელში მაკდონალდის დროს. ციხეების დახლართულ რკინებს შიგნივ მოექცა 10,000 კაცი — პაციფისტები და მიმდევარნი გენდხიერის მოძღვრებისა ხელისუფლების პასიურ ბოიკოტის შესახებ. 1918 წ. პროვინციალურ ქალაქ ამრისტვარში, რომელშიაც სცხოვრობს დაახლოვებით 100 ათასი მოსახლე, რეპრესიებმა არაჩვეულებრივ წერტილს მიაღწია, გამოცხადდა სამხედრო წესები, სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალი დაიერი. გამოიცა კანონი რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა.

ახალი კანონით არც ერთ მოქალაქეს არ შეეძლო ქუჩაში გამოსვლა. გამოსულებს დაუკითხავად ხვრეტდენ.

საექიმო დახმარებისათვის, ან რომელიმე აუცილებელ საჭირო საქმისათვის მცხოვრებლები გამოდიოდნენ სახლებიდან ფორთხვით — ხელ-ფეხზე დაყრდნობილი ცხოველებივით. მესამე დღეს, როდესაც მოთმინება დაკარგული მცხოვრებლები პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდნენ, მათ მიუშვირეს ტყვიის მფრქვეველები და ათასობით დასწყვიტეს ქალები და ბავშები. ბრიტანეთის ბურჟუაზიამ სახელი გაუთქვა გენერალ დაიერს, როგორც „წესიერების“ „კანონიერ“ დამცველს.

დროებით მიძინებული რევოლიუციონური მოძრაობა ილვიძებს 1918 წელს. იწყებენ ჩამოყალიბებას მუშებისა და გლეხების ორგანიზაციები, ისევ იფეთქა აჯანყებამ. აჯანყება ჩაქრობილ იქნა მთავრობისაგან გაუგონარი მხეცური ზომებით: 70 დაპატიმრებული მოგუდეს რონოდში, რომლის ყველა ჭუჭრუტანები ამოლესილ იქნა, რომ ჰაერი არ შესულიყო. ბიტარაში აჯანყებული გლეხები ცოცხლად დასწვეს. გაფიცულ მუშებს მიუშვირეს ტყვიის მფრქვეველები, 3 მოჰკლეს, მრავალი დასჭრეს, ასობით დააპატიმრეს და გაფიცვა ჩაფუშეს.

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ქ. ხაშური.

13 მარტს ქ. ხაშურში, რკინისგზელების კლუბში, შესდგა ყოფილი მენშევიკების და უპარტიო მუშების კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: საქართველოში მომხდარი უკანასკნელი ამბები და მიმდინარე საკითხი. მოხსენებას აკეთებს თბილისიდან ჩამოსული მუშათა კომისიის წევრი სანდრო გვიმრაძე. ის ვრცლათ შეეხო ავანტიურისტულ გამოსვლებს და კრებას განუმარტა ხელისუფლების სიმტკიცე და მის მიერ აღებული სწორი ხაზი მუშათა კლასის საკეთილდღეოთ განთავისუფლების დასამთავრებლად. მომხსენებელს აძლევენ მრავალ შეკითხვებს, რომლებზედაც, დასაკმაყოფილებელ პასუხს აძლევს. აღსანიშნავია რომ ყველგან კრებებზე იძლევიან,

ერთნაირ შეკითხვებს: ჩვენ გვინდა გულრწფელაჲ მისვლა კომუნისტურ პარტიასთან, ხოლო ზოგიერთი ულირსი შვილი კომუნისტური პარტიისა, გვეუბნება ჩვენ: შენ კონტრევოლიუციონერი ხარო. მაგრამ ამას არ გვეუბნება ძველი და სპეტაკი რევოლიუციონერი ამხანაგი კომუნისტური პარტიისა და არც გვეტყვის ჩვენ, რომლებსაც ათეული წლები ერთად გვიბრძოლია თვითმპყრობელობის წინამღდეგ. ხოლო ამას ვვეუბნევა ის მახინჯი „რევოლიუციონერი“, რომელსაც თითზედ თითი არ დაუდვია რევოლიუციის სასარგებლოთ. მას ეშინიან იმისი, რომ, კომუნისტურ პარტიაში მიდის ძველი და გამოცდილი რევოლიციონერი, რომელიც მის ადგილს დაიკავებს და სიმახინჯეს ადგილი აღარ ექნება. აღსანიშნავია, რომ ასეთი მხილებით ძალიან კმაყოფილი დარჩენ დამსწრე მუშები. შემდეგ გამოვიდენ ძველი რევოლიუციონერები: მათშორის ამხ. ძაძამია; ძველი ხაშურის მუშა, რომელმაც აღნიშნა რომ, დღეს შოდიან ჩვენთან ძველი ამხანაგები, და ჩვენ მათ ხელი უნდა გაუწოდოთ, რომ ძველი ოჯახი აღდგენილ იქნას რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა რევკომის ძდივანმა, ვასო მურდალაშვილმა. მან მიმართა დამსწრეთ შემდეგი სიტყვებით: ამხანაგებო, თქვენ, მოდიხართ ჩვენთან გულრწფელათ, როგორც რევოლიუციონერები და არა იმიტომ, რომ თქვენ გაინტერესებდეთ საკუთარი ტყავის საკითხი. თქვენ მოდიხართ როგორც ძველი და გამოცდილი რევოლიუციონერები თქვენს ოჯახში. თქვენ მიხვდით, რომ კომუნისტურ პარტიას სწორი ხაზი აქვს აღებული. შემდეგ გამოდის—რაიონული პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. გოგოლაძე, რომელმაც სიხარულით აღნიშნა ძველი მუშების დაბრუნება თავიანთ ოჯახში. ასეთი ამხანაგები, როგორც ამხ. მურდალაშვილი, ძაძამია და გოგოლაძე არიან, ჩქარა მიაღწევენ მიზანს და დაუახლოვდებიან ძველ მუშებს რომელნიც ძალიან კმაყოფილნი არიან ზემო აღნიშნულ ამხანაგებით. სრული იმედი არის, რომ ეს ამხანაგები ძალიან მოკლეხანში აღადგენენ ჩატეხილ ხიდს. სასურველია, ასეთი ამხანაგები ბლომათ მოეფინებოდენ პროვინციაში. ეს კრება ნამდვილა გამაერთიანებელი იყო, ყველას აღტაცება ეტყობოდა სახეზე. ხელისუფლება, გაიძახიან ძველი მუშები, უნდა იყოს და არის კიდეც ჩვენს გულწრფელობაში დარწმუნებული: ჩვენ დაუმტკიცებთ მმართველ პარტიას, რომ ჩვენ გულწრფელათ მივდივართ მასთან და გვინდა შევქნათ მთლიანი ოჯახი საერთო მტრის წინააღმდეგ. საგულისხმო სიტყვები წარმოსთქვეს: ძველმა რევოლიუციონერებმა მუშა სიმონ ბაბლიძემ და მასწავლებელმა დეკანოზიშვილმა. ორივე ორატორები აღნიშნავდენ თავიანთ სიხარულს, როდესაც ისინი ხედავენ, რომ მუშათა კლასში მოხდა დიდი გარდატეხა, მიდიან რევოლიუციონურ ოჯახში, რომელიც თავზარს დასცემს საერთაშორისო მტერს და მე-II ინტერნაციონალს, რომელმაც გათიშა მუშათა კლასი. მრავალ შეკითხვებში იყო ერთი შეკითხვა ძველი მუშის ხელმოწერილი: რომელმაც მოგვმართა ამხანაგო, მუშათა კომისსიის წევრო, კარგი იქნება, თუ ხშირად არა, თვეში ერთხელ მაინც მოვიწვიოთ ასეთი კრება, რომ ჩქარა დაუახლოვდეთ ჩვენს ძველ ოჯახს. საჭიროა ხშირი კრებების გამართვა მუშათა ცენტრებში, რომ ბოლო მოეღოს ბუტიაობას და ჯიუტობას.

**სანდრო გვიმრაძე.**

---

## მგეჭდავთა კლუბი.

22 მარტს საათის ათზე, მბეჭდავებთა კლუბში გაიმართა ნაციონალ-დემოკრატ. და რადიკალ დემოკრატ. სტუდენტთა კრება, საცა ირჩეოდა საკითხი აგვისტოს გამოსვლების შესახებ და ჩვენი ამოცანა.

მომხსენებლად ამ თემაზე გამოვიდა სტუდენტი ნიკოლოზ დგებუაძე, რომელმაც შესანიშნავი ორატორული ნიჭით და მეცნიერულად დაახასიათა—დაასურათ-ხატა ჩვენი ერის ორიენტაციის აუცილებლობა, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად—რევოლიუციონურ რუსეთისაკენ და სამუდამოდ უარყოფა ევროპის ორიენტაციისა. ორატორმა დაამტკიცა მეცნიერულ-ისტორიულად სწორი პოლიტიკა მეფე ირაკლისა, რომელმაც შეუერთა საქართველო დიდ რუსეთს, რომ ეხსნა ქართველი ერი სრულ განადგურება-გადაგვარებისაგან, რაც მას მოელოდა ოსმალეთ-სპარსეთის ურდოებისაგან და ის დრო შეუფარდა ეხლანდელს, და დაასკვნა, რომ ერის აღორძინება-აყვავება კულტურულად და ეკონომიურად, აგრეთვე მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა მის კულტურულ-ეკონომიურ სფეროში, შეიძლება მხოლოდ რევოლიუციონურ რუსეთის თავისუფალ კავშირში. იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა სათანადო და ამომწურავი პასუხი გასდა. კამათში მიიღეს მონაწილეობა ბევრმა ამხანაგებმა, რომლებიც სავსებით იზიარებდნენ მომხსენებლის აზრს და რომელიც სდგას იმავე ხაზზე, რაზედაც შედგა საქართველოს მუშათა ერთი ნაწილი 7—8 ოქტომბრის კრების რეზოლიუციით.

მუშათა კომისია სიხარულით აღნიშნავს, რომ მის ხმას უერთდება მეორე ფენაც ქართველი ერისა და ამ რიგათ მისი ლოზუნგი: შესწყდეს როგორც ლეგალური ისე არა ლეგალური მუშაობა—ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და ამის მაგიერ დაირაზმოს ქართველი ერი განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ, დაეხმაროს მას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში კულტურულ და ეკონომიურ სფეროში, იბრძოლოს ყოველნაირ საშვალებით საბჭოთა სისტემის გამაგრება-განმტკიცებისათვის, და ეს უეჭველათ მიგვახწევინებს ჩვენ იმას, რომ შორს აღარ იქნება ის სანეტარო დრო, როცა ქართველ ერს დაუდგება სრული მყუდროების ხანა, რაც ხელს შეუწყობს მის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, რაც ჩვენ გვესმის მის კულტურულ და ეკონომიურ აყვავება-აღორძინებაში, რომელიც შესაძლებელი იქნება მხოლოდ-და მხოლოდ თავისუფალ საქართველოს ყოფნით, თავისუფალ რევოლიუციონურ რუსეთის კავშირში.

ლ. კ.

# მუშათა წერილები

## მივიწყებული ძმათა სასაფლაო.

მუშათა უბანს,—ნაძალადევს,—დღეს ლენინის უბნათ წოდებულს—აქვს ორი ძმათა სასაფლაო.

ერთია ცხრა ძმათა სასაფლაო, საცა დამარხულია ცხრა ამხანაგი, რომლებიც დახოცეს მეფის ჯალათებმა 18 დეკემბერს 1905 წელს.

ეს სასაფლაო მოთავსებულია ნაძალადევის ერთი მთის წვეროზე—ფარკოფელნი ქუჩის თავში, სადაც დაახლოებით იყვნენ მოკლულნი. დიდხანს იყო ეს წმინდა ალაგი გავერანებულ-გაპარტახებული. ახლო-მახლო მცხოვრებლები არ აქცევდენ ყურადღებას, თხრიდნენ და მიჰქონდათ იმ ადგილიდან მიწა და ქვები. ასე რომ ერთხელ ერთი კუბოც-კი გამოჩდა. კუბოს ისევ მიაყარეს მიწა, მაგრამ სხვაფერ არავინ აქცევდა ამ სასაფლაოს ყურადღებას, მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკების დროს რამდენჯერმე იყო გაზეთებში აღნიშნული ხსენებულ სასაფლაოს ცუდი მდგომარეობა.

სულ სხვა სანახავია დღეს ეს ცხრა ძმათა სასაფლაო. არსებულ ხელისუფლებას, თუ პარტიულ ამხანაგებს ეს მივიწყებული, გაპარტახებული სასაფლაო აღუდგენიათ. გაუსუფთავებიათ. გაუკეთებიათ სამახსოვრო წარწერა და თან გაფრთხილება მცხოვრებლებისადმი, რომ სასაფლაოს ახლოს აღკრძალულია მიწის და ქვების მოთხრა და წაღება. აღკრძალულია სასაფლაოს ახლოს დასახლება და სხვა.

ქება დიდება ამ საქმის მოთავეებს. იმედია აქვე ვიხილამთ მომავალში შესაფერ შენობა-ძეგლს. მით უმეტეს, რომ ალაგი საუკეთესო და საუცხოვოა. სუფთა ჰაერი, მზიანი ალაგი, რომელიც ზემოდან გადაჰყურებს მთელ თბილისს. ბავშთა სახლი ან რაიმე თავშესაფარი უკეთეს ალაგს ვერ იპოვის.

მეორე ძმათა სასაფლაო მოთავსებულია პავლოვის ქუჩის თავში, ხუდადოვის ტყის შესავალში.

ვინ არიან აქ დასაფლავებულნი:

აქ არიან დამარხულნი რამდენიმე ათეული ამხანაგი, რომლებმაც შესწირეს თავიანთი სიცოცხლე საქართველოს—დაშნაკელებთან ბრძოლაში.

ისინი მამაცად დაეცნენ სადახლო-შულავერის ახლო-მახლო მომხდარ ბრძოლებში.

როგორც ყველა ცოცხლად დარჩენილი მენშევიკი მუშები, ისე იმ დროს ომში დახოცილნი ამხანაგები გულწრფელათ ვიყავით დარწმუნებული მასში, რომ ჩვენ ვაშენებდით სოციალისტურ სახელმწიფოს.

განსაკუთრებით ეს ითქმის იმ დროისთვის, როცა ზემოხსენებულ ძმათა სასაფლაოზე დამარხულნი იბრძოდნენ დაშნაკელების და მუსავატელების წინაალმდეგ.

აი, ასეთ მებრძოლ ამხანაგებთა სასაფლაო დღეს გულსაკლავ სურათს წარმოადგენს.

ოდესღაც კი არა,—სულ ოთხი-ხუთი წლის წინათ ლამაზი, კოხტა სასიამოვნოთ მოვლილ-შემოღობილი ალაგი დღეს გავერანებულა, გაპარტახებულა.

შეუგნებელ, შეურიგებელ პირებს არ დაუნდვია არც ღობე არც ხეები და არც თვით საფლავზე დადებული დიდი, თუ პატარა ძეგლები წარწერებით.

ძროხა, ღორი, ცხენი თუ ძაღლი არხეინათ დასეირნობს აქ და აუპატიურებენ ამ წმინდა ალაგს.

საჭიროა გამოიცეს განკარგულება, რომ ამ ძმათა სასაფლაოზე დაცულ იქმნას წესრიგი. არავინ შეეხოს, თუ რამე კიდევ დარჩენილა ხელშეუხებელი. შემოიღობოს სასაფლაო და მიეცეს ნება მიცვალებულთა ნათესავებს მოუარონ თავიანთ ახლობელთა საფლავს როგორც სურთ.

ასეთი განკარგულება ქალაქის აღმასკომის, შეაშინებს და ხელს შეუკრამს იმ ნაძირალებს, რომლებსაც თავიანთ სახლებში გადააქვთ სასაფლაოს კუთვნილი ქონება და გაამხნევებს ჰირისუფალთ და სასაფლაო ისევ აღსდგება, გალამაზდება.

ხსენებულ სასაფლაოს აკრამს ეგრედ წოდებული ხუდადოვის ტყე... ეს ერთათ ერთი ტყეა თბილისის ახლო-მახლო, საცა თავს იყრის სიცხე-პაპანაქების დროს დიდი და პატარა. აქ თავს იყრის, ვარჯიშობს და თამაშობს ჩვენი ახალგაზრდობა, პიონერები, წითელი არმიელები, სხვადასხვა მოსწავლეთა ჯგუფები.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ახლოს მდებარე ტყეს. აკი ამიტომ საკითხია აღძრული გაშენდეს ტყე თბილისის სხვა კუთხეებშიც და ეს უკვე არსებული, საკმაოთ დიდი ტყე ვერანდება, ნადგურდება.

არ არის შემოღებული, არ ჩანან დარაჯები. შიგ შედის ყველა დარგის და სიდიდის ცხოველები, თხები ადიან ხეებზე, სჭამენ, ამტვრევენ ნორჩ ტოტებს. წლობით ამ ტყეს წარმატების, გაზრდა, გაფურჩქვნის ნაცვლად, ეტყობა დაჩაგვრა—სავსებით გაქრობისკენ სვლა: ახლომახლო მცხოვრებლები ისე ეპყრობიან ამ ძვირფას და მეტად საჭირო ტყეს, როგორც რაღაცა მავნე რამეს. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება. ტყეში შესულ საქონელ-პირუტყვთა დაჭერა: პატრონების დაჯარიმება.., მახსოვს შარშან აგარაკ ბახმაროზე გამგემ რამდენიმე ძროხა, თხა და სხვა პირუტყვი დააჭერინა ახლო-მახლო ტყეში შემოშვების გამო. ამან გასჭრა. ბახმაროს ტყეები განთავისუფლდა პირუტყვთაგან.

თუ ბახმაროზე, საცა იმდენი ტყე და ხეებია—ასეთი ზომები იყო საჭირო—აქ, ამ ჩვენს დალოცვილ ცხელს თბილისში, საცა ერთი ხეც-კი ასე სასიამოვნო და სასურველია—ნადგურდება დიდი შრომით აგებული ხუდადოვის ტყე. აუცილებლათ საჭიროა აქეთ ყურადღების მიქცევა, თორემ თუ ასე გაგრძელდა რამდენიმე წელი, აქ ტყის აღარაფერი დარჩება.

ხ. დოლიძე.

## უწესოება რკინის გზაზე

რევოლიუციონურ ხანაში, მით უმეტეს როცა არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა ყოველი საქმე წესიერად უნდა სწარმოებდეს, ამას მოითხოვს პროლეტარიატის ინტერესები; რომელიმე მოხელის მოქმედება ხალხის მიმართ კი არ უნდა აძულებდეს ხალხს არსებულ წესწყობილებას, არამედ ის უნდა ცდილობდეს შეაყვაროს მას ის ფორმა მართვა-გამგეობისა, რომელშიაც ის ცხოვრობს. ყოველი მოხელის მოქმედება თავის მოვალეობის ასრულების დროს ერთნაირი პროპაგანდაა ამ გარდამავალ დროს. თუ სინიდისიერათ, სისწორით და ხალხთან კე-

თელ მოპყრობით ასრულებს მოხელე თავის მოვალეობას, პროფესიონალურ პროპაგანდისტ-აგიტატორზე უმფრო კარგი მოამაგეა რევოლიუციისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გამოქნილ ხულიგან-პროვოკატორზე უარესია, და ასეთები რაც შეიძლება შორს უნდა იყვნენ ყოველნაირ საზოგადოებრივ დაწესებულებიდან. ამას წინად მე მქონდა შემთხვევა ჩემის თვალით დამენახა და ჩემის ყურით გამეგონა შემდეგი უწესოება, რასაც თურმე ხშირად აქვს ადგილი ერთ-ერთ რკინის გზის სადგურზედ: (ჯერჯერობით ვინაობას არ გამოვამჟღავნებ იქნებ ამ წერილით გამოსწორდნენ) არსებული წესების მიხედვით მგზავრს აქვს უფლება (თუ კი სამგზავრო ბილეთი აქვს) წაიღოს თან ორი ფუთი ბარგი მითუმეტეს სანოვაგე. რკინისგზელს სასურსათო ბარათით (провизионный билет) სამი ფუთი ვაგონში და ორი ფუთიც ქვითარით საბარგო ვაგონში უფასოთ. შემთხვევა რკინისგზელს ქონდა, მოხელეს ცოლი გაეგზავნა სანოვაგისათვის, რომელსაც ახლდა პატარა გოგო, რომლისათვისაც ბილეთი ეყიდა, თითონ კი სასურსათო ბარათი ჰქონდა. მას ჰქონდა უფლება წამოეღო მატარებლით შვიდ ფუთამდი ბარგი — წამოეღო მხოლოდ სამ ფუთამდე. ვაკზალში, ვაგზლის კონტროლიორს ეს ქალი თავის გოგოთი და ბარგით დაეკავებინა და გარდაეხდევინებინა სამი მანეთი და ერთი აბაზი შტრაფი, ქალი გაწვალდა, საქმე სადგურის უმფროსამდი მივიდა, რომელმაც კონტროლიორის მოქმედება უკანონოთ იცნო. ბილეთების კანონიერებაშიც კონტროლიორი საწინააღმდეგოს ვერას ამბობდა. კონტროლიორები დაინტერესებული ყოფილან შტრაფის მეოთხედით, ეს კარგია, მაგრამ აილე კანონიერის გზით თუ აფერისტებს ხვდები, ვინც არღვევს წესებს და გაურბის ხარჯების გადახდას სხვადასხვა ხრიკებით და საშვალებით, მაგრამ შენი ინტერესების გულისთვის ნუ აწუხებ სრულ უფლებიან მგზავრებს. ერთი სიტყვით მოიქეცი ზრდილობიანათ და კანონიერათ და ნუ უწევ ხელისუფლებას დათვურ სამსახურს და შენის შეგნებულის თუ შეუგნებელ მოქმედებით ნუ აძულებ მას ხალხს.

მენშევიკების დროს ერთი დიდ პოსტზე მდგომი (სახელს არ დავასახელებ) წაეჩხუბა მატარებლის მჩხრეკს (ревизор поезда) იმისათვის, რომ მას ბილეთი მოსთხოვა—სრულიად კანონიერად—ამ ვაჟბატონის მოთხოვნით ის სამსახურიდან გადააყენეს და დიდი შრომა დასჭირდა მაშინდელ ორგანიზაციაში მომუშავეთ, რომ უდანაშაულო პირი კვლავ აღედგინა თავის უფლებებში. სამწუხაროთ ასეთ შემთხვევებს ეხლაც აქვს ადგილი. მატარებლით მოვდიოდი, ერთ-ერთ სადგურზე მატარებელი გაჩერდა თუ არა, ხალხი მოაწყდა რონადას იქ საცა იდგა მემუხრუჭე, ბილეთებს შინჯავდა და ისე უშვებდა მგზავრებს რონოდაში. მათ შორის გამოერია ერთი ახალგაზრდა. მემუხრუჭემ მასაც მოსთხოვა ბილეთი, ის გაჯავრდა როგორ მიბედავ შე ასეთო, შე ისეთო, მე პარტიული ვარ, მე შენ გიჩვენებ სეირსო და სხვა. მემუხრუჭე შეშინდა, მაგრამ კვლავ გათამამდა მით, რომ მას გამოესარჩლა ისევ პარტიული, რომელმაც უთხრა: რა უქოთ, რომ პარტიული ხარ, ბილეთი უნდა უჩვენოვო, მაგ თავის მოვალეობას ასრულესო და სხვა. მას ბილეთი მართლაც აღმოაჩნდა, მხოლოდ რატომღაც არ უნდოდა ეჩვენებინა. მე იმ სადგურში უნდა დავრჩენილიყავი, მატარებელი მალე დაიძრა და შემდეგ ბევრი ვიჯავრე რომ ვინაობა ამ სცენის მონაწილეთა ვერ გამოვარკვიე. ასეთებს არ უნდა ქონდეს ადგილი რადგან ეს ცუდი მაგალითია ხალხისათვის.

ლ. კუპრაშვილი.

# კორესპონდენცია

## ს. ქვედა საქარა

(შორაპნის მაზრა)

სოფლის მუშას, მთავრობის ავკარგიანობის დასაფასებლათ, თავის საზომი აქვს; თუ ადმინისტრაცია—მილიცია თავაზიანია, მიუდგომელი და პატიოსანი, გადასახადების განმანაწილებელი კომისია—სამართლიანი, სათანადოთ და მიუდგომლათ გამნაწილებელი გადასახადების და სასამართლო ჩქარი და სამართლიანი—გლეხკაცის მსოფლმხედველობა მთავრობის ავკარგიანობაზე ამით ამოიწურება. ის ამბობს, რომ მთავრობა მისი ინტერესების დამცველია და თუ აღნიშნული აპარატები არ ვარგა, გლეხი უკმაყოფილოა და რაც უნდა ბევრი აუხსნა და დაპირდე, იმას შენი არაფერი სჯერა, შენი არაფერი სწამს...

ამ მხრივ, დაუფარავათ უნდა ითქვას,—ჯერ ბევრია გასაკეთებელი და მოსაგვარებელი.

საილიუსტრაციოდ მოვიყვან შემდეგს: სოფელ ქვედა საქარაში გლეხს პიპო გოგ—ლს შეაწერეს გადასახადი 63 მანეთი, ხოლო იმაზე უფრო შეძლებულს მიშა და დათა გ—ლებს, ორივეს ერთად 12 მან. ეს იმ დროს, როცა დათა გ—ლი შეძლებულ კაცათ ითვლება და ჩარჩის სახელწოდება აქვს მოპოებული, რაც ხასიათდება მით, რომ ყიდულობს ადგილებს, იგირავებს ვენახებს და ავალებს ფულებს.

იყო ასეთი შემთხვევაც, რომ დათა გოგ—ლი მიუხტა მეზობელს, მოუჭრა საზღვარზე დიდი ხე და როცა უკანასკნელმა მიმართა ასისთავს თხოვნით, ასისთავმა არავითარი ზომები არ მიიღო.

— „რა ვქნა ერთი ხის გულისათვის მამია ორახელაშვილთან ვერ წავედი. თუმცა ხე დიდი იყო, ერთ თვეს შეშათ მეყოფოდა ამ ზამთარში და ისე აქ სამართალს ვერ მივახწიე.“

შემომჩივლა დაზარალებულმა გლეხმა.

ახლა გაუსინჯოთ კბილი თუ ვინ ბრძანდება ეს დათა გოგიშვილი. ეს ის ვაჟბატონია, რომელიც ძველ დროს იარაღის ტარების ნებით სარგებლობდა, რათა მეზობლებზე ემოქმედნა და თავის გავლენის ქვეშ ყოლოდა, ხოლო ეხლა, როგორც გადმოგვცეს, კომუნისტურ პარტიაში შემძვრალა და ცდილობს თავის მდგომარეობა გაამტკიცოს.

ამისთანა ვაჟბატონები რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა იქნან გამოაშკარავებულნი და ალაგმულნი, რათა ხელი შეეწყოს სოფლის მშრომელ ხალხსა და მთავრობას შორის უშუალო კეთილგანწყობილების განმტკიცებას.

შორაპნელი მუშა.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 5 აპრილი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე | № 16

## საბჭოთა რუსეთი და ინგლისის პოლიტიკა

ინგლისში მუშათა მთავრობის დაცემას და მის ნაცვლად კონსერვატორულ მთავრობის შექმნას, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო რეაქციის კიდევ უფრო გაძლიერება უნდა მოყოლოდა.

იგლისი ჯერ კიდევ ევროპის ერთი უძლიერესი სახელმწიფოთაგანია, ინგლისის ნება-სურვილზეა დღეს დამოკიდებული ევროპის ბევრი სახელმწიფოების სვე-ბედი.

ინგლისის მთავრობას დღეს ყველაზე უფრო რეაქციონური კლასი—მსხვილი ბურჟუაზია და ბრწყინვალე არისტოკრატია უდგას სათავეში. აქედან ცხადია, რომ რეაქციონური მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკაც რეაქციონური იქნება.

ინგლისის იმპერიალისტები ვერ მოითმენენ იმ სახელმწიფოებს, ვისი პოლიტიკაც მათ ინტერესებს ზიანს აყენებს, მათ ბატონობას საფრთხეს უმზადებს.

ერთ ასეთ სახელმწიფოს ინგლისის თვალში დღეს საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. საბჭოთა კავშირი ისეთი ქვეყანაა, სადაც საერთაშორისო ბურჟუაზიის მოსისხლე მტერი, მუშათა კლასია გაბატონებული. საბჭოთა კავშირი—ეს ისეთი სახელმწიფოა, რომელიც მიზნათ საერთაშორისო კაპიტალიზმის დამხობას და მის ნანგრევებზე ახალი წეს-წყობილების —სოციალიზმის დამყარებას ისახავს.

საბჭოთა წეს-წყობილება საერთაშორისო მუშათა კლასის სანატრელი იდეალია. მას თვალი საბჭოთა რუსეთისაკენ აქვს მიპყრობილი და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას მისგან მოელის.

ცხადია, საერთაშორისო ბურჟუაზია და მათ შორის ყველაზე უფრო ძლიერი ინგლისის ბურჟუაზია, ვერ მოითმენს საბჭოთა კავშირის გავლენის ასეთ ზრდას საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, რაც სამარეს უთხრის საერთაშორისო მტაცებლების ბატონობას.

ინგლისისათვის საბჭოთა კავშირი დიდ საფრთხეს წარმოადგენს კიდევ იმითაც, რომ ის აღმოსავლეთ ერების მოსაზღვრე სახელმწიფოა. ინგლისის კაპიტალისტების არსებობა აღმოსავლეთ ერების განუსაზღვრელ ექსპლოატაციაზე არის აგებული. ინდოეთ-ეგვიპტე და სხვა აღმოსავლეთის კოლონიები რომ ინგლის ჩამოშორდეს, მაშინ ინგლისის იმპერიალისტების არსებობას ბოლო მოეღება.

საბჭოთა კავშირი თავის პოლიტიკით ხელს უწყობს აღმოსავლეთის ერებს ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. ოსმალეთის, სპარსეთის, ავღანისტანის, ინდოეთის, ჩინეთის, ეგვიპტის და აღმოსავლეთის სხვა ერების მშრომელთა კლასები საბჭოთა ფედერაციას უცქერიან, როგორც თავის მხსნელს, უგულითადეს მეგობარს.

საბერძნეთთან ომში გამარჯვება ოსმალეთს გაუადვილა საბჭოთა რუსეთის თანაგრძნობამ. ავღანისტანის ნაციონალურ მთავრობის მიერ, ინგლისის მიერ მოწყობილ აჯანყების ჩაქრობაც საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებას მიეწერება. საბჭოთა მთავრობა გულწრფელად ცდილობს აღმოსავლეთის დაჩაგრული ერები ინგლისის იმპერიალისტების ბატონობისაგან გაანთავისუფლოს. საბჭოთა რუსეთი ხელს უწყობს აღმოსავლეთის ერების პოლიტიკურად გამოფხიზლებას და მათ კულტურულ-ეკონომიურ აყვავებას. ჩინეთთან, სპარსეთთან და ოსმალეთთან დადებული სხვადასხვა ხელშეკრულებები ამის საუკეთესო დამამტკიცებელია.

საბჭოთა კავშირის ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც ფართოდ ანხორციელებს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და თავისუფალ გასაქანს აძლევს კავშირში შემავალ ერების კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას, მუდამ სანატრელი იდეალი იქნება აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებისათვის. საბჭოთა რუსეთი მუდამ მნათობელი ვარსკვლავი იქნება კოლონიალურ ერებისათვის.

ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელები კარგათ ხედავენ, თუ რა საფრთხეს უმზადებს მათ აღმოსავლეთ ერებში და ინგლისის მუშათა კლასში საბჭოთა კავშირის გავლენის ზრდა. ამიტომ არის, რომ ინგლისის იმპერიალისტები არავითარ ზომებს არ ერიდებიან კოლონიალურ ერებში ნაციონალურ მოძრაობის ჩასახშობათ. ინგლისი ყოველივე ღონეს ხმარობს გამოფხიზლებულ ხალხში განმათავისუფლებელი იდეები მოსპოს, თავისუფალ

აზროვნების საშუალება წაართვას, ერთგულ ყრუ-მოჭრილ მონად გაიხადოს.

ინგლისის ცდა უნაყოფოთ რჩება, გამოფხიზლებულ ხალხში გამანთავისუფლებელი მოძრაობის საბოლოოდ მოსპობა მან ვერ შესძლო, კოლონიების ექსპლოატაცია მას ძვირად უჯდება. ხალხის უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდება, ამის მოსპობა ინგლისის ბურჟუაზიულ მთავრობას არ ძალუძს.

რომ თავის მდგომარეობა განემტკიცებინა კოლონიებში, ინგლისის კონსერვატორებისთვის აუცილებელი შეიქნა კოლონიალურ ერებში საბჭოთა კავშირის გავლენის მოსპობა, ეს კი შესაძლებელი გახდებოდა თვით საბჭოთა კავშირის მოსპობით. ინგლისის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩემბერლენის პირველი ნაბიჯი საგარეო პოლიტიკაში მიზანათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფართო კოალიციის შექმნას ისახავდა. ამით იყო გამოწვეული მისი მოგზაურობა პარიზ-რომში, საიდუმლო მოლაპარაკება ერიო-მუსოლინთან. ჩემბერლენის გეგმის განხორციელებაში მცირე ანტანტასაც უნდა მიეღო აქტიური მონაწილეობა.

მართალია, ჩემბერლენის მიერ პარიზ-რომში გამართულ დიპლომატიურ გასტროლებიდან არაფერი გამოვიდა, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკაზე მას საბოლოოდ ხელი არ აუღია. საბჭოთა კავშირის დამორჩილებას ის სხვა გზით შეეცადა. ჩემბერლენი კარგათ ხედავდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფრონტის შექმნა მაშინ შეიძლებოდა, თუ მოკავშირეთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობა რამოდენიმეთ მაინც მოისპობოდა და გერმანიას მოკავშირეთა მეგობრად გაიხდიდენ. ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდებოდა თუ სარეპარაციო საკითხს მოაგვარებდენ.

მოკავშირეების იმედი, რომ დოუესის გეგმა მოკავშირეებსა და გერმანიის შორის უთანხმოებას ბოლოს მოუღებდა და საერთაშორისო მშვიდობიანობას დაამყარებდა, არ გამართლდა. დოუესის გეგმა ცუდი რეცეპტი გამოდგა ევროპის ტკივილების განსაკურნებლად, მან ვერ შესძლო ვერსალის ხელშეკრულებით გამოწვეულ პოლიტიკურ-ეკონომიურ არევ-დარევის მოსპობა.

გერმანიამ ვერ შესძლო იმ $2\frac{1}{2}$ მილიარდ ოქროს მარკის გადახდა, რომელიც დოუესის გეგმამ, მას დააკისრა. მართალია, ამერიკის კაპიტალის დახმარებით გერმანიის მარკის სტაბილიზაცია მოხდა, მრეწველობამაც წინ წაიწია, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, $2\frac{1}{2}$ მილიარდ მარკის გადახდა მისთვის მაინც შეუძლებელი შეიქნა. გერმანიამ რომ ეს თანხა გადაიხადოს ამისათვის საჭიროა,—ეკონომისტ ვარგას სიტყვით—მას აქტიური ბალანსი ქონდეს, გატანილი საქონელი შეტანილს იმდენათ უნდა სჭარბობდეს, რომ განსხვავება სახელმწიფოს 3 მილიარდ მარკას მაინც აძლევდეს. გერმანიას დღეს პასიური ბალანსი აქვს, მას მეტი შემოაქვს ვინემ გააქვს. გერმანიის ნაწარმოებს დღეს გარეშე ბაზარი ეჭირვება, ასეთი ბაზარი მას არ აქვს. ომამდე გერმანიის საქონლის უმთავრესი ბაზარი ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ოსმალეთი და სხვა კოლონიალური ქვეყნები იყო. დღეს ზემოჩამოთვლილ სახელმწიფოებს ისეთი მაღალი სადამოენო კედლები აქვთ აღმართული, რომ გერმანიის ნაწარმოებისათვის ამ კედლების გადალახვა შეუძლებელი ხდება.

ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებისათვის ყოვლად მიუღებელია დღეს გერმანიის საქონლისათვის ფართოდ სადამოენო კედლების გახსნა, რადგან ამით გერმანიის საქონლის კონკურენცია ბაზარზე მათ მონოპოლიურ მდგომარეობას შეარყევს და საშუალებას მოუსპობს მათ მუშათა კლასის ხარჯზე თავის ჯიბეები გაისქელონ. რუსეთი კი მიტომ ვერ გაუღებს ფართოდ კარებს გერმანიის ნაწარმოებს, რომ ამით მისი ახლად ფეხადგმული სახელმწიფო მრეწველობა შეფერხდება. ის გერმანიის საქონელს ჯერ კონკურენციას ვერ გაუწევს; გერმანიის ნაწარმოებისათვის თავისუფალი კარების გაღება რუსეთს კოლონიად აქცევს. ოსმალეთიც დაახლოვებით რუსეთის მდგომარეობაში ჩავარდება.

კაპიტალისტური ევროპა, დღეს ერთგვარ მოჯადოებულ წრეში მოექცა, როგორც ინგლის-ამერიკა, ისე საფრანგეთიც ნათლად ხედავს, რომ ევროპაში მშვიდობიანობის დასამყარებლად და ეკონომიურ ცხოვრების მოსაწესრიგებლად ან უნდა გადაისინჯოს ვერსალის ხელშეკრულება, შეუმცირდეს გერმანიას სარეპარაციო გადასახადები, ანდა მოიძებნოს გერმანიის ნაწარმოებისათვის გარეშე ბაზარი. ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე ანტანტა, განსაკუთრებით საფრანგეთი, დღეს არ დათანხმდება, საფრანგეთის ბურჟუაზია დღეს ამ დათმობაზე არ წავა.

დარჩათ მეორე გზა; გერმანიის ნაწარმოებისათვის ბაზრის მოძებნა. ასეთ ბაზრად დღეს მოკავშირეებს რუსეთი მიაჩნიათ. ჩემბერლენმა თავის დიპლომატიური გონება ამ მიმართულებით აამუშავა, ის ამ გზით ცდილობს მოკავშირეთა შორის უთანხმოების მოსპობას, გერმანიის საშუალებით რუსეთის კოლონიათ გადაქცევას და რუსეთის მუშებისა და გლეხების ხარჯზე სარეპარაციო ვალების საკითხის მოგვარებას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჟენევის ოქმის უარყოფა ინგლისის მიერ და მის ნაცვლად საგარანტიო ხელშეკრულების დადება ინგლის, საფრანგეთს, გერმანია, იტალია, ბელგიის შორის—მიზნათ ისახავს ერთი მხრივ, გერმანიასთან შეთანხმებას, მისი მოკავშირეთა პოლიტიკის ფერხულში ჩაბმას, ხოლო მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის ეკონომიურად და პოლიტიკურად დამორჩილებას.

მოკავშირეების ამ შავ განზრახვებს ნათლად აშკარავებს გერმანიის ნაციონალისტების გაზეთი „კრეიცაიტუნგ"-ში მოთავსებული წერილი, რომლის ავტორი ამბობს, რომ ინგლისს აქვს გეგმა შეაკავშიროს მსხვილი სახელმწიფოები გერმანიის თანჩათვლით იმ მიზნით, რომ აწარმოოს საერთო ბრძოლა „ბოლშევიკების წინააღმდეგ" გერმანიის მეურნეობის და თვით გერმანიის გაჯანსაღება შესაძლებელია, ავტორის აზრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რუსეთის მდიდარი ტერიტორია ხელახლად მოექცევა ევროპის სახელმწიფოთა გავლენის სფეროში.

გერმანიას არ უნდა ეშინოდესო, ამბობს ავტორი, რომ ამ მიზნის მიხწევა შესაძლებელია მხოლოდ ინგლის-საფრანგეთისა და გერმანიის შეთანხმებულ მოქმედების საშუალებით.

საგარანტიო ხელშეკრულების პროექტი ჩემბერლენმა გერმანიასთან წინასწარ საიდუმლო შეთანხმებით შეადგინა. საგარანტიო ხელშეკრულება გერმანიის მხოლოდ დასავლეთ საზღვრების უშიშროების გარანტიას იძლევა, რაც უმთავრესად აინტერესებს ინგლის, საფრანგეთს, როგორც ამას ინგლ. მთავრობის ოფიციოზი „ტაიმსი" აცხადებს. რაც შეეხება აღმოსავლეთ საზღვრებს ამაზე ჩემბერლენი თავს არ იტყუებს. აქ ის საშუალებას აძლევს

გერმანიას არბიტრაჟის საშუალებით გაასწოროს პოლონეთთან სადაო საზღვრები.

საფრანგეთიც იზიარებს ჩემბერლინის პროექტს საგარანტიო ხელშეკრულებებისას, მხოლოდ ის ცდილობს ხელშეკრულების მონაწილე პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკიაც გახადოს, საფრანგეთს უნდა რომ გარანტია პოლონეთის საზღვრების უშიშროებაზედაც გავრცელდეს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის გავლენა იმდენათ დიდია დღეს საფრანგეთზე და საფრანგეთის მდგომარეობაც ისეთია დღეს, რომ პოლონეთის გამოქომაგებაზე საფრანგეთი ხელს ადვილათ აიღებს თუ სამაგიერო კომპენსაცია მიიღო. შეიძლება უკომპენსაციოთაც მოხდეს ეს.

მოკავშირეების უკანასკნელი ნოტა გერმანიისადმი მისი ერთა ლიგაში მიღების შესახებ, ნათლად გვიჩვენებს, რომ გერმანიის მიღება ერთა ლიგაში უკვე გადაწყვეტილია, გერმანიამ თითქოს უცვლელად მიიღო ერთა ლიგის წესდებების ყველა მუხლები.

გერმანიის დემოკრატიული და სოც.-დემოკრატიული პრესა ესალმება მოკავშირეების ნოტას და მოითხოვს გერმანიის ყოველ-გვარ პირობის გარეშე ერთა ლიგაში შესვლას და საგარანტიო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას.

მოსალოდნელია, რომ ეს ცოტა ხნით ევროპაში მოჩვენებითი სიმშვიდეს ჩამოაგდებს მოკავშირეებსა და გერმანიის შორის. მოკავშირეთა შორის წინააღმდეგობას ცოტა ხნით რამდენიმეთ გაანელებს. სავსებით მოსპობა ამ წინააღმდეგობის შეუძლებელია, ასეთია ბუნება კაპიტალისტურ წეს-წყობილებისა. სანამ კაპიტალიზმი არსებობს, ეს წინააღმდეგობაც იარსებებს ხან ნაკლები ხან მეტი სიმძაფრით, თუ დღეს ის შენელდა, ხვალ ისევ თავს იჩენს და ისეთ მძლავრად იჩენს თავს, რომ მთელ კაცობრიობაზე საშინელ ქარ-ტეხილს დააყენებს, რამაც ბოლო უნდა მოუღოს კაპიტალისტურ წეს-წყობილებას და მის ადგილას პროლეტარიატის დიქტატურას განამტკიცებს.

მი.

# მსოფლიო ეკონომიკის კითხვები

**1924 წლის განმავლობაში.- საერთაშორისო ვალები.—ინგლისი—რუსეთი.**

საზღვარ-გარეთის გაზეთებში მოთავსებულია საკონიუნქტურო მიმოხილვა მსოფლიო ეკონომიკის. მიმოხილვიდან სჩანს, რომ სწორი, ურყევი ხაზი არ ეშჩნეოდა გასულ წელს არც ერთი ქვეყნის მეურნეობას. ყველგან იყო მეტი თუ ნაკლები აწევ-დაწევა მეურნეობის სვლაში.

გერმანიაში 1924 წელი დაიწყო, როგორც მიმოხილვა გვეუბნება, არაჩვეულებრივი კრიზისით. მერე თან და თან გაუმჯობესდა მდგომარეობა, და ეს გაუმჯობესება გაგრძელდა აპრილამდის. მერე მოჰყვა ისევ კრიზისი. სექტემბრიდან ხელახლა გამოცოცხლდა მეურნეობა და მას აქეთ არის ნელი ნაბიჯით წინსვლა.

შეერთებულ შტატებში პირიქით, 1924 წლის დამდეგს მეურნეობას ეტყობოდა არაჩვეულებრივი გამოცოცხლება. მაისიდან დაიწყო უდიდესი კრიზისი და გაგრძელდა ივლისამდის. რკინის და ფოლადის წარმოებამ დაიწია 40%-ით. ივლისიდან ხელახლა აიწია წარმოებამ და საქონლის გასაღებამ. მას აქეთ აღარ ყოფილა კრიზისის ნიშნები.

ინგლისში 1924 წლის თავიდან მეურნეობა განიცდიდა დიდ კრიზისს. კრიზისი იყო ნახშირის, ფოლადის ქსოვილის წარმოებაში და ნაოსნობაში. წლის მეორე ნახევრიდან მეურნეობამ მოინელა კრიზისი და დაიწყო გამოცოცხლება.

ასეთივე რყევა იყო საფრანგეთის და ბელგიის სახალხო მეურნეობაში. ბელგიაში ნოემბრამდის კრიზისს განიცდიდა საგარეო ვაჭრობა, მაგრამ ნოემბრიდან გაუმჯობესდა მდგომარეობა.

შვეციაში, დანიაში, ნორვეგიაში, წლის დამდეგს დიდ კრიზისს ქონდა ადგილი ყველა დარგებში. წლის ბოლოს დაიწყო გაუმჯობესება მთელ მეურნეობაში.

შვეციამ და ჰოლანდიამ წელიწადი დაიწყეს ისე, რომ არ ეშჩნეოდათ კრიზისის ნიშნები. საერთოდ 1924 წლის განმავლობაში მათი მეურნეობა წინ წავიდა თვალსაჩინოთ.

ავსტრია დაქვეითებული იყო მთელ წელიწადს. შემოდგომიდან იმატა მხოლოდ საქონლის გაზიდვამ და, თითქო, ამ გარემოებამ გამოიწვია პატარა გაუმჯობესება.

ეს მოკლე მიმოხილვა საკმაო მაჩვენებელია იმისი, რომ კაპიტალისტური სისტემა ვერ ქმნის მეურნეობაში შეურყეველი წინსვლის ხაზს. კაპიტალისტური სისტემის საფუძველზე არ მოხერხდება მსოფლიო ომისგან დატოვებული ჭრილობების მორჩენა. მართალია უცხოეთის ეკონომიკა უფრო მაღლა დგას ვიდრე საბჭოთა რესპუბლიკების, მაგრამ ეს შედარება არ კმარა კაპიტალისტური ეკონომიკის დასაფასებლათ. ეკონომიური ჯანმრთელობა ვერ იქნება იქ, სადაც ერთი წლის განმავლობაში რამოდენჯერმე იწყება და მეორდება კრიზისი. ეს არის ავადმყოფობა მეურნეობის, და გაჯანსაღებისათვის საჭიროა ძირითადი შეცვლა თითონ ეკონომიური პოლიტიკის, შეცვლა ისე, რომ პოლიტიკა შეეფერებოდეს ერის და არა ზედა კლასების ინტერესებს.

* * *

საერთაშორისო ეკონომიური გაჯანსაღების ერთ ერთ საშუალებათ სოციალისტურმა პარტიებმა დიდი ხანია აღიარეს საერთაშორისო ვალების გაუქმება. კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ეს ვერ შესძლეს და მოითხოვენ ერთი მეორისგან ვალების გადახდას.

ინგლისის ეკონომიურ ჟურნალში („The Economist“) მოყვანილია ციფრები:

| მართებს | ინგლისის | შეერ. შტატების. |
| --- | --- | --- |
| ინგლისს | — | 960 მილ. გირ. სტერ. |
| საფრანგეთს | 623 მილ. გ. სტ. | 813 „ |
| იტალიას | 553 „ | 411 „ |
| ბელგიას | — | 96 „ |
| ავსტრიას | 11 „ | 6 „ |
| ჩეხოსლოვაკიას | 0,5 „ | 23 „ |
| პოლონეთს | 4,5 „ | 32 „ |
| რუმინიას | 27 „ | 9 „ |
| რუსეთს | 722 „ | 49 „ |
| იუგოსლავიას | 31 „ | 13 „ |
| ევროპის სხვა სახელმწიფოებს | 59 „ | 14 „ |
| ს უ ლ | 2031 „ | 2421 „ |
| კოლონიებს | 132 „ | -- |
| | 2163 | 2421 |

ამ ვალების ამოგებით ფიქრობს თითეული დიდი სახელმწიფო თავისი კრიზისის მონელებას, თითეულ დიდ სახელმწიფოს კრიზისი უძნელდება ამ ვალების გადახდით. მსოფლიო ეკონომიკის ძარღვები ახლა ისეა გადახლართული, რომ სისხლის შეჩერება ერთ ადგილას, სისხლს აჩერებს მეორე ალაგას. კრიზისი ერთი ქვეყნის მეურნეობაში, კრიზისს იწვევს მეორე ქვეყნის მეურნეობაში. ინგლისის ეკონომიური ჟურნალი („The Economist“) სამართლიანათ ამბობს,—ჩვენ უნდა დავეხმაროთ გერმანიას, რადგან მისი ეკონომიურათ ფეხზე დაყენება აუცილებელი პირობაა მთელი ევროპის მეურნეობის გაჯანსაღებისათვისო.

ამ სწორი აზრის გამოთქმა ჟურნალს უძნელდება, როცა ის ლაპარაკობს რუსეთის შესახებ.

* * *

ერთ ერთ დიდ საკითხათ აქვს კაპიტალისტურ ევროპას თავის დღის წესრიგში ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან, ჩვენ ხშირად გაგვიგონია იქაური მმართველი წრეების პოლიტიკური მოსაზრებები ამ საკითხის გარშემო. ახლა საინტერესოთ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ეკონომისტების აზრი, რომელიც გატარებულია ზემოხსენებულ ორგანოში (13 სექტემბერი 1924 წ.) მოგვყავს მისი ერთი წერილიდან ამონაწერი, თუმცა ისიც უფრო პოლიტიკურია ვიდრე ეკონომიური... ჟურნალი ეხება მაკდონალდის ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთთან და ამბობს:

რუსეთთან დადებული ხელშეკრულება არ არის მაინც და მაინც ხელსაყრელი ჩვენთვის. ყოველთვის სასურველია, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში გვქონდეს გარკვეული ენა, მაგრამ ბევრი რამ არის ახლა იმის მაჩვენებელი, რომ დადებულ ხელშეკრულებას დიდი არევ-დარევა შეუძლია გამოიწვიოს ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბევრი რამ მოხდა ხელშეკრულების გამოქვეყნების შემდეგ, სანამდის მიღწეულ იქნებოდა უკანასკნელი შეთანხმება. ჩვენ არ შეუდგებით გამორკვევას, ბოლშევიკების უკან დახევამ გაადვილა ეს შეთანხმება, როგორც მაკდონალდი ამბობს, თუ თითონ მაკდონალდი იყო თავისი პარტიის მემარცხენე ფრთის გავლენის ქვეშ, ორც ბოლშევიკები ამბობენ. ეს, ალბათ, გამოირკვეპალატაში. მაგრამ როგორც უნდა იქნეს სიმახელშეკრულებას აზის უფრო მობორძიკო დიპლომატიის, ვიდრე სახელმწიფოს სწორი და სავსებით გამოხატული პოლიტიკის ბეჭედი... ძნელია მაკდონალდისთვისო,—განაგრძობს ჟურნალი,—ხელი აიღოს იმაზე რასაც აკეთებს, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერ მოახერხებს ხელის აღებას. ის წრეები, რომლებიც მხარს უჭერენ მუშათა პარტიას, ხედავენ მართალია რუსეთის სოციალისტური ცდის დამარცხებას, მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ ეს დამარცხება შემთხვევითი ნაბიჯია სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელების გზაზე. ყოველ შემთხვევაში ეს წრეები ინსტიქტიურათ თანაუგრძნობენ რევოლიუციას კაპიტალიზმის წინაალმდეგ. ამ წრეების თვალში ხელშეკრულების უარყოფა იქნება, ამიტომ, საძაგელი განზრახვა კაპიტალისტების მხრივ თავისი საშიშარი მოწინაალმდეგის მოსაცილებლათ.

ჟურნალი თეორეტიულათ წინაალმდეგია ხელშეკრულების, მაგრამ პრაქტიკული მოსაზრებით უდგება საკითხს და ამბობს: დასავლეთის სახელმწიფოებმა, დიდი ხანია, გაიარეს ის ხანა, როცა ბოიკოტს უცხადებდენ რუსეთს მისი მთავრობა ეკონომიური თეორიის და პრაქტიკის გამო. არც პრაქტიკულად გამოდგება და არც პრინციპიალურად იქნება ჭკუაში მოსასვლელი, რომ დღეს ვინმემ რუსეთ უკარნახოს შინაური საქმეების ასე თუ ისე მოწყობა. ამავე დროს რუსეთს მეტის მეტად სჭირდება სავაჭრო ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, სჭირდება უცხო კაპიტალის მოწვევა თავის მეურნეობის აღსადგენად. მეორე მხრივ სხვა ქვეყნებსაც სჭირდებათ რუსეთთან ვაჭრობა. უნდა გამოინახოს მაშასადამე საქმიანი საფუძველი, რომელზედაც შეიძლება სავაჭრო ურთიერთობის განვითარება,

ასეთ საფუძვლათ ჟურნალს მიაჩნია ის გარემოება, რომ 1921 წელს აქეთ საბჭოთა რუსეთი დაადგა ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზას და შეითვისა სხვა ქვეყნების მეთოდები. მაგრამ ამ ბოლო წლებში იქ ორი ტენდენცია ებრძვის ერთმანეთსო. ერთია მეტი თავისუფლება დასავლეთ ქვეყნების წარმომადგენლებთან ხელშეკრულებაში. მეტი ასპარეზის მიცემა მათთვის, მეორეა უცვლელად შენახვა საბჭოთა სისტემის. ამიტომ ჩვენი სახელმწიფო ვერ მისცემს ხანგრძლივ ვადიან სესხის უზრუნველყოფას. ეს უზრუნველყოფა უნდა გამონახონ თავისთვის თითონ მათ, ვინც მისცემს სესხს. ნუ თუ მაკდონალდი ოცნებობდა როდისმე გარანტიის მიცემაზე სახელმწიფოს სახელით, და ნუ თუ ის ფიქრობს, რომ ეს არ იქნებოდა თანაგრძნობა იმ ბრძოლის, რომელსაც დღევანდელი რუსეთი აწარმოებს სოციალიზმისთვის... ამნაირათ, მართალია, ეს საქმიანი ეკონომიური ჟურნალი, ვითომ პრაქტიკულ საფუძველზე აყენებს საკითხს მაგრამ აზრი ებადება კაპიტალისტური პოლიტიკის თეორიაში და ვერ ნახულობს გზებს რუსეთთან საქმიანი ურთიერთობის გამოსარკვევად. რუსეთის საკითხი ხელს უშლის კაპიტალისტურ სისტემას ევროპის ეკონომიური აღორძინების საქმეში.

იგივე ჟურნალი (The Economist, 6 სექტემბერი 1924 წ.) გვიჩვენებს, რა მნიშვნელობა ქონდა ომამდის რუსეთს, ინგლისის შინაურ და გარეშე ვაჭრობაში,

— ათი წლის წინეთ რუსეთი იდგა მეექვსე ადგილზე იმ სახელმწიფოებში, სადაც გადიოდა ჩვენი საქონელი. აშავე ადგილზე იდგა ამ ქვეყნებში, საიდანაც ჩვენ შემოგვქონდა საქონელი. 1913 წელს ჩვენი საქონლის საერთო გატანა შემოტანა უდრიდა 634800000 გირ. სტერ-

ლინგს. რუსეთზე აქედან მოდიოდა 4,4% 27700000 გირ. სტერლინგი. შემოტანა საერთოთ ამ წელიწადში უდრიდა 1913 768700000 გირ. სტერლინგს, აქედან რუსეთზე მოდიოდა 40300000 გირ. სტერლინგი—5,2%. სულ ვაიდა ჩვენგან რუსეთში და რუსეთიდან შემოვიდა ჩვენში 68000000 გირ. სტერლინგის საქონელი. ნედლეულობა, რომ ავილოთ რუსეთს ეკავა თითქმის პირველი ადგილი, იქიდან შემოზიდული შეშა და საალმშენებლო ტყე უდრიდა ღირებულებით 13622000 გირვ. სტერლინგს, ეს შეადგენდა მთელი ჩვენი შემოზიდვის ნახევარს. რუსეთიდან მოგვდიოდა სელი (лень) მეტი წილი ვიდრე სხვა, რომელიმე ქვეყნიდან, ღირებულებით ის უდრიდა 2807000 გირ. სტერლინგს. ნავთის შემოზიდვა იყო შეერთებული შტატებიდან და მეორე ადგილი ეკავა რუსეთს. რუსეთიდან გვქონდა მთელი შემოზიდვა შავი ქვის.

ჟურნალში მოყვანილია რუსეთიდან ინგლისში გაზიდული საგნების სია და მათი ღირებულება:

**საკვები საგნები**

| | ღირებულებით: | | |
|---|---|---|---|
| ქვერცხი | 4,745,000 | გირ. | სტერ. |
| კარაქი | 3,831,000 | „ | „ |
| პურის ხორბ. | 1,985,000 | „ | „ |
| ქერი | 1,847,000 | „ | „ |
| შვრია | 865,000 | „ | „ |
| ლორი | 685,000 | „ | „ |
| სიმინდი | 430,000 | „ | „ |

**ნედლი მასალა**

| | | | |
|---|---|---|---|
| შეშა და საალმშ. ტყე | —13,622,000 | გირ. | სტერ. |
| სელი | 2,807,000 | „ | „ |
| ნავთი | 1,028,000 | გირ. | სტერ. |
| თესლი ყოველნაირი | 916,000 | „ | „ |
| ნედლი ტყავი | 580,000 | „ | „ |
| შავი ქვა | 463,000 | „ | „ |
| კანაფი | 462,000 | „ | „ |

12 სახელმწიფოში, საიდანაც ინგლისს შემოქონდა საკვები საგნები და ნედლი მასალა, რუსეთს ეკავა მეოთხე ადგილი.

რაც შეეხება გაზიდვას, რუსეთში ინგლისიდან საქონლის გაზიდვა სწრაფათ მატულობდა რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ. იზიდებოდა ფართლეულობა, მანქანები, ნახშირი, ეს იყო ომამდის.

მერე მოყვანილია ციფრები 1921 წლიდან.

რუსეთიდან გაზიდულია ინგლისში მილიონ გირ. სტერლინგის ღირებულებით.

| 1921 წ. | 1922 წ. | 1923 წ. | 1924 წ. (6 თვე) |
|---|---|---|---|
| 2,7 | 8,1 | 9,3 | 4,6 |
| გაზიდულია რუსეთში | | | |
| 3,4 | 4,6 | 4,5 | 3,5 |

შედარებაც არ შეიძლება მსოფლიო ომის წინა წელთან. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი გაცილებით ნაკლებ ასპარეზს იძლევა ახლა, ვიდრე იძლეოდა ძველი რუსეთი, ამბობს ხსენებული ჟურნალი. მაგრამ 130 მილიონიან სახელმწიფოს შეუძლია დიდი ბაზარი მისცეს ბრიტანეთის საქონელს და ინგლის-რუსეთის ვაჭრობა შეიქნეს ისეთი, როგორიც იყო ომამდის.

**მიმომხილველი.**

# ჯაყოს ხიზნები და ჩვენი ცხოვრება.

1.

მისწრაფება მშვენიერებისაკენ, სილამაზისაკენ მარტო ადამიანს კი არ ახასიათებს, არამედ ყოველ ცოცხალ არსებას, მთელ ბუნებას.

ყოველი ადამიანის მისწრაფება ყალიბდება და ფრთებს ისხამს კლასობრივ პირობებში. ამიტომაც ცხოვრებაში ჩვენ გვაქვს საქმე კლასობრივ მისწრაფებასთან.

თავის მისწრაფებას მშვენიერებისაკენ ყოველი კლასი თავისებურად ხატავს, თავისებურად ანხორციელებს.

ამიტომაც არის კლასობრივი მშვენიერება.

ავილოთ მაგალითად ენა. ის არის საერთო ერის ყოველი კლასისათვის. გერმანიაში ბურჟუას და პროლეტარს, მემამულესა და მიწის მუშას ყველას ერთი საერთო ენა აქვთ. იგივეა საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში და სხვ.

მაგრამ ამ საერთო ენის გარეგან ერთნაირ გამოხატულებაში ჩაქსოვილია სრულებით სხვადასხვა აზრი, სხვადასხვა ფიქრი, სხვადასხვა მისწრაფება, სხვადასხვა გრძნობა.

იგივეა ხელოვნებაც ხელოვნების ზოგადი, გარეგნული ხაზები ბევრჯერ საერთოა სხვადასხვა წყობილებაში, მაგრამ ამ საერთო ხაზებში მოთავსებულია სრულებით სხვადასხვა შინაარსი.

ყოველ კლასსა აქვს საკუთარი ხელოვნება, რომელიც იმის გულის ნადებს გამოჰხატავს.

შეიძლება და ბევრჯერ საჭიროც არის, რომ ერთმა კლასმა ისარგებლოს მეორე კლასის ხელოვნების ხაზებით, ფორმით, მაგრამ ამ ფორმაში ის მოათავსებს საკუთარ შინაარსს.

დღემდე გამეფებული იყო ბურჟუაზიული და არისტოკრატიული ხელოვნება.

დღეს სცენაზე გამოდის პროლეტარიატი. ის ჰქმნის და ადრე თუ გვიან შეჰქმნის საკუთარ ხელოვნებას; მაგრამ ამ გზაზე მას შეუძლია დროებით ისარგებლოს ძველი ხელოვნების ფორმებით.

რომანი შექმნა ფეოდალურმა არისტოკრატიამ.

ის ჩაისახა და განვითარდა დიდი ფეოდალების ოჯახებში და შემდეგ გადვიდა ხელოვნებაში.

ხელოვნების ამ დარგის ფორმით ისარგებლა ბურჟუაზიამ და შექმნა საკუთარი რომანი.

პროლეტარული ხელოვნებისათვის მისაღებია თუ არა რომანი?

რა თქმა უნდა მისაღებია, ხოლო ამ რომანში უნდა იყოს სულ სხვა შინაარსი და სხვა ფორმაც.

მაგრამ სანამ შინაარსი ახალ ფორმებში ჩამოყალიბდებოდეს, ძველი ფორმები გამოსადეგია.

მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ წარმოადგენს ახალის ძიებას თუ ფორმით არა, შინაარსით მაინც.

ამ რომანში ავტორმა ფარდა აჰხადა ჩვენი ცხოვრების ერთ კუთხეს, ერთ მხარეს და სისწორით გააშუქა ის.

„ჯაყოს ხიზნები“ თავისი შინაარსით თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენაა.

მიხ. ჯავახიშვილი არის ანატომი, რომელიც ჰკვეთავს ქართველი ერის სხეულს; რადგანაც ეს სხეული განვითარების დუღილშია, ადამაშვილი მტკიცედ, სასტიკად, გაბედულად და შეუბრალებლად სჭრის და აცლის ამ სხეულს ყოველივეს, რაც იმის განვითარებას ხელს უშლის, წინ ეღობება.

ვინ არიან უმთავრესი გმირები რომანისა? ორი ადამიანი—ძველი თავადი თეიმურაზ ხევისთავი და მისი გლეხი ჯაყო ჯივაშვილი.

მთელი რომანის სივრცეზე არის დაპირისპირება ამ ორი ადამიანისა.

როგორც საერთოდ ყოველი განვითარებული ერის ინტელიგენცია, ისე ქართველი ერის ინტელიგენცია არ წარმოადგენს ერთფეროვან კრებულს, არამედ ის დაყოფილია თავისი მისწრაფებისა და საზოგადოებრივი მიზნების მიხედვით. არის ინტელიგენცია თავად-აზნაურული, ბურჟუაზიული, თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიული, წვრილ ბურჟუაზიული, სოციალისტური, პროლეტარული.

რევოლიუციამდე ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გაბატონებული იყო თავად-აზნაურობა. ამიტომაც პირველობა ეკუთვნოდა თავად აზნაურულ ინტელიგენციას.

რადგანაც თავად-აზნაურობას ესაჭიროებოდა მსხვილი ბურჟუაზიის ჯიბე, ბურჟუაზიას კი ბატონობა უნდოდა, ამის გამო ბატონობის ნაწილს თავადაზნაურობა უთმობდა მსხვილბურჟუაზიას, სამაგიეროდ სარგებლობდა მისი ჯიბით, ამ რიგად ორივე ფცქვნიდა მუშაპსა და გლეხებს და ნადავლს ერთი მეორეს უზიარებდა.

ამის გამო თავად-აზნაურული ინტელიგენცია მუდამ ორ სკამზე იჯდა: ის გამოჰხატავდა თავადების იდეალებს, მაგრამ მსხვილ ბურჟუაზიასაც ვერ ივიწყებდა: მისი თავად-აზნაურული სულისკვეთება შეზავებული იყო მსხვილ ბურჟუაზიული ოცნებით.

სწორეთ ამ ინტელიგენციის წარმომადგენელია ძველი თავადი თეიმურაზ ხევისთავი. ის არის დიდი ბატონი და დიდი მემამულე.

საზღვრები თავისი ადგილ-მამულისა, ან სად რა აქვს, თვითონაც არ იცის. მას აინტერესებს მხოლოდ შემოსავალი და ამას განაგებს მისი მოურავი. თვითონ კი მუდამ გართულია საქართველოზე ფიქრსა და ოცნებაში. ზედ მიწევნით იცის საქართველოს ისტორიული საზღვრები. სამშობლოს წარსული დიდება მას მოსვენებას უკარგავს.

საზოგადო საქმეში იმდენად ჩაფლულია, რომ დღედა ღამე მოსვენება არა აქვს—კრებები, სხდომები, წერა, ლაპარაკი.

დიდი საზოგადო მოღვაწე—აი თეიმურაზ ხევისთავი.

ენის კულტურული ქავილი და ლაყბობის მუნი—აი რა ახასიათებს უწინარეს ყოვლისა თეიმურაზ ხევისთავს.

თეიმურაზი პირმშო შვილია ძველი ცხოვრების. მას საპატიო ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, დამსახურებული მოღვაწეა, ნიჭიერი, უანგარო, პატიოსანი, უმწიკვლო და კეთილშობილი ადამიანის სახელი აქვს მოხვეჭილი.

ის ოცნებობს მომავაზე, ძმობაზე, ერთობაზე, თავისუფლებაზე, ხოლო ყოველივე ეს იმის არსებაში გადახარშული და გათვალისწინებული კი არ არის, არამედ ლამაზი სამკაულია, რომელიც საჭიროა ყოველი განათლებული და მოწინავე ინტელიგენტისათვის.

მოხდა რევოლიუცია, დაინგრა ძველი ცხოვრება და თეიმურაზ ხევისთავს ნიადაგი გამოეცალა. აი აქ გამოაშკარავდა სრული მისი უბადრუკობა.

ეს ყოველისფრით კულტუროსანი და განათლებული ადამიანი, ცოდნით, პატიოსნებით, მრავალი სურვილებით აღჭურვილი ადამიანი ახალს ცხოვრებაში აღმოჩნდა სუსტი და უნებო კაცუნა, რომელსაც გულის მაგიერად ჩვარი ედვა.

„ჭიანაჭამი, გამოხრილი, დაფუტუროვებული, ძალდაღრღნილი და ხერხემალ მოშლილი, უძვალო და უკუნთო, ცივი და ლორწოიანი“,—აი რას წარმოადგენს თეიმურაზი ახალს ცხოვრებაში.

ახალი ცხოვრება ადუღებული რკინის ცეცხლმქშინავ ტალღებზე მოექანება.

ასეთი ცხოვრება სამოქმედოთ იწვევს და ფაფარ აშლილ რაშს აწვდის ყველას—მტერსაც და მოყვარესაც. ბრძლა მასთან ერთად ან მის წინააღმდეგ,—სხვა გზა, სხვა სურვილი, სხვაგვარი მოქმედება არ არსებობს.

თეიმურაზი კი ლუდზე შუპლ დაბჯენილი განზე გამდგარა და მოქმედების მაგიერ მუდამ თავის თავს ეკითხება:

„რა არის ჭეშმარიტება?“

სად არს სამართალი?

რა არს ცხოვრება ესე?

როდესაც ახალგაზრდა თეიმურაზი სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა, მას ცხოვრების აწყობილი და მოწყობილი მეხანიზმი დახვდა.

ეს შეადგენდა მისი მდგომარეობის სიმტკიცეს და ის კი დარწმუნებული იყო, რომ თვითონ, თავისი ძალღონითა და შემოქმედებით აშენებდა ცხოვრებას.

როდესაც მართლა საჭირო შეიქნა საკუთარის ძალღონით გზის გაკაფვა და ცხოვრების შენება, თეიმურაზ ხევისთავს—ამ ტიპიურ ინტელიგენტს ძველი ცხოვრებისას და ძველი წყობილების საზოგადო მოღვაწეს არ აღმოაჩნდა არც შესაფერისი გული, არც საჭირო სიმტკიცე, ხასიათი და ნებისყოფა.

ახალმა ცხოვრებამ ნიღაბი ჩამოაძრო მას და დიდი მოღვაწის ალაგას ჩვენა ვხედავთ რბილ, ლორწოიან ჭიაყელას, რომელსაც არაფერი არ შეუძლია გარდა ცარიელ ბოდვისა.

ის არის აღჭურვილი ცოდნით, განათლებით. მიეცით, რა საკითხიც გნებავთ,—მთელ ლექციას წაგიკითხავთ, გამოკვლევას დაგიწერსთ; ახალი ცხოვრებისათვის კი ამავე დროს ის სრულებით მოუმზადებელია, სრულებით გარიყული და ზედმეტი ადამიანი.

მთელი ტრაღიზმი თეიმურაზისა იმაში მდგომარეობს, რომ ის თვითონ გრძნობს ყოველივე ამას, ჰხედავს და

ამავე დროს ვერავითარი გამოსავალი ვერ მოუნახავს. მას არ შესწევს იმდენი სიმტკიცე, რომ მტკიცე გარდაწყვეტილებით თვითონვე მოუღოს ბოლო თავის ცხოვრებას.

მართალია ის წყალში გადავარდება, მაგრამ სწორეთ აქ მჟღავნდება მთელი მისი სილაჩრე და სიბადრუკე.

ის ოცნებობს, მზათ არის იბრძოლოს, გზა გაიკაფოს, მაგრამ მისი მოდუნებული მკლავები, მილეული სული, გატეხილი ხერხემალი სრულებით ალარ შეეფერება დღევანდელ ცხოვრების ქარიშხალს, რომლის ტალღებშიაც თეიმურაზი მხოლოდ დამცირებას და საკუთარი პიროვნების, ადამიანური ღირსებისა და თავმოყვარეობის ფეხქვეშ გათელვასა ჰკრეფავს.

ძველ ცხოვრებასთან ერთად თეიმურაზისათვის ყოველივე გათავდა. მართალია, ის ოცნებობდა ახალზე, ის თვითონა სჭრიდა იმ ხეს, რომელზედაც იჯდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მწიგნობარი ადამიანის ბოდვა: ახალ ცხოვრებას თეიმურაზისათვის არასფერი არ აღმოაჩნდა.

„—შენა გაილვიძებდე! გაიგებდე, რომა ზაკონის დრო აღარ არის! წინათ თქვენა სწერდებოდეთ ზაკონსა. ეხლა კი მორჩებოდით და ჩაძაღლდებოდით“.

ამ სიტყვებით მიმართავს თეიმურაზს ჯაყო.

უნდა ჩაძაღლდე, სხვა გზა არ არის, აი საშინელი სიტყვები, რომლებსაც ახალი ცხოვრება უცხადებს თეიმურაზს ჯაყოს პირით. „ჩაძაღლდითო!“

უკეთესი სიტყვის გამონახვა თეიმურაზის მდგომარეობის გამოსახატავად მართლაც შეუძლებელია.

თეიმურაზი საკუთარის თვალით რწმუნდება, აშკარად ჰხედავს, რომ მისი ცოლი ჯაყოს საყვარელია, ხასა; მიუხედავად ამისა მას არ შესწევს იმდენი სიმტკიცე ხასიათისა და თავმოყვარეობა, რომ განშორდეს იმ ოჯახს, სადაც ის სრულებით მეტია და ჯაყოს ნოქრის თანამდებობას ჰკისრულობს პატარა დუქანში, ოღონდ კი უცქიროს იმ ქალს, რომელსაც აღარაფერი აღარა აქვს მასთან საერთო, რომელსაც თეიმურაზი ეჯავრება და ეზიზღება.

რა დარჩენია ყოველივე ამის შემდეგ თეიმურაზს?

ერთად-ერთი საქმე:

ძველი კიდობნიდან ამოიღოს ძველის-ძველი ხატი, დაასვენოს კუთხეში, დაუნთოს სანთელი, პირქვე დაემხოს მის წინაშე და მეტანიით, ცრემლითა და სასოებით ილოცოს: უფალო ძლიერო, ყოვლის შემძლევ და სათნოიანო! მოგვეც ჩვენ დავრდომილთა და ულირსთა ძეთა შენთა, მოთმინება ულეველი, მშვიდობა უსაზღვრო და რწმენა უძირო სიმართლისა შენისათაო.

აქ იშვიათის მხატვრობით არის ამოწურული სულის კვეთება ჩვენი ძველი ინტელიგენციის ნაწილისა, რომელმაც სრულებით ვერ აუღო ალლო ახალ ცხოვრებას, გზაკვალი დაჰკარგა, სიონში ეძებს ნუგეშსა და რწმენას და გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს, კათალიკოსის წირვა არ გამომეპაროსო.

დასკვნა?

მხოლოდ ერთად-ერთი:

თეიმურაზს ხევისთავს არავითარი ადგილი აღარა აქვს ახალს საქართველოში.

**ივ. გომართელი.**

---

# სურათები წარსულიდან.

**(მოგონება—მასალა მოთხრობისთვის).**

II.

**1902 წ. თებერვლის 10.**

**დღიური.**

როგორც მაისის დილის სიო, გაღებულ ფანჯარაში, ისე შემოიჭრა ჩემს თავში სოციალისტური აზრები. შეიპყრო მთელი არსება. ამ დღიდან ვიწყებ დღიურს.

საით გამაქანებს ჩემი ახალი იალქანი, რომელ მზიურ ქვეყანაში მიმიყვანს... როგორი იქნება მისი ტალღები, გულს რომ ამიძგერენ.

იქნებ რომელიმე სიპ კლდეს მიმანარცხებს...

ინავარდე ჩემო იალქანო აზვირთებულ ტალღებში, არ შევდრკები!.. მიყვარს მე ნავარდობა!..

დღეს, საღამოს, ჩვენს ოთახში იოსები შემოვიდა. მას პირდაპირი კავშირი აქვს თფილისის სოც.-დემოკრატიულ კომიტეტთან. ბროშურები მოაქვს ხოლმე ჩვენთან. ეხლაც დასტოვა წითელ-კანიანი „Рабочее дело“.

ახირებული ადამიანია! რაღაც ძლიერი სული ბუდობს მასში!

ხშირათ, კამათის დროს, ვგრძნობ რომ მართალი ვარ, ჩემი დებულებანი უფრო ძლიერია, მისაღებია.. ალეღვებით, გაცხარებით, მთელის შეგნებით და არსებით ვიცავ ჩემს აზრებს.

მაშინ მე კუნთები დაჭიმული მაქვს, გონების ისარი გაერთწერტილებული, სახე და მთელი არსება თრთის, სიტყვებს ხმა მაღლა ვყვირი, ხელებს ვაქნევ—ხან მაგიდას დავარტყამ, ხან წიგნებს აურ დაურევ, გააფთრებულ კრუხს ვემსგავსები, რომელიც თავის წიწილებს იცავს. ის კი,—წყნარათ ცალ ულვაშში ჩაიცინებს, აუღელვებლად ორიოდე ფრაზას იტყვის, დაჟინებით, სიმტკიცით და თითქო იარაღი მომხსნაო, დიდ ხანს ცივ წყალ გადასხმული ვდგევარ, სანამ რაიმე ახალ იარაღს მივიშველიებდე.

დღესაც დამიწყო მტკიცება: აბა, როდემდის უნდა იკითხო წიგნები! როდემდის უნდა ისწავლო. ვსთქვათ უნივერსიტეტიც გაათავე. მერე? რა! გამოხვალ „ჩინოვნიკი!“ სხვა არაფერი: ყოველ შემთხვევაში ბურჟუაზიის ლაქია!

არა! თუ შენ მართლა გინდა მუშათა კლასს დაეხმარო, მოდი, მასთან იმუშავე! უკვე დროა! ერთი წრე მაინც აიღე ნაძალადევში, ახალგაზრდა მუშებს შეგიკრებ. წადი! იარე!..

იძულებული ვიყავი დავთანხმებულიყავი. ხვალ ან ზეგ ამხანაგს გამომიგზავნის, რომელსაც უნდა გავყვე ნაძალადევში.

**პირველი წრე.** **თებერვლის 15.**

ასეთი თავმოყვარეობის შელახვა, არასდროს მიგვრძნია და სულ კი იოსების ბრალია!

როგორ იყო? ჰო! პირველი წრე!

„კავშირმა“ გამატარა სადგურის იქითა მხარეს ნაძალადევის რამდენიმე უსწორ-მასწორო ბნელი ქუჩა. მერე ერთ პატარა ეზოში შევედით, პატარა აივანი გავიარეთ და ერთ პატარა ოთახში ამოვყავით თავი.

ოთახის აქეთ-იქით მხარეს, საწოლი ტახტები გაშლილი ლოგინით. პირდაპირ კედელთან გაზეთის ქაღალდით დაფარული პატარა მაგიდა. მაგიდაზე პატარა ლამფა, შუშა გაუწმენდელია და ამიტომ ძლივს ანათებს ოთახს. იქვე აწყვია ჟურ. „კვალის“ ნომრები და ორიოდე წიგნი. კედელზე გაკრულია სურათი ნინოშვილისა. ტახტების ზევით ლურსმებზე ჩამოკიდულია ბლუზები და პირსახოცები. მაგიდასთან დგას ორიოდე ხის სკამი.

ოთხი ამხანაგი უკვე მოსულიყო და ტახტებზე იყვნენ ჩამომსხდარნი. მივესალმეთ. ავათვალ ჩავათვალიერეთ ერთმანეთი.

მაგიდასთან სკამზე ჩამოვჯექი. „კავშირმა“ იკითხა ამხანაგების სახელი, რომლებიც ჯერ არ იყვნენ მოსულნი. ცოტა ხანს დავიცადეთ. მალე ისინიც შემოვიდნენ ოთახში.

პაპიროზს ვწევდი. უხერხულად, ბუნდოვანათ ვგრძნობდი თავს.

კავშირმა მომმართა,—აბა ამხანაგო, დავიწყოთ!..

გასწორდნენ. ჩემსკენ მოაპყრეს თვალები. როცა ჩემსკენ მომართულ თვალებს შევხედე, მაშინ ვიგრძენ ის, რასაც გრძნობს მგზავრი, რომელსაც გზაში გადასახტომი მდინარე შეხვდა, სხვა გასასვლელი არსად არის, უნდა გადახტეს,—ხოლო თვალით რომ გაზომავს მანძილს,—ეჭვი ეპარება; ვაი თუ, ვერ გადავხტე და წყალში ჩავვარდეო...

დავიწყე ლაპარაკი.

როგორ და რა სიტყვებით დავიწყე, აღარ მახსოვს, ვიცოდი რომ უნდა მელაპარაკნა რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. ჩემს თვალ წინ იდვა, ის პატარა ბროშურა წითელ კანიანი, მოგძო და თხელი ტანისა, რომელსაც ეწერა: რვა საათის სამუშაო დღე,—გუშინ რომ წავიკითხე. მუშამ უნდა მოითხოვოს: რვა საათის მუშაობა, რვა საათის დასვენება და რვა საათის ძილი.

მახსოვს წიგნიდან ამოკითხული აზრები, რომ რვა საათის სამუშაო დღის მოთხოვნილება, არის მუშათა მოთხოვნილება; ისიც მახსოვს რომ ავტორი, ამბობდა,—რაც უფრო მცირე იქნება სამუშაო დრო, იმდენათ მუშაობა ინტენსიური ხდება და ამიტომ ამერიკაში სადაც 9 ნახ. საათიანი მუშაობის მაგიერ, როცა 9 საათის სამუშაო დღე შემოიღეს,—წარმოებას არ დაუკლია.

ხოლო, როცა ლაპარაკი დავიწყე, თავში მაშინ გაიხხირა ერთი აზრი: თუ სამუშაო დროს დაკლებით წარმოება არ მცირდება და ამით კაპიტილისტი არაფერს კარგავს და ზოგან თვით კაპიტალისტები ამცირებენ სამუშაო დროს,— მაშ რაღაშია საქმე? რატომ მუშამ ეს უნდა გაიხადოს მაინც და მაინც საბრძოლველ ლოზუნგათ!..

და ლაპარაკის დროს თავში გაჩხირულმა კითხვამ დამაბნია. უაზრო სიტყვებს ვისროდი. და ეს ჩემსკენ მოშტერებული თვალები, ახალგაზრდა სახეები, იდაყვებით მუხლზე დაყრდნობილი და ნიკაპები მუჭში დაჭერილი,—დატრიალდა ჩემს თვალებში, გაექან-გამოექანა, მთელი ოთახი საქანელასავით ავიდა ზევით, ისევ ძირს დაეშვა...

უხერხულობა იგრძნეს მათ და ეს უხერხულობა სავსებით მაბნევდა მე. და ჩემი ლაპარაკიც შესწყდა სავსებით მოულოდნელად...

„კავშირი“ მიხვდა ჩემს გამოუცდელობას. შექმნილ მდგომარეობის გასაბათილებლათ ამხანაგებს მიმართა: ახლა პაპიროსი მოვსწიოთ და ამხანაგი მერე განაგრძობს ლაპარაკსო.

იდაყვები მუხლებიდან აიღეს, ნიკაპები გაუშვეს, საჯდომზე გასწორდნენ, პაპიროზს მოუკიდეს, ვიღაც გარეთ გავიდა.

პატარა ხნის შემდეგ ლაპარაკი ისევ განვაგრძე. რა ვილაპარაკე აღარ მახსოვს. გავათავე. მუშებს დავპირდი შემდეგი საუბარი უფრო საინტერესო იქნება მეთქი სხვა თემაზე, ავიღე ქუდი, დავემშვიდობე და წამოვედი...

ცხადია მე იმ წრეში აღარ წავალ!..

**აპრილის 8.**

**შეხვედრა.**

იოსებმა თავისი გაიტანა! მუშაობაში ჩავები! ახლა რამდენიმე წრე მაქვს. ორა ნაძალადევში და ერთიც დიდუბეში.

იმ დღეს, როცა წრის მსმენელებს ღმერთისა და სარწმუნოების შესახებ ვებაასებოდი, უხსნიდი ადამიანის გაჩენის ისტორიას, ჩემსკენ მომართული ახალგაზრდათა თვალები ნაპერწკლებს აფრქვევდნენ! ეს თემა მათ ძალიან აინტერესებს. შეკითხვებიც ბევრი მომცეს!

ერთმა ახალგაზრდამ გამომაცილა. მთხოვა წიგნები მიმეტანა მისთვის! მეც დავპირდი.

ძალიან მკვირცხლი და ცოცხალი ყმაწვილია! იაკინთე ჰქვიან!..

— როგორ მოხვდი თფილისში? შევეკითხე იაკინთეს.

იმანაც მიამბო.

მამა მისი წვრილი ცოლშვილის პატრონი ყოფილა. ზაფხულში, როცა სკოლაში სწავლა სწყდებოდა; იაკინთეს გამოჰქონდა თავის სოფლიდან ბაღის ქერქიდან გაკეთებულ ბოყვში ჩალაგებული ხილი: შავი ქლიავი, ქანჭური, ვაშლი, მსხალი, თხილი, ლეღვი და სხვ. და სადგურზე ჰყიდდა მატარებლის გავლის დროს.

მის თვალწინ ყოველ დღე გაივლიდა თფილისში მიმავალი მგზავრებით დატვირთული მატარებელი და აგრეთვე იქიდან დაბრუნებული.

თავში მუდამ უტრიალებდა აზრი თფილისის ნახვისა და როდესაც მყიდველებს თავის ბოყვში ჩაწყობილ ლეღვს მიაწვდიდა,—აკვირდებოდა მათ სახეს და შენატრიდა, რომ ისინი თფილისში მიემგზავრებოდნენ.

გაჩერებულ ვაგონებს აუვლ-ჩაუვლიდა და გაფაციცებით ვაგონის ფანჯარაში იცქირებოდა

— აბა, ლეღვი, ლეღვი! შაური, შაური! გაიძახოდა—

და გადასწყვიტა შაურების მოგროვება. მეზობელი ეგულებოდა თფილისში, მისი მისამართი ჩაიწერა ქაღალდში და ერთ დღეს გაეპარა მამას თფილისში.

ეხლა ის სახელოსნოშია მოწყობილი; სოფელში აღარ დაბრუნებულა და არც აპირებს.

უსათუოთ ნიჭიერი ყმაწვილია და კარგი შეგნებული მუშაც დადგება...

აპრილის 15.

წელს პირველ მაისობის დემონსტრაცია არ იქნება თფილისში. დაჭერილია ყველა კომიტეტის წევრი. იოსები გადამალულია და ჩვენთანაც არ ჟოუჟილა რამდენი ხანია!

გუშინ გამოეკზავნა ერთი ამხანაგი. იმან შეგვატყობინა, რომ ქარელიდან ჩამოსულა ამხანაგი, რომელიც ითხოვს კომიტეტისგან ამხანაგს ქარელში პირველ მაისობის ჩასატარებლად, სადაც ახლა რკინის გზის ხიდს აშენებენ.

თფილისის დეპოდან წასულ მუშებს მოუწყვიათ იქ წრეები.

ხვალ ან ზეგ წავალთ და ვიდღესასწაულებთ პირველ მაისს, ალბათ სადმე ტყეში, სადაც არ იქნებიან ყაზახები.

დ. ლიხელი.

# ქართული ლიტერატურა

## IV.

1848 წლ. რევოლიუციამ გრიგალივით გადაიარა ევროპის ხმელეთი. ქარიშხალი ატყდა დასავლეთშიაც და აღმოსავლეთშიაც. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ასპარეზზე პირველათ გამოსულიყო პროლეტარიატი, როგორც პოლიტიკური კლასი და ეს კლასი იწყებდა სწორეთ პოლიტიკურ ბრძოლას.

თავისუფლება მიენიჭა რუსეთისა და საქართველოს ყმებს, რომელთა საუკეთესო მიწა-წყალი, განთავისუფლების დროს, თავად-აზნაურობას დარჩა და ნაშინაყმართა მომავალი ცხოვრება სიკვდილ-სიცოცხლის განსაცდელში ჩავარდა. ამ ნაირათ, პირველათ მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში გაჩნდა თავისუფალი შრომა. და ასეთმა დიადმა ისტორიულმა გარემოებამ, რასაკვირველია, ძირეულათ გადააბრუნა ქართველთა ცხოვრება და ყოველგან, ქალაქებსა და დაბა-სოფლებში მოხდა სრული და ჭეშმარიტი რევოლიუცია.

და აი, სწორეთ ამ დროს, შეიძრა და ახმაურდა ძლიერათ ქართველი კაცის ჭკუა, გრძნობა-გონება და ჩვენს ლიტერატურას მიეცა სრულიად ახალი მიმართულება, დაუდგა სრულიად ახალი დრო...

ამ ახალი დროის პერიოდს საქართველოში უნდა ვუწოდოთ ილია ჭავჭავაძის პერიოდი სწორეთ ისე, როგორც 50-იან წლებში გიორგი ერისთავის (გლუხარიჩის) პერიოდს ეწოდება, როცა ქართულ ლიტერატურაში შხუილით შემოიჭრა ქართლური კილო, გამეფდა გიორგის სტილი..

ილია ჭავჭავაძემ 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დასტამბა თავისი კრიტიკული წერილი. ამ კრიტიკულმა წერილმა სწორეთ რომ ყუმბარასავით იფეთქა და შიგ გულში მოხვდა მაშინდელ გავლენიან მწერლებს: მგოსნებსაც და პროზაიკებსაც. ამ კრიტიკულმა წერილმა ძალიან დიდი ბრძოლა ასტეხა და სალიტერატურო ჭაობი საქართველოში ძალზე შეიძრა. ილიამ ამ პირველ წერილს მეორეც მიაყოლა, მარა მეორე უფრო ძლიერი და გაბედულიც იყო. ახლა-კი ილიას მუშაობა ჟურ. „ცისკარში“ ყოვლათ შეუძლებელი შეიქნა და მეორე წელსვე, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, მან დაარსა საკუთარი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ დღიდან იწყება სწორეთ ჩვენში ერა ახალგაზრდა საქართველოს ახალი ცხოვრებისა.

„საქართველოს მოამბეს“ გარშემო შემოკრბენ ილიას ტოლ-ამხანაგნი, მისი თანამოაზრენი და თანამგრძნობელნი. აქ, ამ ჟურნალის ფურცლებზე პირველათ საქართველოში ატყდა დიადი, ფრიად საყურადღებო, ჯერ ჩვენში არც ნახული, არც გაგონილი ბრძოლა ძველი მწერლობის მიმდევართა და ახალგაზდა, რუსეთში ნასწავლ, ასე წოდებულ „თერგდალეულთა“ შორის აქ პირველათ ატყდა მკაცრი, ულმობელი კრიტიკა და ჩაისახა ბრძოლა მამათა და შვილთა შორის... ეს იყო ორი დიდი ქვეყნის, ორი დიდი ფილოსოფიის, აზიის და ევროპის დატაკება ჩვენში. და სწორეთ ეს ჟურ. „საქართველოს მოამბე“ იყო საქართველოში პირველი ევროპიული ჟურნალი, რომელმაც მის ნიჭიერს რედაქტორს ერთბაშათ გაუთქვა სახელი მთელს მოწინავე ქართველობაში. ამ რიგათ ილია ჭავჭავაძის ჟურ. „საქართველოს მოამბე“ წარმოადგენდა ცოცხალი, თავისუფალი ადამიანის გრძნობა-გონების ნავთსაყუდელს, დაუშრეტელი კრიტიკის წყაროს. არ აკლებდა ქვეყანას იგი შორეული გაზაფხულის მერცხლის საამო ჭიკჭიკს და ცოცხალი, მხიარული გულით ენერგიულათ ჰყრიდა ქვეყნის წინაშე, არა თუ უბრალო ნიჭებულობის, პირდაპირ პირველ ხარისხოვანი ტალანტის ჩინჩხლებს.

მიუცილებლათ, „საქართველოს მოამბემ“ საქართველოს აზიურ-ბიზანტიურ პირისახიდან საქვეყნოთ ჩამოხსნა თავიდან ფეხებამდი შესუდრული მოსასხამი და პირდაპირ ევროპიდან, რუსეთის გზით, შემოიტანა ახალი ცხოველმყოფელი, გამაცოცხლებელი ნაკადული. მას აქეთ საქართველო გაიყო ორათ: მამებათ და შვილებათ. რა თქმა უნდა, ქართველების აზრიც უნდა გაეთავისუფლებია აზრთა ერთი ბეორეზე დატაკებას, კრიტიკას. დღეს თავისუფალი აზრის, კრიტიკის ცხოველი შუქი საქართველოს მიავლინა მიუცილებლათ 60 ანი წლების ქართველ ლიბერალთა მხატვრულმა ლიტერატურამ.

ჟურ. „საქართველოს მოამბის“ დაკეტვის შემდეგ (1863 წ.), ილია ჭავჭავაძემ სახელმწიფო სამსახურს მოკიდა ხელი და სრულიადაც გაშორდა ლიტერატურას.

1866 წელში გიორგი წერეთლის რედაქტორობით სტამბიდან იწყო გამოსვლა გაზეთმა „დროებამ“. მაგრამ გაზეთის ფურცლებზე, მოგეხსენებათ, შეუძლებელია სულ დათქმული, მიუდგომელი, ობიექტიური განსჯა და შეფასება, სწორი კრიტიკა. კრიტიკის წყაროს აჩუხჩუხებისათვის ყოველთვის ჟურნალია საჭირო, და ჟურნალში იგი უფრო თავსდება და პოულობს ნამდვილს და ჭეშმარიტს ნავთსაყუდელს. და აი, საქართველოც შეესწრო ამ დროს.

სწორეთ ამ ხანებში ციურიხის უნივერსიტეტის კურსი, უფლებათა დოქტორობის ხარისხით, დაასრულა ჭაბუკმა ქართველმა მწერალმა ნიკო ნიკოლაძემ, რომელიც, ერთსა და იმავე დროს, თანამშრომლობდა გერცენის არალეგალურ „კოლოკოლში“ და ნიკოლოზ ჩერნიშევსკის „სოვრემენიკში“. განახლებული რუსული ლიტერატურის ახალგაზდა ბელადნი—ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი, საფრანგეთის დიდი მნათობნი—ლუი-ბლანი, ანრი როშფორი და იპოლიტ ტენი, ქუხდენ და ღელავდენ ჭაბუკის სიმამაცითა და თავდაუზოგველი დიადი და პატიოსანი იდეის განსახორციელებლათ. აი ამ დიად, შესანიშნავ დროს, პირდაპირ, უშვალოთ შეესწრო ჯერ რუსეთში და, მერე, ევროპაში—შვეიცარიასა და პარიზში—ნიკო ნიკოლაძე და მთელი თვისი ძლიერი ტემპერამენტი და ტალანტი ჩვენმა ახალგაზრდა—ჭაბუკმა ამ ახალი, პატიოსანი აზრების შეთვისებას მოანდომა და იგი ამ ახალის იდეებითა და ცხოველის გრძნობებით დიდათ აღტაცებული პირდაპირ პარიზიდან მოვიდა თავის უსაყვარლეს საქართველოში 1869 წლის გასულს.

**ხომლელი.**

# ნდობა უნდა აღდგეს

შეიძლება კლასი დროებით ასცდეს თავის გზას, მაგრამ სამუდამოთ რომ მან ის დაჰკარგოს, ეს ყოვლად შეუძლებელია; თავის დროზე ის გაერკვევა თავის შეცდომებში და გამონახამს ნანდვილ კლასობრივ გზას.

საქართველოს სოც-დემოკრატია, და ის მუშათა მასები, რომელიც მას თანაუგრძნობდენ, დღეს შეუდგა თავის წარსულ საქმიანობის, რევიზიას მან შემცდარათ აღიარა ის გზა, რომლითაც მიიმართებოდა საქ. სოც.-დემოკრატია რევოლიუციის პროცესში.

ის დადგა საბჭოთა პლათფორმაზე და ამ ნიადაგზე მან, მაშასადამე, მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს, აქტიურად უნდა ჩაებას ერის ეკონომიურ-კულტურულ აღმშენებლობით მუშაობაში.

მომაკვდინებელ ცოდვათ, და დანაშაულად ჩაეთვლებათ მათ ვინც დღეს, ასეთ საბედისწერო ჟამს, როდესაც ტიტანიურ შებმის მოლოდინში ვართ, შრომასა და კაპიტალს შორის, პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელის აღებას ფიქრობს. „საბჭოთა სახელმწიფო დიდი სარბიელია, სადაც ყოველ რევოლიუციონერს, ყოველ მებრძოლს, პატიოსან მოქალაქეს, შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ვინ შეუქმნით მათ ისეთ პირობებს, რომ აიღენ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი?-არავინ.

„საბჭოთა აპარატი იქნება ის ასპარეზი, რომელზედაც თქვენი მრავალწლოვანი რევოლიუციონერები, დიდი კულტურის ძალღონის მატარებელნი, გაშლით შემოქმედების ფრთებს და ჩვენთან ერთად აგურს აგურზე დაუმატებს, იმ დიდს საბჭოთა შენობას, რომელსაც ვაშენებთ და თქვენთან ერთად დავამთავრებთ“. ასე ამბობდა მამია ორახელაშვილი ერთ ერთ თავის სიტყვაში სრ. საქ. სოც. დემ. პ. ყრილობაზე. ცხადია, ჩვენი ვალია რომ მტკიცედ და ენერგიულად ვიმუშაოთ აღმშენებლობითი ფრონტზე. მაგრამ, ამავე დროს, აღმშენებლობითი მუშაობის წარმატებითი მსვლელობა მოითხოვს, რათა აღმოიფხვრას ყველა ის არალეკალური ორგანიზაციები, ყველა ის ხელშემშლელი ჯგუფები, რომლებიც აფერხებენ ერის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინების საქმეს, მის აღმშენებლობითი მუშაობას, ჩვენ უნდა გავურკვიოთ იმ ნაწილს, რომელსაც ევროპისკენ აქვს კიდევ თვალი მიპყრობილი, უნდა ვაჩვენოთ მათ დაუმტკიცოთ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით შეიძლება შეინარჩუნო დამოუკიდებლობა, მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება შენარჩუნება მუშათა კლასის მონაპოვარისა.

როგორ მივაღწიოთ ამ მიზანს? მიუკარებლობით?! ამით უფრო დაიშორებ მას, და ის იძულებული იქნება არ დაინახოს ყველა ის მიღწევანი კულტურულ-ეკონომიურ ფრონტზე, რომელიც მოგვცა ხელისუფლებამ: ის მთელ თავის მოქმედებას პირად ჯავრზე ააშენებს, არ გაუწევს ანგარიშს, ვერ გაერკვევა საერთაშორისო შექმნილ პირობებში, და შეუგნებლად გააკეთებს იმას, რის გაკეთებაც მას არ სურს. რუსეთის პროლეტარიატთან დაშორებას, რომელსაც ხელს უწყობდა მენშევიკური მთავრობა, შედეგათ მოჰყვა ის, რომ ქართველი მშრომელი უმრავლესობა ყალბი წარმოდგენის გახდა პროლეტარიატის დიქტატურაზე, რამაც ხელი შეუწყო ანტი-ბოლშევიკური პოზიცია დაეკავებიათ. და დღეს, ჩვენს სინამდვილეში უნდა ვეცადოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ასეთი საფრთხე, არ უნდა დავშორდეთ საბჭოთა აღმშენებლობას, არამედ მასთან ახლოს უნდა ვიყვეთ. ამას მოითხოვს მსოფლიო მუშათა კლასის ინტერესიც.

რასაკვირველია მთავრობა და პარტიის ხელმძღვანელი წრეები ხელს უწყობენ ასეთ დაახლოვებას, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა მჭიდროდ დაიახლოვონ უპარტიო მასსა და ისეთი მენშევიკები, რომლებიც გულწრფელად აღიარებენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის იდეას. ეს მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცხადათ სჩანს.

მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას ასეთი დაახლოვების ცდა და სურვილი არ არის ქვედა პარტიულ ფენებში იქ, სადაც უფრო მეტად საჭიროა ეს, სადაც ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებში ერთად მოგვიხდება მჭიდროთ ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობა.

იყო ასეთი შემთხვევა, როცა შრომის ბირჟიდან სამუშაოდ გაიგზავნა ერთი ამხ-გი, რომელიც გარეშე ამხანაგის განცხადებით უნდობლობის ნიადაგზე მოხსნეს, თუმცა ის ამხ-გი გულწრფელად დგას საბჭოთა ხელისუფლებასთან.

მართალია ასეთ ეჭვებს, ადგილი ექნება, ვერც ვუსაყვედურებთ, რადგან ჩვენი ბრალიც არის, მაგრამ იმითაც არაფერი დაშავდება, თუ შევეცდებით ამ უნდობლობის აღმოფხვრას. ერთის მხრივ, ასეთი დაახლოვება მოაბრუნებს ოპოზიციონურად განწყობილ ჯგუფებს და მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს საბჭოთა აღმშენებლობის წინმსვლელობას.

დღეს, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობა გვიქადნახებს: „ყველა ძალების მოკრეფას, მრეწველობის

კიდევ უფრო გასანვითარებლად, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად, და ყველა ქვეყნების რევოლიუციონური ძალების თავმოსაყრელად კაპიტალის წინაღმდეგ დასარაზმავად.“ (სტალინი)

უნდა გადავდგათ წინ ნაბიჯები, მოუმზადოთ ნიადაგი ამ რევოლიუციონურ ბრძოლას სოციალისტურ რევოლიუციის მოლოდინში.

შ. სანაძე

# ტყეების ექსპლოატაცია ბორჯომის რაიონში

ბორჯომის ტყეების ექსპლოატაცია უნდა რაციონალურად სწარმოებდეს, ეს აუცილებელია; ამ ძვირფას ტყეებს ბადალი არა ყავს ამიერ-კავკასიაში და მათი ხეპრულად გაჩეხა სრულიად გაანადგურებს მათ, რაც უპირველესად ყოვლისა ზარალი იქნება სახელმწიფოსათვის და დანაშაული მომავალ თაობის წინაშე, რომლებსაც ამ ტყეების მაგიერ უბრალო ჩიგვნარი-ღა დარჩებათ მხოლოდ. გარდა ამისა ამ ტყეების მოსპობა შეცვლის ადგილობრივ ბუნების სიმშვენიერეს.

ბორჯომის ხეობის ჩამოვლის დროს, ჩემის თვალით ვნახე გაჩეხილი ტყეები სრულიად მოუვლელი.

გაჩეხილი ტყეები არ ილობება, შიგ საქონელი დადის, როგორც სხვილ-ფეხა, ისე-წვრილ ფეხაც.

თხების ტყეებში შეშვება პირდაპირ გამანადგურებელია და მათ მიერ გადახრილი, ახლად ამონეკრული ტყე იკრუნჩხება, სისალე ეკარგება, ბრუნდდება და ჩიგვნარდება, და ბოლოს სრულიად უსარგებლო ხდება. იჩეხება ახალგაზრდა ხეები, არის ბევრს ალაგას შუა წელში გადაჭრილი წვრილი ნორჩი ხეები, ალბათ შობის ხეებისათვის ან დეკორაციებ-გირლანდიებისათვის, რაც პირდაპირ დაუშვებელია. ამისათვის შეიძლება მოიჭრას დიდი ხე, რომლის შტოები და წვერიც საკმარისია და ტანს კი საქმისათვის გამოიყენებს კაცი, რაც უფრო ჭკვიანური იქნება და რაც არის მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიზანი, მაგრამ მთავრობა ხომ ვერ იკისრებს ტყეების გაჩეხას, მას ყველა მოქალაქე უნდა დაეხმაროს მის გეგმა-საქმიანობის მიზან-შეწონილად განხორციელებაში.

ყანებისათვის ამ ტყეების გაჩეხა უეჭველში უნდა აიკრძალოს, რადგან ეს ადგილები სულ ერთია არ ვარგა ყანისათვის, ნაკლები მოსავლიანია და მიწის სისქეც ძრიელ თხელია, ქვეშ კლდიანია, ასე, რომ სამი-ოთხი წლის ყანობის შემდეგ მიწა გადაირეცხება და დარჩება მხოლოდ სიპნარი, გამოუსადეგარი ხრიოკები, ძვირფასი სატყეო ადგილების მაგიერ.

ამ ტყეში მუშაობენ მხოლოდ ადგილობრივი გლეხები, რომლებიც ტყის მუშაობას ეწევიან მხოლოდ დროულად, სეზონობით, როცა მიწის მუშაობიდან ცოტა ხნობით თავისუფლდებიან, ამიტომ მათ ვერ ჩააყენებთ კვალიფიკაციურ მომუშავეთა ორგანიზაციულ ფორმებში პროფ-კავშირის მიხედვით, რადგან ზოგს სამი დღის მუშაობის საშვალება აქვს, ზოგს ათის და ზოგსაც ცოტა მეტი. ის წაიმუშავებს სამ დღეს და ამის მიხედვით გარბის მიწის დასამუშავებლად, შემდეგ უბრუნდება ისევ სამუშევარს, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ უდგება ამინდი და ისევ გარბის შინაურ ხამუშაოზე. ასე, რომ ის მუდმივი პროფესიონალური ან ცოტა უფრო ხანგრძლივი, ტყეზე დაბანდებული მომუშავე ვერ ხდება და ამიტომ, მას არ უდგება კვალიფიციურ ქარხნის მომუშავეთათვის შემუშავებული პროფესიონალური კავშირის წესდება. რასაც ეს მუშები, როგორც ადგილობრივ გლეხებმა გადმომცეს, გაურბიან ან და მათთვის სამძიმო ხდება, ამიტომ ჩემის აზრით ამ ტყის მუშებისათვის უნდა შემუშავებულ იქნეს მათი სამუშაო ხასიათისდა მიხედვით შესაფერისი პროფკავშირის წესდება.

ლ. კუპრაშვილი.

# საქართველოს მეურნეობა.

(ვაჭრობა 1924—1925 საბიუჯეტო წლის I კვარტალში.)

ვაჭრობა ჩვენში, როგორც საშინაო, ისე საგარეო, თანდათან ფართოვდება.]

იგი მძიმეთ, მაგრამ გარკვევით ვითარდება. საილიუსტრაციოთ გავეცნოთ საქონლის ბირჟების ცნობებს, რომელიც დამახასიათებელი იყო წინად ვაჭრობისათვის და დამახასიათებელია დღესაც უკვე საბოლოოთ დამუშავებული მასალების მიხედვით, ტფილისის საქონლის ბირჟის საერთო ბრუნვა მიმდინარე საბიუჯეტო წლის*) პირველ კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი დეკემბერი) უდრიდა 16.625.162 მანეთს; ბათუმის ბირჟის—1.526.695 მან. გასული წლის მე-4 კვარტალში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) კი იყო: თბილისის ბირჟის ბრუნვა—10.865 893 მან., ბათუმის—1.126·541 მ. ამრიგად, ტფილისის საქონლის ბირჟის ბრუნვამ იმატა 53 პროცენტით, ხოლო ბათუმისამ—35,5%-ით.

საინტერესოა სხვადასხვა კონტრაგენტების მონაწილეობა საერთო ბრუნვაში. თბილისის ბირჟის ცნობები ამ მხრივ შემდეგ სურათს იძლევა: სახელმწიფო ორგანოებმა გაყიდეს: პირველ კვარტალში—14.013.775 მანეთის საქონელი (ე. ი. მთელი ბრუნვის 84,3 პროცენტი), კოოპერატივებმა—1.561.431 მან. (საერთო ბრუნვის 9,4 პროც.), კერძო პირებმა—1.024.296 მან. (6,2 პროც.): წინა კვარტალში კი: სახელმწიფო ორგანოებმა—9.121.449 მან. (ბრუნვის 83,9 პროც.), კოოპერატივებმა—1.052.854 მან. (9,7 პროც.), კერძო პირებმა—644.362 მან. (5,9%). იყიდეს პირველ კვარტალში: სახელმწიფო ორგანოებმა —8.264.238 მან. (საერთო ბრუნვის 49,6 პროც.), კოოპერატივებმა—7.365.697 მ. (44.3 პროც.), კერძო პირებმა—769.744 მ. (4,6 პროც.); წინა კვარტალში: სახ. ორგ.

*) საბიუჯეტო წელი —1 ოქტომბრიდან 30 სექტემბრამდე ჩათვლით.

—3.869.559 მან. (ს. ბრ. 35,6 პროც.), კოოპერატივებმა —5.777.030 მან. (53,2 პროც.), კერძო პირებმა—896.933 მან. (8,2 პროც.), როგორც ვხედავთ, მთავარ როლს, როგორც გაყიდვაში, ისე ყიდვაში სახელმწიფო ორგანოები და კოოპერატივები თამაშობენ. კერძო ვაჭრები პასიურ როლში გამოდიან, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბირჟის ცნობები ამ მხრივ, ვფიქრობთ, ვერ წარმოგვიდგენს ზედმიწევნით სწორ სურათს, რამდენადაც კერძო ვაჭრობას საზოგადოთ ახასიათებს გაძრომ-გამოძრომა და საბირჟო რეგისტრაციებისათვის გვერდის ახვევა. მაინც გაყიდვაში კერძო პირების ვაჭრობას ერთგვარი ინტენსივობა ეტყობა: მისი ბრუნვა გაიზარდა 644.363 მანეთიდან 1.024.296 მანეთამდე პირველ კვარტალში (ე. ი. იმატა 59 პროც-ით). ეს ფაქტი ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ კერძო კაპიტალი უფრო მოქნილად მიდის მომხმარებელთან და რომ მას შეუძლია ჯერ კიდევ დიდხანს ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ვაჭრობაში.

საქართველოს ვაჭრობაში დიდ როლს თამაშობენ ჩვენში არსებული შემომზიდავი სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც მასიური მოხმარების საგნებით ვაჭრობენ. ასეთი ორგანიზაციებია (მთავარი ორგ—ბი): საფეიქრო სინდიკატი, „ხლებოპროდუქტი", შაქრის ტრესტი, რომლებიც აწვდიან საქართველოს ფართალს, პურეულობასა და შაქარს. პირველი ორგანიზაციის ბრუნვა უდრიდა: პირველ კვარტალში (ოქტ., ნოემბრ., დეკემბრ.)—4.194.819 მანეთს; წინა კვარტალში—3.353.670 მ.; გაიზარდა 841.149 მანეთით ანუ 25,1 პროც.-ით. „ხლებოპროდუქტის" ბრუნვა უდრიდა: პირვ. კვარტალში: 1.210.800 მან., წინა კვარტალში—1.150.611 მან.; გაიზარდა 60.189 მანეთით ანუ 5,2 პროც.-ით. შაქრის ტრესტის—პირვ. კვარტალში 683.703 მან., წინა კვარტალში—738.838 მან.; დაიკლო 55.135 მანეთით ანუ 7,5 პროც.-ით. ციფრები მოწმობენ, რომ მეტ წილად შემომზადავი ორგანიზაციების ბრუნვამ იმატა. იკლო პირველ კვარტალში მხოლოდ შაქრის ტრესტის ბრუნვამ, რაც იმით აიხსნება, რომ დასახელებულ თვეებში ჩვენ მოწამენი ვიყავით შაქრის მოწოდების დიდი კრიზისის(ა. კრიზისი, როგორც ეტყობა, თავის მხრივ გამოწვეული იყო ეპიზოდიური ხასიათის მიზეზებით ვაჭრობის სფეროში; ამას ამტკიცებს კრიზისის უმტკივნეულოთ ლიკვიდაცია მეორე კვარტალში, რასაც ჩვენ გავეცნობით მე-2 კვარტალის სავაჭრო კონიუნქტურის განხილვს დროს.

დასასრულ აღსანიშნავია ერთი გარემოება,—ის, რომ ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციებისა (ამ. კავკ. სახელმწ. ვაჭრ. საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭოს თბილისის განყოფილება, ტფილისის განყ., საქ. სახ. ვაჭრ. ტფ. განყ—ბა და სხვა) და საქართველოს საწარმოო ორგანიზაციების (თამბაქოს ტრესტი, ტყავეულობის ტრესტი, ღვინის ტრესტი და სხვა) ბრუნვამ ცოტათი იკლო. პირველი ჯგუფის ორგანიზაციების ბრუნვა I კვარტალში უდრიდა 2.508.000 მანეთს, წინა კვარტალში—2.938.000 მან.; დაიკლო 430.000 მანეთით ანუ 14.6 პროც.-ით. მეორე ორგანიზაციების ბრუნვამ იკლო 2.159.262 მანეთიდან 2.110.744 მანეთამდე, ე. ი. 2.8 პროც.-ით. იკლო აგრეთვე მთავარ კოოპერატიულ ორგანიზაციების (მუშკოოპი, ამ. კავკ. სატრანსპ. მომხმ. საზოგადოება საქართველოში, ცეკავშირი—ცენტრი, წარმოკავშირი—აგრეთვე ცენტრი) ბრუნვამაც 1.2 პროც.-ით. აბსოლიუტურის ციფრებით უკანასკნელების ბრუნვა უდრიდა 6.079.009 მანეთს, წინააღმდეგ 6.955.979 მანეთისა წინა კვარტალში.

X.

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ს. ერკეთი (გურია).

მიმდინარე წლის 8 მარტს სოფელ ერკეთში, ყოფილ მენშევიკთა ქვეკომისიის რწმუნებულის მიერ მოწვეული იყო ერკეთის თემის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა ამხანაგების კრება. კრებას დაესწრო დაახლოებით 60-ზე მეტი კაცი და ქალი.

კრების თავჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. მგალობლიშვილი, მდივნად ამხ კობიძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1, სამაზრო ქვეკომისიის რწმუნებულის მოხსენება და 2, რწმუნებულის არჩევა.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა სამაზრო ბიუროს რწმუნებულმა ამხ. ხარიტონ მამალაძემ. მან მოკლეთ დაახასიათა მენშევიკური პარტიის ოთხი წლის მუშაობა. დემოკრატიული მთავრობის დროს უმთავრესად კულტურულ-ეკონომიურ დარგში და ნაციონალურ საკითხში; აღნიშნა მათი უმოქმედობა-ამღშენებლობითი დარგში და ატეხილი ბრძოლა მოძმე ერთა შორის. ყველა-ესენი შეადარა საბჭოთა ქვეყნების ოთხი წლის მუშაობას, მის კულტურულ და ამღშენებლობითი დარგში ენერგიულ წინსვლას

აგრეთვე შეეხო მენშევიკური პარტიის არალეგალურ მუშაობას, დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა საქართველოში მიმართულ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ, და სცნო ის სრულიად დამღუპველად ქართველი მშრომელი ხალხისათვის. მოუწოდა კრებას ერთსულოვნად დასდგეს საბჭოთა პლატფორმაზე და გულწრფელად ითანამშრომლონ მასთან კულტურულ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ფრონტზე. ამასთანავე გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი, როგორც არალეგალურ მენშევიზმთან, აგრეთვე ლეგალურთანაც (თუ იქნება ცდა ასეთების აღდგენისათვის). იყო მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

აგრეთვე ძლგილი ჰქონდა შეკამათებასაც, მოწინააღმდეგემ, მიუხედავად იმისა, რომ უნდა შეხებოდა არსებითად მომხსენებლის დებულებებს, თავისი საწინააღმდეგო სიტყვა ააგო მენშევიკური „რეცეპტით" გამოწერილ ამა თუ იმ ამხანაგის ლანძღვა-გინებაზე. რის შემდეგაც მომხსენებელმა საკმაო პასუხი გასცა.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება სამაზრო ქვეკომისიის რწმუნებულის ყოფ. მენშევიკ ამხ. ხარ. მამალაძისა საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელ თანამშრომლობაზე, რო-

გორც კულტურულ-ეკონომიურ, აგრეთვე პოლიტიკურ ფრონტზედაც; ვსწყვეტთ ყოველგვარ კავშირს, როგორც არალეგალურ მენშევიზმთან, აგრეთვე ლეგარულად მენშევიზმთანაც, რადგანაც მათი მუშაობა არის დამღუპველი მშრომელი ხალხისათვის, და ვსდგებით საბჭოთა პლატფორმაზე, ვიზიარებთ მე-3-ე კომინტერნის ყველა დებულებებს და მოვითხოვთ გაიგზავნოს დელეგაცია საზღვარგარეთ და რუსეთში მყოფ ამხანაგებთან, რათა ისინიც დაუბრუნდენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, კულტურულ ეკონომიურ ფრონტზე და აგრეთვე პოლიტიკურ ფრონტზედაც.

კრებამ რწმუნებულად აირჩია ამხ. პომფილე ბერიძე.

**დამსწრე.**

## ს. ჯუმათი

1925 წელს 9 მარტს შესდგა ჯუმათის ყოფ. მენშევიკთა და უპარტოთა მასიური კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ყარამან მითაიშვილი, მდივნათ ამხ. კალისტე ართილავა. კრებას დაესწრო 50 კაცამდე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება თფილისის პროლეტარიატის 7—8 ოქტომბრის რეზოლიუციის შესახებ და 2. სათემო რწმუნებულის არჩევნები. 1-ლი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს გურიის ყოფ. მენშევ. სამაზრო ქვეკომისიის რწმუნებული ამხ. მიხაკო აფხაზავა. მან ნათლათ გაარკვია თუ როგორ მუშაობდენ მენშევიკები და როგორ უშლიდა ხელს მათი მუშაობა არსებულ ხელისუფლების მოქმედებას. აგრეთვე შეეხო აგვისტოს გამოსვლების შედეგებს და მოუწოდა ამხანაგებს, რათა გვერდში ამოუდგენ არსებულ ხელისუფლებას და ხელი შეუწყონ მის განმტკიცებას.

მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჯუმათის თემის ყოფ. მენშ. და უპარტიოთა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება გურიის ყოფ. მენშ. სამაზრო ქვეკომისიის რწმუნებულის ამხ. მ. აფხაზავას თფილისის მუშების მიერ მიღებულ რეზოლიუციის შესახებ,— კრება სასურველათ და მიზან-შეწონილათ სცნობს თბილისის მუშათა კომისიის მუშაობას, და მზად არის ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას“.

სათემო რწმუნებულათ არჩეული იქნა ამხ. ყარ. **მითაიშვილი.**

## გურიანთის თემი (გურია)

ამა წლის მარტის 1-ს მოხდა გურიანთის თემის ყოფილ მენშევიკთა, უპარტიოთა და ახალგაზ. მარქსისტთა საზოგადო კრება.

კრებას დაესწრო მრავალი გლეხობა.

თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ერემია ზაქარიაძე, მდივნათ ლ. ჩხაიძე.

მოხსენება გააკეთა ოზურგეთის ყოფილ მენშევიკთა სამაზრო ქვეკომისიის რწმუნებულმა ამხ. გერ. ლომთათიძემ, რომელმაც ნათლათ გააშუქა ჩვენი წარსული მდგომარეობა, თუ რანაირს შეცდომებს ჩავდიოდით, ჩვენ, ყოფილი მენშევიკები თავისი ჟირიანობით, რის გამო თითქმის ფიზიკურ განადგურებამდის მივიყვანეთ ქართველი ერი.

მასთან გააცნო კრებას ინსტრუქცია თბილისის მუშების მიერ მიღებული, რომელიც კრებამ მოისმინა და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. შეკითხვების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა პირებმა:

ამხ. კ. მგალობლიშვილმა: მოუწოდა კრებას: ნუ ავყოლივართ ერთი-მეორის ჟინიანობას და საერთოდ მივიღოთ მონაწილეობა ამხ. კომუნისტებთანო.

ამხ. დ. კვაჭაძემ განაცხადა: ვინაიდან ჩვენ ჩაგვჩიჩინებდა ნასწავლი ხალხი, ამიტომ ჩვენც ასეთ შეცდომებს ჩავდიოდით, ხოლო ეხლა, ნათლად დავინახეთ შექმნილი მდგომარეობა და ჩვენც უნდა უსათუოდ გამოვასწოროთ ძველი შეცდომები და საერთოდ მივიღოთ მონაწილეობა ამხ. კომუნისტებთან მუშაობაში.

ამხ. ერემი ზაქარიაძემ განუცხადა კრებას: თქვენ იცით ყველამ ვმუშაობდი სოც.-დემოკრ. პარტიაში 1905 წლიდან. ეხლა ნათლად დავრწმუნდი იმ შეცდომაში, რომელსაც ვაწარმოებდი ხელისუფლების წინააღმდეგ და მოგიწოდებთ თქვენც, ამხანაგებო, ნუ აყვებით ცრუ და ყალბ ხმებს არამედ, შეუერთდეთ და დავდგეთ მე-3-ე კომინტერნის დროშის ქვეშო. მოისმინა რა კრებამ ეს განცხადებები, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„გურიანთის თემის ყოფ. მენშევიკ. უპარტ. და ახალგაზრ. და მარქს. შეერთებულმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება გურიის ყოფ. მენშ ბიუროს თა—რის ამხ. გ. ლომთათიძის მენშევიკების ლეგალურ და არალეგალურ საქმიანობის შესახებ,—ყველას გასაგონათ კრება აცხადებს, რომ ამ გზით სიარული, რომლითაც აქნობამდის მივდიოდით უფსკრულამდის მიიყვანს ქართველ ერს და მშრომელ ხალხს. ხელი უნდა გავუწოდოთ მმართველ პარტიას, რომელიც სრულ კმაყოფილებას იძლევა: ეკონომიურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხში, ნათლათ დავინახეთ მისი 4 წლის ხელმძღვანელობის დროს; და ჩვენს მოვალეობას შეადგენს ერთხელ და სამუდამოთ უარვყოთ მენშევიკურ პარტიის მოქმედება და თანახმად თბილისში მიღებულ 7—8 ოქტომბრის რეზოლიუციისა, —დავირაზმოთ კომპარტიის დროშის ქვეშ და დაუბრუნდეთ ჩვენ ძველ პროლეტარულ ოჯახს.

გაუმარჯოს წითელ საქართველოს, გაუმარჯოს მე-3 კომინტერნს.

შემდეგ მოხდა არჩევნები სათემო რწმუნებულებისა. აირჩიეს:

1. კახურიდან:—პროკოფი შარაძე (ახალგ. მარქსისტი), 2. ახალ სოფლიდან ნესტორ დოწდუა, 3. ბაილეთიდან—ლადიკო—ჩხაიძე 4. ჭანიეთურიდან—აკაკი პაპავა და 5. ციხის ფერდიდგან: ნიკიფორე ჩინჩაბაძე.

## შ ო რ ა პ ა ნ ი

გასული წლის 31 ოქტომბერს ამხ. ჟამანაშვილის და მისი ამხანაგების მოხსენების შემდეგ, რკინის გზის ფარგლებში არჩეულ იქნა ქვე კომისია 5 ამხანაგისაგან.

ზემოხსენებული კომისია შეუდგა მუშაობას მეორე დღიდანვე პირველი ნაბიჯი გადადგმულ იქნა ჭიათურელ ამხანაგებთან გაერთიანებისთვის, სადაც არჩეულ იქნა სამაზრო ქვე კომისია სამი კაციდან და გამომუშავდა სამუშაო გეგმა. მაზრა გაიყო ორ სამოქმედო რაიონათ; აღმოსავლეთი რაიონი მიენდო—ჭიათურელ ამხანაგებს და დასავლეთი შორაპნის ამხანაგებს. წარმოებული მუშაობა არის ფართოდ ნაყოფიერი. ყოველ თემში მოწვეულ კრებებს გლეხები და მუშები აღფრთოვანებით ეგებება, ხშირად ადგილი ჰქონდა საყვედურებს, რომ ასეთი სასურველი ნაბიჯები ადრე არ იყო გადადგმული. ფართო მა-

სა იზიარებს მოხსენებას და უსურვებს გადადგმულ ნაბიჯების სასურველად დაგვირგვინებას.

ყველა თემში არჩეულია რწმუნებულები, რომლებშიც მოხდა აღრიცხვის გატარება, როგორც ყოფილ ამხანაგებისა, ისე უპარტიო მოსახლეობის, რამაც მიაღწია უმაღლეს წერტილამდე. ამ ჟამათ ხელთა გვაქვს, როგორც ყოფილი ამხანაგების აღრიცხვა, ისე უპარტიოების.

კომისიის წევრების გამგზავრებას,—გადასახლებულ ამხანაგებთან, ამხანაგები სიხარულით ეგებებიან და მოელიან აქედან სასურველ ნაყოფს. ყოველი ამ მუშაობის შემდეგ შორაპნის ქვეკომისია სრულიად დარწმუნებულია, რომ დაწყებული მუშაობა მიაღწევს სასურველ შედეგებს და ბოლო მოეღება იმ გაუგებრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ წლებში.

მაშ გაუმარჯოს ახალ გზას და გაერთიანებულ ფრონტს, რომელიც მიისწრაფვის მესამე კომინტერნის წითელ დროშის ქვეშ, სოციალიზმისაკენ.

**ი. შათირიშვილი.**

— —

23 მარტს შესდგა ზესტაფონის რაიონის რწმუნებულთა საერთო კრება, სადაც დაესწრო ორმოციოდე რწმუნებული. დღის წესრიგი იყო: 1) მოხსენება თემებიდან, 2) მოხსენება რაიონის რწმუნებულის, 3) მოხსენება რკინის გზებიდან, 4) მოხსენება ამხანაგი შათირიშვილის და 5) კრების მოწვევის დრო. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებენ თემის რწმუნებულები, მეორე საკითხზე რაიონის რწმუნებულები და მესამე საკითხზე ქვეკომისია რკინის გზისა, რის შემდეგ გაიხსნა კამათი და შეფასება ნამუშევარის, გამოირკვა რომ თუმცა დიდია ნამუშევარი და ხელის შემშლელი პირობებიც ბევრი იყო, მაგრამ საშუალოთ მიზანი მაინც მიღწეულია და დამაკმაყოფილებელი. კამათის შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია რომ, როგორც კომისია მიდის ხელისუფლებასთან, ისე უნდა ეცადოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც, რომ ასწიოს კომისიის და რწმუნებულების პრესტიჟი, რომ ამით ხელი შეეწყოს საერთო მუშაობას. გარდა ამისა ამხ. შათირიშვილმა გააკეთა მოხსენება საერთოდ მთავარ კომისიის ნამუშევარზედ და გადადგმულ ნაბიჯებზე, რაც კრებამ სცნო სასურველად.

გარდა ამისა ამხანაგმა მოიხსენა ამხ. ნ. ნარიმანოვი და დიდ დანაკლისათ სცნო მისი დაკარგვა. სამძიმარს უძღვნის მოკავშირე აზერბეიჯანელ ამხანაგებს და უსურვებს ამ ერთი ამხანაგის მაგიერ შეეძინოთ ასი ახალი ამხანაგი.

**მუნჯი.**

## ზუგდიდის მაზრა.

1924 წლის 7—8 ოქტომბრის თფილისის მუშათა ხმამ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ისე სამეგრელოშიაც გამოძახილი ნახა.

აგვისტოს გამოსვლებით შექმნილი ატმოსფერა გულს უშხამავდა სამეგრელოს მუშებს და გლეხებს! თვითეული მათგანი შეპყრობილი იყო სულიერი მძიმე ტრაღიზმით, დღე და ღამ ეძლეოდა მწარე საგონებელს, ცდილობდა გამოერკვია შექმნილი მდგომარეობა, მოენახა მისი ასავალ-დასავალი, უმაღლეს მიზნისკენ ასავლელი საფეხურები, რომ ძმათა შორის ჩატეხილ ხიდის გამთელება შესაძლებელი ყოფილიყო; რით განიავდებოდა ამდენი ხნით შემორტყმული ბურუსი და მოინახებოდა საშვალება სავალი გზის პოვნისა.

ემზადებოდა ნიადაგი ძველი ნაბადის გადაგდების და ახალის გადაცმის... საჭირო იყო ხმა, გამოძახილი და ეს ხმა თფილისმა სთქვა.

1925 წლის 17 თებერვლიდან იწყო დენა ზუგდიდის მაზრაში ამ ხმამ... ყველგან, თითქმის დიდის ალტაცებით შეხვდენ თფილისის მუშათა კომისიის გადადგმულ ნაბიჯებს, მაგრამ ბევრგან, ბევრი გლეხების და მუშებისაგან მოისმა მწარე სიტყვები... რწმუნებული იძლეოდა სიტყვის თავისუფლების სრულს გარანტიას, თუმცა გლეხები კიდევ ეჭვობდენ მაგრამ ბევრი რამ ითქვა, ისეთი, რაც მათს გულს აწუხებდა.

„რა კარგია და მჰრელია თავისუფლათ ლაპარაკი, როცა ადამიანი გაუზიარებს მთავრობას თავის გულის ნადებს, მის ტკივილს და წუხილს"... ყველგან ასე ამბობდენ და გულის ტკივილით მოთქვამდენ მუშები და გლეხები.

ალსანიშნავია აგრეთვე მათ სიტყვებში, ადგილობრივი ადმინისტრაციის ზოგი მოხელეების თავგასულობა, მათგან მეტის-მეტი შეწუხება; უფრო ემდურიან ახალგაზრდა კომკავშირელებს: „ჩამოიკიდებენ ნაგან-პარაბელიუმებს, ვაი იმისი ბრალი ვინც გაბედავს რაიმეს თქმას, თვით სკოლაშიაც კომკავშირელი მოწაფეები იარაღით დადიან"-ო. (ამ მოვლენას ადგილი ქონებია ლიის რაიონში, ამავე რაიონის რწმუნებულის აკაკი გვასალიას გადმოცემით).

აგრეთვე, გადასახადების გაწერაზეც ისმოდა უკმაყოფილება: „მართალია და ჩვენც ვიცით, რომ სახელმწიფოს სჭირია ხარჯი, ურომლისოთ არ შეუძლია მას არსებობა და არც ჩვენ, რადგანაც სახელმწიფო ზრუნავს ხალხისათვის, მაგრამ ადგილობრივი წარმომადგენლებისაგან ხდება უწესო გაწერა, შეუფერებლად გლეხის ოჯახის მოძრაობის და ქონების; არ უწევენ ანგარიშს სოფლის გლეხობის უმწეო მდგომარეობას, მაგრამ ვგონებთ მომავლისათვის მსგავს მოვლენებს მაინც მოეღება ბოლო"-ო.

რაიონული, კომპარტიის პასუხისმგებელ მდივნებმა შეძლებისაგვარათ გაგვიწიეს დახმარება კრების ჩატარებაში. ამ მხრივ მადლობის ღირსნი არიან: ჩხოროწყუს რაიონის კომპარტიის პასუხისმგებელი მდივანი ვასილ სიჭინავა; და დარჩელის რაიონის,—იაკობ თითბერია, ხოლო უკანასკნელ რაიონის ორულე-ერგეტის თემში ყოფ. მენშევიკების კრების დროს, როცა მომხსენებლათ გამოვიდა ხსენებულ რაიონის რწმუნებული ამხ. კ. ზარანდია ხალხიდან დაიძახა კომუნისტმა დამიანე ნაჭყებიამ: „ამ არამზადას რა უნდა აქ, კიდევ მოსულა აქა? ეს დასახვრეტია"-ო, რომელსაც თან ეკიდა რაინდივით ვინტოვკა და რევოლვერიც! ნაჭყებიას საქციელი ხალხს არ ეპრიანა, რადგანაც ხსენებულ ზარანდიას 1905 წლიდან უმუშავნია ს. დ. მ. პ. მთელ ამ რაიონის გლეხები კარგათ იცნობენ, როგორც რევოლიუციონერს და ძველ მუშაკს და დღესაც დიდის ნდობით შეჰყურებენ და ნაჭყებიას გამოსვლით ხალხი ცოტათ აღელდა. რწმუნებულმა ზარანდიამ ხალხი დაამშვიდა და წარმატებით ჩაატარა კრება.

აი ასეთ მოვლენებს გაუგებრობით თუ სხვით აქაიქ კიდევ აქვს ადგილი, რომელიც ხელს უწყობს ხალხს და მთავრობას შორის უნდობლობის ჩამოგდებას, მაგრამ ვგონებ მსგავს მოვლენებს შეერთებულის ძალ-ღონით განვდევნით და იმედია მომავალშიც არ ექნება ადგილი.

ამ პირობებით მოთავდა ჩვენი მუშაობა ოთხ რაიონში: წალენჯიხის, ლიის, ჩხოროწყუს და დარჩელის, ხოლო სხვაგან მუშაობა სწარმოებს.

გ. წულაია.

## ქ. სურამი

მარტის 24-ს 1925 წ. ქალაქ სურამში მოწვეულ იქნა ყოველ მენშევიკთა და უპარტიოთა საზოგადო კრება. ხაშურის რაიონის მუშათა კომისიის რწმუნებულებმა ამ მიზნისთვის მოიწვიეს თბილისიდან მუშათა კომისიის წევრი ამხ. ს. გვიმრაძე მოხსენების გასაკეთებლათ. სანდრო გვიმრაძესთან ერთად როგორც ხაშურის მუშათაკომისიის წევრები აგრეთვე ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრები 8 კაცამდე, გავემგზავრეთ სურამში. გზაში ამხანაგები აძლევდენ შეკითხვებს ამხ. სანდრო გვიმრაძეს „ახალი გზის“ მიზნის შესახებ, რომლებზედაც ის იძლეოდა გარკვეულ და დასაბუთებულ პასუხებს. მსმენელები დიდი კმაყოფილი რჩებოდენ. ამხ. გვიმრაძე ამბობდა, რომ საჭიროა, ყველამ მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენტმა, რომელთაც კი სურთ ქართველი ერის ბედნიერება და მშრომელი კლასის მხარის დაჭერა ყოველივე მიზეზს გარეშე გულრწფელად უნდა გაუმაგრონ ზურგი საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად აკეთონ საერთო საქმე.

ასეთი საქმიანი ლაპარაკით მივედით სურამის მუშათა კლუბში სადაც დაგვხდა სურამის ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. გიორგი აბრამაშვილი. ნახევარი საათი არ გასულა, რომ დარბაზი გაიმსო მოქალაქენით, იქნებოდა სამას კაცამდე.

პრეზიდიუმის წევრებათ არჩეულ იქნა 4 კაცი: 1) გიორგი აბრამაშვილი, 2) იოან უშვერიძე, 3. ანდრო შულლაძე და 4) ელიზბარ ტალახაძე.

დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება ცენტრალური მუშათა კომისიის წევრის ამხ. სანდრო გვიმრაძისა.

2) სურამის რაიონის მუშათა კომისიის რწმუნებულების არჩევა. ამხ. მომხსენებელმა მკაფიოთ განუმარტა კრებას თუ, როგორი გზით მუშაობდა საქართველოში მენშევიკური პარტია და მოიყვანა მრავალი ფაქტები იმისა, რომ მათმა მუშაობამ დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს მუშებს და გლეხებს. და 1924 წ. 28 აგვისტოს ავანტიურიული გამოსვლით კი დაღუპვის კარამდე მიიყვანა მშრომელი ქართველი ერი. მომხსენებელმა მოუწოდა საზოგადოებას შესწყვიტონ უნაყოფო ცქერა შავი ზღვისკენ—ევროპისკენ, ვინაიდან ევროპის ბურჟუაზიას ჩვენთვის არაფერი საკეთილდღეო არა სურსო. მომხსენებელი კრებას აცნობს მუშათა კომისიის 7—8 ოქტომბერს გამოტანილ რეზოლიუციას და „ახალი გზის“ მიზანს და მოუწოდებს მას იმუშაოს ახალი გზით და მტკიცეთ დადგეს საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, საერთო მუშაობაში მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. გარდა ამხ. გვიმრაძისა ილაპარაკეს მუშათა კომისიის რწმუნებულებმა ამხ. ელიზბარ ტალახაძემ და იონა უშვერიძემ, რომლებმაც მოუწოდეს ყველა დამსწრე ამხანაგებს, რათა დაგმონ ძველი გზა და შეუერთდენ გულრწფელათ საბჭოთა ხელის უფლებას მშრომელი ხალხის და პროლეტარიატის საერთო საქმის ინტერესების დასაცავათ.

მოხსენების შემდეგ იყო სხვადასხვა შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი.

დაბოლოს ლაპარაკობს ამხ. გ. აპრამაშვილი, ის ამბობს: დღეს არა ხდება გასამართლება რომელიმე მიმდინარეობის, მენშევიკების თუ ბოლშევიკების, არამედ ჩვენ როგორც ძმები და ერთი დედის შვილები ისე უნდა შევერთდეთ, წარსული ერთი მეორეს შორის უთანხმოება უნდა წაიშალოს და ხელი ხელ ჩაკიდებული უნდა ვიბრძოლოთ მუშათა მტრების წინაღმდეგ. სრულ გამარჯვებამდე საერთაშორისო მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

ამხ. აპრამაშვილის (პარტიულია) ასეთი სიტყვა გამოიწვია ერთმა ახალგაზდა კომკავშირელმა, გვარათ განიძემ, რომელმაც როგორც გამოირკვა ვერ გაიგო მომხსენებლის წარმოთქმული სიტყვის შინაარსი და სთქვა: რადგან სეით დევდარიანს დღემდი ვერ აურჩევია რომელ გზაზედ დადგეს და მას კიდევ ჰყავს მიმდევრები, აი, ამ კრებაზე უნდა იქნეს გამოტანილი რეზოლიუცია რომ მათ მოეთხოვოს სასტიკი პასუხიო და სხვა...

მოხსენების დათავების და ყველა შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მიღებული იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ცენტრალური მუშათა კომისის წევრის ამხ. სანდრო გვიმრაძისა და ხაშურის მუშათა კომისიის რწმუნებულებისა 1) ე. ტალახაძისა და 2) იოანა უშვერიძის, ვითვალისწინებთ საერთაშორისო მდგომარეობას ერთის მხრით და წარსულ უნაყოფო და დამღუპველ ბრძოლას მენშევიკების საბჭოთა ხელისუფლების წინაღმდეგ ჩვენ, სურამის რაიონის გლეხები, მუშები და მოქალაქენი სრული შეგნებით უერთდებით 7—8 ოქტომბერს ნაძალადევში მუშათა კრებაზე გამოტანილ რეზოლიუციას, ვსდგებით მტკიცეთ მათ მიერ არჩეულ ახალ გზაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მუშაობაში; ვიწონებთ რა მუშათა კომისიის მუშაობას, მოუწოდებთ კომისიას გაორკეცებული მუშაობით აკეთოს საერთო საქმე მთელი მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. გაგზავნილ იქნეს კომისია გადასახლებულ ამხანაგების მოსაწვევად, რათა ისინიც დაუბრუნდენ თავიანთ სამშობლოს და საბჭოთა ხელის უფლებასთან ერთად აკეთონ მუშათა კლასის საერთო საქმე.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ არჩეული იქნა მუშათა კომიის რწმუნებულები: 1) ანდრო შულლაძე, 2 გიორგი ნებიერიძე, 3) ნიკოლა ჰანკოტაძე 4) ვარლამ კილაძე და 5) ალფესი მგელაძე.

გაუმარჯოს ჩვენს ახალ გზას.
გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.
გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

„პირველად“

# მ უ შ ა თ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი

## გამოთქმული ფიქრები

მთავარი საკითხის,—გაეროვნების შესახებ—უნდა ითქვას, რომ ეხლა, როდესაც კარგა დიდი ნაწილი ძველი პარტიული მუშებისა, უკვე აღარ ვდგევართ მოწინააღმდეგის ბანაკში,—უნდა ვაღიაროთ რომ ზოგიერთი ამხანაგების შეხედულება,—ვითომ ეს საკითხი ხელისუფლებამ, მხოლოდ თეორეტიულად გადასჭრა, პრაქტიკუ-

ლად-კი ფერხდებაო—არ არის სავსებით მართალი. შესადარებლათ ავიღოთ ყოფილი დემოკრატიული მთავრობის დრო;—გაეროვნება ერთბაშათ არ გაგვიტარებია არც მაშინ—არამედ თანდათანობით. მე მახსოვს—მთავარ რკინის გზის სახელოსნოს სამმართველოში .მიცემული იყო ექვსი თვის ვადა ენის შესასწავლათ ან და სხვა შესაფერი ადგილის საშოვნელათ და, როცა ვერ მოასწრეს შესწავლა ქართული ენისა ექვს თვეში, ეს დრო გადიდებული იქნა კიდევ ექვსი თვით... (ქართული ენის ცოდნა არც მაშინ იყო ყველა დარგში აუცილებელი, მაგალითად—ფიზიკურ მომუშავეთათვის სახელმწიფო ენის ცოდნა არ იყო სავალდებულო).

ამ ჟამათ ყველგან ტარდება გაეროვნება. ამ საქმეში ჩვენ უნდა დავეხმაროთ მთავრობას.

თუ სადმე ეს საქმე ფერხდება, ისევ ქართველი მოხელეების ბრალია.

გაეროვნების საკითხი დიდი პოლიტიკური საკითხია და ამასთან ერთად ფრიად სათუთი. ამიტომ თუ ხელისუფლება ამ საკითხს არბილებს, ეს საჭიროა, რათა ენის უცოდინართ მიეცეთ საშუალება ენის შესწავლის ან და წინასწარ ადგილის მონახვის; ამრიგათ გაეროვნების საკითხი ჩაივლის უმტკივნეულოდ და მტკიცეთ.

და სწორეთ ამიტომ თუ გავითვალისწინებთ გაეროვნების საკითხის სირთულეს და სისათუთეს შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთების ეჭვები—უსაფუძვლოა და ნაადრევი.

გაეროვნება ბევრგან უკვე დამთავრებულია. დანარჩენ დაწესებულებებში მუშაობა სწრაფი ნაბიჯით სწარმოებს და ამ მოკლე ხანში ვფიქრობთ, რომ სრულიად დამთავრდება. და ამ რიგათ ამ საკითხის გარშემო განგაშს ბოლო მოეღება.

**ვ. გოციშვილი.**

## მიხედეთ თელავს

მიმდინარე წლის 26იანვარს თელავს ეწვივნენ თფილისის მუშათა კომისიის წევრები ამხ. ს. გვიმბრაძე და კ. მაჭარაძე.

ჩვენი ამხანაგებისათვის მათი თელავში ჩამოსვლა მოულოდნელი იყო, მაგრამ ამხანაგები მაინც ბევრნი დაესწრნენ.

მუშათა კომისიის მოსვლამ და მათმა მოხსენებამ სიხარული გამოიწვია ამხანაგებში. რწმუნებულებათ არჩეულ იქნენ 5 წევრი და 2 კანდიდატი. ამ:თ უნდა ემუშავნათ პარტკომის დახმარებით მთელი თელავის მაზრის მასშტაბით, მაგრამ გადის აგერ ორი თვე და ამ ახალი რწმუნებულებისაგან ჩვენ ვერავითარი მუშაობა ვერ დავინახეთ. ეს ამხანაგები ისე გრძნობენ თავს, რომ ვითომ აქ არაფერიაო, ასე და ამრიგათ ჩვენ დავრჩით ისევ გარიყულები.

ამხანაგებში ამის შესახებ დიდი უკმაყოფილებაა; ჩვენ ვერ გაგვიგია, თუ რათ სდუმან ახლათ არჩეული რწმუნებულები. რატომ არ იწყებენ მუშაობას? თელავის მაზრაში და თვით თელავში დაახლოვებით სამას კაცამდის იქნებიან ჩვენი ნამდვილი ამხანაგები, მაგრამ მათ არა ჰყავთ ხელმძღვანელი. ამისათვის საჭიროა, რომ გაცხოველდეს მუშაობა თელავის მაზრაში.

ამისათვის საჭიროა მუშათა კომისია ხელმეორეთ ჩამოვიდეს თელავში და მათი საშუალებით მოწვეულ იქნას საერთო კრება, სადაც არჩეული იქნებიან ახალი რწმუნებულები, რომელნიც უფრო გააცხოველებენ მუშაობას.

საჭიროა საქმე გამოკეთდეს და მუშაობა გაცხოველდეს, ამ მუშაობასთან ერთად გაცხოველდება ჩვენი ჟურნალის „ახალი გზის“ გავრცელებაც, რომელსაც ეხლა არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული.

**ტანჯული, მუშა,**

# კორესპონდენცია

## ქალ. ზესტაფონი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ცუცქერიძე, ყოველგვარ საქმეებს პირნათლად მიუძღვის წინ და შეძლების დაგვარათ აწესრიგებს; მაგრამ არის ისეთი მოვლენებიც, რომლებიც ზედმეტ სერიოზულ ყურადღების მიქცევას საჭიროებენ. მაგალითად: ბევრს ალაგს საჭიროა გზების გაყვანა-განათება, ფეხის-ადგილების უსუფთაობის მოსპობა, ქუჩებში ოთხ-ფეხი ცხოველების ხეტიალის აკრძალვა, განსაკუთრებით ძაღლების; აგრეთვე აბანოსა და წისქვილის მოწყობა, რაიც დიდათ სჭირია აქაურებს და სხ.

ქუჩაში ბევრი ძაღლი იგროვებს ხოლმე თავს. ძაღლების ყოლა სასტიკათ უნდა იკრძალებოდეს მთელ ქალაქის ფარგლებში. სრული დარწმუნებული ვართ, რომ ამ მოვლენებს თავის დროზე ანგარიშს გაუწევს ხსენებული აღმასკომის თავმჯდომარე.

როგორც აქ, ისე ახლო-მახლო სოფლებში დიდათ დააზიანა წლევანდელმა დიდმა თოვლმა ვენახები, ზოგის ღერი ოთხ-ხუთს ალაგს არის გატეხილი. ქვის გული უნდა გქონდეს, რომ ნახო და ცრემლები არ გადმოპლვარო. ამას ზედ დაერთო კიდევ ქურდობა. იშვიათად თუ გაივლის ღამე, რომ არ გაიგონო ესა და ეს კაცი გაქურდესო.

ეს გარემოება დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს მშვიდობიან მცხოვრებთა შორის და საჭიროა მათი ერთხელ და სამუდამოთ ალაგმვა!!.

**წითელ ხალათა.**

# ჩვენი ფოსტა.

თელავი. ტანჯულ მუშას. ვბეჭდავთ ერთს. მეორე არ დაიბეჭდება—დაგვიანებულია. კომისიის წევრები ჩამოვლენ—შეგატყობინებთ.

**ხაშური.** ლ. ბერაძეს. წერილს ვბეჭდავთ. მოიწერეთ ხოლმე.

**ხურამი.** გ. ნ-ძეს. გამოგიგზავნეთ გაზეთები. მოწერეთ რაძდენი ვგზავნოთ. ველით წერილებს.

**ბათომი.** პორფილე ჩიკ—ს. თქვენი წერილი „ცოტარამ მტკივან საკითხებზე“ არ დაიბეჭდება—პირადულია. ამის შესახებ მიმართეთ ბათუმის ჩვენს რწმუნებულებს.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

მთავლიტ № 525 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 12 აპრილი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე | № 17

## ახალი სოფელი

მიმდინარე კვირაში მომხდარი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მესამე მოწვევის ყრილობა, უსათუოდ იწყებს ახალ ხანას ჩვენი სოფლის ცხოვრებაში.

წლევანდელი არჩევნები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან წარმოებულმა არჩევნებმა განაახლეს საბჭოების შემადგენლობა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს უპარტიო მუშათა და გლეხთა დიდმა უმრავლესობამ და საბჭოებშიც მრავალ ადგილს გაყვანილ იქნა უპარტიოთა 60, 65 და ზოგან მეტი პროცენტიც.

ამნაირად საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში ჩაება გლეხობის ის დიდი ნაწილი, რომელიც აქნამდის განზე იდგა და მხოლოდ პასიურ ელემენტს წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არჩევნების მონაწილეთაგანის 20 პროცენტი დედა-კაცია.

ჩვენი გლეხკაცი იმდენათ შეგნებული და მომზადებული კია, რომ, თუ კი მას მიეცი საშუალება თავისუფლად მოქმედებისა და თავისი აზრების გამოთქმისა,—ის არ დააყოვნებს, მალე მიხვდება ხელისუფლების ყოველ განზრახვას და გვერდში ამოუდგება მას და მის საკეთილდღეოთ მიმართულ ზრახვების განხორციელებას.

და ლოზუნგი—პირი ვიბრუნოთ სოფლისკენ—რომელიც ნიშნავს უპარტიო გლეხების უშუალო ჩაბმას საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში,—მოასწავებს იმას, რომ უპარტიო გლეხი უნდა გრძნობდეს თავის თავს საბჭოთა საქმის თანასწორუფლებიან მონაწილეთ და ამავე დროს პასუხისმგებელიც უნდა იყოს იმნაირადვე, როგორც ყოველი პარტიული.

და რაკი ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება მტკიცეა,—ჩვენი სოფლის მშრომელი მოსახლეობაც არ დააყოვნებს და გაორკეცებული ენერგიით ჩაერევა საბჭოთა საქმიანობაში.

მუშათა კომისიის წევრებს, პროვინციაში მუშაობის დროს, ხშირად უხდებოდათ მოესმინათ გულმტკივნეულობა იმ გლეხობისა, რომელნიც სჩიოდენ: ხელისუფლების წარმომადგენლები სოფლის სათავეში სულ ახალგაზდები არიან „უწვერულვაშოებიანი“, რომელნიც მრავალ შემთხვევაში საქმეს ვერ უძღვებიან სათანადოთ და საქმის მცოდნე უპარტიო ამხანაგს არ უჯერებენ, ზოგჯერ უხეში ძალით გაჰყავთ თავისი ზრახვები ხელისუფლების საზიანოთ.

ახლა ასეთ მოვლენას,—სათემო სისტემაზე გადასვლის შემდეგ,—ნაკლები ალაგი ექნება სოფლად და ის შეგნება, რომ როგორც პარტიული ისე უპარტიო ემსახურება საერთო, საზოგადო საქმეს და პასუხისმგებლობაც თანაბარი იქნება მშრომელი მოსახლეობის წინაშე,—მჭიდრო კავშირს შექმნის პარტიულსა და უპარტიო ამხანაგთა შორის.

და ეს უნდა მიიღონ მხედველობაში ჩვენმა რწმუნებულებმაც, რომ მთელის ენერგიით მოჰკიდონ ხელი სოფელში ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობის საქმეს. გააძლიერონ და ააყვაონ სოფლის კოოპერაცია, ხელი შეუწყონ სოფლის განათლების საქმეს, სათანადო სიმაღლეზე დააყენონ სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება, აგრონომიული ცოდნის გავრცელება, ჭაობების ამოშრობა და სხვა მრავალი სოფლის საკითხები.

ყოველი პირადული, წმიდა პარტიული უნდა დავიწყებულ იქნას და საზოგადო საკეთილდღეო საქმეს შეეწიროს მთელი ენერგია.

# „ჯაყოს ხიზნები“ და ჩვენი ცხოვრება

„ოთარაანთ ქვრივ“-ში თავადი არჩილი ეუბნება კესოს: „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი. ჩვენ დაბადებულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლენი, დუნენი...

იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა“.

ამის შემდეგ არჩილი მოიგონებს გიორგის და დაუმატებს: მაგისთანა პური მარტო გლეხების თორნეში ცხვება, ჩვენს თორნეში კი მხოლოდ კუტი პურიო.

ასე უყურებდა ილია ჭავჭავაძე თავადურ ინტელიგენციასა და გლეხობას.

იგივე შეხედულება, იგივე განწყობილება არის „ჯაყოს ხიზნებ“-ში, ხოლო აქ ვრცლად არის გადაშლილი და გამუქებული ცხოვრების ფურცლებზე ამ ინტელიგენციის მთელი უმწეობა, უბადრუკობა, კუტ-პურობა.

ილია ჭავჭავაძის დროს ყოველივე ეს არ იყო აშკარა, რადგანაც მაშინ არსებული წყობილება ამაგრებდა ამ ინტელიგენციას, მაგრამ ილიამ თავისი დიდი ნიჭით მაინც სისწორით დააფასა და დაახასიათა ის: დონდლობილი, მოდუნებული, სისხლ-გაციებული, კუტი პური.

სწორედ ასეთია თეიმურაზ ხევისთავი, უძველესი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი და სამაგალითო ინტელიგენტი.

ადამაშვილის თეიმურაზი იგივე არჩილია ილია ჭავჭავაძისა. ხოლო თუ არჩილი არ გვეჩვენება ასე უბადრუკად, დონდლოთ, იმიტომ, რომ ის დამკვიდრებულია მეფის წყობილებაზე. თავად-აზნაურობის ბატონობა იმის საფუძველს შეადგენს და ამიტომ ისიც ბატონია.

თეიმურაზს კი ეს საფუძველი გამოაცალა რევოლიუციამ და ამიტომ გამოაშკარავდა მისი უბადრუკობა, სიმჩვარე.

ილია ჭავჭავაძეს ეშინოდა ამ რევოლიუციის, მას უნდოდა წოდებათა შეთანხმება, მორიგება, ჩატეხილი ხიდის გამთელება. როგორი გზით, რა საშუალებით?

— ცრემლიანი ცოდნით,—გვიპასუხებს მისი არჩილი.

ამ ცრემლიან ცოდნაში ილია ჭავჭავაძე ჰგულისხმობს თავადობის შევნებასა და სინიდისს.

ამაში ჰხედავდა პოეტი ქართველი ერის ხსნასა და მომავლის საწინდარს.

სულ სხვაგვარად სწყვეტავს საკითხ მიხეილ ადამაშვილი. მისთვის რევოლიუცია არის ცხოვრების კანონი და ფაქტი.

რევოლიუცია ანადგურებს თეიმურაზსაც, იმის თეორიებსაც; იმის ცრემლიან ცოდნასაც და ჯაყოს პირით ეუბნება მას: „ახლა კი მორჩებოდით და ჩაძაღლდებოდით“.

მკვახეთ, ტლანქად არის ნათქვამი, მეტად უგულოდ და მკაცრად, მაგრამ რევოლიუციამ სხვა ენა არ იცის: თეიმურაზისათვის ყველაფერი გათავებულია და ის კი არ უნდა მოკვდეს ისე, როგორც მისი წინაპრები კვდებოდნენ, არა—უნდა ჩაძაღლდეს:

და მართლაც მთელი მისი ცხოვრება რევოლიუციის ხანაში განა ჩაძაღლება არ არის?

რომანში ავტორი თეიმურაზ ხევის თავს უპირდაპირებს ჯაყო ჯივაშვილს.

ვინ არის ჯაყო?

გლეხი; უვიცი, გაუნათლებელი, ხეპრე, მოუხეშავი.

მაგრამ ჯაყო არის მუშების შვილი, მტკიცე, ჩაკირული, მთლიანი, გაუბზარავი, ურყევი, მკლავ მაგარი, ხერხემალით მტკიცე, რკინის კუნთებიანი. იმის ძარღვებში დაგროვილია აუარებელი ენერგია, მასა აქვს ძლიერი ნებისყოფა, უნარი და ფხა ცხოვრებისა.

საითაც უნდა გადააგდოთ ჯაყო, რა პირობებშიაც უნდა ჩააყენოთ, ის არ შედრკება, არ დაეცემა სულით, ქალაჩუნად არ გადიქცევა და გამოსავალს მონახავს.

მისი შეხედულობა მოქნილია, როდის როგორ უნდა მოიქცეს, მან იცის და არ დაიბნევა, ცხოვრების ტალღებში გზაკვალი არ აერევა.

მისი ერთად-ერთი მიზანია—პირადი კეთილდღეობა. ამ მიზანს ემსახურებოდა ის ძველ წყობილებაში, ამასავე ემსახურება ის დღესაც რევოლიუციის ხანაში. მაგრამ მან საუცხოვოდ იცის, რომ ახალი დრო სხვაგვარ მოქმედებას მოითხოვს ადამიანისაგან და ამის გამო ის სოფელსაც ეხმარება, რომ ხალხის ნდობით ზურგი გაიმაგროს და უკეთ მიაღწიოს თავის მიზანს.

ყოყმანი მისთვის არ არსებობს; ის მთლად მოქმედებაა და, რასაც გადასწყვეტავს, უსათუოდ უნდა მოიყვანოს სისრულეში.

თეიმურაზის მთელ ქონებას ის ჩაიგდებს ხელში, შემდეგ განიზრახავს თეიმურაზის ცოლის შერთვას და მტკიცეთ მოჰყავს სისრულეში.

გაბედული, შეუპოვარი, შეუდრეკელი—აი ჯაყო. მერყეობა, ბედის წინაშე ქედის მოხრა მისთვის უცნობია. ის იბრძვის და გააქვს ლელო.

ხოლო მთელი მისი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ბრძოლა, აუარებელი ენერგია ხმარდება საპირადო საქმეს და პირადი კეთილდღეობის მოსაპოებლათ ის არ ერიდება არავითარ საშუალებას, არა ჰზოგავს არავის.

ჯაყო კეთილშობილებისა და პატიოსნების გარეშე სდგას. ზნეობრივი საზომი მისთვის არ არსებობს; მისთვის ყველაფერი კარგია, მისაღები და დასაშვები, რაც კი მას პირად კეთილდღეობას შეჰმატებს.

როდესაც ჯაყოს დააყენებთ თეიმურაზის გვერდით, უპირატესობა პირველისა მეტისმეტად აშკარაა.

თეიმურაზია ლორწო, დამპგარ წყალში დამბალი მჩვარი; ჯაყო კი რკინა და ცეცხლია; მასა აქვს ბასრი კლანჭები და ფოლადის კბილები, დროის შესაფერი კუნთები.

მიუხედავად ყველა ამ ღირსებისა ჯაყო არის უარყოფითი პიროვნება და თეიმურაზი სისწორით ახასიათებს მას:

— ჯაყო, დაანებე თავი რევოლიუციას! თქვენ ერთმანეთს არც კი იცნობთ. რევოლიუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნიღაბია, მეწველი ფურია. შენ კი, შენ რევოლიუციის მუნი ხარ, მისი წურბელა ხარ, მისი ტკიპი, მისი ბაღლინჯო და ტილი.

ჯაყოს იმდენად სწამს რევოლიუცია, რამდენადაც ხელს უწყობს ეს რევოლიუცია იმის პირად კეთილდღეობას.

რევოლიუციის მღვრიე წყალში ჯაყო თევზს იჭერს დროებით და მთელი საშინელება სწორეთ იმაში მდგომარეობს მათთვის, ვისაც საქმე აქვს ჯაყოსთან, ვინც მას მაგარ ბრჭყალებში ჩაუვარდება.

მტკიცე და ამავე დროს თავხედი, ბოროტი—აი ჯაყო. სახალხო, საზოგადო მისთვის არ არსებობს, მისი გონება და მისწრაფება საპირადოს ვერ გასცილებია. ამ საპირადო გზაზე ის ფეხქვეშ სთელავს ყველას და ყოველივეს. ჯაყო გრძნობს, რომ დრო მას ხელს უწყობს და ის კიდეც სარგებლობს ამ დროთი.

— ეხლა მე გწერ კანონებსა შენა! ჯაყო გწერს კანონსა, ჯაყო! მაშ, მაშა! გაიგებდეს ამასაც გაიგებდეს!

ამაყად ეუბნება ჯაყო თეიმურაზს.

განა მართალია ჯაყო სწერს კანონებს?

რათქმა უნდა არა.

ჯაყოსთანა პირები ყოველთვის ბლომად არიან, მაგრამ ხშირად არა სჩანან, ფრთებს ვერა შლიან. ხოლო რევოლიუციის ქარცეცხლში, როდესაც ძველი ყოველივე ინგრევა და ახალი კი ჯერ საკმაოდ არ განმტკიცებულა, ჯაყოთანა პირები ხშირათ სარგებლობენ გარემოებით და მართლაც სწერენ თავისებურ კანონებს, ე. ი. სრულ-თავისუფლებას აძლევენ თავის ძალმომრეობას, უკანონობასა და ალვირახსნილობას, ვიდრე რევოლიუციის სამართალი შეამჩნევდეს მას და სტაცებდეს ხელს.

ასეთია ჯაყო. მასში არის დიდი ძალა, „ვარ უმაგრესი რვალისა“, თამამად შეუძლია, გაიმეოროს ტარიელის სიტყვები, მაგრამ ეს ამოდენა ძალა ხმარდება ბოროტს და არა კეთილს. მიეცით ჯაყოს შეგნება, გააშუქეთ მისი გონება და მაშინ ჯაყო მართლაც გახდება ახალი ცხოვრების ბურჯად.

პირველის შეხედვით გაუგებარია, როგორ გაჰყვა ასეთ ადამიანს თეიმურაზის მეუღლე მარგო?

მაგრამ როდესაც ჩაუკვირდებით მარგოს და თეიმურაზის ბუნებას და გაითვალისწინებთ იმ პირობებს, რომელშიაც ცოლ-ქმარი მოექცა დარწმუნდებით, რომ ავტორი მართალია.

თუ კი სასახლის ქალები და თვით დედოფალი ფეხქვეშ ეგებოდნენ ტლანქსა და უხეშ რასპუტინს, განა გასაკვირალია, რომ მარგო ჯაყოს დამორჩილებოდა?

ისეთ პირობებში ჩაუვარდა მარგო ხელთ ჯაყოს, რომ მარგოს არავითარი გამოსავალი არა ჰქონდა.

ეთქვა ქმრისათვის?

რა გამოვიდოდა! მან ძალიან კარგად იცოდა, რომ თეიმურაზი სრულებით უძლური და უმწეო იყო.

თვითონ მარგოს გადაედგა რაიმე ნაბიჯი შექმნილი მდგომარეობის დასაძლევად?

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარგო იმავე წრიდან არის გამოსული, საიდანაც თეიმურაზი. უნებო ქალს რევოლიუციამ სულ გამოაცალა ნიადაგი და თეიმურაზსავით, დააბეჩავა, უმწეოდ აქცია.

ამავე დროს მარგო ქალია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მისმა ქალურმა ბუნებამ ჯაყოსთან ერთ ღამეს განიცადა ის, რაც არ განუცდია თეიმურაზთან მთელი ათი წლის განმავლობაში.

ეს მომენტი ავტორს ზედმეტის სინამდვილითა აქვს აწერილი. ვნებიანი ღმუილი სრულებით არ იყო საჭირო.

მე ვამჯობინებდი კნუტ ჰამსუნის ხერხს,—ის წერტილს დასვამს იქ, სადაც ყოველი სიტყვა უკვე ტლანქია.

მაგრამ ფსიხოლოგიურად ავტორი მართალია. ამის შემდეგ მარგო ძიენდო ბედს და ბედმა ის გადააქცია ჯაყოს ხასად.

ამის შემდეგ რაღა უნდა ექნა? სამუდამოთ მიაფურთხა იმ ჭიას, რომელსაც თეიმურაზი წარმოადგენდა და ჯაყოს ხასობას ისევ ცოლად გაყოლა ამჯობინა.

თეიმურაზ ხევისთავი მეტად რბილი, უნებო პიროვნებაა, მაგრამ ფსიხოლოგია მისი საკმაოდ რთულია, მისი ტრაღედია საშინელი და მისი ტანჯვა მეტად ძლიერი. პსიხოლოგიის გაშუქებაში მიხ. ჯავახიშვილი დიდი ხელოვანი და იშვიათი ოსტატია. ასეთი ანალიზი ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულიერი ავადმყოფობისა ჯერ არავის მოუცია ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში.

„ჯაყოს ხიზნები“ არის სატირა ჩვენი თავად-აზნაურული ინტელიგენციისა. სატირა ულმობელი, სასტიკი და დაუნდობელი. მაგრამ ამავე დროს მიხ. ჯავახიშვილი მიუდგომელი და სრულიად ობიექტიურია.

თავხედი, ხეპრე, მტკიცე და შეუდრეკელი ფოლადივით მაგარი ჯაყო მეტად ცოცხლადა აქვს, ავტორს დახატული.

ცოტა უფრო მკრთალია მარგოს სურათი.

ალაგ-ალაგ გადაჭარბებული მსჯელობაა, მაგრამ საერთოდ „ჯაყოს ხიზნები“ დიდი შემატებაა ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში.

იგ. გომართელი.

# კოოპერაციის როლი საბჭოთა მეურნეობის აღდგენის საქმეში

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ძლიერება და მისი სიმტკიცე დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ძლიერი იქნება ის ეკონომიური ბაზა, რომელსაც ის ემყარება. თუ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა, მისი ეკონომიკა წინ არ წავიდა, არ განვითარდა და არ გაძლიერდა, ისე მის პოლიტიკურ სიძლიერეს და კულტურულ დონეს საფრთხე მოელის. ერი ძლიერი ეკონომიურად, ძლიერია პოლიტიკურად და კულტურულად. საერთაშორისო ომმა ეს ნათლად დაამტკიცა. რუსეთი გერმანიის ტეხნიკამ დაამარცხა, ხოლო გერმანია ამერიკის ტეხნიკამ.

ჯერ იმპერიალისტურმა ომმა და შემდეგ სამოქალაქო ომმა საბჭოთა კავშირი ეკონომიურად ძალზე დაასუსტა. ომმა სახელმწიფო დოვლათის უდიდესი ნაწილი მსხვერპლად შეიწირა. სამოქალაქო ომიდან საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკურად გამარჯვებული, ხოლო ეკონომიურად დასუსტებული გამოვიდა.

პოლიტიკურ გამარჯვების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა საწარმოო ძალების განვითარება-გაძლიერება. კოლჩაკ—დენიკინ—ვრანგელის ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ, სახელმწიფო მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარება საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიისათვის უდიდესი ამოცანა შეიქნა. სამხედრო კოსუნიზმიდან სახელმწიფო კაპიტალიზმზე მოხერხებული გადასვლა ლენინის გენიალურ შორსმჭვრეტელობას მიეწერება. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა აღორძინების გზაზე დააყენა. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა თანდათანობით განმტკიცდა. თუ 1921 წ. მათი პროდუქცია ომამდე არსებულ პროდუქციის ერთ მეხუთედს ძლივს შეადგენდა, 1925 წ. დასაწყისში ის ომამდე არსებულ დონეს დაუხლოვდა მის ორ მესამედ ნაწილს შეადგენს.

სახელმწიფო მეურნეობის აღორძინება-განვითარებაში ერთი უდიდესი როლთაგანი კოოპერაციამ შეასრულა. განსაკუთრებით დიდია კოოპერაციის მუშაობა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში 1923—24 საანგარიშო წლების განმავლობაში.

1923 წ. მეორე ნახევარში საბჭოთა ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი კრიზისი იწყება, დღითი-დღე ეცემა საბჭოთა ფულის კურსი, არ არის მტკიცე ვალიუტა, აფორიაქებულია ბაზარი, ადგილი აქვს საშინელ სპეკულიაციას. საზღაპროდ იზრდება ფასები სამრეწველო საქონელზე, სამაგიეროდ ეცემა ფასები სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებზე, 1 არშინ ნარმაში გლეხს 2—3 ფუთი ხორბალი უნდა მიეცა. ყოველივე ამან შექმნა ცნობილი „მაკრატლის პრობლემა“. ვაჭრობაში ამ ხნებში კერძო კაპიტალი იყო გამოტანილი, კოოპერაციის როლი ძალიან უმნიშვნელო იყო. „მაკრატლის პრობლების“ შექმნის ერთი მთავარი მიზეზთაგანი ბაზარზე კერძო კაპიტალის გაბატონება იყო.

სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრესი მიზანი 1923 წ. შემოდგომაზე „მაკრატლის პრობლემის“ გადაჭრა გახდა. ამისათვის საჭირო იყო მტკიცე ვალიუტის შექმნა, კერძო სავაჭრო კაპიტალისათვის ლაგამის ამოდება და მის ნაცვლად კოოპერაციის გაძლიერება. კოოპერაციას უნდა დაეჭირა კერძო კაპიტალის ადგილი, კოოპერაციის საშვალებით უნდა მომხდარიყო საქონლის მიწოდება მომხმარებლისათვის, კოოპერაციას უნდა დაეახლოვებინა ქალაქი—სოფლისათვის, მუშა—გლეხისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ უდიდესი ყურადღება მიაქცია კოოპერაციის გაფართოება-გაძლიერებას, გაუხსნა კრედიტი ფულით, საქონლით, მისცა სხვადასხვა შეღავათები.

კოოპერაცია ფეხზე დადგა, მისი გავლენა გაიზარდა. 1923 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის რუსეთში 16.188 მომხმარებელი კოოპერატივი იყო, 1924 წლის პირველ ოქტომბრისათვის მათი რიცხვი—20,920-მდე ავიდა. კოოპერატივის მაღაზიების რიცხვი გაიზარდა—21,420-დან 27,477-მდე. წევრთა რიცხვი იყო ქალაქის კოოპერატივებში—1923 წ. 1-ლ ოქტომბერს—2,5 მილ., ხოლო 1924 წ. 1-ლ ოქტომბერს—4,5 მილ. 1922—23 საანგარიშო წელში საქალაქო კოოპერაციის ბრუნვა უდრიდა—248 მილ. მანეთს, სოფლის კოოპერაციის—139 მილ. მანეთს, ხოლო 1923—24 საანგარიშო წელში ბრუნვა გაიზარდა. საქალაქო კოოპერაციაში—ის უდრის—650 მილ. მანეთს, სოფლის კოოპერაციაში—409 მილ. მანეთს.

საქართველოში 1924 წ. 1-ლ იანვრასათვის იყო 138 მომხმარებელი კოოპერატივი და 506 მაღაზია, ხოლო 1924 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის—152 მომხ. კოოპერატივი და 700 მაღაზია. კოოპერატივის წევრთა რიცხვი იმავე პერიოდში გაიზარდა 62,200-დან 110,000-დე· ასე რომ მომხმარებელი კოოპერატივების რიცხვი საქართველოში გაიზარდა 10,2$^{0}/_{0}$-ით, მაღაზიების—40 პროც. ხოლო წევრების—77 პროც.

საშუალო თვიური ბრუნვა ერთ კოოპერატივში 1923 წ· უდრიდა 3,354 მ. ხოლო 1924 წ. 7,061 მანეთს.

როგორც ზემონაჩვენებ ციფრებიდან სჩანს კოოპერაცია სწრაფი ნაბიჯით ვითარდება, მოსახლეობის უფრო მეტ და მეტ ნაწილს აკავშირებს და სახელმწიფოს ვაჭრობაში უდიდეს როლს თამაშობს.

კოოპერაციის ერთი წლის მუშაობამ დიდი კვალი დაამჩნია სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებას. ფულის სტაბილიზაციამ და კოოპერაციის გაფართოებულმა მუშაობამ სამრეწველო საქონელზე ფასების დაწევას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ნაწარმობზე ფასების აწევას დიდათ შეუწყო ხელი.

კერძო კაპიტალი იძულებული შეიქნა ბაზარზე ადგილი თანდათანობით კოოპერაციისათვის დაეთმო, კოოპერაციის კონკურენციას მან ვერ გაუძლო. თუ რამდენად დაეცა დღეს საბითუმო ვაჭრობაში კერძო კაპიტალის როლი ამას შემდეგი ციფრები გვიჩვენებს. თფილისის ბირჟის საქონლის ბრუნვაში 1923—24 წ. წ. 1-ლ კვარტალში კოოპერაციას ეკუთვნის მთელი ბრუნვის 20,4 პროც., საზოგადო ორგანიზაციებს 2,3 პროც., კერძო პირებს 37,3 პროც.; მეოთხე კვარტალში კი კოოპერაციას 53,2 პროც. კერძო პირებს 8,2 პროც., საზოგადო ორგანიზაციებს 3,0 პროც. სახელმწიფო ორგანოებს—35,6 პროც.

ამნაირად, როგორც ვხედავთ კოოპერაციას დიდი მუშაობა გაუწევია ბაზრის დაპყრობისათვის, უდიდესი ნაწილი თავისი ამოცანის—მომხმარებლის მწარმოებელთან დაახლოვება—მან პირნათლად შეასრულა.

ცხადია ამით კოოპერაციის მისია არ დასრულებულა, მას კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, მას კიდევ ბევრი დაბრკოლება აქვს გადასალახავი.

დღევანდელ კოოპერაციას აქვს ზოგიერთი ნაკლიც, რომლის გამოუსწორებლად ძნელი გახდება კოოპერაციის შემდგომი წარმატებითი მუშაობა. ერთ ასეთ მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს საკუთარი კაპიტალის უქონლობა. კოოპერ. დღეს როგორც რუსეთში, ისე საქარ. უმთავრესად სხვისი კაპიტალით მუშაობს; მისი ბრუნვის გადიდება სხვისი კაპიტალის დახმარებით ხდება; თავისი, საკუთარი კაპიტალი კოოპერაციის დღევანდელ ბრუნვაში ძალიან უმნიშვნელო როლს ასრულებს. რუსეთში მომხმარებელ კოოპერაციის საერთო თანხებიდან საკუთარი, თანხა 1924 წ. 1-ლ იანვრისათვის შეადგენდა 8,2 პროც. ხოლო 1924 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის 16,4 პროც. საქართველოში კოოპერაციის (ცეკავშირი, წარმოკავშირი, მუშკოოპი) საკუთარი თანხა უდრიდა 1923—24 წ. წ. 1-ლ კვარტალში 29,8 პროც., ხოლო მეოთხე კვარტალში—22,5 პროც.

რუსეთში 1924 წლის განმავლობაში კოოპერაციის საკუთარი თანხები ორჯელ გაიზარდა, ხოლო საქართველოში მან თითქმის ერთი მეოთხედით დაიკლო. მიუხედავათ ამისა, საქართველოს კოოპერაციაში საკუთარი თანხები საერთო თანხების გაცილებით მეტ პროცენტს შეადგენს, ვინემ რუსეთში. რაც შეეხება საქონლის ბრუნვაში კოოპერაციის მონაწილეობას, აქ საქართველოს კოოპერაციაზე მთელი საქონლის ბრუნვის თითქმის ნახევარი მოდის, მაშინ, როცა რუსეთში ის მესამე ადგილსაც ძლივს იჭერს.

როგორც რუსეთში. ისე ჩვენში კოოპერაციის ბრუნვის გაფართოება სხვის (სახელმწიფოს საკრედიტო და სამრეწველო დაწესებულებების) თანხებით ხდება, რაც არ შეიძლება ჯანსაღ მოვლენად ჩაითვალოს. დღეს კოოპერაციის უახლოეს ამოცანათ უნდა ჩაითვალოს საკუთარი თანხების გადიდება.

ამისათვის საჭიროა, რაც შეიძლება, მეტი მოსახლეობის ჩაბმა კოოპერატიულ მოძრაობაში, რაც შეიძლება მეტი მუშებისა და გლეხების შეკავშირება კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

დღეს რუსეთის სამომხმარებლო კოოპერაცია 4,5 მილ. წევრს აკავშირებს, საქართველოსი კი 110,000 წევრს, რაც, ცხადია დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს.

კოოპერაციამ რომ შესძლოს რაც შეიძლება მეტი მოსახლეობის შეკავშირება, ამისათვის საჭიროა ხალხში, მუშებსა და გლეხებში დიდი ნდობა და სიმპატია დაიმსახუროს. ეს კი შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა კოოპერაცია შესძლებს მუშებისა და გლეხების უსაჭიროეს მოთხოვნილების ადვილად დაკმაყოფილებას. მუშას სჭირდება იაფი და კარგი ხარისხის სოფლის სამეურნეო ნაწარმოები, გლეხს კი ქალაქის იაფი და კარგი ხარისხის ნაწარმოები. დღეს კოოპერაცია საშუალოდ 15 პროც. უფრო იაფად აწვდის საქონელს მომხმარებელს, ვინემ კერძო ვაჭარი: კოოპერაციამ უნდა მიიღოს ყოველივე ზომები საქონლის კიდევ უფრო გასაიაფებლად, ამისათვის ერთი მთავარი საშუალებათაგანია ზედნართი ხარჯებისა და ძალზედ გაბერილ შტატის შემცირება. კოოპერაციამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ ნაწარმოებისა და მაღაზია საწყობებში მუშა-მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერების გაზრდას.

ხალხი მაშინ მიიღებს მონაწილეობას კოოპერატიულ მოძრაობაში, როცა დარწმუნდება, რომ კოოპერაცია ნამდვილად ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავს და არა მოგებისათვის. კოოპერაციამ უნდა დააინტერესოს მოსახლეობის ფართო ნაწილი თავის მუშაობა-საქმიანობით და თავის ენერგიულ და სინდისიერ მოღვაწეობით დაუმტკიცოს ხალხს, რომ კოოპერაცია ხალხისათვის არსებობს და არა ხალხი კოოპერაციისათვის.

კოოპერაციამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხში თვითმოქმედების გაფართოებას, მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიაღებინოს ხალხს კოოპერაციის მუშაობა-საქმიანობაში, ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ. როცა ხალხს მიეცემა საშუალება კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში თავასი ნდობით აღჭურვილი პირები აირჩიოს, კოოპერაციაში თავისუფალი არჩევნები ნამდვილად, საქმით უნდა მოხდეს და არა სიტყვით—ამბობს „ცენტროსოიუზის“ თავმჯდომარე ხინჩუკი.

კოოპერატიულ ორგანოებში თავისუფალ, ძალდაუტანებელ არჩევნებს განსაკუთრებით დიდი მნიშენელობა აქვს საქართველოში. ქართველი გლეხი პოლიტიკური შეგნებით და კულტურულად რუსეთის გლეხზე მაღლა სდგას. ის მიჩვეულია ფართო თვითმოქმედებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობის მიღებას, კოოპერაციას გლეხი მაშინ შეხედავს ნდობით, როცა საშუალება მიეცემა აქტიურად ჩაებას კოოპერაციის საქმიანობაში და კანტროლი გაუწიოს მის თვითეულ ნაბიჯს. ასეთი ჩაბმა და ასეთი თვითმოქმედება კი ჯერ სავსებით არ არის გატარებული.

გარეშე ამისა ძნელი იქნება კოოპერატიულ მოძრაობის გაფართოება-გაძლიერება, რაც აუცილებლათ უარყოფით გავლენას მოახდენს სახელმწიფოს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაზე.

ენ.

# ყინული დაძრულია

დიდი ხანი არ არის, რაც გამოვედი ციხიდან. ბევრი ნაცნობ-მეგობრები ვნახე. შევხვდი თითქმის ყველას: მუშას, გლეხს, ინტელიგენტს, ბოლშევიკს და არა ბოლშევიკს. ყველასთან მქონდა საუბარი. არ არის ინტერესს მოკლებული მოუსმინო დიდი ხნის უნახავს და გაუზიარო შენი ნააზრები.

რამდენი საჭირბოროტო კითხვები იყრის თავს ჩვენში და ჩვენს გარშემო.

გიხარიან, როდესაც სალ-შეხედულებებს, მოსაზრებებს უსმენ; გწყინს და გაღელვებს ცუდი, ფუქსავატი აზრებით გაჟღენთა. სიმახინჯეა, როდესაც ადამიანი ბუნებით სრული, უნაკლო, მცოდნე, რევოლიუციონერი განზრახ გაურბის სინამდვილის დანახვას და გაგებას.

ოთხი წლის განმავლობაში, რაც საქართველო გასაბჭოვდა, ბევრი ცვლილება მოხდა: ყველაფერი ეს ჩვენს თვალწინ, ჩვენს დასანახათ იყო, ჩვენ უშუალო მონაწილენი ვიყავით მრავალი, ბევრი განვიცადეთ; უამრავი ფაქტები დაგროვდა, არა ერთი და ორი გაკვეთილი მოგვცა ცხოვრებამ.

ჩვენ ვხედავდით როგორ ცვლიდენ ერთმანეთს სხვა და სხვა პერიოდები საბჭოთა აღმშენებლობაში: სამოქალაქო ომის მიწურული, ეკონომიური კრიზისი, სიმშილობა, ტრანსპორტის მოშლა, საშინელი კურსის დაცემა ფულის ნიშნების, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისი, შენელება კრიზისების, ყველა დარგებში თავ-განწირული მუშაობა, საერთო კეთილ დღეობის დასაწყისი, ფულის რეფორმა, მტკიცე ვალიუტა, მრეწველობის აღდგენა, ტრანსპორტის გაუმჯობესობა, მტკიცე, უდეფიციტო ბიუჯეტი, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა და სხვა მრავალი—ეს საშინაო ცხოვრებაში, ეკონომიურ

ფრონტზედ, რომელსაც თან სდევდა დიდი ცვლილებები კულტურულ დარგში.

ეს ყველამ იცის, ამაზედ შეჩერება მოსაწყენიც არის.

არც ის გამოჰპარვია საზოგადოებას თუ რა ცვლილებები ხდებოდა მსოფლიოში: როგორ შეიცვალეს დამოკიდებულობა ევროპის სახელმწიფოებმა საბჭოთა კავშირისადმი: მთელი წყება იურიდიული ცნობებისა. გაქრა იმედები ანტი-საბჭოთა პარტიების, გაიარა დასავლეთში ხანამ პაციფიზმისამ. მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეჯგუფება გადაჯგუფებანი, ინტერესთა შეერთება და დაპირდაპირებანი დასავლეთში და აღმოსავლეთში.

ყველა ეს ფაქტებია, ამაზედ შეკამათება კლდეზედ თავის მტვრევაა. დიახ, დიდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მდგომარეობა, პირობები, ეკონომიურ-პოლიტიკური შეიცვალა.

კომპარტიამაც საგრძნობი ნაბიჯები გადადგა წინ ახალი ცხოვრების პირობების მიხედვით, თავის უკანასკნელ ყრილობაზედ (მე-12 მე-13 ტე.)

აუცილებლათ, ბუნებრივათ, ყველა ამ ცვლილებებს უნდა მოყოლოდა რადიკალური ცვლა საზოგადოებრივი აზრის, იდეური გარდატეხა ყველა ფენებში და წრეებში. ეს, როგორც მოსალოდნელი იყო, მოხდა კიდეც. დიდმა უმრავლესობამ გაუკეთა რევიზია თავის ძველ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, პერსონალურათ თუ კოლექტიურათ, ზოგმა ადრე, ზოგმა უფრო გვიან.

ინტელიგენციის შეურიგებლობას და განზე დგომასაც სწვდა სინამდვილე. ვერც მათ აუარეს გვერდი აუცილებლობას. მთელი რიგი ყრილობების და რეზოლიუციების (ინჟინერთა, ექიმთა და მასწავლებლების) საკმაო საბუთია ამისი.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენებურმა ანტისაბჭოთა პარტიებმა, ხელმძღვანელებმა (ზოგიერთებმა) ეს ბუნებრივი, მარტივი და აუცილებლათ საჭირო ჭეშმარიტება ვერ შეიგნეს; ვერ ერკვევიან, თუ არ უნდათ გაერკვენ. ზოგიერთნი ისევ ძველ აზრზე დგანან, იმეორებენ ძველ გაცვეთილ, გაზეპირებულ შეხედულებებს.

თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. წარსულის გაკვეთილებს ტყუილათ ჩაუვლია, გეგონებათ მათთვის ჯერ კიდევ 1921 წელს ზაფხულ-შემოდგომის მდგომარეობაა. ის აზრი, ის სიტყვები, ის იმედები, ის ფანტაზია და ის ბურუსით მოცული პერსპექტივები, რომელსაც მაშინ დიდი უმრავლესობა ზრდიდა და ატარებდა.

ეს მახინჯობაა... აზრით გაყინვაა. ბრმა უნდა იყოს ადამიანი თვალით კი არა მარტო, ტვინით უმთავრესათ, რომ ის უდიდესი ცვლილებები, რომელიც მოხდა და ხდება,—ვერ შეამჩნიო, გაკვეთილები მიიღო საკმაო რიცხვით და იქიდან საჭირო დასკვნა ვერ გააკეთო.

საბედნიეროთ ასეთები ცოტაა ეხლა, მაგრამ სავალალოა ისიც, რომ მაინც არის. ჩვენს პირობებში ასეთები აღარ უნდა იყონ.

იმ ქარიშხალის შემდეგ, რომელმაც აგვისტოში გადაიარა, ჩვენს სინამდვილეს ღრმა ბეჭედი დაესვა.

აგვისტოს განზრახვა დიდი უაზრობა იყო, წინასწარ განწირული და საბედისწერო. მას ეხლა ყველა ასე ფასებს, სხვანაირათ არც შეიძლება.

ყველა ისინი, ვინც კიდევ არ გამოფხიზლებულან, უნდა ბოლომდის ჩაუკვირდენ მდგომარეობას. ყველაფერი ანგარიშის თვალით, სისწორით გაზომონ. გულწრფელათ და საღათ მიუდგენ კითხვას. წინაალებული, თავმოყვარული, ჯიუტი აზრით მიდგომა საგნისადმი ვერ მოგვცემს სწორსა და უნაკლო გადაჭრას კითხვისას.

ფანტაზიორობა არ ვარგა ხეტიალი უცნობ, გაურკვეველ სფერცეში განუხორციელებელ იმედებით ზიანის მეტს არას მოგიტანს.

ოცნების სამყაროდან, დროა, ძირს, სინამდვილისკენ დაეშვან.

ასეთ ჯიუტებს, მეოცნებე ხალხს, საზოგადოებისათვის დიდი ზიანი მოაქვთ. ისინი ამწვავებენ მდგომარეობას, ხელს უშლიან ურთი-ერთ ნდობის საქმეს. აფერხებენ გულწრფელათ გამოფხიზლებულ მუშებისა და ინტელიგენტების დაახლოებას ხელისუფლებასთან.

ის ნაწილობრივი უნდობლობა კომუნისტები რომ ეპყრობიან ყოფ. მენშევიკებს,—გამოწვეულია იმ უმნიშვნელო ელემენტების უტაქტო საქციელით, რომელნიც ჯერ კიდევ განაგრძობენ შეურიგებლობის ხაზზე დგომას.

ასეთებს, ალბათ ჰგონიათ რომ მათი აზრი უცოდველია, რომ მხოლოდ ისინი აკეთებენ მუშათა კლასის საქმეს და ყველა ის, ვინც სხვანაირათ ფიქრობს და აზროვნობს მოყიდული ან მოღალატე იყოს.

არ არის ეს მართალი! ასე ნურავინ იფიქრებს.

თუნდ დროებით მოეხსნას გრძნობებს, ჩაუკვირდეს კარგათ მდგომარეობას, არც ისე ძნელია დანახვა საჭირო მასალის.

საბჭოთა აღმშენებლობა, კომპარტიის ხაზი, არ არის უარყოფითი მოვლენა. ბრძოლა მის წინააღმდეგ არ არის რევოლიუციონერობა. მაშ რაშია საქმე?. რა ლოზუნგებით გამოდიან დღეს მენშევიკები იატაკ ქვეშ?

რომელ სოციალურ ეკონომიურ პრინციპზეა დამყარებული ის, რასაც დღეს აყენებს გადასაჭრელათ შეურიგებელნი? მასსა ვერ იცნობს ასეთებს.

კლასობრივი ნიადაგი უკვე დავკარგეთ. მივიხედმოვიხედოთ, სრულიად დამშვიდებულათ, გულახდილათ ვსთქვათ: სად მიგვიყვანა ოთხი წლის ბრძოლის ეტლმა, რომელი ნავთსაყუდარიდან გამოვედით და სად მივედით? არის თუ არა აქ ჩვენი ადგილი?..

მე მგონია აქ ორი აზრი არ შეიძლება.

ისმება კითხვა: წინ ამავე გზით, თუ უკან საერთო ოჯახში?

მე მგონია რევოლიუციონერობა უკანასკნელს მოითხოვს.

შეცდომის აღიარება სირცხვილი არ არის. უნდა გადასინჯონ გულდასმით ყველაფერი მათ, ვინც კიდევ ვერ გარკვეულან.

გარდატეხა უკვე მოხდა, ვიმეორებ, ფართო მასსებში ეს მარტო გუშინდელი საქმე არ არის.

მართალია, აგვისტომდე კიდევ იყო მერყეობა, გაურკვევლობა: ბევრს ვერ გაეწყვიტა მთლიანათ კავშირი ძველთან. ორ სკამზე ჯდომა ხშირი მოვლენა იყო: ცალი ფეხით ახალ პლათფორმაზე იდგენ მეორე კი ისევ მენშევიკების ცეკაში ქონდათ ჩარჩენილი. ეს იყო, ამას ვერ დავმალავთ. ძნელი იყო პსიხოლოგიურათ ერთბაშათ, იდეური გამიჯვნა ყოველივე იმასთან რასაც წლობით ეზარდე და შეითვისე.

ნათელია, რომ გარდატეხა აუცილებლათ ხდებოდა, ახალი პირობები ახალ შეხედულებებს ბადებდა, მაგრამ აგვისტომ სწრაფათ შეარყია ყველაფერი. უაზრო მსხვერპლმა ყველას დაუყენა წინ გადასაჭრელათ კითხვა: საით მივდივართ, რას ვაკეთებთ, ვისთან ვართ და ათასი სხვა.

ყველა ამ კითხვებზე პასუხი აუცილებლათ უნდა მიგვეცა. ცხოვრება ამას მოითხოვდა ყველასაგან გადაუდებლათ. სინამდვილეს ვერ გაექცევით როგორც არ უნდა გეწადოს. სინამდვილემ მოსპო იმედები ცრუ ყალბი და შეუსაბამო.

ცხოვრება თავის ისტორიული აუცილებლობით ახალ ფაქტებს აგროვებს, ალაგებს და მძიმე ნაბიჯით წინ მიიწევს. ჩამორჩენა დაღუპვას უდრის, გადახვევა—წამებას. ამას გრძნობს ფართო მასსები. ამან ბევრი რამ გახადა დასანახი.

პატიმრობის დროს ათასებს ვხდებოდი. მე ვიცნობ მათ აზრს და შეხედულებებს. ძალ დაუტანებლათ, გულ ახდილათ, მხოლოთ იქ შეიძლება ნააზრების ერთმახეთისათვის გაზიარება.

მეტეხში ვიყავი, როგორც მახსოვს დეკემბრის ბოლო რიცხვები იყო, როდესაც სეითის წერილი დაიბეჭდა პირველად კომუნისტში; თითქოს საწამლავით გაჟღენთილი ყუმბარა გახეთქილიყოს. ყველა მოწამლულივით მოიქცა. ყურსა და თვალს არავინ უჯეროდა. ასეთ მდგომარეობას მალე მოყვა გაცხოველებული კამათი. ისმოდა შეუფერებელი სიტყვებიც სეითის მისამართით. იყო სხვანაირი შეხედულებებიც. ერთ წერილს მეორე მოყვა. აქა იქ გამოჩნდა, ზოგში ალბათ წინათაც იყო, სალი შეხედულებები, კრიტიკა, რევიზია განვლილი მუშაობის. ბევრი გრძნობდა, რომ ყველაფერი რიგზედ არ იყო, რომ საჭირო იყო რაღაც გამოსავალის მონახვა.

დღითი-დღე რაღაც სხვა ატმოსფერა იქმნებოდა, გამოფხიზლების ნაპერწკალი ღვივოდა. ამას მოყვა უმრავლესობის მიერ ხელის მოწერა პარტიიდან გამოსვლაზედ. ეს იყო მაშინ. ეხლა კი, აგვისტოს შემდეგ, სულ სხვა სურათია. სულ სხვა აზრები. დიდი ცვლილებაა. ულაპარაკოთ — ყველას სახეზედ ამოიკითხავთ მწუხარებას, ნამდვილ სინანულს. არალეგალურ მუშაობას, შეურიგებლობის ხაზზედ დგომას ვინღა იზიარებს! ყველა სწუხს, რომ ის მონაწილეა აგვისტოს ამბების, რომ მან დაიგვიანა, ერთი ფიქრია— ამიერიდან ხელი შეუწყოს მშვიდობიან, გულწრფელ თანამშრომლობას ხელისუფლებასთან.

ქვენა აზრებს, ჩუმ ზრახვებს ნაკლებათ იპოვით.

აგვისტო მძიმე მოსაგონია, ის დიდი შეცდომა იყო და აღარც განმეორდება იგი.

ყინული ლღვება—ის უკვე დაძრულია. ამას ხელი ყველასაგან უნდა შეეწყოს ვინც მტერი არ არის მშრომელი ხალხის, ქართველობის, ოქტომბრის, ის უხდა ცდილობდეს დავიწყებას მისცეს წარსული. უნდა გვახსოვდეს ის მხოლოთ, როგორც გაკვეთილი. კომუნისტებმა სიძულვილს საფუძვლათ ყოფ. მენშევიკობა არ უნდა დაუდვან. მომავალი ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა განვლოთ. წყლულები უნდა მოშუშდნენ. საჭიროა მალამო. ამართველ პარტიებზედაც ძლიერ ბევრია დამოკიდებული.

ხელისუფლებამ სხვადასხვა ამნისტიებით ბევრს დიდი დანაშაულობა აპატივა, არავინ არ ფიქრობდა ასეთ ლმობიერებას, ამას უდიდესი მნიშვნელობა ქონდა, ამან გაალღო შეურაცყოფის და თავმოყვარეობის ყინული.

გარეთაც ხომ ასეთივე სულისკვეთებაა: აღარავის არ უნდა დაბრუნება ძველ შეცდომებისაკენ. ახალი სულით უნდა გაივსოს ძველი ჭურჭელი.

უნდა გაიფანტოს ბრძოლის, უნდობლობის ბურუსი. გაცემული ავანსი უნდა დაიფაროს, სიტყვები—საქმით გამართლდეს.

კმარა. დროც არის.

შ. ჭ.

# ვერჰარნი

ამოხეთქილმა დედამიწის  
ცეცხლის ვულკანად  
შენმა გუგუნმა შეარყია  
პირქუში ზეცა;  
შენში ჰკიოდა შენი ხალხი,  
შენი ქვეყანა,  
ბელგიელების სიამაყევ,  
ვამაყობ, მეცა!

ვერჰარნ! ქალაქებს,  
ქარხნებსა და მუშათა ჯარებს  
შენებრ პოეტი, უმაღლესი,  
ჯერ არ ჰყოლია;  
შენი მსვლელობა ორთქლმავალის  
ჰგვანდა სიჩქარეს  
და ამ სიჩუმემ ბორბლების ქვეშ  
მოგიყოლია!

გ. ქუჩიშვილი.

# სიკვდილი

ცხენის თქარათქური თანდათან ახლოვდებოდა.

ჩემს ოთახთან გაჩერდა... სარკმლები დარაზებით მქონდა დაგულული, კარები არ დაურახუნებია... არც შემოუმტვრევია. რაღაც ჯადოსნური ძალით გაჩნდა ოჯახში. გაფხავებული ცელი ეჭირა ხელში...

ხმა ამოუღებლივ, უთავაზოდ ჩამოჯდა საწოლზე...

არაჩვეულებრივად ვიგრძენი გამყინავი სიცივე... სულ შემხუთავი სუნთქვა.,

ამაჟრჟოლა... აჭათახთახა... თავბრუ დამხვია... დაყვირება მინდოდა და ვერ ვახერხებდი. . განაბული ვიჯექი... წიგნში ვიყურებოდი ფერ დაკარგული...

— რასა ჰკითხულობ ასე გატაცებით, რომ ვერც კი გაიგე ჩემი სტუმრობა?—შემეკითხა თვალების ფეთებით...

ჰა?..,—უაზროდ შევეკითხე შიშისაგან დავთრებ-დაბნეულმა..,

— ზმუკი...—შემომიბრუნა...—გამხმარ ძვლების ჩხარა-ჩხურს მიუგავდა ხმა იმ ვერანასა...

რამ გამოგათაყვანა ისე, რომ არ გესმის ლაპარაკი... რა წიგნს ჩასცქერი ეგრე ხარბად?..

— დოსტოევსკის!..—როგორც იყო წამოვილუღლუღე, თუმცა იმ დროს სად მცხელოდა კითხვისათვის... მხოლოდ გაოგნებული დავყურებდი... ასოები ჩემს წინაშე ისე ხტოდნენ, როგორც კუდიანობის ღამის მოჩვენებანი...

მომიახლოვდა და წაიკითხა ვინმე ჭაბუკის დიალოგი:

„მე არ შემიძლიან მივილო არავითარი ბედნიერება მარტო იმიტომ, რომ არ ვიქნები და არც შემიძლიან ვიყო ბედნიერი, რაკი მიქადის ხვალინდელი საშინელი გაქრობა გაარარავება“...

გესლიანად ჩაიცინა...

— რა სულელები არიან ადამიანები.. როგორა სცხოვრობენ... რაში ჰკარგავენ ისედაც მცირე დროს...

მათ მხოლოდ და მარტო აზრ დაობებული წიგნები იტაცებს... გამოთაყვანებული წიგნების კითხვაში იწყალებენ და იცრიატებენ თვალებს...

სრულიად ავიწყდებათ, რომ მის გარდა არსებობს გაზაფხული... მზე... ახალგაზდობა... სიყვარული...

იმ დღეს შენსავით ერთ ახალგაზდასთან შევიხედე... იმას კიდევ ბაირონი გადაეშალა და მოსთქვამდა:

„ჭეშმარიტებავ, შენმა კრულმა სხივმა რად გამომაფხიზლა, რად გამალვიძა ძილისგან იმ ცხოვრებისთვის, როგორიც ჩვენი ცხოვრებააო“.

მესამე ახალგაზდა კიდევ ჰამლეტისავით ამ ქვეყანას ადარებდა იმ ბაღს, რომელიც სავსეა უსარგებლო და მყრალი ლენცოფა ბალახ-ბულახებითაო..

მეოთხე..

მაგრამ რომელი ერთი ჩამოვთვალო...

ათასობით და მილიონებით ახალგაზდობას აქვს ასეთი შეხედულება... ყველანი ცხოვრებას იხსენიებენ ზიზღითა და მძულვარებით...

მოსპობაო...

ამაოებაო...

არარაობაო...

რასა ჰკითხულობ, როგორია ცხოვრება?..

გაჩნდი?..—იცოცხლე...

ჰკრიფე ის ყვავილები, რომელსაც ბედი გთავაზობს.

გაუფრთხილდი სიცოცხლის წუთებს, გაუფრთხილდი, თორემ როცა აღსასრულის დღე ჩამოგირეკს და მორღვეულ თვალებში გაგეყინებიან სიცოცხლის სიზმრები—გვიანღა იქნება მაშინ ფართხალი... ამაო იქნება გაბრძოლება სულთმობრძავისა...

აბა გასინჯე შენი ცხოვრება..

როგორ გაატარე?..

იცოცხლე ლამაზი სიცოცხლით?..

განიცადე ქრქოლა სიყვარულისა...

არა!..

რატომ?...

იმიტომ, რომ ნიადაგ სიკვდილზე ჰფიქრობდი..,

მარად მე მომიხმობდი...

— როგორ?.. შენ?.. –შევკრთი მე...—ვინა ხარ განა შენ, რომ გული დამიფეთდეს შენთვის?.. მე არასოდეს მომიწოდებიხარ შენა...

— მე სიკვდილი ვარ... ის სიკვდილი, რომელსაც შენ ყოველთვის სიცოცხლეს არჩევდი..

მე სისხლი მეყინება... მენიშნა.. არ აჰარბებდა სიკვდილი...

სიკვდილი კი თავისას განაგრძობდა:

— მეც, ღვთის წინაშე, პირშავად ვარ შენთან... დროით ვერ გაგეხმაურე მოწოდებაზე... მძიმე საქმეებით ვიყავი დატვირთული..

ჯერ იყო და პირიქითელთა სიცოცხლის სათიბები მქონდა გასათავებელი... შემდეგ ომიანობა ატყდა... წუთიც არა მაქვს თავისუფალი...

როგორც იქნა, მცირე ხნით გავთავისუფლდი, გეახელი და რასა ვხედავ?.. თავ-ბედს იწყევლი, რომ მომიხმობდი...

რად გაიხადე ასე ბიაბრუდ საქმე?..

რა გრჯიდა?..

რა გეჩქარებოდა აღსასრული...

გამაკვირვა სიკვდილის სიტყვებმა..

ჭეშმარიტებას ჰლაღადებდა...

ვერაგი სიკვდილი მამხელდა სულმოკლეობას...

მართლაც წამური სიცოცხლე გვაქვს და მასაც ფარსაგად ვერა ვსარგებლობთ... ძაღლ-უმადურად ვატარებთ...

მომაგონდა ჩემი ახალგაზდობა...

გარნა მქონდა კი მე იგი?..

მე არასოდეს, არასოდეს მდგომია თავს ბავშვობის სამკაული—ყაყაჩოების გვირგვინი..

ვიხედები უკან... გავლილ მანძილისაკენ... იყო ბევრი ძიება... მიღწევა კი არსად.. გული ცარიელია უდაბნოსავით... სამუმის ქარივით დაჰქროლავს იქ სასოწარკვეთილება...

მტირალი სულით მარტოდ-მარტო მიყუჟული ვიყავი იმ უდაბნოში... მის გადაღმივ კი მიღელავდა ფურად ცხოვრების ცელქი მდინარე...

ცხოვრების გიჟმაჟი მდინარე მიღელავდა დაუდგრომლად და ერთი ზვირთიც არ ეტლაშუნებოდა ჩემს სახიზარს...

მემრე როგორ საჭიროებდნენ მათ ჩემგან უარყოფილი ოცნების ყვავილები... გაცრეცილი გაყვიციანებუბული იწევდენ სიცოცხლისაკენ... მზისკენ...

ჟივ-ჟივით, ცრემლთა ფრქვევით მევედრებოდნენ გამერღვია, გამეხსნა პირი სევდის ლოდებით ამოქოლილ უდაბნოსათვის და შემომეშვა მომჩქეფარი ტალღა სიცოცხლისა...

ამაო რჩებოდა მუდარა..

სხვანი ყურქუმალობდნენ ცხოვრების ზვირთებში..

ლაღობდნენ... სტკბებოდნენ..

მე კი ვრჩებოდი ჩემი დამჭკნარი ოცნებით მარტოდ-მარტო...

ისე გამამწარა ამაოების საკითხმა, რომ გადავწყვიტე გამოვსალმებოდი სიცოცხლეს..

ორჯელა ვცადე...

ორჯელვე ამხანაგებმა შემიშალეს ხელი...

ეხლა რომ გავიხსენე ეს ამბავი გიჟივით გამეცინა...

ვაი, გვიან შევიტყე სიტკბოება სიცოცხლისა...

გვიან დავაფასე ქვეყანა მშვენებით სავსე...

მწარე შეგნებამ უფრო ცრცლად გადამიშალა მოგონების არე...

როგორც ნათელს სიზმარში ისე წამოიშალნენ ჩემი უმანდელი მეგობრები...

ნაირ-ნაირი სახეები...

ყველანი ჩემი, დღეები არიან...

ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ხნის დღეები...

— ჩვენ გენდევით... შენი იმედებით ვსასოებდით... გვეგონა გაგვახარებდი... გვანეტარებდი... შენ კი დაგვაჰკნე უძლერსოდ... სული ამოგვხადე ბედის მდურვაში...

ასე სჩივიან, მამუნათებენ ჩემი დღეები—ჩემი ყმობის მეგობრები და მაკანკალებს... კაცის მკვლელივით მაკანკალებს მათ შემხედვარეს...

—

— რა გემართება კაცო?..—შემომიბუხულებს სიკვდილი, რაკი ფერ-ფური მიმდის... ეგრე რად შეგეშინდა ჩემი?.. განა მართლა ისე უგულოცა ვარ?.. დამიჯერე—მე ვარ ნუგეში ყველა განწირულთა... წელან გავაბიაბრუე ის პესიმისტი მგოსნები, მაგრამ უნდა აღვიარო—ბევრს მართალს ამბობენ... წელან შენს გასაგულისებლად მოვყევი იმ ლათაიებს... მე ცრემლებსა ვწმენდ მგოდებლებს... მე აღბორგებულ გრძნობებს ვაშოშმინებ... სამარადისოდ ვაძინებ... მე ვესარჩლები ყველასა... ცხოვრება ბევრს მეურჩება, მაგრამ ვერას მაკლებს... მუდმივი პაექრობა და ბრძოლაა ჩვენს შორის... მისს აშენებულს მე ვანგრევ... ბრძოლის ველი და ტროფეები მარად მე მრჩება... აუარებელი ტყვეები მიცვივა ხელში... ალბათ მათ უყვარვარ და იმიტომ მნებდებიან.. მილიონობით გადმოდიან ჩემს მხარეზე... უფრო მეტი კიდევ ჩემს ბალს შეეჩვევა ხოლმე და იმ ბალის ერთად-ერთი გზა მხოლოდ ჩემთან მოემართება...

— შენი ბალი?.. რომელი?.. მე პირველად მესმის სიკვდილის ბალის ამბავი..

— განა არ შესულხარ შენ ჩემს ბალში?.. იგი დიდი... დიდია... განუსაზღვრელია..

იქ ბევრი ჩემი ასული დასეირობს:

ქოთაო... ხუნაგი... ყამი... სახადი... ხორველა... შეშლილობა...—აი მათი სახელები...

ხან ვის მივათხუებ ჩემს კეკლუცს, ხან ვისა...

ყველა ადამიანი, რომელიც კი იმ ბალში შესდგამს ფეხს—უმალ დამისიძევდება...

პა, პა, პა, პა, პა,—რამდენი სიძე მყავს!.. შენა ყმაწვილო? გეტყობა შენც მოხიბლული ხარ ერთ-ერთ ჩემი ასულისაგან... მომილოცნია სიკვდილის ბალში ზედსიძეთ შესვლა...

შენ მაინც ჰბაბანებ?..

არა, შე ოჯახქეტიახო შენა, რას მომიწოდებდი?.. რა გეგონა?.. რა ისეთი ტიკი მასხარა ვარ, რომ გზა ამრეოდა ან არ მომექცივნა შენთვის ყურადღება.. მე ყველასა ვპოულობ... ყველას ვეხმაურები... თქმა არ უნდა დიდი მრევლი მყავს, მაგრამ არავინ დარჩენილა, რომ არ შევალერსებულიყავ... ჩქარა... ჩქარა ჩამეხუტე გულში, თორემ სიცოცხლე დაგეწევა... შენ ხომ მას სთვლიდი ცრუპენტელად... შენ ხომ ემდუროდი... ბევრსა გვპირდება—იოტის ოდნავს კი არ გვისრულებსო, სამაგიეროდ მე არ მოგატყუებ... რასაც ალგითქვამ—ავასრულებ კიდეც... მარადულ სიმშვიდეს მოგანიჭებ...

—

მტანჯავი დუმილი ჩამოწვა ჩემსა და სიკვდილის შორის.

— მაშ მოვემზადო ბატონო?..—როგორც იყო შევეკითხე მიქნავლებული ხმით... პასუხი არ გამცა... ნაზნაზით მიუახლოვდი... თავს აკანტურებდა... სთვლემდა...

მოდი შევთავაზებ ჩემს საწოლს... თვალს მოატყუებს... წაიძინებს...

მოკრძალებით ჩავჩურჩურე...

— თქენო წყვდიადობავ!.. გაცივდებით ზეზეურა ძილითა—მოისვენეთ ლოგინში...

სიამოვნებით დამთანხმდა და გაიშხლართა საწოლზე...

საბანი გადავხურე... მხრებში ამოუკეცე... თბილად შევფუთნე... უხმოდ ძილქუში უსურვე...

—

მოუჯექ მაგიდას და ვიწყე წერილების წერა: ძმებთან... მეგობრებთან...

ვაი იმ წერას...

ხელები თეთრი გიორგის მონასავით მიკანკალებდა...

ცრემლები მახრჩობდნენ...

ვერა დავწერე რა...

ვაიმე... ვაიმე... ძვლების ჩხარუნი გაისმა...

ილვიძებს პირ-ბნელი... ილვიძებს ის და ითხრება ჩემს წინ სამარე...

გაიზმორა... დაამთქნარა...

მოიფშვნიტა კვინიხში ჩაცვინული თვალები...

ვეშაპის ბდღვინვით წამოჯდა ლოგინზე...

— ხომ კარგა გეძინათ, მეუფეო?..—შევეკითხე მოფერებით...

— ტკბილად, ტკბილად... კარგა ხანია თვალი არ მომიხუჭნია... არც მეცალა ძილისთვის... ხალხს ვაჩანაგებდი... ვჩეხდი... თითო ისეთი ბრგე ვაჟკაცი მხვდებოდა, რომ მემსხვრეოდა ზიკ-ზიკა ცელები...

აი კიდევ დამჩლუნგებია ცელი...

უნდა გავლესო... კიდევ ბევრი მაქვს სათიბი...

და იწყებს ლესვას...

მე ალტაცებით ვივსები... მას საქმე გაუჩნდა... მაშასადამე მანამ სული შემრჩება... რა საცოდავები ვყოფილვართ ადამიანები... მთელს სიცოცხლეს წუწუნში ვატარებდი მოუხმობდი სიკვდილსა... ისიც მოვიდა და... მე სული მეწანწლება ორიოდე წუთზე... მე დიდ ბედნიერებად ვთვლი, რომ ორიოდე წუთი კიდევ შემრჩება... რა დიდი დრო უნდა ცელის ლესვას... ბევრი, ბევრი ათი წუთი...ათი წუთი გარდაუვალ სიკვდილის წინაშე ცახცახისა წინ მიდევს და მე მას ჩავფრენივარ, თითქოს უკვდავი ბედნიერების ჯადო მეპყრას ხელთა...

ამ უაზრო. ფუჭი ფიქრებით ღელვილი ვცდილობდი ლაპარაკი გამეგრძელებინა სიკვდილთან, რომ წუთით მაინც ამეცდინა ალსასრული, მაგრამ ველარ ვახერხებდი... მხოლოდ მავედრებელი თვალებით შევყურებდი ..

მგონია მიმიხვდა და მითხრა:

— ნუ გეშინიან... გული დაიმშვიდე... ჯერ-ჯერობით არ წაგიყვან... მართალია შეწყნარება არ ვიცი, მაგრამ რაკი თავაზიანი ალმოჩნდი და ლოგინი დამითმე—რამდენიმე წელიწადი მიჩუქებიაო...

წამოდგა... ზანტად წამოავლო ხელი სისხლით აჭრელებულ ცელს... აილო ფარანი... გაინათა წინ და გაუდგა გზასა...

—

წავიდა ახმახი...

ნუ თუ მართლა წავიდა?..

მაშ შემიძლიან ვიოცნებო... ვიმღერო ბედნიერებაზე... სიყვარულზე... გაზაფხულზე...

სიცოცხლისკენ... მზისკენ...

მორჩა, მოისპო ვაგლახის ხეობანი...

თითქოს იგი ნახშირისა ყოფილიყო—ისე აყარყარდა ჩემი გულის მხურვალე ცეცხლით და ჩაიწო... ჩანავლდა...

ალარ არის წარსულის უდაბნო...

ალარ არსებობს ამაოებზე ფიქრები...

არის მხოლოდ აწმყო იმედების ყვავილებით ასურნელებული...

ისარგებლე აქ ყოველი წუთი...

რას ჰკარგავ დროს ყოფნის საიდუმლოების ახსნელად...

ვინ ამოიცნო იგი, რომ შენ შესძლო?..

მრავალ საუკუნეების მგოსანთა და ბრძენთა თავები ისე გამოჰხრეს სამარის ჭია-ღუებმა, რომ ვერ აჰხსნეს ეს რებუსი...

ვერც შენ გაარკვევ...

ანებე მას თავი ..

დაუბრუნდი ცხოვრების ზვირთებს...

რა უყოთ, თუ ხშირად იგი მდორეა... უფერული...

შენ გაალამაზე...

შეჰქმენ მომხიბლავი ზღაპარი ბრძოლისა და მამაცობისა...

მიჰქრის დრო და თან მიაქვს სიცოცხლე, რომელიც აღარასოდეს გამეორდება...

თან მიაქვს ახალგაზდობის გაზაფხული, რომელიც აღარასოდეს აყვავილდება...

დ. თურდოსპირელი.

# ქართული ლიტერატურა.

## V.

ილია ჭავჭავაძემ, როცა ჟურ. „საქართველოს მოამბის“ შემდეგ მთლად მიატოვა ქართული მწერლობა და დედა-ქალაქიც, 1870 წ. ევროპიდან საქართველოს მოევლინა ნიკო ნიკოლაძე. მან დაიწყო „კრებულ-დროების“ ცოცხალი საქმე და მისი მეოხებითაც ქართული ლიტერატურა მკვდრეთით აღსდგა. ნიკომ მაშინვე ქუთაისიდან გადმოიყვანა აკაკი, სერგი მესხი და გიორგი წერეთელთან ერთად თავი მოუყარა მაშინდელ ახალ-თაობას. ილიასთანაც თითონ ადიოდა ხოლმე დუშეთში და იქიდან ამუშავებდა „კრებულ-დროებაში“. ბოლოს, ნიკომ ილია სულერთიანად ჩამოაშორა სახელმწიფო სამსახურს და ხელმეორეთ შეაბა იგი სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უღელში.

საქართველოში ცხოვრებამ პირველათ დაიწყო დიდი კვარჩხალი და, მართლაც, გასული საუკუნის 70-იანი წლები ისეთი შესანიშნავი ხანაა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ იგი ჩვენს ისტორიაში კვალ შეუმჩნეველი არ გაივლის. ყმების გათავისუფლებამ ერთბაშათ გამოიწვია ცხოვრების გადასხვაფერება, გამრავალგვარება. ერთ წერტილზე გაყინული, კარჩაკეტილი სოფელ-ქვეყანა მაშინვე დაიძრა, ახმაურდა. რაღაც ძლიერი, ძირითადი ცვლილება მომხდარიყო და საქართველოს არე-მარეზე მკვდრეთით აღმდგენელმა ცხოველმყოფელმა სიომ დაუბერა.

გათავისუფლებული მუშის ხელებით შექნილმა მეურნეობამ ბოლო მოუღო წოდებათა ძველებურ მდგომარეობას, შეამუშავა სხვა და სხვა კანონ-დებულებანი და ნორმებიც. აი, ამ ნორმების საზღვარში უნდა ჩამდგარიყო ბატონ-ყმობის ეპოქის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი საზოგადოებრივი კლასები და, როცა საზ. კლასთა არსებობის ხანა დადგა ჩვენში, დიდათაც გართულდა და ამოძრავდა ცხოვრება. ყმების გათავისუფლების შემდეგ, ხალხის მეურნეობამ მაშინვე საქონელთა წარმოების ხასიათი მიიღო და... საქართველოში გაძლიერდა ფული.

წარმოების, აღებ-მიცემობის სფერო გაფართოვდა, ქალაქებმა იწყო შენება და გაფართოება, დაიწყო გზების, მიმოსვლის გასაუმჯობესებლათ დიდი მარაგი და მზადება, სწავლა-განათლების საქმეც თვალსაჩინოთ გაფართოვდა, მოეწყო სტამბების, წიგნების ბეჭვდა და ჟურნალ-გაზეთებიც გაჩნდა ტფილისში, მთელი ქვეყნის მეურნეობა, ვაჭრობა გაჭქარებულის, ძლიერის ნაბიჯით წავიდა წინ და საქართველოს ათასნაირი საკითხი წამოუყენა წინ გადასაჭრელათ...

და აი, სწორეთ ამ დროს, ქართულმა ლიტერატურამ სასახელოთ გაუწია დიდი სამსახური ქართველ მშრომელ ხალხს, დემოკრატიას.

70-იან წლებში, ნიკო ნიკოლაძემ (ნ. სკანდელი), როგორც დიდი ღრმა ერუდიციის პატრონმა, ქართული ლიტერატურის ახალს, მიმზიდველს ბაირაღს მხნეთ და ნიჭიერათ მოჰკიდა ხელი და ხსენებული ჯგუფის (ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი, სერგო მესხი) და ახალი თაობის მეთაურობა იტვირთა. ქართული ლიტერატურის ახალი მეთაური შეიქნა ნამდვილი და ჭეშმარიტი მოძღვარი, ამ სიტყვის დიადი და მაღალი მნიშვნელობით, მარად გულწრფელი, პირდაპირი, დიადი მღელვარე სულის და ძლიერი, მდიდარი ენტუზიაზმით აღსავსე ხიბლავდა და იტაცებდა მკითხველს. მისი ცოცხალი, სხარტი მოქნილი, ნიავსავით სუბუქი სალიტერატურო ფორმების ხმარება, მახვილი და წარმტაცი ენა აჯადოებდა ქართველს იმიტომ, რომ იგი ყოველთვის ემსახურებოდა ჭეშმარიტებას, შვენიერებას და სიმართლეს. მისი სიტყვა დიდსა და ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა მკითხველის გულში, რადგან იქ მის ყურთასმენას ატკბობდა ცოცხალი, პირუთვნელი, ხალასი გულის ალალმართლობა და სიწმინდე. და ყველა ამას საფუძვლათ ედვა ფართე ვრცელი ცოდნისა და ღრმა გრძნობა-გონების უძლიერესი ძალა...

ასეთმა დიდმა მოღვაწე მწერალმა კარგათ იცოდა, რომ ქართული ლიტერატურა, კრიტიკის დაუხმარებლათ ვერ გავითარდებოდა, ვერ წავიწევდა წინ. შვენიერებისა და ჭეშმარიტების კანონთა ძიება, გამორკვევა და ახსნა ლიტერატურაში ყოველთვის კრიტიკის საქმე იყო. და ნიკო ნიკოლაძემ, ყველა მის ნიჭიერ ამხანაგებზე უკეთ იცოდა ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან, რომ ლიტერატურის იქ სრული კრიტიკა იყო და კრიტიკა ასულდგმულებდა საფრანგეთის დიდსა და მდიდარს ლიტერატურას. და, მაშასადამე, თუ ცოცხალი სრული კრიტიკა არ ექნებოდა ქართულ ლიტერატურას, იგი ლიტერატურის სახელწოდებას ვერ დაიმსახურებდა ვერაფრით და ვერასოდეს. ამიტომაც, მან ხელი მოკიდა უპირველესათ მშობლიური ლიტერატურის კრიტიკას.

ნ. სკანდელის (ნ. ნიკოლაძის) სტუდია—„**კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში**“,—ეს ხომ სრულიათ ახალი, ჯერ არც ნახული, არც გაგონილი მოვლინება იყო ჩვენში. ამ შესანიშნავს სტუდიას მოყვა კრიტიკულათ შეფასება ქართველი დიდი მგოსნებისა—გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკისა, გიორგი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძისა, ქართველ ქალების საამო საკითხავ თხუზულებათა გარჩევა-შეფასება. იმ დროს, ჩვენში ისტამბებოდა მეორე თვიური ჟურნალი „მნათობი“, რომელსაც, აუცილებლათ, შეაფასებდა ყოველთვიურათ ჩვენი კრიტიკოსი. „მნათობის“ ორგინალი მწერლები, თუ მთარგმნელები შესანიშნავსა და ღირსეულს დაფასებას პოულობდენ ჟურნალ „კრებულში“, სადაც საფუძვლიანი დაცინვაც და გაკიცხვაც იყო და კრიტიკოსის სერიოზული მსჯელობა, დიდი ტალანტი, აზრი და ფიქრი, დიდი ცოდნა, სწავლა და გამოცდილება ყოველ სტრიქონში ჩანდა და მკითხველ-საზოგადოებაზე, ძლიერადაც მოქმედობდა.

ნიკო ნიკოლაძე არა თუ წერდა კრიტიკულ წერილებს ქართულ ლიტერატურაზე ჟურნალ „კრებულში“, იგი აქვე ხშირად წერდა კრიტიკულ განხილვას უცხოეთის ლიტერატურაზეც, განსაკუთრებით ფრანგულ ლიტერატურაზე და ხშირად შეაფასებდა ხოლმე საფრანგეთის სახელოვან მწერლებს, როგორც მაგალითად, ანრი რაშფორი იყო და სხვ.

ქართველი მწერლების ნაწარმოებთა ღირსება ნაკლულევანება და მნიშვნელობა მკითხველ-საზოგადოებას პირველათ საქართველოში ჩვენმა თავ მოსაწონარმა კრიტიკოსმა გადაუშალა თვალ-წინ და მერე ისეთი ღრმა დაკვირვებით და ნიჭიერებით, ისეთი მიუდგომლობითა და გულწრფელობით, რომ დღესაც ხშირათ ჩვენი ქართული პრესა ნიკო ნიკოლაძის კრიტიკულ განხილვასა და შეფასებას იმოწმებს ხოლმე ყოველთვის, როცა ქართველი დიდი მწერლების ნაწარმოებზე დაიწყებს საუბარს.

მიუცილებლათ, ამ დიდი ქართველი კრიტიკოსის შრომით ჟურ. „კრებულში“ გამდიდრდა ქართული სალიტერატურო კრიტიკა. მის ნაწერებში გამოიხატა დიდი სიხარული თავისუფალი შრომისა, გამამხნევებელი ადამიანის სულის და ენერგიისა,—სიხარული, რომელიც არის დაუშრეტელი, ძლიერი საფუძველი ქართველი ერის ძლიერებისა და უკვდავებისა. ჟურნალი „კრებულის“ კრიტიკოსი ერთი დიდი ახოვანი მოსარჩლე იყო განახლებული ცხოვრებისა, გათავისუფლებული შრომისა და მას დიდი, ღრმა პატივისცემა და სიყვარულიც ჰქონდა ქართველი მშრომელი ხალხისა.

**ხომლელი.**

# საქართველოს მეურნეობა

## შინა ვაჭრობის საქმე საქართველოში

შინა ვაჭრობის მოწესრიგების საქმეს დიდი ხანია განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. საქმის გასაძღოლათ, განსაკუთრებული სახელმწიფო ორგანო—შინა ვაჭრობის კომისარიატი იქმნა დაარსებული.

ახალ კომისარიატს ევალებოდა უპირველესი საჭიროების საგნებით ვაჭრობის უმთავრესათ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების ხელში მოქცევა, სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის გაძლიერება, საბითუმო ვაჭრობის სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების მიერ დაპყრობა, საცალო ვაჭრობაში თანდათანი უპირატესობის მოპოება, სავაჭრო ბრუნვის გადიდება, კოოპერაციის ქსელის გამრავლება, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა დამზადება და სხ.

შინა-ვაჭრობის კომისარიატი ამ მიზნების განსახორციელებლათ—უნდა დაყრდნობოდა უმთავრესათ ეკონომიური ზომების სისტემას. ამასთანავე მას მოხერხებულათ უნდა გამოეყენებია კერძო კაპიტალიც. განსაკუთრებით იმ დარგში, სადაც კოოპერაციის გავლენა ჯერ კიდევ სუსტი იყო,—და დაეყენებია იგი თავის უშუალო გავლენის ქვეშ.

შინა-ვაჭრობის მოწესრიგება—შედარებით ახალი საქმეა. მას დიდი ისტორია არ ქონებია. არც სავაჭრო სტატისტიკურ-ეკონომიური მასალა იყო დაგროვებული, რომ ადვილი ყოფილიყო მომწესრიგებელი მუშაობის გასაღება. ამასთან მოქმედების დაწყებისას კოოპერატიული და სახელმწიფური ვაჭრობის ორგანოები შედარებით სუსტი და განუვითარებელი იყო, რაც აძნელებდა საქმეს საზოგადოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ შინა-ვაჭრობის სამმართველოს აჭარისტანში და აფხაზეთში თავისი განსაკუთრებული წარმომადგენელნი—ყავთ, რომელთაც ავტონომიურ ფარგლებში იმავე ფუნქციების შესრულება ევალებათ, რაც დავალებული აქვს თვით რწმუნებულის სამმართველოს საქართველოში.

შინაური ვაჭრობის მოწესრიგების საქმეში მთავარ როლს თამაშობს ის საგნები, რომელიც შედის საბიუჯეტო აღრიცხვაში და რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის. ესაა უმთავრესათ: პური, შაქარი, მანუფაქტურა, ხორცი, ნავთი, მარილი, ასანთი და სხვა.

ამ საგნების უმთავრესი მარაგი, ბაზრის მოწესრიგების თვალსაზრისით, უეჭველათ სახელმწიფოს ხელში უნდა ყოფილიყო. ამავე დროს ეს საგნები ჩვენს რესპუბლიკას, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას, ყოველთვის აკლდა. ამიტომ შინა-ვაჭრობის სამმართველოს მთავარი ყურადღება მიქცეული იყო იქითკენ, რომ ხსენებული საგნების შემოზიდვით უზრუნველეყო შინაური ბაზარი და დაეკმაყოფილებია მოსახლეობის მთავარი საჭიროებანი.

მთავარი, რასაკვირველია, პური იყო. პურის მარაგზეა დამოკიდებული ბაზრის მოწესრიგება, მშრომელი ხალხის ბიუჯეტის სიმტკიცე და თვით მთელი ქვეყნის მეურნეობის ნორმალური განვითარება.

წასული წლის ივნისამდე—პურის ბაზარს არ ეტყობოდა რყევა; პურის ნაკლებობა არ იყო საგრძნობელი საქართველოში. შინა-ვაჭრობის სამმართველოს მუშაობა პურის საკითხის მოსაწესრიგებლათ ნორმალური იყო. მაგრამ სულ მალე თავი იჩინა პურის ბაზარზე კრიზისმა.

იყო გამოწვეული მოსალოდნელი მოუსავლობით, როგორც ჩვენში ისე რუსეთში, საიდანაც უნდა შემოგვეტანა პური. ბაზარმა ტოკვა დაიწყო, ფასებმა მაღლა-მაღლა იწყო წევა. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ შინა-ვაჭრობის სამმართველო ენერგიულად უნდა ჩარეულიყო პურის ბაზრის ვითარებაში. მან გადაშინჯა პურის ფასები, აღრიცხა პურის მთელი მარაგი და შეუდგა მის წესიერ განაწილებას კოოპერატიულ და სახელმწიფურ ორგანიზაციათა შორის. უმთავრესათ კი თავისი აპარატი აამუშავა რუსეთიდან პურის შემოზიდვის გასაძლიერებლათ.

წინასწარმა მუშაობამ გამოარკვია, რომ საქართველოსთვის პურის დეფიციტი მიმდინარე საბიუჯეტო (1925—25) წლის განმავლობაში შედარებით დიდია,— იგი უდრის 4 500.000 ფუთს. მაგრამ წინასწარ შემუშავებელი პლანის მიხედვით —სახელმწიფო-ორგანიზაციების საშვალებით—სულ უნდა შემოიზიდოს—3.000.000 ფუთი, დანარჩენი ნაწილი ხსენებული დეფიციტის შესავსებათ შემოიზიდება კერძო ინიციატივის მეოხებით.

პლანის მიხედვით სექტემბრიდან 1925 წ. პირველ იანვრამდე (სამი მილიონი ფუთის ანგარიშიდან) საქართველოში უნდა შემოზიდულიყო 1.295.000 ფუთი პური, ხოლო ნამდვილათ შემოიზიდა 1.018.000 ფუთი.

დაახლოვებით იგივე ითქმის შაქრის შესახებაც. შაქრის ბაზარი თავიდანვე მოაწესრიგა შინა-ვაჭრობის სამმართველომ. აპრილში დამტკიცებული მტკიცე ფასები (35 კ. ნატეხი, 28 კ. ფხვნილი) დღესაც თითქმის უცვლელი რჩება. შაქრის ბაზარს რყვა და ქანაობა არ ეტყობოდა.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა შეიცვალა—შაქრის ნაკლებობამ იჩინა თავი, რაც იხსნებოდა შაქრის ნაწარმოების შემცირებით მთელს რესპუბლიკათა კავშირში. ამ გარემოებამ აიძულა სამმართველო შაქრის მთელი რაოდენობა აღერიცხა და გაენაწილებია სიფრთხილით სახელმწიფურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების შორის. ამასთან გაძლიერდა შაქრის შემომზიდავი ორგანიზაციაც.

წლიურათ შაქრის მოთხოვნილება საქართველოსთვის უდრის დაახლოვებით 600.000 ფ. შემუშავებული პლანის მიხედვით 1925 წლის პირველ იანვრამდე უნდა შემოზიდულიყო 146.000 ფ. (146 ვაგონი), ხოლო შემოიზიდა ფაქტიურათ 142.000 ფ. (142 ვაგ.)

უარეს მდგომარეობაში იყო მოსახლეობისათვის უმნიშვნელოვანესი საგანი—საფეიქრო ნაწარმოები. ის საზოგადოდ ცოტა შემოქონდათ საქართველოში. მოთხოვნილება არ კმაყოფილდებოდა. ასორტიმენტიც ცუდი იყო ადგილობრივი ბაზრისათვის. ამის უმთავრესი მიზეზი იყო თვით მანუფაქტურის წარმოების სიმცირე რუსეთში.

სამმართველომ მთელი რიგი ზომები მიიღო—მანუფაქტურული ბაზრის დასაკმაყოფილებლათ. საჭირო იყო შემოზიდვის გაძლიერება და ასორტიმენტის გაუკეთესება თანახმათ ადგილობრივ მოსახლეობის მოთხოვნილებისა. ამ ზომებს მოყვა ერთგვარი გაცხოველება. ბამბეულმა ნაწარმოებმა იმატა ბაზარზე. აგრეთვე მოხდა პრეისკურანტების გადაშინჯვა და ფასების საგრძნობელი დაკლება (შალის ნაწარმოები —27-პროცენტით. ბამბეული 7—პროცენტით).

1924—25 წ.წ. საქართველოში უნდა შემოიზიდოს 295 ვაგ. მანუფაქტურა. სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში განზრახული იყო შემოსატანათ (პლანის მიხედვით) 126 ვაგ. სამანუფაქტურო ნაწარმოები (უმთავრესათ ბამბეული); ნამდვილათ შემოზიდვის პლანი განხორციელდა 86,5-პროცენტით, ე. ი. შემოიზიდა 109 ვაგონი, შემოზიდული მანუფაქტურა ნაწილდებოდა სახელმწიფურ-საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანოებს შორის.

ისეთი საგნები ბაზარზე, როგორც: ასანთი, ნავთი, ბენზინი, მარილია,—წარსული წლის განმავლობაში წონასწორობა არ დარღვეულა და საქმე საზოგადოთ ნორმალურათ მიმდინარეობდა.

საკავშირო შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ ასანთზე დაწესებული საზღვრითი ფასების მიხედვით სექტემბრიდან ჩვენშიაც დაწესდა დაკლებული ფასები ასანთზე. ამან ბოლო მოუღო თავისუფალ ბაზარზე ფასების აწევ-დაწევას. საქართველოში სექტემბრიდან წლის დამლევამდე უნდა შემოეტანათ 9000 ყუთი ასანთი, აქედან შემოტანილია 600 ყუთი. შინავაჭრობის სამმართველოს დადგენილებით ასანთი კოოპერაციას ეძლევა დაკლებულ ფასებში.

რაც შეეხება ნავთს, მისი ბაზარი დაკმაყოფილებული იყო სავსებით. 1923 წ. საქართველოში შემოვიდა 352.966 ფ. ნავთი, ხოლო 1924 წ. 600.000 ფ., ე. ი. ომის წინადროინდელი მოთხოვნილების 53,3-პროც. შედარებით წინა წელთან. ნავთის მოხმარება გაიზარდა თითქმის 100-პროც. 1913 წელთან შედარებით კი (1.100.000 ფ.) ის—46,7-პროც. ნაკლებია. ტფილისში ნავთის განაწილების საქმე უმაღლესი სამეურნეო საბჭოს სათბობი განყოფილების ხელშია. პროვინციაში კი ნავთს ანაწილებს და აწოდებს მოსახლეობას კოოპერატივები. ნავთის ფასი (საბითუმო 1 მ. 21 კ. ფ., საცალო 4 კაპ., გირვანქა) მტკიცედ არის დაცული. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ნავთის მიწოდების საქმეს კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა უძღვებიან.

მარილის მოთხოვნილება საქართველოს მოსახლეობისათვის გამოიხატება 1.280.000 ფ. თვითეულ სულზე (თუ ვიანგარიშებთ 1913 წ. რკინის გზით შემოტანილ მარილს სულობრივ ნორმას ოზურგეთის მაზრის მოსახლეობის მიხედვით) მოდის—(1.280.000: 2.482.000)—20 გირვანქა წელიწადში. რკინის გზით 1923—24 წლის განმავლობაში საქართველოში შემოტანილია 524.619 ფუთი მარილი. მარილზე მტკიცე ფასებია გამოცხადებული: ბითუმათ ქვა-მარილი ფუთი 61 კაპ., ზღვის მარილი 64 კ. საცალოთ,—დანაყილი მარილი 5 კაპ., დაუნაყავი 2 კაპ. მარილი ნაწილდება მოსახლეობაში კოოპერაციის საშვალებით.

სალითონო ნაწარმოებთა ბაზრის საერთო სისუსტე შედეგია მისი პროდუქციის ნაკლებობით. სამმართველოს მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომები ვაჭრობის ამ დარგის გამოსაყენებლათ და მოსაწესრიგებლათ. აღსანიშნავია საცალო ვაჭრობაში სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციის მონაწილეობის სიმცირე.

დატვირთვა-გადმოტვირთვის და საწყობებში შენახვის ხარჯები ძალიან ზრდის საქონლის საბაზრო ფასებს. ამიტომ ამ სფეროსაც მიექცა ყურადღება. შემუშავებულია დაკლებული ნორმა (ზოგან 83-პროც.) როგორც დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის—(ნახშირზე, მარილზე) ისე საწყობებში შენახვისათვის.

უნდა ითქვას, რომ საბითუმო ვაჭრობა ტფილისში თითქმის სახელმწიფო ორგანიზაციას და კოოპერაციას

ეკუთვნის (თითქმის 100-პროც.). კერძოთ პურის და მანუფაქტურის ვაჭრობაში მხოლოთ 70 პროც. მათ ხელში. კერძო ვაჭრის მონაწილეობა ამ ნიადაგზე სუსტია. საცალო ვაჭრობაში კი სახ. და კოოპერ. ორგანიზაციების როლი 35-40 პროც. გამოითქმის. დანარჩენში კერძო კაპიტალი უპირატესობს (გარდა პურის საქმისა, სადაც უპირატესობს კოოპერაცია და სახ. ვაჭრობა). სოფლად კი საცალო ვაჭრობაში კოოპერაციის მონაწილეობა აღწევს 55-პროც. ნავთი და მარილი თითქმის სულ კოოპერაციის ხელშია.

---

## საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი ნავთი და ქვანახშირი.

არც ერთი კუთხე დედამიწის ზურგისა შესაფერი სივრცით, არც ერთი პატარა სახელმწიფო არ არის ისე მდიდარი სხვადასხვა მადნეულობით და მრავალფეროვან სამეურნეო კულტურით როგორც საქართველო.

რა არ მოჰყავს ადამიანის შრომას ჩვენს ქვეყანაში! საუკეთესო ხილი, ღვინო, ბოსტნეული, თამბაქო, ჩაი, ბამბა, აბრეშუმი, თაფლი, მრავალგვარი პურეული. მატყლი რძის ნაწარმოებნი, ნარინჯი საათფთიაქო მცენარეები და სხვა.

გარდა ამ მიწის ნაყოფიერობის სიუხვე—სხვადასხვაობისა, საქართველო ფრიად მდიდარია **წყალთა მდინარეობით**, რომელთაც ელექტროფიკაციის სახით შეუძლიათ მოავცენ 3—4 მილიონი ცხენის ძალა, მდიდარია **უჩეხი ტყეებით**, მიდიდარია მეტად **ლამაზ საკურორტო ადგილებით, სამკურნალო წყლებით** და ბოლოს მდიდარია **მადნეულობით.**

იმერეთის, გურია-სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთ-აფხაზეთის, აჭარა-ჯავახეთის და ქართლ-კახეთის მთები, ზოგან ვაკეებიც კი სავსეა მრავალგვარ მადნეულით უმეტესად **შავი ქვით ანუ მარგანეცით, ქვა-ნახშირით, ავთით, რკინა-სპილენძით, ტყვია-ვერცხლით, მინერალურ სალებავებით**, აგრეთვე საკმაოდ მოიპოვება **ოქროს მადანი**, ოზიკირიტი ანუ ცვილი, **ასბესტი** ანუ მთის სელი, **სურმა, გრანიტი, მარმარილო, გლაუბერის მარილი, ლიტოგრაფიული ქვა** და სხვ.

წინა წერილებში ჩვენ შევეხეთ ჭიათურის შავ-ქვას, მის მრეწველობას და ავნიშნეთ მისი მსოფლიო მნიშვნელობა, (იხ. „ახალი გზა“ №№ 2 და 4) ეხლა კი გვსურს შევჩერდეთ საქართველოს **ნავთსა და ქვანახშირზე.**

ნავთის წყაროები და მისი აშკარა ნიშნები უხვად მოაპოება როგორც **იმერეთ-გურიაში**, ისე მეტადრე **ერეთსა** და **ქიზიყ-კახეთში. შუამთა, ზემო-ხოდაშენი, უჯარმა, ფხოველი, ილდოყანა, ელდარი, შირაქი, ჩატმა, ნორიო, მარტყოფი, ჰალისმთა, სუფსა** და **ნატანები**, აი ის ადგილები სადაც მოიპოება ნავთის აშკარა ნივთები. ზოგ მათგანს მიაქციეს ყურადღება კიდევ ცარიზმის დროს წარსულ საუკუნის 70-ნ წლებში. დაიწყეს ჭების ბურღვა და ნავთის ამოღება; მაგ., შირაქში 1876 წელში დაბურღეს 33—36 საჟენის სიღრმეზე 62 ჭა. და ამავე წელს ამოიღეს **146.000 ფუთი ნავთი.** იმ მხარეში მუშაობამ გასტანა კიდევ რამოდენიმე წელიწადს და სულ იქნა ამოღებული **1.730.000 ფუთი ნავთი.**

ფხოველის მიდამოში 1910 წლიდან მუშაობდა ინჟ. ურუშაძე და იღებდა ნავთს წელიწადში **10.000 ფუთამდე.** ზემოხოდაშენში 1913—14 წლებში მუშაობდა ჭების მბურღავი წერეთელი და ამოღებული ნავთით აკმაყოფილებდა ადგილობრივ მცხოვრებთ.

რაც შეეხება გურიის ნავთს შავიზღვის პირას სუფსანატანებში, 1912 წელს იქ დაიწყო მუშაობა ერთმა ინგლისელმა კამპანიამ ინჟ. ტომასის მეთაურობით ჯერ გაბურღეს ერთი ჭა სად. სუფსის სიახლოვს და მისი სიღრმე დაიყვანეს 220 საჟენამდე. ჭიდან ამოღებულ ნავთით ინჟ. ტომასი ამუშავებდა თავის მატორს.

ამ ახლად დაწყებულ საქმეებს ხელი შეუშალა როგორც მსოფლიო ომებმა, ისე რევოლიუციებმა. ამ რიგათ ეს ღირსშესანიშნავი სარეწავნი ჩაქრენ და დაისეტყვენ კუკურშივე. ძველი რეჟიმის დროს კი საქართველოში ნავთის მრეწველობის წარმოშობა-განვითარებას ღუპავდენ სხვადასხვა ოინბაზობით ბაქოს ნავთის სხვილი მრეწველნი, რომელთაც არ სურდათ გასჩენოდათ მეტოქე საქართველოს ნავთის სახით მეტადრე შავი ზღვის პირას.

ამ ჟამათ მტელი კულტურული მსოფლიო განიცდის ნავთის შიმშილს. დღეს ნავთის ნაწარმოებთა მოთხოვნილება იზრდება საოცარი სისწრაფით და ეს მოთხოვნილება გამოიწვია, როგორც ავიაციის და ავტომობილების ზრდა-გამრავლებამ, ისე ინდუსტრიის წინ სვლამ. მთელი განათლებული ევროპა ეძებს დღეს გაფაციცებით ნავთის ახალ წყაროებს და მზათ არის ასტეხოს ახალი მსოფლიო ომი ნავთიან ადგილების დასაპყრობათ. ამ დროს კი საქართველოს ნავთიანი ადგილები თითქმის გამოურკვეველია და ამ დიდ ბუნებრივ სიმდიდრეს უსარგებლოთ სძინავს დედამიწის სიღრმეში... სძინავს იმიტომ რომ ნავთის მრეწველობის გასაჩაღებლათ სამწუხაროთ არ არის ჩვენში ამ ჟამად შესაფერი თანხები.

მეორე დიდი ბუნებრივი სიმდიდრე და ინდუსტრიის ფაქტორი, რომელსაც უსარგებლოთ სძინავს კოლხეთის მიწის წიაღში, არის **ქვანახშირი.** ეს ფრიად საჭირო და სასარგებლო მადანი ბევრ ალაგას მოიპოება საქართველოს კუთხეებში, მაგრამ მისი ყველაზე უფრო დიდი მარაგი აღმოჩენილია **ტყვარჩელში** (აფხაზეთში) და **ტყიბულში** იმერეთში). ამათში საუკეთესოთ ითვლება, როგორც ხარისხით ისე სიმრავლით ტყვარჩელის მადანი, მდებარე მდ. გალაზღის ხეობაში ქ. ოჩემჩირედან 35—40 ვერსზე. ამ ქვანახშირის გამოკვლევა დაიწყო 1899 წელს, განმეორებით გამოიკვლიეს 1900 და 1904 წლებში ინჟ. ჩერნიავსკიმ, ლიტუგინმა, ვებერმა. მარგულისმა და შემდეგმა ინგლისის ცნობილმა გეოლოგმა პროპ. გალოვეიმ და ემბიტონომ. ამათმა გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ ტყვარჩელის სანახებში არსებობს საუკეთესო ხარისხის ქვანახშირის დიდი მარაგი, რომლის რაოდენობა უდრის **12—14 მილიარდ ფუთს.** ამ მცოდნე პირების ცდების შეოხებით მტკიცდება, რომ ქვანახშირი თავის მაღალი ღირსებით უახლოვდება კარდიფის (ინგლისის) ქვანახშირს, რომელიც უპირველეს ნახშირადაა ცნობილი მთელს დედამიწაზე, კეთდება კოკსად და სავსებით გამოსადეგია გემების სათბობათ და მძიმე ინდუსტრიაში.

მიუხედავათ იმისა, რომ უკვე 20—25 წელი სრულდება, რაც აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს ეს ტყვარჩელის ფრიად ძვირფასი მადანი, მაგრამ მას საექსპლოატაციოთ დღემდი არ შეხებია ადამიანის ხელი, დღემდი სძინავს ამ მსოფლიო მნიშვნელობის მადანს და ელის დიდი მრეწველობას გასაჩაღებლათ, ჩვენი ხალხის და ხაზინის გასამდიდრებლათ საჭირო კაპიტალს და ტეხნიკურ ძალებს.

ტყიბულის ქვანახშირი მდებარეობს ნაქერალას ქედის ძირში ქუთაისიდან 35—40 ვერსზე. იგი ღირსებით ბევრათ ჩამოუვარდება ტყვარჩელის მადანს, ნახშირის მარაგის რაოდენობა აღწევს **6 მილიარდ ფუთამდე**. ეს ქვანახშირი აღმოაჩინეს ამ 50 წლის წინ. მას იმ თავითვე მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება რუსეთის კაპიტალისტებმა, გაიყვანეს ქუთაისიდან ტყიბულამდე ფართო ლიანდაგიანი რკინის გზა და შეუდგენ მადნის დამუშავებას. ნახშირის წლიური გამოღება აღწევდა მხოლოდ 3—4 მილიონ ფუთამდე, ხმარდებოდა ადგილობრივ ტრანსპორტს და მრეწველობას. ამ მადნის საჭიროება გაცხოველდა ჩვენში 1918—20 წლებში, ამ რიგათ იმატა ქვანახშირის ამოღებამ და უკვე 1920 წელს ავიდა **6 მილ. ფუთამდე**.

ამ რიგათ სძინავთ ამ ჟამად ამ დიდ მნიშვნელოვან მადანს: ტყვარჩელის ქვანახშირს და გურია-კახეთის ნავთის მიწის წიაღის აუზებს, ელიან შესაფერ პირებს, რომ ამოხეთქონ გროვათ, შადრევნებათ და მოგვცენ წლიურად **რამდენიმე ათეული მილიონი მანეთები**.

ტყვარჩელის ქვანახშირი რკ. გზის ლიანდაგით შეუერთდება ოჩემჩირის ბოლოს და თავის მაღალი ღირსებით მალე გაიკაფავს გზას ევროპისაკენ, მეტადრე იტალიაში, რომელსაც დიდათ ეჭირვება ეს მადანი წლიურად ასეულ მილიონ ფუთობით. აგრეთვე ამ ნახშირის დიდი ნაწილი მოხმარდება ჩვენშივე ადგილობრივ საჭიროებას, მეტადრე ჭიათ. შავი ქვის გარდაქმნას ფერომანგა. ორივე მრეწველობის გაჩაღებას კი დასჭირდება ყოველ წლობით **რამდენიმე ათასი მუშა და მოხელე**.

რაც შეეხება სუფსა-ნატანების ნავთს, იგი დიდრონი მილებით დაუკავშირდება ფოთის ბოლოს, იქიდან კი დიდი გემებით ასეულ მილიონ ფუთებათ მოედება მთელს ევროპას, მეტადრე კი იტალია-საფრანგეთს, ინგლის და ბელგია-გერმანიას, როგორც ხმელთა-შუა ზღვით და ოტლანტიის ოკეანეთი, ისე რეინ-მინა დუნაის დიდი არხის ეს ნავთის წარმოება წარმოშობს ჩვენში დიდ სამრეწველო ცენტრებს და მოითხოვს **რამოდებიმე ათასს და ათიათასს მუშათა ახალ კადრებს**.

აი, ის დიდი პერსპექტივები, რომლებიც იშლება ჩვენ წინაშე ნავთის წყაროების და ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობათა შექმნით მომავალში!

**ხ. ქ—ნი.**

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ჩემი შთაბეჭდილებანი პროვინციაში მოგზაურობიდან

გასული თვის ბოლო რიცხვებში მე და ამხ. გვიმრაძემ ჩამოვიარეთ და კრებები მოვახდინეთ: გორში, სურამში, ბორჯომში, სამტრედიაში, ბათუმში და ქუთაისში აგვისტოს ამბების შესახებ. ვხსნიდით და განვმარტავდით 1905 წლის რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობას და მასში მიღებულ ქართველი მუშათა კლასის აქტივობას, აგრეთვე მშრომელი გლეხ-კაცობის და ინტელიგენციისას. 1917 წლიდან ხდება ქართველი ხალხის მოძრაობის თანდათანი დაშორება რუსეთის რევოლიუციიდან 1921 წლიდან კი აშკარა მტრული განწყობილება მისდამი. ქართველი ხალხი დაიმედებული იყო ევროპიდან ჯარებით დახმარებაში კომუნისტების გასარეკათ, რითაც, ამ ისტორიულად მრავალ-ტანჯულმა ერმა, მიაღწია აგვისტოს საშინელებამდე.

ხალხს აინტერესებს სიმართლის თქმა და როცა კრებაზე მათ რუსეთის წარსული და აწმყო სინამდვილეს უხსნი, რაც ადვილად გასაგებია, აშკარად ვრწმუნდები, რომ ის, ამ ოთხი წლის ბრძოლაში, ერთობ სქელ ბურუსში ყოფილა გახვეული და ეხლა ნათელი განმარტება-გაშუქების შემდეგ მას ეცლება ბურუსი და უნდობლად გამომეტყველი სახე თანდათან უბრწყინდება, ხალისიანდება და თითქო გამოსავალს პოულობს, მთელი არსებით მოძრავდება. მხოლოდ ერთი კი აშკარად ემჩნევა ყველგან: ეს ისაა, რომ ხალხს უყვარს გარკვეული, სადა და გასაგები ენით საუბარი და სიმართლე; თუ მართალს ეუბნები ის ყოველივე ჟინიანობას სთმობს და საქმიანობის სახის მეტყველებით გამოიყურება და თუ ცოტაც არის დემაგოგია შეგნიშნა, ან ვერ გაგიგო,—იმ წუთში აღიბეჭდავს სახეზე სრულ უკმაყოფილებას და უნდობლობას. ჩვენი ხალხი იმდენად დახელოვნებულია პოლიტიკაში, რომ ის მალე ერკვევა ყველაფერში და მისი დარწმუნება იმაში, რომ მისი ხსნა არის მხოლოდ რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებაში,—მისთვის ადვილი გასაგებია და ის არც დაიშურებს მსხვერპლის გაღებას და არც წინათ იშურებდა.

მხოლოდ ერთი რამ კი არის საჭირო: ის მეტისმეტი თავმოყვარეა და რაც შეიძლება ფაქიზათ უნდა მოვეპყრათ ამას. არის ზოგიერთი ეროვნება (არ არის ეს დასამალი) და ზოგ ჩვენი ქვეყნის კუთხეებშიდაც შეხვდებით ასეთებს, (გამონაკლისს რა თქმა უნდა) დედის ან სხვა შეგინებას მაინცდამაინც დიდათ არ იწყენს, მაგრამ დიდი უმრავლესობა ქართველი ხალხისა, პირდაპირ ისე აპილპილდება შეგინებისათვის და საერთოთ უბრალო შეურაცყოფისათვის მოთმინებიდან გამოდის და სასიკვდილოთ გაგიმეტებს. მე დავრწმუნდი და ღრმათაც დავრწმუნდი, რომ მათ,—განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა,— აინტერესებს ეროვნული საკითხი, თვით გამორკვევის პრინციპებზე და როდესაც ურკვევ, რომ ამსაკითხს ვერც ერთი სხვა ფორმა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა ვერ გადასჭრის ქართველი ხალხის სურვილისამებრ ისე, როგორც არსებული კომუნისტური ხელისუფლება. (აქ მოგვყავს სხვა სახელმწიფოების კოლონიების ეროვნული თავგანწირული ბრძოლა). ისინი სრული კმაყოფილი რჩებიან და რწმუნდებიან, რომ ეს საკითხიც თანდათანობით ერისა და რევოლიუციის საკეთილდღეოთ დასრულდება.

გლეხ-კაცობა ყველგან შემოგვჩივის თავის უმწეო მდგომარეობაზე: ტანისამოსი შემოხევიათ, ავადმყოფთათვის წამლებს ვერ ვშოულობთო, გადასახადებისათვის ფული ვერ შევაგროვებია და სკოლებისათვის ვერ მოგვივლია. არაფერს ჩვენს ნაწარმოებს გასავალი არა აქვსო, ბაზარი არ მოგვეპოვება და სხვა. მართლაც დიდ გასაჭირში არის სოფელი.

ვნახეთ და დავაკვირდით გორის, სამტრედიის, ზესტაფონის და ქუთაისის ბაზრებს და შევნიშნეთ, რომ გლეხს, მეტი წილი შემოტანილ საქონლისა უკან მიაქვს;

რომ ვერ გაუყიდია კარ და კარ დააქვთ ტიკებით ან ჩაფებით რომივით ღვინო. ჰყიდიან ბორჯომის სავსე ბოთლს ორ შაურათ, იხვეწებიან იყიდეთო და მყიდველი კი ძალიან ცოტაა. სამტრედიაში და ქუთაისში თავის კალათით ერთი ფუთი ძვირფასი ვაშლი ფასობდა ერთი მანეთი და მისი მუშტარიც არ იყო. ასეა თითქმის ყველა გლეხის ნაწარმოები და ეს მეტად დამაფიქრებელია. უნდა გამოიძებნოს როგორმე ბაზარი ამ ხილეულობისათვის და ღვინისათვის.

ჩემის აზრით შესაძლებელია, და—სახელმწიფოსათვისაც და გლეხებისათვისაც სასარგებლო,—შემდეგი ზომები: ეხლა მთლიანად საკავშირო რესპუბლიკაში ნება დართულია მაგარი სასმელები, რომელიც სხვათა შორის მზადდება ხორბლისაგან. რუსეთის ხორბალს ყოველთვის ქონდა და ექნება ბაზარი სხვა სახელმწიფოებში, ამიტომ მისი სასმელებისათვის გადამუშავება არა მიზან-შეწონილი იქნება, როგორც ეკონომიურ, აგრეთვე პოლიტიკურ მოსაზრებითაც. მის ადგილას უამრავი საქართველოს ხილეულობა და ღვინო სახელმწიფომ ან კოოპერატიულ დაწესებულებამ უნდა მოიხმაროს, გახსნას მსხვილი რაციონალურად მოწყობილი ევროპიულ მაგარ სასმელების დამზადებელი ქარხნები სადაც გამოხდიან დიდი ღირსების სასმელებს, რომლებიც მოიპოვებენ რუსეთის გარდა, საზღვარგარეთის ბაზარსაც და ეს კი, ჯერ ერთი მოსპობს გლეხის ნაწარმოების კრიზისს, და მეორეც სახელმწიფოსათვისაც ეკონომიურ-პოლიტიკური სარგებლიანობა იქნება. ამისათვის რომ სახელმწიფომ, ათეული მილიონიც დახარჯოს არას წააგებს, რადგან აქ დამზადდება ოქროს ვალიუტის საქონელი, როგორიც არის კონიაკი, შამპანიური ღვინო, ლიკიორი, რომი, არაყი და სხვა ძვირფასი სტოლის ევროპიული ღვინოები.

და თუ ასეთი ბაზარი ფართო ხასიათს მიიღებს და გლეხი დაინტერესდება, მაშინ ყოველი ქართველი მოკიდებს ხელს კულტურულ მცენარეების ფართოთ გაშენებამოვლას, რადგან ამისათვის მას ფართო ასპარეზი ეშლება. მაშინ საქართველოს უბრალო ბორცვნარი, დღეს რომ უქმად არის მიტოვებული, მშვენიერ ბაღნარად გარდიქცევა და ამ რიგათ საქართველოს ექნება საშვალება დაამზადოს ათეული მილიონი ხილი, როგორც ნედლი, აგრეთვე გახმობ-გაშრობის სახით, რაც დიდი ვალიუტის საქონელი იქნება, როგორც საქართველოსათვის, აგრეთვე საკავშირო რესპუბლიკისათვისაც და ამიტომ უმთავრეს პუნქტებში უნდა დამზადდეს აგრეთვე ხილის სახმობ-საშრობი ქარხნები.

ლ. კუპრაშვილი.

---

## ქ. გორი

ოცდა ორ მარტს გორში მოხდა კრება ყოფილ მენშევიკებისა. სხდომას დაესწრენ ყოფილი მენშევიკები და უპარტიო მუშა გლეხები: ქ. გორიდან, გორის რაიონში მდებარე რკინის გზის ლიანდაგიდან და მაზრის ზოგიერთ რაიონებიდან.

სხდომის გახსნისთანავე თავმჯდომარე მოახსენებს დამსწრეთ ამხ. ნარიმანოვის გარდაცვალების ამბავს და სთხოვს ფეხზე ადგომით პატივი სცენ ძვირფასი ამხანაგის ხსოვნას, რაც შესრულებული იქნა.

შემოდის წინადადება—გაგზავნილი იქნეს სათანაგრძნობო დეპეშები ამხ. ნარიმანოვის გარდაცვალების გამო...

დეპეშების შინაარსის შედგენა მიენდო კრების პრეზიდიუმს.

ტფილისის მუშათა კომისიის დაარსების და მის მიერ დასახული მიზნების შესახებ მოხსენებას აკეთებს ცენტრალური მუშათა კომისიის წევრი ამხ. ალ. გვიმრაძე.

მომხსენებელი მდაბიო, გასაგები ქართული ენით უხსნის თათბირზე დამსწრეთ, რომ მუშათა კომისიის დაარსება ტფილისში გამოიწვია აგვისტო-სექტემბერში მომხდარ გამოსვლების დამღუპველმა შედეგებმა.

მუშათა კომისია მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ მიზნად ისახავს შთააგონოს ფართე პროპაგანდა—აგიტაციით ყველა ანტი-საბჭოთა პარტიების ყოფილ წევრებს და აგრეთვე უპარტიო მუშებს და გლეხებს, რომ თავი დაანებონ მშრომელი ხალხის უნიადაგო ილიუზიებით კვებას და მიიღონ მხედველობაში არსებული პირობების რეალობა, გაითვალისწინონ, თუ რამდენად გამოსადეგი და ნაყოფიერი იქნება ყველა მშრომელის გულწრფელად ჩაბმა კულტურულ და ეკონომიურ მუშაობაში საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად და მიიღონ ძველი ამხანაგების მეგობრული რჩევა და დაუბრუნდნენ მიტოვებულ ოჯახს, რომ შეერთებული ძალით ამხანაგ კომუნისტებთან ერთად შევუდგეთ ქვეყნის აღორძინებას.

თათბირზე დამსწრე ამხანაგები მრავალ შეკითხვებს აძლევენ მომხსენებელს, რომელიც დამატებით ახსნა-განმარტებას აძლევს ყველა შეკითხვებზე.

მცსენების შემდეგ თათბირს გამოაქვს შემდეგი დადგენილება:

ტფილისის მუშათა კომისია მიზანშეწონილია, და მის მიერ დასახული მიზნები სავსებით მისაღებია, ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება მალე მუშათა კომისიის მუშაობა გადატანილ იქნეს მაზრის რაიონებში, რისთვისაც მოეწყოს ყველა თემებში მუშათა კომისიის წარმომადგენლობა თანამგრძნობა რეგისტრაციაში გასატარებლათ.

წარმომადგენლებათ რაინებში თათბირი ასახელებს შემდეგ ამხანაგებს:

მეჯვრისხევში—ა) გიორგი მელაძეს, ბ) გიორგი ოქროაშვილს ქარელში—ა) დათიკო გოგიჩაშვილს, ბ) ოქრო ლაცაბიძეს. რუისში—გიორგი ქარქუზაშვილს. დირბში—ზაქრო შუბითიძეს. შინდისში—პლატონ გარსევანაშვილს. გომში—ვასო ესვანჯიას. ახალსოფელში—დავით გაგლოშვილს. ატენში—ალექსანდრე დავითაშვილს.

თათბირის დასასრულს პრეზიდიუმი კითხულობს ამხანაგ ნარიმანოვის გარდაცვალების გამო გასაგზავნ სათანამგრძნობო დეპეშის შინაარს, რომელიც მიღებული იქნა ერთხმად.

დეპეშის შინაარსის მოსმენის შემდეგ თათბირის სხდომა დაიხურა ნაშუადღევის 3 საათზე.

თავმჯდომარე: პ. ეფრემიძე.
მდივანი: ალ. ჩუტკარაშვილი.

---

## ბ ა თ უ მ ი

27 მარტს შესდგა ბათუმის ყოფილ მენშევიკების მოწინავე ამხ. თათბირი. თათბირს დაესწრო ამხ. ს. გვიმრაძე. კრებას ჰქონდა ინფორმაციული ხასიათი რომელზედაც ინფორმაციული ხასიათის მოხსენება გააკეთეს ამხ. გრ. კოპლატაძემ და პ. გოგოლაძემ, რომლებმაც მო-

კლეთ დახასიათეს მუშათა კომისიის მუშაობა ადგილობრივ.

შემდეგ ამხ. კ. გოგოლაძემ აღნიშნა ის გარემოება, რომ კომისიის მუშაობა მოისუსტებსო. მისი მუშაობა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ მას აყავს აღრიცხვაზე ამხანაგებიო. შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. გვიმრაძე, მან აღნიშნა საერთოთ კომისიის მუშაობა, განსაკუთრებით შეეხო პროვინციის მდგომარეობას და მათ მიერ მუშაობას; აგრეთვე შეეხო ტფილისში კომისიის მუშაობას მათ მიერ ამხანაგების ჩაბმას მუშაობაში. შემდეგ შეეხო სესიის მუშაობას და კომისიის მიერ წარდგენილ დეკლარაციას. მოხსენების შემდეგ ამხანაგების მიერ იქნა მიცემული შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელი იძლევა გარკვეულ პასუხს; აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირი დაიხურა. სასურველია ასეთი თათბირები ხშირად ხდებოდეს.

მ. ტურიელი.

## ქ. ბორჯომი

მიმდინარე წლის 27 მარტს მოხდა ქალ. ბორჯომის და რკინის გზელთა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კრება. გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა მუშათა კომისიის წევრის ამხ. კუპრაშვილის მოხსენება „1924 წლის აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მომხდარ ამბოხების შესახებ და ჩვენი ამოცანა" დაადგინა: კრება ერთ სულოვნათ იზიარებს საქართველოს მუშათა ცენტრის ტფილისის 7-8 ოქტომბრის რეზოლიუციას და გმობს რა აგვისტოს გამოსვლებს, როგორც ქართველი ერის დამღუპველს და რევოლიუციისათვის მავნებელს, მოუწოდებს საქართველოს მშრომელთ არ აყვენ პროვაკაციას და ყოველი ღონისძიებით შეებრძოლონ ყველას, როგორც ჯგუფს ისე პიროვნებას ვინც კი შეეცდება არსებულ ხელისუფლების შებრძოლებას ლეგალურათ თუ არალეგალურათ. საერთო კრება ავალებს მუშათა კომისიას განაგრძოს ენერგიული მუშაობა 7-8 ოქტომბრის რეზოლიუციის ცხოვრებაში გასატარებლად. კრება ირჩევს 5 კაცისაგან შემდგარ ქვეკომისიას—რწმუნებულებს, რომლებიც იმუშავებენ ბორჯომის რაიონში მუშათა კომისიის მიერ მიცემულ ინსტრუქციის მიხედვით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით.

# მუშათა წერილები

## ცოტა რამ უნდობლობის შესახებ

უკვე წელიწადზე მეტია რაც თავისუფალი ვარ. მეტეხშიც და გარედაც პრესაში ამ უნდობლობაზეა ლაპარაკი. ერთი შეხედვით, თითქოს ამის გასამართლებელი საბუთი, აგვისტოს შემდეგ უფრო არსებობს, მაგრამ ოცდა რვა აგვესტომდისაც ამაზე არა ერთხელ იყო ლაპარაკი. ფეტიშიზმის მომხრე არ ვარ, მაგრამ მუშათა კომისიები, აღწევენ მიზანს თავიანთი მუშაობით,- რაც გამოიხატება არამც თუ ქალაქებში, არამედ სოფლად მათ მოქმედებაში და გლეხთა ტკივილების გაგებაში, აგრეთვე ზოგიერთ პარტიულ მუშაკების გადაჭარბებულ და არა მიზან შეწონილ მოქმედების მხილებაში. არა ერთი და ორი მაგალითის მოყვანა შემიძლია იმისათვის თუ როგორ გვიცქერიან ძველ პარტიულ სოციალ-დემოკრატებს საბჭოთა ხელისუფლების, ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიულები,—მაგრამ ეს, თანდათან შემცირდება, რადგანაც საერთო საქმეში შეერთებული ერთსულოვნური მუშაობით დაბრკოლებების გადალახვა შესაძლებელია, რაც საწინდარია ეკონომიურ გაძლიერების, არსებულ წესწყობილების მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლათ, როგორც ზევით ავღნიშნე ნდობის საკითხი თანდათან მცირდება და მეტს გვენდობიან ისინი, ვისაც მეტი სალი შეხედულება აქვს.

დღეს არა თუ მუშათა კომისიის მოვალეობას შეადგენს ალმაშენობლითი მუშაობის ხელის შეწყობას, არამედ ძველი მუშებისაც რომელთაც მოძრაობის დროს, არა ნაკლები საქმე უკეთებიათ, მენშევიკებზე და ბოლშევიკებზე თავისუფლების მოსაპოებლათ.

ხელისუფლების წარმომადგენელმა ამხანაგებმა, შორს მჭვრეტელობა და გულწრფელობა უნდა გამოიჩინონ და სანამ ამის მიზეზი არ მიგვიცია მგლათ ნუ გვთლიან, რადგანაც ასეთი შეხედულება ნიადაგს უმზადებს ყოველივე უბედურებას და, საქმისადმი გულცივად მოპყრობას, ამავე დროს მხოლოდ და მხოლოდ დამღუპველია ორივ მხრისათვის, რითაც შეუძლია ისარგებლოს საერთო მტერმა.

ნ. ჩარკვიანი.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
ბ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

ორშაბათს,, 13 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეთში დანიშნულია ტფილისის ალმასკომის სხდომა.

## დღის წესრიგი:

1. მოხსენება შინა-ვკრობის შესახებ.
2. მოხსენება სექციების ორგანიზაციის შესახებ.
3. მოხსენება საბჭოს, ალმასკომის და სექციების სხდომების დანაწილების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

1—1

პრეზიდიუმი.

მთავლიტი № 571 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 2. ტირაჟი—2000.

წელიწდი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 19 აპრილი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11-68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე

№ 18

## სრულიად საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობა.

გასულ კვირას დამთავრდა სრულიად საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობა ე უპირველესი ყურადღება მიქცეული იყო სოფლის საკითხებზე..

დიდი ხანი არ არის, რაც მორიგ საკითხათ გადაქცეულია ლოზუნგი: „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“ და აი, ამ ლოზუნგის გარშემო ტრიალებდა და მისკენ იყო მთელი ყრილობის გულისყური მიპყრობილი.

კრებაზე გამოდიოდენ და ლაპარაკობდენ უმთავრესად სოფლის წარმომადგენელი გლეხები, ლაპარაკობდენ მივარდნილი კუთხეებიდან: სვანეთიდან, ხევსურეთიდან, აჭარისტანიდან, ლეჩხუმიდან, და საქართველოს ყველა კუთხეებიდან.

გამოდიოდენ გლეხები და ლაპარაკობდენ თავიანთ ჭირ-ვარამზე, მსჯელობდენ, წინადადებას იძლეოდენ და საქმიან კრიტიკას ეწეოდენ.

მთავრობის მოხსენებამ სრული სურათი ჩვდაშალა საბჭოთა რესპუბლიკის მიღწევებისა საჭეურნეო დარგში. გამოირკვა შესამჩნევი ზრდა და განვითარება ჩვენი რესპუბლიკისა, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ დარგში.

ეს ყრილობა იყო უსათუოდ საქმიანი ყრილობა და დიდ გავლენასაც დასტოვებს საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი გამოცოცხლებაში და განვითარებაში.

ორატორები, უმეტეს შემთხვევაში, გლეხების წარმომადგენლები, თვალწინ უშლიდენ ყრილობას ჩვენი სოფლის ჭირვარამს. გლეხები ჩიოდენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადების დეფექტებზე, სოფლის ნაწარმოების გასაღების სიძნელეზე, ტყის საკითხის მოგვარებაზე, კრედიტის საკითხის მოუგვარებლობაზე, კოოპერაციის სისუსტეზე, გზების უვარგისობაზე, საბჭოთა სოფლის აპარატის ნაკლულევანებებზე და სხ.

ეს იყო მითითება, რის გაკეთებაც აუცილებელია და ახლო მომავალში საჭირო.

ყველა გრძნობდა და ხედავდა რომ ერთბაშად ყველაფრის გაკეთება არ შეიძლება, რომ ამისათვის საჭიროა დრო და ამ ნაკლულევანებასაც ბოლო მოეღება.

ამავე ყრილობამ აშკარათ დაამტკიცა, თუ რამდენათ მომზადებული და გარკვეულია ჩვენი გლეხი, რომ მას ყოველთვის შეუძლია ადვილათ აუღოს ალღო და ალღო კიდეც, საბჭოთა ხელისუფლების მისადმი მიმართულ კეთილ განზრახვებს და გაერკვა საქმის ვითარებაში.

ეხლა მ-ოლოთ საჭიროა ხელი შეეწყოს გლეხების მიერ გამოთქმულ აზრებს და თეორიიდან პრაქტიკაში გადავიდეს და ისინი თვით გაუძღვებიან ამ საქმეს. აკი ამიტომაც ყრილობამ შესაფერი რეზოლიუცია მიიღო სასოფლო მეურნეობის შესახებ და სასოფლო-სამეურნეო კრედიტების შესახებ.

რამდენათაც დრო გადის და პროლეტარულ რევოლიუციის მსვლელობა წინ მიდის,—აშკარა ხდება ის მოვლენა, რომ გლეხობამ უნდა ითამაშოს დიდი როლი, როგორც ბურჟუაზიის დამხობაში, ისე სოციალისტურ წყობილების დამყარებაში.

აქნამდის გლეხობის მნიშვნელობას რევოლიუციაში აბათილებდენ.

მას შემდეგ, რაც ლენინმა აღნიშნა, რომ გლეხობასთან მჭიდრო კავშირით შეუძლია პროლეტარიატს მთლად დაამთავროს პროლეტარული რევოლიუცია,—ეს დებულება გადავიდა თეორიიდან პრაქტიკულ განხორციელების სფეროში.

და ყრილობაზე, რომ, ეხლა 25 პროცენტს უპარტიო გლეხები წარმოადგენდენ, უსათუოდ კარგი მოვლენაა და მაჩვენებელია გლეხების ფართო მასსის საქმეში ჩაბმისა.

დარწმუნებული ვართ ყრილობიდან დაბრუნებული ამხანაგები, როგორც პარტიულები, ისე უპარტიონი თანაბრად და ერთსულოვნად შეუდგებიან სოფლის აღმშენებლობითი საქმეს.

# სალიტერატურო შენიშვნები

## პროლეტარული მწერლობა

ადამიანს ახასიათებს აზრი და მოქმედება.

რომელიმე ერის ნააზრევი და ნამოქმედარი წარმოადგენს ეროვნულ სალაროს, საუნჯეს, ანუ კულტურას.

სიტყვაკაზმული მწერლობა, ერის აზრის შედეგია და ნაწილს შეადგენს ამ ერის კულტურისას.

როდესაც გაიცნობთ ამა თუ იმ ერის სიტყვაკაზმულ მწერლობას, ამით ეცნობით იმის მდგომარეობას, ცხოვრებასა და მისწრაფებას.

არავითარი აზრი თანდაყოლილი არა აქვს ადამიანს დედის მუცლიდან.

ჩვილის ტვინი წარმოადგენს თეთრ ქაღალდს; ბავშვი იზრდება, ვითარდება და ამ სუფთა ქაღალდზე ცხოვრება ავლებს თავის ხაზებს; ამრიგად იწყება და თანდათან ვითარდება, ფრთებსა შლის აზროვნება.

ადამიანი ეკუთვნის ამა თუ იმ კლასს, წოდებას; თუ სრულიად არა, თანაუგრძნობს მაინც,—ასეა ცხოვრებაში.

ამიტომ ადამიანის აზროვნებაში არის, როგორც პირადი, ისე კლასობრივი, წოდებრივი ნაწილი.

რასა ვხედავთ სიტყვაკაზმულ მწერლობაში?

მწერალი გამოსთქვამს თავის შეხედულებას, სურვილს, სევდას, მისწრაფებას, მაგრამ ამავე დროს ყოველივე ეს მარტო საკუთარი, პირადი კი არ არის, არამედ კლასობრივიც.

ყოველი კლასი, ყოველი წოდება ჰქმნის საკუთარ სიტყვაკაზმულ მწერლობას, საკუთარი მწერლობის შემოქმედებით.

თავად-აზნაურობასა აქვს საკუთარი სიტყვაკაზმული მწერლობა, ბურჟუაზიას—საკუთარი, მუშა ხალხს—საკუთარი.

განვითარებული სიტყვაკაზმული მწერლობა უდიდესი ეროვნული და საკაცობრიო საგანძურია.

ძველმა ბერძნებმა, რომაელებმა დაგვიტოვეს შესანიშნავი სიტყვაკაზმული მწერლობა.

ევროპის ფეოდალებმა, ბურჟუაზიამ შეჰქმნეს დიდებული სიტყვაკაზმული მწერლობა.

ასეთი მწერლობისათვის დიდი განვითარებაა საჭირო.

ესეც არა კმარა: საჭიროა დიდი თავისუფალი დრო.

დიდი თავისუფალი დრო კი იმასა აქვს, ვინც თავისუფალია ლუკმაპურის ყოველდღიურად ძებნისაგან.

არის ისეთი ნიმუში ხელოვნებისა, რომლის შექმნასაც ოცი—ოცდა ათი წელი (და მეტიც) მოუნდომებია.

გოეთე თავის ფაუსტს ოცი წელიწადი სწერდა.

ამგვარი მაგალითი საკმაოდ მოიპოვება სიტყვაკაზმულ მწერლობის ისტორიაში.

ყოველი მწერალი ცოდნით, განვითარებით საზოგადოების მოწინავე რიგში უნდა იდგეს.

მარტო ნიჭით ვერავინ არ გამხდარა დიდი მწერალი.

მარტო კვესი ცეცხლს ვერ გამოიღებს,—კაჟს უნდა მოხვდეს მძლავრად.

ნიჭსაც ცოდნა და განვითარება ანაყოფიერებს.

ამ ცოდნასა და განვითარებას დროც უნდა, ქონებაც.

ამიტომ დღემდე ხელოვნებას უფრო ის კლასი, ის წოდება ჰქმნიდა, რომელსაც დროც ხელს უწყობდა საამისოდ და ქონებაც.

ასეთი იყო გაბატონებული კლასი: გაბატონებული წოდება.

უდიდესი ადამიანი ძველი ცივილიზციისა არისტოტელი — მონობას ამართლებდა.

რატომ?

იმიტომ, რომ ის იყო თაყვანისმცემელი კულტურისა და ამავე დროს იცოდა: თუ მონობა არ ყოფილიყო, მისი დროის კულტურაც არ იქნებოდა.

გონების შრომის წყალობით გაბატონებულ კლასებსა ჰქონდათ აუარებელი სიმდიდრე და თავისუფალი დრო.

დიდი ნაწილი ამ დროისა და სიმდიდრეს ქეიფსა და გარყვნილებაში ჰხარჯავდნენ; მცირე ნაწილს კი ხელოვნებას ემსახურებოდა.

იყვნენ ისეთი მეცენატები გაბატონებული კლასებიდან, რომლებიც აუარებელ ფულსა ჰხარჯავდნენ ხელოვნების ასაყვავებლად.

რატომ?

იმიტომ, რომ ხელოვნება ერთი საუკეთესო იარაღია ბატონობისა.

მარტო ხიშტი საიმედო დასაყრდნობი არ არის გაბატონებისათვის; საჭიროა კულტურული ბატონობა უმთავრესად.

ამიტომაც ყოველი გაბატონებული კლასი ცდილობდა, საკუთარი ხელოვნება შეექმნა, რომ მისი პოლიტიკური ბატონობა უფრო მტკიცე, უფრო გავლენიანი, უფრო ავტორიტეტული ყოფილიყო.

ამიტომაც ხელოვნება მუდამ პოლიტიკურ რკალში იმყოფებოდა და ემსახურებოდა პოლიტიკას.

ვიდრე პოლიტიკური ცხოვრების სათავეში თავადები იყვნენ, მათ ჰქონდათ საკუთარი სიტყვაკაზმული მწერლობა. ჩვენში მეფეები პოეტობდენ.

როდესაც ბურჟუაზია გაბატონდა, მან თავისი სიტყვაკაზმული მწერლობა შექმნა, მწერლობა თავის კლასობრივ მიზნებს დაუქვემდებარა.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის მეტად მდიდარი სიტყვაკაზმული მწერლობა უმთავრესად ბურჟუაზიულია.

ისეთი მწერლებიც კი, რომლებიც ამ კლასს არ ეკუთვნოდნენ, მაინც ამ კლასის ყოფა-ცხოვრებას გვიხატავდნენ.

რა იყო მიზეზი ამისი?

ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა, მისი გავლენა და მისი მოთხოვნილების გაბატონება ხელოვნების ბაზარზე.

მწერალს ამ კლასის ცხოვრება აძლევდა დიდ მასალას შემოქმედებისათვის. ამავე დროს ეს კლასი იყო თავისი შეძლების წყალობით უმთავრესი მყიდველი მწერლის ნიჭისა, მაშასადამე შემოსავლის წყაროც მწერლისათვის: ბურჟუაზიულ წყობილებაში ყველაფერი ფულზე ფასდება, ყველაფერი ფულით იყიდება.

ყოველი მუშტარი ყიდულობს იმ საქონელს, რომელიც მას მოსწონს. ბურჟუაზიაც ეტანება ისეთ სიტყვაკაზმულ მწერლობას, რომელიც მას მოსწონს.

მოსწონს მას იმეთი, რომელიც იმის ყოფაცხოვრებასა ჰხატავს, იმის მიზნებს შეეფერება.

ამიტომაც ბურჟუაზიის ბატონობის დროს განვითარდა ბურჟუაზიული მწერლობა.

სიტყვაკაზმულ მწერლობის დარგში ბურჟუაზიამ მისცა კაცობრიობას ყოველივე, რისი მიცემაც კი შეეძლო. დღეს ბურჟუაზია გამოიფიტა, დაძაბუნდა: ის სიკვდილის აჩრდილსა ჰხედავს და შიშით არის შეპყრობილი.

გამოიფიტა და დაძაბუნდა ბურჟუაზიული მწერლობაც. მთელს ევროპაში ის განიცდის გადაგვარებას, დაკნინებას დეკადანსს. ამ დეკადანსში არის ახალის ძიებაც, მაგრამ ეს არის მხოლოდ გაბრძოლება მომაკვდავისა.

მთელი ეს სიმბოლიზმი, დადაიზმი და სხვა დეკადანის პირმშო შვილია, ზოგჯერ საკმაოდ ლამაზი სახისა, მაგრამ უკურნებელი სენით შეპყრობილი.

რუსეთის ფედერაციის სივრცეზე ძალაუფლება მუშათა ხალხის ხელში გადავიდა, პოლიტიკურად მუშა ხალხი გაბატონდა.

იგივე უნდა მოხდეს ადრე თუ გვიან, მთელს ევროპასა და ამერიკაში.

ამრიგად ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა იცვლება მუშა ხალხის პოლიტიკური ბატონობით.

ყოველი გაბატონებული კლასი ჰქმნის საკუთარ სიტყვაკაზმულ მწერლობას; ხელოვნებას უმორჩილებს თავის მიზნებს.

მუშა ხალხმაც უნდა შეჰქმნას საკუთარი ხელოვნება და ის დიდი ხანია შეუდგა ამ საქმეს.

საქართველო წარმოადგენს საბჭოთა ფედერაციის ნაწილს.

ჩვენში მუშა ხალხი საკმაოდ მძლავრია, მომზადებული, დარაზმული; მას დიდი რევოლიუციონური წარსული აქვს.

ის დიდი ხანია, ემზადებოდა პოლიტიკური ბატონობისათვის.

ჩვენს მწერლობაში ზოგჯერ ისმება ასეთი საკითხი: არის თუ არა ჩვენში პროლეტარული მწერლობაო.

დიალექტიურად მოაზროვნე, კითხვას ამგვარად ვერ დასვამს.

ყოველი მოვლენა განვითარების ცვალებადობაში იმყოფება.

თუ კი სადმე არის საკმაოდ მომწიფებული და პოლიტიკურად მომზადებული პროლეტარიატი, შეუძლებელია, რომ იქ პროლეტარული მწერლობა არ არსებობდეს.

რა თქმა უნდა, ყოველი კლასის ზრდასა აქვს სხვადასხვა საფეხური; ამიტომ იმის მწერლობასაც სხვადასხვა საფეხური ახასიათებს.

პროლეტარიატის გათვითცნობიერებასთან ერთად წარმოიშვა ჩვენში პროლეტარული მწერლობა.

როდესაც ნორჩი პროლეტარიატი თავის ძალლონეს შეიცნობს და თავის მოწოდებაც ინტუიტიურად იგრძნობს, მას ახასიათებს ბრძოლის წყურვილი.

ასეთი ბრძოლის გამოძახილი გაისმა ევდოშვილის პოეზიაში და შემდეგ მას გამოეხმაურენ სხვებიც: ვარლამ რუხაძე, ჩხიკვაძე, ქუჩიშვილი, ობოლი მუშა, მალაქიაშვილი (ბელეტრისტიკაში,—იგივე ხუროძე). ეს იყო დასაწყისი პროლეტარული ბრძოლის პოეზიისა.

დღეს ჩვენა გვყავს საკმაოდ დიდი ჯგუფი პროლეტარული მწერლებისა და გამოდის სპეციალური ჟურნალი „პროლემაფ“.

დღევანდელს პირობებში პროლეტარული მწერლები დიდ მიღწევებს ვერ მოგვცემენ; რა დიდი ნიჭის პატრონიც უნდა იყონ.

ნიჭმა რა უნდა ჰქნას იქ, სადაც ჯერ-ჯერობით მდგომარეობა არ იძლევა ამის შესაძლებლობას.

რა არის ამისი მიზეზი?

მრავალი და მათ შორის ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენა.

როდესაც ბურჟუაზია პოლიტიკურად გაბატონდა, მან თავის მიზნებს დაუქვემდებარა ყოველისფერი: ხელოვნება, მწერლობა, სკოლა, სასამართლო, ერთის სიტყვით მთელი ცხოვრება.

ამ რიგად ყოველგან შეიჭრა და გაბატონდა ბურჟუაზიული იდეოლოგია.

ჩვენში ბურჟუაზია პოლიტიკურად დამარცხდა, მაგრამ მისი იდეოლოგიისაგან ცხოვრების განწმენდა და იმის ალაგას ახალი პროლეტარული იდეოლოგიის დამკვიდრება ერთი და ორი წლის საქმე არ არის: ეს მოხდება ნელ-ნელა, თანდათანობით, როდესაც ძველი თაობა გადავა და იმის ალაგს დაიჭერს სრულებით ახალი, ახალს პირობებში და ახალს აზროვნებაზე აღზრდილი და მომწიფებული.

პროლეტარულმა იდეოლოგიამ უნდა დაიპყროს მთელი ინტელიგენცია.

ბურჟუაზიული ბატონობის დროს ინტელიგენცია ემსახურებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს.

დღემდე ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი განზე იყო გამდგარი და მტრულად განწყობილი.

ამ განწყობილების მიზეზთა ჩამოთვლას მე აქ არ გამოვუდგები,—ვიტყვი მხოლოდ, რომ ზოგში ინტელიგენციას უდევს ბრალი, ზოგში- სხვებსა და სხვა გარემოებას.

დღეს კი მდგომარეობა თანდათან იცვლება და ინტელიგენცია ეგუება, ურიგდება პროლეტარიატის ბატონობას. ცოტა კიდევ და ის უსათუოდ დაიწყებს პროლეტარიატის ინტერესთა სამსახურს.

ამას უსათუოდ ექნება ძალიან დიდი მნიშვნელობა როგორც პროლეტარული აღმშენებლობისათვის, ისე პროლეტარული სიტყვაკაზმული მწერლობისათვის.

რა მოგვცა, რა დაგვისურათა ბურჟუაზიულმა სიტყვაკაზმულ მწერლობამ? ბურჟუაზიის ყოფა-ცხოვრება, მისა შინაგანი „მე“.

პროლეტარულმა სიტყვაკაზმულ მწერლობამ უნდა შეასრულოს ამგვარივე საქმე: მან უნდა მოგვცეს პროლეტარიატისა და გლეხობის ყოფა-ცხოვრება, მისი შინაგანი „მე“.

აი ეს იქნება ნამდვილი პროლეტარული სიტყვაკაზმული მწერლობა.

როდის მოხდება ეს? როდესაც პროლეტარული მწერლები გამოვლენ თვითონ პროლეტარიატის რიგებიდან და მარტო გონებით კი არ შეიგნებენ, არამედ მთელის თავისი არსებით განიცდიან ახალ ყოფას.

ამისათვის კი აუცილებელია მთელი კლასის კულტურულად ამაღლება.

დღეს, როდესაც ჩვენი პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის რიგებში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციაც კი არ მომხდარა ჯერ, ამდენად განვითარებულ პროლეტარულ პოეზიაზე და საზოგადოდ იმის სიტყვაკაზმულ მწერლობაზე ოცნებაც არ შეიძლება,—ეს არის საკითხი მომავალისა.

დღევანდელი დღე უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სამზადისით.

ესეც დიდი და აუცილებელი საქმეა: თუ სამზადისი არ იქნა, დიდი მიღწევაც თავისით არ გაჩნდება.

პროლემაფს მე ვუყურებ, როგორც სამზადისს. მას აზის საკუთარი დაღი და უსათუოდ ამართლებს თავის მოწოდებას.

რითმა განდევნილია: აქა-იქ შეხვდებით ასონანსებსა და ალიტერაციებს.

იბადება საკითხი: უნდა განიდევნოს თუ არა პროლეტარული პოეზიიდან რითმა?

არა.

რაც მეტია სილამაზე, მით უკეთესი. რითმა კი უსათუოდ არის დიდი სამკაული პოეზიისა.

რა იქნებოდა რუსთაველის პოეზია, რითმები რომ ამოშალოთ? მოიტათ, გამონახეთ, გამოსძებნეთ, აღმოაჩინეთ ახალ-ახალი სილამაზე; ამ გზით ამაღლდება პოეზია და არა უდაო სილამაზის წაშლით.

მართალია, ხალხური პოეზია ბევრგან იწყება ჩვენში ურითმოდ, მაგრამ შემდეგ და შემდეგ შიგ შეიჭრება რითმა.

რითმა უყვარს ჩვენს მშრომელ ხალხს და ჩვენი საუკეთესო ხახლური პოეზია მდიდარია რითმით.

რითმის განდევნა არ არის ნაბიჯი წინ პოეზიის გზაზე, არამედ დიდი ნახტომი უკან.

ურითმობა დასაშვებია მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ლექსში მოცემულია უაღრესი დინამიურობა ან ძლიერი ტრაგიზმი: რითმის ფარდა უნდა ჩამოშორდეს აქ, რომ მოძრაობა და განცდა უფრო გაშუქებული იქნეს.

ზოგიერთი პროლეტარული მწერალი (მაგ. კარლო კალაძე) ეტანება შიგა და შიგ სტრიქონების ამოგლეჯას და ჩარჩოებში ჩასმას.

ვისთვის არის ეს საჭირო? პროლეტარიატისათვის?

პროლეტარიატს მანჭვა-გრეხა არ უყვარს, არც შეეფერება, არც შეშვენის.

**ივ. გომართელი.**

# სურათები წარსულიდან

**(მოგონება — მასალა მოთხრობისათვის).**

III.

**პირველ-მაისობა ქარელში.**

25 აპრილი 1902 წ.

მატარებელი რწევით და ხრიალით მიგვაქროლებს ქარელისკენ.

უკვე გავცილდით გორს, აგერ ავხედეთ შაქრის-თავივით აწოწებულ გორიჯვარს. მერე მოგვდევს მინდორი. უკან გარბიან ამწვანებულ ხეებით დაფარული გორაკები და თან მისდევს მოდუდუნე მტკვარი.

გავიარეთ სკრა. ვუახლოვდებით ქარელს. სადგურზე გვხვდებიან ამხანაგები და რკინის გზის ლიანდაგით პირდაპირ მივდივართ ხიდისკენ, ხიდის შემდეგ ლიანდაგს მოვცილდით და პატარა ბილიკით წავედით ტყისკენ.

— უკვე შეკრებილნი არიან და ჩვენ გვიცდიან. — გვეუბნევა ამხანაგი.

აჩქარებული ნაბიჯით მივდივართ. ტყის ნაპირს რომ მიუახლოვდით, ხეების აბეზულ რიგებში გძელ ტარიან ჭოხზე გაკეთებული და ტარით მიწაში ჩარჭობილი წითელი დროშა დავინახეთ.

როგორც ყაყაჩოთა ჯგუფი, ამწვანებულ ჯეჯილში —ისე იყო წითელი დროშა ამართული, მწვანეთ გაფურჩქვნილ ხის ტოტებთა შორის.

გული გამალებით ჰფეთქავს, როგორც სატრფოს შეხვედრის დროს ახალგაზრდა შეყვარებულისა.

ახლა უკვე მივრბივართ. და წითელი დროშა რხევით, თითქო ხელს გვიქნევსო. გვიზიდავენ თავისკენ.

დროშის გარშემორტყმული მუშები ჯგუფ-ჯგუფად მუსაიფში არიან გართულნი. ზოგი ბალახზე სხედან, ზოგი რომელიმე ხის ირგვლივ სდგანან.

ძველი, ასწლოვანი მუხის ხეები, მსხვილი ფართე ტოტებით საიდუმლოებას და მყუდროებას ინახავენ, თითქო მათი დანიშნულებაც ეს იყოს, რომ დაიცვან წითელი დროშის ფრიალი მავნე თვალთაგან.

მივედით. მუსაიფში გართულნი ჯგუფები დაიშალნენ, დამსხდარნი წამოდგენ და ერთმანეთს მივესალმეთ.

— გაუმარჯოს პირველ მაისს!... შევძახე აღფრთოვანებით.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. შესძახა ყველამ ერთად.

— კარგი ადგილი მოგიძებნიათ! ამბობს გიორგი.

— კარგია, კარგი!..

დროშას მივუახლოვდით. წითელი ატლასი, მოვარაყებული ასოებით წარწერილი: ზევიდან—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! შუაში მარქსის სურათი, აქეთ-იქით ენგელსი და ლასსალი.

ნელი სიოსგან მწყობრათ ირხევა და ისეთი მიმზიდველია, რომ არ იცი, რომელი არჩიო: ბუნება თუ წითელი დროშა!.

იგი მორთული დედოფალივით შეჭრილიყო ბუნების წიაღში და ამწვანებულ ველ-მინდორს მედიდური ამპარტავნებით ეუბნებოდა: აბა გავეჯიბროთ ერთმანეთს, ვინ უფრო ლამაზია, ჩვენ ორში! თქვენი ამწვანებული ველ-მინდორი, თუ ჩემი გაღუზღუზებული წითელი ფერიო.

ტყე იქვე თავდებოდა და მის ნაპირს მიმდინარეობდა სამშობლოს მუშის ცრემლთა ნაკადული—მარადი მტკვარი...

მის ნაპირს მივედი და დუდუნს დავუგდე ყური.

იქით მოსჩანს გორაკები და გორაკებისაგან მიყენებულ ჩრდილში ნელათ ირხევა ჯეჯილი.

აქეთ კი როცა მოვიხედავ, წითელ დროშას დავინახავ,—ტოტებში გამოპარული მზის სხივი გაუელვებს, და აპრიალდება როგორც ავარდნილი ცეცხლის ალი.

მუშებს მიტანილი აქვთ საუზმე: წვანილი, ყველი, კალბასი, პური და ღვინოც. დროშის გარშემო ბალახზე ალაგებენ ჭიქებს, პატარა თეფშებს.

დავსხედით წვანეზე,—დროშის გარშემო.

პირველი სიტყვა გიორგიმ წარმოსთქვა. უკან გადავარცხნილ მის გრძელ თმას ნელი სიო ეთამაშება და თმის პატარა ჯგუფებს ყალყზე აყენებს.

ლაპარაკობს მთრთოლარე ხმით. წითელ დროშას აღგზნებული თვალებით მიშტერებია. მუშები განაბული ყურს უგდებენ. დროშა კი ნელა ირხევა და მარქსის გაერთიანებულ წვერსა და თმებს ხან აქეთ გამოახედებს და ხან იქით.

გიორგის შემდეგ მე ვილაპარაკე და ასეთი გატაცებით არ მილაპარაკნია არას დროს.

წითელი დროშა, ტოტებში მარაოს მსგავსათ ჩამოშვებული მზის სხივები, მწვანეზე წამომსხდარნი მუშები, მძლავრი მკლავებით გაფანტული ხის ტოტები, შორიახლო მოდუღდუნე მტკვარი,—გაერთდა, ერთად შედუღდა და გონების თვალით გადავედი შორს, უცხო; ფიანდაზებით დაგებულ მხარეში, სადაც სივრცეს ვარდის ფერი აქვს და ცხოვრებას იის ფერი.. მივუთხრობდი მუშებს ამ უცნობს, უხილავ ქვეყანაზე და აღგზნებული თვალებით, ათრთოლებული ხმით, თითქოს ჰიმნს ვგალობდი მომავალი ცხოვრებისას...

სიტყვა გავათავე. ჭიქები ავიღეთ და გაუმარჯოს ძახილით, სოციალიზმის სადღეგრძელო დავლიეთ.

ჩემ შემდეგ ილაპარაკა მაღალ-მაღალმა გძელ წვერება მუშამ, ნიკომ. მისი დინჯი აუჩქარებელი ხმა, უროს დარტყმას მაგონებდა და გაცვივნული ნაპერწკლები გაოფლიანებულ შუბლს, დაკოჟრილ ხელებს..

კიდევ დავლიეთ. საუზმით ცოტა გავგრილდით.

ავდექით; დროშა ნიკომ ხელში აიღო, მის უკან გავმწკრივდით და დავიწყეთ ლიტონიასავით ხეების გარშემო სიარული—სიმღერით.

ამ დროს შევნიშნეთ მტკვარზე მომდინარე ტივი. დროშით იქით გავექანეთ და ქუდების ქნევით, „ურას“ და „გაუმარჯოს“ ძახილით მივულოცეთ მეტივეებს პირველი მაისობა.

არ ვიცი რა იფიქრეს მათ, ან თუ მიხვდენ რაშიაც იყო საქმე. ალბათ „სალვთო“ ეგონათ.

გული აღარ ითმენდა. გვინდოდა გულის ფეთქა გამოაშკარავებულიყო, საგულეს აღარ ეტეოდა.

შემოგვესმა მატარებლის ყივილი. ფიცხლავ ერთმა ხელი სტაცა დროშას და ლიანდაგისკენ გაიტაცა. ჩვენც გავყევით სირბილით და სწორედ იმ დროს მივაღწიეთ ლიანდაგს, როცა მატარებელიც ჩვენ გაგვისწორდა.

— ურააა!.. გაუმარჯოს პირველ მაისს!.. გაუმარჯოს სოციალიზმს!.. ყვირილით, ქუდების ქნევით და დროშის რხევით შევეგებეთ ფანჯრებიდან მაყურებელ მგზავრებს.

გაშტერებული თვალები, გაურკვეველი სახეები, გაოცებული გამომეტყველება—შემოგვცქეროდენ ჩვენ...

მატარებელი მისრიალებდა და ჩვენც მივყვებოდით უკან, სანამ კარგ მანძილზე არ დაგვშორდა.

მერე კი გონს მოვედით და ისევ ტყეს მივაშურეთ...

დაშლის დროც იყო. დროშა დავკეცეთ და პატარ-პატარა ჯგუფებათ დავიშალეთ.

საღამოს, თბილისში რომ დავბრუნდით, ვიგრძენი თითქო რაღაც ახალი ძალა შეემატა ჩემ სხეულს...

მაისის 5

**თეორია თუ პრაქტიკა!**

დღეს იოსებისაგან წერილი მივიღეთ. ის უკვე კარგა ხანია ბათუმში ჩასულა. აღფთოვანებულია ბათუმით და ბათუმის მუშებით. დაარსებულა ბათუმის კომიტეტი, მოუწყვიათ სტამბა და ფურცელიც გამოუშვიათ. გვეპატიჟება ჩვენც წავიდეთ იქ, ბათუმში.

ამის შესახებ კამათი მქონდა გიორგისთან: ის ხომ იოსების ძრიელ გავლენის ქვეშ იმყოფება და ყოველი მისი სიტყვა და მოქმედება გარდაუვალ კანონათ მიაჩნია.

— მერე და, თუ ბათუმში წავედით, მეცადინეობას ხომ თავი უნდა მივანებოთ სავსებით!—ვეკითხები გიორგის.

— ერთი შენც საქმე გააჭირე ამ მეცადინეობით! ჩემის აზრით კი, თუ ჩვენ მართლა გვინდა მუშებს დავუახლოვდეთ, მათი ფსიხოლოგია გავიგოთ და ნაყოფიერიც გახდეს ჩვენი მუშაობა,—საჭიროა, არა თუ მეცადინეობას თავი დავანებოთ, არამედ მუშები უნდა გავხდეთ! ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით! ჩვენ უნდა მუშაობა დავიწყოთ ქარხანაში! და აი, მაშინ იქნება სწორედ გამართლებული ჩვენი მოქმედებაც!.. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იმავე ცხოვრებით, უნდა განვიცადოთ იგივე, რასაც მუშა განიცდის მუშაობის დროს და მაშინ მივხვდებით მთელ მის სულისკვეთებას და ჩვენ სიტყვებსაც მაშინ ექნება გასავალი!..

მართალს ამბობდა ხოლმე იოსები,—თუ ჩვენ სწავლა განვაგრძეთ, უნივერსიტეტიც დავამთავრეთ, მაშინ მხოლოთ „ჩინოვნიკები“ გამოვალთ, სხვა არაფერი!..

— მაშ, შენის აზრით საჭირო არ ყოფილა მუშათა კლასისთვის პლეხანოვები, აქსელროდები, ჟორდანიები...

— ეჰ! შენ ხომ ყველაფერში გადაჭარბება იცი! მე ხომ მაგას არ ვამბობ! მე ვამბობ: Вера без дел мертва есть, როგორც ამბობდა ქრისტე. საქმით; მუშაობით უნდა ჩავერიოთ ბრძოლაში, დრო აღარ იცდის!.. ხომ ხედავ როგორი აჩქარებული ტემპით იზრდება მუშათა მოძრაობა! და თუ ჩვენ სწავლას გავყევით,—ერიჰააა... ცხოვრება სულ სხვა გზით წავა და ჩვენ კი გარიყული დავრჩებით.

ჩვენი კამათი გადაუწყვეტელი დარჩა. მე ჩემს აზრს ვიცავდი ბოლომდის, გიორგი კი თავისას გაიძახის და წავა კიდეც ბათუმში..

მაისის 30.

**დემონსტრაცია მიცვალებულით.**

გუშინ იაკინთე მოვიდა ჩვენთან. „ოთხი ძმა“ წაუკითხავს და აღფთოვანებულია. ახლა ის უკვე ორგანიზაციის წევრია. მან გადმოგვცა რომ კვირას, ე. ი. დღეს, მუშები ასაფლავებენ ერთ ამხანაგს, რომელიც ოპერაციის დროს გარდაცვლილა საავადმყოფოში.

მუშებს გადაუწყვეტიათ დასაფლავებას ყველა დაესწროს და სამარემდის გააცილოს ამხანაგი. საჭიროა თქვენი წამოსვლაცო, შესაძლებელი იქნება, გახდეს სიტყვის თქმაო.

დღეს დანიშნულ დროსთვის მივედით საავადმყოფოსთან. საავადმყოფოსთან კარგა ბლომათ მოეყარათ

თავი ამხანაგებს და ჯგუფებათ დაგროვებული გამოსვენებას უცდიდენ.

მწუხარება ამხანაგის დაკარგვის გამო და სიხარული შეკრებილ ამხანაგების შეხვედრისა,—ერთმანეთშია გადახლართული.

და ყველას თვალი უბრწყინავს. შეხედავ თუ არა ამხანაგს, იბზევა უხილავი სხივი, ერთმანეთს რომ აახლოებს.

შეხვდები ნაცნობს და გიხარია, მასაც რომ აქ ხედავ. ეს იმას ნიშნავს რომ ის ჩვენია, ამხანაგია.

და ეს მიზეზი, მიცვალებული ამხანაგის კუბოსთან შეკრებისა, საშუალებას გაძლევს თვალი მოავლო და გაიგო,—კიდევ რამდენი ამხანაგი მომატებია მებრძოლთა რიგებს...

და ყველა მედიდურობს, გულში ყველა ზვიადათ იძახის: აი, ხომ ხედავ, მეც აქა ვარ!..

აქ მხოლოდ ამხანაგები არიან შეკრებილნი...

მიცვალებული გამოასვენეს, ყველა ცდილობს ხელი მოკიდოს კუბოს, მაღლა ასწიოს.

იაკინთეს ქუდი ხელში ჩაუბღუჯნია და საქმიანი—მზრუნველიანი სახით ხან ერთ ამხანაგთან მივა და რაღაცას ეტყვის, ხან მეორესთან. ჩვენ კენაც გამოიხედავს და მერე კვლავ კუბოს მიუახლოვდება, ამხანაგს შესცვლის და კუბოს მარჯვენა ხელით უფრო მაღლა ასწევს.

მოხდილი ქუდებით კუბოს უკან მივყვებით, გავივლით თბილისის ახმაურებულ ქუჩებს.

როცა თბილისს ვსტოვებთ და ლიანდაგის იქით სასაფლაოს აღმართს შევუდგებით,—იქვე მოსახვევში გვხვდება მწკრივი ცხენოსან ყაზახებისა.

ჩვენც არაფერს შევიმჩნევთ, თუმცა ვიცით რაშიც არის საქმე. ცხენოსნები უკან გამოგვყვებიან იმავე დინჯი ნაბიჯით, როგორც ჩვენ მივდივართ.

ეს გარემოება ჩვენში ერთნაირ გულის ღიზინს იწვევს და ახლა უფრო ვგრძნობთ, თუ როგორი მახლობელი ვართ ჩვენ ერთმანეთის...

შევდივართ სასაფლაოს გალავანში. აგერ ამოთხრილი საფლავიც... და კუბოს დავასვენებთ თუ არა, ახლად ამოთხრილ საფლავის ჯერ კიდევ სველ მიწაზე,—უკანა რიგებიდან გვესმის მათრახების ტყლაშა-ტყლუში და შეძახილი: разойдись, разойдись!.. а то нагайкой разгоню!

ბევრი პროტესტს აცხადებს, ზიზღით შეხედავს ცხენოსან ყაზახებს,—მაგრამ ძლეული,—გზას გაუდგება და დაღმართში დაეშვება.

ჯგუფებათ მირბიან, საფლავის ქვას ახტებიან, ცხენებით მისდევენ, ხეებს ამტვრევენ... ყვირილი და გინება ერთმანეთშია არეული.

სასაფლაოს ალაყაფის კარებთან ჩასაფრებული რამდენიმე ყაზახი მზათ არიან მათრახით ხელში ყველა ცდილობს ეს ალაგი ისე გაირბინოს, რომ მათრახი აიცდინოს, ხოლო დაგეშილი ცხენი ყაზახისა ისე მოქნევით დახტის დაფანტულ ამხანაგთა შორის, რომ მათრახი ბეჭებში აუცილებელია.

და თვითეული ცდილობს, ისე წაიკუზოს რომ მოქნეული მათრახი ზურგში მოხვდეს და არა სახეზე.

მიცვალებულთან მხოლოდ ნათესავები და მესაფლავეები რჩებიან.

ჩვენ გზატკეცილ დაღმართზე დავეშვით. გამარჯვებული ყაზახები უკან მოგვდევენ მათრახების ცემით.

უცბათ ჩემს თვალ წინ იაკინთემ გაირბინა. ზურგზე ხელს ისვამდა. მერე გვერდით გახტა და პატარა გორაკზე ავიდა. ამავე დროს უკან მივიხედე. ცხენოსან ყაზახს მკლავში ქვა მოხვდა. გამწარებული ყაზახი ჭენებით გამოექანა და დაუნდობლათ იწყო ცემა. ჩვენ აქეთ-იქით გავიფანტეთ.

თითოეულათ ჩამოვიპარეთ თბილისში. და ჩვენ გვიხარია რომ დემონსტრაცია მაინც მოხდა. ერთმანეთს ვუამბობთ თავგადასავალს და ვიცინით, ვიცინით სირბილსა და მათრახის ცემას რომ ვიგონებთ...

**დ. ლიხელი.**

# ქართული ლიტერატურა.

## VI.

ნიკო ნიკოლაძის სამწერლო მოღვაწეობა ქართული კრიტიკის და პუბლიცისტიკის ასპარეზზე, გაგრძელდა ოთხი წელიწადი —1870—74. წლამდი. ქართულ ლიტერატურას ამ ხანებში მიეცა დიდი ძალა და მნიშვნელობა და იქ სრულიად გამოიხატა დიდი ეპოქის მაბრძოლი და პრაქტიკული ხასიათიც. ქართული ლიტერატურის უმთავრესი გულის წადილი და იდეალი ისეთი წარმტაცი და მიმზიდველი იყო მაშინ, რომ თფილისის საზოგადოება, განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა, დიდი გულისყურითა და გატაცებით ადევნებდა თვალყურს ქართული კრიტიკის და პუბლიცისტიკის მსჯელობას და აზროვნებას. თვით პ. იზმაილოვი, რომელიც ასე დაუზოგველობით დაეტაკა ქართველობას 90-იან წლებში, ქალაქ-ს არჩევნებზე, „კრებულ დროების“ რედაქციაში ათენ-ალამებდა და ნიკო ნიკოლაძის სტატიები დაქონდა სტამბებში დასაბეჭდათ...

1874 წელს, ჟურნალი —„კრებული“ გადაეცა კირილე ლორთქიფანიძეს და „დროების“ რედაქტორობას განაგრძობდა სერგი მესხი. 1875 წ. თფილისში თავად-აზნაურობამ დაიარსა საადგილ-მამულო ბანკი და, ნიკო ნიკოლაძის რჩევითა და მეცადინეობით, ამ ბანკის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ილია ჭავჭავაძე. ორი წლის შემდეგ, 1877 წელს ილიამ საკუთარი სალიტერატურო ორგანოს კვირეული ჟურნალის „ივერიის“ გამოცემა დაიწყო „ივერია“ კვირაში ერთხელ გამოდიოდა სტამბიდან მთელი ორი წლის განმავლობაში—1877—78 წლებში. ამ ჟურნალს კრიტიკული განყოფილება არ ქონებია და არც ერთ ნომერში კრიტიკა არ დაბეჭდილა.

1879 წელს, „ივერია“ თვიურ ჟურნალათ გამოდიოდა და ჟურნალის სახით იარსება შვიდი წელიწადი—1886 წლამდი. სამწუხაროთ, არც ამ საკმაოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ჟურ. „ივერიაში“ არ ყოფილა კრიტიკული განყოფილება, რომ ყოველ თვიურათ ქართველ კრიტიკოსს თვალყური ედევნებია, განეხილა და

შეეფასებია სხვადასხვა გვარი ქართული ლიტერატურული ნაწერების საზოგადო ხასიათი და მიმართულება, ავიდა კარგი. ჟურნალი „ივერიის“ ხელმძღვანელმა ჩვენზე ნაკლებ არ იცოდა, რომ მწერლობის აყვავებისათვის, გაძლიერებისათვის კრიტიკა იყო საჭირო. მარტო ის როდი კმარა, რომ, რაკი რედაქტორმა დასაბეჭდი სტატია, ლექსი ან და პიესა მოიწონა და ჟურნალში დასტამბა; ეს და მარტო ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ ნაწერი ნიჭიერათ არის დაწერილი. მარტო ეს ერთი გარემოებაც, ესე იგი, ნაწერის ავტორის ნიჭებულობაც, რომ მტკიცდებოდეს, განა მარტო ამით უნდა კმაყოფილდებოდეს ლიტერატურა, საერთოდ და თვიური სალიტერატურო საპოლიტიკო ჟურნალი, კერძოთ? სრულიადაც არა. რა არის, მერე, მწერალი რო ნიჭიერია. მწერალი მიუცილებლათ უნდა აიწონ-დაიწონოს და შეფასდეს. კრიტიკამ უნდა ახსნას მწერლის ტალანტის ხასიათი და მიმართულება, რა პირობებში გაფურჩქვნილა, აყვავებულა და გაშლილა ტალანტი, რა გავლენა და ზედმოქმედება მოუხდენია მასზე რასის, ჯავის, ადგილ-მდებარეობას და მემკვიდრეობას, რა იდეებს, გრძნობებსა და რა შთაბეჭდილებას მოუხდენია მასზე გავლენა, რა თვისებისა და გავლენისა არის ავტორის ნაწარმოები, როგორ, რა სიღრმით და ძლიერებით გამოუხატავს მწერალს თავისი დროის, თავისი ეპოქის საზოგადო მდგომარეობა, გულის წადილი და იდეალი და, ბოლოს, როგორი დასკვნა, რა ჯამი უნდა გაუკეთოს ჩამომავლობამ, შემდეგმა თაობამ ნიჭიერი მწერლის სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ეს სულ ყველაფერი ისეთი დიდი საკითხებია, რომელიც შუქსა ფენს და ანათებს მწერლობის ეკლიან სავალ გზას და ღრმა, ძლიერს კვალსაც სტოვებენ ადამიანის გულსა და სულში.

რასაკვირელია, ყველაფერი ეს ჩვენზე უკეთაც ესმოდა ჟურ. „ივერიის“ ხელმძღვანელს, მარა იმას გარემოება გასაქანს არ აძლევდა..

ჯერ ქართული ლიტერატურის მდგომარეობა დღეს რა არის და, აბა, ადვილათ წარმოიდგენთ, მაშინ რა იქნებოდა. დღიურ გაზეთს—„დროებას“ სამასი ხელის მომწერელი არ ყოლია და თვიური ჟურნალისათვის, აბა, კაპეიკსაც ვინ გაიმეტებდა. ან სად იქნებოდა მაშინ საქართველოში წერა-კითხვის მცოდნე ხალხი, როცა სოფლათ კი არა, ქალაქ თფილისსა და ქუთაისში ორიოდე სასწავლებელი თუ იყო. ახლა ამას მიუმატეთ ჩვენი ერის სხვადასხვა მხარის უგზო-უკვლობა, კარჩაკეტილობა და მაშინ წარმოიდგენთ, მწერლობის სიგლახაკე ამაზე უარესი თუ სადმე იქნებოდა კიდევ...

1881 წ. 1 მარტს ნაროდოვოლცებმა პეტერბურგში მოკლეს ალექსანდრე II რომანოვი. ამ გარემოებამ გააცოცხლა პეტერბურგსა და მოსკოვის ცხოვრება. დიდათ გაცოცხლდა და ახმაურდა პრესა, უნივერსიტეტები, ერობისა და ქალაქის ასპარეზზე მომუშავე მოღვაწენიც. საქართველოც გამოეხმაურა, რა თქმა უნდა, ამ გაღვიძებულს ცხოვრებას, თფილისშიაც და ქუთაისშიაც გაცოცხლდა ქართველობა, ჩვენი ინტელიგენცია და სტუდენტობა და ასაკში მოსული მოსწავლე ყმაწვილკაცობა. ფრთები შეესხა ქართულ ცხოვრებასაც და თეატრსაც. ამ ქალაქებში ხშირად იმართებოდა კრებები, სადაც მსჯელობდენ და კამათობდენ პოლიტიკურ, ეკონომიურ და დიდ-დიდ საერთო საქმეებზე.

ამ მოძრაობამ გამოიწვია ის, რომ დაარსდა მეორე ჟურნალი—„იმედი“, სათეატრო გაზეთი—„თეატრი“, პედაგოგიური ჟურნალი—„ნობათი“ და ქანანოვის რედაქტორობით სტამბიდან გამოვიდა დიდი დღიური გაზეთი „მოამბე“.

მარა ყველა ამ ორგანოებზე უფრო საყურადღებო იყო ის ამბავი, რომ დასავლეთ საქართველოში ქუთაისში პირველათ იწყო სტამბიდან გამოსვლა ძლიერ სერიოზულმა კვირეულმა ორგანომ— „შრომამ“.

გაზ. „შრომის“ ოფიციალური რედაქტორი იყო ქუთ. მიხაილოვის სადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე დიმიტრი დადიანი. ფაქტიური რედაქტორი და კორექტორი ამ გაზეთისა იყო ცნობილი ქართველი 60-იანი წლების ლიბერალი—კირილე ლორთქიფანიძე.

**ხომლელი.**

* *
*

ნისლმა დაჰფარა მთათა მწვერვალნი,
ხედვა წაართვა დაუფსო თვალნი.
კაცსა წაერთვა ცნობისა ძალნი,—
ცამდის არს მთანი ზეალმავალნი.

ეგრეთვე გული არს სახიჩაროს,
ვით მთანი ნისლით—სევდით ბურვილნი.
ეგრეთ ვინ იცნობს, რაოდენ არის
მის გული სევდით შემობურვილი.

ქარმა დაჰბერა, მთისკენ გასწია,
დააწყებინა ხეებს კანკალი,
შემოაძარცვა შემოხვია
ნისლი ბურვილი— მის თავსაფარი.

სულ გაუჩხრიკა ჯიბე და უბე,
ღარდებს ეწვია, კლდენი გაჰკოცნა,
ჯაგებში გაწვა, გაროზგა გუბე,
მთაც გამოჩნდა რა, ნისლი გასტყორცნა.

მაგრამ გულსა სახიჩარისას
ვინ შემოახევს დარდსა და ფიქრსა!
ვის ხელებს ძალუძს, ვისას და რისას,—
გასწმენდოს გული, დაიხსნას ჭირსა?

ახ, ნეტავი შენ, მთაო მაღალო!
არ არს მუდმივი შენი მობურვა!
ჰოი, საცოდავო, ჰოი, სახიჩარო,
შენში ხომ მუდამ არს ბედის მდურვა?!.

**გ. ლომთათიძე.**

# საერთაშორისო მუშათა კლასის პროფ. მოძრაობის გაერთიანება

დღეს საერთაშორისო მუშათა პროფესიონალური მოძრაობა დაქსაქსულია რამდენიმე ნაწილად, არსებობს პროფკავშირების ორი მთავარი საერთაშორისო ცენტრი: ამსტერდამის ინტერნაციონალი და პროფინტერნი.

პირველში უმთავრეს როლს ინგლისის და გერმანიის პროფკავშირები თამაშობენ. მეორეში—რუსეთის.

ამსტერდამის ინტერნაციონალი და პროფინტერნის გარეშე კიდევ არიან დარჩენილი ზოგიერთი ქვეყნების პროფკავშირები, მაგალითად ამერიკის, ნორვეგიის და ფილანდიის, რომლებიც არც ერთ ინტერნაციონალში არ შედიან.

საერთაშორისო მუშათა კლასის ასეთი გათიშვა-დაქსაქსვა, ცხადია, მათ ძალებს დიდათ ასუსტებს და ამით უადვილებს მათ მტრებს—კაპიტალისტებს მუშათა კლასზე იერიშების მიტანას.

მუშათა კლასში რღვევის შეტანა, მისი ძალების დაქუცმაცება, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯგუფებად განაწილება და ერთი მეორეზე გადაკიდება მისისიანება—საერთაშორისო ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება.

ბურჟუაზია ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავს, არავითარ საშუალებებს არ ერიდება ოღონდ თავის მოწინააღმდეგე—მუშათა კლასი დაასუსტოს.

მუშათა კლასის სისუსტეზეა დამოკიდებული კაპიტალისტების კეთილდღეობა.

ძლიერი, ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებული მუშათა კლასი კაპიტალისტებს თავზარს სცემს, მათ ბატონობას საფრთხეს უმზადებს.

საერთაშორისო ბურჟუაზიამ ბევრი ისარგებლა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, მუშათა მოძრაობის რამდენიმე მიმდინარეობათა დაყოფით, მუშათა კლასის გათიშვით.

მუშათა კლასის ბრძოლა სამუშაოს ხელფასის გადიდებისათვის, სამუშაო დროის შემცირებისათვის და საერთოდ მათი ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად, ყველგან დამარცხებით გათავდა. დღეს მუშათა კლასის მდგომარეობა ომამდე არსებულ მდგომარეობაზე გაცილებით უარესია, გაცილებით მძიმეა მუშათა კლასის მდგომარეობა გერმანიაში, იტალიაში, ავსტრია-უნგრეთში, პოლონეთში და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში. უმუშევრობა ყველგან მატულობს, განსაკუთრებით საშინელ ხასიათს ღებულობს ის ინგლისში და გერმანიაში.

დღეს ევროპაში ვალიუტის სტაბილიზაცია, და საერთოდ კაპიტალისტური წარმოების გამაგრება უმთავრესად მუშათა კლასის ხარჯზე ხდება.

ევროპაში რეაქცია დღითი-დღე ძლიერდება, ინგლისში კონსერვატორების მთავრობის შექმნა, გერმანიაში ნახევრად მონარქისტული მთავრობის შედგენა, პრეზიდენტად მონარქის გინდენბურგის კანდიდატურის წამოყენება, საფრანგეთში მემარცხენე ბლოკის მთავრობის გადადგომა, პოლონეთში ბაგირსკისა და ვეჩერკევიჩის დახოცვა, იტალიაში მუსოლინის თარეში და სხვა მრავალი—საერთაშორისო რეაქციის გაძლიერების საუკეთესო სურათს იძლევა.

ევროპის მუშათა კლასს არ შეეძლო ყოველივე ამისათვის ყურადღება არ მიექცია. რეაქციის გაძლიერების დროს მუშათა კლასს არ შეუძლია დადგეს, ხელები გულზე დაიკრიფოს, ვინაიდან ის თვითონ არის ობიექტი გაძლიერებულ რეაქციის თარეშისა. რეაქციის სუსხის ატანა მას უხდება.

დღეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში დიდი გარდატეხა ხდება, მემარცხენე უმცირესობის გავლენა თანდათან იზრდება, მუშათა კლასი გამემარცხენების გზაზეა შემდგარი.

თუ წინათ ამსტერდამის ინტერნაციონალს მოსმენაც არ სურდა წითელ პროფინტერნის წინადადების მუშათა პროფესიონალურ მოძრაობის მთლიან ფრონტის შექმნის შესახებ, დღეს ის, ინგლისის ტრედუნიონების გავლენით, განსაკუთრებულ სხდომებსაც კი იწვევს ამ წინადადების განსახილველად.

მართალია, თებერვალში ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე უარყოფილი იქმნა რუსეთის პროფკავშირების წინადადება საერთაშორისო მუშათა კონგრესის მოწვევის შესახებ, მაგრამ ამით ბრძოლა მუშათა მოძრაობის გასაერთიანებლად და ერთ მთლიან ინტერნაციონალურ პროფესიონალურ ორგანიზაციის შესაქმნელად არ შეწყვეტილა.

რუსეთის პროფკავშირების წინადადებას გამოეხმაურენ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების პროფკავშირების უმცირესობანი, რომლებიც მოითხოვენ დაუყონებლივ პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.

ინგლისის ტრედუნიონების გენერალურმა საბჭომ, მემარცხენე უმცირესობის ზეგავლენით დაადგინა, მოეწვიათ რუსეთის პროფკავშირების დელეგაციისა და ინგლისის ტრედუნიონების გენერალურ საბჭოს დელეგაციის კონფერენცია, რომელსაც უნდა განეხილა ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის რეზოლიუცია ერთიან ფრონტის შექმნის შესახებ.

6 აპრილს ლონდონში მოწვეული იქნა კონფერენცია, რომელზედაც მოხდა სრული შეთანხმება ინგლისის და რუსეთის პროფკავშირების დელეგაციებს შორის, მიღებული იქნა მნიშვნელოვანი დადგენილება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გაერთიანების შესახებ; დაწვრილებითი ტექსტი შეთანხმების გამოქვეყნებული იქნება ინგლისისა და რუსეთის პროფესიონალურ ორგანიზაციის უმაღლეს ინსტანციებში დამტკიცების შემდეგ, პროფმოძრაობაში მთლიანობა, როგორც ნაციონალური ისე საერთაშორისო მასშტაბით აუცილებელ პირობად არის ცნობილი კონფერენციის მიერ—მუშათა კლასის პროფ მოძრაობის კაპიტალისტების თავდასხმისაგან დასაცავად. ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის მიიღებს ზომებს რათა დაითანხმოს ამსტერდამის ინტერნაციონალი ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე კონფერენციის მოწვევაზე, სადაც მოხდება რუსეთის პროფკავშირების წარმომადგენელთან ერთად თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა აზრების საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის შესახებ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის დელეგაცია თავის განცხადებას შეასრულებს. დღეს საერთაშორისო პირობები ისეთია, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ერთი მხრივ ინგლისის

6 მილიონ შეკავშირებულ მუშების და მეორე მხრივ რუსეთის 6 მილ. მუშების წარმომადგენლების შეთანხმებას.

დღემდის დაქსაქსული მუშათა ოჯახი უნდა გაერთიანდეს. საერთაშორისო ექსპლოატატორების მთლიან ფრონტს უნდა დაუპირდაპირდეს მუშათა კლასის მთლიანი ფრონტი, მუშათა კლასის გათიშვა-დანაწილებას ბოლო უნდა მოეღოს. მუშათა ძალების გაერთიანება თავდებია გამარჯვების.

კაპიტალიზმის განვითარება ახალი ომების საშინელებას ამზადებს, მუშათა კლასის სიძლიერეზე და ნების სიმტკიცეზეა დამოკიდებული ამ საშინელების თავიდან აცდენა.

საერთაშორისო მუშათა კლასის გაერთიანება ეკონომიურ ფრონტზე ნიადაგს მოუმზადებს მის პოლიტიკურ ფრონტზე გაერთიანებასაც.

ენ.

# კოოპერაცია საქართველოში

ამ ორი-სამი წლის განმავლობაში კოოპერაცია ჩვენში ძალზე განვითარდა. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ასე გაფართოებული ის არ ყოფილა არც დემოკრატიული რესპუბლიკის დროს და მით უმეტეს არც მეფის თვითმპყრობელობის დროს. კოოპერატივებით დღეს დაფარულია თითქმის მთელი საქართველო; კოოპერაცია უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ალებ-მიცემობის საქმეში. სავაჭრო ბრუნვის 50—60 პროცენტი, ზოგან ნაკლები, ზოგან კიდევ მეტი,—კოოპერაციაზე მოდის. იგი დღეს მეტად დიდი წონის მქონე სოციალური ძალაა. ამიტომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება—მივაწოდოთ მკითხველს ზოგიერთი ცნობები ჩვენი კოოპერაციის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და ალვნუსხოთ გაკვრით ის საკითხები, რომლებიც დღეს საჭირ-ბოროტო საკითხებათაა გადაქცეული კოოპერაციისათვის.

ავილოთ საქართველოს მთავარი კოოპერატიული ორგანიზაციები. ასეთებია: ცეკავშირი, წარმოკავშირი*), თბილისის მთლიანი მუშკოოპი, ბათუმის მუშკოოპი და ამიერ-კავკასიის სატრანსპ. საზ-ბის განყოფილება საქართველოში. ამ ორგანიზაციებში შეკავშირებულია დაახლოვებით 152.500 წევრი. ხსენებული კოოპერატივების **საკუთარი თანხა** მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) უდრიდა 1.849.611 მანეთ; აქედან **საპაიო კაპიტალი** იყო 157.832 მან., ე. ი. ძირითადი კაპიტალის 8.5 პროცენტი. საკუთარი თანხის ზრდა გასული საბ. წლის განმავლობაში შემდეგის სით მიმდინარეობდა: პირველ კვარტალში (1924 წ. ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი) იგი უდრიდა 1.268.422 მანეთს, მე-2 კვარტალში—1.280.889 მ., მე-3—1.604.168 მ. მეოთხეში—1.714.862 მ. და მიმდ. წლის პირვ. კვარტალში, როგორც აღვნიშნეთ,—1.849.611 მანეთს. როგორც ვხედავთ, მართალია, საერთოდ საკუთარი თანხის რაოდენობა მცირეა, მაგრამ მისი ზრდა თანდათანობითა და ნორმალურად სწარმოებს. ასეთივე სურათს იძლევა საპაიო კაპიტალის ზრდაც. დასახელებულ ორგანიზაციებში ყველაზე დიდი საკუთარი თანხა აქვს ცეკავშირს (1.191.535 მან.), შემდეგ მიდის თბილისის მთლიანი მუშკოოპი (532.975 მან.) და სხვა.

კოოპერატივების **საერთო ბრუნვა** მიმდ. საბიუჯ. წლის პირველ კვარტალში უდრიდა 6.442.387 მანეთს. ბრუნვის ზრდა შემდეგ სურათს იძლევა: გასული წლის პირველ კვარტალში საერთო ბრუნვა იყო—3.015.443 მან., მეორეში—3.076.362 მ., მესამეში—4.479.210 მან., მეოთხეში—7.151.381 მ. და მიმდ. წლის პირველ კვარტალში, როგორც უკვე ვსთქვით, ბრუნვა იყო 6.442.387 მან. როგორც ციფრები გვიჩვენებენ გასულ წლის ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში კოოპერაციის ბრუნვამ საგრძნობათ იკლო—709.994 მანეთით წინა კვარტალთან შედარებით. ეს მოვლენა უმთავრესად აიხსნება სავაჭრო პოლიტიკის ახალი პრაქტიკით და იმით, რომ კოოპერაციის მიმართ აღებული იქნა ახალი კურსი, შეუმცირეს საბანკო კრედიტები და სხვა. ბრუნვის მხრივ პირველი ალაგი უჭირავს თბილისის მთლიან მუშკოოპს (2.476.752 მან.), მეორე—ცეკავშირს (1.515.160 მან.), მესამე—ამ. კავკ. სატრ. მომხ. საზ-გას (1.141.937 მ.) და სხვა. საერთო ბრუნვის შემცირება მიმდ. საბ. წლის პირველ კვარტალში მთლიანად ცეკავშირზე მოდის: წინა კვარტალთან შედარებით მისმა ბრუნვამ დაიკლო 3.195.663 მანეთიდან 1.515.160 მანეთამდე ე. ი. 1.680.503 მანეთით.

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოოპერაციის ცოტაოდენ წაკოჭლებას ბრუნვების მხრივ უკანასკნელ კვარტალში, ზემოთ მოყვანილ ცნობების თანახმად ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოოპერაცია ჩვენში სრულიად ნორმალურად ვითარდება: თანდათანობით და მტკიცედ მატულობს საკუთარი თანხა, იზრდება ბრუნვა, წევრებისა და კოოპერატიული პუნქტების რაოდენობა და სხვა—მაგრამ თუ ჩვენ გადავშინჯავთ კოოპერაციის ვალების პორტფელს, მაშინ ჩვენს წინ მეტად დამაფიქრებელი სურათი გადაიშლება. ეს საკითხი არის დღეს თავსამტვრევი საკითხი თითქმის ყველა კოოპერატივებისათვის. ამიტომ საჭიროა ამას უფრო დაწვრილებით შევეხოთ.

კოოპერაციის **საერთო დავალიანება** $^{24}/_{25}$ წლის პირველ კვარტალში უდრიდა 9.181.200 მანეთს, ე. ი. [საკუ]თარი თანხის 496.4 პროცენტს, ანუ 5-ჯერ მეტ[ი] საკუთარ თანხაზე. დავალიანება შემდეგის სახით ი[ყ]ბოდა:

---

*) ცნობები ცეკავშირისა და წარმოკავშირის ცენტრებს შეეხება.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23/24 წ. | პირველ კვარტალში | დავალიანება | იყო — | 2.781.968 მან., | ე. ი. | საკუთარი | თანხის | 219,3% |
| „ „ | მეორე | „ | „ | „ 3.653.773 | „ | „ | „ | „ 285,2% |
| „ „ | მესამე | „ | „ | „ 4.444.332 | „ | „ | „ | „ 277,0% |
| „ „ | მეოთხე | „ | „ | „ 6.315.471 | „ | „ | „ | „ 368,3% |
| 24/25 „ | პირველ | „ | „ | „ 9.181.200 | „ | „ | „ | „ 496,4% |

იგივე სურათია ცალკე კოოპერატივებშიაც, რასაც გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი*).

ჯამი მანეთებში.

| კოოპ. ორგანიზაციები | 23/24 წ. I კვარტ. | მე-II კვარტ. | მე-III კვარტ | მე-IV კვარტ. | 24/25 წ. I კვარტ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცეკავშირი (ცენტრი). | 1.321.042 | 2.034.503 | 2.225.055 | 2.982.220 | 4.390.580 |
| წარმოკავშირი (ცენტრი) . . . . | 726.494 | 897.753 | 1.351.410 | 2.044.034 | 2.720.000 |
| თბილისის მთლიანი მუშკოოპი. . . | 690.790 | 668.399 | 806.517 | 1.201.715 | 1.937.576 |
| ბათუმის მუშკოოპი . | 43.642 | 53.118 | 61.359 | 87.512 | 133.044 |
| ს უ ლ. . | 2 781.968 | 3.653.773 | 4.444 332 | 6.315.471 | 9.181.200 |

პროცენტულად საკუთარ თანხასთან შედარებით დავალიანება შეადგენს: ცეკავშირისათვის ძირითადი თანხის 368,5%-ს, ე. ი. დაახლოვებით სამნახევარჯერ დიდია საკუთარ თანხაზე, თბილ. მთლიანი მუშკოოპისათვის —363.4%-ს, დიდია სამნახევარჯერ, წარმოკავშირისათვის— 27-ჯერ, ბათუმის მუშკოოპისაათვის—ხუთნახევარჯერ. საერთოდ კი: 23/24 საბ. წლის პირველ კვარტალში კოოპერაციის საერთო დავალიანება ორნახევარჯერ დიდია მათ საკუთარ თანხაზე, მე-2 კვარტალში — 2,8-ჯერ, მესამეში—2,8 ჯერ, მეოთხეში—3,7-ჯერ, ხოლო მიმდ. წ. პირველ კვ-ში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხუთჯერ.

როგორც ვხედავთ, საერთო დავალიანება მაჯლაჯუნასავით აწევს დღეს საბჭოთა საქართველოს კოოპერაციას (ასეთივე სურათია თითქმის მთელს საბჭოთა კავშირში) და მას ხელ-ფეხის შებორკვას უპირებს. ამ მოვლენის მიზეზი იმ თავისებურ პირობებში უნდა ვეძებოთ, რომელშიაც კოოპერაციამ იწყო თავისი მუშაობა. მას თავიდანვე არ გააჩნდა საკმაო საკუთარი თანხა; ხოლო რაკი კოოპერაციის გაძლიერება. ხალხის ფართო მასსების შეკავშირება კოოპერაციაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში მომენტის აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენდა, საბჭოთა ხელისუფლებამაც სერიოზული ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და წაახალისა კოოპერაცია მუშაობაზე სახელმწიფო კრედიტების გახსნით. ამრიგად, კოოპერაციას ფაქტიურად თითქოს მთავრობის მთელი კავშირის კოოპერაციის ძირითადი თანხის გასაძლიერებლად ორგანოების ხასიათი მიეცა და ამდენადვე თავიდანვე სუსტი იყო მასში ხალხის ფართო მასსების თვითმოქმედების მაჯის ცემა. ამას მოწმობს, სხვათა შორის, კოოპერაციის სალსრებში საპაიო თანხის შედარებითი სიმცირე და სხვ. მოძრაობის ზრდას თითქოს ჰიპერტროფიული ხასიათი ემჩნევა, და კოოპერაცია მუდამ წამს შესაძლებელია დადგეს გაკოტრების საფრთხის წინაშე. საკმაო შეიქნა გასული წლის მიწურულში ცოტაოდენი გადახრა ახალი სავაჭრო პრაქტიკისაკენ და კოოპერაციისათვის კრედიტების შეკუმშვა ბანკების მხრივ, რომ კოოპერაცია შეტორტმანებულიყო და მის სავაჭრო ბრუნვას სერიოზული კრიზისები განეცადა.

ამ ჟამად ეს კითხვა იპყრობს პრესისა და განსაკუთრებით კოოპერატორებისა და უმაღლეს ეკონომიურ ორგანოების მთელს ყურადღებას. თათბირები თათბირებზე იმართება. კითხვა ისმება ძირეულად, მთელი სიგრძე სიგანით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დავდაცვისა და შრომის საბჭოს თათბირის მიერ ამ რამოდენიმე დღის წინად მიღებული რეზოლიუცია კოოპერაციის შესახებ. რეზოლიუციაში გათვალისწინებულია 10 მილიონი მანეთის გადადება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბჭოთა კავშირის კოოპერაციის ძირითადი თანხის გასაძლიერებლად გრძელ ვადიანი სესხის სახით, აგრეთვე კრედიტებისა და ანგარიშ-გასწორების პირობების გაადვილება კოოპერაციისათვის სახელმწიფო მრეწველობასთან გარიგების დროს და სხვა. ჩვენის აზრით, 10 მილიონი ლიერებლად ძალზე მცირეა. რასაკვირველია, ეს დიდი დახმარებაა, მაგრამ იგი არსებითად ვერ შესცვლის მდგომარეობას. გადამჭრელი ნაბიჯები მდგომარეობის გასაჯანსაღებლათ ისევ კოოპერაციამ უნდა გადადგას,—ჩაითრიოს, რაც შეიძლება, უფრო ფართო მასსები კოოპერაციაში და ასწიოს მაღლა მათი დაინტერესება კოოპერატიული მოძრაობით.

Z.

*) ცნობებში დავალიანების შესახებ არ შედის ამ.-კავკასიის სატრ. მომბ. საზოგადოების დავალიანება.

# საქართველოს სიმდიდრე და მისი ეკონომიური აღორძინება

საქართველოს ტყეების ისეთი ექსპლოატაცია, როგორც დღეს სწარმოებს, პირდაპირ ველურობაა. შეშისათვის ნადგურდება საუცხოვო ჯიშის ხეები; რომელსაც კულტურული ქვეყნები, ძვირფასი ავეჯეულობის მასალად გამოიყენებდენ. ყოფილა შემთხვევა, რომ ვენახის სარებათ დაუპიათ ურთხელა (პირველ ხარისხოვანი წითელი ხე) ძელქვა, წაბლი და მუხის ისეთი მორები, (შუა ხის ტანი) რომელშიაც რვა ვერშოკიანი 1×8 ვერშ.×4 არშ. ექვსი ფიცარი მათი საუცხოვო გულის ნაწილიდან გამოვიდოდა (რომელსაც არ მკილავს) და რომელიც აქაც მოსახმარია და, საზღვარგარეთ გასატან ვალიუტის საქონელს წარმოადგენს. თუთის, ნიგვზის ნეკერჩხალის, კოპიტის და წიფელის მორებიც ხშირათ შეშისათვის იღუპება, მაშინ როდესაც ამ ხეებიდან პანერასაც კი ამზადებენ და ოქროს ვალიუტის საქონელია. რომელი ერთი მოქმედება უნდა ჩამოთვალოს კაცმა, რომ ამოსწუროს ყველა ის, რაც ანადგურებს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს.

ჩემის აზრით უნდა მოხდეს ტყეების დაზოგვა და რაც შეიძლება მალე გადასვლა ნახშირის ხმარებაზე, ცნობილია, რომ თითქმის მთელი ოკრიბის მხარე, დაწყებული გელათიდან, ნაქერალის მთამდე, სიგრძით და სიგანით ორმოცი ვერსი, სულ ქვანახშირზე დგას, ასევეა შორაპნის მაზრაში სოფელ შროშის მიდამოებში. ღირსებით ეს ნახშირი იმდენათ ნაკლებია, რომ ის საზღვარგარეთ გასატან ვალიუტის საქონლათ მგონი ვერ გამოდგეს, მაგრამ შინ სახმარად კი ის საუცხოვოა. გერმეტიულ ფეჩებში და პლიტაში კარგია. ბუხარშიაც არა უჭირს რა, სადაც საკვამლე მილი ცოტა განიერი 12 ვერშ.×12 ვერშ. აქვს. იქ საუცხოვოდ გუგუნებს მისი ცეცხლი, არავითარ სუნს არ უშვებს, გაცილებით მეტსა სძლებს და 5-ჯერ მეტს სითბოს იძლევა, ვიდრე მაგარი ხარისხის შეშა.

დღეს რომ გლეხს ფარღალალა სახლში ოთხი და ხუთი საჟენი შეშა არ ყოფნის და ზამთრის დროს წინ წივები ეწვის ცეცხლის სიმხურვალისაგან, უკანიდან კი ზურგი სიცივისაგან ეყინება, მას მთელ წელიწადს ეყოფა ასი, ას ორმოცდა ათი ფუთი ქვა ნახშირი იმ სახშიც კი რომელშიდაც ის დღეს ცხოვრობს (კედლების ფიცრებს შუა რომ კატა იოლად გაძვრება) და თუ ის შეიგნებს და თავის სახლს ბზეში აზელილ მიწით მაინც შელესავს, რომ ქარი არ შემოუქროდეს სახლში, უფრო ეყოფა და უფრო თბილათაც იცხოვრებს და გაცივებისაგან მჭვალებსაც ასცდება, რაც ხშირი მოვლენაა ჩვენი ხალხისათვის.

ჩვენი ქვეყნის ქვა-ნახშირის მარაგი საქართველოს, სათბობ მასალად ასეული წელი ეყოფა და მით დაიზოგება ჩვენი ქვეყნის სიმშვენიერე ტყეები, რომლის ექსპლოატაცია, მაშინ შესაძლებელი იქნება რაციონალურად აწარმოო, რითაც ტყეების მუდმივობაც დაიცვის და სავალიუტო საქონელიც დამზადდება. ამისათვის საჭიროა ეხლავე გაფართოვდეს ქვა-ნახშირის დამუშავება, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით, რომ მათ სრულიად დაკმაყოფილდეს ადგილობრივი მოთხოვნილება სათბობი მასალის სახით. შეშა, 100 ფუთი ქვა ნახშირის ასანთებათ, საჭიროა მხოლოდ 0,05 საჟენისა და ამისათვის ნახმარი უნდა იქნეს მხოლოდ უვარგისი დაბრანძული ხეები და ხის შტოები, ტანი კი ყოვლად მიუღებელია, რომ ფუჭდებოდეს შეშათ. მეტყვიან ამას ვერ შეეგუება დღევანდელი საზოგადოებაო. რა უყოთ რომ ცოტა უკმაყოფილება იქნება, ეს ყოველთვის ყოფილა და იქნება ახალი საქმის დაწყების დროს, მაგრამ ეს პირველ შემთხვევაში,—მერე კი ხალხი მიხვდება, რომ ეს ყველა მის კეთილდღეობისათვის ხდება,—მადრიელიც დარჩება. მახსოვს ვენახის ნამყენობა და მისი წამლობა შაპიამნით, ხალხს ეჩოთირებოდა, მაგრამ ახლა კი თითონ ეტანება მას. ნაწილი საზოგადოებისა რევოლიუციასაც ვერ შეურიგდა და უკმაყოფილებას აცხადებს, მაგრამ მას ვერ გაუწევს ანგარიშს ხალხის მოამაგე კულტურული საზოგადოება—ხელის უფლება. მან დაკვერითი შეტევა იცის ხალხის სასარგებლო საქმის გაკეთების დროს ყოველივე დაბრკოლების წინააღმდეგ და ამ საქმეშიაც ასე იმოქმედებს.

ყოველი კუთხე ჩვენი ქვეყნისა გამოსადეგია მეაბრეშუმეობისათვის. ხალხის საკმაო ნაწილიც მისდევს ამას, მაგრამ მეტათ პრიმიტიულათ. უმეტეს ნაწილს ვერ შეუგნია რომ აბრეშუმის ბლომად მოყვანისათვის, რაც შეიძლება მეტი თუთის ხე არის საჭირო. გლეხს, რომლის ოჯახში, ვიცი ორმოცი წელი განუწყვეტლივ ეწევიან აბრეშუმის მოყვანას, არ არის იმდენი თუთის ხე, რომ ნახევრობით მაინც ეყოს ერთ ყუთ აბრეშუმს და ქალები ათი და ხუთმეტი ვერსიდან ეზიდებიან ფუთობით და ტომრობით ფოთოლს, რა თქმა უნდა ნაყიდს, მაშინ, როდესაც მის ეზოში შეეძლო ხუთი წლის განმავლობაში მოეშენებია და მოეთავსებინა იმდენი თუთის ხე, რომ მას არამც თუ ერთი ყუთი, სამი ყუთი აბრეშუმისათვისაც ეყოფობა. რა დიდი საქმე არის ამ სასარგებლო ხის მოშენება. დამწიფდება თუ არა თუთის ნაყოფი, მოაგროვეე, გამოსჭყლიტე და დათესე ბოსტნის კვალზე და მეორე ან მესამე წელს შემოარგევი ყანას ან ბაღს გარშემო $1\frac{1}{2}$ არშინის დაშორებით ერთი მეორედან და თქვენ ხუთი წლის იქით რამდენიც გინდათ ფოთოლი გაქვსთ. შორიდან მოტანილი ფოთოლი არც კი ვარგა, ის სჭკნება-შრება გზაში, იჭმუჭნება და აღარ ვარგა აბრეშუმის საკვებათ, თანაც საძნელოა. მეაბრეშუმეობის გავრცელებასთან უპირველესათ ამ დარგს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. რა მოხელეა ციების გამავრცელებელი რთხმელები ყანების ან პალების ირგვლივ, სჯობია თუთის ხით შეიცვალოს.

ჩვენში მეფუტკრეობაც ცუდ პირობებშია,—მაშინ როდესაც, ამ საქმეს რომ შეგნებულად მოჰკიდებდეს ხელს ჩვენი ხალხი, ჩვენში დამზადდებოდა მილიონამდი ფუთი თაფლი, ამისათვის უნდა გამრავლდეს ცაცხვის ხეების დარგვა ყოველ მეკვამურისაგან თუნდ კიდე-კიდურ უვარგის ადგილებში, ეზოში საჩრდილებლად. თითოეულმა მეკვამურმა უნდა გააშენოს აგრეთვე $\frac{1}{4}$ ქცევისა აკაციის ტყე ხშირათ დარგული. ეს ხეები საუცხოო ყვავილს იძლევიან ფუტკარისათვის. ეხლა კი, როცა ცაცხვის ტყეები უგნურად გაიჩეხა და სხვა ყვავილი კი იმერეთში, მაგალითად, არ მოიპოვება, აგერ ორმოცი წელია რაც მთლად მოისპო ფუტკარი. მახსოვს ჩემს პატარობაში ქუთაისის მაზრაში თითქმის ყველა ოჯახს ყავდა ფუტკარი და შესანიშნავს კარგ თაფლსაც ამზადებდნენ. მას აქეთ, რაც სოფლადაც და ტყეშიდაც მოსპეს ეს საუცხოო ჯიშის

ხეები, სულ მოისპო ფუტკარი და თუ სადმე ბჟუტავს ორიოდე ძირი, თაფლი ჰვარტლის ფერი, უგემური და მაწრუალაა, რაც იმას მიეწერება, რომ ეს საცოდავი ფუტკარი სხვას რომ ვერას შოულობს ეტანება იელს (ერთნაირი ყვითელ ყვავილიანი ბუჩქია, რომელსაც თუ მოსჰამს საქონელი უეჭველში აწყენს) და წაბლის ყვავილს.

ამრიგად სხვა რესურსებთან ერთათ, რაც ბლომად მოიპოვება საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის გამოყენებას ამ ხანად შეიძლება ვერ შეუდგეთ, გვაქვს შესაძლებლობა, ვაწარმოვოთ მეტყეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და ნახშირის ფართოთ დამუშავების საქმე, რაც ყოველნაირად სასარგებლოა და მასთან დიდათ შეამცირებს უმუშევრობას.

ლ. კუპრაშვილი.

# სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობის რეზოლიუციები.

## სასოფლო მეურნეობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობამ, მოისმინა რა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება მისი 5 წლის საპერსპექტივო გეგმის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ ხანგრძლივმა, ჯერ იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომებმა, სოფლის მეურნეობა დასცეს და მის ნაწარმოებს დაუკარგეს გარეშე ბაზარი; რომ მეურნეობის დაცემას ხელი შეუწყო აგრეთვე წარსულში საგადასახადო პოლიტიკის მერყეობამ და მოუგვარებლობამ და რომ ჩვენი მომავალი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკის ფუძის, სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებისაკენ, დაადგინა:

მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის 5 წლის სამოქმედო საპერსპექტივო გეგმა მოწონებულ იქნას და დაევალოს სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს;

1. სოფლის მეურნეობის ნაწარმოებისათვის შინაური და უცხოეთის ბაზრის მოპოვება და ამ ნაწარმოების გატანისა და გასაღების პირობების უზრუნველყოფა;

2. სასოფლო-სამეურნეო გრძელ-ვადიანი კრედიტის გადიდება და გაფართოება.

3. საგადასახადო კანონმდებლობის შეფარდება სასოფლო მეურნეობის ინტერესთან.

4. არსებული საცდელ სამეცნიერო დაწესებულებათა გაუმჯობესება და გაფართოება;

5. აგრო-დახმარების გაძლიერება და გაფართოება, სათესლე და საწამლებელ მასალებით და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღებით სოფლის მეურნეთა თავის დროზე უზრუნველყოფა.

6. მესაქონლეობისათვის, როგორც ყველაზე უფრო დაზარალებულ სასოფლო-სამეურნეო დარგისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობა: ჩვენი საქონლის ადგილობრივი ჯიშების გამოკვლევით, ჯიშიან საქონლის საშენების, საგრილებელი პუნქტების და გამოფენების მოწყობით, ცენტრალური ზოოტეხნიკური სადგურის მოწყობით და სხვა;

7. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საქართველოში შაქრის პლანტაციების მოწყობის პირობების დაჩქარებით გამოკვლევა.

8. შინამრეწველ სოფლის მეურნეთათვის დახმარების აღმოჩენა გაუმჯობესებულ ხელსაწყოების მიწოდებით, ცოდნის გავრცელებით და ამ საქმიანობის კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის გადაყვანა სახელმწიფო ხარჯზე;

9. დაბალ და საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის ქსელის გაფართოება, მათი სათანადოთ დაყენება და სამიწის-მზომელო სასწავლებლის დაუყოვნებლივ გახსნა;

10. სავეტერინარო ზედამხედველობის და წამლობის ორგანიზაციის გაფართოვება;

11. მიწათმოწყობის დამთავრების დაჩქარება; გადასახლების საკითხის მოგვარება; შესაძლებლობისდაკვალად ადგილობრივი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად სოფლის შინა საბალახოების გამოყოფა და ამ საბალახოების სარგებლობისათვის ადგილობრივი მოსახლეობის განთავისუფლება ყოველგვარ გადასახადისაგან;

12. მესაქონლეობის დაუბრკოლებლივ განვითარების საჭიროებისათვის, დაევალოს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საძოვრებით სარგებლობის საკითხის საჩქაროდ მოწესრიგება;

13. დაევალოს იმავე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიწის კოდექსის მე-48, 57-ე და სხვა მუხლების გასინჯვა;

14. ტყის დაცვის გაფართოება; ტყის გამოკვლევა და მოწყობა; მოსახლეობის საჭიროების დასაფარავად ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა; ტყის განახლება; კულტურა; ტყის ექსპლოატაციის რაციონალურად დაყენება და სატყეო მეურნეობის საკუთარ ანგარიშზე გადაყვანა;

15. ჯიშიან ცხენთა საჯიშოების ცენტრალურ განყოფილების სახელმწიფო ხარჯზე გადაყვანა;

16. სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება-განვითარებისათვის დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ყოველნაირად ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეთა კოოპერატიულ ნადაგზე შეკავშირებას;

17. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის ხელის შეწყობა.

# სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა მიესალმება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციის საქმეში და სასოფლო-სამეურნეო კრედიტი მიაჩნია მას ერთ იმ უაღრეს საშუალებათ, რომელიც წინ წასწევს გლეხის მეურნეობის კეთილდღეობას.

ყრილობა სთვლის, რომ სახელმწიფოს ინიციატივის შეთანხმებული გამოსვლა კოოპერატიულად დარაზმულ გლეხობის თვითმოქმედებასთან ერთად სასოფლო სამეურნეო კრედიტის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სისტემაში, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი, თავისთავად საუკეთესო მიღწევაა იმ მიზნების, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციებს წინ უდგანან.

ვინაიდან სთვლის, რომ შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო კრედიტი იქნას დაყენებული საერთო გეგმისა და სახელმწიფოს ფინანსიურ და საკრედიტო პოლიტიკის ზეგავლენის გარეშე, რომ მისი განხორციელება იმაზეა დამოკიდებული, თუ წვრილი საკრედიტო დაწესებულებათა (სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა) ფართოდ და მიზანშეწონილად გაბმული ქსელი როგორი სისწორით იქნება მოწყობილი,—ყრილობას მიაჩნია, რომ ეს მიზნები მხოლოდ მაშინ იქნებიან მიღწეული, თუ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს უცილობლივ მოვაკუთვნებთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მთელი სისტემის ხელმძღვანელისა და ფინანსიურ ცენტრის ფუნქციებს.

ყრილობა სავსებით იწონებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოქმედებას და სთვლის, რომ ძირითადი დებულებანი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემისა შემდეგია:

1. კრედიტით დახმარება პირველყოვლისა უნდა აღმოეჩინოს გლეხთა ღატაკ და შუათანა შეძლების მეურნეობას. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხთა კოოპერატიულ და კოლექტიურ ორგანიზაციათათვის კრედიტით დახმარებას. სესხის გაცემისას დიდი ყურადღება უნდა იქნეს იქით მიმართული, რომ სესხი ნამდვილად საწარმოო დანიშნულებას მოხმარდეს.

2. ყრილობას მიაჩნია რა უდავოდ ის დებულება, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მუშაობაში ადგილი არ უნდა ექნეს სავაჭრო ოპერაციებს, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა პირველ ყოვლისა სოფლის მეურნეობის საწარმოო დანიშნულებას უნდა ემსახუროს და გააფართოვოს საშუამავლო ოპერაციები მისთვის საწარმოო საშუალებათა მიწოდებით (გლეხობისათვის სამეურნეო მანქანების, იარაღების და სოფლის მეურნეობაში სხვა საჭირო მასალათა მიწოდებით) და გლეხთა მეურნეობის პროდუქციის გასაღებით.

3. კრედიტი მიწოდებულ უნდა იქნას მეტად გამარტივებული ფორმით, რაც შეიძლება იაფი პროცენტით და იმ ვადით რომელიც შეთანხმებულ იქნება იმ მეურნეობის შემოსავლიანობასთან, რომელსაც კრედიტით ვეხმარებით.

4. საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობა მოეწყოს მეტი სისწორითა და ბეჯითობით, რომ კრედიტები გატარდეს საკრედიტო ცენტრიდან სოფლამდე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ყოველ საფეხურით.

5. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ქვედა ქსელის ძირითად თანხათა გაძლიერებას.

6. დიდის ენერგიით უნდა ვეცადოთ, რათა გლეხთა თავისუფალი საშუალებანი მივიზიდოთ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში.

7. სოფლის მეურნეობის კრედიტით დახმარების საოპერაციო გეგმა, იმის გამორკვევა, თუ რა დარგი მეურნეობისა მეტად საჭიროებს დახმარებას, ან და მეურნეობის რომელ დარგს მიეცეს უპირატესობა—ყველა ამ საკითხებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი უნდა მოქმედებდეს მიწათმოქმედების კომისარიატის პერსპექტიურ გეგმებთან შეფარდებით.

8. იმ მიზნით, რომ კრედიტი გლეხთა იმ კატეგორიას მოხმარდეს, რომ კრედიტი მიზანშეწონილად საწარმოო დანიშნულებისაკენ იქნას მიმართული, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სფერომ ჩაითრიოს მუშაობისათვის სოფლის მოწინავე ელემენტები, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებთან დაარსებულ იქნან განმანაღდებელი კომიტეტები, სადაც შევლენ წარმომადგენლები გლეხკომებიდან, სახ. სამ. საწარმოო და მომხმარებელ კოოპერაციიდან, სოფლის აღმასკომებიდან და სოფლის სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან.

9. ვაქცევთ რა განსაკუთრებულ ყურადღებას ძვირფასი კულტურული მცენარეების განვითარებას, როგორც, მაგალითად: ჩაი, ვენახი, მანდარინა, ყრილობა სთვლის აუცილებელ საჭიროდ, რათა ბანკის მიერ გამონახულ იქნეს გრძელვადიანი სესხი, 7 წლამდე შეღავათიან პირობებში და მინიმალურ პროცენტებით.

---

# ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელთა განცხადება

ლონდონში დამთავრდა ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლების კონფერენცია.

კონფერენციამ საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანების შესახებ მიიღო და გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

1. პროფმოძრაობის გაერთიანება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ფარგლებში უმთავრეს საშუალებად უნდა იქნეს მიჩნეული კაპიტალის შემოტევისაგან მუშათა კლასის დასაცავად. გაერთიანება განახორციელებს შეკავშირებულ მუშათა მოძრაობის მიზნებს.

2. მრავალ ქვეყანაში გაბატონდა რეაქცია და ამის გამო იდევნებიან პროფმოძრაობის მოღვაწენი.

3. ყველა ქვეყნების კაპიტალისტები მთლიანი ფრონტით გამოდიან და ასეთ დროს მუშები დაყოფილი არიან სხვადასხვა ერთი-მეორისადმი მტრულად განწყობილ ჯგუფებათ.

4. კაპიტალისტების გაძლიერებისა და მუშათა კლასის დაქსაქსულობის გამო, თითქმის ყველა ქვეყნებში მუშათა კლასმა დროებით დაჰკარგა თავისი მონაპოვარი—მაგალითად, გადიდდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა.

5. ევროპა განიცდის ეკონომიურ გაჭირვებას,—ამას მოწმობს ხელფასის შემცირება და უმუშევართა რიცხვის ზრდა.

6. მუშათა კლასს დაეკარგა უკეთესი მომავლის იმედები და ის სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. შეირყა ის ბრმა რწმენა, რომელიც აიძულებდა მუშებს მსოფლიო ომის დროს სისხლი დაელვარათ მათი მთავრობის დასაცავად, და რომელმაც მილიონობით იმსხვერპლა მუშათა სიცოცხლე.

7. ეხლა უკვე აშკარაა, რომ მზადდება ახალი, უფრო უსაშინელესი ომი, ხოლო „განიარაღების“ შესახებ მოწვეული კონფერენციები, მხოლოდ სახიფათო ოცნებებს აღვიძებენ ხალხში და იმ ოცნებით ატყუებენ მუშებს.

8. ერთად-ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება, არის მუშათა კლასი, თუ ის კარგად იქნება შეკავშირებული, საკმაოდ ექნება შეთვისებული დისციპლინა და თავდადებული იქნება თავისი საქმისადმი.

მომავალ ომს მუშ. კლასი აიცდენს თავიდან, თუ მედგარ ბრძოლას აწარმოებს ყველა იმის წინაალმდეგ, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს მუშათა კლასის საბოლოო განთავისუფლების საქმეს.

ეროვნულ და საერთაშორისო ფარგლებში გაერთიანებული მუშათა კლასი დაამხობს კაპიტალისტურ ჩაგვრას, დაამყარებს მშვიდობიანობას და ეკონომიურად აალორძინებს ქვეყანას.

სანამ არსებობს კაპიტალისტური სისტემა, იარსებებს აგრეთვე ომის საფრთხეც.

ზემონათქვამის გამო, ინგლისის და რუსეთის პროფკავშირთა წარმომადგენლები ადასტურებენ იმ შეთანხმებას, რომელიც დაიდო მოსკოვში, ორივე ქვეყნის პროფკავშირების წარმომადგენელთა შორის, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ მუშათა გაერთიანების საქმეს.

კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმების შემდეგ, ინგლისის დელეგაცია მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ დაითანხმოს ამსტერდამის ინტერნაციონალი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე—წინასწარი პირობების გარეშე.

ინგლისის და რუსეთის პროფმოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი მუდამ მზათ იქნებიან ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქვეყნის მუშები ხელს გაუწვდიან ერთმანეთს.

ჩვენს საერთაშორისო დროშაზე უნდა ეწეროს შემდეგი ლოზუნგები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით“ და „გაუმარჯოს პროფკავშირების მსოფლიო ფედერაციას“.

კონფერენციის დადგენილებით გამოქვეყნდა აგრეთვე ინგლისის ტრედიუნიონების წარმომადგენელთა განცხადება, რომელშიაც ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან განამტკიცონ თანამშრომლობა რუსეთის პროფკავშირებთან.

ინგლისის წარმომადგენლებს საჭიროდ მიაჩნიათ ისეთი პირობების შექმნა, რომ გაადვილდეს ყველა საბუთების გადაგზავნ-გადმოგზავნა, რომლებიც შეეხება რუსეთ-ინგლისის პროფმოძრაობას.

ამ მიზნით ორივე მხარე შეთანხმდა იმაში, რომ რუსეთის პროფკავშირთა საბჭოსთან და ტრედ-იუნიონების მთავარ საბჭოსთან დაარსდეს საგარეო კომისიები ურთიერთშორის საქმიანი მიწერ-მოწერის საწარმოებლად.

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ქ. ქუთაისი.

ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საზოგადო კრებაზე მიღებული რეზოლიუცია, 1 აპრილს ქ. ქუთაისის თეატრში.

მოისმინა რა მოხსენება ცენტრალური მუშათა კომისიის წევრის ამხ. კუპრაშვილისა „აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანები“ და გაითვალისწინა რა სოც.-დემოკრატიული პარტიის მუშაობა საქართველოში, რომელიც ასცდა სწორ გზას და ჩაიფლა წვრილ-ბურჟუაზიულ ჭაობში,—კრება სთვლის მის წარსულ მოღვაწეობას შემცდარათ და მუშათა კლასის დამღუპველად. კრება სდგება საბჭოთა პლატფორმაზე, რომ ამით იხსნას მუშათა კლასი და რევოლიუცია დაღუპვისა და განადგურებისაგან.

იზიარებს რა, მთლიანად 7-8 ოქტომბერს ნაძალადევში გამოტანილ რეზოლიუციას და იქ არჩეულ მუშათა კომისიის საქმიანობას, მოუწოდებს მუშათა კომისიას განაგრძოს თავისი მუშაობა და ამით აღადგინოს მთლიანობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, აგრეთვე ვავალებთ მას, გაემგზავრონ რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებთან მოსალაპარაკებლად და ჩამოსაყვანათ, რათა ხელი შეუწყონ საქმიან თანამშრომლობას საბჭოთა მთავრობასთან. აგრეთვე გაგზავნილ იქნეს საზღვარგარეთ კომისია, რომელიც მოელაპარაკება იქაურ ბიუროს, რათა ისინიც დაუბრუნდნენ თავის სამშობლოს და ხელი აიღონ ყოველგვარ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეთხოვოს კომისიას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა განთავისუფლებულ იქნენ ის ტუსაღები, რომლებიც იზიარებენ ჩვენს ახალ გზას და გულწრფელად დადგებიან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე.

კრების თავმჯდომარე ე. შავგულიძე.

მდივანი ლ. ჭირქაძე.

## დ. სამტრედია.

სამტრედიაში შესდგა კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. კუპრაშვილის მოხსენება. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

სამტრედიის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. კუპრაშვილისა, აგვის-

ტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანების შესახებ, მოუწოდებს მუშათა კომისიას მიიღოს ზომები, რათა ის ამხანაგები, რომელნიც განიცდიან ჯერ კიდევ მერყეობას და განზედ დგანან საბჭოთა ხელისუფლებასთან, გამოერკვენ და დაინახონ სინამდვილე საბჭოთა ხელისუფლების და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიის მოქმედებისა, ვინაიდან ის იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს, პირობა დასდონ, რომ არ იქნეს განმეორებული ისეთი შეცდომები, როგორიც მოხდა აგვისტოს თვეში. კრებას საჭიროთ მიაჩნია ერთხელ და სამუდამოთ დაგმობილ იქნას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ლეგალური ისე არალეგალური. საჭიროა გულწრფელად აღიარებულ იქნეს აუცილებლობა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დადგომისა, რათა ხელი შეუწყონ მშრომელი მოსახლეობის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას.

კრების თავმჯდომარე ა, კორძაია.

# მუშათა წერილები

## ვის გავახარებთ?

როცა ორი ტოტი, მუხის ხეზე ამოსული, ქორფები არიან და ერთად იზრდებიან, ერთმანეთს არა თუ უშლიან, ან აწუხებენ, არამედ ძმურად იზრდებიან, ერთი მეორის ალერსში არიან. მიუხმდავათ იმისა, რომ მათშიაც არსებობს ბუნებრივი წინააღმდეგობა. ნორჩი ტოტები, რომ მოიზრდებიან, საკმარისია ამოვარდეს ქარი და აქამდის ძმურათ აღზრდილნი, ერთმანეთს დაეტაკებიან და დაუწყებენ ერთი მეორეს მიხლა-მოხლას და მტვრევას. ის ტოტი, რომელიც უფრო მაგარი ბუნების მიერ ყოველ მხრივ დაჯილდოებული აღმოჩნდება—ჩრდილავს მეორეს რომელიც სუსტი აღმოჩნდება ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში, ის მახინჯდება, უნაყოფო ხდება და თუ მალე არ გახმა, ბევრი ხნის არსებობაც არ შეუძლია. ნიადაგ მაგარი ტოტი კი, ამაყათ მიიმართება ზევით, ყოველ წელს მეტ ნაყოფს ისხამს და იფურჩქნება. მაგრამ მოხდება ხოლმე ისე, რომ ამოვარდება ძლიერი ქარიშხალი, რომელიც არაფერს ინდობს და როცა მუხას მიადგება მომაგრებული ტოტი თუმცა მედგრათ შეებრძოლება, მაგრამ ვერას გახდება, რადგან მასთან აღზრდილი მეგობარი სუსტი აღმოჩნდება და ვერ დაეხმარება ბრძოლაში, ამიტომ ორივეს ერთად მილეწ-მოლეწავს ქარიშხალი.

აი, ამ მუხას წარმოადგენდა სოც.-დემოკრატიული პარტია, 1917 წლამდის, რომელიც 1903 წელს თუმცა გაიყო ორ შტოთ:—ბოლშევიკებათ და მენშევიკებათ, მაგრამ მიზანი ერთი ჰქონდათ, მხოლოდ ტაქტიკურ კითხვებში განსხვავდებოდნენ ერთი მეორისაგან და ამ ნიადაგზე ჰქონდათ ხანგრძლივი იდეიური ბრძოლა, რომელიც იდეურ საზღვრებს არა სცილდებოდა.

მართლა, რომ რევოლიუციონური და გამამხნევებელი იყო მაშინდელი მუშაობა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა! ბევრს ძველ მომუშავეს ახსოვს ორივე მხრიდან, ის თავგანწირული და ყოველმხრივ მიზანშეწონილი საერთო გამოსვლები, რომელიც საჭირო იყო საერთო მტრის დასამარცხებლად. მაშინ არ უძახდით ერთი-მეორეს კონტრ-რევოლუციონერებს, არამედ ვივიწყებდით ყველაფერს და როცა საერთო მტერს დავამარცხებდით და გამარჯვებულნი დავბრუნდებოდით ოჯახში, მაშინ ამხანაგურათ განვაგრძობდით ერთი მეორის გაკრიტიკებას. ბედნიერნი, ამაყნი, გმირთა-გმირნი, ფაქიზნი, ერთი-მეორის დამცველნი, როგორც ლხინში, ისე გაჭირვებაში. ამით შეგვიძლიან ვიამაყოთ ძველმა მომუშავეებმა, როგორც ბოლშევიკებმა ისე ყოფილმა მენშევიკებმა, მრავალ თაობის წინაშე და რაც ოქროს ასოებით ჩაიწერება რევოლიუციის მატიანეში.

ბევრმა საუკეთესო მებრძოლმა, ორივე მხრიდან შესწირა თავი განმათავისუფლებელ მოძრაობას იმ იმედით, რომ დარჩენილი ამხანაგები, საერთო ძალით მიაღწევდენ მიზანს. აი, ჩვენც მივაღწიეთ მიზანს და შევანგრიეთ თვითმპყრობელობა, რითაც შევასრულეთ დახოცილ ამხანდერძი.

ერთის მხრით შევასრულეთ დახოცილ ამხანაგების ანდერძი, მაგრამ საუბედუროთ და სამარცხვინოთ ჩვენთვის, ვერ შევასრულეთ მეორე ნატვრა ამხანაგებისა „საერთო მტრის მოსპობის შემდეგ, გაერთიანდებით და გაერთიანებულნი გავსწევთ სოციალიზმისაკენაო“. არა თუ გავერთიანდით, აჯამედ ამწლიდან დავიქსაქსენით, და ერთი მეორის მოსისხლე მტრები გავხდით. განვლო რამდენიმე წელმა და არა თუ განელდა ჩვენ შორის მტრობა და შური, არამედ გაღრმავდა და იქნობამდისაც კი მივედით, რომ ორმა ძმამ, რომლებსაც რამდენიმე წლის განმავლობაში. ერთად—იარაღი მიშვერილი გვქონდა მტრის შესამუსრავად, ახლა ეს იარაღი შევაბრუნეთ და ერთმანეთს მიუშვირეთ. რისთვისაც სასტიკათ გაგვასამართლებს მგონი ისტორია.

ცხოვრების სინამდვილემ და საერთაშორისო მდგომარეობამ გაამართლა პირველი შტო—ე. ი. ბოლშევიზმი, იგი გაფართოვდა გამაღლდა და იფურჩქნება; მეორე შტო კი—მენშევიზმი,—გაამტყუნა, დაჩრდილა და გაანადგურა. მართალია, განადგურებულია მენშევიზმი, მაგრამ დარჩენილნი არიან მისი მიმდევარნი, რომლებმაც ალღო აუღეს ცხოვრების სინამდვილეს, დაჰგმეს ძველი გზა, და ახალ გზას დაადგნენ, რომელიც, მე მგონია, ახალი-კი არა, ძველის-ძველი გზაა, რომლითაც მივდიოდით 1917 წლამდის.

და აი, ეს მიმდევარნი, ყოფილი მენშევიკები, დავდექით საბჭოთა პლატფორმაზე და გვინდა რომ, თავისი გულწრფელი მუშაობით და ძველი-რევოლიუციონური გამოცდილებით ხელი შეუწყოთ საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებას, მის კულტურულათ და ეკონომიურათ აღორძინებას. მე მგონია, მეორე მხარემაც—ამხ. ბოლშევიკებმაც, უნდა გულწრფელათ გამოგვიწოდონ ხელი და ჩაგვაბან საერთო ფერხულში.

სამწუხაროთ ყველა ბოლშევიკებიდან ვერ ვხედამთ გულწრფელს მიღებას. მართალია, ძველი ბოლშევიკები, ძველი რევოლუციონერი სიფაქიზით და გულწრფელათ გვხვდებიან, ხოლო ამას ვერ ვხედამთ უფრო ახალგაზრდების მხრით.

ძმური დამოკიდებულების აღდგენა და რევოლუციონერების გაერთიანება მითუმეტეს საჭიროა დღეს, როდესაც საერთაშორისო რეაქცია და კაპიტალი ირაზმება პროლეტარიატის წინაღმდეგ გამოსალაშქრებლათ. თუ ეს გაერთიანება არ იქნება გულწრფელი ორივე მხრიდან, მაშინ კაპიტალისტური ქარიშხალი ორივეს მიგვლეწ-მოგვლეწამს და ამით უფრო მაგრათ გავახარებთ საერთო მტრებს რევოლიუციისას—კაპიტალისტებს.

**მანთაშა:**

## კიდევ გაეროვნების შესახებ

ამას წინად ვსწერდი, რომ რკინის გზის ხაზზედ სავსებით გატარებულია გაეროვნება,—მხოლოდ მთავარ სამმართველოში ზოგი მოხელე უშლის ხელს, რადგან არიან ისეთი უფროსები, რომლებმაც არ იციან ქართული და მიმოწერას რუსულად აწარმოებენ, რითაც შეაქვთ დისონანსი. ხოლო ახლა უნდა ვაღიარო რომ მოვტყუებულვარ და ხელის შემშლელი გაეროვნებას ყოლია ხაზზედაც. ერთ ერთ სადგურში, დასავლეთ საქართველოში, (მუშათა უბნების ჩამოვლის დროს) დგილი ქონდა ასეთ შემთხვევას: სადგურში მოძრაობის მორიგესთან, (Д. С. П.) როცა მატარებელი მოვიდა, შემოდის უფროსი მემუხრუჭე და სიტყვიერ პატაკს აძლევს: „მატარებელი № 1 მოვიდა მშვიდობიანათო." მორიგე ეკითხება რუსულათ: Сколько вагонов?" მემუხრუჭე უპასუხებს: „ათი ქვაბი, ოცი ცარიელი დახურული რონოდა და შვიდი ბაქანი". Котлов сколько? კვლავ ეკითხება მორიგე. მემუხრუჭე უპასუხებს: „ქვაბი ათი" они мосспенные? დიახ ზეთის არიან ყველანი.

არ გაივლის 5 წუთი და მეზობელი სადგურიდან ეძახიან ტელეფონით: „რა დროს მოვიდა მატარებელი № ესა და ეს." პასუხი. „8 ч 15 м." შემიძლია გამოუშვა მატარებელი № ესა და ეს? პასუხი: нет не могу дать жезло, потому что ко мне выидет п. № С., который имеет преимущество пред вашим поездом.

როცა შევნიშნე, კაცო შენ ქართულად გელაპარაკებიან და რატომ რუსულად უპასუხებ მეთქი,—ის გაწითლდა და მიპასუხა: „რა ვქნა კაცო, სკოლაში როცა ვიყავი ქართულს არ გვალაპარაკებდნენ, ბევრჯერ უსადილოთ ვყოფილვარ, ქართულად დალაპარაკებისათვის და სამსახურში ხომ ამდენ ხანს სულ რუსულად ვლაპარაკობდით ისე შევეჩვიე, რომ ვერც კი ვამჩნევ რუსულად ვაძლევ პასუხს თუ არა. ეს ასეა, მაგრამ ყველამ თავს ძალა უნდა დაატანოს და გადალახოს ეს სიმახინჯე, თორემ რას გავს, გეკითხებიან ქართულად და უპასუხებ რუსულად. ხაშურის ფოსტაში წავაწყდით ერთ კურიოზს. გორის ფოსტის ანგარანისათვის ტფილისიდან მთავარ ფოსტის სამართველოს გამოუგზავნია მიწერილობა რუსულ ენაზე და ეს მიმოწერა, რადგან ნაწილობრივ ეკუთვნოდა ხაშურსაც, გორსაც მთავარ სამმართველოსათვის წაუბაძავს და ხაშურისათვის ეს მიმოწერა თავის დანართით რუსულად მიუწერია. ეს პირდაპირ დაუდევრობაა და მთავრობის დეკრეტების არ შესრულებაა, რაც ჩვენის აზრით დაუშვებელია და დანაშაულიც, რითაც ჯერ ერთი საბაბს აძლევს უპასუხისმგებლო პირებს დემაგოგიისათვის და მეორეც იმ ხალხს, რომლისათვისაც საჭიროა და სასარგებლო ადგილობრივ ენაზე სწარმოებდეს ყოველნაირი მოქმედება, აბუჩად იგდებს. ჩვენ გვაქვს სხვა დაწესებულების შესახებაც საკმაო საბუთები, სადაც აშკარათ ხელს უშლიან ზოგიერთი პიროვნებანი გაეროვნებას სხვადასხვა ხრიკებით, რასაც საკმაო შესწავლისა და გამორკვევის შემდეგ სააშკარაოზე გამოვიტანთ.

**ლ. კ.**

# კორესპონდენცია

## ქ. თელავი.

27 მარტს საღამოს 5 საათზე ახალგაზრდათა კომკავშირის კლუბში, მოხდა გაერთიანებული ღია პარტიული კრება. კრებას აუარებელი უპარტიონიც დაესწრენ. უნდა სიმართლე აღინიშნოს, რომ თელავის პარტკომი ხშირათ იწვევს გაერთიანებულ კრებას, და ყოველ კრებაზე დიდძალი უპარტიონი ესწრებიან. ეს კი იმის ნიშანია, რომ ხალხმა ჯიუტობას თავი გაანება და დღეს დაინტერესებულია, თუ რას აკეთებს პარტია და ხელისუფლება.

კრებამ ერთხმათ აირჩია თავმჯდომარეთ ამხ. ხოშტარია და მდივნათ ანდღულაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. ტრაღიკულათ დაღუპული ამხ. მიასნიკოვის, მოგილევსკის და ოთარბეკოვის შესახებ მოხსენება. მომხსენებლათ გამოდის ამხ. ს. კარჭაური, 2. საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი საგარეო პოლიტიკა. მომხსენებელია თელავის პარტკომის პას. მგ. ამხ. გ. ელისაბედაშვილი. მოხსენების დაწყებამდის კრება ფეხზე ადგომით პატივსა სცემს დაღუპულ ამხანაგებს და შემდეგ იწყებს მოხსენებას ამხ. კარჭაული, სამივე დაღუპულ ამხანაგების ავტო-ბიოგრაფია გააცნო კრებას მოკლეთ და შინაარსიანი სიტყვით.

შემდეგ მოხსენებას იწყებს ამხ. გ. ელისაბედაშვიშვილი. მოხსენება დაიწყო ჯერ საერთაშორისო მდგომარეობაზე და დაახასიათა, თუ როგორ გვიცქერიან ჩვენ საკავშირო რესპუბლიკებს ევროპიული და ამერიკის სახელმწიფოები, რა გავლენას ახდენს მათზე საბჭოთა კავშირი, როგორი დამოკიდებულება გვაქვს ევროპის და ამერიკის პროლეტარიატთან და სხ. შემდეგ ილაპარაკა ტფილისის მესამე სესიის შესახებ, ამხ. ჩიჩერინის მოხსენების ირგვლივ, თუ როგორია ჩვენი საგარეო პოლიტიკა, ამხ. ელისაბედაშვილი შეეხო აგრეთვე ინტელიგენციისგამოფხიზლებას და ხელისუფლებასთან ერთად მუშაობას. შემდეგ გადავიდა მუშათა კომისიაზე და მათ მუშაობაზე, დაახასიათა „ახალი გზის" მიმართულება და ბოლოს სთქვა: დადგა ის დრო რომ ჩვენი ძმები ერთი ოჯახის შვილები, რომელიც დროებით დაშორებულნი ვიყავით, ეხლა ისევ თმლიან ოჯახში მოდიან ჩვენთანო. ასე დაამთავრა მომხსენებელმა თავისი საბოლოო სიტყვა, რომელიც ტაშის კვრით იქნა დაფარული. კარგია ასეთი გაერთიანებული ღია კრებები ხშირათ იმართებოდეს.

შემდეგ მოხდა ანკეტების წაკითხვა, და კანდიდატთა მიღება დაიწყო.

**ტანჯული მუშა.**

# ჩვენი ფოსტა.

**სენაკი.** რწმუნებულებს. რატომ არ იწერებით რამეს თქვენი მუშაობის შესახებ.

**ბათომი.** ან. ჩ—ძეს. არ დაიბეჭდება. მოიწერეთ ადგილობრივი ცხოვრებიდან.

**გურჯაანი.** ვ. აზ—შვილს. ჩამოსვლას შეგატყობინებთ. წერილი არ დაიბეჭდება.

სარედაქციო კოლეგია: შ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

მთავლიტი № 603 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

პარასკევი, 1 მაისი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე | № 19


## პირველი მაისობა

პირველ მაისს დღესასწაულობს საერთაშორისო პროლეტარიატი, როგორც თავის საკუთარ დღეს და ამ დღეს ჩვენში პირველ მაისობას უწოდებენ.

პირველ მაისის დღესასწაული შემოღებულ იქნა 1889 წელს მეორე ინტერნაციონალის პირველ ყრილობაზე ქ. პარიზში.

მარქსის მიერ 1864 წელს დაარსებული ერთიანი მუშათა ინტერნაციონალი იმ ხანად აღარ არსებობდა.

არსებობდენ მხოლოდ ცალ-ცალკე დარაზმული ნაციონალური სოციალური პარტიები, რომლებიც იბრძოდენ თავიანთსავე სახელმწიფოში გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ.

ეს ცალ-ცალკე არსებული ეროვნული პარტიები გაერთიანდენ 1889 წელს და შექმნეს მეორე ინტერნაციონალი, რომელმაც გამოიტანა დადგენილება, რომ პირველი მაისი აღიარებულ იქნას დღეთ ინტერნაციონალის მანიფესტაციებისთვის.

ლოზუნგათ ამ დღისთვის ყრილობის მიერ მიღებულ იქნა 8 საათის სამუშაო დღის მოთხოვნილება, რასაც თავის გარშემო უნდა შემოეკრიბა მთელი ქვეყნის მუშები. იმ დროში სამუშაო დღის შემოღება იყო უმთავრესი პირობა მუშათა კლასის შეკავშირებისათვის.

ამ ხანიდან დაწყებულმა პირველ მაისის დღესასწაულმა მრავალი ფაზისი გამოიარა.

სხვადასხვა ეროვნული სოციალური პარტიები, სხვადასხვანაირად ჩაატარებდენ ხოლმე მას.

შემდეგ მომხდარ ინტერნაციონალის კონგრესზე პირველ მაისის ლოზუნგები გაფართოებულ იქნა.

ბურჟუაზიასაც არ ეძინა, რასაკვირველია, და ამიტომ პირველ მაისს ერთიანი გაფიცვა და ქუჩაზე გამოსვლა არ ხერხდებოდა ხოლმე.

ამიტომ პირველ მაისის დღე ბევრ ქვეყნებში გადატანილ იქნა პირველ მაისის შემდგომ მახლობელ კვირა დღისათვის და ამ დღისათვის ხდებოდა ხოლმე სამაისო დემონსტრაციები.

მუშათა მოძრაობის ზრდასთან კიდევ უფრო მეტი მასსა იღებდა დღესასწაულში მონაწილეობას.

მალე რუსეთის პროლეტარიატიც გამოეხმაურა მას და პლეხანოვის 1890 წელს კონგრესზე წარმოთქმულ განცხადებამ,—რომ რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშათა კლასის მოძრაობა ან სრულებით ვერ გაიმარჯვებსო,- მაშინ განცვიფრება გამოიწვია და შემდეგში კი სიმართლეთ იქცა.

პირველ ხანად რუსეთში სამაისო დღესასწაულს ფარულად, ქალაქის გარედ ახდენდენ.

ასე მოხდა ჩვენშიაც.

ხოლო 1901 წელს ტფილისის მუშათა კლასი აშკარად გამოვიდა ტფილისის შუა გულში და ასწია წითელი დროშა.

ამ ხანიდან არ გასულა ერთი წელიც, რომ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში არ მოწყობილიყო სამაისო დემონსტრაციები.

1905 წელს ხომ მასიური ხასიათი მიიღო საზოგადოთ დემონსტრაციებმა.

პირველი მაისის დღესასწაული მუშათა კლასისთვის მუდამ იქნება, ერთი იმ საშუალებათაგანი, რომლის შემწეობით იგი გარს შემოიკრებს მთელი ქვეყნის მშრომელ მასსას, რომ ერთის დაკვრით ბოლო მოუღოს ბურჟუაზიის მეფობას და დედა-მიწაზე დაამკვიდროს შრომისა და თავისუფლების სამეფო.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ერთიან ფრონტს კაპიტალის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობის მთლიანობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

# პირველი მაისი

გაზაფხულდა!
გაზაფხულდა!
ამაყრულდა
ხალხთა გული!
აქუხდა და ახმაურდა
სამაისო კრიმანჭული!

—

ყოველ მხარეს
ხმა გაისმის:
დღეს შევსწყვიტოთ
მუშაობა;
განმტკიცდეს და
აყვავილდეს
ჩვენი შრომა,
ჩვენი ძმობა!

ვაშა, ვაშა,
პირველ მაისს,
ვაშა, ვაშა,
გაზაფხულსა!
გაუმარჯოს
ჩვენს ერთობას,
ჩვენს კავშირს და
სიყვარულსა!

—

გაუმარჯოს
ჩვენს ზღვა-ლაშქარს!
გაუმარჯოს
შრომის ღელოს!
გაუმარჯოს პროლეტარულ
ახალგაზრდა საქართველოს!

გ. ქუჩიშვილი

# პირველი მაისი

როდესაც გაყინულ დედამიწას ძარღვები გაუთბება, თეთრი ქათიბი შემოეძარცვება და ზურმუხტით მოიქარგება, —

როდესაც რუხი, სევდიანი ცა ფირუზის გუმბათად გადაიქცევა, —

როდესაც მზე გზას იცვლის, დედამიწისაკენ იბრუნებს პირს და დაუშენს მას მხურვალე სხივებს, —

როდესაც ზამთრის სუსხით გაშიშვლებული ტყე და ველი შეიმოსებიან და ტოროლა და ბულბული ლოცვად დადგებიან, —

ეს არის წელიწადის საუკეთესო დრო.

ეს არის გაზაფხული.

და ამ გაზაფხულში ულამაზესია მაისი.

გულმხიარული, ხალისიანი, იმედიანი, მოწიფული, ძალღონე მოჭარბებული ის წინ იხედება, მომავლისაკენ და თან იტაცებს ყველას, ვისაც კი გული ცეცხლითა აქვს აგზნებული და ძარღვები მისწრაფებით დაჭიმული.

პროლეტარიატი უკეთეს დროს ვერ აირჩევდა თავისი დღესასწაულისათვის.

ეს დღე არის პირველი მაისი.

რათ უნდა პროლეტარიატს დღესასწაული, ის ხომ ბურჟუაზიის მოგონილია?

დღესასწაული მოიგონეს ყველა ქვეყნისა და ყოველი დროის მძარცველებმა და მშრომელი ხალხის ყაჩაღებმა ხალხის დასაბრმავებლად და თავისი ბატონობის განსამტკიცებლად.

მაგრამ პროლეტარიატმა დაუპირდაპირა მას სულ სხვა დღესასწაული, თავისი საკუთარი პროლეტარული დღესასწაული.

და რადგანაც ყველა ქვეყნის მუშების საქმე და მიზანი საერთოა, ამიტომაც ეს დღესასწაული საერთოა, ინტერნაციონალური.

ასეთია პირველი მაისი.

რათ უნდა პროლეტარიატს დღესასწაული?

ბრძოლისა და გამარჯვებისათვის, სასწაულისათვის.

მან ყველგან უნდა დაანგრიოს ძველი ცხოვრება და ააგოს სრულიად ახალი; მუშური, სადაც აღარ იქნება არც მძარცველი და არც გაძარცული, არც ბატონი და არც მონა, არც მდიდარი და არც ღარიბი, არც მუქთახორობა და მუშა ხალხის წურბელები, არამედ სრული თანასწორობა და ერთობა.

დიადია პროლეტარიატის საბოლოო მიზანი.

ამიტომაც დიადია ის დღესასწაული, რომელიც პროლეტარიატს განსაკუთრებით უშუქებს იმის საბოლოო მიზანსა და მოწოდებას.

ასეთია პირველი მაისი.

ყველა ქვეყნის მუშებსა აქვთ საერთო, დიდი და დიადი საქმე.

ამ საქმის განსახორციელებლად საჭიროა, რომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი საზღვრები წაიშალოს და ყველა ქვეყნის მუშებმა ერთმანეთს ხელი მისცენ.

პირველი მაისი სწორეთ ის დღესასწაულია, რომელიც უთითებს მუშებს ამ საერთაშორისო სოლიდარობის აუცილებლობაზე.

პირველი მაისი სწორეთ ის დღე არის, რომელიც სჭედავს ამ საერთაშორისო სოლიდარობას მუშებისას.

პირველი მაისი გრდემლია, რომელზედაც იჭედება საერთაშორისო პროლეტარიატის ძმობა და ერთობა.

პირველი მაისი წითელი დროშაა წითელი ინტერნაციონალისა.

ის ფრიალებს ყველაზე მაღლა, რათა ყოველი ქვეყნის ყოველმა მუშამ დაინახოს ის და გაიხსენოს თავისი მიზანი, თავისი მოვალეობა.

მშრომელი გლეხობა და პროლეტარიატი ორი ძმა არის ერთ უღელში შებმული, ერთ ცეცხლზე დაფიცხებული.

მათი საქმე, მათი მიზანი ერთია. ერთი უნდა იყოს მათი გზაც.

მათი გამარჯვება მხოლოდ საერთო ძალღონით, ერთმანეთის დახმარებით არის შესაძლებელი.

მათი ერთობა, მათი საერთო მტრისათვის რისხვაა.

ამიტომაც პირველი მაისი მათი საერთო დღესასწაულია, პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის დღესასწაული.

საჭიროა, აუცილებელი პროლეტარიატისა და გლეხობის მტკიცე კავშირი, მათი ერთობა, სოლიდარობა,—

აი რას ჰქადაგებს პირველი მაისი.

საბჭოთა ფედერაცია მუშებისა და გლეხების ქვეყანაა. ამიტომაც პირველ მაისს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ჩვენში,—

ის არის უდიდესი დღესასწაული საბჭოთა ფედერაციისა, პროლეტარიატისა და გლეხობის მტკიცე კავშირის გამომხატველი.

პროლეტარიატსა და გლეხობას მრავალი მტერი ჰყავს, მტერი ძლიერი, სასტიკი, ულმობელი, შეიარაღებული.

საჭიროა, რომ ყველა ამ მტერის წინააღმდეგ იყოს ერთი კედელი ამართული, კედელი მთელი პროლეტარიატისა და გლეხობის გაერთიანებული ფრონტისა.

— საერთო მტრის დასამარცხებლადა და გასანადგურებლად საჭიროა ერთნაირი ფრონტი, აი რას უქადაგებს პირველი მაისი ყველა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს.

დედამიწის ზურგზე უდიდესი ბოროტება და მტარვალობა დათარეშობს ევროპის იმპერიალიზმის სახით. მან გაჰყო ერები მონებად და ბატონებად და მრავალ ერს აღმოსავლეთში, აფრიკაში მონობის უღელი დაადგა.

პირველი მაისი ყველა დამონებული და დაპყრობილი ერის უდიდესი დღესასწაულია.

პირველი მაისი მასა ჰფენს იმედსა და ნუგეშს, პირველ მაისში ისა ჰხედავს თავის ხსნასა და განთავისუფლებას.

— ძირს ყველა ბატონები და იმპერიალისტები!

გაუმარჯოს ხალხთა განთავისუფლებას!

აი რასა ჰქადაგობს პირველი მაისი და ეს ქადაგება სიხარულით ავსებს ყველა დამონებული ერის გულს.

პირველ მაისს ის განსაკუთრებითა გრძნობს, რომ დაჰკრავს საათი განთავისუფლებისა და ევროპის იმპერიალისტების ბატონობა დაემხობა.

როდის მოხდება ეს?

დამონებულმა ერებმა კარგად იციან, რომ მარტო საკუთარის ძალღონით ამ მიზანს ვერ განახორციელებენ,—

საჭიროა, აუცილებელი, მათი ერთობა მთელ პროლეტარიატთან აჰ რიგად დამონებულ, ერების ბედი მჭიდროდ არის შეკავშირებული პროლეტარიატის ბედთან.

დამონებული ერების განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის დახმარებით, პროლეტარიატთან ერთობის გზით.

ყველა დამონებულ ერს პირველი მაისი უთითებს ამ ერთობაზე.

პირველი მაისი ის კანდელია, რომელიც დამონებულ ერებს გზას უჩვენებს თავისუფლებისაკენ.

ბევრგან ქალი დღემდე ატარებს მონის უღელს. ბევრგან ის არის უბრალო საკუთრება მამაკაცისა, უენო და უუფლებო.

ამიტომაც პირველი მაისი ქალების უდიდესი დღესასწაულია, მათი ბორკილების დამსხვრევის, მათი განთავისუფლების დღე.

პირველი მაისი ჯეალმართული დროშაა, რომელზედაც ცეცხლის ასოებით აწერია: ყველა ქვეყნის ქალების სრული განთავისუფლება და უფლებით გათანასწორება მამაკაცებთან.

გაზაფხული განახლების, გაფურჩქვნის, აყვავების დრო არის; ყოველივე ლაღობს ხარობს და წინ მიისწრაფის, როგორც ახალგაზრდობა.

ამიტომაც პირველი მაისი ახალგაზრდობის დღესასწაულია, იმ ახალგაზრდობისა, რომელიც იბრძვის და მოაქვს ყოველივე ახალი—ახალი სიტყვა, ახალი აზრი, ახალი გრძნობა, ახალი საქმე, ახალი იმედები, ახალი ზრახვა, ახალი მისწრაფება, ახალი ცეცხლი,—ახალი ცხოვრების ასაგებად.

მაგრამ ახალი ცხოვრება არის სოციალიზმი, ისჴსოციალიზმი, რომელიც აწერია პროლეტარიატის დროშაზედ.

ამიტომაც პირველი მაისი მიუთითებს ახალგაზრდობას ამ დროშაზედ და ეუბნება: იყავ ერთგული ამხანაგი პროლეტარიატისა, მხოლოდ მაშინ შეასრულებ შენს მოწოდებასო.

ბურჟუაზიისა და ყველა ქვეყნის იმპერიალისტების ტახტი შეირყა, ახლოვდება ჟამი მათი აღსასრულისა.

პირველი მაისი მათი „სულთათანა“-ა, მათი გლოვის ზარი.

და რაც უფრო ბრწყინვალეა ეს დღე, მით უფრო მძაფრია ყველა ქვეყნის მძარცველების გლოვა.

რაც უფრო მაგრად ჩამოჰკრავს ამ ზარს პროლეტარიატი და ყველა, ვისიც ბედი, ვისი მისწრაფებაც მტკიცედ არის შეკავშირებული პროლეტარიატის ბრძოლასა და გამარჯვებასთან,—მით უფრო მწვავე იქნება ბურჟუაზიისა და იმპერიალისტების გულის ტკივილი.

— ისტორიისაგან განწირულნო! ახლოვდება ჟამი აღსასრულისა! აი რას ეუბნება პირველი მაისი მუშა ხალხის ყველა მტრებს.

დიდება პირველ მაისს!

გამარჯვება იმის მედროშეს—საერთაშორისო პროლეტარიატსა და გლეხობას!

ივ. გომართელი.

# პირველი მაისის ზეიმი

დღეს გათენდა შვების დილა,
სასახელოთ ცეკვავს ჯარი
ჩვენი ქვეყნის, ყოველ კუთხეს
გამარჯვების რეკავს ზარი.

——

ვიშ, რა კარგი დილა არის
ბაღში გალობს, ფრინველთ კრება..
ათას წლობით გვემულ-ტანჯულთ
მოეფინა გულზე შვება.

——

მზემ თავისი, ცხოველ სხივით;
გადარეკა ღრუბელთ რიდე,
ცეცხლი ყველგან, გაჩნდა მძლავრი
და მოედო კიდით-კიდე...

——

ზეიმია ყველგან ხალხის.
დაფრიალებს დროშა ცაში,
ყიჟინაა. ცეკვა წრეში
გამარჯვების ისმის ტაში.

——

ვიშ, რა კარგი, დილა არის;
რიგსა რიგი, მისდევს ჯარი,
ტანჯულ ხალხის გამარჯვების
ირეკება ყველგან ზარი.

ტანჯული მუშა.

# სურათები წარსულიდან

(მოგონება—მასალა მოთხრობისათვის)

**მამა.**

10 სექტემბერი 1902 წელი.

გუშინ მივიღეთ წერილი იოსებისგან. დაჭერილია. წერილსაც ციხიდან გზავნის. იწერება: დაწყებული მუშაობის შეჩერება ყოვლად შეუძლებელია, ბათომში მოწყობილი ორგანიზაცია არ უნდა დაირღვეს, ამიტომ საჭიროა იქ ჩასვლა და დაწყებული საქმის გაგრძელება.

გიორგის გადაწყვეტილი აქვს წასვლა, მეკამათება და მიმტკიცებს მეც წავიდე.

— აბა, ჩაძვერი ამ წიგნებში და ვნახოთ ერთი რას გამოჩეკავ!.. მეუბნება გიორგი.

წავიდე ბათომში... მერე? დავანებო თავი სწავლას!.. მერე?.. რას იტყვის საცოდავი მამაჩემი! იმას ხომ ჩემი იმედი აქვს, როგორც უფროსი შვილის და ხშირათ მეუბნება ხოლმე: შვილო, შენ ეხლა ჩემი მოსწრებული შვილი ხარ, ჩემი ძმა ხარ!.. დაანებე, შვილო, თავი ამ სოციალისტობას, იმისგან ხეირი არავის უნახავს;.. ხომ ხედავ, როგორ მოვხუცდი, დღეს თუ ხვალ შეიძლება მოვკვდე და მერე ვინ იქნება პატრონი შენი მოჭდევნო ძმების? ვინ უნდა უგდოს მათ ყური თუ არა შენ? ამიტომ ეცადე შვილო, სწავლა მალე გაათავო, რომ დაეხმარო შენს მოხუც მამას...

და ჩემი ბათომში წასვლით კი შეწყდება მსვლელობა სწავლის გაგრძობისა...

გიორგი წავა ხვალ. მე კი ვპირდები შემდეგში ჩასვლას. აქაც საკმარისათაა სამუშაო.

**დედა.**

5 აპრილი. 1903 წელი.

დედას გავენდე. ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილება ბათომში წასვლის შესახებ. ამისთვის ის უკვე მომზადებული იყო რამდენათმე. ცრემლი მოუვიდა თვალებზე. იცის ჩემი ხასიათი, რომ თუ გადავწყვეტ საქმეს, ეს უკვე მტკიცე და შეურყეველი გადაწყვეტილებაა, ამიტომ ვერარაფერი მითხრა საწინააღმდეგო.

— იყავი შვილო, კარგათ. შენ თავს მოუარე. უბრალოდ თავს ნუ გაიფუჭებ! ბევრი რამ შეგხვდება ცხოვრებაში, რაც შენთვის მოულოდნელი იქნება, მაგრამ ყოველთვის გახსოვდეს შენი ოჯახი, შენი დედ-მამა...

ბევრი იწუწუნა კიდევ.

საცვლები დამიმზადა, ერთი ხელი ლოგინი. სამგზავრო ფული ჩაჩიდო ჯიბეში, რაღაც ხაჭაპურის მსგავსი გამოაცხო, გზაში მოგშივდებაო.

— მამა ჩემს უთხარი, სააღდგომოთ ორი კვირით თავის ამხანაგთან წავიდა სოფელში თქო. მერე იქიდან წერილს მოვიწერები და ბოლოს როგორმე ისიც შეურიგდება ამ ამბავს.

— ეგრე ვეტყვი შვილო!..

ჩემი ხელი გაუწყვეტლივ ხელში ეჭირა. მისი სიღრმეში ჩაცვივნული თვალები ჩემსკენ იყვენ მოპყრობილი, თვალებში შემომცქეროდა, თითქო უნდა მთხოვოს რამეო და თქმა კი ვერ გაებედნა. თითქო ჩემს სახეზე უნდოდა ამოეკითხა, მომავალი ბედი ჩემი ცხოვრებისა, ისე დაკვირვებით და მწარეთ გამოიყურებოდა მისი დანაოჭებული სახე.

ღამე იყო სახლიდან რომ გამოვედი.

იყო რაღაც თბილი, ნაზი და განუსაზღვრელი სიყვარული, დედასთან გამოთხოვების დროს, რომელიც ახლაც ტკბილი სითხესავით გულს ეალერსება.

ეს ხომ პირველი გასვლაა სახლიდან!

ჩემს პატარა ძმებს ეძინათ, ტკბილი, უდარდელი, ბავშური ძილით.

რატომ ასეთი გამოურკვეველია ის უხილავი ძალა, მე რომ ბათომისკენ მიზიდავს, თითქო ჩემდა უნებურად?

ბავშვივით მენანება სახლი, დედა და ბავშვები.

ნეტა რას მიქადის ბათომი?.. ახალი ცხოვრება, ახალი გადავარდნა!..

ხვალ დილით უკვე ბათომში ვიქნები. გიორგი დამიხვდება სადგურზე.

**ბათომი.**

8 აპრილი.

გიორგი დამხვდა სადგურზე, მასთან კიდევ ორი მუშა, კოწია და მანასე. შეხვედრა ძალიან თბილი იყო, თვალებით ერთმანეთს ვჭამდით. ისინი მეკითხებოდენ ტფილისის ამბებს მე კი მთლათ შებორკილი ვიყავი ბათომის სილამაზით, შავი ზღვით. და ქუჩაზე რომ მივდიოდი, ახალი ქალაქი ჩემზე ახალ შთაბეჭდილებას ჰქარგავდა გულში.

მეორე დღეა ბათომში ვარ. ვცხოვრობთ ქალაქიდან თითქმის ორი ვერსის დაშორებით, მუშათა უბანში. ეს უბანი პატარა ქალაქად არის წოდებული და მართლაც, თავისი ორი განიერი ქუჩით, პატარა, სამ ოთახიანი სახლებით, თავისი პატარა ეზოებით.—ბათომს დაშორებული, მყუდრო და სუფთა კუთხეა...

დღეს მთელი დღე ზღვის პირად ვიყავი.

ვინახულე დიდი საბარგო და სამგზავრო გემები. ზღვა მაგრძნობინებს, რომ გადაბმული ვარ ქვეყნიერებასთან, რომ იქით, სადღაც შორს, ამ ზღვას გაღაღმა სცხოვრობს ჩვენისთანა ხალხი, რომ ჩვენ შორის უხილავი ძაფია გაბმული და ეს მტვირთავი გემებია ის არტერიები, რომლებიც ჩვენ გვაერთებს.

ბევრი ფიქრი აღმიძრა ზღვამ...

საღამოს დავბრუნდი. გიორგი დამხვდა სახლში, მანასე კი შემდეგ მოვიდა—და ჩვენ ვლაპარაკობდით ბათომში წარმოებულ მუშაობაზე.

ხვალ უნდა წავიდეთ და ვიმუშაოთ გემზე. მერე კი იქნებ ქარხანაში მოვახერხოთ მუშათ ჩაწერა.

ხვალ იწყება ჩემი მუშაობა, ხვალ გავხდები გაყვლეფილი კლასის წევრი და ვიწყებ საკუთარი შრომით ცხოვრებას...

დღეს ვიყიდეთ ჩუსტები და შეკერილი შავი ბლუზები.

ხვალ წავალთ სამუშაოთ გემზე, გიორგი მე და მანასე.

**მუშაობა გემზე.**

10 აპრილი.

ესეც ასე! მუშა ვარ!

როგორ იყო? ჰო!

ჰაერში იფანტებოდა ქარხნების საყვირის ხმა, როგორც დაჭრილი ნადირის ღრიალი! ჰაერი იჟღინთებოდა ამ საზარელი ხმით და მე კი შემომესმოდა, როგორც ძველ ქრისტიანებს ცისკრისთვის ზარის რეკა!.. და ეს ხმა მოგვიწოდებდა სამუშაოთ, როგორც ქრისტიანებს ზარის რეკა სამლოცველოთ...

და მიხაროდა, რომ დღეს ამ ადამიანთა კრებულში მივემართებოდი, რომელთაც ცხოვრებისა არაფერი მართებს და ცხოვრება კი მისი ვალდებულია, რომ ვასრულებდი ნამდვილ ადამიანის დანიშნულებას: ჩემის შრომით, მუშაობით პურის ჭამას...

ჩავიცვით შავი ბლუზები, ჩუსტები; უქუდოთ და უქამროთ ჩაშვებული ხალათებით გავედით ქუჩაზე.

მიდიოდენ ჯგუფებათ მუშები. და მე მინდოდა ყველას შევემჩნიე, ყველას დაენახა, რომ მეც მუშა ვარ, მათი ამხანაგი.

სამუშაოთ მივდიოდი ისეთი გატაცებით და გრძნობით, როგორც მლოცველი ლიტანიაზე. თვალები გაბრწყინებული მქონდა, გული გამალებით სცემდა, როგორც ახალგაზდა სიძესი, მოცეკვრებში რომ მიეშურება სასძლოს სანახავათ.

და მინდოდა ჩქარა მივსულიყავი დანიშნულ ალაგს და დაგვეწყო მუშაობა. ჩამდგარიყავით მუშების რიგში...

მივედით ნავთსადგურში. გემზე მუშაობისთვის საჭირო იყო ბარათი მიგვეღო, რასაც იქვე არიგებდენ და რის მისაღებათაც უამრავი მუშა შეკრებილიყო. მანასე გაძვრა აქეთ-იქით და სამი ბარათი მოიტანა.

გაგვანაწილეს მუშები, ვის სად უნდა ემუშავნა. ჩვენთვის ვიღაც ზრუნავდა და ამიტომ შიგ გემში ჩავედით სამუშაოთ.

აბა, რას წარმოიდგენდი, თუ გემს ასეთი დიდი მუცელი ექნებოდა!

ცალფეხა მიხვეულ-მოხვეული რკინის კიბეთი ჩავეშვით გემის მუცელში. რომ მივიხედ-მოვიხედე განვცვიფრდი! ცხენი თამამად გაქანდებოდა შიგ!

ჩვენს მოვალეობას შეადგენდა, ზევიდან ჩამოშვებული ორ ფუთიანი, ფიცრებით შეკრული ნავთის ყუთები გვეზიდა და გვეწყო რიგობით ერთმანეთზე.

გულის ფანცქალით მოველოდი ფიცრებზე ჩამოსრიალებულ ყუთის ჩამოშვებას და პირველი მე მივარდი, როცა ყუთი ჩამოუშვეს, ავიღე ყუთი და დანიშნულ ალაგს მივიტანე. ისეთი გატაცებით ვეტანებოდი მუშაობას, რომ კაცს ეგონებოდა რთველშია დაპატიჟებულიო.

რიგობით მივდევდით ერთმანეთს, ჩვენთან მომუშავეებში შევნიშნე სამიოდე რუსი მუშა, მაღალ-მაღალი, ხორბა ტანისა, ისე აიღებდენ ხელში ყუთებს, თითქო წუმწუმას ყუთი მიაქვთო.

მოსრიალებდა ზევიდან ყუთი და ჩვენც რიგობით გამწკრივებული, ვიღებდით ყუთებს და ვაწყობდით ალაგზე.

პირველი ორი საათი ხალისით და დაუღალავათ ვიმუშავე. ხოლო, მერე კი, თითქოს თითები ბაწრით გამიკრესო, ისე მოიკრუნჩხენ და მოკაკული ტანით ძლივს მივათრევდი ყუთს.

ეს შენიშნეს რუსმა მუშებმა და მითხრეს: განზე დადექი, დაისვენე, ჩვენ ვიმუშავებთ შენს მაგივრათო. მაგრამ, მე არ დავთანხმდი. განა, როგორ შეიძლება! მაშინ ხომ იგივე ექსპლოატაცია გამოვიდოდა!

თორმეტ საათზე ნახევარ საათის შესვენება მოგვცეს, ძლივს ავედი კიბეზე მალე გავიდა ნახევარი საათიც, მაგრამ შიგ ჩასვლა ისე მეზარებოდა, როგორც გამაძღარ ადამიანს ლობიო შესთავაზო. გიორგი კი არ იმჩნევდა დაღლილობას და არაფერს ამბობდა.

კიდევ კარგი რომ შაბათი იყო და სამუშაო დღეც შემცირებული, ვიდრე ჩვეულებრივ დღეს, თორემ ბოლომდის ვერ გავძლებდი, ცხადია!

და აი, მიმაქვს მე,—მიმაქვს კი არა, ძლივს მივათრევ ყუთს და ამ დროს ზევიდან ისმის: შაბაშ!.. ყუთი ადგილამდისაც არ მივიტანე, იქვე დავაგდე... მუშებმა კი სიცილი დამაყარეს...

გიორგი გაქანდა კიბისკენ და ვერ შეამჩნია კედელთან გამოწევდილი რკინა და თავი მიახალა ზედ, ისე

მძლავრად, რომ გულშეღონებული იქვე დაეცა!.. ძლივს მოვიყვანეთ გონს...

გაჭირვებით ავედით რკინის კიბეზე და მზიან სივრცეს გავხედეთ.

როცა აღებული ფული ჩემს ხელში ცურავდა, მაშინ ვიგრძენი მთელი სიძნელე მუშაობიო ცხოვრებისა, მაგრამ ამავე დროს სიტკბოება, რომ ეს ფული ჩემი შრომით იყო აღებული.

დღეს დილას რომ ავდექი და პირის ბანა დავიწყე, მაშინ შევამჩნიე, რომ ჩემი თითები აღარ მოძრაობდენ, არ ხერხდებოდა, რომ მუჭაში წყალი ჩამეგუბებინა, რომ ხელს, მეორეს ვა'შველებდი და ასე გაჭირვებით დავიბანე პირი. მკლავები მტკივა და სამ თითს ძლივს ვხმარობ დასაწერათ.

ხვალ, გიორგი და მანასე მიდიან დიდ-ჯიხაიში, სადაც დანიშნულია პირველ-მაისობის დემონსტრაცია, ეს ფულიც სამგზავროთ იყო საჭირო.

დ. ლიხელი.

---

# თორმეტნი

## ალ. ბლოკისა.

### ჯ.—ფარიძის თარგმანი

სალამო შავი
და თოვლი თეთრი.
ქარი და ქარი!..
ფეხზე ვერა დგას
ადამიანი...
ღვთისაგან გაჩენილ
მთელ სამყაროზე
სულ ქარი, ქარი!..

თეთრ თოვლს ქარი ახვევს...
თოვლ ქვეშ ყინული დევს.
გზა ლიპია, მძიმე--
ფეხი ყოველ მავალს
უცურს, უსხლტის საწყალს ..
შენობიდან შენობამდე
თოკია გაჭიმული,
და ამ თოკზე მოსჩანს
პლაკატი დაკიდული:
„მთელი ძალა-უფლება—
—დამფუძნებელსა კრებას“.

დედაბერი სტირის
და არ ესმის საწყალს—
ვინ კიდებდა, რისთვის,
ამოდენა პლაკატს?!

ამ ტილოდან რამდენს
შემოსავდენ ბავშვებს!!

ამ ჟამად კი ყველა, ყველა
გახდილია, ფეხ-შიშველა...
და დედაბერი, როგორც ქათამი,
ძლივს გადაივლის მინამქრულ თოვლსა...
ოხ, ღვთისმშობელო, ბოლშევიკები
არ ამაცდენენ, ვიცი, კუბოსა...

მძაფრია ქარი—შოლტივით ხვდება...
მაგრამ ქარს უკან არც ყინვა რჩება..

და საყელოში ცხვირ-ჩამალული,
გზა-ჯვარედინზე გაჩერებული—
მოსჩანს ბურჟუი...

ეს ვინ არის გრძელის თმით—
ლაპარაკობს ნელის ხმით:

ოხ, ეს გამყიდველნი!
დაღუპეს რუსეთი!..
მელექსე, ან მწერალი—
არის ვინმე ერთ-ერთი

აი ისიც--რომ ჩაუცვამს
ანაფორა გრძელი...
რატომ არის დღეს მოწყენით
ამხანაგი მღვდელი?

ალბად გახსოვს—გაბერილი
ღიპი წინ რომ მიგქონდა,
და ეგ ღიპი ხალხის წინ
ჯვრის სხივით კიაფობდა!..

აგერა—ქალბატონიც—
რომ ჩაუცვამს კრაველი,
მეორესთან მივიდა:
ბევრი დავლევარეთ ცრემლი...

ფეხი უსხლტება!..
ძირს დაეცემა!..

აი!. აი!. გასწი!
მოეხმარე, ასწი!..

ქარი მხიარული
ავობს და ხარობს,
კალთებს აფრიალებს,
გამვლელებს ცელავს...
გლეჯს, ათრევს თელავს
პლაკატს უშველებელს:
„მთელი ძალა-უფლება—
კრებას დამფუძნებელს“.

და ქარს მოაქვს სიტყვები:

ამ შენობაში მოვაწყეთ კრება—
გამოვიტანეთ დადგენილება:

დროებით—ათი, ოცდა ხუთი—მთელ ღამეს..
და ამაზე ნაკლები არ გამოერთვას არც ერთს..
....წავიდეთ—დავწვეთ...
საღამოა გვიანი.
ქუჩა ცარიელდება.
ერთი მოხეტიალე
იკუნტებ-იბლუნძება...

და უსტვენს ქარი!

ეი, საბრალო!
წინ წამოდექი—
და გადავკოცნოთ
ჩვენ ერთმანეთი!.

პური?!.. რა არის წინ?!
გაიარე, გასწი!..

ცა—შავია, ბნელი.
ბოლმა მწარე, მწველი
მიტრიალებს გულში..
შავი ბოლმა, ბოლმა წმინდა...

ამხანაგო!—ფრთხილად'..

II

ქარი ქროლავს, ფარფატ-ფრენით
თოვლი მოდის, მოდის!..
ათორმეტი ვინმე კაცი
მოაბიჯებს, მოდის.

შავ თასმებით თოფები
მხრებზე გადუკიდიათ,
ირგვლივ ყველგან, ყველაფერს
სულ ცეცხლი უკიდია...

პირში აქვთ ციგარები,
ისწორებენ ქუდებს...
ბუბნის ტუზი მოუხდება
უფრო იმათ ზურგებს...

თავისუფლება!.. თავისუფლება!..
ეხ; ეხ!.. უჯვროთა!..

სიცივეა, მეგობრებო, სიცივე!..

კატო დუქანში
ყავს ვანიასა...
ფულები ჩულქში
აქვს კატიასა...
ვანკა ეხლა, ამ ჟამად
თითონაც მდიდარია...
ჩვენი იყო ვანკა,
ეხლა მეომარია!..

ეი, ვანკა, ძაღლიშვილო,
შე ბურჟუო, სცადე
ჩემი საყვარელის კოცნა!',.
აბა ერთი სცადე!!..

თავისუფლება უჯვროთა!., ვახმე!..
კატოს ვანკასთან აქვს რაღაც საქმე...

რა საქმე აქვს? რა, რა?!
ტრა-რა-რა!..

ირგვლივ სულ ცეცხლი,
ცეცხლი, ცეცხლები...
მხრებზე მოსჩანან
თოფის ღვედები...

რევოლუციურით
გასწით ნაბიჯით!..

არ ძინავს მტერსა,
დაუცხრომელსა!..

ეი, ძმობილო, დაიჭი თოფი!..

არ შეგეშინდეს!..

აბა, ვუფეთქოთ, ტყვია მივარტყათ
ჩვენ წმინდა რუსეთს—

ბორკილიანსა,
ქოხ-მახიანსა,
სქელ-გავიანსა!...

ეხ, ეხ, უჯვაროთ!...

III

და გაეშურენ ჩვენი ბიჭები
წითელ გვარდიას რომ ემსახურონ,
რომ იმსახურიან მედგრად იბრძოლონ
და თავი დასდონ!..

ეხ, შენ სევდავ მწარე,
და ცხოვრებავ ტკბილო,
თოფო ავსტრიულო,
პალტო დაგლეჯილო!..

ყველა ბურჟუის საუბედუროდ
ავაბრიალებთ მსოფლიო ხანძარს...
მსოფლიო ხანძარს სისხლში დავანთებთ...
ღმერთი დაგვლოცავს და დაგვიფარავს...

IV

მეეტლე ყვირის, თოვლი ტლიალებს,
ელექტრონი კი—ეტლზე ციალებს...
ვანკა კატიას სადღაც მიაქანებს...
წადი!.. ეხ, წადი!..

მაზარა აქვს სალდათის,
სახე უგავს სულელსა,
ოხუნჯობს და ოხუნჯობს,
იგრეხს შავ ულვაშებსა...

დახე ჩვენი ვანია
რა მხარ-ბეჭიანია!..
აბა შეხეთ იმ ბიჭსა—
რა ენა წყლიანია!..

კატოს ჩერჩეტს ხელსა ხვევს—
ლაპარაკით აბრუებს...

თავი უკან გადუგდია—
უჩანს ბრძოლის კბილები...
პირ-მსუქანა გოგონას,
კატოს ვენაცვალები!..

შენ, ჩემო კატო, კისერზე
ჭრილობა არ მოგრჩენია,
და ძუძუსთან განაკაწრი
ისევ ისე გამჩნევია!..

იცეკვე—გეხვეწები!.
რა კარგი გაქვს ფეხები!..

მორთულ საცვლებს ატარებდი,
აბა კიდევ ატარე!..
აფიცრებთან ქეიფობდი,—
აბა დრო გაატარე!..

იქეიფე, დრო ატარე
ისე, როგორც გსურს,
მაგრამ რა ვქნა—ეს ოხერი
გული რომ მიდუღს!..

გახსოვს, კატო, აფიცერი—
დანას რომ ვერ გაექცა...
ნუ თუ ხსოვნამ გიღალატა,
შე ხოლერა შენა!..

ეხ, ეხ, გამომაცოცხლე—
შენ გვერდით დამაძინე!..

რუხ ფერ გეტრებს ატარებდი
და შოკოლადს ხეთქდი...
იუნკრიდან ჯარისკაცზე
როგორ გადახველდი?!.

ეხ, შესცოდე, ეგება
გულზე მომეცეს შვება!..

VI

„ლიხაჩი“ ეტლს მოაქანებს
ყვირის, ღრიალებს, ქაქანებს...

შესდექ, შესდექ!. შენ, ანდრია,
აქეთ დადექ—მოგვეხმარე!..
შენ, პეტრია, უკანიდან
მოურბინე, მოუარე!

ჰახ! ჰახ!.. ასტყდა სროლა თოფის..
დატრიალდა მტვერი თოვლის..

მეეტლეს და ვანკასა
უნდათ უშველონ თავსა...
გაიქცნენ!.. ერთხელ კიდევ
გამოსწიე ჩახმახსა!..

ჰახ!. აბა ეხლა გელოდინება
სხვის გოგონასთან გასეირნება

რას ნიშნავს რასა!..
ეხ, არამზადამ

უშველა თავსა!..

მაგრამ დაიცა!.. დედას გიტირებ—
მე შენ ანგარიშს ხვალ გაგისწორებ!..

კატო სად არის?
მკვდარია, მკვდარი...
გახვრეტილი აქვს
უბედურს თავი...

რაა, კატო, გიხარია?..
სდუმს... ჩავარდნია ენა...
თოვლზე იწექ—გირჩევნია;
ოხ, შე მძორო შენა!..

რევოლიუციურით
გასწით ნაბიჯით!..

არ ძინავს მტერსა,
დაუცხრომელსა!..

და კვლავ მოდიან თორმეტნი,
მხრებზე თოფ-გადაგდებულნი...
მხოლოდ ერთ მათგანს—ქალის მკვლელს
სახე აქვს გაფითრებული...

ის სულ უფრო და უფრო
მიდის ნაბიჯით ჩქარით,
ხელსახოცით ყელს იხვევს...
ვერ დამშვიდდა ვერასფრით...

— ამხანაგო, მითხარი —
რად ხარ დაღონებული?
— შენ ჩემო მეგობარო,
რად ხარ გაშტერებული?

— რად დაუშვი, პეტრე, ცხვირი?
კატიას ხომ არ დასტირი?

ეხ, ჩემო მეგობრებო,
იმ გოგოს ვაღმერთებდი...
შავსა, მთვრალ ღამეებსა
მე მასთან ვატარებდი...

სითამამით კვესავდენ
მისი ცეცხლებრი თვალნი...
და მარჯვენა თვალთანა
ჰქონდა წითელი ხალი...

აი ამათ ამრიეს,
დამიკარგეს გონება,
ავჩქარდი და დავღუპე..
ეხ, რაღა მეშველება!..

ვერ უყურებთ ამ გლახას—
არლანი რომ მომართა!..
დედა-კაცი ხომ არ ხარ?..
ბიჭო, რა დაგემართა?

ალბად გინდა, რომ სული
დარდს თან ამოატანო...
გიჯობს თავს მოუარო
და ძალა დაატანო!..

ეხლა ის დრო აღარ არი,
რომ გაგართოს ჩვენგან ვინმემ;
სალაღაოდ არ გვცალია—
დრო დადგება უფრო მძიმე!..

პეტრემ ნელის ნაბიჯით,
დაიწყო სიარული,
თავი ზევით ასწია
და გახდა მხიარული...

არ ჩაგვეთვლება ცოდვათ,
რომ წავიცელქოთ ცოტად...

უპატრონეთ სახლებსა—
ძარცვა იქნება დღესა!..

მთლად გაალეთ სარდაფები—
ქეიფობენ ლატაკები!..

VIII

ეხ, შენ სევდავ მწარე,
და მოწყენავ, მღრღნელო,
სულთა-მხუთავ, მკვლელო!..

ვახ, თავს როგორ მოვიფხან!..
ვიქეიფობ როგორ!..
ვახ, რა დროს გავატარებ!..
და მოვილხენ როგორ!..

ვახ, როგორ დავკვნეტავ
მზეუჭვრიტას თესლს!..
ვახ, როგორ დაუსვამ
დანას ბასრსა და მჭრელს!..

და შენ, ბურჟუო, ბეღურასავით,
გასწი, გაფრინდი!..

შავ-წარბასთვისა
საყვარლისთვისა—
მე დავლევ სისხლსა!..

განუსვენე, უფალო,
სულსა მხევლისას შენისას...
ეხ, რა ვუყო მოწყენას!

IX

ხმაურობა აღარ ისმის ქალაქში.
ნევის კოშკზე სიჩუმეა, სიწყნარე,
დარაჯები აღარ მოსჩას ქუჩაში—
დრო, ბიჭებო, ულვინოთ გაატარეთ!

გზა-ჯვარედინზე, საყელოში
ცხვირ-ჩამალული,
მოსჩანს ბურჟუი ერთ ადგილზე
გაჩერებული...
და იმის გვერდით,
უხეში ბეწვით,
პყრობილი ქეცით—
წელში მოხრილი,
კუდ-ამოჩრილი,
დამდგარა ძაღლი...

და დგას ბურჟუი, მშიერ ძაღლივით,
გაჩუმებული. ვით ამოცანა...
ძველი ქვეყანა, ტიალ ძაღლივით,
კუდ-ამოჩრილი უდგას უკანა...

X

ქარ-ბუქია საშინელი,
ბლეჯს, აწგრევს არე-მარესა.
ოთხ ნაბიჯზე ვერ გაარჩევს
ერთი კაცი მეორესა.

ერთ ადგილზე მოგროვილი,
ქარის მიერ ანახვეტი,
დახვეული აიმართა
ზეცისაკენ თოვლის სვეტი.

ოხ, როგორი ქარ-ბუქია!..
საშინელი, საზარელი!..
ყოვლის შემძლევ გევედრები—
აგვაცდინე განსაცდელი!..

ეი, პეტრე, რას მიჭქარავ!
აბა მითხარ, გთხოვ ამიხსნა—
ოქროს კანკელმა რა მოგცა?
ან თუ რისგანმე დაგიხსნა?..

ხარ ჩერჩეტი, რაღაც ხეპრე
და უგნური ამასთანა...
კატოს გულისთვის ხელები
სისხლიანი არ გაქვს განა?!.

რევოლიუციურით
გასწით ნაბიჯით!..

ახლოა მტერი,
დაუცხრომელი!..

მშრომელო ხალხო, წინ
გასწი!..

XI

და მიდიან ათორმეტნი შორის გზით,
თან არ ახლავს მათ სახელი წმინდანის,
ყველაფრისთვის მზათ არიან ყოველთვის,
შეცოდება არ იციან არასფრის...

და უშვერენ ფოლადისა თოფებსა
მტრებს უჩინარს, სადღაც მიმალულებსა...

ყრუ ქუჩეებში ქარიშხალი გრიალებს...
თოვლს მტვრად აქცევს ჰაერში ატრიალებს...
ფიფქ თოვლისგან ყრის გერმისებრ ნამქერსა.
— თუ ჩავარდი ველარ ამოსწევ ფეხსა...

მოსჩანს დროშა
წითელ ფერის..,
ხმა მოისმის
მწყობრი ფეხის...

XII

... მედიდურად მიიწევენ შორისკენ...
მანდ ვინ არის? აბა, გამოდი ჩვენსკენ!..

ეს ქარია—ნავარდობს,
წითელ დროშით თამაშობს...

წინ კი—ცივი ნამქერი...
ვინა ხარ?—გამოძვერი!..
უკან ძაღლი, ლასლასით,
მისდევს მშიერ—ოხერი...

ჩამომეხსენ ქეციანო,
შუბით მოგფხან ტანს!..
შენც, ვით ძაღლო მუნიანო,

ძველო ქვეყანავ,
ჩამომეხსენ, დაიკარგე,
თორემ გაგლახავ!..

მშიერ მგელივით, კბილ-დალრჭენილი,
უკან მიყვება, თავს არ ანებებს
კუდ-ამოჩრილი. ძაღლი ტიალი...
ხმა ამოიღე - ვინ მოაბიჯებს?!.

ეს ვინ აქნევს წითელ დროშას?—
გაიხედე!.. როგორ ბნელა!!.
გაიხედე—იქ ვინ გარბის,—
სახლებს უკან იმალება?!.

ამხანაგო, ვერ წამიხვალ!..
გიჯობს ცოცხლად რომ დამნებდე,
თორემ სროლას აგიტეხავთ...
გირჩევ—შენით გამოხვიდე!..

ჰახ!.. ჰახ!.. ასტყდა თოფის სროლა,
და სახლებმა ბანი მისცეს...

მხოლოდ ქარიშხალი იგი
თოვლში, ხანგრძლივად, კისკისებს!

ჰახ!.. ჰახ!.. ჰახ!.. ჰახ!..

მძლავრად, მედგრად განაგრძობენ
ათორმეტნი თავის გზასა,—
ვერასფრით ვერ იცილებენ—
ადევნებულ მშიერ ძაღლსა...

ქარ-ბუქს იქით—უხილავი,
ტყვიისგანაც დაფარული,
თეთრად გაშლილი ვარდებით
შემკულ დაგვირგვინებული,

თოვლ-მარგალიტად ბნეული,
ნაზის რხევით მიმავალი,
სისხლის ბაირაღით ხელში—
წინ მიუძღვის მაცხოვარი.

*—*.

ჯ. —ფარიძე.

# პირველი მაისი

**(მოგონება წარსულიდან).**

1900 წლის პირველი მაისის დილაა. ამინდს ცუდი პირი უჩანს: ცა მოღრუბლულია და წვიმაც სცრის.

სამაისო სამზადისი უკვე დაწყებულია. წინა დღით ჩვენთან მოდის ერასტი ჩანტლაძე და ვალერა ბილანიშვილი, რომელთაც გადმოგვცეს, რომ ხვალ, პირველ მაისს, ქალაქ გარედ ვდღესასწაულობთ და თქვენც უნდა. მიიღოთ მონაწილეობაო.

გათენდა დილა, და ჩვენც სანოვაგით ხელში, რამდენიმე კაცი გაუდექით გზას ნაძალადევის ტბისაკენ. გზადაგზა გვხვდებოდენ ამხანაგები, რომელნიც გზის მაჩვენებლად იყვნენ დანიშნულნი.

მივედით დანიშნულ ადგილს. ეს ადგილი დაბალია და გარს არტყია მაღალი გორები, რომელზედაც დარაჯები იყო დაყენებული, თუ ვინიცობაა პოლიცია გაიგებდა ჩვენს თავის მოყრას—ეცნობებინა.

საუცხოვო სანახავი იყო ეს ქვაბისებური ადგილი. შუა ადგილას ამართულია წითელი დროშა შესაფერი ლოზუნგებით და მარქსისა, ენგელსის და ლასსალის სურათით. გორაკების ფერდებზე გაშლილია სუფრა სანოვაგით სავსე. ეს იმიტომ, რომ თვალი აგვეხვია უცბად წამომწყდომ უცხო პირთათვის. აქ იყვნენ ყველა დარგის მშრომელნი, ყველაზე მეტი-კი რკინის-გზის მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშები. ყველას სახე მხიარული და გაბრწყინებული აქვს. იქ არის ძველი რევოლიუციის ქარ-ტეხილში გამობრძმედილნი და ახალგაზრდობა რევოლიუციონური ცეცხლით აღგზნებული მებრძოლნი, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ერთის გრძნობითა და ერთის იდეიით.

უცბად დაიგუგუნა მარსელიოზამ. ერიამული შეწყდა. ყველა ფეხზე წამოხტა, ქუდი მოიხადა და სულ-განაბული დროშის ქვეშ გაჩერდა. ეს იყო მებრძოლთა პირველი ფიცის დასაწყისი. გული ატოკდა, სისხლი აჩქეფდა ძარღვებში, როცა სიტყვა დაიწყო ძველმა რევოლიუციონერმა რკინის გზის მუშამ ილია კოპალეიშვილმა, ლადო ჯიბლაძემ, ყარაჯევმა და სხვ. მათი ყოველი სიტყვა, ბრძოლის წყურვილის გამომწვევი, ფიცის სიტყვები იყო და თვითეულ იქ დამსწრეთა გულში ღრმათ იჭრებოდა და იბეჭდებოდა. ფიცსა სდებდენ, რომ მომავალ წელს, თითო აქ დამსწრენი ხუთ-ხუთ კაცს მაინც შემატებდენ რევოლიუციონურ ჯარს და აშკარად ქუჩაში მოახდენდენ გამოსვლებს.

საღამო ხანია. თითქოს ბუნებამაც იხარა მებრძოლთა ფიცის მიღება და გადაიღო. მზემაც გაიღიმა და თავისი მაცოცხლებელი სხივები უხვად გადმოაფრქვია ჩვენს მყუდრო ბინაზე. დროშით ხელში და მარსელიოზის გუგუნით გამოვემართეთ ქალაქისაკენ და ერთი ვერსის დაშორებით ნაძალადევიდან დავიშალენით.

ფიცი მტკიცეთ დავიცვევით და მომავალ წელს მართლაც ერთი-ათად გაძლიერებული და მომზადებული გამოვედით თბილისის ქუჩებში.

ეს იყო 1901 წელს.

პირველი მაისის დღე ახლოვდება. ამუშავდა ჟანდარმერია და პოლიცია. ჰარა არ გვძინავს არც ჩვენ: ამუშავდა შარაძის სტამბა და მთელი ღამის განმავლობაში მანქანები აფრქვევდენ „ლევაშებს“ (ასე ვეძახდით მაშინ პროკლამაციებს). მეწისქვილის როლს თამაშობდა ერასტი ჩანტლაძე, მეპურისას-კი—ვლასა მგელაძე, ალექსი შარაძე და სხვები. ფურცლები უკვე დამზადებულ ბინაზე გადაიტანეს. ჯაშუშმა სტამბის წინ მოძრაობა შეამჩნია და შეუდგა თავის საქმეს, რასაც შედეგად მოყვა ამ სტამბის დაკეტვა.

გათენდა პირველი მაისი. ქუჩებში ხალხის არაჩვეულებრივი მოძრაობაა. ფეხზე დგას მთელი ჟანდარმერია და პოლიცია. ამუშავდა ჯაშუშთა ბუნაგიც.

ეგრედ წოდებულ სალდათის ბაზარს ყოველ კუთხიდან ხალხი აწყდება, ხალხი, რომელიც არ ჰგავს ჩვეულებრივ ბაზარში წამსვლელს. ესენი მეტ ნაწილად ჯოხებითაა შეიარაღებული და არა კალათებით. ყველას სახეზე მოუთმენლობა ეტყობა და ცნობისმოყვარეობით აქეთ-იქით იცქირებიან.

ბაზარი უკვე გაჭედილია ხალხით. გავარდა 12 საათზე ზარბაზანი. ეს იყო ნიშანი ბრძოლის დაწყებისა. მთელი ეს ხალხი შეინძრა და ელვის სისწრაფით, „ურას" ყიჟინით დაიძრა ერთი წერტილისაკენ და შემოეხვივნენ გარს ალექსანდრეს ბაღთან აფრიალებულ წითელ დროშას, რომელიც მაგრა ეჭირა ხელში მუშა ლეონტი მამალაძეს.

დაიძრენ ამ ადგილისაკენ პოლიციელებიც და ხმალამოწვდილი შემოერტყა გარს დროშასთან მყოფ ჯგუფს. აქ გაიმართა ნამდვილი ხელ-ჩართული ომი მუშებსა და პოლიციელებს შორის. ერთნი ლამობდენ ხელში დროშის ჩაგდებას, ხოლო მეორენი თავის მკერდით იცავდენ ამ დროშას, რომელიც მედგრად ეჭირათ ხელში.

ხმლების ჩახა-ჩუხით გააპეს ჯგუფის წრე და მიუახლოვდენ მედროშეს, რომელსაც დროშა ხელიდან არ გაუგდია მანამ, სანამ გამხეცებულმა პოლიციელებმა ნაფლეთებად არ აქციეს ის. იბრძვის მედროშე თავგამოდებით და ცარიელი დროშის ტარით უმასპინძლდება ხან ერთს პოლიციელს და ხან მეორეს. დაიმსხვრა ჯოხიც და მედროშე დარჩა ხელ-ცარიელი. მან მიმართა უკანასკნელ საშუალებას — რევოლვერს და რამდენიმეჯერ კიდეც გაისროლა ის, თავის დასაცავად, მარა მაინც ვერ ასცდა ცემას და დაპატიმრებას. ძალზე ნაცემი დააპატიმრეს.

ამ ბრძოლის დროს მეორე ადგილას აღიმართა მეორე დროშა, მეორე მედროშის, ძველი, რევოლიუციონურ ქარ-ცეცხლში გამოწრთობილ, არაქელ ოქუაშვილის მეთაურობით. აქაც იგივე ისტორია დატრიალდა. არაქელას დაკოჟრებულ ხელს მედგრად უჭირავს დროშა. ის გაავთრებულ ლომსავით იბრძვის და მას არავის უთმობს.

პოლიცია დაიბნა. ყველგან „ურას" ყიჟინი გაისმის და არ იცის, სად აღიმართება კიდევ დროშა. ის ეხეთქება აქეთ-იქით. მათ მშველელად გამოჩნდენ ცხენოსანი კაზაკები და დაერივნენ ხალხს ხმლებითა და მათრახებით. ხალხი დაიშალა და ტყვედ დასტოვა რამდენიმე ათი ამხანაგი, რომელთა შორისაც იყვნენ ჩვენი პირველი მებაირახტრენი ლეონტი მამალაძე და არაქელ ოქუაშვილი, ძალზე ნაცემხი.

ეს იყო თბილისის პროლეტარიატის პირველი ფიცისთვის ბრძოლა, ბრძოლა თავ-დაუიწყებული, შეუპოვარი, მედგარი. აქ მოხდა პირველი ნათვლა მებრძოლთა რიგების. ეს ბრძოლა გაგრძელდა შემდეგს წლეებში და ბოლოს ამ მედგარმა ბრძოლამ მიგვიყვანა ჯერ თებერვლის და შემდეგ დიდი ოქტომბრის რევოლიუციამდე ამავე ბრძოლის ნაყოფია დღევანდელი თავისუფალი პირველი მაისი, რომელსაც თამამად შეგვიძლიან ვუწოდოთ პროლეტარიატის ნაციონალური დღე.

მ. გ—ძე.

# ფიქრები ქართველ მწერლის ბედზე

გ. ქუჩიშვილი.

ღრმა ჭეშმარიტება ელვარებს დოსტოევსკის შთამგონებელ სიტყვებში: „მშვენიერება იხსნის ქვეყანასაო". მშვენიერება საგანია, შინაარსია ხელოვნებისა. სადაც ხელოვნების სხივიერება შეიფრქვევა, იქა ჰქრება წყვდიადი, სასოწარკვეთა, სიძულვილი... იქ რწმენის ხომლები ენთებიან... იმედის მზეები ჩნდებიან.

სარგებლიანობისა და ცივი ანგარიშის საუკუნეში მეტად დამშეულია გული... ასეთს დროს სწორედ ხელოვნებაა, რომელიც იძლევა საზრდოს, რომელიც თვისი დაუშრალი, მარად გატიტკნილი ჯიქნებით ჰკვებავს დამშეულს, მწყურვალს.

დიახ, ხელოვნების მიერ გაწეული სამსახური და ღვაწლი უანგარიშოა, მაგრამ ვინ ისწავლა ყადრი ხელოვნების შემომქმედთა?.. ხელოვანი ერთხელ მაინც უნდა ყოფილიყო დაჯილდოვებული. ხელოვნების ბუდრუგანა, ფარღალალა სახლის კარზე უნდა წერებულიყო: ვაშა ხელოვანს, რომელიც იძლევა კაეშნის ბორკილებიდან განთავისუფლებულ გრძნობასაო...

როგორც ბევრი ნატვრა, ისიც მტკნარდება.

ხელოვნები იყვნენ და არიან დავიწყების საბურველ გადაფარებულნი... ხელოვნები არიან, რომელთაც ცხოვრება დედინაცვლის უჯაათობით და ბოროტებით უმჯიალებს და თვალში ნაცარ-ტუტას აყრის.

ეს ამბავი ყველგანა ჰხდება, მაგრამ უფრო ჯიუტად ჩვენში მეორდება ხოლმე.

ეს ჩვენი ქვეყნის ძველის ძველი, უუხნიერესი, მაგრამ მარად დაუძველებელი ზღაპარია:

საქართველო ის კლასიკური ქვეყანაა, სადაც მწერლებს სკიოდათ, ჰშიოდათ, თუმცა მათი ნაწერები ძვირფას საფირონებად კრიალებდენ და ბრწყინავდნენ...

ნინოშვილი, ფიროსმანიშვილი, ევდოშვილი, ჩხიკვაძე, ახოსპირელი — ყველა ამათი სიცოცხლე მომხიბლავ ზღაპარსავით გასწყვიტა სიკვდილის გამომწვევ ტანჯვა-გაჭირვებამ.

ლამის ასეთივე ბოლო ეწიოს პოეტს გიორგი ქუჩიშვილს...

როდესაც ქუჩიშვილის ბედზე ვფიქრობ, მაგონდება ერთი ბიბლიური თქმა: მალე აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე კათაკმეველი ელოჰსის სასუფეველსაო...

ეჰ, აქლემებიც ძვრებიან ნემსის ყუნწში, კათაკმეველნიც დასეირნობენ ნეტარების ხეივნებში — ქუჩიშვილს კი არა ეშველა რა.

და ეს იმიტომ, რომ ქუჩიშვილს ერთი „ნიჭი" გამოსწირა შემოქმედმა... მას არა აქვს გაძვრომ-გამოძვრომის უნარი...

იგი ერ არის შთაგონებული თავისი თავი წამოასკუპოს ყველგან... გზაჯვარედინზე ილაპარაკოს...

იგი შორს არის რეკლამისტობისაგან...

დღეს ყველას მოაქვს თავი დიდ ხელოვანად.

ყველა ეტმასნება—გულწრფელად რევოლიუციონურად მომღერალ პოეტებს...

ცრუ პოეტთაგან გამართულია დოლი რითმების მუშაობისა, თუ უაზრო აზრებით ფალავნობისა...

პოეზიაში რევოლიუციონერობა ჰგონიათ, თუ პითიასავით იბოდეს და საზღვრებ-მორღვეულ ლექსებით იალთა-ბალთეს.

დავიჯეროთ ეს დუღილია?.. ძიებაა?..

მათი ვითომ და მუსიკალობა უფრო უსიამოვნო ქლრიალია იმ ორკესტრისა, საცა მემუსიკენიც უუნარონი არიან, დირიჟორიც უნიჭო ჰყავთ და დამთხვეული... იმათი მუსიკაც ცხადია იშვიათი „ღირებულებისა“ იქნება.

თვითეულ მათგანს რო ვკითხოთ უეჭველად მოგვიგებენ, რომ იგინი არიან მსოფლიო კორიფეების ტოლნი... რომ პოეზიის ანნალები მათი სახელებიდან იწყობა...

—

შორს კი არ არის ის დრო, როცა ისინი ნაფიცი დამცველები და მეხოტბენი იყვნენ წმინდა ესთეტიზმისა...

ვის არ ახსოვს ის დრო, როდესაც წმინდა ესთეტიზმის სკოლამ ერთი განგაშიც კი ასტეხა, როცა გაიგეს, რომ ერთი საზოგადოება გ. ქუჩიშვილის ნაწერების გამოცემას აპირებდა...

ქუჩიშვილის ნაწერები ტენდენციურად მიაჩნდათ, რადგან იგი მღეროდა მოქალაქობრივ ჰანგებზე, რადგან იგი იყო ბარიკადების პოეზიის დამამშვენებელი...—ვის გაუგია ასეთი ნაწერების გამოცემა, ბარემ კარლ მარქსის კაპიტალი გიპლექსეთ და ეგ არისო—ბუზღუნებდნენ ესთეტები.

—

თუ ასე აბიაბრუებდნენ რევოლიუციის მენალარეს—ქუჩიშვილს, სამაგიეროდ დიდის აღტაცებით ეგებებოდნენ მუშათა წრეებში...

მახსოვს ამ ათი დღის წინეთ ქუჩიშვილის პირველი წიგნი რომ გამოვიდა—საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მუშების აუარებელი წერილები მოსდიოდა მუშათა გაზეთებს.

ყველგან მადლობას უცხადებდნენ ქუჩიშვილს და უთვლიდნენ მუშურ სალამს...

ვის არ ახსოვს როგორს ენტუზიაზმს იწვევდა მუშათა თეატრებსა და აუდიტორიებში ქუჩიშვილი...

დილა-ადრიან ქარხნებისკენ აჩქარებული ნაბიჯით მიმავალი მუშები—მეგაზეთეებისკენ უეჭველად გაივლიდნენ, რომ გაეგოთ—იყო გაზეთში მოთავსებული ქუჩიშვილის ლექსი თუ არა... თუ იქნებოდა—უყიდველს არ გაუშვებდნენ...

ეს იყო დრო საშინელი რეაქციისა... რომანოვის დერჟიმორდებს და ჯალათებს რუსეთ-საქართველო მოკირწყლული ჰქონდათ მებრძოლთა ძვლებით... აუარებელს შორეულ ციმბირში ჰქონდა თავი ნაკრავი ინკვიზიციის მისაღებად... თითქმის სრულიად მოშლილი იყო ამ დროს არალეგალური რევოლიუციონური ფრონტი, მაგრამ უძლეველად და მტკიცედ იყო აღმართული მებრძოლ პოზიციის ბარიკადა.

ამ ბარიკადას მგზნებარე გულებით იცავდენ მუშების მგოსნები: ქუჩიშვილი, რუხაძე, ზომლეთელი, მალაქიაშვილი, ტუქსიშვილი, იასამანი, ობოლი მუშა და სხვები.

ესენი აღუძრავდნენ დაქვრივებულ მუშათა კლასს მომავლის ქარიშხლის მოახლოების რწმენას.

ვგონებ ნაპოლეონს უთქვამს: საფრანგეთის რევოლიუციონურ ჯარში იყო ერთად-ერთი უძლეველი გენერალი, რომელიც ყოველგან არღვევდა მტრის ლეგიონებსა... ეს გენერალი იყო მარსელიოზაო.

ვფიქრობ ვერავინ უარჰყოფს ამ მოსაზრებას... მართლაც მარსელიოზის ჰანგები იყვნენ, რომელნიც თილისმიანად გარდაქმნიდნენ ხოლმე მეომრებს... ყველა ღიმილით ჰხვდებოდა სიკვდილს... ჯაბანი რევოლიუციონურ ჯარს არა ჰყოლია... სწორეთ ასეთი გენერლები იყვნენ ჩვენში რევოლიუციონურ შინაარსის ლექსები და სიმღერები... აკი იგინი ყუმბარად სქდებოდნენ მტრის ბანაკში... არც ერთი ამაოდ არ დაჰცდარა... აკი ყავარ-ყავარ დაიმსხვრა და დაიფლითა ძველი ბებერი შეშლილი ქვეყანა...

* * *

ქუჩიშვილის ლექსებმა გამახსენეს ლოცვები...

ბევრს ლოცვა მხოლოდ საეკლესიო საგალობელი ჰგონია...

ნამდვილად კი ლოცვა საეროც არი...

გ. ქუჩიშვილის ლექსები სწორეთ საერთო, მუშებისა და გლეხების ლოცვებია და ფსალმუნები...

ცხრამეტი წელიწადია, რაც ქუჩიშვილი მუშებს ასწავლის ახალ, წარმართულ ენტუზიაზმით მოთვალმარგალიტებულ ლოცვებს...

19 წელიწადია, რაც ქუჩიშვილი განხორციელებულ მარსელიოზა-გენერალია...

არც დაბერებულა ეს გენერალი.

არც დაღლილა...

პროლეტარიატმა და მისმა ტრიბუნებმა დაღლა არ იციან...

მათს დროშაზე მხოლოდ გამარჯვება აწერია...

სანამ პირში სული უდგია არც შესწყვეტს შემოქმედებას, მაგრამ...

არის ძალა, რომელიც ყველას ერევა...

რომელმაც გარჩევა არ იცის...

აკი შარშან კინაღამ არ მოგვტაცა ამ ულმობელმა ძალამ მგოსანი... კიდევ კარგია მააქციეს ყურადღება... იხსნეს სიკვდილის შავი ამბორისაგან...

დღეს?.. დღეს ისევ მიივიწყეს... დღეს ისევ ტყვეთ ჰყავს ქუჩიშვილი იმ უსაშინელესს გაჭირვებასა და ავადობას, რომელიც ერთგული მეგობარია სიკვდილისა...

ქუჩაში ყოველ დღე დაინახავთ მოსიარულე აჩრდილს... ეს აჩრდილი ქუჩიშვილია... იგი ტყვეთ შეუპყრია იმ ბებრუხანა სიღატაკეს, რომელსაც ლაშები დაღრენილი აქვს მოღალატის პირსავით...

რა მწარე დაცინვაა ბედისა...

ქუჩიშვილს პოეზიის უთვალავი ყვავილები აქვს მიმოფანტული, თვით კი მოკლებულია ყველაფერ იმას, რაც ოდნავ მაინც შეაყვარებს ცხოვრებასა...

როგორც წელანაც ვთქვი დღეს ყველა ჯაგლაგ პოეტს თვისი კალმის ნაცოდვილარი მიაჩნია 96 „პრობის“ ბაჯაღლო ოქროდ, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ უდიდესი, მიუკერძებელი, აუჩქარებელი და დინჯი კრი-

ტიკოსი ცხოვრებაა და ახალგაზდობა... ამ კრიტიკოსებმა კი გამარჯვება ქუჩიშვილს მიანიჭეს... დღეს განახლებულს, შრომის პრინციპებზე აგებულს ჩვენს სასწავლებლებში უმთავრესი ადგილი დათმობილი აქვს ქუჩიშვილის ნაწერებს... ვერ ვნახავთ ბავშვს, რომ ქუჩიშვილის ლექსები არ იცოდეს ზეპირად...

რაღა ბავშვები, უნივერსიტეტში შემსვლელ ახალგაზრდებისგანაც თანამედროვეთაგან მხოლოდ სამი მწერლის შემოქმედების განხილვას მოითხოვენ: დავითაშვილის, ევდოშვილის და ქუჩიშვილისას.

ასეთი ყურადღება ქუჩიშვილმა იმიტომ დაიმსახურა, რომ იგი ის დაჭიმული, სათუთი სიმია, რომელზედაც უმალ შეირხევიან და აჟღერდებიან მებრძოლთა სულისკვეთებანი და ზრახვანი.

19 წელიწადია, რაც ქუჩიშვილი გამოსულია სამწერლო ასპარეზზე... ცხრამეტი წელიწადი... მარადისობისთვის ეს დრო შეიძლება თვალით გაურჩეველი წერტილიც არ იყოს, მაგრამ ადამიანისთვის და მეტადრე პოეტისთვის, რომლის ცხოვრება წვა არის—19 წელი მთელი ეპოქაა...

ისიც კი გასაკვირველია, ამდენს ხანს როგორ გასძლო ქუჩიშვილმა, რომლის ცხოვრება იყო საშინელი იერემიადა...

* * *

დღეს წიგნების გამომცემლობის საქმე დიდის აჩქარებით მიდის წინ. ისე დღე არ გავა, რომ წიგნების მაღაზიის ყაფაზას ახალი წიგნი არ შეემატოს... იმედებით ვივსები... თვალს არ ვაშორებ... მხოლოდ გული მეთანაღრება, რომ მათში არ ურევია ზოგიერთი თანამედროვე მწერლების ნაწერები... თუნდა ქუჩიშვილისა... წიგნების გამომცემლობას მხატვრული ლიტერატურა სწორედ ქუჩიშვილის ლექსებით უნდა დაეწყო... პროლეტარიატის და შეგნებულ გლეხების ოჯახს ძვირფას სამკაულად ექნებოდა თვისი მღერლის წიგნები... ჩვენს ახალგაზრდობასა და მასწავლებლებსაც დიდს სამსახურს გაუწევდით... ყველა სკოლა სჩივის: ქუჩიშვილის წიგნები არ მოგვეპოვებაო...

შარშან საბავშვო წიგნების გამომცემლობამ გამოუშვა ქუჩიშვილის ლექსების სიფრიფანა რვეული და იანაიანა დაიტაცეს...

უნივერსიტეტში შემსვლელ ახალგაზრდობამ ხომ არ იცის რა ქმნას... როგორ შეისწავლოს ქუჩიშვილი, თუ მისი ნაწერების რჩეული კრებული მაინც არ მოიხელეს.

დროა ახლა მაინც შეივსოს ეს ხარვეზი...

სახელმწიფო გამომცემლობამ თავს იდვას ეს მადლიერი და საჩქარო საქმე...

— —

მაგრამ ეს არა კმარა...

საგანგებო ყურადღება უნდა მექცეს თვით ქუჩიშვილს... მისთვის მარად არ უნდა ვაგლახობდეს ბედი...

აღსანიშნავია, რომ მთავრობა ხარჯებს არ ერიდება დამსახურებულ მოღვაწეთა პენსიის დასანიშნად...

ეს დიდი, დიდი საქმეა...

უფრო კარგს იზავს, თუ ქუჩიშვილსაც აღმოუჩენს ღონისძიებას... პროლეტარიატის მღერალი იმდენად მაინც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, სახლში პური და „ტარანა“ მაინც გამოულეველი ჰქონდეს...

ჩვენს მწერლებს კი ბევრჯერ ესეც სანატრელად აქვთ გადაქცეული...

აი გაზაფხული უკვე გვეწვია თვისი ზურმუხტი მერნებითა... დაიწყება აგარაკებზე ფიქრი... გადანათებულს და მკერდ-ჩავარდნილ, კატარისგან ფილტვებ გამოფიტულ ქუჩიშვილს უფრო გაუჯოჯოხეთდება ცხოვრება, თუ მზრუნველობა არ გასწია მასზე სათანადო დაწესებულებამ და არ მისცა საშუალება ოდნავ მაინც შეასვენოს ტიალ ცხოვრების ღრანტეებში დაქანცული სული...

ვინც ყველაზე მეტად ღირსია პენსიისა და ყოველგვარ ყურადღებისა ის, რომელიც მარად რევოლიუციასთან იყო და პროლეტარიატისათვის იწოდა, იფერფლებოდა...

**ციცინათელა.**

# მინაღმება

**(პოემიდან „რევოლიუცია“)**

ღამეები დიოდენ ღვარებად.
ქვეყანა იყო ავსებული შხამიან გველებით.
იყო სევდები და მწუხარება,
ღელავდა ბაგე შურისძიების ამეტყველებით.

იდგა ბოროტების ბნელი ხევები.
ციმბირის ცივი ხელები ლესავდენ ცელებს;
მტირალ დედათა ტანსა ფარავდა ჩვრის ნახევები,—
ვინ შეუშრობდა გადმოღვარულ, თვალებზე ცრემლებს.

ო, მაშინ ვიყავ მათხოვარი
მშიერ-მწყურვალი
და ქუჩა-ქუჩა დავდიოდი
ქარვისფერ ლანდათ;
და სნეულ გულში გროვდებოდა
რისხვა ფარული;

ჩემი ცხოვრება ფერწასული
სამარეს ჰგავდა,
მწყუროდა წუთით ტკბილი ბინა
და სიხარული.

იმ საუკუნის მოგონება
გულზე ეშვება დათალხულ ფარდათ;
ოდეს წამების მძიმე ჯვრები ზიდეს მონებმა
და მიუსაფართ ეძინათ გარეთ: წვიმასთან, ქართან.

და ეხლა როცა:
თავისუფლების ხანძარი ანთია;
როცა საყვირი რევოლიუციის
მიარღვევს ლაჟვარდ ზეცის კამარებს;
როცა სევდები სამუდამოდ დავასამარე:
მე—გაფრენილი წითელი ქარით
ამაყი ნებით ვესალმები მზეს და განთიადს!..

**ალ. ონელი.**

# პირველი მაისის დღესასწაულის ჩასატარებლად

## დღესასწაულის ჩატარების წესი თბილისში

I. პირველი მაისის დღესასწაული ჩატარებული უნდა იქნეს შემდეგი ლოზუნგების ქვეშ:

1. საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დემონსტრაცია,
2. ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის,
3. აღმოსავლეთის მშრომელი მასების რევოლიუციონური მოძრაობის განმტკიცება და ზრდა,
4. პროტესტი ბურჟუაზიული ტერორის წინააღმდეგ,
5. „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“,
6. მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შემდგომი განმტკიცება,
7. საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება—ყურადღება წითელ არმიას,
8. ლენინიზმის საფუძლების შემდგომი განმარტება და ვლადიმერ ილიჩის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება.

II. პირველ მაისს დღესასწაული ეწყობა ორ ადგილას ხუდადოვის ბაღში და ავლაბარ ნავთლუღის რაიონში (მე-9 პოლკის ბანაკის მიდამოებში). მუშა-მოსამსახურეები რაიკომების მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, თავს იყრიან და მიემართებიან დღესასწაულის ადგილზე.

დღესასწაულის ადგილებზე გამართული იქნება მფრინავი მიტინგები, ფიზკულტურის წრეების გამოსვლა, მასიური თამაშობანი და სხვა.

III. ორ მაისს საღამოს, უფასო წარმოდგენები, კინო და სხვა ყველა კლუბებში (თვითმოქმედების წესით).

საკლუბო წარმოდგენების პროგრამაში შეტანილი უნდა იქნეს წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების კურს-დამთავრებულთა საზეიმო გამოშვება.

IV. პროლეტკულტს წინადადება ეძლევა აქტიური მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულებში.

V. ორ და სამ მაისს საშეფო კომისიები მიემგზავრებიან შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლებში.

VI. პირველ მაისს დილით თანახმათ ბრძანებისა კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მჩმართ, მოხდება წითელარმიელების მიერ ფიცის მღება მუშების წარმომადგენლების მონაწილეობით (თვითეული რაიონიდან 100 დელეგატი).

ფიცის მიღების შემდეგ წითელარმიელები მიემართებიან დღესასწაულის ადგილებისაკენ.

VII სამ მაისს ეწყობა ბავშვთა დღესასწაული სპეციალური პროგრამით, რომელსაც იმუშავებს განათლების სახალხო კომისარიატი სახალხო განათლების განყოფილების და პარტიის თბილისის კომიტეტის, კომკავშირის და ახალგაზრდა პიონერთა წარმომადგენლებთან ერთად.

VIII. პასუხისმგებლობა დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის ეკისრება ცენტრალურ კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. რახმანი, ჭელიძე, არუთინოვი, დვორიანოვი, ბუხნიკაშვილი, სერგო კანდელაკი, მარიამ ორახელაშვილი და ვლ. აბაშიძე.

**ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი.**

---

## კომინტერნის აღმასკომის მიმართვა ყველა ქვეყნების მუშებისადმი

ყველა ქვეყნების მუშებისადმი გაგზავნილ მიმართვაში კომინტერნის აღმასკომი აღნიშნავს, რომ წელს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, 1 მაისის დღესასწაული უნდა იყოს მსოფლიოს პროლეტარიატის ძალთა დათვალიერების დღე, ვინაიდან ყველა ქვეყნების პროლეტარიატი აწარმოებს მედგარ ბრძოლას მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ. ამასთან ერთად კაპიტალიზმი მიაქანებს მსოფლიოს ახალ უდიდეს სისხლის ღვრისაკენ. იმპერიალისტურ მთავრობების მშვიდობიან განცხადებათა მიზანია მხოლოდ ხალხის მოტყუილება. ისეთი მოსამზადებელი ზომები, როგორც განაპირა სახელმწიფოების გენერალურ შტაბების ამას წინად რიგაში მოწვეული კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ამტკიცებს, რომ ამ სახელმწიფოების მთავრობებს ხელახლა სურთ მიუსიონ თავიანთი მსახურნი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უძლიერს საყრდნობს—ძლევამოსილ რუსეთის რევოლიუციას.

ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების კლასიურად შეგნებულმა მუშებმა წინანდელზე უფრო უნდა შეამჭიდროვონ რიგები თავიანთ ავანგარდის—კომუნისტურ ინტერნაციონალის პარტიების ირგვლივ, რათა მზად იყონ ახალი ბრძოლებისათვის.

ამ ნიშან ქვეშ უნდა ჩატარდეს 1 მაისის დღესასწაული—საყოველთაო გაფიცვის, რევოლიუციონურ პროლეტარიატის ძალთა დათვალიერების, მის ბრძოლისათვის მზადყოფნის დღე.

აჩვენეთ ქვეყანას პროლეტირიატის მტკიცე ნებისყოფა დაიცვან რვა საათის სამუშაო დღე და ხელახლა მოიპოვონ იგი იქ, სადაც წართმეული აქვთ.

უჩვენეთ ქვეყანას პროლეტარიატის მზადყოფნა მიაღწიოს პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობას.

მოუწოდეთ გლეხთა მასები პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირისაკენ კაპიტალის უღლისაგან მთელი კაცობრიობის მშრომელთა მასების განსათავისუფლებლად.

# მუშათა კომისიის მუშაობა

## მუშათა კომისიის მოგზაურობა კახეთში.

ტფილისიდან გავემგზავრეთ 7 აპრილს გურჯაანში, საცა თათბირი გვქონდა ადგილობრივ რწმუნებულებთან, რომლებსაც ჯერ თითქმის არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ. მიზეზი თელავის ქვეკომისიის უმოქმედობა ყოფილა, რომლებიც ძრიელ დატვირთული ყოფილან საქმეებით და რომელთაც უნდა ეწარმოებინათ მუშაობა თემებში გადასვლით პროპაგანდა-აგიტაციის საწარმოებლად და ადგილობრივი რწმუნებულების სახელმძღვანელოდ და მუშაობაში ჩასაბმელად. გურჯაანშივე გვქონდა ბაასი ზოგიერთ გლეხებთან, რომლებიც გულახდილათ აღიარებენ, რომ ეხლანდელი ხელისუფლება მათი, გლეხების და მუშების ხელისუფლებაა, რომ მათთვის მიუღებელია ყოველნაირი მთავრობა გარდა ეხლანდელი ხელისუფლებისა, მხოლოდ დიდათ სწუხან რომ ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი აჭარბებს თავის უფლებებს რითაც აწუხებენ ხალხს და ამით აძულებენ მათ ხელისუფლებას. ყოფილა ერთხელ ასეთი შემთხვევა ნოემბერ-დეკემბერში: მოუწვევიათ ხალხი ადგილობრივ დახურულ ეკლესიის შენობაში ვითომდა კრებისთვის. შემდეგ ქალები ყველა გამოურეკიათ გარეთ და მამაკაცებისათვის გამოუცხადებიათ: სანამ გადასახდს არ მოიტანთ, არცერთს არ გაგიშვებთო. დატრიალებულან ცოლები და ნათესავები და მიუყიდ-მოუყიდიათ ვის რა შეეძლო და ისე მოუგროვებიათ გადასახადი. გადასახადების გაწერაც უწესრიგოთ ყოფილა. ხშირად ქონია შემთხვევა რევოლვერებით დამუქრებას და დაშინებას. გლეხები იმასაც ამბობენ, რომ ძველათ რომ არას ვენდებოდით, არა საიმედო პირები იყვნენ, ისეთები მოგვევლინენ (ზოგიერთებიო) მთავრობის მოხელეებათო და ეხლა შურს იძიებენ და გვაწუხებენო და თხოულობენ ყოველ სოფელში თუ არა ყოველ თემში მაინც მოგვეცეს თითო ძველი პატიოსანი ნამდვილი კომუნისტიო, ახლად გაკომუნისტებულს კი ნუ გვიგზავნიანო.

აქ დავრჩით ორ დღეს. უბინობის გამო მოვთავსდით ერთერთ უფანჯრო სამოსამსახურო რონოდაში. ამინდი ძრიელ ცუდი, წვიმიან-ქარიანი იყო, ამიტომ ისედაც ჯანგატეხილი და ფილტვებ დაზიანებული ამხანაგი ს. გვიმრაძე გაცივდა და ავად გახდა. მივაშურე, თელავს საცა ის მოვათავსე საავადმყოფოში; დიდი თანაგრძნობა გაგვიწიეს ადგილობრივ მუშათა ქვეკომისიის წევრებმა და სხვა თანამგრძნობ ამხანაგებმა; მათშორის ექიმ ხიტაროვმა რომელმაც ყოველი საშვალება იხმარა ავადმყოფის გამოსაბრუნებლად, მაგრამ გაცივების ნიადაგზე ფილტვების დაზიანება იმდენად ძრიელი გამოდგა, რომ იქ გაუმჯობესების იმედი დავკარგეთ და რვა დღის ექიმობის შემდეგ გადავწყვიტეთ თბილისისათვის მოგვეშურებია—კიდეც ჩამოვიყვანეთ 18 აპრილს. 17 აპრილს ქალაქ თელავის კლუბში მოწვეული გვქონდა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრება. კრება გაიხსნა საღამოს ხუთ საათზედ. გვქონდა მოხსენება აგვისტოს გამოსვლების შესახებ. ხალხი მოხსენებით კმაყოფილი დარჩა თუმც ერთ რამეს კი გვემდუროდნენ: რატომ ამდენ ხანს არ გვირკვევდით თუ ასე იყო საქმეო. იყო შეკითხვებიც, რომლებიც მხოლოდ ჩვენ დაგვიანებულ ამოძრავებას უსაყვედურებდნენ. ადგილობრივ და მახლობელ სოფლელ გლეხებთან გვქონდა მუსაიფი, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივ წვრილ-ფეხა მოხელეებს ემდურიან, რომლის მოუხეშავი და შეუფერებელი დამოკიდებულება სულ უბრალოდ აწუხებს გლეხებს და ამბობენ, სოფლად რომ კარგ მოხელეებს გამოგვიგზავნიდნენ, რომლებიც იცნობენ ჩვენს მდგომარეობას და რომლებიც არ დაგვიწყებს ლანძღვა გინებას და რევოლვერებით დაშინებას, მეტი სადარდელი არა გვექნება რაო. ძრიელ ემადლიერებიან ამხანაგ ელისაბედიშვილს და ხოშტარიას და აშკარად ამბობენ, რომ ასეთ ამხანაგებს დაგვინიშნავდნენ ყოველ თემში არავითარ გაუგებრობას არ ექნება ადგილიო. თელავის ამხანაგებს დიდი მიღწევები აქვთ. საუცხოვო სახალხო სახლი გაუკეთებიათ.

ქუჩების გაფართოება-გამშვენიერებაც დაუწყიათ ალაგ-ალაგ და ისეთი ბაღი გაუკეთებიათ, რასაც ამ ცოტა ხანში მოათავებენ, რომ დიდ ქალაქებსაც შეშურდებათ ასეთი მშვენივრად მოწყობილი ბაღი. საბჭოებში გაუყვანიათ უპარტიოებიც და ეს უფრო კარგათ მოეწყობოდა და საბჭოებში უფრო სასურველი პირები მოხდებოდენ (უნარიანობის, ცოდნის და საერთო ნდობის მხრივ რა თქმა უნდა) რომ მათი არჩევა ჩვენ რწმუნებულებთან შეთანხმებით მომხდარიყო, მაგრამ ეს ვერ მომხდარა, რაშიაც ჩვენი ამხანაგებიც დამნაშავენი არიან რამდენიმეთ. უნდა მისულიყვნენ ხელისუფლებასთან და გაეზიარებინათ ამის შესახებ თავისი აზრი და საერთო შეთანხმებულათ ემოქმედათ, მაგრამ ასეთები შემდეგში იმედია არ განმეორდება და აწი მუშაობა ნორმალურად წავა.

კრებამ აირჩია კიდევ ოთხი რწმუნებული რომლებიც დაეხმარებიან ქვეკომისიას ამოქმედება-ამუშავებაში.

**ლ. კუპრაშვილი.**

---

## ქ. თელავი

1925 წელს აპრილის ჩვიდმეტს ქალაქ თელავში შესდგა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრება, რომელმაც მოისმინა რა მუშათა კომისიის წევრის ამხ. ლ. კუპრაშვილის მოხსენება: „აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში გამოსვლები და ჩვენი ამოცანა“ დაადგინა: კრება იწონებს 7—8 ოქტომბრის კრებაზე არჩეულ მუშათა კომისიის მუშაობას და ავალებს მას განაგრძოს ენერგიული მუშაობა, რათა ბოლო მოეღოს ყოველნაირ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც ლეგალურად, აგრეთვე არალეგალურადაც. გმობს აგვისტოს გამოსვლებს და ძველი გზით სიარულს, რამაც ხალხი მიიყვანა ფიზიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განადგურებამდე. ხსნა მხოლოდ რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებაშია, რომელსაც მეთაურობს მუშურ-გლეხური ხელისუფლება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამიტომ საქართველოს მუშის და გლეხის, აგრეთვე მებრძოლი ინტე-

ლიგენციის მოვალეობაა ხელი შეუწყოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების გამაგრება-განმტკიცებას.

კრება ადგენს, დაევალოს მუშათა კომისიას იმუშაოს იმ მხრივ, რომ ყველა რუსეთში გადასახლებული ჩვენი ამხანაგები დაუბრუნდნენ მუშების რიგებს, აგრეთვე გაიგზავნოს დელეგაცია საზღვარ გარეთ გადახვეწილ ამხანაგებთანაც, რათა მათ შესწყვიტონ ყოველგვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და დაუბრუნდნენ თავის სამშობლოს ქართველი ხალხის და რევოლიუციის საკეთილდღეო მუშაობისათვის.

გაუმარჯოს შუღლისა და მტრობის უკუგდებას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

თავმჯდომარე: კ. გეგელიძე.

მდივანი: ალ. ჩიტოშვილი.

---

## ქ. ქუთაისი

პირველ აპრილს ქუთაისის ქალაქის თეატრში შესდგა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საზოგადო კრება.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ევგენი შავგულიძე, მდივნათ ლუარსაბ ჰირაქაძე. მოხსენებით „აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანები“-ის შესახებ გამოვიდა ამხ. ლ. კუპრაშვილი, რომელმაც სთქვა:

სინდისი, პატიოსნება—ეს აუცილებელი პირობაა, რომ მიუდგომლათ იქმნეს გაშუქებული ყოველივე პოლიტიკური საკითხი. ქართველი მუშები და ინტელიგენცია ყოველთვის იდგენ რევოლიუციის სათავეში: გაიხსენეთ 1905 წელი და შემდეგ სახელმწიფო სათათბიროები, ის რაც არ მოხერხდა სხვაგან, მოახერხა ქართველმა ხალხმა, მიუხედავათ იმისა, რომ არჩევნების უფლებები ძლიერ შეზღუდული იყო, მან გაგზავნა პირველ სათათბიროში საუკეთესო ძალები. გარეკეს პირველი სათათბირო, მან, გაგზავნა კიდევ უკეთესი ძალები მეორე სათათბიროში,- ასევე მოხდა მესამე და მეოთხე სათათბიროებში, 1905-წლ. რევოლიუცია დამარცხდა ბურჟუაზიის ღალატის გამო: ბურჟუაზია დაკმაყოფილდა შეკვეცილ-დამახინჯებულ კონსტიტუციით და აღარ მოინდომა ბრძოლა. დარჩენ ბრძოლის ველზე მარტო მუშები და დამარცხდენ,—ეს იყო გაკვეთილი, რომელიც არ უნდა დავიწყებოდა არავის.

დაიწყო თებერვლის რევოლიუცია, ბურჟუაზიამ აქაც მიიღო მონაწილეობა. მენშევიკ-ესერები უთანხმდებოდენ მათ, მხოლოდ მარტო ბოლშევიკური პრესა აწარმოებდა ამ დროს ძლიერ და დაუზოგველ კომპანიას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. 1905 წლის გაკვეთილი თითქმის ყველას დაავიწყდა;-არ დავიწყებია ეს პროლეტარიატის ბელადს ამხ. **ლენინს** (კრება ფეხზე დგომით პატივს სცემს **ლენინის** ხსოვნას). ადრევე მიხვდა, რომ ბურჟუაზიასთან შეხმატკბილება რევოლიუციისთვის დიდ საფრთხეს მოასწავებდა. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა და მართლაც დაიწყო გამოსვლები დროებითი მთავრობის წინააღმდეგ: გაიხსენეთ იუდენიჩი, კოლჩაკი და სხვები. რა გააკეთა ლენინმა? იმ დროს სწარმოებდა მსოფლიო ომი, საერთო პირობები უკეთესი იყო, ვიდრე 1905 წელში: ომიანობით დაიქანცა ჯარი, მით უმეტეს, რომ იმპერიალისტური ომი იყო. ჯარის შემადგენლობის სოციალური მდგომარეობა ხელსაყრელი იყო: მათში არ ერია არც ერთი ბურჟუა... ამ დროს ამხ. **ლენინმა** გადმოისროლა ლოზუნგები: „ძირს იმპერიალისტური ომი“, „ყველა სალხისაკენ,“ „მიწა მშრომელ ხალხს“ და სხვა. ამ ლოზუნგებმა აამოძრავა მთელი მასსა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და თუ რა შედეგი მოჰყვა ამას ყველასათვის ცხადია დღეს: მუშურ-გლეხურ ხელის-უფლებამ სძლია შინაური კონტრევოლიუცია და გაუმკლავდა აგრეთვე სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებსაც. მე-II-ინტერნაციონალი დამარცხდა ომის საკითხში (ომის წინ მან ვერ გაუწია ხელმძღვანელობა პროლეტარიატს), იმის მაგიერ რომ დახმარებოდა რუსეთის რევოლიუციას, უთანხმდებოდა ბურჟუაზიულ მთავრობებს და ამ რიგად აძლიერებდა თავხედ ბურჟუაზიას.

1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დაიწყო ცალკე რესპუბლიკების დაარსება: თერგის, დონის, უკრაინის, მთიულეთის და სხვ. სწორეთ ამ დროს აღიმართა უზარ-მაზარი კედელი ჩვენსა და რუსეთს შორის. თუმცა განხეთქილება ჩვენსა და ბოლშევიკებ შორის 22-წლის წინეთ მოხდა, მაგრამ 1917-წლის შემდეგ ჩვენ განსაკუთრებული სიძლიერით ვაწარმოებდით ანტი-ბოლშევიკურ პოლიტიკას. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ხომ სრულიად ჩამოვშორდით და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოცხადდა ორ მოძმეთა შორის. ჩამოვცილდით რუსეთს და დავაარსეთ ა. კ. დროებითი მთავრობა. თურმე ჩვენ ასეთი პოლიტიკით დაღუპვის გზას ვადექით და მივექანებოდით უფსკრულისაკენ. ჩვენ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც ვაწარმოებდით ანტი-ბოლშევიკურ ბრძოლას, რომლის მიზეზით მოხდა აგვისტოს გამოსვლებიც, ეხლა მივხვდით თუ რა დიდი შეცდომა ჩავიდინეთ საქართველოს მუშათა და გლეხთა წინაშე და საერთოთ რევოლიუციის წინაშე და ხალხი მივიყვანეთ კატასტროფამდე.

ევროპის ბურჟუაზია დიდი ხნის განმავლობაში ატყუებდა სომხეთს და პირდებოდა „დიდი სომხეთის“ შექმნას, ნამდვილათ კი სხვა მიზანს ემსახურებოდა. ამით ასუსტებდა ის ოსმალეთს და ანადგურებდა სომხის ხალხს. ასევე მოვსტყუვდით ჩვენ აგვისტოში: ევროპის ბურჟუაზიას ისეთივე ზრახვები ქონდა ჩვენში, როგორც სომხეთში.

ჩვენი ხალხი იბრძოდა რუსეთის ხალხთან ერთათ თვითმყრობელობის წინააღმდეგ და გვწამდა, რომ ქართველ ხალხს არ შეეძლო არსებობა გარეშე რუსეთისა. ძმური კავშირი რუსეთის ხალხთან აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა გადაიქცევა საომარ ბაზათ, რაც გაანადგურებდა ჩვენს ხალხს... დღეს მაინც უნდა უთხრათ ქართველ ხალხს სინამდვილე. რამ უნდა გვიხსნას ჩვენ? შემცდარი გზის დატოვებამ და წითელ დროშის ქვეშ დადგომამ, ამას მოითხოვს ერის და რევოლიუციის ინტერესები.

თანა-მომხსენებლად გამოვიდა ამხ. გ. მეფარიშვილი, რომელმაც აღნიშნა მიზეზი ცენტრალურ მუშათა კომისიის ჩამოყალიბების და აგრეთვე აღნიშნა ქუთაისის რკინისგზის კომისიის მუშაობა და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას მშვიდობიანობისაკენ, რათა ხელი აიღონ არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან აგვისტოს მსგავსი გამოსვლები გამანადგურებელია ერის ფიზიკურათ, და დამღუპველია რევოლიუციის, ამისათვის საჭიროა, რათა ყველა პატიოსანმა ადამიანმა გაიზიაროს 7-8 ოქტომბრის გამოტანილი რეზოლიუცია ნაძალადევში. ამას მოითხოვს ჩვენი ხალხის და რევოლიუციის ინტერესები.

ციხიდან განთავისუფლებულ პოლიტიკურ-პატიმრების სახელით ილაპარაკეს ა. თავხელიძემ და ვ. ლორთქიფანიძემ, რომლებმაც აღნიშნეს მენშევიკურ პარტიის მოღვაწეობა საქართველოში და გაიზიარეს სავსებით მომხსენებლის აზრი. ასეთივე აზრი გამოსთქვა ტყიბულის მაღაროების მუშების სახელით ვ. დარსაძემ.

იყო ბევრი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა, რის შემდეგაც გამოტანილი იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: *)...

არჩეულ იქმნა სამაზრო ქვე-კომისია შვიდი კაცისაგან, რომლებიც მოაწყობენ ასეთ მუშაობას მაზრაში.

სია ქვე-კომისიაში შემავალ პირთა.

1. ლორთქიფანიძე ვლ.
2. ჭირაქაძე ლუარ.
3. ქებულაძე ერ.
4. დარსაძე ვალ.
5. მეფარიშვილი გიორგი.
6. პატარაია ეპ
7. თავხელიძე. აბეს.

დასასრულ თავმჯდომარე მიმართავს კრებას, რომ მტკიცეთ დაიცვან არსებული ხელისუფლება.

კრების თავმჯდომარე: შავგულიძე.
მდივანი: ჭირაქაძე.

---

## ჩხოროწყუს რაიონი

(ზუგდიდის მაზრა).

მიმდინარე წლის მარტის რიცხვებში, ჩხოროწყუს რაიონში ჩამოვიდა და მოხსენებები გააკეთა ზუგდიდის სამაზრო ქვე-კომისიის წევრმა ამხ. ვ. შუბლაძემ.

ამხ. შუბლაძემ თემებში კრებებზე განმარტა „მენშევიკურ პარტიის ტაქტიკა საქართველოში" საერთოდ და „მუშათა კომისიის ამოცანები". ის მოუწოდებდა დამსწრე ყოფ. მენშევიკებს და უპარტიოებს ერთსულოვნად საბჭოთა პლატფორმაზე დადგომას და მის კულტურულ და ეკონომიურ აღმშენებლობითი მუშაობისკენ. მოხსენებების შემდეგ მრავალ შეკითხვებს ჰქონდა ალაგი და მომხსენებელიც უხსნიდა და უმარტავდა თავის პასუხით ამ კითხვებზე. საწინააღმდეგო კამათს მთელ უბანში ადგილი არ ჰქონდა. პირიქით ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა ალსარებები ძველი მომუშავე ყოფ. მენშევიკებისა. ყველგან იქნა გამოტანილი შესაფერისი რეზოლიუციები და სრული კმაყოფილნი იშლებოდნენ.

ამხ. შუბლაძეს თემებში ყველგან კრებების მოწვევაზე ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. განსაკუთრებითი მადლობის ღირსია რაიონის პ/გ. მდივანი—ამხ. ვასილი სიჭინავა, რომელიც დიდი სიხარულით შეხვდა ჩატეხილ ხიდის აღდგენის საკითხს. ის თავის მხრივ უხსნიდა კომუნისტებს ამ დიადი საქმის მნიშვნელობას.

მთელს რაიონში კრებებზე მონაწილეობა მიიღეს და თავის ნებით რეგისტრაციაში გატარდნენ 85—90% დანარჩენი 15—10% კი კრებებზე ვერ გამოცხადდნენ, ზოგი ოჯახური მდგომარეობისა გამო, და ზოგი კი სოფლად იმ ჟამს არ ყოფნისა გამო და ეს 10—15% არც არიან აქტივისტები. (ყოფილი).

როგორც საერთოდ ყველგან, ისე ამ უბანში საბჭოთა ხელისუფლების ქვედა აპარატი მოისუსტებს, საქმეს არ უდგანან ფხიზელი მომუშავე პირები. აქ ადგილი აქვს ბიძა-შვილობას და სხვა. „3-4 კაცი განაგებს, შვილო, მთელს საქმეებს". „დაამძიმეს 3-4 კაცმა „კალონი", როგორც მათ უნდათ ისე მართავენ". „ვერ მოვიდა და ვერ მოვიდა „კალონი" სოფლად. ბრეულს კი ცდილობენ ჩვენი უფროსი მეთაურები, რომ სოფელში იყოს ისეთი წესი და კანონი როგორც იქაა, ქალაქში; მაგრამ ეს ჩვენი აქაური ბიჭები კი ხელს უშლიან".

„აი, ძმაო, აგერ ხუთი წელიწადი იქნება, რომ ჩვენი თემის X „მეთაურია" და თემმა ვერაფელი გაიხარა, თუ არ დაიწია უკან".

სამაზრო ხელისუფლება ებრძვის ასეთ პირებს თუ გაიგო, და მიაგნო,—დაუნდობლად ეპყრობა. საჭიროა დახმარების გაწევა ხელისუფლებისათვის, რათა „ძმა-ბიჭებს" „კანონის სოფლად დამრღვევლებს" მოსთხოვონ ჯეროვანი პასუხი. ამისათვის დაურიდებელი და სასტიკი ბრძოლა ყველას ვინც კი სოფლად ცუდათ მოიხმარს თავისს უფლებას.

საყურადღებოა ერთი გარემოება. აგვისტოს გამოსვლებში მონაწილე ყოფ. მენშევიკებს თურმე დაურღვიეს სახლები—არა ხალხის მოთხოვნით. დარღვეული სახლები დაჰყარეს სკოლის ეზოში; შარა-გზაზე—ბაზრის ახლოს. (ეს საქმეა ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთ თემში). ეს მომხდარა სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში— დარღვეული სახლები ახლაც ჰყრია იქვე, მხოლოდ თუ იქნება მესამედი—მეოთხედი, თორემ დანარჩენი დამწვარია. ზოგი სკოლაში დაუწვამ, შეშის უქონლობის გამო, ნაწილი ბაზარში მიკიტნებს და მოვაჭრეებს წაუღიათ. „გასათბობად", აგრეთვე გამვლელი მოგზაურები მეურმეები უპატრონოდ დაყრილ ფიცრებს გულ-გრილად ვერჩაუვლიდნენ. დანარჩენი კი ლპება. ხალხი მოითხოვს ყოველ კრებებზე თემში დაუბრუნდეს ყოფილ პატრონებს თავისი დარბეული ქონება, მაგრამ პასუხია „არ შეიძლება".

სახლების პატრონები ყველა გლეხებია თითქმის— ამ ჟამათ ისინი უპინონი დადიან ნათესავებში ღამის გასათიებლად.

გლეხობა საერთოდ კმაყოფილია ხელისუფლების, ხოლო თუ უკმაყოფილებაა,—ეს მიმართულია თითო-ოროლა პიროვნებების მიმართ, რომელთაც ებრძვის თვით კომპარტია. ხოლო საჭიროა ხელისუფლების და პარტიის მხრივ მეტი ნდობის თვალით შეხედოს გულწრფელად საბჭოთა პლატფორმაზე დამდგარ ჩვენს ამხანაგებს.

**იქაური.**

---

## ხობის რაიონი

(ზუგდიდის მაზრა)

ხობის რაიონი ზუგდიდის მაზრაში თითქმის მოწინავეა რევოლიუციონური მოძრაობით; ყოველი მუშა და გლეხი საკმარისად შეგნებულია, ესმის რევოლიუციის და-

---

*) კრებაზე მიღებული რეზოლიუცია დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის „ახ. გზის" № 17.

ნიშნულება და მისთვის ის თავგანწირულია... რევოლიუციის ცეცხლით გარშემორტყმულს, აღარ ახსოვს თავისი ოჯახი, ცოლ-შვილი, თავისი თავი!

ყველა დროის რევოლიუციონურ მოძრაობაში, მუდამ წინ წაუწევია სხვებთან ერთად, თავისუფლების დროშა მუდამ მაღლა სჭერია და რა თქმა უნდა დღესაც გამოეხმაურა ტფილისის მუშათა კომისიის პრაქტიკულ ნაბიჯებს...

მიმდინარე წლის აპრილის დამლევს ხსენებულ რაიონის სხვადასხვა თემებში მოხდა მენშევიკების, ახალგ. მარქს. და უპარტიო გლეხების კრებები რწმუნებულთა თავმჯდომარის იოსებ კვარაცხელიას და გიორგი წულაიას ინიციატორობით.

ყველგან კრებებს ესწრებოდენ მენშევიკური პარტიის უმრავლესობა, ახალგ. მარქს. და უპარტიო გლეხები. მოხსენებით გამოდის ამხ. ი. კვარაცხელია, რომელიც საერთო მიმოხილვით აცნობს კრებებს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას; აღნიშნავს 1903 წლის რ. ს. დ. მ. პ. გათიშვის ფაქტს, შემდეგ ბოლშევიზმ-მენშევიზმის პრინციპებს და თანდათან ურკვევს მათი დაშორების მიზეზებს!

გადმოდის შემდეგ, 1917 წ. თებერვლის რევოლიუციაზე, ხოლო აქიდან ოქტომბრის დღეებზე ეხება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტს, მენშევიკურ მთავრობას და აქიდან თავს უყრის, გასაბჭოების შემდეგ საქართველოში და საზღვარ-გარეთელ მენშევიკების ფარულ ნამუშევარს, ხოლო მისი გადასინჯვის შემდეგ იგონებს აგვისტოს გამოსვლებს, რის მოგონება მსმენელში იწვევს საერთო გულის ტკივილს.

ბოლოს კრებებს აცნობს ტფილისის მუშათა კომისიის თვალსაზრისს, ჩვენი ახალი გზის ძებნის აუცილებლობას, საჭიროთ სთვლის მმართველ პარტიასთან დაახლოებას, რათა მათთან ერთად განამტკიცონ რევოლიუციის რიგები, მსოფლიო კაპიტალიზმის თავდასხმის თავიდან ასაცილებლად!

შემდეგ მომხსენებლათ გამოდის ახალგ. მარქს. სახელით გ. წულაია. ის უხმარტავს კრებებს, საერთოდ ახალგაზდობის როლს რევოლიუციის მოძრაობაში, მის დიდ დანიშნულებას მუშათა მოძრაობისთვის და მომავალ რევოლიუციისათვის.

ამის შემდეგ იყო უამრავი შეკითხვები და სიტყვები, აღნიშნავდენ თავიანთ წარსულის უკმაყოფილებას, მაგრამ ყველა გამოსთქვამდა სურვილს პარტიების გაერთიანებისას და მადლობით იხსენიებდენ ტფილისის მუშათა კომისიას ამ საქმის დაწყების გამო..

დასასრულ, ხსენებულ რაიონის ყველა თემებში ისმოდა დაბა ხობის მცხოვრებ ყოფ. მენშევ. ამჟამად პოლიტ-პატიმარ ვლად. თათარაშვილის შესახებ შემდეგი: ჩვენი ლადო თათარაშვილი, წოდებით გლეხი, ხელობით მიწის მუშა 1917 წ. რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილე, ყოვლად პატიოსანი და ზრდილობიანი კაცი, სულით და გულით მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი და მათი მეგობარი, ხოლო აგვისტოს გამოსვლებში ცხოვრების ქარიშხლით მასში ტყორცნილი, ეხლა კერძო ინტერესით უბრალოთ ისჯება, სახლი დაბეჭდილია და მისი ცოლ-შვილი უთავშესაფარო, მეზობლებში დაეხეტება, ხოლო თვითონ ზის ზუგდიდის ციხეშიო, და ამის შემდეგ ყველა თემებში ითხოვდენ მისი უწინდელი მდგომარეობის დაბრუნებას, რისთვისაც ზუგდიდის მთავრობას აქვს ნაბიჯები გადადგმული.

გარდა ამისა მიდიოდა შეკითხები სამეგრელოს მუზეუმის ტფილისში გადატანის შესახებ, რაზედაც გლეხები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

ამრიგად ჩატარდა ხსენებულ რაიონის ყველა თემებში კრებები და მის ჩატარებაში საკმაო დახმარება გაგვიწია ხობის რაიონის ბიუროს თავმჯდომარე ბიქტორ შონიამ, რისთვისაც მადლობის ღირსია, მაგრამ აგრეთვე აღსანიშნავია ჩვენთადმი ზოგი კომუნისტების გულგრილობა, ხოლო ეს რატომ ვინ იცის?!.

გ. წულაია

---

## ს. ასკანა

11 აპრილს შესდგა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრება.—მომხსენებლათ გამოვიდა ოზურგეთის სამაზრო ქვეკომისიის რწმუნებული გ. ლომთათიძე, რომელმაც კრების წინაშე დაახასიათა გლეხკაცობის დიდი ღვაწლი რევოლიუციის წინაშე და ანალიზი გაუკეთა პოლიტიკურ და ეკონომიურ მიღწევებს, როგორც თვითმპყრობლობის, ისე მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს. ის პატივისცემით იხსენიებს მენშევიკების მოძრაობას თვითმპყრობელობის ჩამოგდებამდე, მაგრამ მწუხარებით აღნიშნავს, სოციალისტურ გზიდან გადახვევას, რამაც ისინი გადაჩეხა ვიწრო ნაციონალისტურ უფსკრულში და მით ქართველი ერი მიიყვანა განადგურებამდე. პირადათ აღიარებს, რომ მასაც მიუძღვის მონაწილეობა უკანასკნელ ავანტიურაში, მაგრამ შეცდომების აღიარება უდიდესი რევოლიუციონერობაა; ამის შემდეგ მოუწოდებს კრებას, რათა თითოეულმა ასწონ-დასწონოს ყოველივე და დამოუკიდებლათ გამოსთქვას თავისი შეხედულებანი, და როცა გულწრფელად აღიარებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილათ მშრომელთა ინტერესების დამცველია, მაშინ ისინი ამოუდგენ მას გვერდში და აწარმოონ მათთან თანამშრომლობა.

შემდეგ მომხსენებელს მიმართავენ მრავალნაირ შეკითხვებით, რომლებზედაც მომხსენებელი აძლევს დამაკმაყოფილებელ პასუხს. აქ გამოდიან ძველი მუშები და თავის გულის ტკივილს გამოსთქვამენ, რომ მათი მრავალი წლის მუშაობა მიფუჩეჩებულ-მიგდებულია. მომხსენებელი უკანასკნელათ განუმარტავს კრებას, რომ ყველა ის, რომელიც არა ფარისეულათ მივა ხელისუფლებასთან, მისთვის ყოველ დროს ღიაა კარები მუშაობისა და უფლებისათვის; დაბოლოს კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: ასკანის თემის ყოფ. მენშევიკთა და უპარტიოთა კრებამ მოისმინა, რა მოხსენება გურიის სამაზრო ქვეკომისიის რწმუნებულის ამხ. გ. ლომთათიძის მენშევიკების უკანასკნელი საქმიანობის და ტფილისის მუშების მიერ 7-8 ოქტომბერს მიღებულ რეზოლიუციის შესახებ. —კრება (მცირე გამონაკლისით) ეძხრობა 7-8 ოქტომბრის რეზოლიუციას და ყველას გასაგონათ აცხადებს, რომ ამიერიდან ხელს იღებს არსებულ ხელისუფლების საწინააღმდეგოთ ბრძოლაზე და მიზნათ ისახავს მთელი არსებით ხელი შეუწყოს არსებულ ხელისუფლების განმტკიცებას და ენერგიულათ იმუშაოს მის კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმშენებლობაში. ამასთანავე

მოუწოდებს არალეგალურ მომუშავეებს და საზღვარ გარეთ მყოფ მენშევიკურ ბიუროს, რათა თავი დაანებოს არსებულ ხელისუფლების მიმართ ჩხირკედელობს, ვინაიდან ასეთი მუშაობა არის მშრომელი ქართველი ერის ღალატი. კრება გამარჯვებას უსურვებს მუშათა გაერთიანებულ ფრონტს მესამე კომინტერნის დროშის ქვეშ.

შემდეგ არჩეულ იქნა სამაზრო ბიუროს რწმუნებულებათ: რუბენ ქელიძე, სევასტი ვასაძე, ტარასი ანდღულაძე, სევასტი სიამაიშვილი, აკაკი ნინიძე და ლიუბა ჯაველიძისა. კრებას თავმჯდომარეობდა გიორი პეტრესძე თალაკვაძე, მდივნობდა — ვარდენ ასათიანი.

მასწავლებელი: ვ. ჯაველიძე.

# მ უ შ ა თ ა  წ ე რ ი ლ ე ბ ი

## კოოპერატორების და მათი თანამშრომელთა შესახებ

ამას წინათ მუშკოოპის თანამშრომლებისაგან, გაეროვნების ნიადაგზე, იყო მოთხოვნილება ბუხგალტერების, მოანგარიშეთა და ნოქრების. ბირჟიდან იყვნენ გამოგზავნილი ორმოცამდე ბუხგალტერიის კურს დამთავრებულნი მოანგარიშეებათ. მუშათა კომისიიდანაც იყვნენ გაგზავნილი რამოდენიმე კაცი სხვა და სხვა თანამდებობაზე, მათ შორის ნოქრებათაც. მუშკოოპის ადმინისტრაციამ მათ გამოცდები გაუკეთა და დიდი უმრავლესობა აღმოჩნდა უცოდინარი თავიანთ სპეციალობაში და ეს გასაგებიც არის. ჩვენი ხალხი დასაბამიდან დღემდი ტრადიციულად სახელმწიფოს დაცვის საქმეს ემსახურებოდა და თუ დრო დარჩებოდა მხოლოდ მეურნეობას ეწეოდა. ფეოდალობის დროს მას არც კი აძლევდნენ ნებას ეფიქრა თუ რა ფორმის ცხოვრება ეწარმოებინა, ის სრული მონა იყოს მისი ბატონ-პატრონისა და ყოველთვის მზათ უნდა ყოფილიყო ბატონის ნება სურვილების ასრულებისათვის, შინაური იქნებოდა ეს სამსახური თუ სამხედრო ბეგარის სახით. ასეთი ერთფეროვანი მისი ცხოვრება გაგრძელდა კარგა ხანს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც, სანამ არ მოისპო ბატონ-ყმური ინსტიტუტი. ამ დროიდან კი იწყება ჩვენი ხალხის რამოდენიმეთ მონობის უღლიდან თანდათან განთავისუფლება, რასაც დიდ რუსეთს უნდა უმადლოდეთ. მე ვამბობ თანდათანი განთავისუფლებათქო და ამით მინდა აღვნიშნო სწორეთ ის, რომ რევოლიუციამდე ეს თანდათანობითი განთავისუფლება იმდენათ სუსტი და შებორკილი იყო, რომ ადამიანს არ ჰქონდა სრული საშუალება ფართეთ გაეშალა ფრთა თავის უნარიანობისათვის და ნიჭისათვის. მან ამის საშუალება მოიპოვა რევოლიუციის შემდეგ, განსაკუთრებით გასაბჭოების შემდეგ. მაგრამ მის ფრთების გაშლას დღესაც ბევრი რამ ელობება წინ; რაც ჩემის აზრით იოლი ასაშორებელია თავიდან და უეჭველში აშორებულიც უნდა იქნას, ამას მოითხოვს ჩვენი ხალხისა და ხელისუფლების ინტერესები. მე ზევით ვთქვი რომ ჩვენი ხალხი არ ეწეოდა ვაჭრობა-მრეწველობას ის ან იყო მეომარი ან უბრალო პრიმიტიული მეურნე. ვაჭრობას ჩვენში სხვები ეწეოდნენ ხან და ხან განგებისათ სხვა ქვეყნებიდან მოწვეულნი დიდი შეღავათების მიცემით. დღეს კი როცა ყოველივე ვაჭრობა-მრეწველობა თან და თანობით სახელმწიფოს ხელში გადადის კოოპერაციის და სხვა ორგანოების სახით, ჩვენმა ხალხმა უნდა შესძლოს ყოველივე დაბრკოლების გადალახვა, შეისწავლოს და შეითვისოს ტეორეტიულადაც და პრაქტიკულადაც, ყოველივე დარგი ვაჭრობა-მრეწველობისა და მით ხელი შეუწყოს, როგორც ჩვენი ქვეყნის აღორძინება-აყვავებას კულტურულად და ეკონომიურად, აგრეთვე საკავშირო რესპუბლიკასაც, რადგან ჩვენ სუსტი, როგორც ეკონომიურად, აგრეთვე პოლიტიკურადაც, ვერაფერი მოკავშირე ვიქნებით, და თუ ეს ასეა ჩვენს წინსვლას ყოველ დარგში, ყველამ უნდა შეუწყოს ხელი.

რა არის იმისათვის საჭირო და აუცილებელი, რომ ჩვენი ხალხი გამოსადეგი და დიდათ სასარგებლო იქნეს ყოველ დარგში ვაჭრობა-მრეწველობისა და სხვა ეკონომიურ ორგანოებისათვის? ჩემის აზრით ამისათვის საჭიროა კოოპერატიულ და საბუხგალტერო კურსების გარდა დაარსდეს სანოქრო კურსებიც და ყველა ამ კურსებზე მოմაცადინეთა სწავლა და მუშაობა სწარმოებდეს, როგორც ტეორეტიულად აგრეთვე პრაქტიკულადაც და ამის შემდგომ ეს ხალხი პირდაპირ გამოდგებიან თავთავინთი ცოდნის მიხედვით შესაფერის ადგილებზე სამუშევრად და აღარ ექნება ადგილი იმ გაუგებრობას და მჩატე დემაგოგიას, (უპასუხისმგებლო პირებს რომ ეძლევათ საავიტაციოთ) რომლებსაც ეხლა აქვს ადგილი: მიტომ არ გვღებულობენ, რომ არ უნდათ გაეროვნება გაატარონო. ჩვენ ეს არა გვწამს, გაეროვნებას, რაც ხელისუფლებისაგან დადასტურებულია ვერავინ შეუშლის ხელს, ასეთები პასუხსაც აგებენ, ასეთები თითო ოროლა თუ მოიძებნებიან. რომლებიც კარგა გამოაშკარავების შემდეგ გამოქვეყნებული იქნებიან და ღირსეული პასუხიც მოეთხოვება ხელისუფლების მიერ, მაგრამ უნდა ითქვას ყოველივე, რომ ამ გაეროვნების მოწინააღმდეგე ჩვენცა ვართ და უმფრო დიდი ვინმე ოროოდე ხულიგანი. საქმე იმაშია, რომ ჩვენ უფრო გვეხერხება სადმე კუთხეებში ბუზღუნი-ჭორიკანობა და ერთგვარი ვითომდა საწინააღმდეგო აგიტაცია, რომელსაც არც კი ვითვალისწინებთ ვის და ან რის წინააღმდეგ არის ის მიმართული, ან კიდევ სასარგებლოა თუ საზიანო, და ის კი, რომ აშკარათ და კონკრეტიულად მიუთითოთ ხელისუფლებას თუ ვინ არის რომ ხელს უშლის პროლეტარიატის ნება სურვილების ცხოვრებაში გატარებას, რაც მისი მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტ-ბრძანებებშია გამოქვეყნებული, როტომღაც არ გვეხერხება. ამას უნდა მოელოს ბოლო [illegible]

ყველა ვალდებულია დაეხმაროს მთავრობას გაიწმინდოს ყველა ორგანოები ისეთი პირებიდან, რომლებიც ამა თუ იმ სხით ხელს უშლიან ჩვენ აღორძინებას კულტურულად და ეკონომიურად, რაც პირველი საქმეა რევოლიუციის განმტკიცებისათვის. მუშათა კომისიას აქვს ბევრი საბუთები ზოგიერთ პიროვნების შესახებ, რომლებიც ამა თუ იმ სახით წყალს ამღვრევენ და ნაციონალურ შოვინიზმს აღრმავებენ, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ და შორს არ არის ის დრო როცა ეს ვაჟბატონები წარდგენილნი იქნებიან თავიანთ დასაბუთებულ შავი ნამოღვაწარით ხელისუფლებასთან პასუხ საგებათ.

ლ. კ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

თქვენ ჟურნალ „ახალი გზი“-ს № 15 მოთავსებულია შორაპნელ მუშის წერილი ჩემს შესახებ, რაც მთლად სიყალბეზეა აგებული, სიმართლის აღსადგენათ მოქ. შორაპნელ „მუშა“-ს ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში, ჩემი მხრივ მედიატორეებათ ვასახელებ: ტრიფონ ნებიერიძეს, იაგორა გოგიშვილს და ფილიმონ ბიბილაშვილს. ვაძლევ მასაც წინადადებას დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა ერთი კვირის ვადაში, დაასახელოს თავის. მედიატორებიც. გამტყუნებულმა მხარემ გადაიხადოს ჟურ. „ახალი გზი“-ს სასარგებლოდ ხუთი თუმანი (50 მანეთი) საქმე გაირჩეს საქ. აღმასკომში.

დავით გოგიშვილი.

## ჩვენი ფოსტა.

ვ. გო-შვილს. თქვენმა სამარსო წერილმა დაიგვიანა და ამიტომ არ დაიბეჭდა.

თელავი. ივ. დ-იანს. ნომერი აწყობილი იყო თქვენი წერილი რომ მივიღეთ, ამიტომ არ წავიდა. მოიწერეთ ხოლმე ადგილობრივი ცხოვრებიდან.

ვ. მაი-ძეს. დაგვიანებით მივიღეთ და ამიტომ არ დაიბეჭდა.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ლ. კუპრაშვილი
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ა. გვიმრაძე

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლალიძის

საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატზე.

მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლალიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.

მ. ლალიძის ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.

მთავლიტი № 671 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე — ფასი 10 კ. — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ჩვენი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი.

კვირა, 10 მაისი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა - უქმისა, დილის 9—1 საათამდე | № 20

# კოოპერაციისათვის

დაწყებულია ის ხანა, როდესაც მთელი ყურადღება ხელისუფლებისა სოფლისაკენაა მიქცეული. დამთავრებული სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობა, სოფლის საკითხების გარშემო ტრიალებდა, მისი საქმიანი მსჯელობა-კამათი სოფლისაკენ იყო მიპყრობილი.

ერთ მთავარ ძარღვთაგანს, სოფლის აღორძინებისა და გაჯანსაღებისათვის უსათუოდ კოოპერაცია წარმოადგენს. ყრილობიდან დაბრუნებული დელეგატები უსათუოდ დიდ ყურადღებას მიაქცევენ კოოპერაციის საქმეს.

უმთავრესი ძალა, რომელიც კოოპერაციის აღორძინებისათვის საჭიროა, ეს არის ის, რომ მასში ჩაეწერონ, რაც შეიძლება მეტი რიცხვი წევრებისა, რომ რაც შეიძლება მეტი საპაიო კაპიტალი ჰქონდეს კოოპერაციას; რომ ის არ იყოს დაყრდნობილი სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ დახმარებაზე.

საკავშირო ცაკის სესიამ რვა მილიონი მანეთი გადასდო კოოპერაციის მბრუნავ კაპიტალის გასაძლიერებლად, რაც, რასაკვირველია, საძირკველს ჩაუყრის და გაამაგრებს კოოპერატიულ მშენებლობას, ხოლო მისი ზრდა-განვითარება არ უნდა იყოს, როგორც ვთქვი, დამყარებული დახმარებაზე, არამედ საპაიო კაპიტალმა და კოოპერაციის მუშაკების უნარიანობამ უნდა გაიტანოს თავისი. და რომ კოოპერაციის მშენებლობაში მცხოვრებთა მეტი ნაწილი იღებდეს მონაწილეობას,ამიტომ ხელისუფლების მიერ, ყოველი ზომა მიღებულია, რომ მის გამგეობის არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდეს მთელი მშრომელი მოსახლეობა, პარტიულობის მიუხედავათ, რათა სათავეში დადგეს გამოცდილი და მოსახლეობის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი,

კოოპერაციამ უნდა გარდაქმნას სოფელი ახალ სოციალისტურ საფუძველზე, კოოპერაციამ უნდა გაავრცელოს სოფლად სახელმწიფოს ნაწარმოებნი, კოოპერაციამ უნდა აალდინოს გლეხს ჩარჩები და კერძო ვაჭრები, კოოპერაციამ უნდა შეუმსუბუქოს გლეხს საქონლის შეძენა და მიაწოდოს მას ხელმისაწვდომ ფასებში.

გლეხკომები უნდა სცდილობდენ თავისი მოქმედება შეუფარდონ კოოპერაციის მშენებლობას და ხელჩაკიდული მიდიოდეს მასთან ერთად.

ჩვენ რწმუნებულებსაც მოვუწოდებთ ფართე და ენერგიული მონაწილეობა მიიღონ კოოპერაციის მშენებლობის საქმეში. უნდა დავიწყოთ ნამდვილი მუშაობა; კოოპერაციაში ჩაბმა არის ამიტომ ერთი მთავარი საკითხი.

უნდა მივიდეთ გლეხებთან, უნდა გავწიოთ აგიტაცია კოოპერაციის სასარგებლოთ, უნდა ჩავწეროთ კოოპერაციის წევრებად. აი, ჩვენი რეალი მუშაობა!

დრო და გარემოება ასეთია ეხლა, რომ გაჩერება, ხელისგაუნძრევლობა, უმოქმედობა,—დანაშაულად ჩაითვლება!

ამიტომ უნდა ვიმოქმედოთ, ნუ დარჩება ერთიც, კოოპერაციის გარეშე. გამგეობაში უნდა ავირჩიოთ შეგნებული, პატიოსანი, საქმის მცოდნე და ნდობით აღჭურვილი ამხანაგი.

უნდა დავიწყებულ იქნეს კერძო ინტერესები და საზოგადოებრივ მოღვაწეობამ დაიჭიროს პირველი ალაგი.

დ.

# კოოპერაცია და კერძო კაპიტალი

საბჭოთა კავშირის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება. მარტო სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია მიმდინარე საანგარიშო წელში წინა წელთან შედარებით 60 პროცენტით გაიზარდა. დღეს სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია ომამდე არსებულ პროდუქციის 70 პროცენტს შეადგენს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქცია 80 პროცენტს აღემატება.

სახელმწიფო მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შემდეგი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ მჭიდრო იქნება ურთიერთობა სახელმწიფო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შორის.

სახელმწიფო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთთან მჭიდროთ დაკავშირება მხოლოდ ვაჭრობის საშუალებით შეიძლება. გაფართოებულ მრეწველობის ნაწარმოებს ბაზარი ესაჭიროება, ასეთ ფართო ბაზარს სოფლის მოსახლეობა წარმოადგენს, 130 მილიონიან მოსახლეობიდან საბჭოთა კავშირში—111 მილიონი სოფლის მოსახლეობაზე მოდის; სოფლის მეურნეობის აღორძინებასთან ერთად გლეხის სყიდვითი უნარიანობა გაიზარდა; გლეხს დღეს უფრო მეტი სამრეწველო ნაწარმოების მოხმარა შეუძლია, ვინემ ეს იყო ომამდე. საერთაშორისო და სამოქალაქო ომის დროს.

მეორე მხრივ სასოფლო მეურნეობაში მზადდება სასურსათო საგნები და ის ნედლი მასალა, რომელიც მრეწველობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. გლეხსაც სჭირდება ფართო ბაზარი თავის ნაწარმოებისათვის, აქაც, ამ ბაზრის მოძებნა ვაჭრობის განვითარება-გაფართოებით შეიძლება, რამდენათაც მეტს და ხელსაყრელ პირობებში გაყიდის გლეხი თავის ნაწარმოებს, იმდენათ მეტი სამრეწველო ნაწარმოების ყიდვის საშუალება მიეცემა მას.

ასე რომ ვაჭრობის განვითარება-გაფართოება, საქონლის ტრიალის გადიდება აუცილებელი პირობაა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის არსებობა-განვითარებისათვის, ვაჭრობა არის ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი სოფლის ქალაქთან, გლეხის—მუშასთან დასაახლოებლათ და ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულად ასაღორძინებლათ. გარეშე ვაჭრობისა, თანამედროვე საზოგადოებაში შეუძლებელია წინსვლელობა.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს კარგათ ქონდათ შეგნებული ვაჭრობის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება სახელმწიფოს საწარმოო ძალებისა და ვაჭრობის განვითარებას ისახავდა მიზნათ. სახელმწიფო მრეწველობის უმთავრეს დარგებს—სამრეწველო მწვერვალებს თვითონ დაეპატრონა, ხელი მაგრად ჩასჭიდა, ხოლო წვრილ მწარმოებლებს და ვაჭრებს თავისუფალი ინიციატივის უფლება მისცა. ვაჭრობას ფართო გასაქანი მიეცა, გაცხოველდა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, ალებ მიცემობაში გაბატონდა კერძო კაპიტალი, სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის როლი შედარებით იქ ძალიან მცირე იყო. 1923 წლიდან უკვე სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაციაც თანდათანობით ფეხს იდგამენ. 1923—24 წ. სახელმწიფო ვაჭრობაზე მოდის საბითუმო ვაჭრობაში—61,4 პროცენტი, საცალოში 15,7 პროცენტი; კოოპერაციაზე მოდის საბითუმო ვაჭრობაში—16,7 პროცენტი, საცალო ვაჭრობაში 26,6 პროცენტი; კერძო ვაჭრობაზე მოდის საბითუმო ვაჭრობაში 21,9 პროცენტი, საცალო ვაჭრობაში—57,7 პროცენტი. 1922 წ. და 1923 წ. პირველ ნახევარში კერძო კაპიტალის მონაწილეობა საბითუმო და საცალო ვაჭრობაში გაცილებით მეტი იყო.

ვაჭრობაში კერძო კაპიტალის ასეთ გაბატონებას არ შეიძლებოდა სახელმწიფო კაპიტალიზმის თვალსაზრისით ცუდი გავლენა არ ქონოდა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მისი საწარმოო ძალების განვითარებაზე. ვაჭრობაში გაბატონებული კერძო კაპიტალი უმთავრესად სპეკულიატიურ კაპიტალად გადაიქცა. ვაჭრები და ყველა ჯურის სპეკულიანტები ხელოვნურად ქმნიდნენ საქონლის კრიზისებს, ერთი ათად ადიდებდნენ საქონლის ფასებს, ქმნიდა ბაზარზე ეკონომიურ ანარქიას, რაც სახელმწიფო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ძალიან აფერხებდა. გლეხი კერძო ვაჭრობის ბრჭყალებში ჩავარდა, სოფლის ნაწარმოებს ჩალის ფასად ყიდდა, ხოლო ქალაქის ნაწარმოებზე საზღაპრო ფასებს იხდიდა. იკლო სამრეწველო საქონლის გასაღებამ, გლეხის მსყიდველობითი უნარი სამრეწველო საქონელზე დიდმა ფასებმა და სოფლის ნაწარმოებზე დაბალ ფასებმა ძალზედ დასცა. გლეხის მყიდველობითი ძალის დაცემას ძალიან შეუწყო ხელი აგრეთვე საბჭოთა ფულის ნიშნების კურსის საშინლად დაცემამ. ბაზარზე კერძო ვაჭრობის გაბატონება შეუძლებლად ხდიდა გეგმიან წარმოების მოწყობას, ბაზრის მოთხოვნილების დაახლოებით აღნუსხვას და მის კვალობაზე სამრეწველო საქონლის დამზადებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ დამკვრელ ამოცანად გამოაცხადა 1923 წლის შემოდგომაზე სამრეწველო საქონლის სიძვირის ნიადაგზე შექმნილ კრიზისის მოსპობა. ეგრედწოდებულ „მაკრატლის პრობლემის“ გადაჭრა, სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლება, ხოლო სოფლის საქონელზე ფასების აწევა, მტკიცე ვალიუტის შემოღება და ამით გლეხის სყიდვითი უნარიანობის ამაღლება. უნდა მომსპარიყო ბაზარზე ეკონომიური ანარქია, რაც აუცილებელი პირობა იყო მრეწველობაში ერთგვარ გეგმიანობის შეტანისათვის.

ზემოაღნიშნულ ამოცანის შესრულება მაშინ გახდებოდა შესაძლებელი თუ კერძო კაპიტალს ლაგამს ამოსდებდენ, მის თავისუფლებას შეკვეცამდენ და მის მაგიერ ვაჭრობაში სახელმწიფო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სახელმწიფო ვაჭრობასა და კოოპერაციას გააძლიერებდენ.

1923 წლის შემოდგომიდან ხელისუფლებამ უდიდესი ყურადღება მიაქცია კოოპერაციას, კოოპერაცია და სახელმწ. ვაჭრობა იქმნა აღიარებული გაცვლა-გამოცვლის უმთავრეს აპარატათ, ეს ორგანიზაციები უნდა გამხდარიყვენ მთავარი, უანგარო, იაფი და სწრაფი შუამავალი მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის, სოფელსა და ქალაქს შუა. კოოპერაციას ფართო კრედიტი გაეხსნა

ბანკიდან ფულის, ხოლო მრეწველობიდან—საქონლის; მრეწველობიდან კაპიტალი სახელმწ. ვაჭრობის ორგანოებში გადავიდა, მარტო საამარტიზაციო კაპიტალის რაოდენობა, რომელიც ვაჭრობაშია დღეს დაბანდული, 150 მილ. უდრის. აუარებელი შეღავათები და პრივილეგიები იქნა შემოღებული კოოპერაციისა და საქონლის ნისიად გაცემის საქმეში. სამაგიეროდ ძალიან გაძნელდა თითქმის შეუძლებელი გახდა კერძო ვაჭრებისათვის ბანკიდან კრედიტის აღება და სამრეწველო დაწესებულებიდან ნისიათ საქონლის მიღება; კერძო ვაჭარს სახელმწ. მრეწველობიდან წაღებულ საქონელში სრული საფასური თავიდანვე ნაღდათ უნდა გადაეხადა...

სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების რეჟიმიც საგრძნობლად გააძლიერეს კერძო ვაჭრებისათვის.

ყოველივე ამას, ცხადია, შედეგათ უნდა მოყოლოდა საქონლის ტრიალის გადიდება კოოპერაციისა და სახელმწ. ვაჭრობის გაძლიერება და კერძო კაპიტალის დასუსტება-დაუძლურება. და მართლაც 1923-24 წელში წინა წელთან შედარებით სახელმწიფო ვაჭრობაში საქონლის ბრუნვა გაიზარდა—180%, კოოპერაციაში—190%.

კოოპერაციის და სახელმწ. ვაჭრობის მონაწილეობა საბითუმო ვაჭრობაში დღეს 90%-ს უდრის, საცალოში—60%, მიუხედავათ იმისა, რომ 1923-24 წელში 250000 სავაჭრო დაიხურა, რომლებმაც ვერ გაუძლეს კოოპერაციისა და სახელმწ. ვაჭრობის კონკურენციას, საცალო ვაჭრობაში დღეს მაინც კერძო კაპიტალი სჭარბობს კოოპერაციას, განსაკუთრებით დიდია ეს სიჭარბე შორეულ სოფლებში და კუთხეებში. სოფლებში ერთ, სამომხმარებლო დუქანზე—ორი კერძო დუქანი მოდის. შორეულ კუთხეში მოტანილს საქონელს კერძო ვაჭარი საერთოდ უფრო იაფად ყიდის, ვინემ კოოპერაცია. კერძო ვაჭარი მიუხედავათ იმისა რომ მისთვის შეუძლებელია საქონლის ნისიად მიღება, საკრედიტო დაწესებულებებიდან ფულის სესხება, მიუხედავათ იმისა, რომ მას მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები, მაინც კოოპერატივზე იაფად უჯდება სოფელში საქონლის მიტანა. კერძო კაპიტალი კოოპერაციაზე უფრო გამოცდილი, მოქნილი, და ენერგიულია, ის კოოპერაციაზე უკეთ იცნობს მომხმარებლის გემოვნებას, მან უკეთ იცის მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის შერჩევა, მასთან მიდგომა. კოოპერაციამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა კერძო კაპიტალის ამ დადებითი თვისებების შეძენა, ამით აიხსნება, რომ მას ძალიან უძნელდება სოფლის ვაჭრობაში ახალი პოზიციების დაპყრობა, იქიდან კერძო კაპიტალის განდევნა...

წელს, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 60%, ხოლო ყველა დანარჩენი საბაზრო პროდუქცია—40%-ით, რომ საქონლის ტრიალი წინა წლის დონეზე იდგეს, ამისათვის საჭიროა სავაჭრო კაპიტალის სათანადოთ გადიდება, რუსეთის ეკონომისტები სავაჭრო კაპიტალის დეფიციტს 200 მილიონამდე ანგარიშობენ. არც სახელმწ. ბიუჯეტს და არც სხვა რომელიმე ორგანოს ამ დეფიციტის დაკარგვა დღეს არ შეუძლია. კოოპერაციას დღეს არ აქვს იმდენი საშვალება, რომ საკუთარი კაპიტალი იმდენათ გაადიდოს თავისივე წყაროებით, რომ მრეწველობის გაზრდილ პროდუქციას ახალი ბაზარი მოეპოვოს.

რომ მრეწველობაში გაზრდილ პროდუქციის გაუსაღებლობის ნიადაგზე კრიზისი არ შეიქნეს, ამისათვის საჭიროა ამ კრიზისის ასაცდენი საშვალება გამოიძებნოს. ერთ ასეთ საშვალებათ საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ გამონახა კერძო კაპიტალის გამოყენება. საკავშირო უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე დზერჟინსკი გაბედულად აცხადებს, რომ საცალო ვაჭრობაში კერძო ვაჭრის გარეშე არას გზით არ შეგვიძლია გავძლოთო (без частн. торговца никоим образом не можем обойтись), ჩვენ უნდა ავიყვანოთ ის ჩვენ მფარველობის ქვეშო“. კამენევი ამბობს: „სოფელში ბევრგან არის სავაჭრო ცარიელი ადგილები (торговая пустыня) და ჩვენ უნდა ამოვავსოთ ის კერძო კაპიტალის საშვალებითო“.

საბჭოთა ხელისუფლება მზათ არის მისცეს კერძო კაპიტალს სხვადასხვა შეღავათები, შეუმსუბუქოს მას ბანკებიდან სესხის აღების და სამრეწველო დაწესებულებებიდან ნისიათ საქონლის მიღების პირობები, პირდება მას „სერიოზულად და დიდი ხნით“ („Всерез и надолго“) საგადასახადო რეჟიმის შემსუბუქებას. ხელისუფლება არაფერს არ დაიშურებს კერძო კაპიტალისათვის თუ ის პირნათლად და სინდისიერად ემსახურება ხელისუფლებას ქვეყნის ეკონომ. აღორძინების საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების ასეთი პოლიტიკა კერძო კაპიტალის მიმართ დროულ და მიზანშეწონილ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს.

ცხადია, კერძო კაპიტალის გამოყენებით, კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მნიშვნელობა და როლი, სახელმწიფო ეკონომიკაში არ უნდა იყოს დავიწყებული, სახელმწიფომ ძველებურადვე ხელი უნდა შეუწყოს მათ განვითარება-გაძლიერებას. კოოპერაცია და სახელმწ. ვაჭრობა უმთავრეს სავაჭრო აპარატათ უნდა იქნეს მიჩნეული, ვაჭრობაში „საკომანდო მწვერვალები“ ისევ ამ ორგანიზაციების ხელში უნდა დარჩეს, ისინი კერძო კაპიტალზე უფრო პრივლეგიურ მდგომარეობაში უნდა იქნენ ჩაყენებული, რაც თავდები იქნება კოლექტიურ მეურნეობის ასაყვავებლად.

# მშრომელ ხალხს

არ გაგშორდები,
არასოდეს არ გაგშორდები,
შენთან ვიქნები გასაჭირში,
თუ ბრძოლის ველად;
ვინც შეურაცგყოფს,
ფიცს გაძლევ, რომ გაუსწორდები,
შენს მტერს და დუშმანს
გულს გაუპობ დაუნდობელად!

—

ხალხო მშრომელო!
საყვარელო შენ ჩემო ხალხო;
შენს ბედში მყოფ'ა
სიყრმიდანვე შენ შეგიყვარე;
ხშირად ვსტიროდი
შენას ცრემლით
ჩუმად, ფარულად,
ხოლო შენთან კი
ვიცინოდი სახე- მწუხარე!

დღესაც შენთან ვარ,
შენ გიგალობ ქებათა-ქებას,
საიქიოსაც თან გამყვება
მე შენი ტრფობა;
ვეთაყვანები შენს მარჯვენას,
შენს ძლიერებას,
შენს მკერდს გაღეღილს,
შენს წმინდა ოფლს,
შენს მტკიცე ძმობას!

—

დიდება შენდა,
უდიდესო,
ძმათა ლაშქარო,
ხალხო მშრომელო,
მადლიანო,
დიდება შენდა!
რევოლიუციის მედროშევ და
რკინის აბჯარო
უდაბნოები ქალაქებად
შენით გაშენდა!

გ. ქუჩიშვილი

# მღერის ისაკო!

— ადალა, დალააა, დალააა! დალააააი... ჰქეს ისაკო. მისი ხმა აპობს ბნელ ღამეს. მიქრის შორს, თავს ევლება ვაკეზე აქა-იქ გაფანტულ სახლებს.

ეზოს ძაღლები ყეფენ. მამლები ყივიან.

ფრატ, ფრუტ, ფრატ ფრუტ გაისმის ქვებზე მისი ფეხის ხმა. მიდის ნელა, მძიმეთ. ისაკოს, ნავებივით დიდი უხეში ტყავის ფეხსაცმელები აცვია, ქუსლებზე დიდრონი ნალები აქვს მიკრული.

ხან და ხან ისე მაგრათ დაჰკრავს ისაკო ქუსლს ქვაზე, რომ ქვას ნაპერწკლები სცვივა.

ღამის ათი საათია. უმთვარო ღამეა. ძალიან ბნელა. ქუჩაში ხალხი ნაკლებათ დადის. ისაკო სახლში მიდის. ის ქალაქის განაპირა, შორს ვაკ ზე დგას. შეუჩვეველი კაცი ამ სიბნელეში კისერს მოიტეხდა გზაში, მაგრამ ისაკო ისე შეჩვეულია, თუ გინდ თვალდ ხუჭული გაივლის. ის ყოველ დღე ამ დროს ბრუნდება ს მუშაო დან, დაღლილ დაქანცული, მაგრამ მუდამ მხიარული. მუდამ მღერის, მუდამ სჰექს, ყველას ალვიძებს, ყველას ძილს უფრთხობს. მისი ფეხის ხმაურობაზე და სიმღერა-ზე დამფრთხალი ჩიტები უგზო-უკვლოთ მიფრინავენ სიბნელეში.

ყველა ახლო მახლო მეზობლებმა იცის, რომ ამ დროს ისაკომ უნდა გამოიაროს, ყველა ელის, რომ სადაც არის გაისმის მისი ზარივით ხმა. შემოსძახებს თუ არა ისაკო, ყველანი სიამოვნებით იღიმებიან.

ისაკო ყველას უყვარს, თვალში რომ ჩაუვარდეთ ხელს არ ამოისვამენ: ისაკო თავის დღეში უბრალოთ არავის არ აწყენინებს. ისაკომ იცის დიდი გაჭირვება, მაგრამ ჩუმათ არის, არ წუწუნებს არავის არ შესჩივის. გულში სევდა უღრღნის და ის კი მღერის, სჰექს, მხიარულია. ვერვინ ვერ ხედავს იქ გულში დაბუდებულ სევდას, ვერავინ ვერ ხედავს როგორ კვნესის ისაკოს გული რა ტკივილებს გრძნობს ის.

ისაკოს არ აწყენს კარგი რბილი შევროს ფეხსაცმელები, მოუხდება კიდეც, არ აწყენს კარგი კოსტიუმი, კარგი თეთრი საცვლები, არ აწყენს კარგი სასმელ-საჭმელი, ტახტზე ნაზათ კოტრიალი, დასვენება. მშვენივრათ შეიფერებს ყველა ამას. მაგრამ აბა ვინ მიაშავა?! ისაკომ გრძელი, მაგარი, ნალებიანი ფეხსაცმელით უნდა იფრატუნოს, თავის ფეხის ხმით ყველას ძილი უნდა დაუფრთხოს. ისაკომ უპერანგოთ ტომარივით მაგარი ხალათით უნდა იაროს. ისაკო ერთხელ ცოტათი უნდა დანაყრდეს დღეში, რომ შიმშილით არ მოკვდეს. ისაკომ თექვსმეტი საათი უნდა იმუშაოს დღე და ღამეში, მისი დასვენება შეძლება მხოლოდ ღამით ორი სამი საათი, როცა სძინავს. დილით ჩიტებს უნდა დაასწროს და სამუშაოზე წავიდეს, რომ ოჯახს პური მოუტანოს.

სხვები კვნესიან და ისაკო კი მღერის.

აი რით არის ყველაზე მდიდარი, ყველაზე ბედნიერი.

ისაკო ჰექს, ქუხს, მღერის და ამ სიმღერას აყოლებს თავის ჭირ-ვარამს, ჰაერში ფანტავს ბოღმა-ნაღველს. სულ ერთია ადამიანებს ის არ დააფიქრებს, ადამიანები მას ვერ იგრძნობენ.

მძიმეთ, დინჯათ მიფრატუნობს, მის ქუსლებ ქვეშ ქვებს ჭახა-ჭუხი გაუდით, ნალები მაგრათ სცემენ, ცეცხლს აკვესებენ.

ისაკო შეჩერდა. კალათი ძირს დადგა. კალათით ოცი კვერცხი მიაქვს სახლში ბავშვებისათვის, მეორე ხელ-

ში დიდი „გოგორა“ პური უჭირავს. შოშიებივით პირდაღებულები მიელიან ბავშვები. იციან რომ მამა პურს მიუტანს და არ სძინავთ. გამოცდილებით იციან, რომ სადაც არის გაისმის ისაკოს ჰიხვინი, მისი სიმღერა.

შეჩერდა ისაკო. დაფიქრდა. სიმღერა შესწყვიტა. უნებურად ხალათის ღილი გაიხსნა და ხელი უბეში წაიღო. ხელი ბანჯგვლიან გულის ფიცარს მოხვდა. ისაკომ მწარეთ გაიღიმა.

— ისაკო! დამიჯერე რომ ეს ასე არვარგა. მამა გიცხონდა ბევრ რამეს წაიღებ აი, იქ სასაფლაოზე, რათ უნდა მეცვას მე ეს ტომარის ხალათი?! ტიტველ ტანზე მეხახუნება და მკბენს. მესიამოვნება კარგი თეთრი პერანკი მეცვას. მერე რატომ არ მაცვია?. რატომ ვწვალობ ასე?! არ ვიცი. ისაკო' მაგრათ შეინახე შენი სინდისი და პატიოსნება. მაგრათ! მაგრათ! არავინ წაგართვას. ღვარეოფლი მთელი დღე. საღამოს წაიღე პური სახლში, იფრატუნე ბნელაში, კისერი იტეხე, იმღერე, დასჭექე, მიდი სახლში შემოგეხვევიან მშიერი ბავშვები და დაუწყებენ პურს გლეჯას. ხა, ხა, ხა, რა საუცხოვო სურათია.

ისაკო ქვაზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

— ერთი ღვთის გულისათვის გამაგებინეთ რის მაქნისია ეს რაღაც სინდისი და პატიოსნებაა. მე ჯერ მაგის ფასი არ მინახავს. ჯერ არ გამიგია, რომ მას ვინმე ეძებდეს და უნდოდეს შეიძინოს. ფლიდობა, ორპირობა, სიყალბე, სიცრუე, უსინდისობა, უნამუსობა, აი რასა აქვს ფასი. მოატყუე ვინმე ისაკო, აიღე ქრთამი, გააძვრე ვინმეს ტყავი, მშვენიერ შევროს ფეხსაცმელს ჩაიცვამ, პერანგიც გექნება და ოჯახიც მაძღარი იქნება. მერე რა კარგათ შევიფერებ ყველაფერს. ისე გავიფუყები, როგორც მამალი ინდაური. ერთი კარგი ტროსტიც თუ ვიშოვე „შიოს ცხენივით“ ჩამოვიკონწიალებ ხელზე და აბა გიყვარდეს. ისაკო! დამიჯერე მაშინ ყველა დიდის პატივისცემით დაგიკრავს თავს, ყველა ზრდილობიანათ მოგექცევა, არავინ არ დაგიბრიყვებს, არავინ არ დაგეჯახება გზაში, ყველგან მიგიპატიჟებენ, ყველა გენდობა.

— ჰა! ისაკო! რას იტყვი?—ხმა მაღლა წამოიძახა ისაკომ და თავი გააქანა, თითქოს მან გამოაღვიძა ისაკო.

— რაო? არ გინდა? ხა, ხა, ხა, ხა.!—გულიანათ გადიხარხარა ისაკომ—არ გინდა? მაშ რა გინდა? სულ ასე ვიფრატუნო ამ ღამეში და ადალა-დალა ვიძახო? მერე? სახამდი გამიძლებს ეს კანჭები? ჯერ მადლობა ღმერთს მაგრებია, ჯერ შემიძლია ვიმუშაო და ვიარო. მერე? სულ ასე ხომ არ ვიქნები? ეხლა მარტო პურის ზიდვას ვერ ვუთავდები და მერე რაღა ეშველება ჩემ ჯარს? ვინ გააძღობს? მე შენ გითხრა ვინმე შეიბრალებს და დაეხმარება? არა; ისე აუშენდეთ ოჯახი. ძალიან ბარაქიანი კი მყავს ეს ჩემი ცოლი, ცერცვივით ყრის ბავშვებს, ერთს მოვნათლავ თუ არა მეორე უკვე მოსანათლავი მყავს, ხა, ხა, ხა, ხა—გულიანათ გაიცინა ისაკომ. ააშენა ღმერთმა, კარგია, რაც მეტი იქნება უკეთესია;—აბა ერთი ჩამოვთვალო, ვახტანგი, ერეკლე, ვანო, ჭიჭიკო, ქაიხოსრო, სიკო, ნინა, ქეთო, თამარი... ისაკომ თითებზე ჩამოთვალა. ბიჭოს! ეს ცხრა... მეათე რაღა იქნა?.. ხა, ხა, ხა, ხა, მეათე? შვიდი ბიჭი მყავს და სამი ქალი სულ ათი... ვახტანგი, ერეკლე, ვანო, ჭიჭიკო, ქაიხოსრო, სიკო... ეს ექვსი: მეშვიდე? მეშვიდე? ვა! ეს ოხერი დამავიწყდა? მე მგონია მოვნათლე და სახელიც დავარქვი. ხა, ხა, ხა, დამავიწყდა, დამავიწყდა! ყოჩაღ ისაკო.

ისაკო წამოდგა, აიკიდა თავის ბარგი და მიდის ფრატა-ფრუტით. თან ბავშვების სახელებს იმეორებს და თითებზე ითვლის. მეათეს ვერ იგონებს.

ხელი ჩაიქნია.

— თავისუფლებას ვეძებდი... ვერ ვნახე დაკარგულიყო...

— გამარჯობა ისაკო! რას ეძებდი? თავისუფლებას? ბიჭო! განა შენისთანა თავისუფალი არის ვინმე ქვეყანაზე?

— ცა ქუდათ არ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნათ, შენი შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუჭაჭანია და დედამიწაზე ჭიანჭველას. დადიხარ და მღერი. ამაზე მეტი თავისუფლება გინდა? ჩამოსძახა გზის პირათ მეორე სართულიდან ვიღამაც.

ისაკო შეჩერდა თავი მაღლა აიღო და გაღებულ სარკმელს შეხედა.

— ოჰ! შენი ღმერთის ჭირიმე, ჩემო ნიკო! შენა ხარ? გამარჯობა შენი! ისაკო წელში გაიმართა პური და კალათი ძირს დასდო და რიხიახათ შესძახა ნიკოს

სალამი და გამარჯვება
ჩვენ მშვენიერ ნიკოსაო,
ჩამოვა და ჩამომიტანს
დიდი დოქით ღვინისაო,
დალევს და დამალევინებს
რომ არ მომეწყინოსაო.

ხა, ხა, ხა, გადიხარხარა ისაკომ. მაშ რა გგონია პოეტი ვარ. ყველა ქართველები პოეტები ვართ. მართალია თუ არა?

— ეს კი მართალია, მაგრამ ის კი არა, რომ მე შენ დოქით ღვინოს ჩამოგიტან. ძალიან გულით მინდა, მაგრამ არა მაქვს. ცივი წყალი თუ გინდა ბევრი მაქვს, მაგრამ არა უშავს სხვა დროსთვის იყოს.

მართლა ნიკო! თუ ხათრი გაქვს მითხარი რამდენი ბავშვი მყავს მე?

— ხა, ხა, ხა, ხა! შე ოხერო მე რომ მეკითხები რა ბებია ქალი ხომ არ ვარ. შენ უფრო არ უნდა იცოდე რამდენი შვილი გყავს? მენგან ასე გამიგია, რომ შვიდი ვაჟი გყავს და სამი ქალი—სულ ათი.

— დიახ ეს მართალია ათი მყავს, მაგრამ როდესაც თითებზე დავთვალე ცხრა გამომივიდა, ერთი ბიჭი დამაკლდა. ვერ მოვიგონე სახელი.

— დილით რომ წამოხველი ხომ დასთვალე?—ღიმილით შეეკითხა ნიკო.

— როგორ არა! ყოველ დილით ვსთვლი. დავთვლი ათს, ჩავაბარებ ცოლს და ვეტყვი მეთერთმეტე შენა ხარ და ყველანი უკლებლათ უნდა დამხვდეთ მეთქი. არ ვიცი დღეს რა ღმერთი გამიწყრა. ველარ მომიგონია ერთის სახელი.

— არა უშავს ისაკო! მიდი სახლში და გადასთვალე იქ დაგხვდება.

— განა შეიძლება მამამ შვილის სახელი დაივიწყოს? ეს ოხერი ბარე ხუთჯერ ჩამოვთვალე თითებზე და მაინც ვერ მოვიგონე.

— რა გასაკვირია, ჩემო ისაკო, რაც ქართული სახელებია ყველა შენ შვილებს ჰქვიან და დიდი არაფერია, რომ ერთ-ერთის სახელი დაგავიწყდეს. აბა კიდევ ჩამოთვალე, იქნებ მოვიგონო.

— დავთვალოთ! ვახტანგი, ერეკლე, ვანო, ჭიჭიკო, ქაიხოსრო, სიკო... ეს ექვსი და მეშვიდე რაღა იქნა?

— ხა, ხა, ხა გულიანად გადიხარხარა ნიკომ—როგორც გეტყობა შენ დღეს ზედმეტი გადაგიკრავს, მაშ როგორ დაგავიწყდა, ბიჭო, პატარა გოგია, ის ხომ მეშვიდეა?

— ოჰ შენი ღმერთის ჭირიმე ჩემო ნიკო, ძლივს არ მომაგონე. გოგია, აი ის პატარა ლლაპი ყველაზე მეტ პურს რომ სჭამს.

— მართლა ისაკო რამდენი პური გინდება დღეში, ხომ თოთხმეტი სული ხართ?

— რამდენი და სრული ერთი ფუთი, დილიდან რომ დაადგებიან ისე დაანელებენ ერთ ფუთ პურს, როგორც ერთ გირვანქას.

— მიკვირს როგორ უძლებ ამ სიძვირეში?

— რალა გაძლებაა, ჩემო ნიკო, ეს ოხერი სული ალარ ამომდის თორემ ალარაფერი აკლია.

მაშ ისევ სჯობია გზას გავუდგე. როგორც ვატყობ შენ არაფერი არა გაქვს, ჩემო ნიკო და დროც არ არის, ეჰ ლამე მშვიდობისა.

— გაგიმარჯოს ჩემო ისაკო! აბა ერთი შენებურათ დაიჭიხვინე.

ისაკო წელში გაიმართა, მძიმე ნაბიჯით გაუდგა გზას და დასჭექა.

— ადალა... დალაააა... დალაააა... დალაააი...

ფრატ, ფრუტ, ფრატ, ფრუტ.

მიდის ისაკო და ჭიხვინებს.

აგერ მიუახლოვდა თავის სახლს. ხედავს თავის სახლის აივანზე ვილაცაები შეჯგუფულან, ვილაცაები მოძრაობენ, ზოგი მალალი, ზოგი დაბალი, ზოგი ციდი, ზოგი პატარა. ეს ისაკოს ჯარია. ამ ჯარს ყურში ჩასწვდა ისაკოს ჭიხვინი და ყველანი აივანზე გამოვიდენ და ელოდებიან პურიან ისაკოს.

ისაკო ნელა ადის კიბეზე. აივანზე. ბავშვები შემოეხვივნენ, ზოგი კისერში ჩამოეკიდა, ზოგი ხელებზე, ორი პურს დაეჭიდა და ხელიდან დააძვრეს, ორმა კალათს სტაცა ხელი და კუთხეში წაილეს.

— ჰა, თქვე ბანდიტებო! დამაცადეთ ამოვისუნთქო.

ბავშვები მოშორდენ და ერთ კუთხეში რალაც დიდ ფაცა-ფუცს შეუდგენ.

— კაცო სადა ხარ ამდენი ხანი, შენი ლოდინით გული გადაგველია ალბათ კიდევ გადაჰკარი! საყვედურით მიმართა ცოლმა.

— გადავკარი რა მამა გიცხონდა ფულებით ჯიბეები მაწყდება. ხომ ხედავ მთელი დღე ვმუშაობ. აი ეს მანეთ ნახევარი მოგიტანე—უთხრა ისაკომ და ფული გაუწოდა.

— აბა ეს რას გვეყოფა, ამითი პურსაც ვერ ვიყიდით, ხომ ხედავ როგორ დამგელებულია ბავშვები, ერთი კვირაა არ გამძლარან.

— ეს ფული და აი კიდევ პური და კვერცხები—ისაკო მიბრუნდა, უნდოდა პური და კვერცხები გადაეცა, მაგრამ სახტად დარჩა, ალარც პური იდო იქ და ალარც კვერცხები. ისაკომ ბავშვებს გადახედა, მიხვდა რაშიაც იყო საქმე და იქითკენ გაქანდა—ასგამო, აცხა, აცე, თქვე ვერანებო—ისაკო ჩავარდა შუაში ბავშვები აქეთ იქით გაფანტა და განახევრებული პური ხელიდან წაგლიჯა პატარა გოგიას, რომელიც გადამჯდარიყო პურზე და გულიანათ ბდღვნიდა.

— თქვე ამოსაწყვეტებო! ეხლა რომ ვჭამოთ ეგ პური ხვალ დილით რალა უნდა სჭამოთ?!

ჩამოართვა პური და კალათი ისაკომ და ცოლს გადასცა.

ცოლმა გადათვალა კვერცხები.

— აქ ათი კვერცხია, ეს ვის ეყოფა?—წყენით უთხრა მან ისაკოს.

— როგორ თუ ათი, ოცი იყო, ხომ არ მომატყუა იმ ოხერმა მედუქნემ, მაგრამ მე თვითონ დავთვალე.

ბავშვები კუთხეში მიკუნჭულიყვენ და მუშტებში იცინოდენ, თითქოს იქვე გაეტეხა თითო კვერცხი და უმათ ჩაეყლაპათ.

ისაკო მიხვდა რაშიაც იყო საქმე.

— მგლები ხომ არა ხართ თქვე ოხრებო, რომ უმსა და უწვავს სჭამთ, ველარ დაიცადეთ? გასწით ამ წუთში დაეყარენით.

ისაკომ აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტა ბავშვები. მივიდა და ტახტზე ჩამოჯდა, საკინძი გაიხსნა, გაბანჯგვლული გული გამოაჩინა. ერთი ლაზათიანათ დაამთქნარა.

გაიხადა თავისი ნავები. ტანისამოსის გახდა არ დასჭირებია, რადგან ხალათის და შალვრის მეტი არაფერი ეცვა.

ისაკო წამოწვა.

— ადალა... დალაააა... დალაააა... დალაი...

მღერის ისაკო ნელის ხმით და თანდათან ძილი ეპარება, ტკბილ ოცნებას ეძლევა, მისი სხეული ისვენებს, რომ მეორე დღისთვის ძალა მოიკრიფოს.

პ. ირეთელი.

# გაზეთებიდან

გასულ კვირას, ქ. ტფილისში მოხდა გლეხკომების ყრილობა. გაზეთ „კომუნისტ“-ში მოყვანილია კ. ოკუჯავას სიტყვა, რევოლიუციონური კანონიერების შესახებ სოფლად. მოგვყავს ზოგიერთი ალაგი:

„კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დღის წესრიგში სდგას სოფელი. ჩვენი ლონისძიება იქითკენ არის მიმართული, რომ გამოვიკვლიოთ რა სჭირდება სოფელს, როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება, რომ სოფელმა მხარი დაუჭიროს მთავრობას.

ამისათვის, პირველათ ყოვლისა, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე სოფელი, საჭიროა ვიცოდეთ გლეხის შეხედულება ხელისუფლებაზე. აი ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება იმის გაგება, თუ რა სჭირია სოფელს, როგორი მოქცევაა საჭირლ გლეხობის მიმართ.

გლეხი კერძო მესაკუთრეა. გარეგნულათ ეს გარემოება ისეთ შეხედულებას ჰქმნის, თითქოს გლეხობას და პროლეტარიატს შორის დიდი განსხვავება იყოს, თითქოს მათი მდგომარეობა სხვადასხვაა. მაგრამ თუ ღრმად ჩავხედავთ ამ საკითხს—დავინახავთ, რომ გლეხობის უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ ის მესაკუთრეა, უფრო უმწეო მდგომარეობაშია, ვიდრე მუშა.

საჭიროა მხოლოდ ამ მუშაობისათვის ნიადაგის

მომზადება და პირველად ყოვლისა კანონიერების განმტკიცება სოფლად. არაა საკმარისი, რომ გლეხი გავიყვანოთ საბჭოში, სასამართლოში. საჭიროა, რომ ეს გლეხი იცავდეს ღარიბ და საშუალო გლეხების ინტერესებს. ეხლა კი ხშირია შემთხვევა, როდესაც ქაღალდზე თითქოს გლეხი სჩანს, საქმის დროს კი მისი მონაწილეობა არ ეტჩნევა.

გლეხს არ შეიძლება რომ გვერდი ავუაროთ. ჩვენს გამარჯვებას ჩვენ ვამყარებთ მუშების და გლეხების მჭიდრო კავშირზე. რომ ეს კავშირი იქნეს მტკიცე, უნდა ჩავხედოთ სოფელს, უნდა ვიცოდეთ რა აწუხებს დღეს გლეხს.

სოფელში ადგილი აქვს თავხედობას. არ უნდა და დავფაროთ, რომ ჩვენი ხელისუფლება კარგია, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი, მაშინ, თუ საბჭოში ისეთი გლეხი წამოვსვით, რომელიც ღარიბ გლეხობის სისხლის მწოველი იქნება. ასეთი გლეხი საშიშია კულაკზე უფრო. რადგანაც მას ზურგი აქვს გამაგრებული იმით, რომ ის არის ხელისუფლების წარმომადგენელი, საბჭოს წევრი.

სოფელს კანონი აქვს. მაგრამ არა აქვს კანონიერება. ჩვენი კანონები ძალიან კარგათაა დაწერილი; ეს კანონი პირველად ყოვლისა იცავს მუშის და გლეხის ინტერესებს. რასაკვირველია, შეცდომა კანონის განხორციელების დროს შესაძლებელია, მაგრამ ჩვენგან მოსამართლე ლებულობს ბრძანებას, რომ ეს შეცდომა იქნეს დაშვებული მხოლოდ გლეხის სასარგებლოდ. ასეთია ჩვენი კანონის აზრი, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ ჩვენი კარგი კანონები არ ტარდება ცხოვრებაში. ხშირად ხელისუფლების წარმომადგენელი არ ვარგა, ამ ნაკლის გამსწორებელი კი არავინ არის“.

ჩვენს მოვალეობას შეადგენს კანონიერება გავატაროთ. სასამართლოში მსაჯულები გვყავს. საჭიროა, რომ მსაჯულებათ ისხდენ ისეთი გლეხები, რომლებიც პირნათლად გაატარებენ ჩვენ მუშურ-გლეხურ კანონს. ამის გარდა საჭიროა, რომ ყოველმა გლეხმა შეისწავლოს კანონი. ამ მხრივ არაფერი არ კეთდება. საჭიროა, რომ გლეხკომებმა დიდი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს, რადგან გლეხკომების წესდებაში ისიც სწერია, რომ მათ მოვალეობას კანონიერ დახმარების აღმოჩენაც შეადგენს. გლეხკომებმა უნდა შეასწავლონ გლეხს კანონი. შეიძლება თქვენ სთქვათ—ჩვენ თვითონ არ ვიცით და სხვას საიდან ვასწავლითო. მართალია არც თქვენ იცით, მაგრამ უნდა იცოდეთ.

გლეხკომებმა უნდა მიაქციონ ყურადღება იმას, თუ როგორ იქცევა ადგილობრივი ხელისუფლება. გლეხკომებმა ისეთ სიმაღლემდე უნდა მიაღწიონ, ისეთი მჭიდრო კავშირი უნდა გააბან გლეხობის ფართო მასსებთან, რომ გლეხი საჩივრათ პირველათ ყოვლისა გლეხკომში უნდა მიდიოდეს. ჩვენ ყოველ მაზრაში გვყავს პროკურორი. ის ვალდებულია ადევნოს თვალყური კანონიერებას, მაგრამ პროკურორს უნდა ეცნობოს უკანონობა-უსამართლობის შესახებ, გლეხი მარტო ამას ვერ იზამს. ხშირათ მან არ იცის როგორ მივიდეს პროკურორთან, უფრო ხშირათ კი ეშინიან პროკურორთან მისვლა. რასაკვირველია გლეხკომის მოვალეობას შეადგენს ან ასწავლოს გზა და გააბათილოს მისი შიში, ან და თვით იკისროს შუამავლის როლი.

გლეხკომები უნდა იქნენ ერთგვარი უჯრედები, რომლებიც ხელს შეუწყობენ უკანონობის მოსპობას, ისინი უნდა აბამდენ ქსელს პროკურორსა და გლეხობას შორის, რომ ყოველივე ყბედობა, ყოველივე უკანონობა იქნეს მხილებული.

ამას გლეხკომები შეასრულებენ, თუ ისინი ახლოს გაიცნობენ ადგილობრივ ცხოვრებას, დაიჭერენ კავშირს საბჭოსთან, კოოპერაციასთან და სხვა, ამას გარდა თუ ისინი ჯერ თვითონ გაეცნობიან და შემდეგ გლეხებს შეასწავლიან ჩვენ კანონებს. უკანასკნელი მიზნის მისაღწევათ გლეხკომებთან უნდა დაარსდეს საკონსულტაციო ბიურო. იქ იქნება რამოდენიმე პირი, მაგალითად, ადგილობრივი გლეხკომის წევრი, მასწავლებელი და სხვა, რომლებიც გაეცნობიან კანონებს და შემდეგ გაავრცელებენ მათ გლეხობაში. საკონსულტაციო ბიურო მისცემს გლეხებს რჩევა-დახმარებას, დაუწერს მათ თხოვნას, ასწავლის სად და როგორ იჩივლოს. საკონსულტაციო ბიურო გამოყოფს დამცველს და ბრალმდებელს. ეს ბიურო იქნება კანონიერების უჯრედი.

თუ ამას არ იზამთ, გლეხობა იქნება ჩამოცილებული კანონს, იქნება ისეთი წარმოდგენის, თითქოა ჩვენი კანონები არ ვარგა. გლეხი კანონის სიკარგეს იმაში ხედავს, თუ რამდენად კარგია ხელისუფლების წარმომადგენელი.

თქვენი ყურადღება კანონიერების განმტკიცებისაკენ უნდა იქნეს მიმართული და როგორც კი აქედან დაბრუნდებით, მაშინათვე უნდა შეუდგეთ ამ მიმართულებით მუშაობას.

კანონიერების განმტკიცებით განმტკიცდება ხელისუფლების პრესტიჟი ხალხის თვალში, განმტკიცდება კავშირი ქალაქსა და სოფლის შორის და მაშინ ვერც ერთი ძალა ვერ შეჰკვიშლის ხელს ჩვენი საბოლოო მიზნის—სოციალიზმის განხორციელებაში.

# ქართული ლიტერატურა

## VIII.

გაზ. „შრომის“ ირგვლივ თანდათან თავს იყრიდა და გროვდებოდა დასავლეთ საქართველოს მთელი განთქმული მოღვაწეთა გუნდი, ნიკო ნიკოლაძისა, აკაკისა და კირილე ლორთქიფანიძის მეთაურობით. ნიკო ნიკოლაძე მაშინვე, რაკი დაინახა, რომ „შრომის“ ცენზორი (აბულაძე) გაზეთში ერთ სიტყვასაც კი არ იჭერდა და სრული თავისუფლება იყო გამეფებული, მან თანამშრომლობა დაიწყო „შრომაში“.

პრესის ამგვარმა თავისუფლებამ გაზ. „შრომის“ საქმე გაცილებით უფრო უკეთეს პირობებში ჩააყენა, ვიდრე ტფილისის ქართული პრესსა.

მარა მალე ალექსანდრე მესამე რომანოვმა მოსკოვში გვირგვინი იკურთხა. გვირგვინის კურთხევას მოჰყვა საშინელი შურისძიება მტარვალის მამისმკვლელების წინააღმდეგ, მთელ რუსეთსა და საქართველოში გამეფდა სრული და ჭეშმარიტი რეაქცია. აგრესიული პოლიტიკის

სათავეში მოექცნენ ისეთი განთქმული რუსის რეაქციონერები, როგორიც იყვნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი—ტოლსტოი, სინოდის ობერ-პროკურორი—პობედონოსცევი და „მოსკოვის უწყებათა“ რედაქტორი—კატკოვი. საქართველოშიაც სამების ნიშნათ, გამეფდა სამი მტარვალი: კავკასიის მთავარმართებელი—დონდუკოვ-კარსაკოვი, საქართველოს ექსარხოსი—პავლე და კავკ. სწავ. განათლების მზრუნველი—იანოვსკი, რომლებზედაც უკვდავი აკაკი სწერდა, აი ამ არალეგალურ ლექსს:

მოლამ, ყადმა და აჯიამ,
შეკრეს პირობა ძლიერი,
რო გადიყვანონ ყირაზე
საქრისტიანო მათ ერი.
შეიქნათ დიდი ბაასი—
მოლამ თქვა: „ბისმირ ალლაო!
მათ რჯულის შესაბლალავათ,
უნდა ვიხმაროთ ძალაო“.
ყადმა მიუგო სიცილით:
„ჰა, ქეშეშ—ბარაქალაო!
ჯანი გავარდეს სამართალს,
ხალხი ჩვენ გვენაცვალაო“.
აჯიამ უთხრა „აფერუმ!
მეც ვეთანხმები მაგათო
და სკოლებს გადავაკეთებ
ხალხისთვის ვირის ბაგათო“.
დაძახეს: „ლაილ-ალლაო!!“
საომრათ ემზადებიან
და, მიკვირს, ბევრი თქვენგანი,
იმათ ბანს ეუბნებიან.

მუსრი გაავლეს ყველაფერს, რასაც კი მცირეოდენი სიცოცხლის ნიშანწყალი ეცხო. ხელი სტაცეს პრესის სამოქალაქო, საერო ასპარეზზე გამოსულ მოღვაწეებს შეხუთეს უნივერსიტეტები, სასწავლებლებიც, გამოიცა მრავალგვარი სულის და გულის შემხუთველი კანონები, გამოაქვეყნეს, ასე წოდებული, 84 წლის წესდება სტუდენტების შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რო სტუდენტმა მუნდირი უნდა ჩაიცვას, ალიარება უნდა სთქვას და ეზიაროს კიდეცო... ენა ვერ გამოსთქვამს აქ, და კალამიც ვერ ასწერს ყველაფერს იმას, თუ რა ჯოჯოხეთი დატრიალდა მაშინ რუსეთსა და საქართველოში...

რათქმა უნდა, ხელი სტაცეს გაზ. „შრომისათვის“ ქუთაისში დაარსებულს ცენზურასაც და ტფილისში გადმოიტანეს ცენზურის კომიტეტში. ამიერიდან ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ქუთაისში გაზეთის წარმოების საქმე და გაზ. „შრომაც“ მოისპო. ტფილისშიაც ამავე გარემოების ძალით, მალე მოისპო ქართული ჟურნალ-გაზეთობა. ასე გასინჯეთ, ყოველდღიური, უხუცესი ქართული გაზეთი „დროებაც“ მოსპეს და მთელ საქართველოში ქართული გაზეთის ჭაჭანებაც ალარსად იყო.

ახლა, ამ ჩვენ დროში არხეინათ მინისტრებსა და კომისრებზე თავისუფლათ იწერება, ამის მსგავს რასმე უბრალოთ ბოქაულზე ვინ გაბედავდა წერას. და სწორეთ ამ უბრალო ბოქაულზე მცირეოდენი ამოკნავლება შეიქნა მიზეზი გაზ. „დროების“ მოსპობისა, 1885 წელს. საქმე იქამდის მივიდა, რომ ქართული პრესის სახსენებელი სრულიად მოისპო ჩვენში...

მაშინ ილია ჭავჭავაძეს, როგორც სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარეს, რომელსაც, სხვა არაიყოსრა, ბანკში დაგირავებული მამულების განცხადებათა დაბეჭვდა ჰირდებოდა ქართველებისათვის, დიდის გაჭირვებით ნება დართეს ჟურნალი „ივერია“ გადაეკეთებინა ყოველდღიურ გაზეთათ.

როგორც ახლა ირკვევა, რუსის მტარვალ მთავრობას ილიაც თურმე ეჭვში ყავდათ, რადგან მას აბრალებდნენ ტფილისის სემინარიის შეგირდებში მთავრობის პროტესტისა და ბრძოლის შეტანას (იხ ამის შესახებ, შარშანდელი, 1924 წ. ჟურ. „რევოლიუციის მატიანე“ ილიასთან ზაქ. ჭიჭინაძესაც ხელს ადებენ).

1886 წ. პირველ იანვრიდან, ეთათ ერთმა ქართულმა გაზეთმა „ივერიამ“ იწყო სტამბიდან გამოსვლა. ამის მეტი ბეჭდვითი სიტყვის ორგანო საქართველოში არ არსებობდა 1890 წლამდე—საყმაწვილო ჟურ. „ჯეჯილის“ გამოცემამდე.

ყოველდღიურ გაზეთ „ივერიას“ კრიტიკული განყოფილება არ ჰქონია და არც ექნებოდა, რასაკვირველია ყოველდღიური გაზეთი, თუ ნამეტანი მდიდარი რედაქცია არ არის, სპეციალურათ კრიტიკისათვის მომზადებულს ნიჭიერ მწერალს ვერ მიიპატიჟებს და ვერ მიუჩენს სავარძელს რედაქციაში. „ივერიაში“ კრიტიკას სრულიად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და „კრიტიკას“ ზოგჯერ რედაქციის „კრისებს“ და ხუმარებს აწერინებდა.

კი, მართალია, ათასში ერთხელ კუდიან ჭვარსკვლავივით „ივერიის“ ფურცლებზედაც გაირბენდა კრიტიკული სტატია, როგორც მაგალითად, ამ სტრიქონების დამწერის სტატიები იყო ოდესიდან გამოგზავნილი, ან კატორღიდან დაბრუნებულის გარეთყოფილის ფსევდონიმით ხელმოწერილი. (ი. ს. ჯაბადარი) სტატიები გ. მაიაშვილის სტატიის კრიტიკა და სხ. მარა ცენზურა იყო ისეთი მკაცრი და დაუზოგველი, რო მაგალითად, 1888 წ., როცა ჩემს კრიტიკულს წერილებში ვამტკიცებდი პირველათ ქართულ ლიტერატურაში, ისეთს ანბანურ ჭეშმარიტებას, რო პროლეტარიატი არა თუ ბალღამი და ჩირქია ერის ორგანიზმში (როგორც მაშინ ფიქრობდნენ ჩვენში), არამედ იგია ყოველი თანამედროვე კულტურული ერის ცოცხალი კლასი, კაპიტალიზმის დიალექტიურს პროცესში წარმოშობილი ანტიპოდი ბურჟუაზიის, რომელსაც შეაქვს დღევანდელ საზოგადო ეკონომიურსა და პოლიტიკურს ცხოვრებაში დიდი და მდიდარი, წარმტაცი და მიმზიდველი გრძნობა-გონების ნამუშევარი და იდეალები თქო, მთელი ერთი უშველებელი ფელეტონი სულ ერთიანა დაიჭირა ცენზურმა და გაზ. „ივერია“ სტამბიდან გამოვიდა მხოლოდ ნახევარი...

გაზ. „ივერიაში“ სულ რვა ფელეტონი დაისტამბა ჩემი კრიტიკული სტატიებისა, ამ სათაურით—„ზოგიერთი ფიქრი“.

კვირეული გაზ. „თეატრი“, რომელიც 1889 წ. სექტემბრიდან და 1890 წ. მარტამდი ჩემი ფაქტიური რედაქტორობითა და კორექტორობით გამოდიოდა, აწარმოებდა კრიტიკას ჩემი ხელმძღვანელობით.

1893 წელს, იანვრის თვიდან, „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელმა ანასტასია მიხეილის ასულმა წერეთლისამ სტამბიდან გამოსცა კვირეული ჟურ. „კვალი“.

ჟურ. „კვალის“ ხელმძღვანელი და მეთაურები იყვნენ: გიორგი წერეთელი, აკაკი და ვანო მაჩაბელი. ამ სამმა მოღვაწემ „კვალის“ კრიტიკული განყოფილება მომანდო მე და ამ განყოფილებას ვუძღვებოდი 1898 წ. მანამდის სანამ აკაკიმ არ მიმიწვია და არ მომანდო

კრიტიკული განყოფილება თავის თვიურ ჟურნალ „კრებულში“.

1898 წ. ჟურ. „მოამბის“ რედაქციამ მე მიმიწვია ჟურნალში თანამშრომელათ. „მოამბეში“ დაიბეჭდა ჩემი სტატია „ბესარიონ ბელინსკი“.

1898 წლიდან, ჟურ. „კვალში“ ჩემი ადგილი დაიჭირა ახალგაზრდა კრიტიკოსმა ივ. გომართელმა, რომელიც ჟურნალის მოსპობამდის ნიჭიერათ უძღვებოდა კრიტიკის განყოფილებას.

1894 წ. იანვრის თვიდან, ჩემ მიერ დაარსებულმა „ქართული წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ დაიწყო ტფილისში თვიური ჟურნალი „მოამბის“ გამოცემა სტამბიდან. 1885 წელს, რო ილიას თვიური ჟურნალი „ივერია“ მოისპო, მას შემდეგ, 8 წლის განმავლობაში, 1894 წლამდი, ქართველობას თვიური ჟურნალი არ ღირსებია და ამ ახალ ჟურნალს ქართველობა შეხვდა სწორეთ ისე, როგორც არაბეთის უდაბნოში მოწყურებული ქარავანი შეხვდება წყაროს.

ახალი ქართული ლიტერატურის დიდი მნათობნი ერთად თავმოყრით, მოგროვდენ ამ ახალი ჟურნალის ირგვლივ და მუშაობაც გაჩაღდა. ამ ჟურნალში დიდი ხალისით თანამშრომლობა დაიწყეს: ნიკო ნიკოლაძემ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკიმ, ეგნატე იოსელიანმა, პროფესორმა ვასილ მ. პეტრიაშვილმა, გრ. უმწიფარიძემ (ვოლსკიმ) ნ. ურბნელმა და სხ.

მთელი ერთი წლის განმავლობაში, მისებურათ ძლიერის სულის ალტაცებით და ენერგიით ნიკო ნიკოლაძე უძღვებოდა ამ ჟურნალის შინაურსა და უცხოეთის მიმოხილვას. იგივე ავტორი უძღვებოდა ამ ჟურნალის კრიტიკის განყოფილებას და აქ მან დასტამბა, მაგალითად, ფრიად შესანიშნავი კრიტიკული შეფასება ქართველი დიდი მხატვარის გიორგი წერეთლის ბელეტრისტული ნაწერებისა. ჟურნალის ტირაჟი ერთბაშათ 1,000-დი ავიდა, რაც იმ დროს სასწაულს უდრიდა და ყველას გაახარებდა.

**ხომლელი.**

---

# მარტოობის რაინდი

## ტერენტი გრანელი

„შენს ღრმა თვალებში სიკვდილი ჩის რონჩხად ქცეული
და მღერი მუდამ საფლავების ბნელ მასტერიას...

**ვ. რუხაძე.**

ჭეშმარიტი პოეტი იცნობება იმითი, რომ მისი ნაწარმოების თვითეულს გვერდზე შეიძლება ვიპოვნოთ ერთი ფრაზა, ერთი გამოთქმა მაინც, რომლის დაწერა მხოლოდ მას შეეძლოსო,—ამბობს ბრანდესი.

მე მიყვარს გასინჯვა მწერლისა, როგორც შემოქმედისა, რომელიც ღმერთის შემდეგ ცდილობს შექმნას ახალი ქვეყანაო—ეს სტრიქონები კიდევ ემილ ზოლას ეკუთვნის.

ორგანვე ხალასი ჭეშმარიტებაა გამოთქმული.

თუ სიახლე არ არის თხზულებაში, ის შემოქმედება დადამბლავებულია... განცდა გაცვეთილი... გრძნობა დაობებული.

განა ქართულ თანამედროვე მწერლობაში ყველას შეუძლიან თავის თავზე სთქვას, რომ იგი ჰქმნის ახალს ქვეყანას, ახალს სახეებს?

თქმით კი ჰაი, ჰაი რომ ბევრი იტყვის...

თვითეულ მწერალს თავი მოაქვს პოეზიის კოლუმბად, მაგრამ რომ შევისწავლოთ მათი ნაწერები, დავრწმუნდებით, რომ იგინი არიან ერთ სახისანი, ერთნაირად დაქოქილნი... უსულონი და უგულონი...

მათში ქართული არაფერია, გარდა სიტყვებისა და სახელოვან ნაცარქექიის ბაქიობისა..

მე ვამბობ იმ უნიჭო მწერლებზე, რომელთაც კადნიერება მაინც შესწევთ და მონოპოლია აქვთ გამოცხადებული მწერლობის სახელზე... პირველობის პრეტენზიებით მოდიან იგინი, თუმცა მათი ნაწერები ისევე ჰგვანან ჭეშმარიტ შემოქმედს, როგორც სანთლის კაცები (ტანისამოსის მაღაზიების ვიტრინებში რომ გვხვდებიან) იმ ქანდაკებებს, რომელნიც გამოკვეთილნი არიან დიდ ხელოვანთაგან.

ფაქტია და ალტაცებითაც ვაღიარებ, რომ ჩვენს ხელოვნებაში დაიწყო ახალი ხანა... მოჰხდა მართლაც და რევოლაუციები... ჩვენმა ხელოვნებამ უკვე გაიძრო ძველი ტანისამოსი... მართალია ზოგს ამ „ახლომანიაში“ მანქიაობა ეტყობა... უსტილობა, ულაზათობა და უიდეიობა ახასიათებს, მაგრამ ეს დაემართა იმათ, რომელთაც პოეტობა და ისიც პიონერობა პოეზიაში მოინდომეს, თუმცა მათს ნაწერებში ყველაფერია და მხოლოდ ერთი პატარა რამ აკლიათ... ეს პატარა რამ არის შემოქმედება..

ნამდვილ ნიჭიერთა მეოხებით უკვე ახალი სული ჩაედგა ჩვენს ხელოვნებას... ახალი მიღწევების მოწმენი გავხდით...

ამიტომ იმათი მდგომარეობა სასაცილოა, ვინც ძველმანს ისევ ატარებს და არა ჰსურს დაჰშორდეს ძველს ფორმებს და საშუალებებს ..

ტ. გრანელი იმ პოეტთაგანია, რომელიც არ გადავარდნილა არც იმ დამთხვეულთა რიცხვში, რომელნიც ჰზოდავენ და გაჰკვირიან ისე, როგორც გრ. რობაქიძის „მალშტრემის“ ერთ-ერთ მოქმედებაში გამოყვანილი დაიდასტები, მაგრამ არც ძველს ჩაჰფრენია. მათსავით შეიდ ცოდვად არ მიაჩნია ძიება ახალი სახეებისა, ახალი ფორმისა.., ახალი სამყაროსი...

ტ. გრანელი ახალი ქვეყნის შემომქმედია... და ამ ახლის შექმნაში იგი უნიკუმია, გაუმეორებელია...

ხელოვნებაში კი ეს ორიგინალობაა საინტერესო და ძვირფასი.

პოეტის გაგება უფრო პოეტს შეუძლიან...

ტ. გრანელის თაობაზე ბევრს კრიტიკოსს გამოუთქვამს აზრი, მაგრამ მათზე უფრო კარგად შეაფასა ტერენტი... იცით ვინ?.. ჯერ-ჯერობით სრულიად უცნობმა, უგვირგვინო მწერალმა. იგი სწერს სწორეთ პოეტის ორიგინალობაზე: „ქართულ პოეზიაში“ მწუხარება სულით არავის დაუღვრია ისე, როგორც ტერენტი გრანელს. პოეზიაში სევდა გამოაცხადა მან როგორც ესთეტიური ფენომენი, როგორც გაწვალება ყოველადობის სივრცისა და

დროის გარეშე... იგია მწუხარების და სევდის ტრიუმფატორი...

—

ჩვენში გავრცელებულია აზრი, ვითომც ტ. გრანელი გალ. ტაბიძის შემოქმედებიდან გამოდიოდეს, ვითომც მას სულიერად კავშირი ჰქონდეს გალ. ტაბიძესთან...

მე ვფიქრობ, რომ ტაბიძესა და ტ. გრანელს შორის მხოლოდ ის მსგავსებაა, რომ ორივე დიდი ნიჭის მქონენი არიან... ეს არის და ესა. დანარჩენში არაფერი აქვთ საერთო...

კრიტიკოსმა კ. კაპანელმა გრანელს სამართლიანად უწოდა სიშორისა და მარტოობის რაინდი...

მართლაც, მხოლოდ მარტოობის რაინდს შეეძლო ეთქვა:

„ჩემი სული სიზმარია,
ბედზე დარდი მივატოვე
და მე ასე მიხარია
სიჩუმე და სიმარტოვე.
დღესაც ბაღში ვიმალები,
როგორც თეთრი მდუმარება
და მიზიდავს გრიგალივით
სიჩუმე და მწუხარება“.

სიშორე და მარტოობა კი რომანტიკოსების სამშობლოა. გრანელი რომანტიკოსია ახალი დროისა.

რეალური ქვეყანა, აქაურობა, ყველაფერი ის, რაც თავსდება საზღვრებში მას სძაგს...

„მე არ მინდოდა სიცოცხლე,
არც სიკვდილი.
მე რაღაც სხვა მსურდა“.

ტ. გრანელი მოდის სისხლის სამარიდან და ისწრაფის გაფრინდეს შორეულ უხილავ სამყაროსკენ.

„ეხლა სიცოცხლე ჩემთვის ლანდია,
რაღაც სხვა მსურდა სიკვდილზე მეტი“..

გრანელის რომანტიკოსობის დამახასიათებელია შორეულის, მიუღწეველის ძიება:

ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს,
არ მინდა გული სამარეს მივცე;
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.
იქ უხილავი მხარე მიცდიდა
და ნისლიანი უსაზღვრო სივრცე...

. . . . . . . . . . . .

იმ პლანეტებზე ფიქრი მიმძიმდა,
და გაგიჟებას ველოდი ისევ...

სასაფლაოსა და სიკვდილზე ფიქრი... დაუსრულებლობისკენ ლტოლვა... ფანტასტიური გატაცება... მისტიური განწყობილება... სიყვარული გაურკვევლობისა და მიუღწევლობისკენ—აი ის, რაც ახასიათებს გრანელს, როგორც რომანტიკოსს.

ერთად ერთი ადგილია, საცა გრანელის სული ოდნავ მაინც განისვენებს: ეს არის შორეული სივრცეები... მოჩვენებები... იქითკენ აგზავნის იგი თავისს ბარათებს („ბარათი ცისკენ“) იქ დაჰქრის ბედის მძიმე გრიგალისგან შეწუხებული პოეტი...

გოეთეს ვერტერსავით ტ. გრანელი გრძნობს, რომ მასში არის დიადი მისწრაფება ამოიკითხოს, შეიცნოს ქვეყნის რაობა, მისწვდეს იდეალურ სრულებას, მაგრამ გულში ეღვიძება უსასოება...

შეუძლებელია მისი განხორციელება... გესლიანად ამჩნევს გარდაუვალობის ზღუდეებს...

„ეს გული დაისერა,
ნისლია ნაპრალებთან.
ასეა ბედის წერა,
ასეა გაწვალება“.

უნიათოა ადამიანის ძალა დასთრგუნოს გადულახავი... მოიშოროს რეალური, მეტის მეტად რეალური.

ამიტომ სასოწარკვეთას ეძლევა პოეტი;

„ტანი ციხეა, მე— პატიმარი“..

არავინ არის გაანთავისუფლოს ამ პატიმრობისაგან..

სიკვდილი ვერ ანუგეშებს პოეტს, რადგან მას სწყურიან სიკვდილ-სიცოცხლეზე მეტი.

ტ. გრანელს სძაგს რეალური ქვეყანა და თუნდა თავისი თავიც—უკეთესი, უფრო ლამაზი ყოფისთვის, უფრო მომხიბლავ ქვეყნისთვის. .

ასეთი პოეზია არ დაჰკარგავს მომხიბლაობას მანამ, სანამ ამ ქვეყნად ცხოვრება არ დაემსგავსება ზურმუხტ ზღაპრებს და ყრმობის გარიჟრაჟების ოქროს სიზმრებს...

**სალომეშვილი**

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ჩემი შთაბეჭდილებანი.

გასულ კვირას ქარელში გავაკეთე მოხსენება აგვისტოს გამოსვლების შესახებ ადგილობრივ კლუბში მრავალრიცხოვან კრების წინაშე. მოხსენებამ შესამჩნევათ დააინტერესა დამსწრენი, რომლებიც სულ განაბული უსმენდენ ყოველ სიტყვას. დაკვირვებული ადამიანი შეამჩნევდა, რომ მოხსენებამ სრულიათ გაფანტა ის ბურუსი, რომელიც იქმნებოდა სხვადასხვა ჭორიკანობით და რომლის ქსელშიც გახვეული ყოფილა ხალხი. ეს ემჩნეოდა ხალხს მოხსენების თანდათანი განვითარების დროს. და ეს მით უმეტეს შესამჩნევი იყო კრების გათავების შემდეგ. გაბრწყინვებული სახით მომმართეს ბევრმა უცნობმა და ნაცნობ ამხანაგებმა შემდეგი სიტყვებით: გემადლიერებით ასეთი სიმართლით სავსე და ნათლად გაშუქებულ მოხსენებისათვის, რომელმაც სრულიად გამოგვარკვია ბურუსიდან და დაგვანახვა აშკარად მტერ-მოყვარენი. დავინახეთ ერისა და რევოლიუციის ხსნის გზა, მაგრამ ამასთან ვერ დაგიმალავთ ჩვენს წყრომას და სამდურავს, რომ ეს დროზე არ იყო თქმული, რაც უაღრესათ საჭირო და აუცილებელი იყო ერისა და რევოლიუციის ხსნისათვის... არჩეულ იქნა ქარელის თემის რწმუნებულები: დათიკო გოგიჩაშვილი, ვასო ირემაშვილი და მელქიძე. რომელნიც შეგვპირდნენ ჩემ მოხსენების დაგვარად გადავლენ რუისის თემშიც და მახლობელ სოფლებში მუშაობის გასაგრძობად... გორში, სადაც 28 აპრილს უნდა გამეკეთებინა მოხსენება,—ორი დღის ქალაქში სიარულის დროს, მე დავათვალიერე გორის ციხე, ეს ძველის ძველი ქალაქის სიმაგრე, სადაც ჩვენი ძველები, მტრის მოხდომის დროს აფარებდენ თავს. უნდა ითქვას, რომ ამ ციხის არხიტექტურა, რომელიც საკმაოდ მინგრეულ-მონგრეულია,—სტრატეგიულათ გამაცვიფრებელია, შიშის ზარის მომგვრელი და ძალიან და-

მაფიქრებელი. მისი საშიშარი ფორტების თანდათანობითი წყობა-მდებარეობა, რომლებიც ააშკარავებენ მაშინდელ დროის ძალუმი მტერის შემოსევას, რომლის დროსაც ალბათ ამ ციხეში შეხვეწილი რაზმები თავგანწირულ ბრძოლით იძულებული ხდებოდნენ ერთი საშიშარი ფორტიდან გადასულიყვნენ მეორეში, იქიდან მესამე და ასე მეცხრე-მეთორმეტე ფორტამდე, რომელიც თვით მთავარ ციხის გალავანთან თავდება, საცა ალბათ სწყდებოდა ბედიღბალი მეციხოვნეთა და მით ქართველი ხალხისაც, რომელსაც აუარებელი შრომა გაუწევიათ ასეთი უზარმაზარი, ყოველ კუთხივ გაკეთებულ ფორტებით, ციხის აშენებისათვის. ჩვენი ძველების უბედური და ტრაღიკული მდგომარეობა კიდევ მით აშკარა ხდება, რომ შიგ ციხეში გაშენებული ყოფილა დიდი ტაძარი და ბევრი ნიშნები ხვრელებ გვირაბებისა სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი, ალბათ ან უკიდურეს დროს გასაქცევ-გასაპარავათ ან და კიდევ წყლებზე ჩასასვლელად. სჩანს დანდობა არ ყოფილა მტრისაგან და სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყოველივე ყოფილა გათვალისწინებული. მე რა თქმა უნდა ვერ შევსძლებ ამ დიადი განძის დახასიათება-აღწერას, ეს ჩემს მიზანს არ შეადგენს, მაგრამ მე მინდოდა ცოტა რამ მაინც მეთქვა ამ სიძველეზე, რადგან ეს მოწმობს ჩვენს წარსულში აუწერელ უბედურებას და ამ უბედურებისაგან ჯერ კიდევ დაზღვეული არა ვართ და უბედურების განმეორება მოსალოდნელია თითქმის ისეთივე ველურისებური როგორც ძველად ყოფილა და რომლისაგან მრავალ-მილიონიანი ჩვენი ხალხი მილიონ ნახევრამდე დასულა.

ჩვენი ორიენტაცია მუდამ ევროპის ორიენტაცია ყოფილა (იხილეთ პროფესორ კეკელიძის უკანასკნელი მეცნიერულ-ისტორიული გამოკვლევანი) ეს ესაჭიროებოდა ევროპას ოსმალეთის და სპარსეთის დასაუძლურებლად და მუდამ სცდილობდა გველურ პოლიტიკით ამ ხალხებთან საომარ მდგომარეობაში ვყოფილიყავით. ამას ვერ ურიგდებოდა სპარსეთ-ოსმალეთი და ისინი ცდილობდნენ ან შეერიგებინათ ქართველობა ან სულ მოესპოთ მისი არსებობა, და აი სწორეთ ამ გამანადგურებელ სისასტიკის მომასწავებელია ასეთი მაგარი პირდაპირ აუღებელი ციხეების აშენება, როგორიც არის გორის ის შესანიშნავი ციხე, და განა მარტო ეს ერთია ასეთი ციხე ჩვენში? ევროპას მიუღწევია მაშინ თავის მიზნებისათვის. ოსმალეთი და სპარსეთი მართლაც რომ დაუძლურებულან ორთა შუა ცეცხლში მუდმივი ბრძოლა რომ ქონიათ იქიდან ევროპა, აქედან თავ-განწირული მაშინ მრავალრიცხოვანი საქართველო. ასე რომ არ ყოფილიყო და საქართველო როგორმე მორიგებოდა მის მეზობელ სახელმწიფოებს, მაშინ აღარ იქნებოდა ის მუდმივი გამანადგურებელი ომები, რომელიც ჯერ ფიზიკურად და ეკონომიურად ღუპავდა სამივეს და კულტურულადაც ვერ იწევდნენ წინ და ჩემის აზრით ეს უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი სპარსეთის და ოსმალეთის კულტურულად ჩამორჩენილობისა თორემ აიღეთ იაპონია ის ხომ უფრო ახალი სახელმწიფოა აგენზე, მიუხედავად ამისა ის დიდათ კულტურული სახელმწიფოა.

ეხლა ევროპას ესაჭიროება რუსეთის დაუძლურება და აქაც ის მიმართავს მის ძველ მოკავშირეს, საქართველოს და სურს მისი სისხლით დააუძლუროს რევოლიუციონური რუსეთი, ეს ევროპის დღევანდელი მდგომარეობის მესაულავე და ეს იოლი გასაგებია ვინც მთლად ყრუ და ბრმა არ არის და ევროპა იმდენათ უსინიდისოა, რომ ის ვერ ძლება სისხლით და ერთ მუჭა ჰინჭრაქის ძალის მქონ ხალხს უნდა გააკეთებინოს თავისი იმპერიალისტურ-ბურჟუაზიული ზრახვები, ცდილობს რა გაასულელოს ეს ხალხი კვლავ, ისე როგორც, ის ასულელებდა ძველად ჩვენს მეფეებს, რომელთა ბრძანება უთქმელად უნდა შეესრულებინა ჩვენ საცოდავ წინაპრებს. მაგრამ შესძლო ეს მაშინ, როცა მეფეები ბატონობდნენ, ეხლა კი ხალხი, საქართველოს მუშათა კლასი და გლეხკაცობა თითონ არის თავის თავის მეფეც და პატრონიც და მან უნდა და ხედოს წინ, გონების თვალით შეხედოს წარსულს და მომავალს და მოიქცეს ისე, რომ გადაარჩინოს ერიც და რევოლიუციაც განსაცდელისაგან. მას რუსეთის რევოლიუციაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, ის მისია, რუსეთი რევოლიუციონურია და საქართველო მასთან უნდა იყოს ჭირშიც და ლხინშიც. ის უნდა გასწყდეს თუ ეს ძველებურად აუცილებელია, მაგრამ გასწყდება რევოლიუციისათვის და არა რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ლ. კუპრაშვილი.**

---

## ქ. გორი.

28 აპრილს 1925 წ. გორის მუშათა კლუბში შესდგა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრება, სადაც მომხსენებლად გამოდის ამხ. ლ. კუპრაშვილი.

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

კრებამ მოისმინა რა, ამხ. კუპრაშვილის მოხსენება აგვისტოს გამოსვლების შესახებ, დაადგინა: კრება იწონებს და მიზანშეწონილად სცნობს მუშათა კომისიის მუშაობას, იზიარებს 7—8 ოქტომბერს ნაძალადევის კრებაზე მიღებულ რეზოლიუციას და სთხოვს მუშათა კომისიას გაათკეცებული ენერგიით განაგრძოს მუშაობა, რათა გაფანტულ იქნას ყოველგვარი გაუგებრობა და ჭორები, რითაც იკვებებოდა აქამდის ხალხი. არავითარი ორიენტაცია გარდა რუსეთის ორიენტაციისა. ძირს ევროპის ბურჟუაზია, რომელმაც ქართველი ხალხი ჩაითრია აგვისტოს გამოსვლებში. ამიტომ მოუწოდებთ საქართველოს ყველა კუთხეებში მცხოვრებთ, ხელი შეუწყონ კომუნისტურ პარტიას საქართველოს ყოველმხრივ აყვავებაში, რისთვისაც საჭიროა შეწყვეტილ იქნას ბრძოლა, როგორც ლეგალური ისე არალეგალური, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რადგანაც გორის რწმუნებულებს დატვირთულობის გამო ვერ უწარმოებიათ სათანადო, მუშაობა ამისათვის კრებამ დამატებით აირჩია შემდეგი ამხანაგები: ს. რობარიძე, პ. ბაიაძე, პ. ღვინიაშვილი, ვასო ირემაშვილი და კ. ასანიძე.

კრების თავმჯდ. **ს. რობაქიძე.**

მდივანი **ვ. ირემაშვილი.**

---

## ს. ქარელი.

26 აპრილს 1925 წელს, ქარელის კლუბში შესდგა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიო მოქალაქეთა კრება. მოხსენება გააკეთა მუშათა კომისიის წევრმა ამხ. ლ. კუპრაშვილმა. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდე-

გი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში გამოსვლების შესახებ, კრება ადგენს: „კრება იწონებს მუშათა კომისიის მუშაობას, იზიარებს 7-8 ოქტომბრის ნაძალადევში კრებაზე გამოტანილ რეზოლიუციას და გმობს აგვისტოს გამოსვლას, როგორც მოქმედებას რევოლიუციის და ერის ინტერესების წინაალმდეგს. მოუწოდებს მუშათა კომისიას განაგრძოს მუშაობა ენერგიულათ, რომ მით გაიფანტოს ყოველნაირი გაუგებრობა და ჭორები, რითაც ამდენ ხანს ზოგიერთა უპასუხისმგებლო პირების მეოხებით იკვებებოდა ხალხი. ძირს ყოველ ნაირი ორიენტაცია, გარდა რევოლიუციონური რუსეთის ორიენტაციისა, რომლისკენაც იყო მუდამ ქართველი ერის სიმპატია. ქართველმა ხალხმა უამრავი მსხვერპლი გაიღო რუსეთის ხალხთან ერთათ მეფის რეჟიმის წინაალმდეგ და ის მუდამ მათთან უნდა იყოს ჭირშიც და ლხინშიც. ჩვენ ვრწმუნდებით თანდათან, რომ შენარჩუნება რევოლიუციის მონაპოვარისა მოხდა კომუნისტური პარტიის მეოხებით. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობაც, რაც ჩვენ გვესმის ეკონომიურათ და კულტურულათ აღორძინებაში, შესაძლებელია განმტკიცდეს საბჭოთა რუსეთის კავშირში, ამიტომ მოუწოდებთ საქართველოს სხვა კუთხეებსაც შესწყვიტონ ყოველნაირი ბრძოლა, როგორც ლეგალური, ისე არალეგალური საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ და იმოღვაწეონ მხოლოთ მის გამაგრება-განმტკიცებისთვის. გაუმარჯოს საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკებს და მათ კავშირში მყოფ საქართველოს! გაუმარჯოს კომინტერნს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!..“

კრებამ ერთხმათ აირჩია რაიონის რწმუნებულებად დათიკო გოგიჩაშვილი, ვასო იორამაშვილი და მალაციძე.

კრების თავმჯდომარე **ბოჭორიშვილი**.

მდივანი **ოქრო ლაცაბიძე**.

---

## ს. ტყვიავის თემი.

ტყვიავის თემის სოფლების უპარტიოგლ ეხებმა, ყოფილმა მენშევიკებმა და საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა მოვისმინეთ რა, გორის სამაზრო მუშათა კომისიის წევრის ამხ. ალ. ჩუტკერაშვილის მოხსენება, მუშათა კომისიის დაარსების და მის მიერ დასახული მიზნების შესახებ, ვადგენთ:—მუშათა კომისიის დაარსება მიზანშეწონილია, მის მიერ დასახული მიზნები სავსებით მისაღები, და ვსთხოვთ მუშათა კომისიას:

1) განაგრძოს ენეოგიული მუშაობა და ჩააგონოს ყველას, რომ თავი დაანებონ საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ ბრძოლას; როგორც ლეგალურს, ისე არა ლეგალურს დაუბრუნდნენ მშვიდობიან და პატიოსნურ შრომას მშრომელი ხალხის და რევოლიუციის საკეთილდღეოთ.

2) აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთში გადასახლებულ და ევროპაში გახიზნულ ამხანაგებთან რათა დაუბრუნდნენ ძველ ოჯახს, რომ შეერთებული ძალით კომუნისტებთან ერთად ავაღორძინოთ ქვეყანა.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს კომინტერნს და გაუმარჯოს ორი მოძმის შერიგებას და მათ შეერთებულ ძალას.

კრების თავმჯდომარე **გელდიაშვილი**.

მდივანი **ალ. ჩუტკერაშვილი**.

## ნიგვზიანის თემი.

(გურია)

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი მშრომელი მასა, გასული წლის აგვისტოს ამბების შემდეგ, საგრძნობლად გამოფხიზლდა. გაუგებრობა, რაც გამოიხატებოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრულ განწყოლებაში, თანდათანობით ჰქრება და ისტორიას ბარდება, რაც უნდა მივაწეროთ ოზურგეთის სამაზრო ქვე-კომისიის სალ მუშაობას. ნიგვზიანის თემში სამაზრო რწმუნებულებათ ითვლება ორი ამხანაგი. ეს ამხანაგები თავის დროზე შეუდგენ თავის დანიშნულებას, მოაწყვეს თემში კრებები, ყოფილ-მენშევიკთა და უპარტიოთა შემადგენლობით, სადაც გააცნეს ხალხს თბილისის პროლეტარიატის 7 და 8 ოქტომბრის კრების დადგენილება და მისი მიზანი. აგრეთვე მოუწოდეს და ეხლაც მოუწოდებენ გატარდენ ყოფილ-მენშევიკთა რეგისტრაციაში და დადგენ მე-3-მე კომინტერნის დროშის ქვეშ, და მით ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას საქართველოში, რასაც ხალხი დიდი ხალისით შეხვდა. ბევრიც გატარდა რეგისტრაციაში, და ჩამბული არიან თემის კულტურულ თუ სააღმშენებლო საქმეებში. აგრეთვე ნიგვზიანის თემის ყოფ. მენშევიკთა რწმუნებულების მიერ ჩატარებულ იქნა მახლობელ თემებში: ნინოშვილის და ჯუმათის თემებში ყოფილ-მენშევიკთა და უპარტიოთა კრებები, სადაც მოხსენებების შემდეგ არჩეულ იქნა სათემო რწმუნებულები.

**უჩინარი**.

---

## ქ. თ ე ლ ა ვ ი

17 აპრილს ქ. თელავში, პროფკავშირების კლუბში, შესდგა ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა გაერთიანებული კრება, მოხსენება გააკეთა მუშათა კომისიის წევრმა ამხ. ლ. კუპრაშვილმა: „აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანები“. მომხსენებელი შეეხო ს. დ. მ. პ. ძველ რევოლიუციონურ მუშაობას და მათ მოღვაწეობას, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. შემდეგ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, ყოფილ მენშევიკების ლიდერების მოქმედებას, რასაც მოყვა ავანტიურაში ჩათრევა ქართველი ერის ნაწილისა, რასაც აყვენ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგებიც და რის შედეგიც იყო აგვისტოს გამოსვლები, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მუშათა კლასს.

მუშათა კლასი ბოლოს მოვიდა გონს და უკუიქცა. მან დაინახა სინამდვილე. ყველა ამ შეცდომების დანახვის შემდეგ, ის ხელს იღებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე და უდგება რა მხარში საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტურ პარტიასთან ერთად, ხელს უწყობს საბჭოთა რესპუბლიკის აღმშენებლობას მუშურ-გლეხურ ხელისუფლების გასამაგრებლათ. მოხსენება ფრიად შინაარსიანი იყო და კრება დიდათ კმაყოფილი დარჩა. მომხსენებელს მისცეს შეკითხვები რაზედაც მომხსენებელმა მისცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

კრების შემდეგ მოხდა მაზრის ქვეკომისიის დამატებითი ოთხი ამხანაგის არჩევა, რათა უფრო გაადვილდეს მაზრაში მუშაობის გაცხოველება.

აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: დავითაშვილი ვიქტორ, ცერცვაძე კოტე, დავითიანი ვანო და საყვარელიძე ილიკო.

კრების თავმჯდომარე: ქ. **ზეზელიძე**.

მდივანი: ა. **ჩიტოშვილი**.

## ქ. სიღნაღი

დღიდან არჩევისა, მუშათა კომისიის რწმუნებულები სიღნაღის მაზრაში შეეცადნენ, რომ გადაედგათ პრაქტიკული ნაბიჯები და გაეკეთებინათ რამე ყოფილ მენშევიკების და უპარტიოების საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოვებისთვის.

ადგილობრივ გაზეთში, რომელიც სამი-ათას ხუთასამდე ვრცელდება მაზრაში, დაიბეჭდა ერთხელ მოწოდება და მეორედ მიმართვა სიღნაღის მაზრის მუშების და გლეხებისადმი.

რწმუნებულები განუმარტავდნენ სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დამღუპველობას, მუშათა კომისიის მნიშვნელობას და მიზნებს, მოუწოდებდნენ ყოფილ მენშევიკებს და უპარტიოებსაც მიმხრობოდნენ მუშათა კომისიას.

იყო თხოვნაც, რომ რწმუნებულებთან სათანადო განცხადებებიც შემოეტანათ.

საბჭოთა არჩევნებისთვის მოწვეულ ყრილობებზედაც გამოვიდნენ მოხსენებებით რწმუნებულები.

როცა მოისმინეს მოხსენებები, გლეხებმა ბევრ ადგილას გამოთქვეს საყვედურები: ასეთი მუშაობა რატომ აქამდეც არ დაიწყეთო.

ერთი სიტყვით მშრომელი ხალხის ფართო წრეები მშვიდობიანობას მოწყურებული კმაყოფილებას აცხადებ და მუშათა კომისიის დაარსების და მის მიზნების განსახორციელებლად დაწყებულ საქმიანობის გამო.

გარდა ამისა სხვა და სხვა კუთხეებში ამხანაგებს დაევალათ სათანადო პრაპაგანდის გაწევა და განცხადებების მოგროვებაც.

მაზრის ხელისუფლების წარმომადგენელნი თანაგრძნობით და სრული ნდომით უყურებენ რწმუნებულებს და მათ საქმიანობას.

მხოლოდ ბევრ ადგილას სოფლად ადგილობრივ კომუჯრედების წევრნი უნდობლად ექცევიან ჩვენს ამხანაგებს.

ეს არც გასაკვირველია.

ჩვენ მაზრაში პოლიტიკურმა ბანდიტიზმმა დიდი ზიანი მიაყენა გლეხკაცობას.

აქ დათ რეშობდნენ ჩოლოყაშვილის რაზმის რამდენიმე წევრი. მათმა მოქმედებამ დაღუპა მრავალი ოჯახის კეთილდღეობა და მსხვერპლად შეიწირა არა ერთი და ორი ადამიანის სიცოცხლე.

ყველაფერი ეს მოხდა მენშევიზმის დროშის ქვეშ.

ამან მენშევიზმს ძალიან გაუტეხა სახელი, მენშევიზმი საფრთხეში გადაიქცა.

ამის გამო ყველას შეძულდა მენშევიზმი, ისეთები კიდევ, რომელნიც ერთხელ აქტიური მენშევიკი მომუშავენი იყვნენ, ფიცულობენ, რომ მენშევიზმთან არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა ქონიათ.

ყველა ყოფილ მენშევიკად თავის გამოცხადებაზე ორივ ხელ-ფეხით უარს ამბობს, რის გამოც მუშათა კომისიის მიერ დაევალებული აღრიცხვა ვერა ხერხდება.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო თბილისიდან რომელიმე გავლენიანი ამხანაგის მოსვლა და მაზრის მოვლა მოხსენებების გასაკეთებლად.

ეს შეამსუბუქებდა მძიმე მდგომარეობას და რწმუნებულებსაც გაუადვილებდა მუშაობას.

ყოფილი.

## ს. კიცხი.

მიმდინარე წლის თოთხმეტ მარტს შესდგა კიცხის თემის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიო გლეხთა კრება. რომელსაც დაესწრო 60 კაცზე მეტი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. სელიმე ზვიადაძე, მდივნად ამხ. ვლადიმერ კამკამიძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ქვე-კომისიის მუშაობისა, 2) სათემო რწმუნებულების არჩევა და კორესპოდენტების არჩევა.

ქვე-კომისიის მუშაობაზე მოხსენება გააკეთეს ამხანაგ დ. აბულაძემ და ს. ზვიადაძემ. თავის მოხსენებაში მომხსენებლები შეეხნენ სოც. დემოკრ. პარ. ისტორიას და მენშევიკ-ბოლშევიკ. პარტიათა მოღვაწეობას და დაახასიათეს თანამედროვე მდგომარეობა. აგრეთვე გააცნეს კრებას თბილისის კომისიის ინსტრუქცია. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

კიცხის თემის მენშევიკთა და უპარტიოთა კრებამ მოისმინა რა მოხსენება მენშევიკების უკანასკნელი საქმიანობის გამო, დაადგინა: 1) მენშევიკური პარტია, როგორც მუშური პარტია, ასცდა მარქსისტულ გზას, მისი მოქმედება ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს; და ჩვენ ვგრძნობთ რა ამას, სავსებით ვშორდებით მის რიგებს და ვირაზმებით კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

2. ერთხელ და სამუდამოთ ვგმობთ და უარს ვყოფთ შეიარაღებულ აჯანყების იდეიას.

3. აქტიურათ უნდა ჩავებათ პოლიტიკურ ეკონომიურ და კულტურულ მუშაობაში.

4) მიეცეს წინადადება არალეგარულად მომუშავეთ, რათა შესწყვიტონ თავიანთი მუშაობა, ვინაიდან მათი მუშაობა ზიანს აყენებს ქართველ მშრომელ ხალხს.

5) ეცნობოს გადასახლებულ მენშევიკებს, რათა დაუბრუნდენ თავიანთ კერას.

6) და აგრეთვე ეცნობოს საზღვარ-გარეთ მყოფ მენშევიკების ბიუროს, რათა შესწყვიტონ მუშაობა, ვინაიდან მათი მუშაობა ეწინააღმდეგება საქართველოს მუშებსა და გლეხებს.

ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ არსებული ხელისუფლების გარდა არც ერთი მთავრობა არ არის ჩვენი ინტერესების დამცველი და ამაზედ მეტის მოცემა მშრომელი ხალხისთვის არც ერთ მთავრობას არ შეუძლია.

8) სულით და გულით უერთდებით ოქტომბრის რევოლიუციას. გაუმარჯოს პატიოსან ყოფილ მენშევიკებს და უპარტიო გლეხებს, რომლებიც ჩაებმიან საბჭოთა აღმშენებლობაში! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის საქმიანობას!

სათემო რწმუნებულებათ კრებამ ერთხმათ აირჩია 1) დათიკო აბულაძე 2) ვლადიმერ კამკამიძე და 3) არჩილ ჩხიკვაძე. კორესპოდენტებათ კრება ერთხმათ ირჩევს. 1) სელიმე ზვიადაძეს და 2) ნიკოლ. ლამბაშიძეს.

კრების მინდობილებით სელიმე ზვიადაძე.

# მუშათა წერილები

## გაუგებრობის წინააღმდეგ

გასულ თვეში გურიაში გამგზავრების დროს, ს. ნაგომარში შემთხვევა მქონდა პარტიულ ახანაგ გრიგოლ გოგიბერიძესთან მცირე ხნის საუბრისა. ჩვენი საუბრის მეტი ნაწილი შეეხებოდა გურიაში წარმოებულ ყოფილ მენშევიკების ქვე-კომისიის მოქმედებას და მის შედეგებს, გურიის მაშტაბით. გამოირკვა, რომ ამხ. გრიგოლ გოგიბერიძე, ვერ ყოფილა კმაყოფილი ხსენებული მოქმედებით და მისი შედეგებით. ვიკითხოთ რაშია საქმე? ამხანაგი გოგიბერიძე გამოკვლევით დარწმუნებული (რომელი წყაროებიდან არ ვიცი), რომ თითქოს გურიის ყოფ. მენშევ. სამაზრო ქვე-კომისიის მუშაობას არ გამოხმაურებია არც ერთი ძველი და გამოცდილი მომუშავე სოც. დემოკრატი და ქვე-კომისიის მიერ შეკავშირებულ ყოფ. მენშევიკთა კადრს, თითქოს შეადგენდეს მხოლოთ ახალ-გაზრდები. ამის მთავარ მიზეზათ ასახელებს მას, რომ სამაზრო ბიურო შესდგებოდა უმეტესათ ახალგაზრდებისაგან, რომლებიც ვერ სარგებლობდენ სათანადო ავტორიტეტით მენშევიკურ მასაშიო. მე, როგორც ერთ-ერთი წევრი ხსენებულ ქვე-კომისიისა, ვალდებულათ ვთვლი ჩემს თავს პრესის საშუალებითაც გავსცე პასუხი, რადგან ჩვენს საუბარს ისმენდენ გარეშე მოქალაქენიც, რომლებზედაც, შეიძლება სხვა-გვარი გავლენა იქონიოს ასეთი გამოცდილი პარტიული ამხანაგის, ასეთმა უტაქტო გამოსვლამ და შეანელოს და შეასუსტოს ის სიმპატია და მიდრეკილება, რომელიც დღემდის არსებობდა და არსებობს დღესაც გურიის ყოფ. მენშევიკებში ზემოხსენებულ ქვე-კომისიის მიმართ მე შევეხები უპირველესად ბიუროს შემადგენლობას. ჩვენი ბიურო შესდგებოდა 5 წევრისაგან, ერთი კანდიდატით სულ ექვსი კაცი: ამათში—ახალგაზრდები 3 და 3 კი ძველი მომუშავე სოციალ-დემოკრატები 1900—1905 წლებიდან ნამუშევარი პარტიის წევრები რომლებიც სარგებლობდენ საკმაო ავტორიტეტით თავის თანამებრძოლთა შორის. ამაში ღრმათ არის დარწმუნებული გურიის პარტიული კომიტეტი. სხვას არ დავასახელებ და თუ ამხ. გოგიბერიძე ამაში ვერ დარწმუნებულა, შეუძლია დარწმუნდეს უფრო გარკვევით თვით კომისიის მოქმედების ცენტრში და სოფლის ზოგიერთ ჭორებს ნუ დაუჯერებს. ამას გარდა, ესეც რომ არ ყოფილიყო, არ იყო საჭირო დიდი და ცნობილი ავტორიტეტიანი პროპაგანდისტები იმ საქმის შესასრულებლათ, რის ინიციატივა და ხელმძღვანელობა ჰქონდა დაკისრებული თავის თავზედ ზემოხსენებულ ბიუროს. აქ იყო მხოლოთ საჭირო ზოგიერთ პრაქტიკულ კითხვებში გარკვევა გარდატეხის პროცესში მყოფ მენშევიკებისა, რომლებიც თავის თანაგრძნობით უახლოვდებოდენ კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას და მათი შეკავშირების ხელმძღვანელობა არსებულ მომენტში ეს კი უმთავრესად ოზურ. სამაზრო ქვე-კომისიამ შეასრულა და კიდევ განაგრძობს მუშაობას. ჯერ-ჯერობით ბიუროს აყვანილი ჰყავს აღრიცხვაზედ 800 მეტი ყოფ. მენშევიკი, რომლებიც გულ-წრფელათ დგებიან მესამე კომ. პლატფორმაზედ და მუშაობენ საბჭოთა მთავრობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულათ საერთო მიზნის მისაღწევათ. ამაში არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი ამხ. გოგიბერიძესაც მით უმეტეს მაშინაც, თუ გადაავლებს თვალს საბჭოს არჩევნების შედეგებს გურიაში, თუ როგორი როლი ითამაშა ამ შემთხვევაში ყოფ. მენშევიკებმა. რაც შეეხება მას, რომ თითქოს აღრიცხვაზედ აყვანილი ყოფ. მენშევ. უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენო, თუნდაც ასეც იყოს, ჩვენი მუშაობა მაინც არ ჩაითვლება უნაყოფოთ, რადგან მომავალი ახალგაზრდობის ხელშია და ახალ გაზრდობა დიდ ღირებულებას წარმოადგენს თანამედროვე სოც. ხანაში, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მე როგორც დაახლოვებული პირი ქვე-კომისიის მუშაობასთან ახალგაზრდები, დაახლოვებით 40% შეადგენენ. ასეთი, აზრის გამოთქმა ამხ. გოგიბერიძის მიერ გამოწვეულია, მხოლოთ და მხოლოთ პირადი უკმაყოფილების გამო, ზოგიერთ ყოფ. მენშევიკების მიმართ და აქედან გამოსული აღიარებს ყოველივე მას, რაც ზევით ვთქვით. ეს კი ძალიანს ამცირებს პირადათ მას და სხვას კი არავის.

ამით მე ვათავებ ჩემს პასუხს ამხ. გრ. გოგიბერიძის მიმართ და ყოველივე ჩემს მიერ საპასუხოთ წამოყენებულ დებულებებს, თუ მოისურვებს დაუმტკიცებ სათანადო დოკუმენტალური ცნობებით, რომელიც ჩვენს ხელთ არის და სინამდვილეს ვერავინ ვერ უარჰყოფს. შეიძლება სხვაც მოიპოებოდეს ისეთი რომელიც, ასეთი შეხედულებით იყოს გამსჭვალული, როგორც ზემოხსენებული ამხანაგი. დეე ისინიც გაეცნონ უატყუარსა და შემოწმებულ სინამდვილეს, თორემ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შეუმოწმებელ ცნობების გავრცელება ძლიერ ხელს უშლის ჩვენს მუშაობას, ყოფილ მენშევიკების დაახლოვებას კომპარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებასთან.

შ. კუტუბიძე.

---

## ბოლო უნდა მოეღოს უნდობლობას

არა ერთხელ ყოფილა ჩვენს ჟურნალში უნდობლობის წინააღმდეგ მოთავსებული წერილი, მაგრამ მას ზოგიერთები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. საჭიროა რათა ამის შესახებ კომუნისტ-ამხანაგებმა მიიღონ ზომები. 1 მაისს საღამო ხანს, თელავის რკინის გზის სადგურიდან მოდიოდა ამხ. არჩილ ნამგალაძე, მას თურმე გზაში შეხვედრია ლინეიკით მიმავალი პოლიტბიუროს თანამშრომელი ტალსტოი და ერთიც მასთან სხვა ყოფილა. ტალსტოი მთვრალი ყოფილა. როცა ლინეიკა მიახლოვებია არჩილ ნამგალაძეს, ტალსტოის რევოლვერი გაუსვრია მაღლა და დაუძახნია ნამგალაძესათვის: შენ მენშევიკო, და დაუწყია უშვერი სიტყვებით გინება.

მეორე დღეს ამხ. ნამგალაძე ხვდება ერთ მათგანს და ეკითხება: რათ მაჯინებდა გუშინ ტალსტოიო... მან უპასუხა: არა უშავს რა მთვრალი იყოვო!.. აი ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ზოგიერთი ვითომდა კომუნისტი, იმით ამტკიცებს თავის კომუნისტობას, რომ ყოფილ მენშევიკს დედა შეაგინოს და მას უნდობლობით დაუწყოს ყურება. რათ ჩადიან მერე ამას? იმისთვის ჩადიას, რომ ჩვენი კომუნისტებთან მისვლა მათ არ მოსწონთ, იმათ ეჯავრებათ, რომ დროებით თავისი ოჯახის წევრი ისევ ოჯახს დაუბრუნდა, თავის ოჯახს თავის

ლვიძლ ძმებთან ერთათ სამუშაოთ რევოლიუციის საკეთილდღეოთ. მე ეჭვი არ მეპარება ამხ. ტალსტოვის კომუნისტობაში, მაგრამ ის მაინც არ უნდა მოიქცეს ასე.

მაშ როგორ უნდა მოვსპოთ ეს უნდობლობა ამხანაგებში? პირველ ყოვლისა საჭიროა ამოქმედდეს თელავის მუშათა ქვე-კომისია. თვითეული ამხანაგი უნდა ამოქმედდეს უნდა ამუშავდეს. მან არ უნდა გაივლოს გულში, რომ „არ მცალიაო“ ამაზე კარგ საქმეს ვერ გავაკეთებთ ჩვენ. არ კმარა მარტო პრეზიდიუმის არჩევა და „ახალი გზის“ 2-რე ნომრის შოვნა. აუცილებელი საჭიროა კრებების ხშირათ მოწვევა, გეგმის გამომუშავება და ძაფის გაბმა რაიონებში. აი მაშინ დაინახავენ ამხანაგი კომუნისტები, რომ ჩვენ მართლა ვმუშაობთ.

აი, ამით დავანახვებთ იმ, ვითომდა კომუნისტებს, თუ ჩვენ ვინა ვართ. ეს მით უმეტეს დღეს არის საჭირო ამ გართულების დროს. ევროპის ბურჟუაზია გაავთრებული ემზადება ჩვენს წინააღმდეგ ყოველივე ხრიკების გამოსანახავათ. მაგრამ როცა ჩვენ ერთათ ვიქნებით ის ძველი რევოლიუციონერები, რომელიც ათი და ორი ათეული წლები უმუშავნია, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. აი, ჩვენი გზა, აი ამით ჩვენ გავაკეთებთ საერთო საქმეს.

ტანჯული მუშა.

## გაეროვნება რკინის გზაზე და მისი შედეგები

საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება, მიქცეულია იმისკენ, რომ დაუყონებლივ გაატაროს ცხოვრებაში ყველა დაწესებულებებში სრული გაეროვნება, რაზედაც სათანადო ზომებია მიღებული სისრულეში მოსაყვანათ. მაგრამ თუ რა სიძნელე ელობება ამისათვის ცხოვრებაში გატარებას, ამას ყველა ჩვენთაგანი ვამჩნევთ, მიუხედავათ იმისა, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია მის გაყვანაში, ეს არც ისე ადვილია. საქართველოს რკინის გზის ხაზზე თითქმის უკვე გატარებულია მცირეოდენის გამოკლებით, მხოლოდ რკ. გზ. სამმართველოში ძრიელ ნელის ნაბიჯით სწარმოებს გაეროვნება, ამას აქვს თავისი ღრმა მიზეზები. ერთი ის, რომ არ გვყავს მომზადებული აგენტები, მეორე და მთავარი ის, რომ სამართველოში მყოფნი ადგილობრივი ენის არამცოდნეთათვის საჭიროა მოინახოს სამაგიერო სამსახური და ეს, არც ისე ადვილია. ასეთი მდგომარეობა ე. ი. ეს გარდამავალი ხანა ძრიელ ცუდ მდგომარეობას ქმნის, და გავლენას ახდენს, როგორც წარმოებაზედ, ისე თვით მუშა-მოსამსახურეებზედ. რაც შეეხება საქმიან მიწერ-მოწერაში, ხაზიდან სამმართველოში და უკანვე, აქ მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი. მართალია, ყველა ნაწილებს სამმართველოში ჰყავს დანიშნული თარჯიმანები, მაგრამ წარმოიდგინეთ, თუ რამდენათ შესაძლებელია ხაზიდგან მიღებული ქაღალდების დროზე გადათარგმნა და შემდეგ მისი სისწორით გაგება. მარტო ის არ კმარა, რომ ვინმემ ხელის მოწერა იცოდეს. ამ მხრივ საჭიროა სერიოზული მოფიქრება საქმის თავის დროზე გამოსწორებისათვის, რომ ამით საშუალება მიეცეს ყოველივე საქმიან მიწერ-მოწერას, პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდეს ვისზედაც მიმართულია სათანადო ასრულებისათვის, მით უმეტეს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა არის მარტივი მოქმედება და მოსპობა ყოველივე იმ „კანცელარშჩინისა“, რომელიც სჩვევია ზოგიერთ სამმართველოში მყოფ ძველ მოხელეებს.

რ. კეკელიძე.

## საჭიროა მეტი ყურადღება!

მართალია, ხელისუფლება ჩაბმულია აღმშენობლობაში და მისი ყურადღებაც აქეთკენაა მიქცეული, მაგრამ არის მეორე მდგომარეობა, რომელსაც უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, სანამ გვიან არ არის. ყველამ იცის წევის დარგში ეგრეთ წოდებული შავი მუშების მდგომარეობა, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს მე-3-მე თანხის, გარდა ამისა, ისინი მუშაობენ ნარდათ (აკორდზე), მაგრამ რაც არ უნდა გააკეთონ ამ აკორდით, მის ღირებულებას არ აძლევენ; მაგალითად: მუშამ გაკეთა მანეთი ან მეტი,-მას მხოლოდ აძლევენ 30% მეტს არაფერს! კითხვა იბადება სად მიდის ეს ზედმეტი დამუშავებული თანხა? ან რატომ არ უნდა მიიღოს მუშამ ის რაც მან ზედმეტი მუშაობით გააკეთა? ჩვენ ვიცით, რომ სხვა მოხელეები, სხვადასხვა პროფესიისა, ღებულობენ იმას რასაც დაიმუშავებენ. ის მუშა, რომელიც რვა საათის განმავლობაში მაზუთის სითხეში იგლაგნება და ყოველ მძიმე სამუშაოს მუშაობს,—კანონიერება მოითხოვს, მიიღოს ის, რაც მან დაიმუშავა. მასთანვე საჭიროა არსებული დან რიგი გადიდებული იქნეს. აგრეთვე უნდა მიექცეს ყურადღება მეორე მდგომარეობას, რომელიც ძლიერ უკანონოთ არის გაწესრიგებული მაგალითად: 1-ლი დანრიგიდან 8-დე არის მომატებული საჯრძნობი თანხა, მაგრამ ეს მომატება არ ვრცელდება მასზე, ვინც აკორდის სახით ან ჯილდოს იღებს. ამნაირათ, ის მოწაფე, რომელიც ეხლა დადგა და ჯერ არაფერი უსწავლია, გაცილებით მეტს ღებულობს, ვიდრე ის შავი მუშა, რომელიც რამდენიმე წელია მსახურებს. ამავე დროს მუშას არ შეუძლია განაცხადოს, რომ მას არ სურს ნარდზედ მუშაობა ამას კანონი უკრძალავს. იმიტომ, რომ მუშას არ გაუტყდეს გული, მისი მუშაობა უნარიანი იყოს და სადემაგოგო მასალაც მოისპოს,— საჭიროა ეს მდგომარეობა გამოსწორებულ იქნას დროზე.

ი. შათირიშვილი.

# კორესპონდენცია

### ქ. თელავი.

პირველ მაისს, მშვენიერი გაზაფხულის დღე დადგა გაზაფხულის მზე თავის სხივებს უხვად აფრქვევდა კახეთის ველ მინდორზე და სიმხიარულით უვსებდა გულს მშრომელ გლეხკაცობას.

ჯერ კიდევ ადრიანათ, ახლო-მახლო სოფლებიდან მორთულ მოკაზმული ხალხი, მოუშურება თელავში მიტინგზე დასასწრებლად.

ათი საათი არ არის, მაგრამ ოქტომბრის ბაღი და მთელი ქუჩები სავსეა ხალხით, მთელ ქალაქს წითელ

ყაყაჩოსავით ჟინჟღილი გააქვს, ახალი საკავშირო დროშები ყველას კარმიდამოზე ფრიალებს და გულს სიმხიარულით უვსებს ყველა რევოლიუციონურად განწყობილ ადამიანს...

აგერ ერთ ადგილზე თავი მოუყრიათ ძველ გამოცდილ ამხანაგებს, ათვალიერებენ „ახალ გზას“ და თანაც გულახდილათ, გულწრფელად აღიარებენ „ახალი გზის“ მიმდინარეობას, გეზს, რომელიც ცდილობს ორ ძმათა შორის ჩავარდნილი შურისძიება, ანტაგონიზმი მოსპოს.

გაისმა მუსიკის ხმა და გამოჩნდნენ: ჯარი, მოწაფეები, მასწავლებლობა, პროფკავშირები, ტერბატალიონის ლეგიონი და ვინ მოსთვლის კიდევ... ახლო-მახლო სოფლის გლეხობაც ბლომად დაესწრო.

სრულ 11 საათზე ახალ სახალხო სახლის წინა მოედანზე მიტინგი გახსნა გ. ელისაბედაშვილმა (პარტკომის მდივანია), რომელმაც მოკლეთ აღნიშნა 1 მაისის მნიშვნელობა.

შემდეგ ილაპარაკეს 15—16-დე წარმომადგენლებმა, მათ შორის მუშათა კომისიის სახელით გამოვიდა ამხ. კ. ცერცვაძე.

დასასრულ წითელ არმიამ მიიღო ფიცი, რითაც დამთავრდა მიტინგი.

საღამოთი ყველა კლუბებში გაიმართა უფასო წარმოდგენები.

**ივ. დავითიანი.**

---

# ღია წერილი

**მოქ. დ. გოგიშვილს**

თქვენ მიწვევთ სამედიატორო სასამართლოში, მე მზათ ვარ გამოგყვეთ.

თქვენ მიერ დასახელებული მედიატ. იაგ. გოგ—ლს და ტრ. ნებიერისძეს, როგორც პატიოსან და მიუდგომელ პირებს სიამოვნებით ვიღებ, ხოლო ფილ. ბიბილაშვილი „მუშკორის“ საქმის გამრჩევათ ვერ გამოდგება—ამიტომ არ ვიღებ. მის მაგივრად საერთო თავმჯდომარეთ ვასახელებ ალმასკ. მდივანს ილიკო ფერაძეს და ვფიქრობ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ.

ჩემი მხრივ მედიატორეებათ ვასახელებ ირ. შათირიშვილს და ვასო მაჭავარიანს. სად და როდის გაარჩევენ, ეს ჩვენ აღარ გვეხება-ამაში თვით ჩვენი მედიატორები შეთანხმდებიან. **შორაპნელი მუშა.**

P.S. რედაქციას ვთხოვ თანახმათ ჩემი ადრე გამოგზავნილი წერილისა გაასწოროს კორესპონდენციაში დაშვებული კორრექტურული შეცდომა; სადაც სწერია-63 მან. იქ უნდა იყოს-30 მან. **შორაპნელი მუშა.**

რედაქცია ადასტურებს ზემო აღნიშნულ კორრექტორულ შეცდომას.

---

# ჩვენი ფოსტა.

**ტფილისი.** „X“ გ. მშ—ძეს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგან მაგ თემაზე ჩვენს გაზეთში მრავალი წერილი იყო დაბეჭდილი.

---

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

## მოქალაქენო!

### თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

# მ. ლაღიძის

საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატზე.

შცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.

მ. ლაღიძის ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.

მთავლიტი № 716 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 17 მაისი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე | № 21

# კანონიერებისათვის

ცნობილია, რომ კანონს თავისი შინაარსი ეკარგება, ქარწყლდება და მახინჯდება, თუ იგი სათანადოთ არ იქნა ცხოვრებაში გატარებული. რაც უნდა იდეალური იყოს კანონი, თუ რიგიანათ არ ტარდება და მისი გამტარებელი სათანადო სიმაღლეზე არ დგას შეგნებით,— შეიძლება ეს კანონი ბოროტმოქმედების წყაროთ გადაიქცეს.

ამ საკითხს ყურადღება მიაქცია უკანასკნელმა პარტიულმა კონფერენციამ და მთავარ ამოცანათ დაისვა უკანონობასთან მედგარი ბრძოლის წარმოება.

ცნობილია, კანონის გატარების დარღვევა უმეტეს შემთხვევაში დაბალ მოსამსახურეთაგან ხდება და განსაკუთრებით ამას ალაგი აქვს პროვინციაში.

უნდა ვაღვიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენში განმტკიცებულია. მშრომელი მოსახლეობა ჩაბმულია ეკონომიურსა და კულტურულ აღორძინების მუშაობაში.

ჩვენც გულწრფელად დაედექით და კიდეც ვთანამშრომლობთ ხელისუფლების განმტკიცების გზაზე. ამიტომ ჩვენს მოვალეობას შეადგენს, რომ მისი კანონები მტკიცედ ტარდებოდეს ცხოვრებაში.

ჩვენ მოვალეობას შეადგენს, რომ თვალყური ვადევნოთ, როცა მთავრობის წარმომადგენელი სოფლად, ან პარტიული წევრი,—ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას და ამით ხელს უშლის მშრომელი ხალხის დაახლოებას ხელისუფლებასთან,—საჭიროა დაურიდებლათ მიუთითოთ მთავრობას მოხელის ასეთ მოქმედებაზე.

ჩვენ ვიცით, რომ სოფელში ადგილი აქვს თავხედობას, რომ სოფელს აქვს კანონი, მაგრამ არ აქვს კანონიერება.

ისიც ვიცით. რომ ეს კანონი უპირველეს ყოვლისა იცავს მუშის და გლეხის ინტერესს.

საჭიროა, რომ ეს მუშურ-გლეხური კანონი პირნათლად იქნას გატარებული ცხოვრებაში.

უკანონობასა და ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის საქმეში, დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ ჩვენმა რწმუნებულებმა.

რწმუნებულთათვის სახელმძღვანელოდ, მუშათა კომისიის მიერ, შემუშავებულ ინსტრუქციაში (პუნქტი მეხუთე) ნათქვამია: „გაბედულად და დაურიდებლად უნდა მიუთითოთ მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს, თუ რომელი მისი აგენტი არღვევს კანონს და აწუხებს თავის უკანონო მოქმედებით გლეხებს და მუშებს. ეს მხარე რწმუნებულთა მოქმედებისა, არა ნაკლებ შეუწყობს ხელს მთავრობასთან დაახლოებას“.

რწმუნებულთა მოვალეობაა ამ შემთხვევაში მოგვაწოდონ ხოლმე ცნობანი ამ თუ იმ კანონის დარღვევის შესახებ მოხელის მიერ.

ჩვენმა კორესპონდენტებმა გაბედულათ უნდა ამხილონ ყოველგვარი მშრომელი მოსახლეობის უფლებების შელახვის შემთხვევები.

გასულ კვირეებში თბილისში მომხდარ გლეხკომების ყრილობის წევრებიც, განსაკუთრებულ როლს ითამაშებენ უკანონობის მოსპობის საქმეში.

საჭიროა, უკვე დროა, მოისპოს სოფლად უკანონობა! ამაში თვით გლეხებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა გლეხკომების სახით.

გლეხკომებმა უნდა შეუწყონ ხელი და დაეხმარონ მთავრობას, რათა აღმოფხვრილ იქნას სოფლად უკანონობა.

ჩვენს რწმუნებულებსაც აქეთ მოუწოდებთ, რათა ჩაერიონ ეკონომიურ და კულტურულ მუშაობაში და ყოველი შემლახველი და ბოროტათ განზრახული მთავრობის მოხელის უკანონო საქციელი, გაბედულათ ამხილონ, სადაც კი არის.

ჩვენი რედაქცია მზათაა, ალაგი დაუთმოს ხოლმე თავის ფურცლებზე მოწოდებულ ცნობებს.

# კომპარტიის XIV კონფერენცია

ამ ათი დღის წინათ დასრულდა რუსეთის კომპარტიის მე-XIV-ტე კონფერენცია. კონფერენციამ ჯამი გაუკეთა კომპარტიის წასულ მუშაობას, მის ნაკლს და დადებით მხარეს და მისცა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს საერთო ხაზი და გეგმა მომავალ მუშაობისათვის.

კონფერენციაზე უმთავრესად დასმული და განხილული იქნა ის საკითხები, რომლებიც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას შეიხება. მოხსენებები კოოპერაციაზე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე და ლითონის მრეწველობაზე—უმთავრესი მოხსენებები იყო, რომლის გარშე ტრიალებდა კონფერენციის მთელი მუშაობა.

კომპარტიას დღეს დამკვრელ ამოცანად სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარება აქვს გამოცხადებული. როგორც მომხსენებლები, ისე მოხსენების გარშემო მოკამათენი ერთსულოვნად აღიარებდენ, რომ სახალხო მეურნეობის სიძლიერეზეა დამოკიდებული საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური სიძლიერე.

ყველა მოხსენებების საერთო მთავარი დებულება შემდეგი იყო: მიუხედავათ იმისა, რომ სოფლის მეურნეობა და მრეწველობა სწრაფი ტემპით ვითარდება, მას მაინც არ აქვს საშუალება სავსებით დააკმაყოფილოს შინაური ბაზრის გაზრდილი მოთხოვნილებანი; ქალაქის ინდუსტრია დღეს ვერ აკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის, სოფლის გლეხების მოთხოვნილებებს, მეორე მხრივ ვერც სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს ქალაქის მრეწველობის და ქალაქის მოსახლეობის, განსაკუთრებით პროლეტარიატის, მოთხოვნილებებს. გლეხებს სჭირდება იაფი და კარგი ხარისხის ჩითი, ნარმა, ლურსმანი, ჩექმა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ხოლო ქალაქის მუშას და მრეწველობას იაფი პური, ხორცი, კარაქი, ზეთი, ბამბა, მატყლი, სელი და სხვა მრეწველობისათვის საჭირო ნედლი მასალა.

ყოველივე ამისათვის საჭიროა ერთი მხრივ მრეწველობის გაფართოება, ძირითადი კაპიტალის ხელ-ახალი აღდგენა, ძველი მანქანების ახალი მანქანებით შეცვლა, ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგება-მოწყობა, ხოლო მეორე მხრივ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მიწის დამუშავების უმაღლეს სისტემაზე გადასვლა, კულტურულ მცენარეულობათა გაშენება, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესება, მეურნეობაში ახალ მანქანების (ტრაქტორების) ფართოდ გამოყენება და სხვა მრავალი.

კონფერენციამ სწორად შეაფასა საბჭოთა კავშირის მომავალი სამეურნეო პერსპექტივები, მან აუცილებლად გამოაცხადა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის თანაბარი შეთანხმებული განვითარება, რაც უნდა შეიქნეს უმთავრეს ბაზათ სოციალისტურ მეურნეობის ორგანიზაციისათვის.

რიკოვმა განაცხადა, რომ კოოპერაციას განსაკუთრებული როლი უჭირავს სახალხო მეურნეობაში, სოციალისტურ ელემენტების გასაძლიერებლად, კოოპერაციის მუშაობაზე და მის სიძლიერეზეა დამოკიდებული მეურნეობის მომავალი მიმართულება, მისი სახე. კოოპერაციის გასაძლიერებლად აუცილებლად იქნა ცნობილი კოოპერატიულ მუშაობით ფართო მასების დაინტერესება, მუშაობაში მათი ჩაბმა, კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში თავისუფალი, ძალდაუტანებელი არჩევნები და სხვა...

განსაკუთრებულ ყურადღებით იქნა მოსმენილი დზერჟინსკის მოხსენება ლითონის წარმოების შესახებ. „ლითონი—დზერჟინსკის სიტყვით—არის ის მინიმუმი, რომელიც განსაზღვრავს მთელი ჩვენი მეურნეობის საერთო მდგომარეობას და მისი ზრდის ტემპს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ—ამბობს ის—რომ ეს ტემპი პირდაპირ პროპორციულია სახალხო დოვლათის დაგროვების ტემპთან. შრომის ნაყოფიერების გაზრდა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განვითარება-გაძლიერება იმდენად შეუწყობს ხელს მოსახლეობაში დოვლათის დაგროვებას და მისი სყიდვითი უნარიანობის გაძლიერებას, რომ შევსძლებთ თვით ჩვენში შევქმნათ ბაზა მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვისო.

ამრიგათ ლითონის წარმოება არის განმსაზღვრელი სახალხო მეურნეობის მდგომარეობის, ხოლო ლითონის წარმოების ზრდა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე. სოფლის მეურნეობა და სოფლის მოსახლეობაა უმთავრესი მომხმარებელი, როგორც ლითონის ნაწარმოების, ისე ლითონის წარმოებაში შექმნილ მანქანებით დამზადებულ საქონლის. ამიტომ კონფერენციამ აუცილებლად სცნო პირველ რიგში სოფლის მეურნეობის აღდგენა, გლეხობაში სყიდვითი უნარიანობის გაძლიერება, სოფელში სახალხო დოვლათის დაგროვება, ეს კი შესაძლებელი გახდება, მაშინ, როცა სოფელში შემოღებულ იქნება „ნეპი", როცა სოფლის მეურნეს მიეცემა თავისუფალი გასაქანი, როცა გაადვილებული იქნება სოფლის მეურნეობაში მუშა ხელის თავისუფლად დაქირავება, როცა შემსუბუქებული იქნება გლეხის საგადასახადო ტვირთი და უზრუნველყოფილი გადასახადის სამართლიანი გაწერა. კონფერენციამ ყოველივე ეს მხედველობაში მიიღო. გლეხს ხელები ფართოდ გაუხსნა, საგადასახადო ტვირთი 100 მილიონით შეუმსუბუქა, მუშა ხელის დაქირავების პირობები გაუუმჯობესა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების და გამოყენების სრული საშუალება მისცა.

მართალია, ყოველივე ამას მოყვება სოფელში წვრილი ბურჟუაზიულ ურთიერთობის გაძლიერება, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მაგრამ კონფერენციას ეს ეხლა იმდენად საშიშრად არ მიაჩნია, ვინაიდან პოლიტიკური ძალა-უფლება და სამრეწველო „საკომანდო" მწვერვალები პროლეტარიატის ხელშია, რომელსაც ბევრი საშუალება აქვს სოფელში კაპიტალისტურ ურთიერთობის საშიშ მხარეს ებრძოლოს, ის თავის კონტროლის ქვეშ დააყენოს. საშუალო და ღატაკ გლეხობისათვის დახმარება კონფერენციამ საბჭოთა ხელისუფლების აუცილებელ მოვალეობათ გამოაცხადა. მათთვის დახმარების აღმოჩენა, მათი ეკონომიურად მოღონიერება მდიდარ გლეხების ხარჯზე უნდა მოხდეს.

ამნაირად, კონფერენციამ ბევრი ახალი სიტყვა სთქვა, ბევრი ახალი ამოცანა და ახალი გზები დაუსახა პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებს.

ამ ამოცანის სწორათ გადაჭრა დიდათ წასწევს წინ საბჭოთა მეურნეობას, მის პოლიტიკურ და კულტურულ ძლიერებას. გლეხობის შიმართ პარტიის პოლიტიკის ერთგვარი გადახრა აუცილებლად დროულ და მიზანშეწონილ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს.

ელ. ი.

# ბოლო უნდა მოეღოს

(გაეროვნების შესახებ)

დღეს, როდესაც თვალსაჩინო გახდა ხელისუფლებისათვის—ზოგიერთების მიერ, ხშირია გვერდის ახვევა კანონებისა და განკარგულებებისა და ამის ერთხელ და სამუდამოთ მოსასპობათ ერთ-ერთ მორიგ ამოცანათ და მის ცხოვრებაში გასატარებლად მმართველმა პარტიამ წამოაყენა რევოლიუციონური კანონიერება:—ჩვენ მოვალეობას შეადგენს—სადაც კი შევამჩნევთ, კანონის დარღვევას—ვამხილოთ, გამოვიტანოთ სააშკარაოზე და მით საშუალება მოუსპოთ ზოგიერთ პირებს,—თვითნებობისა-თავის ქეიფზე მოქმედებისა.

ჩვენ ამით მივახწევთ იმას, რომ ხალხის მიერ,—დიდ რევოლიუციის და სისხლით მოპოვებულ უფლებების გათელვის საშუალებას მოუსპობთ—ბნელი ზრახვებით გაქლენთილთ და მოვსპობთ გავრცელებულ იჭვიანობას კანონების და განკარგულებების შესრულებაზე. და მართლაც რა ფასი აქვს თვით საუკეთესო კანონს ან რაიმე მიზანშეწონილ დადგენილებას თუ იმას არავინ შეასრულებს და პასუხს არავინ აგებს მის შეუსრულებლობისათვის.

მე ამ პატარა წერილში მინდა მიუთითო, ვისაც ჯერ არს იმაზე, თუ როგორ ატარებენ გაეროვნებას რკ. გზის მთავარ სახელოსნოში.

საქმე იმაშია, რომ გაეროვნების გატარების საკითხი დიდი პოლიტიკური საკითხია. ეს არსებულ რევოლიუციონურ ხელისუფლებას მშვენივრათ ესმოდა და სათანადოთ გადასჭრა კიდეც.

მაგრამ, ეს რასაკვირველია, არ მოეწონა ბევრ „ველიკოდერჟავნიკებს" და ყოფილი ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრებს და დაიწყეს მითქმა-მოთქმა და ჩუმი საწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც დღემდის გრძელდება. ეს ვაჟბატონები ყოველი საშუალებით ცდილობენ გაეროვნების შეფერხებას. ამათი უტიფრობა იქამდისაც კი მიდის, რომ მიუხედავათ რამდენიმე განკარგულებისა—ცდილობენ საწინააღმდეგო გააკეთონ...

9 მაისს 1924 წლ. თარიღით გამოიცა რკინის გზაზე ბძანება № 516.

ეს ბრძანება არის უფრო განმარტება ადრე გამოცემული ბძ-სა 261 ნომრით 19 მარტის 1924 წლისა.

და აი რას ვკითხულობთ ამ ბძ-ს მეცხრე პუნქტში.

„При освобождение должностей таковие должны обязательно замещаться во всем в соответствие с требованием приказа № 216 т. е.

Принимаемый на должность обязательно должен знать местный язык.

როგორც მკითხველი ხედავს აქ გაუგებარი არაფერია; განკარგულება სრულიად გასაგები ენით არის დაწერილი.

ზემო აღნიშნული განკარგულების მესამე პუნქტი კი დაწვრილებით ხსნის, თუ რომელი თანამდებობის მოსამსახურემ უნდა იცოდეს ადგილობრივი ენა.

მე აქ არას ვიტყვი იმ ათეულ მოსამსახურეებზე, რომლებიც ამ კანონის გამოცემის შემდეგ იყო მიღებული და ადგილობრივი ენა არ იცოდნენ ე. ი. კანონის ძალით არ უნდა მიეღო ადგილობრივ ადმინისტრაციას.

მხოლოდ გასაკვირია და დაუშვებელი ის, როდესაც დღესაც განაგრძობენ ზემო აღნიშნული განკარგულების მიფუჩეჩებას და არ შესრულებას. მაგალითად ამ დღეებში მიიღეს ორი მოანგარიშე:—ოსიპოვი და კ—სკი, არც ერთმა ადგილობრივი ენა ე. ი. ქართული არ იციან, და ამავე დროს—თანახმად უკანასკნელი განკარგულებისა 2 მარტის 1925 წლ. თარიღით № 17614 გამომდინარე 1180 კოდექსის ნომრიდგან—მთავარ სახელოსნოში პირველ ივლისიდგან უნდა სავსებით საქმის წარმოება გადავიდეს სახელმწიფო ენაზე...

და როდესაც ამ განკარგულებებს ადარებ ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედებას—პირდაპირ გებადება ის აზრი, რომ ეს ხალხი გაეროვნების საკითხს თვლის მასხარაობათ და ამიტომ ანგარიშს არავის არ უწევს; მოქმედებს ისე, როგორც ამას მისი ფანტაზია ან რომელიმე „ველიკოდერჟავნიკი" შოვინისტი უკარნახებს, ე. ი. მოქმედებს კანონის წინააღმდეგ. ეს კანონი კი შეიცავს ფართო მასის სურვილების გამოხატულებას, და არის ამ მასის—მშრომელი ხალხის—მთავრობის მიერ გამოცემული.

მაგრამ უფრო უკეთესი.

მთავარ სახელოსნოს პირადი შემადგენლობის გამგეს ადგილობრივი ენა ე. ი. ქართული სრულიად არ იცის და რატომღაც დღემდის შეცვლილი არ არის; და ეს იმ დროს, როდესაც 80% მიწერ მოწერისა ქართულათ სწარმოებს და მისი საქმის კეთება სხვას უხდება.. ნუ თუ ამის გამოსწორება არ შეიძლებოდა?.. ნუ თუ არ შეიძლებოდა ხსენებულ გამგის მაგიერ ქართულის მცოდნის დაყენება და მისი კი შესაფერ ადგილზე გადაყვანა?..

ხომ ცხადია, რომ სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ—მარტო იმიტომ, რომ მან ენა არ იცის, ის ყოველთვის შეეცდება გაეროვნება არ გატარდეს და ჩვენ კი ვიცით პირადი შემადგენლობის გამგეს რა დიდი როლის თამაში შეუძლია... და ეს ფაქტიურათაც ასეც არის; ხსენებული პირი გაეროვნების საქმეს დიდათ უშლის ხელს.

ამას უნდა მოეღოს ბოლო... გაეროვნება უნდა გატარდეს მტკიცეთ იმ კანონების ფარგლებში, რომლებიც გამოიცა და უცდის ცხოვრებაში გატარებას... იმათ კი ვინც შეგნებულათ ხელს უშლის მთავრობის განკარგულებების გატარებას—მათ სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს... ყველამ უნდა იცოდეს, რომ კანონები იწერება ცხოვრების კარნახით—მისი ცხოვრებაში გატარება აუცილებელი და სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის.

ვ. ჭამაცაშვილი.

# სკვითები

## ალ. ბლოკისა.

**ჯ.—ფარიძის თარგმანი.**

პანმონგოლიზმი! თუმც ეს სახელი არის ველური
სიამოვნებით მას მაინც ისმენს ეს ჩემი ყური.

თქვენ ხართ მრავალი. ჩვენ კი—ურიცხვი.
თუ გნებავთ—სცადეთ სინჯეთ, შეგვებით!
დიახ, სკვითნი ვართ! აზიელები,
ელამისა და ხარბის თვალებით!

თქვენ თვლით ას წლობით, ჩვენ—საათობით!
ჩვენ, ვით შეჭფერის მონებს მორჩილებს,
ფარად უდექით მოქიშპე რასებს,
მონგოლებსა და ევროპიელებს!

ას წლებს სჭედავდა ეგ თქვენი ქურა
და აჩუმებდა ხმას ქუხილისას,
უცნაურ ზღაპრად თვლიდით დაღუპვას
ლისაბონისას და მესილისას!..

დიდ ხანს უცქერდით თქვენ აღმოსავლეთს,
აგროვ-აღნობდით ჩვენ ძვირფას განძებს,
არად გვაგდებდით, მხოლოდ დროს თვლიდით
დაგვიმიზნებდით როდის ზარბაზანს!

დროც დადგა... ფრთებს სცემს უბედურება,
შეურაცხყოფას ზრდის და ამრავლებს,
მოვა დრო, როცა თქვენ პესტუმთაგან
ეგება კვალიც კი აღარ დარჩეს!..

ძველო ქვეყანავ! სანამ არსებობ,
და სანამ გქანცავს ტანჯვა უტკბესი,
ძველ ამოცანის—სფინქსის წინაშე
შეჩერდი, როგორც ედიპ უბრძნესი!..

რუსეთიც იგივ სფინქსია, სფინქსი.
როს ილევება ის შავი სისხლით,
ან სწუხს, ან ხარობს—მოგჩერებია
თან სიყვარულით და თანაც ზიზღით!..

ისე, ვით ჩვენ სისხლს, დიდიხანია,—
არავინს თქვენგანს არ ყვარებია.
დაგვიწყებიათ, რომ სიყვარული
მწველი და თანაც დამღუპველია.

გვიყვარს ცივ რიცხვთა ჩვენ სიცხოველე
და ხეთაებრივი ხილვის წყალობა,
ნამდვილ გალური ჰკვის სიმახვილე,
გერმანელთ მჭმუნვი გენიალობა...

გვახსოვს პარიზის ჩვენ ჯოჯოხეთი,
და კვამლიანი—კელნის ლუმელნი,
სიგრილე ტურფა ვენეციისა,
სურნელოვანი ნარინჯის ტყენი.

გვიყვარს სხეული, მისი ფერ-გემო,
მხრჩობი, მკვდრისებრი სუნი ხორცისა..
რავქნათ, თუ მძლავრ და ნაზ ჩვენ თათებში
გაისმის მტვრევა თქვენი ჩონჩხისა!..

შეჩვეულნი ვართ—გაშმაგებულთა
ცხენთა ლაგამში ხელის წავლებას,
ბედაურების ხერხემლის ტეხას,
კაპას მხევლების ჩვენ მორჯულებას!..

ამხანაგებო, არ არის გვიან—
ერთი მეორეს დაუახლოვდეთ,
ჩავაგოთ ძველი ხმალი ქარქაშში
და ერთმანეთის ძმები შევიქნეთ!..

და თუ არ გნებავთ—ჩვენ არას ვკარგავთ—
ღალატს ჩვენც შევძლებთ და მოვახერხებთ,
მაგრამ იცოდეთ—შთამომავლობა
წყევლით და კრულვით თქვენ მოგიხსენებთ!..

ჩვენ გზას დავუთმობთ კეკლუც ევროპას
და მივაშურებთ ტყეებს უდაბურს,—
მოგიბრუნდებით და დაგანახვებთ
ჩვენ მახინჯ სახეს, სახეს აზიურს!..

მოდით ურალზე, სადაც ვამზადებთ
მანქანებისთვის ბრძოლის ადგილსა,
სად მონგოლების ურდოსთან ერთად—
სუნთქვა ტრიალებს ინტეგრალისა!

დღეიდან არ გვსურს ვიყოთ თქვენ ფარად,
და არც პირველი შევებრძოლებით...
ჩვენ მხოლოდ ვუცქერთ დამღუპველ ბრძოლას
ჩვენი პატარა წვრილის თვალებით...

და არ დავიძვრით, როს გუნი მკაცრი
ჩხრეკას დაუწყებს ლეშთა ჯიბეებს,
დასწვავს ქალაქებს, წაბილწავს ტაძრებს,
თეთრი ძმის ხორცის აგეპს მწვადებს..

ძველო ქვეყანავ! უკანასკნელად
ჰკვა მოიკრიფე, დაფიქრდი—გირჩევ,
შრომის, სიმშვიდის, ძმობის ნადიმზე
ბარბაროსული ჩანგით მიგიწვევ!..

* *

ჯ.— ფარიძე.

# ეგნატე ნინოშვილი

ქართველი მოწინავე საზოგადოების აზროვნება გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ხასიათდება მეტად ზომიერი, მემარჯვენე ლიბერალიზმით. სულ უბრალო, უმნიშვნელო ცვლილებანი ცხოვრებაში, სულ პატარა უფლებანი,— ნატვრა და სურვილი ჩვენი საზოგადოებისა, ამას არ გასცილებია.

უმრავლესობა იმ აზრს იზიარებდა, რომ ქართველი ერი ყოველმხრივად დაქვეითებული იყო, მას ბევრი რამ ესაჭიროებოდა.

— საჭიროა ყველაზე უმალ ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა,—გაისმა ილია ჭავჭავაძის მოწოდება.

როგორ, რანაირად, რა გზით, რა საშუალებით?

ერის ბედი იყო თვითმპყრობელობის ხელში. მაშასადამე „დაცემული ვინაობის“ აღდგენა შეიძლებოდა ან არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლით, ან მორჩილებით, ასეთი იყო იმ დროის მსჯელობა.

თუმცა აქა იქ გაისმოდა ბრძოლის ხმა; აკაკი წერეთელი აფრთხილებდა საზოგადოებას:

ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?“-ო

ან კიდევ:

სხვისი იმედი რას არგებს
თავისუფლების მძებნელსა!“-ო.

და მიუთითებდა ბრძოლაზე, მაგრამ ეს იყო ბრძოლა ეროვნული—უფრო გრძნობაზე დამყარებული, ვიდრე საღ მსჯელობაზე.

საზოგადოების უმრავლესობა ბრძოლის აზრს არა თუ არ იზიარებდა, ყოველგვარი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან მას მიაჩნდა დამღუპველად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მოწინავე საზოგადოება მაშინ იყო უმთავრესად თავად-აზნაურული, მისი ასეთი შეხედულება ადვილი გასაგებია.

უმრავლესობას ზესისხლხორცებული ჰქონდა ის რწმენა, რომ თვითმპყრობელობა სრულებით უძლეველია, მასთან ბრძოლა არის ერის დაღუპვა. არის მხოლოდ ერთად ერთი გზა ერის საკეთილდღეოდ: მორჩილება, უქვეშევრდომილესი გრძნობანი და სრული ერთგულება. ერთგულ მონას ბატონი აფასებს და სწყალობს—ეს იყო მაშინ პოლიტიკური ჭეშმარიტება, მრწამსი.

იმ ხანებში ალექსანდრე III ჩამოვიდა საქართველოში. ქართველი პუბლიცისტები ერთიმეორეს ეჯიბრებოდენ უსაზღვრო ერთგულებასა და უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოცხადებაში. გულწრფელადა სწამდათ, რომ რაც უფრო დაიმცირებდენ თავს, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდენ ეროვნულ საქმეს.

ამგვარად პოლიტიკური პირობების გასაუმჯობესებლად აღიარებული იყო სრული მორჩილება და ერთგულება მეფისა და მისი მთავრობისა.

შინაური სოციალური მდგომარეობაც უნუგეშო სურათს წარმოადგენდა; წოდებათა შორის მტრობა და ანტაგონიზმი იზრდებოდა. ეს ანტაგონიზმი საუცხოვოდ გააშუქა ილია ჭავჭავაძემ ოთარაანთ ქვრივში. როგორ შამოევლება შინაურ ცხოვრებას, ბრძოლით?—ყოვლად შეუძლებელია, ბრძოლა ერის დამღუპველია, ერის აღდგენის გულისათვის ყველამ უნდა დავივიწყოთ წოდებრივი ინტერესებიო, გაისმოდა მოწინავე საზოგადოებაში.

მეტად საყურადღებოა ამ მხრივ ილ. ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი, როგორც გამომხატველი მოწინავე საზოგადოების აზროვნებისა. ავტორი აღიარებს, რომ წოდებათა შორის ხიდია ჩატეხილი და სადა ჰხედავს ხსნას? თავადაზნაურობის „ცრემლიან ცოდნა“-ში, ე. ი. მოწინავე წოდების სინდისსა და შეგნებში!

ამრიგად, როგორც პოლიტიკურს, ისე სოციალურს დარგში ბრძოლა სრულებით უარყოფილ იქნა. პოლიტიკურად მთელი ერი უნდა წავიდეს მორჩილების გზით და ჰქონდეს მთავრობისა და მეფის იმედი. სოციალურად ერის უმრავლესობა—გლეხკაცობა უნდა გაემართოს მომავლისაკენ მორჩილების გზით ერის აღდგენის გულისათვის და იქონიოს თავადაზნაურობის სინდისისა და შეგნების იმედი.

ასეთი იყო სურათი ჩვენი მოწინავე საზოგადოების აზროვნებისა, როდესაც ეგნატე ნინოშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. პროლეტარიატი ჩვენში ნელ-ნელა იზრდება იმ ხანებში და პროლეტარული მსოფლ-მხედველობა თანდათან გზას იკაფავდა.

ნინოშვილი ეკუთვნოდა მშრომელ ხალხს, დაიბადა და აღიზარდა მშრომელ ხალხში, ამიტომაც განსაკუთრებით აღელვებდა იმის გულს და სტანჯავდა იმის გონებას მშრომელი ხალხის მომავალი, როგორც საერთოდ, ისე კერძოდ საქართველოში.

მან თავიდანვე უარჰყო ჩვენი მოწინავე საზოგადოების ფორმულა მორჩილებისა და წოდებათა თანხმობისა და შეუდგა ახალის ძიებას.

იმის გამოსარკვევად, თუ როგორი იქნებოდა მომავალი მშრომელი ხალხისა, საჭირო იყო გაშუქება, თუ როგორ პირობებში უხდებოდა მას ცხოვრება. რადგანაც ქალაქის პროლეტარიატი საკმაოდ ჩამოყალიბებული და გარკვეული სახისა არ იყო ჯერ კიდევ, ამიტომ ნინოშვილმა მიმართა სოფლის მშრომელ ხალხს—გურიის გლეხობას და მხატვრულ სახეებში გადაშალა ჩვენი თვალისწინ მისი ცხოვრება, მდგომარეობა და განწყობილება.

ბატონყმობის გადავარდნამ მშრომელი გლეხობის იმედი ვერ გაამართლა. თავადაზნაურობა, როგორც წოდება, დარჩა განსაკუთრებულის უფლებებით აღჭურვილი; კანონმა მიწა იმას მიაკუთვნა. ამრიგად თავადაზნაურობას მაინც ხელთ შერჩა ორი დიდი და მძლავრი იარაღი: უფლებრივი უპირატესობა და ქონება. ეს ორი იარაღი სრულებით საკმარისი იყო, რომ თავადაზნაურობას ცხოვრებაში სრული უპირატესობა ჰქონოდა და გლეხკაცობას კისერზე დაჯდომოდა.

აიღეთ ტარიელ მკლავაძე, იასონ უქმაძე, ლევან ძველისენიძე, მანუჩარ არწივაძე—ყველა-ესენი ეკუთვნიან წარჩინებულ წოდებას და გლეხკაცობის ცხოვრებაში მხოლოდ უბედურება შეაქვთ. მათ უმგზავს ცხოვრებას, გარყვნილებას, ძალმომრეობას მხოლოდ ტანჯვა მოაქვს გლეხობისათვის, უდანაშაულო მსხვერპლი; გლეხობა გმინავს, მაგრამ სამართალი არ არის და ვერავისათვის მიუმართავს, ვერ მოუნახავს გამოსავალი თავისი აუტანელი მდგომარეობიდან.

ნინოშვილი დიდი მიღწევის მხატვარია და მიკერძოება მას არ სჩვევია. მასა ჰყავს გმირები, რომლებიც მთელის თავისი არსებით უყვარს, რომლებთანაც ერთად იტანჯება; ჰყავს ისეთებიც, რომლებიც მას სძულს, მაგრამ მისი მხატვრული კალამი სრულებით მიუდგომლად, ობიექტურად ჰხატავს ყველას. ასე ობიექტურია ნინოშვილის შემოქმედებაში, როგორც გლეხობა ყველა მისი ნაკლითადი ღირსებებით, ისე თავადაზნაურობა. განსაკუთრებულის ნიჭით არის დასურათებული ტარიელ მკლავაძის ტიპიური წარმომადგენელი გადაგვარების გზაზე დაქანებული თავად აზნაურებისა. ყოველ წოდებას, ყოველ კლასს აქვს თავისი ისტორიული დანიშნულება და მიზანი. სანამ მის ხელში ძალა უფლება არის, ის ამოსწურავს ამ მიზანს და შემდეგ გადაიქცევა ისეთ მეტხორცად, რომელსაც არავითარი ღირებულების შექმნა არ შეუძლია, თუ დროზედ არ მოუსწრო შემდეგმა, უფრო ღონიერმა და ახალგაზრდა კლასმა, რომელიც მას ძალაუფლებას ხელიდან გამოჰგლეჯს და ისტორიული გზიდან გადააგდებს, რომ ცხოვრება თავისი მიზნების მიხედვით გარდაქმნას, მას ცხოვრებაშივე უსწრებს დაშლისა და გახრწნის პროცესი.

ამის საუკეთესო მაგალითს ტარიელ მკლავაძე წარმოადგენს. ტარიელში ნინოშვილმა მთელი წოდება გამოშოსახა. რა არის ტარიელის ხელობა? ლოთობა, გარყვნილება, ძალმომრეობა, სხვისი პიროვნების დამცირება და ფეხქვეშ გათელვა. ყოველივე ეს ნინოშვილმა მოათავსა საუცხოვო გარეგნობაში, რომ შინაგანი სიმახინჯე და გახრწნილება უფრო თვალსაჩინო და შემზარავი გამოსულიყო.

რისი მიცემა შეუძლია ცხოვრებაში ასეთ წოდებას? არაფრის გარდა ბოროტებისა. ასეთი წოდება უკვე მკვდარია ისტორიულადაც, სოციალისტურადაც და მისი არსებობა მხოლოდ წყაროა სხვების ტანჯვისა.

გლეხობა იტანჯება ტარიელ მკლავაძის ხელში და ამ ტანჯვას კიდევ უფრო აძლიერებს არსებული პოლიტიკური წყობილება.

უბედურება მარტო იმაში კი არ არის, რომ ტარიელ მკლავაძე თავისი ბუნების სიმახინჯით გლეხს ცხოვრებას უმწარებს, არამედ იმაშიდაც, რომ კანონი ტარიელის მხარეზედ არის, ტარიელის ძალმომრეობას და გარყვნილებას იფარავს. გლეხი ტარიელს სამართალში აძლევს; შეურაცხყოფილი, ფეხქვეშ გათელილი ტარიელის ძალმომრეობის და გარყვნილებისაგან დარწმუნებულია, რომ სამართალი ღირსეულად მიუსჯის დამნაშავეს, მაგრამ სასამართლო ტარიელს ამართლებს. ამითი წაქეზებული ტარიელი, რათქმა უნდა, უფრო თამამად სთელავს ფეხქვეშ გლეხის ღირსებას და პიროვნებას. „ერთხელ კი მოთმინებიდან გამოსულმა სოფლის გლეხკაცობამ შეუდგინა ტარიელს განაჩენი და წარადგინა, სადაც ჯერ იყო. ამ განაჩენით ვითომდა სოფლის გლეხობას სურდა ტარიელის თავიდან მოშორება. მაგრამ ეს განაჩენი გლეხებს უკანვე დაუბრუნეს შემდეგი წარწერით: „სოფლის ყრილობას, რომელიც შესდგება მხოლოდ გლეხკაცობისაგან, არა აქვს უფლება თავისი განაჩენით აზნაური გშდაასახლოს სოფლიდან“-ო.

ასეთს პოლიტიკურს და სოციალურ პირობებში გლეხობის მდგომარეობა საშინელია.

(შემდეგი იქნება)

ი. გომართელი

# ქართული ლიტერატურა

IX.

1894 წელს, მაისის თვეში, გურიაში მოკვდა ქართველი ნიჭიერი ბელეტრისტ-პუბლიცისტი—ეგნატე ნინოშვილი. მისი კუბოს წინაშე, ასე წოდებულმა, „მესამე დასმა“, საქვეყნოთ ფიცი დასდვა, რო საქართველოს დემოკრატიისა და მუშისათვის ის თავს დასდებს და მათთვის ენერგიასა და სიცოცხლეს შესწირავს მისი პოლიტიკური გათავისუფლების საქმეს.

ეს იყო ნამდვილი და ჭეშმარიტი ჰანიბალისებური ფიცი დაუვიწყარ მაისის თვეში, როცა ბუნებით უხვი, მდიდარი, კეკლუცი და მომჯადოებელი საქართველო ქმნის უტურფეს სიცოცხლეს, უკვდავებას და ქართველ კაცს უზომოთ აყვარებს თავის „პატარა, მარა, შვენიერს მამულს.“ საქართველოს ცხოველმყოფელი მაისის ზომიერი ჰავა ადამიანს უცოცხლებს, აფხიზლებს, აცქვიტებს, სამოქმედოთ იწვევს და აქეზებს, ენერგიასა და ტალანტს უათასკეცებს. და, ამავე დროს, ჩვენი გიგანტი კავკასიონის გასაშტერებელი ბუნების მომხიბვლელი, დიადი შვენიერება სიცოცხლეს, აყვარებს და გულში უსახავს მარად უკვდავების და ბედნიერების იმედსაც.

უმთავრესად, ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რო საქართველოში „მესამე დასმა“ საქვეყნოთ უარყო კვიეტიზმი და განდეგილობა და სწორეთ ამირანისებურათ დაეტაკა მთელ დედამიწის ზურგზე ერთ უმძლავრეს მტერს კისრის მოსატეხათ...

სწორეთ ამ დღიდან საქართველოში.

„ომის ცეცხლი,
ასტყდა ფიცხელი“

და დაიწყო გასაოცარი, მდიდარი ისტორიაც...

სწორეთ ამავე, 1894 წელში, როცა სტამბიდან გამოვიდა პირველათ, ყოველ თვიური ჟურნალი—„მოამბე“, თქვენი პირი და სატკივარი წაიღო რუსეთის უშველებელმა დესპოტმა—ალექსანდრე III. ყველას ეგონა, რომ თავისუფლების სიო ცოტათი მაინც დაუბერავდა პრესის არე-მარეზე. მარა მწერლობის ასპარეზზე ნიჭიერი და გულწრფელი მომუშავენი მწარეთ მოსტყუვდენ. ისევ ძველებური რეჟიმი, პოლიტიკის სათავეში ისევ ძველებური რეაქციონერები. ისევ სასტიკი და ულმობელი ცენზურა. ნიკო ნიკოლაძეც გაშორდა ჟურნალ „მოამბეს“, „მიზეზისა გამოსახვისა და სხვისა“, როგორც მაშინ იტყოდენ ხოლმე.

სამაგიეროთ, კრიტიკოსის როლში მოგვევლინა—კიტა აბაშიძე. ჟურნალ „მოამბეში“ კიტა აბაშიძემ დასწერა წერილები—ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებზე, გიორგი ერისთავზე, რაფიელ ერისთავზე, ილია ჭავჭავაძეზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, ეკატერინე გაბაშვილზე; დავით კლდიაშვილზე და სხვ.

კიტა აბაშიძემ, რომ უფრო ფასი დასდებოდა მის-

„კრიტიკულ“ წერილებს, თავშივე გამოაცხადა, რომ თავი შევაფარე სხვის ნავთსაყუდელსა და მიერიდან გავყვები საფრანგეთის კრიტიკოსის—ბრიუნეტძერის გაკვალულ გზას ლიტერატურაშიო...

კარგათ მოგეხსენებათ, ბრიუნტძერმა ერთ თავის *წიგნში („ლიტერატურის მსგავსებათა ევოლიუცია“) გამოაცხადა: ჟოფრუა-სენტ-ილლერისა და და კიუვეს-ბუნებრივი ისტორიის ანალოღიაზე დაფუძნებულს კრიტიკას, ჩვენ შევეცდებით წინ წამოვუყენოთ კრიტიკა, რომელიც დიდი დარვინის ევოლიუციის თეორიაზეა დაფუძნებულიო.“

ბრიუნელტძერს, რაკი თვისი საკუთარი ფილოსოფია არ ქონდა, დარვინის ევოლიუციონურ თეორიას შეაფარა თავი თვისი და კიტა აბაშიძეც, ჩვენი კიტა, რა თქმა უნდა, მოხიბლა ბრუნეტძერის „მეცნიერულმა კრიტიკამ.“

ბრიუნტძერი სწერს, რომ სარგებლობს „მსგავსებათა წარმოშობის“ დიადი ავტორის მეთოდით. მარა ნამდვილათ მის თეორიას მარტო და მხოლოთ ერთად-ერთი სახელწოდება აქვს საერთო ინგლისის მეცნიერის დიად მოძღვრებასთან და მეტი არაფერი. ან ვინ არ იცის ახლო, რომ ყოველგვარი მეცნიერების საფუძველი მხოლოთ და მარტო ურყევი და ნამდვილი ფაქტია*) ბუნების მოვლენებისა და ფაქტებიდან, რომელზედაც მეცნიერნი ცდებს აკეთებენ, გამოყავთ კანონები.

სრულიათ სხვაგვარი ამბავია ლიტერატურის კრიტიკის დარგში. სალიტერატურო კრიტიკა ბუნების მოვლენებისა და ცხოვრების მრავალგვარ ფაქტებზე კი არ არის დაფუძნებული და წელგამაგრებული. იგი ეყრდნობა ადამიანის გრძნობა-გონების, შემოქმედების და წარმოდგენ..ს (соображение) ნამოქმედებ..ს.ეს არის სწორეთ მიზეზი იმისა, რომ სალიტერატურო კრიტიკაც ისე, როგორც ლირიკა და კაზმული პროზა (ბელეტრისტიკა და დრამატურღია) წმინდა **პიროვნული, ინდივიდუალური ხასიათისაა.**

სალიტერატურო კრიტიკაში კრიტიკოსი ასისხლხორცებს, ასე ვთქვათ ასულიერებს თავის საკუთარს პიროვნებას, თავის საკუთარს შემოქმედების ძლიერებას და დისციპლინას. სალიტერატურო კრიტიკაში, მიუცილებლათ, კრიტიკოსს უხვათ და ნიჭიერათ შეაქვს თავისი საკუთარი ერუდიცია და გამოცდილება, მხატვრული გემოვნება და ლაზათი, კოხტაობა და შვენიერება...

ამიტომაცაა, რომ მეცნიერება, მაგალიდად, ფიზიკა ან ბუნების მეტყველება, თუ მათი დასკვნა ურყევი ჭეშმარიტებაა, საყოველთაოა ყოველგან, მთელ დედამიწის ზურგზე, ყოველ ქვეყანასა და ყოველ ერში. არ არის ქართული, ან ფრანგული ფიზიკა სწორეთ ისე, როგორც არ არის ფრანგული, ან ინგლისური ბუნების-მეტყველება.

ხელოვნებასა და ლიტერატურაზე-კი ეს არ ითქმის. ხელოვნებაც და ლიტერატურაც არის ბერძნული და გოთიური, ფრანგული და ინგლისური და სხვ. ფილოსოფიაზეც ასე უნდა ითქვას. არის ფილოსოფია ინგლისური, არის ფილოსოფია გერმანული და სხვ. სწორეთ ისე, როგორც არის თეატრი რასინისა და თეატრი შექსპირისა...

---

*) ეს ის ცნობილი კრიტიკოსი და პუბლიცისტი ბრუნეტიერია, რომელმაც რომში მოგზაურობისა და პაპის ნახვის გავლენის მოხებით, საქეყნოთ და ხმამაღლათაც გამოაცხადა „მეცნიერების გაკოტრება„

ავტ.

ამიტომაც, ბრუნეტძერს სრულებითაც არ მოუცია ჩვენთვის დარვინის ევოლიუციის მსგავსი მეცნიერული კრიტიკა და ვერც მოგვცემდა იგი ამ ევოლიუციას თავის დღეში, რაც უნდა ემაცადინებია და ეშრომა. კი, გულით იქნება, ძალიანაც უნდოდა მას ეს საქმე გაეკეთებია, მარა შეუძლებელს ბრუნეტძერს კი არა, ამირანსაც ვერ მოვთხოვთ.

ამიტომაც, ბრიუნტძერის სალიტერატურო კრიტიკა წმინდა წყლის ესთეტიური კრიტიკაა და მეტი არაფერი.

ახლა, ამის შემდეგ, რაღა უნდა ვსთქვათ, კიტა აბაშიძეზე?

კიტა აბაშიძის ქართული ლიტერატურის „ევოლიუცია“, მეტი რომ არა ვსთქვათ, პირდაპირ თავ-უკლმა გაკეთებული „რევოლიუციაა“. კიტამ ვერ მოგვცა სწორი მიუდგომელი შეფასება ვერც ერთ ქართველ მგოსნისა და ბელეტრისტისა. მის კრიტიკას ესთეტიურსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან ნამდვილი, ჭეშმარიტი შემოქმეოებისა და მშვენიერების ნაწარმოებნი ქართულ ლიტერატურაში, როგორც მაგალითად, ლირიკა დიადი აკაკისა და ბელეტრისტიკა ქართველი ემილ ზოლასი — გიორგი წერეთლისა, სრულიათ გაუგებარია იმისათვის და გვნიოსის, პირ და პირ მაღალს საფეხურზე, ასე ვთქვათ, ოლიმპზე აიყვანა ლირიკაც, ბელეტრისტიკაც მხოლოთ და მარტო ილია ჭავჭავაძისა... ესეც სხვების მიბაძვით... უფრო გ. მაიაშვილის მიბაძვით.

გიორგი წერეთლის—„**მგზავრის წერილები**“ ცალიერი ფოტოგრაფიული სურათია და მეტა არაფერიო. ამავე ავტორის შესანიშნავი რომანი—„**პირველი ნაბიჯი**“ უხეირო ნატურალიზმიაო და ილია ჭავჭავაძის მიბაძვით დაწერილიო (იმის აზრ თ, იერემია წარბა ფოტოგრაფიული სურათია დათიკოსი —ილიას— „გლახის ნაამბობიდან“)...

ახლა მოიგონეთ, აკაკის ლირიკის დამცირება და სრული გაუგებრობა... კრიტიტიკოსს სრულიათ დაჩლუნგებული უნდა ქონდეს მხატვრული გემოვნება, რომ აკაკის ლირიკის სიცოცხლე და ნეტარება არ იგრძნოს. არა, კიტას არ ესმოდა, თუ რა განსხვავებაა ნატურალიზმსა და რეალიზმს შორის...

უკვდავს მგოსანს იმისთვის არაფერი უპასუხნია, გარდა ერთი პატარა იუმორისტული ლექსისა: არც ერთ პოეტზე, არც ბელეტრისტზე ხმას არ ამოიღებდა, თუ ფედერალისტი არ იყო. ფედერალისტი თუ იქნებოდა მწერალი, იმას, რა თქმა უნთა, შეაქებდა, ერთი სიტყვა არ წამოცდენია მწერლობაში არც ნიკო ნიკოლაძეზე, არც ეგნატე ნინოშვილზე. ალბათ, პირდაპირ დემოკრატიიდან გამოსულები რომ იყვენ... აბა თავადები ყოფილიყვენ: თავის სტატიებს ყოველთვის ასე იწყებს: თავადი ალექსანდრე, ჭავჭავაძე, თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვ. ერთი ვიკითხოთ, რასაჭიროა აქ, მწერლობაში მაინც, **თავადობა?..**

აგრეთვე, ყოველ სტატიას იწყებს სიტყვით: ბატონებო! ლიტერატურა ბწყინვალე თავადებისთვის საქეიფოთ გაშლილი სუფრა ხომ არ არის, სივილა აბლაკატივით „რეჩები“ დავიწყოთ—ბატონებოთქო. მწერალს ხომ მკითხველთან აქვს საქმე და მაშასადამე, რის მაქნისია ეს სიტყვა—ბატონებო!..

კრიტიკოსს უნდა ახასიათებდეს, როგორც ყოველ ნიჭიერ მწერალს-მხატვარს, საკუთარი სტილი, სალიტერატურო ფორმების ორგინალობა, უბრალოება და სინაზე. კიტა აბაშიძე **მწიგნობრულ** ენას ვერ **გაცილდა** და,

ამიტომაც, იმისი ნაწერი წიგნი ძნელი წასაკითხავია და მოსაწყენიც. მე მგონია, ამით ყველაფერი ითქვა.

„ჩინებული კრიტიკოსი იქნებოდა მხატვარი,—ამბობს ვოლტერი, რომელიც დასაჩუქრებულია კარგი გემოვნებითა და დიდი ცოდნით. კრიტიკოსს არ უნდა ახასიათებდეს შური და სიხარბე, ახლოს არ უნდა იკარებდეს ცრუმორწმუნეობასა და ამპარტავნულობასო.“

ვოლტერის სიტყვებს აქ მე დავუმატებდი: კრიტიკოსი უაღრესად მიუდგომელი და გულწრფელი უნდა იყოს. მას უნდა ქონდეს ღრმად შემუშავებული საკუთარი სულის რწმენა და ფილოსოფია, თვისი საკუთარი შეხედულობა მშვენიერებასა და სიკეთეზე. უნდა ესმოდეს ცოცხალი ადამიანის გულის ძგერა და მისი საიდუმლოებანი. აგრეთვე ლიტერატურისა და ჰუმანიტარული მეცნიერების ღრმა იერუდიციით უნდა იყვეს შეიარაღებული. დასასრულ, იქნება, ვინმემ იფიქროს, კიტას სახელი გვშურდეს, ან მას ვეცილებოდეთ რამეშივე. ვინც მიცნობს მე, ამას, რასაკვირველია, გულში არ გაივლებს. და, ვინც არ მიცნობს, იმის დასაჯერებლათ, ამ სიბერეში, სიტყვებიც აღარ მემეტება...

ამ პატარა სტატიის გათავებისას, სიამოვნებით გავიმეორებდი ერთი უდროვოთ გარდაცვალებული ფრანგი კრიტიკოსის სიტყვებს: „დაწერილი წიგნი, რაც უნდა სავსე იყოს ნაკლულოვანებით, არის ერთი უმაღლესი გამოთქმულებათაგანი „საუკუნო ცხოვრებისადმი ლტოლვილებისა“; და ამ აზრით, იგი ყოველთვის ღირსია პატივისცემისო“.*)

**ხომლელი.**

*) იხ. გიუიოს— „ხელოვნება, სოციოლოგიური თვალსაზრისით გაშუქებული“.

# მ ი ნ ი ა ტ ი უ რ ე ბ ი

I.

**გაზაფხული.**

მიყვარს, მონა ვარ გაზაფხულისა!..

ვენაცვალე მას... ვენაცვალე...

„მისსა მნახველსა ნახული,

არლა რა მოეწონების...“

გაზაფხული მშვენიერი ღვთაებაა.

იგი მოჰქრის სხივოსან ზურმუხტის ალამით და მოაფრქვევს: სიხარულს, ბედნიერებას, სიყვარულს...

ჯერ არც კი გამოჩენილა მისი ფერად-ფერადი ამალა, რომ გულმა იგრძნო მისი მოახლოება...

გულმა მიიღო სანუკვარი სხივ-წერილი...

ელვა არის ეს სხივ-წერილი.

გაიკლაკნა ელვა და ყველა დარწმუნებულია, რომ გაზაფხული უკვე მოაგელვებს ზურმუხტის მერნებს...

ლილოებში თავი ამოჰყვეს, გადაიშალნენ ია-ენძელები.

ყვავილები—მაყრიონია გაზაფხულისა.

ისინი გვახარებენ, რომ საცაა გამოჩნდება ნაინატრი.

გამოჩნდება იგი და უამრავი ყვავილების ენით, უანგარიშო ჩიტუნების წკრიალით—დაუკაკუნებს ყველას გულებს...

და ვინც უნდა იყოს...

თუნდა კაეშნის ცეცხლში იფუფქებოდეს;

თუნდა სასო-წარკვეთილების დარაბები ჰქონდეს სარკმელზე აფარებული,—გაზაფხული უეჭველად გააღებინებს ამ დარაბებს...

თუ გაჭირვეულდა და არ გააღო,—არ შედრკება—იპოვის გზას, შეიჭრება ალერსიანი სხივებით...

და გაიკრიბებიან დამძიმებული სევდის ნისლები...

გაიხიზნებიან ჯავრის მიკიოტები...

გადაავიწყდება უსასოება და უეჭველად შეუყვარდება...

შეემსჭვალება გაზაფხულს...

აი მთებს უკვე დაუარა ნეტარების ჟრუოლამ—სიომ...

ყველა ალიგზნო...

ყველასა ჰსურს ყოვლის უწინარეს თვით შეეგებოს გაზაფხულის მიჯნურს, მოკაშკაშე მზეს...

მთები თითქოს ერთიმეორეს ქედზე შესხდომიან და იწევენ მაღლა...

მაღლა...

ფრთხილობენ: გაზაფხულის მზის სიმღერის პირველი მუხლები არ დარჩეთ მოუსმენელი...

პაწაწა, კუკნა სერიც კი ცმუკავს, თითქოს მაღალს მთებს ეხვეწებოდეს აიყვანოს იგი და მხრებზე შეისვას მზის შესახვედრად...

შორით შორს უკვე გაისმა მთა-ველების მეჭიანურის—ნიავის კრიმანჭულები...

იგი ეშხით მოშაირობს საამო ამბებს:

— მობრძანდა, მონარნარდა გაზაფხული...

გიხაროდეთ... გიხაროდეთ...

და ნეტარობს ყველა... ნეტარობს...

ქალაქის მტვრისაგან დაჰლექიანებულ ხეებმა და ჩირგვებმაც კი სიამით ღაღანი იწყეს...

მე ვილებ ყვავილების ლალის ფერ თასებს და, ვსვამ გაზაფხულის სადღეგრძელოს...

II

**მარადიული კითხვები.**

1.

— დედილო რად დაიწერეთ შენ და მამამ ჯვარი?..

თქვენ ხომ უცხონი იყავით ერთმანეთისათვის..

— ფრთებისთვის შვილო, ფრთებისთვის!..

— არ მესმის დედილო.., ადამიანს რად უნდა ფრთები?..

— მოგვწყინდა, შვილო, სავაგლახო მიწაზე მარტოკა ყურყუტი...

მოწყენილობის ყავარჯნით ხანხალი...

ბედნიერების ცის მისაღწევად კი ფრთებია საჭირო...

ხოხვით ვერ ავა იქ კაცი...

— მერე, სად იშოვნეთ ფრთები?..

— ერთმანეთის შეყვარებამ მოგვანიჭა ნანატრი ფრთები...

— რა იგრძენით ფრთების გამოსხმისას, დედილო?..
— ღმერთების ამბორის სიტკბოება...
— მე რას ვაკეთებდი მაშინ?
— შენ არ იყავი ქვეყანად...
— მაშ სად ვიყავი?..
— ?..

2.

— დედიკო, როცა გავიზრდები, მე რაღას გავაკეთებ?

— ამაყი ყივილით მოგიფრინდება მძლავრი არწივი და გაგიტაცებს ცისარტყელოვან ტრფობისაკენ...

— მე ხომ ქალი ვარ, დედილო, სუსტი... როგორ შევძლებ არწივთან ფრენას?

— სიყვარული შეგაძლებინებს, შვილო...

სიყვარული დაგინთებს გულში მზეებს...

მზის შადრევნები შენც გარდაგქმნის და შენს არწივსაც გაუნათებს სხივებს საოცნებო მწვერვალების აღმოსაჩენად...

— რას ვიგრძნობ, გენაცვა, არწივის მკერდზე მისვენებული?..

— უკვდავ მზის ყვავილების სურნელოვნებას...

— შენც ხომ თან წამომყვები?..

— არა!.. სიბერის ბელტებით დამძიმებული სად შევიძლებ შენთან ქროლას...

— მაშ სად წახვალ?..

— ?..

## III

### ტ ბ ა.

-- გაჭირდა ცხოვრება. ხალხი გამრავლდა. მიწა აღარავის ჰყოფნის. ყველა კვერცხში წივის. ამოდენა ადგილს ტყუილად ვაცდენინებთ ტბას. მართალია ძალიან ამკობდა იგი ჩვენს კარმიდამოს, მეტადრე მაშინ, როცა ზღაპრულ პრინცესებსავით შიგ გედები დაყელყელაობდნენ, მაგრამ... დღეს რა დროს მშვენიერებაზე ფიქრია, როცა მწარე ხახვიც კი გვენატრება... სჯობს ტბა ამოვაშროთ... ბოსტნის მოსაყვანად გამოგვადგებაო.

ამასა ჰფიქრობდნენ დიდებაანი.

ურჩობა არავის გაუწევია...

გაუხსნეს ტბას პირი.

ხუილით დააქანეს ხევ-ხუვებისკენ წყალი.

მისმა ხმაურმა ჩემამდის მოაღწია. ვიკითხე მიზეზი. ამიხსნეს. მივხვდი.

მეწყინა.

ჩემი საოცნებო ადგილი იყო ისა.

გარიჟრაჟდებოდა თუ არა, ვეწვეოდი მას და უყურებდი, თუ სწორ-უპოვარი მხატვარი მზე ფერად-ფერადად როგორ ჰქარგავდა ახლად გაღვიძებულს ტბის გარემოს.

მის კიდეზე მიყვარდა ყოფნა ღამითაც...

ალმასის ვარსკვლავებით მოკენჭილი ცა იყურებოდა ფირუზი თვალებით ტბის წიაღში და იქსოვებოდა საოცნებო, გრძნეული ზღაპრები.

წამოვწვებოდი ამ მშვენიერების საკურთხეველთან და ვოცნებობდი იმ ბედნიერებაზე, რომელიც არ არის და, ვინ იცის ეგება არც ოდეს ეღირსოს კაცობრიობას

უგდებდი ყურს ტბის ჭავლის ლივლივს და მეგონა ჩემთან იყო ვიღაცა უხილავი, მაგრამ უზომოდ მოსიყვარულე და იგი მიამბობდა მომხიბლავ ბალლადებს...

უნდა გამოვეთხოვეთ მშვენიერ ჩემს მეხვაშიადეს...

ჩემი კაეშნის გამქარვებელ ტბას.

წავედი.

სიშმორემ შემაყენა.

გავცბი.

დავიბნიდე.

ტბის ფსკერი მოსჩანდა ლია-წუმპით სავსე და ისა ჰშხამავდა ჰაერს.

მას მხოლოდ ზედა პირზე ჰქონოდა მოქცეული წმინდა, ანკარა წყალი... ძირი კი აჰყროლებოდა და გაბინძურებულიყო, როგორც გამცემის გული...

ტბის ფსკერში გველებიც იგლარძებოდნენ...

ვერც კი დაიჯერებდა კაცი, რომ სულ მცირე ხნის წინეთ ამ ადგილას ირწეოდნენ ტბის ზეირთები...

ამ ჭაობის კიდეზე ადამიანი ეძლეოდა ტკბილ განცდათა ლამაზ ზმანებას...

## IV

### გვიან-ღა არის

როდესაც უკანასკნელად მიილულებიან სიკვდილის რულით შენი თვალები, მხოლოდ მაშინ მოგაგონდება ადამიანი, რომელიც მარად შენს კარზე ათევდა ღამეებს.

იგი შემოგღაღადებდა: ხან ფრთა მსხვრეულ მტრედის ღუღუნით... ხან ყიამათ ღამეში, გარეთ დარჩენილ ლეკვის წკმუტუნით... გემუდარებოდა მოსტკბობოდი, გესმინა მისი ხვაშიადი.

შენ კი კერპი იყავი, გაუგონარი.

არ აღებდი კარებს.

გულქვაობით გადაგერაზნა იგი.

გულციობის ფარდებით ჩამოგებურა გულის სარკმელი...

სტკბებოდი იმ აზრით, რომ გარეთ ამოუთქმელ ჯავრით დნებოდა და ილეოდა ადამიანი...

მოიგონებ ყველა ამას მხოლოდ მაშინ, როდესაც გარდაუვალი სიბერე წაგიყვანს სიკვდილის ბილიკებისაკენ...

ყავარჯენზე დაბჯენილი, სიცოცხლეს გადარჩეული მოიგონებ იმ ძველს, უარყოფილს მეგობარს...

მოგენატრება ჩამოფხრეწა მიუკარებლობის ფარდებისა...

ალერსიანად გასახმაურებლად გაიწვდი სულთმობრძაობის ჟრუოლისაგან აკანკალებულს ხელს...

ამაოდ...

ღრმა შემოდგომის მძაფრი ქარი უსასოო ქვითინით გადაგირბენს უკანასკნელი სურვილით ანთებულს სახეზე და ჩაგძახებს უუსაშინელეს სიტყვას:

გვიანღაა!.. გვიან!..

გაგაგებინებს იგი, რომ შენგან უარყოფილი ადამიანის კარები კარგა ხანია რაც გამოიკეტა სიპარტახის რაზა-კოჭაკით..

აბლაბუდა გაიბა იქ, სადაც ამოქარგული იყო ობოლ ტრფობის ოქროს სიზმრები...

**დ. თურდოსპირელი.**

# მ ა მ ა

(თარგმანი).

ჩემს მეხსიერებაში ღრმათ აღიბექდა, დაბალი ოთახი ჭუჭყიან-გამურულ კედლებით, განიერი, დანჯღრეული საწოლი—ზედ ქუჩათ დაყრილ დიდრონ ბოხჩებით, ეს იყო ჩვენი საცხოვრებელი. შუაღამე იქნებოდა დედამ გამომაღვიძა ნელის და აღშფოთებული ჩურჩულით. ადექი, შვილო, ტანისამოსი უნდა ჩაგაცვა! მე გადავბრუნდი მეორე გვერდზე, მინდოდა სახე ჩამემალა ბალიშში, მაგრამ დედამ აჩქარებული დამიწყო ნძრევა: არ შეიძლება ძილი.., ადგომაა საჭირო.

მე დავიწყე ჩუმათ ფრუტუნი, მაგრამ მამამ სასტიკათ დამემუქრა თითით:

ადექი, შენ გეუბნებიან!

სახე ჰქონდა ფიქრიანი და დაღონებული.

ხელები ისე უკანკალებდა, როგორც ციების დროს...

ერთათ-ერთი ფანჯარა ჩვენი ოთახისა იყო ყრუთ ჩამოფარული შავი ხელცახოცით, იატაკზე-კი იდგა ანთებული პატარა ლამფა.

ჩემ გამოღვიძების შემდეგ; მამა და დედა მოუსხდნენ ლამფას და დიდხანს სთვლიდნენ თითბრებს; სწვამდნენ რაღაცა ქაღალდებს.

ოთახში ქაღალდის საძაგელი სუნი დადგა, რამაც დამაწყებინა ხველება.

გაჩუმდები თუ არა! გაბრაზებული დამიყვირა მამამ.

მე შემეშინდა და გავჩუმდი.

უცბათ ეზოში მოუსვენარის ხმით დაიწყო ძაღლმა ყეფა; მამა და დედა შეშინდნენ, ჩააქრეს ლამფა და დიდხანს ყურს უგდებდნენ, დიდი ხნის შემდეგ, ჩვენ ფარულათ გამოველით ეზოში. კარში სიცივე იყო, დედამიწას გადაჰფარებოდა მაგარი ყინული.

—უხ! რა ყიხულია ეს ვერანა! ეშმაკმა-კი წაიღოს ჰა,—ილანძღებოდა ჩუმათ მამა, მე-კი მივცურამდი ძაგძაგით ყინვაზე და ჩქარ-ჩქარა ვეცემოდი, დედას მოჰქონდა ხელში ორი დიდი ბოჰხჩა, მამას კიდევ მე მივყვანდი ხელ დაჭერილი, მეორე ხელში მაგრათ მეჭირა დიდი ქესტის ჩაინიკი უსახურავო. მამას იღლიის ქვეშ ეჭირა ყუთი და ერთი ბალიში.

ჩვენ დავდევგით ერთ შემოფიკრულთან. მამა მაშინათვე გადაცოცდა იმაზე, დედამ მიაწოდა ნივთები, ბოლოს ამწია და მიმაწოდა მეც.

მე დავინახე გადმოსვლის დროს, როგორ მოულოდნელათ ჩამოიხია კაბა-დედამ.

ჩვენ დიდხანს მივდიოდით მიყრუებულ ქუჩებზე, ბოლოს გავედით ქალაქის განაპირას, სადაც შეგვხვდნენ ვიღაცები.

— სხვა, როგორ? შეგვეკითხნენ ისინი.

— მშვიდობიანათ,—უპასუხა მამამ, მოიხადა ქუდი და დაიწყო მაჯებით შუბლის წმენდა. მაღალმა კაცმა შავწვერებიანმა ამიყვანა ხელში და მკითხა:

ჰა, შენ როგორლა ხარ?—და ხელში აყვანილი წამიყვანა წინ.

მე შემეშინდა მის შავი წვერისა და დავიწყე მაღლა ხმით ტირილი.

იმან მაგრათ მომიჭირა პირზე ხელი და დამიწყო დარიგება.

— ციც... არ შეიძლება ტირილი... ახ. შეპატარავ, რა მოუსვენარი ხარ!

ჩვენ ყველანი შევედით სადღაც უცხო ოთახში, სადაც ბევრი ხალხი იყო.

მე დამაწვინეს სხვის საწოლზე, მამას და დედას კი შემოეხვივნენ ოთახში მყოფნი და დიდხანს ჩუმათ რაღაცაზე ემასლაათებოდნენ.

მე გამამაღვიძა რაღაცა სროლამ და ყვირილმა.

ოთახში, დედიჩემის მეტი არვინ იყო, ის ხან მიირბენდა ფანჯარასთან და ხან ჩემთან ხელების მტვრევით:

— ღმერთო, გვიშველე! ღმერთო გვიშველე!

მერე გაჩერდა კარებთან და დიდხანს ყურს უგდებდა. მთელ ღამეს ეზოში ისმოდა ხან გამოშვებით სროლა, გათენების ხანს შესწყდა.

კარები ხმაურობით გაიღო და ოთახშა შემოვიდნენ ვიღაცა წარჩინებული სამხედრო პირნი და იმასთან ერთათ ბევრნი ჯარის კაცნი.

დედამ ამიყვანა ხელში და ჩვენ გამოგვიყვანეს ეზოში. როდესაც ჩვენ მივდიოდით ქუჩაზე, ყოველ მხრიდან გარს გვერტყნენ დაბლვერილნი ჯარის კაცნი „შტიკებით“, გამვლელნი-კი გაკვირვებულნი ჩერდებოდნენ და გვიყურებდნენ ჩვენა.

მე და დედაჩემი მოგვათავსეს ბნელს-უფანჯარო ოთახში, მხოლოთ კარებსა ჰქონდა მრგვლათ ამოჭრილი პატარა საჭვრეტელა.

დედაჩემი მალ-მალე იყურებოდა ამ საჭვრეტში და ნამტირალევი ხმით სთხოვდა რაღაცაზე. მე ძალიან მინდოდა შემეყურა ამ ჭუჭრუტანაში, მაგრამ ის ძალიან მაღლა იყო, რისათვისაც დედას დაუწყე თხოვნა, რომ აეწია და და შეეხედებინა ამ ჭუჭრუტანაში.

არაფერია სანახავი... იჯდე წყნარათ!

დაღვრემილმა მიპასუხა მან, და სევდით ძალზე სავსე თვალები მომაჩერა-მოწყენილნი, მოწყენილნი... ჩქარა კარები ჭუჭრუტანით გამოიღო და დედას დაუძახეს ვიღაცა სალდათებმა და წაიყვანეს. მთელი ღამე მე გავატარე მარტოკა, დილით-კი დედა დაბრუნდა საიდანღაც ნამტირალევი და დამიწყო ტანისამოსის ჩაცმა.

— წავიდეთ,—მითხრა მან.

— სად?—ვკითხე მე.

— სახლში.

და ჩვენ დავბრუნდით იმ დიდ ოთახში, საიდანაცვენ წაგვასხეს ოდესმე.

ოთახში, იატაკზე ეყარა. აწეწილი ნივთები და დაბურდღნული ლეიბი.

— დედი, ვეკითხებოდი მე მას, აქ ქურდები იყვნენ?

— მართალი ავაზაკები,—მიპასუხა იმან და დაიწყო ოთახის დალაგება.

მე ვიჯექი და ვფიქრობდი როგორი ავაზაკები იყვნენ? მგონი, მაღლები, მაღლები, შავი-წვერებით და სამთავიანები.

— ო-ო ავაზაკებო!-ვიძახდი მე და ვკუმშამდი მუშტებს.

კუთხეში, ხატის წინ დედამ აანთო კანდელი, ხშირათ იყრიდა მუხლს და ლოცულობდა. მერე ის მოვიდოდა ჩემთან;

ხლოცე, შვილო ღმერთი... ჩქარა მამა არ იქნება... და მამაშორებდა პირს.

მე დავდგებოდი მუხლის თავებზე, ბევრხანს და ხშირათ, ვიწერავდი პირჯვარს და ვთხოვდი;

— ღმერთოჯან, დაიხსენ მამა!

მერე უჩვენებდი ხელით ფანჯრისაკენ და ვამბობდი — ის იქ არის.

შუაღამისას ჩვენთან მოვიდა მაღალი კაცი, შავი წვერებით და რაღაცა წასჩურჩულა დედას ყურში. დედამ დამიწყო საჩქაროთ ტანისამოსის ჩაცმა.

სად? მე არ მინდა... ცივა ვტიროდი მე.

— მამასთან წავიდეთ მითხრა მან.

— არ მინდა... ხვალე, ეხლა ცივა ვჯიუტობდი მე.

— ბრიყვო,—მითხრა,—ის შენ ვაშლს მოგცემს.

— ვინ? ვკითხე მე.

— მამა..

მე გამეხარდა და გაუწოდე დედას ორთავე ხელი, რომ ჩაეცმევინა ხელთათმანები.

როდესაც ჩვენ გამოველით ქუჩაზე, გარშემო იყო თეთრი თოვლი.

მე ვაკეთებდი თოვლის მრგვალ ბურთებს, ვისროდი იმათ წინ და მაგრათ ვიცინოდი.

ჩვენ მიველით დიდ ორ სართულიან ლურჯ სახლთან, რომელიც შემოფარგული იყო ყოველ მხრიდან მაღალი ქვიტკირის კედელით.

დედამ მე დამაყენა ცოტა მოშორებით, თითონ-კი დიდხანს ლაპარაკობდა კარებთან ვიღაც კაცთან, რომელსაც ქამარზე ეკიდა დიდი რევორველი. ის დიდხანს უსმენდა დედას, მერე დაუქნია თავი და გააღო რკინის კარები.

ჩვენ გავიარეთ დიდი ცარიელი ეზო და მივველით ლურჯ სახლთან. ჩვენ დაგვხვდა მეორე კაცი, იმასაც რევოლვერი ეკიდა ქამარზე, და რომელმაც შეგვიყვანა სახლში.

როდესაც ჩვენ შევედით დიდ ნათელ ოთახში, ვიღაცა კაცმა დამიწყო ჯიბეების შინჯვა, მერე დედაჩემს შეეხო ხელებით.

მე მეცინებოდა როდესაც უყურებდი, რომ როგორ მუყაითათ უშინჯამდა დედაჩემს კაბის ნაოჭებს.

მე მოვაგონე, რომ ოდესღაც ჩვენსა იყო ექიმი და სწორეთ ისიც ესე მშინჯამდა, და მე გადავწყვიტე, რომ ეს კაციც— ექიმია.

— შედით საქვა იმან და გაიხსნა კარები.

ჩვენ დიდხანს მივდიოდით დიდ დერეფანში, სადაც აქა-იქა კიდლებზე ეკიდა პატარა ანთებული ფარნები, საიდანაც ბოლოს გამოველით დიდ ოთახში, სადაც შუა ალაგას იატაკიდან ჭერამდი იდგა რკინის რეშოტკა.

— არ იტირო, თუ ღმერთი გწამს, ნუ სტირი!

— ჩამჩურჩულა დედამ და დადგა რეშოტკასთან, ჩქარა რეშოტკის მეორე მხრიდან გაიხსნა სხვა კარი და იქიდან გამოვიდა მამაჩემი.

მე ერთბაშათ ვერ ვიცანი ის. ის ძლიერ დაბერებულიყო, გამხდარიყო, და მის ფეხებზე კი ჩხრიალებდნენ რკინის ხუნდები.

დედა მაგრათ მიეკრო რკინის რეშოტკას და დაუწყო მამას ტუჩებში კოცნა.

— აქ მოდი!—დამიძახა მე მამამ.

მე მივედი რეშტკასთან და გაკვარვებული დაუწყე დათვალიერება მის თეთრ ხუნდებს—ფეხებზე.

დედამ ამოიღო ჯიბიდან ვაშლი და შეუმჩნევლათ ჩაუდო მამას ხელში.

— დაიჭი!—მითხრა მამამ, და მომცა ვალში.

მე მოვკბინე ნაჭერი და მინდოდა შემეჭამა ის, რომ დედამ გაჯავრებული მითხრა:

მერე, ეხლა-კი გამოემშვიდობე მამას!

მამამ დაიხარა, დაიჩხრიალა ჯაჭვებმა, აიღო ჩემი ხელი და დიდხანს ჰკოცნიდა.

ლოყებზე მას ჩამოზდიოდა დიდრონი ცრემლები და სწვამდნენ ჩემს ხელის გულს...

როდესაც ჩვენ გამოვედით ამ სახლიდან დედამ ამიყვანა ხელში და ჩუმათ მითხრა:

— მამა სრულებით აღარ იქნება.

როგორ? გავკვირდი მე. ის იქ დარჩა მთლათ ცოცხალი. დედა მემეკრო სახეზე და ხმამაღლა დაიწყო ტირილი თან ხელში აყვანილი მივყვანდი ქუჩაში.

მე ვიბრუნებდი თავს უკან, უჩვენებდი ხელით დიდს ლურჯ სახლს და ვეუბნებოდი.

— ის იქ არის!

გზაზე ჩვენ შემოგვეყარნენ მარხილები ჩავსხედით და გავსწიეთ ქალაქისაკენ.

ჰაერში ტრიალებდნენ ყურთუკივით თეთრი თოვლის ნაჭრები. მე ვიჭერდი მათ პირით და ძალიან მესიამოვნებოდა, რომ საჩქაროთ დნებოდნენ პირში.

ქუჩაში ბნელოდა და ადგილ-ადგილ ენთო ფარნები, საყდარში კიდევ რეკამდნენ ზარებს საღამოს ლოცვისათვის.

მთელი ღამე დედა იდგა მუხლის თავებზე—ხატის წინ ჩუმათ ლოცულობდა.

მე მარტოკა ვიწექი კრავოტზე, არ მეძინებოდა და ძალიან მოწყენილი ვიყავ.

— შვილოჯან, დღეს მამაშენი აღარ იქნება!

ღმერთო მიშველე! ღმერთო მიშველე!

ტიროდა ის.

ის იქ არის... უჩვენებდი მე ხელით ფანჯარაში. გათენების ხანს მე ჩამეძინა.

მეორე დღეს დედა შეიმოსა სულ შავებით მე კიდევ მკლავზე შემომაკრა შავი ლენტი.

ჩვენ წავედით სხვა ქალაქში.

მატარებელში ვიღაც ქალმა თანაგრნობით მკითხა მე

— მამაშენი სადღა არის?

იქ! უჩვენე მე ხელით ვაგონის ფანჯარა.

დედაჩემა კი სწრაფად დაიხარა ამ ქალისაკენ და ყურში ჩუმათ ჩასჩურჩულა:

ჩამოახრჩვეს.

**მანთაშა.**

# გაზეთებიდან

**სოფლის ინტერესების სადარაჯოზე.**

ამას წინათ მომხდარ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის პლენუმის სხდომაზე, დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საბჭოთა ქვედა აპარატის გაჯანსაღებას და რევოლიუციონურ კანონიერების გატარებას ცხოვრებაში.

სასოფლო აპარატის განმტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა შვერინგმა. აქვე მოგვყავს ეს სიტყვა ამ საკითხზე:

მომხსენებელმა განაცხადა: „უწინარეს ყოვლისა არჩევნებში გლეხების მონაწილეობა ამტკიცებს მის აქტივობას და ინტერესს საბჭოთა აღმშენებლობისადმი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ყოველგვარი არანორმალური მოვლენები დაბალ საფეხურის აპარატში და მომავალშიც თვალყური ადევნოს ღონისძიებათა გატარებას ამ ანორმალობის თავიდან ასაცილებლად.

კერძოთ, სასოფლო საბჭოების არჩევნის პრაქტიკა ამტკიცებს, რომ საჭიროა, რათა გაგრძელებული **იქნას საარჩევნო კამპანიის ვადა, არჩევნები ხდებოდეს იმ პერიოდში, როდესაც გლეხობა თავისუფალია სასოფლო-სამეურნეო მუშაობისაგან, შემდეგ—საარჩევნო ცენტრი დაუახლოვდეს ამომრჩევლებს, სისწორით განისაზღვროს წარმომადგენლობის ნორმა და სხვა.**

არა ნაკლები მნიშვნელობა დაბალ საფეხურის აპარატისათვის აქვს საკითხს რაიონებათ დაყოფის, შესახებ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ და საკონტროლო კომისიამ სისტემატიურად უნდა შეისწავლონ თვითეული გამოცდილება და მიიღონ მონაწილეობა რაიონებად დაყოფის საქმეში შეცდომების გამოსწორებაში და თავიდან აიცილონ სოფლებისაგან სათემო ცენტრების მოწყვეტილობა.

ამავე დროს ისმება საკითხი დაბალ საფეხურის ორგანოებს შორის მუდმივი კავშირის შესახებ. საჭიროა მუდმივი ინსტრუქციების მოწოდება, მორიგი მოხსენებები, სპეციალური თათბირები სამაზრო და საოლქო აღმასკომებთან, საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომების წევრთა მოგზაურობა თემებში, სათემო აღმასკომების და სასოფლო საბჭოების მუშაობის შემოწმება. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დაბალ საფეხურის საბჭოთა მუშაკის შერჩევაში. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის ორგანოებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ სათემო ბიუჯეტის განმტკიცებას და თვალყური ადევნონ იმას, რათა ეს ბიუჯეტი სისწორით იქნას შედგენილი, მაგრამ რათა მასში მთლიანად იქნას გამოყენებული ყველა საშემოსავლო მუხლები.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა ორგანოების გაჯანსაღებას სოფლათ, წარმოადგენს რევოლიუციონურ კანონიერების გატარება, ბრძოლა უწესოებასა და ბოროტმოქმედებათა წინაალმდეგ“.

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ჩემი შთაბეჭდილებანი

გორში ყოფნის დროს დავათვალიერე ნინო გულურჯიძის კუსტარული საქსოვი ქარხანა, რომელსაც ცოდნა შეუძენია რუსეთის საქსოვ ფაბრიკაში და რომელსაც დაუწყია მუშაობა აქ 1923 წლიდან თავის ინიციატივით. 1924 წლიდან კი ქარხანა გადასულა მიწათ-მოქმედების კომისარიატის შინა მრეწველობის განყოფილებაში, რომელიც აწვდის ცოტ-ცოტაობით ძაფებს და ნაწარმოები კი მიდის წარმოკავშირში.

გლეხები მასალისათვის სელის ღეროებს ძლიერ ზანტათ იძლევიან; ისინი სთესენ მას მხოლოდ ზეთის გამოსახდელათ, ღეროების მნიშვნელობა მათ ამდენ ხანს არ სცოდნიათ და ღეროებიანათ ლეწენ კალოზე კევრებით, რომ გალეწონ და მიიღონ თესლი. მათ ეზარებათ თავთავის წაჭრა ღეროებიდან. საჭიროა მანქანით შეუმსუბუქოთ ამის მოქმედება, წავაქეზოთ ისინი რომ რაც შეიძლება მეტი სივრცე დათესონ. ამ რაიონში შეიძლება ასეთი ფაბრიკის გახსნა, სადაც იმუშავებენ 2000 მდე სპეცი—მქსოველნი. და ამის გარდა ამავე წარმოებაში საჭირო გახდება ამუშავდეს ხუთჯერ მეტი შავი მუშა შემდეგი სახით: მთესველების, გადმომზიდავების ურმებით, ღეროების დამლბობის, გამშრობების და გამომბეგვავების სახით, რომ კანი ღეროებს გაეცალოს და სხვა. გარდა ამისა დაგროვდება აუარებელი სელის თესლი, როგორც ნედლი მასალა ზეთის ქარხნისთვის და აქ დამზადდება, არამც თუ ამიერკავკასიისათვის სამყოფი საუცხოვო ზეთი, არამედ ჩვენ შეგვეძლება ის რუსეთშიც და საზღვარ გარეთაც ბლომათ გავიტანოთ, ამ დარგშიც 2000 კაცი მუშები იშოვნიან სამუშაოს და ამრიგათ ჯერ ერთი ჩვენ 10,000 კაცს მოუპოვებთ საქმეს და მეორეც, მხარეს და სახელმწიფოსაც შემოსავალი წყარო აღმოუჩნდება.

ნინო გულურჯიძე, რომელიც ეხლა გამგეთ არის ამ პატარა კუსტარულ ქარხნისა, როგორც სჩანს ნამდვილი მცოდნე ყოფილა ყოველივე წვრილმანისა ამ დარგში. ის ამტკიცებს, რომ გორის მაზრაში მოდის საუცხოვო სელი, გაცილებით უკეთესი ღირსების ვიდრე რუსეთში და თუ იქნება ზომები მიღებული ამ კულტურის გაფართოებისათვის ამ მაზრაში—გლეხებს დაურიგდებათ საუკეთესო ჯიშის თესლი, ყოველ მხრივ იქნება მიღებული ზომები, რომ ამ კულტურით დაინტერესდეს გლეხები. აქ მოვა იმდენი ნედლი მასალა ამ ძვირფასი საძაფე მცენარესაგან, რომ ჩვენ ნედლი მასალის სახით ვალიუტის საქონელსაც შევქმნით და აქ, დიდი ფაბრიკისათვისაც დაგვრჩება. დათვალიერების დროს მე მაჩვენეს აქ მომუშავე ქალების ნაწარმოები ამ ადგილობრივი სელის ღეროებისაგან მომზადებული ძაფისაგან; სუფთა, თეთრი მკვიდრი და მოსახმარი, როგორც ხალათებისათვის აგრეთვე თეთრეულებისა-

თვისათვისაც, და თუ აქ საუცხოვო საქონელი მზადდება ამ პრიმიტიულ-კუსტარულ იარაღებ-საქსოვებით, რა თქმა უნდა გაცილებით უკეთესი დამზადდება, როცა ეს უბრალო საქსოვები ამ დროულ ტეხნიკის მიხწევების მიხედვით გაუმჯობესებულ მანქანებით შეიცვლებიან. აქ მუშაობენ ქარელადან მოწაფეები, რომლებიც ეხლა უკვე ათავებენ სწავლას, მეტრის მოქსოვაში ღებულობენ სამ შაურს, გამოდიან დღეში ცხრა შაურიდან 1 მ. 50 კაპ.-მდე, გამგე ღებულობს 46 მ. 26 კ., მასწავლებელი ქალი 34 მ. 10 კ. დარაჯ მამაკაცს 24 მ. 50 კ. ეძლევათ თვიურათ. საჭიროა საპონი და ხალათიც, რაც მათ როგორც სჩანს არ ეძლევათ.

ეს ფრიად სიმპატიური, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ეკონომიურად ამაღორძინებელი დარგი ამ პატიოსანი მშრომელის, ნიჭიერის და მცოდნე ადამიანის ინიციატივით რომ ჩასახულა აქ, რომელიც ისე შეხარის და შეფოთქინებს ამ თავის ნაამაგარს, როგორც დედა თავის საყვარელ ნორჩ შვილს, ჭეშმარიტათ რომ ყურად-საღებია და დანაშაულიც იქნება, რომ ყურადღება არ მიექცეს. ამისათვის ჩემის აზრით უნდა დაარსდეს განსაკუთრებული სპეციალურად შერჩეული ჯგუფი, რომელთაც ცოდნაც ექნებათ საქმიანობა-ეკონომიისა და ზედ მიწევნით ალტაცებული პატრიოტიც—რევოლიუციისა, რომლის გამტკიცებას ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურული ზრდა-განვითარება. მე ვამბობ და სრული ჭეშმარიტებაა, რომ გორის რაიონში ახლავე შეიძლება დიდი საქსოვი ფაბრიკის და ზეთის ქარხნის გახსნა, რაც არ უნდა მიეცეს დაყოვნებას და საჩქაროთ მოგვარდეს ეს საქმე.

დათვალიერების შემდეგ, საღამოს 6 საათზე გაუემართე ადგილობრივ კლუბში, სადაც შესდგა მრავალ-რიცხოვანი კრება. დარბაზში და სცენაზე ტევა აღარ იყო, ხალხით იყო გაჭედილი აგრეთვე კლუბის გვერდით მდებარე დარბაზიც, საიდანაც ფანჯრებიდან და ღია კარიდან უსმენდნენ მოხსენებას აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მომხდარ გამოსვლების შესახებ. ხალხს, რომელსაც ადრე ქონდა შეტყობილი მოხსენების თემა დიდი დაინტერესება ემჩნეოდა. ბევრი დაბრუნდა უკან უადგილობის გამო. მოხსენების დროს ბუზის გაფრენასაც კი შეამჩნევდით ისეთი სიწყნარე იყო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მხოლოდ ერთ ინცინდენტს. ჩემს უკან სცენის უკანა ნაწილიდან, როცა გართული ვიყავი მოხსენებაში, მომესმა გესლიანი სიტყვები: „ილაპარაკეთ ეგრე ტკბილათ, მაინც არ გენდობითო, თქვენ მარტო სამარე გაგასწორებთო“ უეცრივ მოვტრიალდი მაგრამ ვერ შევამჩნიე ვინ იყო იმდენ ხალხში, თორემ ზედ მივეჯახებოდი, იმდენად ამაღელვა ამ ყოვლად უმზგავსო ყბედობამ. მოვიკრიბე მოთმინება და თითქმის სრულიად შეუჩერებლივ განვაგრძე მოხსენება, რაც სრული 1 ნაევარი საათი გაგრძელდა. ფსიხოლოგიურად ემჩნეოდა რომ ხალხი კმაყოფილი დარჩა მოხსენებით. იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს. კამათში მონაწილეობაც მიიღეს და მოხსენების შემდეგ შესაფერისი რეზოლიუციაც გამოიტანეს.

30 აპრილს ავედით მეჯვრისხევის რაიონში, მოხსენების თემა ადრე ქონდა შეტყობინებული ხალხს, რომლებიც დიდათ დაინტერესებულიყვნენ, რაც იქიდანაც სჩანდა რომ ხალხს ადრევე მიეტოვებინათ სამუშევარი (ვენახის მუშაობა და გუთანი), კრება გაიხსნა 6 საათზე და 30 წუთ. მოხსენება კარგათ ჩატარდა, შეკითხვები ბევრი იყო და კამათშიც მიიღეს ზოგიერთმა მონაწილეობა. გვესაყვედურებოდნენ რატომ ადრე არ ამოიღო თბილისის მუშებმა ხმა და რათ მიგვიყვანეთ აგვისტოს საშინელებამდეო. ზოგი გლეხი ჩივის, რომ მენშევიკების დროს ზოგიერთებმა და მათ შორის უმრავლესობამ კულაკ-შეძლებულებმა საგლეხო საკრედიტო ბანკიდან გამოიტანეს ბლომა სესხი, ეს ფული მოიხმარეს, ეხლა კი ბანკი სუსტია. ჩვენს მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, არ გვაქვს საშვალება სესხი ავიღოთ, რომ ცალი ხარი ვიყიდოთო და ისინი კი ფულის შეტანაზე არც კი ფიქრობენო; მოითხოვენ, რომ აიძულონ ამ ფულების შეტანა ბანკში და მით საშვალება მიეცეთ ღარიბ გლეხებს შეიმსუბუქონ მდგომარეობა. აქაც მიღებული იქნა მოხსენებიდან გამომდინარე რეზოლიუცია და აირჩიეს სარაიონო რწმუნებულები, რომლებსაც დაავალეს განაგრძონ მუშაობა თემის და სოფლების მასშტაბით. ძალიან ემდურიან წვრილ-ფეხა მოხელეების უხეშ მოქცევას და უდიერობას, რასაც ძველად უფრო მწვავე ხასიათი ქონებია, მაგრამ ეხლა კი თანდათან გამოსწორებულა საქმე, რასაც გორის ეხლანდელ ხელისუფლების სათავეში ორ ამხანაგს ქურდაძეს და სიამაშვილს უმადლიან.

დავათვალიერეთ ტირიფონის არხი, რომლის 55% უკვე გაუკეთებიათ და აწინდელი სამუშევარი უფრო ადვილიაო აგვიხსნა სამუშევარზე მყოფ ტეხნიკმა. ამ ჟამად არხზე მეტი წილი ოსობა მუშაობს, რომლებმაც მცირე ხელფასზე შემოგვჩივლეს. (ისინი ნარდათ საჟნობით მუშაობენ და 1 მანეთიდან 1—50 კაპიკამდე ღებულობენ დღეში.) ჩვენ აუხსენით მათ არხის საერთო მნიშვნელობა, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება არას დაიშურებს მუშებისათვის შესაძლებლობის ფარგლებში, რაზედაც ის ინიც დაგვეთანხმდნენ. ეხლა მათ გორის ხელისუფლება უხსნით უფასო სასადილოს და აწი კი მუშების მდგომარეობა გაუმჯობესებულად უნდა ჩაითვალოს. საერთოთ უნდა აღინიშნოს, რომ გორის ხელისუფლება დიდ ენერგიას იჩენს ყოველ დარგში საზოგადო მუშაობისა და უნდა ვიმედოვნოთ, რომ თუ ისინი არ მოიღალნენ იმ დიდ მიღწევებს, რომლებსაც ჩვენ ქვევით მოვიხსენიებთ უფრო თვალსაჩინოთ გახდიან. იმ ღამესვე წამოველით გორში. მეორე დღეს 1 მაისს ქუჩები გაჩირაღდნებული იყო წითელი ფლაგებით, ნოხებით და ყვავილ გრილიანდებით, ხალხი ზეიმობდა, ბაღებისაკენ მიეშურებოდა, მხოლოდ ქუჩებში მანიფესტაცია გაემართათ პატარა პიონერებს. ხელისუფლება კი სადღესასწაულო ხასიათის საქმიანობას განაგრძობდა. მათ მეც აევედევნე, რომ მენახა ჩემის თვალით ყოველივე ის თუ რა კეთდებოდა ან რა გაუკეთებიათ. მათაც დიდის სიამოვნებით დამათვალიერებინეს თითქმის ყოველივე. დავიწყეთ ახლად აგებულ საავადმყოფოდან, რომელიც კოხტათ მოუწყვიათ, რომ თბილისსაც კი შეშურდება. შეიძლება ვინმემ შემნიშნოს და ჩემი სიტყვები გადამეტებულად ჩასთვალოს ვითომთც მათ ვიცავდე, მაგრამ დეე ვისაც რა უნდა ისა სთქვას მე კი ჩემი სინიდისის წინაშე სრული მართალი ვარ და ვამბობ იმას რასაც ვგრძნობ და ვამჩნევ.

საავადმყოფოს აქვს თითქმის გორისათვის საკმაო ოთახები ყოველნაირ ავადმყოფების მოსათავსებლათ, ოთახები სუფთა და სინათლიანი. ხირურგიული განყოფილება უკანასკნელი ტეხნიკის მიხედვით მოწყობილია თავის ხირურგიულ ხელსაწყოებით, აქვს ნაკლიც: საქი-

რურგო ოთახს არ უვარგა გასათბობი ფეჩი, რომელსაც შეეძლოს ერთნაირი სითბო დაიკავოს, რაც საჭიროა ოპერაციის დროს. დოსტაქარი დიდებული მცოდნე და ენერგიული კაცი უშოვნიათ, რომელიც დიდ რთულ ოპერაციებს აკეთებს და დიდათაც უყვარს ხალხს, ბევრისაგან გავიგონე: ეგ სასწაულს ახდენსო.

აქვთ რენტგენის სხივების აპარატიც. ეს შენობა დაზიანებულ-დანგრეული ყოფილა მიწის ძვრის დროს და მის შეკეთებას თურმე ახალის აშენება სჯობდა. ნახევარი შენობისა, მაინც სულ ახალია. ამ საავადმყოფოს ძვირფასი ბაღი აკრავს, რაც აუცილებელია ავადმყოფთა გასასეირნებლათ და სუფთა ჰაერის სასუნთქათ.

შემდეგ ვინახულე ელექტრონის სადგური საიდანაც დღე წისქვილი მუშაობს, ხოლო ღამე ქალაქი ნათდება. ვიყავით ხერხის ქარხანაში, საცა დიდი მუშაობა სწარმოებს და საიდანაც აწვდიან დამზადებულ ხე-ტყის მასალას თბილისს და ადგილობრივ საჭიროებისათვის: საქმე ისე არის დაყენებული, რომ აქ არც ერთი პაწია ნაჭერი ხისა არ იკარგება. ის რაც არ გამოდგება სხვა რამეთ მაგალითად ხის გადანაჭერი მოკლე თავები, მიდიან ბურბუშალის დამამზადებელ ქარხანაში და იქ გადამუშავდება ხილის სახვევ ფაფუკ თივისებურ ბურბუშელათ.

აქ მუშაობენ დაახლოვებით 200-მდე კაცი მათ შორის ყოფილან ქალებიც, რომლებიც საიოლო საქმეს აკეთებენ. აკეთებენ ახალ აბანოს რომლის კედლები უკვე ამოყვანილია და მგონი დაამთავრონ ერთი წლის განმავლობაში.

სახერხი ქარხნიდან, სადაც საუცხოოდ არის დაყენებული საქმე, წავედით ბაღის დასათვალიერებლად, რომელიც სამი ვერსით არის დაშორებული ქალაქზე. ბაღი ყოფილა ვილაც მემამულის, რომელსაც ბაღი საუცხოო ალაგას გაუშენებია ძვირფასი ხეხილების ჯიშებით. უხალისოთ მივდიოდი ამ ბაღისაკენ, რადგან მეგონა, რომ ის გაველურებულ-გაპარტახებული იქნებოდა ისე, როგორც ის სხვაგან ბევრ ალაგას ასე ჩამორთმეული ბაღები, (რომ ვერ მოუვლიათ) გაველურ-გაპარტახებულია და ალაგ-ალაგ გადაჩეხილიც. ჩემი მოლოდინი საბედნიეროდ არ გამიმართლდა, ბაღი მშვენივრათ არის მოვლილ-გაშოშნილი და აშკარად ეტყობა ადამიანის მზრუნველობა, გამოცდილი მეურნის ხელი. ყველა ხეები კოხტათ არის გასხლული და მოწამლულიც, რომ დაცულ იქნენ მავნე მწერებისაგან. ყველა ხეების უხვი აყვავილება მოწმობს, რომ ხეები ჯან-საღი არიან და ბლომა ხილსაც მოისხამს წრეულს. ბაღში არის რამოდენიმე ასეული ძირი ფუტკარისა, რომელსაც ჰყავს დიდათ მომზადებული მოვლელი, რომლის ხელმძღვანელობით ემზადებიან გლეხები, სამი კვირის განმავლობაში და აქვე ფუტკრის მოვლა მოშენებას პრაქტიკულად და ტეორეტიულად გადიან. შემდეგ ამ გლეხებს ეძლევათ რამოდენიმე ძირი სკისა იმ პირობით, რომ მათ მოუარონ, გაამრავლონ და შემდეგ თავნი ისევ უკან დააბრუნონ, ხოლო ნაყარი დაიტოვონ თავის სრულ საკუთრებათ. ამრიგთ ხდება თანდათანობით ყველა გლეხების სრულიად უფასოთ დაკმაყოფილება სკებით და მათი დაინტერესება-ჩაბმა ამ ფრიად სიმპატიურ და სარგებლიან დარგში, როგორც თვით გლეხისათვის კერძოთ აგრეთვე სახელმწიფოსათვისაც.

ბაღის დათვალიერების შემდეგ შევუხვიეთ საბავშვო სახლში. სახლი გაშენებულია გაშლილ ადგილზე, სისუფთავე და ჰაერი შესაფერისია ასეთ დაწესებულებისათვის. ჩვენი მისვლისას საუზმობდნენ ბავშვები, რომელთაც თავს ადგა მომვლელ-მეთვალყურე ქალი. ამ სახლში არიან მოთავსებული საქართველოს ულარიბესი გლეხების შვილები, ზოგი მათგანი ობლები არიან. ობსოლიუტური უმრავლესობა ქართველებია. წლოვანებით 2—6 წლამდე და საბავშვო ბაღის ჯგუფი კი 11 წლამდე. სულ არის 61 ბავშვი. დავათვალიერეთ ბავშვების სადგომი შენობაც. აქვსთ სცენა, იქ ეს პაწია ბავშვები მართავენ საბავშვო წარმოდგენას. აქვთ სახელოსნო ოთახიც. კედელზე არის გაკრული ბავშვების ხელით ნაკეთები სხვადასხვა სათამაშოები და ნივთები, არის ნახატებიც, რომლებიც გაკვირვებას იწვევს ადამიანში. ერთ პაწია ბავშვს სხვადასხვა ფერის ბუმბულისაგან გამოუხატავს საუცხოვო ფრინველის სურათი. უკეთებიათ აგრეთვე თიხის სხვადასხვა გვარი ჭურჭელ-ქანდაკებანი. ყავთ ექვსი მასწავლებელი და შვიდი მომვლელი. ყველაფრიდანა სჩანს, რომ საქმე რიგზეა დაყენებული, ჩვენი ღარიბი გლეხების ბავშვებს და ობლებს გასჩენია თვალზე ცრემლების შემშრობი, რა თქმა უნდა ადგილობრივ ხელისუფლების გლეხებისადმი სიყვარულის და უნარიანობის სახით. სასურველი იქნებოდა, რომ გორის აღმასკომის მაგალითს წაბაძავდეს ყველა სხვა ჩვენი ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლება—პარტიული და ადმინისტრატიული აპარატები. მე ვიცი, რომ ზოგიერთები მე პირფერობას დამწამებენ, არც გორის ამხანაგებს ესიამოვნებათ, რადგან შეიძლება ყველა ეს იქნებ მათაც გადამლაშებულ ქებით ჩასთვალონ, მაგრამ დეე ვისაც რა უნდა ის სთქვას, მე ჩემს სინიდისის წინაშე მართალი ვარ. ვამბობ მას სრულის სიმართლით, რაც ჩემის თვალით და დაკვირვებით ვნახე და გავიგემე მეტსაც ვიტყვი: ასეთი ჩუმი, მაგრამ დიდათ საქმიანი მოქმედება, უმფრო დიდათ ნაყოფიერია და ხელის უფლების გამმაგრებელ-გამამტკიცებელი ვინემ გადამლაშებული სიმკაცრე და მხოლოდ დამაფრთხობელი დამაშინებელი (რევოლვერების ტუნტულით) მყვირალა ულაზათო აგიტაცია, როგორც ეს აქვსთ სამწუხაროთ ზოგიერთ ხელისუფლების წარმომადგენელს ზოგიერთ ალაგებში და რომლების შესახებაც ჩვენ გვაქვს ზოგიერთი ჯერ კიდევ კარგათ გამოურკვევი, მაგრამ მაინც ფაქტები, და ჩვენ ჯერ-ჯერობით თავს ვიკავებთ მათი ვინაობა გამოვამჟღავნოთ, სანამდის სრულიად არ დავრწმუნდებით მათ უილაჯობაში. გლეხს მოეპყარი თბილი და მოსიყვარულე გრძნობით, პრაქტიკულად აჩვენე მას შენი უნარიანობა და საქმით დაანახვე, რომ შენ მის საკეთილდღეო საქმეს აკეთებდი ის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს თავის ხელისუფლების გამაგრება-განმტკიცებისათვის. იმან შეიზიზღა მათრახები ტუქსვა და ლანძღვა-გინება მეფის აგენტებისა და თუ შენ ამას, ახლა, როგორც მისი ხელისუფლების წარმომადგენელი, შეუცვლი ადამიანურსამართლიანი მოპყრობით და მის საკეთილდღეო საქმიანობით, ის შენი დასაყრდნობი მაგარი კედელია, ის რკინა-ცემენტის ბერკეტი იქმნება, რომელზედაც დაყრდნობილს ხელისუფლებას, ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს და მე დავრწმუნდი გორის მაზრის სხვადასხვა რაიონებში ჩამოვლით, რომ გლეხობა სავსებით ეხლანდელ ხელისუფლების გულწრფელი მომხრეა, და ეს თანდათან უფრო გამტკიცდება. რა თქმა უნდა, არის დეფექტებიც სხვადასხვა კუთხეებში (რასაც ქვევით ჩამოვთვლი) მაგრამ მე იმედი მაქვს რომ ეს დეფექტები მოსპობილი იქნებიან გორის აპარატებში მომუშავე ამხანაგების მიერ.

ვინახულეთ ტრანსპორტი. აქ ერთ ადგილზე დაუგროვებიათ სხვადასხვა ნანგრევ შენობების ხის მასალები; რასაც იყენებენ მასალათ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ შენობებისათვის და გლეხებსაც ეხმარებიან მასალის მიწოდების სახით. ამას ზოგიერთი არაფრათ ჩააგდებს: ვითომდა როგორც დანგრეულ სახლებიდან შეუგროვებიათ, რა დიდი საქმეაო, და მე სწორედ აქა მაქვს საქმე. ამ ძვირფას და გლეხებისათვის საჭირო მასალას პატრონი გაჩენია, ის მოუგროვებია ერთ ადგილს და სამართლიანად და შესაფერისად ნაწილდება გლეხებში და სახელმწიფო შენობებისათვის, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს ეხლა, როცა ქალაქის გვერდით, თავისუფალ ადგილზე. ევროპიული პლანით უბანი შენდება. რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ეს მასალა ჩაუვარდებოდა ხელში ვინმე კულაკებს, ან დასწვავდენ და ის, რასაც ამ მასალის დახმარებით ეხლა აკეთებენ, არ გაკეთდებოდა, რადგან არარაისაგან არაფერი არ კეთდება. ყავთ სამუშაო საქონლები და ცხენები დიდებულათ მოვლილი, ავტომობილები ტრანსპორტისათვის. ყავთ საუკეთესო ინგლისური ჯიშის ვაყა ცხენი და კარგი ჯიშის ბუღა, რომლებითაც უფასოთ სარგებლობენ გლეხები. ყავთ კაი ჯიშის ინგლისური ღორები და გლეხებს ეძლევათ გოჭები უფასოდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მოაშენონ. აქვთ სახელოსნოები: სადურგლო, სამჭედლო, სახარატო, საცა მზადდება გლეხებისათვის ყოველნაირი საჭირო იარაღები ცხენებისა და ხარების ნალ-ლურსმანიც კი და ამ სახელოსნოებიდან დიდ კონკურენციას უწევენ კერძო კუსტარებს. ურმის თვლის შემოჭედვა კარგი ლირსების რკინით, თუ კერძო სამჭედლოში ღირს არა ნაკლებ 30-35 მანეთისა, აქ უჯდება გლეხს 16 მან. შეაკეთებენ ყოველ ნაირ გლეხის სამეურნეო იარაღებს ხელმისაწდომ ფასებში. აქვთ სამეურნეო იარაღებიც და ყველა ეს დიდ მყვირალა აგიტაციაზე უფრო მჭრელი და საერთო მიზანმისაღწევი აგიტაციაა. უცდიათ გორის მაზრაში ჭარხლის კულტურა, რასაც საუცხოვო შედეგი მოუცია და ეხლა გადაწყვეტილი ქონიათ ახლო მომავალში შაქრის ქარხანა გახსნან. არის იმედი და სრული შესაძლებლობაც, რომ ახლო მომავალში საქსოვ ფაბრიკასაც გახსნიან და დიდ ზეთის სახდელ ქარხანასაც, რომლისათვისაც გორის მაზრას დიდი შესაძლებლობა აქვს რადგან აქ საუცხოვოდ ვარგობს სელი და დიდი რაოდენობითაც. მე უნდა გამოვტყდე, რომ ყველა ამას პესიმისტურად უცქერი, რადგან დაშინებული ვარ საერთოთ ქართველების გულგრილობით ასეთი დიდი საქმიანობისადმი, ავფეთქდებით და უცბათ ჩავნელდებით მაგრამ ამხან გიგანტიურ ენერგიით მაინც ალტაცებაში მოდიხარ და პესიმიზმს ნიადაგი თანდათან ეცლება, ყოველ შემთხვევაში ვისურვებ, რომ ჩემი პესიმიზმი არ გამართლებულიყოს და ამდენ ნანატრში ერთი მაინც გამართლებულიყოს.

ორ მაისს ჩავედი წითელ ქალაქში (ყოფილ ახალქალაქი) კრებას დაესწრო ათასამდე კაცი და ქალი, მოხსენებას გულდასმით უსმენდნენ, კამათში მიიღეს მონაწილეობა ცა ბევრი შეკითხვებიც იყო, რაზედაც შესაფერისი პასუხი გავეცით, კრებამ შესაფერისი რეზოლიუცია მიიღო და კმაყოფილი დაიშალა.

ვინახულე მეტეხის ხიდი, რომელსაც აკეთებენ მტკვარზე სამოცი საჟენი სიგრძით, რკინა ბეტონით ცემენტზე. აქნობამდე ხიდი უკეთებია მოიჯარადრეს ეხლა კი მუშაობა მიდის საოჯახო წესით ინჟინერ დავრიშევის ხელმძღვანელობით, რომელიც იქვე სამუშაოსთან დასახლებულა დროებით. ეს ხიდი საჭირო ყოფილა ამ ალაგას, ახლავე სარგებლობენ ამ ხიდის დროებით გაფიცრულებით რომელზედაც ერეკებიან საქონელს, რომლებიც ნახევრობით დროებით გაფიცრულებზე გადაჰყავთ და ნახევრობით ბორანზე, რომელიც ამ ხიდის მუშაობის საჭიროებისათვის აუგიათ.

სოფელ მეტეხში არის სამეურნეო ბანკი, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას აქვს სახარაზო, სასოფლო სარემონტო ქარხანა, წევრებისათვის ფართლეულობა და საწვრილმანო საქონელი. ნაწარმოები: ქალამნები, ჩუსტები, ბარები და თოხები, შეაკეთებენ გუთნებს და აქვსთ აგრეთვე გასაყიდი გუთნებიც. აქვთ საყასბო, შეაკეთებენ მაშინებს, აქვთ ტრაქტორიც ორი; იმით დახვნა ღირს 10 მანეთი, საქონლით კი 25– 30 მანეთი. ხარჯს გარდათაც ჯდება 10 მ., წულა კერძოთ შეკერილი, ნაკლები მასალით, ღირს 5 მან. აქ შეკერილი, კარგი მასალით 8 მ. 75 კ. საწევრო გადასახადი—1 მანეთი საპაიო—10 მანეთი. ეხლა ყველა ცდილობს ამხანაგობაში ჩაწერას. აქ ვნახეთ ძველი კატორღელი რევოლიუციონერი ამხანაგი დათიკო კალატოზიშვილი, რომელიც ტუბერკულიოზით ძრიელ დაავადებულია და ფეხზე ველარ დაიარება. ის უკიდურეს მდგომარეობას განიცდის ნივთიერადაც. ცოლმა შემოგვჩივლა რაც მეზობლებმაც დაამოწმეს, რომ ორი კვირაა ჩვენსა პური არ გამომცხვარაო. ჩვენ ვანუგეშეთ დაგეხმარებითქო და ამ ხანათ დაუტოვე სამი მანეთი. ადგილობრივ ამხანაგებმა ალგვითქვეს დიდ დახმარებაზედ. ამ რაიონის ერთ ნაწილში, გარიყულად წოდებულში ვინახულეთ გაეროვნებული ძვირფასი სახლები, რომლებიც თხოულობენ ცოტა შეკეთებას სულ 2400 მანეთამდე, რაც თურმე ერთ წელიწადშივე ანაზღაურდება ისეთი საკურორტო ადგილი ყოფილა.

ახალ ქალაქის მილიციას ყავლია სახელმწიფო ცხენები, რომლებიც გაძვალტყავებულნი არიან და გამოუსადეგარი სახედარათ, მეტადრე ისეთ შორეულ 60 ვერსი) შელმართიან ადგილებზე, როგორიც ამ რაიონს აქვს. მიზეზი ის არის, რომ ამ ცხენებისათვის ცოტა ეძლევათ საკვების შესაძენათ (14 მანეთი თვეში) და ისიც არა თავის დროზე. ცხენს კი სჭირია დღეში 1 მ 50 კ. თვით მილიციის თანამშრომლებს კი არა აქვს საშვალება, რომ ცხენებს გაუუმჯობესონ საკვები, რადგან თითონაც მცირე ჯამაგირს ღებულობენ. მილიციონერებს არ ეძლევათ სამგზავრო ფული მატარებლებში, ყოფილა შემთხვევა, რომ რკინის გზის რევიზორს დაეჭირო.ს მილიციონერი ტუსაღთან ერთათ, რომელსაც ის მიყვებოდა როგორც ტუსაღს მეორე პუნქტში ჩასაბარებლად.

3 მაისს ჩაველით კავთიხევში აქ თავი შეეყარათ 2000-დე ხალხს. მოხსენება ძრიელ აინტერესებდათ და სულ განაბულები უსმენდნენ, აქაც შეკითხვები და სამდურავი; რატომ მუშებმა ამდენ ხანს არ ამოიღეთ ხმა და არ გავერკვიეთ სიმართლეშიო. კამათის დამთავრების შემდეგ აქაც გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუცია და აირჩიეს სარაიონო რწმუნებულები. აღსანიშნავია, რომ გლეხები ყველგან მოითხოვენ რუსეთის ამხანაგების დაბრუნებას ხელისუფლებასთან შეთანხმებით და საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე დადგომით.

სამშივე ჩავბრუნდი ისევე გორში, აქ მომმართა ერთმა ქვრივმა დედაკაცმა ცრემლებით თვალზე: 1923 წელს მისთვის ჩამოურთმევიათ წისქვილის ნახევარი, რომლითაც ის თურმე არჩენდა თავის ობლებს.

ეს წისქვილი ყოფილა მისი ქმრის და ერთი კიდევ ქარალეთელი შეძლებული გლეხის. ამ გლეხს უსარგებლებია შემთხვევით, როცა მოხელეთ გამხდარა, რომელიც ვიღაც არამზადა ეხლა გაძევებულია, და ეს წისქვილი ჩამოურთმევიათ და მონაწილე კულაკისათვის კი მიუსაკუთრებიათ. ყველა ამის შესახებ მე საკმაო საბუთებით გადავეცი გორის პასუხისმგებელ ამხანაგს და უნდა ვიმედოვნოთ რომ საცოდავი ქვრივი მიიღებს არამც თუ თავის წილს წისქვილისას არამედ იმ შემოსავლის რაოდენობასაც, რომელიც იმ გაიძვერას მოხერხებით ამ ორი წლის განმავლობაში, ეკარგებოდა.

ლ. კუპრაშვილი.

# მუშათა წერილები

## საჭიროა ამასაც მიექცეს ყურადღება

ყველა დროს და ყველა მთავრობებს ქონდათ შეცდომები.

ისინი იყვნენ დიდი და გაზვიადებული წარმოდგენის თავის თავზე და თავის სიძლიერეზე; არ ეგონათ თუ მათზე ჰკვიანი და შორს მჭვრეტელი კიდევ ვინმე მოიპოვებოდა ქვეყნათ.

აქედან ცხადია, რომ ამის გამო არც არავის უწევდნენ ანგარიშს...

მშრომელ ხალხს—თუ ის თვითონ არ მოაგონებდა—თავს, ხომ სულ არაფრათ აგდებდნენ. მუშა ხალხის—გაჭირვება-დალხინებას ან აზრს და შეხედულებას, ხომ აინუმშიც არავინ იღებდა.

მაგრამ ცხოვრებას თავის ულმობელი კანონები აქვს. ვინც იმას ანგარიშს არ გაუწევს ის თვითონ მოახედებს და თუ გაჯიუტდა—დამარცხებასაც აგემებს. და აკი ასეც მოსდიოდათ ძველ მმართველებს ყველგან.

ამას ნათლათ დავინახამთ თუ თვალს გადავავლებთ წასულ ისტორიას, მაგრამ რაღა წასულს განა ჩვენ თვითონ მოწამენი არა ვართ ევროპის სახელმწიფოების მმართველების უგუნური მოქმედებისა?

ჩვენ ამ ჟამათ ძრიელ საინტერესო ისტორიულ ხანაში ვცხოვრობთ.

ჩვენ ვართ არა მარტო მომსწრენი ჯერ კაცობრიობას არ მოსწრებულ დიდი რევოლიუციისა—არამედ მისი აქტიური მონაწილენიც და ეს კი ჩვენ ბევრს გვავალებს; ჩვენგან მოითხოვს სხვების შეცდომების გაკვეთილათ გამოყენებას...

ბევრ ჩვენგანს ამ რევოლიუციაში მომუშავეთ თავი ისე მოგვაქვს, თითქო ყველაფერი რიგზე ვაკეთეთ და ვაკეთებთ—არ მოგვწონს თუ ვინმემ რამე შეგვნიშნა; კრიტიკას, ხომ სულ ვერ ვიტანთ. იყო დრო როცა კრიტიკას შეეძლო საქმის შეფერხება—ამ დრომ განვლო; დღეს საქმიან კრიტიკას ფართოთ უნდა გაეხსნას გზა.

დიდი წინდახედულებაა საჭირო; არ უნდა გაგვიტაცოს სიძლიერემ. საჭიროა რაც შეიძლება გაძლიერდეს ყურადღება ხალხისადმი.

თუმცა წარმოუდგენელია სახელმწიფო სადაც ყველა კმაყოფილი იყოს, რადგან სახელმწიფო ერთი, რომელიმე კლასის ინტერესის მატარებელია, და მაშასადამე მეორე კლასის მორჩილებაში მყოლებელი და თვაისთავად ცხადია ეს დამორჩილებული კლასი ვერ იქნება კმაყოფილი, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ახალი ტიპის—მუშურ გლეხური სახელმწიფოა და ეყრდნობა ხალხის დიდი უმრავლესობას—მის მშრომელ ნაწილს, ფართო მასას.

ის თვით ამ მშრომელი ხალხის შემოქმედების ნაყოფია.

რომ ეს ხალხი—ფართო მასსა ხელის უფლებასთან იყოს ჭირში და ლხინში, საჭიროა მისი გული მოინადირო—ის უნდა დააკმაყოფილო სულიერათ და ნივთიერათ.

დასაფიცი არ არის ჩვენ ამ მხრით ბევრი თამასუქები დავარიგეთ.

სახალხო ხელისუფლების უფრო მეტი განმტკიცება ფართო მშრომელი ხალხის თვალში იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენათ ჩქარა იქმნება ეს თამასუქები განაღდებული.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ სოციალისტური იდეის მისწრაფება ფართო მასსაში კვლავ გავაღვივოთ; „კაზიონი" მოხსენების გამო (კახიანის გამოთქმით, ხალხი სცილდება რამდენიმეთ ხელისუფლებას.

ზევრ შემთხვევაში მომხსენებელი ხალხის მდგომარეობაზე ცდილობს ლამაზათ ჩამოაყალიბოს მოხსენება და მსმენელს ასიამოვნოს და ამით თავის საქმე წინ „წაიმძღვაროს", დამსახურება გაიდიდოს სურვილმა შეიპყრო ბევრი. ამის გამო მთავრობას ეცლება საშუალება სწორი შეხედულება იქონიოს მდგომარეობაზე და დაშვებული შეცდომები თავის დროზე გამოასწოროს.

სხვათა შორის მე აქ მინდა შევეხო სახელმწიფოს სიმაგრის ერთ დედა ბოძს:—ეს არის სასამართლო, მართ მსაჯულება და დამსჯელი-გამასწორებელი ორგანოები. ჩვენ არევ დარევის ხანა განვიცადეთ; ამ მდგომარეობით ბევრმა ბნელმა პირმა ისარგებლა და დამჯელი ორგანო გამოიყენა შურის საძიებლათ. ბევრმა ნაძირალმა თავიდგან მოიშორა თავის სისაძაგლის მოწამე-რათა აღარავის სცოდნოდა მისი შავით მოცული წასული. რადგან მათ კარგათ იციან, რომ თუ ამოტივტივდებოდა მათი ბნელი წარსული-რევოლიუციონური ხელისუფლება მათ არ აპატიებდა. მაგრამ ეს ყველაფერი იყო და ეხლა როცა გადავედით მშვიდობიან აღმშენებლებითი მუშაობაზე საჭიროა ეს ნაკლი თავიდგან ავიცილოთ. გამოძიების საქმე უსათუოთ უნდა იქმნეს სათანადო სიმაღლეზე დაყენებული—გამომძიებელნი პატიოსანი და შეუსყიდველნი... უსაფუძლო დაბეზღებისათვის დამბეზღებელი უნდა ისჯებოდეს.

მოქალაქე უნდა ისჯებოდეს დანაშაულისათვის მისი დანაშაულობის მიხედვით და არა იმიტომ, რომ ვინმეს არ მოსწონდეს ან შენ ადგილზე წამოსკუპება უნდოდეს და მიტომ ხელოვნურათ ქმნიდეს დანაშაულს და გაბეზღებდეს.

ამისთანა უსამართლობა დღეს ხშირია.

ხალხში ეს ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს; ის მთავრობას აწერს ზოგიერთ უმზგავსო თანამშრომლების მოქმედებას და ცხადია—უკმაყოფილოა. ამ არანორმალობის წინაალმდეგ მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ზომები უნდა მიიღოს, რათა ის ერთხელ და სამუდამოთ გააჯანსაღოს, ხოლო ბნელ ძალებს კი მოუსპოს საშუალება ერთი მხრივ თვითნებობისა და მეორე მხრივ—უკმაყოფილების გამოწვევისა მოქალაქეთა შორის. თუ ხელისუფლება დააჩქარებს ზომების მიღებას რათა ალაგმული იქმნას ზოგიერთი უპასუხი მგებელო პირები გააჯანსაღებს გამოძიების საქმეს უნდა ვიმედოვნოთ, რომ ბოლო მოეღება მოქალაქეთა უკმაყოფილებას და ის უფრო მჭიდროთ დაუკავშირდება სახალხო ხელისუფლებას, ის პირები კი, რომლებიც ზოგნი შეუგნებლობის გამო, ზოგნი-კი ხელოვნურათ იწვევენ მოქალაქეთა უკმაყოფილებას მთავრობის წინააღმდეგ და უიმისობა არარის, რომ თავის იდუმალ ზრახვებს ანხორციელებენ—დარჩებიან რა უნიადაგოთ თავის თავათ ალიგვებიან.

ვ. გ—ლი.

# ჩვენი ფოსტა.

აპ. კონ—ძეს. თქვენი წერილი „გამოცოცხლებული თემი" ჩვენ რედაქციას არ მიუღია.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

მთავლიტი № 755 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 24 მაისი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11–68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8–2 საათამდე

№ 22

# გაეროვნების საკითხი

ეროვნული საკითხი წარმოადგენს უსათუოდ ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში.

ეს საკითხი მთლიანად შესრულებულია და გადაწყვეტილი მმართველი ხელისუფლების მიერ ისე, როგორც ამას მოითხოვს მცირე ეროვნებათა მშრომელი მოსახლეობის ინტერესი, ხოლო მისი დამთავრება და შესრულება დროსა და პირობებზეა დამოკიდებული.

ეროვნულ საკითხის შესრულების დროს, გაეროვნებას უჭირავს უმთავრესი ალაგი.

ამას წინად მომხდარ უკრაინის კომუნისტურ პარტიის პლენუმის სხდომაზე, გამოტანილ იქნა რეზოლიუცია გაეროვნების შესახებ. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ უკრაინის პარტიულ და პროფესიონალურ აპარატების გაეროვნებას და აგრეთვე საზოგადოებრივ და საბჭოთა ცხოვრების გაეროვნებას,—ხელს უშლიდა მუშათა ნაწილის და პარტიის წევრების პასიური წინააღმდეგობა.

პარტიამ ჯერ კიდევ ვერ განამტკიცა უკრაინული ენა, რაც უქადის მის დაშორებას საბჭოთა აპარატისგან და რასაც მოყვება ხელმძღვანელობის როლის შესუსტება მასსაზე.

ამიტომ პლენუმი საჭიროთ სთვლის ამ ჟამად პარტიის მიერ მთელი ძალების დაჭიმვას უკრაინული ენის განმტკიცებისთვის და პარტიის ორგანიზაციების გაეროვნებისთვის.

მთელი პარტიული განათლების წარმოება უნდა გადატანილ იქნას უკრაინულ ენაზე.

გაეროვნება პარტიისა უნდა დამთავრებულ იქნას 1926 წლის იანვრისათვის.

ასეთია უკრაინის კომუნისტურ პარტიის პლენუმის დადგენილება.

პლენუმის მიერ სამართლიანადაა აღნიშნული, რომ თუ გაეროვნება არ იქნა განმტკიცებული, მაშინ პარტიის ხელმძღვანელობის როლი მასსაზე, შესუსტდება და საბჭოთა აპარატსაც დაშორდება, ვინაიდან ხშირია უსათუოდ ასეთი მოვლენა და ამ მოვლენას ჩვენშიაც აქვს ალაგი: დანიშნულია რომელიმე პროფესიონალური და ან პარტიული კრება; თუ ამ კრებაზე აღმოჩნდა, რომ დამსწრეთა სულ მცირე ჯგუფს არ ესმის ადგილობრივი ენა (უკრაინული, ქართული), მაშინ მოხსენებაც და კამათიც რუსულ ენაზე სწარმოებს.

მართალია, მუშების უმეტესობას ყველას ესმის რუსული ენა (უკრაინაშიც, საქართველოშიც), ხოლო ესმის იმდენად, რომ ლაპარაკს გაიგებს, თვით კი ვერ ილაპარაკებს და ამიტომ კრებაზე სდუმს, კამათში ვერ ერევა თავისი კოჭლი რუსულით; თავის ენაზე რომ ილაპარაკოს, ამას კიდევ თავმოყვარეობა არ აძლევს ნებას, სათქმელი კი ბევრი აქვს და ეს გარემოება კი იმას მოასწავებს, რომ იგი შეუმჩნეველი რჩება და პასუხსაგებ ადგილზედაც იმას ირჩევენ, რომელსაც კრება ეცნობა კამათის დროს.

რუსული ლაპარაკის არ მცოდნე რჩება მიჩქმალული და ის ვერ ებმება პრაქტიკულ მუშაობაში, რომ წინ წავიდეს და პასუხსაგები ალაგი დაიკავოს პარტიულ ორგანიზაციაში. ამის გამო, რასაკვირველია, ხდება ის, რომ პარტია შორდება მასსას და სუსტდება მისი ხელმძღვანელობის როლი მასზე.

საზოგადოებრივ და საბჭოთა ცხოვრების გაეროვნებას კიდევ ის უშლიდა ხელს, რომ ძველი ტენდენცია „ველიკო-დერჟავნიკებისა“ ერთი მხრივ და ადგილობრივი შოვინიზმის მიდრეკილება, მეორე მხრივ,—კიდევ მოკვდნილი არ არის.

ყოველივე ამის გადალახვისთვის კიდევ დროა საჭირო, მაგრამ გადალახული კი იქნება.

და მაშინ მოეღება ბოლო ამ საკითხის გარშემო ატეხილ დავას, ცილის წამებას, მტრობას, ჭორს და ეროვნული სიძულვილის გამწვავებას.

# მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე

ლოზუნგი ,,პირი სოფლისაკენ“ წინ და წინ გულისხმობს მთელ რიგ დირექტივებს, რომელთა ცხოვრებაში გატარება იქნება სრული გარანტია ჩვენი სოფლის ცხოვრების მოწესრიგებისა. ამ დირექტივებთა შორის პირველი ადგილი უკავია უპარტიო გლეხთა ჩაბმის საქმეს საბჭოთა აპარატებში სოფლად. მაგრამ აქ იბადება გარეგნულად უმნიშვნელო, ხოლო შინაარსის და შედეგების მხრით მეტად საინტერესო სკაითხი. რომელ სოციალურ ფენის უპარტიო ხალხს უნდა დაეყრდნოს საბჭოთა სისტემა? ჩვენ ვიცით, რომ სოფელში დღეს ხდება დიფფერენციაცია. იქ აშკარად ვამჩნევთ კულაკურ ელემენტებს (ჯერჯერობით დიდ უმცირესობას), შემდეგ საშუალო ქონების წვრილ მესაკუთრეებს, (დიდ უმრავლესობას) და ბოლოს—ღარიბ-ბოგანოთ ან ბატრაკებს (მოზრდილ უმცირესობას). პირველ ფენებზე ზედმეტია ლაპარაკი. ისინი ახლოს არ იქნებიან გატარებულნი . საბჭოთა აპარატებთან, თუმცა რუსეთში, ვინც ცოტად მაინც უკვირდება იქაურ ცხოვრებას, ბევრ ადგილებში მათი გავლენა დიდია. (გავიხსენოთ უკანასკნელი სასამართლოს პროცესები გლეხკორებთა მკვლელობებზე.მაგრამ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ საქართველოს შესახებ.

აქ ჩვენ ვამჩნევთ, რომ საშუალო გლეხობას და ლატაკ-ბოგანოთა შორის მაინც და მაინც იდილლიური კავშირი არ არსებობს. საშუალო ქონების გლეხს ხშირათ არ მოსდიან ბოგანო და დიდი უტაქტობა იქნება, რომ მას ხელმძღვანელად დაუსვათ ის, ვინც მას არ მოსწონს. ყოველ შემთხვევაში აქ საჭიროა ერთნაირი დათმობა. ამით **ჩვენ სრულიად არ გვინდა იმის თქმა, რომ საბჭოთა აპარატებში უნდა იყვნენ მარტო საშუალო მესაკუთრენი და ბაგანოზე სავსებით ხელი ავიღოთ.** ამის მტკიცება და თქმა იქმნებოდა მთელი პარტიული გეზის თავდაღმა გადატრიალება. [1])

ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ამ ბოგანოთა სახელით არ მოხვდეს საბჭოებში იმისთანა ხალხი, რომელთა სიღატაკე გამოწვეულია არა სოციალური მიზეზებით, არამედ მათი ორგანიული სიძულვილით ფიზიკუო შრომისადმი... ასეთი კი სოფლებში—უნდა გამოვტყდეთ —ბლომათ მოგვეპოვებიან და რადგან ისინი გაურბიან ფიზიკურ შრომას, უფრო ეტანებიან ხელისუფლებას და ხდებიან ამ გვარად ადგილობრივ პოლიტიკურ მოღვაწეებად. ასეთ პირებს ჩვენ ხშირად ვხედავთ საბჭოებში. ეს გარემოება იწვევს უკმაყოფილობას გლეხთა მასსაში გლეხს რომელიც დღე-ღამე შრომობს ლუკმა პურისათვის და ასეთია დიდი უმრავლესობა. ჩვენი სოფლის გლეხობას, მოსწონს მხოლოდ ის ბოგანო, რომელიც ღატაკია მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მასავით შრომობს. მეორეს მხრით სრულიად არ არის მისაღები ადგილობრივ საბჭოთა აპარატებში ის პირები, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებთა მკვიდრთ არ ეკუთვნიან. ერთერთ მაზრაში ასეთი შემთხვევები თითქმის სისტემად გადაიქცა, აქაო და მომზადებული პირები სოფლად არ გვყავსო მაგრამ წარმოიდგინეთ, როდესაც იმავე მაზრის უპარტიო გლეხთა კონფერენციაზე ამ „მოუმზადებელ“ გლეხობამ დაბეჯითებით მოითხოვა „აჯამები“ მოგვაშორეთო, ჩვენ თქვენ ხელმძღვანელობით უკეთ მოუართ ჩვენ საქმეებსო. ეს გაკვეთილი დიდათ დამახასიათებელია. ყოველი ღონე უნდა იქნას მიღებული, რომ ჩვენი საბჭოების აპარატი სოფლად ნამდვილ სარკეს, მართლა სახეს წარმოადგენდეს ჩვენი სოფლის ცხოვრების, მის ყოველდღიურ ჭირვარამით და კეთილ დღეობით. განსაკუთრებით საჭიროა დიდი ყურადღება ამ საქმეში დღეს, როდესაც პოლიტიკური აქტივობა ჩვენი გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობასთან ძალუმად მაღლა იწევს.

**გ. მაღნარაძე.**

[1]) დასახელებულ ფენების ერთი მეორისაგან განსაზღვრა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. პარტიულ ლიტერატურაში ეს საკითხი სათანადოთ გაშუქებული არაა. ფაქტიურად ამ ცნებათა გაგება იწვევს მეტის-მეტ გაუგებრობას ადგილობრივად და ხშირად ხდება თვითნებობის წყაროდ.

გ. მ,

# სოფელი და სოფლის მასწავლებლობა

სოფლად მუშაობა დღეს ერთ მთავარ ამოცანათ არის მიჩნეული საბჭოთა ხელისუფლების მიერ. დღეიდან ექცევა სოფელსა და გლეხკაცობას განსაკუთრებული და ჯეროვანი ყურადღება. სოფლის ქალაქთან დაახლოება, ე. ი. მისი კულტურული და ეკონომიური აღორძინება, აი ის საინტერესო და საჭირ-ბოროტო საკითხი, რომელიც დასმულია უშუალოთ და რომლის მოგვარება მოითხოვს ყველა ძალების დახმარებას, როგორც პარტიულებისას, ისე უპარტიოებისას, განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებლობისას.

კიდევ ბევრია გასაკეთებელი სოფლად მისი ეკონომიური აღორძინებისათვის და კულტურული განვითარებისათვის.

რასაკვირველია, თანდათან მატულობს სკოლების რიცხვი სოფლად, თანდათან იზრდება მასწავლებელთა კონტინგენტი, მაგრამ ჩვენ უმთავრესად მხედველობაში გვაქვს კულტურული მუშაობა თვით მასსებში სკოლების გარეშე.

საბჭოთა ხელისუფლებას საკმარისი კადრი მცოდნე და სოფლის სვებედით დაინტერესებულ მუშაკებისა სოფლათ არ ყავდა. ასეთების აუცილებელ საჭიროებას ქალაქში ძლიერ გრძნობდენ და სოფელი კი ისედაც ჩამორჩენილი და მიყრუებული კულტურული ძალებისაგან დაცარიელდა.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მცირე რიცხვი სოფლის მოამაგეებისა და კულტურტრეგერებისა, რომელიც სოფლისთვის ზრუნავდენ ცარიზმის დროს, სტოვებს ამ კულტურულ ფრონტს და საბჭოთა ხელისუფლებას ებრძვის პარტიულ ფერხულში ჩაბმული, ან სრულ უმოქმედობაში ვარდება და სოფლის კულტურულ კეთილდღეობისათვის არაფერს არ აკეთებს. იყვენ ისეთებიც, რომლებიც მიუხედავათ ყოველგვარი პარტიული ცრუმორწმუნეობისა მაინც აკეთებდენ რამეს, მაინც უცემდათ გული სოფლის დაწინაურებისა და განთავისუფლებისათვის, მაგრამ შეურიგებლობის ატმოსფერა ამათზედაც გავლენას ახდენდა.

თვით პარტიული ძალები კი საბჭოთა ხელისუფლებას არ ყოფნიდა, რომ სოფლის და გლეხ-კაცობის გასაკულტუროსნებლათ გამოეყენებინა.

ამ გარემოებამ სოფლის კულტურული მუშაობა ძლიერ მოადუნა, სოფელმა დაიძინა და მუშაობა განმთლების სფეროში მოკვდა. მაგრამ გამოფხიზლების ნიშნები უკვე სჩანს სოფელში. თუ წინეთ საბჭოთა ხელისუფლება არ სარგებლობდა განათლების მუშაკთა და კერძოთ სოფლის მასწავლებლობის სიმპატიით, დღეს სრული სიმართლე იქნება იმის თქმა, რომ ეს სიმპატია მისკენ არის და საბჭოთა ხელისუფლება სოფლის აღორძინებისათვის მუშაობაში უმთავრესათ სოფლის მასწავლებლობას უნდა დაეყრდნოს.

სოფლათ კულტურული მუშაობის ცეცხლის გაღვივება ყოველთვის მასწავლებლის საქმე იყო და ამ ტრადიციას ის ვერასოდეს ვერ უღალატებს.

საზოგადოებრივ საგანმანათლებლო დარგი ისე უყურადღებოთ იყო დღემდე დატოვებული, რომ თითქმის არსად არ იკითხებოდა რეფერატი ან მოხსენება კულტურულ ან პოლიტიკურ – თემაზე.

დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ გვერდით დააყენა სოფლის საკითხი, უნდა ითქვას რომ მეტათ ხელსაყრელი პირობები არის შექმნილი მით, რომ სოფლის მასწავლებლობა მზათ არის დაეხმაროს საბჭოთა ხელისუფლებას კულტურულ მუშაობაში სოფლათ. იშვიათია დღეს საქართველოს მოწინავე კუთხეებში ისეთი თემი, სადაც არ არსებობდეს შვიდწლედი და აი ამავე სკოლის მასწავლებლები თემის კულტურულ ტრიგერებათაც გამოდგებიან.

სოფლის მასწავლებლობის უმეტესი პროცენტი დღეს ახალგაზრდები არიან, რომლებიც მეტის ენტუზიაზმით აკეთებენ ყოველგვარ საქმეს და კულტურულ მუშაობაშიდაც გატაცებით შეუძლიათ მუშაობა.

სრულიად არ ეპატიება გულგრილობა მასწავლებელს, რომელიც კომ. პარტიის გარეშე სდგას. თუ არის ის განათლების მუშაკი, თუ ამართლებს თავის მოწოდებას და შეგნებული აქვს სოფლის მიმართ თვისი მოვალეობა, თუ ის არის მცოდნე და შეუძლია მართლაც ასწავლოს ვინმეს რაიმე, მაშინ ის უეჭველათ საბჭოთა მუშაკია.

ავიღოთ თუ გნებავთ სარწმუნოებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლა. ეს უკანასკნელი რა თქმა უნდა მშრომელი ხალხის გამყვლეფი იყო ყოველთვის. თუ მასწავლებელი ავრცელებს გლეხკაცობაში ჭეშმარიტ აზრებს, ხელს უწყობს მეცნიერების გავრცელებას, ის ამით ებრძვის რელიგიას, სამღვდელოებას და ხდება გლეხკაცობის მოამაგე და ინტერესების დამცველი.

მასწავლებლობა ამ როლს მაშინაც კი ასრულებდა, როდესაც გაბატონებული კლასი და მონარქია სასტიკად კრძალავდა ყოველგვარ კულტურულ მუშაობას, რომელიც მშრომელის გათვითცნობიერებას უწყობდა ხელს. დღეს კი სრული თავისუფლება არის გლეხკაცობაში განათლების შეტანის, მისი გათვითცნობიერების და მასწავლებლობასაც უდიდესი გასაქანი ეძლევა სამუშაოთ.

სოფლის მასწავლებელს უდიდესი მოვალეობა აქვს დაკისრებული, განსაკუთრებით დღეს, როდესაც უნდა გატარდეს ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“ და საბჭოთა ხელისუფლება დაინტერესებულია უმთავრესათ სოფლით.

რასაკვირველია, სოფლის მასწავლებელი მაშინ უკეთ შეასრულებს თავის როლს ამ მუშაობაში, როდესაც მისი ჯამაგირი ჯეროვან სიმაღლემდი იქნება აყვანილი. ამით მათ მიეცემათ ძალზე გააფართოვონ და გააღრმაონ კულტურული მუშაობა სოფლათ.

გარდა ამისა ქალაქიდან უნდა აწვდიდენ მას ყოველგვარ ლიტერატურას, რომ თეორიული ცოდნით შეიარაღდეს, რის უქონლობასაც სოფლის მასწავლებელი უეჭველად გრძნობს.

საჭიროა სოფლის მასწავლებლის ენერგიული და გატაცებული მუშაობა სოფლის კეთილდღეობისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მრავალი იქნება სოფლის მასწავლებლობიდან ენტუზიასტი, რომელიც დაუღალავათ და უანგაროთ იმუშავებს სოფლის კულტურულ მომავლისათვის.

ე. ქ.

# ეგნატე ნინოშვილი

ნინოშვილი დიდის ნიჭითა და დაკვირვებით გადაგვიშლის თვალწინ გლეხის ცხოვრებას და ჩვენ ვხედავთ ხელოვნებით და სისწორით აღბეჭდილ სურათს შეუგნებლობისას, უვიცობისას, გაუტანლობისას, ძალმომრეობაზე დამყარებულ ზნე-ჩვეულებისას და ცრუმორწმუნოებისას. სიზმარი და მკითხავი—აი ვინ მართავს გლეხის ყოფა-ცხოვრებას. ცრუმორწმუნოება ყოველ ნაბიჯზე, დრომოჭმული ჩვეულებანი ყოველ ფეხის გადადგმაზე. „თუ ერთი დეისკვნა, მერე ცოლქმრობა აღარ დეირღოვა“.

„სიცოცხლეში ცოლქმარი ველარ მოშორდება ერთი მეორეს“. და ამავე დროს ცოლქმრობა სიყვარულზე, გაცნობასა და ერთმანეთთან დაახლოვებასა და შეთვისებაზე კი არ არის დამყარებული, არამედ სხვების არჩევასა და მოწონებაზე.

თუ აუტანელია გლეხის მდგომარეობა, გლეხი ქალის მდგომარეობა ხომ პირდაპირ საშინელია. აბა ყური დაუგდეთ პარტახში უპეცრებისა და მავნე ზნე-ჩვეულების მსხვერპლს მელანიას: „ძალიან უბედურათ არის ქალის საქმე! ყაძახის ქალი ნამეტურ გაჭირებულია! ჯერ დედმამაა შენი ბატონი და მერე ქმარი! ხმაის ნება არც ერთთან არა გაქ! რომ გაწვალონ, მაინც იმათ ხელში უნდა დარჩე, სადამდი ცოცხალი ხარ! აბა სხვაი რა გაგივა? გეიქცევი? რა გამოვიდა მერე? რამდენი გეიქცა, მარა ზოგი დაჭერილი მოიყვანეს, ზოგი ქმარმა მოკლა და ზოგი ჭირმა დაალპო. თაობიდან არის ყოლიფერი უხეიროდ მოწყობილი და იგია!“

არის თუ არა გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან? უკვე ის გარემოება, რომ მელანია არ ურიგდება თავის ბედს და თავს იკლავს, აშკარად ჰღაღადებს, რომ შეგნება, თვითცნობიერება იღვიძებს გლეხობაში და ადრე თუ გვიან ის გაარღვევს მოჯადოებულ რკალს ცრუმორწმუნოებისას და დრომოჭმული ზნე-ჩვეულებისას.

მანუჩარ არწივაძის მდგომარეობა და განწყობილება აშკარად ჰმოწმობს, რომ თავად-აზნაურობა განწირუ-

ლია და ადრე თუ გვიან გლეხობა გაინთავისუფლებს თავს მისი ბრჭყალებიდან. თუ მოხუცი გლეხები მოწიწებით ეპყრობიან მანუჩარს, სამაგიეროდ ახალგაზრდობა დასცინის. ეს დაცინვა უკვე იმისი თავდებია, რომ თავად-აზნაურობა სულ მალე აღარ იქნება ისეთი ძალა, რომლის წინაშეც გლეხობის ახალმა თაობამ ქედი უნდა მოიხაროს.

რა მოხდება შემდეგ? რა შესცვლის ფეოდალურ წყობილებას? როგორი იქნება ახალ პირობებში მშრომელი გლეხობის მდგომარეობა?

აი საკითხები, რომლებიც წამოიჭრენ ნინოშვილის წინაშე, როდესაც მან გლეხის ყოფა-ცხოვრებასა და თავად-აზნაურულ ურთიერთობაში ჩაიხედა.

ამ კითხვების გასარკვევად საჭირო იყო ანალიზი, როგორც ერთი წოდებისა, ისე მეორესი.

თავად-აზნაურობის ანალიზმა ნინოშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მთელი წოდება გონებრივად გადაგვარებულია, ზნეობრივად დამახინჯებული და განიცდის სრული დაშლის პროცესს. ცხოვრება ნინოშვილის მოთხრობებში წარმოადგენს გარდამავალ ხანას, რომელშიდაც თავად-აზნაურობა თავქვე დაექანება შეუჩერებლად. თუმცა კანონი, პოლიტიკური რეჟიმი მას კიდევ უმაგრებენ ზურგს, მაგრამ ის უკვე განწირულია ისტორიულად და მისი ხსნა შეუძლებელია. ნინოშვილმა წარმოგვიდგინა ამ წოდების საუკეთესო წარმომადგენელი ტარიელ მკლავაძის სახით და დაგვანახვა მისი სრული არარაობა. მასში არ მოიპოვება არც ერთი ნიშანი, არც ერთი ხაზი, არც ერთი თვისება, რომელშიაც მომავალი ისახებოდეს. ის მთელი თავისი ბუნებით უკვე განწირულია და წარსულს ეკუთვნის.

როდესაც ნინოშვილი მიმართავს მეორე წოდების ანალიზს, აქ სულ სხვა სურათი წარმოუდგება.

მეტად საყურადღებოა ამ მხრივ ძველი თავადიშვილი მანუჩარ არწივაძე. ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ მომავალი მისთვის არ არსებობს, რომ ცხოვრებაში ის უკვე დამარცხებულია და მთელი თავისი არსებით წარსულს უბრუნდება, წარსულზე ოცნებობს.

„ამ უკანასკნელ დროს, თავადი მანუჩარის ფიქრით, ისეთი ნიშნებია, რომ ბატონ-ყმობა ხელახლა უნდა დაბრუნდეს. ერთ ღამეს კიდეც დაესიზმრა თავად მანუჩარს, ვითომც ბატონ-ყმობა განახლებულიყო, მისი სასახლე ძველებურათ გავსებულიყო გოგო-ბიჭებით. დილას სიხარულით უამბო ეს სიზმარი თავის კნეინას.

„ღვთის წყალობით, ასრულდება, ასრულდება!“— მიულოცა კნეინამ“.

ასეთი განწყობილება მანუჩარისა და მისი კნეინასი მეტად დამახასიათებელია. ისინი გრძნობენ, რომ ცხოვრება მათ ამარცხებს, ჰრიყავს და ერთად-ერთ ხსნას წარსულის დაბრუნებაში ჰხედავენ, მაგრამ ამავე დროს იციან, რომ წარსული აღარ დაბრუნდება და მხოლოდ წარსულზე ოცნებაში ჰპოვებენ ნუგეშს.

ცხოვრების ანალიზმა აშკარად დაანახვა ნინოშვილს, რომ თავად-აზნაურობა მარცხდება და მიდის, მაგრამ გამოსარკვევია, ვინ მოდის და ვინ იჭერს ამ წოდების ალაგს.

ამ კითხვის გადასაჭრელათ ნინოშვილი მიმართავს ანალიზს მეორე წოდებისას და სულ სხვა სურათი წარმოუდგება.

ჯერ კიდევ „სოფლის გმირებ“-ში არის იმისი ნიშნები, თუ ვინ იჭერს გარდამავალი წოდების ალაგს.

თავადი მანუჩარის ცხოვრების აღწერაში ნინოშვილი შემდეგს გვატყობინებს: „მისი მამული შეისყიდეს ზოგიერთმა მდიდარმა გლეხებმა და გამოჭიმეს ზედ კოხტა სახლები. თავადი, როცა დაინახავს ამ სახლებს, მწარე ამოოხრებით იტყვის: „ჩვენი საქმე მაშინ წახდა, როცა გლეხებმა ასეთი სახლები დააკეთეს“. მიჯვნის დროს მოინდომა თავადმა მანუჩარმა—დავედავები ჩემგან გაყიდულ მიწებზე გლეხებს და იქნება რამე კიდევ დავცინცლოვო, მაგრამ ტყუილი გამოდგა: მდიდარმა გლეხებმა თავადს მანუჩარზე უკეთ წაიყვანეს სამსჯავროში თავიანთი საქმე და მანუჩარს, როგორც იტყვიან, ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. მხოლოდ ღატაკ გლეხებს კი შეართვა ხელახლა თითო-ოროლა თუმანი“.

რას გვეუბნება ეს ამონაწერი? იმას, რომ გლეხობა აღარ არის ერთნაირი, ერთფეროვანი წოდება, არამედ მასში სწარმოებს სოციალური დანაწილება,—ერთ მხარეზე რჩება ღატაკი უმრავლესობა, მეორეზე მდიდარი უმცირესობა. მდიდარ გლეხებს მანუჩარისთანა თავადები ველარა სჩაგრავენ, პირიქით—ცხოვრების სარბიელზე მდიდარი გლეხები იმარჯვებენ.

სოციალური დანაწილება გლეხებისა განსაკუთრებით მხატვრულადა აქვს დასურათებული ნინოშვილის უცნაურ სენსა, მოსე მწერალსა და სიმონაში. კოტე მამალაძე, დავით დროიძე და მოსე მწერალი—აი ახალი ტიპები ცხოვრებაში. ესენი არიან გამოსულ გლეხკაცობის წრიდან, მაგრამ მთელის თავისი ცხოვრებით, მიზნებით, ხასიათით, მისწრაფებით სულ სხვა კლასს ეკუთნიან. ესენი არიან ახალგაზრდა ბურჟუაზიის წარმომადგენლები და მთელი თავისი არსებით ფარდასა ჰხდიან, აშიშვლებენ ბურჟუაზიულ წყობილებას.

იქნება ღატაკი გლეხობის ხსნა ამ ახალს ბურჟუაზიულ წყობილებაშია? იქნება გლეხობიდან გამოსული ბურჟუაზია სწორედ ის კლასია, რომელიც მიზნად ისახავს ღატაკი გლეხობის განთავისუფლებას და გაბედნიერებას.

ჩაუკვირდეთ უფრო ახლოს ნინოშვილის მიერ დახატულ ტიპებს სოფლის ბურჟუაზიისას. ვინ არის კოტე მამალაძე? ქალაქში გამდიდრებული ვაჭარი, რომლის ერთად-ერთი მიზანია ფულით ჯიბის გატენა. რა მოაქვს სოფლის გლეხის ოჯახში ქალაქიდან? განათლება, ცოდნა, დახმარება? არც ერთი, არც მეორე, არც მესამე,—მხოლოდ გარყვნილება, ტანჯვა და დაღუპვა. თავისი სურვილების გზაზე ის არ ერიდება არავითარ მსხვერპლს და მთელ ოჯახს აუბედურებს და ჰღუპავს.

რას წარმოადგენს დავით დროიძე? სოფლის ჩარჩს, რომლის ერთად-ერთი მიზანია გამდიდრება, რა საშუალებითაც უნდა იყოს. მან საუცხოვოდ იცის, რომ ძალა ახლანდელ დროში ფულია და ფულით რაც გინდა, იმას იზამ. ამიტომ მთელი მისი აზროვნება და მოქმედება ფულის შეძენის გარშემო ტრიალებს. წურბელასავით დასჯდომია ის ღატაკი გლეხის სხეულს, სწოვს სისხლს და სივდება. თავის სოფელში ის პატარა მეფეა. შეძლებულ თავადიშვილს გაუსწრო ადგილ-მამულით, მაგრამ მისი გული მაინც არა ძღება და არავითარ დაბრკოლებას, არავითარ მსხვერპლს არ ერიდება თავის გზაზე. მთელი თავისი მოქმედებით ის მხოლოდ აძლიერებს გლეხობის ტანჯვას და წარბშეუხრელად ჰღუპავს საუკეთესო ოჯახს.

აიღეთ ახლა მოსე მწერალი,— ტიპიური წარმომად-გენელია სოფლის წურბელა-ბურჟუაზიისა. დასჯდომია გლეხობას კისერზე და სუქდება მისი ოფლით. მისთვის არ არსებობს არც პატიოსნება, არც კეთილშობილება, არც სიბრალული, არც კაცთმოყვარეობა,—ყველაფერს ის მსხვერპლად სწირავს ფულს და არ ერიდება არავითარ მსხვერპლ', რომ ქონება შეიძინოს. მთელი გლეხობა იმის ხელში წარმოადგენს სათლელ დუმას. თლის გაღატაკე-ბულ ხალხს, ჰლუპავს უდანაშაულო პირებს და თავის გარეშემო ტანჯვასა და წამებას ავრცელებს. ღატაკი გლეხკაცობის ცხოვრება იმის ხელში ნამდვილი ჯოჯო-ხეთია.

როგორია დასკვნა?

თავად-აზნაურობა მიდის და იმის ალაგს იჭერს ცხოვრებაში ბურჟუაზია. როდესაც შეადარებთ ერთმა-ნეთს, ერთის მხრით ტარიელ მკლავაძეს, იასონ უქმაძეს, ლევან ძველისენიძეს, მანუჩარ არწივაძეს და მეორეს მხრით დავით დროიძეს, მოსე მწერალს, ერთი რამ მიი-პყრობს თქვენს ყურადღებას: ბურჟუაზიის წარმომადგენ-ლები გაცილებით უფრო ბოროტი, სასტიკი, ულმობელი და შეუბრალებელნი არიან. მათ ხელში გლეხობის მდგო-მარეობა კიდევ უფრო უარესდება გაუმჯობესების ნაც-ვლად.

სწორეთ ამიტომ ჩივის ივანე „პალიასტომის ტბა-ში“: „იი დასაქცევი თლათ წახდა დრო! ვაჭარ-ურიასა-ვით მარტო ფულისკენ უჭირავს თვალი“!

ერთის მხრით დარჩა ღატაკი გლეხობა: გოგია უი-შვილი, გაბრიელა ჩამწარდაძე, ივანე, სიმონა ძალაძე, კაცია მუნჯაძე; მეორეს მხრით ბურჟუაზია: დროიძე, მა-მალიძე, მოსე მწერალი.

ღატაკი ნაწილი გლეხკაცობისა დღე და ღამეს ას-წორებს მუშაობაში, მაგრამ მისი მდგომარეობა უკან და უკან თუ მიდის თორემ წინ არა.

„იი დასაქცევი, დღით და ღამით არ ვისვენებ, ჩე-მი ოფლი მიწას ერთვის და მაინც რომ არ იქნა, რაც არ იავა წინ არ წეიწია ჩემმა ცხოვრებამ“, „ასე უსა-ბუთოთ არის ჩვენი ცხოვრება“! ჩივის გოგია უიშვილი. „რაც თავს მოვსწრივარ, მერე დღეი არ მომისვენია და ღამე, ჩემი ოფლი მიწას ერთოდა, მარა ჩემს დღეს საშვე-ლი არ დაადგა!.. ამას იქით ყოფნა აღარა ღირს!“ აი საშინელი გოდება ღატაკი გლეხობისა.

თუ თავად-აზნაურულ წოდებაში გლეხობის მდგო-მარეობა საშინელი და აუტანელი იყო, ბურჟუაზიულ წყობილებაში კიდევ უფრო საშინელი და აუტანელი ხდება და ნინოშვილმა თავისი დიდი მხატვრული ნიჭით ეს მოვლენა საუცხოვოდ გააშუქა. ღატაკი გლეხობა იტან-ჯება, სალსარი ცხოვრების გაუმჯობესებისა არსადა სჩანს და ის სასოწარკვეთილებაშია, მოსძულდა თავი.

ნუთუ სამართალი მაინც აღარ არის ცხოვრებაში?

სამართალი იმდენად იფარავს ღატაკ გლეხო-ბას, რომ გოგია უიშვილი თავს იკლავს. თავადაზ-ნაურულ წყობილებაში სამართალი თავადების მხარეზეა, ბურჟუაზიულ წყობილებაში—ბურჟუაზიის მხარეზე. ღა-ტაკ გლეხს კი ყველა იჯაბნებს: უფროსი, მებატონე, მღვდელი, მდიდარი გლეხი, მამასახლისი, ნაცვალი. მოსე მწერალი პირწავარდნილი შვილია იმ უსამართლო-ბისა, რომელშიაც ჩაჭედილია ღატაკი გლეხობის ცხოვ-რება.

იქ სადაც სამართალია და სამართლიანობა, მოსე მწერალისთანა პირებს ადგილი არა აქვთ. მოსე მწერალი განხორციელებული უსამართლობაა. უსამართლობამ დაა-ჯინა ის მშრომელი ხალხის კისერზე, უსამართლობა აძ-ლევს მას საშუალებას, ჰყვლიფოს და ატყაოს ღატაკი გლეხობა და იმისი ოფლით გასუქდეს.

ნინოშვილის მოთხრობებში ღატაკი გლეხკაცობის ცხოვრება მოქცეულია მოჯადოებულ რკალში, რომელ-შიაც გლეხკაცობის მდგომარეობა წარმოადგენს დაუსრუ-ლებელ უბედურებას და სატანჯველს. თავადაზნაურული წყობილება მძიმე ტვირთად აწევს გლეხობას კისერზე და ის იღუპება, გმინავს უუფლებობისა და უსამართლობის ბრჭყალებში. იმის ტანჯვას კიდევ უფრო აძლიერებს კერ-ძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებული ღატაკ გლეხო-ბაში შური, კარჩაკეტილობა, ერთმანეთის გაუტანლობა, ცრუმორწმუნეობა, ერთი პირის უქონლობა და დახავსე-ბული ჩვეულებანი. თავადაზნაურობა გადაშენების გზა-ზეა დამდგარი, მისი და მისი წყობილების დღენი დათვ-ლილია და გლეხობის წიაღიდან იბადება ახალი კლასი—ბურჟუაზია.

არის ერთი ზღაპარი. მრავალწელთა ლოდინის შემ-დეგ დედოფალი დაორსულდება და მეფის სასახლეში მოუთმენლად მოელიან ტახტის მემკვიდრეს. ბოლოს დე-დოფალი მორჩება და ჰშობავს გველს. შიში აიტაცებს ყველას და საშინელების მოლოდინში არიან

ნინოშვილის მოთხრობების ბურჟუაზია. სწორეთ ის გველია, რომელიც გლეხობის უბიდან იშვა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მისი ტანჯვა კიდევ უფრო გააძლიეროს, მისი მდგომარეობა გააუარესოს, დღე გაუმწაროს და მისი ცხოვრება აუტანელი გაჰხადოს.

მაშ საშველი, გამოსავალი, ხსნა აღარ ყოფილა?

საშველი არის, გვეუბნება დიხჯათ და გულდამშვი-დებით ნინოშვილი.

სად არის, სად? იბადება საკითხი. ერთობასა და ბრძოლაში,—აი ნინოშვილის პასუხი,

როგორც თავადაზნაურული, აგრეთვე ბურჟუაზიუ-ლი წყობილება ღატაკი გლეხობის დამღუპველი და გა-მანადგურებელია. გლეხმა უნდა დაამხოს ერთიცა და მე-ორეც. ამისათვის კი საჭიროა უმალ გაერთიანება, შემ-დეგ ბრძოლა.

ყოველივე ეს ცალიერი ოცნებაა, მარტო სურვილი, თუ თვითონ ცხოვრება იძლევა ამის ნიშნებს?

ნინოშვილის ნიჭის სიძლიერე სხვათაშორის იმაში გამოიხატება რომ ის წინასწარმეტყველია, ცხოვრების მესაიდუმლეა. როდესაც ის გამოვიდა სამწერლო ასპა-რეზზე, ჩვენში არ ყოფილა მტკიცეთ ჩამოყალიბებული და დარაზმული პროლეტარიატი, არ ყოფილა პროლე-ტარული აზროვნება სრულიად გამომუშავებული. მიუხე-დავად ამისა ცხოვრების მხატვრულად შეცნობამ გადუ-შალა მას აუცილებელი პროლეტარული გზა: შეგნება, გაერთიანებ და ბრძოლა ყველა მშრომელთა გასანთავისუ-ფლებლად.

ნინოშვილის მოთხრობებში ჩვენ ვხედავთ შემდეგს [illegible] მაშინ, როდესაც ერთის მხრით ტარიელ მკლავაძე, [illegible] და [illegible]რის კა-რეს მხრით დავით დროიძე და მოსე მწერალი, [illegible]ოიძე ხა-მხრით თვითმპყრობელი მთავრობის უსამართლო[illegible] [illegible]თ მაღლა გნიან ღატაკი გლეხობის სხეულს, ამ გლეხობა[illegible] [illegible]თანახმება, კიდევ შეუგნებლა, ბუნდათ ისახება ერთობისა [illegible]

ლის აუცილებლობა, ამისი თავდებია ივანე პალიასტომის ტბაში.

— კი, ჰაი, ბიჭო, სადარის პირადი ერთობა!... ყაძახმა რომ ერთპირობა იცოდეს და ერთმანეთის ფხარის მიცემა, მაშვინ... ეუბნება ივანე თავის შვილს. ივანე აღარ ათავებს თავის აზრს, თავისი მსჯელობა ბოლომდე არ მიჰყავს, მაგრამ იმიტომ კი არა; რომ ეს ბოლო მისთვის გამოურკვეველი იყოს, არა! მხოლოდ იმიტომ, რომ გაბატონებულმა უსამართლობამ ის მიჩვია თავისი აზრების დამალვას, დაფარვას, მისი სიტყვა „მაშვინ ჰძალავს, რაც კარგად იცის ივანემ: ჩვენ რომ ერთობა გვქონდეს, მაშინ ვინ რას დაგვაკლებსო, აი რისი თქმა უნდა ივანეს.

მერე რატომ არ არის ეს ერთობა ღატაკ გლეხობაში?

— ყაძახი უსტავლელია და უსტავლელს ყველა ატყუებს, აი ივანეს პასუხი.

ივანემ კარგად იცის, რომ ღატაკ გლეხობაში არ არის შეგნება, ამიტომ არც ერთობაა.

სადიდან უნდა გაჩნდეს ეს შეგნება? ისევ ხალხის წიაღიდან.

სპირიდონ მცირიშვილში ნინოშვილმა დაგვანახვა პროლეტარული ინტელიგენცია, რომელიც ღატაკი გლეხობიდან გამოდის, რომ შეგნება და ბრძოლის ცეცხლი გააჩაღოს მშრომელთა შორის.

როგორ ცხოვრობდა მცირიშვილი მოსწავლეობის დროს?

„ხარჯი-ფქვილი, ყველი და ლობიო—თავის ზურგით მიჰქონდა სპირიდონს შინიდან ყოველ კვირა დღეობით ოცი ვერსის მანძილზე. ის იდგა ქალაქის განაპირას, მიწით შელესილ ქოხში, რომელიც ქირით მიცემული ჰქონდა თვეში ოთხ აბაზად მისთვის ერთ ახალ დასახლებულ რუსის მუჟიკს. ყოველ საღამოობით მოიტანდა სპირიდონი მახლობელი ტყიდან თითო ტვირთ ფიჩხს. როცა დაღამდებოდა, სანთლის მაგივრათ დაანთებდა ცეცხლს და მის სინათლეზე სწავლობდა გაკვეთილებს. საჭმელს თავის ხელით იკეთებდა, ტანისამოსი მუდამ აკლდა. ორი ზამთარი „პარუსინის ბლუზის“ და შარვალის ამარა გაატარა. ასეთი ცხოვრებით დაასრულა სპირიდონმა სასწავლებელი“.

ამონაწერი ადგილი ნათლათ ასურათებს, თუ ვინ იყო სპირიდონი ან რომელ წრეს ეკუთვნოდა.

რა მიზანი აქვს სპირიდონს ცხოვრებაში დასახული?

ბრძოლა და მშრომელი ხალხის გამოყვანა ბრძოლის ველზე.

— ისეთი მოღვაწეობისათვის, რომელსაც ჩვენ საჭიროთ ვთვლით, ყოველგან ბრძოლის ველია, აი სპირიდონის განცხადება.

სპირდონმა იცის, რომ ეს ბრძოლა იქნება მკაცრი, სასტიკი, საშინელი, მაგრამ ის გულ-დამშვიდებით უყურებს ტანჯვით სავსე მომავალს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ეს არის ერთად-ერთი და აუცილებელი გზა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

სპირდონ მცირიშვილი არ წარმოადგენს დასრულებულ ტიპს, ნინოშვილს არა ჰყავს ის მკაფიოდ დასურათებული; სპირიდონის მსოფლმხედველობა არ არის ბოლომდე დახვეწილი და დაწმენდილი, მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს: ნინოშვილის დროს პროლეტარული ინტლიგენცია მხოლოდ აქა-იქ ისახებოდა, ჩამოყალიბებული და დარაზმული ჯერ არ იყო.

ფიზიკურად სუსტი, მაგრამ თავისი რწმენით მტკიცე ვით ფოლადი სპირდონი სიცოცხლეს უსპობს ტარიელ მკლავაძეს; სიმონა ძალაძე ბურჟუა დროიძეებს გაანადგურებს.

აი სწორეთ აქ არის ნინოშვილის სწორე განსჭვრეტა მომავალისა.

როდესაც მწერალი სისწორით აშუქებს ცხოვრებას, ეს უკვე დიდი მიღწევაა. მაგრამ როდესაც მასა აქვს სწორი პერსპექტივა, სინამდვილის განვითარება მამავალში და ამ მომავალის სურათი, ეს უკვე დიდი ნიჭია. ნინოშვილი უსათუოდ დიდი ნიჭია და მისი სიძლიერე სიუჟეტების შერჩევასა და განვითარებაშია.

რაც შეეხება სიუჟეტების დამუშავებას, სტილს, ენას, ნინოშვილი აქ სუსტია. მისი სისუსტე ამ დარგში აიხსნება ერთის მხრით მისი დაუდევრობით, მეორეს მხრით ჩქარი მუშაობით.

საზოგადოების მცირე ნაწილი ნინოშვილის თხზულებებში შემოქმედებას კი არა ჰხედავს, არამედ ფოტოგრაფიას.

რა თქმა უნდა, სულ სხვა ღირსებისა არის მწერალი—შემოქმედი, სხვა ღირსებისა—მწერალი ფოტოგრაფი. პირველი ჰკრებს ცხოვრებაში მასალას და შემდეგ თვითონ ჰქმნის საკუთარს, არ არსებულს. აქ არის შემოქმედება, აქ არის ხელოვნება. მეორე კი არასფერს არა ჰქმნის, არამედ მზამზარეულ სურათს იღებს თვითონ ცხოვრებიდან.

შესაძლებელია, ნინოშვილს აღებული ჰქონდეს სანამდვილიდან ესა თუ ის შემთხვევა, მაგრამ სიუჟეტის განვითარებაში იმდენი აქვს თავისი საკუთარი, ტიპიური, რომ ნინოშვილის ფოტოგრაფიულობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

გარდა ამისა, თუ კი მწერალი დაინახავს ცხოვრებაში ტიპიურ სახეს, დამახასიათებელ მოვლენას, რატომ არ შეუძლია მისი გადმოღება? საქმე იმაშია, რომ თვით ამ ტიპიურის დანახვაში, დამახასიათებელი მოვლენის ამოცნობაში უკვე არის შემოქმედებითი ნიჭი.

მე არ ვუარვყოფ,—შესაძლებელია, ზოგიერთი ამბავი, ეპიზოდი უცვლელადა ჰქონდეს ნინოშვილს აღებული ცხოვრებიდან, მაგრამ საუკეთესო მისი ნაწარმოებნი მხატვრულად არიან შესრულებული და უტყუარი შემოქმედების ნიჭით აღბეჭდილი.

**ივ. გომართელი.**

# ქართული ლიტერატურა

## X.

მოსარ

ალაგს. ერთხელ, მე და განსვენებული ნიკო ხიზაშვილი ამ კი... სტუმრათ ვეწვიეთ ილია ჭავჭავაძეს. ზამთრის ანალიზს მე... ილია, როცა მარტო დაგვხვდებოდა თავის მოუდგება. ძალიან კარგ გუნებაზე შეიქნებოდა და ქარ... ატურაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს.

ქართული პოეზიის დაუშრეტელ ჭაბუკურ სიცოცხლეს და მზიურობას სულერთიან ჩაყლაპული ვყავარო თუ დღეინდელი კულტუროსანი ადამიანი აღტაცებაში მოყავს ჰომეროსს სოფოკლეს, დანტეოლიღიერის, ფირდუსს, შექსპირს, სერვანტსს, რატომ არ უნდა განცვიფრდეს კაცი,

შოთა რუსთაველითა და მისი თანამედროვე მწერლებით, მე-18 საუკუნის ქართველი დიდი მწერლების მოღვაწეობით და აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძეთი, ნიკოლოზ ბარათაშვილით, გრიგოლ ორბელიანით და გიორგი ერისთავით, რატომ არის, რო ჩვენი კრიტიკოსები მხოლოთ ახლანდელ მწერლებზე წერენ კრიტიკას და ისეთს გენიოსს-მგოსანს, როგორც შოთა რუსთაველია, ჯერ ქართველი კრიტიკოსი არ გამოჩენიაო. შოთა რუსთაველის ვეფხის ტყაოსანს „გაოცებაში ყავს ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები და გერმანელები და ჩვენ-კი, ჩვენ, ქართველნი...

ნიკომ ორ აზროვანათ გადმომხედა და თვით ილიას არაფერი უპასუხა. მე ვერ მოვითმინე და მოვახსენე პოეტს დიდი თამარის ეპოქის ბრწყინვალე მწერლობა თქვენისთანა მამულიშვილებს, რომელნი ქართველ ხალხზე ფიქრს ჩაუყლაპავს და მოსვენებას არ აძლევს, ჩვენ, ახალგაზრდებსაც ძალიან გვაფიქრებს. მარა აქ ჩვენ ყოვლად უძლურნი ვართ. ვინ არ იცის ქართველი მწერლების საშინელი სიღარიბე და სისაწყლე. ისინი ლუკმა პურზე ფიქრსა და ზრუნვას უნდებიან და სად აქვთ იმდენი დრო და მოცლა, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურის ღრმათ შესწავლას შეუდგენ და იგი კრიტიკულათაც განიხილონ და შეაფასონ. ასეთი სულდათქმული ლიტერატურული შრომა სპეციალისტი პროფესორის შრომას მოითხოვს, და ქართველებს არც უნივერსიტეტი გაგვაჩნია და არც ასეთი სპეციალისტი-პროფესორი გვყავს მეთქი. ბევრი ვიბასეთ იმ საღამოს ამ საგანზე.

ამ საგანზე გაცხოველებული სჯა-ბაასი, დიდი ლაპარაკი შეიქნა ნამეტურ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. იმ ხანებში ძარღვიანათ ამუშავდა ქართველი კაცის გრძნობა, გონება და ეროვნულმა მოძრაობამაც ფრთა გაშალა. შოთაზე ალაპარაკა ყველა—დიდსა და მდიდარ ოჯახებში, სწავლულების კაბინეთებსა და საზოგადოებაში, თეატრებსა და სასტუმროებში, სტუდენტობასა და ასაკში მოსულ მოსწავლე ყმაწვილ-კაცობაშიაც, ქალი და კაცი. რუსის პუბლიცისტები, მაშინდელ რუსულ გაზეთ „კავკაზ“-ში ვრცელ წერილებს სწერდენ შოთასა და იმის „ვეფხვის ტყაოსან“-ზე. აკაკი ტფილისსა და ქუთაისში თავისი მომხიბვლელი ენითა და ხმით ლექციებს კითხულობდა „ვეფხვის ტყაოსნის“ გმირებზე და თეატრებში ამ ლექციების მოსასმენათ ხალხს ტევა არ ქონდა. აკაკი ამტკიცებდა, რომ „ვეფხვის ტყაოსნის“ გმირი—ტარიელი, მტკვრის ნაპირების—ქართლ-კახეთის შვილიაო, ავთანდილი—რიონის ნაპირების და ფრიდონი—პონტის ნაპირებისო.

ილიამ გაზ. „ივერიაში“ გააკრიტიკა აკაკის ლექცია. ფსიხოლოგიური კრიტიკა ყველაზე უპირველესათ უნდა არკვევდეს და უჩვენებდეს ადამიანის ხასიათის ძირითად საფუძვლების გამოხატვას, ე. ი., გამოხატოს ისეთი ხასიათი, რომელიც ყოველთვის არსებობს სხვადასხვა ჰავაში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქებში, სხვადასხვა მიწა-წყალზე. დიადი, ჰენიოსური სალიტერატურო მსოფლიო ნაწარმოებნი იმით არიან მუდამ ცოცხალი და უკვდავნი, რომ ისინი გამოხატავენ საერთო, საკაცობრიო ტიპებსო. და შოთაც ისე, როგორც ჰომიროსი, სოფოკლე, შექსპირი, გოეთე და ბაირონი თავიანთ ნაწარმოებში ხატავენ მხოლოთ და მარტო საკაცობრიო ტიპებს, რომელნიც საერთონი არიან ყველგან და ყოველთვისო...

ამაზე აკაკიმ ილიას ძალიან მახვილ-გონიერათ უპასუხა: კი, მართალია, ეს ჰენიოსი მწერლები იძლევიან „გაკვეთილს, რომელიც გასაგებია ყველგან და ყველასათვის“, მაგრამ, გარდა ძირითადი ტიპებისა, თუ მწერალმა ინდივიდუალური ხასიათის გამოხატულება ყველა თავისი წვრილმანი განსხვავებული, განსაკუთრებული ელემენტებითაც არ მოგვცა, მაშინ ცოცხალი პიროვნების მაგიერათ, ხელში შეგვრჩება უსულ-გულო ჩონჩხი, აბსტრაქტული ტიპიო...

და, აი, როცა ყოველთვიური ჟურნალი გაუჩნდა ქართველობას, „მოამბის“ ფურცლებზე („1895 წლიდან ნოემბერი № XI) დაიწყო კრიტიკა „ვეფხვის ტყაოსნისა“, რომელიც ეკუთვნოდა **ალექსანდრე სარაჯიშვილის** ნიჭიერ კალამს. ყველას სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა ტანში და გაფაციცებითაც კითხულობდნენ ამ კრიტიკას. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ამ დიად საქმეს ხელი მოჰკიდა უკვე დაბრძენებულა, მსოფლიო ლიტერატურის მცოდნე, გემო გახსნილმა ქართველმა კაცმა, რომელსაც ნივთიერი გაჭირვება და სისაწყლე ხელს არ უშლიდა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

კრიტიკოსს მოაგონდება 1883 წელს, იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარი კომისია, რომელიც „ვეფხვის ტყაოსნის“ ტექსტის აღსადგენათ და შესასწორებლად იყო მოწვეული. საქართველოს თითქმის ყველა ცნობილმა მწერალმა და ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ კომისიის შრომაში, რომელიც ღირსეულათაც დაგვირგვინდა ამ ნაწარმოების მდიდრულ გამოცემით, გიორგი ქართველიშვილის საფასით. ამ კომისიამ „ვეფხის ტყაოსნის“ თვრამეტი ხანა გამოაცხადა ყალბათ.

„ვეფხის ტყაოსნის“ ქართველი კრიტიკოსი სწერს: პოეტის სახსოვრისათვის უარესი შეგინება—მისი სიტყვის შეცვლა და აზრის დამახინჯებაა. ამიტომ ქართველი საზოგადოება თავის უდიდესის პოეტის თაყვანის-ცემას უკეთ ვერ გამოაცხადებდა, ვინემც მისგან აგებულის წმიდა ტაძრის გასუფთავებით.“ და კრიტიკოსი შეუდგა „ვეფხის ტყაოსნის“ ყალბი ადგილების გამორჩევას და დიადი ნაწარმოების „გასუფთავებას“, თავის ძალ-ღონითა და შეძლებით, რადგან, ავტორის აზრით, ზოგიერთი ყალბი „ვეფხის ტყაოსნის“ მდიდარ ახალ გამოცემასაც შერჩა. აი, ამ სიტყვების დასამტკიცებლათ, ავტორს, რა თქმა უნდა, საბუთებიც მოაქვს.

„ვეფხის ტყაოსნის“ ყალბი ადგილების გამორჩევა შეუძლებელი არ არისო. ამისთვის „უნდა თვით პოემა გვქონდეს შეთვისებული, მისი აზრი და არსება შეგნებული, მისი ენა და სტილი შესწავლულიო“.

თვისი სტილით აპოკრიფი უფრო ადვილათაც გაირჩევა რუსთველის ნაწერისაგან. „რუსთველის სტილი ბროლსავით მჭიდრო და ნათელია; მისი მოთხრობა ანკარა წყაროსავით მორბის, არსად არ დგება და არ გუბდება. **მჭიდროება და სინათლე**—აი, რუსთველის სტილის კანონი.

დარწმუნებით ითქმის, რო—სხვა განსხვავების გარდა,—თუ „ვეფხის ტყაოსანში“ რომელიმე ხანა მეტათ გაპტყელებული და გაზვიადებული, ძალდატანებული და ხერხიანი, დუნე და მკრთალი შეგვხვდა, რუსთველის კალამს არ ეკუთვნის. თვით მაშინაც, როცა რომელიმე ხანა თავისის აზრითა და პოეტურის ღირსებით მაღლა დგას, ხოლო სტილი ხსენებულ კანონს არ ეთანახმება,

შეუმცთარათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეგ ხანა აპოკრიფულია. ყალბის მქნელი მოლექსე სტილის სიმარტივეს და ზომიერებას ერიდება, იმიტომ რომ ეგ სიტყვის სიღარიბე და პოეზიის სისუსტე ჰგონია“.

აი, ამ მეთოდითა და ღონისძიებით შეუდგა ალექსანდრე სარაჯიშვილი „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტიდან ზოგიერთი ჩამატებული ყალბი ადგილების გამორჩევას და მოგვცა მისი დაწვრილებითი განხილვაც.

მოგეხსენებათ, შოთა რუსთველმა თავის უკვდავ პოემაში პოეტურათ გამოხატა თვისი **დიადი შემოქმედების სული**. ამ სულით მგოსანმა ქართველობას უანდერძა დრო-ჟამისაგან წარუშლელი, უკვდავი განძი და იდეალი—მიჯნურობა, მეგობრობა—ძმათ ნაფიცობა და პოეზია. რა ტანჯვა და ჯოჯოხეთი უნდა ყოფილიყო ეს სააქაო ცხოვრება ქართველისათვის, რომელსაც თავზე გასაგლეჯათ იმ თავითვე ეხვია ურთვალავი მტერი—აზიის მოხეტიალე, აყრილი ნადირი ხალხები, რომ ქართველის გამწარებულს სულს დამამშვიდებელ მალამოთ არ მოვლენოდა რუსთველის იდეალი—მიჯნურობა, მეგობრობა—ძმათ ნაფიცობა და პოეზია. ეს ციური დიდი მნათობი—შოთა რუსთველის „ხელის ხელ საგოგმანებელი მარგალიტი“ უქარვებდა ქართველს გულში დანთებულ საკირის ცეცხლს და იყო მისი მალხინებელი და ნუგეშის მცემელიც. ამიტომაც, სალაშქროთ გაკრული ქართველობა მუდამ „ვეფხის ტყაოსნიდან“ გაზეპირებულს ლექსებს მღეროდა და ისე განშორებული უსაყვარლესი დედამამისა, სახლ-კარისა და მამულის მიდამოებს მცირე აზიის, სპარსეთის, ინდოეთის, პალესტინის უდაბურ ადგილებში ღვრიდა სისხლს.

პოეტი რო სწერს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულათ ნათარგმანები“,—არ გამართლდა არც ერთი ისტორიულის, ან ლიტერატურის მოწმობით. და ჯერ არსად უპოვიათ არც სპარსული დედანი „ვეფხის ტყაოსნისა“ და არც მისი ქართული თარგმანი პროზათ, თუმცა მაგის მძებნელი არ გვაკლდა...

**ხომლელი.**

# ორი გზა

გერმანიაში მომხდარი უკანასკნელი არჩევნები და მისი შედეგი—ჰინდენბურგი უაღრესად დამაფიქრებელია, დამაფიქრებელია იმდენად, რამდენად ეს მოვლენა გამომხატველია დღევანდელი გერმანიის სინამდვილის.

რა მინდა, რამ ამოატივტივა პოლიტიკურ ცაზე ეს ბედისგან შორს გადატყორცნილი და ცხოვრების გარეშე დარჩენილი მოხუცი სარდალი, რომელიც აქამდის მხოლოდ სიკვდილის მოლოდინში იყო?!

ჰინდენბურგის არჩევა პრეზიდენტათ, სულერთია რაც უნდა ხან მოკლე იყოს ის, მაინც ერთგვარი ტრაღიზმია მუშათა სოციალისტური მოძრაობისთვის.

გერმანიაში, სადაც უაღრესად განვითარებულია კლასთა ბრძოლა, სადაც დარაზმულია კლასობრივად გათვითცნობიერებული მუშათა კლასი, რომელსაც მრავალი წლობით უწარმოებია სახელოვანი ბრძოლები, უნახავს ბრწყინვალე გამარჯვებანი და დამარცხებანიც განუცდია .მაგრამ ბრძოლის წყურვილი მაინც არ ჩაქრობია, ეს უკანასკნელი დამარცხება გერმანიის მუშათა კლასისთვის და საერთოთ სოციალისტური მოძრაობისთვის უფრო მეტად საგრძნობია და მრავლის მეტყველი, არჩევნებით არ შეიძლება არ დავინახოთ მასსების სულიერი განწყობილება, ჰინდენბურგის არჩევა რომ მომხდარიყო რამოდენიმე ათეულ წლების წინეთ, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ დღეს ჰინდენბურგის არჩევა, როდესაც მუშათა მოძრაობა მთელს ევროპაში ჩამოყალიბებულია და ფეხმოძაგრებული, და ამ დროს გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების სათავეში ჰინდენბურგი—ეს აშკარა და უტიფარი აჩრდილია რეაქციის. ამ მხრით ჰინდენბურგის გამოჩენამ არ შეიძლება მწარედ არ ჩააფიქროს ყოველი სოციალისტი და არ მისცეს თავს შეკითხვა: რა იქნება შემდეგში, რა გზით უნდა იაროს ევროპის მუშათა მოძრაობამ, რა მიზნებს დაისახავს ის მომავალი ბრძოლებისთვის, იქნება თუ არ გადადგმული ნაბიჯები მისთვის, რომ მსოფლიო რეაქციის აჩრდილის წინააღმდეგ აღიმართოს ერთი თავზარდამცემი მოწინააღმდეგეთა მთლიანი ბანაკი, რომ დღეს დაქსაქსული მუშათა კლასი შეერთდეს, შეკავშირდეს და მთლიან პოლიტიკურ ძალათ ქცეული ეკვეთოს მტერს გადამწყვეტი ბრძოლების დროს.

ჰინდენბურგის არჩევას ერთი დადებითი მხარე აქვს: ეს ის არის რომ ამ მოვლენამ უნდა გადასჭრას საკითხი: სიარული ძველი გზით ძველი ტაქტიკით თუ გაგრძელება აქამდის არსებულ მდგომარეობის დაქსაქსულობის და ამით ბურჟუაზიის ბანაკის გაძლიერების.

გერმანიის ამბებმა საბაბი უნდა მისცეს სოციალისტურ ინტერნაციონალებს გადასინჯონ ძველი ტაქტიკა, იქნებ გაიდოს ხიდი მთლიანი მუშათა მოძრაობისაკენ, ერთი მთლიანი ბრძოლის საწარმოებლად. დაღლილი და დაქანცული მუშათა მასსები მხოლოდ ერთ მთლიან მოძრაობაში ნახავს აზრს და უკეთესს ბრძოლის საშუალებებს. გერმანიის ამბების შემდეგ ორი გზა, ორი აზრი მუშათა მოძრაობაში ჰქმნის მეტ შესაძლებლობას დარაზმოს ბურჟუაზია და მისი მფარველი რეაქცია, ამიტომ მისი მოპირდაპირე კლასი—პროლეტარიატი უნდა შეკავშირდეს ერთ მთლიან მძლეთა-მძლე ძალათ, რომელიც სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს ყოველგვარ ცდებს, მუშათა კლასის დამარცხებისათვის მომართულს.

**ოლიმპიადა ბაქრაძე.**

# კიკნა თხზულებანი

## I

### პასუხი ვერ მიიღეს

თიკო და კოტე დაიქანცნენ პრელი პეპელების დევნით.

დასასვენებლად ჩეროში წამოწვნენ.

იცელქეს, იკისკასეს, მოიგონეს რაც ენახნათ და ენავსნათ.

მალე სალაპარაკო გამოელიათ.

მალხაზი ბავშები ვერ შეურიგდებიან უმოქმედობას.

მათი არსება, როგორც ახლად გაღვიძებული კურდღლის ბაჭია, კუნტრუშობას თხოულობს.

მაგრამ როგორ ღა გაერთენენ?

უკვე წამოშუადღევდა.

თიბათვის მზემ ძალზე აღაგზნა ჰაერი.

ცეცხლივით ლაპლაპი დააწყებინა.

მეტი გზა არ იყო, ისევ ჩეროში უნდა დარჩენილიყვნენ.

— კოტე, მოდი იწილო-ბიწილო ვითამაშოთ.

— ეჰ, პატარები ხომ არა ვართ,—სთქვა კოტემ იმ კილოთი, თითქოს მუხლამდის ჭაღარა წვერები ჰქონიყო გადმოშვებული.

— მაშ რა ვაკეთოთ?

— რა ვიცი! ნაკადულის პირას ბოგირებისა და წისქვილების გაკეთება კარგი იყო, მაგრამ აღარ მოდის. დამწყდარა. სათავეშივე ამომშრალა.

— მოვიგონე, მოვიგონე.

— რა მოიგონე?

— მუცლის ზელიაობა ვითამაშოთ. ბებია ჩვენი ხომ განთქმული ექიმბაში. წელ-გულ ჩაცვივნილი ავადმყოფები მასთან მოდიან. რამდენჯერ უთხოვნიათ: მუცელი დაგვიზილეთო ჩვენც დაუზილოთ ერთმანეთს, ვითომ კუჭი გვაქვს ჩავარდნილი.

— კარგი, მე ბებია ვიქნები,—სთქვა კოტემ.

— მე კიდევ ავადმყოფი.

— მაშ დავიწყოთ.

— დავიწყოთ.

თიკომ ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, გაიქა, კენჭებით აავსო—ვითომდა ლობიოაო და ამ ძღვენით მოადგა ბუჩქებს.

— ნათლიჯალაბო!..—კრუსუნით გადმოსძახა თიკომ.

კოტე დედაბერივით წელში მოიხარა, ხელი შუბლზე მიიდო და გაეხმაურა:

— შინ გახლავარ, ნალიდედ, შინა. მობრძანდით.

შემოვიდა.

— რა ამბავია, ქა, რა გაცრეცილი ფერი გადევს?

— ავად გახლავარ ნათლიჯალაბო, ავად... გუშინ იტიალ ეზოს ყორეს ვავლებდით და რაღაც ჩამწყდა იმოდენა ქვა-ღორღის ზიდვითა.

თქვენა ჭირიმე, თქვენა ხართ მთელი სოფლის ბატონ-პატრონი და მშველელი. კუჭი დამიზილეთ. გასამრჯელოდ ეს მცირედი ლებუა მოგართვით. შემდეგაც ჩემს კისერზედ იყოს ჩემი პატივისცემა.

— რათა სწუხდებოდი, შვილო, განა უამისოდ არ მოგეხმარებოდი.

აბა, კაბა გაიხადე და წამოწექი.

თიკომ გაიხადა კაბა, პერანგი მაღლა აიწია და ტიტველი მუცელი გამოაჩინა.

„ბებია“ კოტემ დაიჩოქა თიკოს მუხლებთან, მკლავები დაიკარწახა და დაუწყო მუცლის ზელა.

— უი, დამიბრმავდეს თვალები, ამას რასა ვხედავ?!. —უეცრად საიდლაციდან მოისმა თიკოს დედის ხმა.

მას თვალი შეესწრო მოთამაშე ბავშებისათვის, გაეფიქრა უმსგავსს რამეს აპირებენო-და და დააცხრა ქორივით.

— ეს არამზადები, ჯერ მიწას არ ასცილებიან და რაებსა სჩადიან...

აი თქვე ძაღლის ჯილაგისანო, თქვენა!—დაუტატანა მათ და მწვავე სილები უთავაზა.

მიამიტი, უმანკო ბავშები ვერაფერს მიხვედრილიყვნენ.

ბღაოდნენ, ცალკე სიმწვავის, ცალკე შეურაცყოფის გამო.

— თუ კი ბებიას არავინა სცემს მუცლის დაზელისათვის—ჩვენ რაღა დავაშავეთ—ჰკითხულობდნენ სლუკუნით, მაგრამ პასუხი ვერ მიიღოთ.

## II

### ორჯელ დაიხოცნენ

ყოფნის საზღვართან ხმაურ-განგაში იდგა.

ჩივილს გარემო გაეყრუებინა.

— დავიქანცეთ სამოთხის კარის კაკუნით... დაყრუვდნენ...

არავინ გვეხმაურება...

— გავიყინეთ...

გაგვილეთ...

გნასი წაგვერთო...

ქვეყნად ყველაფერი უარვყავით.

დიდება, სახელი, პატივი, მეგობრობა, სიყვარული...

სამოთხისათვის სამზადისში გამოვიმწირენით...

შიგ კი არ გვიშვებენ...

— შევანგრიოთ ძმებო!..—მიჰმართა ვიღაცამ...

— ოო, რას ჰბოდავ, ხომ არ შეიშალე... ღმერთი გაგვირისხდება...

— ეჰ, ილაჯი წაიღო მაგ შიშმა... ჩვენ აღარ გვეშინიან ღმერთისა:..

ბევრი დაეთანხმა... დაჩწყვიტეს მოთმინების აპეურები...

მიაწვნენ...

კარებმა ჭრიალი მორთო...

— გაჩერდით, რას სჩადით?..

— ღმერთო გვაპატიე...

— ღმერთო, ნუ გაგვირისხდები...

შეანგრიეს...

შევიონენ...

რა დაჰხვდათ?

— არარაობა... მტვერთა არარაობა...

შმორი დახშული ჰაობისა...

ანგელოსთა გალობას მოელოდნენ, ბაყაყთა ყიყინი კი „შეეხმატკბილათ“…

— რას ვესწრაფოდით…

რას ვეტრფოდით…

რას შევსწირეთ სიცოცხლის მურაზი, სიყვარულის ეშხი და რა აღმოჩნდა…

მეტად მშასრავი იყო ელდის მახვილები და იქვე მოისხიპნენ ცელმოქნეულ ყვავილებივით…

ორჯელ დაიხოცნენ…

პირველად მაშინ, როდესაც განდეგილობისაგან მიკ-წავლებულ სხეულს განშორდნენ…

მეორედ კიდევ ახლა სასუფევლის ამაო მოლოდინში…

III

## სიბერე

არ მეგონა, თუ მეც დამჭირდებოდა თქმა უკაეშნიანესი სიტყვებისა:

Sic transit gloria amoris…

დღეს კი ეს სიტყვები ამკვიატებიან პოეს ყორანივით…

ან რად უნდა მეფიქრა ასე უსასოოდ, როდესაც არმაზის ქურუმივით ვნეტარობდი და ამაყად მიმოვდიოდი ტრფობის ხეივნებში…

შვების მზეები ენთო ჩემს სულში და მინდოდა იგივე ნთებოდა სხვასაც…

ყველა მიყვარდა…

ნაღვლიანი ვინმე თუ შემხვდებოდა, გამოვესაუბრებოდი, დაუყვავებდი…

ამ დროს ჩემთვის არ არსებობდნენ დიდებულნი, თუ მცირებულნი…

ჩემიანნი, თუ გარეშენი…

სათნონი, თუ კეთროვანნი…

შეეშხული იმდენ სიმღერებს ვსთხზავდი, რომ ვეღარ ეტეოდნენ გულში…

მე ვიდექი ალტაცების მწვერვალზე და ვიძახდი:

— ხალხო, ჰე ხალხო… მოდით, ჩაიხედეთ ჩემს გულში, თუ გინდათ შეისწავლოთ მარადიული ლეგენდეპი…

ჩემი სული ზღვაა სიყვარულისა…

მოიტათ ჩაფები და წაიღეთ იმდენი ნექტარი, რამდენიც შეიძლება დაიტიოს თქვემა გულმა…

მგზნებარეღ მოყვარულს მეგონა აღარა მყავდა მტერი…

მწამდა გაუტანლობის მტვერი დაეთრთვილა მოსიყვარულობის მარგალიტებს…

* *

გლისპია სიბერე… ლიფრი… ორყაბაზი…

გამოსროლილ ტყვიასავით დაუნდობელია…

გამცემსავით შემპაროდნენ სიბერის შიკრიკები— ჭაღარა თმები…

— რამდენი იყვნენ?..

მაინცა და მაინც ბევრი არ შემინიშნია…

შეხვედე მათ და უდარდელათ გავიცინე:

— საცოდავი ჭაღარა თმები!..

კნაჰა წიწილებსავით მიყუჟულან…

რას დამაკლებენ ესენი?..

ჩემი სულის მოკაშკაშე სხივები დასწვავენ ყველას…

* *

სიბერის ელჩები კი თურმე ღრმადა ჰქსელავდნენ ფესვებს…

ვამპირივით მწოვდნენ უნაზეს გრძნობებს… ახალგაზრდობის სიმალხაზეს…

ჩემი სულის სიღრმეში არის ადგილები, სადაც მეც კი ვერა ვბედავ ჩახედვას, რომ არ დავარღვიო მისი საიდუმლოება…

იშვიათად თუ გავბედავ… ისიც მოწიწებით…

ისინი კი იპარებიან ყველგან…

აფრქვევენ სიბერის გაბოროტებას…

ფირალსავით შესწავლილი ჰქონიათ სულის ბილიკები… იქიდან მოიპარებოდნენ ახალგაზრდობის გრძნობათა საუნჯისაკენ…

წარბი მაინც არ შემიხრია…

შიშს არ აუტანივარ…

მოხუცობის ყავარჯენისათვის არ მიმიმართნია…

* *

ერთ დღეს წიოკობა ასტეხეს ჩემი ოცნების შევარდნებმა…

გაისმა სეტყვის ხაპა-ხუპი…

გაიეუჟნენ ფრთა კისკასა ჩიორები…

სეტყვას მოჰყვა თოვლი… სიბერის ხრაში თოვლი…

მარადიულ ზამთრის სუდარით გადავიბარდნე…

ამიწრიალდა სული…

სევდის მიკიოტები შემომეხუნწლნენ…

— ქშაა, ტიალებო, ქშაა, ვერანებო!..

ვაგლახ ამაოა გაბრძოლება… ვერ შევაჩერებ სიბერეს… მეუფლება იგი, როგორც არ უნდა გავმაგრდე…

იგი თავს დამტრიალებს და მომიწოდებს იმ ქვეყნისაკენ, რომელსაც არა აქვს არც სახელი, არც მიწა-წყალი…

აცდენით კი არავის აგვცდება…

იგი ჩვენი უკანასკნელი სადგურია…

* *

სიბერემ დამიპყრო, თუმცა გული ისევ ნორჩი მაქვს, ღაღანა…

არ იკარებს საშემოდგომო, სულთათანას…

— მორჩა, მორჩა… გათავდა!..—მახელებენ ჭალარანი…

აღარა გაქვსრა სასიცოცხლო… უნდა მოჰკვდე… მოისპო…

იცინის სიბერე და უსასოების ყრანტი ყორნები იბადებიან მის გაცინებაზე…

გაბედით და გინცდის აღალმა…

მოიმზვლა გული…

მოიმზვლა ავ-ტაროსის თქეშისაგან…

ნანგრევად იქცა…

უმწეოა, ზარმხდომელია ეს ნანგრევები…

„ჩამქრალი სანთელი შეიძლება აანთო, მაგრამ ჩამქრალი სიცოცხლე?..“

მესმის, მესმის უცნობო მოაზროვნე. შენი მწუხარება…

მოსწყდა, მოიშუშა გულზე გაზაფხულის კოკორი და ველარ გადიშლება…

. . . . . . .

მერე, მერე?.. გაჰქრა ყოველივე?..—მეკითხება მოყვასი...

— არა, კეთილო, არაფერი ისპობა კვალ-წმინდად...

ყველა ნანგრევსა აქვს თვისი ზღაპარი..

ჩემმა გულმაც დასტოვა...

დაუგდეთ ყური...

მაგრამ სიტყვით ვერ მოისმენთ...

ღრმა სევდა მარად მუნჯია...

მხოლოდ დუმილი გიამბობთ მისს საშინელებას...

IV

## ღამე

ბუნება უბაძლო სტილისტია... სწორუპოვარი ხელოვანი...

იგი არასოდეს ბერდება... მუდამ ნორჩია...

ვბერდებით მხოლოდ ჩვენ—მისი შავად დაწერილი ესკიზები...

ამ ხელოვნის შემონაქმედია ეს მთვარიანი, ზღაპრული ღამე...

მან დაჰხატა ვარსკვლოვანი ცის კაბადონი,..

მან ააქათქათა ეს წალკოტ-ბაღნარები..

ბუნების დახატულს ამ სურათებს გადაფარებული ჰქონდა ყალანქარ ნისლის დაფარნები...

აი ეშხზე მოვიდა და გადაძრო ეს დაფარნა...

ვიშ, ვიშ გამოჩნდა თილისმიანი სანახაობანი..

ლხენის ზვირთებში აქათქათდა ფირუზი თვლებით მოჭედილი ქვეყანა..

მთვარის სხივები ყველასა ჰხვევენ ლაჟვარდოვან გრძნებაში...

ყველა ათრთოლებულა ნეტარებით...

ყველა აუმღერებია სიყვარულის ჯადოსნურ ძმბილს...

სუმბული ხომ ერთი ციცქნაა, მორცხვი და ისიც ალალებულა, გიქმაჟობს...

ლალის ცვრები უთრთიან ლამაზს თვალებზე...

შორს აგრუზულს ჭალაში გაისმა ძახილით დაღლილი გალობა.

ეს ბულბულია... სუმბულს დაეძებს, თავ-დავიწყებით ეძახის მეგობას...

ახ, რა ტკბილია ამ დროს ძებნა სატფოსი...

* *

მარტო ვარ გულ-ჩათხრობილს ოთახში.

ოდნავ ბჟუტავს სანთელი.

მკრთალი სხივები ებრძვის სიყურსეს. ჰსურს გააჩახჩახოს, გაგვამხიარულოს. სუსტია, კნინია მისი ძალა. ვერ არღვევს ზრქალ ნაღველს.

სისინით შემოიჭრა ნიავი და ეცა სანთელს.

რომ ჩამიქროს—არავინ გაიგებს...

ატირდება მხოლოდ ჩემი ოთახი და ივაგლახებს ჩემს აუსრულებელ ოცნებაზე, განუხორციელებელ სიზმრებზე, მიუგნებელს სატრფოზე.

* *

არა, არ მინდა მარტო ყოფნა, ნაღვლიანობა...

რა ადგილი აქვს კვნესას ამ წუთში?

ნეტარების სიმღერამ უნდა გაამხიარულოს ჩემი ოთახი...

ქიმიურ იმედებმა უნდა გაშალოს ფრთები...

ახალი ცა მეხსნება. ახალი ბედნიერება მეძახის...

მე ვიხსნი სახვევებს სიყვარულის ძველ ჭრილობებიდან...

აღარ მეშინიან მათი გაარჯლების...

მივდივარ სარკმელთან, საიდანაც ვარსკვლავების მოუჟუჟუნე თვალებით იყურება სიყვარულის ღამე და ხმა მაღლა ვიძახი:

დიდება გაზაფხულს დიად ხელოვანს, რომელიც მოაფრალებს სიყვარულის დროშებს...

გაუმარჯოს ჩემს უცნობს, მაგრამ ძვირფასს სულის მეგობარს, რომელიც ახლა შეიძლება შეჰყურებს მთვარეს და ოცნებობს ჩემთან შეხვედრაზე...

## გამოუთქმელი სიზმარი

— გაიღვიძე, შვილო, დედა გენაცვალოს... გაიღვიძე... რამდენ ხანს გძინავს...

ხომ არა გტკივა რა?..

ნაზი სიყვარით თავს დასტრიალებდა დედა თვისს პირმშოს, რომელიც ძლივს გამოიყვანა ბურანიდან...

ბავშვი გაიზმორა...

შესოინა დედას, თუმცა თვალები მაინც შინაგანი ქვეყნისკენ ჰქონდა მიპყრობილი...

კარგა დუმილის შემდეგ ბავშვი მოეხვია დედას ყელზე, აკოცა და მიუჭიკჭიკა:

— იცი, დედილო, მე ვნახე სიზმარი...

დიდი, დიდი ლამაზი სიზმარი...

და უბრწყინავს თვალები, უბრწყინავს...

თან იცინის... კისკისებს...

დედას ფერი ეცვალა...

აკანკალებს...

შიში იპყრობს...

ნამდვილად ავად გამიხდა—ჰფიქრობს იგი და ეთუთქება გული... ეთუთქება...

ბავშვის წინ დას-დასად, სურათ-სურათად იშლებიან სიზმრად ნახულები...

სცდილობს მოუყვეს...

ამაოდ...

ვერ ახერხებს...

— მე ვნახე... ვითომც...

მაინც არა გამოდის რა...

სიტყვები არ ემორჩილებიან...

ჯავრდება...

თვალი უცრემლიანდება...

ბოლოს, ბოლოს მაინც სთქვა რაღაცა...

ეჰ, სრულიად არა ჰგავდა იგი ძილში ზმანებულს...

და ატირდა...

აქვითინდა...

ინატრა ისევ დასძინებოდა, რომ კვლავ ენახა ის ოქროს სიზმარი...

ღელვითა და ტირილით მოთენთილს ჩაეძინა კიდეც, მაგრამ მაინც ვერ ეღირსა იმ სიზმრის განმეორებას...

**დ. თურდოსპირელი.**

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ალის თემი

(გორის მაზრა)

მიმდინარე წლის 3 მაისს ალის თემში შესდგა გაერთიანებული კრება რამოდენიმე მახლობელ სოფლის გლეხკაცობისა. მოხსენებით გამოვიდენ ყოფილი მენშევიკები ქალ. ხაშურის მუშათა კომისის წევრები უშვერიძე, ტალახაძე და სხვები,—ყოფილ მენშევიკთა და უპარტიო მასის დაახლოვების შესახებ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

მომხსენებლები, სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობას და მისი წარსული ბრძოლას თვითმყრობელობის წინაალმდეგ აღნიშნავდენ პატივისცემით.

სოც. დემოკრატიამ ბევრი მსხვერპლი გაიღო ამ 30 წლის ბრძოლაში მეფის წინაალმდეგ, რითაც მას მიუძღვის დიდი დამსახურება, ამიტომ იყო მთელი მშრომელი მასა და მუშათა კლასი მათ მიყვებოდა. ამით იყო ძლიერი პარტია აქ საქართველოში და რუსეთში კი ესერები.

მაგრამ მომხსენებლები მწუხარებით აღნიშნავდენ 1917 წლიდან სოციალდემოკრატიის და ესერების მოქმედებას და ტაქტიკას. დაიწყო თუ არა თებერვლის რევოლიუცია ესერები და მენშევიკები კადეტებთან შეთანხმებით შეუდგნენ სახელმწიფოს მართვა გამგეობას.

მაშინ მხოლოთ ამხ. ლენინის მეთაურობით ბოლშევიკები აწარმოებდენ სასტიკ და დაუზოგველ ბრძოლას. ბოლშევიკები ცდილობდენ ძალაუფლება გადასულიყო პროლეტარიატის ხელში, ბოლშევიკები ადრევე მიხვდენ, რომ ბურჟუაზიასთან შეხმატკბილებული თანამშრომლობა მენშევიკებისა, რევოლიუციისათვის დიდ საფრთხეს მოასწავებდა, და ამიტომაც იყო დაიწყო დროებითი მთავრობის წინაალმდეგ გამოსვლები. ძალა უფლება ჩაიგდო ხელში პროლეტარიატმა, ეს იყო 25 ოქტომბრის რევოლიუცია.

ოქტომბრის რევოლიუციამ სასტიკად დაამარცხა, გაანადგურა შინაური კონტრ-რევოლიუცია, და აგრეთვე გაუმკლავდა სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებსაც.

მე II ინტერნაციონალი დამარცხდა ომის საკითხში, ომის წინაც მან ვერ გაუწია მუშათა კლასს პატრონობა.

— პირიიქით ის შეუთანხმდა ბურჟუაზიას, და ამრიგად თავხედურ იმპერიალისტურ მთავრობებს აღიზიანებდა რუსეთის რევოლიუცის წინაალმდეგ.

ოქტომბრის რევოლიუცის შემდეგ დაიწყო მრავალი ცალკე რესპუბლიკების დაარსება.

სწორეთ ამ დროს აღიმართა გადუვალი კედელი ჩვენა და რუსეთს შორის. ამის შემდეგ ვეწეოდით ბოლშევიკების საწინაალმდეგო მუშაობას.

ჩვენ საქართველოს გასაბჭოებას შემდეგაც ვაწარმოებდით ანტი-ბოლშევიკურ ბრძოლას მხოლოთ არა ლეგალურ პირობებში,

ეს ბრძოლა იმდენათ განვითარდა რომ მივედით შეიარაღებულ აჯანყებამდე 28 აგვისტოს გამოსვლებით.

საქართველოს მშრომელი გლეხკაცობა და მუშათა კლასი მენშევიკების უკანასკნელი პოლიტიკით და ტაქტიკით მივიყვანეთ სრულ კატასტროფამდე.

საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხკაცობა იბრძოდა 30 წელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, მიდიოდა ერთი გზით თვით მყრობელობის დასამხობად.

ძმური კავშირი რუსეთის ხალხთან აუცილებელია წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა გადაიქცევა საომარ ბაზად რაც სრულიად დაამოინებს ჩვენს ქვეყანას.

დღეს მაინც უნდა უთხრათ ჩვენ ქართველ მშრომელ ხალხს სინავდვილე რამ უნდა გვიხსნას? რაა ჩვენ ყოფილ მენშევიკების მიზანი, ჩვენი ახალი გზა.

ამიტომ ჩვენ ყოფილ მენშევიკებმა და უპარტიო მასამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა უარვყოთ შავი ზღვისკენ ყურება, უარვყოთ ინტერვენცია და აჯანყება; უნდა ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ ყოველივე არალეგალური თუ ლეგალური საშვალებით მუშაობა საბჭოთა ხელისუფლებას წინაალმდეგ, არის სამუდამოთ დამღუპველი და გამანადგურებელი ტაქტიკა, მშრომელი ხალხისა.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამყარდეს მშვიდობიანი ცხოვრება, შრომელი მოსახლეობისა, კულტურული-და ეკონომიური განვითარების შესაძლებლობა თუ სამუდამოთ არ იქნა ჩვენ გულიდან ამოფხვრილი ის გზა რომელზედაც ვადექით აგვისტოს აჯანყებამდე.

უარვყოთ შემცდარი გზა-დევდგეთ წითელ დროშის ქვეშ საბჭოთა ხელისუფლებასთან და შეუწყოთ ხელის ქვეყნის აღორძინებაში.

ამას მოთხოვს ერის, მუშათა კლასის და რევოლიუციის წმინდა ინტერესები.

შემდეგ მომხსენებელს აძლვენ მრავალ შეკითხვებს, რომელზედაც მომხსენებელი აძლეას დამაკმაყოფილებელ პასუხს.

შემდეგ კრება ადგენს: იქმნას არჩეული რწმუნებულები მუშათა კომისიის, და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა მოხსენება ქალ. ხაშურის მუშათა კომისიისა სოფელ ალის საზოგადო კრებამ, სავსებით იწონებს და იზიარებს მუშათა კომისიის მუშაობას და უერთდება 7-8 ოქტომბერს მიღებულ რეზოლიუციას, რომელიც იყო მიღებული თფილისში ნაძალადევის მუშების მიერ. დაავალეს მუშათა კომისიას განარგძოს დაწყებული მუშაობა ბოლომდე; სოფელ ალის თემში იქმნა მუშათა კომისიის რწმუნებულებათ არჩეული:

1) კოტე ნოზაძე.
2) ალექსი მხილაძე.
3) სინო იმერლიშვილი.

კანდიდატებათ:

1) ს. ტაბატაძე.
2) მ. ნოზაძე.

დამსწრე მუშა: ა. კ.

---

## სოფ. მეჯვრისხევი

სოფ. მეჯვრისხევის და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლების უპარტიო გლეხებმა და საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა მოვისმინეთ რა ცენტრალური მუშათა კომისიის წევრის ამხ. ლ. კუპრაშვილის და თედო ბოქორიშვილის მოხსენება ყველა ანტისაბჭოთა პარტიების დამღუპველი პოლიტიკის შესახებ, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის დღიდანვე მიმართული იყო მშრომელი ხალხის ინტერესების წინაალმდეგ, ბურჟუაზიის

საკეთილდღეოთ და, გარდა ამისა, ვითვალისწინებთ რა, წარსული წლის აგვისტო-სექტემბერში მომხდარ ავანტიურისტულ გამოსვლების დამღუპველ შედეგებს,—კრება მიზანშეწონილად სთვლის მუშათა კომისიის დაარსებას ტფილისში, სავსებით იღებს მის მიერ დასახულ მიზნებს და სთხოვს ცენტრალურ მუშათა კომისიას:

1) განაგრძოს ენერგიულად მუშაობა დასახული მიზნების განსახორციელებლად და ყველა მშრომელ ხალხის ხელისუფლებასთან დასაახლოვებლად.

აწარმოოს მოლაპარაკება საზღვარ გარედ მყოფ ემიგრანტებთან და რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებთან, რომ თავი დაანებონ მშრომელი ხალხის ილიუზიებით კვებას; საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ ბრძოლას და დაუბრუნდნენ ძველ ოჯახს, რომ შეერთებული ძალით ვესახუროთ ქვეყნის აყვავებას და აღორძინებას.

2) ჩააგონოს ყველას, რომ არც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო არავითარ დახმარებას არ აღმოუჩენს საქართველოს; და რომ მას ყოველ მხრივ ურჩევნიან იყვეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მოკავშირეთ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!
გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს ყველა მშრომელის შეგნებას, გათვითცნობიერებას და შეერთებული ძალით ქვეყნის აღორძინებას.

კრების თავმჯდომარე **გ. ოქრუაშვილი.**

---

## ს.ოფ. წითელი ქალაქი

წითელ ქალაქის რაიონის ყოფილ მენშევიკების და უპარტიო გლეხების გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა ამხ. კუპრაშვილის მოხსენება 1924 წ. აგვისტოში მომხდარ აჯანყების შესახებ, კრება იზიარებს მუშათა ცენტრის, თბილისის, ოქტომბრის რეზოლიუციას, გმობს აგვისტოს გამოსვლებს, როგორც ქართველი ხალხის და რევოლიუციის დამღუპველს. მოუწოდებს მშრომელ ხალხს შეებრძოლონ ყველას, ვინც კი შეეცდება არსებულ ხელისუფლების შებრძოლებას ლეგალურად თუ არა ლეგალურად. კრება ავალებს მუშათა კომისიას, განაგრძოს ენერგიული მუშაობა დასახულ მიზნის განსახორციელებლათ საბჭოთა ხელისუფლებასთან ჭეშმარიტ თანამშრომლობისათვის და საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლათ.

თავმჯდომარე ცერცვაძე.
მდივანი **გოზალოვი.**

---

## წერილი გურიიდან

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გურის გლეხობამ და მშრომელმა ინტელიგენციამ შეითვისა და შეიცნო საბჭოთა ხელისუფლების გზებისა და მიზნების სიდიადე; დარწმუნდა რომ ჭეშმარიტი დამცველია მუშათა და გლეხთა ინტერესებისა და ყველა სხვა პარტიებს ზურგი შეაქცია. გურულ გლეხობაში განსაკუთრებითი გარდატეხა მოახდინა აგვისტოს უხერხემლო გამოსვლებმა.

ამ ჟამად მთავრობის უკანასკნელი პოლიტიკისა და მუშათა კომისიების ენერგიული მუშაობის მეოხებით თვით უკიდურეს „მამულიშვილებმაც“ ჩააგეს თავიანთი ჩალის ხმლები და, სახტად მდგარნი, არსებულ სინამდვილეს ჩასცქერიან ღია თვალებში.

გურის ყველა პატიოსანი მშრომელი საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე სდგას.

ამ ჟამად, ოზურგეთის მაზრის ყოფ. მენშევიკთა და უპარტიოთა ქვე კომისიაში გატარებულია 800 კაცი, რაც შეადგენს 75%-ს ძველი რევოლიუციონერებისას 1910 წლიდან 1916 წლამდე. ესენი ამართლებენ მთავრობის ნდობას. ხოლო უნდა დავსძინოთ, რომ ახალგაზრდა მარქსისტები განაგრძობენ ჟინიანობას, მაგრამ ჩვენი ღრმა-რწმენით, მათი მხრივ ბუტიაობა დროებითია. ჯერ ახალგაზრდები არიან და ყელში უჭერს უკუდო თავმოყვარეობა—„პრინციპისათვის“ თავდადება. მაგრამ ყველა ეს უმნიშვნელოა იმ ნაყოფიერ მუშაობასთან შედარებით, რომელსაც აწარმოებს ოზურგეთის უპარტიოთა ქვეკომისია, ქვეკომისიის ხელმძღვანელობით გურიის 41 თემში, დღემდის მოხდა 50 კრება თუ მიტინგი, სადაც ოზურგეთის მაზრის ქვე-კომისიის რწმუნებული აკეთებდა მოხსენებებს და ირჩევდა სათემო, სასოფლო თუ სარაიონო რწმუნებულებს, რომელთა რიცხვში შედიან ქალებისა, უპარტიოთა და ახალგ. მარქსისტების წარმომადგენლები: ქვეკომისიის შუამდგომლობით, ყველა ის მასწავლებელი, რომლებიც წმენდაში იყო მოყოლილი, უფლებებში აღდგენილია, ზოგიერთ მათგანს სამსახურიც დაუბრუნეს. ქვეკომისიის მუშაობას სხვა ხასიათიც აქვს: თვით ქვეკომისიის თავმჯდ. ამხ. გ. ლ-ძე ხშირად საუბრობს პოლიტ. პატიმრებთან და თუ კი პატიმარი გულწრფელად დადგება საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, ასეთს ანთავისუფლებს ხელისუფლება. ამ სახით განთავისუფლებულთა რიცხვი ოცამდე აღწევს.

ხშირი არის შემთხვევა „ახ. გზის“ № 2 მოთავსებული ინსტრუქციის 5 მუხლის დარღვევისა. ქვეკომისია გაგებისთანავე ცნობას აძლევს მახ. მთავრობას, ხელისუფლებაც, რასაკვირველია, სასწრაფოდ აწარმოებს ძიებას, რის შემდეგაც შესაფერი განაჩენი გამოაქვს დამნაშავის მიმართ.

საბჭოს არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ბიურო. მთავარი მიზეზიც ეს იყო, რომ არჩევნების კამპანიები ასე ინტერესით ჩატარდა. აღმასკომში ნაკლებათ, თითქმის, ნახევარზე მეტი გურიაში უპარტიოები მოჰყვენ. ბიუროს ერთ ერთ წევრთან კერძო საუბრის დროს გამოირკვა, რომ მათ თურმე ცენტრ. მუშათა კომისიების დამოუკიდებლად უხდებათ მუშაობა, ვინაიდან არც ერთი სადირექტივო წერილი მათ არ მიუღიათ, მუშათა ცენტრ. კომისიიდან გარდა ერთი ინსტრუქციისა (მოთავსებული იყო ახ. გზ. № 2) ეს გარემოება კი საგრძნობლად აფერხებს მუშაობას. ჩემის აზრით მუშათა კომისიას მეტი ყურადღება უნდა მიექცია დირექტივების მიწოდების სახით თავის ქვებიუროებისათვის.

დასასრულ, აშკარად უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი დაწყნარებული ცხოვრების პირობების შექმნა გამოწვეულია გურიის კომიტეტისა და სამაზრო ქვეკომისიის შეთანხმებული მუშაობის ნიადაგზე. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ გურიის კომიტ. პ. მ. ამხ. გერმანე კვაჭაძის დინჯი და დაფიქრებული მუშაობა, რაც მთავარი საწინდარია მასსისა და ხელისუფლების დაახლოებისა.

გურიის კომიტეტის მთლიანი შემადგენლობის, ხოლო კერძოდ ამხ. გ. კვაჭაძისებური მუშაკები გურიის მშრომელებს დარაზმავს საბჭოთა ხელისუფლების საალმშენებლო ფრონტზე, რაც უკვე დღეს ნაწილობრივ ხორცშესხმულია.

**აპოლონ კონტრიძე.**

# მუშათა წერილები

## მუშათა კომისიის მუშაობა გორის მაზრაში

10 მაისს, კვირას, ორი ამხანაგით გორის სამაზრო ქვეკომისიის წევრებთან ერთათ გავემგზავრე სადგურ ქარელიდან შინდისის რაიონში, საცა წინასწარ შეტყობინებით მომზადებული იყო რაიონის ყოფილ მენშევიკთა, სხვა პარტიებთა და უპარტიოთა საერთო კრება. კრების ადგილზე მივედით ნაშუადღევს გვარიან დაგვიანებით, მიუხედავათ ამისა, ხალხი იმდენათ დაინტერესებული ყოფილიყო მოხსენების თემით, რომ ადგილობრივ კლუბში ვერ დაეტია მესამედიც კი და იძულებული ვიყავით კრება გარეთ კლუბის ეზოში გაგვემართა. მოხსენება „1924 აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანა“ გულდასმით მოისმინეს, იყო შეკითხვები რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს და გამოიტანეს რეზოლიუცია დამგმობი აგვისტოს გამოსვლების. შემდეგ აირჩიეს სარაიონო კომისია და ხალხი, მოხსენებით კმაყოფილი, დაიშალა.

კრებაზე სიტყვა არავინ ითხოვა. შემდეგ კი მოგვმართეს გლეხებმა შემდეგი საჩივრებით: ჩვენ გამოვერკვიეთ და არავითარი საწინააღმდეგო არა გვაქვს ხელისუფლების, კომპარტიის, მხოლოდ გვაშინებს და გვაწუხებს, ზოგიერთა უწინაც არა საიმედო პირების ტერორი, რომლებიც ეხლა შეიარაღებულნი არიან და არ გვაძლევენ ნებას თუ გინდ ადგილობრივ ხელისუფლებას მაინც გაუმჟღავნოთ ჩვენი პირ-ვარამიო. ჩვენ ამას გეუბნებით საერთოთ და კონკრეტიულად კი ვერ გავბედავთ მიგითითოთ რადგან არავართ დაზღვეულნი, რომ არ დაგვხოცავენო. შემდეგ მომმართეს კომკავშირელ და კომუნისტ ქალებმა, რომ გლეხობაში საზიზღარი და პირდაპირ გლეხის ოჯახის დამღუპველ მოვლენამ იჩინა თავი ცოლქმრულ დამოკიდებულების შესახებო. სისტემატიური ხასიათი მიიღო ქმარის ღალატმა ცოლისადმი და პირიქით ცოლისა ქმრისადმი. თანდათან მრავლდებიან თურმე სუბიექტები, რომლებმაც ხელობათ გაიხადეს სხვისი ოჯახის დარღვევა ცოლის შეცდენით და მოტყუებით ან კიდევ სუსტი ხასიათის ქმრის მოტყუება და ამ რიგათ ცოლები ქმრებს ართმევენ ქალებს და ქმრებს კიდევ ცოლებს ართმევენ მამაკაცები. ეს ვერ მოვითმინეთ ჩვენ სინიდისიერმა და ოჯახის მოყვარულმა ქალებმა და კიდეც დავსაჯეთ საჯაროთ თავზე ლაფდასხმით ვინც ყველაზე მეტი უცხვირპირო და უნამუსო აღმოჩნდავო. მე უთხარი მათ: თუ ცოლქმრის გაყრა ხდება სიყვარულ-სიძულვილის ნიადაგზე, თუ კი ოჯახში მათი ერთათ ცხოვრება აუტანელი და ჯოჯოხეთურია, მაშინ სჯობს განშორება და მას შეუძლია ისდეს ვინც მოსწონს და უყვარსთქო. არავო, მითხრეს, ასე არ არის, ეს მხოლოდ გარყვნილების ნიადაგზე აგებული ცხოვრების ფორმაა და მეტი არაფერიო. თუ ასეა მაშინ კარგათ გიქნიათ რომ ლაფი დაგისხამთ გლეხობაში გარყვნილებით შემტანისათვის მეთქი და აწიც ასე უნდა მოიქცეთ და მოსპოთ გლეხის ცხოვრებაში გარყვნილების შემტანი ელემენტები მათი გასწორებით, მხოლოდ, უკანონობა და სისხლის დანაშაულისებური არა ჩაიდინოთ რა თქო. ამ სიტყვებით ძრიელ ნასიამოვნები დარჩენ მომჩივნი ქალები და მე ვფიქრობ, რომ ქალებს უნდა მართლაც მიეცეს ერთგვარი საშუალება შემოინახონ ძველი ზრდილობა და ზნეობა, რაც ხელს შეუწყობს გლეხის ოჯახურ ნორმალურ მსვლელობას, რაც კი არ შეუშლის ხელს მუშათა კლასის მოძრაობას, არამედ ხელს შეუწყობს მის ზრდა-განვითარებას. სინდისი, სიმართლე, ზნეობა, ადამიანური სიყვარული და არა პირუტყვული ვნებათა ღელვის თავ აშვებული აყოლა და მით გლეხურ ცხოვრებაში გარყვნილების (როსკიპულ ხასიათს რომ ღებულობს) შეტანა, რაც სრულებითაც არ არის რევოლიუციონურ პარტიის მიზანი. ამიტომ ჩემის აზრით, შინდისის ქალები აღსავსე პატიოსნებით და რევოლიუციისადმი სიყვარულით ძრიელ კარგათ მოქცეულან, რომ გარყვნილებისათვის სასჯელი მიუყენებიათ საჯაროთ თავზე ლაფის დასხმით, მათ უნდა მიბაძონ სხვა რაიონის ქალებმაც.

შინდისიდამ იმავე დღეს საღამოს გამოვეშურეთ სოფელ საქაშეთში, საცა გვ-ცდიდა ხალხი. კრება გაიმართა ადგილობრივ კლუბში. მოხსენება იმავე თემაზე სულ განაბული მოისმინა ხალხმა, სიტყვის თქმაზე მეტმა წილმა უარი სთქვეს. განაცხადეს, რომ ასეთი სინამდვილით, სიმართლით და გასაგები ენით ჯერ სიტყვა არა გვსმენია და სრულ დამაყმაყოფილებულად ვსთვლით მოხსენებასო, მხოლოდ დიდათ გემდურით ქალაქის მუშებს. რომ ამდენხანს არ ამოიღეთ ხმა, არ გაგვაცანით საქმის ნამდვილი ვითარება და ამდენ ხანს ჭორიკანობის ქსელში გახვეულები დაგვტოვეთო. ჩვენ სულ მუდამ ქალაქის მუშების შემყურე ვიყავით, მათგან შევისწავლეთ რევოლიუციის ავან-ჩავანი და როცა გაუგებრობის ნიადაგზე უბედური მდგომარეობა შეიქმნა, და ჩვენ ჭურში ჩამწყვდეულებივით მოვექეცით სოფლად, საჭირო იყო ჩვენთან კვლავ მოსულიყო ქალაქის ძველი მუშები ვისაც ვიცნობდით ჭირში და ლხინში და მხოლოდ მათ ვენდობოდითო და აი ეხლა როცა კვლავ ვხედავთ ისევ ძველ ამხანაგებს გვწამს, რომ მუშების მიერ გადადგმული ნაბიჯი სწორია და ჩვენც მუდამ თქვენთან ვიქნებითო. გვწამს, რომ ეს ხელისუფლება-მთავრობა ჩვენი მუშურ-გლეხურია, და ნუ არიან ზოგიერთი წინათაც უნდო პირები, რომლების მოქმედება გვაშორებს ხელისუფლებასაცო; აქ შემომჩივლეს რომ წარმოკავშირმა შემოდგომაზე ხილი წაიღო, შეგვპირდა კერძო ვაჭარზე უფრო მეტს მოგცემთო, შეგვპირდა 1—40 კაპ. ფუთში და დღესაც 50 კ. მეტი არ მოუციავო. ჩვენ უთხარით ეს მთავრობის ბრალი არ არის და თუ რომელიმე ორგანიზაციამ ვერ დააკმაყოფილა გლეხებისადმი ვალდებულება ამას მოსთხოვს ხელისუფლება, რომ დაუყონებლივ იყვნენ დაკმაყოფილებული გლეხებითქო, რამაც დააკმაყოფილა გლეხები, მიიღეს შესაფერი რეზოლიუცია, აირჩიეს რწმუნებულები და ნასიამოვნები დაიშალნენ.

კრების შემდეგ, მომმართა ზოგიერთ გლეხებმა საჩივრით: აქ არის შეიარაღებული და აწუხებს გლეხებს თავის უდიერი, დამაშინებელი, და უხეში მოქმედებით ვინმე რადე მინდიაშვილი, რომელიც 1908—9 წელში ლორების ქურდობისათვის გამასწორებელი როტა ქონდა მისჯილიო; მას აბრალებდნენ აგრეთვე გზაში მეწვრილმანე ურიის მოკვლას სამი მანეთის გულისთვის, ხალხს

სცარცვავდავო; მან მოკლა 1905 წელს ნიკა მინდიაშვილი ცნობილი ძველი პროპაგანდისტი რევოლიუციონერი და ყოფილა აგრეთვე ყაჩაღ ყარაშვილის რაზმში. მე ეს ამბები სინამდვილე არ მეგონა მაგრამ ამის შესახებ გამაშტერებელი ცნობა მივიღე ამ სოფლის კომკავშირელ არჩილ გელაშვილისაგან. მან სთქვა რომ ეს ყველა მართალიავო—და დასძინა. აქ ამოვიდა ამ სოფლის შეფი, მას მიმართეს გლეხებმა საჩივრით მინდიაშვილზე და სთხოვეს აეყარათ მისთვის იარალი, გლეხების ერთხმათ მოთხოვნილება შეფმა შეასრულა და მინდიაშვილს მართლაც იარაღი აყარეს, მაგრამ წავიდა თუ არა შეფი ის კვლავ შეაიარაღესო, რაზედაც სოფელი ძრიელ გაბრაზებული არისო. ის არამც თუ გლეხებს არამედ ჩვენ კომკავშირელებსაც ტერორ ქვეშ გვაყენებსო. ამას წინათ, გაბრაზებილი, მით რომ მის საწინაალმოეგო სიტყვა ვსთქვი, მომივარდა მთვრალი შეიარაღებული რაზმით საღამოს, გადამიყვანა სხვის ეზოში და დამიწყეს უწყალოდ ცემა და მოკვლასაც მიპირებდავო, რომ სხვა კომკავშირელებს არ შეეშალათ ხელი. ეს ყველაფერი გავამცხადე და ეხლა უცდი კვლავ ჩვენი შეფის დაბრუნებას და მას კი ყოველივეს უამბობ თუ რა უბედურება ხდება აქო.

შინოისის რაიონში მოსახლეობს 160 კვამლი, საცა ბევრი ყოფილა ავადმყოფები, ექიმი არ არის, რაც დაამოწმა რაიონის ალმასკომმა, რომელმაც მითხრა რომ, ბევრჯერ მოვითხოვე მაგრამ არ იქნა არ დაარსდა საექიმო პუნქტიო. საჭიროა უეჭველში დაარსდეს ქსენონი ამ დიდ რაიონში. ხალხი საერთოთ დიდი კმაყოფილია ალმასკომის თავმჯდომარის და ძრიელ ემდურის უპასუხისმგებლო მოძალადეებს, რომლებიც გადატრიალებამდეც ხალხის შემაწუხებელნი ყოფილან, რასაც ჩემის აზრით უნდა მიექცეს ყურადღება.

ლ. კ.

## საბჭოს წევრების მიერ ზაჰესის დათვალიერება

კვირას, ჩვიდმეტ ამა თვეს, თბილისის მუშა და გლეხთა საბჭოს წევრებმა დაათვალიერეს ზაჰესის მუშაობა.

დილის 8 საათზედ ყველა წევრები მოგროვდნენ ქალ. ალმასკომის შენობასთან, საიდანაც ავტომობილებით გაემგზავრენ მცხეთისაკენ სამხედრო გზით. ზემო ავჭალის ახლოს, სადაც იდგმება ელექტრონული სადგური. დაგვხვდა უმთავრესი ხელმძღვანელი ინჟენერი ჭიჭინაძე, რომელმაც საბჭოთა წევრებს დაწვრილებით აუხსნა მუშაობის მიმდინარეობა. ჩვენი მისვლისას ხდებოდა კლდის აფეთქება, სადაც კეთდება სადგური, რის გამოც იძულებული შევიქენით რამდენიმე ხნით შევჩერებულიყავით მის ახლოს.

როდესაც დასრულდა კლდის აფეთქება ინჟ. ჭიჭინაძემ აგვიხსნა თუ სად უნდა აშენდეს თვით ელექტრონული სადგური, გვიჩვენა ის ადგილი თუ სად იქნება აუზი დაახლოვებით 200 კვ. საჟ. საიდანაც წყალი გადმოვა ელექტრონულ სადგურში და აბრუნებს ჩარხს. აქვე შენდება ხიდი, სადაც რკინის გზა გაივლის და მის ქვეშ კი იქნება გაყვანილი ის წყალი.

აქვე მუშაობს მიწის მთხრელი მაშინა, რომელიც თან თხრის და თან ვაგონებზედ აყრის. საინტერესო საყურადღებოა მისი მუშაობა, დიდი ეკონომიაა მუშა ხელისთვის. ის დიდათ აადვილებს მუშაობას, ეს მაშინა რომ არ იყოს რამდენიმე ასი მუშა-ხელი დასჭირდებოდა და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს მოუნდებოდნენ ამის მოთხრას.

ამის შემდეგ დავსხედით გამზადებულ ვაგონებზედ და ინჟ ჭიჭინაძის თანხლებით გავემგზავრეთ სათავისაკენ. მატარებელი ერთ ხიდზედ გაჩერდა, საიდანაც ეხლა პირდაპირ სჩანდა გაყვანილი არხი, რომელიც ეხლა ცემენტით კეთდება. სწორეთ კარგი შესახედავია.

აგრეთვე შევჩერდით ორ ადგილას, სადაც მთიდგან წვიმის დროს შესაძლებელია რაიმე ზიანი მიაყენოს არხს. აქ გაკეთებულია გვირაბები, სადაც წყალი გაივლის არხის ქვეშ და შეუერთდება მეორე ადგილას მტკვარს, ასე რომ ყოველგვარი საშიშროება გათვალისწინებულია და შესაფერისი ზომებია მიღებული.

დავათვალიერეთ კლუბი, დიდი ადგილია, შიგ დაიტევს 2000 სულს, დავიარეთ სახელოსნოები, სამჭედლო, სახარატო, საზეინკლო და სხვ.

ბოლოს თვით სათავეც სადაც ძლიერ სწრაფი ტემპით მიდის მუშაობა. გვიჩვენეს ის ადგილი სადაც უნდა დაგუბდეს წყალი და გადვიდეს გაკეთებულ არხში.

ასეთი დიდი საქმე, რომელიც ამ ჟამთ კეთდება, პირველია არა საქართველოში, არამედ მთელ რუსეთშიაც.

ამ დიდი საქმის დასრულება პირველი იქნება ჩვენს ისტორიაში. თუმც ინჟ. ჭიჭინაძის განცხადებით 1926 წელს პირველ მაისს გაანათებს თბილისს, მარა ჩემი შეხედულებით ჯერ ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი, მართალია უმთავრესი საქმე გაკეთებულია თითქმის, მარა ელექტრონული სადგურის და მისი გამართვას დიდი მუშაობა უნდა, და თუ მართლა პირველ მაისს 1926 წელს სადგურმა დაიწყო მუშაობა და თბილისი გაანათა ეს იქნება პირდაპირ სასწაულ-მოქმედება.

უსურვებ საქართველოს ხელისუფლებას, ეს დიადი საქმე, რომელიც საშვილიშვილოთ დარჩება ისტორიაში, მართლაც დანიშნულ დროზედ დაესრულებიოს.

ჯერ ერთი რომ დიადი საქმე კეთდება, და მეორე 2500 კაცი პურს ჭამს აგერ ოთხი წელიწადია. ვისურვებთ, რომ ასეთი საქმეები მრავალ ადგილას დაწყებულიყოს რათა მუდამ დაჩაგრული ტამონებული საქართველო ეხლა მაინც აყვავდეს, აღსდგეს კულტურულათ და ეკონომიურათ.

საბჭოთა წევრები ყველანი დიდი ნასიამოვნები დაბრუნდენ პირველ საათზედ.

კ. მაჭარაძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

# წ ე ს ი

## უბედურ შემთხვევებში სასწრაფო საექიმო დახმარ. აღმოჩენისა.

§ 1. ქალაქის სასწრაფო საექიმო დახმარების სადგური, საექიმო დახმარებას უწევს ყველას ყოველგვარ უბედურ შემთხვევაში სადაც და როდესაც არ უნდა მოხდეს იგი: ამათ ეკუთვნიან: მოწამლის შემთხვევანი, გაგუდვის, მძიმე ჭრილობის, ძლიერი დამწვრობის, გადატეხილობის, თვითმკვლელობის, სისხლის დენის და სხვა უეცარი შემთხვევები.

§ 2. სასწრაფო საექიმო დახმარების სადგური გზავნის ეტლს: 1) ავადმყოფებთან, 2) მთვრალებთან, თუ მათ ამავე დროს არ მიუღიათ რაიმე სერიოზული დაზიანება, 3) და სულით ავადმყოფებთან.

**შენიშვნა:** ავადმყოფების გადასაყვანათ სასწრაფო საექიმო დახმარების სადგურთან არსებობს სპეციალური ავადმყოფთა გადასაყვანი ეტლი.

§ 3. ქალაქ ტფილისის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დასახელებულ შემთხვევებში გამოიძახოს სასწრაფო დახმარების ეტლი, მხოლოდ ის ვალდებულია აცნობოს დაწვრილებით სადგურს თუ რა შემთხვევა მოხდა და სად (სწორი მისამართი).

§ 4. სასწრაფო დახმარების ეტლი არ გამოვა საშველად თუ გამომძახებელი სადგურს გადასცემს მხოლოდ მისამართს და არ მოუცდის სადგურის პასუხს: „მოვდივარ". ამ პასუხის შემდეგ კი ეტლი დაუყონებლივ გადის სადგურიდან.

§ 5. ავადმყოფი პირველ დახმარების აღმოჩენის შემდეგ ან გადაიყვანება მახლობელ საავადმყოფოში, ან მის ბინაზე, ან დატოვებულ იქნება ადგილზე მიხედვით მისი მდგომარეობისა.

§ 6. სასწრაფო დახმარების ეტლში ავადმყოფთა გაცილება ახლო ნათესავების მიერ შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და სასწრაფო დახმარების ეტლის ექიმის ნებართვით.

§ 7. სასწრაფო დახმარების ექიმი განმეორებით დახმარებას და შემდეგ მკურნალობას არ აწარმოებს.

§ 8. სასწრაფო საექიმო დახმარების აღმოჩენისათვის სადგური არავითარ სასყიდელს არ იღებს.

§ 9. სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად საკმარისია ტელეფონის ცენტრალურ სადგურს აცნობოს „გთხოვთ მოგვცეთ სასწრაფო დახმარება" ან № ტელეფონისა—68.

§ 10. ტყუილ-უბრალოდ და არა სწორ გამოძახებისათვის დამნაშავენი დაჯარიმებულ იქნებიან 5 მანეთით.

## წესი მძიმე ავადმყოფთა საავადმყოფოში გადაყვანისა.

§ 1. სასწრაფო საექიმო დახმარების სადგურთან ერთად არის სპეციალური ეტლი, რომელსაც გადაჰყავს არა გადამდები სენით შეპყრობილი ავადმყოფნი. ავადმყოფების გადაყვანა სწარმოებს დილის 10—საათიდან 6—საათადე. ავადმყოფნი გადაიყვანებიან ტფ. ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებით, დაზღვეულთა სამკურნალო ქვე/განყოფილებას ორდერებით და ქალაქის უბნის მკურნალ ექიმების ტალონებით. კერძო პირების მოთხოვნით, ავადმყოფნი გადაყვანილ იქნებიან სათანადო დაწესებულ ფასის გადახდევინებით.

**შენიშვნა:** ა) ყოველგვარი სახადიანი, დეზინტერიით და სხვა მწვავე გადამდებ სენით დაავადებულნი ავადმყოფნი გადაჰყავს და აგრეთვე გვამები გადააქვს სადეზინფექციო კამერას, სპეციალურ ამ მიზნისათვის მიჩნეულ ეტლით; ბ) პირველ რიგში გადაიგზავნებიან დაზღვეულნი და მათი ოჯახის წევრები, შემდეგ სხვანი.

§ 2. ავადმყოფთა გადაყვანა არ არის სასწრაფო დახმარება, ამიტომ ავადმყოფების გადაყვანა სწარმოებს განაწესის მიხედვით. დღის 12—საათამდე მიღებული ტალონი სრულდება ამავე დღეს, შემდეგ მიღებული კი შესრულების დაგვარად.

§ 3. ქირურგიული, ავადმყოფები, გარდა სასწრაფო შემთხვევებისა, გადაიყვანებიან და მიიღებიან საავადმყოფოებში დღის 2—საათამდე; სასწრაფო შემთხვევა, თუ ეს აღნიშნული იქნება ექიმის მიერ ტალონზე შესრულდება ყოველ დროს.

§ 4. საავადმყოფოებს ევალებათ დიდი ხნით არ დააკავონ სასწრაფო დახმარების ეტლები, როდესაც ისინი ავადმყოფებს მიიყვანენ საავადმყოფოში.

§ 5. მილიციის თანამშრომლებს ევალებათ ხელი შეუწყონ სასწრაფო დახმარების ავტო-კარეტების ყველგან დაუყონებლივ გატარებას.

ჯანმრთ. განყ. გამგე, პრეზ. წევრი მამულია.

საქმეთა მმართველი მაღრაძე.

მთავლიტი № 807 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 31 მაისი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11—68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა,
დილის 8—2 საათამდე

№ 23

## ევროპის რეაქცია და მუშათა კლასის მთლიანობა

ევროპაში დიდი ხანია ადგილი არ ქონია ისეთ მძაფრ რეაქციას, როგორიც დღეს არის. ინგლისში, მაკდონალდის მთავრობის დამარცხებიდან, გერმანიაში, ნაციონალისტების გამარჯვებით, ხოლო საფრანგეთში,—ერიოსთან შედარებით უფრო მემარჯვენე პანლევე ბრიანის—კაბინეტის შედგენით, უკვე დასრულდა „პაციფიზმის ერა“.

ამერიკის კაპიტალის დახმარებით ევროპის ბურჟუაზიამ ფეხი მოიმაგრა, წელში გასწორდა. კაპიტალისტური მეურნეობა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად განვითარდა. ბურჟუაზიის ეკონომიურ ფრონტზე გამაგრებას მოყვა მისი პოლიტიკურ ფრონტზე გამაგრებაც.

კაპიტალისტურ წეს-წყობილების სტაბილიზაციას, ცხადია, უნდა მოყოლოდა მუშათა კლასის დასუსტება, „უშუალო“ რევოლიუციონურ სიტუაციის შენელება. მთელი სიმძიმე კაპიტალიზმის სტაბილიზაციისა, მუშათა კლასს დააწვა; დღეს ევროპის ბურჟუაზია, მუშათა კლასის ხარჯზე ძლიერდება. საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის საგადასახადო პოლიტიკა, დღეს მიზნათ ისახავს კაპიტალისტების საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას, ხოლო მუშათა კლასის ტვირთის კიდევ უფრო დამძიმებას. გერმანიის მუშათა კლასი თანდათანობით კარგავს 1918 წლის რევოლიუციით მოპოვებულ უფლებებს; 10 საათის სამუშაო დღე,—დღეს ჩვეულებრივი მოვლენა გახდა გერმანიის მრეწველობის ბევრ დარგებში. ძლიერდება უმუშევრობა, განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს ის ინგლისში.

გერმანიაში ჰინდენბურგის გამარჯვება ევროპის რეაქციას კიდევ უფრო გააძლიერებს, საერთაშორისო მუშათა კლასს დიდ საფრთხეს უმზადებს. ის, რაც დღეს ხდება ბოლგარია-პოლონეთში, სადაც ათასობით იელიტება მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავდადებულნი მებრძოლნი, საუკეთესო მაჩვენებელია იმის, თუ რამდენად გათავხედდა საერთაშორისო რეაქცია. გაზეთ „ეპოქას“ ცნობით, მუსოლინმა ბოლგარიის მთავრობასთან შეთანხმებით წინადადება მისცა ინგლისს და საფრანგეთს იტალიასთან ერთათ გაგზავნონ ჯარები ბოლგარიაში წესრიგის დასაცავად. სამხრეთ სლავიას კი ბალკანეთზე მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად აუცილებლად მიაჩნია ბოლგარიაში სისხლიან ცანკოვის მთავრობის არსებობა.

ყოველივე ეს და სხვა მრავალი აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ საერთაშორისო რეაქცია მუშათა კლასის წინაალმდეგ შეთანხმებულად მოქმედებს.

ცხადია, ევროპის რეაქცია არ დაკმაყოფილდება მარტო ევროპის მუშათა და გლეხთა მოძრაობის ჩახშობით, ის ცდილობს დაამარცხოს, ყურ-მოჭრილ მონად გაიხადოს მუშათა კლასი იმ ქვეყანაში, სადაც 8 წელიწადია მუშებისა და გლეხების ხელისუფლება არსებობს, სადაც მშრომელთა დიქტატურა სწრაფი ტემპით ძლიერდება, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურადაც. ასეთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირია. ევროპის ბურჟუაზიას მოსვენებას არ აძლევს საბჭოთა კავშირის გაძლიერება, ის მიზეზს, საბაბს ეძებს საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ ახმაურდეს.

დღეს ბურჟუაზიამ ასეთი საბაბი იშოვნა—ბოლგარეთში მომხდარი ამბები კომინტერნის ხელს მიაწერეს, მოსკოვის მთავრობის აგენტების მოწყობილად გამოაცხადეს. მთელი ევროპის ბურჟუაზია ფეხზე დადგა, მთელი პრესა საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ აამოქმედეს. ბოლგარიის საგარეო საქმეთა მინისტრის კალფოვის დიპლომატიური გასტროლები, პარიჟ-ლონდონში, ბუქარესტში მცირე ანტანტის კონფერენცია და სხვა მოლაპარაკებანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნას ისახავს მიზნად...

საერთაშორისო რეაქციის იერიშების მოგერიება დღეს საერთაშორისო მუშათა კლასის მიერ დამკვრელ ამოცანად უნდა იქნეს გამოცხადებული. რეაქციის გაერთიანებულ ფრონტს მუშათა კლასის გაერთიანებული ფრონტი უნდა დაუპირდაპირდეს, წინაალმდეგ შემთხვევაში მუშათა კლასს სრული განადგურება მოელის.

სამწუხაროდ, მუშათა კლასის გაერთიანებული ფრონტის აუცილებლობა ყველას არა აქვს სათანადოთ შეგნე-

ბული. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა დღეს დაქსაქსულია, ის რამდენიმე ფრთად არის დაყოფილი. თითოეული ფრთა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების გავლენის ქვეშ იმყოფება. ზოგიერთ ქვეყნებში ეს გავლენა დიდია, ზოგიერთში უფრო ნაკლები.

პოლიტიკურ პარტიების გავლენა მუშათა კლასის პროფმოძრაობაზე განსაკუთრებით საერთაშორისო ომის დროს და ომის შემდეგ გაიზარდა.

პოლიტ. პარტიათა ზეგავლენა მუშათა მოძრაობაზე წინათაც იყო, მაგრამ ის სუსტი იყო, მაშინ პოლიტიკური მსოფლ-მხედველობის სხვადასხვაობა ისე არ უშლიდა ხელს მუშათა კლასს საერთო მტრის—რეაქციის წინააღმდეგ გაერთიანებულიყო, როგორც დღეს უშლის. დღეს პოლიტ. პარტიათა შორის უფრო ღრმა უფსკრულია. მათ შორის უფრო მეტი მძულვარება და მტრობაა, ვინემ წინათ იყო. ცხადია ამ გარემოებას არ შეეძლო დაღი არ დაემჩნია საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობაზე.

გერმანიაში ჰინდენბურგის პრეზიდენტათ არჩევამ ხომ ყველასათვის ნათელი ჰყო თუ როგორი ვნების მოტანა შეუძლია სოციალურ მოძრაობისათვის მუშათა კლასის სხვადასხვა ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯგუფებათ დაყოფა-დაქუცმაცებას. დღეს ხომ ყველასათვის უდაოა, რომ ჰინდენბურგი გამარჯვებას ვერ ეღირსებოდა, რომ გერმანიის კომუნისტურ პარტიასა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შორის საერთო ენა გამონახულიყო, რომ ყველა მემარცხენე პარტიები ერთ პლატფორმის გარშემო შეთანხმებულიყვენ და მონარქისტების წინააღმდეგ შეერთებული ძალით გამოსულიყვენ. დღეს ხომ ვერავინ იტყვის იმას, რომ გერმანიის მუშათა კლასისათვის სულ ერთია მონარქია იქნება გერმანიაში თუ ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ჰინდენბურგი თუ მარქსი. განა კომინტერნის მოწოდება, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ კომუნისტებს არ შეუძლიათ იდგენ იმ თვალსაზრისზე, რომ ჩვენთვის სულ ერთია მონარქია იქნება თუ ბურჟუაზიული რესპუბლიკაო,—სავსებით სწორი არ არის?!! ჭეშმარიტ მარქსისტს ხომ არ შეუძლია იმსჯელოს: რამდენათაც ცუდია—იმდენათ უკეთესიაო. მარქსისტებისათვის ხომ ყოველთვის სავალდებულო იყო, ორ ბოროტებიდან ნაკლებ ბოროტების არჩევა...

ჰინდენბურგის არჩევნების შემდეგ კომპარტიამ წინადადებით მიმართა გერმანიის გაერთიანებულ პარტიას ჰინდენბურგის არჩევით გამოწვეულ საფრთხეს შეერთებულ ძალით ებრძოლონ. მონარქისტულ რეაქციასთან საბრძოლველად ის შემდეგ მინიმალურ პროგრამას აყენებს: 1) მონარქისტულ რეიხსვერის და მონარქისტულ კავშირების დაშლა, 2) პოლიციის მილიტარიზაციის უარყოფა 3) შტრეიკბეხერების ორგანიზაციის „ტეხნიკური დახმარების“ დაშლა, 4) მეფის გვარეულობის წევრების საზღვარ-გარეთ გადასახლება და მათი ქონების კონფისკაცია, 5) ბიუროკრატიის გაწმენდა, 6) პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლება, 7) რვა საათის სამუშაო დღის შემოღება, 8) გაუქმება იმ გადასახადების, რომელიც მშრომელთა მასებს მძიმე ტვირთად აწვება და სხვა.

კომპარტიის ასეთი წინადადება დიდ პოლიტ. დათმობათ უნდა ჩაითვალოს, ამით კომპარტიამ დიდი ნაბიჯი გადადგა მუშათა მოძრაობის გაერთიანებისაკენ, საერთო ფრონტის შესაქმნელად. მართალია, უკეთესი იყო ეს ნაბიჯი ჰინდენბურგის არჩევნებამდე გადადგმულიყო, მაგრამ დაგვიანებული არც ეხლაა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ჯერ კიდევ გერმანიის მუშათა კლასის დიდ უმრავლესობას აკავშირებს და რომლის გავლენის ქვეშაა გერმანიის პროფმოძრაობა, კომუნისტების წინადადებას მეტი ყურადღებით უნდა მოეპყრას. საჭიროა მისი მხრითაც დათმობა, მემარჯვენე ბურჟუაზიასთან კავშირის გაწყვეტა, კომპარტიასთან მათ მიერ წარმოდგენილ პროგრამა-მინიმუმის გარშემო შეთანხმება და შეერთებულ ძალებით მონარქისტულ საფრთხესთან აქტიური ბრძოლა.

კომპარტიასა და სოც.-დემოკრ. პარტიის შორის პოლიტიკურ შეთანხმების გარეშე მუშათა მოძრაობის გაერთიანება, მთლიანი ფრონტის შექმნა შეუძლებელია. კომპარტიამ გადადგა ნაბიჯი ამ შეთანხმებისაკენ, ჯერი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზეა, კომპარტიის წინადადების უარყოფა სოციალ-დემოკრატ. პარტიას დიდ ზიანს მიაყენებს, მაშინ მუშათა კლასი აშკარად დაინახავს, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია ხელს უშლის მუშათა ოჯახის გამრთელებას და ამით ხელს უწყობს მონარქისტულ რეაქციის გაძლიერებას.

მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის შექმნის საჭიროება პოლიტიკურ კომპრომისის საშუალებით იგრძნო დღეს არა მარტო გერმანიის კომპარტიამ, საფრანგეთის კომპარტიაც ამ გზას დაადგა. საფრანგეთის მუნიციპალურ არჩევნებში საფრანგეთის კომპარტია მხოლოდ იმ ოლქებში აყენებს თავის კანდიდატს, სადაც დიდი შანსებია მისი გამარჯვების, ხოლო იმ ოლქებში, სადაც კომპარტიის გამარჯვების შანსები ნაკლებია, იქ კომპარტია მხარს უჭერს მემარცხენე ბლოკის კანდიდატს მემარჯვენე ბლოკის კანდიდატის წინააღმდეგ.

ამას უნდა მოყვეს სოც.-დემოკრატიულ პარტიების ტაქტიკის შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალ დემოკრატია საბოლოოდ დაკარგავს ევროპის მუშათა კლასის ფართო მასებში რევოლიუციონურ პარტიის სახელ და დარჩება უჯარო გენერლად...

ელი.

# ხარიტონ ვარდოშვილის პოეზია

მარად ჟამს საზღვარს გადამცდარი
ყოფნა ძნელია,
მაღალ ოცნებებს ანადგურებს
დღე ულმობელი.

(ხ. ვ.)

თანამედროვე პოეზია კრიზისს განიცდის, კრიზისი დაიწყო მას შემდეგ, რაც ადამიანში მოკვდა ღმერთი. კლასიციზმის პლასტიურობა, რწმენა უმაღლეს არსისადმი იქვეებში დაიბადა, კლასიციზმს მოძებნილი ქონდა ღმერთი, ადამიანის კავშირი უმაღლეს არსთან, და საუკუნეთა განმავლობაში პოეზიას—ამ „მშვენიერ ტყვილში“ ნავთსაყუდარი ქონდა. დაიმსხვრა კერპი კლასიციზმის; ღმერთი მოკვდა, პოეტს თავს ახურია ზეცა ულვთო და გაქურდული. (ხ. ვ.) დაიწყო ძიება ახალ ღირებულებათა. დაიწყო ხანა ბრძოლის, სევდის, იმედების, მისტიციზმის. რომანტიზმმა დაისახა მიზნად: თავისუფლება პიროვნების, დამსხვრევა ძველი კერპების, საკუთარი გზით სვლა თავისუფლებისაკენ. მაგრამ ახლად განთავისუფლებულ დიონისს დაუხვდა

ღმერთზე უფრო ძლიერი მტერი: მატერია, საგანი, კოლექტივიზმი, მოვალეობა; სული მოექცა საგნის ქვეშ. დაიწყო ბრძოლა გაშმაგებული: დაძლევა საგნის, აღდგენა სულის, მოცემა ახალი ადამიანის. აი, რა დაისახა მიზნად პოეზიამ.

საგანი ძლიერი აღმოჩნდა ღმერთზე. დაიწყო უიმედობა, შერიგება, სევდა, გადამღერება მოტივების. პოეზია ეძებს ნავთსაყუდარს, მაგრამ პიროვნება, როგორც მთელი, დაშლილია, წონასწორობა სულის საგანთან კავშირში დარღვეულია; ამაო ცდა: ოსკარ უაილდის „მშვენიერ ტყუილში, ოკტავ მირბოს „ცოდვის ბაღში“, პშიბიშევსკის „ვნების ბაღში“, ნიცშეს „ზეკაცი“, იმპრესიონიზმის „ბოგემა“, ექსპრეზიონიზმის „სულის აქტუალობა“, თუ ფუტურიზმის საგნის განივთებაში განთავისუფლება პიროვნების; დასასრულს ყველგან ნიჰილიზმი, შერიგება, ან სივრცე იქვებით სავსე.

და აი, ამ თანამედროვე პოეზიის სულის ტკივილების ერთი ნიჭიერი წარმომადგენელთაგანი არის პოეტი ხარიტონ ვარდოშვილი. ეს პოეტი პოეზიის კულტურის თანამედროვეობის დონეზეა და მისი გაგება, დაკვირვებას მოითხოვს. მთავარი მოტივი ხარიტონ ვარდოშვილის პოეზიის არის: აქტუალური აჯანყება ბედის, მიწის საშინელების, რუტინის, მიეთ-მოეთის წინააღმდეგ:

ასეთი ყოფნა არ ღირს არაფრად
„ძაღლებიც სტირის ამაოებას“ (ხ. ვ.)

პოეტის ხედვა გარეშესადმი ნათქლი და შეგნებულია. განცდა და გაგება ამ პოეტში ერთმანეთს ემთხვევიან. შემოქმედებით, სინუანსის დაცვის ცდა სრულია. პოეტი განიცდის: საშინელ წამებას, ყოველი მისი ნერვის ძაფი დაცხრილულია ტანჯვით. ყოველ წუთს: „ყელზე ებვევა გველები იქვის“, მასში „რეკს შიშის ჟრუანტელის ზარი“, „ირგვლივ სამარე და სიბნელეა“, გარს ახვევია „იდუმალება შეუცნობელი“, ღამეები, შავი მაჯლაჯუნები, მაგრამ პოეტს ამ საშინელებათა ქაოსში თამამად შეუძლია სთქვას: „არ შეგეშინდეს ჩემო სულო“, რადგან მან იცის — „უსიხარულო დღეების სვლას აქვს დავალება“. — მთელი ეს გარე ობიექტი პოეტს გაგებული აქვს როგორც წარმავალი — „გაივლის ასე მოჩვენება მრავალი ჟამის და დაიწვება სივრცეები ელვების ზოლით“ — და ეს შეძლებას აძლევს პოეტს სთხოვოს თავის სულს:

„უარეს უნდა გადაუარო
უმზეო დღეთა უამარ ცხრილებს,
ცეცხლებში გავლა არ იუარო
აუშვი ანძა ქედ გადახრილო“.

პოეტმა იცის „ქვეყანა მხოლოდ თავის მკვლელების
და ცრემლთა ტბების გძელი ფონია“,

და მთელი ცდა პოეტის, მთელი სათხოვარი სულისადმი მიმართულია, რომ ამ მასკარადულ სფეროში დარჩეს წმინდა, მაგრამ მომქმედი;

„არ მოისვენო, არ მოისვენო,
აენთე ცეცხლით. აენთე ვნებით.
სანამ არ მოკვდეს შენში განგება,
იქროლე მარად, იმღერე გზნებით“.

და როცა განწირული სული, მოქანცული გარეშესთან, საკუთარ თავთან ბრძოლაში, პოეზიისთვის თავგანწირული რაინდი იმედს კარგავს შეუცნობის წინაშე, პოეტი შეგნებით ამშვიდებს თავისავე სულს:

„დამშვიდდი კარგი, გემუდარები
ტირილით თავი ნუ მოიკალი
დახშული არის ბედის კარები
და სავლელ გზებზე დაჰქრის გრიგალი“.

მაგრამ უკვე იწყება პოეტში გაორება „მე“-სი. სული, როგორც ირრაციონალი, დამოუკიდებელი დუელში უდგება ინტელექტს.

პოეტის სულის სტიქია განშორებია გონების კონტროლს, მაგრამ პოეტის არსშივე მოუძებნია ყველაზე მგძნობიერი ნაწილი საიდანაც ვით „ვილაც“ გარეშე, ებრძვის პოეტის სიცოცხლეს და გარეშეს. აქ სულისთვის, როგორც პოეტის შეგნება, ისე ობიექტი ორივ საგანია, რომელსაც დაძლევა ესაჭიროება.

პოეტი შეგნებით ვერ აკავებს სულის ირრაციონალურ სტიქიას, მხოლოდ თხოვნით მიმართავს მას; უხსნის რომ ამაოა ეს წამება, წარმავალია თვით ბრძოლა, ირგვლივ სდგას სივრცეები სულდახუთული, და ევედრება სულს:

„დაბრუნდი ჩემთან გემუდარები;
ანდა მეც შენებრ მაქციე ლანდათ“.

„სათხოვრები სულისადმი“ ორგინალური ხაზია ქართულ პოეზიაში. აქ ხარიტონ ვარდოშვილი სრულიად დამოუკიდებელი, საკუთარი სახით სდგას თანამედროვე პოეზიაში. აქ წამება მიღებულია, როგორც საშუალება სულის განწმენდის, მაღალ ადამიანობისკენ ასვლისთვის. პოეტს სურს რომ გამართლდეს აფორიზმი „ტანჯვა ასპეტაკებს ადამიანის სულს“; მიწა მისთვის ფონია, სავალი გზა, რის დროსაც უნდა მოძებნოს ახალი სული, სული ირრაციონალი, სული აქტუალური, რომელსაც თამამად შეუძლია უთხრას პოეტმა:

„ამაღლდი სულო, —ცა შეიერთებს
წმინდა ლალადისს და თრთოლას მარადს,
ხმა უბედურთა ესმოდეს ღმერთებს
განკითხვის რისხვად და წყევის ზარად“

იდეალი ხარიტონ ვარდოშვილს გარკვეულად აქვს, რამდენათაც ეს პოეზიაში შესაძლებელია; გარღვევა შეუცნობის მიერ გადარაზულ კარის, საითკენაც სული როგორც ირრაციონალი ფენომენი სტიქიურად მიმართულია, და უკეთეს გზის გაგნებისთვის მოწოდებულია პოეტის შეგნება. პოეტს სურს რაც შეიძლება დაცულ იქმნას მასში ფსიქოლოგიური სიტუაცია, იგი ხედავს რომ მისივე არსში მისგან დამოუკიდებლად დაჰქრიან სხვა-და-სხვა უბედური ლანდები, რომელნიც შავ ღამეებში მის სულის ღია კარებში თავისუფლად დასეირნობენ.

პოეტი მათ ხან მეტისმეტ ელეგანტი კავალერის მორიდებით ეპასუხება, რათა შერიგებით გადახაროს ისინი თავისივე არსში, ხან გაშმაგებული პათოსით მიმართავს მათ, ან სიკვდილი და ან თქვენ „ჩემთან“ ერთად შეუცნობისაკენ.

ხშირად თვითმკვლელობა პოეტისთვის გამარჯვებაა; როცა მასში წონასწორობა ირღვევა, აიშლება „უბედური ლანდები“ სული მათთან ბრძოლას იწყებს, ღრღნის, აწამებს პოეტის გულს და გრძნობს მათთან ბრძოლის ამაოებას, ირგვლივ ღამეები, სადაც მშვიდობა შეუძლებელი და მიუწდომელია პოეტისთვის ვით მზის აფეთქება. ქვეყანა თავის მკვლელების გრძელი ფონია და თვითმკვლელობით პოეტი თავისთავთან ერთად კლავს თავის წამების მიზეზს, რომელიც მასშივე ჩამარხულია.

ხარიტონ ვარდოშვილს მთელი თავისი სიცოცხლე აწამებს „უბედური ლანდი“, შუაღამის უკუნი. ჯერ იგი მოგვითხრობს დღეს, თავის წამების წარმოშობის გენეალოგიას და ამბობს „იგი ლანდია ალიდან“.

„ცეცხლზე დაეცა ჰისი სული, როცა მღეროდა, ალი დალია და უფსკრულში გადაერია“...

„უყვარდა მის სულს უხილავი სიმაღლეები“, მაგრამ ბრძოლის შემდეგ:“

„იგი მღელვარე გატაცებით
ცეცხლზე დაეცა,
ალი დალია და ჭაბუკი გადაირია“,

და გიჟი პოეტი გარშემორტყმულია ლანდებით, ღამეებით, ფარისევლებით, და ამ მასკარადულ სფეროში გამარჯვებაა პრეტის, რომ მას თავის ინკვიზიტორებთან შეუძლია საუბარი, წამებით სიხარული და ცდა სიტუაციის დაცვის; ასე რომ უბედური ლანდი მუხლს იდრეკს პოეტის ძლიერ ენერგიის წინაშე და პოეტი იძულებულია მიმართოს მას:

„ღამე მაღალი და მთვარეული.
ლანდო, მითხარი, რამ შეგაშინა,
—ვარ მოჩვენება სიზმარეული
არ მაქვს სიმშვიდე, არა მაქვს ბინა“.

უკვე პოეტმა შეიყვარა წამება. ლანდები, მასშივე ამხედრებული ირრაციონალი ძალები, რადგან იცის მათთან განშორება მისი ქმედითი ძალის სიკვდილია, და იგი სრულიად დამშვიდებით მოუწოდებს უსავანო ლანდებს:

„შენ, იდუმალო და უსავანო,
შემოდი ლანდო, კარია ღია,..
ჩემთა ჰმუნვათა მუნჯო საგანო'
შენს მსხვერპლად ფიქრი აწ გამილია“.

შემდეგ:

„ლანდო მისნად ხარ ჩემთან მოსული
მითხარ სად არის ცა მყუდროების:
— იქნები მუდამ გარემოცული
უდაბნოებით, უდაბნოებით“.

მეტი ინტენსიურით პოეტი თავის წამების მთავარ ფენომენთან „შუაღამე“-სთან. შუაღამე, წყვდიადი მისთვის შეუცნობი ქაოსია. დასაბამი ყოველივესი. ეს მისთვის შესაცნობი საგანია, რომელიც ჯერ მისთვის ინტენციონალურადაც არ არის მოცემული. იგი ნოუმენია, რომლის არსებობას პოეტი გრძნობს ინტუიციით და მისტიური გაქანებით ქმნის რეალ არსად, რომლის დასაბამის გაგება, ან თუ გინდ შეუცნობლად, წამებით შესვლა მასში მისთვის ბედნიერებაა.

„შენი გაჩენა არც კი იცი
ქვეყნად რა იყო,
მოხვედი ჩუმად და გაშალე
კალთები შავად“.

შემდეგ:

„გაქვს აგებული უხილავი
ბანდის სახლები,
სამთავროებად ეშმაკების
ხარ დაყოფილი,
მზის დაბნელება გიხარია
და მეტად გართობს“.

მაგრამ ბოლოს პოეტი ღამეებთან დუელში ინუგეშებს თავს და მიმართავს მათ აჯანყებული წყევით:

„თვალები არ მაქვს მე დავსებული
რომ ვერ ვიხილო უდაბნო-ვრცელი
ო, შუაღამევ დახავსებულო,
თავზე სიკვდილი გადგია ცელით“.

ხარიტონ ვარდოშვილს ახალი სულის, ახალი ადამიანის მოცემისთვის გამოწვეული აქვს მრავალი სახეები, მრავალი უხილავი უბედური ლანდები, რომ მათთან ბრძოლაში გამობრძმედილს შეეძლოს თქმა:

„ცას ვეუბნები,
სახეს ნუ მიცვლი
აქ სამარეა!
მე ეხლა არ ვარ დაშლილი ნისლი,
ეხლა ქარი ვარ“.

და მიწის წამების რკალიდან გამოსული მიმართავს მიწას:

„მშვიდობით მიწავ
ბედის ჭუნე,
დღის გადარევა,
ფრთები აუშვი მოგუგუნე
ეხლა ქარი ვარ“.

მაგრამ თანამედროვე პოეტს არ შეუძლია განშორდეს მიწას. ხ. ვარდოშვილმა იცის რომ პარნასელობა მას ცოდვათ ჩაეთვლება და მით უმეტეს სულის ყოფნა ყოველთვის საზღვარს გადაღმა, ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, მთელი პოეტის არსის განადგურება იქნებოდა: და იგი ამბობს:

„მარად ჟამს საზღვარს გადამცდარი
ყოფნა ძნელია,
მაღალ ოცნებებს ანადგურებს
დღე ულმობელი“.

და ერთხელ, როცა ქალაქში თეთრი ჩრდილები უხმობენ მას შორეულ სამუდამო მხარისაკენ, პოეტი არ მიჰყვება მათ:

„მაგრამ ქუჩები კვლავ დამიჭერს
სისხლიან მკლავით,
შავ ფრთებს შემომკრავს და უმიზნოდ
მახეტიალებს“.

ხარიტონ ვარდოშვილის პოეზია მრავალ-ფეროვანია. მაგრამ სხვა და სხვაობას შორის კავშირი არსებობს. დაკვირვების შემდეგ შეამჩნევთ განვითარებით სვლას მიზნისაკენ.

პოეტს ტალანტი აქვს. (ეს მთავარი პირობაა). მიზანია შეუცნობ მისტიური სამყაროს შეცნობა. მიწის რუტინისადმი პროტესტი. სულის, როგორც პოტენციონალ, ძლიერ არსის ასახვა და თანამედროვე პოეზიის იდეალთან თვალის გასწორება. ყოველივე ამის გაგება, განცდა და შეგნების სრული შედუღების ცდა (აქ ფორმის და შინაარსის შედუღებაცაა), და ყველა ამ მიზნებისთვის წამების განსაწმენდელის მიღება, რომელსაც პოეტი განიცდის ირრაციონალ ძალების ზეგავლენით.

პოეტი ცდილობს ფორმისა და შინაარსის ერთგვარი პოტენციით დაცვას.

ლექსში, სადაც შინაარსი აქტუალურია, ფორმა გაქანებული, პროტესტანტული. ხშირად პოეტი ეძებს ისეთ სიტყვებს, რომ დისონანსი შეიტანოს ლექსში, რადგან მან იცის ასეთივე დისონანსები არსებობს მის განცდაში.

არის ახალი რითმებიც.

პოეტის ლექსების რკალში „საქართველო“: ლექსების ფორმა მსუბუქი და ჰაეროვანია. ამ რკალში პოეტი გამოდის სულ სხვანაირი, თითქოს დიდი სულიერი გრიგალის შემდეგ ცა მოიწმინდა და ლურჯ სივრცეზე აისია.

საქართველოს იდილია სულის წამლები ლამაზი ლანდშაფტებით. აქ პოეტი მსუბუქი იმპრესიონისტია, რომელიც წმინდა, დამშვიდებული სულით ლოცულობს საქართველოს ბუნების ტაძარში.

ამ რკალში გაბნეულია მშვენიერი ლექსები, მაგ: „იისფერი ქალი“, „მოგონება“, „საყდარი“. ეს სამი ლექსი შედევრებია ქართულ იმპრესიონისტულია, აქ შთაბეჭდილება გადმოცემულია უნაზეს გრძნობით და ფერებით.

„იისფერ ქალში“ მოცემულია იდეალური ეროსი ფორმა, სადაც ქალი მიღებულია, როგორც მშვენიერი სხეულებრი ფენომენი, და ხშირად ქალის სხეულის, მისი სულის შეუცნობელადაც, შასაძლებელია იდეალური სიყვარული.

პოეტის ნაკლი მხოლოდ ის არის, რომ მის წიგნში არის ზოგიერთი სუსტი ლექსები, მაგრამ, ძლიერი ლექსების სიმრავლე ფარავს მას და მშვენიერი პარადოქსია: ერთი კარგი ლექსი გაამართლებს პოეტსო.

რკალები: „სათხოვარი სულისადმი“, „საუბარი უბედურ ლანდთან“, „სამდურავი შუაღამეს“ და კიდევ ზოგიერთი ლექსები მუდამ დარჩება ქართულ პოეზიაში.

პოეტს სულის ნათესაობა აქვს: გალაკტიონ ტაბიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, მათ იგივე სევდამწუხარების პოეზია ახასიათებს.

ამ უკანასკნელთ ექსპრესია და აქტუალება იმდენი აქვთ, რამდენიც ეს შესაძლებელია ჰქონდეს იმპრესიონისტს. და ექსპრესიით ხარიტონ ვარდოშვილი მათზე ძლიერია.

შესაძლებელია ბევრი ითქვას ამ ნიჭიერ პოეტზე, მაგრამ მთავარი ანარეკლი მისი შემოქმედების შეძლების დაგვარად ნათქვამია.

დასასრულს ერთი ნათელია: მომავალში როცა მიუდგომელი ქართველი მკითხველი და კრიტიკა გადაშლის ქართველ პოეტების წიგნებს, ხარიტონ ვარდოშვილი მათთვის რჩეულ პოეტთა რიგში მიღებული იქნება.

**ვადიმ ნორაკიძე.**

---

# ნოე ჩხიკვაძის ხსოვნას

24 მაისს შესრულდა წლის თავი ჩვენი საუკეთესო მგოსნის ნ. ჩხიკვაძის გარდაცვალების. არავის გახსენებია ის მაშინაც, როდესაც მაისის 24-ს 1920 წელს მარტო უპატრონოდ ებრძოდა იგი უკანასკნელად სიკვდილს ჩვენი ქალაქის საავადმყოფოს ერთ-ერთ კამერაში. ასეთი ბედი ხვდა წილად მუშათა კლასისათვის მომღერალს, მშრომელთა და ჩაგრულთა ჭირვარამის მგოსანს, საკაცობრიო იდეალების მატარებელს, თავის ძვირფას სამშობლოს მათაყვანებელ პოეტს, ბრძოლის, შრომის, სიყვარულის ბულბულს... ნოე თითქო წინდაწინ გრძნობდა თავის ბედს, როდესაც ამბობდა:

ხელთ მეპყრა ჩანგი სიყვარულისა
სიყვარულს მღერდა ჩემი ხალარა,
მე-კი არავინ არ შემიბრალა,
მე-კი არავინ არ შემიყვარა.

ან და,

ვმღერი მარტო, კვნესის ჩანგი,
დნება ცრემლი ამ არეში,
და ეს ცრემლი სევდის ჰანგი
თან ჩამყვება სამარეში.

გასაოცარი წინაგრძნობით სიკვდილის მოახლოების ჟამს საშინელი ტანჯვის ცრემლით მგოსანი მოსთქვამს:

ვერავინ ვპოვე სანუგეშოდ, ჭირში თანამგრძნობლად
წუთის სოფლის ყრუ საკანში ვკვდები მარტო ობლად

ვერსად ბინა ვერ ვიპოვე მე ჩემ სამშობლოში,
სიცოცხლითვე ჩემი სული სტირის შავ კუბოში,
განა ამას შევნატროდი, ამას მოველოდი,
რომ სამარე გამითხარეს და დამადეს ლოდი?

შეიძლება ასეთ განცდის მიზეზი იყოს ნოეს მოუსვენარი სული, მისი დაუდგრომელი, არა ჩვეულებრივი ტემპერამენტი, რომელიც ვერავითარ ნორმებს, ვერავითარ—ასე ვსთქვათ—სტაბილიზაციას ვერ ითმენს. განსახიერებული ბრძოლის სტიქიის, მთელ თავის არსებით პროტესტანტს, ნოეს ვერავითარ ჩარჩოში ვერ ჩასვამ.

მე ცეცხლი ვარ, ჩემს ალმურში ყოფნის ცეცხლი იბადება,
მე მეხი ვარ, ჩემ ქუხილში ბრძოლის აზრი ვითარდება,
მე გრდემლი ვარ, ჩემი კვერი ბოროტებას ანადგურებს,
მე ღმერთი ვარ, ჩემ დიდ სიტყვას დიდი ღმერთი ადასტურებს.

ან და

ზღვამ მიუგო „ტალღებო ცდებით უგნურებითა,
ვინ იგემოს სიცოცხლე მუდმივ მოსვენებითა,
ბრძოლა ყოფნის ქარია, ღვევის ქარიშხალია
არსებობის მიზეზი მხოლოდ შრომის ძალია.

მაგრამ იმავე დროს პოეტი ამბობს:

მინდა ვიხილო ჯერ უხილავი, ახალი ქვეყნის ცა მოკამკამე,
არა, არ მინდა ეს ჯოჯოხეთი, შრომის სამეფო ტანჯვის უფსკრული,

აღგზნებულ გრძნობის ცეცხლის სიტყვებით ის მოუწოდებს დაჩაგრულ კლასს:

მაშ, მოძმენო რწმენა—სალი,
გული—ცეცხლი—რკინა,
მხარზე თოფი, წელზე ხმალი—
მედგრად წინ და წინა
ჩვენ ახალი ქვეყნისა წითელი ჯარი ვართ
ბრძოლაში ვეძიებთ ჩვენ ჩვენსა უფლებას,
მაშვრალთა აღდგომის ახალი ზარი ვართ,
ჩვენ შევქმნით ერთობას, ჩვენ შევქმნით სამოთხეს,
ქვეყანას მოუტანთ ბედნიერებას.

მომავლის ბედნიერების ცოცხალი იმედი, აი როგორი პესიმიზმით მოსთქვამს:

ერთხელ ვიყავ მგოსანი, ბრძოლის ცეცხლად ქცეული,
ღვევის ჭექა-ქუხილით ვძრავდი არე-მარესა
შეურყეველ იმედით ვსვამდი ნაღველ მწარესა
დღეს კი მარტო ვაგდივარ, როგორც ხე წაქცეული.

ასე, კინოს სურათებივით, იცვლება ერთმანეთს პოეტის გრძნობანი.

ჩვენის ფიქრით ნოეს სიდიადე სწორედ მის განუსაზღვრელ მრავალ ფეროვანებაშია.

მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც დემოკრატიული ბრძოლის მეტყველია. ის ებრძვის ზეცასაც:

მიწის შვილო, ხელთ აიღე ცეცხლის მასრი საკვეთელი,
მტვრად აქციე უგნურების ძველი ზღუდე, ციხე ბნელი,
ყურს ნუ უგდებ შემოქმედსა, მისი რჩევა შენ ნუ გჯერა,
ზეციერმა აღარ იცის მიწის შვილის ბედის წერა!

მხოლოდ ჰეინეს შეეძლო ასეთ მოშჯადოებელ ფორმებში თავის შემოქმედების ჩამოსხმა.

ნოეს სიყვარული სამშობლოსადმი განუსაზღვრელია, მაგრამ იმავე დროს მოკლებული ყოველ სიძულვილს სხვა ერებისა.

დიდება ერსა ჩვენსა მშობელს
მშვიდობა მადლი ამ სოფელს,
თავისუფლება სიკეთე
ერსა ყოველსა...

ფსალმუნისებური ჰანგებით გალობს მგოსანი...

სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენი საუკეთესო პუბლიცისტები ყველა თავისებურად მეტის-მეტ თბილ გრძნობით ეკიდებიან ნოეს, როდესაც არჩევენ მის ლექსების კრებულს, ცალკე წიგნათ გამოცემულს 22 წელს საქართველოს სახელგამის მიერ.

გიო.

# საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი:

## II ტყეები.

I

ამა თუ იმ სახელმწიფოს არსებობის ერთ უმთავრეს წყაროდ და ბუნებრივ სიმდიდრედ ითვლება ტყეები.

ტყეების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში უსაზღვროა. ტყე როგორც საშენი და საწვავი მასალის მომცემი შინა საჭიროებისათვის; ტყე, როგორც საექსპორტო ნაწარმოების მომცემი და მით დოვლათის შემომტანი უცხო ქვეყნებიდან; ტყე, როგორც თავის ძირებით მთა-გორის მიწების შემმაგრებელი, წვიმა-თოვლის წყლის შემკავებელი და ამ წყალით ზომიერად მკვებავი წყაროების და ღელე-მინდვრების, რომელთაც თავის მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობაში და თვით ხალხის არსებობისათვის. დაბოლოს ტყე ალამაზებს მთებს და მდელოს, წმენდს ჰაერს, ამრავლებს ოზონს და ჟანგბადს, რაც ადამიანის და ცხოველთა სიცოცხლეში თამაშობს უმთავრეს როლს. ტყე გვთავაზობს საზაფხულოდ დასასვენებელ ადგილებს. უტყეოდ კურორტების წარმოდგენა შეუძლებელია.

ნეტა რას წარმოადგენს უტყეო ადგილები?! მახინჯს, გაქაჩლებულ არეს, თქეშით და ნიაღვრებით ღრმად დასერილ ფერდებს, დამეწყრილ ალაგებს, უნაყოფო ღორღებს, მწირ, ბიაბან მიდამოს და სხვ.

ტყის უდიდესი მნიშვნელობა კარგათ აქვს შეგნებული განათლებულ ადამიანს, ამიტომ დასავლეთ ევროპაში უტყეო ადგილებში ხელოვნურად აშენებენ ტყეებს; არსებულ ტყეებს კი უვლიან სათუთად და ხმარობენ გონივრულად. იქ არსებობს უამრავი საჩქოლეები ხის საუკეთესო ჯიშებისა ტყეების მოსაშენებლად; იქ ყოველ წელს გაზაფხულზე დანიშნულია ერთი დღე, როცა გამოდიან დაბა-სოფლების და ქალაქის ახალგაზრდები, აგრეთვე დიდებიც კი, იღებენ ორმოებს დანიშნულ ადგილებში და რგავენ პაწია ხეებს ტყეების მოსაშენებლად. ეს მათთვის ერთგვარი დღესასწაულია,—ტყის შენების დღეობა.

პირიქით, უმეცარს, ველურს და უკულტურო ადამიანს, სამწუხაროდ, არ ესმის დიადი მნიშვნელობა, უზოგველად ჩეხავს ტყეებს, ალპობს მოჭრილს და ქარისაგან წაქცეულ ხეებს, შეუბრალებლად უკიდებს ცეცხლს და წვავს ათასს და ათიათას დესიატინობით, განგებ აცლის ქერქს და ახმობს საუკეთესო ხეებს და სხ. და სხ. ერთი სიტყვით თავის უმეცრებით ხმარობს ყოველგვარ ბარბაროსულ საშვალებას, რომ მოსპოს და გაანადგუროს საუკეთესო ტყეები, ამ საქციელით კი შეუგნებლად ღუპავს თავისავე თავს და ისპობს არსებობას. აზია-აფრიკის მრავალ ხალხების და სახელმწიფოების ძველად მოსპობა-განადგურების, ერთ უმთავრეს მიზეზათ შეიქნა ტყეების მოსპობა, ამრიგად წყარო-მდინარეების დაშრობა, ქარების გაძლიერება, ნოყიერ საყანე მიწების გამწირება, გაშიშვლება? და მთელი მხარეების უნაყოფო უდაბნოებათ გადაქცევა, ამ რიგათ სოფელ-ქალაქების მოსპობა და სიცოცხლის შეჩერება...

აბა რას წარმოადგენენ დღეს ერთ დროს დიდებული ეგვიპტე, აშერ-ბაბილონი, პალესტინა, ფინიკია, მცირე აზიის მდიდარი სახელმწიფონი და სხ.?; იმ ადგილებში, სადაც ერთ დროს სდუღდა სიცოცხლე, დღეს მარტოოდენ ქვიშაა, მტვერი, სიცხე-პაპანება და დანავარდობს სულის შემხუთავი ხორშაკი.. და ეს უმთავრესად იმიტომ რომ ადამიანმა შეუგნებლად მოსპო ამ დიდებულ ქვეყნებში ტყეები და გაანადგურეს სარწყავი არხები და აუზები.

II

სხვა ქვეყნებს შორის საქართველოც უხვად დააჯილდოვა ბუნებამ შესანიშნავი ჯიშის ტყეებით, მაგრამ ბევრს ალაგს მეტადრე თფილისის და გორის სანახებში, აგრეთვე ჯავახეთში, ქართველმა ხალხმა მოსპო ტყეები და ხრიოკებათ აქცია დიდ სივრცეზე მთა-გორაკები. ასეთ ულამაზო სურათს წარმოადგენს თფილისის მიდამოები და მთელი სივრცე დაწყებული ღრმა-ღელედან ვიდრე გორამდე, სადაც მცირე გამონაკლის წარმოადგენს მცხეთის ახლო მდებარე სამხრეთ დასავლეთის მთა-გორები. ამ რიგათ ჩვენივე უმეცრებით გაპარტახებულია და გაუერანებული ჩვენში რამდენიმე ასიათასი დესიატინა, მეტადრე მთა-გორიანი ადგილები და ბევრი მათგანი ისე დასერილია წვიმა-თქეშისაგან, რომ უბრალო ბალახიც კი არ ამოდის გაზაფხულზე, რომ ორი თვით მაინც გამოდგეს ცხვრის საძოვრად. ჯავახეთში ხომ ისე მოუსპიათ ტყეები, რომ ხალხი უტყეობით განიცდის უსაზღვრო შევიწროებას და შეშის ნაცვლად ხმარობს საქონლის ნაკელისაგან გაკეთებულ წივას.

პროფ. ქურდიანის გამოკვლევით მთელ საქართველოში ტყეების სივრცე აღემატება 1,600.000 დესიატი-

ნას, რაც შეადგენს მთელი ტერიტორიის თითქმის მესამედს. ამ ტყეებში უმთავრესად მოიპოვება ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, წიფელა, ცაცხვი, თელა, წაბლი, მუხა, კოპიტი და სხვა საშენი საუკეთესო ჯიშები, აგრეთვე ზოგიერთ ტყეებში საკმაოდ შეივდებით ძვირფას ჯიშებს, მაგ. ბზას, ძელქვას, ურთხელას, (წითელ ხეს), ნიგოზს და სხვ.

ტყეების სივრცით პირველი ადგილი უჭირავს დასავლეთ საქართველოს, ე. ი. იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს და სამეგრელოს, შემდეგ აფხაზეთს და ახალციხის მაზრას, ამათ შემდეგ კი თიანეთს კახეთს და საინგილოს და ბოლოს ქართლს, სადაც პირველი ადგილი უჭირავს ბორჯომის მამულს.

ფიჭვის ტყეების რაოდენობა აღწევს ჩვენში 190.000 დესიატინას, ნაძვის და სოჭის ტყეები — 270.000 დესიატინას, წიფლის ტყეები—230.000 დესიატინას, დანარჩენი ჯიშის ტყეები კი აღწევენ დაახლოვებით ერთ მილიონ დესიატინამდე.

იმავე პროფ. ქურდიანის გამოკვლევით, ყველა ამ ტყეებს გონივრული ექსპლოატაციით შეუძლია მოგვცეს დაახლოებით 500.000 კუბ. საჟენი შეშა და ხე-ტყის მასალა ანუ 100 მილიონი კუბ. ფუტი საშენი და შეშის მასალა.

საშენ მასალად საექსპლოატაციო ტყეებს ეკუთვნიან: ბორჯომის ტყეები—48.000 დესიატინა, ახალციხის ტყეები—60.000 დესიატინა, საწერეთლოს (საჩხერის) ტყეები—43.000 დესიატინა, გაგრის სანახების ტყეები—11.000 დესიატინა, ლენტეხის (სვანეთის) ტყეები—70.000 დეს., ბზიბის სანახების ტყეები (აფხაზეთში) 120.000 დესიატინა, ბაღდადის და წაბლარის ხევის ტყეები (ოსეთში)—50.000 დესიატინა. სოხუმის მიდამოს ტყეები—100.000 დესიატინა და საინგილოს ტყეები—85.000 დესიატინა, სულ-კი 587.000 დესიატინა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩვენს ტყეებს გონივრული ექსპლოატაციით შეუძლია მოგვცეს წლიურად 500.000 კუბ. საჟენი ანუ 100 მილიონი კუბ. ფუტი შეშა და ხე ტყის საშენი მასალა. მარტო საშენი მასალა შეიძლება დამზადდეს წლიურად დახლოებით 50 მილიონ კუბ. ფუტის. კუბ. ფუტი რომ ვიანგარიშო სულ ცოტა 50 კაპიკათ, იზამს სულ 26 მილიონ მანეთის ღირებულებას. აქედან შესაძლებელია ყოველ წლობით გავიტანოთ უცხოეთში 1520 მილ. მანეთის ხე-ტყის მასალა, რაც შექმნიდა დიდ შემოსავლიან წყაროს ჩვენი ხალხისათვის და სახელმწიფო სალაროსთვის.

ნამდვილათ კი ჩვენს საექსპლოატაციო სივრცეს ამ ჟამად შეადგენს მხოლოდ 135.000 დესიატინა ტყე საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, სადაც მოქმედობენ რამდენიმე ათეული სახერხი ქარხანა, ტყეებსა და ქარხნებში მუშაობს სულ 3000-დე კაცი და მუშავდება წლიურად მხოლოდ 13—15 მილიონი კუბ. ფუტი ხე-ტყის მასალა, რაც ადგილობრივ საჭიროებასაც კი ვერ აკმაყოფილებს.

საწარმოვო კაპიტალის უქონლობა აფერხებს საქართველოში ხე-ტყის წარმოების აღორძინებას, რომელიც უქადის ჩვენს ქვეყანას დიდ დოვლათს და სიმდიდრეს მით უმეტეს, რომ მთელი დასავლეთი ევროპა დიდი ხანია განიცდის ხე-ტყის მასალის დიდ შიმშილს და ამ მასალას იგი ეზიდება მითუმეტ რუსეთიდან, ფინეთ-პოლონეთიდან და მეტადრე ამერიკიდან. აგრეთვე დიდი ხე-ტყე სჭირდება ქაღალდის ქარხნებს და ქაღალდის დამზადებას. ეს მრეწველობის ფრიად მნიშვნელოვანი დარგიც ადვილად აყვავდებოდა ჩვენში, რომ იყოს შესაფერი თანხა და ტეხნიკა...

ს. ქ—ნი.

## ჰეინედან*)

ეხსენ იგავებს, ხელი აიღე
აგრეთვე წმინდა ჰიპოტეზებზე!
სწორს და პირდაპირ მოველით შენგან
პასუხს დაწყევლილ შემდეგ კითხვებზე:

რად ხდება ასე—მძიმე ტვირთის ქვეშ
მართალს სისხლი სდის და სული ხდება?
ქება, დიდება, პატივისცემა
უპატიოსნოს წინ რისთვის ხვდება?

ვისი ბრალია? ნუ თუ ღმერთისთვის
ზოგი რამ ქვეყნად მიუწდომია?
ეგებ თავს ირთობს ჩვენთან თამაშით?..
ეს ხომ სასტიკად დასაგმობია!..

ხარბად მოველით პასუხს მთელ ას წელს,
არ აგვივსებენ სანამ პირს მიწით...
და რომ ეს პასუხს არ წარმოადგენს
განა სუყველამ კარგად არ ვიცით?!

ჯ. ფარიძე.

*) ეს ლექსი თარგმნილია რუსულად ცნობილი რეოლიუციონერის, შლისენბურგის პატიმარის მ. მიხაილოვის მიერ. იხ. Былое № 2.

## სიმღერა პროლეტარიატის

ციკლიდან: „გიჟი საუკუნე“

ისმის ამ საუკუნის უცნაური გუგუნი.
აღეწილი მიდამო ცეცხლის სვეტად აინთო,
ხანჯლებით გადავლახეთ გზებზე ღამე უკუნი
და სულმა ხეტიალში აღარავინ დაინდო.

იყო აელვარება ნება უტეხ რკალებად.
ფიქრს ამძიმებს მარადის ცეცხლის შურისძიება.
ახალ სწრაფვას ჰბადებდა ბრძოლის ინტერვალები,
ჰკანკალებდა ჰაერი სისხლის ფერი ციებით.

როგორ გადაიწია მიწის მშვიდი ზონები,
თითქოს ზევსმა პარნასზე ქვეყნის ცოდვა აზიდა..
ათავხედდა სიფიცხე გიჟი ამაზონების...
ცრემლები დაიღვარა ჩალურჯებულ თასიდან.

ძარღვიანი მკლავების უჩვეულო ზმორება
ბრძოლის ჟინით დამძიმდა, ბრძოლის სუნნელს დაეთრო.

გადაიქცა ველები სისხლის უვალ მორევად,
წითელ ძმობის სხივებით ხომ ყველანი გაერთო.

სულს სწყურია თამაში ფრთა-აწყვეტილ ქარებთან:
ჯერ ადრეა ბრძოლების, რომ დასრულდეს სერია,
რომ მორცხვად დავიძახოთ მომავალის კარებთან,
სად ოქროს ასოებით სიყვარული სწერია.

გენ.

1925 წ. მაისის 1.

# აღმშენებლობითი მუშაობა ტფილისის ტრამვაის მოძრაობის დარგში

თვრამეტ მაისს კომუნალურმა სექციამ მოისმინა მოხსენება ტრამვაის დირექციიდან, მისი ექვსი თვის ნამოქმედარი, ხარჯთ-აღრიცხვა, შემოსავალ-გასავალი და მომავალი ნახევარი წლის განზრახული საქმეები.

მომხსენებელი იყო ფარნიევი. მისი მოხსენება არ გავდა ისეთს, რომელიც ხშირათ თეთრს შავად აჩვენებს და შავს კი თეთრათ. მისი მოხსენება იყო ნამდვილი მუშური, გულწრფელი, არავითარი უკანა ზრახვები მასში არ გამოსჭვიოდა, არამედ ლაპარაკობდა მას, რასაც თვითონ ხედავდა, თვითონ აკეთებდა და თვითვე იყო ამაში დარწმუნებული.

საერთოთ, რომ ავილოთ და გაუკეთოთ ჯამი ყველა იმ ნამოქმედარს, რაც მოვისმინეთ, სისწორით და მიუდგომლათ უნდა ვსთქვათ, რომ სრულიათ დამაკმაყოფილებელია და სხვა დარგისთვის სამაგალითოც.

იმავე დროს უნდა ითქვას სრული სიმართლე: აქ მარტო ფარნიევი და მისი კოლეგია კი არ არის შადლობის ღირსი, არამედ მთელი მუშა-მოსამსახურეების პერსონალი, რომლებსაც ნათლათ შეუგნია მოქალაქეობრივი მოვალეობა საალმშენებლო მუშაობის მნიშვნელობისა.

მართალია, როგორც გამოირკვა კრებაზედ, მუშა-მოსამსახურეების ეკონომიური მდგომარეობა უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა, მარა ამაზედ ქვევით ვილაპარაკოთ, ეხლა კი მინდა ცოტაოდენი ცნობები მივაწოდო მკითხველებს, რომ დარწმუნდენ რა გაკეთებულა და არის განზრახული მომავალ ახალი ექვსი თვის განმავლობაში გაკეთდეს. მე მომყავს ზოგიერთი ცნობები მოხსენებიდან:

მიმდინარე 24-25 წლ. საანგარიშო ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული იყო ლიანდაგზე 45 ძრავიანი და 15 მისაბმელი რონოდის მუშაობა. ეს რიცხვი პირველ ოქტომბრიდგან—პირველ აპრილამდე გადიდდა ძრავიანი რონოდები 70-დე და მისაბმელი 22-დე.

ექვსი თვის განმავლობაში დასიგნული იყო ტრამვაის შემოსავალი 861,200 მან. ნამდვილად კი შემოსულა 1.052,190 მან. ესე იგი, 316,315 მან. მეტი. გასავალი დასიგნული იყო მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის და მასთან დაკავშირებული გადასახადები 300,792 მან. ნამდვილათ კი დახარჯულა 379,179 მან. 78.377 მან. მეტი. დასიგნული იყო ამავე ექვსი თვის განმავლობაში შეძენა სხვადასხვა მასალების: 560,407 მანეთის რონები, ახალი რონოდები, ახალი არტახები და სხვადასხვა საალმშენებლო მასალები და სხვა.

ნამდვილად კი დაიხარჯა 603,820 მანეთი ესე იგი 121,790 მან. მეტი. იყო მსხვილი დაკვეთები: რონოდი 100,000 ფუთი ღირებული 357,500 მან. ახალი რონოდების ოცი ცალი, ღირებ. 135,000 მან. არტახები 500 ცალი ღირებ. 36.000 მან. აკუმალატორის ფირფიტები ღირებული 72.000 მან. მჟავბადი 300 ფუთი ღირებული 12,000 მან. ჯირკები 80,000 მან. ღირ. და სხვადასხვა.

მომხსენებელმა განმარტა, თუ რა გაკეთებულა აღმშენებლობითი დარგში: აშენდა ახალი სამჭედლო და აცეტილინის ასადუღებელი ქარხანა. დადგმული იქნა წყლის სამარაგო ქვაბი, გაფართოებული იქნა სადურგლო სახელოსნო, შეილობა ფიცრით რონოდების სადგომი ფარეხი, შეკეთდა, შეილესა და გათეთრდა ქარხნის ყველა შენობები, გადაკეთდა ხელახლათ 15 მისაბმელი რონოდა, შეკეთდა და ლიანდაგზე გამოვიდა სამუშაოთ 30 ძრავიანი რონოდა, აშენდა ხე-ტყის საშრობი შენობა. შეკეთებაში არის მთავარი სამმართველოს შენობა და სხვა.

გაფართოვდა სამმართველოს წინამდებარე ქუჩა, შენდება ქვიშის და სხვადასხვა მასალების საწყობები, გაყვანილია სათადარიგო ლიანდაგი ქარხნის ეზოში სამმართველოს წინ მინდორში, გაგრძელებულია ლიანდაგი ნაძალადევის ბოლომდის (ყოფ. ბილანოვ. შკოლამდე) გაკეთებულია ახალი გზა „პასაჟ კროშკაზედ“ ახალი ქუჩა და ლიანდაგი განათებით. გაკეთდა რონოდების საქცევი წრეები: სამხედრო საავადმყოფოსთან, კახეთის მოედანზედ, ციციანოვის აღმართის თავზედ. აშლილი იქნა ზედმეტი მოსახვევ საქცევები, თათრის მოედანზედ, ბზის მოედანზე, მუხრანის ხიდზე, წყნეთის ქუჩაზედ, საბალოსნო სასწავლებელთან. დაწყობილია დიდუბის ლიანდაგის გაგრძელება ნემეცების კალონიამდე. განზრახულია მიმდინარე საანგარიშო წლის მეორე ნახევარში გაკეთდეს: ახალი ლიანდაგის დაგება ვერის ხიდიდან ჩერქეზიშვილის ქუჩამდე, იმ ანგარიშით, რომ ამ ლიანდაგზე მომუშავე რონოდები ივლიან სახელმწიფო უნივერსიტეტამდე, მიხეილის საავადმყოფოდან მარქსის ძეგლამდის და რიყის ქუჩამდე გაგრძელებით. მეორე ლიანდაგის დაგება სასახლის ქუჩაზედ, თავისუფალ მოედნიდან თათრის მოედნამდე (ახალი ქუჩა ახალი ლიანდაგით) ორთაჭალის კონკასთან შეერთებით. განათების მოწყობა ყველა იმ ქუჩაზედ, სადაც რონოდები ივლიან, აშენება თუჯის ჩამომსხმელ, ლიანდაგების ჯვარედინების და ისრების დასამზადებელი ქარხანის.

სადგურზედ შეკეთდა ორთქლის მანქანები და ქვაბები, შეკეთდა ზევით და ქვევით სადგურები. აშენდა ფარდულები ფირფიტების და მჟავბადის შესანახად. გამოწერილია მანქანებისათვის სხვადასხვა ნაწილები ჩეხოსლოვაკიიდან და გერმანიიდან.

ფუნიკულიორზე მოეწყო სკამები ზევით და ქვევით სადგურზე. დაწყებულია შეკეთება ლიანდაგის აუზის და სხვა. მომავალ წლის საანგარიშო წლისთვის განზრახულია ლიანდაგების გაგრძელება სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ყოფილ სემენარიამდე (ვაკეზედ) სამეანო ინსტიტუტიდან საბურთალომდე, სამხედრო საავადმყოფოდან ძველ სასაფლაომდის (ნავთლუღი). შეძენა 35 ახალი ძრავიანი რონოდის, შეძენა 200,000 ფუთი რონების და სხვა.

დასასრულ მუშა-მოსამსახურეების რიცხვი წარსულ წელთან შედარებით გადიდდა 460 კაცით.

ასეთია საზოგადოთ სურათი ტრამვაის მუშაობა უნარიანობის. კიდევ ვიმეორებ საქმიანობა მეტად დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ამავე კრებაზედ წამოიჭრა მუშა-მოსამსახურეების მატერიალურად გაუმჯობესების საკითხი. მართალი უნდა ითქვას აღმშენებლობითი წინსვლა ნაყოფია მუშა-მოსამსახურეების ენერგიული და თავდადებული მუშაობის, ამისათვის მათი მატერიალური მდგომარეობაც უნდა იქნეს გაუმჯობესებული.

მართალია, სექციის თავმჯდომარემ და ივანო-კავკასიკიმ მისცა განმარტება, რომ ჯამაგირების საკითხი გადაწყვე-

ტის პროცესშია, მაგრამ მაინც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ვისგანაც ჯერარს. განკერძოებულათ ტრამვაიის პირობების გაუმჯობესებაზედ ლაპარაკი შეუძლებელია, როგორც ზოგიერთები აღნიშნავდენ.

რაც შეეხება ბაპოვის განცხადებას, რომ არაფელი მიეცეთ იმათ, ვინც მეტ ენერგიას იჩენს სამსახურის დროს, ეს მისაღები არ არის. პირიქით ასეთი ჯილდოები უნდა გადიდდეს წასახალისებლად, რაც მეტად სასურველია და საჭიროცაა აღმშენებლობითი მუშაობისათვის,

კ. მაჭარაძე.

---

# გამოთქმული ფიქრები

ჩვენ, ქართველებს, თავმოყვარეობის გრძნობა—ყველა გრძნობებზე უფრო განვითარებული გვაქვს.

არ ვიცი ეს უბედურებაა თუ ბედნიერება, მაგრამ ერთი კი ცხადია, ვისაც თავმოყვარეობა არა აქვს, თავის პირადობა არ აინტერესებს—ის ვერც სხვის თავმოყვარეობას სცემს პატივს.

და მართლაც, როგორ შეგიძლია შენ შეიყვარო სხვა, როცა შენ თვითონ შენი თავი არ გიყვირს.

როგორ შეგიძლია სხვას სცე პატივი, როცა შენ თავს შენ თვითონ არ სცემ პატივს...

ჩემი ფიქრით ეს თან დაყოლილი თვისება ქართველ ხალხს ყოველთვის აკავშირებდა, როცა კი მისი ეროვნული თავმოყვარეობა ილახებოდა...

ნაწილობრივ ამ თვისებას უნდა მიეწეროს ისიც რომ 25 საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი გაშმაგებით იცავდა თავის ეროვნულ თვითარსებობას, თავის ეროვნულ „მე"ს და მიუხედავათ იმისა, რომ ის გარშემორტყმული იყო ნახევრათ ველური ხალხებით—მან მაინც მოახერხა სწორი გეზის აღება, არ გაითქვიფა სხვა დიდ ერებში და მეოცე საუკუნემდის მოიტანა თავისი ეროვნული სახე და ეროვნული კულტურა.

მეოცე საუკუნემ კი თავის დიდი რევოლიუციის შემწეობით უზრუნველყო პატარა ერების არსებობა და კულტურულ-ეკონომიური განვითარება...

ამ დიდ რევოლიუციაში საპატიო ადგილი უჭირავს ქართველ ხალხს, ქართველ რევოლიუციონერებს...

ქართველი რევოლიუციონერების სისხლით არის მორწყული მთელი ვეებერთელა რუსეთის სივრცე; მათი ძვლებით არის მოკირწყლული მთელი გზა—კავკასიიდან ციმბირამდის...

არა ნაკლებ როლს თამაშობენ ქართველი რევოლიუციონერები დღესაც—საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკების აღორძინება განვითარებაში...

ჩვენ,—ერთი ფრთა რევოლიუციონერ მუშებისა ჩამოვცილდით დიდ რევოლიუციის მესაჭეებს და მათ წინაალმდეგ ვაწარმოებდით იდეიურ ბრძოლას...

ეს ბრძოლა ბოლოს ისე გამწვავდა, რომ ორივე მხარე მივედით დაუშვებელ აბსურდამდის.

აქ დიდი გასამართლებელი საბუთები—არც ერთს და არც მეორე მხარეს არა აქვს, მაგრამ ერთი კი ცხადია: ამ არა სასურველ შედეგამდის მისვლაში არა უკანასკნელი ადგილი ეჭირა ორივე მხრივ—თავმოყვარეობას,—რომელმაც დასძლია გონიერება და ცივი ანგარიშები...

სამწუხაროთ—დღესაც, ბევრი ძველი რევოლიუციონერი უბრალო „ობივატელობას" არჩევს, ვიდრე რაიმე ეაქვეყნო საქმეში ჩაერიოს და გააკეთოს..

ამათ რომ კითხოთ გეტყვიან: „არ მინდა ამ შეცდომების პოლიტიკური პასუხისმგებლობა ავილო ჩემ თავზე, რომლებიც ჩაიდინეს კომუნისტებმა ან აწი ჩაიდენენო".

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ერთი მითხარით, სად და როდის, ან რომელ ისტორიულ ხანაში მომხდარა, რომ რომელიმე პარტიას, მთავრობას თუგინდ რევოლიუციას, შეცდომები არ ჩაედინოს! და წარმოუდგენელიცაა ასეთი დიდი რევოლიუცია, ასეთი დიდი მასშტაბით მოქმედება, რომ შეცდომები არ ყოფილიყო—ან აწი არ იქნეს.

შეცდომები აწიც უსათუოდ იქნება, მაგრამ აქ ერთი მთავარი არის მხედველობაში მისაღები:—ეს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ბურჟუაზიულ დემოკრატიულ მთავრობასთან განსხვავებით—მშრომელი ხალხის მდგომარეობას, მის სულისკვეთება-მისწრაფებას, ძირიანათ და საფუძვლიანათ იკვლევს, და გამოდის რა აქედან, ის აკმაყოფილებს ამ უმთავრეს ძალას—მშრომელ ხალხს..

ამ მხრივ მთავრობა არ სტოვებს არც ერთ დარგს ხალხის ცხოვრებისას და მეურნეობისას, რომ მას არ მიაქციოს ყურადღება:—მეურნეობა-წარმოების განვითარება, საბინაო საკითხი, სწავლა-განათლება, ხალხის გამოკვება, წიგნების გამომცემლობა, გზების გაყვანა და სხვა.

ვერ დავფარავთ—ზოგჯერ საკითხი ისე სწყდება, რომ უფრო დეკორატიული ხასიათი აქვს ვიდრე დადებითი, სასარგებლო შინაარსი, მაგრამ ეს გამონაკლისია და საპროპაგანდოთ შეიძლება ზოგადათ საჭიროც იყოს...

ეს განსხვავება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოების და საბჭოთა მთავრობას შორის არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან...

იქ, კერძო კაპიტალი, კერძო პიროვნებები და მათი ინტერესებიდგან გამომდინარე პოლიტიკა, ხოლო ხალხის ინტერესები კი მიჩქმალულია;

აქ კი, ხალხი და მათი ინტერესები პირველ რიგშია. —თვით მშრომელი ხალხი თავის წარმომადგენლობის სახით მართავს თავის სახელმწიფოს.

მიუხედავათ დიდი დაბრკოლებებისა საბჭოთა მთავრობამ შესძლო მდგომარეობის განმტკიცება—ვალიუტის შექმნა...

აწიც უნდა ვიმედოვნოთ—ეს მდგომარეობა, თუ გარეშე ხალხის შემშლელი პირობები არ იქნა—უფრო სწრაფი ნაბიჯით განვითარდება...

ჩვენ,—განდგომილებმა, აწი მაინ უნდა გამოვიყენოთ განვლილი გაკვეთილები და გადაჭარბებული გრძნობიერება დაუმორჩილოთ გონიერებას...

ჩვენი ერისათვის და კერძოთ მშრომელი ხალხისათვის დიდი დამყუპველი იქნება, რომ რუსეთის რევოლიუცია დამარცხდეს, მით უმეტეს, რომ ეროვნული საკითხი ფორმალურათ და პრინციპიალურათ—საბჭოთა მთავრობამ მიზანშეწონილათ და მისაღებათ გადასჭრა...

ჩვენ ქართველი მუშები უნდა გავხდეთ ფხიდურესი რეალისტები; ოცნების მორევში ცურვას თავი უნდა დავანებოთ...

ჩვენი ხალხის ბედი მჭიდროთ არის დაკავშირებული რუსეთის ხალხთან—დიდ რევოლიუციასთან...

განდგომილობა—დაუშვებელი შეცდომაა; მით უმეტეს, რომ განდგომა პასუხისგების საკითხს არ სწყვეტს...

ჩვენ უნდა ჩავებათ ყოველ დღიურ საქმიან, კულტურულ და ეკონომიურ აღმშენებლობითი მუშაობაში; დღეს ამისი სრული შესაძლებლობა არის.

„საომარ“ მდგომარეობის ხანამ განვლო.

ჩვენ უსათუოდ ხელი უნდა შეუწყოთ ერთი მეორის გაგებას. მტკივნეული ადგილების გალიზიანებას უნდა ვერიდოთ—ეს არ არის სასარგებლო არავისათვის...

გადამეტებული გრძნობიერება და თავმოყვარეობა—ეს იგივე ავათმყოფობაა...

მარტო მსხვერპლზე და დაყუპულ ამხანაგებზე ლაპარაკსაც არაფერი სარგებლობა მოაქვს...

ბრძოლა უმსხვერპლოთ არ ხდება...

მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგ—მსხვერპლზე აღარ ლაპარაკობენ...

აწი მაინც დავდგეთ სწორ რეალურ გზაზე და აღარ განვიმეოროთ წასული დიდი შეცდომები...

ასე და ამრიგათ ჩვენ შევსძლებთ წინ მსვლელობას—საერთო ძალით—საერთო მიზნისაკენ... ამით ჩვენ შევასრულებთ ჩვენ ვალს—ხალხის და რევოლიუციის წინაშე.

ვ. გოგ—ლი.

# მუშათა კომისიის მუშაობა

## მანავის თემი

მიმდინარე წლის 16 მაისს მანავის თემის ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა კრებამ მოისმინა მუშათა კომისიის წევრის ამხ. კუპრაშვილის მოხსეეება „1924 წ. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში გამოსვლები და ჩვენი ამოცანა“—დაადგინა:

კრება ჰგმობს აგვისტოს გამოსვლებს, როგორც ბრძოლას რევოლიუციის წინააღმდეგ. იზიარებს 7—8 ოქტომბრის ნაძალადევის მუშების მიერ მიღებულ რეზოლიუციას და ავალებს მუშათა კომისიას განაგრძოს მუშაობა ერისა და რევოლიუციის საკეთილდღეოთ. ქართველი გლეხკაცობა რუსეთის ხალხთან ერთად იბრძოდა მეფური რეჟიმის წინააღმდეგ და ის, რუსეთის ხალხთან უნდა იყოს რევოლიუციის დროსაც, ყოველ მის მომენტში—ჭირშიაც და ლხინშიაც.

ქართველი გლეხობა არ იყო და არც იქნება რუსეთის ხალხის მტერი.

ჩვენი განთავისუფლება და აღორძინება კულტურულად და ეკონომიურად შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გაიმარჯვა რევოლიუციამ. რევოლიუცია სწარმოებს რუსეთის მასშტაბით და ის გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ერები, რომლებიც საკავშირო რესპუბლიკაში შედიან ძმურად და სრული თანხმობით ითანამშრომლებენ.

გაუმარჯოს საკავშირო რესპუბლიკას!

გაუმარჯოს რევოლიუციის მებაირახტრეს, კომინტერნს.

თავმჯდომარე: ი. [illegible]

## დაბა სართიჭალა

მიმდინარე წლის 17 მაისს საღამოს 6 საათზე შესდგა სართიჭალის თემის ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა კრება, რომელმაც მოისმინა მუშათა კომისიის წევრის ამხ. კუპრაშვილის მოხსენება: „აგვისტოს გამოსვლების შესახებ“—და დაადგინა: კრება ჰგმობს ასეთ გამოსვლებს, როგორც ბრძოლის საშუალებას კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ. იზიარებს რა ტფილისის მუშების ავანგარდის 7—8 ოქტომბერს, ნაძალადევის კრებებზე მიღებულ რეზოლიუციას, საჭიროთ სთვლის რათა მუშათა კომისიამ განაგრძოს თავისი ენერგიული მუშაობა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. ქართველი გლეხკაცობა რუსეთის ხალხთან ერთად იბრძოდა და იბრძოლებს კიდეც რევოლიუციის დასაგვირგვინებლათ. დაგვირგვინება და გამარჯვება რევოლიუციისა მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ერები, რომლებიც საკავშირო რესპუბლიკაში შედიან, ძმურათ ითანამშრომლებენ მის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებისათვის.

გაუმარჯოს ასეთ კავშირს.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

თავმჯდომარე: თედო გურგენიძე.

## ქვიშხეთის თემი

(გორის მაზრა)

კვირას, 17 მაისს, შესდგა ქვიშხეთის თემის საერთო კრება ყოფილ მენშევიკების და უპარტიო გლეხკაცობისა სადაც დაესწრო აურებელი საზოგადოება.

კრებას დაესწრენ ქალ. ხაშურის მუშათა კომისიის რწმუნებულები ამხ. ე. ტალახაძე, ი. უშვერიძე და სხვა. მოხსენება გააკეთა ამხ. კობახიძემ. აგვისტოს გამოსვლები და მისი გაკვეთილები, და ყოფილ მენშევიკთა და უპარტიო მშრომელი მასის დამოკიდებულება, დაახლოვება ხელისუფლებასთან.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო სოციალ-დემოკრატიის მუშაობას და რევოლიუციონერობას წარსულში,—მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე დაახასიათა 1917 წ. რევოლიუციის მნიშვნელობა, და ესერებ-მენშევიკების მუშაობა დროებითი მთავრობასთან.

შემდეგ აღნიშნა და გაარკვია ის მუშაობა, რომელსაც ეწეოდა 3 წლის განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა მენშევიკების ხელმძღვანელობით და მისი დამოკიდებულება ევროპის მთავრობებთან.

აგრეთვე აღნიშნა განსაკუთრებით 1921 წლიდან დაწყებული მუშაობა მენშევიკების ბოლშევიკების წინააღმდეგ და აგვისტოს კატასტროფიული აჯანყება და ის საშინელება, რომელიც მენშევიკების ხელმძღვანელობით თავს დაატყდა ქართველ მუშებს და გლეხებს, რაშიც უმთავრესი ბრალი მიუძღვის ევროპის მმართველ წრეებს და მე-II ინტერნაციონალს, ყოფილ მენშევიკურ მთავრობის დახმარებით.

შეეხო რა ევროპის პოლიტიკას საქართველოს აჯანყებაში, მომხსენებელი ამბობს, რომ ევროპის ყოველნაირი დაპირებანი თითქოს საქართველოსთვის სიკეთე სურდეთ, —მოასწავებს მხოლოთ მათი ბნელი საქმეების სასარგებლოთ მოქმედებას, რათა მიეცეთ საშვალება საქართველოდან სიმდიდრის გატანისა და თავისი კოლონიალურ პოლიტიკის განხორციელებისა, რაც აუცილებლათ საშინელებას და სრულ ფიზიკურ დამონებას უქადის ქართველ მშრომელ ხალხს.

მომხსენებელი მოუწოდებს ყველას დადგენ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, დაუახლოვდენ ხელისუფლებას, მიიღონ ყოველივე მუშაობაში მონაწილეობა, ჩაებან ყველა ალმშენებლობითი—კოოპერატიულ კულტურულ მუშაობაში, რითაც ამით შეგვიძლია დიდი დახმარება გაუწიოთ მთავრობას და კომპარტიას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ოქტომბრის რევოლიუციას და პროლეტარიატის დიქტატურას, რომელმაც მოაწყო სრულიად სამართლიანად და მიზანშეწონილად ჩაეგდო ძალა-უფლება ხელში, ამით რუსეთი გაიყო ორ მოწინაალმდეგე ბანაკათ კონტრ-რევოლიუცია ერთის მხრით და მუშათა კლასი და მშრომელი გლეხკაცობა მეორეთი. გამარჯვება უსათოთ ჩვენი უნდა ყოფილიყო—მშრომელებისა და ასეც მოხდა, ამით ბოლშევიკებმა ⅾ მისმა მთავრობამ გაანადგურა შინაური ბურჟუაზია და აგრეთვე საფრთხე მოუმზადა ევროპის ბურჟუაზიას, ამით რუსეთის მუშათა კლასმა და მშრომელ გლეხკაცობამ გაიმარჯვა და გადავიდა სოციალისტურ ალმშენებლობის ნიადაგზე, რითაც დღეს შეგვიძლია ვთქვათ მიღწეულია გამარჯვება და ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცებულია მისი სალი პოლიტიკით და უნარიანობით, ამას ამტკიცებს ის, რომ ევროპის სახელმწიფოები ძალა-უნებლიეთ ანგარიშს უწევენ და სხვა და სხვა ხელშეკრულებებს დებენ საბჭოთა კავშირთან, აგრეთვე აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულია ზომები გლეხობის პირობების გაუმჯობესების შესახებ, რაც უკვე მიღებულია გლეხკომების ყრილობაზე, რომელიც ახლო ხანში სავსებით იქნება გატარებული ცხოვრებაში, რასაკვირველია, საერთო ძალით საერთო დახმარებით და ხელის შეწყობით გლეხების მიერ.

აგრეთვე აღნიშნა მიღწევები სახელმწიფო მრეწველობაში და სასოფლო მეურნეობაში, რომლებიც წინა წლებთან შედარებით საგრძნობლათ გაიზარდა, გაფართოვდა და დღითი დღე წარმატებით მიმდინარეობს, ასეთი უნარიანობა და მუშაობა მაჩვენებელია იმის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია განამტკიცოს სახელმწიფოებრივი აპარატი.

შემდეგ, მომხსენებელმა აუხსნა და განუმარტა კრებას დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, ევროპის ბურჟუაზიის დროებითი მდგომარეობა და მოსალოდნელი საფრთხე მუშათა კლასის წინაალმდეგ, ინგლის-საფრანგეთის და გერმანიის ახალი მთავრობების გამარჯვება და მათი ზრახვები საბჭოთა მთავრობის მიმართ, მოაგონა კრებას გერმანიის მუშათა კლასის და მშრომელი ხალხის საშინელი კატასტროფა და დევნა რურის ოკუპაციის დროს და მოუწოდა ყველას, რომ აცდენილი იქნას ასეთების განმეორება. საჭიროა აქ, რუსეთში და განაპირა მათთან შემავალ რესპუბლიკებში, მოხდეს შექმნა ერთიანი ფრონტის ყველა მშრომელი ხალხისა ვისაც აინტერესებს თავისი პირობების გაუმჯობესება, და დადგენ ერთ წითელ დროშის ქვეშ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად. მაშინ გაორკეცებით შეიძლება იქნეს განმტკიცებული ჩვენი საბჭოთა ძლიერება, მაშინ ჩვენს წინაალმდეგ ვერ იქნება მოტანილი ის იერიშები, რომელიც ევროპას აქვს განზრახული, პირიქით ჩვენ შეგვიძლია ჩვენი შეერთებით შეკავშირებით დიდი მორალური დახმარებაც გაუწიოთ ევროპის მუშათა კლასს მის მიერ წარმოებულ ბრძოლაში და ამით დაუახლოვდეთ ის დღეები რევოლიუციის გამარჯვებისა, რასაც წუთობით ელოდება ევროპის მუშათა კლასი.

შემდეგ მუშათა კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. უშვერიძე და ტალახაძე. აღნიშნავენ მუშათა კომისიის მიერ დაწყებულ მუშაობას, როგორ პირობებში მოუხდათ მათ მუშაობის დაწყება, რა გააკეთა და რას აკეთებს. გააცნო კრებას რუსეთში წასვლის მიზანი და აგრეთვე ევროპაში გადასახლებულებთან და გადახვეწილებთან წასვლის აუცილებლობა და მოუწოდებს კრებას რომ, ვინც არის მუშა და გლეხი უსათუოთ უნდა დადგეს წითელი დროშის ქვეშ საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ერთად მიიღოს აქტიური მონაწილეობა, როგორც ალმშენებლობითი ისე კოოპერატიულ კულტურულ მუშაობაში, აგრეთვე ყველა მშრომელ გლეხს ყოფილი მენშევიკია თუ უპარტიო ის, აქვს თანასწორი უფლება და მას შეუძლია იმუშაოს გლეხთა საბჭოებში და ამით შექნას კომუნისტებთან ერთად ერთიანი მშრომელთა ფრონტი საერთო მტრის საწინაალმდეგოთ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მე III კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

შეკითხვები მრავალი იყო, რეზედაც გასცეს შესაფერი პასუხი. კრება დიდათ კმაყოფილი დარჩა ასეთი მოხსენებით.

კრებამ საჭიროთ დაინახა არჩეული იყოს ყოფილი მენშევიკები და უპარტიო ამხ. მუშათა კომისიის რწმუნებულებათ.

1. კოტე ლომსაძე.
2. ქიტა ლონლაძე.
3. ნიკო ჭედლიშვილი.
4. სერგო კიკნაძე.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

1925 წ. 17 მაისს ქვიშხეთის რაიონულმა საზოგადო კრებამ ყოფილ მენშევიკებმა და უპარტიოებმა მოისმინეს რა მოხსენება ქ. ხაშურის მუშათა კომისიის რწმუნებულებისა. აგვისტოს უკანასკნელი გამოსვლები და ჩვენი გაკვეთილები, აგრეთვე საერთაშორისო რეაქციის საფრთხე და მუშათა კომისიის მუშაობა, კრება სავსებით იწონებს 7—8 ოქტომბრის კრებაზე არჩეულ მუშათა კომისიის მუშაობას და ავალებს მას განაგრძოს ენერგიული მუშაობა, რათა ბოლო მოეღოს ყოველნაირ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ, გმობს აგვისტოს გამოსვლებს და ძველი გზით სიარულს, რამაც ხალხი მიიყვანა ეკონომიურ და კულტურულ განადგურებამდე. მოუწოდებს ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ არიან გამოურკვეველნი და ტყეში გახიზნულნი, შეიგნონ და დაადგენ იმ ახალ გზას, ხსნა მხოლოდ რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებაშია, რომელსაც მეთაურობს მუშურ-გლეხური ხელისუფლება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამიტომ საქართველოს მუშა-

ბის, გლეხების და აგრეთვე მშრომელ ინტელიგენციის მოვალეობას შეადგენს ხელი შეუწყოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, მის გამარჯვება-გამაგრება-განმტკიცებაში, რაც უზრუნველყოფს მშრომელების კეთილდღეობას და გამარჯვებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

დამსწრე მუშა ა. კ.

---

## ს. მეჯვრისხევი

მიმდინარე წლის 30 აპრილს მოხდა ს. მეჯვრისხევის და მის ახლო მდებარე სოფლების ყოფილი მენშევიბის, უპარტიო გლეხების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა კრება, კრებას ხსნის გორის სამაზრო მუშათა კომისიის წევრი მიშა იოსებაშვილი და სთხოვს დამსწრეთ აარჩიონ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

შემოდის წერილობითი წინადადება თავმჯდომარეთ არჩეულ იქნეს გიორგი ოქრუაშვილი, მდივნად ალ-დრე ჩუტკერაშვილი, რაც კრების მიერ მიღებულ იქნა ერთხმად.

მოხსენებას მუშათა კომისიის დაარსების და მის მიერ დასახული მიზნების შესახებ აკეთებს ცენტრალური მუშათა კომისიის წევრი ლ. კუპრაშვილი.

მომხსენებელი თავის სიტყვის შესავალში ამბობს, რომ ყველა საქმეს და საკითხს უნდა მივუდგეთ სამართლიანი და სინდისიერი მხრივ და საქმის დასაფასებლად, უნდა აღინიშნოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

შესავლიდან მომხსენებელი, გადადის რა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოქმედების შეფასებაზე, ამბობს,-რომ საქართველოს მუშას, და მშრომელ ინტელიგენციას ფრიად კარგი წარსული ჰქონდათ; ხელმძღვანელობდნენ რუსეთის რევოლიუციას, ბევრი გაჭირვება უნახავთ, გაუტარებიათ ციმბირში და ციხეებში ათეული წლები და ყველა ამის შემდეგ მთელი ტრაგიზმი ქართველი ერისა მდგომარეობს იმაში, რომ ამ სახელოვანმა რევოლიუციონერებმა ბოლოს, როცა მართლა დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ მუშათა კლასმა გაიმარჯვა, შესძლო თვითმპყრობელობის დამხობა და სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა ჩაიგდო ხელში, უღალატეს მუშათა კლასს—1) გადიხარნენ ბურჟუაზიისაკენ, 2) ჩამოაგდეს მეზობელ ერებთან შუღლი, 3) წითელი რევოლიუციონური დროშა შესცვალეს სამფეროვან დროშით, 4) დაიჭირეს კავშირი ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, 5) საქართველო გახადეს იმპერიალისტური სახელმწიფოების ჯარების სათარეშოთ, 6) სამოქალაქო ომის დროს ხელს უწყობდნენ საბჭოთა რუსეთის მტრებს და ამარაგებდენ მათ საომარი მასალით, და ბოლოს, მოაწყვეს ქართველი ერის ფიზიკურად გამანადგურებელი სულელური ავანტიურისტული გამოსვლა აგვისტოს ბოლო რიცხვებში 1924 წლისა.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით აღნიშნავს ყველა იმ დადებით მხარეებს, რაც მიხწეულია საბჭოთა ხელისუფლების და მის ხელმძღვანელ კომუნისტური პარტიის მიერ ეკონომიურ, ფინანსიურ, აღმშენებლობით და სხვა დარგებში და მოუწოდებს დამსწრეთ ცენტრალური მუშათა კომისიის სახელით, დაუახლოვდნენ ხელისუფლებას და მასთან ერთად ჩაებან პატიოსნურ მუშაობაში ქვეყნის ასაღორძინებლად. ხელი აიღონ არსებული ხელისუფლების წინაღმდეგ ბრძოლაზე და სხვებსაც შთააგონონ, რომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინაღმდეგ არის მშრომელი ხალხის და რევოლიუციის ღალატი.

სიტყვის ბოლოში მომხსენებელი ხაზგასმით განუმარტავს კრებას, რომ ქართველი ერი რიცხვით მეტად მცირეა, მას ესაჭიროება ძლიერი და მახლობელი მოკავშირე მეზობელი სახელმწიფო, რომლის დახმარებითაც ქართველი ერი შესძლებს აღორძინდეს და განვითარდეს კულტურულად და ეკონომიურად. ასეთი სახელმწიფო კი არის ბუნებრივი მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირი, რომლის მოკავშირედაც არის დღეს ჩვენი საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკა.

ლ. კუპრაშვილის შემდეგ თანამომხსენებლად გამოდის თედო ბოჭორიშვილი, რომელიც თავის მოკლე სიტყვაში მოუწოდებს აგრეთვე კრებას, დაუახლოვდნენ ხელისუფლებას, ჩაებან მშვიდობიან, პატიოსნურ მუშაობაში, შეიტანონ თავიანთი წვლილიც რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებაში.

მომხსენებელი ლ. კუპრაშვილი ყველა შეკითხვებზე აძლევს დამატებით ახსნა-განმარტებას.

მოხსენების ირგვლივ სიტყვები წარმოსთქვეს ადგილობრივმა ყოფილმა მენშევიკმა და უპარტიო გლეხმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სასურველი იყო ქართველი მშრომელი ხალხი უფრო ადრე დაფიქრებულიყო და დამდგარიყო სწორე გზაზე, მაგრამ არც ეხლაა გვიან და უსურვებს მუშათა კომისიას გამარჯვებას დასახული მიზნების განხორციელებაში რევოლიუციის და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

მოხსენების და სიტყვების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია;

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ლ. კუპრაშვილისა მუშათა კომისიის დაარსების და მის მიერ დასახული მიზნების შესახებ, სოფ. მეჯვრისხევის და მის ახლო მდებარე სოფლების ყოფილი მენშევიკები, უპარტიო გლეხები და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი ვადგენთ:

მუშათა კომისიის დაარსება მიზანშეწონილია, მის მიერ დასახული მიზნები სავსებით მისაღებია და ვსთხოვთ მუშათა კომისიას:

1) განაგრძოს ენერგიული მუშაობა და შთააგონოს ყველას, რომ დაანებონ თავი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას და დაუბრუნდნენ მშვიდობიან პატიოსნურ მუშაობას რევოლიუციის და ჩვენი ხალხის ინტერესების დასაცავად.

2) აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთში, ევროპაში მყოფ ემიგრანტებთან და გადასახლებულებთან, რომ თავი დაანებონ ყალბი ცნობებით და ილიუზიებით ქართველი მშრომელი ხალხის კვებას, დაუბრუნდნენ ძველ ოჯახს, რომ ხელ-ხელ ჩაკიდებულნი კომუნისტებთან ერთად

შევუდგეთ ქვეყნის აღორძინებას და რევოლიუციით მონაპოვართა განმტკიცებას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მე III ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს შეგნებას, რომელიც შეაკავშირებს ყველა მშრომელს პატიოსნურ, მშვიდობიან შრომისათვის, რევოლიუციის გასამარჯვებლად.

მეჯვრისხევის რაიონში სამუშაოთ ქვე-კომისიის წევრებათ ამორჩეულ იქნენ ერთხმად.

1) ოქრუაშვილი გიორგი
2) ცხადიაშვილი ბესო
3) მურადოვი სტეპკო
4) არსენიძე ნინო

კრების თავმჯდომარე **გიორგი ოქრუაშვილი.**

მდივანი ალ-დრე **ჩუტკერაშვილი.**

## ს. ტყვიავი

მიმდინარე წლის 3 მაისს მოხდა ტყვიავის თემის სოფლების ყოფილ მენშევიკების და უპარტიოების კრება.

კრებას ხსნის სოფ. კარბის გლეხი ყოფილი მენშევიკი იოსებ გელდიაშვილი და სთხოვს დამსწრეთ კრების ხელმძღვანელად არჩეულ იქნეს თავმჯდომარე.

კრება ირჩევს თავმჯდომარედ-იოსებ გელდიშვილს, მდივნად—რაფაელ კორინთელს.

მოხსენებას მუშათა კომისიის დაარსების და მის მიერ დასახული მიზნების შესახებ აკეთებს გორის სამაზრო მუშათა. კომისიის წევრი ალ-დრე ჩუტკერაშვილი.

მომხსენებელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, საქართველოს გასაბჭოების დღიდან, მიუხადავად ყოველგვარი ხელშემშლელი პირობებისა და ყველა ანტი-საბჭოთა პარტიების მის წინააღმდეგ ბრძოლისა, შესძლო თავისი ენერგიული შრომით ხელისუფლების განმტკიცება და რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ხელისუფლება არ ზოგავს არაფერს და ყოველ ჟამს იმის ცდაშია, რომ მშრომელ ხალხს გაუუმჯობესოს ყოფა-ცხოვრება, აღადგინოს იმპერიალისტური ომით განადგურებული ქვეყანა და ყველა ხალხთან იქონიოს მშვიდობიანი და ნამდვილი საქმიანი განწყობილება.

შედეგები ხელისუფლების ასეთი მოქმედებისა უკვე არის და, როგორც საქართველო, ისე ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკები, მოღონიერებულნი არიან ფინანსიურად, ეკონომიურად და აღმშენებლობითი დარგებში; მოსპობილია ეროვნული შუღლი მეზობელ ერებთან, საქართველო აღარ განიცდის უცხო იმპერიალისტური ჯარების თარეშს და უკვე მეხუთე წელია, რაც საქართველო წყნარ, მშვიდობიან ცხოვრებაშია.

ყველა ამის შემდეგ, დროა ურწმუნო თომებმა შეიგნონ, რომ იმპერიალისტური ევროპა საქართველოს არაფერს მისცემს, გარდა მონობისა და კოლონიად გადაქცევისა.

ქართველ ხალხს უბრძოლია რუსეთის ხალხთან ერთად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ეხლაც აუცილებლად საჭიროა ძმური კავშირი რუსეთთან რევოლიუციის განსამტკიცებლად.

საჭიროა ყველამ თავი დაანებოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, დაუახლოვდეს წრფელი გულით ხელისუფლებას და მასთან ერთად ჩაებას მშვიდობიან, პატიოსნურ მუშაობაში ჩვენი ქვეყნის და რევოლიუციის ინტერესებისათვის.

მომხსენებელი აძლევს შეკითხვებზე სათანადო ახსნა-განმარტებას.

მოხსენების ირგვლივ სიტყვას ამბობს კრების თავმჯდომარე იოსებ გელდიაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართველმა ხალხმა ძილხან ბევრი დაჰკარგა 4 წლის ბრძოლით ხელისუფლების წინააღმდეგ და, თავის შეცდომების გამოსასწორებლად, საჭიროა ეხლა მაინც დაადგეს სწორ გზას, დაუახლოვდეს სპეტაკი გულით მისთვის მზრუნველს საბჭოთა ხელისუფლებას, რომ შეერთებული ძალით გამოვკვებოთ მშრმელი ხალხის ბედნიერება.

დასასრულ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ტყვიავის თემის ყოფილმა მენშევიკებმა და უპარტიო გლეხებმა, მოვისმინეთ რა ამხ. ჩუტკერაშვილის მოხსენება მუშათა კომისიის მიზნების შესახებ, ვადგენთ: მუშათა კომისიის მიზნები მიზანშეწონილია, სავსებით მისაღებია და ვსთხოვთ მუშათა კომისიას განაგრძოს მუშაობა უფრო მეტი ენერგიით და შთააგონოს ყველას, რომ ჩვენი ხალხის და რევოლიუციის ინტერესებისათვის საჭიროა ხელისუფლებასთან წრფელი გულით დაახლოვება და პატიოსნური მუშაობა მასთან. გარდა ამისა, საჭიროა მოლაპარაკების წარმოება რუსეთში გადასახლებულ და ევროპაში გახიზნულ პირებთანაც, რომ მათაც დაანებონ თავი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, მშრომელი ხალხის ყალბი ცნობებით დაიმედებას და დაუბრუნდნენ ძველ ოჯახს, რომ თავიანთი ცოდნით და გამოცდილებით ემსახურონ მშრომელ ხალხს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მე III ინტერნაციონალს!

და გაუმარჯოს ყველა მშრომელი ხალხის შეგნებას, შეერთებას და შეერთებული ძალით ქვეყნის აღორძინებას!!!

ტყვიავის თემში სამუშაოთ კრებამ ერთხმად აარჩია ქვე-კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) გელდიაშვილი იოსები.
2) ლომიძე ნესტორი.
3) კობაიძე იოსები.

კრების თავმჯდომარე-**იოსებ გელდიაშვილი**

მდივანი-**რაფიელ კორინთელი**

## გარე კახეთი.

16 მაისს, დილის 4 საათზე, მივედი მატარებლით ბაქან მანავზე, საიდანაც სოფელი სამი ვერსით არის დაშორებული. თემის საბჭოს თავმჯდომარეს საგარეჯოს აღმასკომიდან წინა დღითვე ქონდა შეტყობინებული კრების მოწვევის შესახებ, და რადგან კრება დღის 12 საათზე უნდა შემდგარიყო, მე ვისარგებლე შემთხვევით და დავათვალიერე მანავის შესანიშნავი ძველი ისტორიული ციხე. ამ ციხის გალავანი ალაგ-ალაგ დანგრეულა, მაგრამ საერთოთ ჯერ კიდევ ბევრ ალაგას კედლები დიდი სიმაღლისანიც კი შაგრათა სდგას.

მოხუცმა, რომელსაც 80 წელს მიუხწევია მითხრა, რომ ჩვენი ძველები გადმოგვცემენ, ეს ციხე თამარ მეფის წინეთ აშენებული ყოფილა. ამ ციხესაც აქვს ფორტები სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ესენი არ არიან აშენებულ

ისეთი არხიტექტურული გეგმით, როგორიც გორის ციხის ფორტები; შიგ გალავანში არის პატარა ეკლესიის შენობები ნავის მზგავსის, და სხვა და სხვა სახელწოდებისა: წმინდა გიორგის, ხვთისმშობლის და წმინდა ნიკოლოზის. ერთი ამ ეკლესიის შენობისა ორ სართულიანია, ერთი სარდაფიყით ძირს და მეორე მიწის პირიდან ზევით. ეს ერთი სრულებით დაცულია და შიგ სკოლის შეშა უწყვიათ; დანარჩენი ორის კედლები კი მთელია, ხოლო სახურავი ჩანგრეულა. აღმოსავლეთით ამ ციხის გალავანის ერთ ნაწილში ამ ოცდა ათი წლის წინათ ვიღაც მემამულეს სომეხ ფრიდონოვს უთხოვია გლეხებისათვის, რომ მიეცათ მისთვის ნება ამ ციხის გალავანში აეშენებინა სომხებისთვის ეკკლესიის შენობა. გლეხებს დაურთავთ ნება (მათთვის მემამულეს წყალი გამოუყვანია რკინის მილებით რამოდენიმე ათეული საჟენის მანძილიდან) და აუშენებია პატარა შენობა სომხებისათვის, საცა ეხლა ერთწლედი სასწავლებელია მოთავსებული.

ორი ვერსის დაშორებით ამ ციხიდან, არის ყინმე თავადის მიერ აშენებული დიდი ქვიტკირის მარანი, რომელსაც საცივი მარანი ქვია. ამ მარნის ქვეშ გამოდის საუცხოვო ცივი და ანკარა წყარო. მარანში ყოფილა ასამდე დიდი და პატარა ჰურები, ნაწილი წამოუღიათ გლეხებს და თითონ მოუხმარიათ.

შუადღის 12 საათზე მივაშურე კლუბს, საცა უკვე შეკრებილიყვნენ ამ სოფლის გლეხების უმრავლესობა. მოხსენების შემდეგ გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუცია: გლეხებმა მომმართეს შემდეგი შეკითხვებით: ყველაფერი კარგი, მაგრამ რითი ავხსნათ ის უკულმართობა, რომელსაც ნიკოლოზის დროსაც ქონდა ადგილი და დღესაც აქვსო, რატომ ისეთ კაცს არ დააყენებს მთავრობა მოსამართლეთ, რომელიც მთავრობის კანონს არ გათელავს ფეხ-ქვეშაო. აქ ერთი საწყალი ბიჭი იოსებ დუჩიძე არის, რომელსაც საგარეჯოელ მღვდელმა ივანე დარბაისელმა მოხერხებით წაართვა მისი და მისი მამის ნაშრომ-ნაამაგდარი წისქვილი. მიუხედავათ იმისა, რომ მღვდელს საგარეჯოში მამული, აქვს თანაც მღვდელია. მოწმეებმაც დუჩიძის სასარგებლოდ სიმართლე ილაპარაკეს, მოსამართლემ პირველად კი დუჩიძის სასარგებლოდ გადაწყვიტა და მეორეთ კი მღვდელის მოხერხებით ისევ ღვდელს მიაკუთვნეს და დასტოვეს საწყალი ბიჭი პირში ჩალა გამოვლებული, ნახევარი კი მისი საკუთრებააო,—ასე არ არის ხალხო! (თან მიუბრუნდა ხალხს შეკითხვით რომ გაათავა) „ასეა მა, ნახევარი ღვდელის იყო და ნახევარი დუჩიძისა, მარა ჯერ კიდევ ნასწავლი კაცისკენ არის კანონი, ჩვენამდი მას ვინ მოუშვებს"—ერთხაზათ წამოიძახეს თითქმის ყველამ. დუჩიძემაც ილაპარაკა და თვალ ცრემლიანი ამბობდა. მამამ იშრომა, მეც ვიშრომე, ოცი კოდი ხორბალი ქვებში მივეცი და ეხლა მართმევს, რატომ საბუთი არა გაქვს ქაღალდითაო, კაცო, ვენდე სიძე იყო (მღვდელს ამ დუჩიძის და ყოლია ცოლად) მამაც ენდო, მთელმა სოფელმა ხომ იცის რაშიც იყო საქმე და რატომ უნდა მერთმეოდეს.

კიდევ შემომჩივლეს: აქ შვილმა და რძალმა პატიოსანი მშრომელი მამა მოკლეს მამულის ხელში ჩაგდების მიზნით და ეხლა შვილი კი ციხეში ზის და რძალი არხეინად დაიარებაო, ის სასტიკათ უნდა დაესაჯათ, ჩვენ გულები გაგვიტყდა შვილებზედაო, ჩვენც ასე გვიზამენ ჩვენი შვილები თუ ასეთ დამნაშავეებს ეპატივათო.

გარდა ამისა აქ ყოფილა დავა მამულზე კაკაბეთელებსა და მანაველებს შორის. მანაველებს ქონიათ მამული, სარწყავი თავის სოფელზე მოკრული ორ ნაჭრათ, რომელთა შორის ყოფილა ჩახირული (სალესნიჩო) სატყისმცველო (ნიკოლოზის დროს). ამ მიწითაც მანაველები სარგებლობდნენ. ეხლა ედავებიან კაკაბეთლები ამ სატყისმცველოდ ყოფილ ნაკვეთზე. დავა შეთანხმებით დაუბოლოვებია მიწათა კომისარიატის წარმომადგენელს ჯაფარიძეს; კაკაბეთელებისათვის მიუზომავს მანაველების მიწა მეორე ნაკვეთიდან, რომელიც საკუთრება იყო მანაველებისა და, რომელიც უშუალოთ ეკვროდა კაკაბეთელების მამულს. მანაველი გლეხები ამასაც სთვლიან არა კანონიერათ, მაგრამ შერიგებიან ამას რაკი მორიგებით გათავებულა საქმე და თანაც კაკაბეთელებიდან აღარ უხდებოდათ ის ნაწილი მამულისა. რომლიდანაც კაკაბეთელები უნდა შესულიყვნენ სადავო ადგილში.

ეხლა გამოჩნდა ვიღაც, რომელიც კვლავ ანგრევს საქმეს და ჩვენ გვართმევენ დამუშავებულ მიწას რაც უეჭველ სისხლისღვრამდე მიგვიყვანსო და აი, ეს არ უნდა ხდებოდეს ჩვენი მთავრობის დროს და არ უნდა ქონდეს ნება ვიღაცას, რომ ამღვრიოს წყალი ორ სხვადასხვა სოფლის გლეხებ შორისო,—ამბობდნენ გლეხები და თან დასძენდნენ, რომ ეს არ იცის მთავრობამ, ჩვენ ვერ ვახერხებთ გავაგებინოთ და მით სარგებლობს ბნელი ძალები ჩვენი შეუგნებლობით და ასე გვტანჯავს ვიღაცსულ უბრალოთო.

იმ დღეს საღამოსვე წამოვედი საგარეჯოში, საცა მეორე დღეს 17 მაისს დილის ათ საათზე მრავალრიცხოვან კრებაზე გავაკეთე მოხსენება გამოსვლების შესახებ და ჩვენი ამოცანები. იქნა მიღებული სათანადო რეზოლიუცია და როგორც მანავში აქაც აირჩიეს რწმუნებულები. საღამოს კი იმ დღესვე ჩავედი სართიჭალაში, კრება გაიხსნა საღამოს ექვს საათზე. მოხსენების თემა იქაც იგივე იყო, მრავალი შეკითხვებიც და აქაც გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუცია. კრების შემდეგ დავესწარი სურამის ციხის გმირების ლიტერატურულ გასამართლებას და უნდა ითქვას რომ აქ დიდი ძალები ყოფილან, საუცხოვოთ იცავდნენ დამნაშავე გმირებს დამცველები და სრულიად თავის ადგილზე იყვნენ ბრალმდებლებიც. ხალხი მეტათ დაინტერესებული იყო საქმის მსვლელობით და გულის ფანცქალით მოელოდნენ განაჩენს, მაგრამ მოსამართლეთა აზრი შუაზე გაიყო და ამიტომ განაჩენის გამოტანა გადადვეს. ხალხის აზრიც ორნაირი იყო, ზოგი ამართლებდა ვარდუას, უმეტესად ქალები და ზოგი ამტყუნებდა.

დ. ქ.

# მუშათა წერილები

## ვინაა დამნაშავე, რომ დაწესებულებათა გაეროვნება გვიანდება.

არის დაწესებულებები, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას და ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებათ, მაგრამ მიუხედავათ მთავრობის განკარგულებისა გაეროვნების შესახებ, რუსულათ საქმის წარმოება ვერ მოიშალა. სხვათა შორის ასეთი დაწესებულებაა ტფილისის ცენტრალური შრომის სალარო და ამავე დაწესებულების განყოფილებები მაზრებში. მაზრაში მომუშავე, რომ ყველა ქართულის მცოდნეა, ამაზედ ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ არც ტფილისის დაწესებულებაშია საქმე უმწეოთ. აქ 80% ქართული ენის მცოდნეა. მსახურობს მხოლოდ ორი კაცი, ქართულის არ მცოდნე, და ისინიც მოანგარიშეებათ რომელთა შეცვლა ყოველ წუთს შეიძლება. დანარჩენი 8 კაცი, ამ 2 გამო რუსულათ აწარმოებენ საქმეს. განა ეს არ არის ქართული ენის აბუჩათ აგდება?!. გარდა ამისა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი, ამ ორთაგანი — რიბხკოვი ძველი რეაქციონერია, ტიმოშკინის პარტიის წევრი და გაზ. „გოლოს კავკაზ“-ის მუდმივი თანამოაზრე. ამ ვაჟბატონს გაეროვნებაზე ლაპარაკი რუსების დევნათ მიაჩია. ისმება საკითხი: ვინაა დამნაშავე, რომ გაეროვნება არ ტარდება? ისევ ჩვენივე ხალხი. ამიერ-კავკასიის სალაროს გამგე ამხ. სამსონ ტოროშელიძე და ტფილისის ცენტრალურ შრომის სალაროს გამგე მოქ. ვასო მამაცაშვილი. პატივცემულო გამგეებო! შეასრულეთ მთავრობის განკარგულება თორემ ვაი თუ თქვენც რკინის ცოცხმა არ დაგინდოთ.

ლ. ქ—შვილი.

## რა უნდა ვაკეთოთ და რა გვიშლის ხელს?

ბათომის მუშათა კომისიის რწმუნებულის მოხსენებიდან.

როგორც საერთოთ ისე ბათომშიაც დიდი ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს ნაციონალიზაციის გატარების საქმეს, როგორც მოხსენებიდან ირკვევა ნაციონალიზაცია არ არის გატარებული ისეთ წარმოება-დაწესებულებებში, როგორიცაა აჭარპრომტორგი, მუშათა კოოპერატივი, პროფ-კავშირები, ელსადგურები, ხაზინა და სხვა.

ამასთანავე საგრძნობ ტკივილებს იწვევს უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული საკითხები, ყოფილა შემთხვევები, როდესაც, ესა თუ ის პირი გაუგზავნიათ ამა თუ იმ დაწესებულებაში, დაწესებულების უფროსს კი არ მიუღია—ადგილს „ვაუქმებთო“, რამდენიმე დღის შემდეგ კი იქ სხვა მიუღიათ... ამასთანავე ყოფილა შემთხვევები, როდესაც ციხიდან განთავისუფლებულთათვის არ დაუბრუნებიათ მისი ძველი ადგილი.

ოთხი ხუთი თვეა ასეთი პირები უადგილოთ დადიან...

იქაური რწმუნებულის აზრით მუშაობის ნორმალურათ წარმოებისთვის საჭიროთ მიაჩნიათ შემდეგი ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება: 1) ნაციონალიზაციის თანდათანობით გასატარებლათ ზომების მიღება. 2) უმუშევრობის წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღება, (აღრიცხვაზე აყვანილი პირების პროცენტულათ ამა თუ იმ სამსახურში გაგზავნა) კომისიისა და აღრიცხვაზე აყვანილთათვის მეტი ყურადღებით მოპყრობა, ციხიდან განთავისუფლებულთა ძველ უფლებებში აღდგენა, უსაბუთოდ სამსახურიდან მოხსნის წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღება და სხვ.

ჩვენ ვფიქრობთ ყველა ზემო-აღნიშნულ კითხვებზე გაცემული იქნება სათანადო პასუხი და მით ბათომის რწმუნებულებსაც საშვალება მიეცემათ განაგრძონ მუშაობა ყოველგვარ ხელის შეშლის გარეშე.

რა გაუგებრობასაც დღემდის ადგილი ჰქონდა, იმაზე დარწმუნებული ვართ ცენტრის მიერ მიღებულ იქნება საჭირო ზომები.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

ორშაბათს, ივნისის 1-ლს, საღამოს 6-საათზე, ტფილისის ალმასკომის დარბაზში მოწვეულია ტფილისის საბჭოს ყველა სექციების ბიუროს შეერთებული სხდომა.

## დღის წესრიგი:

1) საბჭოს სექციების მუშაობის გეგმის განხილვა.

2) სექციის წევრების გადანაწილება.

ყველა სექციის ბიუროს წევრების და კანდიდატების, სექციის თავმჯდომარეების და ქვე/სექციების მუშაობის ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის
ხელმძღვანელი არ. რუხაძე.

**რუსთაველის თეატრი**

ორშაბათს, ივნისის 1

**„თეატრი და ცხოვრება“-ს**

15 წლის არსებობის აღსანიშნავად

**(1910—XV—1925)**

გაიმართება

**საიუბილეო საღამო-წარმოდგენა**

სიტყვა, წარმოდგენა, კონცერტი, იუმორი.

დაწვრილებით აფიშებში.

ბილეთები კასაში. ფასები ჩვეულებრივია.

საიუბილეო კომიტეტი.

# „თეატრი და ცხოვრება"-ს 15 წ. თავი 1910–XV–1925

## ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს არსებობის 15 წლის თავი შესრულდა.

ქართული ბეჭდვითი ორგანოსთვის, რომელსაც, საერთოდ, ისტორიამ განსაკუთრებული მოვალეობანი დააკისრა და არსებობის არაჩვეულებრივი ძნელი პირობები შეუქმნა, ეს მანძილი მეტად თვალსაჩინოა და ღირსი საზოგადოების ყურადღებისა.

არ არის საჭირო „თეატრი და ცხოვრების" საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მნიშვნელობაზე სიტყვის გაგრძელება: მეფის რეჟიმის დროს ეს თითქმის ერთად-ერთი ჟურნალი იყო, რომელიც ყოველნაირად სცდილობდა შესაფერი სამსახური გაეწია ჩვენი სათეატრო ხელოვნებისათვის. ჟურნალი დღე-მუდამ მხურვალე აგიტაციას ეწეოდა საზოგადოებაში სცენის სასარგებლოდ და თეატრისადმი სიყვარულს უღვიძებდა ფართო მასებს.

მას ყოველთვის შეძლებისდაგვარად მაღლა ეჭირა ხელოვნების ჩირაღდანი და ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში მისი სხივი და სიტყვა უხვად ვრცელდებოდა.

თეატრალურ ხელოვნების გარდა, ჟურნალის ფურცლებზე ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდა მშობლიურსა და უცხოეთის პოეზიას, ბელეტრისტიკას, მხატვრობას, კრიტიკას.

ამნაირად, ჟურნალი უაღრესად ხალხურსა და მშრომელთა საქმეს აკეთებდა. მან თავისი წვლილი შეიტანა მდაბიო ხალხთან ხელოვნების დაახლოვების საქმეში და არა ერთი და ორი სახალხო მწერალი გამოზარდა ამ დროის განმავლობაში, როგორც ჩვენს დედა ქალაქში, ისე საქართველოს შორეულ კუთხეებშიაც.

15 წლის განმავლობაში ჟურნალში ბევრმა ახალგაზრდამ დაიწყო მწერლობა. ზოგი მათგანი, უკვე საკმაოდ გაზრდილი, დღეს ხელოვნების სხვადასხვა დარგს ამშვენებს; არ არის ცოტად თუ ბევრად ცნობილი მწერალი, რომელსაც თავისი ნაწარმოები ხსენებულ ჟურნალში არ მოეთავსებინოს.

ბევრი ქარტეხილი გადახდენია ჟურნალს 15 წლის განმავლობაში, მაგრამ დაბრკოლებანი გადაულახავს, ნივთიერად ხელის შემშლელი პირობები დაუძლევია და ხელოვნების მსახურის უქრობელი ჩირაღდანი დღემდე მოუტანია.

მხოლოდ რედაქტორის დაუღალავს ენერგიას და მტკიცე რწმენას შეეძლო ჟურნალი მძლე გამოეყვანა უამრავ დაბრკოლებებში, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ეკონომიურ საერთო დაქვეითების დროს, ყოველგვარ სუბსიდიის გარეშე, იგი იძულებული იყო ისევ მკითხველთა თანაგრძნობას დაყრდნობოდა და საკუთარის ძალღონით განეგრძო ეკლიანი გზა.

დღეს, თავის არსებობის 15 წლის თავზე, რედაქციას განზრახვა აქვს კიდევ უფრო გააფართოვოს სამოქმედო ფარგალი, გააუმჯობესოს ჟურნალის შინაარსი და დროგამოშვებით სარეპერტუარო პიესების კრებული გამოსცეს.

ქართულ მწერლობისა და ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელთაგან შემდგარმა კრებამ გაითვალისწინა ჟურნალის ესოდენი დამსახურება და გადასწყვიტა მისი არსებობის 15 წლის თავი შესაფერისად აღინიშნოს: ა) 1 ივნისს 1925 წ. რუსთველის თეატრში გაიმართოს საიუბილეო საღამო საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად და ბ) ამავე დღისთვის გამოიცეს ჟურნალის საიუბილეო ნომერი გაფართოებულის სახით და საგანგებოდ შერჩეული მასალით.

ჟურნალმა კიდევ დიდხანს უნდა ზიდოს სამშობლო თეატრისა და ხელოვნების მსახურის მძიმე ტვირთი.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, **საქართველოს რესპუბლიკის**

**სახალხო მსახიობი: ვასო აბაშიძე**

თავმჯდომარის მოადგილენი: **ხეით დევდარიანი**, **ვარლამ ძიძიგური**

პრეზიდიუმის წევრები: **ეფ. მესხი**, **გ. ბოკერია**, **ქ. ანდრონიკაშვილი**, **ს. ახვლედიანი**, **ელ. მამაცაშვილი**, **ს. წერეთელი**

**კომიტეტის წევრები** (ანბანით): **ა. ახნაზაროვი, ვ. ბარნოვი, ბაჩანა, ი. ბერიშვილი, გამდეგილი, ივ. გომართელი, ნ. გოცირიძე** (რესპუბლიკის სახალხო მსახიობი), **ი. გრიშაშვილი, ვალ. გუნია, კ. თავართქილაძე, ვ. თევდორაშვილი, ბ. თევზაია, მ. თოიძე, იასამანი, ალ. იოსელიანი, პ. ირეთელი, ია კარგარეთელი, მ. ლობჟანიძე, ივ. მარკოზოვი, კ. მაყაშვილი, შიო მღვიმელი, ნარკანი, ტრ. რამიშვილი, მარიამ საფ.-აბაშიძისა** (რესპუბლიკის სახალხო მსახიობი), **ს. ხალირაშვილი, ოლ. სვანიშვილისა, ნინო ჩხეიძე** (რესპუბლიკის სახალხო მსახიობი), **ა. ციმაკურიძე, ხომლელი, ლ. ძიძიგური, ან. წერეთლისა, ალ. წუწუნავა, მ. ჭიაურელი, ზ. ჭიჭინაძე, გ. ჯაბაური.**

საიუბილეო კომიტეტის მდივანი: **ა. ციხისთავი.**

მთავლიტი № 858 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 4. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 7 ივნისი. 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11–68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8–2 საათამდე

№ 24

## რევოლიუციონურ კანონების დაცვა

რუსეთის კომპარტიის მე-XIV კონფერენციამ და საკავშირო საბჭოების უკანასკნელმა ყრილობამ, გლეხობასთან მჭიდრო კავშირის განსამტკიცებლად და გლეხების სოციალისტურ აღმშენებლობაში ფართოდ ჩასაბმელად, აუცილებელ საჭიროებად დაინახა და პარტიისა და სახელმწიფო ორგანოებისათვის დაჰკვრელ ამოცანად გამოაცხადა სოფლად რევოლიუციონურ კანონების დაცვა.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონები მშრომელ ხალხის ინტერესების გამომხატველია. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. საბჭოთა ხელისუფლება პროლეტარიატის ხელისუფლებაა, ხოლო პროლეტარიატი საზოგადოების ყველაზე უფრო დაჩაგრული ნაწილია, ის ყველაზე უფრო რევოლიუციონურია. არც ერთი საზოგადოებრივი კლასი ისე არ არის დაინტერესებული და თავგამოდებით მებრძოლი თავისუფლება-თანასწორობისათვის და საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის, როგორც პროლეტარიატი. და ცხადია, პროლეტარიატის ხელისუფლების მიერ გამოცემულ კანონებსაც საფუძვლად ეს პრინციპი უდევს. ის მშრომელ კლასს ემსახურება, ხოლო საზოგადოებრივ პარაზიტებს, მუქთა-ხორებს დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს. პროლეტარიატის კანონები ფართო გასაქანს აძლევს თითეულ მოქალაქეს საზოგ. კულტურულ და ეკონომ. აღორძინებისათვის, ებრძვის საზოგადოებრივ უკულმართობას, ბოროტმოქმედებას და საზოგადოებრივ აღორძინებისათვის ხელშემშლელ პირობებს.

რასაკვირველია, კარგი კანონების შედგენა და გამოცემა საკმარისი არ არის; საჭიროა მათი ცხოვრებაში სისწრაფით და სისრულით დაცვა-გატარება. ის, რაც ქაღალდზე სწერია, საჭიროა ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელდეს. მუშა და გლეხი ყოველგვარს პრაქტიკულ თვალსაზრისით ზომავს, ის იმდენათ აფასებს კანონებს, რამდენათაც ის ტარდება პრაქტიკულ საქმიანობაში, რამდენათაც ის იცავს მუშისა და გლეხის ინტერესებს. მუშისა და გლეხისათვის ის უფრო ახლოსაა, თუ რა კეთდება და არა ის, თუ რა სწერია.

სამწუხაროდ დღეს საბჭოთა ხელისუფლების კანონები ცხოვრებაში ისე არ ტარდება, როგორც საჭიროა. განსაკუთრებით პროვინციაშია ბევრი შემთხვევა ცენტრალურ მთავრობის მიერ გამოცემულ კანონების დამახინჯება-დარღვევის. ის, რაც ცენტრში იწერება, სოფელში ან სრულიად არ მიდის, ან თუ მიდის შეცვლილი დამახინჯებული სახით. კანონების დამრღვევი ხშირად პასუხს არ აგებს, სასჯელს თავიდან იოლად იცდენს.

მიუხედავათ იმისა, რომ კომუნისტური პარტია და ცენტრ. ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ღებულობენ უკანონოების წინააღმდეგ საბრძოლველად, უკანონობას და საზოგადოებრივ ბოროტმოქმედებას მაინც ფართოდ აქვს გადგმული ფესვები ჩვენს ცხოვრებაში. ამის დამადასტურებელი ცნობები უკანასკნელ დღეებში ბევრი გამოქვეყნდა ტფილისის პრესაში. ერთ მათგანში, კომპარტიის ამიერ-კავკასიის კომიტეტის ცირკულიარულ წერილში ნათქვამია: „რესპუბლიკის სატახტო ქალაქების გამოკლებით, გამოკვლევამ გამოააშკარავა ადგილობრივ დაბეგვრის პრაქტიკაში თვითნებობის აღმაშფოთებელი სურათი... ადგილობრივი აღმასკომები ძირითადათ არღვევენ მთავრობის კანონებს, ბეგრავენ და ახდევინებენ რა. გლეხებს სხვა და სხვა გამოსაღებებს, მთავრობის მიერ დაწესებულ ნორმაზე 5—6 ჯერ მეტს, ხოლო კახეთში 10 ჯერ მეტს“.

თუ კი ცენტრალურ მთავრობის კანონებს ასე არღვევენ ისეთი მსხვილი ქალაქების აღმასკომები, როგორიც არის ქუთაისის, თელავის, გორის, ხონისა და სამტრედი-

ის, სადაც უფრო მეტი პასუხისმგებელი და გამოცდილი პირები უდგანან სათავეში, მაშინ ადვილი წარმოსადგენია თუ რა იქნება სათემო და სასოფლო აღმასკომებში. იქ ხომ ამ თვითნებობას ერთი ასად ექნება ადგილი. და მართლაც დუშეთის მაზრის გამოკვლევამ აუარებელი ბოროტმოქმედება და თვითნებობა აღმოაჩინა. აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის ურუშაძის განცხადებით მილიცია მაზრაში სრულად უმოქმედობას იჩენდა, აღმასკომი სწერდა უკანონო დადგენილებებს, გლეხკომი ყოვლად უკანონოდ ახდენდა თიონეთში გლეხების სახლების ნაციონალიზაციას და შემდეგ ჩამორთმეულ სახლებს ისევ პატრონებზე ყიდდა, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა აძლევდა კრედიტს იმათ, ვინც არავითარ მეურნეობას არ ეწეოდა, ხოლო გლეხებს კრედიტზე უარს ეუბნებოდა; კოოპერატივი კი საქონლის თვითღირებულებას 70% უმატებდა და სხვა მრავალი.

უთუოდ კიდევ იქნებოდა ისეთი მაზრები, სადაც ასეთ ბოროტმოქმედებას ექნება ადგილი.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიწადმოქმედების კომისარიატში აღმოჩენილი დაუდევრობა, თვითნებობა და ბოროტმოქმედება, რომელთა წყალობით სახელმწიფოს ქონება ნადგურდება და ნიავდება, სახელმწიფო ფული ასი ათასობით იფლანგება, საუკეთესო მაჩვენებელია იმის, თუ რამდენათ ფართო ხასიათი მიიღო ჩვენში ბოროტმოქმედებამ.

ბოროტმოქმედებასთან და უკანონობასთან ბრძოლა თითეულ მოქალაქის მოვალეობას შეადგენს. სანამ ამ მოვალეობა-ვალდებულებას არ შეიგნებს თითეული მუშა, გლეხი და ინტელიგენტი, მანამ ბოროტმოქმედებას და უკანონობას ადგილი ექნება, ხოლო მოქალაქე მაშინ შეიგნებს ამ მოვალეობას, როცა ის ფართოდ ჩაებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, როცა ის თავისუფალი, შეგნებული მონაწილე იქნება სახელმწიფოს აღმშენებლობითი საქმეში. მუშას — გლეხს უნდა მიეცეს თავისუფალი კრიტიკის საშუალება, მას არ უნდა ეშინოდეს კრიტიკისათვის, ბოროტმოქმედების მხილებისათვის დასჯის; და ასეთ შემთხვევას, კრიტიკის გამწევის და ბოროტმოქმედების მხილებელ პირების დასჯა-გაკიცხვაა რომ ადგილი აქვს მთავრობის ადგილობრივ ორგანოებში მომუშავე ზოგჯერ ულირს ადმინისტრატორების წყალობით, ამის მაგალითი ბევრი არის. საჭიროა ამის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

ლენინი ამბობდა, რომ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა და საბჭოთა კანონების ცხოვრებაში გატარება მხოლოდ ფართო მასების დახმარებით შეიძლებაო, აქ მარტო პროპაგანდით ჩვენ ფონს ვერ გავალთ.

ფართო მასების დახმარების მიღება კი მაშინ შეიძლება, როცა მასებს აქტიურად ჩავაბამთ სახელმწიფო მმართველობის საქმეში, როცა უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებში თავისუფალი არჩევნები.

დუშეთის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში და გლეხკომებში, რომ გლეხების ნამდვილი წარმომადგენელი ყოფილიყო, მაშინ იქ ადგილი არ ექნებოდა იმ უმსგავსოებას, როცა კრედიტით სარგებლობს არა ის, ვისთვისაც არის შექმნილი ეს საზოგადოება, არამედ სხვა კერძო პირი, მაშინ ვერც გლეხკომები შეძლებდენ გლეხებისათვის სახლების ჩამორთმევას და შემდეგ ჩამორთმეულ სახლების ისევ პატრონებისათვის მიყიდვას.

კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას კარგათ აქვს შეგნებული ფართო მასების პოლიტიკური და ეკონომიურ აღმშენებლობითი მუშაობაში ჩაბმის მნიშვნელობა, და სწორეთ ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“ ამას ისახავს მიზნათ.

საბჭოთა ყრილობის დადგენილებები და პარტიის უკანასკნელი პოლიტიკა გლეხთა საკითხში გლეხების პოლიტიკის თვითშეგნებას და თვით-მოქმედების განვითარებას ისახავს უახლოეს ამოცანად გათვითცნობიერებული და ეკონომიურად მოღონიერებული გლეხი დღეს საჭიროა ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურის გასამტკიცებლად და სოციალისტურ მეურნეობის განსავითარებლად.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა მათ, ვინც ჩვენი ხაზი გაიზიარა, საბჭოთა კანონების დაცვას ფხიზელ დარაჯათ დაუდგეს და მისი ცხოვრებაში სრულად გატარებისათვის ენერგიული მუშაობა აწარმოოს. ამას მოითხოვს ჩვენგან მშრომელ ხალხის და რევოლიუციის ინტერესები.

ენი.

# კარგათ ჩაუკვირდეთ!

დღეს არავისათვის საიდუმლო არ არის ის რომ, საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი მუშა, რომელსაც წარსულში რაიმე რევოლიუციონური ღვაწლი მიუძღვის, მტრულათ იყოს განწყობილი არსებულ საბჭოთა ხელისუფლებისადმი!

დედამიწის ზედაპირზე არსებულ, არც ერთ სახელმწიფოში მთავრობას, ანუ რომელიმე გაბატონებულ პარტიას, ისეთი, შედარებით მცირე რესურსებით, როგორიც საბჭოთა მთავრობის განკარგულებაშია, არ უწარმოებიათ ისეთი დიადი აღმშენებლობითი საშვილიშვილო საქმე, რისი მოწამენიც ჩვენა ვართ დღეს: არსად, და არასოდეს მთავრობა და მუშათა კლასი არ ყოფილა და არც არის ერთი-მეორესთან ისე დაახლოვებული, როგორც ეს არის საბჭოთა რესპუბლიკებში. ჩვენ ვხედავთ, (და ამას „ქვანიც ლაღადებენ“ კ. ვ.) ყოველივე თუნდა უმნიშვნელო ნაბიჯიც-კი, გადადგმული კომპარტიის და მისი ნება-სურვილის აღმასრულებელი მთავრობის მიერ, გამომდინარეობს მუშათა კლასის ინტერესებიდან და ტარდება ცხოვრებაში, ყველა ის ღონისძიებები, რომლებიც უწყობენ მუშათა კლასის საბოლოვო გამარჯვებას მსოფლიოში ანუ ნაწილობრივ.

 აი მოკლეთ კომპარტიის და მისი მთავრობის ლოზუნგი. და ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, განსაკუთრებით მუშები, თუ ამას დიდხანს ვერ ვხედავდით, ანუ არ გვინდოდა დაგვენახა, ეხლა აშკარადა ვხედავთ და ვგრძნობთ. მე თამამათ შემიძლიან განვაცხადო: არც ერთს ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ მუშას ყოფ. მენშევიკებიდან, არას დროს განზრახ, და შეგნებულათ არ გადაუხვევია, არ უღალატნია მარქსიზმისათვის. და თუ ის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი მენშევიზმი, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ შეუდგებოდა ყველა მის მიერ დაპირებულის ცხოვრებაში გატარებას. თუ წინანდელ გაცვეთულ თამასუქებს გაანაღდებდა, ვეჭვობ მაშინ კომუნიზმსა, ანუ ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის, რაიმე არსებითი განსხვავება აღმოეჩინა ვისმეს! მაშასადამე, თუ ეს ასეა, თებერვლის რევოლიუციამდე კომუნისტებთან ერთად ჩვენ მივდიოდით სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ სწორი გზით. რაც შეეხება შემდეგ პერიოდს, ე. ი. საქართველოში ჯერ სხვა და სხვა ბურჟუაზიული, კოალიციონური და ბოლოს, მენშევიკური მთავრობის ბატონობას და ჩვენი (ყოფ. მენშ. კ. ვ.) მათთან თანამშრომლობას, ვფიქრობ შემცდარი არ ვიქნები თუ ვიტყვი: იმ დროს სხვანაირათ მოქცევა არ შეგვეძლო. პირველი: იმიტომ რომ ჩვენ მუშებს, არ გვქონდა პრაქტიკული გამოცდილება რევოლიუციის უკეთესი გზით წაყვანისა, და მეორეც: (რაც უმთავრესია) მაშინ ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა იმ პარტიულ ამხანაგებზედ, რომლებიც წარსულ, რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში წარმოებულ ბრძოლებში, თამამათ და გაბედულათ მიგვიძღვებოდნენ წინ, და რომელთაც ჩავაბარეთ ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა. სხვისა რა მოგახსენოთ და კერძოთ მე მაშინ დარწმუნებული ვიყავი, ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, კ. ჩხეიძე, ის. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ნ. რამიშვილი, აკ. წერეთელი, პ. გელეიშვილი, ს. დევდარიანი და სხვები... არასოდეს არ უღალატებდნენ რევოლიუციას და მუშათა-კლასს!.. მაგრამ, საერთაშორისო მენშევიზმის სამწუხაროთ, როგორც უკვე კარგა ხანია დავინახეთ, მათ ეს ჩემი და ბევრი ჩემისთანების იმედები და უსაზღვრო ნდობა ვერ გაამართლეს!.. თუმცა ზოგი მათგანი დღეს ცდილობს გამოისყიდოს ძველი ცოდვები, უნდათ რაღაც გვითხრან მუშებს, მაგრამ იმდენათ ბუნდოვანი, არა პირდაპირი და მიხვეულ-მოხვეულია მათი სიტყვები, აზრი და მიმართულება, რომ კაცი ვერ გაუგებს რისი თქმა უნდათ. ჯერჯერობით გამონაკლისს შეადგენს: უკანასკნელ თვეების გაზ. კომუნისტის ფურცლებზედ მოთავსებულ წერილების „მეტის ატანა შეუძლებელია“-ს ავტორი ყოფ. მენშევიკი მოქ. ყარიბი, რომელმაც სრულიათ გაამართლა რუსული ანდაზა „Лучше поздно чем никогда“-ო მაგრამ არ შემიძლიან არ უსაყვედურო მოქ. ყარიბს ერთი რამ, სახელდობრ: რად სდუმდა ამდენხანს პირში წყალჩაგუბებულსავით?.. იმ ფაქტების გამომჟღავნება თავის დროზედ, რომლებიც მას ეხლა გამოაქვს მზის სინათლეზედ, ხომ ერთგვარ რევოლიუციას მოახდენდა ჩვენს აზროვნებაში! რაღა სწორეთ საქართველოს გასაბჭოების მეხუთე წელში მოაგონდა, ამ აღმაშფოთებელი ფაქტების გამომჟღავნება და არა უფრო ადრე? ისიც ხომ ამდენხანს ზოგიერთებსავით შავი ზღვისაკენ არ იყურებოდა და, რა რომ დაემსხვრა იმედების კოშკი, შემდეგ ამეტყველდა?.. არის თუ არა თვითონაც დამნაშავე ის, ვინც დამნაშავეს შეგნებულათ ფარავს, იმ მიზნით რომ ააცდინოს სასჯელს?! რითი ამართლებს მოქ. ყარიბი თავისი მონაწილეობას იმ მთავრობაში, რომელსაც, მისივე თქმით, ყველა საქართველოში შემთხვევით გამვლელი უცხოელი აბუჩათ იგდებდა და ამცირებდა! ნუ თუ დასაჯერებელია, მოქ. ყარიბმა არ იცოდა იმ დროს, როცა ის მინისტრის ამხანაგის სავარძელში იჯდა, რომ საქართველოს მაშინდელი მთავრობა, (თავის თავის შიგ ჩათვლით კ. ვ.) და დამოუკიდებლობა, უბრალო ფიქცია იყო. რა თქმა უნდა იცოდა!.. მაგრამ თუ მაინც სდუმდა, საქართველოს რევოლიუციონურ მუშებს არ მოუწოდებდა რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის ორიენტაციისაკენ, ალბათ ეს მოსდიოდა სხვა და სხვა სტრატეგიული მოსაზრებით.....

მიუხედავათ ამ მცირე საყვედურისა, მოქ. ყარიბი დღეს ღირსია მადლობის, ვინაიდგან, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გამოამჟღავნა ისეთი ფაქტები, რომლის ნაწილიც, შესაძლებელია ვინმემ გამოიყენოს ისტორიულ მასალათ. ვურჩევ მოქალაქე ყარიბს: შემდეგში აღარ ჩამორჩენოდეს სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის მებრძოლთა მოწინავე რაზმს!..

დასასრულ, როგორც ამ წერილის თავში მოვიხსენიე, ყოფ. მენშევიკები და სხვა არა კომპარტიაში შემავალი მუშები გარკვევით და მტკიცეთ დადგნენ საბჭოთა პლათფორმაზე და, კიდეც ამოუდგნენ მხარში კომუნისტ ამხანაგებს, რომელთანაც არა ერთი და ორი ტკბილი და მწარე მოგონებანი გვაკავშირებს, მაგრამ სამწუხაროთ, ზოგიერთ ამხანაგებს ვერ წარმოუდგენიათ პარტიის გარეთ დარჩენა და იმავე დროს კომპარტიის მიერ დასახულ მიზნებისათვის დახმარების და ხელის შეწყობის შესაძლებლობა. სინამდვილეში-კი ჩვენ ვხედავთ რომ, დღეს ბევრი უპარტიო მუშები (და ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი კ. ვ.) კომპარტიის მიზნებს ემსახურებიან გულწრფელათ, არა ნაკლებ პარტიულებისა, იმ დროს, როდესაც ბევრნი კომპარტიის რიგებში შესულნი სხვა და სხვა ანგარებით, პირადი სარგებლობის მიზნით, მიუხედავათ პარტიის მიერ მრავალჯერ მოხდენილ სასტიკი გაცხრილვისა, შესაძლებელია დღესაც (თუმცა მცირე პროცენტი კ. ვ.), იმყოფებიან პარტიის შიგნით და ცდილობენ სახელი გაუტეხონ და დასცენ პარტიის პრესტიჟი უპარტიო მასებში. ამნაირათ შესაძლებელია, ოჯახური ანუ სხვა რამ საპატიო მიზეზთა გამო, ნაწილი ძველი მუშებისა დარჩნენ კომპარტიის გარეთ, მაგრამ ეს უნდა იქმნეს მიჩნეული ისე, თითქოს ისინი მტრულათ იყვნენ განწყობილნი პარტიის, ანუ საბჭოთა წყობილების მიმართ.

დღეს ყველას, და განსაკუთრებით მუშებს, გვაქვს შესაძლებლობა, არა ცარიელი სიტყვით, არამედ საქმით დაუმტკიცოთ ერთგულება პროლეტარიატს და მის მებაირახტრე კომპარტიას! სამუდამოთ უნდა აღმოიფხვრას ზოგიერთების ძველი მავნე ჩვეულება „თეთრი კბილებისა და შავი გულის ჩვენებისა“. დროა წარსულის გაკვეთილებმა მომავალში აგვიხილოს თვალები, რათა არ გადაუხვიოთ იმ სწორსა და უტყუარ გზას სოციალიზმისაკენ, რომელსაც თუმცა გვიან, მაგრამ მაინც შევაგენით!

ყოფ. მენშევიკი 1902 წ. კ. ვაშაკიძე.

# სიტყვა საქმეთ უნდა იქცეს

## (გაეროვნების შესახებ)

პირველ ივნისს დასრულდა ტფილისის კვანძის რკინის გზ. უპარტიო მუშების კონფერენცია...

უნდა აღვნიშნო, რომ საქმიანობის მხრივ ეს კონფერენცია ფრიად საყურადღებო იყო... ეს აღნიშნა ამხ. ქ-ძემაც კონფერენციის დახურვის დროს—თავის საბოლოო სიტყვებში, და დაარქვა ამ კონფერენციას პირველი საქმიანი კონფერენცია...

ეს კონფერენცია რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისათვის დიდი საყურადღებო არის; არ დარჩენილა რკინის გზების არც ერთი დარგი, რომ აქ არ მიექციოთ ყურადღება, არ გაეშუქებიოთ მდაბიოთ--მუშური გასაგები ენით...

მუშები გამოდიოდნენ თავისუფლათ, გულწრფელად და შენიშნავდნენ, როგორც რკინის გზის მთავარ ადმინისტრაციას ისე, პროფორგანიზაციებს—ყველა იმ შეცდომებს, რომლებსაც მუშაობის პროცესში ისინი ვერ ამჩნევენ, ხოლო მუშების მახვილ სმენას და მხედველობას არ გამოპარვია...

ორატორების სიტყვებში მსმენელი დარწმუნდებოდა, რომ ისინი იმიტომ კი არ გამოდიან, რომ აჩვენონ ვინმეს, რომ მათაც ლაპარაკი იციან, ან ასიამოვნონ ვისმეს—პირიქით არავის არ ზოგავდნენ—თავის შეხედულების დაცვის დროს, გამოდიოდნენ, საღი გულწრფელი კრიტიკით და აკრიტიკებდნენ არა მარტო ადმინისტრაციას, არამედ თავიანთ თავსაც და აქვე აღნიშნავდნენ თავიანთ შეხედულებას თუ რა არის საჭირო საქმის გამოსასწორებლად...

მე აქ არ შევეხები ყველა იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც ამ კონფერენციაზე იყო გარჩეული, ხოლო აღვნიშნავ ორ საკითხს, რომლებიც წამოაყენეს მუშებმა, და რომლებმაც ჩემი ყურადღება მიიპყრეს.

პირველია ის, რომ ბევრი ყოფილი რკინის გზელი მუშა უადგილოთ არის და მიუხედავათ იმისა, რომ ისინი 15-20 წელი რკინის გზებზე არიან ნამსახურნი—სხვადასხვა მიზეზების გამო არ ითვლებიან რკ. გზების კავშირის წევრებად,—რის გამო მათ რკინის გზებზე არ იღებენ. ეს იმ დროს, როდესაც კერძო პირები ბევრი ახერხებს რკინის გზებზე ადგილის შოვნას... ყოფილ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთ კი უჭირთ რკინის გზების გარეშე ადგილების შოვნა... კონფერენციის დელეგატები ამას დაუშვებლათ სცნობდნენ და მოითხოვდნენ, რომ ძველ ნამსახურობას უსათუოთ მიაქციონ ყურადღება—განურჩევლად იმისა, ის არის კავშირის წევრი თუ არა და მისცენ მათ უპირატესობა კერძო პირებზე...

მეორე საკითხი ეს გაეროვნების საკითხია. ეს საკითხი ყველას აღელვებს. მუშას არ უყვარს, როცა დასწერ კანონს, გამოსცემ ბრძანებას ამ კანონის შესასრულებლათ, ხოლო ამ კანონის გატარებას-კი დაავალებ იმას ვინც მისი გატარების წინააღმდეგია... და ეს შეიძლება არავის თავში არც კი მოუვიდა, მაგრამ მიუხედავათ მთავრობის კეთილი სურვილებისა, გაეროვნების საკითხის მიზანშეწონილათ გადაწყვეტისა—ეს საკითხი საქართველოში ძალზე გაჭიანურდა და გამოირკვა, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენში სრული შესაძლებლობა არის გაეროვნების გატარებისა, მხოლოდ 80% არის გატარებული, სომხეთში 95% და აზერბეიჯანში კი 33% (ამხ. ივანოვის ცნობით) აზერბეიჯანში წერაკითხვის მცოდნენი და სპეციალისტები ცოტანი არიან—მხოლოთ ეხლა ამზადებენ; სომხეთმაც, შეიძლება ითქვას, რომ გაეროვნება გაატარა, მხოლოდ ჩვენში შეფერხდა;—და ეს იმიტომ, რომ აქ - თუმც ჩუმს, მაგრამ შეუმჩნეველ ბრძოლას აწარმოებენ—ბევრი ახალ ქურქში გახვეული „ველიკოდერჟავნიკები“ და ამათ მოახერხეს—შეშინება, ფსიხოლოგიური გავლენის მოხდენა იმათზე, ვიზედაც გაეროვნების შესახებ გამოცემული კანონის გატარებაა დამოკიდებული, და სწორეთ ჩემის ფიქრით აქ უნდა ვეძიოთ—ამ ფრიად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონის გატარების შეფერხების მიზეზი...

შეიძლება კანონი გაეროვნების შესახებ ბუნდოვანათ არის დაწერილი და ეს იწვევს გაუგებრობას?—არაფერი მაგის მზგავსი. აი ბრძანებაც გაეროვნების შესახებ რკინის გზებზე:

**9 მარტი 1924 წ. № 516**

განსამარტავად ბრძანების № 261 19 მარტის თარიღით 1924 წ., ამასთან ერთად გევალებათ შესასრულებლათ და სახელმძღვანელოთ დამტკიცებული უცო-ს მიერ ქვემოაღნიშნული დადგენილებანი,—ა/კ. რკ. გზებზე ეროვნული ენების გატარების ინსტრუქციის შემმუშავებელ—ცენტრალურ კომისიისა (იხ. ბრძანება № 308—31 მარტის თარიღით 1923 წ.)

**ცენტრალური კომისიის დადგენილებანი:**

I რკინის გზის მოსამსახურეთა გადაჯგუფება თანახმათ ბრძანებისა № 261 უნდა სწარმოებდეს მხოლოთ ენის ცოდნის და არა ეროვნების კუთვნის მიხედვით.

II ბრძანების № 261 ცხოვრებაში გატარების დროს არ უნდა ქონდეს ადგილი მოსამსახურეების დათხოვნას.

III გადაჯგუფება მოსამსახურეებისა, რომელსაც გულისხმობს ბრძანება № 261 განყ. III მუხ. 4—არ ვრცელდება შემდეგ თანამდებობეებზე:

| | |
|---|---|
| 1. უბნის უფროსი. | გატარება გაეროვნების აუცილებელია, მაგრამ შეიძლება დატოვებული იქნეს ან უბნის უფროსი თუ მისმა თანაშემწემ იცის ენე- |
| 2. თანაშემწენი მათი. | ბი ან მისი თანაშემწე თუ, უბნის უფროსმა იცის ენები |
| 3. მემანქანენი მატარებლების. | იმ შემთხვევაში თუ სამგზავრო ფურცელი მიეცემათ ორ ენაზე (რუსულზე და ადგილობრივ სა- |
| 4. თანაშემწენი მათი. | ხელმწიფოებრივ ენაზე) — ცოდნა ადგილობრივი ენის არ არის სა- |

| | |
|---|---|
| | ვალდებულო ამისათვის თანახმათ ბრძანებისა № 261—გადაჯგუფე-ბას არ მოითხოვს. |
| 5. კაჩევრები ორთქმავ. | ტფილისში კი მოეწყოს განსა-კუთრებული. მიმოსვლა საქართვე-ლოს ფარგლებში ე. ი. ტფილისი-დან ხაშურამდე და კახეთის ხაზზე ვინაიდან მოსამსახურეთა შემად-გენლობა ამ ხაზებზე მომზადებუ-ლია ადგილობრივ ენაზე. შემდეგი შემსება ბრიგადების შეუთანხმეთ ბრძ. № 261. |
| 6. კაჩეგრების საკუდის (დეპოსი | ეროვნული ენების ცოდნა არაა სავალდებულო |
| 7. მესანათურები | „ „ |
| 8. დამტარებელნი—გამღვიძებელნი | „ „ |
| 9. კანტორის დარაჯები | „ „ |
| 10. დარაჯები დასასვენებელ ოთახების | „ „ |
| 11. დარაჯები საყუდის | „ „ |
| 12. მუშები ნავთსადენის | „ „ |
| 13. კაჩეგრები | „ „ |
| 14. მრეცხავები ორთქლმავლებ. | „ „ |
| 15. მექმოსნები ორთქლმ. მრეცხავებთან | „ „ |
| 16. კაჩეგრები წყალსადენების | „ „ |
| 17. მზეთავები | „ „ |
| 18. ტეხნიკური ქმედები (აგენტები) უმფროსი და უნცროსი | „ „ |
| 19. კანტორის მოხელენი—ტეხნიკუ-რი ქმედისა | „ „ |
| 20. ელექტროს გამნათებელნი | „ „ |
| 21. ცეცხლფარებნი (ისტაპნიკი) სახალ. რონოდების | „ „ |
| 22. მმაზველები მატარებლების | „ „ |
| 23. მმაზველები ადგილობრივი | „ „ |
| 24. დამსუფთავებელნი—სამგზავ-რო მატარებლების | „ „ |
| 25. გამცილებელნი სამოსამსახუ-რო რონოდების | „ „ |
| 26. მექმოსენი მუდმივი მანქანების | „ „ |
| 27. კაჩეგრები | „ „ |
| 28. მემილენი ცეცხლის-მქრობელების | „ „ |
| 29. ცეცხლის მქრობელნი—უმფ-როსი და უნცროსი | „ „ |
| 30. ცეცხლის მქრობელნი | „ „ |
| 31. მექმოსენი—ცეცხლის მქრო-ბელ მატარ. | „ „ |
| 32. მატარებლის უმფროსი გამყოლი | საჭიროა ადგილო-ბრივ ენაზე ლაპა რაკი. |
| 33. რონოდების ოსტატები | „ „ |
| 34. მანტიორები საყუდის | „ „ |
| 35. შემკეთებ. ოსტატები ცეცხლმქრ | „ „ |
| 36. გამგე სასწორების ცენტრალ. სახელოსნოსი | „ „ |

| | |
|---|---|
| 37. მხილარები (რევიზორები) სა-სწორებისა | „ „ |
| 38. მეისრენი | ადგილობრ. ენის ცოდნა არ არის საჭირო |
| 39. სადგურის დარაჯები | „ „ |
| 40. მემუხრუჭენი საქონლ. მატარ. უმფროს და საბარ. მემ. გარდა | „ „ |
| 41. გამცილებელნი ორთქლმავალ | „ „ |
| 42. გადამმმელნი (სცეპჩიკები) | საჭიროა ადგილო-ბრივ ენაზე ლაპა-რაკის ცოდნა. |
| 43. უმფროსი გამცილებელნი | |
| 44. დამტვირთავნი სადგურებზე | ადგილობრ. ენის ცოდნა არ არის სავალდებ. გარდა ბრიგადირებისა |
| 45. ოსტატები და მუშები მთა-ვარ სახელოსნოების და სა-ყუდების (დეპოების) | „ „ |

IV ლიანდაგის კანტორის შრომის ქმედებს, რომელ-თაც არ იციან ადგილობრივი ენები და შეუძლებელია მათი გადაჯგუფება № 261 ბრძანების მიხედვით—თავი-სუფალი ადგილების უქონლობის გამო, რჩებიან თავიანთ ადგილებზე.

**მათ ეძლევათ 6 თვის ვადა ამ ბრძანების დღიდან გამოქვეყნების ენის შესასწავლათ, ამ ვადის გასვლის შემდეგ თუ მოსამსახურე აღმოჩნდა შეუფერებელი იმ თანამდებობისათვის, რომელიც მას უკავია—ენის უცოდინარობის გამო უნდა იქმნეს გადაყვანილი სხვა გზებზე.**

ასეთივე ვადა და წესი ვრცელდება ყველა ლიანდაგის მოსამსახურეთა სხვა კატეგორიებზედაც. თვით მაღალ **ადმინისტრატიულ პირთა გამოუკლებლათ.**

V—იმ შემთხვევაში თუ შეუძლია ხაზებზე უმფროსი ქმედების (აგენტების) შემადგენლობის გადაჯგუფება ისე, როგორც გათვალისწინებულია ბრძან. № 261—გევალე-ბათ აწარმოოთ გადაჯგუფება იმ ანგარიშით, რომ ერთ-მა ქმედთაგანმა (უმფროსმა ან მისმა თანაშემწემ) აუცილე-ბლათ იცოდეს ადგილობრივი ენა. და **დამოკიდებულება მცხოვრებლებთან აწარმოონ ადგილობრივ ენაზე.**

VI—თუ ხაზებზე უბნების კანტორებში: სალიანდა-გოსი, სამექანიკო (წევის) და კავშირის და სხვათა კან-ტორის შრომის დარგების მოსამსახურეთა გადაჯგუფების დროს რესპუბლიკიდან რესპუბლიკაში, აგრეთვე გადაჯ-გუფების დროს შიგნით, თვით კანტორაში აღმოჩნდება შეუძლებელი მიწერ მოწერის წარმოება სამმართველოს-თან და გამგეობასთან ბრძ. № 261 თანახმათ ადგილობ-რივ ენაზე—**მაშინ დროებით ასეთი სწარმოებს რუსულ ენაზე.**

VII—ქმოსნური, სამასალო და ფულის ანგარიშები **დროებით** ტერმინოლოგიის გამოცემამდე და საბოლოვოთ გადაჯგუფებამდე სწარმოებს რუსულათ და ადგილობრივ **ენებზე სადაც ეს შესაძლებელია.**

VIII—თუ მოსამსახურეთა გადაჯგუფების დროს ბრძ. № 261 თანახმათ მოხდება ჯამაგირის შემცირება

გადაყვანილ მოსამსახურისა, იმ შემთხვევაში მას ენახება თავისი ჯამაგირი, როგორც პირადი მიკუთვნილი კმაყოფა.

IX—**თანამდებობის განთავისუფლების დროს განთავისუფლებული ადგილი უნდა იქმნას დაკავებული** ბრძ. № 261—მოთხოვნილების დაგვარათ. ე. ი. **მისაღებმა (დამდგომმა) პირმა აღნიშნულ თანამდებობაზე აუცილებლად უნდა იცოდეს ადგილობრივი ენა.**

X—ყოველივე გადაყვან გადმოყვანა თანახმათ ბრძ. № 261—და აგრეთვე ადმინისტრატიული წესით და მიღება სამსახურში დროებით ტარდებოდეს ცენტრ. კომისიის საშუალებით და მხოლოთ მისი შეთანხმების შემდეგ ასეთი შედის ძალაში.

—

როგორც ზევით მკითხველი შენიშნავდა, ბრძანება გამოცემულია 9 მარტს 1924 წ. და ვადა გაეროვნების გატარების შესახებ არის მიცემული—6 თვე; ე. ი. უნდა დამთავრებულიყო 1924 წ. ენკენისთვეში, მაგრამ მეორე ექვსი თვე გავიდა მარტში 1925 წ-სა, მარტის აქეთ კიდევ უკვე სამი თვე გადის და დღესაც კიდევ გახსენებაა საჭირო—ისევ ბრძოლაა საჭირო...

ეს იმ დროს, როდესაც ამ ხნის განმავლობაში სრულიად შეუმჩნევლათ, უმტკივნეულოთ შეიძლებოდა ამ საკითხის მოგვარება და ამ რიგათ ბოლო მოეღებოდა უკმაყოფილებას ქართველ მუშებ შორის...

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აწი მაინც მიექცევა სათანადო ყურადღება ამ მნიშვნელოვან საკითხს და კონფერენციის მიერ გამოტანილი რეზოლიუციები არ დარჩებიან მშრალათ ქაღალდზე, არამედ მიიღებენ სრულ განხორციელებას ცხოვრებაში.

ეს საჭიროა მდგომარეობის განმტკიცებისათვის; ამას მოითხოვს რევოლიუციური კანონიერება.

ვ. გოგ—ლი.

# ბინის საკითხი ტფილისში

უკანასკნელმა გამოკვლევამ საცხოვრებელ ბინების ტფილისში, დაგვიხატა ფრიად სამწუხარო სურათი.

ყველასათვის ცნობილია, რომ ომის შემდეგ ბინების აღშენებლობა ქალაქებში ბევრად ჩამორჩა მცხოვრებთა ბუნებრივ და მექანიკურ ზრდას. წინააღმდეგ, შეუძლებელია არსებულ პირობებში იმ ბინების შენახვაც, რაც გვაქვს.

საბინაო მეურნეობის ბიუჯეტი საარაკო დეფიციტს იძლევა. შემოსავალი ვერ ფარავს 25%-საც ხარჯებისას—სახელმწიფო და კომუნალურ გადასახადების სახით და რემონტით გამოწვეულს.

გარდა ამისა მდგმურებში მრავლად მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც ბოროტათ სარგებლობენ პროფ-კავშირების მიერ მინიჭებული შეღავათ-უფლებებით: არ ზოგავენ ბინებს ზოგჯერ განზრახ, ზოგჯერ შეუგნებლობით ბარბაროსულათ, მტაცებლურად ეპყრობიან ოთახებს—ანგრევენ, აჭუჭყიანებენ, ალპობენ, ამტვრევენ და სხვა.

ის ცნობები, რომელიც მოცემულია უკანასკნელი გამოკვლევით, უკარნახებენ ხელისუფლებას და ქალაქის აღმასკომებს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება საბინაო საკითხს გონივრულ, მიზანშეწონილ მეურნეობის თვალსაზრისით.

ამავე დასკვნამდის მისულა ქალაქის აღმასკომის ერთი პასუხისმგებელთაგანი წევრი, ამხ. ა. რუხაძე, გასცნობია რა კერძო ბინების მდგომარეობას.

მეტი არ იქნება გავაცნოთ ჩვენს მკითხველს ის ციფრული მასალა, რომელსაც გვაძლევს ამხ. რუხაძე, „ზარია ვოსტოკას“ ამა წლის 19 მაისის 878 ნომერში.

აი ეს ციფრები: ქალაქის სახლების სივრცის 79,5% უჭირავთ საცხოვრებელ ბინებს, თავისუფალ ბინების სივრცე უდრის 0,8%, სამზარეულოებს ეკუთვნის 11,4%, აივნებს 4,0%, საკუჭნაოებს 3,6%, ვანებს 0,8%.

საცხოვრებელ ბინების სივრცის 99,0% მიდის დაკავებულ ბინებზე, დაუკავებელი რჩება 1,0%.

ერთი სამზარეულო მოდის 2,3 ბინაზე ერთ აივანზე 6,7 ბინა, ერთ საკუჭნაოზე 7,1 ბინა, ერთ ვანიან ოთახზე 26,9 ბინადარი.

მუშა-მოსამსახურეებს და მოსწავლეებს უკავიათ 56,9% მთელი საცხოვრებელი ბინების, თვითშრომის წევრებს 8,1%, დანარჩენებს 33,9% ცალიერია საცხოვრებელ ბინების 1,0%.

ამ რიგათ საცხოვრებელ ბინების სივრცის ნახევარზე მეტი უკავიათ მუშა-მოსამსახურეებს და მოსწავლეებს.

კერძო ბინებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა და მათ კმაყოფილებაზე მყოფთა რიცხვი შეადგენენ 57,6% ქალაქის მთელი მოსახლეობისა.

თვითეულ სულზე მოდის: მუშა მოსამსახურეებზე 15,8 კვ. არშინი სივრცე, თვითშრომის წევრებზე 13,5 კვ. არშ., დანარჩენებზე 14,8 კვ. არშ. საშუალოთ კი 1924 წ. მოდიოდა თითო სულზე 15,2 კვ. არშინი საცხოვრებელი ბინის სივრცის.

1921 წ. თითო სულზე მოდიოდა საშუალოდ 17,8 კვ. არშ. ე. ი. ამ ხნის განმავლობაში შემჭიდროების გამო თითო სულზე ბინის სივრცეს უკლია 2,6 კვ. არშინი, ე. ი. 16,4%. აქედან აშკარაა, რომ შემჭიდროებას ტფილისში მიუღწევია უკიდურეს ნორმამდის.

თითო ოთახზე საშუალოდ მუშა მოსამსახურეების რიცხვი უდრის 2,3 სულს, თვითშრომელთა ბინები - 2,5 კაცს დანარჩენი მცხოვრებლების—2,3 სულს

არის თუ არა შესაძლებლობა, რომ არსებული შემოსავლით დაცულ იქნეს კერძო პირთა შენობები დანგრევისაგან?

საშუალო თვიური შემოსავალი კერძო მფლობელთა 1924 წელს, უდრიდა 87.396 მან. ე. ი. თითო მფლობელობაზე მოდის 8,3 მან. ანუ თითო ბინაზე 1,4 მან.

აშკარაა, რომ ეს შემოსავალი ვერ აუვა ხარჯებს და სახლები ბუნებრივად დაინგრევა, მაშასადამე, შემცირდება საცხოვრებელ ბინების სივრცე.

ამიტომ ქალაქის აღმასკომი ვალდებულია დროზე მიიღოს ზომები, რათა ბინების შემოსავალი შეფარდებულ იქნეს რემონტის და გადასახადების ხარჯებთან და შექნას რაიმე სახის პრემია. შეღავათები იმ სახლის პატრონისათვის, რომლებიც მიუხედავათ დეფიციტისა, მაინც ხმარობენ საშუალებებს სახლების დასაცავად დანგრევისაგან, იმ მდგომარეობის მიმართ კი, რომელნიც ვნებსით თუ უნებლიედ ხელს უწყობენ ბინების გაპარტახებას, მიუხედავათ მათი სოციალური მდგომარეობისა, იყოს მიღებული სწრაფი და სასტიკი ზომები.

შავ-შავი.

---

# საერთო კვების მოწყობის საქმე ჩვენში

„უპირველეს ყოველისა ცხოვრება იწყება სახალხო კვების სასადილოებში.“

ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ი.

მრავალჯერ შევხვედრივართ გაზეთის ფურცლებზე შენიშვნებს, სადაც აშკარავდებოდა წითელი სასადილოების ესა თუ ის უარყოფითი მხარეები. უმეტესად იწერებოდა სიძვირეზე და მასთან ერთად არა საკმაო ნოყიერ სადილზე, რომელიც ოჯახში მომზადებულზე უფრო ნაკლებია თავისი ხარისხით. ამნაირათ ვრჩებით ისევ იმ კარჩაკეტილობაში, რომელშიაც ვიმყოფებოდით ამ სასადილოების აღმოცენებამდე. მიზეზი ყველა ამისა არის ის რომ ჩვენი წითელი სასადილოების საქმე ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული. ამხ. გონჩაროვს მოჰყავდა თავის წერილში ციფრები, რომელიც ამტკიცებდა იმას, რომ წითელ სასადილოებში უფრო ძვირი ჯდება სადილი, ვიდრე ოჯახში მომზადებული. ეს, რასაკვირველია სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. თუ ოჯახი შესდგება ერთი ან ორი სულისაგან, მაშინ რასაკვირველია, ასეთი ოჯახისათვის უფრო ხელსაყრელია ისარგებლოს წითელ სასადილოდან, ვიდრე ოჯახში ამზადოს ორი კაცის სადილი. მაგრამ ჩვენი სასადილოების მიზანი იყო და ეხლაც არის მიაწოდოს იაფი და კარგი მარგებლიანი სადილი იმ ოჯახსაც, რომელიც შესდგება 5—6 და მეტი სულისაგან. თუ გამოვიანგარიშებთ ციფრებით, დავინახავთ, რომ სახლში მომზადებული სადილი ან ვახშამი უფრო იაფი ჯდება და ღირსებითაც უკეთესია, ვიდრე წითელ სასადილოებში. და ესე ამნაირად ოჯახის ქალი ისევ რჩება თავის სამზარეულოში კარჩაკეტილი. ერთი რამ ცხადი არის,—ის რომ, ჩვენს წითელ სასადილოებს აქვთ მეტი ზედნადები ხარჯები, რომელიც აწვება მომხმარებელთ კისერზე.

მეტი ზედნადები ხარჯები არის უმთავრესად გამოწვეული იმით, რომ წითელი სასადილოები არიან გაფანტული სხვადასხვა კუთხეებში და განაგებენ სხვადასხვა ორგანიზაციები. მაგალითად დღეს თფილისში შევხვდებით სასადილოებს მუშკოოპისას, ზაკტპოსას, ინვალიდებისას, სამხედრო კომისარიატისას, ბოეც ქკა-ს და სხვას. თვითეულ ამ სასადილოებს განაგებენ სხვადასხვა ორგანიზაციები, და არ არის იმდენად ინტენსიური, ცოცხალი მუშაობა, როგორც უნდა იყოს. ამით სარგებლობენ კერძო რესტორანები და უწევენ კონკურენციას ფასების დაკლებით და კარგი ხარისხის სადილის მიწოდებით.

ამას გარდა ჩვენი წითელი სასადილოები უნდა ხელს უწყობდნენ საზოგადოების კულტურულად აღზრდას უნდა მოისპოს ალკოგოლიზმი და სხვა. ამხ. ზინოვიევმა სთქვა: „ცხოვრება უპირველეს ყოვლისა იწყება სახალხო კვების სასადილოებიდან“-ო. დღევანდელ ჩვენ წითელ სასადილოებში, სამწუხაროდ, ვერავითარ ახალ ცხოვრებას ვერ ვხედავთ. გარდა ჩვეულებრივი სიმთვრალისა და სხვა მრავალი უარყოფითი მხარეებისა. აუცილებლად იტყვიან, რომ ამ სასადილოებს არა აქვთ საკმაო სახსარი და ეს აბრკოლებს მის რიგიანად, საერთო კვების პრინციპების შეფარდებას“-ო. ეს მართალია, მაგრამ ისიცაა, რომ ის შესაძლებლობანი, რომლებიც აქვთ თვითეულ მათგანს, გაფანტულია და ერთად შეკავშირებას მოკლებულია. ამიტომ საჭიროა, თუ რესპუბლიკის მასშტაბით არა, ყოველ შემთხვევაში, მთავარ ქალაქებში ქონებული წითელი სასადილოები ერთ ოჯახში მოექცენ ჩამოვაშოროთ ცალ-ცალკე ორგანიზაციებს, კონცენტრაცია უყოთ მათ და შევქმნათ ერთი მძლავრი ორგანიზაცია საერთო კვების სახელით. ასეთი ორგანიზაცია უპირველეს ყოვლისა უფრო ახლოს მიგვიყვანს და გამოგვასწორებიებს ყოველივე თვალსაჩინო შეცდომებს, რომელიც თაედებია, უშუალო დაკავშირებისა ღარიბ მასსასთან. მეორე,—შეერთებული ფინანსები საშუალებას მოგვცემს უფრო გავაღონიეროთ და გავაჯანსაღოთ ეს ახლად აღმოცენებული ორგანიზაცია და თუ ამას კიდევ დასჭირდება დახმარება (უეჭველად დასჭირდება) აუცილებლად უნდა დაეხმარონ არა მარტო კოოპერატიული საზოგადოებები, არამედ ყველა წარმოება-დაწესებულებები პაის სახით. ამას გარდა უნდა იქნეს შემოღებული ინდივიდუალური წევრობა კოოპერატიულ პრინციპებზე აგებული, რომელიც საკმაო თანხას მოგვცემს. გარდა ამისა საჭიროა სათავეში ჩაუდგნენ ისეთი პირები, რომლებიც უფრო დახელოვნებული და საზოგადოებრივ საქმით იჭ-

ნებიან გაჟღენთილი. უნდა დაარსდეს ცენტრალური გამგეობა, რომელიც უხელმძღვანელებს რესპუბლიკანურ ან და ქალაქის მასშტაბით მაინც. შეერთებული ძალით, მტკიცე ნაბიჯით, შეგვიძლიან ჩვენ მივახწიოთ სასურველ შედეგებს. და ის აზრი, თითქოს, არტელებზე გადაცემით გაუმჯობესდება საერთო კვების მდგომარეობა, უარყოფილ უნდა იქნეს, ვინაიდან არტელებზე გადაცემული წითელი სასადილოები ჩამოცილდებიან სახალხო კვების პრინციპებს.

კ. იმერ.

# სახელმწიფო ვაჭრობა მიმდინარე საბიუჯეტო წლის მე-II-ე კვარტალში

გასული ექვსი თვის განმავლობაში საბიუჯეტო წლის მიღწევები და შემჩნეული დაბრკოლებები, რომ გავითვალისწინოთ ინტერესს მოკლებული არ იქნება. უკანასკნელი თვეები განსაკუთრებით მძიმე იყო სახელმწიფო ვაჭრობისათვის ერთი მხრივ, როგორც ეგრეთ წოდებული „მკვდარი“ სეზონის და მეორე მხრივ—ახალ სავაჭრო პრაქტიკიან დაკვირვებით, საქონლისა და საბანკო კრედიტების შეკუმშვის გამო.

საქართველოში საბითუმო ვაჭრობის 60%-65% სავსებით საკავშირო ტრესტებისა და სინდიკატების წარმომადგენლობათა ანგარიშზე მოდის ადგილობრივ სავაჭრო ოოგანიზაციებიდან მხოლოდ ამიერკავკასიის სახელმწიფო სავაჭრო კანტორა გამოდის, როგორც ბითუმათ მოვაჭრე მაგრამ მისი ბრუნვა, საერთო რესპუბლიკის საქონლის ტრიალში უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. საქართველოს სახელმწიფო საპაიო ამხანაგობის როლი, როგორც ბითუმათ მოვაჭრისა ძლიერ მცირეა. მისი ბრუნვის 90%-95% საცალო ვაჭრობაზე მიდის.

საქართველოში მოქმედებს რამოდენიმე ათეული ტრესტებისა და სინდიკატების წარმომადგენლობათა სავაჭრო კანტორები. მათ შორის ყველაზე უდიდესი მნიშვნელობა და უდიდესი სავაჭრო ბრუნვა აქვს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის სავაჭრო კანტორას—ტფილისის კანტორის, ქუთაისის და ბათუმის სააგენტოების სახით. მათი საერთო ბრუნვა (გაყიდვის მიხედვით) მეორე კვარტალში (იანვარი, თებერვალი, მარტი) უდრიდა 3.847.800 მან. წინააღმდეგ პირველი კვარტალის 4.194.800 მან. (I კვარტალი—ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი). ამრიგათ აბსოლიუტურ რიცხვებში სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 347.000 მან. ანუ 8,3%-ით. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ბრუნვის საგრძნობ შემცირებასთან ერთად, სინდიკატის საცალო ვაჭრობამ და კირძო პირების ხვედრითი წონამ იმატა, როგორც აბსოლიუტურათ, ისე შედარებით კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანიზაციების მონაწილეობა საგრძნობლათ შემცირდა. ეს გარემოება ააშკარავებს ერთი მხრივ, რომ კერძო პირები უკანასკნელ ხანებში მეტ აქტიობას იჩენენ და უკვე მნიშვნელოვანი ხდება მათი როლი, როგორც პირველ საჭიროების საგნების გამტარებელი წარმოებლიდან—მომხმარებლამდის მეორე მხრივ თვით საფეიქრო სინდიკატის საკუთარი საცალო ვაჭრობის გაზრდა მნიშვნელოვანია იმდენათ, რამდენათაც ცხად ჰყოფს მომხმარებლის ცდას. თავიდან აიშოროს შუამავალი ორგანიზაციები თუ პირები და საჭირო საქონელი უშუალოთ, დაუბეგრავათ შეიძინოს მწარმოებელ ორგანიზაციიდან.

ანალოგიურ სურათს იძლევა ცნობები შაქრის ტრესტის ბრუნვის შესახებ. მისი ბრუნვა საქართველოს ფარგლებში მეორე კვარტალისათვის უდრიდა 592.800 მან. წინააღმდეგ პირველი კვარტალის—683.700 მანეთისა მე-II კვარტალში ბრუნვა შემცირებულია 90,900 მანეთით, რაც მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენს; სახელდობრ—13,3%. კონტრაგენტების მიხედვით,—როგორც აბსოლიუტრათ ისე შედარებით გაზრდილია სახელწიფო ორგანიზაციების და კერძო პირების ხვედრითი წონა.

ამასთანავე საცალო ვაჭრობას შაქრის ტრესტის ბრუნვაში უკვე საკმაოთ დიდი ადგილი უჭირავს. ის—134.400 მანეთს უდრის, ანუ მთელი მე-II კვარტალის ბრუნვის 22,6%-ს შეადგენს. პირველ კვარტალში შაქრის ტრესტს საცალო ვაჭრობა სრულიათ არ ქონდა.

როგორც ვხედავთ შაქრის ტრესტის ბრუნვაში კოოპერაციის მონაწილეობა შესამჩნევათ დაეცა—სახელდობრ 55,0%-ით, ანუ 311.700 მანეთით. ხოლო კერძო პირების, სახელმწიფო ორგანიზაციების როლის და საცალო ვაჭრობის გაზრდა მთლიანათ კოოპერაციის მონაწილეობის შემცირების ანგარიშზე მოდის.

საგრძნობლათ შემცირებულია აგრეთვე „ხლებოპროდუქტის“ ბრუნვა, მისი ბრუნვა მე-II კვარტალში, მხოლოთ 6 0.100 მ. უდრის წინააღმდეგ 1.009.800 მანეთისა პირველ კვარტალში.

შემცირება—გამოიხატება 399.700 მანეთში ანუ—39,6%-ში „ხლებოპროდუქტის“ ბრუნვის შემცირება, გარდა საერთო სავაჭრო დეპრესიისა, გამოწვეულია იმითაც, რომ საიმპორტო პურის გამნაღდებლის როლში გამოდიან სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები, როგორც არის საკავშირო სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კანტორა.

ამასთანავე „ხლებოპროდუქტის“ ბრუნვაში უმთავრესათ შემცირდა კოოპერაციის მონაწილეობა (—46,2%).

ადგილობრივი სავაჭრო დაწესებულებებიც თავიანთ სავაჭრო ბრუნვის შესამჩნევ შემცირებას იძლევიან. ამიერკავკასიის სახელმწიფო სავაჭრო კონტორის (ტფილისის საბითუმო საწყობები) ბრუნვა 504.300 მანეთიდან პირველ კვარტალში შემცირდა 480.400 მანეთამდის—მეორეში.

ამასთანავე მე-II კვარტალში კერძო პირების ხვედრითი წონა გაიზარდა, როგორც შედარებით, ისე აბსოლიუტურათ. ხოლო კოოპერაციის და სახელმწიფო ორგანიზაციების მონაწილეობა კი შესამჩნევათ შემცირდა.

საქ. სახელმ. სავაჭრო საპაიო ამხანაგობის (ტფილისის მაღაზიების და საწყობების) ბრუნვა მე-II კვარტალში შემცირდა 231.300 მანეთით, ანუ—24,2%-ით საგრძნობი შემცირება განიცადა აგრეთვე საცალო ვაჭრობამ და კოოპერაციის მონაწილეობამ, ხოლო კერძო პირების როლი გაიზარდა 112.3%-ით. შედარებით მცირე შემცირების ბრუნვისას იძლევიან საქ. სახელმწიფო სათბობი (ნავთის პროდუქტების გასაღება) და სომხეთის წარმომადგენლობის ტფილისის კანტორა.

ადგილობრივი მთავარი საწარმოო დაწესებულებებიც, გარდა სახ. ღვინის ტრესტის და სახელმწიფო სათბობის (ქვანახშირის გასაღება) იძლევიან ბრუნვის შემცირებას. სახელდობრ საქართველოს თამბაქოს ტრესტის (აღებულია ტფილისის მაღაზიები და ქარხნების მიერ ადგილობრივათ, ტფილისში, თამბაქოს ნაწარმოების გასაღება) ბრუნვა მე-II კვარტალში უდრიდა 1.061.300 მანეთს წინააღმდეგ 1.228 600 მანეთისა პირველ კვარტალში. ბრუნვა შემცირებულია 167.300 მანეთით.

ამ გვარივე სურათს იძლევა საქ ტყავის ტრესტი, მისი ბრუნვა შემცირებულია 82.700 მანეთით.

ღვინის ტრესტის ბრუნვა გაიზარდა 65,3%-ით, საქართველოს. სახელ. სათბობის (ქვანახშირის გასაღება) გაიზარდა 30,2%-ით. როგორც ვხედავთ თითქმის ყველა მაჩვენებელი ორგანიზაციების სავაჭრო ბრუნვა შემცირებულია ადგილობრივი სავაჭრო დაწესებულებები იძლევიან ბრუნვის 12,8%-ით შემცირებას, ხოლო ადგილობრივი საწარმოო დაწესებულებები იძლევიან ბრუნვის 146.500 მან. ანუ 8,3%-ით შემცირებას. საერთოდ კი ყველა დასახელებული ორგანიზაციები იძლევიან ბრუნვის 11,2%-ით შემცირებას. ანუ 1.141.300 მანეთის, როგორც ვხედავთ უკანასკნელი კვარტალის (იანვარი, თებერვალი, მარტი) განმავლობაში საქართველოს საქონლის ტრიალი საგრძნობლათ შემცირებულა. აშკარაა, რომ ზამთრის სეზონს არ შეეძლო ამდენათ ძლიერი გავლენა მოეხდინა ჩვენს ვაჭრობაზე. მით უმეტეს პირველი კვარტალის უკანასკნელი თვე ზამთრის სეზონს ეკუთვნის. აქ სხვა მიზეზებს ქონდა ადგილი. და ეს აუცილებლათ არის, ახალ სავაჭრო პრაქტიკასთან დაკავშირებით, კოოპერაციისათვის და სახელმ იფო ვაჭრობისათვის კრედიტის, განსაკუთრებით საქონლის, სასტიკი შეკვეცა. კოოპერაცია მიუხედავათ საკუთარი თანხების სიმცირისა ფართოვდებოდა დავალიანების ანგარიშზე და მისთვის მოულოდნელმა სავაჭრო პოლიტიკური ხაზის გადახრამ, ის სერიოზული კრიზისის წინაშე დააყენა, მისი მყიდველობითი უნარი საგრძნობლათ შემცირდა; ამან კი თავის მხრივ გამოიწვია გაყიდვითი ბრუნვის შემცირება და როგორც დავინახეთ დასახელებულ ორგანიზაციათა ბრუნვების კონტრაგენტების მიხედვით განაწილების დროს, თითქმის მთლიანათ საერთო სავაჭრო ბრუნვის შემცირება კოოპერატიულ ორგანიზაციებზე მოდის. უკანასკნელი წლის განმავლობაში კოოპერაცია გახდა ერთადერთი პირველ მოხმარების საგნების მიმწოდებელ ორგანიზაციათ. ხოლო შექმნილი კრიზისის გამო, საჭირო იყო სხვა გამტარებელი ორგანიზაცია. ეს არ იყო და ამის ნიადაგზე ჩვენ დავდექით სასტიკ სავაჭრო დეპრესის წინაშე: როგორც მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, თუმცა კერძო სავაჭრო კაპიტალი უკანასკნელ ხანებში მეტ აქტივობას იჩენს, მაგრამ მისი ხვედრითი წონა საერთო საქონლის ტრიალში იმდენათ, იყო შევიწროებული, რომ ახალი პირობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ის ვერ შესძლებდა და ვერც შესძლო. ამასთანავე ცხადია, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში იმდენათ ძლიერი კერძო სავაჭრო კაპიტალი არ მოიპოვება, რომ მან კვლავ შეავსოს დანაკლისი, რომელსაც მწვავეთ განიცდის ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ცხოვრება.

ქ.

# ქ რ ო ნ ი კ ა

— ცეკავშირის საბჭომ თავის მე4-ე სესიაზე გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ავალებს გამგეობას ალკვეთოს სესხის გაცემა უღონო და სუსტ კოოპერატივებზე.

— ცეკავშირის საბჭომ მისცა გამგეობას დირექტივები დაიგზავნოს ზაფხულის განმავლობაში უკანასკნელ კურსის სტუდენტი-ეკონომისტები სხვადასხვა კოოპერატიულ დაწესებულებებში პრაქტიკის მისაღებად.

— სოხუმიდან იტყობინებიან, რომ კოდორის მაზრაში, მდინარე კაჩიჩის და კუპრის სათავესთან აღმოუჩენიათ ქვა-ნახშირის და მარილის მადანი.

— სათანადო ორგანოები უკვე შეუდგენ გამოკვლევას და შესწავლას ქაღალდის ფაბრიკის დაარსების პირობების ჩვენში.

ამ. კავ. ფინანსთა სახ. კომისარიატის შემოსავლების სამმართველომ უკვე გასცა პასუხი ამ. კავ. უმაღლ. ეკონომ. საბჭოს შეკითხვაზე, ქაღალდის მასის და უმაღლეს ხარისხის ქაღალდის წარმოების მოწყობის და განვითარების შესაძლებლობის შესახებ. პასუხში ჩამოთვლილია ის ადგილები, სადაც შეიძლება აშენდეს ქარხნები.

საქ. მიწ.-მოქმ. სახ. კომისარიატს ჰქონია გამომუშავებული პროექტი საქართველოში ქაღალდის ქარხნის აგების შესახებ. პროექტში შერჩეული და გათვალისწინებულია ტყის ჯიშების რაიონები, სადაც კომისარიატი შესაძლებლად სცნობს ქარხნის აგებას.

— ვინაიდან ლეჩხუმის ბარიტის მადნებს თავისი რაოდენობით და ღირსებით პირველი ადგილი უჭირავს მთელ საბჭოთა კავშირში და შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს უცხოეთის ბარიტის მადნებს, ამიტომ საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს მიზანშეწონილად უცვნია ბარიტის საფქვავი წისქვილის აგება და მინერალურ სეღებავების ქარხნის მოწყობა საქართველოში.

— რადგანაც ამიერ-კავკ. ფინ. სახ. კომისრის რწმუნებულებს მოსდით ცნობები, რომ სოფლად ხელისუფ-

ლების ორგანოები ხშირად გლეხებს აძლევინებენ გადამეტებულ საღერბო გადასახადს იმ მოწმობებზე, რომელსაც გლეხები ღებულობენ გასაყიდათ გაყვანილ საქონელზე, კომისარიატის საგადასახადო განყოფილება აქვეყნებს შემდეგ განმარტებას: საღერბო გადასახადისაგან სრულიად თავისუფალია ის მოწმობა, რომელიც ეძლევა მიწის მუშას ან მესაქონლეს იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნულ პირს ეკუთვნის, გასაყიდათ გაყვან-ლი საქონელი არა უმეტეს **ორი სულისა—მსხვილი, და ექვსი სულისა—წვრილი საქონელი.**

ასეთ მოწმობის მისაღებად მთავრობის ორგანოებში შეტანილი განცხადება საღერბო გადასახადისაგან თავისულია.

— გადაწყვეტილია გაიხსნას ტფილისის კომუნალურ ბანკის განყოფილებები შემდეგ ქალაქებში: სიღნაღში, სოხუმში, ცხინვალში, ახალ-სენაკში, ჭიათურაში, პლეხანოვის პროსპ. (ტფილისში) და სააგენტო ქ. სამტრედიაში.

უკვე არსებობენ განყოფილებები: გორში, ბათუმში, ფოთში და ქუთაისში. რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ქალაქების მეურნეობისათვის კომუნალურ ბანკის განყოფილებებს სჩანს იქიდან, რომ კომუნალურ ბანკს საერთოდ დასახული აქვს მიზნად დაეხმაროს კრედიტით ვაჭრობა-მრეწველობას, კომუნალურ მეურნეობას და სარემონტო-საამშენებლო საქმეს.

— საქართვ. სასოფლო სამეურნეო ბანკმა მიწადმოქმედ. სახალხო კომისარიატისაგან მიიღო 10 ტრაქტორი (ფორზონის სისტემის) მაზრებში დასარიგებლად.

— მიმდინარე წელს სატყეო განყოფილება გამოიკვლევს და მოაწყობს 250 ათას დესეტინა ტყეს.

— ზესტაფონიდან იტყობინებიან, რომ რაიონში თავი უჩენია სიმინდის ნაკლებობას, რის გამო ფასები საგრძნობლად გაზრდილა, მაგ. ფუთი სიმინდი ღირს 2 მ. 30 კაპ. ფქვილი 3 მან., კვირაში რაიონისთვის საჭიროა 3000 ფული სიმინდი.

# პირველი ჭრილობა

ჩემს ცხოვრებაში ოცდა მესამეჯერ მოცქრიალდა კეკლუცი გაზაფხული, როდესაც მე გამოვეწყვე სტუდენტის სამოსში.

რამდენი ხანია ვოცნებობდი თავი დამეხწია მოწაფეობისთვის...

აი ძლივს ვეღირსე.

გავხდი სტუდენტი მეოცნებე... რევოლიუციონერი...

ახალგაზრდობა, ისიც რევოლიუციონური ახალგაზრდობა—ეს პოემაა ..

მომხიბლავი ლეგენდა...

ჰიმნია უუტკბილესი...

ჰიმნია, რომლის მოსმენა აროდეს მოსწყინდება კაცსა...

მყის გაეეშურეთ უნივერსიტეტისკენ...

რუსეთის საუკეთესო ახალგაზრდობასთან ერთად ავენთეთ სოციალისტურ რომანტიზმის თამამი სურვილებით...

ორბის სიჩხნევით დავქროდით ოცნების მწვერვალებზე...

გვწამდა, რომ მალე შევძლებდით ბებერი ქვეყნის გადაბუგვას...

ახალი ცხოვრების ხუროთმოძღვრები გავაშენებდით ახალი ქვეყნის უბადლო ციხე-კოშკებსა...

ასე მდიდარი იყო ჩვენი ოცნება ..

სინამდვილე კი... გაუზომელ კუპრის მორევს წარმოადგენდა...

შიგ იფუფქებოდნენ და იხრუკებოდენ ყველანი, ვისაც ოდნავ მაინც ეცხო ადამიანობა...

* *

იმ დროინდელ საშინელ სინამდვილემ ბევრი უხამსობა წარმოშვა...

მათ შორის უფრო გამოერჩევა ერთი სამარცხვინო საქმე, რომელსაც ეწოდება:

„ბეილისის პროცესი“.

ესაა ხორცსხმული შავი ზღაპარი თვითმპყრობელობის საქმიანობისა...

მოხუც ებრაელს ბეილისს ბრალად ედებოდა ქრისტიანი ბავშვის იუშინსკის მკვლელობა...

„ჭეშმარიტ რუსებს“ უნდოდათ ბედკრული ბეილისი მსხვერპლად მიეტანათ თავიანთი ბნელი ზრახვებისთვის...

* *

დაიწყო ბეილისის გასამართლება...

ნაფიც მსაჯულებად მოწვეული იყვნენ უბრალო მოქალაქენი...

სახნისს დროებით დაშორებული გლეხები ..

— ნეტავ რას იტყვიან ბეილისზე, დამნაშავედ იცნობენ, თუ ალალ-მართლად?..—ვეკითხები მეგობარს...

— რას იტყვიან და გაამტყუნებენ... რაც უნდა იყოს ისინი მაინც მოუქნელი ჭკუის გლეხები არიან... ცრუმორწმუნენი...

— უკაცრავად!..—არ ვეპუები მე...—რა უყოთ, რომ გლეხები არიან... მაგათაცა აქვთ გული... უფრო ფაქიზი... უფრო უმწიკვლო... ისინი უეჭველად გაამართლებენ ბეილისს...

გლეხები დაიცავენ რუსეთის სვინიდისს...

— შენ პირს შაქარი!.. ნეტავი ეგრე იყოს, მაგრამ... როგორღაც არა მჯერა...

* *

დადგა სასამართლოს უკანასკნელი სხდომის დრო...

დილიდანვე ხმები გავრცელდა: ამ საღამოს ჭეშმარიტი რუსები ჯვარ-ხატებით გაემართებიან იუშინსკის საფლავისაკენ და მემრე .. მემრე...

აქა სწყდებოდა საუბარი...

ალარაფერს ამბობდენ და სწორეთ ამაში იყო საშინელება... ჟრუანტელი...

ყველა გვაფრთხილებდა:—ნუ წასვალთ სასამართლოსკენ... ფათერაკს შეეყრებითო...

ჩვენ ვერ ვისვენებთ...

სული გვეხუთება...

მივეშურებით სასამართლოსკენ.

ახ, რა უშნგავსია მისი რუხი კედლები...

იგი ისე გამოიყურება, როგორც ნიკოლოზის დროინდელი ალრენილი გენერალი, რომელიც დღეს რუსთველის გამზირზე პაპიროსსა ჰყიდის და ყველას უბლვერის...

* *

თან და თან ცივი ნისლით იბურება ქალაქი...

— სად არიან მოკავშირენი?..

— ისინი პანაშვიდს იხდიან ტაძარში...

ვიყურებით იქითკენ და ვგრძნობთ, რომ შეიძლება იქიდან წამოვიდეს ტალღა სიცოცხლის მსპობი... გამანადგურებელი...

ნელა, ტაატით მიდის დრო...

აცა!..

მყუდროება დაირღვა...

ნაცრისფერ სასამართლოს მხრიდან მორბის ვილაცა და წითელ დროშებსავით მოაფრიალებს სანატრელ სიტყვებს:

— გაამართლეს ბეილისი!.. გაამართლეს!..

ყველა უჩვეულოდ შეირხა...

ნუ თუ მართალია?..

ხალხი ჩოჩქოლობს... ზიმზიმებს...

სალტედ შემოერტყა მახარობელს...

თვითეულს ჰსურს საკუთარი ყურით მოისმინოს...

— სიმართლე კიდევა ყოფილა რუსეთში—ამბობს ვილაცა...

— გლეხებმა გადაარჩინეს პედკრული ბეილისი...

ჰაერში მერცხლებივით დაჭიკჭიკებენ ფრთოვანი სიტყვები:

— არაა დამნაშავე... არა...

* *

სადლა არიან კაცის მოძულენი?..

რასა ჰფიქრობენ?..

არყით გალეშილი ნაძირალები ნუ თუ მშვიდად დაიშლებიან?..

ქალაქის მთავარ ქუჩებში ველარას გაჰბედავენ, მაგრამ შეიძლება რომელიმე უბანში წაითარეშონ...ააწიოკონ ებრაელები...

მივდივართ ებრაელთა უბნისკენ...

აი დჟიძრა ერთი კუთხიდან მცირე ჯგუფი ნაძირალებისა... ცხვირები წამოსწითლებიათ ლოთობისაგან...

აგერ ქაქანით მორბის ჩვენსკენ ებრაელი ახალ-გაზრდა ქალი... მორბის და წივის:

— მიშველეთ!.. მიშველეთ!..

მას მოსდევენ ნაძირალები...

ჩვენ გადაველობეთ...

ყველაზე მოწინავეს, რომელიც უნდა სწვდომოდა ქალს, სარმა გამოვდე და გავშხლართე...

მათ ებრაელად მიმილეს...

— **Чего прешь жидовская морда!**.. დამიყვირა მეორე ნაძირალმა და დამეტაკა...

ვერც-კა მოვასწარ შევჭიდებოდი, რომ მისი ბებუთი შემეალერსა...

ჭრილობის სიმწვავისგან ალარ გამიგია როგორ გამაქანეს საავადმყოფოსკენ...*)

**დ. თურდოსპირელი.**

*) ეს ნაწყვეტი ამოლებულია დაუბეჭდავი ახალი მოთხრობიდან: „ყამარი“.

# მკვლელი

სალამო ხანი იყო, როდესაც ეტაპი მიადგა № 2 ციხის კარებს. კარები საჩქაროდ გაილო და ყველანი ეზოში შეგვიყვანეს და დაგვაყენეს. დაიწყო გვარების ამოკითხვა და ჩხრეკა. გრძელ ცხვირა, წითელ წვერებიანი, ზედამხედველი გულმოდგინეთ გვიჩხრეკავს ტანისამოსს, თითქმის ნაკერავებიც კი დაათვალიერა, რომ საეჭვო რამე ალმოეჩინა. სულ ეტაპში ოცმოცი კაცი ვიყავით ათი კატორლელი და დანარჩენი სხვა და სხვა. კატორლელები ერთ კამერაში მოგვათავსეს.

დავყარეთ ჩვენი ბარგი და ხმა ამოულებლივ ყველანი მივეყარენით. ბორკილებისგან დალურჯებული ფეხები მოვასვენეთ. ყველანი შავმა ფიქრებმა გაგვიტაცა, არც ერთს არ გვინდოდა ხმის ამოლება. ვინ იცის რა გულის ტკივილი ჰქონდა, ვის რა მწარე მოგონებები უტრიალებდა გულში „ყველას გულში მოკალათებული იყო მხოლოდ შხამ ნალველი და ჩივილი ადამიანთა უსამართლობაზე“.

მეათე დღეა რაც მოგვგლიჯეს სამშობლო მხარეს. ჩვენ კატორლელებში სამი ქართველი ვიყავით დანარჩენი სხვა. ჩემთან ერთათ მოდიოდა ახალგაზრდა გლეხი ბესო წინდაშვილი. მთელი ჩემი ყურადღება მან მიიპყრო. წყნარი, სათნოებით სავსე მოსიყვარულე ადამიანია. მანც გაიგო ჩემი მისდამი განწყობილება და ისე მივლიდა, როგორც მამა შვილს. ის მუდამ მზად იყო ჩემდა სასამსახუროდ. თავისუფალ დროსის მარტოთ იჯდა დალონებული და ჩუმად კვნესოდა, შავ ფიქრებში იყო წასული. ვუყურებდი ამ კაცს, ვფიქრობდი და ვერ გამომეკვლია რა დანაშაული ჩაიდინა, რომ ასე სასტიკათ დასაჯეს და კატორლა მიუსაჯეს. ბევრჯერ დამებადა აზრი გამომეკითხა მისთვის ყვე-

ლაფერი, მაგრამ ვშიშობდი ვაი თუ გული ვატკინო, იარები აუშალო და უფრო გავაძნელო მეთქი.

ის მუდამ ჩუმად იყო და როცა ჩვენ გაცხარებული ბაასი გვქონდა გულმოდგინეთ ყურს გვიგდებდა. ხშირად ვხედავდი ღამით, როცა ყველას ეძინა წამოჯდებოდა თავის ლოგინზე და რაღაცას ბუტბუტობდა, ოხრავდა. ხან გულმოდგინეთ პირჯვარს იწერდა და გულში ხელს იცემდა.

— ბესო! არ გეძინება?—გადავსძახებდი ხოლმე მე.

— არ მეძინება, შენიჭირიმე, არ მეძინება.

— ხომ არაფერი გაწუხებს, ბესო?

— მაწუხებს, შენიჭირიმე, მაწუხებს. გული გასკდა სული მიწუხს.

— რა მოგივიდა? რა გაწუხებს?

— ეჰ! სულ ერთია, ვერაფერი მიშველის,—უიმედოთ ჩაიქნევდა ის ხელს და ისევ მიწვებოდა.

დიდხანს ისმოდა მისი ოხვრა და კვნესა, სანამ არ ჩაეძინებოდა.

ერთ ღამეს ფიქრებმა გამიტაცა, ძილი გამიტყდა და ვიწექ ლოგინში თვალებ დაჭყეტილი. ჩემს თვალწინ გაიარა მთელმა ჩემმა წარსულმა, მომაგონდა ყველაფერი. ტკბილი, უდარდელი ბავშური ცხოვრება, დედ-მამის ალერსი, ტოლ-ამხანაგები, შემდეგ ცხოვრების გაცნობა, გახურებული ბრძოლა და ფეხებზე ბორკილები, ბურუსივით მოცული მომავალი.

უცებ ყრუ ქვითინი შემომესმა. მაშინვე ბესოს ლოგინისაკენ მივიხედე. ბესო წამომჯდარიყო თავი ხელებში ჩაემალა და მწარედ კვნესოდა, გულ-ამომჯდარი ქვითინებდა.

— ბესო! რა დაგემართა? შევეხმაურე მე. ბესომ თავი მაღლა აიღო და გაოცებული მომაშტერდა, არ ელოდა, რომ მელვიძა თითქოს შერცხვა და გაჩუმდა.

— ბესო! შენ რაღაც ძალიან გაწუხებს. მითხარი გამაგებინე, იქნება გიშველო რამე?

— ვერა, ვერა! თქვენ ვერაფერს მიშველით; მაგრამ...

ის წამოდგა, მოვიდა ჩემთან ჩამოჯდა და ყრუდ განაგრძო.

— ვკვდები, სიმონ, ვიტანჯები, მოსვენება აღარა მაქვს!

— შე ოჯახ აშენებულო, მერე ვერ იტყვი რა გაწუხებს?

— აბა ვის უნდა უთხრა? ვინ გამიგებს? ვინ მიშველის?

— სთქვი, შე კაი კაცო!

— გატყობ, ჩემო სიმონ, რომ კარგი კაცი ხარ, გულკეთილი. გეცოდები. ამატომ გეტყვი ყველაფერს. გეტყვი ჩემს ამბავს.

ლოგინზე წამოვჯექ და სმენად გადავიქეცი. დამაინტერესა იმ ამბავმა, რომლის გაგებას ძალიან ვცდილობდი.

კამერაში ისმოდა გაჭიანურებული ხვრინვა. ტუსაღებს ყველას ეძინა.

— აბა, მითხარი, ბესო, მომიყე შენი ამბავი. სწორე გითხრა ძალიან მინდოდა გამეგო რა მოხდა შენს ცხოვრებაში, რისთვის დაგსაჯეს ასე, მაგრამ ვშიშობდი, ვაი თუ გაწყენინო მეთქი. მიამბე ყველაფერი, ნურაფერს დამალავ.

— გეტყვი, ჩემო სვიმონ, გეტყვი.

ბესომ ჩაახველა აქეთ-იქით მიიხედა და რაკი დარწმუნდა, რომ ყველას ეძინა, ნელის ხმით დაიწყო.

— სოფლის პირობაზე, შეძლებული გლეხის შვილი ვარ. ჩვენ სოფელში თუ სცხოვრობდა ვინმე, ჩვენც ვცხოვრობდით. მამა ჩემი ფრიად მუყაითი და გამრჯელი კაცი იყო. გვქონდა კოხტა, ლამაზი „ოდა“ სამზარეულო სახლი, ბეღელი და სხვა. ჩვენ ოჯახს თვის დღეში პურღვინო არ გამოლევია. დედაც სახლში მუშაობდა. თორმეტი წლის ვიყავი როცა მამა ჩემი გარდაიცვალა. ტყეში ხის მოჭრის დროს ქვეშ მოჰყვა და იქვე მოკვდა. დავრჩი ობლათ. დედაჩემის წყალობით ოჯახი არ გავაციეთ, დედას, როგორც კარგი ვაჟკაცი, მხარში ვედექი და ვშველოდი. ოცი წლისა რომ გავხდი დაუხშირეს მაჭანკლებმა სიარული. ხან ვის მირჩევდნენ შემერთო და ხან ვის, მაგრამ ჩემს გულს არავინ არ ეკარებოდა ჩემი გული უკვე შეპყრობილი იყო, მიყვარდა ჩემი მეზობლის ქალი, მშვენიერი ლამაზი, თებრო.

ბესომ მწარეთ ამოიკვნესა და გაჩუმდა. შემდეგ განაგრძო.

— ჰო, შემიყვარდა თებრო. არც ის იყო ჩემზე გულგრილად. ბოლოს შევბედე და აუხსენი ჩემი გულისტკივილი. თებრო სიამოვნებით დამთანხმდა ცოლობაზე და გავაჩაღეთ ქორწილი, დედას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დაიწყო ტკბილი საოცნებო ცხოვრება. ერთი წლის შემდეგ დედა გარდაიცვალა და დავრჩით მარტონი. თებრო კარგი მეოჯახე ქალი დადგა და ნამდვილ ძმასავით მეხმარებოდა. ვცხოვრობდით ტკბილათ, სანამ ერთ დღეს არ დატრიალდა ის უბედურობა, რამაც ამ დღეში ჩამაგდო.

ერთ დღეს სტუმრათ გვეწვია ჩვენი სოფლის აზნაური ილია ფშიკაძე. ეს ილია მთელ სოფელში განთქმული იყო თავის სილამაზით და მოყვანილობით. ფართე განიერი მხარ-ბეჭი, მაღალი, შავ წვერ ულვაშით. თანაც ისეთი მკლავ-მაგარი და ღონიერი იყო, რომ მთელ სოფელში ტოლი არა ჰყავდა. ამასთან ერთად ის იყო მეტად გარყვნილი კაცი, მთელ სოფელში ქალი არ დაუტოვებია, რომ ზოგი ნებით და ზოგი ძალით არ გაეუპატიურებიოს. სადაც ნება არ სჭრიდა იქ მუშტით მიდიოდა. მთელი სოფელი ზიზღით უყურებდა, მაგრამ აბა ვინ იყო ხმის გამცემი.

შემოდგა თუ არა ფეხი მსუნაგი ძაღლივით თებროს მიაშტერდა, თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა, გაიცინა და სთქვა:

— გასაკვირია ამ გლახას ვინ მისცა ამისთანა ბედაური ქალი. მაგი აზნაურს ეკადრებოდა—გადიხარხარა და მე გადმომხედა. თებრო გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

ილიამ ურცხვად ახ<del></del>ლდ დახედა და თავი გაიქნია.

— ბიჭო რა ქალია! რა ქალი? აფსუს, ბესო, შენ მკლავზე უნდა გორავდეს აგი მთვარე? ჰაი დედასა.

ამით გათავდა ილიას პირველი სტუმრობა.

არ გასულა ერთი კვირა, რომ უცბათ ეზოში ცხენი შემოაჭენა. ღამე იყო. ჩამოხტა ცხენიდან, ცხენი იქვე დააბა და თითქო თავის სახლში მიდისო, ისე შემოვიდა ოთახში ის იყო ვახშამს ვათავებდით და დასაძინებლათ ვემზადებოდით. შემოვიდა თუ არა გაექანა თებროსკენ ხელები მოხვია და კოცნა დაუწყო. თავში ცეცხლი ამივარდა, მივვარდი გაგიჟებული და ვეცი. ვერც დავძარი.

— გადი, შე ბაღლინჯო! მოშორდი თორემ ისე გაგსრისავ, როგორც ჭიას. რა შენი საქმეა ამისთანა ლამაზი ქალის კოცნა, ამას მე უნდა ვაკოცო—სთქვა მან და იქვე დაუწყო ლოშნა თებროს.

ამის შემდეგ აღარ ვიცი რა მოხდა, მახსოვს, რომ იქვე სკამს წამოვავლე ხელი და დავარტყი. ის მომვარდა წიწილივით ამიტაცა და დამახეთქა იატაკზე. გონება დავკარგე. როცა გონს მოვედი იატაკზე ვეგდე და ხელ-ფეხი თოკით მაგრად მქონდა შეკრული. ის კი.. ის... ის წყეული ჩემ ცოლთან არხეინად იწვა ლოგინში. გათენების ხანს წამოდგა და წავიდა. თებრო ტირილით წამოდგა და ხელ-ფეხი გამიხსნა.

ამ დღიდან ჩემთვის ჩამობნელდა, ჩამოიქცა ცა, გასკდა დედამიწა და თან ჩამიტანა. ამ დღიდან დაიწყო ჩემი ჯოჯოხეთური ცხოვრება. ილიამ კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა ასეთი ამბავი. ანაზდეულათ გაჩნდებოდა შემიკრავდა ხელ-ფეხს, დამაგდებდა და დილამდე თებროსთან გორაობდა ლოგინში. თებრო პირველად ძალიან იტანჯებოდა, გულამოსკვნილი სტიროდა, მაგრამ ბოლოს თითქოს შეეჩვია ამ ამბავს, თითქოს ელოდა კიდეც ილიას და ენატრებოდა მისი ნახვა.

ასე გაგრძელდა ორი თვე. ჩემს ტანჯვას ბოლო არ უჩანდა. დაირღვა ჩემი სიყვარული, დაირღვა ოჯახი და ჩემი დამღუპველი არხეინად დადიოდა. მთელი დღე-ღამე სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე შური მეძია და სამაგიერო გადამეხადა.

ეს დროც დადგა.

ერთ დღეს დილით გავლესე ძალზე ნაჯახი, გავამზადებინე ცოლს საგზალი და ვუთხარი ერთი კვირით ტყეში მივდივარ მეთქი და წავედი.

თებროს შევატყვე თითქოს კიდეც ესიამოვნა ეს ამბავი.

მთელი დღე უგზო-უკვლოდ დავეხეტებოდი. რომ შეღამდა მივიპარე სახლთან და ოდის ქვეშ შევძვერი და ველოდი.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ილომ ჭისკარი შემოაღო და ჩქარის ნაბიჯით წავიდა სახლისკენ.

თვალს არ ვაშორებდი. მარდათ აირბინა აივანზე. თებრომ კარები გამოაღო და შეხვდა. ილომ მაგრათ ჩაიკრა გულში.

— სად გდია ის ბაღლინჯო!—დაცინვით წამოიძახა ილომ.

— ტყეში წავიდა, ერთი კვირა ვერ მოვა -მომესმა თებროს ხმა.

— ჰო! კარგია, ცოტას მოგვასვენებს მაინც—სიამოვნებით ჩაილაპარაკა ილომ და ორნივე ოთახში შევიდენ.

ჭუჭრუტანიდან ვხედავდი როგორ გაშალეს სუფრა მოუსხდენ და ვახშამს შეექცენ. თან კოცნიდენ ერთმანეთს. თავზარი დამეცა, როცა თებრო მუხლებზე დაუსკუპდა ორივე ხელები თავზე მოჰკიდა და ტუჩებზე დააკვდა.

მივხვდი, რომ ჩემი დღეები დათვლილი იყო მე ცოცხლებში აღარ ვეწერე. გაქრა ტკბილი ოცნება, გაქრა ბედნიერება, ჩამობნელდა, ვილამაც თავის ტლანქი ფეხები დამადგა და ჭიაყელასავით გამსრისა.

მოახლოვდა შურის ძიების ჟამი.

ვახშმის შემდეგ განაგრძეს ხვევნა-კოცნა, შემდეგ ტანთ გაიხადეს და ჩაწვნენ. გავიდა დრო. ორივეს ტკბილათ ჩაეძინა.

ფეხაკრეფით გამოვედი, ნელა აველი აივანზე შევაღე კარები და შევედი.

ვნებათა ღელვის დაკმაყოფილების შემდეგ ორივეს ტკბილათ ეძინა. თებრო კედლისკენ გადმობრუნებულიყო. ილია პირაღმა იწვა საბანი გულ-მკერდზე გადახდილი ჰქონდა, დიდრონი ძარღვიანი მკლავები მუცელზე დაეწყო. მივედი ახლოს. ნაჯახი მაღლა ავსწიე და რაც ძალა და ღონე მქონდა დავკარი გადაღეღილ კისერზე. თავი უცბათ გადავარდა, ერთის დაკვრით ის ტანს მოვაშორე; უცბათ თავმოჭრილი ტანი ვეფხვივით წამოვარდა. მეცა და მუხრუჭივით მომიჭირა ორივე მკლავი. თავმოჭრილ კისრიდან სისხლი თქრიალით გადმოდიოდა და თვალებში და მთელ პირისახეზე მასხამდა. ცოტა კიდევ და ჭკუიდან შევიშლებოდი, მაგრამ მკლავები უცბათ მოდუნდა და უთაო ტანი მოჭრილ ხესავით დაეცა იატაკზე.

თებრო წივილ-კივილით გარბოდა. მალე ხალხმა თავი მოიყარა და დამიჭირეს—ორი წელიწადი ციხეში ვეგდე, შემდეგ გამასამართლეს და კატორღა მომისაჯეს.

აი, ჩემო სვიმონ, ჩემი ამბავი. ჯერ ქვეყანაზე არავისთვის არ მითქვამს, მხოლოდ შენ გითხარი.

ვიტანჯები, სვიმონ, ვიტანჯები, აღარ მომისვენია. რა უნდოდათ ჩემგან მაგ ურჯულოებს? განა მე ვინმეს ცხოვრებას ვუშლიდი? რათ შემოიჭრენ ჩემს სახლში? რათ მომიშხამეს სიცოცხლე, სიყვარული, მყუდროება?! ვცხოვრობდი ჩემთვის, შრომობდი, არავისთვის არაფერი არ დამიშავებია?! განა ქვეყანაზე არის სადმე სამართალი?! გამაპარტახეს, ფეხქვეშ გამთელეს, კაცის მკვლელი გამხადეს!!!.

საბრალო ჩემი თებრო!..., ისეთი ამოიკვნესა ბესომ, თითქოს გული თან ამოაყოლაო.... მას კი არ უნდოდა... ძალად მოგლიჯეს გულიდან... ძალად გამიგლიჯეს სიყვარული!.. ოხ!. ვინ იცის ეხლა სად არის?

ბესომ თავი ჩაღუნა და კვლავ აქვითინდა.

გაშეშებული ვიყავი, ხმა ვერ ამომეღო. იმდენათ იმოქმედა ამ ამბავმა, რომ კრინტი ვერ დავძარი. სანუგეშო რამ ვერ მეთქვა.

ბოლოს როგორც იქნა მოვახერხე, წამოვდექ, ბესოს ხელი მოვკიდე და წამოვაყენე,—წამოდი, ბესო, დაწექი, დაიძინე! მოსვენება გარგებს. ხვალ დილით ვილაპარაკოთ.

ბესო ბავშვივით დამმორჩილდა. ჩაწვა ლოგინში. კარგა ხანს ისმოდა მისი ყრუ ქვითინი, ბოლოს ჩაეძინა.

შავი ფიქრების ჯარი შემომეხვია. ვიღაცამ გულზე მუხრუჭი მომოჭირა. გული თითქოს ყელში მომებჯინა, სუნთქვა შემეხუთა ცოტა ლა მიკლდა რომ ბავშვივით ღრიალი დამეწყო. ცრემლები ჩავყლაპე, თავს ძალა დავატანე და ზეზე წამოვდექ, რომ თავისუფლათ ამომესუნთქა.

ბესოს ტკბილად ეძინა, მხოლოდ ხან და ხან გულსაკლავად ამოიკვნესებდა.

რა საშინელებაა! რა უსამართლობაა!

ისეთი ჩვილი გულის პატრონი, ისეთი მოსიყვარულე, როგორიც საბრალო ბესოა კაცისმკვლელი, ავაზაკი გახადეს.

წყეულიმც იყოს ადამიანში უსამართლობა?! ბესოს სახეს ჩავაშტერდი. მისი მოსიყვარულე სახე უზომო მწუხარებას და სევდას დაეფარა. სული კი კვნესოდა, ადამიანის უსამართლობას.

პ. ირეთელი.

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ქუთაისი.

12 მაისს ქუთაისის მუშათა ქვე-კომისიის ბინაზე შესდგა ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა და უპარტიო ახალგაზრდობის კრება კრების თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. ს. კვატაშიძე, მდივნათ ამხ. კვამრაძე. მოხსენება აგვისტოს ამბებისა და ჩვენი ამოცანების შესახებ გააკეთა ქუთაისის მუშათა ქვე-კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მეფარიშვილმა. მომხსენებელმა თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა ის ზიანი, რომელიც საქართველოს მენშევიკურმა პარტიისა და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მუშაობამ მოუტანა უკანასკნელ 4 წელის განმავლობაში ქართველ ხალხს. აგვისტოს გამოსვლა ამბობს მომხსენებელი, ისეთი მწარე გაკვეთილი იყო, როგორც ჩვენთვის-ყველა მენშევიკებისათვის, ისე ახალგაზრდა მარქსისტებისათვის, რომ უკან უნდა მოგვეხედა, კრიტიკის ქარცეცხლში გაგვეტარებია ჩვენი წასული ნამოქმედარი, ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ აშკარად დავრწმუნდით, რომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინაღმდეგ ქართველ მშრომელ ხალხს ფიზიკურად განადგურებას უქადდა; ამიტომ იყო, რომ ტფილისის რევოლიუციონურ უბნის ნაძალადევის ძველმა რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გამობრძნედილმა მუშებმა სრულიად შეგნებულად დასტოვეს ძველი გზა და დადგენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზაზე. მომხსენებელი მოუწოდებს ახალგაზრდობას შემოიკრიბენ მუშათა კომისიის წინაშე და უფროს ამხანაგებთან ერთად დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება.

მოხსენების გარშემო ვრცელი სიტყვით გამოვიდენ ამხ. ვ. ლორთქიფანიძე და ამხ. ს. კვატაშიძე, რომლებიც აღნიშნავოენ რა სოც.-დემოკრატიულ პარტიისა და ახალგაზრდა მარქსისტების ძველ შეცდომებს, მოუწოდებენ დასტოვონ ძველი დამღუპველი გზით სიარული, შემოიკრიბონ უფროს ამხანაგების ირგვლივ მუშათა კომისიაში და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ მუშათა კლასის მტერებს, ისინი აცხადებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაცვა და მასთან გულწრფელი თანამშრომლობა არის ერთად ერთი გზა საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად.

ილაპარაკეს სხვებმაც, ყველანი გმობდენ ძველ გზას და იწონებდენ ახალი გზის სისწორეს.

დასასრულ ერთხმათ მიღებული იქნა რეზოლიუცია, სადაც დაგმობილია ძველი მუშაობა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა, კრება სავსებით იზიარებს ნაძალადევის მუშების 7—8 ოქტომბრის კრებისა და ტფ. ახალგაზრდა მარქტისტთა 8 თებერვლის თათბირის რეზოლიუციებს და მოუწოდებს ამხანაგებს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ და კულტურულ-ეკონომიურ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობის მიღებისაკენ.

მუშათა კომისიაში ახალგაზრდობის რწმუნებულად კრებამ აირჩია ამხ. ს. კვატაშიძე.

ბ. კ.

## ქ. სამტრედიის ახალ. მარქსისტთა შორის.

აგვისტოს გამოსვლების შემდეგ, როდესაც უკვე ყველასთვის თვალსაჩინო და უტყუარი გახდა ის გარემოება, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია და მასთან ერთად საქ. ახალ. მარქსისტთა ორგანიზაცია ასცდა რევოლიუციურ მარქსიზმს, ჩვენი ქალაქის მარქსისტულ ახალგაზრდობაში დაიწყო კრიტიკული შეფასება ძველი გზის. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ამხანაგების ერთ ჯგუფისაგან, რომლებმაც ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს არალეგალურ მუშაობასთან—შესდგა პატარა კომისია. ამ კომისიამ მთავარ მიზნათ დაისახა შესაფერი აგიტაცია მასებში, გამოშვებულ და მთელ რაიონის მასშტაბით გავრცელებულ იქნა სათანადო მოწოდებები. კომისიის ინიციატივით მოწვეული იქნა რკინის გზის მუშათა კლუბში საზოგადო კრება, რომელზედაც აქ ახალგაზრდობასთან ერთად მუშების დიდი რიცხვიც დაესწრო. მრავალრიცხოვან აუდიტორიის წინაშე გამოვიდენ მოხსენებებით: გ. კვერნაძე, ვ. ფრანგიშვილი და ა. ფხაკაძე. ილაპარაკეს აგრეთვე: ამხ. კიმოთე შენგელიამ, მუშათა კომისიის რწმუნებულმა ლ. ბუაძემ და ყოფილმა მენშევიკმა—კ. კვანტალიანმა. იყო შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებლებმა ამომწურავი პასუხი გასცეს. დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ერთა განთავისუფლების დროშის ქვეშ,—ბურჟუაზია ცდილობს გაამწვაოს სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შინაური მდგომარეობა და ეწევა საშინელ პროვოკაციას მტრების მიმართ.

გასულ წლის აგვისტოს გამოსვლებში ყველა ჩვენთაგანი დარწმუნდა ბურჟუაზიულ ევროპის მუხანათობაში

და ბნელ ზრახვებში. ამ ამბებმა ყველა ჩვენგანი საბოლოოთ დარწმუნა, რომ საქართველოსთვის დამღუპველია ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომ საჭიროა აშკარათ ახალგაზრდულ სითამამით და სიმტკიცით ძველი გზის უარყოფა და საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობა. ერთადერთი მემკვიდრე კაპიტალიზმის არის პროლეტარული სოციალიზმი. ს. ს. რ. კ. უჩვენა ამ მხრივ მაგალითი მთელ მსოფლიოს და გამოფხიზლებული საერთაშორისო პროლეტარიატიც მასთანაა და მით უმეტეს ჩვენ ქართველმა ახალგაზრდობამ, რომელსაც გვაქვს ბრძოლის დიდი ტრადიცია, მის ძლევამოსილ დროშის ქვეშ უნდა დავიბაზმოთ ჩვენი ახალგაზრდული მარქსისტული შესაძლებლობა მოვახმაროთ პროლეტარიატის კეთილდღეობას, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

გაუმარჯოს გაერთიანებულ სოციალისტურ ფრონტს საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!—

კომისიამ რაიონებში მოხსენების და სათანადო მუშაობის ჩატარება დაავალა ამხ.: გ. კვერნაძეს და კ. ტორონჯაძეს. რაიონებში მუშაობის შემდეგ, როდესაც ახალი გზის ირგვლივ გაერთიანდა 56 ამხანაგი, კომისიამ შემდეგი მუშაობა დაავალა რწმუნებულებს.

ქ. სამტრედიაში არჩეული იქნა რწმუნებულად გ. კვერნაძე,; ჯიხაიში კ. ნუცუბიძე და ლანჩხ-ქვიტირში ს. ხუხაძე.

საერთო მუშაობა ღირსეულათ ჩატარდა, ყველა მზათაა იმუშაოს ახალ ასპარეზზე ახალი გზით. საჭიროა ხელისუფლებამაც ჩააბას ეს ახალგაზრდობა სხვა და სხვა კულტ. და ეკონომიურ საქმიანობაში.

კომისიის მდივანი; ა. ფხაკაძე.

---

## სურების რაიონი

(გურია)

სურების რაიონი 40—45 ვერსითაა დაშორებული გურიის სამაზრო ცენტრს.

ცუდი გზების გამო გურიის ყოფილ მენშევიკების სამაზრო ბიურომ მხოლოთ ერთხელ შესძლო თავის რწმუნებულის საშვალებით სურების რაიონში შემავალ თემების ჩამოვლა და მოხსენებების გაკეთება.

24 ამა თვეს ხელმეორეთ გავემგზავრეთ სურებში კრებების მოსაწყობათ. იგივე იყვნენ რაიონის დასათვალიერებლათ მაზრიდგან წამოსული გურიის კომიტეტის პ./მ. მდივანი ამხ. კვაჭაძე და კომკავშირის სამაზრკომის პ./მ. მდივანი ამხ. ორაგველიძე, რომელნიც შეძლების დაგვარათ ესწრებოდენ ჩემს მოხსენებებს.

ყველა თემებში ერთად მოვგზაურობდით. ხელისუფლებასთან ჯერ ჯერობით არავითარ გაუგებრობას არ ჰქონია ადგილი. სურების რაიონი შესდგება 3 თემისაგან დიდი-ვანი, შუა-სურები და ზემო-თავ-სურები.

პირველათ შევხვდებათ დიდი ვანის თემი ეს თემი ყველა თემებზე ახლო არის მაზრასთან და სხვა თემებთან შედარებით უფრო კულტურულია. აქ არსებობს 7 წლედი, ფოსტა, კოოპერატივი, საექიმო პუნქტი, სამკითხველო ვერ არის კარგათ მოწყობილი და გაზეთებს სისტემატიურად ვერ ღებულობენ აქ, აგრეთვე არსებობს მთლიან რაიონისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ამ თემში აღმასკომის (იგივე საბჭოს) თავმჯდომარეთ არის ყოფილი—მენშევიკი, უპარტიო, რომელმაც უკვე 1921 წლიდგან ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა მენშევიკურ პარტიასთან. საბჭოში შედის 15 წევრი აქედგან 2 ქალი, 2 პარტიული და დანარჩენი უპარტიოები, უმეტესათ ამ უპარტიოებისგან ყოფილი მენშევიკებია, რომელნიც იზიარებენ საბჭოთა სისტემის პლატფორმას.

თემში შესდგა ამხ. კვაჭაძის თანდასწრებით საბჭოს კრება. საბჭოში საუბარი ჰქონდათ გლეხობის სხვა და სხვა საკითხებზე, როგორიც არის გზის უქონლობა და ეკონომიური სივიწროვე, მაგრამ გამოსთქვამდენ იმედს, რომ ხელისუფლების დახმარებით თავს დააღწევენ ყოველგვარ გაჭირვებას.

მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ საბჭოს მუშაობაში უპარტიო წევრები, რაც უდავოა დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

პირველათ აქ გაიხსნა საბჭოს კრება ადგილობრივ საკითხების გასარჩევათ. საბჭოს თავმჯდომარე აქაც უპარტიოა.

შემდეგ გავხსენით ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრება ადგილობრივ სახალხო—სახლის დარბაზში, მაგრამ კრება მცირე რიცხოვანი იყო და მიეცა პატარა თათბირის სახე. საერთოდ ეხლა გლეხობა კრებებს ვერ ესწრება, ვინაიდგან ყანებში გაცხოველებული მუშაობაა.

საღამოს 5 საათისათვის მოწვეული იყო კრება შუა სურების თემში. სურების რაიონისათვის სარაიონო ცენტრათ ეს თემი ითვლება. აქ ჩემს მოხსენებას ყველანი გულდასმით უსმენდენ და მოხსენების შემდეგ მომცენ მრავალი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხს ვაძლევდი. გამოვიდენ ადგილობრივი გლეხები. ილაპარაკა 7-კაცმა. ერთმა ღრმად მოხუცებულმა გლეხმა ქალაქის ყოფილმა მუშამ აღნიშნა რამოდენიმე დეფექტები, გლეხობისადმი და სხვა. მან აუცილებელ საჭიროა, სცნო შეკავშირება ხელისუფლებასთან.

ჩემს საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქმნა სათანადო რეზოლიუცია და ავირჩიეთ რწმუნებულები.

ამ თემში აღმასკომის თავმჯდომარეთ არის ჩვენი რწმუნებული, ყოფ. მენშევიკი, რომელსაც დიდი ნდობა აქვს ხალხში დამსახურებული.

17 მაისს დავბრუნდით დიდ-ვანში, შესდგა კრება, მოისმინეს ჩემი მოხსენება, იყო შეკითხვები, აქაც აღნიშნავდენ გასულ წლების დეფექტებს, რომელიც ეხლა გამოსწორებულია და ისინი, ვინც ხალხს ავიწროებდენ, საპატიმროში ბრძანდებიან.

ავირჩიეთ რწმუნებულები მათ შორის ერთი ქალი. ამ რაიონში ერთი არ არის აღსანიშნავი: ყველა ყოფილი ეკლესიები გადაკეთებულია სახალხო-სახლებათ და

ვერც ერთ გლეხს ვერ შეხვთებით, რომ მომხრე იყვეს ეკლესიების დაბრუნებისა, ეს გამოირკვა ადგილობრივ გლეხობასთან პირადი საუბრის დროს. აქ ძალიან მცირეა წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი.

ამ რაიონში ამხ. კვაჭაძემ დააპატიმრა კომპარტიის წევრი იაშა ჟორდანია. (ჭყის მცველი), რომელიც იღებდა ქრთამს და ავიწროებდა გლეხებს. ამ ფაქტით გლეხები ძლიერ კმაყოფილი დარჩენ.

მეორე დღეს ამხ. კვაჭაძეს ჩვენთან ერთად საუბარი ჰქონდა ჩოხატაურის 9 წლედის უპარტიო მოწაფეებთან.

საერთოდ ასეთი მოგზაურობა, რაღაც დიდ ყურადღებას იქცევს, სამაზრო ბიურო დიდათ უწყობს ხელს ჩვენში მუშაობის გაცხოველებას.

გერ. ლომთათიძე

ქ. ოზურგეთი 1925 წ. 23 მაისი.

## ს. საგარეჯო.

17 მაისს შესდგა საგარეჯოს თემის ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა ყრილობა. კრებაზე მოხსენება გააკეთა მუშათა კომისიის წევრმა ლ. კუპრაშვილმა. მოხსენების საგანს შეადგენდა წარსული წლის აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანა. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ჰგმობს აგვისტოს გამოსვლებს, როგორც ბრძოლას რევოლიუციის წინააღმდეგ და იზიარებს 7—8 ოქტომბრის საქ. მუშათა ცენტრის მიერ მიღებულ რეზოლიუციას და ავალებს მუშათა კომისიას, განაგრძოს დაუღალავი მუშაობა ერის საკეთილდღეოდ და რევოლიუციის გასამარჯვებლად; ქართველი გლეხკაცობა იბრძოდა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ რუსეთის ხალხთან ერთად და ის უნდა დარჩეს რუსეთთან რევოლიუციის სადარაჯოზე ეხლაც; ჩვენი განვითარება და აღორძინება შე-ძლება მხოლოდ მაშინ, თუ გაიმარჯვა რევოლიუციამ; რევოლიუცია სწარმოებს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში და მას შეუძლიან საბოლოო გამარჯვება მაშინ, როდესაც ყველა რესპუბლიკები და ხალხები შეთანხმებულად ითანამშრომლებენ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ პროლეტარიატს და გლეხკაცობას.

კრებამ აირჩია სათემო ქვე-კომისიაში შემდეგი პირები:

1. რეზო ჯაბადარი.
2. ერემია გულისაშვილი,
3. გიორგი გარსიაშვილი.
4. ალექსი ესიაშვილი.
5. ვასილი აზარიაშვილი.
6. იოსებ გოდერძაშვილი.
7. იაგორა (გვარი გაურკვეველია)

კრების თავმჯდომარე: ა. მაისურაძე
მდივანი პოლიევქტოს დილმელაშვილი.

## ს. ხევი. (გურია)

12 მაისს შესდგა ხევის 7 წლედის უპარტიო მოწაფეობის, ყოფილ ახალგაზრდა-მარქსისტების და უპარტიო მასწავლებლების გაერთიანებული კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. აფ. ანთიძე და მდივნობდა ამხ. ზაქ. თოდრია.

კრებაზე მოხსენებას აკეთებს ყოფილი ახალ. მარქსისტი გურიის ყოფილ მენშევიკთა აღმოსავლეთ გურიის ქვეკომისიის რწმუნებული ამხ. პ. ჩიგოგიძე, რომელიც შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და 7-8 ოქტომბრის რეზოლიუციას და ტფილისის ახალგაზრდა მარქსისტთა თათბირის რეზოლიუციას. მოხსენების დამთავრების შემდეგ იმართება კამათი, რომელშიაც მასწავლებლებმაც მიიღო მონაწილეობა. კამათის დასრულების შემდეგ ამხ. შ. ანთიძის მიერ შემოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ხევის 7 წლედის შრომის სკოლის მოწაფეებმა და მასწავლებლებმა მოისმინა რა ამხ. პ ჩიგოგიძის მოხსენება, რომელმაც ნათლად დახატა საქართველოს სოც.-დემოკრ. პარტიისა და ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციის შემცდარი გზა, და აღიარა იგი მუშათა კლასისათვის დამღუპველად, ამავე დროს გავითვალისწინეთ რა საბჭოთა ხელის უფლების მიღწევები,—ვდგებით საბჭოთა პლატფორმაზე და დავიცავთ იმ წითელ დროშას, რომლისათვისაც უამრავი სისხლი დაღვარა მუშათა კლასმა. რწმუნებულათ არჩეული იქმნა ამხ. შ. ანთიძე.

თავმჯდომარე: ა. ანთიძე
მდივანი: ზ. თოდრია

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

გაუნელებელ მწუხარებაში მყოფი შვილები: ლევან, გიორგი (გუჩიშვილი) და დავით (თურდოსპირელი) აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ უძვირფასესი დედიკოს

## სალომე ჩხეიძის

ტრაღიკულად დაღუპვიდან ნახევარი წლის შესრულების გამო კვირას, თიბათვის 7-ს, დღის პირველ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

ორშაბათს, 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში; მოწვეულია ფაბრიკა-ქარხნების და ადგილკომების დასწრებით, ტფილისის საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა.

## დღის წესრიგი:

1) მოხსენება სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის შესახებ— მომხსენებელნი: ამხ. ამხ. მამია ორახელაშვილი და ფილიპე მახარაძე.

2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება საბჭოს ყველა წევრებისა და კანდიდატებისა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი

მთავლიტი № 894 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 14 ივნისი. 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11—68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8—2 საათამდე

№ 25

## იმპერიალისტების პოლიტიკა

ევროპის იმპერიალისტები ქვეყანას არწმუნებენ: ჩვენ მოსარჩლე და მფარველი ვართ პატარა ერებისა და ჩვენს დროშაზე თავისუფლება აწერიაო.

ყოველივე ეს რომ მხოლოდ თვალთმაქცობაა და მათი ნამდვილი მიზანი რომ პატარა ერების დამონება-გადაყლაპვა არის, ამისი საუკეთესო მაგალითი მაროკოს ამბებია. მაროკოში სცხოვრობს თავისუფლების მოყვარული ხალხი, არავის არ ერჩის, არავის არ ებრძვის.

მიუხედავად ამისა საფრანგეთის კაპიტალისტები— ეს თავისუფლებისა და პატარა ერების უფლებათა მოყვარული ხალხი—ზარბაზნებს უშენენ.

რათა, რისთვის?

იმისთვის რომ საფრანგეთის კაპიტალისტებს თავისი ჯიბის გასასქელებლად რიფების დამორჩილება და დამონება უნდათ.

მაროკოში იღვრება უდანაშაულო, უწყინარი რიფებისა და საფრანგეთის ჯარის კაცების სისხლი მხოლოდ იმისათვის, რომ პარიზის კაპიტალისტებს მეტი ოქრო ჰქონდეთ გარყვნილებისათვის.

ამას ეწოდება თავისუფლების სიყვარული და პატარა ერების უფლებათა პატივისცემა.

რამდენადა სცემენ პატივს ყველა ქვეყნის იმპერიალისტები არა თუ პატარა ერს, არამედ დიდსაც, თუ დრო შეურჩიეს, ამას ამტკიცებს ჩინეთის ამბები.

შანხაიში ნელნელა მოიკალათეს ინგლისელებმა და იაპონელებმა და დაუწყეს ტყავის ძრობა ჩინელ მუშებს საკუთარი იმპერიალისტების ჯიბის საკეთილდღეოდ. ამუშავებდენ უზომოდ დიდსაც, პატარასაც დასასვენებელ დროს არ აძლევდენ და ამავე დროს ხელფასი იყო მცირე.

ერთის სიტყვით მოთრეული იმპერიალისტები ჩინელ მუშებს თავის სამშობლოში ეპყრობოდენ ისე, როგორც ნამდვილ მონებს.

ჩინელი მუშების მოთმინების ძაფი გაწყდა და მათ პროტესტი განაცხადეს, იმპერიალისტებს ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილება წაუყენეს: თხოულობდენ კვირაში ერთი დღით დასვენებას და ათი საათის სამუშაო დღეს.

უცხო ქვეყნის იმპერიალისტებმა თოფ-ზარბაზნებით გასცეს პასუხი და შანხაის ქუჩები ჩინელი ხალხის სისხლით შეღებეს.

ასეთია ბუნება ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისა. მათი ხელობაა დარბევა, აწიოკება, დამონება და ტყავის გაძრობა ყველასი, ვისაც კი ძალით ან მოტყუებით ხელში ჩაიგდებენ.

ამის შემდეგ ჩვენში კიდევ მოიპოებიან ისეთი გულუბრყვილონი, რომლებიც ევროპისაკენ იცქირებიან და იქიდან მოელიან ხსნას.

როდესაც საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ჯერ თითქოს ინებეს და გერმანიის იმპერიალისტებმა გამოგზავნეს ჩვენში საკუთარი ჯარი.

რათა, რა მიზნით?

ჩვენს სახსნელად?

ბედს რომ გაეღიმნა და გამარჯვება ბრძოლის ველზე გერმანიის იმპერიალისტებს დარჩენოდათ, საქართველოში ხელად მოახდენდენ გადატრიალებას, დაიპყრობდენ მას და გაიხდიდენ საკუთარ კოლონიათ.

მერე მოსდგებოდენ ქართველ ხალხს და დააყენებდენ იმ დღეს, რა დღესაც ისინი აყენებდენ ყველგან თავის კოლონიებს.

გერმანელების შემდეგ გვესტუმრენ ინგლისელები.

რა უნდოდათ ინგლისელებს, ქართველი ერის გაბედნიერება?

როგორ არა! მეტის-მეტად ვუყვარვართ თურმე ინგლისის იმპერიალისტებს!

მათ უნდოდათ, დავეცალეთ სისხლიდან, რომ შემდეგ უფრო იოლად გადავეყლაპეთ.

მთელი მათი მოღვაწეობა საქართველოში განა ქართველი ერის სისხლიდან დაცლა არ იყო?

სომხები და ჩვენ ერთმანეთს მიგვისიეს და ატყდა ჩვენ შორის ომი და სისხლის ღვრა ინგლისელი იმპერია-

ლისტების წყალობით, შემდეგ შექმნეს ყარსის რესპუბლიკა, რომ სომხებისა და თათრებისათვის ერთმანეთი უკეთ ეჟლეტინებიათ. ააჯანყეს ახალციხე ჩვენს წინააღმდეგ; აჭარისტანი მოსწყვიტეს საქართველოს და მოისურვეს მისაკუთრება.

მაგრამ ყველა ამ გაკვეთილმა ბევრისათვის უქმად ჩაიარა და ასეთი კუზიანები კიდევ ევროპის იმპერიალისტებს შესცქერიან იმედის თვალებით.

კუზიანი ყველგან ბევრია, არის ჩვენშიც. მაგრამ ჩვენი მუშები და გლეხები ძალიან ფრთხილად უნდა იყონ და არც ერთი ასეთი კუზიანი თავის სიახლოვეს არ უნდა გააჭაჭანონ. ევროპისაკენ ყურება, მოლოდინი და იმედი, იქიდან მოვლენ და გაგვაბედნიერებენო, არა თუ თავის მოტყუებაა, დაუღუპველი დანაშაულობაა მთელი ერის წინაშე.

თუ გასული წლის აგვისტოში უქმად, უაზროდ დაიღვარა სისხლი საქართველოში, ეს არ იყო საქმე მარტო რამიშვილისა, არამედ ევროპის იმპერიალისტებისა უმთავრესად. რამიშვილი მხოლოდ ბოროტი იარაღი გამოდგა იმპერიალისტების ხელში.

მათ მიაქვთ ყველგან მხოლოდ სისხლი და მონობის უღელი და ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხი მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავს თავისუფლად, როდესაც ყველა იმპერიალისტების ტახტი სამუდამოდ დაინგრევა.

ივ. გომართელი.

# სოფელში ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება

ლენინი ამბობდა; „ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენი წვრილი გლეხური სამეურნეო ქვეყანა გადავაქციოთ მსხვილ სამრეწველო ქვეყნად, გარეშე ამისა ჩვენი საბოლოო გამარჯვება შეუძლებელიაო“.

ლენინის ამ სიტყვებს დღეს უფრო უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა, ვინემ წინად, ვინაიდან დღეს ევროპაში კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია მოხდა, უშუალო რევოლიუციონური სიტუაცია დროებით გაქრა... დღეს საერთაშორისო რეაქციის გაძლიერების ხანაში საბჭოთა კავშირს მოსალოდნელ საფრთხიდან იხსნის, მხოლოდ მისი ეკონომიური სიძლიერე. რამდენადაც უფრო ძლიერი იქნება საბჭოთა კავშირი ეკონომიურად, იმდენათ უფრო ძლიერია ის პოლიტიკურად. ევროპის დღევანდელი მდგომარეობა უკარნახებდა საბჭოთა ხელისუფლებას მისი ეკონომიური პოლიტიკა ახალ მდგომარეობისათვის შეეფარდებია, ის უფრო ხანგრძლივ პერიოდისათვის გამოეანგარიშებია.

საბჭოთა კავშირის ეკონომიური გაძლიერება დღეს აუცილებელი პირობაა პროლეტარიატის დიქტატურის შესანარჩუნებლად. ხოლო საბჭოთა კავშირის ეკონომიური გაძლიერება შეუძლებელია გლეხის მეურნეობის აღდგენა-განვითარების გარეშე. მსხვილ საქალაქო მრეწველობის ძლიერება დღეს სოფლის მეურნეობის ძლიერებაზეა დამოკიდებული.

ამიტომ იყო, რომ კონფერენციამ და საბჭოთა ხელისუფლებამ უკანასკნელ ყრილობაზე უდიდესი ყურადღება მიაქციეს გლეხის მეურნეობას, გლეხის მდგომარეობას. დღემდე საბჭოთა კავშირში გლეხობას არ ეძლეოდა სათანადო ყურადღება, სოფელში სამხედრო კომუნიზმის ნაშთებს მაგრათ ჰქონდა გადგმული ფესვები და არ აძლევდენ გასაქანს გლეხის მეურნეობის განვითარებას. სოფელში კიდევ დარჩენ ისეთი კანონები და წესები, რომლებიც აფერხებდენ ეკონომიურ წინმსვლელობას. სოფლის მეურნეობის განვითარებას ბევრი ხელშემშლელი მიზეზები აბრკოლებდა. ერთ ასეთ მთავარ-ხელშემშლელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ერთის მხრივ სოფელში მიწით სარგებლობისა და დაქირავებულ მუშა-ხელის სარგებლობის უფლების შეზღუდვა და მეორე მხრივ შინამრეწველობის მიმართ წარმოებული საგადასახადო პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირის გლეხობა არ წარმოადგენს ეკონომიურად ერთფეროვან მასსას, გლეხობაში ღრმა ეკონომიური დიფერენციაციაა, ის სხვადასხვა ფენებად არის დაყოფილი, არის ოთხი მთავარი ფენა; 1) ბოგანო გლეხობა, 2) ღარიბესი გლეხობა, 3) საშუალო გლეხობა და 4) კულაკები. ჩვენ აქ არ შეუდგებით გლეხობის თითოეული ჯგუფის განმარტება-განსაზღვრას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ საბჭოთა კავშირში გლეხობის 40% არ ყავს ცხენი, ე. ი. ცოცხალი სამუშაო ინვენტარი, ურომლისოდაც შეუძლებელია მეურნეობის წარმოება.

ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ რუსეთში და განსაკუთრებით საქართველოში მიწის დიდი სივიწროვეა. მაგალითად საქართველოში ერთ სულზე საშუალოდ 0,4 დესეტინა მიწა მოდის. სოფლის მოსახლეობა საბჭოთა კავშირში სწრაფად იზრდება, ნორმალურ ყოველწლიურ ზრდათ ითვლება 1,5 პროცენტი, საბჭოთა კავშირში კი ყოველ წლიურად ბუნებრივ მოძრაობით ემატება 2,5 პროცენტი, ანუ — 3,250,000 სული. ახლად მომატებულ მოსახლეობისათვის თავისუფალი ბინები არ არის, ჩნდება სოფლის მოჭარბებული მოსახლეობა, ზედმეტი მუშა-ხელი.

ზედმეტი მუშა-ხელი ქალაქს აწყდება სამუშაოს საშოვნელად, ქალაქის მრეწველობა კი იმდენად ძლიერი არ არის, რომ სოფლიდან მოსულ მოჭარბებულ მოსახლეობას სამუშაო აღმოუჩინოს, ის შჩანთქას. „საბჭოთა კავშირის მრეწველობას, თუ მისი განვითარება მომავალში იმავე ტემპით წავიდა, რა ტემპითაც დღეს ვითარდება, მაშინ მას შეუძლია სამუშაო მისცეს ყოველ წლიურად არა უმეტეს 200-300 ათას კაცს, დანარჩენი მილიონები ისევ უმუშევრად დარჩებიანო“ — ამბობს კამენევი.

სოფლის მოჭარბებულ მოსახლეობის რიცხვს ადიდებენ აგრეთვე გაკოტრებული სოფლის ხელოსნები და შინათ მრეწველნი. საბჭოთა კავშირში ომამდე 4 მილიონი შინა-მრეწველი იყო, ახლა მათი რიცხვი ორ მილიონამდე დავიდა, მარტო მოსკოვის გუბერნიაში მათი რიცხვი 90 პროცენტით შემცირდა. შინათმრეწველებისა და ხელოსნების რიცხვის შემცირებაზე უმთავრესი გავლენა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკამ ითამაშა. ბუხარინის თქმით ცენტრ. მთავრობა და ადგილობრივი ორგა-

ნოები გადასახადების სახით ართმევდენ ხელოსნებსა და შინაო-მრეწველებს მათ მიერ შექმნილ პროდუქტების ნახევარს (იხ. ბუხარინის სიტყვა მე XIV პარტკონფერენციაზე).

საბჭოთა ხელისუფლებას დღეს არ აქვს საშუალება სოფლის ზედმეტ მოსახლეობას სამუშაო მისცეს. სოფლის ზედმეტ მოსახლეობას უმთავრესად უმნიშვნელო ბოგანოები, მცირე მიწიანი, უცხენო და უინვენტარო გლეხები, ყოფ. ხელოსნები და შინამრეწველნი შეადგენენ. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია დღეს უცხენო და უინვენტარო გლეხობას ცხენებით და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით დააკმაყოფილოს, ან და ფართო კრედიტი გაუხსნას

სოფლის მოჭარბებულ ზედმეტ მუშა-ხელისათვის სამუშაოს აღმოჩენა და მათი მდგომარეობის რამდენიმეთ შემსუბუქება შესაძლებელი გახდებოდა, მაშინ თუ ხელისუფლება ნებას დართავდა სოფლის მეურნეობაში მუშა-ხელის თავისუფალ დაქირავებას, მიწის იჯარით აღება-გაცემას, და შეუმსუბუქებდა შინამრეწველებსა და ხელოსნებს საგადასახადო ტვირთს. წინად გამოცემული კანონებით ძალზედ შეზღუდული იყო სოფლის მეურნეობაში მუშა-ხელის თავისუფალი დაქირავება. გლეხს შეეძლო მუშა-ხელის დაქირავება მხოლოდ, როგორც დამხმარე ძალის, დაქირავებულ მუშის რვა საათზე ზევით მუშაობა დაუშვებელი იყო, მუშის დაზღვევა სავალდებულო. გარდა ამისა სავალდებულო იყო დაქირავებულ მუშასთან ხელშეკრულების დადება. სოფლად მუშა-ხელის დაქირავების ნიადაგზე ბევრ თვითნებობას ქონდა ადგილი, მაგალითად ზოგიერთ ადგილებზე ადგილობრივი ხელისუფლება მუქარით სავსე უწყებებს უგზავნიდენ გლეხებს, ხშირად მილიციონერს მიყავდა დაჭერილი გლეხი და ბოგანო ადგილობრივ აღმასკომში ხელშეკრულების დასადებად. ზოგიერთ ადგილებზე დამქირავებელი ვალდებული იყო გადაეხადა სხვადასხვა ანარიცხები სამუშაო ქირის 12·30 პროცენტის რაოდენობით. რესპუბლიკაში ამ ანარიცხებს გარდა დამქირავებელს ვალდებულს ხდიდენ ბოგანოს დაქირავებისათვის გადაეხადათ ოცდაათ მანეთამდე; ზოგიერთი აღმასკომები რეგისტრაციაში ხელშეკრულების გატარებისათვის ახდევინებდა 2-3 მანეთს. თუ დამქირავებელი დაარღვევდა ზემოხსენებულ წესებს, მას აპატიმრებდენ, საჯარო გასამართლებას უწყობდენ, აჯარიმებდენ. გარდა ამისა, იმ გლეხებს, რომლებიც დაქირავებულ მუშა ხელით სარგებლობდენ, უმრავლეს შემთხვევაში კულაკათ თვლიდენ, არჩევნებში მონაწილეობას არ აღებინებდენ და დიდ გადასახადს აწერდენ. ცხადია ასეთ პირობებში ყველანი გაურბოდა სოფელში მუშა-ხელის დაქირავებას. შეძლებული გლეხი იმდენ მიწას ამუშავებდა რამდენის მოვლაც თვითონ შეეძლო, დაქირავებულ მუშა ხელს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (ავათმყოფობისა, ანდა პურის მკის დროს) თუ მიმართავდა.

მიწის იჯარით გაცემა-აღების კანონებიც ძალიან აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, ძველი კანონებით გლეხს უფლება ქონდა გაეცა მიწა იჯარით იმ შემთხვევაში, თუ მას ავადმყოფობისა, დაუძლურების, მუშა საქონლის უყოლობისა და სამუშაო იარაღის უქონლობის გამო თვითონ არ შეეძლო მიწის დამუშავება. მიწის იჯარით გაცემა მხოლოდ 1-3 წლამდე შეიძლებოდა. ასეთ პირობებში მოიჯარადრე იჯარით აღებული მიწის საშინელ ექსპლოატაციას ეწეოდა, მიწის ნიადაგის გაპოხიერებაზე ის არ ფიქრობდა, მიწა იფიტებოდა და 1-2 წლის სარგებლობის შემდეგ რამოდენიმე წლით გამოუსადეგარი რჩებოდა. იჯარით აღებულ მიწებზე კულტურულ მცენარეების გაშენებაზე ხომ სრულიად ზედმეტი იყო ლაპარაკი.

ასეთ პირობებში მიწის იჯარით გაცემა არც მიწის პატრონისათვის და არც მოიჯარადრისათვის ხელსაყრელი არ იყო. პირველისათვის იმიტომ, რომ მიწა 1-2 წლის სარგებლობის შემდეგ უვარგისი ხდებოდა, ხოლო მოიჯარადისთვის იმიტომ, რომ მას საშუალება არ ეძლეოდა იჯარით აღებულ მიწაზე უფრო მეტი სარგებლიანობის მომტანი კულტურული მცენარეები გაეშენებია, მეურნეობის ინტენსოფიკაცია მოეხდინა. ამას თუ დაუმატებთ იმასაც, რომ მოიჯარადრეს აუცილებლად მოელოდა კულაკთა რიცხვში ჩათვლა და როგორც ასეთს აუარებელი გადასახადებით დაბეგვრა, მაშინ ადვილი გასაგები იქნება თუ როგორი იშვიათი იქნებოდა სოფელში იჯარით მიწების აღების შემთხვევები.

უდაოა, რომ სოფლის მეურნეობაში მუშა-ხელის დაქირავებისა და მიწის იჯარით გაცემის უფლებების შეზღუდვა აუცილებლად დიდ გავლენას მოახდენდენ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ეს კანონები და წესები მიუღებელი იყო ერთი მხრივ, როგორც დამქირავებელ ისე მოიჯარადრე გლეხებისთვის (რომლებიც უმთავრესად საშუალო გლეხს ეკუთვნიან) და მეორე მხრივ ბოგანო და მიწის იჯარით გამცემ გლეხისათვის. ამ კანონებით უკმაყოფილო იყო, როგორც ღარიბი ისე საშუალო და შეძლებული გლეხობა. ეს უკმაყოფილება საუცხოვოდ აღნიშნა ბუხარინმა კომპარტიის მე-XIV კონფერენციაზე. მან სთქვა: „შეძლებული გლეხობა უკმაყოფილოა იმით, რომ ჩვენ მას არ ვაძლევთ კაპიტალის დაგროვების საშუალებას. მეორე მხრივ ღარიბი გლეხობა უკმაყოფილებას გამოსთქვამენ იმიტომ, რომ მას ჩვენ ხელს უშლით თავისუფლათ მიქირავდეს შეძლებულ გლეხობას... ბოგანო ამბობს: ძალიან კარგია რომ თქვენ აწვებით შეძლებულ გლეხობას, მაგრამ მაშინ მიშილეთ მე ფაბრიკა-ქარხანაში, და თუ ეს არ შეიძლება, მაშინ მომათავსეთ სხვაგან, არ შემიძლია მე მარტო პროლეტარიატის დეკრეტებს ვულაპოვო“.

ამნაირად, საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომპარტიას არ შეეძლო ამ უკმაყოფილებისათვის ანგარიში არ გაეწია. ხელისუფლებას კარგათ ქონდა შეგნებული, რომ ამ უკმაყოფილების მოსპობა და გლეხობის მჭიდროთ დაკავშირება პროლეტარიატთან აუცილებელი პირობა იყო პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის. სოფელში ადმინისტრატიულ თვითნებობის, სამხედრო კომუნიზმის ნაშთების მოსპობა და მათ ადგილზე პატიოსანი, ერთგული ადმინისტრაციის შექმნა და „ნეპის“ შემოღება—დამკვრელი ამოცანა შეიქნა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ქალაქში „ნეპი“ ფართოდ გატარდა, „ნეპმა“ ქალაქის მრეწველობასა და ვაჭრობას დიდათ სარგებლობა მოუტანა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მხოლოდ ახლა მიაქცია ყველაზე მეტი ყურადღება სოფელში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის სავსებით გატარებას, გარეშე ამისა დღეს შეუძლებელია სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარება, სოფლის საწარმოო ძალების გაძლიერება, სოფლად სიმდიდრის დაგროვება, გლეხების ეკონომიურად და კულ-

ტურულად გაძლიერება, გლეხის—მუშებთან დამეგობრება და დაკავშირება.

ყოველივე ამისათვის კი საჭირო იყო პირველად ყოვლისა იმ მთავარ მიზეზების მოსპობა, რომლებიც ხელს უშლიდენ გლეხის მეურნეობის განვითარებას. ასეთი მიზეზი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იყო ძველი კანონები და წესები მუშა-ხელთა და მიწით სარგებლობის შესახებ. ხელისუფლებამ გადასინჯა ეს კანონები, მათში ცვლილება შეიტანა და ახალ დროსა და მოთხოვნილებებს შეუფარდა.

ახალი კანონის მიხედვით გლეხს ეძლევა უფლება მუშა-ხელი თავისუფლად დაიქირავოს, ის ვალდებულია დაქირავებულ მუშასთან დასდვას ხელშეკრულება ორი კვირის განმავლობაში დღიდან დაქირავებისა, ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარება ადგილობრივ სოფლის საბჭოში ხდება, დამქირავებელი ამისათვის არავითარ გადასახადს არ იხდის, დამქირავებელი ვალდებულია დააზღვევოს მუშა იმ შემთხვევაში თუ მათი რიცხვი სამს აღემატება და მთელი წლის ვადით ყავს დაქირავებული. დაუზღვეველ მუშას ავადმყოფობის დროს საექიმო დახმარებას ჯანმრთელობის კომისარიატის ადგილობრივი ორგანიზაციები უფასოდ უწევენ. დამქირავებელს შეუძლია მუშა 8 საათზე მეტი ამუშაოს, ხოლო ეს ნაჩვენები უნდა იყოს ხელშეკრულებაში. ხელფასის რაოდენობაც შეთანხმებით წესდება, ხოლო სახელმწიფო მინიმუმის დაცვა სავალდებულოა.

ახალი კანონით ძალიან გაადვილებულია მიწებით სარგებლობის უფლებაც: მიწის იჯარის ვადა შეიძლება 12 წლამდის გაგრძელდეს. გლეხს უფლება აქვს იჯარით აღებულ მიწაზე დაქირავებული მუშა-ხელიც ამუშაოს.

გარდა ზემოაღნიშნულ კანონებისა, ხელისუფლებამ გამოსცა ახალი კანონი ხელოსნებისა და შინამრეწველთა შესახებ. ახალი კანონით სრულიად თავისუფლდება სახელმწიფო სარეწაო გადასახადისაგან სოფლის ის ხელოსნები და შინამრეწველნი, რომლებიც დაქირავებულ მუშახელით არ სარგებლობენ, მათ შეუძლიათ ქონდეთ თავის საკუთარი სარეწავი: სამჭედლო, აგურისა და კრამიტის ქარხანა და სხვა. ამისათვის ისინი გადასახადს არ იხდიან.

აი, ასეთია ზოგადათ ის ახალი კანონები, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა და რომელიც მიზნათ ისახავს სოფლის მეურნეობის გაძლიერება-განვითარებას სახელმწიფო დოვლათის დაგროვებას, სოფლის მოსახლეობაში მყიდველობითი უნარის გაზრდას.

ამ კანონის ცხოვრებაში გატარება, სოფელში „ნეპის“ დამკვიდრება, უდაოა, სოფლის გლეხობაში დიფერენციაციას გააძლიერებს, სოფელში წვრილ-ბურჟუაზიულ ურთიერთობას დაბადებს. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სადაც მართვა-გამგეობის სადავე პროლეტარიატის ხელშია, სადაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დარგები, ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები და ვაჭრობა სახელმწიფოს ხელშია, შეუძლებელია სოფლად ახლად გაჩენილმა ბურჟუაზიულმა ელემენტებმა რაიმე საფრთხე შექნას. სახელმწიფოს ყოველთვის ექნება იმდენი ძალა და საშუალება, რომ სოფელში გაძლიერებული ბურჟუაზია გამოიყენოს, მათი განვითარება საერთო სახელმწიფო ინტერესებს დაუმორჩილოს, სოფლის მეურნეობის განვითარება სოციალისტურ კალაპოტში ჩააყენოს.

სოფელში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღება უეჭველად დროულ და მიზანშეწონილ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს, ეს აუცილებლად წინ წასწევს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას, და ერთი ასად განამტკიცებს მის საგარეო და საშინაო მდგომარეობას, რაც თავდები იქნება პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების.

ელი.

# სასოფლო სამეურნეო კრედიტი საქართველოში

I

საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში თითქმის არ მოიპოვება ისეთი მხარე, რომელიც შეედრებოდეს საქართველოს ბუნების სიმდიდრით და ჰავის სხვადასხვაობით; უკანასკნელი პირობები კი ხელს უწყობენ ჩვენში სოფლის მეურნეობის მრავალ სახის დარგების წარმოებას. მიუხედავათ ასეთი სიმდიდრისა, სოფლის მეურნეთა უმრავლესობას მათივე სიტყვით, მხოლოდ პირში სული უდგიათ.

ამის მიმეზათ რუსის ბიუროკრატია ყოვლად უსამართლოდ ჩვენი გლეხის სიზარმაცეს ასახელებდა და სასწავლებლებშიც ქართველ ბავშვებს ამ აზრს უნერგავდა.

მე პირადად ვიცი ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩვენი მთიულები, მოხევეები, ხევსურები ან ფშაველები, მიწის სივიწროვის გამო, მიმართავდენ რა მეფის მთავრობას თხოვნით, ნება დაერთოთ დასახლებულიყვნენ თავისუფალ ადგილებზე მანგლისის მიდამოებში, ბორჩალოს მაზრაში ან გომბორზე, პასუხად მიიღებდენ: „ეს ადგილები უფრო ღირსეულ და მშრომელ გლეხებისთვის გვინდაო“. მართლაც დასახელებულ ადგილებზე და ბევრგან სხვა ადგილებში უხვად ასახლებდენ შორის ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილებს. წარმოიდგინეთ ბაზალეთის გარშემოც კი, სადაც მოსახლეობას შინაური ფრინველის მოსაბრუნიც არა აქვს, გადმოსახლებულებისთვის ადვილად აღმოაჩინეს „თავისუფალი“ ადგილები. ამავე დროს ჩვენი ხევსურები თუ მთიულები ადი-ჩადიოდენ ტფილისში, ფუთობით ერბოს ეზიდებოდენ ვილაცის გასაპოხიერებლად, დროს ჰკარგავდენ, ფეხსაცმელს სცვეთდენ, სისხლსაც კი ღვრიდენ, რათა თავის სანუკვარი სეროდანი (გომბორის თავზე) ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ ამაოდ... თავის მიზანს მათ მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ მიაღწიეს.

მეფის მთავრობა, გატაცებული კოლონიალური პოლიტიკით ჩვენში, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქართველი გლეხის მეურნეობას. გლეხის მეურნეობა უკან და უკან მიდიოდა, რასაც სხვათაშორის ხელს უწყობდა ბატონ-ყმურ ურთიერთობათა ნაშთების და მევახშურ კაპიტალის ექსპლოატაციის პოლიტიკური და იურიდიული დაცვა.

მშართველ და გაბატონებულ წრეებში საზოგადოთ ქართველი, კერძოდ კი ქართველი გლეხი ყოველგვარი

ულაჯობის, მცონარობის, უვიცობის, სილატაკის სინონიმად გარდაიქცა, ქართველი გლეხი „ქედანა მიხო“ იყო, რომელიც ყოველნაირ ადამიანურ ღირსებას მოკლებული უნდა ყოფილიყო.

სულ სხვა პირობები შეიქნა დიდი რევოლიუციის შემდეგ.

ყველამ აშკარად დაინახა, რა დიდ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ძალას წარმოადგენს ჩვენი გლეხი თავის მეურნეობით. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ სოფლის მეურნე ის ქედ-მაგარი და დაუღალავი მშრომელი ყოფილა, რომელიც უსაყვედუროდ ჰკვებავდა და ჰკვებავს ყველა ჯურის და ენის ალა-ბატონს, უტყუარი ფაქტია ყველასათვის, რომ 1918 წლიდამ თითქმის დღევანდლამდის კახეთი, სამტრედია და რამოდენიმედ გორი არჩენს ტფილისს სურსათ-სანოვაგით. ავიღოთ აურაცხელი ლტოლვილები, მოდებული ჩვენს სოფლებში და ვიკითხოთ: ამიერკავკასიის რომელ კუთხეს მიუძღვის ესოდენ დიდი საზოგადოებრივი ღვაწლი ლტოლვილების და მათხოვრების გამოკვებაში ამიერ-კავკასიის მაშტაბით. ისტორიულად ასეთი ქველმოქმედი ყოფილა ქართველი მშრომელი. რასაკვირველია, ამას არავის ვაყვედრით, ამით თავს არავის ვამეტებთ, მხოლოდ იმას ვადასტურებთ, რომ ჩვენი გლეხი, მისი მეურნეობა ღირსი იყო და მით უმეტეს არის ეხლა ხელისუფლების ორკეცი ყურადღებისა. ძველმა მთავრობამ სამართლიანად მიიღო დანაშაულის შესაფერი სასჯელი ულმობელი ისტორიისგან. არსებული ხელისუფლება მუშურ-გლეხური ხელისუფლებაა, მაშასადამე ჩვენი გლეხი დაქვეითებულ, ულაჯო „ქედანა-მიხოს“ აღარ წარმოადგენს, ის ეხლა ქვეყნის ერთი ბატონ-პატრონთაგანია.

ეს ასეც უნდა იყოს.

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ ჩვენი კუთხე სოფლის მეურნეობის ქვეყანაა და ვინაიდან საბჭოთა კონსტიტუციის სახელმწიფოში გაბატონებულია მშრომელი კლასები, გლეხიც თავის მეურნეობით წარმოადგენს სახელმწიფოს შენობის ერთ მთავარ საფუძველს. ეს საფუძველი მით უფრო საიმედო და მკვიდრია, რამდენად იგი ეკონომიურად ღონიერია. ასეთ პოლიტიკურ მოსაზრებასთან ერთად არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელიც დაჟინებით მოითხოვს სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებას. ეს არის ქალაქის წარმოების აღდგენის პროგრამა. ამ პროგრამის შესრულება შეიძლება სოფლის წარმოების, როგორც ნედლეულ მასალის დამმზადებლის, გაძლიერებით.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობას და წარსული სამეურნეო წლის დამლევს მან მიაღწია ომის წინა დროის პროდუქციის ნორმის 80%-ს.

სოციალისტური ხელისუფლებისთვის ომის წინა დროის ნორმა ვერ იქნება იდეალი თუნდაც, რომ მან ამ ნორმას მიაღწიოს. ის აუცილებლად წინ წაიწევს, რათაც უნდა დაუჯდეს ეს მას. და აი მიმდინარე წლის დამდეგს მთავრობამ ენერგიული კამანდა გასცა სახემწიფო ორგანოთა და პარტიულ ფრონტზე: „პირი სოფლისაკენ!“

სოფლად დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენი ნივთიერი კულტურის ცენტრი, თუ გნებავთ, სოფელშია. აქ არის დიდი სამოქმედო ასპარეზი ყველა იმისთვის ვისაც გული ერჩის საზოგადოებრივ და კულტურულ მუშაობისთვის, ყოველი დარგის სპეცს აუარებელი მოსამკალი აქვს სოფლად.

ჩვენი ქვეყანა „კურთხეული“ კუთხეა.

და მართლაც სოფლის მეურნეობის რომელ დარგს აიღებთ, რომ ჩვენში არ ჰქონდეს შესაფერი ნიადაგი განსავითარებლად. შავი ზღვის ნაპირის სუბტროპიული ჰავა გვაძლევს ჩაის, მანდარინის, ლიმონ-ფორთოხლის, ევკალიპტის, ზეთის-ხილის, დაფნის ფოთლის, მაღალი ხარისხის თამბაქოს და სხვა ძვირფას კულტურას.

ზომიერი ჰავა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაბლობები, წარმოადგენენ საუკეთესო პირობას მებაღე-მევენახეობის, მებოსტნეობის, ფუტკრის, ბამბის, აბრეშუმის, პურეულობის და სხ. განსავითარებლად.

ყველის, ერბოს, მატყლის, საკლავ და ჯიშიან საქონლის მეურნეობისთვის ხელშემწყო პირობაა მთის იალადები თავის ალპიური ჰავით და მდიდარ საძოვარსათიბებით.

როგორც სჩანს ყველა ეს დარგი იძლევა ძვირფას კულტურათა პროდუქციას, როგორც თვით მეურნეობაში მოსახმარად, აგრეთვე გარეშე ბაზარზე გასატანათ სამრეწველო ნედლეულ მასალის სახით და უკვე დამუშავებული საქონლით.

თუ ყველა ამას დაუმატებთ სხვა შესაძლებლობებს, მაგ. ხე-ტყის რაციონალურად დამუშავებას, წამლეულობათა და ტეხნიკიურ-სამრეწველო მცენარეთა კულტურას, აშკარა გახდება, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ჩვენი გლეხის მეურნეობას. მიუხედავათ ასეთი მნიშვნელობისა, მიუხედავათ ნიადაგის სიმდიდრისა და სხვა ხელშემწყო პირობებისა, სოფლის მეურნეობა ჩვენში ჯერ კიდევ დაბალ კულტურულ დონეზე სდგას სხვადასხვა ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ პირობების გამო.

ამ პირობებს 14 წლიდან დაერთო საერთაშორისო და სამოქალაქო ომის გამანადგურებელი პირობები. 23 წლის მეორე ნახევრიდან უფრო კი 24 წლის დამლევიდან, იწყება ხანა მშვიდობიან ცხოვრებისა და მყუდრო მუშაობისა.

აქედან იწყება მეურნეობის აღდგენა-გმნვითარება. ვინც თვალყურს ადევნებს სოფლის ცხოვრებას ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ის შეამჩნევდა რა გაფაციცებით, რა გატაცებით მუშაობს ჩვენი გლეხი.

მან შეიგნო ახალი ცხოვრების პირობები და დარწმუნდა, რომ მისი მეურნეობა ვერ იწარმოებს იმ ფორმებში, იმ ძალებით და სისტემით, რასაც ადგილი ჰქონდა რევოლიუციამდის. თავის მეურნეობას გლეხი აწყობს გონივრულად, კულტურულად, მით უმეტეს, რომ მიწის სივიწროვე უკარნახებს მას, გადავიდეს ინტენსიურ სისტემაზე. ინტენსიურ მეურნეობის საჭიროება გამომდინარეობს იქიდანაც, რომ მეურნეობის ის დარგები, რასაც მისდევს ჩვენი გლეხი (ვენახი, ხილის ბაღი, თამბაქო, ჩაი და სხვა) მოითხოვს მეტ ცოდნას, მეტ ენერგიას, მეტ ხარჯებს და სხვა.

მაგრამ გლეხი აქ ხვდება ძლიერ დაბრკოლებებს, რაიც უმთავრესად გამოიხატება კაპიტალის უქონლობაში. ძველად, როდესაც მას კაპიტალი დასჭირდებოდა, მიმართავდა ოწობა-ჩარჩს და აკი მთელი გლეხობის მამულებიც მათ ჰქონდათ დაგირავებული.

მუშათ ადა გლეხთა ხელისუფლება, სდგას რა მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე, იცავს მათ კერძო პირის ექსპლოატაციისაგან და ამავე დროს ხმარობს საშუალებებს გამონახოს კაპიტალი, შექნას მარტივი ორგანიზაცია მის გასაცემად ადვილად და იაფად. ამიტომ ხელისუფლებამ 24 წლის პირველ ნახევარში შექმნა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემა.

საკრედიტო სისტემაზე და მის მუშაობაზე შემდეგ ნომერში.

შავ-შავი.

---

# მუშათა კომისია რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადასახლებულებთან

როგორც იცით, მუშათა კომისიის წარმოშობის მიზეზი არის აგვისტო-სექტემბრის შედეგები. არ ყოფილიყო აგვისტოს გამოსვლები, მისი უაზრო და უნაყოფო მსხვერპლი, არსებული მუშათა კომისიაც არ იქნებოდა.

აუარებელმა უაზრო მსხვერპლმა ბევრს აუხილა თვალები. როგორც მოსალოდნელი იყო პირველმა „ნაძალადევმა“, ამ ჩვენი რევოლიუციის აკვანმა, ამოიღო ხმა და გაბედულად სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა: „კმარა ამდენი მსხვერპლი; კმარა ევროპისაკენ ცქერა და მისი იმედით მუშათა კლასის და გლეხების ავანტიურიზმის მორევში ცურვა. დროა გონს მოვიდეთ, დროა ზურგი შევაქციოთ ევროპის ორიენტაციას, მის დამღუპველ ტყუილ იმედებს და პირი ვიბრუნოთ საბჭოთა რუსეთის ორიენტაციისაკენ, ისევ ძველი გზით, ისევ ძველი მეგობრისაკენო და რევოლიუციისაკენო“.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება, იგივე ჩვენი დამარცხებაა. რუსეთში რეაქციის გამარჯვება იგივე რეაქციის გამარჯვებაა ჩვენში.

საქართველო ურუსეთოთ არ ვარგა და რუსეთი უსაქართველოთ. ასე ვართ ჩვენ ერთი მეორეზედ გადაბმულ-გადახლართული და შეზრდილ შესისხლხორცებული.

დიახ ამხანაგებო, 8 ოქტომბერს საქართველოს მუშათა კლასის ავანგარდმა „ნაძალადევმა“ სთქვა თავისი გადამჭრელი სიტყვა; მან კომისიაც აირჩია, რომელსაც დაავალა აგვისტოს შედეგების ლიკვიდაცია. კომისიას უნდა ეშუამდგომლა მთავრობის წინაშე აჯანყებაში მონაწილეთა სასჯელის შემსუბუქებაზე, დაპატიმრებულების განთავისუფლებაზე, ტყეში გასულ-გახიზნულების გამოყვანა-შერიგებაზე; გარდა ამისა, კომისიამ დაისახა უახლოეს მიზნათ ეწარმოებინა მოლაპარაკება გადასახლებულებთან.

მუშათა კომისიამ პირველი დავალება უკვე შეასრულა. უკანასკნელი დავალების შესრულება დაგვიანდა, რადგანაც საჭირო იყო ჯერ ადგილობრივათ მოწესრიგება საქმის და მერე რუსეთში გამგზავრება.

ყველგან, პროვინციებში თუ ქალაქებში, მუშათა კომისიის მოხსენებების დროს დაახლოვებით ასეთი რეზოლიუცია გამოჰქონდათ:

„დაევალოს მუშათა კომისიას წავიდეს რუსეთში გადასახლებულებთან, აუხსნას მათ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და დაარწმუნოს ისინი ხელისუფლებასთან ბრძოლის უტაქტობაში და მათი სამშობლოში დაბრუნების საჭიროებაში.

მუშათა კომისიამ მოაგვარა რა შინაური საქმეები, 14 მარტს გაემგზავრა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში. რუსეთში წასულ კომისიაში შედიოდა სამი კაცი: მიხა ჟამანაშვილი, კოლა მაჭარაძე და დათიკო მიქელაძე, კომისიამ ინახულა 125 გადასახლებული; დარჩა 25 კაცამდე, რომლებთანაც სხვა და სხვა მიზეზების გამო კომისიამ ვერ მოახერხა წასვლა, თუმც ამის უფლება ჰქონდა.

მე, როგორც ამ კომისიის წევრს, მინდა მკითხველებს გავაცნო შესაძლებლობის ფარგლებში ჩემი შთაბეჭდილებანი.

თბილისიდან გავედით 14 მარტს; 18 უკვე მოსკოვში ვიყავით; იმავე დღეს ვერ მოგვიხდა კრემლში შესვლა ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლების სანახავად.

მხოლოდ 20-ში ვინახულეთ ამხ. ა. ენუქიძე. მან შეატყობინა „გ. პ. უ“-ს ჩვენი მისვლის შესახებ. მოახდინეს სათანადო განკარგულება, რათა ჩვენთვის მოეცათ საშვალება სხვა და სხვა ქალაქებში გადასახლებულები გვენახა და სრულიად თავისუფლათ, დამოუკიდებლათ გვემოქმედნა, მოგვეხდინა კრებები და ხელი არავის არ შეეშალა ჩვენთვის, წინაალმდეგ, აღმოეჩინათ ყოველგვარი დახმარება, რასაც კი საჭიროება მოითხოვდა. ასეთი განკარგულებაც გაცემულ იქნა.

22 მარტს გავემგზავრეთ ქალ. ვლადიმირში, აქედან კი მარხილებით ქ. სუზდალში, რომელიც არის რკინის გზიდან დაშორებული 36 ვერსით. სუზდალი პატარა ქალაქია, დაახლოვებით ითვლება 4000 მცხოვრები. ზედმიწევნით უსუფთაობაა. განცვიფრებაში მოდიხარ, რომ ხედავ აუარებელ ეკლესიებს—ასე პატარა ქალაქში 44 ეკლესია არის, თუმც მათი ნაწილი (4 ეკლესია) დაუხურავთ და სხვა და სხვა დაწესებულებისათვის გადაუციათ.

23-ში მივედით ციხეში, სადაც იმყოფებიან ა. დგებუაძე, გ. ლორთქიფანიძე, კ. გოგუა, ვ. ჯიბლაძე, ლ. რუხაძე და ზ. გურული. ჩვენ მოვთხოვეთ კომენდანტს, რომ ეჩვენებიათ პოლიტიკური ტუსაღები და გაგვემართა მათთან საუბარი. კამენდანტმა თუმც ნება დაგვრთო, მაგრამ ერთი საათის ნახვის მეტის უფლებას არ გვაძლევდა იმის გამო, რომ ჩვენს ქაღალდში დრო არ იყო განსაზღვრული.

ჩვენ ერთი საათით ნახვაზედ უარი განვაცხადეთ და დეპეშით შევატყობინეთ მოსკოვს, რათა მას მოეხდინა განკარგულება, რომ ჩვენთვის მოეცათ განუსაზღვრელი დრო. მართლაც სამი საათის შემდეგ მივიღეთ დადებითი პასუხი.

კამენდანტის საშვალებით შევატყობინეთ ციხეში მყოფთ, რომ ჩვენ—მუშათა კომისიას გვინდა მათთან შეხვედრა და მოლაპარაკება. საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზედ და ჩვენი ახალი გზის შესახებ. კამენდანტს ძრიელ დააგვიანდა, ჩვენ ვიფიქრეთ, ალბათ მათ არ მოისურვეს ჩვენი შეხვედრა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მივიღეთ პასუხი, რომ თანახმა არიან შეხვედრის,

როგორც გამოირკვა, მათ თათბირი ქონდათ შეხვედრა არ შეხვედრის შესახებ და ბოლოს გადაწყვეტილება მიუღიათ, რომ მოისმინონ მუშათა კომისიის მოხსენება. ხუთმეტი წუთის შემდეგ ყველანი მოვიდნენ დანიშნულ კამერაში.

პირველათ პატიმრებს პირისახეზედ ეტყობოდათ რაღაც უკმაყოფილება კომისიისადმი, მაგრამ, როდესაც გადუშალეთ თვალ-წინ საქართველოს სინამდვილე, სოც. დემოკრ. პარტიის მუშაობის დამღუპველი შედეგები, დამოკიდებულება შეიცვალა. პირველ დღეს მოუნდით მოხსენების გაკეთებას, მერე წავიკითხეთ არა ლეგალური მასალები, ზოგიც გადავეცით და მეორე დღისათვის დავნიშნეთ კრება. იმ ღამეს პატიმარი ამხანაგები უნდა გასცნობოდენ მასალებს და მეორე დღეს გაგრძელებულიყო მოლაპარაკება. მოლაპარაკება გაგრძელდა ოთხი დღე, დაახლოებით 28 საათს, რის შედეგათ მათ მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც წარდგენილი იქნება დანიშნულებისამებრ. ჩვენ შეკითხვაზედ, თუ როგორი პირობებია, ან როგორ ეპყრობა ადმინისტრაცია, მათ განაცხადეს, რომ, თუმცა ეს ციხე წარმოადგენს ნამდვილ იზოლიაციას, ყვილანი ცალ-ცალკე ვართ მოთავსებული კამერებში (მათივე თხოვნით), მაგრამ პირობები მაინც შედარებით სხვა ციხეებთან კარგია, მოპყრობა ადმინისტრაციის ზედმიწევნით ზრდილობიანი. საერთოთ ადმინისტრაციას და პირობებს არ ემდურიან, მხოლოდ წუხან, რომ ძრიელ დაშორებული არიან სამშობლოს და არა აქვთ საშუალება ინახულონ ცოლ-შვილი არსებულ პირობებში. ჩვენი წინადადება იყო მათდამი, რომ ალგვეძრა შუამდგომლობა წასულიყვნენ საზღვარ-გარეთ, მარა მათ უარი განაცხადეს, იმ მოსაზრებით, რომ საჭიროა არა ჩვენი წასვლა საზღვარ გარეთ არამედ **დროა დაბრუნდენ ისინიც ვინც იქ იმყოფებიანო**, ესე იგი საჭიროა არა ხეტიალი ევროპის ქალაქებში, არამედ შერიგება არსებულ ხელისუფლებასთან და თანამშრომლობა მასთან.

27 მარტს კვლავ დავბრუნდით მოსკოვში. ვინახულეთ ამხ. ა. ენუქიძე. 1 აპრილს ცეკაში ვინახულეთ, ამხ. სტალინი ჩვენი შეხვედრა იყო არა ოფიციალური ხასიათის, არამედ სრულიად ამხანაგური. მას ძრიელ ეინტერესებოდა კომისიის მოღვაწეობა. ძამანაშვილმა მოკლეთ გააცნო მას კომისიის მუშაობა და მისი მიზანი. მერმეთ წავიკითხეთ სუზდალელების რეზოლიუცია, განუმარტეთ მათი **მოსაზრებანი**. სუზდალელების და ტაშკენტელების განთავისუფლება, მისი შეხედულებით, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებისათვის, ვინაიდან იმ მდგომარეობას, რაც ამ ჟამათ საქართველოშია, მათი ჩამოსვლით არავითარი ზიანი არ მიადგება, მაგრამ რადგან მათი განთავისუფლება,—გვითხრა სტალინმა, დამოკიდებულია საქართველოს მთავრობაზედ, ამისათვის თქვენ შემოიარეთ ყველა გადასახლებულები და 20 აპრილისათვის დაბრუნდით ისევ მოსკოვში, რათა საქართველოს მთავრობასთან ერთათ გადავწყვიტოთ ეს საკითხიო.

ჩვენი საუბარი სტალინთან გაგრძელდა ორ საათ ნახევარს.

3 აპრილს გავემგზავრეთ ტაშკენტისაკენ, მაგრამ ვინემ ტაშკენტის ამბების აღწერას შეუდგებოდე, საჭიროთ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ მოსკოვში ჩვენ მიერ მიღებული შთაბეჭდილებანი.

(გაგრძელება იქნება.)

კ. მაჭარაძე.

# პრესის მაგიერ

მოსკოვის „Известия“ № 122 (2455) მოთავსებულია ამხ. სტეკლოვის მოწინავე—სათაურით; „უბრალო ზეიმი“

წერილი იგულისხმებს იმ განგაშს, რომელიც ამას წინათ ბურჟუაზიულმა პრესამ ასტეხა მესამე საბჭოთა ყრილობის დროს ამხ. კალინინის მოხსენების შემდეგ გამართულ დებატების გამო.

ეს წერილი საყურადღებოა მრავალ მხრივ. აქ მოკლეთ და საფუძვლიანად არის განმარტებული მთელი საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა, როგორ ტარდება ცხოვრებაში და როგორ უნდა გატარდეს. აქვეა ნაჩვენები საბჭოთა კავშირის მე-3 ყრილობის რეზოლიუციის მთავარი გეზი, რომლის მიხედვით უნდა იქნეს გატარებული ზოგიერთი დამატებითი ზომები ნაციონალურ პოლიტიკის სავსებით, ხალხის სურვილების მიხედვით, გასატარებლათ. სტეკლოვის სიტყვით, თეთრგვარდიელთა პრესა აყიჟინდა იმის გამო, რომ ზოგიერთი ორატორები ყრილობაზედ მიუთითებდნენ, თუ როგოლ ირღვევა ზოგ ადგილებში ნაციონალურ უმცირესობათა უფლებები. ამ კითხვის გარშემო გამართულ კამათის დროს გამოირკვა, ამბობს ავტორი, რომ „მართლაც ყველაფერი ამ მხრივ რიგზედ არ არის და ზოგიერთი მინუსებიც არსებობენ“. ეს არის საბაბი, რომლითაც ბურჟუაზიული პრესა მხნეობს და გაჰკივის ყველას გასაგონათ, თუ როგორ იცავენ საბჭოთა კავშირში ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესებსო.

სტეკლოვი სამართლიანათ ამჟღავნებს კაპიტალისტურ ქვეყნების ბუნებას. გაბატონებული ერები ან, უკეთ რომა ვსთქვათ, მართველი წრეები ამ ნაციის, შეუბრალებლათ იმონებენ და ჩაგრავენ კოლონიალურ ერებს და ართმევენ მათ ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს.

თუმცა ამას ავტორი საბჭოთა კავშირისათვის ნაციონალურ პოლიტიკის სფეროში საბუთათ არა სთვლის. ის ამბობს:

„ჩვენ ვსცნობთ, რომ **საბჭოთა სისტემამ ბოლო უნდა მოუღოს ყოველგვარ ნაციონალურ უთანასწორობის ნაშთებს, ამისათვის მზათა ვართ გადაჭრით ვებრძოლოთ ძველ პსიხოლოგიურ ნაშთებს, რომლებიც ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის წინაალმდეგ მოიმართებიან** (ხაზგასმული ყველგან ავტორისაა შ. ქ.) მზათა ვართ დაუზოგველათ ვამხილოთ საკუთარი თავი ყოველ დაუდევრობისათვის ამ დარგში.“

სტეკლოვი დასანახათ ხდის, რომ ბოლშევიკები არასოდეს არ გაურბოდენ კრიტიკას. ეს მთავარი განსხვავებაა ბურჟუაზიულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირის

შორის, თანაც მაჩვენებელი უკანასკნელის სიძლიერის. ავტორი ერთ საუკეთესო ზომათ ნაციონალურ საკითხში დაშვებულ ყველა დეფექტის გამოსასწორებლათ კრიტიკას სთვლის:

„ასეთი თვით-კრიტიკა განსაკუთრებით ძვირფასია ამ ერთ ერთ სნეულ და ძნელ გადასაჭრელ ნაციონალურ კითხვის გარშემო“. სწორეთ ასეთმა პოლიტიკამ, როგორც ყრილობის რეზოლიუციაც ადასტურებს, მოახდინა შესაფერისი გავლენა კავშირის განმტკიცებაზედ.

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის, ე. ი., ერთა სრულ თვით-გამორკვევის პრინციპის გატარებით ჩვენ რამოდენიმეთ მიზანს ვახწევთო: ამით უკავშირდება, ერთმანეთს გლეხობა და პროლეტარიატი, ერთის მხრივ და პროლეტარები ყველა ერების, მეორეს მხრივ. ეს ჰქმნის საშინაო და საგარეო სიმტკიცეს; მაღლა სწევს პრესტიჟს კავშირისას ჩაგრულ ერთა შორის.

აი მთავარი მომენტი, სტეკლოვის სიტყვის, ნაციონალურ პოლიტიკაში. „აი რა უფლებით და რათა ვართ ჩვენ ვალდებულნი—განაგრძობს ამხ. სტეკლოვი გადაჭრით გავაკრიტიკოთ ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულია, შეიძლება უნებლიეთ, საბჭოთა ხელისუფლების ცალკე წარმომადგენლების მიერ, ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესების დაცვისა და დაკმაყოფილების დროს“. სწორეთ ამისათვის, სტეკლოვის აზრით, მე-III საბჭოთა ყრილობამ საჭიროთ დაინახა მიეთითებია, რომ საბჭოთა მუშაობის ნაკლთა გამოსწორების დროს „უნდა მიღებული იქნეს მთელი რიგი დამატებითი ზღმების ნაციონალურ უმცირესობათა დასაცავათ და უზრუნველ-საყოფელათ“... „ჩვენმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ბევრი დადებითი შედეგები მოგვცა, და ის უნდა თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივიყვანოთ სრული იმის შეგნებით, რომ კაცობრიობა მივა სოლიდარობამდის არა ნაციონალურ თავისებურობის დახშობით, არამედ თავისუფალ განვითარების საშვალებათა მინიჭებით, საბჭოთა რესპუბლიკის ხალხები გააკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რომ სავსებით გაატარონ ნაციონალური პოლიტიკა, და დაეჭვებაც არ შეიძლება იმაში, რომ ისინი ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ.“ დიახ, ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესს ამიერიდან ვერავინ შელახავს, ის უზრუნველ ყოფილია. ასეთია მტკიცე ნების-ყოფა მუშათა კლასის და მისი ხელისუფლების. საჭიროა ზოგიერთი პრაქტიკული, დამატებითი ზომები ამ მხრივ, რომ მამავალში აღარ ექნეს ბურჟუაზიას საბუთი თუნდ უბრალო ზეიმის. ეს უნდა ყველასათვის სარწმუნო გახდეს.

ზ. ჭ.

# ქრონიკა

— სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა, დაარსდეს ცენტრალური კომისია იმ პირთათვის გაძლიერებული პენსიის დასანიშნავად, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე და, რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავთ.

კომისია შესდგება: სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის, ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის, შრომის სახ. კომ. და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენლობისაგან.

— შორაპნის სამაზრო გლეხკომს განუზრახავს ჭიათურაში გახსნას საპნის ქარხანა.

— საქართ. ეკონომიური საბჭოს დადგენილებით გადადებულია 850 ათასი მანეთი სტიქიურ მოვლენათა მიერ დაზარალებულ გლეხთა მეურნეობის დასახმარებლათ.

ეს თანხა განაწილდება ასე: აფხაზეთს -- 100 ათასი მან., აჭარისტანს—100 ათასი მან. სამხრეთ ოსეთს 50 ათასი მან. დანარჩენი თანხა განაწილდება მაზრებ შორის.

— წარმოკავშირთან ერთად მეფუტკრეობის ბიურო ახლო ხანში მოახდენს რესპუბლიკაში არსებულ მეფუტკრეთა ამხანაგობის და კოოპერაციის გამოკვლევას.

— საქართველოს საგეგმო კომისიის წინადადებით მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატი იმუშავებს ტყის საცდელ-საკულტურო საქმეში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობ გეგმას.

— ტფილისის აღმასკომთან შემდგარმა ინჟინერთა კომისიამ მიზანშეწონილად სცნო ტფილის-კოჯორს შორის ტრამვაის გაყვანის პროექტი, ვაკე-წყნეთ-კიკეთ-კოჯორის მიმართულებით.

— შრომის სახალხო კომისარიატმა მოახდინა ჭიათურის, ტყიბულის, ბაღდადის და წამლარის ხევის წარმოებათა გამოკვლევა და ამ ჟამად იმუშავებს ზომებს აღნიშნულ წარმოებებში შემჩნეულ ნაკლულევანებათა მოსასპობათ.

— შესდგა საქართველოს ბეჭვდითი საქმის საპაიო ამხანაგობა „ქართული წიგნი“. პაი ღირს 10 მანეთი. ორი პაი აძლევს ერთი ხმის უფლებას. პაის ღირებულების გადახდა შეიძლება ნაწილობრივ.

12 ივნისს, საღამოს 7 საათზე ტფილისის კომუნალური ბანკის შენობაში (პუშკინის ქ. № 3) შესდგება ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება. წევრებს ევალებათ თან იქონიონ საქვითარო ბარათები მათ მიერ შეძენილ პაებისა.

— საქონლის ბრუნვის გაფართოებისა და კერძო კაპიტალის გამოყენების მიზნით საქართველოს ფარგლებში ტფილისის საქონლის და საფონდო ბირჟასთან არსდება კერძო ვაჭართა სექცია.

— ამ ჟამად საქართველოს ტერიტორიაზე სწარმოებს მუშაობა 5-7 ახალ არხის გასაყვანად. არხები დაახლოვებით მორწყავს 39.200 დესეტინა მიწას.

— საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, საქართველოში ითვლება 6 მილ. დესეტინა მიწა, რომელთაგან $^1/_2$ მილ. დესეტინა ჭაობიანია.

— საქ. ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო გლეხის მეურნეობის დასახმარებლად გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებანი: 1) აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება ბამბის კამპანიის ჩატარებას და დაევალოს მებამბეობის კომიტეტს მიიღოს სათანადო ზომები ამ კამპანიის

წარმატებით ჩასატარებლათ, როგორც მაგ. ბაღების ნათესების სივრცის გაფართოება, მებამბეთათვის თავის დროზე ავანსების და პურეულის მიწოდება და სხვა. 2) დაევალოს საზოგადოება „აბრეშუმი“-ს მიიღოს საჭირო ზომები სააბრეშუმო კომპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში, რისთვისაც მიეცეს მას საკმაო თანხა კრედიტისთვის, როგორც აბრეშუმის პარკის დასამზადებლათ, ისე ადგილობრივ აბრეშუმის ჭიის მეურნეობის განსავითარებლად. 3) დაევალოს მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საზაფხულო საძოვრებზე მოსალოდნელ საქონელის ჭირის გავრცელებას და მიიღოს მის წინააღმდეგ სათანადო ზომები, სხვათა შორის მოიმარაგოს საჭირო წამლეულობა და სხვა.

— ტფილისში არსდება ქართული საალმშენებლო-სამრეწველო საზოგადოება „სამშენი“ საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების თაოსნობით.

წესდება უკვე განხილულია საგეგმო კომისიის და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ.

საზოგადოების მიზანია აწარმოვოს საქართველოში ყოველგვარი საალმშენებლო სამუშაო, როგორც მაგალითად: ქალაქის და სოფლის მშენებლობა სახლების, მორწყვამოყვანა, ელექტრო-სადგურების აგება, წყალსადენების გაყვანა და სხვა; აგრეთვე საზოგადოება სხვადასხვა დაწესებულებებს მიაწოდებს ყოველგვარ საშენ და სათბობ მასალას.

საზოგადოების ძირითადი თანხა წესდების ძალით უდრის 200 ათას მანეთს.

ეს თანხა შეგროვდება სამ ვადაზე: პირველ სამ თვეში— მთელი თანხის მეოთხედი, მეორე სამ თვეში—მეორე მეოთხედი და დანარჩენი კი ერთი წლის განმავლობაში.

საზოგადოების მუშაობაში შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა კერძო კაპიტალმაც.

განზრახული საზოგადოება იქნება ერთად-ერთი საამშენებლო ორგანიზაცია რესპუბლიკაში. საზოგადოების ინიციატორებს განზრახვა აქვთ გამოითხოვონ სათანადო დადგენილება, რომლის ძალით საზოგადოების საამშენებლო საქმეები გადაეცეს შეუჯიბრებლად.

შრომის სახალხო კომისარიატი მეყაითად შეუდგა მნიშვნელოვან საზოგადოების დაარსებას და გაძლიერებას, კომისარიატს აზრად აქვს საზოგადოებაში შეიყვანოს ყველა სამეურნეო და საფინანსო ორგანიზაციები, ბანკები და სხვა.

### ადგილობრივი ცხოვრება.

— **ჭიათურის მარგანეცის კონცესიით გაცემა.** მოსკოვიდან ეხლახან დაბრუნებულმა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავამ გაზეთის თანამშრომელს განუცხადა, რომ ამერიკელების ფირმა ჰარიმანმა უკვე მოაწერა ხელი ჭიათურის მარგანეცის კონცესიის გაცემის ხელშეკრულების პროექტზედ. უკანასკნელი გადაეცა საქართველოს მთავრობას განსახილველად და დასატმკიცებლად.

### ახალი ტიპის სკოლები.

— **მექანიკური ტეხნიკუმები.** მომავალ სამოსწავლო წლიდან საქართველოში იხსნება სამი მექანიკური ტეხნიკუმი: ტფილისში, ფოთში და ხონში. ფოთისას ექნება ზღვაოსნობის ხასიათი, ხონისას საფეიქრო.

— **საამშენებლო ტეხნიკუმი.** განათლების კომისარიატი მომავალ სამოსწავლო წლიდან ხსნის 1 საამშენებლო ტეხნიკუმს.

— **საფეიქრო სასწავლებლები.** სამეცნიერო ტეხნიკურ სექციის დადგენილებით პირველ რიგში გაიხსნება საფეიქრო სკოლები და საფეიქრო კურსები, რომლებიც მოამზადებენ ინსტრუქტორებს შინამრეწველობის დარგში.

— **მევენახეობა მეღვინეობისათვის.** განათლების კომისარიატი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ხსნის მეღვინეობა-მევენახეობის 2 სკოლას.

— **ძველი ქართული ხელნაწერების დაბრუნება.** მოსკოვ-ლენინგრადიდან დაბრუნებულმა ცენტრ-არქივის თანამშრომელმა შ. ჩხეტიამ გაზ. „Рабочая правда“-ს თანამშრომელს განუცხადა, რომ მან უკვე ტფილისში ჩამოიტანა 90-მდის სხვადასხვა ქართული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები, რომლებიც მან მიიღო მოსკოვსა და ლენინგრადის სხვადასხვა მუზეუმებიდან. მათ შორის ყველაზედ უძვირფასესია მე-15—17 საუკუნის ვეფხვის ტყაოსნის ხელნაწერი და ბატ. ვახუშტის ისტორია და გეოგრაფია — გეოგრაფიული ატლასით.

— მოსკოვში შესდგა კრება საბჭ. კავშირის მიწად მოქმედების კომისარიატების წარმომადგენლების. კრებამ იქონია, სხვა შორის, თათბირი საბჭ. საქ. რესპ. დიდმნიშვნელოვან საკითხზე, სახელდობრ მევენახეობის და მეღვინეობის აღორძინების და განვითარების შესახებ. თათბირმა გამოაცხადა დადგენილება იმ ზომების და საშუალებების შესახებ, რომელნიც საჭიროა გატარდეს დაუყონებლივ მევენახეობის და მეღვინეობის წარმოების გასაძლიერებლად და გასამაგრებლად.

აი ეს საშუალებები: 1) მოხსნილ იქნეს სრულიად სააქციზო გადასახადი იმ ღვინოებზე, რომლებიც სიმაგრით არ აღემატებიან 14°, 2) იმ ღვინოებზე, რომელნიც შეადგენენ მასიური მოხმარების საგანს, დაედოს აქციზი არა უმეტეს 63 კაპ. ვედროზე, 3) ღვინოებზე კი, რომელთა სიმაგრე უდრის 14-20° გადახდეს აქციზი არა უმეტეს 1 მან. და 12 კაპ. ვედროზე, 4) შამპანიური ტიპის ღვინოებზე აქციზი დაყვანილ იქნეს 1 ბოთლზე 80 კაპეიკიდან 30 კაპეიკამდის.

გარდა ამისა, გამოთქმული იქნა სურვილი რკინის გზით გადასაზიდ ღვინის ტარიფი დაახლოვებულ იქნეს ომის წინა დროის ტარიფთან და სხვა.

# ახალგაზრდობა

ვინმე მაჯლაჯუნას წინ ჰყრია მთელი პირამიდა თავის ქალებისა... ყველა ისეა გამოხრული და დაჭმული, რომ კაჰკაჰიც კი ვერაფერს გამოეზიდება.

მაჯლაჯუნას ვილაცა ურახუნებს კარსა.

— ვინა ხართ, ვინ?.. ილაჯი წაილეს რახუნით,.. არ მაძლევენ მოსვენებას... ვინა ხართ მეთქი?.. დაანგრია ვერანამ აქაურობა...

— მე ახალგაზდობა ვარ... ლამაზი ახალგაზდობა, რომელსაც ჰსურს ყველგან იმარჯვებდეს... ყველას მიაღწიოს... ყველაფერი იცოდეს...

— დამთხვეული, თავქარიანი ახალგაზდობა?...

— თუნდა ეგრე მიწოდე...

— ვის ჰკითხულობ?.. ვის ეძებ...

— ბედის წერას... შენ ვინლა ხარ...

— სწორეთ ის, ვისაც დაეძებ... რა გსურს ჩემგან?..

— მინდა ხმალში გამოგიწვიო... შეგებრძოლო... შენ მიშლი ხელსა... ნიადაგ ქშუტუნით შემომსისინებს შენი მყრალი სუნთქვა... საცა უნდა ვიყო ყველგან მპოულობს შენი სამარისებური გამყინავი სუნთქვა და მეუბნება, რომ შენ ჰსპობ ყველაფერს... რომ შენ გარდაუვალი ხარ... მე კი არა მსურს ჩრდილივით თან მდევდეს შენი ბალყუში ხმები... არ მსურს გემონო... არა მწამს გარდუვალობა... ზღუდეები... უნდა გადაგლახო... მინდა ზღვასავით ვიყო, ზღვასავით უსაზღვრო, დაუმონავი, დაუგეშავი.

— შენ?.. შენა გსურს ჩემი ურჩობა?..—და გადაიხარხარა მაჯლაჯუნამ... ჯერ არსად გაუგონია ასეთი ლირეჟი ხარხარი... შეჰხედა ახალგაზდობამ სახეზე... მას ბაგეები კი არა ჰქონდა, არა... გველის წიწილები გადაბმულიყვნენ მისს ცხვირ წინ... გველის წიწილები მორკალულიყვნენ და იქიდან ამოჰქროდა ეს ხარხარი...—არ იშლი ჩემთან ბრძოლას?—განაგრძობდა მაჯლაჯუნა...—რისი იმედი გაქვს...

—მე მსურს და ესაა ჩემი თავდები გამარჯვებისა...

— ჰფიქრობ კი რასაც აპირებ?...

— მე არ ვიცი რა არის ფიქრი... აწონ-დაწონა... ჩემი ერთად ერთი გადაწყვეტილებაა გამარჯვება...

— რა გაქვს მაგ კალათებში?..

— ვარდის ფერი იმედები... უმწვერვალესი სურვილები, სიცილის ბუდეშურები... სიყვარულის ზღაპრები... და კიდევ ბევრი სხვა სამკაულები ახალგაზდობისა...

— ეგ რაღაა აგრე ამაყად რომ აფრიალებ?..

— ეს ალამია... ამას ავაფრიალებ, იმ თვალშეუდგამ მწვერვალზე, რომელსაც ჰქვიან სრულება მოსილება..

— აალწევ კი?...

— არ არის მწვერვალები, რომ ზედ არ მოვექცე.

— იცნობ შენ ისტორიას?.. ის გვეუბნება, რომ ბევრს გამოუგლოვია ეგ მწვერვალები... ბევრს ეგ დროშები ქარიშხალებში შემოსცვეთია და ლირის სამოსივით ნაფლეთ ძონძებად ლა დაჰფრიალებს.

— ისტორიას მე მოვახტები ქედზე და გავგეშავ... საითაც მინდა იქით წავიყვან... მე თვითა ვარ ისტორიის შემომქმედი... მე ვსწერ ისტორიის სკრიჟალებს... მე ისტორიის სადავეები მიჭირავს ხელთა და მივჰქრი..

ბედისწერას კარგა ხანს ხმა არ გაუცია.

ახალგაზდობას კი ეგონა შეეშინდაო.

როდის, როდის,—ბედისწერამ აუღელვებლივ წარმოსთქვა.

— მოდი ათი თხუთმეტი წლას შემდეგ...

რათა?.. რაღა თხუთმეტი წლის შემდეგ.

— ეს დრო ჟანგია... გულის მჭამელია... ეს დრო საუცხოვო ხაბაზია... იგი თავის თონეში წალამ-წულამსავით სწვავს სასოებას... იმედებს... ჰურაზებს... სამაგიეროდ აცხობს სასოწარკვეთილების კვერიებსა... ბლითებს... ნაზუქებს.

* * *

გაიელვა თხუთმეტმა წელმა...

კიდევ გაისმა კაკუნი...

ბუზღუნით გაიღო კარი...

— ვინა ხარ?...

— პასუხი არ მიუღია...

მაჯლაჯუნამ ძლივს ლა იცნო ოდინდელი ამაყი, შემმართებელი, დაუმონავი ახალგაზდობა...

სრულიად ჩამქრალი და ნაფორიაქალი იყო მისი სახე, როგორც ვარძია ნაფორიაქალი...

— ვიბრძოლოთ?..—შეეკითხა გესლიანად მაჯლაჯუნა...

კვლავ უხმაურობა...

უგრძნობელი იყო იგი, ნაახალგაზდარი, როგორც მომაკვდავის მაჯის ცემა...

მხოლოდ ზემო ტუჩის კუთხე უკანკალებდა...

კალათაც დასცალიერებოდა...

შიგ ეგდო მარტო რაღაც ძონძები, რომელლაც ჯოხის ტარზე გამობმული... ვგონებ ამის აფრიალებას აპირებდა რომელლაც მწვერვალზე...

მაჯლაჯუნამ დაჰხედა და გაიცინა...

გადიხითხითა მან და მყის გაჩნდნენ უთვალავი ზღარბები... ყველა ისინი მისცოცავდნენ ნაახალგაზდარის ქარიშხლებისგან გამოფიტულ გულისკენ და სჩხვლეტდნენ... სწამლავდნენ ..

* * *

შორით შორს კვლავ გაისმოდა კისკისი... შემმართებელი ყიჟინა...

ეს ენთო... ესა ბრწყინავდა... ეს მუსიკობდა მორიგი ახალგაზდობა...

დ. თურდოსპირელი

# ჭიაყელა

(არაკი)

გაშლილ ველზე ჭიაყელა
დაცოცავდა ბალახებში,
გორაობდა აქეთ-იქით,
ხან სლინავდა ტალახებში.

ხანაც ზოლად გაჭიმული,
ეძლეოდა მოსვენებას.
განიცდიდა ბუნებისა
სიდიადეს და მშვენებას.

უცბათ ვიღაც წამოადგა
თავზე, უთხრა ჭიაყელას:
—უჰ, ლაშქარი მოდის ეგერ,
მუზარადნი ჰხურავთ ყველას!..

დაიკლაკნა ჭიაყელა,
შიშის ქარმა აიტანა.
„მე გამსრესავს—თქმა არ უნდა,—
თუ ჩემამდე მოატანა!..“

„მირჩევნია, რომ ეხლავე
ჩავიმალო ქვესკნელშიო,
ოღონდ სული შევირჩინო,
არც ამოვალ ჩემს დღეშიო“.

დაფაცურდა ჭიაყელა,
ჩაძვრა წამსვე ქვესკნელშია...
ლაშქრის მოსვლა არ გამართლდა,
ის კი დარჩა მთლად ბნელშია.

გ. ლომთათიძე.

---

# მ უ შ ა ს

(ექსპრომტათ).

შენ ხარ მფლობელი: წყლის, ჰაერის და დედამიწის!..
ამაყათ უმზერ მუქთა-მჭამლის—ძველ შენობებს
—როგორ ინგრევა და როგორ იწვის!!
შენს ხელში დნება—ტყვია, ფოლადი და მასთან რკინა!!.
აღარ ექნებათ დღეის შემდეგ
—მუქთა ბორებს შენს გვერდით ბინა!!.
დღეს უკვე შენ ხარ:—მეფე ქვეყნის!.. ყველაფრის შემძლე!!.
შემოქმედების საძირკველი!.. ბუნების ღერძი და მისივე ძე!!.

ილ. სავიცკი-რუსელი.

---

# მუშათა კომისიის მუშაობა

## მედიკო-სანიტარულ დარგში მომუშავე ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საერთო კრება

13 მაისს, სანგანათლების თეატრის დარბაზში შესდგა ტფილისის მედსანშრომის კავშირის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საერთო კრება.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტაკტიკის და საქართველოში 1924 წ. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მომხდარ ამბების შესახებ მოხსენება გააკეთა მუშათა კომისიის წევრმა ამხ. ლ. კუპრაშვილმა.

მომხსენებელი შეეხო რუსეთის დიდ რევოლიუციას და აღნიშნა თითქმის ყველა მისი უმთავრესი მომენტები, ხაზი გაუსვა სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციონურ ბრძოლას ცარიზმთან, დაახასიათა 1917 წლის რევოლიუციის მნიშვნელობა, ესერების და მენშევიკების მონაწილეობა დროებით მთავრობაში და აღიარა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ იმ თავითვე დაუშვა შეცდომა, როცა რუსეთის რევოლიუცია გამოაცხადა ბურჟუაზიულად და სახემწიფო ძალაუფლების ხელში აღებას გაექცა.

ჩვენ შევქმენით მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოები მთავრობა კი შევადგინეთ ბურჟუაზიის წრეებიდან ჩვენ ვცდილობდით ბურჟუაზიას ეკეთებია ჩვენი საქმეები, ამ დროს კი ჩვენდა შეუმჩნევლად როდზიანკოს მთავრობის უკან თავს იყრიდა ყველა კონტრ-რევოლიუციონური ძალები, აარსებდენ არა ლეგალურ შტაბებს და გენერალ კორნილოვის სახით შემოგვიტიეს კიდეც, რათა დაესამარებიათ როგორც საბჭოები, ისე რევოლიუცია. სოციალ-დემოკრატიული პარტია დაიბნა ამ პასუხის მგებლობის უაღრეს მომენტში. მან არ იცოდა რა ეკეთებია. ვერ მივხვდით, რომ დრო იყო დამდგარი, როცა ხელში უნდა აგვეღო ხელისუფლება და მტკიცე კურსით გადაჭრილათ შეგვეტია შავი კონტრ-რევოლიუციისათვის და გამოგვეცხადებია ომი ომისათვის. ნაცვლად ამისა ჩვენ გავიძახოდით: „ომი გამარჯვებამდე“.

აი სწორეთ ამ დროს ბოლშევიკური პარტია, ლენინის მეთაურობით გამოჩნდა პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე, გარკვეული დევიზით: „ძირს ომი და მიწები გლეხობას“. ლენინმა ალღო აუღო მაშინდელ პოლიტიკურ სიტუაციას ომისაგან დაღლილ რუსეთის მოსახლეობასა და ჯარის სულიერ განწყობილებას, მიიმხრო იგი და აამუშავა მთელი რუსეთის შეიარაღებული ძალები, გლეხობა და მუშები, როგორც დროებითი მთავრობის, ისე შავი კონტრ-რევოლიუციის წინაალმდეგ. ამ გზით დაამარცხა როგორც პირველი ისე მეორე, იხსნა რევოლიუცია აუცილებელ დამარცხებისაგან, აიღო კურსი სოციალისტური რევოლიუციისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ.

რა გზას დაადგა ამ პირობებში საქ. სოციალ-დემოკრატია კითხულობს მომხსენებელი—მან გააბა კავშირი რევოლიუცისათვის არა საიმედო ჯგუფებთან და პარტიებთან და ამით ნებსით თუ უნებლიეთ გადაეშვა ეროვნულ სახის ბრძოლაში რუსეთის რევოლიუციის წინაალმდეგ.

კონტრ-რევოლიუციით გარშემორტყმულ მოსკოვს მოსწყდა საქართველო მისდაუნებურად და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა გამოეცხადებია საქართველოს დამოუკიდებლობა.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს დამოკიდებულება სრულიად არ ყოფილა გამომდინარე იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მთელი 20-30 წლის გან-

მავლობაში პირიქით, ფედერალისტები, რომლებიც მოითხოვდენ კუდშეკვეცილ ავტონომიას მუდამ იყვნენ ჩვენი „ცემა-ტყეპის“ ობიექტი.

მომხსენებელმა კონკრეტიული მაგალითებით დაამტკიცა, რომ საქართველოს არ ქონია დამოუკიდებელი რესპუბლიკა, სინამდვილეში, მენშევიკური ბატონობის დროს, რადგან ყოველი ჯურის სამხედრო ძალებს გერმანელებიდან დაწყებული ინგლისელებამდე, ყოველ წუთს დაუკითხავათ შეეძლოთ „გადაეჯლიგინებიათ“ საქართველოს ტერრიტორიაზე. დასასრულ მომხსენებელმა გაუკეთა ანალიზი იმ ტაკტიკას, რომელსაც დაადგა საქართველოს სოციალ-დემოკრატია გასაბჭოების შემდეგ აწარმოვა რა ეროვნული ბრძოლა რევოლიუციონურ რუსეთის წინააღმდეგ, და აღიარა, რომ ეს არის ტაკტიკა არა რევოლიუციონური, არამედ ევროპის ინტერვენციის, საქართველოს განადგურების და, როგორც ასეთი, იგი მიუღებელია ჩვენთვის სავსებით და მთლიანად. მანვე მოუწოდა ყველა ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ძველი გზით სვლას, გასწყვიტონ ყოველი კავშირი დამღუპველ იდეებთან დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე და გვერდში ამოუდგენ ხელისუფლებას.

მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკა აგრეთვე ამხ. ვ. ანდღულაძემ. ის შეეცადა დაემტკიცებია, რომ ევროპა სდგას ახალი ომის წინაშე, რომ მეორე ინტერნაციონალი ასეთ პირობებში ვერ იჩენს საკმაო უნარს და იგი ძველებური ცალიერი რეზოლიუციებით კმაყოფილდება. მან მიუთითა კრებას ევროპის კაპიტალის ნაწილობრივ სტაბილიზაციაზე და აღიარა რომ სამაგიეროთ ხდება მეორე გვარის სტაბილიზაცია—ეს აღმოსავლეთ ერების და ახალშენების გამოღვიძება—მათი რევოლიუციონერიზაცია. მანვე მოიყვანა ციფრები, საქართველოს მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის, კოოპერაციის, განათლების და სახალხო ჯანმრთელობის განვითარებისა და მისი აღმავალ ხაზზე დგომის შესახებ. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველო გასაბჭოების შემდეგ წინ მიიწევს როგორც ეკონომიურად ისე კულტურულად, რომ მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოში გაკეთდა გაცილებით მეტი იმაზე, რაც გაკეთდა მონარქიის 100 წლის მფლობელობის დროს. დასასრულ იმანაც მოუწოდა ყველა ამხანაგებს საქმიან თანამშრომლობისაკენ.

კამათისა და შეკითხვების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება მუშათა კომისიის წარმომადგენლ ამხ. კუპრაშვილისა და იქონია რა მსჯელობა იმ ფაქტების ირგვლივ, რომელსაც ადგილი ქონდა ამ უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე, მტკიცედ მივიდა შემდეგ დასკვნამდე: საქართველოს უკანასკნელი ამბები —შეიარაღებული გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მას შემდეგ კიდევ ყოველივე შეურიგებელი პოზიციის არსებობაც კი არის ნამდვილი ავანტიურა, მიმართული მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესების წინააღმდეგ. უკეთებს რა ანალიზს იმ ტაკტიკას ს.-დ. პარტიისა, რომელიც ეყრდნობა გარეშე ძალის ინტერვენციას და მის საშვალებით ლამობს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ერთხელ და საბოლაოდ უარყოფს მას, მიაჩნია ის პრინციპში მიუღებლად და დამახასიათებელ სიმპტომათ ს. დ. პ. იდეოლოგიის საბოლოო სიკვდილისა და გადაგვარების.

ამასთანავე, საერთო კრება, ენერგიულად მოუხმობს ქართველ ერს შეიგნოს, რომ ევროპა არ გადადგამს არავითარ ნაბიჯებს საქართველოს სასარგებლოდ, თუ მან არ მიიღო თავის გასამრჯელო. ჯერ-ჯერობით კი ის თავის მოკრძალებითი რეზოლიუციებით მხოლოდ აღიზიანებს ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ ელემენტებს და ამწვავებს მათ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებასთან.

საქართველოს მშრომელი კლასი თავისი სასიცოცხლო ძალებით როგორც წარსულში, ისე მომავალშიაც სცდილობდა და შეეცდება მისთვის საჭირო და აუცილებელი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ხელის შეწყობას. ჩვენ გვწამს, რომ ერის დამოუკიდებლობა სახიერდება მის ეკონომიურსა და კულტურულ მხარეების აღორძინების აქტში. თუ ეს ასეა მაშინ საქართველო თავისუფლად შესძლებს საბჭოთა კავშირის ფარგლებში ეკონომიურ და კულტურულ წარმატებას—ეროვნულ დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ამის გარანტიაა მმართველი პარტიის პრინციპები და დადგენილებანი, რომლის ცხოვრებაში გატარებისათვის ხელის შეწყობით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს საქართველოს, ვიდრე შავი ზღვისაკენ უიმედოთ ცქერით.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას კრება, მოუწოდებს ყველა ამხანაგებს, რომლებიც დღესაც განაგრძობენ შეურიგებელ პოზიციაზე დგომას, შავი ზღვისაკენ ცქერას, გაბედულად გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი დამღუპველ იდეებთან, დადგენ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, ამოუდგენ მას გვერდში და საქმიანი თანამშრომლობით ხელი შუწყოს მშობლიურ ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების საქმეს.

გამოაქვს რა თავისი ზემოხსენებული დადგენილება საერთო კრებას, ღრმად სწამს, რომ იგი ამით საზღვარს დაუდებს ყოველგვარ ბუტიაობას და მოაგონებს ხელისუფლებასაც მისცეს ფართე გასაქანი ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც დღეიდან მაინც გულწრფელად შეეცდებიან გადმოვიდენ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, და ამით ხელი შეუწყოს საქმიან თანამშრომლობის იდეიას ჩვენი ქვეყნის ასაყვავებლად.

გაუმარჯოს საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე მდგომ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას და მსოფლიო მუშათა-კლასის ნამდვილ შტაბს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

საერთო კრების თავმჯდომარე ვ. ანდღულაძე
მდივანი ჟღენტი

---

## ქ უ თ ა ი ს ი

ქუთაისის ქვეკომისიის წევრების მიერ მიწვეული ვიყავი ქ. ქუთაისში გამეკეთებინა მოხსენება აგვისტოს გამოსვლების შესახებ საბჭოთა დაწესებულების ინტელიგენტურ თანამშრომლებთათვის, როგორც მაგალითად მედსანტრუდი, სასამართლოს, საგანმანათლებლო და სხვა.

კრება შედგა 28/V საღამოს 6 ნახ. საათზე.

მოხსენების შემდეგ იყო ბევრი შეკითხვები, რაზედაც გაცემული იყო სათანადო პასუხი. შეკითხვებ შორის იყო—ასეთი: „როდის გაიყვანენ რუსის ჯარს“.

ეს შეკითხვა ყოვლად შეუწყნარებელია ჭკუათა მყოფელ ადამინის და პოლიტიკური მოაზროვნესთვის, რომელსაც გული შესტკივა ჩვენი ხალხისათვის და უყვარს რევოლიუცია.

მე ამ შეკითხვაზე გავეცი სათანადო პასუხი, გამომდინარე ქართველი ხალხის და რევოლიუციის სიყვარულიდან.

ამ კითხვას ჩემის აზრით ფართო გაშუქება სჭირია. მე მეტათ სუსტი ვარ ამ კითხვის სავსებით გაშუქების სფეროში. მიუხედავათ ამისა, მე მაინც მინდა მას ოდნავ მაინც შევეხო, ყოველ შემთხვევაში, ვღძრა ეს საკითხი, რათა ვინმემ ძლიერმა კალმოსანმა და ხალხის მოამაგემ გააშუქოს ეს საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

მე ვამბობ, რომ თუ ოდესმე იყო მომენტი ჩვენი ერის, და არამც თუ ქართველი ერის, არამედ ამიერ-კავკასიის ერების ცხოვრებაში, რომ რუსის ჯარი იყო საჭირო და ის შეადგენდა ერთ-ერთ სანუგეშო ძალას, რომლის ძლიერებით უზრუნველ ყოფილი იქნებოდა ამ ერების მშვიდობიანი ცხოვრება, ეს ყველაზე უფრო უსაჭიროესი და აუცილებელი მომენტი არის დღეს. დიახ, დღეს, იმიტომ, რომ ისეთი გაღრმავებული შუღლიანობა, კავკასიის ერებ შორის, რასაც ზედმიწევნით ხელი შეუწყო დაშნაკცაკან-მუსავატელების კაცი-ჭამია პოლიტიკამ და ჩვენ, მენშევიკების მიერ ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლის, გადატანამ რევოლიუციონურ რუსეთის წინაალმდეგ. არასოდეს არ ყოფილა. იყო დრო, (ეს დრო არც ისე დიდია, რომ დავიწყებას მივცეთ), როცა ქართველი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მენშევიკების მეთაურობით, აქრობ-ანელებდა სომხებსა და თათრებს შუა ატეხილ ნაციონალურ ნიადაგზე სწორეთ იმ სამარცხვინო ბრძოლას, რომელსაც მაშინდელი მთავრობა აშკარათ თუ ფარულად ხელს უწყობდა. დღეს კი ასეთი მდგომარეობა, (უნდა გულწრფელათ ითქვას) არ არის. დღეს თუ მშვიდობიანობა არის და არ არის სისხლის ღვრა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის, ამას ხელისუფლებას უნდა უმადლოდეთ წითელ ჯართან ერთათ. დიახ, ეს არ არის დასამალი და ამ ხალხებ შორის წონასწორობას წითელი ჯარი უწყობს ხელს. ვინც ასე არ მსჯელობს, ის ან სრულიად გამობეყეყერეთებულია, ჭკუა-გონებას სრულიად მოკლებული, ან და ის მოსურნე არის, რომ გაძლიერდეს ხალხთაშორის შურის ნიადაგზე წარმოებული ხოცვა-ჟლეტა.

სხვანაირი ახსნა ასეთი ფაქტის არ არსებობს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ხელისუფლება, რომელიც დაჩაგრულ ერების და მუშათა კლასის იმპერიალისტების კლანჭებიდან განთავისუფლებას ისახავს მიზნათ, სასტიკ პროვოკაციას ჩაიდენდა თუ აქედან ეხლა წითელი ჯარის გაყვანას განიზრახავდა. ამიერ-კავკასიის ხალხები გამოუკლებლივ ერთმანეთს დაერეოდენ და ისტორიაში არ გაგონილი ჯოჯოხეთი შეიქნებოდა. ადგილობრივი ჯარი, რომ ამიერ-კავკასიის ხალხთა-შორის მშვიდობიანობის და წონა-სწორობის დამცველად გამოდგეს, ჯერ კიდევ დიდ ხანს ვერ მოეწყობა; ხალხთა შორის შუღლი და მტრობა დავიწყებას უნდა მიეცეს, ამისათვის კი ათეული წლები იქნება საჭირო. ამიერ-კავკასიას და მით უმეტეს საქართველოს პირველ რიგში მოელის იმპერიალისტურ ჯარების თავდასხმა რაც დამღუპველი იქნება ერისა და რევოლიუციისათვის.

ეს უნდა ესმოდეს ხალხის და რევოლიუციის მოამაგეს, ეს უნდა შეიგნოს ყველა: მუშამ, გლეხკაცობამ და მშრომელმა ინტელიგენციამ და თუ ეს ასეა აქედან ის გამომდინარეობს, რომ საკავშირო რესპუბლიკის წითელი ჯარები აქ, რაც შეიძლება გაძლიერებული უნდა იქნეს და არა გაყვანილი აქედან. სწორეთ ასეთი პასუხი იყო გაცემული ჯარის შესახებ შეკითხვაზე და ეს ჩემის აზრით ასე უნდა ესმოდეს ყველა ჭკუათა-მყოფელ მოქალაქეს.

**ლ. კუპრაშვილი.**

---

28 აპრილს ქუთაისის საქსოვ ფაბრიკაში შესდგა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საზოგადო კრება.

თავმჯდომარეობდა დ. ლეჟავა, მდივნობდა ე. სალაყაია. მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. გ. მეფარიშვილმა და ა. თავხელიძემ, რომლებმაც ვრცლათ დაახასიათეს მენშევიკური პარტიის ტაქტიკა რევოლიუციის შემდეგ და აღნიშნეს ის მწვავე შედეგები, რაც ამ ტაქტიკამ მიაყენა ქართველ ხალხს.

მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება იზიარებს ნაძალადევის მუშების მიერ 7—8 ოქტომბრის მიღებულ რეზოლიუციას და მოუწოდებს ამხანაგებს ხელისუფლებასთან შეთანხმებულ მუშაობისაკენ ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

დასასრულ მუშათა კომისიის რწმუნებულათ კრებამ აირჩია დ. ლეჟავა და მის კანდიდატათ თ. კუჭავა.

---

ანალოგიური კრება გაიმართა 23 აპრილს, რომელსაც დაესწრენ: ქუთაისის თამბაქოს ქარხნის, მბეჭდავთა კავშირის, ფოსტა-ტელეგრაფის, ელექტრონული სადგურის და კირის ქარხნის მუშა-მოსამსახურე ყოფილ. მენშევიკ. და უპარტიოები. სათანადო რეზოლიუციის მიღების შემდეგ არჩეული იქნა მუშათა კომისიის რწმუნებული კ. გიორგაძე (თამბ. ქარხნიდან). ოკუჯხალი (ფოსტა ტელეგრაფიდან) ლ. ნინიძე. (მბეჭდ. კავშირ.) ქ. მურღულია. (ელ. სადგურიდ.) დ. ზაუტაშვილი. (კირ. ქარხნ.) და სხვ.

---

14 მაისს შესდგა ქუთაისის პედაგოგიური ტეხნიკუმის მსმენელთა გაერთიანებული კრება, აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანების შესახებ გააკეთა მოხსენება მუშათა ქვე-კომისიის თავმჯდომარემ ვ. მეფარიშვილმა.

მომხსენებელმა ვრცლათ შეეხო მენშევიკური პარტიის რევოლიუციონურ მუშაობას წარსულში, აღნიშნა მიზნები ს. დ. პ. ორ ბანაკათ გაყოფის და მათი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სიმწვავე, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. აგვისტოს გამოსვლებით ნათელი გახდა დამარცხება მენშევიკური პარტიის ტაქტიკისა, რამაც შეიწირა მრავალი ქართველი რევოლიუციონერი და ერი ლამის განადგურების კარამდე მიიყვანა. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ახალგაზრდა მარქსისტების რევოლიუციონურ საქმიანობაში ჩაბმას და მათ თავდადებითი ბრძოლას ახალ გზაზედ.

დასასრულ იგი მოუწოდებს ახალგაზრდობას დადგენ მთლიანათ 7—8 ოქტომ. ნაძალადევის მუშების მიერ გამოტანილი რეზოლიუციის ნიადაგზე და იმუშაონ ხელისუფლებასთან სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ილაპარაკეს ფ. ლორთქიფანიძემ და ი. ჩხეიძემ. გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელსაც პედაგოგიური ტეხნიკუმის მსმენელები სავსებით იზიარებენ 7—8 ოქტომბრის რეზოლიუციას და გამოსთქვამენ მტკიცე ნებისყოფას იმუშაონ მუშათა კომისიასთან საერთო მიზნების განსახორციელებლათ.

დასასრულ რწმუნებულათ არჩეული იქნენ შემდეგი ამხ. კ. სანიკიძე კ. გვიმბრაძე და ოლგა კვატაშიძე.

კრების მდივანი **ბუჩუაძე.**

შავლობაში პირიქით, ფედერალისტები, რომლებიც მოითხოვდენ კუდშეკვეცილ ავტონომიას მუდამ იყვნენ ჩვენი „ცემა-ტყეპის“ ობიექტი.

მომხსენებელმა კონკრეტიული მაგალითებით დაამტკიცა, რომ საქართველოს არ ქონია დამოუკიდებელი რესპუბლიკა, სინამდვილეში, მენშევიკური ბატონობის დროს, რადგან ყოველი ჯურის სამხედრო ძალებს გერმანელებიდან დაწყებული ინგლისელებამდე, ყოველ წუთს დაუკითხავათ შეეძლოთ „გადაეჯლიგინებიათ“ საქართველოს ტერიტორიაზე. დასასრულ მომხსენებელმა გაუკეთა ანალიზი იმ ტაკტიკას, რომელსაც დაადგა საქართველოს სოციალ-დემოკრატია გასაბჭოების შემდეგ აწარმოვა რა ეროვნული ბრძოლა რევოლიუციონურ რუსეთის წინაალმდეგ, და აღიარა, რომ ეს არის ტაკტიკა არა რევოლიუციონური, არამედ ევროპის ინტერვენციის, საქართველოს განადგურების და, როგორც ასეთი, იგი მიუღებელია ჩვენთვის სავსებით და მთლიანად. მანვე მოუწოდა ყველა ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ძველი გზით სვლას, გასწყვიტონ ყოველი კავშირი დამღუპველ იდეებთან დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე და გვერდში ამოუდგენ ხელისუფლებას.

მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკა აგრეთვე ამხ. ვ. ანდღულაძემ. ის შეეცადა დაემტკიცებია, რომ ევროპა სდგას ახალი ომის წინაშე, რომ მეორე ინტერნაციონალი ასეთ პირობებში ვერ იჩენს საკმაო უნარს და იგი ძველებური ცალიერი რეზოლიუციებით კმაყოფილდება. მან მიუთითა კრებას ევროპის კაპიტალის ნაწილობრივ სტაბილიზაციაზე და აღიარა რომ სამაგიეროთ ხდება მეორე გვარის სტაბილიზაცია — ეს ატმოსავლეთ ერების და ახალშენების გამოღვიძება — მათი რევოლიუციონერიზაცია. მანვე მოიყვანა ციფრები, საქართველოს მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის, კოოპერაციის, განათლების და სახალხო ჯანმრთელობის განვითარებისა და მისი ალმავალ ხაზზე დგომის შესახებ. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველო გასაბჭოების შემდეგ წინ მიიწევს როგორც ეკონომიურად ისე კულტურულად, რომ მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოში გაკეთდა გაცილებით მეტი იმაზე, რაც გაკეთდა მონარქიის 100 წლის მფლობელობის დროს. დასასრულ იმანაც მოუწოდა ყველა ამხანაგებს საქმიან თანამშრომლობისაკენ.

კამათისა და შეკითხვების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება მუშათა კომისიის წარმომადგენლ ამხ. კუპრაშვილისა და იქონია რა მსჯელობა იმ ფაქტების ირგვლივ, რომელსაც ადგილი ქონდა ამ უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე, მტკიცედ მივიდა შემდეგ დასკვნამდე: საქართველოს უკანასკნელი ამბები — შეიარაღებული გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ და მას შემდეგ კიდევ ყოველივე შეურიგებელი პოზიციის არსებობაც კი არის ნამდვილი ავანტიურა, მიმართული მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესების წინაალმდეგ. უკეთებს რა ანალიზს იმ ტაკტიკას ს.-დ. პარტიისა, რომელიც ეყრდნობა გარეშე ძალის ინტერვენციას და მის საშვალებით ლამობს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ერთხელ და საბოლაოდ უარყობს მას, მიაჩნია ის პრინციპში მიუღებლად და დამახასიათებელ სიმპტომათ ს. დ. პ. იდეოლოგიის საბოლოო სიკოტრისა და გადაგვარების.

ამასთანავე, საერთო კრება, ენერგიულად მოუხმობს ქართველ ერს შეიგნოს, რომ ევროპა არ გადადგამს არავითარ ნაბიჯებს საქართველოს სასარგებლოდ, თუ მან არ მიიღო თავის გასამრჯელო. ჯერ-ჯერობით კი ის თავის მოკრძალებითი რეზოლიუციებით მხოლოდ აღიზიანებს ხელისუფლების წინაალმდეგ განწყობილ ელემენტებს და ამწვავებს მათ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებასთან.

საქართველოს მშრომელი კლასი თავისი სასიცოცხლო ძალებით როგორც წარსულში, ისე მომავალშიაც სცდილობდა და შეეცდება მისთვის საჭირო და აუცილებელი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ხელის შეწყობას. ჩვენ გვწამს, რომ ერის დამოუკიდებლობა სახიერდება მის ეკონომიურსა და კულტურულ მხარეების აღორძინების აქტში. თუ ეს ასეა მაშინ საქართველო თავისუფლად შესძლებს საბჭოთა კავშირის ფარგლებში ეკონომიურ და კულტურულ წარმატებას — ეროვნულ დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ამის გარანტიაა მმართველი პარტიის პრინციპები და დადგენილებანი, რომლის ცხოვრებაში გატარებისათვის ხელის შეწყობით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს საქართველოს, ვიდრე შავი ზღვისაკენ უიმედოთ ცქერით.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას კრება, მოუწოდებს ყველა ამხანაგებს, რომლებიც დღესაც განაგრძობენ შეურიგებელ პოზიციაზე დგომას, შავი ზღვისაკენ ცქერას, გაბედულად გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი დამღუპველ იდეებთან, დადგენ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, ამოუდგენ მას გვერდში და საქმიანი თანამშრომლობით ხელი შუწყოს მშობლიურ ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების საქმეს.

გამოაქვს რა თავისი ზემოხსენებული დადგენილება საერთო კრებას, ღრმად სწამს, რომ იგი ამით საზღვარს დაუდებს ყოველგვარ ბუტიაობას და მოაგონებს ხელისუფლებასაც მისცეს ფართე გასაქანი ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც დღეიდან მაინც გულწრფელად შეეცდებიან გადმოვიდენ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, და ამით ხელი შეუწყოს საქმიან თანამშრომლობის იდეიას ჩვენი ქვეყნის ასაყვავებლად.

გაუმარჯოს საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე მდგომ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას და მსოფლიო მუშათა-კლასის ნამდვილ შტაბს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

საერთო კრების თავმჯდომარე ვ. ანდღულაძე
მდივანი ჟღენტი

---

## ქუთაისი

ქუთაისის ქვეკომისიის წევრების მიერ მიწვეული ვიყავი ქ. ქუთაისში გამეკეთებინა მოხსენება აგვისტოს გამოსვლების შესახებ საბჭოთა დაწესებულების ინტელიგენტურ თანამშრომლებთათვის, როგორც მაგალითად მედსანტრუდი, სასამართლოს, საგანმანათლებლო და სხვა.

კრება შედგა 28/V საღამოს 6 ნახ. საათზე.

მოხსენების შემდეგ იყო ბევრი შეკითხვები, რაზედაც გაცემული იყო სათანადო პასუხი. შეკითხვებ შორის იყო — ასეთი: „როდის გაიყვანენ რუსის ჯარს“.

ეს შეკითხვა ყოვლად შეუწყნარებელია ჭკუათა მყოფელ ადამინის და პოლიტიკური მოაზროვნესთვის, რომელსაც გული შესტკივა ჩვენი ხალხისათვის და უყვარს რევოლიუცია.

მე ამ შეკითხვაზე გავეცი სათანადო პასუხი, გამომდინარე ქართველი ხალხის და რევოლიუციის სიყვარულიდან.

ამ კითხვას ჩემის აზრით ფართო გაშუქება სჭირია. მე მეტათ სუსტი ვარ ამ კითხვის სავსებით გაშუქების სფეროში. მიუხედავათ ამისა, მე მაინც მინდა მას ოდნავ მაინც შევეხო, ყოველ შემთხვევაში, ავღძრა ეს საკითხი, რათა ვინმემ ძლიერმა კალმოსანმა და ხალხის მოამაგემ გააშუქოს ეს საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

მე ვამბობ, რომ თუ ოდესმე იყო მომენტი ჩვენი ერის, და არამც თუ ქართველი ერის, არამედ ამიერ-კავკასიის ერების ცხოვრებაში, რომ რუსის ჯარი იყო საჭირო და ის შეადგენდა ერთ-ერთ სანუგეშო ძალას, რომლის ძლიერებით უზრუნველ ყოფილი იქნებოდა ამ ერების მშვიდობიანი ცხოვრება, ეს ყველაზე უფრო უსაჭიროესი და აუცილებელი მომენტი არის დღეს. დიახ, დღეს, იმიტომ, რომ ისეთი გაღრმავებული შუღლიანობა, კავკასიის ერებ შორის, რასაც ზედმიწევნით ხელი შეუწყო დაშნაკცაკან-მუსავატელების კაცი-ჭამია პოლიტიკამ და ჩვენ, მენშევიკების მიერ ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლის, გადატანამ რევოლიუციონურ რუსეთის წინააღმდეგ არასოდეს არ ყოფილა. იყო დრო, (ეს დრო არც ისე დიდია, რომ დავიწყებას მივცეთ). როცა ქართველი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მენშევიკების მეთაურობით, აჭრობ-ანელებდა სომხებსა და თათრებს შუა ატეხილ ნაციონალურ ნიადაგზე სწორეთ იმ სამარცხვინო ბრძოლას, რომელსაც მაშინდელი მთავრობა აშკარათ თუ ფარულად ხელს უწყობდა. დღეს კი ასეთი მდგომარეობა, (უნდა გულწრფელათ ითქვას) არ არის. დღეს თუ მშვიდობიანობა არის და არ არის სისხლის ღვრა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის, ამას ხელისუფლებას უნდა უმადლოდეთ წითელ ჯართან ერთათ. დიახ, ეს არ არის დასამალი და ამ ხალხებ შორის წონასწორობას წითელი ჯარი უწყობს ხელს. ვინც ასე არ მსჯელობს, ის ან სრულიად გამობეყეყეთებულია, ჭკუა-გონებას სრულიად მოკლებული, ან და ის მოსურნე არის, რომ გაძლიერდეს ხალხთაშორის შურის ნიადაგზე წარმოებული ხოცვა-ჟლეტა.

სხვანაირი ახსნა ასეთი ფაქტის არ არსებობს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ხელისუფლება, რომელიც დაჩაგრულ ერების და მუშათა კლასის იმპერიალისტების კლანჭებიდან განთავისუფლებას ისახავს მიზნათ, სასტიკ პროვოკაციას ჩაიდენდა თუ აქედან ეხლა წითელი ჯარის გაყვანას განიზრახავდა. ამიერ-კავკასიის ხალხები გამოუკლებლივ ერთმანეთს დაერყოდენ და ისტორიაში არ გაგონილი ჯოჯოხეთი შეიქნებოდა. ადგილობრივი ჯარი, რომ ამიერ-კავკასიის ხალხთა-შორის მშვიდობიანობის და წონა-სწორობის დამცველად გამოდგეს, ჯერ კიდევ დიდ ხანს ვერ მოეწყობა; ხალხთა შორის შუღლი და მტრობა დავიწყებას უნდა მიეცეს, ამისათვის კი ათეული წლები იქნება საჭირო. ამიერ-კავკასიას და მით უმეტეს საქართველოს პირველ რიგში მოელის იმპერიალისტურ ჯარების თავდასხმა რაც დამღუპველი იქნება ერისა და რევოლიუციისათვის.

ეს უნდა ესმოდეს ხალხის და რევოლიუციის მოამაგეს, ეს უნდა შეიგნოს ყველა: მუშამ, გლეხკაცობამ და მშრომელმა ინტელიგენციამ და თუ ეს ასეა აქედან ის გამომდინარეობს, რომ საკავშირო რესპუბლიკის წითელი ჯარები აქ, რაც შეიძლება გაძლიერებული უნდა იქნეს და არა გაყვანილი აქედან. სწორეთ ასეთი პასუხი იყო გაცემული ჯარის შესახებ შეკითხვაზე და ეს ჩემის აზრით ასე უნდა ესმოდეს ყველა ჭკუათა-მყოფელ მოქალაქეს.

**ლ. კუპრაშვილი.**

---

28 აპრილს ქუთაისის საქსოვ ფაბრიკაში შესდგა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საზოგადო კრება.

თავმჯდომარეობდა დ. ლეჟავა, მდივნობდა ე. სალაყაია. მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. გ. მეფარიშვილმა და ა. თავხელიძემ, რომლებმაც ვრცლათ დაახასიათეს მენშევიკური პარტიის ტაქტიკა რევოლიუციის შემდეგ და აღნიშნეს ის მწვავე შედეგები, რაც ამ ტაქტიკამ მიაყენა ქართველ ხალხს.

მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება იზიარებს ნაძალადევის მუშების მიერ 7—8 ოქტომბრის მიღებულ რეზოლიუციას და მოუწოდებს ამხანაგებს ხელისუფლებასთან შეთანხმებულ მუშაობისაკენ ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

დასასრულ მუშათა კომისიის რწმუნებულათ კრებამ აირჩია დ. ლეჟავა და მის კანდიდატათ თ. კუჭავა.

---

ანალოგიური კრება გაიმართა 23 აპრილს, რომელსაც დაესწრენ: ქუთაისის თამბაქოს ქარხნის, მბეჭდავთა კავშირის, ფოსტა-ტელეგრაფის, ელექტრონული სადგურის და კირის ქარხნის მუშა-მოსამსახურე ყოფილ. მენშევიკ. და უპარტიოები. სათანადო რეზოლიუციის მიღების შემდეგ არჩეული იქნა მუშათა კომისიის რწმუნებული კ. გიორგაძე (თამბ. ქარხნიდან). ოკურცხალი (ფოსტა ტელეგრაფიდან) ლ. ნინიძე. (ბეჭდ. კავშირ.) ქ. მურღულია. (ელ. სადგურიდ.) დ. ზაუტაშვილი. (კირ. ქარხნ.) და სხვ.

---

14 მაისს შესდგა ქუთაისის პედაგოგიური ტეხნიკუმის მსმენელთა გაერთიანებული კრება, აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანების შესახებ გააკეთა მოხსენება მუშათა ქვე-კომისიის თავმჯდომარემ ვ. მეფარიშვილმა.

მომხსენებელმა ვრცლათ შეეხო მენშევიკური პარტიის რევოლიუციონურ მუშაობას წარსულში, აღნიშნა მიზნები ს. დ. პ. ორ ბანაკათ გაყოფის და მათი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სიმწვავე, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. აგვისტოს გამოსვლებით ნათელი გახდა დამარცხება მენშევიკური პარტიის ტაქტიკისა, რამაც შეიწირა მრავალი ქართველი რევოლიუციონერი და ერი ლამის განადგურების კარამდე მიიყვანა. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ახალგაზრდა მარქსისტების რევოლიუციონურ საქმიანობაში ჩაბმას და მათ თავდადებითი ბრძოლას ახალ გზაზედ.

დასასრულ იგი მოუწოდებს ახალგაზრდობას დადგენ მთლიანათ 7—8 ოქტომ. ნაძალადევის მუშების მიერ გამოტანილი რეზოლიუციის ნიადაგზე და იმუშაონ ხელისუფლებასთან სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ილაპარაკეს ფ. ლორთქიფანიძემ და ი. ჩხეიძემ. გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელსაც პედაგოგიური ტეხნიკუმის მსმენელები სავსებით იზიარებენ 7—8 ოქტომბრის რეზოლიუციას და გამოსთქვამენ მტკიცე ნებისყოფას იმუშაონ მუშათა კომისიასთან საერთო მიზნების განსახორციელებლათ.

დასასრულ რწმუნებულათ არჩეული იქნენ შემდეგი ამხ. კ. სანიკიძე კ. გვიმბრაძე და ოლგა კვატაშიძე.

კრების მდივანი **ბუჩუაძე.**

## წითელი ხევი

მაისის 24-ს შედგა წითელი ხევის (ყოფ. სადემეტ-როს) თემის ყოფილ მენშევიკებისა და უპარტიოების საზოგადო კრება.

კრების თავმჯდომარეთ არჩეული იქნა: გიორგი დგებუაძე და მდივნათ მიხ. გძელიძე.

მოხსენებას აგვისტოს ამბების და ჩვენი მდგომარეობის შესახებ აკეთებს. ამხ. მეფარიშვილი და ლორთქიფანიძე. ისინი აღნიშნავდენ მენშევიკების პარტიის ტაკტიკის დამარცხებას და იმ აუარებელ მსხვერპლს, რომელიც ამ ტაკტიკამ გააღებია ქართველ ხალხს. იღებულმ რეზოლიუციაში კრება სავსებით იზიარებს ნაძალადევში გამოტანილ რეზოლიუციას და მუშათა კომისიის საქმიანობას.

რწმუნებულებათ არჩეული იქნა: ვ. დგებაძე ს. ლიბრაძე. და მ. ლიპრაძე.

კანდიდატ ა. დემეტრაძე, გ. დგებუაძე და რ. გაბელაძე.

## ბაღდათი

24 მაისს შესდგა ბაღდათის რაიონის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ა. თავხელიძე, მდივნათ ამხ. ი. შალამბერიძე. მოხსენება გააკეთა გ. მეფარიშვილმა.

ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. კ. ლორთქიფანიძემ და კომპარტიის წევრებმა ამხ. ამხ. გ. ჯანელიძემ და ვ. ჩიხლაძემ, რომლებიც სიხარულით ეგებებიან ორი მოძმე პარტიების დაგროვებას და შერიგებას, დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ მეფარიშვილის და ვ. ლორთქიფანიძისა, მთლიანათ ვიზიარებთ მათ აზრს და ნაძალადევში 7 - 8 ოქტომბ. გამოტანილ რეზოლიუციას— ვთხოვთ მთავრობას, რომ განთავისუფლებული იქნეს ბაღდათის რაიონის პოლიტიკური პატიმრები, რომელიც დატუსაღებულნი არიან პოლიტიკურ ნიადაგზედ. რწმუნებულებათ არჩეული იქნენ:

ა. ჩიკვანიძე, მ თოდაძე, ა. თავბელიძე, ი. გოგოძე, გ. კახაძე. კანდიდატებათ: თ. კვირიკაძე, ბ. ძნელაძე და ფ. მოსიძე.

კრების მდივანი შალამბერიძე.

## შორაპანი

ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი მთელი შორაპნის მაზრა სიმინდის სიძვირის გამო. აქ ყოველთვის საგრძნობელი იყო სიმინდის ნაკლებობა და ამ გახავხულზე პირდაპირ აუტანელი შეიქნა მდგომარეობა. შორაპნელი გლეხი უწინაც პურის ნაკლებობას გარედან შემოტანილი სიმინდით ივსებდა, მაგრამ სიმინდის ასეთი სიძვირე არას დროს არ ყოფილა. სიმინდი ხორბლად ფასობს 2 მან. 30 კაპ., ფქვილი 3 მან გარდა ამისა აქნობამდის კოოპერატივებს შემოჰქონდათ სიმინდი და იაფ ფასებში აწვდიდენ მოსახლეობას, ეხლა კი თითქოს მათ სძინავთ.

სიმინდის სიძვირე გამოწვეულია, ჩემის აზრით, იმ გარემოებით, რომ ცეკავშირმა დაამზადა საზღვარ-გარეთ გასატანად რამდენიმე ასი ათასი ფუთი სიმინდი, მეორეს მხრივ, გაზაფხულის გვალვებმა შეაფერხა სიმინდის გამოტანა ბაზარზე. გურია-სამეგრელოში, სადაც ყოველთვის არის სიმინდის თავისუფალი მარაგი, ფუთი სიმინდი ღირს 1 მან. 40 კაპ.—1 მან. 50 კაპ.

შორაპნელ გლეხს თვითონ უხდება გურია-სამეგრელოში მოგზაურობა სიმინდის შესაძენად, მაშასადამე, სანამ სახლში შეიტანს ის ხარჯებს ეწევა და ფუთი სიმინდი ჯდება 2 მან. 20 კაპიკიდან 2 მან. და 50 კაპიკამდის.

შორაპნის გლეხობა ძალიან შეაწუხა გაზაფხულის გვალვებმა. გვალვების გამო გლეხმა ვერ მოასწრო დროზე თესვა და რაც დათესილი იყო, არ ამოვიდა. ეხლახანს მოვიდა წვიმები და თესვა დამთავრებულია და პურის მოსავალს ჯერ-ჯერობით საიმედო პირი არ უჩანს. რაც შეეხება ვენახების მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ იგი დამაკმაყოფილებელია თუ შემდეგ რაიმე უბედურება არ შეემთხვა.

ი. შათირიშვილი.

# კორესპონდენცია

## გამოცოცხლებული თემი

რევოლიუციონერ გურიის მრავალ თვალსაჩინო თემებს შორის არ შეიძლება, თავისი მდიდარი წარსულითა და აწმყოთი არ მოვიხსენიოთ ლიხაურის თემიც, რომელსაც თავისი არსებობის განმავლობაში, როგორც სამუსულმანო საქართველოსთან მოსაზღვრეს, მრავალი ჭირი და ლხინი გადუტანია.

ეს თემი მოკლებულია დარბაზებს, ჩუქურთმიან შენობებს, კულტურულად გაშენებულ სკვერებს და ბაღებს, სამაგიეროდ ბუნებას დაუზოგველად დაუბერტყია მასზე თვის მადლიანი კალთა.

ბუნებრივ სილამაზესთან ერთად, ხსენებული თემი არ არის მოკლებული კულტურულ დაწესებულებებს: ცენტრში ჩამწკრივებულია შვიდწლედი, ქალთა პროფსკოლა, ქოხ-სამკითხველო, საექიმო პუნქტი, კოოპერატივი, ფოსტა-ტელეგრაფი, ალმასკომი და აფთიაქი. ამ დაწესებულებათა საშუაგულოზე აღმართულია თემის მესაიდუმლე, ვეებერთელა, ქოლგისებრ რტოებ გადაშლილი ასწლოვანი მუხა, რომლის ქვეშ გამართულ საზოგადო ყრილობაზე არა ერთხელ და ორხელ ამწვარა რევოლიუციონერ ლიხაურელის ზურგი (მონარქიული რეჟიმის მონაქნევი) ყაზახების მათრახის თასმით. აქვე კოთესისებურად აზიდულ მთის კენწეროზე, გუშაგივით სდგას ისტორიული ციხე, რომელიც ამპარტავნულად გადაჰყურებს. გურიის ძველ სამრეწველო პუნქტებს როგორც იყო (ნაწილობრივ ეხლაც არის) ქობულეთი, შეკვეთილი და ფოთი. აქედანვე მოსჩანს პალიასტომის ტბა, ისპაანი და შავი ზღვის დიდებული სარკე.

ბუმბერაზი ციხე თემის მწვერვალია, საიდანაც თვალწინ მთელი წალკოტი იშლება და ამ წალკოტში გაშენე-

ბულია სოფელი თავისი ფხიზელი და ზრდილი მცხოვრებლებით.

1923 წლამდე, ხსენებულ თემში კულტურული მუშაობა მოდუნებული იყო. ამჟამად კი თემის კულტურულ მუშაობას, მესაჭეობას ეწევა რამდენიმე „მორჯულებული" ადგილობრივი ინტელიგენტები და შვიდწლედის მასწავლებლობა.

მცხოვრებნი, ამა თემისა, სამართლიანად გულნატკენობენ იმ ინტელიგენტებზე, რომელთა საკმაო რიცხვი წარმოშვა ჩვენმა თემმა თავისი საშოდან. მაგრამ, ინტელიგენტების უწრავლიობა კმაყოფილდება ქალაქების ქვაფენილების ტკეპნით, ვინაიდან ისინი სოფელში-მოწყენილობას გრძნობენ" და განგებ, ვითომც არ გაუგონიათ, „სოფლისაკენ პირის ბრუნების" მთელი სერიები შინაარსიანი მოხსენებებისა.

ლიხაურელები, როგორც ყველა გურულები, მეტის მეტად ფხიზელი და დაინტერესებულია კულტურული საქმიანობით, მაგრამ სავალალოდ დღემდი ვერ იყო გამოყენებული მთელი ინტელიგენციის ცოდნა და უნარი. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მრავლად მოიპოვებოდა ღირსეული და ავტორიტეტული, ინიციატივის მქონე, რომელთაც სურდათ და შეეძლოთ მუშაობა, მაინც პასიობაში რჩებოდენ. ზოგიერთ, „მაუზერისტების" მეოხებით.

1923 წლ დან გამოცოცხლება დაეტყო კულტურულ მუშაობას თემში; 1925 წლის სათემო საბჭოს შემადგენლობა, ჭეშმარიტი საწინდარია მომავალი ნაყოფიერი აღმშენებლობისა თემში.

ლიხაურის თემის საბჭოში შედიან ყველა მოწინავე ამხანაგები, რომელთა გასაქანი დღეს დღეობით თავისუფალია,— მას არავინ ზღუდავს პირ-იქით ხელს უწყობს მთავრობა.

და აი, ასეთი უფლებები მოხმარებულია საბჭოს მიერ: უახლოესი სააღმშენებლო ამოცანების გადასაჭრელად უკვე გადადგმულია არა პრაქტიკული ნაბიჯები, როგორიც არის მდინარე ბჟუჟ-აჭის წყალზე რკინის ხიდის აგება, სარწყავი არხის გადმოყვანა აჭის წყალიდან სოფ. ჭანიეთის მიმართებით, ელსადგურის აგება, ამ უკანასკნელის გეგმის შესადგენად სპეციალურად იქნა გამოწვეული ოზ. სამაზრო ხელისუფლების მიერ ინჟინრები ბათუმიდან, რომელთაც უკვე ადგილობრივ დათვალიერების შემდეგ დიდი მომავალი დაუსახეს ხსენებულ ელსადგურს არა თუ თემისთვის, არამედ თვით ქალაქ ოზურგეთისთვისაც.

სათემო საბჭოს მრავალი სხვა სააღმშენებლო მიზნები აქვს დასახული და უახლოეს ამოცანებად უდგას დღის წესრიგში, მაგრამ ამის შესახებ--მიღწევების შემდეგ...

**აპოლონ კონტრიძე.**

---

## სენაკის მაზრა

სენაკის მაზრაში მუშათა კომისიას ყავს რწმუნებულები ბარნაბა ძველაიას ხელმძღვანელობით. მუშაობა მაზრაში დამაკმაყოფილებლად სწარმოებს. მოცულილია ყველა სარაიონო ცენტრები. ეხლა მუშაობა გადატანილია თემებში. სამაზრო რწმუნებულთა კომისიაში შედის ახ. მარქსისტთა წარმომადგენელიც. ახალგაზრდა მარქსისტთა ხაზით სწარმოებს მუშაობა, როგორც ხსენებულ ორგანიზაციის წევრებში, ისე უპარტიო ახალგაზრდობაში.

სხვა და სხვა ადგილებიდან შთაბეჭდილება ასეთია: თითქმის ყველა გრძნობს იმას, რომ აგვისტოს გამოსვლები შეცდომა იყო და თავის შედეგებით საშინელი ქართველ ერისთვის, მაგრამ ხელისუფლებასთან დაახლოებას ხელს უშლის ბევრი პრაქტიკული ხასიათის დაბრკოლებები. ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა ორგანოებში აქა-იქ კიდევ არიან შეხიზნულნი ისეთი ელემენტები, რომელთაც სოციალისტური და კომუნისტური არაფერი გააჩნიათ, გარდა მანდატისა (სამწუხაროდ). ისინი თავიანთი უხეში „ჩინოვნიკური" მოპყრობით ხელს უწყობენ ხელისუფლებასა და მასას შორის უფსკრულის გაღრმავებას. ხშირი იყო შეკითხვა, როდის მოელება ბოლო უდიერ მოპყრობას? მარნის თემში მოხუცი გლეხი ჯანჯალია გულისტკივილით აცხადებს, რომ არაფერი არ აქვს საწინააღმდეგო მახარაძესთან, თუ ცხაკაიასთან, მუშაობის. ის მხოლოდ უკმაყოფილოა მისი მეზობლების საქციელით. მაგალითისთვის ასახელებს შემდეგ ფაქტს: ერთხელ ძალზე მოშიებული შესულა გლეხკომის დუქანში, ქონია მხოლოდ შაური და მისთვის შაურის პური იქ არ მოუჭრიათ, ლვინოც უნდა გაგვისალოვო უთქვამთ. ან და კიდევ ს. ხორშის მცხოვრები გლეხი ალექსი აფშილავა აცხადებს, რომ მას ჰქონია სულ 5 ქცევა მიწა, ყოლია სარჩენი 4 სული, გასული წლის ზაფხულიდან მისთვის ჩამოურთმევიათ 1 ნახ. ქცევა მიწა და ისიც სამოსახლო, მას იმ დღიდან ალუძრავს საჩივარი მაზრაში, მაგრამ დღემდე საჩივარი დაუკმაყოფილებელი დარჩენილა. ამას წინეთ ამ საქმის გასაგებად მე თითონ შევიარე მაზრის მიწ.-მოქმ. განყოფ. გამგე ჭანტურიასთან, რომელმაც ნაპოლეონის პოზა მიიღო და ალპის მთის სიმაღლიდან გადმოხედვით გამომიცხადა, რომ არ ღებულობს ვექილებს, ვინაიდან იმ გლეხს არ ესაჭიროება ასეთი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხშირია უკმაყოფილება მაზრაში მიწათ-მოქმედების განყოფილების დარგში. საჭიროა ამას სათანადო ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

საჭიროა ასეთი პრაქტიკული ხასიათის დეფექტების დროზე გამოსწორება.

უნდა აილაგმოს ყველა ის აგენტები ხელისუფლებისა, რომლებიც ამახინჯებენ რა ძირითად კანონებს, ზრდიან უკმაყოფილებას და ამით აშორებენ მასას და ხელისუფლებას.

კრებებს ესწრებოდენ როგორც ყოფ. ს. დემოკრატები, ისე უპარტიო მუშებიც.

შემოდიოდა მრავალი შეკითხვები. გამოდიოდენ აგრეთვე სიტყვებითაც, რომელშიაც გულწრფელად აღნიშნავდენ ხელისუფლების აგენტების სხვა და სხვა პრაქტიკული ხასიათის დეფექტებს და გამოსთქვამდენ სურვილს და იმედს მათი გამოსწორებისა, გამოჰქონდათ რეზოლუციები, სადაც სავსებით იზიარებდენ მუშათა კომისიის პლათფორმას.

კრებებს ესწრებოდენ სამპარტკომის პასუხისმგებელი ამხანაგები. კრება მათ გამოსვლებს ტაშისცემით აჯილდოვებდა, აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა და სხვა ადგილებში კრება ითხოვდა განთავისუფლებას ყველა იმ ამხანაგების, რომლებიც იზიარებენ მუშათა კომისიის ხაზს და მაგალითისათვის ასახელებდენ შალვა იოსელიანს და თეოფილე შენგელიას აბაშის და სენაკის რაიონებში და ვანო ესფანჯიას ბანძა, მარტვილი და სალხინოს რაიონებში.

ჩვენ მათ შესახებ გვქონდა შუამდგომლობა მაზრის ხელისუფლებასთან და მუშათა კომისიასთან. ჯერ-ჯერობით შედეგი არა სჩანს, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ვინც გულწრფელად გაიზიარებს მუშათა კომისიის პლათფორმას, მათ ხელისუფლება სათანადოთ მოეპყრობა.

**ვარ. კოიავა**

---

## ქ. ზესტაფონი

ქალაქ ზესტაფონის, იარმუკაზე, არის გახსნილი წითელი სასადილო, მას ხელმძღვანელობს ერთი ძველი ჩარჩი მელვინე, რომელიც მხოლოდ დაინტერესებულია ბლომად მოიგოს ფული და მეტი არაფერი. ამ სასადილოში არავითარი წესი არ არსებობს. საჭმელი არ ვარგა სრულიად, ღვინოს ყიდულობს ხშირად იქვე, ბაზარში, დოქებით, ან ჩაფით და ერთმანეთში ურევს.

სისუფთავეზე ზედმეტია ლაპარაკი! მუხლამდის ნაგავია მთელი დღის განმავლობაში, თეფშები და ჭიქები ჭუჭყიანი. იქ მუშა ვერ მიიღებს ზრდილობიან მოპყრობას, მას ყურადღებასაც არავინ მიაქცევს. იქ მხოლოდ ლოთების თავშესაფარია. ეს სასადილო საჭირო კი არის, რადგან შუა გულ ბაზარშია მოთავსებული, სადაც პარასკევს და კვირას აუარებელი ხალხი იყრის თავს, ადგილობრივ თუ სოფლიდან მოსულნი. საჭიროა ამ დუქნიდან გაიწმინდონ ის ვაჭბატონები, რომელნიც დღეს შეურაცხყოფენ სასადილოს სახელს და მის მნიშვნელობას. საჭიროა უფრო ფხიზელი გამგე. ამას ალბათ მიაქცევენ ყურადღებას ვისიც ჯერ არს. დაყოვნება არ ვარგა.

მუნჯი.

# ქალაქის მილიციის საყურადღებოთ

6 ივნისს შემთხვევით მოვხდი ფუნიკულიორზე. ხალხი ძრიელ ბევრი იყო, ამინდიც კარგი იდგა. უნდა ითქვას, რომ ქალაქის ულარიბესი მცხოვრებელნი, რომელთაც არ შეუძლიათ საგარაკოთ წასვლა შორს, რომ პაპანაქება სიცხეს დააღწიოს თავი, სალამოობით მამადავითის მთაზე ამოსვლით შვებას იგრძნობს, და გაიჯანსაღებს თავის დასუსტებულ ფილტვებს. ამიტომ ეს ბაღლობი დიდი ბედნიერებაა თბილისის მცხოვრებთათვის. მხოლოდ აქ აუცილებლად საჭიროა მილიციის მეთვალყურეობა, რათა ავარა და ყოვლად ზნე-დაცემული ბიჭ-ბუჭები, არ აწუხებდენ მოსეირნე მაშვრალ ხალხს. მე ვარ მოწმე ასეთი შეუწყნარებელი შემთხვევისა: სკამზე ვისხედით ორი მამაკაცი და ათამდე ქალი. გვერდით ახლოს, სულ ერთი არშინის დაშორებით იყო შვიდამდე ავარა, რომლებიც ისეთი უწმაწური სიტყვებით იგინებოდნენ ქალების მიმართ, რომ ამ ყოვლად სასიზღარ სატყვების მოთავსება გაზეთის ფურცელზე შეუძლებელია. ქალები წამოიშალნენ და მოშორებით სკამზე დასხდნენ, მაგრამ ავარების ხეტიალით და ხმა-მაღლა გინებით იქაც არ იყო მათთვის მოსვენება. თანაც ერთი მათგანი კიდეც იმუქრებოდა: მოიცა, ცოტა შებინდდეს და მერე მიყურეთ, თუ რა იყო მე მაგათ. ბოლოს იმდენათ გათავხედნენ, რომ საცა გადაჯდნენ ქალები (პატიოსანი ოჯახის) იქ მივიდოდნენ და დაიწყეს გინება უშვერის სიტყვებით. ბოლოს იძულებული გახდნენ საწყალი ქალები და ზოგი მამაკაციც მიეტოვებინათ სეირნობა და ფუნიკულიორით დაშვებულიყვნენ ქალაქისაკენ. მე კარგა ხანი დავრჩი, მეგონა, აი აგერ გამოჩნდება წესიერების დამცველი, მაგრამ იმედ-გაცრუებული, მეც იძულებული გავხდი ცოტა ადრე მიმეტოვებია შესანიშნავი გრილი, ჰაეროვანი ადგილი და დავბრუნებულიყავი ქალაქში.

ასეთი მდგომარეობა აუცილებლივ უნდა მოისპოს და ეს ავარები არ უნდა დაუშვან იქ, საცა საზოგადოება იმყოფება და ეძლევა მოსვენებას. მით უმეტეს ამას არ შეიძლება ექნეს ადგილი მუშურ-გლეხურ საზოგადოებაში და ესეთი ნაძირალნი, როგორც მაშვრალთა შემავიწროებელნი, უნდა მოისპოს, არამც თუ აილაგმონ.

მილიცია, მიაქციე ამას ყურადღება!

წო.

# „ახალი გზის“ სარედაქციო კოლეგიას

გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი გულწრფელი განცხადება: მეხუთე წელია, რაც საბჭოთა ხელისუფლება განაგებს საქართველოს მიწა-წყალს და მის სვე-ბედს. ამ დროის განმავლობაში პირველად მიხდება ხმის ამოღება და ჩემის აზრის გამოთქმა. აქნობამდის ჩემთვის არ იყო გამორკვეული შინაარსი მისი აღმშენობლობითი მუშაობის, ვინაიდგან არ მქონდა საშვალებანი სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების და ავათმყოფობის გამო გამომეთქვა ჩემი აზრი. დღეს კი შევძელ საბჭოთა წყობილების გაცნობა, და არ შემიძლია ჩემი კმაყოფილება არ გამოვთქვა იმის შესახებ, რომ საბჭოთა აღმშენებლობა არის საერთაშორისო შრომის და ძმობის მეფობის წინამორბედი. მე, როგორც მუშათა „სახარების“ მარქს-ენგელსის „კომუნისტურ მანიფესტის“ თაყვანისმცემელი პროლეტარი, რომელსაც გარდა შრომის ბატონობისა, არაფერი სწამს; ამასთანავე არ შემიძლია არ მივესალმო: „ახალ გზას“, რომელსაც აუღია სწორი ხაზი და ამოდგომია კომუნისტურ პარტიას გვერდში, რათა საბჭოთა აღმშენებლობა წინ წაიყვანოს. მოუწოდებ ყველა ამხანაგებს, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიოციონური მოწაპოეარი, დარწმუნდეს, რომ საბჭოთა წყობილება ერთად ერთი ძალაა, რომელიც აკავშირებს ყველა დაჩაგრულს მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ჰქმნის საერთაშორისო შრომის კავშირს, ანხორციელებს ეროვნებათა თანასწორობას.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ და კომუნისტურ პროლეტარიატს!

გაუმარჯოს ქალაქის და სოფლის მშრომელთა ძმობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის აღმშენებლობას!

**დათიკო ი. ლორთქიფანიძე.**

რ. ს. დ. მ. პ. წევრი 1898 წლიდან.

# შეცდომის გასწორება

ჩვენი ჟურნალის 24 ნომრის მე 3-ე გვერდზე ვ. ვაშაკიძის წერილში, ქვევიდან მე 13-ე სტრიქონში შეგვეპარა შეცდომა, რომელიც ამახინჯებს აზრს.

სწერია: „მაგრამ ეს უნდა იქნეს მიჩნეული“... უნდა იყოს: „მაგრამ ეს არ უნდა იყოს მიჩნეული“...

გარდა ამისა, წერილი ეკუთვნის ვ. ვაშაკიძეს და არა კ. ვაშაკიძეს, როგორც ჟურნალშია აღნიშნული.

**სარედ. კოლეგია.**

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

მთავლიტი № 923 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3. ტირაჟი — 2500.

წელიწადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 21 ივნისი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11–68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8–2 საათამდე

№ 26

## ისევ რევოლიუციონური კანონიერების შესახებ

ყოველი საზოგადოებრივი ურთიერთობა დამყარებულია რაიმე წესზე. სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, როგორც უმაღლესი ფორმა საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ემყარება მტკიცე კანონს. საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია კანონიერების გარეშე... მარტივი ენით რომ ვსთქვათ, კანონი ის წესია, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებაში, სახელმწიფოში ადამიანთა შორის ყოველგვარ ურთიერთობას. საზოგადოების წევრის თუ სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოქმედება, ერთი სიტყვით, მისი ყოფა-ქცევა გათვალისწინებული და განსაზღვრულია კანონით. კანონი ამყარებს საზოგადოებაში წონასწორობას, მხოლოდ ეს წონასწორობა ფორმალურია, როგორც თვით კანონი ფორმალური გამოხატულებაა სოციალურ ურთიერთობათა ფაქტის. შეიძლება, კანონი რომელიმე პიროვნების, ან საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს კიდეც, მაგრამ კანონი მაინც დაცული, შესრულებული უნდა იყოს, სანამ ის ძალაშია, სანამ ის არ გაუუქმებიათ. თუ გვსურს საზოგადოებაში დაცულ იქნეს წონასწორობა, საზოგადოების მშვიდობიანი ცხოვრება დაურღვეველი დარჩეს, კანონი ურყევი უნდა იყოს, როგორც მკვიდრი შენობის საძირკველი.

არ არსებობს და არ გაგონილა ქვეყანაზე ისეთი იდეალური საზოგადოებრივი ფორმა, სადაც სრული „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება" სუფევდეს. უწესობას, უკანონობას, ხშირად აქვს ადგილი საზოგადოებაში, მით უმეტეს ახალ საზოგადოებაში, სადაც წევრთა ურთიერთობა ახალ ფორმებში ყალიბდება. და ასეთი უწესოება, ასეთი უკანონობა შედეგია ან კანონის უვარგისობის, ან მისი აუსრულებლობის, ან არა და საზოგადოების წევრთა პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უწვრთნელობის. კანონი უვარგისია მაშინ, როდესაც ის სწორედ ვერ გამოხატავს სოციალურ ურთიერთობის ფაქტს. აღმასრულებელი არღვევს საზოგადოებრივ წესს, როდესაც ის შეგნებულად ან შეუგნებლად მტკიცედ არ ასრულებს კანონს, ანასრულების დროს გადაამეტებს კანონით მინიჭებულ უფლებას. საზოგადოების წევრიც ზოგჯერ განზრახ, ზოგჯერ შეუგნებლობით, ანხორციელებს რა თავის საკუთარ ინტერესებს, სცდება კანონით მინიჭებულ ფარგლებს და ამ სახით ვნებს სხვის ინტერესებს, ზიანს აყენებს საზოგადოებას, არღვევს საზოგადოებრივ სოლიდარობას და მის ფორმალურ გამოხატულებას—კანონს.

როდესაც კანონიერების განმტკიცება დავსვით დღის წესრიგში, უმთავრესად აღმასრულებელ ორგანოთა მოწყობა-განახლებას უნდა მივაქციოთ მთელი ყურადღება. ამ სფეროში, აშკარაა, ყველაფერი რიგზე არ არის. ბევრ აღმასრულებელ პირს თავი უპასუხისმგებლო ფარაონად აქვს წარმოდგენილი და ეს შედეგია მისი პოლიტიკური და იურიდიული უვიცობის და, შეიძლება, მისი უკონტროლობის. რასაკვირველია, შეგნებულ ბოროტმოქმედებასაც აქვს ხშირად ადგილი, მაგრამ სადაც ცენტრალურ მთავრობას ხელი მიუწვდება, სასტიკად ებრძვის ასეთ ბოროტმოქმედებებს.

კანონი ერთნაირად სავალდებულო უნდა გახდეს ყველასათვის, როგორც მოქალაქეების, ისე მთავრობის წარმომადგენლებისთვის და ეს ჭეშმარიტება ყველას უნდა შევაგნებინოთ. საბჭოთა სახელმწიფოში არ უნდა იყვნენ ბატონები და მონები, მბრძანებლები და აღმასრულებელნი. ვერ შევქმნით საზოგადოებრივ მშვიდობიანობას და მყუდროებას სახელმწიფოში, თუ მთავრობა ფაქტიურად სარგებლობს მხოლოდ მინიჭებული უფლებებით, ვალდებულებებს კი არ ასრულებს, ან თუ ასრულებს, გადამეტებით.

ამისთვის საჭიროა შესაფერი პოლიტიკური ნიადაგი. უნდა შეიქნეს მასისთვის ფართო თვითმოქმედების პირობები. მასა უნდა განთავისუფლდეს პსიქოლოგიურ ტერორიდან. მას უნდა მიეცეს კანონიერ მოქმედების თავისუფლება.

ზოგმა შეიძლება სთქვას, რა საჭიროა მტკიცება, რომ ორჯელ ორი ოთხია. საქმეც იმაშია, რომ ყველა პროვინციელ მოხელეს ეს მარტივი ჭეშმარიტებები ჯერ

კიდევ ვერ შეუკნია. ის ეხლაც, როდესაც აღმშენებლობითი მუშაობა გაჩაღდა, სარგებლობს და ხელმძღვანელობს იმ ადმინისტრატიული მეთოდებით და ზომებით, რომლებიც შეეფერებოდენ ნგრევითი პროცესის დროს.

გარდა ამისა, ყველანი კარგად ვხედავთ, რომ საბჭოთა ორგანოებში ჯერ კიდევ არიან „მგელ-კაცები“ — ეს პოლიტიკური სპეკულიანტები, რომელთაც სახელმწიფო სამსახური გაუხდიათ თავის მტაცებლობის საშუალებად. ესენი ჭკვიანი ხალხია. მათ იციან ყოველგვარ პირობებთან შეგუება, თვალთმაქცობა. ისინი სადაც უნდა მრისხანობენ, სადაც არა მოკრძალებით არიან. მათ ეხერხებათ პირობებთან შეფარდებით შეტევა და დროზე უკან დახევაც. ხალხი იცნობს მათ, იცის მათი ვერაგობა, მხოლოდ ხმა ვერ ამოუღია, თავზარდაცემულია. კონტრ-რევოლიუციონერი, მენშევიკი, შოვინისტი, ბანდიტი და სხვა საშინელ ბრალდებებს წაუყენებენ მხილებელს და, თუ თავი „ვირის აბანოში“ არ ამოაყოფინეს, პოლიტიკურად დასდალამენ, სამუდამოდ ხმას ჩააკმენდინებენ. ყველა ამაში ხალხი უმაღლეს მთავრობას სდებს ბრალს.

ასეთი გარემოების მოსასპობად საჭიროა ხალხის ფართო თვითმოქმედების პრინციპის აღიარება. სწორეთ ეს გამოიყვანს ხალხს უენო საქონლის მდგომარეობიდან.

მაშ რაა ეს, თუ არა პირუტყვის მდგომარეობა, როდესაც პასუხისმგებელი მოხელე მიდის სოფელში, ღამე ქმრებს ცოლებსა სტაცებს ლოგინიდან, თვითონ თავის მხლებლებით ატარებს დროს ქალებთან და, როდესაც სოფელი ასეთი შეურაცხყოფის წინააღმდეგ ხმას იღებს, იჭერენ სოფლის მოწინავე პირებს და გალანძღულ ქმრებს, როგორც ბანდიტებს და, თვითონ არხეინად განაგრძობენ ქალებთან ქეიფს*). აღელვებულმა სოფელმა არ იცის ვის მიმართოს, რა შედეგი მოჰყვება მის საჩივარს და უნუგეშოდ მოთმინებას ეძლევა, ჩუმდება. ლაპარაკი არ უნდა, ამ ამბავს რომ უმაღლეს მთავრობამდი მიეღწია თავის მოხელეს თვალებს არ დაუკოცნიდა, მაგრამ ხალხი ვერა ჰბედავს საჩივარს.

ასეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა სუფევს სოფლად.

სოფლის პირობებს საფუძვლიანად უნდა შესწავლა. მას პოლიტიკური დეზინფექცია სჭირია.

თუ არა სუფევს ხელშემწყო პირობები გულდამშვიდებულ მუშაობისთვის, ახალი წყობილება რყევაში იქნება. ამასთანავე, თუ არა ხარ დარწმუნებული, რომ ხვალინდელ დღეს შენი მყუდროება უზრუნველყოფილია და თავს არა დაგატყდება ვისიმე რისხვა, შრომის უნარი გეკარგება, სასოწარკვეთილებას ეძლევი, ცხოვრების მაჯის ცემა დუნდება.

კანონიერება, მაშასადამე, საიმედო გარანტიაა ნორმალურ ცხოვრების და ნაყოფიერ შრომის. სამწუხაროდ ეს დებულება ბევრს ადგილობრივ მუშაკს ჯერაც არა აქვს შეგნებული და ბევრი განგებ გაურბის მის შესრულებას.

სახელმწიფო აპარატს საფუძვლიანი შესწავლა უნდა, მას გაწმენდა, გასუფთავება სჭირია. მთავრობას უკვე აქვს მიღებული სათანადო ზომები ამ მიმართულებით. მხოლოდ მარტო ხელისუფლებას არ ძალუძს კანონიერების დამყარების საქმის გაძღოლა, მას ესაჭიროება ამ დიდ და რთულ პოლიტიკურ მუშაობაში ფართო მასების დახმარება, პრესის, თუ ყრილობების საშუალებით ადგილობრივი შეგნებული მოღვაწენი ვალდებულნი არიან შეისწავლონ ის პირობები, რაც ხელს უწყობს უკანონობას; მათ უნდა თავის თავზე იდონ უკანონოდ მომქმედ ადგილობრივ ადმინისტრატორების გამომჟღავნება და უმაღლეს მთავრობისადმი შეტყობინება. ერთი სიტყვით, უნდა ამუშავდენ ყველა საიმედო ძალები კანონიერების განმტკიცების სფეროში.

მივესალმებით რა მთავრობის განკარგულებას ადგილობრივ ძირითად აპარატის შესწავლა-გასუფთავებისთვის სპეციალურ კომისიის დანიშვნას, ვიმედოვნებთ, რომ იგი პროლეტარული სიმტკიცით განახორციელებს კანონიერებას — ამ საზოგადოებრივ მშვიდობიანობის ერთად ერთ გარანტიას.

შვილი-ძე.

*) ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სოფ. ახატანში (დუშეთის მაზრა) 1924 წ. თებერვალში.

# ჩინეთი გაკადნიერდა

ჩინეთში მოხდარი ამბები უეჭველად დიდი კადნიერებაა მონის ბატონის წინაშე. ის შედეგია იმპერიალისტურ სახელმწიფოების თავწასულ კოლონიალურ პოლიტიკის.

ევროპის იმპერიალისტებისათვის და იაპონია — ამერიკისათვის ჩინეთი წარმოადგენს უპატრონო ვეებერთელა ცხვრის ფარას, რომლის შეუბრალებლივ კრეჭა დიდად კულტურული საქმეა და თუ კრეჭის დროს ხორცსაც მოათლი — ეს მიზანშეწონილი იქნება, ვინაიდან საჭიროა ტაქტიკური მოსაზრებით მისი ფიზიკურ უძლურებაში ყოლა.

ჩინეთი ევროპისთვის განუწყვეტელ ეგზეკუციის და რბევის ობიექტი იყო. თუმცა სხვა დროს ევროპის იმპერიალისტები ზუდმივ ერთურთის შეტოქეობაში და ინტრიგებში იყვნენ, მაგრამ ამ საქმეში ყოველთვის შეთანხმებით მოქმედებდნენ.

სახუმარო საქმე ხომ არ არის 300 მილიონიანი თავ-აწყვეტილი „ყვითელი ბრბო“!..

ევროპის პოლიტიკოსები, რომ გაამართლონ ჩინეთის ეგზეკუცია, „ყვითელი საფრთხის“ თეორიასაც კი ჰქმნიან. თუმცა, „ყვითელი საფრთხის“ წყაროს სათავე იაპონიის კუნძულებზედაც მოსჩანდა, მაგრამ ევროპიელებმა ჩინეთის საკითხში იაპონიის „გაევროპიელება“ მოახერხეს და უკანასკნელი განათლებულ სახელმწიფოთა კონცერტში ჩააბეს.

მთელი ევროპა იაპონია — ამერიკითურთ დასავლეთის ცივილიზაციას შანხაის კარებთან შეიარაღებული სდარაჯობდა, ჩინეთის მდგომარეობას ჰზვერავდა და ამ დროს მათი კაპიტალი უშველებელ გველეშაპივით ჩინეთის მშვიდობიან ხალხს გულზე ეწვა, სისხლსა სწოვდა და თუ ჩინეთი ტკივილებით შეინძრეოდა, სწრაფად „ჭკუას ასწავლიდენ“, „წესიერებას“ აღადგენდენ.

ბოქსერების აჯანყების სურათები კარგად ახსოვს სისხლ-მორეულ ევროპას.

ევროპამ ადვილად მოახერხა ამ ამბოხების ჩაქრობა და ნადავლ-ნაცარცვიც კარგად შეირგო.

ამბოხება საბაბი გახდა ჩინეთი კოლონიად გადაექციათ, ეგზეკუცია გაეძლიერებინათ, ხალხისთვის მეტი სისხლი გამოეწოვათ, ის ფიზიკურად უფრო დაესუსტებინათ.

ეს ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ევროპის ბურჟუაზიის ძლიერება და გახვითარება აღმავალი ხაზით მიდიოდა, როდესაც ევროპის პროლეტარიატის ბრძოლის ტაქტიკა ჯერ კიდევ სავსებით გარკვეული არ იყო და ის ჯერ კიდევ თავის ბურჟუაზიას ფეხში მისდევდა.

მეოცე საუკუნის პირველმა მეოთხედმა სხვა პირობები შექმნა.

ბურჟუაზიის განვითარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და მისი ისტორია თავქვე დაექანა, პროლეტარიატის მოძრაობის ტალღები კი ამავე დროს აზვირთებულნი სულ მაღლა-მაღლა იწევენ.

თუ ევროპის იმპერიალისტებს ჰგონიათ ეხლაც ისევე ადვილად გაუმკლავდებიან ამოძრავებულ ჩინეთს, როგორც წარსულ საუკუნეში, ეტყობა მათ გონება დაჰკარგვიათ და ვერ შეუგნიათ, რომ პროლეტარიატის ბრძოლის ზრდა ჰგულისხმობს დაჩაგრულ და დამონებულ ერების ნაციონალურ იდეის ზრდასაც.

მართალია, ჩინეთის პროლეტარიატი ჯერ უძლურია პოლიტიკური შეგნებით და ორგანიზაციით, სამაგიეროდ ჩინეთის ხალხის უმრავლესობა ევროპის პროლეტარიატის მდგომარეობის უარესობას განიცდის ევროპის კაპიტალის მძიმე უღელ ქვეშ—ის იჩაგრება, როგორც ერი.

და აი ერთი შტოთაგანი ეროვნულ დამოუკიდებლობის იდეის შეგნებისა არის შანხაიში მომხდარი აფეთქება და მისი მძლავრი გამოძახილი მთელს ჩინეთში.

თუ გუშინ შანხაი პეკინისაგან დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, თუ ჩინეთში ერთი პროვინცია მეორეზე იერიშით მიდიოდა, თუ რამდენიმე გენერალი ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრებდენ ხალხს და ამით ჰქმნიდენ ქვეყანაში დაუსრულებელ ანარქიას, ქაოსს, რითაც ვერაგი ევროპა მოხერხებულად სარგებლობდა,—დღეს სხვა მეხი გატყვრა, დღეს მთელი ჩინეთი შეერთდა ეროვნული დროშის ქვეშ, უცხოელების ბატონობის წინააღმდეგ მას ერთი ლოზუნგი აქვს - სამშობლოს განთავისუფლება უცხო ქვეყნის იმპერიალისტებისაგან.

„თანამემამულენო! აჯანყდით და შესწირეთ თქვენი სიცოცხლე ჩინეთის განთავისუფლებას"!

აი ჩინეთის ხალხის პროგრამა, რომელიც დასწერა მასწავლებელმა შენგ-ჩან-ფუმ თავის სისხლით პლაკატზე და უკანასკნელი გადასცა საწინამძღვროდ ამდგარ ერს.

ჩინეთის მოძრაობა შანხაის მუშების ჩვეულებრივი გაფიცვით დაიწყო; მათ უცხოეთიდან მოსულ ხაზეინებს კუდმოკვეცილი მოთხოვნილება წარუდგინეს, მაგრამ ამ გაფიცვას მოჰყვა მთელი ერის გამოსვლა, ეკონომიური მოთხოვნილება ეროვნულ ბრძოლად გადაიქცა.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

ჩინეთის მუშას ორი მძიმე უღელი ადგია ყოვლის ამტან ქედზე: უცხო კაპიტალის და უცხოელების პოლიტიკურ-იურიდიული ბატონობის. როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში ჩინელი განიცდის ჩაგვრას უცხოელის მიერ. დაუპატიჟებელი ევროპიელი სტუმრები იქ თათარზე უარესობას სჩადის. აოხრებს რა ქვეყანას ეკონომიურად, ამცირებს ხალხს პოლიტიკურად, ეროვნულად, ფეხითა სთელავს ყველაფერს რაც ხალხურია.

რამდენად უსინიდისოა ევროპიელის თარეში ჩინეთში, იმდენად სასტიკი იქნება ბრძოლა მოთარეშეთა წინააღმდეგ, იმდენად მჭიდრო იქნება ერის კავშირი. ამის ნიშნები უკვე არის. ჩინეთი აღსდგა, როგორც ერთი კაცი: მუშა და ვაჭარი, პროფესორი და სტუდენტი, გენერალი და ჯარისკაცი, მთავრობა და ხალხი, შანხაი და პეკინი შეერთდენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მსოფლიო პროლეტარიატი მხარს უჭერს ჩინეთის ხალხს. ინგლისის მუშა, საბჭოთა კავშირის მუშა სოლიდარულად არის განწყობილი მეამბოხე ჩინეთის მიმართ.

ასეთი სოლიდარობა აუცილებელია. დაჩაგრულ ერის განთავისუფლება შინაურ ბურჟუაზიის დამარცხებაა, მისი დასუსტების მომასწავებელია. ბურჟუაზიის დასუსტება პროლეტარიატს უადვილებს ბრძოლას და გამარჯვებას.

ჩინეთის ამბებს სხვა ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. ჩინეთის ბრძოლა მსოფლიო იმპერიალისტების წინააღმდეგ იმედს აძლევს ყველა დაჩაგრულ ერებს, სასოებას უნერგავს ბედნიერ მომავლისას.

ჩვენ ქართველები ჩინეთთან ვართ. ჩვენ ყველა დაჩაგრულ ერებთან ერთად შეგვიძლიან საფუძვლიანად დავაფასოთ ჩინეთის ბრძოლა ყოველი ჯურის იმპერიალისტებთან. ჩვენ კარგად ვიცით, რა არის ეროვნული ჩაგვრა. ჩვენს თავზე განვიცადეთ 100 წლის მონობა ძლიერი იმპერიის. ისე მძიმე იყო ეს მონობა, რომ მის ნაშთებს ეხლაც მწვავეთ გრძნობს ყოველი შეგნებული ქართველი მშრომელი.

ამიტომ ღრმა გრძნობით და გულწრფელად შევძახოთ მებრძოლ ჩინეთს:

გაუმარჯოს ჩინეთის ერს. გაუმარჯოს მის თავისუფლებას და ეროვნულ დამოუკიდებლობას!!!

**შვილიძე.**

# ვინ უშლის ხელს გაეროვნებას?

ხელისუფლების მიერ რკინის გზის სამმართველოში გამოცემულ ბრძანებებში № 261, 516 ნათლად და მკაფიოდ არის გამოთქმული ყოველივე რაც შეეხება რკინის გზაზე გაეროვნების საქმეს, მხოლოდ ამ ბრძანების ცხოვრებაში გამტარებლებზედ არის დამოკიდებული მისი განხორციელება. იქნება იფიქროთ, რომ ამას ხელს უშლიან სხვა ეროვნების წარმომადგენელნი, ვისთვისაც გაეროვნება ხელსაყრელი არ არის—ძლიერ შეცდებით. თუ საკითხს გულწრფელად შევისწავლით და სამართლიანის თვალსაზრისით გავაშუქებთ, ჩვენ დავინახავთ, რომ საქმეს არა ნაკლები ხელის შემშლელი ჰყავს, ჩვენდა სამარცხვინოთ, ქართველებშიც, ვინემ სხვა ვინმე. ოლლიუსტრა-

ციისათვის მოვიყვან მაგალითს: ყოფილი მთავარი მემუხრუჯე ტარანოვი, დათხოვნილი სამსახირიდან წინა წლებში არა საკადრის საქმისმთვის. ზემო აღნიშნულ ბრძანების № 261 (19 მარტს 1924 წ.) გამოცხადების დროს ტარანოვი აღმოჩენილა სამსახურში დღიურ ანგარიშით. ბრძანების გამოცემის შემდეგ ტარანოვს რამდენიმეჯერ მიუმართავს თავის პირდაპირ უფროსებისათვის, რომ ის გადარიცხული ყოფილიყო მთავარ კონდუქტორათ მტკიცე შტატში მაგრამ, რადგანაც მას ადგილობრივი სახელმწიფო ენა არ სცოდნია, თანახმად ბრძანების № 516—16/V 1924 წ. მეცხრე მუხლისა, უფროსებს ყოველთვის უარი უთქვამთ მისთვის. ახლა ხსენებულ ტარანოვს 22/V 25 წ. მიუცია განცხადება რკ. გზ. მთავარსამმართველოს თავმჯდომარის ივანოვისათვის, რომელსაც წაუწერია მის განცხადებაზე: „დ. გთხოვთ გამოარკვიოთ და მოიქცეთ სამართლიანად 22/V ივანოვი“.

ეს განცხადება ივანოვის წარწერით მისულია სამმართველოში კონდუქტორების გამგეს მაღნარაძეს; უკანასკნელს მიუცია მოძრაობის უფროსისათვის ამნაირი ცნობა: „დნ/2 იძლევა შემდეგ დასკვნას: თანახმად სათანადო ბრძანებისა ქართული ენის არ ცოდნა არ აძლევს უფლებას დაიჭიროს ვინმემ ადგილი უფროსი მემუხრუჯისა, მან შეიძლება მიიღოს ადგილი მხოლოდ უმცროსი მემუხრუჯის. შემდეგ, თავისუფალი ადგილი არ არის, ამიტომ შეუძლებელია დაკმაყოფილებულ იქნას. 27/V-25 წ. დვ. მაღნარაძე“. ამაზე მოძრაობის უფროსის თანაშემწეს პაპიტაშვილს წაუწერია: „დვ. იყოლიეთ მხედველობაში, როდესაც განთავისუფლდება ადგილი მთავარ მემუხრუჯისა სატვირთო მატარებელზე“.

რას ნიშნავს ეს, თუ არ აბუჩად აგდებას მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტ-ბრძანებებისა და ხელის შეწყობას ყვილა იმათდამი, რომლებიც პროვოკაციას ეწევიან გაეროვნების ირგვლივ, ან ვინ უწყობს ამ არევდარევას ხელს? მხოლოდ ქართველი პაპიტაშვილი და სხვა ამისთანები. ეს ვაჟბატონები ვერ გრძნობენ, რომ აფერხებენ რევოლიუციონურ საქმეს და არღვევენ უმაღლეს მთავრობის გამოცემულ ბრძანება-განკარგულებებს.

მეორე უბნის მოძრაობის განყოფილებას დცხ.-ას მისულია სალიანდაგო მეექვსე განყოფილების უფროსისაგან შემდეგი მომართვა რუსულად დაწერილი „Дцх-2 Прошу дать назначение Мотодрезине 6 уч. на завтра 13/VI до Хатури и обратно с отправлением из тифлиса в 5 ч. утра.

нач. 6 участка (подпись)

თანახმად ბრძანებებისა № 261—516 ასეთი მიმართვა უნდა ყოფილიყო დაწერილი ქართულად და დცხსაც არ ჰქონდა უფლება მიეღო ის როგორც არა ქართული მონაწერი.

ვინ არის აქ დამნაშავე? რასაკვირველია, მომწერიც და მიმღებიც.

არის ჩვენ ხელთ კიდევ ასეთი საგულისხმო დოკუმენტი შემდეგი შინაარსის:

„ფრიად საჩქაროთ დნ/2.

სასომხეთში, გაეროვნების გატარების გამო, აუცილებელია გადმოყვანილ იქნენ „დოპ“-სადგურ ახტალის სანოვი, ტეხნიკური მემანგარე სადგურ სანაინის ფანცულაია და სადგურ ჯაჯურის „დსპ“ ამირანაშვილი.

გვაცნობეთ რომელ სადგურზე შეიძლება მათი გადმოყვანა. პასუხი ორი დღის განმავლობაში“. დ.-ს მაგიერ გოზალოვი.

დო-ს მაგიერ თუთბერიძე 2/VI 24 წ.

არა ქართველი გოზალოვი გულმოდგინეთ ხელს უწყობს გაეროვნებას, ზოგიერთა ქართველები კი შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს უშლიან მას.

ჩვენ ბევრი მაგალითები გვაქვს გაეროვნების ხელ შემშლელ ელემენტების შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ თავს ვიკავებთ და მათ გვარებს არ ვამჟღავნებთ. თუ ასეთი უკანონობა კვლავ გაგრძელდება, არამც თუ გამოვამჟღავნებთ მათ საგმირო საქმეებს, არამედ ვეცდებით პასუხის გებაშიც იქნენ მიცემულნი, როგორც, პროვოკაციის ხელის შემწყობნი.

კიდევ ერთი საყურადღებო მაგალითი.

ქუთაისიდან ტფილისში მიღებულია ასეთი დეპეშა: Тбилиси Плехановис 117 Ахали гзис редакцияши Хурцидовас. Дгес давбрунди Ванис раионидан тквени квела церилеби мивиге оцамди пулс минигебт гадмогвигзавнет комисиис сачироебиствис танха мигебамдис раионебши мушаоба шечерде-ба. Менаришвили.

რედაქცია. მართალია, „ახალი გზა“-ს რედაქციისთვის სასიამოვნო შინაარსის დეპეშაა, მაგრამ!!!

წო.

# მუშათა კომისია რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადასახლებულებთან

(გაგრძელება იხ. № 25.)

გარეგნულ შეხედულებით მოსკოვი ომამდე არსებულ მდგომარეობაშია: მაღაზიები გამოჭედილია სხვა და სხვა საქონელით. რიცხვით თუ საქონლის სხვადასხვაობით კერძო მაღაზიებს სჭარბობს კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები, ბევრ ადგილას ხვდებით უნივერსალურ მაღაზიებს, სადაც შეგიძლიათ ყოველგვარი საქონლის ყიდვა. მაღაზიებში ზედმიწევნით ზრდილობიანი მოპყრობაა მყიდველისადმი, ყველა ნოქარი დაინტერესებულია საქონლის გაყიდვაში, რისთვისაც არ ზოგავს შრომას და ენერგიას. როგორც გავიგე, ნოქრებს განსაზღვრული პროცენტი ჰქონიათ მათ მიერ გაყიდულ საქონელზე და სწორეთ ეს გარემოება უნდა უწყობდეს ხელს საქმისადმი უზომო ინტერესს. ფასები ყველგან გადაწყვეტილია, თუ შეევაჭრე, ზრდილობიანათ გიპასუხებენ:

„ეს სახელმწიფო მაღაზია გახლავს, შევაჭრება აკრძალულია“-ო. არის კერძო ვაჭრობაც, განსაკუთრებით ებრაელების, სადაც საქონელს 50 მანეთამდე დაგიფასებენ ხოლო ბევრი ვაჭრობის შემდეგ, 20 მანეთად დაგითმობენ საქონელს. ქუჩებში და მოედნებზე გასაოცარი სისუფთავე

არის დაცული (თუ არ მივიღებთ მხედველობაში განაპირა ადგილებს).

ყოველ ფეხის გადადგმაზედ შეხვდებით პაპიროსის და ქაღალდების ჩასაყრელ ყუთებს, მიწაზედ გადაგდება პაპიროზის ნამწვის, ან სხვა რამის სასტიკათ აკრძალულია; სისუფთავეს თვალყურს ადევნებს მილიცია; თუ მილიციონერმა შეგამჩნია, რომ ქუჩაში გადააგდე უსუფთაო რამე, 3 მანეთ ჯარიმას უსიტყვოთ გადაგახდევინებს. ქუჩაში მოვაჭრეებს შორის, რომელთა რიცხვი ძლიერ დიდია, ქალები უფრო სჭარბობს; ყველას სუფთაო აცვიათ, ყველასთვის სავალდებულოა თეთრი წინსაფრები და ქუდები ზედ წარწერით „მოსკ. კომ. ხოზ“. ქუჩებში სრული დისციპლინაა; იშვიათად შეხვდებით ჩხუბს ან ხმა მაღლა ყვირილს. მილიციონერს ნაკლებათ შეამჩნევთ ქუჩაში, მათი მეტი წილი სდგას ჯვარედინ ქუჩებზედ, სადაც ბუზებივით ირევა ტრამვაი, ეტლი, ავტომობილი, ავტობუსი და სხვა.

მილიციონერი დგას ქუჩის შუა ადგილას, ხელში უჭირავს წითელი ჯოხი, თუ მოძრაობის შეჩერება უნდა, მაღლა ასწევს ჯოხს და ყოველი მოძრაობა შეჩერდება. ის ხმას არ იღებს, არ ყვირის, როგორც ჩვენშია „შეჩერდი“, „არ შეიძლება“ „გაბრუნდი“ და სხვ.

მას ყველანი ემორჩილებიან უსიტყვოთ.

აგრეთვე დიდი წესიერება არის ელ. ტრამ. რონოდებში, არ არის შემთხვევა უკანონოთ ასვლა ან ჩამოსვლისა, თითქოს მოქალაქენი მანქანათ გადაქცეულან, ისე მწყობრათ დანიშნულ ადგილას ადის და მეორე მხარეზედ ჩამოდის, მათთვის არ არის საჭირო გაფრთხილება ან სწავლება, ყველას კარგათ შეუსწავლია თავისი მოვალეობა, აგრეთვე კონდუქტორი არ ყვირის „ბილეთი მიიღე“ ის დგას ერთ კუთხეში, მგზავრები მასთან გავლის დროს ბილეთს ღებულობენ, თითქმის არ არის შემთხვევა, რომ უბილეთოთ ვინმე დაჯდეს, და თუ ასეთი აღმოჩნდება, 3 მანეთ ჯარიმას გადაახდევინებენ. „კონტროლიორი„ სრულებით არ სჩანს, მიუხედავათ ამისა, არავითარ უწესოებას და ბოროტმოქმედებას ადგილი არა აქვს.

მოსკოვშიც სუზდალზედ ნაკლებ არ იპყრობს ყურადღებას ეკლესიების სიმრავლე. კვირა-უქმე დღე საშინელი გუგუნი დგას ზარების. გარეგნული შეხედულებით თითქოს რევოლიუციას არავითარი დაღი არ დაუმჩნევია რელიგიურ რწმენაზე. ბევრ ეკლესიის გუმბათებზე ორ თავიანი არწივი და ნიკოლოზის გვირგვინიც შერჩენია. ეკლესიები ხალხითაა გამოჭედილი. არის ეკლესია სადაც აბაზი ღირს შესვლა. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ეგრედწოდებულ ივერიის ღვთისმშობელს, ის წითელ მოედანთან არის, პატარა ეკლესიაში; აქ მლოცველები რიგ-რიგობით შედიან და გამოდიან. ეს ხატი ნორმალური ადამიანის სიმაღლისაა. ჩვეულებრივ ღვთისმშობელს არ გავს, შავგვრემანი სახე აქვს და ვაჟკაცური გამომეტყველებისაა. ეტყობა ძრიელ ძველი ნახატია, მას ქართულათ აქვს წარწერა. გვინდოდა წარწერის წაკითხვა, მაგრამ ახლოს ვერ მივედით, მლოცველები ბევრი იყო მის წინ დაჩოქილები და მოვერიდეთ ხელის შეშლას.

დავათვალიერეთ ისტორიული მუზეუმი, საუცხოვო სანახავია. სხვათა შორის აქ მთელი კოლექცია არის საქართველოს ძველი ცხოვრებიდან. ვნახეთ სხვა და სხვა ნაშთები, დაწყებული პირველ ყოფილ ადამიანიდან, გათავებული ბრინჯაოს და ოქროს ხანამდე. სხვათა შორის ქალ. ხონიდგანაც არის პატარა კოლექცია პირველ ყოფილი ადამიანის: იარაღები, ქვის დანები, ნაჯახები, ჩაქუჩები სხვა და სხვა ფორმის და სხვა. საქართველოს ტეხნიკური განვითარება გაცილებით მაღლა მდგარა მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეში, ვიდრე მაშინდელი რუსეთის.

აქვე დავათვალიერეთ სამხატვრო გამოფენა, მაგრამ უნდა ვსთქვა სიმართლე, მასში ვერაფერი ვნახეთ ღირსშესანიშნავი, ალბათ თვითონ ჩვენ არ გვესმოდა სურათების ღირსება და ვერ შევაფასეთ ფუტურისტული თუ სხვა ნახატები.

მოსკოვში ხშირათ იდგმება კინოში „სამი სიცოცხლე“ და „ტარიელ მკლავაძე“. რუსეთის საზოგადოება ძრიელ დაინტერესებულია ამ სურათებით და ძრიელ ბევრი ხალხი ესწრობა. ასე და ამ გვარათ გარეგნულა შეხედულობით ხალხი კმაყოფილი უნდა იყოს მდგომარეობით: ყველას სუფთათ აცვია—ქალს, კაცს და ბავშვებს, ალბათ შემოსავალი იმდენი აქვს, რომ ყველა მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, მხოლოდ მუშა-მოსამსახურენი ჩივიან, რომ მცირე ხელფასს იღებენ და ვერ იკმაყოფილებენ აუცილებელ მოთხოვნილებებსაც კი.

ჩვენ გვინდოდა ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერება, გვინდოდა უფრო კარგათ გვენახა მუშების მდგომარეობა, ა. ენუქიძემაც მოგვცა წინადადება, გაგატანთ კაცს და დაათვალიერეთ სამრეწველო დაწესებულებებიო, მაგრამ დრომ არ მოგვცა ნება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პატ. ამხ. ლენინის აკლდამის დათვალიერება. იქ ყოველ დღე აუარებელი ხალხი მიდის, როგორც სხვა და სხვა ქალაქები პროვინციებიდგან, ისე ადგილობრივი. დათვალიერება ყველას შეუძლია, მოჰსვლელებს ყოველდღე და ადგილობრივებს განსაზღვრულ დროს. მხოლოდ საჭიროა ნებართვის აღება. ძრიელ დიდი რიგებია, მარა გაჩერებული არავინ არის, ყველანი მიდიან—ნელ-ნელა.

შედიხართ აკლდამაში, ჩადიხართ სარდაფში, ყველაფერი წითლათ არის მორთული, კიბეებზედ წითელი ხალიჩებია დაგებული, გაივლით კარიდორებს და შედიხართ ზალაში, სადაც შუა ადგილას არის დასვენებული დიდებული ბელადი საერთაშორისო რევოლიუციის, მას ზევიდგან დასცქერის წითლად შემკობილი ელექტრონული ლამპა.

მთელი ზალა საუცხოვოთაა მორთულ-მოკაზმული წითელი ფარჩებით. ამხ. ლენინის სახე ცოცხალს მოგაგონებს, თითქოს ის წევს და მძინარეა, ერთი ხელი გულზედ აქვს დადებული, მეორე კი განზედ გადადებული. ზალაში სრული სიწყნარეა, კაცის სუნთქვაც არ გესმის; მნახველები მოძრაობაში არიან, მიდიან, გარშემო უვლიან და მეორე კარებიდგან გარეთ გადიან.

**დიდებული ბელადის ნახვით დავასრულეთ მოსკოვის დათვალიერება.** 3 აპრილს გავემგზავრეთ მოსკოვიდგან ტაშკენტისაკენ, **იმ მიზნით,** რომ დანიშნულ დროს, ესე იგი, 20—21 აპრილს დავბრუნებულიყავით ისევ მოსკოვში დასმულ კითხვის გადასაჭრელათ.

(შემდეგი იქნება.)

**კ. მაპარაძე.**

# ა. კ. რკინის გზების საუწყებო კონტროლი

როგორც მოგეხსენებათ 1/XII—1924 წ. ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავათმყოფობისა გამო უდროვოდ განუტევა სული და აბრამის წიაღსა შინა განისვენებს ა/კ. რკ. გზების საუწყებო კონტროლმა. ასე ანაზდეულად გამოეცალა ხელიდან, როგორც უდღეური შვილი მის შემქმნელს ყოფილ რკ. გზების უფროს ვ. პოზდეევს და კონტროლის დროებით მმართველს, პრესაში კარგად ცნობილს, დ. ცინცაძეს. უკანასკნელი თავისი პროექტებით და უაზრო მოხსენებებით თავს უბრუებდა გულუბრყვილო გზის უფროსს და აჯერებდა, რომ ერთად ერთი მხსნელი ცარცვა-გლეჯისაგან რკინის გზებისა იქნება ეს ახლად შეთითხნილი კონტროლიო. დიდი იმედები ჰქონდათ მათ, მაგრამ საქმემ სულ სხვა დაგვანახვა: არავითარი სარგებლობა გარდა ზარალისა ამ ორგანოს არ მოუტანია რკინის გზებისათვის. დღითი დღე მისი უნაყოფობა თავს იჩენდა. ბოლოს თვით ცენტრი ამაში ღრმად დარწმუნდა და თუმცა მისი ხელმძღვანელები ბევრს ეცადნენ, როგორმე შეენარჩუნებინათ ეს უსარგებლო და უდღეური შვილი, მაგრამ ამაოდ. როდესაც ეს ორგანო სრულიად შიიხრწნა ცინცაძის წყალობით და მეოხებით, უკანასკნელად კიდევ მიმართა მისმა უკანასკნელმა გამგემ ამხ. გობესკირიამ ცენტრს, განგებ ამისათვის გაემგზავრა მოსკოვს ჯანაოზი ექიმის საძებნელად, მაგრამ დღე დათვლილმა ავაამყოფმა მის მოსვლამდე ცინცაძის ხელზედ დალია სული. რათ სცდილობდენ ამ უდღეური კონტროლის შენარჩუნებას ამხ. ცინცაძე და გობესკირია ეს ყველასათვის ცხადზედ უცხადესია (სწორე მოგახსენოთ 18 ჩერვონციანი ალაგის დაკარგვა ყველასთვის დასანანია), მაგრამ ეხლა გავითვალისწინოთ რა იზარალეს ხსენებულ ამხანახებმა? თვითეული მათგანი უფრო თბილ ალაგებზედ წამოსკუპდნენ, ზოგიერთი თანამშრომლები, რომლებიც მათ მუდამ თავს ევლებოდენ და გუნდრუკს უკმევდენ, სამმართველოს სხვადასხვა დარგებში ჩასხეს იმავე თანამდებობაზედ განურჩევლად სქესისა, ტომისა, საქმისა და ადგილობრივ ენების ცოდნისა და დანარჩენები კიდევ, რომლებმაც თითქმის თავიანთ სიცოცხლე შესწირეს კონტროლში მუშაობას, გარედ დაჰყარეს. ჩვენ არ გვაკვირვებს ამხ. გობესკირიას და ცინცაძის ამგვარი საქციელი, მხოლოდ ერთ შეკითხვას მივცემთ: რას აკეთებენ მათი „პროტექციით“ მიღებული კონტროლიორები: კუზმინა, ვართანოვი, სოლოვიოვი, ლეპეტკინი, არიშინი და სხვ. ამათ ხო ინჩი—მაინც არ იციან ადგილობრივი ენებისა, როგორ უშვრებიან რევიზიას იმ საბუთებს, რომლებიც მათთვის გაუგებარი ენით არის დაწერილი, ნუ თუ მათზედ არ ვრცელდება ის მუხლი ბრძანების, რომელშიაც ნათლათ არის ნათქვამი: „Принимаемый на должность обязательно должен знать местный язык (Прик № 516) ნუ თუ ეს სრულიად არ ეხება იმ დარგის კონტროლიორებს, რომლებიც რკ. გზების საანგარიშო საფინანსო დარგს ეკუთვნიან?!

ხმას რატომ არ ამოიღებ, ხელს რატომ არ გაანძრევ გაეროვნების კომისიავ, ეს ხომ შენი მოვალეობაა!

**გოგია.**

# სასოფლო სამეურნეო კრედიტი საქართველოში

II

პირველ წერილში („ახალ გზა“ № 25) ჩვენ გამოვთქვით ის აზრი, რომ ჩვენი სოფლის წარმოების დარგების თვისება თავისთავად მოითხოვს ინტერსიურ მეურნეობას. ინტენსიური მეურნეობისთვის კი საჭიროა კაპიტალი. კაპიტალი სოფელში არ არის, ან თუ არის, მცირე თანხების სახით, მას უნდა ერთად დაგროვება, გადიდება მთავრობის სესხებით შეღავათიან პირობებში და მობილიზაცია ქმნილ თანხების კოოპერატიულად გამოყენება.

მართლაც 1924 წლის პირველი ნახევრიდან მთავრობა თავის თავზე იღებს ინიციატივას სასოფლო სამეურნეო კოოპერატიულ კრედიტის მოწყობას, ის ჰქმნის მთლიან სასოფლო სამეურნეო კრედიტის სისტემას საბჭოთა კავშირში. რომ გავიადვილოთ ამ სისტემის წარმოდგენა, საჭიროა, მაშასადამე, გავცილდეთ საქართველოს ფარგლებს

1924 წ. ცხრა ივლისს საკავშირო მთავრობა ხსნის მოსკოვში ცენტრალურ სასოფლო სამეურნეო ბანკს. ამ ბანკის გახსნის სამი თვის წინ (3|IV24 წ.) ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო აარსებს ამიერკავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკს. ასეთივე რესპუბლიკანური ბანკები იხსნება ბელორუსიაში და უკრაინაში. ამ რიგად, მთელ საბჭოთა კავშირში არსებობს ერთი ცენტრალური საკავშირო სასოფ. სამეურ. ბანკი და სამი რესპუბლიკანური ამიერ-კავკასიის, ბელორუსიის და უკრაინის.

ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკი წარმოადგენს ცენტრს მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სასოფ. სამ. კრედიტის.

ყოფილი რესპუბლიკანური სახალხო ბანკები 1924 წელში გადაკეთებულ იქნენ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებად და გათანასწორებულ ორგანიზაციულად კავშირის სხვა საგუბერნიო საზოგადოებებთან.

1924 წლის ოქტომბრამდის ამიერ-კავკასიის ფედერაციაში არსებობდა სამი სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, რომლებსაც აერთიანებდა ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკი. 24 წლის 13 ოქტომბერს სამ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მიემატა მეოთხე, სახელდობრ, აფხაზეთის. მიმდინარე წლის 28 აპრილს კი ნახიჩევანში გაიხსნა მეხუთე საზოგადოება.

მაშ ამიერ-კავკასიაში ამ ჟამად არსებობს ერთი რესპუბლიკანური სასოფ. სამ. ბანკი (თბილისში) და ხუთი მასში შემავალი, რესპუბლიკანური საზოგადოება—საქართველოს, ადერბეიჯანის, სომხეთის, აფხაზეთის და ნახიჩევანის.

რა სურათს იძლევა სასოფლო სამეურნეო სისტემა საქართველოში?

1915 წელს საქართველოში ითვლებოდა 333 საკრედიტო ამხანაგობა. ამათგან 103 შემნახველ-გამსესხებელი სალარო (კასა). 230 კი წმინდა საკრედიტო ამხანაგობა. შემნახველ-გამსესხებელი სალაროების თანხები შედგენილი იყო უმთავრესად საპაიო გადასახადებიდან და ანაბრებიდან, თითო პაის ღირებულება უდრიდა 10-15 მანეთს. საკრედიტო ამხანაგობების თანხები სდგებოდა უმთავრესად სახელმწიფო ბანკის სესხებიდან.

1915 წლის დამლევს საკრედიტო კოოპერაციის თანხები საქართველოში ავიდა 5 მილიონამდის. აქედან 3 მილ. (60%) შედგენილ იყო სახელმწიფო ბანკის სესხებიდან; 500 ათასი (30%) შესდგებოდა წევრების პაებიდან; დანარჩენი 10% მოდიოდა ანაბრებზე და სხვა წვრილ-წვრილ თანხებზე სხვადასხვა წყაროებიდან.

1916 წლიდან საკრედიტო კოოპერაცია განიცდის კრიზისს, რის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმპერიის ფინანსიურ და პოლიტიკურ რყევაში.

1918 წელს 333 ამხანაგობიდან დარჩა 80; 1922 წლის დასაწყისს ამხანაგობათა რიცხვი ჩამოვიდა 20 დის და ამავე წლის დამლევს საკრედიტო კოოპერაციამ დროებით განუტევა სული.

1924 წლიდან იწყება სასოფლო სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის გამოცოცხლება და განვითარება.

ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ 1924 წელს საქართველოს რესპუბლიკანური სახალხო ბანკი გადაკეთებულ იქნა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებად და 13/X დაარსდა მოსკოვის განკარგულებით აფხაზეთის საკრედიტო საზოგადოება.

ამ საზოგადოებათ გაბმული აქვთ მთელ რესპუბლიკაში საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი.

სურათი ამ ქსელისა 1924/25 წ. პირველ ორ კვარტალში ასეთია:

1/X-თვის მთელ საქართველოში ითვლებოდა 34 ამხანაგობა, რომელიც აკავშირდება 7207 სოფლის მეურნეს. 1925 წლის 1/1 მათი რიცხვი ავიდა (აფხაზეთთან ერთად) 83 მდის, ესე იგი, ოქტომბერთან შედარებით გაზრდილა 49 ამხანაგობით (+144, 1%): წევრთა რიცხვი 1/1 შეადგენდა 16.795 კაცს, ანუ 9588 წევრით მეტს, ვიდრე 1/X (+133,0%). 1/IV თავის ამხანაგობათა რიცხვი გახდა 112, ესე იგი, პირველ იანვართან შედარებით იმატა 28 ამხანაგობით (+33,7%), წევრთა რიცხვმა მიაღწია 21888 კაცამდის, მაშ, 1/I-თან შედარებით გაზრდილა 5043 წევრით (+30,0%). ეს ციფრები გვეუბნებიან, რომ სასოფ. სამ. საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი, თუმცა ნელის ნაბიჯით, მაგრამ თანდათან ფართოვდება, იზრდება.

მიუხედავათ ამხანაგობათა და მათი წევრების თანდათანობითი ზრდისა, ასეთი მდგომარეობა ვერ გვანუგეშებს. ამაში დავრწმუნდებით, თუ ვიანგარიშებთ თითო საკრედიტო ამხანაგობა საშუალოდ რამდენ მეურნეს აკავშირებს, ან როდესაც მოყვანილ ციფრიულ მასალას შევადარებთ ჩვენი სოფლის მოსახლეობის რაოდენობას.

თითო საკრედიტო ამხანაგობაზე საშუალოდ მოდიოდა 1/X 212 წევრი, 1/I—202,3 წევრი, 1/IV—164,9 წევრი. ასეთი სურათი სასიამოვნო იქნებოდა მაშინ, თუ საქართველოში გვექნებოდა ხშირი, მტკიცე ქსელი. ამ შემთხვევაში სასოფლო სამეურნეო კრედიტი მიუახლოვდებოდა სოფლის მეურნეს, რაც გაუადვილებდა მას საჭიროების დროს სწრაფად კრედიტის მიღებას.

საუბედუროდ, ეს ასე არ არის და ამაში დავრწმუნდებით, თუ საკრედიტო ამხანაგობათა რაოდენობას 1/IV-თვის ვივარაუდებთ სოფლის მოსახლეობის მიმართ. სოფლის მოსახლეობა მთელ საქართველოში ითვლება 1.960.765 სული, საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვი პირველ აპრილს გვაქვს 112, მაშ თითო ამხანაგობაზე საშუალოთ მოდის (1960.765:112=) 17.507 სული, ე. ი. თითო საკრედიტო ამხანაგობა ემსახურება სოფლის მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებს.

აქედან სჩანს, რამდენად ენერგიული მუშაობა არის საჭირო საკრედიტო ამხანაგობათა ქსელის გასაფართოებლად და კრედიტის მეურნესთან დასაახლოებლად.

განვიხილოთ, როგორ არის განაწილებული ამხანაგობები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში.

თელავის და სიღნაღის მაზრებში, რომლებიც სხვა რაიონებზე უფრო ძლიერნი არიან ეკონომიურად, 1/IV გვაქვს 19 ამხანაგობა 4 716 წევრით, თითო ამხანაგობაზე საშუალოდ მოდის 248 წევრი; ახალციხის, ახალქალაქის, გორის, თბილისის, დუშეთის, ბორჩალოს მაზრებში და სამხრეთ ოსეთში—34 ამხანაგობა 6 817 წევრი, ე. ი. თითო ამხანაგობაზე მოდის 200,5 წევრით; დასავლეთ საქართველოში აფხაზეთით და აჭარისტანით 59 ამხანაგობა 10.305 წევრით, თითო ამხანაგობაზე მოდის 174,7 წევრი.

ბალანსების მდგომარეობა აღებულ ვადებისთვის გვიხატავს შემდეგ სურათს.

(ბალანსებზე შემდეგ ნომერში)

შვილაძე.

# შინამრეწველობა საქართველოში

რადგანაც ჩვენში მსხვილი მრეწველობა სრულიად არ არის განვითარებული, შინამრეწველობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, ის სრულიად არ იყო შესწავლილი. საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას და მოახდინა მისი გამოკვლევა.

გამოკვლევის მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოში ამჟამად გავრცელებულია შემდეგი რვა დარგის წარმოება: მაუდეულობის და აბრეშუმეულობის ქსოვა, ხალიჩა-ფარდაგების და ფალასების ქსოვა, კალათების და სხვა ნივთების დაწვნა, თიხის წარმოება, ხის დამუშავება, ცოცხების დამზადება, ქეჩების, ნაბდების, ქუდების, ყაბალახების და ტყავეულობის დამზადებას და სხვა.

ყველა ამ დარგების წარმოებაში ჩაბმულია მთელ საქართველოში 48.403 კომლი, ანუ 100.000-დის სული.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა ჯერ კიდევ 1921 წ. მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება შინამრეწველობის განვითარების საქმეს და შინამრეწველობის

განყოფილების საშუალებით შეუდგა სათანადო ზომების მიღებას. საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობამაც აღიარა მისი მნიშვნელობა და დაამტკიცა 5 წლის საპერსპექტიო გეგმა.

ამ გეგმით რესპუბლიკა დანაწილებული იქნება 30 შინამრეწველობის რაიონად და თვითეულ რაიონში მოეწყობა სადგური საჭირო შტატით.

შინამრეწველობის განყოფილებამ დიდი სასარგებლო საქმე მოაწყო: მან შეიმუშავა ქართული სტილი, რომელიც გააცნობს ყველას ქართველი შინამრეწველის ნაწარმოებს: ხალიჩებს, ფარდაგებს, არშიებს, ქარგას, თიხის, ხის, ლითონის, რქის, შალის, ჭურჭლის და სხვა ნივთებს.

შინამრეწველობის განყოფილების სახელოსნოების სხვადასხვა ნაწარმოებების ნიმუშები გაგზავნილია უკვე პარიზის გამოფენაზე.

1923 წლის 20/VI-დან 1924 წლ. 20/III-დის განყოფილებას დაუმზადებია 200 ათასი არშინი მაუდი და აქედან გაუყიდია 180 ათასი არშ.

1920—1923 წლებში განყოფილებას ჩინებულად ჰქონდა საქმე მოწყობილი. გახსნილი ჰქონდა სახელოსნოები, როგორც თბილისში, ისე მაზრებში. ყოველგვარ ხარჯების გასტუმრების შემდეგ განყოფილების წმინდა მოგება უდრიდა—1920 წელს—4 ათას მან. ოქროთი; 1921 წ.—18 ათას მან.; 1922 წ.—50 ათას მან.

1923 წლიდან განყოფილების საქმე შეფერხდა, რადგანაც დათხოვნილ იქნა მთელი ადმინისტრაცია და 120 სპეციალისტი და მუშა-მოსამსახურე. ამას მოჰყვა მრავალი სახელოსნოს გაუქმება.

1924 წლიდან ამხ. გეგეჭკორის თაოსნობით იწყება განყოფილების მუშაობის გამოცოცხლება და გამოსწორება: შეკეთებული არის სართავი ქარხანა, გორში დაარსდა შინამრეწველობის სადგური და მოეწყო სახელოსნო. სახელოსნოები მოეწყო მცხეთაში, ოზურგეთში, ავლევში და დილომში.

შინამრეწველობის განყოფილების მუშაობა სწარმოებას საკუთარი თანხით; საქ. საბჭ. მესამე ყრილობის დადგენილებით კი ამიერიდან ამ ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო, მაგრამ განყოფილებას ჯერ არ მიუღია დაპირებული თანხა.

საჭიროა დაჩქარებულ იქნეს ფინანსიური დახმარება.

**ხელოსანი.**

# პრესის მაგიერ

## ჰინდენბურგის პრეზიდენტათ არჩევა გერმანიაში.

ჰინდენბურგის პრეზიდენტათ არჩევამ გერმანიაში მსოფლიო ყურადღება მიიპყრო. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ეს ქვეყანა მსოფლიო პოლიტიკის ერთ ერთი ბერკეტია; გერმანია, თუმცა მსოფლიო ომში დამარცხდა, მაგრამ ის მაინც უძლიერესი ერის ქვეყანაა, რომლის ანგარიშ გარეშე დაყენება შეუძლებელია. ამ ერის ყოველი გაქანება, ყოველი ნაბიჯი გულის ფანცქალით და გაფაციცებით იპყრობს მსოფლიო ბურჟუაზიის ყურადღებას.

ჰინდენბურგის პრეზიდენტობა ბევრისათვის იყო მოულოდნელი, დაუჯერებელი. უფრო მოსალოდნელი იყო, რომ გამარჯვებულ სახელმწიფოთა ბურჟუაზია მთელი თავისი არსებით შეებრძოლებოდა ამ მებრძოლ ნაციონალიზმის ქურუმს, ცნობილ მონარქისტს—სახელმოხვეჭილ გენერლის პრეზიდენტობას. გასაოცარი იყო თვით მუშათა კლასის დამოკიდებულება ამ ამბებისადმი.

ინტერეს მოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის, თუ ჩვენ გაკვრით მაინც შევეხებით იმ დამოკიდებულებას, პოზიციას, რომელიც მსოფლიო კაპიტალმა ჰინდენბურგის არჩევის გამო დაიჭირა. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ჰინდენბურგის პრეზიდენტობა მთლიანათ დადასტურდა გამარჯვებულ ქვეყანათა ბანკირ-კაპიტალისტების მიერ.

ეს მეტათ მნიშვნელოვანი მოვლენაა, ამას უნდა ჩაუკვირდეს ჩვენი კავშირის მუშათა კლასი; აქედან საჭიროა ზოგიერთი დასკვნების გამოტანა. რაშია საქმე?! პასუხი ერთია. პაციფიზმის ხანამ გაიარა. ბურჟუაზია ფრონტს ასწორებს; მისთვის არ არის ხელსაყრელი დემოკრატიული მთავრობა, სოციალისტების გავლენის ზრდა. გამარჯვებულებს უჯობს გერმანიის რესპუბლიკას რეაქცია მეთაურობდეს. მას მოსვენებას არ აძლევს რევოლიუციის აჩრდილი, გამოსავალს ეძებს ხაფანგიდან. მას უნდა მაგარი, გაბედული მეთაური ქვეყნის, რომელიც სათავეშივე ჩააქრობს ყოველ მუშურ მოძრაობას. მას არ ასვენებს ბოლშევიზმის დიქტატურა. ეძებს მოკავშირეს და ჰინდენბურგში სწორეთ ასეთ შეუდრეკელ მებრძოლს ხედავს. ჩვენ ვისარგებლებთ კ. რადეკის მიერ მოყვანილ ზოგიერთ ბურჟუაზიის აპოლოგეტების ნაწერებით და მოვიყვანთ ნაწყვეტებს, რომლებიც ნათელყოფენ ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს.

ჯერ კიდევ ჰინდენბურგი არჩეული არ იყო, რომ ცნობილი ამერიკელი მწერალი ლორენცი სიხარულით ესალმებოდა ჰინდენბურგს. „ინგლის-ამერიკის კაპიტალი, სთვლის რა საკუთარ მკვეთრ მახვილათ, ესალმება ჰინდენბურგს"—ამბობს კ. რადეკი.

ყველაზედ საინტერესოა ლოიდ ჯარჯის აზრი, რომელიც მთლიანათ გამოხატავს ფართო ბურჟუაზიულ წრეების შეხედულებას. რადეკს გრძელი ამონაწერი მოყავს ამ წერილიდან (იხ. პრავდა № 122) „ცნობები გერმანიიდან **დამამშვიდებლათ მოქმედებენო"** ამბობს ლ. ჯორჯი ჰინდენბურგის არჩევის გამო. უკანასკნელს ლ. ჯორჯი უდიდეს პატრიოტათ, ჭკუიან და გერმანელების საყვარელ პირათ სთვლის; იმ ტრიუმფებს, რომელიც პრეზიდენტს გაუმართეს, ძველი გერმანული სულის აღდგენათ სთვლის. „ეს მოასწავებს ყოველ მხრივ უკეთესობისაკენ შეცვლას, რომელიც სასურველია მშვიდობიანობის საქმისათვის" ამბობს ლ. ჯორჯი. უკანასკნელს სხვა ზრახვები აქვს; თვალი სხვა მხრივ უჭირავს—ეს დოუესის გეგმაა, კონტრიბუციის განაღდების გაადვილებას მოასწავებს. მასთანვე თვალთახედვის არედან არ უშვებს მუშათა კლასის შესაძლებელ მოძრაობას ამ გეგმის გამო. დოუესის გეგმის შედეგებზედ ლ. ჯორჯი ვერაფერს წინასწარმეტყველობს გადაჭრით, და უფრო მეტათ სკეპტიკურათ უყურებს მას და ამბობს: „მე არასოდეს არ ვიწამებ, რომ გერმანიის მუშა შეურიგდეს მთელი წლები მშიერ სამუშაო ხელფასს, მხოლოდ იმისთვის, რომ ხარკი აძლიოს უცხოელებს, რომლებიც თავის მხრივ ყველაფერს სჩადიან, რათა სიძულვილი გამოიწვიონ თავისადმი და ამავე დროს შეიარაღებული ძალებით დაიჭირონ გერმანიის ტერიტორიის ნაწილი"...

„იაფი შრომა გერმანიაში უდიდესი მუქარაა ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის ვაჭრობისათვის“. მუშების უკმაყოფილება შეიძლება ფართო მოძრაობათ გადაიქცეს, მაგრამ ეს გინდენბურგის პრეზიდენტობის დროს არ მოხდებაო—ინუგეშებს თავს ლ. ჯორჯი.

არა ნაკლებ საინტერესოა ამერიკელების აზრი. ვაშინგტონის ბირჟის ერთი ჟურნალი „ჯორნალ ოფ კომმერს“ შემდეგ ნაირათ უდგება გინდენბურგის არჩევას: „ჩვენ გვეყურება ზოგიერთთა ლაპარაკი იმ საშიშროების გამო, რომელიც ვითომ ელის მშვიდობიანობას გინდენბურგის არჩევის გამო. ეს პირდაპირ სისულელეა, **ძველი გამოცდილი გენერალი წარმოადგენს, ჩვენის აზრით, უფრო მეტს საიმედო გარანტიას, რომ გერმანია გადაიხდის თავის ვალებს და შეასრულებს თავის ვალდებულებებს, ვინემ ნახევრათ ლიბერალური იურისტი ან სოციალ-რეფორმისტი. ისეთი კაცი, როგორიც არის გინდენბურგი წარმოადგენს საიმედო დასაყრდენს არსებულ წესწყობილებისათვის, რომელსაც ის მთელი თავისი ძალებით დაიცავს** (ხაზი რადეკისაა შ. ჭ.) მის სიტყვას, ნათქვამს დოუესის გეგმის სასარგებლოთ, მეტი წონა აქვს, ვინემ სხვისას, და მისი დაპირება, რომ გაატარებს ცხოვრებაში ამ გეგმას ნიშნავს არა ნაკლებს, ვინემ თვით გატარება ამ გეგმის ცხოვრებაში.“ ეს კომენტარიებს არ საჭიროებს.

ამერიკელ ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე ვინმე **ანტონინ უეინ კუკი** არა ნაკლებ მოხიბლულია გინდენბურგის პრეზიდენტობით. ის ამბობს: „მე ვერაფერს ისეთს ვერ ვხედავ გენერალ-ფელდმარშალ გინდებურგის არჩევაში, რომელსაც შეუძლია აგვაღელვოს. მე რომ გერმანელი ქალი ვყოფილიყავი, უსათუოდ გინდენბურგს მივცემდი ხმას იმ მიზნით, რა მიზნითაც, ალბათ, ბევრმა გერმანელმა ქალმა მისცა მას ხმა. **ისინი ხედავენ მასში, გინდენბურგში, მტკიცე დამცველს კანონისა და წესრიგისას, შეურიგებელ მტერს ბოლშევიზმისას და ყოველგვარ რევოლიუციონურ მოძრაობისას.**“ (ხაზი ავტორისაა შ. ჭ.)

აქ აშკარაა მთელი ბურჟუაზიული თანამედროვე სულის კვეთება, მისი თრთოლვა ღუშათა მოძრაობის წინაშე. უკანასკნელი ყველაფერს ურიგდება, ოღონდ აცილებულ იქნეს რევოლიუციის საფრთხე.

ამაზედ სამართლიანათ შენიშნავს კ. რადეკი: „ყველა არგუმენტების მიხედვით, აღდგენა მონარქიული გერმანიის წარმოადგენს ბურჟუაზიისათვის გარანტიას ვალების გადახდისას, გარანტიას წესრიგისას და გარანტიას რევოლიუციონურ მოძრაობის წინაალმდეგ ბრძოლისას. გერმანიის ნაციონალისტებმა უდიდესი საერთაშორისო გამარჯვება იგემეს. ამას მოწმობს ეს გამოძახილი“. და აშკარაა, რომ ინგლის – ამერიკული კაპიტალი თავის იმედებს რეაქციონურ ბურჟუაზიაზედ ამყარებს და არა წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიაზედ. „ამავე მიმართულებით წავა აუცილებლათ საფრანგეთიც“—წინასწარმეტყველობს კ. რადეკი. ეს კაპიტალიზმის სტაბილიზაციის კურსი—გეზი აღებულია, ბურჟუაზია იმედოვნებს, ირაზმება... ვნახოთ!

**შ. ჭ.**

# ქრონიკა

### ადგილობრივი ცხოვრება.

— **გაეროვნება.** გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კავკასიაში) განკარგულებით საქართველოში და სომხეთში ნაციონალურ ენების შესასწავლ უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1 ივლისი.

— **ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება.** ჩრდილოეთ ოსეთის უკანასკნელ საბჭოს ყრილობაზედ იანვარში გამოუტანიათ შესაფერი დადგენილება, რომ დაიწყოს მუშაობა ყოველ მხრივ, რათა მიღწეულ იქნეს გაერთიანება ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ერთ ს. ს. ავტონომიურ რესპუბლიკათ და შევიდეს ს. ს. საქართველოს რესპუბლიკაში. ეს დადგენილება სასურველათ მიიჩნია სამხრეთ ოსეთის მე-5-თე საბჭოთა ყრილობამ და შეთანხმებით ჩრდილო ოსეთთან აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ხალხის სურვილის სისრულეში მოყვანა. კომისია განაგრძობს მუშაობას.

— **სასოფ. მეურნეობის მდგომარეობა.** საქ. ცენტ. სტატ. სამმართველოს მიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით მთელ საქართველოში სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა 1 ივნისისათვის დაკმაყოფილებულია. ცალ-ცალკე შემდეგნაირათ ხასიათდება: საზამთრო პური 3,5 ბალლით, გაზაფხულის—2,5 ბ., ზამთრ. ქერი 2,2 ბ., გაზაფხულ. ქერი—3,8 ბ., სიმინდი 2,7 ბ., ვენახები 3,2 ბ., ხილის ბაღები 2,8 ბ., თხილის პლანტაციები 3,0 ბ., სათიბები 2,3 ბ., და ასე ამრიგად.

— **გეოლოგიური ინსტიტუტი.** ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეოლოგიური ინსტიტუტის დებულების პროექტი, საგეგმო კომისიის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმათ. პროექტი გადაეცა დასამტკიცებლათ საქართვ. აღმასრულებელ კომიტეტს.

— **მთავარი სახელოსნოები.** რკინ. გზის მთავარ სახელოსნოებს ზომიერი წინსვლა ეტყობათ, შრომის ნაყოფიერების ზრდა თვალსაჩინოა. გასულ მაისის თვეში ყველა ცეხებმა გადააჭარბა მიცემულ საწარმოვო პროგრამას საშუალოთ 30%-ით. ზოგიერთ ცეხს სამუშაო 150 % შეუსრულებია.

— **ჭიათურის კონცეხია.** ჰარიმანის საზოგადოების მიერ ჭიათურის მარგანეცის კონცესიის აღების უცხოეთის პრესა სასწრაფოთ გამოეხმაურა. კონცესია სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოების, მათი სამრეწველო ფირმების აღშფოთებას არ იწვევს. ამერიკული გაზეთები სწერენ: „ჰარიმანის კამპანიასთან შეკავშირებულია ევროპის მსხვილი ფინანსიური და სამრეწველო დაწესებულებანი. მოსალოდნელია ამერიკული ამხანაგობის შექმნა საბჭოთა მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულების აღსასრულებლად. ამ ამხანაგობაში წარმოდგენილი იქნებიან აგრეთვე უცხოეთის წარმოებანი“.

— **ქალაქის ბანკი.** ქალაქის ბანკის ძირითად თანხის გასადიდებლათ ტფილისის აღმასკომმა დაადგინა გა-

მოუშვას ახალი აქციები. ძირითადი თანხა უნდა 1 მილიონი გახდეს. აქციები 60%-ს თვით ალმასკომი შეიძენს.

— **საზოგადო სამუშევრები.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა ალმასკომებს შეადგინონ სმეტები საზოგადო სამუშევრებისათვის, რომელსაც უმთავთესათ ადგილობრივი ხასიათი და მნიშვნელობა აქვს—ამ სამუშევრებისათვის ხარჯები გადატანილია მთლიანათ ადგილობრივ ალმასკომებზედ. ხელფასი გამოთხოვილი იქნება შრომ. სახ. კომ. საშვალებებიდან. ქალაქის ალმასკომის მიერ საზოგადო სამუშევრების გამგეთ დაინიშნა ვინმე პეშკო.

— **ცაკის მეორე სესია.** საქართველოს მეორე სესია, თოდრიას განცხადებით, იქნება მოწვეული ტფილისში ივნისის ბოლო რიცხვებში. სესიაზედ დასმული იქნება ბევრი მეტათ საყურადღებო კითხვები. მათ შორის სათემო ახ·ლი დებულებები და სათემო ბიუჯეტი, მიწის კანონი და სხვ.

— **სიმინდი საქართველოსათვის.** ბაზარზე სიმინდის ფასების დაწევის მიზნით „ხლებოპროდუქტ“-მა გამოგზავნა ჩრდილო კავკასიიდან 25 ათასი ფუთი სამ. აფხაზეთში, და 20,000 ფუთი ტფილისში. სიმინდი გაიყიდება თვით ღირებულებაზედ უფრო იაფად.

— **ტყის მოშენება.** სატყეო განყოფილებამ კოჯორში 5 დესეტინის სივრცეზედ დათესა მუხის, კოპიტის და სხვა სასარგებლო ხეების თესლები.

— **პირველი საბჭოთა არხი.** გასულ კვირას—14 ივნისს ქუთაისის მაზრაში გაიხსნა ახალი არხი, რომელიც იწყება რიონიდან სოფ. გეგუთ ობშკვითში. არხი მორწყავს ხუთ სოფელს. 9,000 დეს. არხის მაგისტრალის სიგრძე 17 ვერსია, შტოების 90 ვ., ჯერ დამთავრებულია მთავარი არხი და ორი შტო. მოირწყვება ჯერ ჯერობით 4,000 დეს. დაიხარჯა ფულათ 36 ათასი მანეთი. მიწის სამუშევრები გლეხების მიერ უფასოთ არის შესრულებული.

— **სტუმრები.** გასულ კვირაში საქართველოს ეწვიენ ინგლისის პროფკავშირთა ქალების წარმომადგენლები და ცნობილი მოღვაწე ფრ. ნანსენი.

# ამხანაგებს

უსამართლობა ბრძოლას გვიქადის,
ამხანაგებო, შემოკრფით მალე;
ნუ შევუკრთებით მტარვალის ძალებს,
ჩვენ გავიმარჯვებთ დღეს არს თუ ხვალე.
წითელი დროშა, მშრომელთა დროშა,
მას აწერია ზედ სამართალი,
ნურვისგან ველით ჩვენს ხსნას და შველას,
ჩვენ უნდა დავსდოთ ჩვენს წყლულს წამალი.
ჩვენ მოვაშენეთ ტურფა ქვეყანა,
ჩვენვე გვეკუთვნის მისი მშვენება;
მიწა მიეცეს მიწის მუშებსო,
ასე გადმოგვცემს მეცნიერება.
ოქრო და ვერცხლით არ შეისყიდვის,
რაც რომ ბუნების გაჩენილია:
მზე და ჰაერი მიწა და წყალი
ყველას გვეკუთვნის ყველას წილია,
მაგრა სოფელი სამოთხის დარი,
აწ უკუღმართათ მოწყობილია
მზე და ჰაერი მიწა და წყალი
ბურჟუებისგან დაპყრობილია,
ამისთვის გვამრთებს მუშური ბრძოლა,
რომ ქვეყნათ მოვსპოთ ეს მტაცებლობა, უკუღმართობა
რათა მონობის და ბატონობის
ნაცვლად დამყარდეს ძმობა-ერთობა

1904 წ. გ. **შინატეხელი.**

# მოგონების ნამსხვრევები

ზოგი მხოლოდ წიგნების საშუალებით, თეორეტიულად ეცნობება სოციალიზმს... დიდ მოაზროვნეების ჩაგონების შემდეგ მიდიან იმ დასკვნამდის, რომ მარტოოდენ რევოლიუცია იხსნის ვახტ·გასულ, ბებერ ქვეყანას გადაშენებისგანო...

ჩემი წიგნი კი—ცხოვრება იყო.

სოციალიზმის იდეებს გავეცანი შიშველ, შეულამაზებელი ცხოვრების შემწეობით...

ჩემი მდგომარეობა ყურში ძაბრივით მაწვეთებდა რევოლიუციის სიყვარულს...

მიკარნახებდა ზიზღს ფუფუნებასა და სისივოზაში აღზრდილთადმი...

ჩვენა ვცხოვრობდით ფილაქნიან სარდაფში...

ქუჩიდან თორმეტი საფეხური უნდა ჩაგვევლო, რომ ჩავსულიყავით ჩვენს ოთახში...

წიაღივ დამბნედი, ნესტიანი სუნი იდგა...

ბუზებიც კი ვერა სძლებდნენ...

ადამიანს ხომ სულ არ ედგომილებოდა...

ისე ბნელოდა, რომ დღისითაც კი ნათურა იყო გაჩაღებული... მიუხედავად ამისა, ჩვენი ოთახი მაინც მოხდენით იყო მილაგებული... რასაც დედა ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს ლაზათს აძლევდა...

ყველაფერი დაქარქარებული იყო.

აკი არცა გვბეზრდებოდა აქ ცხოვრება.

მტვრიან ქუჩებში ხეტიალს, სახლში ყოფნას ვრჩეობდით...

თუმცა ესეც რომ არა ყოფილიყო—მე მაინც ჩვენი ბინა მეყვარებოდა...

და ეს იმიტომ, რომ ყვავსაც თავისი საბუდარი ურჩევნია ხელმწიფის კოშკსა...

უმზეოდ ვიზრდებოდით, მაგრამ იმდენს არავინ ოცნებობდა მზეზე, როგორც ჩვენა...

სიბრალულის გრძნობაც მხოლოდ ჩვენში ღვიოდა...

მაშინ, როდესაც ძე ხორციელი არავინ ფიქრობდა ჩვენზე, რომ ამ სარდაფში ვსნეულდებოდით,—ჩვენ პირიქით განუსაზღვრელს გულნაზუქობას ვიჩენდით...

არამც თუ ჩვენს ბედში მყოფი ადამიანები გვენანებოდა,—ბნელში ამოსული მცენარეებიც კი თვალებს გვიცრემლიანებდა...

ერთხელ ჩვენი დერეფნის ყურეში, ამოვიდა ატამი...

ყვითელი, ყვითელი... ჭლექიანი ფერი ედო...

მე უვლიდი, თვალისჩინსავით უფრთხილდებოდი...

მაინც ვერ მოვგვარე სიმწვანე-სიხასხასე...

დედას ბევრჯელ უტირნია იმ მცენარის შემყურეს.

— ვაიმე, დედა მოგიკვდეთ შვილებო, მცენარე რომ ეგრე მოიფშრუკა—თქვენ რა ხეირი დაგეყრებათ ამ ტიალ ადგილასო...

შემებრალა ატამი...

— უნდა გადავარჩინო როგორმე სიკვდილს....—გავიფიქრე მე...

მალე ღონისძიებაც გამოვნახე...

ჩემი გულითადი ამხანაგი მზიან ადგილას სცხოვრობდა...

ეზოცა ჰქონდათ...

იქ გადავრგე...

იხარა...,

ლაღად გაშალა ნესტში დახუთული მკლავები...

ნეტავი როდის დადგება ის დრო, რომ ყველა ჩაგრულებს ასე დაეღწიოთ თავი სარდაფებისთვის, გაჭირვებისთვის, სასოწარკვეთილებისთვის?...—ვკითხულობდი მე და პასუხი ვერ მიმეცა..

რა ვიცოდი მაშინ, რომ უკვე დაწყობილი იყო სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი მდიდართა და ღარიბთა შორის...

რა ვიცოდი მაშინ პოლიტიკურად უსუსურმა, რომ მუშათა კლასი ის კოლუმბი ყოფილა, რომელსაც უნდა აღმოეჩინა ახალი, ჯერ არავისგან განცდილი ბედნიერი ქვეყანა...

* *

ტანჯვასა დი რუდუნებაში მიზოზინებდა ჩვენი ცხოვრება...

დრო-ჟამის მდინარე კი მიქშუოდა და მიჰქონდა მოწყვეტილ ყვავილებივით ჩვენი სიცოცხლის დღეები...

გარეთ გაზაფხული ჰშლიდა თვისს ფერად დროშებს...

სახეები აუყვავილდათ ბედნიერებს...

ჩვენს ოთახში კი არა კადრულობდა გაზაფხული ჩამოსვლას...

იქ ისეთივე სიყურსე და მწუხრი მეფობდა, როგორც ზამთარში ნანგრევთა შორის...

* *

ჩვენი ბინა საუკეთესო ადგილი იყო არალეგალურ მუშაობისთვის...

იქ ზარბაზანიც რომ გაგვესროლათ—ვერავინ გაიგებდა, ისეთს ყრუ უბანში იყო.

მართლაც, მალე შევნიშნე, რომ ჩვენს სარდაფში ჩემმა მუშა ძმამ ლევანმა საიდუმლო კრებების მართვა დაიწყო...

ყოველთვის, როცა შაბათი შეღამდებოდა, ქუჩებში ზურნა-არღნის ჭიჭყინი გაებმებოდა...

აირეოდნენ ლოთუსეინა ახალგაზდები თუ მოხუცები, რომელთაც ჯამაგირის საკმაო ნაწილისთვის უკვე მოეგრალებინათ.

ლევანი კი სწორეთ ამ დროს ქარხნიდან სახლისკენ ეშურებოდა.

სახლში შემოვიდოდა თუ არა, ფუსფუსს იწყებდა.

რაღაცისთვის ემზადებოდა...

ღელვაც ემჩნეოდა...

სცდილობდა ადრე დამეძინა, რომ არ გავმხდარიყავი მოწმე იმ რაღაცა საქმიანობისა ..

ჯერ არ ვაქცევდი ყურადღებას...

გუმანი არა მქონია ართმეული...

მაგრამ რაც ხანი გადიოდა—თანდათან ეჭვი მიპყრობდა...

რას ნიშნავს ესა?..

რად მირიდებენ?..

განა ისეთი რა აქვთ სახვაშიადო?

უნდა გავიგო, როგორმე უნდა დავცინცლო საიდუმლოება...

ვიწყე ლოდინი შესაფერი შემთხვევისა.

* *

შაბათს ჩვეულებისამებრ ადრიან ჩამაწვინეს ლოგინში.

მე თავი მოვიმძინარე.

არ გაუვლია დიდხანს, რომ ჩვენი კარი ვიღაცამ ფრთხილად დაარახუნა.

გაუღეს...

შემოვიდა ვიღაც მუშა ..

ეტყობოდა რკინის გზის სახელოსნოელი იყო. ტანისამოსი მაზუთით ჰქონდა გაჟღენთილი.

ძველ მეგობრებივით მიესალმა ლევანსა და დედას.

კიდევ ორიოდე წუთმა გაიარა...

მოვიდა მეორე...

მას მოჰყვა მესამე...

ასე კანტი-კუნტად ემატებოდნენ...

ყველას სახეზე აღბეჭდილი იყო ღრმა ფიქრები...

რწმენის სიმტკიცე...

ყოველს მოძრაობაზე ეტყობოდათ, რომ გათვალისწინებული ჰქონდათ საქმის სერიოზულობა...

მეტად წინდახედულად და ფრთხილად ეჭირათ თავი.

ახალგაზდობაც ერია მუშებში...

ახალგაზდობა ყოველთვის დამთხვეულია... სულწასული... თავის წვერა... თავის ნათქვამი.

ისინი ვერ ითმენენ ასეთს თავშეკავებას...

ახლაც მხოლოდ ახალგაზდობა არღვევდა თავის მოვარდნილ გრძნობებით უხმაურობას...

მათ მალე ლაგმებს ამოსდებდნენ უფროსები და აჩუმებდნენ...

— რა ვქნა, რად დაიგვიანა ჭარხალამ?—იკითხა ლევანმა ერთი ამხანაგი, რომელიც არსადა სჩანდა...

— იმან დროით იცის მოსვლა... უმიზეზოდ არ გასცდებოდა... რაიმე ამბავი არა იყოს რა შისს თავსა...

— ხომ არ დაიჭირეს?..

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ ვიღაცამ შემოაღო კარი...

— ოჰ, ჭარხალ!.. სად იყავ, კაცო?.. რად გვალოდინე?..

— მე არ დამიგვიანია, ამხანაგებო. . თავის დროზე მოველი, მაგრამ შემოსვლას ვერ ვბედავდი...

— რა მიზეზით?..

— ვიღაც საეჭვო კაცი დასტრიალებს ჩვენს ალაყაფის კარებს... ნამდვილად ჯაშუშია... აღარც კი ვაპირებდი შემოსვლას, ისე შემაფიქრიანა, მაგრამ თქვენ შემებრალეთ... ვთქვი: რაც მოხდება მოხდეს!.. იმოდენა ხალხია აქ თაკ-მოყრილი—შევატყობინებ... ეგება უშველონ თავსა მეთქი.

მუშები წამოიშალნენ.

ორიოდეს თმები აეშალა...

ერთმა ახალგაზდამ ხელი ჯიბისკენ იკრა და რევოლვერი მოიმარჯვა...

აქ ლევანმა გამოიჩინა გამჭრიახობა.

ახალგაზდას წაართვა რევოლვერი.

ყველა დააშოშმინა...

— მოიცათ... გავიგოთ... ქარხალა უნდა სცდებოდეს.!. მოეჩვენებოდა... ხომ იცით შიშს დიდი. თვალები აქვს... ჩვენი ბინა ისეთს დახვლანჯულს ქუჩაზეა, რომ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს... ის „ნათლიები“ როგორ მოგვაგნებდნენ... ამიწერე, როგორია ის ვიღაცა საეჭვო კაცი?..—მიუბრუნდა და ჰკითხა ქარხალას...

— ახალგაზდაა... ჯმუხია...

— ქართველია, თუ უცხო ტომისა?..

— ქართველი უნდა იყოს... ქართულად ჰღიღინებდა.

— რასა მღეროდა?

— ავლაბრულ შიქასტებს:

„ახ, ავარა დავდივარ,

ღამე შინ არ შევდივარ“!..

— აი შენა და შენს თავსა!.. მისი როგორ შეგეშინდა?.. ის ჩვენი ამხანაგია...

— ჩვენი?..

— სწორეთ: მე განგებ დავაყენე მზვერავად... სიფრთხილეს თავი არ სტკივა... ყოველგვარ საშიშროებას ის უმალ შეგვატყობინებს...

ამასობაში დედაჩემიც შემოვიდა და დაადასტურა ლევანის ნალაპარაკევი... ისე უჩუმრად გასულიყო ქუჩის დასათვალიერებლად, რომ არავის შეუნიშნავს...

— კაცო, როცა აქ გვიწვევდი—გვეტყოდი მაინც, რომ შავანი კაცი გეყოლებოდა დაყენებული... რაზე მიმათეთქვინებდი ი ბიჭსა?. —წარმოსთქვა ქარხალამ...

—ისე ამაზავთა თვისი თვალთმაქცური ღიმილითა რომ ვთქვი მოდი ერთი ლაზათიანად დაუზელ გვერდებსა მეთქი...

დამშვიდდნენ...

კმაყოფილება ათამაშდა სახეებზე...

სიამოვნებით აპირთავდა ისედაც რწმენა-იმედებით სავსე ჩვენი ოთახი..

— ახალი ლავაშები ხომ არ გამომცხვხრა?—იკითხა ერთმა მუშათაგანმა.

— ლავაშები?.. რა ლავაშები?., რა დროს ლავაშებია?—გაკვირვებით ვიმეორებდი კურდღელივით გამომზირალი.

— როგორ არა, მზადაა!.. ცხელ-ცხელია!—სთქვა ლევანმა.

მე უფრო ვცქვიტე ყურები.

ერთი გული მეუბნებოდა: წამოვჭრილიყავი ზეზე და ვცემოდი მაგიდას ..—ისე ამიკაწკაწა კბილები ბურბუშელა ლავაშის ხსენებამ.

კბილის ღრძილები გადამღერძალი მქონდა ხმელი პურის ყბორვითა.

ცხელ-ცხელი ლავაშის გახსენება, ცხადია, დამაქიმითებდა.

მე მაინც თავი შევიკავე. მოუცდი, მოიტანონ ჯერა-მეთქი—გავიფიქრე.

ლევანმა ბუხრის მილს მჩვარი გამოაძრო და გამოიღო მთელი ბღუჯა რაღაცა ქაღალდებისა.

ყველა აღტაცებაში მოვიდა. .

იანა-იანა დაიტაცეს.

ჰაერში შრიალ-შრიალი იწყეს გრძელი, ავგაროზის მსგავსმა ქაღალდებმა...

ესენი აღმოჩნდა ფურცლები არალეგალური ორგანიზაციისა...

კონსპირაციის მიზნით მათ ლავაშებს უწოდებდნენ...

მე კი სული მეწანწლებოდა ნამდვილ ლავაშებზე.

გამიცრუვდა იმედი, მაგრამ არა მწყენია.

უფრო გამიხარდა...

ერთმა მათგანმა სასოებით წაიკითხა ის ფურცელი...

ცეცხლოვანი სიტყვებით იწყობდა იგი...

ასე გრძნობით ნაწერი ჯერ არაფერი მომესმინა...

ეს იყო ჩემ მიერ პირველი საიდუმლო ფურცლის მოსმენა და მე ვერხვის ფოთოლივით ავჟრჟოლდი მისს შრიალს რომ ვადევნებდი თვალს.

— რა არის რევოლიუცია?..—ჰკითხულობდა უსახელო ავტორი იმ ფურცლისა და თვითვე მიუგებდა:

რევოლიუცია გრიგალია მტარვალთათვის...

რევოლიუცია ოაზისია მუშებისათვის...

მიდი და დაეწაფე...

ვინც უნდა იყო. ჯაბანი, თუ ბეჩავი... კუზიანი, თუ კუტი,—ის წყარო დედის რძესავით შეგერგება... გარდაგქმნის... გაგაარწივებს...

ბევრ რამეზე იყო იქ საუბარი... და ყოველი სტრიქონი იმედებით ავსებდა ადამიანს... ყურს უკვე ესმოდა შორეული გუგუნი დიადი ქარიშხლებისა და მიწის ძვრებისა...

ამ ფურცელის შინაარსმა უფრო გაახშირა ჩვენს ოთახში საუბრები შორეულ, მზიურ ბედნიერებაზე.., და ეს საუბრები ისე მომხიბლავები იყვნენ, როგორც მთების მწვერვალებზე ამაყად გადმომდგარ კანჯართა ჯოგები.

**დ. თურდოსპირელი**

(დასასრული იქნება)

# ქართული ლიტერატურა

## XI

ალექსანდრე სარაჯიშვილის ნაშრომი — „ვეფხის ტყაოსანში ყალბი ადგილები“, ჟურნალ „მოამბეში“ ისტამბებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს დიდი და ვრცელი ნაშრომი, ავტორს რომ არ დაემლაშებია, მართლაც, ჩინებული რამ იქნებოდა. განსვენებულს კრიტიკოსს ზომიერების მნიშვნელობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში აშკარათ ესმოდა. მარა საქმით მან ვერ დაიცვა ეს ზომიერება და გადაამლაშა.

კრიტიკოსი ძალიან მკაცრი და პირდაპირ ულმობელია იქ, საცა „ვეფხის ტყაოსანი“ მის შემუშავებულს იდეალს—სტილზე ცოტათი მაინც დაშორდება და ფეხი აუსხლტება. სტილის მჭიდროება და სინათლე, არ აქვს ხანას, ის ყალბიაო და ამ გზაზე დამდგარმა მოხსნა თავი... გუდას...

კრიტიკოსმა მკაცრად დაგმო და ყალბათ გამოაცხადა ბევრი საგანი, ბევრი ხანა, ისეთიც-კი, რომელიც „თავისი აზრითა და პოეტურის ღირსებით მაღლა დგას, თუმცა სტილი მჭიდროების და სინათლის კანონს (რუსთველის სტილი) არ ეთანხმება“. ადვილათ შესაძლებელია და საფიქრებელიც, თვით ქართველმა უდიდესმა მგოსანმა მისცა თავისი საკუთარი ინდივიდუალური წარმოდგენისა და შემოქმედების კაპრიზებს თავისუფალი გაქანება. და აქ რას იტყვის კრიტიკოსი? კრიტიკოსი საერთო უტყუარ კანონათ აცხადებს იმ განსხვავებულ, განკერძოებულ წესდებას და კოდექსს, რომელსაც მისდევდა ზოგიერთი შემოქმედი—მხატვარი და ის როდი აგონდება, რო გენიოსი თვით ქმნის ახალ-ახალ სალიტერატურო ფორმებს; ახალ-ახალ სტილს, რომლისაგან გამოყავთ შემდეგ ახალი წესი და რიგი, აქ იწყება დოქტრინერობა და მხოლოდ და მარტო ცალიერი თაყვანისმცემელი გამოვდივართ, და ამიტომაც, ორტოდოქსალობის ჭაობში ვარდებით.

გარდა მაგისა, შოთა რუსთაველი ხომ ორ დღეში ვერ დაწერდა ამოდენა პოემა-რომანს? უეჭველია, მგოსანი ერთი და ორი ათეული და მეტი წლის განმავლობაშიაც ქმნიდა და ამუშავებდა თვისი შემოქმედებითი ტალანტის ნამოქმედარს. აი, სწორეთ ისე, როგორც გერმანული ლიტერატურის გოლიათი-გოეთე, ოცი წლის განმავლობაში, ქმნიდა თავის შესანიშნავს ნაწარმოებს — „ფაუსტს“. მერე, რას ამბობენ ამის შესახებ ევროპის განთქმული კრიტიკოსები, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში ღრმათ ჩახედულნი არიან? ისინი ერთხმათ ამტკიცებენ დიადი გოეთეს — „ფაუსტის“ პირველი ნაწილის შეუდარებლობას შემოქმედებითაც და სტილითაც და მეორე ნაწილის სისუსტეს. ეს გარემოება წარმოდგა იმისაგან, რო პირველი ნაწილი „ფაუსტის“ პირდაპირ შემოქმედებითის ნიჭით (непосредственное художественное творчество) არის დამუშავებული და მეორე ნაწილი კი ცნობიერებისა და ჭკუის შემწეობით არის დაწერილი. ამიტომაც პირველი ნაწილი ამ საუცხოო სალიტერატურო ნაწარმოებისა შეუდარებელი გამოვიდა, ხოლო მეორე-კი სუსტი. შემოქმედებითაც და სტილითაც პირველი ნაწილი მეორისაგან განსხვავდება.

მაშასადამე, თვით ისეთ დიად მგოსნებზეც, როგორც გოეთე და შოთა რუსთაველია გავლენა და ზედმოქმედება მოუხდენია დრო და ჟამს. სიჭაბუკის ჟამს დაწერილი სულ სხვა შემოქმედებისა და სტილის გამოდის ნაწარმოები, უფრო დაბრძენების დროს დაწერილი—სხვა და მოხუცებულობაშიაც შესულ. სულ სხვა სტილის ნაწერი გამოუდის. ან ასე შორს წასვლაც, რა საჭიროა. შეგვიძლია მოვიტანოთ მაგალითებათ აქ მშობლიური ლიტერატურიდან.

ავიღოთ ილია ჭავჭავაძე და აკაკი. განა ილიას პოემა — „კაკო ყაჩაღი“ და პოემა „განდეგილი“ ერთი და იმავე სტილითაა დაწერილი? ან აკაკის პირველი, ჭაბუკური ლექსები და იმავე მგოსნის პოემა — „თორნიკე ერისთავი“ ერთი და იმავე სტილითაა დაწერილი? ავიღოთ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი. ამათი ნაწერი ჟურ. „ცისკარში“ სულ სხვა სტილითაა დაწერილი, ვიდრე ის ნაწერები, როცა ამათ შექმნეს მაშინ, 50 წლისანი რომ შეიქნენ. დიდი, ძალიან დიდი განსხვავებაა. მაშასადამე, დრო ჟამის განმავლობაში, ერთი და იმავე ავტორის შრომის პროცესში შემოქმედების ძალისა და სტილის შემჭიდროება და სინათლეც იცვლება...

ეს მე დაურღვეველ ჭეშმარიტებათ მიმაჩნია. და უნდა დამეთანხმოთ, რომ მარტო ასეთი კრიტიკით მიდგომაც არა კმარა.

„ვეფხის ტყაოსანი“ რო გენიოსის ნაწარმოებია, ამაში ეჭვი არ შეაქვს არც ერთ სკეპტიკს, რომელიც კი გამოჩენია კრიტიკოსათ ამ ნაწარმოებს ლიტერატურაში, მარა, განა ამით უნდა კმაყოფილდებოდეს სერიოზული ლიტერატურა ჩვენ დროში? არა. ნამდვილი, ცოცხალი და ჭეშმარიტი ტალანტით დასაჩუქრებული მწერალი ღრმათ უნდა იქნეს შესწავლული, აწონ-დაწონილი და შეფასებული. ისტორიულმა კრიტიკამ თვისი თვალი ღრმათ და დიდათ უნდა გაახილოს და ახსნას შემოქმედების სული, ხასიათი და მიმართულება, რა დროს გაჩნდა, გაიფურჩქნა, გაიშალა და აყვავდა ამ დიადი ქართველი მწერალის შემოქმედება. საიდან წარმოიშვა ასეთი ხასიათის შემოქმედობა და რა გავლენა მოახდინა მან ქართველობაზე, რომელი ჰავისა და მიწა-წყლის, რა შემკვიდრობისა და იდეების შვილია იგი და რა გრძნობებსა და ჩაბეჭდილებას იწვევდა იგი თავის თანამედროვე და შემდეგ თაობათა შორის უნდა გაირკვეს მიუცილებლათ, სიღრმე და ძლიერება ავტორის შემოქმედებისა, იდეალი მისი და ბოლოს, როგორი დასკვნა, რა ჯამი უნდა გაუკეთოს ჩამომავლობამ „სულ მნათის“ შოთა რუსთაველის სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ვიმეორებ, ეს არი ჩემი კრიტიკის უმთავრესი საფუძვლები...

და მეც, ამ სიბერის ჟამს, როკა ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდგას, გულით მოწადინებული ვარ ამოვთქვა, სტამბის საშვალებით, ჩემი საკუთარი აზრი, რომელიც დიდი ხანია ჩემს არსებაში ღრმათ მიძარებია და რის გამოთქმასაც ვერ ვბედავდი, უფრო იმიტომ, რო ვისმე უსუსურობასა და მეტიჩარობაში არ ჩამოერთმია.

მარა, ვიდრე „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ ჩემი საკუთარი აზრების გამოთქმას შეუდგებოდე, მსურს მკითხველს წარვუდგინო თავდაპირველათ, აზრი შოთა რუსთ-

ველზე მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისეთი ღრმა მცოდნისა, როგორც ბრძანდება საქართველოში დიდი მოღვაწე-დიადი გერმანეიის უკვდავი შვილი— უნივერსი არტურ ლეისტი.

„საქართველოში, კათოლიკე მისიონერების გარდა, მოქმედობდენ სხვა ძალებიც ქვეყნის კულტურულათ დაწინაურებისათვის. ეს ძალები თითონ ქართველები იყვნენ, რომელნიც დამოუკიდებლათ ცდილობდენ სამშობლოს გაევროპიელებას.—საქმე ისაა, რო საქართველოს ტრადიციაც უწყობდა ხელს დამოუკიდებელი ლიტერატურული მუშაობა ეწარმოებინა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რო შოთა რუსთველმა ისეთი დიდი შემოქმედებითი სული ჩაბერა საუკუნეთა მთელ წყებას, რომ ქართველი ერის მოწინავე ელემენტებს სამუდამოთ გზა გაუკაფა ახალ და ახალ ჰორიზონტებისაკენ. „ვეფხის ტყაოსანი“ მორალური და სულიერი იდეალებით გაცილებით მაღლა დგას მისი დროის აღმოსავლეთის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებზე. მისი ღირსება მხოლოდ ის კი არ არი, რომ ასახავს თანამედროებას მთელი სიღრმე-სიგანით, არამედ ისიც, რომ შეუნელებლათ მოუწოდებს განსრულების მაღალი მიზნისკენ.—ამ მხრით რუსთველის უკვდავ პოემას ბევრი მსგავსება აქვს მისი თანამედროვე გერმანელ პოეტის ვოლფრამ ფონეშენბახის—„პარსიფალთან“. მხოლოთ აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთველი შეუდარებლათ უფრო თავისუფალ შემოქმედათ გვევლინება, ვინემ ეშენბახი, რომელიც თავს ვერ აღწევს რელიგიურ დოღმატებისა და საეკლესიო სწავლა-მოძღვრებათა ხლართს.

ეჭვს გარეშეა, რუსთველი ღრმათ რელიგიური იყო. მარა იგი არაოდეს არ იმოსება რომელიმე სარწმუნოების ტანსაცმელში. ის ხშირათ ახსენებს ღმერთს, მარა არაოდეს განსაზღვრულ სარწმუნოებას. შოთა იყო დეისტი და ამით მან საუკუნეებს გაუსწრო...

შოთა რუსთველის წინ ცხოვრობდა სპარსელი პოეტი ომარ ხაჲამ, რომელმაც უარყო დოღმატიური სარწმუნოება. მარა საეჭვოა, რომ ამ პოეტის ნაწარმოებნი რუსთველს ცოდნოდა, რადგანაც იმ დროს საქართველოსა და სპარსეთს შორის ძალიან იშვიათი იყო გონებრივ იდეიური ურთიერთობა.

შოთა რუსთველის გავლენა საქართველოში არაოდეს არ შეწყვეტილა. თუ სამღვდელოებამ აკრძალა მისი პოემა და მავნეთ აღიარა, არა იმიტომ რომ ის უზნეო ყოფილიყო, არამედ იმიტომ, რომ პოემის თავისუფალი აზრები შეუწყნარებელი იყო ეკლესიისთვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთველზე აღზდილს ქართველობას არაოდეს არ დავიწყებოდა „ვეფხის ტყაოსნის“ იდეალები და მონღოლთა ბატონობის განმავლობაში მაღალ კულტურისაკენ მისწრაფებას ვერ ჩაკლავდა მის გულში ეს უსაშინელესი დროება საქართველოს ისტორიისა. მართალია, განათლება საერთოთ დაეცა, მარა პიროვნებანი მაინც ბრწყინავდენ და იცავდენ ერის ღირსებას“...

იმ დროს, როცა შოთა რუსთველი ცხოვრობდა (თამარ მეფე დაიბადა 1156 წ., მოკვდა 1212 წ.), ევროპის ხმელეთზე და საქართველოშიაც გამეფებული იყო ფეოდალიზმი და ქრისტეანობა, რომელიც ქადაგობდა ამ წუთი სოფლიდან განშორებას და სულის ცხონებას საიქიოში. იმ დროს ევროპა, მართლაც, წარმოადგენდა ნაკლებათ დასახლებულს, ნაკლებათ დამუშავებულს და ნაკლებათ კულტუროსანი ხალხით მოფენილს ქვეყანას: აზიის აღმოსავლეთი, შედარებით, ბევრათ უფრო დაწინაურებული იყო. ქართული, სპარსული, არაბული, სირიული და ბიზანტიური კულტურა გაცილებით უფრო ძლიერი, ყვაოდა, დიდი და მდიდარი იყო. საქართველოს დიდათ დიდი გამანათლებელი და გამათბობელი კულტურული და ლიტერატურული ენერგია თვით უძველესი ქართლოსიანთა ერის კულტურის საშოდან წარმოიშვა ევრ. წოდებულ, აღორძინების, რენესანსის დროს. ეს იყო ნამეტურ დიადი თამარის დროს. ამიტომაც, ქართლოსიანთა ერის კულტურისა და ლიტერატურის კარების გაღება ერთ უდიადეს საკითხს წარმოადგენს ყოველი კრიტიკულათ მოაზრე ადამიანისათვის.

არაბების შემორევამ საქართველოში მთელი რევოლიუცია მოახდინა. საქართველოს ამ ხანებში ქონდა აბრეშუმის ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ბიზანტიასთან, ინდოეთთან და სხვა. აბრეშუმის ჭიის თესლი ინდოეთიდან შამოიტანა ჩვენი დედა ქალაქის დამაარსებელმა დიდმა მეფემ—ვახტანგ გორგასლანმა, როცა ოთხი მილიონი ჯარის კაცით გაილაშქრა მან ინდოეთისკენ. ამ დროს, საქართველოს დიდი ტერიტორია ეჭირა და ქართველების რიცხვი იყო 20 მილიონი. ამის ვრცელი სტატისტიკური გამოკვლევაც არსებობს. ამ ხანებში აყვავდა საქართველოში სწავლა-განათლება ქვეყანა მოიფინა დაბალი, საშუალო და მაღალ-სასწავლებლებით. აქ ასწავლიდენ: ღვთის მეტყველებას, ფილოსოფიას, მათემატიკას, ასტრონომიას, ენათმეცნიერებას. დიდი ისტორიკოსი შლოსერი თავის შესანიშნავს—„მსოფლიო ისტორიის“ მეხუთე ტომში სწერს, რო მთელს აღმოსავლეთის ქვეყნებში, ყველაზე გათქმული ობსერვატორია ტფილისში იყოო. იმ ხანებში საქართველო სჭრიდა თავის სამეფოს ვერცხლის ფულს. 1840 წ., პეტერბურგში ამ საგანზე დასტამბა რუსულათ დიდი წიგნი განთქმულმა ქართველმა ისტორიკოსმა—ბარათაშვილმა. 1870 წ. ეს წიგნი ფრანგულათაც დაისტამბა პარიზში. საფრანგეთის მსწავლულმა ლანგლომეს წიგნი—„ქართული ფულების ნუმიზმატიკური ფაქტები“ დიდათ შეაქო და განცვიფრებით მოიხსენია ქართველთა წარსული, როგორც დიადი და მდიდარი კულტურული ერისა. და, მართლაც, ტყუილათ ხომ არ უწოდებდენ ბიზანტიის ისტორიკოსები და მწერლები საქართველოს მეფეს—ბაგრატ IV კეისართა-კეისარს, ე. ი., იმპერატორს. და ბაგრატ IV რომ დიდი ხელმწიფე არ ყოფილიყო, დიდი ბიზანტიის იმპერატორი—რომანოზი იმას თავის დას ელენეს ცოლათ არ მიათხოვებდა.

**ხომლელი.**

# მასწავლ. ნოე ოქროპირის-ძე ბზეკალავა

ვინ არ იცის თუ რა მძიმე და პასუხსაგები მოვალეობა აწევს სახალხო მასწავლებელს: მომავალი თაობის აღზრდა და ხალხთან უშუალო კავშირი და სამსახური. აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება სახ. მასწავლებელს მეფის მსუსხავი რეჟიმის დროს. ის იყო ხალხის წიაღში და მისი ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელი. აი ასეთი ჩუმი, უანგარო მოღვაწე იყო შარშან 11 ივნისს გარდაცვლილი ნოე ოქროპირის ძე ბზეკალავა.

ნ. ბზეკალავა პროფესიით სახალხო მასწავლებელი იყო. გარდა მასწავლებლობისა განსვენებულს სხვაგვარი მოღვაწეობითაც გამოუჩენია თავი. მისი ამაგი და აქტიური მოქმედება, ნიკოლოზის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, არ დაავიწყდებათ მის ამხანაგებს 1905 წლისა და მომდევნო ხანების რეპრესიების დროს ნ. ბზეკალავასაც მოხვდა მთავრობის ხელი, და მან ბევრ მის ამხანაგებთან ერთად იგემა მეტეხის ციხეში ყოფნის საშინელება. შემდეგ ის საზღვარგარეთ გადახვეწეს, მოვლო რამდენიმე სახელმწიფო: საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, და მალვით ერთი წლის შემდეგ გამოიპარა სამშობლოში. აქ მას მეორედ დაიჭირეს, მაგრამ ნაცნობების დახმარებით თავს ინთავისუფლებს. ამავე ხანებში ბზეკალავა თანამშრომლობს სხვადასხვა ფსევდონიმით რუსულსა და ქართულ გაზეთებში. 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ განსვენებული ჩამოშორდა პოლიტიკურ სარბიელს (მისი პოლიტიკური მრწამსი სოციალისტ-რევოლიუციონერობა იყო) და სავსებით გადავიდა საყვარელი ბავშების, მომავალი საზოგადოების აღზრდის საქმეზე. ამ დარგში მან შეიძინა 23 წლის გამოცდილება და დამსახურება. დიახ, ის 23 წლის განმავლობაში გურიის სხვადასხვა სოფელში ეწეოდა სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობას. რამდენიმე წელს უხდებოდა მას ზოგიერთ სოფელში მასწავლებლობა, მაგ. სოფ. ხვარბეთში 5 წელი იმსახურა, და ამ ხნის განმავლობაში ყველგან ნდობა და დიდი სიყვარული მოიპოვა ხალხისაგან. მე არ გამიგონია მეორე ვინმე, რომელიც ისეთი ერთგულებითა და პირდაპირ ფანატიკურ გატაცებით მოკიდებოდეს თავის საქმეს, როგორადაც განსვენებული ნ. ბზეკალავა. უკანასკნელად სოფ. მაკვანეთში იყო გამგეთ შრომის სკოლისა, სადგომად-კი ლიხაურში იმყოფებოდა და მას ყოველდღე უნდა ევლო ამ სოფლებ-შუა 7—8 ვერსი. პირადათ მე ვყოფილვარ მოწამე ამგვარი სცენისა: სუსხიან ზამთარში, თქეშში და ავდარში ხშირად შემხვედრია დაგლეჯილ წუღებით მიმავალი თავის საქმეზე. მაგრამ ყველა ამაებს განსაკუთრებულ სიხალისით ასრულებდა. პირდაპირ მამობრივი სიყვარულით ეპყრობოდა ის თავის პაწია მოწაფეებს: უალერსებდა, უყვავებდა და უნერგავდა მათ გულში საკაცთმოყვარო აზრებს. გარდა იმისა, რომ განსვენებული მასწავლებლობდა და ამით სარგებლობა მოჰქონდა, ის უშუალო კავშირში იყო თვით ხალხთან, მშრომელ გლეხობასთან და შეძლებისამებრ ყოველგვარ დახმარებას უწევდა მათ. ყოველ დღე დადიოდენ მასთან სოფლელნი სხვადასხვა რჩევის საკითხავად. და განსვენებული ნოეც ყველას დაუზარებლად და, რასაკვირველია, უსასყიდლოთ უსრულებდა თხოვნას. განსვენებულს დიდი ჯაფა ჰქონდა და უკანასკნელად ხელმოკლეობის გამო ვერ იყო უზრუნველყოფილი. უკანასკნელად დააგდო ავადმყოფობამ ლოგინად და ერთი კვირის განმავლობაში კიდეც გადაიტანა. განსვენებულს კიდევ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო (ის იყო 43 წლისა), მაგრამ ბუნების უწყალო კანონებმა უდროოდ შეუჩერა მაჯისცემა. ამა წლის 11 ივნის შესრულდა ბზეკალავას გარდაცვალებიდან 1 წლის თავი და, მე მგონია, ზედმეტი არ იქნება მისი ცხოვრების რამდენიმე ხაზი ფართო საზოგადოებამაც იცოდეს და პაწია მოსწავლეებმაც მოიგონონ თავის საყვარელი მასწავლებელი. მშრომელ ხალხს, რომელთანაც ის მუდამ იყო არ დაავიწყდებათ მისი ამაგი. მისი ნაცნობ-მეგობრები მუდამ მადლობით მოიგონებენ მის სპეტაკ სახელს.

ხალი-ქვა.

განსვენებულს დარჩა მეუღლე და ორი შვილი, რომელთაც სათანადო პენსია ეძლევათ მთავრობიდან.

ხალი-ქვა.

# საქართველოს ცენტრარქივის გამდიდრება ძველ განძეულობებით და ხელთნაწერ-სიგელებით

რუსეთიდან დაბრუნდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატისა და ცენტრარქივის რწმუნებული ამხ. შალვა ჩ ხ ე ტ ი ა. ამხ. ჩხეტიამ რუსეთის სათანადო უმაღლეს დაწესებულებებთან და განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით, მიიღო და უკვე ტფილისს ჩამოიტანა მთელი რიგი საქართველოს განძეულობისა, რომელიც თავის დროზე ცარისტულ ხელისუფლების მიერ გატანილი იყო რუსეთში. ჩამოტანილ ისტორიულ ნივთებს შორის მრავალი ძველი ხელნაწერები და სიგელებია, რომელთაც ქართულ ისტორიოგრაფიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ასე მაგალითად, ჩამოტანილია ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ (ჯერ შეუსწავლელი ტექსტით), დავითნი (მინიატიურებით), ოთხთავი (სახარება), საქართველოს ისტორია და გეოგრაფია (ვახუშტის ავტოგრაფი), ბიჭვინთის საკათალიკოზო ტყავზე ხუცურით ნაწერი დიდი გუჯარი და სხვა. ეს განძეულობანი მიღებულია მოსკოვში რუსეთის საისტორიო მუზეუმიდან, ყოფილ რუმიანცევის მუზეუმიდან და ლაზარევის ინსტიტუტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკიდან, ლენინგრადში რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმიდან და რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკიდან. ოთხი ხელთნაწერი, თანახმად რუსეთის სამეცნიერო აკადემიის შუამდგომლობისა და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს თანხმობისა, ამხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს მიერ დატოვებულ იქმნა ლენინგრადში ექვსი თვის ვადით, რუს მეცნიერთა საჭიროებისათვის ხსენებულ აკადემიის განკარგულებაში. ჩამოტანილი ნივთები განაწილებული იქნება, შინაარსისდამიხედვით, ტფილისის მუზეუმებს შორის.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

# ამ.-კავკ. რკინის გზ. სამმართველოს ეკონომიური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ქ. ქ. თბილისში, ბაქოში, მოსკოვში, ერევანში, ბათუმში, განჯაში, ზუგდიდში, ევლახში, ქუთაისში და თელავში კომერციული სააგენტოები და ქალაქის სადგურები **აწარმოებენ შემდეგ ოპერაციებს:**

1. ყოველგვარ მიმოსვლის სამგზავრო ბილეთების გაყიდვას ბინაზე მიტანით.
2. საწყობების ოპერაციებს და 3. ყოველგვარ კომერციულ ოპერაციებს.
4. სესხის გაცემას როგორც გადაზიდვის დროს, ისე საწყობებში მოთავსებულ საქონლის გირავნობის ქვეშ.
5. ტვირთვის მიღებას, გაგზავნას და გაცემას და 6. მის გადატანას შარა გზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვას კლიენტების დავალებით.
8. საბაჟო, სააქციზო და სხვა ვალდებულებების შესრულებას.

ზემოაღნიშნული და სხვა სატრანსპორტო ოპერაციები სრულდება მინიმალურ საკომისიო ხელფასის გადახდით.

კომერციული სააგენტოები ქ. სადგურები დიდ დახმარებას უწევენ კლიენტებს რკ. გზის ტრანსპორტით სარგებლობის დროს.

# ამ.-კავკ. რკ. გზის საგრილობელ ნაწილს აქვს მოწყობილი:

1. **ვაგონების საყუდი პარკი,** სადაც გამზადებულია 450 იზოტერმიული და სხვა საქონლის ვაგონი, 2. **მმოძრავი და ადგილობრივად ყინულის დამმზადებელი ქარხნები**

თბილისში, განჯაში, აჯი-ქაბულში, ბაქოში და სამტრედიაში

სადგური ყინულის საკმაო მარაგით და საქონლის საგრილობელი საწყობით.

## საგრილობელ ნაწილის მიზანია:

დაეხმაროს საექსპორტო საქონლის პატრონებს საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში გადასაგზავნად დანიშნულ **სათუთ საქონლის** წინასწარ დამზადებაში, როგორც არის წესიერად ჩაწყობა, შეხვევა, დახარისხება, დაბარგება. და დანიშნულებისამებრ უზიანოდ გაგზავნა და სხვ.

ამისთვის **საგრილობელ ნაწილს** აქვს: სპეციალურად მოწყობილი საქონლის ვაგონები როგორც ზამთრისთვის თბილი, ისე ზაფხულისთვის გრილი.

საქონლის დანიშნულებისამებრ გადატანის დასაჩქარებლად **ნაწილი** სარგებლობს სამგზავრო მატარებლებით.

სპეციალური ვაგონებით სარგებლობისთვის საერთო ტარიფის გარდა საქონლის პატრონს **ნაწილი** ახდევინებს დამატებით გადასახადს მეთვალყურეობის, ყინულის, სათბობ მასალის, მარილის და სხვა ხარჯების დასაფარავად.

იმ პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს იზოტერმიული ვაგონი, გაიგოს ცნობები, მან უნდა მიმართოს თბილისში კომერციულ განყოფილების **საგრილობელ ნაწილს** შემდეგი მისამართით:

თბილისი, ვაგზლის ქ. № 8.

და რკინის გზის ხაზზე:

**საგრილობელ ნაწილის ინსტრუქტორებს,** სამტრედიაში, განჯაში, ბალაჯარაში, ბაქოში, დერბენდში და ლენინკანში.

მთავლიტი № 966 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3. ტირაჟი—2500.

წლიწადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 28 ივნისი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11—68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8-2 საათამდე

№ 27

## ჩვენ გავიმარჯვეთ! ჩვენ ვძლიერდებით!

გასული წლის აგვისტოს ავანტიურამ მძლავრად შეარყია საქართველოს პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილის—ტფილისის რკინის-გზელთა სულიერი სიმშვიდე და მათ გაბედული და გადაჭრილი სიტყვა ათქმევინა მთელი ქვეყნის გასაგონად ამ ავანტიურის ავტორთა პოლიტიკის დამღუპველობაზე.

ტფილისის რკინის გზელთა ამ პოლიტიკურმა ინიციატივამ თავისი გამოსახვა ჰპოვა მათ კრებაზე გასული წლის 7—8 ოქტომბერს.

იმ თავითვე ყველანი ვგრძნობდით, რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა უზრუნველყოფილი აგვისტოს ამბების განმეორებისაგან, თუ, ერთი მხრით, ტფილისის მუშების მიერ გადადგმული ნაბიჯი ჰპოვებდა გამოძახილს საქართველოს უპარტიო და ყოფილ მენშევიკ-მუშებსა და გლეხების ფართო წრეებში, და მეორე მხრით, ის ამხანაგები, რომელნიც მენშევიკური პარტიის ერისთვის დამღუპველ და უმიზნო პოლიტიკის წყალობით მოშორებულ იქნენ მშობლიურ კერას, გაიზიარებდენ ტფილისის პროლეტარიატის სულისკვეთებას და მასთან ერთად დაგმობდენ ავანტიურისტთა ნამოქმედარს, და, დასასრულ, თუ საზღვარ-გარედ მყოფი უჯარო ლიდერლები მენშევიკურ თუ სხვა პარტიებიდან იქვე—ემიგრაციის წრეებში ჰპოვებდენ თავის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთ და გამაწბილებლებს.

სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ საკითხი ასე იდგა: ან რკინის გზელთა მიერ აღებული ინიციატივა პოლიტიკურად საღი და დროული იყო და მათგან არჩეული გზა გამოსახავდა იმ მიდრეკილებას, რომელსაც მტკიცე ფესვები გაედგა ჩვენი ერის მშრომელ მასსებში, ან, პირიქით, რკინის-გზელთა მიერ გადადგმული ნაბიჯი ამ მასსის სულიერ განწყობილებისაგან განკერძოებულ პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა, რომელსაც არავითარი ორგანიული კავშირი არ ჰქონდა მასსის სულისკვეთებასთან.

გასული წლის ოქტომბრის შემდეგ სინამდვილეს უნდა გაემართლებია ან პირველი ან მეორე დებულება.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენი ახალ გზაზე გამარჯვებით მსვლელობის ტემპი უფრო ჩქარი და ჩვენი ძალების ზრდა უფრო სწრაფი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით.

7—8 ოქტომბრის კრების მიერ არჩეულმა მუშათა კომისიამ ერთსულოვანი გამოძახილი ჰპოვა როგორც აქ, საქართველოში, ისე რუსეთში გადასახლებულ მენშევიკთა შორის.

მუშათა კომისია შეიქმნა წინამძღოლად საქართველოს მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის იმ ნაწილისათვის, რომლის პოლიტიკურ მრწამსს წინა წლებში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ფარული თუ აშკარა ბრძოლის წარმოება და შავი ზღვისაკენ იმედიანად ცქერა ახასიათებდა.

მუშათა კომისიის მიერ არჩეულ გზის გაზიარებამ ეს ცოცხალ ლეშად ქცეული პირები პოლიტიკურად მკვდრეთით აღადგინა და საბჭოთა აღმშენებლობის აქტიური მონაწილე გახადა.

მუშათა კომისიის როგორც საქართველოში მუშაობით, ისე გადასახლებულებთან მოლაპარაკებით გამოირკვა, რომ ტფილისის პროლეტარიატის მიერ ამ კომისიისათვის მიცემული სახელმძღვანელო დირექტივები, სავსებით ეთანხმებოდა იმ ღრმა და საფუძვლიან გარდატეხას, რომელსაც ადგილი მიეცა საქართველოს მშრომელთა მასსების ფართო წრეებში, განსაკუთრებით, აგვისტოს დღეების შემდეგ.

მაგრამ საქართველოში მყოფ მენშევიკების და უპარტიოების, აგრეთვე რუსეთში გადასახლებულების შორის გამოძახილი ვერ იქნებოდა მიჩნეული სრულ ჩვენ გამარჯვებად. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ საზღვარ-გარედ მყოფ „მთავრობისა," მენშევიკურ ცეკას ბიუროსა და პარიტეტის ჰაობის შმორი არა ერთხელ მოსწამლავდა კიდევ საქართველოს პოლიტიკურ ჰაერს უსაფუძვლო იმე-

დებით და, მაშასადამე, ავანტიურის განმეორების საში-შროება არ იქნებოდა საბოლოოდ თავიდან აცილებული.

ანტი-საბჭოთა ფრონტის ყველაზე უფრო მავნე ნაწილი საქართველოს ერისათვის სწორედ ეს ემიგრანტთა ორგანიზაციები იყო და არის. აქედან უძღვნის ქართველ ერს 1924 წლის აგვისტოს ავანტიურა. აქვე ამუშავებენ დღეს ამ ავანტიურის დამარცხებისაგან გამომდინარე „გაკვეთილებს" მომავალ „შეტევისათვის" გამოსაყენებლად. ამ ორგანიზაციების მონაწილეთაგან ჩვენთვის ხელის გამოწოდება და მათგან ჩვენ მიერ არჩეულ გზის გაზიარება ჩვენი ახალი გზის ტრიუმფი იქნებოდა.

ამიტომ იყო, რომ მუშათა კომისიის მიღწევებით და გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა მუშათა კრებამ „ნაძალადევის" კლუბში ამა წლის ივნისის 19-ს განმეორებით საჭიროდ სცნო მუშათა დელეგაციის საზღვარ-გარეთ გაგზავნა და ემიგრანტებთან მოლაპარაკების გამართვა.

ჩვენ განკარგულებაში მყოფი მასალები (რომელიც გამოქვეყნებული იყო ადგილობრივ პრესაში) უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საზღვარ-გარეთ ჩასული ჩვენი დელეგაცია უფრო მეტ მოსამკალს იპოვის და მოიმკის, ვიდრე მან იპოვა და მოიმკო გადასახლებულთა შორის.

ირკვევა, რომ ეროვნული ინტერესის სწორედ გაგება და საბჭოთა საქართველოს ეხლანდელ ვითარების გათვალისწინება ემიგრანტთა შორისაც იკიდებს ფეხს. ემიგრანტთა ჯანსაღი ელემენტები უკვე განთავისუფლებულან პარტიულ ქიშპობისა და ავანტიურიზმისაგან და საქართველოს ეროვნულ ინტერესებისა და სოციალისტური აღმშენებლობის უზრუნველმყოფად მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა წყობილება ულიარებიათ.

სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო. მსოფლიო ბურჟუაზიის შეტევითი პოლიტიკის გზაზე დადგომა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, იმპერიალისტურ ქვეყნების „განმათავისუფლებელი" ექსპედიციები ჩინეთსა და მოროკოში, მეორე ინტერნაციონალის ლეშად ქცევა, საბჭოთა კავშირის საერთოდ და კერძოდ საბჭოთა საქართველოს მიღწევები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში და, დასასრულ, საქართველოს ანტი-საბჭოთა პარტიების „პარიტეტულ პოლიტიკის" აშკარა დამღუპველი და განმანადგურებელი შედეგები საქართველოს ერისთვის და მის პროლეტარიატისთვის, საკმაო მასალად უნდა გამხდარიყო საქართველოს ემიგრაციის იმ წრეებისათვის, რომელსაც შერჩენია პოლიტიკური თავმოყვარეობა და საზოგადოებრივი სინდისი.

ჩვენ დიდის კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი იმედები ემიგრაციაში გულწრფელ მოკავშირეთა აღმოჩენის შესახებ სავსებით გამართლებულია.

გერმანიის ტერიტორიაზე დღეს აღარ არსებობს საბჭოთა წინააღმდეგ განწყობილ ქართველ ემიგრანტთა ჯგუფები. ასეთების უკანასკნელი ჯგუფი, რომელშიაც წარმოდგენილი არიან მუშები და მოსწავლე ახალგაზრდობა, აცხადებს, რომ იგი სწყვეტს ყოველგვარ კავშირს ანტი-საბჭოთა პოლიტიკასთან და სდგება საბჭოთა პლატფორმაზე. აზრთა დიდ სხვა და სხვაობას და ძიებას აქვს ადგილი ჩეხოსლოვაკიაში მყოფ ქართველ ემიგრანტთა შორისაც.

საქართველოს ემიგრაციაში ამ ჟამად არსებულ ძალთა განწყობილების განსაკუთრებით დამახასიათებელ სურათს იძლევა პარიზის ემიგრაცია.

აქ აღარც მენშევიკური პარტია თავის შიგნით და აღარც ანტი-საბჭოთა ფრონტი, საერთოდ, აღარ წარმოადგენს მთლიან ერთეულს.

მენშევიკების წიაღიდან ცალკევდება საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ჯგუფი, რომლის უმრავლესობასაც მუშები შეადგენენ. მეორე მხრივ, ნოე რამიშვილი ხელს არ იღებს თავის ძველ აქტივისტურ პოლიტიკაზე და საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში სხვა ანტი-საბჭოთა პარტიებთან ჰკრავს ბლოკს და მას გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ პირობად აღიარებს. იგი არ სტოვებს არც ავანტიურიზმის და არც გარეშე ძალების დასახმარებლად მოწოდების გზას. ეს მიუღებელია ემიგრანტ ქართველ მენშევიკების ერთი ჯგუფისათვის, რომელიც საბჭოთა პლატფორმაზე დგება.

მდგომარეობის სიძნელეს ანელებს წერეთელი. იგი გარეგნულად თითქოს ეთიშება წინეთ შეხმატკბილებულ მენშევიკურ ემიგრაციას. ნოე რამიშვილის აქტივისტურ პოლიტიკას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ წერეთელი უპირდაპირებს „მშვიდობიანი" ბრძოლის წარმოების გზას. ამავე დროს იგი ხელს იღებს საქართველოს ანტი-საბჭოთა პარტიების მთლიან ნაციონალურ ფრონტზე და მოკავშირეებს ეძებს „რუსეთის დემოკრატიაში" (მილიუკოვიდან ვიდრე დანამდე) და მეორე ინტერნაციონალში. წერეთელი ხელს იღებს კოალიციაზე სხვა პარტიებთან საქართველოს მასშტაბში, სამაგიეროდ იგი მენშევიკურ პარტიულ პოლიტიკის სიწმინდის გუშაგად დგება და მენშევიკური პარტიის ბოლშევიკურ პარტიასთან ბრძოლის საქმეში კოალიციაში მოუწოდებს „რუსეთის დემოკრატიას". წერეთლისთვის 1917 წელს რევოლიუციის ერთად ერთ მხსნელად აღიარებული „რუსეთის ცოცხალი ძალების კოალიცია" ისევ ცოცხლდება მის ახალ ტაქტიკაში.

ამ მოკავშირე „ცოცხალი ძალების" ძებნაში, როგორც სჩანს არც სხვა ანტი-საბჭოთა პარტიები იჩენენ სიზარმაცეს, და თუ წერეთელმა კადეტ-მენშევიკებში მოძებნა ძველი მეგობრები, ნაციონალ-დემოკრატები რუსეთის მონარქიზმის უმუშევრად დარჩენილ წარმომადგენლებში ეძებენ თავის მოკავშირეებს.

წერეთელი არც თუ წინააღმდეგია ბოლშევიკებთან მორიგებისა, მაგრამ მისი აზრით ქართველ მუშებს და გლეხებს არ შეუძლია ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმა. ეს უნდა მოხდეს საერთაშორისო მასშტაბით. მანამდე კი „მშვიდობიანი გზით" ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ემიგრაციის მდგომარეობა მრავლის მეტყველია. ემიგრაციაში მყოფ წარსულში გულწრფელ რევოლიუციონურ მუშებისა და ინტელიგენციის წინაშე გადასაჭრელად სდგას დღეს ერთი ძირითადი საკითხი: **იმპერიალისტურ ქვეყნების და მათ მორჩილ მეორე ინტერნაციონალის, ან კიდევ მილიუკოვ-დანის „დემოკრატიულ რუსეთის" გზით, თუ მუშათა და გლეხთა დიად სოციალისტურ კავშირის გზით**, რომელი ამ გზებთაგანი უფრო მეტად უზრუნველყოფს ქართველი ერისათვის ნამდვილ ეროვნულ დამოკიდებულებას და კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას და მის შვილელობას სოციალიზმისაკენ.

ამ ძირითად კითხვაზე საქართველოს მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის დიდმა უმრავლესობამ

უკვე გასცა პასუხი და თავის რიგებში მოუხმო რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებს.

ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ საზღვარ-გარეთ მყოფ ყოფილ მენშევიკებში დაწყებული ახალი გზის ძიება მრავალ ათეულ ამხანაგს შესძენს ჩვენ რიგებს და გაგვიადვილებს იმ ტკივილების მოშუშებას, რომელიც ჩვენი წარსული, შემცდარი პოლიტიკით მივაყენეთ ქართველ ერის სხეულს.

შალიკო.

# გაეროვნების შეფერხების მიზეზები და მისი შედეგები

## I.

დღეს ვერარავინ დასწამებს კომუნისტურ პარტიას, რომ მას არ სურს გაეროვნების საჩქაროთ ცხოვრებაში გატარება...

დღეს ყველასათვის ცხადი გახდა, რომ აქეთკენა ამიქცეული საბჭოთა ხელისუფლების დიდი ყურადღება...

ეროვნებათა დაჩაგვრა და შევიწროვება კი არა, არამედ სრული თავისუფლება, სრული დამოუკიდებლობა, სრული თვითგამორკვევა, ყველა პატარა ერების განთავისუფლება მეორე ერის დაჩაგვრა-შევიწროებისაგან .. ყველა კოლონიალურ, დაჩაგრულ ერების განთავისუფლება იმპერიალიზმის ბრჭყალებიდან... აი ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი კომუნისტურ პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების, ნამდვილი ლენინელების.

ვამბობ ნამდვილი ლენინელებისა, ვინაიდან ყველა კომუნისტი ერთნაირად არ მსჯელობს ამ საგანზე. ხოლო დიდი ლენინის ბრძნულმა და მიზანშეწონილმა მოსაზრებამ პატარა ერების დამოუკიდებლობის შესახებ სავსებით გაიმარჯვა პარტიაში და ის დღეს დაკანონებულია პარტიის პროგრამაში,—ტარდება ცხოვრებაში.

საჭირო და საყურადღებოა გავაცნოთ ჩვენი გაზეთის მკითხველები იმ კამათს, რომელიც სწარმოებდა ამხ. ლენინის და მოწინაალმდეგეთა შორის პატარა ეროვნებათა თვითგამორკვევის და დამოუკიდებლიობის საკითხის გარშემო.

კომუნისტურ პარტიის მერვე ყრილობაზე 1919 წელს, მარტში მიღებულ იქმნა ახალი პარტიული პროგრამა, დაწერილი უმთავრესად ლენინის მიერ. (იხილე Программа и устав Р. К. П.)

ამ პროგრამაში მოთავსებულია ორი მოხსენება—ლენინის და ბუხარინის.

აქ ლენინი ეკამათება ბუხარინს, პიატაკოვს და სხვებს, სხვათა შორის, ეროვნებათა თვითგამორკვევა—დამოუკიდებლობის საკითხში...

ბუხარინის, პიატაკოვის და სხვათა აზრით საჭიროა მიეცეს თვითგამორკვევის უფლება არა მთელ ერს, რომელშიც შედის ბურჟუაზიაც, არამედ მხოლოთ ერის მშრომელთა ნაწილს—პროლეტარიატს..

პროლეტარიატის დიკტატურის ხანაში არ შეიძლება წამოვაყენოთ ლოზუნგი ერის თვითგამორკვევისა, ამბობს თავის მოხსენებაში ამხ. ბუხარინი. (იქვე. გვერდი 37). თუ ერის თვითგამორკვევის ლოზუნგი მივიღეთ, მაშინ ერის არა პროლეტარული ნაწილიც ისარგებლებს ამ უფლებით და ეს აღარ იქნება მუშათა დიქტატურაო... და სხვა...

ამხანაგი ლენინი ილაშქრებს ასეთი შეხედულების წინააღმდეგ... ის ამბობს, რომ რუსეთში განსაკუთრებულმა პირობებმა მიგვიყვანა პროლეტარიატის დიქტატურამდე... არ შეიძლება რუსეთის პირობები მოვახვიოთ თავზე სხვა ერებსა და თუნდაც მოვინდომოთ ვერ მოვახვევთ, რადგანაც სხვა და სხვა ერი სხვა და სხვა კულტურულ თუ ეკონომიურ განვითარების საფეხურზე იმყოფება... ჩვენ პროგრამას ვწერამთ არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის... ჩვენ გვინდა დავიპყროთ მთელი ქვეყანა... ჩვენ უნდა აღვნიშნოთ პროგრამაში არა ის, რაც არის უკვე რუსეთში, არამედ ის, რაც გვინდა იყოს ყველგან...

ამიტომ ეროვნულ საკითხში გვმართებს დიდი სიფრთხილე... განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ სხვა ეროვნებათ... ყველგან ხდება თავისებური შეხლა-შემოხლა და დამოკიდებულება პროლეტარიატსა და ბურჟუებს შორის...

კომუნიზმს ძალათ თავზე არავის ჩვენ არ ვახვევთ... ჩვენ მივაღწიეთ მშრომელთა დიქტატურას ერთი გზით... პოლონეთი მიაღწევს მას მეორე, შეიძლება, უფრო კარგი გზით...

უნდა მივცეთ საშუალება ყველა ერს, მივიდეს საბჭოთა ხელისუფლებამდის უფრო ადვილათ და ეს საბჭოთა უფლებაც იყოს უფრო კარგი ვინემ ჩვენშია...

არ შეიძლება დავიძახოთ: „ძირს ერის თვითგამორკვევა.

გაუმარჯოს მხოლოთ მშრომელთა თვითგამორკვევას!!!

ეს თვითგამორკვევა ძალიან ძნელი ნაბიჯით მიდის წინ... ის არსად არაა ჯერ, გარდა რუსეთისა. ამიტომ ამ საყურადღებო საკითხს უნდა მოვექცეთ ფრთხილათ... და არა დეკრეტებით მოსკოვიდან.

განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს ველიკოროსელებს, რომლებიც მეფის დროს იყვნენ ცნობილი სხვა ერთა დაჩაგვრა-დამონებით.

ეს პატარა ერები—დაშინებულ-დაჩაგრულები, მეფის დროს, დღესაც უყურებს მოსკოვს უნდობლობით... სთვლის ველიკოროსელებს—დამჩაგვრელათ, მატყუარათ („Угнетатель,“ „Мошенник“ стр. 94)...

ასეთ შეხედულებას დეკრეტებით ვერ მოსპობთ. გასაკვირალია პიატაკოვის სიტყვები: „რა საჭიროა ყველა ეს თვითგამორკვევები, როცა არის მშვენიერი ცენტრალური კომიტეტი მოსკოვშიო“...

ასე მსჯელობა—ბავშობაა... ეს ნიშნავს, არ მიაქციო ყურადღება სხვა ქვეყნებს... ჩვენ გვყავს კომუნისტები, რომლებიც გაიძახიან „ერთიანი შკოლაა“, არ გაბედოთ სხვა ენაზე სწავლება, გარდა რუსულისაო...

ასეთი კომუნისტი არის ველიკოროსიელი შოვინისტი... ცოტა რომ გადაფხიკო ასეთი კომუნისტი, ხელში შეგრჩება იგივე შოვინისტი. (გვ. 94—95).

იმიტომ რომ ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, ჩვენ ვცდილობთ მეგობრულ შეერთებას ყველა სხვა ერებთან, მათ მუშებთან და გლეხებთან და სხვა.

ასე სწერს ამხ. ლენინი. ასე ეკამათებოდა ის იმ პარტიულ ამხანაგებს, რომლებიც ეროვნულ საზომს უარყოფდენ. პარტიამ მიიღო ლენინის ხაზი. ამით პარტია გამაგრდა, გაიზარდა და ამავე გზით ის კიდევ უფრო გაიზრდება და მიიზიდავს მთელი მ.ოფლიოს მშრომელებს.

ჩვენ დაწვრილებით შევჩერდით ლენინ-ბუხარინის კამათზე იმ მოსაზრებით, რომ დაგვენახა შემდეგი: თუ თვით პარტიის ცენტრში, მოწინავე კომუნისტებს შორის იყვნენ ეროვნებათა თვითგამორკვევის მოწინაალმდეგენი, რაღა გასაკვირალია, რომ დღესაც ქონდეს ამ წინააღმდეგობას ალაგი. ისიც ჩვენში, ამიერ კავკასიაში.

ადგილობრივ ენის არ ცოდნას ვერ დავსწამებთ მარტო სხვა ეროვნებათა მუშა-მოსამსახურეს ჩვენში. თვით ქართველობამ ხშირად არ იცის თავისი ენა. უფრო ეხერხებათ რუსული და აი მიზეზი, აი საბაბი გაეროვნების შეფერხებისა.

ასეთი პირები—ქართველია ის თუ რუსი, გაიძახის: „რა საჭიროა ქართული ენა. ჩვენ ყველამ ვიცით რუსული და საქმეც ამ ენაზე ვაწარმოოთ... სულ ერთია ჩქარა საერთაშორისო ენა იქნება და არც ქართული დაგვჭირდება მაშინ და არც რუსულიო.“

სასტიკათ სცდებიან ასე მოაზრენი... საერთაშორისო ენა არ ნიშნავს იმას, რომ მისი გავრცელებით მოისპობა სხვა ყველა ენები... ეს შეუძლებელია...

თვით შავი რეაქციის დროსაც ვერ მოსპეს თვით პატარა და დამონებულ, დაჩაგრულ ერის ენა.

ათასი წლობით აჭარლები იმყოფებოდენ უსაშინელესი და უუსასტიკესი შავი რექციის უღელ ქვეშ, მაგრამ დედა ენა მათ სუფთათ შეინახეს...

ენა ისეთი განძია ერისათვის, რომ მისი დაკარგვა შეუძლებელია, თუ თვით ერი არ გაქრა დედა მიწის ზურგზე.

საერთაშორისო ენა იქნება ურთი-ერთობათა დამოკიდებულების გასაადვილებლათ სხვა და სხვა ეროვნებათა შორის, მაგრამ, ვიმეორებ, რუსეთში რუსული ენა და საქართველოში ქართული არასდროს არ მოისპობა, მით უმეტეს საბჭოთა ხელის უფლების, ყველა ეროვნებათა თავისუფლების და თვით გამორკვევის დროს.

ეს კარგათ უნდა შეიგნონ რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკაში მომუშავე, ადგილობრივი ენის უცოდინარმა ამხანაგებმა. ამათ უნდა რაც შეიძლება ჩქარა შეისწავლონ ადგილობრივი ენა და ხელი არ შეუშალონ გაეროვნების საქმეს, თორემ ისინი აშკარათ უღალატებენ უდიდესი ადამიანის, ლენინის მოძღვრებას.

ეს ითქმის ზოგიერთ თვით პარტიულებზე. ხოლო, რაც შეეხება უპარტიოებს და სხვა და სხვა ადმინისტრატორებს, ამაზე შემდეგ წერილში.

ს. დოლიძე.

# მუშათა კომისია რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადასახლებულებთან

(გაგრძელება. იხ. „ახ. გზა“ № 26).

გავიარეთ კირ-რესპუბლიკა, ყველა ეს მიდამოები წარმოადგენენ ხრიაკ მინდორ-ველებს, არავითარი მოსავალი, არავითარი მცენარე აქ არ ხეირობს, უბრალო ველურ ხესაც ვერსად დაინახავთ. ადგილობრივი მცხოვრები გლეხები ეწევიან მესაქონლეობას, მაგრამ გასაკვირველია, რითი ასაზრდოებენ, როდესაც მინდვრებში მარტო სილა და ქვიშა მოსჩანს მეტი არაფერი*) კულტურული განვითარება ძლიერ დაბალ საფეხურზე დგას, ნაკლებათაა მათში სწავლა-განათლების მცოდნე პირები. ქალებს არ აქვთ ჩადრებით პირი ახვეული. მათში არ ყოფილა წესი ჩადრის დახურვისა, მიუხედავათ იმისა, რომ მაჰმადიანები არიან.

მეხუთე დღეს მივედით ტაშკენტში. იმ დღესვე საღამოთი ვინახულეთ ამხ. ჭიაბრიშვილი, მისივე საშუალებით მეორე დღეს ვნახეთ ყველა გადასახლებულები რიცხვით 23 კაცი.

ოთხ საათზე დავნიშნეთ კრება, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეგვიშალა ხელი და ამ დღეს კრება არ შესდგა. ტაშკენტში აღმოჩნდა 4 კაცი დაპატიმრებული უშ. ელიავა, კ. ჩიჩუა, მ. კალანდაძე და ს. რამიშვილი. გარეთ მყოფ ამხანაგებმა უხერხულად სცნეს მათ დაუსწრებლად ჩვენი მოხსენების მოსმენა და რაიმე რეზოლიუციის მიღება. მოგვცეს წინადადება აღგვეძრა შუამდგომლობა, რომ გამოეშვათ ისინიც და მათთან ერთათ მიეღოთ ესა თუ ის დადგენილება.

ჩვენც მეორე დღეს, ესე იგი, 10 აპრილს, ვინახულეთ „გეპეუს“ უფროსი ბელსკი, რომელიც მოლაპარაკების შემდეგ დაგვეთანხმა დაპატიმრებულების განთავისუფლებაზედ.

ამის შემდეგ მოგვეცა საშუალება გაგვემართა საერთო კრება. ამ საერთო კრებაზედ ყველა დაესწრო, გარდა „სოჩელებისა“ და ერთიც პოლ. ს. კ. (რაღაცა მოსაზრებით ს. კ. არ დაუშვეს კრებაზედ).

ჩვენი მოხსენების და შეკითხვების შემდეგ კრებამ გვთხოვა დაგვეტოვებია ისინი, რათა თავისუფლად ემსჯელათ ჩვენ მიერ დასმულ საკითხებზედ. მათი კრება გაგრძელდა შუაღამემდის, დახლოვებით ღამის 12 საათზედ გადმოგვცეს რეზოლიუცია, მარა ეს რეზოლიუცია არ იყო დამაკმაყოფილებელი, ის არაფერს არ ლაპარაკობდა, შიგ არც მოწონება იყო ჩვენი მუშაობისა, არც დაწუნება. ერთი სიტყვით, არც წყალი, არც ღვინო.

*) რედ. შენიშვნა: არ შეიძლება ყირგიზეთის რესპუბლიკა წარმოვიდგინოთ, როგორც სრულიად ქვიშნარი უდაბნო. ყირგიზეთს უჭირავს უზარმაზარი ტერიტორია ომსკის, ტობოლის, ტომსკის, უფის, სამარის, სემიპალატინის და სხვა გუბერნიების, რომელიც მდიდარია საძოვრებით. ამიტომაც ყირგიზები მისდევენ უმთავრესად მესაქონლე-მეცხვარეობას და ცხენის მეჯოგეობას. ყირგიზებს იმოდენა საძოვარ-სათიბები აქვთ, რომ მათი აუარებელი ცხვარი ზამთრობით თივით იკვებება და ცხენის ჯოგები სუსხიან ზამთარში მინდოში არიან გაშვებულები საძოვარზე.

მეორე დღეს ჩვენ ვფიქრობდით წასვლას სხვა ქალაქებში, მაგრამ ჩვენთან მოვიდა რამდენიმე ამხანაგი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი არ არიან კმაყოფილნი მიღებულ რეზოლიუციით, საჭიროთ მიაჩნიათ ხელმეორეთ მოწვევა საზოგადო კრებისა და დასმულ კითხვებზე გადაჭრით პასუხის გაცემა. გვთხოვეს დავრჩენილიყავით კიდევ ერთი დღე, რაზედაც ჩვენ დავთანხმდით.

კვლავ დანიშნეს საზ. კრება, მაგრამ აქაც დაბრკოლება გადაგვეღობა წინ. ჩვენი შუამდგომლობით განთავისუფლებულები კვლავ დააპატიმრეს უ. ქლიავა და კ. ჩიქოვანი. ს. რამიშვილი, კალანდაძე არ დაუპატიმრებიათ როგორც ავადმყოფები.

ამ დაპატიმრებამ შეუშალა ხელი კრებას. მეორე დღეს მაინც მოხდა საზოგადო კრება, სადაც 11 კაცმა ჭიაბრიშვილის მეთაურობით მიიღო უფრო გაბედული და მკაფიო შინაარსის რეზოლიუცია.

დანარჩენები დარჩნენ ისევ ძველ რეზოლიუციით

ჩვენი სურვილი იყო, რომ ოცში ვყოფილიყავით მოსკოვში და, თუ ჩვენ ყველა ერთათ ვივლიდით, ვინახულებდით მხოლოდ რამოენიმე კოლონიას, ჩვენთვის კი საინტერესო იყო, რაც შეიძლება მეტი ამხანაგი გვენახა და მათი შეხედულობა გაგვეგო. ამის გამო ჩვენი კომისია გაიყო სამ ნაწილათ. ესე იგი, სამნივე წავედით სამ მიმართულებით.

მე წაველი კოკანდი-ფერგანისაკენ, მ. ძამანაშვილი სამარკანდ—დჟალალაბადისაკენ და დ. მიქელაძე ანდიჟანისაკენ. ყველგან კარგი შეხვედრა ქონდათ ამხანაგებს და შესაფერი რეზოლიუციაც გამოჭქონდათ, მხოლოდ მე ერთ ადგილას—კოკანდში ცუდათ შემხვდა ნაწილი კოლონიისა და გამომიცხადეს მამასახლისის პირით, რომ მათ კომისიასთან არაფერი აქვთ საერთო, არ სურთ მასთან შეხვედრა და არავითარი პოლიტიკური ბაასის გამართვა. მაგრამ როგორც გამოირკვა ბოლოს, ყველანი არ ყოფილან ასეთი აზრის, რის გამოც გამოცხადდენ ჩემთან 6 კაცი და სათანადო რეზოლიუციაც მიიღეს.

ჩემის აზრით კოკანდის ასეთი საქციელი არ არის მისაღები მხედველობაში, ვინაიდან თავიანთ მოქმედებით მათ ნათლათ დაამტკიცეს თუ რამდენათ ყოფილან პოლიტიკური მოღვაწენი, მათი ასეთი საქციელი მიეწერება არა პოლიტიკურ სიმწიფეს, არამედ პოლიტიკურ აზროვნების დაბნევას და უვიცობას. მე ვფიქრობ, სუზდალელები გაცილებით მაღლა დგანან პოლიტიკურ მომზადებით და რევოლიუციონური სტაჟით, ვიდრე ზოგიერთი კოკანდელები, მაგრამ პირველებმა ძალიან გულდასმით მოისმინეს ჩვენი მოხსენება და რეზოლიუციაც მიიღეს.

ძლიერ დიდი დანაშაულობა იქნება მუშათა კომისიის მხრით, რომ კოკანდელებზე არ აღძრან შუამდგომლობა განთავისუფლების შესახებ. როგორც ზევით ვსთქვი, არ უნდა მიექცეს არავითარი ყურადღება მათ საქციელს.

მათი მოქმედება ადვილი ასახსნელია, ჯერ ციხე, მერე გადასახლება, უმუშევრობა, სიმშილი და სხვა. ყველანი ნერვებით არიან მოშლილნი და თვითონ არ იციან რას ჩადიან. აბა ჩააყენეთ ისინი ნორმალურ პირობებში და ხქვენ დაინახავთ მათში სულ სხვა პიროვნებას და არა იმას, რაც დღეს არიან. დღეს კი სიზმარში და ცხადში აგენტი ეჩვენებათ, ყველა ის, ვინც მათთან მივა, ჩეკის აგენტი გონია, ის გაურბის მასთან შეხვედრას, მოლაპარაკებას, არა იმისათვის, რომ თავის თავი დიდ რევოლიუციონერათ მოაქვს, არამედ იმისთვის, რომ ეშინია არაფერი წამომცდეს და კიდევ არ მომიმატონ სასჯელიო.

ყველა კომისიის წევრებმა შეასრულეს თავისი მოვალეობა და 16 აპრილს კვლავ დავბრუნდით ტაშკენტში, აქედან კი 17 აპრილს გავემგზავრეთ მოსკოვისკენ.

აქ საჭიროთ მიმაჩნია უზბეკის რესპუბლიკის შესახებ ორიოდე სიტყვით გავაცნო მკითხველს მათი ზნეჩვეულება, ადგილ-მდებარეობა და კულტურული დონე.

(უზბეკისტანზე შემდეგ ნომერში).

**კ. მაჭარაძე.**

# ტფილისის სადგურის ახალი ადგილკომი

ამ დღეებში შესდგა ტფილისის სადგურის და საროსოდო პარკის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

კრებას ამხანაგები ბლომათ დაესწრენ და ეს იყო მიზეზი, რომ აქ კამათმა მიიღო სასურველი, საქიანი ხასიათი.

ძველი ადგილკომის და სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც კრიტიკულის თვილსაზრისით მიუდგენ ადგილკომის პრეზიდიუმის მოქმედებას.

პრეზიდიუმის წევრები, თუმცა საქმეზე მუყაითად ყოფილან, მაგრამ იქნა აღნიშნული მათი მუშაობა-მოქმედების ნაკლიც... ყოფილა შემთხვევა, რომ რამდენიმე დღე ადგილკომში არ მოსულა პრეზიდიუმის წევრი და მუშებს მოხდენიათ ცდა, დროს დაკარგვა. სამიდან—ერთი წევრი მუდამ უნდა იმყოფებოდეს ადგილკომში დანიშნულ დროს. აგრეთვე რამდენიმე მხრიდან მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ ადგილკომში საქმეები ტარდება არა სახელმწიფო ენაზე. დამსწრე ამხანაგებმა ეს დაუშვებლად აღიარეს.

ყოფილი ადგილკომი თავს იმით მართლულობდა, რომ ქართული საბეჭდი მანქანა არა გვაქვსო. საქმე მანქანში კი არაა, არამედ იმ გარემოებაში, რომ ადგილკომის თავმჯდომარეთ იყო ადგილობრივ ენის არა მცოდნე ამხანაგი.

უნდა ითქვას, რომ ამ კრებამ არაჩვეულებრივი, კარგი და სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა. აქ ცხადათ დავინახეთ, რომ უპარტიო და პარტიულ მუშებს შორის ჩატეხილი ხიდი მთელდება. უპარტიო ამხანაგები გვერდში უდგებიან, მხარს უმაგრებენ პარტიულებს ორგანიულ მუშაობაში.

ადგილკომში ნახევარზე მეტი უპარტიონი გაიყვანეს და თავმჯდომარეთაც უპარტიო **ამხანაგი რაზმაძე** გავიდა.

თუ დაუმატებთ იმას, რომ მთავარ სახელოსნოშიც ადგილკომის თავმჯდომარეთ არჩეულია უპარტიო, ანუ **ყოფილი მენშევიკი ბოლქვაძე**, კიდევ უფრო მეტი საბუთები გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძმობა, ერთობა, ნდობა პარტიულ და უპარტიოთა შორის უკვე **ხინამდვილეა ფაქტია.**

უსურვოთ ჩვენს ახალ ადგილკომებს და მათ ხელმძღვანელებს ნაყოფიერი მუშაობა მომავალში, რომ მათ გაამართლებინოთ თავისდამი ნდობა-იმედები.

# შავი ქვის კონცესიის მნიშვნელობა

ჭიათურის შავი-ქვის კონცესიის გაცემას ამერიკულ ფირმაზე უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

ამერიკელ უძლიერეს კაპიტალისტ ე. წ. „რკინის გზის მეფე“ ჰარიმანთან დადებული ხელშეკრულება ერთხელ კიდევ ნათლად ამტკიცებს იმ შეხედულებას, რომ ევროპისა და ამერიკის საქმიანი კაპიტალისტები ცდილობენ საბჭოთა კავშირთან საქმიანი ურთიერთობის დაჭერას; ისინი საბოლოოდ დარწმუნდენ, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცე მთავრობაა, რომელიც ხალხის—მუშებისა და გლეხების განუსაზღვრელ ნდობით სარგებლობს.

საბჭოთა მთავრობის რვა წლის არსებობა, მისი ეკონომიურად და პოლიტიკურად სწრაფი ტემპით გაძლიერება, ათასგვარ მძიმე დაბრკოლებათა (სამოქალაქო ომი, შიმშილი) გადალახვა და სხვა მრავალი, საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის აშკარა დამადასტურებელია.

ამერიკა-ევროპის კაპიტალისტებს არ შეეძლოთ ეს არ დაენახათ, აქედან სათანადო დასკვნა არ გამოეტანათ და საბჭოთა კავშირთან დასაახლოვებლად პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაედგათ. მათ უკვე აღარ სჯერათ ზოგიერთ იმპერიალისტურ წრეების ცრუ ხმები საბჭოთა ხელისუფლების სისუსტის, მისი აღსასრულის მოახლოების შესახებ. მათ თავის თვალით დაინახეს, პირადათ გაეცვნენ საბჭოთა კავშირის მდგომარეობას და დარწმუნდენ, რომ საბჭოთა მთავრობასთან შესაძლებელია საქმიანი დამოკიდებულების დაჭერა.

ცხადია, ჰარიმანი და კომპანია არ აიღებდენ ჭიათურის კონცესიას ასეთი ხანგრძლივ—20 წლის ვადით, და არ ჩაყრიდენ იქ ათეულ მილიონებს, რომ ოდნავ მაინც ეჭვი ებადებოდეთ საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში.

ჰარიმანი იმიტომ აბანდებს ჭიათურაში ამდენ თანხებს, რომ ის დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საფრთხე არ მოელის, რომ ის იარსებებს და კეთილ-სინდისიერად შეასრულებს თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს.

გარდა ჰარიმანის კომპანიისა, ამ ერთი თვის წინად საბჭოთა მთავრობამ მისცა კონცესიათ უძლიერეს ინგლის-ამერიკის სამრეწველო კომპანიას „ლენა-გოლდფილს“ ციმბირში ოქროს წარმოება და ურალისა და ციმბირის ზოგიერთ რაიონებში ქვა-ნახშირისა და რკინის მადნების წარმოება. იქაც ათეულ მილიონები უნდა იქნეს დაბანდებული მეტალურგიულ ქარხნების მოსაწყობათ და წარმოების გასაჩაღებლად.

აშკარაა, რომ ჰარიმანისა და „ლენა-გოლდფილის“ მაგალითს სხვა კაპიტალისტებიც წაბაძავენ, რაც საბჭოთა კავშირის უდიდესი პოლიტიკური გამარჯვება იქნება.

არ შეიძლება ამ გარემოებამ ამერიკისა და ევროპის მართველ წრეებზე გავლენა არ მოახდინოს და იძულებული არ ჰყოს ისინი საბჭოთა კავშირს მეტი ყურადღებით მოეპყრან, მასთან დასაახლოებლად რეალური ნაბიჯი გადადგან.

ევროპა-ამერიკის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა ამას უკარნახებს მათ მმართველებს...

საბჭოთა კავშირი ეკონომიურად ჩამორჩენილია, მისი ტეხნიკა განუვითარებელია, საკუთარი საშუალებით მეურნეობის ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით გარდაქმნა საბჭოთა ხელისუფლებას დღეს არ შეუძლია, საამისო ფინანსიური სალსარი მას არ მოეპოება. საკუთარი ძალებით საბჭოთა მეურნეობის ტეხნიკის გაუმჯობესებას დიდი დრო სჭირდება...

საბჭოთა კავშირი მდიდარია ნედლი მასალით, რომლის სავსებით გამოყენება-დამუშავება მას არ შეუძლია, მის ნედლ მასალას გარეშე ბაზარი ეჭირვება, სამაგიეროთ მას აკლია სამრეწველო საგნები, აკლია საფეიქრო ნაწარმოები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვა. ამ ნიადაგზე აუარებელი შესაძლებლობანი იქმნება საბჭოთა კავშირისა და ევროპა-ამერიკის სახელმწიფოებ შორის ეკონომიურ ურთიერთობის გასაბმელად, მათი ერთმანეთთან ეკონომიურ კავშირის შესაქმნელად.

ევროპა-ამერიკის ძლიერ კაპიტალს დიდი სარგებლობის მიღება შეუძლია საბჭოთა კავშირის ფართო ბაზარზე, ხოლო საბჭოთა კავშირს—ევროპა-ამერიკის ბაზარზე.

სწორედ ამ ეკონომიურმა ინტერესებმა აიძულეს ჰარიმანის კომპანია და „ლენა-გოლდფილსის“ კომპანია საბჭოთა კავშირთან საკონცესიო ხელშეკრულება დაედოთ. უდაოა, იგივე ინტერესები ადრე თუ გვიან აიძულებენ ევროპა-ამერიკის მმართველებს საბჭოთა კავშირთან, მუშურ-გლეხურ ძლიერ სახელმწიფოსთან ეკონომიურ-პოლიტიკური ხელშეკრულება დასდონ.

ჭიათურის შავი-ქვის კონცესიით გაცემა დიდად შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის საზოგადოების იმ ნაწილის გამოფხიზლებას, რომელსაც დღემდე გულუბრყვილოდ სწამდა ევროპაში მოხეტიალე „ლიდერებისა“ და მათი ადგილობრივ აგენტების მტკიცება, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებს ევროპის კაპიტალისტებთან საქმიან ურთიერთობის დაჭერას, მათთან საკონცესიო ხელშეკრულებების დადებას და სხვა.

ვის არ ახსოვს, რომ საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების ერთი მთავარი დებულებათაგანი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წამოყენებული, ის იყო, რომ საქართველოს, როგორც ეკონომიურად ჩამორჩენილს, არ შეუძლია უცხო კაპიტალის დაუხმარებლად თავისი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება, ხოლო უცხო კაპიტალი საბჭოთა ხელისუფლებას არ ენდობა, ამიტომ უნდა მოვსპოთ საბჭოთა ხელისუფლება და ამით გზა გაუხსნათ საქართველოსკენ უცხო კაპიტალსო.

დღეს ყველა, ურწმუნო თომებიც-კი დაინახავენ რომ საბჭოთა ხელისუფლება არ უშლის ხელს ხალხის საკეთილდღეოთ შემოსულ უცხო კაპიტალს, რომ საქართველოს მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს საქართველოში უცხო კაპიტალის მისაზიდავათ და საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ ასაღორძინებლად. მთავრობის ამ მიმართულებით მუშაობამ ერთი გამარჯვება მოგვიპოვა, გაადვილებულია სხვა ახალი გამარჯვებათა მიღწევაც: დღეს ყველა ხედავს, რომ უცხო კაპიტალს სწამს საქართველოს მთავრობის სიმტკიცე, ნდობით უყურებს მას და იწყებს მასთან უდიდეს მუშაობას.

ჰარიმანთან დადებულ საკონცესიო ხელშეკრულებას გარდა პოლიტიკურ მნიშვნელობისა უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, საქართველო ეკონომიურად ძალიან ჩამორჩენილი ქვეყანაა. მოსახლეობა ღარიბად სცხოვრობს, მიწის დიდი სივიწროვეა, საქართველო მდიდარია მადნეულობით, ტყეებით და სხვა. მათი დამუშავება დიდ თანხას მოითხოვს, მთავრობას ამის საშუალება არ აქვს...

ჭიათურის შავი-ქვა საუკეთესო წყაროა ქართველი ხალხის გასამდიდრებლად, ის იშვიათი სიმდიდრეა, მაგრამ მისი სათანადოთ გამოყენება დღემდის ვერც ერთმა მთავრობამ საქართველოში ვერ შესძლო.

საბჭოთა მთავრობას არ ქონდა იმდენი ფინანსიური შესაძლებლობა, რომ შავი-ქვის ამოღების და გასაღების საქმე ფართოდ დაეყენებია, წარმოების ტეხნიკა გაეუმჯობესია, მისი მეხანიზაცია—„ამერიკანიზაცია“ მოეხდინა, წარმოება გაეფართოებინა.

შავი-ქვის ამოღება-გადაზიდვა დღემდის პრიმიტიულ, მტაცებლურ წესით ხდებოდა, გარეცხვა-გადაზიდვაში ქვის 40—50 პროცენტი იკარგებოდა. მიუხედავათ იმისა რომ საბჭოთა მთავრობამ წინა მთავრობასთან შედარებით შავი ქვის საქმე კარგათ დაეყენა, ის მაინც დამაკმაყოფილებელი არ იყო. ამის მიზეზი უფულობა-უსახსრობა იყო. საჭირო იყო ფულის მონახვა, ეს კი შეიძლებოდა უცხო კაპიტალის მოწვევით, წარმოებაში მისი ჩაბმით.

საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ჰარიმანის კომპანიის სახით უცხო კაპიტალის მოზიდვა და საქართველოს ხალხის სასარგებლო ხელშეკრულებით შავი-ქვის კონცესიის გაცემა.

ჰარიმანის კონცესია ვალდებულია შავი-ქვის ამოღება გარეცხა-გადაზიდვა გააფართოვოს, წარმოება ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით მოაწყოს. ახალი ქარხნები ააგოს. წლიურად არა ნაკლებ 56 მილ. ფუთი შავი ქვა გაიტანოს, ფოთში ელევატორი მოაწყოს, ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა ფართო ლიანდაგიან გზათ გადააკეთოს და სხვა. მარტო საერთო გადასახადით შემოუა მთავრობას ყოველ წლიურად საშუალოდ სამი მილიონი დოლარი. საერთოდ კი კონცესია მისცემს საქართველოს მეურნეობას შემოსავალს (მუშების ხელფასი, ფრახტი, ანარიცხი და სხვა) არა ნაკლებ 16 მილიონისა.

შავი-ქვის მუშაობა ჩაითრევს და ლუკმა პურს მისცემს არა ნაკლებ 4000—5000 კაცისა, რაც დიდათ შეამცირებს ჩვენში არსებულ უმუშევრობას. კონცესიონერიდან აღებულ ფულს მთავრობა მოახმარს საქართველოს მრეწველობის სხვა დარგებისა და სოფლის მეურნეობის გაფართოებას, რაც გამოიწვევს მუშა-ხელის რიცხვის გაზრდას სამუშაო ხელფასის გადიდებას და ერის ეკონომიურ-კულტურულად აღორძინებას.

ელი.

# პრესის მაგიერ

**უმუშევრობა ჩვენში (ფილ. მახარაძის წერილის გამო).**

ამ სამი კვირის წინათ, ადგილობრივ პრესაში, მოთავსდა ღირს-შესანიშნავი წერილი ცაკის თავმჯდომარის ფ. მახარაძის.

წერილი ბევრის მთქმელია და მრავალ მხრივ არის საყურადღებო. ჩვენი სინამდვილისათვის დღეს ერთ საჭირბოროტო კითხვას უმუშევრობა შეადგენს. ეს მეტათ მტკივნეული მოვლენაა ერის ცხოვრებაში, რომლის ზრდაზედ თუ შესუსტებაზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული და უნდა გულწრფელათ იქნეს აღიარებული, რომ დღევანდლამდის ამ დარგში ბევრი არაფერი გაკეთებულა. ეს ფრონტი ამდენ ხანს განსაკუთრებულ ყურადღების და მფარველობის ქვეშ არა ყოფილა დაყენებული.

მართალია, ცოტა დრომ გაირა ამ წერილის შემდეგ, მაგრამ ზოგიერთი უწყება, ვისგანაც უმთავრესათ დამოკიდებული იყო ზრუნვა ამ საქმეზედ, ცოტა შეირხა, გამოერკვა და უნდა ვიმედოვნოთ, რომ რამოდენიმე ათეული უმუშევარი ამის შემდეგ ლუკმა პურს დროებით გაიჩენს.

კარგა ხანია, რაც საზოგადო სამუშევრებისათვის ზოგიერთი თანხები გადადებული იყო, მაგრამ რაღაც მოსაზრებით ისინი უძრავათ ინახებოდენ ხაზინის სალაროში; მხოლოთ ეხლა დაიძრენ იქიდან და ისიც ნაჩქარები გეგმით. წერილმა ნაყოფი გამოიღო, ეს ძვირფასია, მაგრამ ზრუნვა ამ საქმისადმი ერთი უწყების მიერ და მარტო ბიუჯეტით გადადებული თანხით ვერ იკმარებს.

ამ საქმეში უნდა ჩაებას ყველა საზოგადოებრივი წრეები, ყველა უწყებები, ყოველი ქართველი. ეს ფრონტი ეროვნულ საქმიან ფრონტათ უნდა იქნეს გამოცხადებული. ზომები უნდა მიღებულ იქნეს, როგორც სასწრაფო, დროებითი ხასიათის, აგრეთვე მუდმივი, ძირითადი, რომლის მიზანი იქნება მომავალში უმუშევართა დაგროვების აცილება. ამასთანავე, უნდა სახელმწიფოს მიერ გამონახული და გამომუშავებული იქნეს დაკვირვებით საერთო გეზი ჩვენი მომავალი კულტურულ-ეკონომიური ზრდისათვის, საითაც უნდა მიიმართოს მთელი ეროვნული ძალები. ტყუილა უბრალოთ არასოდეს არ უნდა იბნეოდეს ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, უსაქმოთ არ უნდა რჩებოდეს არც ერთი ცხოველი ძალა იმ დროს, როდესაც ყველაფერი გასაკეთებელი და აღსადგენია. ამას მოითხოვს საბჭოთა მეურნეობის აღსადგენათ დაწყებული მუშაობა. შრომის ძალა უმნიშვნელოც კი უსარგებლოდ არ უნდა იქნეს დატოვებული, როდესაც სამუშაო და გასაკეთებელი ჩვენში მეტად ბევრია. საჭიროა სისტემა, რომ ყველა ძალები რაციონალურად იქნეს გამოყენებული. ისიც ხომ მართალია, რომ ხშირათ ამ ენერგიას მთელი რიგი პირების თუ წრეების ბოროტათ ხარჯავენ, როდესაც ისინი შესაფერ სამოქმედო ასპარეზს ვერ პოულობენ.

საჭიროა საფუძვლიანი შესწავლა ჩვენი ცხოვრების ყოველი კუნჭულის, სუსტი ადგილები იმდენათ შეკეთდეს, რომ დანაკლისი—შეივსოს და მოჭარბებული—შემცირდეს. ამას მოითხოვს მუშისა და გლეხის ინტერესი. გულს ვერ გავიტეხთ, უმუშევრობა მარტო ჩვენი სენი არ არის. მით დღეს და ყოველთვის დაავადებულია მთელი ბურჟუაზიული ევროპა და ძლიერადაც.

მახარაძემ სამართლიანათ გაუსვა ხაზი განსხვავებას ჩვენსა და ევროპის უმუშევრობას შორის. აქაური უმუშევრობის წარმომშობი მიზეზები დიახ, სულ სხვაა. აქედან, წამლობაც საჭიროა განსხვავებული. დასავლეთში უმუშევრობას, ტეხნიკის სწრაფი გაუმჯობესობა—საქონლის უგეგმოდ დამზადება, სამრეწველო კრიზისები და საერ-

თოთ გადაჭარბებული სიმდიდრე უდევს საფუძვლათ—აქ კი—მრეწველობის განუვითარებლობა და საერთოთ სიღარიბე.

რომ სწორეთ ავღნიშნოთ და არ გავითვალისწინოთ ზოგიერთი სპეციფიური ჩვენებური პირობები, გვერდს ვერ აუვლით უმუშევრობის საერთო მიზეზებს, უმთავრესათ, მსოფლიო ომს და განვლილ სამოქალაქო ომს. ომმა დიდი როლი ითამაშა და დღესაც საგრძნობია მისი შედეგები, როგორც დასავლეთში, ისე ჩვენში. ინგლისში, მაგალითად, ომამდე—1913 წ. ყოველ 100 პროფესიონალურ კავშირის წევრზედ 3 უმუშევარი მოდიოდა, ომის შემდეგ კი 1921-1922 წ. წ. უმუშევართა რიცხვი ყოველ 100 პროფკავშირის წევრზედ გაიზარდა 23 კაცამდე, ბელგიაში —32-დე ავიდა, დანიაში—33-მდე, შვეიცარიაში – 34-დე და სხვა (ცნობები ამოღებულია წიგნიდან Борьба с безработицей на западе и в С. С. С. Р.—Кузятина გვ. მე-5). დღეს თითქოს კაპიტალიზმის სტაბილიზაცია მოხდა, რის გამო უმუშევრობა დროებით შემცირდა, მაგრამ მისი საფრთხე ჯერაც არ აქვს აშორებული ევროპას. გერმანიაში ის ეხლაც საგრძნობია—26% უდრის და, თუ გაზეთებს დაუჯერებთ, ინგლისში ის აღწევს 1,247,800 კაცამდე.

სიღარიბით, ეკონომიური ჩამორჩენილობით გამოწვეული უმუშევრობა, მით უმეტეს იქ, სადაც სახელმწიფო რესურსების ნაკლებობის გამო, შესაფერ ფულად დახმარებას ვერ აძლევს უმუშევრებს, მეტათ მწვავეა, ძნელი ასატანია უმუშევრებისათვის.

წარმოების აღდგენისთანავე ის მოისპობა, მთელი უმუშევრები საქმეს გაიჩენენ. აქ ჩვენ მკითხველი და უმუშევარი ალბათ შეგვნიშნავენ, რომ წარმოების შექმნას ჩვენში წლები უნდა—მანამდის?! დიახ, წარმოების აღდგენას მართლაც დრო უნდა, ეს მახარაძემაც სწორათ აღნიშნა, მაგრამ არის სხვა ზომებიც, რომლითაც შეიძლება პირობების შემსუბუქება დროებით და ჩვენც სწორეთ ასეთ ზომების დაჩქარებას ვსაჭიროებთ.

ზომები, რასაკვირველია, შეიძლება იქნეს ბევრ გვარი: 1. სასწრაფო, სადღეისო 2. ახლო მომავლის, ხვალინდელი დღისათვის და 3. საბოლოვო, შორი მომავლის.

რომ ყოველი კაპეიკი მიზანშეწონილათ დაიხარჯოს, ამისათვის საჭიროა წინასწარ მოფიქრება, გეგმის შედგენა და შემდეგ მოქმედება.

უნდა გათვალისწინებული იქნეს ისიც, თუ საიდან იკრიბება უმუშევრები და რომელ საზოგადოებრივ ფენას უჭირს დღეს ყველაზედ მეტათ—რისთვის და რამდენათ საჭიროა ამ წრის დახმარება. ამრიგათ, უმუშევრების ყველა შენაკადები უნდა მიგნებულ და შესწავლილი იქნეს, რომ სწორეთ სათავიდან დაიწყოს წამლობა.

არავისათვის დასამალი არ არის, რომ უმუშევრობა მეტად ძნელი ასატანი ხდება, სიმშილი წელში სტეხს და ანადგურებს მთელ რიგ ოჯახებს. ალბათ ბევრი ჩვენთაგანი იცნობს რამოდენიმე ასეთ ოჯახს.

მიხდება გამეორება, ჩვენ ღარიბები ვართ, სრულიად გამოფიტული, დაცარიელებული ქონებრივად, მსოფლიო და სამოქალაქო ომებით. მთელი მარაგი, ეროვნული დოვლათი, კრიზისების დროს, უკანასკნელ წლებში ქუჩაში იქნა გამოტანილი და განიავებული ლუკმა პურის საფასურათ. სამწუხაროთ, წინათაც არ ვყოფილვართ შედარებით ძლიერნი, ღონიერნი ეკონომიურათ. ვინ არ იცის, რომ ჩვენი ხალხის კვება ყოველთვის დამაფიქრებელი იყო და მით უმეტეს ეხლა დიდი უმუშევრობის დროს. ამიტომ არის ჩვენებური უმუშევრობა უაღრესად საყურადღებო.

ყველა დაგვიდასტურებს, რომ ქორწინების რიცხვი კლებულობს, ცოლქმართა გაყრა-გათვისების პროცენტი მატულობს, დაბადების რიცხვი კლებულობს, სიკვდილიანობა მატულობს. თვითმკვლელობის შემთხვევები იზრდება, მარტო მაისში 15 თვითმკვლელობის შემთხვევას ჰქონდა ადგილი. და ყველა ამის ერთერთი გამომწვევი მიზეზი განა უმუშევრობა არ არის? ჰლექს ვებრძვით—რათ არ უნდა ვებრძოლოთ მის გამომწვევ მიზეზებს?

ფ. მახარაძის სამართლიანი შენიშვნით „ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენ მიახლოვებითაც არ ვიცით ეს (უმუშევრების) რიცხვი, რადგან არა ყველა უმუშევარი ტარდება აღრიცხვაზედ“. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ბირჟაში აღრიცხვაზედ აყვანა ტეხნიკური და ზოგიერთი სხვა მიზეზით არც ისე ადვილია და სამუშაოს მაძებარი ხალხი რჩება მთავრობის და ბირჟის მხედველობის არეს გარეშე.

თუ საიდან იკრიბება უმუშევრები, მახარაძის წერილში საკმაო სისწორით არის ჩამოთვლილი. არის სხვა ნაკლებიც და ყველა ამეების მოსპობა ხომ საბოლოვოთ მრეწველობის ფეხზედ დადგომას შეუძლია. მანამდის კი სხვა საშვალებათა შორის არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ განვიცდით ბევრ სპეციალურ დარგებში მცოდნე, კვალიფიციურ მომუშავეთა კრიზისს. რომ ასეთ მდგომარეობიდან გამოვიდეთ საჭიროა ხელისუფლების ინიციატივით ფართოთ დაარსება სხვადასხვა სპეციალური კურსების პრაქტიკული სავარჯიშოებით.

ხშირად გვესმის: საჭიროა ამა თუ იმ მოსამსახურის ადგილიდან დათხოვა, მაგრამ შემცვლელი არა გვყავსო. ეს თუმცა სავსებით სწორი საბუთი არ არის, მაგრამ არც ამის თქმის საფუძველი უნდა ქონდეს ვისმეს. კურსები შეიძლება იქნეს მოკლე და გრძელი ვადიანი, დროებითი და მუდმივი; იმის და მიხედვით თუ რა სპეციალობა, რა ხასიათის და რა საჭიროების დარგია აღებული. ეს დიდათ შეუწყობს ხელს ნაციონალიზაციის გატარებისაც. ამას უცდის მშრომელი ხალხი.

აქვე უნდა ითქვას, ჩვენში განსაკუთრებული ლტოლვაა სოფლიდან ქალაქისაკენ. ყველას უნდა როგორმე ტფილისში გადმოსახლდეს, აქ მოეწყოს სამსახურში. ადვილათ სტოვებენ სოფლის მეურნეობას და ეშურებიან ქარხნისაკენ.

ის, რომელიც ქალაქისკენ მორბის, იძულებული ხდება მიატოვოს თავისი კერა კრიზისის გამო, რომლის დროს სოფლის ნაწარმოები ხშირათ ან ვერ პოულობს ბაზარს და თუ პოულობს ვერ საღდება ხელსაყრელ ფასებში. ამიტომ სტოვებენ ადვილათ სოფლის მეურნეობას, სთვლიან რა მას არამომგებიანათ. ისედაც, ჩვენებურმა კაცმა, თუ ორი ანბანი ისწავლა, სოფელში გაჩერება აღარ უნდა. ასეთი დამოკიდებულება სოფლის მეურნეობასა და ქალაქურ ცხოვრების მაინც და მაინც არც კარგს გვიქადის.

თანამედროვე სოფლის კრიზისი დროებითია, ის გაივლის, პირობები შეიცვლება და სოფლის ცხოვრება გამოცოცხლდება და გაჯანსაღდება. ქალაქის და სოფლის ნაწარმოებს ბაზარი გაუჩნდება. ეს მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ, სოფელი არ უნდა მივატოვოთ, პირიქით —ის ხალხი, რომელიც ქალაქათ სამუშაოს ვერ პოულობს, უმთავრესად დაბალი და საშუალო ცოდნის, სოფელს უნდა დაუბრუნდეს. სოფლის კულტურისათვის მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ.

ჩვენში ხომ კულტურული მეურნეობა მხოლოთ ჩანასახშია. ის უნდა გაფართოვდეს, მისთვის ძლიერ ხელსაყრელი პირობებია მოცემული ბუნებისაგან; უკეთესის ნატვრა არ შეიძლება. ვინ უნდა გაუძღვეს, ვინ უნდა გახდეს მეთაური თუ არა ჩვენი, მშრომელი უმუშევარი ინტელიგენცია. ნუ შეგვაშინებს, ნუ ვიუკადრისებთ, თუ ერთბაშათ ჩვენ მიერ დაწყებული სნქმე პატარა ან ნაკლებ მომგებიანი იყოს. აქ მთავრობაც უნდა მიეშველოს ასეთ მშრომელებს სესხით ან სასოფლო-სამეურნეო იარაღებით.

მთელი საქართველო უნდა კულტურულ მეურნეობის ქვეყნად გახდეს. ყოველი კუთხის, სოფლისათვის მისთვის შესაფერისი მეურნეობის დარგი იქნეს შერჩეული. გლეხობას უნდა გვერდში ამოუდგეთ, ჩვენი ცოდნა, გამოცდილება საქმით უნდა უჩვენოთ სოფლის მშრომელთ. სოფელს უნდა დაუბრუნდეთ და მით უმუშევრობის ფესვი მოვსპოთ. ვისაც კი აქვს სოფლათ მიწა და მასზედ კულტურული მეურნეობა შესაძლებელია უნდა გამოვიყენოთ. სადაც საერთო შრომაა საჭირო და მიწებიც შეიძლება სახელმწიფო ფონდიდან მივიღოთ—აქ უნდა კომუნები, კოლექტივები შევქნათ: ბევრის გაკეთება შეიძლება. მდიდარი და მრავალ-ფეროვანია ჩვენი ქვეყნის ბუნება. აქ სიმშილობას და უსაქმობას არასოდეს ადგილი არ უნდა ქონდეს.

რამდენი დარგია ჩვენში, რომ ჯერ ხელუხლებელია, უცდის მცოდნე ხელს.

**ხელისუფლება და ხალხი ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიემართებოდენ საერთო კეთილდღეობისათვის, უკეთესი მომავლისათვის.**

აქ პოლიტიკური მომენტიც გასახსენებელია: ბუტიაობას, გვერდზედ დგომას ადგილი არ უნდა ქონდეს. მთავრობა და მასები ერთმანეთს უნდა ენდობოდენ. რამდენათაც ადრე და გულწრფელად გავყვებით სინამდვილით ნაკარნახევ გზას, მით მეტს მოვიგებთ.

ამრიგათ, ყველა ზომები და საშვალებები უმუშევრობის ასაცდენათ, ერისთვის მისი სასტიკი შედეგების ასაშორებლათ უნდა იქნეს მოხმარებული. **არც ერთი უმნიშვნელო ზომა არ უნდა დარჩეს გამოუყენებელი, თუ გინდ ერთი ან ორი უმუშევარი იქნეს დაკმაყოფილებული ამ გზით.**

საჭიროა უმუშევართა დამხმარე კომიტეტის შექმნა და საერთოთ ამ საქმეში ყველას ჩაბმა.

საბჭოთა ხელისუფლებას არა ერთი და ორი კრიზისი გადაუტანია. ბევრს მეტათ მწვავე და სახიფათო მდგომარეობიდან მოხერხებული გამოსავალი მოუნახავს. და რომ აცილებული იქნეს თავიდან ეს დეფექტიც, ამისათვის საჭიროა ყველა ძალების ამოძრავება.

ყველა, ვინც მტერი არ არის მშრომელი ხალხის და ერის, უნდა ერთსულოვნათ ამუშავდეს უმუშევრობის სალიკვიდაციოთ.

ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაწილობრივი ნაბიჯები არ იკმარებს. საჭიროა უფრო მეტი ენერგია და დაჩქარება. აქეთკენ მოუწოდებს ფ. მახარაძეც თავის წერილში. ეს მორიგი და სერიოზული ამოცანაა.

**შ. ქ.**

# ქრონიკა

## ადგილობრივი ცხოვრება

**მუშათა კომისიის საქმიანობის შედეგი.** მუშათა კომისიის საბჭ. რუსეთში გადასახლებულებთან მოლაპარაკების შედეგათ კომისიის მოხსენების გამო, საქ. ცაკმა დაადგინა: გაანთავისუფლოს და დააბრუნოს საქართველოში 83 გადასახლებული.

**წარმოკავშირის ახალი ქარხანა.** ივნისის 10-ს დაიწყო მუშაობა წარმოკავშირის მატყლის საწმენდმა ახალმა ქარხანამ. ქარხანა წმენდს და ახარისხებს მატყლს ახალი გაუმჯობესებული მარსელის წესით. ქარხანაში მუშაობს 90 კაცი.

**სამთო მრეწველობის აღორძინებისათვის.** საქარ. სახალხო მეურნ. უმაღლეს საბჭოს სამთომადნო განყოფილებას (წულიკიძის განცხადებით) აზრათ ჰქონია ახლო მომავალში გამოიკვლიოს და გააჩაღოს საქართველოში დამუშავება: 1-ლიტოგრაფიული ქვის, რომლის მარაგი მსოფლიოში განსაზღვრულია.

2—გრაფიტის, რომლის მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზედ მეტათ დიდია. არა ნაკლებ 4.000 მეტრ. ტონისა წელიწადში და 3—კეფექელიტისა—ჩვენებური საბანი მიწა, რომლითაც მოფენილია საქართველოს ყოველი კუთხე.

**პარკის მოსავალი.** მაზრებიდან მიღებული ცნობების მიხედვით წელს აბრეშუმის პარკის მოსავალი საშუალოზედ მაღალია. ფასები 20-25 მ-დეა. შესყიდვას აწარმოებს როგორც კოოპერატიული, აგრეთვე კერძო პირები.

**დელეგაციები.** ინგლისის ქალთა დელეგაციამ დაათვალიერა საქართველოს ზოგიერთი კუთხე და სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი. დელეგაცია მეტათ კმაყოფილია ყველა ნახულით.

ამ დღეებში საქართველოში ჩამოვლენ საფრანგეთ-ბელგიიის მუშათა დელეგაცია, რომელიც ამ ჟამათ საბჭ. უკრაინაში იმყოფება.

**კავკასიის რუკა.** საქართ. გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გამოსცა პოლიტიკური და ადმინისტრატიული რუკა.

**შირაქის კონცესია.** საბჭოთა კავშირის მთავრობას (ყოეიკ. მოხსენ.) ამ რამოდენიმე ხნის წინათ გაუცია შირაქის ნავთის კონცესია იტალია-ბელგიურ საზოგადოებაზედ 33 წლით.

მუშაობა უკვე დაწყებულია.

**საბჭ. სომხეთში.** გაიხსნა შირაქის არხი, რომელიც მორწყავს გადახრუკულ ველებს სომხეთში. არხი მთლიანათ მოთავებული არ არის.

**საბჭოთა კავშირში.** „ამიერ-კავკასიის სპილენძი“. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ აღძრა საკითხი შრომისა და თავდაცვის საბჭოში ამ. კავკ. უმთავრესათ ზანგეზურის და ალავერდის, სპილენძის დამუშავების გაფართოვების შესახებ. თავდაცვის საბჭომ დაადგინა შექმნას კავშირის მასშტაბით მთლიანი საზოგადოება სახელწოდებით „ამიერკავკასიის სპილენძი.“ სახ. მეურნ. უმ. ეკ. საბჭოს დაევალა ამა წლის 1 ენკ. დაამუშაოს გეგმა.

**კონცესია ტყვის ნაწარმოებზედ.** საბჭოთა კავშირ. სახ. კომის. საბჭომ დაამტკიცა პროექტი ხელშეკრულებისა, რომლითაც ეძლევა კონცესია საბჭოთა რუსეთში ტყვის ნაწარმოებზედ ლატვიის მოქალაქე რეისერს.

**ყოფ. დიდ მემამულეთა ძველ საცხოვრებელ ადგილებიდან გამოსახლება.** სრულ. რუსეთის საბჭ. კავშირის ცაკმა დაამტკიცა პროექტი რ. ს. ფ. სოც. რესპუბლიკის მთავრობის, რომლის მიხედვით ყველა ყოფ. დიდ მემამულეებს, მიწათ მქლობელთ ერთმევათ უფლება მიწის მფლობელობის და უნდა გამოსახლებულ იქნენ ძველი საცხოვრებელი ადგილებიდან.

---

# სხვა და სხვა ამბები

(კვირიდან კვირამდე)

## საბჭოთა რუსეთი

**ლენინგრადი.** მოსკოვის „Известия“-ს კორესპონდენტს ატყობინებენ „1920 წლიდან არასოდეს არ ყოფილა ისეთი დიდი რიცხვი და ისე შორს ბალტიის ზვის ალმოსავლეთ ნაწილში შემოჭრილი უცხოეთის ესკადრები, როგორც ამ ჟამათ. ივნისის დამდეგიდან ფინეთის და ბალტიის წყლებში მოდიან ინგლისის, გოლანდიის, დანიის და პოლონეთის ესკადრები, აგრეთვე ამერიკის კრეისერები“.

**რეველი.** 22 ივნისს რეველში გელსინგფორსიდან მოვიდა ინგლისის ესკადრა, შემადგენლობით 9 გამანადგურებელისა და 5 კრეისერისა.

## უცხოეთი

**პარიზი.** ფრანგულ პრესაში მოყვანილია ცნობები, („Известия“ ანგარიშ.) რომ ამას წინათ ჟენევაში შესდგა საყურადღებო სხდომა „კომინტერნთან ბრძოლის საერთაშორისო ლიგის“ საბჭოსი. გაზეთების გადმოცემით სხდომაზედ წარმოდგენილი იყო 30 სახელმწიფოზედ მეტი, და რომ საბჭოს მიერ ვითომდა მიღებულია საყურადღებო დადგენილებები.

საბჭოთა და საფრანგეთის საექსპერტო კომისიამ მუშაობა დაასრულა. არავითარი დადგენილება არ გამოუტანია. დასკვნები წარუდგინეს თავ-თავის მთავრობებს.

**მეორე ინტერნაციონალის კონგრესი.** ქ. მარსელში 22 აგვისტოს შესდგება მეორე ინტერნაციონალის კონგრესი. დღის წესრიგში დასმულია: 1—ინტერნაციონალის მშვიდობიანობის პოლიტიკა, 2—ინტერნაციონალი და განიარაღების პრობლემები, 3—მუშათა კლასის ბრძოლა ომის საშიშროების წინააღმდეგ, 4—მუშების საცხოვრებელი პირობები და უმუშევრობა, 5—ქალთა საერთაშო კონფერენციის რეზოლიუციების განხილვა და 6—საორგანიზაციო კითხვები.

**რადიჩის წერილი პაშიჩისადმი.** სტეფანე რადიჩმა სატუსაღოდან მიმართა წერილით პაშიჩს, რომელშიდაც მოითხოვს მის წინააღმდეგ სასამართლო საქმეების მოსპობას და ყველა მისი პარტიის დეპუტატების განთავისუფლებას, რომლებიც ადმინისტრატიული წესით არიან დატუსაღებულნი. რადიჩი აცხადებს, უკეთუ ეს მოთხოვნილება იქნება დაკმაყოფილებული, ის მზად არის მხარი დაუჭიროს რადიკალურ პარტიას ან და შევიდეს მთავრობის კოალიციაში.

**მაროკკო.** რიფების აჯანყება გრძელდება. საფრანგეთ-ესპანეთმა აჯანყებას ბოლო ვერ მოუღეს. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი ამის გამო მღელვარებაშია. კომუნისტები ჯარებს მოუწოდებენ იარაღი საკუთარ მთავრობის წინააღმდეგ მოიმარჯვონ.

**ინგლისი.** კონსერვატორები სხვა და სხვა ზომებს მიმართავენ პროფ-კავშირთა მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა მინისტრი ხიქსი აპირებს კომუნისტების საწინააღმდეგოთ ახალი ზომების მიღებას.

ინგლისში აკრძალეს მოსკოვის „Правда“-ს გავრცელება.

ბრიტანეთის ყველა ქალაქებში ძლიერდება უმუშევართა მოძრაობა.

**ბელგია.** ბელგიის სოციალისტურ პარტიის ყრილობამ დასაშვებათ აღიარა სოციალისტების მთავრობაში მონაწილეობა.

**ბულგარეთი.** გაზეთების ცნობით სოფიის ტაძრის აფეთქების გამო მთელ ბულგარეთში დატუსაღებულთა რიცხვი 3.200-ს აღწევს. დახვრეტილთა რიცხვი რამდენიმე ათეულებს სჭარბობს. დაპატიმრება და ხვრეტა გრძელდება.

**იაპონია.** საზღვაო სამინისტროს ახალი გადაწყვეტილებით მომავალ 5 წლის განმავლობაში უნდა აშენდეს 50 მსხვილი საზღვაო ერთეული, რომელიც დაჯდება 320 მილიონი იენი.

**ეგვიპტე.** ეგვიპტის მთავრობის დადგენილებით საბჭოთა მოქალაქეებს ეკრძალებათ ეგვიპტის ნავთსადგურებში გადასვლა მათი კონსულის განსაკუთრებული ვიზის გარეშე. საბჭოთა გემი, გამოსული ალექსანდრიიდან გასულ კვირაში, იყო პოლიციის ზედამხედველობაში ნავთსადგურში დგომის დროს.

**ჩინეთი.** ჩინეთის ნაციონალური მოძრაობა, მსოფლიო ყურადღებას იპყრობს. უცხოელები აპირებენ ზოგიერთ დათმობაზე წასვლას. გამოძიება სწარმოებს დახოცილთა გარშემო. ბურჟუაზიული პრესა ჩინეთის ამბებს საბჭოთა რუსეთს ახვევს თავზედ.

კომინტერნმა მიმართა მოწოდებით მეორე ინტერნაციონალს, რათა უკანასკნელი გამოესარჩლოს ჩინეთის ხალხს.

# მოგონებათა ნამსხვრევები

(დასასრული)

მალე საქმიანი სხდომაც გაიხსნა.

მუშებმა კრების თავმჯდომარედ ლევანი ამოირჩიეს.

მე არ მოველოდი, თუ ლევანს ისეთ მომხადებულ და მარჯვე ადამიანად სთვლიდნენ.

არც მეგონა ლევანი ასე უნარიანი.

სულ ერთად ვცხოვრობდით და მაინც არა გვცნობია იგი ფარსაგად.

არა გვცოდნია მისი ყადრი.

ასეა ყოველთვის... ძალიან ნაკლებ იცნობ მას, ვინც ყველაზე ახლოა შენთან...

ყოველ-დღიურობა ჩრდილავს ადამიანის უმთავრეს ღირსებებს და სამაგიეროდ ადიდებს წვრილმანებს .. უარყოფით მხარეებს...

ლევანმა დაიკავა თავმჯდომარის ადგილი და...

მყის გაიზარდა. . გადიდდა...

ღირსეულად უძღვებოდა კრებას...

კარგი სარდალივით მარჯვეთ ეჭირა კრების სადავეები...

დაიძაგრა გრძნობა-გონების ძაფები...

თვითეული მუშა მხურვალე მონაწილეობას ჰღებულობდა მთელ რიგ კითხვების გადაჭრაში...

არავინ დარჩენილა უმოქმედო...

თითქოს ერთურთს გაეჯიბრნენო—ისე ერთი მეორეს სცვლიდნენ მოსწრებული და გონებამახვილობის ელვარებით გაბრწყინებული აზრები...

უყურებდი მათ და მიკვირდა.

სადა ჰყოფნიდათ ამ მოღლილ-მოქანცულ მუშებს ამდენი მხნეობა... ამდენი ხასიათის სიფოლადე, რომ ასე გატაცებით არკვევდნენ ძველისძველ, რთულ კითხვებს..

იგინი გრძნობათა კოცონში სწვავდნენ ძველს კერპებს...

ძველს შეხედულებებს...

ეთაყვანებოდნენ მარად უკვდავ თავისუფლებას...

სწერდნენ, ჰხაზავდნენ ახალს რუკებს ახალი ქვეყნებისას...

იქ წაშლილი იყო მიჯნები... სახელმწიფოთა საზღვრები...

იყო მხოლოდ ორი ქვეყანა...

პირველი იყო პატარა, მაგრამ შემაზრზენელი...

ზედ ეწერა:

„გარყვნილების ქარვასლა“, ანუ „ფუფუნეთი“...

მეორე ქვეყანა იყო უსაზღვრო, თვალგადუწვდენელი...

მეწამული ფერით იყო იგი შემოფარგლული...

თვალ მახარა წარწერა დასთამაშებდა ზედა:

„შრომის სამეფო“...

. . . . . . . . . . .

ცხარე, მხურვალე კამათის შემდეგ გამოიტანეს რაღაც დადგენილება და იწყეს ფრთხილად დაშლა:

ზოგი აჩრდილსავით უხმაუროდ მიდიოდა...

ზოგი განგებ ხმაურობდა, რომ დაებნიათ ყურადღება, ვინიცობაა ვინმე გამვლელთაგანი ეჭვით შეჰხედავდა...

ერთი მუშათაგანი ღიღინითაც კი გაჰიდა...

„აგერ მოდის ფარანი,

შიგ სანთელი არ-არის“...

თან ეშმაკურად იცინოდა და ისე მიკუსკუსებდა...

რამდენიმე მუშამ მოიცადა ჩვენს ოთახში ვიდრე სხვები მიიფანტ-მოიფანტებოდნენ...

ერთმა მათგანმა ალერსიანად გადმომხედა ლოგინში მწოლიარეს...

მე გავინაბე... თვალები დავხუჭე..,

არ მინდოდა შეემჩნია, რომ მე არ მეძინა...

— ბედნიერი იქნება—სთქვა მან...—ვიდრე იგი წამოიზრდება—თავისუფლება მოპოებული გვექნება...

— თქვენ პირს შაქარი!.. თქვენ პირს შაქარი!—სთქვა დედამ...

ნეტარებამ აათრთოლა იმ იმედით, რომ მომავალში მისი უმცროსი შვილიც იქნება დავაჟკაცებული და მასთან ბედნიერი... თავისუფალი მოქალაქე...

* * *

წავიდნენ მუშები...

გაიკრიბა დაგუბებული ჰაერიც...

თან დაედევნათ ჩემი განუსაზღვრელი სიყვარული...

ღელვისგან მოთენთილს მალე ჩამეძინა..

დიდი ხანია ასე ტკბილათ არა მძინებია...

ძილი გამკრთალი მქონდა ან სარდაფის ნესტისგან გამოწვეულ თავის ტკივილით, ან არა და დედაჩემის მიერ ამუშავებულ ძველ საკერ „მანქანის“ ჯაყჯაყით...

ახლა კი ღრმად ჩამეძინა...

გაზაფხულის გარიჟრაჟის სპეტაკი ნისლებივით-შემომებურნენ ტკბილი, არაბეთის ზღაპარივითჰრელი სიზმრები.

ყველა სიზმრებში იმ მუშების მგზნებარე სახეები ელავდნენ...

აი მგონია, ვითომც მე ვარ მოქარავნე...

ვიმყოფები უდაბნოში...

ირგვლივ ამომშრალი ოაზისები...

გადამხვრჩალი აქლემები...

დაწრეტილი წყლის ტიკები...

დაქიმითული ყორნები, რომელნიც ჰგრძნობენ, რომ ქარავანი დიდხანს ველარ გაუძლებს სიცხის ჰრტიალს, უწყლოობას...

მალე მათ საკორტნავ ალაფად გადაიქცევიან...

ვგრძნობ მე—მოქარავნე, რომ მიახლოვდება სიკვდილის აჩრდილი...

თვალები უკანასკნელად ხარბად გაიყურებიან შორეულ ადგილებისკენ, რომელსაც ვერ ველირსე...

უკვე გაისმის სიკვდილის ზიკ-ზიკა ცელის ჩხარუნი...

მაგრამ...

ჩუ!..

სადღაც ახლოს სხვა წკრიალიც გაისმა...

ღურღური...

ჩუხჩუხი...

ნუ თუ ეს ნეტარი ჩხრიალ-ლიკლიკი—წყაროსია?

ვაიმე... ეს მოჩვენება იქნება...

დაღლილ-დაავადებულ ფიქრების მოჩვენება...

მე მაინც ვიწყებ ძებნას...

ეგება მოხდეს სასწაული და სადმე წავაწყდე წყაროს,

გადავდივარ ბექობს და...

ვიშ, ვიშ ნეტარებავ!..

ოაზისი... მწვანე მოღალანე ოაზისი...

ბუჩქებში ამომჩქეფარი წყარო...

მწყურვალე ირემსავით ვეწაფები...

ვეამბორები წყაროს...

ვეამბორები ჩირგვებს...

ვეამბორები თვითეულს ბალახს...

გული რომ კარგა ვიჯერე ცივ, ცივი წყაროთი — წამოვწექი მწვანეზე გულ-აღმა...

ერთად ერთი ხე იყო წყაროს პირად ცაში კისკასად ასხლეტილი...

იმ ხის მწვანილოვან ტოტებზე მოფრინდნენ ჩიორები.

მოჟღურტულე ჩიორები..

კიდევ სასწაული...

იმ ჩიორებს თავები მუშებისა აქვთ...

ეს წუხანდელი მუშები არიან ფრთოსნებად გადაქცეულნი...

იფრთხიალეს .. ინავარდეს და იწყეს ჰიკჰიკი ბედნიერებაზე... ნეტარებაზე..

. . . . . . . .

* *

ამნაირ ოქროს სიზმრებში ვატარებდი მთელს ღამეებს...

სასოებით მოველოდდი შემდეგს შაბათს...

რაც გიყვარს ყოველთვის იგვიანებს...

გაგრძელდა... გაიძაბა დრო...

თითო დღე ისე მძიმედ მიზოზინებდა, თითქოს საუკუნეთა ბელტებით და ეგვიპტის პირამიდებით ყოფილიყოს დატვირთული...

* *

როგორც იყო ვეღირსე შაბათსაც.

შებინდდა...

კვლავ მოვიმძინარე თავი.

ადრინდულად მოგროვდნენ მუშები.

ისევ მოინისლა ჩვენი ოთახი წეკოს და იაფასიანი თამბაქოს კვამლით.

ჰაერი გაიჟღინთა ოფლის დამბნედი სუნით...

სულის მოთქმა გასჭირდა ..

მე მაინც ბედნიერად ვთვლიდი თავსა...

სამოთხის წალკოტის სურნელებაშიაც არ გავცვლიდი ამ მოშხამულ ჰაერს.

გატაცებით ლაპარაკობდნენ მეცნიერულ სოციალიზმზე...

თვითეულს ეტყობოდა, რომ სწამდათ სოციალიზმის გარდაუვალობა...

სჯეროდათ, რომ მალე მოექცეოდნენ გამარჯვებათა მწვერვალებზე...

მალე დაანთებდნენ:

ახალს მზეებს...

აღმოაჩენდნენ ახალს მაღაროებს მარადიულ ბედნიერებისას...

თვითეულ მუშას ჰქონდა გული მთრთოლავი... მდიდარი...

მათს შემხედვარეს მავიწყდებოდა ტიალი ბედი, რომელიც ინადში გვედგა...

ახალ სანატრელ ბილიკებად გადამექცნენ მათი სიტყვები...

ამ ბილიკებს მოვყავდი . შორეულ შარავანდედიან ოცნებოვან ქვეყნებში...

. . . . . . . . .

დაიშალნენ მუშები...

ნახვამდის ძვირფასნო, ნახვამდის ჩემი სულის შევარდნებო!

* *

მე გადავწყვიტე მეორე დილით სერიოზული ლაპარაკი გამემართნა ჩემს ძმასთან... გამოვტყდომოდი, რომ ვიცი, თუ როგორცა ჰმართავს კრებებს... რასაც ლაპარაკობენ... ვთხოვ, მოვითხოვ მომცეს ნება დავესწრო სხდომებს... ასე გაგრძელება შეუძლებელია... ულამაზოა... რასა ჰგავს თქვენი ჰირიმეთ, საბნის წვერიდან თვალიერება და ყურის გდება.,. ჩემი შეურაცხმყოფელიცაა... რა ისეთი ბავშვი ვარ, რომ არა მენდონ რა...

მართლაც გათენდა თუ არა — ულტიმატუმი წარუდგინე ლევანს.

ლევანმა ისახტა.

შორს დაიჭირა ჩემი სურვილი.

არამცა და არამც არა ჰსურდა ჩემი საქმეში გარევა...

ისევ ბავშვად მთვლიდა...

— აი შე ლობემძვრალავ, შენა!.. რა შენი საქმეა ესა!..

მე ვიწყინე...

ავიტკრიცე...

შეიქნა ჩვენს შორის სიტყვიერი ბრძოლა...

მე ერკემლის სიჯიუტით ვებრძოდი...

ილაჯი გაუწყვიტე...

იძლია ლევანი.

ნება დამრთო..,

გამიხარდა...

გამეხსნა გული...

ჟღურტულ-ფრთხიალი იწყეს სიხარულის ჩიორებმა...

შემდეგ შაბათს მე დავესწრები სხდომას...

საიდუმლო სხდომას რევოლიუციონურ ორგანიზაციისა..

ნეტავი კი სიზმარი არ იყოს ესა...

ნეტავი არ გამომეღვიძოს და არ ვიგრძნო თავი ძველებურს მდგომარეობაში...

* *

რა ბედნიერება იქნებოდა, ყველა სურვილები რომ ისე სრულდებოდნენ, როგორც აცხადდა ჩემი გულის მურაზი...

მართლაც დამდეგ შაბათს მეც ვერიე ჩვენს ოთახში შეკრეფილ მუშებში...

ისინი მეალესებოდნენ.,. მახალისებდნენ ..

ვცდილობდი ისე დამეჭირა თავი, რომ ბავშობა არაფერში შემტყობოდა...

დედამ ნაზი ალერსით გააცნო მუშებს ჩემი თავი და დაატანა:

— ესეც სირის კუდათ მოვაყოლეთ კრებასაო...

ეს რომ სხვას ეთქვა — მეწყინებოდა...

მაგრამ იგი ნათქვამი იყო დედისაგან და მე პირიქით თავი მომწონდა...

განა ვისმეს ეწყინება დედის ასეთი ტკბილი, დამყვავებელი, უეშმაკო ალერსი?..

ბედნიერი ვიყავი... ბედნიერი...

მე, ვილაც ჰყინტლს, მართლაც და ლობე მძვრალას—მენდობოდნენ... საიდუმლო საქმეებს მიზიარებდნენ...

ისიც როდის?..

საშინელი რეაქციის და ტერორის მძვინვარების დროს...

* *

ბევრს დროს არ გაუვლია, რომ მე მუშებისათვის ფრიად სასარგებლო წევრი გავხდი...

გამოირკვა, რომ საჭირო იყო არალეგალურ მუშაობისთვის სრულიად ახალგაზრდა ვინმე...

ჟანდარმერიამ გააძლიერა მუშების დევნა...

ყოველ ნაბიჯზე სჩხრეკდენ.. ბრალიანს თუ უბრალოს აპატიმრებდნენ...

ორგანიზაციის არალეგალური წევრები ველარ ახერხებდნენ ერთმანეთთან კავშირის დაჭერას...

უნდა ეშოვნათ მხნე, გამბედავი ყმაწვილი—მოწაფე, რომელზედაც ჟანდარმერია ვერ მიიტანდა ეჭვსა...

ასეთ ახალგაზრდას კავშირობაც უნდა გაეწია კომიტეტის წევრთა შორის; მიეტან-მოეტანა ერთმანეთისთვის ამბები... ფურცლებიც გადაეზიდნა ხოლმე ქარხნებში...

სხვაგან ვერ გამოეძებნათ შესაფერისი...

ჩემზე გაჩერებულიყვნენ...

ლევანისთვის დაევალებინათ მომლაპარაკებოდა...

* *

ერთ სალამოს ლევანმა ჩამომიგდო ამ საქმეზე საუბარი.

მე პირველ სიტყვაზედვე მივხვდი... გავიგე რაცა სწადდა...

გამიხარდა...

ველარც კი დავმალე ჩემი ღელვა, თუმცა ვცდილობდი ისე მიმეღო, როგორც ჩვეულებრივი რამ დავალება..

— იცოდე ხუმრობა საქმე არ არის.. დიდი დაბრკოლებანი გადაგეღობებიან...

— მე დავძლევ მათა...

— რომ დაგიჭირონ?..

— ვეცდები არ ჩავვარდე... თუ მაინც არ ამცდა,— ჩემი მეგობრები გააგრძელებენ ჩემს საქმეს... მე მყვანან ამხანაგები... ალმასივით ბიჭები არიან .. თქვენს განკარგულებაში იქნებიან...

გულს ვერ გაგვიტეხს მებრძოლთა
დამარცხება და ზიანი;
მათს ალაგს დაიბადება
სამი ათასი ხმლიანი!..

წარმოვთქვი მე ოდნავ გადაკეთებული ხევსურული ლექსი, რომ უფრო სიძლიერე მიმეცა ჩემი ნათქვამისთვის და დამეჯერებინა, რომ ერთი დაჭერილის ადგილას უკეთესები გაჩნდებიან ხმლებ ამოშიშვლებულნი...

ლევანს მოეწონა ჩემი სიტყვა-პასუხი, მაგრამ მაინც გული ეთანალრებოდა...

— რომ გაწამონ ჟანდარმებმა?... შანთებს რომ მიჰმართონ?..

— წამება არ შემაშინებს... რევოლიუციონერი ისევე უნდა იყოს მზად წამებისათვის და თუნდა სიკვდილისთვის, როგორც გამარჯვებისათვის...

ლევანი დაფიქრდა... გაფითრდა და თვალებ ძირს დახრილმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოსთქვა... ეტყობოდა კი რომ ძალიან ემძიმებოდა თქმა:

— არ გამოსტყდები?.. არავის გასცემ?..

მე ტუჩების კუთხე ამიკანკალდა...

ღრიანკალის ფერი დამედო...

— ლევან, შენ შეურაცყოფას მაყენებ... როდის მოგეცი მაგის საბაბი!..

მობჯენილმა ცრემლებმა გამიწყვიტეს სიტყვები...

ცხადია ლევანმაც იგრძნო, რომ მეტი მოუვიდა...

ინანა...

რომ მოეგო ჩემი გული და გამოესყიდნა ცოდვა—

შუბლზე მაკოცა...

— ნუ გეწყინება, გენაცვალე ძამიკო, ჩემი მკვახე საუბარი.. ბევრს დაუწყვია არსენობით—გაუთავებია კი მოხელეობით... მთავრობის ყურ-მოჭრილ მონობით... მე არ მინდა ყვავსავით დაგჩხავლო... მაგრამ ასეთაა ძვირფასო, სინამდვილე...

ახალგაზრდობისას ყველა აპირებს ცხრათავიან ვეშაპის დათრგუნვას, მაგრამ შემდეგ ისე იცვლებიან, რომ ველარც კი ვცნობთ მათა.

— ლევან, გწამდეს ჩემგან... შეიძლება არსენობა ვერ შევძლო; მაგრამ, როგორც დავიწყებ კეთილშობილურად, ისევე გავათავებ... უკეთესადაც... ვაცალოთ დროს... ის იქნება უტყუარი შემმოწმებელი ჩემი აღთქმისა...

რომ უფრო შევებოჭე მოვალეობის შეგნების აპეურებით, მომთხოვა ფიცი...

ჩემმა ბაგეებმა მყის ამოსკვნეს მტკიცე ფიცი, რომელიც აროდეს დარღვეულა:

— მალე ჩანჩქრები უფსკრულებიდან ალმა შებრუნდებიან, ვიდრე მე გადაუხვევდე წმინდა რევოლიუციონურ გზას...

* *

ლევანმა მასწავლა სიფრთხილისათვის საჭირო ირიბული ლაპარაკი... ჭრელი ქარაგმები...

ბევრი ისეთი ახალი გამოთქმა გავიგე, რომლის მნიშვნელობას ვერავითარი ენათ მეცნიერი ვერ აჰხსნიდა, თუ საიდუმლო გასაღები არ ექნებოდა ხელთა...

ლევანმა ისიც მითხრა, რომ კონსპირაციისათვის გამოცვლილი სახელი უნდა მრქმეოდა...

— ამოირჩიე რომელი სახელიც მოგწონს...

მე ცოტა ხანს შევფიქრიანდი...

მალე ვარჩიე მიმეღო სახელი „სურამის ციხის“ გმირის ზურაბისა...

— რალა ზურაბი ამოირჩიე?—შემეკითხა ლევანი ცნობისმოყარეობით.

— როგორც ზურაბი შეეწირა ქვეყნის დასაცავად ალმართულ ციხე-გალავანს, ისე მეც მტლედ დავედები და ვემსხვერპლები მუშათა კლასსა...

ლევანმა მომიწონა სახელი..

ამიერიდან მუშათა შორის ზურაბის სახელით ვიწოდებოდი...

ეს იყო ჩემი რევოლიუციონური ნათლობა...

ეს ნათლობა საქმით დაიწყო.

ლევანმა მომცა ერთი ბოხჩა ფურცლებისა...

ისინი უნდა წამელო და სამრეწველო უბნებში დამეფანტა ..

მე ახალგაზრდული ენტუზიაზმით შევასრულე ნაკისრი საქმე...

მას მოჰყვა სხვა, უფრო გაბედული ნაბიჯები...

მაგრამ ამაზე როდისმე.., სხვა დროს..

**დ. თურდოსპირელი.**

# მუშათა კომისიის მუშაობა

## პირველ რაიონის ყოფილ მენშევიკთა კრება

20 მარტს, პარასკევს, პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეული იყო ყოფილი მენშევიკთა კრება. კრებას დიდძალი ამხანაგები დაესწრო... ეს მოსალოდნელიც იყო.. აგერ თვეზე მეტია, რაც მუშათა კომისია დაბრუნდა რუსეთიდან და ამხანაგები მოუთმენლად ელოდნენ ამ მგზავრობას ნაყოფს, მის შედეგებს... ამის შესახებ დაწვრილებით მოხსენებას აკეთებს მუშათა კომისიის თავმჯდომარე ამხ. მიშა ძამანაშვილი. აქ არ მოვიყვან ძამანაშვილის მოხსენების შინაარს, რადგანაც ეს შინაარსი უკვე დაიბეჭდა და იბეჭდება „ახალ გზაში“ კომისიის მეორე წევრის ამხ. კოლა მაჭარაძის ხელმოწერით. ვიტყვი ნხოლოდ იმას, რომ ძამანაშვილის სიტყვით თითქმის ყველა გადასახლებულებს, გასცნობიათ რა აქედან წაღებულ მასალებს, სამართლიანად და დროულათ უცვნიათ მუშათა კომისიის და მისი ორგანო „ახალი გზის“ აზრი და მიმართულება. სამწუხაროდ ყველანი არ დამდგარა კიდევ ამ გზაზე, (ალბათ კიდევ რაღაცას უცდის, „სადღაც იყურება“)...

145 გადასახლებულებიდან კომისიას უნახავს და ბაასი ჰქონია ასოც კაცთან. ოცამდე ამხანაგი ვერ უნახავთ სიშორის გამო.

ამ 145 კაციდან ას კაცამდე დამდგარა მუშათა კომისიის გზაზე და ერთ თვეში ესენი დაბრუნდებიან სამშობლოში და შეუდგებიან ხელისუფლებასთან შეთანხმებით აღმშენებლობით, თუ კულტურულ მუშაობას...

ამნაირათ კრებამ დაინახა, რომ მუშათა კომისიის წასვლამ რუსეთში გადასახლებულებთან სასურველი ნაყოფი მოიტანა. 145 ამხანაგიდან 90 კაცამდის განთავისუფლება და თავის ოჯახში დაბრუნება ხუმრობა საქმე როდია... ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამბობდენ ამხანაგები კრებაზე, რომ დანარჩენებიც მალე დადგებიან ჩვენს გზაზე, ვინაიდან შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა საკითხს პირდაპირ აყენებს: ან კომუნისტებთან, ან ბურჟუა იმპერიალისტებთან... სხვა გზა, სხვა გამოსავალი არაა და რა თქმა უნდა, ნამდვილი მუშა-სოციალისტის ალაგი კომუნისტებთანაა, თუნდაც ყველაფერში არ ეთანხმებოდე მათ...

კრებამ, გაითვალისწინა-რა რუსეთში მიღწეული შედეგები, დაავალა კომისიას იზრუნონ საზღვარ-გარედ წასვლაზე ემიგრაციის ციხე-სიმაგრის ასაღებად.

თუ რუსეთში მყოფი ამხანაგები ასე თუ ისე ჩამორჩენილნი არიან ცხოვრებას, ვერ ღებულობენ ჩვენს გაზეთებს, ვერ ეცნობიან საქართველოს მდგომარეობას, არც საზღვარ-გარეთ არის უკეთესი მდგომარეობა იქ გარდახვეწილთათვის.

მოხსენების შემდეგ იყო კამათი და შემდეგ ძამანაშვილმა გასცა პასუხი აუარიბელ შეკითხვებზე.

ბევრი ამ შეკითხვებთაგანი იყო საქმიანი, საჭირო, მაგრამ იყო უაზროც.

ბევრი შემკითხველი საყვედურს აცხადებდა გაეროვნების ცხოვრებაში გატარების დაგვიანების გამო. ამაზე მიიღეს პასუხი, რომ, მიუხედავად იმისა, რომ გაეროვნების და თვით-გამორკვევის საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი პარტიული ყრილობის მიერ და ეს აღნიშნულია პარტიულ პროგრამაში... მიუხედავად იმისა, რომ პარტია, თუ არსებული ხელისუფლება ცდილობს ამ დადგენილებათა ცხოვრებაში სიჩქარით გატარებას, საქმე მაინც იგვიანებს—აქ დამნაშავეა სხვა და სხვა პირობები, რომლის გადალახვა ითხოულობს დროსა და შრომას და მოდით ყველამ შევუწყოთ ხელისუფლებას ამ დიდ და ძნელი საქმის ცხოვრებაში გატარებისათვისო. .

უაზრო შეკითხვებზე მომხსენებელმა სთქვა შემდეგი: ჩვენ ვაწარმოებთ საქმიან მუშაობას... ჩვენ გვინდა ნამდვილი ნდობა აღვადგინოთ არსებულ ხელისუფლებასთან... უაზრო შეკითხვებზე პასუხს არ გავცემთ და ჩვენ გვწამს, რომ მომავალში არც ერთი ყოფილი მენშევიკი დროს არ დაგვაკარგვინებს უსაქმო შეკითხვებითო ..

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშათა კომისიის მუშაობას აქვს დიდი მნიშვნელობა და, ნაყოფი უკვე აშკარად სჩანს... ხოლო საჭიროა კომისიამ მეტი კავშირი დაიჭიროს თავის მშობელ და მახლობელ პირველ რაიონის ამხანაგებთან.

საჭიროა ხშირად საერთო კრებების გამართვა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამოქმედო დირექტივების საერთო კრებასთან შეთანხმება.

ხ. დ.

---

## შორს ჩვენგან ულირსი ამხანაგები

### წერილი არაზინდოდან.

გაზეთ „მუშის“ 12 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ყურადღებას დაფასება უნდა.“

წერილის ავტორი აღნიშნავს შემდეგს: ზოგიერთი სანატორიუმში მიმავალი, სანამ დასასვენებელ სახლში მივიდოდეს, გზაში ღვინით ილეშება, რაც ჩვენ მტრებს ეძლევათ მასალა და საბაბი ჩვენი საწინააღმდეგო აგიტაციისთვის. მაგ. ამ სამი თუ ოთხი დღის წინად მე თითონ ვნახე არაზინდოში გაგზავნილი მუშების ერთი ჯგუფი, რომელშიაც რამოდენიმე კაცი ძლიერ მთვრალი იყო, იმდენად მთვრალი, რომ ფეხზე ძლივს იდგენ. ხალხი უცქეროდა მათ და იძახდა: „აი ვიზე იხარჯება ჩვენი ფულები!“

ასეთი მაგალითები რომ იშვიათი იყოს, კიდევ არა უშავს რა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ასეთი უგვანო სურათები ხშირი მოვლენაა.

ყველა შეგნებული და პატიოსანი მუშისთვის და, მით უმეტეს, არაზინდოში სამკურნალოდ ჩამოსულისთვის ლოთობა და უზნეო საქციელი დასაგმობია, ვინაიდან ეს ჩირქსა სცხებს მუშათა, ოჯახის ყველა წევრს.

მართლაც და შორიდან მაყურებელმა რა იცის ვინ არის ესა თუ ის უზნეო და ქარაფშუტა ყოფა-ქცევის პირი, ან რომელ კავშირს ეკუთვნის ის, მისთვის თვალსაჩინოა, რომ არაზინდოში ჩამოსულ მუშა-მოსამსახურეთა შორის ხშირად აქვს ადგილი ბურჟუაზიულ უზნეობას და დროს ტარებას.

რათა არაზინდოს საერთოდ ყველა სტუმრებს და იმ კავშირებს, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან უსამართლოდ არ მოეცხოთ ჩირქი, მე იძულებული ვარ გავაცნო ამხანაგებს ის ულირსნი, ვინც არღვევს სანატორიუმ არეზინდოს მყუდროებას. ამით, მე მგონია, იმ კავშირებს, ვისი წევრებიც არიან ეს ვაჟბატონები, შეძლება მივცე გაწმინდონ მათგან თავის რიგები.

აი მათი გვარები: (ბაქოდან) 1) ოსიფოვი, 2) იაკოვლევი, 3) ფომიჩი, 4) კარკოვიცკი—ყველა ესენი არიან „გარჟორის“ კავშირის წევრები.

გარდა ამისა, მიუხედავათ იმისა, რომ სანატორიუმის ექიმები თუ ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს, არ მოაკლოს ავადმყოფებს მზრუნველობა, არიან ისეთი კადნიერნი, რომელნიც საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან, ვითომ კარგად არა გვკვებავდენ,—უკმაყოფილებას აცხადებენ, რატომ არ არის კალბასი, ვიჩინა, ღვინო კვასი და სხვ.

განა ასეთი ყმაწვილები არიან ღირსნი დახმარებისა, განა ასეთებს უნდა ჰქონდეთ ადგილი მუშათა სანატორიუმში?

ამასთანავე არიან ისეთი ჯურის „ავადმყოფებიც“, რომელნიც უსინდისოდ მოსვენებას არ აძლევენ ამხ. ავადმყოფ ქალებს.

მართალია, ქალებშიაც ურევიან ერთი-ორი ულირსი პირი უზნეო საქციელის, მაგრამ მათი რიცხვი ფრიად მცირეა.

„ყოველ ოჯახს ერთი მახინჯი მაინც გამოერევა.“

ჯერ-ჯერობით ამ ქალბატონის ვინაობას არ ვაცხადებ, შემდეგ კი, თუ მათ განაგრძეს თავის უმგზავსო საქციელი, იძულებული ვიქნები ვაცნობო მათი გვარები მათივე კავშირებს და ამხანაგებს.

ასევე მოვიქცევი მათი „კავალრების“ მიმართაც და, მე მგონია, ეს პროლეტარული ეთიკის წინააღმდეგი არ იქნება.

სანატორიუმის მუშა სტუმრებს სჭირიათ მყუდროება, დასვენება, წამლობა, კულტურული გართობა და არა გარყვნილება... ჩვენ პარაზიტი ბურჟუები არა ვართ... ფუქსავატი დროს-ტარებისთვის არა გვცალიან.

**ტანჯული მუშა.**

---

## ზემოხეთის თემი (გურია)

9 მაისის 1925 წ. შესდგა ზემოხეთის თემის ყოფ. მენშ. და უპარტიო გლეხთა კრება ივანე თევზაძის თავმჯდომარეობით და იონა ნიკოლოზაშვილის მდივნობით. მოხსენება გააკეთა გურიის ყოფ. მენშ. სამ. ბიუროს წევრმა ამხ. თეოფილე ჩხაიძემ. მომხსენებელმა ვრცლათ გააცნო კრებას ისტორიული წარსული სოც. დემ. პარტიისა, ამ პარტიის ორ ბანაკად გაყოფის მიზეზები, მეუმრავლესობის ე. ი. ბოლშევიკური პარტიის ნამდვილი გზა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის. მომხსენებელმა აღნიშნა რუსეთის ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლებას უხდებოდა მუშაობა და აღნიშნა თუ როგორ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც რუსეთში აგრეთვე ამიერ-კავკასიაში. დაახასიათა ის დამღუპველი ნაბიჯები, რომელიც გადადგა მენშევიკურმა პარტიამ გასულში, და რა მოელის ქართველ ერს თუ კვლავ ამ გზით წავიდა. შეეხო მუშათა კომისიის მუშაობას და მოუწოდა კრებას რათა მჭიდრო კავშირი დაიჭირონ საბჭოთა ხელისუფლებასთან და ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშაონ მშრომელი ხალხის საბედნიეროთ.

კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ჩხაიძის, დიდი სჯა-ბაასის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კრება ემხრობა თბილისის მუშების მიერ 7-8 ოქტომბერს გამოტანილ რეზოლიუციას, სწყვეტს ყოველგვარ კავშირს ანტისაბჭოთა პარტიებთან, ვინაიდან საბჭოთა წყობილება არის ნამდვილი გამოხატულება მშრომელთა ინტერესებისა და მის წინაამღდეგ ბრძოლა არის მშრომელი ხალხის ღალატი. სრული შეგნებით მოუწოდებს არა ლეგალურ წრეებს და საზღვარგარეთ მყოფ ბიუროს, რათა შესწყვიტონ თავისი მუშაობა ჩვენი სახელით, ვინაიდან ისინი უკვე ჩამოშორდენ მარქსიზმს: დღეს ერთად-ერთ რევოლიციონურ პარტიას წარმოადგენს კომუნისტური პარტია. ჩვენც დღეიდგან მჭიდროთ ვდგებით წითელი დროშის ქვეშ.

რწმუნებულებათ არჩეული იქნენ ამხ. მელქისედეგ ჩხაიძე და ივანე დარისპ. თევზაძე.

კრების თა—რე (ხელს აწერს) **ი. თევზაძე.**

მდივანი (ხელს აწერს) **ი. ნიკოლოზაშვილი**

---

რაიონის რწმუნებულის ინიციატივით, მდგომარე წლის 17 მაისის თარიღით, შესდგა ზომლეთის თემის უპარტიოთა და ყოფილ მენშევიკთა კრება. კრებას დაესწრო და მოხსენება გააკეთა პეტრე მახარაძემ შემდეგ თემაზე: საერთაშორისო მენშევიზმის თანამედროვე ბრძოლის მეთოდები, და მენშევიკების უკანასკნელი ავანტიურა საქართველოში. მომხსენებელმა, ოქროსპირული მჭერმეტყველობითი და კონკრეტიული საბუთებით დაახასიათა საერთაშორისო მენშევიზმის მოღალატური როლი საერთაშორისო განმათავისუფლებელ მუშათა მოძრაობაში. და საქართველოს მენშევიკთა პოლიტიკური გათახსირება საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საქმეში.

ამ გონივრულმა მოხსენებამ,—სრულიად გამოარკვია ნახევრად პოლიტიკურ ბურუსში და მერყევ პოზიციაზე მდგომი ხალხი, რის გამო, საკმაო აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო დადგენილება: მესამე კომინტერნის პლათფორმაზე დადგომა, გულგრილობის და უმოქმედობის უკუგდება და საბჭოთა ხელისუფლებასთან ინტენსიური თანამშრომლობა. რწმუნებულები აირჩია კრებამ შეიმუშავა სამოქმედო გეზი.

აი ამ ყრილობაზედ მიღებულ შთაბეჭდილებისაგან გამომდინარე—მე მაინც ვიტყვი, რომ უპარტიოთა და ყოფილ მენშევიკების სულიერი ცხოვრების ასე ვსთქვათ ორგინალური გარდატეხის მიზეზები არსებობდა არა მომხსენებლის ტალანტში, არამედ მის გარშემო, მის მიღმა. მოკლედ: მიზეზები საბჭოთა მიხწევებია,—მისი პოლიტიკური და ეკონომიური სტაბილიზაციაა.

ეს მიზეზები დღითი დღე ვითარდებიან. ქმნიან და აახლოებენ მერყეობისა და ოპოზიციის მოსპობის წინა პირობებს.

დროა ეს ელემენტარული ჭეშმარიტება შევიგნოთ ჯერ კიდევ მერყეობაში მყოფ პირებმა.

კრების თავმჯდომარე **ხამსონ ჯაში**

---

## მუშკომისიის რწმუნებულების და ჟურნალ „ახალი გზის“ გამყიდველების საყურადღებოდ.

არა ერთხელ მოგვიმართავს თქვენთვის თხოვნით ჟურნალის ფულის გამოგზავნის შესახებ, მაგრამ აქამდის ჩვენმა თხოვნამ მიზანს ვერ მიაღწია.

თქვენ კარგათ იცით, რომ ჟურნალის გამოცემას თავისი ხარჯები აქვს და ხარჯებს გასტუმრება უნდა. თუ თქვენ დროზე არ მოგვაწვდით ჟურნალის საფასურს, მისი არსებობა შეუძლებელია. ამიტომ უკანასკნელად გთხოვთ დააჩქაროთ ფულის გამოგზავნა, წინაალმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გამოვაცხადოთ ჟურნალში მისი სახელი და გვარი ვისზედაც ფული ითვლება.

პატივისცემით **სარედაქციო კოლეგია.**

---

სარედაქციო კოლეგია: **მ. ძამანაშვილი**
**ა. გვიმრაძე**
**პ. ხურცილავა**
**კ. მაჭარაძე**
**ლ. კუპრაშვილი**

# მუშათა კომისიის მუშაობა

## პირველ რაიონის ყოფილ მენშევიკთა კრება

20 მარტს, პარასკევს, პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეული იყო ყოფილი მენშევიკთა კრება. კრებას დიდძალი ამხანაგები დაესწრო... ეს მოსალოდნელიც იყო.. აგერ თვეზე მეტია, რაც მუშათა კომისია დაბრუნდა რუსეთიდან და ამხანაგები მოუთმენლად ელოდნენ ამ მგზავრობის ნაყოფს, მის შედეგებს... ამის შესახებ დაწვრილებით მოხსენებას აკეთებს მუშათა კომისიის თავმჯდომარე ამხ. მიშა ძამანაშვილი. აქ არ მოვიყვან ძამანაშვილის მოხსენების შინაარს, რადგანაც ეს შინაარსი უკვე დაიბეჭდა და იბეჭდება „ახალ გზაში“ კომისიის მეორე წევრის ამხ. კოლა მაჭარაძის ხელმოწერით. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ძამანაშვილის სიტყვით თითქმის ყველა გადასახლებულებს, გასცნობიათ რა აქედან წაღებულ მასალებს, სამართლიანად და დროულათ უცვნიათ მუშათა კომისიის და მისი ორგანო „ახალი გზის“ აზრი და მიმართულება. სამწუხაროდ ყველანი არ დამდგარა კიდევ ამ გზაზე, (ალბათ კიდევ რაღაცას უცდის, „სადღაც იყურება“)...

145 გადასახლებულებიდან კომისიას უნახავს და ბაასი ჰქონია ასოც კაცთან. ოცამდე ამხანაგი ვერ უნახავთ სიშორის გამო.

ამ 145 კაციდან ას კაცამდე დამდგარა მუშათა კომისიის გზაზე და ერთ თვეში ესენი დაბრუნდებიან სამშობლოში და შეუდგებიან ხელისუფლებასთან შეთანხმებით აღმშენებლობით, თუ კულტურულ მუშაობას...

ამნაირათ კრებამ დაინახა, რომ მუშათა კომისიის წასვლამ რუსეთში გადასახლებულებთან სასურველი ნაყოფი მოიტანა. 145 ამხანაგიდან 90 კაცამდის განთავისუფლება და თავის ოჯახში დაბრუნება ხუმრობა საქმე როდია... ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამბობდენ ამხანაგები კრებაზე, რომ დანარჩენებიც მალე დადგებიან ჩვენს გზაზე, ვინაიდან შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა საკითხს პირდაპირ აყენებს: ან კომუნისტებთან, ან ბურჟუა იმპერიალისტებთან... სხვა გზა, სხვა გამოსავალი აღარაა და რა თქმა უნდა, ნამდვილი მუშა-სოციალისტის ალაგი კომუნისტებთანაა, თუნდაც ყველაფერში არ ეთანხმებოდე მათ...

კრებამ, გაითვალისწინა-რა რუსეთში მიღწეული შედეგები, დაავალა კომისიას იზრუნონ საზღვარ-გარედ წასვლაზე ემიგრაციის ციხე-სიმაგრის ასაღებად.

თუ რუსეთში მყოფი ამხანაგები ასე თუ ისე ჩამორჩენილნი არიან ცხოვრებას, ვერ ღებულობენ ჩვენს გაზეთებს, ვერ ეცნობიან საქართველოს მდგომარეობას, არც საზღვარ-გარეთ არის უკეთესი მდგომარეობა იქ გარდახვეწილთათვის.

მოხსენების შემდეგ იყო კამათი და შემდეგ ძამანაშვილმა გასცა პასუხი აუარებელ შეკითხვებზე.

ბევრი ამ შეკითხვებთაგანი იყო საქმიანი, საჭირო, მაგრამ იყო უაზროც.

ბევრი შემკითხველი საყვედურს აცხადებდა გაეროვნების ცხოვრებაში გატარების დაგვიანების გამო. ამაზე მიიღეს პასუხი, რომ, მიუხედავად იმისა, რომ გაეროვნების და თვით-გამორკვევის საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი პარტიული ყრილობის მიერ და ეს აღნიშნულია პარტიულ პროგრამაში... მიუხედავად იმისა, რომ პარტია, თუ არსებული ხელისუფლება ცდილობს ამ დადგენილებათა ცხოვრებაში სიჩქარით გატარებას, საქმე მაინც იგვიანებს—აქ დამნაშავეა სხვა და სხვა პირობები, რომლის გადალახვა თხოულობს დროსა და შრომას და მოდით ყველამ შევუწყოთ ხელისუფლებას ამ დიდ და ძნელი საქმის ცხოვრებაში გატარებისათვისო..

უაზრო შეკითხვებზე მომხსენებელმა სთქვა შემდეგი: ჩვენ ვაწარმოებთ საქმიან მუშაობას... ჩვენ გვინდა ნამდვილი ნდობა აღვადგინოთ არსებულ ხელისუფლებასთან... უაზრო შეკითხვებზე პასუხს არ გავცემთ და ჩვენ გვწამს, რომ მომავალში არც ერთი ყოფილი მენშევიკი დროს არ დაგვაკარგვინებს უსაქმო შეკითხვებითო..

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშათა კომისიის მუშაობას აქვს დიდი მნიშვნელობა და, ნაყოფი უკვე აშკარად სჩანს... ხოლო საჭიროა კომისიამ მეტი კავშირი დაიჭიროს თავის მშობელ და მახლობელ პირველ რაიონის ამხანაგებთან.

საჭიროა ხშირად საერთო კრებების გამართვა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამოქმედო დირექტივების საერთო კრებასთან შეთანხმება.

ს. დ.

---

## შორს ჩვენგან ულირსი ამხანაგები

**წერილი არაზინდოდან.**

გაზეთ „მუშის“ 12 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ყურადღებას დაფასება უნდა.“

წერილის ავტორი აღნიშნავს შემდეგს: ზოგიერთი სანატორიუმში მიმავალი, სანამ დასასვენებელ სახლში მივიდოდეს, გზაში ღვინით ილეშება, რაც ჩვენ მტრებს ეძლევათ მასალა და საბაბი ჩვენი საწინააღმდეგო აგიტაციისთვის. მაგ. ამ სამი თუ ოთხი დღის წინად მე თვითონ ვნახე არაზინდოში გაგზავნილი მუშების ერთი ჯგუფი, რომელშიაც რამოდენიმე კაცი ძლიერ მთვრალი იყო, იმდენად მთვრალი, რომ ფეხზე ძლივს იდგენ. ხალხი უცქეროდა მათ და იძახდა: „აი ვიზე იხარჯება ჩვენი ფულები!“

ასეთი მაგალითები რომ იშვიათი იყოს, კიდევ არა უშავს რა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ასეთი უგვანო სურათები ხშირი მოვლენაა.

ყველა შეგნებული და პატიოსანი მუშისთვის და, მით უმეტეს, არაზინდოში სამკურნალოდ ჩამოსულისთვის ლოთობა და უზნეო საქციელი დასაგმობია, ვინაიდან ეს ჩირქსა სცხებს მუშათა, ოჯახის ყველა წევრს.

მართლაც და შორიდან მაყურებელმა რა იცის ვინ არის ესა თუ ის უზნეო და ქარაფშუტა ყოფა-ქცევის პირი, ან რომელ კავშირს ეკუთვნის ის, მისთვის თვალსაჩინოა, რომ არაზინდოში ჩამოსულ მუშა-მოსამსახურეთა შორის ხშირად აქვს ადგილი ბურჟუაზიულ უზნეობას და დროს ტარებას.

რათა არაზინდოს საერთოდ ყველა სტუმრებს და იმ კავშირებს, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან უსამართლოდ არ მოეცხოთ ჩირქი, მე იძულებული ვარ გავაცნო ამხანაგებს ის ულირსნი, ვინც არღვევს სანატორიუმ არეზინდოს მყუდროებას. ამით, მე მგონია, იმ კავშირებს, ვისი წევრებიც არიან ეს ვაჟბატონები, შეძლება მიეცე გაწმინდონ მათგან თავის რიგები.

აი მათი გვარები: (ბაქოდან) 1) ოსიფოვი, 2) იაკოვლევი, 3) ფომიჩი, 4) კარკოვიცკი—ყველა ესენი არიან „გარჟორის“ კავშირის წევრები.

გარდა ამისა, მიუხედავათ იმისა, რომ სანატორიუმის ექიმები თუ ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს, არ მოაკლოს ავადმყოფებს მზრუნველობა, არიან ისეთი კადნიერნი, რომელნიც საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან, ვითომ კარგად არა გვკვებავდენ,—უკმაყოფილებას აცხადებენ, რატომ არ არის კალბასი, ვიჩინა, ღვინო კვასი და სხვ.

განა ასეთი ყმაწვილები არიან ღირსნი დახმარებისა, განა ასეთებს უნდა ჰქონდეთ ადგილი მუშათა სანატორიუმში?

ამასთანავე არიან ისეთი ჯურის „ავადმყოფებიც“, რომელნიც უსინდისოდ მოსვენებას არ აძლევენ ამხ. ავადმყოფ ქალებს.

მართალია, ქალებშიაც ურევიან ერთი-ორი ულირსი პირი უზნეო საქციელის, მაგრამ მათი რიცხვი ფრიად მცირეა.

„ყოველ ოჯახს ერთი მახინჯი მაინც გამოერევა.“

ჯერ-ჯერობით ამ ქალბატონის ვინაობას არ ვაცხადებ, შემდეგ კი, თუ მათ განაგრძეს თავის უმგზავსო საქციელი, იძულებული ვიქნები ვაცნობო მათი გვარები მათივე კავშირებს და ამხანაგებს.

ასევე მოვიქცევი მათი „კავალრების“ მიმართაც და, მე მგონია, ეს პროლეტარული ეთიკის წინააღმდეგი არ იქნება.

სანატორიუმის მუშა სტუმრებს სჭირიათ მყუდროება, დასვენება, წამლობა, კულტურული გართობა და არა გარყვნილება... ჩვენ პარაზიტი ბურჟუები არა ვართ... ფუქსავატი დროს-ტარებისთვის არა გვცალიან.

ტანჯული მუშა.

---

## ზემოხეთის თემი (გურია)

9 მაისის 1925 წ. შესდგა ზემოხეთის თემის ყოფ. მენშ. და უპარტიო გლეხთა კრება ივანე თევზაძის თავმჯდომარეობით და იონა ნიკოლოზაშვილის მდივნობით. მოხსენება გააკეთა გურიის ყოფ. მენშ. სამ. ბიუროს წევრმა ამხ. თეოფილე ჩხაიძემ. მომხსენებელმა ვრცლათ გააცნო კრებას ისტორიული წარსული სოც. დემ. პარტიისა, ამ პარტიის ორ ბანაკად გაყოფის მიზეზები, მეუმრავლესობის ე. ი. ბოლშევიკური პარტიის ნამდვილი გზა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის. მომხსენებელმა აღნიშნა რუსეთის ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლებას უხდებოდა მუშაობა და აღნიშნა თუ როგორ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც რუსეთში აგრეთვე ამიერ-კავკასიაში. დაახასიათა ის დამღუპველი ნაბიჯები, რომელიც გადადგა მენშევიკურმა პარტიამ გასულში, და რა მოელის ქართველ ერს თუ კვლავ ამ გზით წავიდა. შეეხო მუშათა კომისიის მუშაობას და მოუწოდა კრებას რათა მჭიდრო კავშირი დაიჭირონ საბჭოთა ხელისუფლებასთან და ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშაონ მშრომელი ხალხის საბედნიეროთ.

კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ჩხაიძის, დიდი სჯა-ბაასის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კრება ემხრობა თბილისის მუშების მიერ 7-8 ოქტომბერს გამოტანილ რეზოლიუციას, სწყვეტს ყოველგვარ კავშირს ანტი-საბჭოთა პარტიებთან, ვინაიდან საბჭოთა წყობილება არის ნამდვილი გამოხატულება მშრომელთა ინტერესებისა და მის წინაამღდეგ ბრძოლა არის მშრომელი ხალხის ღალატი. სრული შეგნებით მოუწოდებს არა ლეგარულ წრეებს და საზღვარგარეთ მყოფ ბიუროს, რათა შესწყვიტონ თავისი მუშაობა ჩვენი სახელით, ვინაიდან ისინი უკვე ჩამოშორდენ მარქსიზმს: დღეს ერთად-ერთ რევოლიციონურ პარტიას წარმოადგენს კომუნისტური პარტია. ჩვენც დღეიდგან მჭიდროთ ვდგებით წითელი დროშის ქვეშ.

რწმუნებულებათ არჩეული იქნენ ამხ. მელქისედეგ ჩხაიძე და ივანე დარისპ. თევზაძე.

კრების თა—რე (ხელს აწერს) **ი. თევზაძე.**

მდივანი (ხელს აწერს) **ი. ნიკოლოზაშვილი**

---

რაიონის რწმუნებულის ინიციატივით, მდგომარე წლის 17 მაისის თარიღით, შესდგა ზომლეთის თემის უპარტიოთა და ყოფილ მენშევიკთა კრება. კრებას დაესწრო და მოხსენება გააკეთა პეტრე მახარაძემ შემდეგ თემაზე: საერთაშორისო მენშევიზმის თანამედროვე ბრძოლის მეთოდები, და მენშევიკების უკანასკნელი ავანტიურა საქართველოში. მომხსენებელმა, ოქროსპირული მჭერმეტყველობითი და კონკრეტიული საბუთებით დაახასიათა საერთაშორისო მენშევიზმის მოღალატური როლი საერთაშორისო განმათავისუფლებელ მუშათა მოძრაობაში. და საქართველოს მენშევიკთა პოლიტიკური გათახსირება საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საქმეში.

ამ გონივრულმა მოხსენებამ,—სრულიად გამოარკვია ნახევრად პოლიტიკურ ბურუსში და მერყევ პოზიციაზე მდგომი ხალხი, რის გამო, საკმაო აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო დადგენილება: მესამე კომინტერნის პლათფორმაზე დადგომა, გულგრილობის და უმოქმედობის უკუგდება და საბჭოთა ხელისუფლებასთან ინტენსიური თანამშრომლობა. რწმუნებულები აირჩია კრებამ შეიმუშავა სამოქმედო გეზი.

აი ამ ყრილობაზედ მიღებულ შთაბეჭდილებისაგან გამომდინარე—მე მაინც ვიტყვი, რომ უპარტიოთა და ყოფილ მენშევიკების სულიერი ცხოვრების ასე ვსთქვათ ორგინალური გარდატეხის მიზეზები არსებობდა არა მომხსენებლის ტალანტში, არამედ მის გარშემო, მის მიღმა. მოკლედ: მიზეზები საბჭოთა მიხწევებია,—მისი პოლიტიკური და ეკონომიური სტაბილიზაციაა.

ეს მიზეზები დღითი დღე ვითარდებიან. ქმნიან და აახლოებენ მერყეობისა და ოპოზიციის მოსპობის წინა პირობებს.

დროა ეს ელემენტარული ჭეშმარიტება შევიგნოთ ჯერ კიდევ მერყეობაში მყოფ პირებმა.

კრების თავმჯდომარე **სამსონ ჯაში**

---

## მუშკომისიის რწმუნებულების და ჟურნალ „ახალი გზის“ გამყიდველების საყურადღებოდ.

არა ერთხელ მოგვიმართავს თქვენთვის თხოვნით ჟურნალის ფულის გამოგზავნის შესახებ, მაგრამ აქამდის ჩვენმა თხოვნამ მიზანს ვერ მიახწია.

თქვენ კარგათ იცით, რომ ჟურნალის გამოცემას თავისი ხარჯები აქვს და ხარჯებს გასტუმრება უნდა. თუ თქვენ დროზე არ მოგვაწვდით ჟურნალის საფასურს, მისი არსებობა შეუძლებელია. ამიტომ უკანასკნელად გთხოვთ დააჩქაროთ ფულის გამოგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გამოვაცხადოთ ჟურნალში მისი სახელი და გვარი ვისზედაც ფული ითვლება.

პატივისცემით სარედაქციო კოლეგია.

---

სარედაქციო კოლეგია: **მ. ძამანაშვილი**
**ა. ვვიმრაძე**
**პ. ხურცილავა**
**ქ. მაჭარაძე**
**ლ. კუპრაშვილი**

# ამ.-კავკ. რკინის გზ. სამმართველოს ეკონომიური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ქ. ქ. თბილისში, ბაქოში, მოსკოვში, ერევანში, ბათუმში, განჯაში, ზუგდიდში, ევლახში, ქუთაისში და თელავში კომერციული სააგენტოები და ქალაქის სადგურები **აწარმოებენ შემდეგ ოპერაციებს:**

1. ყოველგვარ მიმოსვლის სამგზავრო ბილეთების გაყიდვას ბინაზე მიტანით.
2. საწყობების ოპერაციებს და 3. ყოველგვარ კომერციულ ოპერაციებს.
4. სესხის გაცემას როგორც გადაზიდვის დროს, ისე საწყობებში მოთავსებულ საქონლის გირავნობის ქვეშ.
5. ტვირთვის მიღებას, გაგზავნას და გაცემას და 6. მის გადატანას შარა გზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვას კლიენტების დავალებით.
8. საბაჟო, სააქციზო და სხვა ვალდებულებების შესრულებას.

ზემოაღნიშნული და სხვა სატრანსპორტო ოპერაციები სრულდება მინიმალურ საკომისიო ხელფასის გადახდით.

კომერციული სააგენტოები ქ. სადგურები დიდ დახმარებას უწევენ კლიენტებს რკ. გზის ტრანსპორტით სარგებლობის დროს.

---

# ამ.-კავკ. რკ. გზის საგრილობელ ნაწილს აქვს მოწყობილი:

1. **ვაგონების საყუდი პარკი,** სადაც გამზადებულია 450 იზოტერმიული და სხვა საქონლის ვაგონი, 2. **მმოძრავი და ადგილობრივად ყინულის დამმზადებელი ქარხნები**

თბილისში, განჯაში, აჯი-ქაბულში, ბაქოში და სამტრედიაში

სადგური ყინულის საკმაო მარაგით და საქონლის საგრილობელი საწყობით.

## საგრილობელ ნაწილის მიზანია:

დაეხმაროს საექსპორტო საქონლის პატრონებს საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში გადასაგზავნად დანიშნულ სათუთ საქონლის წინასწარ დამზადებაში, როგორც არის წესიერად ჩაწყობა, შეხვევა, დახარისხება, დაბარგება და დანიშნულებისამებრ უზიანოდ გაგზავნა და სხვ.

ამისთვის **საგრილობელ ნაწილს** აქვს: სპეციალურად მოწყობილი საქონლის ვაგონები როგორც ზამთრისთვის თბილი, ისე ზაფხულისთვის გრილი.

საქონლის დანიშნულებისამებრ გადატანის დასაჩქარებლად **ნაწილი** სარგებლობს სამგზავრო მატარებლებით.

სპეციალური ვაგონებით სარგებლობისთვის საერთო ტარიფის გარდა საქონლის პატრონს **ნაწილი** ახდევინებს დამატებით გადასახადს მეთვალყურეობის, ყინულის, სათბობ მასალის, მარილის და სხვა ხარჯების დასაფარავად.

იმ პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს იზოტერმიული ვაგონი, გაიგოს ცნობები, მან უნდა მიმართოს თბილისში კომერციულ განყოფილების **საგრილობელ ნაწილს** შემდეგი მისამართით:

თბილისი, ვაგზლის ქ. № 8.

და რკინის გზის ხაზზე:

**საგრილობელ ნაწილის ინსტრუქტორებს,** სამტრედიაში, განჯაში, ბალაჯარაში, ბაქოში, დერბენდში და ლენინკანში.

მთავლიტი № 1004 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კპ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 5 ივლისი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა - უქმისა, დილის 8—2 საათამდე | № 28

## არც ეხლა წავალთ ახალი გზით?

მკითხველი ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ამხ. ძამანაშვილის მოხსენებიდან გაიგებს, რა აზრს დასდგომიან სუზდალში გადასახლებულები საქართველოს საკითხში.

ეს აზრი, მართალია, სავსებით მისაღები არ არის, მაგრამ იგი მაჩვენებელია მისი, რომ სუზდალელების პოლიტიკურ აზროვნებაში დიდი გარდატეხა მომხდარა.

უეჭველად დიდი პროგრესია, როდესაც სუზდალელები საბჭოთა კონსტიტუციას აღიარებენ და მის ჩარჩოებში ორგანიულ, კულტურულ მუშაობის შესაძლებლობას სცნობენ. ამით ისინი ძველ პოზიციას სტოვებენ და ახალი გზის ძიებაში არიან.

ეს მოვლენა კარგი შედეგის მომასწავებელია. აქ აღარ ისმის შეურიგებლობის ტონი.

ჩვენთვის საინტერესო არ უნდა იყოს ის მოტივები, რომლითაც გ. ლორთქიფანიძე და მისი ამხანაგები ხელმძღვანელობენ თავის დასკვნებში. ჩვენ გვაიმედებს ის, რომ მათ უკუაგდეს ჯიუტობა და აუცილებლობის კანონის ზეგავლენით შეითვისეს საღი რეალური პოლიტიკა—დადგნენ საბჭოთა პლათფორმაზე.

ეს პირველი ნაბიჯია. პირველ ნაბიჯს მეორე მოჰყვება. ნაბიჯი გაბედული და არა მიხვეულ-მოხვეული—ეს ჩვენ ღრმადა გვჯერა და გვივსებს გულს სიხარულით, რომ მალე ქართველი ერის უმნიშვნელო ნაწილი, რომელის აზროვნება კიდევ გახვეულია პოლიტიკურ ბურუსში და საიდგანღაც რაღაცას მოელის, ერთხელ კიდევ დარწმუნდება ჩვენი გზის სისწორეში, რასაც, ერთის მხრივ, ადასტურებს გ. ლორთქიფანიძის ახალი პოზიცია, ე. ი. მის მიერ საბჭოთა კონსტიტუციის ცნობა.

ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც მოხდა ემიგრანტების ბანაკში.

ჩვენ ვართ მოწმე დიდი გარდატეხის ემიგრანტების აზროვნებაშიც. თუ დავუჯერებთ იმ ხმებს, რაიც გავრცელდა თბილისში ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში შესახებ ემიგრაციის დაშლის და ახალი ჯგუფების ორიენტაციის, აღარავითარი ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს მუშათა კომისიის ხაზის პოლიტიკურ გონიერებაში და მის მიზანშეწონილობაში.

განა შესაძლებელია ჩვენთვის ძველ პოზიციებზე დარჩენა, ძველი გზით სიარული იმის შემდეგ, როცა სუზდალელებმა იცნეს საბჭოთა კონსტიტუცია და ემიგრანტების იდეურმა ხელმძღვანელმა,—მებაირახტრემ ჟორდანია—წერეთელმა აღიარეს რუსეთის ორიენტაცია.

აქამდის ჟორდანია სცდილობდა ჩვენი აზრი, ჩვენი მისწრაფება მიემართა ევროპისაკენ. ბედნიერებას ევროპიდან გვპირდებოდა, ეხლა კი ევროპისთვის ზურგი შეუქცევია და რუსეთისკენ აუღია მიმართულება. უეჭველია აქ წერეთელს გაუმარჯვია, აქ მისი შუბლი მოსჩანს. ჟორდანიას „მე" კი წაშლილია. ის წერეთელს დამორჩილებია. არც ეს არის ჩვენთვის საინტერესო. საინტერესო ისაა, რომ დღეს ჟორდანია უარყოფს იმას, რასაც გუშინ კატეგორიულად გვიმტკიცებდა, რაშიაც აქნობამდის გვარწმუნებდა: „ჩვენ საერთო არა გვაქვსრა ბარბაროსულ რუსეთთან... ჩვენი გზა ევროპისკენ არის"-ო...

განა რომ დიდი ნახტომია!—ევროპის ორიენტაციიდან რუსეთის ორიენტაციაზე!

მაშ რაღა დარჩენილა? ჩვენც რუსეთის ორიენტაციის და ჟორდანია—წერეთელიც ამ ორიენტაციის.

დარჩენილი ბევრი არის. და ეს ბევრი მთელი უფსკრულია ჩვენსა და მათ შორის.

როდესაც ჩვენი ორიენტაცია საბჭოთა რუსეთზეა, ჟორდანია—წერეთელის ორიენტაცია მილიუკოვ—დანის არის დემოკრატიაზე. ვინ არის აქ მართალი, ვისი ხაზია სწორი? ამ კითხვების გადაჭრა, მგონია ქართველი მუშისთვის და, მით უმეტეს, ინტელიგენციისთვის ძნელი არ უნდა იყოს

დანი აბრამოვიჩის იდეიური თანა მოაზრე და პარტიული ამხანაგია. აბრამოვიჩის აზრი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გარკვეულია და ეს ყველამ კარგად ვიცით. მაშ დანის დემოკრატია ჩვენ, როგორც დამოუკიდებლობის მოტრფიალეთ, არაფერს გვპირდება. პირიქით, გვედავება იმას, რაცა გვაქვს. თუ დანის დემოკრატია ასეთი საეჭვო და ძუნწია პატარა ერების თავისუ-

ფლების საკითხში, რალა უნდა იყოს მილიუკოვის, ამ რუსეთის ლოიდჯორჯის დემოკრატია?

მილიუკოვს ეხლაც, როდესაც მას არავითარი რეალური ძალა და სახელმწიფო უფლება არა აქვს, იმპერიალისტური ხელი სტამბოლისკენ აქვს გაწვდილი და, ერთი მიბრძანეთ, საქართველოს როგორ მისცემს თავისუფლებას, როდესაც ხელისუფლებას იგდებს კადეტურ კლანჭებში.

ქართველი მუშა და ინტელიგენცია იმდენად კარგად იცნობს მილიუკოვს, რომ არ მოსტყუვდება და უარს იტყვის მისი დემოკრატიის ორიენტაციაზე.

გარდა ამისა, ვსთქვათ, რომ ეს ორიენტაცია მისაღებია. განა არის მოსალოდნელი, რომ რუსეთში გაიმარჯვებს დემოკრატია; საბჭოთა წყობილება თუ დაეცა. ან თუ გაიმარჯვებს იგი, მილიუკოვის დემოკრატიაზე ორიენტაციის ავტორებს წარმოდგენილი აქვთ ის ზღვა სისხლი, რომელიც უნდა გაიღოს რუსის ხალხმა, რომ დაამყაროს დემოკრატია, მაშინ ხომ მკვდრეთით აღსდგნენ კაციჭამია კოლჩაკი, დენიკინი, ვრანგელი და სხვა ამისთანა „მბრწყინვალე" გენერლები და განა ჭკვათამყოფილი ქართველი შეუწყობს ხელს მათ აღდგომას, მათ სისხლიან დიქტატურას.

ასეთ გზას გვირჩევს ჩვენ ისეთი კაცი, რომელსაც რბილად რომ ვსთქვათ, ყოველი იმედი დაუკარგავს, დავთარი დაჰბნევია და ლობე-ყორესლა ედება.

ქართველი მშრომელი ვერ გაჰყვება ჟორდანიას გზას. მან უკვე აირჩია ახალი გზა და მას ვერ გადაუხვევს. ეს გზა — რუსეთის ორიენტაციაა მართალია, მხოლოდ საბჭოთა რუსეთის და არა მილიუკოვის დემოკრატიის.

ეს გზა და მხოლოდ ეს გზა მივვაჩნია საქართველოსთვის. სხვა გზა ჩვენთვის მიუღებელია.

ვისაც მართლა სწამს საქართველოს ბედნიერება, უნდა დაადგეს ამ გზას.

---

# ამხანაგ ძამანაშვილის მოხსენება

19 ივნისს პლეხანოვის თეატრში შესდგა პეტრე ხურცილავას თავმჯდომარეობით ყოფილ მენშევიკთა მრავალ რიცხოვანი კრება, სადაც ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. მიშა ძამანაშვილმა მუშათა კომისიის რუსეთში მოგზაურობის შესახებ.

მოვვყავს დაახლოვებით მომხსენებლის სიტყვა:

ამხანაგებო!.. თქვენი 14 მარტის დავალების თანახმად ჩვენ გავემგზავრეთ რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებისაკენ მოსალაპარაკებლათ და თქვენი სურვილის გადასაცემად. 18 მარტს ჩავედით მოსკოვში. აქ ამხ. ენუქიძის დახმარებით გავაცანით საკავშირო მთავრობას ჩვენი მოგზაურობის მიზანი და მივიღეთ ყველა საჭირო ნებართვა გადასახლებული ამხანაგების ნახვის შესახებ ადგილობრივად.

21 მარტს ჩვენ უკვე სუზდალში ვიყავით. ყველაზე უფრო გავლენიანი ჯგუფი ს. დ. პარტიისა აქ არის თავმოყრილი: გრ. ლორთქიფანიძე, კალისტ. გოგუა, ზ. გურული, ალ. დგებუაძე, ვლ. ჯიბლაძე და ლ. რუხაძე.

ჩვენ პირველად ჯანგებ მოვედით აქ, რომ გაგვეგო ამ ჯგუფის აზრი და მიმართულება.

სანამ სუზდალელების აზრს გაგაცნობდეთ, მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო ჩვენი ყოფილი მთავრობის პოზიციას.

მენშევიკური პარტია დღეს ხომ რამდენიმე ჯგუფად გაიყო. ნოე ჟორდანიას მთავრობა, მობანაკებული პარიზში, სდგას წინანდელ შეურიგებლობის პოზიციაზე. თავისი თავი კიდევ საქართველოს მთავრობა გონია. ამ სიშორიდან სცდილობს ყოველივე საშუალებით დაამხოს საქართველოში განმტკიცებული მთავრობა — საბჭოთა ხელისუფლება... ამისათვის არ ჩერდება ბრძოლის არავითარი საშუალების წინაშე როგორიც არის: არალეგალური მუშაობა, ხალხის საერთო თუ ნაწილობრივი აჯანყების მოწყობა არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ და სხვა.

ამავე დროს, ჟორდანიას აზრით. უნდა მივიღოთ და გამოვიყენოთ ყველა იმ სახელმწიფოების დახმარება, რომლებიც მტრულათ არიან განწყობილი საბჭოთა წესწყობილების შიმართ... ამისათვის-კი საჭიროა მუშაობა, მოძრაობის შექმნა, დემონსტრაცია, აჯანყება, სისხლის ღვრა, რათა დაინახოს ევროპამ, რომ საქართველო არაა დამშვიდებული, არაა კმაყოფილი არსებული ხელისუფლებით...

ყოფილი მთავრობა არ ითვალისწინებს იმას, თუ რა შედეგი მოუტანა ქართველ ერს აგვისტოს გამოსვლებმა და რა შედეგები მოჰყვება მის განმეორებას... აი ჟორდანიას ხაზი და მისი პოზიცია...

ახლა გავეცნოთ სუზდალში მყოფ ჯგუფის აზრს.

ჩვენ ადრევე ვიცოდით, რომ სუზდალელი ამხანაგები არ იზიარებდენ ჟორდანიას და მისი ამხანაგების პოზიციას ამიტომ მეტად გვაინტერესებდა მათი აზრი და შეხედულება.

ჩვენ დაწვრილებით გავაცანით მათ ჩვენი ხაზი, ჩვენი მუშაობის მიმართულება. გადავეცით თქვენგან დაბარებული სალამი და თქვენ მიერ წარგზავნილი რეზოლიუცია. გავაცანით აგრედვე აუარებელი მასალები ჩვენში არალეგალურ მუშაობის შესახებ... ვიკამათეთ, ვიმსჯელეთ მთელი ოთხი დღის განმავლობაში და მხოლოდ საქმეზე ლაპარაკს ჩვენ მოვანდომეთ 28 საათი...

ამ კამათის და ბაასის დროს ჩვენ გავეცანით სუზდალელი ჯგუფის აზრსა და პოზიციას.

ამათ, თუმცა ჩვენი კომისიის მუშაობის ხაზი მიზან შეწონილად აღიარეს მაგრამ, როგორც გაიგებთ ჩემი მოხსენებიდან, ისინი არ დგებიან ჩვენს გზაზე; არ ფიქრობენ საბჭოთა ხელისუფლებასთან მშვიდ, საქმიან მუშაობას... გრ. ლორთქიფანიძის ჯგუფის პოზიცია მდგომარეობს შემდეგში:

საბჭოთა საქართველო უკვე ფაქტია, სინამდვილეა ამბობს ეს ჯგუფი — ის იცნო და მასთან საქმიანი კავშირი დაიჭირა თითქმის ყველა ევროპის სახელმწიფოებმა... ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ... ამიტომ საქართველოს საკითხი, როგორც საერთაშორისო, უნდა მოიხსნას... ხოლო მუშაობა და ბრძოლა უნდა გადავიტანოთ შიგნით. არსებულ კონსტიტუციის ფარგლებში...

სუზდალელები უარყოფენ აჯანყებებს, დემონსტრაციებს, სისხლის ღვრას და სხვა ასეთ ნაბიჯებს. სამაგიე-

როთ მათ გადააქვთ სამუშაო ასპარეზი კულტურულ სფეროში.

ორგანიზაციებში და პრესაში აქტიური მონაწილეობას მიღებით, ყოველ გვარ ლეგალურ შესაძლებლობის გამოყენებით, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არსებულ ხელისუფლებას, კომუნისტურ პარტიასო, ამბობენ სუზდალელები.

ამხანაგებო!.. თქვენ ხედავთ თუ რა განსხვავებაა ნოე ჟორდანიასა და გრ. ლორთქიფანიძის ჯგუფს შორის.

ჟორდანია სდგას ძველ გზაზე, სარგებლობს ძველი საშუალებებით, ამ რიგად ელტვის თავის მიზანს...

ლორთქიფანიძე თუმცა ძველი მიზნებისაკენ მიდის, მაგრამ ახალი გზით... მაშ ორივეს სურს, ორივე ცდილობს გაანადგუროს, მოსპოს არსებული ხელისუფლება და გაამეფოს სოციალდემოკრატია.

ამნაირათ ლორთქიფანიძის ჯგუფის პოზიცია ბევრით არ განსხვავდება ჟორდანიის პოზიციისაგან.

ლორთქიფანიძეც სთვლის არალეგალურ მუშაობის საჭიროებას, ხოლო ეს არალეგალური ორგანიზაცია უნდა იყოს მცირე რიცხოვანი და მომქმედი... ამ ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს არალეგალური მუშაობა და კრიტიკის თვალსაზრისით მიუდგეს საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებას...

რაც შეეხება, ამხანაგებო, აგვისტოს ავანტიურისტულ გამოსვლებს-ამ საკითშიც ლორქიფანიძე ბევრით არ განსხვავდება ჟორდანიასაგან, ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ, თუმცა ჩვენ მენშევიკები დავმარცხდით, მაგრამ ეს დამარცხება იყო ფიზიკური, მორალურათ-კი ჩვენი ბრძოლა სწორი და კანონიერია.—სწორია იმიტომ, რომ ჩვენ ვიბრძვით ოკუპაციის წინააღმდეგო. ამიტომ, ამბობს ლორთქიფანიძე, ჩვენს უახლოესს მოთხოვნილებას შეადგენს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში შესვლა საქართველოსი უშუალოდ და მისი აღდგენა ტერიტორიის ყოფილ ფარგლებში... აი ლორთქიფანიძის მოთხოვნილება-მინიმუმი.

თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ სუზდალის ჯგუფის მოთხოვნილებანიც ჩვენს ხაზთან დაშორებულია, ის არის არსებულ მდგომარეობის გართულება და მშვიდობიანი ნაციონალური მუშაობის შეფერხება.

ჩვენ უარვყავით ჟორდანიას მთავრობის ხაზი და მოქმედება... ჩვენ საზარალოთ და ერის დამღუპველათ ვიცანით საზღვარგარეთ გაქცეული ემიგრანტების აგიტაცია—ტაქტიკა ...

ამავე მოსაზრებით ჩვენ შორსა ვდგევართ სუზდალელების ხაზთანაც... და ვაგრძელებთ შეუპოვარ ბრძოლას მენშევიზმის ორივე ფრთის წინააღმდეგ... და არ უნდა დავივიწყოთ, რომ, თუ ჟორდანიას პირდაპირ მოაქვს იერიში არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ, ლორთქიფანიძის ჯგუფი ფიქრობს შიგნიდან ააფეთქოს არსებული ხელისუფლება...

ჩვენ კიდევ და კიდევ ვადასტურებთ სამართლიანობას და მიზანშეწონილობას ჩვენ მიერ აღებულ ხაზისას... მოგიწოდებთ ყველა ამხანაგებს გავაძლიეროთ პოლიტიკური თუ სამეურნეო მუშაობა. როგორც ქალაქებში, ისე სოფლად საცამგონია კიდევ მოიპოვებიან სითო ოროლანი შავიზღვის-კენ მაყურებელნი...

რაც შეეხება, ამხანაგებო, ტაშკენტში გადასახლებულ ამხანაგებს—აქ ჩვენი ჩასვლა და მასთან უფრო ნაყოფიერი გამოდგა. სულ გადასახლებულნი არიან რუსეთში და თურქესტანში 145 კაცი. ამათგან ვინახულეთ 120 კაცი. დანარჩენები ვერ ვნახეთ სიშორის გამო, მოსკოვში უნდა დავბრუნებულიყავით ამხანაგ სტალინთან მოსალაპარაკებლათ დანიშნულ ვადაზე, დაგვიანება შეუძლებელი იყო.

კომისიამ ყველა გადასახლებულების განთავისუფლების შესახებ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, მაგრამ მხოლოდ 85 კაცი იქნება განთავისუფლებული და იმედი გვაქვს ერთ თვეში ისინი დაბრუნდებიან საქართველოში და შეუდგებიან მშვიდობიან მუშაობას... ცხოვრობენ გადასახლებულები კომუნებათ. თუ ერთსა რამე მოუვიდა, უნაწილებს ყველას. თუ ერთმა რაიმე სამუშაო იშოვნა ეხმარება სხვებსაც... მატერიალური გაჭირვება და ავადმყოფობაც ხშირი მოვლენაა...

ერთ საყურადღებო გარემოებას უნდა მივაქციო ამხანაგებო, თქვენი ყურადღება: ტაშკენტში არიან გადასახლებულნი რუსი სოციალ-რევოლუციონერებიც... უკიდურესად მტრული დამოკიდებულებაა გადასახლებულ ქართველებს და ამ სოციალ-რევოლიუციონერებს შორის... ეს უსიამოვნება, ეს მტრული განწყობილება აღმოცენებულა იმ კამათის პროცესში, როცა ჩვენი სოციალდემოკრატები იცავდენ საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას.

სოციალ-რევოლიუციონერები საქართველოსთვის ყოველგვარ დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ყოფილან და ამ გარემოებას მეტად გაუმწვავებია მათ შორის დამოკიდებულება.

აქედან რა დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ?

ისა, რომ ეს-ერები, თუ ეღირსნენ როდესმე ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, არც ერთი პატარა ერისთვის დამოუკიდებლობას არ გაიმეტებენ. თუ ასეთ პოზიციაზე დგანან დამოუკიდებლობის საკითხში ეს-ერები, აშკარაა, რის იმედი უნდა ქონდეს პატარა ერებს კადეტი მილიუკოვის და მისი ამხანაგების პარტიის.

კომუნისტური პარტია ნაციონალურ საკითხსაც სამართლიანათ უდგება და პატარა ერის მოსარჩლეთაც გამოდის.

ახლა ამხანაგებო ორიოდე სიტყვა კომუნისტების კულტურული მუშაობის შესახებ: ეს მუშაობა უნდა ვაღიაროთ, ყველგან სჩანს, ყველგან ბევრი და დიდი საქმეები კეთდება, მაგრამ რაც გაკეთებულა და დღესაც კეთდება ტაშკენტის მხარეს—თურქესტანში – ეს პირდაპირ გასაკვირალია... თურქესტანი დღეს განიყოფება ორ დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკათ, რომლებიც შედიან საბჭოთა სოციალისტურ კავშირში.

აქ, მეფის დროს სავსებით დაჩაგრულ და ჩამორჩენილ ქვეყანაში, დღეს სიცოცხლე სდუღს და გადმოდის.

განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ქალთა განთავისუფლება-გამოფხიზლებისაკენ...

წინათ ქალი მუსულმანურ თურქესტანში წარმოადგენდა ისეთ სულიერ არსებას, რომელსაც არავითარ ანგარიშს არ უწევდენ, არავითარ უფლებებს არ აძლევდენ, არა თუ სახელმწიფოებრივ სფეროში, არამედ ოჯახშიც...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი აქ ხშირად ათხოვებდენ უნებურად, ძალათ 12 წლის გოგოებს, ისიც მეოთხე და მეხუთე ცოლათ... დღეს ეს ვეღარ მოხდება,—აკრძალულია. ქალთა ორგანიზაციები ამას დიდ ყურადღებას აქცევენ, სდარაჯობენ. დღეს 14 წლამდი ქალს ვერავინ გაათხოვებს და ისიც მხოლოდ და მხოლოდ პირველ ცოლად... მრავალცოლიანობას, ქალთა ტანჯვას ბოლო ელება...

ჩვენ კიდევ შევხვდით ძველ ჩაცმულობა-ადათებს:

ამ პაპანაქება სიცხეში ქალს ჩამოფარებული აქვს პირზე ცხენის ძუისაგან მოქსოვილი საფარი, რომელიც დანასავით სერამს სახეს...

გასაკვირალია სუნთქვას როგორ ახერხებენ. აშკარაა ასეთ მორთულობაში ამათ კაი დღე არ დაადგებათ.

ასეთი უმგზავსი, ადამიანის დამამცირებელ ჩვეულებების წინააღმდეგ დიდი მუშაობა და ბრძოლა სწარმოებს პარტიაში.

ამიტომ ამ განახლებულ მუსულმანთა სოციალისტურ რესპუბლიკებში კომუნისტური პარტიის გავლენა დიდია, თვალსაჩინოა... ასეთი მუშაობით, ასეთი მხნეობით დიდი საქმე კეთდება არა მხოლოდ მუსულმანების, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელებისათვისაც.

ჩვენ ვეცადოთ, ამხანაგებო, არ ჩამოვრჩეთ საერთო მუშაობას და არსებულ ხელისუფლებასთან ერთად გავსწიოთ წინ საუკეთესო მომავლისაკენ...

კრებას წარედგინა შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა ერთხმად.

რეზოლიუცია:

„რკინის-გზის მთავარ სახელოსნოების, დეპოს, მთავარ საწყობის და ტფილისის კვანძის მუშა-მოსამსახურეების ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა კრებამ, მოისმინა რა მუშათა კომისიის მოხსენება რუსეთში გადასახლებულებთან მის მიერ წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მას შეუსრულებია რკინის-გზის ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა და საერთოთ საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა დიდი უმრავლესობის დავალების თანახმად, დაადგინა:

1) მუშათა კომისიას მისთვის მიცემული დავალება შეუსრულებია სავსებით დამაკმაყოფილებლათ.

2) ის შედეგები, რომელიც მოუცია მუშათა კომისიის მიერ გადასახლებულებთან წარმოებულ მოლაპარაკებას, ერთხელ კიდევ ადასტურებს 7-8 ოქტომბრის მუშათა კრებაზედ მიღებულ რეზოლიუციის მიზანშეწონილობას და პოლიტიკურ სიმწიფეს.

3) ამასთანავე კრება აღფრთოვანებით ხვდება ცნობას გადასახლებულთა უმრავლესობის სამშობლოში დაბრუნების შესახებ, იმ რწმენით, რომ რამოდენიმე ათეული ძველი გამოცდილი და პატიოსანი მუშაკი მიეცემა მშვიდობიან შემოქმედებით მუშაობას საქართველოს მუშათა გა გლეხთა საკეთილდღეოთ არსებული პირობების ნიადაგზედ.

4) ეხება, რა საზღვარგარეთ ემიგრაციის პოლიტიკას, რომელსაც მეთაურობს ნოე ჟორდანია, კრება კიდევ ერთხელ კატეგორიულად და ხაზგასმით აღიარებს, რომ ეს პოლიტიკა არის ძველი 1921 წლიდან დაწყებულ პოლიტიკის გაგრძელება, რომელმაც უკვე მოიტანა წარსულში და შეუძლია მოუტანოს მომავალშიაც მრავალი ტანჯვა და უმიზნო მსხვერპლი ქართველ ერს.

5) კრება მიუღებლათ აღიარებს სუზდალის საპატიმროში მყოფ მენშევიკების მიერ მუშათა კომისიასთან მოლაპარაკების შედეგად მიღებულ რეზოლიუციას და სთვლის, რომ ეს რეზოლიუცია განმეორებაა მათი ძველი თეზისების.

6) რაც შეეხება ყოფილ მენშევიკთა და სხვა პარტიების ყოფილ წევრთა იმ ჯგუფს, რომელნიც, ერთი მხრით თითქოს სდგებიან საბჭოთა პლატფორმაზედ და იზიარებენ მუშათა კომისიის მიერ არჩეულ გზას, მაგრამ, მეორე მხრით, ამ თავის შეხედულებას უკავშირებენ ისეთ პირობებს, რომელიც მათ პოლიტიკურ ხაზს უფრო ანათესავებს ემიგრაციის პოლიტიკასთან, კრება ერთხელ კიდევ მოუწოდებს მათ გარკვევით და საბოლოვოთ კვლავ გადასინჯონ თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და გვერდში ამოუდგენ საქართველოს მუშათა და გლეხთა უმრავლესობას მის მიერ საბჭოთა წყობილებისადმი არჩეულ ახალ გზის გატარებაში“.

კრების თავმჯდომარე ს. ხურცილავა.

კრების მდივანი დ. მიქელაძე.

# გაეროვნების შეფერხების მიზეზები

(გაგრძელება—იხილე № 27.)

ჩვენ პირველ წერილში აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ კომუნისტური პარტია თვითგამორკვევის საკითხში სდგას დადებითი ნიადაგზე. რომ სხვა და სხვა ეროვნებათა სრული დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევა მიღებულია პარტიული ყრილობის მიერ და აღნიშნული პარტიულ პროგრამაში.

მიუხედავად ამისა, გაეროვნების საქმე ცოტა არ იყოს კუს ნაბიჯით მიდის წინ და ამიტომ ბევრი სამდურავიც გვესმის პრესაში, თუ კერძო ლაპარაკის დროს.

წინა წერილში აღნიშნულ მიზეზებს გარდა გაეროვნებას უშლის ხელს ის გარემოება, რომ ჩვენში—საბჭოთა საქართველოში—საგრძნობი პროცენტი დაწესებულებათა სათავეში მდგომ ადმინისტრატორებისა არიან ადგილობრივი ენის უცოდინარნი.

როცა სათავეში რომელიმე დაწესებულებას უდგას ადგილობრივი ენის უცოდინარი ადმინისტრატორი—ამ შემთხვევაში მის ქვეშევრდომ-თანამშრომლებიც ცდილობენ საქმე აწარმოონ უცხო ენაზე, თუნდაც ამათ ზედმიწევნით იცოდნენ ადგილობრივი ენა.

რათა ხდება ასე?..

ეს ხდება ორი მოსაზრებით—პირველი ისაა, რომ თანამშრომელი ფიქრობს: „ჩემმა უფროსმა არ იცის ქართული. მე რომ მოხსენება დავწერო ქართულად, ის უსათუოდ უნდა გადაითარგმნოს რუსულად, რათა უფროს წარედგინოს. ამ გადათარგმნაში ხშირად კვირეები და თვეებიც გადის. საქმე-კი საჩქაროა.“

დაგვიანებით წარმოება ფერხდება... მოდი ბარემ პირდაპირ რუსულად დავსწერ“. და ასე დაბალი თანამშრომელი თავის და უნებურად არღვევს დეკრეტ-დადგენილებას, ხდება მოღალატე გაეროვნების საქმეში.

მეორე მიზეზი მდგომარეობს დაბალი თანამშრომლების უფროსის წინაშე. შიში და ხათრში. ხშირია ასეთი მაგალითი: თუ თანამშრომელმა მიაწოდა ადგილობრივი ენის არამცოდნე უფროს რაიმე საქმე—მოხსენება ქარ-

თულად, ის ცივად ეტყვის: „დაიცადეთ სანამ გადათარგმიანო“... თარგმნას-კი ძალზე აგვიანდება და ეს გარემოებაა მიზეზი, რომ დღეს, მიუხედავათ დეკრეტ-განკარგულებისა, ყველა მუშაობს გაეროვნების საქმეში არა თუ გულგრილათ, არამედ ზერელეთ, უიმედოთ.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს... აქეთაა საჭირო დიდი ყურადღების მიქცევა, თუ გვინდა გაეროვნების საქმე სასურველათ წავიდეს წინ და ჩქარა დაბოლოვდეს.

რა არის იმისი მიზეზი, რომ ასე დიდი ნაწილი ჩვენი ადმინისტრატორებისა ადგილობრივი ენის უცოდინარნი არიან?.. შეიძლება საქართველოს არ ჰყავს სათანადოთ მომზადებული პირები—სპეცები?

ვინც ასე იფიქრებს, ის სცდება. სპეცები და მომზადებული პირები ჩვენ არ გვაკლია და, რომ გვაკლდეს კიდეც, შესაძლებელია და საჭიროც, თუ გვინდა გაეროვნების ცხოვრებაში გატარება, დარგს, წარმოებას სათავეში ედგეს უსათუოდ ადგილობრივი ენის მცოდნე. თუ ეს პირი ვერაა საკმარისად დახელოვნებული იმ საქმეში, რომელიც მას აბარია—მაშინ მას ამხანაგათ, თანაშემწეთ უნდა ჰყავდეს სპეცი, თუნდაც ის არ იყოს ადგილობრივი ენის მცოდნე.

სინამდვილეში-კი ხშირია მოვლენა, როდესაც არც წარმოების სათავეში მდგომმა და არც მისმა რამდენიმე თანაშემწეებმა ადგილობრივი ენა არ იციან.

ამიტომ აქ მართლაც საჭიროა დიდი ყურადღება და ყოველგვარი ზომების მიღება გაეროვნების საჩქაროთ ცხოვრებაში გატარებისათვის.

არ კმარა კომისიის დეპეშა—„ამ დღიდან უსათუოთ წარმოება ქართულათ, სომხურათ, თურქულად უნდა დაიწყოთო“ საჭიროა თვით დარგების დათვალიერება და მოხელე თანამშრომელთა გამოცდა.

ადმინისტრატორების მიერ ადგილობრივი ენის არ ცოდნა მარტო გაეროვნების ცხოვრებაში გატარებას როდი უშლის ხელს.

ეს გარემოება მეტად აფერხებს საერთოდ საქმის წარმოებას, წარმოების ნაყოფიერებას.

ამაზე შემდეგ წერილში.

ს, დოლიძე.

# მუშათა კომისია რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადასახლებულებთან

(გაგრძელება. იხ. „ახ. გზა“ № 27).

უზბეკისტანის სატახტო ქალაქად სამარყანდია გამოცხადებული. თუმცა სამარყანდი გაცილებით პატარა ქალაქია, ვინემ ტაშკენტი, მაგრამ პირველისთვის უკუთვნებიათ უპირატესობა და უზბეკისტანის მთავრობის რეზიდენციად ულიარებიათ. ტაშკენტი ლამაზი ქალაქია, ქუჩები განიერი და სწორი; ქუჩების ორივე მხარეს ხეებია ჩამწკრივებული და წყლის არხები გაყვანილი, სადაც საამურად მოჩუხჩუხებს წყალი. სახლები თუმცა დაბლები, მაგრამ ლამაზებია. ერთი სიტყვით, ქალაქის არე-მარე სილამაზით არის შემკობილი. ქალაქის ნაკლი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ზაფხულში დიდი სიცხე აწუხებს ხალხს, განსაკუთრებით დღისით თითქმის შეუძლებელია, როგორც გადმოგვცეს, ქუჩაში სიარული, საღამოობით კი ჰავა იცვლება, გრილდება.

უზბეკისატნის თითქმის ყველა ქალაქი ორი ნაწილისაგან შესდგება: ახალი ქალაქის და ძველის. ძველი ქალაქი ყველგან ერთნაირია. მიწური სახლები, მინგრეულ-მონგრეული შენობები და ვიწრო ქუჩები. ტაშკენტიც ორ ქალაქს წარმოადგენს, ახალი, სადაც ყველაფერი კოხტა და ლამაზ გეგმაზეა გაშენებული, და ძველი, სადაც ყველაფერი უშნოთ არის—მიწური სასლები და ისე ვიწრო ქუჩები, რომ ეტლს გავლა არ შეუძლია, მხოლოდ ძლივს კაცი ახერხებს გავლას.

უზბეკები სცხოვრობენ ზედ მიწევნით უსუფთაოდ, სხვა ეროვნების ხალხი ფრიად უმნიშვნელოა რიცხვით.

დუქნებში ყველანი დამჯდარნი ვაჭრობენ, მოვაჭრეზის შუა დუქანში, მას გარშემო საქონელი უწყვია მყიდველიც წინ ჩამოუჯდება და ასე სწარმოებს ვაჭრობა, გეგონებათ რაღაც საქმეს არჩევენო. რელიგიურ რწმენას უზბეკებში მაგრად აქვს ფესვი გადგმული, რევოლიუციას თითქოს არავითარი ცვლილება არ შეუტანია ამ მხრივ. თვით კომუნისტებიც ისეც დაიარებიან მეჩეთში და ლოცულობენ, როგორც არა კომუნისტები. მათი ცოლები ისევე არიან ჩადრებში გახვეული, როგორც სხვა მოქალაქეების. საზოგადოთ, აქ ქალები აუტანელ პირობებში არიან, მათი ჩადრი ცხენის ძუის ქსოვილისაა და ჩამოფარებული აქვთ წინ. თავზედ მოხურული აქვთ გრძელი ფარდაგისებური ჩადრი, რომლის ბოლო მიწას სწვდება, ფეხზედ აცვიათ უძირო ჩექმები კალოშებით. ზამთარ-ზაფხულს თითქმის ერთნაირათ არიან გამოწყობილი.

ამ უკანასკნელ დროს ქალების უფლებების მოსაპოებლათ, მათი თანასწორობისათვის სასტიკი ბრძოლა სწარმოებს კომუნისტების მხრივ. იყო შემოხვევა, როდესაც ქალები, დაახლოებით 400-დე, კონფერენციაზედ იყვნენ მოწვეული, კონფერენციაზე ქალები ჩადრებით მოვიდნენ, მაგრამ კონფერენციის დაშლის დროს დემონსტრატიულად ყველამ აიხადა ჩადრი და იქვე დასწვა. მართალია, ამ შემთხვევას უმსხვერპლოთ არ ჩაუვლია - ზოგი მათგანი გზაში მოკლეს, ზოგის ქმრები დახოცეს, რათ მიეცი ნება ცოლი კონფერენციაზედ წასულიყო, ეს რჯულის შეურაცხყოფააო და სხვა. მაგრამ უზბეკელი ქალი თავისას არ იშლის, თავისუფლებისათვის ბრძოლას განაგრძობს. ყოველ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ, ამ ნიადაგზედ სასტიკი ბრძოლა სწარმოებს ახალსა და ძველ თაობას შორის. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ უზბეკისტანშიც ძლეული იქნება სიბნელე, უკულტურობა.

უზბეკისტანის კონსტიტუციის ძალით აკრძალულია მრავალ-ცოლიანობა, მხოლოდ ვისაც ამ კანონის გამოცემამდის, რამდენიმე ცოლი ჰყოლია, მას კანონი არ ართმევს ამ უფლებას. ვინაიდან კანონით გაყრა არ შეიძლება, დღეს კი ყოვლად შეუძლებელია ერთი ცოლის მეტის შერთვა. აგრეთვე აკრძალულია კანონით 14 წელზე ადრე ქალის გათხოვება. წინათ აქ ქალს ათხოვებდენ 12 წლი-

დან. ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარებას ძლიერ ტვალყურს ადევნებს ქალთაშორის მუშაობის განყოფილება (Женотдел). უზბეკისტანში არის ჯგუფი, რომელიც აწარმოებს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მარა მათი ბრძოლა უფრო ბანდიტურია, ვიდრე ორგანიზაციული. ისინი ხშირად ესხმიან და ხელს უშლიან აღმშენებლობით მუშაობაში კომუნისტებს, მარა მთავრობაც სასტიკ ზომებს ღებულობს მათ წინააღმდეგ. ამ ბანდიტებს აქ ბასმაჩებს ეძახიან.

ტაშკენტში დავათვალიერეთ მუზეუმი, საუცხოვო სურათებია, არის ისტორიული ნაშთები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქალის ერთი სურათი. ეს სურათი რამდენიმე თვეა აღმოუჩენიათ და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ათას კაცს უნახავს. ის ყოფილა კედელში გაკეთებული და შენობის შეკეთების დროს შეუმჩნევიათ. მას სიმაღლე სამნახევარი და განი ორი არშინი ექნება, დახატულია სამოციან წლებში, მხატვრის ვინაობა არ სჩანს, მაგრამ ეტყობა გამოცდილი მხატვარია მისი ავტორი. ფერები და ტილო მშვენივრად არის შენახული, თითქოს ახალი დახატული იყოს.

იმდენად საყურადღებოა ეს სურათი, რომ მას ერთი ოთახი უჭირავს, ოთახი საუცხოვოთაა მორთული, გვერდზედ ელექტრონის ლამპა აქვს გაკეთებული, ოთახში, რომ შედიხარ, თავს არ უჯერებ, გგონია ეს სურათი კი არ არის, არამედ ცოცხალი ქალია კედელზედ მიკრული. მრგვალი სახე, შავი თმა, გულ-მკერდი, ფეხები და სხვა ნამდვილ არსებას წარმოადგენს.

ამ სურათის ისტორიას გადმოგვცემენ ასე: სურათი ყოფილა სამხატვრო აკადემიაში პეტროგრადში, სადაც ის დაკარგულა. ამ ხნის განმავლობაში არავის ცოდნია მისი ასავალ-დასავალი, მხოლოდ ეხლა აღმოჩენილა ტაშკენტის მუზეუმში, ვინ გადმოიტანა ის აქ არავინ იცის დღესაც.

აგრეთვე ამ მუზეუმში მეფის დავით კანონმდებლის სურათია ქართული წარწერით. აქვე არის ქართული ფული და სხვა.

ყველაზე საინტერესოა ის, რომ აწ ქამათ მთელ უზბეკისტანის დაწესებულებებში ტარდება ნაციონალიზაცია, მიუხედავათ იმისა, რომ უზბეკისტანს ინტელიგენტური ძალები ძლიერ ნაკლები ყავს. ნაციონალიზაციის გატარების ტენდეცია აქ ძლიერია. მიწერ-მოწერა და კანტორის წარმოება ადგილობრივ ენაზედ სწარმოებს. ახალგაზრდობა დიდი ენერგიით ეტანება სწავლა-განათლებას და რამდენიმე წლის შემდეგ უზბეკისტანს ექოლება საკუთარი ინტელიგენცია, შეეძლება ყოველ გვარი საქმე აწარმოვოს ადგილობრივ ენაზედ.

მუშათა კომისიის მიზანი იყო, არც ერთი ქალაქი, სადაც კი იყვნენ გადასახლებულები არ დაეტოვებინა ჩამოუვლელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ადგილს ვერ მოვასწარით რადგან ამხ. სტალინის წინადადებით 21-ში უნდა მოსკოვში ვყოფილიყავით. ამის გამო დაგვრჩა უნახავი რამდენიმე კოლონია.

17 აპრილს გავემგზავრეთ ისევ მოსკოვისაკენ. გვინდოდა ჩელაბინსში გავლა, მარა ვერ მოვახერხეთ. 21 აპრილს ჩავედით მოსკოვში.

აქ ტფილისიდან ჩამოსულ ამხ. ს. ორჯონიკიძესთან და სხვებთან გვქონდა ხანგრძლივი თათბირი გადასახლებულების განთავისუფლების შესახებ, მარა საბოლოო დასკვნა ვერ მიიღეს. საჭირო შეიქნა ამ საკითხის ტფილისში გადმოტანა. 26-ში გამოვედით მოსკოვიდან და პირველ მაისს მოვედით ტფილისში.

როგორც ზევით ვსთქვი ტფილისში დავბრუნდით 1 მაისს. თვის ბოლო რიცხვებში დაინიშნა მთელი მთავრობის შემადგენლობის და ცეკას შეერთებული კრება. მუშათა კომისიამ გააკეთა მოხსენება და გააცნო წერილობით თავისი შეხედულება.

კრებამ მიიღო დადგენილება სუზდალელების ძველ მდგომარეობაში დარჩენის შესახებ. რაც შეეხება დანარჩენებს კრებამ საჭიროდ დაინახა, გადასინჯოს მათი სია პერსონალურად. ამ მიზნით არჩეული იქნა კომისია, რომლის დასკვნით განთავისუფლებულ იქნა 83 კაცი.

აი სია იმ პირთა, რომლებიც ახლო მომავალში დაბრუნდებიან: ტ. ი. შოშიაშვილი, ზ. ფ. ჩიკვაიძე, ვ. გ. სირბილაძე, ა. პ. რუხაძე, ა. მ. მოწონელიძე, ა. ა. გუგუნავა, ფ. პ. ბერძენიშვილი, გ. ვ. კვერნაძე, პ. ა. ბერიშვილი, პ. კ. ბაბუნაშვილი, პ. ნ. ვადაჭკორია, პ. ს. ჯანელიძე, გ. ს. დოლიძე, ა. გ. კეკელიძე, ვ. ზ. კრაწაშვილი, ს. ა. კობახიძე, პ. ლ. კალანდაძე, კ. ე. ლომთათიძე, ზ. ზ. მენგარაშვილი, შ. გ. ხუროშვილი, ტ. გ. ხურცილავა, ი. პ. ჩიქოვანი, ლ. ო. მამალაძე. ვ. მ. გიორგობიანი. ი. მ. ლომთათიძე, მ. ვ. ბუკია, ვ. ბ. გოგობერიძე, კ. ი. შავშიშვილი, გ. მ. ებანაიძე, ვ. მ. სხირტლაძე, ბ. ი. ცირიკაძე, ს. ი. ჩირაძე, ა. მ. თოფაძე, ვ. ს. ვაშია, ი. ი. ბურჯანიანი, ა. პ. ჭანტურაია, მ. ი. ჭავჭანიძე, ლ. რ. ვახვახოვი, ა. ო. ფირცხალაშვილი, მ. ა. კალანდაძე, ა. ს. წითლიძე, პ. ე. ლომჯარია, ა. ვ. ლეჟავა, პ. გ. დევიძე. ლ. ი. ბოლქვაძე, ს. პ. ჩხაიძე, კ. ა. სვანიძე, გ. ე. ოკუჯავა. გ. ლ. სტურუა, ნ. ზ ნადიბაიძე, გ. ი. ასანიძე. ვ. ლ. გაგანიძე, ი. გ. კიკნაძე. ი. ზ. გიორგობიანი, გ. ე. თევდორაშვილი, კ. ლ. სიხარულიძე, დ. მ. გორდაძე, თ. ი. ვაშაკიძე, ა. გ. ჭინჭარაძე, ი. დ. ტუხაშვილი, ვ. ი. სირბილაძე, გ. გ. ხატიაშვილი, ვ. ფ. ოსიძე, ი. დ. გიორგაძე, ე. ს. მგელაძე, ი. ი. ივანიძე, დ. მ. მარჯანიშვილი, ი. დ. სიხარულიძე, გ. ე. სოხაძე, ი. დ. ხარატიშვილი, ა. გ. ხეცურიანი, ს. ი. ცხომელიძე, ვ. ე. ჭავჭავაძე, ა. ს. ჩხაიძე, ტ. კ. სურგულაძე, დ. კ. მედჟლუმოვი, შ. ე. ალიაშვილი, ზ. ა. ბრეგვაძე, გ. ი. თოდუა, ი. მ. რუსეიშვილი გ. რ. კურციძე, გ. ა. ლელაშვილი, ზ. ჩანვაძე.

აჰ დასკვნა ჩვენი მუშაობისა.

**კ. მაჭარაძე.**

# საძოვრების გარშემო

აღმოსავლეთ საქართველოს გლეხ მოსახლეობის ერთი მესამედზე მეტი ეწევა მესაქონლეობას, რითაც ის დიდ სამსახურს უწევს, როგორც ერის ეკონომიურად წინსვლას, ისე სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასაც. მესაქონლეობის განვითარება, (განსაკუთრებით მეცხვარეობას). მჭიდროდ არის დაკავშირებული საამისოდ საჭირო საზამთრო და საზაფხულო საძოვრების რაოდენობა და ხარისხთან. ისეთი ქვეყანა კი, რომელსაც არ გააჩნია უაღრესად ნოყიერი საძოვრების დიდძალი სივრცე, ცხვრის მოშენება და საზოგადოთ მესაქონლეობაზე არ უნდა ფიქრობდეს.

ჩვენი ქვეყანა ბუნებას ამ მხრივ საკმაოდ დაუჯილდოვებია. დღემდის ჩვენი საქონლის მამრავლებელ და თავშესაფარ ადგილებად ითვლება ზამთრობით შირაქის, აკაკინის ხევის და ჩაჲმის თვალუწვდენელი ველი. ხოლო ზაფხულობით თრიალეთის (ახალქალაქის მაზრა) და თუშეთ-ლეკეთის მხარის მეტად მაღალი და ძნელად მისავალი მთები.

საკმარისია ზემო დასახელებულ რაიონებიდან რომელიმე დროის (საზამთრო ან საზაფხულო) საძოვრიდან განდევნო მეცხვარეობა, რომ ის მოისპოს სრულიად. ვინაიდან ჩვენში ცხვრის მხოლოდ ისეთი ჯიშია, რომელიც ერთ დღესაც ვერ უძლებს ვერც სიცხეს და ვერც სიცივეს.

ეს არის მიზეზი იმისა, რომ აპრილის თვიდან მეცხვარემ უნდა დასტოვოს საზამთრო ბინა, ხოლო სექტემბრიდან საზაფხულო და 25—30 დღე მოუნდეს ადგილიდან ადგილამდე გადასვლას, გზაზე დარჩენას.

წინა წლებში სასოფლო გზებით სარგებლობის და დასვენების დროს მოპალახებისათვის სოფლის სასარგებლოდ მწყემსები იხდიდნენ გადასახადებს ნატურით, რაც თითვეულს საშუალოდ უჯდებოდა არა ნაკლებ 20—25 ცხვრისა იქით-აქეთ. ამ არა ნორმალურ მდგომარეობას მიექცია მთავრობის მხრივ ყურადღება და გასული წლის მარტის თვეში დადგენილ იქნა, რომლითაც უნდა შემდგარიყო სრულუფლებიანი კომისია ცხვრის საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო მთებამდი გზების და დასასვენებელი პუნქტების გამოსაყოფად—მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი"-ს წარმომადგენლის მონაწილეობით.

კომისიამ ამ საქმის გარშემო მართლაც იმუშავა ერთ თვემდის, მაგრამ ტეხნიკურად გზების და დასასვენებელი პუნქტების გამოჭრა ვერ მოახერხა, ვინაიდან მეტი წილი იმ ადგილებისა, რომლითაც გზა უნდა გაყვანილიყო, იმ დროს დახნულ დათესილი იყო. ზოგიერთ რაიონში კი არ იყო მიწის მოწყობის საქმე დაწყებული და არ შეიძლებოდა გაგება, თუ რამდენი მიწა უნდა დარჩენილიყო ადგილობრივ მცხოვრებლებს ნორმაში და რამდენის გადადება შეიძლებოდა მოგზაურ ფარის დასასვენებელ პუნქტებად და სხ...

ამიტომ კომისია საქმის მოგვარებაში მით დაკმაყოფილდა, რომ ხსენებულ გზების და პუნქტების მიმართულება შეისწავლა თეორიულად.

შეადგინა ვრცელი გეგმა „პლანშეტზე" აღნიშვნით და ტეხნიკურად მისი გამოჭრა, ცხოვრებაში გატარება პარალელურად მის მოწყობასთან დაავალა მიწათ-მოქმედების კომისარიატს ადგილობრივ სამაზრო აღმასკომთან ერთად.

ამის გარდა, გასულ წელს მთავრობამ შექმნა საძოვრების განსაკუთრებული მილიციის შტატი, რომლის მოვალეობაა ხელი შეუწყოს მწყემსებს ადგილიდან ადგილამდი გადასვლის დროს. ბინებში დაბინავებისას კი დაიცვას მათში წესრიგი და მშვიდობიანობა. მილიციის ხარჯებს იღებს მეცხვარეთა ამგანაგობა „მწყემსი"-ს სამართველო. ამან მეცხვარეობას ის სარგებლობა მოუტანა, რომ გასულ და მიმდინარე წელს მეცხვარეები უმტკივნეულოდ გადადიან და გადმოდიან საძოვრიდან სძოვარზე, არ იხდიან სასოფლო გზით სარგებლობისათვის გადასახადს და სხ.

**საზამთრო საძოვრები.** ცხვრის საზამთრო საძოვრად სავარგისია ტფილისის მთელი მაზრა. აქ ხომ თოვლი ნაკლებათ იცის და მეცხვარეს საშუალება აქვს ზამთარი ისე გაატარებინოს ცხვარს, რომ მაზე არ დახარჯოს ერთი ფუთი თივა. რევოლიუციამდე ტფილისის მაზრის მეცხვარეების მეტ ნაწილს იმ ადგილებზე ყავდათ ფარები, რომლითაც სოფელი საერთო წესით სარგებლობდა. არავითარ უთანხმოებას და დავას მათ შორის იმ დროებაში ადგილი არა ქონია. ასეთი საერთო სასოფლო საძოვრის გადასახადად არავინ არაფერს არ იხდიდა. სახელმწიფოს ხელში მყოფი საძოვრით სარგებლობისათვის კი იხდიდნენ სულ ცხვარზე 15 კაპეიკს. (ნავთლუღის სახელმწიფო საძოვარი.) დღეს კი ტფილისის რაიონის მეცხვარეები მეტის მეტათ შევიწროვებულნი. არიან სოფლის ადგილობრივი ისეთ მცხოვრებლებისაგან, რომლებიც არ ეწევიან მეცხვარეობას და ხვნა-თესვით ირჩენენ თავს.

მართლაც და ეს ორი დარგი დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს. ვინაიდან მეცხვარეობისათვის ვრცელი საძოვრის დათმობა საზარალოა მხვნელმთესველისათვის. სადაც მთელი ადგილ-მამული იხვნება და ითესება, იქ მესაქონლეობა ვერ იბოგინებს.

მხვნელ-მთესველნი ასე სვამენ საკითხს: „სოფლისათვის ნორმაში დატოვებული საერთო საძოვარზე უნდა ბალახობდეს მხოლოდ და მხოლოდ მუშა. მსხვილ-ფეხა საქონელი, ცხვარს აქ ადგილი არა აქვს და მწყემსებმა ასეთი სადაც უნდათ იქ გადაიყვანონო".

მაგრამ როცა მეცხვარე ადგილობრივებთან მოლაპარაკებას გამართავს და გადაიხდის საიჯარო გადასახადს, მაშინ სტოვებენ იქ.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ საძოვრებით სპეკულიაციას ეწევიან ზოგიერთი თემის საბჭოებიც. ისინი ხშირად საფონდო ადგილებს აქირავებენ მეცხვარეებზე ისეთ მაღალ ფასებში, რომ მეურნეობასთან ახლოს მდგომ პირს თმა ყალყზე დაუდგება. მიწათმოქმედების კომისარიატს საფონდო ადგილებზე ნიხრად დადებული აქვს სულ ცხვარზე 15 კაპ. მაგრამ ზოგიერთი საბჭოებისათვის ეს რაოდენობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ისინი ზომავენ იმისდამიხედვით, თუ რამდენად უჭირს მეცხვარეს. არის საბჭო, რომელიც იხდევინებს სულ ცხვარზე ერთ მანეთს, ზოგი 80 კაპ., ზოგი 65 კაპ. და ზოგიც 30—40 კაპ. ზოგი კი ასეთ საფონდო ადგილს აქირავებს ერთიანად,—რამდენიმე თუმნად.

სანიმუშოდ მოვიყვანთ ორ მეცხვარის მიერ დადებულ ხელშეკრულებას: „ხელშეკრულება. 1925 წელს 8

მაისს ესე ვდებთ ხელშეკრულებას გიორგი ბურდული და ნიკო ბექაური მასზედ, რომ უნდა ვაბალახოთ ცხვრები მაისის ნახევრამდის ახალი სტილით ლასტისციხის და ლვევას ფარგლებ გარედ დარჩენილ ფონდებში. ზემოაღნიშნულ ვადაზე უნდა გადავიხადოთ ათი თუმანი. ვადამდის გასვლაზედ ამ ხელშეკრულებაზედ თუ რამე დაბრკოლება შეგვეხო, ამისდა მიხედვით გადავიხადოთ ფასი, რამდენიც გვექნება საძოვარი შემოკლებული. სრული თანხმობით ხელს ვაწერთ ბურდული. ნიკო ბექაური. ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით ვამოწმებ დრის საბჭოს თავმჯდომარე (ხელის მოწერა აზის საბჭოს ბეჭედი).

როგორც ეს ნათლად სჩანს, ხელშეკრულება ძალიან ოსტატურადაა შემდგარი, აქ საბჭოს თავმჯდომარე გამოდის, როგორც ხელშეკრულების დამადასტურებელი და არ ვიცით ბურდული და ბექაური ვის ეკვრება პირობით. ჩვენ ამით არ გვინდა ვსთქვათ, რომ მეცხვარეობა ვითომც უყურადღებოთ იყოს მთავრობის მხრივ დატოვებული, პირიქით მათ ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიწათ-მოქმედების კომისარიატის მხრივ, მაგრამ საქმის მოგვარება სავსებით ყველგან ჯერ კიდევ არ არის ამოწურული და ჩვენ ვფიქრობთ თფილისის მაზრის მეცხვარეებს მხოლოდ მაშინ შეუმსუბუქდებათ მძიმე პირობები, როცა მათ საზამთრო საძოვრად გამოეყოფათ ადგილობრივ ფონდიდან განსაზღვრული ნაჭრები და გადასახადს მაზე გადაიხდიან იმდენს, რამდენიც ეს დაწესებულია სახელმწიფოს ხელში მყოფ საფონდო საძოვარზე, ე. ი. 15 კაპ. სულ ცხვარზე, ან დესეტინაზე ჩ0 კაპ.

**შირაქის ველი.** ქართლ-კახეთის საზამთრო საძოვრის მთავარი ბაზა არის შირაქის ველი და მისი ახლო მახლო მდებარე ადგილები. აქ თავს იყრის თუშ-ფშაველების და მთელ ქართლ-კახეთის მეცხვარეობა. შირაქის ველის ბალახი ერთიანად მარილიანია. იქ თოვლი იშვიათად მოდის, მაგრამ მაშინაც, როცა მოსთოვს, მიწის მარილიანობის გამო ერთ დღესაც არ შეუძლიან გასძლოს,—უმალვე დნება. შირაქის ველი და მისი მიდამოების ბალახი ამიერ-კავკასიაში ცნობილია, როგორც აღრესად ნოყიერი და ცხვრისთვის სასარგებლო,—იქ ერთი დესეტინით შესაძლებელია გამოიკვებოს 8—10 სული ცხვარი. ამ ველის სივრცე ძველი მიჯნით უდრის 192,000 დესეტინას. მაგრამ დღეს ასეთ დიდ სივრცის ადგილზედაც შევიწროებულნი არიან მეცხვარეები, რის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებები:

1. ამ საძოვრის თვალსაჩინო ნაწილი, რაოდენობით 42 ათასი დესიატინამდის რევოლიუციის პირველ ხანებში თვითნებობით დაუკავებიათ ყაზახის მაზრის მცხოვრებთ, რომლებიც საიჯარო გადასახადს არც საქართველოს მთავრობას უხდიდნენ და არც ადერბეიჯანისას. თვითონ მათ საქონელი ნაკლებათ ყავთ და ამ მითვისებულ საძოვარს იჯარის ქვეშ აძლევდენ ქართველ მეცხვარეებს. გასულ წლებში, ბონების დროს, საიჯაროს იღებდნენ ნატურით და მასაც ერთობ დიდს. ეს საკითხი განხილულ იქნა უმაღლეს ორგანოებში: „№ 31 Пост. президиума Зак. Центр. Исполн. Комитета от 5 ноября 1923 года. Слушали В. ходатайство Н. К. З.—Грузии, сделать распоряжение не выселять Нижекедцев из их бин, находящихся на територии отходящей Закуезду на основании постановления комиссии по земельным спорам от 14 мая с/г. и ходатайства пред С. Н. К. Грузии об установлении точной границы между Сигнахским и Закатальским уездами. Постановили В. вопрос передать в комиссию по разрешению земельных вопросов. До выезда комиссии наместе, сохранить прежнее (до 14 мая) положение.

რამდენათ ჩვენ ვიცით. კომისიის მხრივ ეს დავა ჯერაც არ არის საბოლოოდ გამორკვეული და, მართალია, იქ დარჩენილია ძველი ფაქტიური მდგომარეობა, მაგრამ ჩვენი მეცხვარეების ფართო ჯგუფი მით მაინც ვერ სარგებლობს, ყაზახელების მხრივ აუტანელი საიჯაროს დადების და შემავიწროებელი პირობების გამო.

2. მეცხვარეების მეორე შემავიწროებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დასავლეთის მხრივ შირაქის ველი ადგილობრივი სოფლის მცხოვრებლების მიერ, როგორიც არის ზემოქედი, ქვემოქედი, არხის კალო და სხვა იხვნება და ითესება. მაგრამ ხვნა თესვა რომ წესიერის გზით სწარმოებდეს, არაფერი არ გვეთქმოდა. სამწუხარო ის არის, რომ ასეთი ხდება ყოვლად მიუღებელი და მეცხვარეებისათვის საზარალო წესით. მაგალითად: ხნავენ და თესავენ ალაგ-ალაგ, შუაში საძოვრის გამოტოვებით, ამ შემთხვევაში მწყემსს არა აქვს საშუალება შუაში გამოტოვებულ ვიწროებში მოათავსოს ცხვარი და საძოვარი ტყუილ უბრალოდ ცდება. ამის გარდა საზღვრები, რომელიც ამ 20—25 წლის უწინ მიუჩიჯნათ მესაქონლეებს საქონლის სულის და მიხედვით, ყოველგან წაშლილია და დღეს არავინ არ იცის თუ რამდენ დესიატინაზე სდგას.—გადასახადს კი წინა დროში განსაზღვრულ რაოდენობისდა მიხედვით იხდიან, რის რაოდენობაც უდრის, პირველი ხარისხის ადგილზე დესიატინაზე მანეთს, 2 ხარისხზე—70 კაპ. და მესამეზე, 40 კაპეიკის. ამის გამო მეცხვარეები ხშირად მოსთქვამდნენ: არ ვსარგებლობთ სინამდვილეში იმდენი საძოვრით, რამდენზედაც გადასახადს ვიხდითო. ამ ბოლო ხანებში ამ გარემოებასაც მიაქცია მთავრობამ ყურადღება და ხელი მიყო შირაქის შესწავლის საქმეს. დღეს იქ მუშაობს ექვსი მიწის მზომელი, რომლებიც აწარმოებენ საძოვრის ახლად დამიჯვნას, ასეთის დამთავრების შემდეგ ყველა მეცხვარებს ეცოდინება, თუ რამდენი დესიატინაზე სდგას მისი საქონელი და გადასახადსაც გადაიხდის ამის და მიხედვით.

3. მესამე მიზეზად შევიწროებისა, უნდა ვაღიაროთ ის, რომ ამ სამი—ოთხი წლის განმავლობაში ცხვრის გამრავლებას დაეტყო აშკარა სისწრაფე. მართალია. გასულ წელს მეცხვარეებს გაუჭირდათ გადასახადების გადახდა და აუარებელი ცხვარი გამორეკეს ბაზარში, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მეცხვარეობა დღეს უდრის ჩვენში ომის წინადროის 85—90%. სწორი და უტყუარი სტატისტიკის შედგენა ამ დარგში კი შეუძლებელია,—ცხვარი ყოველთვის შორეულ ადგილებშია დაბანაკებული და სტატისტიკებს ის არასოდეს არ დაუთვალიათ. ამის გარდა მსხვილმა მეცხვარემ თვითონაც არ იცის, თუ რამდენი სული ცხვარი ყავს. მათში ასეთის დათვლა და მისი ანგარიშიანობა ცოდვად არის აღიარებული. ამ რიგათ ზემოჩამოთვლილმა მიზეზებმა, სახელდობრ, რომ შირაქის ველს 42 ათასი დესიატინას ფლობს ყაზახელები, რომ ნაწილი იხვნება და ითესება ადგილობრივი

მცხოვრებლების მხრით და, რომ ცხვარი მრავლდება შესამჩნევის ტემპით, იქ შექმნეს საძოვრების კრიზისი.

**საზაფხულო საძოვრები.** ომის უკანა ხანებში ქართლ-კახეთის მეცხვარეობა საზაფხულო საძოვრების მხრივ ისე უზრუნველყოფილი იყო, რომ-მას შეეძლო, თუ კი მოისურვებდა, ერთ დესიატინაზე ერთი ცხვარი დაეყენებინა. მისთვის გადაშლილი იყო ახალქალაქის და ყარს-არდაგანის თვალუწვდენელი მიდამოები. ხოლო ყარსის და არდაგანის ოსმალეთის ხელში გადასვლის შემდეგ, მეცხვარეობა მოემწყვდა ახალქალაქის მთებზე. სადაც, მართალია, ადგილების დიდძალი სივრცეა და მეტად კარგი ხარისხის საძოვარიც, მაგრამ 5-6 სხვა და სხვა მაზრის საქონლისათვის მაინც არ არის საკმარისი და იქ დღეს, არამც თუ შევიწროვებულნი არიან მეცხვარეები საძოვრის მხრივ, არამედ განიცდიან პირდაპირ საშინელებას. ამ საძოვრების ერთ დესიატინას შეუძლია გამოკვებოს 6-7 სული ცხვარი. მაგრამ სიმცირის გამო გასულ წელს, იქ თითო დესიატინაზე სძოვდა 15,5 სული. ხოლო წელს რომ წინ და წინ ზომები არ მიეღო საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“-ს გამგეობას და სომხეთის ხელისუფლებისაგან არ აეღო იჯარით ათასი დესიატინამდე „ორთული“-ს საძოვარი და იქ არ გადაეყვანა 80-100 ათასამდე ცხვარი, საშინელება დატრიალდებოდა.

ახალქალაქის მაზრაში ჩამავალ მეცხვარეებისათვის მიზომილია 56 ათასი დესიატინა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს საქონელი ნაკლებათ ყავთ, სახნავ სათესად, სათიბედ და საძოვრად მიეცათ 143 ათასი დესიატინა და 577 ოთხკუთხი საჟენი. ახალქალაქის მაზრაში 20.511 მოსახლეა. ასე რომ თითო ოჯახს მოსდის 7,2 დესიატინა. ასე დიდი ნორმა საქართველოს არც ერთი მაზრის მცხოვრებლებს არ რგებიათ და გასულ წელს ადგილობრივი მცხოვრებლები აქირავებდენ ჩასულ მეცხვარეებზე საძოვრებს, (რასაკვირველია ფარულად).

ყოველივე ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ახალქალაქის მაზრის ადგილობრივ მცხოვრებლებს არ ესაჭიროებათ საძოვარი ადგილები და ისინი ვერ ახერხებენ იმის მოხმარებასაც, რაც მიწის მოწყობის წესით გარდაეცათ.

ისინი ვითომცხა ადგილობრივი მესაქონლეობის ინტერესებისათვის ამტკიცებენ, რომ ახალქალაქის მაზრის ადგილების სახნავ-სათესად გამოყენება შეუძლებელია და, როგორც ასეთი, იქაური ადგილები უნდა გადაყვანილ იქნას საძოვრის რაიონად. რომლის მიხედვით თითეულ ნორმად უნდა გაიცეს თუთხმეტ-თუთხმეტი დესიატინა, რის შემდეგაც ჩასულ მეცხვარეებისათვის იქ თითქმის არაფერი დარჩება. თუ ეს გეგმა ადგილობრივებმა მართლაც განახორციელეს, ახალქალაქის მაზრიდან მეცხვარეობა უნდა დიყაროს, რასაც ბუნებრივად მოყვება ჩვენში მესაქონლეობის განადგურება. ამიტომ საჭიროა ხელისუფლებამ საძოვრების კითხვას იქ მოეპყროს დიდის სიფრთხილით და დასტოვოს ის მდგომარეობა, როგორიც დღეს არის. თორემ საქმის ყოველ მხრივ შეუსწავლელად გადაჭრას შეუძლია დაღუპოს ჩვენში მესაქონლეობის კულტურა.

**ორიოდე სიტყვა თუშეთ-ლეკეთის და ფშავის მხარის საზაფხულო საძოვრების მდგომარეობის შესახებ.** ეს მთა მეტად ხრიოკიანი და კლდიანია. ის ჯერჯერობით არ არის გამიჯნული და შესწავლილი, მაგრამ სივრცით ის არა ნაკლებ 100.000 დესიატინისაა. მის ერთ დესიატინას შეუძლია გამოკვებოს მხოლოდ 2-3 სული ცხვარი. სავსებით ამ მთების გამოყენება ჩვენს მეცხვარეებს ჯერაც ვერ მოუხერხებიათ. რის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მუდამ ჟამს იქ ესევოდნენ ქისტ-ინგუშების ბანდიტური ნაწილები, ფარებს მიერეკებოდნენ ათასობით თავის მწყემსებიანათ.

ასეთ მოვლენებს ყოველწლიურად ქონდა ადგილი, მაგრამ მენშევიკური ხელისუფლების დროს ამ ყაჩაღების მოქმედებამ საზღვარს გადააჭარბა. რევოლიუციის ორომტრიალში აბა საიდან მიახწევდა მთავრობის ყურამდის ყველაფერი ის, რაც ხდებოდა მიუვალი მთის წვერზე, მაგრამ იმ ცნობების მიხედვითაც, რაც ჩვენ ხელთა გვაქვს ნათელია, რომ ყოველწლიურად იქ ყაჩაღების ხელიდან კვდებოდა 30-40 მწყემსი და იტაცებოდა 5-10 ათასამდის ცხვარი. ბოლო დროებში ამის გამო იქ შიშით ვერავინ ცხვარს ვერ მიერეკებოდა და ეს მთა არავითარ სარგებლობას არ აძლევდა არც ხაზინას და არც მეცხვარეობას. მაგრამ მიმდინარე წელს მთავრობამ ამ საქმის ერთხელ და სამუდამოდ მოსასპობად გადადგა საქმიანი ნაბიჯი — მით, რომ ლეკეთის და ჩვენ შორის საძოვრის საზღვარზე ჩააყენა 80 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ცხენოსანი რაზმი და იცავს მეცხვარეებს დაცემისაგან. მიუხედავად ასეთი ზომებისა, თუშ მეცხვარეს გ. ედიშერიძეს მაინც მოსტაცეს 17 ცხენი ამ ერთი თვის უწინ. *)

ჩვენ მიერ აქ აღნიშნული ცნობებიდან, როგორც დაინახავდა მკითხველი, მეცხვარეები საძოვრების მხრივ ყველა მთავარ ადგილებზე მეტის მეტად შევიწროებულნი არიან. თუ მდგომარეობა ასე გაგრძელდა, არამც თუ წინ წავა ჩვენში მესაქონლეობა, არამედ მისი დონე შესამჩნევდა დაიწევს და ბოლოს და ბოლოს სრულიად მოისპობა კიდეც. ამიტომ ჩვენ განმეორებით ვამბობთ, რომ საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს განსაკუთრებელი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და მოეწყოს საძოვრების საქმე მეცხვარეებისათვის დადებითად.

**გრ. პოპუა.**

*) რედ. შენიშვნა. თუშეთ-ლეკეთის და ფშავის მთები კიდევ იმათ არის შეუფერებელი ჩვენი მეცხვარეებისთვის, რომ აქ მთა საერთოდ ძალიან აყუდებულია და ავდრების დროს ფარა ადვილად იღუპება; გარდა ამისა სივიწროვის გამო ცხვრის დიდი ფარებისათვის აქ მოსაბრუნი არ არის. ამიტომ ამ მთებში არას დროს დიდ ფარიანი მეცხვარეები არ დაიარებოდენ საზაფხულოდ.

# კოოპერაცია და სახელმწიფო მრეწველობა

კოოპერაციის მნიშვნელობა და როლი საბჭოთა მეურნეობაში განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ დროს. საბჭოთა ხელისუფლების და მისი ხელმძღვანელ კომპარტიის უკანასკნელი პოლიტიკა სოფლის მიმართ განსაკუთრებით დიდ ვალდებულებასა და ამოცანას აკისრებს კოოპერაციას.

სოფლად „ნეპის“ გატარება, როგორც ეს ყველას მიერ არის აღიარებული, გამოიწვევს სოფელში წვრილ ბურჟუაზიულ ურთიერთობის გაძლიერებას, სოფლის მოსახლეობის დიფერენციაციას, კლასთა ბრძოლის გამწვავებას, საერთოდ სოფელში სიმდიდრის დაგროვებას და გლეხის ეკონომიურად მოღონიერებას,

სოფელში სიმდიდრის დაგროვებას, გლეხობის ნივთიერად გაძლიერებას აუცილებლად მოყვება გლეხის სყიდვითი უნარიანობის გადიდება, სამრეწველო საქონელზე მოთხოვნილებათა გაზრდა და ამით ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოება-გაძლიერება.

კოოპერაციის სიძლიერეზეა დღეს დამოკიდებული სოფელში წვრილი ბურჟუაზიული ურთიერთობასთან ბრძოლა, მისი უარყოფითი შედეგების განელება, სოფლად დაგროვილ სიმდიდრის პროლეტარულ სახელმწიფოს საკეთილდღეოთ გამოყენება.

კოოპერაციამ უნდა შესძლოს სოფლის მეურნეობაში კოლექტიურ-სოციალისტური ელემენტების გაძლიერება, სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხების კოოპერატიულად შეკავშირება, მათი კოოპერატიულ მოძრაობის ფერხულში ჩაბმა.

მხოლოდ კოოპერატიულად შეკავშირებულ გლეხობას შეუძლია სახელმწიფოს დახმარებით წინა აღუდგეს სოფლის ბურჟუაზიის „კულაკებისა“ და ჩარჩ ვაჭრების გაძლიერებას. მხოლოდ სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას შეუძლია გაანთავისუფლოს სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობა ბურჟუაზიის ბრჭყალებისაგან, „კულაკების“ იერიშისაგან.

დღეს კოოპერაცია არის მოწოდებული, მიაწოდოს სოფელს ქალაქის იაფი და კარგი ღირსების საქონელი, ხოლო ქალაქს—სოფლის იაფი ნაწარმოები და ამით დაუახლოვოს ერთმანეთს გლეხი და პროლეტარი, განამტკიცოს მათ შორის ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი.

კოოპერაციის როლი მარტო სამეურნეო მუშაობა-მოღვაწეობით არ ამოიწურება. კოოპერაციის დანიშნულება მოსახლეობის კულტურულ დონის ამაღლება, მისი ორგანიზაციულად შეკავშირებაა. კოოპერაციის სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ნდობა კოოპერაციისადმი. რამდენათაც უფრო კეთილსინდისიერად ემსახურება კოოპერაცია თავის დანიშნულებას, იმდენათ უფრო მეტ მოსახლეობას მიიზიდავს ის, იმდენათ უფრო მეტ ნდობას დაიმსახურებს ის ფართო მასებში.

ამიტომაა, რომ ხელისუფლება დღეს უდიდეს ყურადღებას აქცევს კოოპერაციას. ყოველივე ღონეს ხმარობს მის გასაძლიერებლად, უწევს ფინანსიურ დახმარებას, უხსნის ფართო კრედიტს ფულით და საქონლით. სახელმწიფო დახმარებით შესძლო კოოპერაციამ უკანასკნელ წელში გაფართოება-გაძლიერება.

მიუხედავათ იმისა, რომ დღეს კოოპერაცია გაცილებით ძლიერია, ვინემ წინა წლებში იყო, ის დახმარებას სახელმწიფოსაგან ჯერ კიდევ საჭიროებს.

სოფლად ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებით გამოწვეული ვაჭრობის გაფართოება იძულებულს ხდის კოოპერაციას თავის ოპერაციები გააფართოვოს, ამისათვის საჭიროა თანხები და საქონელი, რომლის მიწოდებაც კოოპერაციისათვის სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებამ და მრეწველობამ უნდა იკისროს. წინააღდეგ შემთხვევაში კოოპერაცია არამც თუ ვერ გააფართოებს თავის ოპერაციებს, არამედ იძულებული გახდება ის შეამციროს, გაკოტრების გზაზე შედგეს...

სახელმწიფო ხელისუფლებას დღეს დიდი ფრთხილი პოლიტიკის წარმოება სჭირდება კოოპერაციის მიმართ, რომ ის გაძლიერდეს და არ დაინგრეს.

საბჭოთა კავშირში დღეს ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომელიც ძალიან აფერხებს კოოპერაციის გაძლიერებას და საფრთხეს უმზადებს მის არსებობას. ამ მოვლენის გავლენა კოოპერაციაზე განსაკუთრებით საგრძნობი გახდა უკანასკნელ ხანებში, როცა თავი იჩინა ბაზარზე სამრეწველო საქონლის სიმცირემ. ეს მოვლენა კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის შორის არსებული კონკურენციაა.

სახელმწიფო მრეწველობა თვითონ კიდებს ხელს როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობას, ტრესტები და სინდიკატები ხსნიან თავიანთ განყოფილებებს და სავაჭროებს არა მარტო მსხვილ ცენტრებში, არამედ პატარა სამაზრო ქალაქებშიაც კი. წინად ტრესტები და სინდიკატები უფრო საბითუმო ვაჭრობას ეწეოდენ და მსხვილ ცენტრებში ქონდა განყოფილებები, ახლა კი საცალო ვაჭრობასაც მოკიდეს ხელი.

სახელმწიფო მრეწველობის წარმომადგენლები თავის მოქმედებას იმით ასაბუთებენ და ამართლებენ, რომ კოოპერაციამ ვერ შესძლო ფართო მომხმარებლების შეკავშირება, ბაზრის დაპყრობა, ამისათვის საჭირო სალსარი და მომზადება-უნარი მას არ გააჩნია, და ამიტომ ჩვენ უნდა ვიკისროთ კოოპერაციის მიერ დაუპყრობელ ბაზრის დაპყრობა, მომხმარებლის მოძებნა და მისთვის საჭირო საქონლის მიწოდებაო. ჩვენ ვერ მოუცდით კოოპერაციის საშუალებით მოყვანილ მყიდველს, ჩვენ თვითონ უშუალოთ უნდა მოვძებნოთ მყიდველი და მივიდეთ მასთანო.

ზემოაღნიშნული დასაბუთება არ შეიძლება სწორად და სამართლიანად ჩაითვალოს.

იმ დროს, როცა სახელმწიფო მრეწველობა და ვაჭრობა მძიმე ფინანსიურ კრიზისს განიცდის, როდესაც საშინელი სიმცირეა მრეწველობისათვის და ვაჭრობისათვის საჭირო საბრუნავი თანხების, როცა საქონელზე მოთხოვნილების განვითარება წინ უსწრებს მრეწველობის განვითარებას, ამ დროს მრეწველობიდან—მომხმარებლამდე საქონლის გამტარებელი ორი აპარატის არსებობა არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს.

სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ცალ-ცალკე არსებობას წინათ კიდევ ჰქონდა აზრი, რადგან მაშინ კოოპერაცია ძალზე სუსტი იყო, მაშინ სახელმწიფო მრეწველობას რომ კოოპერაციის გაძლიერებისათვის ეცადა და მანამდე ხელი არ მოეკიდებია ვაჭრობისათვის, სახელმწიფო მრეწველობა უთუოდ დიდათ იზარალებდა, რადგან კოოპერატიულ ვაჭრობის მოწყობა უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს, ვიდრე სახელმწიფო ვაჭრობა.

დღეს კოოპერაცია საგრძნობლად ძლიერია, ის ფართოდ განვითარდა, ვაჭრობაში მისი წილი თანდათანობით იზრდება. მართალია, მას ბაზარი ჯერ სავსებით არ აქვს დაპყრობილი, მაგრამ წინა წლებთან შედარებით ის იმდენათ გაიზარდა და გაჯანსაღდა, რომ მას ხელისუფლების დახმარებით სახელმწიფო ვაჭრობაზე გაცილებით უკეთ შეუძლია მრეწველობის პროდუქტების მომხმარებელთან მიტანა, საამისოთ დღეს კოოპერაციას სახელმწიფო ვაჭრობაზე უკეთესი ორგანიზაცია, პრაქტიკა და გამოცდილება აქვს.

რომ კიდევაც არ ქონდეს ეს კოოპერაციას, ამით მაინც არ შეიძლება გამართლებული იქნას სახელმწიფო მრეწველობის ცდა საცალო ვაჭრობის სფეროში.

მრეწველობა უნდა ცდილობდეს კოოპერაციის გვერდით არა სავაჭროების გახსნას, კოოპერაციისათვის მეტოქეობის გაწევას, მისი მყიდველის გადაბირებას, რასაც

ადგილი აქვს დღეს, არამედ კოოპერაციის გაძლიერებისათვის ხელის შეწყობას, მის გაჯანსაღებას. და თუ დღეს მართლაც არ ყავს კოოპერაციას მომზადებული ხელმძღვანელები, არ აქვს მუშაობის უნარი და ფინანსიური საშუალებები, როგორც მას მრეწველობის ხელმძღვანელები გაიძახიან, მაშინ თავის მომზადებული და მუშაობის უნარის მქონე პირები გადასცენ კოოპერაციას.

ნუ თუ პროლეტარიატის ხელისუფლების დროს შეუძლებელია ეს, ნუ თუ არ შეიძლება სალსარი, რომელიც თურმე სახელმწიფო ვაჭრობას მოეპოება, ხოლო კოოპერაციას არა, სახელმწიფო ვაჭრობიდან კოოპერაციაში გადავიდეს. ნუ თუ ამით რაიმე დაუშავდება მრეწველობას და მთლიანათ აღებული იზარალებს საბჭოთა მეურნეობა. რასაკვირველია არა. პირიქით საქონლის გამტარებელ ორ აპარატის ნაცვლად რომ ერთი შეიქნეს, რომ სახელმწიფო ვაჭრობამ თვის მომზადებული და გამოცდილი ძალები და ფინანსიური საშვალებანი კოოპერაციას გადასცეს, ამით სახელმწიფო დიდათ მოიგებს, დღეს ეს შესაძლებელია და საჭიროც არის.

დღეს ტფილისში რომ დაიხუროს საფეიქრო სინდიკატის განყოფილება (და კიდევ ტფილისში არსებული სხვა მრავალი ცენტრალურ სამრეწველო დაწესებულებების განყოფილებები) და მისი ოპერაციების წარმოება განსაკუთრებულ ხელშეკრულებით გადაეცეს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს და ნაციონალურ კოოპერატივთა ცენტრებს, ამით მრეწველობა არასფერს დაკარგავს, მოგებით კი ბევრს მოიგებს.

მაშინ საჭირო არ იქნება „ზაკსოიუზის" ან ცეკავშირის გვერდით მეორე აპარატის შექმნა თავის მრავალრიცხოვან შტატით, სადგომით, მოწყობილობით და სხვა. ეს კი დიდათ შეამცირებს ზედნართ ხარჯებს, გაიაფებს საქონელს, გაზრდის მის გასაღებას და გააძლიერებს მრეწველობას. მაშინ შემოკლდება წარმოებიდან მომხმარებლებამდე საქონლის გამტარებელი გზა, შემცირდება ამ გზაზე არსებული სხვადასხვა ინსტანციების რიცხვი. მაშინ საჭირო აღარ იქნება „ზაკსოიუზისათვის", ცეკავშირისა და სხვა კოოპერატივებისათვის ცენტრალურ სამრეწველო დაწესებულებების ტფილისის განყოფილებებიდან საქონლის აწეულ ფასებში მიღება: ზემოხსენებული კოოპერატიული ორგანიზაციები მაშინ უშუალოდ დაიჭერენ კავშირს ცენტრთან, უფრო შეღავათიან ფასებში მიიღებენ საქონელს და უფრო იაფი დაუჯდებათ მისი პირველ საფეხურ კოოპერატივების საშუალებით მომხმარებლისათვის მიწოდება.

რასაკვირველია, სახელმწიფო ვაჭრობის ერთბაშათ, ერთი ხელის დაკვრით ლიკვიდაცია შეუძლებელია და მიუღებელია. ეს გამოიწვევს ვაჭრობაში საშინელ ანარქიას, არევ-დარევას სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრებაში.

სახელმწიფო ვაჭრობის ლიკვიდაცია თანდათანობით და ნელი ნაბიჯით უნდა გატარდეს, ის პერიფერიებიდან და საცალო ვაჭრობიდან უნდა დაიწყოს. კოოპერაციას წინასწარი მომზადება, ფხიზელი და ენერგიული მუშაობა სჭირდება სახელმწიფო ვაჭრობის ადგილის თანდათანობით დასაჭერათ.

სახელმწიფო ვაჭრობის მიერ დატოვებული პოზიციები არამც და არამც არ უნდა იქნეს კერძო კაპიტალის მიერ დაჭერილი. სახელმწიფო ვაჭრობის ღირსეულ მემკვიდრეთ აუცილებლად კოოპერაცია უნდა დარჩეს. კოოპერაციას ამ მისიის შესასრულებლად ხელისუფლებისაგან დიდი დახმარება სჭირდება.

საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა დღეს მიზნათ უნდა ისახავდეს საცალო ვაჭრობაში სახელმწიფო ვაჭრობის წილის თანდათანობით შემცირებას და მის ნაცვლად კოოპერაციის წილის გაზრდას.

ამას ექნება უაღრესად დიდი მნიშვნელობა არა მარტო ეკონომიურად არამედ პოლიტიკურათაც. დღეს მომხმარებელი: მუშა და გლეხი ხედავს, რომ ტრესტის ან სინდიკატის მაღაზიაში და კოოპერატივის მაღაზიაში ხშირად ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა ფასში იყიდება, ხან სინდიკატი ყიდის ძვირათ, ხან კოოპერატივი. მომხმარებელი ეძებს ამის მიზეზს, მან იცის, რომ საბჭოთა სახელმწიფოში კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა ერთნაირად არიან მოწოდებული და ვალდებულნი მომხმარებელს სინდისიერად ემსახურონ, და თუ კოოპერაცია საქონელს უფრო ძვირად ყიდის, ვინემ სინდიკატი, ამის მაზეზათ ის კოოპერატივის ხელმძღვანელ პირების უმოქმედობა-დაუდევრობას სთვლის; ხოლო თუ სინდიკატი კოოპერატივზე ძვირად ყიდის საქონელს, მაშინ სინდიკატის ხელმძღვანელები გამოდიან იმის თვალში უმოქმედ-დაუდევარნი. და ამით, რასაკვირველია, მათ თვალში სახელი უტყდება თვით ხელისუფლებასაც.

საჭიროა ამ მოვლენას ბოლო მოეღოს, ორი სავაჭრო აპარატის მაგიერ ერთი ძლიერი აპარატი შეიქმნეს.

„ცენტროსოიუზის" უკანასკნელი მოლაპარაკება სახელმწიფო მრეწველობასთან გენერალურ ხელშეკრულების დადების შესახებ და მისი ცდა, რომ ერთი მხრივ, სახელმწიფო მრეწველობამ გადასდოს განსაზღვრული პროცენტი საქონლისა კოოპერაციისათვის, და „ცენტროსოიუზის" საშუალებით დაიჭიროს კავშირი ქვედა საფეხურის კოოპერაციასთან, ხოლო მეორე მხრივ, ხელი აიღოს საცალო ვაჭრობის ქსელის გაფართოებაზე.—მიზნათ ისახავს ვაჭრობაში კოოპერაციის როლის გაძლიერებას, ხოლო სახელმწიფო ვაჭრობის წილის შემცირებას.

„ცენტროსოიუზის" ეს ცდა დღეს მიზანშეწონილად და სწორათ უნდა ჩაითვალოს. ამ მიზნის განხორციელებაში ხელისუფლება მას უნდა დაეხმაროს. ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ინტერესები დღეს ამას მოითხოვს...

ელ.

# შინამრეწველობისათვის

საქართველო უსათუოდ სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტს მშრომელი გლეხობა შეადგენს. მისი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება, თანახმად 1913 წლ. ცნობების, 95.756.500 მანეთს უდრიდა.

ისტორიულ საქართველოში შინამრეწველობას და ხელოსნობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მრეწველობის განვითარებას,—ჩვენში შინამრეწველობა არ მოუსპია სრულიად. მოხდა მხოლოდ ერთნაირი გადაჯგუფება; რომელიმე დარგი შინამრეწველობისა შე-

მცირდა ან გაქრა, ხოლო მის ადგილზე სხვა დარგი აღორძინდა.

ქალაქის ხელოსნების ამქრობასაც უკანასკნელ ხანამდე მნიშვნელოვანი ალაგი ეჭირა ჩვენს ეკონომიკაში.

შინამრეწველობას მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გლეხკაცის უმრავლესობის ოჯახის შემოსი დღემდის ქარხანა კი არ არის, არამედ შინა-მრეწველობის წარმოება.

ასე მაგალითად, ხევსურები თავით ფეხამდის შემოსილნი არიან შინამრეწველობაში დამზადებული საგნებით. აგრეთვე თუშები, ფშავლები და სხვა.

შინამრეწველობის ნაწარმოებნი: შალი, წინდები, ქალამნები, პაჭიჭები, ნაბდის ქუდი, ყაბალახი, ნაბადი, ქურქა, აბრეშუმისგან ნაქსოვი თავსახურები, „შარფი“ წამოსასხამი, თავშალი; ჭურჭლეულობის დამზადება: ქვევრი, დოქები, აგური, კრამიტი; ხის დამუშავება: გუთნები, ნიჩაბი, ფიწალი, კევრი, კიდობანი, თაბახი, ჯამი და სხვა; ლითონის დამუშავება: ცული, წალდი, ნაჯახი, ბარი, თოხი, ნამგალი, ცელი და ბევრი სხვა.

ყველა ეს ჩამოთვლილი და ბევრი კიდევ სხვა ნივთები, შეადგენენ შინამრეწვალობის პროდუქციას და დღემდე დიდი გასავალი აქვს.

უნდა ითქვას, რომ ახლანდელ პირობებში შინამრეწველობის განვითარება-აღორძინებას ჩვენი ეკონომიური მდგომარეობისთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენში არ არის განვითარებული მსხვილი და აგრეთვე საშუალო მრეწველობა; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში, შინამრეწველი როგორც მწარმოებელი მთავარ როლს თამაშობს.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, შინამრეწველობაში ჩაბმულია 49.258 კომლი ანუ 86.500 სული ორივე სქესისა.

ამ ჟამად საქართველოში გავრცელებულია წარმოებათა შემდეგი დარგი: შალის, აბრეშუმის, ხალიჩების და ფარდაგების ქსოვა, წნელისა და ჩალისაგან კალათების და სხვა ნივთების დაწვნა; თიხისაგან ჭურჭლეულობის წარმოება; ხის დამუშავება, ცოცხის დამზადება, ქეჩების და ნაბდის წარმოება.

გარდა ამისა საქართველოში მისდევენ კიდევ ლითონის დამუშავებას, ოქრო-ვერცხლით ქარგვას, რქის, ძვლის და გიშრის დამუშავებას, ტყავეულობის წარმოებას და სხვა.

შალეულობის ქსოვას პირველი ალაგი უჭირავს საქართველოში და მასში ჩაბმულია საქ. სტ. ცენტრ. სამმართველოს 1923 წლის აღწერის მიხედვით 27.674 კომლი. აბრეშუმის ქსოვას მისდევს 5.388 კომლი ხალიჩების და ფარდაგების წარმოებას 3 884 კომლი.

შემდეგი ალაგი უჭირავს წნელისა და ჩალისაგან კალათების და სხვა ნივთების დაწვნას; ცოცხების დამუშავებას, ხის დამუშავებას და სხვა.

უნდა გულმტკივნეულობით აღინიშნოს, რომ შინამრეწველობის განვითარება-აღორძინებას ბოლო ხანებში ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ხელის შეწყობის მაგიერ, მის გაჯანსაღება-გავრცელებას ხელს უშლიდენ.

ასეთ უდიერ მოქცევას შინამრეწველობისადმი, ყურადღება მიაქცია მიწად-მოქმედების კომისარიატმა 1924 წელს და თავის განყოფილების საშუალებით შეუდგა მის გაჯანსაღებისთვის სათანადო ზომების მიღებას.

შინამრეწველობის განვითარებას ჩვენში მრავალი მნიშვნელობა აქვს. ერთი ის, რომ ეხლანდელ პირობებში, როცა მსხვილი მრეწველობის გაუნვითარებლობის გამო, ბაზარზე არ მოიპოვება საკმაო საქონელი, ამოსწურავდა საქონლის „შიმშილობას“. კიდევ დიდი ხანი გაივლის, სანამ ჩვენში ელექტროფიკაციით ამოძრავებული, ახლად აშენებული ქარხნები ამუშავდებიან და გამოუშვებდენ ხელმისაწდომ საქონელს.

მეორე და უმთავრესი მნიშვნელობა შინამრეწველობის განვითარებას ჩვენში იმ მხრივ ექნებოდა დადებითი მნიშვნელობა, რომ იგი ბევრად შეამცირებდა უმუშევრობის საკითხს და ამავე დროს მისცემდა გლეხს შემოსავალს, როცა ის თავისუფ ალია მიწის მუშაობისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინამრეწველობაში ჩაბმულია ჩვენი გლეხობის „მოსუქებული“ ნაწილი კი არა, არამედ გაღატაკებული და საშუალო გლეხი.

ხელისუფლების ეხლანდელი პოლიტიკაც ხომ იქითკენაა მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი დახმარება აღმოეჩინოს სოფლის მშრომელ მოსახლეობას, და მაშასადამე ხელი უნდა შეუწყოს შინამრეწველობის განვითარებას.

ლენინი ასე ახასიათებს შინა მრეწველებს: ისინი (შინამრეწველები) წარმოადგენენ მრეწველობაში ჩაბმულ პროლეტარიატს, რომელიც გაფანტულია ქარხნების გარეთ ქალაქებში და სოფლებში და რომელიც გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე პროლეტარი. (იხ. რუსეთის სოც-დემოკრატების ამოცანები.)

შინამრეწველობის მძიმე მდგომარეობას უკანასკნელ ხანებში ყურადღება მიაქციეს საკავშირო საკანონმდებლო ორგანოებმაც და 12 მაისს გამოცემულ იქნა კანონი ქალაქის შინამრეწველთა და ხელოსნებისთვის ზოგიერთი საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ. ასე მაგალ. „ქალაქის შინამრეწველი და ხელოსანი, რომელთაც დაქირავებული ყავთ 1—3 მუშამდე,— განთავისუფლებული არიან, სათანაბრო გადასახადისგან“. „კოოპერატიულ ამხანაგობაში გაერთიანებული შინამრეწველნი და ხელოსნები, თუ წევრებათ მხოლოდ შინამრეწველნი და ხელოსნები არიან, აგრეთვე თავისუფლდებიან სარეწაო გადასახადისგან, მიუხედავათ იმისა, აქვთ თუ არა მექანიკური მამოძრავებელი და მუშაობა სწარმოებს სახელოსნოში თუ სახლებში“. „სოფლის შინამრეწველნი და ხელოსნები თავისუფლდებიან ადგილობრივ გადასახადებისგან შენობებზე, რომლითაც ისინი სარგებლობენ“ და სხვა ასეთი შეღავათები.

საბჭოთა საკავშირო მესამე ყრილობამაც შინამრეწველობის განვითარების საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია და აღნიშნა შემდეგი: „საჭიროდ იქნას ცნობილი ხელოსნური და შინამრეწველობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად დამატებითი ღონისძიებათა გამომუშავება მათთვის კრედიტის და საჭირო მასალათა მიწოდების საქმის მოწყობით. გამომუშავდეს ზომები, რომელნიც წააქეზებენ მოწაფეებს იმ მიმართულებით, რომ მომავალში მეტი მოწაფე ჩაებას შინამრეწველობის საქმეში, ვინემ დღემდე იყო; აგრეთვე სახელოსნოების, სკოლების და სხვ. მოწყობით ხელი შეეწყოს ახალგაზრდა გლეხობის ტეხნიკურად მომზადებას“...

სამი-ოთხი თვეა, რაც საქართველოში შინამრეწველობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სათანადო კანონებიც იწერება ამის შესახებ.

საჭიროა ჩვენმა შინამრეწველებმა ისარგებლონ ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობით და მიმქრალი შინამრეწველობა, კვლავ დააყენონ აღორძინების გზაზე.

დონი.

# კიდევ გაეროვნების საქმე კონტროლში

ა/კ. რკინის გზების გამგეობასთან არსებობს ფინ-კონტროლის განყოფილება, რომელსაც განაგებს მოქ. რეტელსკი. თუმცა გაეროვნების გამოცხადების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ამ ხმას დღესაც მოქ. რეტელსკის კონტროლის კარამდე არ მიუღწევია: ის კვლავინდებურათ განაგრძობს თავის უკუღმართ პოლიტიკას გაეროვნების შესახებ და განგებ ყურს იყრუებს, რომ ეს მისთვის არა ხელსაყრელი გაეროვნება არ გაიგონოს და გუნება არ წაუხდინოს. რეტელსკის კონტროლის შემადგენლობაში ქართულის მცოდნე კონტროლიორის ხსენებაც კი არ არის. ამას წინად ამ კონტროლში გაიხსნა კონტროლიორის ადგილი. მოქ რ-სკი ამბობდა, რომ ქართულის მცოდნე უნდა მივიღოვო, მაგრამ საქმემ სულ სხვა დაგვანახვა. მართალია, მან ქართველი გვარის კაცი მიიღო, მაგრამ, მიიდა საუბედუროდ, ამ ქართველმა ქართული წერა-კითხვა არ იცის. ამბობენ რ-სკიმ ამ გვარი საქციელისთვის ცენტრიდან საყვედურიც მიიღოვო, მაგრამ მიუხედავათ ამისა დღესაც განაგრძობს თავის „კანონიერ“ საქციელს და, რა წამს ალაგი გაეხსნება კონტროლში, ის მაშინვე ადგილობრივ ენის უცოდინარეებით შეავსებს.

გოგია.

# ბიუროკრატიზმის ერთი ნიმუში

აღარ უნდა ბევრი მტკიცება მას, რომ ხალხის უმრავლესობა თანდათან ერკვევა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მოქმედებაში. ქართველი უკვე რწმუნდება, რომ მუშათა და გლეხთა საბჭოები არიან ნამდვილი მისი ხელისუფლება და რომ მხოლოდ ის გამოიყვანს მას იმ სიძნელიდან, რომელშიაც ის იყო დღემდის ჩაფლული. თუ მას აქამდის არ სწამდა ეს და გაურბოდა ყოველნაირად მასთან დაახლოვებას, ეს გასაგებიც არის და არც გასაკვირია, რადგან ის საუკუნეებით იყო აღზრდილი ჯერ მონობის უღელ ქვეშ და შემდეგ აზროვნება ცალმხრივი იყო, ვინაიდან მასში ავტორიტეტი დემოკრატიულ პარტიის და მისი ბელადების მთელი ოცდა თორმეტი წლის განმავლობაში მტკიცდებოდა. მას სწამდა მხოლოდ და მხოლოდ, რომ მას იხსნიდა ყოველნაირ გაჭივრებისაგან და მტრისაგან მარტო ს. დემოკრატიული პარტია და მისი ბელადები.

ამ ბოლოს დროს ხალხის უმრავლესობა თანდათან ერკვევა, ის აუცილებლად სცნობს, გადასინჯოს თავისი წარსული და გაითვალისწინოს მომავალი. ასეთი რევიზიის შემდეგ ის მიდის იმ დასკვნამდის, რომ მისმა საყვარელმა პარტიამ და გაღმერთებულმა ავტორიტეტ-ბელადებმა თავის დროზე დიდი და კაი საქმე გააკეთეს, მაგრამ ბოლოს ვერ აუღეს რევოლიუციის მიერ შექმნილ მდგომარეობას და შედეგებს ალღო, ვერ დააფასეს რუსეთის რევოლიუციის მიერ წარმოშობილი სინამდვილე, მტრათ გაუხდნენ რევოლიუციონურ რუსეთს და მით ქართველი ხალხი მიიყვანეს აგვისტოს საშინელებამდე. ხალხის გამოფხიზლებას უეჭველია ხელს შეუწყობს ხელისუფლების პოლიტიკას „პირი სოფლისაკენ“.

დღემდე ხელისუფლებას არ ქონდა დრო დიდი ყურადღება მიექცია სოფლისათვის, რადგან მუშაობა სწარმოებდა უპირატესად ქალაქად, ეხლა დადგა დრო სოფლისათვის ყურადღების მიქცევისა და, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხელისუფლება აქაც შესძლებს გადალახოს ყველა ის დაბრკოლებები, რაც ხელს უშლიდა და უშლის მის დაახლოვებას ხალხთან. ჩვენ უნდა შევეცადოთ გადავქექოთ ყველა ალაგები, საცა დაფარულია დაბრკოლებები, რომლებიც შეგნებულათ თუ შეუგნებლად არიან შექმნილი ხალხში უკმაყოფილების გასაძლიერებლად და დასაორმაგიანობლად. მე ამ ხანად შევჩერდები ერთ მოვლენაზე: ტყიბულის გზაზე ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს სოფლის მოსახლეობა თხოულობდა ორპირში გაეხსნათ სადგური, მათი სამართლიანი თხოვნა არ შეასრულა მეფის მთავრობამ. მოხდა რევოლიუცია და გლეხების სიხარულს საზღვარი არ ქონდა: „ეხლა კი გვეღირსება სადგური“, იმედოვნებდენ გლეხები. მგრამ მწარეთ მოსტყუვდნენ, მათი თხოვნა ვერ დააკმაყოფილა შენშევიკურმა მთავრობამაც. მოხდა გასაბჭოება აგერ ოთხი წელია და მათ თხოვნას ასრულებას არა ეშველა რა.

ამ ადგილზე სადგურის გახსნა აუცილებელი და სასარგებლოა როგორც გლეხებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის და აი რატომ: ქუთაისსა და ორპირს შორის არის სადგური გელათი რომელიც მხოლოდ გელათის მონასტრისათვის იყო აშენებული, ისე კი მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სოფელი გელათი და მოწამეთა, რომლებიც სარგებლობენ ამ სადგურით, იმდენათ ახლო არიან ქ. ქუთაისზე—(3—4 ვერსი პირდაპირი გზითა, რომ მათთვის მატარებლებით მოგზაურობა მხოლოდ უბრალო სეირნობა თუ იქნება. ეს იქიდანაც სჩანს, რომ გელათში არ გაიყიდება დღეში სამი ბილეთი, ორპირიდან კი-ყოველ დღე იყიდება არა ნაკლებ 2Ͻ0—300 კონტრამარკისა, რომლებიც გელათში შეიცვლება ნამდვილ სამგზავრო ბილეთებით.

ორპირი აერთიანებს რგუნის, კურსების, მანდიკორის და ნაწილობრივ სორმნის თემებს, რომლებშიაც შედის 30 სოფლამდე და ეს ხალხი იძულებულია 20 ვერსით დაშორებული ქუთაისზე, ზურგით, ან ურმით ეზიდონ ქუთაისში თავის სოფლის ნაწარმოები ხილი, ღვინო, ხის მასალა და ბარიტი. მათ მთაგორიან ადგილმდებარეობის გამო არა აქვთ საშუალება საქონელი ურმით სადგურ ხრესილზე მიიტანონ და, თუ გელათში მიიტანეს, მერე რკინის გზით გაგზავნა აღარც ღირს, რადგან უკვე ისედაც უახლოვდებიან ქუთაისის ბაზარს.

აქ სადგურის გახსნით დიდათ ჯავახარებთ მრავალ რიცხოვან გლეხებს, სარგებლობას მივსცემთ სახელმწიფოს.

რა უშლის ხელს ამ საქმეს?

რკინის გზის მთავარსამმართველოს ბიუროკრატიზმი, რომელსაც ვერ მოუხერხებია. სალის თვალით შეხედოს საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობას, რომ მისი

მუშაობა მიმართული იყოს სახელმწიფოსა და ხალხის სასარგებლოდ.

ამ ადგილზე სადგურის აგება, გარდა იმისა, რომ ის ეკონომიურად სასარგებლოა ყოველ მხრივ, საუცხოვო საავიტაციო საშვალებაც იქნება გლეხების მიერ თავის ხელისუფლების შეყვარება-შემეცნების საქმეში. და ყველა ის, ვინც ამას უშლის ხელს, ის ხელს უწყობს ხალხში ხელისუფლებისადმი სიმძულვარის თესვას.

ეხლა როგორც გავიგეთ გზის სამმართველოს თითქო გადაუწყვეტია ამ ალაგზე გახსნას ჩიხი ისიც გლეხების ხარჯზე, რაც 1000 მანეთზე მეტ ხარჯს მოითხოვს გლეხებისაგან

რას გავს ეს? რათ სჭირია ხელისუფლებას, რომ ჯაფაულ ოკრიბელ გლეხებს სადგურის გახსნისათვის ფულები ახდევინოს.

უნდა დაიხუროს სადგური გელათი, ის გარდაიქცეს ჩიხათ და ორპირში კი გაიხსნას სადგური, აი სალი მოსაზრება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ სალ მოსაზრებას უყურადღებოთ არ დასტოვებს ხელისუფლება.

ლ. კუპრაშვილი.

# ქრონიკა

(კვირიდან კვირამდე).

## ადგილობრივი ცხოვრება.

**არაჩვეულებრივი სეტყვა და ნიაღვრები:**

**ახალქალაქი.** 24 ივნისს ახალქალაქში მოვიდა ძლიერი სეტყვა—განსაკუთრებული სიდიდის, რომელმაც 20 წუთს გასტანა, მიწა სრულიათ დაიფარა სეტყვით. ნათესობა საბოლაოთ განადგურებულია. ზარალი ათეულ ათასებს უდრის.

ამავე დღეს სოფ. წილკანში (დუშეთის მაზრა) მოვიდა თავშინელი სეტყვა და წვიმა, რომელმაც მიწასთან გაასწორა მთელი მოსავალი. ჩარეცხა ვენახები და ხეხილის ბაღები—ზარალი დიდია.

**ახალი ფულის ნიშნები.** სახელმწიფო ბანკის მიერ ახლო მომავალში ხმარებაში იქნება გამოშვებული 1925 წ. ახალი ნიმუშის სახაზინო ბილეთები 3 და 5 მანეთიანები.

**გრეხილი-ავეჯეულების ქარხანა.** მარელისის გრეხილი ავეჯეულების ქარხნის დასამთავრებლათ საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო დამატებით გაიდაიდოს 40,000 მანეთი სახკომის საბჭოს თანხიდან.

**მიწათ-მოწყობა.** მიწათ. მოქმედების კომისარიატი გზავნის მაზრებში მიწათმოწყობის ჩასატარებლათ 50 მიწის მზომელს და 15 მიწის მომწყობს.

**პროექტი ახალი ქარხნების მოსაწყობათ.** საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დავალებით საქ. სახ. მეურნ. საბჭომ შეადგინა პროექტი საქართველოში რამოდენიმე ახალი ქარხნის აგებისათვის. პროექტით გათვალისწინებულია ცემენტის, ფანჯრის მინის, სამი ხეტყის და წიფლის მშრალათ გამოსახდელი ქარხნის მოწყობა.

ცემენტის ქარხანა მოეწყობა კავთის ხევის რაიონში (გორის მაზრა), დაჯდება დაახლოვებით 900,000 მანეთამდე. სამუშაოს მისცემს 250 კაცს. ქარხნის წლიური შემოსავალი იქნება 1,120,000 მან.

მინის ქარხანა მოეწყობა ლაშეში (შორაპნის მაზრა დაჯდება 550,000 მან., წლიური მოგება ნაანგარიშებია დაახლოვებით 215000 მან. სამუშაოს იშოვნის 170—500 კაცამდე.

ხეტყის ქარხნები მოეწყობა შამგონში (ზუგდიდის მაზრა), ბაღდათში (ქუთაისის მაზრა) და ქ. ფოთში. სამივე ქარხანა დაჯდება 2,033,000 მან.

წიფლის მშრალათ გამოსახდელი ქარხანა მოეწყობა ბორჯომის რაიონში.

**მელიორაცია საქართველოში.** საქ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა საქართველოში სამელიორაციო მუშაობის ხუთწლიანი გეგმა. 5 წლ. განმავლობაში სრულიათ უნდა დასრულდეს სამელიორაციო მუშაობა საქართველოში. პროექტის თანახმათ საქართველოს მელიორაციას დასჭირდება 22,675,000 მანეთი.

**მოკავშირე რესპუბლიკაში.** აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების მიერ მიღებულია გერმანიის სამეცნიერო საზოგადოებიდან და რიგი სხვა ორგანიზაციებიდან წინადადებები სხვადასხვა გამოცემების გასაცვლელათ. პირველი ჯგუფი გერმანული გამოცემების უკვე მიღებულია.

— გამოვიდა და იყიდება ს. რემონიძის „მოთხრობები“, წიგნი მე II-ე.

წიგნი შეიცავს 8 მოთხრობას, რომელთაც წინ უძღვის ის. მანწყავას კრიტიკული განხილვა, ღირს 80 კაპეიკი.

**პილენკოვის რაიონის შემოერთება.** საქ. ცაკის მიერ დანიშნულია ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე აკ. ქავთარაძე წარმომადგენლათ სოჭის ოლქის პილენკოვის რაიონის აფხაზეთზედ შემოერთების კომისიაში.

**საბჭოთა რუსეთი.** გრძელდება გერმანელ ფაშისტების პროცესი. გასულ 24 წელს, შემოდგომაზედ, საბჭ. კავშირში ჩამოვიდენ, როგორც კომუნისტები, ფაშისტური ორგანიზაცია „კონსული“-ს წევრები: კინდერმანი, ვოლშლეტი და დიტმარი. მათ დავალებული ქონიათ საბჭ. რუსეთში ზოგიერთი ცნობილ კომუნისტების მოკვლა. პირველ რიგში გადაწყვეტილი ქონდათ მოეკლათ სტალინი და ტროცკი.

**სოლოვეცის საკონც. ბანაკის გაშლა.** საბჭოთა კავშირის სახ. კომის. საბჭოთა დადგენილებით იშლება სოლოვეცის საკონცენტრაციო ბანაკი და ყველა ანტი საბჭოთა პარტიების (ესერები, მენშევიკები და ანარქისტების) წევრები, რომელნიც პოლიტიკურ მუშაობისათვის არიან დასჯილნი, გადაყვანილ იქნებიან 1 აგვისტომდე კუნძულიდან.

# უცხოეთის ამბები

**საბერძნეთი.** სამხედრო გადატრიალება. 24—25 ივნ. გენერალ პანგალისმა მიიმხრო რა ზოგიერთი სამხედრო ნაწილები, ფლოტი და პროვინციალური გარნიზონები, უბრძოლველათ ხელში ჩაიგდო სატახტო ქალაქის ყველა სტრატეგიული პუნქტები და მოითხოვა მთავრობის გადადგომა. მთავრობის ჯარები დანებდენ, მთავრობა გადადგა. გადატრიალება გამოწვეულია სამხედრო ძალების უკმაყოფილებით მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკით.

**ოსმალეთი.** კონტრრევოლიუციონური შეთქმულების აღმოჩენა. ჩხრეკის დროს სტამბოლის პოლიციამ აღმოაჩინა ჯალფატის აფიცრების მიერ დამზადებული სხვადასხვა საბუთები და მასალა აჯანყებისათვის, რომელიც უნდა დაწყებულიყო მომავალ წელიწადში. საბუთებს შორის არის ისეთი, რომელიც აშკარათ ყოფს ინგლისის მონაწილეობას ამ საქმეში.

**ხარბინი.** იაპონიის კონსულის განცხადება. ხარბინის გაზეთებში ადგილობრივმა იაპონიის კონსულმა გამოაცხადა რომ იმ რუს მოქალაქეებს, რომელთაც არ ექნებათ საბჭოთა პასპორტი, არ შეუშვებენ იაპონიაში.

ხარბინში ჩინეთის პოლიციამ აკრძალა მუშათა კრებები და დემონსტრაციები იმპერიალისტების წინააღმდეგ.

**სტამბოლი.** კომუნისტების დატუსაღება სტამბოლის გაზეთების ცნობით დატუსაღებულია 25 კომუნისტი, რომელთაც ბრალათ ედებათ სხვადასხვა ბროშიურების გავრცელება და კომუნისტური აგიტაცია.

**პოლონეთი.** წყალდიდობა პოლონეთში. მდინარეები ვისლა, დნესტრი და სხვები გადმოვიდენ ნაპირებიდან, რამოდენიმე კილომეტრის მანძილზედ. მახლობელი მიდამოები დაფარულია წყლით. დანგრეულია ხიდები და შენობები. ზარალი დიდია.

**იაპონია.** დიდი მიწის ძვრა. ქალაქ კაგოშიმაში კუნძულ კიუშიუზე ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწის ძვრას, რასაც შედეგად მოჰყვა სახლების ნგრევა. ამავე დროს დაიწყო მოქმედება ცეცხლის მფრქვეველმა მთამ იაკაგოტაკიმ, რომლიდანაც ფერფლი ტოკიომდე აღწევდა.

**ინგლისი.** ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციამ წინადადება მისცა მთავრობას იმ მიზნით, რათა აშორებული იქნეს სიმწვავე უმუშევრობის და ზოგიერთი სავაჭრო და სამრეწველო კრიზისები. დაუყონებლივ განაახლოს მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან.

**ლონდონი.** მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ჰგმობს საგარანტიო ხელშეკრულებას, რომელსაც არ შეუძლია მისცეს მშვიდობიანობა ევროპას.

**საფრანგეთი.** სოციალისტურ პარტიის ცალკე ორგანიზაციები მოითხოვენ უარის თქმას პენლევეს მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე.

**ჩინეთი.** ბრძოლა უცხოელების წინააღმდეგ არ ნელდება. უცხოელები ჩინეთის წყლებში აძლიერებენ სამხედრო ფლოტს. იაპონიამ კიდევ გაგზავნა ერთი კრეისერი და 8 გამანადგურებელი, ეინაიდან 10 გემისაგან შემდგარი ფლოტილია საკმარისათ არ მიიჩნიეს. ჩჟან-ცზოლინი და მისი შვილი თავისი ჯარებით გარკვეულ პოზიციაზედ დგებიან. ისინი მხარს უჭერენ უცხოელებს ჩინეთის ნაციონალურ ბრძოლის წინააღმდეგ.

**პ.რიზი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით საფრანგეთიდან გადასახლებულია 147 ჩინელი სტუდენტი. გადასახლება გამოიწვია სტუდენტების მიერ შანხაიში საფრანგეთის რაზმების მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებამ.

**მეცნიერება და ტეხნიკა.** გერმანელ მეცნიერ პასტორის მიერ გამოგონებულია ახალი მანქანა, რომლის საშვალებით რამოდენიმე წუთის განმავლობაში შესაძლებელი ხდება, (ყოველგვარი გაბურღვის და თხრების გარეშე) გამოკვლევა, რა მადნეულით არის მდიდარი ნიადაგი, რა სიღრმეზედ და რა რაოდენობით.

# ბულბულის სიკვდილი*)

საქართველოს ხუჭუჭ ჰალებს
ბულბული ჰყავს მკვდარი;
მის დახუჭულ ლამაზ თვალებს
ამკობს ცრემლის ცვარი.

მგლოვიარობს ტურფა ჰალა,
აღარ ესმის სტვენა;
რაც ბულბული გარდაცვალა
შესწყდა მისი ლხენა.

ეს ბულბული ვანო იყო,
ვანო, ხმა-ნარნარი;
ვანო, ლერწმის სალამური,
კვნესით გადამტყდარი.

**გ. ქუჩიშვილი.**

*) ეს ლექსი წაკითხულ იქნა ვანო სარაჯიშვილის სახელობის კლუბის გახსნის დროს.

## შეცდომების გასწორება.

„ახალი გზის“ 27 ნომრის მეხუთე გვერდზე მოთავსებულია წერილი: **„ტფილისის სადგურის ახალი ადგილკომი“.**

უნდა იყოს: „ტფილისის საყუდის (დეპო) ახალი ადგილკომი“.

ამავე წერილში სწერია: „უპარტიო ამხანაგი რაზმმაძე“.

უნდა იყოს: „უპარტიო ამხანაგი რაზმაძე“.

სარედაქციო კოლეგია: **მ. ძამანაშვილი**
**ა. გვიმრაძე**
**პ. ხურცილავა**
**კ. მაჭარაძე**
**ლ. კუპრაშვილი**

# ამ.-კავკ. რკინის გზ. სამმართველოს ეკონომიური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ქ. ქ. თბილისში, ბაქოში, მოსკოვში, ერევანში, ბათუმში, განჯაში, ზუგდიდში, ევლახში, ქუთაისში და თელავში კომერციული სააგენტოები და ქალაქის სადგურები **აწარმოებენ შემდეგ ოპერაციებს:**

1. ყოველგვარ მიმოსვლის სამგზავრო ბილეთების გაყიდვას-ბინაზე მიტანით.
2. საწყობების ოპერაციებს და 3. ყოველგვარ კომერციულ ოპერაციებს.
4. სესხის გაცემას როგორც გადაზიდვის დროს, ისე საწყობებში მოთავსებულ საქონლის გირავნობის ქვეშ.
5. ტვირთვის მიღებას, გაგზავნას და გაცემას და 6. მის გადატანას შარა გზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვას კლიენტების დავალებით.
8. საბაჟო, სააქციზო და სხვა ვალდებულებების შესრულებას.

ზემოაღნიშნული და სხვა სატრანსპორტო ოპერაციები სრულდება მინიმალურ საკომისიო ხელფასის გადახდით.

კომერციული სააგენტოები ქ. სადგურები დიდ დახმარებას უწევენ კლიენტებს რკ. გზის ტრანსპორტით სარგებლობის დროს.

# ამ.-კავკ. რკ. გზის საგრილობელ ნაწილს აქვს მოწყობილი:

1. **ვაგონების საყუდი პარკი**, სადაც გამზადებულია 450 იზოტერმიული და სხვა საქონლის ვაგონი, 2. **მმოძრავი და ადგილობრივად ყინულის დამმზადებელი ქარხნები**

თბილისში, განჯაში, აჯი-ქაბულში, ბაქოში და სამტრედიაში

სადგური ყინულის საკმაო მარაგით და საქონლის საგრილობელი საწყობით.

## საგრილობელ ნაწილის მიზანია:

დაეხმაროს საექსპორტო საქონლის პატრონებს საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში გადასაგზავნად დანიშნულ **სათუთ საქონლის** წინასწარ დამზადებაში. როგორც არის წესიერად ჩაწყობა, შეხვევა, დახარისხება, დაბარგება და დანიშნულებისამებრ უზიანოდ გაგზავნა და სხვ.

ამისთვის **საგრილობელ ნაწილს** აქვს: სპეციალურად მოწყობილი საქონლის ვაგონები როგორც ზამთრისთვის თბილი, ისე ზაფხულისთვის გრილი.

საქონლის დანიშნულებისამებრ გადატანის დასაჩქარებლად **ნაწილი** სარგებლობს სამგზავრო მატარებლებით.

სპეციალური ვაგონებით სარგებლობისთვის საერთო ტარიფის გარდა საქონლის პატრონს **ნაწილი** ახდევინებს დამატებით გადასახადს მეთვალყურეობის; ყინულის, სათბობ მასალის, მარილის და სხვა ხარჯების დასაფარავად.

იმ პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს იზოტერმიული ვაგონი, გაიგოს ცნობები, მან უნდა მიმართოს თბილისში კომერციულ განყოფილების **საგრილობელ ნაწილს** შემდეგი მისამართით:

თბილისი, ვაგზლის ქ. № 8.

და რკინის გზის ხაზზე:

**საგრილობელ ნაწილის ინსტრუქტორებს**, სამტრედიაში, განჯაში, ბალაჯარაში, ბაქოში, დერბენდში და ლენინკანში.

მთავლიტი № 1047 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 8. ტირაჟი—2500.

წელი ადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 12 ივლისი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11—68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა - უქმისა,
დილის 8—2 საათამდე

№ 29

## პარიტეტულ კომიტეტის გასამართლება

15 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში დაიწყება პარიტეტულ კომიტეტის წევრთა და ანტი-საბჭოთა პარტიების ხელმძღვანელ პირთა გასამართლება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საქართველოში ეს პირველი შემთხვევაა, როცა პოლიტიკურ პატიმრებს სასამართლოს წესით ასამართლებენ. ჩვენ მივესალმებით ხელისუფლების ამ ნაბიჯს. ამით საშუალება ეძლევა საქართველოს მშრომელებს თავის თვალით დაინახონ და თავის ყურით მოისმინონ იმ პირთა საქმე, რომლებიც ხელს უშლიან საბჭოთა ხელისუფლებას ერის აღორძინების საქმეში და თავის მუშაობა-მოღვაწეობით ნიადაგს უმზადიბენ რეაქციის გამარჯვებას, მუშათა კლასის და გლეხობის განადგურება-დამონებას.

სასამართლოს წინაშე წარსდგება 47 კაცი, მათ ბრალად ედებათ წარსული წლის აგვისტოს ავანტიურის მოწყობა, რომლის მიზანი იყო ევროპის რეაქციონურ-იმპერიალისტურ სახელმწიფოების დახმარებით საქართველოში მუშათა მთავრობის დამხობა და მის ნაცვლად ჟორდანია-კედიას მთავრობის შექმნა, რომელიც თანახმად პარიზში გაცემულ თამასუქებისა, უნდა გამხდარიყო საფრანგეთ-ინგლისის ყურმოჭრილი მონა, მათი ნება-სურვილის ერთგული ამსრულებელი.

რას უმზადებდა აგვისტოს ავანტიურა საქართველოს მშრომელთა კლასს?

რევოლიუციონურ მონაპოვართა სრულ განადგურებას, მუშებისა და გლეხების სრულ დამონავებას, ეროვნულ ხოცვა-ჟლეტის მოწყობას, მუდმივ ომს. ყოველივე ეს კი ნიშნავდა ქართველი ხალხის ეკონომიურ-კულტურულ დაქვეითებას, მის ფიზიკურად გადაშენებას.

ეს რომ ასე იქნებოდა, ამაში დღეს არც ერთ ჭკუათამყოფელს, მაროკო-ჩინეთის ამბების მოწამეს, ეჭვი არ უნდა ებადებოდეს. ეს აშკარაა.

რა მოგვიტანა აგვისტოს ავანტიურამ? სახელმწიფოს ეკონომიურ და კულტურული მუშაობის შეფერხება, აურაცხელი მსხვერპლის გაღება, სახელმწიფო დოვლათის საგრძნობი ნაწილის განადგურება, მისი გაფლანგვა და განიავება.

აგვისტოს აჯანყება სამარცხვინოდ დამარცხდა. ქართველი მუშა და გლეხი იმდენათ გონიერი და შორს მჭვრეტელი გამოდგა, რომ ავანტიურისტებმა ვერ შესძლეს მათი მომხიბლავი დაპირებებით თავის მხარეზე გადაბირება, მათი ბრმა იარაღათ გამოყენება.

ქართველმა მუშამ და გლეხმა თავის თვალით დაინახა და თავის თავზე გადაიტანა ყველა ის საშინელებანი, რომელიც საქართველოს რუსეთთან კავშირის გაწყვეტამ, რუსეთისაგან ჩამოშორებამ თავს დაატეხა. საქართველოს მშრომელი ხალხი კარგათ ხედება, რომ სრული დამოუკიდებელი, ნეიტრალური საქართველო უძირო ფიქციაა, ქართველი ხალხის ხელმძღვანელები ამაში ჯერ კიდევ 100—150 წლის წინათ მუდამ ძლიერ მოკავშირეს ეძებდენ და ბოლოს ასეთ მოკავშირეთ რუსეთი აირჩიეს...

1918 წელს საქართველო რუსეთს ჩამოცილდა, მან ნეიტრალობის შენარჩუნება მოინდომა, მაგრამ მისმა „ნეიტრალობამ" მას პირი რეაქციონურ ევროპისაკენ აბრუნებინა და ბოლოს ეს „ნეიტრალობის" ხუხულა დაირღვა, ის ძალიან სუსტი, უნიადაგო გამოდგა. ქართველმა ხალხმა პირი ისევ რუსეთისაკენ იბრუნა, განახლებული პროლეტარული რუსეთი არჩია რეაქციონურ ევროპას, თავის ბედი რუსეთის მშრომელთა ბედს დაუკავშირა, და ისევ ძველებურად რუსეთის მუშებთან ერთად ახალ სოციალისტურ გზაზე შესდგა.

ვერც პარიტეტულმა კომიტეტმა და ვერც ერთ დროს ძლიერმა მენშევიკურმა პარტიამ ვერ შესძლო ქართველი ხალხის ამ ახალ გზიდან გადმოყვანა, მათი ცდა უნაყოფოთ დასრულდა. მათ მოწოდებას, როგორც ეს პარიტეტულმა კომიტეტმა თავის დეკლარაციაში განაცხადა, მხოლოდ ტყეში გავარდნილი პირები და ძველი მემამულენი გაყვენ, ხოლო მუშათა კლასმა და გლეხობამ მათ ზურგი შეაქცია.

„ჩვენ დავრწმუნდით, რომ ქართველი ხალხი რუსეთთან მეგობრობას არჩევს რეაქციონურ ევროპასთან მეგობრობას, — აცხადებენ პარიტეტულ კომიტეტის ხელმძღვანელნი.

„ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ქართველ მუშასა და გლეხს იმდენსაც ვერ მივცემთ, რამდენსაც საბჭოთა ხელისუფლება აძლევსო“—აცხადებს პარიტეტულ კომიტეტის და მენშევიკურ ცეკას თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილი.

პირდაპირ გასაოცარია, ამ განცხადების მთქმელს, რამ ჩაადენინა აგვისტოს ავანტიურა! თუ მუშასა და გლეხს იმდენსაც ვერ მისცემენ, რამდენსაც ახლა კომუნისტები აძლევენ; მაშ რისთვის უნდოდათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა?

აქედან შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ანდრონიკაშვილი და კომპანია, როცა ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდენ, მათ მხედველობაში ჰქონდათ არა მუშისა და გლეხის ინტერესები, არამედ სხვისი, ხოლო საჴელდობრ ვისი, გაუგებარია. ალბათ პროცესზე ამას გავიგებთ. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ მენშევიკური პარტია, როგორც არ უნდა გახრწნილიყო ის, აჯანყებას იმიტომ აწყობდა, რომ ქართველ თავად-აზნაურებისათვის მიწა დაებრუნებია. უთუოდ კ. ანდრონიკაშვილს სხვა მიზანი ქონდა და რა იყო ეს მიზანი, რომელმაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა, კოტე ანდრონიკაშვილმა უნდა გარკვევით გვითხრას.

რატომ დაავიწყდა „სოციალისტს“ და „მარქსისტს“ ანდრონიკაშვილს და მის ცეკას, რომ სოციალისტისათვის მისაღებია და მოსაწონია ყოველივე ის, რაც მუშისა და გლეხის ინტერესებს ემსახურება. ეროვნულ დამოუკიდებლობის საკითხებსაც ხომ სოციალისტი ამ თვალსაზრისით უდგება?

ვიმეორებთ, სასამართლოზე ყველა ეს კითხვები ჩვენთვის ალბათ ნათელი გახდება...

ერთი კი ჩვენთვის ამ თავითვე უდაოა,—ეს ის, რომ აგვისტოს გამოსვლები, სუბიექტიურად თუ ობიექტიურად ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს—კონტრ-რევოლიუციონურ საქმეს ემსახურებოდა. საქართველოს ის ჩინეთ-მაროკკოს მდგომარეობაში ჩაგდებას უქადდა და ამიტომ, ცხადია, მის ჩამდენს სათანადო და სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს, სხვანაირად წარმოუდგენელია.

საქართველოში ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღიკვეთოს აგვისტოსებური ავანტიურული შესაძლებლობა... ავანტიურის მომწყობნი კი უნდა დაისაჯონ, როგორც მოღალატენი.

ქართველ მშრომელ ხალხს მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა სწყურია, ის ეწევა ამ მუშაობას, მთელ თავის ენერგიას საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ კულტურულ აღმშენებლობას ანდომებს და ვინც ხელს უშლის მას ამ მუშაობაში, მას სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს. სხვა გზა შეუძლებელია. რევოლიუციის და ქართველ მშრომელ ხალხის მოღალატეების წინააღმდეგ რევოლიუციის სასამართლომ უნდა გამოიტანოს შეუბრალებელი განაჩენი. მუშების და გლეხების ინტერესები ამას მოითხოვს.

# სამხედრო კომუნიზმიდან—საბჭოთა დემოკრატიზმისაკენ

კომპარტიის მე-XIV კონფერენციამ და საბჭოების მესამე ყრილობამ დამკვრელ, გადაუდებელ ამოცანად გამოაცხადეს საბჭოთა ეკონომიკაში და მართვა-გამგეობაში სამხედრო კომუნიზმის დროიდან დარჩენილ ნაშთების აღმოფხვრა და მის ნაცვლად დემოკრატიის გაძლიერება.

რას წარმოადგენს და რას შეიცავს ეს ე. წ. სამხედრო კომუნიზმის ნაშთები?

სამხედრო კომუნიზმის დამახასიათებელი თვისება არის საბჭოთა ეკონომიკაში და პოლიტიკაში სამხედრო წესების გაბატონება, ყველაფრის სამხედრო მიზნებისათვის დამორჩილება. შეზღუდვა აღებმიცემობის თავისუფლებისა. კონფისკაცია-რეკვიზიცია სამხედრო-საჭიროებისთვის კერძო მოქალაქის ქონებისა და სხვა.

როდის მიმართავს ხელისუფლება ამ ზომებს?

როცა მას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აქვს მოწინააღმდეგე ძალებთან, როცა ამ ომის შედეგებზეა დამოკიდებული მისი არსებობა და სახელმწიფოს მომავალი ეკონომიურ-კულტურული განვითარება.

ამ ზომებს მიმართავს ყოველი ხელისუფლება, მიუხედავათ იმისა მონარქისტულია ის, ბურჟუაზიული თუ პროლეტარული. ამ შემთხვევაში მათ შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს. არც ერთი ხელისუფლება არავითარ ზომებსა და საშუალებებს არ ერიდება თავის მდგომარეობის განმტკიცებისთვის და მოწინააღმდეგის განადგურებისათვის.

რუსეთში რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად პროლეტარული ხელისუფლება იძულებული გახდა აურაცხელ მტრებისაგან თავის დასაცავად სამხედრო წესებისათვის მიემართა...

რუსეთის კონტრ-რევოლიუციამ, კოლჩაკ-იუდენიჩ-დენიკინ-ვრანგელის სახით, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა პროლეტარულ ხელისუფლებას, მოინდომა მისი სისხლში ჩახრჩობა და პროლეტარიატის საფლავზე თავის ძველი ბატონის აღდგენა. რუსეთის კონტრევოლიუცია საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციით იყო ზურგ გამაგრებული, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური მთავრობები მათ ყოველგვარ დახმარებას უწევდა, უგზავნიდენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ ჯარს, იარაღს, ფულს და სხვა.

ცხადია, ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგებთან ბრძოლის დროს საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარი ზომები და საშუალებები უნდა ეხმარა. ყველაფერი სამხედრო მიზნებისათვის უნდა დაემორჩილებია, მთელი ძალების მობილიზაცია უნდა მოეხდინა, რომ მოწინააღმდეგეზე გაემარჯვნა.

და მართლაც ხელისუფლება ასე მოიქცა, მან ნებადართულად გამოაცხადა ყოველივე ის, რაც წითელი ჯარის ბრძოლის უნარიანობას აძლიერებდა, ხოლო მოსპო და აკრძალა ყოველივე ის, რასაც ოდნავ მაინც შეეძლო ჯარზე უარყოფითი გავლენის მოხდენა, მისი დისციპლინის დარღვევა და ბრძოლის უნარიანობის განელება.

ამ დროს რომ ხელისუფლებას სიტყვის, პრესის, არჩევნების და კრებისა და აღებ-მიცემობის თავისუფლება გამოეცხადებია და ე. წ. „პროდრაზვერსტკაზე“ ხელი აეღო, ცხადია, პროლეტარიატი დამარცხდებოდა და რუსეთში ისევ მონარქიული რეაქცია წამოსკუპდებოდა.

ეს იმდენათ უდაოა, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოწინააღმდეგე დაამარცხა, ხანგრძლივ და უსასტიკეს სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა. რეაქციის უკანასკნელი იმედი გენერალი ვრანგელი 1920 წლის მიწურულში გაანადგურა და საბჭოთა მიწა-წყალი კონტრ-რევოლიუციონურ ჯარისაგან გასწმინდა...

სამოქალაქო ომმა სახელმწიფო ეკონომიურად ჩამოაქვეითა, ბევრი ქალაქები და ფაბრიკა-ქარხნები განადგურდა, ბევრი სახალხო დოვლათი დაიხარჯა-გაიფლანგა. ომის დროს სახელმწიფო გაცილებით მეტს ხარჯავდა, ვინემ ჰქმნიდა. სახელმწიფო გაღატაკდა.

საჭირო იყო სამოქალაქო ომისაგან მიყენებულ ჭრილობების მორჩენა, სილატაკესთან ბრძოლა, ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად აღორძინება-განვითარება.

ამ მიზნის მისაღწევათ ხელისუფლებამ საჭიროდ დაინახა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება.

გამოცხადდა ვაჭრობა-წარმოების ნაწილობრივი თავისუფლება, „პროდრაზვერსტკა“ „პროდნალოგით“ შეიცვალა. ამით შედარებით შეღავათი მიეცა გლეხის მეურნეობას, გაჩაღდა ვაჭრობა-წარმოება, ფართო გასაქანი მიეცა თავისუფალ ინიციატივას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება დასაწყისი იყო სამხედრო კომუნიზმის მოსპობის, ეკონომიკაში და მართვა-გამგეობაში სამხედრო წესების მოხსნის. რამდენათაც წინ მიდიოდა და მტკიცდებოდა სახელმწიფო ეკონომიურად და პოლიტიკურად, იმდენათ თანდათანობით ისპობოდა და ისტორიას ბარდებოდა სამხედრო კომუნიზმის ნაშთები.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ქალაქს უფრო შეეხო, ვინემ სოფელს და სამხედრო კომუნიზმის ნაშთებიც ქალაქში შედარებით უფრო მეტად მოისპო, ვინემ სოფელში. სოფელში უკანასკნელ დრომდე დარჩა სამხედრო კომუნიზმის ნაშთები, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა საბჭოთა და კოოპერაციის არჩევნებში ადმინისტრაციის ჩარევაში, მიწის სარგებლობისა და დაქირავებულ მუშახელის გამოყენების შეზღუდვაში და სხვა, ყოველივე ეს ძალზედ აფერხებდა სოფელში საწარმოო ძალების განვითარებას, აძლიერებდა უმუშევრობას, ჰქმნიდა გლეხობაში უკმაყოფილებას და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც თავში მოვიხსენეთ, უკანასკნელად, მიზნად დაისახა სოფელში და ქალაქში სამხედრო კომუნიზმის ნაშთების აღმოფხვრა და საბჭოთა დემოკრატიზმის გაცხოველება.

რა არის დემოკრატია?

დემოკრატია უმთავრესად არის მშრომელ ხალხისათვის ინიციატივის თავისუფლების მიცემა, მისი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ფართოდ ჩაბმა, თავისუფალი, ძალ-დაუტანებელი არჩევნები საბჭოებში, კოოპერაციაში, პროფკავშირებში და სხვა. სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში, არჩეულების ამრჩევლების წინაშე პასუხისმგებლობა. საქმიანი კრიტიკის თავისუფლება. კოოპერაციაში და პროფკავშირებში წევრობის თავისუფლება და სხვა.

ბევრი ზემოთ აღნიშნული წესები ხელისუფლებამ დიდი ხანია გაატარა ცხოვრებაში (მაგ. კოოპერაციაში და პროფკავშირებში თავისუფალი წევრობა), ბევრი კიდევ გასატარებელია, რისთვისაც საჭიროა დიდი მუშაობა...

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ რამდენათ მავნებელია, როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე პროფმოძრაობისა და კოოპერატიულ მოძრაობისათვის მასების გულგრილი, უხალისო მოპყრობა.

ხელისუფლებამ ყოველივე ზომები უნდა მიიღოს ამის წინააღმდეგ საბრძოლველად... უნდა გადაიდგეს ისეთი ნაბიჯები, რომელიც მასებს დააინტერესებს საზოგადო და სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობით, ფართოდ ჩააბამს მას ამ მუშაობაში.

პროფკავშირები დღეს საკუთარი თანხებით სცხოვრობენ, სახელმწიფო მათ დახმარებას არ აძლევს, საჭიროა კონტროლი თუ სად მიდის ეს თანხები, როგორ იხარჯება და სხვ. ეს კი შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა ფართო მასა ჩაებმება მუშაობაში.

კოოპერაცია დღეს საკუთარ საშუალებების სიმცირეს განიცდის, მან უნდა მიიზიდოს მოსახლეობის მეტი რიცხვი და საპაიო კაპიტალი, ეს კი შეუძლებელია მასის თვალში ნდობის გარეშე, ნდობას მასაში კი მაშინ ექნება ადგილი, როცა თავისუფალი ძალდაუტანებელი არჩევნები გატარდება და როცა არჩეული ნამდვილი პასუხისმგებელი გახდება ამომრჩეველთა წინაშე.

ასეთივე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობისათვის ფართო მასების ჩაბმას საბჭოების არჩევნებში და მუშაობაში.

შეიძლებოდა თუ არა თავისუფალი არჩევნები და საერთოდ დემოკრატიზმის გატარება სამოქალაქო ომის დროს? რასაკვირველია არა. საშველრო-სასიცოცხლო ომის დროს ყოველი ხელისუფლება ზღუდავს დემოკრატიას, სხვანაირად არ შეიძლება... ეს აუცილებელია და მაშასადამე საჭირო.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა იქმნება მშვიდობიანობის დროს, როცა საფრთხე განვლილია, როცა სახელმწიფო ძლიერდება ეკონომიურად და კულტურულად. მაშინ დემოკრატიზმი აუცილებელი პირობაა სახელმწიფო მუშაობაში ფართო მასების ჩაბმისათვის, სახელმწიფოს სწრაფი ტემპით აღორძინება-განვითარებისათვის. ამ დროს პროლეტარიატის დიქტატურა, გარეშე დემოკრატიის სუსტი, უილაჯო იქნება.

დემოკრატიზმის ფასი კარგათ იცოდენ საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელებმა, კომპარტიის ბელადებმა. ლენინი ამბობდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის მშრომელთა უმრავლესობის, დემოკრატიის უმაღლესი ტიპი, ის შეიძლება შემოღებული იქნეს პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ და იმის შემდეგ, როცა საშუალება გვექნება განვამტკიცოთ ეს ძალაუფლება. 1918 წელში ლენინს საჭიროთ მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ექსპლოატატორების წინააღმდეგობის მოსპობის შემდეგ, საბჭოთა კონსტიტუციის მთელ მოსახლეობაზე, მათ რიცხვში ბურჟუაზიაზედაც გავრცელება. სტალინს მოყავს რა ლენინის ზემოაღნიშნული აზრები დემოკრატიის შესახებ, ამბობს ერთ უკანასკნელ სიტყვაში: „აი სწორეთ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების და საბჭოთა დემოკრატიის დანერგვის ეს ფაზა უკვე დაიწყო. ჩვენ უნდა წავიდეთ ამ გზით ფრთხილად, აუჩქარებლად. საბჭოთა დემოკრატიის დანერგვის და საბჭოების გამოცოცხლების ამოცანამ ჩვენ საშუალება უნდა მოგვცეს გარდავქმნათ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, დაუკავშიროთ ის ხალხთა

მასებს, გავხადოთ ის ჯანსაღი, უნაკლო, სადა და იაფი — იმისთვის, რომ შევქმნათ პირობები, რომლებიც აადვილებს პროლეტარიატის დიქტატურის საზოგადოების გადასვლას უსახელმწიფო საზოგადოებაში, კომუნისტურ საზოგადოებაში. ჩვენ გავაფართოვეთ დემოკრატია და მომავალშიდაც რამდენათაც უფრო განტკიცდება ჩვენი საშინაო და საგარეო მდგომარეობა, იმდენათ უფრო გავაფართოებთ დემოკრატიის ფარგლებსო“.

როგორც ვხედავთ ლენინს და სტალინს ფართო დემოკრატია აუცილებელ პირობად მიაჩნიათ პროლეტარიატის დიქტატურის უსახელმწიფო, კომუნისტურ საზოგადოებაში გადასასვლელად. დემოკრატიზმი აუცილებელია სოციალიზმის განსახორციელებლად, „თავისუფლების სამეფოს“ შესაქმნელად.

საბჭოთა დემოკრატია თავისუფალ არჩევნების გარეშე არ არსებობს. ამიტომ არის, რომ ხელისუფლება ყოველივე ზომებს ხმარობს საბჭოებში, კოოპერაციაში, პროფკავშირებში და სხვა ორგანიზაციებში თავისუფალი არჩევნები ჩაატაროს. „ჩვენ უნდა შევცვალოთ პროფორგანიზაციებში არჩევნების სისტემა. თუ ჩვენ ვცდილობთ სოფლად გავატაროთ თავისუფალი არჩევნები, რა საბუთი გვაქვს არ ვენდოთ მუშათა კლასს, რომელმაც თავის ზურგით ატარა შიმშილი, სიცივე, ეპიდემია, სამოქალაქო ომი და ბოლომდე დარჩა საბჭოთა ხელისუფლების ერთგული. ჩვენ უნდა მოვსპოთ პროფორგანიზაციებში სამხედრო კომუნიზმის ნაშთები, შევქმნათ კრიტიკის თავისუფლება, თავისუფალი, ძალდაუტანები არჩევნებიო“ — ამბობს რუსეთის პროფკავშირების ბელადი ტომსკი.

უკანასკნელად ყველგან, როგორც საბჭოებში ისე კოოპერატივებში და პროფკავშირებში წინანდელთან შედარებით არჩევნებში გაცილებით მეტი თავისუფლება იქნა გატარებული, მაგალ. ბაქოს ადგილკომის და ფაბკომების არჩევნებში უარყოფილ იქმნა საარჩევნო კრებებზე სიის წარმოდგენა, არც კომუჯრედს წამოუყენებია თავის კანდიდატები, როგორც ეს წინათ ხდებოდა. კანდიდატებს კრებაზე ასახელებდენ, ხმას პერსონალურად აძლევდენ. ასეთი წესით ჩატარებულმა არჩევნებმა, ბაქოს პროფკავშირთა ხელმძღვანელების განცხადებით, საუცხოვო შედეგი გამოიღო, ადგილკომებში და ფაბკომებში გაცილებით უკეთესი აქტიური, მომზადებული და კულტურული პირები იქნა არჩეული, ვინემ წინათ იყო. კომუნისტების პროცენტიც არჩევნებში არ შემცირებულა.

რამდენათაც საყოველთაო გახდება ბაქოს მაგალითი, იმდენათ უფრო მეტი პირები ჩაებმება საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში, იმდენათ უფრო მეტ ნდობას დაიმსახურებს ხელისუფლება, იმდენათ უფრო გამტკიცდება ის. მაშინ ადგილი აღარ ექნება დღეს არსებულ ინდიფერენტიზმს, მაშინ არავის შეეშინდება თავისუფალ კრიტიკის.

ხელისუფლება ფართო დემოკრატიზმის გარეშე შესდგა, ჩვენ გულწრფელობაზე და საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეო მუშაობაზეა დამოკიდებული საბჭოთა დემოკრატიზმის შემდეგი გაფართოება. და მაშინ კიდევ მეტი გასაქანი მიეცემა მშრომელი ხალხის ინიციატივას, თვითშეგნებას და ეკონომიურად და კულტურულად ამაღლებას, რაც აუცილებელი პირობაა პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ენ.

# აი რატომ უნდა გავხდეთ უკიდურესი რეალისტები

იმ დროს, როცა საქ. მენშევიკები სახელმწიფო მართვა-გამგეობის სადავეს ხელში ვიღებდით, ნოე ჟორდანიამ საჯაროთ გამოსთქვა ის აზრი, რომ ეს ჩვენი უბედურება არისო: „თუ ჩვენ ძალაუფლებას ვიღებთ ხელში ამ ჟამათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ბურჟუაზია ჯერ არ არის მოლონიერებული, მომწიფებული და საკუთარ ძალით არ ძალუძს ქვეყნის მართვაო“...

ჟორდანიას აზრით ძალაუფლების ხელში აღება პროლეტარიატისათვის ნაადრევი იყო.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე — ჩვენ ძალაუფლება ხელში ავიღეთ.

კარგათ იყო თუ ცუდათ სამ წელიწად ნახევარი ოფიციალურად და ფაქტიურად ჩვენ ვიყავით ქვეყნის მმართველ — პატრონი.

შემდეგ?..

შემდეგ მოხდა ის, რომ ძალაუფლება დავკარგეთ.

ჩვენ გავხდით ამით განაწყენი, ჩვენ ამას ვერ შევურიგდით და, სამწუხაროთ, ძალაუფლების დაკარგვასთან — დავკარგეთ სულიერი წონა-სწორობაც. ამას უნდა მიეწეროს ის, რომ ზოგიერთი მუშები დღემდის ბორძიკობენ და ვერ დამდგარან სწორ გზაზე.

მე ამ წერილში მინდა ზოგიერთ ამხანაგებს განუმარტო ჩემი აზრი და შეხედულობა თანამედროვე მდგომარეობაზე და ვფიქრობ, უმრავლესობა ჩვენი ამხანაგებისა ჩემ აზრს იზიარებენ.

მე, რასაკვირველია სახეში არა მყავს ის განდგომილი ამხანაგები, რომლებიც ჩვენს გზას ეჭვით უყურებენ ჩვენგან განზე დგანან.

ჩვენი პარტია საქართველოში — დიდი და გავლენიანი იყო, ამიტომ რასაკვირველია, ჩვენ თავს ვერ მოვიტყუილებთ და ვფიქრობთ, რომ ყველა ჩვენ არ გამოგვყვება, მაგრამ ისიც ვიცით, რომ დიდი უმრავლესობა ჩვენ აზრს და პლატფორმას იზიარებს.

არის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ჩვენთან არ მოდის, ჩვენს აზრს არ იზიარებს. მათ ჩვენ მოვაგონებთ, რომ იმის ასანაზღაურებელ საქმეს, რაც დღეს მსხვერპლი იწირება, ჩვენ ვერ ვხედავთ.

პირდაპირ ვერ გაგვიგია რას სჩადის ეს ხალხი...

ვის იწირება ასე უაზროთ და უეიცათ?!.

საუკეთესო მუშები და გლეხები; ვისთვის ან რისთვის, როდესაც ერის და მშრომელი ხალხის სამსახურისათვის არის დიდი სარბიელი და შესაძლებლობა, — არის ყველა პირობები. და თუ გულწრფელათ ხალხის სამსახური ვინმეს სურს ამ კულტურულ და ეკონომიურ ფრონტზე, ყველას კარი ღია აქვს.

მეორე მხრით ფიქრობ — ალბათ ძალაუფლება გაუტკბათ და მის დასაბრუნებლათ არ ერიდებიან მსხვერპლს. აქ კი ცოტა უნდა შევჩერდე, რადგან ამ ძალაუფლებას თავიდანაც არც ისე სიხარულით ვიღებდით ხელში.

ცოტა თუ თავს ძალას დავატანთ და ჩაუკვირდებით საერთო მდგომარეობას — აი რას გვერბნევა სინამდვილე: ეს არც ისე შორს წარსულში იყო და ალბათ ყველას ახსოვს; 12 მარტს 1919 წელს გაიხსნა საქართველოს რესპ. დამფუძნებელი კრება.

მან შეიმუშავა რესპუბლიკის კონსტიტუცია.

კონსტიტუციის ძალით ყოველ ორ წელიწადში უნდა მოეწვიათ პარლამენტი, ხოლო თვით დამფუძნებელი კრება უნდა დაშლილიყო 1921 წელს—თავის არსებობის ორი წლის თავზე.

პირველი პარლამენტი უნდა მოეწვიათ იმავე წელს—შემოდგომისათვის.

უნდა წარმოვიდგინოთ—თუ პარლამენტი მშვიდობიანათ ჩაატარებდა თავის მუშაობას—შემდეგი არჩევნები მოხდებოდა 23 წელს, ხოლო კიდევ შემდეგი (რიცხვით მესამესი) 25 წელს ე. ი. ამ ხნის განმავლობაში რაც საქართველოში საბჭოთა სისტემა არის მართვა-გამგეობის წესათ შემოღებული—ჩვენ უკვე ორი პარლამენტი უნდა გამოგვეცვალა.

აქ ნუ დაივიწყებთ, რომ რაც მდგომარეობა 21—22 წელში იყო—ის აღარ იყო 23 წელში, ხოლო რაც 23 წ. ის აღარ იყო 24 წელში და რაც 24 წ. იყო—აღარ არის 25 წელში, და არამც თუ წლეობით, თანამედროვე ბობოქრობის ხანაში, მდგომარეობა იცვლება—თვეობით და კვირაობით.

და აი ჩვენ ვხედავთ, რომ მთელს ევროპაში კაპიტალიზმის „სტაბილიზაცია“ მოხდა.

ჩვენი იმედი ევროპაში არამც თუ სოციალისტურ რევოლიუციაზე—არამედ ფართო დემოკრატიზებაც არ გამართლდა.

ევროპის მუშათა კლასი ზანტათ და ზმორვით მიიშმუშნება მომავლისაკენ. რევოლიუციას კი უყვარს სხარტი, ფიცხი და „რისკიანი“ მოქმედება.

და აი რას ვხედავთ:

იტალიაში მეფობს—უგვირგვინო მეფე—ფაშისტი მუსოლინი; ინგლისში დროებითი მუშათა კლასის ალტყინება ჩქარა ჩაიფერფლა; იქ სოციალისტი მაკდონალდი დასცეს და მის ადგილს დღეს კონსერვატორი ამშვენებს.

საფრანგეთში—ერიო ჩამოაგდეს და რესპუბლიკის სადავე გადასცეს პენლევეს.

გერმანიაში—სოც.-დემოკრატ. პრეზიდენტის ადგილს იჭერს მონარქისტი გინდენბურგი და ამას მიუმატეთ—ახალი ცხელ-ცხელი ამბავი: საბერძნეთიდან,—სადაც სამხედრო უწყებამ დემოკრატიული მთავრობა გარეკა და თავის დიქტატურა გამოაცხადა და ცხადი გახდება, რომ ის სანუკვარი მართვა-გამგეობის სადავე—არც ისე ადვილათ შესაჩერებელი ყოფილა.

მე უნდა გაგიტყდეთ—ძაან ვეჭობ, რომ დღემდის ჩვენ ძალა-უფლება შეგვრჩენოდა; არამც თუ ვეჭობ—დარწმუნებულიც ვარ, რომ ევროპის პოლიტიკა ამ კაპიტალიზმის „სტაბილუზაციის“ მოდას ჩვენშიაც გადმოიტანდა.

ამ რიგათ მთავრობაში წამოსკუპდებოდა—კედია, ვეშაპელი, გვაზავა, მაჩაბელ-შალიკაშვილები.

ჩვენ.

ჩვენ რასაკვირველია ოპოზიციაში გადავიდოდით, როგორც ამას მოითხოვს პარლამენტარიზმ-დემოკრატიზმის წესი და „მოდა“.

დღეს კი საქართველოს ბურჟუაზიის მაგიერათ—კომუნისტები უდგანან სათავეში.

ეხლა ისმება კითხვა—ვისთან უფრო ბევრი გვაქვს საერთო,—ჩვენ მუშებს და ქართველ მშრომელ გლეხობას,—კომუნისტებთან თუ ვეშაპელ-შალიკაშვილებთან.

ცხადია კომუნისტებთან; კომუნისტებთან ჩვენ გვაკავშირებს 20 წლის საერთო მტრის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის ისტორია და საერთო კლასიური ინტერესი იმ დროს, როცა ვეშაპელ-შალიკაშვილებთან—კლასიური შეურიგებელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

ამ რიგათ ჩვენ კარგათ უნდა ჩაუკვირდეთ წარსულს და აწმყოს, უნდა დავდგეთ რეალურ სახელმწიფოებრივ გზაზე.

რეალური საქმიანი მუშაობა მოსპობს უნდობლობას—მთავრობასა და ხალხს შორის, გასწმენდს მძიმე ატმოსფერას და მით ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმას; ეს კი მთავარი საქმეა სამშობლოს ეკონომიურათ და კულტურულათ აყვავებისათვის.

აქეთ უნდა იქნეს მიქცეული ჩვენი მთავარი ყურადღება. ვისაც პოლიტიკური და სოციალისტური რწმენა კიდევ შერჩენია, არ უნდა დაავიწყდეს, რომ სოციალიზმისათვის ნიადაგის მომზადების შესაძლებლობა ყველაზე უფრო აქ არის.

ამის ადვილათ დანახვა შეიძლება თუ თვალს არ დავხუჭავთ და გადავხედავთ მთელ რიგ ღირსშესანიშნავ ჯღონისძიებათა—კულტურულ და ეკონომიურ ფრონტზე, რომლებიც დღეს ხორციელდებიან ცხოვრებაში, და რომლებსაც საბჭოთა მთავრობა აქცევს მთავარ ყურადღებას.

ვ. გ—დი

## ჩემი შთაბეჭდილებანი ლეჩხუმის მაზრაში

ლეჩხუმის ამხანაგების მიერ მიწვეული ვიყავი 20 ივნისისათვის ქალაქ ცაგერში ყოფილ მენშევიკების კონფერენციაზე დასაწრებლად.

ქუთაისიდან წავედით მე და გიორგი მეფარიშვილი ცაგერში, სადაც მივედით 19 ივნისს. იმ ღამეს ამხანაგებმა მოგვათავსეს ერთ კერძო ბინაზე, სადაც დიდი თანაგრძნობით შეგვხდნენ ყველა ოჯახის წევრები. 20/VI დილის ექვს საათზე წავედით ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად ცაგერის ახლოს მდებარე ბურის მთაზე ძველ ციხეების დასათვალიერებლად. ამ მთაზე არის გაშენებული სამი ციხე—კოშკი. აქ კოშკებს აქვთ მხოლოდ მესამე სართულში შესასვლელი თითო კარი ამ კარებით შესაძლებელია შესვლა მხოლოდ მისადგმული კიბით. თითქმის ყოველ მხრივ კოშკებს სათოფურები აქვთ. ციხეებს უცნაური სახელები ჰქვიათ: პირველს—„მაგრათ დახვდი“, მეორეს—„ჰკამაგას“ და მესამეს—„არ გაუშვა.“ მართლაც, ეს ციხეები ფრიად სტრატეგიულად არიან გაწყობილი მთის მწვერვალებზე. იმ კოშკს რომელსაც „მაგრად დახვდი“ ჰქვიან თუ გაექცევოდა მტერი, უნდა მეორეს შეხეთქებოდა, ამ უკანანასკნელს გადამწყვეტი როლი ჰქონია დაკისრებული, რაიც მისი სახელწოდებიდან სჩანს: „ჰკა მაგას!“, მესამე ციხე სახელად „არ გაუშვა“ მართლაც ისეთ ადგილზე არის ამ მთის მწვერვალზე, რომ მას ვერ დაემალებოდა დაძლეული და უკუქცეული მტერი. უკუქცევა ყველაზე მოზრდილ კოშკს „ჰკა მაგას“ აქვს ჯერ კიდევ მშვენიერად შენახული წყლის

მარაგის დიდი საკუჭნაო, ციხის წინვე ყოფილა რამოდენიმე ჭური რომლებშიც ალბათ ღვინოს ინახავდნენ მეციხოვნეებისათვის. ამ ციხიდან იშლება დიდებული სანახაობა ცაგერის ქალაქისა და სოფლების, რომლებიც მიმოპნეულან ცხენის წყლის ჭალაზე.

მერე დღეს ცაგერში უნდა გახსნილიყო კრება დელეგატების, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ ლეჩხუმის მაზრის თემებიდან. გაიგეს რა ჩვენი იქ ყოფნა თანდათან იწყეს ჩვენთან მოსვლა გლეხებმა და ინტელიგენციამ. ყველა ერთსა და იმავე შემოგვჩიოდნენ, რომ ლეჩხუმის მაზრა იჩაგრება უგზოობით და, რომ გლეხის ნაწარმოებს არ აქვს ფასი, რადგან მისი თუნდ ქალაქ ქუთაისის ბაზარზეც გატანა შეუძლებელი ხდება უგზოობის გამო. გარდა ამისა, დიდი მადლიერი არიან ეხლანდელ ხელისუფლის—გორგასლიძის და ჭაბუკიანის, რომელთა სამართლიან და ადამიანურ მოპყრობას, საერთოთ ხალხისადმი დიდი ნდობა და სიყვარული დაუმსახურებია. წყევლა კრულვით იხსენიებენ მათ წინ მყოფ ადგილობრივ ხელისუფალთ, რომელთა მოქმედება თურმე უფსკრულსა თხრიდა ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ისინი იყვნენ-ამბობენ გლეხები—მხოლოდ ლოთები, ხალხის შემაწუხებელნი და ქალებზე მონადირენი, ამიტომაც მათი რიცხვიდან მთავრობას ხუთამდი კიდეც დაუხვრეტია მათი საზიზღარი მოქმედებისათვის. ამ აქტს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ხალხში.

21/VI 5 საათზე ადგილობრივ ტეატრში გაიმართა ქალაქ ცაგერის და მის მახლობელ სოფლების საერთო კრება, სადაც გაკეთებული იქნა მოხსენება **„აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანა“**. დარბაზი ერთობ დიდია, შიგ ტევა აღარ იყო და მიუხედავათ ძლიერი სიცხისა, ხალხი გულ დასმით უსმენდა მომხსენებელს. ოცამდე გლეხმა მოისურვა მოხსენების ირგვლივ ლაპარაკი. მეტი წილი მოლაპარაკეთა იყვნენ სვანები და უნდა აღინიშნოს, რომ მათმა გამოსვლამ მოლოდინს გადააჭარბა; მე მეგონა მათ ნალაპარაკებს ვერ გავიგებთ, კრებას დიგვიმძიმებენ, მაგრამ მათმა გამოსვლამ პირდაპირ აღტაცებაში მოიყვანა. ღრმა ქართული, გაუწყვეტი სიტყვის ძაფი, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიწრფელე და ნამდვილი რაინდული აღელვება, სხვადასხვა ტრაღიკული მომენტების დახასიათება ღნიშვნის დროს აი ძველი ტიპი, ჯერ კიდევ წმინდათ შენახული ქართველი ხალხი. ისინი გაბედულათ ენა შეუბორძიკებლად აღნიშნავდნენ სასტიკს და თავგანწირულ ბრძოლას ოთხი წლის განმავლობაში ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რის გამო ეხლა დიდს სინანულს გამოსთქვამენ.

ჩვენ ეხლა გავიგეთ—ამბობდენ ორატორი სვანები, რომ ხელისუფლება მუშურ-გლეხური ხელისუფლებაა და ჩვენ ქვემო სვანები ყველა მუშები და თავისუფლების მოყვარული გლეხები ვართ და თუ აძდენხანს გაუგებრობით ვიბრძოდით ხელისუფლების წინააღმდეგ, დღეის შემდეგ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ვიბრძოლებთ ისევე თავგამოდებით ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასაცავათ.

გემდურით ტიბილისის მუშებს, რომ თავის დროზე არ გარკვეულხართ სინამდვილეში და ჩვენც არ გაგვირკვევიხართ, ამას კი შედეგად მოჰყვა აგვისტოს უბედური დღეები. ჩვენ სალი კლდეებითა ვართ გარშემორტყმული, უგზოობის გამო კარჩაკეტილები ქალაქების ყოველ დღიურ ცხოვრებას ვერ ვეცნობით, მუდამ სიბნელეში ვრჩებით და ყურადღებას კი არავინ გვაქცევს, არ გვაქცევდა ყურადღებას ჩვენი ბატონების მეთაური ნიკოლოზი, რომელსაც მონობაში უნდოდა ვყოლოდით, ვერაფერი გაგვიკეთა მენშევიკურმა მთავრობამ და ჯერ არც ამ ხელისუფლებისაგან არის გადადგმული გზის გაკეთების შესახებ რამე ნაბიჯი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეხლა მაინც მოგვაქცევენ ყურადღებას და ხონი—ცაგერი ლაშხეთის მიმართულებით გაიყვანენ რკინის გზას, რაც ჩვენთვისაც და თვით სახელმწიფოსათვისაც დიდი სიკეთე და სახეირო იქნება. ეს გზა იქნება დიდი შემოსავლიანი. ჩვენში და ზემო სვანეთში უამრავი ძვირფასი მადნეულობა არის სვანეთში არის დიდი მთები სავსე ტყვია-ვერცხლით, სპილენძით ოქროთი და გრაფიტით.

აი დაახლოვებით ყველა სვანების სიტყვების შინაარსი და უნდა ითქვას, რომ არ იყო საჭირო ყოფილიყავი ფსიხოლოგი გაგეგო და გეგრძნო მათი გულის სიღრმიდან ამონახეთქი გულწრფელი სიტყვები, რაც სრული თავდებია მისი, რომ ეს ხალხი საუკეთესო თავ-განწირული დამცველი იქნება ხელისუფლების და თავისი გულწრფელი სიგმირით მაგალითის მიმცემი სხვებისათვის, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ ხმას. აუცილებლად უნდა გაყვანილი იქნეს რკინის გზა ელექტროფიკაციის საშვალებით, რადგან ამ მხარეს იმდენი თეთრი ნახშირის მომცემი მდინარეები ქონია თავის წყალვარდნილებით (ცხენის წყალიც რომ არ ვიანგარიშოთ), რომ არამც თუ ეყოფა ხონიდან ზემო სვანეთამდე აამოძრავოს რკინის გზა, არამედ სხვა საჭიროებისათვისაც გამოიყენოთ, როგორიცაა მაგალითად: ყველა ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებთა სახლების განათება-გათბობა და აქაური მადნეულობის გადამუშავება.

შემდეგ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია გამოტანილი, რომელიც წარმოდგენილი იქნა ერთ-ერთ სვან მასწავლებლის მიერ.

მეორე დღეს, შევქმენით რა სამაზრო ქვეკომისია და თემთა რწმუნებულები, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს სამაზრო მუშაობას, ჩვენ ვაპირებდით კვლავ უკანვე დაბრუნებას, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლების წინადადებით და კონფერენციის წევრების თხოვნით გადავწყვიტეთ ჩამოგვევლო ყველა თემები და რაიონები. პირველად გავედით ქვემო სვანეთისაკენ ვიწრო ბილიკიანი გზებით. მეოთხედი გზა მაინც ფეხით ვიარეთ, ვინაიდან ცხენით სიარული შეუჩვეველი კაცისთვის შეუძლებელია. ქვეითათაც დიდის სიფრთხილით მივდიოდით, ერთი ფეხი რომ გადაგვცდენოდა, უფსკრულს მივცემდით თავს. ამნაირათ ავედით-თემ ლენტეხში, სადაც დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და მოუთმენლად გველოდნენ. აქ გავაკეთეთ მოხსენება, მიიღეს შესაფერი რეზოლიუცია. მეორე დღეს ისევ იმ ვიწრო გზით მივედით ჩოლურში. იქაც აგვისტოს შესახებ მოხსენება და რეზოლიუცია. აქაც აღნიშნეს ზოგიერთი არამზადების შესახებ, რომლებიც წინათაც ხალხსა სძულდა და ეხლა შურს იძიებენ და ათასნაირ პროვოკაციას აწყობენ, რომ არ მისცენ ხალხს საშვალება ხელისუფლებასთან დაახლოვებისათვის.

იმ საღამოსვე ავედით ლაშხეთის თემში სადაც დანიშნული იყო მეორე დღისათვის დიდი კრება მთელი რაიონისა. ღამე გავათიეთ ამხანაგ არსენ ონიანთან, რომლის ოჯახი მხოლოდ ადამიანთა და სტუმართ-მოყვარეთ დაუჩენია ბუნებას. ეს არსენი და ახალგაზრდა გრიშა ქურასპეტიანი, თითქმის ყველა სვანს უყვარს—პირველი,

როგორც საზოგადო უანგარო პატიოსანი მოღვაწე და მეორე, როგორც გმირი ვაჟკაცი და ხალხისათვის პატიოსანი თავდადებული მებრძოლი. სვანებს არ სცოდნიათ მარტო ხნოვანობით პატივის-ცემა. მათთვის პატივსაცემია და სათაყვანებელი ყველა ის, ვინც საქმით დაანახვებს, რომ ის ხალხისათვის სინიდისიერი და ერთგული თავდადებული მოამაგეა.

სვანებს თავი მოაქვთ და აღტაცებაში მოდიან ახალგაზრდის მიღწევებით, ის მათი საყვარელი არსებაა. ასეთია მოხუცი არსენი ონიანი და ახალგაზრდა გრიშა ქურასპეტინი.

23/VII დილას ჩვენ ავედით აღმასკომის შენობის გვერდით მდგომ ეკლესიის გალავანში. ამ ძველი-ძველ ეკლესიას ქონია ერთი კარი სიმაღლით ორ არშინ ნახევარი და სიგანით ოც ვერშოკამდე. ეს კარი ამბობენ გლეხები—იყო ვაზის მთლიანი ხისაგან გაკეთებული და ზედ შესანიშნავი ძველი მხატვრობა - ჩუქურთმები იყო დახატულიო, ის ჩამოილო მოტყუებით ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშევმა და წაიღო ვითომდა გადასახატავად და შემდეგ უნდა დაებრუნებიათ, მაგრამ არ დააბრუნაო და აი მას აქეთ სვანები ისე დაშინებულან, რომ არავის თურმე არ უშვებენ ეკლესიის შიგნით სიძველეთა დასათვალიერებლათ. სწორეთ ასეთივე კარი აქვს მეორე ეკლესიას უკანასკნელის მხატვრობას განცვიფრებაში მოყავს განათლებული პირები, რომლებიც ძლიერ ხშირად მოგზაურობენ სვანეთში მეცნიერული მიზნით.

დღის თერთმეტ საათზე გავხსენით მრავალრიცხოვანი კრება ეკლესიის ეზოში ვეებერთელა ასწლოვან ცაცხვის ძირში, რომელსაც ნახევარ ქცევა სივრცეზე მეტი უკავია თავის გადაშლილ ტოტებით. მოხსენებამ აგვისტოს გამოსვლების შესახებ აქაც დიდი ინტერესი გამოიწვია. მათ განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა როცა დარწმუნდნენ მასში, რომ რევოლიუციის მონაპოვარი შენარჩუნებულია ბოლშევიკების თავგანწირულ ბრძოლის მეოხებით, რომ ისინი სდევნიან ფეოდალებს, რომლის ნაშთიც სვანეთში თურმე 1918 წლამდი ყოფილა. ისინიც გამოთქვამდნენ სამდურავს, რატომ ამდენ ხანს არ ამოიღეთ ხმა და არ გაგვაგებინეთ ნამდვილი მდგომარეობა, რათ შევაწყდით ერთურთს ორი მოძმე პარტია. და ახლა კი ძლიერ მოხარული ვართ რომ ეს ორი მოძმე პარტიები კვლავ ერთდებიან და წითელი დროშის ქვეშ დგებიანო. აქ ქონდა ადგილი ერთ საჩივარს 14/VII, ერთმანდილოსანს გაბიანის ოჯახიდან ყანაში დაეჭირა გაბიანებისავე ცხენები. ცხენების პატრონები კომპარტიის კანდიდატები, მიხტომია ამ ოჯახს ჩაუმტვრევიათ სახლის ფანჯრები, უცემიათ მოხუც დედაბრისათვის და დაუჭრიათ რევოლვერით მოხუცი კაცი, დაუჭრიათ აგრეთვე ოჯახის ვაჟი. აღმასკომის თავმჯდომარემ გვითხრა, რომ ყოველივე ეს მართალია. შევაყენე ოქმი და გაუგზავნე ბოლურში რაიმილიციის უფროსს და ის ჯერაც არ ამოსულაო. ჯერ არც ექიმი არის მოსული და დაჭრილ ნაცემები განიცდიან მწარე მდგომარეობასო, ამბობდა ხალხი აღელვებული. ჩვენ დავამშვიდეთ ხალხი და დავპირდით, რომ ყველაფერს გადავცემდით ცაგერის ადმინისტრაციას, რომლის მხრივ იქნება მიღებული ზომებითქო.

მეორე დილას ჩვენ ვინახულეთ ლაშხეთის მჟავე წყალი, რომელიც გაცილებით სასიამოვნო დასალევია ვინემ ბორჯომის წყალი, წყალი უხდება კუჭისა და ნერვების ჯანმრთელობასო ამბობენ ისინი და აქ ყოველ წლობით მიუხედავათ საძაგელი გზისა ამოდიან მრავალი მოაგარაკენი. ამ წყლის მახლობლად არის მშვენიერი საагარაკო ადგილი საცა უკვე აშენებენ რამოდენიმე აგარაკს. მახლობლად კი შესანიშნავ სურნელებას ფენს ძვირფასი ნაძვნარის ტყე.

თუ აქ გზა გავიდა და ისიც რკინის გზა, ამ აგარაკს მოელის დიდი მომავალი, მით უმეტეს ამ მჟავე ძვირფას წყალს.

(შემდეგი იქნება)

ლ. კუპრაშვილი.

---

# ამხ. ძამანაშვილის მოხსენება ტრამვაის ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა კრებაზე

ივნისს ძამანაშვილმა გააკეთა მოხსენება ტრამვაის ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა კრებაზე შესახებ კომისიის მოლაპარაკებისა რუსეთში გადასახლებულ პოლიტიკურებთან. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

თბილისის ტრამვაის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა საერთო კრებამ მოისმინა რა ამხ. ძამანაშვილის მოხსენება მუშათა კომისიის რუსეთში გადასახლებულებთან წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მას შეუსრულებია, ტრამვაის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა მასსის დავალების თანახმათ დაადგინა: მუშათა კომისიას მისთვის მიცემული დავალება შეუსრულებია დამაკმაყოფილებლათ. ის შედეგები რომელიც მოუცია მუშათა კომისიის მიერ გადასახლებულებთან წარმოებულ მოლაპარაკებას, ერთხელ კიდევ ადასტურებს 7 ოქტომბრის მუშათა კრებაზედ მიღებულ რეზოლიუციის მიზანშეწონილობას და პოლიტიკურ სისწორეს. ამასთანავე კრება აღფრთოვანებით ხვდება ცნობას გადასახლებულთა უმრავლესობის სამშობლოში დაბრუნების შესახებ—იმ რწმენით, რომ რამდენიმე—ათეული ძველი გამოცდილი და პატიოსანი მუშაკი მიეცემა მშვიდობიან შემოქმედებით მუშაობას საქართველოს მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოთ არსებულ პირობების ნიადაგზე. ეხება რა საზღვარ გარეთის ემიგრაციის პოლიტიკას, რომელსაც მეთაურობს ნოე ჟორდანია—კრება კიდევ ერთხელ კატეგორიულათ ხაზგასმით აღიარებს, რომ ეს პოლიტიკა არის ძველი 1921 წლიდან დაწყებულ პოლიტიკის გაგრძელება რომელმაც უკვე მოუტანა წარსულში და შეუძლიან მოუტანოს მომავალშიც მრავალი ტანჯვა და უმიზნო მსხვერპლი ქართველ ერს.

კრება მიღებულათ აღიარებს სუზდალის საპატიმროში მჯდომ მენშევიკების მიერ მუშათა კომისიასთან მო-

ლაპარაკების შედეგათ მიღებულ რეზოლიუციას და სთვლის, რომ ეს რეზოლიუცია განმეორებაა მათი ძველი თვისების.

რაც შეეხება ყოფილ მენშევიკთა და სხვა პარტიების ყოფილ წევრთა იმ ჯგუფს რომელნიც ერთი მხრით თითქოს სდგებიან საბჭოთა პლათფორმაზედ და იზიარებენ მუშათა კომისიის მიერ არჩეულ გზას, მაგრამ, მეორე მხრით, ამ თავის შეხედულებას უკავშირებენ ისეთ პირობებს, რომელიც მათ პოლიტიკურ ხაზსს უფრო ანათესავებს ემიგრაციის პოლიტიკასთან.

კრება ერთხელ კიდევ მოუწოდებს მათ გარკვევით და საბოლოვოთ კვლავ გადასინჯონ თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და გვერდში ამოუდგნენ საქართველოს მუშათა და გლეხთა უმრავლესობას მის მიერ საბჭოთა წყობილებისადმი არჩეულ ახალ გზის გატარებაში.

პრეზიდუმი.

# საჭიროა დაგმობა

სოციალისტური იდეები, მისი მიზნები და მისწრაფებები ჩვენ ჲვასწავლიან, რომ მთელი ქვეყნის ჩაგრული და მშრომელი მოსახლეობა ერთი-მეორეს დაუკავშიროთ და შევქნათ ქვეყანაზე ისეთი პირობები, სადაც არ იყოს ჩაგვრა და მონობა და დამყარდეს ძმობა ერთობა და ყველა ხალხებს-შორის სოლიდარობა. აი რას გვეუბნება და გვასწავლის მარქსიზმი.

ვისაც ეს ასე სწამს, ვისაც სწამს მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის ერთი დროშის ქვეშ დაყენება და გაერთიანება, ის ყოველთვის უნდა ებრძოდეს ისეთ მოვლენებს, როგორიც არის კუთხური შენ-ჩემობა.

გურული და იმერელი, ქვემოური და ზემოური—მე მახსოვს 1904-1905 წლებში ქ. ფოთში და მის ახლო რაიონებში ძალიან იჩინა თავი გურულ მეგრელობამ. უმთავრესათ ფოთში გურულ მეგრელობის წარმომშობი მიზეზი იყო გურულ-მეგრელებში ბურთის თამაში, ეს ორი კუთხის მეზობლები ბურთის თამაშის დროს იყოფოდენ ორ ჯგუფათ: გურულები და იმერლები ერთად იყვნენ და მეგრელები და თუ სადმე იყო აბხაზები კიდევ ერთად. აი ეს ბურთი თამაშიდგან შექმნილი გურულ მეგრელობა განვითარდა ისე, რომ სამუშევრებზედაც გურულ-მეგრელობა შემოიღეს და საქმე ხშირად ამ ორ მეზობლებს შორის ჩხუბითა და კაცისკვლით თავდებოდა. ეს იყო ის ხანა, როცა განმანთავისუფლებელი მოძრაობა იდგამდა ფეხს, შეგნებულმა პირებმა მათი ამ საქმეში დროზე ჩარევით ლიკვიდაცია უყო ამ უაზრო და მტრის გასახარელ მოძმეთა შორის შეუგნებელ და გაუგებარ შურს და მტრობას. მას შემდეგ კიდევ რამოდენიმე წელს გაიგონებდით გურულ მეგრელობაზე, მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობის თანდათან განვითარებამ ხალხი და მუშათა კლასი ერთი მეორეს დაუკავშირა და დღეს როგორც ვიცით, ყველა მეგრელი და გურული სირცხვილობს იმ დროის მოგონებაზე. მაგრამ თუ ეს იყო ფოთში იმ დროს, სამაგიეროთ ისეთი სიმწვავით არა მარა ისე შინაური მითქმა მოთქმით და კუთხური შენ ჩემობით ეს არის დღეს შავი ქვის სამეფოში ქ. ჭიათურაში. აქაური ხალხის ერთ ერთ ნაწილს პირდაპირ ვერ მოუნელებია ქვემოური ხალხის აქ ცხოვრება და არსებობა.

დღეს ყველას მოეხსენება რომ უმუშავრობა თანდათან ვითარდება, მართალია ხელისუფლება ცდილობს შექმნას სამუშევრები და ვფიქრობ ახლო მომავალში ბევრი სხვადასხვა სახის სამუშევრები მოეწყობა და ბევრი უმუშევარი იშოვნის საქმეს, მარა გარწმუნებთ რომ სულ უმუშევრობის აღმოფხვრა შეუძლებელი იქნება და სანამ ასეთი მდგომარეობა იქნება, მანამ არამც თუ გურიიდგან, სამეგრელოდგან, ქვემო იმერეთიდგან, არამედ სხვა რესპუბლიკებიდგანაც კი მოვლენ ბედის საძიებლათ გაჭირვებული ხალხი. მოსულები უფრო მძიან ნაცნობებთან, მეგობრებთან, მათი სოფლის ან მაზრის ხალხთან და მათ აწუხებენ რათა სადმე საქმე უშოვნონ მარა ამას ზოგიერთები სხვა სახელით ნათლავენ და ხალხში აღვივებენ შურს, მტრობას და ქიშპობას. საჭიროა შევიგნოთ, რომ ჩვენ მოვალე ვართ ყველა გაჭირვებულის ინტერესები დავიცვათ, უნდა მოვეხმაროთ მათ, ამას გვეუბნება ჩვენი ბუნება ანუ მარქსისზმი.

საჭიროა ამ სამარცხვინო კუთხურ შენ ჩემობას ბოლო მოეღოს და ვინც ხელს უწყობს მის განვითარებას აილაგმოს.

უდაბნოელი.

# საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი

**სამკურნალო წყლები და კურორტები.**

III.

ამა თუ იმ სახელმწიფოს ერთი უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოდგენს სამკურნალო წყლები და საზაფხულოდ დასასვენებელი ადგილები, ანუ კურორტები. ასეთი წყლებით და ასეთი ადგილებით მეტად მდიდარია მაგ., ავსტრია, იტალია, შვეიცარია, ყირიმი, თერგის ოლქი და სხვ.

ასეთი სამკურნალო წყლებით, ტალახებით და კურორტებით მეტად მდიდარია ჩვენი საქართველოც. მაგრამ როცა სხვა ქვეყნებში ათეული და ასეული მილიონებია დახარჯული სამკურნალო წყლებისა და კურორტების მოსაწყობათ, საუკეთესო აბანოების, საბანაოების და სასტუმროების ასაგებათ, გზატკეცილებისა და რკინის გზების გასაყვანად, მიმოსვლისა და სანოვაგის შოვნის გასაადვილებლად და სხ., ჩვენში, გარდა ბორჯომ-აბასთუმანისა, მახინჯაურისა, ქობულეთისა, სოხუმ-გელრიპშისა და გაგრისა, დანარჩენი სამკურნალო წყლები და საკურორტო ადგილები, თითქმის პირველყოფილ მდგომარეობაშია და მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ ზრუნვასა და ყურადღებას.

მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნულ ქვეყნებში კარგათ მოწყობილი სამკურნალო წყლები და კურორტები არამც თუ აკმაყოფილებენ ადგილობრივ მოთხოვნილებებს, არამედ იზიდავენ ასიათასობით უცხოელ ფულიანებს, რომლებიც სტოვებენ ყოველ წლობით ამა თუ იმ ქვეყანაში მილიონებს და ათეულ მილიონ მანეთებს, ამავე დროს ჩვენი კურორტები თავის პრიმიტივობით და მოუწყობლობით ვერც კი აკმაყოფილებენ ადგილობრივ მოთხოვნილებას.

ამ ჟამად შვეიცარიის პაწია არეზე, მის ვიწრო ხეობებში, მთების ფერდებზე და ტბების პირად პაწაწა ველებზე, მშვენივრად და კმაყოფილად ცხოვრობს თითქმის ხუთი მილიონი მაღალ კულტურული ხალხი. მათი კოპწია სოფლები და ქალაქები მომხიბლავათ ჩასცქერიან ფირუზა, სარკოვან ლემანს, ბაზელას, ნეკვატელის და ციურიხის ტბებს ან და მერცხლის ბუდესავით შეფარებია თვალუწვდენ კლდეებს და ფრიალოებს. მათი საუცხოოდ დამუშავებული პაწია ბაღ-ვენახები, ბოსტნები და ყანა-სათიბები ხიბლავენ ადამიანის თვალსა და გულს, მათი სუფთა გზატკეცილები ხეხილის ხეივნების არშია მოვლებული, მათი რკინის გზები, ჰიდრო-ელექტროს სადგურები და სარწყავი არხები ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვაა და ყოველივე ამას შვეიცარიელმა მიაღწია მედგარი შრომით და საარაკო ბეჯითობა-მუყაითობით. მაგრამ შვეიცარიის მცხოვრებთ ვერ გამოკვებავდა ვერც მათი პაწია ყანავენახები და ბაღ-ბოსტნები, ვერც ელექტრო-სადგურები და მისგან წარმოშობილი ინდუსტრია, ვერც ალპიური იალაღები, მერძეობა და განთქმული ყველი, რომ მათ მთავარი ყურადღება არ მიექციათ თვით მშვენიერ ბუნებაზე და არ მოეწყოთ ფართოდ დასასვენებელი და სამკურნალო ადგილები, ე. ი. კურორტები, რომელთაც დღეს მსოფლიო სახელი აქვთ გავარდნილი და რომლებიც იზიდავენ ზაფხულობით ასიათასობით მდიდარ ევროპიელთ, ამერიკელთ დაატოვებინებენ რამდენიმე ათეულ მილიონ ფრანკს.

ოდესღაც მეც ვყოფილვარ ამ ტურფა ქვეყანაში, დამივლია შვეიცარიის მეტი ნაწილი და თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ბუნების სიმშვენიერით და ჰაერ კეთილებით საქართველოს ზოგიერთი კუთხეები ბევრად სჯობია შვეიცარიის განთქმულ კურორტებს, და თუ შვეიცარიას ამკობენ მისი ანკარა ტბები, პაწია გემებით მოსილნი და ალპიური მცენარენი, ჩვენს ტურფა სამშობლოს კიდევ უფრო ამკობენ მაღალი მთები, უზარმაზარი კლდეები, ულრანი ტყეები, ფართო, ზურმუხტა ველები, შავი ზღვის ფირუზოვანი მკერდი, ვრცელი უუმშვენიერესი რივიერა და ტროპიული მცენარეები, ე. ი. ჩაის პლანტაციები, პალმები, ბამბუკი, პალმისტები, დაფნა, ლიმონები, მანდარინები, კაკტუსი, ბანანი, აზალიები, კამელები და სხვა და სხვა. თუ შვეიცარიაში მარტოოდენ მთებია, კლდე-ნაპრალები, ცისფერი ტბები და ალპიური ბუნება, საქართველოში კი უსსერ ტყეებით დაბურულ მთებთა და კლდე-ჩანჩქარებთან ერთად გაშლილი ფართო ველებია, ზღვით მოქარგული და პლაჟით შემკული რივიერა თავის ფერადა ტროპიული ბუნებით. თუ იქ, შვეიცარიაში სუბუქი ჰავაა და მაცოცხლებელი ოზონი, აქ ჩვენში მთის ოზონთან ერთად შეზავებულია ზღვის რადიო-ემანაცია, რასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მეტადრე კი ჭლექიანთა აქიმობისათვის.

ამიტომ ჩვენს აბასთუმანს, სოხუმს, გაგრას და გულირიპშს ვერ შეედრება ვერც განთქმული დავოსი და ვერც კიდევ უფრო განთქმული ნიცა და სანრემო.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის უპირატესობა ამით არ თავდება.

ჩვენ გვაქვს ისეთი სამკურნალო წყლები და ტალახები, რომელთა მგზავსი იშვიათად მოიპოება სხვა ქვეყნებში. ასეთებია მაგ., თბილისის და აბასთუმნის განთქმული გოგირდის აბანოები, წყალტუბოს ფრიად შესანიშნავი სამკურნალო წყალი, რომლის რადიო აქტიობა აღწევს 54 პროც.-დე და რომლის დღიური დებეტი აღემატება 1.200.000 ვედროს, ბორჯომის, წაღვერის, ეწეროს ნახშირ-მჟავა და რკინა ნარევი წყლები, საირმეს და ახტალას ტალახები, ზეკარის და ციხისჯვარის აბანოები და სხ. და სხ., რომელთა ჩამოთვლა აქ შორს წაგვიყვანს. მიუვალი სვანეთი, ზემო რაჭა და ზემო იმერეთი, წარმოადგენენ ბუნების სიმშვენიერესთან ერთად ათასგვარ სამკურნალო წყლების უშრეტ აუზებს და კურორტების არეს.

მარტო წყალტუბოს თავის სამკურნალო წყლის უსაზღვრო დებეტით და მეტადრე რადიო აქტიობით, შეუძლია მიიქციოს კულტურულ ხალხების ყურადღება და ადვილად გადიქცეს მსოფლიო აბანო-კურორტად, ამ რიგათ მოგვცეს ყოველ წლობით ათეული მილიონები, რომ იგი იყოს ევროპიულად ცნობილი და მოწყობილი. მაგრამ არამც თუ შევძელით მისი რიგიანად მოწყობა, უბრალო გზატკეცილიც კი ვერ გავიყვანეთ ქუთაისიდან წყალტუბომდე, ე. ი. რაღაც 12 ვერსის მანძილზე...

ჩვენ აქ არ შევჩერდებით არც აჭარა-აფხაზეთის ვრცელ რივიერაზე, რომლის სიტურფეს ვერ ასწერს ენა, არ შევჩერდებით არც მათ—გორიან საზაფხულო კურორტებზე, როგორიცაა ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოები, მშვენიერი წაღვერით, ცემით, მზეთა-მზეთი, სოფ. ტბით, სადგურით, ლიბანით და თვით ბაკურიანით, ბახმარო და ნაგომარი, შოუ ნიკორწმინდა და ეწერა, ხრესელი, ლაილაში და სხვა მრავალი ადგილები, რომლებითაც ისე უხვია ჩვენი საქართველო. ამათი ჩამოთვლა და აწერა მეტად შორს წაგვიყვანს. ვიტყვი მხოლოდ, რომ შეგვეძლოს ყველა ადგილების და სამკურნალო წყლების შესაფერად მოწყობა და მათი ღირსების გავრცელება საბჭოთა ფარგლებში და საზღვარ-გარეთ, ჩვენ მოგვაწყდებოდა სამკურნალოთ და დასასვენებლად უცხო ქვეყნებიდან აუარება ხალხი და მით დიდი ნივთიერი წარმატება მიეცემოდა როგორც სახელმწიფო სალაროს, ისე მცხოვრებთ; ეს იქნებოდა ერთი უუდიდესი წყარო ჩვენი შემოსავლისა.

მაგრამ ამ დიდ საქმეს ეჭირვება ბევრი დრო და დიდი თანხები, რაც ჩვენ სამწუხაროდ არ მოგვეპოება ამ ჟამად, თუ ჩვენ ამ დარგში, ე. ი. კურორტების მოწყობაში მეტად ჩამოვრჩით განათლებულ ევროპას, ამის მიზეზი მრავალია, უმთავრესად კი ჩვენი შავბნელი ისტორიული წარსული მეცამეტე საუკუნიდან და ბოლოს 117 წლის რუსის ცარიზმის მძიმე უღელი, რამაც დასეტყვა ჩვენში ყველაფერი, შეაჩერა ქართული ერის წინსვლა, თავისუფალი ცხოვრება და აქცია საქართველო უბრალო კოლონიად.

დღეს, საქართველოს გასაბჭოების ხანაში ყურადღება მიექცა როგორც საერთოდ მეურნეობა-მრეწველობის ყველა დარგებს, ისე კერძოთ კურორტებს; დაარსდა ჯანმრთელობის კომისარიატი, რომლის ერთ მთავარ გან-

ყოფილებათ იქცა საკურორტო სამმართველო. ეს უკანასკნელი შეუდგა აგარაკების მუნიციპალიზაციას, კურორტების მოწყობას, დასვენების და აქიმობის მოწესრიგებას, მაგრამ უსახსრობის გამო ბევრს ვერაფერს გასდა.

ჩვენის აზრით. ასეთი მძიმე აპარატი, როგორიც საკურორტო სამმართველოა, ვერ მიუდგება ნაყოფიერად ასეთ სათუთს და ელისტიურ დარგს, როგორც კურორტების მოწყობაა და მათი დაყენება კომერციულ ნიადაგზე. აქ შესაფერ ცოდნასთან და კაპიტალთან ერთად საჭიროა კერძო თაოსნობა, კერძო ინიციატივა პირველ ხანებში მაინც. ამიტომ კარგს ინებებდა ჩვენი მთავრობა და კერძოთ საკურორტო სამმართველო, თუ გასცემდა კონცესიით ზოგიერთ სამკურნალო წყლებს და საკურორტო ადგილებს, მაგ., წყალტუბოს და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონს, რომლებიც უცხოეთის კაპიტალს, ცოდნა-გამოცდილებას, უნარს და ტეხნიკას, შეუძლია აქციოს პირველი უუდიდეს ბალნეოლოგიურ სადგურად, მეორენი კი პირველ ხარისხოვან კურორტებათ, რომლებიც გახდებიან სახელმწიფო სალაროსთვის დიდ შემოსავლიან წყაროდ.

ერთი სიტყვით ბუნებას უხვად დაუბერტყია ჩვენთვის თავის სიმდიდრესი, ჩვენ კი დღემდე ვერ შევძელით მათი გამოყენება ჩვენს საკეთილდღეოთ, ამის მთავარი მიზეზია, როგორც ჩვენი უფულობა, ისე უმთავრესად ჩვენი კულტურული და ტეხნიკური ჩამორჩენა.

**ს. ქვარიანი.**

---

# პრესის მაგიერ

## ჩინეთის ნაციონალური მოძრაობა და საბჭოთა კავშირი*)

მსოფლიოს ყურადღებას დღეს ჩინეთისა და მაროკკოს ამბები იპყრობენ. ამ ერების მოძრაობაში ბევრი რამ ისეთი ელემენტია შერეული, რასაც შეუძლია გადამჭრელი როლი ითამაშოს მსოფლიოს ახალ ისტორიაში.

ერთა თვითგამორკვევის და ეროვნული თავისუფლებისადმი ლტოლვა ისეთი ძლიერი ფაქტორი შეიქნა თანამედროვე ურთიერთობაში, რომ მისი გვერდის ავლა ან მიჩქმალვა, ვისგანაც არ უნდა იყოს ის, შეუძლებელი ხდება.

ბაზრებისათვის და აღმოსავლეთში გეგემონიისათვის ბრძოლას წინ გადაელობა ნაციონალური მომენტი. აზიაში, დიდი ხნის ბატონობის და ჩაგვრის შემდეგ, წამოიჭრა კითხვა: აზია ევროპის გეგემონიის ქვეშ, აზია კოლონიათ, თუ თავისუფლება ერების, აზია აზიელებისათვის?! აი პრობლემა დღევანდელი დღის.

ეს კითხვა შეიძლება დროებით გადაიჭრას დაჩაგრულ ერების სასარგებლოთ, მაგრამ ყოველთვის წამოიჭრება ის და გამოიწვევს სისხლის ღვრას, მსოფლიოს რყევას სანამ სასურველ დაკმაყოფილებას არ იპოვის.

მშრომელი მასების სიმპატიები ყოველთვის იქითკენ იქნება ვინც გულწრფელათ გამოექომაგება სუსტი ერის ინტერესებს.

ევროპა ოფლს იწმენდს როგორმე შეინარჩუნოს აღმოსავლეთში ძველი პოზიციები. მიზნის მისაღწევათ ის არ ერიდება არავითარ ინტრიგებს და ფულის ხარჯს. ომს რამოდენიმეთ უფრთხის, საამისო ზურგი არა აქვს შიგნიდან გამაგრებული.

ევროპის იმპერიალიზმის. თავგამოდებული მოწინაალმდეგე აღმოსავლეთში მეტოქე დღეს საბჭოთა კავშირია. ამას კარგათ გრძნობს და ხედავს დასავლეთი. ამას არც საბჭოთა ხელისუფლება მალავს.

ამიტომ არის, რომ ევროპის ოფიციალური პრესა ყოველ მოძრაობას, როგორი ხასიათის და სადაც არ უნდა იყოს ის, ყოველ გაფიცვას ან შეტაკებას, აუცილებლათ საბჭოთა კავშირის ინტრიგებს და ოქროს სცდილობს მიაწეროს, ან კომინტერნის არალეგალურ მუშაობას დაუკავშიროს.

ერთი შეხედვით ევროპის სახელმწიფოების ბურჟუაზიული პრესა ამ ამბებს სხვა და სხვა ნაირათ აფასებს, მასში საბჭოთა კავშირის როლს სხვა და სხვანაირად ხსნიან, მაგრამ ერთი აზრი წითელი ზოლივით გასდევს ყველას — ეს არის უკმაყოფილება საბჭოთა კავშირით და მისი პოლიტიკით.

ინგლისის კონსერვატორების პრესა მუქარას ითვლევინება. გასულ კვირაში გაზეთები „დეილი მეილი“ და „მორინგ პოსტ“ პირდაპირ მოითხოვდენ, რომ ნოტა ჩინეთს კი არა მოსკოვს უნდა გაეგზავნოსო. თავის მთავრობას გულწრფელათ ურჩევდა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას. ეს კავშირის მშრომელი მასებისათვის არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი. მას საბჭოთა პრესა უყურადღებოდ არ შეხვდა, მოსკოვის „Правда“ № 136 (2469) მოწინავეში სწერს: „ინგლისის რეაქციონური გაზეთები ჩინეთის ნაციონალურ მოძრაობას ბოლშევიკურ ინტრიგებს აწერენ. ისინი იმასაც ამტკიცებენ, რომ გომინდანის რაზმებს, რომელმაც უკან წაართვა ინგლისელებს კანტონი, ხელმძღვანელობდენ საბჭოთა ოფიცრები... ამრიგათ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში ინგლისში დაიწყოს გაძლიერებული აგიტაცია საბჭოთა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. საბაბი, ცხადია, სულელურია, მაგრამ დიდი ბრიტანეთის უდიდესი კონსერვატორები დიდი ხანია ეძებენ საბაბს საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების გასართულებლად.

ავტორი ითვალისწინებს ყველა შესაძლებლობას, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა და ამბობს „მეორეს მხრივ ისინი (კონსერვატორები) აუცილებლად შეეცდებიან, რომ აამხედრონ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ თვით ჩინეთი, უკეთ რომა ვსთქვათ, თავი მოუყარონ ყველა იმ ძალებს, რომელთა გამოყენება შეიძლება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ე. ი. ყველაზე უფრო რეაქციონურ ჩინეთის იმპერიალისტების“.

უკანასკნელ დღეებში, მართლაც „დეილი ტელეგრაფი“-ს დიპლომატიური კორესპონდენტი თავის წერილში უკვე მოახლოვებულად სთვლის იმ მომენტს, როდესაც გაწყვეტილი უნდა იქნეს დიპლომატიური კავშირი საბჭოთა რუსეთთან, გაზეთი სწერს, რომ საბჭ. რუსეთის

*) ეს წერილი იბეჭდება დაგვიანებით. უნდა წასულიყო 28 ნომერში, მაგრამ ვერ მოესწრო.

სარედაქციო კოლეგია.

აგენტები აგიტაციას ეწევიან და აქეზებენ ომისთვის დიდ ბრიტანეთთან—სპარსეთში, ავღანისტანში, ჩინეთში და სხვა ადგილებში. კორესპონდენტს ძლიერ აკვირვებს ლონდონში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელის დატოვება, ვინაიდან საბჭ. ხელისუფლების საქმიანობა იღებს ხასიათს, „საერთო შეტევისას ცივილიზაციურ ქვეყნების წინააღმდეგ“. წერილის ავტორი უწოდებს დიდ სახელმწიფოებს „იმ მიზნით, რათა აცილებული იქნეს საერთო საფრთხე, იმოქმედონ შეთანხმებულათ. დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა გავლენა უნდა მოახდინონ ჩინეთის მთავრობაზე, რათა მან მოითხოვოს კარახანის გაწვევა. კარახანის გაწვევა უნდა დაუკავშირდეს ლონდონიდან რაკოვსკის წასვლას“ (Заря Востока № 912).

საფრანგეთის პრესაც ამავე აზრს იზიარებს. თუმცა მორცხვათ. ამერიკული გაზეთები, თუმცა ხედავენ სხვა და სხვა მოძრაობაში საბ. რუსეთის გავლენას, მაგრამ მას ამართლებს. გაზ. „სენი“ ლიბერალურ დემოკრატიული მიმართულების, აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მოკავშირენი განზრახ გვერდს უვლიან საბჭოთა რუსეთის სხვა და სხვა საგარანტიო ხელშეკრულებების დადების, ჟენევის ოქმის და სხვა მოლაპარაკების მოლოდინში. ევროპა ეთიშება რუსეთს და „თუ გათიშვის პოლიტიკა, გაზეთის სიტყვით, უდრის საბჭოთა კავშირის სრულ გარიცხვას ევროპის საქმეებიდან, მაშინ ის იძულებული გახდება გააძლიეროს არალეგალური ჩარევა თავის მეზობლების შინაურ საქმეში ან შეეცდება აღმოსავლეთში თავისი ბატონობის დამყარებას“.

ცხადია, ევროპის ბურჟუაზია შეეცდება რათაც არ უნდა დაუჯდეს თავისი გავლენა არავის დაუთმოს. აზიის თავისუფლება იმპერიალიზმის საფუძვლის შერყევას უდრის. მოვლენათა შეფასებაში მხოლოთ გერმანიის პრესა იჩენს ზოგიერთ ობიექტივობას. „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ს მოყავს პროფ. ემილ ლედერერის ლექციის ანგარიში საბჭოთა რუსეთის გავლენის მიზეზების შესახებ. აქ ჩვენ ვკითხულობთ: „დღეს საბჭოთა რუსეთის გავლენა ჩინეთის კრიზისზედ ძლიერ დიდია (ausserordeutlich gross). ლედერერი ჰფიქრობს, რომელიც არ უნდა იყოს დიდი სახელმწიფო, სიამოვნებით მიულოცავდა თავის თავს, რომ ისეთი გავლენა ჰქონოდა რომელიმე ერზედ, როგორიც აქვს ეხლა პეკინში რუსეთის საელჩოს. ეს ორი მიზეზებით შეიძლება აიხსნას: პირველი მით, რომ საბჭოთა რუსეთმა გადაისროლა ლოზუნგი: აზია აზიელებს და მერე იმ გარემოებით, რომ საბჭოთა რუსეთში ხედავენ მესწრაფებას ახალ სოციალურ წესწყობილებისაკენ“. ასეთია ბურჟუაზიული აზრის ძიება და კაპიტალის მზადება ახალ პოზიციებზედ გადასასვლელათ. მოსალოდნელია ახლო მომავალში ზოგიერთი ძალათა გადაჯგუფება და მოქნილი კომბინაციების გამომჟღავნება. რა პოზიციას დაიჭერს ან რა როლს ითამაშებს ევროპის მუშათა კლასი მოსალოდნელ ორომტრიალში ამაზედ შემდეგ.

შ. ჭ.

# ქრონიკა

(კვირიდან—კვირამდე).

## ადგილობრივი ცხოვრება

**2-რე სესია საქ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტისა.** თანახმათ საქ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ამა თვის 13-ს გაიხსნება 2-რე სესია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა.

**ახალი ნავთ-სადენი ბაქო—ბათომი.** საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ახალი ნავთსადენის გაყვანის შესახებ ბაქოდან ბათუმამდე, რომელიც უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 27—28 საოპერაციო წლისა.

**უღელტეხილის რკინის გზის ელექტროფიკაცია.** საქ. საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო საუღელტეხილო რკინის გზის ელექტროფიკაციაზედ გადასვლა, რომელიც დაუკავშირდება დასავლეთ საქართველოს მთლიან საელექტროფიკაციო გეგმას.

ამ მიზნით უნდა მოწყობილ იქნეს ერთი ცენტრალური სადგური მდ. რიონზედ, რომლის გეგმა დამუშავებულია ყოფ. ფერომარგანეცის კომისიის მიერ. სადგური გათვალისწინებულია 42,000 ცხენის ძალ. და შეუძლია ემსახუროს, გარდა უღელტეხილის რკ. გზისა, ჭიათურის მრეწველობას, ფერომარგანეცის გადამუშავებას, ნავთის საქაჩავ სადგურს, ქაღალდის წარმოებას და სხვა წარმოებებს.

**ხამეცნიერო ექსპედიცია.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი აგზავნის ქვემო და ზემო სვანეთში სამეცნიერო ექსპედიციას პროფ. ასათიანის მეთაურობით—რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს ზოგიერთი სვანეთისათვის სპეციფიური სნეულებანი და მათი შედეგები.

**ჭიათურის კონცესია.** ჩამოვიდა კონცესიონერ ჰარიმანის და კომპ. წარმომადგენელი ინჟ. რაშკევიჩი თავის თანაშემწე რობერტსით.

რაშკევიჩმა ინახულა 7 ივლის, საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი კონცესიის საქმეების გამო. ახლო მომავალში გაიხსნება კონცესიონერის დროებითი კანტორა ქ. ტფილისში, შემდეგში კი მთავარი კონტორა იქნება გახსნილი ჭიათურაში. საქმიანი მუშაობის დაწყებას უნდა ველოდეთ არა უგვიანეს სამი თვისა.

როგორც გავიგეთ კონცესიონერის მიერ უკვე შესრულებულია საკონცესიო პირობით გათვალისწინებული ზოგიერთი წინასწარი პირობა—როგორც მაგ. საუზრუნველყოფო ფონდში 1,000,000 მან. გადადება და სხვა. კონცესიონერი ადგენს სააქციო საზოგადოებას სახელწოდებით „ქართული მარგანეცი“. ხსენებულ საზოგადოების წევრებათ მიწვეულნი არიან ქართველი მრეწველებიც.

**შრომის** დაცვა. ა/კავკასიის შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა საქ. შრომის სახ. კომისა-

რიატს გამოიმუშაოს დეტალური გეგმა ჭიათურის მაღაროებში მომუშავეთა შრომის დასაცავათ.

**გეოლოგიური ძიებისათვის.** საგეგმო კომისიამ სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს სამთო განყოფილების შუამდგომლობით საჭიროთ სცნო გადადება ამ. კავკ. ფინ. სახ. კომის. 1924—1925 წლის ბიუჯეტის სათადარიგო ფონდიდან 18,300 მან. გეოლოგიურ კვლევა-ძიებისათვის საქართველოში.

**ქაღალდის მრეწველობა საქართველოში.** გასულ კვირაში ტფილისში ჩამოვიდა ქაღალდის სამრეწველო ყრილ. ბიუროს კომისია ინჟ. ნიკიტინის, ტესლერის და ალექსეევის შემადგენლობით. კომისია გაეცნობა მთელ მასალას ქაღალდის მრეწველობის შესახებ საქართველოში, როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში.

**ნაციონალიზაციის გატარება.** ამ. კავკ. რკინის გზის კოოპერატივი (Закто) შეუდგა მთელი რიგი ზომების მიღებას რათა ახლო მომავალში შემოღებული იქნეს ნაციონალური ენები, როგორც საქმის წარმოება-ანგარიშში ისე სავაჭროებში. განზრახულია პირველ რიგში იქნეს გატარებული ნაციონალიზაცია საქართველოსა და სომხეთში: ადერბეიჯანში კი დროებით, კვალიფიციური მომუშავეთა ნაკლებობის გამო, შეჩერდება.

**მუზეუმის დამთავრება.** საქ. მუზეუმის დამამთავრებელი კომისია შეუდგა მუშაობას ნახ. სარდაფის სართულის მოსათავებლად. კომისიის განკარგულებაში გადადებულია 50.000 მან.

**პარიტეტული კომიტეტის გასამართლება.** მომავალ კვირაში დაიწყება საჯარო გასამართლება ყოფილ პარიტეტულ კომიტეტის წევრების, რომელთაც ბრალდებათ აგვისტოს აჯანყების მოწყობა.

ქუთაისში უკვე დაიწყო გასამართლება ანტისაბჭოთა პარტიის წევრების, რომელთაც ბრალათ ედებათ აჯანყებაში მონაწილეობა.

**საბჭოთა კავშირში.** საბ. კავშ. უზენაესმა სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა გერმანელ ფაშისტებს დიტმარს, ვოლშტს და კინდერმანს. გერმანელი საზოგადოებრივი აზრი ამის გამო დიდათ აღშფოთებულია.

# სხვა და სხვა ამბები

## (უცხოეთში)

**თეთრგვარდიელთა სამხედრო თათბირი.** პარიზი. ფრანგული გაზეთების ცნობით პარიზში შესდგა ნიკოლოზ ნიკოლოზისძის თავმჯდომარეობით დიდი სამხედრო თათბირი, რომელსაც დაესწრენ: დენიკინი, ვრანგელი, ლუკომსკი, კუტეპოვი და სხვები. თათბირის მიზანი იყო შეექმნათ თეთრების სხვადასხვა ორგანიზაციების სამხედრო შტაბი და გაეერთიანებიათ ყველა მონარქიული ორგანიზაციები კირილეს მეთაურობით. მომავალ მთავარსარდლათ დასახელებულია ნიკოლოზ ნიკოლოზისძე და მონარქიულ მოძრაობის პოლიტიკურ ხელმძღვანელად კოკოვცევი.

**კომინტერნის მოწოდება.** კომინტერნის აღმასკომმა ენერგიული მოწოდებით მიმართა ყველა მონაწილეებს მსოფლიო 1914—1917 წ. წ. ომისას, რომელშიც, გათვალისწინებულია რა მოსალოდნელი ომის საშინელებანი, აფრთხილებს მუშათა კლასს იმპერიალიზმის თანამედროვე დამღუპველ პოლიტიკისაგან—რომელსაც მსოფლიო მუშათა კლასმა დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს.

**კრასინის და რაკოვსკის გამგზავრება.** გასულ კვირაში გაემგზავრენ: ლონდონში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი რაკოვსკი და პარიზში სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრასინი.

**უცხოელების კონფერენცია პეკინი.** გაზ. „იუკაიტედ პრესს“ იტყობინება, რომ ამერიკის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მოიწვიოს ჩინეთის საქმეებში დაინტერესებულ ყველა სახელმწიფოების კონფერენცია, რომელმაც უნდა გადასინჯოს ექსტერიტორიალობის უფლებების საკითხი.

**ლორდ კრაუფორდის თავდაუჭერელი განცხადება.** ლონდონი. ქალ. გილლინგხემში კონსერვატორების მიტინგზე გამოვიდა ყოფილი მინისტრი კრაუფორდი და განაცხადა: „დრო არის ინგლისის მთავრობამ გარკვევით და არა ორაზროვანათ გაფრთხილება მისცეს საბჭოთა რუსეთის მთავრობას, რომ თუ ის კიდევ გააგრძელებს „პროპაგანდას“ დიდ ბრიტანეთის წინააღიდეგ ჩინეთში, ინგლისში და სხვა ადგილებში, მაშინ შეწყვეტილი იქნება დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან და რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გაძევებული იქნება ლონდონიდან.

**თეთრგვარდიელთა ბანაკში.** ხარბინი. იაპონურ გაზეთ „Восток“-ში, რომელიც ხარბინში გამოდის, იბეჭდება ყოველდღიურათ სენსაციური ცნობები საბჭოთა რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში „მომხდარ აჯანყებების“ შესახებ. განსაკუთრებული სიმპატიით არის აღნიშნული რუს თეთრგვარდიელების ინგლისელების საპოლიციო სამსახურში შესვლა შანხაისა და ხანკოუში.

**ომის მოწინააღმდეგეთა კონფერენცია.** ლონდონი. ამ ჟამად ინგლისში მიმდინარეობს ომის მოწინააღმდეგეთა საერთაშორისო კონფერენცია. ერთმა მოწინააღმდეგეთაგანმა პონსომბიმ (მუშ. პარ. წევრი—ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანეგი მაკდონალდის მთავრობაში) განაცხადა, რომ თუ მთავრობები აგვიანებენ განიარაღების საქმის დაბოლოვებას, მაშინ თვით ხალხმა უნდა აიღოს თავის ხელში ეს საქმე.

**ჩინეთის ამბები.** პეკინი. გენერალი ჩან-ზო-ლინი სასტიკ ზომებს ღებულობს მოძრაობის წინააღმდეგ. მუკდენის ჯარების მიერ გარეკილ იქნა 200 ათასიანი საპროტესტო მიტინგი შანხაიში. ჩჟან-ზო-ლინმა უბრძანა პროვინცია ხუ-პეი და ხუ-ნაწას გუბერნატორს ხელი შეუშალოს სტუდენტების მიერ რაზმების შედგენას. გენერალი უ-პე-ფუ, წინააღმდეგ თანაუგრძნობს ნაციონალურ მოძრაობას და მოუწოდებს თანამემამულეებს ებრძოლონ უცხოელების ბატონობას.

**თავდასხმა საბჭოთა უკრაინის საზღვრებზე.** მოსკოვი. 28 ივნისს და 1 ივლისს პოლონეთის. სამხედრო ნაწილები თავხედურათ დაესხენ თავს საბჭოთა უკრაინის სადარაჯოს ლეპეშოვკის და შილიკის რაიონში: თავდასხმა წინასწარმომზადებული იყო პოლონეთის რეგულიარული ნაწილების მიერ. ამის გამო კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა 4 ივლისს გაუგზავნა ნოტა პოლონეთის ელჩს მოსკოვში კენტჟინსკის; ნოტაში ნათქვამია, რომ ეს თავდასხმა პირველი შემთხვევა არ არის. ჩიჩერინი მოითხოვს პოლონეთის მთავრობის

საგან ზომების მიღებას სახელმწიფო საზღვრების დასაცავათ და პარიტეტულ კომისის დანიშვნას მომხდარ ინციდენტის გამოსარკვევად.

მეორე ინტერნაციონალის ბიუროში. ლონდონში გაიმართა მეორე ინტერნაციონალის ბიუროს სხდომა საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, ჩეხო სლოვაკიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლების თანდასწრებით.

სხდომაზე გამომუშავებული იქნა რეზოლიუციის პროექტი, რომელიც პირობით იწონებს საგარანტიო ხელშეკრულებას და მოითხოვს ჟენევის ოქმის რატიფიკაციას.

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა უარყო პროფინტერნის და კომინტერნის წინადადება ჩინეთის მოძრაობის დახმარების შესახებ იმ მოსაზრებით, რომ ვითომდა ეს წინადადება წარმოადგენს კომუნისტების ახალ მანევრს.

# ქარხანაში

აგუგუნდა მანქანა,
რკინა ფოლად რეული;
გუშინ ზოუმდა ახლა-კი
ბრუნავს გადარეული.

*

მიმოდიან ბარბაცით
რკინის მაჯა მკლავები;
ლეკურს უვლის ციმბრუტა.
ტაშს სცემს მოსართავები.

*

ცეცხლი ელავს გიზგიზებს;
რკინა რკინას ადნება;
რეკამს გრდემლი ტიკ, ტაკ, ტაკ,
როცა ურო ბანდდება.

*

აქ იქმნება ცხოვრება
თავის მრავალ ფერებით;
აქვე სჭკნება სიცოცხლე
შრომის რაშზე ჭენებით.

*

ცეცხლი ელავს გიზგიზებს;
ცეცხლი ცეცხლით იქმნება
ნეტავ, ძველი ცხოვრება
როდის გარდაიქმნება?!

*

აგუგუნდა მანქანა,
რკინა ფოლად რეული;
გუშინ სდუმდა ახლა-კი
ბრუნამს გადარეული.

მ. დევაძე.

# გლეხის სიტყვა

დასაბამიდან ვიყავი მონა, ქვეყნის მპყრობელნი პირუტყვად მთვლიდნენ,
ხან თვის ასულებს მზითვად მატანდნენ, ხანაც ძაღლებზე ბარიბარ მცვლიდნენ.
ხუნდზედა დაკრულს ფეხს მისერავდნენ, შიგაც დაფხვნილი მარილს მაყრიდნენ,
და ესე უძლურს ბედის საწყევლად ხშირად ცეცხლისა პირად გამშლიდნენ.

— —

ვგმინავდი მწარედ.....ათასმა წლებმა ქარიშხალივით გვერდს ჩამიარეს,
მაგრამ ერთხელაც ჩემს ბნელ სარკმლისთვის არ მოუცლია არც მზეს, არც მთვარეს
სხვის მარჩენალი ვიყავ მშიერი, ცრემლების ღვარი მიშრეტდა თვალებს,
იმ დროს ძლიერნი ჩემს ამ ყოფნაში ჰპოებდნენ ძვირფას ალმასს და ლალებს.

— —

ერთხელაც არის შვების ნიავმა ჩემს დაჭრილ გულმკერდს გადაურბინა.
შემომამსხვრია მონობის ჯაჭვი ქვესკნელს შთანთქმული ზე აღმაფრინა.
დღეს ომ მოხდილი, თავისუფალი და გადამდნარი, როგორცა რკინა,
ვდარაჯობ დროშას.....საგუშაგოსთან ავყია ყვავებს არა აქვთ ბინა...

— —

თანაც ვიმღერი, ჩემს სიმღერაში არ ისმის ტანჯვა და აღარც სევდა
მსურს დავივიწყო ის, რაც ოდესღაც ჩემში გესლიან ბოღმას იწვევდა.
ნაცვლად ძლიერი, სათუთი გულის აწ საფიქრებლად მე დავისახე,
შევქმნა ამ სოფლად შრომის სამეფო და ხალხთ ცხოვრების ახალი სახე.

ქ. ტფილისი.

გრ. კოჭუა.

# ხრიკები

(ყველა გზებს მივყევართ რომში)

I

— არა, ერთი მითხარი სანამდი უნდა იბოდიალო ასე, სანამდე უნდა იყო ასე ინდაურივით გაფლუყული. შე ოხერო და მუდრეკო, ოჯახი არ გინდა? მთელი დღეები სულ შენს მოლოდინში ვარ, დილიდან სალამომდე მარტო ვზივარ სახლში, მშიერ მწყურვალე. ჩემ თავს ვილა ჩივის, ბავშვები მიკვდებიან შიმშილით. შენ კი არხეინათ ხარ რა გიჭირს, მეცნიერი ბრძანდები, პროფესორი, შენთვის არც ჭამა-სმაა საჭირო და არც ჩაცმა-დახურვა; რას მიკეთებ ერთი მითხარი? რათ მინდა შენი პროფესორობა, თუ ოჯახი დაგვეღუპება?!

— დედაკაცო! ენა დაიმოკლე! როგორ მიბედავ?!

— გავბედავ კი არა მეტსაც გიზამ. აღარ არის მოთმინება. თუ ოჯახი გინდა, ოჯახს მოვლა და პატრონობა უნდა. შალვარი ვერ გამოგიცვლია და რაღაცაებს მიედ-მოედები.

— რას მიქვია მიედ-მოედები?! შენ თვითონ მიედ-მოედები. კაცი პროფესორი ვარ, მეცნიერულ გამოკვლევებს გადავყე და ეს კი, მიედ-მოედებიო.

— შენმა მზემ ივანე ჯავახიშვილს არ ამოუდგე გვერდში. რის პროფესორი ხარ შენ? რომელი უნივერსიტეტი გაგითავებია? რომელი მეცნიერული ნაშრომი შენა გაქვს? შენისთანა პროფესორები ბჟირივით არის. ეხლა შენისთანა ბლუზიანი და შალვარ შემოფხრეწილი პროფესორები ბევრი დადიან ქუჩაში. ჰმ! მეცნიერულ გამოკვლევებს გადავყე. ხა, ხა, ხა! რომელ მეცნიერულ გამოკვლევებს ერთი მიბრძანეთ.

— აბა რა უნდა ველაპარაკო შეუგნებელ ადამიანს განა გაიგებ რამეს? შენ ისიც კი არ გაგიგია რა ამბები ასტეხეს შოთა რუსთაველზე. ან კი რა უნდა გკითხო როცა ისიც კი არ იცი თუ ვინ იყო შოთა რუსთაველი?

— შენმა მზემ შენ იცი და მე არ ვიცი.

— თუ იცი და სწორეთ აქ მინდა გავამართლო შოთას სიტყვები:

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბექველსა
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

სწორეთ შოთას წყალობით უნდა მოვიხვეჭო სახელი. იქნება გაგეგონებათ შოთა რუსთაველის პარტიის ცნობილი ბელადი ევგენი დვალი.

მერე იცით ის რას ამტკიცებს? შოთა რუსთაველი იყო „იოთამის ძე რაჭველიო“. გესმის? შოთა რაჭველი იყოო. მე კი ვამტკიცებ, რომ ის მეგრელი იყო. ეს დღემდე არავის გამოუკვლევია, მხოლოდ თავდადებული კვლევა-ძიების შემდეგ აღმოვაჩინე რომ ის ყოფილა ნამდვილი მეგრელი სოფელ ნასახულევიდან. განა ეს აღმოჩენა ცოტა რამე არის? აგერ ეხლა გამოხტა მეორე რაჭველი კოწია ჭიჭინაძე და ყველა პროფესორებს კაკალი დაგვამტვრია თავზე. ყველა ჩვენი ნაშრომი წყალს გაატანა, განა ეს მოსათმენია?! ღმერთმა ნუ ქნას რომ კიდევ მესამე რაჭველი გამოხტეს, უეჭველია მაშინ შოთას რაჭველები წაგვართმევენ და დავრჩებით პირში ჩალა გამოვლებულები.

— შენ ის გირჩევნია მაგ ბოდვას თავი დაანებო და ცოლ-შვილი შიმშილით არ ამოხოცო. შენი გამოკვლევები შენთვის შეინახე. მეტის ატანა ყოვლად შეუძლებელია.

ამ დიალოგიის შემდეგ პროფესორს ღრმა ფიქრები ბოჭავს.

* * *

მსხვრევა-მტვრევით, რახა-რუხით და სიმღერით ნელა ადის თავის ბინის კიბეზე პოეტი ჭლიკაძე. კარებში გაკაპასებული ცოლი გადაუდგება.

ჭლიკაძე შეჩერდება. ის ძლიერ დატვირთულია ღვინით, ოფლი ჩამოდის, სახე ჭარხალივით გაწითლებია. ძლიერა ქშინავს. უაზრო თვალებს ცოლს მიაშტერებს და რაღაცას ლუღლუღებს.

— კიდევ გასკდი? კიდევ ჩაყლაპე, შე გასახეთქელო?

— გზა, გზა დედაკაცო!

ჭლიკაძე შედის ოთახში, ცოლი უკან მისდევს ლანძღვა გინებით. ქუდს გადაისვრის და მღერის:

„ალმასკომის თავმჯდომარე
შენ გენაცვალეო,
ცოლი ძლიერ კაპასი მყავს
გამომიცვალეო“.

— შენმა თავის გახეთქამ, ღმერთო კი მომკალი შენი გამოსაცვლელი ვინ არის? ერთი ამას უყურეთ! წავა, დილიდან საღამომდე დაეთრევა, ხან ერთ სარდაფში ჩახეოქავს და ხან მეორეში, დაეთრევა დუქან-დუქან და იმას კი არ კითხულობს სახლში პური არის თუ არა. შენ გაგისკდეს მაგი საოხრე მუცელი, არ შეიძლება ერთ დღეს რომ არ გასკდე და არ დაითრო? შენ რომ ყოველდღე სკდები და ხეთქავ ბავშვებს პური მაინც არ უნდა ქონდეთ? მთელი დღეები მშივრები ვართ.

— პურს ფული უნდა, დედაკაცო.

— შენ რომ ხეთქავ იმას ფული არ უნდა?

— მე ძმა ბიჭები მპატიჟობენ.

— ძმა ბიჭებს კი აღარ უნდა დაპატიჟება? შენმა თავის გახეთქამ სულ მუდამ მუქთად ქეიფობ. ფული საიდან გექნება როცა მთელი დღე დეეთრევი და საქმეს კი არაფერს აკეთებ, სამსახური შენ არ გინდა და არაფერი. რით უნდა იშოვნო ფული? შენ არაფერში გამოსადეგი აღარა ხარ, კიდეც რომ იშოვნო სამსახური მეორე დღეს პანღურს გკრავენ, შენ შენ ლოთობას არ დაიშლი. ნეტა ერთი იმ დღეს მოვესწრებოდე, რომ ყველა სარდაფები წყლით აივსებოდეს, რაღათი გასკდები მაშინ ერთი ვნახავ— შენ გაგისკდეს მაგი ღორი მუცელი.

— აბა რა გითხრა ბრიყვსა დიაცსა

„სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის
მართ ანაზდად გილალატებს, გაჰკვეთს, რაცა დაესობის

მით დიაცსა სამალავი არასოდეს არ
ეთხრობის“.

ამის შემდეგ აბა რა უნდა გითხრა, რა უნდა გაგაგებინო.

— შენ თვითონ ბრიყო, ის უნდა გამაგებინო, რომ ოჯახს მოვლა-პატრონობა უნდა, ბავშვებს ჭამა-სმა უნდა და ჩაცმა დახურვა. შენ კი ქეიფობ და სხვა ყველაფერი ფეხებზე გკიდია. შენს მეტი ყველა კარგათ ცხოვრობს, მსახურებენ, ფულებს იღებენ და ცოლ-შვილი მშიერი არ ყავთ და ტიტველი. შენ კი სამსახური არ გინდა; გაგისკდეს მაგი გასაფუშავი მუცელი.

— დიაცო! შენ აბა რას გაიგებ, რომ ყველა ჩვენსავით გაჭირვებულია.

— ჩვენს მეტი ყველა კარგად სცხოვრობს. მარტო ჩვენა ვართ მშივრები შენი ლოთობის წყალობით. დეეთრევი, სკდები, ჯღაბნი რაღაც ლექსებს, ვითომ შენც პოეტი ხარ, შენისთანა პოეტები დღეს ყველა არის. დღეს ყველა შენსავით ჯღაბნის და თავი პოეტათ მოაქვს, აქაო და პოეტი ვარო და უთუოთ ღვინით უნდა გავსკდეო! ოი, გაგისკდეს ეგ მუცელი.

— დედაკაცო, ცოტათი კუნთები უნდა გავშალოთ, ცოტათი ფანტაზიას ფართო გზა უნდა მივსცეთ. მა როგორ გგონია? ცოტა თუ არ გავმხიარულდით როგორ შეიძლება ისე ლექსის დაწერა?

— ოი კუნთები შეგახმეს შენ. შენ ფანტაზიას კი რა ვუთრა. მაგ ღვინისაგან გამოყრუებულმა თავმა რაღა ლექსი უნდა შექმნას? შენ სულ ღვინოში იხრჩობი და როდის ღა მოიცლი ლექსებისთვის. ან კი ვის რათ უნდა შენი ლექსები, ვინ დაკარგავს დროს მის წასაკითხად?

— „საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს“ შენისთანა ბრიყვს რა უნდა ვუთხრა.

მართლა თქმულა:

„არა მართებს ყვავსა ვარდი ვირსა რქანიო.

ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია. შენ აბა რა უნდა გკითხო, ვაი ჩემი ბრალი რომ შენ შეგირთე, განა შენ შეგიძლია ჩემი დაფასება? მაგრამ რათ მინდა შენი დაფასება, მთელმა ქვეყანამ იცის ვინ არის პოეტი კლიკაძე, აგერ იუბილეისაც გადამიხდიან და მერე მიყურე.

— შენ სარდაფებში გადაგიხდიან იუბილეს! იქ ხომ ყოველ დღე იხდი, სკდები ღვინით, გაგისკდეს მაგი საოხრე მუცელი.

— რა გიჭირს შვილოსა:

„თუ ყვავი ვარდსა იშოვნის
თავი ბულბული ჰგონია“.

ჩამიგდე ხელში პოეტი და ეხლა თავი ბულბულათ მოგაქვს.

— ოი ის დღე რატომ არ დაიქცა რა დღესაც მე შენ შეგხვდი? შენ შეხვედრას მენახშირე შემხვედროდა ის არ მერჩივნა? პურს მაინც მაჭმევდა. დაიქცეს ის დღე! დაიქცეს!

— ეჰ! „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“ რაცა მჭირს ყველაფერი ჩემი თავის ბრალია. მაგრამ რა გაეწყობა, ჭირს გაძლება უნდა.

„არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო
ცრემლთა დენა
არ გარდავა გარდუვალათ, მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამათაგან მოჭირვება, ჭირთა
თმენა;
არვის ძალ-უძს ხორციელსა განგებისა
გარდავლენა.

ცოტა ხნის შემდეგ კლიკაძის მძიმე ხვრინვა და ცოლის კაპასი ისმოდა ოთახში.

* *
*

— დედაკაცო! გამაგებინე ერთი რით დაგაკმაყოფილო. შე ოჯახ ამოსაყინაო რა გაკლია? საჭმელი გაქვს, სასმელი, ტანთ შენ არ გაკლია და ფეხთ, ბავშვებსაც ყველაფერი აქვს. თეატრები შენ არ გაკლია და კინოები, ერთი სიტყვით რასაც მოისურვებ ყველაფერი გაქვს და რა გინდა რომ ტვინი შემიჭამე მოვალ სახლში დაღლილდაქანცული კაცი და იმის მაგიერ, რომ ტკბილი სიტყვა მითხრა სულ ანჩხლობ და ილანძღები. რა გინდა რა? მითხარი ერთი გამაგებინე?

— ის მინდა, რომ დროზე მოხვიდე სახლში, ასეთი წესია, რომ სამ საათზე უსათუოდ უნდა იყო სახლში. რამდენი ხანია ერთად სადილი არ გვიჭამია. ბავშვებს შენი დანახვა ენატრება, რათ მინდა შენი ჭამა-სმა და ჩაცმა დახურვა თუ კი გვერდზე არ მეყოლიბი. მე მეტი არაფერი მინდა დროზე მოდი სახლში.

— დედაკაცო, შენ რომ მოგიჯდე მერე ქვეყნის საქმე ვინ გააკეთოს?

— შენ გაკეთებულ ქვეყანას დარღვევა და ხელ ახლა აშენება უნდა. რას მიკეთებ ერთი მითხარი, სამ საათამდე ყველაფერ საქმეს მორჩები და მერე სახლში უნდა იყო.

— შენ ადვილი საქმე გგონია ყოველდღიურ გაზეთის რედაქტორობა. ორი თვალის მაგიერ ოთხი უნდა ქონდეს რედაქტორს, აგრეთვე ყურიც ოთხი, რომ არაფერი გამოეპაროს. ხომ ხედავ დღეს რა ამბავია მსოფლიოში, როგორ ქანაობს დედამიწა.

— მერე შენ რა? „ქვეყნის სატირალს ცენტერაძის მოლოზანი სტიროდაო“ სწორედ ისეა შენი საქმე. რა გესაქმება შენ რა ხდება ქვეყანაზე?

— იმე! როგორ თუ არ მესაქმება? მაშ გაზეთი რათ მინდა თუ იქ ყველაფერი არ აღვნიშნე და არ მივაწოდე მკითხველებს. არ უნდა ვიცოდეთ რა ხდება ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან? რას აკეთებენ ჩემბერლენი, დუმერგი, ჰინდერბურგი და სხვანი? არ უნდა ვიცოდეთ მათი იმპერიალისტური ზრახვები? შენ ალბად არც კი იცი რა ხდება მაროკკოში, ჩინეთში. როგორ შეესიენ სისხლის მსმელი იმპერიალისტები და უნდათ სისხლში ჩაახრჩონ ეროვნული მოძრაობა, მოსპონ ამ ხალხის დამოუკიდებლობა და მონებად გაიხადონ. ყველა ამას დაწერა და გაზეთში მოთავსება უნდა.

— რა გესაქმება შენ რას აკეთებს ჩემბერლენი ლონდონში და ჰინდენბურგი ბერლინში? რაც უნდა ის ქნან მათ თავიანთ ქვეყანაში შენი რა საქმეა, ვისი რა ბრძანდები რომ სხვის საქმეში ერევი?

— მაშ ერთა სოლიდარობა არაფერია? კომინტერნი არაფერია? მთელი ქვეყნის პროლეტარიატი არაფერია? მაშ ჩვენ მხარი არ უნდა დავუჭიროთ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს და მის მოწინაალმდეგეებს არ გაუმკლავდეთ? მაშ არაფერი აღარ ყოფილა საჭირო, სამ საათზე მოვუსხდეთ სუფრას და ერთად ვისადილოთ მეტი არა გვინდა რა. ნეტაი შენს პატრონს.

— კარგი შეგიტყვია, შენ მხარი უნდა დაუჭირო შენ ცოლ-შვილს. რა იხრათ მინდა შენი ჩემბერლენი და ჰინდებურგი, თავი მათაც გახეთქია.

— შენ რომ არ გინდა მე მინდა.

— გინდა და გინდოდეს, თავი ერთმანეთს ახალეთ შენ მუდამ ასე იყავი და იქნები. ის დღე რატომ არ დაიქცა რა დღესაც შენ შეჯხვდი. საღამომდე სახლში არ მობრძანდება, საღამოზე მოვა დაჯდება პიყუშივით და ერთ სიტყვას არ გვეტყვის, ქვეყნის საქმეს აკეთებს. უი შენ გაკეთებულ საქმეს კი რა ვუთხრა.

— ბაიყუშიცა ხარ და მეტი. თავს ნუ იგდებ დედაკაცო!

— თავსაც იგდებ და მეტსაც შვრები. მეტის ატანა შეუძლებელია, აღარ შემიძლია. წყეულიც იყვენ ის ჩემბერლენი, დუმერგი, ჰინდენბურგი, ჩინელები და მაროკოელები, რომლებმაც ქმარი გამიკიჟა და გამიტყიურა.

რედაქტორის პრაზიანი ბოლთა და ცოლის ისტერიული ქვითინი.

(დასასრული იქნება)

პ. ირეთელი.

# კორესპონდენცია

## სოფ. საგარეჯო

(გარე-კახეთი)

მაისის ბოლო რიცხვებში საგარეჯოს ეწვია თბილისიდან მუშათა კომისიის წევრი ლ. კუპრაშვილი, რომელმაც საზოგადო კრებაზედ გააკეთა ვრცელი მოხსენება აგვისტოს გამოსვლების შედეგებზედ. იმავე კრებაზე არჩეულ იქმნენ სარაიონო კომისიაში შემდეგი პირები:

1. ერემია გულისაშვილი (უპარტიო) 2. რეზო ჯაბადარი (ყოფ. ს. დ.) 3. ვასო აზარიაშვილი (ყოფ. ს. დ.) 4. იოსებ გოდერძიშვილი (ყოფ. ს. ფ.) 5. ალექსი ესიაშვილი (უპარტიო) რომელთაც უნდა ემუშავნათ საგარეჯოს ახლო-მახლო სოფლებში. მაგრამ კომისიას ჯერ-ჯერობით საგარეჯოს გარეთ ფეხი არ გადაუდგამს, მხოლოთ ადგილობრივათ რაც შეუძლიან მუშაობს. გაცემულია მოწოდება, რომელმაც თავის წილად ნაყოფი გამოიღო, რაც ჯერ-ჯერობით ვერ არის გაკეთებული ეს უნდა დავაბრალოთ ზაფხულის გახურებულ მინდვრის მუშაობას.

„ა“.

# ახალ გზაზე

არ არის საჭირო ბევრი ეწერო, მხოლოდ გულწრფელად მსურს ჩემი გულის ნადები და ნაფიქრი გაუზიარო ჩემ ყოფილ ამხანაგებს. მე ცხოვრების პირობებმა და ჩემმა ფიზიკურმა მოლილობამ ჩამომაშორა დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას, მაგრამ ვისაც ერთხელ დაუსახავს მიზნათ მუშათა კლასის სამსახური, ის დიდ ხანს ვერ გასძლებს რომ ყრუდ იყოს და არ მიიხედოს იმ გზაზე, რომელზედაც დღეს მიდის მუშათა კლასი. საქართველოს გასაბჭოებიდან მე ყოველგვარი კავშირი გავსწყვიტე მენშევიკურ პარტიასთან და დიდის ინტერესით ვადევნებდი თვალყურს თუ რას გვიმზადებდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს მშრომელთ. ამ ოთხი წლის განმავლობაში, მე ღრმად დავრწმუნდი რომ საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებს უკეთესად და უმნიშვნელოდ ვერ დაიცავს ვერავითარი მთავრობა, როგორც ამას იცავს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია, მე მთელი ჩემის არსებით 1900 წლიდან გასაბჭოებამდე ვეკუთვნოდი მუშათა კლასისათვის მებრძოლ არმიას, ვარ თითონ ქარხნის მუშა, ჩემი ძალღონით ვრაზმავდი მუშებს, როგორც სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, ისე პროფესიონალურ კავშირებში, მანახავს ბევრი შავი დღე ნიკოლოზის მეფობის დროს, და ეხლა როდესაც საქართველოში, და მთელ საბჭოთა კავშირების დიდ მანძილზე ძალაუფლება მუშათა კლასს უპირავს ხელში, მე არ შემიძლია ყველას გასაგონად (და განსაკუთრებით ჩემი ყოფილი ამხანაგების საყურადღებოდ) არ განვაცხადო, რომ გვერდში უნდა ამოუდგეთ საბჭოთა ხელისუფლებას, ვაშენოთ ის საქმე, რასაც აშენებს საბჭოთა ხელისუფლება, შეუწყოთ ხელი მის დიად მიზნებს და თუ საჭირო იქნება და ევროპის რეაქცია გაბედავს თავისი ბინძური ხელით შემუსროს მუშათა კლასის მონაპოვარი— იმ შემთხვევაში იარაღით ხელში დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება და მუშათა კლასის თავისუფლება. ამას ვამბობ, როგორც ჩემ თავზე, ისე ყოფილ ამხანაგების საყურადღებოდ: დასტოვონ ძველი გზა, ჩამოშორდენ „ევროპის“ ილიუზიებს და გვერდში ამოუდგენ იმ მთავრობას, რომელიც აკეთებს დიდ საქმეს—მუშათა კლასის საბოლოო განთავისუფლებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

იოსებ ბარამაშვილი.

21 ივლისი.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

მ. კვატაშიძე, მ. ჩაჩუა, ს. ედიბერიძე, ვ. ნუცუბიძე, დ. ყიასაშვილი, ლ. ფირცხალავა, ალ. კალანდაძე და არტ. ჩაჩუა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, ამხანაგებსა და მეგობრებს, რომ 7 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი მეგობარი

**დავით (დათიკო) ლომთაძე**

გამოსვენება მოხდება კვირას, დილის 10 საათზე (განოყის ქუჩა № 3)

წელი ადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 19 ივლისი 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11—68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8—2 საათამდე

№ 30

## ს. ს. ს. რ. საკანონმდებლო ორგანოების საყურადღებოდ

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესიის სხდომები დაიწყო 14 ივლისს.

სესიის დღის წესრიგში პირველი ადგილი უჭირავს მომქმედ კანონმდებლობის დამატებების და შესწორებების განხილვას და სანქციას.

დამატებები და შესწორებები შეგუებულია ცხოვრების ახალ პირობებთან და მოთხოვნილებებთან. ის იურიდიული ნორმები, რაც მისაღები იყო სამხედრო კომუნიზმის ხანაში და შეეფერებოდა იმ დროის პირობებს, მიუღებელი შეიქნა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის და მისი რაოდენობით განვითარების შემდეგ.

სწორედ შესაფერ დროს ხდება საკანონმდებლო კოდექსებში ზოგიერთი ცვლილებების და დამატებების შეტანა.—კანონმდებლობა აუცილებლივ ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს ცხოვრებას. ის სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ადვილად და სწრაფად შეამჩნევს სოციალურ ცხოვრების ახალ მოვლენებს, აღრიცხავს მათ და სისწორით ჩამოაყალიბებს სათანადო იურიდიულ ნორმებში—უფრო მოქნილი და მგრძნობიარე აპარატია, რომელიც თავის დროზე ანგარიშს უწევს ცხოვრების ახალ პირობებს და ამით სათავეშივე სპობს ნიადაგს ცხოვრების და იურიდიულ ნორმებს შორის შესაძლებელ კონფლიქტს.

საქ. ცაკის მეორე სესიის მუშაობა კანონმდებლობით სფეროში უზრუნველ ჰყოფს ჩვენს ცხოვრებას ამ გვარ კონფლიქტებისაგან.

მეორეს მხრივ, საკანონმდებლო კოდექსების შევსება და შესწორება დიდად შეუწყობს ხელს კანონიერების დამყარებას და განმტკიცებას საბჭოთა საქართველოში, ვინაიდან სინამდვილით განსაზღვრავს მოქალაქეთა შორის უფლებრივ ურთიერთობას და მათ დამოკიდებულებას სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანოებთან; შემდეგ თვით სახელმწიფო ადმინისტრატიულ ორგანოთა და სასამართლო დაწესებულებათა შორის სისწორით იქნება განაწილებული კუთვნილი ფუნქციები, რაც გაადვილებს ამა თუ იმ სადაო საქმის ქვემდებარობის საკითხის გადაწყვეტას და ამასთანავე დააჩქარებს მის (სადაო საქმის) დამთავრებას. ამ შემთხვევაში ადგილი აღარ ექნება იმ დავას და გაუგებრობას, რაც ხშირად ადგილი ჰქონდა სასამართლოს და ადმინისტრატიულ დაწესებულებებ შორის ამა თუ იმ საქმის ქვემდებარობის საკითხში.

აი ის დადებითი შედეგები, რასაც მივიღებთ ამ დღეებში საქ. ცაკის მეორე სესიის საკანონმდებლო მუშაობით.

აქვე არ შეიძლება არ მივაქციო ყურადღება საკანონმდებლო კოდექსების ერთ ნაკლს, რომელიც წარმოადგენს დიდ დაბრკოლებას, როგორც მოქალაქეებისთვის, ისე სახელმწიფო ორგანოებისთვის.

ჩვენ ვამბობთ საერთოდ კოდექსების ენის სიმძიმეზე და აზრის გაურკვევლობაზე.

ჩვენი კანონები იწერება არა განათლებულ საზოგადოებისთვის და განსწავლილ იურისტებისთვის, არამედ მდაბიო მუშების და გლეხების მასების და მათგან გამოსულ მოხელე-მოსამართლეების სახელმძღვანელოდ. მაშასადამე, კანონიც ისეთი სიმარტივით, ისეთი ენით უნდა იყოს დაწერილი, რომ მუშას და გლეხს დაუბრკოლებლივ შეეძლოს მისი შინაარსის გაგება და შეთვისება. სახელმწიფოწესიერება მაშინაც არის დაცული და უზრუნველყოფილი, როდესაც კანონები შეთვისებული აქვთ მოქალაქეებს. აბა წააკითხეთ რომელიმე მუხლი თუნდაც სამოქალაქო კანონმდებლობისა საკმაოდ განვითარებულ მუშას ან გლეხს თუ გაიგებს მის აზრს. ან რა საჭიროა ავილოთ მუშა და გლეხი? განა კარგად განსწავლილ ინტელიგენტს არ გაუძნელდება ჩვენს კანონმდებლობაში გარკვევა, თუ მისი შინაარსი და ენა არ გამარტივდა. კანონმდებლობის შინაარსის შეთვისებას აძნელებს აგრეთვე სპეციალური ხასიათის ტერმინები. ასეთ ტერმინებს როგორმე უნდა შევაჩვიოთ ჩვენი მოქალაქე, თორემ მისთვის კანონის შინაარსი და აზრი დარჩება ჩინურ ანბანად. ქართველი გლეხი შეჩვეული არის რუსულ ტერმინებს, მაგ.. „დავნოსტ“, „ნეუსტოიკა“, „ვსტრეჩნი ისკ“ და სხვა, მისთვის გაუგებარია, რომელი ტერმინებით გამოიხატება ქართულად ამ შემეცნებათა შინაარსი.

რა შედეგი უნდა მოსდევდეს ასეთ გაუგებარ ენას საკანონმდებლო კოდექსებში?

ის, რომ კანონმდებლის აზრი სწორედ ვერ იქნება შეთვისებული ვერც მოქალაქეების, ვერც მოსამართლე-მოხელეების მიერ (და ასეთ შემთხვევაში ესენი არც შეეცდებიან მის შეთვისებას), ამის გამო კი კანონი ან არ შესრულდება, ან უნებლიედ დაირღვევა.

გარდა ამისა, გლეხი თუ მუშა, ვისაც სჭირია სასამართლოს მეშვეობით გადასწყვიტოს სადაო საქმე, ყოველთვის იძულებული იქნება მიმართოს დამცველს. ხშირად გამოქნილი დამცველი, ისარგებლებს რა კანონის აზრის გაუგებლობით, შეეცდება მოპირდაპირეს დასამარცხებლად დაუსრულებლად გააჭიანუროს საქმე, და ეს გარემოება ხომ ხელშემწყო პირობაა უაზრო ფორმალობის, დავის დაუსრულებლობის და ბიუროკრატიზმის.

მშრომელი მასების მუშაობა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მაშინ მოგვცემს ნაყოფიერ შედეგს, როდესაც მისი მუშაობა ხდება მიზანშეწონილად და მომქმედ კანონების ფარგლებში. ამას კი მივაღწევთ საკანონმდებლო კოდექსების განმარტივებით.

ჩვენი აზრით, საჭიროა შესდგეს სპეციალური კომისია ქართული ენის კარგად მცოდნე პირებისაგან და მას დაევალოს კოდექსების ენის და შინაარსის გამარტივება და მასისთვის გასაგებ ფორმაში ჩამოყალიბება.

# ინგლისის კონსერვატორების მორიგი იერიში

ყველასათვის უდაო იყო, რომ ინგლისში კონსერვატიული მთავრობის შედგენა ევროპაშიდაც რეაქციის გაძლიერებას გამოიწვევდა. და მართლაც ასე მოხდა: გერმანიაში ნახევრად მონარქისტული ლიუტერის მთავრობა შესდგა, ხოლო პრეზიდენტათ ნაფიცი მონარქისტი ვილჰელმ მეორეს მარჯვენა ხელი ჰინდენბურგი წამოსკუპდა; საფრანგეთში მემარცხენე ერიოს კაბინეტი პანლევე-ბრიანის კაბინეტმა შესცვალა, რომელიც ერიოს მთავრობასთან შედარებით გაცილებით მემარჯვენეა...

ცხადია, ევროპაში გამარჯვებული რეაქციის პირველი იერიში მუშათა კლასისა და დამონებული ერების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, რადგან ასეთია ბუნება რეაქციისა. მუშათა კლასის თავისუფლება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ერებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება — რეაქციონურ იმპერიალისტ მთავრობათა ბუნებას არ ეგუება. რეაქცია იმის რეაქციაა, რომ მონობა (რასაკვირველია ახალ ფორმებში) აღადგინოს, მშრომელი ხალხი დაჩაგროს და ხალხის უბედურებაზე თავის ბედნიერება ააგოს.

რეაქცია ვერ ეგუება და ვერ ითმენს ვერავითარ ისეთ ჯგუფებს, მიმართულებებსა და მთავრობებს, რომლებიც მშრომელთა კლასს და დაჩაგრულ ერებს ექომაგებიან და რომლების მიზანია მშრომელი ხალხისა და დამონებულ ერების ინტერესების დაცვა და მათი იმპერიალისტების ბრჭყალებისაგან განთავისუფლება...

მთელ მსოფლიოში დღეს მშრომელი ხალხის და დაჩაგრულ ერების ინტერესების ერთგული დამცველი რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება, და მისი ხელმძღვანელი კომპარტიაა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ხანგრძლივ ბრძოლისა და აურაცხელ მსხვერპლის გაღების შემდეგ შესძლო დედამიწის მეექვსედ ნაწილზე რეაქციის საბოლაოდ დამარცხება და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება, პროლეტარიატის დიქტატურამ გაანთავისუფლა მშრომელი ხალხი ბურჟუაზიისა და მემამულეების მონობისაგან, მისცა მეფის რუსეთის ფარგლებში მყოფ ერებს ფართო თვითგამორკვევის უფლება, გაანთავისუფლა ისინი იმ ეროვნულ ჩაგვრა-დამცირებისაგან, რომელსაც აყენებდა მათ მეფის მთავრობა.

ცხადია, ამას უნდა მოყოლოდა საბჭოთა კავშირში შემავალ ერების ეკონომიური და კულტურული აღორძინება, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება...

საბჭოთა კავშირი სწრაფი ტემპით ვითარდება როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად, ძლიერდება პოლიტიკურად. არც ერთ სახელმწიფოში დღეს ეროვნულ უმცირესობათა და მშრომელ კლასის თავისუფლება, ისე ფართოდ არ არის განხორციელებული, როგორც საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირში ყველა ერს უფლება აქვს როგორც უნდა ისე გადასჭრას თავისი ბედი, ამაში მას ხელშემშლელი არავინ ყავს, სახელმწიფო ხელისუფლება მუშების ხელშია და, ცხადია, მისი პოლიტიკაც მუშათა ინტერესების დაცვისაკენ იქნება მიმართული, ამ მხრივ საბჭოთა კავშირის მუშების მდგომარეობას ვერც ერთი ქვეყნის მუშების მდგომარეობა ვერ შეედრება. საბჭოთა კავშირში თვით მუშები და გლეხები მართავენ სახელმწიფოს, სხვა ქვეყნებში კი — იმპერიალისტები.

ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის სიყვარული და სიმპატიები, რომელსაც ბურჟუაზიულ და კოლონიალურ ქვეყნების მშრომელთა კლასი იჩენს საბჭოთა კავშირისადმი, მათში საბჭოთა ხელისუფლების გავლენა დღითი-დღე იზრდება. დაჩაგრულ ერებსა და კლასებს თვალი საბჭოთა კავშირისაკენ უჭირავთ, ხსნას მათგან მოელიან.

სრულიად გასაგებია, რომ ეს მოვლენა მოსვენებას არ მისცემს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობებს, ვინაიდან ამით საფრთხე უმზადდება მათ განუსაზღვრელ ბატონობას...

ამიტომ არის, რომ ევროპის რეაქცია და მათში ყველაზე უფრო უსაშინელესი ინგლისის რეაქციონური მთავრობა დღეს სასტიკ კომპანიას ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დღიდან გამარჯვებისა ინგლისის კონსერვატიული მთავრობა სხვადასხვა ინტრიგებს ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ცდილობდა შეექმნათ მის წინააღმდეგ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთლიანი ფრონტი, ამ მიზნით ნეტარხსენებულ კერზონის ღირსეული მემკვიდრე ჩემბერლენი მოგზაურობს პარიზ-რომში, აწყობს საიდუმლო კონფერენციებს და თათბირებს, თხზავს სხვადასხვა პროექტებს.

მიუხედავათ ჩემბერლენის ასეთი გულმოდგინე და ენერგიულ დიპლომატიურ მუშაობისა, დღემდის მაინც ვერ მოხერხდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნა, საბჭოთა კავშირისათვის „სამხვთო ომის" გამოცხადება. იმპერიალისტურ სახელმწიფოებში იმდენი წინააღმდეგობა და ინტერესთა

სხვადასხვაობა აღმოჩნდა, რომ შეუძლებელი გახდა მათი „რუსეთის საკითხში" შეთანხმება, დახელოვნებულ დიპლომატის ჩემბერლენის ცდამ ჩაი-ლულის წყალი დალია.

მიუხედავათ ასეთი მარცხისა ინგლისს მაინც არ აუღია ხელი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ კომპანიაზე და სხვადასხვა სახელმწიფოებთან საიდუმლო მოლაპარაკება-თათბირზე.

უკანასკნელ კვირეებში ამ კომპანიამ ფართო ხასიათი მიიღო, მთავრობის ოფიციალური წევრები და წარმომადგენლები აშკარათ აცხადებენ თემთა პალატაში და პალატის გარეთ თავის მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კონსერვატიული პრესა გადაჭრით მოითხოვს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტას. თვით პრემიერის ბალდვინის და გარეშე საქმეთა მინისტრის ჩემბერლენის ორპირულ განცხადებიდანაც აშკარათ სჩანს მათი სურვილი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ენერგიულ ნაბიჯების გადადგმისა.

რამ გააბრაზა ასე სასტიკად უკანასკნელ კვირაში ინგლისის კონსერვატორები საბჭოთა კავშირზე?

პასუხი შემდეგია: ერთი მხრივ ჩინეთის ამბებმა, მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის ეკონომიურად სწრაფმა განვითარებამ და ინგლისის მუშების გამემარცხენებამ.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ინგლისის კონსერვატორების ბატონობა აღმოსავლეთ ქვეყნების დამონებაზეა დამყარებული, ინგლისში კონსერვატორების არსებობა შეუძლებელია გარეშე ჩინეთის, ინდოეთის, ეგვიპტეს, ავღანისტანისა და სხვა მრავალ ქვეყნების დამორჩილება-გაყვლეფისა. ინგლისი საუკუნოებით ბატონობს ამ ქვეყნებში, ხალხს აძვალ-ტყავებს, შეუბრალებლად სტანჯავს, აწამებს, პირუტყულ მდგომარეობაში აგდებს.

დამონებულ ხალხს მოთმინების ფიალა აევსო, მათ ვერ გაუძლეს ამდენ ტანჯვას და მჩაგვრელების წინააღმდეგ ხმა ამოიღეს. ჩინეთის ხალხის დღევანდელი მოძრაობა ადამიანურ ცხოვრების პირობების შექმნას ისახავს მიზნათ. მას უნდა თვითონ იქნეს თავის-თავის ბატონი, თავის სურვილისამებრ მოაწყოს თავის ცხოვრება, განთავისუფლდეს უცხოელების ოპეკა-ბატონობისაგან. ინდოეთის, ავღანისტანისა და ეგვიპტის ხალხის მოძრაობაც ამას ისახავს მიზნათ.

უდაოა, ამ მოძრაობაზე საბჭოთა კავშირის გავლენაც, ვინაიდან საბჭოთა კავშირი საუკეთესო მაგალითია მისი, თუ როგორ შეიძლება ეროვნულ ჩაგვრის მოსპობა, ერის დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი განმტკიცება-განვითარება. საბჭოთა კავშირი ერთგვარი იმპულსის მიმცემია ყველა დაჩაგრულ და დამონებულ ერებისა და ხალხების მოძრაობისა. იმ მორალურ თანგრძნობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს დამონებულ ერების გამოფხიზლებას და მათ ბრძოლას მჩაგვრელების წინააღმდეგ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ბრძოლის სიმტკიცისათვის, მებრძოლთა გამხნევებისათვის.

აი სწორედ ეს გარემოება არ აძლევს მოსვენებას საერთაშორისო რეაქციას, და კერძოთ ინგლისის ექსპლოატატორებს, ისინი ცდილობენ მოსპონ საბჭოთა კავშირის გავლენა დაჩაგრულ ერებზე, ეს კი მაშინ შეიძლება, როცა თვით საბჭოთა კავშირი მოისპობა, ამით არის გამოწვეული მათი უკანასკნელი გააფთრებული კომპანია რუსეთის წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავს რუსეთის წინააღმდეგ ყველა ევროპის სახელმწიფოების ამხედრებას.

ინგლისს აფრთხობს აგრეთვე საბჭოთა კავშირის გავლენა ინგლისის მუშათა კლასზე, როგორც ვიცით, ეს გავლენა უკანასკნელ ხანებში ძალიან გაიზარდა, რასაც შედეგად მოყვა ინგლის-რუსეთის პროფკავშირთა მთლიანობის კომიტეტის შექმნა, რომლის მიზანია მსოფლიო პროფმოძრაობის გაერთიანება. ინგლისის მთავრობას კარგათ აქვს შეგნებული, თუ რა საფრთხეს უმზადებს საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანება ინგლისის რეაქციას და ამითაც არის გამოწვეული ინგლისის უკანასკნელი იერიშები საბჭოთა კავშირზე.

გარდა ამისა, ინგლისს ვერ მოუნელებია ის, რომ საბჭოთა კავშირი დღითი-დღე ძლიერდება ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად. ინგლისს იმედი ეკარგება საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის შინაგან ძალით დამხობის, ინგლისი იმასაც კარგად ხედავს, რომ საბჭოთა კავშირს ვერც სილატაკე დაამხობს, რადგან სილატაკეს ის თანდათანობით საკუთარი ძალებით თავს აღწევს და ეკონომიურად მაგრდება. ინგლისის კაპიტალისტები იმასაც ამჩნევენ, რომ საბჭოთა კავშირი ევროპის დაუხმარებლად კარგად აწყობს თავის ცხოვრებას. არ გამართლდა ევროპის ბურჟუაზიულ ეკონომისტ-ფინანსისტების პროგნოზი, რომ საბჭოთა კავშირი ვერ შესძლებს; თუ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებიდან სესხი არ მიიღო, თავის მეურნეობის აღდგენას, სესხის აღებისათვის საჭიროა მან იცნოს მეფის ვალები, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სესხს ვერ მიიღებს და შიმშილ-სილატაკე მას ბოლოს მოუღებსო.

ინგლისის იმპერიალისტები ყოველივე ამას ნათლად ხედავენ და ამიტომ არის, რომ ცდილობენ მანამ, სანამ კიდევ უფრო გაძლიერდებოდეს საბჭოთა ხელისუფლება, მანამდე მოუღონ მას ბოლო. ხოლო, რომ უფრო პოპულიარული გახადონ თავისი კომპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფართო მასსებში, და რომ უფრო მეტი ხალხი აამხედრონ მის წინააღმდეგ, ყალბი დოკუმენტების შეთხზვას მიყვეს ხელი, ათასგვარ ჭორებსავრცელებენ საბჭოთა კავშირზე, თითქოს ჩინეთის, მაროკოს და სოფიის ამბები რუსეთის მიერ იყოს მოწყობილი, თითქოს რუსეთის ფულის წყალობით ეწყობა და ძლიერდება ინგლისში და სხვა ეკონომიურ სახელმწიფოებში კომპარტია, რომელიც მოსკოვის კარნახით მიზნათ ისახავს არსებულ ხელისუფლების დამხობას და მის ნაცვლად საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადებას.

ინგლისის მუშათა კლასმა იცის ამ ჭორების ფასი და ღირებულება, ის ასე ადვილად არ წამოეგება მაზეის ამ ჭორებს და კონსერვატორების რუსეთთან კავშირის გაწყვეტის განზრახვას სასტიკი და ერთსულოვანი პროტესტით შეხვდა. ინგლისის ტრედ-უნიონების საბჭო ენერგიულად მოუწოდებს მუშებს არ დაიჯერონ კონსერვატორების ჭორები, არ აყვნენ მათ ფუჭის ხმას და ენერგიული ბრძოლა აწარმოონ კონსერვატორების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ რუსეთთან კავშირის გაწყვეტას, საერთაშორისო ომის გამოწვევას და რუსეთის მუშათა კლასთან ერთად საერთაშორისო მუშათა კლასის განადგურებას.

როგორც უკანასკნელი დღეების გაზეთები გადმოგვცემენ, კონსერვატორების ეს უკანასკნელი ცდაც უდღეური გამოდგა, ჩემბერლენმა ვერც ახლა მოახერხა საფრანგეთ, გერმანია-იტალიასთან საერთო ენის გამონახვა რუსეთის წინააღმდეგ. ევროპის სახელმწიფოებში ინტე-

რესთა წინააღმდეგობა ახლაც ისეთი მწვავე გამოდგა, რომ შეუძლებელი გახდა მათი ინგლისის დირიჟორობის ქვეშ გაერთიანება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩემბერლენმა დროებით, ტაქტიკური მოსაზრებით, ხელი აიღო თავის შავ განზრახვებზე და თემთა პალატაში გარკვევით განაცხადა: „მთავრობა არ ფიქრობს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტასო“.

რასაკვირველია, ჩემბერლენი უკანვე წაიღებს თავის განცხადებას, როცა უფრო ხელსაყრელი პირობები დადგება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ჩემბერლენი უცდის ამ დროს, საბჭოთა რუსეთისადმი მტრობა მასში იხევ დარჩა, ის მხოლოდ მომენტს უცდის ამ მტრობისათვის რეალურად ხორც შესასხმელად.

საბჭოთა ხელისუფლება კარგათ ხვდება ამას, ის მუდამ სადარაჯოზე იქნება და არავის მისცემს ნებას მუშათა კლასს გულში ლახვარი ჩასცეს, ის შეეცდება ეს ლახვარი მომხდურის წინააღმდეგ მიაბრუნოს და ერთხელ და სამუდამოთ მშრომელთა კლასი მტარვალებისაგან გაანთავისუფლოს. ყველა პატიოსანი და რევოლიუციის გულშემატკივარის ვალდებულებაა ამ ბრძოლაში ხელისუფლებას გვერდში ამოუდგეს.

ენ.

# საქართველოს მეცხვარეობა და საძოვართა საკითხი

ვინც იცნობს საქართველოს რელიეფს და ჰავას, მის სოფლის მეურნეობის დინამიკას, მის მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიურ დონეს, მისთვის ზედმეტია მტკიცება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მეცხვარეობას. დროს დაკარგვად უნდა ჩაითვალოს დავა ჩვენი სოფლის მეურნეობის იმ ფაქტორის რეალობაზე, რომელიც ათასეულ წლების სივრცეზე გვიმაგრებდა და დღესაც გვიმაგრებს ეკონომიურ ხერხემალს, მაგრამ, სამწუხაროდ, დავის უფლება ყველას აქვს და ჩვენც იძულებული ვართ ერთ-ერთ უსაფუძვლო დავის სიკოტრეს შევწიროთ ეს წერილი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეცხვარეობა პირმშო და კანონიერი შვილია ჩვენი ქვეყნის სტრუქტურისა და იგი საუკუნოებითაა გამართლებული, ამ უკანასკნელ დროს მისი არსებობის საკითხი გზა-ჯვარედინის სალაპარაკოდ გამხდარა. მის გარშემო ხელოვნურად იქმნება უარყოფითი ატმოსფერა, რომელსაც შეუძლიან მის ბუნებრივ განვითარებას შეუქმნას კრიზისი, თუმცა საამისო ობიექტიური პირობები ჯერ არ დამდგარა და არც დადგება ახლო მომავალში. დღეს პირდაპირ ისმება მეცხვარეობის ყოფნა არ ყოფნის საკითხი, მეცხვარეობა არჩევანშია ჩაგდებული და უბრალო ფეხის წაცდენაა საკმარისი ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, რომ ჩვენი სოფლის ეკონომიკას გამოეცალოს ერთი მეტად მძლავრი დედა ბოძი.

შეიძლება საკითხის ასე მწვავედ დაყენებას ხელს უწყობს მეცხვარეობის დამღუპველ პროექტთა ავტორების მიერ ჩვენი ქვეყნის ბევრი რამის არ ცოდნა, შეიძლება მართალია, რომ „არ ცოდნა არ ცოდვაა“-ო, მაგრამ ისიც მართალია, რომ როცა ირჩევა სახელმწიფოებრივ ღირებულების საკითხი, მაშინ „არ ცოდნა“-მ შეიძლება დიდი ცოდვაც დაატრიალოს. ჩვენი ვალია ასეთი უარყოფითი ატმოსფერა მეცხვარეობის გარშემო დავცალოთ და თუ საბუთები მართლაც და უფლებას მოგვცემენ, სისასტიკით დავიცვათ მეცხვარეობის ინტერესები, ხელი შეუწყოთ მის ნორმალურ განვითარებას და ერთხელ და სამუდამოთ მოუღოთ ბოლო ამ საკითხის გარშემო უსაფუძვლოდ ატეხილ დავას.

პირველი და მთავარი საკითხია: რა ბუნებისაა მეცხვარეობის არსებობა—შემთხვევითი ხასიათისაა, თუ იგი თავისთავად მოცემულია როგორც აუცილებელი და გარდაუვალი მოვლენა და ძირითადი ელემენტი ჩვენი სოფლის მეურნეობისა.

საქართველო მთიანი ქვეყანაა, მაგრამ იმავე დროს დასერილია ხეობებით, რომელთაგან ზოგი თუ კეთილ, ზოგი ავ ჰავიანია. კეთილ ჰავიან ვაკე ადგილებში მოსახლეობა მისდევს ხვნა-თესვას და მევენახეობას. ავ ჰავიანი ალაგები უდაბნოებადაა გადაქცეული და სრულიად თავისუფალია მოსახლეობიდან. მოსახლეობის მეორე ნაწილი სცხოვრობს მთიან ზონაში, სადაც მკაცრი ბუნება და მიწად-მოქმედებისათვის მწირი ნიადაგი აიძულებს მას მისდიოს მხოლოდ და მხოლოდ მესაქონლეობას; ასეთი ალაგებია: თუშეთი, ფშავეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, ქსნის სათავე და სხვ.. ეს ადგილები მდიდარია მხოლოდ და მხოლოდ საზაფხულო საძოვრებით, რომელთა სიმაღლე უდრის 4—11,000 ფუტს. რადგანაც ეს საძოვრები დასერილია აყუდებულ ქედებით, მიუვალია უგზოობით და მასთან ერთად საზამთროდ მოსამარაგებელი თივა მეტის მეტად მცირეა, მსხვილ-ფეხა საქონლის ყოლა აქ ძლიერ შეზღუდულია. სამაგიეროდ ამ საძოვრების რაციონალურად გამოყენება შეიძლება მხოლოდ ცხვრით, რომლის მოშენებასაც გულმოდგინეთ (იძულებით) მისდევს მოსახლეობა, რომლის არსებობის უმთავრეს და ზოგ შემთხვევაში ერთად-ერთ წყაროს წარმოადგენს იგი. ვინაიდან დასახელებულ რაიონების გლეხკაცის ბიუჯეტი უმეტეს შემთხვევაში ეფუძნება მხოლოდ ცხვრის შემოსავალს, ცხადია, რომ მას არ შეუძლიან ოჯახის სარჩენელად იყოლიოს მხოლოდ 10—20 ცხვარი (თვითეული ცხვარი წელიწადში იძლეოდა ომამდე წმინდა შემოსავალს არა უმეტეს 1--1 მ. 20 კ.). ოჯახმა, რომ თავი გაიტანოს, საჭიროა 200—300 ცხვარი, რომელიც ვეღარ დაეტევა ადგილობრივ და მეცხვარე იძულებულია თავის ცხვრის ფარით მოშორდეს მშობლიურ კერას და წავიდეს იქ, სადაც კი ექნება მისი გამოკვების შესაძლებლობა. ასეთ ალაგებად უხსოვარ დროიდან მიჩნეულია თრიალეთ-ჯავახეთის მთები, რომელთა 90% მოყოლებულია ახალ-ქალაქის მაზრაში, დანარჩენი კი—ბორჩალო-გორის მაზრებში.

საქართველოს ყველა საზაფხულო საძოვრები 8 თვის განმავლობაში დაფარულია თოვლით და მაშასადამე, ამ დროს სრულიად გამოუსადეგარია ცხვრისთვის. მოვა თუ არა თოვლი, მეცხვარე თავის ფარით მიეშურება ზაფხულში სრულიად უვარგისს, მაგრამ ზამთარში ბალახიან და კეთილ ჰავიან უდაბნოებში, რომელთა შორის ყველახედ ცნობილია შირაქის ველი. ასეთი უდაბნოები რომ არ მოგვეპოვებოდეს, მაშინ საზაფხულო საძოვრების (500.000 დესეტინა) 90% სრულიად გამოუსადეგარი დარჩებოდა არამც თუ ადგილობრივ მოსახლეობისათვის, არამედ საერთოდ, სახელმწიფო ეკონომიკის თვალსაზრისითაც. მეორეს მხრივ, საზაფხულო საძოვრები

რომ არა გვქონდეს, მაშინ ყოველივე ღირებულება მოაკლდებოდათ უდაბნოებს. მაშასადამე ერთ-ერთი მათგანის ჩამოშორება მექანიკურად გამოიწვევდა მეორის ფასის სრულიად დაკვრგვას. ორივე სახის საძოვრების სივრცე, რომელიც უდრის 738,953 დესეტინას, ე. ი. მთელ ჩვენ ტერიტორიის ერთი მეხუთედი, სრულიად გამოუსადეგარი დავვრჩებოდა, თუ რომ არ გვეყოლებოდა ცხვარი. მაშასადამე თუშეთის, ფშავის, ლეკის მთის, თრიალეთ-ჯავახეთის, ალბაბის, გოიდახის და სხ. საზაფხულო საძოვრები ღირებულებას აძლევენ ზედა ყარაიას, შირაქის, იალღუჯის, არამდარის და სხ. უდაბნოებს და უკუღმა. კიდევ ვიმეორებ, რომ ყველაფერი ეს ხდება ცხვრის მეოხებით. ჩვენ რომ შეგვეძლოს (ოცნებაა რასაკვირველია!) უდაბნოების სრული მორწყვა და აყვავება, მაშინ სულ ერთია აქაურ მოგებას ძირს გამოუთხრიდა საზაფხულო საძოვრების ეკონომიური წაგება, რადგანაც იგინი წარმოადგენენ, როგორც ზემოთ ვსთქვი, ცხვრის აბსოლიუტურ საძოვრებს.

აი პირველი გასამართლებელი საბუთი ჩვენი მეცხვარეობისა და მის ექსტენსიურ ფორმისა.

შემდეგ: მთელი მთა და ნაწილობრივ ბარიც, თვითონ ჰქსოვდა და დღესაც ჰქსოვს თავის ტანისამოსისთვის შალებს, ფარდაგ-ხურჯინებს, წინდა-პაჭიჭებს, სთელამს თექებს და სხ., მატყლს იყენებს მთელი საქართველო საბან-ლოგინისთვის. ყველა ამ მიზნებისთვის მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ყოველ-წლიურად სჭირდება 30—40.000 ფუთი მატყლი. გარდა ჩვენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, ომამდე ყოველწლიურად გაგვქონდა მატყლის საგრძნობი რაოდენობა საზღვარ-გარედაც, სახელდობრ: რუსეთში (მოსკოვი, ლოძი და სხ.), საფრანგეთში (მარსელი), ინგლისში (ლონდონი) და ამერიკაში (ფილადელფია, ნიუ-იორკი). სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ მაგ. 1909—1913 წ. წ. წლიურად საშუალოდ გადაზიდული იყო რკინის-გზით 159,020 ფ. მატყლი, საზღვარ-გარედ კი იყო გატანილი—142,567 ფ.. მართალია, რევოლიუციის დროს და შემდეგ თითქმის სრულებით შემცირდა ექსპორტი (მაგ. 1922 წ. გატანილი იყო მხოლოდ 16,099 ფ.), მაგრამ ამავე დროს ჩამოვარდა ფართალის კრიზისი, რამაც აიძულა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შინა მრეწველობით გაეტანა თავი. ამან დააბანდა გაუყიდავად დარჩენილი მატყლი. სასოფლო-სამეურნეო აღწერით შეკრეფილ ცნობის მიხედვით საქართველოში 1923 წ. შალეულობის, ფარდაგ-ხალიჩების ქსოვას და თექების მოთელვას მისდევდა 32,823 კომლი, რომელთა ნაწარმოებთა ღირებულება იმავე ცნობით უდრიდა 4,248,000 მანეთს. ეს ცნობები არ არის შეკრეფილი მთელ საქართველოში, თორემ მატყლის გადამმუშავებელ შინა-მრეწველთა რიცხვი ერთი ორად გადიდდებოდა, ვინაიდან მთელ მთაში ძნელად მოიპოვება ოჯახი, რომელიც მატყლს არ ამუშავებდეს. მართალია ფართლის კრიზისი შენელდა, მაგრამ მატყლის მოთხოვნილება არის და იქნება კიდევ დიდხანს, რადგანაც ნახევარი მოსახლეობა არა ხმარობს და არც მალე იხმარებს ბამბეულ და ქაღალდის ნაქსოვს. მაშასადამე, ჩვენი ხალხისთვის, მეტადრე იმ ნაწილისთვის, რომელიც ფაბრიკატის შესყიდვის უნარიანობასაა მოკლებული, მატყლი აუცილებელი ნედლი მასალაა და უცხოეთიდან მის შემოტანას ჩვენი ღარიბი ჯიბით რასაკვირველია ვერ შევძლებდით. გარდა ამისა, ჩვენთვის საჭიროა ისეთი მატყლი, როგორიცაა ჩვენი ცხვრისა, რადგანაც მოსახლეობა მის გადამუშავებასაა შეჩვეული და მისგან მიღებული მასალა სრულიად აკმაყოფილებს ტრადიციულ მოთხოვნილებებს. არამც თუ საერთოდ შემოტანას, თვით ამ თვისების მატყლის პოვნაც გაგვიძნელდებოდა.

მართალია თამარ მეფის დროს ალექსანდრიიდან შემოდიოდა ჩვენში ნაზი მატყლი, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ არისტოკრატიისთვის იყო სახმარი! გლეხ-კაცობისთვის კი ორი ათასი წლის განმავლობაში ერთი გირვანქაც კი არსაიდან არ შემოგვიტანია და ის ყოველთვის თავისივე მატყლით გამოდიოდა იოლად.

მთაში ყველგან და ნაწილობრივ ბარშიც, სუსხიან ზამთრის გამო ხმარებაშია ცხვრის ტყავი. ტყავს იცვამს როგორც კაცი, ისე დედაკაცი, როგორც დიდი, ისე პატარა. ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოს სჭირდება 20—25.000 ტყავი. აქაც იოლად მივდივართ ჩვენი ცხვრის ტყავით.

ნათქვამის გარდა, ცნობილია, რომ ქართველობა ნაკლებათ იკვებება წვნიან საჭმელით. მშრალ საკვებთ შორის ყველს უკავია პირველი ალაგი. „ყველი და პური“ ანდაზადაც კი გვაქვს გადაქცეული. ყოველწლიურად აღმოსავლ. საქართველო ხმარობს 90—110.000 ფუთ ცხვრის ყველს. რადგანაც ეს ყველი ვერ აკმაყოფილებს შინაურ ბაზრის მოთხოვნილებას, დასავლეთ საქართველოდან და მეზობელ რესპუბლიკებიდან შემოდის საგრძნობ რაოდენობით ძროხის ყველი.

რაც შეეხება ხორცს, ქართველობა ყველაზე მეტად ეტანება ცხვრის ხორცს არა მარტო პროვინციაში, არამედ ქალაქადაც. თუ რამდენს ხმარობს სოფელი ცხვრის ხორცს, ამის თქმა ძნელია, მაგრამ მაგ. მარტო ტფილისს 1924 წ. მოუნდა 91,224 ცხვარი ანუ 127,713 ფ. ცხვრის ხორცი.

ჩამოთვლილ პროდუქტების რაოდენობა საგრძნობლად გადიდდებოდა, უკეთუ ხელმისაწდომი გახდებოდა ფართე მასისთვის.

მაშასადამე, მატყლი, ხორცი, ყველი, ტყავი—აი რა სჭირდება ჩვენ გლეხ-კაცს და ყოველივე ამ საჭირო პროდუქტს იღებს ცხვრიდან, რომელსაც თვითონ ამრავლებს, და ახლა რა პროდუქტებს! ჩვენი ცხვრის მატყლს, ხორცს და ყველს ხომ არც ერთ ცხვრის პროდუქტი არ შეედრება ამიერ-კავკასიაში. ალბად მეტის-მეტად საჭიროებს ჩვენი გლეხ-კაცი ამ პროდუქტებს, რომ მთელ წინა აზიაში თანამედროვე ერთა შორის, ყველაზე მეტად მან შეალია თავისი შემოქმედებითი ნიჭი ამ პირუტყვს. ცხვარს შესტრფის და უპირველესად ყოვლისა მისგან მოელის შველას თუში, ფშაველი, გუდამაყრელი, მთიული, მოხევე და ქსნელი და ნაწილობრივ, ბარის მცხოვრები გლეხიც. მართალია, არც ერთი მათგანი არ იზიარებს მაჰმადის აზრს, რომ სადაც ადამიანი შევიდა გუთნით, თან შეიტანა მონობა და შერცხვენაო, მაგრამ რა ქნან, როცა უპირო ბედმა მათ არგუნა სასტიკ კავკასიონის მწირი კალთები, ქარ-ბუქ ზვავიანი გძელი ზამთარი; აყუდებული მთები მომძვლეულ კლდეებით,—ადგილი, სადაც წრიაპებით ბალახს სთიბამენ, მთელი წლის სარჩოს ბილიკებით ზურგით ზიდამენ და ხურჯინებით ბავშვები გადაჰყავთ. ბედმა მათ არგუნა ქერის პური მხოლოდ, და მჭეუტავი სიცოცხლე მალე გაქრებოდა მთების კალთებზე, რომ მათ პირქუშ ქედების ალპიური საძოვრები არა თეთრდებოდეს ცხვრის ფარებით.

მაის ხალხს საუკუნოებით აქვს გამწვარებული სიცოცხლე ცხვრისთვის და მათი კუთხის პირობების ბრალია, რომ ცხვრის გულისთვის მონობაზედაც კი ყაბულდებოდნენ. „კახთა მეფეთა ალარა მორჩილებდნენ ფშავხევსურნი და თუშნი და ამან ლევან (კახეთის მეფემ) დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ-იყვნენ კახეთს“-ო (ქართლ. ცხ. ჩუბ. II—107).

არამც თუ მარტო მთიელებს, განა ქიზიყს, რომელსაც წლეულ ჰყავს 600,000 ცხვარი, და გარე-კახეთს ცხვრით არ უდგას სული? ქართლ-კახეთის ვლეხ კაცობას იდეალად აქვს გადაქცეული ცხვრის ყოლა, რასაც აქვს თავისი შინაგანი და გარეგანი პირობები, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთის ყურამდე ვერ აღწევს ხალხის ამოძახილი და უნდა დაამტკიცოს, რომ საჭიროა ჩვენმა მეცხვარეობამ შესცვალოს მეურნეობის ფორმა, როგორც უაღრესად ბარბაროსული, რაც ფაქტიურად ნიშნავს მეცხვარეობის სრულ მოსპობას და რასაც სრულებით არ მოითხოვს რესპუბლიკის ინტერესები.

არამც თუ მოსპობა ან შემცირება, არამედ მეცხვარეობის უფრო გაძლიერებაა საჭირო, ვინაიდან მისი ყოლა აუცილებელია ჩვენთვის და გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის ტოპოგრაფიით და სხვა პირობებით. მისი გაძლიერება კოოპსათუოდ უნდა სწარმოებდეს ექსტენსიურ ფორმით, რადგანაც მხოლოდ ასეთ ფორმას აქვს ჩვენში ეკონომიური ღირებულება. მეცხვარეობის „ჭირისუფლების“ არგუმენტაცია მრავალფეროვანია და ქვეით გაუშინჯოთ მას ჭია-ნაჭამი კბილები, ეხლა კი ვიტყვი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სწამს მეცხვარეობა, როგორც აუცილებელი ელემენტი თავის სოფლის მეურნეობისა და იმედიანი თვალით უყურებს მის მომავალს.

მეორე კითხვაა—წარმოადგენს თუ არა რაიმე ღირებულებას ჩვენი ცხვარი ამიერ-კავკასიის ან საკავშირო მეურნეობის სისტემაში. ჯერ ერთი ჩვენი ცხვარი, როგორც საუკეთესო მატყლის, ხორცის და ნოყიერ რძის მომცემი, კარგა ხანია აღიარებულია საყოლ მასალად და უკვე რამოდენიმე ჯიშია მის სისხლის შერევით ჩამოყალიბებული, მეორეც ერთი, საკავშირო საქსოვ მრეწველობას ყოველ წლიურად სჭირდება დაახლოებით 200—250.000 ფუთი ნახევრად სქელი მატყლი, როგორიცაა ჩვენი, რომლის ნახევარი ადვილად შეგვიძლიან მივაწოდოთ (ორი წელიწადია, რაც უკვე ვაწვდით). მაშასადამე ამ მხრივაც დაცაა საინტერესო ჩვენი მეცხვარეობა.

ეხლა ვიკითხოთ, ღირს თუ არა სალაპარაკოდ ჩვენი ცხვარი? იქნება მისი მცირე რაოდენობა ყურადღების ღირსიც არ არის? წლეულ აღმოს. საქართველოში 1,500.000 მეტი ცხვარია, რომელსაც ემსახურება დაახლოებით 8.000 მწყემსი, 9.000 ცხენი, 3.000 ვირი და 12.000 ძაღლი. ეს იქნება დაახლოებით 21.000.000 მანეთის საქონელი. ამ ცხვარს შეუძლიან მოგვცეს წლეულ დაახლოებით 150—160.000 ფ. მატყლი (ფ. 15 მან.), 112,500 ფ. ყველი (ფ. 10 მ.), 150.000 საკლავი ჭედილა ანუ 210.000 ფ. ხორცი (ფ. 12 მან.) და 150.000 ტყავი (ცალი 50 კ.) ე. ი. 5.960.000 მანეთის პროდუქტი.

როგორც ციფრებიდან სჩანს, ჩვენი მეცხვარეობა წარმოადგენს რესპუბლიკის 21 მილიონ მანეთიან ფონდს, რომელიც ყოველ წლიურად იძლევა 5 მილიონის ღირებულების მასალას, რომლითაც უშუალოდ სცხოვრობს აღმოს. საქართველოს მოსახლეობის 20%, პროდუქტებით კი სარგებლობს მთელი მოსახლეობა მცირე გამონაკლისით.

საინტერესოა ეხლა ვიცოდეთ, რა პირობებშია დღეს ჩვენი მეცხვარეობა, რესპუბლიკის ასეთი ძვირფასი განძი.

(გაგრძელება იქნება)

**ლევან ლეონიძე.**

# ბ. სერ. მაკალათიას რეცენზიის გამო

ჟურნალ „წიგნის მეგობრის“ № 1-ში მოთავსებულია სერ. მაკალათიას რეცენზია ჩვენი წიგნის „საქართველოს ისტორიის“ შესახებ. ბევრს უსაბუთო შენიშვნას აქვს ადგილი ამ წერილში და ამიტომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მისი აქ გარჩევა.

რეცენზიაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩვენ არ გვქონდეს აღწერილი საქართველოს ფიზიკო-გეოგრაფიული მდებარეობა, მისი გეოლოგიური ცვალებადობანი და აგრეთვე ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანები მათისავე დამახასიათებელი ეკონომიურ-კულტურული მდგომარეობით კავკასიაში და კერძოთ საქართველოში (იხ. წიგ. მეგ. 156 გვ.).

ჯერ ერთი ის, რომ ჩვენ ცნობები საქართველოს ფიზიკო-გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ, რამდენათაც მას ჩვენს საგანთან კავშირი აქვს და საჭიროება მოითხოვს, წიგნში საკმაოთ მოყვანილია. ხოლო უფრო დაწვრილებითი ცნობების ამ საგანზე ისტორიის სახელმძღვანელოში შეტანა, ჩვენის აზრით, უადგილო იქნებოდა, მით უმეტეს, რომ საქართველოს გეოგრაფია, როგორც ცალკე საგანი, ისწავლება ჩვენს სკოლებში. მეორე—რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის გამოკვლევისათვის ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანების განხილვას კავკასიაში? თვით საკითხი—ცხოვრობდა თუ არა ადამიანი ქვის ან ბრინჯაოს ხანებში კავკასიაში, თუ ის გაჩნდა აქ ხმარებაში რკინის შემოღების შემდეგ—მეცნიერებაში სადაო და გადაწყვეტილი არ არის. მით უმეტეს ყველასათვის ცნობილია, რომ დღევანდელი საქართველო ქართველების თავდაპირველი სამშობლო არ არის და განვითარების პირვანდელი ფორმები ქართველ ტომებს ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებამდე—მცირე აზიასა და შუამდინარეში—გაუვლიათ. ამიტომ ქართველების უძველესი კვალი ამიერ-კავკასიაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მცირე აზიასა და შუამდინარეში. ასე, რომ, სანამდის მცირე აზიის სიღრმეში ჩამარხული ნივთიერი ნაშთები სავსებით ამოღებული და შესწავლილი არ არის, გადაჭრით არ შეიძლება იმის თქმა, თუ როდის და რა პირობებში განვლეს ქართველებმა ქვის, ბრინჯაოს და რკინის საუკუნეები.

მოქ. მაკალათია სწერს, რომ ჩვენ თითქოს ქართველი ტომების მცირე აზიაში ბინადრობის ადგილი განსაზღვრული არ გვქონდეს, არც ამ ტომების სახელები გვქონდეს მოხსენებული და არც ის მიზეზები აღგვენიშნოს, რომელთაც აიძულეს ქართველი ტომები დაეტოვებიათ ძველი სამშობლო და ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულიყვნენ (წიგნ. მეგ. გვ. 150).

ჩვენ ჩამოთვლილი გვაქვს ყველა ქართველი ტომები და მათი ბინადრობის საზღვრები მცირე აზიაში (საქ.

ისტ. გვ. 32—33), განხილულია კაბადოკიის და პონტოს ფიზიკო-გეოგრაფიული მდებარეობა (გვ. 31—32), აგრეთვე დასახელებული გვაქვს ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს ქართველი ტომები დაეტოვებიათ თავიანთი უძველესი სამშობლო ქვეყანა და თავი შეეფარებიათ შავიზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირებისა და ამიერ-კავკასიისათვის. ჩვენ ვწერდით: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ასურელებთან ბრძოლებმა მერე კიმერიელების გამანადგურებელმა ქარ-ცეცხლმა შინაური მეურნეობა ქართველებში სრულიად მოშალეს; ბოლოს ისინი იძულებულნი იყვნენ დაეტოვებიათ თავიანთი მიწა-წყალი და მადნეულობის მაღაროები" და სხვა (საქ. ისტ. გვ. 40)

უნდა აღინიშნოს, რომ დავა ჩვენსა და მაკალათიას შორის წმინდა პრინციპიალური სასიათისაა; თუმცა რეცენზიის ავტორი ფიცულობს, რომ მას „სასურველად" მიჩნია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მატერიალისტურ-მარქსისტულად შედგენა, მაგრამ იმავე წუთში ის თავის ფიცს ღალატობს და ისტორიულ მოვლენებისა და ფაქტების დალაგების დროს მარქსისტული მიდგომის წინააღმდეგ ილაშქრებს. ეტყობა მაკალათიამ მარქსიზმი ან ცუდათ იცის ან მას ის შეგნებულად ებრძვის. „სახელმძღვანელოში სწერს რეცენზიის ავტორი—ქართველთა უძველესი ტომები მოხსენებული არიან ბარბაროსებათ და ისიც მის უმაღლეს საფეხურზე მდგომად, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს".

ამ ამონაწერში ჩვენ ვხვდებით ერთ შესანიშნავ ადგილს; ეს არის „ბარბაროსებათ და ისიც მისი უმაღლეს საფეხურზე". საგანთან გაცნობილს მკითხველს არ შეუძლია უნებლიეთ არ გაეცინოს. აშკარაა, ჩვენს კრიტიკოსს ბარბაროსობა ესმის ვულგარულად. ბარბაროსობა მისი აზრით ნიშნავს ნგრევა-განადგურებას, ხოლო ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე დგომა—ქვეყნის დაქცევას. აზრის ასე გაგების შემდეგ მაკალათიას თავი შეურაცყოფილად უგრძვნია და გული მოსვლია, როგორ თუ ქართველებს ბარბაროსობა და უკულტურობა დასწამეთო. ჩვენ კი ვისწრაფვით დავამშვიდოთ ის და ვუთხრათ, რომ „ბარბაროსობის უმაღლესი საფეხური" ჩვენ ნახმარი გვაქს, როგორც განვითარების განსაზღვრული ეტაპი. ამის და საერთოდ ისტორიის სისწორით გაგებისთვის საჭიროა ცოდნა არა მარტო მშრალი და ზღაპრული ფაქტებისა, არამედ სოციოლოგიისაც, თორემ წინაამდეგ შემთხვევაში მართლაც „ლეონტი მროველობა" გამოვა. ბარბაროსობის უმაღლესი საფეხური დანგრევისა და დაქცევის მიხედვით არ განიზომება. არც ერთ ეპოქაში, არასოდეს კაცობრიობის იმდენი ნაშრომი და ნაამაგარი არ განადგურებულა, იმდენი ხალხი არ დახოცილა, რამდენიც ამ უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, მაგრამ მიუხედავათ ამისა ამ ხანას ისტორიულად ბარბაროსობა არ ეწოდება. ისტორიის ხანებად განსაზღვრას მარქსიზმი ყოველთვის საფუძვლად უდევს ტეხნიკის განვითარებას, მეურნეობის ფორმებს და საერთოდ საწარმოო ძალთა განვითარებას. ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურში იგულისხმება მისი დამახასიათებელი ეკონომიურ-კულტურული შინაარსი. სწარმოებს რკინისა და სხვა ლითონებისაგან იარაღების და ჭურჭლის დახელოვნებული კეთება; პურეული და ბოსტნეული მცენარეების მოყვანას ემატება ღვინისა და ზეთის მზადება. ხდება შრომის განაწილება მიწის მუშებსა და ხელოსნებს შორის, ამ დროდან იზრდება მუშა ხელის მნიშვნელობა და ტყვეები, რომელნიც აქამდე ოჯახში თანაშემწეებათ ითვლებოდენ, მონებათ იქცევიან და მინდვრებში და სახელოსნოებში ასობით მიჰყავთ სამუშაოთ. ამ დროდან ყოველგვარი ნაწარმოები ხდება საქონელი, ვითარდება ვაჭრობა არა მარტო საშინაო და საგარეო, არამედ საზღვაოც და ამისთვის ხის სქელი ფიცრებისაგან აშენებენ გემებსაც. კეთდება სამიმოსვლო და საომარი ეტლები. ტომები და ტომთა კავშირები სახლდებიან კოშკებიან კედლებით გარშემორტყმულ ქალაქებში. საფუძველი ეყრება და ვითარდება ხუროთმოძღვრება. შემდეგ ეს ტომები მრავლდებიან, ერთდებიან და მათგან წარმოიშობა ხალხი. მამასახლისი—იგივე მხედართმთავარი (rex-basileus), სახალხო კრება, უხუცესთა საბჭო (სენატი) საგვარეულო კავშირის მიუცილებელი ორგანოებია: ამ დროს საზოგადოებაში გარდა თავისუფლებისა და მონებისა ჩნდებიან მდიდრები და ღარიბები. მიწა თანდათანობით ხდება კერძო პირების საკუთრებათ. ასე ახასიათებს ფრ. ენგელსი ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურს. აქ მთავარია არა ნგრევა და ძარცვა-გლეჯა, როგორც ეს მაკალათიას ჰგონია, არამედ შრომის განაყოფიერება, მეურნეობის ამ დრომდე სრულიად უცნობი დარგების წარმოშობა და მრავალი თვალსაჩინო კულტურული მიღწევანი. ეს არის საზოგადოების ცივილიზაციაზე გადასვლის ხანა.

ჩვენც ჩვენს სახელმძღვანელოში ამნაირი მდგომარეობა გვაქვს აწერილი თავში: „ქართველი ტომები ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე".

„ასურულ წყაროების ცნობებით ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი საზოგადო წესწყობილება უნდა ჰქონოდათ ქართველთა უძველეს ტომებს, ამიტომ დაუსაბუთებულია იმის გადაჭრით თქმა და სახელმძღვანელოშიც შეტანა, რომ მათი სახელმწიფოებრიობა საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილიყოს დაფუძნებული. დაუსაბუთებელია იმის თქმაც, რომ ამ ტომების მეთაურები ატარებდენ მამასახლისის წოდებას და არა მეფისას, რომელი სახელითაც ისინი მოხსენებული არიან ასურულ წყაროებში. რომ მართლაც ქართველთა უძველეს ტომთა წარმომადგენელნი ასურელ ბატონების ღირსეული მოწინააღმდეგე და მეფეებიც არ ყოფილიყნენ, ასურეთის ბრძანებლები მათ მეფეებათ არ მოიხსენიებდნენ, როგორც დამარცხებულთ და თავიანთ მოხარკეებს, მით უმეტეს, თუ უკანასკნელნი უბრალო მამასახლისები იყვნენ. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთის ბრძანებლები დამორჩილებულ ქვეყნების მეფეებს ამცირებდენ და მათ უბრალო მთავრის წოდებას ანიჭებდენ" (წიგნ. მეგობ. გვ. 157). ახირებული საქმეა! რეცენზიის ავტორი ჯერ აცხადებს, რომ ასურულ წყაროების ცნობებით არ შეიძლება უძველეს ქართველ ტომების საზოგადო წყობილების გამორკვევა და ამას ამბობს ის ჩვენი აზრის (რომ ქართველებს საგვარეულო წყობილება ჰქონდათ) გასაბათილებლათ, მაგრამ იქვე ღალატობს ამ თავის „მეცნიერულ სიფრთხილე"-ს, ემყარება იმავე ასურულ წყაროებს და დაასკვნის, რომ ქართველებს მეფეები ჰყავდა, სახელმწიფოც ჰქონდათ და ასურელების ღირსეული მოწინააღმდეგეები იყვნენო.

ასურულ წყაროებში მოხსენებულ „მეფე"-ში ჩვენის აზრით იგვრიტება გვართა კავშირის მეთაური მამასახლისი, ხოლო მაკალათიას არ უნდა ქართველი ტომების მეთაურებს ჩვეულებრივი მთავრის ძალაუფლებაც კი მიაწეროს და მით გემოვნება გაიფუჭოს; მათში ის ეძიებს

ყოვლის შემძლე—„ჯენტლმენ მეფეებს“. წერილის ავტორს ჩვენი აზრის გასაბათილებლად ვერაფერი მოჰყავს გარდა იმისა, რომ ასურეთის ბატონი ქართველების მეთაურებს მეფეებს უწოდებს, რაც არსებითად არაფერს ნიშნავს, რადგანაც ასურელებს არ შეეძლოთ მაშინ გაერჩიათ მამასახლისი მეფისაგან ჩვენი დროის ისტორიულ-სოციოლოგიური თვალსაზრისით.

ჩვენ ზემოთ დავასაბუთეთ, რომ ქართველები მცირე აზიაში ბინადრობის დროს ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ, ხოლო ამ უკანასკნელის სოციალ-პოლიტიკური ვითარება ყოველგან და ყოველთვის, თუმცა შერყეულად, მაგრამ მაინც საგვარეულო წყობილებაში გამოიხატება.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ქართველებს I საუკუნეში ქრ. შემ. აქ, ამიერკავკასიაში საგვარეულო წესწყობილება ჰქონდათ, ხოლო მათ დღევანდელ საქართველოში გადმოსახლებამდე მცირე აზიაში უცხოვრიათ. საგვარეულო წყობილებას ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს: ადვილად შეიძლება მისი განვითარების ან რღვევის და მოშლის პროცესი რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზების გამო დროებით შეჩერებულ იქმნას, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, ჩვენ რამდენათაც გვახსოვს, ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ხალხში საგვარეულო წყობილება მოშლილიყოს და შემდეგ იმავე ხალხის ცხოვრებაში ის ისევ წარმოშობილიყოს, განახლებულიყოს. აქედან ერთად-ერთი უტყუარი და უდავო დასკვნა: ქართველებს თუ კი ამიერ-კავკასიაში I საუკუნეში საგვარეულო წყობილება ჰქონდათ, აუცილებელია ის მათ უნდა ჰქონოდათ უფრო ადრეც—მცირე აზიაში ბინადრობის დროს.

ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გამარჯვებული ასურეთის მბრძანებლები დამარცხებულებს სახელს უმცირებდენ არაფრით არ მტკიცდება. პირიქით, ასურეთის დესპოტი ამბობს, რომ მუსკები (მესხები), რომელთაც **დამარცხება არასოდეს არავისგან არ უგემნიათ,** მე დავამარცხეო. აქედან აშკარაა, რომ ასურეთის ბატონები შეგნებულად არას დროს დამარცხებულ მოწინააღმდეგის ძალას არ ამცირებდენ; პირიქით ისინი კიდევ უფრო გადაჭარბებულად და გაზვიადებულათ იხსენიებდენ მის ძლიერებას, რომ შემდეგ თვითონ ეთქვათ, ჩვენ კიდევ უფრო ძლიერნი ვიყავით და ამიტომ დავამარცხეთო. მოწინააღმდეგის დამცირება ჩვეულებათ ჰქონდათ ბიზანტიელებს და ისიც სანამდის მოწინააღმდეგეს დაამარცხებდენ და არა ასურელებს.

ასურულ წყაროებში მოხსენებული მუსკების 5 და ტაბალების 24 მეფე გვართა კავშირის მეთაურებია. ომის დროს გვართა კავშირები—ტომები ცალ-ცალკე ირაზმებიან მტრის წინააღმდეგ და ჰყავთ თავიანთი ბელადები მამასახლის-მხედართმთავრები. ამ გვარათ მუსკები შესდგებოდენ დაახლოვებით ხუთი სათემო ერთეულისაგან. თვითეული მათგანს ჰყავდა თავისი უფროსი და ეს უკანასკნელი იყო ომის დროს ტომის (გვართაკავშირის) მეთაური.

ასეთსავე სამხედრო ერთეულს შეადგენდა გერმანელების გვართა კავშირი, რომელსაც თავისი ბელადი ჰყავდა. ასეთივე მეომარი ერთეული იყო ბერძნების ფრატრია, რომლის მეთაურსაც basileus ეწოდებოდა.

ამ გვარად განვითარების ამ ფაზაზე არც ქართველებს და არც სხვა ხალხებს მეფეები არ ჰყოლიათ. „ევროპის მეცნიერნი, უმეტეს-ნაწილად მეფეების ლაქიებათ დაბადებულნი, ბერძენთა გმირულ ეპოქის წინამძღოლში—ბაზილევსში—ხედავენ ახალ დროის მსგავს მონარქს“ (მარქსი).

ეს სიტყვები, რასაკვირველია, „ევროპის მეცნიერნი„-ს გამოკლებით ითქმის ბატონ მაკალათიაზედაც საქართველოს შესახებ.

„პირდაპირ გაუგებარია; სწერს მაკალათია, რომ სახეტმძღვანელოს შემდგენელთ საქართველოს ისტორიის ხანა IV საუკუნეში ქ. წ. და თითქმის არაბთა შემოსევამდე წარმოდგენილი აქვთ მეტად ბუნდოვანად. თურმე არც სამეფო ყოფილა ღარც კულტურა“ (წიგნ. მეგ. გვ. 158). მეორე ადგილას ის განაგრძობს: „მცხეთის სამეფო წარმოდგენილია უბრალო სამამასახლისოდ, მოკლებული ყოველგვარ პოლიტიკურ-კულტურულ ღირებულებას.“ (იქვე გვ. 159). როგორც ვხედავთ, რეცენზენტი თავის წერილში ყოველ ფეხის გადადგმაზე გვისაყვედურებს იმის გამო, რომ სახელმძღვანელოში, ჩვენ მე XI—XII საუკუნემდე ქრისტ. შემდეგ არსად მოხსენებული არა გვაქვს სახელმწიფო, სამეფო, მეფე. რეცენზენტს სამეფო (სახელმწიფო) ეგულება ქართველ ტომებში მცირე აზიაში ბინადრობის დროს, შემდეგ კოლხეთში და მცხეთაში მე IV საუკუნიდან ქრ. წინ მოყოლებული. წერილის ავტორი იჩენს ფაქტიური მხარის უცოდინარობას. ლეონტი მროველსაც ასე ჰგონია; ის ფიქრობს, რომ მე IV საუკუნეში ქრისტ. წინ ალექსანდრე მაკედონელის დროიდან აზომ, არან მეფის შვილმა დაარსა საქერთველოში სამეფო (სახელმწიფო).

რეცენზენტს უნდა სცოდნოდა, რაკი ის ამ საკითხს შეეხო, რა არის სახელმწიფო და რით განირჩევა ის საგვარეულო წყობილებისაგან. საგვარეულო წყობილება და სახელმწიფო ერთმანეთის მოპირდაპირე და უარის მყოფელი ორგანიზაციებია. პირველი უფრო ძველია. ის სისხლის ნათესაობაზე დამყარებული კავშირია, საგვარეულო წყობილებას ადგილი აქვს ისეთ საზოგადოებაში, სადაც კლასები არ არსებობენ. აქ სამხედრო ძალა თვით ხალხისაგან შესდგება. ხალხის საქმეა ყველა თანამდებობის პირების არჩევა და გადაყენება.

სულ სხვაა სახელმწიფო. ის წარმოიშვა კლასიურ საზოგადოებაში და კლასებს შორის ბრძოლის ნიადაგზე. განსაზღრულ ტერიტორიაზე ძალაუფლებას დაეპატრონა ეკონომიურად ძლიერი კლასი. მან თავის მოწინააღმდეგის—დაჩაგრული კლასის—დასამორჩილებლად შემოიღო მუდმივი შეიარაღებული ძალა და მის შესანახად იმავე დაჩაგრულ კლასზე გააწერა გადასახადები. გაბატონებული ჯგუფების ინტერესებს ემსახურება ციხეები, „სასამართლო პოლიცია და ჟანდარმერია“. თუ გვარის შემაკავშირებელ ძაფად სისხლის ნათესაობა იყო, სახელმწიფოში ეს პრინციპი უარყოფილი და უკუგდებულია. მას საფუძვლად უდევს არა ნათესაური და პერსონალური, არამედ კლასობრივ—ტერიტორიალური პრინციპი. სახელმწიფო იძულებითი ორგანიზაციაა. მოსახლეობა სახელმწიფოში გაყოფილია ოლქებად; ცენტრალური ხელისუფლება სცემს კანონებს და ნიშნავს მოხელეებს (ოლქების მმართველებს). ამგვარად მცხოვრებლებს ნაცვლად ხალხის მიერ არჩეული გვარის უფროსისა ევლინება მეფის, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ზევიდან დანიშნული მოხელე და მასსა ვალდებულია მას უსიტყვოთ დაემორჩილოს. ასეთია საერთოდ საგვარეულო წყობილებასა და სახელმწიფოს შორის არსებული პრინციპიალური განსხვავება. როგორ იყო საქართველოში?

ჩვენ მოგვეპოება საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული მდგომარეობის შესახებ სტრაბონის ცნობები, რომელიც ეკუთვნის პირველ საუკუნეს ქრ. შემდეგ. „ბერძენ გეოგრაფის აღწერილობა და ქართული წყაროების და ტერმინების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იბერიის ყველა სახელმწიფო (პოლიტიკური დ. უჩ. და ს. ძიმ.) და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წყობილებაზე ყოფილა დამყარებული (პროფ. ივ. ჯავახიშვილი ქართველ ერის ისტორ. ნაწ. 1). იმ დროს აქ არ არსებობდა მიწის კერძო საკუთრება და მთელი უძრავი ქონება გვარს ეკუთვნოდა.

გვარის სათავეში მისი უფროსი წევრი „მეუფე*)— მამასახლისი იდგა. როდესაც მამასახლისი გარდაიცვლებოდა, ვინც წლოვანებით მისი მომდევნო იყო, გვარის უფროსად მას ირჩევდენ. იყო სახალხო კრება და საბჭო.

ასეთ წესწყობილებას ჩვენის ტერმინოლოგიით ეწოდება საგვარეულო ორგანიზაცია და მის ხელმძღვანელს მამასახლისი, ხოლო მაკალათია მასში, ხედავს სამეფოს, სახელმწიფოს.

ჩვენში ამ დროს ჩამოყალიბებული წოდებები არ არსებობდნენ, არ იყო აგრეთვე არც სამხედრო წოდება და არც რაიმე ხალხის გარეშე მდგომი შეიარაღებული ძალა. გვარის ყოველი წევრი: მიწის მუშა, ხელოსანი შემოსულ მტერს იარაღით ხელში ებრძოდა და გვარის ინტერესებს იცავდა. მხოლოდ მამასახლის—მეუფეს ჰყავდა მონა-ყმები.

საქართველოში ზოგიერთი გვარი სხვებზე უფრო მდიდარი და მრავალრიცხოვანი იყო და ამიტომ თავის გარშემო მობინადრე გვარებზე გავლენას ახდენდა. ასეთი იყო აღმოსავლეთ-საქართველოში მცხეთის სამამასახლისო, რომელსაც თავის გავლენის ქვეშ ეჭირა მეზობლად მობინადრე გვარები. ასეთივე იყო დასავლეთ საქართველოში ლაზებსა და მის მეზობელ ტომებს შორის დამოკიდებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ საგვარეულო წესწყობილება წმიდათ, თავის ნამდვილი სახით დაცული არ არის, მაგრამ ის არც იმდენათ შერყეულია, რომ მას თავისი დამახასიათებელი თვისებები დაკარგული ჰქონდეს. ქვეყანა არ არის გაერთიანებული ეკონომიურად და პოლიტიკურად, არ არის კანონმდებლობა; ყველა საზოგადო დაწესებულებები და თანამდებობის პირები ხელმძღვანელობენ ტრადიციით, ადათით და არიან ხალხის მიერ არჩეულნი; არ არიან ზევიდან დანიშნული მოხელეები და მმართველები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ რომაელები და სპარსელები ერეოდენ საქართველოს შინაურ საქმეებში, სდევნიდენ ხალხის მიერ დაყენებულ პირებს და მათ ადგილზე ნიშნავდნენ თავიანთ მომხრეებს.

ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ დავასკვნით, რომ საქართველოში ამ დროს არ არის სახელმწიფო, სამეფო. სახელმწიფოს ყველა მისი დამახასიათებელი ნიშნებით და თვისებებით აქ ჩვენ ვხედავთ უფრო გვიან, როდესაც ცხოვრებაში აშკარა გახდა კლასების, წოდებების არსებობა და კლასთა შორის ბრძოლა. ეს არის X, XI და XII საუკუნეები.

(შემდეგი იქნება)

დ. უჩანეიშვილი.
ს. ძიმისტარაშვილი.

*) იხილეთ ამ სიტყვის განმარტება ჩვენი „საქართველოს ისტორიის“ 91 გვერდზე.

# გაეროვნების შეფერხების მიზეზი და მისი შედეგები.

III.

წინა წერილებში ჩვენ ვილაპარაკეთ გაეროვნების შეფერხების მიზეზებზე და აღვნიშნეთ, რომ ერთი უმთავრესი მიზეზი ამ საქმეში მდგომარეობს ადმინისტრატორების მიერ ადგილობრივი ენის არ ცოდნაში... და აღვნიშნეთ, რომ იგივე გარემოება ხელს უშლის აგრეთვე წარმოების წინსვლას, ნაყოფიერების გაზრდა-გადიდებას.

წარმოების ნაყოფიერების გაზრდა-გადიდებაზეა დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში დიდი ყურადღება მიქცეული.

საბჭოთა რესპუბლიკებში წლიდან-წლობით წარმოებათა ნაყოფიერება შესამჩნევათ იზრდება... დღეს ის აღარაა, რაც იყო ამ ორი-სამი წლის წინეთ... და ერთი, ორი წლის შემდეგ უნდა ვეცადოთ კიდევ უკეთესი ეკონომიური პირობები დაგვირჩეს.

ჩვენ აღვნიშნეთ და დავამტკიცეთ წინა წერილში, რომ ადმინისტრატორი, რომელმაც არ იცის ადგილობრივი ენა, ხელს უშლის გაეროვნების საქმეს.

ახლა ვნახოთ უშლის თუ არა იგივე გარემოება წარმოებათა ნაყოფიერების აწევა-გადიდებას ხელს.

მართალია სიმდიდრე იქმნება-კეთდება მუშებისაგან თვით სახელოსნოში, დაზგასთან, ქურასთან და სხვადასხვა მანქანასთან, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვით საქმის წარმოებას, სამმართველოს მუშაობას, ქაღალდის ტრიალს.

უბრალო მასალის დაკლებაზე, უბრალო მიწერ-მოწერის დაგვიანებაზე დამოკიდებულია წარმოების დიდი და საპასუხისმგებო საქმეები... დგება, ჩერდება ძვირფასი მანქანები, ცდება ათასობით მუშა-ხელი და გვიანდება საქმის შესრულება, ზარალობს წარმოება.

ამიტომ სამმართველოს საქმიანობაზე, მასალის დროზე დამზადება-მიწოდებაზე, ცნობა-შეკითხვების დროზე გადაცემაზეა დამოკიდებული წარმოებათა ნაყოფიერების გაზრდა-გადიდება.

როგორი უნდა იყოს ეს სამმართველოს მუშაობა, თუ იქ უმეტესობას არ ესმის ის ენა, რომელზეც ოფიციალურათ არსებობს წარმოება?

როგორი ნაყოფიერება უნდა გამოიღოს ისეთმა დაწესებულებამ, საცა კვირაობით და ხან თვეობით საჭირო ქაღალდი ჩერდება მხოლოდ მთარგმნელის მაგიდაზე?..

განა მუშაობაა და წარმოების ნაყოფიერება-გადიდდება იქ საცა თანამშრომელს ეშინია იმუშაოს სახელმწიფო, დაკანონებული ენის საშუალებით, რათა არ გაავაჯავროს სახელმწიფო ენის არამცოდნე უფროსიო?..

განა საჭირო და საჩქარო მუშაობა შესრულდება ისეთ დარგში, საიდანაც უფროსი ატყობინებს გაეროვნების კომისიას, რომ ჩემთან ყველამ იცის სახელმწიფო ენაო. ნამდვილათ—კი მხოლოთ ხელის მოწერა იციან.

დაბოლოს განა მუშაობაა ის, რომ ადმინისტრატორი აწერს ხელს ხშირად ისეთ ქაღალდზე, რომ არ

იცის შიგ რა სწერია?.. და ყველა ეს თვისებანი ხვედრია ჩვენი რკინისგზის სამმართველოსი.

ამიტომაც ამ სამმართველოში შრომის ნაყოფიერება ძალზე დაწეულია.

რა ზომებს, რა რეპრესიებს არ ხმარობენ, რა კომისიებს არ ნიშნავენ... რა გინდა ფორმის საანგარიშო ბლანკებს არ ბეჭდამენ, მარა საქმეს არა ეშველა, სამმართველოში მუშაობა ვერ აიწია, ვერ გაიზარდა... და ეს გარემოება ძრიელ უშლის ხელს მთავარ სახელოსნოს და საყუდის ამხანაგების მუშაობას.

დღეს წარმოების ნაყოფიერება რკინის-გზის მთავარ სახელოსნოში და საყუდში სასურველ დონეზე სდგას... სამმართველო-კი ძალზე ჩამორჩა უკან... და აფერხებს საერთო რკინის-გზის მუშაობას, იმის მაგიერ რომ წინ უსწრებდეს და წინ უძღოდეს წარმოებას.

რად ხდება ასე!.. რად კოჭლობს სამმართველო და რად გვახარებს სახელოსნოსა და საყუდის მუშაობა? განა ამ უკანასკნელ ალაგას არ არიან ადგილობრივი ენის უცოდინარნი?.. სახელოსნო-საყუდშიც ბევრია დღეს ადგილობრივი ენის უცოდინარნი, მაგრამ აქ ამ გარემოებას არ აქვს ისე დიდი მნიშვნელობა, როგორც სამმართველოში...

აქ ქაღალდს, წერას, ლაპარაკს ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

აქ გაქლიბე, გასჭედე, გაჩარხე, მანქანა აატრიალე და სულ ერთია ქართველი ხარ შენ, რუსი, სომეხი თუ ურია.

მაგრამ მაინც საყუდსა, თუ სახელოსნოში სათავეში მდგომი ადმინისტრატორები ადგილობრივი ენის მცოდნენი არიან და ამას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ცხადია, აშკარაა, მოთავემ, განკარგულების გამცემმა ადმინისტრატორმა უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. ხშირია შემთხვევა რკინის-გზის სამმართველოში, როცა ადგილობრივი ენის არ მცოდნე საქმის მწარმოებელი უცდის ვინმე სახელმწიფო ენის მცოდნეს შემოვიდეს, რომ ვკითხო ამ ქაღალდში რა სწერიაო. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა ქართულ ენაზე მოსულ ქაღალდების თარგმნა ხომ შეუძლებელია... ითარგმნება ისეთი ქაღალდი, რომელიც უნდა მივიდეს დიდ უფროსამდი.

პატარა უფროსები, საქმის მწარმოებლები-კი იჭყიტებიან, ამ მათთვის გაუგებარ ენაზე დაწერილ, ქაღალდებში და განა წავა ასე მუშაობა წინ, გაიზრდება წარმოების ნაყოფიერება?..

არა გვგონია... „ასე სოფელი ვერ აშენდება“ ნათქვამიდან ცხადია, რომ ყოველივე დარგში სათავეში მდგომი ადმინისტრატორი და მისი საქმის მწარმოებელი უნდა იყვნენ უსათუოდ ადგილობრივი ენის მცოდნენი... ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ გაეროვნება მჭიდროთ არის დაკავშირებული წარმოების ნაყოფიერების გაზრდასთან.

ვინც ხელს უშლის გაეროვნების საქმეს, ის ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უშლის და აბრკოლებს წარმოების ნაყოფიერების გაზრდას... ის აფერხებს საერთოდ ეკონომიურ განვითარების პირობებს.

ბევრი იტყვის: რკინის-გზის პირობები სხვანაირია, თავისებურიაო...

რკინის-გზა სამ რესპუბლიკას ემსახურება და მეოთხე ცენტრსაო...

ეს მართალია, მაგრამ სწორედ მაშინ გაადვილდება საქმე, როცა დარგის გამგეს და საქმის მწარმოებელს ეცოდინება ადგილობრივი ენა, ხოლო მის თანაშემწეთ ერთს სომხური და მეორეს ადერბეიჯანული.

რუსული ხომ დღეს ყველა ადმინისტრატორმა, ყველა მოხელემ იცის და ამ მხრით საქმე არ დაბრკოლდება, ცენტრთან კავშირი რუსულ ენაზე იქნება.

**ს. დოლიძე.**

# პ რ ე ს ა

**მშვიდობიანობისაკენ თუ ომისაკენ.**

ჩვენს მკითხველს ეხსომება გასული კვირეების ამბები, როგორ გააფთრებულ კამპანიას ეწეოდა დიდი ბრიტანეთის ბურჟუაზია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. დროებით, მართალია, უკან დაიხიეს ბ. ბალდუინ-ჩემპერლენებმა, მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს სრულ უარყოფას ძველ აგრესიულ პოლიტიკისას რევოლიუციონურ რუსეთის წინააღმდეგ. აშკარაა, ინგლისის კაპიტალიზმი სხვებთან ერთათ, პირველ შესაძლებლობისთანავე მოიმარჯვებს გალესილ მახვილს მუშათა კლასის მოძრაობის, მისი მთავრობის წინააღმდეგ. ასეთია ბუნება იმპერიალიზმის.

მეტის სიფრთხილით და განსაკუთრებული მოქნილობით ხდება დღეს ძალთა გადაჯგუფება-გადმოჯგუფება. ძველებურათ ბურჟუაზია მომხიბლავი ლოზუნგებით გამოდის.

მომავალი ომიანობის სამზადისი მშვიდობიანობის ნიღაბ ქვეშ ვითარდება.

მუშათა კლასს დიდიხანია რაც ესმის ყოველი მხრიდან, რომ მსოფლიო ომის მიზანი მშვიდობიანობის გამტკიცება იყო.

შვიდი წელიწადია რაც ომი გათავდა, მაგრამ კაცობრიობა დღემდის ვერ ეღირსა მშვიდობიან ცხოვრებას. პირიქით, ჩვენ ვხედავთ სწრაფ და შეუჩერებელ შეიარაღების ზრდას. მსოფლიო ატმოსფერა დღითი დღე იჟღენთება თოფის წამლის სუნით.

ეს ხდება მუშათა კლასის თვალწინ, ყველას დასანახათ. ჯერაც არ მოშუშებულა მიღებული ჭრილობები გუშინდელი ომიდან და დღეს ბურჟუაზია შხამსა და საწამლავს ამზადებს მალამოს მაგივრათ მილიონ ადამიანების მოსასპობათ.

რას აკეთებს ამ დროს მუშათა კლასი, მისი მოწინავე ფენები? ის დგას და უცქერის გულხელ დაკრეფილი, მას გულუბრყვილოთ ჯერავს რომ ბურჟუაზიის მზადება მშვიდობიანობის გამტკიცებას ემსახურება.

ან კი როგორ არ დაუჯეროთ—ბურჟუაზია „მთელ თავის ენერგიას მშვიდობიანობის გამტკიცებას ალევს“ რამდენი ხანია თავს ამტვრევს საგარანტიო ხელშეკრულების პროექტს, მაგრამ საქმე სწორეთ იმაშია, საგარანტიო ხელშეკრულების პროექტი მშვიდობიანობის გამტკიცებაა თუ ახალი ომის საკავშირო ხელშეკრულება?

სწორეთ ასეთი სათაურით „მშვიდობიანობისაკენ თუ ომისაკენ“ ამ საკითხს მოსკოვის „Известия“-მ (№ 139—2422) უძღვნა მოწინავე.

ეს წერილი ჩვენი მკითხველისათვის არ არის ინტერეს მოკლებული და ამიტომ ის თითქმის მთლიანათ მოგვყავს.

ამ წერილში სწორი ანალიზით არის გარკვეული, რომ ჩვენ, დღევანდელ ევროპის მესვეურებს, თავის სხვადასხვა პროექტებით საერთოთ და საგარანტიო ხელშეკრულობის პროექტით კერძოთ, მივყევართ ომისაკენ და არა მშვიდობიანობისაკენ.

„დღიურ ჭირვარმათ,—ამბობს გაზეთი, გადაქცეულია დღეს მოლაპარაკება „საგარანტიო ფაქტის“ შესახებ. ამ საკითხში ზედმეტათ ირკვევა, რომ ეგრეთ წოდებულ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის არ არსებობს მთლიანი ერთსულოვანება. თვითეული მათგანი თავის საკუთარ მიზანს ემსახურება და სუსტ ანგარიშს უწევს მეორეს ინტერესს.

მაგრამ, მიუხედავათ წინააღმდეგობათა არსებობისა, ორი მთავარი ანტანტის სახელმწიფო, საფრანგეთი და ინგლისი, მოქმედობენ შეთანხმებულათ, რამდენათაც კითხვა გერმანიის აღორძინებას ეხება.

მართალია ინგლისი, ცდილობს რა გახადოს გერმანია თავის პოლიტიკის იარაღათ ევროპის კონტინენტზედ, მზათ არის წავიდეს ნაწილობრივ დათმობაზედ, მაგრამ საერთოთ გეზი გერმანიის შევიწროებისაკენ არის აღებული.

ერთის მხრივ, უნდათ გერმანია მოაქციონ თავის გავლენის რკალში და, მოსწყვიტონ რა ის საბჭოთა რუსეთთან დაახლოვების შესაძლებლობას, მიმართონ თვით საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ (აქეთკენ ყველაზე მეტათ ინგლისი მიისწრაფვის).

მეორეს მხრივ, გერმანიას უყენებენ შეუძლებელ პირობებს (ეს უმთავრესათ საფრანგეთის გულის წადილია) და ამ რიგათ უქნელებენ პოზიციას გერმანიის საზოგადოების იმ ელემენტებს, რომლებიც დგანან ეგრეთ წოდებულ „დასავლეთის ორიენტაციაზედ“ და მზათ არიან, თუმცა საგრძნობის მსხვერპლის ფასათ, მაგრამ მაინც იყიდონ ანტანტის სახელმწიფოთა მოწყალება.

ჩვენ არ ვიცით რით დასრულდება ბოლოს და ბოლოს ეს ვაჭრობა, რომელიც კულისებში მიმდინარეობს და რომელიც თავის დეტალებით ჩვენთვის უცნობია. წავა გერმანია შეკრული ხელებით კავდინის უღელქვეშ თუ გაეთიშება გადამწყვეტ მომენტში იმ პერსპექტივებს, რომელიც მას ეშლება თვალწინ წაყენებულ პირობების მიღების შემთხვევაში, ამას გვიჩვენებს ახლო მომავალი.

მაგრამ კითხვა იმაშია—მთელი ეს სტრატეგია, ყველა ეს მანევრები და კონტრ-მანევრები, ყველა ეს აშკარა და ფარული მოლაპარაკება და ვაჭრობა **მიმართულია მშვიდობიანობის გამტკიცებისაკენ თუ ახალი ომისაკენ?**

აღებულია მიზნათ გამაგრება ევროპის სტაბილიზაციის თუ, პირიქით, უმზადებენ პირობებს ახალ მსოფლიო სასაკლაოს, ბევრათ უფრო სასტიკს და დაუნდობელს, ვიდრე წინანდელი იყო?“

„ჩვენი შეხედულება, ამბობს გაზეთი, ამ კითხვაზედ ცნობილია. ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ კაპიტალისტური რეჟიმის შენახვით, განსაკუთრებით მის ეხლანდელ იმპერიალისტურ ფაზაში, ახალი მსოფლიო ომი აუცილებელია, და მთელი პოლიტიკა დიდი სახელმწიფოების მასზედ იღებს თავის ორიენტაციას.“

ინგლისის კონსერვატორებიც ამას იმეორებენ—ფიცს სდებენ არ ჩაერიონ ომში თუ მათი ინტერესები არ იქნება გაკაწრული.

გაზეთის აზრით „უკანასკნელი სიტყვები (მტკიცება კონსერვატორების შ. ქ.) წარმოადგენენ უბრალო ტავტალოგიას. გასაგებია, არც ერთი სახელმწიფო არ ჩაერევა ომში თუ მისი ინტერესები ამას არ მოითხოვენ.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში სხვა გვაინტერესებს.

**რომ ომი იქნება, ეს ინგლისის გავლენიან წრეებისათვის, ეჭვს გარეშეა.** (ხაზია „იზვესტიე“-სი შ. ქ.) კითხვა იმაშია, ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას და რა პირობებში. ბურჟუაზიის დიპლომატიამ საუკეთესოთ იცის, რომ ომი აუცილებელია. სწორეთ ასეთ აუცილებელ გამოსავლის წინ ცოდნაში მიდის მთელი დიპლომატიური ვაჭრობა, მზადება პოზიციების, დაკავება განსაზღვრული ადგილების და სხვა და სხვა.

კერძოთ „საგარანტიო ფაქტი“ იმ სახით, როგორსაც ის ეხლა ღებულობს, ყველაზედ უფრო ნაკლებ გარანტიას იძლევა მშვიდობიანობისათვის და პირიქით უფრო დიდ გარანტიას ქმნის მომავალ კონფლიქტებისათვის.

კაცობრიობის წინაშე ხელ-ახლა იჭრება საბედისწერო კითხვა: უმზიროს მან გულგრილათ, როგორ ამზადებს ბურჟუაზიული მთავრობები მსოფლიო სასაკლაოს, თუ ის, ბოლოს, მშრომელი მასსების სახით, გამოერკვევა და დაუდებს ბოლოს იმ ველურ პირობებს, რომელშიდაც მსოფლიო ხანძარის წამკიდებელნი აუღელვებლათ ამზადებენ გეგმებს მილიონ ადამიანების მასსიურ მოსასპობად?!“

ყოველი მშრომელი, ყოველი პატიოსანი მოქალაქე, ვისაც ჯერ არ დავიწყნია მსოფლიო ომის უბედურებანი და ვისაც უნარი აქვს გაითვალისწინოს მომავალი სასაკლაოს ჯოჯოხეთური საშინელებანი, უნდა ღრმათ ჩაუკვირდეს ამ კითხვას და გულწრფელათ გასცეს პასუხი: რას აკეთებს თითონ ან ვის ემსახურება?!..

**შ. ქ.**

# ქრონიკა

(კვირიდან—კვირამდე).

## ადგილობრივი ცხოვრება

— **ჭოლა ლომთათიძის თხზულებები.** დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ ჭოლა ლომთათიძის თხზულებები ორ ტომათ.

წიგნს დართული აქვს ჭოლას სურათი, ფაქსიმილე, ბიოგრაფია და ს. დევდარიანის კრიტიკული განხილვა.

თითო ტომი ღირს 2 მანეთი, მყიდველთ შეუძლიათ მიმართონ ს. თავართქილაძეს—თბილისი, ოლლას ქ. წიგნის მაღაზია.

— გამოვიდა და იყიდება გ. ლომთათიძის მოთხრობა „ბიჭი ინვალიდი“.

— **აბრეშუმ. პარკის კომპანია ჩვენში.** მიღებული ცნობების მიხედვით ამ წლის აბრეშ. პარკის მოსავალი ბევრათ ასწრებს გასული წლებისას როგორც რაოდენობით ისე ღირსებით. სწარმოებს შესყიდვა სხვა და სხვა რაიონებში ნაღდ ფულზედ.

გლეხობა კმაყოფილია ანგარიშის ეხლავე გასწორებით. მოსალოდნელია შეგროვება 110000 ფუთი პარკის.

— **თიონეთის რაიონის შემოერთება.** საქართვ. ცაკის დადგენილებით დროებით შემოერთებულ იქნა თბილისის მაზრაზედ თიონეთის რაიონი. ამის გამო ხსენებულ რაიონში მოწყობილი იქნება სასამართლო, ადმინისტრატიული და სახელმწიფო დაწესებულებანი.

— **სასურველი დადგენილება.** გომის ალმასკომის დადგენილებით თემ-ალმასკომების თავმჯდომარეებს სოფლებში სიარულის დროს ეკრძალებათ იარაღების და მათრახის ტარება.

— **ქობულეთის კურორტის აღდგენა.** ამიერ კავკასიის წარმომადგენლობამ მოსკოვში აღძრა შუამდგომლობა საკავშირო მთავრობის წინაშე 50000 მანეთის გადადების შესახებ ქობულეთის კურორტის აღსადგენათ.

— **საფრთხე სიმინდის მოსავალს.** მიწ. მოქმ. სახ. კომის. მავნებლებთან ბრძოლის ბიუროს ცნობებით, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გაჩენილ ზოგიერთ მავნეების გამო, საფრთხეშია ჩავარდნილი 12 მილ. სიმინდის მოსავალი. მიწათ მოქმ. კომისარ. საბჭ. აღრიცხვით საჭიროა 49000 მანეთი მომავალი საფრთხის ასაშორებლათ.

— **ჯიშიან ხეების მოჭრის აკრძალვა.** საქართვ. მიწათ მოქმედ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ აღკრძალა რესპუბლიკის ფარგლებში იშვიათ ჯიშის ხეების: ბზის, კაკლის, ურთხმელის, კევისა და წაბლის მოჭრა.

— **საზოგადო სამუშევრები.** საქ. შრომ. სახ. კომისარიატის ცნობების მიხედვით რესპუბლიკის სხვა და სხვა ქალაქებში საზოგადო სამუშევრები ფართოვდება. მუშაობაში ჩაბმულ უმუშევართა რიცხვი იზრდება. მიღებულია ზომები 1925—1926 წლ. სამუშაო გეგმის გამოსამუშავებლათ და სათანადო ხარჯთ აღრიცხვის შესადგენათ.

— **მეთამბაქოობის გაძლიერება.** საქართვ. ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებულია ზოგიერთ ცვლილების შეტანით მეთამბაქოობისათვის გადადებულ მიზნობრივ კრედიტის განაწილებისათვის არჩეულ კომისიის პროექტი. აღნიშნული სესხის რაოდენობა დესეტინაზე განისაზღვრება 300 მანეთით კოოპერატიულათ შეკავშირებულ მეთამბაქოებს სესხი უნდა მიეცეს პირველ რიგში.

შინავაჭრობის კომისარიატის ნედლი მასალის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა საქ. ეკ. უმ. საბჭოს წინაშე მეთამბაქოებაზედ უკვე გაცემულ სესხის ვადის 3 წლით გაგრძელების შესახებ.

— **წარმოკავშირის ხილის საწყობების გეგმისა და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცება.** საქ. საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმათ დამტკიცებულ იქნა წარმოკავშირის მიერ წარმოდგენილი ხილის საწყობ-სარდაფის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, საალმშენებლო—ტეხნიკურ კომიტეტის შესწორების მიხედვით, 33,750 მან. რაოდენობით. ზემოთაღნიშნულ დადგენილების თანახმათ უფლება მიეცა წარმოკავშირს შეუდგეს წინასწარ მუშაობას და ხარჯთ აღრიცხვის ფარგლებში სამუშაოთა გაცემას.

— **თაგვების გამრავლება.** მიწ. მოქმ. კომ. მავნეებთან მებრძოლ ბიუროს ცნობით ამ ბოლო ხანებში თბილისის მაზრის ზოგიერთ რაიონებში და სიღნაღის, დუშეთის და თელავის მაზრებში ძლიერ გამრავლდა მინდვრის თაგვი.

— **ქიათურისა და ტყიბულის.** მაღაროებში მომუშავეთა შორის მუცელის ჭიების გავრცელების გამოსარკვევათ და მის მოსასპობათ ზომების მისაღებათ სოციალურ დაზღვევის სამმართველომ მედიცინის დოქტორ ნ. მახვილაძეს დაავალა ექსპედიციის მოწყობა.

— **შირაქის ნავთი.** იტალია ბელგიის ნავთის მწარმოებელთა საზოგადოების წარმომადგენლების ცნობით, შირაქის ველზე ნავთის წყაროების გამოკვლევა ფრიად დადებით შედეგებს იძლევა.

— **საშინელი ქარიშხალი.** საქ. მიწ. მოქმ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებას ატყობინებენ, რომ კახეთში ლაგოდეხის რაიონში გადაიარა საშინელმა ქარიშხალმა, რომელმაც დააგო სახელმწიფო ტყეები. სატყ. განყოფილებამ მოსალოდნელ ხანძარის თავიდან ასაცილებლათ მიმართა სატყეო ტრესტს, რომ მან დაამუშაოს წაქცეული ხეები.

— **ქალაქის ალმასკომის საქმიანობა. ტრამვაის ახალი ხაზები.** თბილისის განაპირა უბნების საჭიროების დასაკმაყოფილებლათ ტრამვაის დირექცია შეუდგა ტრამვაის ქსელის გაფართოებას. მოძრავი შემადგენლობის რიცხვის გასადიდებლათ დირექციას შეკვეთილი აქვს მოსკოვის ქარხნებში 20 ახალი რონოდა, საკუთარ სახელოსნოებშიდაც მზადდება 20 ახალი რონოდა.

— **სამგორის არხი.** ქალაქის ალმასკომი ენერგიულათ შეუდგა მომავალ სამგორის არხის გაყვანის საქმეს. მუშავდება გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. არხის გაყვანას შეუძლია ქ. თბილისისა და მის ახლო რაიონებისათვის უაღრესი სარგებლობის მოტანა. შესაძლებელი გახდება 40000 დესიატინამდე მიწის მორწყვა.

— **ნაგვის დასაწვავი ფეჩები.** თბ. ალმასკომის კომუნალურ განყოფილებამ გერმანიაში შეუკვეთა ნაგვის საწვავი ფეჩები.

— **კრემატორიუმი თბილისისთვის.** ინჟინერ ქურდიანის მოხსენების თანახმათ ალმასკომი გერმანიაში უკვეთს კრემატორიუმის (გვამების საწვავ მანქანის) მოწყობილებას. გვამების საწვავ სადგურის მოწყობა ნაკარნახევია გიგიენური მოსაზრების გარდა იმითაც, რომ თბილისში შემცირდა სასაფლაოს თავისუფალი ადგილები.

— **პარიტეტული კომიტეტის წევრთა გასამართლება.** უზენაისმა სასამართლომ გალ. ვაშაძის თავმჯდომარეობით დაიწყო პროცესი პარიტეტულ კომიტეტის წევრთა და სხვა აქტიურ აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა შესახებ.

# სხვა და სხვა ამბები

**(რა ხდება საზღვარგარედ)**

— **ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია.** 7 ივლისს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩააბარა მიწვევა 25 აგვისტოსათვის განზრახულ ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენციისათვის კურლიანდიის, პოლონეთის და ლატვიის ელჩებს.

— **კომინტერნის წინააღმდეგ.** კომინტერთან ბრძოლის საერთაშორისო ლიგის ბიურომ ჟენევაში შეიმუ-

შავა მემორანდუმში, რომელიც გაეგზავნა ყველა მთავრობებს. მემორანდუმი ხაზს უსვამს კომინტერნის მხრივ მოსალოდნელ საფრთხეს და მიმართავს მსოფლიოს ყველა მთავრობებს თხოვნით იქისრონ კომინტერნის და საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგ გამოსვლის თაოსნობა.

— **საფრანგეთის პრესა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის** შესახებ. გაზეთების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ინგლისი ეხლა არ გადასდგამს გაბედულ ნაბიჯს, კიდეც რომ სცდილობდეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტას. გაზ. „პეპლის“-ს აზრით ბალდვინი მერყეობს რეაქციონერებსა და მუშათა პარტიის შორის: უკანასკნელი მოითხოვს კავშირთან ურთიერთობის გაფართოვებას. გაზ. „ევრი“-ს ლონდონელი კორესპოდენტი იძლევა პასუხს კითხვაზე, გამოიწვევს თუ არა ურთიერთობის შეწყვეტა ომს ორივე ქვეყნებს შორის. კორესპოდენტი ამბობს, რომ ინგლისი არასოდეს არ აწარმოებს ომს მოკავშირის გარეშე.

თუ ის იპოვის მოკავშირეს საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ, არ შეჩერდება ომის წინაშე, რომელიც ბოლოს მოუღებს საბჭოთა რეჟიმს და საბჭოთა კავშირის პროპაგანდას ინდოეთში.

— **საფრანგეთის მილიტარიზმი.** საფრანგეთის მთავრობამ მაროკკოს ომის საწარმოებლათ 183 მილიონი ფრანკი მოითხოვა.

სენატმა ერთხმად დაამტკიცა საკრედიტო პროექტი 1925 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც უნდა მოხმარდეს დაწყებულ სამხედრო გემების მშენებლობას.

# ხრიოკები

(ყველა გზებს მივყევართ რომში)

(გაგრძელება*)

— სადა ხარ, ამდენი ხანი სადა? აღარც ოჯახი გინდა, აღარც ცოლი აღარც შვილი? ორ-ორი დღე და ღამე გადაიკარგები, მერე მოხვალ გახეთქილი. რა სიცოცხლეა ამისთანა სიცოცხლე. მშიერ-მწყურვალე ვყრივართ და ველოდებით შენ შობრძანებას. ფხიზელი მაინც მოდი შე მუცელ გასახეთქო. არა მითხარი სად დაღოლავ? რას აკეთებ?

— კრება... კრება გვქონდა...

— აი კრება და ღვთის ცეცხლი შენ. ვის ატყუებ ორი დღე კრება გქონდათ? ორ დღეს აღარ გათავდა კრება?

— გუშინ და გუშინ წინ კრება გვქონდა სასწავლებელში და გვიან გათავდა.

— მერე სად ოხრობაში იყავი კრების შემდეგ? სად ხეთქავ ყოველ დღე?

— გვიანი იყო და შემეშინდა წამოსვლა და ამხანაგთან დავრჩი.

— მე ვიცი შენი ამხანაგები ვინ არის. შენ ქალებში იქნებოდი... ოი დაგიდგეს მაგი სამიწე თვალები. მეტის ატანა ყოვლად შეუძლებელია.

— ჰეი! დედაკაცო, მართლა და მართლა ნუ აუშვი!

— ავუშვი კი არა ერთი ამ დიდ ჯოხს დაუშვებ შენ თავზე და მერე გამოფხიზლდები და ჭკუაზე მოხვალ.

— დედაკაცო ჰეი!

— ოი შენ გაგისკდეს მიწა! მთელი დღეები დეეთრევა, რალაც ოცდა ათ მანეთ ჯამაგირს იღებს და იმასაც თვითონ ხეთქავს, ჩვენ კი მშივრები ვუყრივართ. რა ცხოვრებაა ასეთი ცხოვრება!

— დედაკაცო ჭკუაზე მოდი! რას ილანძღები და რა გატირებს ერთი მითხარი. თუ კი მეტ ჯამაგირს არ მაძლევენ რა ვქნა?

— მერე ისიც სახლში არ მოგაქვს და სხვებს ახეთქებ.

— აქეთ მიქვითავენ იქეთ მიქვითავენ და რაც მრჩება ის მომაქვს.

— შენ ღორ მუცელს რა გადარჩება. შენი ჯამაგირი მარტო ღვინოში არ გეყოფა.. ხომ არ შეიძლება ყოველდღე რომ არ გასკდე.

— დედაკაცო რათ იცი მაგრე ლაპარაკი, აბა როდის ვარ მთვრალი?

— როდის ხარ მთვრალი?

— ეხლაც მთვრალი ვარ?

— მთვრალზე უარესი. ისეთი უსინდისოა რომ ბედავს და ამბობს მთვრალი არა ვარო.

განა ამაზე მეტი დათრობა შეიძლება? ფეხებს ძლივს დაათრევ, პირში ენა აღარა გაქვს და კიდევ მეტი გინდა?

— აბა თუ მთვრალი ვარ მითხარი რომელი ტეორემა გინდა თუ არ გაგიკეთო. გინდა მთელი ლექცია წაგიკითხო!

— შენც შეგარცხვინა ღმერთმა და შენი ლექციაც. შენ რა ლექციის წაკითხვა შეგიძლია. კვარტების ლექციას კი წაიკითხავ. რა უნდა შეიძინონ შენმა მოწაფეებმა? ალბათ ისინიც შენსავით ლოთები გამოვლენ, სხვა რა უნდა შეიძინონ ასეთ მასწავლებლებიდან?!

— დედაკაცო ნუ ილანძღები!

— ვილანძლები კი არა შენთან ცხოვრება აღარ შემიძლია. გაგეყრები იცოდე გაგეყრები. დღესვე წავალ „ზაგს“-ში და გაგეყრები.

— წახვალ და წადი! ყურებზე ხახვი არ დამაჭრა. გამეყრები და მეც ვიცი იმ „ზაგს“-ის გზა ხვალვე მეორეს შევირთავ, შემდეგ იმას გავეყრები და ისევ შენ შეგირთავ. მა რა გინდა თუ გინდა დღეში თითოს გავეყრები და თითოს შევირთავ.

— მე ვიცი შენ ასეთი უნამუსო ხარ.

— უნამუსოცა ხარ და მეტიც!

— უი; დამიდგეს თვალები, მე ვარ უნამუსო შე დასამიწებელო?! მე ვარ უნამუსო? მომშორდი გაეთრიე ამ წუთში, მომშორდი, საიდანაც მოთრეულხარ იქით წაეთრიე. უი დამიდგეს თვალები.

— მე მაინც წასვლას ვაპირებდი, მშვიდობით ბრძანდებოდე.

უქუდო მასწავლებელი ქუჩაში, მტირალე ცოლი ტახტზე.

*) იხ. „ახალი გზა“ № 29.

* * *

დალიე დამალევინე
ეგ ღვინო ოხერ-ტიალი,
იქნება წალმა დაიწყოს
ქვეყნის უკუღმა ტრიალი.

— შენმა მზემ შენთვის მოტრალდება ქვეყანა და ძველებური ბატონობა დაგიბრუნდება. მაგის იმედი გქონდეს და შენ შენსას ნუ დაიშლი გასკდი და სიმღერა შემოსძახე. თითქოს სახლში კიდობანი და ქვევრები სავსე გქონდეს. შენ რომ ყოველდღე მიირთმევ აღარ იკითხავ ჩვენ გვაქვს რამე თუ არა? კაი გუნებაზე ბრძანდები რა გიჭირს.

— რა უნდა მიჭირდეს, კაი ბიჭი ვერა ვარ თუ!

— ნუ დაიშლი შენსას, ნუ დაიშლი!

— მა რა გინდა, მე სულ მუდამ მხიარული უნდა ვიყო. მე მუდამ ყველაფერი უნდა მქონდეს. მა რა გგონია.

დალიე დამალევინე...

— ერთი შენ თავს შეხედე რას გევხარ? უპრალო ბიჭს, ტილოს ხალათ-შარვალი, უქუსლო წაღები, კიზიროკიანი ქუდი, ნამდვილი მეწვრილმანე ებრაელის ბიჭი ხარ. იქეიფე თქვენო ბრწყინვალებავ!

— სად არის ჩემი ხმალი?

— ლომბარდში.

— ქამარ-ხანჯალი!

— გავყიდეთ.

— ბიჭოს!

— შენსას რომ არ იკლებ, შე უბედურო, ძველი დრო ხომ არ გგონია. ვერ გაიგე რომ აღარაფერი გაქვს? სოფლიდან კინწას კვრით გამოგაბუზურეს რაც გებადა ყველაფერი წაგართვეს, მადლობა ღმერთს, რომ სიცოცხლე შეგარჩინეს დაჯექი ეხლა და ჩეჩე მატყლი, ეხლა კიდევ მიირთვი ყანწებით ღვინო და ჰარიალალე შემოსძახე.

— ვა, რა დრო დაგვიდგა, რა დრო! რა დღეში ჩავვარდით! მაგრამ მოტრიალდება დრო.

— კი, ელოდე შენ როდის მოტრიალდება! და ნურას გააკეთებ.

— აბა რა გავაკეთო, დედაკაცო!

— რასაც სხვები აკეთებენ. ღვინოს სმას უკელი და იმუშავე.

— რა უნდა ვიმუშაო?

— წადი აგერ პოჯრის გზაზე და იმუშავე.

— ჩემ დღეში ბარი და წერაქვი ხელში არ ამიღინ და ეხლა ვიმუშაო?

— მაშ წადი ნავთლუღში და ჩეჩე მატყლი.

— რა თავს იგდებ! დედაკაცი ხომ არა ვარ რომ მატყლი ვჩეჩო.

— მაშ რა გნებავთ, სამსახურს შენ არ გაძლევენ, ისე შენ აღარაფერი გაბადია და რით უნდა ვირჩინოთ თავი?

— ვაი რა დღეს მოვესწარით! რა უნდა ვქნათ ეხლა?

— მიირთვი ყანწით ღვინო.

— გულზე ნუ მხეთქავ, თორემ შე ვიცი შენი!

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა.

— დაგაჭრი და თავსაც მიგჭრი.

— რითი? აბა იშიშვლე ხმალი!

— ხმალი?.. ხმალი.... ვაი ჩემ დღეს! წყეულიც იყოს ის ლომბარდი. მაგრამ არა უშავს...

— რა გიშავს.

ოხ!

* * *

— ოჰ! ჩემო დესპინე, ძალიან გავიყეყე დღეს ღვინით და სასმელ საჭმელით, ის ჩვენი სოფლის გლეხი შემხვდა და კარგად გამიმასპინძლდა, ააშენოს ღმერთმა. ვინ იცის იქნებ შენ მშიერი ხარ?

— როდის არა ვარ მშიერი, რა გაქვს, რას მაძლევ ოღონდ შენ გაძღე და სხვა რაღა გინდა. პური არ შემოგაქვს სახლში.

— არა უშავს ღმერთი მოწყალეა.

— რომელი ღმერთი? ვეღარ გაიგე, რომ ღმერთები აღარ არიან და ციდან დიდი ხანია ძირს გადმოყარეს? რა უნდა გვიშველოს ღმერთმა?

— არა უშავს ისევ ძველ ადგილზე ბრუნდებიან. ნამდვილი წყაროებიდან გავიგე, რომ მამა ძე და სული წმინდა ისევ ასულან ცაში და თავიანთ ადგილებზე განისვენებენ. ღმერთი მოწყალეა.

— შენ იძახე ღმერთი მოწყალეა და ხელს ნუ გაანძრევ. რაც ის ოხრად დასარჩენი ანაფორა გაიძვრე მერე ერთი რიგიანად არ გამძღარვართ.

— კიდევ ჩავიცვამ ანაფორას და ისევ ისე ძველებურად მაძღრები ვიქნებით! ოჰ! ისეთი მენატრება ის ოხერი ტაბლა, რომ მის მოგონებაზე ჟრუანტელი მივლის ტანში.

— რა ოხრად გინდა ის ანაფორა, როცა ეკლესიები ხალხმა თავზე დაგანგრია? სად უნდა სწირო ან ვინ უნდა მოატყუო?

— ღმერთმა ისევ ის ხალხი აკურთხოს ეკლესიები დაგვინგრიეს, მაგრამ ძველის მაგიერ ეხლა ახლებს გვიშენებენ.

— ელოდე შენ სანამ ეკლესიები აგიშენონ და ტაბლები მოგართვან. მანამდე კი იქეიფე და სახლში პური არ შემოიტანო.

— „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო“ ხომ გახსოვს? მოდი ერთი კარგი სიმღერა გიმღერო.

„ტერტერას ცოლი მოსტაცეს
მთვარიანი ღამითაო,
უკან ბიჭები მისდევენ
დაჟანგული ხმალითაო“.

იჰუ! რა კარგია.

— შენ, შენს ცოლს მოუარე ის გირჩევნია, არავინ მოგტაცოს. თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მე თვითონ გაგექცევი.

— ჩვენთან აარს ღმერთი! ეს რა მესმის? რა სთქვი?

— რაც გაიგონე!

— გული არ მოშაყვანიშო! რას ბოდავ?

— გული თორემ რას მიზამ?

— იმდენს გდრუზამ, რომ ნახევარი ვერ დათვალო,

— გაგიხმეს ეგ ენა!

— ენაც გაგიხმეს და თავიც!

ნაფოფოდარს თვალები ეცრემლება, ნახუცარი-სარკმელთან დგას და-უაზროთ ქუჩას გაჰყურებს.

* * *

— მაქთალ! ჰა. მაქთალ! კარები გამიღე!

— კარები გაგიღო, შენმა მზემ ძველებურად ჩაპარკული მოდიხარ.

ჰარალო, თარი არალო...

— ჩაპარკული რა, რით უნდა მოვიტანო როცა აღარაფერი გამაჩნია. რაც ის ოხერი კოოპერატივები გაჩნდა ჩემ დუქანში აღარავინ შემოდის, რასაც ვაჭრობ ნალოგებში მიაქვთ და ვზივარ პირღია. დღეს რაც ვივაჭრე სულ წაიღეს, ხვალაც აგრე იქნება და შემდეგაც.

— შენ ხომ ყოველდღე მიირთმევ რაც გნებავს, ჩვენი რა დარდი გაქვს, პურიც ვერ გამოგიგზავნია სახლში. მთელი დღე მშივრები ვართ.

— ვა, თუ კი არ არის მოვიპარო?

— თუ კი წინეთ იპარავდი ეხლა რაღა დაგემართა სწორედ უნდა მოიპარო, ზოგს წონაში მოატყუებ ზოგს ზომაში, ზოგს ფულში და ასე. წინათ თუ ასე შვრებოდი ეხლა რა ღმერთი გაგიწყრა?

— ვა, ე რა ხათას გადავეკიდე? დედაკაცო ვინ გითხრა, რომ არ ვიპარავ? ვიპარავ და მეტსაც ვშვრები, ორჯერ და სამჯერ მეტს ვიპარავ ვიდრე წინათ, მაგრამ რა? ვერ გაიგე რომ ნალოგებს ვერ ვუთავდები მეთქი?! ჩადის ჩემ დახლში ფული და ისევ ამოდის, ჩემ ჯიბეში კი თაგვები დახრიგინობენ.

— შენც ადექი და გადამალე სადმე ფული?

— ვა, ახპერ, ჭკუაზე მოდი. გინდ გადამალე გინდ გადმომალე, მოვლენ ნალოგისთვის და სადაც გინდა იშოვნე, თუ ფული არ გაქ სახლის ავეჯი გაჰყიდე და უნდა გაისტუმრო, დაცდა მანდ არ იციან. გადამალე ფული! ხა, ხა, ხა. ტუტუც! ვინ მასწავლის ჭკუას.

— დიახ სწორედ მე გასწავლი! შენ ყოველდღე სვი ღვინო და ბევრი რამე გექნება.

— ვა, ოხერო და მუდრეკო ღვინოც აღარ ვსვა? ხომ გავსკდი მაშინ ჰიჰინაზე? ხომ ამომახრჩო ბოღმამ? ქალებს ჭკუა ვინ მისცა?

— შენი ჭკუა ღვინოშია.

— ჰეი! ენა დაიმოკლე თორემ ამ ფუთიანს ხომ ხედავ, ისე დაგადო, რომ ვაი დედას იძახოდე.

სიჩუმე ჩამოვარდება. ისმის შეზარხოშებულ ვაჭრის ნელი ღუღუნი და ცოლის ზლუქუნი.

* *
*

ისევ და ისევ ღვინითა ჰარიალალო
დრო გავატაროთ ლხინითა თარიალალო.

— თებრო, გენაცვალე მაგ კოკობ ტუჩებში ჩამომართვი ეგ ცარიელა თაბახი. გენაცვალოს შენი კინტუა გენო. სხვა როგორა ხარ თებრო? ხომ არ მოგწყინდა უჩემოდ?

— ბარემ მომწყინდა მაგრამ არა უშავს.

— შენ კი გენაცვალოს ჩემი ცარიელი თაბახი, თუთა, ალუბალი, იაღვარდი, ალუჩა და ტყემალი. ჩემო თებრო, ჩვენი ღლაპი როგორღა არის?

— კარგათ! ცოტათი პური შემოგვაკლდა დღეს და ტიროდა.

— ვაჰ! რა დრო დაგვიდგა, რა დრო! პური არა ჰქონდეს კაცს? ეჰ! სად არის ის დრო როდესაც კარგ ძმა ბიჭებში ორთაჭალაში ბაღდადებს დავუვლიდი ხოლმე. ჰაი დედასა! სად არის ჩემი დიდი ქამარი, განიერი შარვალი მოკლე ჩოხა, კოხტა ქუდი. ეხლა რას ვგევარ, ნამდვილი ქუთაისელი მეწვრილმანე ურია ვარ. პურზე როდესმე მიფიქრია?! ერთს გავიდოდი ჩემი თაბახით, ერთს შემოვსძახებდი და ვერცხლის მანეთიანები პანტასავით ცვიოდა ჩემ ჯიბეში. ეხლა? მთელი დღე აღმა-დაღმა დავდივარ ყარაბაღელ ვირივით ვყროყინებ და საღამომდე იქნებ ორიოდ გროში მოვაგროვო. სახლში მშიერი ცოლ-შვილი მელის. ორთაჭალის ბაღის კარები დიდი ხანია დამავიწყდა, ქამარის მაგიერ უბრალო ღვედი მარტყია, ჩოხა-ახალუხის მაგიერ უბრალო ბლუზა, თითქოს მესამე კლასის გემნაზისტი ვიყო. დავდივარ და ვყვირი. ვაჰ ეს რა ამბავია? ვაჰ! ეს როგორ გამოიცვალა ქვეყანა! ვაჰ! ეს რა ამბავია?

— რამე ივაჭრე დღეს?

— ვა, როგორ არ ვივაჭრე. „თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო" ხუთი მანეთი თუთაში მივეცი, მთელი დღე ვიარე, ღრიალით ყელის ძარღვები დავიწყვიტე, ორი მანეთის ფეხსაცმელი გავსცვითე და ერთი მანეთი მოვიგე. ორ ჭიქა ღვინოში აბაზი მივეცი. ვაჰ! რა დრო დაგვიდგა ჭიქით ღვინო როდის დამილევია. ვაჰ! ვაჰ! სამი აბაზის ყველი, პური და მწვანილი მოვიტანე და ერთი აბაზიც დამრჩა. ეს არის მთელი დღის მოგება. ვაჰ! ეს რა ხათაა! ლამის არის ჭკუაზე შევცდე. თებრო! ნამდვილათ „ჩიხოტკა"-ში ჩავარდები, აღარ შემიძლია მეტი.

— არა უშავს ღმერთი მოწყალეა.

— ვა, რომელი ღმერთი? სად არის ღმერთი ვერ გაიგე რომ ჩამოყარეს?

— არა უშავს, გული დაიმშვიდე გამოკეთდება საქმე.

— ოჰ! შენ კი გენაცვალე მაგ ხარივით თვალებში.

---

მიდის დრო... მილოლავენ ადამიანები ამ ხრიოკებით.

ყველა გზებს მივყევართ რომში.

**პ. ირეთელი**

# კორესპოდენცია

## სუფსა

ა. წ. 5 ივლისს ადგილობრივ სახალხო სახლში შესდგა კრება, სუფსის რაიონის ყოფილ მენშევიკებისა, რომლებიც გატარებულნი არიან საინიციატივო ბიუროში და დგანან მესამე კომინტერნის პლათფორმაზე. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლავ. ნაკაიძე, მდივანად ა. ჩხ-ძე.

კრებას დაესწრო საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. გ. ლომთათიძე, რომელმაც მოხსენება გააკეთა საინიციატივო ბიუროს და მუშათა კომისიის მოქმედების და პლატფორმის შესახებ. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა.

ჩვენი პლათფორმის შესახებ ილაპარაკეს თითქმის ყველა წევრებმა, ყოველი სიტყვა დასრულდა მით, რომ ისინი ფიცს სდებენ, ამოუდგებიან მხარში კომუნისტურ პარტიას, როგორც სახელმწიფო, ისე პოლიტიკურ აღმშენებლობაში. დასასრულ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია, რის შემდეგ კრება დაიხურა.

**ა. ჩხ-ძე.**

# შორაპნის ქვე-კომისიის მუშაობა

მართალია მთლიანათ ვერ გაამართლა კომისიამ ამომრჩევლების იმედები, მაგრამ საქმე მაინც ბევრია გაკეთებული, თუ კომიისიას რაიმე ნაკლი აქვს ეს არის უსახსრობის და უდროობის მიზეზი. ამდენი ხანია კომისია მუშაობს ამ უდიდეს საქმეზე და მას ერთი კაპეიკიც არ მიუღია ამ საქმის საწარმოებლად და მიზეზს ჯერჯერობით კომისია ინახავს საიდუმლოთ. ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენივე ამხანაგებთან.

ჩვენ პირადათ მე და ვასო მაჭავარიანმა ჩვენივე წვლილი გავიღეთ და დასახული მიზნისათვის არ გვიღალატნია—საქმე თითქმის შევასრულეთ პირნათლად: ჩავატარეთ აღრიცხვა ოც თემში, შევადგინეთ ანკეტები, სიები გადავგზავნეთ სამაზრო პარტკომში, რაიკომებში—უჯრე. I სამტრედიის საგანგებო კომისიის უფროსთან და ვაცნობეთ, რომ ეს ამხანაგები მტკიცედ იცავენ კომისიის ხაზს და ხელს უწყობენ საბჭოთა წყობილებას. გარდა ამისა ეგზავნება სრული ცნობები მთავარ მუშათა კომისიას თბილისში მოთხოვნისამებრ.

გარდა ამის, ჩვენს რაიონში ვრცელდება ჟურნალი „ახალი გზა“ 202 ცალი, მასთან გვიხდება სხვა და სხვა ორგანზაციულ მუშაობაში მონაწილეობის მიღება. ზოგიერთ ნაკლებად შეგნებულ კომუნისტებთან გვიხდება მტკიცება, რომ ჩვენ მათი ძმები ვართ და საერთო საქმისათვის ვიბრძოლებთ. დარწმუნებული ვართ ეს იქნება მალე დაძლეული და ის ამხანაგები, რომელნიც კიდევ მტრულათ, შეიძლება იყოს განწყობილი, შეიგნებს სინამდვილეს და ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოლებენ მომავლისათვის.

მაშ გაუმარჯოს სოციალიზმს.

ი. შაჲირიშვილი

# გაზეთი „კომუნისტი“-ს რედაქციას.*)

მიწა-ტყის პროფ-კავშირის სენაკის სამაზრო ადგილკომი გთხოვთ მოგვითავსოთ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტში“ შემდეგი:

ყოველ კვირეული ჟურნალი „ახალი გზის“ ა. წ. 14 ივნისის № 25-ში მოთავსებულია კორესპოდენცია სენაკის მაზრიდან ვარ. ქოიავასი, სადაც ეს უკანასკნელი ეხება მაზრის მიწად-მოქმ. ქ/განყ. გამგეს ამხ. ი. ჭანტურიას და პირადი მოსაზრებით ბრალად სდებს მას მთხოვნელებისადმი „ჩინოვნიკურ“ მოპყრობას, რითაც ის ვითომდა ხელს უწყობს ხელისუფლებასა და მასსას შორის უფსკრულის გაღრმავებას.

ამხ. ი. ჭანტურია არის ჩვენი კავშირის წევრი. ადგილკომს მასთან-მჭიდრო და ყოველდღიური კავშირი აქვს გაბმული. ამისათვის ადგილკომს სრული შეგნებით. შეუძლია განაცხადოს შემდეგი: ვარ. ქოიავას მიერ ამხ. ი. ჭანტურიასადმი წაყენებული ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა. ამხ. ჭანტურიას მოპყრობა მთხოვნელებისადმი და თანამშრომლებისადმი უაღრესად ამხანაგურია და სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს. ადგილკომმა არ იცის ისეთი შემთხვევა, რომ ვინმეს თუნდაც მცირედი უკმაყოფილება გამოეთქვას ამხ. ჭანტურიას მოპყრობით. ჩვენ უპარტიოებს სათანადოდ გვყავს იგი შეფასებული. ყველა ამის შემდეგ ძლიერ სამწუხაროა, რომ მას სრულიად უსაფუძვლოდ დაუმსახურებელ ბრალს სდებენ. საერთოდ ავტორ ქოიავას ემჩნევა აჩქარება და უპასუხისმგებლობა. საჭირო იყო მეტი მოფიქრება, საქმესთან ახლო გაცნობა და საკითხისადმი საერთო აზრით და არა მარტო თავისი ზომით მიდგომა.

მიწა-ტყის კავშირის სენაკის სამაზრო
ადგილკომის წევრნი 1. მ. კვირკველია
2. ს. სარუმოვი
3. ო. ძველაია

*) ეს წერილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან არის გადმოგზავნილი ჩვენს რედაქციაში. ვბეჭდავთ წერილს უცვლელად.

ხარედ. კოლ.

# სანატორიუმ „არაზინდოს“ დირექტორს მოქ. სერედას

თქვენ წერილზე ამა წლის. 6/VII თარიღით № 1914 ჟურნალ „ახალი გზის“ რედაქცია გიპასუხებთ, რომ ჟურნალი „ახალი გზა“ გამოდის ქართულ ენაზე და თქვენს წერილს, დაწერილს რუსულად, ვერ გაუშვებს. ამასთანავე რედაქციას დრო არა აქვს წერილის ქართულად გადასათარგმნათ.

სარედ. კოლეგია.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
შ. ხურცილავა
ქ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

მთავლიტი № 1100 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტ. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 26 ივლისი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11-68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8—2 საათამდე | № 31

## უზენაესი სასამართლოს მიმდინარე პროცესი

რამდენიმე დღის შემდეგ რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო გამოიტანს თავის მსჯავრს პარიტეტულ კომიტეტის წევრების და მათ ორგანისაციასთან დაკავშირებულ პირების მიმართ.

თქმა არ უნდა, პროცესი სწარმოებს სასამართლოს ყველა გარანტიების დაცვით: ბრალდებულებს აქვთ ყოველი შესაძლებლობა თავისუფლათ და სინდისის ქვეშ აღიარონ ის, რაც მათ მოქმედებას შეეხება და სამსჯავროს წინაშე თავის დაცვის უფლებიდგან გამომდინარეობს. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ბრალდებულების დაკითხვის დროს რაიმე ძალდატანებას ჰქონდეს ადგილი, ან მათი კანონიერი შუამდგომლობა არ იყოს შესრულებული. და აი, ამიტომ, უფრო საყურადღებოა აგვისტოს გამოსვლების ის შეფასება, რომელსაც იძლევიან ამ გამოსვლების ხელმძღვანელნი და მონაწილენი. არც ერთი მათგანი უარს არ ჰყოფს, რომ აგვისტოს ამბები იყო შეცდომა და ავანტიურა, და რომ ეს ავანტიურა დიდათ მავნებელი გამოდგა ქართველი ერის და მისი პოლიტიკური მდგომარეობისთვის, გარდა ამისა, ჩვენ არ გვგონია დარჩენილიყოს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებში ისეთი იშვიათი სახის ეკზემპლიარიც კი, რომელიც არ იზიარებს საბჭოთა წყობილების პრინციპებს, და რომ ის ამართლებდეს შარშანდელ აგვისტოს ავანტიურას. თუ ავიღებთ ქართველ ხალხს საერთოთ და მივიღებთ მხედველობაში მის განწყობილებას ამ გამოსვლებისადმი, ეჭვი არ გვექნება, რომ იგი და მისი ავტორები გამოდგნენ სრულიად კოტრნი.

აბა ეხლა შევეცადეთ მოიყვანოთ ანგარიშში ყველა ის მსხვერპლი, რაიც გაიღო ქართველმა ხალხმა ამ ტრაგიკულ დღეებში და წარმოიდგინეთ ზღვა ცრემლი აურაცხელ ძმა-მოსილ ქვრივ-ობლების, რომელთაც დაჰკარგეს უაზრო საქმეში თვის მრჩენელნი, თუ არ დარწმუნდებით, რომ აგვისტოს ამბების ავტორები ვერ ჰპოვებენ ქართველ ერში თავის საქციელის გამართლებას. მაგრამ გულწრფელათ აღიარეს თავის შეცდომა და შეცდომა უნდა გამოსწორებულ იქნეს როგორც პროცესით, ისე პროცესის შემდეგ: მეორე—საბჭოთა სასამართლო მით არის პროგრესიული, რომ მან არ იცის შურისძიება მით უმეტეს, მაშინ, როდესაც დამნაშავემ შეიგნო თავის დანაშაული და ის იმედს იძლევა, რომ შემდეგში საზოგადოების სასარგებლო წევრი გახდება; შემდეგ რესპუბლიკის ცხოვრება უკვე ჩამდგარია ნორმალურ კალაპოტში, ამასთან უკმაყოფილო ელემენტებმა შეიგნეს ხელისუფლებასთან თუ მმართველ პარტიასთან შერიგების აუცილებლობა და შერიგდენ კიდეც, დანარჩენები კი შერიგების გზის ძიებაში არიან. ერთი სიტყვით, მთავრობას და ანტისაბჭოთა პარტიების წევრთა შორის უფსკრული ამოვსებულია, მათ შორის ებმება ნდობის და თანაგრძობის მტკიცე ძაფები, ხალხი ჩაბმულია მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობაში, რომლის წარმატება-ნაყოფიერებისათვის საჭიროა წევრების დამშვიდება, გულდადება.

ასეთ მომენტებში მთავრობის და მისი ორგანოების მოვალეობას შეადგენს ყოველმხრივ და ყოველ საშვალებით ხელი შეუწყოს ხალხში მშვიდობიანობის განმტკიცებას, ხალხის უკმაყოფილო ელემენტების თავისთან დაახლოვებას, შეცდომაში შესულ თუ დანაშაულობების ჩამდენ პირების გამოსწორებას.

სწორედ ასეთი აზრი არის გატარებული საბჭოთა სისხლის კოდექსში და მის სასჯელთა დებულებაში. კოდექსის უმთავრესი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ არა უეჭველათ დასაჯოს დამნაშავე, არა შური იძიოს მისზედ, არამედ შეუქნას მას ხელშემწყო პირობები მის გამოსასწორებლად, მოახდინოს მასზედ აღმზრდელობითი გავლენა; რათა დაუბრუნოს იგი საზოგადოებას სასარგებლო წევრათ.

ჩვენ გვგონია და მოველოდებით, რომ უზენაესი სასამართლო სწორედ ისე მოიქცევა, ვინაიდან არც დამნაშავენი უნდა წარმოადგენდენ მომავალში საბჭოთა საზოგადოებისთვის საშიშ ელემენტს, იგრძნეს რა მათ თავის შეცდომა და ავანტიურა და არც ქართველი საზოგადოება წარმოადგენს ნიადაგს ვისიმე უპასუხისმგებლო და უაზრო თარეშისათვის.

# ძირითადი კაპიტალის აღდგენა

მრეწველობაში ძირითადი კაპიტალის აღდგენა— დღეს საბჭოთა ხელისუფლების უახლოეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს.

სამოქალაქო ომმა ისედაც სუსტი და ჩამორჩენილი რუსეთის მრეწველობა ძალზე დაასუსტა. მრავალი ფაბრიკა-ქარხნები სამოქალაქო ომმა გაანადგურა. ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა დატაცებულ-განადგურებული იქმნა.

საბჭოთა ხელისუფლებას დიდი შრომის გაწევა და ენერგიის დახარჯვა დასჭირდა სამოქალაქო ომში გადარჩენილ ფაბრიკა-ქარხნების აღსადგენათ, გაფანტულ-დატაცებულ მანქანებისა და მათი მოწყობილობის მოგროვება-მოსაწყობად.

ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები, მრეწველობა თანდათან ფეხზე წამოდგა, წელი გაიმაგრა. 1921 წლიდან მოყოლებული ის სწრაფი ტემპით ვითარდება. 1925 წლის დასაწყისში მისი პროდუქცია ომამდე არსებულ პროდუქციის 72 პროცენტს შეადგენს.

1921 წლიდან სოფლის მეურნეობის განვითარებაც სწრაფი ტემპით წავიდა. სოფლის მეურნეობამ მრეწველობას წინ გაუსწრო, მიმდინარე წელში მისი პროდუქცია ომამდე არსებულ პროდუქციას უახლოვდება.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შემდეგი განვითარებისათვის აუცილებელია მათი წარმოების თვითღირებულების გაიაფება, რამდენათაც ნაკლები ჯდება საქონელის დამზადება, იმდენით უფრო იაფია მისი ღირებულება, მისი გასასყიდი ფასი. ხოლო მეორე მხრივ, რამდენათაც იაფია საქონელი, იმდენათ უფრო დიდია მისი ბაზარი.

თუ საქონელი ძვირად ფასობს, მასზე მოთხოვნილება კლებულობს, ბაზარი ვიწროვდება და ნიადაგი მზადდება სახალხო მეურნეობის კრიზისისათვის.

კრიზისის თავიდან ასაცდენად და მოსახლეობის ეკონომიურად აღსადგენად აუცილებელი პირობაა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის თვითღირებულების გაიაფება. რაც დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების გაზრდაზე. ხოლო შრომის ნაყოფიერებაზე უმთავრეს გავლენას ახდენს ფაბრიკა-ქარხნების ძირითადი კაპიტალის—მანქანების და სხვა ხარისხი. იქ, სადაც კარგი ხარისხის მანქანებია და სადაც წარმოების ტეხნიკური მხარე უაღრესად განვითარებულია, ნაწარმოების დამზადებაც იაფი ჯდება, საქონელი იაფდება. ხოლო იქ, სადაც ძველი მანქანებია, სადაც წარმოების ტეხნიკა ძალზე ჩამორჩენილია, საქონლის თვითღირებულებაც მეტია, საქონლის დამზადება ძვირი ჯდება.

საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან მოყოლებული ფაბრიკა-ქარხნებში მანქანების გამოცვლა ან კაპიტალური შეკეთება არ მომხდარა, დღეს იქ ისევ ძველი კონსტრუქციის მანქანები მუშაობენ, ეს მანქანები გაცვეთილი და დაზიანებულია.

რა საშვალებით შეიძლება საბჭოთა კავშირში ძირითადი კაპიტალის აღდგენა?

იმპერიალისტური ბურჟუაზიული სახელმწიფოები ასეთ შემთხვევაში უმთავრესად საგარეო სესხს მიმართავდენ, ან და ჩამორჩენილ ქვეყნებს—კოლონიებს ცარცვავდენ და ასეთი გზით თავის მრეწველობას ანვითარებდენ, ამაგრებდენ.

საბჭოთა კავშირისათვის დღეს ამ გზით სიარული შეუძლებელი ხდება, საგარეო სესხის აღება ძირითადი კაპიტალის აღსადგენათ დღეს შეუძლებელია.

ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც კბილებს ილესავენ საბჭოთა კავშირზე და ათასგვარ ინტრიგებს აწყობენ მის გასანადგურებლათ, ცხადია, საბჭოთა კავშირს სესხს არ მისცემენ. კოლონიალურ პოლიტიკის წარმოებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, მუშურ ხელისუფლების მცნებას არ ეგუება ჩამორჩენილ ერების გაყვლეფა და მათ ხარჯზე მრეწველობის აღდგენა...

საბჭოთა კავშირს ერთი გზა დარჩა ძირითადი კაპიტალის აღსადგენათ, ეს გზაა შინაგან, თავის საკუთარ ძალებზე დამყარება. უდაოა, რომ ამ გზით მრეწველობის ჩქარი ტემპით აღდგენა შეუძლებელია; საკუთარი საშუალებით ძირითადი კაპიტალის აღდგენა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ ხელისუფლებას, რომელიც იმპერიალისტურ სახელმწიფოებითაა გარს შემორტყმული, მეტი გზა არ დარჩენია, ის მას უნდა დაადგეს, რომ სახელმწიფო გადაარჩინოს ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისებს.

რას წარმოადგენს ეს საკუთარი საშვალებები, რომელმაც სახელმწიფოს უნდა მისცეს ძირითადი კაპიტალის აღდგენის შესაძლებლობა?

ასეთი საშუალება უმთავრესად ორია: ერთი სახელმწიფო გადასახადების გადიდება და გასავლის ხარჯების შემცირება და ამ გზით სახელმწიფოს შემოსავლიანობის გადიდება. გადიდებულ შემოსავალს სახელმწიფო მოახმარს მრეწველობის აღდგენას. მეორე საშუალება არის საშინაო სესხის აღება.

პირველ საშუალებისათვის—გადასახადების გადიდება—მიმართვა სახელმწიფოს დღეს არ შეუძლია, ეს გამოიწვევდა სახალხო მეურნეობის დაცემას. საბჭოთა კავშირის მოსახლეობა დღეს იმდენათ ღარიბია, რომ არსებულ საგადასახადო ტვირთის კიდევ უფრო გადიდება მას წელში გატეხს, მის მეურნეობას განადგურების გზაზე დააყენებს. პირიქით საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა დღეს იქით არის მიმართული, რომ მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი შეამსუბუქოს, და ამით მეურნეობის აღდგენას ხელი შეუწყოს, ამ მიზნით ხელისუფლებამ წელს თითქმის 40 პროცენტამდე შეამცირა შარშან არსებული გადასახადების რაოდენობა.

დარჩა უკანასკნელი საშუალება—საშინაო სესხის აღება. რასაკვირველია, დიდი იმედების დამყარება არც ამაზე შეიძლება, იმიტომ რომ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დღეს საბჭოთა კავშირის მოსახლეობა იმდენათ გაჭირვებულია, რომ ძალიან გაუჭირდება მას სახელმწიფოსათვის სესხის მიცემა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მაინც, რომ, გარდა ამ საშუალებისა, დღევანდელ პირობებში, სხვა უკეთესი საშუალება მეურნეობის აღსადგენათ არ არსებობს. ჩვენ საბჭოთა სინამდვილის ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაუწიოთ და მთელი ჩვენი ძალ-ღონით შევეცადოთ სახელმწიფოს საკრედიტო დაწესებულებებში მივზიდოთ მაქსიმები იმ სიმდიდრისა, რომელიც თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც გროვდება მოსახლეობის ზოგიერთ ნაწილში. არც ერთი თავისუფალი კაპიკი უქმად არ უნდა დარჩეს, ის აუცილებლად დაბანდებული უნდა იქნეს სახელმწიფო მეურნეობაში...

ამ მიმართულებით მუშაობა უკვე სწარმოებს, საჭიროა მისი კიდევ უფრო გაძლიერება და გაღრმავება.

ლ. ი.

# საქართველოს მეცხვარეობა და საძოვართა საკითხი*)

II.

(გაგრძელება)

ყველგან და ყოველთვის სოფლის მეურნეობის თვითეულ დარგს სახელმწიფო მეურნეობის სისტემაში უკავია შესაფერისი ადგილი, აქვს გარკვეული გეზი, სარგებლობს სპეციალურ კანონის მფარველობით და სათანადო პრივილეგიებით და მისი ნორმალური განვითარება მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ შექმნილ კალაპოტით. სახელმწიფოს მფარველობა პირდაპირ პროპორციით ძლიერდება იმის და მიხედვით, თუ რა როლს თამაშობს იგი ქვეყნის ეკონომიკაში.

ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ მეცხვარეობა საქართველოს ზოგ კუთხის ეკონომიურ კონცერტში პირველ სკრიპკას უკრავს. მაგრამ არც დანარჩენ კუთხეების მცხოვრებნი აიტანენ უიმისობას. აქედან ცხადია, რომ მისი არსებობით სერიოზულად უნდა ვიყვნეთ დაინტერესებულნი, მაგრამ, სამწუხაროდ, სალ აზროვნების დასკვნას ხშირად არ შეეფერება საქმის ფაქტიური ვითარება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მეურნეობის არც ერთი დარგი ისე არ არის მოშორებული ჩვენს მზრუნველობას, როგორც მეცხვარეობა. როცა გაეცნობით დაწვრილებით საქმის მდგომარეობას, უსათუოდ იღებთ ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს მეცხვარეობის არსებობას არა აქვს მიღებული სახელმწიფოს სანქცია. მის ყოველდღიურობას რაღაც უსაფუძვლობის ელფერი და შემთხვევითი ხასიათი აქვს. ასეთი უსაფუძვლობა რასაკვირველია გარეგან ბუნებისაა თორემ შინაური საფუძვლიანობა ხომ დიდ მტკიცებას არც კი მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პირობებში მეცხვარეობა ყველაზე მძიმე, მაგრამ მეტად საჭირო და საპატიო დარგია, ჩვენი მეცხვარის გულში რაღაც შიშია მოკალათებული. მას ყველგან და ყოველთვის ვიღაცასი ეშინიან. იგი არ არის დარწმუნებული, რომ ბატკანი ჭედილად გადაექცევა, მისი ხარჯთ-აღრიცხვა ჰაერშია ჩამოკიდებული, იგი შრომობს ტანჯვით, დღე-ღამეს ასწორებს და უძილო ღამეებით, როცა ხშირად ლოგინად ტლაპოა და საბნად სეტყვა, ჰქმნის ჩვენთვის მეტის-მეტ ძვირფას ღირებულებას, მაგრამ თავის-თავით ამაყობის მაგივრად, წარმოიდგინეთ, რომ ვიღაცის და რაღაცის შიში ისე ძლიერადაა გამჯდარი მასში, რომ ქალაქზე ან სოფელზე ცხვრით გავლა მისთვის მთელი ტრაღედიაა, რაც სიმპტომია ზემოდ დასახელებულ უარყოფით ატმოსფერისა. მართალია, სხვა ქვეყნებში მთაში მიმავალ ცხვარს ადგილობრივი მცხოვრებნი ყვავილებით ჰხვდებიან ხოლმე, ჩვენში კი იგი ამ დროს ყოველთვის წაგლეჯა-მოტაცების ობიექტია, მაგრამ მარტო ეს არ არის მიზეზი მეცხვარის გულჩათხრობისა. ეს მხოლოდ ლოღიკური დეტალია იმ სისტემისა, რომელშიაც იგია მოქცეული. ეს სისტემა კი იმდენად უარყოფითია, რომ მეცხვარე, როგორც მეურნე, თავის ქვეყანაში უცხოდ გრძნობს თავს. საოცარი მოვლენაა, მაგრამ ასეთ პარადოქსს ალაგი აქვს ჩვენში. აქ, რასაკვირველია, გაუგებრობას აქვს ალაგი, თორემ ვის მოუჭრია ის ტოტი, რომელზედაც თვითონ მჯდარა? იქნება ვისმეს გადამეტებულად მოეჩვენოს ჩვენი სიტყვები, მაგრამ ამ საკითხში გადამეტება არავის არგებს, გულახდილობა კი საჭიროა, ვინაიდან ტკივილის დამალვა ყოველთვის უფრო ართულებს ავადმყოფობას და ვნებს ორგანიზმს.

სიტყვას არ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ მეცხვარეობა მეტის-მეტ ცუდ პირობებშია ჩაყენებული. მას აქვს მრავლად როგორც აუცილებელი, ბუნებრივი, ისე ადვილად ასაცილებელი ტკივილები. ადვილად ასაცილებელ დეფექტთა შორის კარდინალურ საკითხად უნდა ჩაითვალოს საძოვართა საკითხი, რომელიც მაჯლაჯუნასავით უხუთავს სულს მეცხვარეობის არსებობას. ამ მოკლე წერილში მე შევეხები მხოლოდ ამ ძირითად საკითხს; თორემ ყველა არა ბუნებრივ დეფექტების აღსაწერად საჭირო იქნებოდა მთელი ტომი.

როგორც ზევით ვსთქვი, ცხვრის საძოვრები განიყოფება საზამთრო და საზაფხულო საძოვრებად, რომელთა 80% გამოსაყენებელია მხოლოდ მეცხვარეობისთვის. ამ საძოვრებს უკავიათ განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც მთლიანადაა მოქცეული ამა თუ იმ მაზრის ფარგალში. რადგანაც ამ საძოვრებზე თავს იყრის უმეტეს შემთხვევაში სხვა რაიონიდან მოსული ცხვარი, ადგილობრივ მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილოა ამით და ცდილობს ფარულად თუ აშკარად თავიდან მოიცილოს იგი. გავარკვიოთ, თუ რამდენად სამართლიანია მოსახლეობის ნაწილის ასეთი პრეტენზია.

თრიალეთიდან შემოდგომაზე ჩამოსული ბორჩალოს, გარე-კახეთის და ქიზიყის ცხვარი საზამთროდ დგება სოფლის სანადელო ადგილებში, თუშ-ფშავლისა (ნაწილობრივ მთიულეთისაც) კი ჩადის შირაქში, რომლის 107,617½ დესეტინა ნომრებად დაყოფილი ნადელად გადაეცა მათ 1884 წელს.

ჯერ შევეხოთ შირაქს. შირაქის უდაბნოს ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს დაცემულ მინდორს, რომელიც „შუა მთის“ ქედით გაყოფილია დიდ და პატარა შირაქად. ეს მინდორი ეშვება ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდოებით მდ. ალაზნისაკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდოებით კი მდ. ივრისაკენ. ფლორის მიხედვით ეს საძოვრები გამოსადეგია უმთავრესად წვრილ-ფეხა საქონლისათვის. წყალი ძნელად მოიძებნება. აქა-იქ შეხვდებით ჭებს მლაშე და მლაშ-მწარე წყლით. შირაქის სიმაღლე უდრის 224—2,500 ფუტს შავი ზღვის დონიდან და აქვს ტალღისებრი ფორმა. ეს, ყველაზე დიდი უდაბნო საქართველოში, სრულებით აუტანელია საქონლისათვის ზაფხულობით, რადგანაც სიცხის გამო ყველაფერი იწვება,ვარგისია შემოდგომის დაბალ ბალახით მხოლოდ ცხვრისათვის. როგორც ითქვა, თუშ-ფშაველ მეცხვარეების კეთილდღეობა დამყარებულია მხოლოდ ცხვარზე. სწორედ ამას გაუწია ანგარიში ძველმა მთავრობამ, რომ ნადელებათ მისცა მათ ეს აბსოლუტურად ცხვრის საძოვარი. რევოლიუციის დროს და შემდეგაც პურზე ფასის საგრძნობლად აწევამ მომკებიანი გახადა ხვნა-თესვა. მაშინდელმა შემთხვევითმა მოუსავლიანობამ ერთნაირი უპურობის პანიკა შექმნა ხალხში, რადგანაც პურის შემოტანის და მეტადრე სყიდვის იმედი და ილაჯი არ ჰქონდა ხალხს. ამასვე დაერთო ფულის კრიზისი, როცა გლეხი საჭირო საგნებს ყიდულობდა უმთავრესად

*) იხ. „ახალი გზა“ № 30,

პურზედ ზაცვლით. ყოველივე ამან ხალხში დაბადა ხვნა-თესვის მანია. ყველა ცდილობდა რაც შეიძლება მეტი პური მოემარაგებინა. მაგრამ ამ დარგის ინტენსიობაზე არავინ ფიქრობდა და არც შეეძლო ეფიქრა. ერთად-ერთი გამოსავალი იქნებოდა სახნავ ფართის გადიდება. ეს ესეც მოხდა. ხალხმა დაუწყო ხვნა ისეთ მიწებს, სადაც გუთანს არასდროს არ გაევლო. რა ხდება ამ დროს შირაქისაკენ? ქიზიყი გუთნით ეცა შირაქს, რომელიც სრულიად გამოუსადეგარია ეკონომიურ თვალსაზრისით ხორბლის კულტურისათვის. ხარ-კამეჩით მდიდარი ქიზიყი არ უწევს ამას ანგარიშს და ხნავს შირაქის ნაწილს, რამდენიც შეუძლიან. ამრიგად ამ უახლოეს ხანში ქიზიყელებმა დაუწყეს ხვნა შირაქის თავს დასავლეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით. აღმოსავლეთ-ჩრდილოეთიდან შირაქს შეესივნენ ქვემო და ზემო ქედი და არხალო, რომელთაც ძალით დაიკავეს „დიდ შირაქი“-ს საგრძნობი ნაწილი. მოსავლის გადიდების ასეთი პალიატივი დღესაც ინერციით გრძელდება და საფრთხეს უმზადებს თუშ-ფშავლის ცხვარს. ზოგ ადგილების დაჭერის ბრალია, რომ ცხვრის ნაწილი იძულებით გადის ადერბეიჯანში. სამართლიანია თუ არა ქიზიყის საქციელი? რასაკვირველია არა, რადგანაც მის გასამართლებლად არც ერთ საღ მოსაზრების მოყვანა არ შეიძლება. ხვნა თიხნარ მიწისა და ისიც სახელმწიფოს მიერ მეცხვარეობისთვის მიჩნეულ ალაგისა, რომელიც თესლს თითქმის ვერ ანაზღაურებს, განა ხალხის ინტერესებითაა გამოწვეული? ღარიბი და საშუალო გლეხი ძლივს ამუშავებს თავის სანადელო მიწას, მაშასადამე შირაქში გუთნით ჩადის გლეხ-კაცობის მხოლოდ შეძლებული ნაწილი, რომლის ინტერესების დაცვისათვის, რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავწირავთ თუშ-ფშავლის ცხვარს. იქნებ ამაზედაც დავთანხმდებოდით, მაგრამ ყველასათვის აშკარა და ნათელია, რომ ამ ალაგების გამოყენება გაცილებით უფრო მოგებით შეიძლება ცხვრით, ვიდრე ხვნით, როგორც მაზრის, ისე სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით. უაზრობას სჩადის არა მარტო სოფლის შეძლებული გლეხი, არამედ ამ ფერხულში ჩაბმულია ზოგი თემის ხელისუფლებაც. მე თვითონ ვნახე შირაქის ერთ ნაწილზე (ტარიბანა), რომელიც ფშავლებს აქვთ მიცემული ნადელად, ცხვრის ბინების შუა რამდენიმე დესეტინა დათესილი ბამბა, დაეთესა რომელღაც ალმასკომს (სახელი არ მახსოვს). რა ბამბა უნდა მოვიდეს ისეთ ალაგში, სადაც ზაფხულობით გველის და ხვლიკის მეტი ვერავინა სძლებს? დამთესავი ალბად ამაზე არა ფიქრობდა, სამაგიეროდ როცა ჩავიდა ცხვარი, რამდენიმე დესეტინა დაჰხვდა მას მოტიტვლებული ალაგი. ამისთანა საქციელისათვის სასტიკად უნდა დაისაჯოს დამთესავი, მაგრამ რას იზამ, როცა მას მეცხვარეობა ზედმეტ ბარგად მიაჩნია და ბამბის დათესვა კი შირაქში კულტურტრეგერობად ეზმანება? გარდა იმისა, რომ ქიზიყი თანდათან იჭრება შირაქისაკენ, შირაქს კიდევ სხვა ტკივილი აქვს, სახელდობრ: ჩვენსა და ადერბეიჯანს შორის სადაოთაა გამხდარი 60.000 დესეტინა საუკეთესო საძოვარისა. მართალია ჩვენი მეცხვარეები ფაქტიურად სარგებლობენ ამ საძოვრებით, მაგრამ საქმის ასეთი გამოურკვევლობა მაინც აფერხებს მეცხვარეობის განვითარებას.

ეხლა ვნახოთ, თუ რა ხდება ქიზიყის, გარე-კახეთის და ბორჩალოს მაზრების სანადელო მიწებზე. აქაც ისეთივე საფუძვლიან უაზრობის სურათია. ცნობილია, რომ ჩვენში (აღმოსავლეთ საქართველოში) თვითეულ წელში იხვნება მინდვრის მხოლოდ ერთი ნახევარი, მეორე კი ისვენებს. ამ ალაგს იყენებენ სათიბად. გარდა ამისა, ზოგ სოფელს გამოყოფილი აქვს სპეციალური სათიბი ნაკვეთები. ცხვარი საზამთროდ დგება სწორეთ ამ ალაგებზე. მაშასადამე, შემოდგომის ნათესების გაფუჭებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ცხვარი სძოვს სრულიად თავისუფალ ალაგზე, რომელსაც იგი თუ არ გაანოყივრებს, ყოველ შემთხვევაში არ გააფუჭებს. მართალია, გაზაფხულის პირზე, ვიდრე მთაში წავა ცხვარი, შეიძლება ზიანი მიაყენოს სათიბ ალაგებს, მაგრამ ეს არის საქმის მხოლოდ ტეხნიკური მხარე და არა პრინციპიალური, რადგანაც ამ დროს (1—2 კვირით) შეიძლება ახლო-მახლოს ადვილად გამოიძებნოს თავისუფალი ნაკვეთი, რომლითაც არ არის ღარიბი დასახელებული კუთხეები. თუმცა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მინდორში მყოფი ცხვარი არ ჰქმნის მესაქონლეობის და მემინდვრეობის შორის დისჰარმონიას, მაგრამ როცა ცხვარი მიადგება სოფლის მინდორს, სოფლის ზოგი ელემენტი მოძრაობაში მოდის, რადგანაც საწველ ფურად ჰყავს დასახული მეცხვარე. აქაც მხოლოდ გლეხ-კაცობის შეძლებული ნაწილი, რომელიც მისდევს ხვნა-თესვას, ვერ ითმენს ცხვარს. სწორედ ესენი მოითხოვენ ხოლმე მეცხვარეებზე დიდ გადასახადის დადებას სოფლის სასარგებლოდ, რომ თვითონ შეიმსუბუქონ გადასახადის ტვირთი. გარდა ნორმალურ გადასახადებისა სახელმწიფოს თუ სოფლის სასარგებლოდ, რომელსაც იხდის მეცხვარე, როგორც სოფლის მოსახლეობის წევრი, მას აწერამენ უსამართლო რაოდენობით ისეთ გადასახადებს, როგორიცაა საჭირო გზების გასაყვანად, სკოლების ასაგებად, გლეხკომის სასარგებლოდ და სხ.. გარდა ყოველივე ამისა, მეცხვარე სპეციალურ იჯარას იხდის ცხვრის საძოვ ალაგებში, სოფლის სასარგებლოდ. თუ მიწ.-მოქ. სახ. კომ. საძოვართა განყოფილება ამასთანავე საფონდო ალაგებში სულ ცხვარზე ახდევინებს 15 კაპ., ზოგი სოფელი ახდევინებს 40—60 კაპეიკსაც. ფასების ასეთი ვაკხანალია არ ეფუძნება რაიმე რეალურ მოსაზრებას. საქმის ასეთი ვითარება მით უფროა სავალალოა, რომ საძოვრებით სპეკულიაციას, სამწუხაროდ, ზოგი თემის საბჭოებიც კი ეწევიან. სამაგალითოდ მოვიყვან ამ ორი კვირის წინად ამხ. გრ. ჭოჭუას მიერ „ახალ გზა“-ში (№ 28) გამოქვეყნებულ ერთ საინტერესო საბუთს. „1925 წ. 8 მაისს ესე ვსდებთ ხელშეკრულებას გიორი ბურდული და ნიკო ბექაური მასზედ, რომ უნდა ვაბალახოთ ცხვრები მაისის ნახევრამდის ახალი სტილით ლასტისციხის და ღვევის ფარგლებ გარედ დარჩენილ ფონდებში. ზემოხსენებულ ვადაზე უნდა გადავიხადოთ **ათი თუმანი**“. ხელს აწერს დრის საბჭოს თავმჯდომარე. რით ხელმძღვანელობდა დრის საბ. თავმჯდომარე ასეთ ფასის დადებაში? არაფრით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ალბად ამ დროს სჭირდებოდათ ათი თუმანი და ამის მიხედვით გადაახდევინეს. რამდენ ასეთ ათ თუმნებს ჰფლანგავს მეცხვარე წლის განმავლობაში, რადგანაც იძულებულია ყოველი მოთხოვნილება შეასრულოს, ოღონდ ცხვარი კი არ დაუზარალდეს. ამ უთავბოლო გადასახადების ბრალია, რომ დღეს ჩვენი მეცხვარეობა დეფიციტიანია. (ამის დასამტკიცებელი ციფრები ხელთ მაქვს, მაგრამ აქ ალაგი არ არის მათ გამოსამზეურებლად). ზემოდ მოყვანილია ერთი საბუთი, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ამაზე უარესი ხელ-

შეკრულება არის ჩვენს სინამდვილეში. კიდევ ვიმეორებ, რომ ასეთი მოვლენა სიმახინჯეა და სახელმწიფოს მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან დარგის დამღუპველი. ბევრ მეცხვარეს წრფელის გულით შემოუჩივლია ჩემთვის, „ისე მაწუხებენ სოფლის გადასახადებებით, რომ პირდაპირ მინდა ერთ დღეს გავჟლიტო ცხვარი, მაგრამ რა ვქნა,. რით ვაცხოვრო ცოლ-შვილი“-ო. ზოგი, ვისაც „კულაკებად“ ჰყავს დასახული მეცხვარე, ასეთ ჩივილს სთვლის „კულაკის“ ჩვეულებრივ ჩივილად, მაგრამ ასეთი შეხედულება შეუწყნარებელი შეცდომაა და საქმის უცოდინარობის ნაყოფი. გარდა გადასახადისა, ზოგ ალაგას პირდაპირ ეუბნებიან მეცხვარეს, ადე, დაიკარგე აქედანაო. ხშირად ამას ეუბნება 200 სულ ცხვრის პატრონს, რომელიც ძლივს უბრუნებს სულს თავის ოჯახს, ისეთი კაცი, რომლის წლიური შემოსავალი უდრის არა ნაკლებ 100 თუმანს. ყველაფერი ეს იმის ბრალია, რომ მეცხვარეობა სპეციალურ კანონს არა ჰყავს თავის კალთის ქვეშ შეფარებული. საჭიროა ასეთ ანომალიას საზამთრო საძოვრებზე ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო. სოფლის სამართლიან მოთხოვნილებას წინ რა გადაეღობება, მაგრამ კაპრიზებს და ისიც ხშირად „კულაკების“ კაპრიზებს სახელმწიფო ანგარიშს ვერ გაუწევს და არც შეუძლიან გაუწიოს.

ეხლა ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაა საზაფხულო საძოვრებზე.

აქ საქმე მეტად გართულებულია. საზაფხულო საძოვრის შემოკლების შიში აქ უფრო საფუძვლიანია თუ ზამთრის საძოვრების შემოკლება ნაყოფია მცხოვრებთა მეტად მცირე ნაწილის არა კეთილ ზრახვებისა და შემთხვევითი ხასიათისაა, რომელსაც უფრო ქურდული ხასიათი აქვს, აქ პირდაპირ, ამ შემოკლებისადმი მისწრაფება აშკარად ყალიბდება სისტემაში, რომელიც საბუთდება ადგილობრივ მოსახლეობის ინტერესების დაცვით და ვითომდა მეცნიერული არგუმენტაციით. საქმე შემდეგშია: ცხვრის მთავარ საზაფხულო საძოვრად მთელ საქართველოში უხსოვარ დროიდან ითვლება თრიალეთ-ჯავახეთის მთა, რომლის 90% დღეს მოყოლებულია ახალ-ქალაქის მაზრაში. ეს უდიდესი მთის პლატო, რომელიც იძლევა ეკონომიურ კომპენსაციას შირაქის, ყარაის და სხ. უდაბნოების უვარგისობაში, განთქმულია თავის ჰავით და საცხვარე ბალახით, რის გამოც აქ ხდება ცხვრის უდიდესი ნაწილის კონცენტრაცია. აქ ადის თავის ცხვრის ფარით თუში, ფშაველი, ქიზიყელი, გარეკახელი, ბორჩალოელი, ქალაქის-პირელი და სხვა. ამ მთაზე ცხვარი ადის უხსოვარ დროიდან, მაგრამ არას დროს არ ყოფილა რაიმე კონფლიქტი მეცხვარეებს და მცხოვრებთა შორის, მიწის სივიწროვის ნიადაგზე. უთანხმოების ნასახს მაშინაც კი არ ჰქონია ალაგი, როცა ჯავახელები საუკუნოების განმავლობაში უმთავრესად მისდევდენ მესაქონლეობას. ის შავ-მიწიანი, ნოყიერი და სახელგანთქმული ვაკე, რომელიც უკავია მოსახლეობას, ვარგისია მხოლოდ ხვნა-თესვისათვის, მთიანი ალაგი კი, რომელიც უკავიათ მეცხვარეებს და რომლის სიმაღლე ამეტებს 11.000 ფუტს, ვარგისია მხოლოდ ცხვრისათვის. მეურნეობის ორივე დარგის ინტერესები, მაშასადამე, ბუნებრივ პირობების მიერ იყო და არის დაცული და თავისთავად ცხადია, რომ გაუგებრობის საბაბიც კი არ არსებობს. სამწუხაროდ ორი წელი იქნება, რაც საუკუნოებით არსებული მესაქონლეობის და მეპინდვრეობის შორის ჰარმონია იშლება. ტყდება ხიდი ორ მშვიდობიან მეურნის შორის და ხიდის ჭრაჭუნს ტაშს უკრამენ ზოგიერთი პირები, რომლებიც ნაკლებად ერკვევიან ეკონომიურ საკითხებში საქმე იღებს საშიშ და მახინჯ სახეს და საჭიროა მთავრობის დაუყოვნებელი ჩარევა, რომ ჩვენს დროში არ მოხდეს ის, რაც საზღაპრო იქნებოდა სხვა დროს. რა ხდება ჯავახეთში? გავერკვიოთ.

(გაგრძელება იქნება).

**ლევან ლეონიძე.**

# გ. სერ. მაკალათიას რეცენზიის გამო

(გაგრძელება*)

მაკალათიას ჰგონია, რომ „კოლხურად“ წოდებული ფული ქართული ფულია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უძველეს დროში შავი ზღვის სამხრეც-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ნაპირებზე მდებარეობდენ ბერძენთა ახალშენები. ბერძნების ახალშენები ვაჭრობას აწარმოებდენ, როგორც ახლობელ ისე შორეულ ქვეყნებთან და ამ მიზნით სცემდენ ფულს. „კოლხური“ ფულიც ბერძნული ფულია და არა ქართული. მაგრამ ეგრედ წოდებული არისტარხის ფული (I საუკ. ქრ. წინ) უფრო ქართულია, ვინემ ბერძნული, ან რომაული. მასზე აწერია (თუმცა ბერძნულად) „მართველი (basileus) კოლხეთისა არისტარხუს“. აქ კოლხეთი ცალკე დამოუკიდებელ საგეგმო ერთეულად იგულლისხმება და მართველობის სათავეში basileus, მეუფე—მართველი დგას. აი ამიტომ ამ ფულს რომ ქართული ფული ეწოდოს დიდ შეცდომად არ უნდა ჩაითვალოს. ასე ფიქრობს ნუმიზმატიკოსი პახომოვი (Монеты Грузии), ასე ფიქრობს სახელოვანი პროფესორი ივ. ჯავახიშვილი. ამ საგანზე მაკალათიასებური დავა ჩხირკედელაობას უფრო წარმოადგენს, ვინემ საქმიან რამეს.

„სახელმძღვანელოში მოხსენებული არ არის, სწერს მაკალათია, თუ როგორ აქტიურ მონაწილეობას იღებდენ კოლხები საზოგადო ვაჭრობაში და როგორ სარგებლობდენ ინდოეთში მიმავალ გზით. კოლხები ამზადებდენ სხვა და სხვა ლითონისაგან ჭურჭელს და სამკაულებს, ტილოს ქსოვილებს, კოლხურად წოდებულს და სელი, კანაფი, ცვილი, ხე-ტყე უცხოეთში გაჰქონდათ“ და სხ. (წიგნ. მიგ. გვ. 159). ამის შესახებ ჩვენ ვწერდით: „კოლხები მიწათმოქმედებას მისდევდენ. მოჰყავდათ პური, სელი, კანაფი; მისდევდენ მეფუტკრეობას, აკეთებდენ ცვილს. შინაურ საქონლის მოშენება საკმაოდ ჰქონდათ განვითარებული. ნედლი მასალის გადამუშავება მათ კარგათ იცოდენ: მათი სელის ქსოვილებს უცხოეთშიაც დიდი სახელი ჰქონდა განთქმული. მიმოსვლა უცხოელებთან და ნაწილობრივ შიგნითაც გემებით უწარმოებიათ. ამისათვის ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ: ზღვა და მდინარეები და გემების საშენი მასალა ხე-ტყე“ (საქ. ისტ. 47).

*) იხ. „ახალი გზა“ № 30.

ჩვენ დაწვრილებით ვიხილავთ აგრეთვე ევროპიდან ინდოეთში მიმავალ გზასა და მის მნიშვნელობას საქართველოსათვის (იხ· საქ. ისტ. გვ. 49) და შემდეგ ვასკვნით: „ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ამ გზის მახლობლად მცხოვრებ ტომებს, ამან განავითარა საქართველოს მეურნეობა და ვაჭრობა. მათს (ქართველების) ნაწარმოებს ფართო გასავალი მიეცა. ამრიგად გაცხოველდა შემოტანა და გატანა ნაწარმოებთა. საგარეო ალებ-მიცემა და ურთიერთობა წარმოუდგენელია, თუ შიგნით არაა შესაფერად მოწყობილი სამეურნეო და სამოქალაქო ცხოვრება. მართლაც, სტრაბონის მოწმობით, კოლხეთში მდინარე რიონზე 120 ხიდი ყოფილა გაკეთებული· ამას ისიც მიუმატეთ, რომ ფოთიდან შორაპნამდე გემები დადიოდენ“ და სხვ. (საქ. ისტ. გვ. 49—50).

ჩვენ ეს გრძელი ამონაწერი მოვიყვანეთ იმისთვის, რომ მკითხველისათვის გვეჩვენებია ბ. მაკალათიას მიერ საქმისადმი ზერელეთ მოპყრობა.

რეცენზიის ავტორი განაგრძობს: „კოლხეთში მშვენიერი სავაჭრო ქალაქებიც არსებობდენ. მათ შორის ცნობილია დიოსკურია, ფაზისი და მათი პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი—ქალაქი ცა—არქეოპოლისი—ნაქალაქევი. გასაოცარია, რომ სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი ამ არქეოპოლისის შესახებ“ (წიგ. მეგ. გვ. 159).

ჩვენ ვწერდით: „ფოთი (ფაზისი), სოხუმი, ძველი ქალაქი (აწინდელი ნაქალაქევი), ქუთაისი, შორაპანი—სავაჭრო და საწყობ პუნქტებს წარმოადგენდენ“ (საქ. ისტ. გვ. 68).

ბატონ მაკალათიას აქვს მოხსენებული „არქეოპოლისი—ნაქალაქევი“, ჩვენ კი „ძველი ქალაქი—ნაქალაქევი“. ჩვენ მიერ დასახელებული „ძველი ქალაქი“ იგივე „არქეოპოლისია“. „არქეოპოლისი“ ბერძნული სახელწოდებაა, ხოლო ქართულად ეს „ძველ ქალაქს“ ნიშნავს და ჩვენც ამ ქართულ სახელწოდებას ვხმარობთ სახელმძღვანელოში.

„გაუგებარია, თუ რა მოსაზრებით სახელმძღვანელოში სრულიად მოხსენებული არ არის ქართული კულტურის ისტორიული და დღევანდელი ცენტრი, ქალაქი ტფილისი, რომლის ისტორია ისევ საქართველოს ისტორიაა“ და სხ. (წიგნ. მეგ. გვ. 160). ჩვენ ქალაქი ტფილისი არ დაგვივიწყნია; ჩვენ როდესაც „საქართველოს ისტორიის“ ხელთნაწერი სახალხო განათლების კომისარიატს განსახილველად წარუდგინეთ, ქალაქ ტფილისის შესახებ ცნობები ცალკე თავად გვქონდა შეტანილი და ეს კომისარიატშიც იციან. მაგრამ შემდეგ ჩვენ უფრო მიზანშეწონილად და საქმისათვის სასარგებლოდ დავინახეთ ტფილისის და საქართველოს სხვა ქალაქების შესახებ ცნობები მოგვეთავსებია იქ, სადაც ლაპარაკი გვექნებოდა სავაჭრო კაპიტალის და მისი როლის შესახებ სწორეთ ამ მოსაზრებით გამოვსტოვეთ ჩვენ ეს სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში· სამაგიეროთ მას თვალსაჩინო ადგილი ექნება დათმობილი საქართველოს ისტორიის მეორე ნაწილში.

რეცენზიის ავტორი გვიწუნებს აგრეთვე ფეოდალიზმის დახასიეთებას:

„რაც შეეხება ქართულ ფეოდალიზმის დახასიეთებას, ის პირდაპირ გადმოღებულია უცხო სახელმძღვანელოებიდან“ (წიგ. მეგ. გვ. 151).

ჩვენ ამ საკითხს როდესაც ვიხილავდით, სახეში გვქონდა ქართული პატრონყმობა (ფეოდალიზმი) და მხოლოდ ქართულ წყაროებს ვემყარებოდით და არაფერი უცხო სახელმძღვანელოდან არ გადმოგვიღია. მაგრამ მიუხედავათ ამისა, თუ ქართულ პატრონყმობასა და ევროპის ფეოდალიზმს შორის დიდი მსგავსებას ვხედავთ (იხილეთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორია ნაწილი I), ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება მარქსისტების ის აზრი, რომ ყოველ ხალხში, როგორც ფეოდალიზმი ისე განვითარების სხვა საფეხურები დაახლოვებით და არსებითად ერთნაირად ვითარდებოდენ. აბა ერთი სცადოს ბ. მაკალათიამ ქართული პატრონყმობის შესახებ ჩვენ სახელმძღვანელოში მოყვანილი რომელიმე დებულების დარღვევა და თუ მან ეს შესძლო, მაშინ იქნება მართლაც უცხო სახელმწიფოდან გადმოღებული.

რაც შეეხება ქართული ფეოდალიზმის თავისებურობას, რომ „მართლ მსაჯულება და გადასახადის გაწერა-აკრეფის უფლება მეფის ხელში იყო“, სინამდვილეს შეეფერება და მისაღებია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მაკალათია ამ შემთხვევაში იყოს მართალი. ჩვენ გვაქვს აწერილი ფეოდალიზმის ადრინდელი სახე მე VIII—IX—X საუკუნეები, როდესაც მთელი საქართველო დანაწილებული იყო მსხვილ და წვრილ მემამულეებს შორის, როდესაც არავითარი ცენტრალური ძალაუფლება არ არსებობდა და სასამართლოს და გადასახადების საქმე ერისთავებისა და კათალიკოზების ხელში იყო.

ცენტრალური ძალაუფლება უფრო გვიან წარმოიშვა მე XI—XII საუკუნეებში და სამართლისა და გადასახადის საქმე მის ხელში ამ დროს გადავიდა. მაკალათია კი ამ ორ ხანას ერთმანეთში ურევს და სრულებით ვერ არჩევს თვითეული მათგანის დამახასიათებელ მოვლენებს. მისი ყალბი შეხედულება გამომდინარეობს მისი ძირითადი შეცთომიდან, რომ მას ყოველგან და ყოველთვის სახელმწიფო და ცენტრალური ძალა-უფლების მატარებელი მეფე ეგულება და სხვანაირი წესწყობილება ვერც კი წარმოუდგენია.

ჩვენ ქართული ფეოდალიზმის თავისებურობის შესახებ საუბარი გვექნება მკითხველთან საქართველოს ისტორიის მე-II ნაწილში.

მაკალათია აცხადებს, რომ ურარტელებისა და ხეთების ქართველებთან მონათესაობის საკითხი მეცნიერებაში უარყოფილიაო. ჩვენ არ ვიცით, რომელი მეცნიერების სახელით ლაპარაკობს რეცენზენტი. წინააღმდეგ ასეთი შეხედულებისა მეცნიერება ამ უკანასკნელ ხანებში ენისა და სარწმუნოების შესწავლის ნიადაგზე გაცილებით უფრო მეტ დადებით ცნობებს გვაწვდის ქართველებისა და ურარტელ-ხეტებს შორის მონათესაობის შესახებ, ვიდრე აქამდის ამ მხრით საყურადღებოა უკანასკნელი აზრი ისეთი ავტორიტეტებისა, როგორიც არიან აკად. ნ. მარი, პროფ. მ. წერეთელი, პროფ. ზახაროვი და მრავალი სხვა.

მაკალათია რომ ჩამოთვლილ მეცნიერთა გამოკვლევებს გაცნობილი ყოფილიყო, ამ საგანზე აქ ლაპარაკი არ დაგვჭირდებოდა.

სიტყვა გაგვიგრძელდა. დარჩა კიდევ ორი თუ სამი შენიშვნა; მათ შორის ყურადღების ღირსია მხოლოდ წყაროების საკითხი. დანარჩენი შენიშვნები ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია და ამიტომ მათ შესახებ აქ ლაპარაკი დროს უნაყოფოდ დაკარგვა იქნებოდა.

ჩვენ სახელმძღვანელოში ჩამოთვლილი გვაქვს ის წყაროები და გამოკვლევები, რომლებითაც ვისარგებლეთ

სახელმძღვანელოს შედგენის დროს. რეცენიის ავტორი. სწერს, ლიპერტის „კულტურის ისტორიაში“ დაძველებული ცნობებია და ამიტომ მით სარგებლობა დაუშვებელიაო. შეიძლება ლიპერტის წიგნში ზოგიერთი ცნობები მართლაც მოძველებული იყოს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამ შრომას მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდეს. პროფ. როჟკოვს, როგორც ეს მისი მსოფლიო ისტორიის წინასიტყვაობიდან სჩანს, ლიპერტის „კულტურის ისტორია“ მოწაფეებისთვისაც კი სავალდებულო საკითხავ წიგნათ მიაჩნია. ჩვენ კი მოხსენებული გვაქვს არა როგორც მოწაფეებისთვის საკითხავი წიგნი, არამედ ზოგიერთი საკითხის გამოსარკვევად ვისარგებლეთ ამ შრომის მეცნიერულ თვალსაზრისით სრულიად მისაღები ადგილებით.

მაგრამ ჩვენ ამ შრომასთან ერთად ხელში გვქონდა იმავე საგანზე ფრ. ენგელსის, ჰენ. კუნოვის, კ. კაუცკის, პროფ. პოკროვსკის და სხვების გამოკვლევები და ყველა ესენი ჩვენს სახელმძღვანელოში მოხსენებულია. სამწუხაროა, რომ ჯერ-ჯერობით ეს ერთად-ერთი რეცენზია ჩვენს სახელმძღვანელოს შესახებ სრულიად ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას; რეცენზენტი, როგორც სჩანს, საგანს ზერელეთ გაცნობილი და მიუდგომლობას მოკლებული, ვერ იჩენს საქმიან მიდგომას საგნისადმი. ის სადაოთ აცხადებს უდაო საკითხებს და სრულიად ვერ ამჩნევს ჩვენი სახელმძღვანელოს იმ ადგილებს, რომელსაც მართლაც სჭირდება შევსება-შესწორება.

დ. უჩანეიშვილი.
ს. ძამისტარიშვილი.

# ჩემი შთაბეჭდილებანი ლეჩხუმის მაზრაში

(გაგრძელება)

ლაშხეთის მჟავე წყალი და მისი მიდამოების თვალწარმტაცი სიდიადე იმდენად მიმზიდველი ყოფილა სტუმრისითვის, რომ ძალიან გვიჭირდებოდა დიდებული სურათის დატოვება... სვანეთის ბუნება და ხალხი წარმოადგენს დაუშრეტელ წყაროს უკვდავ პოემების. ევროპიელი პოეტი, მხატვარი, თუ კომპოზიტორი აქ ჰპოვებენ მდიდარ, სიუჟეტს თავის შემოქმედებისათვის და, მგონი, რომ თვითეული მათგანი სვანეთის მთებს გარდააქცევდა თავის პარნასად, სადაც ვალდებულს გაჰხდიდა თავს საფხულობით შუბლი გაეგრილებინა და გული ზეციური ცეცხლით ალეგზნოთ... ჩვენს პოეტებზე ამას ვერ ვიტყვი (რასაკვირველია ყველა არა მყავს სახეში), მათ ურჩევნიათ დროს ტარება იარმუკაში ან მირიანაშვილის სარდაფში, ან პიტანავას რესტორანში. სვანეთის დიდებული ბუნება მათთვის უცნობი და უინტერესოა...

მე და ჩემმა თანამგზავრმა მეფარიშვილმა 25/VI გულმტკივნეულობით დავტოვეთ ზემო სვანეთი და 26/VI მივედით ორბელში. იქ დაგვხვთა დიდი კრება, რომელზედაც ჩემი მოხსენება გულდასმით იყო მოსმენილი; კამათში ბევრმა მიიღო მონაწილეობა. კამათის დასასრულს მიღებულ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია.

იმ საღამოსვე მივედით ლაილაშში, სადაც კრება მეორე დღისათვის იყო მოწვეული. დილის ათ საათზე ჩვენც მოვემზადეთ კრებისათვის, რომელიც სკოლის დარბაზში გვინდოდა მოგვეხდინა, მაგრამ ხალხი იმდენი შეგროვდა, რომ ათი დარბაზიც რომ ყოფილიყო არ დაეტეოდა, ამიტომ იძულებული გავხდით კრება გარეთ მოგვეხდინა. აქაც მოხსენება გულდასმით იქნა მოსმენილი, ეტყობოდა მოხსენებით ძლიერ დაინტერესებულიყო ხალხი, კამათში თავისუფლად ღებულობდენ მონაწილეობას, კამათის შემდეგ ჩვეულებრივ რეზოლიუცია. კრების გათავების შემდეგ გავეშურეთ ჰრებალოში, საცა იმ დღესვე უნდა გაგვეკეთებინა მოხსენება, გავცილდით თუ არა ქალაქს, ჩვენ შეგვაჩერა ახალგაზრდა მოწაფეებმა, მათ მოისურვეს ჩვენთან საუბარი.

ისინი ამბობენ, რომ სრულიად გასაგებია აწი მათთვის ხელისუფლების მიზნები, რომ ის არის მუშურ გლეხური ხელისუფლება და, რომ ბრძოლა მის წინააღმდეგ არის ბრძოლა თავის თავის წინააღმდეგ და დღეიდან არავითარ ასეთებს ადგილი აღარ ექნება, აწი ჩვენ ველარავინ მოგვატყუებს, მხოლოდ გთხოვთ იქონიოთ გავლენა ზოგიერთ კარიერისტებზე, რომლებიც ლამობენ რა რომ თავის შავი წარსული მიჩქმალონ და პირადი ნივთიერი მდგომარეობა მოაგვარონ, ათას ნაირ ოინებს მიმართავენ რათა ხელისუფლებას თავი რევოლიუციონერებად მოაჩვენონ და არ დაგიდევენ, თუ ყოვლად პატიოსან პიროვნებას შეიწირავენ მსხვერპლად. ჩვენ გვყავს საუცხოვო ნიჭიერი, შრომის მოყვარე, მაგარი ხასიათის და ყოვლად პატიოსანი მასწავლებლები, რომელნიც იდევნებიან, ძველი წესწყობილების მიმდევარ, ჩვენი შკოლის გამგეთ ნამყოფ და ეხლა კი თავის გაიძვერობით, უმფრო კარგ ადგილზე მყოფ პიროვნებისაგან (გვარებს მე არ აღვნიშნავ). ჩვენ ვერ ამოგვეღო ხმა ასეთი უსამართლობის წინააღმდეგ და მასწავლებლები ხო იყვნენ და არიან მოკლებულნი ყოველ საშუალებას ამოიღონ ხმა თავის უფლებების დასაცველად და სულ უბრალოდ და უდანაშაულოდ იტანჯებიან მის მიერ.

ჩვენ დავპირდით ამას ყოველივეს ვაცნობებთ ხელისუფლებას და გამოვამჟღავნებთ პრესაშიც დავარწმუნეთ რა, რომ მათ შეუძლიათ ყოველივე, გამოამჟღავნონ, რაც ხელს უშლის ხალხის დაახლოვებას ხელისუფლებასთან, ისინი გახარებული დაბრუნდნენ უკან იმ აღთქმით, რომ ისინი უშიშრად შეებრძოლებიან ყველას, ვინც ხელისუფლებას გაუტეხს სახელს და მის წინააღმდეგ იმოქმედებს.

ჰრებალოში მოზრდილი თეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. აქ ჰლექის და მასთან ბრძოლის საშვალება—შესაძლებლობაზე ლექციას კითხულობდა ადგილობრივი ახალგაზრდა ექიმი. ლექციის გათავების შემდეგ გავაკეთეთ მოხსენება 1924 წ. აგვისტოს გამოსვლების შესახებ და ჩვენი ამოცანა; მოხსენებამ გასტანა სამი საათი. ხალხი მეტათ დაინტერესებული აღმოჩნდა, კამათშიც მხურვალე მონაწილეობა მიიღო და, მიუხედავათ სასტიკი სიცხისა, არ იძვროდა დარბაზიდან. სამდურავს

ბევრს გვეუბნებოდნენ, რატომ შევვიყვანეთ შეცდომაში და რატომ დროზე არ იქნა მიღებული ზომები გაუგებრობის გასაფანტავათო. ხალხმა კრების შემდეგ იწყო მოსვლა ჩემთან და შემომჩივლეს თითქმის ყველამ ერთი და იგივე: ჩვენ გავერკვიეთ, რომ ხელისუფლება არის ჩვენი ხელისუფლება და ყოვლად შეუძლებელია მის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ვითხოვთ იყოს კანონიერება, რომ არ გვაწუხებდნენ ეხლა ხანს გაკომუნისტებული პირები, რომლებიც წინად ჩვენ არა საიმედო პირებათ მიგვაჩნდავო. ჩიოდენ მიწის განაწილება უკანონოთ ჩაატარესო. მე ცოტა რომ მქონდა ჩამომართვეს და მიიღო იმან, ვინც მცონარეობდა, თავისი მიწები წინეთ დაყიდა ქეიფობაში დალუპა და ეხლა ჩემ ნაოფლარით ნაყიდი მიწა წამართვავო, თან მიჩვენა ხელები, რომლის გული დახეთქილ—დაკოჟრებულ ხის ქერქს გავდა, და დაუმატა, მამა მომიკვდა, ხუთი წლის რომ ვიყავი. ავიზარდე, ობოლოხერი სხვის კარზე, ნახევარი ქცევა მიწის მეტი არ დამრჩენია და ჩემს მწარე შრომა-ოფლით და მოჯამაგირეობით, რომ ხრიოკი ადგილი შევიძინე, ჩემივე ოფლით და სისხლით გავაპოხირე, ზედ ხეხილი და ვენახი გავაშენე,—აი ეჹ ნაოფლარი, ნადაველი ჩამომართვეს, და სხვას გადასცეს.

მე ვიცი ამას არ იზამს ხელისუფლება, მაგრამ რა ვქნა, რომ მთავრობამდის ხელი არ მიმიწვდება და ეს ვაჟბატონებიც ენის განძრევის საშვალებას არ მაძლევენ, მაშინთვეს შემომყვირებენ: გაჩუმდი, შენ მენშევიკო, შენ დასახვრეტი ხარო და სხვა... ასევე ჩიოდენ ორბელშიც, ლაილაშშიც. აღსანიშნავია, რომ ამ გლეხების ნალაპარაკებს ადასტურებდენ ყველა კრებაზე დამსწრე გლეხები, რომ მათ არა აქვთ სრული ნორმა და მაინც ჩამოართვეს მიწებიო. ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა ეს გლეხები ემდურიან ძველ სამაზრო ხელისუფლებას, როგორც მენშევიკურს, ისე ბოლშევიკურს და ეხლანდელს კი ძრიელ ემადლიერებიან. ვისურვებ რომ ამ ამხანაგებს, რაც შეიძლება ახლოს, დაკვირვებით გასცნობოდენ გლეხების მდგომარეობას და თავისი სამართლიანი მოპყრობით უფრო მეტი სიმპატია—სიყვარული დაემსახურებინათ როგორც თავისადმი, აგრეთვე ხელისუფლების მიმართ.

ლ. კუპრაშვილი

# სენაკ-ზუგდიდის მაზრაში მუშათა კომისიის საქმიანობა

სენაკ-ზუგდიდის მაზრაში მუშათა კომისიამ დაიწყო თავისი საქმიანობა მიმდინარე წლის თებერვალში.

პირველათ, როგორც გლეხები, ისე ადგილობრივი ხელისუფლებაც ეჭვის თვალით უყურებდენ ჩვენს მუშაობას. გლეხები ვერ ბედავდენ კრებებზე თავისი აზრის გამოთქმას, რაღაც შიშით იყვნენ შეპყრობილნი, ხელისუფლება კი უნდობლობის თვალით გვიცქეროდენ და სხვ. ხელისუფლებასა და ხალხს შორისაც ვერ იყო მჭიდრო კავშირი. მარა დღეს სულ სხვა მდგომარეობაა.

ხალხის და ხელისუფლების შორის სრული შეთანხმებული მუშაობა სწარმოებს.

— თუ ამდენ ხანს ეჭვის თვალით უყურებდენ ერთი-მეორეს, დღეს მათ შორის მჭიდრო კავშირია და მუშაობა ურთიერთ ნდობაზედ არის დამყარებული.

წინათ თუ ზოგ ადგილას ჩვენ რწმუნებულების მუშაობას ხელს უშლიდნენ, დღეს დიდის თანაგრძნობით ეპყრობიან და დახმარებას აძლევენ მათ.

მართალია, ზოგ ადგილას კიდევ აქვს ადგილი დეფექტებს, მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს, ვინაიდან ასეთი შემთხვევები იშვიათია და ხელისუფლება მას მოსპობს.

სხვათა შორის ფოთში ვინმე ჩერნიშევს მიუცია წინადადება, ზოგიერთი რეგისტრაციაში აყვანილ ამხანაგებისათვის, რათა მისთვის გაეწია ფარული თანამშრომლობა, რაც მიუღებელია ჩვენი წევრებისათვის.

ამ ჟამათ ფოთის პორტში მუშაობა შეჩერებულია, და ამხანაგები სოფლად არიან წასული ამის გამოც ფართო კრების მოხდენა შეუძლებელი შეიქნა. მოხდა მცირე რიცხოვანი კრება, სადაც რეზოლიუცია არ იქნა გამოტანილი. დამსწრე ამხანაგები მოითხოვდენ ოცი დღის შემდეგ მოეწყოთ საერთო კრება.

სენაკის მაზრაში ყველაზედ კარგათ არის დაყენებული მუშაობა, ზუგდიდის მაზრასაც არა-უშავს-რა, მხოლოდ სენაკის მაზრას ვერ შეედრება.

სენაკში იქნა მოწვეული სხვა და სხვა თემებიდგან წარმომადგენელთა კრება, სადაც იქნა გაკეთებული მოხსენება რუსეთში გადასახლებულებთან მოლაპარაკების და მისი შედეგების შესახებ. კრება იყო მეტათ საქმიანი, შეკითხვებიც აზრიანი და სერიოზული.

დასასრულ იქნა რეზოლიუცია მიღებული, რომელიც დაიბეჭდება ცალკე.

ზუგდიდში იქნა მოწვეული საერთო კრება, სადაც მიიღო მონაწილეობა სხვა და სხვა თემების წარმომადგენლებმა. კრებას თავმჯდომარეობდა ი. კვარცხელია, კრებაზე მოხსენებული იყო მუშათა კომისიის მუშაობის და მისი შედეგების შესახებ. აქ გამოირკვა, რომ მუშაობა მაზრაში ცოტას მოიკოჭლებს, რადგან ზოგ წევრებს ვერ გამოუჩენიათ აქტივობა. რომ მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნეს შემდეგში მაინც, კრებამ მოახდინა წევრთა გადახალისება. მოხდა ხელახალი არჩევნები. დაარსდა ზუგდიდში რწმუნებულთა ბიურო, სამი კაცისაგან შემდგარი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მთელ მაზრას. თემებში კი დაინიშნა თითო კაცი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება სამაზრო ბიუროსთან, იმავე დროს თემების წარმომადგენელს არ აქვს უფლება მოიწვიოს უშუალოთ კრებები თემში თუ ეს არ იქნება სამაზრო ბიუროს მიერ ნაკარნახევი. სამაზრო ბიუროში იქნა არჩეული ი. კვარცხაია, გ. ალანია და გ. ჭადია.

შემდეგ ამხ. შუბლაძის თანხლებით გავემგზავრე ხობის რაიონში. აქ გვინდოდა მოგვეწვია წარმომადგენელთა კრება, მარა, ვინაიდან გლეხები ჩაბმული არიან მუ-

შაობაში როგორც ყანის, ისე აბრეშუმის, შეუძლებელი შეიქნა მათი გამოწვევა.

დავათვალიერეთ ფარდული სადაც მუშაობს 22 ქალი დღეში იღებენ 55 კ. სამუშაო დღის კოდექსი დაცულია, მუშაობენ 8 საათს, მხოლოდ ხშირათ უხდებათ ზედმეტი მუშაობა. ამ ჟამათ ფარდულს მიუღია 2000 ფუთი პარკი. საზოგადოთ პარკის კარგი მოსავალია. პარკის მიღება წესიერათ მიმდინარეობს, პირველ რიგში ღებულობენ შორიდგან მოსულ პარკს, მერმეთ ახლო-მახლო სოფლებიდგან. ფულს აძლევენ ნაღდათ რაზედაც გლეხები კმაყოფილებას გამოსთქვამენ. წინათ, როგორც გადმოგვცემენ, თესლს პირველ რიგში კომკავშირელებს აძლევდენ და მერე, თუ დარჩებოდა, სხვებს, დღეს ასეთი განსხვავება არ არსებობს, აძლევენ ყველას განურჩევლათ ვინც ერ უნდა იყოს, მხოლოდ მან უნდა იცოდეს აბრეშუმის მოვლა.

შემდეგ ბ. ძველაიას თანხლებით გავემგზავრეთ მარანის თემში. კრება გვქონდა დანიშნული პირველ საათზედ. სენაკში მატარებელს ვერ მოუსწარით. იძულებული ვიყავით საბარგო მატარებელს გავყოლოდით, დახე უბედურებას, აბაშაში მფრინავ რაზმის მიერ ვიქენით დაპატიმრებული, მიზეზი დაპატიმრებისა იყო საბარგო მატარებელზედ დაჯდომა.

დაპატიმრებულები მიგვიყვანეს უფროსთან, რომელმაც გამოგვიცხადა 13 მ, და 60 კ. ჯარიმის გადახდა ანუ სამტრედიაში გადაგზავნა.

ახსნა განმარტების შემდეგ საქმე მოეწყო. მე, როგორც რკინის გზელს, მოწმობა მქონდა და სათანადო მანდატიც წარუდგინე, რის შემდეგ გაგვანთავისუფლეს.

მარანაში არის ხე-ტყის ქარხანა სადაც მუშაობს 300-დე მუშა. ეს ქარხანა ტეხნიკურის მხრით საუცხოვოთ არის მოწყობილი. მუშაობა დღიურია, მარა განზრახვა აქვთ შემოიღონ ნარდი მუშაობა. ჩემის აზრით ნარდი მუშაობა დასაშვებია და საჭიროცაა. პირველი—მუშაობის ნაყოფიერებას ასწევს, მეორე—მუშაობის ხელფასიც გაიზრდება და ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდება. ჯამაგირებს იღებენ 7-დან 12 კატეგორიამდე.

პირველ საათზე (შაბათი დღეა) გაიხსნა კრება, თავმჯდომარეთ აირჩიეს ძველი მუშა ფარნა ნინუა.

მოხსენების შემდეგ მიიღეს სათანადო რეზოლიუცია, რომელიც ცალკე დაიბეჭდება.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ მუშათა კომისიის მუშაობას კარგი ნაყოფი გამოუღია, ჩატეხილი ხიდი თანდათან სწორდება და უნდა ვიქონიოთ სრული იმედი, რომ ახლო მომავალში სრულიად გამართლდება. მარა ადგილობრივ ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება იმ დაზარალებულ ამხანაგებს, რომლებსაც იმ უბედურების დროს ზოგს დაუნგრიეს და ზოგს ჩამოართვეს სახლები.

ამ ჟამათ ეს ამხანაგები ჩვენთან მუშაობენ და ეწევიან დაუღალავ შრომას საერთო ფრონტის აღსადგენათ.

**კ. მაჭარაძე.**

# აღმშენებლობითი და გაჟროვნებითი მუშაობა სომხეთში.

როგორც სომხეთის წარსული ისტორია, აგრედვე მისი დღევანდელი მდგომარეობა მეტად საყურადღებო და საინტერესოა.

ჩვენ რა თქმაა დღეს სახეში არა გვაქვს ამ ერის და სახელმწიფოს ძველი წარსულის აწერა, არამედ აღვნიშნავთ მოკლეთ რაც გადახდა ამ ერს წარსული რევოლიუციის ხანაში.

არა გვგონია რევოლიუციას ისე დაენგრიოს და გაენადგურებიოს სახელმწიფო, როგორც ეს მოხდა სომხეთში.

ერევანს გარდა თითქმის მთელი სომხეთის ქალაქსოფლები რამდენჯერმე იქმნა თათრების ურდოებისაგან განადგურებული და მიწასთან გასწორებული.

კარაკლისიდან დაწყებული თითქმის ერევნამდე თქვენ კიდევ დღეს—ხუთი ექვსი წლის მედგარი და დაუღალავი მუშაობის შემდეგ, ამჩნევთ დაუნდობელი მტერის მიერ განადგურებულ სახლების ნანგრევებს.

არც ერთ სახლში, არც ერთ ქოხში არ დაუტოვებიათ თათრებს, არა თუ რაიმე სახლის ავეჯეულობა, არამედ კარებ-ფანჯრების ხის ჩარჩოებიც-კი... ბევრი სახლისთვის, თუ ვერ მოუსწვრიათ მისი გაცარცვა, ცეცხლი წაუკიდნიათ და გადაუბუგავთ... შინაური პირუტყვები ხომ ან დაუხოციათ შეუჭამიათ, ან არა და თან წაუყვანიათ.

არც მცხოვრებლებს დასდგომიათ კარგი დღე... ვინც ვერ გაასწრო, ვერ გაიქცა, ისინი თითქმის ყველა ამოუხოციათ...და დღეს იშვიათია აქ ოჯახი, რომელსაც არ აკლდეს სამი, ოთხი სული საერთო ოჯახის წევრების რიცხვიდან... და ხშირია ოჯახი, საცა შვიდი-რვა სულიდან დღეს ერთი-ღაა დარჩომილი.

ასე გაანადგურა და მიწასთან გაასწორა მთელი სომხეთის ხალხი დაშნაკელების პოლიტიკამ...

ასე დარბეული ქვეყანა ხვდა წილათ საბჭოთა წესწყობილებას... და ეს დაუღალავი ხელისუფლება თამამად შეუდგა აღმშენებლობითი მუშაობას...

კეთდება არხები, ქარხანა-ზავოდები... შენდება, ლამაზდება ქალაქები და სოფლები... ფართოვდება რკინისგზის სადგურები და ორთქლმავლის საყუდები... ერთი სიტყვით გაცხარებული, დაუღალავი მუშაობაა ყველა ფრონტზე, ყველა დარგში... და ამ მუშაობის ნაყოფი დღესვე ყველასთვის ადვილი დასანახია.

დავანებოთ თავი ქალაქების გალამაზება-გამშვენიერების საქმეს, ახალი სახლების, ბაღებ-ბულვარებს და ქუჩების გაკეთება-აღდგენას...

მივაქციოთ ცოტაოდენი ყურადღება სურსათ-სანოვაგის ფასებს სომხეთში და ეს დაგვანახვებს სომხეთის რესპუბლიკის კეთილდღეობას...

ხშირად გაიგონებთ თბილისის სადგურზე ერევნიდან მოსულ მატარებლის დროს: „მოვიდნენ დამშეული სახელმწიფოს ხალხიო“—.ანა და სომხეთში გამგზავრებისას ხშირად გეტყვიან: „სასმელ-საჭმელი ბლომათ წაიღე, თორემ შიმშილით მოკვდებიო“.

შეიძლება ოდესმე იყო ასეთი მდგომარეობა, როცა თათრებისაგან დევნილი სომხობა გამორბოდა უგზო უკვლოდ, რომ როგორმე თავი გადაერჩინა... დღეს-კი სულ სხვა მდგომარეობაა შექმნილი და ზემოდ მოყვანილი სიტყვები აღარ შეეფერება სინამდვილეს.

აი ფაქტები: 1 გირ. ხორცი სანაინში ღირს 15 კ. კარაკლის-ლენინაკანში 18 კ. ერთი ბოთლი რძე ყველგან სოხეთში ღირს ორი შაური. 1 გირ. კარაქი ღირს 50—60 კ. 2 კვერცხი ღირს 5 კ. და ასე წარმოიდგინეთ პური, რომელიც რუსეთიდან მოდის, თბილისში გამოვლით, იყიდება კოოპერატივში 1 კაპეიკით ნაკლებ, ვინემ თბილისში.

ცხადია, რაკი სოფლები თავიანთ ნაწარმოებს ყიდიან შედარებით იაფად, კოოპერატივიც თავის მხრივ ნაკლებ ფასებში აწოდებს თავის საქონელს.

ამ ნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს სომხეთში ყოველივე სანოვაგე თითქმის ორხელ იაფია ვინემ მაგალითად თბილისში.

ავიღოთ სააგარაკო ქალაქი კარაკლისი, საცა აუარება სტუმრებია მოსული, მაგრამ ფასები იგივეა რაც სხვა სომხეთის ქალაქებში... მაშინ როდესაც ჩვენს, საქართველოს სააგარაკო ადგილებში ფასები ბევრათ აწეულია თბილისისაზე, თუმცა ბორჯომ-წაღვერ-სურამი მდიდარი, ნაყოფიერი სოფლებით არიან ირგვლივ შემორტყმულნი.

აი როგორია დღეს სომხეთის ეკონომიური მდგომარეობა და ეს არის ხუთი ექვსი წლის მედგარი მუშაობის ნაყოფი...

გაეროვნების საკითხიც სომხეთში უფრო გაბედულად მიდის წინ, ვიდრე ჩვენში, თუმცა აქაც ბევრი ყავს ხელის შემშლელი ამ ეროვნულ საქმეს.

საბედნიეროთ უმეტესობა სომხეთის რესპუბლიკის მომუშავე ამხანაგებისა ხედავენ რომ ეროვნული და აღმშენებლობითი მუშაობა თუმცა „ორნი არიან“—მაგრამ „ერთად მიდიან“ ერთ საქმეს ემსახურებიან. გაეროვნების ბეჯითად ცხოვრებაში გატარება ამხნევებს, ძალას უნერგავს მეფის დროს დაჩაგრულსა და ეროვნულ გრძნობებ დახშულ ხალხს...

ეროვნულად აღდგენა, გამოცოცხლება, გამოღვიძება ერთნაირი ელექტრონისებური ძალაა ერის ცხოვრებაში, რომელიც ამ ერს ამხნევებს მომავალი აღმშენებლობითი მუშაობისათვის.

ასეთ დღეშია დღეს სომხის ერი... ის დამდგარი მაგარ ეროვნულ ნიადაგზე მიაბიჯებს წინ საუკეთესო მომავლისაკენ...

მაგრამ „ყველა ოჯახშია თითო მახინჯი“... და არც საბჭოთა სომხეთს აკლია ასეთები:

ლენინგრადში მოსწავლე ერთი სომეხი წამოსულა კავკასიაში საზაფხულო სამუშაოთ (На практическия занятия).

ამ პიროვნებას მოსწონებია ბორჯომის ბუნება, ადგილმდებარეობა და აღძვრია სურვილი გაატაროს აქ ზაფხული. ბორჯომში ყველას აქვს უფლება იცხოვროს როცა სურს. ხოლო აღნიშნულ პირს მოესურვებია აქ სამსახური და ჯამაგირი.

რკინის გზის სამმართველო და კავშირიც მას აგზავნიან ბორჯომში მოძრაობის დარგში სამუშაოდ... მაგრამ აქ მუშაობა სწარმოებს ქართულ ენაზე და მას სამუშაოს ვერ აძლევენ, როგორც ამ ენის უცოდინარს... რაქნას! ბორჯომს სცვლის ის კარაკლისზე, მაგრამ აქაც ვერ გაუღიმა მას იღბალმა...

ტომათ სომეხი ის სომხურ ენაზეც „უკაცრავად“ ყოფილა... და აი აქ იწყება მისი უკმაყოფილება ადგილობრივი წესრიგის, გაეროვნების მიმართ. „მომეცით საშუალება დავამთავრო სწავლა რუსულადო. ყვირის ის ერთ პატარა კრებაზე... და იმისი კი არ სცხვენია, რომ მან თავისი სამშობლო-სომხური ენა არ იცის...

ასეთი პირები ბევრია დღეს, როგორც სომხეთში, ისე ჩვენში, საქართველოში.

ესენი ყოველივე საშუალებით წინ ეღობებიან გაეროვნების საქმეს...

წინ აყენებენ თავის პირად ინტერესებს და ღალატობენ, ხელს უშლიან საზოგადო მუშაობას.

ასეთ გზა აბნეულებს უნდა მოვახსენოთ შემდეგი:

წარვიდნენ, გაქრენ სამუდამოთ მათი სანატრელი დრონი ნეტარნი...

თვითმპყრობელობის დანგრევით—აღსდგენ მკვდრეთით პატარა ერები. აღსდგა, განახლდა, გაცოცხლდა ამ დაჩაგრულ პატარა ერების ენა და ზნე-ჩვეულებანი...

იფურჩქნება, მაგრდება, თვითცნობიერდება საბჭოთა ოჯახში თავმოყრილი პატარა ერების მშრომელი ელემენტები და ეაი იმას, ვინც ასეთ მუშაობას ხელს შეუშლის, წინ გადაეღობება.

ამიტომ დიდმა თუ პატარამ; სწავლულმა თუ უსწავლელმა უნდა იცოდეს და არ დაიეიწყოს, რომ ერთი აუცილებელი პირობა საბჭოთა რესპუბლიკებში მუშაობისა მდგომარეობს იმაში—იცოდე ის ენა, რომელ ერთანაც აპირებ მუშაობას... უამისოთ შენს მუშაობას არ ექნება შნო და ლაზათი.

ესე როგორც დღეს სისულელეა მოითხოვოს სხვა რესპუბლიკებში მომუშაეე სომეხ-ქართველ-ადერბეიჯანელმა თავის ენაზე საქმის წარმოება უნდა იქმნას შეუსაბამოდ და სისულელედ მიჩნეული ჩვენშიც, თუ ვინმე მოითხოვს საქმის წარმოებას არა სახელმწიფო ენაზე.

ასეთია დიდი ლენინის აზრი და სურვილი... ასეთია ყველა ნამდვილი სოციალისტის, ნამდვილი კომუნისტის მისწრაფებაც.

პატარა ერების ენა იფურჩქნება, თავის სამეფოში ბატონდება, მას წინ ვერავინ დაუდგება, მის მსვლელობას ვერაფერი შეაჩერებს.

ს. დოლიძე.

# ქრონიკა

(კვირიდან—კვირამდე).

## ადგილობრივი ცხოვრება

— **მარ. ორახელაშვილის** სახელობის თბილისის ცენტრ. პედაგოგიურ ინსტიტუტში 1-ლ კურსზე მისაღები ადგილები განაწილებულია შემდეგ ნაირად: 1) ქ. თბილისში და მის მაზრას—5 ადგილი; 2) დუშეთის მაზრას—2; 3) ახალციხის—1; 4) რაჭის—2; 5) ახალქალაქის—1; 6) ზუგდიდის—2; 7) ლეჩხუმის—3; 8) სვანეთისთვის—2; 9) შორაპნის—2; 10) აფხაზეთის—1; 11) აჭარის—1; 12) სამხრ. ოსეთს—1; 13) ახალგაზრდა კომკავშირის ცეკას—2; 14) განათლების კომისარიატს—5. სულ 30 ადგილი.

ინსტიტუტში შესვლის მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით სათანადო სამაზრო აღმასკომს. სამაზ. აღმასკომებმა შუამდგომლობანი მსურველთა საბუთებითურთ უნდა წარუდგინონ ინსტიტუტში მიმღებ კომისიას არა უგვიანეს 1 სექტემბრისა. მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბერს.

წელს დაამთავრეს ინსტიტუტი 29 კაცმა და ქალმა.

— **ერთი კვირის წინად** ბათუმში დაიწყო მუშაობა ბიდონის ქარხანამ, რომელმაც თანახმად ხელშეკრულებისა უნდა დაამზადოს „ნევთსინდიკატის“-თვის 1.200 ათასი ბიდონი. „ზაკგოსტორგი“სათვის 200.000 ბიდონი. ერთი წლის განმავლობაში ქარხანა ამზადებს საშუალოდ 5-6 ათას ბიდონს დღე-ღამეში.

— **საქართვ. სასოფ.-სამეურნეო** ბანკმა საზღვარგარეთიდან მიიღო 40 ცალი სეპარატორი (რძის ნაწარმოებათა დამამზადებელი მანქანები), 2013 ცალი ვაზის და ხეხილის გასასხლელი მაკრატელი, 960 ვაზის დანა და 3 პურის სალეწი მანქანა-ლოკომობილი. ერთი მანქანა წაიღო თელავის მაზ. სოფ. ფშაველის საკრედიტო ამხანაგობამ, მეორე—გორის მაზ. სამთავრისის კომუნამ ტირიფონის ველზე ასამუშავებლად. მანქანა დღეში ლეწავს, სწმენდავს და ოთხ ხარისხად ანაწილებს 500-600 ფუთ პურს. ბანკს მესამე მანქანა ჯერ არ გაუცია.

— **ამიერ-კავკ.** შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, თანახმად სტატისტიკურ მასალების ცნობებისა, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წლისთვის საჭიროა შემოტანილ იქნეს ამიერ-კავკასიაში 13.500 ათასი ფუთი პური დეფიტის დასაფარავად. აქედან საქართველოს უნდა მიეცეს 3.500 ათასი ფუთი, დანარჩენი განაწილდება სხვა რესპუბლიკებ შორის. ამავე კოლეგიის დადგენილებით შაქარი უნდა შემოტანილ იქნეს 1.980 ათასი ფუთი. აქედან საქართველოს მიეცემა 800.000 ფუთი. შინა-ვაჭრობის კოლეგიის გეგმით მომავალ წლისთვის დათესილი უნდა იყოს თამბაქო: კახეთში—1.105 დეს. გურიაში—620 დ. აფხაზეთში—6.500 დეს.

— **ამიერ-კავკ.** კოოპერატიულ კავშირის (ზაკსოიუზი) ბათუმის განყოფილებამ დაამზადა 4 რონოდა დაფნის ფოთოლი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გასატანათ.

— **ამ ჟამად საქართველოს რესპუბლიკის** სხვადასხვა ქალაქებში მძვინვარებს საქონლის ჭირი, სხვათა შორის ციმბირის წყლული. ჭირი გაჩნდა აგრეთვე ლორს კახეთში. კახეთში გაიგზავნა ჭირთან საბრძოლველად რაზმი 80 ლიტრა შრატით.

— **ფინსახკომის საქართვ. რწმუნებულის** სამმართველოს დადგენილებით, რესპუბლიკის თვითეულ თემში უნდა დაარსდეს სათემო საგადასახადო კომისია 1925/26 წლის სასოფ.-სამეურნ. გადასახადთან დაკავშირებულ საჩივრების და შუამდგომლობათა განსახილველად. კომისიის თავმჯდომარედ იქნება აღმასკომის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, წევრებად ადგილობრივი გლეხების წარმომადგენლები, რომელნიც აირჩევიან სოფლის საერთო ყრილობაზე, დანარჩენი ორი წევრი იქნება საფინანსო და საადგილ-მამულო განყოფილებათა წარმომადგენლები. კომისია იხილავს საჩივრებს არა მარტო გადასახადის შეცდომით გამოანგარიშების შესახებ, არამედ ეხება აგრეთვე დასაბეგრ ქონების—მიწის, საქონლის და სხვა და მჭამელთა აღრიცხვის, ყოველგვარი შეღავათების მინიჭებას და სხვა საკითხებს.

— **ეკონომიურმა საბჭომ** დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა სატყეო მეურნეობის საერთო საკავშირო მასშტაბით გაერთიანების შესახებ.

— **სოფ. ზემო-ქედის**, ქვემო-ქედის და არხალოს კალოს (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებლებმა საერთო სოფლის ყრილობაზე თავის სოფლიდან გადაასახლეს 36 კაცი რომლებსაც ბრალდებათ მუდმივი ქურდობა და სხვაგვარი ბოროტმოქმედებანი.

— **დასავლეთ საქართველოში** უკვე დაიწყო აბრეშუმის პარკის დამზადება. აფხაზეთში პარკის შეძენას აწარმოებს ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირი („ზაკსოიუზი“), სხვა კუთხეებში—საზოგადოება „აბრეშუმი“. „ზაკსოიუზი“ ფუთ პარკში აძლევს არა უმეტეს 1[illegible] მანეთისა, „აბრეშუმი“ კი 18 მანეთს. რასაკვირველია, მეაბრაშუმეთ ურჩევნიათ აბრეშუმის პარკი ჩააბარონ ამხანაგობა „აბრეშუმს“ და არა „ზაკსოიუზს“. პარკის დამზადება სწარმოებს ადგილობრივ კოოპერატივების საშუალებით. წელს აბრეშუმის მოსავალი დასავლეთ საქართველოში საშუალოზე მეტია.

— **საქართველოს სახ. კომ.** საბჭოს გადაწყვეტილებით პროფ. სუვოროვის ხელმძღვანელობით მუშაობს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოარკვიოს, რამდენად შესაძლებელია საქართველოში ადგილობრივ პირობებთან შედარებით საფეიქრო, კერძოდ მაუდის მრეწველობის ორგანიზაცია. როგორც გავიგეთ, კომისია მისულა იმ დასკვნამდის, რომ ქართული ცხვრის მატყლი უფრო გამოსადეგია ფარდაგ-ხალიჩების მრეწველობის გასავითარებლად, ვიდრე მაუდის მრეწველობის. თუ ამ აზრმა გაიმარჯვა, მაშინ ქუთაისის მაუდის ქარხანა დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

— **საქართველოს სახალხო** მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შირაქის ნავთის წყაროები კონცესიით გადასცა იტალია-ბელგიის ნავთის მრეწველთა საზოგადოებას. კონცესიონერები უკვე შეუდგენ ნავთის წყაროების გამოკვლევას. საკონცესიო ხელშეკრულების ძალით ეს გამოკვლევა უნდა დამთავრდეს სექტემბრის ბოლო რიცხვებში. სპეციალისტების აზრით, შირაქის ნავთი ღირსების მხრივ უკეთესია ბაქოს ნავთზე. მუშაობის გასაძლიერებლად კონცესიონერების მიერ გამოწერილია საზღვარ გარეთიდან გაუმჯობესებული მანქანები, რასაც მოელოდებიან ევროპიდან ახლო ხანში.

# გაზაფხული

ზამთარს სული გაეპარა;
დადგა ტურფა გაზაფხული;
ველ-მინდორი აბიბინდა;
ისმის ფრინველთ ჟრიამული.

ცელქი სიო მოთამაშებს,
ტყეში ფოთლებს აშრიალებს;
შაშვი ბუჩქზედ გრძნობით უსტვენს;
გულბული ვარდს შესტრფიალებს.

გაზაფხულით დატკბობილნი
მისცემიან შვება, ლხენას;
ზეიმი აქვთ გამართული
ძირს სამყაროს, მაღლა ზენას.

მე კი ამდროს ცრემლებს ვაფრქვევ;
მწარეთ კვნესის ჩემი გული,
რადგანც ხალხის ხოცვა ჟლეტას
არსად უჩანს დასასრული.

მოძმე ჩემი სისხლსა ღვრიდეს,
მე სატრფოსთან ვზეიმობდე!?
გაზაფხულის სილამაზეს
შევსტრფოდე და შევხაროდე!?

არა, ძმაო, არ მოვილხენ,
არ შევაქებ გაზაფხულსა,
სანამდისინ არ გავკურნავ
ქვეყნად ტანჯულ მოძმის წყლულსა.

მხოლოდ მაშინ გავიხარებ
და დავსტკბები გაზაფხულით,
როდეს ძმებსა დავინახამ
შეერთებულს სიყვარულით.

გ. შინატეხელი.

# მებრძოლის სიმღერა

რაც გინდ მრისხოს დრო ჟამმა —
თვის ნებით ვერ მატარებს;
ლომსა, ველად მავალსა,
კატას ვერ დამადარებს.

გინდ ეკლებზეც მატაროს,
ქვეშ დამიგოს ნარები —
მე მას ქედს არ მოუხრი,
კედარს არ დავედარები.

გნიდ ცას ღრუბლები მოსწყდეს,
მოჰყვეს წვიმა-ღვარები —
მხდალი კურდღელივითა
არსად დავემალები.

მე ბრძოლისა შვილი ვარ,
ამაყი, გულ-ზვიადი,
მე ჩემს ლხენს გავიტან,
თუ გინდ შემხვდეს წყვდიადი.

დე, მან თვისი განაგოს —
თვის ნებით ვერ მატარებს,
საფლავშიც რომ ჩავიდე,
მძორ-ლეშს ვერ დამადარებს.

გ. შინატეხელი.

# ბახმაროს

მითხარი, მთაო ბახმარო,
შენის ფიჭვების ლხენასა, —
როს ხოტბა მინდა შეგასხა,
მუნჯობა რად სჭირს ენასა?

მითხარ, რამდენი წელია
ეგრე ამაყად რო სდგეხარ?
უკვდავთა სულთა წრაღსა, —
წმინდანთ სავანეს რო ჰგევხარ?

მითხარ ვინ შეგქმნა ეგეთი,
ვისმა ოცნება-ფიქრებმა?
სამოთხის ბაღის მიბაძვა
ჰქონდა სახეში იქნება?

მითხარი, — ძველნი ქართველნი
ყოველ წლივ გესტუმრებოდენ?
ხომ გაფასებდენ ღირსადა?
ან იქნებ სულაც ვერ გცნობდენ?

მითხარი, მთაო ბახმარო,
შენის ნაძვების ლხენასა,
რომ მინდა ხოტბა შეგასხა,
მუნჯობა რად სჭირს ენასა?

გ. ლომთათიძე.

# მოკვდა, ნუ ელით!

**(პირველი სურათი)**

ტა-ტა-ტა, ტა-ტა-ტა, გრრრ, ბუხ, ტრახ.
ვაი, მშობელო, ცოლო და შვილო,
უშველეთ, ხალხნო, ცეცხლი ჩააქრეთ,
შიგ მემანქანე იწვის, ძმობილო!

*

მორბის და მოდის ხალხი ყიჟინით:
ნეტავ რა მოხდა, რისთვის დაიმტვრა?!
ოხ, რა ძნელია, იწვის საწყალი,
ყველა შეშინდა თავს შემოიკრა.

*

**მეორე სურათი**

დედის ლოგინზე პაწია შვილი
ცელქობს, ნავარდობს, მამა, იძახის;
უკვე საათმა ზარს ჩამორეკა,
მაგრამ არსად სჩანს უფროსი სახლის.

*

გათენდა დილა და თეთრი სევდა
შობელს გადასცეს მეგობრის ხელით,
თვალს ცრემლი მოსწყდა მწარე ქვითინით
ენამ გამოსთქვა: „მოკვდა! ნუ ელით".

მ. ლუხაძე.

# მუშათა გულია რადიო აპარატი

ზამთარი რომ მიილია, ცათამდე უისკასად ატყორცნილ მთის მზვერვალზე გადმოდგა ღრმა მოხუცი დრო.

მას ზურგზე უანგარიშო საუკუნეები ეკიდა.

ჟამთა ვითარებას მთლად თეთრად გადეჭაპენტა.

მუხლებამდის ჭაღარა სცემდა.

მხნეობას მაინც ჭარბად ჰგრძნობდა.

ალერსით მოჰყავდა ცხოვრებისაკენ ახალგაზდა, მომხიბლავი ასული: **გაზაფხული**:

— შვილო,—მიჰმართა მას მოხუცმა,—განშორების ჟამია, დაეშვი ამ ბილიკზე და ჩადი ხალხთან...

ისინი სასოებით მიგელიან...

გაზაფხული მოეხვია მამას და შეევედრა:

— ნუ, მამილო, ნუ შენი სულის ჭირიმე... ნუ მიხვალ... ნუ მტოვებ... მეშინიან მარტოობისა... ჯერ ისევ პატარა ვარ... როგორ შევძლებ უშენოდ სიცოცხლეს?..

განა ხალხში შენ ცოტა ვაგლახი გადაგხდენია?..

რამდენჯერ გიამბნია ჩემთვის, თუ ხალხს როგორ უგვემიხარ... დაუქერივებიხარ... ქვებიც კი თრთიან შენს წამებას რომ იგონებენ...

რამდენი ჩემი უფროსი დები მოსულან ამ ქვეყნად, მაგრამ მწუხარების მეტი არა უნახნიათ რა...

ხალხის ცრემლების ღვართქაფში ჩახოცილან.

აკი გუშინ შენ მაჩვენე იმ უთვალავი ჩემი დების სამარეები, რომელნიც მჭკნარ ყვავილთა სუდარებში ასვენიან გულის მომკლავი განწირულებით.

განა გინდა მეც მა ჲი ბედი მეწიოს?

ეჰ, არავის ვესაჭიროები.

მე რომ წელს თუნდა სრულიადაც არ ვეწვიო ქვეყანას, არავინ დაიმჩნევს, არავინ დანაღვლიანდება.

მდიდრები უგაზაფხულოდაც კარგა ჰგრძნობენ თავსა.

ზამთარშიაც კი ისე ააყვავილებენ ხოლმე სასახლეებს რომ ლამის მათი სიხასხასე ჩემს ნაირ-ნაირ ფერადებს შეემეტოქოს...

ჩემი ჩიტუნებიც არ დანატრულდებათ.

ორკესტრი აქვთ ისეთი, რომ კაცსა ჰგონია, თითქოს მთელი ქვეყნის ფრთოსანთა ჰანგები შეუნაწევრებიათ და იმას აწკრიალებენო.

მე თუ ვისმეს ვესაჭიროები, ისევ ლატაკებს.

მაგრამ რომ ვერსადა ვხედები?

ზოგი ქარხნებშია გამომწყვდეული და მანქანათა ბორბლის დგანდგარსა ჰყავს გაყრუებული...

ბევრიც ვეცადო, ვერ მივაწვდენ მათთამდის საიდუმლო ფოთოლთა შრიალს...

არც სოფლად არიან ბედისგან გალაღებულნი...

გლეხები მარად შავს მიწას ჩაჰყურებენ და ჩასტირიან.

აბა ჩემთვის ვინ მოიცლის?

ვინ შეეცდება დასტკბეს ჩემი ყვავილებით, თუ ჩიორებით...

ხომ ხედავ, მამილო, რა საშინელი ყოფილა ქვეყნად არსებობა...

შემიბრალე... ან დარჩი ჩემთან, ან თანვე წამიყვანე.

— ჩემი დარჩენა არ შეიძლება, შვილო...

მე სხვა საქმეები მაქვს გასაკეთებელი... სხვაგან მიველურები... —

ნუ გეშინიან უჩემობით.

შენ ნორჩი ხარ...

რა ადგილი აქვს შენს გულში შიშსა?

მარტოობის ფიქრი ნუ გაქვს.

მარტო არ დაგტოვებ.

შენთან იქნება **პირველი მაისი.**

იგი ყრმა არის მომხიბლავი. სულზე უტკბესი, მოსიყვარულე.

იმას ძალიან გაუხარდება შენთან დამეგობრება.

შენა სჩიოდი მშრომელი ხალხის ნახვას დავნატრულდიო?—

პირველი მაისი გაჩვენებს იმათ.

პირველი მაისი ისეთია, რომ ყველას გამოიყვანს გარეთ...

რაც უნდა რკინის სასტიკი კანონით იყვნენ მუშები შებორკილნი და მანქანებზე მიჯაჭვულნი,—პირველი მაისის ერთი, მხოლოდ ერთი თვალის აკვესება საკმარისია, რომ იგინი მყის დაიძრან სამუშაოდან და გარედ გადმოიფრქვენენ ომახიანი გუგუნით...

პირველი მაისის ქუჩაში გამოჩენა და მდიდართა დაფეთიანება—ერთია...

მყის სწყვეტენ იგინი გახრწნილების დაელურს...

შიშ-ნაჭამი თვალებით მიიპარებიან შინისკენ...

იქ სულ განაბული ელიან იმ ამბავს, თუ მსოფლიო ჟანდარმერია სისხლში როგორ ჩაახრჩობს პირველ მაისის მოტრფიალე მეგობრებს...

ოო, როგორ დაერევიან ხოლმე კიდეც მუშებს დაგეშილი აფთრები...

უფრო ცოფიანი იერიში მიაქვთ პირველ მაისზე...

მაგრამ განა შეიძლება ქარიშხლის დაჭერა?..

განთიადის მოკვლა?

ისევე უძლეველია პირველი მაისი...

ყოველს შებრძოლებაში პირველი მაისის მეგობართა რიცხვი თანდათან იზრდება.

საითაც გაიხედავს—იქიდან ათასობით ხმალ ამღერებული მეომრები მოემართებიან...

თუ რომელიმე შენმა უფროსმა დამ გასძლო—ეს პირველი მაისის წყალობით მოხდა...

საცოდავები ის შენი დები არიან, რომელნიც სცხოვრობდნენ მანამ, სანამ პირველი მაისი დაიბადებოდა.

— როგორ, დიდი ხნისა არ არის პირველი მაისი?

— სრულიად ნორჩია... მას მხოლოდ წელს შეუსრულდა ოცდა თექვსმეტი წელი.

შენ თუ პირველ მაისთან მეგობრულად იქნები, ორთავეს უფრო გაგიადვილდებათ ბრძოლა.

სიკვდილის ჟამნებს ათქმევინებთ მრავალ საუკუნოვან ცოდვებით დამძიმებულ ძველს ქვეყანას...

საკუთარის ხელით გაათლევინებთ იმ ლოდს, რომელიც მას დაედება სამარის ქვათა,

ამ იმედით და მისწრაფებით წადი, შვილო, სოფლად...

აგერ ქარხანათა გრეხილებზე სდგას მშვენიერი პირველი მაისი და ოცნებობს შენზე...

გაჰკვერე მასთან ერთად ახალი ბილიკები...

აახმატკბილეთ ახალი სიმღერები...

— მშრომელი ხალხი ღარიბია, მამილო!..

იობივით ლატაკია...

რა მიუტანო ძღვნად?

რითი მიულოცო ახალი ცხოვრების დაწყება?

— დაიჭი, ეს პარკი წაუღე საჩუქრად.

აქ ბევრი რამაა ძვირფასი:

აი ეს ოცნებაა...

არაბეთის ზღაპარსავით ფერად-ფერადი.

ეს ახალი მხნეობაა.

დააკვირდი:

ინდოეთის სიბრძნესავით ღრმაა და დაურღვეველი.

აქ კიდევ ფრთებია.

ამ ფრთებით შესძლებენ მისწრაფებათა მწვერვალებზე, მოქცევას...

ეს არის შურისძიების ქარიშხალი.

დაიგუგუნებს ესა, და მოჰხდება დიდი მიწის ძვრები.

ყავარ-ყავარ დაიმსხვრევა უსამართლობისაგან ძველი ქვეყანა...

ეს კიდევ — შემოქმედებაა...

ნანგრევებით დასახიჩრებულ მიდამოებს ეს გარდაჰქმნის მარად მოლალანე მდელოებად.

აჰა, შვილო, მიუტა ეს ხალხსა...

მათ ჯერ-ჯერობით მეტი არ უნდათ რა...

ნულარა ჰგვიანობ...

მშვიდობით...

გადაეხვივნენ მამაშვილი.

განშორდნენ ერთმანეთს...

დრომ გადაიარა მთის გრეხილი და მიიხურა, მარადიული ღამის კარები.

შვილმა თრთოლით გააყოლა მამას ცრემლიანი თვალები...

— კმარა, პატარავ!.. ბევრიც ეძახო, ველარ გააგონებ...

გასწი მომავლისაკენ.

* *

დაეშვა ქალაქისკენ გაზაფხული.

საითაც მიიხედავდა, მისი თვალთა კვესებისაგან ქრებოდა თოვლი.

ვარდ-ყვავილებით იქარგებოდა გარემო.

გაიცინებდა იგი და ვარსკლავებით იკვნჭებოდა ცა...

გაიწკრიალებდა მისი სიმღერა და ფრთოსანთა გუნდები შეეფრქვეოდა ბალ-წალკოტებს.

გაზაფხულს პირველი მაისის ძებნა დიდხანს არ დასჭირებია.

მალე მუშათა უბნები შეამჩნია

იქ ურყევი რწმენით აყვავილებულ ქუჩებში გაისმოდა ოჰახიანი სიმღერა.

ამ სიმღერის თვითეული ჰანგი მთაფრქვიასა ჰგავდა, რომელიც რისხვის ნიაღვრით უპირებდა წალეკვას დუშმანსა და მუხანათსა.

მათ შორის იდგა პირველი მაისი და აქეზებდა, ის იწვევდა მუშებში ცეცხლოვან გამბედაობას.

გაზაფხული უმალ პირველ მაისისაკენ გაჰქანდა...

მათ იცნეს და გადაჰკოცნეს ერთმანეთი...

მილიონი გაზაფხულის სიცილი არ იქნებოდა ისე დამყვავებელი, როგორიც იყო ეს კოცნა.

გადაჰკოცნეს მათ ერთმანეთი და ამ დროს ყველა ქვეყნის მშრომელთა თვალებში აცისკროვნდნენ ახალი ბედნიერი ცხოვრების გარიჟრაჟები.

— ძვირფასო, — მიჰმართა გაზაფხულმა პირველ მაისს...

— შენზე ბევრი რამ კარგი გამიგია... ჯერ არ მენახნე და შენი სიყვარული გულს ჩამეკვესა...

პირველადვე მესმა თუ არა შენი სახელი, მე მყის მივხვდი, რომ ჩვენი ბედი გადაიჯაჭვა...

მომხიბლავი, სული დამატკბობელი ჰყოფილხარ...

ვინა ხარ... რადა გაქვს ეგრე გრძნეული ძალა?..

— მე უარყოფა ვარ ძველი დახავსებული ცხოვრებისა...

მე ვარ ის ძალა, რომელიც ხუხულასავით ჰფუშავს ცოდვებით დამძიმებულ მეფეთა ტახტებს...

მსოფლიო ცრემლთა ხეობებად დაიღარა...

ომის ვეშაპმა სისხლით მორწყო ხმელეთი...

მე შევძლებ ამ ვეშაპის მოკვლას...

მე გადავაკეთებ ზარბაზნებს სახნისებად...

მე ვარ ხალხთა ძმობა... სიყვარული...

ვიბრძვი იმ დროსთვის, როცა ცხოვრება დაემგვანება მომხიბლავ ზღაპრებს...

ისე გადავაჩვევ ვაგლახს, რომ ველარც კი წარმოიდგენენ წინაპართა გატიალებულ ცხოვრებას... აღარც კი ეცოდინებათ, თუ რა ყოფილა ცრემლი...

— ხშირად ეწვევი ხოლმე ქვეყანას ხტუმრად?..

— წელიწადში ერთს განსაზღვრულ დროს მოვდივარ...

ამ დღეზე ულამაზესი არაახსოვსრა ისტორიას...

იყო და ახლაც არის ბევრი დღესასწაული, მაგრამ მათ დაჰკარგეს ძველი ეშხი...

აღარ აღძრავენ აზატობას... თამამ სურვილებს...

სულ სხვაა ჩემი დღე...

ამ დღეს ივიწყებენ კაეშანს, ვარამს...

გამოდიან ქუჩებში და ჰსინჯავენ თავიანთ ძალებს...

იწყება ბარიკადების ზეიმი...

ბრძოლის პოეზია...

იწყება ზვიადობა მუშათა რაზმებისა...

ამ რაზმის გენერალია:

არა მაკედონელი, თუ კეისარი, არა ნაპოლეონი, თუ მაკენზენი, არამედ — დიადი ჰიმნი ინტერნაციონალი.

ეს სიმღერა ახალი იერიქონის საყვირია, რომლის მოსმენის უმალ ინგრევიან ახალი ბაბილონების კედლები...

ეს სარდალი — ინტერნაციონალი ყველას გარდაჰქმნის.. ყველას ალუძრავს რწმენას გამარჯვებისას.

ჩემი დღესასწაულის მიახლოვება ყველა მშრომელს უხარიან...

მთელი ქვეყნის მუშა თავიანთი გამხდარი თითებით და გაცრიატებული თვალებით ჰქარგავენ წითელ დროშებზე ოქროს სიტყვებს ვარსკვლოვან ბედნიერებაზე...

— ძვირფასო მეგობარო!.. როგორ აგებინებ შენს მისვლას ხალხსა?...

ერთსა და იმავე დღეს როგორ შესძლებ ამერიკელ მუშებსაც გაუძღვე წინა და აფრიკელებსაც... ავსტრალიელებსა და აზია-ევროპიელებსაც?

— ამ დღეს მე ყველგანა ვარ...

ყველას გულში ვრეკავ ფოლადის ზარებს...

მე რადიო მაქვს მოწყობილი ყველა ქვეყნებში...

ჩემი სხივ—წერილის მისაღებად სრულიად საჭირო არ არის რადიო აპარატი...

ვისაც მკერდში უფეთქავს რევოლიუციონურ ზავთით აპირთავებული გული,—იმისი გული გასწევს რადიო-აპარატობას...

ასეთი გულები უეჭველად მიიღებენ ჩემს თილისმიან მოწოდებას...

ისეთი გრძნობიერია მუშათა ბუნება, რომ მათ ჩვენი დამეგობრების ამბავი უკვე გაიგეს...

სულ ერთი საათი არც კი იქნება, რაც ჩვენ შევხვდით და მილიონობით გულები აკასკასდნენ დიადი ამბების მოლოდინით...

— ახ, რა კარგი ჰყოფილხარ, პირველო მაისო!.. წეღან მეშინოდა...

ახლა კი არამც და არამც არ დავთმობ ქვეყანას...

— მაშ წავიდეთ და ყველას მიუტანოთ ბედნიერება...

— წავიდეთ, წავიდეთ...

მათ ხელიხელს ჩაჰკიდეს და გაჰქანდნენ რადიო-აპარატის ასამუშავებლად.

**დ. თურდოსპირელი**

# ტფილისის რკ. გზის მთავარ საავადმყოფოში

15/VII მთავარ საავადმყოფოდან გადაგვიყვანეს ექიმ ნაზარეტიანის განყოფილებაში 11 კაცი. ნაზარეტიანის დანახვას ისე ველოდით, როგორც ვსიამოვნებდით ექ. კიშერბლატის შეხვედრით. საუბედუროდ ნაზარეტიანმა არამც თუ არ გაამართლა ჩვენი მოლოდინი, არამედ დიდად გაგვაკვირვა მისმა ქცევამ.

როდესაც ავადმყოფმა დილმელაშვილმა შესჩივლა ნაზარეტიანს, რომ სიცხით ვიწვებითო, ნაზარეტიანმა უპასუხა: „თუ აქ არ მოგწონთ, „დაჩაში“ წადითო“.

ასეთი პასუხით ნაზარეტიანმა სხვა ავადმყოფებს პირში ბურთი ჩასჩარა. ამავე დროს ექიმი მიუბრუნდა ავადმყოფ ჰანჰალეიშვილს, ოდნავ ხელი მოუსვა ჰაჰებზე, არ გამოიკვლია ჯეროვნად ავადმყოფობის ვითარება და მოახდინა განკარგულება: ამას არაფერი სტკივა, გასწერეთ საავადმყოფოდანო. ჰანჰალეიშვილი მართლა ნახევრად ავადმყოფი გამოსტუმრებულ იქნა საავადმყოფოდან.

ჰანჰალეიშვილი, როგორც ძველი მუშა, არ შეკრთა და მიმართა საჩივრით უმფროს ექიმს. უკანასკნელმა მიიღო სათანადო ზომები და ავადმყოფი ჰანჰალეიშვილი დატოვებულ იქნა ექიმობის გასაგრძობად.

რამდენად ღირსნი არიან მადლობისა ავადმყოფობის მხრივ ექიმები კირშენბლატი და ნემსაძე, იმდენად უმადურებას იმსახურებს ექიმი ნაზარეტიანი.

**ხელს აწერს 7 ავადმყოფი.**

# კოოპერაცია ჭიათურა-საჩხერის რაიონში

ჭიათურა-საჩხერის რაინი არის ნაწილი შორაპნის მაზრისა. აღნიშნულ ორ რაიონში შედის ქალ. ჭიათურა, დ. საჩხერე და 12 დიდი თემი. ეკონომიურად ორ მთავარ ნაწილათ იყოფა. ჭიათურის რაიონი უფრო ღარიბია და საჩხერის მდიდარი სოფლებით (შედარებით). ჭიათურის რაიონის მცხოვრები უმთავრესად ჭიათურაში მუშაობით გამოდის, საჩხერის რაიონი სოფლის მეურნეობას ეტანება და აქ მას ბუნებაც ხელს უწყობს.

უმთავრესად აქ მისდევენ მეპურკლეობას, დიდძალი ჯაგარის დამზადებას, მეფუტკრეობას, ბოსტნეულის კულტურას, მეღვინეობას და ყველის (ოსური) დამზადებას.

ყველაფერი არის ბევრი, აკლია მხოლოთ ხელმძღვანელი, მეურნეების შემაკავშირებელი კოოპერატიულად.

კოოპერაციას აქ დიდი ხნის ისტორია აქვს, 1907 წლიდან არსებობს ჭიათურის კოოპერატივი. მის შემდეგ კიდევ დაარსებულა ჭიათურის მუშების ხელმძღვანელობით სოფ. ვაჰევში სამომხმ. კოოპერატივი. მერმე თანდათანობით გაიზარდა მათი რიცხვი და 1918 წელში უკვე 33 „კოოპერატივი“ არსებობდა.

რასაკვირველია, აღნიშნულ კოოპერატივების მდგომარეობა პირველ ხანებში არ იყო უნაკლო, მაგრამ მათ დიდი სამსახური გაუწიეს იმ უსურსათობის დროს (1818, 1919, 20 და 21 წ.) ხალხს.

1921—22 წელში დაიწყო კომპანია კოოპერატივების გაერთიანების, „ეპო“-ების დასაარსებლათ. ამ კომპანიის ჩატარება მოხდა მოუმზადებლათ და უცბათ, მერმე მას დაემატა კიდევ ზოგიერთ „კოოპერატორების“ გაბუტვა ხელისუფლების მიმართ და 1923 წელში ფაქტიურათ შეგვრჩა სამი „ეპო“ მთელ ორ რაიონში:

ჭიათურის მუშკოპი, საჩხერის და კახის „ეპო“.

გადავიდეთ ეხლა იმაზე თუ რას აკეთებს დარჩენილი კოოპერატივები?..

ჭიათურის მუშკოპი უმთავრესათ ემსახურება მუშა-მოსამსახურეებს, აქვს მას განყოფილებები სოფლებში მაგრამ ისინი მხოლოთ საქონლის განმანაწილებელ დუქნებს წარმოადგენენ.

საერთოთ ვერ ვეტყვით ჭიათურის მუშკოპს სამდურავს — ის კარგათ მუშაობს, მაგრამ ვერავითარ ყურადღებას სოფელს ვერ აქცევს. ის მხოლოდ მუშებს ემსახურება და მეტს ვერც მოვთხოვთ.

კახის „ეპო“ ემსახურება მარტო თავის თემს და იმასაც უნდა უმადლიდეთ ამხ. ევგენი ჩიხელიძეს, რომელიც 1918 წელს აქეთ თავგამოდებით ემსახურება მას, მაგრამ თავის ფინანსიური სისუსტის გამო ფრთები ვერ გაუშლია.

საჩხერის „ეპო“, რომელსაც ყველაზე მეტი უნდა მოვსთხოვოთ, ძალიან დამაფიქრებელ მდგომარეობაში არის: მესვეურნი ვერ აღმოჩნდენ თავის დანიშნულების სიმაღლეზე მდგომნი და მგონი კოოპერატივს კიდევაც პირიქით დააკლდა სამი ათას მანეთამდე ფულათ და საქონლათ, რასაც ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია და დამნაშავეთ შესაფერისი ადგილი მოუძებნა.

დანარჩენი თემები მიტოვებული არიან სპეკულიანტების ამარათ. არ შეიძლება ითქვას, რომ იმ თემებში არ შეიძლებოდეს კოოპერატივების მოწყობა, ხალხი ეხლა კი არა შვიდი წლის უკან აარსებდა კოოპერატივებს და ეხლა ხომ მეტი შეგნება და ნდობა უნდა ჰქონდეს კოოპერატივისადმი. თუმცაღა ზოგიერთ ადგილას კოოპერატივებს ძალიან წამხდარი აქვს სახელი, მაგრამ, თუ გაჩნდება კარგი ხელმძღვანელი, კიდევ გააცოცხლებს ნდობა და სიყვარულს კოოპერატივისადმი და თანდათანობით შეიქნება მძლავრი კოოპერაცია.

ვისი საქმე არის ეს?! „ცეკავშირის“ და „წარმოკავშირი“-ს — მათი საინსტრუქტორო განყოფილებების.

არ ვიცი რატომ და ეხლანდელი ცეკავშირის ინსტრუქტორები ჩამოდიან საგასტროლოთ არსებულ კოოპერატივებში, რჩებიან საკმაო ხნით, აკეთებენ რევიზიას და მიდიან, არც კი კითხულობენ თუ რა ამბავია თემებში და ალბად ჭიათურის მუშკოპის რევიზიის შემდეგ აკეთებენ მოხსენებებს: „В уезде все благополучно“, წინათ, ე. ი. იმ დროს, როცა ამხ. ალ. ერქომაიშვილი, მალაქია ტოროშელიძე და ვანო ცაგარელი იყვნენ ცეკავშირის არა სავაჭრო დარგის ხელმძღვანელნი, მაზრაში სამი-ოთხი ინსტრუქტორი დაიარებოდა და ამაგრებდა კოოპერაციას, ეხლა კი არც ერთი. ნუ თუ ასე კარგათ მოეწყო ჩვენი კოოპერაციის საქმე, რომ უკვე ხელმძღვანელებს არ საჭიროებენ!..

ნიადაგი კარგი აქვს როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო სამეურნეო ამხანაგობებს მხოლოთ საჭიროა გამოცდილი ხელმძღვანელი.

მომავალ წერილში შევეხები თუ სად რა სახის კოოპერატივი არის საჭირო.

**ძველი კოოპერატორი.**

# უმჯობესია გვიან, ვიდრე არას დროს

ჩვენი რესპუბლიკის არც ერთი კუთხე არ არის სკოლობით დაქსელული ისე, როგორც გურია. იშვიათად ნახავთ ისეთ თემს, სადაც ერთი შვიდწლიანი და ორი სამი ოთხწლიანი შრომის სკოლა არ მოიპოებოდეს. ცხადია, სკოლების ასეთი სიმრავლე გამოწვეულია სწავლისადმი დიდი სიყვარულით გურიის ახალგაზრდობაში.

მაგრამ სწავლა-განათლების აღორძინებას ჩვენში მრავალი ტეხნიკური დაბრკოლებანი ეღობებიან წინ: საკმაო რაოდენობა საკლასო ოთახებისა გურიის სკოლების მინიმალურ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს. აი, ასეთი სივიწროვის გამო, ადგილობრივ განათლების მუშაკებს ორწყება მეცადინეობის წარმოება უხდებათ, რითაც გამოწვეულია შრომის კოდექსის ძირითადი მუხლების დარღვევა; (განსაკუთრებით დაბეგრილია სკოლის გამგეები). ‑ აი საბუთი: როგორც ზევით აღვნიშნე ორწყება მეცადინეობის წარმოება, უბინობის გამო, ჩვეულებრივი მოვლენაა გურიის სკოლებში; ნაშუადღევის მეცადინეობის წარმოებისთვის გამგეები ღებულობდნენ ძირითადი განაკვეთის 50°/₀. 1924 წლის პირველი იანვრიდან ასეთი მოუსპეს. ამის მიზეზად განათლების ინსპექცია ასახელებდა საჭირო ბინების აგების განზრახვას, მაგრამ როგორც გამოირკვა ადგილობრივ არ აღმოჩნდა საამისო რესურსები და მეცადინეობის წარმოება იმავე პირობებში დარჩა, როგორშიდაც 1924 წლის 1 იანვრამდე იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ წინედ ზედმეტი შრომისთვის გამგეებს გასამრჯელოს აძლევდენ, დღეს ეს ჯილდო მათ მოუსპეს.

უფრო მიზანშეწონილი კი იქნებოდა ჯერ ბინები აეგოთ და შემდეგ მოესპოთ ზედმეტი საათებისთვის კუთვნილი ჯილდო...

მით უმეტეს ეს იმ დროს, როცა თბილისის სკოლის გამგეებზე ერთხელაც არ ყოფილა ლაპარაკი მაგვარი ხელფასის მოსპობის შესახებ, გურიაში კი, როგორც ზევით ვსთქვი, მეხუთე თვეა, რაც გამგეებს ნაშუადღევის წყების თვის არც ერთი გროში არ მიუღიათ. რად უნდა ხდებოდეს ასე? განა რა დააშავა პროვინციის მუშაკებმა?

უნდა აღვნიშნოთ, რომ განათლების მუშაკთა ცენტრალური კავშირის პ. მ. ამხ. გეგენავასთან პირადი საუბრის დროს გამოირკვა, რომ ეს გარემოება, მას არ დარჩენია შეუმჩნეველი და სასურველად სცნობს აღძრულ იქნას შუამდგომლობა სათანადო ორგანოს წინაშე, რათა პროვინციელი ამხანაგების ზედმეტი საათების საჰუშაოს დასაკმაყოფილებლად გადაიგზავნოს საჭარო თანხა, რასაკვირველია, სათანადო სანქციის მიღების შემდეგ.

მე მინდა ვიფიქრო, რომ ამხ. გეგენავას გურიის შვიდწლედების ზემო-აღწერილი მდგომარეობა გააგებინა, ისევე ოზურგეთის მაზრ. კავშირის განათლების მუშაკთა გამგეობამ... და მომავალში კვლავ იზრუნებს იგივე გამგეობა, რათა 1924 წლის პირველი იანვრიდან დანაკლისი ჯილდო სავსებით აუნაზღაურდეს გურიის იმ მუშაკებს, რომელთაც ასეთი ეკუთვნის და კი არ მიუღიათ.

**ბულიკ რეხეულიძე.**

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი,
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

მთავლიტი № 1146 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3. ტირაჟი — 2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 9 აგვისტო 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა - უქმისა, დილის 8—2 საათამდე | № 32

## Die Teuere Gäste.

Ein herglichcs Grüss den deutschen Arbeiter delegation!..

Werte Genosen!..

Es freut uns das sie in unsere kleine, in feurende Kämpte gewersene, Georgische Sowjet-Republik gekommen sind.

Über uns spricht man heute überal zu viel. Wir hafen das sie beiuns alles richtig und genau kennenlernen...

Sie werolen sehen was wahr, was ist gescheen, und weiche Veräheltnise momentan wis hier haben. Sie werden diss alles genau messen und wisklichkeit finden.

Die «Arbeiter Komisee» der gewesenen Menschewiken hat die ziel fürdie Einheits arbeitifront zu sorgen und mit uns einstimmig sind einige tausend Arbeitern und Bauern...

Wir wollen die streit zwischen Menschewik-Bolschewiken zu entfernen.

Die voshergegangenes keossen kampf hat uns zum uberzeugung gebracht die Kechemege auf welchem wir heute stehen.

Nicht mit kämpfe, nicht mit streit konnen socialisten siegen, sondern mit der Eeinheiftsarbeiterfront.

Wir sind schon lange zum diese übeszeugung gekommen, aber allem wir sind unmächtig un kraftlos. Deshalb wir appeliesen ansie worte genosen und wünschen allemögliches, von eibe seite gemacht wird, für schäfund Einseitsarbeiterfront.

Hoch die dedernsche Proletariat.

Hoch die Arbeiterklassetn gangen Weit.

Hoch die Einheitsfront des Arbeiterklase.

**Die Arbeiter Komitee.**

## გულწრფელი სალამი გერმანიის მუშათა წარმომადგენლებს

გულწრფელი სალამი, ძვირფასო ამხანაგებო!.

ჩვენ დიდათ მოხარულნი ვართ, რომ თქვენ ინებეთ და ინახულეთ ჩვენი პატარა, ბრძოლის ცეცხლში ნაწრთობი საქართველო, ის საქართველო, რომლის გარშემოც დღეს ევროპის ყველა ქალაქებში საშინელი ხმაურობაა ატეხილი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერს დაწვრილებით გაეცნობით და ნახავთ: რა იყო წინად, რა მოხდა შემდეგ და როგორი პირობებია დღეს. თქვენ ასწონ-დასწონით ყველაფერს და მიუდგომლად შესაფერ დასკვნას გაუკეთებთ.

მუშათა კომისიის რიგების გარშემო დღეს რამდენიმე ათასი მუშა და გლეხი იყრის თავს. ჩვენი მიზანია: აღსდგეს საერთო ფრონტი მუშათა კლასისა.

ჩვენი მიზანია მოელოს ბოლო ორ მოძმეთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. განვლილ პროცესში ჩვენ დავრწმუნდით, რომ ორ ძმათა შორის ბრძოლის შედეგი მშრომელი ხალხის ფიზიკურად და ეკონომიურად განადგურებაა. ჩვენ დავინახეთ საჭიროდ არა ბრძოლა სოციალისტთა შორის, არა ფიზიკურად განადგურება ერთი მეორის, არამედ შეერთება, შესისხლხორცება და აღდგენა საერთო ფრონტის მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

ჩვენ ამ გზას დიდი ხანია დავადექით, მაგრამ ამ დიად საქმისთვის მარტო ჩვენ უძლურნი ვართ, ამიტომ მოგმართავთ თქვენ, როგორც უფროს ამხანაგებს, გადასდგათ ნაბიჯი საერთო ფრონტის აღსადგენად საერთაშორისო მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს!

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასს!

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა მთლიან ფრონტს!

**მუშათა კომისია.**

# მსოფლიო პროლეტარიატის მექქა

სოციალისტური საბჭოთა კავშირი ეს მეორე წელია გარდაიქცა ისეთ კუთხედ, რომელიც იზიდავს მსოფლიო პროლეტარიატის და დაჩაგრულ ერების ყურადღებას.

1924 წლამდის ევროპის მუშათა კლასი ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდა საბჭოთა წყობილებას, მას კიდევ არ სჯეროდა ამ წყობილების ცხოველმყოფელობა და სიმტკიცე.

ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ, ერთის მხრივ—პროლეტარულ სახელმწიფოს ისტორიაში, მეორეს მხრივ—თვით ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ვითარებაში.

საბჭოთა სისტემის ისტორიამ ორი ხანა განვლო, 1) ხანა სამხედრო კომუნიზმისა, როდესაც ეკონომიური ცხოვრების მაჯისცემა სწარმოებდა სუსტად. მხოლოდ ინერციით და სახალხო სიმდიდრის შექმნაზე ფიქრიც არავის შეეძლო საომარ მდგომარეობის პირობებში და ძველად დაგროვილი ღირებულებანი როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოო ან იჭმებოდა ან ომის ცეცხლში ინთქებოდა; და 2) ხანა ახალი ეკონომიური პოლიტიკისა, ანუ სამხედრო მოქმედების შენელებისა და აღმშენებლობითი მუშაობის გაძლიერებისა.

ევროპის სახელმწიფოთა სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებაც მსოფლიო ომის შემდეგ წარმოადგენს ორ პერიოდს. პირველი პერიოდი უნდა დავახასიათოთ მუშათა მოძრაობით და მისგან წარმოშობილ დემოკრატიულ მთავრობის გამარჯვებით; მეორე კი მუშათა მოძრაობის შესუსტებით, კაპიტალის განმტკიცებით და რეაქციონურ მთავრობების შექმნით.

მაშ საბჭოთა წყობილების პირველი ხანა, როდესაც რუსეთის მთელი ტერიტორია წარმოადგენდა საშინელ ალრევის არენას; როდესაც სწარმოებდა ძველი სოციალური ორგანიზაციის დაშლის, დანგრევის უმოწყალო პროცესი, ამასთანავე ძველის ნაცვლად ახალი ორგანიზმის ფურჩქნა არ დაწყებულიყო და ჯერ კიდევ არავინ იცოდა ისტორიის წყვდიადში მართლა გამონანათებდა თუ არა სასიქადულო მომავლის ბრწყინვალე ვასკვლავი, —ევროპის პროლეტარიატისათვის საინტერესოს და წასაბაძ მაგალითს არ იძლეოდა; მეორეს მხრივ—იმ ბრძოლის მეთოდებს, რომელსაც რუსეთის პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხობა აწარმოებდა, ევროპის პროლეტარიატი დიდი ხანია გადაჩვეული იყო და მას არ იზიარებდა. ამასთანავე თვით დასავლეთის პროლეტარიატი ოდნავ ჩაბმული იყო შინაურ სამოქალაქო საქმეებში და რუსეთის ქარტეხილს ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა.

მიუხედავად ამისა ოქტომბრის რევოლიუციამ მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე დააყენა უაღრესად მნიშვნელოვანი პრაქტიკული კითხვა: შესაძლებელია თუ არა კაპიტალიზმის სისტემა მართლა შეიცვალოს სოციალისტური ურთიერთობით და რა გზით. ოქტომბრის რუსეთი შეიქმნა იმ „საცდელ მინდვრად“, სადაც სოციალისტურ სისტემას უნდა მიეღო ისტორიული გამართლება, მას უნდა დაემტკიცებინა სოციალიზმის რეალობა. და აი ამ ფრიად მნიშვნელოვან კითხვაზე ევროპის პროლეტარიატი ვერ იღებდა პასუხს ოქტომბრის რევოლიუციის პირველ პერიოდში, როდესაც რუსეთის პროლეტარიატმა თავისი გმირული ბრძოლით, მართალია, ისტორიის მსაჯულს საუკეთესოდ ჩააბარა გამოცდა ნგრევის, მაგრამ მეორე, უფრო ძნელი გამოცდისთვის (მშენებლობის სფეროსი) არ ეცალა და არ წამდგარიყო ამავე მსაჯულის წინაშე.

ასეთი გამოცდის ჩაბარების საშუალება მან მიილო იმის შემდეგ, როცა მან შეუბრალებლივ მოსპო ყოველი ნაშთი მომპალ ძველისა, გაიკაფა გზა ახალი ცხოვრებისაკენ და გულდადებით შეუდგა ფურჩქვნას ახალი ორგანიზაციის—სოციალისტურ სახელმწიფოს.

ეს ხანა იწყება 1921 წლიდან. რამოდენა მოთმინება შრომა და რწმენა იყო საჭირო, რომ საბჭოთა მშრომელ მასას საწარმოო და საალებ-მიცემო არარაობიდან ესოდენ სისხლიან და დაუნდობელ სამოქალაქო ომის შემდეგ და მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გარემოცულობაში მიეღწია ეკონომიურ სფეროში იმ ნორმამდის, რაიც გვქონდა 1924 წელს და რასაც ველოდებით 1925 წელში.

ოქტომბრის საკითხი თითქოს გადაწყვეტილია და ევროპის პროლეტარიატი ერკვევა სინამდვილეში. ამიერიდან მან უკვე იბრუნდა პირი საბჭოთა კავშირისაკენ. საბჭოთა კავშირი გარდაიქცა ცენტრომიმზიდველობის ძალად, პროლეტარულ სამყაროს მნათობთა სისტემის ცენტრად, რომლის ირგვლივ იკრიბება მსოფლიო მშრომელთა ჯერ-ჯერობით გრძნობა-გონება.

პერსელი და მისი დელეგაციის ზოგიერთი წევრები 1920 წელშიაც იყვენ მოსკოვში, მაგრამ მათი მაშინდელი შთაბეჭდილება, უნდა ვიფიქროთ, ვერ იყო საბჭოთა სისტემის სასარგებლოთ. სულ სხვა შთაბეჭდება მოვახდინეთ მის დელეგაციაზე გასული წლის დამლევს და ეს შთაბეჭდილება მოედო ევროპის პროლეტარიატს. ეს უკანასკნელი სტეხავს იმ ფსიქოლოგიურ ჯავშანს, რომლითაც ის შებოჭა კაპიტალისტურმა პრესამ, რათა მას არ ეხილა და არ ეგრძნო ახალი რუსეთის სინამდვილე და იწყებს დენას სოციალისტურ სახელმწიფოსაკენ ისეთი ცხოველი რწმენით, როგორც მართლ-მორწმუნე პელიგრიმთა დაუსრულებელი ქარავნები მექქაში თაყვანის საცემლად და აღთქმულ ქვეყანაში შესვლის გასაადვილებლად.

ეტყობა ის მართლა ჰკარგავს რწმენას დემოკრატიის გზით დაამყაროს სოციალიზმი და ამიტომ ილტვის ჩვენსკენ, რათა ჯერ ერთი დარწმუნდეს, რომ სოციალისტური მეურნეობა ისტორიულად გამართლებულია და, მაშასადამე, პრაქტიკულად ყველგან შესაძლებელი, მეორე—შეისწავლოს რევოლიუციონური ტაქტიკა-სტრატეგია და მიიღოს სოციალისტური პრაქტიკა.

# გერმანიის მუშათა დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის მოლოდინში

. . . . . კომუნისტები ყველგან ილტვიან ყველა ქვეყნის დემოკრატიულ პარტიათა გასაერთიანებლად და შესათანხმებლათ.

მარქსი და ენგელსი.

(კომუნისტური მანიფესტი)

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ოქტომბრის დიდ რევოლიუციასთან დაკავშირებით ბევრი დღესასწაულის მოწმენი ვყოფილვართ, მრავალი საგულისხმო სიტყვები გვსმენია და უცხოეთიდან მოსული სტუმრებიც გვინახავს, მაგრამ ისეთი ერთსულოვანი აღფრთოვანება და დღესასწაულებრივი განწყობილება ბევრჯერ კი არ განუცდიათ საქართველოს მუშებსა და გლეხებს, როგორც გერმანელ სტუმრების მოლოდინში.

რა არის ამის მიზეზი?

ხალხს თავის მიწა-წყალზე გერმანელებიც უნახავს და სხვა უცხოელებიც. მაშ რითია გამოწვეული წინასწარი გულწრფელი სიხარული, აღტაცება და დიდი იმედები გერმანიის დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით?

ამ კითხვების პასუხის მოსანახავად საკმარისი იქნება ზერელეთაც რომ გავიხსენოთ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შექმნილი განწყობილება საბჭოთა რუსეთისადმი არა მარტო სხვა ქვეყნების ბურჟუაზიისაგან, არამედ, სამწუხაროდ, იმავე ქვეყნის მუშებისაგანაც. განწყობილება კი, რომელიც შედეგი იყო ცრუ და არა სწორი ცნობებისა, საბჭოთა ხელისუფლება წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც უუდიდესი ტირანიის მატარებელი, სადაც მშრომელთა კლასი განიცდიდა უნახავ შევიწროებას და მატერიალურ სიდუხჭირეს, სადაც არ არის არავითარი წარმოება, არ არის აღმშენებლობა და სხვა.

გერმანელ მუშების დელეგაციის შემადგენლობა, უშუალოდ მუშათა მასის წიაღიდან გამოსულია, თავისუფალი ყოველგვარი უკანა მოსაზრებებიდან; ის ნახავს ჩვენში იმას, რაც არის სინამდვილეში, გვეტყვიან დაუფარავად იმას თუ როგორია—ეს ჩვენი სინამდვილე და არც იმას დაივიწყებენ რა თავიანთ ქვეყნის სინამდვილეც გაგვაგებიონ. რა მოხდება მაშინ? იმ საერთო ენის გამონახვა, რომელიც ასე საჭიროა მთლიანი მუშათა ფრონტისთვის საბოლაო მიზნის განსახორციელებლად. საერთო ნიადაგის გამონახვა, დადებითი თუ უარყოფითი მხარეებზე ერთმანეთის მიუდგომლად მითითება, აი ის ამოცანა, რომელიც გადასაწყვეტად სდგას მთელი მუშათა კლასის წინაშე დღეს. ჩვენ დიდ მასწავლებლებს, რომლებმაც მუშათა კლასის საბოლაო მიზანი—სოციალიზმი მეცნიერულად დაასაბუთეს და მთელი ქვეყნის მუშებს გადაუგდეს ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. სწორედ აი ამ კლასიურ გაერთიანებისკენ მოუწოდებდენ. მუშათა მთლიანი ფრონტი, აი ეს არის დიდი მასწავლებლების ანდერძის ხორცის შესხმა. გარეშე ამისა არ არის გამარჯვება.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის დელეგაციის ჩამოსვლით ზემოთ აღნიშნული სურვილები სინამდვილეთ იქცევა.

ლ. კანკავა.

# ჩვენი სინამდვილე და სასოფლო-სამეურნეო სკოლების ამოცანები ჩვენში

ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის კლასიკური ქვეყანაა.

იშვიათია მთელ დედა-მიწის ზურგზედ სხვა ისეთი კუთხე. რომელიც თავის გეოგრაფიულ—კლიმატიური პირობებით სამეურნეო კულტურის ყოველი დარგის განვითარების ისეთ ფართე პერსპექტივებს შლიდეს, როგორც საქართველო.

ჩვენი სამშობლო ოდითვე ცნობილია, როგორც წმიდა სასოფლო-მეურნეობის ქვეყანა, რასაც სხვათა-შორის მოწმობს მისი ბერძნული სახელ-წოდება—„**გეორგია**“ (მიწის მუშა).

აქ საერთო მოსახლეობის 90% სოფლის მეურნე, მიწის მხვნელ-მთესველია.

შეძლებული თუ შეუძლო, აზნაური (ყოფილი) თუ გლეხი, ნასწავლი თუ უსწავლი, სულყველანი სას. მეურნეობის სარქმიანობის ფერხულშია ჩაბმული.

მიუხედავათ ამისა მეურნეობის (სასოფლო) კულტურა ჩვენში ძალზე სუსტია და ჩამორჩენილი.

ამ ხაზზედ სასურველ მდგომარეობას ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი მანძილი გვაშორებს, როგორც საკუთრივ ტეხნიკის, ისე სპეციალ—აგრონომიულ ცოდნის მასსიურ გავრცელების მხრივ.

მიწის დამუშავება ჩვენში ხომ პირდაპირ ბარბაროსულია და პირველ-ყოფილი.

ჩვენი სახნის-საკვეთი, ჩვენი გუთანი კი ძველთაძველია და პრიმიტიული, რომელიც ოდესმე—შორეულ წარსულში იხმარებოდა.

ჩვენი სიღარიბის, ჩვენი ჩამორჩენილობის უმთავრესი მიზეზი—სწორედ ეს სას. სამეურნეო კულტურის პრიმიტიულობაა.

ჩვენი გლეხობის ფართე წრეები მოკლებულია სათანადო ცოდნას, მან თითქმის არაფერი უწყის დაწინაურებულ ქვეყნებში გაუმჯობესებულ სამნეო კულტურის ახალ მიღწევების შესახებ, რამაც ხელ-ფეხი შეუკრა ჩვენი ქვეყნის ნივთიერ წელ-მომაგრებას, მოღონიერებას.

ჩვენში თითქმის არც ერთი სამეურნეო კულტურა სათანადოთ განვითარებული არაა. მართალია აქა იქ არის ესა თუ ის დარგი გავრცელებული, მაგ.: **კახეთში**—მევენახეობა, **აფხაზეთში**—მეთამბაქოება, სამეგრელოში—მესაქონლეობა, ლიახვის ხეობაში—მებაღეობა და სხვა, მაგრამ საერთო მდგომარეობის სურათი მაინც მკრთალია და უფერული.

ავიღოთ თუნდა ისეთი დარგები, როგორიცაა მაგ. მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა და სხვა, რომელთაც სასურველ პირობებში შესაძლოა ბრწყინვალე მომავალი ექნეს და ქვეყნის სიმდიდრის უშრეტ წყაროთ იქცეს.

მიუხედავათ ამისა თუ ეს დარგები აქ მაინც ხაროებს და ხეირობს უნდა აიხსნას ჩვენი ქვეყნის ნიადაგის

იშვიათი სინოყივრით და მისი გავრცელებისათვის ყოველმხრივ ხელ-შემწყობი გეო-კლიმატიური პირობებით.

აქედან ადვილი ასახსნელია-რა მიღწევებთან გვექნებოდა საქმე სათანადოთ განვითარებულ სამნეო კულტურისა და ტეხნიკის პირობებში, რომ ჩვენი მეურნე, მშრომელი გლეხ-კაცობა ამ დარგში ჯეროვნათ გათვითცნობიერებული იყვეს. ჩვენი სოფელი, ჩვენი გლეხობა მოკლებულია სამეურნეო ცოდნას, იგი მშიერმწყურვალია აგროლიტერატურით.

სოფლათ ამ ხანათ არ მოიპოება არც ერთი სერიოზული სას. სამეურნეო წიგნი, გაზეთი... ეს აქ სანთლით საძებარია..

ჩვენი გაზ. „ახალი სოფელი“ ცოტა არ იყოს მოიკოჭლებს ამ დარგში...

იგი სუსტია, როგორც სამეურნეო ორგანო. ასე ამ მხრით მდგომარეობა ნაკლებათ სანუგეშოა, თუ დროით არ იქნა სათანადო ზომები მიღებული.

ჩვენი ამ ნაკლის გამასწორებელ, ყველაზედ ნაყოფიერ და დადებით ზომათ უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო სკოლების ქსელის გამრავლება-კეთილმოწყობა.

ამ ხაზზე ჩვენში მუშაობა დაწყებულია. ასეთი სკოლები აქა-იქ იხსნება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია, გაკეთებული შედარებით ცოტაა. მოთხოვნილება კი ასეთ სკოლებში, რაც დრო მიდის, განუსაზღვრელ იზრდება.

ამ ბოლო ხანებში გაზეთებში იშვიათი არაა ცნობები:—ამა და ამ სოფელში დაადგინეს გაიხსნას სამეურნეო სკოლები... ესა და ეს ჩაზრა შუამდგომლობს ხელისუფლების წინაშე ასეთების გასახსნელათ და., ამ მოვლენას ჩვეულებრივ ტიპის სკოლებშიაც ეწევა ანგარიში, საკმაო ადგილს უთმობენ ამ დარგს სასწავლო საგანთა სისტემაში, მაგრამ ამით ჩვენ მაინც შორს ვერ წავალთ...

ეს საქმე სპეციალ „სას. **სამეურნეო სკოლის**“ ფუნქცია, რომელმაც უნდა ასწიოს სამეურნეო კულტურის დონე და ხელი შეუწყოს მშრომელ, მეურნე გლეხთა წრეებში სათანადო ცოდნის გავრცელებას.

ეს მით უფრო საჭიროა და დროული ჩვენში, სადაც, როგორც შემჩნეულია მოსწავლე ახალ-გაზრდობის უმრავლესობა ადრე სწყვეტს მაცადინეობას და სკოლას თავს ანებებს. 1923-24 წ. შრომის სკოლებში ითვლებოდა 206, 532 მოწაფე, რომელთაგან ტეხნიკუმებში მოყვნენ მხოლოდ 13,354 მოწ., დანარჩენები კი საკუთარ კერას, ოჯახურ მეურნეობას დაუბრუნდნენ.

აგრეთვე შემჩნეულია, რომ შვიდწლედის ბოლო ჯგუფებში მოწაფეთა რიცხვი ბევრგან 40-50% მცირდება.

ამის მიზეზი თუ ერთის მხრით უნდა ვეძიოთ ჩვენი გლეხობის ნივთიერ უსახსრობაში, მეორეს მხრით, ეს გარემოება არ შეიძლება არ აიხსნას მეურნე გლეხთა წრეების სასოფლო, სამეურნეო განათლებისადმი წყურვილით, მისწრაფებით და რადგან თანამედრვე სკოლები ამ მხრით ბევრს ვერრას იძლევიან, სკოლა თავს ანებებენ და ამ მცირე ცოდნით უბრუნდება ოჯახურ მეურნეობას.

ჩვენი ვალთა გულ-მხურვალეთ შევეგებოთ სოფლის, გლეხობის ამ მიდრეკილებას და რაც შეიძლება ფართეთ გავშალოთ სამეურნეო სკოლების ქსელი მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

ასეთი სკოლები უნდა მოეწყოს განსაკუთრებით სახელმწიფო თუ სახალხო მამულებში, რომელიც ძველათ თავად-აზნაურების საკუთრება იყო, ხოლო დღეს სახელმწიფოს ან სოფლის კუთვნილებაა.

ასეთი მამულები ჩვენში მრავლადაა, ითვლება დაახლოებით 60-მდე, რომელიც დღემდე სავსებით გამოუყენებელია და უნაყოფოთ ცვდება.

სამეურნეო სკოლები სწორეთ ასეთ მამულებში უნდა მოეწყოს, რომელიც ხელს შეუწყობს ერთის მხრით აღნიშნულ მამულებში მეურნეობის აღდგენას, ხოლო მეორეს მხრით გლეხ-კაცობის ფართე წრეებში სამეურნეო ცოდნის ფართეთ გადატყორცნას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების, სამეურნეო კულტურის ინტერესები ამ ხანად მოითხოვენ მეტ დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებს, მეტ ცოცხალ, საზოგადოებრივ ელემენტებს-ტეხნიკოსებს, სოფლის აგრონომებს, ...ვიდრე დიდ მსწავლულებს... ამიტომ სახელისუფლო და საზოგადოებრივ ორგანოების ყურადღების ცენტრიც ამ მხრით უნდა იქნეს მიქცეული.

სასოფლო, სამეურნეო კულტურის აღორძინება-განვითარება საღღეისო ამოცანად უნდა გავიხადოთ, რომლის გადაწყვეტაში ყველაზე სარფიან და ნაყოფიერ ზომათ უნდა მივიჩნიოთ სასოფლო-სამეურნეო სკოლების გამრავლება-კეთილ მოწყობის ცდა.

**კარპ. დონაძე**

# საქართველოს მეცხვარეობა და საძოვართა საკითხი*)

III.

(გაგრძელება)

ახალქალაქის მაზრის მცხოვრებნი ჩივიან და იქაური ხელისუფლებაც ადასტურებს, რომ მიწის სივიწროვის გამო მაზრა დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. მართალია, მაზრაში თავისუფალი ალაგები ბევრია, მაგრამ რა გამოვადა, ეს ალაგები სხვა მაზრელებს უკავიათ, ადგილობრივი მცხოვრებნი კი განიცდიან მიწის კრიზისს ახალქალაქელების ჩივილი მრავალ საბუთიანია, მაგრამ ვინაიდან ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის ყოფ. თავმჯდომარემ დურგარიანმა ეს მრავალ-საბუთიანობა ერთნაირ სისტემაში ჩამოაყალიბა და წერილის სახით „Экономич. вестник Закавказья“-ში (1924 № 11) მოათავსა, უფრო მიზანშეწონილი იქნება ობიექტიურ კრიტიკის მიზანში სწორედ ეს ტენდენციური წერილი ამოვიღოთ, გავუკეთოთ ანალიზი აქ წამოყენებულ თეზისებს, რომ ყველასათვის აშკარად გახდეს, თუ სად მარხია ძაღლის თავი.

დურგარიანის წერილის შინაარსი რომ მარტო მისი შემოქმედების ნაყოფი იყოს მხოლოდ, რასაკვირველია მას ამაზედ ჩვენ არ ვაწყენინებდით, მაგრამ მაგარი სწორედ ის არის, რომ მასში მოქცეული ამბავი ახალქალაქის მაზრის ყველა გლეხის ოჯახში უვლის დავლურს. ვიმეორებ, ეს წერილი კვინტ-ესენციაა მაზრის უკმაყოფილებისა და ამის გამო საჭიროა მის შინაარსზე ცოტა ვრცლად

*) იხ. ჟურნალი „ახალი გზა“ № 31.

შევჩერდეთ. რას ამბობს დურგარიანის პირით ახალ-ქალაქის მაზრა? დურგარიანი სერიოზულ სახით და თვალზე მომდგარ ცრემლით სწერს: „ახალქალაქის მაზრა თავის ფიზიკო-გეოგრაფიულ პირობებით ზედ გამოჭრილია მესაქონლეობისთვის და მერძეობისთვის. თითქოს თვით ბუნების მიერაა იგი დანიშნული ალპიურ მეურნეობისთვის. ათეულ წლების გამოცდილებამ ნათლად დაანახვა აქაურ გლეხ-კაცობას, რომ მემინდვრეობა წამგებიანი დარგია. სამაგიეროდ, თუ 1917—1918 წ.წ. უკანვე დაბრუნებულმა გლეხ-კაცობამ ეკონომიურად მოიბრუნა პირი, მხოლოდ იმიტომ, რომ ყურადღება მიაქცია მესაქონლეობას და მერძეობას.

„ნათქვამიდან ცხადია, თუ რა მიმართულებით უნდა იყოს გადაწყვეტილი ამ მაზრაში მიწის საკითხი.

„1921—23 წ.წ. მაზრაში მუშაობდა მიწად-მომწყობი კომისია: წამოყენებულ საკითხს ეს კომისია მიუდგა მეტის-მეტად ზერელედ და მისი დადგენილება დღესაც ძლიერ უარყოფითად მოქმედობს მაზრის ეკონომიურ განვითარებაზე.

„კომისიამ უპირველესად ყოვლისა აღიარა, რომ ახალ-ქალაქის მაზრა არის მემინდვრეობის რაიონი, რის გამოც მიწის ნორმა კომლზე დააწესა 3—5 დესეტ., რაც საკმარისია მემინდვრეობისთვის. ასეთი დასკვნა გახდა მიზეზად მრავალ გაუგებრობისა. ცხადია, რომ ვიდრე დაესახავდა მაზრის ეკონომიურ განვითარების მომავალ პერსპექტივას, კომისიას ანგარიში უნდა გაეწია იმ გარემოებისთვის, რომ მაზრაში, რომელიც 5,5—6 ათას ფუტის სიმაღლეზეა, სადაც ზამთარი 6-8 თვეა, სადაც წლიდან წლამდე ნათესები ფუჭდება ყინვისგან და სეტყვისგან, მის ბუნებრივ-ისტორიულ პირობების მიხედვით უნდა განვითარდეს მესაქონლეობა ალპიურ მეურნეობით და არა მემინდვრეობა.

„კომისიას რომ ამ უკანასკნელ გარემოებისათვის გაეწია ანგარიში, მაშინ მიწის ნორმად დააწესებდა არა 3—5 დესეტ., არამედ 16 დესეტინამდე. ეხლა კი გლეხს აქვს საშუალოდ 4 დესეტ., რის გამოც იგი მოკლებულია შეძლებას გააფართოვოს თავის მეურნეობა და იძულებულია აწარმოოს მემინდვრეობა, ისიც მამა-პაპურ წესით. მეურნეობის ახალ ფორმაზე კი, ე. ი. მესაქონლეობა-მერძეობაზე, მას გადასვლა ვეღარ შეუძლიან. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ახალ-ქალაქის მაზრის გლეხ-კაცობის ნახევრად მშიერი არსებობა.

„გარდა ნათქვამისა, მიწის მომწყობ მუშაობას მაზრაში აქვს კიდევ სხვა დეფექტები. ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენმა პარტიამ იმით ჩააბა გლეხ-კაცობა რევოლიუციონურ საქმიანობაში, რომ რევოლიუციონურად გადაწყვიტა მიწის საკითხი.

„ეხლა ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაშია ეს საკითხი ახალ-ქალაქის მაზრაში. მართალია, აქ ყველა სათავადო ალაგები ჩამორთმეულია, მაგრამ გადარიცხულია სახელმწიფო ფონდში და გლეხი, რომელიც განიცდის მიწის სივიწროვეს, იძულებულია ყოველწლიურად იჯარით აიღოს სათიბ-საძოვარი ალაგები მიწ. მოქმ. სახ. კომისარიატისგან.

„როგორც ვხედავთ, ახალ-ქალაქის მაზრაში მიწის საკითხი მოითხოვს სერიოზულ მიდგომას და ბრძნულ გადაწყვეტილებას; ჩვენი პარტიულ ორგანოების ამ საქმეში ჩარევა აუცილებლად საჭიროა, რადგანაც მხოლოდ ეს მოგვცემს სრულ გარანტიას, რომ მაზრაში სისწორით იქნება გადაწყვეტილი მიწის საკითხი.

„ამ საკითხზე რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა შევჩერდეთ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე.

„ჩვენ ვნახეთ, რომ ახალ-ქალაქელ გლეხს 16 დესეტინიან ნორმის მაგივრად აქვს 3—5 დესეტ. და 75 ათასი გლეხ-კაცი სიღარიბეში ლაფავს სულს. საჭიროა ვიკითხოთ, რაღა იქნა მაზრაში ჩამორთმეული მიწები? ვის მიეცა ახალ-ქალაქის (თრიალეთ-ჯავახეთის მთა. ლ. ლ.) უნოყიერესი საძოვრები და სათიბები? ეს მიწები, 90 ათას დესეტინამდე, მიწ. მოქმ. სახ. კომისარიატმა გაუნაწილა **სხვა მაზრებიდან მოსულ მეცხვარეებს** (კურსივი ჩვენია. ლ. ლ.); ყოველ ზაფხულს ამ საძოვრებზედ მეცხვარეებს ამოჰყავთ 800.000 წვრილ და მსხვილ-ფეხა საქონელი და იმ დროს, როცა ადგილობრივი გლეხ-კაცობა ასე **იტანჯება უმიწობით, მეცხვარეები თავისუფლად ბინადრობენ ამ მიწებზე და ხშირად ახდენენ ადგილობრივ მოსახლეობის ნათესებს. თუ კარგად დაუკვირდებით ამ მეცხვარეებს, აღმოჩნდება, რომ ეს კლასი მეტის-მეტად შეძლებულია. არიან მეცხვარეები, რომელთაც 6.000-მდე ცხვარი ჰყავთ და უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაზე ღარიბი მეცხვარე ადვილად იყიდის და გაჰყიდის ახალქალაქელ კულაკების დუჟინს**“ (კურსივი ჩვენია ლ. ლ.).

„მაშასადამე, ახალ-ქალაქის მდიდარი საძოვრები და სათიბები იჯარით აქვთ გადაცემული მეცხვარეებს და ამ ნიადაგზე ყოველ ზაფხულს ხდება მეცხვარეთა და მცხოვრებთა შორის მასსიური შეტაკებანი, რაც ხშირად თავდება მკვლელობით. ასეთი შეტაკება მომავალში უფრო გახშირდება, რადგანაც როგორც მეცხვარეების, ისე ადგილობრივ გლეხ-კაცობის საქონელი მრავლდება, მაზრის მიწის ფონდი კი უცვლელად რჩება.

„როგორც ნათქვამიდან სჩანს, ახალ-ქალაქის მაზრაში მიწის და საძოვართა საკითხის აზრიანად გადასაწყვეტად საჭიროა: 1) ახალ-ქალაქის მაზრა თავის ბუნებრივ-ისტორიულ პირობების მიხედვით აღიარებულ იქნეს მესაქონლეობის განვითარების ხელშემწყო რაიონად, სადაც მესაქონლეობამ უნდა მიიღოს ალპიურ მეურნეობის სახე, მემინდვრეობას კი მიეკუთვნოს მხოლოდ დამხმარე როლი; 2) ამის მიხედვით ხელმეორედ იქნეს ჩატარებული მაზრაში მიწის მოწყობის მუშაობა, რომ გლეხის კომლს გამოეყოს მესაქონლე მეურნეობისთვის საჭირო ნორმა. ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს პარტიულ ორგანოების უშუალო თვალ-ყურის ქვეშ და 3) ადგილობრივ მესაქონლეობის განვითარების მიხედვით, თანდათან შემოკლდეს მაზრაში მომავალ ცხვრის რაოდენობა. მხოლოდ აღნიშნული ზომები შესუსტებენ იმ ტრაღედიას, რომელსაც განიცდის ახალ-ქალაქის მაზრის მოსახლეობა“.

აი დურგერიანის, რომელიც ამ დროს ახალ-ქალაქის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე იყო, წერილის შინაარსი.

რას თხოულობს ეს წერილი? რასა და იმას, რომ თურმე ახალქალაქის მაზრა განიცდის მიწის მწვავე კრიზისს, იმავე დროს კი საიდანაც მოსულ მეცხვარეებს უკავიათ ამ მაზრაში შემწყვდეული თრიალეთ-ჯავახეთის მთები. მაზრას უნდა კულტურული მეურნეობა, სახელდობრ ალპიური მეურნეობა, რადგანაც ასეთ მაზრაში ხვნა-თესვა დიდი ხნის აღიარებული სოფლის-მეურნეობის შემცდარი ფორმაა, მაგრამ როგორ გააკეთოს მაზრამ კულტურული ნახტომი, როცა თრიალეთის მთები უკავია ქართლ-კახეთის ცხვარს? ხალხი განიცდის ტრაღედიას

და საკმარისია მეცხვარეები განიდევნოს აქედან, რომ მიწის ნორმა ერთი-ორად გადიდდეს, ე. ი. ნოყიერ ვაკეს მიემატოს ალპიური საძოვრები. თუ ეს მოხდა, მაშინ მაზრა დაანებებს თავს პურის და ქერის თესვას, მიჰყოფს ხელს ალპიურ მეურნეობას და ღარიბი და კულტურულად მეტად ჩამორჩენილი ახალ-ქალაქის მაზრა სულ მოკლე ხანში არკადიათ გადაიქცევა. მაზრის მოსახლეობა, რასაკვირველია, ასე „მეცნიერულად“ ვერ დაასაბუთებს თავის ჩივილს, იგი პირდაპირ მოითხოვს, რომ მეცხვარეები წავიდნენ სადაც უნდათ, თრიალეთი კი ჩვენ გადმოგვეცითო, მაგრამ ასეთ უსაფუძვლო ზრახვას რომ მეტი წონა ჰქონოდა, საჭირო იყო „მეცნიერული არგუმენტაცია“, ეს კი იკისრა მოქ. დურგარიანმა, რომლის ლოღიკა ასე სჭრის: „მეცხვარეები კულაკებია, მაზრის მცხოვრებნი კი ულარიბესი გლეხ-კაცობა. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა დაიცვას გლეხკაცობის ინტერესები და არა მდიდარ მეცხვარეებისა“. სამწუხაროდ, დურგარიანის იმედმა თითქოს გასჭრა, რადგანაც მის წერილში მოყვანილმა ამბებმა შესძრა ზოგიერთი კომისარიატი, სპეციალურად გაიგზავნა ახალ-ქალაქის მაზრაში რამოდენიმე კომისია, დღესაც კი იქ არის ამხ. ა. დოლიძის თავმჯდომარეობით გაგზავნილი სპეციალური კომისია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება იმიტომ კი არა ჰგზავნის ახალ-ქალაქის მაზრაში კომისიას-კომისიაზე, რომ ცხოვრებაში გაატაროს დურგარიანის „მეცნიერული“ იდეიები, არამედ მხოლოდ საქმის ადგილობრივ გასაცნობათ, თორემ ვინ აღიარებს მიზანშეწონილად, რომ თავი მოსჭრან ადამიანს, მისგან გააკეთონ წამალი და თითის მუწუკს დაადონ მალამოდ!

რასაკვირველია, თრიალეთის ბედი ჩვენ არ გვაწუხებს, რადგანაც ეს საკითხი ისე იქნება გადაწყვეტილი, როგორც მოითხოვს მაზრის კი არა, არამედ მთელ. რესპუბლიკის ეკონომიკის ინტერესები. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ თვით ამ დავის უნიადაგობას. გასაოცარია, რომ „**Экономич. вестник Закавказья**“-მ თავის ფურცლებზე მოათავსა ეს საკვირველი დოკუმენტი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ „Заря Востока“-ში (№ 753) იყო დაბეჭდილი სათაურით: „Трагедия Ахалкалакских крест'ян“. ეტყობა ზოგზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ზერელე და აბსურდული წერილი, რომ მიუხედავად ამხ. ი. ქვანიას (Эконом. вестник Закав. № 6 1925 წ.) და ნ. ხაჭაპურიძის (Заря Востока № 818—1925 წ.) დასაბუთებულ წერილებისა, ამ საძოვრების გარშემო დღესაც დიდი მითქმა-მოთქმაა გამართული. ახალ-ქალაქელების მიერ ყველაფერი მოძრაობაშია მოყვანილი, მაგრამ „ხმა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქს ხმელსა ნედლად“. მე ვეცდები ზემოდ მოყვანილ წერილის მთელი სიყალბე და უსუსურობა გამოვიტანო მზეზე, რომ თავის სიტიტვლისა თვითონვე შერცხვეს. განვიხილოთ მუხლობრივ: 1) ახალ-ქალაქის პლატო, რომელიც უკავია მოსახლეობას,ვარგისია თუ არა მემინდვრეობისთვის? მართლა იმ დასკვნამდე მივიდა თავის გამოცდილებით ადგილობრივი მოსახლეობა, რომ მემინდვრეობა მისთვის მეურნეობის საზარალო ფორმაა? ყველა წლის სტატისტიკური ცნობები გვარწმუნებენ უკუღმაში. ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის მისდევდა და დღესაც გულმოდგინეთ მისდევს მემინდვრეობას, როგორც სოფლის მეურნეობის ყველაზე მომგებიან ფორმას, რასაც ხელს უწყობს რუპატივით შავი, ნოყიერი ნიადაგი და დროული ატმოსფერული ნალექები. რომ ეს ამბავი ახალი და მოჭორილი არ არის, სამაგალითოდ განვიხილოთ რომელიმე სამეურნეო წელი, ავიღოთ მაგ. 1909—1913 წ. წ. (Сборник статистич. данных за 1909—13 г. г. изд. ЦСУ Грузии). ამ წლების ცნობებიდან სჩანს შემდეგი: ა) საერთოდ, მარცვლეულობის ნათესების არეს მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში ახალ-ქალაქის მაზრას უკავია მეორე ალაგი.

1) გორის მაზრა—63,344 დესეტ.
2) ახალ-ქალაქ. „ 62,923 „
3) ბორჩალოს „ 62,580 „
4) სიღნაღის „ 47,614 „

სხვა მაზრები უფრო ნაკლებს ხნავენ. (ნაჩვენებ წლებში სახნავი ფართი ასე ნაწილდებოდა ახალ-ქალაქის მაზრაში: სიმინდი—44 დესეტ., ანეული—1,011 დ., გაზაფხ. პური—26,664 დ., ქერი—34,795 დ., სხვა—409). ბ) რომ ავიღოთ მაზრების თვითეულ მეურნეობის (კომლის) სახნავ-სათესის ფართი, აქ ახალ-ქალაქის მაზრას უკავია პირველი ალაგი. თვითეულ მეურნეობაზე მოდიოდა დათესილი: 1) ახალ-ქალაქ. მ.—3 დესეტ. (1,6 დეს. ქერი, 1,2 დ. პური, 0,2 სხვა.), 2) ბორჩალოს მ.—2,4 და 3) გორის მ.—1,6 დ., 4) სიღნაღის მ.—1,6 დ.

გ) რომ ავიღოთ მაგ. გაზაფხულის პური (ახალთესლი), აღმოჩნდება, რომ რესპუბლიკაში მისთვის მოხნულ 80,254 დესეტინიდან ახალ-ქალაქის მაზრას ეკუთვნოდა 26,664 დეს. ანუ მთელი ნათესის 33,2%, რაც ამ მხრივ პირველ ალაგს აკუთვნებს ახალ-ქალ. მაზრას მთელ რესპუბლიკაში:

1) ახალ-ქალაქ. მ.—26,664 დეს.
2) ბორჩალოს „ —14,521 „
3) სიღნაღის „ —13,118 „
4) გორის „ — 7,555 „ და სხ.

დ) იგივე ითქმის ქერზე. მთელ რესპუბლიკაში იყო დათესილი 99,313 დ. ქერი, აქედან ახალ-ქალაქის მაზრას ეკუთვნოდა—34,795 დეს. ანუ 35,0%. აქაც ამ მაზრას უკავია პირველი ალაგი და ამ მხრივ 2 ნახ.-ჯერ აღემატება ბორჩალოს და გორის მაზრებს, 5-ჯერ დუშეთის და 10-ჯერ თიანეთის მაზრას, რომელიც მართლაც მესაქონლეობის ტიპიური რაიონია:

1) ახალ-ქალაქ. მ.—34,795 დეს.
2) ბორჩალოს „ —14,595 „
3) გორის „ —14,292 „
4) დუშეთის „ — 6,858 „
5) ტფილისის „ — 5,034 „
6) სიღნაღის „ — 3,598 „
7) თიანეთის „ — 3,414 „ და სხ.

ე) მარცვლის აბსოლუტურ მოსავლიანობის მხრივ, საერთოდ, ახალ-ქალაქის მაზრას მთელ რესპუბლიკაში უკვია მეორე ალაგი.

1) ბორჩალოს მ.—4,283,200 ფ.
2) ახალ-ქალაქ. „ —3,981,300 „
3) ქუთაისის „ —3,883,600 „
4) გორის „ —3,362,800 „
5) სიღნაღის „ —2,543,900 „ და სხ.

ვ) რომ ავიღოთ გაზაფხულის პურის რაოდენობა მაზრობლივ, აღმოჩნდება რომ მის ყველაზე მეტ მოსავალს იძლევა ახალ-ქალაქის მაზრა:

1) ახალ-ქალაქ. მ.—1,093,200 ფ.
2) ბორჩალ. „ — 856,700 „
3) სიღნაღის „ — 642,800 „
4) გორის „ — 385,300 „ და სხ.

იგივე ითქმის ქერზე:

1) ახალ-ქალაქის მ.—2,818,400 ფ.
2) ბორჩალოს „ --1,167,600 „
3) გორის „ — 771,800 „ და სხ.

გარდა ნათქვამისა, მოსავლიანობის მხრივ ახალ-ქალაქის ნიადაგი უფრო მეტ სინოყივრეს გვიჩვენებს, ვიდრე სხვა მაზრები. ამ მაზრაში მოსავლიანობის ასეთი სურათია ერთ დესეტინაზე: ანეული 45—48 ფ., გაზაფხულისა—41—46 ფ., ქერი—66—81. ეს ციფრები კიდევ არ გვიჩვენებენ ამ ნიადაგის სინოყივრის მაქსიმალობას, რადგანაც შარშან იქაურ აგრონომის მიერ საცდელ მინდორზე დათესილმა მარცვლიანობამ მოგვცა შემდეგი მოსავლიანობა დესეტინაზე: ქერი--112 ფ., ჭვავი —150., პური —70 ფ.. ასეთ მოსავლისთვის სრულებითაც არ იყო საჭირო მიწის განსაკუთრებული განოყიერება, პირიქით, აგრონომმა ეს მინდორი მოხნა მხოლოდ რკინის გუთნით და დათესა მწკრივად, სხვა არაფერი. მაშასადამე, აქ და ზევით მოყვანილ ციფრებთა შორის განსხვავება გამოწვეულია არა მიწის უნოყიერობით, არამედ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მიწის მეტისმეტ უკულტურო დამუშავებით. მიუხედავათ ასეთ უკულტურო დამუშავებისა, როგორც მკითხველმა ნათლად დაინახა, რესპუბლიკის სხვა მაზრებთან შედარებით, მემინდვრეობის საქმეში ახალ-ქალაქის მაზრას უკავია პირველთბგანი ალაგი, თუ ეს ასეა, მაშ საიდან გამოიყვანა დურგერიანმა დასკვნა, რომ ახალ-ქალაქის მაზრა ყოვლად უვარგისია მემინდვრეობისათვის?

რა საბუთზე ემყარება ეს პატივცემული ავტორი, როცა ამბობს, რომ ათეული წლების გამოცდილებამ დაარწმუნა მაზრის გლეხკაცობა, რომ მისთვის მიუღებელია მემინდვრეობა და საჭიროა დაუყოვნებლივ გადაიდეს მესაქონლეობა-მერძეობაზე? იქნება მართლაც მაზრას, თუმცა ბევრი მარცვლეული მოჰყავს ყოველ·წლიურად, მაგრამ მესაქონლეობა კი უფრო აქვს განვითარებული? იმავ სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ მესაქონლეობის მიხედვით ახალ-ქალაქის მაზრას მთელ რესპუბლიკაში უკავია უკანასკნელი ალაგი. 1909—1913 წლებში მცხოვრებთა ორივე სქესის 100 სულზე საშუალოდ მოდიოდა:

ა) ცხენი:

1) სიღნაღის მაზ. — 15,1 სული
2) ახალციხის „ — 11,4
3) თიანეთის „ — 9,4
4) ბორჩალოს „ — 9,3
5) ტფილისის „ — 8,7
6) დუშეთის „ — 6,1
7) ახალ-ქალაქ. „ — 4,3 და სხ.

ბ) ცხვარი:

1) თიანეთის მაზ. —423,9 სული
2) სიღნაღის „ —338,8
3) დუშეთის „ —226,6
4) ტფილისის „ —151,0
5) ბორჩალოს „ —142,5
6) ახალ-ქალაქ. „ —114,6 და სხ.

გ) მსხვილ-ფეხა საქონელი:

1) ბორჩალოს მაზ. —124,7 სული
2) თიანეთის „ —101,4
3) ახალციხის „ —101,0
4) სიღნაღის „ — 85,9
5) ახალ-ქალაქ. „ — 79,1.

რაც შეეხება ღორებს, მათი რიცხვი ახალ-ქალაქ. მაზრაში ხომ მინიმალურია.

იქნება დურგერიანმა სთქვას, რომ 1909—1913 წლების შემდეგ სურათი გამოიცვალა და ხალხი ეხლა მაინც სცდილობს იაროს მის მიერ ნაჩვენებ გზით. არც ეს არის მართალი. ამიერ-კავკ. სახ. ფინანს. კომისარიატის მიერ გამოცემულ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ცნობებით (გამოცემულია 1925 წ.), მცხოვრებთა ორივე სქესის 100 სულზე შარშან მოდიოდა (მთელი საქონელი გადარიცხულია მსხვილ-ფეხა საქონელზე):

1) ბორჩალოს მაზ. —110,12 სული
2) ტფილისის „ —104,77
3) ახალციხის „ — 92,97
4) სიღნაღის „ — 85,03
5) დუშეთის „ — 84,14
6) ახალ-ქალაქ. „ — 75,02

ამ ციფრების მიხედვით ნათელია, რომ ახალ-ქალაქის მაზრას დღესაც გაცილებით უფრო აქვს მემინდვრეობისკენ მიდრეკილება, ვიდრე მესაქონლეობისაკენ.

შემდეგ: 2) შეიძლება მართალია, რომ ახალ-ქალაქელ გლეხისთვის ცოტაა 7 დესეტინა, მაგრამ მიწით სრულ უზრუნველყოფაზე როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს სხვა მაზრებთან შედარება. იმ დროს, როცა ხევსურეთში ერთ შვილზე მეტს არ აჩენენ და სვანეთში გოგოებს ხოცავენ მხოლოდ იმიტომ, რომ უმიწობით ხალხი ჩავარდნილია სასოწარკვეთილებაში, თქმა იმისა, რომ 7 დესეტინიან ნორმიდან მაზრა იღუპება და საჭიროა 15 დესეტინამდე ავიყვანოთ ნორმაო, სწორედ მოგახსენოთ რაღაცა გაუგებრობაა. რაღა ხევსურეთი ან სვანეთი, აიღეთ რომელიც გნებავთ მთის ნაწილი.

რესპუბლიკის მიწის ფონდი უნდა ნაწილდებოდეს მის მკვიდრთა შორის რაც შეიძლება თანასწორად. რადგანაც თავისუფალი მიწები ყველა მაზრაში არ არის, ამისთვის არსებობს მცხოვრებთა გადასახლების წესი. თუ რომ დურგერიანსავით ანგარიშს არ გაუწევთ ჩვენ მეცხვარეობას და თრიალეთიდან დავსძრავთ ცხვარს, მაშინ თავისუფლად დარჩენილი ალაგი ახალ-ქალაქის მაზრის მცხოვრებთ კი არ უნდა მიეცეს, რადგანაც, სხვა რომ არა იყოს რა, ეს უფრო დააქვეითებს იქაურ ისედაც ექსტენსიურ მეურნეობას, არამედ უნდა მიეცეს იმ რაიონების მცხოვრებთ, სადაც მიწის სივიწროვეს პირდაპირ საზღაპრო ხასიათი აქვს მიღებული. ამას ვამბობ, თუ რომ ცხვარს იქიდან წამოვიყვანთ, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დაშვებაა?! ცხვარი იქიდან არც წამოვა და ვერც წამოვა.

3) დურგერიანი ამბობს, რომ მიწად-მომწყობმა კომისიამ ზერელედ შეხედა ახალ-ქალაქის მაზრის ბუნებრივ პირობებს, მაზრა აღიარა (კომისიამ კი არა, ციფრებმა აღიარეს, ლ. ლ.) მემინდვრეობის რაიონად და მიწის ნორმა განსაზღვრა 3—5 დესეტინით. არც ეს ცნობებია მართალი. მიწის ნორმა კომისიამ კი არ გამოყო (რომელიც შესდგებოდა მარტო მიწის-მზომელებისაგან), არამედ— ცენტრალურმა საკანონმდებლო ორგანომ, რომლის კანონით (გამოიცა 1922 წ. 20 მაისს) ახალ-ქალაქის მაზრაში შემდეგი ნორმაა დაწესებული ოჯახზე: 1 კატეგ. (სარწყავი სახნავი, ბაღი, ბოსტანი)—3 ნახ. დესეტ., 2 კატეგ. (სახნავი, რომელიც იძლევა ძალიან კარგ მოსავალს)--5 დესეტ., 3 კატეგ. (სახნავი, რომელიც იძლევა საშუალო მოსავალს)—6 ნახ. დესეტ. და 4 კატეგ. (სათიბ-საძოვარი) —8 დესეტ.

ნორმა დაწესებულია კომლზე კი არა, არამედ ოჯახზე (ე. ი. ცოლი და ქმარი, ქვრივი შვილებით, ობლები). რადგანაც ოჯახი ხშირად შესდგება მრავალ სულისგან, მიწის ნორმა ასეთ კომლს ეძლევა არა როგორც კომლს, არამედ იმდენი, რამდენიც ოჯახია ამ კომლში. ამის გამოა, რომ თუმცა ახალ-ქალაქის მაზრაში 14,715 კომლია, ფაქტიურად მიცემულია 20,511 ნორმა, რისთვისაც მაზრას ზედმეტად მიეცა 25,000 დესეტ. ვარგისი მიწა.

მიღებულია რა მხედველობაში მაზრის ზონალური დაყოფა, იმ სოფლებს, რომლებიც მაღლა, მთიან ალაგებზე მდებარეობს, ნორმად მიეცათ 13,05 დ., დანარჩენ სოფლებს კი, რომლებიც ვაკეზე მდებარეობენ—საშუალოდ 6,33 დ.. იმ სოფლებს, რომლებიც ეწევიან შერეულ მეურნებას (მეპინდვრეობა-მესაქონლეობას), მიეცათ 6,40—8,03 დეს. (საშუალოდ 7,45 დ.), იმ სოფლებს კი, რომლებიც თითქმის მხოლოდ მემინდვრეობას მისდევენ, მიეცათ 4,20—6,40 დეს. (საშუალოდ 5,20 დ.). აქედან თვითეულ სულზე მოდის 1,83 დეს. სხვა და სხვა კატეგორიის მიწა და 1,10 დ. სახნავ-სათიბი. რადგანაც გარდა ნაჩვენებ მიწის რაოდენობისა მაზრას კიდევ ზედმეტად გადაეცა სხვა და სხვა მიზნებისათვის 11,788,24 დესეტ., ჯამში გამოდის, რომ ახალ-ქალაქის მაზრაში ფაქტიურად საშუალო ნორმად მიცემულია 7,2 დეს. ოჯახზე და 2 დეს. სულზე და არა 3—5 დეს., როგორც დურგერიანი ამბობს.

რომ უფრო ნათელი გახდეს მიწის საკითხის მდგომარეობა ახალ-ქალაქის მაზრაში, საჭიროა ეს მაზრა შევადაროთ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მაზრებს (დასავლეთ საქართველოში ხომ ყველასთვის ცნობილია მიწის მეტის-მეტი სივიწროვე):

**კანონიერ ნორმად ოჯახზე მიღებულია;**

| | | |
|---|---|---|
| 1) ტფილისის მაზრა | 7 | დესეტ. |
| 2) გორის | 6 | „ |
| 3) დუშეთ. „ | 7 | „ |
| 4) თელავ. „ | 5 | „ |
| 5) სიღნაღ. „ | 6,5 | „ |
| 6) ბორჩალო „ | 6 | „ |
| 7) ახალ-ქალაქ. „ | 7 | „ |
| 8) ახალ-ციხის „ | 6 | „ |

| | მიცემულია ოჯახზე: | მიცემულია სულზე. |
|---|---|---|
| 1) ტფილისის მაზ. | 5,7 დეს. | 1,3 დესეტ. |
| 2) გორის „ | 3,1 „ | 0,6 „ |
| 3) დუშეთის „ | 3,0 „ | 0,6 „ |
| 4) თელავის „ | 2,1 „ | 0,5 „ |
| 5) სიღნაღის „ | 6,5 „ | 1,6 „ |
| 6) ბორჩალოს „ | 6,6 „ | 1,2 „ |
| 7) ახალ-ქალაქ. „ | 7,2 „ | 2,0 „ |
| 8) ახალ-ციხის „ | 3,1 „ | 0,5 „ |

მოყვანილ ციფრებიდან ნათლადა სჩანს, თუ რომელ მაზრაშია ყველაზედ მეტად მიცემული მიწა, როგორც ოჯახზე, ისე სულზე. პირველი ალაგი მიწით უზრუნველყოფაში მთელ რესპუბლიკაში უკავია ახალ-ქალაქის მაზრას. განა ამას ჰქვიან მიწის კრიზისი და განა დურგერიანის ციფრები ცოტათი მაინც შეეფერება აქ მოყვანილ საქ. მიწ. მოქმ. სახ. კომისარიატის ოფიციალურ ცნობებს?

4) რომ უფრო თვალსაჩინოდ გახადა ახალ-ქალაქელების ტრაღედია და მაზრის მემინდვრეობის ეკონომიური წამგებიანობა, დურგერიანი ამბობს, რომ გარდა მიწის სივიწროვისა, ყოველ-წლიურად მოსავალი იღუპება ყინვისგან და სეტყვისგანო. განა სეტყვა ან შემთხვევითი ყინვა (заморозки) არგუმენტია, რომლის ძალითაც მაზრამ მუნდა მიიღოს მეურნეობის ესა თუ ის ფორმა? სრულიადაც არა. საქართველო მთიანი ქვეყანაა და სეტყვა მის მოსახლეობის ხშირი სტუმარია. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ გამოცემულ სას.-სამ. მიმოხილვებიდან ვტყობილობთ, რომ მაგ. 1908—13 წლებში რესპუბლიკის სხვა მაზრებმა უფრო მეტად იზარალა ყინვისგან და სეტყვისგან, ვიდრე ახალ-ქალაქის მაზრამ. შემდეგ წლებში, 1919 წ. ყველაზედ მეტათ იზარალა სიღნაღის, თიანეთის, თელავის და სხ. მაზრებმა, ახალ-ქალაქის მაზრაში კი მშვენიერი მოსავალი იყო. ამისთანავე სურათს ვხედავთ 1924 წელს.

5) დურგერიანი ამბობს, რომ ჩამორთმეული მიწები მთლიანად გადავიდა სახელმწიფო ფონდში და 90 ათასი დესეტინა საფონდო საძოვარი გადაეცა მეცხვარეებსო. ორივე ცნობა არ შეესაბამება სიმართლეს. ჯერ ერთი, ჩამორთმეული თავადების მიწები 16 ათასი დეს. გადაეცა მაზრას, როგორც ნადელი და მეორეც, მაზრაში 90 ათასი დეს. საძოვარი კი არ არის, არამედ 78,912 დეს., რომლიდანაც მაზრას ზედმეტად (საქონელთან შედარებით) გადაეცა 22,845 დეს.

6) „იმ დროს, როცა საზაფხულოდ მოსული მეცხვარეები თავისუფლად გრძნობენ თავს ახალქალაქის საძოვრებზე, მაზრის მცხოვრებნი სულს ღაფავენ მიწის სივიწროვისაგან“-ო. ეს ყალბი ცნობა ლოღიკურად გამომდინარეობს საკითხისადმი ყალბ და ტენდენციურ მიდგომიდან. ამის დასამტკიცებლად მივმართოთ ისევ საძოვართა განყოფილების ცნობებს. მეცხვარეებს მიცემული აქვთ: I კატეგორიის საძოვარი 29,395 დესეტ., II—16,097 დ., III—10260 დ. და I კატ. სათიბი 315 დ.; სულ 56,067 დ.. რამდენი ცხვარია ამ სივრცეზე მოთავსებული წლეულ? ვინაიდან ოფიციალური ცნობები ამის შესახებ არ მოიპოება და იმავე დროს კი ადვილად შეიძლება დურგერიანი ან სხვა ვინმე არ დამეთანხმოს ჩემს მიერ ნაჩვენებ ცხვრის რაოდენობაზე, მოვიყვან შარშანდელ ცნობებს, რომელთაც ადასტურებს თვით დურგერიანი და მიწათ-მოქმ. სახ. კომისარიატიც ეთანხმება (დურგერიანმა ეს ცნობები ალბად მაზრის აღმასკომიდან მიიღო). მისი თქმით, შარშან ახალ-ქალაქის საძოვრებზე მეცხვარეებს ჰყვანდათ 800,000 ცხვარი (ამ ანგარიშში შედის მეცხვარეების მსხვ. ფეხა საქონელიც წვრილ-ფეხზე გადარიცხვით—1:5).

რადგანაც საზაფხულო საძოვრების ერთ დესეტინაზე მიღებულია 8 ცხვარი, 800 ათას ცხვრისთვის, მაშასადამე, საჭიროა 100 ათასი დესეტ., მაგრამ მეცხვარეებს ჰქონდათ და დღესაც აქვთ მხოლოდ 56,067 დესეტ., რო-

მელზედაც ნორმალურად უნდა სძოვდეს არა უმეტეს 448,536 ცხვრისა; მაშასადამე, შარშან ზედმეტად იყო 351,464 ცხვარი. უკანასკნელი ციფრი უნდა გადიდდეს, რადგანაც საძოვრის ნაჩვენები ფართი იყოფა სამ კატეგორიად და თვითეულზე უნდა სძოვდეს ცხვრის სხვადასხვა რაოდენობა (I კატეგ.: 8, II: 5, III: 3). ამის მიხედვით ფაქტიურად ზედმეტად იყო არა 351,464, არამედ 451,575 ცხვარი, რადგანაც ამ საძოვრის ნორმალური დატვირთვა გამოიხატება არა 448,536, არამედ 346,425 ცხვრით (I კატეგ. 29,395 დეს. $\times 8 = 235,160$ ცხვ., II—$16,097 \times 5 = 80,485$ და III—$10260 \times 3 = 30780$ ანუ სულ 346,425 ცხვ.). მიუხედავად საძოვრების კატეგორიებად დაყოფისა, ჩვენ მზადა ვართ მთელი საძოვარი პირველ კატეგორიად ჩავრიცხოთ და ზედმეტ ცხვრათ ჩავთვალოთ 351,464 ცხვარი, რომლისთვისაც საჭიროა ზედმეტად 43,933 დესეტ. რადგანაც ეს ზედმეტი საძოვარი არ მოიპოება, მთელი ეს ცხვარი დაგუბდა ახალ-ქალაქის მაზრაში, რის გამოც საძოვარი მეტის-მეტად დაიტვირთა. შარშან მაგ. შუა თრიალეთის № 10 ნაკვეთის 1,800 დესეტინაზე იდგა არა 14,400, არამედ 36,000 ცხვარი, ე. ი. დესეტინაზე 8 მაგივრად მოდიოდა 20 ცხვარი. აბულო-სამსარის სხვადასხვა ნაკვეთებზე მოდიოდა 13—18 ცხვრამდე და სხ.

საძოვრების ასეთი დატვირთვა მეტად საზიანოა ცხვრისთვის, რადგანაც აქედან გამოწვეული უჭმელობა ხელს უწყობს მის გადაგვარება-მოსპობას. რაც შეეხება თვით საძოვრის წახდენას, ამაზედ ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

თუ ასეა მეცხვარეების საძოვარი დატვირთული, ეხლა საჭიროა გავიგოთ, თუ რა მდგომარეობაშია მაზრის საქონელი. ახალ-ქალაქის მაზრას შარშან ჰყვანდა (მაზრის აღმასკომის ცნობით) მთელ საქონლის ცხვარზე გადარიცხვით 349,000 სული, რომლისთვისაც საჭიროა 43,625 დ. საძოვარი. სინამდვილეში მაზრას აქვს სანადელო 44,765 დეს. და იჯარით აღებული 22,845 დ., სულ 67,610 დესეტ. ე. ი. მაზრას ზედმეტად აქვს 23,985 დ. მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, რომ იმ დროს, როცა მეცხვარეების ერთ დესეტინაზე საშუალოდ მოდიოდა 14,3 ცხვ. მაზრელებისა — მხოლოდ 5,1 ცხვ.. განა ამას ეწოდება მეცხვარეების პარპაში საძოვრებზე მოქ. დურგარიანო? პარპაში კი არა, ეს პირდაპირ ტრაგედიაა ჩვენ მეცხვარეობისთვის, მაგრამ რას იზამ, ნათქვამია „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო“. არტაანის და ყარსის საძოვრების ოსმალეთში მოქცევით ჩვენმა მეცხვარეობამ დაკარგა 150.000 დ. საუკეთესო საზაფხულო საძოვრები და იძულებულია თავი შეაფაროს თრიალეთ-ჯავახეთის მთებს. ცხვრის ასეთ შეჯგუფებას, ვიმეორებ, იძულებითი ხასიათი აქვს და მართლაც უბედურებაა მეცხვარეობისთვის. დურგარიანი კი გამოდის და შუადღისას თხოულობს „ეს ცხვარი აქედანაც დაიკარგოს, რადგანაც ალპიურ მეურნეობას უნდა მივყოთ ხელიო“. გასაკვირია დურგარიანის სითამამე. თავისი ძრახვა რომ სისრულეში მოიყვანოს, იგი იძულებულია სიყალბე სიყალბეს გამოაბას და ლელო გაატანინოს, მაგრამ „ტყუილს მოკლე ფეხები აბია“. ეხლა ვიკითხოთ, თუ ახალ-ქალაქის მაზრის მცხოვრებლებს მართლაც ზედმეტი საძოვარ-სათიბი აქვთ, რა გზით იყენებენ მას? დადგება თუ არა შემოდგომა, ამ მაზრისკენ მიემართება წალკიდან, გორის მაზრიდან და სხვა ალაგიდან საზამთროდ შესანახი საქონელი. ძნელია სიზუსტით ამ საქონლის რაოდენობის აღნიშვნა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მისი რაოდენობა საგრძნობია. მაშასადამე, მაზრას იმდენი თივა აქვს ხოლმე, რომ გარდა თავის საქონლისა, იგი სხვის საქონელსაც ინახავს ფულზე.

ზედმეტ საძოვრებს იგი აქირავებს გაჭირვებულ მეცხვარეებზე, რასაკვირველია სისხლის ფასად. აქირავებს არა მარტო საფონდოს, არამედ სანადელო საძოვარსაც. ასეთი მაგალითები ბევრია, მაგ. სოფლები: სალამო, გახძა, სათხე, ფოკა, ოლავერდი, დიდი და პატარა სამსარი, ყურიდადეში, მამზარა, ხაჩმალი და მრავალი სხვა*). როცა 1924 წ. მაზრამ მოსთხოვა ზედმეტად მიწად. მოქმ. კომისარიატს 20 ათასი დეს. და კომისარიატმა. ეს თხოვნა დააკმაყოფილა, მაშინ ზოგ სოფელმა, მაგ. კოჭიომ, ეფრემოვკამ, ბოგდანოვკამ და სხ. სოფლებმა სამსარის რაიონში უარი განაცხადეს ზედმეტ მიწის მიღებაზე, რადგანაც კომისარიატმა ნება არ მისცა საძოვრის ოფიციალურად გაქირავებისა, იმათ კი სწორედ ამ მიზნისთვის სჭირდებოდათ ზედმეტ საძოვრის მიღება. გარდა სივიწროვისა, მეცხვარეების საძოვარს კიდევ აქვს ერთი მეტად დიდი ნაკლი, სახელდობრ—საბარო ალაგების უქონლობა. საქმე შემდეგშია: მთის დაბლობი (პლატოსთან შედარებით მაღლობი) ალაგები უკავიათ მცხოვრებლებს, მეცხვარეებს კი მიეცათ სიმაღლეები. ზოგი სიმაღლე მოკლებულია მისასვლელ გზას, ზოგი ცხვრის დასალევ წყალს. ეს კერძოდ, მაგრამ საერთოდ, გარდა ამისა, ყოველ მთას უნდა ჰქონდეს ისეთი ალაგი, სადაც გაზაფხულზე ადრე დნება თოვლი და შემოდგომით კი გვიან ცივდება. ეს საჭიროა შემდეგი მოსაზრებით: ქართულ ცხვარს ძალიან ეშინიან და ზარალობს კიდეც გაზაფხულის სიცხისგან. ამის გამო, შირაქიდან ცხვარი ამოდის მთაში ადრე, მათი მთები კი ჯერ კიდევ თოვლითაა დაფარული. მეცხვარეები იძულებულნი არიან თოვლიან ალაგას არეკონ ფარა, რაც დიდ ზიანს აყენებს ცხვარს. მაგ. შარშან ყარაყუზაში ამ მიზეზით გასწყდა 1000 მეტი ცხვარი. გარდა იმისა, თრიალეთ-ჯავახეთის მთებში ძლიერ ხშირია დიდი სეტყვა. სეტყვას თანსდევს ხოლმე საშინელი ჭექა-ქუხილი. ცხვარი ფთხება და ინსტიქტიურად გამორბის დაბლობისკენ. მწყემსები სცემენ კომბლებით, მაგრამ ვერ აჩერებენ. ცხვარი გამორბის სხვის ალაგში, სადაც მზად არიან ყარაულები. ყარაულები ატყობინებენ სოფელს, რომელიც მთელ ფარას ძალით მიერეკება. სტყდება ჩხუბი, თავების მტვრევა. ჯარიმის გადახდის შემდეგ უბრუნებენ ცხვარს, მაგრამ ყოველთვის აკლდება სათვალავში. შარშან, ჩემ იქ ყოფნის დროს ფოკელებმა და განძელებმა განძის ხევიდან ერთ დღეს წაასხეს სამი ფარა. წინალამ ხალხი არ ჩაიხოცა, რომ მილიცია შემთხვევით არ ჩარეულიყო საქმეში. ცხვარი დააბრუნეს, მაგრამ სათვალავში დააკლდათ. ბუქურაულებს ერთ სეტყვის დროს ჩაუვიდათ ცხვარი გორელოვკის საბაროში, რის გამოც წაართვეს მათ 30 ცხვარი. რომ ჯარიმა მალ-მალ იყოს და დიდიც იყოს. ზოგი სოფელი ბინებთან ახლო სთესამს ყანას. მაგ. განძის ხევზე ზემო მაჩხაანელების (სტეფანე იაკობაშვილი, ნიკა ჯანაშვილი, ლევან ნატროშვილი) ბინების წინ, ათი საჟენის მანძილზე, სასოფლოდ მოხნეს ერთი დღიური მიწა, რომელიც ბინების წინ გძლად, ლენტივით არის გადაჭიმული. სიმაღლის გამო აქ ხორბლეული არ მოდის და ახ-

*) იხ. ი. ქვანიას წერილი — Экон. вест. Закавк. № 6 — 1925 წ.

ლო-მახლოც არსად არა სთესავენ, მაგრამ ეს პატარა ნაჭერი განძელებს შემოსავლის წყაროდ აქვთ გადაქცეული. ამისთანა დეფექტი აქვს თითქმის ყოველ საძოვარ მთას. იწერება აუარებელი ოქმები, ძალიან ხშირად სრულიად უკანონოები, იყვლიფებიან მეცხვარეები და ცხვარი კი იჟლიტება. შემდეგ—შემოდგომით ადრე წამოსვლა შირაქში შეუძლებელია, რადგანაც ბარში ცხელა. მთის მწვერვალებზე ადრე ცივდება და თოვლიც მოდის. ცხვარი იძულებულია დაბალ ზონაში ჩამოვიდეს, რომელიც ეკუთვნის სოფლებს. ამ ალაგებში ამ დროს ბალახი უკვეა გათიბული, წასახდენი არაფერია, მაგრამ სოფლები შიგ არ უშვებენ ცხვარს უფულოდ. მაგ. შარშან სოფ. სათხემ 15 სექტემბრიდან ამისთანა ალაგი მიაქირავა ფშავლების სამ ბინას (პავლე ბეწუკლიშვილს, სინკა ბოჩინაშვილს და იოსება ქისტაურს) 33 ფ. მატყლად. ვიდრე თვითონ მეცხვარეებმა ურმით არ ჩაუტანეს მატყლი სოფელში, ცხვარი არ შეუშვეს. მეცხვარეებმა სთხოვეს ქვითარი, მაგრამ არ მისცეს. ცხვარი იქ იდგა მხოლოდ 20 დღე. ზაფხულის დამლევს მაზრის აღმასკომმა დაადგინა, რომ ვინაიდან საბარო ალაგები, რომლებიც მთლიანად სოფლების ხელშია (უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს ალაგები სოფლებისთვის აუცილებელ საჭიროებას არსად არ წარმოადგენენ) აუცილებლად საჭიროა მეცხვარეებისთვის შემოდგომის პირზე, როცა წასახდენი არაფერია და მალე ამ ალაგების საცხვრე ბალახი თოვლმა უნდა მოიტანოს ქვეშ, მეცხვარეებზე გაქირავდეს დესეტინა საფონდო მიწისა—15 კაპ. და სანადელო—25 კაპ. გლეხკომის სასარგებლოდ. სამწუხაროდ ეს დადგენილება დადგენილებადვე დარჩა და სოფლელებმა დესეტინაზე გადაახდევინეს მწყემსებს 1—2 მანეთამდე. ასე მოექცა მაგ. ლილოელებს სოფ. მამზარა, ნორიელებს—სოფ. ხანჩალო და სხ.. ამის გამოა, რომ შარშან მეცხვარეებმა ახალ-ქალაქის სამაზრო ფინანსიურ განყოფილებაში საბალახოსი შეიტანეს 82.000 მან., შემოდგომის 2—3 კვირაში კი სოფლელებს მისცეს არა ნაკლებ 50.000 მანეთისა. ნათქვამიდან სჩანს, თუ ვინ უნდა ემდუროდეს მიწის მომწყობ კომისიას და ვინ განიცდის მიწის მწვავე კრიზისს.

(გაგრძელება იქნება).

**ლევან ლეონიძე.**

# რას სწერენ მოსკოვის „იზვესტიას“ უკრაინიდან?

**(გადმოთარგმნილი „იზვესტია“-ს ამ. წლის № 157).**

„უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე ამ ჟამად სდგას დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური ამოცანა—ცხოვრებაში გატარება აპრილის კრების დადგენილებათა სახელმწიფო აპარატის გაეროვნების შესახებ.

ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება, რომელიც წამოაყენა ოქტომბრის რევოლიუციამ და რომელიც მიმართული არის მეფის დროის ნაციონალური ჩაგვრის ნაშთების მოსპობისაკენ და მის ნაცვლად თავისუფალ უკრაინის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებისაკენ, ჰპოულობს რესპუბლიკაში შესაფერ ნოყიერ ნიადაგს. უკრაინას ჰყავს გლეხებიდან გამოსული სამრეწველო მუშათა საკმაო კადრები, რომელნიც კარგად იცნობენ თავის სოფელს და მის ზნე-ჩვეულებას; უკრაინის კომუნისტური პარტიის საგრძნობი ნაწილი შესდგება უკრაინელებისაგან და კომუნისტური ახალგაზრდობის სამი მეოთხედ ნაწილს შეადგენენ ისევე უკრაინელები.

საბჭოთა აპარატის გამოკვლევა-შესწავლამ დაგვანახვა, რომ აპარატის გაეროვნება ხდება მუშების და მოხელეების უმრავლესობის დახმარებით და თანაგრძნობით, რომ, თუ ვინმე უწევს წინააღმდეგობას ამ გაეროვნებას, მხოლოდ აპარატის ზედა-ფენები, მცირე ნაწილი პასუხისმგებელ პირთა და ზოგიერთა სპეცებისა, ისიც წინააღმდეგობას პასიურს.

სახელმწიფო აპარატის დაბალი საფეხურის ორგანოები, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ გლეხებთან და მუშებთან სავსებით გაეროვნებულია—საქმის წარმოება და სხვა სწარმოებს უკრაინულ ენაზე.

დედა ქალაქი და ცენტრალური ორგანოები ჩამორჩენილნი და თითქმის მოწყვეტილნი არიან პერიფერიებს, თითქოს მათ შორის საერთო არაფერი არ იყოს.

ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლად უკრაინაში, მოსასპობად იმ უნდობლობისა, რომლითაც გამსჭვალული იყო უკრაინის მუშა და გლეხი ყოფილ დიდმპყრობელ, მჩაგვრელ ნაციის პროლეტარიატისადმი, მოისპოს კონსერვატიზმი და პასიობა ამ საკითხში და დაიძაგროს ყველა კომუნისტური ძალები, რათა შეთვისებულ იქნას ყველას მიერ ენა თუ კულტურა უკრაინის ხალხის უმრავლესობისა.

საბჭოთა უკრაინის ხელისუფლება აქამდის რბილად იქცეოდა გაეროვნების საკითხში, იმ პირთ, ვინც არ იცის უკრაინული ენა, რამოდენიმე ვადა დაუნიშნა მის შესასწავლად და გაეროვნების საბოლოვოდ გასატარებლად. ეხლაც დანიშნულია ასეთი ვადა 1926 წ. პირველ იანვრისათვის და ეს ვადა უნდა იყოს და იქნება კიდეც უკანასკნელი.

უკრაინიზაციის საბოლოვოდ გასატარებლად მიღებულია პრაქტიკული ზომები.

მთელი სახელმწიფო აპარატი ზევიდან დაბალ საფეხურამდის გადის უკრაინის ენის და კულტურის კურსებს ორი სახისას: 3 თვიანს იმათთვის, ვინც სუსტად იცის ადგილობრივი ენა და 6 თვიანი, ვინც სრულებით არ იცის იგი. ახალი წლისათვის არ უნდა იყოს არც ერთი კაცი, ვისაც არ ეცოდინება ენა. ჯიუტი საბოტაჟნიკებიდან დანიშნულ ვადაზე განთავისუფლებული იქნება სახელმწიფო აპარატი.

ყველა ცენტრალურ დაწესებულებებში ამ ჟამად საქმე სწარმოებს უკრაინულ ენაზე და თავის მიწერ-მოწერაში ხმარობენ სამშობლო ენას. პროფესიონალურ ორგანიზაციებს შემუშავებული აქვთ გეგმა და ანხორციელებენ კიდეც უკრაინის ისტორიის და კულტურის სწავლების შესახებ. წითელ ლაშქარშიაც ნაწილობრივ უკვე შემოღებულია ადგილობრივი ენა და პირველ იანვრისა-

თვის სრულიად გატარებული იქნება უკრაინიზაცია. სასწავლებლებიც ეროვნულ ენაზე ამზადებენ სპეციალისტებს, ტეხნიკებს, დაწესებულებათა მოხელეებს და მალე სახელმწიფო აპარატს ეყოლება კვალიფიციური მუშები. დაბალი საფეხურის სასწავლებლები მთლად გაეროვნებულია. ცოტა სიძნელეს წარმოადგენს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების გაეროვნება, რადგანაც ზოგიერთი მეცნიერული საგნებისათვის (მედიცინა, ტეხნიკა) ჯერ შემუშავებული არ არის შესაფერი ტერმინოლოგია, მაგრამ ამ სფეროშიაც ბევრი რამ კეთდება—იბეჭდება სატერმინოლოგიო ლექსიკონები და სხ.

იმედი გვაქვს დანიშნულ ვადისათვის შესრულებული იქნება ძირითადი ამოცანა და საბჭოთა თუ პარტიული ორგანოები გაეროვნებული იქნებიან“.

ვ. ორდინსკი.

**რედაქც.** უსურვოდ მოკავშირე უკრაინას მალე და უვნებლად დაემთავრებიოს თავისი ეროვნული საქმე.

# გურულ გლეხობის გაჭირვების უმთავრესი მიზეზი

რამდენათ გურია განათლებით და კულტურის მხრივ დაწინაურებულია, იმდენათ ის ეკონომიურათ ღარიბია და ჩამორჩენილი.

აქაური მშრომელი გლეხ-კაცობა შედარებით დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის. ალაგ-ალაგ მიწის სივიწროვე. ნიადაგის სიმწირე-უარგისობა, მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო კულტურის ჩამორჩენილობა, ქრონიული მალიარია ყოველივე ეს ხელ-ფეხს უკრავს გურიის გლეხობას, წელი მოიმაგროს და ნივთიერათ მოღონიერდეს.

ამ მხარის უბედურების უმთავრესი წყაროა-მალიარია-ციებ-ცხელება, რომელიც აქ გარდაუვალათ მძვინვარებს.

ჰავა აქ სველია და ნოტიო.

ხშირია წვიმიანი ტაროსი..

ამიტომაა, რომ გურიაში-განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში-ხშირია ჭაობიანი ადგილები, რაიც ხელს უწყობს მალიარიის გავრცელებას.

საუბედუროთ თუ საბედნიეროთ ეს ჭაობიანი ადგილები-ამ ცუდი თვისების მიუდავათ-ხალხი ყოველ-მხრით აწყდება, იღებენ საყანეებს და მთელი ზაფხული შიგ ტრიალებენ.

აქ კი ისინი იძენენ მალიარიას, რაიც საშინელი სისწრაფით ვრცელდება მუშა გლეხობის წრეებში და მხარეს განსაცდელში აგდებს.

ამ მხრივ ზაფხულობით გურიაში პირდაპირ ჯოჯოხეთური პირობებია.

ამ დროს აქ იშვიათად ჰპოებთ ისეთ ოჯახს, სადაც მალიარიით სნეული არავინ იყვეს; იშვიათი არაა ისეთი შემთხვევები, როცა აქ მთელი ჯალაბობაა ავად და მომვლელი არავინა ჰყავთ... ამიტომ ამ მალიარიის ნიადაგზე გურიაში ფეხს იკიდებს და საშინელი სისწრაფით ვრცელდება ყოველგვარი ავადმყოფობა განსაკუთრებით ჭლექი. აქედან ადვილი ასახსნელია, თუ რატომაა გურული გლეხი აგრე ჯან-სუსტი, ფერ-მკრთალი...

ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშროს ის გარემოებაც, რომ გურიის პერიფერიულ, შორეულ-მივარდნილ თემებში საექიმო დახმარების საქმე ვერა სდგას სასურველ სიმაღლეზედ.

ყველა ამაებს თუ მიუმატებთ კიდევ იმ გარემოებას, რომ ადგილობრივ გლეხკაცობის ფართე, დაბალ წრეებში საერთო კვების პირობები (ბევრგან) ერთობ ცუდია, მაშინ ნათელი გახდება გურიის ფიზიკური გადაშენების საფრთხის მოსალოდნელობა.

ამ ბოროტების უმთავრესი წყაროა—როგორც ზემოთ აღვნიშნეთ-სწორეთ ეს ჭაობიანი ადგილები, რომლითაც ეგზომ მდიდარია გურია.

საჭიროა და აუცილებელი მის წინააღმდეგ ენერგიული, გეგმიური ბრძოლის ცხოველი კამპანია, ასეთი ადგილები უნდა დაიცხრილოს არხების ფართე ქსელით (კანალიზაცია), რომ ამ გზით შევაიწროოთ ამ ჭაობიან ადგილების გამანადგურებელი გავლენის-ასპარეზი.

არის აგრეთვე ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ხერხიც.

გურიაში, როგორც ვიცით, დიდათ გავრცელებულია ერთგვარი ხის ჯიში „თხმელა“, რომელიც იზრდება და ხარობს სწორეთ ჭაობიან ადგილებში.

იშვიათი არაა აქ ასეთი ხეების (თხმელასი) მთელი ტყეები, რომელსაც ვენახის მეურნეობაში გამოყენების მიზნით (ცნობილია, რომ გურიაში ვენახს-მაღლარს უმთავრესად „თხმელა“-ზედ აშენებენ) ხშირათ ხელოვნურათაც კი აშენებენ. სადაო როდია, რომ თხმელა უზომოთ მავნე ხეა, როგორც საკუთარ სპეციფიურ თვისებებით, აგრეთვე იმ მხრივაც, რომ ის დიდათ უწყობს ხელს ჭაობიან ადგილების გამრავლებას, ხოლო ეს უკანასკნელი მალიარიას, რომელიც გურიის ხალხის ჯანმრთელობას საფრთხეში აგდებს. საჭიროა მის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები; ეს მავნე ხეები შეძლებითა და საჭიროების მიხედვით (რამდენათ ეს ვენახის მეურნეობას დიდათ არ ავნებს) უნდა აიჭრას-შემცირდეს.

ამის სასარგებლოთ ამ 5-6 წლის წინათაც იყო გადადგმული შესაფერი ნაბიჯები, რამაც ეჭვი არაა სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

ამ ხაზზე უკანასკნელ წლებში არაფერი გაკეთებულა.

საჭიროა კი ამ მოვლენის წინააღმდეგ ენერგიული, სისტემატიური ბრძოლა... უნდა ვაწარმოოთ სოფლათ ფართე აგიტაცია, უნდა ჩავაგონოთ და დავარწმუნოთ ხალხი-ამ ხის მისი ჯანმრთელობისათვის მავნებლობაში.

მის წილ უნდა გავამრავლოთ კულტურული ჯიშის ხეები, რომელიც თხმელას მოუსპოს იმ სამეურნეო ფუნქციასაც, რომლის სახელით მას ხშირათ ამრავლებენ, აშენებენ.

ყოველივე ამას საჭიროა დროით ანგარიში გაეწიოს და გადაიდგას ამ ხაზზე მტკიცე ნაბიჯი, ნაბიჯი, რითაც ჩვენ შევსძლებთ ბოლო მოუღოთ გურიის გლეხობის მასსიურ უბედურების უმთავრეს წყაროს და მით ვიხსნათ მხარე მოსალოდნელ ფიზიკურ გადაშენების საფრთხის ბრჭყალებისაგან.

ეს საქმე დაყოვნებას არ ითმენს აქ საჭიროა საზოგადოებრივ ორგანოების თანაგრძნობა და ხელისუფლების მზრუნველი, ენერგიული ხელი.

კარპ. დონაძე

# მეაბრეშუმეობა საქართველოში

საქართველოს არც ერთი კუთხისთვის მეაბრეშუმეობა არ წარმოადგენს სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგს. ის ასრულებს მხოლოდ დამხმარე როლს. სოფლის მეურნის ბიუჯეტში. მიუხედავათ მეორეხარისხოვანი როლისა მეაბრეშუმეობას მაინც დიდი მანიშვნელობა ჰქონდა და აქვს სსგლეხო წარმოებაში ნამეტნავად დასავლეთ საქართველოში. მისი მნიშვნელობა მით უფრო საგრძნობია ჩვენი გლეხისთვის, რომ აბრეშუმის მოვლას მისდევს უმთავრესად ქალი, ე. ი. გლეხის ოჯახის ის ნაწილი, რომელიც ისტორიული და კულტურული პირობების გამო სოფლის მეურნეობაში მინდვრის მძიმე მუშაობას არ ეწევა.

თვითონ მეაბრეშუმე ოჯახი წელიწადში საშუალოდ აკეთებს 50 მანეთამდის, რაიც შეადგენს გლეხის წლიური შემოსავლის ერთ მეექვსედს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, 1) რომ ამ საქმეს თითქმის არავითარი ხარჯები არ უნდა, გარდა ზოგიერთ შემთხვევაში ჰიის თესლის შეძენისა, და 2) რომ აბრეშუმის მოყვანის სეზონი გრძელდება რაღაც ორი, ორთვე ნახევარი,—უნდა ვსთქვათ: აბრეშუმის დამუშავება ფრიად სასარგებლო და მომგებიანი წყარო ყოფილა ჩვენი გალატაკებული გლეხისთვის.

შემდეგში კი, როდესაც საქართველოში განვითარდება საფეიქრო წარმოება და კოოპერატიულად მოეწყობა აბრეშუმის პარკის მოვლა-დამზადება, მეაბრეშუმეობას მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან გლეხისთვის, ვიდრე ეხლა იძლევა.

რაც შეეხება მეაბრეშუმეობას სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით, თამამად ვიტყვით, რომ მარგანეცის შემდეგ, მას მეორე ადგილი უჭირავს საქართველოში მსოფლიო ბაზარზე გასატან საქონლის სიაში.

რადგანაც ასეთი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მეურნეობაში მეაბრეშუმეობას, ჩვენ განვიზრახეთ „ახალი გზის“ მკითხველებს გავაცნოთ შეძლების დაგვარად მისი მდგომარეობა.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან იმპერიალისტურ ომამდის-საქართველოში ყოველ წლიურად მოჰყავდათ 100-150 ათასი ფუთი ნედლი პარკი.

1915 წლიდან აბრეშუმის მოსავალმა იწყო თანდათანი შემცირება და 1919 წელს მისი რაოდენობა დავიდა 20 ათას ფუთამდის. 1920 წლიდან მეაბრეშუმეობა კვლავ იწყებს გამოცოცხლებას და 1923-24 წლებში იგი თითქმის ავიდა ომის წინადროის ნორმამდის, მაგ. 1924 წელში კი 125 ათასი ფუთი.

რომ ნათელვყოთ, რამდენათ გამოცოცხლდა და კვლავ განვითარდა ჩვენი მეაბრეშუმეობა უკანასკნელ წლებში, მივმართოთ ომის წინა წლების ცნობებს.

ხუთი წლის განმავლობაში, სახელდობრ 1909-1913 წ. წ. საქართველოში დამზადებული იყო 648 ათასი ფუთი ნედლი პარკი, რაიც წელიწადში იძლევა საშუალოდ 129 ათას ფ. შეადარეთ ეს ციფრები 1923 და 24 წლის ციფრებს და დაინახავთ, რომ განსხვავება ძალიან მცირეა. როგორც გაზეთების კორესპონდენტები იტყობინებიან აბრეშუმის რაიონებიდან მიმდინარე წელს აბრეშუმის მოსავალი გაცილებით უკეთესია, ვიდრე იყო შარშან, მაშასადამე აბრეშუმის წარმოება ჯერ-ჯერობით მიდის აღმავალი ხაზით, და დარწმუნებული უნდა ვიყოთ ასეთი ტენდენცია შერჩება მას, თუ რასაკვირველია შესრულებული იქნება რამოდენიმე პირობა.

აბრეშუმის წარმოებაში პირველ მომენტს წარმოადგენს ჰიის თესლის დამზადება. საჭიროა თესლი იყოს შეფარდებულ ადგილობრივ პირობებთან, საკმაო რაოდენობის და თავის დროზე იქნას დარიგებულ მეაბრეშუმეთა შორის. ხშირად ამ პირობების შეუსრულებლობა აფერხებს და ვნებს აბრეშუმის მოყვანას. ხან უვარგისი თესლი ურიგდება მწარმოებლებს, ხან საჭირო რაოდენობისა ვერ მზადდება, ხან კი თესლი ნაწილდება დაგვიანებით, ე. ი. როდესაც ჰიამ უკვე იწყო გამოსვლა კოლოფშივე.

ნორმალურ წლებში ჩვენი მეაბრეშუმეთათვის საჭირო იყო 115-120 ათასი კოლოფი ჰიის თესლი (კოლოფში 6 მისხალია). ხუთი წლის განმავლობაში 1909-1913 წ. წ. მწარმოებელთა შორის ჩვენში განაწილებული იყო 577 ათასი კოლოფი თესლი, წელიწადში საშუალოდ მოდის 115 ათას კოლოფზე ცოტა მეტი. 1924 წელში 104 ათასი კოლოფი, ე. ი. 11 ათას კოლოფით ნაკლები, ვიდრე ომის წინა დროის წლებში. თესლის საჭირო ნორმიდან თვით საქართველოში მზადდებოდა მოსახმარ რაოდენობის 10-20 პროც., დანარჩენი 80 პროც. შემოგვქონდა იტალია-საფრანგეთიდან.

ომის მიმდინარეობის ჟამს, რასაკვირველია, თესლის შემოტანა შეუძლებელი გახდა და ამიტომ ჩვენ იძულებული გავხდით ჰიის თესლის მოსახმარი რაოდენობა აგვეყვანა 50 პროცენტამდის. ომის დასრულების შემდეგ თესლის დამზადება რესპუბლიკაში ისევ დაეცა, მხოლოდ უკანასკნელ წლებში შინ დამზადებულ თესლის რაოდენობა ავიდა ისევ 50 პროც-დის. მაშ ჩვენ კვლავ გვიხდება საზღვარგარეთიდან შემოტანა მთელი მოთხოვნილების 50 პროც-ისა.

გარედან შემოტანილი თესლი მწარმოებელს უჯდება ძალიან ძვირად, რადგანაც მისი დამზადება დავალებული ჰქონდმთ სხვადასხვა შუამავლებს. მაგ. 1922 წ. „ვნეშტორგის“ რომის განყოფილებამ შეიძინა 82 ათასი კოლოფი, კოლოფი დაჯდა 22-25 ფრანკი, ე. ი. 8 მ. და 14 კ.—9 მ. 25 კ. როდესაც ამ წელს კოლოფი შეიძლებოდა შეძენილიყო არა უმეტეს 9 ფრანკისა (3 მ. 33 კ.)

ასე ძვირად შეიძინა 1923 წ. თესლი „არკოსმა“. მან დაამზადა ამიერ-კავკასიისთვის 144 ათასი კოლოფი, თვითო კოლოფი 18-22 ფრ., ანუ 6 მ. და 66 კ.—8 მ. და 14 კ. კოლოფი, როდესაც მისი შეძენა შეიძლებოდა 10-15 ფრ.

1925 წ. თესლის დამზადება იკისრა საქართველოს მიწ. მოქ. კომისარიატმა და. ამხანაგობამ „აბრეშუმმა“ ამის გამო კოლოფი დაჯდა გაცილებით იაფად, ვიდრე წინა წლებში. მაგ. 1924 წ. კოლოფი დაურიგეს მწარმოებლებს 2 მ. 80 კ. 1925 წ. კი—2 მ. 50 კ. (ომის წინა წლებში კოლოფი ეძლეოდათ გლეხებს 2-3 მანეთად). აქედან სჩანს, რომ თესლის თვითღირებულებაშიაც მივაღწიეთ ომის წინა დროის ნორმას.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ 1923 წ. მოყვანილი იყო საქართველოში 100 ათასი ფ. ნედლი პარკი, 1924 წ.—

125 ათასი ფუთი. მიმდინარე წელს მოსალოდნელია უფრო მეტი მოსავალი. აბრეშუმის მოსავლის შემდეგი განვითარებისთვის აუცილებელი ხდება ჰიის თესლის საკმაო რაოდენობის გარდა აგრეთვე საკმაო რაოდენობის საკვები—თუთის ხე. თუ ეს საკვები არ გვეყო შეუძლებელია ოცნებაც კი შემდეგ განვითარებაზე.

როგორც ვიცით მიწად-მოქმედების კომისარიატმა ჯეროვანი ყურადღება ამ საკითხსაც უწილადა და თავის ხუთ წლიან საპერსპექტიო გეგმაში თუთის პლანტაციების გამრავლებას ჯეროვანი ადგილი დაუთმო.

ომის წინა წლებში აბრეშუმის პარკის მთელი მოსავლის 10-20 პროც. მიდიოდა ჰიის თესლის დასამზადებლად მომავალი წლისთვის; დანარჩენი პარკის ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მზადდებოდა საზღვარ გარედ (მილანი, მარსელი) გასატანად—საშუალოდ წელიწადში გადიოდა 30-40 ათასი ფ. ხმელი პარკი, ნაწილი კი ადგილობრივ საჭიროებისთვის იხმარებოდა ძაფად თუ ქსოვილებად.

1919 წ. საქართველოში გამოცხადებული იყო აბრეშუმის პარკზე მონოპოლია, რომელსაც ატარებდა ცხოვრებაში „ცეკავშირი“. მონოპოლიამ და „ცეკავშირის“ არა რაციონალურმა მუშაობამ ცოტა არ იყოს დასცა აბრეშუმის წარმოება. ამას მოჰყვა გლეხკაცობის უკმაყოფილება. აღიძრა საკითხი მონოპოლიის მოსპობის შესახებ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 1924 წლის მარტში.

ამის შემდეგ წამოიჭრა საკითხი აბრეშუმის კოოპერატიულად წარმოების და დამზადების შესახებ. ამ მიზნით დაარსდა ამხ. „აბრეშუმი“, თანახმად საქ. სახკომის საბჭოს 1924 წ. 10 მარტის დეკრეტისა.

ამხანაგობის მიზანია: 1) დაამზადოს და მიაწოდოს აბრეშუმის მწარმოებელთ საჭირო საწარმოო მასალები, 2) ხელი შეუწყოს წარმოების განვითარებას სათანადო ცოდნის გავრცელებით ხალხში და მწარმოებლებში, 3) პარკის დამზადება, გადამუშავება და ხელსაყრელ ფასებში გასაღება.

ამხანაგობამ ჯერ-ჯერობით პირნათლად შეასრულა თავის ვალდებულება მწარმოებელთა წინაშე: თავის დროზე გაანაწილა საჭირო თესლი და შეუდგა პარკის მოსავლის დამზადებას. პარკს ამხანაგობა ახარისხებს ორნაირად. პირველხარისხის პარკში იხდის 18 მანეთს ფ., მეორე ხარისხისაში კი 16 მ. ამავე დროს „ზაკსოიუზი“ (ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირი) დამზადებულ პარკში იხდის აფხაზეთში არა უმეტეს 16-17 მანეთისა ფუთში.

რასაკვირველია, მწარმოებლისთვის ხელსაყრელია მიატანოს ამხანაგობა „აბრეშუმს“.

**ვლ. ბაკურაძე.**

---

# მუშათა კომისიის წარმომადგენელი ბაქოს ქართველთა კოლონიაში

სამი თვე შესრულდა, რაც ბაქოში მცხოვრები ქართველები სცდილობენ გაეცნონ მუშათა კომისიის მიზანსა და მუშაობას; სამჯერ კაციც გამოგზავნეს თბილისში კომისიასთან და თხოულობდენ კომისის წევრს მოხსენების გასაკეთებლად და ძლივს-ძლიობით მიაღწიეს მიზანს.

ბაქოში ამ ჟამად ორი ათასამდის ქართველი სცხოვრობს—მუშა, მოხელე და წვრილი ვაჭარი. მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ერის ხალხი სარგებლობს აძერბეიჯანში ყოველგვარი უფლებებით და ხელისუფლების ყურადღებით თვისი ეროვნულ-კულტურული მუშაობისათვის, ქართველობას ვერ მოუხერხებიათ ეს პირობები გამოიყენონ შესაკავშირებლად და კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად. ბაქოში ნახავთ ებრაელების, სომხების, პოლონების, გერმანელების და სხ. კოლონიებს, სადაც წევრები მჭიდროდ არიან შეკავშირებული და თავისუფლად ეწევიან ეროვნულ-კულტურულ მუშაობას. ქართველებს, თუთცა მეტი ძალა შესწევთ, აქვთ ტრადიცია, მოეპოვებათ ძველად დარჩენილი კულტურული დაწესებულებები, როგორც სკოლა, თეატრი, სადაც შეუძლიანთ თავის მოყრა, ამოძრავება, კულტურული მუშაობის გაჩაღება, მაგრამ მათ რაღაც უილაჯობა ეტყობათ, რიღაცის ეშინიანთ, ერთი სიტყვით; შემდგარ გუბესავით ჟუმოძრაოდ სხედან.

ათას ცხრაას პირველ წლებში, როგორც ვიცით, ბაქოში ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა სასწავლებელი, სასწავლებელს მოჰყვა თეატრის აშენება. ამ ორ დაწესებულებათა გარშემო გაჩაღდა კულტურული მუშაობა. მუშაობას აწარმოებდა ჯერ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება, სადაც შედიოდენ ბაქოს შეძლებული ქართველები. სისტემატიურად იმართებოდა წარმოდგენები, სალამოები, რომელნიც იზიდავდენ აძერბეიჯანის მსხვილ ბურჟუაზიას. შკოლის საქმეც საუკეთესოდ იყო დაყენებული. სწავლა სწარმოებდა ქართულად. სასწავლებელი უზრუნველ ყოფილი იყო სასწავლო ნივთებით, წიგნებით და სხვა.

მუშაობა ამ დაწესებულებათა ირგვლივ უფრო გაცხოველდა, როდესაც ბაქოს ქართველთა დემოკრატიულმა ნაწილმა შეიტანა თეატრის და სკოლის გამგეობაში თვისი ენერგია და დემოკრატიული აზრი. მას ამის გამოცდილება და უნარი ჰქონდა მოპოებული არალეგალურ მუშაობაში ბაქოს მაშტაბით. თეატრში გაჩნდა მსახიობთა მეორე დასი, რომელიც სცენაზე სდგამდა პროლეტარიატის გასაგებ წარმოდგენებს. სკოლა შეიქნა რევოლიუციონურ აღზრდის ლეგალურ დაწესებულებათ. ქართველთა საზოგადოება შეიქნა ბაქოში კულტურულ ძალად არა მარტო ქართველებისათვის.

რას ვხედავთ ეხლა? თუ არსებობს თეატრი, ჯერ ერთი, ინერციით, მეორე მისი რეჟისორის მატარაძის მეოხებით. თუ არა ამხ. მატარაძე, ქართული თეატრიც ჩავარდებოდა იმ გარემოებაში, როგორშიაც იმყოფება ქართული სასწავლებელი. მართალია, თეატრში იდგმება წარმოდგენები, მაგრამ საზოგადოება გულ-გრილად ეკიდება თეატრის საქმეს. მას, წარმოიდგინეთ, ეშინიან (!) თეატრში წასვლა. ამიტომაც თეატრს სალსარი არა აქვს. აძერბეიჯანის მთავრობამ დაადგინა ერთდროული დახმარება აღმოეჩინა მისთვის 300 მანეთით, მაგრამ ეს ფული თეატრმა ვერ მიიღო. თეატრს აუცილებლივ ესაჭიროება ქართველი საზოგადოების და საქ. რესპუბლიკის ნივთიერი დახმარება.

სკოლა გავერანებულია. მისი გამგე, ეტყობა, ქართული სკოლისთვის შეუფერებელია, ვინაიდან, ჯერ

ერთი, მან ქართული არ იცის გვარიანად და, მეორე— არცა სწამს ქართულ ენაზე სწავლება: ასეთ რწმენას ის ასე ასაბუთებს: ბავშვებს ქართული ენა კი არ ესაჭიროებათ, არამედ რუსული, რუსული ცოდნა აშოვნინებს მათ ლუკმა პურსო. ბავშვების მშობლები—ხარაზები, თერძები, მეხაშეები, მუშა-მოსამსახურენი და წვრილი ვაჭრები თხოულობენ, რომ მათმა შვილებმა საფუძვლიანად ისწავლონ ქართულ ენაზე და არა საყველ-პუროდ. ჩვენ ბაქოში დროებითი მცხოვრებნი ვართ—ამბობენ მშობლები—ჩვენი მუდმივი საცხოვრებელი საქართველოა, ჩვენი შვილებიც ქართულად უნდა აღიზარდნენ, რათა თავის ქვეყანაც გამოადგნენო.

გარდა გამგისა სკოლაში ორი მასწავლებელი კიდევ არის და აი ამ ქართული სკოლის მასწავლებლებმა სრულებით არ იციან თავის მოწაფეების ენა. განა მოსათმენია, შესაწყნარებელია!?

სასწავლებელს არა აქვს საკმაო ქართული წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები.

ადგილობრივი ხელისუფლება ეხმარება სკოლას მასწავლებლების ჯამაგირებით, სკოლის რემონტის ხარჯებით და სხვა...

24 ივნისს ქართველთა კოლონიის გუბე შეინძრა, ახმაურდა. წინა დღეებში ბაქოს ეწვია მუშათა კომისიის წევრი მ. ძამანაშვილი. მან ბაქოელ ამხანაგებს გააცნო თავის ჩასვლის მიზანი. დაფაცურდენ ბაქოელი ამხანაგები, შესდგა საინიციატივო ჯგუფი. ჯგუფს უნდა მოეწყო ქართველების საერთო კრება, რომელზედაც მ. ძამანაშვილი გააკეთებდა მოხსენებას მუშათა კომისიის მუშაობის შესახებ საინიციატივო ჯგუფის წინასწარ მუშაობაში მიიღო მონაწილეობა თვით ძამანაშვილმაც. მიმართეს ადერბეიჯანის ცაკს. რომელმაც დიდი თანაგრძნობა და დახმარება აღმოუჩინა ქართველებს. მიღებულ იქნა კრებისთვის სათანადო ნებართვა. ეხლა საჭირო იყო ეცნობებინათ სხვა და სხვა კუთხებში გაფანტულ ქართველებისთვის კრების მიზანი, დღე და დღის წესრიგი. ჯგუფმა მოინდომა ფურცლების ქართულად დაბეჭდვა და გავრცელება კოლონიაში, მაგრამ, საუბედუროდ, ქართულის მცოდნე ასოთ-ამწყობი ვერ იშოვეს. ჯგუფი იძულებული იყო ადგილობრივ რუსულ გაზეთში „ბაკინსკი რაბოჩი"-ში მოეთავსებინა კრების მოწვევის განცხადება დღის წესრიგის აღნიშვნით. განცხადებამ მიზანს სავსებით ვერ მიაღწია, ჩემის აზრით, იმიტომ, რომ ხალხი ძალიან დამფრთხალი, შეშინებულია ვინც მოდიოდა კრებაზე იჭვნეულობდა, აქეთ იქით იყურებოდა, კითხულობდა: „კრება ნება დართულია, თუ არა"-ო. მაინც კრებაზე მოგროვდა 350 კაცამდის.

კრება გაიხსა 24 ივლისს. კრების თავმჯდომარეთ არჩეული იყო ამხ. ე. დიდიძე, მის ამხანაგათ ლანდია, მდივნათ მ. ცინცაძე. პირველი სიტყვა მიეცა მ. ძამანაშვილს, რომელმაც მოხსენების წინასწარ მისასალმებელი სიტყვით მიმართა ბაქოს ქართველთა კოლონიას.

თავის მოხსენებაში ამხ. ძამანაშვილი შეეხო თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციებს, დაასურათა მათი შინაარსი დადებითი და უარყოფითი მხარეები; შეეხო აგრეთვე საქ. ს. დ. პარტიის მუშაობის ისტორიას, დაჰგმო მისი ომის დროის და შემდეგი ტაქტიკური ნაბიჯები და მოუწოდა კრებას უკუაგდონ ეს ტაქტიკა, დაუჭირონ მხარი საბჭოთა ხელისუფლებას და შეუდგენ მასთან ერთად კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ მუშაობას გულწრფელად და ენერგიულად.

მოხსენების შემდეგ დამსწრეები იძლევიან სხვა და სხვა შეკითხვებს წერილობით, რომელზედაც მომხსენებელი აძლევს განმარტებას და პასუხს.

შემდეგ პრეზიდიუმი უდგენს კრებას შემდეგ რეზოლიუციას, რომელიც უცვლელად იქნა მიღებული.

რეზოლიუცია:

ბაქოს ქართველ კოლონიის ყოფილ მენშევიკების და უპარტიოთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება მუშათა კომისიის თავმჯდომარეს ამხ. მ. ძამანაშვილის საქართველოში უკანასკნელი გამოსვლის შესახებ, მუშათა კომისიის მუშაობაზე როგორც საქართველოში, აგრეთვე მისი მოგზაურობის დროს რუსეთში გადასახლებულებთან წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ დაადგინა: 1) საქართველოში უკანასკნელი შეიარაღებული გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიაჩნია ყოვლად დაუშვებლად და დამღუპველად ქართველ ხალხისათვის, რომელმაც აშკარად და სამართლიანად უწოდა მას ავანტიურა და გამოსთქვა ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ბაქოს ქართველობა ერთსულოვნად ღებულობენ საქართველოს მუშათა ცენტრის 7—8 ოქტომბრის კრებაზე მიღებულ რეზოლიუციას, სრულიად შეგნებით იზიარებენ მას და სდგებიან მუშათა კომისიის მიერ არჩეულ გზაზე. 2) იწონებენ მუშათა კომისიის მუშაობას და გამოსთქვამენ სრულ იმედს რომ შემდეგშიაც არ დაიშურებენ ძალას და ღონეს რომ განაგრძონ ასეთივე გზით მუშაობა ქართველი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. 3) მუშათა კომისიამ მიიღოს ყოველი ზომები გააბას კავშირი ემიგრანტებთან, რომ გააცნოს „ახალი გზის" შეხედულება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე, დაარწმუნოს ისინი რომ დაბრუნდნენ სამშობლოში და საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად იმუშაონ ქართველი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

4. ამასთანავე კრება სიხარულით აღნიშნავს გადასახლებულთა უმრავლესობის სამშობლოში დაბრუნებას იმ შეხედულებით და რწმენით რომ ისინი მიეცემიან მშვიდობიან შემოქმედებითი მუშაობას საქართველოს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ არსებულ პირობების ნიადაგზე.

5. საერთო კრება მოუწოდებს აზერბაიჯანის დედა ქალაქში მცხოვრებ ქართველ მუშებს და მშრომელ ინტელიგენციას ჩაებან კულტურულ. ეკონომიურ და პოლიტიკურ მუშაობაში აზერბაიჯანის მშრომელ ხალხთან ერთად იბრძოლონ საერთაშორისო მუშათა კლასის გამარჯვებისათვის და იცოდეს ყველამ რომ ქართველი მუშა და მშრომელი ინტელიგენცია მუდამ იქნება ინტერნაციონალურ დროშის მატარებელი.

გაუმარჯოს ს. ს. ს. რესპუბლიკას.

გაუმარჯოს ს. ს. რ. კავშირს.

გაუმარჯოს III ინტერნაციონალს.

თავმჯდომა კრების დიდიძე.

მდივანი მ. ცინცაძე

კრება ადგენს პრეზიდიუმმა მისალმებით მიმართოს ადერბეიჯანის ციკს, ცეკას და სესიას.

დაბოლოს კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა მუდმივი კავშირი იქონიოს ცენტრალურ მუშათა კომისიასთან.

კომისიაში იქნა არჩეული 3 კაცი და ორი კანდიდატი წევრები: დიდიძე (თავმჯდომარე), ამ. ლანდია, მ. ცინცაძე (მდივანი), კანდიდატები: გ. მატარაძე, ქოჩიაშვილი.

კრებამ დაავალა ამხანაგ ძამანაშვილს იშუამდგომლოს საქ. მთავრობის წინაშე სკოლის, თეატრის და სხვა ეროვნულ კულტურულ დაწესებულებათა მოგვარების და ნივთიერ დახმარების შესახებ.

# ქრონიკა

(კვირიდან—კვირამდე).

## ადგილობრივი ცხოვრება

**რძის გადამმუშავებელი ქარხანა.** საქ. მიწად მოქმ. კომისარიატმა სოფელ მლეთში (დუშეთის მაზრა) დაარსა რძისა გადამუშავების საჩვენებელი ქარხანა, სოფლის მცხოვრებლები ქარხნის საშუალებით ეცნობიან რძისა და მის პროდუქტების რაციონალურად დამზადების წესებს.

**მესაქონლეობის არტელი.** მიწად მოქ. სახ. კომისარიატისავე ცნობით, სოფ. გუდაურში (დუშეთის მაზრა) დაარსდა მესაქონლე-მერძევეთა არტელი.

ვინც იცნობს ამ სოფლების მდებარეობას დ̃ნ მცხოვრებთა მეურნეობას, მისთვის ადვილი გასაგებია, რა კულტურულ-ეკონომიური მნიშვნელობა ექნება რძის ქარხანის და არტელის მუშაობას სოფ. მლეთისთვის და გუდაურისთვის კერძოდ და მთიულეთისთვის საზოგადოთ.

**ვენერიული ავადმყოფობები სოფლად.** ამას წინად თბილისში შემდგარმა ექიმთა ყრილობამ აღნიშნა სამწუხარო ამბავი. ჩვენს სოფელში ფეხი მოიკიდა ვენერიულმა ავადმყოფობებმა. ეს სენი გავრცელდა სოფელში მის შემდეგ, როდესაც სახლში დაბრუნდენ დიდი ომის მონაწილე ჯარის კაცები. სენით შეპყრობილნი არიან უფრო ახალგაზდები. ამ საქმეში ყურის წაყრუება უდრის დიდ სახელმწიფოებრივ დანაშაულს.

**აბრეშუმის დამზადება.** დასავლეთ საქართველოში დამთავრდა აბრეშუმის დაამზადების კამპანია.

სულ შეკრებილია 103.000 ფუთი პარკი, მაშ მოსავალი უფრო მეტი უნდა იყოს.

**აბრეშუმის ფაბრიკა.** ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით სამტრედიის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა დროებით გადაეცა ამხანაგობა „აბრეშუმს“.

„აბრეშუმს“ დაევალა სასწრაფოდ აამუშაოს ფაბრიკა, რისთვისაც საზოგადოებას გაეხსნა სათანადო კრედიტი.

**სამრეწველო ბანკის სააგენტოები.** სამრეწველო ბანკის სრულიად საქართველოს კონტორას ნება მიეცა გახსნას თავისი სააგენტოები ჭიათურაში და ფოთში.

**კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება.** ჩვენი მრეწველობა იზრდება კვალიფიციური ხელი კი საკმაოდ არა გვყავს, იძულებული ვართ მუშა-ხელი სხვა კუთხეებიდან მოვიწვიოთ. საჭირო შეიქნა პროფესიანალურ-ტეხნიკური კურსების გახსნა. 1924 წ. ივნისში დაარსდა დაზგაზე მომუშავეების გადასამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ კურსებზე სხვადასხვა კავშირებიდან გაგზავნილი იყო: მელითონეები 28 კაცი, რკინისგზელები 17 კ. კომუნალური დარგის მუშაკები 7 კ., ტრანსპორტის მომუშავენი 9 კ. საბჭოთა მოსამსახურენი 3 კ.

კურსებს აქვთ კარგათ მოწყობილი ქიმიური ლაბორატორია და ლითონების მდიდარი მუზეუმი.

ამ წლის 28 ივლის მოხდა კურსანტების პირველი გამოშვება. კურსები დაამთავრა 15 კაცმა, რომელთაგან 4 შევიდა მუშფაკში, დანარჩენები კი დაუბრუნდენ წარმოებას.

საჭიროა კურსების გაფართოვება.

**პურის იმპორტი ამიერ-კავკასიაში.** ა.-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა მომავალ 1925-26 საანგარიშო წელში რუსეთიდან შემოტანილ იქნეს ამიერ-კავკასიაში 16 მილიონი ფუთი.

შარშან მოუსავლობის გამო შემოტანილ იყო მხოლოდ 9 მილიონამდის ფ. პური.

**სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა.** სახელმწიფო გამომცემლობა შემოდგომისთვის გამოუშვებს ქართველ კლასიკების ნაწარმოებთ. მოკლე ხანში დასრულებული იქნება აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას ორი ტომი. მზადდება ალექს. ყავყავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ლ. არდაზიანის და დანიელ ჭონქაძის ნაწარმოებნი.

**შრომის ახალი კოლექტივი.** შრომის სახ. კომისარიატს განზრახული აქვს თბილისში მოაწყოს შრომის ახალი კოლექტივი—ქარხანა, რომელიც გადაამუშავებს სასაკლაოზე დაკლულ საქონლის ძვლებს და სისხლს.

**სანიმუშო საფუტკრეები.** თბილისის მაზრაში სანიმუშო საფუტკრეების მოსაწყობად თბილ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ გადასდო 3 ათასი მანეთი.

**ქალაქის მცხოვრებთა სასოფლო-სამ. გადასახადით დაბეგვრა.** საქარ. სახ საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება ქ. ქ. სენაკი, გორის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ახალქალაქის, ლიუქსემბურგის, დუშეთის, ონის, სამტრედიის, ხაშურის, ზესტაფონის, ხონის, ცხინვალის და შაუმიანის ზოგიერთი მცხოვრებნი.

ამიერ-კავკ. ფინსახკომის რწმუნებულს საქართველოში დაევალა გამოარკვიოს, თუ მცხოვრებთა რომელი ნაწილი უნდა დაიბეგროს აჭარისტანის რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

**სასოფლო-მეურნეობის დაზღვევის საქმე.** წარმოკავშირი აწარმოებს სახელმწიფო დამზღვევ სამმართველოსთან შეთანხმებით სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებების დაზღვევას, აგრეთვე დაზღვევას სეტყვისაგან და წყლისაგან მაისის და ივნისის თვეების განმავლობაში. სეტყვისაგან დაზღვეულია უკვე მოკავშირე ამხანაგობების 4.841 დესეტინა ბამბის, ვენახების და თამბაქოს მეურნეობა.

**აგრონომიული ინსტიტუტი.** თბილისის ბოტანიკურ ბაღში ახლო ხანში გაიხსნება რესპუბლიკანური ტიპის ცენტრალური აგრონომიული ინსტიტუტი.

**ტყიბულის ნახშირის ექსპორტი.** „ნრვოროსცემენტმა“ დასდო ხელშეკრულება საქარ. უმაღლ. სამეურნეო საბჭოსთან 600.000 ფ. ტყიბულის ნახშირის გატანის შესახებ.

**სკოლებისთვის რუქები.** განათლების კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა სოციალურ აღზრდისა და პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობებს გამოარკვიონ რამდენი და როგორი გეოგრაფიული რუ-

ქებია საჭირო სკოლებისათვის და მათი გამოცემა დაევალოს სახელგამს დაჩქარებით.

**მინადორა ტოროშელიძის განცხადება.** მინადორა ტოროშელიძისამ მიმართა განცხადებით საქ. მთავრობას, რომ ის ხელს იღებს საქართველოში არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ ყოველგვარ მუშაობაზე, რის გამო მას საგანგებო კომისიამ ნება დართო რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებისა.

## ზაკ-ტეპოს მოგება.

ყოველ თვის ბოლოს, სამასი მანეთი ფული უგემურათ იკარგება. არავისთვის დაფარული არ არის, რომ მუშტაიდის ბაღში ერთს პატარა კუთხეში პატარა სასადილოა გაღებული. ამ სასადილოში გასამხიარულებლათ „საუცხოვო" თარს უკრავენ. მათ სიმღერას და დაირის ცემას, ძაან მოუხდებოდა, ერთი პატარა მაიმუნიც.

ამ სიმღერებს ვერ გაუგებთ, როგორც თავს, აგრეთვე ბოლოს: ერთს სიმღერას კი ძალიან გასაგებს უკრავენ, მაგალითად: „ერთი ქოთანი ვიყიდე ყურიანი და უყუროვო, საიქიოს ერთათ წავალთ ფულიანი და უფულოვო"; მათი მატივი ისე არ უდგება ადგილობრივ სიმღერებს, როგორც კედელს ცერცვი.

ეს ბაღი გახსნილია ისეთ ამხ. სახელობაზე, რომ ზაკ-ტეპოს გამგეობას უნდა ეფიქრებია უფრო სასიამოვნო მუსიკის მოწვევა. ძაან კარგი იქნება, თუ სხვა მუსიკას დასვამთ მეთარეების მაგიერ.

# კორესპონდენცია

### ს. ბახვი (გურია)

ბახვის თემი ეს ერთ-ერთ კულტურულ თემათ ითვლება გურიაში. სამაზრო ცენტრიდან 10 ვერსით არის დაშორებული და მკვიდრთ ამა თემისას არა ერთხელ და ორხელ გამოუჩენიათ თავდადება რევოლიუციონურ მოძრაობაში.

აქ ამა წლის 21 ივნისს შესდგა იმ ყოფ. მენ. კრება, რომელნიც გატარებული არიან აღრიცხვაზედ და განცხადება აქვთ შეტანილი გურიის ყოფ. მენ. სამ. ბიუროში მესამე კომინტერნის პლატფორმაზე დადგომისა. ასეთები აქ აღწევს 60 კაცამდე, (ეს დიდი თემი არ არის) ესენი არიან ყველა აქტიური მომუშავენი მენშევიკური პარტიისა და ბრძოლაში მოხუცებულნი. უმრავლესობა ამათგან აგვისტოს ავანტიურაშიაც ღებულობდენ მონაწილეობას, მაგრამ დარწმუნდენ, რა რომ მენშევიზმი უკვე არ არის მათი სურვილების გამომხატველი, დასტოვეს ხსენებული პარტია და გულწრფელად დასდგენ და გაიზიარენ საბჭოთა სისტემა. კრებას არავინ არ დაჰკლებია ვინც კი თემში სცხოვრობს ამ ჟამად.

კრებას არ დასწრებია კომპარტიის წევრები. მოხსენება გააკეთა გურიის ყოფ. მენ. სამ. ბიუროს თა—რემ ამხ. გერ. ლომთათიძემ, რომელმაც აღნიშნა მათი ღვაწლი წარსულ რევოლიუციონურ ბრძოლებში რეაქციის წინააღმდეგ და დაახასიათა მათი სახელოვანი წარსული და იმ პარტიის, რომლის წევრებათ ითვლებოდენ თვით, მხოლოდ 1917 წ. კი აღნიშნა ამ პარტიის თანდათანობითი გადახრა მარჯვნივ და საბოლავოთ სრული ჩამოშორება მარქსიზმიდგან. შემდეგ ილაპარაკა აგრეთვე სამ. ბიუროს მუშაობაზე მაზრაში და აღნიშნა, რომ მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს, თუმცა რამოდენიმე ამხანაგები კიდევ ყოყმანობენ, მაგრამ იმედი გამოსთქვა ესენი თანდათან მოვლენ ჩვენთან, რადგან დღეს სხვა გამოსავალი არ არის, ვისაც კი უნდა შეირჩინოს სოციალისტური სახე. აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა რათა გატარებულმა ამხანაგებმა მეტი აქტივობით ჩაებან მუშაობაში და მოუწოდა კრებას, რომ თავისი გაცემული სიტყვა პირნათლად შეასრულოს.

მომხსენებლის შემდეგ გამოვიდენ მრავალნი, რომელნიც ერთხმათ აღნიშნავდენ წარსულ შეცდომებს, აღნიშნავდენ აგრეთვე მართველი პარტიის რამოდენიმე პირების უმგვანო საქციელს წარსულში, რომელიც ეხლა გამოსწორებულია მათი თქმით და „ერთხელ სამუდამოთ დავრწმუნდით, რომ ის ხელისუფლება, რომელიც ამ ჟამად არის სრული განხორციელებაა იმისა; რასაც ჩვენ 1905 წ. ვესწრაფოდით" სთქვა ამხ. გიორ. ქიქოძემ მასწავლებელმა ძველმა რევოლიუციონერმა. კრებაზე ყველანი გულწრფელად აღნიშნავდენ, რაც მათ სწადიათ და უნდათ. ილაპარაკეს ამხ. იაგორ ჭელიძემ, გიორგი ქიქოძემ, აფ. ლომთათიძემ, ამ. მგელაძემ, მირ. ჩხაიძემ, მოსე მჟავიამ, პრ. ჭელიძემ და სხვ. ესენი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ამ თემის გლეხებში და ხშირათ მათი აზრი და სიტყვა მათთვის კანონია.

ყველანი მოითხოვენ, რომ ჩვენს რიგებში არ შემოიჭრან ისეთები, რომელნიც მხოლოდ თავის გადარჩენის მიზნით ეწრებიან. თავის მხრივ კი პირობას სდებენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ თავის გაცემულ სიტყვას. შემდეგ მიღებული იქმნა წინადადება, რეზოლიუციის სახით: ბახვის ყოფ. მენ. კრება, რომელნიც გატარებულნი არიან გურიის ყოფ. მენ. სამ. ბიუროში, ერთხელ და სამუდამოთ აცხადებს, რომ სავსებით დაიცავს თავის გაცემულ რევოლიუციონურ სიტყვას. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ამ. მგელაძე და მდივნობდა ამ. კ. ანდღულაძე.

**მურვანი.**

სარედაქციო კოლეგია: **მ. ძამანაშვილი**
**ა. გვიმრაძე**
**პ. ხურცილავა**
**კ. მაჭარაძე**
**ლ. კუპრაშვილი**

მთავლიტი № 1187 **პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 8.** ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე

ფასი 10 კ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 23 აგვისტო 1925 წ.

რედაქცია და კანტორა
პლეხანოვის პროსპ., № 117
ტელ. № 11—68.

ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8—2 საათამდე

№ 33

## პოლიტიკურ ემიგრანტ მუშათა დეკლარაცია

მრავალ წლების განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის წევრები დღემდის ვიყავით ჩვენ, იდგა სწორს და შეურყეველ გზაზედ. ყოველი მისი ნაბიჯი მოქმედება თუ ღვაწლი, იყო მიმართული, მშრომელი ხალხის—პროლეტარიატის საკეთილდღეოდ. მან თავისი ხანგრძლივიი რევოლიუციონური მუშაობით შემოიკრიბა გარშემო შედარებით სხვა პოლიტიკურ პარტიებისა, დიდი უმრავლესობა როგორც მუშების, ისე გლეხებისა. დასაწყისში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოქმედებდა საერთო მტრების წინაალმდეგ, თავისი წიაღიდან გამონაყოფ ბოლშევიკური პარტიის, ესერების, სოციალ-ფედერალისტებისა და სხვა სოციალისტურ მიმდინარეობის პარტიებთან შეთანხმებით, რის ნაყოფადაც ჩვენ მივგაჩნია 1917 წლის რუსეთის დიდი რევოლიუცია. საერთო ძალამ დაამხო თვითმპყრობელობის ტახტი, დაამსხვრია მისი მმართველობის ყოველგვარი ატრიბუტები. პროლეტარიატი—მშრომელი მასა დაუპირდაპირდა თავის კლასიურ მტრებს, შეირყა შედრკა საერთოდ ბურჟუაზია, შიშმა მოიცო დიდი მემამულე და მსხვილი ჩინოვნიკობა, სასულიერო წოდება თუ ვაჭარ-სპეკულიანტები და სხვანი მუშათა კლასის მტერნი როგორც სხვა, ისე რუსეთის დიდი რევოლიუციაც ვერ აცდა კონტრრევოლიუციის საშიშროებას, მის წინაალმდეგ დაირაზმა მოპირდაპირენი და გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რამაც რევოლიუცია განსაცდელში ჩააყენა. კითხვა ისმებოდა: „როგორ დაგვეხსნა თავი შექმნილ მდგომარეობიდან“, და ვის უნდა გამოეჩინა პირველობა? მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია შეადგენდა მასიურ პარტიას, თავისი ძველი წარსულით გამოხატავდა დიდი უმრავლესობის სურვილს, ამ საბედისწერო მომენტში ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე; ვერ გამოიჩინა გამჭრიახობა, რევოლიუციონურ პარტიებთან კავშირის დაჭერაში, ის შერჩა შემთხვევით ჯგუფების და მერყევ პარტიების კოალიციას, რამაც პარტიის რევოლიუციონური სული, არამც თუ გააღვიძა-გააძლიერა, არამედ უფრო შეასუსტა და გაანელა. მტერი რასაკვირველია ამით დიდათ სარგებლობდა და რევოლიუციის საფრთხე დღითი-დღე ახლოვდებოდა. აღიმართა აჩრდილი რეაქციისა, დადგა დღე ყოფნა არ ყოფნისა და რევოლიუციის საბოლოოდ დამარცხებისა და აი სწორეთ მაშინ რუსეთში ბოლშევიკური პარტია იღებს ხელში ბრძოლის ინიციატივას, მუშების და ჯარის დახმარებით, ახდენს რევოლიუციაში—რევოლიუციას და ამყარებს საბჭოთა ხელისუფლებას, ეს აქტი კი თავის თავად სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აშორებს მასას და უკარგავს ყოველივე ნდობას მასაში.

საქართველოში კი ამ დროს იყო სულ სხვა მდგომარეობა და სხვა პირობები. მიუხედავათ რუსეთში მომხდარ ცვლილებებისა, აქ საქართველოში მაინც სოციალ-დემოკრატიას შერჩა ძველი გავლენა და ძლიერება. ის უდგება სათავეში დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას და განაგებს მას.

დარბეულ ოჯახიდან გამოყოფილმა პარტიამ ვერ გაითვალისწინა მთავარი მიზეზები რუსეთში მომხდარ ცვლილებებისა, მან ვერ გამონახა საერთო ენა რუსეთის ხელისუფლებასთან. და ასე გაყვა შეუთანხმებლობის, შეურიგებლობის გზას. ასე ამ ორ მიმდინარეობის მეტოქობაში, სოციალ-დემოკრატიული პარტია დამარცხდა.

ეხლა ისმება კითხვა თუ რა იყო მიზეზები დამარცხებისა.

1) აილო, თუ არა პარტიამ გეგემონია სახელმწიფოს მმართვა-გამგეობისა, მთავარი თავისი ძალა მოანდომა, საერთო სახელმწიფოებრივ მუშაობას, მან შთანთქა მთელი მისი ენერგია, რამაც სოციალური—კლასიური საქმიანობა დაჩრდილა, მისდამი ყურადღების მიქცევა საგრძნობლად შეასუსტა. ამ მხრივ წარმოებულ მუშაობის ცდის ნაყოფიც ძლიერ უმნიშვნელო შეიქნა. რაც დღითი-დღე უკმაყოფილებას ზრდიდა დემოკრატიის—მშრომელი მასის თვალში.

2) თავიდანვე თანდაყოლილმა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის ხელის-უფლების ერთ და იმავე პირთა და ერთ და იმავე ორგანოში შეთავსებამ,

ბრძოლა გრძელდება და 1824 წ. მუშათა კლასი მოიპოვებს კოალიციის უფლებას.

ივლისის რევოლიუცია და შემდეგი აჯანყებები საფრანგეთში დიდ გავლენას ახდენენ ინგლისის მუშებზე. ინგლისის პროლეტარიატში გაჩაღდა პოლიტიკური მუშაობა. შეიქმნა განსაკუთრებული მუშათა პოლიტიკური პარტია. მის პროგრამაში არ შედიოდა ბურჟუაზიული წესწყობილების ძირიანად ამოფხვრა. მას სურდა მხოლოდ ქონოდა, როგორც სხვა პარტიებს, გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამ მოძრაობას „ჩარტისტების“ მოძრაობა ეწოდება.

ჩარტისტებმა წამოაყენეს ექვსი მოთხოვნილება—საყოველთაო საარჩევნო უფლება, ყოველწლიური პარლამენტი, ფარული კენჭის ყრა, დეპუტატებისათვის ჯამაგირი, მთელი მხარის დაყოფა თანასწორ საარჩევნო ოლქებად, დეპუტატებისათვის ქონებრივი ცენზის მოსპობა.

ამრიგად, როგორც ინგლისში, აგრეთვე საფრანგეთში სხვადასხვა ალაგას გაფანტული მუშათა მოძრაობა თანდათან ყალიბდება მტკიცე ორგანიზაციულ ფორმებში. ინგლისში ჩარტიზმის დროშის ქვეშ ირაზმება მუშათა კლასი.

საფრანგეთში, ლიონის აჯანყების შემდეგ ხდება რევოლიუციონური ორგანიზაციების მოწყობის ცდა. ამ მოძრაობის სათავეში ვხედავთ ავგუსტი ბლანკის. დაინახა რა, რომ ლიონის აჯანყების დროს მუშებმა უდიდესი რევოლიუციონერობა გამოიჩინეს, ბლანკი აწყობს რევოლიუციონურ ორგანიზაციებს თვით მუშემისაგან. ბლანკის და მის ამხანაგებს სწამდათ, რომ მოხერხებული აჯანყებით შეიძლება ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მუშების სასარგებლოდ მთელი რიგი შედეგების მიღება. ამ იმედით მათ მოახდინეს დიდი აჯანყება მაისში 1839წ., რაც დამარცხებით დამთავრდა. ბევრი დამარცხებულებიდან ლონდონში გაიქცენ

აი ამ ხანებში მარქსს და ენგელსს უკვე შეგნებული აქვთ მატერიალისტური მსოფლმხედველობა.

ენგელსი მიეშურება მანჩესტერში. კელნში გავლით, „რეინის გაზეთის“ რედაქციაში ის პირველად შეხვდა მარქსს.

ენგელსის მანჩესტერში ჩასვლის წელს (1842) იწყება მუშების გაფიცვები პოლიტიკური ლოზუნგებით. ამავე დროს ოვენის ანუ უტოპიური სოციალიზმის მომხრე მუშათა ჯგუფები წინაალმდეგი იყვენ პოლიტიკური ბრძოლის.

1842 წ. პოლიტიკური გაფიცვები თითქმის უკანასკნელი ამოსუნთქვა იყო ინგლისის მუშათა კლასის ცხოვრებაში,

შემდეგ წელში (1843) იწყებს აღორძინებას ტრედიუნიონისტური მოძრაობა.

აი ასეთი სურათი იყო ენგელსის მანჩესტერში ჩასვლისას. ის მაშინვე მიემხრო ოვენისტებს, მაგრამ არც „ჩარტიზმს“ყოფდა უარს. მან სინთეზი უყო ოვენის სოციალიზმს და ჩარტისტების პოლიტიკურ ბრძოლას.

ენგელსი მონაწილეობდა სხვადასხვა პერიოდულ ორგანოებში.

მუშაობდა რა მამის ქარხანაში კანტორის მოხელედ, ის პრაქტიკულად ეცნობოდა მუშათა ცხოვრებას.

ოვენისტების ორგანოში: „ახალი ზნეობრივი ქვეყანა“-ში ენგელსი სწერს: »ნაწილობრივ ჩვენ უფრო მეტად ვემხრობით ინგლისის სოციალისტებს, ვიდრე სხვა რომელიმე პარტიას. მათი სისტემა ემყარება, როგორც ჩვენი, ფილოსოფიურ საფეხურზე. ჩვენს მსგავსად, ისინი ებრძვიან რელიგიურ ცრუმორწმუნეობას, იმ დროს, როდესაც ფრანგები უარსყოფენ ფილოსოფიას და საუკუნოდ ამტკიცებენ რელიგიას, გადააქვთ რა ის ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საფრანგეთის კომუნისტები შეიძლება იყვენ ჩვენთვის გამოსადეგი მხოლოდ ჩვენი განვითარების პირველ საფეხურზე მალე დავინახეთ, რომ ჩვენ, ჩვენ მასწავლებლებზე მეტი ვიცოდით, მხოლოდ ინგლისის სოციალისტებისაგან კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. სხვათა შორის, მე შემიძლია ვსთქვა, რომ ვხვდებოდი ინგლისის სოციალისტებს, რომლებსაც უთანხმდებოდი თითქმის ყველა საკითხებში“ (ვლ. სარაბიანოვი: „ფრიდრიხ ენგელსი“).

ენგელსი ინგლისში ეძებს თავის პოლიტიკურ თვითგამორკვევას.

(შემდეგი იქნება)

ელი.

# გერმანელი მუშათა დელეგაცია საქართველოში

ჩვენში ბევრი დელეგაციები ყოფილან. ბევრს უნახივართ. ბევრი გვინახამს, მაგრამ მუშათა დელეგაციის მოსვლა პირველი შემთხვევაა...

ამიტომაც ასეთი აღფრთოვანებით ელოდა გერმანიის ამხანაგებს საქართველოს პროლეტარიატი...

ოთხ აგვისტოს, დელეგაციის მოსვლის დროისათვის გაიმსო, გაიჭედა თბილისის სადგური და ახლო-მახლო ადგილები მუშა-მშრომელებით. ყველას უნდა ახლო დადგეს, ახლოს დაინახოს ამხანაგი სტუმრები. ოთხ საათზე გამოჩნდა მატარებელი... აქ ველარავითარი წესრიგის დაჭერა ველარ მოხერხდა... იგრიალა მუსიკამ, ურამ, და დელეგატები აირია ხალხში...

როგორც იქმნა ჩასხდენ დელეგატები ავტომობილებში და მხოლოთ აქ იქმნა წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვები.

ილაპარაკეს და მიესალმენ ამხანაგები—სუხიშვილი, ყურულაშვილი და დ. ლორთქიფანიძე.

ხუთ აგვისტოს საღამოს გაიმართა ხანგრძლივი საუბარი ყოფილ მენშევიკებსა და სტუმრებს შორის.

ოცდა-სამამდის ძველი, რევოლიუციაში გამოწრთობილი ყოფილი მენშევიკები „მუშათა კომისიის“ თაოსნობით შევხვდით სასაუბროთ ძვირფასს სტუმრებს...

აქ ამხ. ძამანაშვილი აკეთებს მოხსენებას და აცნობს დელეგაციას „მუშათა კომისიის“ აზრსა და მუშაობას...

„წარსული მუშაობა, წარსული მნიშვნელობა საქართველოს მენშევიზმისა დიდია—ამბობს ძამანაშვილი. დიდია, ნაყოფიერია ეს მუშაობა არა თუ საქართველოში, არამედ მთელ რუსეთშიც... ამიტომ ჩვენ არ გვცხვენია ჩვენი წარსულის, ჩვენი მუშაობის 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ ჩაიბადა დიდი უთანხმოება... რევოლიუციამ დაგვსაქსა... კავშირი რუსეთთან აღარ იყო... მდგომარეობა გამწვავდა და ამიერ კავკასია გამოეყო კომუნისტურ რუსეთს...

ამან ვერ უშველა საქმეს... **კავკასიაში სამი უმთავრესი** ერია: აღერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო...

ახლა ამათ შორის აიწეწა დამოკიდებულება... ყველამ თავისათვის გაიწია... ადერბეიჯანს თათრებისკენ ეჭირა თვალი... დაშნაკელებს კიდევ თბილისი უნდოდათ და ისე გაჩნდა პატარა დამოუკიდებელი საქართველო... რომელიც იძულებული იყო თავის დასაცავად დენიკინის ჯარსაც შებრძოლებოდა და დაშნაკელებსაც...

ამიტომ ჩვენ ვერ ვაქცევდით ჯეროვან ყურადღებას შინაურ საქმეებს... სოციალისტურ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას...

ხდებოდა აჯანყებები, მაგრამ ის მარცხდებოდა...

1920 წელში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება ადერბეიჯან-სომხეთში 1921-კი საქართველოც გასაბჭოვდა რუსეთის წითელი არმიის დახმარებით სოც. დემოკრატია დამარცხდა...

დავმარცხდით, მაგრამ ჩვენ განვაგრძობდით კომუნისტებთან ბრძოლას.

ჟორდანიას მთავრობას, რომელიც დღეს ევროპაშია, თქვენთან ჰქონდა ნდობა დამსახურებული...

აგვისტოს გამოსვლებს თუმცა აქვს თავისი მიზეზები, მაგრამ ის ავანტიურად იქცა და ცუდი შედეგები მოიტანა.

საზღვარ გარეთ წასულ მთავრობას აზრი და საფუძვალი დაეკარგა...

გვიან, მაგრამ დღეს მაინც დავრწმუნდით, რომ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა მუშებს არ შეჰფერის... დავრწმუნდით რომ ს. დემოკრატიულ პარტიის ხაზი სწორი არ გამოდგა... ცხოვრებამ ჩვენ გაგვრიყა... ჩვენ კი არ შეგვიძლია რევოლიუციის გარეშე ყოფნა... ჩვენ ძველი 20—25—30 წლის მომუშავენი ვართ...

ამიტომ ჩვენ დავიწყეთ ახალი გზის ძებნა და მგონი, ვიპოვეთ კიდეც. ეს გზაა კომუნისტებთან, არსებულ ხელისუფლებასთან ერთად თანამშრომლობა. ეს გზაა მშრომელთა ერთი ფრონტის შექმნა საერთი მტრის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ...

უნდა გაერთიანდეს მთელი ქვეყნის მუშები, ყველა სოციალისტები.

თუ რუსეთის რევოლიუცია დამარცხდა—ყველა რევოლიუცია დამარცხდება...

რაც შეეხება პატარა ერების თვითგამორკვევას, აქაც იმ დასკვნამდი მივედით, რომ ეს საკითხიც მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლების დროს გადაიჭრება სწორად და სამართლიანად.

საბჭოთა სისტემამ აჯობა პარლამენტარიზმს...

ჩვენ გიცნობთ თქვენ, ამხანაგო გერმანელებო...

ჩვენ აღზრდილი ვართ თქვენი ლიტერატურით, თქვენს მაგალითებზე...

თუ თქვენ აღამაღლებთ ხმას საერთო ფრონტის შექმნის საჭიროებისათვის, ჩვენც თქვენთანა ვართ...

პროლეტარიატი ერთად ვერ შეცდება... ლიდერები უფრო ჩქარა სცდებიან...

ჩვენ სახეში გვაქვს გავაგზავნოთ კომისია საზღვარ გარეთ ჩვენს ყოფილ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, რათა მათაც გადააფასონ თავის წარსული, შეუფარდონ თავისი მუშაობა არსებულ ხელისუფლებას და იმუშაონ ჩვენთან ერთად ქართველი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ, აი წაიღეთ ჩვენი სია... აჩვენეთ მათ... ჩვენ დეზერტირები როდი ვართ... ჩვენ დიდხანს ვიყავით პარტიის პატრიოტები, მაგრამ ჩვენმა პატრიოტობამ, ჩვენმა უტაქტო მოქმედებამ გაანადგურა ფიზიკურად და ეკონომიურად ქართველი ერი.

ჩვენ ვფიქრობთ დღევანდელი ჩვენი ხაზი სწორია... ჩვენ ხაზს იზიარებს რვა ათაზე მეტი ძველი, გამოცდილი რევოლიუციონერი...

უთხარით, გადაეცით ევროპაში მყოფ ამხანაგებს, რომ შესწყვიტონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ჩაუფიქრდენ დღევანდელ მდგომარეობას, მოვიდნენ ჩვენთან ამოგვიდგენ გვერდში როგორც ძველი მასწავლებლები.

ამხ. ძამანაშვილის მოხსენების შემდეგ გერმანელმა დელეგატებმა გამოსთქვეს სიხარული ყოფილ მენშევიკებთან საუბრის გამო და აღგვითქვეს მედგარი მუშაობა მუშათა საერთო ფრონტის აღსადგენათ...

ექვს აგვისტოს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის სხვა და სხვა ფაბრიკა-წარმოებანი... იყვნენ რკინის გზის სახელოსნოში, ზაგესში და სხვაგან... ყველგან კმაყოფილი დარჩნენ და აღნუსხეს დიდი აღმშენებლობითი მუშაობა და მიღწევები.

ამავე დღეს საღამოს, თბილისიდან გასვლის გამო, გაიმართა პატარა ბანკეტი, საცა მრავალი სიტყვები იქმნა წარმოთქმული საერთო ფრონტის აუცილებლობისათვის.

შვიდ აგვისტოს-კი დელეგატები გაემგზავრენ დასავლეთ საქართველოსკენ.

გაიმართა დიდი მიტინგები ხაშურში, ბორჯომში, წალვერში, ბათომში და სოხუმში.

ყველგან ამხანაგები სთხოვდენ დელეგატებს რაკი მოხვედით, რაკი გადმოლახეთ მრავალი დაბრკოლებები—სწორეთ დაათვალიერეთ ჩვენი მხარე, ჩვენი ნამუშავარი და მხოლოთ სინამდვილე გადაეცით მოყვარესა თუ მტრებს ევროპაში.

სტუმრებიც გულდასმით უსმენდნენ მიტინგზე მოლაპარაკეთ, ეკითხებიან კერძო პირებს, იკვლევენ, ეძიებენ სიმართლე-სინამდვილეს და კმაყოფილი, მოხარული რჩებიან საბჭოთა ხელისუფლების შრომა-მუშაობით...

დელეგატებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს საქართველოს ბუნების სიმშვენიერე, თვალ წარმტაცი არემარე.

ბორჯომი, ბაკურიანი, წალვერი, აბასთამანი, ბათომი, სოხუმი იწერამენ დელეგატები თავიანთ უბის წიგნებში და აღარ იციან რომელსაც აკუთვნონ სილამაზეში უპირატესობა.

განსაკუთრებული ყურადღებით ათვალიერებენ გერმანელები ჩვენს დასასვენებელ სახლებს·

ეს ჩვენთვის ახალია, წარმოუდგენელია... ჩვენში, ევროპაში ასეთი სახლები ბურჟუებს აქვთ და არა მუშებს... აი დასაწყისი სოციალისტურათ, კომუნისტურად ცხოვრებისა—იძახიან დელეგატები...

არაზინდოს და წალვერის დასასვენებელ სახლებში ხომ დელეგატების სიამოვნება-სიხარულმა უმწვერვალეს ალტაცებამდი მიაღწია...

„ჩვენ კიდევ მოვალთ აქ, როცა ჰინდერბურგებს მოვიშორებთ, როცა გერმანია გასაბჭოვდება.., მოვალთ ამ მშვენიერ ალაგას დასასვენებლათ... და გულის ტკივილით ემშვიდობებიან კეკლუც არაზინდოს.

რა მოგწონთ ჩვენში—საბჭოთა კავშირში—ყველაზე უფრო?.. ეკითხებიან დელეგატებს ამხანაგები.. და იღებენ პასუხს:

მოგვწონს თქვენი პიონერები, ახალგაზრდობის აღზრდა—ორგანიზაციები. ამ გზით მოარულს თქვენ ვე-

რები ჩალეწილი აქვს და ამავე დროს აღმასკომი კლუბების, თეატრების აშენებას და ელექტრონით სოფლის განათებაზე „ზრუნავს“. ეს აღმშენებლობითი მუშაობაა, თუ ბავშვების ტიკინის თამაში??

ბოროტ მოქმედება სოფლის მოხელეთა შორის, მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე მოისპობა; ბოროტი ზრახვების პირნი ხელისუფალთა რიგებიდან ადვილად განიდევნებიან, მაგრამ სად ვიშოვოთ სოფლის მეურნეობის მცოდნე პირნი, ვისაც მიეცემა სოფლის სადავე ხელში იმ რწმენით, რომ ხელმძღვანელი, მესაჭე, ნამდვილად წაიყვანს სოფელს აღორძინებისაკენ.

ეს კითხვაც აინტერესებს წერილის ავტორს და მაზე შემდეგ პასუხს იძლევა: „რა თქმა უნდა იმავე წრიდან და იმ ადგილებიდან, საითკენაც მიმართულია ჩვენი დღევანდელი ყურადღება. ვის შეუძლია ისე კარგად იცოდეს სოფლის ავი და კარგი, როგორც თვით ამ სოფელში გაზრდილს და დაბადებულს? ვინ უნდა აუღოს ალღო პარტიის მიერ გადმოსროლილ ლოზუნგს და ამოუდგეს მას გვერთით ამ ლოზუნგის უკლებლივ და მიზანშეწონილათ გატარებაში, თუ არა იმან, ვისაც თავს გადახდომია მოუწყობელ და მოუმაგრებელ სოფლის ჭირვარამი და ჭაპანწყვეტა“.

„და მაშინ, როცა ჩვენ დღის წესრიგში გვიდგას სოფლის ძირითადი ორგანოების ქალაქიდან წარგზავნილ ამხანაგების გამაგრების საკითხი... დროული და მიზანშეწონილიც არის, რომ დაისვას საკითხი ხელმძღვანელ ორგანოების ცენტრალურ აპარატის გლეხური ელემენტით გაძლიერების შესახებ“.

ამ საკითხის გადაჭრა, ავტორის აზრით, არც ისე ადვილია „ჯერ ერთი სოფლის მუშაკთა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენება უნდა ხდებოდეს არა ზევიდან დანიშვნით, ან გამოწვევით, არამედ მასის უშუალო მონაწილეობით და დასტურით“.

„უნდა ვეცადოთ აგრეთვე, რომ წამოყენებულ გლეხებ შორის უპარტიოებიც იყოს“... „უდავოა, რომ ჩვენი სოფლები მდიდარია ნიჭიერი და საქმის მოყვარულ ხალხით, საჭიროა მხოლოდ მათი გამოძებნა, სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანა და აქტიურ მუშაობაში ჩაბმა“...

ჩვენ აქ შეგვიძლიან დაუმატოთ მხოლოდ ის, რომ სოფლის ჭირ-ვარამს იცნობს კარგად არა მარტო გლეხი, სოფლის ავ-კარგისთვის გული შესტკივა არა მარტო გლეხს და სოფლის საჯარო საქმეს კარგად გაუძღვება არა მხოლოდ გლეხი „არამედ თუნდაც ყოფილი თავადი და რატომ არ შეიძლება, რომ ასეთებიც იყვნენ ჩაბმული საზოგადო საქმეში, თუ მათ სწამთ საბჭოთა პლატფორმა, ლოიანურად უყურებენ არსებულ წესწყობილებას და თავის ყოფა-ქცევით შეეგუენ სოციალისტურ ეთიკას.

გ. ბ.

# ფრიდრიხ ენგელსი

(სიკვდილის შემდეგ 30 წ. თავის გამო).

თუ ჩვენ ჩაუკვირდებით კაცობრიობის ან რომელიმე ერის წარსულ ისტორიას, შევამჩნევთ, რომ ისტორიული პროცესი ხდება ბუნებრივად, ნელის, ხანდახან ნახტომების, მაგრამ შეუდრეკელი გზით. ისტორიის ამ შინაგანი პროცესის შეცვლა ან გადახრა არავის არ შეუძლია; ის ექვემდებარება თავის კანონებს; მაგრამ მასზე ერთგვარ გავლენას ახდენენ ეგრედ წოდებული ისტორიული პიროვნებები.

ისტორიის მატერიალისტური გაგება დიდ მნიშვნელობას აკუთნებს ისტორიაში პოლიტიკურ მომენტებს. აღმოცენებული განსაზღვრულ ეკონომიურ ურთიერთობის ნიადაგზე პოლიტიკა შემდეგ თვითონ ახდენს გავლენას ხალხის ვითარების შემდეგ მსვლელობაზე.

მარქსიზმი არ უარჰყოფს პიროვნების როლს ისტორიაში, რომ ადამიანი თვითონ ქმნის თავის ისტორიას, რომ იდეა იგივე მატერიალური ძალაა შესაფერ პირობებში და სხვა; მხოლოდ ყველაფერ ამას ხსნის საწარმოვო ძალთა განვითარებით.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი თავისი მაგალითით საუკეთესო ილიუსტრაციას გვაძლევენ ამ აზრისას. მათ მისცეს კაცობრიობას იდეები, რომლებიც ისტორიის აქტუალურ, მამოძრავებელ ძალად გადაიქცენ. მათ უდიდესი გავლენა იქონიეს მე XIX და XX ს. ს. აზროვნების განვითარებაზე.

წარმოშობილნი განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში მათ თავისი სიცოცხლე დაუკავშირეს ახლად წარმოშობილ მუშათა კლასს და მისი წიაღიდან, მისი გულიდან ამოიკითხეს თავისი ძლევამოსილი და ცხოველმყოფელი მსოფლმხედველობა.

მათი ცხოვრების აღწერა ეს—მუშათა კლასის ცხოვრების და მისი ვითარების, სულისკვეთების გადმოლაგება იქნება. ფ. ენგელსი, როგორც მარქსი ეს უდიდესი მებაირახტრე და მესაიდუმლე მე-XIX და XX ს. ს. პროლეტარიატის

რთულია ენგელსის ინტელექტი, მრავალფეროვანი და ღრმაა მისი აზროვნება, როგორც მუშათა კლასის თვითცნობიერების ჭეშმარიტი წარმომადგენელი, არც ერთი სოციალური საკითხი არ გაუშვია მას უპასუხოთ: ის კვალი კვალს მისდევდა მუშათა კლასის ცხოვრებას, უშლიდა მას ჰორიზონტს და უსახავდა ფართო პერსპექტივებს.

ფ. ენგელსი და კ. მარქსი, პროლეტარიატის უსაყვარლესი პიროვნებები არიან. ისინი მუდამ დარჩებიან მისი წინმსვლელობის გზის მანათობლად.

საქართველოს მუშათა კლასს არ შეუძლია არ მოიგონოს ფრიდრიხ ენგელსი, ის ადამიანი, რომლის იდეებზე აღიზარდა ის და რომელმაც მიუთითა მისი განთავისუფლების გზისკენ.

როგორ წრეში და რა პირობებში იფურჩქნებოდა ენგელსის ნიჭი? ან რა პირობებში ხდებოდა მუშათა კლასის გამარჯვებული წინმსვლელობა დაწყებული ორმოციან წლებიდან ვიდრე, ოთხმოცდაათიან წლებამდე? აი ორი კითხვა, რომლებიც შეუძლებელია არ აინტერესებდეს ჩვენ მუშათა კლასს. ორივე საკითხი მოითხოვს ერთ პასუხს, რადგან, როგორც ზემოთ ვსთქვი, ენგელსის ცხოვრება და XIX ს. მუშათა კლასის ვითარება ისე არიან ერთმანეთში გადაწნულ-გადაჯაჭვული, რომ მათი დაშორება წარმოუდგენელია.

ფრ ენგელსი დაიბადა ქ. ბარმენში, რეინის პროვინციაში—1820 წ. 28 ნოემბერს, ეს პროვინცია გერმა-

ნიის ხელში გადავიდა 1815 მასში კიდევ დიდხანს სცოცხლობდენ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ტრადიციები. მისი მცხოვრებლები გაჟღენთილი იყვენ რევოლიუციონური სულით და თვითეული აფეთქება-ამბოხება მუდამ გამოხმაურებას პოვებდა მათში.

1830 წ. მოხდა საფრანგეთში ივლისის რევოლიუცია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მთელ ევროპაზე. განსაკუთრებული სიცოცხლით შემოიჭრა ივლისის რევოლიუციის გრიგალი გერმანიაში და გამოიწვია მთელი რიგი აჯანყებებისა. ამას დაემატა ამბოხების ჩაქრობა პოლონეთში და მეთაურობის გაქცევა იქედან გერმანიაში. ამან კიდევ უფრო განამტკიცა ინტელიგენციაში უკმაყოფილება არსებული წესწყობილებისადმი და ზიზღი გამოიწვია აჯანყების ჩამქრობელთა მიმართ.

ყველაფერი ეს კუმშავდა რეინის პროვინციის პოლიტიკურ ატმოსფერას, სადაც იზრდებოდა ფ. ენგელსი.

ენგელსის მამა მდიდარი ფაბრიკანტი და რელიგიოზური კაცი იყო; მას თავისი სარწმუნოებრივი დესპოტიზმის გავლენის ქვეშ ყავდა მთელი ოჯახი; დედა კი უფრო რბილი, სათნოიანი ხასიათის ქალი იყო.

პირველად ენგელსი სწავლობდა სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც კლასიკური ცოდნის მაგიერ გადიოდა უფრო პრაქტიკული საგნებს.

ამ სასწავლებლის დამთევრების შემდეგ ის ელბელფერდის გიმნაზიაში გადავიდა. აქაც იგივე „მეშჩანობა“, სარწმუნოებრივი ფანატიზმი, სექტანტური მოუთმენლობა მოსვენებას არ აძლევდა ახალგაზრდა ენგელსს. თოთხმეტი წლის ენგელსში უკვე ჩქარი ნაბიჯით ვითარდება წინაალმდეგობა, პროტესტი სულის შემხუთველ პირობებისადმი. ის თანდათან სცილდებოდა ოჯახს სულიერად. ამას კარგად გრძნობდა მისი გონიერი მამა და დიდ შიშს გამოსთქვამდა თავის წერილებში ცოლისადმი, ენგელსის მოუსვენრობის შესახებ. შვილის მშფოთვარე სული უკვე არღვევდა ოჯახურ კავშირის ვიწრო რკალს და უერთდებოდა მასავით დაუდგრომელ ახალ გაზრდებს. არც სკოლა აძლევდა ფართო გასაქანს მის გენიას. მაგრამ რაც უფრო მკაცრი იყო ეს პირობები, მით უფრო ნწვავე ხასიათს ღებულობდა „მამებს და შვილებს“ შორის ბრძოლა.

ენგელსი დაეწაფა ლეგალურ და არალეგალურ ლიტერატურას და 18-19 წლისამ თვითონ დაიწყო წერა. პირველად პოეტობას ფიქრობდა და ლექსების წერას შეუდგა. ლექსებშივე გაისმოდა მომავალი მსოფლიო რევოლიუციონერის ხმა.

ის გაიტაცა გ. ჰეინეს რევოლიუციონურმა პოეზიამ. ფრეილიგატი ჟან-ჟაკ რუსსოს ჰანგებზე გალობდა, რასაც ენგელსი გამოეხმაურა და საუკეთესო სურათი მოგვცა მაშინდელი ახალ გაზრდობის სულისკვეთების თავის ბალადაში: „ბედუინები“ კაცობრიობის მიერ დაკარგულ თავისუფლებაზე გოდება გამოსჭვივის მის მეორე ლექსში: „ფლორიდა“.

ამავე დროს ენგელსი სასტიკ ბრძოლას აწარმოებს რელიგიასთან. ეს ბრძოლა მან დაიწყო ბიბლიის კრიტიკით. ის პირველად მორწმუნე იყო, მაგრამ წინაალმდეგობით ალსავსე ბიბლიას ის ვერ მიიღებდა. ის სწავლობს შტრაუსის „იესოს ცხოვრებას“, აქედან გადადის და ლ. ტოლსტოისებურ შლეიერმახერის მოძღვრებას ღებულობს. მაგრამ ენგელსის მოუსვენარი ბუნება ვერც ამაზე ისვენებს და ბერეს პოლიტიკური რწმენით გატაცების შემდეგ ჰეგელის ფილოსოფიას ეწაფება. ამ ხანაში ის მიემხრო ფილოსოფიის იმ ნაკადს—პანტეიზმს (ბუნების გაღმერთება), რომელსაც წარმოადგენდენ სპინოზა და ჰეგელი. შესდგა რა ამ გზაზე, მას აუცილებლად უნდა გაეარ ფეიერბახი და მისულიყო მარქს-ენგელსის კონცეპციამდე. მან ჯერჯეროპით მიიღო ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფია

რას წარმოადგენდა ამ ხანაში მუშათა მოძრაობა?

მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იწყება ეგრედ წოდებული სამრეწველო რევოლიუცია (ცნება „სამრეწველო რევოლიუცია“ ეკუთვნის ფრ. ენგელს). აქნობამდე ინგლისში არსებობდა ხელოსნური წარმოება, ჯერ არ იყო სამრეწველო კაპიტალი. უკანასკნელი იწყებს აღორძინებას მე-XVIII საუკ. მეორე ნანევრიდან, როდესაც წარმოებაში შემოდის მანქანა.

თუ რომ ძველად სახელოსნოში მუშაობდა 5, 6 ან 7 კაცი, ეხლა მუშაობდა ასი-ორასი და მეტი მუშა.

წარმოების ტეხნიკური საფუძვლები ძირითადათ იცვლება მე-XVIII საუკუნის სამოციან წლებიდან, ხელის მაგიერობას უკვე მანქანა ეწევა. ამ ხანაში ტეხნიკის განვითარება საზღაპრო სიჩქარით მიდის წინ.

ამასთანავე ვითარდებოდა და იზრდებოდა მუშათა კლასი. სამრეწველო რევოლიუციასთან და წარმოების კონცენტრაციასთან ერთად ხდებოდა თვით მუშათა კლასის დაგროვება ფაბრიკა-ქარხნებში.

მუშათა კლასის ცხოვრების ძველი პირობები იცვლება და შემოდის ახალი. თვითეული მანქანის აღმოჩენა და წარმოებაში მისი შემოღება იწვევს მუშების ათასობით გარეკას ქუჩაში. მაშინდელი მუშები ხედავდენ ამ ღრმა ისტორიული მოვლენის მხოლოდ ზედაპირს: ისინი მთელ თავის გაუბედურებას, რომელიც მათ თავს დაატყდათ მანქანური წარმოების ხანაში, მანქანაში ხედავენ; და ცხადია, მთელი მათი გულისწყრომა მანქანების განადგურებისაკენ არის მიმართული.

1813 წელში, როდესაც მანქანების საწინაალმდეგო „მოძრაობა ყველა სამრეწველო ცენტრებს მოედვა და წმიდა სტიქიური მოძრაობის მაგიერ ღებულობს ორგანიზაციულ ფორმას ის ჰქმნის ახალ ლოზუნგებს და ხელმძღვანელებს. მანქანების წინაალმდეგ მოძრაობა იწოდება „ლუდდიტების“ მოძრაობად (რიაზანოვი: „კ. მარქსი და ფ. ენგელსი“).

საჭირო შეიქმნა ქადაგება მუშებ შორის, რომ მისი დუხჭირი ცხოვრების მიზეზი, მანქანა კი არ არის, არამედ ის სოციალური ურთიერთობა, რომლებშიაც ხდება მანქანის გამოყენება. ამ პროპაგანდის მიზანი ის იყო, რომ სტიქიური მოძრაობა გადაექცია შეგნებულ პროცესად კაპიტალისტური ურთიერთობის წინაალმდეგ.

მანქანების მსხვრევის საფეხური მუშათა მოძრაობაში მალე შეიცვალა კაპიტალისტური წესწყობილების წინაალმდეგ ბრძოლით.

საფრანგეთში იფეთქა 1830 წ. ივლისის რევოლიუციამ. 1834 წელში აჯანყდენ ლიონის მუშები და ბევრი სხვა ამბოხება ხდებოდა ევროპაში.

ბურჟუაზია სასტიკ წინაალმდეგობას უწევს გამოღვიძებულ პროლეტარიატს, მაგრამ ამაოდ.

ინგლისში „ლუდდიტების“ მოძრაობა რევოლიუციონურ ბრძოლით შეიცვალა. 1817 წელში იწყება დიდი მოძრაობა, რამაც მანჩესტერში, ამ საფეიქრო მრეწველობის ცენტრში, გამოიწვია ცნობილი მოძრაობა. მას მუშათა მოძრაობის ისტორიაში „პეტერლოოს“ ელეტა ეწოდება.

ფაკტიურად გააუქმა ურთი-ერთ შორის ყოველივე კონტროლი. გეგემონია პარტიისა დგჩრდილა ხელის-უფლების ძალამ, შეთავსებამ შესცვალა და რამოდენიმედაც გარდაქმნა ლიდერთა ფსიხოლოგიაც. დაიწყო პარტიაში ზევიდან კარნახი, კრიტიკა—თავისუფალ აზროვნებას დაეხშო კარები, და თუ რამ ითქვა, მიჩნეული იქმნა მისთვის კუნჰული, ბანზე აგდებით, ან და დარჩა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. პარტიის ხელმძღვანელ ლიდერებში (ზოგიერთა გამოკლებით) დაიწყო თვითნებობა, უკანასკნელად გამეფებულმა დიკტატორობამ, ძირ-ბუდიანათ შეარყია პარტია და დააყენა ის, დაშლის—დაქუცმაცების გზაზედ. ეს უკანასკნელი მოვლენა სრულიად ბუნებრივია. დემოკრატიზმი და დიკტატურა ურთი-ერთ შორის ვერ მოთავსდება, ან ერთი, ან მეორე. პირველი—დემოკრატიზმისათვის საშუალება მოსპობილია, მეორე—დიკტატურა, პრინციპიალურად მიუღებელია პარტიისათვის. პარტია ჩიხშია მომწყვდეული. პარტიის ხელმძღვანელნი ძლიერ კარგად გრძნობენ, მაგრამ აქედან გამოსავალზე ჯერ არ ფიქრობენ. ისინი ხმარობენ უკანასკნელ ფუქსავატურ საშვალებას, საშვალებას ილიუზიებზედ აშენებულს, უჩინარ უხილავ არსებას ხორც ასხამენ და სპილოს ტანათ ასაღებენ. განა ასეთი საქციელი პარტიის და ერის წინაშე დანაშაული არ არის?

3) დაუშვათ, რომ პარტია მოქმედებს, მუშაობს მისი ძირითადი დემოკრატიული პრინციპებით, ვის ძალას ეყრდნობა ის დღეს და ვისთან აქვს კავშირი? დემოკრატიზმი ეს არის ფორმა—სისტემა მმართველობისა, სადაც ბურჟუაზიაც ეწევა თანამშრომლობას: იდგა მომენტი როცა მასზე დაყრდნობა და თანამშრომლობა, საჭირო და აუცილებელი იყო, როდესაც მუშათა კლასი ბურჟუაზიასთან ერთად ებრძოდა მონარქიას. ამ პერიოდის განვლასთან ერთად ეკარგება ფასი თვით დემოკრატიზმს, მასზე შეჩერება კი ნიშნავს ბურჟუაზიასთან კავშირის გაგრძელებას. თუ მივიღებთ ჩვენ მხედველობაში დღევანდელ საქართველოს მდგომარეობას, იქ დღეს არავითარი ბურჟუაზიული კლასი არ არსებობს, ამაზედ ლაპარაკიც ზედმეტია. უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ევროპაში ჩვენი პარტიის მუშაობა და კავშირი. რაც შეეხება აქ, ამაზედ მოგახსენებთ, საზღვარ-გარეთელ საქართველოს ს. დ. პარტიას დიდი ხანია, რაც ფაქტიურად დემოკრატიზმი უარყოფილი აქვს. მისი კონსპირატიული მუშაობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, ეს ცენტრალურ ბიუროს კოალიციის საიდუმლო განწყობილების საქმეა. მოაქვს თუ არა რაიმე სარგებლობა რეალური ჩვენი სამშობლოსათვის ევროპის ბურჟუაზიის ცქერას. ჩვენთვის ნათელია თუ როგორ ჟვლის და ეპყრობა ის თავისივე ქვეყანაში, მის მოპირდაპირე კლასს და როგორ იცავს სხვა ეროვნებათა ინტერესებს, ან და მოსალოდნელია თუ არა, რაიმე რეალური თუნდ მორალური დახმარება ევროპის მუშათა კლასისაგან, ჩვენი ილიუზიების განხორციელებაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ცარიელ ქაღალდზე ნებით—თუ უნებლიეთ აღნიშნულ თანაგრძნობის რეზოლიუციებს. ამ კითხვაზედ ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ: „არავითარი სარგებლობა, პირიქით მოაქვს ზიანი“.

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ სხვა მრავალ მიზეზთა შორის, ჩვენც ვართ ერთი ფაკტორთაგანი ქართველი ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულობაში. ჩვენი უსუსური ორგანიზაციების და მმართველობის უნიადაგო ფაცა-ფუცით, აგრეთვე ემიგრაციის უაზრო და გზა დაბნეულ ყიალით, შეცდომაში შეგვყავს ჯერ კიდევ ბურუსში მყოფი, გამოურკვეველი ნაწილი ქართველი ხალხისა. რითაც ხელს ვუშლით მშვიდობიანობისა და ერის აღორძინების საქმეს; ჩვენი პარტია და წინამძღოლნი ამ გზას კიდევ განაგრძობენ, იმ გზას კი, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიას და მშრომელ ხალხს აერთებდა რუსეთის დემოკრატიასა და მშრომელ ხალხთან, კარებს უხშობენ.

განსაკუთრებით დღეს, როდესაც ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები, როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური ასე მძლავრათაა გადაჯაჭვული ურთი-ერთ შორის რომ ერთის წაბორძიკება მეორეს ლახვარს ჩასცემს ზურგში. ამისათვის ორივეს ინტერესი მოითხოვს დაიცვა ურთი-ერთ შორის კავშირი, რომელშიაც საქართველო, როგორც სწორი სწორთან, განამტკიცებს რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებას, განამტკიცებს სუვერენობას და მიიყვანს ერის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას უმაღლეს წერტილამდე. ეს მდგომარეობა უკარნახებს ყველა ქართველ ემიგრანტს, შეურიგდეს არსებულ რეალურ მდგომარეობას, და დადგეს საბჭოთა პლატფორმაზე საქართველოში დაბრუნებით, არსებულ ხელის-უფლებასთან ერთად, იმოქმედოს ერის ნაციონალურ-კულტურულ ეკონომიურ აღორძინებაში. აი აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ მუშებს და ხელმძღვანელ ინტელიგენციას; დღეს როდესაც მსოფლიო პროლეტარიატის მტრები ირაზმებიან ერთი ფრონტის შესაქმნელად, ყველა შეგნებული რევოლიუციონერები მუშის და მისი ხელმძღვანელების ვალია დაივიწყონ საკუთარი მე, დადგენ მუშათა კლასიურ შერიგების სოლიდარობის გზაზედ. ჩადგნენ პროლეტარიატის რიგებში, რევოლიუციით მონაპოვართა დასაცავად.

ამ მოკლე განცხადებით ვიგონებთ რა ჩვენს წარსულს, ვითვალისწინებთ რა მომავალს, ჩვენ გავდივართ პარტიიდან, ვდგებით რა ყოველივე პოლიტიკის გარეშე. სურვილს ვაცხადებთ დაუბრუნდეთ ჩვენ სამშობლოს და გავიზიაროთ ქართველი ხალხის როგორც ჭირი ისე ლხინი.

**ხელს ვაწერთ:** 1) **ნესტორ ზ. სულხია**
2) **თედო ლევენის ძე დემეტრაშვილი**
3) **გიორგი მ. სულაქველიძე**
4) **სილოვან ერასტის ძე კალანდაძე**
5) **მაქსიმე ვეკუა**
6) **გიორგი კრიჭაშვილი**

პარიზი
“12„ ივლისი 1925 წელი.

**შენიშვნა:** ზემო აღნიშნულ პოლიტიკურ ემიგრაციის დეკლარაციის შესახებ, მომავალ ნომერში რედაქცია გამოსთქვამს თავის აზრს.

**რედაქცია.**

# ადგილობრივი პრესა

„კომუნისტის“ № 182-ში მოთავსებული იყო ა-ს წერილი სათაურით: „გზა-სოფლიდან მომავალ მუშაკებს“. წერილში აღძრულია ფრიად საყურადღებო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებასთან და სოფლის მუშაკთა ხელოვნურ და მიზანშეფარდებულ შერჩევასთან.

წერილის ავტორს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, როდესაც ამბობს: „იშვიათია ისეთი ამხანაგი, ვისაც კი წერა ან ლაპარაკი, ემარჯვება, რომ სოფლის ცოდვების მთავარ მიზეზად ადგილობრივი მომუშავეები არ მიაჩნდეს“ და მათი „გულგრილობით, საქმისადმი დაუდევრობით და ბოროტმოქმედებით“ არ ხსნიდეს „სოფლად მუშაობის ნაკლს“.

ასე საკითხის დაყენება და გადაჭრა ავტორს მიაჩნია მის მეტის-მეტად გამარტივებად, ეს მხოლოდ ხელს უშლის სოფლის ტკივილების ძირითად, ან ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტზე ნაკლებ მნიშვნელოვან სხვა მიზეზების მხილებას და ამ ამოცანის ფართედ დაყენებას მშრომელი მასის წინაშე“.

უეჭველია, ხშირად სოფელში მომუშავეს ქვენა გრძნობები და ბოროტი ზრახვები არ ამოძრავებს, მას დიდი სურვილი აქვს საქვეყნო საქმე გააკეთოს, მაგრამ ამის ძალა მას არ შესწევს, საქმე ცუდად გამოსდის, ხალხის სალაყბოდ ხდება, პრესის კრიტიკის საგნად რჩება და ბრალდებულის სკამზე ჯდება.

თუმცა ავტორი უარს არ ჰყოფს, რომ ჩვენ სუსტი ვართ ადგილობრივ მომუშავეებით, რომ ხშირად პარტიას და ხელისუფლებას პირადი ანგარიშით, ან სხვა ქვენა ზრახვებით შეპყრობილი ხალხი ეტმასნება და თავის მოქმედებით სახელს უტეხს საბჭოთა აღმშენებლობას ფართე მასების თვალში“, მაგრამ ის მაინც „სოფლად მუშაობის ნაკლის“ მთავარ და ძირითად მიზეზად გამსჭვალულ „ხალხის“ უკულმართობით და უკანონო მოქმედებით არ ხსნის.

არის სხვა მიზეზიც—ამბობს ავტორი—რომელიც არა ნაკლებ მავნე როლს თამაშობს ახლად აღებულ კურსის უმტკივნელოდ და მიზანშეფარდებულად მოქმედებაში“.

„**ჩვენ ვლაპარაკობთ ხელმძღვანელობის და ხელმძღვანელების საკითხზე. მთელ რიგ საპასუხისმგებლო ადგილებზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, რომელთაც უშუალო კავშირი აქვს სოფლის ყოფა-ცხოვრებასთან, თქვენ ხშირად შეხვდებით თავის საქმის არ მცოდნე ხალხს**“... „**მთავარი აქ არ ცოდნაა. და იქ, სადაც არცოდნაა, ფუჭია საქმის ხეირიანად წარმოების ყოველი ცდა**“. (კურსივი ყველგან ჩვენია ვ. ბ.)

მართლაც და აბა გადავსინჯოთ სია იმ პირთა, ვინც სათავეში უდგა სოფლის საპასუხისმგებლო საქმეებს. სოციალური მდგომარეობით ესენი გლეხებია, ეს დადებითი მხარეა. მათ, თუ ყველას არა, უმრავლესობას მაინც კეთილი სურვილები ამოძრავებს, მათი მისწრაფება არის საზოგადო საქმე გააკეთონ. მაგრამ მათ ეს არ შეუძლიანთ იმიტომ,-რომ ამის გამოცდილება, პრაქტიკა არა აქვთ. ბევრი მათგანი მთელი თავის სიცოცხლე დამოკიდებულნი იყვნენ თავის ხაზეინზე, დამოუკიდებლად მეურნეობა არ უწარმოებიათ და არც საზოგადო საქმისთვის ეცალათ და არც დაუშვებდენ საზოგადო საქმესთან. ამასთანავე რას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა ძველ დროს? ის სწარმოებდა პრიმიტიულად და ჩვენი დროის განახლებულ სოფელს მაშინდელი მეურნეობის თუნდაც კარგი მცოდნე ბევრს ვერაფერს მისცემდა. გარდა ამისა მაშინდელ სოფელს ქალაქთან თითქმის არავითარი კულტურული და საალებმიცემო დამოკიდებულება არ ჰქონია. მაშინდელმა ქალაქელმა არ იცოდა ლობიო როგორ მოჰყავთ და სოფლელს არა სჯეროდა თუ დაბლობიდან მაღლობზე წყლის აყვანა შეიძლებოდა. მაშ, რა გამოცდილება უნდა ჰქონდეს სოფლის, თუ მის და ზოგჯერ მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს განახლებული სოფლის კულტურულ მეურნეობის გასაძღოლად. (რასაკვირველია, მე ვგულისხმობ არა ყველა ხელმძღვანელებს.)

არიან სოფელში კარგი მეურნე გლეხები, შედარებით განვითარებულები, მაგრამ მათ არ ვენდობით, კულაკებათ გვყავს გამოცხადებული. ერთის მხრივ ისინი არც სანდონი არიან, ვინაიდან ეს გლეხები ისეთ ტრადიციებში არიან აღზრდილნი, რომ მოექცევიან თუ არა საზოგადო საქმის სათავეში, მაშინვე მეფის მოხელეების ჩვეულება-წესებს აღადგენენ. ჯერ პარტიული მოხელეები არ არიან სრულად თავისუფალნი ეგრედ წოდებულ „ფეხის ქალმანის“ და მალარიჩის ჩვეულებიდან და რაღა უნდა ითქვას იმ გლეხზე, რომელიც ამერიკელივით ყოველ გაცდენილ საათს საკუთარ ოჯახში აფასებს და ანგარიშობს.

აი ამიტომ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით წერილის ავტორს მოყვანილ დებულებაში. კიდევაც მეტი, ჩვენ ეს მიზეზი მიგვაჩნია „სოფლად მუშაობის ნაკლის“ ძირითად მიზეზად ძალიან ხშირად სოფლის მუშაკს საზოგადო განვითარება არ აკლია, ის ნაკითხია, ნასწავლიც არის. ისეთ გეგმებს შეგიდგენთ ეს ამხანაგი, ისეთ ენერგიას გამოიჩენს მუშაობაში, გეგონებათ საქმის კაცთან გაქვთ საქმე, მაგრამ, როდესაც გაეცნობით მის საქმიანობას, აღმოჩნდება, რომ ის წიგნის, ფანტაზიის კაცია, საქმისა არა ესმის რა, ადგილობრივ პირობებს ვერ იცნობს. ერთი სიტყვით ნამდვილი მეურნის საზრიანობას და ანგარიშიანობას სრულიად მოკლებულია.

არც ამ გარემოებას ივიწყებს წერილის ავტორი და ამბობს: „ხშირად ზოგიერთ ხელმძღვანელ ხელმძღვანელ დაწესებულების სოფლის გაჯანსაღებისაკენ მიმართული გულწრფელი ცდა კურიოზამდი მიდის კაბინეტური ფანტასტიკა და ინტელიგენტური რეზონი ორობა ერთი დაწესებულების, რომელსაც აბარია მთელი ოლქის და ზოგჯერ უფრო მეტი რაიონის ბედი, უფრო ვნებს საქმეს, ვიდრე მექრთამე თემაღმასკომის „მოღვაწეობა“.

„ამიტომ ხელმძღვანელობის საკითხი ერთი იმ მნიშვნელოვან მომენტთაგანია, რომელსაც დღემდე ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, და რომლის მოუგვარებლადაც ჩვენ ვერ შევსძლებთ წარმატებით წინ წასვლას სოფლად მუშაობის დარგში“.

განა ამ სტრიქონების ავტორი სრულ ჭეშმარიტებას არ ამბობს. რომელ სოფელს, თუ მას და თუ გინდათ მაზრას აიღებთ, რომ ასეთ ფანტასტიკას და, გავბედავ და ვიტყვი, მტრაკვეცობას არა ჰქონდეს ადგილი. სოფელს სასმელი წყალი არა აქვს ან აბანო, გზის გაყვა ესაჭიროება, სასწავლებელს კარები ჩამოვარდნია, ფანჯ-

რავინ დაგძლევთ... გერმანიამ აქ უნდა წაგბაძოს თქვენ... თქვენსავით აღზარდოს ახალგაზრდობა...

მოგვწონს თქვენი აღმშენებლობითი მუშაობა... ელსადგურები—რკინის გზები, შარა გზები, წყალსაყვანები...

მოგვწონს თქვენი დისციპლინა—დემონსტრაციები... მაგრამ ყველაზე კარგი, ყველაზე მომხიბლავი თქვენი ბუნებაა, თქვენი მთებია და აქ აღმართული მუშათა დასასვენებელი სახლები.

ეს სახლები, საცა ათასობით მუშები ისვენებენ, ჩვენთვის წარმოუდგენელია, სიზმარია...

გასწით ისე მედგრად წინ...

თუ აქნამდი ევროპიდან სწავლობდით რამეს, დღეიდან ევროპამ“უნდა ისწავლოს თქვენგან, თუ როგორ უნდა მშრომელთა შეკავშირება სოციალისტური სახელმწიფოს აშენება, ქალაქის მუშებისა და გლეხების დაკავშირება-შეერთება... მომავალი თქვენია... გაუმარჯოს საქართველოს მშრომელებს და ჩვენს საერთო ფრონტს— იმეორებდენ განუწყვეტლივ გერმანელი სტუმრები·

უნდა ავღნიშნოთ რომ დელეგაცია თუმცა სამფეროვანია—13 ს. დემოკრატი, 4 კომუნისტი და სამი უპარტიო—ყველა საკითხებში ერთსულოვანია. და მათი მუშაობა მწყობრი და საქმიანი.

მხოლოდ ერთი დელეგატი მინერტი—ეტყობა მაგარი მენშევიკია და ცდილობს ოპოზიციონერობას, მაგრამ დაბოლოს მასზეც მოქმედობს სინამდვილე და ჭეშმარიტება...

13 აგვისტოს დაღალულ, დაქანცული დელეგაცია დაბრუნდა თბილისში დილის ათ საათზე, ხოლო 12 საათზე, მცირე საუბარის და ამხანაგური გამოთხოვების შემდეგ ისინი გაუდგენ გზას ვლადიკავკავისკენ და მოსკოვ-ლენინგრადით თავიანთ სამშობლოსაკენ. ასეთი მუშაობის შემდეგ იმის თქმა რომ ეს კომისია არის „დიდი სუბსიდიის“ მოყვარული ხალხი, არის პატიოსანი მუშების შეურაცყოფა და დიდი დანაშაული საერთო მუშათა მუშაობის, საერთო ფრონტის შედგენის წინაშე.

დასასრულ უსურვოთ გერმანელ მუშა დელეგაციას დანაპირების ასრულება, საერთო ფრონტის ჩაყრა აღდგენა და ჩვენი ამხანაგებისათვის ევროპაში თვალების ახილვა და უკან დაბრუნება.

ს. დოლიძე.

# ჩემი შთაბეჭდილებანი ბათუმ-გურიაში მოგზაურობის დროს

ივლისის პირველ რიცხვებში მე და მ. ძამანაშვილი გავემგზავრეთ დასავლეთ საქართველოში. შორაპანში მრავალ რიცხოვან მუშების კრებაზე ამხ. მიშა ძამანაშვილმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და რუსეთში გადასახლებულებთა მოლაპარაკების შესახებ. უნდა ითქვას, რომ იქ, საცა მუშების ცენტრია, თან და თან მაგრდება კავშირი უპარტიოებსა და პარტიულებს შორის, უწინდელ ინტრიგების და უნდობლობის მაგიერ მათ შორის ეტყობა თანაგრძნობის, პატივისცემის და ურთიერთ პასუხისმგებლობის შეგნება არსებულ ისტორიულ ხანაში.

კრება დიდათ დაინტერესებული იყო გადასახლებულ ამხანაგების მდგომარეობით და როდესაც გაიგეს, რომ ზოგიერთ მათგანს ვერ მოუხერხებიათ მთავრობასთან საერთო ენის გამონახვა და შერიგება, დიდათ უკმაყოფილო დარჩენ მათი უტაქტობით. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოუწოდებენ გაჯიუტებულ ამხანაგობას გამოასწორონ თავის შეცდომა და დაუბრუნდნენ რევოლიუციონურ რიგებს.

ასეთივე მდგომარეობა იყო ბათუმის მრავალ რიცხოვან კრებაზე. აქაც დაალონა მუშები იმ გარემოებამ, რომ ყველა ამხანაგები ვერ ბრუნდებიან და გამოსთქვამენ იმედს, რომ დარჩენილებიც მოვლენ გონს, გამონახავენ შესაფერის ენას დაუბრუნდებიან თავიანთ რიგებს და მით გაამაგრებჭნ რევოლიუციონურ რაზმებს, რომლის დაწყობა და გამაგრება ეხლა უფრო დიდათ საჭიროა, ვინემ იყო ოდესმე. აქაც გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, 1924 წლის 7—8 ოქტომბრის ჴაძალადევის მუშების მიერ გამოტანილ რეზოლიუციასთან შეთანხმებით.

ბათუმიდან წავედით ოზურგეთში, შემდეგ ლანჩხუთში. აქ კი სრულიად გაგვიქარწყლდა ის სასიამოვნო შთაბეჭდილებანი, რაც მივიღეთ ზემოხსენებულ მუშათა უბნებში. თუ მუშები წელში გამართულები, დამშვიდებული უდგებიან ყოველ საკითხს და ამ საკითხებს თავის საკუთარ საქმეთ უყურებენ, ასე არ არის გურულ გლეხებში. ისინი კრებაზე რომ მიდიან თითქო ფეხები უკან რჩებათ, როცა გელაპარაკებიან აქეთ იქით აცეცებენ თვალებს, ხომ არავინ მამჩნევს რას ვლაპარაკობო.

კრებაზე სრული სიწყნარე, არც შეკითხვა, არც სიტყვის სურვილი მოხსენების ირგვლივ. გული კინაღამ გაგვისკდა, გვეგონა: სრული ბოიკოტით შეგვხდნენ, არც კი სურთ საუბარი ჩვენთან და, თუ მოსულან, მხოლოდ კრებაზე დასწრების მოვალეობას ასრულებენო. დიახ, ასე გვეგონა, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოთ მოვსტყუვდით. ამ კრების მნიშვნელობის ახსნა განმარტების შემდეგ გლეხებმა ამოიდგეს ენა და პირველი გლეხის გამოსვლის შემდეგ თითქმის ყველამ მოისურვა ლაპარაკი. რა თქვა პირველმა გლეხმა, რომელსაც სხვებმა მიბაძეს: „რა ვქნა სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ მეშინია. ჯერ ხომ არაფერი მითქვამს და, დარწმუნებული ვარ, ჩემი მართალი აღსარებისათვის უეჭველში დამაბეზღებენ ხელისუფლებასთან, თითქოს მე მის წინაადმდეგ ვლაპარაკობდე და ეცდებიან, რომ ორ-სამ თვეს მაინც გავატარო თავისუფლება აღკვეთილი.-“ ჩვენ მაშინავე მივახალეთ პირში: „ნუ გეშინია სიმართლის, რამდენიც შეგეძლოს ილაპარაკე, მხოლოდ სიმართლე, ამისათვის შენ ხელს ვერავინ გახლებს.“ ასეთი დაიმედების შემდეგ ორატორმა გლეხმა განაგრძო: „მტკიცეთ შევიგენი რომ ეს ხელისუფლება არის ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება, მის წინაალმდეგ არ ვიბრძვი და ვეცდები ის გამაგრდეს, მაგრამ გული მიკვდება მეც და სხვებსაც, რომ ამ ხელისუფლებასთან დაახლოების საშუალებას არ გვაძლევენ ზოგიერთი ცხვრის ტყავში გახვეულები; მათ მთავრობა გაუხდიათ მხოლოდ თავის საკუთრებად და მისი სახელით ჩვენ სულს გვიმწარებენ ყოველნაირათ. ჩვენ თან და თან ვრწმუნდებით რომ ძველი მიმდინარეობის მოტრფიალეთ აბრაზებს და მოსვენებას არ აძლევს ძველი პრივილეგიები, რაც მათ ქონდათ უწინდელ დროს; ვწრმუნდებით იმაშიც, რომ რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება შესაძლებელია ბოლშევიზმის მეოხებით, რომ ბოლშევიზმს ებრძვის ფეოდალ-

ბურჟუაზიის ნაშთები საზღვარ გარეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებთან ერთათ, რომ ბოლშევიზმის დამარცხებით დაიღუპება ყოველი თავისუფლება, რომელიც საყვარელი იყო და არის ყველა მშრომელისთვის, მით უმეტეს, გურულებისათვის და თუ ეს ასეა, იმ შემთხვევაში უნდა გჯეროდეთ მტერსაც და მოყვარესაც, რომ ჩვენ ვერ შეურიგდებით ვერავის, ვინც კი შეებრძოლება მას. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ გვაქვს თავმოყვარეობა და საჭიროა სამართლიანად გვეპყრობოდნენ, ადამიანებათ გვთვლიდნენ და მუდამ არ სცდილობდნენ ჩვენს ყოველნაირ შეურაცხყოფას მთავრობის ზოგიერთი აგენტები, რომლების რევოლიუციონურ სიწმინდეში ჩვენ, ბევრიც რომ ეცადნონ, ვერ დაგვარწმუნებე და აი რატომ. ჯერ ერთი, ძველათ ეს ვაჟბატონები ნაცნობი იყვნენ, როგორც სოფლის მცონარეები, უსაქმურნი და ჩრდილში მოსვენების მოტრფიალენი, როცა ჩვენ გლეხებს პაპანაქება სიცხე ტვინს გვწვავდა. ამ ჭაპან-წყვეტით ოდნავ ვახერხებდით ოჯახური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეხლა ეს ვაჟ ბატონები კულაკებათ გვნათლავენ, აგვითვალისწუნეს და ათას ნაირ შეწუხებას გვაყენებენ, ძველათ მათ ორ ბატს არ ვენდობოდით ეხლა კი მბრძანებლათ მოგვევლინენ. რაც უნდა სიმართლე შევლაღადოთ ვინმეს, ჩვენი არ გადის, მათი კი ტყვილებიც გასავალს პოულობენ. გვწამს, რომ ასეთი უკიდურესი მდგომარეობა ჩვენი არ იცის ნამდვილ იდეიურმა ხელმძღვანელმა, თორემ ეს რომ მათ იცოდნენ ყოველივეს ბოლო მოეღებოდა. შეცდომით წარმოებულმა ბრძოლამ ჩვენ სახელი გაგვიტეხა, ნდობა დავკარგეთ და ნდობით აღჭურვენ ჩვენთვის კარგათ ცნობილი უნდო პიროვნებანი, ამიტომ გვიჭირს ხელისუფლებასთან დაახლოვება და ასეთი ტრაგიკული მდგომარეობა გაგრძელდება მანამ, სანამ ხელისუფლება არ დაგვიჯერებს ჩვენს გულწრფელობას და არ მოსპობს იმ კედელს, რომელიც ხელს გვიშლის მასთან დაახლოების. ჩვენ გვაშინებენ რევოლვერებით, რომლებითაც შეიარაღებულნი არიან არა საიმედო პირნი და უსუსური ბალღები, რომლებიც თავიანთი უხეში მოპყრობით მიწასთან ასწორებენ ჩვენ ადამიანურ ღირსებათავმოყვარეობას.

თუ ამოიღე ხმა, იმ წამსვე რევორველს გიტუნტულებენ ცხვირ წინ და დაგჭყივლებენ: აი შენ კონტრ-რევოლიუციონერო, მენშევიკო, დაჩუმდი თორემ, დახვრეტას თუ გადამირჩი, ციხეს ხომ ვერ აიცილებო. მივმართავთ ადგილობრივ ხელისუფლებას და ის, უკვე წინასწარ გაბრაზებული ამ არამზადების დაბეზღებით, ველარ ახერხებს დამშვიდებული მოგვისმინოს და, მისდა უნებურათ, ხშირად საკითხი გამწვავებით ბოლოვდება; ისიც ფიცხი, ჩვენც ფიცხი-ავირ დავირევით და განწყობილება მწვავდება.

ასეთი იყო თითქმის ყველა გურული გლეხების საჩივარი. მეტი წილი ცალკე მოლაპარაკების დროს გადმოვგცემდნენ თავიანთ ჭირ-ვარამზე, თითქმის სასოწარკვეთილებამდის მისულნი. ჩვენი დაკვირვებით, გურულების განცხადების სიმართლეში იქვე ვრწმუნდებოდით. მთელი ახალგაზრდობა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულია. იარაღის დაკიდებას ყველა ცდილობს. მედიდური გამომეტყველებაც ზოგიერთების მოწმობს, რომ მათ არ ესმით გლეხის ფსიხოლოგია, ისინი გლეხის ლაპარაკის დროს, მოუსვენრობას ეძლევიან, ტოკავენ, რევოლვერს მაგრათ უჭერენ ხელს და გამომეტყველებას ღებულობენ.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ჩემის აზრით შეუძლებელია. გლეხებში უეჭველად არის დიდი გარდატეხა, თუ ასე დარჩა, გაუგებრობას მუდამ ექნება ადგილი. ჩემის აზრით გურიას უნდა გაეგზავნოს ნდობით აღჭურვილი ათიოდე ამხანაგი და, მე დარწმუნებული ვარ, რომ 4—5 თვის მუშაობის შემდეგ გურიას ველარ იცნობთ. აქამდის იბრძოლა ხელისუფლების წინაამდეგ, ამის შემდეგ ის იქნება საუკეთესო დამცველი მისი, მხოლოდ საჭიროა ამ ხალხის ფსიხოლოგიის შესწავლა, მისი ფაქიზი გრძნობის პატივის ცემით მოპყრობა, შეურაცყოფის თავიდან აცილება და გაუგებრობის გაფანტვა და, ჩემის აზრით, ყოველივე მიღწეული იქნება.

ლანჩხუთში ერთ გლეხს მიწა არ ქონია. მას მიუმართავს ადგილობრივ ხელისუფლებისათვის თხოვნით მიეცათ მისთვის მიწა დასამუშავებლათ. ნებართვა ოფიციალურად მიუღია. ეს მიწა ყოფილა ჯაგნარი, გაუჩეხია, დიდის გაჭირვებით დაუხნავს, გაუმარგლია სიმინდი, მეორეთაც გაუთოხნია და აი, როცა დაუნახავთ კარგი სიმინდის ყანა, სხვას აუძრავს საჩივარი, რომ ეს მიწა ოთხი წლის წინათ მას დაუმუშავებია და უთხოვნია მისთვის ჩაებარებინათ, (როგორც გადმომცეს ეს მომჩივანი კომუნისტი ან მისი კანდიდატი ყოფილა), მისი თხოვნა დაუკმაყოფილებიათ.

ეს არ უნდა იყოს დასაშვები გლეხების ცხოვრებაში, მით უმეტეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ეს პირდაპირ ხელისუფლების პოლიტიკის ფეხ-ქვეშ გათელვაა.

ასეთ რამეს ვერ ნახავთ გორისა და ლეჩხუმის მაზრაში, რატომ? იმიტომ რომ იქ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ალაგმა თავხედები, რომელნიც მხოლოდ ალიზიანებდა გლეხ-კაცობას.

მართალია ყველას ვერ მოიმადრიელებ ერთბაშათ, მაგრამ არც ის ვარგა რომ დიდი უმრავლესობა გემდუროდეს კანონიერების დარღვევის და გლეხებთან უხეშ პოლიტიკით მიდგომის გამო. ეს არ არის ხელისუფლების ინტერესები, რომელიც მხოლო და მხოლოდ მუშების და გლეხების ინტერესების დაცვაში გამოიხატება.

შემდეგი იქნება.

**ლ. კუპრაშვილი.**

# მუშა დ. ლორთქიფანიძის სიტყვა გერმანეთის მუშების წარმომადგენლების მიმართ:

თფ. რკ. გზის მთავარ სახელოსნოს და ორთქლმავალთა საყუდის უპარტ. მუშა-მოსამსახურეთა სახელით მოგესალმებით თქვენ, ძვირფასნო გერმანიის მუშათა წარმომადგენელნო!—უპირველესად უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ პატარა საქართველოს შვილნი, მისი მშრომელნი ვართ, მაგრამ ყოველთვის ვიბრძოდით რუსეთის პროლეტარიატთან და გლეხკაცობასთან ერთად მეფის—თვითმპყრობელობის დასამხობად და შრომის მეფობის დასამყარებლად, რასაც, ჩვენი რწმენით, უნდა მოჰყოლოდა დაჩაგრულ ეროვნებათა განთავისუფლება. ამავ დროს ფხიზლად, პროლეტარული ინტერესით ვადევნებდით თვალყურს როგორც გერმანიის, ისე მსოფლიო მუშათა მოძრაო-

ვიწამო-ქადაგ მკითხავი.
ვიარო ლაშარ-ღელესა,
ვეხეტო იმ სიშორესა;
ხარებ დაუკლა სამხვეწრო,
ქვას, დახავსებულ ყორესა.
— შვილო ნუ იტყვი უგვანსა,
უსმინე ბიძას ბადასა,
დრო მივა-მოვა, ჩადგება,
მონახავს თავის ვადასა.
ნუ ხარ ურწმუნო, კმა იყავ
მამა-პაპათა რიგზედა,—
სულეთში გაგიჭარდება,
ვერ გახვალ ბეწვის ხიდზედა...
— მანამდის როგორ გაუძლევთ,
ბიძავ, ჩვენს მშიერ მადასა?
ლაშა ვერ წავა ომშია,
თამარ ვერ გაზელს ქადასა!
გადატრიალდა ცხოვრება,
ის აღარ არი, რაც იყო;
სულ ტყუილია ქონება,
რაც უნდა მდიდარ კაც იყო;
ეხლა თუ სწავლა არ შეგწევს,—
გეცვას თუნდ ოქროს თათები,
ისე დაგქათრავს ცხოვრება,
როგორც ფუტურას დათვები!..
რა ამოძრავებს ხმელეთსა,
რა წესი, რა ადათები,—
უნდა გავიგოთ სწორი გზა,
გავსწმინდოთ ნახთფათები...
— უგონთ გარეულ ხვარა ხარ,
შვილო, ვის ეკამათები?
გულში ხვარ ჩაგწვდა უჟმური,
ეშმაკის ნაქათქათები!
რას მასთქომ უკვალკილოდა,
რო გიჟი ნაავადები;
ნუ გამხდი სათაკილოდა,
ეხლა ვერ დავიბადები!—
კაცს რა საქმე აქვს იცოდეს
ყველა ღვთის გულის ნადები!?.
— ბიძავ, რო ვერას მოგაგვრი,
სატირლად დავემზადები;
მიყვარხარ, მაგრამ სიძულვილს
გულში შემოაქვს ზადები.
ვირს კლდეზე გადავარდნილსა
რეგვენი ჰკითხავს: „სად ები?“
სიმართლის მოციქულები
სტანჯეს ვით არამზადები,—
მეც მიყვარს ჩემი სამშობლო,
ხალხი, დედ-მამა ძმა-დები,
და ფიქრი მტანჯავს იმათი
სიზმრად კი არა,—ცხადები...
გულს ბევრჯელ შამამეყრება,
რო ვხედავ საქმე ფუჭდება;
დაიძვრის ჯავრი, საგონი
ზოკივით ჩამოქუჩდება.
შამოსჯდომია ფშაველი
მამაპაპეულს კერასა,
ურძნის მჭვარტლიან ძობინსა,
იქ გამხმარ ხაჭოს კვერასა.
დედაც იგლოთნის, უწონებს:
„შენამც-კი მოგხდი წერასა!—
ეგ ადამიჟმის წესია,—
წიწილა მიჰყავ ძერასა
ღმერთს უნდეს, ლაშარის ჯვარსა,—
ვერ გადაუხვალ წერასა!“
მოხიბლავს ტკბილის ენითა
მოზარდსა თავის წვერასა;
თაფლტაბოს შეუპირდება,
დაუცხობს ბედის კვერასა,—
ჭკვიანიც იყოს—დაიშლის
სოფლისად გაღმა ცქნრასა...
— მაშ რასა ფიქრობ ღონღილო,
მშობელს ურჩევდი შენ რასა?
— რასაც მე ვამბობ მოხუცო,
იმას ვნრ იქამს ცხრა კახი;
გული გულობას რას იზამს,
ტვინი არაყით ნაბახი;
საქმე არ გვიჩანს საქები,
ისმის უმიზნო ტრაბახი!
ნეკესათ უგერგილოსა
ძმისად დაუკრავ ნაჯახი;
ბევრს კიდეც გაუხარდება,—
ჩვენთვის დაიდგმის ლაბახი!
შაკმაზულ ლურჯას წავიყვან,
ჩოხა მექნება, ფაფახი.
ნერგათ წიფელას აქებენ,—
კაი ბიჭია ყაჩაღი!
თავ დაამეტა სოფელსა,
შიშით ასწავლა ცახცახი;
თავზე წაადგა თუ ვისმე,—
ფერს დასდებს, როგორც კაწახი!
იტყვიან წერით მოუვა,—
კაცს მიერგება რაც ახი:
ქალთამზეს თურმე მიუხდა,
თავზე დაამხო თაბახი;
თორმეტ საჩოხე წაუღო,
წალმ-უკულმაით ნაძახი...
როგორ არ ვიყო მოამბე
ფიქრი თუ მჭირდეს მჭმუნარი:
თუ რამ ზნე შაგვრჩა და სახე—
მხოლოთღა დასაწუნარი.
ერთ შვილსაც აღარ ეტყობა
მამისოდენა უნარი...
უკან წავიდა სოფელი,—
მალე სუ გადაგვარდება,—
ამაზე მეტად სიცოცხლე
თუკი არ შეგვიყვარდება!..
— მართალს ვერ იტყვი ღონღილო.
რასაც აყვედრი ბიძასა:
თვითონ გაწოვა დედამა,
არ გაუზრდიხარ ძიძასა;
გარდასულს რა ეკითხება,
რო ჩახედავდეს მიწასა!
შენ თავადა ხარ პატრონი,
მეუფე თავის ბედისა,—
რად გიკვირს როშვა სიტყვისა,
მოხუცის დანაყბედისა?
როგორც გიჯობდეს ისე ჰქმენ,

იცხოვრე უკეთესადა;
მე იმაზე მეტ არ ვიცი,
ჩემს დროს რაც იყო წესადა.
მსხალს არ ემყნობა ჭანჭური,
არ მიუდგება ფესვადა,
მარცვალი გამოუცდელი
არ ვარგა დასათესადა...
— ბიძავ ბევრი გაქვ მართალი,
ტყულში გასალესადა.
ბანზე ამიგდებ სიტყვასა,
ამბობ:—შენ სადა მე სადა?
მძიმეა სიბრძნე უფროსთა,
ეგა გვხდის ბრმად და ბეცადა.
იქნება სჯობდა ცხოვრება.
უთქვენოდ გამოგვეცადა;
დედა-მიწისთან გვებრძოლა,
თქვენ წასულიყოდ ზეცადა,—
და მუდამ გულზე არ გვეცხოთ,
ობად, მჭამელად, ქეცადა...
რომ გაწყდეს ყველა დედ-მამა,
არ ვინალვლიდი ბეწვადა!
შენ-კი გწყინს, ვიცი, მოხუცო,
სუ სხვა რამ 'მეთქვა—გეწადა;—
გულს ვერ გატკენდი მეტადა,—
ხმალიც რომ ამამეწვადა!
იყივლა კიდეც მამალმა!—
შაიძრა ღამის ყუდილი:
საწუთროს თვლემა, სიზმარი,
დრო სივრცით შემოზღუდილი.
ისმოდა შმუშნა ფარული;
ერთბაში რაღაც ზიდილი;
იწება სივრცეთა განისა,
სინათლის სულთქმა, მზის ძილი...
მოხუცთან ყმასაც ეძინა,
დავიწყებოდათ კამათი;
ერთ სალაროში ესვენა
მთელი საუნჯე ამათი;
ფიქრი და გრძნობა სადაო,
ზრუნვა, მტერი და შამათი.
ძაღლის გეჯაში, ქვის ქვეშა,
ჯლანი ლბებოდა უძირო...
მინდა რამ გითხრა ლონლილო,
გული მაქვს შენზე უძვირო,
მაგრამ არ ვიცი რა გტკივა,—
ვერ ასახელებ სწორადა...
მარტო იმითა ვნუგეშობ,
ხედვას რომ იწყებ შორადა,—
იქნებ რო გამოგელვიძოს,
სიტყვა ამიხსნა ძმურადა,
რომ დაფარული ნაღველი
გულზე არ გეცხოს მურადა.
მაგრამ ხვალ მთაში აპირობ,
ამბობ;—ბევრი მაქვ სათიბი.—
მთას უკვდავ-უბერებელსა
რომ არ უცვდება ქათიბი!?.
ბიძას რაზედლა სწუნობდი,—
ისიც ვარგიყო მთიბლადა,—
ცარიელ სიტყვებს სთხუზავდი
გონების დასახიბლადა...
სადამდე ევლო გზადაგზა
ჯოხზე გადამჯდარ მხედარსა!
კაცს მაშინ დაუჯერებენ
რო ნახვენ ნამოქმედარსა!..

ბასილ ხოშარელი.

# კორესპოდენცია

## ქვემო აბასთუმანი.

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მშრომელთათვის ჩვენს აგარაკებს. მათ არა მარტო ვიწრო დანიშნულება აქვთ, არამედ საერთო, საკავშირო ფარგლებში ემსახურებიან ჰლექით დაავადყოფებულებს და დიდი შრომით მოქანცულ მუშებს, რადგან პირველნი განიკურნონ და მეორეებმა კი შეივსონ და აღიდგინონ ჯან-ღონე, ენერგია.

ამიტომ მართებულია ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც აქცევს საბჭოთა ხელისუფლება აგარაკების მოწყობის საქმეს. მაზე დღეს დიდი თანხები იხარჯება.

რასაკვირველია, ყველა უნდა სცდილობდეს დაეხმაროს ამ დიად საქმეში სახელმწიფოს ერთი მხრივ და მეორეს მხრივ, ვისგანაც ჯერ არს, ხელი შეუწყოს მოაგარაკეებს, რათა მიაღწიონ თავის მიზანს. ე. ი. რაც შეიძლება მეტ შედეგს მიაღწიონ განკურნების მხრივ და აღიდგინონ შრომაში დახარჯული ძალღონე.

ამას ვერ ვხედავთ ჩვენ ქვემო აბასთუმნის ქვემო ნაწილში, აქ არის მთელი რიგი მოაგარაკეებისა, რომლებიც დასვენების ან განკურნების მაგიერ საშინელ ტანჯვაში არიან ჩავარდნილი. რაშია საქმე? ბინები სავსეა რწყილებით და ბაღლინჯოებით. ბაღლინჯოებთან კიდევ შესაძლებელი შეიქმნა ბრძოლა, მხოლოდ რაც შეეხება რწყილებს, პირდაპირ დაუძლეველი მტრები არიან ისინი.

იმ დროს, როდესაც სრული მოსვენებული უნდა იყოს ავადმყოფი-მოაგარაკე, ის „უთანასწორო" ბრძოლას აწარმოებს რწყილებთან. დღით ძილი ჯერ ვერ აუნაზღაურებს ღამით უძილობას და მესამედ, არც დღისით რცხვენიათ რწყილებს შეწუხების.

ამას დაუმატეთ კიდევ ის გარემოება, რომ ძაღლების ყეფა მთელი ღამეები და მოაგარაკეების დასვენების სრულ სურათს მიიღებთ.

მთელი ეს უსუფთაობა წარმომდგარია ალბად იქედან, რომ აბასთუმნის ამ ნაწილში აუარება ღორები, ძაღლები, ცხენები და სხვა შინაური ცხოველები და ფრინველები არიან.

ასეთი „მოსვენების" შესახებ არა ერთხელ მიუმართავთ მოაგარაკეებს როგორც აგარაკის დირექტორისთვის, აგრეთვე კომენდატისთვის, მაგრამ უბრალო თანაგრძნობის და კეთილი დაპირება-სურვილებისა, ჯერ არაფერი არ მიუღიათ.

პირდებიან მათ ზემო აბასთუმანში, სადაც სისუფთავე საკმაოდ არის დაცული, გადაყვანას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ მშრალი დაპირებაა. ამ და-

მიტინგის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. ლუკა ცინცაბაძე, მდივნად ამხ. სამსონ ჯაში.

მოხსენება: პოლიტიკურ, ეკონომიურ და ეროვნულ საკითხებზე—მიტინგს გაუკეთა ოზურგეთის საინციატივო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. გერმანე ლომთათიძემ.

„პოლიტიკური მდგომარეობა საბჭოთა კავშირის, ამბობს ამხ. გერმანე,—იმდენად გამტკიცდა, რომ გუშინდელი მტრებიც ურიგდებიან მას. ამ განმტკიცების მიზეზი შემთხვევითი როდია, ის ლოღიკურად გამომდინარეობს და ევოლიუციურად ვითარდება—ისტორიული მატერიალიზმის აუცილებლობისაგან. ბურჟუაზიულ იდეოლოგიასაც,—თუმცა ფარულად მაგრამ მაინც სჯერათ ეს. ამიტომაა რომ, ომის გაბედვის ნაცვლად დიპლომატიურ ქაქანს და უმიზნო ჩხირკედელაობას რომ ეწევიან საბჭოთა კავშირთან. დასავლეთის მენშევიზმიც გადაგვარდა, გუშინ ბურჟუაზიის მტერი—დღეს ბურჟუაზიას მეგობრობს. მაგრამ მასაც უიმედობა, მასაც სასოწარკვეთა ემჩნევა. საბჭოთა კავშირის დამარცხების საქმეში ბურჟუაზიული უიმედობა მენშევიზმსაც გადაედვა. ალბად ამით აიხსნება, რომ უდიდესი კალიბრის მენშევიკი რამზეი მაკდონალდი რომ დღეს პასტორია, და მეცნიერული სოციალიზმის ნაცვლად—ქრისტიანულ სოციალიზმს ქადაგებს.

ფულის სტაბილიზაცია, და ეკონომიური აღორძინება ხომ გასაკვირვალი სისწრაფით მოხდა; აბა ეროვნული კითხვის გადაჭრის საქმეში ბოლშევიზმა რომ თავი ისახელა—ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

ეროვნული მშვიდობიანობა, დღეს რომ ამიერ კავკასიის მაშტაბით არსებობს, აგებულია ერთა თვითმოქმედებისა და თვითგამორკვევის პრინციპზე, და არა სამხედრო რისხვაზე—როგორც ეს ოქტომბრის რევოლიუციამდე იყო. ამიტომაა, ჰარმონიულად რომ სწარმოებს ურთიერთ თანამშრომლობა ამ ერთა საკეთილდღეო საქმეზე, და ვითარდება პერმანენტულად წინ პროგრესისაკენ. მოკლედ გამარჯვება მიხწეულია, მიზანი მართლდება; ეს გამარტივებული, და გაჯანსაღებული სახელმწიფო ცხოვრების პირობები—კატეგორიული ბრძანებლობით აყენებს ყოფილ მენშევიკების გულ-წრფელ თანამშრომლობის აუცილებლობას საბჭოთა ხელისუფლებასთან და თქვენც აქეთკენ მოგიწოდებთო დაათავა მომხსენებელმა.

შემდეგ ორიგინალური გრძნობებით ილაპარაკეს მიტინგის ზოგიერთ მონაწილეებმა. განსაკუთრებული მოხდენილობით ძველ რევოლიუციონერმა ლუკა ცინცაბაძემ და ამხ. ჯაშმა.

ყველას სიტყვები, ერთად და ცალ-ცალკე, მთავარ მომხსენებელ ამხ. გერმანეს მოხსენების დასტურს და გამართლებას შეიცავდა; რის შემდეგ მიტინგმა მიიღო დადგენილებად:

1) საბჭოთა ხელისუფლებასთან გაცემული ხელწერილის საქმიანი განაღდება. 2) ვინც მას დაარღვევს სასტიკი დასჯა. 3) სიტყვიერი აგიტაცია იმ ამხანაგების შესაგნებლად და საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოსაყვანად რომელიც ჯერ კიდევ მერყეობაშია და მე-4) მზად ყოფა, საბჭოთა ხელისუფლებასთან საქმიან თანამშრომლობისათვის.

კრების თავმჯდომარე: ლუკა ცინცაძე.

მდივანი: სამსონ ჯაში.

# ქრონიკა

(კვირიდან—კვირამდე).

## ადგილობრივი ცხოვრება

— ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა გამოიკვლია და აღმოაჩინა შემდეგი: მიუხედავად საბჭოთა კავშირის ფინსახკომის ცირკულიარული განკარგულებისა იმის შესახებ, რომ საქველმოქმედო მარკებზე აღნიშნული უნდა იქნეს მთლიანათ წარწერა.

1—„საქველმოქმედო მარკა",

2—„იძულებითი გავრცელება არ შეიძლება" და

3—„ფულის ნიშნების მაგიერათ მიცემა ან მიღება დაუშვებელია",

არც ერთი ეს მოთხოვნილება ფაქტიურად შესრულებული არ ყოფილა და მარკებზე არავითარ წარწერას არ ჰქონია ადგილი.

მარკების გავრცელება ხდება კერძო აგენტურის ანდა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მოლარეთა საშუალებით, რომლებიც ამ მუშაობისთვის იღებენ ანარიცხს 10-15 პროცენტამდე და, მაშასადამე დაინტერესებულნი არიან მარკების მაქსიმალურ გავრცელებაში.

გეგმა-გარეშე ინსპექციამ ამის გამო დაადგინა, რომ საქველმ. მარკების გავრცელების წესი შეცვლილი იქნეს ძირიანად; ამასთანავე მოწესრიგებული იყოს თვით მარკების გამოშვება.

— ნიუ-იორკში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი". საზოგადოების ძირითადი კაპიტალი უდრის 4 000.000 დოლარს, საზოგადოების ყველა აქციები, როგორც იტყობინებიან ყველა გაყიდულია. აქციების ერთი ნაწილი დაეთმო ადგილობრივ მრეწველობას, ამ აქციების საბოლოო თანხის რაოდენობა ჯერ არ არის გამორკვეული.

საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია კომერსანტი ჩარლს ხოლმანი, ვიცეთავმჯდომარედ და საზოგადოების მთავარ წარმომადგენლად საქართველოში—ინჟ. რაშკოვიჩი, საზოგადოების მთავარ დირექტორად—ჰარიმანი. საზოგადოების სატრანსპორტო სამუშაოების და ექსპორტის ხელმძღვანელად მიწვეულია ალ. ჯაყელი.

საზოგადოებამ უკვე დაიწყო მუშაობა.

— თბილისის კომუნალური ბანკი ამ დღეებში უშვებს აქციებს ერთი მილიონი მანეთისას.

უმთავრეს მიზანს ბანკისას ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, ქალაქის კეთილ-მოწყობა და აღმშენებლობის გაძლიერება შეადგენს.

ბანკი აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა ახალშენების მშენებლობის საქმეში სათანადო ორგანიზაციე-

ბის მეშვეობით კრედიტების გაცემით. ბანკი აგრეთვე დიდ მონაწილეობას იღებს კრედიტებით სახლების შეკეთების საქმეში. კრედიტები ეძლევათ სახლების შესაკეთებლათ კერძო მეპატრონეთაც სესხი ეძლევა წლინახევრის ვადით.

— **აჭარა.** აჭარისტანის სახ. ვაჭრობამ გადასწყვიტა ხილეულობის გასასაღებლად გახსნას ლენინგრადში სპეციალური ხილეულობის და მწვანილეულობის სავაჭროები.

— **ახალი ბანკი.** თბილისში დაარსდა სავაჭრო-სამრეწველო საურთიერთო ნდობის ბანკი „მერკურბანკი“.

არჩეულია ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი — 28 კაცისაგან. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. ყ. თავდგირიძე, მდივნად ვ. მ. ჯაფარიძე და ხაზინადრად ს. გ. მაზმანოვი.

კომიტეტი უკვე შეუდგა საწევრო ფულების შეკრეფას ქალაქის ფარგლებში. ქალაქის ვაჭარ-მრეწველები მრავლად ეწერებიან წევრებად. ბანკი მოქმედების დაწყებას აპირებს ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან.

— **საკონტროლო სავაჭრო სკოლა.** განათლების კომისარიატმა დაადგინა მომავალ სამოსწავლო წლიდან თბილისში გახსნას საკონტროლო-სავაჭრო სკოლა, რომლის მიზანი იქნება მხოლოდ დაბალი კვალიფიკაციის კომერციული მუშაკების მომზადება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებისთვის.

— **ახალქალაქის სტუმრები.** 14 აგვისტოს ახალქალაქში ჩავიდა საქ. ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, რომელსაც შეხვდენ ქალაქის მცხოვრებნი. მახარაძემ თავის მისასალმებელ სიტყვაში ახ. ქალაქელებისადმი აღნიშნა, რომ მისი მიზენია გაეცნოს ახალქალაქის სოფლის მდგომარეობას.

თუში მეცხვარეები შეხვდენ ამხ. მახარაძეს, როგორც საპატიო მწყემსს ქალაქიდან 12 ვერსის სიშორეზე და გაჰყვენ მას ცხენებით.

მეორე დღეს ამხ. მახარაძე რამდენიმე პასუხისმგებელ მუშაკის თანხლებით, გაემგზავრა მუსულმანთა სოფლების მდგომარეობის გასაცნობათ.

როგორც ვიცით ახალქალაქის მაზრაში ადმინისტრატიული, აგრარული და ეროვნული საკითხები აწეწილ-დაწეწილია. ვიღაც უპასუხისმგებლო დაშნაკები მცხოვრებლებში სთესავენ ეროვნულ შუღლს და ამხედრებენ მცხოვრებთა უმრავლესობას საქართველოს მთავრობის წინაალმდეგ.

ამხ. მახარაძის მოგზაურობამ მაზრაში ყველა ამას მოუღებს ბოლოს.

— **გლეხკომების გამოკვლევა.** ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევამ გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების მუშაობისა ამიერ-კავკასიაში აღნიშნა, რომ საქართველოში გლეხთა საურთ. დამხმარე კომიტეტები მოქმედებენ ყველგან, გარდა ზემო სვანეთისა.

ყველაზე ენერგიული მუშაობა ეტყობა გორის, ოზურგეთის, შორაპნის და ახალციხის მაზრების გლეხკომებს. ამასთანავე შემჩნეულია, რომ გლეხკომებში ბევრია მოუმზადებელი ხალხი. სოფლის ინტელიგენცია და ქალები სუსტად არიან ჩაბმული გლეხკომების მუშაობაში, ამიტომ მათი მუშაობა მოიკოჭლებს. სუსტია გლეხკომების დამოკიდებულება მოსახლეობასთან. დამოკიდებულება ალმასკომებთან არანორმალურია.

— **მეცხვარეთა ახალი ამხანაგობა.** 2 აგვისტოს სოფ. სიონში (ხევი, დუშეთის მაზრა) მოხდა ხეობის და გუდამაყრის მეცხვარეთა ყრილობა. დაარსდა მეცხვარეთა და მეჯოგეთა ამხანაგობა „მთიულეთ ხევი“. გამგეობაში არჩეულ იქნენ: ვ ბოცვაძე, ი. გიგაური და შ. ღუდუშაური. ამ ამხანაგობაში შედის 260.000 ცხვრის მეპატრონე.

— **დაქირავებული შრომის გამოყენება სოფ. მეურ-ში.** ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ შეიმუშავა დადგენილება სასოფლო. მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ.

სამრეწველო ხასიათის სასოფ.-მეურნეობაზე ვრცელდება ის დადგენილებები, რომელნიც შეეხებიან შრომის პირობებს საბჭოთა მეურნეობაში.

ამ დადგენილების ძალით მოჯამაგირე უშუალოდ აჰყავს სამუშაოდ თვითონ დამქირავებელს; ადგილობრივ ორგანოებს ეკრძალებათ სავალდებულო დაქირავების დაწესება. დამქირავებელი ვალდებული არ არის მოჯამაგირის დაქირავებისთვის ნებართვა აიღოს რომელიმე ორგანოდან.

პირობებზე თვითონ დამქირავებელი და მოჯამაგირე რიგდებიან, როგორც სურთ და სდებენ ხელწერილს.

დაქირავების პირობის ერთ წელზე მეტი ვადით დადება არ შეიძლება.

ამ დადგენილების ძალით გაგრძელებული სამუშაო დღე (ე. ი. 8 საათზე მეტი) დაშვებული იქნება დამქირავებლის და მოჯამაგირის ურთიერთ მორიგებით, მხოლოდ იმის და მიხედვით, თუ როგორი სამუშაოები არსებობს სოფლის მეურნეობაში წლის ამა თუ იმ დროს.

სამუშაო ქირა წესდება აგრეთვე დამქირავებლის და მოჯამაგირის შორის დადებული პირობით, მხოლოდ ქირა არ უნდა იყოს იმ უმცირეს ხელფასზე ნაკლები, რომელსაც შრომის სახ. კომისარიატი აწესებს.

მოჯამაგირეზე ჯარიმის დადება თავისი ნებით ეკრძალება დამქირავებელს...

დამქირავებლიდან წასვლის დროს მოჯამაგირე ვალდებულია ჩააბაროს დამქირავებელს ის ქონება, რომელიც მას მინდობილი ჰქონდა და სხ.

## ბიძა-ძმისწული

(ფშაური დიალოგი)

ხვალ სათიბს უნდა წავიდე, —
ღონღილმ ჩაალბო ქალმანი,
როსნამდე მუშითა ვბანდო
ჯღანი ეს ბაითალმანი;
გუდას გამოვჭერ საკოპე,
ავყარე ხანჯრის ქარქაშსა;
გამიყონალდა ცხოვრება,
მეძახის „სალოლ-ყარდაშსა“!
— გულს ნუ გაიტეხ ძმისწულო,
დრო მოვა შაიმოსები!
ეფრემვერდშია სწერავის,
სთარგმნიან ფილოფოსები...
— ქილიკობ ბიძავ იმითა, —
შაგრჩა ძველ ჩოხა ნიფხავი,
მეც მირჩევ იმ დროს ჩავხედო,

ბას, რომელიც მიმართული იყო ყველა დამჩაგვრელთა წინააალდეგ.

საქართველომ რუსეთთან ერთად გაიმარჯვა რევოლიუციონურ ბრძოლაში; მაგრამ რაღაც გაუგებრობამ ჩვენ მტრის გასახარებლად ერთმანეთს დაგვაშორა—დროებით, დღეს კი დავრწმუნდით რა, რომ ძალა ერთობაშია, ერთად ვიზიარებთ ჭირსა და ლხინს! მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა მსოფლიო პროლეტარიატს ჰქონდეს საერთო ხაზი (ფრონტი), საერთო მძარცველების დამარცხების გასაადვილებლად და აჰა, ჩვენ მზათა ვართ ამ ერთობისათვის, ორგანიზაციული შეკავშირებისთვის. და, იმედია, ძვირფასო სტუმრებო, შეისწავლით ჩვენი ქვეყნის ავ-კარგს და დარწმუნდებით, რომ ჩვენში როგორც ალმშენებლობა, ისე მუშათა მდგომარეობა და ეროვნული საკითხი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს შეძლების ფარგლებში. შეცდომებს და ნაკლსაც უეჭველად შეხვდებით, რადგანაც ყოველ ახალ საქმეს შეცდომებიც და ნაკლიც თან დასდევს. ჩვენ ვცდილობთ მომავალში თავიდგან აცილებულ იქნას ყოველი გაუგებრობა, გამოსწორებულ იქნას ყოველი ნაკლი.

ჩვენ იმედი გვაქვს, თან წაიღებთ ჩვენ სიყვარულს, სისწორით გაიცნობთ ჩვენს სინამდვილეს და გააცნობთ თქვენს წარმომგზავნელებს, გერმანიის მუშათა კლასს: გულწრფელად გისურვებთ გერმანიის მუშათა კლასს მეტ მხნეობას, მეტ სიმამაცეს, დიდ გამარჯვებას!

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს!
გაუმარჯოს მუშათა მთლიანობას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!“

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ხცისის თემი

(გორის მაზრა)

მიმდინარე წლის 21 ივნისს შესდგა ხცისის თემის ყოფილ მენშევიკებისა და უპარტიო მასის საერთო კრება: კრებამ მოისმინა ქალ. ხაშურის მუშათა კომისიის რწმუნებულის მოხსენება. „აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი გაკვეთილები“.

მოხსენებას აკეთებს ამხ. კობახიძე. მან მდაბიო ენით დაასურათა დ აუხსნა კრებას სოციალ-დემოკრატიის მუშაობა, მისი წარსული რევოლიუციონური მუშაობა თვითმპყრობელობის წინაალმდეგ მთელი 30 წლის განმმვლობაში, როდესაც შეიწირა მრავალი საუკეთესო მებრძოლი მუშები და გლეხები და რომ მათი დაწყებული საქმე დღეს ჩვენ მიერ იქნა გამოყენებული მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოთ. მაგრამ ომის დროს და რევოლიუციის ხანაში მათ გააკეთეს შეცდომები.

მომხსენებელმა განსაკუთრებით აუხსნა კრებას 1921 წლიდან წარმოებული ბრძოლა და აგვისტოს აჯანყება ბოლშევიკების წინაალმდეგ, როგორც უნაყოფო ცდა და საშინელი კატასტროფა სოციალ-დემოკრატების, რაშიც, რასაკვირველია, წილი მიუძღვის II ინტერნაციონალსაც, რომლის დიდი იმედი ჩვენ ქართველ ხალხს გულში ქონდა. ეხლა ჩვენ დავინახეთ, რომ ეს არის განმანადგურებელი პოლიტიკა და მიუღებელი ქართველ მშრომელ ხალხისათვის.

ამიტომ საჭიროა ყოველი მშრომელი საღათ აფასებდეს და ადევნებდეს თვალყურს ყოველივე იმას, რაც ხდება ევროპის სახელმწიფოებში და ამოუდგენ მთავრობას გვერდში, შეკავშირებულთ ძალით. მოვიგერიოთ ის საერთო მტერი, რომელიც თარეშობს ევროპის მუშათა კლასზე და ჩვენსკენაც აპირებს გამონავარდებას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას საქართველოს გასაბჭოებისა და აგრეთვე რევოლიუციის დროს და ამბობს:

ბოლშევიკებმა სწორად აუღეს ალღო რუსეთის პროლეტარულ მოძრაობას, ჩაუდგენ სათავეში ამ მოძრაობას და გაილაშქრეს დროებითი მთავრობის წინაალმდეგ, რათა ძალა უფლება ჩაეგდოთ ხელში და დაემყარებიათ პროლეტარიატის დიქტატურა: მოახდინეს განსაზოგადოებრივობა მთელი ფაბრიკა-ქარხნების—მიწა მთლიანად გლეხებს გადასცეს.

ახალმა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ საფრთხე მოუმზადა ევროპას და ემუქრება მას სოციალისტური რევოლიუციით.

საბჭოთა ხელისუფლებამ, დაიწყო რა სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ჩვენ ვხედავთ მრავალ საუკეთესო მიღწევებს როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო დარგებში; დღითი დღე იზრდება და მტკიცდება ვალიუტაც.

ეს რომ ასეა ამის მაჩვენებელია ის რომ ხელისუფლებამ, საგრძნობლად შეამცირა სასოფლო გადასახადი, შეუმსუბუქა გლეხობას სამეურნეო იარაღების შეძენის საქმე, დააკლო საგრძნობლად ფასები პირველ მოთხოვნილების საგნებზე, გახსნა მრავალი სოფლის კოოპერატივები, რითაც გლეხობამ თავი დააღწია კერძო ჩარჩებს და აგრეთვე მიეცა ღირებული ფასი გლეხის ნაწარმოებს. ჩვენ ყველამ უნდა შეუწყოთ ხელი, დავეხმაროთ მას ამ საქმეში და უეჭველად უფრო ჩქარა იქნება მიღწეული ის, რაც აუცილებელია გლეხისათვის.

შემდეგ გადადის რა ევროპის სახელმწიფოების მდგომარეობაზე აღნიშნა, რომ ევროპის მთავრობებმა ომის შემდეგ, დაინახეს რა რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება, მისი სალი და საქმიანი პოლიტიკა, სიმტკიცე, მიიტანეს იერიშები მის წინაალმდეგ და აგრეთვე თავიანთ მუშათა კლასზე.

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპაში, სადაც მუშათა კლასის ნაწილს ხელმძღვანელობს მე-II ინტერნაციონალი, უკანასკნელმა ვერ აიღო ძალა უფლება ხელში მისთვის ხელსაყრელ პირობიბეს მიუხედავათ.

ბურჟუაზიამ მოახდინა დროებითი გამარჯვება მუშათა კლასზე, ამისათვის მან მიმართა ყოველივე საშვალებას, გაანადგურა და გაანიავი გერმანიის პროლეტარიატის შექმნილი სიმდიდრე და სისხლში ჩაალრჩო ის. რუსის ოკუპაციის პოლიტიკით, რათა დაუკარგოს მას მომავალი რევოლიუციის იმედები;—ჩინეთის—მაროკოს მშრომელი ხალხი გახვია ახალი ომის ცეცხლში და დაუზოგველად ხვრეტს და სჯის ჩინელ სტუდენტობას და გაფიცულ მუშებს.

აგრეთვე იერიში მიიტანა სხვა კოლონიალურ ქვეყნებზე.

დღეს კი ემზადება ომისთვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ დროს, როდესაც ერთის მხრით სდგას ევროპის ბურჟუაზია თავისი რეაქციონური ზრახვებით, მეორეს მხრით, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ქართველი გლეხი და მუშა, რომელთაც 30 წელი ერთად უბრძოლია რუსეთის პროლეტარიატთან, და რომელიც თავის მდგომარეობით და შეგნებით დგას სოციალისტურ წყობილების ნიადაგზე, პროლეტარიატის დიქტატურას აღიარებს მუდამ, ამ დროს და ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ჩვენ ყოფილი მენშევიკები და უპარტიო მასა უნდა ვიყოთ საბჭოთა ხელისუფლებმსთან, დავეხმაროთ ბოლშევიკებს ყოველივე ამ მუშაობაში, და უსათუოთ მტერი ჩვენს წინააღმდეგ არ იქნება ისეთი ძლიერი, როგორიც გვეჩვენება. წინააღმდეგ შემთხვევაში უეჭველია, ჩვენს ქვეყანას მოელის სრული განადგურება, ის გადაიქცევა საომარ ასპარეზათ, გავეხვევით ომის ცეცხლში და ქართველი მშრომელი ხალხი სრულიათ განადგურდება, როგორც ფიზიკურათ, აგრეთვე მატერიალურად და პოლიტიკურადაც.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სოფლის ყოფა ცხოვრებას და საბჭოთა კანონიერებას. აღნიშნავს რომ, ყველა გლეხი, მუშა, ვალდებულია ყოველივე უკანონო მოქმედება რომელიმე თანამდებობის პირისა, გამოაშკარაოს სათანადო ადგილას. გლეხს ამის ნუ ეშინია, ამას მოითხოვს საქმე, ამას მოითხოვს საბჭოთა კანონიერების ცხოვრებაში გატარება.

თუ გლეხობა სასტიკ თვალყურს ადევნებს ამ საქმეს, არ იქნება ის უკანონობა, რომელსაც ადგილი ქონდა ამდენხანს, საბჭოთა კანონი არის სრული ინტერესის გამომხატველი მუშისა და გლეხის.

ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ხელისუფლება ანგარიშს გაუწევს ჩვენ ამხანაგებს მის გულწრფელ მუშაობაში, ამისთვის რასაკვირველია არის საჭირო, მეტი ნდობა და მოპყრობა, ყოფილ მენშევიკებსა და უპარტიო გლეხებისა, რომ ამით მოხთეს დაახლოვება ხელისუფლებასთან.

შემდეგ მოხსენებას მუშათა კომისიის მუშაობაზე აკეთებს ამხ. უშვერიძე. მან ვრცლათ აღნიშნა კომისიის დაარსების მიზანი, მომენტი, თუ რა პირობებში მოუხდა მას მუშაობის დაწყება,—რა გააკეთა კომისიამ ამ საქმით და რა შედეგი მოყვა ამას. მომხსენებელი ამბობს, რომ ყველა მუშა და გლეხი, რომელსაც უნდა მშვიდობიანობა, განვითარება და ბედნიერი მომავალი დადგა ამ ახალ გზაზე მუშათა კომისიის გვერდში. შემდეგ მომხსენებელმა გააცნო კრებას რუსეთის გადასახლებულებთან მოგზაურობა მუშათა კომისიისა, რომელმაც სასურველი შედეგი მიიღო და უმეტესობა ჩვენი ყოფ. ამხ. მალე ჩამოვლენ.

გააცნო აგრეთვე მომავალი ჩვენი მუშაობა, და მოუწოდებს მათ დადგენ გულწრფელად საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, ხელი შეუწყონ მის განმტკიცებას, თავი გაანებონ პარტიულ ჯინიანობას.

კრება ირჩევს მუშათა კომისიის რწმუნებულებს.

1. გიორგი ხრიკულოვს.
2. ილიკო დავითაძეს.
3. ნიკოლა მაზიაშვილს.

და მათ კანდიდატებათ:

1. ლექსო ჯიქურაშვილს.
2. დათიკო ხაბელაშვილს.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვგმობთ რა ძველ მუშაობას და აგვისტოს გამოსვლებს, როგორც ხალხის დამღუპველ ავანტიურას, კრება სავსებით იწონებს მუშათა კომისიის მიერ წარმოებულ მუშაობას და 7—8 ოქტომბერს 1924 წ. მიღებულ რეზოლიუციას და ავალებს კომისიას განაგრძოს ამ მხრივ ენერგიული მუშაობა, რათა მიღწეული იქნეს საერთო შეთანხმება ხელისუფსუფლებასთან, მოუწოდებს რა კრება ყოფილ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ დამდგარან საბჭოთა პლათფორმაზე, ნუ იცქირებიან შავი ზღვისკენ, კარგად ჩაუკვირდენ შექმნილ მდგომარეობას, დადგენ ახალ გზაზე და ამით შეუწყონ ხელი მთავრობის საქმიან მუშაობას.

გაუმარჯოს, საბჭოთა ხელისუფლებას.

**დამსწრე მუშა ა. კ.**

---

## ქ. ახალ სენაკი

კვირას 5 ივლისს ქ. ახალსენაკის საბჭოთა თეატრის დარბაზში შესდგა კრება ყოფ. სოც-დემოკრატების, ახალგაზდა მარქსისტების და უპარტიო მუშების.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ანდრრო ხოფერია, მდივნად ვარ. ქოიავა.

რუსეთში გადასახლებულ პოლიტიკურ პატიმრების შესახებ მოხსენება გააკეთა მუშ. კომისიის წევრმა ამხ. კოლია მაჭარაძემ. მან დაწვრილებით აღნუსხა პოლიტპარტიებთან მოლაპარაკების პროცესი, მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აბსოლიუტური უმრავლესობა უკვე იზიარებს იმ ხაზს, რომელიც აირჩია მუშათა კომისიამ, გამონაკლისით სუზდალელთა ჯგუფისა.

გააცნო აგრეთვე კრებას სუზდალელების და ემიგრაციის პოლიტიკური ხაზის მსგავსება და განსხვავება. ბოლოს წაკითხულ იქნა სია 83 კაცის (გადასახლებულების), რომელთაც აბრუნებენ სამშობლოში.

კრებაზე შემოვიდა სხვა და სხვა შეკითხვები. ბოლოს ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კ. მაჭარაძის შესახებ მუშათა კომისიის მუშაობისა გადასახლებულებთან, ვსცნობთ კომისიის მუშაობას დამაკმაყოფილებლად და ვისურვებთ, რომ მუშათა კომისიამ გაასკეცებული ენერგიით აწარმოოს მუშაობა ერთხელ აღებული ხაზით და ყოველგვარ ღონისძიებას მიმართოს რათა ყველა პოლიტგადასახლებულნი დაუბრუნდნენ საქართველოს მშრომელ მასას და მათთან ერთად აწარმოონ აღმშენებლობითი მუშაობა ყოველ დარგში საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის."

1925 წ. 14/VII ქ. ახალსენაკი.

---

## გურია

**ყოფილ მენშევიკების მიტინგი დაბა ნაგომარში.**

მიმდინარე წლის 28 ივლის, ოზურგეთის სამაზრო საინციატივო ბიუროს თაოსნობით, შესდგა დაბა ნაგომარში—ნაგომრის რაიონის ყოფილ მენშევიკების მიტინგი. მიუხედავად მუშაობის მძაფრი პერიოდისა, მიტინგს დაესწრო ცხრამეათეული. დღის 12 საათზე მიტინგი გახსნა სამაზრო საინციატივო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. გერმანე ლომთათიძემ და მოუწოდა მიტინგს თავმჯდომარის და მდივნის არჩევაზე.

პირების შესრულებას ოქტომბერში ფიქრობენ, მხოლოდ მანამდე თავისთავად მოხდება ზემო აბასთუმანში თავ-თავის ალაგას დაბრუნება.

ერთი სიტყვით, რომ ამ მოაგარაკეების ცხოვრებას ჩაუკვირდეთ, ეს დასვენება კი არ არის, ტანჯვა და სასჯელია. როდის გათავდება ტანჯვა და დაუმსახურებელი სასჯელის ვადა?

მოაგარაკე.

აბასთუმანი. 30 ივლისი.

---

## სოფ. საგარეჯო

### (გარე-კახეთი)

ეს სოფელი კულტურულად მთელს ტფილისის მაზრაში და კახეთში ყველაზედ წინ იყო, თუმცა არც დღეს ჩამორჩება მაგრამ მაინც როგორც რომ უნდა წინ წასულიყო ისე არ არის, თითქმის სხვა სოფლებმა გაუსწრეს, ყველა მხარეში გახურებული მუშაობა სწარმოებს. ელექტრო სადგურების, სკოლების, გზების, თეატრების და სხვა, ამშენებლობაზე უნდა ითქვას, რომ აქ ძალიან ნელი ტემპით მიდის მუშაობა ამ მხრივ. შკოლების შენობები დაძველებულია, იატაკი ჩამტვრეული, კედლები ჩამონგრეული და სხვა რომელიც ითხოვს კაპიტალურ რემონტს, იყო განზრახვა საშუალო სასწავლებლისთვის ოთხი ოთახის ასაშენებლად, მაგრამ დღესაც თავი აქვს მინებებული. ან კი რა უნდა გააკეთოს საშკოლო კომისიამ როდესაც მათ თავიანთი კერძო საქმეები აქვთ, ამაზე უნდა იზრუნოს თვით აღმასკომმა, ამისათვის ტფილისის აღმასკომმა უნდა გადასდოს საჭირო თანხა და ეხლავე შეუდგნენ საქმეს, თორემ ზამთრისათვის მოწაფეები დარჩებიან გარეთ. ტფილისის აღმასკომი უნდა თანაბრად ყურადღებას აქცევდეს ყოველ მხარეს. არის კოოპერატივი თუმც კარგად მუშაობენ, მაგრამ შენობა იმყოფება უსუფთაოდ, არსებობს სას. სამ. საკრედიტო ა-ბა, მაგრამ მის მუშაობასაც აკლია უნარიანობა, არის თეატრი სადაც სისტემატიურად მიდის წარმოდგენები ამაზე კარგის მეტს ვერას ვიტყვი.

არის გლეხკომი რომელსაც დიდათ არა აქვს გამოჩენილი უნარი.

არის ზოგი უბანი რომელსაც არა აქვთ წყალი და მცხოვრებლები კი მცირედი არიან, ამათაც უნდა დაეხმაროს აღმასკომი წყლის გამოყვანაში.

ალაზანი..

---

## თელავის მეტყავეთა კავშირის „წითელი სახელოსნო.

თელავში მეორე წელიწადია, რაც არსებობს და მუშაობს მეტყავეთა კავშირის აზიური და ევროპიული „წითელი სახელოსნო“ რომელშიც მუშაობდა ოცდა ათი მუშა. მაგრამ უხეირო გამგეობის წყალობით სახელოსნოს მდგომარეობა სულ უკან და უკან მიდიოდა, მაგრამ „წითელი სახელოსნოს“ ადგილკომის და სხვა თელავის პასუხისმგებელი ამხ. წყალობით, რომელნიც არიან პარტკომის მდივანი გ. ელისაბედაშვილის და კავშირის მდივნის ქ. არუთინოვის მეცადინეობით, წითელი სახელოსნო გადავიდა „ეპოს“ ხელში.

თელავის „ეპოს“ გამგეობამ მართლაც ამ სახელოსნოს მოჰკიდა ხელი და დღეს კონკურეციას უწევს თელავის ბობოლა ხელოსნებს და ტყავის ვაჭრებს. ამ სახელოსნოში მზადდება, როგორც აზიური ისე ევროპიული ფეხსამოსები და მასთან არის ტყავით ვაჭრობა გამართული, რომელიც ადგილობრივ ტყავეულობის მოვაჭრეებს გაუწია დიდი კონკურენცია და ტყავის ფასები დასცა ძირს. ამდენხანს თუ ყიდიდენ 50 პროცენტით ზევით ეხლა დაუწიეს ფასი, მაგრამ მაინც დიდ საგონებელში არიან ჩავარდნილი.

17 ივლისს მოხდა „წითელი სახელოსნოს“ გაერთიანებული მუშების კრება. დღის წესრიგში იყო საკითხი ადგილკომის ცხრა თვის მუშაობის მოხსენება და ახალი ადგილკომის არჩევა, მეორე სარევიზიო კომისიის. საკონფლიქტო—შემფასებელ და საწარმოვო თათბირის არჩევა. ადგილკომის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს მდივანი ქ: ცერცვაძე. მოხსენება დამაკმაყოფილებელი იყო და კრება გადვიდა არჩევნებზე. ადგილკომში აირჩიეს, 1. ქ. ცერცვაძე, 2. ა. მესხიშვილი, 3. ს. არუთინოვი, სარევიზიო კომისიაში: 1. ი. სუხიტაშვილი, 2. ა. აბრამაშვილი, 3. მ. გეურკოვი. საკონფლიქტო შემფასებელ კომისიაში: 1. ქ. ბაბოევი, 2. დ. ოსიპოვი, 3. ვ. მარტიროზოვი. საწარმოვო თათბირში: 1. ქ. არუთინოვი, 2. ვ. მარტიროზოვი, 3. ი. სუხიტაშვილი, 4. ი. ლომიძე, 5. მ. გეურქოვი. უსურვებთ ახლათ არჩეულ ამხანაგებს. ნაყოფიერ მუშაობას.

ტანჯული მუშა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

### ამხ. რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ ჟურნალ „ახალი გზის“ №-ში მოთავსებული იყო ჩემი წერილი არაზინდოდგან № 27-ში. ზემოხსენებულ წერილში შეცდომით არის ორი მოქალაქის სახელი და გვარი. 1. ოსიფოვი, და 2. ფომიჩი. ესენი მართალი ძლიერ მთვრალები არ ყოფილან, მაგრამ მათ თავის დანარჩენ ამხანაგებთან მიუღიათ მონაწილეობა; ბაქოდან ჩამოსული მუშები სანატორიუმ "არაზინდოში" უმრავლესობა წერილში მოყვანილის გარდა კიდევ განმეორებით გაწერილ იქმნენ სიმთვრალისათვის „არაზინდოდან“ და თუ საჭირო იქნება მათი ვინაობის გაგება თავიანთ კავშირს შეუძლიან გაიგოს საბუთები„ არაზინდოს“ სამართველოდან და კიდევ ბაქოს დამზღვევ სალაროსაგან, სადაც მათ გადაეგზავნათ ოქმი მათი ყოფაქცევის.

ტანჯული მუშა.

---

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი.
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
ქ. მაჰარაძე
ლ. კუპრაშვილი

მთავლიტი. № 1263 პოლიგრაფტრესტის მე-4 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 13 სექტემბერი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8—2 საათამდე | № 34

## ახალი გზა

დღეს ცხოვრების სინამდვილემ
დაგვაყენა გზას გარკვეულს;
სიმწრით, ოხვრით მოგვაგონებს
საშინელსა წარსულს წყეულს.

—

ჩვენი ცოდვა იმათ ზიდონ,
ვინც ჩვენ შორის ორმო თხარა;
ორი მკვიდრი ძმა გვაბრძოლა,
უმანკო სისხლი დაღვარა.

—

ზიზღი დასავლეთ ევროპას,
წვრილ ერების დამღუპველსა,
მატყუარას, ყოვლად მაცდურს,
მოსისინეს, როგორც გველსა.

—

მან დაქსაქსა ჩვენი ერი,
პაწია და მშვენიერი.
კმარა, ძმებო, კმარა, კმარა
ძმათა შუღლი გვინდ აღარა!

—

მივაწიეთ სამარის კარს,
და იქ უხვევთ ისევ აქეთ;
ჩვენ მოძმებთან შესაერთად
ახალი გზა გამოვნახეთ.

—

გაუმარჯოს ჩვენს ახალ გზას,
გაუმარჯოს ქართველ მშრომელს,
გაუმარჯოს ყველა იმას,
მოუნახავს ეს გზა რომელს.

გ. სვანი.

## ექვსი ემიგრანტ მუშის დეკლარაციის გამო

ჩვენი ჟურნალის № 33-ში მოთავსებული იყო „პოლიტიკურ ემიგრანტ მუშათა დეკლარაცია“, რომელსაც ხელს აწერს ექვსი ამხანაგი.

ტეხნიკური დაბრკოლების გამო რედაქციამ ვერ შესძლო თავისი აზრი მაშინვე გამოეთქვა დეკლარაციის შესახებ და აღუთქვა მკითხველებს შემდეგ ნომერში შეხებოდა მას.

მიმდინარე ნომერში რედაქცია იხდის მკითხველების წინაშე თავის ვალს.

ეს დეკლარაცია ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმას, რომ ქართველ ემიგრაციასაც გასჩენია ჩრჩილი, რომელიც შლის, ღრღნის ემიგრაციის მთლიან სხეულს. ასეთი დეკლარაცია ემიგრანტების რიგებში პირველი არ არის. ამას წინად „კომუნისტის“ ფურცლებზე ჩვენ გავეცანით ივ. კაჩუხაშვილის და ალიხანაშვილის წერილებს, რომლებშიაც ამ ამხანაგებმა გამოიჩინეს გამბედაობა და გადააფასეს ის ღირებულებანი, რომლის გულისთვის მათ ამ ოთხი წლის წინად დასტოვეს სამშობლო და თავი შეაფარეს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებს.

შეიძლება, როგორც ექვსის, ისე კაჩუხაშვილის, ალიხანაშვილის და სხვა ემიგრანტების, დეკლარაცია-წერილები ვისთვისმე დამარწმუნებელი და დიდი ღირებულების არ იყოს, რადგანაც აქ საქმე გვაქვს ემიგრაციის (ბოდიშს ვიხდით ამ ამხანაგებთან) ქვედა ფენების წარმომადგენლებთან, რომლებიც, შესაძლებელია, უმნიშვნელო მიზეზების გავლენით, ან მეორე ხარისხოვან მოტივების კარნახით სულმოკლეთ იცვლიან პოლიტიკურ მრწამსს და ადვილად დგებიან ახალ გზაზე; მაგრამ განა ასეთივე დაშლის პროცესი არ ემჩნევა ემიგრაციის თვით ზედაფენებს? უტყუარი ფაქტია, რომ ჟორდანია-წერეთელი ჩამოშორდენ ნ. რამიშვილს, უკანასკნელი დაუახლოვდა სპ. კედიას და ჟორდანია-კედიას მიერ გამოცხადებულია ერის მოღალატედ.

თუ 1922 წლიდან აქნობამდის შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ საქ. საგანგებო კომისია ტერორის ქვეშ აწერინებდა

მენშევიკურ პარტიის წევრებს მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის სასარგებლო დეკლარაციებს. ემიგრანტები ხომ ყოველ ტერორის გარეშე სდგანან. რა შაითანი შეუჩნდათ და „აგალობებს“ მათ თავის თავზე „განუსვენეს“?

აი კითხვა, რომელიც აუცილებლივ უნდა აექვიატოს ყველა ჩვენგანს და მოითხოვოს გადაჭრილი და საბოლოო პასუხი.

შემთხვევითი არაა ის მოვლენა, რომ გრ. ლორთქიფანიძე სოზდალის ცხრაკლიტულში და კ. ანდრონიკაშვილი მეტეხში რადიო-ტელეგრაფის უშუალოდ ერთსა და იმავე დასკვნამდის მივიდნენ—იცნეს საბჭოთა პლატფორმა, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და დაჰგმეს მასთან ბრძოლა აჯანყების და ყოველგვარი ექსცესების სახით.

ასეთივე ევოლიუცია მოხდა ჟორდანიას აზროვნებაშიაც, მიიღო რა მან რუსეთის ორიენტაცია, თუმცა ის მუშათა კომისიის ხაზთან დიდი სიშორის მანძილზე დარჩა.

ემიგრაციის დაშლის პროცესს დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს ქართველ მშრომელი მასის პოლიტიკურ აღზრდაში. ეს პროცესი გვასწავლის მას, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოების იმედები არ უნდა გვქონდეს, რომ ეს იმედები ჩვენთვის დამღუპველია, ვინაიდან ასეთი იმედიანობა მთელ ჩვენს გრძნობა-გონებას ატყვევებს და მშვიდობიან შრომის უნარს გვართმევს, დროს გვაკარგვინებს, გვაგდებს იმ ურილაჯო ყმის მდგომარეობაში, რომელიც გაიძახოდა: „ბატონი მობრძანდება და ყველაფერს ის მოაგვარებსო“,—უგუნური ვერ გრძნობდა იმას, რომ ბატონი ყველაფერს მხოლოდ ყმების ხელით აკეთებდა.

ასეთი იმედების ფუჭობას და მავნებლობას უკვე გრძნობს და აშკარად გამოსთქვამს თავის დეკლარაციაში ზემოხსენებული ავტორები.

სხვა მრავალ მიზეზთა შორის ჩვენც ვართ ერთი უმთავრესთაგანი ქართველი ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულობაში... ემიგრაციის უაზრო და გზადაბნეულ ყიჟილით შეცდომაში შეგვყავს ჯერ კიდევ ბურუსში მყოფი, გამოურკვეველი ნაწილი ქართველი ხალხისა, რითაც ხელს ვუშლით მშვიდობიანობისა და ერის აღორძინების საქმეს; ჩვენი პარტია და წინამძღოლნი ამ გზას კიდევ განაგრძობენ“... და სხვა—ამბობენ დეკლარაციის ხელის მომწერნი.

თუ ასეთი დამღუპველი იმედები და ილუზიები არსებობდენ და კიდევ არსებობენ ქართველ ხალხში, ამის მიზეზი არის ემიგრაციის ზოგიერთა ჯგუფების და მათი ლიდერების მუშაობა. ეს ჯგუფები რომ არ აღვივებდენ ხალხში უსაფუძვლო იმედებს, არ იქნებოდა აგვისტოს ტრაღედია, ხალხი დიდიხანია შეგუებული იქნებოდა არსებულ მდგომარეობას, მთელ თავის შემოქმედებით ენერგიას მიმართავდა აღმშენებლობითი მუშაობისაკენ და ერიც ფიზიკურად შეინახებოდა.

ქართველი ერის ისტორიული უბედურება ისაა, რომ იგი მუდამ ბრძოლაში იყო, ფიზიკურად იჟლიტებოდა, ეკონომიურად ღატაკდებოდა, კულტურულად ძირს ეშვებოდა! ამავე დროს მისი ტერიტორია სხვასა რჩებოდა და ეკონომიურად მოსული ელემენტები ძლიერდებოდენ. ამ მოვლენის საილუსტრაციო სურათს იძლევა აღმოსავლეთ საქართველოს ეტნოგრაფიული სახე. ჩვენი ეტნოგრაფიული მრავალსახეობა რომ შედეგი იყოს მშვიდობიან ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობისა მეზობლებთან, ბედნიერები ვიქნებოდით. მაგრამ ეს ნაყოფია ძველი სპარსეთის თუ ოსმალეთის დესპოტების და დიდმპყრობელ რუსეთის „ცივილიზატორ“ მართებლების ვერაგ „არქიტექტორული“ მუშაობისა.

ამაოხრებელ ომიანობის და მეფის კოლონიზატორულ პოლიტიკის ხანა განვლილია, მშვიდობიან ეკონომიურ და კულტურულ მუშაობის პოლიტიკური ნიადაგი მოპოებულია; სოციალიზმის გზაზედაც ვართ დამდგარი; მაგრამ მყუდრო ცხოვრებას ვერ ვღირსით, მშვიდობიან მუშაობას მაინც ვერ შევუდექით. მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ჩვენ წარმოვადგენთ გამონაკლისს. აბა გადახედეთ თუნდაც მეზობელ აზერბეიჯანს, სომხეთს როგორი ფუსფუსია, როგორი გატაცებით მუშაობენ და ჰქმნიან სახალხო სიმდიდრეს, აშენებენ ქვეყანას.

ჩვენ!? ჩვენ კიდევ საშუალო საუკუნოების რაინდებივით ხელი ხანჯალზე გვიდევს, ხმალი ამოწვდილი გვაქვს.

გონს უნდა მოვიდეთ, თორემ ისტორია პასუხს მოგვთხოვს.

# სწორი გზით

საბჭოთა ხელისუფლებას დღიდან დაარსებისა მრავალი მტრები გაუჩნდა, როგორც შიგნით, ისე გარეთ, როგორც იმპერიალისტებს სახით, ისე სოციალისტების სახით. რასაკვირველია, განსხვავება იმპერიალისტებისა და სოციალისტებს შორის ბევრი იყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხში მათ შორის არსებითი განსხვავება არ ყოფილა.

როგორც იმპერიალისტები, ისე სოციალისტების დიდი ნაწილი ვერ ურიგდებოდენ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, და ზოგჯერ აქტიურად და ზოგჯერ პასიურადაც მის დამხობას ცდილობდენ. ვის არ ახსოვს კოლჩაკ-დენიკინის მთავრობებში სოციალისტების მონაწილეობა, რუსეთის ესერებისა და მენშევიკების მიერ მოწყობილი კრონშტადტის აჯანყება და სხვა მრავალი...

რუსეთის სოციალისტების საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ევროპის სოციალისტურ პარტიების ლოცვა-კურთხევით ხდებოდა, მეორე ინტერნაციონალში შემავალ პარტიებმა საბჭოთა მართველობა ტირანიათ გამოაცხადეს, მისი არსებობა სოციალისტურ მოძრაობის შემაფერხებლად და ცხადია აქედან ლოღიკური დასკვნა უნდა გაეკეთებიათ და ყოველივე ღონე ეხმარათ ეს სოციალისტური მოძრაობის „შემაფერხებელი“ და „ტირანიული“ ხელისუფლება მოესპოთ.

მაგრამ ასეთ დასკვნამდე ისინი აშკარად ვერასოდეს ვერ მიდიოდენ. მეორე ინტერნაციონალის თითქმის ყველა კონგრესებზე ისმებოდა რუსეთის საკითხი, მაგრამ არასოდეს მას არ გამოუთქვამს აზრი რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლისა, პირიქით ის ყოველთვის

გმობდა რუსეთის საქმეებში ჩარევას და ებრძოდა შეიარაღებულ ინტერვენციას. მაგრამ არაოფიციალურად ის დღემდე ყოველთვის ხელს უწყობდა რუსეთის სოციალისტურ პარტიებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეორე ინტერნაციონალს არ უნდოდა რუსეთში კომუნისტური ხელისუფლების დამხობა გარეშე, უცხო ძალების საშუალებით მომხდარიყო, ხოლო თუ ეს მოხდებოდა შინაურ ძალებით, ამის საწინააღმდეგო მას არაფერი ჰქონდა, პირიქით ეს მისი საოცნებო სურვილი იყო. მეორე ინტერნაციონალი დღემდე დარწმუნებული იყო, რომ რუსეთში ბოლშევიკების დამხობას დემოკრატიის გამეფება მოყვებოდა, რუსეთში, ინგლისის ან საფრანგეთის მსგავსი დემოკრატიული წესწყობილება დამკვიდრდებოდა, მაგრამ რამდენათაც მეტი ხანი გადიოდა ამ რწმენას თანდათან ნიადაგი ეცლებოდა.

დღეს უკვე მეორე ინტერნაციონალის ვერც ერთი ბელადი ვერ იტყვის დაბეჯითებით, რომ რუსეთში საბჭოთა წესწყობილების მემკვიდრე—თუ ეს წესწყობილება შეიარაღებულ ბრძოლის საშუალებით დაემხო,—დემოკრატიული წესწყობილება იქნება და არა უსაშინელესი რეაქცია.

დღეს ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამხობას აუცილებლად რეაქციის გაბატონება მოყვება, სხვანაირად შეუძლებელია რუსეთის დღევანდელ საშინაო და საგარეო პირობებში.

მეორე ინტერნაციონალი დღეს უფრო იმედიანათ შესცქერის რუსეთში არსებულ წესწყობილების ევოლიუციონური გზით დემოკრატიულ წესწყობილებით შეცვლას.

ჩვენ ამ ჟამად არ შეუდგებით იმის განხილვას, თუ რამდენად სწორია ეს იმედი. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეორე ინტერნაციონალის შეხედულებამ საბჭოთა რუსეთზე დიდი ევოლიუცია განიცადა. დღეს ის ისეთი შეურიგებელი მტერი აღარ არის საბჭოთა რუსეთის, როგორიც წინათ იყო. უდაოა, რომ მეორე ინტერნაციონალის პოზიციის შეცვლაზე საბჭოთა რუსეთისადმი დიდი გავლენა მოახდინა რუსეთში ევროპის მუშათა დელეგაციის მოგზაურობამ. როგორც ინგლისის, ისე გერმანია, ბელგია-შვეციის მუშათა დელეგაცია დარწმუნდა, რომ რუსეთში კეთდება არა რეაქციონური საქმე, არამედ რევოლიუციონური, რომ ამ ხელისუფლების დამარცხებას უსაშინელესი რეაქციის გაბატონება მოყვება და სხვა.

ევროპის მუშათა კლასში საბჭოთა რუსეთის ერთგულ დამცველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მეორე ინტერნაციონალის ბელადებზე: თუ წინეთ ჰენდერსონი ყოველ გზა ჯვარედინზე გაიძახოდა; რომ რუსეთში თავისუფლების ნასახი არ არისო, დღეს იგივე ჰენდერსონი იძულებულია საჯაროთ აღიაროს მარსელში მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე, რომ რუსეთში პოლიტიკური პირობები „ნახევრად თავისუფლებას" წარმოადგენსო.

მეორე ინტერნაციონალი არასოდეს არ ყოფილა ისეთი ენერგიული დამცველი საბჭოთა რუსეთის, როგორიც დღეს გამოვიდა. ოტო ბაუერის რეზოლიუცია რუსეთის შესახებ მარსელის კონგრესზე ერთხმათ, აპლოდისმენტებით იქნა მიღებული. რეზოლიუციის დედა აზრია: „ხელები შორს რუსეთიდან".

ოტო ბაუერი იძულებულია აღიაროს, რომ ქართველი და სომეხი მენშევიკებისათვის ძნელია დაიცვან მიუდგომელი პოზიცია რუსეთის მიმართ, ვინაიდან ისინი ბოლშევიკებისაგან დიდათ დაზარალდენო.

ეს განცხადება ჭკუის სასწავლებელია ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც დღემდის კიდევ ფიქრობდა, რომ მეორე ინტერნაციონალი რუსეთის დაუძინებელი მტერია და არავითარ ზომებსა და საშუალებებს არ დაერიდება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ აიძულოს ის საქართველოზე ხელი აიღოსო.

ოტო ბაუერი დიდი პიროვნებაა არა მარტო, როგორც თეორეტიკოსი, არამედ, როგორც პოლიტიკოსი. მან კარგათ იცის, რომ დღევანდელ პირობებში საქართველოს საკითხის იმ გზით გადაჭრა, რა გზითაც მეორე ინტერნაციონალში შესული საქ. სოციალ-დემოკრატ პარტია ფიქრობს, რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებითა და ომით უნდა გადაწყდეს, რაც—თუ გამარჯვებით დამთავრდა—გამოიწვევს რუსეთში რეაქციის გაბატონებას, ხოლო რუსეთის რეაქცია საერთაშორისო რეაქციის გაძლიერებაა, თუ დამარცხებით დათავდა გამოიწვევს საქართველოს ფიზიკურად განადგურებას.

დროა საქ. სოც.-დემოკრატიულ პარტიის ლიდერებმა ჭკუა ოტო ბაუერისა და მის ამხანაგებისაგან ისწავლონ. საბჭოთა რუსეთთან შეურიგებლობის პოზიციაზე ხელი აიღონ, საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენა გამონახონ და ქართველ ხალხთან ერთად ერის აღორძინებისა და განვითარების საქმეში ჩაებან. სხვა გზა საქართველოს ვერ იხსნის. მეორე ინტერნაციონალი სწორ გზას დაადგა საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში და ჩვენც ეს შერიგების გზა უნდა ავირჩიოთ.

საქართველოს მშრომელთა კლასი დიდი ხანია ამ გზაზე შესდგა, საჭიროა ევროპაში გადახვეწილი მისი ყოფილი ლიდერებიც მას გაჰყვეს.

ენ.

# კ. სულაქველიძის წერილის გამო

გასულ კვირას ტფილისის გაზეთებში დაიბეჭდა მენშევიკურ პარტიის ერთ თვალსაჩინო მუშაკის, კოწია სულაქველიძის განცხადება.

ყველა, ვინც გულდასმით ადევნებს თვალყურს ანტისაბჭოთა ფრონტის მდგომარეობას ამ უკანასკნელ ხანებში, ყველა, ვინც ჩახედულია ამ ფრონტზე ამტყდარ აღრევის შინაარსში, ზემოხსენებულ განცხადებას მიიღებს და გაიზიარებს, როგორც საქართველოს ერის და მისი მშრომელი ნაწილის საკეთილდღეოდ გადადგმულ ნაბიჯს.

კ. სულაქველიძე არ ეკუთვნის მენშევიკურ პარტიის წევრთა იმ კატეგორიას, რომელნიც ამ პარტიის საქართველოში ხელისუფლად ყოფნის შემდეგ შეეხიზნენ მას და მის მანდატს თავის პირად კეთილდღეობისთვის იყენებდენ. საქართველოს რევოლიუციონური მასები იცნო-

ბენ წარსულში მრავალ რევოლიუციონურ დამსახურებათა მქონე კ. სულაქველიძეს, იცნობენ მას, როგორც გულწრფელ და უანგარო ადამიანს.

და ეს პირი დღეს საქვეყნოდ, ყველას გასაგონად განმანადგურებელ დახასიათებას აძლევს იმ პარტიას, რომელმაც იგი საბჭოთა საქართველოს და მისი მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად მოავლინა საქართველოში.

მაგრამ სულაქველიძის განცხადების სიმძიმის ცენტრი ამ დახასიათებაში როდია. სიმძიმის ცენტრს აქ წარმოადგენს ახსნა იმ მოტივებისა, რომელთაც სულაქველიძეს ზურგი შეაქცევინეს ძველ გზისათვის და პირი აბრუნებინეს საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. საბჭოთა საქართველოს მიღწევები მრეწველობისა, სასოფლო მეურნეობისა, კულტურულ საქმიანობისა და სოციალურ შემოქმედების დარგებში—აი ის მჭერმეტყველი აგიტატორები, რომელთაც საბჭოთა სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოში მოვლენილი სულაქველიძე ამ სახელმწიფოებრივობის დამცველთა რიგებში გადაისროლეს, აი ის ზეგავლენა, რომელსაც ანტისოციალისტურ პოლიტიკის გზაზე შემდგარ მენშევიკურ პარტიის რიგებში ასეთი ნგრევა და რღვევა შეაქვს.

პოლიტიკური ვარაუდი და ალღო არ ატყუებს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას, როდესაც იგი საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სიმკვიდრეს და სოციალისტურ მოძრაობის უახლოეს პერსპექტივებს თავის სამეურნეო და კულტურულ მიღწევათა დონეს უკავშირებს. არაკომინტერნის მიფიური „საიდუმლო ბარათები“, არამედ საბჭოთა კავშირის რეალი მიღწევები და უტყუარი ინფორმაცია ამ მიღწევათა შესახებ—აი რა წარმოადგენს მთავარ საფრთხეს ევროპის იმპერიალისტურ მთავრობებისათვის და აი რა გამოიყვანს ევროპის პროლეტარიატს რევოლიუციონური ბრძოლის შარა გზაზედ იმ ჩიხიდან, რომელშიაც დღეს იგი მის მენშევიკურ ხელმძღვანელებს მოუქცევიათ.

სულაქველიძეც გადაჭრით აღიარებს, რომ „ევროპის ხალხთა მასების დიდი სიმპატიები, რომელსაც ისინი იჩენდენ ოქტომბრის რევოლიუციის გამოცხადების დასაწყისში, მალე შემცირდა იმ ნგრევის გამო, რომელიც გამოიწვია რუსეთში გაათფთრებულმა სამოქალაქო ომმა და საშინელმა სიმშილობამ, მაგრამ „საკმაო იყო ამ დაბრკოლებათა გადალახვა, საკმაო იყო დანგრეულის აღდგენა და ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება და მასების სიმპატიებიც დაუბრუნდა რუსეთს“.

ამ სიმპატიების გამომჟღავნების უშუალო მოწმენი გავხდით ჩვენ საქართველოში ევროპის სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციების ჩამოსვლისას, რომელნიც სულაქველიძის სიტყვით „მოვიდნენ სოციალ-დემოკრატებად, წავიდნენ კომუნისტებად“.

ამ სიმპატიების ზრდასა და გაფურჩქვნას, საბჭოთა აღმშენებლობის წინაშე ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციონურ აღტაცების რევოლიუციონურ საქმედ ქცევას დიდად ხელს უშლიდა ის გაათფთრებული კამპანია, რომელსაც საქართველოს მენშევიკური ემიგრაცია აწარმოებდა ევროპაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ საბჭოთა აგიტატორი—საბჭოთა რესპუბლიკების რეალ მიღწევათა სახით—ამ წრეებშიაც იკაფავს გზას. უკანასკნელი ცნობები ევროპიდან ნათლად მოწმობენ, რომ ემიგრაციის დიდი ნაწილი სდგება საღ ნიადაგზე: პარიზის ემიგრაციის მუშური ნაწილი და სხვა ქვეყნებში მყოფი ქართველი ემიგრანტები სწყვეტენ კავშირს დაშნაკურ-ფაშისტურ პოლიტიკასთან და სპეციალ დეკლარაციებში თუ კრებებზე აღუთქვამენ საბჭოთა ხელისუფლებას მის რევოლიუციონურ აღმშენებლობით საქმიანობაში ერთგულ და გულწრფელ მონაწილეობას.

ქართულ ანტი-საბჭოთა ფრონტის ამ ნგრევისა და მისი შემადგენელ ნაწილების ამ გარდატეხის საერთო ფონზე სულაქველიძის განცხადება ჩვენ გვევლინება არა როგორც მხოლოდ ინდივიდუალურ განცდის აქტი, არამედ როგორც ფრიად სერიოზულ საზოგადოებრივ მოვლენის ერთი გამომჟღავნებათაგანი.

საქართველოში ჩამოსულმა სულაქველიძემ დაინახა ის, რაც მანამდე არ ენახა, მან მისი სიტყვით რომ ვთქვათ, დაინახა „ჩვენი ძველი, გამობრძმედილი მებრძოლ მუშების, რომელნიც შემოკრბენ ეგრედ წოდებულ მუშათა კომისიის გარშემო“ და მან ამ მუშებთან და მათ მუშურ სახელმწიფოსთან ყოფნა და თანამშრომლობა ამჯობინა მუშათა სახელმწიფოებრივ-რევოლიუციონურ აღმშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს მუშათა და გლეხთა დიდმა უმრავლესობამ დიდი ხანია ზურგი შეაქცია და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა საქართველოსთვის ამდენ ტკივილების მომტან ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკას. საქართველოს მუშა გლეხთა უმრავლესობამ მოუხმო ყველა ძველ რევოლიუციონერს ამ გზისაკენ. სულაქველიძემაც თავის რევოლიუციონურ სინდისში ჰპოვა დასაყრდენი ამ გზაზე გადმოსასვლელად და ჩვენს რიგებში დგება.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ემიგრაციაში და მენშევიკურ წრეებში დიდი ხნით დაწყებული გამოფხიზლების ნიშნები ახლო მომავალში კიდევ უფრო მეტ და მნიშვნელოვან მიღწევებს მოგვცემს საქართველოს ემიგრაციის და მენშევიკურ პარტიის დამღუპველ პოლიტიკის დაძლევის საქმეში.

 შ. დ.

# ადგილობრივი პრესა

აღმშენებლობითი მუშაობის გაძლიერების და ნაყოფიერებისთვის აუცილებელ პირობას შეადგენს მშრომელი მასების თვითმოქმედება, მისი შემოქმედებითი ენერგიის გაღვივება. უპარტიო მშრომელ მასას ფართოთ უნდა გაეღოს კარები საბჭოთა ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებში, სწორეთ ამ გზით შეიძლება თვითეული მზარეული ქალი დახელოვნდეს სახელმწიფო საქმეებში, შეიძლოს სახელმწიფოს/მართვა-გამგეობა, როგორც ამობდა განსვენებული ლენინი. რასაკვირველია მასის ყველა შემადგენელ ელემენტს არ შეიძლება მიეცეს საპასუხისმგებლო სამუშაო, ეს არც ტეხნიკურად მოხერხდება და თვით საქმისთვისაც მავნებელი, მიზანშეუწონელია. საჭიროა ჯერ გაიწვრთნოს მასა ასეთ მუშაობისთვის, მიიღოს მან ხანგრძლივი პრაქტიკა-გამოცდილება ორგანიზაციულ მუშაობისთვის.

საიდ შეუძლიან მასას გამოცდილების მიღება? საზო-

გადო კრებები—აი ის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მასა მიიღებს საზოგადო მოღვაწეობის სპეციალობას.

საზოგადო კრებების მნიშვნელობას და მათში არსებულ ნაკლს ეხება „კომუნისტის“ № 195-ში ამხ. „ა“ თავის წერილში: „მეტი სიცოცხლე საზოგადო კრებებზე“ და მიდის იმ დასკვნამდის, რომ, თუ საზოგადო კრებები არ გამოცოცხლდენ, გადახალისდენ საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობა ვერასოდეს ვერ იქნება თავის სიმაღლეზე.

„რევოლიუციის შემდეგ გავლილი წლები - ამბობს ამხ. „ა“—თითქოს სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობას სხვა და სხვა კოლექტივებში გარკვეული და დროს შესაფერი სახე მიეღო“.

„მიუხედავათ ამისა, დღესაც განვაგრძობთ ამ მხრივ ინერციით სვლას. ჩვენ დღემდისაც ვერ ვიყენებთ იმ დიდ ენერგიას და საზოგადოებრივ თვითმოქმედებისაკენ ლტოლვას, რომელიც გაუღვიძა რევოლიუციის ცეცხლმა ფართე მშრომელ მასებს“.

„**კერძოთ ლაპარაკია საზოგადო კრებებზე**“. ხაზგასმული ჩვენია. ვ. ბ.)

საზოგადო კრებები გარდა იმისა, რომ იძლევიან საშუალებას, რომლითაც მასა ეცნობა თანამშრომლობის პასუხისმგებელ პირთა და დაწესებულებათა მუშაობას ამა თუ იმ დარგში, წარმოადგენს აუდიტორიას, სადაც ამავე მასას ეძლევა შეძლება მიიღოს ცოდნა და გამოცდილება ორგანიზაციულ მუშაობის საზოგადო საქმეში, თუ, რასაკვირველია, მას აქვს ამის ფაქტიური შესაძლებლობა, ე. ი. თუ მასას მინიჭებული აქვს უფლება თავისუფალ კრიტიკა-მსჯელობისა და ხელმძღვანელ ორგანოების თავისუფალივე არჩევნებისა.

საზოგადო კრებებმა ჩვენს ორგანიზაციებში ჯერჯერობით ვერ მიიღეს თავისუფალ კრებების სახე. წინააღმდეგ, ისინი გადაიქცენ საეკლესიო ცერემონიის მგვავს წესად.

აი, რას ამბობს ამის შესახებ წერილის ავტორი: „ორგანიზაციაში საერთო კრებამ **უბრალო ფორმალობის სახე მიიღო**. მას ისე უყურებს ორგანიზაციის აქტივი და მასა, როგორც **უამურ მოვალეობას, რომელიც თავის დროზე და განსაზღვრულ ვადაში მოხდილი** უნდა იქნეს“. (ხაზგასმული ჩვენია, ვ. ბ.).

ასეთი ხასიათის საზოგადო კრებები, რასაკვირველია, ვერ შეასრულებენ თავის დანიშნულებას. ის რაღაც ბეგარად არის გადაქცეული და, როგორც ასეთი, მასისთვის შემაწუხებელი, მომაბეზრებელია. აკი, ამიტომაც მასა საზოგადო კრებებზე ზარმაცად მიდის, რაც იწვევს ძალდატანებას, ზომების მიღებას მისი კვორუმის შესადგენად.

ამის მიზეზი უსათუოდ მდგომარეობს იმაში, როგორც სწერს ავტორი, რომ დღევანდელ ჩვენს საზოგადო კრებებს „ნათლად აზის უსიცოცხლობის და **კაზიონშჩინის დაღი**. გრძელი და ინტერეს მოკლებული საკითხებით აჭრელებული დღის წესრიგი, წინდაწინვე დაბეჭდილი რეზოლიუცია, უშინაარსო და ოპტიმიზმით გაჟღენთილი მოხსენებები“ და სხვა.

ასეთ კრებებზე მასას არაფერი რჩება გარდა მთქნარებისა და უბრალო სტატისტის პირის დაღება, თვალების ზლატუნისა.

ამ უარყოფით მოვლენებს აქვს ადგილი ჩვენი ორგანიზაციების პრაქტიკაში ეხლაც, როდესაც—ავტორის სიტყვით—„ფართე საბჭოთა დემოკრატია ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ლოზუნგია“, და, მაშასადამე, სათანადო ორგანოების მიერ უპარტიო მშრომელი მასის ფართე თვითმოქმედების პრინციპი აღიარებულია.

თუ ასეთია სურვილი და აზრი ცენტრალურ ორგანოების, ადგილობრივი ორგანიზაციები მისდევენ ისევ ძველ პრაქტიკას, როდესაც „შექმნილი პირობები რაც შეიძლება ჩქარ და დროულ ნაბიჯის გადადგმას ითხოვდენ და ორგანიზაციებს არ ეცალათ სამსჯელოთ და საბასლაათოთ“. როცა „ხელმძღვანელი აქტივი – ავტორისავე სიტყვით—ამ პერიოდში მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა და ხშირათ მთელი კოლექტივის დაუკითხავათ ან მისი ნების წინააღმდეგაც კი სწყვეტდა ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხს“.

ცარიელ სიტყვებათ, რომ არ მიიღონ ჩვენი მსჯელობა, მკითხველებს მიუთითებთ ხაშურის ერთი არჩევნების ფაქტზე.

13/VI—25 წ. ხაშურში შესდგა მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა კრება ადგილკომის ასარჩევად. კრების მიერ არჩეულ იქნა თავისუფალი ხმის მიცემით ადგილკომის თავმჯდომარეთ კონდუქტორი ამხ. ჭუმბურიძე (უპარტიო). ზოგიერთი პარტიული ამხანაგები არჩევნებით უკმაყოფილო დარჩენ, თუმცა ჭუმბურიძის საწინააღმდეგო მათ არაფერი არ უნდა ჰქონოდათ. ამ ამხანაგებმა თავიანთი ნებით და ძალაუფლებით მოითხოვეს უბნის რკ. გზის პროფკავშირის თავმჯდომარისაგან, რათა გადაეყენებინა კრების მიერ არჩეული ჭუმბურიძე და მის მაგიერ დაენიშნა სხვა, რაც საზოგადო კრების დაუკითხავად იქნა შესრულებული.

„ასეთი აბუჩად აგდება მუშა-მოსამსახურეთა, ასეთი შეურაცხყოფა საზოგადო კრებისა, ასეთი ბოროტმოქმედება თავიანთის ძმა ბიჭის დანიშვნით ადგილკომის თავმჯდომარედ (ქურდაძე) ყოვლად დაუშვებელია და სამარცხვინო საქმე იმ დროს, როდესაც ხელისუფლება და ხელმძღვანელი პარტია ყოველთვის გაიძახის სრულ ფართო, თავისუფალ არჩევნების შესახებ როგორც საბჭოებში, ისე პროფორგანოებში“,—გვწერს ჩვენი კორესპონდენტი.

ეს ფაქტი უფრო აშკარად მეტყველებს საზოგადო კრების და მასის საარჩევნო უფლებების მართლაც და აბუჩად აგდებაზე, ვიდრე ის არა ნორმალური მოვლენა, რომლის შესახებ ამხ. „ა“ გვითითებს თავის წერილის შემდეგ სტრიქონებში: „ზევრს ვებრძვით ჩვენ, რა თქმა უნდა, ეგრედწოდებულ სიის მეთოდით წარმოებულ არჩევნებს, როცა **გამოვის რომელიმე ადგილობრივი მომუშავე, აცხადებს კანდიდატების სიას და თა ვე დიძენს, რომ სია შეთანხმებული და დადასტურებულია პარტიულ უჯრედის, გამგეობის, მოწინავე ამხანაგების და სხვათა თათბირებზედ**“.

„ვინ გაბედავს ასეთი ავტორიტეტული ორგანოების წინააღმდეგ გალაშქრებას, **კაი ბიჭობაა ხაჭ-რო, რომ ვინმემ ეჭვი შეიტანოს ამ სიის უმწიკვლობაში... სია ერთხმად დასტურდება**“. (ხაზგასმ. ჩვენია. ვ. ბ.).

ვერც პროკურატურა, ვერც ინსპექცია ან სხვა რომელიმე საკონტროლო და ზედამხედველო ორგანო აქ ვერაფერს გვიშველის. ასეთ მოვლენებთან ბრძოლა შეადგენს პარტიულ ცენტრების კომპეტენციას.

**ვ. ბ.**

# ქარხანაში

შეხეთ მუშებს, ქარხნის მუშებს,
როგორ ჰშვენით შრომის მური;
იქ ზარმაცებს არვინ უშვებს,
გამრჯელობა სუფევს ძმური.

—

შეხეთ, შეხეთ მათ მხნე სახეს
და მკერდს ოფლით ჩამოღარულს;
ჩუ, სიმღერაც შემოსძახეს,
ყური უგდეთ ხმას ნეტარულს.

—

ჩვენი ძველი სიმღერები,
უილაჯო მოთქმას ჰგავდნენ,
ხარხარებდნენ გესლით მტრები
და ეს ხმები გულს გვიკლავდნენ.

—

და ღავძახეთ სხვა სიმღერა,
ამბოხების ცეცხლს რომ ჰბადებს;
ბრძოლის ქარმაც დაუბერა
და მოედო ბარიკადებს.

—

გამარჯვება ჩვენ გვხდა წილად,
გასრესილი გდია მტერი
და მას შემდეგ გრგვინავს ტკბილად
შრომის მრავალჟამერი!

გ. ქუჩიშვილი.

# კიდევ ერთი დიდი საქმე

(უმიწობით შევიწროებულ გლეხთა გადასახლების გამო).

რუსეთის ყოფილი იმპერიის ვრცელ ფარგლებში არც ერთი ერი არ განიცდიდა მიწის ისეთ საშინელ სივიწროვეს, როგორც ქართველები. მიწის სიმცირით შეწუხებული იყვნენ უმთავრესად ზემო იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და რამდენიმედ ქვემო იმერეთი, გურია და სამეგრელო. რაჭაში, მაგ., ერთი ქცევა სახნავი კარგი მიწა ფასობდა ხშირად 2-3000 მან. მთელი ათეული წლები უნდა ემუშავა რაჭველ გლეხს მძიმე კურტან ქვეშ, ქუთაისში ან ტფილისში, რომ ოდესმე ღირსებოდა და შეეძინა რომელიმე მემამულიდან რაჭაშივე 1-2 ქცევა მიწა. ასეთი ამბები ხდებოდა იმერეთში და მთელ დასავლეთ საქართველოში.

ძველი რეჟიმის დროს არავინ არ ფიქრობდა ამ მჭიდროთ დასახლებულ კუთხეებზე: უმიწობით გაჭირვებულ ქართველ გლეხებზე და მათ გაქარაფებაზე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში გადასახლებით, სადაც მოიძებნებოდა თავისუფალი მიწების საკმაო მარაგი.

მაგრამ მსოფლიო ომის და რევოლიუციის გრიგალმა დაამსხვრია რუსეთის მეფის დამპალი ტახტი და ბოლო მოუღო ძალმომრეობას. საქართველოს მშრომელმა ხალხმა ამოისუნთქა თავისუფლად. მენშევიკთა ხანმოკლე ბატონობამ ჩვენში ვერაფერი შესძინა ხალხს, ქართველი გლეხკაცობა კვლავ კვნესოდა უმიწობით, კვლავ ართმევდენ მას მძიმე ღალას მამულის პატრონები.

რევოლიუციის რომანტიზმი მალე შეიცვალა ჩვენში კომუნისტური რეჟიმით. მთელი რუსეთის და ამიერკავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა მართვა-გამგეობას ჩაუდგენ სათავეში რკინის მარჯვენით მაგარ ხერხემლიანი რევოლიუციონერები. იმათ ერთის დაკვრით გადასჭრეს კერძო საკუთრების გორდიას ნასკვი, ათი ათასი წლობით გამტკიცებული, ძალით ჩამოართვეს მემამულეებს მიწა-წყალი, ტყეები, მინდვრები, ბოსტნები და ბაღები, შენობები მთელი ინვენტარით და გადასცეს გლეხებს, ჩამოართვეს ბურჟუებს მთელი ქონება: ქარხნები, ფაბრიკები, სახლები, საწყობები, მაღაზიები, მანქანები, საქონელი და გამოაცხადეს ხალხის, მუშის, პროლეტარიატის სახელმწიფოს საკუთრებათ. ამით დასცეს კაპიტალის ულმობელი ბატონობა და აღადგინეს რუსეთის ყოფილ იმპერიის ფარგლებში შრომის სუფევა.

მეტად სამნიშვნელო მუშაობა გააჩაღეს თვით საქართველოს ფარგლებში ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლების ბელადებმა; მათ მიაქციეს მთავარი ყურადღება კოლექტიურ ვაჭრობა-მრეწველობის და მეტადრე სასოფლო მეურნეობის აღდგენას და აღორძინებას. სამეურნეო ტეხნიკო აგრონომიული ცოდნის და საწარმოო იარაღ-მანქანების სახით და მელიორაცია სარწყავ არხების ჭაობათა დაშრობის, მდინარეთა კიდეების გამაგრების, გზების გაყვანის და ჰიდრო-ელექტროფიკაციის სახით; აი ის ორი დიადი ფუძე, რომლებზედაც დამყარებულია და აგებული გლეხთა სასოფლო მეურნეობა თვით სახელმწიფოს ნივთიერი და კეთილი დღეობა, და სწორეთ ამ ორი დიდი საქმის აღნაგებას ეს ოთხი წელია შეუდგენ მედგრად და გაბედულად ჩვენი მთავრობის მესვეურები.

სწორეთ ახლა, როცა მელიორაციის მეშვეობით, ე. ი., როცა სარწყავი არხებით და ვრცელი ჭაობების დაშრობით ჩვენში სრულიად მავნე და უვარგისი ადგილები ამიერიდგან იღებენ მეტად ნოყიერ და სასარგებლო მიწა-მამულების სახეს და ამ რიგათ სახელმწიფო მიწათა მცირე ფონდს ემატება რამდენიმე ასი ათასი დესიატინა სრულიად ვარგისი მიწა, სწორეთ ამ დროს ჩვენს საბჭოთა მთავრობას ეძლევა საშვალება თანდათანობით გადაასახლოს, დააბინაოს და მისცეს მიწის ნორმები თვით საქართველოში სრულიად უმიწაწყლო და მცირე მიწების მქონე ქართველ გლეხობას, რომელთა რაოდენობა აღემატება 750.000 სულს.

„საქართველოში არის 150.000 გლეხთა მეურნეობა, რომელთაც ერთ დესიატინაზე ნაკლები სახნავი მიწები და სათიბები აქვთ; რაც შეეხება ბაღებს და მევენახეს კულტურებს, მათი სივრცე ამ მეურნეობებში დესიატინის ერთ მეათედ ნაწილზე ნაკლებია“,—აი, რას გვიმხელს ჩვენი პირუთვნელი სტატისტიკა!

რას ვტყობილობთ ამ ციფრებით? თითოეულ კომლზე ანუ მეურნეობაზე რომ ვივარაუდოთ სულ ცოტა 5 სული გამოდის, რომ 750.000 სული, ანუ საქართველოს გლეხობის თითქმის ნახევარი ნაწილი ყოფილა უმიწობით შეზღუდვილი და დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილი. აქ თითო ოჯახზე გამოდის საშუალოდ ორ დღიურზე ნაკლები სა-

ხნავი და სათიბი, ანუ დაახლოვებით 200 ოთხკ. საჟენი მიწა თოთო სულზე და კიდევ 20 ოთხკ. საჟენი ბაღი ან ბოსტანი. ეს ისეთი უცნაური მინიმუმია, რომლითაც არ შეუძლია არსებობა არამც თუ ექსტენსიურ, დიდი ჩამორჩენილი მეურნეობის მატარებელ ქართველ გლეხს, არამედ ფრიად განვითარებულის ინტენსიურ სამეურნეო ტეხნიკის და კულტურის მტარებელ ევროპიელსაც კი. ამიტომ არის, რომ ჩვენი გლეხები ათი ათასობით გარბიან სოფლებიდან, ეძებენ სამუშაოს გარეთ, ვერ პოულობენ, განიცდიან შიმშილს, უსაზღვრო გაჭირვებას და ფიზიკურად ისპობიან მთელი ოჯახობით.

ქართველ გლეხთა 50% უმიწობის გამო განიცდის უსაშინელეს გაჭირვებას და ფიზიკურ განადგურებას. ყველაზე უფრო მძიმე, მწვავე და მტკივნეული საკითხი იყო და არის ჩვენში ამჟამად უმიწაწყლო გლეხების მიწა-მამულით დაკმაყოფილება და მათი გადასახლების მოწყობა. სწორეთ ამ მეტად დიდს და სახელმწიფო მასშტაბით პირველ ხარისხოვან საქმეს შეუდგა დღეს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება. ამაშია სწორეთ საბჭოთა მთავრობის კიდევ ერთი დიდი მიღწევა, ღვაწლი და დამსახურება გლეხების წინაშე.

მაგრამ გლეხების გადასახლება და მოწყობა ახალ ბინებზე არ არის ადვილი საქმე. მათ ეჭირვება მიწის გარდა ნივთიერი დახმარება ფულით, მასალით, სურსათით და სამუშაო იარაღებით, რაც თვითეულ ოჯახზე მოუნდებათ არა ნაკლებ 1000 და 1200 მანეთისა, ამიტომ ამ უმიწაწყლო გლეხთა გადასახლება უნდა მოხდეს თან დათანობით, წლიურად 3—40.0 ოჯახის, რაც მოითხოვს წლიურ ხარჯებს 4-5 მილიონ მანეთის რაოდენობით.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა მთავრობას განუძრახავს ამ 5 წელიწადში გადაასახლოს და დააბინაოს მხოლოდ 10.000 გლეხის ოჯახი, რაც დაჯდება სულ 11 მილიონ მანეთად.

მაგრამ, რადგან დასავლეთ საქართველოს გლეხთა გაჭირვება მცირე მიწის გამო მეტად დიდია, და მათი გადასახლების საკითხი მეტად მწვავე და დროული, ამიტომ ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ყოველი ზომა; რათა 2000 კომლის ნაცვლად ყოველ-წლობით გადაასახლოს ახალ მიწებზე და დააბინაოს 4-5000 კომლი მაინც. ეს კი გამოიწვევს 5-6 მილიონ მანეთს წლიურ ხარჯს. ამოდენა თანხის გამოყოფა ყოველ წლობით თავის ბიუჯეტიდან ჩვენს მთავრობას არ შეუძლია, ამიტომ მან უნდა მიმართოს სხვა ახალ წყაროებს, განსაკუთრებით ამ დიდ საქმისათვის მან უნდა მოითხოვოს და მიიღოს ყოველწლიური დახმარება-სუბსიდიის სახით ს. ს. რ. კავშირის სარეზერვო ფონდებიდან. და ეს დახმარება იქნება სამართლიანი და მიზანშეწონილი.

ამავე დროს ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლებამ მეტის ინტენსიობით უნდა გააჩაღოს საქართველოს ფარგლებში სამელიორაციო მუშაობა, მეტადრე სარწყავ არხების გაყვანა და ჭაობების დაშრობა, რათა ამ სახით გააფიდოს მიწების მეტად მცირე მარაგი (ფონდი) და მით მიეცეს საშვალება 2000 კომლის ნაცვლად ყოველწლივ გადასახლოს 4 და 5000 კომლი გლეხობა, რასაც მედგრად და დაბეჯითებით თხოულობს ქართველი გლეხების თვით სახელმწიფოს უზენაესი და უაღრესი ინტერესები.

ბ. ქვარიანი.

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ჩემი მოგზაურობა ახალქალაქის მაზრაში

23 ივლისში გავედი ტფილისიდან ახალ ქალაქის მაზრაში. 26/VII საღამოს მივედი ახალქალაქში. ქალაქი წარმოადგენს ნანგრევებს ახლაც კი, როცა სწარმოებს მისი კვლავ აღდგენა. რა იქნებოდა ამ სამი ოთხი წლის წინათ, როცა აქ მხოლოდ ნგრევის მეტი არაფერი არ კეთდებოდა. თუ ამ საცოდავ ქალაქს, ასე ბარბაროსულათ მოქცევია მტერი, რა მოუვიდოდა დაბეჩავებულ და მუდამ აწიოკებაში მყოფ ამ მხარის სოფლებს, რომელთა გლეხკაცობა ყოველ მტრის შემოსევის დროს (ეს ხომ ხშირათ ყოფილა) უნდა აბარგულიყო და სადმე სხვაგან გადახიზნულიყო. მსოფლიო ომის დროს, თურქების შემოსევისას ამ მაზრის მოსახლეობას მუსულმანების გარდა, სრულიად მიუტოვებიათ სახლ კარი და მეტი წილი ბაკურიანის მთის კალთებზე შეფარებულნი, ნახევრობამდე გაწყვეტილან.

ომის შემდეგ ლტოლვილნი კვლავ დაბრუნებიან ნახევრად მინგრეულ-მონგრეულ კერას და ეხლაც განაგრძობენ შრომას მის რამოდენიმეთ მაინც აღსადგენათ.

ხალხი ყველა დაბეჩავებულ-დასაწყლებულია, მას არა აქვს ძველებური მამაცური გამომეტყველება. მას დაუკარგავს ყოველივე იმედი თავისუფალ მშვიდობიან ცხოვრებისა, ის აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თითქო რაღაც საშიშროების მოლოდინშია და როცა გელაპარაკება თრთის და სიტყვის ძაფი უწყდება, უნდობლადაც გექცევა.

ამ დაბეჩავებულ ეროვნებებს სჭირია თანამგრძნობები, ეროვნებათა შორის სიყვარულის მთესველი ელემენტები და არა შურის და მტრობის გამაღვივებელი.

სამწუხაროთ, აქ კი ყოფილან შავი ძალები, რომლებიც წყალს ამღვრევენ ეროვნულ ნიადაგზე და მითუნდათ ალბათ თავიანთი შავი ზრახვების განხორციელება. ამის შესახებ მე ყველა ეროვნების პატიოსანმა წარმომადგენლებმა გულ წრფელად გამიცხადეს, თუ ვინ ბრძანდებიან ესენი, მაგრამ მე ჯერ-ჯერობით თავს ვიკავებ გამოვაშკარავო ისინი, რადგან მგონია ამ წერილით იგრძნობენ სასტიკ პასუხისმგებლობას ხალხისა და რევოლიუციონურ მთავრობის წინაშე და შესწყვეტენ ხალხთა შორის მტრობა-შურიანობის მთესველ. სისინს. თითქმის ყველა ეროვნებანი ემდურის ამას წინათ მყოფ ადგილობრივ ხელისუფლებას, უნდა ითქვას, რომ ძლიერ ემდურიელებიან ეხლანდელ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამხან. სტეფანოვს, ჭეიშვილს, რასულზადეს და სააკიანს, რომლებიც როგორც სჩანს ებრძვიან ეროვნულ შუღლის მთესველთ და ყველასთან სამართლიანობას იჩენენ.

აქ მიწა შავი და კარგია, მაგრამ სეტყვისა და სიცივის გამო ძლიერ ცოტა მოსავალს იძლევა. ერთი დღ-

სიატინა მიწა, რომელზედაც უნდა დათესონ 10 ფუთი ხორბალი, შეუძლიან მისცეს გლეხს მხოლოდ 50-60 ფუთი მოსავალი, როცა სხვა კულტურულ პირობებში უფრო მეტს მოგვცემდა. არსად მხარეში არ მოიპოვება ერთი ძირი ხეც ისე მოტიტლიკანავებულია მთლათ მინდორი, მთა-გორაკები. შეშის მაგიერ ყველა საქონლის გამხმარ ნეხვსა ხმარობს. სვანები ამბობენ: ვისაც ბევრი ნეხვი აქვს, მათ მეტი პურიც აქვსო, მართლაც, არც სვანეთში იქნება არავითარი მოსავალი, რომ მიწას ყოველ წლობით სასუქით არ აპოხიერებდნენ. ახალქალაქის მაზრის მცხოვრებნი ამასაც მოკლებულნი არიან.

ეს ხალხი უტყეოთ პირდაპირ გამოუვალ მდგომარეობაში არის ჩაცვივნული: ხსნა ერთად ერთია: უნდა გამოყვანილ იქნას რკინის გზა ბაკურიანიდან ახალქალაქამდე და აქედან ახალციხემდი, რასაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება, როგორც ამ მხარისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. რკინის გზით ამ ორი მაზრის მცხოვრებთ მიეწოდებოდა ქვა-ნახშირი, რომლის დამუშავება ათი ათას კაცამდე შეამცირებდა უმუშევრებს, ჩვენი ქვანახშირის მუშაობის გაჩაღება-გაფართოებით, ეს ხალხი სასუქს გამოიყენებდა მიწების გასაპოხიერებლათ, რაც ერთი ორათ ასწევდა პურის მოსავლის რაოდენობას. აგრეთვე ამ მხარის მცხოვრებთ გაუადვილდებათ ცენტრებთან დამოკიდებულება და თავის ნაწარმოების დიდ ბაზრებზე გატანა, ამასთან, უეჭველია, მოიმატებს მესაქონლეობა-მერძეობა, რაც დიდათ ხელსაყრელია ამ მხარეში. ყველა ზემო ჩამოთვლილი გვიკარნახებს, რომ დაკვრითი წესით მოხდეს ვიწრო ლიანდაგიანი გზის გაგრძელება ბაკურიანიდან ახალქალაქი ახალციხემდე.

ოცდაშვიდ ივლისს ქ. ახალქალაქში მქონდა მოხსენება აგვისტოს გამოსვლების შესახებ, რის გამო გამოტანილ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია, დაყრდნობილი საქართველოს მუშათა კლასის ცენტრის მიერ 1924 წ. 7-8 ოქტომბერს მიღებულ რეზოლიუციაზედ. არჩეულ იქნა სამაზრო მუშათა ქვეკომისია.

მეორე დღიდან შეუდექი სოფლებში მუშაობას. ვიყავი სოფელ კოთელიაში, ბარალეთში, ბალანთაში, ჭიხარულაში, გოკიოში, ჩუნჩხში, ქილდაში, პრტენაში, გოგაშენში, აფნიაში, საროში და ხიზაბავრაში. ეს სოფლები, გარდა ორისა, წმინდა ქართველებით არიან დასახლებული. მათი საჩივარი ეხლახან გადაყენებულ ადგილობრივ ხელის-უფლებაზე პირდაპირ აუწერელია. არ გეგონოთ ჩიოდნენ მარტო ქართველი გლეხები, სომხები, მუსულმანები და ქართველები, წყევლა კრულვით იხსენიებენ გადაყენებულ ხელისუფლებას, ყველა ერთსა და იმავეს ამბობს: ჩვენ ამ ოთხი თუ ხუთი წლის უკან, აქედან გაქცევის გამო სრულიად განადგურებულნი ვართ, ნახევრობით, ბაკურიანის ტყეში და ყარაიახის ველზე გავწყდით შიმშილით და სიცივით. მოვბრუნდით აქ და ყოველივე მინგრეულ-გაცარცული დაგვხდა. იძულებული ვიყავით დაუხურავ და უკარო სახლებში გვეცხოვრა (ბევრ სახლებს ახლაც არ აქვთ კარები), არ იყო ჩვენთვის საჭმელ სასმელი, უმრავლესობას არავითარი საქონელი არ გააჩნდა, სასტიკ სილატაკეს განვიცდიდით, და იმ დროს, როცა დახმარება იყო საჭირო, ჩვენ უზომო გარდასახადი შეგვაწერეს, რის გადახდას ვერ შევსძლებდით. ჩუნჩხის გლეხები ჩივიან: ნალოგის ამკრები ვინმე დავითიანი მოვიდოდა, წაგვასხამდა ჩვენი საქონლით ახალქალაქში თან გამოგვიცხადებდა; ოთხი დღის საგზალი წამოიღეთ, ნალოგის გადაუხდელობისათვის სარდაფებში უნდა ჩაგრეკოთო. მართლაც სამჯერ დაგვატუსაღა ჩვენივე საქონლით. ჩვენ სარდაფებში ვიყინებოდით ნახევრათ ტიტვლები და ჩვენი საქონლები კიდევ ბაკებში იხოცებოდა ყინვით და უსაჭმელობით. მერე გაგვირეკეს საქონელი მოედანზე და იქ გაგვიყიდეს „ტორგში“ ნალოგის ასანაზღაურებლად. მან კარგათ იცოდა, რომ არ გვქონდა საშუალება, საქონელიც არ იყიდებოდა, მაგრამ არ გვზოგავდა და არ შედიოდა ჩვენს მდგომარეობაში. ჩვენ გვწამდა, რომ ჩაცვივნული ვიყავით არამზადების ხელში, რომლებიც განგებ გვალიზიანებდა, გვწამდა, რომ თუ ამას გაიგებდა ცენტრალური მუშურ-გლეხური მთავრობა; მას კაი დღეს არ დააყრიდა.

გადავწყვიტეთ ტფილისში წასვლა; მაგრამ გაგვიგეს, დაგვამწყვდიეს და სული შეგვიწუხეს. მერე ველარ გავბედეთ ენის ამოღება. ეხლა როგორღაც გაუგია მთავრობას მათი ავაზაკობა და მოგვაცილეს თავიდან. ჩვენ ახლა გამოვძვერით ბატონყმურ მდგომარეობიდან, ბოლშევიკებმა მოსპეს მათი არსებობა და რა თქმა უნდა, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი მხსნელების ერთგულები ვიქნებით: მათი ცდა იყო ჩვენ შეგვძულებოდა ბოლშევიკები; ჩვენ სწორეთ ამას ვხედავდით მათ მოქმედებაში. ერთი გლეხი ამბობს ამის დასასურათებლად: მე ბარალეთელი გლეხი ვარ, შვიდი სული ჩემი სარჩენია, ოჯახის წევრები ბავშვებია 1—12 წლამდე; მიწა მაქვს ხუთი დესეტინა, 4 სული პატარა მოზვრები, ორი ძროხა — 10 ცხვარი, ოთხი ბატკანი, ერთი დეკეული 2 წლისა. შემაწერეს გადასახადი 50 მანეთი, ვერ შევიძელი გადახდა და სამსამი დღე დამატუსაღეს ორჯერ; როგორც იყო მოვახერხე 25 მანეთი და გადაუხადე, დანარჩენი დღესაც გადაუხდელი მაქვს, მეორე გლეხს ამავე სოფელში, პეტროს გიორგის ძე მამულოვს, რომლის ოჯახში სამი ჯეელი კარგი მუშები არიან, აქვთ 8 დესეტინა მიწა 8 ცალი მუშახარი, 5 ძროხა სარგებლიანი, 5 ხბო, 30 ცხვარი, ყავს ფუტკარიც, ეს ოჯახი თავის მიწის გარდა სხვისასაც ამუშავებს მას შეაწერეს 65 მანეთი. ასევე უსამართლოთ სწყდება მიწის საკითხიც — განაგრძობს იგივე გლეხი: გაიგეს რომ მიწა ნორმით უნდა მიეზომოთ ოჯახური მდგომარეობის მიხედვითო და აი რა ხრიკებისათვის მიუმართავთ: ვთქვათ ერთ ოჯახში არის ხუთი სული: ცოლ-ქმარი და სამი ვაჟიშვილი 5 წლიდან 12 წლამდე. მამა რთავს ყველა შვილებს ცოლებს და ასე ეს ოჯახი გამოელის ერთი ნორმის მაგიერ ოთხი ნორმა მიწა მიიღოს. არისო ოჯახი, — ამბობს ის — რომელიც შესდგება 12 სულისაგან, მათში 5—6 კაცი ოცდა სამიდან ოცდა ხუთმეტ წლამდე აღწევენ წლოვანებით, მაგრამ ცოლები ვერ შეურთავთ, ნივთიერი მდგომარეობის გამო.

ეს მთლიანათ დაადასტურეს სხვა გლეხებმა როგორც სომხობამ, ისე ქართველობამ და გლეხები მოითხოვენ, რომ მიწა სულზე მიეზომოს.

ასეთი მახინაციებით მიწის მეტი ნორმების მიღების შემთხვევები დამიდასტურეს სომხის გლეხობამაც: ასეთ შემთხვევებს ჩვენს გლეხებში ხშირათ აქვს ადგილი, ამ სენით არც ქართველი გლეხები არიან თავისუფალი; საილლიუსტრაციოთ მოვიყვან ერთ მაგალითს: კოთელიაში მცხოვრებმა ქართველმა გლეხმა გიორგი ათანას ძე ხუციშვილმა მიწის ზედმეტი ნორმის მიღების მიზნით შერთო თავის რვა წლის ვაჟს პანტელეიმონ გიორგის ძე ხუციშვილს ობოლი ქალი ამავე სოფლის მცხოვრები ლაზარე მათიაშვილის ასული 14 წლის. ქორწინება მომხდარა სამოქალაქო წესით.

სოფლები: ჩუნჩხა, კუმურდო გოგაშენი, პრტენა, აფნია და მათ ახლოს მდებარე სომხების და მუსულმანთა მოსახლეობა პირდაპირ იხოცებიან საქონლიანათ წყურვილით, მათ სრულებით არ მოეპოვებათ წყალი. წყლის გამოყვანა კი შეიძლება ოკანიდან, 25 ვერსის სიშორით.

თითქმის ყველა სოფლის გლეხები საჭიროებენ შენობის მასალისათვის ტყეს, არა აქვთ გუთნები, უღლები, ღერძები, ურმები და სხვა, სახლები დიდ უმრავლესობას სრულიად მოუწყობელი აქვთ (თათრებს დაუნგრევ-დაუწვავთ); ამისათვის გლეხები თხოულობენ, რომ მთავრობამ მათ დართოს ნება ბაკურიანის და ახალციხის ტყეებიდან თავის საჭიროებისათვის შეღავათიან ფასებში გამოიტანონ საჭირო მასალა.

რანაირ მდგომარეობაში არის საძოვარი და სათიბი ადგილები? გლეხებს ხშირად ჩხუბი მოსდით საძოვარზე.

ზოგს დაუტაციათ და მიუთვისებიათ როგორც სახნავი, აგრეთვე სათიბ-საძოვარი მიწები. მაგალითათ, მე თითონ შევესწარი ერთ ალიაქოთს ქართველ სოფლებსა და ზაკვრელებს შორის საძოვარი ადგილის „ტაბასკურას“ შესახებ. ეს საძოვარი უხსოვარი დროიდან, როგორც ამბობენ კოთელიელები, მათ განკარგულებაში ყოფილა და უხდიათ კიდეც იჯარა საძოვარში. დღეს კი მათთვის ეს ადგილი მოუტაცნიათ ზავკრელებს; ამ საქმეში ადგილობრივი ხელისუფლება ჩარეულა; ნაწილი ჩამოუჭრიათ და დროებით, სანამ საქმე გამოირკვევოდეს ზაკვრელებისათვის გადაუციათ, ნაწილი კი დაუტოვებიათ კოთელიელებისათვის, მაგრამ ზაკვრელები ძალაობენ და დენიან ამ დაცულ საძოვარში საქონელს. მე დავამშვიდე კათელიელები და ვსთხოვე ნუ უპასუხებენ ძალადობით.

გლეხები ამაზე დამთანხმდნენ და მთხოვეს, მეთხოვა ხელისუფლებისათვის მოპყრობოდნენ ამ საკითხს სამართლიანად. გარდა ამისა მოითხოვენ იცოდნენ წინდაწინ რას ან რაში იხდიან გლეხები გადასახადს.

ქართულ სოფლებს გარდა კოთელიისა, შოგაშენისა და ქილდისა არა ყავთ მასწავლებელი, შკოლის შენობებიც ნახევრათ დანგრეულები არიან. მცხოვრებლები გამოსთქვამენ საყვედურს, რომ საზღვარზედ არიან გადმოკარგულები და ახალციხეს იქეთ ცენტრალური მთავრობის არავინ მიდის, რომ თავის გაჭივრებაზე შესჩივლონ.

(შემდეგი იქნება)

ლ. კუპრაშვილი.

## ჩემი მოგზაურობა ზემო სვანეთში

ივლისის ბოლო რიცხვებში, როდესაც ამხ. ლავრენტი კუპრაშვილმა ჩამოიარა ქვემო სვანეთის თემები და მოხსენებები გააკეთა, მისი სურვილი იყო გადავსულიყავით ზემო-სვანეთშიაც, მაგრამ ვინაიდან მთაზედ კიდევ იყო თოვლი და ამასთან ამხ. ლავრენტი ძლიერ საჩქაროთ უნდა დაბრუნებულიყო თბილისში, ველარ გადავედით.

ამის შემდეგ მიზნათ მქონდა დასახული გადავსულიყავი და გავცნობოდი ზემო სვანეთის ხალხის სულიერ-მდგომარეობას.

18 აგვისტოს ლეჩხუმის მაზრის ხელისუფლებასთან შეთანხმებით გავემგზავრე. 20 აგვისტოს ჩავედი სოფ. მესტიაში, სადაც ამ ჟამად ზემო სვანეთის მაზრის ხელისუფლების შემადგენლობა სცხოვრობს, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დიდის კმაყოფილებით მიმიღო და ყოველგვარი დახმარება გამიწია.

21 და 22 აგვისტოს გავიარე მესტიიდან ახლო სოფლებში, სადაც ვნახე რამოდენიმე ჩემი ამხანაგი, რომლებიც აგვისტოს დამლევ რიცხვებამდის მმართველი პარტიის მოწინააღმდეგე ბანაკს ეკუთვნოდენ და დღეს-კი გულის-ძარღვებიდან ამონახეთქი სიტყვებით ესალმებოდენ ახალ-გზას და მის მიმდევართ.

23 აგვისტოსთვის, თანახმად ხალხის სურვილებისა, მოწვეულ იქმნა ზემო-სვანეთის მაზრის სახალხო თეატრის შენობაში მასიური კრება, კრებას უამრავი ხალხი დაესწრო, თეატრის შენობაში ტევა არ იყო. კრება გახსნა ნაშვადღევის 5-საათზე ამხ. პიმენ დვალმა და გააცნო ხალხს მუშათა კომისიის მუშაობის შინაარსი და მნიშვნელობა. შემდეგ მოხსენება იქნა გაკეთებული აგვისტოს გამოსვლების მწარე შედეგებზე და რუსეთში გადასახლებულ ამხანაგების შესახებ. გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია თბილისის მუშების 7-3 ოქტომბრის რეზოლიუციასთან შეთანხმებით. რუსეთში გადასახლებულთ დაბრუნებამ აღტაცებაში მოიყვანა მთელი კრება, მხოლოდ არა სასიამოვნოთ დაურჩათ სუზდალის საპატიმროში მყოფი ამხანაგების განზედ დგომა და ხელისუფლებასთან შეუთანხმებლობა.

გლეხობიდან იყო სხვა და სხვა შეკითხვები, რომლებზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხიც მიიღეს; იყო აგრეთვე სხვა და სხვა საჩივრები მიმართული უმეტეს ნაწილად მცხოვრებლებთან უსამართლოდ მოპყრობის შესახებ, ვაჟ-ბატონების 1) თარხნიშვილის და 2) გოცირიძის, რომლებიც ამჟამათ (როგორც გავიგეთ) უნდა დაეპატიმრებია ადგილობრივ ხელისუფლებას და გადაეგზავნათ ქ. თბილისში სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის. მე მინდა მათი საქციელის ერთი მაგალითი მოვიყვანო ამ წერილში.

ერთ-ერთ გლეხს, რომელსაც მონაწილეობა მიეღო აგვისტოს გამოსვლებში, ჰყოლია კარგი ცხენი, ცხენი ძლიერ მოსწონებია ვაჟ-ბატონ თარხნიშვილს (ზემო სვანეთის მილიციის უფროსს) და შეუთვლია პატრონისთვის მომყიდეო, პატრონი ცხენს არ ჰყიდდა, ამიტომ თარხნიშვილს უარით უპასუხა. მილიციის უფროსი მიდის და აპატიმრებს მას. რამოდენიმე დღის შემდეგ უშვებს და ეკითხება: ეხლა მომყიდი ცხენს თუ არაო. პატრონი კიდევ უარს ეუბნება. მილიციის უფროსი ხელ-ახლა იჭერს გლეხს, შემდეგ ამ საქმის გამო გლეხს კიდევაც აჯარიმებს. ცხადია ასეთ საქციელს შეუძლია გლეხების ჩამოშორება საბჭოთა ხელისუფლებისაგან და ამიტომ თვითეულ ჩვენთაგანი იმედოვნებს ასეთ შავ კომუნისტებს თვით ხელისუფლება გამოასწორებს.

კრებაზე გაიმართა კამათი. მოკამათეთ გამოვიდა ვიღაც ყოფილი მღვდელი ცხვრის ქურქში გახვეული, მისი ლაპარაკიდან ნათლად სჩანდა, რომ ძაძებში ეხვევა ჩვენი ორი მკვიდრი მოძმეთა შეერთებისთვის. მართალია, მას ანაფორა გაუხდია, მაგრამ გული-კი ისევ ცხვრის გულ-ღვიძლისკენ მიუწევს. კარგი კი იქნებოდა, რომ ასეთებს საპასუხისმგებლო ადგილი არ ეჭიროთ.

კამათში მიიღეს მონაწილეობა რამოდენიმე სვანმა, რომლებიც სვანურ ენაზე ნაღვლიან გულით იხსენიებდენ წარსულის საშინელებას და სალი გრძნობა-გონებით ესალმებოდენ საერთო ენის გამოძებნას ორ-მოძმეთა შორის,

ბოლოს დასმული იქმნა კითხვა ზემო-სვანეთის მაზრაში მუშათა ქვე-კომისიის დაარსების შესახებ. კრებამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო და ადგილობრივმა ხელისუფლებამაც მხარი დაუჭირა. კომისიის წევრებათ წამოყენებულ იქმნა თითქმის 20-დე კანდიდატი, მხოლოდ კომისია შესდგა 7-კაცისაგან. კომისიის წევრებია: 1) ბაჩი ქალდანი, 2) ნესტორ მიქიანი, 3) თავადე გადრანი, 4) ალი დავითულიანი, 5) ვასილ არღვლიანი, 6) რომანოზ გულედანი და 7) ჰყინტოლდ ჩართოლანი. კომისიამ მიიღო სათანადო ინსტრუქცია და სამუშაო დირექტივები.

ერთი წელია, რაც მე ზემო სვანეთში არ მეარა და უნდა ითქვას სიმართლე, რომ სვანეთი ის აღარ არის, რაც წინათ იყო,

სვანეთში დიდი პროგრესია. დღეს შემოივლით მთელ სვანეთს და ერთ უსიამოვნებას ვერსად შეხვდებით;

ერთი წლის წინათ კი ათი თუთხმეტი მილიციონერით ვერ გაბედავდი მოგზაურობას სვანეთის მიდამოებში. ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შესძლო სვანეთში ასეთი მშვიდობიანობის ჩამოგდება, როგორიც არსებულმა ხელისუფლებამ; აქამდის დამშვიდებული სვანეთი არავის უნახავს. ცხადია, ეს საბჭოთა ხელისუფლების საღი და სწორი მიდგომის შედეგია. მასთან საპატივცემლოა ადგილობრივი ხელისუფლებაც, რომელიც მოუღალავად სდარაჯობს სვანეთის მშვიდობიანობას. ასეთია პატივცემული ჰადარა ამხ. პ. დვალი, რომელიც თავისი ლმობიერი და კეთილ სინდისიერი მოპყრობით გლეხებისადმი იპყრობს ყველას ყურადღებას და მასთან ახლა-გაზრდა ჭაბუკი სილევესტრი ნავერიანი, თავ-დადებული სვანი რევოლიუციისათვის და ჩამორჩენილი სვანეთის კუთხის გაღვიძებისათვის.

**გრიშა ქურასპეტიანი.**

---

## ლეჩხუმის ამბები

შემდეგ იმისა, რაც მუშათა კომისიის წევრმა, ლავრენტი კუპრაშვილმა და ქუთაისის მუშათა ქვე-კომისიის თავმჯდომარე გიორგი მეფარიშვილმა ჩამოიარეს ლეჩხუმის მაზრის თემები და ხალხს გაუზიარეს თავისი აზრი, ჩვენ ბევრი მუშაობა არ დაგვჭირვებია, ვინაიდან ხალხი უკვე გაერკვია თავის გაუგებრობას, თითქმის მთელი მაზრა შემოიკრიფა კომისიის ირგვლივ და დადგა მთლიანათ ახალ გზაზე.

დღეს ლეჩხუმის მაზრაში აღმოცენებულია სულ ახალი რამ. ისინი, ვისაც ქუდები წითელი ეხურათ და ჭკუა გონება კი შავი იდუმალებისკენ ქონდათ მიპყრობილი, დღეს ყველანი გაცოცხლ და მათ ნაცვლად აპარატებში თანდათანობით ებმება მუშაობაში ინტელიგენცია, რომლებიც დღეს იზიარებენ „ახალ გზის“ პლათფორმას. მუშათა კომისიის მუშაობა ადგილობრივი მაზრ. ხელისუფლებასთან შეთანხმებით დღესაც სათანადოთ სწარმოებს. სრული იმედი გვაქვს აღრიცხვაზედ აყვანა ხალხის ამ ორი კვირის განმავლობაში დამთავრდეს.

ხელისუფლების შემადგენლობაც ყურადღებით ეპყრობა ყველა ახალ გზელებს, რაიც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს უკანასკნელი ჩვენს ამხანაგებში.

**გ. სვანი.**

---

## მუშათა კომისიამ ჩვენს რაიონშიაც უკვე დაიწყო მუშაობა.

ა/წ. 7 აგვისტოს ხონის რაიონს ეწვია ქუთაისის სამაზრო მუშათა კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. მეფარიშვილი, რომელიც შეუდგა მუშაობას და წინასწარი საუბარი ჩაატარა ყოფილ აქტიურ მომუშავე მენშევიკებს შორის, რამაც გამოიღო ნაყოფიერი შედეგი. მეორე დღესვე ამხ. მეფარიშვილის ხელმძღვანელობით ყოფ. მენშევიკები შეუდგენ მუშაობას: პირველად ა/წ. 8 აგვისტოს მოწვეულ იქნა გუბის თემში ყოფილ მენშევიკებისა და უპარტიოთა საზოგადო. კრება, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. გ. მეფარიშვილმა შემდეგ თემაზე; „აგვისტოს გამოსვლები და მომავალი ამოცანები“, რომელშიც ვრცლად განუმარტა აგვისტოს საშინელებანი და სოც. დემ. პარტიის მოღვაწეობანი რევოლიუციამდე და რევოლიუციის შემდეგ, ამასთანავე აღნიშნა არსებულ ხელისუფლების მიღწევანი და უარყოფითი მხარეები, აგრეთვე მუშათა კომისიის მიზნები და საქმიანობა, დაბოლოს მომხსენებელმა მოუწოდა საზოგადოებას, რათა დაუახლოვდენ ხელისუფლებას თანამშრომლობის ნიადაგზე ერისა და რევოლიუციის საკეთილდღეოდ, ვინაიდან აგვისტოს მზგავსი გამოსვლები გამანადგურებელია ფიზიკურად ქართველი ერისა. მოხსენების შემდეგ შემოვიდა მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა ამხ. მეფარიშვილის პოპულიარულ მოხსენებას, იქნა გამოტანილი სათანადო რეზოლიუცია და მოხდა გუბის თემში მუშათა კომისიის რწმუნებულების არჩევნები. არჩეულ იქნენ: 1. მიშა სვანიძე, 2. ნიკოლოზ სვანიძე, 3, ვლადიმერ მოსეშვილი, 4. ნესტორ კორძაძე, 5. დათიკო კორძაძე, 6. ტარასი გეგუჩაძე და 7. იაგორ აბზიანიძე.

მეორე დღეს 9 აგვისტოს ამხ. ვალიკო გალდავაძის თავმჯდომარეობით და ამროსი ბახტაძის მდივნობით შესდგა ქ. ხონში ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა მასიური კრება. მიუხედავათ უამინდობისა პედ. ტეხნიკუმის დარბაზი სავსე იყო მშრომელებით და კიბე, დერეფნები გაჭედილი ხალხით, ბევრი ქუჩიდან უსმენდა და ამას ხელს უწყობდა მომხსენებლის მჭუქარე ხმა.

ამხ. მეფარიშვილმა გააკეთა მოხსენება იმავე თემაზე, როგორც გუბში, მომხსენებელმა 3 საათი ილაპარაკა მოხსენებამ აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში და მქუხარე აპლოდისმენტით დააჯილდოვეს იგი. მოხსენების შემდეგ შემოვიდა შეკითხვები, რაზედაც, მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. შეკითხვების შემდეგ მოხსენებას არსებითად შეეხენ ამხ. ვალიკო და ნადია გალდავაძეები,—ყოფილი მენშევიკები; ძველი რევოლიუციონერები, რომელთა გამოსვლამ მასაში დიდი შთაბეჭდილება დატოვა. აგრეთვე ილაპარაკა რაიკომის პ/მ. მდივანმა ამხ. გ. ბახტაძემ, რომელმაც სიამოვნებით აღნიშნა დიდი საქმიანობა მუშათა კომისიისა და სიხარული გამოსთქვა მენშევიკების დაახლოვებაზე არსებულ ხელისუფლებასთან. მოხსენების შემდეგ გამოტანილი და ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ქ. ხონის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრებამ 9 აგვისტოს 1925 წლისა, მოვისმინეთ მოხსენება ცენტრალურ მუშათა კომისიის წარმომადგენლის გ. მეფარიშვილის—„აგვისტოს გამოსვლები და ჩვენი ამოცანები“—, გავითვალისწინეთ რა შედეგები იმ გზისა, რომელმაც მიგვიყვანა.

ჩვენ აგვისტოს საშინელებამდე, და ვაცხადებთ ვაღიარებთ ამ გზას დამღუპველად ერისა და რევოლიუციისათვის. ერთად ერთი სწორი გზა, რომელსაც უნდა დაადგეს ქართველი ხალხი, ჩვენ მიგვაჩნია გზა გულწრფელი თანამშრომლობისა არსებულ ხელისუფლებასთან სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მუშათა კომისიის მიზნებს და საქმიანობას და ვიმედოვნებთ, რომ ქართველი მუშათა კლასი და გლეხკაცობა, ეს ერთად-ერთი ხელმძღვანელი რევოლიუციისა, შესძლებს დაამყაროს ხელისუფლებასა და ხალხს შორის სრული ნდობა და გულწრფელი თანამშრომლობა. ჩვენ ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ მუშათა კომისია შესძლებს გავლენა იქონიოს საზღვარგარეთ მყოფ ემიგრაციაზე, რათა მან უარყოს ბრძოლის გზა, დაბრუნდეს თავის სამშობლოში ერის საკეთილდღეოთ და რევოლიუციის გასამტკიცებლად.“ დაბოლოს მოხდა ქვეკომისიის არჩევნები. მშრომელი მასა სიამოვნებით ასახელებდა კანდიდატებს უბნა-უბნათ ყოფილ მენშევიკებისას ზემოთ კომისიაში ასარჩევად, რათა განმტკიცებულ 7—8 ოქტომბერს რევოლიუციონურ უბანში „ნაძალადევის“—მუშათა მიტინგზე გამოტანილი რეზოლიუცია, მიმართული ერთიან რევოლიუციონურ ფრონტის შესაქმნელად საერთაშორისო მტრის წინააღმდეგ. სარაიონო ქვეკომისიაში არჩეულ იქნენ: 1. ვალ. გაღდავაძე, 2. სერაპ. აფხაზავა, 3. ილიკო ტაბიძე, 4. ვარლამ წივწივაძე, 5. გიორგი წივწივაძე, 7. გიორგი ოდიშარია, 7. ოლინკა ბახტაძე, 8. სარდიონ სანოძე 9. ილარიონ ჩაკვეტაძე. კანდიდატებათ: 1. გრიშა ქანთარია, 2. ანტონ კენჭერაძე.

ასეთივე კრებები ჩატარებულ იქნა ხონის რაიონის ლანირ-ქვიტირის თემში, სადაც იქნა მიღებული სათანადო რეზოლიუცია და არჩეული შემდეგი პირნი: 1. დიანოს გრიგოლია, 2. მილარდი აბზიანიძე, 3. სილოვან პავლეს ძე რუხაძე, 4. ირაკლი ლევანის ძე რუხაძე, 5. ერასტი იაკობის ძე რუხაძე, 6. სიმონ დიმიტრის ძე ქაბზინაძე 7. ვალიკო ათანასის ძე ლვინერია, 8. მელქისედეკ ფრანგიშვილი.

ასეთივე კრებები ჩატარებულ უნდა იქნას ახლო მომავალში ხონის რაიონის სხვა თემებშიაც.

ეტყობა ამხ. გ. მეფარიშვილის საქმიანობა ნაყოფიერია, ის გულწრფელად შეუდგა მუშაობას და დიდი გამოძახილი ჰპოვა ყოფილ მენშევიკების და უპარტიო მასის. გარდა ამისა ხონის რაიონულ ორგანიზაციებზეც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ამხ. გ. მეფარიშვილის დაკვირვებული და ენერგიული მუშაობა.

უსურვებ მუშათა კომისებს ნაყოფიერ მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

**ხონია. ფარცხალაძე.**

# ქრონიკა

(კვირიდან—კვირამდე).

## ადგილობრივი ცხოვრება

— **საურთიერთო დამხმარე საზოგადოებები.** ამიერკავ. ცაკ-მა დაამტკიცა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებების წესდება. ამის გამო იქნა განხილული და შეთანხმებული თბილისსა და ერევანში არსებული საზოგადოებების წესდებები.

საურთიერთო დამხმარე საზოგადოებები გაიხსნება საქართველოს შემდეგ ადგილებში: სამტრედიასა და ლანჩხუთში, რომელთაგან თითოს ექნება ძირითად თანხად 5 ათასი მანეთი, ქ. ონში—4 ათასი მან. თბილისშიაც იხსნება საურთიერთო დამხმარე მეორე საზოგადოება, რომლის ძირითადი თანხა პირველ ხანებში განისაზღვრება 35 ათას მანეთით.

— **წლევანდელი მოსავლის ვარაუდი საქართველოში.** წინასწარი ვარაუდით წელს მთელს საქართველოში ველოდებით 40 მილიონ ფუთ ხორბალს—პურს, სიმინდს, ქერს და სხ.

აქედან აღმოსავლ. საქართველოში უნდა მოიკრიფოს 19 მილიონი ფ., დასავლ. საქ.—17 მილ. ფ., აფხაზეთში—2 მილ. ფ., აჭარაში—736 ათასი ფ. და სამხრეთოსეთში—632 ათასი ფ.

— **ახალი სანატორიუმები** ამიერ-კავკ. სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმართველოს განკარგულებაში გადაცემულია 400 ათასი მან. ჭლექით ავადმყოფებისთვის სანატორიუმის ასაშენებლად.

აშენებული იქნება ორი სანატორიუმი—ერთი აბასთუმანში და მეორე დელიჟანში (სომხეთი).

აბასთუმნის სანატორიუმი ნავარაუდევია 100 კაცისთვის, დელიჟნის—50 კაცისთვის. ეს სანატორიუმები სამსახურს გაუწევენ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებს.

— **ბრინჯაოს პერიოდის ნივთები.** საქართველოს საეტნოგრაფიო-საისტორიო მუზეუმმა შეიძინა ბრინჯაოს დროის ნივთების კოლექცია, რომელიც შეგროვილია ლეჩხუმის მაზრაში.

ამ კოლექციაში შედის სხვადასხვა ფორმის და ზომის ნაჯახები მხატვრული ჩუქურთმებით, ბეჭდები, სამაჯურები, სადურგლო ხელსაწყობები და ცხენის მოსართავის ნაწილები, სულ კოლექცია შეიცავს 40-დე ნივთს.

ეს კოლექცია უდიდეს ინტერესს წარმოადგენს საქართველოს ლითონის მრეწველობის განვითარების მკვლევართათვის და ხელოვნების ისტორიკოსებისთვის.

— ამავე მუზეუმმა შეიძინა სხვადასხვა დროის ფულის ნიშნები (ნუმიზმატიური კოლექცია), რომელთა შორის არის კოლხეთის პერიოდის ფულები (მე-4 საუკ. ქრისტ. წინ) და შემდეგ საუკუნოების 1833 წლამდის. ამ კოლექციაში ყურადღებას იპყრობს თამარ მეფის და მისი მამის გიორგი III-ს ფული.

— **ტყის მოშენება.** ყაზბეგის, სიონის და ერგეთის რაიონებში (მთიულეთ ხევში) სრულიად არ არის ტყე. მცხოვრებლები შეშას ამზადებენ ფასანაურის და ანანურის რაიონებში—ანანურიდან ყაზბეგამდის 80 ვერსზე მეტი მანძილია.

მოხევეებმა აღძრეს მიწადმოქმედ. კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა ხევში ტყის გაშენების შესახებ. კომისარიატის სატყეო განყოფილების გამგემ თავის თანაშემწით მოიარა ხევი, რის შედეგად საკითხი გადაწყვეტილია ამგვარად: სატყეო განყოფილება მოხევეებს მისცემს სათესლეს, ნერგებს და გაუწევს ხელმძღვანელობას, ადგილობრივი მოსახლეობა კი შეასრულებს დანარჩენ სამუშაოებს.

სატყეო განყოფილების ცნობით ყაზბეგის რაიონში გაშენდება 60 დესეტინა ტყე. აქ დაითესება არყის ხის, ფიჭვის, ტირიფის და სხვა ხეების თესლი. აქვე მოეწყობა სანერგეც.

ტყის მოსაშენებლად მიმდინარე შემოდგომაზე შეუდგებიან მუშაობას.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** საკავშირო პროფ-საბჭოს დადგენილების თანახმად საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ გადასწყვიტა მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩაატაროს პროფკავშრების უმუშევარ წევრების ხელახალი აღრიცხვა. აღრიცხვის მიზანია უმუშევართა შემადგენლობის შესწავლა და მათი მდგომარეობის გამორკვევა.

— **აგროდახმარების მოწყობა საქართველოში.** მიწადმოქმედების კომისარიატის გეგმის მიხედვით მომავალ წელიწადს მთელ რესპუბლიკაში უნდა იმუშაოს 89 აგრონომმა, 1926 წ.—1928 წ.—163 აგრონომმა და 1929 წ. —200 აგრონ. მაშასადამე 1929 წ. თითო აგრონომი გაუძღვება 16 სოფელს, ანუ 318 მცხოვრებს.

5 წლის გეგმის მიხედვით, ხუთი წლის განმავლობაში ჩვენში აგროდახმარებაზე დაიხარჯება 2.497.170 მან., აქედან 854.418 მანეთს მიიღებს ცენტრალური მთავრობა, 384.860 კოოპერატიული ორგანოები და 1.257,892 მ. კი ადგილობრივი აღმასკომები.

— **მოუსავლობა სამხრეთ ოსეთში.** ორი თვის განუწყვეტელმა გვალვამ, სასოფლო-მეურნეობის მავნებლებმა, საშინელმა სეტყვამ გაანადგურეს სამხრეთ ოსეთის ნათესების სამი მეოთხედი, მოუსავლობის გამო სამხრეთ-ოსეთს დასჭირდება ხორბლით დახმარება. გვალვებმა გააფუჭა აგრეთვე სათიბები, თივის მოსავალი არ აღემატება ნორმალურ მოსავლის ერთ მეოთხედს.

გვალვისაგან და მავნებლებისაგან ძალიან დაზარალდენ სამხრეთ-ოსეთის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს შონის ხეობაში (დუშეთის მაზრა), მაგალითად, მონასტრის, ახალგორის რაიონებში. ასეთივე უბედურება ეწვია დუშეთის მაზრის მთიან ადგილებს.

სამხრეთ-ოსეთის დაზარალებულ რაიონებში მთავრობა გზავნის კომისიას ზარალის გამოსარკვევად.

საჭიროა მიექცეს ყურადღება დუშეთის მაზრის მთიან ადგილებს და ესენიც იყვნენ სათანადოთ გამოკვლეულნი მოუსავლობის მხრივ.

გედეონ გუგუნავა

(გ. ოლიაშვილი)

# პოემიდან სოფლის „პეიზაჟი“

I

სოფელი მშვიდი. სოფელი წმინდა;
დღეს ყვავილივით მზეზე ბანაობს...
ყორანი დაფრთხა და გადაფრინდა,
ყორანი ეხლა აღარ ქანაობს!!!

II

დაფნის რტოებში გადაიბინდა,—
უსიხარულო დღეების ჯარი!!!
მთაზე ნისლები გადაიწმინდა,
და გამოჩნდა მზე ოქროს ფაფარით!

III

ურიგებს ფაფარს: მივარდნილ ქოხებს:
ბავშებს უმწეოს და მშრომელ მასებს.
ნილაბებს მაცდურს ყველგან ჩამოხევს!
შეებრძოლება ღრუბლიან ავდრებს.

IV

და შენ, სოფელო, ხარ მკვლავი თუჯის!..
დღეს შენთვის ყველგან გზები ფართოა...
მახსოვს იყო დრო იყავი მუნჯი,
მაგრამ დღეს ბედმა თეთრად დაგთოვა!..

**დილა სოფელში**

V

დგება სინათლე ფანჯრის მინებთან.
ჩიტებს ფოთლებში შემოათენდა!
ღამე ულონო დილას მინებდა;
ცაზე ვენერა ხალიჩებს ფენდა!!!

VI

აგერ მოხუცი თოხის პირს ლესავს.
სინათლის სხივმა ნისლი გაფანტა!..
ქალი ბოსტანში რაღაცას თესავს,
და ბავში ცაცხვთან მათ სურათს ხატავს.

VII

ტყიდან ძახილი ისმის გუგულის:
აღსდექ სოფელო! თვეა მაისის!!!
ქორი ქარივით ქოხს შემოუვლის,
და წიწილების ხმები გაისმის!..

VIII

გამოვარდება ქალი ქოხიდან
და ყაჩაღივით ქორს გადასძახებს:
შორს შე ოხერო, შენ აქ რა გინდა??!!!

. . . . . . . .

IX

მშრომელ მხარეში სოფლის გლეხები—
ჯარის კაცივით თოხებით მხრებზე
ვიწრო შუკებში მღერით მიდიან...
ჩემო სოფელო, მეტად დიდია

დღეს სიყვარული ჩემი შენდამი!..
მსურს ჩავეხუტო შენს ჯანსაღ თვალებს
ჩემი საკუთარი გრძნობის ლერწამით;
ვით გულს გაყინულს მზე უთბილესი!!!

X

მწვანე ყანებში ფურცლებს სიმინდის:
ო! ქარი არხევს ო, ქარი არხევს;
მეყანეს ათრობს სურნელი ბინდის,
როცა ცივ ჰაერს ტუჩებით გიხევს!!!

XI

გლეხი ვენახის გალურჯულ ღეროს
გულის ხალისით ათვალიერებს;
ფიქრები წუთით სურს შეაჩეროს,
რადგან ყანების უსმენს სიმღერებს..

XII

ჩემო სოფელო, შენს მყუდრო ქალებს
მსურს ჩავეხუტო იისფერ ფარდად, —
რომ სიხარულით გაფრენილ თვალებს
უსწევდე მაღლა დაშვებულ ვარდად!!!

XIII

ბედს გაუღიმე ჩემო სოფელო!!!
ამოისუნთქე იმედიანად;—
შხამი დაცალე დაუნდობელი,
დროა ყვაოდე მშვიდობიანად!!!

XIV

ოჯახის ქალი შვილებს აიმედებს,
და ურჩევს ბავშებს სიმართლის დარებს..
ო! უხარიათ წელ მოხრილ დედებს,
როცა რეკავენ ხმამაღლა ზარებს!!!

XV

ვდგევარ წყლის პირას... მძაფრი ჩხრიალი
მოაქვს ქარივით კლდიდან ჩანჩქერებს!
მღერის მეურმე... ურმის ჭრიალი
გულს მისხვაფერებს—გულს მისხვაფერებს!!!

XVI

მთიდან ირემი მორბის დაფრთხალი!
დღეა ზაფხულის მზე იფერება,
და საბრალო ბავშს სადღაც ქვრივ ქალი,—
უკოცნის თვალებს და ეფერება!!!

XVII

და მე შველივით მივყვები ღელეს!!!
შინაურ გედებს გოგო მოდენის.
წვიმა ფოთლების თმას დამისველებს,
თმას აქოჩრილს და სახის მოდელს!

XVIII

ტანში ბავშივით ო! გამაჟრჟოლა,—
სოფლის ბაღები რომ ჩავიარე;
ქალებს მიქონდათ ფოთლები ბჟოლის
და მიდიოდენ როგორც სიზმარი!!!

XIX

შაშვი შროშანის მაღალ ღეროდან,
უმზერდა სოფელს და ფრთებს იფენდა;
ხმით უტკბილესით შაშვი მღეროდა
ჩემო სოფელო, დიდება შენდა!!!

(იქნება კარი 2-რე)

სოფ ხორში.

---

# კორესპონდენცია

## ტფილისის „მუშკოპის“ გაეროვნება

ბევრჯერ დაწერილა და თქმულა ტფილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივების გაეროვნებაზე. ბევრი დაბრკოლებები ელობებოდა წინ ამ ნაბიჯის გადადგმას. დაბოლოს, როგორც იქნა ამა წლის იანვარში გადაწყდა გამგეობის მიერ, რომ ტფილისის მთლიან მუშათა კოოპერატივებში ამა წლის მაისიდან საქმის წარმოება უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. ამისათვის საჭირო იყო რამოდენიმე ენის არა მცოდნე თანამშრომლების შეცვლა სახელმწიფო ენის მცოდნეებით. ეს ასედაც მოხდა. ენის არა მცოდნენი დაითხოვეს და მათ მაგიერ მიიღეს მცოდნე პირები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამოდენიმე პირებს, რომლებიც ეხლაც განაგრძობენ მუშაობას.

საუბედუროთ ქართველებშიაც ყოფილან ისეთები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით აბუჩათ იგდებენ სახელმწიფო ენას და ამით მახინჯდება საქმის წარმოება და ენაც.

ზოგიერთი, მიუხედავათ იმისა, რომ მან საკმაოდ იცის სახელმწიფო ენა, დასცინის მას. მაგალითად მუშკოპის მთავარი ბუღალტერი მოქ. მარკოზოვი ჰკიდებს ხელს ერთ-ერთ რუსულად დაწერილ ქაღალდს, მიდის ერთ-ერთ თანამშრომლის მაგიდასთან ამავე ქაღალდით (ეს თანამშრომელი გაეროვნების მომხრეა) და ეუბნება დაცინვით: „აჰა, კაცო, როგორ გაბედეს მაგათ რუსულათ ქაღალდის დაწერაო გინახავს კაცო? მაგათ ვერას დროს ვერ ვასწავლე ქართულიო“. ენით ამას ლაპარაკობს მოქ. მარკოზოვი და საქმით კი სულ სხვას სჩადის. სწორედ იმ ხანებში „ქართულის მასწავლებელი“ მარკოზოვი სწერს გამგეობის წევრს ამხ. ძაგანიას სახელზე რუსულ ენაზე ვრცელ მოხსენებას.

გარდა ამისა, აქვს კიდევ ასეთ მოვლენას ადგილი. სარეგისტრაციო განყოფილებაში მუშაობს კანტორის მოხელე ქალი თამარა გოთვაძე, რომელიც ერთ და იმავე პირზე ანკეტას ადგენს ქართულად და სურათს (კარტოჩკას) კი რუსულად. შეკითხვაზე, თუ რატომ სჩადის ამას, პასუხი „მოსაწონი“ იყო: „იმიტომ, რომ ქართულ ენაზე

ალფავიტის წარმოება შეუძლებელია, ვინაიდან ალფავიტი თავიდანვე ე. ი. 1921 წ. უწარმოებიათ რუსულ ენაზე. ალფავიტი შესაძლებელია თუ არა ქართულ ენაზე? ეს თვით მკითხველებმა განსაჯონ, მხოლოდ მუშკოპის გამგეობამ ბოლო უნდა მოუღოს ისეთების თვითნებობას, რომლებიც არ ემორჩილებიან მის დადგენილებას, ამახინჯებენ საქმის წარმოებას და დასცინიან სახელმწიფო ენას.

---

## მევენახეობის ბედი გურიაში

დასავლეთი საქართველო, კერძოთ გურია განსაკუთრებულ ნიადაგს წარმოადგენს ვენახის მეურნეობისათვის.

მიუხედავათ ამისა, შეიძლება გადაუჭარბებლათ ითქვას ეს დარგი გურიაში პირდაპირ უბადრუკსა და სავალალო მდგომარეობაშია.

მთელ საქართველოში არაა მეორე კუთხე, სადაც ეს დარგი ეგზომ უყურადღებოდ და მოუვლელი იყვეს, როგორც აქ. სწავლა-განათლებით, კულტურით დაწინაურებული გურია ამ მხრით ვერ იჩენს ჯეროვან ცოდნა-გამოცდილებას ვენახის მეურნეობის სფეროში.

გურიის მეურნე, მშრომელი გლეხობა სამეურნეო ცოდნით, ტეხნიკით ერთობ ღარიბია და ჩამორჩენილი. აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურა დაბალი ხარისხისაა, აგრო-კულტურული წარმოება—სუსტი.

მიუხედავათ ყოველივე ამისა ეს კულტურა აქ თუ მაინც ხარობს, უნდა აიხსნას, მისი განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელ-შემწყო გეო-კლიმატიური პირობებით.

გურიის ნიადაგი, ჰავა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დარგებს ერთობ ფართე პერსპექტივებს უშლის—თუ მას კულტურულ მოვლა-საქმიანობის ხელი ოდნავ მაინც შეეხო.

საკუთრივ, ეს შეიძლება ითქვას მევენახეობაზედ, რომელსაც დღემდე არც საზოგადოებრივ, არც სახელმწიფო ორგანოების მხრივ ჯეროვანი ყურადღება არ მიქცევია და ლამის ეს კულტურა ხელიდან გაუშვათ.

ამის ნიშნები უკვე არის.

ცნობილია, რომ გურიაში რამოდენიმე ათეულ წლის წინათ ვენახის ათზე მეტი ჯიში მოიპოებოდა, როგორც მაგ.:—ადესსა (ეს აქ ყველაზედ გავრცელებული ჯიშია); ჩხავერი, ჯანი, მტევან-დიდი, ნოა, მტრედის-ფეხა და სხვანი;

ყველა ესენი, წინათ გურიაში დიდათ გავრცელებული იყო და დიდ მოსავალსაც იძლეოდა; დღეს კი ბევრი მათგანი ისე მოისპო, რომ მისგან ხსოვნის მეტი არა დარჩენილა, ზოგიც კი გადაგვარების გზაზეა და ლამის მოისპოს, გადაშენდეს.

მაგალითად „ჩხავერი“ ათიოდე წლის წინათ დიდათ გავრცელებული და მოსავლიანი ჯიში, დღეს ჩვენ თვალწინ ქრება, ისპობა.

მოსალოდნელია სხვა ჯიშებსაც, რომელნიც დღემდე კიდევ ბოგინობს, ესევე ბედი დაატყდეს თავს...

დაგვრჩა მხოლოდ „ადესსა“—ეს ყველაზედ გამძლე ჯიში, რომელიც თუ ასეთ პირობებში დავტოვეთ; საეჭვოა ასცდეს სხვების ბედს და ისიც არ გადაშენდეს. ამის ნიშნებიც არის.

თვითეული, მეურნე გლეხი ცხადლივ ამჩნევს, რომ ეხლანდელი „ადესა“ ის აღარაა რაც იყო 20—30 წ. წინათ, დაპატარავდა, დაჩიავდა ტანად და ნაყოფიერებასაც შესამჩნევად უკლო.

ასეთი იქნება მდგომარეობა—ვიდრე ვენახის მეურნეობისათვის კულტურულ-რაციონალურ მოვლა-მოშენების ხელი არ შეგვიბრუნებია...

გურიაში კი ეს ვენახი პირდაპირ მოუვლელია, იგი „ტყიურ“ იზრდება—როგორც იტყვიან.

რაც შეეხება მათთვის შესაფერათ ნიადაგის (სასუქით) გაპოხიერებას, თავის დროზედ და შესაფერ გასხვლას—ამისათვის აქ თავს ნაკლებათ იტკივებენ. ადგილობრივი „გასხეპვის“ წესი პირდაპირ ბარბაროსულია და გამანადგურებელი (განსაკუთრებით „მაღლარის“); რითაც ხშირათ მეტ ვნებას და ზიანს აყენებენ.

რაც შეეხება „დაბლარს“ (უკანასკნელი აქ, შედარებით, იშვიათია), ის კიდევ უარესს მდგომარეობაშია.

ბევრგან, 10-15 წლის წინათ დაბლარის საუკეთესო ბაღები დღეს გაპარტახებულ-განადგურებულია მოუვლელობით, რომელიც მეტ სათუთ და კულტურულ მოვლის ხელს საჭიროებს.

ფილოქსერა—ეს დაბლარის „ჭლექი“, აქ შეუბრუნებელია და დაუძლეველი. აქაური გლეხობა მოკლებულია იმ ცოდნა-გამოცდილებასაც-კი, რომელიც კარგა ხანია აღმოსავლეთ საქართველოში უკვე მიღწეულია.

არსებული პირობები ჩვენ მიგვიყვანს იქამდე, რომ გურიაში ერთხელაც არის მევენახეობა დაეცემა...

საჭიროა გურულ გლეხობის ფართე წრეებში ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურის დონე...

ყოველივე ეს ოზურგეთის სამაზრო ხელისუფლების სათანადო ორგანოებისაგან ითხოვს სათანადო ყურადღებას.

„კარდონი“.

---

## სოფლად კულტურული საქმიანობის სახე

(ლიხაურიდან)

რევოლიუციის გრიგალმა ღრმა ცვლილებები მოახდინა ცხოვრებაში; ახალი სიცოცხლე ძალა და ბრწყინვალე მომავალით დაიმედება შემოგვთავაზა. სოფელმაც საგრძნობი ცვლილება განიცადა. ის აღარ არის, რაც იყო. დღევანდელი სოფელი ღრმად დაინტერესებულია, როგორც პოლიტიკური საკითხებით, ისე სხვადასხვა კულტურული საქმიანობითაც. ეს აღარ არის უბრალო ამყოლი ინტელიგენციისა, არამედ ყოველგვარ საქმეში უშუალო მონაწილეობას ღებულობს. არასდროს იმდენი სკოლები, სამკითხველოები არ გახშირებულა და ჟურნალ-გაზეთობა არ გავრცელებულა სოფლად, როგორც დღეს, რაც მშრომელი მასსის გამოფხიზლების უტყუარი ნიშანია.

ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო საკითხი სოფლად წარმოდგენების მართვისა, რადგან თეატრის მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. ხოლო თუ წინათ სოფლის მცხოვრებნი ამას გულგრილად ეკიდებოდენ და, თუ გნებავთ, ზოგჯერ სიძულვილსაც იჩენდენ მისდამი,—დღეს სხვას ვხედავთ: უბრალო, [illegible] დადგმულ წარმოდგენებზედაც-კი უამრავი გლეხობა გროვდება და მათი მოუსვენარი თვალები გაფაციცებით დასტრიალებს ფარდის აშრიალებასა და მოთამაშეთა ყოველ მოძრაო-

ბას. თვით მოთამაშე—სცენის-მოყვარენი მათივე შვილებია.

მე მხოლოდ ლიხაურში (გურიის ერთი მოწინავე თემია) მიღებულ შთაბეჭდილებას გაგაცნობთ. 19 აგვისტოს ლიხაურის თემის კოფ. ვაშტიალში ამავე სოფლის ქოხ-სამკითხველოს სასარგებლოდ გამართეს წარმოდგენა. დასდგეს: „პროლეტარი ქალი“ დრ. 1 მოქ. და „ორი მშიერი“ ვოდ. 1 მოქ. აწყურელისა: ხოლო იმავე ადგილას მეორე დღეს (20 აგვ.), ოზურგეთში მდგომ ქართული ჯარის ნაწილებმა, ლიხაურში სამხედრო ვარჯიშობისათვის ამოსულმა, დასდგა უფასო წარმოდგენა, დაიდგა „მალაროს უფროსი მუშა“ და 1 მოქ. კომედია „ოტელოს ვთამაშობ“. წარმოდგენის წინ ჯარის წარმომადგენლებმა ესაუბრეს ხალხს წითელი არმიისა და მშრომელ გლეხობის დამოკიდებულებაზე. 22 აგვისტოს, ოზურგეთში კურსებზე მოწვეულმა მასწავლებლებმა, რომელნიც თემის შესწავლის მიზნით საექსკურსიოთ იყვნენ წასულნი, ლიხაურის ცენტრში (ჯვარზე) ჩაატარეს აგრეთვე უფასო წარმოდგენა. დასდგეს: „პირველი ზარი“ ირეთელისა და გუგულის „შეშინებული ანთიმოზი“. წარმოდგენის წინ ორმა მასწავლებელმა მოხსენებები გააკეთეს. პირველმა „რეძედასის შესახებ“, მეორემ ლოზუნგის „პირი სოფლისაკენ“ მნიშვნელობაზე. სამივე წარმოდგენა ლამაზად და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით იქმნა ჩატარებული. სამივეს ხალხი ბლომად დაესწრო და დიდი კმაყოფილებითაც დაიშალენ, ხოლო წარმოდგენის წინ წამძღვარებულმა მოხსენებებმა ხალხი მრავალ საკითხებთან პირისპირ დააყენა. განგებ ოქმის-სახით ჩამოვწერე ეს თარიღები, რადგან ის მაჩვენებელია ერთგვარ სისტემატიურად წარმოდგენის ჩატარებისა. რასაკვირველია, ეს შემთხვევით მოხდა. სასურველია შემდეგში ამას მუდმივი ხასიათი მიეცემოდეს. წინადაც იმართებოდა დრო-და-დრო აქ წარმოდგენები, მაგრამ ეს უფრო ადგილობრივი 7 წლედის მასწავლებელთა ინიციატორობით, დანარჩენი ფენები ინტელიგენციისა როგორღაც ხელჩაქნეული იყვნენ. ლიხაურიდან მრავალი ახალგაზრდობაა გაკრეფილი უნივერსიტეტში და სხვა სასწავლებლებში. ამათ, არდადეგებზე სახლში მოსულებმა, არ უნდა დაკარგონ შემთხვევა და სოფლის კულტურულად აღორძინების მხრივ უნარი არ უნდა დაიშურონ.

კარგი იქნება ოზურგეთის მსახიობთა დრამატიული დასი დროგამოშვებით სოფლისაკენაც გაისეირნებდეს და შესაფერი პიესებით წარმოდგენებს გამართავდეს.

ლოზუნგის „პირი სოფლისაკენ“ გასანაღდებლად მეტი მჭიდრო კავშირია საჭირო სოფელთან.

ხალი—ქვა.

## საჭამიასერი

(გურია).

ა. წ. 19 ივლისს შესდგა საჭამიასერის 7 წლ. შრ. სკოლის დარბაზში ადგილობრივი თემების ყოფ. მენშევიკთა და უპარტიოთა შეერთებული კრება. თ-რედ არჩეულ იქნა დ. ძნელაძე, მდივნად—ა. კორიფაძე. მოხსენება გააკეთა გურიის ყოფ. მენშევიკმა; სამაზრო საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. გერმანე ლომთათიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა ს. დ. პარტიაში წარმოშობილი უთანხმოებანი, მისი მიზეზები და გაატარა პარალელი ბოლშევიკებისა და მენშევიკების მოღვაწეობის შორის საქართველოს გასაბჭოებამდე და შემდეგაც; დახასიათა მეორე ინტერნაციონალის მუშაობა.

დასასრულ მოუწოდა ამხანაგებს, რომლებიც უკვე დასდგენ საბჭოთა პლატფორმაზე, მტკიცედ დაიცვან თავიანთი პოლიტიკური სიტყვა, შემოკრბენ მუშათა კომისიის გარშემო და ერთად ითანამშრომლონ საბჭოთა წყობილების განსამტკიცებლად, რომელიც ერთად-ერთი დამცველი და გამომხატველია მშრომელთა ინტერესებისა...

ილაპარაკა სიმონ რამიშვილმა, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ ენერგიული თანამშრომლობისაკენ, ქართველი ერის საკეთილდღეოთ, რაც გამოიხატება საბჭოთა კავშირში საქართველოს განვითარებით.

იყო მრავალი შეკითხვები, რომლებიც შეეხებოდენ ჟორდანიას „მთავრობას“, საბჭოთა მთავრობას და სხვ. ყველა კითხვებზე დამაკმაყოფილებლად უპასუხა ლომთათიძემ. შემდეგ გაიმართა კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხსენებას გარშემო...

ზოგიერთმა გლეხებმა უკმაყოფილებით აღნიშნეს ის გარემოება, რომელსაც ხშირად ადგილი ჰქონია სოფლებში, მაგალითად, ახალგაზრდა კომუნისტები თუ კომსომოლები დასცინიან ძველ მუშებს, რომლებსაც 15—20 წელი უმოღვაწნიათ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი არიან ყოფილი მენშევიკები ან უპარტიონი და არა კომპარტიის წევრები. ეს გარემოება ხელს უშლის უპარტიო სოციალისტების შეგუებას კომპარტიასთანო—აღნიშნეს გლეხებმა!

ზემოხსენებულ უკმაყოფილების ირგვლივ ილაპარაკა ამხ. თ-რე მ. კილაძემ და კომპარტიის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც მწუხარება გამოსთქვეს ასეთი მოვლენების გამო და აღუთქვეს კრებას ამის გამოსწორება, დაბოლოს—კრებამ მიიღო შესაფერისი რეზოლუცია და აღუთქვა ხელისუფლებას მტკიცე დაცვა-მუშაობა.

სამაზრო ს. ბიუროს რწმუნებული ა. წიფნარელი.

# სალამი გერმანიის პროლეტარიატს

(მისი წარმომადგენლების საქართველოში ჩამოსვლის გამო)*).

ყველა ჩვენ გვათვალიერებს
საზომ, საწონის თვალითა,
რაც კი რამ ჩვენზე გაიგეს
სურთ ნახონ თავის თვალითა.

—

ქართველებს გვიყვარს სტუმრები
ძველთაგან მამა პაპითა,
მობრძანდით, თქვენთვის მზათა ვართ
პურით, მარილით, დაფითა.

—

დღეს გერმანელნი გვესტუმრნენ
დელეგაციის სახითა,
მათ დღეგრძელობას ვისურვებ
ღვინოს გადავკრავ ჯამითა.

მობრძანდით თქვენი ჭირიმეთ.
თქვენ თქვენის პროლეტარითა,
ერთად ვაშენოთ ქვეყანა
ოფლი გვდიოდეს ღვარითა,

—

შეერთებულსა მუშებსა
მტერი ვერ გასტეხს ძალითა,
რასაც დავთესავთ მოვიმკით
ჩაქუჩ, ნამგალით, ცელითა

—

ძირს ომი! ასე შევძახოთ
ჩვენ ჩვენის პროლეტარით ა,
ყველა მუშები შევერთდეთ
ძმობა-ერთობის ძალითა.

გიორგი ჯაბაური.

# მხატვარ ირ. თოიძის სურათების გამოფენის გამო

*)(მცირე შენიშვნა).

ამ დღეებში დამთავრდა ახალგაზრდა მხატვრის ირ. თოიძის სურათების გამოფენა ჭიაურელის სახელოსნოში (ერმოლოვის ქ. № 3).

სწორეთ დახურვის დღეს მომეცა შემთხვევა მენახა ეს სურათები და, მართალი გითხრათ, აღტაცებული დავრჩი როგორც ზოგიერთი სურათების დედა აზრით, ისე ხელოვნურ შესრულებით. ავტორს ეტყობა უტყუარი ნიჭი და წინსვლა როგორც განცდა—ტეხნიკაში, ისე ფერადების კომპოზიციაში. მშვენიერია და ცოცხლად გადმოცემული მისი დიდი სურათი „რევოლიუცია“. თავგანწირული გმირი-მხედარი დიდი წითელი დროშით ხელში და ანთებული თვალებით წინ მიუძღვის თავის მცირე რაზმს, რომელიც ცეცხლით და მახვილით იკაფავს გზას. ყველას სახეზე იხატება სიმამაცე და გამარჯვების იმედი, ხოლო ქალებია მეტად შეშინებულნი, რაც იწვევს ერთგვარ დისონანსს.

საუცხოვოა სოფლის და ბუნების პეისაჟები; მაგ., პურის მკა და ლეწვა, მთის მყინვარები, კლდეებზე მოხეთქილი მთის მდინარეები, აგრეთვე პორტრეთები და სხ. მაგრამ, ჩემის აზრით, ირ. თოიძის ყველა სურათებში ნამდვილ შედევრს წარმოადგენს მეორე დიდი სურათი „გაჭივრება“; ახალგაზრდა ლამაზი ქალი ძონძებ მოხვეული ვაჭრობს სოფლის ღარიბ სამიკიტნოში; მისი გამხდარი სხეული და დაღვრემილი სახე ისეთი რეალობითაა გადმოცემული, რომ თქვენს წინ ხედავთ სურათის ნაცვლად ცოცხალს, გაჭივრებულ ადამიანს რამდენიმე ვერცხლის ფულით და გროშებით ხელში.

ვწუხვართ, რომ გამოფენამ ვერ მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება და ღირსეულად ვერ დაფასდა ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედების და ტეხნიკის ეს უებარი ნაწარმოებნი. ვიმედობთ, რომ საბჭოთა მთავრობა მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას ირ. თოიძის სურათებს, შეიძენს მათ ქართ. სამხატვრო მუზეუმისთვის და თვით ავტორს მისცემს ნივთიერ სალსარს გაა გრძოს სწავლა და განვითარება დასავლეთ ევროპის უმაღლეს სამხატვრო შკოლებში გამოჩენილ პროფესორთა მეშვეობით.

— „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“! ამბობს მგოსანი. აბა როდის-ღა მიეცემა ნიჭსა და შემოქმედებას ფართო გზა და თავისუფალი ასპარეზი, თუ არა შრომის სუფევის დროს და მუშა-გლეხ საბჭოთა ხელისუფლების ხანაში?!...

უცნობი.

*) ჯაბაურის ლექსი და ეს წერილი ტეხნიკური დაბრკოლების გამო გვიან იბეჭდებიან. რედაქ.

# რედაქციისაგან

## მოქ. დავით გოგიშვილს

თანახმად თქვენი განცხადებისა „ახალი გზის“ მეცხრამეტე ნომერში, თქვენ იწვევდით ჩვენი ჟურნალის კორესპოდენტს—„შორაპნის მუშას“ სამედიატორო სასამართლოში იმ პირობით, რომ გამტყუნებულ მხარეს უნდა გადაეხადა ჩვენი რედაქციის სასარგებლოთ ხუთი თუმანი.

სამედიატორო სასამართლოს დადგენილებით, რომელმაც ადგილობრივ განიხილა საკითხი, კორესპოდენცია აღიარებული არის სიმართლეთ და სასამართლოს ოქმზე თქვენც გიწერიათ ხელი, ე. ი. დადგენილებას დაეთანხმეთ. ამიტომ რედაქცია გთხოვთ, კეთილ ინებოთ და გადმოგზავნოთ 50 მან თქვენი პირობის თანახმათ.

სარედაქციო კოლეგია.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
მ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

მთავლიტი № 1325 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

კვირა, 27 სექტემბერი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა - უქმისა, დილის 8—2 საათამდე | № 35

## საბჭოთა დემოკრატიის გამძლეობის უნარი

ვინც თვალყურს ადევნებს დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პრესას და სხვა და სხვა ქვეყნის სოციალისტურ პარტიათა კონგრესებს, მისთვის ცხადია, რომ საერთოთ „სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი“ (მეორე ინტერნაც.) დიდ იმედებს ამყარებს ს. ს. რ. კავშირის წესწყობილების ევოლიუციონურ გადაგვარებაზე და მის ნაცვლად დემოკრატიის გამარჯვებაზედ. ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ეს გადაგვარება წარმოდგენილია, არა როგორც პოლიტიკური ნახტომი ერთი პოლიტიკურ წყობილებიდან მეორეში, არამედ როგორც ორგანიულ გადაგვარების გზით საბჭოთა სისტემის შეზრდა დემოკრატიაში. საერთოთ რეფორმისტებს და ყველა ჯურის რევიზიონისტებს, რომლებიც სათავეში უდგიან მე II-რე ინტერნაციონალს ძლიერ უყვართ ლაპარაკი საზოგადოებრივ წყობილების ფორმათა ევოლიუციაზედ და ამა თუ იმ ფორმის მეორე ფორმაში ორგანიულ შეზრდაზედ. ისენი ივიწყებენ, რომ საზოგადოებრივმა მოძრაობამ არ იცის განუწყვეტი ევოლიუცია და, რომ ერთი მმართველობის ფორმის მეორე ფორმაში გადასვლის ზღვარს პოლიტიკური, ან სოციალური რევოლიუცია წარმოადგენს. ევოლიუციისა და რევოლიუციის ურთიერთ მიმართება საუცხოვოთ გაარკვია ედ. ბერნშტეინთან კამათში: რ. ლიუქსემბურგმა და კ. კაუცკიმ. ეს დავა უკვე ისტორიული ფაქტია და მასზედ არ შევჩერდებით, მაგრამ ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ევროპის სოციალისტებისათვის ძველი გაკვეთილი უნაყოფო დარჩა. ამ შეზრდაზედ ეხლაც ლაპარაკობენ. ეს არ გაემტყუნება იმ ინტერნაციონალს, რომელიც პრინციპიალურათ დასდგა რევიზიონიზმის ნიადაგზედ და რომელმაც აღიარა შესაძლებლათ ბურჟუაზიულ წყობილების და ეკონომიურ ურთიერთობის შეზრდა სოციალისტურ წყობილებაში. ლ. ტროცკის თქმის არ იყოს მათ დაჰკარგეს უნარი გაითვალისწინონ რევოლიუციონური პერსპექტივები და იარაღისკენ მაშინ გაიხედავენ, როდესაც ცხვირზედ ტყლაშანი მოხვდებათ. ევოლიუციონურ კუზიანს რევოლიუციონური სამარე გაასწორებს და ჩვენ სრულის გულდამშვიდებით მოუცდით ამ მომენტს. ამ შემთხვევაში კი ჩვენთვის საინტერესოა განვიხილოთ ერთი ილიუზია, რომელიც კვებავს რეალურ პოლიტიკოსებს ევროპის სოციალისტურ პარტიებიდგან. იყო დრო, როდესაც ევროპის სოციალისტები დიდ თავს არ იწუხებდნენ, როდესაც საბჭოთა რუსეთს ბ-ნი კლემანსო მჩხვლეტავ მავთულის გარშემოვლებას უპირებდა. განვლო დრომ და 1920 წელში რუსეთ-პოლონეთის ომის დროს ძლიერმა ინგლისის მუშათა კლასმა უარი განაცხადა სამხედრო გემების დატვირთვაზე. ეს პირველი ნიშანი იყო იმისა, რომ ევროპის მუშათა კლასის სიმპატია გადაიხარა რუსეთის პროლეტარიატისაკენ. რასაკვირველია ეს გადახრა შედეგი იყო ისეთ ფაქტების, რომლებმაც კინაღამ წალეკა რუსეთის პოლიტიკური წყობილება.

თანდათან ევროპის პროლეტარიატის აზროვნებაში მოიკალათა იმ აზრმა, რომ მომენტი თხოულობს არა ბრძოლას ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ, არამედ მის დახმარებას იმ შემთხვევის დროს, როდესაც ბ.ბ. ჩემბერლენ-ბრიანი ლახვარის ჩაცემას მოუნდომებენ პროლეტარიატის დიქტატურას. რეფორმისტებმა შეითვისეს ეს სულისკვეთება, მაგრამ უარყოფით ნიშნით. მათ თავიანთ მოქმედებას საბჭოთა დემოკრატიის მიმართ საფუძვლათ დაუდეს არა სალი პროლეტარული სიმპატია, არამედ პოლიტიკურათ დახურდავებულ ფორმულა საბჭოთა წყობილების დემოკრატიულ წყობილებაში შეზრდის შესახებ. მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა მარსელში საკავშირო დიქტატურას მეგობრობა გამოუცხადა სწორედ იმიტომ, რომ ს. ს. რ. კავშირში მშვიდობიანობის შენარჩუნებით ის მოელის ამ ნეტარხსენებულ ევოლიუციონურ გადაგვარებას.

ამ ჟამათ ჩვენში სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელია პროლეტარიატი. თავისთავად ცხადია სრულ დიქტატურაზედ ვერ ვილაპარაკებთ, მაგრამ შედარებით მაინც საერთო ტენდენცია მიმართულია იმ მხრით, რომ პროლეტარული დემოკრატია გაივსება რეალური შინაარსით. არის თუ არა ამის სიმპტომები? დიახ არის. ცკო-

ნომიურ პოლიტიკაში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის სახით სამხედრო კომუნიზმისაგან უკან დახევით შესაძლებელი გახდა საბჭოთა დემოკრატიის გაფართოება. თუ დაუდეგარი კონტრ-რევოლიუცია ნიადაგს აცლიდა მუშათა უპარტიო მასების სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ჩაბმას, ეხლა შინაგანი მშვიდობიანობა საბჭოთა კავშირში რეალურათ შესაძლებლათ ხდის ამ მასების არა თუ დაახლოვებას, არამედ აქტიურ ჩაბმას პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველა ის, ვინც გულწრფელად დადგა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე პოულობს საშუალებას გაშალოს თავისი შემოქმედებითი ენერგია. პროლეტარულ ცენტრებში ღირსშესანიშნავ მოვლენებს აქვს ადგილი. მუშათა აბსოლიუტური ნაწილი აქტიურად ებმება პოლიტიკურ მშენებლობაში და თავს აღწევს განზე დგომის „მეშჩანურ“ პსიხოლოგიას. რა არის ეს თუარა საბჭოთა დემოკრატიის გაფართოება. ვ. ლენინი თავის აპრილის თეზისებში აშკარათ ითვალისწინებდა ისეთ შესაძლებლობას, როდესაც რევოლიუციონური მიზანშეწონილება დღის წესრიგში დააყენებდა იმ ჯგუფების პოლიტიკურ იზოლიაციას, რომლებიც რევოლიუციის გზაზედ გადაუდგებოდნენ, მაგრამ ამასთან ერთათ მას არ გაუშვია მხედველობიდან ის შესაძლებლობა, რომ პოლიტიკური მშვიდობიანობა გააფართოებდა პოლიტიკურ დემოკრატიას. ლენინისათვის ბურჟუაზიისათვის ხმის წართმევის უფლებაც კი არ იყო ურყევი პრინციპის საკითხი. მისი აზრით თუ ქონებრივათ უფლება აყრილი ბურჟუაზიის რომელიმე ნაწილი შეურიგდებოდა არსებულ ქონებრივ ურთიერთობას და თავის ცოდნას გამოაყენებდა პროლეტარულ სახელმწიფოს, სრული შესაძლებელი იქნებოდა მათი პოლიტიკურ უფლების აღდგენა. ლენინისთვის მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქის ცდა მიმართული ყოფილიყო ერთის მხრით—პროლეტარულ ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. თუ ეს მიზანი მიღწეულ იქნებოდა მისთვის არ წარმოადგენდა შეუძლებელ რამეს დაბრუნებოდა საარჩევნო უფლება ყველა იმას, ვინც რადიკალურათ გასწყვეტდა კავშირს თავის სოციალურ წარსულთან. რას ვხედავთ ჩვენში? ყველა ყოფილი მესაკუთრე, რომელმაც ჯვარი დაუსვა თავის წარსულს და გულწრფელათ მუშაობს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის ქვეშ, უდგენს პოლიტიკურ უფლებას და ხმას აძლევს მას, ვინც ამაგრებს მუშათა კლასის დაპყრობილ პოზიციებს. მაშასადამე ის, რაც ვ. ლენინს შესაძლებლათ მიაჩნდა გამოადგა არა უნიადაგო უტოპია, არამედ რეალური შესაძლებლობა. მაშ რას ვხედავთ ჩვენ? ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა პოლიტიკური დემოკრატია ფართოვდება, მაგრამ ფართოვდება არა პროლეტარიატის დიქტატურის ხარჯზედ, არამედ მისი განმტკიცების მიზნით. ის ევოლიუცია, ის დემოკრატიზაცია, რომელსაც აქ აქვს ადგილი სულ სხვა დემოკრატია არის, ვინემ მეორე ინტერნაციონალის დემოკრატია.

ჩვენ ერთმანეთში არ უნდა აურიოთ ორი მცნება: დემოკრატია, როგორც ხალხის აქტიური ჩაბმა მართვა-გამგეობაში და დემოკრატია, როგორც პოლიტიკურ მმართველობის ფორმა.

ს. ს. რ. კავშირის სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ პირველ სახის დემოკრატიას ე. ი. ფართე მასების ჩაბმას პროლეტარულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. ამ სახის დემოკრატია არ უარყოფს საბჭოთა წყობილებას, არამედ აფართოებს მის შინაარსს. ასეთი დემოკრატია, პროლეტარული დემოკრატია არის და პირდაპირ ავსებს პროლეტარულ დიქტატურის შინაარსს. ვისაც არ დაუკარგავს ობიექტიური დაკვირვების უნარი, მან უნდა აღიაროს, რომ საბჭოთა კავშირში მხოლოთ ამ სახით მიმდინარეობს პოლიტიკურ დემოკრატიის გაფართოება.

სულ სხვა არის დემოკრატია, როგორც პოლიტიკურ მმართველობის ფორმა, რომელიც გულისხმობს პარლამენტარულ წყობილებას და რომლის დროსაც ხელისუფლების მატარებელს წარმოადგენს არა მუშათა კლასი, არამე „ზეკლასიური ხალხი“ ე. ი. ის ვინც დაინტერესებულია კერძო საკუთრების შენარჩუნებაში. ასეთი დემოკრატიის გაბატონება რუსეთში რვა წლით ნახტომი იქნება უკან. შეიძლება თქმა იმისი, რომ საბჭოთა კავშირში ასეთი დემოკრატია იკაფავს გზას? ასეთი დემოკრატია პროლეტარულ დიქტატურის დიამეტრალურ წინააღმდეგობას წარმოადგენს და უარყოფს მას. ცხადზე უცხადესია, რომ ის ვინც ამ დემოკრატიის მატარებელია წარმოადგენს არა საბჭოთა დემოკრატიას, არამე კონტრ-რევოლიუციას.

მეორე ინტერნაციონალს, როდესაც ის ლაპარაკობს საბჭოთა კავშირში დემოკრატიის გამარჯვებაზედ, მხედველობაში აქვს დემოკრატია, როგორც პოლიტიკურ წყობილების ფორმა, რომელიც უარყოფს საბჭოთა წყობილებას. რომელ ევოლიუციაზედ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ასეთ დემოკრატიას პროლეტარული დიქტატურა საევოლიუციო სარბიელზედ კი არ უშვებს, არამედ ებრძვის მას? მეორე ინტერნაციონალი სცდება თავის ანგარიშებში. ის ვერ აფასებს იმ პროცესის მნიშვნელობას, რომელიც ჩვენში ხდება. აქაური დემოკრატია არის არა მებრძოლი, არამედ საბჭოთა წყობილებასთან შერიგებული დემოკრატია და საეჭვო არის, რომ ასეთი დემოკრატია მოკავშირეთ გამოადგეს რეფორმისტებს. რა დასკვნამდე მივყევართ ამ შეხედულებას.

მეორე ინტერნაციონალის მიერ თავის თავის საბჭოთა კავშირის მეგობრათ აღიარება პოლიტიკური გაუგებრობაა. ის პროლეტარიატის დიქტატურას უპირისპირებს პარლამენტარიზმს. როგორ შეიძლება ის იმ ხელისუფლების გულშემატკივარი იყოს, რომლის დამარცხებას იმედით შეჰყურებს?

როდის არის შესაძლებელი დემოკრატიულ მმართველობის გამარჯვება დიქტატურის ნაცვლათ? მაშინ, როდესაც ისინი დაეჯახებიან ერთმანეთს და გაიმარჯვებს მიულიუკოვის დემოკრატია. ეს როდის არის შესაძლებელი? მაშინ, როდესაც ამ ორი პოლიტიკურ მმართველობის ფორმათა მიმდევართ შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართება ე. ი. მაშინ, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურას აუჯანყდება და დასცემს მილიუკოვ-რიაბუშინსკის დემოკრატია. ეს აღარ იქნება ევოლიუციონური შეზრდა დემოკრატიაში, ეს ასე ვსთქვათ პოლიტიკური რევოლიუცია იქნება. ამას შესტრფის მეორე ინტერნაციონალის ლიდერები და ტყვილა სცდილობენ გაიმიჯნონ კ. კაუცკის უკანასკნელ გამოსვლისაგან, რომელიც აჯანყებისაკენ მოუწოდებს დემოკრატიას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. კ. კაუცკი ლოღიკაშია და ტყვილა ჰგონია ბ. ვანდერველდეს, რომ ის სხვას ლაპარაკობს, ვინემ კაუცკი. როგორც ერთი, ისე მეორე შესტრფის საბჭოთა ხელისუფლების დაცემას რუსეთში და როგორც დავინახეთ ორივე იარაღის საშუალებით. განსხვავება იმაშია, როდის მოხდება ეს. კაუცკის ეს გადაუდებელ საკითხათ მიაჩნია და ამაშია მისი ბრალი.

მაგრამ ჩვენ ვიმეორებთ: საბჭოთა პოლიტიკურ დემოკრატიის გაფართოება მიდის არა პროლეტარიატის დიქტატურის მოსპობისაკენ, არამედ მის განმტკიცებისაკენ.

ზ. ჩახვაძე.

# მეგრელ ავტონომისტების გამოსვლის გამო

ორიოდე უპასუხისმგებლო მეგრელის სეპარატისტულმა გამოსვლამ, რომელსაც დღეს კარგათ იცნობს ჩვენი საზოგადოება, ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი მეგრელ მშრომელებში.

ეს გამოსვლა სრულიად ვიწრო ჯგუფისა მთელი კუთხის სახელით მეტად დამახასიათებელია თავისი კადნიერებით, მეტი რომ არ ვთქვათ. რამდენადაც ვიცით, ჩვენი ერის ათასწლოვანი ისტორიის სივრცეზე არასოდეს არ თქმულა, რომ „საქართველოს სუვერენიტეტი" მჩაგვრელი ყოფილიყოს ჩვენი სამშობლოს რომელიმე კუთხისათვის. ჩვენ არ ვიცით, როგორ ესმით სამეგრელოს ამ ახალ „ჭირისუფლებს" ცნება—საქართველო. ჩვენში ბავშვმაც კი იცის, რომ საქართველო—ეს მთლიანი სხეულია ჩვენი ერის, რომლის შემადგენელი ნაწილები არიან: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხ. შესაძლებელია ჩვენი სახელოვანი ავტონომისტები ამ გაგებას არ ემორჩილებიან და საქართველო და ქართლი ერთი და იგივე ჰგონიათ.

ძველ რუსეთისთვის „გრუზია" მარტო ქართლ-კახეთს ნიშნავდა, შესაძლოა ნებით თუ უნებლიეთ რუსიფიკატორული სენით შეპყრობილ ჩვენს ავტონომისტებსაც ასე ჰგონიათ. თუ არა ასეთი გაუგებრობა, რით უნდა აეხსნათ ბავშური მტკიცება, რომ „სამეგრელოზე საქართველოს სუვერენიტეტი იურიდიულად და ისტორიულად უსაფუძვლოაო"?

როდის და რომელ წყაროებიდან დაამტკიცეს ამ ვაჟბატონებმა, რომ მეგრელები ქართველები (და არა „ქართლელები,"—შეიძლება ამაშიც ვერ ერკვევიან ჩვენი თავხელცარიელი „ახალი მეცნიერები") არ არიან? საქართველოს სუვერენიტეტი ნუ თუ დამჩაგვრელი მოვლენაა ჩვენი ერის სხეულის რომელიმე ნაწილისთვის?

თუ ამას დაამტკიცებს ვინმე, მაშინ უნდა ვებრძოლოთ მთლიანად ამ „სუვერენიტეტს", აქ სამეგრელოსთან ერთად უნდა „დავზოგოთ" სხვა ჩვენი კუთხეებიც. ცხადია, საკითხი ასე არ დგას და უთუოდ ამ სახით არც თვითონ ჩვენი „ავტონომისტები" სვამენ მას. ერთი რამაა თავიდანვე აღსანიშნავი: ეს უპასუხისმგებლო ნაბიჯი, რომელიც უთუოდ ავანტიურისტულად უნდა მოვნათლოთ, არ შეიძლება ჩაითვალოს მოძრაობათ, ოდნავ მასსიურ მოვლენად. მეგრელი გლეხი არასოდეს არ შეწუხებულა იმის გამო, რომ ის რაღაც გარეშე, აუცილებელ სავალდებულო პირობების გამო იძულებულია ისწავლოს ქართული ენა. პირიქით, იგი უფრო იმას სწუხდა, თუ ღვითონ კარგათ ვერ იცოდა ეს ენა და შვილს არ შეასწავლიდა მას. შესწავლას და ცოდნას ჩვენ ვეძახით სუფთა ქართულს და არა „იმე ბოშოთი", ან „ციცაპი" შერეულს. და თუ საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეგრელებში შეუბღალავი ქართულის მცოდნეები უფრო მეტია, ვინემ სხვა კუთხის გლეხურ ფენებში, ეს შემთხვევითი მოვლენა არამც და არამც არ არის.

თუ მეგრელები ქართველები არ არიან, აგვიხსნან ამ ვაჟბატონებმა ეს მოვლენა. იქნება უცხო ერებიც ასევე ბუნებრივად ითვისებენ ჩვენს დედა-ენას? ჩვენ კითხვის ამ მხარეზე არ შევჩერდებით, რადგანაც ამას გარკვევა არ ესაჭიროება,—ეს დიდი ხნის გარკვეული კითხვაა ყოველი მეგრელი გლეხისთვის და დანარჩენი კუთხის მშრომელთათვის. ჩვენი ერის მთლიანობის მტრებს ამ ათასწლეული ჭეშმარიტების დასარღვევათ არ ეყოფათ ვოსტორგოვ-აშორდიას საბუთები. ამ საბუთებით შორს ვერ წავიდენ უარეს პირობებში, როცა სამეგრელოს გლეხობა გაცალებით უფრო ჩამორჩენილი იყო, ვინემ დღეს არის. ნებით, თუ უნებლიეთ შა რაზმელ საქმ[illegible], ჩვენს ავტონომისტებს, ვურჩევთ უფრო ღრმათ „განსწავლას". მასალებს უთუოდ „ჭეშმარი[illegible] [illegible] კავშირის" არქივებში იპოვიან. ჩვენ გვაინტერესებს კითხვის მეორე და უფრო სერიოზული მხარე. დღევანდელმა „ნოთელებმა", (1918—19 წლებში „მაფალუ ლებმა") უთუოდ რამე შენიშნეს ისეთი, რომ ამ კითხვის დასმის არ დაერიდათ.

1918 წ. ესენი ათუსფალდენ იმ დროს, როცა საქართველო შიგნიდან და გარედან მტრებს ვერ აუდიოდა. შიგნით გვყავდა ფონ-კრესები, შემდეგ ტომსონები გარედან გვემუქრებოდა გენ. დენიკინი და თათრები. მოფალუელების" მაშინდელი [illegible] აშკარათ შეკვეთილს გავდა. ესენი დადუმდენ უმალვე, როგორ[illegible] [illegible], რომ საქართველომ წელი მოიმაგრა. როცა ჩვენი ერის სხეული ჯანსაღია; დაავადებული არ არის ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ მაშ[illegible] „მაფ ლუნოთეს" მსგავსი მუწუკები ვერ აღმოცენ სამ[illegible] მშრომელები მათთვის ჩვეულებრი[illegible] ლი ხუმრობით დასაფლავებენ და ჩაატა[illegible] ამ „ავტონომიის" და „მეგრელი [illegible] სუვერენიტეტი[illegible]" ამბავს. ჩვენ მხოლოდ გვინდა გამოვთქვათ მწუხარება იმის გამო, რომ „ნოთეს"-[illegible]ან ეხედავთ პოლიტიკური პარტიის ადგილობრივ წარმომადგენლებსაც და იმათაც, ვინც 1918 წელს „მაფალუზე" ლაპარაკს გულდამშვიდებით ვერ ისმენდა. კომ. პარტიის პასუხისმგებელ მუშაკებს გლეხობაში ეს საკითხი გადაუტანიათ, როგორც საბჭოთა წესწყობილებისთვის მისაღები მოვლენა და საშიშროებაც ამაშია. 1918 წ. „მაფალუ" შედგებოდა პირწ'ინდით სამი კაცისაგან. ამათ ქართულ პარტიებთან არავითარი საგრძნობი დამოკიდებულება არ ჰქონიათ. ესენი სამეგრელოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ ვიგინდარები იყვნენ. ამ ჟამად კი სულ სხვას ვხედავთ.

მეგრელი გლეხების და ჩვენი საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია კომ. პარტიის სა[illegible] [illegible] [illegible] [illegible] გამოძიება და სათანადო [illegible] [illegible]. ამ კითხვის [illegible] ხმაურობა კი მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ეს მხოლოდ ვოსტორგოვების სულიერ მოკავშირეებს გაახარებს. მიზანშეუწონლადვე მიგვაჩნია რეპრესიებიც ამ ავანტიურისტული წამოწყების ავტორების წინააღმდეგ. სჯობს ეს გამოსვლა მოკვდეს ისევე ბუნებრივად, როგორც მოკვდა თავის დროებით—„მაფალუ".

ქართველი ერი აღმშენებლობა წარმატების გზაზე დგას, მას აქვს ამის ისეთი დიდი გარანტია, როგორიც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაა.

ეს გვაძლევს ამომწურავ საბუთს იმისას, რომ ვოსტორგოვის მაგვარი გამოსვლებს, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, ერთ წუთსაც არ მიეცემა თავისუფლად გაშლის საშუალება. გაჯანსაღებულ ჩვენი ერის სხეულს კი ადვილად, უმტკივნეულოდ შეუძლია თანდათ ისეთი ბოროტი თვისების მეწუწის შემუშავება, [illegible] როგორიც არის „ნოთე" და მის გარშემო შემოკრებილი უპასუხისმგებლო ჯგუფი.

თეოდ. შენგელია.

# შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკები

ვინც თვალყურს ადევნებს ევროპის სახელმწიფოების განგაშს აღმოსავლეთ ქვეყნების შესახებ, მისთვის აუცილებელია იცოდეს შუა აზიის რესპუბლიკების სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ჯერ-ჯერობით არ ყოფილა ცდა ქართველი მკითხველისთვის გაგვეცნო ჩვენი აღმოსავლეთ მოკავშირეების ყოფა-ცხოვრება, და ამ ნაკლის შესავსებათ ზედმეტი არ იქნება გაკვრით ვისაუბროთ ამ კითხვაზედ.

მეფის რუსეთმა შუა-აზიას უწოდა თურქესტანი და ბევრს ეხლაც წარმოუდგენია, რომ ეს თურქესტანი ეხლაც არსებობს, როგორც ადმინისტრატიულ-პოლიტიკური ერთეული.

ძველად თურქესტანი წარმოადგენდა ადმინისტრატიულ დესპოტიის გაერთიანებას და მის სათავეში იდგა რუსი მოხელეები. თურქესტანის კოლონიალურ მართვა-გამგეობას საფუძვლათ მექრთამეობა ედო. რუსეთი არა თუ დაინტერესებული იყო აქაურ მეურნეობის აყვავებით, არამედ ანადგურებდა მასაც კი, რაც მას დაუხვდა აქ შემოსვლის დროს. ხალხის კულტურულ განვითარებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა და სკოლებიდგან მუსულმანური ენა გამოდევნილი იყო. ეროვნული სკოლები სამღვდელოების ხელში იყო და ეს ხელს უშლიდა ახალგაზრდობას ხელი მოეკიდა მეცნიერული საგნების შესწავლისათვის. რუსულ სკოლას არა თუ განათლება შეჰქონდა მუსულმანურ მასებში, არამედ აყენებდა მათ სასულიერო პირთა გავლენის ქვეშ და ხელს უწყობდა აღმოსავლეთის სარწმუნოებრივ ფანატიზმის გახანგრძლივებას. ვისაც გაცნობილი აქვს სასულიერო სასწავლებელთა ბუნება, მისთვის აშკარა შეიქნება, რომ ამ გზით მუსულმანობის კულტურული დონე დიდათ ვერ წასდგამდა წინ ნაბიჯს. თვით რუსეთის მეტროპოლია არ იყო დაინტერესებული კულტურული მუშაობა ეწარმოებია ადგილობრივ მცხოვრებლებში, ვინაიდან განათლების შეტანა კალონიაში შინაურ მღელვარების სათავე არის. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა შუა—აზიაში 1916 წელს, როდესაც თურქესტანის მოწინავე ინტელიგენციის მეთაურობით რუსეთის ბატონობის წინაამდეგ მოხდა დიდი აჯანყება. ამ თვითშეგნების გამოღვიძებამ რუსეთს ზედმეტი დავიდარაბა აუტეხა და ის იძულებული გახდა თავის აღმოსავლეთ საზღვრების გარდა, შინაური წესრიგიც დაეცვა თვით მეტროპოლიაში.

რუსეთის თვითმპყრობელობასთან ერთად დაეცა შუა-აზიის ერთა მონობა. თურქესტანის სოციალისტურ რესპუბლიკათ გამოცხადებამ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გზა გაუხსნა ახალ კულტურას და სკოლა დააცილა ეკლესიას. ეს მთელი რევოლიუცია იყო მუსულმანთა კულტურისათვის. ახალგაზრდობას საშუალება მიეცა თავი დაეხწია სქოლასტიურ სკოლისათვის და ხელი მოეკიდა სალ მეცნიერულ განვითარებისათვის. თურქესტანის მაგალითმა აამოძრავა ბუხარის და ხორეზმის მუსულმანობა თავიანთ ხანების წინაამდეგ და 1920 წელს მომხდარ სახალხო რევოლიუციის შედეგათ დაეცა ბუხარის სახანო.

ამ წლიდგან საფუძველი ჩაეყარა, შუა-აზიის ტერიტორიაზედ მოსახლე ერთა პოლიტიკურ-ეკონომიურ თანამშრომლობას.

დიდ თურქესტანის ტერიტორიაზედ ძლიერ ძნელი იყო სალი საბჭოთა პოლიტიკის წარმოება, ვინაიდგან ის დასახლებული იყო სხვა და სხვა ეროვნებით.

პირველ ხანებში შუა-აზიაში საკითხი იდგა რევოლიუციონურ მშვიდობიანობის დამყარების შესახებ. როდესაც ეს მშვიდობიანობა ჩამოვარდა და ცხოვრება შედარებით ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, შესაძლებელი გახდა ეროვნული-კულტურულ მუშაობას მიქცეოდა ჯეროვანი ყურადღება.

შუა-აზიის მთავარ მოსახლე ერებს წარმოადგენდნენ: უზბეკები, თურქმენები, თაჯიკები, ყირგიზები, კაზაკები (მუსულმანური) და კარა-კალპაკები. არც ერთი წინეთ არსებული სახელმწიფოებრივი გაერთიანება არ წარმოადგენდა ეროვნულ პრინციპზედ აგებულ ერთეულს. მაგ. უზბეკები მოსახლეობდნენ, როგორც თურქესტანში, ისე ბუხარაში.

რომელი ეროვნების ინტერესები უნდა დაცულიყო თურქესტანში, რომელშიაც მოსახლეობდა უზბეკები, თაჯიკები, თურქმენები, კაზაკები და კირგიზები. ცხადია, რომ აზიის პირობებში წარმოუდგენელი იყო ისეთი მოქნილი პოლიტიკის წარმოება, რომ რომელიმე ერი გულნაკლული არ დარჩენილიყო. აღსანიშნავია, რომ ეროვნებანი არ აყენებდნენ ეროვნულ დაყოფის საკითხს გადაუდებელ საქმეთ. მაგრამ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკამ, რომელშიაც თურქესტანი შედიოდა შესაძლებლათ დაინახა შუა-აზიის ეროვნულ სახელმწიფოებათ გამიჯვნა. აქაურმა ხელმძღვანელმა პარტიულმა წრეებმაც ეროვნული გამიჯვნა შუა-აზიის სოციალისტურ მშენებლობის ქვა-კუთხედათ გამოაცხადეს.

ეს გამიჯვნა მოხდა 1924 წ. მიწურულში. შესდგა უზბეკისტანის რესპუბლიკა მასში შემავალ თაჯიკისტანის ავტონომიურ რესპუბლიკით, თურქმენისტანის რესპუბლიკა, მასში შემავალ კარა-კალააკიის ავტონომიურ ოლქით და კირგიზების ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც შედის რ. ს. ფ. ს. რ-ში.

ამრიგად თავი მოუყარა შუა-აზიაში დაფანტულ ეროვნებებს და შეაკავშირა ისინი სახელმწიფოებრივათ.

ზედმეტი არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეროვნულ პრინციპზედ აგებული რესპუბლიკა უფრო ენერგიულათ მოჰკიდებს ხელს თავის კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას. თუ უზარმაზარ თურქესტანში შეუძლებელი იყო სალი კულტურული მუშაობის წარმოება, გამიჯნულ ეროვნულ სახელმწიფოებში ეს უფრო გაადვილებულია, ზოგიერთის აზრით ეს გამიჯვნა ბოლშევიკური მანევრა არის აღმოსავლეთ ხალხთა მიმართ. ჩვენის აზრით კომუნისტები ამ შემთხვევაში გვერდში ამოუდგნენ შუა-აზიის ხალხებს, ალღო აუღეს მათ ისტორიულ განვითარების მიმართებას, რომელიც უზრუნველყოფს კულტურულ-ეკონომიურ წინსვლას და მასთან ერთათ სოციალისტურ საქმიანობას შუა-აზიის ხალხებ შორის. ეს აქტი ფრიად ისტორიული მნიშვნელობის არის და ფეხზედ აყენებს აქნამდე მონათ გახდილ ერებს.

არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ საბჭ. კავშირის მთავრობა დიდ დახმარებას უწევს ამ ეროვნულ სახელმწიფოებს მათ მშენებლობაში, და რაც გასაკვირველია, მისი სალარო მათთვის ფართეთ არის ღია. აქ სურვილია

ფეხზედ დაყენებულ იქნას შუა-აზიის ერები და მით მაგალითი უჩვენოს კაცობრიობას, რომ არა იმპერიალისტურ, არამედ დამოუკიდებელ არსებობით და ჰუმანიურ დახმარებით შესაძლებელია მუსულმანურ აღმოსავლეთის გამოყვანა უვიცობის არედან და მისი დაყენება ევროპიულ კულტურის გზაზედ.

იმ მუშაობაში, რომელიც ეროვნულ აღორძინების მიზნით სწარმოებს შუა-აზიაში, ადგილობრივ ერების გულწრფელ თანამშრომლებს რუსობა წარმოადგენს, რომელიც ამ ხალხებს დაჰყურებს არა როგორც მონებს, არამედ როგორც თანასწორებს.

ეროვნულმა სახელმწიფოებრივმა გამიჯვნამ საშუალება მისცა აქაურ ერებს თავიანთი საქმე საკუთარ ენაზედ აწარმოონ. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ხალხები კულტურული ძალებით ძლიერ სუსტია, ნაციონალიზაცია ფართეთ ტარდება და ცენტრალურ დაწესებულებებში რუსულ ენის პარალელურად ეროვნულ ენაზედ სწარმოებს საქმის წარმოება.

მდგომარეობას აადვილებს ის, რომ ყველა პასუხისმგებელმა რუსმა მუშაკმა ადგილობრივი ენა კარგად იცის და ადგილობრივ მოსახლეობას ესაუბრება მის ენაზედ არა თარჯიმანის მეშვეობით, როგორც ეს ძველი რუსეთის დროს იყო.

სასწავლებლები დღითი-დღე მატულობს რიცხვით და მუსულმანურ ახალგაზრდობას ფართეთ აქვს გახსნილი სასწავლებლის კარები.

დავასკვნა: შუა აზიის ერთა სახელმწიფოებრივმა გამიჯვნამ გზა გაუხსნა აზიაში ევროპის კულტურის ფართე შემოსვლას და სოც. საბჭ. კავშირს შეუძლია იამაყოს მით, რომ მან ათას წლობით ჩაგრულ აღმოსავლეთ ხალხების მოსარჩლეობა რეალურად განახორციელა შუა-აზიაში.

**ზ. ჩახვაძე.**

# ოცი წლის თავზე

ახლოვდება 1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავი. 1905 წლის ოქტომბერმა ჩაუყარა საძირკველი თებერვლის და მეორე დიდ ოქტომბრის რევოლიუციებს.

ამ რევოლიუციების მონაწილენი გაფანტულნი და დაქსაქსულნი არიან. მეტი წილი პირველ ორ რევოლიუციათა მებრძოლნი სხვადასხვა გარემოებათა გამო უპარტიოთა მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს გარემოება მათ გულს უწყლულებს: ასეთი მდგომარეობის ბევრს მათგანს კიდევაც სცხვენიან. რევოლიუციონერი, რომელმაც მთელი ახალგაზრდული ძალა და ღონე ბრძოლას შეალია, საუკეთესო დრო თავის სიცოცხლისა ციხე-გადასახლება ან უმუშევრობაში გაატარა და რევოლიუციის ზეიმში უპარტიობა, ზეიმის გარეშე დარჩენა!!!

ეს ხომ სულის ულრმესი და უმძიმესი ტრაგედიაა!

როდესაც ძველ რევოლიუციონერებს დიდი დახმარება შეუძლიან გაუწიონ საბჭოთა ხელისუფლებას და კომპარტიას მის აღმშენებლობით მუშაობაში, როდესაც გამოცდილი პარტიულები ასე მცირე რიცხოვანი არიან, ამ დროს ძველი მებრძოლნი სასიქადულო რევოლიუციონურ მშენებლობაში ვერ ჩაბმულან, რევოლიუციის „კაპრალის“ ჯოხი ხელიდან გაუშვიათ.

რაღა თქმა უნდა, ის, ვისაც პარტიული ვალდებულება თავის თავზე არ მიუღია, მას არცერთი პარტია საპასუხისმგებლო საქმეს არ მიანდობს და უნდობლადაც მოეკიდება ასეთ უპარტიოებს, თუმცა ამ ბოლო ხანებში კომპარტია სცდილობს რაც შეიძლება მეტი უპარტიოები ჩააბას აღმშენებლობით და კულტურულ მუშაობაში, მაგრამ ასეთი ამხანაგები უხერხულად გრძნობენ თავს.

რომ ასეთ უხერხულობას მოეღოს ბოლო, საჭიროა ძველი უპარტიო რევოლიუციონერების დაახლოვება მიხდეს პარტიულებთან. ასეთი დაახლოვებისთვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მომავალი 905 წლის რევოლიუციის საზეიმო დღე, ამ სასიქადულო ზეიმში ყველა ძველი მებრძოლი ვალდებულია გამოცხადდეს დანიშნულ ადგილას და მიიღოს მხურვალე მონაწილეობა პირველი რევოლიუციის დღის აღნიშვნაში.

ზემოთქმულის განსახორციელებლად საჭიროა მუშათა კომისიამ აიღოს თავის თავზე ინიციატივა და ეხლავე შეუდგეს ძველი რევოლიუციონერების (პარტიის გარეშე დარჩენილების) თავმოყრა და გამომუშავება მათი ზეიმში მონაწილეობის პროგრამის. უპირველესად კომისიამ უნდა შეიგულოს ბინა ამხანაგების ყრილობისთვის. ასეთ ყრილობას, ჩემი ღრმა რწმენით, დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ამხანაგების და კომპარტიელების დაახლოვებისათვის. ამ ყრილობაზე ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი და დამოკიდებულება კომპარტიასა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ასეთი ყრილობა, თუ გნებავთ, იქნება აგვისტოს სალიკვიდაციო ყრილობის გაგრძელება და განმეორება.

აუცილებელია ამ კრებას დაესწროს კომპარტიის პასუხისმგებელი ამხანაგები, უფრო კი პარტიული მუშები.

შესაძლებელია, ასეთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია და მე არ ვიცი. მე ცენტრს დაშორებული ვიყავი სამსახურის გამო, და რა ხდებოდა თბილისში ამ ხნის განმავლობაში, არ ვიცი.

თუ მისაღები იქნება ეს ჩემი წინადადება, იმ შემთხვევაში საჭირო იქნება ამ მიმართულებით მუშაობა იმ რაიონებში, სადაც ბლომად არიან ყოველი მენშევიკები და სხვა რევოლიუციონერები, ვინც 905 წლის რევოლიუციის რიგებში იდგენ და შემდეგაც გაბედული იერიშებით მიდიოდენ თვითმპყრობელობის სიმაგრეზე.

ძველი რევოლიუციონერი მუშა

**„ჩიტო“ — იროდიონ თხილაძე.**

# სვანების მოთხოვნილება გზის შესახებ

მთელი სვანეთი მოწყვეტილია უგზოობის გამო ცენტრს.

იგი დღემდე შთანთქმულია უვიცობის და სიღარიბის მორევში; შეიძლება ითქვას, რომ სვანეთი ამის გამო გადაშენების გზას ადგა, აღწერა იმისი თუ რა გრძნობას განიცდის სვანეთი უგზოობის გამო ღარიბ კალმით შეუძლებელია; ამ ერთი საუკუნის განმავლობაში მარტო თოვლის ზვავებმა, რამოდენიმე ათასი სული ადამიანი იმსხვერპლა, სხვა უბედურებას ხომ საზღვარი არა აქვს. მართალია, სვანეთი იმის ცდაში იყო, რომ შვილებისათვის მიეცა სწავლა-განათლება, მაგრამ იგი კულტურას ოდნავათ ვერ ეზიარა. სვანების მდგომარეობას ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ყურადღება და გადასწყვიტა შარა გზის გაყვანა „ბეჩო-ჯვარით", რაც ჩვენ მიგვაჩნია მიზან შეუწონლათ შემდეგის მოსაზრებით:

1. ა) ჯვარიდან მოკიდებული სვანეთის ბოლო სოფელ „ლ ხამულამდი", სამი დღის სავალზედ, მოსახლეობა არ შეგხვდებათ და გზა მისდევს ღრიანკელ ენგურის ხეობას.

ბ) ამ მიმართულებით შარა გზა ნაცადი იყო მეფის დროს, მაგრამ ნაყოფი არ გამოუღია, რადგან ნიადაგი ხელს უწყობდა გზის ნგრევას.

2. ზემო სვანეთს, რომლის გულისათვისაც ეს გზა გაჰყავთ, მთელი საუკუნოების განმავლობაში კავშირი ქონდა და ეხლაც აქვს კულტურულ და ეკონომიურ ცენტრებთან ლეჩხუმ-ხონ-ქუთაისის მიმართულებით.

სვანეთს მრავალ გზით გამოუცდია შიმშილობა და მისი ბედელი კი ლეჩხუმი ყოფილა.

ცაგერში წელიწადში ორჯერ იმართება ბაზრობა, სადაც სვანები თამაშობენ განსაკუთრებულ როლს, და სპეციალურათ ეს ბაზრები მარტო სვანეთის საკუთრებას შეადგენს.

სხვა მხრითაც სვანეთს ამ გზით ეხერხება მსვლელობა, ამის დასამტკიცებელი ფაქტია ის, რომ იგი საუკუნოების განმავლობაში შეეზარდა ლეჩხუმ, ხონ, ქუთაისს.

3. ბეჩო-ჯვარის გზა მისაწდომია უფრო სვანეთის სამ თემისათვის, დანარჩენ რვა თემებისათვის კი ხსენებული მიმართულება ყოვლათ გამოუსადეგარია; ამის გარდა, ცაგერის ხაზით გზის მიმართულება აკმაყოფილებს 6.000 მცხოვრებლებს ქვემო სვანეთის და ლეჩხუმის მაზრას, ამის გამო ჩვენი ხელისუფლების გადაწყვეტილება, ჩვენის ღრმა რწმენით, უნდა დროზედ შეიცვალოს და შარა გზა გაყვანილ იქნეს ცაგერის მიმართულებით, მაშინ ეს გზა ლეჩხუმის გარდა ასაზრდოებს ქვემო სვანეთის თემებს, რომელიც გაჭიმულია, სამოცი ვერსის მანძილზედ და რომლებთანაც ზემო სვანებს მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს უხსოვარ დროიდან. ამ ხაზით გზის სიგრძეც ბევრათ უმჭრო მოკლეა, ვიდრე ჯვარ-ბეჩოს მიმართულებით, ამიტომ მისი გაყვანა ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს და მთელი სვანეთის მცხოვრებლების სურვილსაც დააკმაყოფილებს.

საჭიროა საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ცაგერის მიმართულებით გზის გაყვანას.

თუ ეს მიმართულება იქნება მიღებული მაშინ მთელი ქვემო სვანეთის მცხოვრებლები სრულ გარანტიას იძლევიან, რომ 18 წლიდან 60 წლამდე თითეული მამრობითი სქესი გამოვა გზაზედ სამუშავოდ, უფასოთ ექვს-ექვს დღეს.

**გ. ხვანი.**

# მგზავრის შენიშვნები

**(ქუთაისიდან ალპანამდე).**

თითქმის მეოთხედ საუკუნეზე მეტია მას შემდეგ, რაც მე პირველად ამ მხარეში ვიყავი, ეს იყო ვენახის ჭირის-ფილოქსერის კვლევა-ძიების დროს, ბევრ სტუდენტს ის იზიდავდა ეს მუშაობა, ხალისიანათ და სვინდისიანად ეკიდებოდა ეს ახალგაზრდობა ამ მუშაობას, ახლოს ეცნობოდენ ადგილობრივ მოსახლეობას და იზიარებდენ მის ჭირ-ვარამს.

ეხლა მეორედ მომიხდა აქეთკენ ყოფნა და მეტად სასიამოვნოდ დამრჩა, მინდა თვალი გადავავლო და აღვნუსხო, თუ რა ცვლილებები მომხდარა ამ მხარეში ამ 20—25 წლის განმავლობაში.

ოსეთის სამხედრო გზა, რომელიც ქუთაისიდან გადის და მიჰყვება რიონის ხეობას, ისევ იმ მდგომარეობაშია, ოღონდ ფოსტის სადგურები ყველგან მოსპობილია და საფოსტო ეტლით მოგზაურობა გაუქმებულია; დადის კერძო ლინეიკები და ონამდე ავტომობილი. ფოსტის გადასაზიდათ ყავთ ცხენები იქ, საცა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაა (ტექვენა, ალპანა, ჭრებალო და სხვა), მაგრამ ფოსტის მიმოსვლა მეტად უწესოთაა და შეფერხებულია, დანიშნულ დროს არასოდეს არ მოდის, მაგალითად გაზეთები ერთი და ხან ორი კვირის შემდეგ მოდის. უწინდელ წონდებს (გაბმული საცალფეხო ხიდი) და ბორნებს ეხლა იშვიათად შეხვდებით, მის მაგიერ საურმე ხიდებია (ბოგა) რიონზე, მექვენაში, ორხევში და ზოგიშში (ეს უკანასკნელი წინეთაც იყო).

ქუთაისის მაზრა რიონის ხეობაში, რიონის მარჯვენა ნაპირას, 25 ვერსის მანძილზე მიდის, ხოლო ოკრიბის მხარეზე, რიონის მარცხნივ—30—ვერსზე, შემდეგ იწყება ლეჩხუმის მაზრა, რომელსაც სოფელ ალპანამდე „კლდე-დალმართს" ეძახიან.

ქუთაისიდან მოყოლებული 20 ვერსის მანძილზე, ხშირია სამიკიტნო დუქნები, სადაც ფაიტონებით ამოდიან ქუთაისიდან არლნით მოქეიფე ხალხი; ადგილობრივი მოსახლეობაც (გუმათის, ძმისტაროს, ოფურჩხეთის და ქონცთის) ქუთათურებს ქეიფში არ ჩამორჩებიან; აქაურები კვირას და პარასკეობით მიდიან ქუთაისში და მიაქვთ ბაზარზე გასაყიდათ ხილი და სანოვაგე, ბაზრიდან სახლში დაბრუნების დროს, უმეტესი ნაწილი ახალ-

გაზრდობისა, „ისვენებს“ ამ დუქნებში და ხშირად რაც კი ბაზარში აუღია იქ სტოვებს, შინ კი ცარიელი და გალეშილი ბრუნდება.

კლდე-დალმართი თავის მდებარეობით ოკრიბასა ჰგავს, მხოლოდ ოკრიბაზე ბევრად უფრო ნაყოფიერი და მოსავლიანია. მთაგრეხილებზე და სერებზე მდებარე ტყეები სულ გადუკაფავთ, იმისთანა ციცაბო ფერდოებზე მოჩანს სიმინდის ყანები, რომ გიკვირს ან მუშამ როგორ დაადგა ფეხი, ან თესლი როგორ გაჩერდა.

მოსავალს: სიმინდს, ვენახს და ხეხილს კარგი პირი უჩანს. ხეხილს—ვაშლი, მსხალი და ქლიავი, ისე ასხია რომ შტოებს ვეღარ იმაგრებს და ბევრგან ჩამოჩეხილა.

პურს წინეთ მეტს თესდენ, ეხლა კი უკლია. აქ მოჰყავთ ხორბლეული: იფქლი, ხულიგო და თავთუხი, მახა და ზანდური; ქერი ორი ჯიშია. მახა და ზანდური ითესება შემოდგომაზე (ძველი თესლი) და ადრე გაზაფხულზეც; ამ პურს არ მკიან, არამედ ხელით კრეფენ თავთავებს და ისე გაულეწავათ ინახავენ ბელლებში, ხმარების დროს ცეცხლზე ახმობენ ლომივით ლასტებით და შემდეგ ცეხვენ და მერმე წისქვილზე ფქვავენ. ჩალას ცალკე მკიან და შენობის სახურავათ ხმარობენ (კოროლი). აქა-იქ შეხვდებით ლომს და ბამბასაც. ლობიო სიმინდის ყანებშია და ყოველგან ბლომად მოყავთ.

ვენახები ფილოქსერას სულ გაუნადგურებია, ქუთაისის მაზრაში ძველი ვენახები იზაბელათ შეუცვლიათ, კლდე-დალმართში კი ნამყენი ვაზის ვენახებია, რაც ჩვენში ნამყენი ვენახებია სულ აგრანომი ჟანის მეოხებით არისო—მიამბო ალპანელმა გლეხმა, გოგია ფრუიძემ, ძრიელ კარგი კაცი იყო, ნამდვილი გლეხის მამა და დამრიგებელიო რაც ის მოკვდა, 3—4 წელიწადია მას აქეთ, ახალშენები, არავის გაუშენებია და არც ვიცით სად იშოვება ნამყენი და ვის მივმართოთ ამის შესახებო.

სოფელ ჟონეთში და მექვენის თემში ძალიან გავრცელებულია თეთრი ქვის (ბარიტის) მადნის მუშაობა. მადნის მუშაობის ნება ყველას აქვს, მხოლოდ ვინც უწინ აღმოაჩენს მადანს, ის იღებს მონოპოლიას, ის ფლობს და სხვა მუშებს აქ არ ამუშავებს, თუ ამ უკანასკნელებმა გამოღებულ ქვაში მფლობელს წილი არ დაუდეს, ამნაირად მფლობელი მონოპოლისტია, ღებულობს ღალას, როგორც ძველი მემამულე. ქვის მუშაობა ყოველგან ნარდათ არის, ფუთი იყიდება საურმეზე ჩატანილი, ხარისხის მიხედვით, 20—35 კაპ. ფუთი.

წინეთ, მეფის რეჟიმის დროს, ბარიტის საფქვავი ქარხანა ყოფილა სოფელ ჟონეთში, ქუთაისიდან 18 ვერსის მანძილზე. ეს ქარხანა დამწვარა. ბარიტის ქარხანა ეხლა ქუთაისშია და მადნებიდან იქ მიაქვთ ქვა საფქვავად.

სახლები ძველებურად ისევ ყავრით და ჩალით არის დახურული, ხოლო აქა-იქ შემოუღიათ კრამიტი, რომელსაც ქუთაისიდან ეზიდებიან. წელს სოფ. ტვიშში და ორხვში გაუმართავთ კრამიტის ქარხანა, მაგრამ ჯერ არ არის გამოკვლეული, თუ რამდენათ გამოსადეგი იქნება აქ დამზადებული კრამიტი. კრამიტით ბევრი ოდებია დახურული და საზოგადოთ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მგზავრზე სოფელი ონჭეიში. ეს სოფელი რიონის მარცხენა მხარეზეა და წყლის პირად ძევს; აქაური მცხოვრებლები მეტად დახელოვნებული მეტიჯეები არიან და ეს ხელობა მათ კარგ შემოსავალსაც აძლევს.

კლდე-დალმართში ტირილი, ქორწილი და დღეობები ძველებურად ლაპ-ქელეხით და ლოთობით თავდება. ძველი და ახალი წესები ერთმანეთში არეულია დომხალივით, მაგალითად—უმღვდლოთ მარხავს მიცვალებულს და ტირილს ჭამით და წაბურვით (ფულის შესაწირი) კი უწინდებურად მართავს; მიცვალებული ზოგს თავის ეზოში დაუმარხავს; ეკლესია დაკეტილი აქვთ, მხოლოდ ეკლესიის დღეობას კი მართვენ. როცა ეკლესია ღია გვქონდა, მის დღეობაზე სხვა სოფლებიდანაც მოდიოდა ხალხი და თავს ეკლესიასთან იყრიდაო, აქიდან ვპატიჟობდით ჩვენ ნაცნობ-მოკეთეებს, მიგვყავდა სახლში, ვაჭმევდით სადილს და მერმე მიდიოდენ თავთავიანთ სახლშიო; ეხლა პირდაპირ სახლში მოდიან წინაღამით ეს სტუმრები, ჩაგიდგებიან ოჯახში 3—4 დღე, შემდეგ ძლივს იშორებო. შემომჩივლა დერჩელმა გლეხმა ი. ბანძალაძემ. დერჩში ცოდნიათ დღეობა ამაღლება, წელს ამ დღეობის დღეს ეკლესია არ ქონიათ (კლუბათ გადაუკეთებიათ), მაგრამ დღეობა მაინც გაუმართავთ.

როცა სახორცეთ საქონელს კლავენ, ხორცს წონით არ ყიდიან, არამედ ასოებით.

სოფელი დერჩი კლდე-დალმართში მოწინავე სოფლად ითვლება, ვაკე ადგილები აქ სხვა სოფელზე შედარებით უფრო მეტია და ამიტომ სოფლის უდიდეს ნაწილს „დერჩი—ბარი“ ქვია. აქ არის შვიდწლედი სკოლა, ამბულატორია ექიმით, ფერშლით და ბებია-ქალით, აფთიაქი და ქოხ-სამკითხველო.

ქონიათ კლუბიც და თეატრი, ამისთვის ადგილობრივი ეკლესია გადაუკეთებიათ. ეხლა დეკრეტის ძალით ეკლესია დაუბრუნებიათ დერჩის მორწმუნეთათვის, კლუბის მასალა იქიდან გამოუტანიათ და სურთ კლუბი და თეატრი სხვაგან გააკეთონ; ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, რომ შვიდწლედის შენობას ჯეროვნათ შეაკეთებდენ, ვინემ კლუბს და თეატრს დაიწყებდენ. შვიდწლედის შენობაში კლასები ვერ თავსდება და აქა-იქ სოფლის სახლებშია გაფანტული, დაუწყიათ შვიდწლედის შენობასთან ახალი შენობის მიდგმა, მაგრამ უსახსრობის გამო ეს მუშაობა შეუჩერებიათ.

დერჩი იყო მექვენის რაიონის ცენტრი და ამიტომ შერჩენია ამოდენი კულტურული დაწესებულება. ეხლა ეს თემი ორ თემათ არის გაყოფილი, ღლნორისა თავისი მომიჯნავე სოფლებით გამოეყო და ცალკე თემს შეადგენს, დერჩი, ონჭეიში, ორხვი და რიონის მარჯვენა ნაპირის სოფლები დარჩენ მექვენის თემში; თემაღმასკომი, ფოსტის განყოფილება, ოთხწლედი სკოლა, კოოპერატივი და საკრედიტო ამხანაგობა აქ მექვენაში დარჩა.

დერჩი დიდი სოფელია, 160 კომლი, 850 მცხოვრებლებით, აქ არის ეხლა დაარსებული მეფუტკრეობის საზოგადოება „ნექტარი“ წარმოკავშირის ხელმძღვანელობით, წევრები 60-ამდე, აქვთ რაციონალურად მოწყობილი საფუტკრე, სადურგლო, საცა აკეთებენ ჩარჩოიან სკებს. წარმოკავშირს აქ გამოუგზავნია თავისი ინსტრუქტორი, რომელსაც მეფუტკრეობის შესასწავლად მოუწყვია მოკლევადიანი კურსები, მსმენელები 50 მეტი ყოლია.

მექვენაში არის ქოხ-სამკითხველო, როგორც აქ ისე დერჩში ეს სამკითხველოები ნამდვილად ამართლებენ თავის სახელწოდებას, სწორედ რომ ქოხებია—პაწაწინა ფიცრული სახლი უფანჯრო და უბუხრო, ზაფხულში კიდევ არაუშავს რა, კაცი გაიღება, მაგრამ ზამთარში როგორ უნდა იმეცადინონ ბნელ ოთახში.

მიწის კანონების გატარებით კლდე დალმართში და საზოგადოთ ლეჩხუმის მაზრაში ბევრია უკმაყოფილო; მე-

ქრთამობა, ჯიბის ინტერესები, ნათლიმამობა და სხვა უწესოება, რაც იყო აღნიშნული „კომუნისტის“ ა/წ № 164-ში, აქ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით უფრო მეტი იყო, კლდე-დალმართში აზნაურების გვარისა ბევრია, ისინი მცირე მიწაწყლის პატრონები არიან და გლეხებზე უფრო ღარიბ-ღატაკები, ასე რომ მათ ჩამოსართმევი არაფერი არ ჰქონიათ, მაგრამ აქ მაინც გაუტარებიათ ფეოდალური წესწყობილების ამოსაფხვრელი კანონები და ზოგიერთისთვის მაინც ჩამოუჭრიათ მიწები. გლეხების უმრავლესობა, ვისაც კი ცოტათი სული ედგა და შესყიდული ადგილ-მამული ჰქონდა, ხომ სულ აუკლიათ. მიწის უკანონო განაწილება ეხლაც ხდება, მაგალითად—სოფ. ზოგიშში ცხოვრობდა ორი ძმა, ერთი ძმის ქვრივი 6 მცირე წლოვანი შვილით და ავადმყოფი დედით, მეორე მარტო ცოლით, ჰქონდათ ერთი ნორმა მიწაადგილი, კვდება მეორე ძმაც და სოფლის ხელისუფლება ყოფს შუაზე როგორც სახლ-კარს, ისე ადგილ-მამულს და ნახევარს აძლევს ახალგაზრდა ქვრივს სიცოცხლით და ჯანით სავსეს, მეორე ნახევარს კი უტოვებს დავრდომილ ქვრივს ექვსი მცირეწლოვანი შვილით, არ ვიცით. რამდენად კანონიერია ასეთი განაწილება.

კლდე-დალმართი არის სამი თემი და შესდგება 17 სოფლიდან, 1665 მოსახლით და 9.048 მცხოვრებლით; ამ რაიონის ცენტრიდან სოფ. მექვენიდან—ცაგერამდე, საცა მაზრის ადმინისტრატიული ცენტრია, 50 ვერსამდეა, გზა ორბელის იქით, 12—15 ვერსზედ, არ არის და არც იმედია, რომ ოდესმე გაკეთდეს, ბევრი იტყუა მეფის მთავრობამ, მაგრამ არ გააკეთა; ის ადგილები, საცა გზა გადის ეთოდ მეწყერიანია, რამდენჯერაც გააკეთეს გზატკეცილი, იმდენჯერ დააშვავა და გაფუჭა მეწყერმა; შემდეგ თავი ჩიუნებებიათ და ფოსტა ორბელიდან ცხენებით გადააქვთ. პროექტი იყო რომ ცაგერი შეერთებიათ ქუთაის-ხონით ცხენის წყლის პირად გზატკეცილით, (ხონიდან ცაგერამდე 60—70 ვერსის მანძილი იქნება), მაგრამ ეს პროექტი პროექტად დარჩა; საცხენოსნო გზა იყო და ეხლაც არის სოფელ გორდამდე, აქედან ხონამდე 25 ვერსზე კი გზატკეცილია.

ამ უგზოობით კლდე-დალმართის მოსახლეობა მეტად შეწუხებულია, ცაგერში მისვლა მეტად უძნელდებათ, ეს მაშინ. როცა ქუთაისამდი სულ 35 ვერსია და ამასთან გზა კიდევ მეტად კარგი.

მოსახლეობას სურს და თხოულობს ქუთაისის მაზრაზე მიწერას. კარგი იქნებოდა, რომ მთავრობამ შეიწყნაროს კლდე-დალმართელების სამართლიანი თხოვნა და მიაწეროს ქუთაისს, ეს მხარე ისეც ბუნებრივად ზემო იმერეთის—ოკრიბა-ოფურჩხეთის გაგძელებაა და თავის ჰავით და მდებარეობით ბევრად უფრო დაახლოვებულია ამ მხარესთან, ვინემ ლეჩხუმთან. შეიძლება თქვან, რომ ქუთაისის მაზრა ისეც დიდიაო, მართალია და ამიტომაც არის საჭირო ამ მაზრის ორად გაყოფა.

**ძველი სტუმარი.**

# ბუნება და ჯანმრთელობა

ჯანსაღი ადამიანი—სულითაც მტკიცეა—ამბობს ძველი თქმულება.

იშვიათია ჩვენში ისეთი ქალი თუ კაცი, რომელსაც რაიმე ფიზიკური სისუსტე ან ავადმყოფობა და ნერვების აშლილობა არ ჰქონდეს.

ამის მიზეზი, რასაკვირველია, უპირველესად ჩვენი ნივთიერი ხელ-მოკლეობა და უკულტურობა არის, ციებცხელება, ჭლექი, ფილტვების ანთება, კუჭის მოშლა, კბილების უდროვოდ ჩამოცვივნა, თავის-ტკივილები და სხვა მრავალი ავადმყოფობა მუდმივი თანამგზავრია ქართველების უმრავლესობის სიცოცხლისა.

თუ ჩვენი ძველი თაობა ნორმალურ პირობებში 90 წელს და მეტს სცოცხლობდენ, ახალი თაობისთვის ამავე პირობებში 90 წლის სიცოცხლე იშვიათი მოვლენა არის.

სიღარიბემ შვა ახალი ავადმყოფობები ქალაქებში, ამ ავადმყოფობების საწინააღმდეგო საშუალებები კი ვერ შევითვისეთ კულტურული ჩამორჩენილობის გამო. უკულტურობის მიზეზითვე ავადმყოფი ან მისი ჭირისუფალი იშვიათად მიმართავს ექიმს ეხლაც, როდესაც ექიმობა ასე გაადვილებულია, და თუ მიმართავს ექიმს და წამალს არა თავის დროზე და ექიმის რჩევა-დარიგებას არ შეასრულებენ სისტემატიურად, იღუპებიან თვითონ და ღუპავენ თავის ჩამომავლობასაც.

შესაძლებელია კაცმა ისეთი პირობები შეიქნას თავის სიცოცხლისა, რომ მას ექიმი არას დროს არ დასჭირდეს, ან თუ დასჭირდეს ძალიან იშვიათად. მეტადრე ეხლანდელ სოციალ-ეკონომიურ პირობებშია შესაძლებელი ხელშეწყობა ჯანსაღ საშუალებების, ვინაიდან ხალხის უმრავლესობამ—მშრომელმა მასამ—დააღწია თავი უზომო ექსპლოატაციას და ხელისუფლებამ ჩააყენა ის ისეთ გარემოებაში, რომ მას შეუძლიან თავისუფალი დრო და არსებული საშუალებები ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოიყენოს.

ახალგაზრდობისთვის არსებობს ფიზიკური კულტურის საზოგადოებები, წრეები და სხვა, მოზრდილთათვის აგარაკები, დასასვენებელი სახლები და სხვა მრავალი.

ერთ ასეთ საშუალებაზე მინდა ვესაუბრო „ახალი გზის“ მკითხველებს ამ წერილში.

ზევით ჩვენ ვთქვით, რომ შესაძლებელია ადამიანმა ისეთი პირობები შექმნას თავის არსებობისა, რომ მას ავადმყოფობა არ ეწვიოს და ექიმი არ დასჭირდეს. ეს შეიძლება ბუნების ძალების, მზის, ჰავის, წყლის და სხ. გონივრული და მოხერხებული გამოყენებით.

არსებობს მთელი დარგი მედიცინისა, რომელიც უარჰყოფს ყოველგვარ ექიმობას სხვადასხვა წამლეულობით. ამ დარგის მიმდევარი მეცნიერი ექიმები ამტკიცებენ, რომ ადამიანს შეუძლიან მზის სხივების, წყლის, ჰაერის საშუალებით გააჯანსაღოს და გააკაჟოს სხეული ისე, რომ არავითარი ჩვეულებრივი ავადმყოფობა არ მიუდგეს და სიცოცხლე გაახანგრძლივოს. ამ საგანზე დიდი ტომებია დაწერილი და იწერება კიდევაც.

მრავალ წიგნებს შორის ჩვენ ხელთა გვაქვს საზღვარ გარედ კარგად ცნობილი ექიმი ქალის **დუკელმანის** წიგნი სათაურით „ოჯახის ექიმი ქალი“.

ეს ექიმი ქალი თავის წიგნში ეჭვის თვალით უყურებს დღეს ხმარებულ საექიმო წამლებს. წამლების მა-

გიერ ექიმი დუკელმანი გვირჩევს გამოვიყენოთ ბუნების ძალები ავადმყოფობებთან ბრძოლაში და სხეულის გაჯანსაღებაში. ამ საშუალებებით თავის პრაქტიკაში ის აღწევს დადებით შედეგებს. ის იმ აზრისაა, რომ ადამიანის სხეულის უდიდესი მტერი გაციება არის, მაშასადამე, სხეული ისე უნდა იყოს შენახული, რომ ნორმალურ პირობებში აიტანოს სიცივე. ამისთვის კი, დუკელმანის აზრით, სხეული უნდა იყოს შეჩვეული და შეგუებული ყოველგვარ პირობებს როგორც ცივს, ისე ცხელს. „ბუნება არის ჩვენი გაციება — ავადმყოფობის საბაბი და ბუნებაშივე უნდა ვეძიოთ გაციების ასაშორებელი საშუალებები“ — სწერს ექიმი ქალი დუკელმანი.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ბუნების გამოყენების მნიშვნელობა სხეულის ჯანსაღობისთვის, საკმარისია გავითვალისწინოთ მეცხვარის ყოფა-ცხოვრება. მეცხვარე მთელ თავის სიცოცხლეს წვიმაში, სიცივეში ან სიცხეში ატარებს, ხშირად ის იძინებს მთლად ნოტიო დედამიწაზე თავიდან ფეხებამდის დასველებული, მაგრამ მას ავადმყოფობა არ უდგება. რით აიხსნება ეს გარემოება? აიხსნება იმით, რომ მისი სხეული პატარაობიდანვე შეგუებულია ბუნების ყოველგვარ მოვლენას. სხვა სურათს მივიღებთ, თუ იმავე პირობებში ჩავაყენებთ ფუფუნებაში აღზრდილს ქალაქელს.

ამავე შეგუების პრინციპზე იყო აგებული ძველი სპარტაკელების ფიზიკური აღზრდა ახალგაზრდობისა.

მაშ სხეულის შეგუებას ბუნების პირობებთან დიდი მნიშვნელობა ჰქონია სხეულის დაცვას ავადმყოფობა-სისუსტისაგან.

როგორ მივაღწიოთ სხეულის შეგუებას? ეს საკითხი რთულია, და არსებობს სხვადასხვა მეთოდები ფიზიკური აღზრდის. ჩვენ აქ არ შეუდგებით ამ მეთოდების განხილვას. მხოლოდ მკითხველს მიუთითებთ ისეთ მეთოდზე, რომელიც ფრიად მარტივია და ჩვენს პირობებში ყველას შეუძლიან მისი გამოყენება. მე მოგახსენებთ 1) ცივი ტილოთი ტანის დაზელაზე სისტემატიურად დილა-საღამოს როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში, 2) მზის სხივების „ვანებზე“ და სუფთა ჰაერზე ტანვარჯიშობაზე.

მე თვითონ სუსტი აგებულებისა გახლდით, ავადმყოფობებიც ხშირი დაუპატიჟებელი სტუმრები იყვნენ ჩემი, მაგრამ, როდესაც პოლიტიკურ გარემოებების გამო მოვხვდი შვეიცარიაში, აქ გავეცანი ჯანსაღობის აღდგენის ამ მეთოდს და მიზანსაც მივაღწიე. მიუხედავათ იმისა, რომ 60 წელს მივაღწიე ავადმყოფობა სრულიად არ მიდგება, შრომის ხალისი დიდი მაქვს და სულიერი სიმშვიდე-ლაღობა არ მაკლია.

ს. დოლიძე.

# სურათი

ცის შუა გულზე
დაკიდებული,
მზე დიდებული
სწვავდა ქვეყანას
და დედამიწა
ალ მოდებული
ალაპლაპებდა
ქარვის ფრად ყანას.
ტრიალ მინდორზე
დიდ ჭანდრის ჩრდილში
შესასვენად და
საგრილობელად,
იწვა მომკელი
და ლამაზ ძილში
ლამაზ სიზმრებით
ოხრავდა ნელად.
ამ დროს მოფრინდა
ქედანი წყნარი
ჩამოჰღუღუნა
ხმა — ნაღვლიანად
და ის ღუღუნი,
ნაზი, ნარნარი
ყურში ჩაესმა
მშობლიურ ნანად.

—

გამოეღვიძა მადლიან
მშრომელს,
მზე აღარ სწვავდა
სოფელ — ქვეყანას;
წამოხტა ზეზე
ვეფხვივით ფიცხი
და ნამგლით ხელში
ეკვეთა ყანას.

გ. ქუჩიშვილი

# მუშათა კომისიის მუშაობა

## ჩემი მოგზაურობა ახალქალაქის მაზრაში

გაგრძელება *)

მე ვთქვი პირველ წერილში, რომ ახალ. ქალაქის მაზრის გლეხები საუცხოვო დამცველი იქნებიან მუშურ-გლეხური ხელისუფლების. მხოლოდ საჭიროა ძირიან-ფესვიანათ ამოიგლიჯოს ის გველური დაშნაკ-ცაკანური სისინი, რომელსაც აქ ფართოთ აქვს გადგმული ფესვები და რაც ამხედრებს სომხის, ქართველ და მუსულმან გლეხებს ერთი მეორეზე. ქართველმა გლეხებმა შემოჩივლეს, რომ დადიან ვილეებიც სომხის გლეხებში და ქადაგობენ: ახალ ქალაქის მაზრა სომხეთს ეკუთვნის და უნდა ვეცადოთ, რომ მას მივეწეროთო.

მე დავამშვიდე გლეხები, აუხსენი, რომ ეს ნუ აგაღელვებსთ, ჩვენ და სომხები ძმანი ვართ, ერთ ტაფაში ვიწვებით ეკონომიურათ, ერთ ფედერატიულ კავშირში შევდივართ, ერთნაირი ცხოვრების წესები იქნება ყველგან; მუშურ-გლეხური ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ ერთი ეროვნება მეორეზე გაბატონდეს ამა თუ იმ საბჭოთა რესპუბლიკაში...

*) იხ. ჟურნალი „ახალი გზა“ № 34.

არა, ამხანაგო, ჩვენ ქართველი გლეხები ამას ვერ შეურიგდებით და თუ ეს მოხდება მაშინ ჩვენ უნდა გადავსახლდეთ შუა საქართველოშიო...—მიპასუხეს ქართველებმა.

ვინ არიან ისინი, ვინც ასეთ პროვოკაციას ეწევიან ხალხში—შევეკითხე მე გლეხებს. მათ მიპასუხეს: ვერ ვიცნობთ მათ, ზოგი აქაურები უნდა იყოს, ზოგი კი მოსულებიო. მე ამას მეუბნებოდნენ ყველა ქართველი სოფლის და ნაწილობრივ მუსულმანი გლეხებიც და, სწორეთ გითხრათ, არა მჯეროდა. მაგრამ როდესაც ასეთი განცხადება დაადასტურეს ზოგიერთა სომხის პატიოსანმა გლეხებმა, რაღა მრჩებოდა, იძულებული ვიყავ დამეჯერებინა.

ერთი სომხის გლეხი მხვდება გზაში (ახალ ქალაქში დაბრუნებისას აფნიადან) მთხოვს ცხენიდან ჩამოვიდე და გავყვე მას. გლეხს მივეცი წინადადება ხვალ მოსულიყო ახალ ქალაქში და იქ მიამბოს, რაც აწუხებს მას და მე გაუდექი ჩემს გზას.

მეორე დღეს ჩემთან მართლაც მოვიდა ეს გლეხი, ქართული არ იცოდა, რუსულადაც ძლივს ლაპარაკობდა გამიჭირდა გაგება რა უნდოდა, მაგრამ ბოლოს როგორც იქნა დიდის გაჭირვებით გავიგე, რომ სომხის გლეხობაში მუშაობენ შორიდან მოსული დაშნაკცაკანები და ადგილობრივიც, რომლებიც სთესავენ შუღლს სომხობასა და ქართველებს შორის, ისე როგორც წარსულში სთესავდნენ სომხებსა და თათრებ შორის. ჩვენ, ამბობდა გლეხი ვწუხდებოდით მათი მეოხებით მუსულმანებთან უაზრო ბრძოლით და ეხლაც უარეს დღეს დაგვაყრიან, თუ დროზე არ იქნენ ისინი ალაგმულიო. ჩვენი გლეხობის უმრავლესობა აღარ არის იმდენათ შეუგნებელი, რომ არ იცოდეს თუ რა უბედურებას მოუტანს მათ ძველებურათ შუღლის თესვა, მაგრამ რა ვქნათ, რომ შეგნებულებს ხმა ვერ ამოგვიღია მათი შიშითო. ასეთივე საჩივრით, მომმართეს რამოდენიმე სომხის გლეხმა მურჯახეთიდან, რომ ვბრუნდებოდი ქალაში. ერთ-ერთ ქართულ-სომხურ კრებაზე, საცა უხსნიდი გლეხებს, რომ ყოვლად დაუშვებელია მეზობლებში შუღლი და მტრობა, რომ გლეხები გაიუმჯობესებენ თავის მდგომარეობას მხოლოთ სოლიდარობით, რომ ყველა ის, ვინც თქვენში სთესავს ეროვნულ შუღლს ეს ბურჟუაზიის ელემენტებია, რომელთაც თავიანთი ბატონობის დაბრუნება უნდათ და ამას მიაღწევენ მხოლოდ თქვენის არევ-დარევით, ქართველმა გლეხმა ყურში ჩამჩურჩულა: ჩვენ გვეუბნებიან წადით საქართველოში აქ თქვენი ქვეყანა არ არისო და ზოგი ქართველები კი სომხებს ეუბნებიან: წადით ერევანში, აქ თქვენი ადგილი არ არისო და ასე გვიქადაგებდენ ქართველი ნაციონალ დემოკრატები და სომხის დაშნაკ-ცაკანებიო. მე ეს გამოვამჟღავნე კრებაზე, რამაც დიდათ აღაშფოთა კრება და ბევრი ადასტურებდა, რომ ასეთ აგიტაციას მართლაც აქვს ადგილიო. ეს დაადასტურა ერთმა კომკავშირელმაც. მე დავამშვიდე კრება შემდეგი განცხადებით: სომხებს აქ უცხოვრიათ ასი წელი, ამიტომ მათი სამშობლო უკვე აქ არისო და არავის არა აქვს უფლება მათ უთხრან წადით ერევანში, აგრეთვე უსამართლო იქნება უთხრან ქართველებს: წადით საქართველოში. ჯავახეთი იყო არის და იქნება საქართველო და დღევანდელი მუშურ-გლეხური ხელისუფლება სასტიკათ დასჯის ყველა მას, ვინც ასეთ პროვოკაციას ეწევა თქვენში. ამის შემდეგ გლეხება ამოიდგეს ენა და სხვა და სხვა თხოვნით მომმართეს. ქართველები ითხოულობდნენ, რომ მოხსენებები და მიწერ-მოწერა ქართულ ენაზეც კეთდებოდეს და წარწერებიც სხვა და სხვა დაწესებულებებზე სხვა ენასთან ერთათ იყვეს ქართულ ენაზედაც, რასაც კრებაზე უკმაყოფილება არ გამოუწვევია. ამასთანავე ქართველები ჩივიან, რომ ანგრევენ ძველის-ძველ ეკლესიებს. მართლაც ვერ ნახავთ ვერც ერთ სოფელს რომ შიგ ქართული ეკლესია არ იყოს და ზოგ ალაგას ეს ეკლესიები ეხლა ხანს უნგრევიათ.

სოფელ კუმურდოში არის ძველი დიდი ტაძარი, წითელი ქვით ნაშენი, შესანიშნავი ჩუქურთმით, ზედ ხუცური წარწერით.

აი ეს ეკლესია სულ ახლათ უნგრევიათ. გლეხებმა მითხრეს: ამ ქვებს აძრობენ, სჭრიან და სალესავებს ამზადებენ და ჰყიდიანო.

ვინახულე ვარძიის მონასტერიც—ეს ჩვენი ძველი გამაცვიფრებელი არხიტექტურის და მხატვრობის დიდება. ვარძიის მონასტერი არის სულ კლდეში გამოკვეთილი, სოფელ აფნიის პირდაპირ, მტკვრის პირად და წარმოადგენს შვიდ სართულიან, სამას ოთნხისაგან დიდ ტაძრის და ოთხამდე პატარა ეკლესიისაგან. მათ აქვთ მხოლოდ ერთი შესავალი, სქელი კაკლის ხის კარებით. კარები შემოჭედილია თითის სისქე რკინის ფურცლით. ეს კარი იღება შიგნით, მიხურვის დროს უგდებენ ხის სხვილ ურდულს.

კართან მისვლამდე ჯერ კლდიდანვე გამოკვეთილ კიბეებით უნდა იარო და შემდეგ მიადგები ამ კარს და იქიდან შეხვალთ დიდი ტაძრის კორიდორში, იქიდან კი პირდა-პირ ტაძარში, რომელიც გამოკვეთილია კლდეში ნავის მსგავსათ. პირდაპირ ოცდება ადამიანი, როდესაც წარმოიდგენს, რა შრომამ შესძლო ასეთი რთული ტაძრის გამოკვეთა კლდეში. მაგრამ ყველაზე უმეტეს გაკვირვებს ამ ტაძრის მხატვრული ხელოვნება, თუმცა სურათების მეტი წილი დაჩხვლეტილ დაფხაჭნილია მტრის ჯარის კაცების შუბებით. მიუხედავათ ამისა, ნახატები იმდენათ ხელოვნურია, რომ მაინც არ ჰკარგავს თავის სიდიადეს და მშვენებას.

არის ერთი სურათი რომელსაც დედამიწის ბურთული უკავია ხელში და თითები ისე არის ამ ბურთულზე შემორტყმული, რომ გეგონებათ კაცის ნამდვილი თითებიაო.

ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. ამას გარდა არის პატარა ეკლესია, რომელსაც ირგვლივ გამოკვეთილი აქვს შემოსავლელი კარიდორი და რომელსაც აღდგომის ეკლესია ქვია, გვერდით პატარა ოთახი აქვს, საიდანაც ფანჯარა გადის ეკლესიაში, ეტყობა აქედან ისმენდა წირვას დავრდომილი მსახურთაგანი. ცოტა მოშორებით არის მესამე პატარა ეკლესია, რომელშიდაც მხატვრობა მეტათ დასახიჩრებულია, აქ ადვილათ მიდგომია სურათების საფხაჭნათ ვერაგი კაცის ხელი. დიდი ტაძრიდან კლდეში მიდის გვირაბი სიგრძით 20 საჟენამდის, გვირაბის ბოლოში არის აუზი, რომელშიც დგას, როგორც ცრემლი, ისეთი წმინდა ცივი წყალი, ამ წყლის სმით ვერ ძღება ადამიანი.

ბევრი ოთახებია დანგრეული უპატრონობით და ალბათ მტრის ხელითაც. მათი ნაშალი სჩანს ძირს. თვით დიდ ტაძარსაც მოელის წინა კედლის ჩამონგრევა, თუ დროზე არ მიეშველა ადამიანი. როგორც სჩანს, ზოგ ადგილას შეცდომა დაუშვია არხიტექტორს, მაგალითად გა-

მოკვეთის დროს ზოგი კედელი მეტათ თხელი გამოუკვეთია, რის გამო ველარ უზიდავს ზევიდან უშველებელი მთის სიმძიმე და დაზიანებულა.

აქ ცხოვრობს ერთი ბერი, რომელმაც მითხრა რომ აქ იყო ახალციხის მაზრის თავმჯდომარე, მას შევთხოვე ამ კედლისგაკეთება და ის შემპირდა, მაგრამ არ ვიცი ამისრულებს თუ არაო.

ჩვენი ინტელიგენცია ბევრს გაჰყვირის საქართველოს სიყვარულზე, მისი მოვალეობაა იზრუნოს ამ შესანიშნავი ძეგლის დაცვაზე.

ჩვენ მოუწოდებთ ქართველ საზოგადოებას გამოილოს წვლილი ამ შესანიშნავ ძეგლების შემოსანახავათ.

ძვირფასი ძეგლების უყურადღებობას არ გვაპატიევებს ჩვენ არც განათლებული კაცობრიობა და არც ჩვენი მომავალი თაობა. ეს და საერთოდ აღმშენებლობაში სინდისიერი მუშაობა და არა უაზრო ბრძოლა რევოლიუციონურ ხელისუფლების წინააღმდეგ, აი რა უნდა იყოს ჩვენი საზრუნავი.

ლ. კუპრაშვილი.

# ჩემი შთაბეჭდილებანი კახეთში

აგვისტოს შუა რიცხვებში მე და ვალერიან ვაშაკიძე გავემგზავრეთ თელავისაკენ. პირველათ მოხსენება გავაკეთეთ საგარეჯოში, საცა ვიყავით მიწვეული ადგილობრივ ამხანაგების მიერ. მოხსენება გულდასმით იყო მოსმენილი, კამათშიც მიიღეს მონაწილეობა. აქაც ხალხს აშკარათ ემჩნევა გამოფხიზლება და სრული გამორკვევა. ეხლა ხალხს ის უმთრო აწუხებს, რომ მას ხელისუფლებასთან დაახლოვება ვერ მოუხერხებია, რადგან ხალხსა და ხელისუფლებას შორის ჩამდგარან ზოგიერთი პიროვნებანი—ან ჯგუფი, რომლებიც ყოველნაირად უშლიან ხელს, რომ დაუახლოვდნენ მმართველ პარტიას და მის მთავრობას.

საგარეჯოს გლეხები ჩივიან: 1922—1923 წ. იძულებით გადაგვახდევინეს კოოპერატივის საწევრო გადასახადი 5 მანეთი ოქროთი, ამრიგათ ჩვენ ყველანი წევრები ვართ, კოოპერატივის გამგეობის და პასუხის მგებელ წევრების არჩევის დროს კი მოკლებული ვართ ყოველნაირ უფლებებს. ხალხმა მოითხოვა არჩევნების დროს მოეწვიათ წევრების უმრავლესობა და არჩეულიყვნენ ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი პირნი. ამის მაგიერ სოფლებიდან მოიწვიეს (თითოდან ოთხამდე) ისეთები, რომლებიც ძველ გამგეობის წევრებს დაუჭერდნენ მხარს და ასეთი საშვალებით აირჩიენ ისევ ისინი, რომლებზედაც უკმაყოფილო იყვნენ კოოპერატივში ჩადენილ ბოროტმოქმედებით; ეს ჩაიდინეს აშკარათ, ხალხის სურვილის წინააღმდეგ, პარტიის სახელით ფირიაშვილმა და ღვინიევმა. ამ რიგათ კოოპერატივში გავიდნენ (ამბობს გლეხები) ის ვაჭარ-სპეკულიანტები, რომლებიც ნიკოლოზის დროს მოსისხლე მტრები იყვნენ კოოპერატივის და რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების დროსაც კოოპერატივშიც იყვნენ და თავის საკუთარი სავაჭროცა ქონდა. მაგალითად გრიქურა პეტუას ძე ტერ-გაბრიელოვი, უკანასკნელი იქნა პარტიიდან გაძევებული 1922 წელს, საქულოსკანოვი იყო მიკიტანი და დღესაც მიკიტნურად იქცევა წითელ სასადილოში, სადაც განაგრძობს ბნელ საქმეებს (ამაზე გაზეთშიდაც ყოფილა მოთავსებული საჩივარი).

გიორგი ისმაილის ძე ყოფილი მიკიტანი დახლიდარია წითელი სასადილოსი. ერთი სიტყვით ეს „სტაჟიანი“ მიკიტნები აწარმოებენ თავიანთებურათ კოოპერატივის საქმეებს, ისინი ნაციონალისტურათაც იქცევიან მოსამსახურეებს მიღება-დათხოვნაში. სოფელ ნინოწმინდაში და მანავშიც თავიანთი ხალხი ყავთ, მაგალითად: გიორგი წმინდაში გიორგი არუთინოვი და მანავში ვილაც გალუა (გვარი ვერ გავიგე) ორივე ძველი სპეკულიანტებია. ამასთან საგარეჯოელი გლეხები ჩივიან, რომ ჩვეხებურ ხალხს, ვისაც რამე ესმის, პატიოსანია და შეიძლება საქმეზე გამოვიყენოთ, გზას არ აძლევენ; არ არის მართალი ის შეხედულობა, თითქოს გარე კახეთში და კახეთშიც არ იყვნენ შეგნებული ძალები, რომლებიც შესძლებდენ საზოგადო საქმის გაძღოლას.

წარმოიდგინეთ უბრალო მილიციონერიც სხვა ადგილიდან მოყავთ. ეს ხდება იმ მიზნით, რათა ადგილობრივი ძალები, რომლებიც ხალხს უყვარს, ენდობა, საქმეს კარგათ წაიყვანს, არავითარ საქმეში არ იქნენ ჩაყენებული, რადგან ეს გამოამჟღავნებდა სპეკულიანტების ოინბაზობას და დალუპავდა მათ სამუდამოთ. სამსონ გრიგოლის ძე კაკუტაშვილი, სანდო ყველასათვის და მცოდნე პირი, იყო გაგზავნილი ცეკავშირ—წარმოკავშირის კურსებზე პროფესიონალურ კავშირის ხარჯზე, ის შიმშილით კინაღამ მოკვდა და ისე დაამთავრა კურსები, რომ მას არავითარი დახმარება არ მიაწოდეს. მან გაჭირვებაში დაამთავრა კურსები, როდესაც ოთხი ამხანაგი: ქურთიშვილი და სხვები უკან დაბრუნდნენ, რადგანაც ვერ აიტანეს ის გაჭირვება, რაც აიტანა კაკუტაშვილმა. აი ეს კაკუტაშვილი დღესაც უადგილოთ არის, როდესაც მას შეეძლო დიდი სარგებლობის მოტანა საზოგადო საქმისსთვი. გლეხები მოითხოვენ, დაინიშნოს მიუდგომელი კომისია, რომელიც გამოარკვევს ყოველივეს და გლეხებს გაანთავისუფლებს იმ პირებისაგან, რომლებიც თავის მოქმედებით აძულებენ გლეხებს ხელისუფლებას.

მეორე კრება გვქონდა გურჯაანში. კრებას ხალხი ბლომათ დაესწრო: მუშები, გლეხები და მოაგარაკენი. ბევრი იყო პასუხისმგებელი პარტიულები და, უნდა ითქვას სიმართლე, რომ მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა, მხოლოდ ერთმა გარემოებამ ძლიერ დამაღონა. გამომეკამათა ადგილობრივი პარტშკოლის მასწავლებელი, რომლის ლაპარაკი, აბდა-უბდა და სრული უცოდინარობით იყო სავსე. მისი ლაპარაკიდან ვერა გავიგეთ რა ვერც მე და ვერც დამსწრე საზოგადოებამ, გარდა იმისა, რომ რევოლიუციონერი და საზოგადო მოღვაწე, ამ მასწავლებელის აზრით, არ უნდა უდგებოდეს საკითხს სინდისით, სიმართლით ხალხისა და რევოლიუციისადმი სიყვარულითო. სამწუხაროა, რომ ასეთი პიროვნება გამძღ-

რალა პარტშკოლის მასწავლებლად. როგორი უნდა იყვნენ მისი აღზრდილი მოწაფეები!?

შემდეგ წავედით თელავში, სადაც საღამოს უნდა გვქონებოდა დიდი კრება, მაგრამ ამხანაგ ელისაბედაშვილის თხოვნის თანახმად წავედით ახმეტაში, საიდანაც ტელეფონით ეთხოვნათ ჩვენი მოხსენების მოსმენა განზრახულ მიტინგზე. კრება მართლაც დიდი დაგვხვდა. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დამსწრეთ საყვედურებით აგვიკლეს: „რატომ ვართ მიტოვებული, ვიცით მთავრობა ჩვენია, მაგრამ ჩვენთან არ მოდის, ვართ ჩაცვივნილი ისეთ პიროვნებების ხელში, რომლებიც გვაბრაზებს და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ შეგვაძულოს მთავრობაც“-ო. მაგალითად მოიყვანეს შემდეგი: ახმეტის გლეხებს გიო დავითის ძე კოტორაშვილს, ფირუზა მამაგულაშვილს ქონდათ ჩაბარებული მემამულე სოფიო გეურქოვის ზვარი ოთხ დესეტინამდე, ეს გლეხები ამუშავებდნენ ამ ზვარს სანახევროთ შვიდი წელი. წრეულს, აპრილში მოგვთხოვა ამ ადგილის დაბრუნება გრიშა და ივანე ბაინდუროვებმა. ჩვენ უთხარით, რომ მამულს ჩავაბარებთ სოფიო გეურქოვს, რომელიც გაგვისწორებს ანგარიშს. მაშინ გრიშამ კომისრის დახმარებით დაგვიბარა კომისარიატში. კომისარი შეგვეკითხა: რატომ არ აძლევთ მამულს ბაინდუროვებსო. ჩვენ მასაც ისე უპასუხეთ როგორც ბაინდუროვებს. ამ დროს მეორე ოთახიდან გამოვარდა გრიშა ბაინდუროვი, რევოლვერს გვიტუნტულებდა პირთან და მოკვლას გვემუქრებოდა, თუ არ ჩავაბარებდით მამულს. კომისარი ალექსანდრე ზაუტაშვილი, რომელიც ეხლა გურჯაანშია, იჯდა სტოლთან და გრიშას მუქარას ყურადღებას არ აქცევდა. ჩვენ შევშინდით, მეორე დღეს გრიშა მოვიდა მამულში კომისრის თანხლებით და ჩამოგვართვა მამული, ჩვენ კი გამოგვრეკა ანგარიშ-გაუსწორებლათ.

ბევრი გლეხი ჩივის, რომ გადასახადი უწესოთ იყო გაწერილი და ეს განგებ მოიმოქმედეს ზოგიერთ პირებმა, რათა რაც შეიძლება მეტათ შეწუხებულიყვნენ გლეხები და შეეძულებიათ ხელისუფლებაო:

მე, ამბობს ერთი გლეხი, არავითარი საშვალება სხვა არ მქონდა გარდა ერთი უღელი კამეჩისა, ის გამაყიდვინეს გადასახადისათვის და მით მომესპო ცხოვრების საშვალებაო.

მეორე დღეს მივედით სოფელ მატანში. აქაური გლეხები ძლიერ გაბრაზებულნი არიან ჩოლოყაშვილის იქ თარეშით. ჩვენ ბევრი მსხვერპლი გავიღეთო ეკონომიურათ და ფიზიკურათ, ამბობენ გლეხები, და ეხლაც არა გვაქვს იმედი, რომ მოსვენებას მივეცემით. ამის მიზეზს ხსნიან გლეხები, რომ მათ არა ჰყოლიათ ისეთი პირები, რომლებიც მათ უბედურებას ამცნობდეს ხელისუფლებას. აღმასკომის თავმჯდომარეც კი, გლეხების სიტყვით ვერ უშოვიათ ისეთი, რომ საქმეს წესიერათ წაიყვანდეს. ჩვენ გვინდა მაგარი მოხელეები, ჩივიან გლეხები, მაგრამ სამართლიანიო, ჩვენ გვაწუხებს სოფლის უპასუხისმგებლო პირები და მათი ამლაგმველი არავინ არის. არა გვაქვს რიგიანათ მოწყობილი სკოლები, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ჩვენ სოფელს. თხოულობენ შვიდწლედს და ითხოვენ ხშირ-ხშირათ გვინახულოს მთავრობის მეთაურებმაო. აქ საქონლის ჭირი ყოფილა და 800-მდე საქონელი გაუწყვეტია, წელს მოსავალიც წამხდარა, რასაც დიდ საგონებელში ჩაუგდია გლეხობა. საჭიროა ს. მატანს, როგორც მივარდნილ კუთხეს, მიექცეს დიდი ყურადღება.

როგორც ახმეტის ისე მატანის გლეხობა ძლიერ ემადლიერებიან პარტკომის მდივანს ყაზაროვს, რომელსაც სამი თვის განმავლობაშიც კი სიყვარული დაუმსახურებია გლეხობაში თავისი პატიოსანი და სამართლიანი მოპყრობით.

მატანში არ არის საფერშლო პუნკტი. არც ახმეტში ხალხი ბევრია დაავადებული... შემდეგ ვიყავით ს. იყალთოში. მოხსენება აქაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. გლეხები ამბობენ: ჩვენ არ გვძულს ჩვენი ხელისუფლება, მაგრამ მას ძალით გვაძულებენ ზოგიერთი პირები, ზოგი მათგანი ეხლაც აქ მსახურებს, მაგ. თედო არსენაშვილი თემალმასკომის თავმჯდომარე. ეკლესიები დაცარცვეს და არ ვიცით სად წაიღეს იმდენი ოქრო ვერცხლი, თუ მთავრობას გადასცეს, ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა, მხოლოდ ვიცოდეთ სად არის ეს ამოდენა ნივთები თეთრი გიორგის და სხვა ეკლესიებიდან რომ წაიღეს. ნივთები გაიტანეს კოტე ბაჩიაშვილმა, ვალოდია ხუნდაძემ, აბესალომ თენიშვილმა და ქორიძემ. აბესალომ თენიშვილი აწუხებდა ხალხს; ვისაც $1^1/_2$ ფუთი უნდა გადაეხადა მას ხუთ ფუთს ახდევინებდა.

თელავში პარტკომთან შეთანხმებით წინდაწინ იყო შემუშავებული მარშრუტი ჩვენი მუშაობისა და წინასწარ იყვნენ შეტყობინებული ყველა თემები რა დროს უნდა მოეწვიათ კრება. ვაჩნაძიანის თემალმასკომს ვერ მიეღო ტელეფონოგრამა, ამიტომ იქ კრება ვერ შესდგა. აქედან ამოვედით წინანდალში. აქ, მიუხედავათ ტელეფონოგრამის მიღებისა, კრება არ მოეწვია თემალმასკომის თავმჯდომარეს, ეს ყველაფერიდან სჩანდა, არც მის თანაშემწეს და არც მილიციას არ სცოდნოდა კრების არაფერი, თვით აღმასკომის თავმჯდომარე სადღაც მიიმალა. კრების მოწვევა ისევ ჩვენ მოვახერხეთ ადგილობრივ პარტკომის დახმარებით. კრება აქაც კარგათ ჩატარდა, ბევრი იყო შეკითხვები. ამის შემდეგ გაუდექით გზას ახალ სოფლისაკენ 54 ვერსის სიშორეზე. გზა სულ მთის ძირს მიჰყვება, რომელიც სავსეა წყაროებით, სოფლები კი საშაგელ წყალს ხმარობენ. ეს მხარე მდიდარ მხარეთ უნდა ჩაითვალოს (შედარებით დასავლეთ საქართველოსთან), რას იმოქმედებ ადამიანი, რომ შრომის ნაყოფი არ მიიღო ერთი ორათ, მაგრამ ხალხი მაინც ღარიბათ ცხოვრობს, ამის მიზეზი პირწავარდნილი უკულტურობაა, რომლის დამამტკიცებელი თუნდ ის უდიცნელებია, რომლებიც სულ ახლად გადმოსახლებულან აქ და მშვენიერათ მოუწყვიათ თავის ცხოვრება. სახლები სუფთა და კოხტა დაგეგმილ ქუჩებით. მითხრეს: უდიცნელებიო 48% ინტელიგენტები არიანო, მაგრამ ისინი კი არ გაურბიან სოფელს, არამედ სოფელს ახმარებენ თავის ცოდნა-გამოცდილებას და მით ამშვენიერებენ თავის მოძმე გლეხების ცხოვრებას. ამათ მაინც წაბაძავდეს კახეთის ინტელიგენცია, რომელთა რიცხვი არც ასე მცირეა კახეთის მოსახლეობაში. ახალ სოფელში კრება საღამოს შესდგა, ხალხი ბლომათ დაესწრო. მოხსენებამ მომენტზე და აგვისტოს გამოსვლების შესახებ გასტანა სამი საათი. იყო ბევრი შეკითხვები და კამათიც. მოხსენებით კმაყოფილებმა გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუცია. აქაც გლეხები ჩივიან, რომ გადასახადს გვაწერავდნენ არა შეძლებისდაგვარად, არამედ ისე ვისაც როგორ მიკერძავდნენ. ვისაც არ შეეძლო მას მეტს ახდევინებდნენ, ბევრს ყველაფერი გააყიდვინეს გადასახადში. გადასახადის დიდი სიმძიმე მხოლოდ უღა-

რიბეს გლეხობას დააწვა კისერზე. სუყველას ამას ჩადიოდა ალმასკომის თავმჯდომარე ალექსანდრე ჯაბაშვილი. ეს ჯაბაშვილი ხალხს ატუსაღებდა თავლაში და გამოუშვებდა მხოლოდ მაშინ როცა ვინმე შეიტანდა მის წინ გადასახადს. კოოპერატივის საქმე კარგად მიდისო, ამბობენ გლეხები, მხოლოდ ის ყიდულობს გლეხებისაგან ფუთ პურს 90 კაპ. ჩვენ კი, ვისაც პური არ მოგვივიდა წელს, 1 მან. და 20 კაპ. გვახდევინებს ერთ ფუთშიო. აქ ორგანიზაციები ვერ დგანან თავის დონეზე, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ელექტრონის ბოძები ზედ მავთულებით მზნთ არის, მატორი მოუტანიათ ვიღაც აფერისტის საშვალებით, მაგრამ არ მოქმედობს, რადგან არ გამომდგარა. მავთულები ბევრ ეზოებში ყოფილა გაყვანილი და ეხლა სულ ჩამოუგლეჯიათ, და გაუფლანგავთ, წყალი ახლოს არის და ვერ გამოუყვანიათ თუმცა ბევრჯერ ყოფილა ამისათვის მოკრეფილი გლეხებში ფული.

აქედან წავედით ყვარელში, მაგრამ თითქმის მთელი ყვარელის მოსახლეობა თავის ორგანოებით ენისელში წასულიყო სადღეობოთ და ამიტომ აქ კრება არ შედგა; გავეშურეთ ნაფარეულში. აქ დიდი კრება შესდგა და მოხსენებით ხალხი ძრიელ დაინტერესდა.

გლეხები აქაც ჩივიან უკანონობაზე, რომელსაც ჩადიოდნენ ადგილობრივი მოხელეები. მიწების განაწილება მოხდა უწესოთო: კაი მიწები კულაკებმა ჩაიგდეს ხელში სხვადასხვა პიროვნებების დახმარებით და თხოულობენ მოწესრიგდეს ეს საკითხიო.

აქაც ჩივიან რომ ულარიბეს გლეხობას მეტ გადასახადს ახდევინებდნენ მდიდრებზედო. როდესაც ვეკითხებოდით, რათ შვრებით ამას? მაშინვე სარდაფებში გვერეკებოდნენ და გვეუბნებოდნენ ასეთი ბრძანება არისო. მოითხოვენ გამოიძიოს მთავრობამ ეს და სასტიკათ დასაჯოს ყველა ის, ვინც გვაძულებდა ძალით მთავრობასო.

ამ რიგათ უნდა ითქვას, რომ თუ რამე გაუგებრობას ქონდა ადგილი კახელ გლეხობაშა, ამაში დანაშაული მიუძღვის ადგილობრივ ხელისუფლებასაც, რომელსაც ნებით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყვია ყველა იმ დემაგოგებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ გლეხებსა და ხელისუფლებას შორის ყოფილიყო გამწვავება, ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა ამ ვაჟბატონებსაც აეწიოს ყური.

ლ. კუპრაშვილი.

# კორესპონდენცია

## ს. მამათი

(გურია)

ა/წ. 13 სექტემბერს შესდგა მამათის თემის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა კრება ო. ღლონტის თავმჯდომარეობით. მოხსენება გააკეთა ოზურგეთის სამაზრო ქვეკომისიის დავალებით ამხ. ი. ჩხაიძემ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. თავის მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ მენშევიკური გზით სვლა შეუძლებელია მუშათა კლასის გამარჯვებისათვის. მენშევიკურმა ტაქტიკამ დაგვაყენა უტყუარი ფაქტის წინაშე, რომ ჩვენი ძველი გზა უარყოფილ უნდა იქნას, რიგორც მავნე, ვინაიდან ის იყო დაკავშირებული და დამორჩილებული თავად-აზნაურების და ბურჟუაზიის ინტერესებთან, და ამან მიგვიყვანა აგვისტოს სისხლის მღვრელ ავანტიურამდე. ამხანაგმა აღნიშნა აგრეთვე, რომ არალეგალური ბრძოლა მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ არის ღალატი მუშათა კლასის ინტერესებისადმი და ამიტომ უნდა დავგმოთ ყოველივე არალეგალური მუშაობა. რათა შევინარჩუნოთ ბრწყინვალე რევოლიუციის მონაპოვარი... კრებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოსთქვა დიდი საყვედური იმ გაქცეულ ბელადებზე, რომლებმაც მრავალხელ მიგვცეს სიხე-სატანჯველს და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ვიზიარებთ რა თბილისის მუშების 7-8 ოქტომბრის კრებაზე გამოტანილ რეზოლიუციას, ამიერიდან ვგმობთ არალეგალურ მუშაობას და საჭიროდ ვსცნობთ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას ეკონომიურ და კულტურულ მუშაობაში“.

კრების დასასრულს არჩეულ იქნა სამ. ქვეკომისიის რწმუნებულებათ: ამხ. ს. გ. ხელაძე და დ. ა. კილაძე.

კრების მონდობილობით

თავჯდომარე ო. ღლონტი.

მდივანი გ. ხელაძე.

## სოფ. ნიგვზიანი

(გურია)

5 სექტემბერს შესდგა ნიგვზიანის თემში ყოფილ მენშევიკთა კრება მიხა აფხაზავას თავმჯდომარეობით. კრებაზე მივლინებული იქმნა ოზურ. ყოფ. მენშევიკთა სამაზრო ქვეკომისიის თავმჯდომარე ამხ. ჩხაიძე, რომელმაც გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მენშევიკური გზით სვლა შეუძლებელია მუშათა კლასის გამარჯვებისათვის. მენშევიკურმა ტაქტიკამ დაგვაყენა უტყუარი ფაქტის წინაშე, რომ ჩვენი ძველი გზა უარყოფილი უნდა იქნას, როგორც მავნე, ვინაიდან ის იყო დაკავშირებული თავადაზნაურების და ბურჟუაზიის ინტერესებთან და ამან მიგვიყვანა აგვისტოს ავანტიურამდე. ამხანაგმა აღნიშნა აგრეთვე, რომ არალეგალური ბრძოლა მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ არის ღალატი მუშათა კლასის ინტერესებისადმი და ამიტომ უნდა დავგმოთ ყოველივე არალეგალური მუშაობა, რათა შევინარჩუნოთ ბრწყინვალე რევოლიუციის მოპოვებული... კრებამ აზრთა გაცვ-

ლა-გამოცვლის შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ ყოფილი მენშევიკები ვსდგებით კომინტერნის პლატფორმაზედ ჩვენი შეგნებით და ვცდილობთ ხელი შეუწყოთ მუშურ-გლეხურ მთავრობის გამტკიცებას, ამისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დავეხმაროთ მას როგორც სიტყვით, ისე საქმით ყოველივე კულტურულ აღმშენებლობით დარგში, ვგმობთ ყველა არალეგალურ ორგანიზმებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგს და მოუწოდებთ ყველა ყოფილ მენშევიკებს ჩამოდგენ ჩვენ რიგებში, მტკიცეთ დადგენ მესამე კომინტერნის პლატფორმაზედ. გაუმარჯოს მუშათა კომისიას და უსურვებთ მომავალში ნაყოფიერ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან.

კრების მინდობილობით. თავმჯ. გ. აფხაზავა.

მდივანი: ქ. აფხაზავა.

---

## ღირსეულ მუშას ღირსეულად აფასებენ მუშები

თელავის „ეპოს" განყოფილების წითელ სახელოსნო"-ს ადგილკომის და სამაზრო მეტყავეთა კავშირის განყოფილების გამგეობის გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა, გადაუხადოს 25 სექტემბერს 45 წლის იუბილეი დაქირავებული შრომის მუშაკს ამხ. ალექსი მესხიშვილს.

ამხ. ალექსი მესხიშვილი დაიბადა ქ. თელავში 1864 წელში, მას მამა ღარიბი ყვანდა, ხელობით მჭედელი. როცა ამხ. მესხიშვილი გამხდარა ათი წლის მამა მოკდომია მას და შემდეგ პატარა ალექსი იძულებული გამხდარა დამდგარიყო ერთ მეჩექმესთან შეგირდათ და იმ დღიდან მოყოლებული დღემდის ეწევა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას.

ამხ. ალექსი არის უპარტიო, მაგრამ მას საკმაოთ იცნობენ თბილისის მეჩექმეთა დარგის მუშები როგორც პატიოსანს და კეთილ კაცს. უკანასკნელ წლებამდის ის მუშაობდა თბილისში, პლეხანოვის პროსპექტზე, მოქ. მიცმახერის ქარხანაში და სხვაგან.

ამჟამათ ამხ. მესხიშვილი მუშაობს თელავის „ეპოს" განყოფილების წითელ სახელოსნო"-ში და მუშებში დიდი სიყვარული და პატივის ცემა აქვს დამსახურებული. ამასთანავე ამხ. მესხიშვილი არის „წითელი სახელოსნო"-ს ადგილკომის წევრი, კავშირშია 1917 წლიდგან, დაზღვეულია 1921 წლიდგან. თვითმპყრობელობის ხელში ამხ. ალექსი იღებდა მონაწილეობას არალეგალურ პროფკავშირების მუშაობაში.

აი დღეს, პირველად მთელ თელავის მაზრაში უხდით იუბილეს თავისი 45 წლის უმწიკვლო შრომისთვის ამხ. მესხიშვილს თავისი ამხ. მუშები.

იყავ ბედნიერი, ამხ. ალექსი, მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე! დეე, დაინახონ იმ ვაჟბატონებმა, რომლებიც კბილებს ილესავენ საბჭოთა წყობილების წინაღმდეგ, დაინახონ თავისი ბრმა თვალებით, თუ როგორ აფასებენ ყველა მუშის შრომას საბჭოთა კავშირში განურჩევლად პარტიისა. ჩვენ არ დავტოვებთ არც ერთ ღირსეულ მუშას, რომ თავისი შრომა არ დაუფასოთ.

კ. ცერცვაძე.

---

### პასუხი მოეთხოვოს უღირს მუშას!

14 სექტემბერს თელავის კომუნალურ მეურნეობის ერთ-ერთ მოსამსახურემ, სახელდობრ აკოფოვმა, მიიღო საექიმო დახმარება ახტალაზე წასასვლელათ 58 მანეთი.

მაგრამ ვაჟბატონმა ექიმობის ნაცვლად იშოვა თავის მგზავსი „ძმა ბიჭები" ჩასხდენ „ლილეინკაში" და მთელი დღე იქეიფეს.

მეორე დღეს ეკითხება ერთი ამხანაგთაგანი, რათ შეჭამე საექიმო ფული ლოთობაში და გარყვნილებაში?

ბ. აკოფოვმა ასეთი პასუხი გასცა: „ფული როცა მომცეს, რასაც მინდოდა იმას ვიზამდი".

ასეთი საქციელი ყოვლათ შეუძლებელია· აუცილებლად უნდა დაისაჯოს ბ. აკოფოვი.

მას მარტო კავშირიდგან გარიცხვა არ ეყოფა ის: უთოოდ პასუხის გებაში უნდა მიეცეს, რომ ასეთი შეუწყნარებელი საქციელი მეორემ არ გაბედოს. ის უნდა გაასამართლოს გაერთიანებულმა პროფკავშირების ამხანაგურმა სასამართლომ, როგორც სახალხო ფულების გამფლანგველი.

შორს ჩვენგან ასეთი უღირსი მუშები.

ტანჯული მუშა

თელავის მუშათა ქვეკომისის წევრი

კოტე ცერცვაძე.

---

## უნდა ალაგმონ სოფლის მახინჯი „მეთაურები".

(თელავის მაზრის პროკურორის. საყურადღებოთ.)

## ს. შრომა.

რომ იტყვიან „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესიაო„, სწორეთ ს. შრომაზეა ეს თქმულება ზედ გამოჭრილი.

რა ხალხია ს. შრომის აღმასკომში, კოპერატივში. და სხვაგან თავმოყრილი? 25 აგვისტოს თელავის პარტკომის პ/მ. მდივნის ამხ. კარიპაურის წინადადებით გადაეცა ყველა რაიონებს ტელეფონოგრამა, რომ მოდის თბილისის მუშათა კომისიის წევრი და გააკეთებს მოხსენებას. 26 მივედით ს. შრომაში. იქ დაგვიხვდა მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარის ამხანაგი. ამათ გვითხრეს: დღეს სამუშაოზეა ყველა წასული და ძნელი იქნება მათი, დაძახება, კვირა დილით ჩამოდით და ხალხი მზათ მეყოლებაო. ჩვენც დავეთანხმეთ. თელავის მაზრის ქვეკომისიის წევრი, მივიდა აღმასკომში, მაგრამ აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი ამბობენ: საღამოთი გვაქვს წარმოდგენა, სადაც აუარებელი გლეხობა დაესწრობა და იქ გააკეთე მოხსენებაო. ქვე-კომისის წევრს მოეწონა ეს აზრი და დათანხმდა.

მაგრამ მიდის დრო, ხალხი გროვდება. თავმჯდომარე კი არსად ჩანს. შემდეგ ეკითხებიან საქმის მდგომარეობას თავმჯდომარეს, მოქ. ვ. მეგრელიშვილი უპასუხებს, მას არა-

ფერი გაუგია, არავის არაფერი უთქვამთ ამის შესახებ, მართალია მივიღე ტელეფონოგრამა, მაგრამ დამავიწყდა, წარმოდგენის დროს კი შეუძლებელია მოხსენების გაკეთება და იძლევა პირობას, რომ ორშაბათს, 31 აგვისტოს მოიწვევს გლეხებს და გააკეთებს მოხსენებას. ორშაბათს მომხსენებელი ელოდება თითქმის საღამომდის მოქ. მეგრელიშვილს, მაგრამ ის არსად ჩანს, როგორც გამოირკვა, დამალულა და თანაც უთქვამს: მაგას კრებას როგორ მოუწვევ მენშევიკიაო.

აი ასეთი ხალხის მოამაგეები ყავს დღეს სოფელ შრომას სათავეში, ქვეკომისიის წევრმა მაინც მოახერხა გლეხებთან ლაპარაკი, გაიგო შემდეგი: თურმე მოქ. მეგრელიშვილს ვერ ქონია გლეხებში კარგათ საქმე.

მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ ს. შრომაში აგვისტოს გამოსვლების დროს ჩამოართვეს მამული და სახლკარი თავად-აზნაურობას, ჩამორთმეულ სახლებში ჩააყენეს უსახლკარო გლეხები. მაგრამ მოქ. ვ. მეგრელიშვილს ძალიან ყვარებია ლამაზი ქალები და მათი ეშხით გლეხები გამოურეკია სახლებიდან, ლამაზი და „მოწყალე“ ქალები ჩაუსახლებია, ამის შემდეგ რა სიმპატია ექნება ხალხის თვალში ამისთანა თავჯდომარეს? თავის თავად ცხადია ცუდი. გლეხი ასე ფიქრობს თუ სოფლის მეთაური კარგია მთავრობაც კარგი იქნება და თუ არ ვარგა სოფლის მეთაური, მაშასადამე მთავრობაც არ ვარგა.

აი ასეთი „მეთაურების“ მოქმედება სახელს უფუჭებს საბჭოთა ხელისუფლებას გლეხების თვალში.

ამისათვის საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება და გამოძიების დანიშვნა, რათა ასეთმა სოფლის „ხელმძღვანელებმა“ ღირსეული პასუხი მიიღონ.

მეორე, ამ ორი თვის წინათ ს. შრომაში სამკითხველოს გამგეთ ყოფილა მარგო გურგენიძე, რომელიც ეხლა თბილისში გაგზავნეს კურსებზე. მისულა ადგილკომის მდივანთან, პაპუაშვილთან (კოოპერატივის მოანგარიშეა.) თავის ჯამაგირზე და პაპუაშვილს უთქვამს: ფულს გამოგიწერ, თუ მაკოცნინებო.

ამისათვის ხსენებულ სამკითხველოს გამგეს აღუძრავს საჩივარი, მაგრამ რაღაც მანქანებით საქმე მიუფუჩეჩებიათ.

მესამე. ერთი თვის წინათ ხსენებულ სამკითხველოს გამგეთ დაუნიშნავთ ელენე ცერცვაძისა. ხსენებული ცერცვაძისა არის მომზადებული ქალი და მასთან ზედმიწევნით პატიოსანი. ცერცვაძისა ვამხდარა ავათ და მისულა კოოპერატივის გამგეობაში ტალონის მისაღებად, რადგან დამზღვევ სალაროს წიგნაკი არ ქონია მიღებული. გამგეობის ოთახში ყოფილან რუსიევი, პაპუაშვილი, და ერთიც სხვა.

მოქ. პაპუაშვილმა იმის მაგიერ რომ შეასრულოს თავისი მოვალეობა და ავადმყოფ მოსამსახურეს მისცეს ტალონი, ეუბნება, ფერშალი ჩვენთან არის, შემოდი ოთახში გაგშინჯავს და მორჩებიო. განა ამის შემდეგ ეს ვაჟბატონები ღირსი არიან რომ საბჭოთა დაწესებულებაში მსახურობდეს?

მეოთხე. 30 აგვისტოს წარმოდგენის შემდეგ ეს ვაჟბატონები სხვა სცენის მოყვარეებთან ერთად მართავენ ვახშამს მოაქვთ გლეხკომის ღვინო, ყავთ მუსიკა და დოლი, თამადათ არჩეულია ადგილობრივი აფთიაქის პროვიზორი და გათენებამდის დროს ატარებენ“.

ეხლა ერთი მითხარით, როგორი თვალით შეხედავს გლეხკაცობა ამისთანა სოფლის „გამანათლებელს“?

ამისთანა მაგალითები ბევრია. საჭიროა დაინიშნოს სასწრაფო გამოძიება და დამნაშავენი იქმნენ მიცემული პასუხის გებაში.

**ტანჯული მუშა.**

---

## დაიხსენით ავადმყოფები ლოთებისაგან!

(თელავის სამაზრო ალმასკომის საყურადღებოთ).

ახირებული ქალაქია თელავი. ნაბიჯს ვერ გადადგამ ისე, რომ სამიკიტნოს არ წააწყდე. აქ რვა საათის სამუშავო დღე მიკიტნების სასარგებლოთ არის შემოღებული. სახელოსნოები იღება დილის 7—საათზე და იკეტება 4—საათზე, ეს კარგია რა თქმა უნდა. ჩვენ, მუშები, რვა საათის მუშაობის განხორციელებისათვის ვიბრძოდით თვითმპყრობელობის დროს და ეხლა ჩვენი სისხლით მონაპოვარი უნდა დავიცვათ. მაგრამ აქ ერთი გარემოება გვიშლის ხელს: სწორეთ როცა მუშები ათავებენ მუშაობას სამიკიტნოები ღიაა, ღიაა დილიდგან დაწყებული ღამის 1 საათამდის, და იკეტება თუ არა ბაზარი, ხელოსნები და მუშები მიდიან სამიკიტნოში დროს „გასატარებლად“.

თელავში არავითარი კულტურული გასართობი არაა. მართალია, არის მუშათა კლუბი და სახალხო სახლი, მაგრამ რა გამოვიდა, მუშათა კლუბი ჯერჯერობით არ არის მოწყობილი ისე, როგორც შეეფერება მუშათა კლუბს. თუმცა იმართება იაფ-ფასიანი წარმოდგენები, მაგრამ მარტო წარმოდგენები, ვერ დააკმაყოფილებს მუშებს, აქ უნდა იყოს სხვადასხვა გასართობები როგორც შეფერის მუშათა კლუბს. კლუბის გამგეობა დიდი ხანია შეუდგა კლუბის სათანადო მოწყობას, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია გაკეთებული. კარგი იქნება თუ რომ დააჩქარებდენ კლუბის მოწყობას.

ამას გარდა, აქ გაზაფხულზე საავადმყოფოს დაბლა ბაღში, რომელსაც ეწოდება (ჰანდარი), საზაფხულო რესტორანი გახსნეს, სადაც მთელი ღამე სხვადასხვა დამკვრელების გრიალია და ლოთი-ფოთების ღრიალი მოსვენებას არ აძლევს ავადმყოფებს. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ხანდისხან „მეთაურებიც“ კი ქეიფობენ.

ალმასკომო და ჯანმრთელობის ინსპექტორო, მიაქციე ამას ყურადღება! მოსპე საავადმყოფოს ახლოს სამიკიტნო!

**ტანჯული მუშა.**

# თბილისში მცხოვრებ მეგრელ მოქალაქეთა კრება

23 სექტემბერს, რუსთაველის თეატრში შესდგა თბილისში მცხოვრებ მეგრელ მოქალაქეთა კრება.

კრება გახსნა გიორგი ჟორდანიამ, რომელმაც აღნიშნა კრების მიზანი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თედო სახოკია (თავმჯდომარეთ), აკაკი ფაღავა, დ. თოფურიძე, პატარაია ა. თოდუა. პრეზიდიუმის საპატიო წევრად—ა. გეგეჭკორი, მოხსენებებით გამოვიდა: თ. სახოკია. დ. თოფურიძე. სიტყვები წარმოსთქვეს: კ. გამსახურდიამ, პატარაიამ, ა. ფაღავამ და სხვებმა, რომლის შემდეგ მიღებულ იქნა ქვემოთ მოყვანილი რეზოლიუცია:

## რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

„1925 წ. სექტემბრის 23-ს თბილისში მცხოვრებ სამეგრელოს მკვიდრთა საზოგადო კრებამ იქონია მსჯელობა ერთი ჯგუფის გამოსვლის შესახებ, რომელმაც განიზრახა დღევანდელ პირობებში ბნელი საქმის განხორციელება, რაც თავის დროზე ვერ შესძლო რომანოვების რუსეთმა. კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს არის გაგრძელება იმპერიალისტური რუსეთის გამთიშავი პოლიტიკისა, რაც მიმართული იყო ქართული ეროვნული ოჯახის დაქსაქსვისა და საქართველოს, როგორც მთლიანი ეროვნული ერთეულის მოსპობისაკენ.

ამ ბნელ პოლიტიკანებს არავითარი—არც ზნეობრივი, არც იურიდიული, არც პოლიტიკური—უფლება არა აქვთ ილაპარაკონ სამეგრელოს სახელით.

სამეგრელო, ათასეული წლების ისტორიული წარსულით, ენით, კულტურით და სისხლით დაკავშირებული საქართველოს დანარჩენ ნაწილებთა, წარმოადგენს მთლიან საქართველოს განუყრელ ნაწილს.

სამეგრელოში წარსულშიაც იყო ასეთივე ცდა რუსიფიკაციის მოციქულთა—იანოვსკი-ვოსტორგოვი-ლევიცკისა და მათი მოსყიდული ლაქიებისა, მაგრამ ხალხმა თავზე გადაახია თვითმპყრობელობის აგენტებს იმპერატორისაგან ბოძებული მეგრული სიტყვებით და რუსული ასოებით დაბეჭდილი მანიფესტი, ზიზღით უკუაგდო რუსული ასოებით შედგენილი წიგნები, ბოიკოტი გამოუცხადა რუსულ წირვა-ლოცვას და ალაგმა არამკითხე პირისუფლები.

დღესაც, როდესაც გაერთიანებული ქართველი ერი პროგრესისა და კულტურული აღორძინებისაკენ მიისწრაფვის, ეს არამკითხე პირისუფალნი სცდილობენ ერთსულოვან მოძრაობიდან გამოთიშონ სამეგრელოს მშრომელი მასა. ჩვენ, საქართველოს დედა-ქალაქში მცხოვრებნი სამეგრელოს მკვიდრნი—მასწავლებელნი, ინჟინერები, მწერლები, საბჭოთა მოსამსახურენი, მოსწავლე ახალგაზრდობა, მუშები, ხელოსნები ვგმობთ წითელ ქურქში გახვეულ შავრაზმელების ცდას საქართველოს მთლიანი სხეულის დაქუცმაცებისას.

როგორც მრავალი საუკუნეების მანძილზე, ისე მერმისშიაც სამეგრელოს მშრომელი მასა მთელ საქართველოსთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლის და ვერავითარი ბნელი ინტრიგები ვერ ჩაშლიან ქართველი ერის ათასეული წლობით განმტკიცებულ კულტურულ-ეკონომიურ-პოლიტიკურ მთლიანობას.

სამეგრელოს მკვიდრთა საერთო კრება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან მიღებული იქნეს სასტიკი ზომები ასეთ უმზგავსო შავრაზმული მოვლენის ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად“.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
ჯ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

ყოფილ პოლიტ-კატორღელთა არტელი „შრომა“.
აცხადებს ყველა სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივი დაწესებულების საყურადღებოთ, რომ პლეხანოვის ქ. № 111 მოთავსებულია
არტელის სამკერვალო-სახელოსნო,
სადაც მიიღება ყოველგვარი სპეც-ტანისამოსების დ აგრეთვე კაცების, ქალების დ ბავშვების საკერავები
ფასები მეტად ხელმისაწდომია.

პოლიტ-პატიმრელთა საზოგადოების წიგნისა და საკანცელარიო ნივთების
ლენინის ქუჩა № 3. მ ა ღ ა ზ ი ა ლენინის ქუჩა № 3.
იყიდება მეტად შეღავათიან ფასებში
ყოვ ლგვარი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები:
სახელმძღვანელოები, ელექტრონისტიკა, სოციოლოგია, პოლიტიკური ეკონომია დ სხ.,
რვეულები, კალმები, ქაღალდი, ფანქარი, ფერადები, მელანი და
ყოველგვარი სკოლებში სახმარი ნივთები.

მთავლიტი № 1401 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

პარასკევი 9 ოქტომბერი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8—2 საათამდე | № 36

## ახალი გზის წლის თავი

როდესაც მენშევიკურმა მთავრობამ პირი ევროპისაკენა ქნა, მან ქართველი ერის საგრძნობი ნაწილის იმედები თან გაიყოლა.

არ ვიცით, რას ფიქრობდა თვითონ ყოფილი მთავრობა; არ ვიცით რამდენად გულწრფელი იყო მისი იმედები პარიზში, ვიცით მხოლოდ ის, რომ მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იყო ევროპისაკენ, მთელი ჩვენი პოლიტიკური არსებობა ოთხი წლის განმავლობაში ამ იმედებში გამოიხატებოდა.

1921 წლიდან მოყოლებული 1924 წლის აგვისტომდის ევროპაში არ მომხდარა პატარა მნიშვნელობის საერთაშორისო აქტიც კი, რომ ჩვენი იმედები არ გაცხოველებულიყო. მთელი ოთხი წლის განმავლობაში სულის წონასწორობა გვქონდა დაკარგული, გალიუცინაციებით ვიყავით შეპყრობილი. საჭირო იყო უცხოელი გემი გამოჩენილიყო ბათუმთან, პოლონეთის ჰაეროპლანი განზრახ თუ შეცდომით გადმოსცილებოდა რუსეთის საზღვრებს, ან რომელიმე კომუნისტი დაეტყვევებინათ სტამბოლში და ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტით მიემართა ჩიჩერინისათვის, რომ ჩურჩული შეგვექნა და დიდი ამბების მოლოდინი დაგვსახოდა.. გენუის და ლოზანას კონფერენციები, კერზონის ულტიმატუმი, შემდეგ მაკდონალდის მთავრობა, საბჭოთა სავაჭრო საწარმომადგენლოზე თავდასხმა ბერლინში და სხვა ამისთანა დიდი აქტები ხო პირდაპირ ჭკვაზე გვრევდენ სიხარულით,—გვეგონა, ჩვენს იმედებს ფრთები ესხმებოდა. ამ იმედებს ყოფილი მთავრობა აღვივებდა.

როგორც განრისხული აგასური, ჩვენც ოთხი წლის მანძილზე გულხელდაკრეფილი ვახეტიალეთ ჩვენი გრძნობა-გონება ევროპის მთავრობების კარებებზე. ოთხი წლის მანძილი დიდი არ არის ნორმალურ პირობებში, მაგრამ რევოლიუციის ხანაში თითო წელი ათეულ წლეებს უდრისო, ამბობენ ჭკვიანი კაცები. მაშ თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე უსარგებლოდ დაგვიკარგავს. ამავე დროს განუსაზღვრელი მუშაობა ვაწარმოვეთ, უზომო ენერგია დავხარჯეთ, აურაცხელი ქონება გავფლანგეთ და საუკეთესო შვილები შევსწირეთ.

თითქოს გარკვეული იყო მიზანი ჩვენი ბრძოლისა; თითქოს საგანი ხელისუფლებასთან უთანხმოებას ეხებოდა საარსებო საკითხს—საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რასაც უნდა გაემართლებინა ჩვენი ბრძოლა. ვის რა უნდა ჰქონოდა ჩვენდამი სასაყვედურო, როდესაც ეროვნულ დამოუკიდებლობას ვიცავდით და სოციალიზმის იდეიასაც არ ვღალატობდით!? ეს ორი იდეალი შეადგენს ფუძეს კომუნისტური პროგრამის და საბჭოთა კონსტიტუციისას. მაშ რამ შექმნა ჩვენ შორის ასეთი უფსკრული? ჩვენმა შეურაცყოფილმა თავმოყვარეობამ და ქართულმა ჯიუტობამ. თავმოყვარეობა პოლიტიკაში ძალიან სუსტი მოტივია, ჯიუტობა კი პატარა ერის ცხოვრებაში აშკარა დამღუპველი.

უსათუოდ ბევრი შეცდომები დაუშვით თავიდანვე, და უმთავრესი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ვერ შევსძელით საერთო ენი გამოგვენახა საბჭოთა ხელისუფლებასთან, ვერ დავადექით რეალურ პოლიტიკის გზას: ეს კი ადვილად მოსახერხებელი იყო, ვინაიდან ბოლშევიკები იგივე სოციალისტები არიან და ერის დამოუკიდებლობა სწამთ. მორიგების მაგიერ ჩვენ პატარა ერმა, მახვილს ვსტაცეთ ხელი და შეუტიეთ დიდ რუსეთს.

რასაკვირველია, ვერც ხელისუფლება ჰპოვებს თავის ტაქტიკის გამართლებას. იმანაც ძალით მოახდინა საქართველოს გასაბჭოება და სწორედ ამ ძალადობამ გათხარა ჩვენ შორის უფსკრული.

ის, რაც მიზანშეწონილი და დასაშვებია სხვა ერების მიმართ, საქართველოში არ გამოდგება. ძალამ შეიძლება ჩვენში შექმნას სიყვარული, მაგრამ ძალადობით ქართველებს ვერ შეირიგებ.

სწორედ ამიტომ ურჩევდა წინდახედული ლენინი ქართველ კომუნისტებს მშვიდობიანად მორიგებოდენ მენშევიკურ ბელადებს და ინტელიგენციას და აფრთხილებდა რეპრესიებისაგან, აფრთხილებდა არ გაემეორებინათ რუსეთის შეცდომები.

უეჭველია ამ გარემოებამ დახაზა ის მრუდე გზა რომელსაც ქართველი მენშევიკები შეცდომით გაჰყვენ

ეს შეცდომა დანაშაულად ეთვლება მენშევიკურ პარტიას. რათა და იმიტომ, რომ ის იყო არა მარტო ქართველი მუშათა კლასის ერთი პოლიტიკური მიმდინარეობათაგანი, არამედ ერის ხელმძღვანელიც და ხელისუფლების პარტიაც. მაშ მას ვიწრო პარტიული ბრძოლა კი არ უნდა ეწარმოებინა, არამედ თვისი მდგომარეობით მოვალე იყო სალ, რეალურ პოლიტიკას დასდგომოდა და მორიგებით გაეთავებინა საქმე. ეს მან ვერ შეასრულა, არც სურდა მისი შესრულება და აგვისტოს უბედურება თავს დაგვატეხა.

აგვისტო შეცდომა იყო, მაგრამ ამ შეცდომამ დაგვანახვა სწორი გზა.

მენშევიკურ პარტიის ლიდერებმა ვერ მონახეს სწორი გზა. ეს შესძლო საქართველოს მუშათა კლასის მენშევიკურმა ნაწილმა. წარსული წლის 8 ოქტომბერს მან სთქვა თავისი გადამჭრელი, შემარიგებელი სიტყვა. კმარა ძმათა შორის უთანხმოება, გაუმარჯოს ჩვენს ერთობას!

ზავი საიმედო და მკვრივი ხდება, მაშინ, როდესაც მოპირდაპირეთ გულწრფელად შეიგნეს თავისი შეცდომები და აღიარეს მათი შესწორების საჭიროება. ასე მოიქცენ მენშევიკი მუშები, გლეხები და ინტელიგენცია. მათ შეიგნეს, რომ საბჭოთა კონსტიტუცია და კომუნისტური პროგრამა არამც თუ საშიშია საქართველოს მშრომელი ხალხისთვის, არამედ ფრიად სასარგებლო და სახეირო. მხოლოდ საჭიროა საბჭოთა კონსტიტუციის ცნობა, მის ნიადაგზე ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.

მეორეს მხრივ თვით ხელისუფლება უარს არ ჰყოფს თავის შეცდომებს თუ ნაკლს და მოუწოდებს ყველას ამოუდგეს მას გვერდში და დაეხმაროს შეცდომების თავიდან აცილებაში.

თუ აქნობამდის არსებობს საგანგებო ზომები, რეპრესიები; თუ კონსტიტუცია სავსებით არა ტარდება ცხოვრებაში—ამის მიზეზი ჩვენცა ვართ. საომარი მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ზომებს, კონსტიტუციის შეზღუდვას. დამყარდება ნორმალური მდგომარეობა, შეიცვლება პოლიტიკური და ადმინისტრაციული პირობებიც. ამაში ღრმად დაარწმუნა „მუშათა კომისია“ ერთი წლის ცდამ.

„მუშათა კომისია“ თავისუფლად არის არჩეული ტფილისის რკინის გზის მუშებისაგან, ამით განსხვავდება ეს კომისია ფარნიევის „სალიკვიდაციო ბიუროსაგან“. თუ ფარნიევის კრებებს, მის სალიკვიდაციო ბიუროს მენშევიკები გაურბოდენ, ან იძულებით დაიარებოდნენ იქ, „კომისიის გარშემო სრულის შეგნებით და თავისუფლად იკრიფებიან ძველი მენშევიკი მუშები. და რატომაც არ უნდა შეიკრიფნენ, როდესაც „კომისიამ“ დიდათ სასარგებლო მუშაობა ჩაატარა ერთი წლის განმავლობაში. მან 1500 კაცი გამოაშვებინა ციხეებიდან; შეარიგა ხელისუფლებასთან და დაუბრუნა თავის ოჯახებს ტყეში გავარდნილები; დააბრუნა სახლში 84 პოლიტიკური გადასახლებული; მისი შუამდგომლობით ბევრმა უმუშევარმა მუშამ თუ ინტელიგენტმა იშოვა სამუშაო; მისივე ჩვენებით ხელისუფლებამ მოხსნა თანამდებობიდან და მისცა სამართალში ულირსი ადმინისტრატორები; კომისიისვე მეოხებით მთავრობაში აღძრულია სხვადასხვა კულტურული საკითხები, რასაც სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული და სხვა. უმთავრესი კი კომისიის მუშაობაში ის არის, რომ მისმა ერთი წლის მუშაობამ უეჭველად ხელი შეუწყო მშვიდობიანობის განმტკიცებას საქართველოში.

მართალია ამ მშვიდობიანობას საფრთხეს უმზადებს ის რევოლიუცია, რომელიც ახლა ხანს მიიღო ჩვენი ემიგრაციის მენშევიკურმა ნაწილმა პარიზში, მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს არც ერთი კუთხე არ განიმეორებს აგვისტოს ავანტიურას როგორი პირობებიც არ უნდა შეიქნას ამისათვის და შეგნებულად შეებრძოლება ყველა იმათ, ვინც მოისურვებს მის ხელმეორედ გაბრიყვებას.

„მუშათა კომისიის“ მომავალი მუშაობა უნდა იყოს მიმართული იქით, რომ ძირიანად ამოვარდეს ნიადაგი ყოველგვარ უკმაყოფილებას და ავანტიურას.

ვუსურვებთ მას მომავალშიც ისეთი ნაყოფიერებით ემუშაოს, როგორც გასულ წელს.

# რა გავაკეთეთ?

ჩვენი მუშათა კლასის პოლიტიკურ აზროვნებაში იყო ფრიად კრიტიკული ხანა, როდესაც ვერ გვეთქვა ჩვენი აზრი და იძულებული შევიქენით პასიურათ დავმორჩილებოდით მას, რის წინაალმდეგ მთელი ჩვენი აზრი და გონება ილაშქრებდა. ეს იყო იმ დროს, როდესაც მუშათა ერთმა ჯგუფმა სოც.-დემ. პარტიის შიგნით ხმა აღიმაღლა აჯანყების მოწყობის წინაალმდეგ. პარტიის შიგნით ისეთი ტერორი იყო გაბატონებული, რომ ჩვენმა თავისუფალმა აზრმა ვერ შემოიკრიბა საგრძნობი ჯგუფი. ყველა გრძნობდა რომ დაღუპვისკენ მივდიოდით, მაგრამ ამის თქმა და ამ მხრით მოქმედება ეძნელებოდათ. მდგომარეობა გაართულა იმან რომ არ ვიცოდით როდის უნდა მომხდარიყო აჯანყება. რადგანაც ეს შორეულ მომავლის საკითხათ მიგვაჩნდა მაშინ კატეგორიულათ არ ვსვამდით საკითხს და უცდიდით თუ როდის შემოვიკრებდით გარშემო საგრძნობ მუშათა ჯგუფს. მაგრამ საბედისწერო ნაბიჯი გადადგმულ იქნა და აჯანყება დაიწყო. წუთიერათ ჩვენ დავიბენით, მაგრამ მაინც შევსძელით მდგომარეობის სერიოზულობა და აშკარათ ვიყვირეთ ის, რასაც ვგრძნობდით. სოც. დემ. პარტიას ჩვენ აშკარა ბრძოლა გამოუცხადეთ. გამოუცხადეთ არა იმიტომ, რომ მან ტაქტიურათ უდროოთ მოაწყო აჯანყება, არამედ იმიტომ, რომ საერთოდ აჯანყება მუშათა კლასის დამღუპველ საქმეთ მიგვაჩნდა. რა გვქონდა გასაყოფი ქართველ მუშებს, რომ ერთმანეთს თოფ-იარაღით დავხვედროდით? მაშინ, როდესაც რუსეთის პროლეტარიატის წინაალმდეგ ევროპის რეაქცია კბილებს ილესავდა, ამ დროს საქართველოში აჯანყების მოწყობა მუშათა კლასის საერთო ინტერესების ღალატათ მიგვაჩნდა. მაშინ, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატი საერთო ენის გამონახვას სცდილობდა, ამ დროს საქართველოს სინამდვილეში ბოლშევიკ-მენშევიკ მუშებს შორის სისხლის ღვრა არა თუ უაზროთ,

არამედ ჩვენი მუშათა კლასის განადგურებათ მიგვაჩნდა. ჩვენ არ ვსტყუვდებოდით იმაში, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებით ისარგებლებდა ევროპის იმპერიალიზმი და გ დააქცევდა ჩვენს ქვეყანას რუსეთის პროლეტარიატის საწინალმდეგო ბრძოლის ბაზათ. ჩვენ არა ნაკლებ სხვებზედ გვიყვარდა სამშობლო, მაგრამ არ შეგვეძლო მისი ინტერესებისათვის გვენაცვალებია პროლეტარული მთლიანობა. ჩვენთვის მუშებისთვის სამშობლოს დაცვა შიზ.ნი კი არ არის, არამედ ჩვენ მას ვიცავთ იმდენათ, რამდენათ მისი თავისუფლება უზრუნველყოფს ბრძოლის და ეროვნულ კულტურის წინსვლას. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოში არსებული ხელისუფლება ამ ორივე პირობას მტკიცეთ იცავდა და სწორედ ამიტომ მის წინა:ღმდეგ ბრძოლა უაზროთ მიგვაჩნდა. ამან გვაიძულა გაგვეწყვიტა კავშირი მებრძოლ შოვინიზმთან და გვერდში ამოვდგომოდით კომუნისტურ ხელისუფლებას. ჩვენი წასვლა შიშით ახსნეს, მაგრამ კატეგორიულად შემიძლია ვსთქვა, რომ პირადი გადარჩენა არც ერთ ჩვენგანს არ ამოძრავებდა. ჩვენ იმ დროს მივედით ხელისუფლებასთან, როდესაც საშიშროება მოგველოდა, მაგრამ არ შეგვშინებია. ხელისუფლებამ გაიგო ჩვენი სულისკვეთება და მიტომ ლმობიერათ მოგვეპყრა. არც ერთ ჩვენგანს განდიდების სურვილი არ ჰქონია. ჩვენ გულწრფელათ დავადექით იმ გზას, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენი მშრომელი ხალხის კეთილდღეობას.

ჩვენს გამოსვლას მუშათა კომისრის სახით მთავრობა სრულის ნდობით შეხვდა. მან ანგარიში გაუწია პროლეტარულ მასების ხმას და საშუალება მოგვცა თვალები აგვეხილა მათთვის, ვინც გაუგებრობის მსხვერპლი გახდა. ჩვენ დავეხმარეთ მთავრობას იმ მხრით, რომ მოკავშირეთ ჩვენი მუშები ამოუყენეთ გვერდით, მუშები, რომელთაც ათეული წლების რევოლიუციონური მუშაობა აქვთ უკან დატოვებული. სამაგიეროთ მთავრობამ ციხეებიდან გაანთავისუფლა გლეხობა და მუშები, რომლებიც გაუგებრობის მახვერპლნი გახდენ. ჩვენ ჩამოვიარეთ პროვინციები და ხელისუფლებას შევარიგეთ განზედ გამდგარი ხალხი. რა შედეგი მოჰყვა ხელისუფლებასთან ჩვენს მუშაობას? ის რომ დარწმუნდა რა ჩვენ მიმდევართა გულწრფელობაში, მან ხელისუფლების ორგანოებში ფართეთ მოიწოდა უპარტიო მუშები და გლეხები, გაფართოვდა მუშურ მმართველობის დემოკრატია. მშრომელი ხალხი აშკარათ ჩაება ალმშენებლობით მუშაობაში. ეს დამამტკიცებელია იმის, რომ ხალხის უმრავლესობა კეთილ განწყობილებაშია არსებულ ხელისუფლებასთან. ჩვენ სიამოვნებას გვგვრის ის, რომ ამ შერიგებაში აქტიური მონაწილეობა მივიღეთ. ეს მშვიდობიანობა უზრუნველყოფს ჩვენი მუშათა კლასის ბრწყინვალე მომავალს. ვისაც სურს მოღალატე გვიწოდოს„ მაგრამ ჩვენ ვიამაყებთ, რომ დიდი როლი ვითამაშეთ მშრომელთა მთლიან ფრონტის შექმნაში.

**მ. ძამანაშვილი.**

# ერთი წლის თავის გამო.

უკვე ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მუშათა კომისიამ დაიწყო მოქმედება. ერთი წლის წინათ ბევრისათვის გამოურკვეველი იყო, თუ რას გააკეთებდა ეს მუშათა კომისია, ბევრი ჩვენი ამხანაგი უარყოფითათ უყურებდა მას, იმ მოსაზრებით, რომ ხელისუფლება არ მოგვცემდა თავისუფალ ასპარეზს მოქმედებისას, შეუძლებელი იქნებოდა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან საერთო ენის გამონახვა, ბევრიც რყევაში იყო და სხვა.

მხოლოდ მუშათა კომისია ღრმათ იყო დარწმუნებული აღებული გზის სისწორეში და ენერგიულადაც მუშაობდა და სწამდა, რომ დღეს თუ ხვალ სხვებიც დარწმუნდებიან ამაშივე. მუშათა კომისიის მუშაობამ მოლოდინს გადააჭარბა. მას თავის მოქმედება მხოლოდ რკინის გზის ფარგლებში უნდა ეწარმოებია, მარა, ვინაიდან პროვინციაშიც ნახა დიდი გამოძახილი, იძულებული იყო მთელი საქართველოს მაშტაბით ემუშავნა. მას არ დარჩენია საქართველოში არც ერთი კუთხე შემოუვლელი და ბოლოს ბაქოსაც ეწვია. მუშათა კომისიის ხმა მთელ საქართველოს მისწვდა. ყოველგან ამ ხმამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა.

როგორც ვსთქვი, პირველათ მუშათა კომისიის მუშაობას ამხანაგები თუ საზოგადოება ალმაცერათ უყურებდა. ისინი არ იყვენ დარწმუნებული თუ ჩვენ რისიმე გაკეთებას შევძლებდით.

მარა მუშაობის შედეგებმა დაარწმუნა ურწმუნო თომებიც, რომ ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვძლებია, ბევრი რამ გავაკეთეთ ქართველი ერის საკეთილდღეოთ და მუშათა კლასის სასარგებლოთ.

ამ გარემოებამ ბევრს ურწმუნოს ქედი მოახრევინა კომისიის წინაშე, და თუ ხმა მაღლა არა, ჩუმათ მაინც ათქმევინა: „თქვენი გზა სწორი გამოდგა, თქვენ მართლები ხართ.“

მართლაც აბა გადავხედოთ კომისიის ერთი წლის მუშაობას, გავითვალისწინოთ ამ ერთი წლის წინათ როგორი მდგომარეობა იყო და როგორია დღეს? ყველაფერი ავწონ-დავწონოთ და მიუდგომელი მსჯავრი დავდოთ.

თქვენ კარგათ გახსოვთ 28 აგვისტოს ტრაღიკული დღეები, თქვენ იცით მისი საშინელი შედეგები. აგვისტოს დღეებში შავმა ღრუბლებმა მოიცვა საქართველოს პატარა არე.

ბრუნდი თუ მართალი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, ყველა ერთ სკამზე იჯდა. ყველა ეს შედეგი იყო ჩვენი უტაქტო მოქმედების, ჩვენი ხელმძღვანელების ყინიანობის, როგორც აქ საქართველოში, ისე ევროპაში. მათ ვერ გაითვალსწინეს ქართველი ხალხის განწყობილება ხელისუფლებისადმი. მათ ვერ აუღეს ალღო ცხოვრების მიმდინარეობას და ქართველი ხალხი გადაჩეხეს უფსკრულში. ხალხი ნდობით გაყვა თავის ძველ ლიდერებს, მარა ის მოტყუვდა, მან მკაცრი დამარცხება იგემა, ის შეჩერდა, შეტორტმანდა და თავის თავს ჰკითხა: საითკენ მივდივარ? ძველი გზით? ამ გზამ ხო უფსკრულში გადამაგდო!! დროა ახალი გზა მოვნახო და შევუდგე ახალ ძიებას.

მართალია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ნიადაგი იყო მომზადებული როგორც სოფელში, ისე ქალაქში ყველგან ერთგვარი რეპრესიული ზომები იყო გამეფებული, მარა ეს იყო გამოწვეული ანტისაბჭოთა პა-

რტიების მუშაობით· ისინი ემზადებოდნენ შეტევისათვის, შეიარაღებლლ აჯანყებისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ.

ხელისუფლებაც თავის მხრით ზომებს არ ზოგავდა აჯანყების ჩასაქრობად, მისი ძირიან ფესვიანად აღმოსაფხრელათ და გასანადგურებლათ. დე, პასუხი აგონ ისტორიის წინაშე აგვისტოს ავანტიურის მომწყობთ, ჩვენ კი განვაგრძობთ სიარულს ახალი გზით საერთო ფრონტის აღსადგენათ მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

პირველ ხანებში მუშათა კომისიას მრავალი დაბრკოლებები ელობებოდა წინ. იმ დროს, როდესაც ის წარმოიშვა საშინელი ხერვიულობა სუფევდა. აჯანყების შემდეგ ბუნებრივად გრძელდებოდა რეპრესიული ზომები. ციხეები გამოვსებული იყო აჯანყებაში მონაწილეთაგან და გრძელდებოდა დაპატიმრება. აჯანყება თუმცა სრულიად ჩაქრობილი იყო, მარა ხალხი კიდე ელოდა რაღაცას, მას პირი შავი ზღვისაკენ ქონდა მიქცეული. ტყეში გახიზნულები იარაღს არ ყრიდენ. საჭირო იყო ერთი უბრალო პროვოკაციული გამოსვლა, რომ საშინელი დღეები კვლავ გამეორებულიყო.

სწორეთ ამ მომენტში უხდება მუშაობა „მუშათა კომისიას“, რომლის შეძახილი ელვის სისწრაფით მიმორბის ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში. ყველანი სიხარულით ხვდებიან კომისიის შემრიგებელ სიტყვას, ძმათა შორის სისხლის ღვრის შეწყვეტას, მუშათა საერთო ფრონტის აღდგენას და სხვა.

მუშათა კომისიამ დიდი საქმე გააკეთა. მისი შუამდგომლობით ათასობით იქნა განთავისუფლებული ციხეებიდან როგორც თბილისში, ისე პროვინციებში. რამდენი ათეული და ასეული ტყეში გახიზნებულები შეარიგა მთავრობას, მრავალი არალეგალური მომუშავე მიიყვანა მთავრობასთან და მიაცემინა ლეგალური ცხოვრების უფლება და სამუშაოც აღმოუჩინა.

რამდენიმე ათეული მუშა ციმბირიდან დაუბრუნეს თავის კერას, ყველა მათგანს აღმოუჩინა როგორც ერთდროული დახმარება, ისე მოაწყო ადგილებზედ. თუ გადავავლებთ თვალს ამ ერთი წლის მუშაობას, დავინახამთ, რომ კომისიის მიერ თვით პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც ბევრი რამ არის შეტანილი. მშვიდობიანობის დამყარებამ ჩვენს კულტურულ მუშაობასაც დიდი სარგებლობა მოუტანა.

ხალხი ჩაება აღმშენებლობითი მუშაობაში; ხალხი თანდათან ერკვევა ბურუსიდგან, თანდათან სტოვებს ძველ დამღუპველ გზას და მიეშურება საბჭოთა პლატფორმისაკენ და კომუნისტური პარტიისაკენ.

თქვენ გადაავლეთ თვალი კონფერენციების, კრებების და მიტინგების მიმდინარეობას სოფლად თუ ქალაქში, ყველგან თავისუფლად, გულახდილათ ლაპარაკობენ ამა თუ იმ საკითხებზედ. კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ ამა თუ იმ პირს, კომუნისტია ის თუ უპარტიო, ყოველგვარ შიშ გარეშე ამხილებენ მის ცუდ მხარეებს, მის ცუდ საქციელს და ყოველგვარ უზნეო მოქმედებას. წინათ თუ ხალხი შებოჭვილი იყო პოლიტიკურათ, დღეს უკვე განვლო ამ ხანამ, ის უკვე სრულუფლებიან მოქალაქეთ გრძნობს თავს და გულწრფელათ მოდის ხელისუფლებასთან და თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. ყველა ამაში უსათუოდ წილი უდევს მუშათა კომისიას. მან გასდო ჩატეხილი ხიდი ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

დღეს პარტიული და უპარტიო თანასწორუფლებიანათ გრძნობენ თავს. ორივე ერთნაირათ მსჯელობენ აღმშენებლობით მუშაობაზედ, ეკონომიურ და კულტურულ ამაღლებაზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, მოსალოდნელ რეაქციის საშიშროებაზე, ქართველ ხალხის ინტერესებზედ, ქართველ ერის სოვერენიტეტზედ და სხვა.

მათ შორის განსხვავება მხოლოდ ერთია, ერთს ჯიბეში უდევს წითელი პარტიული ბილეთი, მეორეს კი არა.

მართალია მუშათა კომისიასაც ქონდა დეფექტები, მისი ორგანო „ახალი გზა“ ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, სუსტი იყო შინაარსით, მარა ამაში მეტი დანაშაულება მიუძღვის გაბუტულ ინტელიგენციას, რომელიც მუშათა კომისიის გარშემო ნაკლებათ იყრიდა თავს და მუშებს კი მეტის წერა არ შეგვეძლო.

შეიძლება ჩვენს ადგილას სხვას უფრო მეტი გაეკეთებია, მარა ჩვენ გავაკეთეთ ის, რის გაკეთებაც შეგვეძლო.

დასასრულ მოუწოდებთ ყველა იმ პირებს, რომლებიც ჩვენს გარშემო იყრიდა თავს აღებული ხაზი პირნათლათ გაატარონ ცხოვრებაში.

ყველა ჩვენთაგანი ღრმათ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ერთად ერთი გზაა, რომ ქართველი ხალხი თავისუფლათ აღორძინდეს ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად საბჭოთა ხელისუფლების გზით უნდა წავიდეს. პარლამენტარიზმისათვის ბრძოლამ თავის დრო მოჭამა, მას არ აქვს ჩვენში ნიადაგი, ის ვერ მიიყვანს მუშათა კლასს დასახულ მიზანთან.

მუშათა კლასმა შეძლო ძალაუფლების ხელში აღება, და მისი საშუალებით თავის საქმე უნდა მიიყვანოს ლოღიკურ დასკვნამდე.

მაშ გაუმარჯოს მუშათა კლასის ხელისუფლებას!

გაუმარჯოს საბჭოთა დამოუკიდებელ საქართველოს!

კ. მაჭარაძე.

# წლის თავზე

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მენშევიკ მუშების ერთმა ჯგუფმა გადასდგა გაბედული ნაბიჯი,— გააკრიტიკა თავის ახლო წარსულის ნამოქმედარი—პოლიტიკურ ასპარეზზე, შეაფასა ის სათანადოთ და დაინახა, რომ, თუ ამ გზით კიდევ განაგრძობდა სიარულს, მას მოელოდა უსახელო დაღუპვა. მან უარ ჰყო ეს გზა.

მას არც შეეძლო სხვაფრივ...

ის, ვინც ცხოვრებასთან ახლო სდგას, ამ ცხოვრების დუღილის აქტიური მონაწილეა, — უფრო მალე უღებს ალღოს ამ ცხოვრების ტენდენციებს.

ძველი გზის უარის ყოფა პოლიტიკურ მუშაკისათვის, არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთებს, შეიძლება, მოეჩვენოს.

წარმოიდგინეთ 20—30 წელი შეგნებული და დაუღალავი პარტიული მუშაობა, თავდადებული ბრძოლა თვითმპყრობელობის წინაალმდეგ და ამასთან დამატებით,

რთხი მძიმე წელი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისა!.. და განა ადვილი საქმეა ყველა ამ ნამუშევარის იოლი და სწრაფი გადაფასება!!?

ვისაც განუცდია ამხანაგების თვალების გამომეტყველება,—იმ ამხანაგების, რომლებთანაც ერთად არა ერთხელ გიყურებია სიკვდილისათვის პირის—პირ,—ის ადვილათ შეიგრძნობს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ვარდებიან ამხანაგები, როცა მათ უხდებათ „ფრონტის შეცვლა“. იმ ამხანაგებთან კავშირის გაწყვეტა, რომლებთანაც საუკეთესო ახალგაზრდობის ხანა საერთო საქმისათვის ბრძოლაში გაგიტარებია, ჯ რომლებთანაც ურთიერთობა ერთნაირ ნათესაურ გრძნობათ არის გადაქცეული—ეს მთელი ტრაგედია არის და ამის დაძლევა გულწრფელი, პატიოსანი მუშაკისათვის მართლაც და ძნელია...

ვინ არიან ის ამხანაგები, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში ამდენს ალაპარაკებენ თავის თავზე აქ და ევროპაში? ესენი არიან პირველი რაიონის მუშები; ესენი არიან ძველი რევოლიუციონერები.

ამათ გულწრფელობაში, თავდადებაში ეჭვის შეტანა არავის არ შეუძლია; ძაანაც, რომ ვინმეს უნდოდეს— ამათ ვერც შიშს, ვერც ანგარების და კარიერის მოყვარულობას ვერავინ დასწამებს.

1924 წ. 7—8 ოქტომბერს მოახდინეს საერთო კრება, აირჩიეს „მუშათა კომისია“, გამოიმუშავეს გეგმა და დაავალეს, რომ „მუშათა კომისიას“ ეს გეგმა ცხოვრებაში გაეტარებია. „მუშათა კომისიამ“ ეს დავალება შესაძლებლობის ფარგლებში პირნათლათ შეასრულა.

ტფილისის მუშები ამ შემთხვევაში არ დარჩენ მარტოდ; მათი აზრი და მიმართულება გაიზიარა დიდმა უმრავლესობამ—ძველი აქტიური მუშების და გლეხობისამ მთელ საქართველოს რესპუბლიკაში.

დღეს უკვე მუშათა კომისიის გარშემო თავს იყრის ათიათას კაცამდის.

ამოდენა ძველი მებრძოლ რევოლიუციონერების გამობმაურება—ამტკიცებს, რომ მუშათა კომისიის ხაზი და მიმართულება სწორი არის.

რა შინაარსისაა ეს მიმართულება?

ამ მიმართულებას არ შეიძლება არ გაჰყვეს საღად მოაზროვნე ადამიანი—მუშა თუ გლეხი. „მუშათა კომისია“ ამბობს: იმაზე მეტის გაკეთება ქართველი ერისათვის და კერძოთ მშრომელი ხალხისათვის, რასაც აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება ეროვნულ, კულტურულ და ეკონომიურ ფრონტებზე—არავის არ შეუძლია.

ევროპის პროლეტარიატის იმედი ახლო მომავალში ნიშნავს საერთო მდგომარეობის უცოდინარობას, რადგან ევროპის პროლეტარიატი თვით განიცდის რეაქციის თავდასხმას და მასთან ვერ მოუხერხებია ანგარიშის გასწორება და, მაშასადამე ჩვენი დახმარებისთვის მას ძალა არ შესწევს; ხოლო ევროპის ბურჟუაზიული დემოკრატია ჩვენით ვაჭრობს და გვიყენებს თავის სასარგებლოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაშასადამე ორიენტაცია ევროპაზე არც ბურჟუაზიულ—დემოკრატიულ და არც პროლეტარულზე არ არის ჩვენთვის ხელსაყრელი.

არავისი იმედი—გარდა თავის თავისა.

ორიატაცია ბურჟუაზიულ ევროპის მაგიერ რუსეთის რევოლიუციაზე...

აქტიური ჩარევა რევოლიუციონურ აღმშენებლობაში; შენი საქმის შენივე ხელით კეთდება...

საბჭოების პლატფორმა, გულწრფელი თანამშრომლობა—ყოველგვარ კულტურულ, ეკონომიურ და აღმშენებლობითი მუშაობაში, გულწრფელი საქმიანი კრიტიკა, მთლიანი ფრონტი გაერთიანებული რეაქციის წინააღმდეგ—ასეთია გზა ჯ ხიდი მუშათა კომისიის შოქმედებისა...

დიდია და განუსაზღვრელი—სიყვარული და პატივისცემა ჩვენი მასწავლებლების და აღმზდელ ძველი ამხანაგებისადმი, მაგრამ რავქნათ თვით ისინი გვასწავლიდნენ, რომ გრძნობის აყოლა პოლიტიკაში არ შეიძლება, ეს რომანტიკოსობაა—ო და ჩვენც იძულებული გავხდით გრძნობები დაგვემორჩილებია გონიერებისათვის. უმრავლესობა „მუშათა კომისიის“ გარშემო თავ მოყრილ მუშებისა და გლეხებისა, პარტიის ძველი წევრები, იმ დრომდის, სანამ პარტიაში ვმუშაობდით, ყოველთვის პირნათლათ ვასრულებდით ყველა დავალებებს, ვერ იტყვიან ვერც ერთი ჩვენი მოწინააღმდეგენი, რომ როდესმე ჩვენ არ შეგვესრულებიოს პარტიული დავალებანი. და აი დღეს ასე პატიოსნათ დავტოვეთ ჩვენ პარტია და იმ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ დარწმუნებულან თავიანთ შეცდომებში და განაგრძობენ ძველი გზით სიარულს, მოუწოდებთ აწი მაინც ჩაუკვირდენ ცხოვრების სინამდვილეს და გადააფასონ თავიანთი შეხედულება და მოვიდენ არსებულ ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ. მაშინ ჩვენ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ კომისიის ერთი წლის მძიმე მუშაობას უქმათ არ ჩაუვლია.

აი აქეთ მოუწოდებთ ყველა ჩვენ ამხანაგებს და ურჩევთ გამოიჩინონ მეტი გამბედაობა, შესძლონ გრძნობების დაძლევა.

ვ. გოგიშვილი.

# თანამედროვე მდგომარეობა და ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ამოცანები

ვინც თვალყურს ადევნებდა ახალგაზრდა მარქსისტთა მოძრაობას საქართველოში, მისთვის ნათელია, რომ არსებითად ეს ორგანიზაცია უფრო კულტურულ მიზნებს ისახავდა, ვინემ პოლიტიკურს. იმ თავითვე განძრახული იყო, რომ ამ ორგანიზაციის წევრებში მომზადებული ყოფილიყვნენ მარქსისტულ ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა,

ს. ს. დემოკრ. მუშათა პარტიამ ამ მუშაობაში ამ სუსტ ორგანიზაციას ვერ გაუწია ისეთი ხელმძღვანელობა, როგორსაც უწევს კომუნისტური პარტია კომკავშირს და გადააქცია ის უმეტეს შემთხვევაში საარჩევნო ბიუროებათ. პროვინციაში ადგილობრივი ორგანიზაცია უფრო ყოველდღიურ პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდა, ვინემ მარქსიზმის შესწავლას. ნაცვლათ იმისა, რომ განსაზღვ-

რულ დრომდის პოლიტიკურათ ნეიტრალური პოზიცია დაგვეჭირა, ჩვენ ჩავებით აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში და ავცდით ნამდვილ დანიშნულებას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდობის მოძრაობას ჩვენ სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდით და მის თუნდაც პოლიტიკურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობა ვერ მივიღეთ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოში დემოკრატიულ მმართველობის დამარცხების შემდეგ ჩვენი ძალები დაიფანტა და ორგანიზაციას შერჩა უკვე პოლიტიკურათ მოაზროვნე ახალგაზრდობა. ამ ხნიდგან ამ ორგანიზაციამ დაჰკარგა თავისი კულტურული ხასიათი და ხელი ჰკიდა პოლიტიკურ საქმიანობას. ის მჭიდროთ დაუკავშირდა სოც. დემოკრატიულ პარტიას და მასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა არალეგალურ მუშაობაში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა მარქსისტებმა მაქსიმალური ენერგია გამოიჩინეს ხელისუფლების წინაალმდეგ ბრძოლის წარმოებაში. მართალია ისენი თავდავიწყებით ჩაებმენ პარტიულ საქმიანობაში, მაგრამ არ დაუკარგავთ უნარი პოლიტიკურ მდგომარეობის შეფასებაში. ჯერ კიდევ აგვისტოს აჯანყებამდის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი წრეები წინაალმდეგი იყვნენ ხელისუფლების წინააალმდეგ აქტიურ ბრძოლისა, მაგრამ მათი ხმა დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა მარქსისტთა ოპოზიციას სწორეთ ის ბედი ეწვია, როგორიც იმ მუშათა ჯგუფს, რომელმაც აგვისტოს აჯანყებამდის ვერ შესძლო პარტიის ხაზის შეცვლაზედ გავლენა მოეხდინა და მხოლოთ აჯანყების შემდეგ გადადგენ რადიკალური ნაბიჯი მუშათა კომისიის შექმნის გზით.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მუშათა კომისიის შექმნამ დიდი დახმარება გაუწია ქართველ მშრომელთ თავი დაეღწიათ იმ ჩიხისათვის, რომელიც შეიქმნა აჯანყების შემდეგ საქართველოს სინამდვილეში.

ახალგაზრდა მარქსისტები გვერდში ამოუდგა მუშათა კომისიის მუშაობას და სათანადო მუშაობაც იქნა წარმოებული, რომ საქართველოს ახალგაზრდობას პირი ებრუნებია ხელისუფლებისაკენ.

ამჟამათ გადაუდებელ საკითხს წარმოადგენს გადასინჯულ იქნას ჩვენი ძველი შეურიგებელი პოზიცია ხელისუფლებისადმი და გვერდში ამოუდგეთ საბჭოთა ხელისუფლებას აღმშენებლობით მუშაობაში. ახალგაზრდობა ჩვენი კულტურული მომავალია და ის დაინტერესებული უნდა იქნეს არ განმეორდეს ისეთი გამოსვლები, როგორც ეს გასულ წლის აგვისტოში მოხდა.

ნუ დავივიწყებთ, რომ კომუნისტური ახალგაზრდობა ჩვენი მოკავშირე არის იმ დიად საქმისთვის ბრძოლაში, რომელიც მიმართულია სოციალისტურ აღმშენებლობისაკენ. ამ ახალგაზრდობასთან ძმური კავშირი უნდა აღვადგინოთ, მივიდეთ მათთან და ხელიხელ ჩაკიდებული ვაწარმოოთ ის საქმე, რომელიც ბედნიერებისაკენ მიაქანებს ჩვენს მუშათა კლასს კერძოთ და ჩვენს ქვეყანას საერთოთ.

რა დაგვრჩა საბრძოლი? ვისი იმედით უნდა ვიბრძოლოთ? საბჭოთა სოციალისტურ კავშირის მდგომარეობა განმტკიცდა. სოციალისტური აღმშენებლობა შეურყევლათ მიმდინარეობს წინ და ევროპის ბურჟუაზია კბილებს ილესავს სოციალისტურ ქვეყნის წინაალმდეგ. ჩვენ უნდა დავდგეთ იმ დროშის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს რევოლიუციონურ მონაპოვარის შენარჩუნებას. საბჭოთა კავშირის დამარცხება, მოსპობა იქნება დიდი რევოლიუციის მიერ მონაპოვარ უფლებებისა და გაბატონებს იმ რეაქციონურ ძალებს, რომლებიც უქადის, როგორც მუშათა კლასს, ისე იმ ეროვნულ ერთეულებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირში განახორციელეს თავიანთი დამოკიდებულობა.

ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი პროგრესიული და მშვიდობიანი სახელმწიფოა და მისი დაცემა გაამეფებს რეაქციას არა მარტო კავშირში, არამედ ევროპაშიაც. იმ ხმალს, რომლითაც ჩვენი თავის მოკვეთას აპირებენ, საკუთარი ხმალი უნდა დაუპირდაპიროთ. ჩვენ სწორედ იმიტომ უნდა დავსდგეთ ამ ნიადაგზედ, რომ საბჭოთა კავშირის დამარცხება წალეკავს საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს დამოუკიდებლობა უფრო უზრუნველყოფილია ამ კავშირში, ვინემ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ. ევროპა არ გაუწევს მეტოქეობას საქართველოს ისე თუ არ დაეპატრონება მის სიმდიდრეს.

გულწრფელი თანამშრომლობით და დადებითი მუშაობით შეგვიძლია შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული სახე სწორეთ საბჭოთა წესწყობილების ნიადაგზედ.

საბჭოთა სინამდვილეში საბჭოთა წყობილების წინაალმდეგ ბრძოლის ხანამ განვლო. ეხლა საჭიროა ამ თავაღებულ პოლიტიკაზედ ხელი ავიღოთ. ამას მოითხოვს ქართულ კულტურის შენარჩუნების ინტერესები. ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტებს მართებთ ფართე მონაწილეობა მიიღონ კულტურულ-ეკონომიურ მუშაობაში და კეთილსინდისიერათ ემსახურონ ჩვენს მომავალს.

**ახალ მოსული.**

# ერთი წლის მუშაობა

ამ ერთი წლის წინეთ, 7 და 8 ოქტომბერს, პლეხანოვის სახელობის კლუბში—ლენინის რაიონში, მიეცა დასაწყისი ჩვენს დღევანდელ მუშაობას. რკინის გზის მთავარ სახელოსნოს და საყუდის მოწინავე მუშებმა, რომლებიც მუდამ სათავეში ედგნენ მუშათა მოძრაობას, გამოსთქვეს დიდი ხნიდან გულში დაგუბებული აზრი, რომ საჭიროა არსებულ ხელისუფლებასთან—კომუნისტებთან გულწრფელად მისვლა და მუშაობა...

დაარსდა იქვე „მუშათა კომისია“, რომელსაც დაევალა, ხსენებულ კრებაზე მიღებულ რეზოლიუციის თანახმად, მუშაობა. ერთი წელიწადი გავიდა მას აქეთ და დღეს, ამ ისტორიული დღის წლის თავზე, ჩვენ გვინდა თვალი გადავავლოთ „კომისიის“ წარსულ მუშაობას.

ყველასთვის აშკარა და თვალსაჩინო იყო ხსენებულ კომისიის მუშაობა... ამ ხნის განმავლობაში მან გამოსცა 35 ნომერი გაზეთი „ახალი გზა“, სადაც იწერებოდა კო-

მისიის მუშაობის მიღწევები და ანგარიშები. ხოლო გაზეთზე მეტი სარგებლობა მოიტანა პროვინციებში, თუ ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებში გამართულმა კრებებმა და საუბრებმა...

თუ გადავავლებთ თვალს დღევანდელ დამოკიდებულებას, ერთის მხრივ—ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა და მეორეს მხრივ—კომუნისტებს შორის—აშკარად შევნიშნავთ, რომ ეს დამოკიდებულება აღარაა ისეთი, რაც იყო წინეთ. გაქრა, გაქორწილდა ის სიძულვილი, ის უნდობლობა, რომელსაც ქონდა ალაგი წინეთ მათ შორის... სამაგიეროთ ყველგან, ყველა დარგში ჩვენ ვხედავთ, რომ „ჩატეხილი ხიდი“ გამთელდა, საერთო მუშაობა შესაძლებელი ყოფილა. ამხანაგური შეერთება დღეს უკვე ფაქტია და ეს გარემოება დიდი მნიშვნელობისაა მუშათა ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

ცხადია საქართვ ლოს მენშევიკური პარტიის დარღვევა და ამ პარტიის მრავალ რიცხოვან ამხანაგების გადასვლა კომუნისტურ—საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, არ ჩაივლის უმნიშვნელოდ ევროპის პროლეტარიატისათვის და ჩვენი კომუნისტურ მოძრაობის ფერხულში ჩაბმა, დააჩქარებს საერთო ფრონტის შექმნას... ამგვარად ცხოვრება ადასტურებს, რომ ჩვენი „მუშათა კომისიის“ მუშაობა არ ყოფილა და არ არის, რაიმე სხვა მოსაზრებით, ან ვისიმე ძალდატანებით შექმნილ-წარმოშობილი, არამედ ის არის ცხოვრების, მუშათა შეგნების სწორი ამოძახილი.

ჩვენი „კომისიის“ მუშაობის ერთი წლის თავზე ჩვენ შევხდით მოწამე ერთი საყურადღებო ამაისა...

ძველი, გამოცდილი, პარტიის სათავეში მდგომი ამხანაგი კოწია სულაქველიძე ჩამოდის სამზღვარ გარეთიდან, რათა იმუშაოს არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ეცნობა თუ არა ადგილობრივ ხელისუფლების მუშაობას, მასში ხდება გარდატეხა და ეს ძველი ამხანაგი, საუკეთესო მარქსისტი დგება ჩვენს გზაზე და იწყებს მუშაობას არსებულ ხელისუფლებასთან.

რამდენადაც ჩვენთვის გასახარია ეს, იმდენათ შეუძლებელია ამას არ ჩაუკვირდენ სამზღვარ-გარედ მყოფი ჩვენი მუშა ამხანაგები და არ დააჩქარონ მათაც დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და თავიანთ ქვეყანაში, თავიანთ ამხანაგებთან დაბრუნება.

აი ამ სწორ ამოძახილს თან დაყვა სწორი მუშაობა საერთოდ, თორემ წვრილი შეცდომები ყველგანაა და საქმეც თუმცა ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდის, მიზანს აღწევს...

„მუშათა კომისიის“ მუშაობამ, რკინი-გზის მოწინავე მუშების ამ გაბედულმა ნაბიჯმა ბევრს აუხილა თვალები, ბევრი დააყენა სწორ გზაზე; ბევრს დაანახა, რომ ევროპისაკენ ცქერა სისულელეა, თავის მოტყუილებაა და სხვა არაფერი... ბევრი ურწმუნო ინტელიგენტი ჩააფიქრა ამ გარემოებამ და დაახლოვა არსებულ ხელისუფლებასთან და ჩააბა სახელმწიფო აღმშენებლობითი მუშაობაში.

კიდევ მეტი საქმეები გააკეთა „კომისიამ“ სოფლად. იქ მასსა დამფრთხალი, დაშინებული იყო, ხელისუფლების, კომუნისტების ეშინოდა, კრებებზე ვერ დადიოდნენ, ხმას ვერ იღებდენ... მუშათა კომისიის კრებებმა, გულახდილმა საუბრებმა, უღირსი ადმინისტრატორების საქმეების მხილებამ, სოფლის ხალხი შეაძრია და დაანახა, რომ თუ ერთი რომელიმე ადმინისტრატორი ცუდია, უსამართლოა ეს კიდევ არნიშნავს იმას, რომ, თვით ხელისუფლება ცუდი და უსამართლოა. ყველას დაანახა, რომ ხმის ამოღება შესაძლებელი ყოფილა...

უპარტიობა, მენშევიკობა არ ყოფილა დანაშაული და შესაძლებელი ყოფილა კომუნისტებთან მუშაობა...

ჩვენ ამით არ გვინდა ვსთქვათ, რომ ყველაფერი ეს გააკეთა მხოლოდ „მუშათა კომისიამ“. რა თქმა უნდა ხელისუფლების და მის ორგანოების მთავარი ყურადღებაც აქეთკენ იყო და არის მიქცეული, მაგრამ უპარტიო და ყოფილ მენშევიკებთან საერთო ხიდის გადებაში „მუშათა კომისიამ“ დიდი როლი ითამაშა, ეს ბევრ პასუხისმგებელ ამხანაგ კომუნისტებსაც არა ერთხელ უთქვამთ...

დაუმატეთ ყველა ამას კიდევ ის გარემოება, რომ რუსეთში გადასახლებულებიდან ნახევარზე მეტმა ამხანაგმა მიიღო ჩვენი ხაზი და უკვე დაბრუნდა სამშობლოში.

არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ 1500 ამხანაგზე მეტი განთავისუფლებულ იქმნა ციხეებიდან აგვისტოს გამოსვლების შემდეგ და ამ განთავისუფლებაში „მუშათა კომისია“ დიდ როლს თამაშობდა. თვით 47 ამხანაგის შესახებ ისეთი რბილი განაჩენის გამოტანაშიც-კი წილი უდევს „მუშათა კომისიის“ მიერ აღებულ ხაზსა...

აშკარაა ქართველი ემიგრაციის დაშლაში და ბევრი ემიგრანტის საბჭოთა ხელისუფლებისაკენ გადმოხრაში წილი უდევს რკინის-გზის პირველი რაიონის მუშების გაბედულ ნაბიჯს.

ამიტომ შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „მუშათა კომისიის“ ირგვლივ თავს იყრის არა ათი-ათასი კაცი, არამედ ბევრად მეტი...

ამით ვათავებთ ჩვენ ამ მოკლე მიმოხილვას და იმედი გვაქვს წლის თავზე თავმოყრილი მუშათა რწმუნებულები კიდევ მეტ მასალას მოგვცემენ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯის სარგებლობისას...

უსურვოთ „მუშათა კომისიას“ და რწმუნებულებს და მასთან ყველა ამხანაგებს მომავალშიც მეტი ენერგიით მუშაობა, უფრო დაახლოვება არსებულ ხელისუფლებასთან და ერთად წინ სვლა მუშათა ერთიანი ფრონტის შესაქმნელად...

ს. დოლიძე.

# ჩვენი პოლიტიკური აზროვნება

იმ ისტორიულმა დამარცხებამ, რომელიც აგვისტოს გამოსვლების დროს იგემა ქართველ საზოგადოების ნაწილმა აქტიურ გამოსვლაში, სწრაფი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოახდინა მის პოლიტიკურ აზროვნებაში და დააბნია ის. განსაკუთრებით დაიბნა ქართველი ინტელიგენცია, რომელიც ფორმალურათ ლოიალურ პოზიციას ადგია, მაგრამ საიდუმლო საუღლევრძელოების დროს მუშტს კუშშავს „ბარბაროსების" დასაკრავათ. ეს ორპირობა არის არა ინდივიდუალური სენი ერთისა ან რამოდენიმესი, არამედ ის ნორმალურ მოვლენას წარმოადგენს და დაღს ასვამს ინტელიგენციის პოლიტიკურ აზროვნებას. სულიერი გაორება არ შეიძლება მოლიპულ გზაზედ არ დაეშვას და რეაქციონურ სულისკვეთებათ არ გადაიქცეს. ფორმალური ლოიალობა და ოჯახური მამლაყინწური ქადილი, აორებს რა პოლიტიკურათ მოაზროვნე მასის სულს, განზედ აყენებს მას მიმდინარე პოლიტიკურ მმართველობის არედან. ასეთი ორჭოფობა კი რეალურათ დიდ ზარალს აყენებს იმ მუშაობას, რომელიც სწარმოებს საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ აყვავების ფრონტზედ.

გავიხსენოთ მაინც რუსეთის ინტელიგენციის მაგალითი, როდესაც მისმა ერთმა ნაწილმა მიმართულება იცვალა და თუმცა სხვა იდეოლოგიით, მაგრამ დაუკავშირდა კომუნისტების საქმიანობას რუსეთის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების საქმეში. ჩვენ ვლაპარაკობთ „სმენა ვეხ" ოეელებზედ, რომელთაც ობიექტიურათ მიიღეს ოქტომბრის შედეგათ შექმნილი სინამდვილე, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ რუსული ბოლშევიზმი ჰკერავდა ყოფილ იმპერიალისტურ რუსეთის დაგლეჯილ ტერიტორიას. მართალია მათი პოლიტიკური ანგარიშები არ გაიმართლა, მაგრამ მათმა თანამშრომლობამ ერთგვარი სარგებლობა მოუტანა საბჭოთა რუსეთს თუნდაც იმ მხრით, რომ აშკარა ზღვარი გაავლო რუსის ხალხის ნამდვილ მოკეთეთა და მტრების შორის.

ქართველმა ინტელიგენციამ ჯერ-ჯეროპით მაინც ვერ აილო ასეთი გეზი და ვერ ამოუდგა საქართველოს ბოლშევიკებს გვერდით, რომლებიც ძალას და ენერგიას არ შურავენ, რომ წინ წასწიონ ქართული კულტურა. რისთვის არ უნდა ვიმუშაოთ ხელიხელ ჩაკიდებული ამ უკანასკნელებთან თუ კი ვიცით, რომ ეს მუშაობა დიდ სარგებლობას მოუტანს სამშობლოს, რომლის სიყვარულზედ ყოველ გზა-ჯვარედინზედ გავკივით? ვის შეუძლია სთქვას, რომ ასეთი მუშაობა არ სწარმოებს და არ არის საჭირო მაქსიმალური ენერგიის და გულწრფელობის გამოჩენა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში? საქართველოში დიდი კულტურულ-ეკონომიური მუშაობა სწარმოებს და როდესაც ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი ხელისუფლების ზურგსუკან მუშტებს იღერს, ის აკეთებს რეაქციონურ საქმეს. თავისი პოლიტიკური ორპირობით ის უწევს ქართულ კულტურას დედინაცვლის როლს, ნაცვლად იმისა, რომ მას დედობა გაუწიოს. ვინც კიდევ ცთილობს ისევ დედინაცვლის როლში დარჩეს ქართული კულტურის მიმართ და „ვილაცას" არ აწყენიოს, ის გვერდს უვლის იმ დიად საქმეს, რომელმაც უნდა გაასხივოსნოს ჩვენი მომავალი. ვისაც სურვილი აქვს ამ მომავლისთვის იმუშაოს, თავი უნდა დაანებოს პოლიტიკურ ორპირობას და ქართულ კულტურის დედინაცვლობს. ამ მიმართულებით თავის შეხედულებათა გადაფასება ქართველ პოლიტიკურად მოაზროვნე საზოგადოებისთვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. გარე ნაწილი საზოგადოებისა, პოლიტიკურ-ბრძოლით მოღლილი განზედ გამდგარა და პასიურად უცქერის მას, თუ რა ხდება ჩვენში. ეს ასე ვსთქვათ დეკლასიური მასა არის. ამ მასაზედ ხანგრძლივი დაყრდნობა შეუძლებელია და არც გარანტია არის იმის, რომ ის ამა თუ იმ მომენტში არ ჩაერევა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ახლო წარსულიდგან ჩვენ ვიცით, რომ ე. წ. ფაშისტური არმია დეკლასიური ელემენტებისაგან შესდგა. მათმა ფსიქოლოგიურმა რეაქციამ აქტიობა ფაშისტურ ჯანყში განასახა. საერთოთ ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკურათ ნეიტრალური მასა არსებულ წყობილების რეალურ დასაყრდნობ მასალას არ წარმოადგენს. მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკია პოლიტიკურათ მოაზროვნე საზოგადოებაზედ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიტიკურ ბრძოლათა შედეგათ აპოლიტიკურათ განწყობილი მასა წარმოადგენს იმ წყაროს, რომლისგანაც ავსებს თავის რიგებს მებრძოლი ფაშიზმი. ვინც ამ კატეგორიას ეკუთვნის და საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებისკენ მიმართულ მუშაობის პასიურ მაყურებელს წარმოადგენს, ის არა თუ უბრალო მგზავრთან, არამედ პასიური მტერია იმისი, რაც კეთდება. საქართველოს მომავალი ასეთ გულშემატკივრებიდგან ვერაფერს ვერ მოიგებს.

მესამე ფენი ქართულ მოაზროვნე საზოგადოებისა აქტიურად მებრძოლ მასას წარმოადგენს. მათ საქართველოს მომავალი ვერ წარმოუდგენიათ ბოლშევიკების ხელში და აქტიურათ ებრძვიან ამ უკანასკნელთ. ლაპარაკიც ზედმეტი არის იმაზედ, რომ ამ მიმართულების ხალხი ამა თუ რაიმე წვლილს შეიტანს იმ მუშაობაში, რომელიც ჩვენში ამ ჟამათ სწარმოებს, არამეთ რითაც შეეძლება ხელს შეუშლის ამ მუშაობას. ამ მიმართულებით მუშაობა გარდა იმისა, რომ ფიზიკურათ ანადგურებს ერს, სცემს მას კულტურულათ.

ჩვენ არ ვზრუნავთ ჩვენი მომავლისათვის. სადღეისო პოლიტიკურ ამოცანას მზათ ვართ ერის მომავალი ვანაცვალოთ.

თუ საქართველო გულნატკენია 1921 წელში მომხდარ საქართველოში რუსეთის ჯარების შემოსვლით, მას არავითარი საბუთი არ აქვს უნიადაგოთ გაანიავოს თავისი ძალები. მომხდარ ფაქტს ანგარიში უნდა გაეწიოს. კომუნისტები საქართველოს კულტურისათვის ისეთი „ბარბაროსები" არ გამოდგნენ, როგორც გვეგონა. მათ საკმაო მეამაგეობა გაუწიეს ეროვნულ კულტურის აყვავებას და ყველას გასაქანს აძლევს, ვინც ამას მოისურვებს. მდგომარეობის დაკვირვებით ჩვენ ეს სურვილი უნდა გამოვიწვიოთ ჩვენში. ამ ჟამათ აქტიური ბრძოლა ანადგურებს ერს. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. თუ ამ ბრძოლაში ვიმსხვერპლებთ ერის დიდ ნაწილს, მაშინ ვინ უნდა წაიკითხოს საქართველოს ისტორია. მაშასადამე ქართველ საზოგადოების აქტიურათ მებრძოლი ნაწილი თავის მუშაობით საქართველოს მიაქანებს იმ მხრით, რომ

საქართველოს ისტორიას წამკითხველი აღარ დარჩება. ეს არ არის კულტურა, ეს ბარბაროსობაა. გადაუდებელ ამოცანას ამ ბარბაროსულ სულისკვეთების ლიკვიდაცია წარმოადგენს.

არის ამ ნაწილში **ფაშისტურათ** განწყობილი ჯგუფი, რომელიც სცდილობს ამ სულისკვეთების გამოყენებას რეაქციონური მიზნებით. ამ ჯგუფში თავს იყრის ჩვენი „ეროვნული ბურჟუაზია“.

მათ ყავთ ერთი უძლიერესი მტერი—ბოლშევიკები. მათ დიდი იმედი აქვთ, რომ ამ ძალას დასცემენ და არ დარჩებათ მოწინაალმდეგე საქართველოს სინამდვილეში. რა-მდგომარეობაში ჩააგდებს ეს „გამარჯვება“ საქართველოს ადვილი წარმოსადგენია. ეს უაღრესათ რეაქციონური ზრახვა წარმოადგენს უფრო რეალურ საშიშროებას. ის მასსა, რომელიც საქ. სოც.-დემოკრატიას მიჰყვებოდა, უნდა დაუფიქრდეს მდგომარეობას და არ წამოეგონ ამ რეაქციონერ ანკესზედ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამჟამათ ბოლშევიზმის დამარცხება რუსეთ-საქართველოში რეაქციას გააბატონებს. მაშასადამე ყველა ისინი, ვინც აქტიური სულისკვეთებით არიან გაჟღენთილნი, ობიექტიურათ რეაქციონურ საქმეს აკეთებენ. ეს შეგნებული უნდა იქნას.

თუ პირველი მიმართულება ჩვენ დავახასიათეთ, როგორც პოლიტიკურ-ორპირობის და დედინაცვლობის ხოლო მეორე კი, როგორც პასიური და „ფეხებზედ მკიდია“-ს სულისკვეთება, მესამე მიმართულებას შეიძლება რეაქციონურ სულისკვეთებათ მოვნათლოთ. ეს სამი მიმართულება ახასიათებს თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას, იმ ქართულ აზროვნებას, რომელიც აქტიურათ თუ პასიურათ ეწინააღმდეგება ჩვენში წარმოებულ აღმშენებლობას.

ქართველი მშრომელი მასა და მშრომელი ინტელიგენცია, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს კულტურულ მომავლით, აქტიურათ ჩაბმული არიან ამ მშენებლობაში და აგებენ იმ დიად შენობას, რომელიც მომავალი საქართველოა. ეს ნაწილი ქართული პოლიტიკურ აზროვნების საღ მიმართულებას წარმოადგენს და გამოიყვანს ჩვენს მომავალს ჩიხიდგან, რომელიც მისთვის შექმნილა.

როდის მოხდება ამ სულისკვეთებით ქართული საზოგადოების უმრავლესობის გაჟღენთა არ ვიცით, მაგრამ ამ მიმართულებით წარმოებულ უნდა იქნას მუშაობა. ქართველი საზოგადოება უნდა „მოშინაურდეს“ და აქტიურათ ჩაებას თავის მომავლის საქმეში. ეს არ იქნება „სხვისი“ საქმის კეთება; ეს ეროვნული საქმის კეთება იქნება.

ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ უნდა შეითვისოს ქართულ კულტურის მოამაგეობის იდეია და თავი დაანებოს მის დედინაცვლობას.

**ზ. ჩახვაძე.**

# ცოტა უკან მივიხედოთ

ამ ერთი წლის წინათ, როცა პირველი რაიონის მუშებმა გადასწყვიტეს დაანებონ თავი ბუტიაობა-ჯიუტობას, ევროპისაკენ ცქერას და გულწრფელად ამოუდგენ გვერდში არსებულ ხელისუფლებას და იმუშაონ კომუნისტებთან ამხანაგურად,—აი ამ ისტორიულ კრებაზე იყო წამოყენებული სხვათა შორის შემდეგი მოსაზრება:

რომ ჩვენმა მუშაობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს საჭიროა გაიგზავნოს ძველი მუშებისაგან შემდგარი კომისია რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებთან და აგრეთვე საზღვარ გარედაც. კომისიის გაგზავნა ჩვენ მიგვაჩნდა საჭიროთ იმ მოსაზრებით, რომ როგორც რუსეთში მყოფ ამხანაგებს, მით უმეტეს საზღვარ გარეთ მყოფ მუშა ამხანაგებს არა აქვთ საბჭოთა საქართველოს შესახებ სწორი ინფორმაცია, სწორი ცნობები...

ამ ბოლო დღეებში მოხდა საყურადღებო ამბები. საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა ამხანაგი კოწია სულაქველიძე და განაცხადა 2 ოქტომბრის კრებაზე ლენინის რაიონში, რომ მან არა იცოდა რა იმის შესახებ, თუ ასეთი მუშაობა იყო გაჩაღებული საბჭოთა რესპუბლიკებში... მას ასე გონებია, რომ აქ ყველაფერი ინგრევა, ილუპება. მეფობს სიმშილი და სიტიტვლე... და სხვა. სინამდვილემ-კი დიდი გარდატეხა მოახდინა ამხ. კოწია სულაქველიძეზე და დღეს ის სავსებით ამართლებს მუშების მიერ ერთი წლის წინეთ გადადგმულ ნაბიჯებს. ამას გარდა პარიზიდან ჩამოსული ხუთი ამხანაგიც ამას ამტკიცებს, რომ თვით პარიზშიც იშვიათია სწორი ამბავი საბჭოთა საქართველოზე. თუ როგორმე ერთი ორი გაზეთი მოხვდა იქ, რამიშვილის კამპანია მუშებს არ აძლევს, უმალავსო...

ასეთივე მდგომარეობაა რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებშიაც. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ჩვენი აზრი საზღვარ გარეთ მუშათა კომისიის გაგზავნის შესახებ არ ყოფილა ბავშური გულუბრყვილობა... და ჩვენ დღესაც ვიმეორებთ რომ საზღვარ გარედ მუშების გაგზავნას შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა... ჟორდანია-რამიშვილი ძნელია, რომ დაარწმუნონ მუშებმა იმაში, რომ საქართველოში ხდება ნამდვილი სოციალისტური მუშაობა.

მაგრამ ქვე გარეშეა პარიზში თუ სხვა ევროპის ქალაქებში დაფანტული და დიდ განსაცდელში მყოფი მუშები, ნასიძე—ფოფხაძეები და სხვანი იქ მისულ მუშებს ამხანაგურად შეხვდებიან და გაიგებენ რა საქმის სინამდვილეს, ასობით დაბრუნდებიან თავის ქვეყანაში.

კოწია სულაქველიძემ მართალი სთქვა: მუშისათვის, ნამდვილი სოციალისტისთვის სხვა გზა არაა—კომუნისტებთან უნდა მოვიდნენ, დამარცხებაც და გამარჯვებაც ერთად უნდა გავიზიაროთო...

გამოვდივართ რა ხსენებულ მოსაზრებიდან, კიდევ ერთხელ მიუთითებთ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ძველი მუშების გაგზავნას საზღვარ გარედ. იმის გარდა, რომ რამოდენიმე ასი მუშა ამხანაგი დაბრუნდება უკან და გვერდში ამოუდგება არსებულ ხელისუფლებას, ამ აქტს ექნება უსათუოდ მნიშვნელობა ევროპის პროლეტარიატის საერთო ფრონტის შექმნის დაჩქარებაში.

**ს. დ.**

# ფშავლის ქეიფი

ნუ მოგცას ლაშარის ჯვარმა
მე რო მამიხდა სტუმრობა,
გამასპინძლება ფშავლისა
არ თუ ყოფილა ხუმრობა!
წაგიყვანს საქეიფოდა,
რო მიგიყვანის ჭირშია;
მაშინაც ეგრე გაუხდა
ცოლქმართ კიდობნის პირშია!
„არაყ გვასმიე დიაცო,
ხელადაი დგა ძარშია!“
—„არა დგა გამოსარჩეო,
ძმარ ნუ ამოგდის ცხვირშია!“
შამაეგებნენ ერთურთსა,
ავად ახსენეს მოყვრები...
თუ შაიყარნენ ერთადა
სხლის წვერში დათვის მოკვრები
მაშინ დუშმანიმც აშველებს, —
ავ საქმეს გიზმენ ოხრები...
კარჩი სამ გამეეფარნენ
დაწიოკებულ ხოკრები!

ავდეგ, მეც იმათ გამოვყევ,
მძგლივ სამ დავხელე კარები;
გავსწიე შინაისაკა,
უდუმლად მივიპარები...
გზა და გზა მიმიძღვებიან
სავსე, დაგორვილ ტარები.
საჩოხედ იყო დასთული,
თუ სუდრად დასაფარები!
არაყით გალუშვილ ვიყავ,
თავშია რეკდენ ზარები;
შუადღე გადასულიყო,
სახნავებ იყო დარები.
შინ მისვლა ველარ გავბედე,
შორით ვუძახე ხარები...
თავს ვამტყუვნებდი გულშია,
სხვას ვის—რას დავეფარები:
ღმერთმა დასწყევლოს, სასმელი,
სუ აღარ გავეკაოები!..

**ბახილ ხოშარელი.**

---

# 1905—1925 წელი.

„ახალი გზის“ მე-8 ნომერში დაიბეჭდა ამავე სათაურით ჩვენი წერილი, საცა სხვათა შორის იყო მოყვანილი მოკლე ცნობები ტერორისტ იასონ ღლონტის და თვარაძის შესახებ...

იქვე ვთხოვდით ყველა ამხანაგებს მოეწოდებინათ „ახალი გზის“ რედაქციისათვის მასალები და მოგონებანი 1905 წლის რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობის შესახებ.

დღეს ჩვენ ხელთ არის უკვე მრავალი მასალა. ამხანაგებს დაუზარებლათ მოაქვთ მოგონებანი თუ სხვა და სხვა ისტორიულ-რევოლიუციონური გამოსვლების აწერილობა.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირი თავის ცენტრალურ ორგანოს საშუალებით ენერგიულად შეუდგა ხსენებულ მასალების შეკრებას.

22 ენკენისთვეს ცენტრალურ გამგეობის ბინაზე გაიმართა ძველთ რკინისგზელ ამხანაგების მოგონებათა საღამო. საღამოს დაესწრო ასამდის მოხუცი ამხანაგი და მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, რომ მათ მიეცათ საშუალება გამოსთქვან თავიანთი ძველი რევოლიუციონური მოგონებანი.

ასეთი კრებები კიდევ გაიმართება როგორც თბილისში, ისე სხვაგანაც და საჭიროა ამხანაგებმა მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და შეჩერდენ მხოლოდ რევოლიუციის საყურადღებო ამბებზე

ოცმა წელმა განვლო პირველი რევოლიუციის შემდეგ და მეტად დიდი დაკვირვება და მიუდგომლობაა საჭირო, რომ ცნობები გამოვიდეს სწორი და მიუდგომელი.

ამ პირობის დაცვა უსათუოდ საჭიროა, ვინაიდან ეხლანდელი ცნობები შევა მასალად იმ საისტორიო წიგნში, რომლის გამოცემასაც აპირებს რკინისგზელთა კავშირის გამგეობა, თუ სახელმწიფო გამომცემლობა.

ერთი საყურადღებო სურათი გადმოგვცა ჩვენ ამ დღეებში თბილისის საყუდის მემანქანე ელიზბარ გოგნიძემ, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია ეს ამხანაგი.

სურათზე ჩვენ ვხედავთ 27 ამხანაგ-ტერორისტს დაღუპულთ რევოლიუციის ტალღებში. ამათშია ყველა ის „ცხრა ძმა“ რომლებიც დაიღუპნენ 1905 წლის მიწურულში 18 ქრისტეშობისთვეს მუშათა უბნის „ნაძალადევის“ გორაზე

ამ ისტორიული სურათის შესახებ ცოტა ქვემოთ. ახლა კი ორიოდე სიტყვა ამხანაგ გოგნიძეზე, რომელმაც ეს სურათი დაიცვა და „ცხრა ძმათა“ ერთ ამხანაგ თვარაძეზე, რომელზეც პატარა საუბარი მე უკვე მქონდა „ახალი გზის“ მერვე ნომერში.

ეს ორი ამხანაგი სხვებთან ერთად დარაჯობდენ მუშათა უბანს 18 დეკემბერს...

ამათ მიუციათ ერთმანეთისათვის ამხანაგური პირობა: რომელი ჩვენგანიც ცოცხალი დარჩება მან მკვდარი ამხანაგის გვამი მშობლებს მიუტანოსო...

ამხანაგი გოგნიძე გადარჩა... თვარაძე დაიღუპა... და აი გოგნიძე ამხანაგ ტიტვანიძის, გრიგოლაშვილის და სხვათა დახმარებით მიასვენებს დაღუპულ ამხანაგ თვარაძის გვამს ფურგუნით, თუ ხელით თბილისიდან ბორჯომში...

რამდენი განსაცდელი, რამდენი სახიფათო გარემოება ხვდებათ მათ გზაში, მაგრამ მიცვალებულის სურვილი—პირობა ასრულებულია.

ამას გარდა, ამხანაგი გოგნიძე ახერხებს იმ რეაქციის ბატონობის დროს თავი მოუყაროს 27 დაღუპულ ამხანაგის სურათებს და შეაზაოს ისინი ასე ხელოვნურად, ასე რევოლიუციონურად... მაგრამ ავალაპარაკოთ თვით ეს იშვიათი რევოლიუციონური სურათი.

პირველად მოვიყვანოთ სახელი და გვარი ამ 27 რევოლიუციონერის, რომელი წარწერაც ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე თითოეულ სურათს თან ახლავს. 1. პ. თედიაშვილი, 2. მ. ჩაჩავა, 3. იასონ ღლონტი, 4. ბ. გიორგობიანი, 5. ჭელიძე, 6. არსენ ჯორჯიაშვილი, 7. მ. ფრუიძე, 8. კალაძე, 9. პ. კახეთელაძე, 10. გ. ელიავა, 11. დვალი, 12. ტორიკაშვილი, 13. ი. ხუტურაშვილი, 14. პ. ცინცაძე, 15. ა. რიჟინაშვილი, 16. გ. მამაცოვი, 17. ს. ლომთათიძე, 18. ჭინჭარაძე, 19. ბაბილოძე, 20. ნ. მინდიაშვილი, 21. რ. სტურუა, 22. პეტრე მონტინი, 23. ტ. ლაზარაშვილი, 24. ს. ბურჭულაძე, 25. გ. მარცვალოვი, 26. ვასსერი, 27. თვარაძე.

ამ 27 დაღუპული ამხანაგის სურათები შემდეგ ნაირად არის შემკობილი:

ერთ კუთხეში დახატულია მეტეხის ციხე. მეტეხის ორივე მხარეს მოსჩანს სახლები მუშათა ბინები. ეს ბინები შეერთებულია წარწერით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მეორე კუთხეში დახატულია თბილისის რკინისგზის სადგური... მოსჩანს რამდენიმე ლიანდაგი და ორი რონოდა; რომლითაც მოვასვენეთ ბაქოში ვერაგულათ ხულიგნების მიერ 1905 წ. დეკემბრის პირველ რიცხვებში მოკლული ამხანაგი პეტრე მონტინის გვამი.

მესამე კუთხეში დახატულია ნაძალადევის მთა საცა იმავე წლის 18 ქრისტეშობისთვეს ყაზახებმა წუთისოფელს გამოასალმეს ჩვენი საუკეთესო ცხრა ამხანაგი: ხუცურაშვილი, თვარაძე, დვალი, ტუხა, კალაძე, ელიავა, ხუციშვილი, ჯაში და ქინვალელი.

მეოთხე კუთხეში დახატულია ბაბაევის სახლი დიდუბეში. ეს სახლი იმით არის ისტორიული, რომ აქ იმართებოდა ხშირად არალეგალური კრებები და 1905 წელს—დეკემბრის ბოლო რიცხვებში ამ სახლს დაუშინეს ზარბაზნით ყუმბარები. მიუხედავათ ამისა, ამ სახლში იმ ღამეს არავინ დაღუპულა ჩვენი მხრით, ხოლო ჯარის კაცები-კი ბუზებივით ცვიოდენ მიწაზე აქეთ-იქით სარდაფებში ჩასაფრებულ ამხანაგების მიერ მარჯვედ გამოსროლილ ტყვიებით.

სურათის თავში, საცა არსენ ჯორჯიაშვილის სურათია—არის დახატული სახრჩობელა და ჯალათი, რომელიც თავზე დაჰყურებს არსენ ჯორჯიაშვილს...

დაბლა სურათს აქვს წარწერა პოეტ იასამანის შემდეგი ლექსი: ძმებს:

„გმირულის ჟინით, ყიჟინათი, ბრძოლის სიმღერით წინ მიიწევდა თქვენი რაზმი თავ-განწირული... ეკლებგოროხით გადაჭედილი სიმართლის გზასა მედგრად კაფავდით.. წინ მოგქონდათ დროშა გმირული... ძმებო გმირებო? თქვენ გიმტყუვნათ მუხთალმა ბედმა. გულ-განგმირულნი თქვენ დაეცით შავ ბრძოლის ველზე. ზოგსა ჯალათის გეძგერათ ტყვია დატანჯულ გულში, ზოგს მახვილი გხვდათ, ზოგს სახჩობელა, თოკი კისერზე... მაგრამ მარცხით-კი სრულიად არ დამარცხებულხართ... კვლავ სცოცხლობს რწმენა სიცოცხლისა მომნიჭებელი... ის გაიმარჯვებს! და თქვენს ძვლებზე რისხვით იჭექებს ბრძოლის ყიჟინი, ხმა შურისა მაძიებელი!“..

ასრულდა იასამანის ლექსი-სურვილი. ჩვენი გმირები აღარ არიან, მაგრამ გაიმარჯვა მათმა გმირულმა რწმენამ. ტყვია, სახრჩობელა—თოკი—სიკვდილით მათ მოგვიტანეს ჩვენ გამარჯვება და ჩვენ მოვალენი ვართ დღეს ეს ვსთქვათ და ვაღიაროთ...

ამ სურათს აქვს კიდევ შემდეგი წარწერა რუსულად: **вечная память борцам за свободу**—და მეორე გვერდზე: **Вы жертвой пали в борьбе роковой** კიდევ **Рабоч. фот. 1-го Раиона 1906 года.**

ეს სურათი დიდი განძია რევოლიუციონურ ისტორიისათვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს 27 ამხანაგი ხომ „ზღვაში წვეთია“ შედარებით იმ მსხვერპლთან, რაც შეიწირა ჩვენში განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ და კერძოთ 1905 წელმა..

მსხვერპლი მრავალია, უთვალავია...

ვინ იცის სახელი და გვარები მრავალ შეტაკებების თუ ტერორისტულ აქტების დროს დახოცილ ამხანაგებისა თბილისში...

ვინ იცის ხაშურში 1903 წელს დახოცილ ამხანაგების სახელი და გვარები!..

ვინ იცის სახელი და გვარები სადგურ სვირში მხეც ალიხანოვის მიერ დახვრეტილ ამხანაგებისა?..

ვინ იცის სამტრედიაში ალიხანოვისვე მიერ დახოცილ ამხანაგების ვინაობა.

ვინ იცის 1905 წელს ნოემბერში ბათომში ყაზახების მიერ დახოცილ ამხანაგების სახელი და გვარები?

რომელი ერთი და ორი ჩამოვთვალოთ... თბილისი—ქუთაისი, განჯა, თუ ბაქოს ქუჩები მრავალ გზით არიან მუშათა სისხლით შეღებილი...

დღეს, ამ პირველი რევოლიუციის ოცი წლის თავზე დროც და გარემოებაც ხელს გვიწყობს აღვნიშნოთ და მოვიგონოთ ჩვენი გმირები, რომელნიც „გმირულის ჟინით, ყიჟინითა და ბრძოლის სიმღერით წინ მიიწევდენ... თავგანწირულად გზასა კაფამდენ“, თვით დაიხოცნენ, მაგრამ ჩვენ გამარჯვება გვარგუნეს...

ამიტომ აუცილებელია, ჩვენი პირდაპირი ვალია—დღესვე შევუდგეთ საქმეს. მოვიგონოთ და ავსწეროთ წარსული რევოლიუციის საქმენი საგმირონი... მოვიგონოთ დაღუპულ—დახოცილი ამხანაგები და მათი საქმენი დაუვიწყარნი.

ამას მოითხოვს ჩვენგან დაკარგულ ამხანაგებისადმი ხსოვნა და პატივისცემა.

ერთი საყურადღებო საქმე ამხ. იასონ ღლონტის ღირსია ყურადღებისა: 1903—1904 წლებში თბილისის სადგურის უფროსად იყო ვინმე მხეცი ტერპილოვსკი. ეს ადამიანი კი არა ნამდვილი კაცი-ჭამია იყო. თავის-თავის მეტი მისთვის არავინ არსებობდა... პატარა მოსამსახურეები ხომ მას ჭიანჭველებათ მიაჩნდა, გადადგამდა ფეხს გასრესამდა, გადმოდგამდა გასრესამდა... აივსო მოთმინების ფიალა... გადაწყდა ამ მხეცის თავიდან მოშორება... საქმე ჩვენმა ხელ მარჯვე იასონმა იკისრა.. ტერპილოვსკის თითქოს გულმა უგრძნო, ალარსად გამოდის, თავის კაბინეტს არ შორდება, მაგრამ ხალხის რისხვას ვერ ასცდა. ამხ. ღლონტმა მოამზადებინა სადგურის მეორე ლიანდაგზე ტერპილოვსკის კაბინეტის პირდაპირ რამდენიმე რონოდები. აი ამ რონოდე-

ბის სახურავიდან მან უნდა სისრულეში მოიყვანოს ეს განაჩენი... ღამის 10 საათზე ბაქოსკენ გადის სახალხო მატარებელი. სადგურის უფროსი ამ მატარებლის წასვლისას კაბინეტის კარებში გამოჩნდება.

აი მესამე ზარი დაკრეს... მატარებელი ნელა დაიძრა... ტერპილოვსკი თავის კაბინეტის კარებში სჩანს წითელი ქუდით...

პირველ ორ რონოდებს შუა იასონმა ნიშანში ამოიღო თავისი მსხვერპლი, მეორე ორი წამავალი რონოდის შუა იჭექა ტყვიამ და მხეცი დაეცა უსულოდ თავის კაბინეტის კარებთან...

„აირია მონასტერი"... დადგა ფეხზე ჟანდარმერია.. მანამ მთელი მატარებელი ჩაივლიდა იასონმა თავს უშველა... ეჭვი აიღეს, ეგონათ ვიღაცამ წამავალ მატარებლიდან ჩაიდინა ეს მკვლელობა და მატარებელი ნავთლუხში რამდენიმე საათი გააჩერეს, მკვლელს ეძებდენ...

იასონ ღლონტს ბევრი ასეთი საქმე ჩაუდენია, ამბობენ გზის უფროსი, ვედენეევიც, იმან მოკლაო. ასეთ ამხანაგების ხსოვნა დაუვიწყარი უნდა ვყოთ.

ს. დოლიძე.

# საქართველოს პასუხისმგებელი შრომის არტელი

ვის არ გაუგონია ამ ორგანიზაციის სახელ-წოდება; ვის არ ახსოვს ის მითქმა-მოთქმა და აურ-ზაური, რომელიც ამ ერთი წლის წინად იყო ატეხილი ამ დაწესებულების გარშემო, ყველა მტერი თუ მოყვარე მის შესახებ ლაპარაკობდა· განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდნენ აშკარა თუ ფარულ ბრძოლაში მატვეევის შავრაზმულ არტელის წევრები. ვის არ დაინახავდით მათ რიგებში: ყოფილ რუს-კავშირთა წევრებს, გოროდოვოებს, დიაკვნებს, ჟანდარმებს და ყველა ჯურის შავრაზმელებს. ეს ვაჟბატონები იყვნენ გაპატონებულნი ამიერ-კავკასიაში ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროიდგან, მათ სამჳლობელოს ვერავინ ეხებოდა. მაგრამ დაჰბერა თებერვლის რევოლიუციის სიომ და მათი ბატონობაც შეირყა. დაიწყო მათი თანდათანობითი განდევნა ამიერ-კავკასიის ფარგლებიდგან. მოსალოდნელი იყო რომ საქართველოს გასაბჭოებიდგან მათ სავსებით მოუღებდა ბოლოს, მაგრამ სამწუხაროდ კიდევ დარჩა მათი ნაშთები—თუმცა მთავარი დასაყრდნობი ღერძი ა/კ. რკი. გზების სახით მათ გამოეცალათ ხელიდგან, და აი ყველა ამ ბრძოლებს აძლევდა მათ ჯერ კიდევ ნორჩი, ახალგაზრდა, თავის შემადგენლობით ინტერნაციონალური-პროგრესიული საქ. პასუხ. მგებელი შრომის არტელი, და სწორედ ეს გარემოება გახლდათ მიზეზი, რომელიც არ ასვენებდა შავ-რაზმელთა ხროვას. საით მიილტვოდა ჯერ კიდევ ეს ნორჩი ორგანიზაცია? მას მიზნად ჰქონდა დასახული შემოკრება თავის გარშემო მშრომელთა ელემენტების, მათი აღზრდა გარდაქმნა ზნეობრივ პასუხისმგებლობის ნიადაგზე და ამასთანავე მათივე საშუალებით შექმნა საერთო ქონების, რომელიც პასუხისმგებელი იქნება არტელის წევრის მოქმედებაში საბჭოთა სამეურნეო დარგების წინაშე, და აი ამ ქონებაში ჩაბანდებულია დღესაც თითქმის მცირედის გამოკლებით კერძო და არტელისათვის უცხო პირთა სახლები. მაგრამ სამწუხაროდ ხელმძღვანელთა უხეირო საქმიანობამ ხელი შეუშალა არტელის მიზან-დანიშნულების განხორციელებას. 1924 წელს კინაღამ საბედისწერო აღმოჩხდა არტელის არსებობისათვის. საქართველოს ავანტიურისტულმა აჯანყებამ ზოგიერთ არტელის უღირს წევრებს მადა აღუძრა ხელის მოთბობის და აი ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დაიწყო გაფლანგვები—მაგრამ ამავე წლის ნოემბრის საზოგადო კრებამ გადამჭრელი ზომები მიიღო ამ მოვლენის წინააღმდეგ და აირჩია ახალი ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც თავგამოდებით შეუდგნენ არტელის გამაგრება-გაჯანსაღების საქმიანობას. უნდა გულახდილად განვაცხადოთ რომ არტელის გამაგრებისათვის ბევრი რამ გაკეთდა და უმთავრესი ის რომ მის შემადგენლობამ, რომელიც 700 კაცამდის აღწევს და რომლებიც პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ელემენტებს წარმოადგენენ, შესდგნენ საბჭოთა პლატფორმაზე და ჩაებნენ საბჭოთა გამაგრების საქმიანობაში, რითაც არტელმა დაიმსახურა საბჭოთა ხელისუფლების უაღრესი ყურადღება — ამ მომენტიდან იწყება არტელის ცხოვრებაში ახალი ხანა. საზოგადოებრივი აზრიც მუშავდება არტელის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით არტელი მაგრდება, იზრდება და ვითარდება. სწორედ ამ ხანებში იწყებს მოქმედებას სახელმწიფო საგარანტიო დაზღვევის ა/კ. განყოფილება—ამავე დროს აძლიერებს თავის მოქმედებას მატვეევის არტელიც—ის მაგრდება ამიერ-კავკასიის ყველა სახელმწიფო ბანკებში და აქედგან ემუქრება, როგორც საქ. პასუხ. მგებელ შრომის არტელის არსებობას ისე „გოსტრახის" გაძლიერებას. ბუნებრივათ ისმება საკითხი ამ ორ უკანასკნელ ორგანიზაციის ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ. კითხვა დადებითად იჭრება—წყდება კონტაქტით მუშაობა და ხელსაყრელ მომენტში, უმტკივნელად და, თანდათანობით გაერთიანება „გოსტრახთან". როგორ უნდა გავიგოთ ეს დადგენილება? არის თუ არა დღეს საამისო მომენტი? დღეს ხელისუფლება ძალდატანებას არ ახდენს საწარმოო სამეურნეო ორგანოებზე, რომ მათ უეჭველად საქმე დაიჭირონ „გოსტრახთან", ხელისუფლებას დასაშვებად მიაჩნია და სასარგებლოდაც ამ შემთხვევაში კონკურენცია. ასეთ პირობებში სამეურნეო თუ წარმოების დარგების ხელმძღვანელები უფრო იმასთან იჭერენ საქმეს, ვისაც მაგარი ორგანიზაცია აქვს, მისი აპარატი ელასტიურია და მის მიერ დადებულ ქონებრივ პასუხისმგებლობას არ ახლავს ზედმეტი დამაბრკოლებელი მიზეზები — ერთი სიტყვით წარმოების ხელმძღვანელს შეეძლოს, რომ რომელიმე პასუხისმგებელი პირის მიერ გაფლანგული ფულები, დაუბრკოლებლივ მიიღოს მან გამგზავნელისაგან. ჩვენ არ შეუდგებით აქ „გოსტრახის" ორგანიზაციის შენების დაწვრილებით განხილვას, მხოლოდ ვიტყვით რომ ჯერ-ჯერობით ეს ორგანო ვერ არის ჩამოყალიბებული ისე, რომ სავსებით მისაღები იყოს სამეურნეო დ. საწარმოვო დაწესებულებებისათვის — მაშასადამე რჩება ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე

ორგანიზაცია! საქ. პასუხისმგებელ შრომის არტელი ღ მატვეევის შავრაზმული არტელი. თუ პირველის მოქმედებას და საქმიანობას ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ მისი არსებობა-განვითარება არამც თუ ეწინააღმდეგება „გოსტრახის“ არსებობას, არამედ ის პირიქით ხელს უწყობს მის გამაგრებას, მისი იდეიის განვითარებას. პირველი ამ უკანასკნელს უმზადებს უმწიკვლო-სინდისიერ მუშაკებს, რომლების მოქმედებაც შეფარდებული იქნება ადგილობრივ პირობებთან და იგი დამყარებული იქნება უეჭველათ ზნეობრივ პასუხისმგებლობის ნიადაგზე. აი ასეთ პირობებში საქ. პას. მგებელ შრომის არტელის მოსპობა და ლიკვიდაცია იქნებოდა—საშვალების მიცემა მატვეევის შავრაზმულ არტელის განვითარებისათვის-რაც უეჭველია მოასწავებდა მახვილის ჩაცემას ზურგში „გოსტრახის“ იდეიის განვითარებისთვის ამიერკავკასიის ფარგლებში. —ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ხელისუფლების სათავეში მდგომნი ამხანაგები აქ აღნიშნულ პირობებს ანგარიშს გაუწევენ და არა თუ ხელს შეუშლიან საქ. პას. მგებელ შრომის არტელის საქმიანობას, რომელიც დღე და დღე ვითარდება, რისი აშკარა სიმპტომებიც უკვე არის, არამედ პირიქით ხელს შეუწყობენ მის ზრდა-განვითარებას.

მ. ოლდაშვილი.

# კორესპონდენცია

## ახალი საგარაკო „ტყე-კვალა“ და მისი საკითხი

(გურია)

საქართველო ბუნებრივ სიმდიდრეთა უშრეტი წყაროა. ბუნებას მასზე თავისი ძადლიანი კალთა უხვად დაუებრტყია.

გადაუჭარბებლივ შეგვიძლია ვსთქვათ—მას ჩვენთვის არაფერი მოუკლია და ბუნებრივ სიმდიდრით ყელამდე აუვსივართ. მთელ დედა-მიწის ზურგზედ ბევრი არაა ასეთი კუთხე. რა გვაკლია ჩვენ? არაფერი, გარდა ტეხნიკისა და კულტურის.

რა გვაქეს ჩვენ?—ყველაფერი, რაც საჭიროა ერის ნივთიერ წარმატება-განვითარებისათვის.

— ქვა-ნახშირი, შავი ქვა, ათასგვარი მადნეულობა, სამკურნალო, მინერალური წყლები, კურორტები .. ძვირფასი ტყეებით დანაბდული მთები, მთა-გორაკები, ფართეთ გაშლილი ჭალები, ბაღ-ვენახებით შემკული ტრიალი მინდვრები——ყოველივე ეს ერთად ქვეყნის „ცოცხალი კაპიტალია“ და ძვირფასი საგანძური;

ბუნების ხელით მონაძღვენია. მის შექმნაში სულ პატარა წვლილი გვაქვს ჩვენ შეტანილი.აქ ჩვენი შემომქმედი საქმიანი ხელი ცოტათი მოსჩანს. ჩვენ ხშირათ მოცემულ სიმდიდრეშიაც კი ვცოდავთ და მითი ჯეროვნათ ვერ ვისარგებლნია. გარდა ამ ხილულ სიმდიდრისა, რამდენია ჩვენში ჯერ კიდევ შეუმჩნეველი, ხელ—უხლებელი.

განა ცოტაა ჩვენში ათასი ჯურის მადნეულობით სავსე მთები, რის დამუშავებას არავინ ცდილა?

რამდენი ხამკურნალო წყლები და ძვირფასი საგარაკო პუნქტებია ჩვენგან სავსებით უცადი და გამოუყენებელი? მინდა ეილაპარაკო მხოლოდ გურიის მაგალითებზედ.

უამრავი სიმდიდრეა აქ ხალხისთვის ჯეროვანად მოუხმარი.

ილიუსტრაციისათვის მხოლოთ ერთ მაგალითზედ მინდა შევჩერდე.

გასულ წელს, სრულიად მოულოდნელი შემთხვევით გომის მთის მახლობლათ აღმოჩენილ იქმნა მეტად ძვირფასი, იშვიათი საგარაკო პუნქტი—„ტყე-კვალა“. ვინ იფიქრებდა, რომ ასე მცირე, სულ 3-4-ოდე ვერსის მანძილზედ (გომის მთიდან) ისეთ ადგილს პოებდენ, რომელიც სპეციფიურ კურორტულ ღირსების მხრივ ბახმაროს არაფრით ჩამოუვარდება.

ეს ადგილი შარშან დაათვალიერა კომისიამ პროფ. მოსეშვილის, ფილ. მახარაძის, ხიმშიაშვილის (საბჭ. აჭარისტანი) და სხვათა შემადგენლობით, რომელთაც „ტყე-კვალა“-ს მეორე ბახმარო უწოდეს.

სურათი გეო-კლიმატიური პირობების მხრით იგი პირდაპირ ბახმაროს ნაჭერია, მისი ორგანიული ნაკვეთი ბახმაროსავე მსგავსად იგი სამი მხრით გარშემოზღუდულია მაღლობებით და მხოლოდ ერთის მხრითაა ზღვისაკენ—ზღვის სიოსთვის ღია და გაშლილი. „ტყე-კვალა“ —გომის მთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და წარმოადგენს ფართეთ გაფენილ ვაკეს, დაბლობს.

მისი მოედანი—რამდენიმე ათეული ქცევის მანძილზედ გაშლილი, დაბურულია კარვათ შეკრულ, ფიჭვ-ნაძვნარ-სოჭის უვალი ტყით, რომელიც, სხვათა შორის, ძვირფასს საალმშენებლო მასალას წარმოადგენს.

მთელი ეს ასპარეზი უხვად არის შემკული ანკარა, ცივი წყაროებით;

მას შუა ჩამოუდის მდინარე ღუჯი, რომელიც იქვე მახლობლათ იღებს სათავეს.

ამ აგარაკის ერთი უძვირფასესი თვისებაა ის, რომ იგი შეკრულია და ყოველ-მხრით დაცული, როგორც ქარის, ისე ნისლისაგან, რაც სავსებით არ ითქმის ბახმაროზე. ერთი სიტყვით, ყოველივე და ყველაფერი აქ ისეთ ფართე პერსპექტივებს გვიშლის, რომ იგი თუ შესაფერისად მოეწყო ბახმაროს ღირსებასაც დაჩრდილავს. ამასთანავე ტყე-კვალას უპირატესობაა ის, რომ მას უდგება ფრიად ხელსაყრელი და სარფიანი გზის ახალი ვარიანტი, რომელიც შაფაქურის მდ. ღუჯის გასწვრივ მიიმართება.

აქ შესაძლოა საუკეთესო საურმე გზა გაიმართოს და ეს არც ისე ძვირი დაჯდება. ხალხიც ამ აგარაკებზე დიდ იმედებს ამყარებს, ჯერ კიდევ გასული წლიდან ლამობდა აქ სახლის აღმშენებლობის წამოყენებას, მაგრამ ნატვრა და ფიქრი ოცნებად დარჩა და ტყე-კვალას საკითხი დავიწყებას მიეცა.

მას შემდეგ ამ საგანზედ კრინტიც არავის დაუძრავს და ასე ქართულმა დაუდევრობამ თავისი გაიტანა

საქმეს აბრკოლებს ერთი უმთავრესი გარემოება-იგი (ტყე-კვალა) საბჭოთა აჭარისტანის ხაზშია მოქცეული; ეს გარემოება ხელ-ფეხს უკრავს გურიის გლეხ-კაცობას ხელი მიჰყოს სახლების აღმშენებლობას.

გურიის გლეხობის იმედი ტყე-კვალაზედ სახლების გამართვის შესახებ ჩაიშალა.

საჭიროა საბჭ. აჭარისტანის და სათანადო ორგანოების ყურადღება ტყე-კვალასაც მიექცეს.

**კარ. დონაძე**

---

## დანიელოვს გარდა სხვაც არის.

გაზეთ „მუშის“ 12 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია წერილი შემდეგი „საკ·დრისი მიუზღოთ“. წერილი ეხება ექ. დანიელოვის საგმ.რო საქმეებს. მოქ. დანიელოვს ხელობათ გაუ`დია მუცლის მოშლა, რის მსხვერპლი გამხდარა ერთი ქალი.

ამის გამო ამ ექიმზე ბევრი მითქმა-მოთქმა არის. ერთი ასეთი მითქმა-მოთქმის დროს ქალაქ·ს რკინის-გზის სადგურის წინ მუშტი-კრივიც კი გაიმართა მოქ. დანიელოვსა და ერთ ვიღაც მოქალაქეს შორის.

ჩვენდა საუბედუროდ მარტო დანიელოვის პრაქტიკას არ შეადგენს მუცლის მოშლა. თელავში ერთი ბებია ქალიც ბრძანდება, რომელიც არა ნაკლებაა განთქმული ორსული ქალების მუცლის მოშლაში. ამ ბებია ქალს ბლომად ყავს „მუშტარი“. ეს „ბებია“ ქალი მსახურობს ქალაქის საავადმყოფოში, მაგრამ მას მეორე საკუთარი საავადმყოფო აქვს გამართული თავის ბინაზე მისი გვარი გახლავთ მდივანი. მის წინააღმდეგ აღძრულია საჩივარი სასამართლოს წესით და საქმე უნდა გარჩეულიყო 9 სექტემბერს, მაგრამ მოწმეების გამოუცხადებლობის გამო საქმე შემდეგისთვის გადაიდო.

იმედი გვაქვს მოწმეები შეგნებულად შეასრულებენ თავის მოქალაქობრივ მოვალეობას საბჭოთა სასამართლოს და საბჭოთა მოქალაქეების წინაშე და ნათელს მოჰფენენ ბებია ქალის ბნელ საქმეებს.

**ტანჯული მუშა**

---

## შენიშვნები რკინის გზაზე

სექტემბრის დამლევს მომიხდა მოგზაურობა ტფილისიდან ქუთაისისკენ სახალხო მატარებლით № 8.

მატარებლის უფროსი იყო ვინმე ბერეჟენკო.

ბილეთების გასინჯვის დროს მოქ. ბერეჟენკო ვერ არჩევდა მგზავრები რომელ სადგურამდის მიდიოდენ. ბერეჟენკოს აშკარად ეტყობოდა ადგილობრივ ენის უცოდინარობა.

მას სადგურ „ლიხზე“ მოუხდა უბილეთოების წარდგენა, მაგრამ, რადგანაც მან ქართული არ იცოდა და უბილეთოებმა კი რუსული ენა, საქმის შესრულება გაჭიანურდა, თუმცა ბერეჟენკოს თარჯიმანები ეხმარებოდენ.

როდესაც ამის შესახებ შევნიშნე მატარებელში მყოფ რევიზორს, მან მიპასუხა: რავქნა, ასეთი შემთხვევები ხშირია, რადგანაც ბერეჟენკო ვერ არჩევს ქართულად დაწერილ ბილეთებს. ამასწინად, განაგრძო რევიზორმა, ერთ მგზავრს სად. სამტრედიამდის ჰქონდა ბილეთი და როდესაც სამტრედიას მიუახლოვდით, მას ბერეჟენკოს ამ მგზავრისთვის უნდა ჩამოერთო ბილეთი, მაგრამ მან ვერ გაარჩია სადგური ბილეთზე და ის უკანვე დაუბრუნა მგზავრს.

წიფის სადგურს რო გავშორდით, მატარებელში ერთი ალიაქოთი ასტყდა. შემდეგ სადგურზე წარადგინეს რკინის გზის დარაჯები (охранка), რომლებიც სადარაჯოთ მიდიოდენ ხიდზე. მათ მოუხდათ ბერეჟენკოსთან ხანგრძლივი კამათი, რამაც მატარებელი შეაფერხა სადგურზე. გამოირკვა, რომ არც ბერეჟენკოს და არც დარაჯებს ერთმანეთის ენა არ ესმოდათ, ამასთან დარაჯებიც გაჯიუტდენ და არ აძლევდენ მატარებლის უფროსს პირადობის მოწმობებს გასასინჯად...

რასაკვირველია, ისეთი აგენტები, რომლებმაც არ იციან ადგილობრივი ენა და ამ ენაზე წერა-კითხვა, არამც თუ სარგებლობას აძლევენ რკინის გზის საქმიანობას, არამედ აფერხებენ მას.

მერე ვისი ბრალია ეს?

ბრალი ედება იმას, ვინც ნიშნავს მატარებლის გამყოლ აგენტებად გაურჩევლად იმისა, იციან თუ არა ამ აგენტებმა ის ენა, რომელზედაც ლაპარაკობს მგზავრების უმრავლესობა.

ამას უსათუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება რკინის გზის საშემოსავლო ნაწილმა და გაატაროს ცხოვრებაში ხელისუფლების მიერ გამოცემული დეკრეტები და ბრძანებები.

**წო.**

---

## საირმეს მჟავე წყალზე

დაბა ბაღდადიდან საირმემდის არის 22 ვერსი ქვეითად სასიარულო, ბაღდადამდი კი შეგიძლიათ მიხვიდეთ ეტლით ან ცხენით. წყალთაშუადან საირმემდის ფეხით სასიარულოა და ამასთან სახიფათო აღმართ-დაღმართი, მეტის-მეტი ორღო-ჩორრო. წყალზე ხიდებათ თითო ხეა გადებული, რომელზედაც ფეხს ვერ იკიდებთ.

ვინც მოდის საირმეს მჟავე წყალზე, სურსათი თან მიაქვს ვინაიდგან იქ არ იშოვება. წაბლის ხევიდან საირმემდის მუშა ფუთზე ორ მანეთს ღებულობს წასაღებ ქირას. ეხლა გახსნეს დუქანი, მაგრამ ღარიბ გლეხ-კაცობისთვის ფასები მიუწდომელია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზურგით ამოტანილი სურსათი ვერ შესძლებს ორასი ან სამასი კაცის დაკმაყოფილებას ისიც ხელსაყრელ ფასებში. ბინები აქ ყვერით წამოხურული ქოხებია. თითო ქოხში ხუთიდან ოც სულამდის სცხოვრობენ. საშინელი უსუფთაობაა, თუმცა მდებარეობა საირმის ძვირ-

ფასია. სადაც მჟავე წყალია, იქ ვაკე და გაშლილი ალაგია, გარშემო კი ფერდობი. ფერდობი ძვირფასი ნაძვნარით არის შემკობილი, შუაში ჩამოუდის მდინარე საირმე გაღმა-გამოღმა, სხვადასხვა ადგილას ამოჩუხჩუხებს ძვირფასი მჟავე წყლები. თვით საირმეში, სადაც მჟავე წყალი ამოდის, ჰაერი მსუბუქი და ცხელია, როგორც ბორჯომში.

კურორტის მოსაწყობად უკეთესი შემკობილი ბუნება შეუძლებელია. მეტადრე გლეხ-კაცობისათვის საირმე დიდი განძი და საშვალებაა. მჟავე წყალი ამოდის ხუთ ალაგას. წყლები ჯერ ქიმიურად შემოწმებულ არარის. ავადმყოფებმა არ იციან რომელ ავადმყოფობას მოუხდება წყალი და რომელს არა, ან რამდენი უნდა დალიონ, როდის და რა პირობებში. ზოგი ავადმყოფი ემადლიერება წყლებს ზოგი წინააღმდეგ, უჩივის. როგორც ზემოდ ვსთქვით, აქ მოდის უმთავრესად გლეხკაცობა თან მოაქვთ ჭადის ფქვილი, ყველი, ტარანი და სხვა. ასეთი საჭმელი, რასაკვირველია, სიშინლად ვნებს დაავადმყოფებულ კუჭს და ასეთი სანოვაგის მიღების შემდეგ მჟავე წყალი ვერ მოქმედობს ისე, როგორც ეკუთვნის. ერთი სიტყვით, სანამ წყალი არ გამოირკვევა და დარიგება არ მიეცემა ავადმყოფებს, უკმაყოფილება მანამდის იქნება.

ასეთი ძვირფასი ალაგი, რომელსაც შეუძლია მთელი დასავლეთ საქართველოს გლეხკაცობა ასარგებლოს და განიკურნოს სხვა და სხვა გვარ ქრონიკულ ავადმყოფობისაგან, მიტოვებულია უპატრონოდ და მოიჯარადის ანაბარა დატოვებული როგორც წყლები, ისე ავადმყოფები. ერთ-ერთ გაზეთში თუ არ ვცდები, ივანე გომართელიც ამკობს საირმის წყლის ღირსებას.

მთავრობიდან ნიხრი დადებულია სულზე ბინის 50კ. და წყლის 15 კაპ. მოიჯარადე ახდევინებს ბინისას და წყლისას 30 კაპ.

მოიჯარადე ყოფილი მეპატრონე საირმის და იჩენს ლმობიერებას და თავაზიანობას.

შევეკითხე იქ მყოფ გლეხებს (ავადმყოფებს) საირმის მოწყობის შესახებ იმ სახით, როგორც არის მოწყობილი ბორჯომ ესენტუკი, ცემი და სხვა. მათ ასე მიპასუხეს, წყალი ჩვენი აღმოჩენილია, ჩვენი ამოწმენდილია და რათ უნდა გვახდევინებდეს 65 კაპ. თუ საირმეც ისე მოეწყო, როგორც ბორჯომი, ჩვენ აქ ალაგი აღარ გვექნება. აქ მოვლენ ბურჟუები და პორთფელისტები, რომლებიც დაიარებიან ბორჯომში და ესენტუკში, ჩვენ კი ისევ დაგვჭირდება ახალი წყლის აღმოჩენაო. თვით საირმე ეკუთვნოდა საშა ერისთავს. ნიკოლოზის მთავრობისთავის გამოუთხოვნია ნებართვა და თანხაც რკინის გზის გასაყვანათ, ნებაც მიეცათ და თანხაც, მაგრამ გადატრიალებას მოუსწრია და მამული მენშევიკებს ჩამოურთმევიათ და მუშაობაც შეჩერებულა. მოტანილია რელსები, დამზადებული შპალი დამპალა. თვით საირმეშიდ დაუწვავთ ერისთავის 29 თვალი სახლი. წელს ჩვენი იქ ყოფნის დროს იყო 150 ქალი და კაცი. საჭირო და აუცილებელია გამოყვანა თუ არა ვიწრო ლიანდაგიან რკინისგზისა, როგორც დაგეგმილი და გადაწყვეტილი ყოფილა მთავრობიდგან, ცხენის გზის გაყვანა მაინც. საჭიროა წყლის გამორკვევა, ექიმის დანიშვნა, წამლობა და ბინის მოწყობა. და იმედი გვაქვს მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს საირმესაც.

კვეტენაძე.

# ქრონიკა

(კვირიდან—კვირამდე).

## ადგილობრივი ცხოვრება

— **ტელეფონების ქსელი** მ/კ. საოლქო კავშირმა საქართველოს სოფლებში ტელეფონების გასაყვანად გადასდო 130 ათასი მან.—ტელეფონების გაყვანის გეგმა შედგენილია და თანხები განაწილებული.

130 ათასი მანეთიდან 32 ათასი მან. უნდა დაიხარჯოს ტელეფონების გასაყვანად აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოსთვის კი გადადებულია 23.100 მან.

აღმოსავლეთ საქართველოში ტელეფონების ქსელის საერთო სიგრძე იქნება სულ 402 კილომეტრი, დასავლეთ საქართველოში—131 კილომეტრი.

ამ გეგმის გატარებას კისრულობენ ქალაქები და სოფლები შეერთებული ძალით.

— **ჩაის დასამზადებელი ქარხნები**. გურიის სოფლებში გლეხებ შორის ჩაის კულტურის გავრცელების გამო, სასოფ. სამეურნეო კოოპერატივი „ყლორტი“, შეუდგა ჩაის დასამზადებელ ფაბრიკის შენებას ს. აცანაში. ამ საქმისათვის ადგილობრივმა საკრედიტო ამხ. კოოპერატივ „ყლორტს“ მისცა გრძელ ვადიანი (2 წლ.) სესხი 3 ათასი მან. რაოდენობით.

ქარხნის აგება დამთავრდება მიმდინარე წელს.

— **რადიო სადგური სამტრედიაში**. სამტრედიის რაიონში სოფელ კულაშში ბარცხნას რადიო-სადგურის რადიო-ტეხნიკოსს ამხ. მაიაშვილის ხელმძღვანელობით ადგილობრივ კლუბთან ეწყობა რადიო-სადგური, რომლისთვისაც მოსკოვიდან უკვე გამოწერილია საჭირო აპარატები და ხელსაწყოები.

მაღალ ხმიანი მოლაპარაკე აპარატი დაიდგმება აგრეთვე სამტრედიის რკინის გზის კლუბთან.

— **ელევატორი ბათომში**. სავაჭრო „ხლებოპროდუქტი“ ბათომში აგებს ელევატორს. აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭომ უკვე განიხილა ელევატორის პროექტი, რომლის მიხედვით ელევატორის შემცველობა ექნება 100 ათასი ფუთის. ელევატორთან მოეწყობა წისქვილი, რომელიც დღე-ღამეში 3 ათას ფუთ ხორბალს დაფქვავს.

— **ქობულეთის სანატორიუმი**. ამ დღეებში დამთავრდება ქობულეთის სანატორიუმის შეკეთება, რომელსაც აჭარისტანის ჯანსახკომი აწარმოებს.

სანატორიუმი დაიტევს 50 ავადმყოფს. მათ შორის 10 ბავშვს.

სანატორიუმი გაიხსნება მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს.

— **ახალი ქარხნები**. ბორჯომში შენდება ახალი ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეუდგა არაყ-სპირტის სახდელი ქარხნების მოწყობას გუდაუთსა და ოჩემჩირში.

—აფხაზეთის ბამბის კომიტეტი აგებს ბამბის გასაწმენდ ქარხანას. ქარხნის ადგილის კვლევა-ძიება უკვე დამთავრდა.

ქარხნის გვერდით აგებული იქნება საწყობი, შენობები და მუშათა სადგომები ქარხნის ასაგებად გადადებულია 10 ათასი მან, აქედან 5 ათასი უკვე მიღებულია

— **ჭლექის და ვენერიულ ავადმყ. დისპანსერები მაზრებში.** საქ. ჯანმრთელ. სახკომმა საგეგმო კომისიაში წარადგინა სოციალურ ავადმყოფებთან ბრძოლის ხუთ წლიანი გეგმის ხარჯთაღრიცხვა. წარდგენილი გეგმის მიხედვით მიმდინარე წელს საქართველოს სხვადასხვა მაზრებში უნდა მოეწყოს თითო-თითო დისპანსერული ხასიათის ამბულატორიები ჭლექისა და ვენერიულ ავადმყოფობასთან საბრძოლველად.

მაზრის ამბულატორიას ეყოლება თავისი სამკურნალო რაზმი, რომელიც იმუშავებს ადგილებზე და საჭიროებისამებრ ავადმყოფებს გაგზავნიან სამკურნალოდ დისპანსერებში. მომავალი წლიდგან განზრახულია ამბულატორიების რეორგანიზაცია, თუ საჭირო შექმნა, გადიდებული იქნება დისპანსერთა რიცხვი.

— **სუბტროპიკული მცენარეთა კულტურა.** ბათომის ბოტანიკურმა ბაღმა და აგრეთვე ზოგიერთმა კერძო მეურნეებმა მიმდინარე წელს სცადეს ბათომში და ბათომის მახლობლათ მდებარე ადგილებში სუბტროპიკული მწვანილეულობის გაშენება. ცდებმა ჩინებული ნაყოფი გამოიღეს.

მოხდენილი ცდებით დადასტურდა, რომ აჭარის ზღვის ნაპირებზე შესაძლებელია სუბტროპიკული მებოსტნეობის ფართე მაშტაბით წარმოება.

გაშენებულ ბოსტნეულებს შორის აღსანიშნავია: სამხრეთ ამერიკული ტკბილი ქართობილი—ბატატა ცერცვი—ფაზეოლა-ბუნგა, წმიდა ლოტოსი, რომელიც იძლევა გემრიელ ნაყოფს და აქვს ქართობილის მაგვარი კრახმალით მდიდარი ძირები; იხეირა აგრეთვე სუბტროპიკულ ბოსტნეულის მცენარემ—სტრელამიტმა, ტირამ და იაპონურმა ბოლოკმა.

— **ალაზნის არხი.** აგვისტოს დამლევს რთველმა იმ გლეხებს, რომლებიც მუშაობდენ არხზე, ხელი შეუშალა განეგრძოთ მუშაობა და იძულებული გახადა დაბრუნებოდენ ოჯახს. ამის გამო მუშების რიცხვი სამუშაოზე საგრძნობლად შემცირდა.

მუშაობა ჯერ-ჯერობით დამთავრებულია ბაკურციხიდან მე-25 ვერსზე. ქვევით ასეთი სამუშევრები მთავრდება არხის სათავიდგან ბაკურციხემდე. წარმოებს ადგილის გამოკვლევა ჰიდრო-ელე—სადგურისათვის, რომელიც იქნება 50—60,000 ცხ. ძალისა. ამასთანავე ყურადღება ექცევა მუშების ბინების და ამასთან სხვა და სხვა საჭიროებისათვის შენობების აგებას.

ამ ჟამათ სწარმოებს საჭირო საალმშენებლო მასალის დამზადება-მომარაგება, უკვე ჩამოტანილია რუსეთიდან 11 ვაგონი ხე-ტყის მასალა და მოელიან ამ დღეებში კიდევ რამოდენიმე ვაგონს.

რადგანაც განზრახულია მუშების რიცხვის მომატება, ამიტომ სწარმოებს საჭირო სურსათ-სანოვაგის მომარაგება.

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
პ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

ყოფილ პოლიტ-კატორღელთა არტელი „შრომა".
აცხადებს ყველა სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივი დაწესებულების საყურადღებოთ, რომ პლეხანოვის ქ. № 111 მოთავსებულია
არტელის სამკერვალო-სახელოსნო,
სადაც მიიღება ყოველგვარი სპეც-ტანისამოსების დ აგრეთვე კაცების, ქალების დ ბავშების საკერავები.
ფასები მეტათ ხელმისაწდომია.

პოლიტ-კატორღელთა საზოგადოების წიგნისა და საკანცელარიო ნივთების
ლენინის ქუჩა № 3. მ ა ღ ა ზ ი ა ლენინის ქუჩა № 3.
იყიდება მეტათ შეღავათიან ფასებში
ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთები:
სახელმძღვანელოები, ბელეტრისტიკა, სოციოლოგია, პოლიტიკური ეკონომია დ სხ.,
რვეულები, კალმები, ქაღალდი, ფანქარი, ფერადები, მელანი და
ყოველგვარი სკოლებში სახმარი ნივთები.

მთავლიტი № 1401 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3. ტირაჟი—2500.

წელიწადი მეორე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი

პარასკევი 30 ოქტომბერი 1925 წ. | რედაქცია და კანტორა პლეხანოვის პროსპ., № 117 ტელ. № 11—68. | ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8—2 საათამდე | № 37

# ისევ წითელი დროშის ქვეშ

მუშათა და გლეხთა რწმუნებულების თათბირი დამთავრდა. თფილისის პროლეტარიატის პროლეტარული ინსტიქტით ნაკარნახევმა ისტორიულმა ნაბიჯმა თავისი ნაყოფი გამოიღო: საქართველოს მუშათა და გლეხთა მოწინავე ნაწილი—სოც.-დემ. პარტიის 11 ათასი ყოფილი წევრი—გულწრფელათ და ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობის სრული შეგნებით სამშობლოსა და მთელი ქვეყნის გასაგონებლად აღიარებს მისი პარტიის მიერ ამ უკანასკნელ წლებში წარმოებულ პოლიტიკის უვარგისობას, მის არა კლასიურ, არა მარქსისტულ ხასიათს და მოუწოდებს ყველას, ვისაც ჯერ ეს კიდევ არ შეუგნია და მასთან ერთად არ დაუკარგავს ყურთა სმენა და აზრთა გამჭრიახობა, ამოუდგეს მას გვერდში და მასთან ერთად შეუდგეს მსვლელობას ახალი გზით, ახალი მიმართულებით.

სინამდვილეში ეს ახალი გზა არ ახალია, ძველია. ეს ის გზაა, რომლითაც ჩვენ ვიდოდით მთელი ოცი წლის განმავლობაში; ეს ის გზაა, რომელიც გაიკაფა მუშათა კლასის ინტერესების მახვილი იარაღით და რომელმაც ცხოველ-მყოფი ძლიერება პოვა რევოლიუციონურ მარქსიზმის გენიალურ მსოფლმხედველობაში; იმ გზით, რომელმაც საქართველოს მუშათა კლასს არა ერთხელ არგუნა გამარჯვება თავის კლასიურ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში.

ჩვენდა სამწუხაროთ რუსეთის რევოლიუციის მიერ გამოწვეულმა ქარბუქმა ამ სწორე გზას ჩვენ აგვაცილა და თავზე მოგვახვია მოქმედების ისეთი მეთოდები, რომლების წინააღმდეგ წინეთ ჩვენ თვით ვიბრძოდით უსასტიკესი სიმკაცრით; სოციალ-დემოკრატიული, მარქსისტული ტაქტიკა ჩვენ შევცვალეთ ნაციონალისტური, დაშნაკური ტაქტიკით. და ამ ჩვენმა დაშნაკურმა მოქმედებამ ქართველი ხალხი უფსკრულის წინაშე დააყენა.

ამავე მოქმედებამ, ამავე ტაქტიკამ გვარგუნა ჩვენ სამწუხარო და სამარცხვინო როლი იმ დიად და უშესანიშნავ ისტორიულ ბრძოლაში, რომელიც დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოებს. მთელი ქვეყანა ორ დიდ ბანაკათ არის გაყოფილი და მათ შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული. წითელი საფრთხე თავს დასტრიალებს საბედისწეროთ განწირულ ბურჟუაზიას და ის არავითარ საშვალებას არ ზოგავს თავის კლასიურ მტრის დასარბევათ და დასამორჩილებლათ.

და ამ ბრძოლაში ჩვენ-არა მუშების მხარეზე ვიყავით. ვთქვათ პროლეტარიატის ეს ბრძოლა უდროოა, ვთქვათ მუშათა კლასს ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა საბოლოოთ დაამხოს თავის გაიძვერა მოწინააღმდეგე, მაგრამ განა ეს გარემოება ჩვენ გვიკარნახებს ბურჟუაზიის ბანაკში ყოფნას?

რასაკვირველია არა.

გაიხსენეთ ჩვენი მასწავლებელი მარქსის მაგალითი. მან კარგათ იცოდა, რომ მარტო პარიზის პროლეტარიატი ვერ შეძლებდა მთელი ქვეყნის სოციალიზმის სამეფოში შეყვანას. და ის პარიზის კომუნის გამოცხადების 6 თვის წინ აფრთხილებს თავის ფრანგ ამხანაგებს თავი შეეკავებიათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაგან. მიუხედავათ ამ რჩევისა 18 მარტს 1971 წელს პარიზის კომუნა ფაქტათ იქცა და მარქსმა არამც თუ იარაღით ხელში არ შეებრძოლა მას, პირიქით ის მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი გონებრივი სიძლიერით მის მხარეს დადგა და მისი თავდადებული დამცველი შეიქნა. მისი „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ უდიდესი ქება დიდებაა ამ კომუნის. ამ უდიდეს რევოლიუციონერს სხვანაირათ მოქცევა არ შეეძლო, რადგან ის პროლეტარიატის ინტერესების ნამდვილი დამცველი იყო.

დღეს პროლეტარიატის ბრძოლა ბევრათ უკეთეს პირობებში წარმოებს, ვინემ ეს პარიზის კომუნის დროს იყო: მთელი ქვეყნის ერთ მეექვსედ ნაწილში ძალა უფლება მუშათა კლასის ხელშია, სხვა ქვეყნებში კი მუშათა კლასი დარაზმულია უძლიერეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში. თუ ეს უკანასკნელნი ჯერ კიდევ არ შედგომიან გადამწყვეტ ბრძოლას და ნაწილობრივ ამ

ბრძოლის წინააღმდეგნიც არიან, ცხოვრების განვითარების სვლა მაინც იმას გვიჩვენებს, რომ მუშათა მასა ამ ბრძოლისაკენ მიილტვის. კაპიტალიზმი კი აშკარა რღვევის პროცესშია და მისი მესვეურნი დიდ აზრთა რყევას და დაბნევას განიცდიან.

მალე 8 წელიწადი შესრულდება, რაც აფრიალებულია სოციალიზმის წითელი დროშა და დროთა მსვლელობა არამც თუ ქედს არ ახრევინებს მის ქვეშ მდგომ მებრძოლთა რაზმებს, არამედ მათ უფრო ამაგრებს და ამტკიცებს.

ვისთან იქნებოდენ რევოლიუციონური მარქსიზმის მამამთავარნი დღეს ამ ბრძოლაში, ეს არავისათვის საეჭვო არ არის. ჩვენ კი ჩვენი სამარცხვინო და უბადრუკი ტაქტიკით აშკარა რეაქციონერთა, პროლეტარიატის მტერთა ბანაკში მოვხვდით. მთელი ამ 8 წლის განმავლობაში ჩვენ ამ რეაქციონერებთან ერთად ვღაღადებდით და ვქადაგებდით საჯვაროსნო ომს მუშათა დიქტატურის წინააღმდეგ.

და ყოველივე ამას ჩავდიოდით ჩვენ ვითომდა ერის ინტერესების დასაცავათ, იმ ერის, რომლის კულტურულ განვითარებას ისეთი ფართო სარბიელი არასოდეს არ ქონია, როგორც დღეს აქვს, რომლის თვითმოყვარეობა ხშირათ თუ ილახებოდა, ისევ ჩვენი მიზეზით, რადგან ჩვენ აშკარათ გაურბოდით ხელისუფლებასთან თანამშრომლობას ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოთ. და საჭირო შეიქნა უდიდესი და უსაშინელესი კატასტროფა, საჭირო შეიქნა სისხლის დაღვრა, რომ ჩვენ შეგვეგნო ამ ჩვენი ტაქტიკის უვარგისობა და მისი უკუვდების საჭიროება.

დღეს 11 ათასი მოწინავე მუშა და გლეხი თავის რწმუნებულთა პირით საქვეყნოთ აღიარებს თავის გარდუვალ ნებისყოფას: ბოლო უნდა მოეღოს იმ ტაქტიკას, რომელიც ერს გადაგვარების გზაზე აყენებს და ჩვენ მუშებს კი უნებლიეთ გვყრის მუშათა და გლეხთა ინტერესების მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ამრიგათ ჩვენ ისევ ვუბრუნდებით წითელ დროშის ქვეშ მყოფ მუშათა რიგებს და აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ ყოფილ თანამოაზრეთ და თანამებრძოლთ.

წითელ დროშას კი დღეს საქართველოში შეუპოვრათ აფრიალებს მხოლოდ კომუნისტური პარტია და ამიტომ ჩვენც გულწრფელათ ვდგებით მის გვერდში, რათა მასთან ერთად ვაწარმოოთ ბრძოლა შეუპოვარი და შეურიგებელი ჩვენი საერთო იდეალის განსახორციელებლათ და ჩვენი პატარა ქვეყნის ასაყვავებლათ.

მათ კი, ვინც შეეცდება ჩვენი ხალხის თავზე იმგვარ უბედურების დატეხას, როგორიც მან 29 აგვისტოს განიცადა, ჩვენ გამოვუცხადებთ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას, ბრძოლას შეუპოვარს.

თანახმად თათბირზე გამოთქმულ ერთსულოვან აზრისა ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებული მტერი — შინაური რეაქციის სახით მოგვევლინება ის, თუ გარეშე ტლანქი ძალის შემოსევით, სულ ერთია — გვნახავს ჩვენ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დამცველთა რიგებში.

კ. სულაქველიძე.

# „მუშათა კომისიის“ რწმუნებულთა 9–12 ოქტომბრის 1925 წლის თათბირის დადგენილებები

### მუშათა კომისიის რწმუნებულების თათბირის

## დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა.

თანამედროვე პოლიტიკურმა მდგომარეობამ ჩვენს წინაშე წამოაყენა უდიდესი მნიშვნელობის საკითხები, რომელთა ამა თუ იმ გადაჭრაზეა დამოკიდებული ქართველი ერის მომავალი ბედი.

ვისაც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა შეგნებულად გაუხდია ყოველდღიურ მზრუნველობის საგნად, მას არ შეუძლიან მხურვალე მონაწილეობა არ მიიღოს ამ კითხვების გადაჭრაში.

აშკარაა — ჩვენ, მუშათა კომისიას და მის რწმუნებულებს, ვისაც მუშების დავალებით წილად გვხვდა აგვისტოს გამოსვლების შედეგების ლიკვიდაცია, ვერ დავიცავთ ნეიტრალობას ამ ისტორიულ საკითხისადმი და ყოველმხრივ მოვალენი ვხდებით აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ყველა ამ საკითხების გადაჭრაში.

ამ პროცესში საჭიროა იმდენადვე ფრთხილი და წინდახედული ნაბიჯები, რამდენად რთული და ახლართულ-დახლართულია ომის და რევოლიუციის შემდეგი პერიოდის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების კვანძი. აუცილებელია ამ მუშაობაში ჩვენ მოგვიხდება და გვიხდება კიდეც გადაფასება იმ მეთოდების, იმ საშუალებების, რომლითაც ათეული წლებით ვსარგებლობდით საკაცობრიო და ეროვნულ საკითხების გარკვევა-გადაჭრაში, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაფერხოს. ახალ ღვინოს ახალი ჭურჭელი ესაჭიროება. ახალ შენობას ძველი საძირკველი არ გამოადგება. ძველი უნდა დაინგრეს, თუ ის უვარგისია.

ის გარემოება, რომ ჩვენ მოწამე ვართ დიდ რევოლიუციონურ-პოლიტიკურ მიღწევების, გვარწმუნებს ჩვენი წარსული მუშაობის სიმართლეში და სისწორეში. მაშასადამე, ეს გარემოება გვავალებს პატივით და დიდებით მოვიგონროთ განვლილი წლების მუშაობა. მხოლოდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველს ჩვენს ნაკლს წარსულში ხელი დავაფაროთ, არ უარვყოთ ნაკლი და არ შევეცადოთ შევავსოთ, გამოვასწოროთ იგი.

რამდენად ბრწყინვალე იყო ქართველი ს. დ. პარტიის ისტორია 1917 და მეტადრე 1921 წლიდან.

ვის შეუძლიან დაივიწყოს ის როლი, რომელიც ითამაშა მესამე დასმა ქართულ პოლიტიკურ აზროვნების

გამოღვიძებაში და ამუშავებაში. ვის შეუძლია დაივიწყოს ის ღვაწლი, რაიც მიუძღვის სოც. დემოკრ. მუშათა პარტიას მშრომელი მასების რევოლიუციონურ გაწვრთნაში და ორგანიზაციულად დარაზმაში თვითმპყრობელობის წინაამდეგ საბრძოლველად. საქართველოს მუშათა კლასს და მის წინამძღოლს ამ ბრძოლაში სახელოვანი ადგილი ეჭირა და თავის რევოლიუციონური შეუპოვრობით და გამძლეობით ევროპის პროლეტარიატიც კი აალაპარაკა თავის დროზე. რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატთან კავშირში მან დასცა ბუმბერაზი მონარქია.

მოსალოდნელი იყო საქართველოს მუშათა კლასი და მთელი საქართველო, როგორც უაღრესად დაჩაგრული ერი, გონივრულად ისარგებლებდენ და გამოიყენებდენ დიდი რევოლიუციის მონაპოვარს; მოსალოდნელი იყო მთელი მშრომელი საქართველო შეგნებულად განაგრძობდა სახელმწიფოებრივ კავშირს რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატთან მაგრამ, ერთის მხრივ, მექანიკურად შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ საერთაშორისო ომის და უდიდესი რევოლიუციის პირობებში, მეორეს მხრივ— ჩვენი ხელმძღვანელების წინ-დაუხედაობამ და ტრაგიკულმა ქინიანობამ არამც თუ მოგვიწყვიტა ჩვენს ბუნებრივ მოკავშირეს, არამედ ჩაგვაყენა ამ მოკავშირის მიმართ საომარ მდგომარეობაში. საქართველოს მუშათა კლასი და საერთოდ მთელი მშრომელი საქართველო მათი ზეგავლენით, ვისაც 30 წელიწადი ენდობოდა და იდეურად ემორჩილებოდა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ ბოლშევიკური რუსეთი მისპობდა საქართველოს კულტურას და სახელმწიფოებრიობას და ამ რწმენაში მას ამტკიცებდა სამოქალაქო ომით და რევოლიუციით გამოწვეული უბედურებანი.

ამისთანავე სამოქალაქო ომს, რომელსაც აწარმოებდა საბჭოების წინაამდეგ კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია ევროპის დახმარებით, შეჰქონდა რყევა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის შეგნებაში ოქტომბრის რევოლიუციის საბოლოვო გამარჯვების შესახებ. სწორედ ამით აიხსნება ის უნდობლობა, რომელიც საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ გამოიჩინა თავიდანვე საბჭოთა რუსეთის და კომპარტიის მიმართ. ეს უნდობლობა გარდაიქცა აშკარა შეურიგებლობად 1921 წელს, როდესაც საქართველოში მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება წითელი ჯარის დახმარებით.

საქართველოს დამარცხებულმა მთავრობამ და ხელმძღვანელი პარტიის ლიდერებმა იმის მაგიერ, რომ გამოენახოთ საერთო ენა და დაეწყოთ შემარიგებელი მოლაპარაკება კომუნისტურ ხელისუფლებასთან, ბრძოლის ასპარეზი გადაიტანეს ევროპაში და მისი დახმარებით ისინი ჰლამობენ არსებულ ხელისუფლების დამხობას და საქართველოს „განთავისუფლებას".

და აი, საქ. ს. დ. ც. კ. საზღვარ-გარეთულ ბიუროს და ყოფილ მთავრობის ასეთმა უტაქტო მოქმედებამ ბევრ უბედურებასთან ერთად მიგვიყვანა აგვისტოს ტრაგედიამდე, რომლის მსხვერპლი მათ საკმაოდ არ მიაჩნიათ დაუარჰყოფენ რა საქართველოს სეპარატიულ გამოსვლებს მომავალში, კვლავ მოგვიწოდებენ იარაღისკენ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ გართულების ჟამს.

დღეს, როდესაც ევროპის თითქმის ყველა ანტისაბჭოთა პარტიები გვირჩევენ რუსეთთან და კომპარტიასთან საერთო ენის გამონახვას და მათთან კავშირს, საზღვარ-გარეთილი ბიურო და ყოფილი მენშევიკური მთავრობა, წინაამდეგ იმისა, ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებში, ხან კი ევროპაშივე გახიზნულ რუსეთის თეთრგვარდიელ-შავრაზმელებში ეძებენ თავის მოკავშირეებს. რამდენად სახიფათოა ეს გზა, რამდენად დამღუპველია ეს ცდა.—აშკარაა ყველა საღად მოაზროვნე ქართველისთვის, მხოლოდ ვერ ხედავენ ამას ისინი, ვინც, გვგონია, პირად თავმოყვარეობის და პარტიულ ქინიანობის ტყვე გამხდარან.

სჩანს, იმას, ვინც ახლანდელ ევროპაში და რუსეთის თეთრგვარდიელებში ეძებს მოკავშირეს, არა სწამს საქართველოს დამოუკიდებლობა, მას ამ დამოუკიდებლობისათვის ჯვარი დაუსვამს და რომელიმე დიდი სახელმწიფოს პროტექტორატს ეძებს. აშკარაა ასეთ შემთხვევაში საქართველოს არ აცდება უბრალო კოლონიის ბედი. ასეთივე ბედი ეწევა მას რუსეთის დემოკრატიის გამარჯვების მეორე დღესვე, ვინაიდან ის გარდაიქცევა დიდი რუსეთის უმნიშვნელო პროვინციათ.

არც ბურჟუაზიული და იმპერიალისტური ევროპა, არც რუსეთის თეთრგვარდიელების საეჭვო დემოკრატია. ჩვენი საიმედო მოკავშირე საბჭოთა რუსეთია.

საკავშირო კონსტიტუციამ ფორმალად აღიარა საბჭოთა საქართველოს სუვერენობა, ესევე კონსტიტუცია მოგვცემს შეძლებას სახელმწიფო სუვერენობა გამოვიყენოთ ფაქტიურად, როდესაც ამის ხელშემწყო პირობები შეიქმნება.

თუ საქართველოსადმი მინიჭებული უფლებები აქნობამდის შეზღუდული იყო ნაწილობრივ, თუ პროლეტარული დიქტატურის სიმკაცრე მწვავეა დღემდის, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ სამოქალაქო ომის საშიშროებაში.

ჯიუტობით, შეურიგებლობით და შეიარაღებულ აჯანყების მზადებით საქართველოს ანტი-საბჭოთა პარტიები ხელს უშლიდენ ხელისუფლებას გაეფართოებინა საქართველოს სუვერენული უფლებები.

ჩვენი რწმენით სამოქალაქო მშვიდობიანობა წარმოადგენს წინასწარ პირობას ამ უფლებების აღსადგენად და რეპრესიების შესანელებლად. ასეთი რწმენა განამტკიცა „მუშათა კომისიის" ერთი წლის მუშაობამ.

მიუთითებთ რა ჩვენს ამხანაგებს და საქ. მთელ მშრომელ მასას საერთოდ იმ მიღწევებზე პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ მუშაობის სფეროში, რის ცოცხალი მოწამე ვართ, მოუწოდებთ ყველას კარგათ შეაფასონ მიმდინარე დიადი მომენტი, ერთხელ კიდევ დაჰგმონ აჯანყების და შეურიგებლობის გზა, დაჰგმონ ის პარტიები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ იბრძვიან, ვინც კიდევ კადნიერად მოგვიწოდებს დამღუპველ გზისკენ, გულწრფელად და შეგნებით ამოუდგენ ჩვენთან ერთად კომუნისტურ ხელისუფლებას და ჩაებან აღმშენებლობის მუშაობაში ქართველი ერის საბედნიეროთ.

ეს არის ჩვენი ღრმა რწმენით, ერთად ერთი სწორი და მისაღები გზა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

გაუმარჯოს მუშათა მთლიან ფრონტს.

გაუმარჯოს სოციალიზმს.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## ქართველ ემიგრაციისა, გადასახლებულებისა და დაპატიმრებულებისადმი.

საქართველოს ანტი-საბჭოთა პარტიების ოთხი წლის პოლიტიკამ თავის დაგვირგვინება ჰპოვა გასულ წლის აგვისტოში. თუ ამ ამბებამდეც საქართველოს ანტი-საბჭოთა პარტიების მიმდევარ აქტიურ ელემენტებში უკვე ფეხი ჰქონდა მოკიდებული აღებულ პოლიტიკურ გეზის სისწორეში დაეჭვებას, გასულ წლის აგვისტოს ამბებმა ამ დაეჭვებას მასიური ხასიათი მისცა. პასიური წინააღმდეგობა ანტი-საბჭოთა პარტიების პოლიტიკის მიმართ ფართო სახალხო მოძრაობად იქცა.

ამ მოძრაობის ნაყოფია ის მუშათა კომისია, რომელიც გასულ წლის 7—8 ოქტომბერს იქნა არჩეული ტფილისის რკინის გზელთა მიერ „ნაძალადევის“ მუშათა კლუბში და რომელმაც ასეთი ფართო გამოხმაურება ჰპოვა ადგილებზე, სადაც არჩეულ ვიქენით ჩვენც ამ კომისიის რწმუნებულები.

ჩვენ ამ მომართვით გვინდა გაუწყოთ თუ როგორ და რა პირობებში წარმოიშვა „მუშათა კომისია“, რა დავალებები მიეცა მას ამომრჩეველთაგან და, დასასრულ, რა მოსაზრებებმა აგვაღებია ჩვენ ხელი საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

გვარები, რომელთაც თქვენ ამ მიმართვის ბოლოში წაიკითხავთ, ვფიქრობთ, იძლევიან ქვემორე აღნუსხულის სიმართლის გარანტიას.

ამისივე გარანტიას წარმოადგენს ისიც, რომ ჩვენ ისე, როგორც თქვენ მტკიცედ გვწამს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობა და მისი მომავალი.

### როგორ წარმოიშვა „მუშათა კომისია“.

1924 წლის აგვისტოს ამბებმა კვლავ წამოაყენეს საკითხი ჩვენი მენშევიკური ტაქტიკის გადასინჯვის და შეცვლის შესახებ.

გასულ წლის 7—8 ოქტომბრის რკინის გზის მენშევიკ და უპარტიო მუშების საერთო კრებაზე ტფილისში, სადაც იღებდენ მონაწილეობას მთავარი სახელოსნო, დეპო, მთავარი საწყობი და ტფილისის კვანძი და რომელიც მოწვეულ იყო თვით მუშების ინიციატივით, გამოირკვა, რომ საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის ეს შეგნებული და აქტიური ავანგარდი კატეგორიულად მოითხოვდა ტაქტიკის გადასინჯვის საკითხის სრულიად მოხსნას და ახალი გზის გამონახვას საბჭოთა ხელისუფლებასთან დასაახლოებლად და გულწრფელად შესარიგებლად. ამ კრებაზე გამოაშკარავდა ერთსულოვანი აღშფოთება აგვისტოს ამბების ავტორთა წინააღმდეგ.

როგორც მოგახსენეთ, ეს კრება შესდგა თვით მუშების ინიციატივით, მთავრობის ჩაურევლად, ყოველ შემთხვევაში, თავისუფალი ნება-სურვილით, ძალდაუტანებლივ.

კრებამ აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია. წევრებათ: მ. ძამანაშვილი, ლ. კუპრაშვილი, პ. ხურცილავა, კ. მაჭარაძე და ს. გვიმრაძე და კანდიდატებათ— სოლ. დოლიძე და ლ. ალანია.

### რა დაევალა „მუშათა კომისიას“.

I. „მუშათა კომისიას“ უნდა დაეახლოვებინა და შეერიგებინა ხელისუფლებასთან მენშევიკები და ის უპარტიოები, რომელნიც წინედ თანაგრძნობით იყვენ განწყობილი მენშევიკურ პარტიისადმი.

ამ მიზნის განსახორციელებლად „კომისია“

1) აწარმოებდა იდეიურ ბრძოლას ყოველგვარ პოლიტიკურ ავანტიურასთან, განსაკუთრებით კი სისხლისმღვრელ აჯანყებასთან და იმ დამღუპველ იმედებთან, რომელსაც საქართველოს მშრომელი მასის ნაწილი ამყარებდა ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებზე არალეგალური ცეკას და არალეგალურ პირების შთაგონებით:

2) იგი ეწეოდა აგიტაცია-პროპაგანდას მენშევიკურ და უპარტიო მასაში, რათა ეს მასა ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყო ბურჟუაზიულ ევროპის იმედებისაგან და შესდგომოდა მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში.

II. თანახმად თავის ამრჩევლების სურვილისა კომისია ღებულობს ზომებს აგვისტოს დამღუპველ გამოსვლების ლიკვიდაციის მოსახდენათ: 1) არიგებს ხელისუფლებასთან ტყეში გასულებს; 2) ანთავისუფლებინებს ხელისუფლებას ციხეებიდახ და ჩეკიდან პოლიტიკურ ტუსაღებს; 3) შეძლებისდაგვარად აყენებს სამუშაოზე უმუშევრად დარჩენილ ამხანაგებს; 4) მართავს პირად მოლაპარაკებას სუზდალის პოლიტიკურ პატიმრებთან და სხვა გადასახლებულებთან მთავრობასთან შერიგების და სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

III. კომისიის მუშაობა არ განისაზღვრება მხოლოდ შუამდგომლობით მთავრობის წინაშე; მან მოიპოვა უფლება და აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მიუდგომელი კრიტიკა ადმინისტრატიულ ორგანოების და პირების მოქმედებისა, ამასთანავე მიუთითოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს არანორმალურ მოვლენებზე ცენტრში თუ პროვინციებში და მით შეუწყოს ხელი რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებას და მოუსპოს ანტი-საბჭოთა პარტიებს არსებულ წყობილების საწინააღმდეგო აგიტაციის წარმოების საბაბი.

ასეთი არის დაახლოვებით მუშათა კომისიის სამოქმედო პროგრამა და მისი შესრულება თითქმის $^3/_4$-ის შესძლო კომისიამ.

დაგვეთანხმებით, რომ ყველა ეს შეადგენს ელემენტებს საბჭოთა დემოკრატიისას, რომლის უარყოფას ასეთი თავგამოდებით უჩივიან საბჭოთა სისტემას.

მუშათა კომისია და მისი რწმუნებულები ღრმად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ საქართველოს მშრომელ მასისთვის ერთად ერთი მისაღები გზა არის გზა მის მიერ არჩეული, ე. ი. ცნობა საბჭოთა წესწყობილებისა, შერიგება საქ. საბჭ. არსებულ ხელისუფლებასთან და გულწრფელი თან-მშრომლობა მასთან ეროვნულ კულტურის აღორძინების მიზნით.

### ჰქონდა თუ არა მუშათა კომისიას და მის ამრჩევლებს საფუძველი საბჭოთა ხელისუფლებასთან შესარიგებლად.

ხელისუფლებასთან შერიგების საფუძველი, ჩვენი ღრმა რწმენით, არსებობს.

შერიგების და პლატფორმის აღიარების გზას დავადექით არა მარტო პოლიტიკურ მოვლენათა გარდაუვალ.

აუცილებლობის შეგნებით და კარნახით, არა ფიზიკური დამარცხების შემდეგ, არა შიშით ტლანქი ძალის წინაშე,—არამედ მის შემდეგ, როდესაც მუშებში და მოწინავე გლეხებში მოხდა ღრმა მორალური გარდატეხა, როდესაც დავრწმუნდით, რომ საბჭოთა წყობილება იძლევა ნაყოფიერ ნიადაგს აღმშენებლობით მუშაობისათვის ეროვნული აღორძინების მიზნით.

## დ ა ს კ ვ ნ ა.

ჩვენი შეგნებით, სრული მშვიდობიანობა და გულწრფელი თანამშრომლობა ხელისუფლებასთან წინასწარი პირობაა გასამტკიცებლად იმ ეროვნულ უფლებებისა, რისთვისაც აქნობამდის ვებრძოდით კომუნისტურ ხელისუფლებას.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მივუახლოვდით სავსებით მშვიდობიან მდგომარეობას, ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა იარაღის ჟღარუნი, ჩვენს ტანჯულ ქვეყანას კიდევ მოსდის სისხლის სუნი. ამის საბუთს იძლევა საზღვარ-გარეთ ამა წლის ივლისში გამოცემულ ჟურნალ „ბრძოლის" № 1—რომელშიაც საქართველოს სოც. დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელი ბიურო პირდაპირ აცხადებს, რომ ბრძოლა გრძელდება; ამასვე გვიჩვენებს საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს სოც.-დემოკრატების ყრილობის რეზოლიუცია, რომელიც ამბობს, რომ შესაფერ მომენტში მიმართავენ იარაღს.

ქართველი მუშების საუბედუროდ, ამ სისხლის სათავე უეჭველად ემიგრაციაში იწყება. თქვენ, რომელნიც 30—35 წელიწადი ელოლიავებოდით საქართველოს მშრომელ ხალხს და აკავებდით მას ყოველგვარი ავანტიურებისაგან, უნდა აღიმაღლოთ ხმა ახალი ავანტიურების წინაამდეგ.

## კ მ ა რ ა.

ჩვენ აღარ დავღვრით სისხლს და აღარცა გვაქვს ამის საბაბი. ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს პროტექტორატს ან და რუსეთის საეჭვო დემოკრატიას, რისთვისაც ბრძოლისათვის მოგვიწოდებს წერეთელი, გვირჩევნია რუსეთის პროლეტარიატთან ძმური კავშირი, ვინაიდან ეს კავშირი გვაძლევს ყველა გარანტიებს ჩვენი კლასობრივი და ეროვნული იდეალების მისაღწევად.

ჩვენ სინიდისით დავადექით ამ გზას და უსინდისოთ ველარ ვულალატებთ მას. ღალატი ავნებს მუშათა კლასის საქმეს და საქართველოს ინტერესებს. ამიტომ წინდაწინვე გაფრთხილებთ, ამხანაგებო, რომ ჩვენი იმედი ნუ გექნებათ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების თავზე დააპირებთ ხმლის აღმართვას. იცოდეთ, რომ ბარიკადებზე ჩვენ ვიქნებით საბჭოთა ხელისუფლების დამცველთა რიგებში, ვინაიდან ჩვენი ბედი დაუკავშირეთ ამიერიდან მის ბედთან. ამას პირადი ეგოიზმი კი არ გვალაპარაკებს, არამედ ღრმად განცდილი და შეგნებული ქართველი ერის სიყვარული და მუშათა კლასის და სოციალიზმის ინტერესები.

გარწმუნებთ, ამხანაგებო, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ ჟამად სამკალი ბევრია, მკის და მორაგარის შესაფერი პირობებიც, მხოლოდ იგი მეტ მომკელებს ითხოვს ჩვენგან აქ.

გვახსოვს რა თქვენი გამრჯეობა, მოგმართავთ წინადადებით არ ანაცვალოთ ერის და მუშათა კლასის ინტერესები პირად თავმოყვარეობას, ზურგი აქციეთ ცბიერ ევროპას და დაუბრუნდით თქვენგან მიტოვებულ რევოლიუციონურ რიგებს და სამშობლოს საკეთილდღეოთ მოღვაწეობას.

ჩვენ არ ვკარგავთ მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი მოწოდება არ დარჩება უპასუხოთ. ღრმად დარწმუნებული, რომ ჩვენ არ ვცდებით ერთი მეორეში გეხმაურებით.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.
გაუმარჯოს სოციალიზმს.
პასუხი თქვენზეა.

## რეზოლიუცია მუშათა კომისიის მოხსენების შესახებ.

მუშათა კომისიის რწმუნებულთა თათბირმა მოისმინა რა ამხ. მ. ძამანაშვილის მოხსენება მუშათა კომისიის ერთი წლის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მუშათა კომისიას მეტად რთულ და საპასუხისმგებლო მომენტში მოუხდა მუშაობა. წასული წლის აგვისტოს ავანტიურამ ქართველ ხალხს უდიდესი უბედურება დაატეხა, აურაცხელ მსხვერპლს თან მოჰყვა ათასობით ავანტიურაში მონაწილე პირების დაპატიმრება და ტყე-ველად გაჭრა. დარჩენილი ათასები გზა-აბნეული დარჩნენ, ძველი დამღუპველი გზა, რომელზედაც საქ. სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ დააყენა, მათთვის მიუღებელი შეიქნა, აშკარა გახდა, რომ ამ გზამ ის ავანტიურაში ჩაითრია; საქართველო დაღუპვის კარებამდე მიიყვანა. ხალხი ახალი გზის ძებნას შეუდგა. პირველად ეს ახალი გზა რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილმა „ნაძალადევის" მუშებმა გამონახეს, მათ დაგმეს სოც დემოკრატ. პარტიის ტაქტიკა, უარყვეს იმპერიალისტური ევროპის ორიენტაცია და საბჭოთა კავშირის ორიენტაცია და საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმა მიიღეს. მათ მიერ არჩეულ მუშათა კომისიას დაევალა ამ ახალ გზით სიარული, ხალხში ენერგიული მუშაობა და მისი ახალ გზაზე დაყენება და საქართველოში აგვისტოს ავანტიურით შექმნილ მდგომარეობის ლიკვიდაცია. მუშათა კომისიამ პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. მან შესძლო საქართველოში პოლიტიკური მშვიდობიანობის ჩამოგდება, მოიშალა ორ ძმათა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ფრონტი, მოისპო მტრული განწყობილება. ქართველი მშრომელი ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა, ის ხელისუფლებას შეურიგდა; სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან სამუდამოდ კავშირი გასწყვიტა, მუშათა კომისიის გარშემო შემოიკრიბა და მის არჩეულ გზაზე დადგა. მუშათა კომისიის მუშაობამ საქართველოს ყველა კუთხეებში ათასობით ჩამოაშორა შეცდომაში შეყვანილი ხალხი სოც. დემ. პარტიას და საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში ჩააბა. დღეს მუშათა კომისია აერთიანებს 11 ათასზე მეტ მუშა-გლეხს და ინტელიგენტს, რომლებმაც თავის მუშაობის გზით საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობა და ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში ერთგული და ენერგიული მონაწილეობა აღიარეს. მუშათა კომისიის მუშაობის ნაყოფია ისიც, რომ გასული წლის აგვისტო-სექტემბრის დღეებში დაპატიმრებულნი და რუსეთში გადასახლებულნი განთავისუფლებულნი იქნენ. მუშათა კომისიის შუამდგომლობით ბევრი ტყე-ველათ გაჭრილი შეირიგა ხელისუფლებამ. თათბირი აღნიშნავს რა მუშა-

თა კომ-სიის ზემოჩამოთვლილ მუშაობას, სრულიად დამაკმაყოფილებლად სთვლის მას და ერთხელ კიდევ მოაგონებს ქართველ ხალხის იმ ნაწილს, რომელიც ევროპისაკენ იცქირება და „ხსნას" იქიდან მოელის, დადგეს მუშათა კომისიის არჩეულ გზაზე, მხოლოდ ამ გზით შეიძლება საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად აყვავება განვითარება. საქართველოს მშრომელ ხალხს სხვა გზა არ გააჩიათ. საბჭოთა ხელისუფლების ცნობა და მასთან თანამშრომლობა საიმედო საწინდარია მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად სოციალიზმისაკენ სვლას!

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელი ხალხის მიერ არჩეულ ახალ გზას!

## რეზოლიუცია

### მომავალ მუშაობის შესახებ

„მუშათა კომისიის" რწმუნებულთა თათბირმა, მოისმინა რა ამხ. ძამანაშვილის მოხსენება მომავალ მუშაობის შესახებ, მიზანშეწონილად აღიარებს, რათა „მუშათა კომისიის" მიერ წარმოებული მუშაობა კვლავაც განგრძობილ იქნეს. ამავე დროს თათბირი, გამოდის რა მუშაობის წარმატებით მიმართვის ინტერესებიდან, საჭიროდ სთვლის „მუშათა კომისია" მისი ეხლანდელი სახით გაუქმდეს, ხოლო მომავალი მუშაობის ახალი ორგანიზაციული ფორმა შემუშავდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად. „მუშათა კომისიის" მიერ ამ საკითხზე შემუშავებულ წინადადებათა ნიადაგზე, ცენტრალურ კომიტეტთან მოლაპარაკების წარმოება დაევალოს კომისიას, რომელშიაც შეყვანილ იქნენ ამხ. ამხ. ძამანაშვილი, ლ. კუპრაშვილი, ა. გვიმრაძე, კ. მაჭარაძე, პ. ხურცილავა, კ. სულაქველიძე და შ. დუგლაძე.

## დედანზე ხელს აწერენ:

### თათბირის პრეზიდიუმი:

**მიხეილ ძამანაშვილი** („მუშათა კომისიის" წევრი, სოც.-დემ. პარტ. წევრი 1904 წლ.), **თეოფილე მაქსიმეს ძე ჩხაიძე** („მუშ. კომის." რწმუნებული გურიიდან, სოც.-დემ. პარტ. წევრი 1902 წლ.), **შალვა თომას ძე დუგლაძე** (რწმუნებული ტფილისის კოოპერატიულ დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთაგან, სოც.-დემ. პარტ. წევრი 1912 წლ.), **ერმალო გიორგის ძე დიდიძე** (რწმუნებული ბაქოდან, სოც.-დემ. პარტიის წევრი 1904 წლ.), **მიხეილ კვატაშიძე** (რწმუნებული ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტებისაგან, ახალ-გაზრდა მარქსისტი 1915 წლ.), **ზოსიმე ჩახვაძე** (ახალ-გაზრდა მარქსისტი 1916 წლიდან.).

### რწმუნებულები:

**ნოე ფილიპეს ძე ჯიბლაძე** (რწმუნებ. რკინის-გზის მოძრაობის დარგიდან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1905 წლ.), **შალვა კონსტანტინეს ძე ჩანტლაძე** (რწმუნებ. გურჯაანიდან, სოც.-დემ. პარტიის წევრი 1916 წლ.), **სოლომონ ესეს ძე დოლიძე** (რწმუნ. ტფილისის რკინ.-გზელ., სოც.-დემ. პარ. წევრი 1893 წლ.), **სამსონ ალექსანდრეს ძე მამალაძე** (რწმუნ. ფოთიდან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1902 წლ.), **კოტე სიმონის ძე ცერცვაძე** (რწმუნებ. თელავიდან, სოც.-დემ პარ. წევრი 1906 წლ.), **ბარნაბ პავლეს ძე ძველაია** (რწმუნებ. სენაკიდან, სოც.-დემ. პარტ. წევრი 1903 წლ.), **ბესარიონ პავლეს ძე რაზმაძე** (რწმუნებ. ტფილისის რკინ. გზ. დეპოსაგან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1905 წლ.), **დომენტი ვიტას ძე სურმავა** (რწმუნ. ტფილისის რკ.-გზის სადგურისაგან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1903 წლ.), **ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ქეშეშაშვილი** (რწმუნებული ტფილისის რკინის-გზის სამმართველოსაგან, სოციალ-დემ. პარტიის წევრი 1914 წლიდან.), **ელიზბარ ჭიჭინაძე** (რწმუნ. ტფილ. რკ.-გზის სახელოსნოსაგან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1905 წლ.), **ექვთიმე გაბრიელის ძე ძაისურაძე** (რწმუნებ. ტფილისის რკინ.-გზ. სახელოსნოს, სოც. დემ. პარტიის წევრი 1897 წლ.), **დიმიტრი გიორგის ძე აბაშიძე** რწმუნ. ჭიათურიდან, სოც.-დემ. პარტიის წევრი 1903 წლ.), **გრიგოლ მიხეილის ძე შავშიშვილი** (რწმუნებ. რკ.-გზის სახელოსნოს., სოც.-დემ. პარ. წევრი 1908 წლ.), **დავით ივანეს ძე ლორთქიფანიძე** (რწმუნებ. ტფილისის რკინის-გზ. სახელოსნოებისაგან, სოც.-დემ. პარტ. წევრი 1898 წლ.) **მათე მიხეილის ძე მიქელაძე** (რწმუნებ. ახალქალაქის მაზრ., უპარტიო), **ალექსანდრე გრიგოლის ძე გაჩეჩილაძე** (რწმუნ. გორის მაზრიდან, სოც.-დემ. პარტ. წევრი 1903 წლ.) **ვასილ გიორგის ძე აზარაშვილი** (რწმუნ. საგარეჯოდან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1917 წლ.), **სილოვან ექვთიმეს ძე თევზაძე** (რწმუნებ. ტფილ. რკინ.-გზ. სამმართველოსაგან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1918 წლ.), **დავით კაციას ძე კერესელიძე** (რწმუნ. ტფილ. რკინ.-გზის სახელოსნოს, სოც.-დემ. პარტ. წევრი 1902 წლ.), **შაქრო ანდრიას ძე ყოჩიშვილი** (რწმუნებ. ტფილისის ტრამვაისაგან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1904 წლ.), **ნიკო დავითის ძე ქადაგიშვილი** (რწმუნ. ტფილ. რკ.-გზის სახელოსნ. სოც.-დემ. პარ. წევ. 1897 წლ.), **ვასილ დიმიტრის ძე ვაშაკიძე** (რწმუნებ. რკინ.-გზის სახელოსნ., სოც. დემ. პარტ. წევრი 1901 წლ.), **დიმიტრი ზურაბის ძე ჩუბინიძე** (რწმუნებ. ტფილისის სასაკლაოდან, სოც.-დემ პარტ. წევრი 1905 წლ.) **ირაკლი იაგორის ძე შათირიშვილი** (რწმუნებ. შორაპნიდან, სოც. დემ. პარტ. წევრი 1901 წლ.), **გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოპალიტაძე** (რწმუნ. ბათომიდან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1903 წლ.), **ელიზბარ პეტრეს ძე ტალახაძე** (რწმ. ხაშურიდან, სოც.-დემ. პარტ. წევრი 1903 წლ.), **ვასო გრიგოლის ძე გოგიძვილი** (რწმუნებ. ტფილ. რკინის-გზ. სახელოსნ., სოც. დემ პარ. წევრი 1909 წლ.), **კოსტა ზურაბის ძე ვაშაკიძე** (რწმუნებ. რკინის გზ. სახელოსნოსაგან, სოც.-დემ. პარ. წევრი 1900 წლიდან), **გიორგი თედორეს ძე მეფარიშვილი** (რწმუნ. ქუთაისიდან სოც.-დემ. პარტ. წევრი 1915 წლ.), **სტეფანე თედორეს ძე ელიაძე** (რწმუნებ. ტფილისის მედუქნეებისაგან, სოც.-დემ. პარტ. წევრი 1913 წლ.), **გრიგოლ ივანე ძე ქურასპეტიანი** (რწმუნებ. ლეჩხუმის მაზრ., სოც.-დემ. პარტიის წევრი 1917 წლ.), **გიორგი მოსეს ძე ათაძე** (რწმუნ. რკინის-გზ. მთავარ სახელოსნ., სოც.-დემ. პარ. წევრი 1903 წლ).

### „მუშათა კომისიის" წევრები:

პეტრე ხურცილავა, (სოც.-დემ. პარტ. წევრი 1900 წლ)., ალექსანდრე გვიმრაძე (პარ. წ. 1905 წლ.), ლავრენტი კუპრაშვილი (სოც. დემ. პარტ. წევრი 1902 წლ., კოლია მაჭარაძე (სოც.-დემ. პარ. წევრი 1897 წლ.)

### თათბირის მუშაობაში მონაწილე არა-რწმუნებულები:

მიხეილ ორმოცაძე, მანასე გოგუაძე, იროდიონ ბოლქვაძე, კოწია სულაქველიძე, მიხ. კოვალიოვი, ვლადიმერ ბაკურაძე, გიორგი ძენთეშაშვილი, თეოფილე შენგელია.

# „ახალი გზელი“

მუშათა კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: ამიერიდან იმ თერთმეტი ათას ყოფ. მენშევიკს თუ მის თანამგრძნობს, რომელნიც თავს იყრიან მუშათა კამისიის და ჟურ. „ახალი გზის“ ირგვლივ „ყოფილ მენშევიკის“ მაგიერ ეწოდოს „ახალი გზელი“. ეს დადგენილება მუშათა კამისიისა უნდა ჩაითვალოს მეტათ დროულად და სასარგებლოდ. მთავარი მოტივი ამ სახელწოდების დაკანონებისა არის შემდეგი. პირველი: სახელწოდება ყოფილი მენშევიკი გამოხატავს უარყოფით მცნებას, ამ სახელწოდებიდან ჩვენ ვტყობილობთ რომ ის გამოსულია მენშევიკური პარტიიდან, მაგრამ ვერ ვტყობილობთ, თუ რა გზას ადგია იგი ეხლა. მეორე: სიტყვა „მენშევიკმა-მენშევიზმა“ იმდენათ მოაბეზრა და შეაზარა თავი ბევრს, რომ ზოგს ერუანტელი უვლის ტანში ამ სიტყვის გაგონების დროს. დროა საქართველოს სინამდვილემ ეს სიტყვა არქივში გადაიტანოს და სრულიად ამოშალოს ყველა ქართველმა ყოველ დღიურ ხმარებიდან. ამ სიტყვასთან დაკავშირებულმა მცნებამ თუ მიმართულებამ ითამაშა წარსულში დიდი როლი, მას, ვამბობთ ჩვენ, არავითარი როლის თამაში არ შეგვეძლო მომავალ საქართველოში: „ახალი გზელი“ კი გამოხატავს უკვე ყველა ქართველისათვის ცნობილ პოლიტიკურ მცნებას. დღეს მის ირგვლივ თავმოყრილია არა მარტო რეგისტრაციაში გატარებული თერთმეტი ათასი წევრი, არამედ ბევრათ უფრო მეტი. მაშ ასე, დღეიდან ჩვენ ვართ ახალ გზელები, ახალი გზით მიმავალნი სოციალიზმისაკენ და საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ. მაშ გაუმარჯოს ახალ გზას და მის მიმდევარ ახალ გზელებს!

# მუშათა კომისია და მისი მოღვაწეობა

როდესაც ჩვენს მეზობელ ადერბეიჯანსა და სომხეთში საბჭოთა წყობილება დამყარდა, აშკარა გახდა, რომ ჯერი საქართველოზე იყო მიმდგარი და მალე აქაც უნდა დამყარებულიყო საბჭოთა წესწყობილება.

ასეთი იყო ლოღიკა ფაქტებისა, ლოღიკა მდგომარეობისა, მაგრამ არც მენშევიკურ პარტიას, არც იმის მთავრობას არ აღმოაჩნდათ სულ უბრალო გამჭრიახობა, რომ ამ ლოღიკისათვის ანგარიში გაეწიათ. თავისი არსებობის უკანასკნელ ხანებში მენშევიკური მთავრობა გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა სხიველების მიმდინარეობას, ვიდრე ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობას.

ამიტომაც მოხდა, რომ საქართველოს გასაბჭოება ვერ დააფასა ჯეროვანად მენშევიკურმა პარტიამ.

პარტიის მეთაურები და მათის შთაგონებით პარტიის უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა წყობილების არსებობა ჩვენში რამდენიმე თვით განისაზღვრებოდა. აქედან გამომდინარეობდა შემდეგი დასკვნა: სრული საბოტაჟი, თანამშრომლობის უარყოფა ისეთს ხელისუფლებასთან, რომლის არსებობა მეტად ხანმოკლეა. იყო ბევრი ისეთი პირი, რომელსაც შეეძლო მუშაობა, საქმის კეთება, რომელიც ალაგს მეორე დღესვე იშოვიდა, მაგრამ გულხელდაკრეფილი დადიოდა და, როდესაც ჰკითხავდით: კაცო, რატომ არ შეხვალ სამსახურშიო, პოლიტიკურ ბაღლათ ჩაგთვლიდათ და გიპასუხებდათ: რაზედ უნდა ვემსახურო ამ ხელისუფლებას, როდესაც სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ აღარ იქნებაო.

ასეთი იყო დიაგნოზი მთელი მენშევიკური პარტიისა. როდესაც ეს დიაგნოზი არ გამართლდა, ორი გზა იყო წინ: გზა შერიგებისა საბჭოთა ხელისუფლებასთან და მასთან თანამშრომლობისა, მეორეს მხრივ გზა ბრძოლისა. მენშევიკურ პარტიამ გაქცეული მთავრობის კარნახითა და შთაგონებით აირჩია მეორე გზა და ქართველ ერს მოახვია ისეთი უაზრო, უმეცარო და საშინელი ავანტიურა, რომელსაც ჩვენი ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს.

ყოველი საქმეში ჩახედული ადამიანისათვის აშკარა იყო, რომ ეს ავანტიურა მოწყობილი იყო პარიზიდან, მაგრამ ჟორდანიას მთავრობა მაინც ცდილობდა, პასუხისმგებლობა თავიდან აეცდინა და სხვებისათვის მოეხვია თავზე.

დღეს კი უტყუარის საბუთებით მტკიცდება, რომ ამ საშინელი ავანტიურის მომწყობი, სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ჟორდანიას მთავრობა.

სანამ აქ იყო, ცეცხლში ჩაგვყარა, მოგვშორდა და ყელი გამოგვჭრა!

ამ ავანტიურამ თუ დიდი უბედურება დაგვატეხა თავს და განსაცდელში ჩაგვყარა, სამაგიეროდ დიდი გამოფხიზლებაც შეიტანა მუშათა და შეგნებულ გლეხთა წრეებში. იმ მუშებმა, რომლებიც წინეთ მენშევიკურ პარტიას ეკუთვნოდენ, დაინახეს, რომ პარტიის მიერ არჩეული გზა არა თუ ყალბი და შემცდარი იყო, ის დალუპვას უქადოდა და განადგურებას მთელ ქართველ ერს, ჩვენი მუშებისა და გლეხების კეთილდღეობას. საჭირო შეიქნა ძველი გზის უარყოფა და ახლის გამონახვა.

აი ამ საჭიროებამ წარმოშვა როგორც მუშათა კომისია, ისე მისი ორგანო „ახალი გზა“.

მუშათა კომისია მეტად მხნეთა და ენერგიულად შეუდგა საქმეს. აუარებელი დაბრკოლება იყო წინ. კომისიის მტრები ყოველ ღონესა ხმარობდენ, რომ მისთვის, მისი ორგანოსა და თანამშრომლებისათვის მშრომელ ხალხში სახელი გაეტეხათ. აუარებელი უსახელო წერილები მოდიოდა რედაქციაში, მიუდიოდა თანამშრომლებს, რომლებსაც საბჭოთა მთავრობის მიერ მოსყიდულებათა ჰნათლავდენ.

მუშათა კომისია ვერ შეაშინა ვერავითარმა დაბრკოლებამ, ლანძღვა-გინებამ მისი სიმხნევე უფრო გაამრავალკეცა. მან გააჩაღა პროპაგანდა, აგიტაცია, მოხსენებები. არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი დაბა-ქალაქი და მნიშვნელოვანი სოფელი, რომ ახალი სიტყვა, ახალი აზრი და ახალი გაშუქება ჩვენი მდგომარეობისა არ ჩაეტანოს. კომისიამ მოიარა რუსეთიც და ინახულა ყველგან პოლიტიკური ქართველები.

მისი მიზანი იყო ქართველი მშრომელი ხალხის სრული გაჯანსაღება და მომავალში ყოველი მოსალოდნელი ავანტიურისათვის ნიადაგის გამოცლა.

ამ გზით კომისიას უნდოდა საბჭოთა წესწყობილების განმტკიცება ჩვენში და ამით მთლიანი, ერთიანი ფრონტის შექმნა მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

უნდა აშკარათა ვთქვათ, რომ კომისიის ამუშავებამდე საქართველოს საზღვრებში მუშათა მთლიანი ფრონტი არ არსებობდა.

როდესაც ჩვენ გადავავლებთ თვალს მუშათა კომისიის ერთი წლის ნამოღვაწარს, დავრწმუნდებით, რომ მან მეტად დიდი და საისტორიო საქმე გააკეთა. მან შემოიკრიბა თავის გარეშემო და დააყენა საბჭოთა პლათფორმაზე 11 ათასი მუშა; ამით მან შექმნა ჩვენში ერთი მთლიანი ფრონტი მუშათა კლასისა ბურჟუაზიული რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად და საბჭოთა წყობილების დასაცავად.

მუშათა კომისიის ენერგიულსა და თავგამოდებულ მუშაობას რომ არა, ამ თერთმეტი ათასი მუშიდან უმრავლესობა დღესაც არ იდგომებოდა საბჭოთა პლათფორმაზე, არ იქნებოდა ჩვენში მთლიანი ფრონტი და მაშასადამე ყოველგვარ ავანტიურას კიდევ ექნებოდა ნიადაგი. ყოველგვარ კომისიას პრაქტიკული მიზანი აქვს, ეს მიზანი დაჩქარებით უნდა იყოს მიღწეული. ნიადაგ არსებობა ამა თუ იმ კომისიისა უაზროა, მუშათა კომისიის არსებობასაც ამ სახით აღარა აქვს აზრი.

რატომ აღარა აქვს?

იმიტომ რომ მან პირნათლად და სინდისიერად შეასრულა ის საქმე, რისთვისაც იყო მოწოდებული. მაგრამ მისი სრულად გაუქმება ჯერ ჯერობით ნაადრევია.

რატომ?

იმიტომ რომ მან დარაზმა 11 ათასი მუშა საბჭოთა პლათფორმაზე, მაგრამ მუშებისათვის ეს არ არის საკმარისი. ჩვენის ღრმა რწმენით ეს 11 ათასი მუშა უნდა ჩაება საქმეში, როგორც პარტიის წევრები. ნაყოფიერი მუშაობისათვის, მთლიანი ფრონტის განმტკიცებისათვის, ძველი უნდობლობის გაუქმებისათვის ეს აუცილებელია.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია რომ კომ. პარტიამ აიღოს და ერთბაშად გაუღოს კარი ამ თერთმეტ ათას კაცს პარტიაში შესასვლელად, მაგრამ რაც ადრე მოხდება ეს, მით უმჯობესია საქმისათვის.

ვინ უნდა იკისროს ეს საქმე?

ისევ მან, ვინც თავი წამოიწყო—მუშათა კომისიამ. მუშათა კომისიამ მიიყვანა ამდენი მუშა ცეკას კარებთან. დღეს კომისია უსათუოდ უნდა გადიქცეს ცეკას ქვეგანყოფილებად, რომ საბჭოთა პლათფორმაზე დამდგარი ამდენი მუშა გადააქციოს კომ. პარტიის ღირსეულ წევრებად.

**ი. გომართელი.**

# კოოპერაციისათვის

მიმდინარე წლის ოქტომბრის 1-ს საქართველოს მომხმარებელთა კოოპერატივებმა დაასრულეს 1925|1925 სამეურნეო წელი და ახალ სამეურნეო წელში გადადგეს ფეხი. უახლოვესი სამი-ოთხი თვის განმავლობაში საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობაში დიდი ადგილი ექნება დათმობილი გასულ სამეურნეო წლის შესახებ წევრთათვის მოხსენებების წარდგენას და კოოპერატივების მმართველ ორგანოთა წევრების ახლად არჩევას.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური ორგანიზაცია—ცეკავშირი, რომელიც მოწოდებულია ორგანიზაციული ხელმძღვანელობა გაუწიოს კოოპერატივებში საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის ჩატარებას, ღებულობს ზომებს, რათა ეს კამპანია გამოყენებულ იქნეს იმ ამოცანათა მაქსიმალურად მოსაგვარებლად, რომელნიც წინა წლების კოოპერატიულმა ცხოვრებამ წამოაყენა და რომელთა გადაჭრაც კოოპერაციას დააკისრა გასულ სამეურნეო წელს მომხდარმა მეთოთხმეტე პარტიულმა კონფერენციამ.

მუშათა და გლეხთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა კოოპერაციის მუშაობაში, კოოპერატივების სამეურნეო საქმიანობაში შემთხვევით და მიზანშეუწონელ ნაბიჯებისა და მუშაობის უარყოფა და გვემიანობის დამკვიდრება, მუშაობის ხარისხის ამაღლება, გაფართოვება მუშაობისა წევრთა ახალი კადრების მოსაზიდავად კოოპერაციაში, წევრებზე დარჩენილ საპაიო გამოსაღების სრულიად შეკრება და ახალ წევრთა შორის საპაიო გამოსაღების მოგროვება და ამით საკუთარ საშვალებების გადიდება, ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობაში ფართოდ შეჭრა—აი ის მთავარი, რის მოუგვარებლადაც კოოპერაცია ვერ გახდება სოციალისტურ მეურნეობის ელემენტების განმამტკიცებლად.

საბჭოთა რესპუბლიკების სინამდვილეში კოოპერაცია აღარ წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივ ეკონომიურ და პოლიტიკურ კალაპოტს გარეშე მიმდინარე მოძრაობისას. იგი ამ რესპუბლიკებში მთავრობისა და ხელისუფალ პარტიის მიერ აღიარებულია სოციალისტურ აღმშენებლობაში უახლოვეს მონაწილე ერთ დარგთაგანად.

რამდენადაც ეს ასეა, ზემოაღნუსხული მოოიგი ამოცანები კოოპერატიულ საქმიანობისა ვერ იქნება მოგვარებული მხოლოდ და მხოლოდ თვით კოოპერაციის ძალებით. ამ ამოცანათა გარშემო საჭიროა როგორც კოოპერატიულ, ისე პარტიულ, პროფესიონალურ და საერთოდ საბჭოთა აქტივის ამოძრავება. საჭიროა ფართო კამპანია პრესაში. საჭიროა პარტიულ და პროფესიონალურ ხაზითაც მიღებულ იქნეს ზომები, რომ ადგილობ-

რივი აქტიური მომუშავენი მთლიანი ფრონტით მონაწილეობდენ კოოპერატიულ აქტივთან წინამდებარე კამპანიაში.

ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ პარტიის და პროფკავშირთა ცენტრალური ორგანოები ამ მხრივ მიიღებენ სათანადო გადამჭრელ ზომებს.

ხოლო რაც შეეხება საქართველოს პარტიულ და პროფესიონალურ პრესას, იგი ჩვენი აზრით-დიდად ჩამორჩა თავის მიზნებს და მოწოდებას ამ საკითხში.

თუარა ამხ. ალ. ერქომაიშვილის მეტად დროული და სახელმძღვანელო ხასიათის წერილი გაზ. „კომუნისტის“ ოქტომბრის 17-ის ნუმერში, კოოპერაციაში კამპანია და მისგან გამომდინარე უაღრესი მნიშვნელობის მქონე ამოცანები სრულიად აღუბეჭდავი—დარჩებოდენ ჩვენს პრესაში.

ახალი ნიადაგი საბჭოების უკანასკნელ არჩევნების დროს, იგივე ნიადაგი ამჟამად მიმდინარე პროფორგანიზაციების მმართველ ორგანოების არჩევნებში, ახალ მიდგომას ითხოვს ჩვენგან კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოთა ანგარიშების განხილვისა და არჩევნების დროსაც.

1923 წლიდან საკანონმდებლო გზით აღიარებული პრინციპი ნებაყოფლობით წევრობისა კოოპერაციაში თავის საბოლოვო განმტკიცებას ითხოვს. დროა მტკიცედ ჩავუნერგოთ თვითეულ მუშას და გლეხს, რომ კოოპერატივი, რომლის წევრადაც ის ითვლება, მთავრობის სახაზინო დუქანს არ წარმოადგენს, დროა კოოპერატივის ყოველმა წევრმა იგრძნოს, რომ იგია კოოპერატივის ბატონ-პატრონი, მას ეკითხება კოოპერატივის საქმეების ასეთი თუ ისეთი მიმართვა, კოოპერატივის ხელმძღვანელ ორგანოების ასეთი თუ ისეთი შემადგენლობა.

მხოლოდ ამით იქნება უზრუნველყოფილი ამხ. ლენინის კოოპერაციის შესახებ ჩვენთვის დატოვებული ანდერძის შესრულება.

პარტია მისი ცენტრალური ორგანოების სახით არა ერთხელ მიუმართავს ადგილებისთვის, რომ გატარებულ ყოფილიყო ცხოვრებაში კოოპერატიულ დემოკრატიის უზრუნველმყოფი ზომები, რომ აღკვეთილიყო ყოველგვარი დანიშვნითი თუ ჩარევითი სისტემა კოოპერაციასთან ურთიერთობაში.

მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ამხ. ერქომაიშვილი ზემოდასახელებულ წერილში, „ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც გვერდს უხვევენ კოოპერატივის წევრების იმ კანონიერ უფლებებს, რომელნიც მინიჭებული აქვთ მათ კოოპერატიულ საზოგადოების წესდებით. არც ისეთი შემთხვევებია იშვიათი, როდესაც კოოპერაციის ამა თუ იმ პასუხისმგებელ მუშაკს ხსნიან ადგილიდან წევრთა საზოგადო კრების დაუკითხავად; არის ისეთი შემთხვევები, როდესაც საზოგადო კრებას ზემოდან მოახვევენ ხოლმე თავიანთ კანდიდატებს პარტიულ ამხანაგთა ჯგუფები“. ასეთი ავადმყოფური გადახრა კოოპერაციასთან ურთიერთობაში აღმოფხვრილ უნდა იქნეს წინამდებარე კოოპერატიულ კამპანიაში.“ ჩვენ ცოცხალ და თვალსაჩინო მაგალითებზე უნდა ვუჩვენოთ მუშათა და გლეხთა მასას, რომ კოოპერაცია ამ მასების თვითმოქმედების და მათი აქტიურ სამეურნეო შემოქმედების დარგია.

1) კოოპერაციაში გაერთიანებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა ® გლეხთა მასების მიუცილებელ ინტერესთა უზრუნველყოფის თვალსაზრისით, 2) აშკარა და თავისუფალი კრიტიკა ადგილობრივ კოოპერატივის პრაქტიკისა მისი წევრების მიერ და 3) მუშათა და გლეხთა ფართო მასების ფართოდ ჩაბმა კოოპერატივის ნამოღვაწევის განხილვაში და კოოპერატივის მმართველ ორგანოთა არჩევნებში—აი ის უმთავრესი პოლიტიკური ამოცანები, რომელნიც უნდა მოგვარებულ იქნეს და რომლის განხორციელებასაც უნდა ცდილობდეს საბჭოთა წყობილების ყოველი ერთგული თანამშრომელი და მომხრე.

—ა.

# საით მიდის ირ. წერეთელი?

ჩვენი საზოგადოებრივი აზრი შეეჩვია იმ აზრს, რომ სოც. დემ. პარტიის ზოგიერთი ყოფილი ბელადები ჩამოსცილდნენ პარტიის ავანტიურისტულ ხაზს და ახალ გზებს ეძებენ; მაგრამ აქნამდე ამგვარ გადახალისებას მხოლოდ საქართველოს ფარგლებში ვხედავდით. როგორც ვიცით ამ გადაფასების ცდას მოუცავს ევროპაში მყოფი საქართველოს ემიგრაციის ხელმძღვანელებიც. ამის სიმპტომატიურ მაგალითს წარმოადგენს ირ. წერეთლის წერილი „ეროვნული მოძრაობა და სოციალური იდეალი“, რომელიც დაბეჭდილია საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანო „ბრძოლა“-ში. აგვისტოს აჯანყებამდის და განსაკუთრებით მის შემდეგ საქართველოს მუშათა კლასი დაადგა ამ გადაფასების პოლიტიკას და ახალი გზით სიარული დაიწყო. საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩვენ ორ საშიშროებას ვამჩნევთ: ერთის მხრით სოც. დემ. პარტიის აზროვნებაში თანდათან გაიმარჯვა მებრძოლი შოვინიზმის იდეოლოგიამ და მეორეს მხრით რევოლიუციონურ ბრძოლაში გამოწრთვნილი საქართველოს მუშათა კლასის ერთი ნაწილი სცილდება პოლიტიკურ ცხოვრებას და იყინება; ეს ერთი საშიშროება არის. მებრძოლი შოვინიზმი ლოღიკურის აუცილებლობით გადადის ერის გამანადგურებელ ავანტიურისტულ ტაქტიკაზედ. ამ პოლიტიკის დასაწყისი აგვისტოს ტრაღედია იყო და დასასრულს ეხლა ბ-ნი ნ. რამიშვილი ამზადებს, რომელიც რიხით აცხადებს: „ბრძოლის მიზანი იგივეა დღეს რაც იყო გუშინ და დარჩება მუდამ უცვლელად მის განხორციელებამდე“-ო. ეს მეორე საშიშროებაა.

10 ოქტომბერს მუშათა კომისიის რწმუნებულთა თათბირზედ ამხ. მ. ძამანაშვილმა განაცხადა: ჩვენ დღის წესრიგში გვიდგას ორ უბედურებასთან ბრძოლა. პირველია ავანტიურის განმეორების, მეორე კი ჩვენი მუშების რევოლიუციონური გადაგვარების საშიშროება.

როდესაც ქართველი ხალხი აჯანყებას ამზადებდა, მას ევროპის დახმარების დიდი იმედი ჰქონდა. ის რეა-

ლურ დახმარებას მოელოდა. ჩვენ არ გვწამდა, რომ ამ დახმარებას ევროპის ბურჟუაზია გაუწევდა საქართველოს და ეს ჩვენი აზრი ასე ჩამოაყალიბა ირ. წერეთელმა: „ის რასაც რეალურ დახმარებას უწოდებენ, ჩვენთვის იმდენათ ნაკლები აღმოჩნდა, როგორც სხვა, მსგავს პირობებში თომხდარ ერისთვის“ ო. ჩვენს ყიჟინში, რომ მენშევიკურ პარტიას ნუ ექნება ევროპის დახმარების იმედი. წერეთელმაც შეუერთა თავისი ხმა.

ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ხელში ჩასაგდებათ ევროპა ომს არ გამოუცხადებდა საბჭოთა კავშირს და რომ ამ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას ის უფრო ხელსაყრელ პირობებში საკონცესიო ხელშეკრულებით მიიღებდა ვინემ იარაღის საშუალებით. სწორეთ ამ თვალსაზრისზედ დადგა წერეთელი, როდესაც ლაპარაკობს: „... ფაქტიურად საქმემ სხვანაირი მსვლელობა მიიღო. ჩვენმა ბუნებრივმა სიმდიდრემ მიიზიდა, მართალია არა მარტო მოსკოვის მთავრობა, არამედ ევროპა-ამერიკის კაპიტალის ყურადღება, მაგრამ უკანასკნელის ქცევამ დაგვანახვა, რომ მისთვის ქვეყნის ბუნების ექსპლოატაციის სურვილი თავისთავად სრულებით შეკავშირებული არ არის ამ ქვეყანაში მცხოვრებ ერის სურვილებთან. დაპყრობილის ბედისთვის თავის მტვრევას, მას დამპყრობელთან შეთანხმება ამჯობინა“. მაშასადამე ირ. წერეთელი იზიარებს ჩვენს იმ აზრსაც, რომ საქართველოს განთავისუფლება ევროპის ბურჟუაზიას დიდათ არ ეპრიანება. ის მიდის ემიგრაციისათვის და იმედის მქონე ხალხთათვის იმ პესიმისტურ დასკვნამდე, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები არ შექმნიან საქართველოს სასაოგებლო მოძრაობას. აი სწორედ ამიტომ ვეუბნებით ქართველ ხალხს ირ. წერეთელთან ერთად: ნუ გაქვს ევროპის იმედი, ის შენთვის სასარგებლოთ ერთ წვეთ სისხლსაც არ დაღვრის.

რევოლიუციონური მარქსიზმი სდგას ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზედ. ამ მოსაზრებიდან გამოსულ პროლეტარიატს შეუძლია მოუხდეს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის მოპოება. ამ შემთხვევაში ის სეპარატისტულ ნიადაგზედ სდგას, მაგრამ მისი სეპარატიზმი მით განსხვავდება ბურჟუაზიულ სეპარატიზმისაგან, რომ თავის ბრძოლაში ის გამოდის სოციალურ იდეალისაგან. ირ. წერეთლის სიტყვები რომ ვიხმაროთ: „... ყოველგან და ყოველთვის ერის ბრძოლა გამოხატავს მისგან დასახულ, ან მისგან განხორციელებულ სოციალურ იდეალისთვის ბრძოლას“. როდესაც ამ ბრძოლას სოციალური შინაარსი ეკარგება, ეროვნული ბრძოლა პროლეტარიატისთვის და საერთოდ ერისთვის საზარალო ხასიათს ღებულობს. საქ. სოც. დემ. საზღვარგარეთის ბიურომ ჯერხი ნაციონალიზმისაკენ გადახარა, მან სოციალურ ბრძოლის ზევით ნაციონალური ბრძოლა დააყენა. ერთი სიტყვით ეროვნულ ბრძოლიდან გამოდევნა სოციალური შინაარსი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სოც. დემ. უფრო მეტს ეკითხება საქართველოს ბურჟუაზიას, ვინემ პროლეტარიატს ის ხომ ფიქრობდა ევროპის დახმარებით ბოლშევიკების განდევნას საქართველოდან. ეს იქნებოდა თუ არა საქართველოს კოლონიათ გადაქცევა? ამაზედ ირ. წერეთელი დადებითად უპასუხებს „... რომ ის (საქართველო. ზ. ჩ.) ევროპის სახელმწიფოებისთვისაც იმდენათ ხელმისაწდომი გამხდარიყო, როგორც მოსკოვისთვის, მის გარშემო ალბათ მწვავე პოლიტიკური მეტოქეობა ატყდებოდა“ ო. ჩვენ ვიცით, რომ ეს მეტოქეობა ზარალის მეტს არაფერს მოუტანდა საქართველოს. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობთ, რომ სოც. დემ. პარტია, რამდენათ ის ევროპის ბურჟუაზიას ექიჩავება დასახმარებლად, იმდენათ დაშორდა როგორც სოციალიზმს, ისე საერთოდ ქართველი ერის ინტერესებს. ირ. წერეთელი ჩვენთან ერთად ლაპარაკობს: „ვინც ქართველ ხალხს ურჩევს — შენ უნდა აწარმოო ეროვნული ბრძოლა, განმარტოებული ყოველ სოციალურ შინაარსსო, — ის ან არ იცნობს თანამედროვე ეროვნულ ვითარების კანონებს, ან მისი სიტყვა მის აზრს ნათლად არ ხატავს“-ო. ჩვენ ასე ვმსჯელობდით ჯერ კიდევ ერთი წლის უკან. მაშასადამე ამ საკითხშიაც წერეთლის დებულება ამართლებს ჩვენ შეხედულებას. ის ამ დებულებას სხვა მიზნისთვის ხმარობს, მაგრამ ამ ფორმულაში მოცემულია ჩვენი შეხედულების შინაარსი. არ გვგონია, რომ წერეთელი ჩვენი ზეგავლენით სწერდეს. მან ჩვენგან დამოუკიდებლად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. რამიშვილის „წმინდა“ ეროვნულ ბრძოლას მივყევართ ქართველი ხალხის არა კეთილდღეობისაკენ, არამედ დაღუპვისაკენ. წერეთელს შერჩა ლოღიკურ აზროვნების უნარი, რომელმაც ის ჩვენს კილოზედ აალაპარაკა.

ირ. წერეთელმა კარგად იცის, რომ საქ. სოც. დემ. პარტია დაშორდა საერთოდ სოციალიზმს. ამას ამტკიცებს „ბრძოლის“ მოწინავე, სადაც ნათქვამია „სოციალიზმს მეტი საერთო აქვს ბურჟუაზიასთან, ვინემ ბოლშევიზთან“-ო. როდესაც ამას ლაპარაკობს საზღ. გარეთელი ბიუროს მე-II ინტ. კონგრესის დადგენილების შემდეგ რუსეთის საკითხის გარშემო, ის ამტკიცებს, რომ დაეშვა გადაგვარების მოლიპულ გზაზედ. მარსელის კონგრესმა ხომ აღიარა საბჭ. ხელისუფლება რევოლიუციონურ პროლეტარიატის ხელისუფლებათ. ამ გადაგვარებას ამტკიცებს თუნდაც ის, რომ „ბრძოლა“-ს არ აწერია რევოლიუციონურ მარქსიზმის დევიზი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

ყველაფერი ის, რასაც ლაპარაკობს წერეთელი ჩვენთვის ნათელი იყო დიდიხნის წინ. ჩვენმა მშრომელმა მასამ როგორც სჩანს სწორი გზა აირჩია, როდესაც გადააფასა სოც. დემ. პარტიის ხაზი. მას უკვე მოკავშირე აღმოუჩნდა წერეთლის სახით. როგორც სჩანს ევროპის ემიგრაციაში ყველაფერი რიგზედ არ არის. ის ირღვევა. ჩვენმა მშრომელმა ხალხმა კი პირი იბრუნა ბურჟუაზიულ ევროპისაგან და დაუკავშირდა ბრძოლაში რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს; ოტტო ბაუერის სიტყვა რომ განვიმეოროთ: მუშურ რევოლიუციის აკვანს, ვინაიდგან ირ. წერეთლის თქმის არ იყოს: „სოციალიზმში ჩვენი ხალხი გრძნობდა იმ ძალას, რომელიც მას ყოველგვარ ჩაგვრისაგან განთავისუფლების გზას უკაფავდა“.

ზ. ჩხეიძე.

# ერთი წლის მუშაობა

მუშათა კომისიას ფრიად მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე ჰქონდა დაკისრებული.

მან არ იცოდა საიდან დაეწყო, როგორ განეგრძო და საღ გაეთავებინა თავისი მუშაობა.

აგვისტოს ამბებმა მეტად გაართულეს მდგომარეობა.

თუ უწინ ომების და სისხლის ღვრის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ გაბატონებულ კლასს — თავად აზნაურობას და მათ მეფეს, რომელთა ნება-სურვილს ბრმად ასრულებდა უუფლებო ხალხი, დღეს, როდესაც თვით ხალხი იყო თავის ბატონ-პატრონი, პასუხისმგებლობაც ყოველ შეცდომებში მას უნდა დაკისრებოდა.

მაგრამ ეს ასე არ არის. ხალხის ნაწილი დღესაც ბრმა იარაღად იქნა გამოყენებული მისგან, ვისაც ის ენდობოდა და მისდევდა. სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ხალხის შეგნებული ნაწილი — მოწინავე მუშები გლეხები და ინტელიგენცია ყოველთვის და დღესაც კრიტიკული თვალსაზრისით უდგება ყოველ საკითხს. რომ ეს ასე არ იყოს, უფრო მეტი უბედურების მსხვერპლი გავხდებოდით, ვიდრე შარშანდელ აგვისტოს.

ჩვენ ოცდათორმეტი წლის განმავლობაში აღვიზარდეთ მარქსისტულ სკოლაში. ამ სკოლაში შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ მუშათა კლასმა არ უნდა გაალმერთოს პიროვნება — ავტორიტეტი... პიროვნებას იმდენად უნდა სცე პატივი და გაუწიო ანგარიში, რამდენად მისი მოქმედება სასარგებლოა მუშათა კლასისთვის... უსაზღვრო ნდობა მეთაურებისადმი მავნებელია, ვინაიდან მეთაურებმა ხშირად შეტოპვა იციან... თქვენ, მუშებს, სწორი ალლო გაქვთ და ყოველთვის, როდესაც მეთაური გატაცებით გაიწევს, პიჯაკის კალთაზე უნდა დასწვდეთ და შეაჩეროთ. ამ მცნებით ვხელმძღვანელობდით ყოველი რთული საკითხის გადაწყვეტის დროს. ასევე მოვიქეცით ნოეს მიმართ მსოფლიო ომის საკითხის გადაწყვეტის დროსაც, როდესაც ჟორდანია რჩებოდა განმარტოებული.

ას რიგად, ხშირად სცდებიან ლიდერები, მაგრამ მათ მიერ გათვითცნობიერებული და პოლიტიკურად აღზრდილი მუშათა კლასი არ სცდება, და თუ შესცდება, შეცდომას მალე იგრძნობს და არ დაერიდება არავითარ საშუალებას მის გამოსასწორებლად.

ასე მოიქცენ შარშან ტფილისის რკინის გზის სახელოსნოს და დეპოს მუშები. 7—8 ოქტომბერს მათ სთქვეს: ბრძოლის და აჯანყების გზა მრუდეა, საჭიროა მისი გამოსწორება. არა ბრძოლა, არა უთანხმოება რევოლიუციონერთა რიგებში, არამედ ერთიანი ფრონტი. ამ რიგად, მენშევიკურ პარტიის ბელადების მიერ დაშვებული შეცდომები მუშებმა გამოასწორეს.

რკინისგზელ მუშათა ყრილობისაგან 1924 წ. 8 ოქტომბერს არჩეულ მუშათა კომისიას უნდა მოეხდინა ტეხნიკურად დაქსაქსულ მუშათა რიგების შეერთება.

კომისია თავის არჩევის პირველ დღიდანვე შეუდგა მძიმე საქმის შესრულებას. მე არ შევუდგები აღნუსხვას ყველა იმ ნამუშევრის, რაც შეასრულა მუშათა კომისიამ ერთი წლის განმავლობაში. ამაზე უკვე საკმაოდ ილაპარაკეს „ახალი გზის" წინა ნომერში ჩემმა ამხანაგებმა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, შეურაცყოფისა, ჭორებისა და ათასგვარ დამცირებისა, ჩვენ მაინც შეუპოვრად განვაგრძობდით მუშაობას იმ ხაზით, რომელიც დაისახეს ჩვენმა ამრჩევლებმა.

კომისიის ნაყოფიერი მუშაობა დადასტურდა და გამომჟღავნდა კომისიის და მის რწმუნებულთა იმ თათბირზე, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს.

ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც შეგვეძლო. გასაკეთებელი ბევრი დარჩა; მას გააკეთებენ ისინი, ვინც ჩვენი მემკვიდრენი იქნებიან. მემკვიდრეებს უფრო კარგ პირობებში უხდებათ მუშაობა. მათ ერთი წლის გამოცდილება წინ უძღვით, გზა გაკვლეულია, ხალხი დამდგარია ამ გზაზე, ის აღარ გადაუხვევს მას, არ შეფერხდება თავის მსვლელობაში, თუ მესაჭე წინდახედულად მიუძღვება.

**ლ. კუპრაშვილი.**

# ალტაცება

ვხედავ, ვუმზერ მკერდ განიერ,
მკერდ გაოუჯულ მიწის მუშას.
მის სიფხიზლეს, სიძლიერეს
ოფლის ღვრას და ძარღვის კუმშვას.

*
* *

ვიგონებ მის გმირულ ბრძოლებს
თოფით, წალდით, მუგუზალით.
მის ქოხს მჭვარტლით მკერდ მოქარგულს
და თავ მორთულს ნისლით, ჩალით.

*
* *

ვიგონებ მის ჭაპანწყვეტას,
სისხლითა და ცრემლით სუნთქვას.
წარსულს შავბნელს, ბურუსიანს
და მტარვალებს სულთა მხუთავს.

*
* *

დღეს კი ვხედავ ბორკილ აყრილ,
თავისუფალ შრომის შვილებს.
მკერდ გაღეღილს, მომღიმარეს
ფაფარ აშლილს, წითელ გმირებს.

*
* *

მიკაკუნებს ნორჩი გული
ვგრძნობ სიხარულს, აღტაცებას
და გავკივი: — ვერვინ შესძლებს
მშრომელების დამარცხებას.

**ქარიშხლიშვილი.**

# ჩვენ

როდესაც ქურა აქაქანდება
და ამღერდება რკინა დუღილით,
ჩვენც ავინთებით ცეცხლის ჰანგებად,
დნება კისერზე შრომის უღელი...
აქ თუ ბორკილი მოგვაკონდება,
წარსული ტყვევნა, ტანჯვა წუხილი,—
გრდემლს დაჰკრავს ურო—შორს გაქანდება
მუქარის მეხი, ძლევის ქუხილი...
და ვილიმებით ბერკეტოსნები,
თუჯის რაინდებს ვასწავლით გმინვას;
ლითონს უტვინო და ბრმა მგოსნები
ჩვენთვის იწყებენ ზეცაში ფრინვას!
დავანაყროვნებთ ნახშირის პურით,
მაზუთის ღვინით გაბახდებიან;
შემოსძახებენ ხმით ბაყაყურით,
ხმანი მთას იქით გადახდებიან.
იზმორებიან ორთქლის ვეშაპნი,
ელვისა თვალით შექმნიან ბლვერას;
მოსწყვეენ უღელს ბუმბერაზ ჰაპნით
ყირაზე დასმენ თვით ბედის წერას!..

**ვინ-ტარი.**

# რევოლიუციის ოცი წლის თავისთვის

ახლოვდება რევოლიუციის ოცი წლის თავი, რომელიც განვლილი ოცი წელი, უკან მოვიტოვეთ—ეს დიდი მანძილია რევოლიუციონერი მუშაობის მსვლელობისთვის, ეს უალრესი თავგანწირვისა და დიადი ალჰაფრენის ხანაა წარსული ბრძოლების. ამ ოცი წლის მანძილზე თითეული რევოლიუციონერი სულის თრთოლვით და ალგზნებული, ცეცხლიანი გულით მიაბიჯებდა წინ, შეუდრეკელი ნებისყოფით, რომ ის აკეთებდა საქმეს, იმ საქმეს, რომელსაც უნდა გაენთავისუფლებია ჩაგვრა-მონობაში მყოფი მუშათა კლასი.

ბევრი მებრძოლი სახელოვნად დაეცა ამ ოცი წლის მანძილზე, დაეცენ ბრძოლებში ქედ-მოუდრეკლად, ცოცხლები კი ამაყად დგანან რევოლიუციის სადარაჯოზე.

აი, ამ დღეს, რევოლიუციის ოცი წლის თავზე, ჩვენი მოვალეობაა თავი მოვიყაროთ ერთათ, მოვიგონოთ წარსული, შავი დღეები, როდესაც თვითმპყრობელი მთავრობა ყოველგვარ ზომებს ხმარობდა ჩაეხშო მუშათა მოძრაობა, მაგრამ ძველი, გამობრძმედილი, რევოლიუციის მუშაკები მაინც აწყობდენ ორგანიზაციებს, ირაზმებოდენ პროფესიონალურ კავშირებში და ემზადებოდენ საერთო შეტევისთვის. ბევრს ჩვენგანს კარგად ახსოვს განვლილი მწარე დღეები და ამიტომ რევოლიუციის ოცი წლის თავზე წყევლა-კრულვით უნდა ალვნიშნოთ შავი რეაქციის დღეები.

საბჭოთა ალმშენებლობაში ჩაბმული უპარტიო ძველი მუშები, რევოლიუციის ოცი წლის თავზე ერთათ შეკრებით გამოსთქვამენ თავის მტკიცე გადაწყვეტილებას, ეს გადაწყვეტილება იქნება ბრძოლა მუშათა მთლიანი ფრონტისთვის.

**ოლიმპიადა ბაქრაძე.**

# აგროდახმარების ეხლანდელი მდგომარეობა საქართველოში:

აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოხდა გაზეთ „ახალ სოფლის“ გლეხ-კორესპონდენტების ყრილობა.

ეს ყრილობა მეტად საინტერესო იყო, მან ბევრი სოფლის ჭირ-ვარამის საიდუმლოებაც გამოააშკარავა. ზოგიერთმა დელეგატმა ჩვეულებრივ გაილაშქრა სოფელში მომუშავე აგრონომების წინაალმდეგ. კორესპონდენტები ჩიოდენ: აგრონომებს თვალით ვერ ვხედავთ, არ დადიან სოფლად და გლეხებს არ აძლევენ სამეურნეო სწავლა-დარიგებასო.

ამ წერილით მინდა ალვნიშნო, თუ რამდენად სამართლიანია გლეხ-კორესპოდენტების ამნაირი საყვედური აგრონომებზე.

საქართველოში არის 15 მაზრის, (თითო თითეულ მაზრაში), 20 რაიონის აგრონომი და 22 ინსტრუქტორი, სულ 57 მომუშავე აგროდახმარების სფეროში; ამ რიგად თითო მომუშავე აგრონომზე, თუ ინსტრუქტორზე მოდის 8 თემი, 57 სოფელი, 5856 კომლი, 29.295 სული და 11,376 დესეტინა მიწა; აქედან ნათლათ სჩანს, რომ ასე მცირე რიცხვი აგრონომებისა ვერ გასწვდება და ვერ დააკმაყოფილებს ყველა მეურნის მოთხოვნილებას. მიუხედავად ამისა, ყველა მაზრებში სწარმოებს აგროდახმარების მხრივ შესაფერი მუშაობა და ყველა ამ დარგში მომუშავე პირი შეძლებისდაგვარად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგალითად მიმდინარე წელს 192 დესეტინა

მიწაზე აქვს გამართული 10 სამაგალითო საჩვენებელი მინდორი, 9 ხეხილის საჩვენებელი ბაღი, 6 ვენახი, 5 ხეხილის სანერგე, ნამყენი ვენახის და ნარინჯოვანი მცენარის სანერგე და 4 საჩვენებელი ბოსტანი. აქვს 53 გამქირავებელი პუნქტი, საცა 1574 სამეურნეო მანქანა-იარაღია. მანქანა-იარაღებით სარგებლობს ყველა მეურნე ვინც კი მოისურვებს, არის 9 საგრილებელი პუნქტი, სადაც ყავთ 12 ულაყი, 3 ბუღა და 2 კერატი, წლის განმავლობაში დააგრილა 276 ფაშატი და ძროხა. მოწყობილი იყო 35 ადგილას მოკლე ვადიანი კურსები მესაქონლეობის, მევენახეობის, მეფუტკრეობის, მებაღეობის და ვაზის და ხეხილის მყნობის, გაიარეს კურსები 1.756 პირმა; ლექციები და საუბრები სხვა და სხვა სასოფლო მეურნეობის დარგში იყო გამართული წლის განმავლობაში 255 ადგილას, სადაც იყო 31,592 მსმენელი ორივე სქესისა.

რასაკვირველია, ამით მე იმის თქმა არ მინდა, ვითომ აგროდახმარება ჩვენში უნაკლულო იყოს და მეტი გაუმჯობესობა არ ეჭირვებოდეს, პირიქით, მის მუშაობას ბევრი უარყოფითი მხარეები აქვს, რომლის გამოსწორება ერთი უახლოესი ამოცანათაგანი უნდა იქნეს მთავრობისათვის.

უპირველესი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ აგრონომების რიცხვი სოფლად ერთობ მცირეა. სულ 22 საგრონომო რაიონია; პერსპექტიული გეგმით კი 1924/25 წ. უნდა ყოფილიყო 58 უბნის აგრონომი.

სოფლად აგრონომის მდგომარეობა მეტად ცუდ პირობებშია—ჯამაგირი მეტად ცოტა აქვს, რაც აქვს, იმასაც თავის დროზე ვერ იღებს; სოფლიდან სოფელში გადასასვლელი საშვალება ბევრ მაზრებში არ არის და აგრონომს ხშირად ფეხით სიარული უხდება 20—30 ვერსის მანძილზე; ამასთან ბევრგან სამაზრო აღმასკომს და აგრანომს შორის კეთილი განწყობილება არ არის. იყო მაგალითი ერთ მაზრაში, როდესაც დანიშნულ აგრანომს აღმასკომმა არც ჯამაგირი მისცა და არც საოპერაციო ხარჯები; შემდეგ, როცა ის აგრონომი წავიდა, მის ადგილზე თვითონ სხვა მოიწვია და იმას ჯამაგირსაც აძლევს და საოპერაციო ხარჯსაც. ხშირად აღმასკომი აძლევს აგრონომს შეუფერებელ დირექტივებს. იყო შემთხვევა, როდესაც მაზრის აღმასკომმა აგრონომი ამუშავა სათევზე აუზის მოსაწყობად.

სამაზრო აგრონომები გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობისა დატვირთული არიან აღმასკომის კანცელარიის საქმეებით: იღებენ მონაწილეობას სხვა და სხვა კომისიებში, განსაკუთრებით მიწის მომწყობ კომისიებში და დრო სრულებით არა აქვთ მაზრაში სასიარულოდ. მიწად მოქმედების კომისარიატი ნიშნავს და აძლევს ჯამაგირს (53—60 მანეთს თვეში) მაზრის აგრონომებს, იწერს და ურიგებს მანქანა-იარაღებს, გზავნის სპეციალისტებს მაზრებში და აწყობს კურსებს, წელს კომისარიატიდან აგროდახმარებისთვის გადადებული იყო 20.781—92 კაპ. და ეს თანხა კიდევაც დაიხარჯა.

სამაზრო აღმასკომი თავის მხრივ აგროდახმარებისთვის იღებს შემდეგ ხარჯს: მაზრის აგრონომს უმატებს ჯამაგირს, ინახავს დანარჩენ პერსონალს თავის ხარჯზე და აძლევს საოპერაციო ხარჯებს.

არის ცნობა 7 მაზრიდან (ახალციხის, ბორჩალოს, დუშეთის, თბილისის, ოზურგეთის, სენაკის და შორაპნის), რომ მათგან წელს იყო გადადებული აგროდახმარებისთვის 106.004—95 კაპ.; აქედან დაიხარჯა 47.467—70 კაპ. დარჩენილია 59 004—95 კაპ. დარჩენილი ფულის შესახებ აი რას იწერებიან ოზურგეთის, დუშეთის და შორაპნის მაზრებიდან: „დანარჩენის მიღება არ მოხერხდა, მიუხედავათ ჩვენი მოთხოვნისა, ფულის ნიშნების უქონლობის გამო; ეჭვს გარეშეა ამ ნაირი მდგომარეობაა დანარჩენ 8 მაზრაშიც.

ფულების თავის დროზე მიუღებლობა აღმასკომისგან და ხშირად მიწად-მოქმედების კომისარიატიდანაც ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული. დაპირდებიან სამუშაო ფულები თავის დროზე იქნებაო, აგრონომი იწყებს მუშაობას და, როცა დრო დგება, ფულებს ვერ იღებს, ამის გამო თესლს თავის დროზე ვერ იძენს, დროზე ვერ ხნავს, ვერ თოხნის და სხვა., რასაკვირველია, ამნაირ პირობებში აგრონომის მუშაობა სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს. სწორედ ეს მიზეზები იქნებოდა, რომ საგარეჯოს სამაგალითო საჩვენებელ მინდორში ნათესები გლეხის ნათესებზე უარესი აღმოჩენილა, როგორც განაცხადა ადგილობრივმა გლეხკორმა. აგრონომის დანაშაული გამოიხატება იმაში, რომ, როცა თავის დროზე სამუშაო ფულები არ ჰქონდა, მუშაობა არ უნდა დაეწყო.

ყველა სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე ლაპარაკობს, ამისთვის კი საჭიროა სოფლად მცოდნე და გამოცდილი აგრონომები. გამოცდილ აგრონომებთან ერთად საჭიროა დაბალი ტიპის ტეხნიკური ცოდნით აღჭურვილი მომუშავეები. ამნაირ ჯურის სპეციალისტებს ამზადებდა ცნობილ აგრონომ სტაროსელსკისგან დაარსებული საქარის სანერგეში პრაქტიკული სკოლა; აქ მევენახობა-მეღვინეობის გარდა ასწავლიდენ მებაღეობას და მებოსტნეობას. საქარის სკოლა ბევრმა ახალგაზრდამ დაამთავრა და ბევრი სარგებლობაც მოუტანა დასავლეთ საქართველოს ფილოქსერადან გაოხრებული ვენახების აღდგენაში. უსახსრობის გამო მიწად-მოქმედების კომისარიატმა ა/წ მარტში ეს სკოლა დახურა და ამნაირად ჩვენ ქვეყანას მოაკლდა ერთი საუკეთესო სამეურნეო ტიპის სკოლა.

ამნაირივე სასარგებლო და საჭირო იყო ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღდგენისათვის და გასავითარებლად თბილისის საბაღოსნო სკოლა, რომელიც 1919 წელს დაიკეტა. ბოლოს დაინახეს, რომ ეს დიდი შეცდომა იყო და წელს ისევ ვითომ გახსნეს, მაგრამ უსაღსრობის გამო ვერ არის ჯეროვან დონეზე დაყენებული.

გარდა ამისა იყო ბაღის მუშებისათვის პრაქტიკული სკოლები თბილისის ბოტანიკურ ბაღში და სოფელ ოძისში; დღეს ეს სკოლები ორივე დახურულია.

იმედია მიწად-მოქმედების კომისარიატი არ დატოვებს ამას უყურადღებოთ და გამონახავს სახსარს მათ აღსადგენათ

დასასრულ, საჭიროა შევნიშნოთ, რომ არც ისე მცირეა აგრონომების ღვაწლი სასოფლო მეურნეობის დ რგების შემოღება განვითარებაში, როგორც ზოგიერთს ჰგონია. არიან ბევრი დამსახურებული აგრონომები, რომელთაც დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვისთ სოფლად მუშაობაში და დიდი სიმპატია დაიმსახურეს მშრომელ გლეხობაში, გლეხებმა დააფასეს მათი შრომა და მოღვაწეობა და ბევრჯელ კიდეც აღნიშნეს სასოფლო მეურნეობის გაზეთების ფურცლებზე.

ამ აგრონომების მეოხებით აღდგენილ იქნა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზემო იმერეთში ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახები, გავრცელდა ჩაის და სხვა სუბტროპიკული მცენარეების კულტურა გურია-სამეგრელოში, შემოიღეს სიმინდის მწკრივად თესვა სამტრედიის რაიონში, გავრცელდა ამერიკულ ვაზზე ნამყენი ვენახები რაჭა-ლეჩხუმში და სხვა.

აგრონომი ერ. ნაკაშიძე.

---

# მეფუტკრეობა გურიაში

მეფუტკრეობა - სასოფლო-მეურნეობის მეტად ნაყოფიერი და სარფიანი დარგი,— წარსულშიაც დიდად გავრცელებული ყოფილა.

ცნობილია, რომ შორეულ საუკუნოებში—კოლხეთში (დას. საქართველო) დიდ-ძალი თაფლი, ცვილი მზადდებოდა და აქედან უცხოეთში გაჰქონდათ.

დღეს-კი სოფლის მეურნეობის ეს დარგი ერთობ უნუგეშო, უბადრუკ მდგომარეობაშია და ალაგ-ალაგ სავსებით განადგურებული.

თუმცა თაფლის ნაწარმოებში ამ ხანად მოთხოვნილება გაზრდილია, მაინც ის ზრუნვის განსაკუთრებულ საგნათ ჯერ არავის გაუხდია.

შეიძლება ითქვას—დღემდე არ ყოფილა თუნდაც სერიოზული ცდაც კი მეფუტკრეობის კულტურის ჯეროვან, მტკიცე საფუძველზე დასაყენებლათ, მაშინ როდესაც მას განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს მეურნე გლეხობის ცხოვრებაში. მისი დანიშნულება და ფასი სასოფლო მეურნეობის დარგში ფართეა და მრავალ-მხრივი. არაა სხვა სამნეო კულტურის დარგი, რომელსაც ჩვენი სოფლისათვის, მეურნე გლეხობისათვის, ეგზომ მრავალმხრივი მნიშვნელობა ქონდეს.

ჩვენში ძველად თაფლის თვისებებს სამკურნალო მიზნითაც იყენებდენ და მითი მრავალ სნეულებათ ჰკურნავდენ. მეცნიერებაში დღეს ცნობილია მისი წმიდა სამკურნალო თვისებები, რაიც თითქმის ყოველგვარ სნებაზედ მოქმედებს. თაფლი თავის შემადგენლობაში შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომელიც მოქმედებს ისეთ სენზედაც კი, რომლის მიმართ თანამედროვე მედიცინა სუსტი და ხელმოკლეა.

საერთოდ მეფუტკრეობის კულტურას იმ მხრივაც აქვს ღირებულება, რომ იგი მეხილეობის, ბაღის კულტურის განვითარება-წარმატების საქმეს დიდათ შველის. ფუტკარს განსაკუთრებული როლი უპყრია მცენარეთა ყვავილების განაყოფიერებაშიც. ცნობილია, რომ ყვავილთა ნაყოფიერებას შველის უმთავრესად ქარი და ფუტკარი, რომელთ გადააქვთ ერთი (მამრობითი) ყვავილის მტვერი, მეორე (დედრობითი) ყვავილის მტვერში, რომლის გარეშე განაყოფიერების ფაქტი წარმოუდგენელია.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ გურიაში ფუტკარს განსაკუთრებული და გადამჭრელი როლი აქვს, იმ მხრივ, რომ აქ ქარს აგრე რიგად ვერ მიმოაქვს ყვავილების მტვერი.

ამიტომ, ამ მომენტში მთავარი ფუნქცია ისევ ფუტკარს რჩება; თუ ეს ასეა, მაშ ხეხილის ნაყოფიერება-მოსავლიანობის სიმდარე ჩვენში უმთავრესად მეფუტკრეობის სისუსტით უნდა აიხსნას.

ეს კულტურა გურიაში უმწეო და სავალალო მდგომარეობაშია, იგი იმავე პირობებშია, რომელშიაც მას რამოდენიმე ათეულ წლის წინათ ვხედავთ.

რითი უნდა აიხსნას ეს?

უპირველეს ყოვლისა, მით, რომ ის სასოფლო-სამეურნეო კულტურის ცოდნით ძალზედ ღარიბი და ჩამორჩენილია.

სწავლა-განათლებით დაწინაურებული გურია, ამ მხრივ შესამჩნევათ მოიკოჭლებს.

მევენახეობა, მესაქონლეობა, მეთამბაქოობა, მებოსტნეობა და სხვა სამნეო დარგები ფრიად ხელსაყრელ პირობების მიუხედავათ, შორსაა სასურველი მდგომარეობიდან.

მეფუტკრეობაც ამავე ბედშია.

მის სასურველი ტემპით წარმატებას ხელს უცარავს, სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ საფუტკრე სკები აქ ბარბაროსულია და პირველ-ყოფილი.

გურიაში ფუტკარი ჰყავთ ე. წ. „ბუკებში“.

ჩარჩოიანი, დადან-ბლატის სისტემის სკები აქ იშვიათია და შემთხვევითი. ასეთი თითო-ოროლა სპეციალისტის ოჯახში თუ მოიპოება. ამ გარემოებამ დიდათ შეუშალა ხელი მეფუტკრეობის კულტურის გავრცელებას, რადგან ასეთ „ბუკებში“ პოხიერი ნიადაგი პოვა ათასგვარ სნეულებამ, რამაც დასავლეთ საქართველოში, კერძოთ გურიაში პირდაპირ მუსრი გაავლო და მრავალი მეფუტკრე მშრალზედ დასტოვა.

ძალზე გავრცელებულია აქ „სიდამპლე“ რამაც უმოწყალოთ გაანადგურა ფუტკარი, სწორეთ ისე, როგორც კახეთში.

დიდი ზიანი მიაყენა აგრეთვე—როგორც ეს გამოირკვა—„მკვდარ-თავამ“, რომლის წინააღმდეგ არავის არავითარი ზომები არ მიუღია და, თუ ასე გაგრძელდა, ეჭვი არაა, რომ ის დაასრულებს „სიდამპლეს“ გამანადგურებელ გავლენას.

ფუტკარის უმთავრესი სენი კი მოუვლელობა და შესაფერი ცოდნის, კულტურულ-ტეხნიკურ ღონისძიებათა უქონლობაა.

შეიძლება ითქვას, რომ აქაური სკები პირდაპირ ბედის ამარაა მიგდებული, მას ხშირათ ტყეებში აშენებენ, საცაც „სახილავათ“ თუ მივა პატრონი, თორემ სხვა დროს თავს ნაკლებათ იტკივებენ.

ასეთ პირობებში სკებს უჩნდება ათასგვარი ავადმყოფობა და ბოლოს იგი იღუპება.

სხვა რომ არა იყოს-რა ტყეში გაშენებული საფუტკრე „იელის“ და „შქერის“ სიმრავლის გამო „მათრობელა თაფლს“ იძლევა.

საჭიროა ამ კულტურას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, მას აქ ფართე პერსპექტივები უჩანს, თუ მას შესაფერი გონივრული პირობები შეუქმნით.

ამ მხრივ შეიძლება ითქვას ჯერ არაფერი გაკეთებულა და მეფუტკრეობის კულტურის ფეხზედ წამოყენებას არავინ ცდილა.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ ორგანოების პრაქტიკული ღონისძიებები, რომ ეს სარფიანი და ფრიად ხელსაყრელი კულტურა ფართეთ შეიჭრას გლეხობის ცხოვრებაში;

გურული გლეხობა დიდათ დაინტერესებულია მეფუტკრეობით და ჩვენი ვალია გულ-მხურვალეთ შევეგებოთ მათ მისწრაფებას სათანადო დახმარების სახით.

**კარდონი.**

# კორესპონდენცია

## ქვემო სვანეთის და თვით ლეჩხუმის მაზრის წარმომადგენელნი თბილისში

ა/წ. 22 სექტემბერს ლეჩხუმის მაზრის სხვა და სხვა თემებიდან გლეხთა წარმომადგენელნი ჩამოვედით თბილისში უმაღლეს მთავრობის წინაშე საშუამდგომლოდ ლეჩხუმის საჭირ-ბოროტო საკითხების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა ვინახულეთ საქ. პარტ. კომიტ. მდივანი ამხ. მ. კახიანი, რომელსაც მოკლეთ გავაცანით ჩვენი თხოვნის შინაარსი და ვსთხოვეთ დახმარება, რათა გვენახა ამხ. ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე, შ. ელიავა და სხვები. ამხ. კახიანმა ჩვენი თხოვნა შეასრულა და ეს პირები ყველა ნახულ იქნა ჩვენგან. მათ ყველას გაუკეთეთ მოხსენება და ვსთხოვეთ ჩვენდა დავალებული თხოვნის შესრულება. ჩვენი შუამდგომლობა ეხებოდა შემდეგ საკითხებს: 1. ლეჩხუმი—ქვემო სვანეთზედ გზატკეცილის გაყვანა, 2. წარმოკავშირის განყ. დაარსება ცაგერში, 3. საკრედიტო ბანკების გახსნა ქვემო სვანეთის და ზუბოყურების რაიონებში, 4. ცაგერში საბავშო სახლის გაფართოვება და სხვა.

პატივცემულმა ამხ-მა რწმუნებულებისაგან დაწვრილებით მოისმინეს ყოველგვარი თხოვნა, რაზედაც მოგვცეს სათანადო პასუხი, რჩევა დარიგება და აღგვითქვეს თხოვნის სისრულეში მოყვანა, რითაც ჩვენ დიდი კმაყოფილი დავრჩით, და ღრმათ დარწმუნებულნი იმაში, რომ დაპირება აღსრულდება, სიხარულით გამოვექანეთ ჩვენს მაზრაში.

**გ.. სვანი.**

## ახალგ. მარქსისტთა შ. რის.

### ქ. ლანჩხუთი. (გურია).

ა/წ. 21 სექტემბერს ქ. ლანჩხუთში შესდგა ადგილობრივ 7 და 9 წლედის მოწაფეთა და რაიონის ახალგ. ყოფილ მარქსისტთა და უპარტიოთა კრება, რომელსაც დაესწრენ ოზურგეთიდან-სამ. საინ. ბიუროს თავმჯდომარე ამხ. თ. ჩხაიძე, ყოფ. მარქს. ამხ. ს. სალუქვაძე და ვ. ხომერიკი. კრებას თავმჯდომარეობდა მ. კვასხვაძე. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. ხომერიკი. მან აღნიშნა მენშევიკური პარტიის უამრავი შეცდომები, შემდეგ 4 წლის უმიზნო ბრძოლა მუშათა კლასის წინააღმდეგ და ის ავანტიურა, რომელსაც დაღუპვის კარამდე მიყავდა საქ. მშრომელი გლეხკაცობა. მან შეძლებისდაგვარად გააშუქა თანამედროვე ახალგაზრდობის როლი სოციალისტურ რევოლიუციაში.

შემდეგ აკეთებს მოკლე მოხსენებას სამ. საინც. ბიუროს სახელით ამხ. თ. ჩხაიძე, რომელიც აცნობს კრებას მუშათა კომისიის და კერძოთ გურიის ს. ბ. მუშაობას და მის შედეგებს. ახალგაზრდობა, როგორც პირველის ისე მეორე მოხსენებას დიდის ალტაცებით შეხვდა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა ამხანაგების მოხსენება სრულის ნებით ვიზიარებთ თბილისის მუშების მიერ 7—8 ოქტომბრის კრებაზედ გამოტანილ დადგენილებას. ვთვლით რა აგვისტოს გამოსვლებს ხალხის დამღუპველ ავანტიურად, ვდგებით კომინტერნის პლათფორმაზე და ვგმობთ ყოველგვარ არა ლეგალურ მუშაობას საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ. სავსებით ვიწონებთ საინც. ბიუროს მუშაობას და მოუწოდებთ მთელი ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობას ამოუდგინ გვერდში კომუნისტურ პარტიას, რომელმაც შექმნა წმიდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება და დიად მომავალს უმზადებს მშრომელ ახალგაზრდობას. ერთხელ და უკანასკნელად ვუცხადებთ ზიზღს მოღალატე ელემენტებს, რომლებიც განზე გამდგარან და კიდევ არ იეიწყებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა მებაირახტრე არის მხოლოდ კომუნისტური პარტია. შორს ჩვენგან მატყუარა პარტიები.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს მე-III-მე კომინტერნს, გაუმარჯოს მშრომელ ახალგაზრდობას! რწმუნებულებად არჩეულ იქნენ: ლ. კვაჭაძე, ი. იმნაიშვილი და კვასხვაძე. კრება კმაყოფილი დაიშალა და მადლობას გამოსთქვამდა იმ ამხანაგების მიმართ, რომლებმაც ამ დიად საქმეზე მათთან მივიდენ. ერთხელ მაინც ასეთი მოგზაურობა მოხსენებებით სასურველიცაა და ნა-

ყოფიერიც არის გურიის ახალგაზრდობისათვის. ახალგაზრდობა გაჟღენთილია რევოლიუციონური გრძნობებით და საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მას

„სერჟანტ“.

---

## პატრიკეთის თემი

ყოველგვარი უბედურება თავს პატრიკეთის თემს ატყდება. ალბად ე'ს გარემოება აიხსნება ადგილობრივი ადმინისტრაციის სისუსტით და დაუდევრობით. თუ კიდევ უყურადღებოდ დაგვტოვეს და არ მიაქციეს ყურადღება ბოროტმოქმედ პირებს, საშინელი მდგომარეობა შეიქმნება გლეხებს შორის. აშკარა უკანონობა მოხდა ჩვენში, ამა წლის თებერვალში, მაგრამ საქმე მიიჩქმალა. ჩვენ, დაახლოვებით 90 კომლს, გვაქვს საერთო წისქვილი, რომელშიაც დაიკარგა რამოდენიმე ფუთი სიმინდი და პური. ბოროტმოქმედების აქტი და თვით ბოროტმოქმედიც გამორკვეულ და დადასტურებულ იქმნა სათანადო ოქმით, მაგრამ ადგილობრივი გამგეობის თავმჯდომარემ დააფარა ხელი ამ აქტს. მიუხედავად იმისა, რომ თემის მცხოვრები ითხოვდენ: გამოამზეურონ ეს საქმე და ბოროტმომქმედს მოსთხოვონ ჯეროვანი პასუხი. ჩვენ ასეთ ბოროტმოქმედებას ვერ მოვითმენთ და იმედი გვაქვს პროკურატურა ჯეროვან ყურადღებას მოგვაქცევს.

— „სოფელი ვნახე უძაღლო შიგ გავიარე უჯოხოთო“ ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია პატრიკეთზე. აქ ხელისუფლების თანამშრომლებს—ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და დედა-მიწა ქალამნათ და გლეხთა შორის საქმიანობას ეწევიან თავის ქეიფზე. მაგალითად, სასოფლო სამეურნეო გადასახადების აკრეფის დროს არ არის არავითარი სწორ ზომიანობა დაცული. უმაღლეს ორგანოს მიერ გამოცემულ კანონებს, რომ სოციალურად ღარიბს და დაბეჩავებულ გლეხებს სათანადო ყურადღება ჰქონდეს მიქცეული, პრაქტიკაში ანხორციელებენ უკუღმა რაც იწვევს გლეხებში სამართლიან გულისწყრომას.

საჭიროა დაინიშნოს კომისია, რომელიც სამზეურზე გამოიყვანს ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელთ.

საბჭოთა არხის გაყვანის დროს ზოგიერთმა მადა გახსნილმა ვაჟბატონმა მოინდომა ცეცხლზე ხელის მოთბობა და ბეჩავი ხალხის ზურგზე გასუქება; ისინი კრეფდენ ნატურალური სახით გადასახადებს და უკანტროლოთ ნთქავდენ გლეხების დოვლათს. ეს საქმე აღძრული იყო დასავლეთ საქართველოს ოლქის პროკურატურაში, მაგრამ შედეგი ჯერ არ სჩანს. ჩვენ იმედს არ ვკარგავთ და ველოდებით, რომ ხალხის ქონების გამფლანგველს სათანადო პასუხი მოეთხოვება.

პატრიკეთის თემშივე არსებობს კოოპერატივი, რომელიც ძლიერ დაშორებია თავის დანიშნულებას. მაშინ, როდესაც კოოპერატივმა უნდა დააკმაყოფილოს უპირველეს ყოვლისა ღარიბი მოსახლეობის მოთხოვნილებანი და განდევნოს ცხოვრებიდან ნათლია-ნათლიმამური შეთავაზება, რომელიც ჩვეში ხდება. ჯერ ერთი სრულიად მოუწესრიგებელია მანუფაქტურის განაწილება მცხოვრებლებზე. მაგალითად: როდესაც კოოპერატივში მოსულია ნარმა, ნოქარი უნორმოთ არიგებს მას ისე, რომ უმეტესი ნაწილი გლეხებისა დაუკმაყოფილებელი რჩება. აღსანიშნავია. რომ ეს ხდება არა მანუფაქტურის სიმცირით, არამედ ნოქარის თვითნებობით. იგი ზედმეტს აძლევს მას, ვინც მისი პირადი ნაცნობია.

გარდა ამისა, აქ კიდევ ერთ უმსგავსოებას აქვს ადგილი: კოოპერატივში გლეხები ცვლიან სიმინდს მანუფაქტურაზე. შემოსული სიმინდი კოოპერატივის საკუთრებააა, მაგრამ იგი მიაქვს სახლში ნოქარ კოწია ადამაძეს, მაშინ, როდესაც იგი ვალდებული არის სიმინდი გლეხებს დაურიგოს ხელმისაწდომ ფასებში. კოწია სიმინდს სახლში ხმარობს, მხოლოდ თავისას ყიდის ბაზარზე ზედმეტ ფასებში. ზედმეტ მოგებას იგი ისაკუთრებს, მხოლოდ დანარჩენი შეაქვს კოოპერატივის სალაროში. ყველა ეს რასაკვირველია სახელს უტეხს კოოპრატივს, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს სოციალიზმის დამყარებას. ამისათვის საჭიროა სპეკულიანტ ნოქრების ალაგმვა.

სალაშინი.

---

„ჟურნალ ახალი გზის“ № 35 იყო მოთავსებული წერილი, რომელშიდაც ბრალს სდებენ ეპოს გამგეობის წევრს ალ. პაპოშვილს და სხ. აღნიშნულ ბრალდებაში ჩემს თავს დამნაშავეთ არა ვსცნობ. ვთხოვ დაინტერესებულ დაწესებულებებს სასწრაფოთ გამოიძიონ ეს საქმე და სათანადო სასჯელი დასდონ დამნაშავეს.

ალექსი პაპოშვილი.

---

სარედაქციო კოლეგია: მ. ძამანაშვილი
ა. გვიმრაძე
შ. ხურცილავა
კ. მაჭარაძე
ლ. კუპრაშვილი

მთავლიტი № 1764 პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბა, ლენინის ქუჩა № 8. ტირაჟი—2500.